



თბილისი
2014

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭო

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ილია II**, გიორგი **კვესიტაძე** (თავმჯდომარე), ზურაბ **აბაშიძე** (თავმჯდომარის მოადგილე), თამაზ **გამყრელიძე**, გურამ **თევზაძე**, ფრიდონ **თოდუა**, როინ **მეტრეველი**, ოთარ **ნათიშვილი**, თეიმურაზ **ნანეიშვილი**, ირაკლი **ჟორდანია**, ავთანდილ **საყვარელიძე**.

ქართული ენციკლოპედიის სამეცნიერო სექციების ხელმძღვანელები

ზაზა **აბზიანიძე**, გურამ **ალექსიძე**, ამირან **არაბული**, ერეკლე **გამყრელიძე**, რამინ **გობეჯიშვილი**, ნიკოლოზ **ვახანია**, დავით **თავხელიძე**, გურამ **თევზაძე**, დიმიტრი **თუმანიშვილი**, ირაკლი **იმედაძე**, ლია **მელიძიშვილი**, დავით **მუსხელიშვილი**, გიორგი **ნახუცრიშვილი**, ვლადიმერ **პაპავა**, მინდია **სალუქვაძე**, შოთა **სამსონია**, გულბათ **ტორაძე**, გრივერ **ფარულავა**, იაკობ **ფუტკარაძე**, იზაბელა **ძობალავა**, რამაზ **შენგელია**, თამაზ **ჭელიძე**, გიორგი **ჯაფარიძე**, თამაზ **ჯოლოგუა**.

კონსულტანტები

გიორგი **აბაშიძე**, ლევან **ალექსიძე**, ავთანდილ **არაბული**, გონელი **არახამია**, ბარამ **ბარამიძე**, თეიმურაზ **ბერიძე**, ელდარ **ბუბულაშვილი**, რევაზ **გაჩეჩილაძე**, გურამ **გვერდწითელი**, ვახტანგ **გოილაძე**, ალექსანდრე **დიდებულიძე**, ლევან **დოლიძე**, ირაკლი **ელიავა**, აკაკი **ირემაძე**, ნინო **კალანდაძე**, მარინე **კერესელიძე**, გუჩა **კვარაცხელია**, ვახტანგ **კვარაცხელია**, იაკობ **მესხია**, გიორგი **მინდიაშვილი**, ელდარ **ნადირაძე**, პეტრე **ნასყიდაშვილი**, ოთარ **ჟორდანია**, ზაზა **სოფრომაძე**, დალი **ფანჯიკიძე**, გრანი **ძავთარია**, მიხეილ **ძავთარია**, დიმიტრი **შველიძე**, შოთა **ცირეკიძე**, შოთა **ცუცქირიძე**, გიორგი **წერეთელი**, ნანა **ხაზარაძე**, კობა **ხარაძე**, ჭიჭიკო **ჯანელიძე**, გოჩა **ჯაფარიძე**.

ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია
უანგარო მხარდაჭერისათვის გულითად მადლობას მოახსენებს
ბატონ თამაზ **სომხიშვილს.**

საქართველო

ენციკლოპედია



ენდრონიკა–თეზამი

ქართული ენციკლოპედიის *ირაკლი აბაშიძის სახელობის*
მთავარი სამეცნიერო redაქცია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთავარი რედაქტორი — ზურაბ აბაშიძე, **მთავარი რედაქტორის მოადგილე** — გიორგი ლორთქიფანიძე, **პასუხისმგებელი მდივანი** — ზურაბ ჭელიძე, **პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე** — დავით ნიორაძე, **მრჩეველი** — ავთანდილ საყვარელიძე, **მენეჯერი** — კონსტანტინე რომანოვი.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა და კარტოგრაფიის რედაქცია. რედაქციის გამგე — ცარო ვაშაკიძე; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორი — ეთერ ლოლუა.

ეკონომიკისა და სამართლის რედაქცია. რედაქციის გამგე — ლია აბრამიშვილი; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: დავით დეკანოიძე, მაყვალა ჭიჭინაძე.

ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების რედაქცია. რედაქციის გამგე — თამაზ გერსამია; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: ირინე აბაშიძე, თამარ დოლიძე, მარინე თუშიშვილი, ლიანა ძნელაძე.

ისტორიის რედაქცია. რედაქციის გამგე — მარიამ ზალდასტანიშვილი; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: ლიანა მანიავა, თამარ მარგველაშვილი.

მედიცინის, ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის რედაქცია. რედაქციის გამგე — სოფიო ბაძრაძე; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: გიორგი აბაშიძე, ნინო წივწივაძე.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა რედაქცია. რედაქციის გამგე — თეა ალიბეგაშვილი; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორი — ნათია ვადაჭკორია.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქცია. რედაქციის გამგე — თამაზ დვალი; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: ლალი მოწონელიძე, თამარ რუსიშვილი; რედაქტორი — ყამარ ბლიაძე.

სიტყვანის, ბიბლიოგრაფიის, სამეცნიერო და სალიტერატურო კონტროლის რედაქცია. რედაქციის გამგე — ნოდარ გიოშვილი; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: ზაირა გეწაძე, ცისანა კვეზერელი, მთვარისა სილაგაძე, რუსუდან ფოფხაძე, ნელი ქაფიანიძე, პაატა ყიფიანი, იზაბელა ჩარკვიანი.

ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიისა და ტექნიკის რედაქცია. რედაქციის გამგე — ილია ლომიძე; წამყვანი სამეცნიერო რედაქტორები: თინა არსენაძე, ფიქრია ინასარიძე, შოთა ნემსაძე.

საკორექტორო. გამგე — ლეილა საათაშვილი; კორექტორი — ნანა მექვაბიშვილი.

ბიბლიოთეკა. გამგე — გულო ქენქაძე.

ტექნიკური რედაქცია. მთავარი სპეციალისტი — ლიანა ნიაზაშვილი; ტექნიკური მდივანი — თამარ დემეტრაშვილი; სპეციალისტი — თინათინ მახათაძე.

დამკაბადონებელი — კარინა ხარაზიშვილი.

კომპიუტერული ცენტრი. უფროსი ოპერატორი — იზოლდა მოსიძე; ოპერატორები: ნანა გიორგაძე, ციალა ხითაროვა.

რუკების კომპიუტერული უზრუნველყოფა — ზაზა გულაშვილი.

პალეოგრაფიული ცხრილები — ელენე მაჭავარიანი.

გარეკანი და სატიტულო ფურცელი — შოთა ნიორაძე.

© ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის
მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ISBN 978-99928-20-28-5

ენდრონიკა (Galium), მცენარეთა გვარი ენდროსებრთა ოჯახისა; ერთ- ან მრავალწლოვანი ბალახები. აქვთ პატარა, ორსქესიანი ან პოლიგამური, ნახევარქოლგებად შეკრებილი მოყვითალო-მომწვანო, ყვითელი ან თეთრი ყვავილები, რებიც ღეროს წვერზე ფარისებრ ან საგველასებრ ყვავილედებს ქმნის. უფრო იშვიათად, ნახევარქოლგები განლაგებულია ფოთლების იღლიებში თითქმის მთელ სიგრძეზე. ე-ს გვარი 400-მდე სახეობას აერთიანებს და გავრცელებულია მთელ დედამიწაზე. საქართველოში ამ გვარის 30-მდე სახეობაა, იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპ. სარტყლამდე ტყეში, ტყის პირებზე, მდელოებზე, ტენიანსა და დაჭაობებულ ადგილებზე, მშრალ ფერდობებზე, ჩამონაზვავებსა და კლდოვან ადგილებზე. ე-ს ზოგიერთი სახეობის ყვავილებს **(G. verum)** ხმარობენ ყველის დასამზადებლად. ზოგის ღერო და ფოთლები შეიცავს მომწვანო-მოყვითალო და ყავისფერ საღებავს, ფესვები – წითელს. *ლ. ხინთიბიძე.*

ენდრონიკაშვილი მერაბ, ერეკლე II-ის თანამებრძოლი. XVIII ს. 40-იან წლებში მონაწილეობდა თბილისის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. *აბდულა-ბეგის* დამარცხების შემდეგ ნარიყალის ყიზილბაშში მეციხოვნეები გატყდნენ და უვნებლობის პირობით მეფეს დანებდნენ. ერეკლე II-მ ნარიყალა 60 კახელ მებრძოლთან ერთად ე-ს ჩააბარა 1748 წ. 22 ივნისს.

ენეოლითი, სპილენძ-ქვის ხანა (ლათ. aeneus – სპილენძი და ბერძნ. lithos – ქვა), ნეოლითიდან ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი ისტორიულ-არქეოლოგიური პერიოდი (ძვ. წ. VI–IV ათასწლეული), როცა ჩნდება თვითნაბადი სპილენძისაგან ცივი დამუშავებით დამზადებული იარაღი და სამკაული. ე-ის ეპოქაში ქვის იარაღის გვერდით სპილენძის იარაღიც იხმარებოდა. ადრე მეცნიერთა უმრავლესობა ე-ს განიხილავდა არა როგორც ცალკე ეპოქას, არამედ



ენეოლითი. ირმის რქის სამეურნეო იარაღი. ხრამის და იმირის გორა.


როგორც გარდამავალ საფეხურს ქვის ხანიდან ბრინჯაოს ხანაზე. მაგრამ ყოველი ახ. აღმოჩენა ცხადყოფს, რომ იგი სრულფასოვანი არქეოლ. ეპოქაა, რ-იც ორი ათასწლეულის მანძილზე გრძელდება. შუამდინარეთსა და ეგვიპტეში ე. იწყება ძვ. წ. VI ათასწლეულში, ევროპაში – ძვ. წ. III ათასწლეულში. ე-ის ძეგლები აღმოჩენილია შუა აზიაში (ანაუ, ნამაზგათეფე), უკრაინაში (ტრიპოლიეს კულტურა). ამიერკავკასიაში (ქიულთეფე, შომუთეფე, ტეხუტა, ქვემო ქართლის ძეგლები და სხვ.) ამიერკავკასიის ენეოლითური ანუ ადრესამიწათმოქმედო კულტურა ძვ. წ. VI–IV ათასწლეულით განისაზღვრება.

ე-ში გამოიყოფა 3 პერიოდი: ადრინდელი, შუა და გვიანდელი. სამხრ. კავკასიისა, კერძოდ კი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძეგლები ადრე- და გვიანენეოლითურ ეტაპებს განეკუთვნება.

ე-ის ადრინდელი პერიოდის ნასახლარები უმთავრესად ქვემო ქართლშია გამოვლენილი. ისინი (შულავრის, ყაჩაღანის, წითელი სოფლის, არახლოს, იმირის, დანგრეული გორის და სხვ.) ჯგუფებადაა განლაგებული მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, მდ. ხრამის, დებედისა და მაშავრის აუზში. ეს ნამოსახლარები წარმოადგენს ხელოვნურ ბორცვებს, რ-ებიც ერთ ადგილზე ადამიანთა ხანგრძლივი ცხოვრების შედეგად არის წარმოქმნილი. ნამოსახლარებზე გამოვლენილია ალიზით ნაგები გუმბათსახურავიანი წრიული ნაგებობანი, აგრეთვე სწორკუთხა სათავსები (არახლო I, იმირის გორა). არახლოსა და ხრამის დიდ გორაზე არის ნახევრად მიწურებიც. არქეოლ. მასალას შეადგენს ტლანქი, ხელით ნაძერწი, მინარევებიანი თიხის ნაწარმი, ქვის, ძვლისა და რქის იარაღი. გვხვდება ქილები, კასრისებრი ჭურჭელი, ჯამები და მომცრო ზომის ჭურჭელიც. უმრავლესობა შემკულია რელიეფური ორნამენტით, ძირზე ზოგჯერ ლასტის ანაბეჭდი შეიმჩნევა. ზედა ფენებში ჩნდება ე. წ. ,,თევზიფხურიი'' სახეები, ჭდეული ორნამენტი და გლუვზედაპირიანი, წითლად შეღებილი ნაწარმი. ქვის იარაღებიდან აღსანიშნავია: გახეხილ-გაპრიალებული ცულები, სატეხები, გრდემლები, საპრიალებლები, ბევრია ობსიდიანის ნუკლეუსები, რ-თა ატკეცვით ამზადებდნენ დიდი ზომის დანისებრ ფირფიტებს, საფხეკებს, სახვრეტებს, საჭრისებს, ნამგლის ჩასართებს და სხვ. გვხვდება ძვლის (თოხები, სადგისები, საპრიალებლები, კოვზები, დანისებური იარაღი, ოვალური და რომბული ისრისპირები), აგრეთვე რქის



ენდრონიკა (**Galium**).



ენეოლითი. ობსიდიანის ნუკლეუსი. იმირის გორა.

იარაღი (თოხები, ცულები სატარე ნახვრეტით, ჩაქუჩისა და წერაქვისნაირი იარაღი, მიწის საჩიჩქნები, კვერთხისთავები და სხვ.). იარაღი მრავალფეროვანია, დამუშავებულია მაღალი ტექნიკით. ბევრია თიხის ანთროპომორფული



ენეოლითი. რქის კვერთხის თავი. ხრამის გორა.

ქანდაკება. ხრამის დიდ გორასა და არახლო I-ზე აღმოჩნდა სპილენძის მცირე საგნები.

ქვემო ქართლში გამოვლენილი Ე-ის კულტ. და აზერბაიჯანის სინქრონული ძეგლები ერთიანდება ადრესამიწათმოქმედო კულტურის ერთ ლოკალურ ვარიანტში – ე. წ. ,,შულავერ-შომუთეფეს'' კულტურაში.

შულავრის ნასოფლარის ძეგლების სტრატიგრაფიის საფუძველზე გამოყოფილია ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურების 5 თანამიმდევრული საფეხური.

Ე-ის გვიანდელ პერიოდში რამდენადმე განსხვავებული კულტურა ისახება. ამ ეტაპს მიეკუთვნება ე. წ. სიონის ტიპის ძეგლები, რ-ებიც უფრო ფართოდაა განფენილი საქართვ. ტერიტორიაზე, ვიდრე ადრეული საფეხურისა. გვხვდება საქართველოს როგორც დაბლობ, ისე მთიან რაიონებში. აღმ. საქართველოში ასეთებია: წოფი, სიონი, არახლო VI (ქვემო ქართლი), ბოდორნა, არანისი, ჟინვალი, ბულაჩაური (არაგვის ხეობა), ბერიკლდეები (შიდა ქართლი), წითელიგორების სამოსახლოები (კახეთი), ხელთუბანი (გორის მუნიციპალიტეტი), დელისის ნასახლარი (თბილისი). სიონში, ბოდორნასა და არანისში აღმოჩნდა ნახევრად მიწურების საძირკვლები. უმეტეს შემთხვევაში მასალის უმრავლესობა სამეურნეო ორმოებშია ნაპოვნი. არქეოლოგების აზრით, ადამიანები შეიძლება სარ-ლასტზე მოწნულ მსუბუქ შენობებში ცხოვრობდნენ. მასალა ძირითადად ხელით ნაძერწი, უხეში მინარევებიანი კერამიკაა. ჭარბობს ჯამისა და გობის ფორმის ნაწარმი. ჭურჭელი შემკულია რელიეფური კოპებით, ხაზებით და ჭდეული სახეებით, ხშირად გვხვდება თხელი ანგობით დაფარული ზედაპირგაპრიალებული ჭურჭელიც. ქვისა და ობსიდიანის იარაღი იმავე ტიპისაა, როგორიც ადრეულ საფეხურზე იყო (გახეხილ-გაპრიალებული ცულები, სატეხები, ხელსაფქვავები, როდინი და სხვ.). ობსიდიანისგან ამზადებდნენ დანისებურ ლამელებს, საფხეკ-საჭრისებრ, ნამგლის ჩასართებს. მცირე რაოდენობითაა ნაპოვნი ძვლისა და რქის იარაღი.

გვიანდ. Ე-ის შემცველი ფენები დას. საქართველოში აღმოჩენილია რიონ-ყვირილის აუზში განლაგებულ მღვიმეებში (ძუძუანა, საგვარჯილე, დარკვეთი, სამელე კლდე, თეთრი მღვიმე) და ღია ნასახლარებზე (თეთრამიწა, ახალსოფელი).

ამავე პერიოდისაა ჩრდ.-დას. კოლხეთში გათხრილი ძეგლები: ოქუმის მღვიმე, ათარის, მაჭარის და ფსოუს ღია ნასახლარები.

დას. საქართველოს გვიანდ. Ე-ის ნასახლარებზე მოპოვებული ქვის, ძვლის, რქის, კაჟის იარაღი და, განსაკუთრებით, კერამიკა დამზადების ტექნიკით, ფერით, ფორმითა და შემკულობით მსგავსია აღმ. საქართველოს ე. წ. სიონის ტიპის ძეგლების მასალისა. სავარაუდოა, რომ ადრესამიწათმოქმედო კულტურის გვიანდ. Ე-ის ეტაპზე მთელ საქართვ. ტერიტორიაზე ერთგვაროვანი კულტურა არსებობდა, რ-შიც ცალკეული ლოკალური ვარიანტები გამოიყოფოდა. დას. საქართველოში დადასტურებულია 2 ლოკალური რეგიონი – რიონ-ყვირილის აუზი და ჩრდ.-დას. კოლხეთი.



ენეოლითი. თიხის სასმისი. არახლოს გორა.

გვიანდ. Ე-ის პერიოდი, ^{14}C-ითა (რადიონახშირბადული მეთოდით) და პარალელური მასალების (სომხეთი, აზერბაიჯანი) გათვალისწინებით, ძვ. წ. IV ათასწლეულის დასაწყისითა და შუა ხანით განისაზღვრება, ხოლო დაკალიბრებით იგი ძვ. წ. V ათასწლეულსაც შეიძლება განეკუთვნებოდეს.

ლიტ.: გ ო გ ე ლ ი ა დ., ენეოლითური კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, წგ.: საქართველოს არქეოლოგია, ტ. 2, თბ., 1992; კ ი ღ უ რ ა ძ ე თ., აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია, თბ., 1990; მ ე ნ ა ბ დ ე მ., კ ი ღ უ რ ა ძ ე თ., სიონის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1981; ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე ლ., დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები, თბ., 1986; ფ ხ ა კ ა ძ ე გ., დასავლეთ ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში, თბ., 1993; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ო., ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ა., უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ., 1971; П х а к а д з е Г. Г., Некоторые вопросы энеолита Западного Закавказья, «საქართვ. მეცნ. აკად. მოამბე», 1978, ტ. 130, №1.

გ. ფხაკაძე.

ენერგეტიკა, ეკონომიკის საბაზისო დარგი, რომელიც დაკავშირებულია ბუნებრივი ენერგეტიკული რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული სხვადასხვა სახის ენერგიის გარდაქმნასთან, განაწილებასა და გამოყენებასთან. Ე. რთული საწარმოო-ეკონ. სისტემაა. სამეურნეო კომპლექსში იგი წარმოადგენს მრეწვ. ორი დარგის – *ელექტროენერგეტიკისა* და *სათბობის მრეწველობის* ერთობლიობას. მასში შედის ის საწარმოები, რ-ებიც ეკონომიკას უზრუნველყოფენ ყველა სახის ენერგიით და, ნაწილობრივ, ტექნოლ. ნედლეულით, აგრეთვე სათბობ-ენერგეტ. რესურსების მომპოვებელი, გამამდიდრებელი, გადამმუშავებელი, გარდამქმნელი, შემნახველი, ტრანსპორტირებისა და გამომყენებელი საწარმოები. Ე. უდიდეს გავლენას ახდენს ეკონ. ინფრასტრუქტურის ფორმირებასა და საზ. წარმოების ეფექტიანობაზე. მეურნეობაში Ე-ის მნიშვნელოვანი როლი განისაზღვრება იმ გარემოებით, რომ ნებისმიერი საწარმოო პროცესი მრეწვ. ყველა დარგში, სოფ. მეურნეობაში, ტრანსპორტზე, მოსახლ. მომსახურების ყველა სფეროში და ა. შ. დაკავშირებულია ენერგიის მზარდ გამოყენებასთან, ხოლო საზ. შრომის ნაყოფიერების ზრდის ძირითადი მატერ. საფუძველია შრომის ელექტრო- და ენერგოაღჭურვილობა. Ე-ის განვითარების დონე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის საწარმოო ძალების დინამიკასა და განლაგებაზე, ქმნის აუცილებელ წანამძღვრებს ცხოვრების დონის ამაღლებისა და შრომის პირობების გასაუმჯობესებლად. მისი განვითარების ტემპები და მასშტაბები განმსაზღვრელ გავლენას ახდენს ნებისმიერი ქვეყნის ეკონ. საბოლოო შედეგებზე.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი Ე. წარმოდგენილია თითქმის ყველა

ძირითადი ქვედარგით (*თბოენერგეტიკა, ჰიდროენერგეტიკა*, ელექტრული და თბოქსელები, ნავთობმომპოვებელი, ნავთობგადამმუშავებელი და ნახშირის მრეწველობა, *თერმული წყლები*). უკანასკნელ წლებში მიმდინარეობს სამუშაოები ქარისა და მზის ენერგიის გამოსაყენებლად. 1961–90 საქართვ. Ე-ის პროდუქცია 1,4-ჯერ გაიზარდა; ზრდა დაახლოებით თანაბარი იყო პირველსა და მეორე ათწლეულში, მესამეში კი – მკვეთრად დაეცა.

1991–95 საქართვ. Ე. მწვავე კრიზისმა მოიცვა. მინიმუმამდე დაეცა ყველა ენერგორესურსის წარმოება, ელექტროენერგიის გამომუშავება 2-ჯერ და მეტად შემცირდა, ნავთობისა და ნახშირის მოპოვება, შესაბამისად – 4,4-ჯერ და 22,4-ჯერ, ნავთობის გადამუშავება – 60,0-ჯერ, თანამდევი გაზის მოპოვება 18,2-ჯერ. 1995-იდან, განსაკუთრებით 2006-იდან, შეიმჩნევა წარმოების ერთგვარი ზრდა. კერძოდ, 2006 წელთან შედარებით 2013 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა 32,9%-ით, ნახშირის მოპოვება – 38,9-ჯერ. რაც შეეხება ნავთობის მოპოვებას, იგი 50–60 ათ. *ტ* ფარგლებში მერყეობს, თუმცა აღნიშნულ პერიოდში მისი მოპოვება 25,2%-ით შემცირდა (იხ. ცხრილი).

საქართვ. ტერიტორიაზე მეტ-ნაკლები ოდენობით გვხვდება ენერგეტ. რესურსების თითქმის ყველა სახეობა: ჰიდროენერგორესურსები, ქვანახშირი, მურა ნახშირი, ტორფი, ნავთობი, თანამდევი გაზი, თერმული წყლები; აწარმოებენ აგრეთვე ნავთობპროდუქტებს. საქართვ. ტრად. ენერგეტ. რესურსებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰიდროენერგორესურსები, ნახშირი და ნავთობი. საქართვ. დიდი და საშ. სიდიდის მდინარეთა თეორ. ჰიდროენერგორესურსები დაახლ. 136 მლრდ. *კვტ·სთ*, ტექ. ჰიდროენერგეტ. რესურსები – 68 მლრდ. *კვტ·სთ*, ხოლო ეკონომიური ჰიდრორესურსები (განვითარების თანამედროვე ეტაპზე გამოყენებისათვის ეკონომიკურად მიზანშეწონილი) – 32 მლრდ. *კვტ.სთ*-ია. საქართველოში აღრიცხული 319 მდინარის ტექ. ჰიდროენერგორესურსების 40% რვა მდინარეზე მოდის (მტკვარი, რიონი, ენგური, ცხენისწყალი, კოდორი, ბზიფი, ხრამი და არაგვი), რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ჰიდროენერგომშენებლობისათვის.

ჰიდროენერგეტ. მშენებლობაში თანამედროვე მიღწევათა გამოყენებით საქართვ. მდინარეებზე შეიძლება აიგოს ათეულობით მსხვილი და საშ. სიდიდის ჰიდროელექტროსადგური. მიუხედავად ამისა, საქართვ. ჰიდროენერგორესურსების გამოყენების დონე დაბალია. 1989-ში ჰიდროელექტროსადგურებმა 8787 მლნ. *კვტ·სთ* ელექტროენერგია გამოიმუშავეს, რაც ჰიდრორესურსების ტექ. შესაძლებლობის მხოლოდ 13% და ეკონომიური ჰიდრორესურსების 27,5% შეადგენდა. 2005 ეს მაჩვენებელი შესაბამისად 8,9% და 19,0%-მდე შემცირდა, ხოლო 2013 კი გაიზარდა 12,0 და 25,5%-მდე.

საქართველო განსაკუთრებით მდიდარია შედარებით პატარა მდინარეებით. მათი ტექ. პოტენციალი წლიურად დაახლოებით 12,3 მლრდ. *კვტ·სთ* შეადგენს.

საქართვ. ტერიტორიაზე ნახშირის რამდენიმე საბადოა, მათგან მხოლოდ სამს – ტყიბულ-შაორის, ტყვარჩელის ქვანახშირისა და ახალციხის მურა ნახშირის საბადოებს აქვს სამრეწვ. მნიშვნელობა. ქვეყნის ნახშირის მარაგის ძირითადი ნაწილი (ნახშირის საბალანსო მარაგის 80,2%) განლაგებულია ტყიბულ-შაორის საბადოში, ახალციხის საბადოში – 15,7%, ტყვარჩელის საბადოში – 4,1%.

XXI ს. დამდეგს საქართველოში აღრიცხული იყო ნავთობის 15 საბადო (მათი საბალანსო B+C კატეგორიის ამოსაღები მარაგი 36 მლნ. *ტ* შეადგენს, სადაც B უკეთესად დაძიებული მარაგია, C – შედარებით ნაკლებად შესწავლილი), აქედან 13 წვრილ საბადოთა კატეგორიას მიეკუთვნება. შედარებით მსხვილია სამგორ-პატარძეულის საბადო, საშუალოა დასავლეთ რუსთავის საბადო.

ქვეყნის ტერიტორიის ჰიდროგეოლ. შესწავლის თანამედროვე ეტაპზე საქართველოში თერმული წყლების საერთო პროგნოზული მარაგი (წყლის ტემპ-რა 50–70°C) 250 მლნ. $м^3$ შეადგენს, მზის ენერგიის თეორ. ოდენობა წლის განმავლობაში 10^{14} *კვტ·სთ* აღწევს, ქარის ენერგიის მარაგი კი – $1,3 \cdot 10^{12}$ *კვტ·სთ*. 1990-მდე ენერგეტ. რესურსების მოხმარების ზრდის ტენდენცია შეიმჩნეოდა. 1990-იდან 2007-მდე კი სათბობ-ენერგეტ. რესურსების მოხმარების დონე მკვეთრად დაეცა. ქვეყნის მოთხოვნა ძირითადად შემოტანილი ენერგეტ. რესურსების ხარჯზე კმაყოფილდებოდა. მდგომარეობა გაუმჯობესდა 2007-იდან. კერძოდ, ადგილ. რესურსებით დაკმაყოფილების დონე 2005 წ. 39,8% იყო; 2010-თვის კი ეს მაჩვენებელი 50,3%-მდე გაიზარდა, თუმცა 2013 იგი კვლავ შემცირდა 37,1%-მდე.

ხორციელდება ღონისძიებები ენერგეტ. სიმძლავრეების რეაბილიტაციისათვის. ამაში ქმედითად გვეხმარებიან მსოფლიო თანამეგობრობისა და დონორი ქვეყნები. უნდა ვივარაუდოთ, რომ Ე-ის დარგში განხორციელებული ეკონ. რეფორმები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის ენერგობალანსს. *დ. ჩომახიძე.*

ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გ. ჩოგოვაძის სახელობისა, დაარსდა 1928 და ეწოდა ამიერკავკ. ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ინ-ტი; ექვემდებარებოდა სსრკ ენერგეტ. და ელექტრიფიკაციის

უმნიშვნელოვანესი ენერგორესურსების წარმოება საქართველოში 1970–2013 წლებში

წლები	ელექტრო-ენერგიის გამომუშავება, მლნ. *კვტ·სთ*	ნავთობის მოპოვება, ათ.*ტ*	ნახშირის მოპოვება, ათ. *ტ*	ნავთობის გადამუშავება, ათ. *ტ*
1970	8964,2	24,2	2298,0	3544,0
1980	14687,4	3186,0	1860,0	4844,0
1990	14245,7	186,4	956,0	2323,0
1995	7082,0	42,7	42,6	38,7
2000	7451,3	109,5	7,3	31,7
2005	7100	66,6	5,1	–
2010	9919,2	52,0	192,7	–
2013	9860,6	47,9	350,0	–

ცხრილი

სამინისტროს. 1936–71 ეწოდა ა. ვინტერის სახ. თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, 1971, ამ ინ-ტისა და ა. დიდებულიძის სახ. საქართველოს ენერგეტ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის გაერთიანების შემდეგ (1971), – საქართველოს ენერგეტ. და ჰიდროტექ. ნაგებობათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, 1997–2010 – ენერგეტიკისა და ენერგეტ. ნაგებობათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. ინ-ტის ბაზაზე ჩამოყალიბდა ჰიდრავლიკურ კვლევათა საერთაშ. ასოციაციის საქართვ. ეროვნ. კომიტეტი, საქართვ. ეროვნ. ენერგეტ. აკადემია, ენერგეტ. სტრატეგიის კვლევის ცენტრი, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრი. 2010-იდან ინ-ტი შეუერთდა შპს ,,წყალკანალ-21-ს‘‘.

ინ-ტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იყო: ქვეყნის *ენერგეტიკული ბალანსის, ენერგოსისტემის* ეფექტიანობის ამაღლებისა და პერსპექტიული განვითარების პრობლემების დამუშავება; ექსპლუატაციაში მყოფი და მშენებარე ელექტროსადგურების ნაგებობათა და მოწყობილობათა საიმედოობის, სეისმომედეგობის, სამშ. მასალებისა და კონსტრუქციების დამზადების ტექნოლოგიების, ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენების საშუალებების, წყლის რესურსების კომპლ. გამოყენებისა და დაცვის მეთოდების, მდინარეთა კალაპოტებსა და ჰიდროტექ. ნაგებობებში წყლის დინების კანონზომიერების, ჰესებით დარეგულირებულ მდინარეთა კალაპოტური დეფორმაციებისა და საქართვ. შავიზღვისპირეთის სტაბილურობის შენარჩუნების გზების ძიება და დადგენა; *სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსისათვის* დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ნორმატიული დოკუმენტების დამუშავება.

1997-იდან ინ-ტი გამოსცემდა სამეცნ.-ტექ. ჟურნალს ,,ენერგია‘‘.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, იხ. *საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.*

ენერგეტიკის რეგულირება, სახელმწიფოს საქმიანობა, რომელიც მიმართულია დარგში მონოპოლიზაციის უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად და მომხმარებელთა დასაცავად. მისი დანიშნულებაა შექმნას ქცევის ისეთი წესები, რ-იც ჰგავს საბაზრო წესებს, ამავე დროს რეგულირების ფორმა და მექანიზმი ისეა შერჩეული, რომ დაცულია როგორც მომხმარებლის, ისე მწარმოებლის ინტერესები.

Ე. რ. საზოგადოებას უკეთეს პირობებს უქმნის ენერგიის მოხმარების თვალსაზრისით და იმავდროულად მინ. გადასახადებს აწესებს კონკურენციის არარსებობის პირობებში. კონკურენტუნარიანი ბაზრის მსგავსად, ენერგია მიეწოდება მხოლოდ იმ მომხმარებელს, რ-საც სურს და შეუძლია მომსახურების საფასურის გადახდა; სამაგიეროდ, ამ შემთხვევაში ენერგიაზე ფასები უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე მონოპოლიის ან კონკურენციის არსებობის სხვა ალტერნატივების დროს.

ჩამოთვლილი ფუნქციების შესრულება სახელმწ. ან კერძო სტრუქტურებიდან ყველაზე რაციონალურად შეუძლია დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს. ეს აღიარებულია მთელ მსოფლიოში. ამჟამად დამოუკიდებელ რეგულირებას მიმართავენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა: აშშ, არგენტინა, დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, პოლონეთი, უნგრეთი, შვედეთი, ლათინური ამერიკის, ევროპისა და აზიის სხვა ქვეყნები, აგრეთვე რუსეთი, უკრაინა და პოსტსაბჭოთა დამოუკიდებელი სახელმწიფოების უმეტესობა.

საქართველოს ენერგეტიკაში ეკონომიკურ გარდაქმნათა რთული პროცესის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი იყო ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის შექმნა (დაწვრილებით იხ. სტ. *საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია*).

ლიტ.: ერისთავი ე., ჩომახიძე დ., ცინცაძე პ., ენერგეტიკის რეგულირების საფუძვლები, წგ. 1–2, თბ., 2000–01; თავაძე გ., ქავთარაძე ი., ჩომახიძე დ., მენაბდე დ., ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2006; ჩომახიძე დ., ენერგეტიკის მდგრადი განვითარების რეგულირების პრინციპები, თბ., 2012.

დ. ჩომახიძე.

ენერგეტიკული ბალანსი, კომპლექსური განმაზოგადებელი მახასიათებელი ქვეყანაში ენერგორესურსების მიღება-გამოყენების და მათგან წარმოებული ყველა სახის ენერგიის (ელექტროენერგია, თბოენერგია, ნავთობპროდუქტები და სხვ.) რაოდენობის შესახებ, რაც გამოხატულია პირობითი სათბობის ნატურალური მაჩვენებლით. იგი მატერ. ბალანსებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. მოიცავს ყველა სახის ენერგეტ. რესურსს მათი წარმოქმნის წყაროებისა და ხარჯვის მიმართულებების მიხედვით, საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ ამ რესურსების წარმოებისა და მოხმარების რაოდენობა და სტრუქტურა, ენერგოტევადი დარგები, მოხმარების მიზნობრივი მიმართულებები, დავახასიათოთ რეგიონის ეკონ. კავშირები და ა. შ. ე. ბ-ის საფუძვლიანი ანალიზი ამ რესურსების წარმოებისა და მოხ-

ცხრილი 1

საქართველოში ენერგიის წარმოება-მოხმარების დინამიკა 1960–2013 წლებში, ათ. ტ (ნავთობის ეკვივალენტი)

წლები	ადგილობრივი წარმოება (სულ)	მოხმარება (სულ)	დაკმაყოფილების დონე (%)
1960	1593	5113	31,2
1965	1261	6409	19,7
1970	1127	7728	14,6
1975	1264	9993	12,7
1980	4714*	10443	45,1
1985	1650	12007	13,7
1990	1351	13235	10,2
1995	580	1560	37,2
2000	880	1852	47,5
2005	972	2444	39,8
2010	1339	2663	50,3
2013	1219	3281	37,1

* ადგილობრივი წარმოების მკვეთრი ზრდა გამოიწვია ნავთობის მოპოვების მატებამ, რ-იც მომდევნო წლებში აღარ შეინიშნებოდა (მისი შემცირების მთავარი მიზეზი გახდა ნავთობის საბადოთა არასწორი ექსპლუატაცია).

მარების ძირითად მიმართულებათა დადგენისა და მათი უკეთ გამოყენების რეზერვების გამოვლენის აუცილებელი წინაპირობაა.

ეკონ. ცალკეულ დარგთან *სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის* ორგანული კავშირი სწორედ ე. ბ-ის მეშვეობით ხორციელდება. ე. ბ. ახასიათებს ამ კავშირების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მხარეს. ეს, პირველ რიგში, გამოიხატება სამეურნეო კომპლექსში სათბობისა და ენერგიის მოხმარების მოცულობითა და სტრუქტურით, რ-იც მნიშვნელოვანწილად გვიჩვენებს ეკონომიკის ზრდის მასშტაბებსა და ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების დონეს.

საქართველოში ე. ბ. ტრადიციულად დეფიციტურია; ასე იყო საბჭოთა პერიოდში და ეს ტენდენცია გრძელდება ახლაც (იხ. ცხრ. 1). ქვეყანა თავის ფაქტობრივ მოთხოვნილებას ენერგორესურსებზე სანახევროდაც ვერ იკმაყოფილებს და მათი დიდი ნაწილი გარედან შემოდის. განსაკუთრებით ეს ითქმის ნავთობპროდუქტებზე და ბუნებრივ გაზზე.

საბჭოთა პერიოდში ქვეყანა ძირითადად შემოტანილი ენერგორესურსებით კმაყოფილდებოდა და ამ მაჩვენებელმა თავის მაქსიმუმს (90%-მდე) 1990 მიაღწია. ენერგიის ცალკეული სახეებიდან ბალანსი მთლიანად დეფიციტური იყო ბუნებრივ გაზზე, შედარებით ნაკლებად დეფიციტური – ნავთობპროდუქტებზე და უფრო ნაკლებდეფიციტური – ელექტროენერგიაზე. ამასთან, იყო წლები (1970–74, 1975, 1979, 1980–82), როდესაც ქვეყანას ჭარბი რაოდენობის ელექტროენერგია ჰქონდა. საბჭოთა პერიოდში (1960–90) სათბობ-ენერგეტ. რესურსების მოხმარება გაიზარდა 2,6-ჯერ, ხოლო წარმოება შემცირდა 15,2%-ით. ამის შედეგად კი ბალანსი უფრო ღრმადეფიციტური გახდა, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო სათბობ-ენერგეტ. რესურსების არარაციონალური და მფლანგველური მოხმარებით.

მიუხედავად აღნიშნულისა, ენერგიის იმპორტზე საქართვ. ეკონომიკის ხანგრძლივ ორიენტაციას არც ერთ საბჭოურ პერიოდში არ ჰქონია ენერგიის უკმარისობასთან დაკავშირებული სამეურნეო და სოც. პრობლემები. ენერგოტევადი საწარმოების ძირითადი ნაწილი ენერგორესურსებით მარაგდებოდა ვერტ. (საკავშირო) მართვის არხებით და ფონდებით. განსაკუთრებით ნეგატიური როლი ითამაშა გეგმური ეკონ. ყველა პერიოდში არსებულმა იაფი ენერგიის მენტალიტეტმა. საქართველო არ იყო დაინტერესებული ადგილობრივ ენერგიაშემცველთა მოძიებით და განვითარებით, რაც აშკარად აისახა საბჭოთა პერიოდის ყველა ეტაპის ენერგეტ. ბალანსში.

საქართველოში, ისე როგორც სხვა რესპუბლიკებში, ე. ბ. სტატისტ. ორგანოების მიერ პერიოდულად (5 წელიწადში ერთხელ) კეთდებოდა. მიუხედავად ამისა, იგი დადებით როლს ასრულებდა ენერგორესურსების წარმოება-მოხმარების ტენდენციების დადგენასა და სამომავლო ამოცანების დასახვაში.

დამოუკიდებლობის წლებში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 2001 გამოკითხვის საფუძველზე შედგენილ, ერთჯერად მოძიებულ მასალებს, საქართველოში ე. ბ. ჯერ არ გაკეთებულა. ეს ინფორმაციული ვაკუუმი ექსპერტთა (დ. ჩომახიძე, შ. ზარანდია) მიერ გარკვეულწილად იქნა შევსებული. მიღებული შედეგები აისახა 2006 აშშ-ის საერთაშ. განვითარების სააგენტოს – ,,იუსაიდის'' (USAID) მიერ დაფინანსებულ პროექტში ,,საქარ-

ცხრილი 2

საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი 2000–13 წლებში
(ათ. ტ პირობითი სათბობი – ნავთობის ეკვივალენტი)

მაჩვენებლები	2000	2001	2002	2003	2004	2005	2010	2013
წარმოება, სულ მათ შორის:	880	936	1000	1054	971	972	1339	1219
ჰიდროენერგია	512	479	580	561	507	522	809	715
ნავთობი და თანმდევი გაზი	126	131	87	155	106	79	58	52
ნახშირი	7	5	6	8	7	–	106	140
სხვა	235	321	327	330	351	371	366	312
იმპორტი	1419	1636	1332	1599	1780	2030	1876	2525
ექსპორტი	86	117	77	131	84	74	189	107
ხარჯი ენერგიის გარდაქმნაზე და სხვ.	361	515	195	222	248	484	363	358
მოხმარება (მიწოდება), სულ	1851	1940	2060	2300	2419	2444	2663	3281
მათ შორის: მრეწველობაში	250	264	283	307	337	352	585	784
ტრანსპორტზე	434	456	470	466	491	493	811	831
სოფლის მეურნეობაში	107	101	106	158	164	167	143	228
სხვა დარგებში	1060	1119	1201	1369	1427	1432	1124	1438

თველოს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ისტორიული, თანამედროვე და საპროგნოზო ბალანსები''. ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ გარდამავალ პერიოდში (1991–95) საქართველოში ენერგიის როგორც წარმოება, ისე მოხმარება შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. მომდევნო პერიოდში (1996–2005) კი სახეზეა მათი ზრდა. კერძოდ, 1991–95 ენერგიის წარმოება შემცირდა 2,3-ჯერ, მოხმარება – 8,5-ჯერ, ხოლო 1996–2005 გაიზარდა, შესაბამისად, 67,6%-ით და 56,7%-ით. დროის აღნიშნულ მონაკვეთში თვალსაჩინოა დეფიციტის თანდათანობითი შემცირების ტენდენცია, რ-იც ამჟამადაც გრძელდება.

მე-2 ცხრილში მოცემულია 2000–13 წლების მონაცემები საქართველოში წარმოებული და მოხმარებული სათბობ-ენერგეტ. რესურსების შესახებ. ენერგიაშემცველების მოხმარება ნაჩვენებია ეკონ. მთავარი დარგების მიხედვით.

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ 2000–13 საქართველოში ენერგიაშემცველების წარმოება გაიზარდა 38,5%-ით, მ. შ. ჰიდროენერგიისა – 39,6%-ით, ნახშირისა – 20,0-ჯერ, ხოლო ენერგიის სხვა სახეებისა (შეშა, ენერგიის არატრად. წყაროები და სხვ.) – 32,7%-ით. ამასთან, ნავთობისა და თანმდევი გაზის მოპოვება შემცირდა 2,4-ჯერ.

რაც შეეხება ენერგიაშემცველების მოხმარებას, იგი წარმოებასთან შედარებით აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა უფრო სწრაფად – 77,8%-ით. ცალკეული დარგებიდან მოხმარების ყველაზე მაღალი ტემპი აქვს მრეწველობას (3,1-ჯერ), შემდეგ მოდის სოფლის მეურნეობა (2,1-ჯერ) და ტრანსპორტი (91,4%); სხვა დარგებში (ძირითადად კომუნალურ-საყოფაცხოვრებო სექტორში) 2000–13 ენერგიაშემცველების მოხმარება გაიზარდა 35,6 %-ით.

ლიტ.: ჩ ო მ ა ხ ი ძ ე დ., საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება, თბ., 2003; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი, თბ., 2007; Топливно-энергетический комплекс СССР – 1990 г. (экономико-статистический обзор), ВНИИКТЭП, М., 1991; Energy balance of the power sector of Georgia: balances from 1960 to 2006. USAID, 2006 (executors D. Chomakhidze, Sh. Zarandia); Key world energy statistics. International energy agency, 2009.

დ. ჩომახიძე.

ენერგეტიკული უსაფრთხოება, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი, გულისხმობს ქვეყნისა და მისი თითოეული მოქალაქის მუდმივ, გარანტირებულ და ეკონომიკურად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის ენერგეტ. რესურსით.

ე. უ-ის სფეროში ქვეყნის პოლიტიკის მთავარი მიზანია მისი ძირითადი პარამეტრების თვისებრივად ახალი დონეების ეტაპობრივი მიღწევა. ეს პარამეტრებია: სათბობ-ენერგეტ. კომპლექსის უნარი, შესაბამისი ხარისხითა და ეკონომიკურად გამართლებული ფასებით დააკმაყოფილოს ენერგიაშემცველებზე მოთხოვნილება; ეკონომიკის უნარი, ეფექტიანად გამოიყენოს საკუთარი და იმპორტ. ენერგორესურსები, თავიდან აიცილოს არარაციონალური ხარჯები და სათბობ-ენერგეტ. ბალანსის დეფიციტი; ენერგეტ. კომპლექსის მდგრადობა შიგა და გარე ეკონომიკურ, ტექნოგენურ და ბუნებრივ საფრთხეთა მიმართ და დესტაბილიზაციის გამომწვევი სხვადასხვა ფაქტორის გამოვლენის შედეგად მიყენებული ზარალის მინიმიზაციის უნარი.

ე. უ-ის უზრუნველყოფის უმნიშ-

ცხრილი

ენერგეტიკული უსაფრთხოების ზოგიერთი მაჩვენებლის დონე და დინამიკა საქართველოში 1990–2013 წლებში

მაჩვენებლები	საზომი ერთეული	წ ლ ე ბ ი					2013 წელი 1990 წელთან შედარებით, %
		1990	2000	2005	2010	2013	
ელექტროენერგია ერთ სულ მოსახლეზე: წარმოება მოხმარება	*კვტ·სთ*	2611 3198	1617 1703	1643 1815	2235 1903	2196 2158	84,1 64,5
ადგილობრივი წარმოების წილი მთლიან ენერგომოხმარებაში	%	10,2	47,5	33,2	50,3	36,7	+37,2
ელექტროენერგიის დეფიციტი	მლნ. *კვტ·სთ*	3204	400	962	–	–	–
ელექტროენერგიის სიჭარბე	,,-----,,	–	–	–	1302	170,5	–
ელექტროენერგიის ექსპორტი	,,----,,	1169	205	122	1524	450,4	38,5
ელექტროენერგიის იმპორტი	,,-------,,	4373	599	1398	222	484,1	11,1
მშპ-ის (მიმდინარე ფასებით) ენერგოტევადობა	კილოგრამი პირობითი სათბობი/ლარი	1,1	0,44	0,21	0,18	0,12	10,9
მშპ-ის (მიმდინარე ფასებით) ელექტროტევადობა	*კვტ·სთ*/ლარი	1,3	1,31	0,67	0,61	0,36	27,7

ვნელოვანესი პრინციპებია: ნორმალურ პირობებში ეკონომიკისა და ქვეყნის მოსახლეობის სრულად ენერგოუზრუნველყოფა, ხოლო სხვადასხვა სახის საფრთხის ან განსაკუთრებული სიტუაციების წარმოქმნის შემთხვევაში – მინ. სასიცოცხლო პარამეტრების შენარჩუნება; ენერგორესურსების სახელმწ. მარაგის შექმნა; არაგანახლებადი რესურსების შევსებადობა (არაგანახლებადი სათბობის რესურსების მოხმარების ტემპები უნდა ეთანადებოდეს მათი ჩასანაცვლებელი წყაროების ათვისების ტემპებს); მოხმარებული სათბობისა და ენერგიის სახეობების დივერსიფიკაცია (ენერგეტიკა არ უნდა იყოს მხოლოდ ერთ რომელიმე სახეობასა და ერთ მომწოდებელ ქვეყანაზე დამოკიდებული); ეკოლ. უსაფრთხოების უზრუნველყოფა (ენერგეტიკის განვითარებისა და გარემოს დაცვის მზარდი მოთხოვნილების დაბალანსება); ენერგოეფექტიანობის ამაღლება; ენერგორესურსების შიგა ბაზარზე მომგებიანი ეკონ. პირობების შექმნა და საიმპორტო სტრუქტურის რაციონალიზაცია; ყველა შესაძლო ტექნოლ. პროცესსა და პროექტში კონკურენტუნარიანი ადგილობრივი ენერგიაშემცველებისა და მოწყობილობადანადგარების გამოყენება.

Ე. Უ. შეიძლება შეფასდეს სხვადასხვა ინტეგრალური და კერძო მაჩვენებლებით, მ. შ. აღსანიშნავია: *სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის* და მისი დარგების განვითარების ტემპები და მასშტაბები, ენერგიაშემცველების წარმოება და მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე, მათი თანაფარდობა მსოფლიოს სხვა ქვეყნების ანალოგიურ საშუალო პარამეტრებთან; ადგილობრივი ენერგეტ. რესურსების არსებობა და მათი ათვისების დონე; ადგილ. წარმოების წილი ენერგიის ჯამურ მოხმარებაში; სათბობ-ენერგეტ. და ენერგიის ცალკეული სახეების ბალანსების მდგომარეობა, საგარეო ენერგეტ. კავშირები, ენერგიის გამოყენების ეფექტიანობა, პროდუქციის ენერგო- და ელექტროტევადობა, შრომის ენერგო- და ელექტროაღჭურვილობა, მოქმედი ტექნოლოგიების შესაბამისობა თანამედროვე მოთხოვნებთან, ეკოლ. მაჩვენებლები, ენერგიის დანაკარგები მისი ტრანსპორტირებისას, ენერგომომარაგების ხარისხი და სხვ.

საქართველოში Ე. Უ-ის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წლებში.

ცხრილში მოტანილია საქართვ. Ე. Უ-ის ზოგიერთი მაჩვენებლის დონე და დინამიკა 1990–2012 წლებში (იხ. ცხრ.). ცხრილიდან ჩანს, რომ ამ მაჩვენებლებმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წლებში მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები განიცადა. დარგში ჩატარდა ეკონ. რეფორმები, რ-ის შედეგად ერთმანეთისაგან გაიმიჯნა სახელმწ., სამეურნეო და მარეგულირებელი ფუნქციები. ყველა მოქმედ ძირითად ობიექტს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, განხორციელდა დიდი რაოდენობის ინვესტიციები, ჩატარდა პრივატიზაცია, მომდინარეობს ჰესების ფართომასშტაბიანი მშენებლობა, განმტკიცდა საგარეო ენერგეტ. კავშირები და სხვ. მაგ., 2000–13 წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა 1 სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის როგორც წარმოება, ისე მოხმარება. 2007-იდან აღმოიფხვრა ელექტროენერგიის დეფიციტი და 2013 მისმა სიჭარბემ 170,5 მლნ. *კვტ·სთ* შეადგინა; გაიზარდა ელექტროენერგიის ექსპორტი და შემცირდა იმპორტი. გაუმჯობესდა პროდუქციის ენერგო- და ელექტროტევადობის პარამეტრები. ამასთან, რიგი მაჩვენებელი ჯერ კიდევ ჩამორჩება 1990 წლის დონეს.

Ე. Უ-ისა და დაბალანსებული განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის მიზნებისა და მეთოდების ერთიანობა, საკანონმდებლო და ნორმატიული მოთხოვნების უმკაცრესი დაცვა.

ლიტ.: გველესიანი თ., ჩოხაძე დ., საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება (საინჟინრო ჰიდროეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები), თბ., 2011; საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია. ვ. მელქაძის სახელობის სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 2003; საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგია, თბ., 2004 (ავტორთა კოლექტივი); ჩომახიძე დ., საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება (სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები), თბ., 2003. *დ. ჩომახიძე.*

„ენერგო-პრო ჯორჯია“ (სააქციო საზოგადოება), საქართველოს ერთ-ერთი დიდი ენერგოკომპანია. არის შვილობილი საწარმო ჩეხური კომპანია Energo Pro-სი, რ-მაც 2006 წ. გაიმარჯვა საქართვ. ენერგეტ. მსხვილი ობიექტების საპრივატიზაციო კონკურსში. ქართ. ენერგობაზარზე ოფიციალურად საქმიანობს 2007 წ. 18 მაისიდან. ფლობს ქვეყნის აღმ. და დას. ნაწილში ელექტროენერგიის განაწილების ქსელს (თბილ. და კახეთის გარდა), აგრეთვე 15 ელექტროსადგურს (რიონჰესი, ჯიფაური, შაორჰესი, გუმათჰესების კასკადი, ლაჯანურჰესი, აწჰესი, ძევრულჰესი, საცხენისჰესი, ორთაჭალჰესი, ჩითახევჰესი და სხვ.). ემსახურება 47265 *კვ.კმ* ტერიტორიაზე 1 მლნ-ზე მეტ აბონენტს (2013 წ. მონაცემებით). წლიურად ანაწილებს 3,6 მლრდ. *კვტ·სთ* ელექტროენერგიას. ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრეა 396,3 *მეგვტ*, საშუალო წლიური გამომუშავება – 1782 მლნ. *კვტ·სთ* (2013).

კომპანიის გამართული მუშაობა პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის სტაბილურ ელექტრომომარაგებას. მისი ელექტროგამანაწილებელი მეურნეობა წარმოადგენს დიდ და რთულ სისტემას. იგი ელექტროენერგიას აწვდის საქართველოს 47 მუნიციპალიტეტის, დიდი და პატარა ლიახვის ხეობების, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის და აჭარის ავტ. რესპუბლიკის ადმ.-ტერიტ. საზღვრებში არსებულ მომხმარებლებს. მასზე მოდის ელექტროენერგიის განაწილების 46,4% (2012 წ.). კომპანია ფლობს: ელექტროგადამცემ ხაზებს საერთო სიგრძით 49675,05 *კმ*, ქვესადგურებს – საერთო სიმძლავრით 8199,81 *მეგვ.ა*. 2012 წ. მან გაანაწილა 3614,3 მლნ. *კვტ·სთ* ელექტროენერგია.

დ. ჩომახიძე.

ენერგოსისტემა, ენერგეტიკული სისტემა, *სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის* შემადგენელი ნაწილი, ყველა იმ მოწყობილობა-დანადგარების ერთობლიობა, რ-ებიც გაერთიანებულია ამა თუ იმ სახის ბუნებრივი ენერგიის ელექტრულ ენერგიად გარდაქმნის, მისი გადაცემისა და ელექტროენერგიის მომხმარებლებს შორის განაწილების ერთიან ტექნოლ. პროცესში.

Ე-ის შემადგენლობაში შედის ენერგორესურსები (ჰიდრო, თბო, ქარის, მზის და ა.შ.), ენერგიის გარდამქმნელები (ორთქლის ქვაბები, ატომური რეაქტორები, ტურბინები, ელექტროგენერატორები, ელექტრული ძრავები და ა.შ.), ენერგიის გადაცემის საშუალებები [*ელექტროგადამცემი ხაზები* (ეგხ) და მაგისტრალები, ტრანსფორმატორები და სხვ.] და ელექტრული ენერგიის მიმღებები

(მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის და ა. შ. დარგები). Ე. შეიცავს სამ ძირითად რგოლს: ელექტრული სადგურები, თბური და ელექტრული ენერგიის გადაცემის ქსელი, თბური და ელექტრული ენერგიის მომხმარებლები. Ე. იყოფა *ელექტროენერგეტიკულ სისტემად* (ელექტრული სისტემა) და თბოენერგეტიკულ (*თბოენერგეტიკა*) სისტემად. პირველი ახორციელებს ელექტრული ენერგიის წარმოება-გადაცემა-განაწილების ტექნოლ. პროცესს, ხოლო მეორე კი – თბური ენერგიის იმავე პროცესს. ჯამური დადგმული სიმძლავრით ფასდება Ე-ის მასშტაბები, რ-ებიც სისტემაში დადგმული ელექტროგენერატორების ნომინალურ სიმძლავრეთა ჯამის ტოლია. პატარა ენერგოსისტემის ჯამური დადგმული სიმძლავრე რამდენიმე ათას *მეგვტ* შეადგენს, ხოლო დიდი ენერგოსისტემებისა – რამდენიმე ათეულ და ასეულ ათას *მეგვტ* სჭარბობს.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს Ე. შეიქმნა 1934 *ზაჰესისა* და რიონჰესის ეგხ-ების (ძაბვა 110 *კვ*) გაერთიანებით. 1938 მას შეუერთდა ტყვარჩელსრესი. 1969 გაერთიანდა ამიერკავკასიის Ე-ები. ამჟამად საქართვ. Ე. დაკავშირებულია მეზობელი ქვეყნების Ე-სთან: რუსეთთან – 500 და 220, თურქეთთან – 220, სომხეთთან – 220 და აზერბაიჯანთან – 500 და 330 *კვ*-იანი ეგხ-ებით.

საქართველოს Ე-ში მოქმედი ელექტროსადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 3300 *მეგვტ* სჭარბობს, მათ შორის ჰესების 2600 *მეგვტ*-ზე მეტს და თესები 730 *მეგვტ* (იხ. სტატიები *ელექტროენერგეტიკა, ენერგეტიკა*).

გ. მახარაძე. ნ. ჩიხლაძე.

ᲔᲜᲕᲔᲠ-ᲤᲐᲨᲐ (Enver Paşa) (22. XI. 1881 – 4. VIII. 1922), ოსმალეთის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, გენერალი. ,,ერთიანობა და პროგრესის'' პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. აქტ. მონაწილეობა მიიღო 1908 ახალგაზრდა თურქთა რევოლუციაში. 1913 განახორციელა სახელმწ. გადატრიალება და გახდა მმართველი ტრიუმვირატის (Ე.-ფ., *თალათ-ფაშა* და ჯემალ-ფაშა) ყველაზე გავლენიანი წევრი, პანთურქიზმისა და პანისლამიზმის იდეოლოგიის მთავარი გამტარებელი. მისი ინიციატივით 1914 დაიდო სამხ. კავშირი გერმანიასა და ოსმალეთს შორის. I მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის ფაქტობრივი დიქტატორი და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოადგილე იყო. გადაწყვიტა განეხორციელებინა კავკასიის, ვოლგისპირეთისა და შუა აზიის დაპყრობის (დიდი თურანის შექმნის) გეგმა, ამ მიზნით მან გააძლიერა თურქეთის მე-3 არმია, პირადად ჩაუდგა სათავეში და 1914 ნოემბერში შეტევაზე გადავიდა კავკ. მიმართულებით, მაგრამ დამარცხდა (იხ. *სარიყამიშის ოპერაცია 1914–15*). 1914 Ე.-ფ-მ სტამბოლში მოლაპარაკება გამართა ლ. *კერესელიძესთან* რუსეთის წინააღმდეგ საიდუმლო ხელშეკრულების დასადებად. 1917 რუს. რევოლუციის შემდეგ Ე.-ფ. განსაკუთრებით გააქტიურდა. 1918 ივნისში ბათუმში ჩავიდა და იქიდან ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის ქვეყნებში ინტერვენციას, რის შედეგადაც ოსმალებმა მიიტაცეს სამხრ. საქართველო და ბაქო. I მსოფლიო ომში ოსმალეთის დამარცხების შემდეგ მან მუდროსში ხელი მოაწერა ანტანტის ქვეყნებთან კაპიტულაციის აქტს (იხ. *მუდროსის დაზავება 1918*). შემდეგ გერმანიაში გაიქცა, იქიდან – საბჭ. რუსეთში და სცადა მუსტაფა ქემალ-ფაშის წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღება, მაგრამ უშედეგოდ. 1921 Ე.-ფ. ჩავიდა ბათუმში, სადაც ჩაატარა თავის მომხრეთა საიდუმლო კონფერენცია და შეიმუშავა მუსტაფა ქემალ-ფაშის დამხობის გეგმა, თუმცა ეს წამოწყებაც ჩაიშალა. 1921 ნოემბერში Ე.-ფ. ბუხარაში გაიქცა და სათავეში ჩაუდგა ბასმაჩების რაზმებს, მოკლეს წითელი არმიის ნაწილებთან შეტაკებისას.

ლიტ.: გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ო., თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1961; ს ვ ა ნ ი ძ ე მ., 1914 წ. ოსმალეთსა და ,,საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს'' შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულება, კრ.: ქართული დიპლომატია. წელიწდეული, [ტ.] 2, თბ., 1995. *მ. სვანიძე.*

ᲔᲜᲗᲔᲚᲘ, ნასოფლარი ახალციხის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს მდ. ურავლის ხეობაში, სოფ. ურავლის სამხრ-ით, მდინარის მარჯვ. სანაპიროზე. სახელწოდება Ე. აღნიშნავს მდინარის ფსკერიდან ამოსულ ყინულივით ცივ წყალს. ამავე სახელწოდების ორი სოფელი არის ადიგენის მუნიციპალიტეტშიც, ქვაბლიანის მარცხ. სანაპიროზე (იხ. *ზემო ენთელი* და *ქვემო ენთელი*). ურავლის ხეობის Ე-ში მდგარა დარბაზული ეკლესია (ფართობი 8 *მ* × 4 *მ*), სამხრ-იდან და დას-იდან მინაშენები ჰქონია; შესასვლელი კი – სამხრეთიდან, რ-ის არქიტრავის ქვაზე თაღი ყოფილა გამოყვანილი. ეკლესია თლილი ქვითაა ნაგები, ჰორიზ. წყობა განსაკუთრებით გარედან შეიმჩნევა. შიგნიდან კედლები შელესილი და მოხატული ყოფილა. პილასტრი ორსაფეხურიანია, ჩრდ. კედელზე შემორჩენილია პროფილირებული ლავგარდანი. ეკლესიის გალავანზე ცერად ნაწყობი მაღალი ლოდების მწკრივი იყო შემოვლებული. ამჟამად ეკლესიის შენობისა და გალავნის მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი. ,,*გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის*'' მიხედვით, 1595 სოფ. Ე. შედიოდა ახალციხის ლივაში და ცხოვრობდა 8 კომლი: დავითა დავითის ძე, იასონა – ძე მისი, საბია, პეტრე – ძე მისი, ხალა, ფოცხვერა – ძე მისი, ბადურა რომანის ძე, დავითა. მათ მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, სელის თესლი, ბოსტნეული; ჰყავდათ ღორი და ფუტკარი. მათი გადასახადი 19000 ახჩას აღწევდა. 1944 მაჰმადიანი ქართველები აქედან შუა აზიაში გადაასახლეს. მას შემდეგ Ე. დაუსახლებელია.

წყარო: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2, ს. ჯიქიას გამოც., თბ., 1941. *დ. ბერძენიშვილი.*

ᲔᲜᲘᲙᲝᲚᲝᲤᲝᲕᲝ (ე ნ ა კ ო ლ ო ფ ა შ ვ ი ლი) ივანე კონსტანტინეს ძე (31. VIII. 1888, თბილისი, – 6. VII. 1980, იქვე), ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე. საქართვ. კულტ. დამს. მუშაკი (1963). პირველი გამოკვლევა ,,გრიბოედოვი საქართველოსა და სპარსეთში'' გამოაქვეყნა 1929. მას ეკუთვნის აგრეთვე გამოკვლევები: ,,პუშკინი საქართველოში'' (1937, 1950, 1959), ,,ლერმონტოვი კავკასიაში'' (1940), ,,გრიბოედოვი საქართველოში'' (1954), ,,გრიბოედოვის ცხოვრება'' (1959), ,,ლ. ნ. ტოლსტოი საქართველოში'' (1961) და სხვ.

,,ᲔᲜᲘᲛᲙᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲛᲒᲔ'' (,,ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე''), სამეცნიერო პერიოდული ორგანო. 1937–41 გამოდიოდა სსრკ მეცნ. აკად. საქართვ. ფილიალის, ხოლო 1941–44 – საქართვ. მეცნ. აკად. გრიფით. დაისტამბა 14 ტომი (14 წიგნად). აქვეყნებდა წერილებს საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ენების, ლიტ., ისტ., ეთნოგრ., არქეოლ., ხელოვნების შესახებ. გამოქვეყნდა

ივ. ჯავახიშვილის, ა. შანიძის, ს. ჯანაშიას, არნ. ჩიქობავას, შ. ნუცუბიძის, ვ. თოფურიას, ნ. ბერძენიშვილის, კ. კეკელიძის, ს. ყაუხჩიშვილის, ს. ჯიქიას, შ. ამირანაშვილის, ქ. ლომთათიძის, ი. აბულაძის, ვუკ. ბერიძის, გ. ჩიტაიას, გ. ჩუბინაშვილის, ვ. ფანჩვიძის, ლ. მუსხელიშვილის, შ. ჩხეტიას და სხვათა შრომები. სპეც. პუბლიკაციები მიეძღვნა ,,ვეფხისტყაოსნის'' 750 წლისთავს (ტ. III), ი. ჭავჭავაძეს (ტ. II), ივ. ჯავახიშვილის სამეცნ. მოღვაწეობის 40 წლისთავს (ტ. V–VI), ენიმკის მიერ 1937 და 1939 ორგანიზებული ექსპედიციების ანგარიშებს (ტ. II, 1937; ტ. XI, 1941).

ტომის რედაქტორები იყვნენ: ს. ჯანაშია (ტ. I–X), გ. ჩიტაია (ტ. XI), არნ. ჩიქობავა (ტ. XII), ნ. ბერძენიშვილი (ტ. XIII), ს. ყაუხჩიშვილი (ტ. XIV). ტირაჟი: 500-იდან – 2000-მდე.

ო. ჟორდანია.

ენი-რაბათი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი საქართველოს ისტორიულ პროვინცია კლარჯეთში, მდ. არტანუჯისწყლის ხეობაში (ამჟამად თურქეთის ტერიტორია). სოფლის ქართ. სახელი და წერილობითი წყაროები არ შემონახულა. 1904 ნ. მარმა ქართ. წარწერის მხოლოდ ფრაგმენტი ნახა: ,,... ტაძარი ესე...''. ა. პავლინოვმა აზომა და შეადგინა გეგმის, ჭრილისა და სამხრ. ფასადის სქემატური ნახაზები, აგრეთვე ძეგლის მოკლე აღწერილობა და გადაიღო 2 ფოტოსურათი. ანალოგიური ორი ფოტოსურათი გამოქვეყნებული აქვს ნ. მარსაც. გეგმით ეკლესია მიეკუთვნება ნაგებობათა იმ ტიპს, რ-საც პირობითად ,,ნახევრად თავისუფალი ჯვრის ტიპი'' ეწოდება. მკლავებს შორის, სივრცის ჩრდ.-აღმ. და სამხ.-აღმ. ნაწილებში, განლაგებულია სათავსები. ამ ტიპის ნიმუშები გვხვდება საქართველოში (VIII–IX სს-იდან და თითქმის X–XIII სს. განმავლობაში), აგრეთვე სომხეთსა და საბერძნეთში. ძეგლის კედლები შიგნით ნატეხი ქვის უსწორმასწორო რიგებით არის ნაწყობი; შეინიშნება ბათქაშის კვალიც. ბოძები, თაღები და აფრები თლილი ქვისაა. აფრებში X ს-ში გავრცელებული დეკორ. ,,ტრომპები'' იყო ჩართული, გუმბათის ყელს შიგნით და გარედან თაღნარი შემოუყვება. მოპირკეთებითა და ფასადების მდიდრული მორთულობით იგი X ს. II ნახევრისაზე ძველი არ უნდა იყოს, ხოლო ორნამენტული ელემენტების განვითარებითა და პლასტიკურობით უფრო X–XI სს. მიჯნას მიეკუთვნება. შ. ამირანაშვილი მას XI ს. დასაწყისით ათარიღებს, ნ. და მ. ტიერები – XI ს. შუა ხანებით. ნ. მარის იქ ყოფნისას (1904) ეკლესიას სომეხი გრიგორიანელები დაეპატრონენ. მათ XIX ს. II ნახევარში ფასადზე 2 ახ. სომხ. წარწერა გააკეთეს. ა. პავლინოვის აზრით, ეკლესიას სამხრ-იდან მინაშენი უნდა ჰქონოდა.



ენი-რაბათი. X–XI სს.

ლიტ.: ჯ ო ბ ა ძ ე ვ., ადრეული შუა საუკუნეების მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, თბ., 2007; Б е р и д з е В. В., Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тб., 1981.

ვ. ბერიძე.

ენის გასატეხი, საბავშვო ფოლკლორის სახეობა, სხვაგვარად ,,ჩქარა გამოსათქმელსაც'' უწოდებენ. ე. გ. აგებულია სიტყვათა თამაშზე, ემყარება ბგერით ალიტერაციას ან ერთი ძირიდან ნაწარმოები სიტყვების გამოყენებას. მისი მთავარი სპეციფიკა წარმოსათქმელი ფრაზის სიძნელეა (მაგ., ,,ბაყაყი მყაყე ჭაობში ბაყბაყებს ბაყბაყ მდევივით'', ,,რიონი ნარიონალში, ნიორი ნანიორალში''). ე. გ-ის ძირითადი დანიშნულებაა მოზარდთა მეტყველების გამართვა და მათი გართობა.

ლიტ.: ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი ფ., ხალხური საბავშვო პოეზიის ძირითადი სახეები, კრ.: ქართული ფოლკლორი, [ტ.] 3, თბ., 1969; ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ქ., ქართული საბავშვო ფოლკლორი, თბ., 1938.

ფ. ზანდუკელი.

ენისელი (ისტ. ე ლ ი ს ე ნ ი), სოფელი ყვარლის მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), მდ. ინწობის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას, თელავი–ყვარლის საავტ. გზაზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 440 *მ*, ყვარლიდან 19 *კმ*, თელავიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 21 *კმ*. 1,9 ათ. მცხ. (2002).

1328 ალექსანდრემ მცხეთის სვეტიცხოველს განუახლა ე-ში მოსახლე ურია და სომეხი ვაჭრების შეწირულება. 1577 ენისელთ მოურავი იყო დავით ჯორჯაძე. 1580 ე-ში მოსახლე ,,სააბრეშუმე გლეხები'' იესე მეფემ სიაოშ სააკაძეს უბოძა. შემდგომ საუკუნეებშიც ე. სამეფო-სახასო სოფელი იყო.



ენისელი. შიხიანის აღდგომის ეკლესია. შუა საუკუნეები.



,,ენისელი‘‘. სამარკო ბრენდი.

იგი იხსენიება ვახუშტი ბატონიშვილთან. 1767 საბუთით ერეკლე II-მ ე-ის მოურავ დავითს უწყალობა სვიმონიშვილის მამული გვერდისძირში. 1796 წყალობის წიგნით იულონ ბატონიშვილმა შიო სიდამონიძეს უბოძა მიწა, რ-საც საზღვრავს ე-ის მოურავის ზვარი. 1801 და 1804 წლების აღწერით ე. გრემის გვერდით იხსენიება, XIX ს-ში შედიოდა თელავის მაზრის ყვარლის უბანში.

ე-სა და მის მიდამოებში შუა საუკუნეების რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლია. მათ შორის საყურადღებოა ნასოფლარ შიხიანის აღდგომის ეკლესიის კომპლექსი.

ლიტ.: გ გ ა ს ა ლ ი ა ჯ., თ ო დ რ ი ა თ., გვიანფეოდალური ხანის კახეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1971, [ტ.] 4.

ჯ. გვასალია. პ. ზაქარაია.

„ᲔᲜᲘᲡᲔᲚᲘ“, ქართული სამარკო ბრენდი (*კონიაკი*). მზადდება 12–15 წლის განმავლობაში მუხის კასრში ან მუხის ტკეჩზე დაძველებული ღვინის სპირტისაგან, რ-იც მიიღება ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლების – გრემის, შილდის, საბუესა და ენისელის მიკრორაიონებში მოწეული თეთრი ყურძნის (რქაწითელი) გადამუშავებით მიღებული ღვინომასალის გამოხდით. შეიცავს 40% (მოცულობის) სპირტს, 0,7% შაქარს. ხასიათდება მუქი ოქროსფერით, მუხის, ვანილისა და შოკოლადის გამოკვეთილი ტონების მქონე ბუკეტით, ნაზი, ჰარმონიული სასიამოვნო გემოთი. ,,ე-ს‘‘ 1946-იდან უშვებს სააქციო საზ-ბა *,,სარაჯიშვილი‘‘* (ყოფ. თბილისის კონიაკის ქ-ნა). მოგვიანებით მისი ჩამოსხმა დაიწყეს სააქციო საზ-ბამ *,,ვაზიანმა‘‘* და კორპორაცია ,,ქინძმარაულმა‘‘. ,,ე-ის‘‘ ტექნოლოგია ეკუთვნის ვ. *ციციშვილს.* ,,ე-ს‘‘ 1955–2011 სხვადასხვა საერთაშ. გამოფენასა და კონკურსზე მიღებული აქვს 24 ოქროს, 7 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი, 1 გრან-პრი (1999, იალტა).

ᲔᲜᲘᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ (ᲔᲜᲘᲛᲙᲘ) ა კ ა დ. ნ. მ ა რ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს ა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. შეიქმნა 1936 სსრკ მეცნ. აკად. საქართვ. ფილიალის კავკასიისმცოდნეობის ინ-ტის ბაზაზე. აერთიანებდა 10 განყ-ბას: ქართველურ ენათა, კავკასიურ ენათა, ლექსიკოლოგიის, ისტ., არქეოლ., ეთნოგრ., მახლობელი აღმოსავლეთის ენათა, ტერმინოლოგიის, ზოგადი ენათმეცნიერების, ფილოლ. განყ-ბებს. 1936 წ. 1 დეკ-იდან ინ-ტის დირექტორი იყო ს. *ჯანაშია.* 1941 მარტიდან, საქართვ. მეცნ. აკად. დაარსებასთან დაკავშირებით, ენიმკის ბაზაზე შეიქმნა 2 ინ-ტი: აკად. ნ. მარის სახ. ენის ინ-ტი (ახლანდ. *ენათმეცნიერების ინსტიტუტი*) და ისტ. ინ-ტი (ახლანდ. ივ. ჯავახიშვილის სახ. *ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი*). ინ-ტებს გარკვეული დროით კვლავ ერთიანი ხელმძღვანელობა ჰყავდათ (სამეცნ. საბჭო – 1944 ივლისამდე, დირექცია – 1943 მარტამდე). ენიმკის პერიოდული გამოცემები იყო ,,აკად. ნ. მარის სახელობის ენის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე‘‘ [1937–44 წლებში გამოქვეყნდა ,,მოამბის‘‘ 14 ტომი, აქედან 2 ტომი (II და IV) ცალკე ნაკვეთებისაგან შედგებოდა] და ,,მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის‘‘ (1937–44 წლებში გამოიცა 7 ტომი 23 ნაკვეთად). აღნიშნულ პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდა მნიშვნელოვანი მეცნ. გამოკვლევები ქართველურ-კავკ. ენების, ქართ. ფილოლოგიის, საქართვ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ., აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის ძვ. ისტ. აქტუალურ საკითხებზე. ამას გარდა, ენიმკის მიერ მომზადდა და გამოიცა 70-ზე მეტი ნაშრომი, მ. შ. ივ. ჯავახიშვილის ,,ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა‘‘ (1937), ა. ჩიქობავას ,,ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი‘‘ (1938), ,,საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX ს. დამდეგამდე‘‘ (ავტ. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ს. ჯანაშიას რედაქციით, 1943), ბ. კუფტინის ,,არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში‘‘ (1941, რუს. ენაზე), ვ. თოფურიას, ს. ყაუხჩიშვილის ,,რუსულ-ქართული ლექსიკონი‘‘ (1938, 1940), გ. ახვლედიანის, ვ. თოფურიას ,,ქართულ-რუსული ლექსიკონი‘‘ (1942), ასევე რამდენიმე ტერმინოლოგიური ლექსიკონი.

ქ. თოფურიძე.

ᲔᲜᲘᲡ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ (ᲔᲚᲮᲘ), დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1933 წ. 10 ივნისს. თავდაპირველად მას ეწოდებოდა ენის, ლიტ-რის, ისტორიისა და ხელოვნების სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. 1934 წ. 20 აგვ-დან ეწოდა ,,რუსთაველის სახელობის ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი‘‘. 1942-იდან ელხის ლიტ-რის განყ-ბის ბაზაზე საქართვ. მეცნ. აკად. სისტემაში შეიქმნა ქართ. ლიტ-რის ისტორიის ინ-ტი (რუსთაველის სახელობისა), რ-საც 1986-იდან შოთა რუსთაველის სახ. *ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი* ეწოდა.


ელხის პირველი დირექტორი იყო ცნობილი ლიტერატურათმცოდნე და ჟურნალისტი ა. ჭყონია, სწავლული მდივანი – ვ. თოფურია. ელხი იყო სახელმწიფოებრივი მასშტაბის პირველი სამეცნ.-კვლ. ინ-ტი საქართველოში, რ-იც მოიცავდა ჰუმანიტარული მეცნ. თითქმის ყველა სფეროს. მისი ძირითადი ამოცანა იყო ქართ. და ქართველური ენების, ძვ. და ახ. ლიტ-რის, ხალხ. შემოქმედებისა და ხელოვნ. პრობლემათა კვლევა. თავიდან ჩამოყალიბდა ორი სექცია – ენისა და ლიტ-რის. ენის სექციას ხელმძღვანელობდა ა. *შანიძე,* ხოლო სექციის ლექსიკოლოგიურ განყ-ბას – ა. *ჩიქობავა.* ელხის მუშაობაში ჩაებნენ წამყვანი ქართველოლოგები: გ. ახვლედიანი, მ. ზანდუკელი, ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ვ. კოტეტიშვილი, შ. რადიანი, ვ. ბერიძე, ი. აბულაძე, მ. ხუბუა და სხვ. იმართებოდა სამეცნ. სესიები, კონფერენციები. ელხის ჰქონდა თავისი საკუთარი ყოველწლიური ორგანო – ,,ლიტერატურული მემკვიდრეობა‘‘ (ფაქტობრივი რედაქტორი გ. ლეონიძე), რ-ის მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა (ტ. I, 1935).

ლიტ.: ბ ა რ ა მ ი ძ ე ა., ახლო წარსულიდან, წგ. 2, თბ., 1993.

ᲔᲜᲘᲫᲔᲜᲚᲘ, სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტის შულავრის თემში (ქვემო ქართლის მხარე), მარნეულის ვაკეზე, მდ. დებედის (ხრამის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 335 *მ,* მარნეულიდან 20 *კმ,* შულავრიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 7 *კმ.* 492 მცხ. (2002).

ᲔᲜᲙᲐᲣᲡᲢᲘᲙᲐ (ბერძნ. enkaustikē <enkaiō – ამოვწვავ), ფერწერა ცვილოვანი საღებავებით. ვიწრო მნიშვნელობით – ცხელი წესით შესრულებული ცვილოვანი ფერწერა. გამოირჩევა რთულა, მაგრამ მეტად გამძლე და ეფექტური ტექნიკით. გავრცელებული იყო ეგვიპტეში, ანტ. საბერძნეთსა და რომში, ხოლო შემდეგ – ადრინდ. ქრისტიანულსა და ბიზანტ. სამ-

ყაროში. XII ს. შემდეგ მისი კვალი გაქრა. ენკაუსტიკური ტექ. შესანიშნავი უძველესი ნიმუშებია ე. წ. ფაიუმის პორტრეტები (სულის მოსახსენებელი ეგვიპტური ფერწერული პორტრეტები; ძვ. წ. I ს. – ახ. წ. IV ს.), რ-ებიც მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმშია დაცული. ქრისტ. ეპოქის ძეგლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წმ. ეკატერინეს მონასტერში (სინას მთაზე) დაცული ხატები.



ენკაუსტიკა. წილკნის ღვთისმშობლის ხატი. IX ს.

საქართველოში ენკაუსტიკური ფერწერის ნიმუშებია: სუფთა ე-ის ტექნიკით შესრულებული ანჩისხატის მაცხოვრის გამოსახულება (VI–VII სს., ძლიერ დაზიანებულია) და ქართ. ხატწერის მნიშვნელოვანი ძეგლი წილკნის ღვთისმშობლის ხატი (IX ს.), რ-ის ცალკეული ნაწილები შესრულებულია ცვილოვანი ტემპერით. XX ს-ში ამ ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები აქვს ვ. შერპილოვს (,,ბალერინა'', 1971, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეა). *ლ. ხუსკივაძე.*

ენკენია, ტაძრის კურთხევის ანუ სატფურების ქრისტიანული დღესასწაული. იმპ. *კონსტანტინე I-მა,* იერუსალიმში გოლგოთაზე აღდგომის ტაძარი ააგო. მისი მშენებლობა 335 წ. 13 სექტ. დასრულდა და იმავე დღეს იკურთხა. ტაძრის კურთხევის ანუ სატფურების შემდეგ საფუძველი დაედო ე-ს, რ-იც ოდითგან ერთ-ერთი უდიდესი ქრისტ. დღესასწაული იყო და, გადმოცემით, 8 დღე გრძელდებოდა. მრავალი ქვეყნიდან უამრავი მლოცველი მიემართებოდა იერუსალიმისკენ. ღვთისმსახურება ამ დღეებში ისე სრულდებოდა, როგორც აღდგომას და ნათლისღებას.

საქართველოში ე. პატარა და ნაკლებმნიშვნელოვანი დღესასწაულის სახით შემორჩა ხევსურეთში, კერძოდ, არხოტში, ხოლო მის მნიშვნელობაზე ჩვენში სექტემბრის ხალხ. სახელწოდება – ენკენისთვეც მეტყველებს.

ლიტ.: კ ი კ ნ ა ძ ე ზ., შობიდან შობამდე, თბ., 1997; კლარჯული მრავალთავი, თ. მგალობლიშვილის გამოც., თბ., 1991; ო ს ი ა უ რ ი ა., ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. ხევსურეთი (არხოტის თემი), თბ., 1988; ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე ნ., ენკენიის ხევსურული დღესასწაული, «კლიო» (საისტორიო ალმანახი), თბ., 2000. *ნ. ღამბაშიძე.*

ენკენისთვე, იხ. *სექტემბერი.*

ენკომია, იხ. *პანეგირიკი.*

ენოთეკა (ბერძნ. oinos – ღვინო და thēkē – საცავი), საგანგებოდ მოწყობილი საცავი, სადაც ინახება ბოთლებში ჩამოსხმული სხვადასხვა მარკის ღვინის კოლექცია. ე-ში ინახება სხვადასხვა ტიპისა და ხნოვანების მრავალი დასახელების ღვინო. საქართველოში დაცული ე-ები მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი საცავთაგანია, რაც მრავალჯერ გამხდარა მეღვინეობის მსოფლიო და საერთაშ. კონგრესების გამართვის საფუძველი. პირველი ქართ. ე. შეიქმნა თბილისში XIX ს. 80-იან წლებში №1 ღვინის ქარხნის ბაზაზე. აქ დაცული იყო სუფრის, შემაგრებული სადესერტო და ცქრიალა (*შამპანური*) ღვინოები, აგრეთვე სხვადასხვა დასახელების მაგარი სამარკო სპირტიანი სასმელების (*კონიაკი*) ნიმუშები. აქვე ინახებოდა უცხ. ღვინოების კოლექცია. ძვ. ღვინოთა შორის აღსანიშნავია ,,*წინანდალი*'' (თეთრი; 1898, 1913), ,,*ნაფარეული*'' (თეთრი; 1909), ,,*მუკუზანი*'' (წითელი; 1894, 1896) და სხვ., უცხოური ღვინოებიდან – ფრანგ. ,,შატო-ლაფიტი'' (1775), ,,შატო-ლატური'' (1878, 1905), ,,რომანე-კონტი'' (1865) და სხვ., ასევე პოლ. ლიქიორი (1790), ქოლერის საწინააღმდეგო რუს. არაყი (1717); ნაპოლეონის ღვინის საცავის კონიაკი (1811) და სხვ. ე-ები არსებობს წინანდალში, სააქციო საზ-ბის ,,სარაჯიშვილის'' და ,,ბაგრატიონი 1882-ის'' ქ-ნებში, სადაც დაცულია უნიკალური ქართ. და მსოფლიოს საუკეთესო მაგარი სპირტიანი სასმელების ნიმუშები. საინტერესო ე. აქვს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტს.



ენოთეკა. ა. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. წინანდალი.

ლიტ.: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე თ., კოლექციონირების მეცნიერული საკითხები, «მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები», 1972, ტ. 2; Б е р и д з е Г. И., С и х а р у л и д з е Т. Г., Физико-химический состав и качество коллекционных вин, Тб., 1973.

ენოთერა (Oenothera biennis), ერთ-, ორ- ან მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ონაგრასებრთა ოჯახისა. სიმაღლე 1 *მ*-მდე, ღერო სწორი, დაუტოტავი, მორიგეობით განლაგებული ფოთლებით, ფესვთანური გრძელყუნწიანი და როზეტად შეკრულია, ღეროს ბოლოზე აქვს დიდი, მტევნისებრი ყვავილები, რ-ებიც საღამოს იშლება. იმტვერება ღამის ჩრჩილით, ზოგი სახეობა თვითმტვერიაა. XVII ს. დასაწყისში ე. ჩრდ. ამერიკიდან შემოიტანეს ევროპაში, იქიდან – საქართველოში. გავრცელებულია აფხაზეთში, გურიასა და სამეგრელოში. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყელში, მინდვრებში, მდინარეთა ნაპირებზე, გზის პირებზე. მისი ერთწლიანი ფესვები ვარგისია საჭმელად. თესლი შეიცავს იოდიან ზეთს, რ-საც სელისა და კანაფის ზეთს უმატებენ და იყენებენ როგორც სამკურნალოდ, ასევე ტექ. მიზნით. *მ. გურგენიძე.*

ენოლოგია (ბერძნ. oinos – ღვინო და logos – სიტყვა, მოძღვრება), მოძღვრება ღვინის შესახებ, იხ. *მეღვინეობა.*

ენტომოლოგია (ბერძნ. entomon – მწერი, logos – სიტყვა, მოძღვრება), ზოოლოგიის დარგი, მეცნიერება მწერების შესახებ. თავდაპირველად ე. შეისწავლიდა ყველა ფეხსახსრიან ცხოველს. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. აშშ-ში) ე-ის შესწავლის ობიექტს დღემდე წარმოადგენს მწერებთან ახლოს მდგომი სხვა უხერხემლოებიც. ე-ში გამოყოფილია ცალკე დისციპლინები; თითოეული მათგანი სწავლობს მწერებს. მაგ.: კ ო ლ ე ო პ ტ ე რ ო ლ ო გ ი ა შეისწავლის ხოჭოებს, ანუ ხეშეშფრთიანებს; ლ ე პ ი დ ო პ ტ ე რ ო ლ ო გ ი ა – პეპლებს, ანუ ქერცლფრთიანებს, მ ი რ მ ე კ ო ლ ო გ ი ა – ჭიანჭვე-



ენკაუსტიკა. მაცხოვრის ხატი. წმინდა ეკატერინეს მონასტერი. სინას მთა.



ენოთერა (Oenothera biennis).

ლებს, დ ი პ ტ ე რ ო ლ ო გ ი ა – ბუზებს, ანუ ორფრთიანებს და ა. შ.

თანამედროვე ე. კომპლ. მეცნიერებაა. დასახული მიზნების შესაბამისად იგი იყოფა: ზ ო გ ა დ ანუ თ ე ო რ ი უ ლ ე-დ, რ-ის კვლევის საგანია მწერთა სახეობრივი შემადგენლობა (ენტომოფაუნა), სისტემატიკა, მორფოლოგია, ფიზიოლოგია, ეკოლოგია, ეთოლოგია, მთლიანად კლასისა თუ მასში შემავალი ცალკეული ჯგუფის ევოლუცია, დედამიწაზე, ან მის ცალკეულ რეგიონში მწერთა გავრცელება (ენტომოგეოგრაფია), გადაშენებულ მწერთა ტაქსონების გამოვლენა (პალეოენტომოლოგია) და სხვ., და გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი თ ე-დ (სას.-სამ., სატყეო, სამედიცინო, სავეტერინარო), რ-იც იკვლევს სას.-სამ. მცენარეებისა და პროდუქტების მავნე მწერებს, ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეების პარაზიტებსა და ავადმყოფობის გამავრცელებლებს, აგრეთვე ადამიანისათვის სასარგებლო მწერებს, მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს. ე-ში ცალკე დარგებად შეიძლება გამოიყოს მ ე ფ უ ტ კ რ ე ო ბ ა და მ ე ა ბ რ ე შ უ მ ე ო ბ ა.

ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულის ასირიულ და ეგვიპტურ წერილობით წყაროებში მოხსენიებულია კალიების გამანადგურებელი შემოსევა. ამავე პერიოდის ძვ. ჩინურ ხელნაწერებში *თუთის აბრეშუმხვევიას* გამრავლებისა და ბოსტნის მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებია ნახსენები. *არისტოტელე* (ძვ. წ. IV ს.) შეეცადა სისტემაში მოეყვანა ცხოველთა სამყაროს შესახებ დაგროვილი უამრავი ცნობა. მათგან ერთ-ერთი იყო ცხოველებიდან მწერების (,,ენტომა'') ცალკე ჯგუფად გამოყოფა. ე. როგორც მოძღვრება მწერების შესახებ, შეიქმნა XVII ს-ში. 1758 გამოვიდა შვედი მეცნიერის კ. ლინეს ,,ბუნების ისტორია'' (X გამოცემა), რ-შიც პირველადაა გამოყენებული მწერთა სახეობის მეცნ. დასახელების ბინარული ნომენკლატურა (სისტემა). აღწერილ ცხოველთა 4500 სახეობიდან 2000 მწერია. მწერების პირველი გამოჩენილი სისტემატიკოსი იყო კ. ლინეს მოწაფე დანიელი ენტომოლოგი ი. ფაბრიციუსი.

XIX ს-ში დიდძალი მასალა დაგროვდა მწერების ანატ. და მორფოლ. საკითხებზე. ჩ. *დარვინის* ,,სახეობათა წარმოშობის'' გამოქვეყნების შემდეგ შესაძლებელი გახდა მწერთა სისტემატიკა აგებულიყო ფილოგენეზურ საწყისებზე (ავსტრ. ფ. ბრაუერი, ამერ. ა. პაკარდი და სხვ.).

XIX და XX სს-ში დაადგინეს მწერების როლი ადამიანისა და ცხოველთა უმძიმესი დაავადებების გადატანასა და გავრცელებაში. ამ გამოკვლევების საფუძველზე განვითარდა ახ. დარგი – ს ა მ ე დ ი ც ი ნ ო ე ნ ტ ო მ ო ლ ო გ ი ა.

ამჟამად მეცნიერებისათვის ცნობილი მწერების სახეობათა რაოდენობა მილიონს აღწევს.

მწერების განვითარების მარეგულირებელი ჰორმონების აღმოჩენამ (ამერ. ენტომოლოგი კ. უილიამზი), მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, ბიძგი მისცა ანტიჰორმონების ხელოვნურ სინთეზს (ამერ. უ. ბაუერსი). ე-ს დამოუკიდებელ დარგად გამოეყო მწერების ბიოქიმია.

მწერების ქცევების შესწავლას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XVIII ს-ში (ფრანგი ნატურალისტი რ. რეომიური), XX ს. დასაწყისში მისი შესწავლა განაგრძო ფრანგმა მეცნიერმა ჟ. ფაბრმა. გერმ. მეცნიერმა კ. ფრიშმა აღმოაჩინა ,,ფუტკრების ცეკვა''. ამჟამად მწერების ქცევა ენტომოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა.

ინტენსიურად დაიწყო მწერთა ეკოლ. პრობლემების შესწავლა. ამ სფეროში ფუნდამენტური გამოკვლევები ეკუთვნით ამერიკელ მეცნიერებს: ვ. შელფორდს, რ. ჩეპმენს, გ. ბლუნკს. მწერების ეკოლ. და პალეოეკოლ. შესწავლამ შესაძლებელი გახადა გარკვეულიყო მათი ევოლ. უმთავრესი მიმართულებები (რუს. მეცნ. მ. გილიაროვი). ფართოდ განვითარდა ე ნ ტ ო მ ო გ ე ო გ რ ა ფ ი ა.

მწერების კლასის ევოლ. შესწავლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პალეოენტომოლოგიურ გამოკვლევებს. ამჟამად ცნობილია მწერების 12 ათასზე მეტი ნამარხი სახეობა.

მწერები გადაიქცნენ სამეცნ. ექსპერიმენტების მნიშვნელოვან ობიექტად (დროზოფილა – გენეტიკაში, ფქვილის პატარა ღრაჭუკა – პოპულაციურ გენეტიკაში და ა. შ.).

XX ს. II ნახევარში განსაკუთრებით გაძლიერდა მავნე მწერებისადმი ინტერესი. თანდათან გაუმჯობესდა მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებები.

ეკონომიკისათვის მავნე მწერების მიერ მიყენებული ზარალი იმდენად დიდია, რომ მოხდა კვლევისა და მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა დამუშავების ცენტრალიზაცია სახელმწ. მასშტაბით. ბევრ ქვეყანაში შეიქმნა მავნებლებისაგან მცენარეთა დაცვის სახელმწ. ენტომოლოგიური სამსახური.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ენტომოლოგიურ კვლევას საფუძველი ჩაეყარა XIX ს. II ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც თბილისში შეიქმნა (1867) კავკასიის მუზეუმი. მუზეუმის ფონდები შექმნეს და გაამდიდრეს ცნობილმა კოლექციონერებმა: ი. ვორონოვმა, ა. ილინსკიმ, ს. სატუნინმა, ბ. უვაროვმა, ე. ფიცენმაიერმა და სხვ., რ-ებმაც არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიასა და მეზობელ რეგიონებშიც შეაგროვეს დიდძალი ფაუნისტური მასლა და დაადგინეს მათი სისტემატიკა. საქართვ. ფაუნის შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით რუს. გეოგრ. საზ-ბის კავკ. განყ-ბას (საგულისხმოა აგრეთვე ენტომოლოგიური, საბუნებისმეტყველო და სხვა საზ-ბების გამოკვლევები). საქართვ. ენტომოფაუნის რიგ ჯგუფთა სისტემატიკას, ბიოეკოლოგიას, ენტომოგეოგრ. და გენეზისს ეხება ა. გეგეჭკორის, ე. დიდმანიძის, ი. ზაიცევას, ფ. *ზაიცევის*, დ. *კობახიძის*, ი. სხირტლაძის, ა. ჭოლოკავას, ი. ჯამბაზიშვილის, ა. ჯიბლაძის, ზ. *ჰაჯიბეილის* და სხვათა შრომები. უმთავრესად სამეურნეო მნიშვნელობის საკითხებს ეძღვნება ე. აბაშიძის, გ. ნ. *ალექსიძის*, ნ. ე. *ალექსიძის*, ი. *ბათიაშვილის*, ა. ბაღდავაძის, გ. *დეკანოიძის*, ნ. თულაშვილის, ვ. *იასნოშის*, ლ. პ. *კალანდაძის*, დ. ლოზოვოის, ნ. სიფროშვილის, მ. სტოლიაროვის, გ. *ყანჩაველის*, ც. *ჩხუბიანიშვილის*, ვ. ჯაშისა და სხვათა გამოკვლევები.

საქართველოში ენტომოლოგიური კვლევის ცენტრებია: ზოოლ. ინ-ტი, საქართვ. მცენარეთა დაცვის ინ-ტი, სხვადასხვა დარგობრივი სამეცნ.-კვლ. და უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი განყ-ბები, ლაბორატორიები და კათედრები.

ლიტ.: ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი ი., დ ე კ ა ნ ო ი ძ ე გ., ენტომოლოგია, თბ., 1974; კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე ლ., ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი ი., ქ ა რ უ მ ი ძ ე ს., ყ ა ნ ჩ ა ვ ე ლ ი გ., ენტომოლოგია, ნაწ. 1–2, თბ., 1956–62; ყ ა ნ ჩ ა ვ ე ლ ი გ., სასოფლო-სამეურნეო ენტომოლოგია, თბ.,

1976; ყანჩაველი გ., სუპატაშვილი შ., სატყეო ენტომოლოგია, თბ., 1968; Бей-Биенко Г. Я., Общая энтомология, 2 изд., М.,1971; Учебник медицинской энтомологии, под ред. В. Н. Беклемишева, ч. 1, М.–Л., 1949.

ე. აბაშიძე. ა. გეგეჭკორი.

ენუქიძე აბელ სოფრომის ძე (პარტ. ფსევდ. – აბელ, აბდულ, ,,ზოლოტაია რიბკა'') [3 (15). XI. 1877, სოფ. წკადისი, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 30. XII. 1937], საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მუშაკი, კომპარტიის წევრი 1898-იდან. 1897 დაამთავრა თბილ. სასწავლებელი. 1897–1900 იყო ამიერკავკ. რკინიგზის თბილ. მთავარი სახელოსნოების მუშა, ბაქოს ს.-დ. ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი (1900), რსდმპ ბაქოს კომიტეტის წევრი და ,,ისკრის'' აგენტი. მონაწილეობდა არალეგალური სტამბის *,,ნინას''* მოწყობასა და მუშაობაში. 1907–14 აქტ. პარტ. საქმიანობას ეწეოდა ბაქოში, დონის როსტოვში, მოსკოვსა და პეტერბურგში. 1914 ოქტ-ში გადაასახლეს ტურუხანის მხარეში. 1916 სამხ. სამსახურში გაიწვიეს. 1917 თებ. რევ. დღეებში მონაწილეობდა პეტროგრადის ჯარისკაცთა გამოსვლებში. საბჭოების I ყრილობაზე აირჩიეს სრულიად რუსეთის ცაკის წევრად, 1917 ივნ-ში – პეტროგრადის საბჭოს აღმასკომის წევრად, 1917 ოქტ-ში – პეტროგრადის სამხ. რევკომის წევრად, სრულიად რუს. საბჭოების II ყრილობის დელეგატად. 1918 შემოდგომაზე გახდა სრულიად რუს. ცაკის სამხ. განყ-ბის გამგე, შემდეგ – პრეზიდიუმის წევრი და მდივანი. სსრკ საბჭოების I ყრილობაზე (1922 წ. 30 დეკ.) აირჩიეს სსრკ ცაკის პრეზიდიუმის წევრად და მდივნად. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. პოლიტ. რეპრესიების მსხვერპლი.

ენუქიძე რუსუდან ივანეს ასული (დ. 23. VI. 1933, თბილისი), ფილოლოგი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1993), საქართვ. დამს. არტისტი (1963). დაამთავრა თსუ-ის დას. ევრ. ენებისა და ლიტ-რის ფაკ-ტი ინგლისური ენისა და ლიტ-რის სპეციალობით (1957). იყო საქართვ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. აკად. ანსამბლის სოლისტი და თარჯიმანი (1957–64). 1964-იდან თსუ-ის ინგლ. ფილოლ. კათედრის თანამშრომელია, 1992–2006 იყო ამავე კათედრის გამგე, 2006–09 – ინგლისური ფილოლ. მიმართულების ხელმძღვანელი. 2009 ე-ს მიენიჭა პროფ.-ემერიტუსის სტატუსი. იკვლევს ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემებს, მხატვრული ტექსტის პროცესუალურ-დინამ. ასპექტს. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2002), 2010 დაჯილდოვდა ივ. ჯავახიშვილის სახ. მედლით.

თხზ.: დროულ-სივრცობრივ მიმართებათა ლინგვისტური ორგანიზაცია მხატვრულ ტექსტში, თბ., 1984; ლინგვისტური პრაგმატიკა და მხატვრული ტექსტის პროცესუალობა, თბ., 1990; Художественный хронотоп и его лингвистическая организация, Тб., 1987; Business English for Students, Tb., 2005 (თანაავტ.).

ენუქიძე სოფიო სპირიდონის ასული (30. IX. 1904, სენაკი, – 20. VI. 1983, თბილისი), ნევროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1937), პროფესორი (1950), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1960). 1928 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი; იყო თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ნერვულ სნეულებათა კათედრის თანამშრომელი, ფიზიოთერაპიისა და კურორტოლოგიის ინ-ტის განყ-ბის გამგე (1947–53), ფსიქიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ვეგეტოპათოლოგიის განყ-ბის ხელმძღვანელი (1953–59), მოსკოვის თერაპიის ინ-ტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი (1959–60), თსსი-ის პედიატრიული, სანიტ.-ჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკ-ტის ნერვულ სნეულებათა კათედრის გამგე (1966-იდან). ე. იყო პირველი პროფესორი ქალი ნევროლოგიის დარგში. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი, მ. შ. 2 მონოგრაფიისა.

ენციკლოპედია (ბერძნ. enkyklios paideia – ცოდნის წრე), სამეცნიერო ან სამეცნიერო-პოპულარული საცნობარო გამოცემა (ჩვეულებრივ, ლექსიკონის სახით), ცოდნის სისტემატიზებული კრებული, რ-შიც ანბანური წყობით ან თემატურად წარმოდგენილია არსებითი ხასიათის ცნობები ადამიანის ცოდნისა და პრაქტ. საქმიანობის ყველა ან რომელიმე დარგიდან. არის სხვადასხვა შინაარსის და სტრუქტურის ე-ები. შინაარსის მიხედვით: უნივერსალური – გვაწვდის არსებით ინფორმაციას ცოდნისა და პრაქტ. საქმიანობის ყველა ძირითადი სფეროდან, დარგობრივი – აშუქებს ერთ რომელიმე სამეცნ. დარგს (მაგ., ისტორია), რეგიონალური – ერთ რომელიმე ქვეყანას ან მხარეს (მაგ., საქართველო), პერსონალური – გამოჩენილი პიროვნების ბიოგრაფიას (მაგ., ივანე ჯავახიშვილი), სპეციალური – ცალკეულ თემას (მაგ., დიდგორის ბრძოლა); სტრუქტურის მიხედვით: ანბანური (მასალა განლაგებულია ანბანური წყობით), სისტემური (მასალა გაშუქებულია დარგობრივ-თემატურ ციკლებად), სისტემურ-ანბანური ანუ შერეული (მიმოხილვით სტატიას მოსდევს თემატურად შესაბამისი ანბანური ნაწილი). ე. ასახავს ეპოქის მეცნ. და კულტ. განვითარების დონეს.

ენციკლოპედიური ხასიათის შრომები უძველესი დროიდანაა ცნობილი ეგვიპტეში, ჩინეთში, საბერძნეთში, რომში; შუა საუკუნეებიდან კი – ევროპაში, არაბულენოვან სამყაროში.

ტერმ. ,,ე-ის'' მნიშვნელობა ყოველთვის ერთი და იგივე არ იყო. ანტ. სამყაროში იგი იხმარებოდა ზოგადსაგანმან. ცოდნის ელემენტარული კრებულების, ე. წ. ,,შვიდი თავისუფალი ხელოვნების'' (გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა ანუ ლოგიკა, გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა და ასტრონომია) აღსანიშნავად. XVI ს. დას. ევროპაში ტერმინი გამოიყენებოდა ახ. მნიშვნელობით – ,,სხვადასხვა შინაარსის კრებულის'' გაგებით. შემდგომ თანდათან შეიძინა ცოდნათა კლასიფიკაციის მნიშვნელობა და მოგვიანებით მიიღო დღევანდელი სახე. იმ ტიპის ნაშრომის სათაურად, რ-შიც მასალა განლაგებული იყო სისტემ. წესით, ტერმინი ,,ე.'' პირველად გამოიყენა ი. ალშტედმა 1620 (,,ფილოსოფიური კურსის ენციკლოპედია''), ხოლო 1728 – ე. ჩემბერსმა იმ შრომის სათაურად, რ-შიც მასალა ანბანურად იყო განლაგებული. ენციკლოპედიური ლიტ-რის ფართო გავრცელებას სათავე დაუდო დ. დიდროსა და ჟ. ლ. დ'ალამბერის რედაქციით გამოცემულმა 35-ტომიანმა დიდმა ფრანგულმა ენციკლოპედიამ (მეცნიერების, ხელოვნებისა და ხელოსნობის ენციკლოპედია ანუ განმარტებითი ლექსიკონი, 1751–80).

მსოფლიო ენციკლოპედიური აზროვნების უდიდეს მონაპოვრად ითვლება ინგლ. ეროვნ. ე. ,,ბრიტანიკა'' (I გამოც. 1768–71), პ. ლარუსის ე-ები ფრანგულ ენაზე (XIX–XX სს.), ,,ბროკჰაუზის'' სახელწოდებით ცნობილი გერმ. ე-ები (1808-იდან), ი. მაიერის ,,დიდი ენციკლოპედიური ლექსიკონი''



რ. ენუქიძე.



ენციკლოპედია. სულხან-საბას ლექსიკონი. გარეკანი.

(1840–55), ამერ. ე. ,,ამერიკანა'' (1903–04-იდან), ,,ესპანური ენციკლოპედია'' (1905–30), იტალ. ე. ,,იტალიანა'' (1929–39), ,,ფრანგული ენციკლოპედია'' (1933-იდან) და სხვ. ცნობილია არაერთი მნიშვნელოვანი რუს. ენციკლოპედიური გამოცემა: ფ. პავლენკოვის (1899), გრანატის (1891-იდან), ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონები (1890–1907); ,,დიდი საბჭოთა ენციკლოპედია'' – I (1926–47, 66 ტომად), II (1950–58, 51 ტომად), III (1969–78, 30 ტომად); რუსეთის, უკრაინისა და სხვ. უნივერს. თუ დარგობრივი ე-ები და სხვ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ტერმ. ,,ე.'' XVIII ს-იდან იხმარება, თუმცა ძვ. ქართ. მწერლობის ძეგლთა შორის ბევრი ნაშრომი მრავალფეროვანი შინაარსისა და საკითხთა სისტემ. განლაგების მიხედვით შეიძლება შეფასდეს ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებად (ამ ტერმინის ადრინდ. გაგებით). ასეთებია: მრავალთავები, სწავლანი, საეკლ. ჰიმნოგრაფიული, პოლემიკურ-დოგმატიკური თუ ფილოს.-თეოლ. კრებულები, მატიანე-ცხოვრებანი და სხვ.

უძველესი საუკუნეებიდან მომდინარე კრებული ე. წ. ,,მრავალთავი'' (პ. ინგოროყვას განმარტებით ,,დიდი მოცულობის ენციკლოპედია – ქრესტომათია'') თავდაპირველად მხოლოდ ჰომილეტიკურ მასალას შეიცავდა. X ს-თვის კი, როდესაც მისი შევსება-დახვეწა დასრულდა, იგი გახდა ჰომილეტიკურ-ჰაგიოგრაფიული. ამ ტიპის კრებულებიდან ჩვენამდე ნაკლული სახით მოაღწია ხანმეტმა (VIII ს. I ნახ.), უდაბნოს (IX–X სს.), სვანურმა (X ს.), პარხლის (X ს.), ათონის (X ს.) მრავალთავებმა. მრავალფეროვანი შინაარსის გამო ,,თავისებური ენციკლოპედია'' უწოდა კ. კეკელიძემ *იოანე ზოსიმეს* მეტად მნიშვნელოვან, რთული შედგენილობის კრებულს ,,საგალობელნი იადგარნი''... (956). იადგარულ ნაწილში ავტორს გაშუქებული აქვს იმ დროის ქართ. სინამდვილეში არსებული ჰიმნოგრაფიული ნაღვაწი – არქაულიცა (VIII–IX სს.) და თანადროულიც (X ს. 30-იანი წლები) – და მათთვის მიწერილი აქვს ტერმინები: ,,ძუელნი'' და ,,ახალნი''. X ს. 70-იანი წლების უნიკალური ხელნაწერი ,,შატბერდის კრებული'', რ-იც შეიცავს ეგზეგეტიკურ თხზულებებს, ჰაგიოგრაფიული და ისტ. მწერლობის ნიმუშებს, დარგობრივ-თემატიკური მრავალფეროვნებით შემეცნებით-საგანმან. ხასიათის კრებულია. ამიტომ მის უსათაურო ნაწილს მ. ჯანაშვილმა ,,სასწავლო წიგნი'' შეარქვა, ხოლო მ. შანიძემ მთლიანად ხელნაწერს – ,,ენციკლოპედიური კრებული''.

978–988 *მიქაელ მოდრეკილმა* შეადგინა უნიკალური კრებული, რ-შიც თავი მოუყარა საქართველოში არსებულ ნათარგმნ და ორიგინ. ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობას. საგალობლებს მიწერილი აქვს ავტორთა სახელები და გალობის ნიშნები. ამ ენციკლოპედიურმა კრებულმა მრავალი საგულისხმო ლიტ.-ისტ. ცნობა შემოგვინახა.

იმ განმანათლებელ სწავლულთა შორის, რ-ებმაც თარგმანის აღქმის გასაიოლებლად ტექსტს სხვა-



ენციკლოპედია. სულხან-საბას ლექსიკონი.

დასხვა სახის შენიშვნები და კომენტარები დაურთეს, ერთ-ერთი პირველი იყო *ექვთიმე მთაწმიდელი*. მისი თარგმნილი თხზულებებიდან ბევრი შეიძლება შეფასდეს ენციკლოპედიური ხასიათის მქონედ თემის მრავალმხრივი განხილვისა და საკითხების სისტემური განლაგების გამო, მაგ., მათეს სახარების იოანე ოქროპირისეული კომენტარები, რ-ებიც სპეციალური ანუ თემატური ე-ის წინაპრად შეიძლება ჩაითვალოს.

ექვთიმეს ტრადიცია გააგრძელა *გიორგი მთაწმიდელმა*. მისი ნაშრომებიდან საგანგებოდ გამოსაყოფია ,,თთუენი ათორმეტნივე''. კრებული უნიკალურია თავისი სისრულითა და საგალობელთა სისტემ. განლაგებით.

ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების საგანმან. მოღვაწეობა გააგრძელა ეფრემ მცირემ. მან თარგმანის ტექსტის გაგებისათვის საჭირო შენიშვნები შეიტანა არა თავად ტექსტში, არამედ წინასიტყვაობაში, ანდერძსა და სქოლიო-კომენტარებში. ფილოლ., ლექსიკოლოგიური თუ გრამატ. ხასიათის ეს კომენტარები მეცნ.-საცნობარო აპარატის როლს ასრულებს და ეფრემის თხზულებებს ენციკლოპედიურ ხასიათს ანიჭებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ეგზეგეტიკური თხზ. ,,ფსალმუნთა განმარტება'', რ-შიც ბიბლიურ-საღვთისმეტყველო ცნებათა განმარტებები ანბანთრიგზეა გაწყობილი.

არსენ იყალთოელის შემოქმედებიდან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მის მიერ თარგმნილი პოლემიკური, დოგმატიკურ-ფილოს. და მორალური ხასიათის თხზულებებისგან შედგენილი კრებ. ,,დოგმატიკონი'', რ-ის ხელნაწერის კიდეებზე მრავლადაა არსენის ხელით მიწერილი საღვთისმეტყველო ცნებათა განმარტებების შემცველი სქოლიო-შენიშვნები, რაც კრებულს ენციკლოპედიურ ხასიათს ანიჭებს.

ქართ. ფილოს. და ენციკლოპედიური აზროვნების ჩამოყალიბება-განვითარებასა და სამეცნ.-ფილოს. ტერმინებისა და ცნებების შემუშავება-დამკვიდრებას დიდი ამაგი დასდო *იოანე პეტრიწმა*. მან პროკლე დიადოქოსის თხზულების ,,კავშირნი ღმრთისმეტყველებითნის'' თარგმანი გააღრმავა და გაამდიდრა კომენტარებით და შენიშვნებით, დაურთო ბოლოსიტყვაობა, რ-შიც ჩამოაყალიბა თავისი თეოლ. სისტემა. მისი თანამედროვენი ამ თარგმანს საგანმანათლებლო ხასიათის ნაწარმოებად თვლიდნენ.

წინამორბედ მოღვაწეთა ტრადიციებს აგრძელებს *ანტონ I* კათოლიკოსი. საინტერესოა მისი დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათის თხზ. ,,მზამეტყველება'', რ-იც საკვლევი თემის (მონოფიზიტური იდეოლოგიის კრიტიკა) ყოველმხრივი და სისტემ. განხილვით ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს. ასეთივე ხასიათისაა ანტონის ,,ღვთისმეტყველება'' (4 ტომად), რ-ის ძირითადი წყაროა ფრანგულ ენაზე პარიზში გამოცემული საღვთისმეტყველო ენციკლოპედია.

ახ. ეტაპი ქართ. ენციკლოპედიური აზროვნების განვითარებაში იწყება ს.-ს. *ორბელიანის* ,,ქართული ლექსიკონით'', ანუ ,,სიტყვის კონით''. ლექსიკონის თავდაპირველი ამოცანა იყო ქართ. წერილობით წყაროებში დადასტურებული ყველა სიტყვის აღნუსხვა. მაგრამ იმის გამო, რომ საბამ სიტყვები განმარტა კიდეც, ლექსიკონში შეიტანა ონომასტიკა და ტოპონიმიკა,

დაურთო ქართ. ლექსიკის უცხ. შესატყვისები, ნაშრომი გასცდა განმარტებითი ლექსიკონის ფარგლებს და შეიძინა ერთგვარად უნივერს. ხასიათი – გახდა ენციკლოპედიურიცა და თარგმნითიც. მისი სახით უკვე XVIII ს. 10-იან წლებში გვაქვს თანამედროვე ენციკლოპედიურ ლექსიკონთან მიახლოებული ტიპის ნაშრომი.

ს.-ს. ორბელიანის ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობის გამგრძელებლები არიან დავით და იოანე ბატონიშვილები. ისინი ცდილობდნენ ,,ქართული ლექსიკონისთვის'' უფრო მეტად მიეცათ ენციკლოპედიური ხასიათი: ავრცობდნენ ახ. ტერმინებით, ახალშემოსული ევრ. სიტყვებით, ბევრ სიტყვას ურთავდნენ უცხ. შესატყვისებს, კომენტარებს, წყაროების დასახელებას, იყენებდნენ უახლეს სპეც. ლიტ-რას. *დავით ბატონიშვილს* 1788 შეუდგენია ,,მითოლოგიური ლექსიკონი'' გ. ჩულკოვის ამავე სახელწოდების ლექსიკონის მიხედვით; მისი ერთ-ერთი წყაროა ფსევდონონეს მითოლ. კომენტარების ეფრემ მცირისეული თარგმანი. მითოლ. გმირებისა და სამყაროს ყოველმხრივი აღწერა-დახასიათება ლექსიკონს ენციკლოპედიურ ხასიათს ანიჭებს.

იოანე ბატონიშვილის ,,ქართული ლექსიკონი'' (შემორჩენილია მხოლოდ ფრაგმენტი) ძირითადად საბას ლექსიკონს ეფუძნება, მაგრამ დამატებული აქვს ბიოლ., სამედ., გრამატ., ფილოს. ტერმინები, პერსონალია, ტოპონიმიკა, სამედ.-ფარმაკ. რჩევა-დარიგებები, რაც მის ენციკლოპედიურ ხასიათსა და პრაქტ. დანიშნულებას განსაზღვრავს. იოანეს ,,კალმასობა'' (,,ხუმარსწავლა'') თავისებური ენციკლოპედიაა, რ-იც მკითხველს აწვდის იმ დროის მეცნ. მიღწევებს.

ტერმ. ,,ე.'' XIX ს. დამდეგიდან ხშირად გამოიყენება თარგმანებსა თუ ორიგინ. თხზულებებში. მაგ., ,,ყრმათა ენციკლოპედია ანუ ახალნი შემოკლებულნი ჰსწავლანი ყოვლისა გვარისანი'', რ-იც იოანე ბატონიშვილის დავალებით რუსული ენიდან უთარგმნია ი. ბაზლიძეს (დაცულია ხელნაწერის სახით).

1823 პეტერბურგში დაიბეჭდა გ. *ჩუგუნაშვილის* (ჩუგუნოვი) წიგნი – ,,ენციკლოპედია ანუ შეკრებილება ზნეობათა სწავლათა ჰაზრთანი, და განსჯანი სხუათა და სხუათა თავთათჳს და აღსხმული ანბანთა ზედა'', რ-იც შედგენილია ფრანგულიდან თარგმნილი თხზულების მიხედვით. მასში სამი დამოუკიდებელი ნაწილია, აქედან ერთი – საკუთრივ ე. ეს ნაშრომი პირველი ქართული გამოცემაა, რ-ის სათაურშიც არის ტერმინი ,,ე.''

ქართ. ენციკლოპედიური აზროვნებისათვის მნიშვნელოვანია ი. *როსტომაშვილის* მიერ თბილისში გამოცემული ,,რუსული ენციკლოპედიური ლექსიკონი'' – ,,სალარო ცოდნისა'' (1898–99, ტ. I. А – Тяжуръ, ოთხ წიგნად). ეს იყო პირველი თანამედროვე მეცნიერულ საფუძველზე გაწყობილი ე. (ი. როსტომაშვილი სარგებლობდა ბროკჰაუზის ე-ის პრინციპებით).



ე-ის გამოცემა კიდევ რამდენჯერმე სცადეს: 1904 შექმნილმა საგანგებო ამხანაგობამ ,,ცისკარმა'' (თავ-რე პ. თუმანიშვილი, დამფინანსებელი – ი. ზუბალაშვილი) შეიმუშავა რეგიონალური ე-ის ,,საქართველოს'' მოსამზადებელი პროგრამა. უნდა გამოსულიყო თავდაპირველად რუს., შემდეგ კი – ქართ. და ფრანგულ ენებზე 10 ტომად. რედაქტორებად მოიაზრებოდნენ ა. ცაგარელი, ვ. პეტრიაშვილი და ა. ხახანაშვილი. ყოველ დარგს თითო ტომი დაეთმობოდა. ა. ხახანაშვილს უნდა დაეწერა: 1. ,,ქართული მწერლობა XIX საუკუნემდე''; 2. ,,შოთა რუსთაველი''; 3. ,,ქართული მწერლობა – XIX საუკუნე''. რა ბედი ეწია ამ ჩანაფიქრს, უცნობია. 1912 ბაქოში მცხოვრები ქართვ. და რუსი მარქსისტები აპირებდნენ გამოეცათ ,,ენციკლოპედიური ლექსიკონი სოციალური და პოლიტიკურ-ეკონომიური საგნებისა'' ორ დიდ ტომად. შედგენილი ყოფილა სიტყვანი და განისაზღვრა სტატიათა მოცულობა. 1914 რუს მწერალს გ. რუკავიშნიკოვს განუზრახავს ,,კავკასიის ენციკლოპედიის'' გამოცემა რუს. ენაზე 10 ტომად. ე-ს მკითხველისთვის უნდა მიეწოდებინა კავკ. შესახებ მეცნიერულად დაზუსტებული და დამუშავებული, სისტემ. წესით დაწყობილი ცნობები სათანადო ლიტ-რის მითითებით. ავტორებად კავკ. მცოდნე პირთა შორის მიწვეული იყვნენ ნ. მარი და ო. უორდროპი.

1927 თბილისში დაიბეჭდა ი. *აბულაძის* ,,რუსულ-ქართული ლექსიკონი სალიტერატურო, საპოლიტიკო და უცხო სიტყვათა და ტერმინთა ჩათვლით'' (ნაწ. I, А–Л). ლექსიკონი შინაარსით, შედგენის პრინციპით, განმარტების სპეციფიკურობით ენციკლოპედიური ხასიათისაა.

ე-ის გამოცემა 30-იან წლებშიც სცადეს. საკ. კპ(ბ) კავკ. სამხარეო კომიტეტის 1932 წ. 25 სექტ. დადგენილებით შეიქმნა სარედაქციო კოლეგია ,,ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის'' მოსამზადებლად მ. ტოროშელიძის (მთ. რედაქტორი), ს. ყაუხჩიშვილის (პ/მგ მდივანი), ნ. მარის, ნ. მუსხელიშვილის, ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, ვ. ბერიძის, პ. შარიასა და სხვათა შემადგენლობით. ჩამოყალიბდა სიტყვანის განყ-ბა, რ-მაც უკვე 1933-თვის მოამზადა 50000 ტერმინისაგან შემდგარი კარტოთეკა, პირველ სამ ასოზე (ა, ბ, გ) დაიწერა 6022 სტატია, მომზადდა კონტინენტებისა და საქართვ. რ-ნების რუკები, ჩამოისხა ხუთნაირი შრიფტი და 1935 ზაფხულში დაიწყო ტექსტის აწყობა. 1936 სექტ-მდე აიწყო 17 თაბახი, დაიბეჭდა 11 თაბახი ტექსტი და 5 რუკა. ამით გამოცემაზე მუშაობა შეწყდა.

60-იან წლებში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის შექმნა ი. *აბაშიძის* თაოსნობით. 1975–87 გამოიცა *,,ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის''* 12 ტომი (მთ. რედ. ი. აბაშიძე; 11 ძირითადი და 1 სპეცტომი ,,საქართველოს სსრ'' 2 წიგნად, ქართ. და რუს. ენებზე); ტერმინოლოგიური ლექსიკონები. მომდევნო წლებში გამოიცა ენციკლოპედიები: ,,საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა'', ტ. 5, 1990, ტ. 2, 2004, ტ. 1_1, 2013; ,,საქართველო'', ტ. 1 (1997); ტ. 2 (2012); ,,თბილისი'' (2002); ,,ქართული ენა'' (2008); ,,თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები'' (2008) და სხვ.

2002 თსუ-მა გამოსცა პირველი ქართ. პერსონალური ენციკლოპედიური ლექსიკონი ,,ივანე ჯავახიშვილი''. ქვეყნდება დარგობრივი, თემატური და სხვა სახის ე-ები.



ენძელა. რადეს ენძელა (Merendera raddeana).

იხ. აგრეთვე სტ. *ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია.*

ლიტ.: ყიფიანი ი., ნარკვევები ენციკლოპედიური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1987.

ი. ყიფიანი. ლ. კიკნაძე.



ენძელა. სამსვეტიანი ენძელა (Merendera trigyna).

ენძელა (Merendera), ტუბერ-ბოლქვიან მცენარეთა გვარი შრომანისებრთა ოჯახისა. პატარა, უღერო მცენარეა. აქვს ხაზური ან ლანცეტა ფოთლები, რ-ებიც ყვავილებთან ერთად ამოიწვერება მიწიდან. ყვავილები ვარდისფერი, სოსანი, ზოგჯერ თეთრია. 15-მდე სახეობა გავრცელებულია აღმ. ხმელთაშუაზღვისპირეთსა და წინა აზიაში, აღმ-ით – ინდოეთამდე.

საქართველოში მხოლოდ 2 სახეობაა: რადეს ე. (M. raddeana) იზრდება იმერეთში, გურიასა და ქართლში, სუბალპ. და ალპ. მდელოებზე, ზ. დ. 3100 *მ*-მდე; სამსვეტიანი ე. (M. trigyna) გვხვდება ქართლში, კახეთსა და ჯავახეთის მშრალ ფერდობებზე, მთის ქვედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე, ზ. დ. 1800 *მ*-მდე. ორივე დეკორ. და ადრემოყვავილე მცენარეა. *გ. ნახუცრიშვილი.*

ენძო, მთა კახეთის კავკასიონზე, მდინარეების საბაკუნისხევისა (ანდის ყოისუს აუზი) და ხისოსწყლის (თუშეთის ალაზნის მარჯვ. შენაკადი) სათავეებში. სიმაღლე 3304 *მ.* აგებულია იურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. კალთებზე ალპ. მცენარეულობაა.

ეოლიელები (Aeoloi), ერთ-ერთი ძირითადი ძველი ბერძნული ტომი. თავდაპირველად თესალიაში ცხოვრობდნენ. ძვ. წ. XII ს-ში დორიელებისა და სხვა ბერძენ ტომთა ზეწოლის შემდეგ მცირე აზიის ჩრდ.-დას. ნაწილისკენ გადმოინაცვლეს და აქ, ტროას მახლობლად დაიდეს ბინა. ძვ. ბერძნ. ლიტ. ტრადიციის თანახმად, ე-მა ჯერ კიდევ საბერძნეთში ყოფნის დროს დიდი როლი შეასრულეს მეზობლად მცხოვრები *აქაველების* სავაჭრო ექსპანსიის განხორციელებაში მცირე აზიის სანაპიროებზე.

ჰეროდოტესა და სტრაბონის ცნობებით, ბეოტიელთა ექსპანსია მცირეაზიის სანაპიროებისაკენ უმთავრესად მიმდინარეობდა ე-თა ფლოტის დახმარებით. სახელდობრ, ბეოტიელებმა ე-თან ერთად საფუძველი ჩაუყარეს საერთო კოლონიას – თრიკონიის კვიმეს. ე-ის მცირეაზიურ ქალაქთა შორის, სტრაბონის გადმოცემით, ყველაზე დიდი და გამორჩეული სწორედ ეს კვიმე იყო, რ-იც ფართო სავაჭრო-საკოლონიზაციო საქმიანობას ეწეოდა შორეულ პამფილიაში (ანატოლიის სამხრ. სანაპირო). ეს მხარე მდიდარი იყო ბუნებრივი ლითონით, აქედან გაჰქონდათ სპილენძი, უმეტესად კი რკინა ლითონით ღარიბ ეგეოსურ სამყაროში. პამფილიაში კვიმეს დაუარსებია ქ. სიდა, როგორც ვარაუდობენ, ძვ. წ. VIII–VII სს-ში. მაგრამ, ბიზანტ. ავტორის ევსები კესარიელის თანახმად, ქ. სიდა დაარსებულ იქნა დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ ძვ. წ. 1405 (სავარაუდოდ, აქაველთა მიერ).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ტოპონიმი ,,სიდა'' საფუძვლად უდევს ბერძნ. სიტყვას ,,სიდაროს'' (დორიული დიალექტი) – ,,სიდეროს'' (იონიური დიალექტი) რაც ნიშნავს რკინას.

სახელწოდება ,,სიდა'' ძვ. წ. VIII–VII სს-ში ვრცელდება ბერძნებით (ძირითადად ე-ით) დასახლებულ სხვა ფაქტორიებშიც, სახელდობრ, ანატოლიის ჩრდ.-აღმ. რეგიონში, კოლხეთის მახლობლად, კოტიორას (მერმინდელი ფარნაკიის) მეზობლად მდებარე რკინით მდიდარ მხარეში. სტრაბონის გადმოცემით, ფარნაკიასთან (პონტოს სიდასა და მისი ქვეყნის სიდენეს მახლობლად) მის დროსაც წარმოებდა რკინის მოპოვება, უფრო ადრე კი მიწიდან იღებდნენ ვერცხლსაც. მემთამადნეები თავს ირჩენდნენ ლითონის მოპოვებით.

ხსენებულ მემთამადნეებში იგულისხმებიან ლითონის, განსაკუთრებით რკინის მჭედლობაში დახელოვნებული პონტოსპირა ტომები, მ. შ. *ხალიბები,* რ-თაც ადრეანტ. ხანაშიც ეჭირათ ქ. სიდასა და მისი ქვეყნის მახლობლად მდებარე ტერიტორია – იასუნის კონცხის (ახლანდ. იაზუნბურუნის) ერთი სექტორი.

ე-ის შემოღწევა შავიზღვისპირეთის ამ სანაპიროზე, ისევე როგორც პამფილიაში, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც განხორციელდა აქაველ ზღვაოსანთა მიერ ადრე ათვისებული გზით, მაგრამ აქაველთაგან განსხვავებით, ე-მა პონტოსპირეთში თავისი დასაყრდენი დასახლებების შექმნით შეძლეს აქ უფრო მკვიდრად ფეხის მოკიდება, რის შედეგადაც მათ ურთიერთობას ადგილ. მოსახლეობასთან უფრო რეგულ. ხასიათი მიეცა.

შავი ზღვის სამხრ.-აღმ. სანაპიროზე ე-ის მიერ დაფუძნებულ დასაყრდენ პუნქტებს შორის სიდასთან ერთად უთუოდ უნდა აღინიშნოს კარუსა, რ-იც ფსევდოსკილაკსს დასახელებული აქვს სინოპის მახლობლად, როგორც ელინური ქალაქი. კარუსა უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი პირველი დასახლებათაგანი, საიდანაც ე-მა, და მათმა მოკავშირე ზღვაოსან-კოლონისტებმა ძვ. წ. VIII ს-იდან (უფრო ადრე თუ არა) წამოიწყეს შავი ზღვის სანაპიროზე რიგი დასაყრდენი პუნქტების შექმნით კოლხეთისაკენ გზის გაკვლევა და ამ სანაპიროს ბუნებრივ სიმდიდრეთა რეგულ. ათვისება. ამ პუნქტებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე ჰერმონასა, ტრაპეზუნტის მეზობლად, საიდანაც ადვილი იყო კავშირის დამყარება კოლხეთის სამხრ.-დას. სანაპიროსა და მის შიდა რეგიონების მოსახლეობასთან. სავაჭრო საქმიანობაში სამხრ.-აღმ. შავიზღვისპირეთში ე-ის პარტნიორები თავიდანვე ბეოტიელები და თესალიელები იყვნენ, უფრო მოგვიანებით კი – ფოკიელები.

იმავე ხანებში (ძვ. წ. VIII ს.) ერთნახევარი საუკუნით ადრე, ვიდრე ამ მხარეს მილეტელი იონიელები დაეუფლებოდნენ, ეგეიდელმა ზღვაოსნებმა – თესალიელებმა, ე-ის საზღვაო ძალების დახმარებით, როგორც ჩანს, დაი-

კავეს სინოპის ტერიტორია. ძვ. წ. 757–756 (ევსების ცნობით) ჰერმონასას მეზობლად დაარსდა ტრაპეზუნტიც. Ე-ის სავაჭრო-საკოლონიზაციო საქმიანობის აღმავლობას აღნიშნულ ხანაში მოწმობს სტრაბონის ცნობაც, რომლის თანახმად ეოლიური კოლონიზაცია ოთხი თაობით (უთუოდ უფრო მეტითაც) წინ უსწრებდა იონიელთა გამოსვლას საკოლონიზაციო ასპარეზზე. ამრიგად, ეოლიელმა კოლონისტებმა და მათმა პარტნიორებმა თავიანთი სავაჭრო აქტიურობის ხანაში რკინის ფართო ექსპორტირების მიზნით შექმნეს დასაყრდენი პუნქტების – ფაქტორიების – მთელი ჯაჭვი ამ მხარიდან, უმთავრესად კი სამხრ.-დას. კოლხეთიდან. ძვ. წ. VIII ს-ში ამ რეგიონში დიდი რაოდენობით რკინის წარმოებას ადასტურებს ბოლო 30–40 წლის განმავლობაში სამხრ.-დას. კოლხეთის არაერთ ადგილას გამოვლენილი მდიდარი არქეოლ. მასალა (მძლავრი მეტალ. კერები რკინის სადნობი სახელოსნოებით მიკვლეულია სუფსა-გუბაზეულისა და ჩოლოქ-ოჩხამურის ხეობებში. ეს სახელოსნოები ძირითადად წინაანტ. ხანით თარიღდება).

სამხრ.-აღმ. შავიზღვისპირეთში ფაქტორიების შექმნით ეოლიელ და ეგეიდელ ზღვაოსნებს უკვე თავისუფლად შეეძლოთ სამხრ.-დას. კოლხეთიდან სავაჭრო ოპერაციების გადატანა ქვეყნის შუაგულისკენ, რიონისპირეთისა და ჩრდ. კოლხეთის მთისწინა ზოლისაკენ, სადაც რკინის წარმოებამ ძვ. წ. VII ს. დასაწყისიდან მანამდე არნახულ მასშტაბებს მიაღწია. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუთია მდ. ყვირილის ხეობაში, ახლანდ. სოფელ საირხის სანახებში, Ე-ის მიერ ბერძნ.-მცირეაზიური სახელწოდებების – ფრიქსოპოლის – იდეესას შემოტანის ფაქტი.

წარმოშობით ეოლიელი პოეტის, ჰესიოდეს პოემა ,,თეოგონიაში'' კარგად ცნობილ მდინარეთა შორის დასახელებულია ფასისი და რესოსი. ამ მდინარეებს მკვლევარნი ფსევდოსკილაკს კარიანდელის მიერ მოხსენიებულ მდ. რისსთან (რიონის ზემო წელი) აიგივებენ. ასეთი ინფორმაცია ბეოტიაში მცხოვრებ პოეტს შეეძლო მიეღო მხოლოდ ეოლიურ და ბეოტიურ სავაჭრო წრეების წარმომადგენელთაგან, რ-ებიც კარგად იცნობდნენ შიდა კოლხეთის რკინით მდიდარ მთიან მხარეს, განსაკუთრებით რაჭას, სადაც სათავეს იღებდა რესოსი.

მოსაზრებას ადრეული ხანიდან ჩრდ. კოლხეთის მთიან რეგიონებში ლითონის (უმთავრესად რკინის) მაძიებელი Ე-ის შემოღწევის შესახებ ასევე ასაბუთებს კოლხეთის ჩრდ.-დას. ნაწილში (ახლანდ. გალის მუნიციპალიტეტი) დადასტურებული ტოპონიმი ,,სიდა''. ეს სახელი ამჟამად ეწოდება სოფელს, რ-საც ჩამოუდის ამავე სახელწოდების მდინარე.

სახელწოდება ,,სიდა-ს'' დამოწმება კოლხეთის მთიანი რეგიონების მახლობლად, სადაც ძვ. წ. II ათასწლ. მეორე ნახევრიდან არსებობდა მძლავრი მეტალ. კერები (თავდაპირველად სპილენძის, უფრო მოგვიანებით კი რკინის ფართო წარმოებით), მიუთითებს რომ პუნქტი ,,სიდა'' ჩრდ.-დას. კოლხეთში უნდა შეექმნათ იმავე Ე-ს ძვ. წ. VII ს. შემდგომ. რკინის სადნობ ქურათა მრავალრიცხოვანი ნაშთები აღმოჩენილია, აგრეთვე, მდ. ენგურის ხეობის დასაწყისთან, სოფ. ჯვარსა და ლიაში.

სავაჭრო ფაქტორია ,,სიდას'' დაარსება კოლხეთის ჩრდ. მთისწინეთის მახლობლად, როგორც ჩანს, ემსახურებოდა ქვეყნის მთიანი ზონიდან ეოლიელ და სხვა ზღვაოსან-ვაჭართა მიერ რკინის ჩამოტანას, ხოლო ამ პუნქტის ადგილმდებარეობა სანაოსნო მდინარეების (ხუმუშკური, ღალიძგა და სხვ.) წყალშესაყარზე, ერთი მხრივ, მდ. ენგურისა და, მეორე მხრივ, ზღვის სანაპიროს სიახლოვეს, იმაზე მეტყველებს, რომ იგი წარმოადგენდა ჩრდ. კოლხეთის სხვადასხვა მეტალ. კერებიდან მოწოდებული რკინის თავმოსაყრელ ადგილს, საიდანაც ეს ლითონი უცხოეთში იგზავნებოდა.

ეოლიელმა და ენეიდელმა (ბეოტიელმა) ზღვაოსან-კოლონისტებმა დიდი როლი შეასრულეს კოლხ.-მცირეაზიურ სამყაროთა ეკონ. დაახლოებაში. სწორედ მათი მეშვეობით ჩაება სამხრ.-დას. კოლხეთი, შემდეგ კი რიონისპირეთი და მის ჩრდ-ით მდებარე მთისწინა ზოლისა და ყვირილის ხეობის მოსახლეობა ადრეულ საერთაშ. ეკონ. პროცესებში, როგორც ლითონის წარმოებაში დახელოვნებული დიდი ტრად. მქონე საზ-ბა. ამ საერთო სამეურნეო-ეკონ. აღმავლობას ემთხვევა ის მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ ძვ. წ. VIII ს. დასასრულიდან (კოლხას პოლიტ. გაერთიანების დაცემის შემდეგ) სწორედ რიონისპირეთის ჩრდ. მიმდებარე მხარეში (დღევანდ. სამეგრელოს მიწა-წყალზე) სამხრ-იდან გადმონაცვლებული კოლხთა სატომო ბირთვის თაოსნობით აღმოცენდა დას. ქართველური ეთნო-პოლიტ. წარმონაქმნი, რ-მაც მომდევნო ხანაში (ძვ. წ. VI ს.) წარმმართველი როლი შეასრულა *კოლხეთის სამეფოს* ჩამოყალიბებაში.

ამავე დროს ნათლად წარმოჩნდა ისიც, რომ არქაულ ხანაში (ძვ. წ. VIII ს.), ვიდრე კოლხეთის სანაპიროს მისწვდებოდა მილეტელთა საკოლონიზაციო ტალღა, Ე-ის და მათი მოკავშირე ბეოტიელთა და თესალიელთა მიერ შექმნილ დასახლებათა მეშვეობით საფუძველი ჩაეყარა კოლხეთის ეკონ. ურთიერთობების ახ. ფორმას – რეგულ. საგარეო ვაჭრობას.

კოლხეთის ადრეულ ურთიერთობებში, გარდა ეოლიურ სამყაროსთან სავაჭრო-ეკონ. კონტაქტებისა, იკვეთება სხვა მნიშვნელოვანი ასპექტებიც, ცნობილია, რომ Ე-ის ქალაქები (კვიმე, ლირისა, მიტილენე – კუნძ. ლესბოსზე) ადრევე ჩამოყალიბდნენ ელინიური კულტ., ხელოვნ., მწერლობის, პოეზიის, მეცნ. უდიდეს ცენტრებად. ამდენად, ბუნებრივია, რომ ესოდენ დაწინაურებულ ცენტრებთან კავშირი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა კოლხეთის საზ-ბის სულიერი და მატერ. ცხოვრების შემდგომ განვითარებაზე. თავის მხრივ, კოლხური და ეოლიური სამყაროს დაახლოებას უნდა მოჰყოლოდა მათ კულტ. მონაპოვართა, რელიგ. რწმენა-წარმოდგენებისა და სამეურნეო ცოდნა-გამოცდილების ურთიერთგაზიარება. ამასთან ერთად მნიშვნელოვნად უნდა გაფართოებულიყო ამ ორი სამყაროს საზ-ბათა გეოგრ. თვალთახედვა, რამაც თავისი ასახვა პოვა ბერძნ. ლიტრის უძველეს ძეგლებში. სახელდობრ, შენიშნულია, რომ ძვ. წ. VIII ს. დასასრულს შექმნილი ნაწარმოების ,,თეოგონიის'' ავტორის, ჰესიოდეს, გეოგრ. თვალსაწიერი ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე ჰომეროსისა. როგორც ზემოთ ითქვა, ჰესიოდე პირველად იხსენიებს მდ. ფასისს და რესოსს. შემთხვევითი არც ის არის, რომ ბერძნ. მწერლობაში პოეტ ევმელე კორინთელთან (ძვ. წ. VIII ს. II ნახ.) პირველად ჩნდება რეალური მითითება ,,კოლხეთის (კოლხიდის) მიწის'' შესახებ.

კოლხეთისა და ეოლიური სამყაროს ეკონ. და კულტ. დაახლოებით

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მოქმედი ეპარქიები

მცხეთა-თბილისის ეპარქია;

ავსტრალიის ეპარქია;

ალავერდის ეპარქია;

ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქია;

ახალციხისა და ტაოკლარჯეთის ეპარქია;

ბათუმისა და ლაზეთის ეპარქია;

ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქია;

ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია;

ბოდბის ეპარქია;

ბოლნისის ეპარქია;

ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქია;

გერმანიისა და ავსტრიის ეპარქია;

გორისა და ატენის ეპარქია;

გურჯაანისა და ველისციხის ეპარქია;

დასავლეთ ევროპის ეპარქია;

დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ეპარქია;

დმანისისა და აგარაკტაშირის ეპარქია;

ვანისა და ბაღდათის ეპარქია;

ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია;

თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქია;

მანგლისისა და თეთრი წყაროს ეპარქია;

მარგვეთისა და უბისის ეპარქია;

მარნეულისა და ხუჯაბის ეპარქია;

მარტყოფისა და გარდაბნის ეპარქია;

მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია;

ნეკრესის ეპარქია;

ნიკორწმინდის ეპარქია;

ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია;

რუისისა და ურბნისის ეპარქია;

რუსთავის ეპარქია;

უნდა აიხსნას Ე-ის მიერ სამხრ.-აღმ. და აღმ. შავიზღვისპირეთში ბეოტიელ და თესალიელ ლეგენდარულ გმირებთან, მათ შორის ფრიქსესთან დაკავშირებული გადმოცემების ფართოდ გავრცელება. ამავე დროს უნდა შექმნილიყო ეოლიური ვერსიები ფრიქსეს მიერ სატაძრო ცენტრების, სამლოცველოების, სამისნოების დაარსების შესახებ კოლხეთის საზღვარზე, იბერიაში (ფრიქსოპოლისი), მოსხთა ქვეყანაში (ლეკოთეა, Strabo, XI, 2, 17), ასევე ფასისის შესართავში (ფრიქსეს ტაძარი და მისი სახელობის ჭალაკი, პომპონიუს მელა, I, 108).

კოლხეთთან მჭიდრო კულტ. კონტაქტებით უნდა აიხსნას აგრეთვე ამავე ხანებში სხვადასხვა ვერსიის შექმნა აიეტის სიძის, ორქომენელიდან მოსული ფრიქსეს და მამამისის (ათამანტის) ეოლიური წარმომავლობის შესახებ. ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესო ცნობებს გვაწვდის *აპოლონიოს როდოსელი* თავის ,,არგონავტიკაში'', რ-იც სხვა წყაროებთან ერთად იმ ძველ (სწორედ ძვ. წ. VIII–VII სს.) წერილობით ძეგლებს უნდა ემყარებოდეს. იგივე შეიძლება ითქვას აპოლონიოს როდოსელის პოემაში მდიდარი და ძლიერი კოლხთა მეფის აიეტის სამფლობელოს აღწერაზე, რ-შიც ისტ. სინამდვილე მჭიდროდ ერწყმის მითს არგონავტთა ლაშქრობის შესახებ.

ლიტ.: ა ფ ა ქ ი ძ ე ა., ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; ი ნ ა ძ ე მ., ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994; მ ი ქ ე ლ ა ძ ე თ., ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II–I ათასწლეულები), თბ., 1974; ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ., სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957; ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი დ., რკინის წარმოების ძველკოლხური კერა სუფსა-გუბაზეულის ხეობაში. 1974 წ. არქეოლოგიური დაზვერვების მოკლე ანგარიში, კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, [ტ.] 6, თბ., 1977; მ ი ს ი ვ ე, მასალები ძველკოლხური რკინის მეტალურგიის ისტორიისათვის (ოჩხამურის ხეობა), იქვე, [ტ.] 7, თბ., 1978. *მ. ინაძე.*

ეპარქია (ბერძნ. eparchia), მართლმადიდებელ, კათოლიკურ, ანგლიკანურ ეკლესიებში საეკლესიო-ტერიტორიული ერთეული, რ-საც სათავეში უდგას *ეპისკოპოსი.* შუა საუკუნეების საქართვ. საეკლ. პრაქტიკაში ტერმინი Ე. არ იხმარებოდა, მის შესატყვისად მიღებული იყო ,,საეპისკოპოსო''. ტერმინი Ე. საეკლ. პრაქტიკაში შემოვიდა XIX ს-იდან, რუს. საეკლ. მმართველობის შემოღების შემდეგ. 1811 რუს. მთავრობამ შექმნა საქართვ. საეგზარქოსო, რ-იც Ე-ებად დაყო. 1885–1900 საქართვ. საეგზარქოსო აერთიანებდა საქართველოს, ვლადიკავკაზის, იმერეთის, გურია-სამეგრელოს (ახალსენაკის), სოხუმის Ე-ებს. 1917 ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ საქართვ. სამოციქულო ეკლესიის წიაღში 17 Ე. გაიხსნა. ბოლშევიკური რეჟიმის დროს Ე-თა მართვა-გამგეობისა და საეკლ. მოღვაწეობის პირობები მინიმუმამდე დავიდა. 60–70-იან წლებში მხოლოდ 6 მოქმედი ეპისკოპოსი შეადგენდა საქართვ. სამოციქულო ეკლესიის წმ. სინოდს. 2014-თვის საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში 50 Ე. მოქმედებს (იხ. ცხრილი).

ეპარძიული სასწავლებელი, დაარსდა მცხეთაში 1870 ,,სასულიერო წოდების ქალთა სასწავლებლის'' სახელწოდებით და განკუთვნილი იყო ძირითადად მღვდელთა ქალიშვილებისათვის. 1879 გადმოიტანეს თბილისში და უწოდეს Ე. ს. სწავლება ფასიანი იყო. სწავლა მოსამზადებელი განყ-ბის, I, II და III კლასებში ორ-ორ წელს გრძელდებოდა. სასწ. გეგმა შეიცავდა საღვთო სჯულს, კატეხიზმოს (რუს. და ქართ. ენებზე), ეკლესიის ისტორიას, ძვ. და ახ. ქართ. ენას, ძვ. სლავურსა და თანამედროვე რუს. ენებს, რუსეთისა და საქართვ. ისტორიას, გალობას, სუფთა წერასა და ხელსაქმეს. 1899 მიენიჭა იოანიკეს (საქართვ. ეგზარქოსი, სასწავლებლის მცხეთიდან თბილისში გადმოტანის ინიციატორი) სახელი. 1900–01 სასწ. წელს მოსამზადებელი განყ-ბა გაუქმდა, სასწავლებელი 6-წლიანი გახდა. მისი კურსი ქალთა გიმნაზიების კურსს უახლოვდებოდა. 1899 სასწავლებელთან შეიქმნა სანიმუშო სამრევლო სკოლა პედ. პრაქტიკათვის და ამიერიდან კურსდამთავრებულები შინამასწავლებლად მუშაობის უფლებას იღებდნენ იმ საგნებში, რ-საც წარმატებით აითვისებდნენ, აგრეთვე შეეძლოთ წასულიყვნენ სოფლის სკოლების მასწავლებლად. სასწავლებელში პედ. მოღვაწეობას ეწეოდნენ: კ. *კეკელიძე,* ვ. *ბარნოვი,* ი. *კარგარეთელი,* კ. *კაპანელი* და სხვ. 1916 Ე. ს-ში სწავლობდა 142 მოსწავლე. 1902 კიდევ ერთი Ე. ს. გაიხსნა ქუთაისში. ორივე სასწავლებელი დაიხურა 1917. *ვ. გაგუა.*

ეპიგეა (Epigaea gaultherioides), მარადმწვანე გართხმული ბუჩქი მანანისებრთა ოჯახისა. აქვს მოგრძო, ელიფსური, ტყავისებრი ფოთლები, მარტოული ან მცირეყვავილიანი [2–3(4) ერთად] მტევნებშეკრებილი ვარდისფერი ყვავილები. ყვავილის კოკრების ჩასახვა ხდება ზაფხულში, იზამთრებს თოვლქვეშ, ყვავილობს გვიან გაზაფხულზე. მსოფლიოში ამ გვარიდან მხოლოდ 3 სახეობაა ცნობილი. ამათგან, პირველი გავრცელებულია იაპონიაში, მეორე – ჩრდ. ამერიკაში, ხოლო მესამე – საქართველოში (კოლხეთში). Ე. მესამეული პერიოდის რელიქტია, აჭარა-ჭანეთის ვიწრო ენდემი. ბუნებრივად იზრდება აჭარაში – ნამწვავისწყლის ხეობაში, მთის შუა სარტყლიდან სუბალპ. სარტყლამდე. ტყეში გვხვდება უმთავრესად დამრეც კალთებზე პონტოურ და უნგერნის შქერთან, მედვედევის არყთან, პონტურ მუხასთან, წაბლსა და სხვებთან ერთად, ზ. დ. 900–1000 *მ*-ზე. ალაგ-ალაგ, მცირე ფართობზე ქმნის წმინდა რაყას, ზოგჯერ გამეჩხერებულ ტყეში შეაღწევს ხოლმე, ძლიერ დაჩრდილვას ვერ იტანს. დეკორ. მცენარეა. მრავლდება გადანაწვენითა და თესლით. შეტანილია ,,საქართვ. წითელ წიგნში''.

ეპიგრამა (ბერძნ. epigramma – სიტყვასიტყვით – წარწერა), მოკლე სატირული ლექსი. ძვ. საბერძნეთში Ე. ეწოდებოდა მოკლე წარწერებს ტაძარზე, ქანდაკებათა კვარცხლბეკზე, საკურთხეველზე, შეწირულ საგნებზე. წარწერებმა ლექსის ფორმა შეიძინა და თემატურად გაფართოვდა (აღწერითი, მიძღვნითი, დიდაქტ., სატირული, სასიყვარულო, სამგლოვიარო). Ე. განსაკუთრებით განვითარდა ბერძნ. ლიტ-რაში – ელინისტი პოეტების შემოქმედებაში (ძვ. წ. III ს. – ახ. წ. I ს.) და რომაულ ლიტ-რაში, კერძოდ, მარციალისის სატირულ შემოქმედებაში (ახ. წ. I ს.). Ე-ის ტრადიციები გრძელდებოდა შუა საუკუნეებსა და რენესანსის ეპოქაში როგორც ბიზანტ., ისე ლათ. ლიტ-რაში.

ახ. ევრ. ლიტ-რაში Ე. სატირული პოეზიის მცირე ჟანრად იქცა. Ე-ის ძირითადი კომპოზ. ხერხია ექსპოზიციისა (საწყისი მოქმედების გარემოსა და გარემოების ამსახველი ნაწილი) და ენამახვილური დასასრულის დაპირისპირება.

რუს. ლიტ-რაში Ე-ს წერდნენ ა. პუშკინი, ფ. ტიუტჩევი და სხვ.

ქართ. ლიტ-რაში Ე-ის თვალსაჩინო ნიმუშებია ბესიკის ,,მზეჭაბუკ ორბელიანს‘‘; აკაკის გამკილავი Ე., მიმართული მეფის რუს. შინაგან საქმეთა მინისტრ გრაფ მიხეილ ლორის-მელიქოვისადმი; ილიას Ე. – თავადაზნაურობის მარშალ რ. ანდრონიკაშვილისადმი, რ-მაც იმპერატორს საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის გახსნის ნაცვლად სთხოვა კადეტთა კორპუსის გახსნა:

,,ულვაშ სრული მელოტია,
უთაური თავიანი,
ხელთა მლოკი, ქონდრის კაცი,
დიდგულა და ბოხხმიანი.
თუმცა ტანად პატარაა,
სხვაფრივ კი კარგა დიდია,
ქვეყანა და ქვეყნის თხოვნა იმას
ფეხებზე ჰკიდია‘‘. *რ. ჭილაია.*

ᲔᲞᲘᲒᲠᲐᲤᲘ (ბერძნ. epigraphē – წარწერა), ციტატა, ანდაზა, აფორიზმი და მისთანანი, რომლებიც თხზულებას ან მის ცალკეულ ნაწილს აქვს წამძღვარებული. მისი დანიშნულებაა მკითხველს ყურადღება გაუმახვილოს ნაწარმოების ან მისი ნაწილის დედააზრზე, ავტორისეულ ჩანაფიქრზე. Ე-ს ხშირად იყენებდა ი. ჭავჭავაძე, მაგ., ,,მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო‘‘ (,,კაცია-ადამიანი?!‘‘) ან ,,რა ქნას კარგმა მონარდემა, დროზე შაში თუ არ მოვა‘‘ (,,გლახის ნაამბობი‘‘). Ე. ახლავს მ. ჯავახიშვილის ,,არსენა მარაბდელის‘‘ ყველა თავს.

ნ. ალანია.

ᲔᲞᲘᲒᲠᲐᲤᲘᲙᲐ (<ბერძნ. epigraphē – წარწერა), ისტორიული და ფილოლოგიური დარგის სპეციალური სამეცნიერო დისციპლინა, რ-იც შეისწავლის მაგარ საწერ მასალაზე (ქვა, ლითონი, ძვალი, ხე, კერამიკა, კედლის შელესილობა, აგრეთვე ქსოვილი და სხვ.) შესრულებულ ძვ. წარწერებს. იგი იკვლევს წერილობითი ძეგლის როგორც გარეგან – დამწერლობით – მხარეს (იხ. *პალეოგრაფია*), ისე მის შინაარსს (ტექსტში დასახელებული ისტ. ფაქტები, პირები, ენობრივი მოვლენები, ტერმინები, ქრონოლოგია; მასში ასახული ონომასტიკური, სარწმუნოებრივი, ეთნოლოგიური და სხვა მონაცემები). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარწერებით გადმოცემული ცნობები, რადგან ისინი მათში ასახული მოვლენების თანადროულია.

შემონახულია დამწერლობის მქონე ყველა ხალხის ეპიგრაფიკული ძეგლები. ზოგიერთი ძველი, დღეს არარსებული ხალხის (მაგ., ძვ. ეგვიპტელების, ხეთების, ურარტულების და სხვ.) ენის, ისტ. და კულტ. შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ მათ მიერ დატოვებული წარწერების მიხედვით. განსაკუთრებით ცნობილია და მეცნიერთა არაერთი თაობის შესწავლის საგანია ბერძნ., ლათ., ეგვ., ხეთური, ასურ., ურარტული, არამ., ძვ. ინდ., ძვ. ჩინ., კოლუმბამდელი ამერ. ხალხებისა და სხვათა წარწერები. შინაარსობრივად ისინი მრავალფეროვანია: საამშენებლო, მემორიალური, იურიდ., ბელეტრისტული, მაგიური, ზომა-წონის აღმნიშვნელი და სხვ. ამიტომ, წარწერებით გადმოცემულ ცნობებს და მათ მონაცემებს, როგორც უაღრესად სანდოს, ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იყენებენ ისტორიკოსები და ფილოლოგები.

Ე-ს, როგორც მეცნიერებას, საფუძველი ჩაეყარა ევროპაში (XIX ს.). სხვა ფაქტორებთან ერთად ამას



ეპიგრაფიკა. ბარნაბას წარწერა. V–VI სს. ლამაზი გორა.

ხელი შეუწყო ძვ. აღმ. ხალხების მიერ დატოვებული მრავალფეროვანი წარწერების გაშიფვრამ (ჟ. ფ. შამპოლიონი, გ. გროტეფენდი, ბ. ჰროზნი), თუმცა ანტ. წარწერების შეკრება, შესწავლა და გამოცემა XIV ს-იდან დაიწყო.

Ე-ის როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების გზაზე ერთ-ერთი ნიშანსვეტია გერმ. მეცნიერის ავგუსტ ბეკის ბერძნ. წარწერების სრული კრებულის (Corpus Inscriptionum Graecarum, შემოკლებით CIG) მრავალტომეულის გამოცემა (1828–72). დიდი ფორმატის 5 ტომში 10000-მდე ბერძნ. წარწერა შევიდა. CIG-ის მოჰყვა Inscriptiones Graece, რ-ის გამოცემა დღემდე გრძელდება. ამჟამად ცნობილია 100000-ზე მეტი ბერძნ. წარწერა. 1899 დასრულდა ლათ. წარწერების სრული კრებულის (Corpus Inscriptionum Latinarum, შემოკლებით CIL) გამოცემა, რ-ის პროექტი 1847 შეადგინა ცნობილმა ისტორიკოსმა თ. მომზენმა. 1936 გამოიცა ბოლო, XVI ტომიც. მთელი გამოცემა შედგება დიდი ზომის 65 წიგნისაგან და შეიცავს 100000 ლათ. წარწერას, თუმცა ლათ. წარწერების საერთო რაოდენობა 200000 აღწევს.

ამ გამოცემების პრინციპები, მეთოდები და ხერხები საფუძვლად დაედო სხვა დამწერლობებისა და სხვაენოვანი წარწერების ანალოგიური კრებულების გამოცემას. სადღეისოდ გამოცემულია, ან გრძელდება ეტრუსკული, სემიტური, ებრ., ირან., სომხ., რუს. და სხვ. წარწერების კორპუსების გამოცემა.

არსებობს სპეც. სამეცნ. ჟურნალები, რ-თა მიზანია ძვ. წარწერების გამოქვეყნება. ცალკე განყ-ბა ეთმობა წარწერების პუბლიკაციას (,,Bulletin de Correspondance Hellénique“, ,,L’Année épigraphique“, ,,Эпиграфика Востока‘‘, ,,Нумизматика и эпиграфика“ და სხვ.). გარდა ამისა, ჯერ კიდევ 1663 ლუი XIV-ის ბრძანებით პარიზში დაარსდა და დღემდე წარმატებით მოქმედებს წარწერებისა და სიტყვაკაზმული მწერლობის აკადემია. სისტემატურად ტარდება ეპიგრაფისტთა საერთაშ. კონგრესები.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი Ე-ის ძეგლები და მათთან დაკავშირებული საკითხები შეისწავლეს ქართვ. მეცნიერებმაც. გ. ვ. *წერეთელმა* შეისწავლა ურარტული, არამ. და ბერძნ. წარწერები. მან არამ. დამწერლობისგან გამოყო ლოკალური ქვესახეობა და მას *,,არმაზული დამწერლობა‘‘* უწოდა. მანვე გამოსცა საქართვ. სახელმწ. მუზეუმში დაცული ლურსმული დამწერლობის ურარტული ძეგლები (1938). გ. *მელიქიშვილმა* გამოაქვეყნა ურარტული ლურსმული წარწერების კორპუსი (1960), რ-იც დღემდე ამ ტიპის ძეგლების

(გაგრძელება)

საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპარქია;
სამთავისისა და კასპის ეპარქია;
სამხრეთ ამერიკის ეპარქია;
საჩხერისა და ჭიათურის ეპარქია;
სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქია;
სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქია;
სურამისა და ხაშურის ეპარქია;
სხალთის ეპარქია;
ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქია;
ფოთისა და ხობის ეპარქია;
ქუთაისისა და გაენათის ეპარქია;
შემოქმედის ეპარქია;
ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქია;
ცაგერისა და ლენტეხის ეპარქია;
წალკის ეპარქია;
წილკნისა და დუშეთის ეპარქია;
ჭყონდიდის ეპარქია;
ხონისა და სამტრედიის ეპარქია;
ხორნაბუჯის ეპარქია;
ჰერეთის ეპარქია.

ყველაზე სრული კრებულია. ძვ. ბერძნ., ბიზანტ-ბერძნ., სემიტური, არამ. ეპიგრაფიკული ძეგლები შეისწავლეს: ს. *ყაუხჩიშვილმა*, თ. *ყაუხჩიშვილმა*, კ. *წერეთელმა*, გ. *გიორგაძემ*.

საქართველოში, გარდა ძვ. ქართ. წარწერებისა, არის ძვ. ბერძნ., არამ., ებრ., სირიული, ბიზანტ., ბერძნ., სომხ., არაბ., თურქ., ძვ. ირან., უიღურული, სლავური წარწერები როგორც მონოლინგვები, ისე ბილინგვები (მ. შ. ყველაზე ცნობილია არმაზის ბილინგვა), ტრილინგვა (გრემის სამენოვანი წარწერა) და ტეტრალინგვა (გარეჯის 1352 წ. ქართ.-სომხ.-სპარს.-უიღურული), რაც ძალზე იშვიათია. მათი ნაწილი აღმოჩენილია არქეოლ. გათხრების დროს, ხოლო უდიდესი ნაწილი – მიწის ზედაპირზე, ნაგებობების კედლებზე და ა. შ. მათი შესწავლა დაიწყო XIX ს-ში და დღემდე გრძელდება.

ქართ. ეპიგრაფიკული ძეგლებით დაინტერესება საქართველოში ადრევე დაიწყო. ე. *თაყაიშვილი* თვლიდა, რომ XI ს. ქართვ. ისტორიკოს *სუმბატ დავითის ძეს* თავის თხზულებაში ,,ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა'' გამოყენებული უნდა ჰქონდეს ტაო-კლარჯეთის ქართ. მონასტრების X–XI სს. მრავალრიცხოვანი წარწერების ქრონოლ. და გენეალოგიური ცნობები. ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემები არაერთგზის აქვს გამოყენებული და დამოწმებული *ვახუშტი ბატონიშვილს* (XVIII ს.).

ქართ. ეპიგრაფიკული ძეგლების სისტემ. შესწავლა XIX ს-ში დაიწყო. პირველი ასეთი სამუშაო ჩაატარა მ. *ბროსემ*. თავდაპირველად მან შეიცარიელ მოგზაურსა და მკვლევარს, ფ. *დიუბუა დე მონპერეს* გაუშიფრა და გამოსაცემად მოამზადებინა 1833–34 საქართველოში მისი მოგზაურობისას შეკრებილი ძვ. ქართ. წარწერები. მოგვიანებით მ. ბროსემ სიძველეთა შესწავლის მიზნით იმოგზაურა საქართველოში, გადმოწერა რამდენიმე ასეული ძვ. ქართ. წარწერის ტექსტი, რ-ებიც გაშიფრა, თარგმნა ფრანგულად, დაურთო კომენტარები (ნაწილს დღესაც არ დაუკარგავს მეცნ. მნიშვნელობა) და გამოაქვეყნა თავის ცნობილ წიგნში – ,,ანგარიშები'' (Rapports, სულ 12 ანგარიში, გამოქვეყნდა სამ წიგნად სანქტ-პეტერბურგში). მ. ბროსეს ეს პუბლიკაციები მკვლევართათვის დიდხანს იყო მთავარი დასაყრდენი ქართ. Ე-ის მონაცემების გამოყენებისას და ამჟამადაც მნიშვნელოვანია განადგურებული ან დაზიანებული წარწერების შესასწავლად.

ქართ. ეპიგრაფიკული ძეგლების გამოვლენის, შესწავლისა და გამოცემის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ისტორიკოს დ. ზ. *ბაქრაძეს* (გამოაქვეყნა გურიისა და აჭარის რამდენიმე ასეული ძვ. ქართ. წარწერა; 1871) და მწერალ გ. ე. *წერეთელს* (გამოაქვეყნა გელათისა და მდ. ყვირილას ხეობის ხუროთმოძღვრული ძეგლების წარწერები; 1891). ქართ. წარწერები გამოსცეს აგრეთვე ი. როსტომაშვილმა (ჯავახეთი, 1898), ი. *გვარამაძემ* (სამცხე, ჯავახეთი), თ. ხუსკივაძემ, ა. ქუთათელაძემ, თ. *ყორდანიამ* (ძირითადად სხვათა პუბლიკაციების მიხედვით), ა. *ბანძაშვილმა* და სხვებმა.

ქართ. Ე-ში მეცნ. კვლევის შედარებით მაღალი დონის ეტაპი დაიწყო ე. თაყაიშვილმა. მან სპეც. სერიებში (,,Археологические экскурсии, разыскания и заметки''), წიგნებსა (,,არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისსა და ჩანგლში 1907 წელს'', ,,არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს'', ,,1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში'', გამოიცა ქართ. და რუს. ენებზე) და წერილებში გამოაქვეყნა ასობით მანამდე უცნობი ძვ. ქართ. წარწერა და ამით კიდევ ერთი დასაყრდენი შეუქმნა ქართ. საისტ. წყაროთმცოდნეობას.

XX ს-ში არაერთი მნიშვნელოვანი ძვ. ქართ. წარწერა გამოაქვეყნეს ნ. *მარმა*, ივ. *ჯავახიშვილმა*, ა. *შანიძემ*, კ. *კეკელიძემ*, გ. *ჩუბინაშვილმა* და სხვ. თავიანთი წვლილი შეიტანეს ამ საქმეში ქართ. ხელოვნ. ისტ. ინ-ტის თანამშრომლებმა (რ. მეფისაშვილი, ვ. ცინცაძე და სხვ.), რ-ებიც ხელოვნ. ძეგლების შესწავლა-პუბლიკაციისას მათზე არსებულ წარწერებსაც იკვლევდნენ და აქვეყნებდნენ; ამავე ინ-ტის თანამშრომელმა თ. ბარნაველმა ქართ. წარწერების რამდენიმე სპეც. კრებული (კახეთის, ატენის სიონის, მანგლისის სიონის წარწერებისა) და არაერთი სტატია გამოაქვეყნა. გ. *ბოჭორიძემ* თავი მოუყარა უნიკალურ ხელნაწერთა კოლექციას. განსაკუთრებით საყურადღებოა მის მიერ მიკვლეული ჯვარისას (რაჭა) ეპიგრაფიკული ძეგლი და თაბორის ოთხთავი (XI ს.).

საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმი იმთავითვე გადაიქცა ეპიგრაფიკული ძეგლების თავმოყრის ერთერთ ცენტრად. ამჟამად მუზეუმის ქვის ძეგლების ფონდში (ლაპიდარიუმში) დაცულია ურარტული, ბერძნ., არამ., ებრ., არაბ., სომხ. და, ცხადია, ყველაზე მეტი ძვ. ქართ. წარწერების მნიშვნელოვანი კოლექციები. აქვეა ჯერ კიდევ ადგილებზე დაცული უმნიშვნელოვანესი ეპიგრაფიკული ძეგლების (მ. შ., ურარტული და ძვ. ქართ. წარწერების) ესტამპები და მულაჟები. წლების განმავლობაში ფონდს განაგებდა ვ. ცისკარიშვილი, რ-იც სწავლობდა და აქვეყნებდა ქართ. ეპიგრაფიკულ ძეგლებს. 1953 გამოიცა ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ქართ. ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი (ავტორები – ა. ბაქრაძე, ს. ბოლქვაძე, რედაქტორი ი. აბულაძე). უფრო ადრე (1938) გ. ვ. წერეთელმა ცალკე წიგნად გამოაქვეყნა მუზეუმში დაცული ურარტული წარწერები; ცალკე წიგნადაა გამოცემული აგრეთვე არაბ. წარწერები (ც. კახიანი) და სხვ.

ქართ. ეპიგრაფიკული ძეგლების მნიშვნელოვანი კოლექციებია დაცული ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწ. ისტ. მუზეუმში, საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტ.მუზეუმსა (ახალციხე) და საქართვ. სხვა რ-ნების მხარეთმცოდნეობით მუზეუმებში. დიდი რაოდენობითაა, განსაკუთრებით ჭედური, წარწერები მესტიის ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმსა და სვანეთის ეკლესიებში.

დღეისათვის ცნობილია V–XVIII საუკუნეების 10 000-მდე ძვ. ქართ. წარწერა, რ-ებიც საწერი მასალისა და შესრულების ტექ. მიხედვით დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: 1. ლაპიდარული – ქვაზე რელიეფურად ან ამოკვეთით შესრულებული; 2. მოზაიკური; 3. კერამიკული; 4. ნაკაწრი (ანუ გრაფიტები); 5. ფრესკული – საღებავით შესრულებული; 6. ჭედური – ლითონზე ჩაჭედვით ან რელიეფურად შესრულებული; 7. მინანქრული და ნაქარგი. პირობითად მათთან შეიძლება გავაერთიანოთ მონეტებზე შესრულებული ძვ. ქართ. წარწერებიც, თუმცა ისინი უპირატესად ნუმიზმატიკის შესწავლის საგანია.

ქართ. ეპიგრაფიკული ძეგლები შესრულებულია ქართ. დამწერ-

ლობის ყველა სახეობით: ასომთავრულით, ნუსხურით, გარდამავალი მხედრულითა და მხედრულით.

შინაარსისა და დანიშნულების მიხედვით ძვ. ქართ. წარწერები ასე ჯგუფდება: სამშენებლო, მემორიალური, პილიგრიმული (მლოცველთა) წარწერები, ეპიგრაფიკული საბუთები, მაგიური დანიშნულებისა და შინაარსის ტექსტები (მათვე უნდა მიეკუთვნოს ანბანები ან მათი ნაწყვეტები), ციტატები საღმრთო წერილიდან, ეპიტაფიები, ლექსები, გამოსახულებათა განმარტებითი წარწერები და სხვ.

უძველესი ქართ. ეპიგრაფიკული ძეგლია ბოლნისის სიონის სამი წარწერა (იხ. *ბოლნისის წარწერები*), რ-ებიც ქრისტ. ხანის უძველესი თარიღიანი წერილობითი ძეგლებია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. როგორც ბოლნისის სიონსა და მის მიდამოებში, ისე მთლიანად ქვემო ქართლში რამდენიმე ათეული მათი თანადროული ქართ. წარწერა (უმეტესად ფრაგმენტები) მოიპოვება. საერთოდ, V–VI სს. უძველესი ქართ. ეპიგრაფიკული ძეგლები ცნობილია ქვემო ქართლიდან. აქედან გამომდინარე, ვარაუდობენ, რომ ქართ. ასომთავრული დამწერლობაც ქვეყნის ამ კუთხეშია ჩასახული.


გ. ვ. წერეთელი ბოლნისის წარწერებზე ადრინდელად მიიჩნევდა და V ს. 30-იანი წლების დასაწყისით ათარიღებდა პალესტინაში აღმოჩენილ (1950) ქართ. მოზაიკური წარწერების ნაწილს (იხ. *პალესტინის ქართული წარწერები*).

მეტად მნიშვნელოვანია მცხეთის *ჯვრის წარწერები*, რ-ებიც ცნობებს გვაწვდიან VI–VII სს. ქართლის ერისმთავართა ოჯახის წევრებსა და საკუთრივ მცხეთის ჯვრის მშენებლობაზე. მათში დასტურდება ერთი და იმავე ზმნის როგორც ხანმეტი, ისე არახანმეტი (,,ედავ'', ,,ხედავ'') ფორმები. ეს მკვლევრებს საშუალებას აძლევდა დაესკვნათ, რომ ისინი შესრულებულია ხანმეტობიდან არახანმეტობისაკენ გარდამავალ პერიოდში.

დღეისათვის ცნობილი უძველესი ქართ. ეპიგრაფიკული საბუთია წყისის წარწერა (616–619, ა. შანიძე), რ-იც ქვაჯვრის კვარცხლბეკზეა ამოკვეთილი. მასში ფიქსირებულია მიწის სყიდვისა და მისი ეკლესიისათვის (მცხეთის ჯვარი) შეწირვის ფაქტი VII ს. დამდეგს. წყისის წარწერა ერთადერთი ეპიგრაფიკული ძეგლია, რ-შიც ჰაემეტობა დასტურდება (,,აღჰუმართე''). ჯვრის კვარცხლბეკზეა ამოკვეთილი მეორე ასეთივე წარწერა (881–891 ძეგლი ჯვავახეთის სოფ. არეშიდან). მასში მოცემულია ცნობა ადგილ. ხელისუფლის – გურგენ კურაპალატის ძის მიერ სოფ. არეშის (არეშტის) კუმურდოს საყდრისათვის შეწირვის თაობაზე.

ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ეპიგრაფიკული ძეგლია ატენის სიონის 853 წლის წარწერა, რ-იც ეხება საქართველოში ბუღა თურქის შემოსევას. იგი დათარიღებულია ქართ. ქრონიკონითა და ჰიჯრით. შინაარსით ქრონიკალური ჩანაწერია და შეიცავს დაწვრილებით ქრონოლ. ცნობებს ლაშქრობის მიმდინარეობასა და მის შედეგებზე, ასევე ისტ. პირებზე. ტექსტში დასახელებული არიან არაბი სარდლები ბუღა და ზირაქი, თბილ. ამირა საჰაკი, ქართვ. დიდებულები კახა და მისი ძე თარხუჯი. აღნიშნულია ბუღას მიერ თბილ. დაწვის ზუსტი თარიღი (853 წ. 5 აგვისტო, შაბათი).

964 წლის კუმურდოს ტაძრის წარწერები (ჯავახეთი) მნიშვნელოვანია ცნობებით, რ-ებიც მიუთითებს ეგრის-აფხაზთა მეფეების იურისდიქციის ტერიტორიის და ამ კათედრალური ტაძრის მშენებლობაში ადგილ. სას. და საერო ხელისუფალთა მონაწილეობის შესახებ. 979 ახლო დროით თარიღდება *ზარზმის წარწერა* ივანე სულაისძისა, ჩორჩანელთა ფეოდ. სახლის წევრისა, რ-იც დავით III კურაპალატის მიერ ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩასახშობად ბიზანტიაში გაგზავნილი ლაშქრის მეომარი იყო და მოპოვებული ნადავლით ქალაქ ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების აშენებასა და შემკობაში მონაწილეობა მიიღო. ამ ეპიგრაფიკული ძეგლის ტექსტი ქართ. ისტ. ლიტ-რის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნიმუშია.



ეპიგრაფიკა. გურგანელის წარწერა ქალაქის აშენების შესახებ. XI ს. 60-იანი წლები. ატენის სიონი.

ქართ. ე. მდიდარია სხვა პირველხარისხოვანი სამეცნ. მნიშვნელობის ძეგლებითაც. მრავალი ქართ. წარწერა მოიპოვება უცხოეთშიც: პალესტინაში, სინას მთაზე, კვიპროსზე, საქართვ. ისტ. პროვინციებში (ამჟამად თურქ. ტერიტ.), რუსეთში, ჩრდ. კავკასიაში (მაგ., ძველი, IX–X სს. ქართ. ეპიგრაფიკული ძეგლები და ისეთი წარწერებიც, რ-თა ენა ადგილობრივია, დამწერლობა კი – ქართული. XV ს-იდან აქ ქართ. წარწერები აღარ ჩანს), სომხეთში. ნიშანდობლივია, რომ სომხ. ქართ. წარწერების მნიშვნელოვანი ნაწილი ეპიგრაფიკული საბუთებია (*ანისის ქართული წარწერა 1218;* კოშის წარწერა – 1270–85), რაც ქართ. ენის პოლიტ. და იურიდ. სტატუსის მაჩვენებელია იმ პერიოდში, როდესაც სომხ. მიწები ქართ. ფეოდ. სახელმწ. შემადგენლობაში იყო.

ქართ. ეპიგრაფიკული დიპლომატიკის კლასიკური ძეგლებია სამეფო მიწათმფლობელობის დამადასტურებელი წარწერები. სამეფო დომენის სხვადასხვა ადგილებში აღმართული იყო სტელები ბაგრატიონთა საგვარეულო ემბლემებით, ხელისა და ჯვრის გამოსახულებით და შესაბამისი ტექსტებით. ჩვენამდე მოაღწია თამარ მეფის, ლაშა-გიორგისა და დავით ნარინის სახელით აღმართულმა ასეთმა ძეგლებმა ქვემო ქართლიდან, თრიალეთიდან და

ჯავახეთიდან.

XIX ს-ში დაწყებული ქართ. ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლა ამჟამადაც გრძელდება. 1975 საქართვ. მეცნ. აკად. საქართველოს ისტ. წყაროების კომისიასთან ჩამოყალიბდა ეპიგრაფიკული ძეგლებისა და ხელნაწერთა მინაწერების სექცია. იმავე წელს გამოქვეყნდა სერიის – ,,ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების'' (შემდეგ მას ,,ქართული წარწერების კორპუსი'' ეწოდა) გამოცემის პროექტი – წესები და პრინციპები (ვ. სილოგავა, ,,მაცნე'', ისტორიის სერია, I, 1975). გამოქვეყნებულია ,,ქართული წარწერების კორპუსის'' სამი ტომი; I ტომი – V–X სს. ლაპიდარული წარწერები (ნ. შოშიაშვილი); II ტომი – IX–XIII სს. დას. საქართვ. ლაპიდარული წარწერები (ვ. სილოგავა); III ტომი (რიც ერთდროულად ფრესკული წარწერების I-ლი ტომიცაა) – ატენის სიონის ფრესკული წარწერები



ეპიგრაფიკა. ეჯიბ წურილაის ძის წარწერა. 1196. ბეთანია.

(გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე). ქართ. ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლა და გამოქვეყნება თემატური, გეოგრ. ქრონოლ. კრებულებისა და ცალკე სტატიების სახით დღესაც მიმდინარეობს.

ლიტ.: სილოგავა ვ., ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები (შესწავლის შედეგები და ამოცანები), «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1975, №1; Грюндель Р., Два замечательных юбилея эпиграфики, «Вестник древней истории», 1965, № 4; Федорова Е. В., Введение в латинскую эпиграфику, М., 1982; Шошиашвили Н. Ф., Развитие грузинской эпиграфики и палеографии, კრ.: Проблемы палеографии и кодикологии в СССР, М., 1974. *ვ. სილოგავა.*

ეპიდემია (ბერძნ. epidēmia – ხალხში გავრცელებული), გადამდები ან არაგადამდები დაავადების სწრაფი განვითარება და გავრცელება, რასაც თან სდევს დაავადების შემთხვევების მკვეთრი მატება დროის გარკვეულ მონაკვეთში, განსაზღვრულ არეალსა ან პოპულაციაში. ე. წესისამებრ, ვლინდება აფეთქებების სახით, მოიცავს დაავადების შემთხვევათა მნიშვნელოვან რაოდენობას, ვითარდება იმ ადგილას, სადაც დაავადება არ არსებობდა, ან გამოვლინდება შემთხვევათა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდით იქ, სადაც დაავადება ენდემური იყო. ე. შეზღუდულია დროსა და სივრცეში.

დაავადების მუდმივ ან პერიოდულ არსებობას გარკვეულ ტერიტორიაზე ან პოპულაციაში ენდემიას უწოდებენ. ენდემია არ არის შეზღუდული დროში, თუმცა შეზღუდულია სივრცეში.

დაავადების გავრცელებას რამდენიმე ქვეყნის ან კონტინენტის მოსახლეობაში (ზოგჯერ – მთელ მსოფლიოში) პანდემია ჰქვია.

ე. ვრცელდება ყოფით-კონტაქტური ან ჰაერ-წვეთოვანი გზით, წყლით, საკვები პროდუქტებით და სხვ. მის გავრცელებას ხელს უწყობს ცუდი სანიტ. პირობები, ომი, შიმშილი და სხვ. ე-თან ბრძოლის მეთოდებია: ავადმყოფის იზოლაცია, დეზინფექცია, დეზინსექცია, დევასტაცია, დერატიზაცია, დაცვითი აცრა და სხვ.

ეპიდემიოლოგია (ბერძნ. epidēmia – ხალხში გავრცელებული, logos – მოძღვრება), მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანთა პოპულაციაში დაავადებათა აღმოცენების და გავრცელების კანონზომიერებებს და შეიმუშავებს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს მათ მიმართ.

ე., როგორც მეცნიერება, ჩაისახა ძვ. წ. IV ს-ში საბერძნეთში. მის ფუძემდებლად ითვლება ჰიპოკრატე. თავდაპირველად ე-ის შესწავლის საგანი იყო ეპიდემიები. ტერმინი ,,ეპიდემია'' გულისხმობს ინფექციური (გადამდები) დაავადების შემთხვევების სწრაფ მატებას ან იმ ახ. დაავადების გავრცელებას, რ-იც მანამდე არ გვხვდებოდა მოცემულ ტერიტორიაზე.

ე-ის კვლევის მეთოდებია: აღწერითი, ანალიზური და ექსპერიმენტული.

აღწერითი მეთოდის საშუალებით ხდება ცალკეული ნოზოლოგიების ეპიდემიოლოგიური თავისებურებების დადგენა (რისკის ჯგუფები, პერიოდები და ტერიტორიები), რის საფუძველზეც შემუშავდება ჰიპოთეზა დაავადების რისკის ფაქტორების თაობაზე.

ანალიზური მეთოდის საშუალებით ხდება რისკ-ფაქტორების შესახებ შემუშავებული ჰიპოთეზის შეფასება.

ექსპერიმენტული მეთოდის საშუალებით ასევე ხდება ჰიპოთეზის დადასტურება. აგრეთვე, სამკურნალო და პროფილაქტიკური პრეპარატების, სამკურნალო-პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური ღონისძიებების ეფექ-

ტურობის შეფასება.

თავდაპირველად, ე-ის უპირველესი მიზანი იყო ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა. ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში კაცობრიობას გააჩნდა მთელი რიგი ღონისძიებები, რ-თა საშუალებითაც ხდებოდა გარკვეული პროფილაქტიკური და ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება. ასეთ ღონისძიებებს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნებოდა კარანტინი, ავადმყოფის იზოლაცია, ხელოვნური ვარიოლაცია და სხვ. თუმცა მეცნ. დონეზე ე. განვითარდა მხოლოდ XIX ს-ში. მის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ინგლ. ექიმის ჯ. სნოუს მიერ ლონდონში ქოლერის ეპიდემიის მიზეზების დადგენამ. იგი სამართლიანად ითვლება პრაქტიკული ე-ის ფუძემდებლად, განსაკუთრებით ძლიერი ბიძგი მისცა ფრანგი მეცნიერის ლ. პასტერის, გერმ. ბაქტერიოლოგთა რ. კოხის, პ. ერლიხის, რუს მეცნიერთა ო. მეჩნიკოვის, დ. ივანოვსკის და სხვათა მიერ მიკრობიოლოგიაში მიღწეულმა რევოლუციურმა აღმოჩენებმა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ე-ის კვლევის მეთოდს ფართოდ იყენებენ არაგადამდებ დაავადებათა შესასწავლად. XX ს. 50-იანი წლებიდან მოყოლებული ე. შეისწავლის არა მარტო ინფექციურ, არამედ სხვა დაავადებათა პროფილაქტიკასაც. უფრო მეტიც, დღეისათვის მსოფლიოში უპირველეს პრობლემას წარმოადგენს ქრონ. დაავადებათა (გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ონკოლოგიური, გენეტ., ენდოკრინული სისტემის) ეპიდემიოლოგიური შესწავლა და პრევენცია.

საქართველოში ე-ის განვითარების საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვით: ს. *ამირეჯიბს*, ვ. *ანთაძეს*, გ. ელიავას, ს. *ვირსალაძეს*, ნ. *კამალოვს*, ს. *კანდელაკს*, კ. *კაციტაძეს*, გ. კიკნაძეს, გ. *მარუაშვილს*, გ. მატაბელს, ნ. *მახვილაძეს*, ლ. *საყვარელიძეს*, დ. სვანიძეს და სხვ. საქართველოში შესწავლილია დიფთერიის, პარაზიტული ტიფების (კ. კაციტაძე), დიზენტერიის, მუცლის ტიფის, ყივანახველას (ლ. საყვარელიძე), სალმონელოზის (გ. კიკნაძე), ლეპტოსპიროზის (ი. დემეტრაძე), მალარიის და სხვა ინფექციურ დაავადებათა ე-ისა და პროფილაქტიკის საკითხები, ამ მეცნიერთა დამსახურებაა ქვეყანაში ისეთი მძიმე დაავადებების ლიკვიდაცია ან მნიშვნელოვანი შემცირება, როგორიცაა ნატურალური ყვავილი, პარტახტიანი ტიფი, დიფთერია, მალარია და სხვ. საქართველოში ე-ის განვითარებაში და ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით აგრეთვე ნ. იოვაშვილს, კ. მასხარაშვილს, ა. მთვარელიძეს, ნ. ნადარაიას.

ქვეყანაში ე-ის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საქართვ. შავი ჭირის საწინააღმდეგო სადგურის ბაზაზე ლ. საყვარელიძის სახელობის *დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის* შექმნა.

ამჟამად საქართველოში ე-ის დარგში კვლევითი მუშაობა ძირითადად ტარდება თბილ. სახელმწ. სამედიცინო უნ-ტში, დაავადებათა კონტროლისა და საზ. ჯანმრთელობის ეროვნ. ცენტრში, სამედ. პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში.

ეპითემია (Epithemia), კაჟოვანი წყალმცენარეების გვარი რთულნაჭდევიანთა ქვერიგისა. აქვთ ერთეული, დორზოვენტრალური, ნახევარმთვარისებრი უჯრედები, შეზნექილი მუცლისა და გამოზნექილი ზურგის მხარეს. უჯრედის ბოლოებში ნაჭდევი მუცლის მხარესაა, შუა ნაწილში შეჭრილია ზურგისკენ. უჯრედის კედლებზე განივი წიბოებია. ე. არის მტკნარი ან მომლაშო წყლის ეპიფიტური სახეობები. საქართველოში ცნობილია 10 სახეობა და სახესხვაობა. ზოგიერთი მათგანი ფართოდ არის გავრცელებული მტკნარ წყლებში. *ქ. ყანჩაველი.*

ეპიპალეოლითი, ძველი ქვის ხანის დასასრული – გარდამავალი ეპოქა პალეოლითსა და ნეოლითს შორის (ძვ. წ. X–VIII ათასწლ.) იგივეა, რაც *მეზოლითი.*

ეპისკოპოსი (ბერძნ. episkopos, სიტყვასიტყვით – მეთვალყურე, ზედამხედველი), რომის კათოლიკურ, მართლმადიდებელ და ანგლიკანურ ეკლესიებში ღვთისმსახურთა უმაღლესი წოდება, საეკლესიო იერარქიის უმაღლესი წარმომადგენელი; იგივეა, რაც არქიელი (მღვდელმთავარი), მღვდლობის უმაღლესი ხარისხის მქონე, რ-საც უფლება აქვს შეასრულოს ქრისტიანობის შვიდივე საიდუმლო და აკურთხოს მირონი. ე. მართავს საეკლ.-ადმ. ერთეულს – *ეპარქიას* (საეპისკოპოსოს), სადაც მისი პრეროგატივაა საეკლ. იურისდიქცია, ქრისტ. დოგმატების სწავლება-ქადაგება, დაქვემდებარებული საყდრებისა და მონასტრების გამგებლობა, მასზე დამოკიდებული სამღვდელოების ქიროტონია (იხ. *ხელდასხმა*), საეკლ. თანამდებობებზე დანიშვნა და ა. შ.

ადრინდ. ქრისტ. ეკლესიაში ე. იყო ქრისტ. თემის უფროსი, განაგებდა მის ქონებას, დისციპლინარულ სასამართლოს, მასვე ეხებოდა მისდამი დაქვემდებარებული სამღვდელოების ხელდასხმა და სხვ. ქრისტიანობის სახელმწ. რელიგიად ცნობის შემდეგ ბიზანტ. იმპერატორებმა ე-ებს მიანიჭეს პოლიტ. პრივილეგიები და ზოგიერთ სამოქალაქო საქმეთა გამგებლობა. IV ს-იდან დამკვიდრდა ე-თა იერარქია, რ-ის უმაღლეს საფეხურზე დგანან პატრიარქები, შემდეგ – მიტროპოლიტები, რ-თა ნაწილსაც აქვს არქიეპისკოპოსთა (მთავარეპისკოპოსთა) ტიტული; ბოლო საფეხურზე არიან ჩვეულებრივი ე-ები.

საქართველოში ე-ის თანამდებობა IV ს-ში შემოვიდა. ძვ. ქართ. წყაროები ასახელებენ პირველ ე-ს, იოანეს, რ-იც საბერძნეთიდან მოვიდა და მცხეთაში იჯდა. ქართ. მართლმადიდებელი ეკლესიის განმტკიცებასთან ერთად იზრდებოდა ე-თა რიცხვიც. V ს-იდან ისინი ექვემდებარებოდნენ ,,ქართლის კათოლიკოსს'', XI ს. დასაწყისიდან – სრულიად საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქს. VII ს-იდან ე-ს არ ჰქონდა ქორწინების უფლება, ამიტომ მას მონაზვნებიდან ირჩევდნენ. ე-ს ,,მწყემსსაც'', ,,მღვდელმთავარსაც'' უწოდებდნენ. აგრეთვე უმაღლესი საეკლ. თანამდებობის პირის ტიტული იყო კათოლიკოსი და კათოლიკოს-პატრიარქი. შუა საუკ. საქართველოში ე-ებმა დიდ ეკონ. და პოლიტ. სიძლიერეს მიაღწიეს და საერო ფეოდალებს გაუთანასწორდნენ. ამასთან, ისინი რელიგიის მეშვეობით დიდ მორალურ ზემოქმედებას ახდენდნენ მოსახლეობაზე. მოსახლ. მათ უხდიდა საეპისკოპოსო გადასახადს (დრამა, ნიშანი, საკანონო და სხვ.). ე-ები აქტიურად ერეოდნენ შინაფეოდ. პოლიტ. საქმიანობაში, ზოგჯერ ცენტრ. ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ სეპარატისტულ მოძრაობასაც ედგნენ სათავეში. სახელმწიფოსადმი ეკლესიის დაქვემდებარების შემდეგ

(XII ს-ში, დავით აღმაშენებლის დროს) Ე-ების უმრავლესობა მეფის პოლიტ. საყრდენ ძალად იქცა. საქართვ. პოლიტ. დაშლის დროიდან (XV ს.) Ე-ები თავიანთი მეფე-მთავრების მოკავშირეებად გამოდიოდნენ.

დღეს, Ე-ის არჩევა და დადგინება ხდება საქართვ. ეკლესიის წმ. სინოდის მიერ. სრულიად საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქი აძლევს ეპარქიის მღვდელმთავარს ,,დადგინების სიგელს''. Ე. ვალდებულია დაემორჩილოს უმაღლეს საეკლ. ხელისუფლებას (საქართვ. ეკლესიის წმ. სინოდს და კათოლიკოს-პატრიარქს). სრულიად საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქთან შეთანხმებით ასრულებს სას. პირების ხელდასხმას, აკურთხებს ეპარქიაში შემავალ ტაძრებს. პასუხისმგებელია საქართვ. ეკლესიის კრებების დადგენილებებისა და სხვ. საეკლ. წესდების შესრულებაზე თავის ეპარქიაში; არის ეპარქიის უმაღლესი სასამართლო ხელისუფალი. Ე-ის ხელდასხმა სრულდება მცხეთის სვეტიცხოვლის წმ. ათორმეტ მოციქულთა სახელობის საპატრიარქო ტაძარში.

ბ. ლომინაძე.

ეპისტოლე (ბერძნ. epistolē – წერილი), წერილის ფორმით დაწერილი სპეციფიკური ლიტერატურული ჟანრის თხზულება. Ე. ქრისტიანობის ადრეულ ხანაში ასეთი სახით ჩამოყალიბდა: ეპიკური შინაარსი (უპირატესად ავტორის აზრი, იდეა და არა თხრობითი ამბავი) ხშირად ლირ. უშუალობით გადმოიცემა, უშუალო კავშირია დამყარებული ავტორსა და ადრესატს შორის. ყოველი Ე. მიძღვნილია მხოლოდ ერთი გარკვეული ადრესატისადმი (სულ ერთია, იგი ერთი ადამიანია, თუ მთელი ჯგუფი) და განკუთვნილია მხოლოდ განსაზღვრული მომენტისათვის. ესაა ერთგვარი ,,ღია წერილი'', რ-იც გადმოსცემს ავტორის შეხედულებას ქრისტიანობასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ საკითხზე, ამიტომ ის მტკიცებითი და დამრიგებლობითი ხასიათისაც არის. ქართულში ტერმინი შემოსულია V ს-იდან, როცა ბიბლიის სხვა ნაწილებთან ერთად ითარგმნა ამ ხასიათის თხზულებებიც. მოღწეულია უძველესი ქართ. თარგმანები პავლე მოციქულის 14 Ე-ისა და 7 ე. წ. კათოლიკე Ე. (იაკობისა, პეტრესი და იოვანესი). X–XI სს-იდან Ე. ,,მოკითხვათა და საქმეთათჳს მინაწერის'', ანუ საზოგადოდ ,,წერილის'' მნიშვნელობითაც იხმარება. ჩვეულებრივ კი ძვ. და საშ. ქართულშიც ,,წერილის'' შინაარსს გამოხატავდა ,,წიგნი''. სალიტ. ქართულში Ე-ს ორივე მნიშვნელობა (ძვ. და ახ.) შემორჩა.

ლიტ.: დ ა ნ ე ლ ი ა კ., ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983; В р е д е В., Происхождение книг Нового завета, М., 1908. *კ. დანელია.*

ეპისტოლეთა წიგნი, კრებული, რ-შიც დაცულია ქრისტიანული დოგმატიკისა და საეკლესიო პრაქტიკის შესახებ სომხური ეკლესიისა და სახელმწიფო მესვეურთა მიმოწერა სხვა ქვეყნების ეკლესიების იერარქებთან V–XIII სს-ში. კრებულმა ჩვენამდე მოაღწია ერთადერთი, 1298 წლით დათარიღებული, ხელნაწერის სახით, რ-ის ტექსტი 1901 დაიბეჭდა თბილისში.

ქართველოლოგიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია Ე. წ-ის I ნაწილი (V–VII სს.), რ-იც, სპეციალისტების აზრით, შედგენილი უნდა იყოს VII ს. I ნახევარში (ცურტავის ყოფილი ეპისკოპოსის მოსეს ან კომიტას სომეხთა კათოლიკოსის მიერ) ან კიდევ VIII ს. დამდეგს (კათოლიკოს იოანე ოძუნელის მიერ). იგი შედგება ეპისტოლეთა 3 ჯგუფისაგან: 1. მიმოწერა ბერძნებთან; 2. მიმოწერა ირანის ქვეშევრდომ ქრისტიან ხალხებთან; 3. მიმოწერა სამხრ. კავკ. ქვეყნების ეკლესიათა მეთაურებთან. III ჯგუფის მასალა ძირითადად ასახავს VII ს. დამდეგს ქართველთა და სომეხთა შორის მომხდარ საეკლ. განხეთქილებას. მასში შედის 25 ეპისტოლე, რ-ებიც დაიწერა 605–610 წლებში, მისი ავტორები არიან კირონ ქართლის კათოლიკოსი, აბრაჰამ სომეხთა კათოლიკოსი (აბრაჰამ ალბათანეცი), ვრთანეს ქერდოლი, მოსე ცურტაველი, სმბატ ბაგრატუნი და ცურტავის სომხურენოვანი მრევლი. ამ ჯგუფის ზოგი ეპისტოლე შემოგვინახა რამდენიმე გვიანდელმა ხელნაწერმა, რ-ებიც ინახება ვენაში, ერევანსა და თბილისში. გარდა ამისა, აბრაჰამ სომეხთა კათოლიკოსის III ეპისტოლის დიდი ნაწილი შეტანილია ,,სარწმუნოების ბეჭდის'' სახელით ცნობილ კრებულში, რ-იც გამოქვეყნებულია 1914 ეჩმიაძინში ერთადერთი XIV ს. ხელნაწერის მიხედვით.

Ე. წ-ში დაცული მიმოწერა ქართველებსა და სომხებს შორის გარკვეული რედაქციული ცვლილებით შემონახული აქვს აგრეთვე X ს. სომეხ ისტორიკოსს უხტანესს. მანვე Ე. წ. შეავსო 2 ნაკლული წერილით (მოსე სომეხთა კათოლიკოსისა და კირონ ქართლის კათოლიკოსის მიმოწერა), რ-თა ქართ. ვარიანტები თბილისში იპოვა და სომხურად ათარგმნინა.

მიმოწერის ისტორია ასეთია: 605 ბოლოს ქართლიდან სომხეთში გაიქცა ცურტავის სომეხი ეპისკოპოსი მოსე, რ-იც იძულებული გახდა ჰოვანავანქში შეჩერებულიყო. ვინაიდან მოსე სომეხთა კათოლიკოსი გარდაცვლილი იყო და ჯერ ახ. არჩევნები არ შემდგარიყო, მან წერილით მიმართა სომხეთის კათოლიკოსის ადგილის მცველს ვრთანეს ქერდოლს ქართლის ეკლესიაზე საჩივრით და განაცხადა, რომ ქართლის ეკლესიამ კირონ კათოლიკოსის მეთაურობით უღალატა მართლმადიდებლურ (ან მონოფიზიტურ) სარწმუნოებას, ქალკედონის კრების სიმბოლო აღიარა, რის გამოც მან ხმა აიმაღლა. საპასუხოდ ქართლის ეკლესიის მეთაურებმა დევნა დაუწყეს და ისიც იძულებული გახდა თავი სომხეთისათვის შეეფარებინა. მოსე ცურტაველის შეგონებით ვრთანეს ქერდოლს საჩივრის წიგნი გაუგზავნა ცურტავის სომხურენოვანმა მრევლმა. ვრთანესმა ამ წერილზე სანუგეშო პასუხები გაუგზავნა მრევლს. მანვე ერთი ეპისტოლით მიმართა კირონსა და ქართლის მთავრებს (ადარნასეს, ვაჰანსა და ბუზმირს), ხოლო მეორე საკუთრივ გაუგზავნა პეტრე ეპისკოპოსს, რ-იც ქართლში მონოფიზიტობის დამცველად ეგულებოდა. ვრთანესის წერილმა კირონი განარისხა და ქართველებმა იგი უპასუხოდ დატოვეს. ამასობაში სომხეთში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: სპარსეთიდან სამშობლოში დაბრუნდა გურგენის მარზპანი სმბატ ბაგრატუნი; სომხ. კათოლიკოსად აირჩიეს აბრაჰამ ალბათანეცი. ორივე მათგანი მაშინვე ჩაერთო ქართლის ეკლესიასთან პოლემიკაში. გარდა სარწმუნოების შეცვლისა, სომხები ქართველებს ურჩევდნენ ცურტავში სომხ. მღვდელმსახურების მოშლას. როდესაც კირონ ქართლის კათოლიკოსზე არ გაჭრა აბრაჰამის სამმა წერილმა, სომხ. კათოლიკოსმა 608 ენციკლიკური ეპისტოლით მოუწოდა თავის სამწყსოს, ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა ქართულ და მის მომხრე ალბანურ ეკლესიასთან.

VII ს. დამდეგს კავკასიაში მომხდარი საეკლ. განხეთქილების შესახებ არსებულ მრავალრიცხოვან სომხ. წყაროებს შორის Ე. Ღ. ყველაზე სანდო და მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი ოფიც. დოკუმენტების კრებულია. მიუხედავად ამისა, მას მაინც ეტყობა გვიანდ. ხანის რედაქტორებისა და გადამწერთა ,,შემოქმედების'' კვალი სომხეთში საზ. აზრისა და საეკლ. პოლიტ. ცვლილებებთან დაკავშირებით.

პუბლ.: Գիրք Թղթոց, Տփղիս, 1901; ეპისტოლეთა წიგნი. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968.

წყარო და ლიტ.: ა ლ ე ქ ს ი ძ ე ზ., მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ისტორიისათვის, «მაცნე». ისტ. არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1973, №3; მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი ლ., სომხური ,,ეპისტოლეთა წიგნის'' ახალი ვარიანტი და პეტრე იბერიელის მოწაფე იოანე მაიუმელი, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1941, ტ. 11B; უ ხ ტ ა ნ ე ს ი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, ზ. ალექსიძის გამოც., თბ., 1975; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1960 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 1, თბ., 1979); Д ж а в а х о в И. А., История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века, «Известия Академии наук», VI серия, 1908, №5. *ზ. ალექსიძე.*

ᲔᲞᲘᲡᲢᲝᲚᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ, მხატვრული ლიტერატურის ჟანრი, აღმოცენებული ანტიკურ სამყაროში (საბერძნეთი, რომი, ბიზანტია). განასხვავებენ პირად წერილებსა და ეპისტოლის ფორმით შექმნილ მხატვრულ თხზულებებს. Ე. Ლ. პოპულარული იყო საქართველოში. ეპისტოლური ჟანრის ჩანართები გვხვდება ,,აბო თბილელის წამებაში'', ,,ქართლის ცხოვრებაში'', ,,გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში'', ,,ვეფხისტყაოსანში'', ,,ვისრამიანში'' და სხვ. უმდიდრესი ეპისტოლური მასალაა დაცული ე. წ. ,,სამღვდ ნო წიგნებში'' (XVII–XVIII სს. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი, H–1334, H–18 და სხვ.). ჩვენამდე მოღწეულია *კირონ* (კ ი რ ი ო ნ) *I-ის, რუსუდან* დედოფლის, *თეიმურაზ II-ის, ბაქარის, ერეკლე II-ის, ბესიკის* და სხვა ისტ. პირთა თუ მწერალთა პირადი წერილები, რებშიც დაცულია არა მარტო ისტ. ფაქტები, არამედ ნათლად იკვეთება გარდასულ ეპოქათა ისტ. პირების პორტრეტები. ჩვენი კულტურისათვის განუზომელი მნიშვნელობა აქვს XIX ს. მოღვაწეების – ნ. ბარათაშვილის, გ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ა. ყაზბეგისა და სხვა ქართვ. მწერლების წერილებს. Ე. Ლ-ის მრავალი ნიმუში გამოქვეყნებულია, დიდძალი მასალა დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, წიგნსაცავებსა და მუზეუმებში. *ლ. ძოწენიძე.*

ᲔᲞᲘᲢᲐᲤᲘᲐ (ბერძნ. epitaphios<... epi–ზე და taphos – საფლავი), ძვ. საბერძნეთში – საფლავზე წარმოთქმული სიტყვა, მოგვიანებით კი – წარწერა საფლავის ქვაზე.

ძვ. ქართ. პოეზიის ჟანრი; საფლავის ქვაზე წარწერილი მიცვალებულის მოსაგონარი ლირ. ლექსი, აგრეთვე Ე-ის სახით შეთხზული ლექსი, რ-იც ისტ. პირის ან თვით ავტორის ცხოვრებას, ხვედრს, ღვაწლს ახასიათებს. მაგ., ხალხური ,,თამარ მეფის ეპიტაფია'', არსენ იყალთოელის ,,დავით აღმაშენებლის ეპიტაფია'', დ. გურამიშვილის ,,საფლავის ქვაზე დასაწერი'' და სხვ. სოც. შინაარსისაა ა. წერეთლის ,,ეპიტაფია'', ი. ჭავჭავაძის ,,ხმა სამარიდამ''.

გ. მიქაძე.

ᲔᲞᲘᲢᲐᲤᲕᲘᲚᲘ თენგიზ ვასილის ძე (30. VIII. 1935, თბილისი, – 28. III. 2003, იქვე), გენერალ-მაიორი (1995), სამხ. მეცნ. კანდიდატი (1977). 1957 დაამთავრა თბილ. სამხ. სასწავლებელი, 1974 – მოსკოვის მ. ფრუნზეს სახ. სამხ. აკადემია. 1957–72 მსახურობდა ამიერკავკ. სასაზღვრო ოლქის ჯარებში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1978–83 იმყოფებოდა ავღანეთში საბჭ. მთავრობის სპეცდავალების შესასრულებლად (პოლკოვნიკი). 1988–93 იყო საქართვ. რესპ. მს მინისტრის მოადგილე, იმავდროულად – სახელმწ. საბჭოს რწმუნებული შიდა ქართლში, ქ. ცხინვალის კომენდანტი, 1993–97 – საქართვ. სასაზღვრო ჯარების მთავარი შტაბის უფროსი, სახელმწ. საზღვრის დაცვის დეპარტ. თავრის პირველი მოადგილე.

გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. შრომები. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით (1996), სხვა ორდენებითა და მედლებით. *ლ. დოლიძე.*

ᲔᲞᲘᲢᲘᲛᲘᲐ (ბერძნ. epitimion – სასჯელი), საეკლესიო სასჯელის ზოგადი სახელწოდება, საეკლესიო წესების დამრღვევი სასულიერო თუ საერო პირის დასჯა სასულიერო ხელისუფლების მიერ. კონკრეტულად გულისხმობს ისეთ სასჯელს, როგორიცაა: შეგონება, მონანიება, უზიარებლობა, ხარისხის აყრა, ეკლესიიდან განკვეთა და სხვ.

ლიტ.: Полный Православный Богословский энциклопедический словарь, репр. изд., М., 1992. *ზ. ეკალაძე.*

ᲔᲞᲘᲢᲠᲝᲞᲝᲡᲘ (ბერძნ. epitropos – მზრუნველი), მონასტრის ქონების გამგე, მნე. ტერმინი გვხვდება პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში. *ზ. ეკალაძე.*

ᲔᲞᲘᲤᲐᲜᲔ (Epiphanios) კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო პ ო ლ ე ლ ი (VIII ს. II ნახ. – IX ს. I ნახ.), ბიზანტიის საეკლესიო მოღვაწე, მწერალი. მოღვაწეობდა კონსტანტინოპოლში ,,კალისტრატთა'' მონასტერში. ცნობილია მისი თხზულებანი: ,,ღვთისმშობელ მარიამის ცხოვრება'' და ,,ანდრიას ცხოვრება''. მეორე თხზულება თითქმის სრულადაა მოღწეული. მასში საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი ანდრია პირველწოდებულის მისიონერული მოღვაწეობა, სხვადასხვა ხალხებსა და ქვეყნებში მის მიერ ქრისტიანობის ქადაგება. იმ ხალხებს შორის, რ-ებიც ანდრია პირველწოდებულმა დამოძღვრა, Ე-ს დასახელებული ჰყავს ქართველი ტომებიც, ხოლო მისი მისიონერული მოღვაწეობის ასპარეზად მითითებულია ქართ. ქალაქები, სიმაგრეები, ქართველთა მეზობელი ტომები და ქვეყნები, რ-თა დასახელება ყოველთვის არ არის ზუსტი, ამიტომ Ე-ს ცნობები კრიტიკულად უნდა იქნეს გამოყენებული.

გამოც.: Patrologia Graeca, ed.J.-P.Migne, t.120, fr. 221, 228, 233, 241.

ლიტ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, ნაკვ. 2, თბ., 1941; K r u m b a c h e r K., Geschichte der byzantinischen Literatur, Münch., 1897. *ნ. ლომოური.*

ᲔᲞᲘᲤᲐᲜᲔ (IX ს.), სასულიერო პირი, წმინდანი. *გრიგოლ ხანძთელის* სულიერი შვილი. სიმტკიცით შემკობილი, უდიდესი მორჩილებითა და თავმდაბლობით გამოირჩეოდა. მოიხსენიება კლარჯეთის უდაბნოს ღირს მამათა და დედათა (VIII–IX სს.) შორის 5 (18) ოქტომბერს.

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, ათენი, 2003.

ᲔᲞᲘᲤᲐᲜᲔ, ე ტ ი ფ ა ნ ე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაახლოებით 1210–20 წლებში. 1218 მისივე შედგენილი ანისის ხუცესთა სარგოს განწესების წიგნი და თვით ანისის ქართ. მართლმადიდებელი ეკლესიის წარწერა გვამცნობს, რომ Ე-მ პირადად მოიარა და აკურთხა ანისის ეკლესიები; მოაწესრიგა ანელ სას. პირებსა და ანისის მართლ-

მადიდებელ მრევლს შორის დაწყებული დავა, რ-იც წარმოიშვა საეკლ. საიდუმლოებათა (ნათლისღება, ჯვრისწერა) აღსრულებისათვის დაწესებული გადიდებული გადასახადის გამო. პატრიარქმა დაგმო ანელ ხუცესთა საქციელი და შეამცირა გადასახდელის ოდენობა. ახ. ნიხრი რომ მტკიცედ დაეცვათ, მან ანისის მართლმადიდებელი ეკლესიის კედელზე სათანადო ბრძანება ამოაკვეთინა (იხ. *ანისის ქართული წარწერა 1218*). მასვე დაუკვეთია და სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს ძვირფასი ქვებით შემკული სახარება, რ-ის ყდაზე გამოხატულია თვით პატრიარქი Ე., თანმხლებ წარწერაზე კი მოხსენიებულია მისი ღვაწლი.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3, თბ., 1982; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000; M a r r Н. Я., Надпись Епифания, католикоса Грузии, «Известия Императорской Академии наук», 1910, №17.

ეპიფანე კვიპრელი, კ ვ ი პ რ ო ს ე ლ ი (Epiphanios ho Kyprios) (315–403), კუნძულ კვიპროსის ქ. კონსტანციის (ძველად – სალამინი) ეპისკოპოსი (376-იდან). ორთოდოქსული ქრისტიანობის თავგამოდებული, მაგრამ საკმაოდ პრიმიტიული მიმდევარი. მისი მოღვაწეობა მიზნად ისახავდა ,,ყოველგვარ მწვალებლურ'' მიმდინარეობასა და იუდეურ სექტებთან ბრძოლას. Ე. კ-ის ნაწარმოები ,,პანარიონი'' – ,,კალათი'' (იგულისხმება ,,კალათი წამლებით ყოველგვარი მწვალებლობის წინააღმდეგ'') შეიცავს მრავალ, მაგრამ კრიტიკულად განსახილველ ცნობას ადრექრისტიანული სექტების შესახებ. მისი დამოკიდებულება ანტ. კულტურისადმი მკვეთრად ნეგატიურია, განსწავლულობა ფილოსოფიასა და თეოლოგიაში – საკმაოდ ზედაპირული. მასვე ეკუთვნის თხზულებები სამების, ბიბლიაში მოხსენიებული საზომებისა და წონითი ერთეულების, ძვირფასი ქვების თავისებურებების შესახებ. ჩვენამდე მოღწეულია მისი რამდენიმე ქადაგება და საღვთისმეტყველო ტრაქტატი. არსებობს Ე. კ-ის 10 თხზულების ძველქართ. თარგმანი. ,,პანარიონში'' ქართ. ტომები: ლაზები, ტიბარენები, ხალიბები, მოსინიკები, კოლხები მოხსენიებული არიან ნოეს შვილების შთამომავალთა შორის. იქვე დაცულია ცნობა ლაზებსა და იბერებში მწვალებლობის არსებობის შესახებ.

Ე. კ. ქრისტ. სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი წმინდანია. ხსენების დღეა 12 (25) მაისი.

გამოც.: Patrologia Graeca, ed. J.-P.Migne, t. 41–43, P., 1857–66; Bibliothek der Kirchenväter, Bd.38, Kepmten, 1919.

ლიტ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის და ალ. გამყრელიძის გამოც., ტ. 1, თბ., 1961; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, მის წგ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 5, თბ., 1957. *ნ. ლომოური.*

ეპიფორა (ბერძნ. epiphora – განმეორება), მოსაზღვრე სტრიქონთა დაბოლოებაში ბგერათა კომპლექსების, სიტყვების ან სიტყვათა ჯგუფების განმეორება. ანაფორის საპირისპირო ხერხი. დაკავშირებულია რითმასა და ბგერწერასთან. ბგერწერული Ე. სტრიქონთა ბოლოებში ბგერათა კომპლექსების განმეორებით მიიღება:

,,ჩამოსხდნენ ბელელს, ს ა ჯ ა რ ე ს
ალყად მოევლო ჯ ა რ ი ა''
(ვაჟა-ფშაველა).

Ე-ის კატეგორიაში შედის მოსაზღვრე და წყვილადი რითმები:

,,ჩემო თავო, ბედი არ გ ი წ ე რ ი ა,
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გ ი ჟ ღ ე რ ი ა,
ჩემო გულო, ტკბილად არ გ ი ძ გ ე რ ი ა,
რადგან ვხედავ, სატრფო ჩ ე მ ი მ ტ ე რ ი ა''
(ა. წერეთელი).

,,ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წ ყ ნ ა რ ი!
მდუმარებით შემოსილი შელამების ქ ნ ა რ ი
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში ა ქ ს ო ვ ს...
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მ ა ხ ს ო ვ ს!''
(გ. ტაბიძე).

Ე-ის ტიპური ნიმუშებია ტავტოლოგიური და რედიფიანი რითმები. *ა. ხინთიბიძე.*

ეპოპეა (ბერძნ. epopoiïa<epos – სიტყვა, თხრობა და poieō – შექმნა), პოეტური ეპოსის, პოემის სახეობა, ვრცელ ამბავზე აგებული ეპიკური ჟანრის ნაწარმოები. მასში ასახულია დიდმნიშვნელოვანი ისტ. მოვლენები, გმირთა თავგადასავალი, რ-ებიც გაერთიანებულია საერთო კომპოზიციით. Ე-ის ნიმუშებია ჰომეროსის ,,ილიადა'', ,,ოდისეა'', ქართ. ლიტ-რაში – ,,ამირანდარეჯანიანი'', ,,ვეფხისტყაოსანი''. Ე-ს ახასიათებს სიტუაციების სირთულე, პერსონაჟების სიმრავლე, მძაფრი დრამ. კონფლიქტები, ასახვის ფართო მასშტაბი და მრავალმხრივობა, რაც შუა საუკუნეების დასასრულიდან ნიშანდობლივი გახდა რომანისათვის. ჰეგელმა რომანს უწოდა ბურჟ. ეპოქის ეპოპეა. Ე-ს უწოდებენ ისტ. რეალობაზე აგებულ პროზაულ ნაწარმოებსაც (ლ. ტოლსტოის ,,ომი და მშვიდობა'', კ. გამსახურდიას ,,დავით აღმაშენებელი'' და სხვ.).

ნ. ალანია.

ეპოსი (ბერძნ. epos – სიტყვა, თხრობა), ლიტერატურული გვარი, რ-შიც ამბის მხატვრული გადმოცემა (წერილობით თუ ზეპირად, პროზაულად ან ლექსის ფორმით) ემყარება ობიექტურობის პრინციპს. ლიტ-რის დანარჩენ ორ გვართან (*ლირიკა, დრამა*) შედარებით Ე. უნივერსალურია, შეიცავს ლირიკისა (,,ეპიკურ-ლირიკული'') და დრამის (,,ეპიკური დრამა'') ელემენტებს, მოცულობით განუსაზღვრელია (მინიატიურული მოთხრობიდან ვრცელ ეპოპეამდე).

Ე. ჟანრულ-სახეობრივი თვალსაზრისით მრავალფეროვანია (ზღაპარი, მოთხრობა, იგავ-არაკი, ნარკვევი, ნოველა, ეპოპეა, რომანი). ერთმანეთისაგან განასხვავებენ თემატურ-პრობლემურ ნიშანთა მიხედვით (ისტ., სოც., ფილოს., გმირული, პოლიტ., სატირული, სათავგადასავლო, ფსიქოლ., ფანტასტიკური, ავანტიურული და სხვ.).

Ე-ის გენეზისი შეინიშნება უძველეს ხალხ. წეს-ჩვეულებებში, ხოლო სპეციფ. ნიშნების ჩანასახი – ადრინდ. ფოლკლორულ ქმნილებებში (ე. წ. ,,ფოლკლორული ეპოსი''). ზოგი მეცნიერის აზრით, ქართვ. ტომებს ჯერ კიდევ ძვ. წ. II ათასწლეულში უნდა ჰქონოდათ ზეპირსიტყვიერი ეპიკური გვარის ნაწარმოებები. ჩვენი ეროვნ. ფოლკლორული Ე-ის ერთ-ერთი ნიმუშია ,,ამირანიანი''.

ქართ. Ე., როგორც ლიტ. გვარი, ეროვნ. დამწერლობის შემოღების ხანას განეკუთვნება, მაგრამ ეპიკური მწერლობის პირველი ძეგლები განადგურებული ან დაკარგულია. საქართველოში ეპიკური ჟანრის პირველ ქმნილებად მიჩნეულია ,,წმიდა ნინოს ცხოვრება'', მისი უძვ. რედაქციები (IV ს.).

შუასაუკუნეობრივი ქართ. Ე. განვითარდა აღმოსავლურ-ქრისტ. კულტ.-ისტ. რეგიონში. მისი პირველი საფეხურის (V–XV სს.) ჰაგიოგრაფიული ძეგლებია იაკობ ცურტაველის ,,მარტვილობა შუშა-

ნიკისი'', იოანე საბანისძის ,,მარტვილობა ჰაბოისი'', ,,ევსტათი მცხეთელის მარტვილობა'', გიორგი მერჩულეს „ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანძთელისა'' და სხვ.

ქართ. ეპიკური ჟანრის განვითარებაში საგანგებოდ გამოიყოფა კლასიკური პერიოდი (XI–XII სს.). ისტორიულად იგი ემთხვევა საქართვ. ეროვნ.-პოლიტ. სახელმწიფოს ზეობის ხანას, რამაც განაპირობა ე-ის განუსაზღვრელად ფართო მხატვრული პალიტრა: [,,ამირანდარეჯანიანი'', ,,ვისრამიანი'' (გადმოქართულებული სამიჯნურო-სათავგადასავლო რომანი) და ,,ვეფხისტყაოსანი'']. ქართ. კლასიკური ე. განიხილება თავისი დროის ქართ. კულტურისა და აღმოსავლურ-დასავლური მხატვრული აზროვნების ფონზე, როგორც ორიგინ. ეროვნ. მოვლენა საკუთარი ესთეტ. პრინციპებით, იდეური ხედვითა და პოეტიკით.

შოთა რუსთაველმა სრულქმნა ქართ. ეპიკური ჟანრი; ჩამოაყალიბა საკუთარი თეორ. შეხედულებები ამ ჟანრის შესახებ. ,,ლექსთა გრძელთა თქმა'' უნდა გავიგოთ, როგორც ვრცელი ეპიკური ტილოს პრინციპი. ამ პერიოდის ქართ. ე-ში აშკარად გამომჟღავნდა ჰუმანისტური მსოფლმხედველობა, ჩამოყალიბდა გმირის ახ. მოდელი. უჩვეულოდ ფართოა კლასიკური ე-ის გმირის სამოქმედო ასპარეზი. წარმოჩენილია სრულყოფილი, მებრძოლი, პატრიოტი, შეყვარებული, რთულ კოლოზიებში გახლართული ადამიანი, რ-ის განცდები და ვნებები მთელი სისრულით წარმოადგენს ადამიანის რთულ შინაგან ბუნებას. ,,ამირანდარეჯანიანისა'' და ,,ვეფხისტყაოსნის'' გმირები გამოირჩევიან ფიზ. და სულიერი ძლიერებით.

XIII–XV სს. ეპიკური ნაწარმოებები დაკარგულია ან ჩვენამდე მოღწეულია ფრაგმენტების სახით. ასეთია, მაგ., სარგის თმოგველის საგმირო-სარაინდო რომანი ,,დილარგეთიანი''. გამონაკლისია ჟამთააღმწერლის „მონღოლთდრო-ინდელი მატიანე''. მასში სადა, ნატიფი ენით მოთხრობილია მონღოლთა ბატონობის დროინდელი საქართველოს ცხოვრების ,,ყოველი მხარე'' (კ. კეკელიძე). ავტორი ისტ. ფაქტებით გამოწვეულ შთაბეჭდილებას აძლიერებს ზღაპრულ-ლეგენდარული ამბებით. ე. წ. აღორძინების პერიოდში (XVI–XVIII სს.) ქართ. ეპიკური ჟანრი შეივსო ახ. ორიგინ. და სპარსულიდან თარგმნილი თუ გადმოქართულებული ქმნილებებით, რ-თა კეკელიძისეული ჟანრულ-სახეობრივი კლასიფიკაცია ასეთია: საგმირო, რომანტიკული, საზღაპრო, დიდაქტ.-მორალური და საისტორიო.

XVII ს-იდან ქართ. ე-მა შეიძინა ახ. შინაარსი და ფორმა. თეიმურაზ I-მა სათავე დაუდო ეროვნ.-ისტ. თემატიკას („ქეთევან დედოფალი''), რ-იც განავითარეს არჩილ II-მ, იოსებ თბილელმა (სააკაძე), დ. გურამიშვილმა და სხვ. არჩილ II-მ თავის ნაწარმოებებში შემოიტანა გაბაასების ჟანრი და ,,მართლის თქმის'' დევიზით დაუპირისპირდა უცხოურ ზეგავლენას.

ქართ. ე. თემატიკის თვალსაზრისით ახ. თვისებრივ დონეზე აიყვანა ს.-ს. ორბელიანმა იგავ-არაკების კრებულით ,,სიბრძნე-სიცრუისა''. მან ქართ. მწერლობაში პირველმა დაამკვიდრა ე-ის ისეთი სახეები, როგორიცაა იგავ-არაკი, ნოველა.

ქართ. პოეტური ე-ის შემდეგი საფეხური დაკავშირებულია დ. გურამიშვილის სახელთან. მისი პოემები ,,ქართლის ჭირი'' და ,,ქაცვია მწყემსი'' ეროვნ. ე-ის თვისებრივად ახ. ქმნილებებია როგორც ფორმით, ასევე შინაარსით. ისტ. სინამდვილის გურამიშვილისეული კრიტ. ასახვა და ყოფითი ზნეობრივ-რელიგ. მოტივები ეროვნ. ხასიათისაა და ხალხის სულიერი ინტერესების გამომხატველია.

ქართვ. რომანტიკოსებმა ახ. შინაარსი და ფორმა შესძინეს ქართულ ე-ს. გ. ორბელიანის ,,სადღეგრძელო'' და ნ. ბარათაშვილის ,,ბედი ქართლისა'' ეძღვნება ეროვნ. პრობლემებს, ასახავს XIX ს. საქართველოს მწვავე პოლიტ. ვითარებას. კონკრეტული ფაქტები და ისტ. პირები განსაზღვრავენ ამ ნაწარმოებთა რეალისტურ ბუნებას. XIX ს. 50-იანი წლებიდან ქართ. ე-ში, როგორც საზოგადოდ ქართ. მწერლობაში, დამკვიდრდა კრიტ. რეალიზმი (დ. ჭონქაძის ,,სურამის ციხე'', ლ. არდაზიანის ,,სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი''), ხოლო 60–90-იან წლებში ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. წერეთლის, ე. ნინოშვილის, შ. არაგვისპირელის, ა. ერისთავ-ხოშტარიას ეპიკური ქმნილებები (პოემები, მოთხრობები, რომანები, ნოველები) თემატიკურ-პრობლემური მრავალფეროვნებითა და მხატვრულ-ესთეტ. დონით თვისებრივად ახ. საფეხური იყო ქართ. ეპიკური და მთელი ეროვნ. კაზმულსიტყვაობის ისტორიაში. ამ ნაწარმოებებში გამოიკვეთა გამწვავებული ეროვნ.-სოც. პრობლემები, ისტ.-პატრ. თემატიკა, ადამიანისა და საზ-ბის ურთიერთობის საკითხები.

კლასიკურ სახეს იღებს ნოველა (შ. არაგვისპირელი). ეპიკური ჟანრის ტრადიციები განავითარეს და გააღრმავეს ა. ყაზბეგმა და ვაჟა-ფშაველამ, რ-ებმაც ე. გაამდიდრეს მძაფრი კოლიზიებით და შექმნეს ტრაგიკულ გმირთა მდიდარი გალერეა; ახ. სიმაღლეზე აიყვანეს ქართ. სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნება; ორიგინალურად გადაწყვიტეს სიყვარულის, მეგობრობისა და მოვალეობის, თემისა და პიროვნების, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის საკითხები.



XX ს. 10–20-იან წლებში ქართ. პოეტური თუ პროზაული ე-ის ძლიერმა რეალისტურმა ნაკადმა შექმნა ახ. ჟანრულ-სახეობრივი ფორმები, მთლიანად აითვისა სიმბოლისტური, იმპრესიონისტული და ექსპრესიონისტული სკოლების მხატვრულ-ფორმისეული მიღწევები. აღსანიშნავია ვ. ბარნოვის, შ. დადიანის, ნ. ლორთქიფანიძის, მ. ჯავახიშვილის, ლ. ქიაჩელის, კ. გამსახურდიას, გ. რობაქიძის, ს. კლდიაშვილის, დ. შენგელაიას, ა. ქუთათელის, ა. ბელიაშვილის რომანები, მოთხრობები და ნოველები, რ-ებიც გამოირჩევიან მხატვრული ნოვაციებითა და წარმოსახვის ფორმებით. ეპოქის მოთხოვნებს ეხმიანება მ. ჯავახიშვილის ,,არსენა მარაბდელი'', დ. შენგელაიას ,,ბათა ქექია'', კ. გამსახურდიას ,,მთვარის მოტაცება'' და ,,დიდოსტატის მარჯვენა'', ლ. ქიაჩელის ,,გვადი ბიგვა'', კ. ლორთქიფანიძის ,,კოლხეთის ცისკარი'', გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ა. მირცხულავას, ს. ჩიქოვანის, გ. აბაშიძის, ლ. ასათიანისა და სხვათა შემოქმედება.



XX ს. 50-იანი წლების მიწურულიდან ქართ. ეპიკურ ჟანრში ინერციით გრძელდებოდა ,,საბჭოთა კლასიკისათვის'' დამახასიათებელი ტრად. ჰეროიკული თემატიკა ინტერნაციონალიზმის, სოციალ. მშენებლობის, მშვიდობის, ხალხთა მეგობრობის შესახებ, რაც გამოიხატა როგორც თემატიკურ-პრობლემური, ასევე მხატვრულ-სტილური ფორმებით. განსაკუთრებით გამძაფრდა ინტერესი თანამედროვეობისა და ეპიკური

გმირის სულიერი სამყაროს მიმართ. ქართ. მწერლობაში კვლავ გაბატონდა ეპიკური პროზა, გამოქვეყნდა რომანები, დილოგიები, ტრილოგიები, ტეტრალოგიები, ეპოპეები (კ. გამსახურდიას ,,დავით აღმაშენებელი'', ა. ქუთათელაძის ,,პირისპირ'', ა. ბელიაშვილის ,,თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა'', გ. აბაშიძის ისტ. რომანები: ,,ლაშარელა'', ,,დიდი ღამე'', ,,ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება'', ლ. გოთუას ,,გმირთა ვარამი'', რ. ჯაფარიძის ,,მძიმე ჯვარი'', ა. გაწერელიას რომანი-ეტიუდი ,,ფაიდას გამოცხადება''. Ე-ში (პროზაულსა თუ პოეტურში) ფართოდ შეიჭრა ლირ. ნაკადი, რ-იც 60-იანი წლებიდან გაბატონებულ სახეს იღებს. გაძლიერდა სატირულ-იუმორისტული მიმართულება (ა. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, მ. ელიოზიშვილი, რ. მიშველაძე და სხვ.); შეიქმნა ე. წ. ,,ახალი რომანისა'' და ,,მიკრორომანის'' სახეები.

თანამედროვე ქართ. მწერლობას დამსახურებული აღიარება მოუტანა ო. ჭილაძის, ნ. დუმბაძის, ჭ. ამირეჯიბისა და სხვათა ეპიკურმა ქმნილებებმა. მრავალფეროვანია ეპიკური გვარის ნაწარმოებთა კომპოზიციურ-სტრუქტურული აღნაგობა, ფაბულა-სიუჟეტი; თხრობიდან განიდევნა ყალბი, პათეტიკური ტონი; მითოსი ორგანულად შეერწყა ისტ. სინამდვილეს და გაფართოვდა ფილოს.-ფსიქოლ. და სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნების საზღვრები (ო. ჭილაძე, ო. ჩხეიძე, ჭ. ამირეჯიბი, ნ. დუმბაძე, ნ. წულეისკირი, გ. დოჩანაშვილი, თ. ბიბილური და სხვ.).

იდეურ-თემატ. თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა სოციალ. სინამდვილის მძაფრი კრიტიკა და ზნეობრივი მოტივები (ო. ჩხეიძე, კ. ლორთქიფანიძე, ლ. ავალიანი, მ. მრევლიშვილი, გ. შატბერაშვილი, ო. იოსელიანი, რ. ინანიშვილი, ჭ. ამირეჯიბი, ნ. დუმბაძე, თ. ჭილაძე, ა. სულაკაური, ჯ. ჩარკვიანი, გ. ფანჯიკიძე, ნ. წულეისკირი, რ. ჭეიშვილი, ლ. მრელაშვილი, გ. გეგეშიძე).

ქართ. ეპიკური ჟანრი ისტ.-ბიოგრ. ხასიათის ნაწარმოებებით გაამდიდრეს ვ. ჭელიძემ, ა. კალანდაძემ, ს. ჭილაიამ, ა. გაწერელიამ, ე. მაღრაძემ, ლ. სანიკიძემ, აგრეთვე მ. კვესელავამ, დ. ბაქრაძემ და სხვ., რ-ებმაც შექმნეს დოკუმენტურ-ავტობიოგრ. ხასიათის თხზულებები.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია ორ ტომად, თბ., 1980–82; მ ე რ კ ვ ი ლ ა ძ ე გ., რომანი და ეპოქა, თბ., 1973; ქართული ლიტერატურის ისტორია ექვს ტომად, ტ. 1–3, თბ., 1966–69 (მთ. რედაქტორი გ. ლეონიძე), ტ. 4–6, თბ., 1974–82 (მთ. რედაქტორი ალ. ბარამიძე); ჭ ი ლ ა ი ა ს., უახლესი ქართული მწერლობა, [წგ.] 1–3, თბ., 1972–80.

დ. თევზაძე.

ეპოქა (ბერძნ. epochē, სიტყვასიტყვით – შეჩერება, ჭრილი, მონაკვეთი); ფართო მნიშვნელობით, ე. აღნიშნავს დროის, ისტ. ისეთ მონაკვეთს, რ-იც საერთო ნიშან-თვისებებით ხასიათდება. ე. გარკვეული პერიოდისა და წელთაღრიცხვის აღმნიშვნელადაც შეიძლება გამოიყენებოდეს. ამდენად, ტერმინს ე. მრავალსახა გამოყენების არე აქვს. ის სპეციფ. მნიშვნელობით გამოიყენება ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ტექ. და მედიის სფეროებში.

ე-ის ცნების საწყისების განსაზღვრა ადვილი არ არის, რადგან მისი თეორ. დაფუძნება სხვადასხვა სახითა და კონტექსტით ხდება. შეიძლება ერთი რომელიმე კონტექსტი იქნეს აღებული და ე-ის ცნება ამ ჭრილში განიხილებოდეს. ისტ. მეცნიერებაში საყოველთაოდ გავრცელებულია ე-ებად დაყოფის შემდეგი სქემა: ანტ. ხანა, შუა საუკუნეები, ადრეული ახ. დრო, გვიანდ. ახ. დრო და თანამედროვე ეპოქა. თუკი უპირატესობას რელიგ. კონტექსტს მივანიჭებთ, მაშინ შეგვიძლია ვისაუბროთ, მაგალითად, რეფორმაციისა და კონტრრეფორმაციის ე-ებზე. თუკი ხელოვნებათმცოდნეობისა და ხელოვნების ისტ. კონტექსტს ავიღებთ ამოსავალ წერტილად, მაშინ შეგვიძლია ვისაუბროთ, მაგ., მოდერნისა და თანამედროვე ე-ის ხელოვნების შესახებ. თუმცა თვით ერთი რომელიმე დიდი ე-ის ფარგლებში შეიძლება რამდენიმე მცირე ე-ის გამოყოფა. მაგ., მოდერნის ე. შეიძლება დაიყოს: ექსპრესიონიზმის, იმპრესიონიზმის, კუბიზმის, ფუტურიზმის, დადაიზმის, სიურრეალიზმის, კონსტრუქტივიზმის და სხვ. ე-ებად. თუკი ლიტ-რის ისტორიას ავიღებთ განმსაზღვრელ ფაქტორად, მაშინ შეგვიძლია გამოვყოთ: ანტ., შუა საუკუნეების, რენესანსის, ჰუმანიზმის, რეფორმაციის, ბაროკოს, განმანათლებლობის, რომანტიზმის, რეალიზმის, ნატურალიზმის, მოდერნიზმის და სხვ. ე-ები. განსაკუთრებით რთული ამა თუ იმ ე-ის განსაზღვრისას მისი დროითი საზღვრების დადგენაა. მაშასადამე, უნდა გამოიკვეთოს ის კრიტერიუმები და საერთო ნიშან-თვისებები, რ-ის მიხედვითაც დადგინდება, თუ როდის იწყება და როდის მთავრდება ესა თუ ის ე. (რენესანსი, განმანათლებლობა და ა.შ.).

ე-ის ცნების განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოყენება ინტერდისციპლინურ კონტექსტში. ამ დროს უნდა დადგინდეს ის კრიტერიუმები და საერთო ნიშან-თვისებები, რ-ებიც ამა თუ იმ ე-ს განსაზღვრავს და გამოარჩევს. ამ საერთო მახასიათებლების დადგენის შედეგად ნათელი ხდება, რომ ერთი რომელიმე ე-ის ფარგლებში სათავე დაედება მოცემული ე-თვის საერთო ნორმებსა და ღირებულებებს. ისინი თავდაპირველად ვითარდებიან ე-ით მოცულ გარკვეულ დროით საზღვრებში, ხოლო შემდეგ კი გავლენასა და არსებობას ნელ-ნელა წყვეტენ. ამის შემდეგ ფეხს იკიდებს ახ. ღირებულებები და ნორმები, რაც ახ. ე-ს უდებს სათავეს. სხვადასხვა ე-ის სპეციფ. ნიშან-თვისებებს განაპირობებს მსოფლმხედველობრივი განსხვავებები და მოტივები, რ-ებიც თავს იჩენს ადამიანური განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. ეს განსხვავებები კი, თავის მხრივ, გამოწვეულია ადამიანთა სხვადასხვა პოლიტ. და ეკონ. განვითარების დონით.

ე-ის ტერმინისა და ცნების გამოყენების არე ქ ა რ თ უ ლ რ ე ა ლ ო ბ ა შ ი. ქართ. თეორ. აზროვნებაში ძირითადად გავრცელებულია ე-ის და ეპოქათა იმგვარი გაგება, რ-იც დასავლეთის წამყვანი ქვეყნების ჰუმანიტარულ-სოც. და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დამკვიდრდა. ამ საკითხის მიმართ ასეთი მიდგომა, ხშირად, ქართ. აზროვნების თავისებურებებისა და სპეციფ. ხასიათის გამოკვეთას უშლის ხელს. ყოველივე ეს კი ჯერ კიდევ მყარად ფესვგადგმული ვიწრო ევროპოცენტრისტული აზროვნების შედეგიცაა. აქ თვალსაჩინო ხდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ამ ორი სოც.-პოლიტიკურად და კულტურულად დაპირისპირებული საწყისის კონფლიქტის მთავარი მიზეზი და მათი მორიგების აუცილებლობა. სწორედ ამ პერსპექტივების გათვალისწინებითაა ნასაზრდოები თ. *ირემაძის* ერთ-ერთი ფილოს. ნაშრომი – ,,ფი-

ლოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები'' (2013), რ-შიც ე-ის ცნების, ეპოქათა მიჯნისა და ეპოქალური ცნობიერების ახლებური გააზრების მცდელობაა მოცემული ინტერკულტ. ფილოს. აზროვნების (ბერძნ., ქართ., ლათ., ევრ. და ა.შ.) პარადიგმ(ატ)ული მიმართულებებისა და ავტორების ჭრილში. ამ ნაშრომის მთავარი მიზანი ის არის, რომ შეიმუშავოს იმგვარი მეთოდოლ. წანამძღვრები და მოდელები, რ-ის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ქართ. აზროვნების ორიგინ. ხასიათის ჩვენება. ამგვარი მეთოდოლ. მთავარ კომპონენტებად კი წინამდებარე ნაშრომში მიჩნეულია ინტერკულტურულობისა და ინტერდისციპლინურობის სპეციფ. კონცეფცია, რ-იც ქართ. აზროვნების განვითარების ხანგრძლივ პროცესს თან ახლდა მთელი მისი არსებობის განმავლობაში. ავტორი, ამ მეთოდოლ. კომპონენტებზე დაყრდნობით, აყალიბებს ე-ის ახ. გაგებას; აქ მისი თვისებრივი სიახლე ამ კონცეპტის ინტერკულტ. დისკურსის ჭრილში მოდიფიცირებული გამოყენების მცდელობაა; ამა თუ იმ ე-ის დასაწყისისა და დასასრულის მონიშვნა, უწინარეს ყოვლისა, მკაცრი დროითი პარამეტრების მოშველიებით კი არ ხდება, არამედ ე. წ. ,,პარადიგმ(ატ)ული მეტაფორების'' (თ. ირემაძე) დადგენითა და გამოვლენით. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ,,პარადიგმ(ატ)ული მეტაფორა'', რ-იც ამ ნაშრომში განხორციელებული კვლევა-ძიების საფუძვლად არის წარმოდგენილი და აღიარებული არის ,,გზაგასაყარი'': ,,ეს ის ტოპოსია, რომელიც განსხვავებული კულტურების, შეხედულებებისა და მსოფლმხედველობების შეყრისა და გაყრის ადგილად შეიძლება გავიგოთ'' (თ. ირემაძე). აქედან გამომდინარე, თ. ირემაძის აზრით, სხვადასხვა ე-ის განსაზღვრის პროცესში, უწინარეს ყოვლისა, დადგენილ უნდა იქნეს ,,პარადიგმ(ატ)ული (კონ)ტექსტ(ებ)ი'', რ-ებიც საშუალებას გვაძლევს ამა თუ იმ ე-ის, კულტ. სივრცისა და მსოფლხატების დროითი საზღვრების შესახებ ვიმსჯელოთ. თ. ირემაძის აზრით, ,,გზაგასაყარი'' არის უნივერს. ტერმინი (ცნება), რ-იც ცნებათა მკაცრ საზღვრებს სცილდება და ეპოქათა და კულტურათა საერთო ნიშან-თვისებების, ადგილების, ტოპოსების აღმნიშვნელ მეტაფორად იქცევა. თავისი უნივერს. ხასიათის გამო, ეს ტერმინი ინტერკულტურულ და ინტერდისციპლინურ კონტექსტშიც შეიძლება იქნეს გამოყენებული, როგორც ლოკალური, რეგიონალური და გლობალური პროცესების აღმნიშვნელი და მომნიშვნელი კონცეპტი. მაშასადამე, ,,გზაგასაყარი'' ისეთი სახის ,,პარადიგმ(ატ)ული მეტაფორაა'', რ-იც ამა თუ იმ ე-ის განსაზღვრის პროცესში ეფექტურ კონცეპტუალურ და ეპისტემოლოგიურ კოდს წარმოადგენს.

ლიტ.: აღმოსავლეთი და დასავლეთი. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები. უდო რაინჰოლდ იეკის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, რედაქტორები: თ. ირემაძე და გ. თევზაძე, თბ., 2012; ზ ა ქ ა რ ა ძ ე ლ., ქართული ფილოსოფიის ახალი პერსპექტივები ინტერკულტურული აზროვნების ჭრილში (განაზრებანი პროფ. თენგიზ ირემაძის ნაშრომზე – „ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე", თბ., 2013), იხ.: «კადმოსი». ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი, №4 (თბ., 2012); ი რ ე მ ა ძ ე თ., ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები, თბ., 2013.

მ. გოგატიშვილი. ლ. ზაქარაძე. თ. ირემაძე.

ერატოსთენე კ ი რ ე ნ ე ლ ი (Eratosthenēs ho Kyrēnaios) (დაახლ. ძვ. წ. 276, ქ. კირენე – 194), ძველი ბერძენი მეცნიერი. განათლება მიიღო ალექსანდრიასა და ათენში, 240 სათავეში ჩაუდგა ალექსანდრიის ბიბლიოთეკას. დაინტერესებული იყო ფილოლოგიით (ეს სიტყვა პირველად მან იხმარა ,,გრამატიკის'' ნაცვლად), იკვლევდა ძვ. ბერძნ. კომედიოგრაფიას, პოეტიკას, ფილოსოფიას. ე-ს ეკუთვნის აგრეთვე გამოკვლევები ქრონოლოგიაში, მათემატიკაში, ასტრონომიაში, გეოგრაფიაში; ითვლება მეცნ. გეოდ. და კარტოგრაფიის ფუძემდებლად; პირველმა გაზომა დედამიწის მერიდიანის სიგრძე, ჩამოაყალიბა მათემატიკურ-გეოგრ. საფუძვლები, შეიმუშავა მარტივ რიცხვთა მოძებნის მეთოდი (,,ერატოსთენეს საცერი''), შემოიღო ტერმინი ,,ეკვატორი''. ცნობილია მისი ნაშრომები ,,ძველი კომედიის შესახებ'' (12 წიგნად), ,,ქრონოგრაფიული ტაბულები'' (9 წიგნად), ,,გეოგრაფია'' (3 წიგნად). მისი შრომებიდან მოღწეულია მხოლოდ გვიანდელ ავტორთა თხზულებებში ციტირებული ნაწყვეტები.

საქართველოს ისტორიისათვის განსაკუთრებით ფასეულია სტრაბონის თხზულებაში მოყვანილი ე-ს ცნობები შავიზღვისპირეთისა და კავკასიის გეოგრ. და ეთნ. ვითარების შესახებ – დასახელებულია აქაური ქალაქები, მდინარეები (ფასისი), მთები, აგრეთვე ქართველური და მათი მეზობელი ტომები: მოსხები, ტიბარენები, კოლხები, ალბანელები და სხვ.

ლიტ.: ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ., სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957; B e r g e r A., Die geographische Fragmente des Eratosthenes, Lpz., 1964. *ნ. ლომოური.*

ერაძე ზაქარია კიკოს ძე (1867, სოფ. ფარახეთი, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 1953), ცნობილი მესტვირე, *ერაძეების* მესტვირეთა გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ნიჭიერი იმპროვიზატორი, ნახევრად პროფესიონალი.



ზ. ერაძე.

მესტვირეობა ისწავლა ოჯახში, მამისგან. მასთან ერთად დადიოდა საქართვ. სხვადასხვა კუთხეში, 17 წლის ასაკიდან – დამოუკიდებლად. ზეპირად იცოდა უამრავი ლექსი. შეეძლო სტვირის დაშლა, აწყობა და სხვ. შეხვედრია აკაკი წერეთელს ოწში, პოეტის რაჭალეჩხუმში მოგზაურობისას. რეპერტუარში ჰქონდა ე. წ. ,,დალოცვები'' (მასპინძლის ოჯახის დალოცვა, ნეფე-პატარძლის დალოცვა, ოჯახის წევრების შექება), ლექსსიმღერები გამოჩენილ ისტ. პირებზე, თავის თანამედროვეებზე, ბიბლიურ პერსონაჟებზე (,,იესო ქრისტეს ლექსი'', ,,იობის ლექსი'', ,,ედემის ლექსი'', ,,აბრაამის ლექსი'', ,,სიკვდილ-სიცოცხლის ლექსი'') და სხვ.

ე. გამოირჩეოდა განსაკუთრებული მეხსიერებით. მისი რეპერტუარის ზოგი ლექსი ასამდე ტაეპს შეიცავდა. ცნობილია ზაქარია მესტვირის სახელითაც.

ლიტ.: ც ა ნ ა ვ ა ა., ქართული მესტვირული პოეზია, თბ., 1953.

მ. შილაკაძე.

ერაძე ლეილა უშანგის ასული (14. II. 1933, თბილისი, – 30. I. 1998, იქვე), პოეტი, მთარგმნელი, ლიტერატურათმცოდნე, ჟურნალისტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1995), აზერბ. კულტურის დამს. მოღვაწე (1981), აზერბაიჯანული ლიტერატურისა და ქართულ-აზერბაიჯანულ ლიტერატურათა ურთიერთობის მკვლევარი. საქართვ. საელჩოს პირველი მდივანი აზერბაიჯანში (1995–98), საქართვე-

ლო-აზერბაიჯანის მეგობრობისა და თანამშრომლობის საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტი (1992). დაამთავრა თსუ-ის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტის თურქ. ენისა და ლიტ-რის განყ-ბა (1955). ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1955-იდან. ავტორია ლექსთა კრებულებისა: ,,ბაკიბუკით მოვდივარ'' (1975), ,,აიწონა-დაიწონა'' (1978), ,,ლექსები'' (1979), ,,აპრილმა იცის'' (1987), ,,გადარჩენა'' (1994) და სხვ. აზერბაიჯანულიდან თარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა ს. ვურღუნის ,,ლექსები'' (1960), ნ. ხაზრის ,,ხაზარის პირას'' (1965), ნ. ჰასანზადეს ,,ლექსები'' (1983); ,,აზერბაიჯანული პოეზიის ანთოლოგია'' (1980), ,,აზერბაიჯანელი პოეტები უმღერიან საქართველოს'' (1981); რომანები: ი. შიხლის ,,ბობოქარი მტკვარი'' (1982), მ. იბრაჰიმოვის ,,ფარვანა'' (1984, დ. გულისაშვილთან ერთად) და სხვ. თავის შემოქმედებით ეხმაურებოდა ქართ.-აზერბ. კულტ. მნიშვნელოვან მოვლენებს.

ავტორია წიგნებისა: ,,მეგობრობა გზად და ხიდად'' (1976), ,,ქართულ-აზერბაიჯანულ ლიტერატურათა ტიპოლოგიური ურთიერთობანი'' (აზერბ. ენაზე, 1984, ბაქო) და სხვ. Ე-ს ლექსთა კრებულები თარგმნილია აზერბ., რუს., იტალ. და სლოვაკურ ენებზე.

Ე. იყო ი. მაჩაბლის სახ. სახელმწ. პრემიის (1994), პენკლუბის საერთაშ. ლიტ. პრემიის (1995), რასულ რზას სახ. პრემიის ლაურეატი (1996). *მ. შონია.*



ერგეს განძი: 1 – ბრინჯაოს ცულები; 2 – ზოდების ნატეხები. აჭარის ხ. ახვლედიანის სახელობის მუზეუმი.

ერაძეები ქართველ მესტვირეთა საგვარეულო ახლანდელი ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარახეთში (XIX–XX სს.), ცნობილი არიან ზაქარია, მიხეილა, ოქრუა, ბართლომე, მაქსიმე, გრიგოლა, იობა, მინა, რევაზა, ნიკო, სოსიკა, სტეფანე, გლახუა, თედორე, მიხეილ, პავლე, კიკო, კიკოლა Ე-ები. ისინი დადიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ქართლი, კახეთი, ჯავახეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, იმერეთი, გურია) და მის ფარგლებს გარეთაც. ზოგიერთმა ქართულის გარდა იცოდა სხვა ენებიც (მიხეილმა – რუს. და აზერბ., პავლემ – აფხაზური, მინამ – სომხ.). სოფ. ფარახეთში გარდა Ე-ისა, სხვა საგვარეულოებიდანაც იყვნენ ცნობილი მესტვირეები (ბურდილაძეები, გრძელიშვილები, მაგრაქელიძეები, ტაბუცაძეები, ტოგონიძეები, ბაკურაძეები და სხვ.).

ლიტ.: ც ა ნ ა ვ ა ა., ქართული მესტვირული პოეზია, თბ., 1953.

მ. შილაკაძე.

ერბი (Erb) ელკე (დ. 18. II. 1938, შერბახ-აიფელი), გერმანელი მწერალი ქალი. მისი პირველი წიგნი ,,ექსპერტიზა. პოეზია და პროზა, ლექსები და მინიატიურები'' სხვა ნაწარმოებებთან ერთად შეიცავს საქართვ. თემაზე დაწერილ შემდეგ მინიატიურებს: ,,სულხან-საბა ორბელიანი და მისი დრო'' (თავდაპირველად დაერთო ს.-ს. ორბელიანის ,,სიბრძნე-სიცრუისას'' გერმ. თარგმანს 1973, მთარგმნელი ჰ. ფენრიხი), ,,პოეტის ქვეყანაში'' (1970–74 დაწერილი ნარკვევები ი. გრიშაშვილისა და ძვ. თბილისის შესახებ), ,,ჩვენი ყოფნა უცხო ქვეყანაში – საქართველოში'' (1974). Ე-მა გამოსცა და ნარკვევიც დაურთო ს. ჩიქოვანის ლექსების ,,ჭადრების ორნამენტის'' გერმ. თარგმანს (1970). *ნ. კაკაბაძე.*

ერგე, ხევი ჭოროხის ქვემოწელზე, სოფელ კახაბრის სამხრეთ-აღმოსავლეთით (მდინარის მარჯვ. ნაპირზე). ტოპონიმი Ე. და მისი ნაირსახეობანი (ერკე, ორკე, ერგეტა და სხვა) წარსულში დადასტურებულია ზანების (კოლხების) გავრცელების რეგიონებში. ,,კეთილი და მშვენი'' ჰავის ამ ხეობაში, მისი მეზობელი მხარეების მსგავსად ,,ყოველ მარცვალთა'' გვერდით ნარინჯოვნებიც ხარობდა: „და ბათომს, გონიასა და ერგეს ნარინჯი, თურინჯი, ლიმო, ზეთისხილი, ბროწეული მრავალი'', – წერდა ვახუშტი ბაგრატიონი.

როგორც მოპოვებული არქეოლ. ძეგლებით ირკვევა, მთელი ეს ხეობა ადრე აუთვისებია ადამიანს. XVIII ს. 20-იანი წლებიდან რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომამდე Ე-ს ხევი ოსმალთა მფლობელობაში იყო, ხოლო შემდეგ ბათუმის ოლქში შევიდა. დღეს იგი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის (აჭარის არ) ტერიტორიაზეა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წგ. 2, ბათ., 1959; მ ი ს ი ვ ე, აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათ., 1962. *ი. სიხარულიძე.*

ერგემი, სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შარაბიძეების თემში (აჭარის არ), მდ. ჭოროხის მარჯვ. ნაპირას, ბათუმი–ქედის საავტ. გზაზე. ზ. დ. 140 *მ,* მახინჯაურიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 17 *კმ.* 1,7 ათ. მცხ. (2002).

Ე-ს იხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) და მიუთითებს მის მდებარეობას – ,,ჭოროხის ჩრდილოსავე კიდესა ზედა''. სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძეგლებით დასტურდება, რომ ადამიანს აქ ჯერ კიდევ გვიანდ. ბრინჯაოს ხანაში უცხოვრია (იხ. *ერგეს განძი*).

Ე. განსაკუთრებით დაწინაურდა შუა საუკუნეებში. აქ გადიოდა ზღვისპირეთიდან ახალშენ-ხეყრუს-ჯოჯოხეთისა და Ე-ს გავლით ისტ. ტაო-კლარჯეთთან დამაკავშირებელი ძვ. გზები.

სოფელში შემორჩენილია ფეოდ. ხანის ძეგლები, რ-თაგან მნიშვნელოვანია გვიანდ. შუა საუკ. ნაციხარი (მდინარეების ჯოჯოხოსწყლისა და ჭოროხის შესართავთან), ქვის თაღოვანი ორი ხიდის ნანგრევები, საეკლ. და სხვა დანიშნულების შენობათა ნაშთები.

2012 Ე-სა და მის გარეუბან ზემო ჯოჯოხოს ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად (ხელმძღვ. შ. მამულაძე) შესწავლილ იქნა შუა საუკუნეების ორი დარბაზული ეკლესიის ნაშთები, რებიც XI–XIII სს-ით თარიღდება და გვიანდელი საძვალე, სადაც მიცვალებულები ქრისტიანული წესით არიან დაკრძალულნი. აღმოჩენილია ერთფერად მოჭიქული და ჩალისფერკეციანი ჭურჭლის ფრაგმენტები, პურის საცხობი კეცები. მასალას პარალელი მოეძებნება საქართველოს სხვა ნაქალაქარებსა თუ ნასოფლარებზე აღმოჩენილ მასალასთან.

ლიტ.: აჭარა. წარსული და თანამედროვეობა, ბათ., 2012; რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974; ქ უ რ ი ძ ე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ო., კოლხური ცული, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1950, ტ. 16 B.

ა. რამიშვილი. ი. სიხარულიძე.

ერგემლიძე ნუგზარ ოთარის ძე (დ. 1. V. 1955, ბათუმი), მხატვარი, მუსიკოსი. დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკად. დიზაინის ფაკ-ტი (1978). აკად. დამთავრების შემდეგ მუშაობდა მხატვარ-კონსტრუქტორად (1978–80). იყო ანსამბლ ,,75-ის'' წევრი (1981), საქართვ. ტელე-რადიომაუწყებლობის სახელმწ. კომიტეტის რედაქტორი (1982–2004), აჭარის არ ტელევიზიის მუს. გადაცემების პროდიუსერი (2006–07). ავტორია მრავალი სიმღერისა (,,თუკი გესიზმრები'', ,,ბაკურიანი'', ,,თოვლი მოდის'' და სხვ.), აგრეთვე, ორი რომანისა და ლექსების კრებუ-

ლისა. გამართული აქვს 3 პერსონალური გამოფენა: თბილისში (მხატვრის სახლი, 1986), ქუთაისში (1986), ბათუმში (1987). არის რამდენიმე მუს. კონკურსის გამარჯვებული. საქართვ. პარლამენტის წევრი (2008–12).

ერგეს განძი, ბრინჯაოს ხანის 3 განძი. აღმოჩენილია სოფ. ერგეში (ხელვაჩაური): 1. ძვ. წ. XVII–XV სს. ბრინჯაოს 10 კოლხური ცული (ნაპოვნია 1936); 2. ძვ. წ. XV–XIV სს. ბრინჯაოს ცული და ზოდების ნატეხები (აღმოჩენილია 1960 სოფ. ზემო ჯოჭოს უბანში); 3. ძვ. წ. XI–X სს. ბრინჯაოს 2 ცული, 2 წალდი, 4 თოხი და ზოდები (ნაპოვნია 1960 ეკალაურის უბანში).

ნივთები დაცულია აჭარის ხ. ახვლედიანის სახ. მუზეუმში.

ლიტ. იხ. სტ-თან ე რ გ ე.

ა. რამიშვილი. ლ. ფანცხავა.

ერგეტა, სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ბუის (ჭურიის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. თემის ცენტრი (სოფლები: ე., ცვანე). ზ. დ. 8 *მ,* ზუგდიდიდან 26 *კმ.* 956 მცხ. (2002). სოფელშია შინმოუსვლელთა მუზეუმი.

ე-ის მახლობლად არის უძველესი დროის რამდენიმე ნამოსახლარი ბორცვი, ე. წ. *დიხაგუძუბა.* სოფლის სახელს უკავშირებენ ძვ. ქართ. ტომის – ეგრის და ეგრისის სახელწოდებას.

ერგეტის არქეოლოგიური ძეგლები, სხვადასხვა დროის (ძვ. წ. II ათასწლ. დასაწყისიდან ძვ. წ. II–I სს-მდე) არქეოლოგიური ძეგლები. აღმოჩენილია სოფ. ერგეტაში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), მდ-ებს ენგურსა და ჭურიას შორის, შავი ზღვიდან 8 *კმ*-ზე. შესწავლა მიმდინარეობს 1978-იდან. სოფელსა და მის შემოგარენში გამოვლენილია ორ ათეულზე მეტი ნამოსახლარი ბორცვი, ე. წ. *დიხაგუძუბა,* ორმოცდაათზე მეტი ანტ. ხანის ნამოსახლარი და გვიანდ. ბრინჯაოსა და ადრინდ. რკინის ხანის 4 სამაროვანი. ერგეტას ერთ-ერთ ნამოსახლარ ბორცვზე, რ-იც მ ა მ უ ლ ი ე ბ ი ს დ ი ხ ა გ უ ძ უ ბ ი ს სახელითაა ცნობილი, აღმოჩენილია ძვ. წ. II ათასწლ. I ნახ. ხის ჯარგვალური ტიპის ნაგებობათა ნარჩენები. ზოგიერთ სათავსში დიდი რაოდენობით იყო ხორბლის, ფეტვის, ღომის, ყურძნისა და თხილის კულტურათა ნაშთები. აგრეთვე ღორის, ძროხის, ირმის, შველისა და ფრინველთა ძვლები. იქვე ნაპოვნია მრავალფეროვანი კერამ. ნაწარმი, ბრინჯაოს ყუამილიანი ცული და ლითონის სხვადასხვა ნივთის ჩამოსასხმელი ყალიბები. ამავე ბორცვზე გაითხარა ადრინდ. ანტ. ხანის კულტ. ფენა. მასში გამოვლინდა კერამ. და ლითონის ნაწარმი, აგრეთვე ძვ. წ. V ს. დასაწყ. ეგვიპტური ფაიანსისაგან დამზადებული იეროგლიფურწარწერიანი ხოჭოს პლასტ. გამოსახულებანი.

არქეოლოგიურად შესწავლილია ძვ. წ. I ათასწლ. I ნახ. 4 სამაროვანი, გამოვლენილია საკულტო მოედნები და ორმოსამარხები. მათში აღმოჩნდა ასეულობით თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოსა და რკინის სატევრები, ცულები, შუბისპირები, ისრისპირები, თოხები, სახნისები, სამკაული, საკულტო დანიშნულების ანთროპომორფული და ზოომორფული გამოსახულებანი, ოქროსა და ვერცხლის ნივთები. მათი აბსოლ. უმრავლესობა ადგილობრივადაა დამზადებული, არის იმპორტული ნაწარმიც (სკვითური აკინაკები და ისრისპირები; ირან., მცირეაზიური და ეგვიპტური წარმომავლობის მინის, პასტისა და ფაიანსისაგან დამზადებული მძივები და საბეჭდავები).

გათხრილია ძვ. წ. IV–III სს. ნამოსახლარი. აღმოჩენილია ადგილ. წარმოების კერამიკა, აგრეთვე ბერძნ. ცენტრებიდან შემოტანილი ნაწარმი (სინოპური კრამიტი და ლუთერია, თასოსური ამფორები და სხვ.).

ძვ. წ. II–I სს-იდან XIX ს-მდე ე-ში ადამიანის ცხოვრების კვალი არ ჩანს.

აღმოჩენილი მასალა დაცულია დადიანების სასახლეთა ისტ.-არქიტ. მუზეუმში, ფოთის კოლხური კულტ. მუზეუმსა და საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

ლიტ.: М и к е л а д з е Т. К., Археология Колхиды, Тб., 1990; М и к е л а д з е Т. К., М и г д и с о в а Н. П., П а п у а ш в и л и Р. И., Основные итоги полевых исследований Колхидской экспедиции, кр.: Полевые археологические изыскания. 1982, Тб., 1985.

რ. პაპუაშვილი.

ერგილემისი (Ergilemys), ხმელეთის კუს (ოჯახი Testudinidae) ერთ-ერთი გადაშენებული გვარი. ფართოდ იყო გავრცელებული პალეარქტიკის სამხრ. ზოლში ზედა ეოცენში და ოლიგოცენში. ე. გ-ის განტური ქვეწარმავალია. მისი გადაშენება გამოიწვია ჰავის შეცვლამ. გვარი აერთიანებს ათიოდე სახეობას.

1960 სამხრ. საქართველოში ვ. ჩხიკვაძემ იპოვა ერთ-ერთი სახეობის – მ ე ს ხ ე თ ი ს ე-ის (E. meschethica) ჩონჩხის ნაშთები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს გიგანტური კუ გვიანდ. ოლიგოცენში ბინადრობდა ამ რეგიონის სავანის ტიპის ლანდშაფტებში.

ვ. ჩხიკვაძე. ა. ვეკუა.

ერგნეთი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის ტირძნისის თემში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. ლიახვის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 840 *მ,* გორიდან 28 *კმ.* 639 მცხ. (2002).

ე. მოხსენიებულია 1451 საბუთში, რ-ის თანახმად ამირეჯიბმა რამინ გაბელისძემ იქ მცხოვრები ჯოხაძე თავისი მამულით სვეტიცხოველს შესწირა. ე-ს მოიხსენიებს ასევე ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) ლიახვის ხეობის სოფელთა სიაში. 1865 ე. თავისი 17 ქართ. კომლით გორის მაზრის მეღვრეკისის სასოფლო თემში შედიოდა.

ჯ. გვასალია.



ერგეტის არქეოლოგიური ძეგლები. ანთრომორფული ფიგურა.

ერგნელი (ნამდვ. გვარი – ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე - ყ ი ა ს ა შ ვ ი ლ ი) მერი (მარიამ) ალექსანდრეს ასული (21.V. 1906, თბილისი, – 19. V. 1991, იქვე), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1979). 1922–25 სწავლობდა საქართვ. პროლეტკულტის დრამ. სტუდიაში, პარალელურად 1924-იდან იყო თბილისის „წითელი თეატრის'' მსახიობი, 1926–27 – თბილ. მუშათა თეატრის, 1927–28 – ქუთ. თეატრის მსახიობი, ხოლო 1928-იდან სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრში. იყო ამ თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი. უპირატესად ასრულებდა სახასიათო როლებს. ე-ის მიერ უშუალობითა და განსაკუთრებული ტემპერამენტით განსახიერებული როლებია: ფრაუ ბიუცნერი (ნ. საცის „ფრიც ბაუერი''), კლორიდა (ი. ზაიაიცკის „რობინ ჰუდი''), კაწაწა (გ. ნახუცრიშვილის „კომბლე''), კუკუშკინა (ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი''), ლედი კაპულეტი (უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა'') და სხვ.



მ. ერგნელი.



მ. ე რ გ ნ ე ლ ი. კუკუშკინა, ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი''.

ლიტ.: ღ ვ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ი ა., მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი, თბ., 1956.

შ. ცუცქირიძე.

ერდოიანი სახლი, ქართული ხალხური საცხოვრებელი სახლის სახეობა, რ-ის სახურავში, შუა ცეცხლის თავზე მოწყობილი იყო ღიობი (ერდო), რ-იც საკვამური-



ერდოიანი სახლი.

სა და სარკმლის დანიშნულებას ასრულებდა. სხვადასხვა ვარიაციებით Ე. ს. გავრცელებული იყო ქვემო და შიდა ქართლში, მესხეთ-ჯავახეთსა და თრიალეთში. ჩვეულებრივ ნაგები იყო ქვითა და ტალახით. მკაცრ კლიმ. რეგიონებში მიწაში ღრმად იყო ჩასული. ბანი გადახურული იყო ხის კონსტრუქციებით, ხოლო სახურავი დაფარული იყო თიხატკეპნილით. იხ. *დარბაზული სახლი.*

ერედა, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ბოლის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ხარულის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ქსნის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 920 *მ*, ახალგორიდან 4 *კმ*. 38 მცხ. (2002).

ერედა, სოფელი მცხეთის მუნიციპალიტეტის წილკნის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. ერედისხევის (ნარეკვავის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 660 *მ*, მცხეთიდან 20 *კმ*, ქსნიდან (უახლოესი რკინიგზის სად.) 14 *კმ*. 565 მცხ. (2002).

Ე. წყაროებში XV ს. II ნახევრიდან მოიხსენიება. სოფლის ძვ. სახელწოდებაა ყურისუბანი. ადრე შუა საუკუნეების ხანაში შედიოდა ქსნის ხევში. 1470 გუჯრის მიხედვით Ე. ქსნის ერისთავების კუთვნილი სოფელია. მასთან გადიოდა საზღვარი ქსნის საერისთავოსა და საამილახვროს შორის. 1865 Ე. შედიოდა ქსნის უბნის ქვემო ბოლის სასოფლო თემში და მასში ცხოვრობდა 10 კომლი.

სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩნდა გვიანდ. ბრინჯაოსა და ადრინდ. ანტ. ხანის სამაროვნები. შემორჩენილია ფეოდ. ხანის კოშკის ნანგრევები. სოფელში დგას გვიანდ. შუა საუკუნეების წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია. ნაგებია რიყის ქვით, კონსტრუქციულ ნაწილებში გამოყენებულია კვადრატული აგური. გადახურულია პილასტრებზე ამოყვანილ საბჯენ თაღზე დაყრდნობილი ოდნავ შეისრული კამარით. ინტერიერში კედლები შელესილი და მოხატულია.

ლიტ.: გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.

ჯ. გვასალია.

ერედვი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), მდ. პატარა ლიახვის მარჯვ. მხარეს. მუნიციპალიტეტის ცენტრი. ზ. დ. 1010 *მ*. 918 მცხ. (2002).

სოფელი იხსენიება ვახუშტი ბატონიშვილის მიერ (XVIII ს.) პატარა ლიახვის სოფელთა სიაში და ი. *გიულდენშტედტის* (XVIII ს.) შრომაში – ,,მოგზაურობა საქართველოში‘‘.

სოფელში და მის შემოგარენში დგას რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლი, მათ შორის წმინდა გიორგის ეკლესია, *ბერის საყდარი,* XIV ს. ელიას (ილია წინასწარმეტყველი) ერთნავიანი ეკლესია



ერედვის წმინდა გიორგის ეკლესია. 906.

და სხვ. წმ. გიორგის ეკლესია სამშენებლო წარწერის მიხედვით აგებულია 906. წარწერაში მოხსენიებული არიან ტაძრის მაშენებელი თეოდორე თაფლაის ძე, ქართლის მთავარი ივანე ტბელი და ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე (ამავე წარწერაში მოთხრობილია აფხაზთა მეფის, კონსტანტინეს, ჰერეთს გალაშქრებისა და ვეჯინის ციხის აღების შესახებ). გეგმით უნიკალური სამეკლესიანი ბაზილიკის მთავარ ნავს გარშემოსავლელი სამი მხრიდან კი არ ეკვრის, როგორც ეს ჩვეულებრივ არის მიღებული, არამედ ოთხივე მხრიდან. ნაგებობა ძირითადად შემორჩენილია პირვანდელი სახით (შეკეთებული და აღდგენილია მხოლოდ ცალკეული ადგილები). დეკორი უპირატესად ინტერიერშია მოქცეული.

ეკლესიას გარს აკრავს მაღალი ბურჯებით გამაგრებული ციხე-გალავანი, რ-იც 4 ძირითად ქრონოლ. ფენას შეიცავს – ადრეული ეპოქიდან მოყოლებული XVIII ს. ჩათვლით. გალავანში შემორჩენილია პატარა ეკლესიის ნაშთი.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941.

ლიტ.: მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., ლიახვის ხეობა, თბ., 1971; მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი რ., ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, «ქართული ხელოვნება», 1955, ტ. 4; М е п и с а ш в и л и Р., Ц и н ц а д з е В., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида-Картли, Тб., 1975.

ჯ. გვასალია. რ. მეფისაშვილი. ვ. ცინცაძე.

ერედვის მუნიციპალიტეტი, დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში, გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (შიდა ქართლის მხარე). შეიქმნა საქართვ. პრეზიდენტის 2007 წლის 10 მაისის №296 ბრძანებულებით. Ე. მ-ში შევიდა არცევის, ბელოთის, ერედვის, ვანათის, ქსუისის ტერიტორიული ორგანოები 96 სოფლით. მუნიციპალიტეტის ცენტრია სოფ. *ერედვი.*

ერევნის სახანო, ნახევრად დამოუკიდებელი ფეოდალური სახელმწიფო აღმოსავლეთ სომხეთის ტერიტორიაზე. დააარსა *აბას I-მა* 1604. ცენტრი იყო არარატის ველი ქ. ერევნითურთ. სახანოში მთელი ადმ. და სამხ. ხელისუფლება შაჰის მიერ დანიშნულ სარდალს (მხედართმთავარს) ეკუთვნოდა, ის ითვლებოდა ხელმწიფის ნაცვლად და ბეგლარბეგი ეწოდებოდა. ამას გარდა, ერევნის სარდალს ემორჩილებოდნენ ნახიჩევანისა და მაქუს სახანოები, აგრეთვე ყარაბაღისა და სივნიეთის (სიუნიქის) სომხ. სამელიქოები. Ე. ს. წვრილ ადმ. ერთეულებად – მაჰალებად იყოფოდა. XIX ს. დასაწყისისათვის მათი რაოდენობა 15-ს აღწევდა. მაჰალების მმართველებს ნაიბები და მელიქები ეწოდებოდათ. ნაიბებს ხშირად გამაჰმადიანებული სომხებისა და ქართველების წრიდან ნიშნავდნენ. ქართველები თვით ერევნის ხანებიც ყოფილან. მაგ., გარკვეულ დროს ერევნის ხანი იყო *კონსტანტინე II* – კახთა მეფე (იგივე მაჰმად ყული-ხანი).

XVIII ს. დასაწყისიდან Ე. ს-ში ეროვნ.-განმათ. მოძრაობამ განსაკუთრებული ხასიათი მიიღო. ამ ბრძოლაში სომხებს მხარს უჭერდა ქართლის მეფე *ვახტანგ VI,* განჯის მოსახლეობა და შემდეგ უკვე ქართლ-კახეთის მეფე *ერეკლე II.*

ნადირ-შაჰის მოკვლის (1747) შემდეგ ირანი ანარქიამ მოიცვა და ცალკეულმა სახანოებმა, მ. შ. Ე. ს-მაც ნახევრად დამოუკიდებ-

ლობა მოიპოვა, 1749 შემოდგომაზე ე. ს-ს მომთაბარე თურქმანული ტომები შეესივნენ მაჰმად-ხანის სარდლობით. ერევნის ხანმა დახმარებისათვის თეიმურაზსა და ერეკლეს მიმართა, რისთვისაც ლაშქრობის ხარჯების გადახდა და ყოველწლიური ხარკი იკისრა. მეფეებმა ეს წინადადება მიიღეს. ლაშქრობა ქართველთა და სომეხთა გამარჯვებით დასრულდა. ამიერიდან ე. ს. ძლიერი ქართლ-კახეთის მფარველობაში შევიდა.

რუსეთ-ირანის (1804–13, 1826–28) ომების დროს ე. ს-ში ფართოდ გაიშალა სახ. მოძრაობა რუსეთთან შეერთებისათვის, 1828 *თურქმანჩაის ზავით* ე. ს. რუსეთს შეუერთდა.

ლიტ.: История армянского народа, ч.1, Ер., 1951; Петрушевский И. П., Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении ..., Л., 1949.

გ. მაისურაძე.

ერევთა, სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბორითის თემში (იმერეთის მხარე), მდ. დუმალის (ძირულის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 520 *მ,* ხარაგაულიდან 35 *კმ,* ძირულიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 24 *კმ.* 87 მცხ. (2002).

ერევთისკარი (ყოფ. ივანოვკა), სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში. იხ. *ჰერეთისკარი.*

ერევთო, სოფელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გუდაურის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. მთიულეთის არაგვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1960 *მ,* სტეფანწმინდიდან 53 *კმ.* 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

1865 ე. შედიოდა მთიანი ოლქის ქვემო მლეთის სასოფლო თემში და ცხოვრობდა 14 კომლი.

სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხესიმაგრის ნანგრევები.

ერევთოს ჩანჩქერი, ჩანჩქერი აღმოსავლეთ საქართველოში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, მდ. ერეთოსწყალზე (მთიულეთის არაგვის მარჯვ. შენაკადი), ყელის ვულკ. ზეგნის სამხრ.-აღმ. კიდეზე, ზ. დ. 2300 *მ* სიმაღლეზე. მდ. ერეთოსწყალი იწყება ყელის ზეგნის იმ ნაწილში, რ-საც არაგვისთავი ეწოდება. მისი სათავეებია მძლავრი წყაროები. მდინარე თავდაპირველად წყნარად გაედინება ლავური პლატოს ზედაპირზე, შემდეგ – ტროგულ ხეობაში მიედინება და მეფისკალოს ლავური ნაკადის აღმ. კიდეზე ჩანჩქერად ეშვება. ჩანჩქერის სიმაღლეა 45 *მ,* მოჩანს საქართველოს სამხ. გზიდან (შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში'').

ერეკლე I (გ. 1709), ქართლის (1688–1703) და კახეთის (1703–09) მეფე. კახეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი, *თეიმურაზ I-ის* შვილიშვილი, *დავით (დათუნა) ბატონიშვილისა* და *ელენე* დედოფლის (დიასამიძე) უმცროსი ვაჟი. რუსეთში იცნობდნენ ნიკოლოზის სახელით. სპარსეთის ხელისუფლებამ ნაზარალი-ხანის სახელით მონათლა. სრულიად ყმაწვილი ე. I თეიმურაზმა რუსეთის ერთგულებაზე დადებული ,,ფიცის წიგნის'' პირობების თანახმად, დედასთან, ელენესთან ერთად ამალით მოსკოვში გააგზავნა (1653). აქ იგი დიდი პატივით მიიღეს. 1658 ივნისში მოსკოვში ჩასულმა თეიმურაზ I-მა რუს. მეფეს ბატონიშვილისადმი მზრუნველობა და სახელმწ. საქმეებში მისი გაწვრთნა სთხოვა. ამ პერიოდში გარდაიცვალა ე. I-ის უფროსი ძმა ლუარსაბ ბატონიშვილი. თეიმურაზმა იმერეთის მეფე *ალექსანდრე III-თან* ერთად მეფე ალექსი მიხეილის ძეს სთხოვა, ე. I, როგორც ტახტის ერთადერთი მემკვიდრე, საქართველოში დაებრუნებინა. 1660 აგვ. უფლისწული დედასთან ერთად ამალით – ასტრახანში, 1662 კი საქართველოში ჩავიდა. ე. I-ს, როგორც კახეთის ტახტის კანონიერ მემკვიდრეს, სამეფოს დაუფლებაში მხარს უჭერდნენ თუშ-ფშავ-ხევსურნი და სპარსელთა ბატონობით უკმაყოფილო კახი დიდებულების ნაწილი. ქართლის მეფე *ვახტანგ V-მ* და კახეთის ხანმა ეს ამბავი ირანის შაჰს შეატყობინეს. შაჰმა ე. I-ის შეპყრობა ან განდევნა ბრძანა. ე. I თავს დაესხა ვახტანგს, მაგრამ დამარცხდა და თორღვას ციხეში ჩაიკეტა. ე. I-ის დედის, ელენეს თხოვნითა და გარკვეული პოლიტ. მოსაზრებით 1664 ვახტანგ V-მ იგი ციხიდან გააპარა, ხოლო კახეთის მეფედ თავისი ძე არჩილი დასვა. ე. I განაგრძობდა ბრძოლას, მაგრამ კვლავ დამარცხდა და 1666 წელს, იძულებით, ისევ რუსეთში დაბრუნდა. მეფე ალექსი მიხეილის ძემ იგი დიდი პატივით მიიღო. ალექსი მიხეილის ძის ნატალია ნარიშკინაზე მეორედ ქორწინების დროს ე. I ცერემონიალის ხელმძღვანელად (,,ტისიაცკი'') და ამასთან სასიძოს მეჯვარედაც მიიწვიეს.

ე. I ყოველნაირად ცდილობდა კახეთის ტახტის ხელში ჩაგდებას. მისი ამალის წევრებმა შეიტყვეს, რომ ვახტანგ V-ის გაძლიერება და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა შაჰის განრისხებას იწვევდა. კახეთისა და ქართლის თავადთა ნაწილი ე. I-ს საქართველოში ჩამოსვლას ურჩევდა. მას შაჰიც თავისთან იბარებდა. 1674 ე. I კახეთში ჩავიდა. იგი იქ თავისმა სიძემ (დის ქმარი) – არჩილ II-მ პატივით მიიღო, ტახტის გადაცემას შეპირდა და ირანში გაისტუმრა. შაჰს ქართლის ტახტზე მისი დამტკიცება სურდა, მაგრამ ბოლოს, 1677, არჩევანი გამაჰმადიანებულ *გიორგი XI-ზე* შეაჩერა, თუმცა ირანის კარზე არც გიორგის დამოუკიდებლობისაკენ მიმართული პოლიტიკა მოეწონათ. იგი გადააყენეს, ე. I აიძულეს გამაჰმადიანებულიყო და მას ქართლის მეფობა უბოძეს. აქედან იწყება ხანგრძლივი ბრძოლა ტახტისათვის ე. I-სა და გიორგი XI-ს შორის. უცხოეთში გაზრდილი ე. I სრულად არ იცნობდა ქართ. ზნე-ჩვეულებებს. მან თავისი პოზიციის განსამტკიცებლად დაიწყო ერთგული პირების დაწინაურება. დაამცირა და დაამდაბლა ის თავადებიც კი, რ-ებიც გიორგი XI-ს ოპოზიციაში ედგნენ, კერძოდ, ვეზირად დანიშნა თათარი ყიასა, მსაჯულთუხუცესად – არაგვის ერისთავის ძმა ბარძიმი, სახლთუხუცესად – კახელი ბებურიშვილი, ყულარასად – ლუარსაბი, რ-ებიც ფაქტობრივად ქვეყანას განაგებდნენ, თვითონ კი მხიარულად ატარებდა დროს. ნიკოლოზის მაგივრად კათოლიკოსად დანიშნა თავისი ბიძა იოანე (დიასამიძე), თბილელის და მანგლელის კათედრებიც თავის მომხრეებს ჩააბარა, რამაც შეურაცხყო მსხვილი წარჩინებული თავადები: გიგი ამილახვარი, თამაზ ყაფლანიშვილი, დავით ქსნის ერისთავი, აშოთან მუხრანბატონი. ე. I-ის მთავარი დასაყრდენი ძალა თბილ. ციხის ყიზილბაში მეციხოვნეები იყვნენ, რ-ებიც ხშირად ადგილობრივ მოსახლეობას იტაცებდნენ, ყიდდნენ ან ამაჰმადიანებდნენ. მძიმე პირობებში ჩავარდნილმა მოსახლეობამ ქართლიდან აყრა და კახეთში ჩასახლება დაიწყო, სადაც შედარებით სიმშვიდე იყო. უკმაყოფილო თავადებმა გადაწყვიტეს ისევ გიორგი XI-ის გამეფება. ტახტისათვის გაჭიანურებულმა ბრძოლამ ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ე. I იძულებული გახდა შაჰისათვის დახმარება ეთხოვა. მან ქალ-



ერეთოს ჩანჩქერი.



ერეკლე I-ის პორტრეტი. უცნობი მხატვარი.

ბალი ხანის სარდლობით ჯარი გამოგზავნა, რამაც აჯანყებული გიორგი XI-ის პოზიციები დაასუსტა. ე. I-მა მთელი ქართლის დამორჩილება მოახერხა, თუმცა მოსახლეობის აყრა გრძელდებოდა. ამ პროცესს ხელს უწყობდა თვით ე. I. იგი უფრო კახეთის აღორძინებაზე ზრუნავდა, რადგანაც მისი სურვილი საბოლოოდ კახეთში გაბატონება იყო. შაჰმა გიორგი XI-ის შემორიგებისა და ავღანეთში სალაშქრო ჯარის სარდლად დანიშვნის შემდეგ, 1703, ქართლის მეფობა მას უბოძა, ხოლო ე. I კახეთის მეფედ დაამტკიცა, ყულარაღასობა (გვარდიის სარდალი) უბოძა და თავისთან დაიბარა. ე. I სპარსეთში წავიდა. მისი გამაჰმადიანებული შვილი *დავით II* (იმამ ყული-ხანი) ე. I-ის თხოვნით კახეთის მმართველად გაგზავნეს. მალე ე. I იქვე გარდაიცვალა.

ე. I თავისი მეფობის დროს დედის – ელენეს რჩევით, ყურადღებას აქცევდა ეკლესია-მონასტრებს; მრავალ ეკლესიას აღუდგინა ყმა-გლეხები, მამულები, შეაკეთებინა ეკლესიები და მონასტრები; მოაწესრიგა საქალაქო ცხოვრება, განსაზღვრა ქალაქის მოხელეთა უფლება-მოვალეობანი, შეიმუშავა თბილისის ხელოსანთა ამქრის წესდება და სხვ.

წყარო: გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», 1925, [ტ.] 2; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500–1810 წწ.), ტფ., 1922; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი ვ., ქართველები მოსკოვში, თბ., 1975.

გ. ნარსია.

ერეკლე II (7. XI. 1720, თელავი, – 11. I. 1798, იქვე, დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში), კახეთის მეფე 1744–62, ქართლ-კახეთისა – 1762–98. მისი მშობლები იყვნენ *ვახტანგ VI-ის* ასული თამარი და კახთა მეფის *ერეკლე I-ის* ვაჟი *თეიმურაზ II*. ე. II ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა შტოების გამაერთიანებელი გახდა, რაც მომავლისთვის ტახტის მოცილეთა წინააღმდეგობას საკმაოდ ასუსტებდა. სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ჭაბუკობის ასაკიდანვე ჩაება. 15 წლისამ სახელდახელოდ შეკრებილი ლაშქრით ქიზიყიდან მომავალი ლეკთა მარბიელი გუნდები ნეიშინის მინდორზე (ქიზიყის ჩრდ.-დას-ით, ანაგის, ვაქირისა და საქობოს ბოლოს) სასტიკად დაამარცხა. პირველი წარმატებული საბრძოლო ნათლობისას მცირეწლოვანების გამო ხალხმა მას სიყვარულით „პატარა კახი“ შეარქვა. ორი წლის შემდეგ (1737) ე. II ნადირ-შაჰმა სპარსეთში გაიწვია ინდოეთის სამხედრო ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად, რამაც მას მდიდარი გამოცდილება შესძინა. ამ დროს დაემთხვა ე. II-ის პირველი ქორწინება ვახტანგ ყაფლანიშვილის ასულ ქეთევანზე



ერეკლე II-ის პორტრეტი. უცნობი მხატვარი.

(დედოფალი მალევე გარდაიცვალა). 1744 ივნისში ნადირ-შაჰის თანხმობით თეიმურაზ II ქართლში, ხოლო ე. II კახეთში გამეფდა. 1745 წ. 1 ოქტომბერს თეიმურაზ II მცხეთაში ქრისტ. წესით ეკურთხა მეფედ, რაც საქართველოში „მუსლიმან მეფეთა ეპოქის“ დასასრულს მოასწავებდა. ამ დროისათვის ე. II-მ მეორედ იქორწინა იმერელი თავადის, ზაალ აბაშიძის ასულ ანაზე. მისგან შეეძინა ორი შვილი გიორგი და თამარი. მამა-შვილის შეთანხმებული მართვა-გამგეობა ქართლსა და კახეთში (1744–62) არსებითად აღმ. საქართველოს გაერთიანების ტოლფასი იყო და ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა თავადური ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლას. მათ 1743–44 შეძლეს ქსნისა და არაგვის საერისთავოების გაუქმება და თანამიმდევრობით შეუდგნენ დანარჩენი ურჩი თავადების პოლიტ. უფლებების შეზღუდვას. წარმატება ხვდათ ირანთან ურთიერთობაშიც. ნადირ-შაჰის სიკვდილთან ერთად (1747) ირანის ბატონობა ამიერკავკასიაში ფაქტობრივად შეწყდა, ე. II-ს თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცა. მან არაერთგზის დაამარცხა ქართლის ტახტის მოცილე *აბდულა-ბეგი*. ყიზილბაშთა ორსაუკუნოვანი ტყვეობის შემდეგ გაათავისუფლა (1748) თბილ. ციხე. ახ. შაჰის თანხმობით, 1749 ყაზახ-ბორჩალო ქართლ-კახეთს დაუბრუნდა, რითაც ქართლის სამეფოს სამხრ.-აღმ. საზღვარმა მდ. აღსტაფის ხეობამდე გადაიწია.

მამა-შვილმა მეზობელი სახანოების მიერ აღმ. ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში ზედიზედ დაამარცხეს და თავის ხელისუფლებას დაუმორჩილეს განჯის, ერევნისა და ნახიჭევანის სახანოები. ე. II-ის მხედართმთავრული ნიჭი სრულად გამობრწყინდა აზატ-ხანის წინააღმდეგ *ყირხბულახის ბრძოლაში 1751*. ამ ბრძოლის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტ. გავლენის სფერო მდ. არეზამდე გაფართოვდა. დას. საქართველოში ე. II-ის გავლენის გავრცელებისათვის ხელი უნდა შეეწყო აგრეთვე მის დამოყვრებას დადიანის სახლთან. ანა დედოფლის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ ე. II-მ დადიანის ასული დარეჯანი შეირთო ცოლად. მას 7 ვაჟი და ამდენივე (ან უფრო მეტი) ქალი შეეძინა. ზოგიერთი მკვლევრის ვარაუდით ე. II-ს სულ 24 შვილი უნდა ყოლოდა. XVIII ს. 40–50-იანი წლების წარმატებების ფონზე თანდათან გამოიკვეთა ქვეყნის გადარჩენისა და განახლების დიდი გეგმის კონტურები, რ-იც საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომის“ თეიმურაზ-ერეკლესეული პოლიტ. ფორმულით გამოიხატა. ქვეყნის გამთლიანებასა და დამოუკიდებლობასთან ერთად ის საქართველოს ერთიანი ფეოდ. მონარქიის დროინდელ გაერთიანებასაც გულისხმობდა. ე. II-ის ორგანულად მთლიანი საშინაო და საგარეო პოლიტიკა ევრ. განვითარებისაკენ იყო მიმართული. საერთაშ. ურთიერთობაში შეცვლილ ძალთა თანაფარდობა კარდინალურად ცვლიდა ირანისა და თურქეთის დამოკიდებულებას ამიერკავკ. მიმართ. თუ ადრე საქართველო და ამიერკავკ. სხვა ქვეყნები ირანისა და თურქეთის თავდასხმის ობიექტს წარმოადგენდნენ, მოახლოებული რუს. სა-

შიშროების წინაშე ამ რეგიონმა მათთვის უკვე თავდაცვის მთავარი პოზიციის მნიშვნელობა შეიძინა, რუსეთისათვის კი როგორც საქართველო, ისე ამიერკავკასია ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების გასაღები იყო.

ამდენად, დიდ მოქიშპეთათვის ე. II-ის მიმხრობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. დაპირისპირებულთაგან ერთ-ერთის აგრესიის შემთხვევაში ე. II-ს შეეძლო დახმარების იმედი ჰქონოდა როგორც ერთის, ისე მეორის მხრიდან. ისახებოდა ამ ქვეყნებს შორის საქართველოს დამოუკიდებელ ძალად გამოსვლის პერსპექტივა, თუ იგი ფეხზე წამოდგომასა და ანგარიშგასაწევი ძალის მოკრებას შეძლებდა. ე. II-ის მთელი ძალისხმევა სწორედ ამ დიდი ამოცანის ხორცშესხმისაკენ იყო მიმართული. წარმატებულმა ომებმა ხელი შეუწყო შინაგანი განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნას. ომი არსებითად საქართვ. ფარგლებს გარეთ ხდებოდა, რაც ქვეყნის შიგნით მშვიდობას უზრუნველყოფდა. შედარებით სტაბილური ვითარება ე. II-მ რამდენიმე ათეული წელი შეინარჩუნა, რამაც საშუალება მისცა მეფესა და მის ერთგულ თანამოაზრე მამიდაშვილს, კათოლიკოს *ანტონ I-ს,* ქვეყნის გარდაქმნების გზაზე უმნიშვნელოვანესი რეფორმები წამოეწყოთ ეკონ. და კულტ. დარგში, სამართლისა და სახელმწ. მმართველობის სფეროში. სიახლით გამოირჩეოდა საქარხნო-საფაბრიკო წარმოების (შაქრის, მინის, შალის, იარაღის) დანერგვის ცდები, სამთამადნო წარმოების წამოწყება (სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თუჯის, რკინის), ზარაფხანის განახლება, სტამბის აღდგენა, მდივანბეგების სასამართლოს შემოღება, მმართველობის დარგობრივი დანაწილება (სამხ. საგარეო საქმეთა და სხვ.). სამხ. რეფორმის თავისებურ მცდელობას წარმოადგენდა *მორიგე ჯარის* შექმნა *ლევან ბატონიშვილის* მეთაურობით. სემინარიების დაარსება, განათლებულ მოღვაწეთა ძლიერი დასის ჩამოყალიბება, სამეცნ.-პოლიტ. და მხატვრული ლიტ-რის თარგმნა რუსულიდან, ცვლილებები სოც. სფეროში, ახალთავადების („პომეშჩიკების“) გაჩენა და სხვ. – ქვეყნის ასეთ გარდაქმნებში ხედავდა ე. II ფეოდ. ჩამორჩენილობის დაძლევის გზას, მაგრამ წარმატებისათვის აუცილებელი იყო აგრეთვე ჩამორჩენილი გარემოცვის გარღვევა და უფრო რადიკალური რეფორმების გატარება, რაც მსხვილ კაპიტალდაბანდებებს ითხოვდა. ფინანს. რესურსების შევსებას ე. II ვაჭრობის განვითარებითა და უცხ. სავაჭრო კაპიტალის მიზიდვით ცდილობდა.

ქვეყნის გამთლიანებასა და მის სამშვიდობოზე გაყვანას უდიდესი სიძნელეები ელობებოდა თურქეთის მხრიდან, რ-თა დაძლევაც ქართ. სამეფოებს მხოლოდ საკუთარი ძალებით არ შეეძლოთ, მიუხედავად იმისა, რომ 40–50-იანი წლების წარმატებების ზეგავლენით სომხები, ასირიელები, იეზიდები, კავკ. და მახლობელი აღმ-ის სხვა ხალხები გამოთქვამდნენ მზადყოფნას, ე. II-ის მეთაურობით ჩაბმულიყვნენ განმათ. ბრძოლაში. ანტიოსმალური კოალიციების ხანა უკვე დამთავრებული იყო. ევროპულმა სახელმწიფოებმა ირანსა და თურქეთთან თავიანთი ურთიერთობანი ძირითადად მოაგვარეს, რის გამოც, გარკვეული დაინტერესების მიუხედავად, საქართველოს მათთვის ადრინდ. სტრატეგიული მნიშვნელობა აღარ გააჩნდა. თურქეთის ერთადერთ შეურიგებელ მოწინააღმდეგედ რუსეთი დარჩა, რ-იც შავი და კასპიის ზღვების სანაპიროების დასაუფლებლად მოკავშირეებს ეძებდა ამიერკავკასიაში. ე. II-ს თავისი მიზნების განხორციელების ერთადერთ საშუალებად ერთმორწმუნე რუსეთზე ორიენტაცია მიაჩნდა. საკუთარი სახელმწიფოებრივი ამოცანების გადასაჭრელად რუს. იმპერიის ძალების გამოყენება რუსეთ-თურქეთის ომის შემთხვევაში თუ იქნებოდა შესაძლებელი, რის გამოც რუსეთში ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩობათა (1752, 1760) მთავარი ამოცანა ფაქტობრივად ამ ომის დაჩქარება გახდა. ქართველთა დიპლ. ძალისხმევას სომხ. საზღვარგარეთული წრეები სომხ. სახელმწ. აღდგენისა და ქართველ-სომეხთა კავშირის იდეასთან ერთად განიხილავდნენ და ქართ.-სომხ. ფედერ. სახელმწ. შექმნის სხვადასხვა პროექტებს ამუშავებდნენ. მაგრამ ქართველთა ამ დიპლ. ნაბიჯებს პრაქტ. შედეგები არ მოჰყოლია.

XVIII ს. 60-იან წლებში ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა, შესაბამისად გაიზარდა ე. II-ის ავტორიტეტი მახლობელ აღმოსავლეთში. მისმა სახელმა ევროპაშიც გააღწია. 1765 ე. II-მ ერევნის სახანოზე გაილაშქრა საქართველოსთვის უშუალოდ მისი შემოერთების შესაძლებლობის მოსასინჯად. 1768 კი ფართო პოლიტ. მიზნებით ჩაება რუსეთ-თურქეთის ომში. რუს. მთავრობა კავკასიაში თავის ჯარებს ნაკლებმნიშვნელოვან ამოცანებს აკისრებდა და ცდილობდა კავკასიაში თურქთა შესაბოჭად საქართვ. სამხ. ძალები გამოეყენებინა. საექსპედიციო კორპუსის მეთაურს გენ. გ. კ. ჰ. *ტოტლებენს* ნაბრძანები ჰქონდა, რუსთა მფლობელობის გაფართოების მიზნით ძირითადად ემოქმედა დას. საქართველოში, შავი ზღვის სანაპირო ზოლში. მიუხედავად ამისა, ე. II-მ მაინც შეძლო, განეწყო ტოტლებენი ახალციხეზე სალაშქროდ. *ასპინძის ბრძოლაში* კიდევ ერთხელ გამობრწყინდა ე. II-ის მხედართმთავრული ნიჭი, მაგრამ რუს. მთავრობის მხარდაჭერის გარეშე მოპოვებული გამარჯვებით სარგებლობა შეუძლებელი გახდა. რუსეთთან ომში თურქეთის დამარცხებამ ე. II-ს ხელები გაუხსნა ამიერკავკასიაში აქტ. მოქმედებისათვის. 1779 ე. II. ლაშქრით ერევნისაკენ დაიძრა საქართველოსთვის ერევნის სახანოს უშუალო შემოერთების მიზნით. გადამწყვეტ მომენტში ე. II-ის ზურგსუკან ამოქმედებულმა ძალებმა რუსეთიდან ,,აშვებული“ ქართლის ტახტის პრეტენდენტი *ალექსანდრე ბაქარის ძე* საქართველოში შემოიყვანეს, რის გამოც ე. II იძულებული გახდა წამოწყებული დიდი საქმე მომავლისთვის გადაედო. აშკარა იყო, რომ რუსეთი თვითონ აპირებდა კავკასიაში გაბატონებას და ე. II-ის შემდგომი გაძლიერება მას ხელს არ აძლევდა. 1783 დაიდო *გეორგიევსკის ტრაქტატი* – ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა. მაგრამ, საქართველოში მშვიდობიანად შემოსული რუსეთი ამიერკავკასიაში სრული გაბატონებისათვის ემზადებოდა. ერთიანი, ძლიერი საქართველოსა და ე. II-ის ჰეგემონისტური მისწრაფებები ხელს უშლიდა მის მიზნებს, ამიტომ იგი ქართლ-კახეთის სამეფოს თანამიმდევრულ დასუსტების პოლიტიკას დაადგა. მართალია, ე. II-მ

ქართ. სამეფო-სამთავროთა დროებით შეკავშირება თითქოს შეძლო კიდეც (1790), მაგრამ იგი უკვე თითქმის დაუძლურებული იყო. ცენტრ. ხელისუფლებას აგრეთვე მნიშვნელოვნად ასუსტებდა Ე. II-ის მრავალრიცხოვანი შვილებისა და შვილიშვილების პრეტენზიათა დასაკმაყოფილებლად დედოფლის გავლენით მიღებული ტახტის მემკვიდრეობის ახ. წესი (1791), რ-ის მიხედვით მეფობა უნდა გადასულიყო ძმიდან ძმაზე და საუფლისწულოების ჩამოყალიბების დაკანონება (1792). კრწანისის ტრაგედიაც (იხ. *კრწანისის ბრძოლა 1795*) შექმნილ სიტუაციაში ერთობ სიმბოლური ჩანდა. თუმცა მეფის ავტორიტეტი ვერც ამ მძიმე მარცხმა შეარყია. ხალხის მეხსიერებაში ის ქვეყნის დამოუკიდებლობისა და აღორძინებისათვის მებრძოლ რაინდად დარჩა. რუსეთის მიერ ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებების რეალიზაცია კი Ე. II-მ მომავალ თაობებს უანდერძა.


Ე. II იმავე ოთახსა და იმავე საწოლში გარდაიცვალა, სადაც დაიბადა. მეფის სიკვდილის ამბავი რომ გახმაურდა, ხალხი ყოველი მხრიდან თელავს მიაწყდა. სამგლოვიარო პროცესში მონაწილეობას იღებდა ქართ. ჯარი თავისი დროშებითა და ქვემეხებით. მისი შვილიშვილის, თეიმურაზ ბატონიშვილის, გადმოცემით, მეორმოცე დღეს Ე. II-ის ცხედარი მცხეთაში წაასვენეს და სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს.

წყარო: გეორგიევსკის ტრაქტატი, გ. პაიჭაძის გამოც., თბ., 1983; მაჭარაძე ვ., მასალები XVIII ს. II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. 2, თბ., 1968; ორბელიანი ა., ჰამბავნი ქართლისანი, ელ. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1981; [ხერხეულიძე ო.] ომან მდივანბეგი, მეფობა ირაკლი მეორისა, ლ. მიქიაშვილის გამოც., თბ., 1989; Бутков П., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, ч.1–3, СПб., 1869; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, под ред. А. А. Цагарели, т.1–2 (в. 1–2), СПб., 1891–1902.

ლიტ.: ბენდიანიშვილი ა., დაუშვილი ა., სამსონაძე ნ., ქორაშვილი ხ., ჭუმბურიძე დ., ჯანელიძე ო., რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008; ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; წგ. 5, თბ., 1971; მანველიშვილი ა., რუსეთი და საქართველო (1801–1951), ტ. 1, პარიზი, 1951; პეტრიაშვილი თ., აღსასრული და გაპატიოსნება პატარა კახისა, ,,ისტორიანი'', №5, 2011; სამსონაძე მ., საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში, თბ., 1988; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ქიქოძე გ., ერეკლე მეორე, გამოც. მე-3, თბ., 1958; ცინცაძე ი., 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960; მისივე, აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბ., 1963.

გ. მაისურაძე.

ერეკლე II-ისა და ანტონ კათალიკოსის განჩინება 1767–68, მეფისა და კათოლიკოსის ნორმატიული აქტი შელახული სარწმუნოებისა და ეკლესიის მოშლილი საქმეების მოსაწესრიგებლად,



ერეკლე II-ისა და ანტონ კათალიკოსის განჩინება 1767–68. ხელნაწერი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბილისი.

აგრეთვე ზოგიერთი სარწმუნოებრივი და სქესობრივი დანაშაულის აღსაკვეთად. შედგება 2 ნაწილისაგან: 1. ,,ეპისკოპოსთა მიმართ'', რ-იც *ერეკლე II-მ* და *ანტონ I-მა* ერთობლივად შეადგინეს 1767; 2. დანართი, რ-იც მეფემ დაუმატა ერთობლივ ტექსტს 1768 ,,თანა-ნება-მყოფობითა სრულ ერთიანად ... თავადთა, აზნაურთა, დიდვაჭართა და გლეხთათა''. განჩინება მთლიანად მაშინვე დაისტამბა თბილისში. გვერდების თავზე წარწერილია: ,,მცნება მღუდელთათვის ეპისკოპოსთა მიმართ''. იგი ეხება მღვდლების ,,ცხოვრებას'' და კვალიფიკაციას, მრევლის სწავლებას, ეკლესიებისა და მათი მოწყობილობის მოვლა-პატრონობას, გამოყენებასა და შეძენა-განახლებას, საეკლ. ქონების გაუცემლობა-გაუსხვისებლობას, ,,ნათლისღების'' შესრულებას, ,,კვირა-უქმის შენახვას'', კრძალავს ჯერ კიდევ შემორჩენილი ქრისტიანობამდელი კულტების თაყვანისცემას, მისნობა-მწამლველობას, პირუტყვის უშვერ გინებას და მამათმავლობას. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის საეკლ. სასჯელს მეფემ დაუმატა უწყალო, ქართ. სამართლისათვის თითქმის უჩვეულო სასჯელი – წამებით სიკვდილი. განჩინება ყოველ ეპისკოპოსს თავისი სამწყსოს საყდრებში უნდა წაეკითხა და ხალხი გაეფრთხილებინა.

პუბლ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970, საბ. 336.


დ. ფურცელაძე.

ერეკლე II-ის მოედანი, თბილისის ცენტრალურ უბანში მდებარე ერთ-ერთი ძველი მოედანი მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარეობს ერეკლე II-ის, იოანე შავთელის, ჩახრუხაძის, შოთა ყავლაშვილისა და ანტონ კათალიკოსის ქუჩებს შორის. სახელი ეწოდა 1948 მეფე ერეკლე II-ის პატივსაცემად. 1638 სიონისა და ანჩისხატის ეკლესიებს შორის მდებარე მოედანზე მეფე როსტომმა სასახლე ააგო, რის გამოც სასახლის წინა ტერიტორიას ბატონის ანუ მეფის მოედანი ეწოდა. XVII ს. II ნახევარში სასახლე გადააკეთა მეფე ვახტანგ V-მ. მოედანი ოთხკუთხა იყო, ოთხივე მხარეს იდგა სავაჭრო დუქნები, სადაც ხალხმრავლობა იყო, ამიტომ მას სალაყბოსაც ეძახდნენ. მოედანზე იდგა *წმინდა გიორგის კარის ეკლესია*, დივანხანა, თოფხანა, ზარაფხანა, სტამბა და სხვა დაწესებულებები. სასახლე დაინგრა 1795 აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილ. დარბევის დროს. მოედანი ქალაქის ზემო უბნის ცენტრი იყო და ზემო მოედანსაც უწოდებდნენ. სხვადასხვა დროს მოედანს სახელი ეცვლებოდა. რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და იმპერიის შემადგენლობაში შეყვანის (1801) შემდეგ, 1809, აქ გუბერნატორის სახლი ააგეს და ბატონის მოედანს გუბერნატორის მოედანი დაერქვა. XIX ს. I მეოთხედში ამ ადგილას იყო სინოდალური კანტორა და საქართვ. ეგზარქოსის რეზიდენცია, ახ. სახელწოდებაც აქედან მიიღო – ეგზარქოსის მოედანი. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების (1921) შემდეგ მოედანს საერთაშ. მუშათა მოძრაობის მოღვაწის ა. ბელის სახელი ეწოდა.

1956–57 მოედანზე მდებარე ბაღში ჩატარდა არქეოლ. გათხრები. გამოვლენილია თბილ. ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი მასალა. სტრატიგრაფიული

ჭრილი მოიცავდა 4 კულტ. ფენას. ქვედა, I ფენაში (V–X სს.) გამოვლენილია ნაგებობათა ნაშთები და სხვადასხვა სიღრმისა და მოყვანილობის (კვადრატული, ოვალური, წრიული) 22 ორმო. წარმოებასთან დაკავშირებული ორმოები კრამიტით ყოფილა გადახურული (აღმოჩენილია კრამიტისა და გადახურვის საყრდენი ბოძების ნაშთები). ორმოებში აღმოჩნდა კერამიკა, ნაცარი, მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, მინის საწყაოები, მინის ჭურჭლისა და ჭიქურის დასამზადებელი ნედლეული. 2 დიდი ორმოს კედელი აგურით იყო მოპირკეთებული. ერთ ოთხკუთხა კერასთან ნაპოვნია IX–X სს. არაბული ფელსი და VIII ს. მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები, ერთ-ერთი ორმოს ძირზე კი – აქატის ქვის საბეჭდავი დიდებულის პორტრეტული გამოსახულებით (V ს.). აღსანიშნავია, რომ მომდევნო ზედა ფენის ნაგებობები აზიანებდა ქვედა ფენას. მომდევნო, II ფენაში გამოვლინდა ხელოსანთა სახლებისა და კერამ. წარმოებასთან დაკავშირებულ ნაგებობათა ნაშთები, 10 ღრმა ორმო (ჭა ან კერამ. წარმოებასთან დაკავშირებული), ნალისებური და ოთხკუთხა კერების ნაშთები, რკინის ისრისპირები, ქურები, სანაცრე ორმოები, თონეები, რკინის წიდები და სხვ. ერთ-ერთ ქილაზე ასომთავრული ასოები (ა, ო, შ, ა) იყო ამოკაწრული. აღმოჩნდა არაბ. (IX–X სს.), ბიზანტ. (XI ს.), თამარის, დარუბანდის, შარვანისა და სასანური ტიპის (XII ს.) მონეტები. ამ ფენის ადრეული ნაგებობები XI–XII სს-ით თარიღდება, შუა პერიოდისა – XII–XIII სს-ით, გვიანი ხანისა კი – XIII–XIV სს-ით. ქვემოდან III ფენაში გამოვლინდა 5 ნაგებობის ნაშთი. მ. შ. ოთხი იყო საცხოვრებელი შენობა, მეხუთე – კერამ. წყალსადენის გამანაწილებელი (რიყის წყობა კირის ხსნარზე). აქვე იყო დუღაბში ჩაკირული კერამ. მილების 2 შტო, რ-თაგან ერთი აღმ-კენ, მეფის სასახლეებისკენ მიემართებოდა. დადგინდა აგრეთვე ორი, სხვადასხვა დროის წყალსადენის გამანაწილებლის არსებობა. ნაპოვნია XVII ს. (22 *სმ* × 22 *სმ*, 23 *სმ* × 23 *სმ*) XVIII ს. (21 *სმ* × 21 *სმ*) ქართული აგური, თონეები, სხვადასხვა დანიშნულების ორმოები (რ-თაგან ზოგს მაცივრად იყენებდნენ), აგრეთვე მრავალი მონეტა. ქვემოდან IV, ზედა ფენა შეიცავდა ქართ. აგურის ნატეხების გროვებს. თიხის, ფაიფურისა და მინის თანამედროვე ჭურჭლის მცირე ნატეხებს და XIX–XX სს. მონეტებს.

გათხრების შედეგად მოპოვებულ არქეოლ. მასალაში ყველაზე დიდი რაოდენობით კერემიკაა წარმოდგენილი, შედარებით მცირე რაოდენობით – მინის ჭურჭელი (VII–XVIII სს.) და სამკაული (IX–XIII სს.). ძვლის ნაკეთობანი (XI–XIV სს.) 4 ჯგუფად იყოფა: ტყავის დასამუშავებელი იარაღი, საფეიქრო იარაღი, სამკაულის დასაჭრელები. ლითონის ნივთები ძირითადად ბრინჯაოს სამკაულითაა წარმოდგენილი (VII–VIII სს., X–XI სს., XII–XIII სს.).



მეფის სასახლე და მოედანი. დეტალი შარდენის თბილისის პანორამიდან. 1671.

ლიტ.: ბერძნიშვილი მ., თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ., 1965; გძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ო., ქ. თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები (1956–57 წწ. არქეოლოგიური გათხრების მიხედვით), თბ., 1961; ლომთათიძე გ., საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I–XIII სს., თბ., 1977; Иоселиани П. И., Описание древностей города Тифлиса, Тфл.,1866.

თ. ბერიძე. ე. გოგაძე.

ერეკლე II-ის მონეტები, XVIII ს. II ნახევარში *ერეკლე II-ის* სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტები. იყოფა რამდენიმე ტიპად და ვარიანტად: 1. მოჭრილია თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ერთობლივი მმართველობის ხანაში (1744–60). შუბლზე გამოსახულია შავარდენი, რ-იც წეროს კორტნის, ზურგზე – სამსტრიქონიანი სპარს. წარწერა ,,მონა ღვთისა'' და თარიღი ჰიჯრით – 1166, 1168, ან 1169 (ე. ი. 1752–56) ,,იჭედა თბილისს''; თარიღის მარცხნივ და მარჯვნივ ქართულად წერია ,,თე'' და ,,ერ'', ე. ი. თეიმურაზი და ერეკლე; 2. შუბლზე რთულ ორნამენტულ ჩარჩოში ჩასმულია ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი (გვირგვინი, სასწორი, სფერო, სკიპტრა და მახვილი), ზურგზე, ჩარჩოში არის ქართ. ასომთავრული წარწერა (,,ერეკლე''), ქვემოთ კი – სპარს. წარწერა (,,იჭედა თბილისს'') და თარიღი ჰიჯრით 1179 (ე. ი. 1765–66); 3. შუბლზე თევზის გამოსახულებაა, ზურგზე – ზედწერილი ასომთავრულით (,,ერეკლე'') და სპარსულად – ,,იჭედა თბილისს'', თარიღი ჰიჯრით 1190 (ე. ი. 1776–77); 4. შუბლზე გამოსახულია ორთავიანი არწივი, ქვემოთ – თარიღი ევროპულად (1781, 1787, 1789 და სხვ.), ზურგზე – ზედწერილი ასომთავრულით ,,ერეკლე'', სპარს. წარწერა ,,იჭედა თბილისს'' და შესაბამისი თარიღები ჰიჯრით; 5. შუბლზე გამოსახულია ერთთავიანი არწივი, ქვემოთ – თარიღი (1796), ზურგზე – ერეკლეს სახელი ასომთავრულით, სპარს. წარწერა ,,იჭედა თბილისს'' და თარიღი ჰიჯრით 1210 (ე. ი. 1795–96). იჭრებოდა შაურის, ბისტის და ნახევარბისტის ღირებულების მონეტები.





ერეკლე II-ის მონეტა. სპილენძი. XVIII ს. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი. ს. ჯვანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი. თბილისი.

ლიტ.: კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969.

გ. დუნდუა.

ერეკლე II-ის სტამბა, დაარსდა თბილისში 1749, იარსება 1802-მდე. თავდაპირველად მოთავსებული იყო ანჩისხატის ეკლესიის ეზოში, საპატრიარქო პალატის შენობაში, 1763-იდან კი – ქალაქის ცენტრში (მეფის სასახლეში).

1781–82 სტამბას საფუძვლიანი რეკონსტრუქცია გაუკეთეს: დადგეს ახ. საბეჭდი დაზგა, ჩამოასხეს შრიფტი და სხვ. პირველ ხანებში სტამბას მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა მისი თავკაცის – ანტონ I კათოლიკოსის საქართველოდან განდევნისა და რთული პოლიტ. ვითარების გამო. 1763-იდან წიგნების ბეჭდვა-გამოცემის საქმეს გამოცოცხლება დაეტყო, რასაც მთელ რიგ პირობებთან ერთად ხელი შეუწყო ანტონ I-ის სამშობლოში დაბრუნებამ. 1784-იდან სტამბას სათავეში ჩაუდგა ერეკლე II-ის კარის ეკლესიის მოძღვარი, მარტყოფელი მღვდელი ქრისტეფორე კეჟერაშვილი, რ-მაც იგი ოჯარით აიღო. მან არსებითი ცვლილებები შეიტანა ქართ. წიგნის ბეჭდვის საქმეში, გაზარდა ტირაჟი, ზრუნავდა მისი სწრაფი რეალიზაციისთვის. წიგნებს კალენდრის სახით დაურთო ცნობები თვეებსა და საეკლ. დღესასწაულებზე, გაზარდა წიგნების ოდენობა დასახელების მიხედვით. საერთოდ სტამბაში დაიბეჭდა 28 დასახელების წიგნი, მ. შ. ,,დავითნი'', ,,სახარება'', ,,სამოციქულო'', ,,კონდაკი'', ,,ლოცვანი'', ,,კურთხევანი'' და სხვ.; ფილოს. და ისტ. ხასიათის წიგნები: ,,კიტაიის სიბრძნე'', დ. ბაგრატიონის ,,ნარკუევი'' და სხვ. ძვ. ქართ. ნაბეჭდი ორიგინ. ლიტრის უმეტესი ნაწილი გამოცემულია ერეკლეს სტამბაში (ანტონ I კათოლიკოსის ,,ქადაგება'', ,,შესხმა პირველი ახლისა ამისა წიგნთსაბეჭდისა'' და სხვ.).

ლიტ.: კ ა ს რ ა ძ ე ო., ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, თბ., 1973; მ ი ს ი ვ ე, ქართული წიგნის ბეჭდვის კერები (XVIII ს.), თბ., 1980.

ო. კასრაძე.

ერეკლე II-ის ხელშეკრულება 1786 ,,მ შ ვ ი დ ო ბ ი ს ა და თ ა ვ დ ა უ ს ხ მ ე ლ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ'', დაიდო 25 სექტემბერს ახალციხის გამგებელ სულეიმან ფაშასთან. 1783, *გეორგიევსკის ტრაქტატის* გაფორმების შემდეგ, სულთნის ხელისუფლებამ თავისი ემისრები გამოგზავნა აღმ. ამიერკავკასიაში და მოუწოდა მუსლიმ გამგებლებსა და მოსახლეობას, დაეწყოთ საღვთო ომი გიაურების წინააღმდეგ და ქართველებზე გამანადგურებელი თავდასხმების შედეგად ეიძულებინათ მეფე ერეკლე, უარი ეთქვა გეორგიევსკის ხელშეკრულებაზე.

საქართველოში შექმნილი დაძაბული მდგომარეობის გამო რუს. ხელმძღვანელობამ მეფე ერეკლეს ნება დართო, დაეწყო მოლაპარაკება ახალციხის გამგებელ სულეიმან ფაშასთან, რ-იც ამ წამოწყების ინიციატორი იყო. შედეგად მეფე ერეკლესა და სულეიმან ფაშას შორის დაიდო ხელშეკრულება ,,მშვიდობისა და თავდაუსხმელობის შესახებ''. ხელშეკრულება შედგებოდა ექვსი მუხლისაგან: პირველი სამი მუხლით მეფე ერეკლე იღებდა ვალდებულებას, რ-ის თანახმად ოსმალეთს არავითარ ზიანს არ მიაყენებდა და არ დაესხმოდა თავს. საქართველოში რუს. ჯარის რაოდენობა განისაზღვრა 3000 ჯარისკაცით. საქართველოზე თავდასხმის შემთხვევაში მეფე ერეკლე თავს დაიცავდა ქართ. და რუს. ჯარით.

მომდევნო სამი მუხლის მიხედვით სულეიმან ფაშა ვალდებულებას იღებდა, არ დასხმოდა თავს საქართველოს, არ უნდა მიეცა უფლება ლეკებისათვის საფაშოს ტერიტორია გამოეყენებინათ საქართველოზე თავდასასხმელად და არ უნდა მიეღო მონაწილეობა ქართვ. ტყვეებით ვაჭრობაში. ამავე დროს საქართვ. საზღვართან არ უნდა მდგარიყო ხონთქრის ჯარი.

ამ ხელშეკრულებით მეფე ერეკლემ დიდი დიპლომატიური გამარჯვება მოიპოვა, რითაც მან უზრუნველყო საქართვ. ტერიტორიის უსაფრთხოება და თავდაუსხმელობა. ეს ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგებოდა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებს.

ხელშეკრულების დადების შემდეგ შეთანხმების ტექსტი გაუგზავნეს რუს. მთავრობას პეტერბურგში, ხოლო ერეკლე მეფემ ხელშეკრულება, პირად წერილთან ერთად, გაუგზავნა დიდ ვეზირს სტამბოლში.

ლიტ.: ც ი ნ ც ა ძ ე ი., 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი, თბ., 1968; მ ი ს ი ვ ე, საქართველო-რუსეთის ისტორიოგრაფიიდან, «მიმომხილველი», 1955, [ტ.] 3; ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი ზ., გარსევან ჭავჭავაძის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1982; Д у б р о в и н Н., История войны и владычества русских на Кавказе, т. 2, СПб., 1886; М а р к о в а О. П., Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, М., 1966.

მ. სვანიძე.

ერეკლეს ციხე, *ნავთლულის* ერთ-ერთი ადრინდელი სახელწოდება.

ერელაანთ ეკლესია, ე რ ე ლ ა ა ნ თ ს ა ყ დ ა რ ი, V–VI სს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ჯვარგუმბათოვანი ტაძარი. მდებარეობს ახმეტიდან 4 *კმ*-ში, თიანეთის გზატკეცილის მარჯვ. მხარეს. გეგმით მარტივი, „თავისუფალი ჯვრის'' ტიპის ნაგებობა; აღმ-ით აფსიდი აქვს, დანარჩენი 3 მკლავი სწორკუთხაა. დასავლეთის მკლავი ოდნავ დაგრძელებულია. ჩრდილოეთისა და სამხრეთის მკლავების აღმ. კედლებში მოწყობილი აქვს თითო პატარა აფსიდი. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა განხორციელებულია ტრომპების მეშვეობით. რვაწახნაგა გუმბათის ყელში 4 სარკმელია გაჭრილი. თითო პატარა სარკმელია აგრეთვე ეკლესიის გვერდითი მკლავების აფსიდებში. შესასვლელი ერთია – სამხრ-იდან. ეკლესია ნაგებია რიყის ქვით, აქაიქ გვხვდება შირიმიც; ფასადების და კედლების შიგა პირისთვის კი გამოყენებულია კირქვის ფილები. საკურთხევლის აფსიდში 2 ნიშია. Ე. Ე-ის მორთულობა ძუნწია. შემორჩენილია XVII ს. მოხატულობის მოზრდილი ფრაგმენტები. საკურთხევლის სარკმლისა და სამხრეთის შესასვლელის თავზე მცირედ შვერილი თაღოვანი სათაურებია, ჰორიზონტალურად გადაკეცილი ბოლოებით. აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფასადებზე, ფრონტონის წვერში, უხეშად გამოყვანილი ჯვარია. ეკლესია ძლიერ იყო დაზიანებული. 1969 ჩაუტარდა რესტავრაცია (არქიტ. ო. თორთლაძე). ჩამოქცეული გუმბათი და დას. მკლავი აღდგენილია. ეკლესიას გარს ევლებოდა რიყის ქვით ნაგები გალავანი (დიდი ნაწილი აღდგენილია).



ერელაანთ ეკლესია. V–VI სს.

ეკლესიასა და ეზოში გამოვლენილია განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ორმოსამარხები და ქვისსამარხები, რ-ებშიც აღმოჩენილია ბრინჯაოს საყურე, თეთრკეციანი და მოჩალისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები.

ლიტ.: XVI სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოკლე ანგარიშები, თბ., 1967; Ч у б и -

н а ш в и л и Г. Н., Крестово-купольная церковь Эрелаант-Сакдари близ Ахмета, მის წგ.: Вопросы истории искусства, т.1, Тб., 1970.

რ. გვერდწითელი. ბ. ჯორბენაძე.

ᲔᲠᲔᲛᲘᲐᲜᲘ სურენ ტიგრანის ძე [28. III (10. IV). 1908, თბილისი, – 17. XII. 1992, ერევანი], სომეხი ისტორიკოსი. სომხ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1963), ისტ. მეცნ. დოქტორი (1953), პროფესორი (1955). სომხ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1928 დაამთავრა თბილ. 43-ე საშ. სკოლა, 1931 – ერევნის უნ-ტის ისტ.-ეკონ. ფაკ-ტი, 1934 – სსრკ მეცნ. აკად. ამიერკავკ. ფილიალის კავკასიისმცოდნეობის ინ-ტის ასპირანტურა აკად. ნ. მარის ხელმძღვანელობით (თბილისი). 1935–41 მუშაობდა სსრკ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტში ლენინგრადში, 1953–59 იყო სომხ. მეცნ. აკად. ისტორიის ინ-ტის დირექტორი, 1963–68 – სომხ. მეცნ. აკად. საზოგადოებათმცოდნეობის განყ-ბის აკად.-მდივანი. მისი ნაშრომები ეხება სომეხი ხალხის ეთნოგენეზს, ძვ. სომხ. ქალაქების ისტორიას, ამიერკავკ. ხალხთა ისტ. პერიოდიზაციას, ისტ. გეოგრაფიისა და ისტ. კარტოგრაფიის საკითხებს.

საქართვ. ისტ. ფაქტების გაშუქებისას ავლენდა ტენდენციურ დამოკიდებულებას, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა მეცნ.-პოპულ. ნარკვევში „ამირსპასალარი ზაქარია ერკაინაბაზუკი‘‘. ქართ. გვარსახელის სომხურად წარმოდგენით, წიგნის ავტორი მკითხველს სათაურიდანვე უქმნიდა შთაბეჭდილებას მხარგრძელთა თითქოსდა სომხ. წარმომავლობაზე. ე., გვერდს უვლიდა რა თვით სომხ. წყაროების (კირაკოს განძაკეცი, ვარდან დიდი) ავთენტიკურ ცნობებს მხარგრძელთა ეთნ. წარმომავლობაზე, აცხადებდა, რომ მათი გვარია „ზაქარიანი‘‘ და ის წარმოდგება დავით აღმაშენებლის ამირსპასალარის ზაქარია უფროსის სახელიდან. მხარგრძელთა სხვა განშტოებებსაც, კერძოდ გაგელებს და თმოგველებს, ასევე სომხ. საგვარეულოებად მიიჩნევდა. ამასთან თამარ მეფის ამირსპასალარის ზაქარიას პიროვნება ამ ნარკვევში უზომოდაა განდიდებული. ცნობილია, რომ ქართ. სახელმწ. მმართველობის სათავეში, მეფის შემდეგ ვაზირი – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იდგა, რ-ის ხელქვეითი მოხელეც სწორედ ამირსპასალარი იყო და ამ უკანასკნელს მის გარეშე ჯარის შეკრებაც კი არ შეეძლო. ქართვ. დიდმოხელეთა გასომხების დაუოკებელი სურვილია გამჟღავნებული მის ნაშრომში «Юрий Боголюбский по армянским и грузинским источникам» („ერევნის სახელმწ. უნ-ტის შრომები‘‘, 1946, ტ. 23). ე-ის აზრით, საქართველოს სახელმწ. შემადგენლობაში მყოფი სომხეთი, თურმე, განსაკუთრებულ ავტონ. უფლებებს ინარჩუნებდა, რამდენადაც, საქართველოს ცენტრალიზებულ მონარქიას, ფაქტობრივად სომხები მართავდნენო. ფაქტებისა და მოვლენების მსგავსი დამახინჯებული ინტერპრეტაცია მეტ-ნაკლებად ახასიათებს ე-ის სხვა ცნობილ ნაშრომებსაც. ამიერკავკ. ისტ. გეოგრაფიის საკითხების განხილვისას ე. ასევე ტენდენციური იყო სომხ. ისტორიის სასარგებლოდ. მაგალითად, სხვადასხვა ეპოქის ამსახველ ისტ. რუკებზე, სამხრ. საქართველოს დიდი ნაწილი სავსებით გაუმართლებლადაა მოქცეული სომხეთის ფარგლებში.

თხზ.: Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов, «Вестник древней истории» («ВДИ»), 1939, №1; Сюния и оборона сасанидами кавказских проходов, «Известия АрмФАНа», 1941, № 5–6; О рабстве и рабовладении в древней Армении, «ВДИ», 1950, №1; Народно-освободительная война армян против персов в 450–451 гг., «ВДИ», 1951, №1; Опыт периодизации истории Армении эпохи феодализма, «Вопросы истории», 1951, №7; История Армении III–XVI вв., Очерки истории СССР, М., 1953,1955, 1958; Армения по «Ашхарацуйц»-у (Армянской географии VII века), Ер., 1963.

გ. მაისურაძე.

ᲔᲠᲔᲛᲝᲕᲘ გრიგოლ არტემის ძე [11(24). IX. 1912, დაბა სურამი, ახლანდ. ხაშურის მუნიციპალიტეტი, – 22. VI. 2002, თბილისი], ქართველი მეცნიერი, იურისტი, სახელმწ. და ადმ. სამართლის სპეციალისტი. იურიდ. მეცნ. დოქტორი (1963), თსუ-ის პროფესორი (1964). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1974). ე-ის ნაშრომები ეძღვნება საქართვ. კონსტიტუციის განვითარების ეტაპებს, კანონიერების განხორციელებას და სხვ.

ᲔᲠᲔᲜᲓᲝᲠᲤᲔᲠᲘ (Ehrendorfer) ფრიდრიხ (დ. 26.VII.1927), ბიოლოგი, ბოტანიკოსი, მცენარეთა სისტემატიკოსი. საქართველოს ეროვნ. მეცნ. აკად. უცხოელი საპატიო წევრი (1996), ბულგარეთის მეცნ. აკად. წევრი, ავსტრიის მეცნ. აკადემიის ნამდვ. წევრი. ვენის უნ-ტში სწავლობდა ბიოლოგიას, ბოტანიკას, პალეონტოლოგიასა და ფილოსოფიას (1945–49). ვენის უნ-ტის ასოცირებული პროფესორი (1955–65), გრაცის უნ-ტის პროფესორი, ბოტან. სისტემატიკის ინ-ტის ხელმძღვანელი, ბოტან. ბაღის დირექტორი (გრაცი, 1965–70), ვენის უნ-ტის პროფესორი, ბოტან. ინ-ტის ხელმძღვანელი და ბოტან. ბაღის დირექტორი (1970–95). ე-ის სამეცნ. კვლევა მოიცავს მცენარეთა სინთეზურ სისტემატიკას (ციტოგენეტიკის, ევოლ. და ფილოგენეზის ურთიერთკავშირი). ე. 25 წელი ხელმძღვანელობდა თავისსავე დაარსებულ ჟურნალს ,,Plant Systematics and Evolution‘‘. არის მრავალი სამეცნ. სტატიის, მონოგრაფიისა და წიგნის ავტორი.

ᲔᲠᲔᲡᲘ, იხ. *მწვალებლობა.*

„ᲔᲠᲔᲮᲔᲚᲘ“, ქართული (მეგრული) ხალხური სახუმარო-ლირიკული სიმღერა. გავრცელებულია დას. საქართველოში (განსაკუთრებით სამეგრელოში, ლეჩხუმსა და იმერეთში). იუმორისტული ეფექტი მიიღწევა ქართ. და მეგრული სიტყვების, საკუთარი სახელების (მ. შ. ტოპონიმების), გამოგონილი, ერთი შეხედვით უაზრო სიტყვების თანამიმდევრობით (ერეხელი ვარ და მერეხელი, ელიზბარი, ამისთანაც სარიკო, მიქელოი ვარ და მიქელოი, ძღაბ მეურსუ... და ა. შ.). აგრეთვე სწრაფი და ზომიერი ტემპის უცაბედი ცვლით. სიმღერა – სამხმიანია, მუს. ზომა – 4/4. ყოველი შემობრუნება ჩქარდება (Moderato, Allegro, Presto). ძალზე პოპულარულია გამომსახველი მუს. სახოვნებისა და ცქვიტი ხასიათის გამო.

სიმღერა ჩაწერილი აქვთ ო. ჩიჯავაძეს და გ. კოკელაძეს.

ლიტ.: კ ო კ ე ლ ა ძ ე გ., ოცდაათი ქართული ხალხური სიმღერა, თბ., 1981; ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე ო., ქართული (მეგრული) ხალხური სიმღერები, თბ., 1974.

ე. გარაყანიძე.

ᲔᲠᲖᲘᲜᲯᲐᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲖᲐᲕᲘ 1917, დაზავება ოსმალეთსა და *ამიერკავკასიის კომისარიატს* შორის ოსმ. ქალაქ ერზინჯანში (აღმ. თურქეთი). ამ დროს ოსმალეთი მძიმე მდგომარეობაში იყო, მარცხდებოდა როგორც კავკასიის ფრონტზე (რუსეთთან ომში), ისე მესოპოტამია-პალესტინის ფრონტზე (ინგლისის ჯარებთან ბრძოლაში), ამიტომ ოსმალეთი დაინტერესებული იყო კავკ. ფრონტზე დაზავებით. 1917 წ. 17(30) ნოემბ. კავკ. არმიის სარდალმა გენ. ი. *ოდიშელიძემ* მიიღო ოსმალეთის კავკ. არმიის სარდლის წინადა-

დება, დაეწყო მოლაპარაკება დაზავების შესახებ. 21 ნოემბერს (4 დეკ.) ეს წინადადება განხილულ იქნა ამიერკავკასიის კომისარიატის სხდომაზე. ქ. ერზინჯანში გაიგზავნა ამიერკავკ. 5-კაციანი დელეგაცია, რ-საც ხელმძღვანელობდა კავკ. არმიის შტაბის უფროსი გენ.-მაიორი ე. ვიშინსკი. ოსმ. დელეგაციის ხელმძღვანელი იყო ოსმალეთის კავკ. არმიის შტაბის უფროსი პოლკ. ომერ ლუთფი-ბეი.

4-დღიანი მოლაპარაკების შემდეგ, 1917 წ. 5(18) დეკემბერს, ამიერკავკ. და ოსმ. წარმომადგენლებს შორის დაიდო უვადო დროებითი ზავი და დადგინდა სადემარკაციო ხაზი. ოსმალეთის და კავკასიის დაზავების პირობების თანახმად, ოსმალებს უფლება არ მიეცათ, გადაეყვანათ ჯარები მესოპოტამიის ფრონტზე, რაც დიდი შეცდომა იყო, თუმცა ოსმალები არწმუნებდნენ ამიერკავკ. დელეგაციას, რომ ეს გადაწყვეტილება მათთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა. ამან ოსმალებს საშუალება მისცა გაეძლიერებინათ კავკ. არმია და საჭირო დროს შეტევა დაეწყოთ. ამასთან ამიერკავკ. დელეგაცია დათმობაზე წავიდა და მიიღო ოსმალთა წინადადება: მხარეებისათვის სავალდებულო ყოფილიყო ბრესტის კონფერენციის გადაწყვეტილებები. ესეც აშკარა შეცდომა იყო. ამან საშუალება მისცა ოსმალეთს ბრესტის ზავის თანახმად ამიერკავკ. კომისარიატისაგან მოეთხოვა ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქების გადაცემა. Ე. Დ. Ზ. იყო ამიერკავკ. ქვეყნების მიერ უცხო სახელმწიფოსთან დადებული პირველი საერთაშ. ხელშეკრულება და ამდენად ის ისტ. მნიშვნელობისაა.

ლიტ.: თ ე ვ ზ ა ი ა ბ., დროებითი ზავის ჩამოგდება ოსმალეთთან (დელეგატის მოგონება), გაზ. «დროება», 1917 წ. 22 დეკ., №223; ს ვ ა ნ ი ძ ე მ., 1917 წ. 5(18) დეკემბრის ერზინჯანის დროებითი ზავი, კრ.: ქართული დიპლომატიის წელიწდეული, ტ. 4, თბ., 1997; Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тб., 1990.

მ. სვანიძე.

ერზურუმი (Erzurum), ა რ ზ რ უ მ ი, ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში. ისტ. თეოდოსიოპოლი (სახელი უწოდეს იმპ. თეოდოსიუს II-ის პატივსაცემად; ქართულად – კარნუ-ქალაქი), ძველთაგანვე გამაგრებულ პუნქტს წარმოადგენდა. შუა საუკუნეებში დაკავშირებული იყო ამიერკავკ. სამხრეთში გამავალ სავაჭრო-სატრანზ. გზასთან (სულთანია – ყარაბახი – ბარდა – განჯა – შამქორი – თბილისი – გორი – ახალციხე – Ე.). III–IV სს-ში Ე. რომისა და სასანიანთა ირანის ქიშპის ობიექტი იყო. VII ს. 40-იან წლებში არაბებმა დაიპყრეს და კალიკალა უწოდეს. სახალიფოს დაშლის შემდეგ იგი ბიზანტიის ხელთ იყო. 976–979 ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობაში დახმარებისათვის დავით კურაპალატმა ბიზანტიის იმპ. ბასილისაგან მიიღო კარნუ-ქალაქი, ბასიანის ოლქი და სხვ. დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ (1001) მისი სამფლობელოების დიდი ნაწილი ბიზანტიამ დაიკავა. 1049 იქ ბიზანტიელებმა გადაასახლეს სომხ. ქალაქის – არზანის (არწნის) მოსახლეობა და ქალაქს უწოდეს არზან ურ-რუმ (რომაელთა არზანი). ერთხანს Ე-ის გამგებელი იყო *გრიგოლ ბაკურიანის ძე* (XI ს.), შემდეგ ქალაქსა და ოლქს სალთუკიანთა თურქმანული დინასტია დაეპატრონა. 1163 Ე. დალაშქრა გიორგი III-მ, ხოლო 1192–93, ლაშა გიორგის დაბადების აღსანიშნავად, – ქართველთა ჯარმა. საქართველოზე ლაშქრობის წინ მცირე აზიის სელჩუკიანთა სულთანმა, *რუქნადინმა* (1196–1204) მცირე აზიის პროვინციების გამგებლებს (მათ შორის Ე-ის გამგებელსაც) დახმარება სთხოვა. Ე-ის მელიქმა ალაედინ სალთუკოღლუმ, რ-იც საქართველოს ყმადნაფიცი იყო, მას უარი უთხრა დახმარებაზე. 1201 რუქნადინმა გადააყენა Ე-ის გამგებელი და იქ თავისი ძმა მოღისედინ თოღრულ-შაჰი დანიშნა. ამით ბოლო მოეღო Ე-ის სალთუკიანთა დინასტიის ბატონობას და Ე. სელჩუკიანთა მცირე აზიის სასულთნოში მოექცა. XIII ს. დამდეგს Ე. ყმადნაფიცობის წესით შემოიმტკიცა საქართველომ. თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ (1213) Ე-ის თურქი მფლობელი განუდგა საქართველოს, მაგრამ მალე ლაშა გიორგიმ ილაშქრა და კვლავ შემოიმტკიცა ხლათი, Ე. და ნახიჩევანი. XIII ს. 20-იან წლებში საქართველომ თავის კონტროლს დაუქვემდებარა დვინ – Ე-ის სავაჭრო მაგისტრალი. 1223 თამარ მეფის ასული რუსუდანი მიათხოვეს Ე-ის სულთნის თოღრულ-შაჰის ძეს მოღისედინს, რ-იც გაქრისტიანდა. 1241 Ე. აიღეს მცირეაზიელმა სელჩუკებმა და მოსახლეობა ამოჟლიტეს. XIII ს. II ნახევრიდან Ე. ილხანთა სახელმწ. შემადგენლობაში მოექცა. XIV ს. ბოლოს – XV ს. დასაწყისში Ე-ზე პრეტენზია განაცხადა ოსმ. სულთანმა ბაიაზიდ I-მა. მცირე აზიაში თემურლენგის შემოჭრის დროს Ე-ის მფლობელმა მას დაუჭირა მხარი ოსმალების წინააღმდეგ ომში. 1402 ანკარასთან ოსმალების დამარცხების შემდეგ Ე. თემურლენგმა ძვ. მფლობელს დაუტოვა, თემურლენგის სიკვდილის შემდეგ 1405 ქართველები აჯანყდნენ, Ე-ის მიწები დაარბიეს (*კლავიხოს* ცნობა). XVI ს. დამდეგიდან ყიზილბაშები და ოსმალები ერთმანეთს ებრძოდნენ Ე-ის ხელში ჩასაგდებად. 1522 (ზოგიერთი ცნობით 1517) Ე. საბოლოოდ შეიერთა ოსმალეთმა. 1534–35 შეიქმნა Ე-ის საბეგლარბეგო, რ-იც ამიერკავკ. წინააღმდეგ აგრესიული ომების პლაცდარმად იქცა. Ე-ის საბეგლარბეგო განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ოსმ. სახელმწიფოს სისტემაში. ბეგლარბეგებად ინიშნებოდნენ ვეზირის წოდების მქონე ფაშები. მესხეთის დაპყრობის შემდეგ სულთნის ხელისუფლებამ Ე-ის ბეგლარბეგს დაავალა ახალციხის ფაშების საქმიანობისათვის თვალყურის დევნება. რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს Ე. სამჯერ (1829, 1878, 1916) აიღო რუსის ჯარმა, მაგრამ საზავო ხელშეკრულებით ოსმალეთმა კვლავ დაიბრუნა იგი.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2–3, თბ., 1965–66; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2–3, თბ., 1973–79; Г о р д л е в с к и й В. А., Государство Сельджукидов Малой Азии, Избр. соч., т. 1, М., 1960.

დ. კაციტაძე.

ერთა ლიგა, სახელმწიფოთა პოლიტიკური თანამშრომლობის პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1919. წესდებას ხელი მოაწერა 44 სახელმწიფომ, აშშ-მა უარი თქვა Ე. ლ-ის წევრობაზე. წესდების მიხედვით, Ე. ლ. მიზნად ისახავდა ხალხთა შორის თანამშრომლობის განვითარებას და მათი უშიშროების უზრუნველყოფას. მისი საქმიანობა შეწყდა 1940, ოფიციალურად დაიშალა 1946.

1919 წ. 21 მაისს, *პარიზის საზავო კონფერენციაზე*, საქართვ. დემოკრ. რესპ. ხელმძღვანელმა ნ. *ჩხეიძემ* Ე. ლ-ს მიმართა თხოვნით ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების შესახებ, მაგრამ Ე. ლ-მ არ განიხილა ეს საკითხი, სანამ არ დაიდო საქართველო-რუსეთის 1920 წ. 7 მაისის

ხელშეკრულება. 1920 წ. 1 სექტემბერს ნ. ჩხეიძემ სპეც. მემორანდუმით კვლავ გაიმეორა საქართვ. მთავრობის თხოვნა. 1920 შემოდგომაზე ე. *გეგეჭკორი* გაემგზავრა ევროპაში, სადაც შეხვდა ევრ. ქვეყნების წამყვან პოლიტ. ლიდერებს. მოლაპარაკებებზე განიხილებოდა სხვადასხვა საკითხი: საქართველოს Ე. ლ-ში მიღების, მისი ,,დე იურედ'' ცნობის და სხვ.

1920 წ. 12–16 ოქტომბერს ქ. მილანში გაიხსნა Ე. ლ-ის საერთაშ. ასოციაციების მეოთხე კონგრესი, რ-ის მუშაობაში პირველად მიიღო მონაწილეობა Ე. ლ-ის საქართვ. ასოციაციის (შეიქმნა 1919 წ. 7 დეკ.) წარმომადგენელმა ნ. ჯაყელმა. კონგრესზე იგი სიტყვით გამოვიდა 16 ოქტომბერს; ამავე დღეს კონგრესის თავ-რის ჯ. რუფინის წინადადებით საქართველოს ასოციაცია მიღებულ იქნა Ე. ლ-ის საერთაშ. ასოციაციების წევრად. 1920 წ. 16 დეკემბერს Ე. ლ-ის საერთო კრებაზე იხილებოდა ამ ორგანიზაციაში საქართველოს წევრად მიღების საკითხი, რ-იც მომზადდა ჟენევაში Ე. ლ-ის მუდმივ სამდივნოსთან მოლაპარაკებებისა და მიმოწერით 1920 ზაფხულსა და შემოდგომაზე.

საქართველოსა და სხვა ახლად შექმნილ დამოუკიდებელ ქვეყნებს Ე. ლ-ისაკენ იზიდავდა მისი წესდების მე-10 მუხლი, რ-ის თანახმადაც Ე. ლ-ის წევრები ვალდებულებას იღებდნენ, პატივი ეცათ და დაეცვათ ორგანიზაციის ყველა წევრ-სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. მაგრამ სწორედ ეს მუხლი გახდა საქართველოს Ე. ლ-ში გაწევრიანების ხელისშემშლელი ფაქტორი. განხილვაზე სიტყვით გამოვიდნენ ფ. ნანსენი (ნორვეგია) და რ. სესილი (სამხრ. აფრიკა), რ-თაც მხარი დაუჭირეს საქართველოს მიღებას Ე. ლ-ში. დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ჰ. ფიშერმა კი განაცხადა, რომ საქართველოს შემთხვევაში მე-10 მუხლის დაცვა რთული იქნებოდა, ამასთან არ შეიძლებოდა ამ საკითხის განცალკევება ბალტიისპირეთის რესპუბლიკათა საკითხისაგან. ორივე საკითხს რუსეთის ზეგავლენის სფეროში შეჭრასთან აკავშირებდნენ, რაც ამუხრუჭებდა ამ ქვეყნების Ე. ლ-ში მიღების პროცესს.

კენჭისყრაში 24 სახელმწ. მონაწილეობდა. საკითხის გადასაჭრელად საკმარისი იყო 16 ხმის მიღება. საქართველოს Ე. ლ-ში გაწევრიანებას მხარი დაუჭირა 10 სახელმწიფომ: სამხრ. აფრიკამ, ბოლივიამ, კოლუმბიამ, იტალიამ, ნორვეგიამ, პარაგვაიმ, ირანმა, პორტუგალიამ, შვეიცარიამ და ჩილემ. წინააღმდეგ ხმა მისცა 10 სახელმწიფომ: ავსტრალიამ, კანადამ, კუბამ, დიდმა ბრიტანეთმა, ესპანეთმა, საფრანგეთმა, ახალმა ზელანდიამ, ნიდერლანდებმა, ჩეხოსლოვაკიამ, დანიამ. თავი შეიკავეს: ბელგიამ, პოლონეთმა, რუმინეთმა, შვედეთმა.

დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის უარყოფითი პოზიციის გამო საქართველოს Ე. ლ-ში მიღება შეუძლებელი გახდა. მართალია, საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკა ცნეს როგორც დე-ფაქტო (1920), ასევე დე-იურე (1921 იანვარი), მაგრამ Ე. ლ-ის გარეთ დარჩენამ ხელი შეუწყო საბჭ. რუსეთის აგრესიული ზრახვების რეალიზაციას. 1921 თებ.-მარტში რუსეთმა დაიპყრო საქართველო, მოხდა მისი ფაქტობრივი ანექსია.

ა. მენთეშაშვილი.

ᲔᲠᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲐ, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის ახალქალაქის თემში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. თეძმის ხეობაში. ზ. დ. 840 *მ*, კასპიდან 20 *კმ*, მეტეხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 16 *კმ*. 314 მცხ. (2002).

სოფლის სახელი უნდა უკავშირდებოდეს წმინდა ევსტაფის ანუ ესტატეს სახელს – ,,ესტატე წმინდას'' (ძვ. სახელი ესტაწმინდაა). სოფელი წყაროებში პირველად მოიხსენიება XVI ს-ში. 1588 მეფე სიმონმა Ე. სიაუშ *სააკაძეს* უბოძა. წმინდა ევსტაფის სახელზე აგებული ტაძარი 1610-იდან შევიდა გიორგი სააკაძის მფლობელობაში და გადაიქცა მის შთამომავალთა საძვალედ. ეკლესიაში დღემდეა დაცული მათი საფლავის ქვები (გადმოცემის მიხედვით, ერთ-ერთი მათგანი გიორგი სააკაძის შვილის – პაატას – საფლავის ქვაა). გიორგი სააკაძის საქართველოდან გადახვეწის შემდეგ Ე. სამეფო საკუთრება გახდა. 1652 მეფე როსტომმა იგი იორამ სააკაძეს დაუბრუნა. XVIII–XIX სს-ში Ე. სააკაძეთა შთამომავლებს – თარხნიშვილებს – ეკუთვნოდა.

სოფელსა და მის მიდამოებში რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლია, მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ერთაწმინდის სამონასტრო კომპლექსი და გვიანდ. შუა საუკუნეების *დარბაზული სახლი* – ქართ. დარბაზის ნიმუში.

სამონასტრო კომპლექსის დომინანტია XIII ს. I ნახ. წმ. ესტატეს ტაძარი. იგი თლილი ქვით მოპირკეთებული გუმბათიანი ნაგებობაა, ორი თავისუფლად მდგომი გუმბათქვეშა ბოძით და საკურთხევლის აფსიდით, რ-იც გეგმის სწორკუთხედის ფარგლებში რჩება. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის მრგვალ ყელზე გადასვლა ხორციელდება აფრებით. საკურთხევლის ორივე მხარეს ორ სართულად განლაგებულია კუთხის სათავსები. ტაძრის მკლავის კედლებზე შემორჩენილია მოხატულობა, რ-იც შესრულებულია არა უადრეს XVIII ს-ისა და ასახავს წმ. ესტატეს ცხოვრების სცენებს. ტაძრის ფასადები მდიდრულადაა მორთული. მათი დეკორი მრავალსახიანია როგორც ხასიათით, ისე შესრულების მანერით. ეკლესია რამდენჯერმეა შეკეთებული და გადაკეთებული. XIX ს. II ნახ-ში ტაძარი კაპიტალურად შეაკეთეს. 1951 ძეგლის სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატარა სპეც. სამეცნ.-სარესტავრაციო საწარმოსახელოსნომ – აღდგენილ იქნა გუმბათი. გალავანი განვითარებულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება. ნაგებია ძირითადად ბრტყელი ნატეხი ქვით. დატანებული ჰქონდა 7 კოშკი. სამხრ. კედლის გასწვრივ სამეურნეო და სამონასტრო შენობების ნაშთია. ორსართულიანი სამრეკლო საფუძვლიანადაა გადაკეთებული. ეკლესიის დღეობა – *ერთაწმინდობა* – აღინიშნება ძვ. სტ. 20 სექტემბერს. დღეობაზე სალოცავად მიდიან ქართლ-კახეთის ყველა მხრიდან.

Ე-ს ეკუთვნის თეძმის ნაპირას მდებარე XVIII ს. ორი მრგვალი კოშკი, რ-თაც ელისაბედაშვილის კოშკებს უწოდებენ (ელისაბედაშვილები საეკლ. ყმები ყოფილან). კოშკები და მათ გარშემო მდებარე მამულიც ეკლესიის საკუთრება იყო.

Ე-ში დაიბადა მწერალი ს. *ერთაწმინდელი*, კომპოზიტორი ი. *კარგარეთელი*.



ერთაწმინდა. წმინდა ესტატეს ეკლესია. XIII ს. I ნახევარი

ლიტ.: გომელაური ი., ერთაწმინ-

დის ტაძრის არქიტექტურა, თბ., 1976; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990; И о с е л и а н и П. И., Жизнь Великого Моурава, князя Георгия Саакадзе..., с приложением описания Эртацминдского храма и Кватахевского монастыря, Тфл., 1848. *ჯ. გვასალია. ი. გომელაური.*

ერთაწმინდელი (ნამდვ. გვარი – ბ ა ტ კ უ ა შ ვ ი ლი) სეზმან ალექსის ძე (25. XI. 1890, სოფ. ერთაწმინდა, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 24. VI. 1944, თბილისი; დაკრძალულია ერთაწმინდაში), მწერალი. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1910 გაზ. ,,სინათლეში‘‘. ქართ. ლიტ-რაში უმთავრესად მცირე ზომის პიესებით დაიმკვიდრა ადგილი. მისი ნაწარმოებები (,,სიკვდილი ჩრდილოეთში‘‘, 1911; ,,ლურჯხალათიანი‘‘, 1912; ,,დაჭრილი ორბი‘‘, 1913) ხელს უწყობდა რევ. იდეების გავრცელებას. პოპულარული იყო Ე-ის ყოფითი დრამა ,,წარსულის ნანგრევებზე‘‘ (1913). 1921–27 Ე. წითელ არმიაში მსახურობდა და ლიტ. და დრამ. წრეებს ხელმძღვანელობდა. 1925 სცენისმოყვარეთა დასის ,,ლურჯი ხალათის‘‘ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი იყო. დასმა წარმოადგინა მისი აგიტსატირული პიესები: ,,ვირტაჭი‘‘, ,,რეჟომეკონომია‘‘, ,,ცეკვა ბებუთით‘‘ და სხვ. Ე-ს ეკუთვნის პიესების კრებულები: ,,პატარა პიესები‘‘ (1929), ,,ზღვის ორბები‘‘ (1934); ლექსთა კრებ. ,,პოეტი-არწივი‘‘ (1920); მოთხრობების კრებულები: ,,გველების ქარავანი‘‘ (1934), ,,ინდიანა‘‘ (1935), ,,უშიშარი ვანო‘‘ (1960); ,,მოთხრობები და ლექსები‘‘ (1960) და სხვ.

ლიტ.: გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე მ., სეზმან ერთაწმინდელი, «საბჭოთა ხელოვნება», 1966, №12. *ლ. ავალიანი.*

ერთაწმინდობა, რელიგიური დღესასწაული. იმართება 3 ოქტომბერს (ძვ. სტ. 20 სექტემბერი) შიდა ქართლის სოფ. ერთაწმინდაში (ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი), წმ. ესტატეს ეკლესიასთან. დღესასწაულზე სწირავენ მსხვერპლს, იმართება ლხინი, ჭიდაობა. აქვეა დაკრძალული პაატა სააკაძის ნეშტი.

ლიტ.: И о с е л и а н и П., Жизнь Великого Моурава, князя Георгия Саакадзе.., Тфл., 1848.

ერთელიშვილი ფარნაოზ გიორგის ძე (27. II. 1923, თბილისი, – 6. VII. 1972, იქვე), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1969). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1950). მუშაობდა ახ. ქართ. ენის კათედრაზე, იყო კათედრასთან შექმნილი ტოპონიმიკის ლაბორ. ერთ-ერთი დამაარსებელი და მეცნ.-ხელმძღვანელი (1969). ავტორია მონოგრაფიებისა: ,,რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში‘‘ (1963), ,,ზმნის ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში‘‘ (1970), ,,სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში‘‘ (1980). მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს ქართ. ენის ფონეტიკის, მორფოლოგია-სინტაქსისა და ლექსიკა-ფრაზეოლოგიის საკვანძო საკითხებზე, შექმნა ეტიმოლ. ძიებათა სერია. *შ. აფრიდონიძე.*

ერთეულთა საერთაშორისო სისტემა (ფრანგ.: Système international d'unitées), ერთეულთა სისტემა, რომელიც ეფუძნება ფიზიკური სიდიდეების საერთაშორისო სისტემას და მოიცავს ერთეულთა დასახელებებსა და აღნიშვნებს, აგრეთვე წინსართების ჩამონათვალს მათი დასახელებებითა და აღნიშვნებით და გამოყენების წესებს, რებიც მიღებულია ზომა-წონის გენ. კონფერენციის მიერ. შემოკლებული აღნიშნაა SI, ქართ. ტრანს-კრიპციით – სი. ოფიციალურად პირველად შემოღებულ იქნა ზომა-წონის XI გენ. კონფერენციის მიერ (1960, პარიზი). შემდგომ გენ. კონფერენციებზე მასში ზოგიერთი ცვლილება იქნა შეტანილი. იგი წარმოადგენს დღეისათვის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ საზომ ერთეულთა სისტემას როგორც მეცნიერებასა და ტექნიკაში, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში. Ე.ს.ს-მ, რ-საც საფუძვლად დაედო მ ე ტ რ უ ლ ი ს ი ს ტ ე მ ა, მალე ჩაანაცვლა მანამდე არსებული ზომის ისტ. ერთეულები. 2000-თვის სი მიჩნეულია ერთეულთა ერთადერთ ან ძირითად სისტემად თითქმის ყველა ქვეყანაში. გამონაკლისს წარმოადგენს აშშ, ლიბერია და მიანმა (ყოფ. ბირმა).

Ე.ს.ს-ის ზომათა ერთეულები იყოფა ორ ჯგუფად: შვიდი ძირითადი და მათგან წარმოებული ერთეულები.

10-ის მთელ ხარისხზე (დადებითზე ან უარყოფითზე) გამრავლებით და სათანადო წინსართის დამატებით შესაძლებელია Ე.ს.ს-ის ძირითადი ერთეულებისგან იმავე ფიზ. სიდიდის აღმწერი უფრო მცირე ან უფრო დიდი ერთეულების წარმოქმნა. მაგ., დეცი აღნიშნავს ათჯერ ნაკლებს, ხოლო კილო – ათასჯერ მეტს, ვიდრე თავდაპირველი ერთეული: დეციმეტრი მეტრის მეათედია (1 *დმ* = 10^{-1} *მ*), ხოლო კილომეტრი – ათასი მეტრი (1 *კმ* = 10^{3} *მ*). გამონაკლისს წარმოადგენს მასის ძირითად ერთეულზე უფრო მცირე ან უფრო დიდი ერთეულების წარმოქმნა. 10^{-3} *კგ* უწოდებენ გრამს (აღნიშვნა *გ*). უფრო მცირე ერთეულებს აწარმოებენ გრამთან წინსართების გამოყენებით (მაგ., *ნგ*). 10^{3} *კგ* უწოდებენ ტონას (აღნიშვნა *ტ*); უფრო დიდი ერთეულები იწარმოება ტონასთან წინსართის გამოყენებით (მაგ., *კტ, მგტ*). რამდენიმე წინსართის ერთად გამოყენება იკრძალება.

ტექნიკასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ფართოდ გამოყენებული მრავალი ერთეული Ე.ს.ს-ის ერთეულებისგან კანონიკური წინსართების დამატებით არ იწარმოება. ასეთებია, მაგ.:

დროის ერთეულების უმეტესობა – წუთი, საათი, დღე-ღამე, კვირა, თვე, წელიწადი, საუკუნე;

ტემპერატურის ერთეულები ცელსიუსი °C და ფარენგეიტი °F (გამოიყენება სი ერთეულის – კელვინის ნაცვლად);

ელექტრული ენერგია ხშირად იზომება კილოვატ-საათებში, მეგაჯოულების ნაცვლად;

ძირითადი ერთეულები ცხრილი 1.

ფიზიკური სიდიდე	დასახელება		აღნიშვნა	
	საერთაშ.	ქართული	საერთაშ.	ქართ.
სიგრძე	metre	მეტრი	m	*მ*
მასა	kilogram	კილოგრამი	kg	*კგ*
დრო	second	წამი	s	*წმ*
დენის ძალა	ampere	ამპერი	A	*ა*
ტემპერატურა	kelvin	კელვინი	K	K
სინათლის ძალა	candela	კანდელა	kd	*კდ*
ნივთიერების რაოდენობა	mole	მოლი	mol	*მოლ*

სიჩქარეები – კილომეტრ/საათებში, მეტრ/წამის ნაცვლად;

ზღვაოსნობაში მანძილისა და სიჩქარის ერთეულად ხშირად იყენებენ საზღვაო მილს და კვანძს (საზღვაო მილი/საათში);

ასტრონომიაში მანძილებს ზომავენ ასტრონ. ერთეულებში (*ა. ე.*), პარსეკებსა (*პს*) და სინათლის წლებში (*სინ. წ.*);

ფიზიკასა და ქიმიაში ხშირად იყენებენ ელექტრონვოლტს, ანგსტრემს და ბარნს, ასევე ბუნებრივ ერთეულებს (იხ. სტ. *ერთეულთა სისტემები*);

მედიცინაში სისხლის წნევა იზომება ვერცხლისწყლის სვეტის მილიმეტრებში და არა პასკალებში.

სი-ის სრული ოფიც. აღწერა მოცემულია ს ი - ი ს ბ რ ო შ ურ ი ს მოქმედ რედაქციაში.

Ე.ს.ს-ის მოქმედ ვერსიაში ითვლება, რომ ძირითადი ერთეულები: მეტრი, კილოგრამი, წამი, ამპერი, კელვინი, კანდელა და მოლი დამოუკიდებელი განზომილებების მქონე სიდიდეებია, ანუ არც ერთი მათგანი არ შეიძლება გამოისახოს სხვა ძირითადი ერთეულებით.

ზომა-წონის XXIV გენ. კონფერენციამ (2011) მიიღო რეზოლუცია, რ-ითაც Ე.ს.ს-ის მომავალ ვერსიაში შენარჩუნებული იქნება ერთი ძირითადი საზომი ერთეული – დროის ერთეული წამი. მეტრი, კილოგრამი, ამპერი, კელვინი და მოლი განიმარტება ამ ძირითადი ერთეულით (უფრო ზუსტად, სტაბილური სიხშირით) და უნივერს. ფიზ. მუდმივებით ისე, რომ ამ მუდმივებმა მიიღოს ზუსტი რიცხვითი მნიშვნელობები, რებიც დადგენილი იქნება საიმედო გაზომვებით და რეკომენდებული მეცნ. და ტექ. მონაცემთა კომიტეტის (CODATA) მიერ. ეს მუდმივებია:

სინათლის სიჩქარე ვაკუუმში c – ზუსტად 299 792 458 *მ/წმ;*

პლანკის მუდმივა h – ზუსტად $6{,}62606\times10^{-34}$ *მ²·კგ·წმ⁻¹* (*ჯ·წმ*);

ელემენტარული ელექტრული მუხტი e – ზუსტად $1{,}60217\times10^{-19}$ *ა·წმ* (*კ*);

ბოლცმანის მუდმივა k – ზუსტად $1{,}3806\times10^{-23}$ *მ²·კგ·წმ⁻²·K⁻¹* (*ჯ/K*);

ავოგადროს მუდმივა N_A – ზუსტად $6{,}02214\times10^{23}$ *მოლ⁻¹*.

აქ × აღნიშნავს ერთ ან რამდენიმე ნიშნად ციფრს, რ-ებიც დადგენილი იქნება შემდგომში CODATA-ის მიერ რეკომენდებული საიმედო გაზომვებით.

მოცემული მიმართულებით სინათლის ძალის ერთეული კანდელა (სიმბოლო *კდ*) განისაზღვრება $540\cdot10^{12}$ *ჰც* სიხშირის მონოქრომატული გამოსხივების ოპტ. ეფექტურობის რიცხვითი მნიშვნელობით, რ-იც ტოლია ზუსტად

683 *მ⁻²·კგ⁻¹·წმ³·კდ·სტერ*, ანუ 683 *კდ·სტერ. ვტ⁻¹;*

დროის ერთეული წამი (სიმბოლო *წმ*) განისაზღვრება ცეზიუმ-133 ატომის ძირითადი მდგომარეობის ზენაზ დონეთა შორის გადასვლის შესაბამისი სიხშირის რიცხვითი მნიშვნელობით, რ-იც 0 K ტემპერატურაზე ტოლია ზუსტად 9 192 631 770 *ჰც.*

წარმოებული ერთეულები მიიღება ძირითადი ერთეულებისგან ალგებრული მოქმედებებით – გამრავლებითა და გაყოფით. ზოგიერთ წარმოებულ ერთეულს სიში აქვს საკუთარი სახელწოდება (იხ. ცხრილი 2). სი-ის ერთეულთა სახელწოდებები და აღნიშვნები განსხვავებულია სხვადასხვა ენაში. მაგ., ფრანგ. kilogram – kg, ბერძნ. χιλιόγραμμο – χγ, აზერბ. kiloqramme – kq, ქართ. კილოგრამი – კგ. ზოგიერთ შემთხვევაში ერთეულის დასახელება გამოიყენება მხოლოდ გარკვეულ ფიზ. სიდიდესთან მიმართებით. მაგ., ერთეულს *წმ⁻¹* უწოდებენ ჰერცს (*ჰც*), თუ იზომება სიხშირე, და – ბეკერელს (*ბკ*), თუ იზომება რადიონუკლიდის აქტივობა.

ერთეულის აღნიშვნები და მათი გამოყენების წესები განსაზღვრულია საქართვ. კანონით გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ. ერთეულის აღნიშვნა გამოყოფილი უნდა იყოს რიცხვისგან ინტერვალით, აღნიშვნის გადატა-

ცხრილი 2.

საკუთარი დასახელების მქონე წარმოებული ერთეულები

ფიზიკური სიდიდე	დასახელება		აღნიშვნა	
	საერთაშ.	ქართ.	საერთაშ.	ქართ.
ბრტყელი კუთხე	radian	რადიანი	Rad	*რად*
სხეულოვანი კუთხე	steradian	სტერადიანი	Sr	*სტერ*
ტემპერატურა ცელსიუსის სკალით	degree Celsius	ცელსიუსის გრადუსი	°C	°C
სიხშირე	hertz	ჰერცი	Hz	*ჰც*
ძალა	newton	ნიუტონი	N	*ნ*
ენერგია	joule	ჯოული	J	*ჯ*
სიმძლავრე	watt	ვატი	W	*ვტ*
წნევა	pascal	პასკალი	Pa	*პა*
სინათლის ნაკადი	lumen	ლუმენი	Lm	*ლმ*
განათებულობა	lux	ლუქსი	Lx	*ლქ*
ელექტრული მუხტი	coulomb	კულონი	C	*კ*
ძაბვა	volt	ვოლტი	V	*ვ*
წინაღობა	ohm	ომი	Ω	*ომ*
ელექტროტევადობა	farad	ფარადა	F	*ფ*
ელექტროგამტარებლობა	siemens	სიმენსი	S	*სიმ*
მაგნიტური ნაკადი	weber	ვებერი	Wb	*ვბ*
მაგნიტური ინდუქცია	tesla	ტესლა	T	*ტლ*
ინდუქტივობა	henry	ჰენრი	H	*ჰნ*
რადიონუკლიდის აქტივობა	becquerel	ბეკერელი	Bq	*ბკ*
მაიონებელი დასხივების შთანთქმული დოზა	sievert	ზივერტი	Sv	*ზვ*
მაიონებელი დასხივების ეფექტური დოზა	gray	გრეი	Gy	*გრ*
კატალიზატორის აქტივობა	katal	კატალი	Kat	*კატ*

ნა ახ. სტრიქონზე დაუშვებელია. ენციკლოპედიაში ,,საქართველო'' და ქართ. ენციკლოპედიის სხვა გამოცემებში ერთეულთა ქართ. აღნიშვნები კეთდება დახრილი შრიფტით.

ზოგიერთ ფიზ. სიდიდეს, რ-იც ერთი და იმავე ფიზ. ობიექტის სხვადასხვა მდგენელს გამოსახავს (მაგ., ელექტრომაგნ. ველის ტენზორის მდგენელებია ელექტრული ველის დაძაბულობა და მაგნ. ველის ინდუქცია), სი-ში სხვადასხვა განზომილება აქვს. ამას ზოგიერთი მეცნიერი სი-ის ნაკლოვანებად მიიჩნევს.

ლიტ.: The SI Brochure, ზომათა და წონათა საერთაშ. ბიურო, 2006, http://www.bipm.org/utils/common/pdf/si_brochure_8_en.pdf). *ი. ლომიძე.*

ერთეულთა სისტემები, გაზომვათა ერთეულების სისტემები – ფიზიკურ სიდიდეთა გასაზომად გამოყენებული ერთეულების ერთობლიობა, გაერთიანებული და დაჯგუფებული ამა თუ იმ შეთანხმების საფუძველზე. ნებისმიერი ფიზიკური სიდიდის (ანუ ისეთი სიდიდისა, რ-იც შეიძლება გაიზომოს – გამოისახოს რიცხობრივად) გასაზომად იყენებენ იმავე ბუნების ფიზ. სიდიდეს, აღებულს გარკვეული ოდენობით, რ-იც, შეთანხმების საფუძველზე, აღიარებულია შესაბამისი ფიზ. სიდიდის ერთეულად. ფიზ. სიდიდის გაზომვა დაიყვანება გასაზომი სიდიდის შედარებაზე არჩეულ ერთეულთან. მაგ., სიგრძის გაზომვა დაიყვანება ობიექტის სიგრძის შედარებაზე საზომი ერთეულის (გამზომ ხელსაწყოზე დანაყოფის) სიგრძესთან, ტემპერატურის გაზომვა – ობიექტის ტემპერატურის შედარებაზე ერთეულად მიჩნეულ ტემპერატურასთან და ა. შ. ცნებები და თვისებები, რ-თა გაზომვა (რიცხობრივად გამოსახვა) არ ხერხდება მეცნ. განვითარების თანამედროვე ეტაპზე, არ მიეკუთვნება ფიზ. სიდიდეებს (მაგ., სუნი, სილამაზე, გონიერება). ფიზ. სიდიდის მნიშვნელობა გამოისახება სახელდებული რიცხვით, შედგება მისი რიცხვითი მნიშვნელობისა და შესაბამისი განზომილებისგან. ფიზ. სიდიდის რიცხვითი მნიშვნელობა გვიჩვენებს გასაზომი სიდიდის ფარდობას შესაბამის ერთეულთან და შედგება ერთი ან რამდენიმე (ტენზორული ფიზ. სიდიდის შემთხვევაში) რიცხვისგან. როგორც წესი, ერთი და იგივე ფიზ. სიდიდე შეიძლება გამოისახოს სხვადასხვა ერთეულებით. მაგ., სიგრძის ერთეულებია ნანომეტრი, მილიმეტრი, მეტრი, გოჯი, ადლი, ვერსი, მილი, სინათლის წელიწადი და სხვ. განასხვავებენ ძირითად ერთეულებს, რ-თა აღწარმოება შეიძლება ზუსტი *ეტალონების* სახით, და წარმოებულ ერთეულებს, რ-ებიც გამოისახება ძირითადი ერთეულებით. არსებობს მრავალნაირი ე. ს., რ-ებიც განსხვავდება ძირითადი ერთეულების არჩევით. სახელმწიფო, როგორც წესი, კანონმდებლობით ამკვიდრებს ერთეულთა რომელიმე ერთ სისტემას. *მეტროლოგია* მუდმივად მუშაობს გაზომვის ერთეულების, საბაზო ერთეულებისა და ეტალონების გაუმჯობესებაზე.

განასხვავებენ მეტრულ, ბუნებრივ და ტრადიციულ ე. ს-ს. მეტრული ე. ს-ის თანამედროვე ფორმაა *ერთეულთა საერთაშორისო სისტემა.*

მეტრული ე. ს. გამოიყენება გაზომვათა უნიფიცირებისათვის და სხვადასხვა ძირითადი ერთეულის გამოყენებით გამოწვეული მოუხერხებლობის თავიდან ასაცილებლად. ტრად. ე. ს-ის გამოყენებისას აუცილებელია, მაგ., ფუტების გადაყვანა დიუმებში (ინჩებში), იარდებში, მილებსა ან მეტრებში, მათ შორის რთული თანაფარდობების გამოყენებით. მეტრულ ე. ს-ში წარმოებული ერთეულები მიიღება ძირითადი ერთეულებიდან 10-ის მთელ დადებით ან უარყოფით ხარისხებზე გამრავლებით.

ბუნებრივი ე. ს. ემყარება ერთეულებად ფიზ. მუდმივების გამოყენებას. მაგ., პლანკის ე. ს-ში ერთეულებად არჩეულია უნივერსალური მუდმივები – სინათლის სიჩქარე ვაკუუმში c, პლანკის მუდმივა h, გრავიტაციული მუდმივა G და ბოლცმანის მუდმივა k (პლანკის ე. ს-ის თანამედროვე ვერსიაში ამას ემატება უძრავი მუხტების ურთიერთქმედების კანონში შემავალი მუდმივა $1/4\pi\varepsilon_0$, სადაც ε_0 – ე. წ. ვაკუუმის დიელექტრიკული შეღწევადობაა). გაუსის ე. ს-ში ერთეულები არჩეულია ისე, რომ ელექტრული ველის დაძაბულობას და მაგნიტური ველის ინდუქციას ჰქონდეს ერთნაირი განზომილება. ატომურ ე. ს-ში (1928, ინგლ. მეცნიერი დ. ჰარტრი) ერთეულებად არჩეულია ელექტრონის მუხტი, ელექტრონის მასა და პლანკის მუდმივა $\hbar = h/2\pi$. არსებობს ბუნებრივ ერთეულთა სხვა სისტემებიც.

ტრად. ე. ს. ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა ქვეყნებში მეტრული ე. ს-ის შემოღებამდე. ცნობილია ინგლისური, რუსული, ჩინური, იაპონური, რომაული და სხვ. ე. ს. საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ქართ. ტრად. ერთეულთა სისტემა. *ი. ლომიძე.*

ერთიანი ეროვნული გამოცდები, ცენტრალიზებული სახელმწიფო გამოცდები შეფასების ახალი მოდელით. საქართველოში პირველად ჩაატარა შეფასებისა და გამოცდების ეროვნ. ცენტრმა. ე. ე. გ. ტარდება 2005-იდან. აკრედიტებული (ავტორიზებული) უმაღლესი საგანმან. დაწესებულებების სტუდენტთა კონტინგენტით დასაკომპლექტებლად და სტუდენტთათვის სახელმწ. სასწ. გრანტების გამოყოფის მიზნით; შემოღებულია მისაღები გამოცდების ძვ. საბჭოური სისტემის მაგივრად. ე. ე. გ. სამართლიან, გამჭვირვალე, უნიფიცირებულ პრინციპებზე დამყარებული საგამოცდო სისტემაა, რ-ის მიზანია უმაღლესი სასწავლებლებისათვის საუკეთესო აბიტურიენტების შერჩევა. ე. ე. გ. ითვალისწინებს: სტანდარტიზებულ შერჩევას; უნარებისა და ცოდნის კომპლექსურ შეფასებას; სახელმწ. გრანტის გაცემას საუკეთესო სტუდენტებზე; ფართო არჩევანის შესაძლებლობას.

მ. მიმინოშვილი.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, მემარჯვენე-ცენტრისტული მიმართულების მოქალაქეთა ნებაყოფლობითი პოლიტიკური გაერთიანება. შეიქმნა 2001 ოქტომბერში მ. *სააკაშვილის* თაოსნობით. მისი სიმბოლოა: წინა პლანზე – საქართველოს ეროვნ. და უკანა პლანზე – ევროსაბჭოს მოფრიალე დროშები.

2002 პარტიამ შექმნა ბლოკი კონსერვატორებთან და რესპუბლიკელებთან ერთად, რ-მაც 2002 ადგილობრივ არჩევნებში წარმატებას მიაღწია თბილ. მასშტაბით და გაიყო გამარჯვება ლეიბორისტულ პარტიასთან. ამ უკანასკნელთან პოლიტ. შეთანხმების შედეგად მ. სააკაშვილი გახდა თბილ. საკრებულოს თავმჯდომარე.

2003 ნოემბ. არჩევნების შემდეგ ბლოკი გახდა ე. *შევარდნაძის* წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი ,,თავისუფალ დემოკრატებთან'' (ზ. *ჟვანია*) და ,,ტრადიციონალისტებთან'' (ა. ასათიანი) ერთად. საპროტესტო აქციები *ვარ-*

დების რევოლუციით დასრულდა, ე. ნ. მ-ის ლიდერი მ. სააკაშვილი 2004 არჩეულ იქნა საქართველოს პრეზიდენტად. ამავე დროს ერთ პარტიად გაერთიანდნენ ე. ნ. მ. და ,,თავისუფალი დემოკრატები''. 2004 საპარლამენტო არჩევნებში ბლოკმა ,,ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები'' მოიპოვა საკონსტიტუციო უმრავლესობა ხმათა 66,2%-ით. 2004-იდან ე. ნ. მ. ქვეყნის მმართველი პარტია გახდა. იმავე წლის გაზაფხულზე ე. ნ. მ-თან თანამშრომლობა შეწყვიტეს ადრინდელმა პარტნიორებმა: კონსერვატორებმა და რესპუბლიკელებმა. ამის მიუხედავად ე. ნ. მ-მ მოიგო 2005 შუალედური არჩევნები ხუთივე საარჩევნო ოლქში და 2006 ადგილობრივი არჩევნები.

2008 მ. სააკაშვილი, კვლავ აირჩიეს საქართველოს პრეზიდენტად. იმავე წელს საპარლამენტო არჩევნებში ე. ნ. მ-მ მიიღო ხმათა 59,18% და კვლავ შეინარჩუნა საპარლამენტო უმრავლესობა. 2012 საპარლამენტო არჩევნებში ე. ნ. მ. დამარცხდა, გახდა საპარლამენტო უმცირესობა და გადავიდა ოპოზიციაში.

პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ყრილობა. ყრილობებს შორის პერიოდში გაერთიანებას პოლიტ. საბჭო ხელმძღვანელობს. პარტიის უმაღლესი თანამდებობის პირია თავმჯდომარე, ორგანიზაციულ მუშაობას წარმართავს გენ. მდივანი.

პარტიის რამდენიმე ლიდერზე, მათ შორის მ. სააკაშვილზე, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ხოლო პარტიის გენ. მდივნის ი. მერაბიშვილის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენი.

ერთი მსახიობის თეატრი ,,ვერიკო'', შეიქმნა 1987 კ. *მახარაძის* ინიციატივითა და თაოსნობით. თეატრი თავდაპირველად არსებობდა *დარეჯანის სასახლის* ,,სამლოცველო საჩინოში'', შემდგომ ბინა დაიდო ვ. ანჯაფარიძისა და მ. ჭიაურელის კერძო სახლ-მუზეუმში.

ე. მ. თ. ,,ვ.'' აგებული იყო ლიტ. თეატრის პრინციპზე (პუბლიცისტური, შემეცნებითი სპექტაკლების ავტორ-შემსრულებელი – კ. მახარაძე). დაიდგა მონოსპექტაკლები: ,,რაც მტრობას დაუნგრევია...'' (1987, მეტეხის თეატრის სცენაზე; ტექსტის თანაავტორი – ა. ბაქრაძე), ,,გამოიღვიძე, ქნარო'' (1988, ტექსტის ავტორი – ჯ. აჯიაშვილი), ,,ბაგრატიონები'' (1990, ტექსტის ავტორები: კ. მახარაძე და ლ. სანიკიძე); დაიდგა საავტორო სპექტაკლები: მ. ჯინორიას ,,და სიმღერით



ერთი მსახიობის თეატრი ,,ვერიკო''.

ვკვდები'' (1995) და ,,ზღვა ძალიან ღელავს'' (1996), გ. რეიმსჰაგენის ,,კაპრიჩიო'' ნ. ბურდულის მონაწილეობით (1996), ,,ლაზიერის გამბიტი'' (1997, ბ. ფოცხიშვილის სპექტაკლი მ. ფოცხიშვილის ლექსების მიხედვით), მ. სანტანელის ,,დედა-დედოფალი'' ს. ჭიაურელისა და მ. ჯინორიას მონაწილეობით (1998, რეჟ. თ. კოშკაძე), ,,სტალინი'' (1998, ავტორი კ. მახარაძე), ,,კარმენი'' მ. ჯანაშიას მონაწილეობით (1999), ნ. დუმბაძის ,,მონატრება'' (რეჟ. კ. მირიანაშვილი, 2000), უ. შექსპირის ,,ჰამლეტის'' მიხედვით ,,დროთა კავშირი დაირღვა'' (2000, მ. ჯინორიას საავტორო სპექტაკლი). ე. მ. თ ,,ვ-ში'' ეწყობოდა შეხვედრები ხელოვნ. გამოჩენილ მუშაკებთან, შემოქმედებითი საღამოები. თეატრი საგასტროლოდ იყო თელავივსა და აშდოდში (ისრაელი, 1988), აგრეთვე ერთი მსახიობის თეატრების ფესტივალებზე: კიევში (1996, სპექტაკლი ,,ბაგრატიონი'' დაჯილდოვდა გრან-პრით), კიშინიოვში (1999, სპექტაკლი ,,კარმენი''; მსახიობმა მ. ჯანაშიამ მიიღო ფესტივალის უმაღლესი ჯილდო – ,,ოქროს იონი'').



ერთი მსახიობის თეატრი ,,ვერიკო''. სცენა სპექტაკლიდან ,,მარტოობის ბინადარი''.

ერთნავიანი ეკლესია, დარბაზული ეკლესია, ქრისტიანული საკულტო ნაგებობის ერთ-ერთი უმარტივესი ტიპი. კამარით გადახურული, გეგმით სწორკუთხა ნაგებობა, რ-საც აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდი აქვს (საქართველოში არსებობს სწორკუთხა საკურთხევლიანი ერთნავიანი ეკლესიებიც, მაგრამ ეს ტიპი ფართოდ არ გავრცელებულა). ჩვეულებრივ დასრულებულია ორფერდა სახურავით, რ-იც დას. და აღმ. ფასადებზე ფრონტონებს ქმნის. ე. ე. გავრცელებულია მთელ საქართველოში. იგი შეიქმნა უადრეს ხანაში და სხვა უგუმბათო შენობებისაგან განსხვავებით, იარსებებს შუა საუკუნეების დასასრულამდე. ე. ე-ის ასეთი ხანგრძლივი არსებობისა და ფართოდ გავრცელების ერთ-ერთი ფაქტორია მისი გეგმისა და კონსტრუქციის სიმარტივე, მშენებლობისა და საშენი მასალის ხელმისაწვდომობა (სოფლის პატარა სამლოცველო-ეკლესიები სწორედ ამ ტიპს მიეკუთვნება). ე. ე-მ არსებობის განმავლობაში მარტივიდან რთულისკენ განვითარების დიდი გზა განვლო. ამ ტიპის ადრინდ. ხანის ძეგლები გამოირჩევა ჰარმონიული პროპორციებით, კედლის მშვენიერი წყობით და იმ მომხიბვლელი იერით, რ-იც თანაბრად ახასიათებს იმ დროის დიდ და მცირე ძეგლებს. VI–VII სს-ში ე. ე. მარტივი გეგმის მცირე ზომის ნაგებობაა სადა ინტერიერით. აფსიდი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მეტწილად კედლების სწორკუთხედშია მოქცეული. აღმ.-დას. ღერძი არ არის დაგრძელებული (სიგრძისა და სიგანის შეფარდება 2:1; თეთრი წყარო, ოლთისი, აკვანება), საკურთხევლის გვერდით არ არის სათავსები. ქართ. ხუროთმოძღვრების გარდამავალ ხანაში (VII ს. II ნახ. – X ს. I ნახ.) უკვე ჩნდება პილასტრების ერთი (იშვიათად ორი) წყვილი და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღები, რ-ებიც გრძივ კედლებსა და კამარას ანაწევრებს ორ ან სამ მონაკვეთად (კომპარტიმენტად). ამასთან, ჩრდ. და სამხრ. კედლებზე ეწყობა პილასტრებზევე დაყრდნობილი კედლის თაღებით შემოფარგლული ბრტყელი ნიშები, ე. ი. უკვე ჩანს ინტერიერის პლასტ. დამუშავების

ნიშნები (უბისი, კუსირეთი, ქემერტი). გვხვდება შვერილი აფსიდი, თუმცა გეგმის პროპორცია (სიგრძე-სიგანის შეფარდება) თითქმის უცვლელი რჩება. X ს. II ნახ. – XI ს. I ნახევარში და მოგვიანებითაც უფრო ხშირია პილასტრებისა და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღების 2 წყვილით გრძივი კედლებისა და კამარის სამ მონაკვეთად დანაწევრება. იმ შემთხვევაში, თუ სიგრძე საგრძნობლად სჭარბობს სიგანეს, როგორც გამონაკლისი, გვხვდება უფრო მეტ ნაწილად დანაწევრების ერთეული მაგალითებიც (ზემო ყარაბულახი, სათხე, შეფიაქი). ყველა დანარჩენ შემთხვევაში დარბაზის სივრცე მოკლეა (ეხვევი, დარკვეთი, სპეთი) ან არ გამოდის დადგენილი პროპორციის ფარგლებიდან (სავანე, ხცისი, მაღალაანთ ეკლესია). რთულდება გეგმაც. ზოგან უკვე ჩანს საკურთხევლის ორივე მხარეს განლაგებული გეგმით წრიული ღრმა ნიშები (სავანე, დისევი) ან გეგმით მართკუთხა (ზოგჯერ აფსიდიანი) მცირე ზომის სათავსები – სამკვეთლო და სადიაკვნე. თითქმის ყველა ეკლესიას, რებიც ადრინდელებთან შედარებით დიდი ზომისაა, აქვს ეგვტერი და კარიბჭე (შენობის თანადროული ან მოგვიანებით მიშენებული). Ე. Ე-თაგან საქართველოში ყველაზე დიდია *აგარის მონასტრის* მთავარი ეკლესია. Ე. Ე-ის ტიპის ნაგებობათა განხილვისას არსებითი მნიშვნელობა აქვს გარე გაფორმებას – დეკორ. სისტემა და ფასადების მორთულობა ყოველთვის პასუხობს იმ ეპოქას, რ-შიც შეიქმნა ძეგლი.



ერთნავიანი დარბაზული ეკლესია. სამების ეკლესია. წეროვანი. XI ს.



გაზეთი ,,ერთობა‘‘.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., ტაო-კლარჯეთის ძეგლების ადგილი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში, თბ., 1981 (პარალ. ტექსტი რუს. და ფრანგ. ენებზე); Ч у б и н а ш в и л и Г. Н., К вопросу о рядовых памятниках грузинской архитектуры VIII–IX вв., მის წგ.: Вопросы истории искусства, т.1, Тб., 1970.

„ერთობა“, ყოველდღიური გაზეთი, ამიერკავკ. ს.-დ. ორგანიზაციების ორგანო. გამოდიოდა თბილისში 1917–21 ,,თანამედროვე აზრის‘‘ ნაცვლად. 1918 წ. 26. ნოემბრიდან იყო საქართვ. ს.-დ. (მენშევიკური) მუშათა პარტიის ცენტრ. ორგანო. ბოლო ნომრები (1921 წ. №44–56) დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თბილისიდან ევაკუაციის შემდეგ გამოვიდა ქუთაისსა და ბათუმში. რედ.-გამომცემლები – ვ. ბობოხიძე (1917-იდან), ლ. ნათაძე (1920 წ. ივლისიდან).

„ერთხელ ვიხილე“, ქართული ხალხური სიმღერა, ქალაქური ფოლკლორის დასავლური შტოს ერთ-ერთი ნიმუში. ჩაიწერა გ. ჩხიკვაძემ, ტექსტი ეკუთვნის კ. ერისთავს. თავდაპირველად სიმღერა ერთხმიანი იყო, სრულდებოდა გიტარის თანხლებით. შემდეგ მან სამხმიანი საგუნდო სიმღერის სახე მიიღო. სრულდება როგორც საკრავის თანხლებით (გიტარა, ფორტეპიანო), ისე – უსაკრავოდ. სიმღერის მელოდია ემყარება რბილ, ვალსისებურ მოძრაობებს. ა. კერესელიძემ ეს სიმღერა მცირეოდენი ცვლილებებით შეიტანა კინოფილმ ,,ქეთო და კოტეში‘‘, ხოლო შ. თაქთაქიშვილმა უცვლელად – ოპერა ,,დეპუტატშიც‘‘. სიმღერა დღესაც პოპულარულია.

ლიტ.: შ შ ვ ე ლ ი ძ ე ა., ქართული ქალაქური ხალხური სიმღერები, გრ. ჩხიკვაძის რედ., თბ., 1970.

ნ. ციციშვილი.

„ერთხელ ფისქვილს ფასვლისათვის“, საყოფაცხოვრებო, საოხუნჯო ხასიათის ქართული (რაჭული) ხალხური საფერხულო სიმღერა. ასრულებს შერეული (ქალვაჟთა) გუნდი. სიმღერა კუპლეტური აღნაგობისაა, სამხმიანია და შეიცავს რაჭული სიმღერისათვის დამახასიათებელ სამხმოვანებისა და კვარტსექსტაკორდის პარალელურ მოძრაობებს. მუს. ზომა 3/4.

ლიტ.: თ ა თ ა რ ა ძ ე ა., ქართული ხალხური ცეკვა, თბ., 2012.

ა. თათარაძე.

ერთხმიანობა, მ ო ნ ო დ ი ა (ბერძნ. monodia – ერთი მომღერლის სიმღერა), მუსიკის ისეთი წყობა, რომელშიც მხოლოდ ერთი ხმა – მელოდია არსებობს. ერთხმიანი მუს. ნაწარმოები სრულდება ერთი ხმის – მომღერალ-სოლისტის მიერ, შესაძლოა საკრავის თანხლებით. მსოფლიოს მრავალი ერის მუს.-სააზროვნო სისტემას Ე. წარმოადგენს. სამეცნ. ლიტ-რაში Ე-ის სინონიმად ტერმინ მონოდიასაც ხმარობენ. ერთხმიანი სიმღერა ორგვარია – ინდივიდუალური (სოლო) და გუნდური (უნისონი). ქართ. ხალხ. მუსიკაში Ე. ძირითადად ინდივიდუალურია (გამონაკლისია სიმღერები ,,დალაჲ‘‘, ,,გელინო‘‘), რამდენიმე მომღერლის მონაწილეობა მაშინვე წარმოქმნის მრავალხმიანობის რომელიმე სახეს. ინდივიდ. Ე. ახასიათებს ,,ნანას‘‘, ,,ურმულს‘‘, ,,ოროველას‘‘ და დატირების ზოგიერთ ვარიანტს. გუნდური (უნისონური) ერთხმიანობა გვხვდება საქართვ. ისეთ რეგიონებში, სადაც შეიმჩნევა მეზობელი ხალხების კულტ. ზეგავლენა ან მრავალხმიანობის გაქრობის კვალი (მესხეთ-ჯავახეთი, ლაზეთი, ქვემო ქართლი). სოც. თვალსაზრისით აქ საქმე გვაქვს ჯგუფურ მუზიცირებასთან, ხოლო მუს. თვალსაზრისით ეს ერთხმიანობაა, რადგან ერთდროულად არ ჟღერს რამდენიმე განსხვავებული სიმაღლის ბგერა.

ნ. კალანდაძე.

ერი (ისტ.), ძველი ქართული ტერმინი, ერთდროულად აღნიშნავდა ხალხსაც და ჯარსაც; წარმოქმნილი უნდა იყოს სამხ. დემოკრატიის ხანაში, როდესაც ხალხი და ჯარი ერთმანეთისაგან განუყრელი იყო. *სტრაბონის* მესამე გეოსის (,,მიწისმოქმედნი და მეომარნი‘‘) ქართ. სახელწოდება ,,ერი‘‘ უნდა ყოფილიყო. სტრაბონის დროინდელი Ე. იბერიის თავისუფალი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდა, მაგრამ განსხვავდებოდა ძვ. Ე-ისაგან, მას აღარ გააჩნდა სუვერენობის ძირითადი ნიშნები (მმართველობის უმაღლესი ორგანოები, საბჭო და სახ. კრება). ყოველი თავისუფალი მიწისმოქმედი იყო. იბერიის თავისუფალი მიწისმოქმედი საზ-ბა საჭირო შემთხვევაში ლაშქრობის ვალდებულიც იყო. შემდეგ თანდათან შეიქმნა მეომართა ფენა, რ-იც მუდმივ სამხ. სამსახურში იმყოფებოდა. მათგან გამოვიდნენ აზნაურ-წარჩინებულთა და მხედართა სოც. წინაპრები. შემდგომ, ფეოდალიზმის განვითარების შედეგად, Ე-ის დაშლის პროცესი უფრო გაღრმავდა. ადრინდ. ფეოდ. ხანის ქართ. წყაროებით, წინანდელი თავისუფალი Ე. უკვე სხვაზე იყო დამოკიდებული. ამიტომ, როცა ამა თუ იმ ფეოდალის სიძლიერეს აღნიშნავდნენ, იტყოდ-

ნენ, რომ ის ყველას აღემატებოდა ,,სიმრავლითა ერთა'' (,,სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება''). ამ ვითარების შედეგია, რომ Ე-ის გვერდით *წვრილი ერიც* გვხვდება. ეს სახელწოდება პირველად ჯუანშერთანაა დამოწმებული V ს. ამბებთან დაკავშირებით. ,,წვრილი ერი'' თავის თავს Ე-ს ეძახდა და თავიანთი ადრინდ. უფლებებისათვის ბრძოლას განაგრძობდა. Ე-ის ნაშთები მთაში ,,ჰეროვანთა'' სახით, ხოლო ბარში ,,ერისაგანთა'' სახით განვითარებული ფეოდალიზმის ხანაშიც გვხვდება. ,,ერისაგანნი'' თავიანთ ,,უფალთა'' (,,პატრონთა'') ყმებად ითვლებოდნენ ცალ-ცალკე თუ თემობით და ამის შესაბამისად ემსახურებოდნენ მათ. ისინი ამასთანავე, ლაშქრობის მოვალენიც იყვნენ და ამის გამო ტერმინი ,,ერისაგანი'', რ-იც სოციალურად ,,აზნაურს'' უპირისპირდებოდა, ჩვეულებრივ მოლაშქრის მნიშვნელობითაც იხმარებოდა. მას შემდეგ, რაც მატერ. დოვლათის მწარმოებელი საზ-ბა ჩვენში ძირითადად ,,გლეხთა'' კლასში გაერთიანდა, ზეპირი თუ მწიგნობრული ტრადიციით ,,ერი'' ხალხისა და ლაშქრის აღსანიშნავად დარჩა, მაგრამ დამოუკიდებელი სოც. შინაარსით აღარ იხმარებოდა. XIX ს. შეცვლილ პოლიტ. და სოც.-ეკონ. ვითარებაში, როდესაც საქართველოში ჩამოყალიბდა ადამიანთა ახ. სოც.-ისტ. ერთობის ფორმა – ნაცია, Ე. ამ ცნების აღმნიშვნელ სიტყვად იქცა. იხ. აგრეთვე *ერი* (ნაცია).

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; ჯ ა ნ ა შ ი ა ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, ტ. 1, თბ., 1949. *ა. ბოგვერაძე.*

ერი, ნ ა ც ი ა (ლათ. natio – ტომი, ხალხი), ადამიანთა დიდი ჯგუფი ან კოლექტიური ერთობა, რომელსაც საერთო კულტ. ნიშან-თვისებები (ენა, ტრადიცია, ზნე-ჩვეულებები და წარმომავლობა) მიეწერება. მათი ერთობლიობა შემდეგ ქმნის ამა თუ იმ ხალხის ეროვნ., ნაციონალურ ხასიათს. ამის შედეგად ყალიბდება Ე-ის, ნაციის ანთროპოლ. გაგება, რ-იც კულტ. ან კიდევ ეთნ. ნაციის, Ე-ის ცნებას უდევს საფუძვლად.

ლათინურენოვან სივრცეში Ე. აღნიშნავდა ადამიანთა ერთობას, რ-იც საერთო წარმომავლობით, ენით და ზნე-ჩვეულებებითაა შეკავშირებული. დროთა განმავლობაში Ე-ის ცნების სემანტიკური არე ფართოვდებოდა, თუმცა მისი რომაული ძირები მეტწილად მაინც შენარჩუნებული იყო. ახ. დროის აზროვნებაში ამ ცნებამ დიდი გარდატეხა განიცადა, რადგან ამ დროს Ე-ების, ჩამოყალიბების პროცესი წარმატებით დაგვირგვინდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ფრანგი მოაზროვნის, ჟ. ე. რენანის მიერ Ე-ის განსაზღვრების მცდელობა. რენანი თავის ერთ-ერთ ცნობილ მოხსენებაში, რ-იც 1882 წელს სორბონაში წაიკითხა, Ე-ის მაკონსტრუირებელ ფაქტორებად წარსულს, აწმყოსა და მომავალს მიიჩნევს, ეს ის სულიერი ფაქტორებია, რ-ებიც ამა თუ იმ Ე-ის განსაზღვრას შესაძლებელს ხდის. რენანის აზრით, ესა თუ ის ხალხი ნაციად არ ყალიბდება საერთო რასის, ენის, რელიგიის, საერთო ინტერესებისა და გეოგრ. ადგილმდებარეობის მიხედვით. Ე-ს ქმნის საერთო წარსულის მეხსიერება და აწმყოსა და მომავალში ერთად ცხოვრების სურვილი.

Ე-ის ცნება ფართოდ გამოიყენება სოც. და პოლიტ. მეცნიერებათა კონტექსტში. აქ ხშირად საუბარია ნაციის, როგორც ,,წარმოსახვითი საზოგადოების'' (ბ. ანდერსონი), ,,პირველად კავშირებზე დაფუძნებული ჯგუფის'' (კ. გირცი), ,,კოლექტივის'' (კ. პ. ჰანზენი) და ა. შ. შესახებ. თუკი განსაკუთრებით გამოვყოფთ პოლიტ. მეცნიერებათა კონტექსტს, მაშინ წინა პლანზე გამოდის Ე-ის, როგორც სახელმწ. ცნება. აქედან გამომდინარე, გამოიყენება ,,გაერთიანებული ერებისა'' და ,,გაერთიანებული სახელმწიფოების'' ცნება. ამავე კონტექსტში შეიძლება განხილულ იქნეს ,,კულტურული ერის'' ცნება, რ-იც ამა თუ იმ ხალხის ენობრივ და კულტ. სივრცეს (ენა და ტრადიცია) მოიცავს. აქვე შეიძლება Ე-ის ცნების კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს მივაქციოთ ყურადღება. ეს არის ,,ჩვენის განცდა'', ,,ენობრივი და რელიგიური ერთობა''. ხშირად სწორედ საერთო რელიგია არის Ე-ის განმსაზღვრელი ძირითადი ელემენტი (მაგ., ისრაელი, ირანის ისლამური რესპუბლიკა, ხორვატული ნაცია და ა. შ.).

ქართ. აზროვნებაში Ე-ის, ეროვნ. ცნობიერების რაობა ოდითგანვე საფუძვლიანად იყო გააზრებული. აქ მაგალითად შეიძლება მოვიხმოთ *გიორგი მერჩულის* ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება'', სადაც ენობრივი და რელიგ. ერთობა Ე-ის, ქვეყნის (ამ შემთხვევაში ქართლის, საქართველოს) განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია. ქართ. აზროვნებაში Ე-ის განსაზღვრების ფუნდამენტური კვლევები დაკავშირებულია მ. *წერეთლის* მნიშვნელოვან სოციოლოგიურ გამოკვლევასთან – ,,ერი და კაცობრიობა'' (1910), რ-შიც Ე-ის ცნება საზ. მეცნ. ჭრილშია გაშუქებული მ. წერეთლის აზრით, Ე. არის ,,სოციალური სუპერორგანიზმი'', რ-იც შედგება ერთგვარი ან მრავალგვარი ეთნ. და სოც. ერთეულებისაგან; დროთა განმავლობაში, მას შეუძლია, შექმნას ,,საერთო მოწესრიგებული ერთობა'', ანუ საზოგადოება თავისი ყველა შემადგენელი ნაწილით: ენით, სარწმუნოებით, მეცნიერებით, ზნეობით, ხელოვნებით, სამართლით, პოლიტიკით და განსაკუთრებული ისტორიით. ეს ერთობა წარმოდგება, როგორც ,,სრული ინდივიდუალობა'', რ-საც საკუთარ თავზე რეფლექსია, თვითრეფლექსია, ანუ ,,თვითშეგნება'' ახასიათებს. უნდა ითქვას, რომ მ. წერეთლის მიერ გამოკვეთილი Ე-ის ცნება ისეთ მომენტებს მოიცავს, რ-თაგან ზოგიერთი Ე-ის (ნაციის) დღევანდელი გაგების მაკონსტრუირებელ ელემენტს წარმოადგენს. Ე-ის ცნების განხილვის მომდევნო, მეტად საინტერესო მცდელობა ქართულ აზროვნებაში დაკავშირებულია ა. ჯანელიძის ნაშრომთან ,,ეროვნული შემოქმედება'' (1914). ამ ნაშრომში Ე-ის, ეროვნების ცნება ,,სიცოცხლის ფილოსოფიის'' კონტექსტშია განხილული და წინა პლანზე წამოწეულია Ე-ის, როგორც ,,ცოცხალი ორგანიზმის'', გაგება. აქ Ე-ის სპეციფ. ნიშან-თვისებად მიჩნეულია ენა. აღსანიშნავია, რომ Ე-ის გაგების ის მოდელი, რ-იც ა. ჯანელიძემ გამოკვეთა, მ. წერეთლის ზემოთ დასახელებული ნაშრომის ძლიერ გავლენას განიცდის. დასასრულ უნდა აღინიშნოს ნ. *ნათაძის* ნაშრომი ,,ერი და ეროვნული კულტურა'', რ-შიც Ე. გაგებულია, როგორც ადამიანთა დიდი ერთობა''. ამ ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ამა თუ იმ Ე-ს, მხოლოდ საერთო ენობრივი და კულტ. მსგავსება კი არ ქმნის, არამედ ,,ერთობლივი მიზანი'', რაც ,,საერთო კულტურული ცნობიერების'' წინაპირობაა, რ-იც, თავის მხრივ, საზ. ცნობიერების უმაღლეს ფორმას წარმოადგენს.

ლიტ.: ა ნ დ ე რ ს ო ნ ი ბ., წარმოსახვითი საზოგადოებანი, თარგმნა რ. გოცირიძემ, თბ., 2003; გ ე ლ ნ ე რ ი ე., ერები და ნაციონალიზმი, თარგმნა ნ. ცინცაძემ, თბ., 2003; ნ ა თ ა ძ ე ნ., ერი

და ეროვნული კულტურა, თბ., 1990; წერეთელი მ., ერი და კაცობრიობა, თბ., 1990; ჯანელიძე ა., ეროვნული შემოქმედება, თბ., 1997; Hansen K. P., Kultur, Kollektiv, Nation, Passau, 2009; Renan E., Qu'est-ce qu'une nation?, P., 1882; Schmitt C., Der Begriff des Politischen, B., 1932. *თ. ირემაძე.*

„ერი“, ყოველკვირეული პოლიტიკური, სამეცნიერო და ლიტერატურული ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1909 წ. 13 სექტემბრიდან 1910 წ. 22 ნოემბრამდე; რედ.-გამომცემელი – პ. სურგულაძე (1909 გამოვიდა ჟურნალის 1–2 ნომერი, ხოლო 1910 – 1–26). ბოლო ნომრის რედაქტორი იყო ს. მგალობლიშვილი. ჟურნალთან თანამშრომლობდნენ: კ. აბაშიძე, ა. ფრონელი (ყიფშიძე), ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ფ. გოგიჩაიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ა. შანშიაშვილი და სხვ. 1909 სექტემბრის ბოლოს (II ნომრის გამოსვლის შემდეგ) ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით ჟურნალი დროებით დაიხურა. განახლდა 1910 თებერვლიდან. შუალედში „ე-ის“ ნაცვლად გამოდიოდა „ჩვენი ერი“ (1909 წ. 27 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე), „ქართველი ერი“ (1909 წ. 11 ოქტომბრიდან 18 ოქტომბრამდე), „საქართველოს მოამბე“ (1909 წ. 1 ნოემბრიდან 1910 წლის 24 იანვრამდე), „მოამბე“ (1910 წ.). *ი. ლორთქიფანიძე.*



გაზეთი ,,ერი“.

„ერი“, ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, ეროვნ.-დემოკრ. მიმართულებისა. გამოდიოდა ქუთაისში 1913–14 (რედ.-გამომც. – გ. ბრეგაძე) გაზ. „იმერეთის“ ნაცვლად. თანამშრომლები: გ. გველესიანი, ს. გერსამია, შ. ვარდიძე, თ. ხუსკივაძე და სხვ. გამოვიდა 82 ნომერი. დაიხურა ადგილ. მთავრობის განკარგულებით. რედაქტორს მიესაჯა 3 კვირით პატიმრობა.


ე. ერიო.

„ერი“, ყოველდღიური გაზეთი, საქართველოს დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა ქუთაისში 1921. დაიბეჭდა 16 ნომერი (მთ. რედაქტორი – კ. კაპანელი).

ერიაშვილი ვაჟა მიხეილის ძე (დ. 2. IX. 1939, თბილისი), ფარმაცევტი. ფარმაციის მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (1995). 1966 დაამთავრა თბილისის სახელმწ. სამედ. ინ-ტის (თსსი) ფარმაციის ფაკ-ტი; 1966–68 მუშაობდა ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინ-ტში. 1968–78 – პერინატალური მედ. და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობებზე. ე-ის ხელმძღვანელობით ამავე ინ-ტში ჩამოყალიბდა ბიოფარმაციის – სამეცნ.-კვლ. ლაბორატორია, რ-იც 1989 გადაკეთდა ბიოფარმაციის სამედ. ცენტრად. პარალელურად, 1978–93, იყო თსსი-ის წამალთა ტექნოლ. კათედრის თანამშრომელი; 1997-იდან კი თსსი-ის სოც. და კლინ. ფარმაციის კათედრის, შემდეგ – დეპარტამენტის ხელმძღვანელი. არის საქართვ. სამედ.-სოც. მეცნ. აკად. წევრი (1998); ინტერკონტინენტური სამედ.-სოც. მეცნ. აკადემიის – OGASH (Organization gestosis affiliated and sponsored hospitals) საპატიო აკადემიკოსი (2006).

ე-ს სამეცნ. მუშაობის ძირითადი სფეროა წამალთა ტექნოლოგია – ბიოფარმაცევტული, ფარმაკოკინეტიკური და ფარმაკოდინამიკური გამოკვლევებით. არის სამეცნ. შრომების, მ. შ. 32 მეთოდური რეკომენდაციისა და 3 სახელმძღვანელოს ავტორი.

თხზ.: სოციალური ფარმაცია, თბ., 2001; ფარმაცევტული ბიზნესის საფუძვლები, თბ., 2006; ფარმაცევტული მარკეტინგის საფუძვლები, თბ., 2009.

ერინჯა, სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ხავეთის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალქალაქის პლატოზე, მდ. ქოდალის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 1780 *მ*, ახალქალაქიდან 28 *კმ*. 63 მცხ. (2002).

ერიო (Herriot) ედუარ (5. VII. 1872, ქ. ტრუა, – 26. III. 1957, პარიზი), საფრანგეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, პუბლიცისტი. რადიკალ-სოციალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. სხვადასხვა დროს საფრანგეთის მინისტრთა კაბინეტის წევრი, მინისტრი, პრემიერ-მინისტრი, ეროვნ. კრების (პარლამენტის) დეპუტატი და მისი თავ-რე; 1946-იდან საფრ. მეცნ. აკად. წევრი, მშვიდობის საერთაშ. პრემიის ლაურეატი (1955).

ე-ს დიდი დამსახურება მიუძღვის საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის საერთაშ. ცნობის, ხოლო 1921-იდან – რუსეთის მიერ ქვეყნის ანექსიის შემდეგ – მისი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

1922 საფრ. დეპუტატთა პალატის წინაშე გამოსვლისას ე-მ აღნიშნა: ,,საქართველოს სუვერენობა ცნობილ იქნა მოკავშირე-სახელმწიფოების მიერ (იგულისხმება ,,ანტანტის“ ქვეყნები), იგი ცნო სრულიად გარკვეული ხელშეკრულებით (1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის) რუსეთმა. ვთხოვ მთავრობის თავმჯდომარეს, კეთილი ინებოს და მოგვახსენოს, რომ მისი მთავრობა მხარს უჭერს ამ დამოუკიდებლობას“. პრემიერ-მინისტრის რ. პუანკარეს თანხმობითა და მხარდაჭერით, დეპუტატთა პალატამ ამ საკითხთან დაკავშირებით მიიღო სათანადო დადგენილება.

პუანკარესთან ერთად ე-ს წვლილი იმითაც გამოიხატება, რომ 1934-მდე პარიზში საელჩოს სტატუსით არსებობდა საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის ოფიც. წარმომადგენლობა.

ე-ს ახლო ურთიერთობა აკავშირებდა ქართ. პოლიტ. ემიგრაციის არაერთ გამოჩენილ წარმომადგენელთან. *ლ. ურუშაძე.*

„ერის დიდება“ (,,Grandeur de la Nation“), ჟურნალი, გამოდიოდა პარიზში 1953–58 სულ გამოვიდა ექვსი ნომერი (1953 – №1, №2; 1954 – №3, №4; 1958 – №5, №6). ჟურნალს რედაქტორობდა ა. მანველიშვილი. ,,ე. დ.“ აქვეყნებდა მასალებს პოლიტიკის, მეცნიერების, ხელოვნების შესახებ. მასთან თანამშრომლობდნენ: ე. მაყაშვილი, ა. მანველიშვილი, ვ. ნოზაძე, შ. კალანდაძე. ჟურნალის სრული კომპლექტი დაცულია თსუ-ის ქართ. ემიგრაციის მუზეუმსა და გ. შარაძის კერძო კოლექციაში.

ერისთავების სახლ-მუზეუმი, გიორგი და დავით ერისთავისა, დაარსდა 1960 შ.


გიორგი და დავით ერისთავების სახლ-მუზეუმი.

დადიანის, გ. ლეონიძის, აგრეთვე დ. გ. ერისთავის ასულის, ელისაბედის ინიციატივით ქსნის ხეობის ერისთავების სასახლეში. სამსართულიანი შენობის I სართული (მარანი) აშენებულია XVI–XVII სს-ში, II – XVII–XVIII სს-ში, III – XIX ს-ში. 1930-მდე სასახლეში ცხოვრობდა დ. გ. ერისთავის ოჯახი, რ-ის გასახლების შემდეგ შენობა გადაეცა სოფ. ოძისის კოლმეურნეობას. 1960 მოეწყო

პირველი ექსპოზიცია, სადაც გამოფენილი იყო მემორიალური და ერისთავების საგვარეულო ნივთები, აგრეთვე ორივე დრამატურგის შემოქმედების ამსახველი მასალები. *გ. ბასილაშვილი.*

ერისთავთერისთავი, დიდ ფეოდალ მფლობელ-მოხელეთა ტიტული, დიდი *ერისთავი.* ქართ. წყაროებში ხშირად მკვეთრად არ არის გამიჯნული ,,ერისთავისგან'' ნაწარმოებ სხვა ტერმინთაგან (ერის მთავარი, ერისთავთერისთავთა უფალი და სხვ.); ზოგჯერ Ე-ის მნიშვნელობით გვხვდება ერისთავი, ზოგჯერ Ე-ს ,,მეფე'', ,,ხელმწიფე'', ,,მთავარი'' ეწოდება. განსაკუთრებით ფართოდ დამკვიდრდა Ე-ის ტიტული ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულოში, XI–XV სს. საქართვ. ფეოდ. მონარქიაში Ე-ები (ქართლის, კახეთის, სამცხის, ოდიშის, სვანეთის, ცხუმის და სხვ.) მეფის მოხელეები იყვნენ, მათ ხელქვეითი ერისთავები არ ჰყავდათ და ამდენად Ე-ის პირდაპირი მნიშვნელობა რეალურ ვითარებას არ ასახავდა. XV–XVI სს-ში ზოგიერთი Ე. დამოუკიდებელი თუ ნახევრად დამოუკიდებელი სამთავროს მთავარი გახდა.

წყარო და *ლიტ.* იხ. სტ-ებთან: *ერისთავი, ერისმთავარი.* *ვ. გუჩუა.*

ერისთავი (ძვ. ქართ. ,,ერი'' – ხალხი, ჯარი და ,,თავი'' – უფროსი, გამგებელი), სახელმწიფო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის – საერისთავო ქვეყნის გამგებელი ძვ. საქართველოში. ლეონტი მროველის მიხედვით ერისთავობის ინ-ტი შექმნა მეფე ფარნავაზმა (ძვ. წ. III ს.), რ-მაც განაწესა 8 ერისთავი და 1 *სპასპეტი:* 1) მარგუის ანუ არგვეთის ერისთავი განაგებდა ტერიტორიას ლიხის მთიდან ეგრისის საზღვრამდე; 2) კახეთისა – კახეთსა და კუხეთს (მდინარე არაგვიდან ჰერეთამდე); 3) ხუნანისა – გარდაბანს (მდ. ბერდუჯიდან თბილისამდე); 4) სამშვილდისა – ტაშირსა და აბოცს; 5) წუნდისა – ჯავახეთს, კოლასა და არტაანს; 6) ოძრხისა – სამცხესა და აჭარას (ტაშისკარიდან არსიანის მთამდე, ნოსტის თავიდან ზღვამდე); 7) კლარჯეთისა – არსიანის მთიდან ზღვამდე; 8) ეგრისისა. შიდა ქართლს განაგებდა სპასპეტი, რ-იც ამავე დროს აღნიშნული რვა Ე-ის უფროსიც იყო. სავარაუდოა, რომ ფარნავაზის მიერ დანიშნული Ე-ები ძვ. მამასახლისები თუ არა, მათი შთამომავლები მაინც იყვნენ. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ სპასპეტიც Ე. იყო და აქედან გამომდინარე, ფარნავაზს 9 საერისთავოს დაწესებას მიაწერენ. Ე-ებს ექვემდებარებოდნენ სპასალარები, ხოლო სპასალარებს – ათასისთავები. ამრიგად, ლეონტი მროველის წარმოდგენით, ქართლის სამეფოს გამგებლობა სამხ. იერარქიას ემყარებოდა: სპასპეტი – Ე. – სპასალარი – ათასისთავი. თავისი სამსახურისათვის Ე-ები იღებდნენ გარკვეულ გასამრჯელოს. ზოგიერთი მკვლევარი ლეონტი მროველთან მოხსენიებულ სპასპეტს აიგივებს პიტიახშთან. პიტიახშში თავდაპირველად ცენტრ. სამოხელეო აპარატის (სამეფო კარის) მაღალი რანგის მოხელე იყო; IV ს-იდან კი პიტიახშობა სამშვილდის Ე-თა საპატიო ტიტულად იქცა.

თავდაპირველად Ე. ქართლის მეფის მოხელე იყო. თანდათანობით Ე-ებმა ეს მოხელეობა სამემკვიდრეოდ გაიხადეს. ამას ხელი შეუწყო უცხო ძალამ. ლეონტი მროველისა და ჯუანშერის ცნობით, ეს მოხდა VI ს-ში, როდესაც Ე-ებმა მიიღეს მკვიდრობის სიგელები სპარსთა და ბერძენთა (ბიზანტიის) მეფეებისაგან.

ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ (VI ს. 30-იანი წწ.) ქართლის სახელმწ. გამგებელი VI ს. II ნახ-იდან IX ს. დასაწყისამდე არის ქართლის Ე. ანუ *ერისმთავარი,* ახ. აღმ. ქართული ფეოდალური სახელმწიფოს მეთაური.

ერისთავობის, როგორც სამოხელეო ადგილობრივი მმართველობის ინ-ტის, აღდგენა მოხდა VIII ს. ბოლოს აფხაზთა სამეფოში. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ლეონ II-მ თავისი სამეფო დაყო რვა საერისთავოდ: აფხაზთა, ცხუმის, ეგრისის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის, არგვეთის, სამოქალაქოსი და მათ სათავეში ჩაუყენა Ე-ები. ვახუშტი ბატონიშვილის გარდა სხვა წყაროებიც ადასტურებენ აფხაზთა სამეფოში საერისთავოების (არგვეთის, სვანთა, აფხაზთა და სხვ.) არსებობას. აფხაზთა სამეფოს გაძლიერებასთან ერთად მის შემადგენლობაში შევიდა კიდევ 2 საერისთავო: ჯავახეთისა (კუმურდოს 964 წლის წარწერაში იხსენიება აფხაზთა მეფის ლეონის Ე. ზვიადი, როგორც ჩანს, მარუშიან/მარუშისძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი) და ქართლის. X ს-ში ქართლის Ე-ები ეწოდებოდათ აფხაზთა მეფის მოხელე-გამგებლებს შიდა ქართლში. მათი რეზიდენცია უფლისციხე იყო. ქართლის Ე-ებად აფხაზთა მეფე თავდაპირველად ნიშნავდა ადგილ. დიდი ფეოდ. სახლის *ტბელების* წარმომადგენლებს, ხოლო შემდეგ (როდესაც ტბელები გაძლიერდნენ და მოისურვეს ქართლის განცალკევება) – უფლისწულებს (X ს-ში ქართლის Ე-ები იყვნენ აფხაზთა მეფის გიორგის ძენი: თავდაპირველად კონსტანტინე, შემდეგ – ლეონი). X ს. 70-იან წლებში აფხაზთა მეფის Ე-ად ქართლში ჩანს დას. საქართველოს დიდი ფეოდალი ივანე *მარუშისძე.* XI ს-ში, ბაგრატ IV-ის დროს, ქართლის Ე. არის ივანე აბაზას ძე (*აბაზასძეთა* გვარი ტბელების განშტოება იყო). აბაზასძენი დაუპირისპირდნენ ბაგრატ IV-ს და ამ ბრძოლაში დაკარგეს ქართლის ერისთავობა. ბაგრატ IV-მ ქართლის ერისთავობა უბოძა *ლიპარიტ IV* ბაღვაშს. XII ს-ში ეს წოდება მიიღეს *ორბელებმა,* ხოლო ორბელთა აჯანყების შემდეგ (1177) გიორგი III-მ ქართლის ერისთავობა გადასცა სურამელთა საგვარეულოს, რ-იც ამ ხელის მფლობელად ჩანს XIV ს. დასაწყისამდე. ქართლის Ე-ის სახელო წყაროებში გვხვდება XV ს-მდე.

IX–X სს. სამხრ.-დას. საქართველოში არსებობდა ქართ. სამეფო ,,იბერთა საკურაპალატო'' (888 წლიდან – ,,ქართველთა სამეფო''), რ-საც სათავეში ედგა კურაპალატი – მეფე, აქ ერისთავობასა და ერისთავთერისთავობას ღებულობდნენ გამგებელი დინასტიის – ბაგრატიონების – სახლის წევრები (თუმცა არის ცალკეული შემთხვევები, როცა ერისთავთერისთავობასა და ერისთავობას ფლობდნენ არაბაგრატიონებიც). ქართველთა საკურაპალატოს პოლიტ. იერარქია ასეთი იყო: ქართველთა მეფე – კურაპალატი, ერისთავთერისთავი, მაგისტროსი, Ე. აღსანიშნავია, რომ ტაო-კლარჯეთში ერისთავობა და ერისთავთერისთავობა მხოლოდ საპატიო ტიტული იყო და არა რეალური სამოხელეო თანამდებობა. ტაო-კლარჯეთში, აფხაზთა სამეფოსაგან განსხვავებით, არ არსებობდა ისეთი ადმ. ერთეულები, როგორიც იყო საერისთავო და, ცხადია, არც Ე-ები ითვლებოდნენ ადგილობრივ მმართველებად.

IX ს-ში აღმ. საქართველოში, თრიალეთში, წარმოიქმნა კლდეკარის საფეოდალო (იხ. *კლდეკარის საერისთავო*), რ-ის დამფუძნებელი იყო არგვეთის დიდი

ფეოდალი *ლიპარიტ I* ბაღვაში. X ს. 80-იანი წლებიდან *ბაღვაშები* იწოდებიან ე-ებად, ხოლო XI ს-ში – ერისთავთერისთავებად. კლდეკარის ე-ები მეფის ცენტრ. ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდნენ და დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფოდნენ. დავით აღმაშენებელმა ჩამოართვა ბაღვაშებს თრიალეთი და სამეფო დომენად აქცია.

ერისთავობის, როგორც სამოხელეო ინ-ტის აღდგენა ერთიანი საქართველოს მასშტაბით მოხდა ბაგრატ III-ის დროს. XI–XV სს-ში, გაერთიანებული საქართვ. სამეფოს არსებობის პერიოდში, ე-ები საქართვ. მეფის მოხელეები იყვნენ, განაგებდნენ სახელმწ.-ადმ. ერთეულებს. საქართვ. სამეფოს მიწები დაყოფილი იყო სამ ნაწილად: სახელმწიფო, სასეფო (ე. ი. სამეფო დომენი) და საფეოდალო (საერო ფეოდალებისა და საეკლ.-სამონასტრო). სახელმწ. მიწებს განაგებდნენ ე-ები, სასეფო მიწებს (სამეფო დომენს) – მოურავები და მგეები. ქართველთა სამეფოს ტერიტორიაც (სამხრ.-დას. საქართველო) ამ პერიოდში სამ ნაწილად დაიყო: ნაწილი სამეფო დომენად დარჩა, ნაწილი სამამულედ გადაეცათ ფეოდალებს, ხოლო ნაწილზე შეიქმნა ახ. საერისთავოები. წყაროების მიხედვით XI ს-ში აქ ჩანან შავშეთის, კალმახის, თუხარისის, ყველის, არტანუჯის ე-ები. საქართვ. ფეოდ. მონარქიის წარმოქმნის შემდეგ მუდმივად მიმდინარეობდა ბრძოლა სამეფო ხელისუფლებასა და იმ ე-ებს შორის, რ-ებიც ცდილობდნენ საერისთავოს მამულად გადაქცევას. დავით აღმაშენებელმა მკვეთრად შეზღუდა ე-თა თვითნებობა (დაამარცხა ცალკეული ერისთავები, მაგ., ბაღვაშები) და ჩამოართვა მათ ერისთავობა. შექმნა ცენტრ. საუწყებო გამგებლობის სისტემა, რ-საც სათავეში ჩაუყენა მეფის თანაშემწე – ვაზირი. ამიერიდან საქართვ. ფეოდ. მონარქიაში ადგილ. გამგებლობის სისტემას დაუპირისპირდა ცენტრ. საუწყებო გამგებლობა, საერისთავოებს – სავაზირო-საუხუცესოები.

დავით აღმაშენებლის შემდეგ ე-ების როლი კვლავ გაიზარდა, მაგრამ პარალელურად ვითარდებოდა ცენტრ. გამგებლობის საუწყებო სისტემაც, ამიტომ გრძელდებოდა ბრძოლა მმართველობის ამ ორ სისტემას შორის.

XI–XV სს. საქართველოში იყო შემდეგი საერისთავოები: ქართლის, კლდეკარის, ჰერეთის, კახეთის, ქსნის, არაგვის, სვანთა, აფხაზთა, ცხუმის, არგვეთის, რაჭის, ოდიშის, ჯრუჭის, ახალქალაქის, სამცხის, ტაოს. საერისთავოები ყოველთვის უცვლელი სახით არ არსებობდნენ – იქმნებოდა ახ. საერისთავოები და უქმდებოდა ძველი, თუმცა საერისთავოთა ნაწილი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არსებობდა (მაგ.: ქართლის, კახეთის, სვანთა, აფხაზთა, ცხუმის, არგვეთის, რაჭის, ოდიშის). ცალკეული საერისთავოების მმართველი ე-ები ერისთავთერისთავის საპატიო ტიტულს ატარებდნენ. ზოგჯერ ე-ები ამავე დროს რაიმე სხვა თანამდებობასაც ფლობდნენ (მაგ.: მსახურთუხუცესობა, მეჭურჭლეთუხუცესობა და სხვ.). ხშირად ამა თუ იმ მხარის ერისთავობა მემკვიდრეობით გადაეცემოდა ერთი საგვარეულოს შიგნით (მაგ. ქართლის – *სურამელები*, სვანეთის – *ვარდანისძენი*, ოდიშის – *დადიანები* და სხვ. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ტბეთის ეპისკოპოსები ამავე დროს შავშეთის ერისთავებიც იყვნენ).

ე-ად კურთხევა საზეიმო ვითარებაში ხდებოდა. ამისთვის არსებობდა საგანგებოდ შექმნილი (XIII ს.) ე-ების კურთხევის წესი. ე-ს, გარდა აღმასრულებელი ფუნქციისა, სასამართლო და ფისკალური ფუნქციებიც გააჩნდა (კრეფდა სახელმწ. გამოსაღებებს და საერისთავო გადასახადს – ,,ხარკი საერისთავო'' ან ,,საერისთავო გამოსავალი''). რაც მთავარია, ის სარდლობდა საერისთავოდან გამომავალ ჯარს. ე-ს ხელქვეითი მოხელეები ჰყავდა. საერისთავოს სტრუქტურა შემდეგი სახის იყო: ერისთავი, გამგებელი (*ნაცვალი*), *ხევისუფალი* (*ხევისბერი*, *ხევისთავი*), *ციხისთავი*, *ასისთავი*. ე-ს ჰყავდა თავისი მწიგნობართუხუცესი, მოლარეთუხუცესი და სხვ., ჰქონდა ხელისუფლების ინსიგნიები (დროშა, ბეჭედი, განსაკუთრებული სამოსელი). როგორც ყველა დიდ ფეოდალს, ე-საც ჰქონდა საგვარეულო მონასტერი, თავისი ციხე – დარბაზი და კერძო მამული (ის შეიძლება ყოფილიყო მისივე საერისთავოს შემადგენლობაში, მაგ.: ქართლის ერისთავების, სურამელების მამული – სურამი – ქართლის საერისთავოში იყო. შესაძლოა ყოფილიყო საერისთავოს გარეთაც, მაგ.: კლდეკარის ერისთავების, ბაღვაშების მამული არგვეთში იყო). საკუთარი მამულის მიმართ ერისთავი იყო პატრონი (სენიორი), საერისთავოს მიმართ კი – მხოლოდ მმართველი.

ე-ების ტენდენცია – საერისთავოები თავის მამულად ექციათ – აშკარად გამოიკვეთა XIII ს. შუა წლებიდან. მთელი ორი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა მეფის ხელისუფლებასა და ერისთავებს შორის. XV ს-ში ეს ბრძოლა საერისთავოების გაუქმებით დამთავრდა [ნაწილი სამთავროდ გადაიქცა, მაგ., ოდიშის, სვანეთის, აფხაზეთის, სამცხის; ნაწილი – სათავადოდ, მაგ., არაგვის, ქსნის, რაჭის; ნაწილი საერთოდ გაუქმდა და მის ადგილზე ჩამოყალიბდა სათავადოები (ქართლში), ან სამოურავოები (კახეთში)] და ერისთავობის ინ-ტმაც შეწყვიტა არსებობა, თუმცა, ტერმინი ,,ერისთავი'' XV ს. შემდგომაც გვხვდება. ზოგმა ფეოდალმა ისევ შეინარჩუნა ე-ის წოდება, რ-იც უკვე გვარად იყო გადაქცეული (ქსნის, არაგვის ე-ები), მაგრამ ფაქტობრივად ისინი თავადები არიან და არა ე-ები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტ. აშლილობის წლებში (XV–XVIII სს.) ზოგიერთმა მთავარმა თავის სამთავროში ახ. საერისთავოები შექმნა. ე-ები მთავრის მოხელე-გამგებლები იყვნენ (მაგ.: *გურიის სამთავროში*).

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1–2, თბ., 1955–59; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965.

ლიტ.: ბახტაძე მ., ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 6).

მ. ბახტაძე. ნ. შოშიაშვილი.

ერისთავი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (5. VII. 1873, თბილისი, – 10. II. 1955, პარიზი), რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1917), ქსნის ერისთავთა საგვარეულოდან, გენერლების ნ. ბ. *ერისთავის* ძე და გ. ნ. *ერისთავის* ძმა. დაამთავრა თბილ. კადეტთა კორპუსი, მიხეილის საარტ. სასწავლებელი (1895) და მიხეილის საარტ. აკადემია (1903). მსახურობდა ლაიბგვარდიის ცხენოსანთა არტილერიაში. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904–05) ომში, იყო ყუბანის კაზაკთა ბატარეის შემადგენლობაში. 1910 მიავლინეს პარიზში რუს. სამხ. ატაშეს განკარგულებაში. 1911–14 პოლკოვნიკის ჩინით მეთაურობდა ლაიბგვარდიის ცხენოსანთა არტილერიას. 1915 ჩარიცხეს იმპე-

რატორის ამალაში და დანიშნეს კავალერგარდთა პოლკის მეთაურად. შემდეგ მეთაურობდა კავკასიის მე-3 საარმიო კორპუსის მე-3 საკავალერიო დივიზიის პირველ ბრიგადას. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში (1914–18). 1917 აგვისტოში დაინიშნა კავკასიის მე-3 საარმიო კორპუსის მეთაურად. 1917 თბილისში დაბრუნდა. მსახურობდა ქართ. არმიაში. 1918–21 იმყოფებოდა ქ. ანკარაში (თურქეთი) საქართვ. სამხ. მისიის შემადგენლობაში, შემდეგ ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში. სათავეში ედგა „რუს სამხედრო ინვალიდთა კავშირს“ და „იმპერატორ ნიკოლოზ II-ის წმინდა ხსოვნის დამცველთა კავშირს“.

დაჯილდოებულია წმ. ანას I ხარისხის, წმ. გიორგის და წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით, საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენის კომანდორთა ჯვრით, იტალიის წმ. მავრიკისა და ლაზარეს ორდენის კომანდორთა ჯვრით და იზაბელას ორდენის კომანდორთა ჯვრით (ესპანეთი).

დაკრძალულია პარიზთან სენტ-ჟენევიევ დე ბუას სასაფლაოზე.

ლიტ.: Гогитидзе М., Военная элита Кавказа, I, Тб., 2007; Джавахишвили Н., Грузины под Российским флагом, Тб., 2003.

მ. გოგიტიძე.

ერისთავი გიორგი (კიაზო) გიორგის ძე (11. XI. 1824, სოფ. ქისტაური, ახლანდ. ახმეტის მუნიციპალიტეტი, – 19. XII. 1909, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1889), არაგვის ერისთავთა საგვარეულოდან. სამხ. სამსახურში იყო 1846-იდან. მონაწილეობდა ყირიმის ომში (1853–56) როგორც გურიის რაზმის ოფიცერი, 1858-იდან მსახურობდა კავკ. სამხ. ოლქის ჯარებში. 1870-იდან მეთაურობდა თერგის კაზაკთა ჯარის მოზდოკის პოლკს. იმავე წელს მიენიჭა გენ.-მაიორის წოდება. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომში. დაჯილდოებულია წმ. გიორგის და წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.


გ. გოგიტიძე.

ერისთავი გიორგი დავითის ძე [1813, სოფ. ოძისი, ახლანდ. დუშეთის მუნიციპალიტეტი, – 9 (21). IX. 1864, გორი; დაკრძალულია იკორთის მონასტერში], დრამატურგი, პოეტი, თეატრის მოღვაწე. სწავლობდა თბილ. კეთილშობილთა სასწავლებელში (1824–25), შემდეგ, მცირე ხნით, – მოსკოვის, კერძო პანსიონში. 1830-იდან მონაწილეობდა მეფის რუსეთის საწინააღმდეგო შეთქმულებაში, რისთვისაც 1832 დეკ. დააპატიმრეს. 1834 გადაასახლეს ქ. ვილნოში, სადაც ქვეით დივიზიაში გაამწესეს. ე-მა შეისწავლა პოლონური ენა და ლიტ-რა, დაუახლოვდა პოლონეთის მოწინავე საზ-ბას. 1838 მას ნება დართეს დროებით ჩამოსულიყო საქართველოში. 1842 საბოლოოდ დაბრუნდა თბილისში, სადაც ერთხანს სახელმწ. სამსახურში იყო, 1854-იდან კი სოფ. ხიდისთავში დასახლდა.

ე-ის პირველი გამოქვეყნებული ნაწარმოებია პოემა ,,ოსური მოთხრობა“ (ნაწ. 1, ,,სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“, 1832), რ-იც სრული სახით და ახ. სათაურით ,,ზარე და ყანიმათ“ 1853 ჟურნ. ,,ცისკარში“ დაიბეჭდა. ე-ის პოეზიაში მნიშვნელოვანია ეროვნ.-პატრ. (,,თ. სვიმონ მაჩაბელს“, 1833; ,,უცხო ქვეყნის ჭაბუკს“, 1835; ,,მტკვრისადმი“, ,,ყაბახისადმი“, 1836; ,,კავკაზი და უცნობი“, 1854; ,,თ. ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათოვის გარდაცვალებაზედ“) და სატრფიალო (,,თეოდოსია მირეცკას“, 1840; ,,მოგონება“, 1844; ,,გულს“, 1845; ,,კნიაჟნა დარია ბეგთაბეგოვისას“, 1849) მოტივები. სატირულ-იუმორისტულ ლექსებში ე. კიცხავს ე. წ. მაღალი საზ-ბის ზნეობრივ გადაგვარებას (,,დედა და ქალი“, 1838; ,,ფიქრი ყმაწვილი ქალისა“, 1839; ,,*** ერთი კაცი წვა სნეული“, 1854).

ე-ის შემოქმედების უმნიშვნელოვანესი ნაწილია დრამ. თხზულებები. მან ერთ-ერთმა პირველმა დაუდო სათავე ქართ. კრიტ. რეალიზმს, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა კომედიოგრაფიას, დააარსა ქართ. პროფ. თეატრი, რ-საც 1850–54 თვითონ ხელმძღვანელობდა (იხ. *გიორგი ერისთავის თეატრი*). იყო უდიდესი კულტ. წამოწყების ინიციატორი: პირველი ქართ. სალიტ. ჟურნ. ,,ცისკრის“ დამაარსებელი და რედაქტორი (1852–53).

ე-ის პირველი კომედია, დრამ. პოემა ,,შეშლილი“ (1839), ეხება პოეტის დანიშნულებას, გადმოსცემს მის ხვედრს თანამედროვე საზ-ბაში, მაღალი წრის ზნეობრივ დაკნინებას და განათლებული ახალგაზრდობის უნაყოფო მისწრაფებებს. ე-მა, როგორც დრამატურგმა და თანადროულობის პირუთვნელმა მემატიანემ, გვიჩვენა საქართველოში სავაჭრო კაპიტალის განვითარებით გამოწვეული ფეოდ.-ნატურალური მეურნეობის რღვევის ბუნებრივი შედეგი – დაცემის გზაზე დამდგარი თავადაზნაურობის სრული უნიათობა, გონებრივი სიღატაკე და ზნეობრივი გადაგვარება. ე-ის კომედიებში ძვ. თაობის წარმომადგენლები ამაოდ ებღაუჭებიან წარსულ დიდებას (ამირინდო და ონოფრე – ,,დავა“, 1840; ანდუყაფარ, პავლე დიდებულიძეები – ,,გაყრა“, 1849), რუსეთში სწავლამიღებული ახ. თაობა კი სრულიად მოუმზადებელია პრაქტ. საქმიანობისათვის. ეს ახალგაზრდები უსუსური მეოცნებენი არიან და ადვილად თმობენ თავიანთ მრწამსს (ბეგლარი და მიხეილი – ,,დავა, ივანე დიდებულიძე – ,,გაყრა“). ე-მა პირველმა ასახა სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლები საქართველოში, მათი სიძუნწე, მომხვეჭელობა და მექრთამეობა (მიკირტუმ ტრდატოვი – ,,გაყრა“, კარაპეტ დაბაღოვი – ,,ძუნწი“, 1850), მეფის რუს. ბიუროკრატიული აპარატის მოხელეთა ანგარება და ბიწიერება (სარქის კუმუხტოვი – ,,დავა“, რამაზი – ,,გაყრა“). ე-ის პიესების ცხოვრებისეულმა სიმართლემ, სოც.-პოლიტ. სიმახვილემ და აქტუალობამ სრულიად ახ. ეტაპი შექმნა ქართ. ლიტ-რაში. ე-ის სკოლას ეკუთვნიან ცნობილი დრამატურგები: ზ. *ანტონოვი,* გ. *დვანაძე,* გ. ჯაფარიძე და სხვ.



გ. დ. ერისთავი (1813–64).

ე-მა თარგმნა და გადმოაკეთა პიესები (,,უჩინმაჩინის ქუდი“, ,,თილისმის ხანი“, ,,ყვარყვარე ათაბაგი“, ა. გრიბოედოვის ,,უბედური ჭკუისაგან“), დრამად გადააკეთა ,,ვეფხისტყაოსანი“, რ-იც კ. ლაფჩინსკისთან ერთად პოლონურ ენაზე პროზაულად თარგმნა. მანვე ქართ. ენაზე გადმოთარგმნა ა. მიცკევიჩის, ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ვ. ჰიუგოს, პ. ბერანჟესა და სხვათა ლექსები.

1862 ე-მა იმოგზაურა ევროპაში. მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გადმოსცა დაუმთავრებელ დღიურებში ,,ჩემი მოგზაურობა ევროპაში 1862 წელსა 13 ივნისიდგან“.

ე-ის თხზულებები 1852–53 იბეჭდებოდა ,,ცისკარში“; ცალკე წიგნებად გამოვიდა ,,გაყრა“ (1850), ,,ძუნწი“, ,,უჩინმაჩინის ქუდი“, თილისმის ხანი“ (1852); ,,დავა“ (1871 ჟურნ. ,,კრებულში“ დაისტამბა). ე-ის თხზ. კრებულები გამოქვეყნდა 1867, 1884, 1936 და ა. შ.

მისი სახლ-მუზეუმის შესახებ იხ.

სტ. *ერისთავების სახლ-მუზეუმი.* თბ.: თხზულებანი, თბ., [1966].

ლიტ.: გამეზარდაშვილი დ., ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1974; მეუნარგია ი., ქართველი მწერლები, [ტ.] 2, თბ., 1944; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1969; ჯიბლაძე გ., კრიტიკული ეტიუდები, თბ., 1949 [ყდაზე: 1950]. *ნ. ალანია.*

ერისთავი გიორგი დავითის ძე (გ. 1805), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1800). არმიაში მსახურობდა 1756–1800. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის (1768–74, 1787–91) და რუსეთ-ირანის (1804–13) ომებში. დაჯილდოებულია წმ. ვლადიმირის IV ხარისხის ორდენით. პოლკებისა და კომენდატურების დაშლასთან დაკავშირებით დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. *მ. გოგიტიძე.*



გ. ი. ერისთავი.

ერისთავი გიორგი იესეს ძე (1769 – 3. XI. 1863, გორი), რუსეთის იმპერიის არმიის ინფანტერიის გენერალი (1846). ი. *ერისთავის* შვილიშვილი. დედამისი მარიამი იყო მეფე იესეს ასული, *ანტონ I-ის* და. ე-ს ცოლად ჰყავდა ქართლ-კახეთის მეფის, *გიორგი XII-ის* ასული გაიანე. ე-მა, როგორც წარჩინებული საგვარეულოს შვილმა, საფუძვლიანი განათლება მიიღო. მონაწილეობდა კრწანისის ბრძოლაში (1795), მხარს უჭერდა საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლას. ე. იყო გიორგი XII-ის მიერ რუსეთში გაგზავნილი იმ დეპუტაციის წევრი, რ-საც იმპ. პავლე I-ისათვის უნდა ეთხოვა საქართველოს რუსეთის მფარველობაში საბოლოოდ მიღება.

ქართლ-კახეთის ანექსიის შემდეგ ე. შევიდა რუს. სამსახურში, მიიღო ,,ნადვორნი სოვეტნიკის'' ჩინი და სიკვდილამდე ერთგულად ემსახურა იმპერიას. 1802 პოდპოლკოვნიკის ჩინით ჩაირიცხა ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკში. 1803 მონაწილეობდა ჭარ-ბელაქნელი ლეკების წინააღმდეგ მოწყობილ საბრძოლო ოპერაციებში, რ-საც რუსი გენ. ვ. *გულიაკოვი* სარდლობდა. მეთაურობდა მილიციის 5 ათასიან რაზმს.



გ. რ. ერისთავი.

1808-იდან მონაწილეობდა რუსეთ-ირანის ომში (1804–13), იყო პოლკის მეთაური. თავდადებული სამსახურისათვის 1812 მიიღო გენ.-მაიორის ჩინი, 1814 ე. დაინიშნა საქართველოში განლაგებული რუს. მე-19 დივიზიის I ბრიგადის მეთაურად. 1826 მიიღო გენ.-ლ. ჩინი. დაინიშნა 21-ე დივიზიის მეთაურად. ე-მა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი რუსეთ-ირანის (1826–28) ომში. რუს. ჯარის სარდალმა გენ. ი. პასკევიჩმა ერევნის ლაშქრობისას ე-ს მცირე რაზმით ნახიჩევანის დაცვა დაავალა. მდ. არაქსზე გამართულ ბრძოლაში ე-მა მტრის მრავალრიცხოვანი ჯარი უკუაგდო, ჯულფასთან საზღვარი გადაჭრა და პასკევიჩის ნებართვის გარეშე თავრიზისკენ დაიძრა. ქალაქის დამცველმა მრავალრიცხოვანმა ჯარმა ციხე დატოვა. 13 ოქტომბერს იგი ქალაქში შევიდა. რუს. არმიის ხელში აღმოჩნდა ირანის ჯარის მთელი სურსათის მარაგი და სამხ. აღჭურვილობა. პასკევიჩმა თავდაპირველად ე. დაუმორჩილებლობის გამო ,,დატუქსა'', მაგრამ შემდეგ მისივე წინადადებით წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენით დააჯილდოვეს, თუმცა ბრძოლის ასპარეზიდან მაინც დაითხოვეს. 1830 მიანიჭეს სენატორის წოდება, 1846 უმაღლესი სამხ. ჩინი – ინფანტერიის გენერლობა და თბილისში არსებული თავადაზნაურობის წოდების მიმნიჭებელი კომისიის თავ-რედ დანიშნეს. სიცოცხლის ბოლო წლები თავის მამულში, გორში, გაატარა. მას განსაკუთრებული პოპულარობა, პატივისცემა და ნდობა ჰქონდა მოპოვებული საზ-ბაში. მის აზრებს ანგარიშს უწევდნენ რუს. სამეფო კარზეც და ადგილ. ხელისუფალნიც. მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა კავკ. მეფისნაცვალ მ. *ვორონცოვთან,* მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი მასთან თათბირის შემდეგ წყდებოდა. 1861 წ. 19 თებერვლის მანიფესტის გამოცხადების შემდეგ თავადაზნაურობის დაბნეულ წარმომადგენლებს მოუწოდა, რომ მიეცათ გლეხებისთვის თავისუფლება, სანამ ისინი იარაღით მოიპოვებდნენ მას. ე-ის შესახებ რუსი ისტორიკოსი კ. ბოროზდინი წერდა: ,,ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ რუსეთში ისეთი პატრიოტები მოისპოს, როგორიც თავადი ერისთავი იყო''. დაკრძალულია საგვარეულო სასაფლაოზე, იკორთის ეკლესიაში.

ე-ს, გარდა ზემოდასახელებულისა, მიღებული ჰქონდა წმ. ალექსანდრე ნეველის, წმ. ანას I, II და III (ალმასებით, ბრილიანტებით), წმ. ვლადიმირის I, II და III, წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენები.

ლიტ.: ბერძნიშვილი მაქს., მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, [ტ.] 1, თბ., 1980; მეგრელიძე შ., ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბ., 1979. *გ. ნარსია.*

ერისთავი გიორგი მიხეილის ძე (დ. 9. V. 1947, თბილისი), გენერალ-მაიორი (1999). 1972 დაამთავრა თბილ. პოლიტექ. ინ-ტის მეტალ. ფაკ-ტი. 1973–99 მუშაობდა სახელმწ. უშიშროების სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე: 1988–93 იყო საქართვ. უშიშროების მინისტრის აპარატის უფროსი, 1993–94 – სახელმწ. უშიშროების სამინისტროს თბილ. საქალაქო სამმართველოს უფროსი, 1994–95 – საქართვ. სახელმწ. უშიშროების სამინისტროს დაზვერვის სამმართველოს უფროსი, 1995–99 – საქართვ. სახელმწ. უშიშროების სამინისტროს აკადემიის რექტორი. 1996 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. უშიშროების საპატიო თანამშრომლის წოდება. საქართვ. პედ. აკად. ნამდვილი წევრი (1998). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1997). 2000-იდან თადარიგშია. *ლ. დოლიძე.*

ერისთავი გიორგი (გიგუშა) ნიკოლოზის ძე (3. X. 1875, თბილისი, – 10. V. 1947, პარიზი), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალი (1918) ქსნის ერისთავთა საგვარეულოდან. გენერლების ნ. ბ. *ერისთავის* ძე და ა. ნ. *ერისთავის* ძმა, მერი შერვაშიძის მეუღლე. დაამთავრა თბილ. კადეტთა კორპუსი, შემდეგ – პაჟთა კორპუსი. მსახურობდა ლაიბგვარდიის ულანთა პოლკში. 1914-იდან პოლკოვნიკის ჩინით მეთაურობდა ამ პოლკს. მინიჭებული ჰქონდა ფლიგელ-ადიუტანტის წოდება. 1917-იდან თადარიგში გავიდა, ცხოვრობდა თბილისში. 1918–21 გენერლის ჩინით მეთაურობდა ქართ. არმიის ცხენოსანთა კორპუსს. ქართ. არმიასთან ერთად დაიხია ბათუმამდე, შემდეგ ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში.

დაჯილდოებულია წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით, საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენის კომანდორის ჯვრით, იტალიის წმ. მავრიკის და ლაზარეს ორდენის კომანდორის ჯვრით.

დაკრძალულია პარიზთან ახლოს, სენტ-ჟენევიევ დე ბუას სასაფლაოზე.

ლიტ.: Гогитидзе М., Грузинский генералитет (1699–1921), К., 2001; Мосиев, Военная элита Кавказа, I, Т6., 2007. *მ. გოგიტიძე.*

ერისთავი გიორგი რევაზის (რომანის) ძე (12. II. 1812, სოფ. ობისი, ახლანდ. დუშეთის მუნიციპალიტე-

ტი, – 5. XI. 1891, თბილისი), რუსეთის იმპერიის არმიის კავალერიის გენერალი (1881). *გიორგი ქსნის ერისთავის* შვილიშვილი. დედამისი ანასტასია ერეკლე II-ის ასული იყო. ე-ს იხსენიებდნენ ,,ატამანის'' სახელითაც. 1822 თბილ. კეთილშობილთა სასწავლებელში მიაბარეს. 1825 სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგში წავიდა, სადაც გვარდიის პრაპორშჩიკთა და იუნკერთა სასწავლებელი დაამთავრა. 1829-იდან არმიაში მსახურობდა. მონაწილეობდა პოლონეთის კამპანიაში. მიიღო კორნეტის ჩინი. 1832 სამშობლოში დაბრუნდა და შეთქმულებას მიემხრო (იხ. *შეთქმულება 1832 წლისა*). შეთქმულების გაცემის შემდეგ იგი დააპატიმრეს. საგამომძიებლო კომისიამ ე. არ ჩათვალა შეთქმულების აქტ. წევრად და ადმ. წესით არხანგელსკის გარნიზონში გაამწესა. 1835 ახტირსკის ჰუსართა პოლკში გადაიყვანეს. 1840 კაპიტნის ჩინით სამშობლოში დააბრუნეს და ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში გაამწესეს. 1849–52 კავკ. ხაზის კაზაკთა ჯარის ატამანი იყო. 1850 მიენიჭა გენ.-მ. წოდება. 1858–61 იყო ქუთაისის გენ.-გუბერნატორი და გუბერნიის ჯარების სარდალი. 1858 მიიღო გენ.-ლ. წოდება. 1861-იდან მსახურობდა კავკ. მეფისნაცვალთან. მან ხელი მოჰკიდა საკუთარი საგვარეული მამულის მოვლა-პატრონობას. თავის ერთადერთ შვილს, ზაქარიას, უანდერძა საგვარეულო მამული სოფ. ოძისში (დუშეთის მაზრა) სამეურნეო სასწავლებლის ან სამაგალითო ფერმის დასაარსებლად.

ე-ის თაოსნობით ღარიბ მოსწავლეთათვის დაარსდა სათავადაზნაურო სასწავლებელი, რ-იც მომავალში სათავადაზნაურო სკოლის დამატება უნდა გამხდარიყო. ე-მ დიდი ამაგი დასდო მშობლიური ისტ. შესწავლას. ცნობილ ისტორიკოსს დ. *ბაქრაძეს*, რ-თანაც ახლო მეგობრობა აკავშირებდა, დიდი ფულადი დახმარება გაუწია ვახუშტი ბატონიშვილის შრომათა დასაბეჭდად და გამოსაცემად. ე-ის თაოსნობით ქსნის ხეობის სოფ. მონასტერში აღადგინეს ღვთისმშობლის ეკლესია, სოფ. ახალგორში დაარსდა სახ. სასწავლებელი. ე-ის ქუთაისში მოღვაწეობის დროს მისი ინიციატივით ხშირად იმართებოდა ლიტ. შეხვედრები. მშობლიური კუთხის მოსახლეობა მას ხეობის მამას, უფროს ძმას, ღვთიურ კაცს უწოდებდა. მაღლიერმა თანამემამულეებმა მისი ნეშტი თბილისიდან საგვარეულო მამულში, სოფ. ოძისში გადაასვენეს და იქვე დაკრძალეს.

დაჯილდოებული იყო წმ. ანდრია პირველწოდებულის, წმ. ალექსანდრე ნეველის, თეთრი არწივის, წმ. ვლადიმირის, წმ. ანას, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

წყარო: ბერძნიშვილი მაქს., მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, [ტ.] 1, თბ., 1980; გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1–3, თბ., 1935–76; ჟურნ. ,,კვალი'', 1891, №238. *გ. ნარსია.*

ერისთავი დავით გიორგის ძე [28. VIII (9. IX). 1847, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 11(23). X. 1890, თბილისი], მწერალი. 1867–71 სწავლობდა თავდაპირველად ნოვოროსიის (ოდესა) უნ-ტში, შემდეგ – პეტერბურგის სამედ. აკადემიაში, რ-იც ვერ დაასრულა. 1871-იდან თანამშრომლობდა ,,დროებასთან'', ,,ტიფლისსკი ვესტნიკსა'' და ,,ფალანგასთან''. 1882-იდან გაზ. ,,კავკაზს'' რედაქტორობდა. სალიტ. მოღვაწეობა ლექსებითა და ფელეტონებით დაიწყო. იყო ,,ვეფხისტყაოსნის'' ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი (1882), ქართ. დრამ. საზ-ბის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. თარგმნა და გადმოკეთა მრავალი დრამ. ნაწარმოები. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა მისმა ისტ. პიესამ ,,სამშობლო'' (1881), რ-საც საფუძვლად დაედო ფრანგი დრამატურგის, ვ. სარდუს, ამავე სახელწოდების დრამა. სარდუს სიუჟეტი ე-მა ბრწყინვალედ მიუსადაგა ქართ. სინამდვილეს, პიესას ეროვნ. კოლორიტი შესძინა და წინაპართაგან სამშობლოსათვის თავდადება სამაგალითოდ დაუსახა იმდროინდელ ქართველობას. ,,სამშობლოს'' წარმოდგენამ (1882 წ. 20 იანვ.) ეროვნ. მანიფესტაციის ხასიათი მიიღო.

ე-ს ეკუთვნის აგრეთვე გადმოკეთებული პიესები ,,მეორედ გაყმაწვილება'', ,,სადაო მფლობელობა'', ,,დროებითი სიყვარული'', ,,დავიდარაბა ანუ არღანი და ლეკვი'', ,,საძაგელი'' და სხვ.

მისი სახლ-მუზეუმის შესახებ იხ. სტ. *ერისთავების სახლ-მუზეუმი.*

თხზ.: დრამატული ნაწერები, ი. მეუნარგიას წინასიტყვ., ტფ., 1910.

ლიტ.: ტატიშვილი ნ., ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1965; ჭინჭარაძე ზ., დავით ერისთავი, ტფ., 1892.

ერისთავი დავით ესტატეს ძე (3. VI. 1842, სოფ. მეჯვრისხევი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 2. VII. 1910, სანქტ-პეტერბურგი), რუსეთის იმპერიის არმიის კავალერიის გენერალი (1906). მსახურობდა კიევის ჰუსართა (1862) და მისი უდიდებულესობის ლაიბგვარდიის ჰუსართა (1864) პოლკებში. 1875-იდან – პოლკოვნიკი. მეთაურობდა ყუბანის კაზაკთა ჯარის პოლტავის ცხენოსანთა პოლკს (1876-იდან). მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომში (1877–78). 1886 მიენიჭა გენ.-მ. წოდება და დაინიშნა მე-6 საკავალერიო დივიზიის II ბრიგადის მეთაურად. 1891 მიიღო გენ.-ლ. ჩინი და მეთაურობდა მე-13 საკავალერიო დივიზიის II ბრიგადას. 1895-იდან მეთაურობდა მე-5 საკავალერიო დივიზიას.



დ. გ. ერისთავი.

დაჯილდოებულია ოქროს ხმლით, წმ. ანას (I, II) და წმ. სტანისლავის (I, II), თეთრი არწივის, წმ. გიორგის, წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის, სპარსეთის ლომისა და მზის I ხარისხის ორდენებით, აგრეთვე იმპერატორ ალექსანდრე II-ის ვენზელით. დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგის ნოვოდევიჩის მონასტერში.

ო. ჟორდანია.



დ. ე. ერისთავი.

ერისთავი დავით როსტომის ძე (1780–1830), XIX ს. მოღვაწე. 1812-იდან ხელმძღვანელობდა მოლაპარაკებას პატარა ლიახვისა და მეჯუდის ხეობაში მცხოვრებ ოსებთან და მათ გაქრისტიანებას, რისთვისაც მიიღო საგარეო საქმეთა კოლეგიის მდივნის ჩინი. მონაწილეობდა თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში ახალციხესთან (1810), რუსეთ-ირანის ომში (1827). 1828 მისცეს კოლეგიის მრჩევლის ჩინი. დაჯილდოებულია წმინდა ანას ორდენით.

ლიტ.: ბერძნიშვილი მაქს., მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისთვის, [ტ.] 1, თბ., 1980; მეგრელიძე შ., ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბ., 1979. *გ. საითიძე.*

ერისთავი დიმიტრი ალექსის ძე (1797, რუსეთი, – 9. X. 1858, დაკრძალულია სოფ. ბელოგოეში, ყოფ. ნოვგოროდის გუბ.), რუსეთის იმპერიის ფლოტის გენერალ-აუდიტორი (1856), არაგვის ერისთავთა საგვარეულოდან. ა. ს. პუშკინის მეგობარი, მასთან ერთად სწავლობდა ცარსკოე სელოს ლიცეუმში, 1820-იდან მსახურობდა არმიაში. შემდეგ ირიცხებოდა

იმპერატორის პირადი კანცელარიის მე-2 განყ-ბაში და საზღვაო უწყებაში. იყო რუს. იმპერიის სენატორი. მონაწილეობდა „ენციკლოპედიური ლექსიკონის“ (გამოდიოდა 1835-იდან), აგრეთვე „სამხედრო-ისტორიული ლექსიკონის“ პირველი ტომის (გამოდიოდა გენ.-ლ. ლ. ზედელერის რედაქციით) შედგენაში. ავტორია ბიოგრ. ნარკვევებისა რუს. ისტ. მოღვაწეებზე, სტატიებისა – უკრაინის, საქართველოსა და კავკ. ისტ. შესახებ. 1842 გამოსცა მონუმენტური ნაშრომი – „ისტორიული ლექსიკონი რუსეთის ეკლესიის წმინდანთა შესახებ...“, რისთვისაც პეტერბურგის მეცნ. აკადემიამ მიანიჭა ე. წ. პ. ნ. დემიდოვის პრემია.

დაჯილდოებულია წმ. სტანისლავის I და წმ. ანას II ხარისხის ორდენებით.

ლიტ.: Гогитидзе М., Грузинский генералитет (1699–1921), Киев, 2001; Месяц, Военная элита Кавказа, I, Тб., 2007; Джавахишвили Н., Грузины под Российским флагом, Тб., 2003.

მ. გოგიტიძე.



დ. ვ. ერისთავი.



დ. ვ. ერისთავი. „იების გამყიდველი“. 1964.



დ. ი. ერისთავი.

ერისთავი დიმიტრი ვახტანგის ძე (დ. 18. VI. 1931, თბილისი), გრაფიკოსი, კინოს მხატვარი. საქართვ. სახ. მხატვარი (1985). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1956). მისი პედაგოგები იყვნენ ი. შარლემანი, ს. ქობულაძე, ვ. გრიგოლია, დ. გაბაშვილი. 1967-იდან აქვე ეწევა პედ. მოღვაწეობას (1982-იდან – პროფესორი). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობს 1957-იდან. ე-ის მიერ შექმნილი ჟანრული კომპოზიციები და პორტრეტები, რ-ებშიც ძირითადად ახალგაზრდობის ცხოვრებაა გადმოცემული, გამოირჩევა სიზუსტითა და დახვეწილობით, ხასიათის გადმოცემის სიმახვილით, რიტმული კომპოზიციით. შექმნა გრაფ. სერიები: 1. „თბილისის ახალგაზრდობა“ („კლასობანა“, 1958, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმი; „იების გამყიდველი“, 1959, კერძო კუთვნილება, თბილისი; „ჩვენი ახალგაზრდობა“, 1967, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეა); 2. „მშრომელები“ („მესაათე“, „მეეზოვე“, „ხარაზი“, სამივე 1971, კერძო კუთვნილება); 3. „მამაკაცთა გართობანი“ („ტირი“, „სახინკლე“, ორივე 1975, კერძო კუთვნილება); 4. „ძველი თბილისი“ („ღვინის აღმართი“, 1968, „გაზაფხულის დილა“); 5. „ბავშვობის მოგონება“ (1980, კერძო კოლექცია, ნიუ-იორკი). შექმნა საინტერესო პორტრეტები: მ. აბაზაძე (1963), ნ. ერისთავი (1965), მ. მაჭავარიანი (1973; სამივე კერძო კუთვნილება). 1962-იდან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელი მხატვარია. გააფორმა მხატვრული ფილმები: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (1962), „გიორგობის თვე“ (1966), „არაჩვეულებრივი გამოფენა“ (1968), „იყო შაშვი მგალობელი“ (1970), „ექსპრესინფორმაცია“ (1993); ფრანგული მხატვრული ფილმები: „მთვარის ფავორიტები“ (1984) და „და იქმნა სინათლე“ (1984). გაფორმებული აქვს 200-მდე წიგნი, კერძოდ, „კრენკებილი“ (ა. ფრანსი, 1956), „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“ (ჩ. დიკენსი, 1959), „ტილ ულენშპიგელი“ (შარლ დე კოსტერი, 1967), „ჰამლეტი“ (უ. შექსპირი, 1976), „კაცია-ადამიანი?!“ (ი. ჭავჭავაძე, 1995) და სხვ. ე. ავტორია ლაკონური, გამომსახველი კინოპლაკატებისა („ქორწილი“, „კარუსელი“, „ახალგაზრდობა იმარჯვებს“, „მწვერვალი“ და სხვ.). არის გზამკვლევის „თბილისის ხუროთმოძღვრება“ (1961, რუს. ენაზე) ერთ-ერთი მხატვარი. მასვე ეკუთვნის „ასი თბილისელის“ (1994) ილუსტრაციები. ე. არის საქართვ. სახელმწ. (1990) და შოთა რუსთაველის სახ. (2010) პრემიების ლაურეატი, მიღებული აქვს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი (2010).



დ. ვ. ერისთავი. „გაზაფხული“. 2005.

ერისთავი (სიდამონ-ერისთავი) დიმიტრი იოსების ძე (20. III. 1903, თბილისი, – 18. VIII. 1971, იქვე), ქიმიკოსი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1961), ქიმ. მეცნ. დოქტორი (1945), პროფესორი (1946). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1950). დაამთავრა თსუ (1928). იყო საქართვ. მეცნ. აკად. ქიმიის ინ-ტის განყ-ბის გამგე (1930–50), საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ანალიზური ქიმ. კათედრის გამგე (1944–71), ამავე ინ-ტის პრორექტორი სამეცნ. დარგში (1958–71). დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოში ანალიზური ქიმ. განვითარებაში: მან შექმნა იშვიათი და გაბნეული ელემენტების განსაზღვრის ახ. მეთოდები, დაამუშავა იშვიათ და გარდამავალ ელემენტთა დაყოფის ახ. ქრომატოგრაფიული მეთოდები; გამოიკვლია მინერ. წყლების ქიმ. შედგენილობა. ავტორია ანალიზური ქიმ. სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიებისა.

თხზ.: თვისებითი ანალიზი, თბ., 1960.
ლიტ.: ერისთავი დიმიტრი. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ. ე. დოლიძე, ვ. გოგილაშვილი, თბ., 2003.

ერისთავი დიმიტრი კონსტანტინეს ძე [9. II. 1859, სოფ. გორაბერეჟოული, ოზურგეთის მაზრა (ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), – 17. XII. 1924, ოზურგეთი], მწერალი, მთარგმნელი, ექიმი (თერაპევტი, ქირურგი, მეან-გინეკოლოგი), ქველმოქმედი, საზ. მოღვაწე. 1882 დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, 1886 კი – კიევის უნ-ტის სამედ. ფაკტი. 1888 დაინიშნა სოფ. ნაგომარში (გურია) ექიმად, 1900 – ოზურგეთის სამაზრო ექიმად. ერთხანს შორაპნისა და რაჭის სამაზრო ექიმიც იყო, შემდეგ კი, სიცოცხლის ბოლომდე, მუშაობდა ოზურგეთში. ე-მა, საკუთარ სახლში გახსნა პირველი ქირურგ. სტაციონარი. მისივე ინიციატივით ოზურგეთში გაიხსნა საქალაქო აფთიაქი და სკოლა, ჩოხატაურში – ბ-კა, ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად მართავდა წარმოდგენებს. საქართველოში ქოლერის ეპიდემიის წლებში (1892, 1908) ებრძოდა ეპიდემიას, უანგაროდ უვლიდა ავადმყოფებს, ზრუნავდა ხალხის სანიტ. დონის ამაღლებაზე. ეწეოდა სამეცნ. მოღვაწეობას. მისმა სამეცნ.-პოპულ. ნაშრომმა „ხოლერა და იმის თავიდან ასაცდენი დარიგებანი“ (1893, სენაკი) დადებითი შეფასება დაიმსახურა (ჟურნ. „მოამბე“, 1894, №1). წერილით „ორიოდე სიტყვა სოფლის მკურნალობაზე და მკურნალებზე“ („ივერია“, 1895, №33) ქართვ. ექიმთაგან ერთ-ერთმა პირველმა გაილაშქრა ექიმბაშობის წინააღმდეგ.

ე-ის პირველი მოთხრობა „უბედური ქმარი“ დაიბეჭდა „ივერიაში“ (1887, №245), ხოლო მოთხრობების პირველი კრებ. „ნაქვთები“ 1891 გამოიცა ქუთაისში. ე-ის მოთხრობას „ვისი ბრალია?“ (ჟურნ. „მოამბე“, 1894, №6, 7; ცალკე წიგნად გამოიცა – 1911) პირველი გამოეხმაურა კ. აბაშიძე

სტატიით ,,მოამბის მორალისტები'' (,,ივერია'', 1894, №193).

ე-მა ერთ-ერთმა პირველმა თარგმნა რუს. კლასიკური პოეზია (ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, ვ. ჟუკოვსკი, ა. პლეშჩეევი, ა. ნეკრასოვი და სხვ.). აგრეთვე გადმოაქართულა რუს. რომანსები. ე-მა ერთერთმა პირველმა სცადა ვოლტერის (ლექსი ,,მცირე დრო არის, რაც ვიხილე უცხო სიზმარი''), გი დე მოპასანის (,,იდილია'', ,,ივერია'', 1894, №137) თარგმნა.

რუსეთ-იაპონიის (1904–05) ომის წლებში ე. ჯვარში გაიწვიეს. მსახურობდა ვერხნეუდინსკის სამხ. ლაზარეთის ქირურგ. განყ-ბის გამგედ. რუსეთის დამარცხების შემდეგ დემობილიზებული ე. სამშობლოში დაბრუნდა. 1907 გაზ. ,,ამირანში'' (№13) გამოაქვეყნა მოთხრობა ,,შავ-ბნელი ძალები'', რ-შიც ასახულია რუს. ცარიზმის მძვინვარე რეაქციის შედეგად აოხრებული და გაპარტახებული გურია. ე. 1915 ოზურგეთის ქალაქის თავად აირჩიეს.

თხზ.: მოთხრობები, თბ., 1965 (შემდგ. ვ. წოწელია).

ლიტ.: მ ე ძ ვ ე ლ ი ა კ., ლიტერატურული წერილები, თბ., 1975; ც ი ს კ ა რ ი ძ ე ვ., უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები, თბ., 1972; წ უ ლ უ კ ი ძ ე ა., მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ექიმები, თბ., 1961.

ჯ. ქორჩილავა. ვ. წოწელია.

ერისთავი დიმიტრი შანშეს ძე (1805 – გ. წ. უცნობია), 1832 წლის შეთქმულების აქტიური მონაწილე, ე. შ. *ერისთავის* ძმა. 1825 მამამ სასწავლებლად პეტერბურგში გაგზავნა, იქვე დაამთავრა საარტ. სასწავლებელი არტილერიის პრაპორშჩიკის ჩინით; 1832 წ. 16 აპრილს თბილისში დაბრუნდა. პეტერბურგში ყოფნის დროს ე. დაუკავშირდა შეთქმულების ერთ-ერთი პირველი მოთავის, *დიმიტრი ბატონიშვილის* ჯგუფს, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ მისი ძმა ე. ერისთავი, დ. ორბელიანი, დ. ჯორჯაძე და სხვ. სამშობლოში მიმავალი მოსკოვში გაჩერდა, დაუკავშირდა *ოქროპირ ბატონიშვილის* შეთქმულთა ჯგუფის წევრებს და გარკვეული დავალებით თბილისში ჩამოვიდა. შეთქმულების გაცემის შემდეგ ე. მიაკუთვნეს დამნაშავეთა მესამე კატეგორიას, რ-ნიც „ქმედითად მონაწილეობდნენ შეთქმულებაში და აჯანყების მოწყობის თანახმანი იყვნენ'', თუმცა იგი მალე შეიწყალეს და სამხ. სამსახურში აღადგინეს. ძმასთან ერთად სოფ. ღვარებში (გორის მაზრა) ფლობდა შუშის ქ-ნას, სადაც ასამდე კაცი იყო დასაქმებული.

ლიტ. იხ. სტ-თან ე რ ი ს თ ა ვ ი ელიზბარ. *გ. ნარსია.*

ერისთავი ელენე შალვას ასული (9. IX. 1897, თბილისი, – 27. I. 1990, იქვე), პირველი ქართველი სელექციონერი ქალი. 1916 დაამთავრა თბილ. ვ. ლევანდოვსკის კერძო გიმნაზია, 1923 – თბილ. სახელმწ. პოლიტექნიკური ინ-ტის სას.-სამ. ფაკულტეტი. 1932–36 იყო სკრის (გორი) მეხილეობის საცდელი სადგურის ხეხილოვანი კულტურების სელექციის განყ-ბის გამგე, 1938–56 – დირექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში (იქვე). 1941–47 საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის მეხილეობის კათედრაზე ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას. 1956–73 ხელმძღვანელობდა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ხეხილოვანი კულტურების სელექციისა და ჯიშთმცოდნეობის განყ-ბას. ე-ის თაოსნობით ჰიბრიდიზაციისა და ინტროდუქციის შედეგად მიღებული, შესწავლილი და წარმოებაში დანერგილია თესლოვანი, კურკოვანი და კენკროვანი კულტურების მაღალხარისხოვანი ჯიშები, გამდიდრებულია საქართვ. ხეხილოვანი კულტურების ასორტიმენტი. ე-მა გამოიყვანა ატმის ახ. ჯიშები: *სანდო, პიონერი, გორული საადრეო, ერისთავის ვარდისფერი, ნობათი.*

იყო მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი. მიღებული აქვს ნ. ვავილოვის სახ. მედალი (1987).

თხზ.: ხ ო მ ი ზ უ რ ა შ ვ ი ლ ი ნ., ე რ ი ს თ ა ვ ი ე., საქართველოს ხილი, ტ. 1–2, თბ., 1939–41.

ერისთავი (ე რ ი ს თ ა ვ ი ს შ ვ ი ლ ი) ელიზბარ გიორგის ძე (1738–1813), პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე. იყო ერეკლე II-ის პოლიტიკის წინააღმდეგი, რისთვისაც ქართლიდან გააძევეს. ბესიკთან ერთად დიდი გავლენით სარგებლობდა იმერეთის სამეფო კარზე. სოლომონ II-ის დროს იძულებული გახდა იმერეთი დაეტოვებინა. ე. ბესიკის სკოლის წარმომადგენელია. მის ლექსებში გამოხატულია სოც. და პოლიტ. პრივილეგიების დაკარგვით გამოწვეული სევდა. მისი პოეტური მემკვიდრეობა დაცულია ხელნაწერების სახით.

ლიტ.: რ უ ხ ა ძ ე ტ., ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954.

გ. მიქაძე.

ერისთავი ელიზბარ შანშეს ძე (1808/10 – 11. I. 1871, გორი), საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური და საერთო ხელმძღვანელი (იხ. *შეთქმულება 1832 წლისა*), დ. შ. *ერისთავის* ძმა. 1823–30 ცხოვრობდა პეტერბურგში. აქვე დაამთავრა საარტ. სასწავლებელი. 1830 საქართველოში ჩამოვიდა და არტილერიის პოდპორუჩიკის ჩინით სამსახური დაიწყო კავკ. გრენადერთა არტილერიის მესამე მსუბუქ ასეულში, რ-იც ლორეში იყო დაბანაკებული. მამის გარდაცვალების შემდეგ სამხ. სამსახურს თავი გაანება. მუდმივად ცხოვრობდა ქ. გორში. ე. პეტერბურგში ყოფნის დროს ხშირად სტუმრობდა ერთ-ერთი მეთაურის – *დიმიტრი ბატონიშვილის* სალონს, პეტერბურგიდან გამომგზავრებისას მას დაევალა საქართველოში თანამოაზრეთა ჯგუფის შექმნა. ე-მა ჩამოსვლისთანავე მოიპოვა შეთქმულებს შორის საერთო ავტორიტეტი და, როგორც თანამზრახველები ამბობდნენ, „დიდად ცდილობდა და ყოველ ადგილს მიმსვლელი ის იყო და შუა კაცი''. მან ურჩია ს. დოდაშვილს, საზ-ბის სულიერი მომზადების მიზნით, გაზეთის გამოცემა, გ. ორბელიანს კი – რილეევის ლექსის „ნალივაიკოს აღსარების'' თარგმნა. ე-მა ა. ორბელიანთან ერთად კავშირი დაამყარა ირანში ლტოლვილ *ალექსანდრე ბატონიშვილთან*, გაცხოველებული კონსპირაციული კონტაქტი ჰქონდა დიმიტრი, ოქროპირ და სხვა ბატონიშვილებთან. ცდილობდა შეთქმულებაში დას. საქართველოს ჩაბმას, რისთვისაც იმერეთში სპეც. ემისარი გაგზავნა. ე. თავის ძმასთან, დიმიტრისთან, ერთად დაუკავშირდა საქართველოში გადმოსახლებულ პოლონეთის აჯანყების მონაწილეებს, ცდილობდა აჯანყების დროს მათი სამხ. ცოდნის გამოყენებას. ქართლში გაფრთხილებული ჰყავდა 12 მამასახლისი, რ-ებიც დამხმარე ძალით უნდა მიშველებოდნენ აჯანყებულებს. ე-მა ზ. ჩოლოყაშვილსა და ა. ჭავჭავაძესთან ერთად შეიმუშავა აჯანყების საერთო გეგმა. იგი ე. წ. „პირველი ღამის განკარგულების'' თანახმად, აჯანყების შტაბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო. შეთქმულების გაცემის შემდეგ ე-ს სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ განაჩენი ჰელსინგფორსში (ფინეთი) გაღასახლებით შეუცვალეს. აქ მან 11 წელიწადი დაყო.



ე. შ. ერისთავი.

1845 წ. 18 მაისს სამშობლოში დაბრუნდა. იგი აქტიურად ჩაება ქვეყნის კულტ. და ეკონ. ცხოვრებაში. ყოველნაირად ცდილობდა საზოგადოებისათვის ჩაეგონებინა, რომ შექმნილ ვითარებაში მთავარი იყო ცოდნის დაუფლება. მან თავის ძმასთან, დიმიტრისთან, ერთად სოფ. ღვარებში (ატენთან) ააგო შუშის ქ-ნა, რ-იც ორჯერ დაიწვა, მაგრამ ორჯერვე აღადგინა. ე. პირადად გაემგზავრა ბოჰემიაში, რათა ადგილზე შეესწავლა და გადმოეღო იქაური შუშის ქარხნების მუშაობის მეთოდები. 1869-იდან გორის მაზრის უფროსი გახდა, იქვე აიშენა და ევროპულად მოაწყო სახლი, მაზრაში გაავრცელა ევრ. ჯიშის ხეხილი.

ლიტ.: ბერძნიშვილი მაქს., მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, [ტ.] 1, თბ., 1980; გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1–3, თბ., 1935–76; გოცაძე მ., ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, [ნაწ.] 1, თბ., 1954; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გ. ნარსია.

ერისთავი ელისაბედ ელიზბარის ასული (1864–1949), ჟურნალისტი, მწერალი-მემუარისტი, საზოგადო მოღვაწე, ე. შ. *ერისთავის* შვილი. იყო ჟურნ. ,,ნაკადულის'' (1904–27; მცირეწლოვანთათვის) ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი რედაქტორი (1904–05; ნ. ზურაბიშვილთან ერთად). მისი მოგონებები (დაცულია გ. ლეონიძის ქართ. ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმში) შეიცავს უაღრესად საინტერესო მასალას XIX ს. II ნახევრისა და XX ს. I მეოთხედის ქართ. არისტოკრატიის, საზ. და კულტ.-სალიტ. ცხოვრების შესახებ.

თხზ.: მოგონება მამაზე, კრ.: ელიზბარ ერისთავი. შემდგენელ-რედაქტორი რ. ჩხეიძე, თბ., 1997.

თ. ჯოლოგუა.

ერისთავი ვარლამ, იხ. *ვარლამი.*

ერისთავი ვიქტორ დიმიტრის ძე (22. VI. 1939, თბილისი, – 16. XII. 2005, სან-ფრანცისკო, დაკრძალულია თბილისში), ქიმიკოსი. ქიმ. მეცნ. დოქტორი (1974), პროფესორი (1977), აშშ საერთაშ. აკად. ნამდვ. წევრი (1995), საქართვ. ეკოლოგიურ მეცნ. აკად. წევრი (1997). დაამთავრა სპი-ის ქიმ. და კვების ტექნოლ. ფაკ-ტი (1962). ამავე წლიდან მუშაობა დაიწყო იქვე ჩაის მრეწველობის მანქანათმშენებლობის პრობლემურ ლაბორატორიაში. 1980-იდან იყო ამავე ინ-ტის გარემოს დაცვის კათედრის გამგე, 1986-იდან – სპი-ის ატომურ-აბსორბციული სპექტროსკოპიის გამოყენების რესპ. ცენტრის ხელმძღვანელი. 1978–79 და 1995 მივლინებული იყო აშშ-ის უნ-ტებში. იყო სტუ-ის გარემოს დაცვისა და საინჟ. ეკოლ. კათედრის გამგე. კვლევის ძირითადი მიმართულებაა: დალექვითი და კომპლექსწარმოქმნითი ქრომატოგრაფიის თეორია და პრაქტ. გამოყენება. ავტორია სამი გამოგონებისა. გამოქვეყნებული აქვს ორი მონოგრაფია.

თხზ.: Источники загрязнения и техника защиты окружающей среды, Тб., 1985 (თანაავტ.).

ერისთავი ზინა ალექსანდრეს ასული (17. X. 1930, თბილისი, – 16. III. 2002, იქვე), მეანგინეკოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1984). 1952 დაამთავრა მოსკოვის I სამედ. ინ-ტი, 1958–62 იყო ი. ჟორდანიას სახ. ქალის ფიზიოლ. და პათოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის უფრ. მეცნ. მუშაკი, საქართვ. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის უფრ. მეცნ. მუშაკი (1962–71) და პირველი სამეანო განყ-ბის გამგე (1971–75), ქ. ალჟირის ბელფორის ჰოსპიტლის საუნივერსიტეტო კლინ. კონსულტანტი (1975–77), საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს პერინატალური მედ., მეანობისა და გინეკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის სამეანო განყ-ბის გამგე (1978–81), აქვე – ქირურგიული განყ-ბის უფრ. მეცნ. მუშაკი (1981–84), თბილისის ექიმთა დახელოვნების ინ-ტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის პროფესორი (1984–2002).

ე-ს ეკუთვნის მრავალი სამეცნ. ნაშრომი მეანობა-გინეკოლოგიის აქტუალურ საკითხებზე (მ. შ. 1 მონოგრაფია).

ერისთავი თამარ ლევანის ასული (30. IV. 1932, თბილისი, – 8. I. 2014, იქვე), პოეტი, მთარგმნელი. დაამთავრა თსუ-ის დას. ევრ. ენებისა და ლიტ-რის ფაკ-ტი (1956). 1960–73 მუშაობდა თბილ. ი. ჭავჭავაძის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტში ინგლისური ენის კათედრაზე. 1974–93 ხელმძღვანელობდა მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტ. ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის ახალგაზრდა მთარგმნელთა სექციას. მონაწილეობდა მსოფლიო ლიტ-რის ბაკის რედკოლეგიისა და შექსპირის სრული ქართ. გამოცემის რედკოლეგიის მუშაობაში. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1954. ე-ის პოეტურ კრებულთაგან აღსანიშნავია ,,იარე მზეზე'' (1965), ,,ლექსები'' (1975), ,,იალკალი'' (1981), ,,ლექსები'' (1984), ,,ვარსკვლავიანი ცის ქვეშ'' (1986). მის ლექსებში გაცოცხლებულია საქართვ. ისტ. გმირთა სახეები (,,ცოტნე დადიანის მოლანდება'', 1969; ,,გორგასლის დაბრუნება'', 1967 და სხვ.), წარსულის სურათები (,,ძველ სამარხებთან'', 1976; ,,კავთის ციხესთან'', 1969; ,,ზმანება ვანის სამარხთან'', 1972). ე-მა ფეხით შემოიარა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხე; უშუალოდ ნანახი და განცდილი ასახა ციკლებში: ,,ფშავ-ხევსურეთი'', ,,მთა-თუშეთში'', ,,სვანეთის მთებში'', ,,ჩემი იმერეთი'' და სხვ. 2010 გამოიცა პოეტის ლექსების სრული კრებული ,,რაც იყო – იყო, რაც არის – არის''. საინტერესოა ე-ის წიგნი «ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები ანუ ,,ვეფხისტყაოსნის'' სიუჟეტის მეორე განზომილება» (1995). თარგმნა და შეადგინა შოტლანდიური პოეზიის ანთოლოგია (1979), თარგმნა აგრეთვე რ. ბერნსის ლექსები (1959), ,,ლირიკა'' (1964), ჯ. ბაირონის, ჟ. პრევერის, მ. ლერმონტოვის, ნ. ტიხონოვისა და სხვათა ნაწარმოებები. მისი ლექსები თარგმნილია სხვადასხვა ენაზე.

ერისთავი იესე დავითის ძე (გ. 1745), პოეტი. ქსნის ერისთავთა შთამომავალი. კახეთის 1660 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაურის შ. ერისთავის შვილიშვილი. ძვ. ქართ. ჰიმნოგრაფიული ტრადიციის მიხედვით შექმნა ორიგინ. საგალობელი ,,წმიდათა და დიდებულთა ორთა ძმათა მოწამეთა ქართველთა ელისბარ ქსნის ერისთავისა და ძმისა მისისა შალვასი და წმიდისა დიდებულისა მოწამისა ბიძინა კახისა'' (საგალობელს აქვს აკროსტიქი – ,,ქრისტეს მოწამეო შალვა, შეიწყალე ძის ძე შენი იესე''). საგალობელი კახეთის 1660 წლის აჯანყების გმირთა – შალვა და ელიზბარ ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის – ხოტბაა; თავდაპირველად მასში არ იყო ასახული აჯანყების ამბები. მოგვიანებით თხზულების ეს ხარვეზი ნაწილობრივ შეავსო ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილმა (იხ. *ბესარიონი*), რ-მაც თავის ჰაგიოგრაფიულ კრებულში ე-ის საგალობელი შევსებული და რედაქტირებული წარმოადგინა. ე-ს უნდა ეკუთვნოდეს კახეთის აჯანყების გმირებისადმი მიძღვნილი სვინაქსარული საკითხავიც.

ლიტ.: გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955; მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, ნაკვ. 1, თბ., 1962; ქ ა ვ თ ა რ ი ა მ., ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან. XVII–XVIII სს., თბ., 1977.

მ. ქავთარია.

ერისთავი კონსტანტინე ბიძინას ძე (23. V. 1836, სოფ. კარალეთი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 2. V. 1897, გორი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1877), ქსნის ერისთავთა საგვარეულოდან. გენერლების მ. ბ. *ერისთავისა* და ნ. ბ. *ერისთავის* ძმა. მონაწილეობდა ყირიმისა (1853–56) და რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომებში. მეთაურობდა კავკასიის I მსროლელთა რაზმს, გორის სარეზერვო პოლკს და გორის მაზრის ყველა საჯარისო ნაწილს, იყო გორის ქალთა გიმნაზიის საპატიო მეურვე. დაჯილდოებულია წმ. სტანისლავის I ხარისხის ორდენით. *მ. გოგიტიძე.*


ერისთავი კონსტანტინე დავითის ძე [22. I(3. II). 1889, სოფ. სალომინაო, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 12. III. 1975, თბილისი], ქირურგი და საზოგადო მოღვაწე. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1950). მედ. მეცნ. დოქტორი (1926), პროფესორი (1929), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1941). 1914 დაამთავრა იურიევის (ტარტუ) უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. I მსოფლიო ომის დროს მოქმედ არმიაში მსახურობდა. 1918-იდან მუშაობდა საქართველოში. 1928–41 (1931-მდე თსუ-ში) განაგებდა ზოგადი ქირურგიის, 1941–50 – საფაკულტეტო ქირურგ., ხოლო 1949–60 – ჰოსპიტალური ქირურგ. კათედრებს თბილ. სამედ. ინ-ტში. 1938–41 იყო თბილ. რკინიგზის საავადმყოფოს უფროსი, 1941–50 – თბილ. სამედ. ინ-ტის, 1948–50 – საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს სისხლის გადასხმის ინ-ტის, 1950–74 კი – ექსპერ. და კლინ. ქირურგ. ინ-ტის დირექტორი. 1951–55 ხელმძღვანელობდა საქართვ. მეცნ. აკად. ბიოლოგიისა და მედ. განყ-ბას. 1957–72 იყო საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნ. საბჭოს თავ-რე.

ე-მა საქართველოში დანერგა გულ-სისხლძარღვთა, ფილტვების, საყლაპავი მილის, თავის ტვინისა და სხვ. ოპერაციები. ასევე ითვლება სისხლის გადასხმის, სინთეზური მასალის გამოყენებისა და გაუტკივარების ერთ-ერთ პიონერად. დიდი დამსახურება მიუძღვის ტრავმატოლოგიისა და ონკოლოგიის დარგების განვითარებაში. იკვლევდა ინფიცირებული ჭრილობის, ჩირქოვანი პლევრიტის, ღვიძლის ექინოკოკის, წყლულოვანი დაავადების, სანაღვლე გზებისა და სხვ. ქირურგ. მკურნალობის მეთოდებს. თანამშრომლებთან ერთად დაამუშავა სისხლძარღვთა ტრანსპლანტაციის, ინდუცირებული სიმსივნის განვითარების საკითხები. შეიმუშავა პოსტტრანსფუზიული გართულებებისა და დამწვრობის მკურნალობის მეთოდი და სხვ. სისხლძარღვთა აღდგენით ქირურგიაში გამოკვლევებისათვის 1975 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (*გ. იოსელიანთან*, დ. *კანდელაკთან* და მ. *კომახიძესთან* ერთად). ე. იყო საქართვ. ქირურგ. საზ-ბის საპატიო თავ-რე, ამიერკავკ. ორი უკანასკნელი მოწვევის ცაკის (1931, 1935), საქართვ. სსრ IV მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. სოციალ. შრომის გმირი (1966). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: სწრაფი სიკვდილის მექანიზმი ცხიმოვანი ემბოლიის დროს, ტფ., 1926; მოგონება, თბ., 1973; Восстановительная хирургия облитерирующего атеросклероза терминального отдела брюшной аорты и ее дистальных ветвей, Тб., 1968 (თანაავტ.: Д. И. Канделаки, В. С., Крылов).

ლიტ.: ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე ს., კონსტანტინე ერისთავი, თბ., 1961.

ერისთავი მზია ალექსანდრეს ასული (20.VII.1906, ქუთაისი, – 23.III.1983, თბილისი), პედაგოგ-მეთოდისტი, ბავშვთა და მოზარდთა სამხარეთმცოდნეო ტურიზმისა და ალპინიზმის ფუძემდებელი საქართველოში, ბავშვთა და მოზარდთა ფენოლოგიური მუშაობის დამწერგავი საქართვ. სკოლებში, მთარგმნელი, სახ. განათლების წარჩინებული (1946), ფიზკულტ. და სპორტის დამს. მუშაკი (1961). 1929 დაამთავრა თსუ-ის სოც.-ეკონ. ფაკ-ტის იურიდიული განყ-ბა. მუშაობდა სხვადასხვა გამომცემლობაში, ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას. 1941 საქართვ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპ. სასახლეში (ამჟამად საქართვ. მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნ. სასახლე) დააარსა ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტი. 1952 მთავრობის დავალებით ჩამოაყალიბა ბავშვთა ცენტრ. საექსკურსიო-ტურისტული სადგური, რ-საც 22 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. ამ სადგურში შეიქმნა ნორჩ მხარეთმცოდნე მოგზაურთა და ნორჩ ფენოლოგთა ცენტრები, ნორჩ მხარეთმცოდნე მოგზაურთა ბანაკების სისტემა საველე პირობებში (თრიალეთის ქედი, იალნოს ქედი, გუჯარეთის ხეობა, გუდაუთა, შაორი და სხვ.), სადაც ფიზ. წვრთნასთან ერთად იმართებოდა ნორჩ მხარეთმცოდნეთა კონფერენციებიც. 1952–64 ე-ის ხელმძღვანელობით საქართვ. სხვადასხვა ქალაქში დაარსდა ბავშვთა ტურისტული ბაზები. ფენოლოგიური მუშაობა გაიშალა საქართვ. 130 სკოლაში (ყოველ რ-ნში შერჩეული იყო 2–3 სკოლა, რ-ებიც ზღვის დონიდან განსხვავებულ სიმაღლეზე მდებარეობდა). ყოველწლიური მონაცემების საფუძველზე შეიქმნა ფენოლოგიური რუკები, სქემები და გრაფიკები.



კ. დ. ერისთავი.

ე-მა თარგმნა რ. რასპეს ,,ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი'' და საბავშვო ზღაპრები (ფრანგულიდან). იგი არის ავტორი რამდენიმე ფუძემდებლური მეთოდური ინსტრუქციისა.

დაბადებიდან 90 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ე-ის სახელი მიენიჭა საქართვ. ახალგაზრდობის ტურიზმის ცენტრს. მიღებული ჰქონდა სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: მოგონებანი დეიდა მზიაზე. კრებული, თბ., 1999; დეიდა მზია, თბ., 2010.

მ. უთმელიძე.



მ. ერისთავი.

ერისთავი მიხეილ ბიძინას ძე (9. II. 1827, სოფ. კარალეთი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 7. V. 1894, თბილისი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1877), ქსნის ერისთავთა საგვარეულოდან. გენერლების ნ. ბ. *ერისთავისა* და კ. ბ. *ერისთავის* ძმა. მონაწილეობდა ყირიმისა (1853–56) და რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომებში. დაჯილდოებულია წმ. ანას II ხარისხის ორდენით. დაკრძალულია თბილისში, *კალოუბნის წმინდა გიორგის ეკლესიის* საგვარეულო აკლდამაში. *მ. გოგიტიძე.*

ერისთავი მიხეილ სიმონის ძე [15(28). II. 1910, ჩოხატაური, – 7. IX. 1962, სოფ. შროშა, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, დაკრძალულია თბილისში], გეოლოგი. გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1950), პროფესორი (1962). 1936 დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტი. 1940-იდან მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. გეოლ. ინ-ტში (1942–44 მონაწილეობდა II მსოფლიო ომში); 1960-იდან იყო ინ-ტის



რ. ერისთავი.

მეზოზოური ნალექების სტრატიგრაფიისა და პალეონტოლ. განყ-ბის გამგე. 1945-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა სოხუმის პედ. ინ-ტში, 1949-იდან – ა. პუშკინის სახ. თბილ. პედ. ინ-ტში (ახლანდ. ილიას სახელმწ. უნ-ტი). იკვლევდა საქართველოს, შემდეგ კი მთელი კავკ., ყირიმისა და კარპატების ქვედაცარცული ნალექების სტრატიგრაფიასა და პალეონტოლოგიას. კავკ., ყირიმის, თურქმენეთის, დას. ევრ. და ჩრდ. აფრიკის ქვედაცარცული ნალექების შეპირისპირებით საფუძველი ჩაუყარა ალპ. ზონის უნიფიცირებული, სტრატიგრაფიული სქემის შექმნას. იკვლევდა აგრეთვე ტექტონ. საკითხებს. იყო საერთაშ. გეოლ. კონგრესის ხმელთაშუა ზღვის მეზოზოური ნალექების სტრატიგრაფიის საერთაშ. კომიტეტის წევრი (1962). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Грузинская глыба и смежные области в нижнемеловое время, «გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები». გეოლოგიური სერია, 1952, ტ. 6(11); Нижнемеловая фауна Грузии, Тб., 1955; Сопоставление нижнемеловых отложений Грузии и Крыма, М., 1957; Нижний мел Кавказа и Крыма, Тб., 1960; Подразделение нижнего мела Альпийской зоны, Тб., 1962.

ვ. ჯავრიშვილი.

ერისთავი ნიკოლოზ ბიძინას ძე (1. I. 1831, სოფ. კარალეთი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 18. IV. 1912, თბილისი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1912). ქსნის ერისთავთა საგვარეულოდან, გენერლების ა. ნ. *ერისთავისა* და გ. ნ. *ერისთავის* მამა. გენერლების მ. ბ. *ერისთავისა* და კ. ბ. *ერისთავის* ძმა. მონაწილეობდა ყირიმისა (1853–56) და რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომებში. 1867 იყო თერგის ოლქის ჩაჩნეთის ოკრუგის, 1874 – იმავე ოლქის გროზნოს ოკრუგის უფროსი, 1878 – ბათუმის ოლქის სამხ. გუბერნატორის თანაშემწე, 1883 – ქუთაისის სამხ. გუბერნატორის თანაშემწე, ბათუმის გარნიზონის უფროსი. 1884 მიენიჭა გენ.-მაიორის წოდება.

დაჯილდოებულია ოქროს ხმლით, წმ. ანას (I, II), წმ. სტანისლავის (I, II), წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით, აგრეთვე თურქ. მეჯიდიეს, სპარსეთის ლომისა და მზის და ბუხარის ოქროს ვარსკვლავის (I ხარისხი) ორდენებით.

დაკრძალულია თბილისში, *კალოუბნის წმინდა გიორგის ეკლესიის* საგვარეულო აკლდამაში.

მ. გოგიტიძე.

ერისთავი ნიკოლოზ დიმიტრის ძე (1820– 26. III. 1856, სევასტოპოლი), რუსეთის იმპერიის არმიის პოლკოვნიკი ქსნის ერისთავთა საგვარეულოდან, პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო 1840 კავკასიის ომში, სადაც დაიჭრა და მხოლოდ 1844 დაუბრუნდა მწყობრს. შემდგომ იგი ,,ქართულ დრუჟინაში'' ჩარიცხეს და დაღესტანში გაგზავნეს. ახალგაზრდა ოფიცრის მამაცობით მოხიბლულმა მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვმა ე. ქართვ. გრენადერთა პოლკში ჩარიცხა და თავის ადიუტანტადაც დანიშნა.

ე-ს ახ. დიდება მოუტანა ყირიმის ომმა (1853–56), რ-ის დროსაც იგი 2 ბატალიონით და გურიის მილიციის 10 ასეულით სოფ. ნიგოითთან იდგა და ოზურგეთიდან მომავალ გზას იცავდა. თურქთა სარდალი სელიმ-ფაშა 1854 წ. 27 მაისს იოლი გამარჯვების იმედით ნიგოითისაკენ დაიძრა, მაგრამ ე-მა მოულოდნელი იერიშით მრავალრიცხოვანი მტრის რიგებში არეულობა შეიტანა და სასტიკად დაამარცხა (იხ. *ნიგოითის ბრძოლა 1854).* ამ გამარჯვებამ გურიის რაზმის სარდალს გენ. ი. მ. *ანდრონიკაშვილს* შესაძლებლობა მისცა, სწრაფი იერიშით დაეკავებინა ქ. ოზურგეთი. ე-მა კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი ჩოლოქის ბრძოლაში, სადაც მისი რაზმი ცენტრში მოქმედებდა. ე. მოხსენებითი ბარათით იმპერატორთან გაგზავნეს, მეფემ მას პოლკოვნიკობა უბოძა. მალე ე. ყირიმის ფრონტზე გადავიდა და იქვე დაიღუპა. დაჯილდოებულია წმ. ანას, წმ. ვლადიმირის, წმ. გიორგის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

ლიტ.: მ ე გ რ ე ლ ი ძ ე შ., ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბ., 1979.

გ. ნარსია.

ერისთავი რაფიელ დავითის ძე [9(21). IV. 1824, სოფ. ქვემო ჭალა, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 19. II(4.III). 1901, თელავი], მწერალი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, საზ. მოღვაწე. იყო კახეთში ჩასახლებულ არაგვის ერისთავთა შთამომავალი. ბავშვობა მამულში, სოფ. ქისტაურში, გაატარა. ქართ. წერა-კითხვა დედამ, ნინო ამილახვარმა, შეასწავლა, რუს. ენა – მოწვეულმა მასწავლებელმა. სწავლობდა თელავის სამაზრო სასწავლებელში, შემდეგ – შუამთის მონასტერში ფ. *კიკნაძის* ხელმძღვანელობით. თბილ. გიმნაზიის დასრულების (1844) შემდეგ მუშაობდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის სამმართველოში თარჯიმნად, თბილისში – მეფისნაცვლის კანცელარიაში, ქუთაისში – განსაკუთრებულ მინდობილობათა უფროს მოხელედ. 1857–67 ზუგდიდის მაზრის უფროსი იყო, 1867–70 – ქუთაისის გუბ. სამმართველოს განყ-ბის უფროსი, 1889–96 – კავკ. საცენზურო კომიტეტის ცენზორი. 1846-იდან რუს. პრესაში („კავკაზ'', „ნოვოე ობოზრენიე'') იბეჭდებოდა ე-ის მიმოხილვები, ისტ.-ეთნოგრ. ხასიათის წერილები და ნარკვევები, რ-თა მიზანი იყო ქართ. კულტურის პოპულარიზაცია. 1847-იდან მრავალ სასარგებლო ცნობას აწვდიდა ქართ. კულტურითა და ისტორიით დაინტერესებულ მ. *ბროსეს.* ე-ს წვლილი მიუძღვის ქართ. მუზეუმისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის დაარსებაში. იგი იყო ქართ. პროფ. თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ქართ. დრამ. საზ-ბის თავ-რე (1884–86), აგრეთვე ,,ვეფხისტყაოსნის'' ტექსტის დამდგენი კომისიის (1882) შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და მონაწილე. ე-ის შემოქმედება მრავალფეროვანია. მისი პირველი ლექსები („დარიგება'', „ყვავილს''), რ-ებშიც უკვე იგრძნობოდა სიახლოვე ხალხ. კილოსთან, 1852 გამოქვეყნდა „ცისკარში'', პირველი მოთხრობა ,,Оборванец'' („ბეჩავი'') – 1855 რუს. ალმანახ „ზურნაში'', პირველი მოთხრობა ქართ. ენაზე „ნინო'' – 1857 „ცისკარში''. ამ მოთხრობაში, ისევე როგორც ლექსებში [„მთხოვნელი მსაჯულისადმი'', „ყადის ჯორი'' (1857), „მთხოვარა გლახაკი'' (1859) და სხვ.], ე-მა, ი. ჭავჭავაძის შეფასებით, პირველმა დაძრა ენა ბატონყმობის წინააღმდეგ. *„მამებისა'' და „შვილების'' ბრძოლას* ე. გამოეხმაურა მოთხრობით „ლიტერატურნი ვეჩერ'' („ცისკარი'', 1862).

70–80-იან წლებში ე-ის პოეზიაში ახ. ძალით გამოვლინდა ჰუმანიზმი და დემოკრატიზმი. გლეხკაცობის ყოფას ააშკარავებდა პოეტის ლექსები: „სესიას ფიქრები'', „თანდილას დარდი'' (1882), „ბერუას ჩივილი'', „ბერუას ჩაფიქრება'' (1883) და სხვ. ე. ქართ. ისტ. პოემის ტრადიციების გამგრძელებელია („ასპინძის ომი'', 1880 და „თამარიანი'', 1887). სამშობლოს სიყვარულით შთაგონებულმა



რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი. სოფელი ქისტაური.

ლექსებმა [„დედაენა“, „ნეტა რას სტირი, დედილო?“, „რას ერჩი მაგ ბიჭს, თათარო?“ (1881) და სხვ.] იმთავითვე დიდი პოპულარობა მოიპოვა და მალე სიმღერადაც იქცა (მუსიკა ნ. სულხანიშვილისა). პატრ. ლირიკის ბრწყინვალე ნიმუში „სამშობლო ხევსურისა“ (1881).

ე. ქართ. საბავშვო ლიტ-რის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა იმდროინდელ საყმაწვილო წიგნებსა და ჟურნალებში („ბუნების კარი“, „დედა ენა“, „ნობათი“, „ჯეჯილი“ და სხვ.).

ე-ის ორიგინ. და გადმოკეთებულმა პიესებმა გაამდიდრა ქართ. თეატრის რეპერტუარი. მას მიიჩნევენ ვოდევილის ჟანრის დამამკვიდრებლად ქართ. დრამატურგიაში. მისი პირველი ვოდევილია „მბრუნავი სტოლები“ (1868). მას მოჰყვა პიესები: „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესია“, „ადვოკატები“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, სცენები – „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“ და სხვ.

ე-მა დიდი ამაგი დასდო ქართ. ფოლკლორისტიკასა და ეთნოგრაფიას. ი. ჭავჭავაძესთან ერთად 1873 გამოსცა კრებ. „გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები“, ამავე წელს ჟურნ. „კრებულში“ (№7) გამოაქვეყნა „ქართული სახალხო პოეზია“ წინასიტყვაობითა და ნიმუშებით; შეკრიბა, შეადგინა და 1877 გამოსცა ქართ. გამოცანების კრებული.

ე. იკვლევდა ხევსურების, ფშავლების, თუშების, კახელების, იმერლების, მეგრელებისა და სვანების სამეურნეო ტრადიციებს, შრომა-საქმიანობას, საცხოვრ. და სამეურნ. ნაგებობებს, დასახლების ფორმას და განსახლებას, გვარისა და თემის სტრუქტურას. საოჯახო ყოფას, საქორწინო წესჩვეულებებს და სხვ. დიდი წვლილი მიუძღვის რუს. გეოგრ. საზ-ბის კავკასიური განყ-ბის ეთნოგრ. მუშაობაში და ამ საზ-ბის მიერ დაარსებული კავკასიური მუზეუმის (შემდეგ საქართვ. სახელმწ. მუზეუმი) ისტ.-ეთნოგრ. ფონდების შეჯერება-მოწესრიგებაში.

ე-მა დაამუშავა მათ., ფიზ., ქიმ. და სხვ. სამეცნ. ტერმინოლოგია. 1873 გამოსცა „შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი“, 1884 – მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი „მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან“. 1884 ე-ის რედაქტორობით პირველად დაისტამბა ს.-ს. ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“.

ე-ის ლიტ. და საზ. მოღვაწეობის 50 წლის იუბილე, რ-იც 1895 ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ინიციატივით გაიმართა, დიდ სახ. ზეიმად იქცა.

ე-ის თხზულებანი მრავალგზის გამოიცა ცალკე წიგნად (თხზულებანი, ნაწ. 1–2, 1882–90; ტ. 1, 1893; რჩეული ლექსები, 1927; რჩეული, 1958 და სხვ.).

რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი სოფელ ქისტაურში (ახმეტის მუნიციპალიტეტი), დაარსდა 1951. მუზეუმი განთავსებულია XVIII ს. ბოლოს აშენებულ პოეტის მამის საცხოვრებელ სახლში. ექსპოზიცია შედგება 4 საგამოფენო დარბაზისა და სამუშაო ოთახისაგან. მუზეუმში დაცულია ე-ის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის მასალა: სხვადასხვა პერიოდის გამოცემები, უნიკალური ფოტოალბომი, მემორიალური საყოფაცხოვრებო ნივთები: საწერი მაგიდა, კლავესინი, ხალიჩები, სკივრი, ჭურჭელი, ქართველ კლასიკოსთა ფერწერული ტილოები და სხვ., სულ 6003 სხვადასხვა სახის სამეცნ. და დამხმარე მასალა. მუზეუმში მოქმედებს სხვადასხვა საგანმან. პროგრამა: მოძრავი გამოფენები სკოლებში, ღია გაკვეთილები მუზეუმში, სასწ.- შემეცნებითი ექსკურსიები; მუზეუმთან მუშაობს ლიტ. სალონი.

თხზ.: თხზულებანი ოთხ ტომად, ტფ., 1935–38; თხზულებანი. ლექსები. – პოემები, თბ., 1974.

ლიტ.: ვ ა შ ა ყ მ ა ძ ე შ., რაფიელ ერისთავი, თბ., 1974; ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი მ., ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. 2, თბ., 1954; კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი ვ., ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), თბ., 1959; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 4, თბ., 1974; ჯ ა გ ო დ ნ ი შ ვ ი ლ ი თ., რაფიელ ერისთავი და ხალხური შემოქმედება, თბ., 1979; მ ი ს ი ვ ე, რაფიელ ერისთავი, თბ., 1986.

შ. ვაშაყმაძე.

ერისთავი რევაზ შალვას ძე (1827, სოფ. ოძისი, ახლანდ. დუშეთის მუნიციპალიტეტი, – 1899), პოეტი, მთარგმნელი. XIX ს. 50–60-იან წლებში თანამშრომლობდა ჟურნ. ,,ცისკართან“. პოპულარული იყო მისი ლექსები ,,ბიძაჩემს ყაფლანს“ და ,,ყაფლან ორბელიანს“. ე-მა თარგმნა ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ვ. ჟუკოვსკის ნაწარმოებები. ი. კოზლოვის პოემის ,,შეშლილის“ ერისთავისეული თარგმანი მკაცრად გააკრიტიკა ი. ჭავჭავაძემ (,,ცისკარი“, 1861, №4), რითაც დაიწყო ,,მამებისა“ და ,,შვილების“ ბრძოლა. ე-ის წერილს ,,პასუხი თავადი ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა“ (,,ცისკარი“, 1861, №5) ი. ჭავჭავაძე გამოეხმაურა სტატიაში ,,პასუხი“ (,,ცისკარი“, 1861, №6).

ნ. ალანია.

ერისთავი რომანოზ გიორგის ძე, XVIII ს. I ნახევრის საეკლესიო მოღვაწე, მიტროპოლიტი, მწერალი. არაგვის ერისთავთა შთამომავალი. მოღვაწეობდა დავითგარეჯაში, სადაც ბერად აღიკვეცა. XVIII ს. 20-იან წლებში ცხოვრობდა მოსკოვში, დონის მონასტერში. დაკრძალულია დავითგარეჯაში. ე-ს ეკუთვნის საგალობელი დოდო გარეჯელზე, ამავე წმინდანისადმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული თხზულება – სვინაქსარული ცხოვრება; კომპილაცი-

ური ხასიათის წიგნი ,,წინწილი ღაღადებისა'', რ-შიც თავმოყრილია გამოკრებილი ადგილები სახარება-სამოციქულოდან და დავითნიდან და სხვ.

წყარო: ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 4, თბ., 1968.

ლიტ.: გაბიძაშვილი ე., რომანოზ ერისთავი და მისი უცნობი თხზულება, კრ.: მრავალთავი, [ტ.] 2, თბ., 1973; კეკელიძე კ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, თბ., 1951; ქავთარია მ., დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ., 1965; მისივე, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან, XVII–XVIII სს., თბ., 1977.

მ. ქავთარია.



შ. ერისთავი.

ერისთავი სტეფანე დავითის ძე (1740, რუსეთი, – 24. I. 1804, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (დაახლ. 1803), არაგვის ერისთავთა საგვარეულოდან. 1796 მიენიჭა გენ.-მაიორის წოდება. მსახურობდა პავლე I-ციანოვთან ერთად, ქართვ. გრენადერთა პოლკში. შემდეგ იყო უსტ-კამენეგორსკის ციხესიმაგრის (ყაზახეთი) კომენდანტი.

მ. გოგიტიძე.



ერისთავის ვარდისფერი.

ერისთავი შალვა (გ. 24. II. 1921, ტაბახმელა), იუნკერი, ტაბახმელის ბრძოლის გმირი. ე. ირიცხებოდა ქართ. სკოლაში, იუნკერთა ქვეით ასეულში. 1921 იბრძოდა იუნკერთა რიგებში თბილ. მისადგომებთან რუს. მე-11 არმიის წინააღმდეგ. 24 თებ. ტაბახმელაზე გაფთრებული იერიში მიიტანეს რუსმა ჯარისკაცებმა. ბრძოლის კრიტ. მომენტში სანგრებში შემოვარდნილი მტრის უკუსაგდებად კონტრიერიშზე გადასულ იუნკრებს გზა გადაუღობა რუსების ტყვიამფრქვევმა, რ-თანაც პირველი ე. მიიჭრა და ხიშტით განგმირა მემიზნე ოფიცერი. ორთა ბრძოლაში თავადაც დაიღუპა. *მ. წურწუმია.*



ა. ერისთავ-ხოშტარია.

ერისთავი შანშე (პავლე) იასეს ძე (1765–1831), რუსეთის იმპერიის არმიის პოლკოვნიკი. ქსნის ერისთავთა საგვარეულოდან. დ. შ. *ერისთავისა* და ე. შ. *ერისთავის* მამა. იყო გიორგი XII-ის *ელიკალასპაში*. 1800-იდან მსახურობდა დიდი შულავერის მოურავად. 1803-იდან ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი იყო. 1811 პირადად შეაიარაღა 200 კაცი და მოქმედებდა რუსებთან ერთად ლეკების წინააღმდეგ. ორჯერ აირჩიეს თბილ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად.

ერთგული სამსახურისათვის რუს. იმპ. პავლე I-მა დაუჯილდოვა ბრილიანტებით მოჭედილი ოქროს საათით და სათუთუნეთი, ალექსანდრე I-მა კი – ოქროს ხმლით და წმ. ანას II ხარისხის ორდენით.

მ. გოგიტიძე.

ერისთავის ვარდისფერი, ატმის ადგილობრივი სასუფრე ჯიში. გამოიყვანა ე. *ერისთავმა* გორის მეხილეობა-მებოსტნეობის სასწავლებლის სადგურში ხიდისთაური ვარდისფერისა და ოქროს იუბილეს შეჯვარებით. ხე ინტენსიურად იზრდება, უხვმოსავლიანია; ნაყოფი მსხვილია, ოვალური (ზოგიერთი ნისკარტიანი), სახრავი, არომატული. კანი მოყვითალო-მოთეთრო აქვს, ვარდისფრად შეფერილი; რბილობი – თეთრი, წვნიანი, მომჟავო-მოტკბო. საადრეო ჯიშია (მწიფს ივლ. II ნახ-ში). ფართოდაა გავრცელებული აღმ. საქართველოში. *მ. ერისთავი.*

ერისთავ-ფერეთელი ეკატერინე ივანეს ასული (დ. წ. უცნობია, სოფ. ქვეში, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 4. XII. 1870, იქვე, დაკრძალულია იკორთის ტაძარში), პოეტი. განათლება მიიღო ოჯახში. მისი ლექსები იბეჭდებოდა ,,ცისკარში'' (1852–73). უმეტესობა გამოქვეყნდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ: ,,უსტარი თ. გ. ერის(თავს)'', ,,ახალი დრო'', ,,ბორჯომზედ'', ,,თეთრო, სპეტაკო, ლამაზო'', ,,მუზნო მომართეთ'', ,,ალბომში'', ,,ოცნება'' და სხვ. ე.-ფ-ის ლირ. თხზულებანი, მიძღვნანი და საალბომო ლექსები ეპოქის დამახასიათებელი, სალონური, სუბიექტური განცდებითაა აღსავსე. გადმოსცემენ იმ დროის საზ. და პოლიტ. ვითარებას (,,კნ. მანანა ორბელიანის პორტრეტს'', ,,ვორონცოვის ძეგლს'').

ლიტ.: მეგრელიძე ი., წარწერები და სხვა სიძველეები იკორთაში, «მოამბე», 1963, №3; ნანიტაშვილი ლ., ჟურნალ ,,ცისკრის'' პოეტები, თბ., 1967; ხუციშვილი ს., ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, თბ., 1961.

ს. ხუციშვილი.

ერისთავ-ხოშტარია ანასტასია გიორგის ასული (3. 15. II. 1868, გორი, – 1. V. 1951, თბილისი), მწერალი და საზოგადო მოღვაწე. 1885 დაამთავრა გორის ქალთა პროგიმნაზია, დაბრუნდა მშობლიურ სოფ. ფცაში (ქარელის მუნიციპალიტეტი), დააარსა უფასო სკოლა და უსასყიდლოდ ასწავლიდა გლეხთა ბავშვებს. სხვადასხვა დროს მეუღლესთან, მწერალ დუტუ *მეგრელთან* (დიმიტრი ხოშტარია), ერთად ცხოვრობდა ყარსში, ოლთისში, ნახიჩევანში, ერევანში. 1910-იდან დასახლდა გორში. 1915 იქვე დააარსა ქალთა უფლებების დამცველი საზ-ბა ,,მანდილოსანი'' და პროპაგანდას უწევდა ხალხოსნურ იდეებს. 1885 ჟურნ. ,,ნობათში'' დაიბეჭდა მისი თარგმნილი ოსური ლეგენდა ,,ბესო'', ხოლო მოგვიანებით, 1893, გაზ. ,,კვალში'' ა. წერეთლის შუამდგომლობით გამოქვეყნდა მისი პირველი ორიგინ. მოთხრობა ,,ბატონებმა არ დაიწუნეს''; მას მალე მოჰყვა იმდროინდელი ქართ. სოფლის რეალისტური სურათებით მდიდარი ნაწარმოებები, რ-ებშიც მწერალმა წამოჭრა სოფლად გამეფებული ცრუმორწმუნეობის, უმეცრების, გლეხთა დუხჭირი ცხოვრების, ქალთა დაბეჩავებული მდგომარეობის, სამღვდელოების უზნეობის მწვავე პრობლემები (,,ლაზარემ გადააჭარბა'', ,,კამისია'', ,,მიწა'', ,,ეკლესიის გარშემო'' და სხვ.). 1896 ჟურნ. ,,მოამბეში'' იბეჭდებოდა ე.-ხ-ს პირველი რომანი ,,მოლიპულ გზაზე'', რ-შიც ღრმა დრამატიზმითაა წარმოჩენილი დალუპვის პირას მისულ თავადაზნაურთა ყოფა-ცხოვრება, მოლიბერალო და ფუჭად მოაზროვნე ინტელიგენციის ზნეობრივი სახე. ქალთა უფლებებს იცავს მწერალი რომან ,,ბედის ტრიალსა'' და მოთხრობა ,,კერაში''. მებრძოლი ქართვ. ქალის სახის ჩვენება ჰქონდა განზრახული დაუმთავრებელ რომანში ,,სალი''. ავტორია აგრეთვე საბავშვო მოთხრობებისა: ,,შეუბრალებელი'', ,,პატარა მკურნალი'', ,,ფელამუში'', ,,პატარა ნებიერი'' და სხვ. ე.-ხ-მ დიდად შეუწყო ხელი ქართ. ლიტ-რაში რომანის ჟანრის დამკვიდრებას.

თხზ.: თხზულებანი, ტ. 1–3, თბ., 1952–61.

ლიტ.: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 5, თბ., 1982; ჭილაია ს., უახლესი ქართული მწერლობა, თბ., 1972. *ა. მირიანაშვილი.*

ერისიმედი, სოფელი სიღნაღის მუნიციპალიტეტის ჯუგაანის თემში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის სამხრ.-აღმ-ით. ზ. დ. 400 *მ.* 340 მცხ. (2002).

,,ერისიონი'', ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ერთ-ერთი უძველესი ანსამბლი საქართველოში. ანსამბლს ,,ერისიონი'' ეწოდა 1999 [ერისიონი – ცისიერი, მთის თავს ზეითი (საბა)]. ამ სახელწოდებით ანსამბლმა თავისი შემოქმედებითი განვითარების ახ. ეტაპი დაიწყო, ტრიუმფით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა და საერთაშ. აღიარება მოიპოვა. დაწვრილებით იხ. სტ.

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი ,,ერისიონი''.

ერისმთავარი, ქართლის ფეოდალური სახელმწიფოს მეთაური VI–IX სს-ში. წყაროებში გვხვდება ამ ტერმინის სხვადასხვა ვარიანტი: ერისთავი, ერისთავთა მთავარი, მთავარი და სხვ. ირანელების მიერ ქართლში მეფის ხელისუფლების გაუქმების (VI ს. 30-იანი წლები) შემდეგ, VI ს. II ნახ-იდან, ქართლის სახელმწიფოს მეთაურს ეწოდებოდა არა მეფე, არამედ ე. მათ ჰქონდათ ბიზანტ. ტიტულებიც: *კურაპალატი* (პირველი ერისმთავარი – *გუარამი*), პატრიკიოსი (მომდევნო ერისმთავრები), ვიპატოსი (ე-ის სახლის წევრები). ე-ის ხელისუფლება არსებითად განსხვავდებოდა მეფის შეუზღუდავი ხელისუფლებისაგან, თუმცა ისინი თავიანთ თავს სამეფო ტახტის მფლობელებად მიიჩნევდნენ. ფეოდალურ იერარქიაში ე. იყო პირველი თანასწორთა შორის და არა თვითმპყრობელი. მისი ხელქვეითი ერისთავები, რ-ებსაც ზურგს უმაგრებდნენ ბიზანტ. და ირან. დამპყრობლები, ფაქტობრივად ნახევრად დამოუკიდებელი ხელისუფლები იყვნენ. VI–VII სს-ში ე-ები აღიარებდნენ ხან ბიზანტიის კეისრის, ხან ირანის შაჰის, ხოლო VII–VIII სს-ში – არაბ. ხალიფის უზენაესობას. ყოველთვის, როცა იქმნებოდა საამისოდ ხელსაყრელი ვითარება, ქართლის ე-ები ცდილობდნენ დამოუკიდებლობის მოპოვებას. არსებობს ე-ების მიერ მოჭრილი ვერცხლის მონეტები (ე. წ. ქართ.-სასანური მონეტები, VI ს. ბოლო – VII ს. დასაწყისი). იმისდა მიხედვით, თუ როგორ თავისუფლდებოდა ქართლი ირანის დამოკიდებულებისაგან, იცვლებოდა მონეტის ტიპიც, თანდათან მატულობდა ქართ.-ქრისტ. ელემენტი (ქართული წარწერა – ერისმთავრის სახელი, ჯვარი) და იკლებდა ირან.-მაზდეანური ელემენტი (ცეცხლის ალი, შაჰის გამოსახულება, ფალაური წარწერა).

პირველმა ე-მა გუარამმა ქართლი გააერთიანა და მისი საზღვრები კიდევ უფრო განავრცო. წყაროთა მიხედვით, მანვე ჩაუყარა საფუძველი მცხეთის ჯვრის ტაძარს, რ-იც მისმა ძემ *სტეფანოზ I-მა* (VI ს. დასასრ. – VII ს. დასაწყ.) დაასრულა ,,მცველად ყოვლისა ქართლისა''. მცხეთის ჯვრის ფასადებზე შემოგვრჩა სტეფანოზის, მისი ძმის – დემეტრეს, ვაჟის – *ადარნასესა* და შვილიშვილის – ქობულსტეფანოსის რელიეფური ქანდაკებები ასომთავრული წარწერებით. მცხეთის ჯვრის გავლენა მეტად დიდი იყო მთელ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. დამკვიდრდა მცხეთის ჯვრის კულტი. VII ს. დასაწყისში ირანმა გააძლიერა შეტევა ქართლზე, სადაც ცდილობდა მონოფიზიტობის დამკვიდრებას. ქართლში ამ დროს დიოფიზიტობას მტკიცედ იცავენ ერისმთავარი ადარნასე და კათოლიკოსი *კირონ* (კ ი რ ი ო ნ) *I*. ამას შედეგად მოჰყვა საეკლესიო განხეთქილება ქართლსა და სომხეთს შორის (606–608). ირანმა აიძულა კირიონი, დაეტოვებინა ქართლი და ეგრისში გახიზნულიყო, ხოლო ადარნასეს ძალაუფლება ძლიერ შეზღუდა, როგორც ჩანს, თბილისიც ჩამოართვა და იქ თავისი გარნიზონი ჩააყენა. მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ამ პერიოდში ადარნასემ დატოვა ქართლი და კახეთში გადავიდა, თუმცა ეს მოსაზრება წყაროებით არ დასტურდება. ჰერაკლე კეისრის ლაშქრობათა შედეგად (627–628) ადარნასემ კვლავ განიმტკიცა ხელისუფლება, გათავისუფლდა ირანის ბატონობისაგან და დაუკავშირდა ბიზანტიას. სომეხი ისტორიკოსის *მოვსეს კალანკატვაცის* ცნობით, მან კეისრისაგან სამმაგი ბიზანტ. ტიტული მიიღო. ე-თა რეზიდენცია თავდაპირველად მცხეთაში იყო, ხოლო შემდეგ – თბილისში.

არაბ. ბატონობის ხანაში ე-ის ხელისუფლება დაკნინდა, განსაკუთრებით კი *მურვან-ყრუს შემოსევის* (VIII ს. 30-იანი წლები) შემდეგ, როდესაც დამპყრობლებმა თბილისში არაბი ამირა დასვეს და ე-ს დაუპირისპირეს. ე-ები არაერთხელ აჯანყდნენ არაბ. წინააღმდეგ (VII ს. 80-იან წლებში – ნერსე I, VIII ს. 70-იან წლებში – ნერსე II, VIII ს. ბოლოს – აშოტ ადარნასეს ძე და სხვ.) – ზოგჯერ წარმატებით, ზოგჯერ წარუმატებლად.

ე-თა დინასტიურ კუთვნილებაზე წყაროებში სამი განსხვავებული ცნობა გვაქვს: *ჯუანშერის* ცნობით, პირველი ე. გუარამი (VI ს.) იყო ქართლის მეფეთა ნათესავი – *ვახტანგ I* გორგასლის შვილიშვილი ქალის ხაზით (დისწული ვახტანგის ძის მირდატისა); *სუმბატ დავითის ძის* ცნობით კი, გუარამი იყო დედით ხოსროიანი, ე. ი. ქართლის მეფეთა შთამომავალი, ხოლო მამით – ბაგრატიონი. სინას მთაზე ახლად აღმოჩენილი ხელნაწერის (№/Sin–50) ჩანართით ბაგრატიონთა საგვარეულოს აღზევებას სათავე დაუდო გუარამის შვილიშვილის ლატავრას (ადარნასეს და, დასაფლავებულია ჯვრის მონასტერში ასულთან და ძმისწულთან ერთად) გათხოვებამ ამ საგვარეულოს წარმომადგენელზე. როგორც ჩანს, ქართლის ე-ის სახელო თანდათანობით ბაგრატიონთა ხელში გადავიდა. ქართლის უკანასკნელსლ ე-ად და პირველ ქართვ. ბაგრატიონად თანადროულ წყაროში ჩანს აშოტ ადარნასეს ძე (იხ. *აშოტ I* დიდი კურაპალატი), სწორედ ამ აშოტის აჯანყებით დასრულდა ქართლში ერისმთავრობა. იგი აჯანყდა, გაექცა არაბებს, ბიზანტიის მფარველობით დაემკვიდრა კლარჯეთში და იქ შექმნა ახ. ქართ. სახელმწიფო, რ-ის მეთაური 888-იდან იწოდებოდა ,,ქართველთა მეფედ''.



ბ. ერისტოვი (ერისთავი).

ქართლის ე-თა სია: VI ს. – გუარამი, გურგენი, ჯუანშერი, სტეფანოს I; VII ს. – სტეფანოს I, ადარნასე, სტეფანოს II, ვარაზბაკური, ნერსე; VIII ს. – მირი, არჩილი, იოვანე, ჯუანშერი, ადარნასე, ნერსე, სტეფანოს III, სტეფანოს IV, აშოტ I.

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., ტ. 1, თბ., 1960; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ეპისტოლეთა წიგნი, ზ. ალექსიძის გამოც., თბ., 1968.

ლიტ.: ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე ა., ქართლის ფეოდალური სახელმწიფოს აღდგენა, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; დ უ ნ დ უ ა გ., ე. წ. ქართულ-სასანური მონეტების პრობლემა და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტ. სერია, 1976, №1, №3; ქართლის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარება VI–VIII სს-ში, თბ., 1979; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1960 (თხზ. 12 ტომად, ტ. 1, თბ., 1979).

ზ. ალექსიძე. ნ. შოშიაშვილი.

ერისტოვი (ე რ ი ს თ ა ვ ი) ბესარიონ სარდიონის ძე [24. I (6. II). 1905, თბილისი, – 11. XI. 1975, მოსკოვი], ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი. პროფესორი (1963), ტექ. მეცნ. დოქტორი (1968), რუს. დამს. მშენებელი (1970). II მსოფლიო ომის მონაწილე, პოლკოვნიკ-ინჟინერი. დაამთავრა ლენინგრადის მიმოსვლის გზათა ინჟინრების ინ-ტი (1928). მონაწილეობდა რიონჰესის, დნეპრჰესი I-ის,

ნოვოსიბირსკის ჰესის, ხრამჰესის (სტალინური პრემია, 1951), დნეპრჰესი 2-ის და თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობაში. 1963-იდან იყო მოსკ. ვ. კუიბიშევის სახ. საინჟ.-სამშ. ინ-ტის ჰიდროტექ. სამუშაოთა კათედრის გამგე. მისი სამეცნ. შრომები ეხება უმთავრესად ჰიდროტექ. მშენებლობის საკითხებს. თანამშრომლობდა ,,თბილჰიდროპროექტთან'', ,,საქჰიდროენერგომშენთან'' და ნაგებობებისა და ჰიდროტექ. დანადგარების საქართველოს სამეცნ.-კვლ. ინ-ტთან. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Производство гидротехнических работ, М. , 1970 (თანაავტ.).

ლიტ.: Чоговадзе Г. И., Выдающийся ученый – В. С. Эристов, Тб., 1982.



დ. ერმაკოვი.

ერისწყალი, დიდი ერისწყალი, მდინარე დას. საქართველოში, გალის მუნიციპალიტეტში. ოქუმის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 75 *კმ*, აუზის ფართ. 296 *კმ*^{2}. სათავე აქვს ოხაჩქუეს კარსტული მასივის სამხრ.-აღმ. კალთის ძირში, ზ. დ. 800 *მ* სიმაღლეზე. გამოედინება ერთიშის მთიდან, ამიტომ ეწოდებოდა ერთიშწყალი, რაც დროთა განმავლობაში ე-ით შეიცვალა. საზრდოობს წვიმისა და მიწისქვეშა კარსტული წყლით. გაზაფხულზე იცის ხანმოკლე წყალდიდობა, წელიწადის სხვა დროს – წყალმოვარდნები. საშ. წლ. ხარჯი 12,0 $მ^3/წმ$. ე-ის შენაკადებია რთომისწყალი, პატარა ერისწყალი, რეჩხი და სხვ. ე-ზე, სოფ. რეჩხთან, აგებულია *გალის წყალსაცავი.* *ი. აფხაზავა.*

ერისთავი (ერისთოვი) ალექსანდრე დავითის ძე (24. X. 1841, თბილისი, – 21. II. 1902, იქვე), სომეხი ისტორიკოსი, არქეოლოგი. სწავლობდა თბილ. ნერსესის სას.-საერო სასწავლებელში, შემდეგ – რუს. გიმნაზიაში. 1866–67 გ. ტ. ალექსანდრიანთან ერთად გამოსცემდა გაზეთ ,,ვაჭარაკანს'' (ვაჭარი). თანამშრომლობდა თბილისში გამომავალ სომხ. ჟურნალ-გაზეთებთან: ,,კრუნქ ჰაოც აშხარჰ'' (,,სომხეთის ქვეყნის წერო''), ,,მეღუ ჰაიასტან'' (,,სომხეთის ფუტკარი''), აგრეთვე რუსულენოვან ,,Кавказ''-ში და სხვ. აგროვებდა და აქვეყნებდა XIX ს. კავკ. ხალხთა სოც.-ეკონ., ისტ. მასალებს. პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული წერილებიდან ქართ.-სომხ. ისტ. ურთიერთობის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს მისი წერილები: ,,ახტალის მონასტერი'', ,,გრაფ ლორის-მელიქიანის გვარტომობისათვის'', ,,თბილისელი სომხები და მისი სტატისტიკა'' და სხვ. ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, უერთდებოდა სომეხ პუბლიცისტ-პოლიტიკოსების ერთი ნაწილის მიერ გაშლილ იმ კამპანიას, რ-იც საქართველოში სომეხთა მექან. სიმრავლის შექმნით ცდილობდა ქართ. მიწებზე თავისი ,,ისტორიული უფლების მტკიცებას''. მათ აღწერეს ქართლ-კახეთის სომხებად მიჩნეული მოსახლეობა და სია ჟურნ. ,,მურჭში'' (,,ურო'') გამოაქვეყნეს, უწოდეს რა ამ მოსახლეობას ,,ვრაც ხოს ჰაიოც'' ქართულად მოლაპარაკე სომხები. რამდენადაც მოკამათე სომხ. მხარისათვის მთავარი იყო თბილისსა და აღმ. საქართველოში სომეხთა სიჭარბის შთაბეჭდილების შექმნა, ყველა ტრიბუნიდან, ხელაღებით, უარყოფდნენ როგორც ქართვ. კათოლიკეების, ისე სომხ. სარწმუნოების მქონე ქართველთა კრებულის არსებობის ფაქტსაც კი. ე-ის წერილში სომხ. სარწმუნოების ქართველთა საზ-ბა მთლიანად იყო მიკუთვნებული სომხ. ეთნოსს.

ლიტ.: Ерицев А., Раскопки на Дигомском могильнике, Труды Предварительного комитета V археологического съезда, М., 1879. *გ. მაისურაძე.*

ერკეთი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზემო ერკეთისა და ქვემო ერკეთის* გავრცელებული სახელწოდება.

ე-ში ადამიანის ცხოვრების კვალი წინაკლასობრივი ეპოქიდან დასტურდება. შემდგომ პერიოდში ცალკე ,,ქვეყნის'' ცენტრად ჩამოყალიბდა. მოგვიანებით ე. შევიდა გურიის საერისთავთერისთავოში, ხოლო გვიანდ. შუა საუკუნეებში აღმ. გურიის ერისთავთა (შერვაშიძეთა) სამფლობელო გახდა.

ოსმალთა მოძალების დროს (XV–XVI სს.) ზემო ე-ში დასახლდნენ სამხრ. საქართველოდან გადმოსული ლტოლვილები (გიორგაძეები, მგალობლიშვილები და სხვ.).

XIX ს-ში რუს. მმართველობის შემოღებიდან სოფ. ჩოხატაურის საპოლიციო უბანს მიეკუთვნა. XIX ს. 70-იან წწ-ში ზემო ე. აერთიანებდა ბუკისციხეს, ზოტს, იანეულს, ნაბეღლავს, თანჭიქედს, საყვავისტყეს, ქვაბლიას, ხევს, ჩხაკოურას, სულ 645 კომლი მოსახლეობით. სამამასახლისოს ცენტრი იყო ე.

XIX ს. 70-იან წლების დასასრულს ზემო ე-ში დაარსდა სამრევლო სკოლა, ხოლო 1891 – ორკლასიანი სამონასტრო სკოლა.

ლიტ.: უჯმაჯურიძე ა., სოფელ ერკეთის ისტორიიდან (1861–1905 წწ.), «თსუ შრომები», 1982, ტ. 227.

ფ. სიხარულიძე.

ერკერტი (Erckert) რიხარდ (1830–1900, ბერლინი), გერმანელი მკვლევარი. მსახურობდა რუსეთში. იყო სამხ. პირი – გენ.-ლეიტენანტი. აქვს ეთნოგრ. და ენათმეცნ. შრომები. მონოგრაფია ,,კავკასია და მისი ხალხები'' (1887) შეიცავს ეთნოგრ. ცნობებს კავკ. ხალხთა შესახებ, კავკ. ენათა ლექსიკურ მასალას. მეორე შრომა ,,კავკასიური ძირის ენები'' (1895) გამოცემულია ორ ტომად. მასში 545 სიტყვაა თარგმნილი თითქმის ყველა კავკ. ენაზე, მოცემულია ცალკეული ფრაზები და თითოეული ენის მოკლე გრამატ. მიმოხილვა.

ლიტ.: ჩიქობავა ა., იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის ისტორია, თბ., 1965; Ган К., Труды Р. Ф. фон-Эркерта, «Известия Кавк. отдела Рус. геогр. об-ва», 1901, кн. 14, ч. 2.

გ. თოფურია.

ერმაკოვი დიმიტრი ივანეს ძე [1846, თბილისი, – 28. X(10. XI). 1916, იქვე], ფოტოხელოვანი, მხატვარი, კოლექციონერი. ფოტოგრაფირება დაიწყო 1866-იდან. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართვ. ერის მატერ. კულტ. ძეგლების შესწავლის, შეკრებისა და ფიქსირების საქმეში. 1870 რუს. გეოგრ. საზ-ბისათვის ტრაბზონიდან (თურქეთი) პეტერბურგში გაგზავნა თორთუმის ოლქში გადაღებული სურათები, ეს არის სამხრ. საქართველოში არსებული ქართ. ხუროთმოძღვრული ძეგლების პირველი ფოტოფიქსაცია. 1880 თბილისში, სასახლის ქუჩაზე (ახლანდ. შოთა რუსთაველის გამზირი) გახსნა ფოტოატელიე. 1897 აირჩიეს ნატიფ ხელოვნებათა წამახალისებელი კავკ. საზ-ბის წევრ-კორესპონდენტად, 1912 – ამავე საზ-ბის დამფუძნებელ წევრად, 1907 – მოსკ. არქეოლ. საზ-ბის კავკ. განყ-ბის წევრად. 1910 მონაწილეობდა ე. თაყაიშვილის მიერ მოწყობილ ლეჩხუმ-სვანეთის ექსპედიციაში, გადაიღო 900-მდე ფოტოსურათი (მ. შ. იყო ის ძეგლებიც, რ-ებიც შემდგომ განადგურდა). ე-მა განსაკუთრებული სიყვარულითა და მაღალი პროფესიონალიზმით ასახა ფოტოფირებზე ძვ. თბილ. ხედები, ქუჩები, მოედნები, ცალკეული შენობა-ნაგებობანი, დუქან-სახელოსნოები, საზ-ბის სხვადასხვა ფენის წარმო-



დ. ერმაკოვი. სასტუმრო ,,კავკაზი''. თბილისი. 1900.

მადგენლები. მისი ნამუშევრები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყ. ქართ. ყოფაზე. ე-ის ფოტონეგატივები დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმსა და შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმში.

ლიტ.: ინასარიძე შ., საქართველოს მესურათხატენი, თბ., 2002; Герсамия Т., Творческое наследие Дмитрия Ермакова, «Советское фото», 1985, №12; მისივე, Dmitry Jermakov, Zeitzeugnisse einer vergangenen Epoche, «Photographie», 1987, №10.

თ. გერსამია. ზ. შავიანიძე.

ერმანი, ჯავის მუნიციპალიტეტის სოფლების *შუა ერმანისა* და *ქვემო ერმანის* გავრცელებული სახელწოდება.

ე. მდებარეობს მდ. დიდი ლიახვის სათავეში, ისტ. მაღრან-დვალეთში. ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე ,,*ძეგლი ერისთავთა*'' (XIV ს.) სოფელს უწოდებს ,,ერემანის'', ხოლო ი. *გიულდენშტედტი* (XVIII ს.) – ,,ერემას''. შუა საუკუნეებში ე. მაღრან-დვალეთთან ერთად შედიოდა ქსნის საერისთავოს შემადგენლობაში. შემორჩენილია გვიანდ. შუა საუკ. ოთხკუთხა გეგმით ნაგები კოშკები. ე. მდიდარია მინერ. წყლებით. *ჯ. გვასალია.*

ერმანის ძეძი, ქედი ჯავის მუნიციპალიტეტში, *გერმუხის* ქედის ჩრდ.-აღმ. მონაკვეთი, მწვერვალებს მანგაავცაგსა და ქნოლოს შორის, მდინარეების პატარა ლიახვისა და ერმანისწყლის (ლიახვის მარცხ. მდგენელი) წყალგამყოფი. აგებულია ზედაიურული კირქვებით, მერგელებითა და მერგელიანი ფიქლებით. ე. ქ-ის კალთაზე შემორჩენილია მეოთხეული გამყინვარების ნიშნები: ცირკები, ტროგები და მორენები. კალთები და თხემი შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით. *ს. ნემანიშვილი.*

ერმანისწყალი, მდინარე ჯავის მუნიციპალიტეტში, ლიახვის მარცხ. მდგენელი (ერთვის სოფ. ზლუბირთან). სიგრძე 16 *კმ*, აუზის ფართ. 75 *კმ*^{2}. სათავე აქვს ხარულისა და ერმანის ქედების შესაყართან. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის მაის-ივნისში, წყალმცირეა ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 3,16 *მ*^{3}*/წმ*. *ი. აფხაზავა.*

ერმიტაჟი (ფრანგ. ermitage – განდეგილის სავანე, განმარტოებული ადგილი < ermite – განდეგილი), მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სამხატვრო და კულტურულ-ისტორიული მუზეუმი სანქტ-პეტერბურგში. თავდაპირველად ე. ეწოდებოდა რუს. დედოფალ ეკატერინე II-ის დროს ზამთრის სასახლეში მონარქისა და მისი დაახლოებული პირების დასვენება-გართობისათვის განკუთვნილ პავილიონსა და ნაგებობებს.

ე-ის, როგორც მუზეუმის, ისტორია XVIII ს. 60-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც 1764 ეკატერინე II-მ ბერლინელი ვაჭრის გოცკოვისაგან სურათების პირველი კოლექცია შეიძინა. შემდეგ მას მიემატა ბრიულის (1769), კროზის (1772), ვალპოლის (1779) კოლექციები. ხელოვნ. ნიმუშთა შერჩევა-შეგროვებაში რუს. დედოფალს ეხმარებოდნენ ფრანგი განმანათლებელი დ. დიდრო, მოქანდაკე ე. მ. ფალკონე, რუს. ელჩი პარიზში თავადი დ. გოლიცინი და სხვ. სპეც. აგენტები რუს. ელჩის მეშვეობით საზღვარგარეთ იძენდნენ ვერცხლისა და ფაიფურის ნაკეთობებს. ხელოვნ. ნაწარმოებთა ნაწილი მთავრობის სპეც. დაკვეთით მზადდებოდა. ექსპონატები რუსეთში განსაკუთრებული სიფრთხილითა და სპეც. მოწყობილობის გამოყენებით, ზოგჯერ ხელითაც კი ჩამოჰქონდათ. პეტერბურგის ე-ის კოლექცია ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო და ეკატერინე II-ის პირად საკუთრებად ითვლებოდა.

კოლექციის ზრდის გამო საჭირო გახდა სპეც. ნაგებობების აშენება. 1764–75 არქიტექტორების ჟ. ბ. ვალენ-დელამოტისა და ი. მ. ფელტენის პროექტებით აიგო ე. წ. მცირე ე. კიდული ბაღებითა და ორი გალერეით, აგრეთვე მეორე შენობა სანაპიროს გასწვრივ. 80-იან წლებში კომპლექსს საერმიტაჟო თეატრის შენობაც დაემატა (არქიტ. ჯ. კვარენგი). ყველა ნაგებობა ერთმანეთს გალერეებით უკავშირდებოდა.

XIX ს. დასაწყისში ე. არქეოლ. გათხრებით მოპოვებული მასალით გამდიდრდა. ამავე საუკუნის 50-იან წლებში ეკატერინესეული ე-ის ნაგებობებს შეემატა დიდი სამუზეუმო შენობა – ახალი ე. (არქიტექტორები ლ. ფონ კლენცე და ვ. სტასოვი), რ-იც შიდა გადასასვლელებით ზამთრის სასახლესა და ე-ის ძვ. ნაწილს უკავშირდებოდა. XIX ს. II ნახ-ში ე-ს იტალ. კოლექციონერის მარკიზ კამპანას კუთვნილი ანტ. ხელოვნ. ნაწარმოებთა უნიკალური კოლექციის ექსპონატები შეემატა.

1852-იდან რუს. საზ-ბის მაღალ ფენებს ე-ის დათვალიერების შესაძლებლობა მიეცა (შესვლა მხოლოდ ფრაკებითა და მუნდირებით შეიძლებოდა). მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ე-ის კარი 1866-იდან გაიღო. 1911 ე-ს გადაეცა სასახლის ფაიფურის კოლექცია და ძვირფასეულობა.

რუს. რევოლუციების დღეებში ზამთრის სასახლისა და ე-ის განძეულობათა გადარჩენაში აქტ. მონაწილეობა მიიღო ზამთრის სასახლის კომენდანტმა, თავადმა ი. *რატიშვილმა*, რის გამოც მას ,,ამხანაგი თავადი'' უწოდეს. ასე მიმართავდა მას ვ. ლენინიც.

საბჭ. ხელისუფლების პირველ წლებში მუზეუმი გამდიდრდა იუსუპოვების, მიატლევების, დურნოვების, ოლდენბურგების, შუვალოვების, სტროგანოვების კერძო კოლექციების ნაციონალიზაციის შედეგად. ე-ს გადაეცა ზამთრის



ერმიტაჟი. ინტერიერი. სანქტ-პეტერბურგი.

სასახლის საიმპერატორო მუზეუმისა და სხვა კოლექციები, აგრეთვე ზამთრის სასახლის დიდი ნაწილი. დღეისათვის კოლექციის უნიკალობითა და სიმდიდრით Ე. მსოფლიოს უდიდესი მუზეუმების – ლუვრის (პარიზი), ბრიტანეთის მუზეუმის (ლონდონი), პრადოს (მადრიდი) – გვერდით დგას. აქ დაცულია ხელოვნ. შესანიშნავი ძეგლები: იტალ. ე. წ. ,,მაღალი რენესანსის'' (XV ს. II ნახ. – XVI ს. დასაწყ.) შედევრები (რაფაელი, ჯორჯონე, ტიციანი, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო და სხვ.); XVII ს. ფერწერა (ელ-გრეკო, ხ. რიბერა, დ. ველასკესი, ბ. ე. მურილიო და სხვ.); XVII–XVIII სს. საფრ. ხელოვნება (ნ. პუსენი, ა. ვატო, ჟ. ბ. შარდენი და სხვ.); XVIII ს. ინგლ. ფერწერა (ჯ. რეინოლდზი, ტ. გეინზბორო); ჰოლანდ. და ფლამანდიური ფერწერა (რემბრანდტი, პ. პ. რუბენსი, ა. ვან დეიკი). ფართოდაა წარმოდგენილი XIX–XX სს. ევრ. სახვ. ხელოვნება. განსაკუთრებულია ფაიფურისა და ვერცხლის ნაკეთობათა კოლექცია, საეკლ. ნივთები, მინანქარი, მედალიონებისა და მონეტების (დაახლოებით 1 მლნ. ერთეული) კოლექციები. Ე-ში წარმოდგენილია აგრეთვე ბიზანტ., შორეული და მახლობელი აღმოსავლეთის, შუა აზიისა და კავკასიის ქვეყნების კულტურა.

Ე-ის თანამშრომლები რთულ სამეცნ.-საგანმან. მუშაობას ეწევიან (სამუზეუმო ექსპონატების მოძიება, მათი წინასწარი დამუშავება, კარტოთეკების შედგენა; საგამოფენო დარბაზებსა და საცავებში შესაბამისი პირობების დაცვა; სარესტავრაციო სამუშაოები; ექსპონატების განლაგება დარბაზში, ცალკეული გამოფენების მოწყობა; ლექციები, ექსკურსიები, კონფერენციები; საერთაშ. სამუზეუმო კავშირები; ხელოვნებათ- და მუზეუმთმცოდნეობით ნაშრომთა შექმნა და გამოცემა; სხვადასხვა გზამკვლევისა და საგამოფენო კატალოგების მომზადება და სხვ.).

Ე-ის ხელოვნ., და კულტ. ძეგლთა ქართული კოლექციაში 200-ზე მეტი ექსპონატია წარმოდგენილი. ქართ. კოლექციას საფუძვლად დაედო XIX ს. 80-იან წლებში რუს. მეცნ. აკადემიიდან გადმოტანილი ორი მოოქროვილი ვერცხლის ზოდი – სახარებათა ყდის თავსაბურავები და თეფშის ფრაგმენტი.

1924 კოლექცია მნიშვნელოვნად შეივსო ჭედური ხელოვნების ნიმუშებით ბარონ ა. შტიგლიცის ხატვის ცენტრ. ტექ. სასწავლებლის მუზეუმიდან, 1927 კი – მ. ბოტკინის კუთვნილი კოლექციიდან (ჭედურობა, მინანქარი). XX ს. 50-იან წლებში საქართვ. ხელოვნ. მუზეუმმა Ე-ს საჩუქრად გადასცა დმანისის არქეოლ. გათხრებში მოპოვებული კერამ. ნაკეთობათა ფრაგმენტები (1951) და მოჩუქურთმებული ქვის ძეგლები (1955). უკანასკნელად Ე-მა ქართ. ძეგლები XVII ს. სპილენძის ტაშტი და დოქი კოლექციონერ ს. ხანუკაევისაგან შეიძინა.

ქართ. არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ქვაზე ნაკვეთი ჩუქურთმა Ე-ში წარმოდგენილია V–XIII სს. ძეგლებით: ავკვეთის ფრიზის ფრაგმენტი (X–XI სს.), გუდარეხის ეკლესიის საკურთხევლის 3 ფრაგმენტი (XIII ს.), საკურთხევლის კაპიტელი სოფ. მერიის დარბაზული ეკლესიიდან (XII–XIII სს.), ცხვრის ფიგურა ყინწვისიდან (XII ს.) და არწივის გამოსახულებიანი ქვის ფილა ანანურიდან (XVI ს.). საკურთხევლის ფილების ჩუქურთმა მდიდრულია და ნატიფად შესრულებული. ფორმების განზოგადებითა და მონუმენტურობით გამოირჩევა ცხვრის და არწივის გამოსახულებანი.

შუა საუკუნეების ქართ. მონუმენტურ ფერწერაზე წარმოდგენას იძლევა ორიგინალის ზომის ფრესკის ასლები: ერთი – ბეთანიის მონასტრიდან (XII ს.) თამარ მეფის, გიორგი III-ისა და ლაშა გიორგის გამოსახულებებით; მეორე – მთავარანგელოზ გაბრიელის ფრესკა წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესიიდან (XIV ს. დასასრ.).

მოზაიკის რთული ხელოვნება Ე-ში წარმოდგენილია წრომის ტაძრის მოზაიკის ფრაგმენტებით (შეძენილია 1941 ა. გ. კობახიძისაგან).

შუა საუკუნეების ქართ. კერამიკა წარმოდგენილია ვირუბოვისა და ა. მილერის ყოფილი კოლექციების მიხედვით. მუზეუმში ინახება დმანისში (XII ს.) აღმოჩენილი მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები, რ-ებიც მიუთითებენ ჭურჭლის დამზადებისა და მორთულობის მაღალ ტექნიკაზე.

Ე-ში წარმოდგენილია X–XVIII სს. ქართ. ჭედური და მინანქრული ხელოვნ. საუკეთესო ნიმუშები. ოქროზე ტიხრული მინანქრით შესრულებულ XII ს. მედალიონზე გამოსახულია წმ. გიორგი, რ-საც მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს, მარცხენაში კი – ხმალი. ნათელი ფერები და ახალგაზრდა მეომრის



ერმიტაჟი. ფლამანდიური ფერწერის დარბაზი. სანქტ-პეტერბურგი.

გამოსახულების თავისებური გააზრება განასხვავებს მას ბიზანტ. და რუსი ოსტატების მინანქრული ნაკეთობებისგან.

1749 დათარიღებული ოქროს მინანქრის მედალიონზე, ყვავილებისა და ჩიტების ფონზე, გამოსახულია ქალის პორტრეტი, მეორე მხარეს კი – ორთავიანი არწივი. ქალის გამოსახულებას ირგვლივ შემოუყვება ქართ. წარწერები, საიდანაც ირკვევა მედალიონის დამზადების თარიღი და მისი მფლობელის ვინაობა (მოსე ჩალიანი). ექსპერტების აზრით, მედალიონი თბილისშია დამზადებული (იგრძნობა სპარსული ხელოვნების გავლენა).

ქართ. ჭედური მრავალრიცხოვანი ნიმუშებიდან აღსანიშნავია: ფიგურის ნაწილი (ჯუმათიდან; XI ს.) მთავარანგელოზ მიქაელისა, რ-საც მარჯვენა ხელში ხმალი უჭირავს; ივანე მონისძის ნამუშევარი (1040) ორი ფირფიტა, რ-ებზეც წმ. ათანასესა და წმ. გრიგოლის მთლიანი ფიგურებია გამოსახული (ორი ასეთი ფირფიტა წმ. ნიკოლოზისა და წმ. ბასილის გამოსახულებებით ინახება საქართვ. ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმში); ჯუმათის წმ. გრიგოლის მთლიანი ფიგურები; ჯუმათის წმ. გიორგის ხატის ჩარჩოს მედალიონები, რ-ებზეც მოცი-ქულები პეტრე და პავლეა გამოსახული; ზარზმის ფერისცვალების ხატის (886) ჩარჩოს 5 ფრაგმენტი (ჯვარცმა, ამაღლება, ლაზარეს აღდგინება და მცენარეული ორნამენტებით შემკული 2 ფირფიტა); მიძინების კომპოზიციის მარცხენა ნაწილი ლაკლაკიძის ღვთისმშობლის ხატის მოჭედილობაზე. ორნამენტულობის შესანიშნავი ნიმუშია XII ს. სინის ნაწილი (დანარჩენი ნაწილები დაცულია საქართვ. ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმსა და მოსკ. ისტ. სახელმწ. მუზეუმში). ამავე დროით თარიღდება ვერცხლის საწინამძღვრო დიდი ჯვარი.

ისტ.-მხატვრული ღირებულებისაა შემოქმედის დაკარგული ტრიპტიქონის გადარჩენილი ფრაგმენტი, რ-ზეც გამოსახულია ,,ჯოჯოხეთის წარტყუევნა'' (ცნობილი ოსტატი მამნე ოქრომჭედელი, XVI ს.). დაახლოებით XVI ს-ით თარიღდება ვერცხლის ხატი, რ-ზეც მაღალი რელიეფით შესრულებულია სცენა ,,წმ. გიორგი ლახვრავს გველეშაპს''. წმინდანის თავი თეთრი აქატისაა და ჩასმულია ვერცხლის ფირფიტაში, შარავანდედი შემკულია ნახევრად ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით.

Ე-ში ფართოდ არის წარმოდგენილი XVIII ს. დასასრ. და XIX ს. I ნახევრის თბილისელი ოსტატების ნაწარმი: ვერცხლისა და ბრინჯაოს თასები, დოქები, აზარფეშები, ყანწები, ქამრები, ტაშტები, სხვადასხვა სამკაული, ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი. ნივთები შემკულია მდიდრული მცენარეული ორნამენტებით, ცხოველებისა და ადამიანების გამოსახულებებით. როგორც წესი, ნივთებზე არის დამღები და ამოკვეთილი წარწერები, რაც ფასეულია როგორც ისტ. წყარო. ქართ. ჭედური ხელოვნების გვიანდ. ნიმუშია მაცხოვრის ხატი, რ-იც 1911 იმპ. ნიკოლოზ II-ს საჩუქრად მიართვეს. ხატი შესრულებულია უკანასკნელი ქართვ. მეფის, გიორგი XII-ის, დაკვეთით 1780 წ. 30 ნოემბერს, მისი მემკვიდრედ ყოფნის ჟამს.

მუზეუმში ინახება XVI ს. ხეზე ამოკვეთილი მირქმის ხატი, რ-ზეც ღვთისმშობელსა და სვიმეონს შორის გამოსახულია ანთებული სანთელი. წარმოდგენილი სცენის ასეთი ვარიანტი მხოლოდ ქართ. ძეგლებში დასტურდება (მინანქარი, ჭედურობა). XVIII ს-ით თარიღდება ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრ. ნაშრომის ხელნაწერი ფერადი რუკებით. შემონახულია ერეკლე II-ის 1795 წ. აპრილში პერგამენტზე დაწერილი სიგელი, რ-ითაც მეფემ თბილისელი გალუსტოვების ოჯახს თავადის წო-

დება უბოძა. სიგელი ჩასმულია მდიდრულ დეკორირებულ ჩარჩოში, რ-ზეც გამოსახულია ალეგორიული ფიგურები და სამეფო გერბი.

მიუხედავად იმისა, რომ ე-ის ქართ. ძეგლთა კოლექცია მცირერიცხოვანია, ის მაინც იძლევა ზოგად წარმოდგენას შუა საუკუნეების საქართვ. კულტ. და ხელოვნ. მრავალფეროვნებასა და მაღალ დონეზე (განსაკუთრებით ჭედურობა, ქვაზე კვეთა, კერამიკა). უადგილობის გამო ქართ. ხელოვნ. ნიმუშები უკვე 30 წელია ფონდებშია გადანახული; ცალკეული ექსპონატები მხოლოდ დროებით გამოაქვთ გამოფენებზე.

ე-ის ქართ. ძეგლთა ნაწილის აღწერა გამოცემულია ლ. მიცკევიჩის, ი. ორბელის, ა. ბანკის, გ. ჩუბინაშვილის, რ. ყენიას, კ. რატიანის, ა. კოკოვკინის და სხვათა შრომებში.

აღსანიშნავია, რომ ე-მა უსასყიდლოდ გადასცა შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმს (1953) V–VIII სს. კოპტური ქსოვილების ათი ფრაგმენტი, ტიხრული მინანქრის უმაღლესი ხარისხის ხუთი ნიმუში (1975).

ერმოლოვი ალექსი პეტრეს ძე [24. V (4. VI). 1777, მოსკოვი, – 11(23). IV. 1861, იქვე], კავკასიის მთავარმართებელი 1816–27. რუსი სამხ. და სახელმწ. მოღვაწე, ინფანტერიისა (1818) და არტილერიის (1837) გენერალი. 1791-იდან მსახურობდა არმიაში. მონაწილეობდა პოლონეთთან ომში (1794), სპარს. ლაშქრობაში (1796), საფრანგეთთან (1805–07) ომში, რუს. სამამულო ომში (1812). საზღვარგარეთის ლაშქრობების დროს (1813–14) იყო მოკავშირეთა არმიების არტილერიის უფროსი, 1816-იდან – იყო ,,საქართველოს ცალკეული კორპუსის'' (1820-იდან ,,კავკასიის ცალკეული კორპუსი'') მეთაური, მთავარსარდალი და ამავე დროს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანში. მთავარსარდლის სამხ.-ადმ. ფარგლებში შედიოდა მთელი ამიერ და იმიერკავკასია. კავკ. ცენტრს კი წარმოადგენდა თბილისი. როგორც სამხ. და სამოქალაქო ხელისუფალი, კავკასიაში ატარებდა მკაცრ კოლონ. პოლიტიკას. ხელმძღვანელობდა ჩრდ. კავკასიის დაპყრობას. მისი აზრით, ხალხის დასამორჩილებელი ერთადერთი გზა ძალმომრეობა და შიშის დანერგვა იყო. კავკ. მთიანეთში მას ,,ღვთის რისხვას'' ეძახდნენ (ა. გრიბოედოვის გადმოცემით).

სახაზინო შემოსავლის გაზრდის მიზნით ე-მა სცადა საქართველოში გაეტარებინა რამდენიმე რეფორმა [1821 დააწესა შეღავათიანი ტარიფი ევროპიდან ამიერკავკასიაში შემოტანილ საქონელზე (სატრანზიტო გზა: ოდესა–ყულევი–ტფილისი–სპარსეთი)], მ. შ. ეგრეთ წოდებული საეკლ. რეფორმა, რამაც იმერეთ-გურიის მოსახლეობის აჯანყება გამოიწვია (იხ. *იმერეთის აჯანყება 1819–20*). მთავრობა სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს, სოფლები გადაწვეს. ხალხი ციმბირში გადაასახლეს. თვითონ ე. მ. ვორონცოვს ქართველების შესახებ წერდა: ,,ეს ხალხი ღირსი არ არის ალექსანდრე I-ის სათნო მმართველობისა, მას რკინის კვერთხი ესაჭიროება''. კავკასიაში გადასახლებული დეკაბრისტების მფარველობისათვის ნიკოლოზ I-მა 1827 მარტში ე. სამხ. სამსახურიდან გადააყენა.

თხზ.: Записки, ч. 1–2, М., 1865–68.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; А. П. Ермолов. Материалы для его биографии, собранные М. Погодиным, М., 1864.

ერნი ნიკოლოზ ფრანცის ძე (6. XII. 1879, თბილისის გუბერნია, – 19. VII. 1972, ასუნსიონი, პარაგვაი), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1917), გერმანელ კოლონისტთა შთამომავალი. დაამთავრა თბილ. მე-2 გიმნაზია, ელიზავეტგრადის საკავალერიო იუნკერთა სასწავლებელი და გენშტაბის ნიკოლოზის აკადემია. 1916 მეთაურობდა სევერსკის (სომხეთი) დრაგუნთა მე-18 პოლკს. მონაწილეობდა I მსოფლიო ომსა (1914–18) და რუს. სამოქალაქო ომში (თეთრი მოძრაობა). შემდეგ ემიგრაციაში წავიდა პარაგვაიში, სადაც იყო სამხ. აკად. პროფესორი, პარაგვაის არმიის გენ.-ლეიტენანტი (დაახლ. 1930).

მ. გოგიტიძე.

ეროვნება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. საქართველოში ე-ს რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა. 1. ე-ს უწოდებდნენ სასოფლო კრებას, სოფლის ყრილობას, რ-იც ასრულებდა ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახ. სასამართლოს ფუნქციას, აწესრიგებდა სოფლის საქმეებს (ხიდებისა და გზების შეკეთება, მწყემსებთან გარიგება, სადავო საქმეების გარჩევა და ა. შ.). მოხევური ე. თავისი საზ. მნიშვნელობით ისეთივე იყო, როგორიც ხევის საფეხვნო, თუშური საანჯმო, რაჭული სანახშო და სხვ. 2. სოფლის ან უბნის საკრებულო მოედანი, სადაც უქმე დღეებში სოფლის მამაკაცები იკრიბებოდნენ სასაუბროდ.

ე. (რუს. ,,Земство'') ეწოდებოდა აგრეთვე ადგილობრივ თვითმმართველობას რუსეთის ევრ. ნაწილის გუბერნიებსა და მაზრებში (შეიქმნა 1864). რუს. იმპერიის განაპირა მხარეებში მცხოვრები მოსახლეობა მეფის მთავრობამ მოუმზადებლად მიიჩნია ე-ის შემოღებისათვის და არ მისცა მათ კონტროლს დაქვემდებარებული თვითმმართველობის უფლებაც კი. ქართვ. მოღვაწეები კარგად ამჩნევდნენ საერობო რეფორმის სუსტ მხარეებს, მაგრამ საპოლიციო მმართველობასთან შედარებით მას უპირატესობას ანიჭებდნენ და XIX ს. 60–70-იანი წლებიდან იწყებენ ბრძოლას მისი შემოღებისათვის. ფართო უფლება-კომპეტენციით აღჭურვილი ადგილ. თვითმმართველობის განმტკიცებას ისინი ქართ. სახელმწიფოებრიობის აღდგენის ერთ-ერთ საფუძვლად მიიჩნევდნენ. 1892 თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს სხდომაზე განიხილეს ე-ის შემოღების საკითხი, მაგრამ მეფის მთავრობას საწინააღმდეგო მიზნები ჰქონდა; 1892 გატარებული კონტრრეფორმით კიდევ უფრო შეიზღუდა საერობო თვითმმართველობა. ქართვ. ლიბერალები ე-ისთვის ბრძოლას მაინც განაგრძობდნენ. თავად-აზნაურთა წოდებრივმა ორგანიზაციამ გამოიყენა კანონით მინიჭებული უფლება და XIX ს. მიწურულს აღძრა შუამდგომლობა რუს. უმაღლესი მთავრობის წინაშე საქართველოში ე-ის შემოღების შესახებ. მეფის მთავრობა სხვადასხვა მოტივით საქმეს აჭიანურებდა. 1905–07 რევ. დროს თვით კავკ. ადმინისტრაციის ინიციატივით ჩატარდა ე. წ. საერობო თათბირები. ზედა ფენების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიქმნა პროექტები, მაგრამ საქმე წინ არ წასულა. 1905 საქართვ. გუბერნიებსა და მაზრებში კვლავ ჩატარდა საერობო თათბირები, თუმცა საქმე მხოლოდ პროექტების შედგენით დამთავრდა. 1917 თებერვლის რევ. შემდეგ რუს. დროებითმა მთავრობამ ახ. საერობო დებულება შეიმუშავა, მაგრამ ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ და კომუნისტური დიქტატურის დამყარებამ არსებითად შეცვალა რუს. სოც.-პოლიტ.

განვითარების მიმართულება. 1917 ნოემბერში ამიერკავკასია ფაქტობრივად გამოეთიშა რუსეთს და შეიქმნა ამიერკავკ. კომისარიატი – დროებითი მთავრობა. საქართვ. ეროვნ. ყრილობამ 1917 წ. 26 ნოემბ. საერობო თვითმმართველობის ორგანიზება დაავალა საქართვ. ეროვნ. საბჭოს, რ-მაც ამიერკავკ. კომისარიატის წინაშე დასვა საკითხი ე-ის შემოღების თაობაზე. კომისარიატის მიერ შექმნილმა სპეც. კომისიამ 1917 დეკემბერს შეადგინა ,,დროებითი დებულება ამიერკავკ. საეროსო დაწესებულებათა შესახებ'', საშინაო და საგარეო ვითარებათა გართულებამ საქმის რეალიზება შეაფერხა. ამიერკავკ. ფედერაციის დაშლის (1918) შემდეგ ე-ის შემოღებისათვის შედარებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკაში. 1918 აგვისტო საერობო კრებების არჩევნების თვედ გამოცხადდა, რ-შიც მრავალი პოლიტ. პარტია და საზ. ორგანიზაცია ჩაება. მრავალპარტიულმა ხმოსანთა კრებებმა თითქმის ყველგან მრავალპარტიული გამგეობები აირჩიეს, მაგრამ პრაქტ. საქმიანობაში სერიოზული დაბრკოლებები გაჩნდა. უფრო მეტი დაბრკოლებები შეიქმნა წვრილი საერობო ერთეულების ჩამოყალიბების დროს. 1918–19 საქართველოში ჩამოყალიბდა ადგილ. თვითმმართველობათა სისტემა, რ-ის სრულყოფა-დახვეწისათვის მუშაობა გრძელდებოდა. შემდეგ ამ პრობლემას ყურადღება მიაქცია დამფუძნებელმა კრებამ. მის მიერ შექმნილმა საკონსტიტუციო კომისიამ ადგილ. თვითმმართველობას სპეც. პარაგრაფი მიუძღვნა კონსტიტუციის პროექტში, მაგრამ 1921 საბჭ. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ე-ების მუშაობა შეწყდა.

ლიტ.: ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი შ., ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში 1864–1917 წწ., თბ., 1989; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970. *ა. ბენდიანიშვილი.*

„ერობა“, ორკვირეული ჟურნალი, ერობათა კავშირის ორგანო. გამოდიოდა თბილისში 1920–21. გამოვიდა 16 ნომერი. თითოეული მათგანი შედგებოდა 28–32 გვერდისაგან. ჟურნალში იბეჭდებოდა სტატიები აგრონ., ვეტ., სამედ., სასკოლო სტატისტ., ეკონ. და ერობის საკითხებზე (,,საეროსო თვითმმართველობის კანონპროექტი'' და ცალკეულ სამაზრო ერობათა ანგარიშები). მისი მიზანი იყო ერობის საქმიანობის პრაქტ. საკითხების გაშუქება მთავრობის თვალსაზრისით. ,,ე-ის'' პირველი ორი ნომერი გამოსცა სარედაქციო კოლეგიამ, შემდეგ რედაქტორები იყვნენ გ. ლორთქიფანიძე და პ. საყვარელიძე. *ი. ლორთქიფანიძე.*

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას), ლოგიკურად თანამიმდევრული და ურთიერთშეთავსებადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისა და საბალანსო ცხრილების ინტეგრირებული სისტემა. გამოიყენება საერთაშ. მასშტაბით შეთანხმებული ცნებების, განსაზღვრებების, კლასიფიკაციებისა და აღრიცხვის წესების საფუძვლად, მაკროეკონომიკური ანალიზის, ეკონ. პოლიტიკის ფორმირებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად.

ეას წარმოიშვა XX ს. 30-იანი წლების ბოლოს და 40-იანი წლების დასაწყისში განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო ეკონ. რეგულირებისათვის მაკროეკონ. ხასიათის ინფორმაციაზე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. მას საფუძვლად უდევს ბუხჰალტრული აღრიცხვის წარმოების პრინციპი, სადაც ყოველ ოპერაციას განიხილავენ როგორც გამყიდველის შემოსავალს და მყიდველის ხარჯს; ეას-ში კი აღირიცხება არა ცალკეული სავაჭრო ოპერაციები, არამედ გარიგებები მწარმოებლებს, მომხმარებლებსა და სახელმწ. (ინსტიტუციური ერთეულები, ინსტიტუციური სექტორები, მთელი ეკონომიკა) შორის საქონლისა და მომსახურების წარმოების, შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების, *ეროვნული სიმდიდრის* მაფორმირებელი აქტივების დაგროვებისა და ეკონ. პროცესების სხვა ასპექტებში.

ეას-ის წარმოების პრინციპებია ეკონ. ერთ მთლიანობაში წარმოჩენა, მისი სექტორებად, საქმიანობის სახეობებად, შემოსავლებისა და ხარჯების მიმდინარე და კაპიტ. ნაკადებად დაყოფა, აგრეთვე ანგარიშებში ორმაგი ჩაწერა. ეას ძირითადად ემყარება ანგარიშების თანამიმდევრულ შედგენასა და საქონლო ნაკადების მეთოდს. ეას-ში ანგარიშები კლასიფიცირდება ეკონ. სექტორების, ეკონომიკური საქმიანობის სახეობების, ეკონომიკური ოპერაციებისა და მთლიანად ეკონ. (კონსოლიდირებული) მიხედვით.

ეროვნ. ეკონ. სექტორების ანგარიშებია მიმდინარე და დაგროვების ანგარიშები, აქტივებისა და პასივების ბალანსები. თითოეული სექტორისათვის დგება ანგარიშების სრული სია, ყოველი დარგისათვის – წარმოებისა და შემოსავლების ფორმირების ანგარიშები.

ეას-ში ერთ-ერთი ცენტრ. ადგილი უკავია ე. წ. დანახარჯებისა და გამოშვების საბალანსო ცხრილებს, რ-ებიც იყოფა საქონლისა და მომსახურების, რესურსებისა და მათი გამოყენების, დანახარჯი-გამოშვების სიმეტრიულ (საბჭოური პერიოდის ეკონ. ლიტ-რაში – ე.წ. *დარგთაშორისი ბალანსები*) ცხრილებად.

მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა ეას-ის დანერგვის სამუშაოებს ახორციელებს გაეროს 1993 წ. ვერსიით, რ-შიც წინა ვერსიებისაგან (1952, 1968) განსხვავებით ჩართულია ჩრდილოვანი ეკონომიკა და იურიდიულად აკრძალულ საქმიანობათა სახეები. ამჟამად მუშავდება ეას-ის ახ., მოქმედთან შედარებით კიდევ უფრო გაფართოებული ვერსია. ეას-თან მჭიდრო კავშირშია აგრეთვე ე. წ. სატელიტური (ეკოლოგიის, ტურიზმის და სხვ.) ანგარიშები, რ-ებიც არ აისახება მის ძირითად სქემაში.

ეას მრავალი პარამეტრის მიხედვით დაკავშირებულია საგადამხდელო ბალანსსა და სხვა მაკროეკონ. მოდელებთან, მაკროეკონ. სტატისტიკასთან, მეცნ. სხვა დარგებთან (დემოგრაფია, სოც. სტატისტიკა, მათემატიკა, ეკონომეტრიკა და სხვ.).

საქართველოში ეას-ის დამკვიდრება სტატისტ. დეპარტამენტმა დაიწყო XX ს. 90-იანი წლებიდან.

ლიტ.: მ ა რ შ ა ვ ა ქ., მ ი ნ დ ო რ ა შ ვ ი ლ ი მ., ეროვნულ ანგარიშთა სისტემა. თეორია, პრაქტიკა, ანალიზი, თბ., 2009; ს ულ ა ვ ა ნ., ეროვნული ანგარიშწარმოების ძირითადი პრინციპები, «ეკონომიკა», 1993, №10–11; И в а н о в Ю. Н., Основы национального счетоводства, М., 2005; Система национальных счетов, М., 2001; Measuring the Non-Observed Economy. A. Handbook, P., 2002. *ი. არჩვაძე.*

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში, გარეშე დამპყრობთა წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური მოძრაობა, რ-ის მიზანი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცვა-შენარჩუნება.

ქართველური ტომების პატრიარქალური ყოფიდან სახელმწიფოებრივ სტრუქტურებზე გადასვ-

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვან მოვლენათა ქრონოლოგია. XIX–XX სს.

1802
ქელმენწურის შეთქმულება.

1804
მთიულეთის აჯანყება.

1810
შეიარაღებული გამოსვლები იმერეთში.

1812
კახეთის აჯანყება.

1819–20
იმერეთის აჯანყება.

1825–26
პეტერბურგსა და მოსკოვში ჩამოყალიბდა საიდუმლო ორგანიზაციები.

1827
თბილისში შეიქმნა შეთქმულთა ცენტრი.

1832
შეთქმულება 1832 წლისა.

1841
გურიის აჯანყება.

XIX ს. 60–70-იანი წწ.
,,თერგდალეულთა'' გამოსვლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ასპარეზზე.

1892
ქუთაისში ჩატარდა ,,თავისუფლების ლიგის'' დამფუძნებელი ყრილობა.

1901
შეიქმნა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია.

1914
შეიქმნა ,,საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი''.

ლა 3 ათ. წლის წინ დაიწყო და ძვ. წ. IV–III სს. მიჯნაზე არსებითად დამთავრდა. მომდევნო პერიოდში მიმდინარეობდა ეროვნ. თვითშეგნების ამაღლება. ქართველები ვერ ურიგდებოდნენ დიდი სახელმწიფოების ძალადობას – ებრძოდნენ ირანის სახელმწიფოს, არაბთა სახალიფოს, მონღოლთა და თურქთა იმპერიებს, იცავდნენ დამოუკიდებლობას, სუვერენულ უფლებებს. მაგრამ იყო პერიოდები, როცა ესა თუ ის დამპყრობელი აუქმებდა მეფობას, სპობდა ქართ. სახელმწიფოებრიობას. ასეთ შემთხვევებში ქართვ. ხალხი კიდევ უფრო ფართომასშტაბიან განმათავისუფლებელ მოძრაობას აჩაღებდა, ახერხებდა თავისუფლების მოპოვებას, ეროვნ. სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ქართვ. ერმა პერმანენტული ბრძოლებით XVIII ს. ბოლომდე შეინარჩუნა თავისუფლება და სახელმწიფოებრიობა.

საქართველოს შინა სოც.-პოლიტ. და საერთაშ. მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა XVI–XVIII სს-ში, როცა იგი მუსლ. სამყაროს სრულ გარემოცვაში მოექცა. საქართვ. მეფე-მთავრებმა დას. ევროპისაგან დახმარება ვერ მიიღეს და ორიენტაცია ერთმორწმუნე რუსეთზე აიღეს. სამსაუკუნოვანი დიპლ. ურთიერთობა 1783 *გეორგიევსკის ტრაქტატის* გაფორმებით, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლით დასრულდა. რუსეთის მფარველობის სურვილს დას. საქართველოს მეფე-მთავრებიც გამოთქვამდნენ, თუმცა ძალიან მალე ქართვ. პოლიტიკოსებისა და მთელი ხალხისათვის ცხადი გახდა, რომ რუსეთი საქართველოში შემოდიოდა როგორც დამპყრობელი.

1801 რუს. იმპ. ალექსანდრე I-მა თავისი მანიფესტით ფაქტობრივად დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი, გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და ამ ქვეყანაში რუსეთის მმართველობა შემოიღო. მომდევნო ათ წელიწადში რუსეთმა დაიპყრო და დაიმორჩილა დას. საქართველოს სამეფო-სამთავროებიც. უცხო ძალა ჩვენს ქვეყანაში არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიკურადაც გაბატონდა. ცარიზმის კოლონ.-ეკონ. და დიდმპყრობელურ-რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ ქართვ. ხალხს ეროვნ. გადაგვარების საფრთხე შეუქმნა. ეს საშიშროება თავიდანვე იგრძნეს პატრიოტებმა და ე.-ბ. მ. გააჩაღეს. მათ მიზნად დაისახეს თავისუფლების მოპოვება, ეროვნ. სახელმწიფოებრიობის აღდგენა. საქართველოს ბოლო ორსაუკუნოვანი ისტორია არსებითად განსხვავდება ძვ. და შუა საუკუნეების ისტორიისაგან; თუ წინა ხანებში ეროვნ. სახელმწიფოებრიობის დაკარგვა დროებითი იყო და ქვეყნის რომელიმე განცალკევებულ ტერიტორიაზე ხდებოდა, ახ. და უახლესი თითქმის მთელი პერიოდის განმავლობაში საქართველო რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად იქცა. ამ პირობებში ქართვ. ხალხის პოლიტ. ისტორია ე.-ბ. მ-ის სახით გრძელდებოდა.

XIX ს. პირველ მესამედში ე.-ბ. მ-ის ძირითადი ფორმა იყო შეიარაღებული აჯანყება, რ-საც, როგორც წესი, სათავეში ედგნენ *ერეკლე II*-ისა და გიორგი XII-ის მემკვიდრეები, ხოლო მოგვიანებით – *სოლომონ II*. პირველი ანტირუს. შეთქმულება მოხდა 1802 კახეთში. მისმა ხელმძღვანელებმა რუს. ხელისუფლებას ბრალი დასდეს გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევაში. ხალხმა ფიცი დადო იულონ ერეკლეს ძის (იხ. *იულონ ბატონიშვილი*) ერთგულებაზე, მოითხოვა 1783 ხელშეკრულების განახლება, ქართლ-კახეთის ავტონ. სამეფოს აღდგენა, რაც, ამბოხებულთა აზრით, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარეობდა. რუს. ხელისუფლებამ მოძრაობის ხელმძღვანელები დამნაშავეებად გამოაცხადა, მათ წინააღმდეგ იარაღი გამოიყენა, ზოგიერთი რუსეთს გადაასახლა (იხ. *ქელმენწურის შეთქმულება*). 1804 ივნისში ანტირუსული აჯანყება დაიწყო ქართლის მთიანეთში. მთიულებმა, მოხევეებმა და ფშავხევსურებმა რუს. რაზმებისაგან გაწმინდეს სტეფანწმინდა, ანანური, ჟინვალი. გადაკეტეს სამხ. გზა, მოძრაობის მეთაურებად მიიწვიეს იულონ ბატონიშვილი და *ფარნაოზ ბატონიშვილი*. აჯანყებულთა მიზანი ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენა იყო. რუსმა გენერლებმა აჯანყებულთა რაზმებს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შეუტიეს და კვლავ კონტროლი დაამყარეს არაგვის ხეობაზე. მრავალი მეამბოხე ბრძოლის ველზე დაეცა, ბევრიც ციმბირს გადაასახლეს (იხ. *მთიულეთის აჯანყება 1804*).

1810 ქართველთა ე.-ბ. მ-ს სათავეში ჩაუდგა რუსი მოხელეებისაგან შევიწროებული და იმერეთის სამეფო ტახტიდან გადაყენებული სოლომონ II. მისმა 10 ათასიანმა ლაშქარმა დიდი ზიანი მიაყენა რუსთა ჯარს, თითქმის მთლიანად გაანადგურა მაიორ კალატოზოვის ბატალიონი და თამაზ ორბელიანის პოლკი. მაგრამ ბოლოს მაინც რუსეთის დამსჯელმა არმიამ გაიმარჯვა. იმერეთში მკაცრი საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა. სოლომონ II ოსმალეთში გადაიხვეწა და ტრაპიზონში გარდაიცვალა (იხ. *იმერეთის აჯანყება 1810*).

განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო 1812 იანვარში დაწყებულმა კახეთის აჯანყებამ. მისი უშუალო მიზეზი იყო სოფლებში რუს. სამხ.-საეგზეკუციო რაზმების ჩაყენება, ხალხის ძარცვა და ზნეობრივ-მორალური დამცირება. მაგრამ მალე მან ეროვნ.-განმათ. ბრძოლის სახე მიიღო, მისი მიზანი გახდა ქართ. ეროვნ. მონარქ. სახელმწ. აღდგენა. მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ერეკლე II-ის ვაჟი *ალექსანდრე ბატონიშვილი*. მისმა რაზმებმა გამარჯვება მოიპოვეს შილდასთან, ჩალაუბანსა და მანავთან გამართულ ბრძოლებში, მაგრამ, ბოლოს, რუსთა მრავალათასიანმა ჯარმა შეძლო აჯანყების ჩახშობა კახეთში, თუმცა ხევსურეთში ბრძოლები 1813 ზაფხულამდე გაგრძელდა (იხ. *კახეთის აჯანყება 1812*).

1819–20 ანტირუს. აჯანყების ცეცხლი აგიზგიზდა იმერეთსა და გურიაში. თავიდან იგი მიმართული იყო რუს. ხელისუფლების მიერ 1819 დაწყებული საეკლ. რეფორმის წინააღმდეგ, მაგრამ მალე გამოკვეთილი ანტირუს. ხასიათი მიიღო, მისი მიზანიც ქართ. სახელმწიფოებრიობის აღდგენა გახდა. მოძრაობის ორგანიზატორებმა ამჯერადაც მეთაურად მიიწვიეს ალექსანდრე ბატონიშვილი, რ-იც ერთხანს თავს იკავებდა. ვიდრე ის ბრძოლის ველზე გამოცხადდებოდა, რუსთა ჯარმა აჯანყება სისხლში ჩაახშო, სოფლები დაანგრია, ბაღ-ვენახები გაკაფა (იხ. *იმერეთის აჯანყება 1819–20*).

ეს აჯანყებები საყოველთაო სახალხო ხასიათს ატარებდა. მათში მონაწილეობდნენ ყველა წოდებისა და სოც. ფენის წარმომადგენლები – თავადაზნაურობა, სამღვდელოება, გლეხობა. იმ დროს ქართველები ჯერ კიდევ ფეოდ. ლეგიტიმიზმის პრინციპის საფუძველზე იდგნენ – აჯანყებულები ყველგან და ყოველთვის თავიანთ მეთაურად ირჩევდნენ,

საქართველოს მეფედ აცხადებდნენ ღვთისგან კურთხეულ ბაგრატიონთა საგვარეულოს რომელიმე წარმომადგენელს, რ-თა მეთაურობითაც ებრძოდნენ და დიდ ზარალსაც აყენებდნენ ოკუპანტებს. ქართვ. ხალხმა ეროვნ. გმირებად შერაცხა ალექსანდრე ბატონიშვილი და ფარნაოზ ბატონიშვილი, სოლომონ II. რუსეთის მეფის მოხელეებიც კარგად ხედავდნენ, რომ ქართველებს ბაგრატიონთა დინასტია ქართ. სახელმწ. სიმბოლოდ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მედროშედ მიაჩნდათ. ამიტომ თითქმის ყველა ბაგრატიონი რუსეთში გადაასახლეს.

გადასახლების შემდეგ ბაგრატიონთა ერთი ნაწილი კულტ.-საგანმან. საქმიანობით ემსახურებოდა სამშობლოს, თუმცა ზოგი მათგანი კვლავ ოცნებობდა საქართველოს განთავისუფლებაზე, ეროვნ. სახელმწ. აღდგენაზე. *ოქროპირ ბატონიშვილმა* და *დიმიტრი ბატონიშვილმა* ქართველთა შორის კვლავ გააღვივეს ანტირუს. სულისკვეთება. 1825–26 პეტერბურგსა და მოსკოვში შექმნეს საიდუმლო ორგანიზაციები. 1827-იდან შეთქმულთა ცენტრმა თბილისში გადმოინაცვლა. ჩამოყალიბდა ფარული საზ-ბა, რ-ის საქმიანობაში წამყვან როლს ასრულებდნენ ა. *ორბელიანი*, ვ. ვ. *ორბელიანი*, ე. შ. *ერისთავი*, ს. *დოდაშვილი*, გ. დ. *ორბელიანი*, ს. *რაზმაძე* და სხვ. ამ საზ-ბის პროგრამა ითვალისწინებდა ქართველთა ეროვნ. თვითშეგნების ამაღლებას, ავჯანყების მომზადება-განხორციელებას, რუსეთის ჯარების განდევნას და საქართველოს ეროვნ.-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. შეთქმულთა უმრავლესობას მომავალი თავისუფალი საქართველო ესახებოდა ფეოდ.-მონარქიულ ან კონსტ.-მონარქიულ სახელმწიფოდ, უმცირესობა რესპ. წყობილების დამყარებას ვარაუდობდა. მაგრამ შეთქმულება კავკასიაში რუს. მეფისნაცვლის ადმინისტრაციამ ავჯანყების დაწყებამდე აღმოაჩინა და ჩაახშო (იხ. *შეთქმულება 1832 წლისა*).

შეთქმულთა დაპატიმრება-გადასახლებით, შემდგომ კი 1841 *გურიის ავჯანყების* ჩახშობით არსებითად დამთავრდა ქართ. სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის პირველი პერიოდი.

ე.-ბ. მ-ის ახალი ეტაპი XIX ს. 60-იან წლებში დაიწყო, მაგრამ პირველ და მეორე პერიოდს შორის სრული სიცარიელე, სულიერი დაცემულობა და პესიმიზმი როდი სუფევდა. ამ შუალედში მოღვაწეობდნენ გადასახლებიდან დაბრუნებული ე. წ. ოცდათორმეტიანელები. სწორედ ამ დროს იმძლავრა ნ. *ბარათაშვილის* ეროვნ.-პატრ. მოტივით განმსჭვალულმა პოეზიამ. ძვ. თაობის მოღვაწეებმა აღადგინეს ქართ. თეატრი, დააარსეს ჟურნ. *„ცისკარი“*. აქტ. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ეროვნ. მოღვაწე დ. *ყიფიანი*, რ-მაც მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაწერა ე.-ბ. მ-ის ისტორიაში.

ანტირუს. ე.-ბ. მ-ის ახ. პერიოდის დაწყება წილად ხვდათ *„თერგდალეულებს“* – XIX ს. 60–70-იანი წლების თაობას, რ-იც შემოკრებილი იყო *„საქართველოს მოამბის“*, *„დროების“*, *„ივერიის“* და ეროვნ. ხასიათის სხვა ჟურნალ-გაზეთების გარშემო. ი. *ჭავჭავაძე*, ა. *წერეთელი*, ს. *მესხი*, ნ. *ნიკოლაძე*, ი. *გოგებაშვილი* და მათი თანამოაზრეები არც სოც. სამართლიანობის პრინციპს უგულებელყოფდნენ, თუმცა პირველი რიგის ამოცანად ეროვნ. საკითხის გადაჭრა მიაჩნდათ. ისინი იღვწოდნენ ქართველთა ეროვნ. თვითშეგნების ამაღლებისათვის, დაკნინებული ეროვნ. ცნობიერების გამოსაფხიზლებლად და ხალხს ქართ. სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის საბრძოლველად ამზადებდნენ.

ი. ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა ჩამოაყალიბეს საქართვ. ე.-ბ. მ-ის იდეოლოგია, შექმნეს ეროვნ. ფარული ორგანიზაცია – „ახალგაზრდა საქართველო“. 60-იანი წლების დამდეგს მოწინავე ქართვ. საზ-ბა განმსჭვალული იყო ეროვნ. დამოუკიდებლობის იდეით, „თერგდალეულებმა“ ე.-ბ. მ-ის მშვიდობიანი გზა აირჩიეს, იგი საერთაშ. და საერთო იმპერიული მასშტაბით მიმდინარე დემოკრ. მოძრაობას დაუკავშირეს. ამასთან ერთად, რუსეთის მმართველი წრეების საყურადღებოდ უარი თქვეს მაქსიმალისტურ პრეტენზიებზე, დასჯერდნენ რა საქართველოს პოლიტ. ავტონომიის მოთხოვნას. სწორედ ი. ჭავჭავაძემ წამოაყენა რუსეთის უნიტარული, აბსოლ.-მონარქიული სახელმწიფოს დემოკრ. და ფედერ. საფუძველზე რეორგანიზაციის, იმპერიაში შემავალი ერებისათვის ავტონ. სახელმწიფოს სტატუსის მინიჭების იდეა. ამ პოზიციაზე დადგა თითქმის მთელი ქართვ. ინტელიგენცია. იგი დარწმუნებული იყო, რომ ფედერაცია და ავტონომია ყველა პირობას მოამზადებდა საქართველოს დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწ. აღდგენისათვის. ამ დიდი მიზნის განხორციელება ერის ყველა სოც. ძალის, ყველა დასისა თუ ორგანიზაციის გაერთიანებას მოითხოვდა და ი. ჭავჭავაძე, მისი თანამოაზრენი დაუღალავად ქადაგებდნენ ეროვნ. კონსოლიდაციის იდეას. ისინი მოწონებით ხვდებოდნენ ბურჟ. რეფორმებს, იბრძოდნენ სოფლისა და ქალაქის თვითმმართველობის დემოკრატიზაციის, მათი უფლებაკომპეტენციის გაფართოებისათვის, რადგან ამით ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა საქართველოს ეკონ. აღორძინების, კულტ. დაწინაურების, კლასობრივი წინააღმდეგობების შესუსტების, განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოების და, საბოლოო ჯამში, ეროვნ.-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

„თერგდალეულთა“ კონცეფცია ფართოდ გავრცელდა საქართველოში. ეროვნ.-განმათ. ბრძოლის იდეები განსაკუთრებული ენთუზიაზმით აიტაცეს სემინარია-გიმნაზიების მოსწავლეებმა, რუსეთის უნ-ტების ქართვ. სტუდენტებმა. თანდათან გაძლიერდა მოსწავლეთა საპროტესტო მოძრაობა. ვარშავის ქართვ. სტუდენტთა ინიციატივით მოხერხდა რუსეთის უნ-ტებთან არსებულ სათვისტომოთა შორის კონტაქტების გაფართოება, ჩამოყალიბდა ფარული ეროვნ.-პოლიტ. საზ-ბა – *„თავისუფლების ლიგა“*; შემუშავდა პროგრამა და კონკრ. სამოქმედო გეგმა. ორგანიზაციამ თავის მიზნად გამოაცხადა სამშობლოს სამსახური, საქართველოს განთავისუფლება რუს. ბატონობისაგან. 1892 ქუთაისში ლიგის დამფუძნებელი ყრილობა ჩატარდა, 1893 კი თბილ. ყრილობაზე შემუშავდა „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ პროგრამა. 1894 რუს. ჟანდარმერიამ ორგანიზაცია გაანადგურა. მართალია, „თავისუფლების ლიგა“ დღემოკლე აღმოჩნდა, მაგრამ მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ე.-ბ. მ-ში. აღსანიშნავია, რომ მისი აქტ. წევრები იყვნენ: გ. *დეკანოზიშვილი*, ა. *ჯორჯაძე*, ნ. ჯაყელი, თ. *სახოკია* და სხვა ცნობილი მოღვაწეები.

1901 შეიქმნა საქართველოს ეროვნ. კომიტეტი, რ-მაც დაგმო რუსი მოხელეებისა და მცირე-

(გაგრძელება იხ. გვ. 74)

1917

დაარსდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

შეიქმნა „ინტერპარტიული საბჭო“.

26 მაისი 1918

გამოქვეყნდა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია.

1921

სვანეთის ავჯანყება.

1922

ხევსურეთის ავჯანყება. შეიქმნა დამოუკიდებლობის კომიტეტი.

1924

აგვისტოს ავჯანყება.

პარიზში დაარსდა ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“.

1926

თბილისში შეიქმნა „თეთრი გიორგის“ პირველი კონსპირაციული ჯგუფი.

1928

თბილისში შეიქმნა „თეთრი გიორგის“ მეორე კონსპირაციული ჯგუფი.

1941

შეიქმნა ორგანიზაცია „სამანი“.

1942

თბილისში დაარსდა „თეთრი გიორგის“ მესამე კონსპირაციული ჯგუფი.

1946

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა დააფუძნეს ეროვნული განმათავისუფლებელი ორგანიზაცია.

9 მარტი 1956

თბილისში საბჭოთა ჯარის მიერ მშვიდობიანი დემონსტრანტების სისხლიანი დარბევა.

1976

საქართველოში დაარსდა ლეგალური ოპოზიციური ორგანიზაცია ,,საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი‘‘.

14 აპრილი 1978

ხალხმრავალი დემონსტრაცია თბილისში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის შესანარჩუნებლად.

12 ნოემბერი 1988

თბილისში, მთავრობის სახლთან, დაიწყო მასობრივი საპროტესტო გამოსვლები დამოუკიდებლობის აღდგენისა და საბჭოთა საოკუპაციო ჯარების გაყვანის მოთხოვნით.

9 აპრილი 1989

თბილისში მშვიდობიანი მომიტინგეების სისხლიანი დარბევა.

28 ოქტომბერი 1990

საქართველოში გაიმართა მრავალპარტიული არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვა პარტიულმა ბლოკმა – ,,მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო‘‘.

1991

31 მარტს ჩატარდა საყოველთაო სახალხო რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით.

9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს I სესიაზე მიიღეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

26 მაისს ჩატარდა პრეზიდენტის პირდაპირი და საყოველთაო არჩევნები.

რიცხოვანი რეაქციული ქართვ. თავადაზნაურობის ინიციატივით ორგანიზებული რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების ასი წლის იუბილე და ქართველებს ეროვნ. დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდა. ,,დღესასწაულის‘‘ დღეებში საქართველოს ქალაქებში ქართვ. ეროვნ. დემოკრატების ხელმოწერით გავრცელდა 4 პროკლამაცია. ერთ-ერთ მათგანში ნათქვამი იყო: ,,...ხალხის კეთილდღეობა მოითხოვს საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების აღდგენას‘‘. 1901 ჩამოყალიბდა ქართვ. *სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია*. მან ძირითადად გაიზიარა ,,თერგდალეულების‘‘ ეროვნ. პროგრამა, გააგრძელა ი. ჭავჭავაძის მიერ დაწყებული ბრძოლა ქართვ. ერის კონსოლიდაციისათვის. ამ პარტიის ლიდერმა ა. ჯორჯაძემ შეიმუშავა საერთო მოქმედების ნიადაგის თეორია. მისი აზრით, ეროვნ. სულისკვეთების მქონე პარტიებს ყოველდღიური საქმიანობით ერთად უნდა გადაეწყვიტათ ხუთი ძირითადი ამოცანა: 1) ქართ. ენის დაცვა; 2) საქართველოს მიწის ფონდის და მეურნეობის ქართველთა ხელში შენარჩუნება; 3) ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება; 4) საქალაქო თვითმმართველობებში ქართველთა პოზიციების გაძლიერება; 5) ქართველი ინტელიგენციის მიერ ეროვნ.-კულტ. საქმიანობის გაფართოება.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში თავიდანვე გამოიკვეთა მემარჯვენე და მემარცხენე მიმართულებები. მოგვიანებით (1906) მემარჯვენეებმა დამოუკიდებელი პარტია შექმნეს, რ-იც 1917 *ეროვნულ-დემოკრატულ პარტიად* გაფორმდა. ორივე პარტია მიზნად ისახავდა ქართვ. ხალხის განთავისუფლებას, ეროვნ. სახელმწ. შექმნას, ისინი მტკიცედ იდგნენ ეროვნ. ნიადაგზე და მათთვის უცხო იყო კოსმოპოლიტიზმი.

რუსეთის პირველი რევოლუციის (1905–07) წლებში ცარიზმის დამხობას და დემოკრ. მართვა-გამგეობის სისტემის ჩამოყალიბებას ქართვ. ხალხმა დაუკავშირა ეროვნ. საკითხის გადაწყვეტა, კერძოდ, თავდაპირველად ქართ. სახელმწ. აღდგენა ავტონომიის სახით. შემდგომ ეროვნ. მიმართულების პარტიები ერთად იბრძოლნენ ფართო პოლიტ. ავტონომიისათვის. ისინი გმობდნენ სოც.-დემოკრატების ნიჰილისტურ პოზიციას, დიდ შეცდომად მიაჩნდათ მთელი ყურადღების სოც. საკითხებზე გადატანა, ავტონომიის უარყოფა და ეროვნ. საკითხის სოციალ. რევოლუციის გამარჯვებამდე გადავადება. დაჩაგრული ერების განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გარკვეული ნაყოფი გამოიღო. რევოლუციით შეშინებულმა რუს. იმპერატორმა 1905 წ. 17 ოქტომბერს გამოსცა მანიფესტი – ხალხს აღუთქვა სამოქალაქო-პოლიტ. თავისუფლება, პიროვნების დაცვის გარანტიების შექმნა. შემუშავდა კანონი, რ-იც ითვალისწინებდა სახ. წარმომადგენელთა კრების მოწვევას, სახელმწ. სათათბიროს არჩევნების ჩატარებას. მეფის მთავრობამ მალე უკან წაიღო დანაპირები და სისხლში ჩაახშო სახ. რევოლუცია. სახელმწ. სათათბირო დარჩა, თუმცა ფართო საკანონმდებლო უფლების გარეშე. რაკი რევ. დამარცხების გამო საზ.-პოლიტ. მოძრაობა შეუძლებელი გახდა, ქართვ. დემოკრატები აქტიურად ჩაებნენ სახელმწ. სათათბიროს არჩევნებში. თუმცა პირველ, მეორე და მესამე სახელმწ. სათათბიროში დეპუტატების გაყვანა ძირითადად სოც.-დემოკრატებმა შეძლეს (ნ. *ჟორდანია*, ი. *წერეთელი*, ა. *ჩხენკელი*, ნ. *ჩხეიძე* და სხვ.), რ-თაც საქართველოს პოლიტ. ავტონომიის მოთხოვნა არც გახსენებიათ. საქართველოს ეროვნ. მიმართულების პარტიებმა სასტიკად გააკრიტიკეს ს.-დ-ის საპარლამენტო მოღვაწეობა. 1912 მეოთხე სახელმწ. სათათბიროში აირჩიეს სოციალისტ-ფედერალისტი ვ. ლ. *გელოვანი*, რ-მაც საქართველოს პოლიტ. ავტონომიის მოთხოვნა წამოაყენა. სახელმწ. სათათბიროს მემარცხენე ფრაქციები თითქოს თანაუგრძნობდნენ დაჩაგრულ ერებს, მაგრამ მემარჯვენე უმრავლესობა მტკიცედ იდგა დიდმპყრობელური რუს. შოვინიზმის პოზიციაზე. ამიტომ განაპირა ერების და, კერძოდ, ქართველების თვითგამორკვევის უფლების დასაცავად, ავტონომიის იდეის ხორცშესასხმელად რუსეთის სახელმწ. სათათბიროს არაფერი გაუკეთებია.

I მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ეროვნ. დემოკრატებსა და სოციალისტ-ფედერალისტებს თავიანთი მიზნის (ეროვნ. სახელმწ. აღდგენა) განხორციელების წინაპირობად ამ ომში რუსეთის დამარცხება და დასუსტება მიაჩნდათ. ემიგრაციაში მყოფმა ეროვნ.-დემოკრ. პარტიის წევრებმა ჟენევაში ჩამოაყალიბეს ჯგუფი ,,თავისუფალი საქართველო‘‘, მალე მის ბაზაზე დაფუძნდა *,,საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი‘‘*. მ. *წერეთელმა* და გ. *მაჩაბელმა* კონტაქტი დაამყარეს გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებთან – მოითხოვეს ფულითა და იარაღით დახმარება შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად, თურქეთში ქართ. ლეგიონის ჩამოსაყალიბებლად. ქართვ. პატრიოტთა ნაწილს ასეთი ქმედება საშიშ ავანტიურად მიაჩნდა, ეროვნ. რადიკალები კი ფიქრობდნენ, რომ დადგა ხელსაყრელი მომენტი და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის აუცილებლად უნდა გამოეყენებინათ გერმანია-რუსეთის წინააღმდეგობა და ომი. 1914 ბოლოს საქართველოში ჩამოყალიბდა ეროვნ. კომიტეტი, რ-მაც გადაწყვიტა, დამოუკიდებლობისათვის შეიარაღებული ბრძოლა დაეწყო მას შემდეგ, რაც თურქეთი ომს გამოუცხადებდა რუსეთს, მაგრამ კავკ. ფრონტზე თურქთა წარმატება ეპიზოდური აღმოჩნდა. რუს. ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და გეზი არზრუმტრაპიზონისაკენ აიღეს. ასეთ პირობებში ეროვნ. კომიტეტმა ანტირუს. აჯანყებაზე ხელი აიღო. გერმანია-თურქეთის ორიენტაციის მომხრე ქართველთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. უმრავლესობა საქართველოს პოლიტ. ავტონომიის იდეას დაუბრუნდა და მისი განხორციელება რუსეთში მოსალოდნელ პოლიტ. ცვლილებებს – დემოკრატიის გამარჯვებას დაუკავშირა.

1917 თებ. რევოლუციას სიხარულით შეხვდნენ რუს. იმპერიის დაჩაგრული ერები. მაგრამ რუს. დროებითი მთავრობა ვერ თმობდა ,,ერთიანი და განუყოფელი რუსეთის‘‘ პრინციპს. ამიტომ განაპირა ქვეყნებში ეროვნ. მოძრაობა გაფართოვდა, ახ. ფაზაში შევიდა. ქართველმა სოციალისტ-ფედერალისტებმა განაახლეს საერთო მოქმედების ნიადაგის თეორია. 1917 ეროვნ.-დემოკრატებმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა და ეროვნ. ნიადაგზე მდგომმა სოც.-დემოკრატების (მენშევიკების) უმცირესობამ მოქმედების ერთიანი გეგმა-პროგრამის შესამუშავებლად შექმნეს *,,ინტერპარტიული საბჭო‘‘*, რ-მაც დელეგაცია გაგზავნა პეტერბურგში და დროებითი მთავრობისაგან საქართველოს

პოლიტ. ავტონომია მოითხოვა. დროებითმა მთავრობამ საკითხის განხილვა დამფუძნებელი კრების მოწვევამდე გადადო.

1917 წ. 25 ოქტომბერს (7 ნოემბ.) ბოლშევიკური გადატრიალების გზით დაემხო დროებითი მთავრობა, რის შემდეგაც უფლებამოსილება დაკარგა მის მიერ დანიშნულმა ამიერკავკ. სამხარეო ორგანომ – ე. წ. ,,ოზაკომმა'' (იხ. *ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი*). 1917 წ. 15 ნოემბერს ჩამოყალიბდა ამიერკავკ. დამოუკიდებელი მთავრობა – *ამიერკავკასიის კომისარიატი.* იმავე დროს ჩატარდა საქართველოს ეროვნ. ყრილობა. არჩეულ იქნა *საქართველოს ეროვნული საბჭო,* რ-მაც თავის ძირითად მიზნად მიიჩნია ქართ. ეროვნ. სახელმწ. ჩამოყალიბება. ეროვნ. საბჭოს ფრაქციებს შორის კარგა ხანს გაგრძელდა კამათი საგარეო ორიენტაციის, ქართ. სახელმწ. ფორმისა და შინაარსის შესახებ. 1918 წ. 10 თებერვალს ამიერკავკ. კომისარიატმა მოიწვია სახელმწ. ხელისუფლების ორგანო – *ამიერკავკასიის სეიმი,* რ-ის მთავარი დანიშნულება იყო იურიდიულად გაეფორმებინა ამიერკავკ. გამოყოფა რუსეთისაგან, მაგრამ სეიმმა მხოლოდ 9(22) აპრილს მიიღო სათანადო დადგენილება. მათ არც ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებაზე გააგზავნეს წარმომადგენლები, რასაც სავალალო შედეგი მოჰყვა. საზავო ხელშეკრულების თანახმად, თურქეთს გადაეცა ყარს-არტაან-ბათუმის ოლქები. ამიერკავკ. კომისარიატის დაგვიანებულ პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია.

თურქებმა დაიპყრეს ყარსისა და ბათუმის ოლქები, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, რამაც საფრთხე შეუქმნა საქართველოს და სომხეთის სხვა ტერიტორიებსაც. მეტად მწვავედ დაისვა საგარეო ორიენტაციის პრობლემა – საიმედო მოკავშირის გამონახვის საკითხი. აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები ამიერკავკ. მთავრობას ურჩევდნენ, რომ ქვეყანა თურქეთის პროტექტორატში მოექციათ, სეიმის სომეხი დეპუტატები მოითხოვდნენ ინგლისელების მოწვევას, ქართველები კი მიზანშეწონილად თვლიდნენ კავშირის გაფორმებას გერმანიასთან, რადგან მიაჩნდათ, რომ მისი დახმარებით აღკვეთდნენ თურქეთის დაპყრობით ზრახვებს. საგარეო ორიენტაციის საკითხზე წამოჭრილმა წინააღმდეგობებმა ამიერკავკ. სახელმწ. დაშლის პირამდე მიიყვანა.

1918 წ. 26 მაისს თბილისში, მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეში, საგანგებო ყრილობაზე, საქართველოს ეროვნ. საბჭომ გამოაქვეყნა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია. წარმატებით დაგვირგვინდა საუკუნოვანი ბრძოლა, ასრულდა ქართვ. ხალხის ოცნება – ჩამოყალიბდა საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. 1919 თებერვალში არჩეულ იქნა საქართვ. დამფუძნებელი კრება (იხ. *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება*), რ-ის მიერ შემუშავებული კანონების საფუძველზე მიმდინარეობდა ეროვნ. სახელმწ. მშენებლობა – შეიქმნა ადმ. აპარატი, მილიცია, სახ. გვარდია, რეგულ. არმია, სასამართლო (იხ. *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918–1921*). საქართველოს რესპუბლიკას სამი წლის განმავლობაში თითქმის პერმანენტული ომი ,ჰქონდა გარეშე მტრებთან – საკმაო წარმატებით ებრძოდა თურქეთის ჯარს, დენიკინის არმიას, სომხეთის აგრესიას (იხ. სტ. *საქართველო-სომხეთის ომი 1918*), ბოლშევიკური არმიის შემოსევას 1920 გაზაფხულზე. 1921 თებერვალში ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოში ოკუპაციისა და გასაბჭოების მიზნით მრავალრიცხოვანი ჯარი გამოგზავნა. საქართვ. შეიარაღებულმა ძალებმა სოღანლულისა და კოჯრის ბრძოლებში, მართალია დიდი მარცხი აგემა XI წითელ არმიას, მაგრამ დასავლეთის დემოკრ. სახელმწიფოებისაგან რეალურ მხარდაჭერას მოკლებულმა პატარა ქვეყანამ ვერ შეძლო რუსეთის აგრესიის მოგერიება. რესპუბლიკის მთავრობა მოერიდა ამაო მსხვერპლს, თბილისი დატოვა და საფრანგეთში გაიხიზნა, სადაც ემიგრანტული მთავრობის სტატუსი მიიღო.

საბჭ. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ ეროვნ. სახელმწიფოებრიობა ძალადობრივი მეთოდებით დაანგრიეს. კომუნისტები დემაგოგიურად აცხადებდნენ, რომ 25 თებ. აქტის შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობა არ გაუქმებულა – მოხდა მხოლოდ ბურჟ. სახელმწიფოებრივი წყობილების შეცვლა სოციალ. სახელმწიფოებრივი წყობილებით. მაგრამ არა მარტო ქართვ. ერი, არამედ მთელი მსოფლიო ხედავდა, რომ საბჭ. რუსეთის შეიარაღებული ინტერვენციის მიერ მოხდა საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია. ქართ. საბჭოური სახელმწიფო ფორმალობას წარმოადგენდა, ფიქცია იყო. მისი მარიონეტული კომპარტია და მთავრობა კრემლის კარნახით მოქმედებდა.

ქართვ. ხალხი ვერ შეეგუა სისხლისღვრით შემოსულ დამპყრობელს. ქართვ. ერის პროტესტი მრავალნაირი ფორმით გამოიხატა. მსოფლიო საზ-ბის აზრი აგრესიის მსხვერპლის მხარეს იყო. ამით გამხნევებული საქართვ. პირველი რესპუბლიკის კანონიერი (ემიგრანტული) მთავრობა და საქართველოში დარჩენილი, იატაკქვეშეთში მოქმედი ანტისაბჭ. პარტიები აქტ. საქმიანობას შეუდგნენ, ცდილობდნენ ევრ. სახელმწიფოებისაგან მიეღოთ რეალური დახმარება, მათი შემწეობით აღედგინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. წინააღმდეგობა ძლიერდებოდა. საქართველოს ოკუპაციიდან რამდენიმე თვის შემდეგ კომუნისტური რეჟიმის საწინააღმდეგო აჯანყება მოხდა სვანეთში. აჯანყებულებმა საქართვ. რევკომს მოსთხოვეს რუს. ჯარების გაყვანა და თავისუფალი არჩევნების გამოცხადება. აჯანყება სისხლში ჩაახშო არტილერიითა და ავიაციით აღჭურვილმა საოკუპ. ჯარმა (იხ. *სვანეთის აჯანყება 1921*). 1922 აჯანყებამ იფეთქა ხევსურეთსა და კახეთში. აჯანყებულთა ყველაზე დიდ შენაერთს სათავეში ედგა პოლკოვნიკი ქ. *ჩოლოყაშვილი* (იხ. *ხევსურეთის აჯანყება 1922).*

ე.-ზ. მ-ის ხელმძღვანელებისათვის ცხადი გახდა, რომ დაქსაქსული, პარტიზ. ბრძოლებით დიდი მიზნის განხორციელება არ მოხერხდებოდა. საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის შეიქმნა *დამოუკიდებლობის კომიტეტი* (იგივე ინტერპარტ. პარიტეტული კომიტეტი), აჯანყების უშუალო ხელმძღვანელობისათვის კი – სამხ. ცენტრი. ეროვნ.-დემოკრ. პარტია ძირითადად თავადაზნაურობაზე, სამღვდელოებაზე, აგრეთვე გლეხობის შეძლებულ ფენაზე ამყარებდა იმედებს. სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტე-

ბი პროპაგანდას ეწეოდნენ მუშებსა და გლეხებს შორის და არცთუ წარუმატებლად, მაგრამ საქართვ. საგანგებო კომისიამ მიაგნო მოძრაობის მესვეურთა კვალს. 1923 წ. 20 მაისს თბილისში, დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე დახვრიტეს გენ. კ. *აფხაზი* და სამხ. ცენტრის სრული შემადგენლობა. მოგვიანებით დააპატიმრეს ნ. *ხომერიკი*, გ. *ფალავა*, გ. *წინამძღვრიშვილი.* მიუხედავად ამისა, აჯანყება მაინც დაიწყო 1924 წ. 28 აგვისტოს. მრავალი ქალაქი და სოფელი აჯანყებულთა ხელში გადავიდა, კომუნისტი ხელმძღვანელები დააპატიმრეს. მაგრამ ქ. ჩოლოყაშვილის რაზმმა ვერ შეძლო საგანგებოდ გამაგრებული თბილისის აღება. ვერც აჯანყებულთა ძალების კოორდინაცია და საბრძოლო ოპერაციების ერთიანი გეგმით განხორციელება მოხერხდა. საბჭ. მთავრობამ ბრძოლის ველზე 56 ათ. ჯარისკაცი გამოიყვანა. უთანასწორო ბრძოლაში აჯანყებულები დამარცხდნენ. გამარჯვებულებმა დაახლ. 7 ათ. კაცი დახვრიტეს, 20 ათ-ზე მეტი ციმბირს გადაასახლეს (იხ. *აგვისტოს აჯანყება 1924).*

1924 ტრაგედიის შემდეგ პატრიოტები ბრძოლის ფარულ ფორმებზე გადავიდნენ. კომუნისტური დიქტატურის პირობებში აშკარა და ფართო ეროვნ. მოძრაობა შეუძლებელი გახდა და მან არალეგალური, შეზღუდული სახე მიიღო. პატრ. ძალებს განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მიაყენა 30-იანი წლების მასობრივმა რეპრესიებმა.

1924 დამლევს ქართვ. პოლიტ. ემიგრანტთა თაოსნობით პარიზში დაარსდა ეროვნ. პოლიტ. ორგანიზაცია ,,თეთრი გიორგი'', რ-ის მთ. იდეოლოგები იყვნენ გენ. ლ. *კერესელიძე* და პროფ. მ. წერეთელი. 1926 თბილისში შეიქმნა ,,თეთრი გიორგის'' პირველი კონსპირაციული ჯგუფი ე. ღვალაძის ხელმძღვანელობით, 1928 კი – ,,თეთრი გიორგის'' მეორე ჯგუფი პოლკ. ა. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით. 1930 საბჭ. უშიშროებამ დაადგინა ჯგუფის ადგილსამყოფელი. იმავე წელს მისი წევრები დახვრიტეს. რაც შეეხება პირველ ჯგუფს, მან იარსება 1937-მდე (ამ წელს მისი წევრები, მათ შორის ე. ღვალაძე, დააპატიმრეს და დახვრიტეს).

II მსოფლიო ომმა ერთგვარი იმედი ჩაუსახა ეროვნ. ძალებს, გააქტიურდნენ ანტისაბჭოთა ჯგუფები და ეროვნ. იდეით გამსჭვალული ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. 1941 თბილისში შეიქმნა არალეგალური ორგანიზაცია – ,,სამანი'', რ-იც თბილ. სახელმწ. უნ-ტის ასპირანტების, ახალგაზრდა მეცნ. თანამშრომლებისა და სტუდენტებისაგან შედგებოდა. მას სათავეში ედგა ახალგაზრდა მეცნიერი ადამ ბობღიაშვილი, რ-იც ღალატით მოკლეს. ჯგუფს იდეურ ხელმძღვანელობას უწევდა მ. *ზანდუკელი.*

ამ საქმიანობას არავითარი წარმატება არ მოჰყოლია. საბჭოთა დაზვერვამ დაადგინა მათი ,,ძირგამომთხრელი'', ,,ფაშისტური'' საქმიანობა და ბევრი მათგანი დააპატიმრა. 1942 სიკვდილით დასაჯეს მოძრაობის წევრები: კ. ხიმშიაშვილი, კ. ჯოგლიძე, თ. შანშიაშვილი, შ. შავიანიძე, გ. ძიგვაშვილი, გ. თარგამაძე და სხვ. – სულ 17 კაცი. დანარჩენები ციმბირში გადაასახლეს.

1942 თბილისში შეიქმნა ,,თეთრი გიორგის'' მესამე კონსპირაციული ჯგუფი, რ-ის ხელმძღვანელები იყვნენ მწერალი ლ. *გოთუა*, ლ. აბდუშელიშვილი და ამ უკანასკნელის დისწული ლ. (მუსტაფა) *შელია.* ჯგუფის წევრთა შორის იყო მწერალი ჭ. *ამირეჯიბი.* 1944 ჯგუფი გამოაშკარავდა. ორმხრივი სროლის შედეგად მოკლულ იქნა ლ. შელია, დანარჩენები კი გაასამართლეს. ლ. აბდუშელიშვილს და ი. სუტას დახვრეტა მიესაჯათ. ლ. გოთუა, ჭ. ამირეჯიბი და ჯგუფის სხვა წევრები გადაასახლეს.

1946 თსუ-ის სტუდენტებმა შექმნეს არალეგალური ეროვნ.-განმათ. ორგანიზაცია, რ-საც არ ჰქონდა კონკრეტული სახელი, მაგრამ ჰქონდა კონკრეტული მიზანი – მომზადება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. 1948 შემოდგომაზე დააპატიმრეს და 25 წლით გადაასახლეს ამ ორგანიზაციის წევრები: ო. პაჭკორია, გ. მაღულარია, თ. ზალდასტანიშვილი, გ. ცინცაძე, შ. ჯიჯაძე, ბ. ხუხუა, კ. ძიმისტარაშვილი, ი. მაჩაიძე, ა. მელაძე და სხვ.

ნ. *ხრუშჩოვის* მმართველობის წლებში თითქოს დაიწყო საბჭოურ-კომუნისტური რეჟიმის ,,ლიბერალიზაცია'', მაგრამ მართვა-გამგეობის სტრუქტურაში არაფერი შეცვლილა. ეროვნ. მოძრაობის აღორძინების სიმპტომებმა XX ს. 50-იან წლებში კვლავ იჩინა თავი. მრავალმა ქართველმა *სტალინის* კრიტიკა და დამცირება ეროვნ. სიამაყის შეურაცხყოფად აღიქვა. 1956 მარტის პირველ დეკადაში თბილისსა და სხვა ქალაქებში მოეწყო საპროტესტო დემონსტრაციები. მოძრაობის კულმინაციურ ეტაპზე ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა საქართველოს დამოუკიდებლობის ლოზუნგიც გააჟღერა, რაც საბედისწერო აღმოჩნდა. 9 მარტს დემონსტრანტებს ტყვია დაუშინეს – დაიღუპა ასზე მეტი ადამიანი (იხ. *ცხრა მარტი 1956*).

ჩნდებოდა არალეგალური პატრ. ჯგუფები, გამოცემები. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია იყო *,,გორგასლიანი''*, რ-იც პროკლამაციებს ავრცელებდა. 1956 ბოლოს ორგანიზაციის წევრები დააპატიმრეს. ოპოზიცია ძალას იკრებდა. 1976 ზ. *გამსახურდიასა* და მ. *კოსტავას* თაოსნობით საქართველოში დაარსდა ლეგალური ოპოზიციური ორგანიზაცია *,,საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი''*, რ-ის დეკლარაციიდან ჩანდა, რომ ახ. დისიდენტური მოძრაობის მთავარი მიზანი ეროვნ. საკითხების გადაწყვეტა იყო. ჯგუფი გამოსცემდა ჟურნალებს: ,,საქართველოს მოამბე'', ,,ოქროს საწმისი'' და სხვ. 1978 მაისში ხელისუფლებამ ორგანიზაციის ლიდერები დააპატიმრა.

1978 მოსკოვიდან მოვიდა მითითება, საქართველოს კონსტიტუციიდან ამოეღოთ ის მუხლი, რ-იც ქართ. ენას სახელმწ. ენის სტატუსს ანიჭებდა. დიდმპყრობელური რუს. შოვინიზმის ამ აშკარა გამოვლინების წინააღმდეგ მთელი ქართვ. ერი აღდგა. თბილისში გაიმართა გრანდიოზული ეროვნ. დემონსტრაცია. შექმნილი სიტუაცია გაითვალისწინა ცენტრალურმა ხელმძღვანელობამ და კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი უცვლელი დარჩა (იხ. *თოთხმეტი აპრილი 1978*). 80-იან წლებში ქართვ. საზ-ბამ მიზნად დაისახა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ჽ.-ჳ. მ-ში ჩაება ახლად ჩამოყალიბებული თითქმის ყველა პოლიტ. პარტია.

განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას საბჭოთა იმპერიის შინაგანმა კრიზისმაც შეუწყო ხელი. ტოტალიტარული რეჟიმი ვეღარ ახერხებდა სოც.-პოლიტ. წინააღმდეგობათა აღმოფხვრას, არსებული საზ. და სახელმწიფოებრივი წყობილების უცვლელად შენარჩუნებას. კომპარტიის ლიდე-

რები მიხვდნენ, რომ აუცილებელი იყო პოლიტ. სისტემის დემოკრატიზაცია, ეკონ. სტრუქტურაში, მისი მართვის ფორმებში კორექტივების შეტანა. 1985 დაიწყო რეფორმების გატარება, თუმცა ეს განუხორციელებელი ოცნება იყო, ვინაიდან იმპერია არ თმობდა მთავარს – საბჭ. კავშირის უნიტარულ ხასიათს. საქართველოში, ბალტიისპირეთში და იმპერიის სხვა რესპუბლიკებში მზარდი ხასიათი მიიღო სამოქალაქო დაუმორჩილებლობამ. იმართებოდა მასობრივი არასანქცირებული მიტინგები, საპროტესტო დემონსტრაციები, ფრიალებდა ეროვნ. დროშები. 1988 წ. 12 ნოემბ. თბილისში, მთავრობის სახლთან დაიწყო მასობრივი მიტინგი, რ-იც მალე შიმშილობაში გადაიზარდა. პროტესტის ეს უკიდურესი ფორმა გამოიწვია სსრკ-ის კონსტიტუციაში შესატანმა ცვლილებამ, რ-იც აუქმებდა სსრკ-იდან გასვლის ფორმალურ უფლებას და აკანონებდა სსრკ-ის ყველა ცხელ წერტილში საგანგებო წესების შემოღებას. საყოველთაო პროტესტით შეშინებულმა იმპერიულმა ხელისუფლებამ უკან დაიხია – უარი თქვა კონსტიტუციაში დიდმპყრობელურ-შოვინისტური კორექტივების შეტანაზე.

ეროვნ.-განმათ. და დემოკრ. მოძრაობის ლიდერებმა ირწმუნეს, რომ ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას შედეგი მოჰყვებოდა და 1989 წ. 4 აპრილს მთავრობის სახლთან კიდევ უფრო გრანდიოზული მიტინგი და დემონსტრაცია გამართეს – მოითხოვეს საქართველოს სრული დამოუკიდებლობა და რესპუბლიკიდან საბჭ. საოკუპაციო ჯარების გაყვანა. ცენტრმა გადაწყვიტა ალარ დაეთმო და საქართველოში სპეც. დამსჯელი რაზმები გამოაგზავნა. 9 აპრილს, დილის 4 საათზე, რუსეთიდან საგანგებოდ ჩამოყვანილმა სადესანტო ნაწილებმა დაიწყეს მიტინგის დარბევა. დაიღუპა საპროტესტო აქციის 20 მონაწილე, მათ შორის 16 ქალი. ქიმ. ნივთიერებით მოიწამლა 2 ათასამდე ადამიანი (იხ. *ცხრა აპრილი 1989*).

თბილისში დატრიალებულმა 9 აპრ. ტრაგედიამ მსოფლიო საზ-ბის საყოველთაო პროტესტი გამოიწვია. საბჭოურ-კომუნისტურმა მთავრობამ თავისი მოქმედების გამართლება ვერ შეძლო. საზ. აზრი ქართვ. ხალხის სასარგებლოდ განეწყო. ამის შემდეგ საქართველოში ცენტრ. მმართველობა ფაქტობრივად გაუქმდა. საქართვ. მარიონეტული მთავრობა, რ-იც ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ძალაუფლების რაღაც ელემენტებს, იძულებული გახდა 1990 წ. 28 ოქტომბრისათვის დაენიშნა მრავალპარტიული თავისუფალი არჩევნები. რადიკალთა ნაწილმა ზ. გამსახურდიას ხელმძღვანელობით გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო ახ. კანონის შესაბამისად გამართულ არჩევნებში. მეორე ნაწილმა არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. ჯერ კიდევ 1990 წ. 14 მარტს შექმნილი ,,ეროვნული ფორუმი'' გაითიშა. ზ. გამსახურდიას ჯგუფმა დატოვა მისი რიგები. ფორუმში დარჩენილებმა უზენაესი საბჭოს მრავალპარტ. არჩევნების იდეას ეროვნ. კონგრესის არჩევნების იდეა დაუპირისპირეს.

ზ. გამსახურდიას დასმა უფრო სწორად შეაფასა შექმნილი სიტუაცია. იგი ზომიერ პოზიციაზე დადგა და წინასაარჩევნო ბრძოლისათვის შეემზადა. საქართვ. ამომრჩეველთა უმრავლესობამ ხმა მისცა ზ. გამსახურდიას მეთაურობით შექმნილ საარჩევნო ბლოკს *,,მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო''*, რ-მაც ახალ უზენაეს საბჭოში მიიღო ადგილების 62%, ყოფილმა მმართველმა კომპარტიამ კი – მხოლოდ 26,6%.

1991 წ. 31 მარტს ჩატარებულ საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმზე საქართველოს საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 97%-მა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. ამ შედეგების საფუძველზე 9 აპრილს უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიამ დაამტკიცა საქართველოს სახელმწ. დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. მალევე უზენაესმა საბჭომ ზ. გამსახურდია საქართვ. პრეზიდენტად აირჩია. 26 მაისს პრეზიდენტის პირდაპირი და საყოველთაო არჩევნები დაინიშნა. პრეზიდენტის პოსტზე სხვა პარტიებმაც დაასახელეს თავიანთი კანდიდატები, თუმცა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა 93%-მა ზ. გამსახურდიას მისცა ხმა.

ამგვარად, რუსეთის მიერ საქართველოს პირველი რესპ. დამხობიდან 70 წლის შემდეგ ქართველი ხალხის ე.-ბ. მ. წარმატებით დაგვირგვინდა.

ლიტ.: ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი ა., ეროვნული საკითხი საქართველოში. 1801–1921, თბ., 1980; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918–1921), თბ., 2001; ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი ა., დ ა უ შ ვ ი ლ ი ა., ს ა მ ს ო ნ ა ძ ე მ., ქ ო ქ რ ა შ ვ ი ლ ი ხ., ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე დ., ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე ო., რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008; ნ ა თ მ ე ლ ა ძ ე მ., დ ა უ შ ვ ი ლ ი ა., საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1–6, თბ., 1970–72; ს ურ გ უ ლ ა ძ ე ა., ს ურ გ უ ლ ა ძ ე პ., საქართველოს ისტორია (1783–1990), თბ., 1991; უ რ უ შ ა ძ ე ლ., ბოლშევიზმი-მენშევიზმი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921), თბ., 2005; ყ ო რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი გ., ეროვნული საკითხი, თბ., 1997.

ა. ბენდიანიშვილი.

ეროვნულ-დემოკრატები, იხ. სტ. *ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.*

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ერთ-ერთი პირველი მემარჯვენე, არასოციალისტური პარტია საქართველოში. ეროვნ. დემოკრატიზმი, როგორც საზ. აზროვნების მიმართულება, ქართ. სინამდვილეში XIX ს. 60-იან წლებში წარმოიშვა. მომავალი პარტიის იდეოლ. საფუძვლები ი. *ჭავჭავაძისა* და სხვა თერგდალეულთა თეორ. ნააზრევში ჩამოყალიბდა. საკუთარი პარტიის შექმნამდე ეროვნ.-დემოკრ. მსოფლმხედველობის მიმდევართა ერთი ჯგუფი *,,ივერიის'',* ხოლო მეორე *„ცნობის ფურცლის''* გარშემო იყო თავმოყრილი. „ცნობის ფურცელი" 1901–02 წლებში უშვებდა პროკლამაციებს „ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტის" ან „ქართველ დემოკრატთა კომიტეტის" სახელით. ეროვნ.-დემოკრატ მოღვაწეთა ნაწილი 1906 სოციალ.-ფედერალისტთა პარტიაში გაერთიანდა და მისი მემარჯვენე ფრთა შეადგინა. იგი იზიარებდა საქართვ. ავტონომიის ლოზუნგს, მაგრამ არ თანაუგრძნობდა ფედერალისტთა სოციალ. იდეოლოგიას. 1905–06 ეროვნ.-დემოკრატებმა სცადეს დამოუკიდებელ პარტიად ჩამოყალიბება. პოლიტ. ორგანიზაციის საპროგრამო დოკუმენტებზე სხვებთან ერთად მუშაობდა ი. ჭავჭავაძეც. 1905 დაბეჭდეს და გაავრცელეს პროგრამა („საქართველოს დემოკრატია და მისი პროგრამა"), შეადგინეს წესდება, თუმცა იმხანად საქმე წინ ვერ წავიდა. ი. ჭავჭავაძის მკვლელობამ კი პარტიის შექმნა კიდევ უფრო შეაფერხა.

1906 აგვისტოში ეროვნ.-დემოკრატებმა განიზრახეს თბილისში ქართ. ენაზე გამოეშვათ ყოველდღიური გაზ. „ავტონომიური საქართველო", მაგრამ ეს წამოწყება

ვერ განხორციელდა. მომდევნო წლის გაზაფხულზე გამოსცეს რუსულენოვანი გაზეთი *„გრუზინსკაია მისლ“.* 1907 ივლისში ეროვნ.-დემოკრატთა ინიციატივით შედგა პეტიცია „საქართველოს ხალხის მემორანდუმი“ და შეგროვდა 2 ათ. ხელმოწერა, რ-იც გაეგზავნა ჰააგაში შეკრებილ მსოფლიოს სახელმწიფოთა სამშვიდობო კონფერენციას. დოკუმენტი მიმართული იყო რუს. თვითმპყრობელობის ძალმომრეობის წინააღმდეგ და ოფიციალურად სვამდა საქართველოს ავტონ. საკითხს. 1909 ეროვნ.-დემოკრატთა ერთმა ჯგუფმა თბილისში დააარსა ყოველკვირეული ჟურნ. *„ერი“.* 1912 თბილისში შეიქმნა ეროვნ.-დემოკრატთა ახალი მძლავრი ჯგუფი (რ. *გაბაშვილი*, დ. *ვაჩნაძე*, შ. ქარუმიძე, გ. *მაჩაბელი*, შ. *ამირეჯიბი* და სხვ.), რ-მაც დააფუძნა ყოველკვირეული ჟურნ. *„კლდე“.* ქუთაისში მოღვაწე ეროვნ.-დემოკრატები (ვ. წერეთელი, ი. *ოცხელი*, ა. თორაძე, ი. ეკალაძე, ა. ასათიანი და სხვ.) 1911-იდან შემოკრებილნი იყვნენ სამი გაზეთის (*„კოლხიდა“, „იმერეთი“* და *„სამშობლო“*) გარშემო. 1913 პ. *სურგულაძემ* და გ. *კერესელიძემ* ჟენევაში დააარსეს ჟურნ. *„თავისუფალი საქართველო“,* რ-იც ასაბუთებდა და მოითხოვდა საქართვ. დამოუკიდებლობის აღდგენას. ეროვნ.-დემოკრ. ძალების საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე. ევროპაში შეიქმნა *საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი* (პ. სურგულაძე, ძმები ლ. და გ. კერესელიძეები, მ. *წერეთელი*, გ. მაჩაბელი, შ. ქარუმიძე და სხვ.), რ-მაც სამშობლოს მომავალი ბედი გერმანიას დაუკავშირა და კურსი ევროპისკენ აიღო. 1914 უცხოეთიდან დაბრუნებულმა ს. *კედიამ* გააერთიანა ეროვნ.-დემოკრატთა ცალკეული ჯგუფები, 1915 დაარსდა გაზ. *„საქართველო“.* 1917 წ. 12 მარტს ეროვნ.-დემოკრატთა მხარდაჭერითა და აქტ. მონაწილეობით აღდგა ქართ. ეკლესიის ავტოკეფალია, ხოლო 1917 აპრილში ჩამოყალიბდა ინტერპარტიული ეროვნ. საბჭო. 1917 წ. 4–20 ივნისს თბილისში შედგა ე.-დ. პ-ის დამფუძნებელი ყრილობა (კონფერენცია), რ-მაც მიიღო პარტიის პროგრამა და წესდება. აირჩიეს პარტიის მთ. კომიტეტი (ა. ასათიანი, რ. გაბაშვილი, გ. *ვეშაპელი*, დ. ვაჩნაძე, გ. *გვაზავა*, ს. კედია, ვ. წერეთელი, გ. *ქიქოძე* და სხვ.), პირველი თავ-რე (ს. კედია) და პარტიული ორგანოს – გაზ. „საქართველოს“ რედაქტორი (გ. ვეშაპელი). პარტიის პროგრამა სამ ძირითად დებულებას ემყარებოდა: ეროვნ. სუვერენობის იდეა (პოლიტ. ავტონომია), კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის დემოკრ. ხასიათი. პროგრამა უარყოფდა სოციალიზმს. წესდების თანახმად, პარტიის უმთავრესი ორგანო იყო ყრილობა, რ-საც წელიწადში ერთხელ იწვევდნენ. ყრილობიდან ყრილობამდე ორგანიზაციის საქმიანობას ხელმძღვანელობდა მთავარი კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი. პარტიის სტრუქტურა ეფუძნებოდა ტერიტ. დაყოფის პრინციპს. გარდა ადგილ. ორგანიზაციებისა, არსებობდა სასოფლო, საქალაქო და სამაზრო კომიტეტები. ე.-დ. პ. თავს ზეკლასობრივ, მთელი ერის ინტერესების გამომხატველ ორგანიზაციად მიიჩნევდა. პარტია თავის რიგებში აერთიანებდა თავადაზნაურობის პროგრ. ნაწილს, მეწარმე-მრეწველთა, მეურნე გლეხთა და ქართვ. ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს. 1917 წ. ოქტომბერში ე.-დ. პ-ს ჩამოსცილდა მცირერიცხოვანი ჯგუფი (დ. ჩიქოვანი, ა. ახმეტელი, თ. *სახოკია*, დ. არონიშიძე და სხვ.), რ-იც საქართვ. რადიკალ-დემოკრ. გლეხთა პარტიად გაფორმდა. 1918 სექტ. ე.-დ. პ-ს კიდევ ერთი ჯგუფი გამოეყო (გ. ვეშაპელი, რ. გაბაშვილი, დ. ვაჩნაძე, გ. მაჩაბელი, შ. ამირეჯიბი და სხვ.). ჯგუფმა თავდაპირველად დააარსა, დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრ. პარტია, შემდეგ ეროვნული, უფრო მოგვიანებით კი (1920) მიწის მესაკუთრეთა ეროვნ. პარტია უწოდა. მისი პერიოდული ორგანოები იყო: გაზ. ,,კლდე“ (1918–20; 1919 გაზეთი ზოგჯერ ,,ახალი კლდის“, ,,პიტალო კლდის“ სახელწოდებით გამოდიოდა), ,,ნაციონალისტი“ (1926), ,,მიწა“ (1920–21).

ე.-დ. პ-ის დიდი ძალისხმევით ინტერპარტიულმა ეროვნ. საბჭომ 1917 წ. ნოემბერში მოიწვია საქართვ. პირველი ეროვნ. ყრილობა, რ-მაც აირჩია საქართვ. ეროვნ. საბჭო, სადაც თავდაპირველად ე.-დ. პ-ის 9 წევრი იქნა არჩეული. მოგვიანებით წარმომადგენლობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1918 წ. 26 მაისს, საქართვ. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს შექმნილ კოალიციურ მთავრობაში შედიოდა ეროვნ.-დემოკრატი გ. *ჟურული*. ე.-დ. პ. მხარს უჭერდა საქართველოში ადგილ. თვითმმართველობის ორგანოთა ჩამოყალიბებას, მონაწილეობდა საერობო და საქალაქო თვითმმართველობის არჩევნებში და მმართველი ს.-დ. პარტიის შემდეგ მეორე ადგილზე გავიდა. 1919 თებ. საქართველოში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რ-შიც გაიმარჯვეს სოც.-დემოკრატებმა (109 მანდატი 130-იდან). ე.-დ. პ-მ მეორე შედეგი აჩვენა, გაიყვანა 8 დეპუტატი და ოპოზიციაში აღმოჩნდა. იგი აკრიტიკებდა მთავრობის სოციალ. კურსს, ხელისუფლების მერყევ საგარეო პოლიტ. ორიენტაციას, მოითხოვდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უფრო მეტად განმტკიცებას, სახ. გვარდიის გაუქმებას და ერთიანი მტკიცე არმიის შექმნას, აუცილებლად მიიჩნევდა პრეზიდენტის თანამდებობის დაწესებას. ე.-დ. პ-ის საპარლამენტო ფრაქცია (თავ-რე გ. გვაზავა) აქტიურად იყო ჩაბმული საკანონმდებლო საქმიანობაში, მონაწილეობდა კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების მომზადებასა და მიღებაში. 1921 იანვარში შედგა საქართვ. არასოციალ. და დემოკრ. პარტიათა გაერთიანებული კონფერენცია. ე.-დ. პ-თან გაერთიანდნენ მისგან გამოყოფილი რადიკალ-დემოკრ. და ეროვნ. პარტიები, აგრეთვე უპარტიოთა კავშირი (კ. *აფხაზი*, კ. მაყაშვილი და სხვ.) და შეიქმნა საქართვ. დემოკრ. პარტია (გაერთიანებული ეროვნ.-დემოკრ. პარტია). მიიღეს პარტიის ახ. პროგრამა. გაერთიანებული პარტიის თავ-რედ კვლავ ს. კედია აირჩიეს. პარტიის წარმომადგენლობას დამფუძნებელ კრებაში დემოკრ. ფრაქცია უწოდეს. 1921 თებ.-მარტში ბოლშევიკური რუსეთის ჯარებმა დაამხეს საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკა, რ-ის მთავრობა და დამფუძნებელი კრების წევრთა დიდი ნაწილი ემიგრაციაში წავიდა.

გაერთიანებული ე.-დ. პ-ის მთავარი კომიტეტის და დამფუძნებელი კრების დემოკრ. ფრაქციის დადგენილებით გადაწყდა, რომ პარტიის წევრები არ გაიხიზნებოდნენ, დარჩებოდნენ სამშობლოში. 1921 სექტემბერს შეიქმნა პარტიის არალეგალური ცენტრ. კომიტეტი. რეორგანიზაცია განიცადა მთელმა პარტიამ. წევრთა დიდ ნაწილს დროებით შეუჩერ-

და პარტიის წევრობა, დარჩენილი ნაწილი კი მტკიცე ცენტრალიზაციისა და მკაცრი დისციპლინის საფუძველზე მუშაობდა. იქმნებოდა მებრძოლი რაზმები. ე.-დ. პ. გახდა საქართვ. ოკუპაციის წინააღმდეგ მებრძოლი საერთო ეროვნ. ცენტრის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. იატაკქვეშა საქმიანობას სათავეში ედგა ს. კედია. მისი დაპატიმრებისა და სამშობლოდან გაძევების შემდგომ 1922 პარტიის თავ-რედ აირჩიეს კ. აფხაზი. მისი დახვრეტის შემდეგ (1923) არალეგალურ მუშაობას მეთაურობდნენ ი. ჯავახიშვილი და შ. ამირეჯიბი. 1922 მაისში გაერთიანებულმა ე.-დ. პ-მ და საქართვ. დამოუკიდებლობის მომხრე სხვა პარტიებმა შექმნეს საქართვ. *დამოუკიდებლობის კომიტეტი* („დამკომი“, იგივე ინტერპარტიული პარიტეტული კომიტეტი). დამკომში ე.-დ. პ-ს ი. ჯავახიშვილი წარმოადგენდა. 1923 ოქტომბერში, საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნით, მოიწვიეს გაერთიანებული ე.-დ. პ-ის სალიკვიდაციო კონფერენცია, რ-მაც პარტია ფორმალურად დაშლილად გამოაცხადა, ფაქტობრივად კი კვლავ განაგრძო იატაკქვეშა მუშაობა. ე.-დ. პ-ის წევრებმა აქტ. მონაწილეობა მიიღეს 1924 *აგვისტოს აჯანყებაში.* ბევრი მათგანი შეეწირა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას, გადარჩენილთა ნაწილი კი შეუერთდა ემიგრაციას, რ-მაც ბინა პარიზში დაიდო. 1925-იდან იქვე დაიწყო ეროვნ.-დემოკრ. გაზეთის „სამშობლოსათვის“ (რედაქტორი ს. კედია) გამოცემა. ემიგრაციაში ე.-დ. პ. კიდევ ერთხელ გაითიშა. ს. კედიას და მის თანამოაზრეებს გაზეთ ,,მამულიშვილის‘‘ ირგვლივ დაჯგუფებული რ. გაბაშვილი, შ. ამირეჯიბი, დ. ვაჩნაძე, რ. ინგილო და სხვ. დაუპირისპირდნენ. 1929 ისინი ა. ასათიანთან და ე. პატარიძესთან გაერთიანდნენ და ჟურნ. ,,სამშობლო‘‘ დააფუძნეს. 1929 პარტიას გამოეყო და ცალკე ჩამოყალიბდა ეროვნ.-დემოკრატთა ჯგუფი გ. გვაზავას ხელმძღვანელობით, რ-საც გაზ. ,,საქართველო‘‘ აერთიანებდა. 1932-იდან ს. კედიას ჯგუფი უშვებდა გაზ. ,,საქართველოს გუშაგს‘‘.

ს. კედიას გარდაცვალების შემდეგ (1948) ე.-დ. პ-ს სათავეში ა. ასათიანი ჩაუდგა. იგი პარტიას სიცოცხლის ბოლომდე (1953-მდე) მეთაურობდა. 1953–75 თავ-რის თანამდებობა დაიკავა ე. პატარიძემ, რ-იც 1949-იდან პარტიის ახლად დაარსებულ ორგანოს – ჟურნ. ,,ივერიას‘‘ უძღვებოდა. მისი გარდაცვალების დღიდან ე.-დ. პ-ის ხელმძღვანელობა მ. ქავთარაძემ ითავა, მასვე დაეკისრა ,,ივერიის‘‘ რედაქტორობაც.

წევრთა ხანდაზმულობისა და მცირერიცხოვნობის გამო 80-იანი წლების დამდეგიდან პარტია ინტენსიურად ვეღარ მოქმედებდა. ჟურნ. ,,ივერია‘‘ კი ე.-დ. პ-ის ეგიდით გამოდიოდა 1990-მდე.

ო. ჯანელიძე.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ე.-დ. პ. 1981 წ. 8 თებერვალს აღადგინა გ. *ჭანტურიამ* თანამოაზრეებთან (მ. გაორგაძე, ი. ქადაგიშვილი, ა. ანთიძე, გ. ჩახვაძე, ვ. ხუხუნაიშვილი და სხვ.) ერთად. თავმჯდომარედ დასახელდა გ. ჭანტურია. პარტიის პირველი საქმიანობა პროკლამაციებისა და აკრძალული ლიტ-რის გავრცელება გახდა. მის მთავარ იდეას საქართვ. პოლიტ. დამოუკიდებლობის აღდგენა და საქართველოში სოციალ. რეჟიმის გაუქმება წარმოადგენდა.

1992 ე.-დ. პ-მ ოფიც. რეგისტრაცია გაიარა საქართვ. იუსტიციის სამინისტროში. მისი გერბი არის გრაალის თასი, ოქროსფერი მკაფიო კონტურებით; დროშა – სამფეროვანი: თეთრი, შინდისფერი და შავი თანაბარი ჰორიზონტალური ზოლებით. შინდისფერ ზოლზე გამოსახულია ე.-დ. პ-ის გერბი.

პარტიის აღდგენიდან ორი წლის შემდეგ, 1983, ეროვნ.-დემოკრატებმა დაიწყეს ანტისაბჭოური პროკლამაციების გავრცელება საქართველოს რამდენიმე ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ზესტაფონი, სოხუმი). იმავე წელს გ. ჭანტურიას ინიციატივით მოეწყო *გეორგიევსკის ტრაქტატის* წინააღმდეგ მიმართული გამოსვლები, რის გამოც იგი დააპატიმრეს. მისი განთავისუფლების შემდეგ (1985) პარტიამ იატაკქვეშეთში განაგრძო პოლიტ. მოღვაწეობა.

1987 ე.-დ. პ. იყო ,,ილია ჭავჭავაძის საზოგადოების‘‘ შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. 1988 მისივე ინიციატივით მოეწყო 22–29 ნოემბრის აქცია, სადაც ე.-დ. პ-მ პირველმა ღიად წამოაყენა მოთხოვნა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. 30 ნოემბ. გაიმართა პარტიის პირველი ლეგალური ყრილობა.

1991 წ. 2 სექტ., ხელისუფლების მიერ ე.-დ. პ-ის მიტინგის დარბევის შემდეგ თბილისში და საქართვ. სხვა რეგიონებში დაიწყო საპროტესტო აქციები. 1991 წ. 16 სექტ. გ. ჭანტურია ისევ დააპატიმრეს.

1992 ე.-დ. პ. გაწევრიანდა მსოფლიო ქრისტიან-დემოკრ. ინტერნაციონალში, ხოლო გ. ჭანტურია გახდა ამავე ორგანიზაციის პოლიტ. საბჭოს წევრი.

1993 წ. 9 მაისს, ეროვნ.-დემოკრატებმა აღადგინეს ორგანიზაცია ,,ახალგაზრდა ეროვნ.-დემოკრატი‘‘ (აედ), რ-ის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ე.-დ. პ-ის თავმჯდომარის თანაშემწე ბ. ქარდავა. ეს პოსტსაბჭოთა საქართველოში პირველი ახალგაზრდული პოლიტ. ორგანიზაცია იყო.

1992 საპარლამენტო არჩევნებიდან მოყოლებული, ე.-დ. პ. აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფოებრივ პროცესებში და ფლობდა რამდენიმე მინისტრის პოსტს.

1992 საქართველოს *დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში* (დსთ) შესვლასთან დაკავშირებით პარტიამ პროტესტის ნიშნად დატოვა ყველა პოსტი და ოპოზიციაში გადავიდა.

1994 წ. 3 დეკემბერს, ტერორისტული აქტის შედეგად გ. ჭანტურიას მკვლელობის შემდეგ, პარტიის ლიდერი გახდა ამავე პარტიის წევრი, გ. ჭანტურიას მეუღლე, ი. სარიშვილი-ჭანტურია (2003-მდე).

1996 შიდაპარტიული უთანხმოების გამო, პარტიიდან გავიდა წევრთა ერთი ნაწილი, რ-თაც 1997 ჩამოაყალიბეს სახ. პარტია. ორ ნაწილად გაიყო საპარლამენტო ფრაქციაც.

2005 წ. 23 სექტ. ე.-დ. პ-ის ყრილობამ თავმჯდომარედ აირჩია ბ. ქარდავა.

2008 საპარლამენტო არჩევნებში ე.-დ. პ. გაერთიანდა ბლოკში ,,მემარჯვენე ალიანსი – თოფაძე, მრეწველები‘‘. აღნიშნულმა ბლოკმა ვერ გადალახა საარჩევნო ბარიერი.

2009 ე.-დ. პ. გამოვიდა ქვეყანაში არსებული პოლიტ. სისტემის შეცვლის მოწოდებით, მისი ინიციატივით შეიქმნა სახელმწ. საკონსტიტუციო კომისია. პარტია აქტიურად მონაწილეობს საერთაშ. ორგანიზაციების ეგიდით შექმნილ საარჩევნო კოდექსის რეფორმირების ჯგუფში.

ე.-დ. პ-ის პერიოდული ორგანოებია: ჟურნ. ,,მოამბე‘‘ (გამოდის 1987-იდან), გაზ. ,,ქართული ქრო-

ნიკა‘‘ (1987–99). პარტიის რეგიონალური ორგანიზაციები ადგილობრივ გამოსცემდნენ ჟურნალ-გაზეთებს. 1987–90 არალეგალურად გამოდიოდა ლიტ. ჟურნ. ,,ფენიქსი‘‘, ხოლო 1992–95 – ლიტერატურული გაზ. ,,სიტყვა‘‘. 1990 პარტიის ახალგაზრდულმა ფრთამ აღადგინა გაზ. ,,ახალი ძალა‘‘, რ-ის მხოლოდ 3 ნომერი გამოვიდა.

ზ. ღონღაძე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ საქართველოსი, საქართველოს ცენტრალური ბანკი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. ე. ბ-ს უფლება აქვს დამოუკიდებლად დადოს ხელშეკრულებები, შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება, ფლობდეს და განკარგავდეს მას, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ, დამოუკიდებლად შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები.

ე. ბ. დაფუძნდა თბილისში 1991 საქართვ. უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს (უზენაესი საბჭო) მიერ სსრკ სახელმწ. ბანკის საქართვ. რესპ. კანტორის ბაზაზე. თავდაპირველად მისი საქმიანობა რეგულირდებოდა საქართვ. რესპ. 1991 წ. 2 აგვ. კანონით ,,საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ‘‘. საქართვ. პარლამენტმა 1995 წ. 23 ივნისს მიიღო ორგანული კანონი ,,საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ‘‘, რ-იც ახ. რედაქციით ჩამოყალიბდა 2009 წ. 24 სექტემბერს.

ე. ბ-ის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება, აგრეთვე ფინანს. სისტემის სტაბილურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას.

ე. ბ-ის ძირითადი ფუნქციებია: ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტ. შემუშავება და განხორციელება; კომერციული ბანკების, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის ზედამხედველობა; ოფიც. საერთაშ. რეზერვების ფლობა, შენახვა და განკარგვა; საგადახდო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ფულის ნიშნების ემისია; საერთაშ. სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად ქვეყნის ფინანს. და საგარეო სექტორის სტატისტ. წარმოება და გავრცელება. ე. ბ. თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, დამოუკიდებელია ეკონომიკურადაც და ყველა ხარჯს საკუთარი შემოსავლით უზრუნველყოფს. ე. ბ. საქართველოს წარმოადგენს ყველა საერთაშ. არენაზე და ორგანიზაციაში. მის საქმიანობას წარმართავს ე. ბ-ის საბჭო, რშიც შედის შვიდი წევრი: საბჭოს თავ-რე (ბანკის პრეზიდენტი), ორი ვიცე-პრეზიდენტი და ოთხი სხვა წევრი, რ-თაც ირჩევს საქართვ. პარლამენტი 7 წლის ვადით. საბჭო ხელმძღვანელობს და ზედამხედველობას უწევს ე. ბ-ის მთელ საქმიანობას.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ საქართველოს პარლამენტის, ი. ჭავჭავაძის სახელობისა, დაარსდა 1846 როგორც თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა დ. ყიფიანის, ზ. ერისთავის, ვ. და გ. ორბელიანების, ნ. ბარათაშვილის, მ. თუმანიშვილისა და სხვათა თაოსნობით მეფისნაცვლის კანცელარიისა და კერძო ბკების ფონდების ბაზაზე. არსებობის პირველ წლებში ბ-კამ შეძლო პეტერბურგის უნ-ტის რექტორის პ. დეგუროვის პირადი ბ-კის შეძენა. 1848 ახლად დაარსებულ საჯარო ბ-კას გადაეცა დ. ყიფიანის ინიციატივით თბილისში 1842 გახსნილი ,,კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის‘‘ (იმავე ,,ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის‘‘), ფონდი. საჯარო ბ-კის დაკომპლექტება დაევალა მეფისნაცვლის კანცელარიის მოხელეს გ. ტოკარევს, რ-საც დიდი დახმარება გაუწია საქართველოში მყოფმა შვეიცარიელმა მოგზაურმა *დიუბუა დე მონპერემ*. გადაწყდა, რომ ბ-კა დაკომპლექტებულიყო წმინდა კავკასიოლოგიური ლიტრით.



ეროვნული ბიბლიოთეკა. I კორპუსი. 1913–16.

1851 ქართველმა პოეტმა და საზ. მოღვაწემ ვ. ორბელიანმა თავისი სახსრებით ააგო შენობა, სადაც 1852 ბ-კა განთავსდა (ახლანდ. გ. ლეონიძის სახ. ბაღის ტერიტორია).

1852 ივნისიდან კავკ. მთავარმართებლის მ. ვორონცოვის განკარგულებით საცენზურო კომიტეტს დაევალა, კავკ. ფარგლებში დაბეჭდილი ყველა გამოცემის 2 ეგზემპლარი გადასცემოდა საჯარო ბ-კას.

1859-თვის საჯარო ბ-კის ფონდი შედგებოდა 13,26 ათ. ტომისაგან (19 ენაზე).

1868 თბილ. საჯარო ბ-კა შეუერთდა კავკ. მუზეუმს (იხ. სტ. *საქართველოს ეროვნული მუზეუმი*) და ,,კავკასიის მუზეუმი და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა‘‘ ეწოდა. მას გაუჩნდა დაკომპლექტების ახ. წყაროც – წიგნთგაცვლა რუს. იმპერიასა და საზღვარგა-

რეთთან.

1871 ბ-კა გადავიდა ახ. შენობაში (საქართვ. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის პირდაპირ). დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ნაბეჭდი კატალოგების გამოცემა ა. ბერჟეს, გ. სივერსის და პ. მელერის რედაქციით (1866–85; გაგრძელებით). მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, თბილ. საჯარო ბ-კა ვერ აკმაყოფილებდა მკითხველთა მოთხოვნებს. ნ. ნიკოლაძე ყოველმხრივ ცდილობდა ბ-კის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამ მიზნით მან მრავალჯერ დააყენა საკითხი ქალაქის თვითმმართველობაში, გაზ. ,,Новое обозрение‘‘-სა და გაზ. ,,Кавказ‘‘-ში (1887). ორმოცი წლის განმავლობაში გაიზარდა ბ-კის წიგნადი ფონდი (ძირითადად, მხარეთმცოდნეობითი ლიტ-რა საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის შესახებ).

კავკ. მუზეუმის ახ. შენობის აგებასთან დაკავშირებით, 1911 ბ-კა მკითხველებისათვის დაიხურა, თუმცა მუშაობა არ შეუწყვეტია და განაგრძობდა წიგნადი ფონდის შევსებას. 1913 წ. 3 დეკემბერს ტფილისის საჯარო ბ-კა კავკ. მუზეუმის სამეცნ. ბ-კად გადაკეთდა და მთლიანად შეუერთდა კავკ. მუზეუმს. 1914 კავკ. მუზეუმის ახ. შენობის მშენებლობის გამო ბ-კა დაიხურა, ყუთებში მოთავსებული წიგნადი ფონდი 10 წელი სარდაფებში ინახებოდა. 1923 წ. 30 მაისს საქ. სსრ სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება თბილისში სახელმწ. საჯარო ბ-კის დაარსების თაობაზე. მას საფუძვლად დაედო კავკ. მუზეუმთან არსებული თბილ. საჯარო ბ-კისა და საქ. სსრ სახკომსაბჭოს ბ-კის (1918–21 – პარლამენტის ბ-კა) წიგნადი ფონდები. ბ-კა ექვემდებარებოდა საქ. სსრ განათლების სახ. კომისარიატს; დირექტორად დაინიშნა სახკომსაბჭოს ბ-კის დირექტორი გ. გეხტმანი. 1923-იდან ბ-კა არაერეგულარულად იღებდა საქართვ. ბეჭდური პროდუქციის აუცილებელ უფასო ცალებს, ხოლო 1926-იდან კი რეგულარულად დაიწყო სსრკ-ში შემავალი ყველა რესპ. ენაზე გამოცემული პროდუქციის მოწოდება. 1928-მდე ბ-კა განთავსებული იყო სახკომსაბჭოს შენობაში, შემდეგ კი გადაიტანეს ყოფ. სამხ. ტაძარში, 1929 – ლ. კეცხოველის ქუჩაზე (ახლანდ. ლ. გუდიაშვილის ქუჩა) ყოფ. სათავადაზნაურო ბანკის შენობაში (1913–16, არქიტ. ა. კალგინი, მხატვარი ჰ. ჰრინევსკი). თაღოვანი გალერეა, მთ. შესასვლელი, ზედა სართულის ღია ტერასა, მოხდენილი კოშკი, ძარღვიანი დეტალები, ოსტატურად და ზუსტად გამოყენებული ორნამენტული მოტივები – ასეთია ამ თეთრი ეკლარის ქვით მოპირკეთებული შენობის არქიტექტურა.

1931 წლის 25 თებერვალს ბ-კა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მკითხველთა ფართო მასების მომსახურებისათვის. 1931–33 საარქივო მასალების მიხედვით ბ-კა 25 თებ. სახელობისა იყო. 1937 მას გადაეცა ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზ-ბის (1879–1927) ბ-კის წიგნადი ფონდი, რითაც იგი გახადა ეროვნ. ნაბეჭდი ერთეულის ყველაზე სრულყოფილი მფლობელი. 1939 დასრულდა ბ-კის წიგნადი ფონდის გენ., სისტ. და ანბანური კატალოგების შედგენა. 1953-იდან ბ-კა ექვემდებარებოდა ახლად შექმნილ კულტ. სამინისტროს; ამავე წელს მას გადაეცა კიდევ ერთი შენობა (ახლანდ. II კორპ.), 1955-იდან დაერქვა კ. მარქსის სახ. საქართველოს სსრ სახელმწ. რესპ. ბიბლიოთეკა. 1957-იდან ბ-კა ეწევა საერთაშ. წიგნთგაცვლას. 1971 დაიწყო მისი წიგნთსაცავი კორპუსის მშენებლობა (დასრულდა 1977). 1990 ბ-კას გადაეცა მის გვერდზე მდგარი შენობა (1910, არქიტ. მ. ოჰანჯანოვი, ნეოკლასიკური სტილი), ყოფ. ვოლგა-კამის საზ-ბის ბანკი, რ-შიც გასაბჭოების შემდეგ ფინანსთა სამინისტრო იყო განთავსებული.

1955–90 ფუნქციონირებდა საქართვ. სახელმწ. რესპ. ბ-კის სახელწოდებით, 1991-იდან კი ეწოდა ე. ბ., ხოლო საქართვ. პრეზიდენტის 1996 წ. 25 დეკ. ბრძანებულებით იგი შევიდა საქართვ. პარლამენტის გამგებლობაში და საქართვ. პარლამენტის ე. ბ. ეწოდა, 2000-იდან ი. ჭავჭავაძის სახელობისა გახდა და სახელმწ. დაფინანსებაზე გადავიდა. 1991-იდან ბ-კა საბიბლიოთეკო ასოციაციების საერთაშ. ფედერაციის (IFLA) წევრია.

2012 წ. 1 იანვრისთვის ბ-კის სტრუქტურაში გაერთიანებული იყო შემდეგი დეპარტამენტები: ა) მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტი, რ-იც მოიცავდა: სამეცნ. მეთოდურ საბჭოს, გამომცემლობის, ქართველოლოგიის, სამოქ. განათლების, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტების, საზ-ბასთან ურთიერთობისა და კულტ. პროგრამების, პარლამენტის სამეცნ. უზრუნველყოფის განყ-ბებს; ბ) საბიბლიოთეკო მომსახურებისა და ინფორმაციის დეპარტამენტი, მოიცავდა: საბიბლიოთეკათშორისო აბონენტის, სამკითხველო დარბაზებით მომსახურების, ელექტრონული რესურსებით მომსახურების, მკითხველთა რეგისტრაციის, სანოტო და აუდიოვიზუალური გამოცემებით მომსახურების განყ-ბებს; გ) საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტი, მოიცავდა: წიგნსაცავის, იშვიათ გამოცემათა, პერიოდულ გამოცემათა საცავის, საქართველოში ნაბეჭდი და ელექტრონული გამოცემების საარქივო ფონდის, ფონდების



ეროვნული ბიბლიოთეკა. დ. ყიფიანის სახელობის სამკითხველო დარბაზი.



ეროვნული ბიბლიოთეკა. საგამოფენო დარბაზი.

კონსერვაციის და რესტავრაციის, დაკომპლექტების, ISBN წიგნის, ISMNM მუს. გამოცემებისა და ISSN სერიული გამოცემების საერთაშ. სტანდ. ნომრის, პერიოდულ გამოცემათა დამუშავების, ფონდებისა და კატალოგების ორგანიზებისა და დაცვის, პლაკატისა და ესტამპის, კლასიფიკაციისა და კატალოგიზაციის, კარტოგრაფიის განყ-ბებს. ბ-კის დაკომპლექტების წყაროებია: უფასო სავალდებულო ცალები (რ-ებსაც ბ-კა იღებდა 1923-იდან), შეძენა, ხელმოწერა, შიდა და საერთაშ. გაცვლა, შემოწირულობები. ბ-კის წიგნად ფონდში გაერთიანებულია საქართვ. არაერთი უძველესი კერძო თუ სახელმწ. ბ-კის კოლექცია, რ-შიც, თავის მხრივ, შედის კავკ. მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის პირადი კოლექცია, კავკ. ცნობილი მკვლევრის ე. ვეიდენბაუმის, ცნობილი ისტორიკოსის ს. ესაძის, პროფ. გ. გეხტმანის კოლექციები. ე. ბ-ის ფონდში შედის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის ბ-კის ფონდი, რ-შიც გაერთიანებულია ეგზემპლარები ქართვ. ბატონიშვილთა პირადი ბ-კებიდან, სამეგრელოს მთავრის დ. დადიანის, XIX ს. გამოჩენილ მოღვაწეთა – დ. ჩუბინაშვილის, რ. ერისთავის, ი. გოგებაშვილის, პ. უმიკაშვილის პირადი ბიბლიოთეკა-კოლექციები, ისტორიკოს დ. ბაქრაძის კოლექცია; ამ ფონდის ნაწილს შეადგენს ი. ჭავჭავაძის პირადი ბ-კა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის ფონდი საფუძვლად დაედო 1937 ჩამოყალიბებულ ქართ. ნაბეჭდი ერთეულის საარქივო ფონდს. ბ-კის ფონდში აგრეთვე შედის ნ. ნიკოლაძის არქივი და ბ-კის ნაწილი, რ-ებიც გადაცემულია ნაწილ-ნაწილ 1920, 1941 და 1960 წლებში; მ. ბერძნიშვილის არქივი; ი. იმედაშვილის ქართვ. მოღვაწეთა ლექსიკონის საარქივო ფონდი და სხვ.

2012-თვის ბ-კის ფონდში სულ დაცული იყო: წიგნი – 3623992 ერთეული, ჟურნალი – 231222 წლიური კომპლექტი, გაზეთი – 54299 წლიური კომპლექტი, ფურცლოვანი გამოცემები – 75691 ერთეული, ნოტი – 97086 ერთეული, გრამფირფიტა – 23707 ერთეული, CD/DVD – 3645 ერთეული, კარტოგრაფიული გამოცემები – 19688 ერთეული, მიკროფორმები – 18198 ერთეული.

ბ-კის იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში დაცულია პირველნაბეჭდი ქართ. წიგნის სრულყოფილი კოლექცია, სადაც გაერთიანებულია ისეთი რარიტეტული გამოცემები, როგორიცაა 1629 რომში კათოლიკე მისიონერთა სტამბაში დაბეჭდილი პირველი ქართ. ნაბეჭდი წიგნი – ,,ქართულ-იტალიური ლექსიკონი'', 1705 მოსკოვში მეფე არჩილ II-ის მიერ დაბეჭდილი ,,დავითნი'', მეფე ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი 1709 წლის უიშვიათესი ,,დავითნი'' და 1712 წლის პირველნაბეჭდი ,,ვეფხისტყაოსანი''; ბ-კა ფლობს საქართველოში ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებულ პირველ ქართ. სტამბაში დაბეჭდილი გამოცემების ყველაზე სრულ კოლექციას, აქვე დაცულ ხელნაწერთა ფონდში ინახება XIII ს. ხელნაწერი სახარება. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის (სპებ) ერთიანი წიგნადი ფონდი ენების მიხედვით ასე ნაწილდება: ქართული – 532523 (14,7%); უცხოური – 3091469 (85,3%), მ. შ.: ევროპული – 152419 (4,3%), რუსული – 2876300 (79,3%), სხვა ენებზე – 62750 (1,7%); სულ – 3623992 (100%). პერიოდულ გამოცემათა ფონდში დაცულია საქართველოში დაბეჭდილი პერიოდიკის უმდიდრესი კოლექცია ქართ., რუს., სომხ., აზერბ., აფხ., ოსურ და სხვა ენებზე, ევრ. ქვეყნების პრესა და სამეცნ. ხასიათის პერიოდული გამოცემები ინგლ., ფრანგ., იტალ., გერმ. ენებზე, აშშ-ს პრესა და სამეცნ. პერიოდიკა. ფონდის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრ. გაზეთების 1921–89 წლიური კომპლექტები და პერიოდიკა რუს., სომხ. და აზერბ. ენებზე.

ბ-კის ფონდიდან აღსანიშნავია პირველი ქართ. გაზეთი, დაბეჭდილი 1819 წელს ,,საქართველოს გაზეთის'' სახელწოდებით, ,,ივერიის'', ,,დროების'', ,,ცნობის ფურცლის'' სრული წლიური კომპლექტები, XX ს. 20-იანი წლების რეპრესირებული პრესა, საქართვ. პირველი დემოკრ. რესპუბლიკის დროინდელი იშვიათი პერიოდიკა და სხვ.

ბ-კა ფლობს სანოტო და აუდიოვიზუალური გამოცემების მდიდარ კოლექციას, კარტოგრაფიულ გამოცემათა, მიკროფილმებისა და მიკროფიშების, ხელნაწერთა და საარქივო, ელექტრონული გამოცემების ფონდებს. ბ-კის ელექტრონული რესურსები შეიცავს როგორც ელექტრონულ საცნობარო ლიტერას, კატალოგებს, ლექსიკონებს, ცნობარებს, ასევე ელექტრონულ ბ-კას – ელექტრონულ ტექსტებს, რ-ებიც 2012-იდან გაერთიანდა ელექტრონულ ბ-კაში ,,ივერიელი'' (მისი სახელწოდება უკავშირდება ანთიმოზ ივერიელის, ქართული სტამბის დაარსების ერთერთი ინიციატორის, სახელს). ელექტრონული კატალოგებით შესაძლებელია იმის დადგენა, არის თუ არა ბ-კაში ესა თუ ის გამოცემა და შენახვის რა შიფრითაა დაცული ფონდში. კატალოგი 2012-თვის შეიცავდა 3 მლნ. ჩანაწერს. ქართ. გაზეთების საძიებელი მომხმარებელს საშუალებას აძლევს მოიძიოს სასურველი გაზეთი არა მარტო სახელწოდების, არამედ გამოცემის დაწყების, ადგილის, რედაქტორის, თემატიკის, გამომცემელი ორგანოსა და სხვათა მიხედვით. ბ-კას აქვს ცნობარი ,,ქართველი ავტორები''. კოლექციაში წარმოდგენილია თანამედროვე ქართვ. ავტორების

ბიოგრ. მონაცემები და მათი ავტორობით გამოსული წიგნების ბიბლიოგრ. აღწერილობა.

Ე. ბ-ის საიტზე წარმოდგენილია სხვადასხვა თემის ელექტრონული ლექსიკონი: ფსევდონიმების, უცხო სიტყვათა განმარტებითი, ადამიანის უფლებათა, სამოქ. განათლების, ინგლ.-ქართ., საკანონმდებლო ტერმინთა, კომპიუტერული და საბიბლიოთეკო ტერმინთა, საქართვ. ისტ. ძეგლთა, ბიბლიოგრაფიული და სხვა ლექსიკონები. ბ-კა ეწევა სამეცნ.-კვლ. მუშაობას ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და წიგნის ისტ. დარგში. Ე. ბ. მონაწილეობს საერთაშ. პროექტებში.

Ე. ბ. 2007-იდან თანამშრომლობს სმითსონის ინ-ტთან, რ-ის შედეგად შეიქმნა სმითსონის მუზეუმთა ქსელისა (http://www.si.edu) და საქართვ. პარლამენტის Ე. ბ-ის ერთობლივი ვებ-საიტი, რ-იც ასახავს საქართვ. კულტ. მემკვიდრეობასა და ორი ოჯახის – ჭავჭავაძეებისა და დადიანების ისტორიას.

2008 წლის 1 იანვრიდან Ე. ბ. ჩართულია საერთაშ. საბიბლიოთეკო პროექტ ,,FUMAGABA''-ში, რ-ის მიზანია, დაეხმაროს 8 ქვეყნის (საქართველო, აზერბაიჯანი, ალბანეთი, სომხეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მოლდავეთი, მაკედონია, უკრაინა) ეროვნ. ბ-კებს, გახდნენ ,,The European Library''-ის (,,ევროპული ბიბლიოთეკა''), ევროპის 48 ეროვნ. ბ-კის ვებპორტალის სრულუფლებიანი წევრები.

ბ-კის არქიტ. კომპლექსში შედის 5 კორპუსი, სადაც ფუნქციონირებს სამკითხველო დარბაზები: საერთო (I კორპ.); მეცნიერ მუშაკთა (I კორპ.); პერიოდიკის (I კორპ.); საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების (I კორპ.); სამოქალაქო განათლების (II კორპ.); ქართველოლოგიური ლიტ-რის (III კორპ.); დისერტაციების (III კორპ.); იშვიათ გამოცემათა (III კორპ.); სანოტო და ხმოვანი გამოცემების (III კორპ.); პლაკატის და ესტამპის (III კორპ.); ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის (II კორპ.) დარბაზები და საცავი (IV კორპ.). XXI ს-ის დასაწყისში საქველმოქმედო ფონდ ,,ქართუს'' სახსრებით საბიბლიოთეკო კომპლექსში ჩატარდა დიდი მოცულობის სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები.

Ე. ბ-ის ხელმძღვანელები: გ. ტოკარევი (1846–50), ლ. დე სან-ტომა (1850–57), ა. ბერჟე (1858–68). კავკ. მუზეუმთან გაერთიანების შემდეგ ბ-კის დირექტორები იყვნენ: გ. რადე (1868–1903), ა. კოზნაკოვი (1904–19), ნ. ყიფიანი (1919–23), გ. გეხტმანი (1923–30), ს. ეული-ქურიძე (1931–36), ბ. ბიბინეიშვილი (1936–37), ი. მაჩაბელი [1937 (აპრ.-დეკ.)], ი. ჭელიძე (1938–41), ვ. მგალობლიშვილი (1942–43), ს. ეული-ქურიძე (1944–62), პ. კანდელაკი (1962–68), ა. კავკასიძე (1968–84), ა. ძიძიგური (1984–91), ნ. წულეისკირი (1991–92), ა. ძიძიგური (1992–97), ა. კარტოზია (1997–98), ლ. ბერძენიშვილი (1998–2004), ზ. აბაშიძე (2004–05), ბ. გაგუა (2005–11), გ. კეკელიძე (2012-იდან). ბ-კაში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის გამოჩენილი მოღვაწეები: ნ. *აკერმანი,* ლ. ანანიაშვილი, გ. ი. *ბაქრაძე,* გ. გიორგიძე, ნ. ლორთქიფანიძე, თ. ნაკაშიძე, თ. მაჭავარიანი, ვ. კახიანი და სხვ.

ლ. თაქთაქიშვილი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲚᲔᲠᲔᲐ საქართველოს ეროვნული მუზეუმისა, საქართველოში პირველი ეროვნ. გალერეის დაფუძნება დაკავშირებულია დ. *შევარდნაძესთან* (1885–1937). მან 1916 დააარსა ქართვ. ხელოვანთა საზ-ბა, რ-ის მიზანი იყო ძვ. ქართ. ხელოვნების ნიმუშების შეგროვება, შესწავლა და დაცვა. ხელოვანთა საზ-ბის და დ. შევარდნაძის ძალისხმევის შედეგად 1920 ,,დიდების ტაძრის'' შენობაში გაიხსნა ეროვნ. სამხატვრო გალერეა (საქართვ. ეროვნ. მუზეუმის არქივი, დოკუმენტი ,,საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეის დაარსების შესახებ''; ფონდი №2; აღწერა №1; საქმე №1). 1916–20 ხელოვანთა საზ-ბა აღნიშნულ შენობაში პერიოდულად მართავდა გამოფენებს. 1917 გაიმართა ,,ძველი ქართული საეკლესიო ფრესკების გამოფენა''. 1919 ,,ქართველ მხატვართა პირველი საგაზაფხულო გამოფენა'' გაიხსნა. მასში მონაწილეობდნენ ცნობილი ქართვ. მხატვრები: დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი, მ. თოიძე, ი. თოიძე, შ. ქიქოძე, ი. ნიკოლაძე; გამოიფინა ნ. ფიროსმანის ნამუშევრები. Ე. ბ-ის პირველი ექსპოზიცია 1920 ოქტომბერში გაიხსნა. ამ ექსპოზიციამ ჩაუყარა საფუძველი გალერეის ფონდსაცავს. 1933 მეტეხის ისტ. შენობა Ე. ბ-ს გადაეცა. გადაწყდა მეტეხში განთავსებულიყო გალერეის საგანძური, რ-იც შექმნიდა პლასტიკური ხელოვნების მუზეუმს. 1934-იდან დაარსდა ხელოვნების მუზეუმი ,,მეტეხი'' და Ე. ბ-ის ფონდსაცავი მთლიანად გადავიდა ,,მეტეხის'' შენობაში.

ქართ. ეროვნ. გალერეის ისტორია ხელახლა იწყება XX ს. 30-იან წლებში. საბჭოთა იდეოლოგიისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ხელოვანთა საზ-ბა, რ-იც 1930 დაშალეს და მის ნაცვლად ჩამოყალიბდა მხატვართა ასოციაციები: ,,სარმა'' (საქართველოს რევ. მხატვართა ასოციაცია) და ,,რევმა'' (რევ. მხატვართა ასოციაცია). ,,სარმამ'' დასახა სამუშაო გეგმა. დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ Ე. ბ-ში გაიმართა ,,სარმას'' წევრების პირველი გამოფენა, 1931 – ,,რევმას'' პირველი გამოფენა, 1933 კი გამართა გამოფენა სახელწოდებით ,,პირველი ხუთწლედი''. 1933 საბჭოთა ხელისუფლების დადგენილებით დაარსდა საქართვ. საბჭოთა მხატვართა კავშირი, რ-იც აერთიანებდა ყველა შემოქმედებით დაჯგუფებას. 1934-იდან სა-



ეროვნული გალერეა. თბილისი.



ეროვნული გმირის ორდენი.

ქართ. საბჭ. მხატვრების კავშირს გამოფენების მოსაწყობად გადაეცა Ე. Გ., რ-ის დირექტორად დაინიშნა ვ. კეშელავა. ამ პერიოდიდან გალერეის ფონდების ჩამოყალიბება-შევსება ხდებოდა მხოლოდ იმ გამოფენების მასალით, რ-ებიც Ე. Გ-ში 1934-იდან ეწყობოდა, შესაბამისად გალერეის ყველა ექსპონატი ოქტ. რევ. შემდგომ პერიოდს განეკუთვნება. შეიქმნა ბ-კა და არქივი. 1934 გაიხსნა ქართ. საბჭ. სახვითი ხელოვნების მე-13 წლისთავის აღსანიშნავი რეპროდუქციული გამოფენა. მასში მონაწილეობდნენ იმ პერიოდის ცნობილი მხატვრები: ბ. ფოგელი, ვ. სიდამონ-ერისთავი, ა. ციმაკურიძე, მ. თოიძე, ა. მრევლიშვილი, გ. გაბაშვილი, უ. ჯაფარიძე, ლ. გუდიაშვილი, ი. ნიკოლაძე და სხვ. 1930-იდან Ე. Გ-ში, გარდა საბჭ. პროპაგანდის იდეოლოგიური გამოფენებისა, იმართებოდა ქართ. მხატვართა და მოქანდაკეთა გამოფენები, რითაც წარმოჩენილი იყო ქართ. ეროვნ. კულტურა და ტრადიცია.

1988 მარტში მხატვრის სახლის დირექციის ინიციატივით კულტ. სამინისტროს, საქართვ. მხატვართა კავშირის, სამხატვრო ფონდის ერთობლივი გადაწყვეტილებით შეიქმნა სამუზეუმო-საგამოფენო გაერთიანება სურათების ეროვნ. გალერეა. XX ს. 90-იან წლებში ,,სამუზეუმო გაერთიანება სურათების გალერეა'' ფორმალურად იმავე სტრუქტურად რჩებოდა. 1991 დეკ. მოვლენების დროს განადგურდა მხატვრის სახლი, დაიწვა შენობაში არსებული ეროვნ. გალერეის არქივი, ბ-კა, სტამბა, ხელოვნების ნიმუშები. 1994-იდან გალერეამ აღადგინა ტრად. საგამოფენო მუშაობა. 2005-იდან Ე. Გ. შედის საქართვ. ეროვნ. მუზეუმის შემადგენლობაში.

ეროვნული გვარდია, 1. მოქალაქეთა შეიარაღებული ლაშქარი. პირველად შეიქმნა პარიზში, საფრ. დიდი რევ. (1789–99) დასაწყისში გენ. მ. ჟ. ლაფაიეტის მეთაურობით. 2. ტერიტ. სამხ. შენაერთები ჩრდ. და ლათინური ამერიკის, აფრიკის, ახლო და შუა აღმ. მთელ რიგ ქვეყნებში. მშვიდობიან დროს გამოიყენება საგანგებო სიტუაციებში საზ. წესრიგის დასამყარებლად, სახელმწ. დანიშნულების ობიექტების დასაცავად; საომარი მოქმედებების დროს – რეგულარული შეიარაღ. ძალების შესავსებად.

საქართველოში Ე. Გ. შეიქმნა 1990 წ. 20 დეკემბერს, თუმცა საქართვ. დემოკრ. რესპ. არსებობის წლებში (1918–21) მოქმედებდა Ე. Გ-ის ტიპის შენაერთები (იხ. *სახალხო გვარდია*). 2000-მდე Ე. Გ-ში თავმოყრილი იყო საბრძოლო და სასწ. ქვედანაყოფები, ხოლო 2000-იდან აშშ-ის ევროპული სარდლობის რეკომენდაციებით მას ახალი ფუნქციები განესაზღვრა. 2004–06 სამხ. დოქტრინიდან გამომდინარე Ე. Გ-ის პრიორიტეტებია: შეიარაღ. ძალების რეზერვის მომზადება, საბრძოლო წვრთნების ორგანიზება და განხორციელება, საჯარისო მობილიზაციის ჩატარება, სამხ. ოპერაციების დროს მხარდამჭერი და უსაფრთხოების ოპერაციების ჩატარება (ზურგის ოპერაციები). საგანგებო სიტუაციების დროს სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერა და ა. შ.

ეროვნული გმირის ორდენი, საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო. დააწესა საქართვ. პარლამენტმა 2004 წ. 24 ივნისს. Ე. Გ. Ო. გადაეცემა პირს საქართველოსთვის განსაკუთრებული, გამორჩეული გმირული ქმედებისათვის, საქართვ. უმაღლესი სახელმწ. წოდების – ეროვნული გმირის – მინიჭებასთან ერთად.

საქართვ. ეროვნ. გმირის უმაღლესი სახელმწ. წოდება პირველად 2004 წ. 26 ივნისს მიენიჭათ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავ-რეს, გენ.-მ. ჟ. *შარტავას* და კაპრალ ზ. *დამენიას* (ორივეს სიკვდილის შემდეგ). საქართველოს თავისუფლებისა და სუვერენიტეტის დაცვისას გამოჩენილი თავდადებისა და შეუპოვარი ბრძოლისათვის 2010 წ. 6 იანვ. Ე. Გ. Ო-ით დაჯილდოვდა აშშ-ის სენატორი ჯ. *მაკკეინი*, 10 აპრილს – პოლონეთის რესპ. პრეზიდენტი ლ. *კაჩინსკი* (სიკვდილის შემდეგ).

2013 წ. 26 ოქტომბრის ბრძანებულებით საქართვ. ეროვნ. გმირებად იწოდებიან ზ. *გამსახურდია*, ე. თაყაიშვილი, მ. *კოსტავა*, გ. *მაზნიაშვილი*, გ. *ფერაძე*, მ. *წერეთელი*, *ამბროსი* (ხელაია).

Ე. Გ. Ო-ის ესკიზის ავტორია მხატვარ-ჰერალდიკოსი მ. გონგაძე (იხ. აგრეთვე სტ. *ორდენები* საქართველოსი).

ეროვნული ენა სამართალწარმოებაში, სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი დემოკრატიული პრინციპი, რ-იც გულისხმობს სასამართლო საქმეების წარმოებას ეროვნულ ენაზე.

საქართველოში სამართალწარმოება მრავალი საუკუნის განმავლობაში ეროვნ. ნიადაგს ემყარებოდა და XIX ს. დასაწყისამდე ქართ. ენაზე მიმდინარეობდა. Ე. Ე. მოიშალა საქართვ. ანექსიის – რუს. იმპერიასთან შეერთების (1801) შემდეგ, როდესაც საქართველოში გაბატონდა საქმის წარმოების უცხ. სახელმწ. ენის წესი. აქედან დაწყებული საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სამართალწარმოება საქართველოში, ისევე როგორც მთელ რუს. იმპერიაში, ოფიც. – რუს. ენაზე წარიმართებოდა. Ე. Ე. აღდგა საქართვ. დამოუკიდებლობის გამოცხადების (1918 წ. 26 მაისი) შემდეგ. მისი აღდგენისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ენის *სახელმწიფო ენად* გამოცხადებას თავდაპირველად *საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში* (1918), ხოლო შემდეგ – საქ. სსრ-ში (1921). თანდათანობით ჩამოყალიბდა სამართალწარმოების Ე. Ე-ის ინ-ტი, რ-იც აისახა სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში (საქ. სსრ-ის პირველი ასეთი აქტი იყო 1921 წ. 30 ივლ. დებულება სახ. სასამართლოს შესახებ). 1937-იდან Ე. Ე. საქართველოში კონსტიტუციითაც განმტკიცდა.

1995 კონსტიტუციით, ,,საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზური'' (მ. 8). სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწ. ენაზე. პირს, რ-მაც სახელმწ. ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი. იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწ. ენას, უზრუნველყოფილია ენის შესწავლა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა (მ. 85, პუნქტი 2).

Ე. Ე-ის პრინციპი გათვალისწინებულია სპეც. დარგობრივი საკანონმდებლო აქტებით, როგორიცაა ორგ. კანონი საქართვ. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, კანონი საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ, ორგ. კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, საქართვ. სისხლის სამართ. საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსები. ამ აქტებში განსაზღვრულია სამართალწარმოების ენა, განვითარებულ-განვრცობილი და დაკონკრეტებულია კონსტ. დებულე-

ბები Ე. Ე-ის შესახებ. მაგ., დადგენილია, რომ კონსტ. სარჩელი, კონსტ. წარდგინება და თანდართული საბუთები შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე; თუ ბრალდებულმა არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართ. პროცესის ენა, განაჩენი გამოცხადებისთანავე ან სინქრონულად უნდა ითარგმნოს ბრალდებულის მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე.

ლიტ.: ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე ი., სამართალწარმოების ეროვნული ენის კონსტიტუციური პრინციპის განვითარება, «საბჭოთა სამართალი», 1983, №1.

ი. ფუტკარაძე.

ეროვნული კომიტეტი, იხ. *საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი 1914–18.*

ეროვნული მუზეუმი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი, დიდი სამუზეუმო გაერთიანება. იხ. *საქართველოს ეროვნული მუზეუმი.*

ეროვნული საბჭო, იხ. *საქართველოს ეროვნული საბჭო.*

ეროვნული სამედიცინო ცენტრი ო. ღ უ დ უ შ ა უ რ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს ა (შპს), ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-პედაგოგიური და კლინიკურ-ექსპერიმენტული ცენტრი, რ-ის ბაზაზეც ფუნქციონირებს დღევანდელი მრავალპროფილური კლინიკა. შეიქმნა 1981 ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის, თსსი-ის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის, სამხ.-საველე ქირურგ. კათედრის, ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის კურსის, თსსი-ის ცენტრ. ლაბორატორიისა და კერამოპლასტიკის ლაბორატორიის გაერთიანებით (გენ. დირექტორი ო. *ღუდუშაური*).

1990 ცენტრს გადაეცა ახ. შენობა, 1993 კი მიენიჭა ო. ღუდუშაურის სახელი.

Ე. ს. Ც-ის შექმნას საფუძვლად დაედო მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში წარმოდგენილი პროექტი, კერძოდ, თბილისში პერინატალური ცენტრის შექმნის აუცილებლობის შესახებ. ასეთ ბაზად მოიაზრებოდა ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრი.

მსოფლიო ბანკის, იაპონიისა და საქართვ. მთავრობების ხელშეწყობით, ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის, კატასტროფისა და გადაუდებელი მედ. ცენტრების შერწყმით შეიქმნა ,,O. Gudushauri General Hospital'', რ-ის ბაზაზეც დაარსდა ახლად ჩამოყალიბებული Ე. ს. Ც.

2002 ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად ჩამოყალიბდა საქციო საზ-ბა ,,ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი'', რ-იც არის რეფერალური ტიპის მრავალპროფილური, 256-საწოლიანი, მაღალტექნოლოგიური სამედ. დაწესებულება – სტაციონარული, ამბულატორიული, დიაგნოსტიკური და რეფერალური მომსახურებით. ცენტრი მოიცავს: ქირურგ., უროლოგიურ, შინაგან სნეულებათა, პერინატალურ, ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიულ, დიაგნოსტიკურ-პარაკლინიკურ, პრეჰოსპიტალურ, კრიტ. და გადაუდებელი მედ., რეაბილიტაციის, საოპერაციო, სააფთიაქო სამსახურებს. ამბულატორიული სამსახური მოიცავს სამეანო-გინეკოლოგიურ, ქირურგ.



ეროვნული სამედიცინო ცენტრი. თბილისი.

(უროლოგია, ანგიოლოგია-მიკროქირურგია, ენდოსკოპიური ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია), ტრავმატოლოგია-ორთოპედიის (მოზრდილთა და ბავშვთა ორთოპედია, მოზრდილთა და ბავშვთა ტრავმატოლოგია, მსხვილი სახსრების ქირურგია, ართროსკოპია), შინაგან სნეულებათა (კარდიოლოგი, ენდოკრინოლოგი, ნეფროლოგი, თერაპევტი, ნევროპათოლოგი); ოფთალმოლოგიის; სტომატოლოგიის სამსახურებს.

Ე. ს. Ც-ს გახსნის დღიდან ხელმძღვანელობდა სამეთვალყურეო საბჭო (თავ-რე მ. ღუდუშაური) და დირექტორატი, რ-ის გენ. დირექტორად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ დ. ბანცაძე, დ. პავლიაშვილი, ზ. სინაურიძე, 2012-იდან – ი. ბრეგვაძე.

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, თსუ-ის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა. არსებული სახით ჩამოყალიბდა 2012 წ. 1 იანვარს. 2006 საქართვ. მეცნ. აკად. ცენტრალური სამეცნ. და რესპ. სამეცნ.-ტექ. ბიბლიოთეკები გაერთიანდა. Ე. ს. ბ-ის არსებობა 72 წელს ითვლის – 1941 დაარსდა საქართვ. მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბიბლიოთეკა. Ე. ს. ბ-ის შემადგელობაში XX ს. 60-იანი წლებიდან არის ი. გრიშაშვილის სახ. ბიბლიოთეკა-მუზეუმი (არსებობს 1957-იდან, იხ. სტ. ი. *გრიშაშვილი*) და გ. მიქელაძის სახ. სამეცნ.-ტექ. ბიბლიოთეკა (1965-იდან, იხ. სტ. გ. *მიქელაძე*).

ცენტრ. სამეცნ. ბ-კა იყო საქართვ. მეცნ. აკადემიის 44 სამეცნ. ინ-ტის ბიბლიოთეკების მეთოდური ხელმძღვანელი. ამასთან იგი ცენტრალიზებული წესით უზრუნველყოფდა მათ დაკომპლექტებას უცხ. ლიტ-რით საერთაშ. და შიდასაკავშირო წიგნთგაცვლის გზით. 1959 წლიდან გამოსცემდა აკად. სამეცნ. შრომების ბიბლიოგრაფიას, ტ. 1–7 (1937–77), თბ., 1959–81; ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგის შრომებს, ლექსიკონებს, მეცნ. ბიობიბლიოგრაფიებს, პერიოდიკის ანალიტიკურ აღწერილობებს და ა.შ. 1977–87 გამოიცა პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი (ტ. 1–3) და სხვ.

Ე. ს. ბ. საქართვ. უდიდესი ბ-კაა და აქვს უნიკალური ფონდები. მისი წიგნადი ფონდი 3,5 მლნ-ს აღწევს (აქედან 600 ათასზე მეტი უცხ. გამოცემაა), პერიოდული გამოცემების ფონდი 2 მლნ-ზე მეტია, იშვიათი გამოცემების ფონდი 40 ათასს, საპატენტო და ტექ. დოკუმენტაციის ფონდი კი 22 მლნ. ერთეულს აღემატება. საპატენტო დოკუმენტაციისა და სტანდარტების ფონდი ერთადერთია საქართველოში.

ბ-კა ყოველწლიურად აკეთებს ხელმოწერას თანამედროვე ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზეც, რებშიც 2013-თვის 15 ათასზე მეტი დასახელების ელექტრონული ჟურნალი და 90 ათასზე მეტი ელექტრონული წიგნია.

ბ-კის ფონდების თემატიკა უნივერსალურია, იგი მოიცავს პრაქტიკულად ყველა დარგის ლიტ-რას, მისი გამოყენება შეუძლია არა მხოლოდ მეცნიერსა თუ სტუდენტს, არამედ ნებისმიერ მკითხველს. სამეცნ. გამოცემებსა და სახელმძღვანელოებთან ერთად დაცულია მხატვრული ლიტ-რა, ალბომები, სამეცნ.-პოპულარული ლიტ-რა და სხვ.

Ე. ს. ბ-ში დაცულია უამრავი საინტერესო და ისტორიულად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორც ისტ., ასევე თანამედროვე. ახ. მასალების შეძენა ხდება ბეჭდური, ელექტრონული და სხვ. სახით. მასალების ფორმატების



ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

მრავალფეროვნების გათვალისწინებით (ბეჭდური, ფოტო, ელექტრონული, მიკროფირები, აუდიო-ჩანაწერები, აფიშები, არქივები და სხვ.) შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთ-ერთი პირველი მედიათეკა საქართველოში.

ე. ს. ბ-ში დაცულია არაერთი გამოჩენილი მეცნ. თუ საზ. მოღვაწის პირადი ბ-კა (ე. თაყაიშვილი, ვ. ბერიძე, ს. ნარიკაშვილი, ვ. ვორონინი, ა. ბაიკოვი, მ. პოლიექტოვი, გ. ლომთათიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ძმები ი. და ვ. ასლანიშვილები და სხვ.), აგრეთვე, მრავალი რარიტეტული გამოცემა, მ. შ. ისეთებიც, რ-თა მხოლოდ ერთადერთი ეგზემპლარია შემორჩენილი.

უიშვიათეს გამოცემებს განეკუთვნება ვ. კორბოს წიგნი, რ-შიც აღწერილია V–VI სს. ქართ. მონასტრის ნაშთები; X ს. ხელნაწერის – ბერთის სახარების მიკროფილმი; IX–XI სს. ე. წ. სინური და იერუსალიმური ქართ. ხელნაწერების მიკროფილმები. ბ-კის ფონდში ინახება ,,ვეფხისტყაოსნის'' ყველა ქართ. გამოცემა და მრავალი თარგმანი. უნიკალური გამოცემებიდან დაცულია XVIII–XIX სს. ქართ. წიგნები, პირველი ქართ. პერიოდული გამოცემების არასრული კოლექცია [გაზეთი ,,ივერია'' (1886–1909), ,,ცნობის ფურცელი'' (1901–06), ,,მწყემსი'' (1883 წ.), ,,საქართველოს მოამბე'' (1909 წ.), ,,დროება'' (1909 წ.), ,,სახალხო ფურცელი'' (1914 წ.)]. XVIII–XIX სს. რუს. წიგნები და პერიოდიკა, უძველესი ებრ., სომხ. გამოცემები. არსებობს მე-16 საუკუნის იშვიათი ევრ. წიგნების კოლექცია. მათ შორისაა 1531–43 წლებში გამოცემული მარტინ ლუთერის წიგნები და მრავალი სხვა.

ე. ს. ბ-ს გააჩნია ნათელი და მოხერხებული სამკითხველო დარბაზები, რ-ებიც აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, ქსეროქსებით, მიკროფირების საკითხავი აპარატურით, უსინათლოთა მომსახურების საშუალებით, საპროექციო აუდიო-ვიდეო აპარატურით, უფასო ინტერნეტით (მ. შ. WiFi ქსელი).

სამკითხველო დარბაზებში განთავსებულია ბ-კის მასალების გარკვეული ნაწილი: წიგნები, ლექსიკონები, ენციკლოპედიები, ახ. პერიოდული გამოცემები. შესაძლებელია ლიტ-რის გატანაც.

ბ-კა აღჭურვილია კატალოგებით, რ-ებშიც ძიება მკითხველს შეუძლია როგორც დამოუკიდებლად, ასევე ბიბლიოგრაფის დახმარებით. არსებობს კატალოგის ელექტრონული ვერსიაც: http://opac.sciencelib.ge.

ბ-კას გააჩნია სათანადო ტექ. საშუალებებით აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზი, რ-შიც როგორც ბ-კის, ასევე მკითხველების ინიციატივით ტარდება პრეზენტაციები, ლექციები, სემინარები, გამოფენები, დისკუსიები, აჩვენებენ ვიდეოფილმებს.

ე. ს. ბ-ში მოქმედებს ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტი. მისი მთავარი ფუნქციაა, დააკმაყოფილოს მკითხველის მოთხოვნა იმ ლიტ-რით, რ-იც ბ-კის ფონდში არ აღმოჩნდება. განყ-ბა თანამშრომლობს საქართველოს და უცხოეთის სხვადასხვა ბ-კებთან. დაკვეთილი დოკუმენტების მოძიება ხდება ამ ფონდებში. მომსახურება უფასოა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განყ-ბა მკითხველს სთავაზობს სამეცნ. ჟურნალებს, სამეცნ. სტატიებს, ელექტრონულ წიგნებს, დისერტაციებს, პატენტებს; სტანდარტებს; ქართ. და უცხ. უნტების სასწ. პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს; ცნობებს გრანტების, საერთაშ. დონორი ორგანიზაციების და კოლაბორატორების შესახებ. მიწოდება ხდება როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით საქართვ. ნებისმიერ კუთხეში.

ბ-კის ვებ-პორტალი (http://www.sciencelib.ge) წარმოადგენს მრავალფუნქციურ საინფორმაციო საშუალებას, საიდანაც მომხმარებელი სწრაფად იღებს ინფორმაციას მსოფლიოს მრავალი სამეცნ. ცენტრიდან მისთვის სასურველი ფორმით (მოკლე ცნობები, სამეცნ. სტატიები, წიგნები, ვიდეოლექციები, სტატისტ. ცნობები და სხვ.).

საინფორმაციო-ბიბლიოგრ. მომსახურება მკითხველს სთავაზობს ბ-კის საცნობო-საძიებო სისტემის გამოყენებით ლიტ-რის, ბიბლიოგრ. სიებისა და საძიებლების შედგენასა და გამოცემას.

სამეცნ. ნაშრომების ელექტრონული ვერსიების გამოქვეყნება – ეს თანამედროვე სერვისი საშუალებას აძლევს მომხმარებლებს გამოაქვეყნონ თავიანთი სამეცნ.-პოპულარული შრომები ღია ელექტრონულ არქივში, რ-იც აღჭურვილია მძლავრი საძიებო სისტემით და უკავშირდება მსოფლიოს სამეცნ. საძიებლებს, რითაც შესაძლებელი ხდება მეცნიერთა ციტირების ინდექსების დადგენა Google Scholar -ისა და ტომსონის მონაცემთა გამოყენებით.

ე. ს. ბ-ის სამეცნ.-ტექ. თარგმანის ჯგუფი მკითხველს სთავაზობს შემდეგ მომსახურებას: მკითხველთა დახმარება ინტერნეტში უცხოენოვანი სამეცნ. ლიტ-რის მოძიებასა და მიღებაში; სამეცნ. შრომების თარგმნა უცხო ენებიდან ქართულად და – პირიქით.

საპატენტო მომსახურება მოიცავს საპატენტო ძიებას როგორც არსებულ ფონდში, ასევე ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში საპატენტო საკითხებზე კონსულტაციებს; ასევე გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე, სამრეწველო და სასაქონლო ნიშნებზე განაცხადის გაფორმებას.

ე. ს. ბ-ის რესტავრაციის განყ-ბა

ბ-კის დაზიანებულ ლიტ-რასთან ერთად აღადგენს მკითხველთა პირად წიგნებს.

უსინათლოთა და მცირე მხედველთა საბიბლიოთეკო მომსახურების ცენტრის ძირითადი მისიაა სამეცნ.-ტექ. და საგანმან. ლიტ-რით სპეციალიზებული მომსახურების უზრუნველყოფა. ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერებით, უსინათლოებისთვის ადაპტირებული პროგრამით და სხვ. ტექნიკით, რაც საშუალებას აძლევს უსინათლოებს მოისმინონ წიგნები და ასევე სხვ. დოკუმენტები ქართ., რუს., ინგლ. და სხვა ენებზე, ცენტრში არსებული ელექტრონული ბ-კიდან გამოიყენონ დოკუმენტები, ელექტროფოსტა, უსინათლოთა პროგრამული საშუალებები. მცირემხედველებს საშუალება აქვთ პროგრამის საშუალებით გაადიდონ ტექსტი ეკრანზე და დამოუკიდებლად შეძლონ კითხვა.

ე. ს. ბ-ს ყოველწლიურად სტუმრობს 8 ათასამდე მკითხველი, რეგისტრაციას გადის 300-ზე მეტი ახ. მომხმარებელი, ვებსაიტს კი სტუმრობს 40 ათასზე მეტი მომხმარებელი. ბ-კა ჩართულია წიგნების გაცვლის ქსელში და რეგულარულად იღებს უახლეს სამეცნ. გამოცემებს მსოფლიოს და საქართვ. სამეცნ. ცენტრებიდან.

ე. ს. ბ. ეწევა სამეცნ. მუშაობას საინფორმაციო და საბიბლიოთეკო საქმის სხვადასხვა საკითხებზე: ბ-კის ფონდების კვლევა, დარგობრივი ბიბლიოგრაფიების შედგენა, მომხმარებელთა საინფორმაციო მოთხოვნილებების და სამეცნ. კვლევების ბიბლიომეტრიული ანალიზი, ბიბლიოგრ. სტანდარტები და დარგის ტექ. სტანდარტები. ხარისხის მართვის ჯგუფი აანალიზებს ბ-კის მუშაობასა და მკითხველთა მოთხოვნილებებს. კვლევების საფუძველზე მუშავდება ახ. სერვისები, საძიებლები, ცნობარები, პროგრამული საშუალებები, ბიბლიოგრ. მეთოდები.

2007 ე. ს. ბ-ში შეიქმნა ბიბლიოთეკართა სასწ. ცენტრი, რ-იც უზრუნველყოფს როგორც თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ასევე სხვა ორგანიზაციების ბიბლიოთეკართა მომზადებას. ტრად. საბიბლიოთეკო საკითხების გარდა, ყურადღება ეთმობა თანამედროვე მენეჯმენტისა და მარკეტინგის მეთოდებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ელექტრონული გამოცემების მომზადებას, დიგიტიზაციას. ცენტრი თანამშრომლობს საქართველოს მრავალ უნ-ტთან, ბ-კასთან და სკოლასთან.

ე. ს. ბ. არის საერთაშ. ორგანიზაციების წევრი: LIBER (ევრ. სამეცნ. ბიბლიოთეკების ლიგა), EIFL.net და სხვ. მას აქვს აგრეთვე კავშირი მსოფლიოს ქართველოლოგიის ცენტრებთან, სამეცნ. გამომცემლობებთან, უნ-ტებთან, აკადემიებთან.

ე. ს. ბ-ის მიერ დაარსებიდან 2013 წლის 1 იანვრამდე გამოქვეყნებულია 170 დასახელების ნაშრომი (მ. შ. 99 პერსონალური ბიობიბლიოგრაფია სერიით „ქართველი მეცნიერები“), რ-ებიც, ისევე როგორც მომხმარებელთა სამეცნ. შრომები, ქვეყნდება ელექტრონული სახითაც ციფრულ არქივში: http://dspace.gela.org.ge.

ე. ს. ბ. ერთ-ერთი ლიდერია საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის მხრივ. მას აქვს ელექტრონული კატალოგების თანამედროვე სისტემა, ინტერაქტიული და ინფორმატიკული ვებსაიტი, ელექტრონული პუბლიკაციების არქივი, რ-შიც შედის როგორც ახ. გამოცემები, ასევე წინა წლების ბეჭდური სამეცნ. შრომების ასლები. ამ ელექტრონული სისტემის მოცულობა და მომსახურების ფორმები რეგულარულად იხვეწება კვლევისა და ტექნოლოგიების დანერგვის გზით.

1950-იდან საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმის დავალებით დაიგეგმა ბიბლიოთეკისათვის აკადემქალაქის ტერიტორიაზე პირველი მასშტაბური (საერთო ფართობი – 10 000 $მ^2$, ეზო – 1,25 ჰა) შენობის აგება (არქიტექტორები: გ. ლეჟავა და ი. ლიბერმანი), რ-იც 1970 დასრულდა. XX ს. 60-იან წლებში აიგო ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის შენობა (ი. გრიშაშვილის ხის სახლის ადგილას). 1986 აიგო შენობა სამეცნ.-ტექ. ბიბლიოთეკისათვის (არქიტ. გ. ბიჭიაშვილი) საერთო ფართობი – 8000 $მ^2$. სამივე შენობა საკმაოდ კარგად არის შენახული და იმ ეპოქის უნიკალურ არქიტ. ძეგლს წარმოადგენს.

ე. ს. ბ-ის ფილიალების ხელმძღვანელები იყვნენ: საქართვ. მეცნ. აკად. ცენტრ. ბიბლიოთეკის – გ. გიორგაძე (1945–49), ვ. უზნაძე (1949–67), ს. ხადური (1967–89), ნ. გურგენიძე (1989–99), მ. ზაალიშვილი (2001–06); რესპ. სამეცნ.-ტექ. ბიბლიოთეკის – რ. გორგილაძე (1965–98), ნ. გოქსაძე (1998–2006); ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის ხელმძღვანელი 1960–65 თვითონ ი. გრიშაშვილი იყო. დღესაც ამ ფონდებს ძირითადად მისი ოჯახის წარმომადგენლები პატრონობენ. ე. ს. ბ-ის დირექტორი 2006-იდან არის ი. ღარიბაშვილი.

ლიტ.: უზნაძე ვ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა, თბ., 1965.

ი. ღარიბაშვილი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ, საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი. დაარსდა 2005 წ. 17 ივლისს საქართვ. პრეზიდენტის №653 ბრძანებულებით. ფონდის სახელმწ. კონტროლს ახორციელებს საქართვ. განათლებისა და მეცნ. სამინისტრო.

ე. ს. Ფ-ის ძირითადი მიზანია დაფინანსების გზით ხელი შეუწყოს საქართველოში მეცნ. განვითარებას.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲒᲔᲒᲛᲐ, დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისთვის საათების განაწილების, სასწავლო გეგმის ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ და მაქს. დატვირთვას, იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რ-თაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებების აღწერას. ე. ს. Გ-ის შემუშავება დაიწყო 2006.

ე. ს. Გ-ით გათვალისწინებულია დამატებითი საგანმან. მომსახურება – საჯარო სკოლების მიერ სასკოლო სასწ. გეგმით განსაზღვრული, სააღმზრდელო და ე. ს. Გ-ით გაუთვალისწინებელ საგნებში გაწეული საგანმან. და სააღმზრდელო მომსახურება.

საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწ. პოლიტიკის ძირითადი მიზნებია: ა) მოსწავლის ეროვნ. და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა; ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზ. უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრ. ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების

ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტ. ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზ-ბის, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა. ამ მიზნების მისაღწევად სახელმწ. უზრუნველყოფს: ა) ზოგადი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში; ბ) საქართვ. ზოგადი განათლების სისტემის ჩართვას საერთაშ. საგანმან. სივრცეში; გ) საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგ. და პოლიტ. გაერთიანებებისაგან; დ) ეროვნ. შეფასებების ეროვნ. სასწ. გეგმის შემუშავების და აკრედიტაციის სისტემების ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების მეშვეობით ზოგადსაგანმან. პროცესის დაგეგმვასა და მართვას; ე) ზოგადსაგანმან. დაწესებულებების აკრედიტაციის მატერ.-ტექ., პროგრამული და ადამიანური რესურსების ნორმატივების დადგენას; ვ) ზოგადსაგანმან. დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრას; ზ) ინკლუზიური სწავლების დამკვიდრებას; თ) მასწავლებელთა პროფესიის რეგულირებას.

ამ მიზნების მისაღწევად სახელმწ. შეიმუშავებს ე. ს. გ-ს, რითაც განისაზღვრება ზოგადი განათლების საფეხურების მიხედვით აუცილებელი საგნები, საგნობრივი ჯგუფები, საგნების მიხედვით საათები, მათი განაწილება და თანაფარდობა, აუცილებელი და მაქს. დატვირთვის რაოდენობა, საგნებისა და საგნობრივი ჯგუფების სწავლებისათვის აუცილებელი მინ. საათების რაოდენობა, სასწ. გარემოს ორგანიზების პირობები და რეკომენდაციები.

ე. ს. გ-ით განისაზღვრება იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რ-თაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველ საგანში თუ საგნობრივ ჯგუფში კლასის ან საფეხურის დამთავრებისას. ე. ს. გ. ითვალისწინებს აგრეთვე მოდიფიცირებულ სასწ. გეგმებს სპეც. საგანმან. საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

ე. ს. გ. მოიცავს შემდეგ საგნებსა და საგნობრივ ჯგუფებს: ა) ქართული (აფხაზეთის არ-ში – აფხაზური და ქართული) ენა და ლიტ-რა; ბ) საქართვ. ისტორია, საქართვ. გეოგრაფია და სხვა საზ. მეცნიერებები (აფხაზეთის არ-ში სწავლება მიმდინარეობს აფხაზურად ან ქართულად); გ) მათემატიკა; დ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; ე) უცხ. ენები; ვ) ფიზ., შრომითი და ესთეტ. აღზრდა.

ე. ს. გ-ის შესრულება სავალდებულოა ყველა ზოგადსაგან. დაწესებულებისათვის.

ეროვნ. და სასკოლო სასწ. გეგმებით გათვალისწინებული საგნების სწავლება უნდა იყოს აკადემიური, ობიექტური, ნეიტრალური და პლურალური.

ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი, ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით შექმნილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ). საქართვ. განათლებისა და მეცნ. სამინისტროს განათლების რეფორმის პროექტის ,,ილია ჭავჭავაძის'' ფარგლებში.

ე. ს. გ. და შ. ც-ის მიზნებია: განათლების ხარისხის გაუმჯობესება და საგანმან. სივრცეში თანამედროვე და მოსწავლეზე ორიენტირებული პრინციპების დანერგვა.

ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ეროვნ. სასწ. გეგმის შემუშავება, განვითარება და დანერგვა საქართვ. ზოგადსაგანმან. სკოლებში; სახელმძღვანელოების ეროვნ. სასწ. გეგმებთან შესაბამისობის დადგენა და რეკომენდებული სახელმძღვანელოსთვის გრიფის მინიჭება; საჯარო სკოლაში მიმდინარე სასწ. პროცესის ეროვნ. შეფასებების სისტემის შემუშავება, დანერგვა, ეროვნ. და სხვა შეფასებების განხორციელება; ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება სხვადასხვა თემატიკაზე (ეროვნ. სასწ. გეგმების პილოტირება, დანერგა, ინკლუზიური სწავლება, სახელობო განათლება და სხვ.); პროფ. განათლების ხელშეწყობა სახელობო საგანმან. სტანდარტის შემუშავებით, სახელმძღვანელოების გამოცემით, სახელობო განათლების ზოგად განათლებასთან ინტეგრირებით და სხვ.; ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა საპილოტე სკოლებში ინკლუზიური სწავლების დანერგვით, მეთოდური სახელმძღვანელოების გამოცემით და სხვ.

ე. ს. გ. და შ. ც-ის ხელმძღვანელები: ს. ჯანაშია (2006–09), ნ. ჯოხაძე (2009-იდან). *ნ. ჯოხაძე.*

ეროვნული სიმდიდრე, სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი, მის განკარგულებაში არსებული წარმოებული და დაგროვებული დოვლათის ერთობლიობა დროის განსაზღვრული მომენტისათვის. ე. ს. შედგება საზ-ბის წარსული და თანამედროვე თაობების შრომით შექმნილი და დაგროვილი დოვლათის, აგრეთვე კვლავწარმოების პროცესში ჩართული ბუნებრივი რესურსებისა და სხვა აქტივების (სიმდიდრის) ღირებულებისაგან (ცვეთის გამოკლებით).

ცნება ,,ე. ს.'', როგორც ადამიანების მიერ განსაზღვრული დოვლათის დაგროვების შედეგი, წარმოიშვა XVII–XVIII სს-ში (უ. პეტი, ა. სმითი, გ. კინგი და სხვ.). ე. ს. პირველად გაიანგარიშეს ინგლისში 1664 წ., საფრანგეთში – 1789 წ., აშშ-ში – 1803 წ., რუსეთში – 1864 წ., საქართველოში – 1989 წ. 1947 გაეროს სტრუქტურაში (ნიუ-იორკში) შეიქმნა ეროვნ. შემოსავლისა და სიმდიდრის საერთაშ. ასოციაცია.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში ე. ს-ის დასახასიათებლად იყენებენ ტერმინს ,,ეკონომიკური აქტივები'', რ-თა არსებითი მახასიათებელია მესაკუთრეთა მიერ მათი ფლობისა და გამოყენების მეშვეობით ეკონ. სარგებლის მიღება. ეროვნ. ანგარიშთა სისტემის ახ. კლასიფიკაციის შესაბამისად, ე. ს-ში შეაქვთ საწარმოო მარაგები; კაპიტალი, რ-იც არ ექვემდებარება მატერ. განზომილებას (,,გუდვილი'' – მეურნე სუბიექტების კეთილი სახელი, რეპუტაცია), აგრეთვე ის ფასეულობანი, რ-ებიც არ გამოიყენება წარმოების ან მოხმარებისათვის (ძვირფასი ლითონები და ქვები, მათგან დამზადებული საიუველირო ნაწარმი, ანტიკვარული ნივთები, ხელოვნების სხვა ნიმუშები, კოლექციები და ა. შ.).

ეკონ. პრაქტიკაში სარგებლობენ ე. ს-ის დინამიკის, დაგროვებისა და განახლების მაჩვენებლებით. მისი ელემენტების გაანგარიშებისას იყენებენ როგორც მიმდინარე სტატისტ. ანგარიშგების და ბუხჰალტრული აღრიცხვის მონაცემებს, ისე სრული და შერჩევითი გამოკვლევების, ძირითადი კაპიტალის გენ. და ე. წ. უწყვეტი ინვენტარიზაციის მეთოდებს, აგრეთვე ექსპერტულ შეფასებებს.

საბაზრო ეკონ. მქონე ქვეყნებში, ეროვნ. ანგარიშთა სისტემის შესაბამისად, ე. ს-ის ყველა ელემენტისათვის მოქმედებს შეფასების

ერთნაირი პრინციპი.

საერთაშ. ეკონ. ინ-ტები მუშაობენ ე. ს-ში ისეთი ელემენტების ასასახავად, როგორიცაა პირდაპირი ფინანს. ინვესტიციები (ფინანს. აქტივებში) და ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონელი (წარმოებულ არაფინანსურ აქტივებში). ამ უკანასკნელის შემადგენლობა არ რეგლამენტირდება და მას დამოუკიდებლად განსაზღვრავს ყოველი ქვეყნის სტატსამსახური.

XX ს. ბოლო ათწლეულში მსოფლიო ბანკის ექსპერტების აქტ. მონაწილეობით ფართოდ გავრცელდა ე. ს-ის შემადგენლობის ადამიანისეული კაპიტალის მაჩვენებლით გაფართოების კონცეფცია, ასევე სამუშაოები მისი რაოდენობრივი პარამეტრების დადგენისა და აღნიშნული მაჩვენებლის ეროვნ. ანგარიშთა სისტემის აგების პრინციპებთან მოსარგებად. დაინერგა ადამიანისეული პოტენციალის განვითარების ინდექსი, რ-ის მიხედვითაც 2010 წ. მსოფლიოს 169 ქვეყნიდან საქართველოს 74-ე ადგილი ეკავა.

საქართველოს ე. ს-მ 2010 წ. შეფასებით შეადგინა დაახლოებით 750 მლრდ. აშშ დოლარი. ე. ს-ის 1/3 ეროვნულ ქონებაზე მოდის, 2/5-ზე მეტი – ადამიანისეულ კაპიტალზე, დანარჩენი კი – ბუნებრივ სიმდიდრეზე.

ლიტ.: არჩვაძე ი., საქართველოს ეროვნული სიმდიდრე და მისი ელემენტები, თბ., 1992; მისივე, საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე: შეფასების კრიტერიუმები, «ეკონომიკა», 1992, №1; მისივე, საქართველოს ეროვნული სიმდიდრე პოსტსაბჭოთა პერიოდში, იქვე, 2002, №6–7; მისივე, ადამიანური კაპიტალი, როგორც ეროვნული სიმდიდრის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, «საქართველოს ეკონომიკა», 2006, №11; Доклад о развитии человека 2007/2008, Нью-Йорк – Москва, 2007; Национальное счетоводство, М., 2002; Нестеров Л. И., Новый этап расчетов показателей национального богатства в мире, «Вопросы статистики», 2001, №3.

ი. არჩვაძე.

ეროვნული სკრინინგ ცენტრი (ინგლ. Screening – გამოხშირვა, დახარისხება), სტრატეგია, რ-იც პოპულაციის კლინიკურად ასიმპტომურ პირებში პათოლ. პროცესის გამოვლინებისკენ არის მიმართული. ე. ს. ც. პრევენციულ-დიაგნოსტიკური დაწესებულებაა. დაფუძნდა თბილ. მუნიციპალიტეტის მიერ 2008. ე. ს. ც-ის საქმიანობის მიზანია სხვადასხვა ლოკალიზაციის კიბოს პრევენცია ადრეული დიაგნოსტიკის გზით.

სკრინინგის პროგრამის ხელმწ. დონეზე დანერგვა პირველად საქართველოში ე. ს. ც-მა დაიწყო. მისი განხორციელების იდეა კი ეკუთვნის საქართვ. რეპროდუქციული ჯანმრთელობის საბჭოს, რ-ის თავმჯდომარეა ს. ე. რულოვსი. მისი პატრონაჟით მიმდინარეობს სკრინინგის პროგრამა საქართველოში.

თავდაპირველად პროგრამა ხორციელდებოდა მხოლოდ თბილისში, შემდგომ სკრინინგის სერვისი ხელმისაწვდომი გახდა მთელი საქართველოსთვის. მაღალკვალიფიციური სამედ. მომსახურების უზრუნველსაყოფად სკრინინგის პროგრამაში მონაწილე სამედ. პერსონალის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება უცხოელი კოლეგების დახმარებით მოხდა. ასევე გაფორმდა ხელშეკრულება სხვადასხვა სამედ. ცენტრთან პროგრამული გამოკვლევების გეოგრაფიის გასაზრდელად. შესაბამისად, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს სკრინინგის სერვისის მიღება შეუძლია თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, გურჯაანში, ბათუმში, საჩხერეში, ზესტაფონში, ჭიათურაში, ზუგდიდში, აბაშაში, სენაკში, ფოთში, ახალქალაქში, გორში, კასპში, თელავში, ლაგოდეხში და სხვ. მსხვილი ნაწლავის კიბოს პრევენციისთვის, ასევე პროსტატის კიბოს რისკის მართვისთვის.

სკრინინგის პროგრამა განსაზღვრული ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით უფასოა საქართველოს მოქალაქეებისათვის.

თბილისში ე. ს. ც. სკრინინგის პროგრამას ახორციელებს თბილ. მუნიციპალიტეტისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) დაფინანსებით, რეგიონებში კი – *დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის* დაფინანსებით.

საქართველოში სკრინინგის პროგრამის ამოქმედების შედეგად ადრეულ ეტაპზე პათოლოგიის გამოვლენის მაჩვენებელი 3-ჯერ გაიზარდა. ეს არ ნიშნავს, რომ კიბოს შემთხვევებმა იმატა, უბრალოდ, გამოკვლევები ხელმისაწვდომი გახდა საქართველოს მოქალაქეებისთვის. ე. ს. ც-ის დირექტორია ონკოლოგი, სამედ. უნ-ტის პროფესორი რ. ღვამიჩავა. *ი. ბარნაბიშვილი.*

ეროვნული სტადიონი ბ. პაიჭაძის სახელობისა, ,,დინამო არენა'', თბილისის ცენტრალური სტადიონი. მდებარეობს დიდუბის რაიონში, დავით აღმაშენებლის გამზირს, მუშთაიდის პარკსა და ა. წერეთლის გამზირს შორის. ძვ. სტადიონი იტევდა 23 ათ. მაყურებელს. აშენდა 1933–37 წლებში. 1956 რეკონსტრუქციის შედეგად სტადიონის ტევადობა გაიზარდა 36 ათასამდე [ავტორი, არქიტ. ა. ქურდიანი (უფროსი)]. იმ დროისთვის ეს იყო მნიშვნელოვანი ეროვნ. არქიტ. ძეგლი, რ-შიც ზომიერად იყო შეჯერებული მაშინდელი სამშ. ტექნოლოგიები და ძვ. ქართ. ხუროთმოძღვრული ტრადიციები. სტადიონზე იმართებოდა სსრკ უმაღლესი ლიგის მატჩები ფეხბურთში, საერთაშ. მასშტაბის შეხ-



ეროვნული სტადიონი. ,,დინამოს'' სტადიონი. 1937. თბილისი.



ეროვნული სტადიონი ბორის პაიჭაძის სახელობისა (რესტავრაციის შემდეგ). 1976. თბილისი.

ველრები, მ. შ. მძლეოსნობაში და სხვ. 1976 განხორციელდა დინამოს სტადიონის რეკონსტრუქცია [ავტორები: ა. ქურდიანი (უფროსი), გ. ქურდიანი; კონსტრუქტორი შ. გაზაშვილი] და გაითვალა 75 ათ. მაყურებელზე. ცენტრ. საფეხბურთო მოედნის გარდა, სტადიონის შემადგენლობაში შედიოდა სამი საჭიდაო დარბაზი, 25 *მ*-იანი საცურაო აუზი, ფეხბურთის სათადარიგო მოედანი, კალათბურთის დარბაზი, ათლეტიზმის დარბაზი, მძლეოსნობის ბილიკები და ტირი. კომპლექსში ერთდროულად 3000-მდე სპორტსმენი ვარჯიშობდა. მოქმედებდა ათლეტიზმის, ცურვის, კარატესა და ჭიდაობის სპორტგამაჯანსაღებელი სექციები.

2006 მიღებულ იქნა გადაწყვეტილება Ე. ს-ის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის და უეფას მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. უეფას საკმაოდ ვრცელი და მკაცრი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად რეკონსტრუქციის შედეგად [ავტორები, არქიტექტორები გ. ქურდიანი, ა. ქურდიანი (უმცროსი)] მოხდა დაზიანებული კვანძებისა და მთელი კონსტრუქ. ელემენტების გაძლიერება-გამაგრება. შედეგად სტადიონი უეფას მოთხოვნებთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი. უეფას სტანდარტების მიხედვით ეროვნ. სტადიონზე დაშვებულია ევროთასებისა და სანაკრებო საკვალიფიკაციო მატჩების ჩატარება, რაც, თავის მხრივ, შეესაბამება ელიტკატეგორიის მოთხოვნებს. სტადიონის დღევანდელი ტევადობა შეადგენს 54630 მაყურებელს.

Ე. ს. თავდაპირველად ლ. ბერიას სახელობისა იყო, შემდეგ – ვ. ლენინის. 1990-იდან სტადიონი ატარებს ლეგენდარული ქართვ. ფეხბურთელის, ბ. *პაიჭაძის* სახელს, 2011-იდან მოიხსენიება როგორც მისივე სახელობის დინამოს არენა. აღსანიშნავია, რომ სტადიონის არქიტ.-მხატვრული გადაწყვეტა, ორიგინ. და მკაცრად ლოგიკური კონსტრ. სქემა, სრულ ურთიერთკავშირშია ტექნოლ. პროცესთან. სპორტ. კომპლექსი თავისი პარამეტრებით პასუხობს ყველა საერთაშ. სტანდარტს.

სტადიონზე ფუნქციონირებს ფეხბურთის სათადარიგო მოედანი, მსუბუქი ათლეტიზმის სარბენი ბილიკები, აღმოსავლური ორთაბრძოლების, ბოდიბილდინგის და ტირის დარბაზები, რეკონსტრუქციის შედეგად დაგეგმილია სპორტის სხვა მიმართულებების დარბაზების განახლება და მათი სპორტული ფუნქციებით დატვირთვა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲒᲠᲘᲚᲝᲑᲐ, იხ. *საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა.*

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ, იხ. *მთლიანი შიდა პროდუქტი.*

ᲔᲠᲝᲖᲘᲐ ნიადაგისა, ნიადაგის ჩამორეცხვა და გადარეცხვა წვიმის, გამდნარი თოვლის და სარწყავი წყლით (წყლისმიერი Ე.) ან დაშლა და გადატანა ძლიერი ქარით (ქარისმიერი Ე.). წყლისმიერი Ე-ის გამოვლინებას ხელს უწყობს მთაგორიანი რელიეფი და წვიმები, ხოლო ქარისმიერს – ძლიერი ქარი, ტყის გაჩეხვა, ნიადაგის არასწორი დამუშავება და სხვა. არჩევენ ნიადაგისა და ქვეფენილი ქანების ზედაპირულ (სიბრტყით) და სიღრმით (ხაზობრივ) Ე-ს. ზედაპირული (სიბრტყითი) Ე. თვალით ძნელად შესამჩნევია. სიღრმითი Ე-ის განვითარების შედეგად დამუშავებულ ფერდობებზე წარმოიქმნება სხვადასხვა სიღრმის წყალნაღარები, რ-ებიც საჭიროებენ ნიადაგის ზედაპირის მოსწორებას. დროთა განმავლობაში წყალნაღარები ღრმავდება და ღარტაფებად და ხრამებად გარდაიქმნება. სარწყავ მიწებზე არასწორი რწყვის შედეგად ვითარდება ირიგაციული Ე. Ე-ის განვითარების შედეგად ფორმირდება სუსტად, საშუალოდ, ძლიერ და უძლიერესად ჩამორეცხილი ნიადაგები. Ე-ის განვითარების შედეგად უარესდება ნიადაგის ფიზ.-ქიმ. თვისებები, სტრუქტურა, მცირდება მისი ნაყოფიერება და მოსავალი. სას.-სამ. კულტურათა მოსავლიანობა სუსტად ჩამორეცხილ ნიადაგზე ჩამოურეცხავ ნიადაგთან შედარებით კლებულობს 10–30%-ით, საშუალოდ ჩამორეცხილ ნიადაგებზე – 30–50%-ით, ძლიერ ჩამორეცხილ ნიადაგებზე კი – 50–70%-ით.

საქართველოში წყლისმიერი Ე. გავრცელებულია გორაკ-ბორცვიან და მთიან ზონებში – ზემო იმერეთში, რაჭაში, აფხაზეთში, აჭარაში, შიდა ქართლში და სხვ.; ქარისმიერი Ე. – გარე კახეთში, შირაქში, შიდა და ქვემო ქართლში, ჯავახეთში. ირიგაციული Ე. – ზემო სამგორის, თეზი-ოკამისა და სხვა სარწყავი სისტემების არეალებში.

ქარისმიერი Ე-ის (დეფლაციის) განვითარებისას ხდება ნიადაგის, ზოგჯერ კი ქვეფენილი ქანების ზედაპირული ფენის ახვეტის, გადატანისა და სხვა ადგილებზე დაფენის (დალექვის) პროცესი. ქარისმიერი Ე. აშრობს ნიადაგს, ზიანდება ნათესები.

ნიადაგის Ე-ის წინააღმდეგ იყენებენ ბრძოლის ღონისძიებათა კომპლექსს, რ-იც მოიცავს ტერიტ. სწორ ორგანიზაციას, ნიადაგდაცვით თესლბრუნვას, საძოვრებზე ნაკვეთმორიგებით ძოვებასა და სხვ.; ტარდება აგროტექ., აგრომელიორ. და სატყეო-მელიორ. ღონისძიებანი. 12°-მდე დაქანებულ ფერდობებზე ზედაპირული ჩამონადენის რეგულირებისათვის ეწყობა წყალგამყვანი, წყალშემკრები და წყალამრიდი კვლები, ნაკვეთები იხვნება კონტურული წესით. 12°-ზე მეტი დაქანების ფერდობებზე ეწყობა ხელოვნური ტერასები, რ-ზეც აშენებენ ბაღ-ვენახებს.

ნიადაგის ეროზიისაგან დაცვისა და მისი ნაყოფიერების აღდგენის საკითხებზე კვლევა მიმდინარეობს *საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის*: მ. საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის (ყოფ. *საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი* მ. საბაშვილის სახელობისა), ი. ლომოურის მიწათმოქმედების (ყოფ. *საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი* ი. ლომოურის სახელობისა), ვ. გულისაშვილის სატყეო (ყოფ. *სამთო მეტყევეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი* ვ. გულისაშვილის სახელობისა), კ. ამირაჯიბის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის (ყოფ. *საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი* კ. ამირაჯიბის სახელობისა) ინსტიტუტებში, ასევე ვახუშტი ბაგრატიონის *გეოგრაფიის ინსტიტუტში* და სხვ.

ლიტ.: ამბოკაძე ვ., ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებანი საქართველოში, თბ., 1962; მაჭა-

ვ ა რ ი ა ნ ი ვ., ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები, თბ., 1972; М и р ц х у л а в а Ц. Е., Водная эрозия почв, Тб., 2000. *გ. გოგიჩაიშვილი.*

ერტისი, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის ბორბალოს თემში (ქვემო ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ბორბალოსხევის (ალგეთის აუზი) ნაპირას. ზ. დ. 820 *მ,* თეთრი წყაროდან 35 *კმ.* 319 მცხ. (2002).

ე. წყაროებში XVI ს-იდან მოიხსენიება როგორც საგერმანოზაშვილო და საგოსტაშაბიშვილო სოფელი. ე. ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.) დატანილი აქვს რუკებზე და მოხსენიებული აქვს ქვემო ქართლის სოფლების სიაში. ისტ. წყაროების მიხედვით დასახლებული იყო ქართვ. მოსახლეობით. შუა საუკუნეებიდან აღარაფერია შემორჩენილი. ამჟამად სოფლის მახლობლად დგას წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია. როგორც მისი დას. კარიბჭის ზემოთ მოთავსებული წარწერიდან ირკვევა, აგებულია 1862, ძვ. ეკლესიის ადგილზე, მისივე მასალის გამოყენებით. შიგნით რამდენიმე ისტ. პირის საფლავია, რ-თა წარწერებიდან ჩანს, რომ ეკლესია თურქესტანიშვილების საძვალე ყოფილა. სოფლის ჩრდ-ით, მაღალ ბორცვზე, გვიანდ. შუა საუკუნეების ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევია, სოფლის დას-ით – ნასოფლარი ტაგნაგეთი.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის I მეოთხედში, თბ., 1935; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, თბ., 1964.

ლიტ.: ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ი., მატერიალური კულტურის ძეგლები ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის მასალების მიხედვით, «ძეგლის მეგობარი», 1980, №53.

ერუშეთი, ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში (ახლანდ. თურქ. ტერიტორიაზე). მოიცავდა ტერიტორიას არსიანის ქედსა და ნიალის ველს შორის. სახელი უწოდეს მხარის ცენტრ. პუნქტის მიხედვით. ქართლის სამეფოს უძველესი ადმ. დანაწილებით ე. არტაანთან ერთად *წუნდის საერისთავოში* შედიოდა. ტრადიციულად დამკვიდრებულია აზრი, რომ საქართველოში პირველი ქრისტ. ტაძარი ე-ში აიგო (IV ს.). შემდგომ (V ს.) აქ ვახტანგ გორგასალს საეპისკოპოსო კათედრა დაუარსებია. XVI ს-ში ერუშნელი ეპისკოპოსის ეპარქიაში ე-ის გარდა არტაანის მხარის მტკვრის მარცხ. სანაპიროც შედიოდა. XVI ს-იდან ე. სამხრ. საქართვ. სხვა პროვინციებთან ერთად ოსმალთა მფლობელობაში გადავიდა. რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომის შემდეგ, სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებისა (1878) და ბერლინის კონგრესის (1878) თანახმად, ე. რუს. იმპერიას გადაეცა, შემდეგ კი კვლავ ოსმალეთი დაეუფლა. ე-ში იმოგზაურა და ისტ. ძეგლები შეისწავლა ე. *თაყაიშვილმა.* მიკვლეულ იქნა ადრინდ. ქრისტ. ხანის სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევები, სადაც შეინიშნებოდა მომდევნო პერიოდების ფრესკათა ნაკვალევი. იქვე ყოფილა სასახლის ნაშთებიც.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV–XVI სს.), ქრ. შარაშიძის გამოც., თბ., 1961.

ლიტ.: თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960.

დ. ბერძენიშვილი.

ერუშეთის ბრძოლა 1191, იხ. *ნიალის ბრძოლა 1191.*

ერუშეთის მთიანეთი, ე რ უ შ ე თ ი ს მ ა ს ი ვ ი, ტექტონიკურ-ვულკანური მთიანეთი სამხრეთ საქართველოს ვულკანური ზეგნის დასავლეთ ნაწილში, ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში. ვრცელდება თურქ. ტერიტორიაზეც. მთიანეთის დას. ნაწილში შემოდის ერუშეთის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთები. ე. მ. აგებულია ნეოგენური გოდერძის წყებით – ლავებითა და ტუფებით. ლავათა შემადგენლობა ცვალებადობს ბაზალტიდან ანდეზიტ-დაციტამდე. უმაღლესი მწვერვალია გუმბათი (2963 *მ*). აღსანიშნავია აგრეთვე მაღალი მთები – შაბანიბელი, ვანისმთა და შუაკარავი. ე. მ. დანაწევრებულია მტკვრის მარცხ. შენაკადების ხეობებით. 2000 *მ* სიმაღლემდე შემოსილია შერეული ტყით, თხემური ზონა სუბალპ. და ალპ. მდელოებსა და მდელო-სტეპებს უკავია. *ლ. მარუაშვილი.*

ერუშეთის საეპისკოპოსო, ეპარქია შუა საუკუნეების საქართველოში, ისტორიულ არტაანის მხარეში. ლეონტი მროველის ცნობით, ქრისტიანობის მიღებისთანავე მირიან მეფემ (IV ს.) რომის იმპერატორ კონსტანტინეს სთხოვა, საქართველოში გამოეგზავნა მღვდლები და ეკლესიათა მშენებლები. მან ეპისკოპოსი იოვანე დავალებით გამოგზავნა, რათა აეგო ქართლში ეკლესიები იქ, სადაც საჭიროდ ჩათვლიდა. პირველი ეკლესია მათ ერუშეთში ააშენეს. აქ დატოვეს განძის ნაწილი და უფლის სამსჭვალნი, რ-ითაც ქრისტე მიალურსმეს ჯვარცმის დროს. ამან თავიდანვე გაზარდა ერუშეთის ეკლესიის ავტორიტეტი. მის მშენებლობასა და შემკობას შეეწია მეფე მირდატ ბაქარის ძე (IV ს. 60–70-იანი წლები). ჯუანშერის (XI ს.) ცნობით, ვახტანგ გორგასალს (V ს.) საეპისკოპოსოთა დაარსებისას ერთი ეპისკოპოსი დაუსვამს ,,არტან ერუშეთს''. ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) განმარტებით ერუშნელი ეპისკოპოსი ყოფილა მწყემსი ერუშეთისა და არტანისა, მტკვრის დას-ით. ჯუანშერის ცნობით, ბიზანტიელმა იმპერატორმა ჰერაკლემ საქართველოში ლაშქრობის შემდეგ (628), მიუხედავად ადარნასე ქართლის მთავრის ვედრებისა, მაინც წაიღო ერუშეთის ეკლესიის სიწმინდე – უფლის სამსჭვალნი.

IX ს-ში ერუშნელი ეპისკოპოსი ერთ-ერთი აქტ. მონაწილე იყო *გვარამ (გუარამ) მამფლის* მიერ ჯავახეთში მოწვეული საეკლ. კრებისა, სადაც ქართლის კათოლიკოსის არჩევის საკითხი წყდებოდა. XIII ს-ში დარბაზობის დროს ქართვ. მღვდელმთავართა შორის ერუშნელს ეჭირა XV, ხოლო XVI ს. სამხრ. საქართვ. ეპისკოპოსთა შორის – VIII ადგილი. XVI ს. დასაწყისის ერთი საბუთის მიხედვით, ერუშნელის სამწყსო მოიცავდა მტკვრის მარცხენა სანაპირო არტანს კოლის საზღვრამდე. XVI ს. 70-იან წლებში ოსმალთა შემოსევისას მგელციხის გმირულ დამცველთა შორის მოხსენიებულია ერუშნელი ბერი.

ოსმალთა მიერ სამხრ. საქართვ. დაპყრობის (XVI ს.) შემდეგ ე. ს. მოიშალა. *,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის''* (XVI ს.) მიხედვით, სოფ. ერუშეთი (ორუშეთად სახეცვლილი) შედიოდა დიდი არტაანის ლივის ტყიან რ-ში, იქ მაშინ 28 კომლი ქართვ. ცხოვრობდა, რ-თაც 3 თვალი წისქვილი, ერთი თვალი ზეთსახდელი ჰქონდათ და იხდიდნენ წლიურ გადასახადს 12000 ახჩის ოდენობით.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წგ. 1, თბ., 1963; ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2, თბ., 1941.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი, თბ., 1985.

დ. ბერძენიშვილი.

ერუშეთის წყაროსთავი, გუმბათოვანი ეკლესია ხოზაფინის (კარწახის) ტბის სიახლოვეს (ამჟამად თურქეთის ტერიტ.), ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრი. ისტ. ცნობებით, წყაროსთავში იყო საეპისკოპოსო კათედრა, წყაროსთაველი ეპისკოპოსი კი 40 მთავარ იერარქს შორის მე-14 ადგილს იკავებდა ერუშნელი ეპისკოპოსის წინ. ტაძარი VI ს. დასაწყისში უნდა იყოს აგებული ერისთავ მირდატის მიერ. მოგვიანებით ეკლესია დაინგრა და *ბაგრატ III-ის* დროს, X ს. ბოლოს, აიგო გუმბათიანი ეკლესია, რასაც ადასტურებს ტაძრის წარწერები.

ძეგლი მთლიანად განადგურებულია. არსებობს მხოლოდ ე. თაყაიშვილის ექსპედიციის მასალები – რამდენიმე ფოტო და ნახაზი, ასევე ს. კლდიაშვილის რამდენიმე ჩანახატი.

ლიტ.: ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, წგ.: ქართლის



ერუშეთის წყაროსთავი. გუმბათოვანი ეკლესია. X ს.

ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; გ ი ვ ი ა შ ვ ი ლ ი ი., კ ო პ ლ ა ტ ა ძ ე ი., ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004.

თ. მარგველაშვილი.

ერძვანი, 1. ერთ-ერთი უძველესი სახვნელი იარაღი; იყენებდნენ ანეულის გადასახნავად. შედგება მხრის, ხელნის, კბილას, ხმალასა და სახნისისაგან. გავრცელებული იყო უმთავრესად აღმ. საქართველოში. შემონახულია ქვემო ქართლში, ჯავახეთსა და მესხეთში; 2. თუშეთში, იმერეთში, გურიაში – გუთნის ხელნა-სახელური, რაზედაც ხვნის პროცესში გუთნისდედას ხელი ეკიდა და გუთანს მართავდა.

ლიტ.: ჩ ი ტ ა ი ა გ., ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში, «საქართველოს მუზეუმის მოამბე», 1927, ტ. 4; ჯ ა ლ ა ბ ა ძ ე გ., აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960.

გ. ჯალაბაძე.

ერძვანია ზურაბ დავითის ძე (დ. 14. X. 1951, გაგრა), გენერალ-მაიორი (2000). 1974 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი, 1979 – მოსკ. საკავშირო სახელმწ. უშიშროების კომიტეტის უმაღლესი სასწავლებელი, 1991 – საზ. მეცნ. აკადემია (იქვე). სხვადასხვა დროს მუშაობდა კომკავშირულ და პარტიულ თანამდებობებზე. სოხუმის დაცემის შემდეგ იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავ-რე (1993–98), თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს თავ-რე, 1998-იდან – საქართვ. დაზვერვის სახელმწ. დეპარტამენტის თავ-რის მოადგილე. 2003-იდან თადარიგშია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999) და მედლებით.

ლ. დოლიძე.

ერძომაიშვილები, ხალხურ მგალობელ-მომღერალთა ტრადიციული ოჯახი (აქვს 300 წლის ისტორია): თომა, ივანე, გიორგი, გიგო და მისი ათი ქალ-ვაჟი, მათი შვილები და შვილიშვილები. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ გიგო, მისი სამი ვაჟი – არტემი, ანანია, ვლადიმერი – და არტემის შვილიშვილი ა. დ. *ერქომაიშვილი.* გ. ერქომაიშვილმა, ცნობილ მომღერალთან, გამყივანის უბადლო შემსრულებელ გ. ბაბალოძესთან ერთად 1870 სოფ. მაკვანეთში დააარსა ანსამბლი, რ-იც მალე მთელ გურიაში გახდა ცნობილი. ამ ანსამბლმა პირველმა ჩაწერა 49 გურული ხალხ. სიმღერა (ჩანაწერები ინახება მოსკოვისა და ლონდონის არქივებში).

ა ნ ა ნ ი ა (3. I. 1894, სოფ. მაკვანეთი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 31. I. 1977, თბილისი), მომღერალ-მგალობელი. საქართვ. დამს. არტისტი (1958), პირველი ნათლობა ა. გ. ერქომაიშვილის გუნდში მიიღო, სადაც 1934-მდე მღეროდა. 1934-იდან დას. საქართვ. ეთნოგრ. გუნდის სოლისტი იყო (ხელმძღვ. კ. *პაჭკორია*), ხოლო 1940-იდან, აღმ. და დას. საქართველოს გუნდების ერთ – საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლად (ახლანდ. ანსამბლი ,,ერისიონი'') გაერთიანების შემდეგ, მისი ერთ-ერთი წამყვანი მომღერალი გახდა. აღსანიშნავია ძმების არტემ, ანანია და ვლადიმერ II-ის ანსამბლი ტრიო, რ-მაც შეასრულა და ჩაწერა არაერთი უნიკალური სიმღერა, ანანიას ჰქონდა ფართო დიაპაზონის ხმა, ოსტატურად ასრულებდა განსხვავებული ტესიტურისა და ხასიათის მქონე სიმღერებს, იყო პირველი ხმის, გამყივანის, დამწყებისა და ბანის საუკეთესო შემსრულებელი.

ვ ლ ა დ ი მ ე რ ი (23. II. 1897, სოფ. მაკვანეთი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 27. IV. 1982, ოზურგეთი), მგალობელ-მომღერალი, ლოტბარი, პედაგოგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1951). მღეროდა არტემ ერქომაიშვილის გუნდში, ბათუმში. 1936-იდან დამოუკიდებლად მოღვაწეობს. 1937–50 წარმატებით ხელმძღვანელობდა ყოფ. მახარაძის რ-ნის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, კონცერტებს მართავდა საბჭ. კავშირის მთელ ტერიტორიაზე. 1968-იდან იყო მახარაძის რ-ნის ხალხ. სიმღერა-გალობის სკოლის – ,,გურული სიმღერების აღმდგენელი სასწავლებლის'' – პედაგოგი. სასწავლებელი ამზადებდა პროფესიონალ ლოტბარებს. 1978 ჩამოაყალიბა თავისსავე აღზრდილ, უკვე სახელგანთქმულ ლოტბართა ანსამბლი ,,ელესა'', რ-მაც დიდი მოწონება და აღიარება მოიპოვა. ანსამბლმა ვლადიმერის გარდაცვალების შემდეგაც გააგრძელა არსებობა (ხელმძღვ. ამირან თოიძე) და 1988 აშშ-ში სმითსონის ინ-ტის საერთაშ. ფესტივალზე ღირსეული გამარჯვება მოიპოვა. ვლადიმერის დიდი დიაპაზონის, იშვიათი სილამაზის ხმა წამყვანი იყო II-ის ტრიოში.

ერქომაიშვილი ანზორ დავითის ძე (დ. 10. VIII. 1940, ბათუმი), მომღერალი, საგუნდო დირიჟორი, ხალხური სიმღერების შემკრები, პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1980). არტემ *ერქომაიშვილის* შვილიშვილი და მოწაფე. დაიბადა ტრად. მუს. ოჯახში. სიმღერა ბაბუამ შეასწავლა. 7 წლისამ ხალხ. სიმღერების რესპ. ოლიმპიადაზე (თბილისი) I ხარისხის დიპლომი მოიპოვა. 1969 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვ. საგუნდო-სადირიჟორო ფაკ-ტი (ვ. *ფალიაშვილის* კლასი), 1976 – ასპირანტურა ხალხ. მუს. შემოქმედების სპეციალობით (ხელმძღვ. – შ. ასლანიშვილი). სტუდენტობის წლებში მოღვაწეობდა ვოკალურ ანსამბლ *,,გორდელაში''*, რ-ის შექმნის (1961) ერთ-ერთი ინიციატორი თავად იყო. 1969–71 მუშაობდა საქართვ. რადიოსა და ტელევიზიის მუს. რედაქტორად. 1968 ჩამოაყალიბა სახელმწ. ფოლკლორული ანსამბლი *,,რუსთავი''*. II-მა 1983–96 კი უცხ. ფირმებისათვის ჩაწერა 300-ზე მეტი ქართ. ხალხ. სიმღერა, რებიც კომპაქტური დისკების სა-

ხით ვრცელდება მთელ მსოფლიოში. 1976 ჩამოაყალიბა ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლი ,,*მართვე*'', რ-საც 2000-მდე ხელმძღვანელობდა. 1994 ანსამბლის ბაზაზე შეიქმნა მოსწავლეთა სასახლე.

აღსანიშნავია ე-ის, როგორც ხალხ. მუსიკის შემკრების, დამსახურება. მან 1972-იდან მსოფლიოს მრავალი ქვეყნის არქივში (მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი, კრასნოგორსკი, რიგა, თბილისი) მიაკვლია 500-ზე მეტ ქართ. ხალხ. სიმღერის ფონოგრამას, შესრულებულს 1907-იდან 1930 წლამდე. მათი რესტავრაციის შემდეგ ფირმა ,,მელოდიაში'' გამოსცა 5 ფირფიტა გამოკვლევებითურთ. 1992 ლონდონის მუს. არქივში მიაკვლია 1902–14 ინგლ. ფირმების მიერ გრამფირფიტებზე ჩაწერილ 127 ქართ. ხალხ. სიმღერას. აქვე აღმოაჩინა ვ. სარაჯიშვილის ჩანაწერების მატრიცები (დედნები), რ-თა მეშვეობითაც (ნ. ანდღულაძის მონაწილეობით) მოხერხდა მომღერლის პირვანდელი სრულყოფილი ხმის აღდგენა. 1985–89 ე-მა მოიწვია საქართვ. სხვადასხვა კუთხის ცნობილი მომღერლები და ფირმა ,,მელოდიაში'' ჩაწერა 100-ზე მეტი ქართ. ხალხ. სიმღერა. ფირებზე ჩაწერილია როგორც ყველა ხმა ერთად, ისე თითოეული ცალკ-ცალკე, სადაც ნათლად ჩანს თითოეული მომღერლის საშემსრულებლო მანერა. ე-მა აღადგინა, გამოსცა და მომავალ თაობებს გააცნო ვ. სარაჯიშვილის, ა. *ინაშვილის*, ნ. *ქუმსიაშვილის*, ა. *კავსაძის*, ვ. *სიმონიშვილის*, ა. *მეგრელიძის*, ნ. *ხურცილას*, კ. *პაჭკორიას*, მ. ე. *თარხნიშვილის*, ა. ერქომაიშვილის, ვ. *მჭედლიშვილისა* და სხვა ცნობილ მომღერალთა ხელოვნება. ე. ავტორია წიგნებისა: ,,ბაბუა'' (1980; ეძღვნება არტემ ერქომაიშვილის ცხოვრებას), ,,შავი შაშვი ჩიოდა'' (1989), ,,ძველი სიმღერების კვალდაკვალ'' (1979). მუსიკალურად გააფორმა ოცამდე კინოფილმი და სპექტაკლი. 2001 ე-ის ინიციატივით და იუნესკოს ხელშეწყობით ჩამოყალიბდა ქართ. ხალხ. სიმღერის საერთაშ. ცენტრი. ე-ს თაოსნობით მომზადდა და გამოიცა (2006) XX საუკუნის ანთოლოგიის (1901–2001), ერთი ნაწილი (1901–1914), რ-შიც შედის ქართ. ხალხ. სიმღერებისა და საშემსრ. ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები. ე. არის რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის (1988), საქართვ. სახელმწ. (1996), ზ. ფალიაშვილისა (1981) და ი. გოგებაშვილის სახ. (1993), აგრეთვე ალბერტ შვაიცერის სახ. საერთაშ. პრემიების (ანსამბლ ,,რუსთავთან'' ერთად, 1983), სტუდენტთა და ახალგაზრდობის VI მსოფლიო ფესტივალის (1968; ანსამბლ ,,გორდელასთან'' ერთად) ლაურეატი.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

თხზ.: ქართული ხალხური სიმღერების კრებული, თბ., 1980; ქართული ფონოჩანაწერები უცხოეთში, თბ., 2007; მივალ გურიაში, მარა, თბ., 2006; გზები, ადამიანები, სიმღერები, თბ., 2011; ქართული სიმღერის მოამაგენი – გური და ტრისტან სიხარულიძეები, თბ., 2013; Сборник грузинских народных песен, М., 1972.


ერქომაიშვილი არტემ გიგოს ძე (26. X. 1887, სოფ. მაკვანეთი, ოზურგეთის მაზრა, – 2. II. 1967, ოზურგეთი), თვითნასწავლი კომპოზიტორი, მგალობელი, ლოტბარი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1951). მამის, გიგო ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით შეისწავლა ურთულესი გურული სიმღერები. მღეროდა გიგო ერქომაიშვილის ანსამბლში – მისი სიმღერა ანსამბლთან ერთად ჩაწერილია (1907) გრამფირფიტაზე. ე-მა ცნობილი მგალობელ-მომღერლის, მელქისედეკ ნაკაშიძის ხელმძღვანელობით შეისწავლა 2000-მდე საგალობელი (სამივე ხმა). 1911–17 ე. მუშაობდა გალობის მასწავლებლად სოფ. მარტვილში. 1924-იდან ხელმძღვანელობდა ხალხ. გუნდებს მაკვანეთში, ბათუმში, ოზურგეთში. კონცერტებს მართავდა საქართვ. და სსრკ ქალაქებში. ამ პერიოდში უკვე საკმაოდ ხანდაზმული (90 წელს მიტანებული) არტემის მამა, გიგო, და ბიძა, გ. ბაბილოძე მღეროდნენ ბათუმის გუნდში. 1927 გუნდმა ე-ის ხელმძღვანელობამ გაიმარჯვა საქართვ. პირველ (1927) და მეორე (1929) რესპ. ოლიმპიადებზე და კონცერტების გასამართად გაიგზავნა მოსკოვში, ლენინგრადსა და ხარკოვში. გუნდმა ფართო საზღვას გააცნო გურული სიმღერების სიმდიდრე და მრავალფეროვნება. ამ სიმღერების რთულმა აღნაგობამ, კონსტრუქციულმა წყობამ (განსაკუთრებით *კრიმანჭულმა*) სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ცნობილმა ფოლკლორისტებმა ე. გიპიუსმა და ზ. ევალდმა გააკეთეს ჩანაწერები, რ-ებიც სანქტ-პეტერბურგში ,,პუშკინის სახლში'' ინახება. 1932 გუნდი გადაკეთდა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ეთნოგრ. გუნდად, იარსება 1941-მდე. 1950-იდან ე. გადავიდა ოზურგეთში, კულტ. სახლის გუნდის ხელმძღვანელად. ენთუზიაზმითა და საქმის სიყვარულით ემსახურებოდა იგი გურული საგალობლებისა და სიმღერების აღდგენა-პოპულარიზაციის საქმეს. ე. ძვ. თაობის მგალობელთა უკანასკნელი წარმომადგენელი იყო, რ-მაც შემოინახა და მივიწყებას გადაარჩინა რამდენიმე ასეული იშვიათი სიმღერა. სიცოცხლის ბოლოს კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრაზე პროფ. გ. *ჩხიკვაძის* თაოსნობით (კათედრის მეცნ. თანამშრომელ კ. როსებაშვილთან ერთად) ჩაწერა 200-მდე საგალობლის სამივე ხმა (ცალ-ცალკე), ხოლო შვილიშვილს, ა. ერქომაიშვილს, ნოტებზე ჩააწერინა 100-ზე მეტი გურული სიმღერა და საგალობელი.



ა. დ. ერქომაიშვილი.

ლიტ.: არტემ ერქომაიშვილის სანოტო კრებული, თბ., 2005.

ერქომაიშვილი ვახტანგ ივტიხის ძე (18. X. 1932, ქობულეთი, – 18. V. 2001, თბილისი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1977), პროფესორი (1978). 1956 დაამთავრა თსუ-ის ფილოს. ფაკტი. 1956–58 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა ქობულეთის საშუალო სკოლაში. 1961-იდან მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ფილოსოფიის ინ-ტში (1966-იდან – უფროსი მეცნ. თანამშრომელი). 1968-იდან იყო თსუ-ის ფილოსოფიის ფაკ-ტის დიალექტ. მატერიალიზმის კათედრის უფრ. მასწავლებელი, კათედრის გამგე. მონაწილეობდა საერთაშ. კონფერენციებში პოლონეთში (1977, ლოძი), საქართველოში (1980, თბილისი), უნგრეთში (1984, სეგედი), არისტოტელესადმი მიძღვნილ საკავშ. კონფერენციებში (1981, 1984, 1987; წალკა–თბილისი). აქტიურად მონაწილეობდა ქართ. ენციკლოპედიისათვის ფილოს. მასალების მომზადებაში.




ა. გ. ერქომაიშვილი.

ე-ის სამეცნ. კვლევის ძირითადი მიმართულებებია: თანამედროვე დასავლური ფილოსოფიის ძირითად მიმდინარეობათა ანალიზი, შემეცნების თეორიისა და დეტერმინიზმის პრობლემები.

თხზ.: დიალექტიკური მატერიალიზმი, თბ., 1971 (თანაავტ.); ლოგიკური პოზიტივიზმი, თბ., 1974; კოტე ბაქრაძის ფილოსოფიური შეხედულე-



ნ. ერქომაიშვილი.



ერწოს ველის არქეოლოგიური ძეგლები. ვერცხლის სურა.

ბანი, თბ., 1978; ბედისწერის რწმენა და მისი უარყოფითი შედეგები, თბ., 1984; ადამიანის თავისუფლება და პასუხისმგებლობის პრობლემა, ბათ., 1989; ადამიანი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, თბ., 1989; ფილოსოფია, თბ., 1995; ერი და იდეოლოგია, თბ., 2000; О природе эмпирического знания, «Вопросы философии», 1981, №6.

ერქომაიშვილი ნუგზარ ისიდორეს ძე (დ. 4. X. 1934, თბილისი), კინოოპერატორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1985). დაამთავრა კინემატოგრაფიის სკავშ. სახელმწ. ინ-ტის საოპერატორო ფაკ-ტი (1979), 1962-იდან მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ თავდაპირველად ოპერატორის ასისტენტად, შემდეგ – მეორე ოპერატორად ფილმებზე: „დიდოსტატის მარჯვენა“ (1969), „ლევან ხიდაშელი“ (1973), „ივანე კოტორაშვილის ამბავი“ (1974), „მწვერვალი“ (1976) და სხვ. ე-მა გადაიღო ფილმები: „კაშხალი მთაში“, „ნიკა მთაში“ (ორივე 1979), „როგორ ვიცხოვრო უშენოდ“ (1980). დამდგმელი ოპერატორია ფილმებისა: „ამაღლება“ (1977), „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ (1978; სსრკ სახელმწ. პრემია, 1980), „წერილები შვილებს“ (1981), „დღეს ღამე უთენებია“ (1983; საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს პრემია „ხუთწლედის მატიანე“, 1984), „ბატონი ავანტიურისტები“ (1985, გ. ჭელიძესთან ერთად), „ორომტრიალი“ (1986), „მამა, შვილი და ნიავი“ (1988), „ხედვის ანბანი“ (1994), „ერთაწმინდა“ (1994) და სხვ. *ა. გვენცაძე.*

ერქომაიშვილი სერგო კირილეს ძე (29. III. 1908, სოფ. შემოქმედი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 15. X. 1982, თბილისი), ზოოტექნიკოსი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი და პროფესორი (1954), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1959). 1929 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი აგრონომ-ზოოტექნიკოსის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო საქართვ. ცენტრ. ზოოტექ. სადგურში უმცროს მეცნ. თანამშრომლად. 1931–37 სხვადასხვა დაწესებულებაში ეწეოდა სამეცნ. საქმიანობას. 1937–82 მუშაობდა საქართვ. ზოოვეტ. ინ-ტში სას.-სამ. ცხოველთა კვების კათედრის გამგედ. ე-ის გამოკვლევები ეხება სარეწაო ცხოველების კვების მეთოდების შემუშავებას, აზოტნაერთებით საკვების გამდიდრების ტექნოლოგიას, პროტეინიან-ვიტამინიანი საკვების შენახვისა და ბაზის გაფართოება-გაუმჯობესების საკითხებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვების ნორმირება, თბ., 1947 [ყდაზე: 1948]; სილოსი და საკვების დასილოსება, თბ., 1949.

ი. ხუციშვილი.

ერწახვი, ე რ ც ა ხ უ, მწვერვალი გულრიფშის მუნიციპალიტეტში, აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზე. სიმაღლე ზ. დ. 3910 *მ.* აგებულია კამბრიულისწინა და ადრინდ. პალეოზოური კრისტ. ფიქლებით. ჩრდ. კალთა დამრეცია, სამხრ. – ციცაბო. ე-ის სამხრ. კალთის 2 მყინვარი ასაზრდოებს მდ. ჩხალთის (კოდორის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. შენაკადებს. დამახასიათებელია სუბნივალური და ნივალური ლანდშაფტი. ე-ის აღმ-ით მდებარეობს ამავე სახელწოდების მეორე მწვერვალი (3863 *მ*). *ი. ძიძიგური.*

ერწო, მცირე ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული შიდა ქართლში, მდ. ფაწის სათავეში. მისი ნაშთია სოფ. *ერწო.*

ერწო, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტის წონის თემში (შიდა ქართლის მხარე), რაჭის ქედის აღმ. ფერდობზე, ერწოს ტბის აღმ-ით. ზ. დ. 1750 *მ,* ჯავიდან 28 *კმ.* 46 მცხ. (1989).

ერწო-თიანეთი, მხარე აღმოსავლეთ საქართველოში, მოიცავს მდ. ივრის ზემოთის ზეგანს (თიანეთის მუნიციპალიტეტი). ისტორიულად წარმოადგენდა ქართლის სამეფოს ორ ცალკეულ ისტ.-გეოგრ. რეგიონს – ერწოსა და თიანეთს. ერთობლივი ისტ. განვითარებისა და მჭიდრო კავშირის გამო ისინი უძველეს წყაროებშივე ერთად მოიხსენიება. ე-ი. ადმინისტრაციულად კახეთის საერისთავოში შედიოდა. გადმოცემის თანახმად, IV ს-ში ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინო აქ ქრისტიანობას ქადაგებდა. ხელსაყრელი გეოგრ. მდებარეობა ე-ი-ს დიდ სტრატეგიულ და ეკონ. მნიშვნელობას ანიჭებდა. აქ გადიოდა სავაჭრო მაგისტრალის ერთ-ერთი განშტოება, რ-იც ქართლის ადრინდ. ფეოდ. სახელმწ. აღბანეთსა (კავკასიისა) და სომხეთთან აკავშირებდა. გარკვეულ პერიოდში თიანეთი იყო პლაცდარმი, საიდანაც ქართლის სამეფო პოლიტ. და კულტ. ზეგავლენას ახდენდა კავკ. მთიანეთზე. საქართვ. პოლიტ. გაერთიანებისათვის ბრძოლაში ,,აფხაზთა მეფეები“, პირველ რიგში, თიანეთის დაპყრობით ცდილობდნენ კახეთი თავიანთი პოლიტ. გავლენის ქვეშ მოექციათ. XIII ს-ში ე.-ი. არაერთხელ დალაშქრეს მონღოლებმა. XV ს-ში, ერთიანი საქართვ. ფეოდ. სახელმწიფოს პოლიტ. დაშლის შემდეგ, ე.-ი. კახეთის სამეფოს ერთ-ერთი სამოურავო გახდა. იგი ხშირად სადავო ტერიტორია იყო კახეთის სამეფოსა და არაგვის საერისთავოს შორის. ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობის ეკონ. ინტერესები არსებითად ე.-ი-თან იყო დაკავშირებული, ამიტომაც იგი ძირითადად მთიელი ქართველებითაა დასახლებული.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973. *დ. მუსხელიშვილი.*

ერწოს ველის არქეოლოგიური ძეგლები, ერწოს ველზე (თიანეთის მუნიციპალიტეტი) აღმოჩენილი სხვადასხვა დროის ნამოსახლარები და სამაროვნები, ეკლესიის, საკულტო ნაგებობათა ნანგრევები. აღრიცხულია 200-მდე არქეოლ. ძეგლი. მ. შ. ჯერ-ჯერობით ყველაზე ადრინდელია სოფ. თრანის ე. წ. ,,რკინის



ერწოს ველი.

კალო“ (გათხარეს 1963–65 და 1969 წლებში). იგი მდებარეობს მდ. თრანულის მარჯვ. ნაპირზე და წარმოადგენს 1 *მ* სისქის ქვაყრილს, რ-იც ძვ. წ. IX–VIII სს. ორმოსამარხების თავზეა წარმოქმნილი. ქვაყრილში ჩაშვებულია ძვ. წ. VII–VI სს. სამარხები. გვიანდ. სამარხებში დაკრძალვის წესი კარგად არ არის გარკვეული. არქაულ ორმოსამარხებში კი (სიღრმე – 1,2–1,5 *მ*) მიცვალებულები ესვენენ მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე მოხრილი კიდურებით, თავით უმეტესად სამხრეთისკენ. სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის იარაღი (ისრისპირები, შუბისპირები, მოხრილი ცალპირა საჭეხები, შედგენილტარიანი მახვილები, დანები, სატევრები, შუბისპირები და სხვ.), ბრინჯაოს სამკაული (სამაჯურები, ჭვირული მედალიონები, რომბისებრი კი-

ლიტები, რგოლები, ძეწკვები, მცირე ზომის ირმის ქანდაკებები და სხვ.), აგრეთვე ძვლის ისრისპირები, სარდიონის მძივები და მრავალნაირი ფორმის თიხის ლეგა ჭურჭელი.

გვიანდ. ანტ. ხანაში ერწოს ველი მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ამ დროის ძეგლებს შორის შესწავლილია სოფ. მაგრანეთის ქუშანაანთ გორის ნამოსახლარი და სამაროვანი. აქ რიგითი ორმოსამარხების გვერდით აღმოჩნდა არმაზისხევის ტიპის მდიდრული სამარხების ჯგუფი, რ-თაგან გამოირჩევა ერთი სამარხი. 1 *მ* სიღრმის ორმოში დაკრძალული იყო ზურგზე გაშოტილი ერთი მიცვალებული, თავით დას-კენ. სამარხი გადახურული იყო ხის კონსტრუქციაზე დაყრდნობილი კრამიტის ორფერდა სახურავით. მასში აღმოჩნდა ოქროს (ბეჭდები, საყურეები) და ვერცხლის (არმაზულწარწერიანი თასი, 2 სურა, ქამრის ნაწილები, ბეჭდები) ნივთები, მინის ჭურჭელი, გიშრის მძივები და სხვ. ქუშანაანთ გორის სამაროვანი ითვლება გაბატონებული სოც. ფენის კუთვნილებად. სოფ. მაგრანეთი კი გვიანდ. ანტ. ხანის ერწოს პოლიტ. ცენტრი უნდა ყოფილიყო.

ადრინდ. ფეოდ. ხანაში ერწოს ველმა კვლავ აღმავლობა განიცადა. ეკონ. და კულტ. ცხოვრების დაწინაურებაზე მიუთითებს ნამოსახლართა და სამაროვანთა სიხშირე და მასალის მრავალფეროვნება. ამ მხრივ საყურადღებოა თრანის სამაროვანი, სადაც შირიმის ფილებით ნაგებ ქვის სამარხებში რკინისა და ბრინჯაოს სამკაულების გვერდით აღმოჩნდა ოქროსთავიანი საკინძეებიც. ადრინდ. ხანის ძეგლთა შორის საინტერესოა ქუშანაანთ გორის ნამოსახლარი და ქრისტ. ხუროთმოძღვრების რამდენიმე ძეგლი (ბეწენწურების ეკლესია, არჩილის მონასტერი, საყდრიონის ეკლესია და სხვ.).

შუა ფეოდ. ხანაში ერწოს ველი პოლიტიკურად ,,ჟალეთის ქვეყანას'' ემორჩილებოდა. მრავლადაა აღმოჩენილი ამ ხანის ძეგლები.

შაჰ-აბას I-ის შემოსევის შემდეგ ერწოს ველზე ინტენს. ცხოვრება დიდი ხნით შეწყდა.

ლიტ.: რამიშვილი რ., ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, წგ. 1 – სიონი, თბ., 1970. *რ. რამიშვილი.*

ერწოს ტბა, ტბა აღმ. საქართველოში, ჯავის მუნიციპალიტეტში, მდ. ყვირილის სათავის მახლობლად, რაჭისა და ლიხის ქედების შესაყართან. მდებარეობს ტექტონ. ქვაბულში, ზ. დ. 1710 *მ* სიმაღლეზე. ზედაპირის ფართ. 0,31 *კმ*^{2}. მაქს. სიღრმე 19 *მ*, საშ. სიღრმე 2,1 *მ*. უკავია 4 კარსტული ძაბრი. საზრდოობს წვიმით და თოვლის წყლით. მაქს. დონე მაის-ივნისშია, მინ. – აგვ.-სექტ-ში. ზამთარში, თითქმის 5 თვის განმავლობაში, იყინება. ტბის წყლით საზრდოობს მდ. ერწოსწყალი (ყვირილის ერთ-ერთი მდგენელი). ტბის წყალი სუსტად მინერალიზებულია. ტბაში თევზი არ არის. Ე. ჭ. შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში''. *ი. აფხაზავა.*

ერწოს უღელტეხილი, უღელტეხილი ჯავის მუნიციპალიტეტში, რაჭის ქედზე, მდინარეების ფაწის (ლიახვის მარჯვ. შენაკადი), ჯეჯორისა და ყვირილის (რიონის მარცხ. შენაკადები) სათავეებთან. სიმაღლე ზ. დ. 1790 *მ*. უღელტეხილის მიდამოები აგებულია მეზოზოური და მესამეული ინტენსიურად დანაოჭებული მასიური რიფული კირქვებით, მერგელებითა და ბაიოსური პორფირიტებით, შემოსილია სუბალპ. მცენარეულობით (წიფელი და არყი; დეკა და სუბალპური მდელოები). Ე-ზე გადადის გორი–ონის საავტ. გზა. უხვთოვლიან ზამთარში იკეტება მცირე დროით. *გ. მარგველანი.*

ერწოს ძვაბული, ტექტონიკური ქვაბული თიანეთის მუნიციპალიტეტში, მდ. ივრის აუზში. ქვაბული მიმართულია ჩრდ.-დას-იდან სამხრ.-აღმ-კენ. სიგრძე 15 *კმ*, სიგანე 7 *კმ*. ქვაბულის ბრტყელი ფსკერის აბსოლ. სიმაღლეა ზ. დ. 1000–1100 *მ*. აგებულია ნეოგენური (კალთები) და მეოთხეული (ფსკერი) ნალექებით. ირწყვება მდ. აძეძით (ივრის მარჯვ. შენაკადი). ტყე შემორჩენილია მხოლოდ კალთებზე; ქვაბული ათვისებულია სას.-სამ. კულტურებით. Ე. ძ-ზე გადადის თბილისი–თიანეთის საავტ. გზა. *ლ. მარუაშვილი.*

ერწო-ფონის ძვაბული, ტექტონიკურ-ეროზიული ქვაბული მდ. ყვირილის სათავეში, რაჭისა და ლიხის ქედების შესაყართან. შედგება ორი ტაფობისაგან: სამხრ.-დას-ით მდებარეობს წ ო ნ ი ს ტ ა ფ ო ბ ი, რ-ის სიგრძეა 3 *კმ*, სიგანე – 400–800 *მ*. ფსკერი ზ. დ. 1760 *მ* სიმაღლეზეა. ტაფობის ძირზე გაედინება მდ. წონისწყალი (ყვირილის ერთ-ერთი მდგენელი). ტაფობის ცენტრ.



ერწოს ტბა.

ნაწილში ალაგ-ალაგ ტორფიანი ჭაობებია, ხოლო ჩრდ.-აღმ-ით მდებარეობს ე რ წ ო ს ტ ა ფ ო ბ ი, რ-ის სიგრძეა 2,5 *კმ*, სიგანე – 1000–1200 *მ*, ფსკერი კი ზ. დ. 1711 *მ* სიმაღლეზეა. ქვაბული ალაგ-ალაგ დაჭაობებულია. მის ჩრდ.-დას. ნაწილში მდებარეობს *ერწოს ტბა*. Ე.-წ. ძ-ში არის ცარცული კირქვების იზოლირებული უბნები, რ-ებთანაც დაკავშირებულია კარსტული წარმონაქმნები (წონის მღვიმე და სხვ.).

ზ. ჯანელიძე.

ერწუხი, ე რ ტ ო ხ ი, გეოგრაფიული ადგილი, ზუსტი მდებარეობა გაურკვეველია. ს. კაკაბაძის თვალსაზრისით აქ შეიძლება ერწოს (ივრის ხეობა) მიმდებარე მხარე იგულისხმებოდეს. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებით, Ე. ჰერეთ-კახეთში იყო და აწინდელ ერწოსთან მისი გეოგრ. გაიგივება დასაშვები არ არის. Ე-ში დავით აღმაშენებელი განძის ათაბაგს და მის მომხრე ჰერ-კახთ შეებრძოლა: ,,ქმნა წყობანი დიდნი და ჴმა-გასმენილი იგი დიდი ძლევაჲ'' (იხ. *ერწუხის ბრძოლა 1104*).

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.

ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 1, თბ., 1964; კაკაბაძე ს., დავით აღმაშენებლის დიდი ომი, «ქუთაისის პედ. ინ-ტის შრომები», 1942, ტ. 4; პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

თ. პაპუაშვილი.

ერწუხის ბრძოლა 1104, ბრძოლა *ერწუხთან* (ახლანდელ საინგილოში) საქართველოს ლაშქარსა და განძის ათაბაგს შორის. დავით აღმაშენებლის მიერ კახეთ-ჰერეთის დაკავებამ (1104) აშკარად შეასუსტა თურქ-სელჩუკების საბრძოლო პოზიცია აღმ. ამიერკავკასიაში. ამასთან ერთად სულთანმა კახეთ-ჰერეთის სახით მნიშვნელოვანი მოხარკე დაკარგა. პოზიციების აღსადგენად სულთნის დიდმოხელემ, განძის ათაბაგმა, სასწრაფოდ გამოილაშქრა, რათა საქართვ. მეფე ჰერეთ-კახეთიდან განედევნა. მტერს შეუერთდნენ დავით აღმაშენებლის შინაური მოწინააღმდეგენიც – კახელი ფეოდალები. ათაბაგის მრავალრიცხოვან ჯარს დავით აღმაშენებელი მცირე ლაშქრით შეება ერწუხთან.

მტრის რიცხობრივ უპირატესობას საქართველოს სამეფო კარმა დაახვედრა კარგად გაწვრთნილი ლაშქარი. დავით აღმაშენებელმა ,,ქმნნა წყობანი დიდნი'', ე. ი. მტკიცედ განაწყო თავისი ჯარი და ისე მედგრად შეუტია მტერს, რომ თანამედროვენი განაცვიფრა მისმა სწრაფმა წარმატებამ (,,ადვილად და მოსწრაფედ, ხელი უხსნა ღმერთმან საკვირველებათამან''). ქართველებმა თავგანწირული ბრძოლით შეძლეს მტრის ბევრად ჭარბი ძალების განადგურება. ე. ბ-ში გმირობის მაგალითი აჩვენა დავით აღმაშენებელმა. გადარჩენილი სელჩუკიანი თურქები გაიქცნენ. კახელებს გასაქცევი არსად ჰქონდათ და იძულებული გახდნენ დანებებულიყვნენ. დავით აღმაშენებელმა შეიბრალა კახელი ფეოდალები. დიდი სასჯელი არ დაუდვია მათთვის – ციხესიმაგრეები ჩამოართვა და შიგ სამეფო რაზმები ჩააყენა. ქართველთა გამარჯვებას დიდი რეზონანსი მოჰყვა მთელ კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის აზრით, ეს იყო ,,ჴმა–გასმენილი იგი დიდი ძლევაჲ''. შემდეგ დავით აღმაშენებელმა საბოლოოდ შემოიმტკიცა ჰერეთ-კახეთი, რამაც საქართველოს სახელმწიფოს ეკონ. და სამხ. ძლიერება საგრძნობლად აამაღლა.

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებელი; მეფე თამარი, თბ., 2002; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1965.

რ. მეტრეველი.

ესაია (ძვ. წ. 770 ან 760 – ძვ. წ. 687 ან 642), ძველი აღთქმის ერთერთი წინასწარმეტყველი, ძველებრაელთა პოლიტიკური მოღვაწე და რელიგიის რეფორმატორი. ე-ს წინასწარმეტყველებანი ბიბლიაში დამოუკიდებელ წიგნადაა შესული. მოღვაწეობდა იუდეის სამეფოში. მეფე მანასეს ბრძანებით ე. ხერხით გადახერხეს იმ მამხილებელი სიტყვებისთვის, რ-ებსაც იგი მეფისა და დიდებულების მისამართით წარმოთქვამდა. არსებობს ვარაუდი, რომ ბიბლიური წიგნის – („წინასწარმეტყველება ესაიასი'') ებრ. ტექსტის ნაწილი შეადგინა არა ე-მ, არამედ მისმა სულიერმა მემკვიდრეებმა. ე-ს წიგნი ადრევეა თარგმნილი ქართ. ენაზე და შესულია „ოშკის ბიბლიაში'' (978). *მ. შანიძე.*

ესაიაშვილი ვარლამ გიორგის ძე (12. IV. 1910, ქუთაისი, – 13. IV. 1977, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1961), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1933 დაამთავრა თსუ. 1941–45 იყო ქართ. საფრონტო გაზ. ,,წინ, სამშობლოსთვის!'' რედაქტორი, 1954–60 – საქ. კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტ. ინ-ტის დირექტორი, 1961-იდან – თბილ. ა. ს. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის სკკპ ისტორიის, შემდეგ მეცნ. კომუნიზმის კათედრის გამგე. ე-ის მეცნ. კვლევის მთავარი თემა იყო ვ. ი. ლენინი და საქართველო. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ესაიაშვილი ჯემალ ვარლამის ძე (დ. 13. IX. 1936, თბილისი), ინჟინერ-მშენებელი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (1998), საქართვ. დამს. მშენებელი (2006), საქართვ. საინჟინრო აკად. წ.-კორ. (2005). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის სამშენებლო ფაკ-ტი (1960) სამოქალაქო და სამრეწ. მშენებლობის სპეციალობით. 1960–63 მუშაობდა ,,მთავართბილმშენის'' მე-4 სამშენებლო სამმართველოში, 1963-იდან კ. ზავრიევის სახ. სამშენებლო მექან. და სეისმომედეგობის ინ-ტშია. ეწევა პედ. საქმიანობას საქართვ. ტექ. უნ-ტში სამშენებლო კონსტრუქციების კათედრაზე. 2003-იდან არის საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნების ექსპერტი სეისმომედეგობის საკითხებში. ე-ის სამეცნ. კვლევა ეძღვნება რკინა-ბეტონის კონსტრუქციების სეისმომედეგობის საკითხებს.

თხზ.: Прочность и деформативность железобетонных элементов при сложном нагружении, Тб., 1990.

ესაი ჰასან-ჯალალიანი (გ. 1728), პოლიტიკური მოღვაწე, განძასარის კათოლიკოსი (1702–28), ისტორიკოსი. იგი ეკუთვნოდა მსხვილი სომეხი ფეოდალების – ჰასან-ჯალალიანების საგვარეულოს, რ-იც ფლობდა მთიან ყარაბაღში მდებარე ქვემო ხაჩენის ოლქსა და სას. ხელისუფლებაც ხელთ ეპყრა.

ე. ჰ.-ჯ. დამოუკიდებელი სომხ. სახელმწ. აღდგენისათვის იღვწოდა. ამის მიღწევა შესაძლებლად მიაჩნდა რუსეთის მხარდაჭერითა და ქართლის მეფე *ვახტანგ VI-ის* სამხ. დახმარებით. იგი პირადად იცნობდა ვახტანგ VI-ს, მასთან რამდენიმე თვის განმავლობაში იმყოფებოდა თბილისში. მისი თქმით, ქართლის მეფე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა სომხეთის ჯარის ორგანიზაციას ყარაბაღის სიღნაღებში (სიმაგრეებში). 1722 ქართველ-სომეხთა გაერთიანებული ლაშქარი დაბანაკდა განჯასთან, სადაც მათ რუს. ჯარი უნდა შეერთებოდა. მაგრამ დარუბანდის აღების შემდეგ პეტრე I დიდი მოულოდნელად უკან გაბრუნდა (იხ. *სპარსეთის ლაშქრობა 1722–23*). იმედგაცრუებული ე. ჰ.-ჯ. თანდათან ჩამოსცილდა პოლიტ. საქმიანობას.

1723 შემდეგ ე. ჰ.-ჯ-მა დაწერა მცირე ზომის საისტ. ნაწარმოები ,,აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია'', სადაც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი XVIII ს. 20-იანი წლების ქართლის პოლიტ. ვითარების აღწერას. საინტერესო ცნობებია დაცული ქართველ-სომეხთა ურთიერთობის შესახებაც. ავტორი თვითმხილველია აღწერილი ამბებისა და ამდენად მის ცნობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

თხზ.: აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა და კომენტარები დაურთო კ. კუციამ, თბ., 1971.

ლიტ.: მაისურაძე გ., ესაი ჰასან-ჯალალიანის ნაშრომი – ,,ალვანეთის ისტორია'' ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობის შესახებ, კრ.: საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, [ტ.] 1, თბ., 1968. *გ. მაისურაძე.*

ესაკია ლეო (ლეონარდ) დიმი-

ტრის ძე (27. II. 1899, სოფ. სენაკი, ქუთაისის გუბ., – 1. VII. 1969, თბილისი), კინორეჟისორი. საქართვ. სახ. არტისტი (1966). 1927-იდან მუშაობდა ქართ. კინოში სცენარისტად, 1928-იდან – რეჟისორად. ნოვატორული ფილმებით – „ჰოლტზე“ (1928), „ამერიკანკა“ (1930) ერთგვარი პროტესტი გამოხატა ეთნოგრ.-ორიენტალისტური კინემატოგრაფის მიმართ, იღვწოდა რეალისტურ-მხატვრული მეთოდის დასამკვიდრებლად. 1932 გადაიღო პირველი ქართ. ხმოვანი ფილმი „შაქირი“, შემდეგ კინოკომედია „ფრთოსანი მღებავი“ (1936) და სხვადასხვა ჟანრის ფილმები: „გაღმელი ქალიშვილი“ (1940), „ბაში–აჩუკი“ ა. წერეთლის მიხედვით (1956), „ნინო“ (1959), „გლახის ნაამბობი“ (1961; ი. ჭავჭავაძის მიხედვით), „აბესალომ და ეთერი“ (1966; ზ. ფალიაშვილის ამავე სახელწოდების ოპერის მიხედვით) და სხვ. ე. ძირითადად თავისი ფილმების სცენარის ავტორი ან თანაავტორი იყო. სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქართვ. რადიოკომიტეტის თავრედ, კინოსტუდიის დირექტორად და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. *ა. გვენცაძე.*

ესაკია ნიკოლოზ მიხეილის ძე [8 (21). I. 1906, ფოთი, – 15. IV. 1987, თბილისი], სამთო ინჟინერი. სტალინური (1949) და ლენინური (1966) პრემიების ლაურეატი, საქართვ. დამს. ინჟინერი (1967). 1931 დაამთავრა ამიერკავკ. სამთო მეტალ. ინ-ტი. 1931–32 მუშაობდა ქუთაისის ბარიტის საბადოზე მთ. ინჟინრად, შემდეგ – თბილ. საპროექტო ინ-ტში „ზაკგოსპროექტი“. 1932 მივლინებული იყო მოსკ. სამთო აკადემიაში. 1933-იდან ე. მონაწილეობდა მოსკ. მეტროპოლიტენის პირველი რიგის გაშვებაში (იყო მიწისქვეშა სადგურების „ლერმონტოვოს“, „მაიაკოვსკის“, „ნოვოსლობოდსკაიას“ მშენებლობის უფროსი). 1941-იდან ხელმძღვანელობდა სპეც. ობიექტის (მთავრობის თავშესაფარი მოსკოვში), ხოლო 1942–43 – გაგრა – სოხუმის რკინიგზის გვირაბების მშენებლობას, 1943–45 – დანგრეული შახტების აღდგენას მოსკოვის ოლქში და ახ. ობიექტების მშენებლობას. 1945-იდან იყო მოსკ. მთავარგვირაბმშენის უფროსის მოადგილე. II მსოფლიო ომის შემდეგ ე. მუშაობდა აღდგენით სამუშაოებზე; 1946–64 ი. ვ. კურჩატოვთან და ს. პ. კოროლიოვთან ერთად ხელმძღვანელობდა სპეციალური მნიშვნელობის (ატომური მრეწვ. და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის) ობიექტების მშენებლობას; დიდი წვლილი შეიტანა ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სახ. მეურნეობის განვითარებაში. 1969–72 იყო ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსი, ხოლო 1972–78 – „თბილმეტრომშენის“ მთ. სპეციალისტი. მიღებული აქვს ლენინის ორდენი და სხვა სახელმწ., მ. შ. საბრძოლო ჯილდოები.

ესაძე ბორის სპირიდონის ძე (24. VII. 1864 – 31. I. 1914, თბილისი), ისტორიკოსი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, გამომცემელი, ჟურნალისტი. დაამთავრა ქ. ტვერის იუნკერთა საკავალერიო სასწავლებელი. სამსახური დაიწყო ნოვოროსიისკის დიდი მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის სახ. დრაგუნთა პოლკში (1882). იმავე წელს ჩაირიცხა ტვერის საკავალერიო სასწავლებელში, რ-ის დამთავრების შემდეგ (1886) მსახურობდა კავკ. არმიის სხვადასხვა ნაწილში უმეტესად საშტაბო თანამდებობებზე. პასუხსაგები თანამდებობები ეკავა ყარსის ოლქში. 1911 მიენიჭა პოდპოლკოვნიკის ჩინი.

ე-ის კალამს ეკუთვნის ნაშრომები რუს. არმიის ცალკეული სამხ. ნაწილების ისტორიის, გამოჩენილი მხედართმთავრების ცხოვრება-მოღვაწეობის, რუს. არმიაში ქართველების ღვაწლის შესახებ. იყო რუსეთის სამხ.-ისტ. და რუსეთის გეოგრაფიული საზ-ბების კავკ. განყ-ბის ნამდვილი წევრი. ე-ს ეკუთვნის საინტერესო დაკვირვებანი რუსეთ-საქართველოს ისტ. ურთიერთობის შესახებ. დიდი წვლილი მიუძღვის საქართვ. ისტორიისა და ქართ. კულტ. პროპაგანდაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი კრებ. „საქართველოს მატიანე“ (ნაკვ. I, თბ., 1913) და „მთელი კავკასია“ (№1, თბ., 1903, ორივე რუს. ენაზე). დიდი ენერგია შეალია ქართ. ისტ. ძეგლების მოვლა-პატრონობას, აქტ. მონაწილეობდა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ დაარსებაში. 1905 გამოაქვეყნა ნ. ბარათაშვილის გარდაცვალების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული „საქართველოს გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება. ბარათოვის ტომი“ (თბ., 1905, რუს. ენაზე), რ-ის შემოსავალი მოხმარდა ნ. ბარათაშვილის საფლავის ძეგლის მოწყობას (ეს ძეგლი, რ-იც დაიდგა დიდუბის პანთეონში, 1938 გადატანილი იქნა მთაწმინდაზე). ე-მ დააარსა რამდენიმე რუს. პერიოდული ორგანო „კავკაზსკი კრაი“ (1905), „კავკაზსკაია არმია“ (1907), რ-საც ჰქონდა ორი ყოველკვირეული დამატება „კავკაზსკი ვეტერან“ (ჯარისკაცებისათვის) და „კავკაზსკი ვოენნი ვესტნიკ“ (ოფიცრებისათვის). იყო გაზეთ „ყარსის“ რედაქტორი (26. I. 1910 – 2. VII. 1911). აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს (ფსევდონიმები: „ბუდილნიკი“, „ბლაგოჟელატელი“, „ბეზ პსევდონიმა“, „გ. კარტველი“, „ზემეცი“ და სხვ.

თხზ.: Очерк сношений России с единоверной Грузией. Прибытие русских в Иверию, Тфл., 1899; Краткий исторический очерк боевой славы, мирной жизни 43-го Драгунского Тверского полка и празднование тверцами 100-летнего юбилея 1798–1898 гг., Тфл., 1900; Карсская область в ее прошлом и настоящем (Исследования, наблюдения и заметки), Тфл., 1912; Первый генерал-фельдцейхмейстер русской артиллерии при Петре Великом царевич Имеретинский Александр Арчилович, СПб., 1913.

ლიტ.: ჟ ო რ დ ა ნ ი ა ო., ბორის ესაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 2004; წ ო წ ე ლ ი ა ვ., ქართველი კავკასიოლოგები (ბორის და სიმონ ესაძეები), თბ., 1992. *ო. ჟორდანია.*

ესაძე რევაზ (რეზო) პარმენის ძე (დ. 18. XI. 1934, ოზურგეთი), კინორეჟისორი, მსახიობი, მხატვარი, პოეტი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1980). შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2003). საქართვ. და რუს. მხატვართა კავშირის წევრი. 1956 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტი, 1965 – კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (მ. რომის სახელოსნო). 1963–75 იყო კინოსტუდია „ლენფილმის“ რეჟისორი. გადაიღო მხატვრული ფილმები: „ფრო“ (1965; პრიზი ბულგარეთში ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა ფილმების ფესტივალზე, 1965), „ერთი ახალგაზრდა სიცოცხლის ოთხი ფურცელი“ (1967) და სხვ. 1975-იდან მუშაობს თბილისში, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ და სატელევიზიო ფილმების სტუდიაში. გაბაღებული აქვს ქართ. მხატვრული ფილმები: „ერთხელ“ (1962), „ყოველ შაბათს“ [1972; ბუდაპეშტის (უნგრეთი) საერთაშ. კინოფესტივალზე დაასახელეს საუკეთესო საზღვარგარეთულ ფილმად, 1974], „ქართული ჭიდაობა“ (1973), „ერთი ნახვით შეყვარება“ [1974; პრიზი როტერდამის




ლ. ესაკია.



ლ. ესაკია. კადრი ფილმიდან „ბაში აჩუკი“.



ნ. ესაკია.



რ. ესაძე.



რ. ე ს ა ძ ე. ვარლამი. ,,ქალაქი ანარა''.



რ. ე ს ა ძ ე. მედუქნე გასპარა. ,,ზოგი ჭირი მარგებელია''.



ს. ს. ესაძე. (დ. 1868).

(ჰოლანდია) საერთაშ. კინოფესტივალზე, 1987], „ნეილონის ნაძვის ხე'' [1984; პრიზი როტერდამის (ჰოლანდია) საერთაშ. კინოფესტივალზე, 1986; I ადგილი ადელინოს (იტალია) საერთაშ. კინოფესტივალზე, 1986]. შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ვარლამი [„ქალაქი ანარა", 1976, გრან-პრი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის გაბროვოს (ბულგარეთი) საერთაშ. კინოფესტივალზე, 1977], მარხალოვი („ერთი ნახვით შეყვარება'', 1977), კუზიანი („ბელურების გადაფრენა'', 1979), მეკურტნე გიო („თბილისი–პარიზი–თბილისი'', 1980), რეჟისორი („მეხუთე მოქმედება'', 1982), მედუქნე გასპარა და მწყემსი სოსიკა („ზოგი ჭირი მარგებელია'', 1983), აპოლონი („მონანიება'', 1984), ლეონარდო („ლეონარდო'', 1992), აპტონა (სერიალი ,,ცხელი ძაღლი'', 2010) და სხვ. ე-ის, როგორც მხატვრის, პერსონალური გამოფენები მოეწყო თბილისში (1986, 1991), მიუნხენში (1990), ჟენევაში (1991), თელავივში (1998). 1975-იდან ეწევა პედ. მოღვაწეობას. 1979–90 კინოსტუდია „ქართული ფილმის'' შემოქმედებითი გაერთიანება „დებიუტის'' სამხატვრო ხელმძღვანელია, 1990-იდან – დამოუკიდებელი ექსპერიმენტული სტუდია „+ 1''-ის სამხატვრო ხელმძღვანელი. გამოაქვეყნა ლექსების 2 კრებული (2001, 2003). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1995).

ესაძე სიმონ სპირიდონის ძე (4. II. 1868, თბილისი, – 15. XI. 1927, იქვე), სამხედრო ისტორიკოსი და კავკასიოლოგი. საქართვ. დემოკრ. რესპ. გენერალი (1920), დაამთავრა სიმბირსკის კადეტთა კორპუსი (1886) და კონსტანტინეს სახ. მეორე სამხ. სასწავლებელი (1888). სხვადასხვა წლებში მსახურობდა ეკატერინბურგის 37-ე და ლორეს 264-ე ქვეით სარეზერვო პოლკებში. 1899 გადაიყვანეს კავკასიის სამხ. შტაბთან არსებული სამხ.-საისტ. განყ-ბის რედაქტორის მოვალეობის შემსრულებლად. 1912 დანიშნეს ამავე განყ-ბის უფროსად და კავკ. სამხ.-საისტ. მუზეუმის დირექტორად. რუს. არმიის პოლკოვნიკის ჩინით (1916) მონაწილეობდა I მსოფლიო ომში (1914–18). საქართვ. დემოკრ. რესპ. არსებობის წლებში (1918–21) მონაწილეობდა თურქეთთან მოლაპარაკებაში ტრაპიზონსა და ბათუმში (1918). 1922–25 იყო ცალკე კავკ. არმიის მართვის შტაბის განყ-ბის უფროსი. ე-ს ეკუთვნის შრომები რუს. არმიის ცალკეული ნაწილების, კავკ. ომის ისტორიის შესახებ და სხვ. აშუქებდა რუსეთ-საქართველოს ისტ. ურთიერთობის საკითხებს. თავის გამოკვლევებში ცდილობდა დაედგინა საქართველოს ადგილი და მნიშვნელობა რუსეთის კავკ. პოლიტიკაში. კაპიტ. ნაშრომი მიუძღვნა კავკასიაში რუს. ადმ. მართვის ისტორიას. აქვს აფხ. ისტორიისადმი მიძღვნილი საინტერესო გამოკვლევები. დიდი დამსახურება მიუძღვის კავკ. არმიის შტაბების, კორპუსებისა და ნაწილების არქივების მოვლა-პატრონობაში. რუს. სამოქალაქო ომის წლებში განადგურებისაგან იხსნა ვლადიკავკაზის ადგილ. ბრიგადისა და ყიზლარის არქივების 100 ათ-მდე საქმე. დიდი შრომა გასწია კავკ. სამხ.-საისტ. მუზეუმის (*დიდების ტაძრის*) მუშაობის გასამართავად. თანამშრომლობდა ლ. ტოლსტოისთან. აწვდიდა მას კავკ. ომების (1817–64) ამსახველ მასალას მოთხრობა ,,ჰაჯი მურატისათვის''. პირველმა გამოაქვეყნა ლ. ტოლსტოის 4 ბარათი.

ე-ის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართ. კინოს ისტორიასთან. იგი პირველი ქართვ. სამხ. კინოდოკუმენტალისტია. მისი სცენარით ა. დრანკოვისა და ა. ტალდიკინის კინემატოგრაფიულმა ფირმამ გადაიღო სურათი ,,კავკასიის დაპყრობა''. გარკვეული შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა კინორეჟისორ და ოპერატორ ვ. *ამაშუკელთან,* ა. წუწუნავასთან, მიუნხენის თეატრის რეჟისორ ლ. ჩერნისთან და სხვ. ე. ხელმძღვანელობდა კავკ. სამხ. ოლქის შტაბთან არსებულ კინოგადამღებ ჯგუფს. შექმნა რამდენიმე ისტ. მნიშვნელობის ქრონიკა, მ. შ. ,,არზრუმის დაცემა'' და ,,ტრაპიზონის აღება'', რ-თა ჩვენება 1916 გაიმართა.

ე-ის მოღვაწეობას დადებითად აფასებდა ი. ჭავჭავაძე.

თხზ.: კავკასიის სამხედრო არქივები და ცენტრარქივის სამხედრო ფონდი, «საქართველოს არქივი», 1926, [ტ.] 1; Тверские драгуны на Кавказе. Восточная война 1854–1856 гг., Тфл., 1898 (თანაავტ. Б. Эсадзе); Историческая записка об управлении Кавказом, т. 1–2, Тфл., 1907; Штурм Гуниба и пленение Шамиля. Исторический очерк Кавказской войны в Чечне и Дагестане, Тфл., 1909.

ლიტ.: დ ა თ უ ა შ ვ ი ლ ი დ., საარქივო საქმის ისტორია საქართველოში, თბ., 1977; დ ო ლ ი ძ ე გ., ქართული კინო გუშინ და დღეს. კინემატოგრაფიული ძიებანი, თბ., 1986; ჟ ვ ა ნ ი ა გ., ამაგდარნი, წგ.: კინო. კინომასალების კრებული. მე-8 გამოც., თბ., 1982; ჟ ო რ დ ა ნ ი ა ო., ისტორიკოსი სიმონ ესაძე, თბ., 2001; ც ო მ ა ი ა ვ., ქართველი სამხედრო კინოქრონიკის დამაარსებელი, «საბჭოთა ხელოვნება», 1962, №9.

ო. ჟორდანია.

ესაძე სპირიდონ იოსების ძე (1813, ოზურგეთი, – 6. IX. 1875, თბილისი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1874). გენ. ს. ს. *ესაძის* მამა. 1835-იდან მსახურობდა ბრესტის ქვეით და ლიტვის ეგერთა პოლკებში. მონაწილეობდა ყირიმის (1853–56) ომში, იბრძოდა შავი ზღვის სანაპიროზე. მსახურობდა კავკ. კორპუსის შტაბში. 1860 გადაიყვანეს ჟანდარმთა ცალკე კორპუსში. 1863 მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. 1865–75 იყო თბილ. გუ-

ბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი.

დაჯილდოებულია წმ. ანას, წმ. სტანისლავის, წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

დაკრძალულია დიდუბის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის ეზოში.

ლ. დოლიძე.

ესაძე სპირიდონ სპირიდონის ძე (19. X. 1870 – 21. X. 1909, თბილისი), საქართველოს სამთამადნო წარმოების ისტორიის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, პედაგოგი. რუს. არმიის ოფიცერი. სიმბირსკის კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ სამსახური დაიწყო მიხეილის საარტ. სასწავლებელში (1888). 1894 მიენიჭა პოდპორუჩიკის ჩინი. 1894–97 სწავლობდა მიხეილის საარტ. აკადემიაში, რ-ის დამთავრების შემდეგ (1897) მსახურობდა კავკასიაში განლაგებულ სამხ. ნაწილებში. 1899 დანიშნეს თბილ. საარტ. სახელოსნოს უფროსის თანაშემწედ. ასწავლიდა თბილ. და ირკუტსკის იუნკერთა სასწავლებლებში. იყო თბილისში უფასო ზოგადსაგანმან. კურსების ერთ-ერთი დამაარსებელი. ავტორია სამხ.-სასწ. დაწესებულებებისათვის განკუთვნილი ფიზ. და მექან. სახელმძღვანელოებისა.

თხზ.: Очерк истории горнозаводства на Кавказе. Деятельность графа Мусин-Пушкина и князя Цицианова при ведении горного производства в Грузии. Сост. С. Эсадзе, под ред. начальника Кавказского горного управления К.Ф. Ругевича, Тфл., 1903.

ლიტ.: С. С. Эсадзе (Некролог), გაზ. «Тифлисский листок», 1909, 21 окт.

ო. ჟორდანია.

ესბროკი (Esbroeck van) მიშელ ვან (17. VI. 1934, მალინი, – 22. XI. 2003, ლუვენი), ბელგიელი ორიენტალისტი, ქართველოლოგი, არმენოლოგი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. უცხოელი წევრი (1996), ბოლანდისტთა საზ-ბის წევრი (1962-იდან), მიუნხენის უნ-ტის აღმოსავლური ქრისტიანობის კათედრის გამგე. ქართველოლოგიით დაინტერესდა 1962-იდან. ესწრებოდა ჟ. *გარიტის* ლექციებს ლუვენის უნ-ტში, სწავლობდა ქართ. და სომხ. ენებს. 1972, როდესაც ხელში ჩაუვარდა ე. წ. ,,ათონის მრავალთავის'' (XIს.) ფოტოები, ე. ქართ. მრავალთავებით დაინტერესდა. ამავე წელს იგი პირველად ჩამოვიდა საქართველოში. მუშაობდა საქართვ. ხელნაწერთა ინ-ტში. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – ,,უძველესი ქართული მრავალთავები'' (გამოქვეყნდა 1975), რ-შიც განხილულია მრავალთავის სტრუქტურა, განვითარების ისტორია, ჰომილეტიკური მასალა, გამოყოფილია მრავალთავის უძველესი პლასტები.

ე. იკვლევდა ქართ. ლექციონარებს, ჰაგიოგრაფიულ და აპოკრიფულ ძეგლებს, ისტ. წყაროებს. ორიგინ. ტექსტებს ურთავდა თარგმანებს ლათ., ფრანგულ, გერმ. და ინგლისურ ენებზე. ე. ეწეოდა პედ. მოღვაწეობასაც, ძვ. ქართ. ენას ასწავლიდა რომის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტში (1982–86) და მიუნხენის (1982–99) უნ-ტში.

1998 ე-ს ქართველოლოგიურ კვლევებში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის მიენიჭა მ. ბროსეს სახ. პრემია.

თხზ.: Herméneutique, structuralisme et exégèse, P., 1968; Peter the Iberian and Dionysius the Areopagite: Honigmann's thesis revised, «Orientalia Christiana Periodica», 1993, №59; Le dossier de Sainte Nino et sa composante copte... «Atti del I Convégno internazionale di studi Georgiani», Roma 30, Gennaio, 1999; Vakhtang Gorgasali et évêque Mikael de Mtsketa, In: Proceeding of the third international symposium on Kartvelian studies, ed. E. Khintibidze, Tb., 1999.

ლიტ.: მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი თ., მ. ვან-ესბროკის გამოკვლევები ქართულ „მრავალთავებზე'', კრ.: მრავალთავი, [ტ.] 4, თბ., 1976; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ე., ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთავზე, «მაცნე». ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, №4.

თ. მგალობლიშვილი. ე. მეტრეველი.

ესებუა დავით ესტატეს ძე (4. II. 1908, ფოთი,– 7. IV. 1973, თბილისი), მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1948). 1938 დაამთავრა თბილ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრთან არსებული დრამ. სტუდია. 1940-მდე იყო ამავე თეატრის მსახიობი, 1940-იდან – მუს. კომედიის თეატრის (ახლანდ. თბილ. ვ. აბაშიძის სახ. მუს. და დრამის თეატრი) ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი. გამოირჩეოდა გარდასახვის განსაკუთრებული ნიჭით, ვოკალური მონაცემებით, სცენური მომხიბვლელობით, შესანიშნავად გრძნობდა რეპერტუარის ჟანრულ თავისებურებებს. შექმნა მრავალი დასამახსოვრებელი სცენური სახე, მ. შ.: ედვინი (რ. ფრიმლისა და ჰ. სტოტჰარტის „როზმარი''), ლორანი (ა. ოდრანის „ნატვრისთვალი''), ბარტოლუსი (ჯ. ფლეჩერის „ესპანელი მღვდელი''), რაჯამი (ი. კალმანის „ბაიადერა''), გრიგოლი (ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში''), ლევანი (ვ. ცაგარეიშვილის „სამთა სიყვარული''), ასქერი (უ. ჰაჯიბეკოვის „არშინ მალ-ალან''), ნუგზარი (ა. კერესელიძის „თბილისის ცის ქვეშ'') და სხვ. გამოდიოდა ესტრადაზეც. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა როგორც მუს. კომედიის თეატრის, ისე ქართ. ესტრადის განვითარებაში.

ესებუა ვლადიმერ მიხეილის ძე (1917, სოფ. გრიგოლიში, ახლანდ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, – 19. X. 1971, ზუგდიდი), საბჭოთა კავშირის გმირი (17. XI. 1943). უფრ. სერჟანტი (1944). 1937 გაიწვიეს წითელ არმიაში. სსრკ-ფინეთისა (1939–40) და II მსოფლიო ომების (1939–45) მონაწილე. იბრძოდა ქ. ნოვოროსიისკისა და ტამანის ნ.-კის განთავისუფლებისათვის. ერთ-ერთი პირველი გადავიდა ქერჩის პლაცდარმზე. ამ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. იყო იაპონიის კვანტუნის არმიის განადგურების (1945) მონაწილე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენი და მედლები.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.



დ. ესებუა.

ესებუა ნესტორ ივანეს ძე (1864, სოფ. სორტა, ახლანდ. სენაკის მუნიციპალიტეტი, – 7. VIII. 1931, თბილისი), ფალავანი. საჭიდაო ასპარეზზე გამოვიდა 1885. განსაკუთრებული პოპულარობა მოუპოვა *კულა გლდანელთან* შეხვედრებმა. დიდი წარმატებით გამოდიოდა საქართვ. და რუს. ქალაქებში, ასევე სტამბოლსა და პარიზში. აღიარებული იყო სახ. მოჭიდავედ. ქართ. პრესა დიდ ადგილს უთმობდა ე-ს ოსტატობას. ა. წერეთელმა ე-სა და კულა გლდანელს უძღვნა პოემა ,,ჭიდაობა'' (1888). ე. *ქართული ჭიდაობის* ტრად. სკოლის შესანიშნავი წარმომადგენელი იყო; დიდ ძალასთან ერთად გააჩნდა სისწრაფე და რაინდული მანერა. წლების განმავლობაში ეწეოდა ქართ. ჭიდაობის პოპულარიზაციას. ზრუნავდა ახალგაზრდა სპორტსმენთა გამოვლენასა და აღზრდაზე.



ნ. ესებუა.

ლიტ.: ბ ა რ ნ ო ვ ი ა., ჭიდაობა ძველ თბილისში, თბ., 1967; გ ე გ ე ნ ა ვ ა დ., ორი ფალავანი, თბ., 1967.

ესეი (ფრანგ. essai, გერმ., ინგლ. essay – ცდა), ლიტერატურული ჟანრი. ლიტერატურის, ფილოსოფიის, ესთეტიკის, მორალური, სოციალური და ნებისმიერი სხვა სფეროს პრობლემათა სუბიექტური, თავისუფალი, არათანამიმდევრული განსჯა-განხილვა. ე-ში ხშირია პარადოქსული განზოგა-



ს. ესენინი.

დებები, გაბედული ჰიპოთეზები. Ე. თავს იჩენს მეცნ. და ლიტ. ტრადიციების მქონე ქვეყანაში. Ე., როგორც ჟანრის აღმნიშვნელი ტერმინი, დაამკვიდრა ფრანგმა ფილოსოფოსმა და მწერალმა მიშელ მონტენმა (,,Essais'' – ,,ცდები'', 1580).

საქართველოში ეს ლიტერატურული ჟანრი XX ს. პირველ ორ ათწლეულში ჩამოყალიბდა. ეს პერიოდი Ე-ს განსაკუთრებული აღმავლობის ხანაა. ამ დროს შეიქმნა კ. გამსახურდიას, გ. ქიქოძის, გ. რობაქიძის, პ. ინგოროყვას, ტ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, პ. იაშვილის, ს. ცირეკიძის, ვ. გაფრინდაშვილის, ა. არსენიშვილის, შ. აფხაიძის, ს. შანშიაშვილის, ვ. კოტეტიშვილის, ვ. ბარნოვის, დ. შენგელაიას, ი. გრიშაშვილის, შ. დადიანის, ლ. ქიაჩელის, ა. აბაშელის, გ. ცეცხლაძის, ლ. ასათიანის, ა. გაწერელიას, ი. გომართელის, ე. ტატიშვილის, კ. კაპანელის, ა. ჯავჯანაშვილის, დ. კაკაბაძის, კ. მარჯანიშვილის, ვ. გუნიას და სხვათა მეტად საინტერესო Ე-ები. XX ს. 30-იანი წლებიდან 50-იანი წლების პირველ ნახევრამდე Ე-მ ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა. 60-იანი წლებიდან ქართ. ლიტ-რაში კ. გამსახურდიას, ა. გაწერელიას, გ. ასათიანის, ნ. ჩხეიძის, ო. პაჭკორიას, ნ. დუმბაძის Ე-ებით დაიწყო ამ ჟანრის მეორე სიცოცხლე. შემდგომი პერიოდის ლიტ.-კულტ. ცხოვრების იერსახე, ზოგიერთი ძირითადი ტენდენცია, სულიერი სამყაროს რაობა საუკეთესოდ ვლინდება ა. ბაქრაძის, თ. ბუაჩიძის, გ. გაჩეჩილაძის, ე. კვიტაიშვილის, გ. მაღულარიას, ტ. ჭანტურიას, თ. ჭილაძისა და სხვათა Ე-ებში.

ლიტ.: 26 ესსე. ქართული ლიტერატურული ესსე. XX ს. 20-იანი წლები, მ. ხელაიას გამოც., თბ., 1986.

მ. ხელაია.

ესენინი სერგეი ალექსანდრეს ძე [21. IX (3. X). 1895, სოფ. კონსტანტინოვო (ახლანდ. ესენინო), რიაზანის ოლქი, – 28. XII. 1925, ლენინგრადი, დაკრძალულია მოსკოვში], რუსი პოეტი. 1913-იდან ცხოვრობდა მოსკოვში, ხოლო 1915 დასახლდა პეტროგრადში, სადაც დაუახლოვდა რუს. პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენლებს: ა. ბლოკს, ა. ბელის, ს. გოროდეცკის, ნ. კლიუევს და სხვ. 1916 გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული, რ-მაც პოეტს დიდი აღიარება მოუტანა. 1919–23 იმაჟინისტების ლიტერატურულ წრეში იყო გაერთიანებული. წინააღმდეგობებით აღსავსე თანადროულობის მისეულმა აღქმამ განაპირობა დეკადენტური მოტივები მის პოეზიაში და წარმოშვა ცხოვრებისადმი პესიმისტური დამოკიდებულება, რაც აისახა პოეტურ ციკლში ,,სამიკიტნოების მოსკოვი'' (1921–24) და პოემაში ,,შავი ადამიანი'' (1925). მძიმე დეპრესიის გამო პოეტმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

Ე-ის ცხოვრებასა და შემოქმედებაში გარკვეული როლი შეასრულა საქართველომ. თბილისსა და ბათუმში გატარებულ თვეებს (1924 სექტ. – 1925 მარტი) პოეტი თავისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ და ნაყოფიერ ხანად მიიჩნევდა. Ე. ,,მოიხიბლა'' (მისივე სიტყვით) საქართვ. ბუნებით, ხალხის ხასიათით, ძვ. ტრადიციებით, კულტურით, ხალხ. ზეპირსიტყვიერებითა და ლიტერატურით, აგრეთვე – ყოფითი თავისებურებებით. მას სულიერი სიახლოვე აკავშირებდა ქართვ. პოეტებთან – ტ. ტაბიძესა და პ. იაშვილთან, ვ. გაფრინდაშვილსა და გ. ლეონიძესთან, ს. შანშიაშვილთან. საქართველოში შექმნა რუს. პოეზიის შედევრები: ,,წარმავალი რუსეთი'', ,,მიუსაფარი რუსეთი'', ,,წერილი მანდილოსანს'', ,,კავკასიაში'', ,,საქართველოს პოეტებს'', ,,ჩემი გზა'', ,,წერილი ბაბუას'', ,,მოგონება'', ,,დედამიწის კაპიტანი'', ,,სპარსული მოტივების'' მნიშვნელოვანი ნაწილი და სხვა ცნობილი ნაწარმოებები (სულ ოცდაათამდე); აქვე მუშაობდა ,,ანა სნეგინაზეც''.

ამ პერიოდის ნაწარმოებთა უმეტესი ნაწილი დაიბეჭდა თბილისისა და ბათუმის პრესაში. საქართველოშივე გამოვიდა Ე-ის ლექსებისა და პოემების კრებულები რუს. და ქართ. ენებზე. სხვადასხვა დროს Ე-ის პოეტურ ნიმუშებს თარგმნიდნენ მ. პატარიძე, გ. ცეცხლაძე, მ. ლებანიძე, ჯ. ინჯია, გ. მარგველაშვილი და სხვ. Ე-ის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მნიშვნელოვანი სამეცნ.-კვლევითი და მემუარული ლიტ-რაა შექმნილი, დაწერილია არაერთი სტატია, ნარკვევი და მოგონება. მათ შორის აღსანიშნავია გ. ლეონიძის, ტ. ტაბიძის, ფ. დოლიძის მოგონებები. საქართვ. და ქართვ. ინტელიგენციასთან პოეტის პირადი და შემოქმედებითი ურთიერთობის საკითხებს ეძღვნება ი. ბოგომოლოვის, ვ. ბალუაშვილის, გ. მარგველაშვილის, დ. თუხარელის, ლ. ასათიანის სტატიები.

თხზ.: Собр., соч., т. 1–5, М., 1966–68; ლექსები, ტფ., 1926; ლექსები, პოემები, ბათ., 1969; ლირიკა, ბათ., 1980; ლექსები, პოემა, ბათ., 1984; ლექსები, პოემები, თბ., 1985; ლექსები, თბ., 1985; ანა სნეგინა, თბ., 1970; არყის ხე, თბ., 1973; სპარსული მოტივები, თბ., 1984.

ლიტ.: ბექარიშვილი ი., რუსი და სხვა მომძე ხალხების მწერლები აჭარის შესახებ, ბათ., 1973; ბოგომოლოვი ი., სერგეი ესენინი საქართველოში, მის წგ.: დიადი მეგობრობის ფურცლები, თბ., 1983; გოგოლოვი გ., სერგეი ესენინის პოეზია, წგ.: რუსული ლიტერატურის ისტორია, ტ. 3, თბ., 1963; Богомолов И., Сергей Есенин и Грузия, მის წგ.: Тропою дружбы,Тб., 1984; Леонидзе Г., Из автобиографии, მის წგ.: О Маяковском. Дни и встречи, Тб., 1963; Сергей Есенин в Грузии. Сборник, Тб., 1986; Табидзе Н., Золотая монета, წგ.: Воспоминания о Сергее Есенине. Сборник, М., 1965; Табидзе Т., С. Есенин в Грузии, მის წგ.: Статьи, очерки, переписка, Тб., 1964.

ი. გიგოლოვი.

ესერები, სოციალისტ-რევოლუციონერები, წვრილბურჟუაზიული გლეხური პარტია (1901–22). შეიქმნა რუსეთში 1901 დეკ. – 1902 იანვარში. მათი ძირითადი მოთხოვნა იყო მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმება და მათი გადაცემა გლეხური თემებისათვის, ე. წ. მიწის სოციალიზაცია. ისინი იბრძოდნენ რევ. გზით მონარქიის დამხობისა და ფედერ. პრინციპებზე მოწყობილი დემოკრ. რესპუბლიკების დაარსებისათვის. მათი პროგრამა ითვალისწინებდა საყოველთაო საარჩევნო უფლებას, სიტყვის, სინდისის, კრებების, კავშირების თავისუფლებას, ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსგან, უფასო განათლების შემოღებას, მუდმივი არმიის გაუქმებას, 8-საათიანი სამუშაო დღის დაწესებას, პროფკავშირების შექმნას, სოც. დაზღვევას სახელმწ. და მეპატრონეთა ხარჯზე. უარყოფდნენ პროლეტარიატის დიქტატურას და ებრძოდნენ მარქსიზმს. აქტიურად მონაწილეობდნენ რევ. მოძრაობაში. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ტერორს და ხშირადაც მიმართავდნენ მას.

საქართველოში XIX ს. 90-იანი წწ. II ნახევარში არსებობდა მცირერიცხოვანი ნეოხალხოსნური წრეები, რ-თა ბაზაზე 1901 თბილისში შეიქმნა Ე-ის ორგანიზაცია. მასში შედიოდნენ ინტერნაციონალურად განწყობილი, უმთავრესად არაქართველი Ე.: ა. კალიუჟნი, ცოლ-ქმარი ბეკეები, ვ. მაიკოვი; ქართველები – ი.

ჯაბადარი, მ. ყიფიანი და სხვ. ნეოხალხოსანთა მეორე ნაწილი პატრიოტულად იყო განწყობილი და აქტიურად მონაწილეობდა ეროვნ.-სოც. მოძრაობაში (გ. *ლასხიშვილი*, გ. *ზდანოვიჩი*), ვ. წერეთელი და სხვ.). 1901 ისინი შეადგენდნენ გაზ. *„ცნობის ფურცლის“* ეროვნ.-რადიკალური ჯგუფის, ხოლო 1904-იდან სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ბირთვს. ინტერნაციონალისტმა Ე-მა რუს. სოციალ.-რევ. პარტიის ადგილ. ორგანიზაციები შეადგინეს. მათი გავლენა საქართველოში უმნიშვნელო იყო. რუს. 1905 რევ. პერიოდში Ე-ის პარტიის კავკ. სამხ. ორგანიზაციამ მოაწყო თავდასხმა თბილ. პოლიციმაისტერ მარტინოვზე, გამოსცა რამდენიმე პროკლამაცია, ჩაატარა ამიერკავკ. საოლქო ყრილობა. რევ. დამარცხების შემდეგ Ე. ნაკლებად ჩანდნენ საქართვ. პოლიტ. ცხოვრებაში. ისინი გააქტიურდნენ 1917 თებ. რევ. შემდეგ. აქედანვე იწყება რუს. პარტიაში შემავალი ქართვ. Ე-ის დაახლოება ეროვნ. მოძრაობასთან.

1917 აპრილში შედგა ამიერკავკ. სოციალ.-რევ. ორგანიზაციების კონფერენცია, რ-მაც გადაწყვიტა მენშევიკებთან და სოციალისტ-ფედერალისტებთან ერთად შეემუშავებინა ერთიანი პლატფორმა. ქართვ. Ე. მონაწილეობდნენ ინტერპარტიული საბჭოსა და ეროვნ. ყრილობის მუშაობაში, მათი 12 წარმომადგენელი შევიდა საქართვ. ეროვნ. საბჭოში.

1918 მაისში გაიმართა Ე-ის პარტიის კავკ. ორგანიზაციების VII კონფერენცია, რ-ზეც მომხდარი განხეთქილების შედეგად 1918 ივნისში ქუთაისის I დამფუძნებელ ყრილობაზე შეიქმნა საქართვ. სოციალ.-რევ. დამოუკიდებელი პარტია. ცენტრ. კომიტეტმა გამოსცა გაზ. *„შრომა“*. პარტიის ლიდერები იყვნენ ლ. შენგელია (ცკ-ის თავ-რე), ი. *გობეჩია* (თავრის მოადგილე), კ. მესხი, გ. *ნათაძე*, ვ. გობეჩია, ი. ნუცუბიძე და სხვ. საქართველოში ჩამოყალიბდა აგრეთვე ესერ ინტერნაციონალისტთა მცირე ჯგუფი, რ-მაც მხარი არ დაუჭირა საქართვ. დამოუკიდებლობას (გაზ. *„ზნამია ნაროდას“* ჯგუფი). 1918–21 Ე. მემარცხენე პოზიციებიდან აკრიტიკებდნენ მენშევიკურ მთავრობას. საქართვ. პირველ კოალიციურ მთავრობაში მათ ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენელი (ი. ლორთქიფანიძე), ხოლო დამფუძნებელ კრებაში – პარტიის ხუთკაციანი ფრაქცია. საქართვ. ოკუპაციის და ანექსიის შემდეგ პარტია მემარჯვენე და მემარცხენე ნაწილებად გაიყო. მემარცხენეები იძულებული გახდნენ ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით გადაერჩინათ თავი. მემარჯვენეები გაზ. *„შრომაში“* აკრიტიკებდნენ ბოლშევიკურ ხელისუფლებას ქართვ. ერის დენაციონალიზაციაში, ქართ. ენის უფლებების შელახვაში, ეწინააღმდებოდნენ ამიერკავკ. ფედერაციის შექმნას, ახ. ეკონ. პოლიტიკის გატარებას. 1921 დასასრულს პარტიამ ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა, თუმცა არალეგალურად მონაწილეობდა ეროვნ. მოძრაობაში.

ლიტ.: ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი ა., საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918–1921 წწ.), თბ., 2001.

დ. შველიძე.

ᲔᲡᲕᲐᲜᲯᲘᲐ ვახტანგ პართენის ძე (4. III. 1931, სოფ. ნიგოითი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 23. II. 1998, თბილისი), ჟურნალისტი. საქართვ. დამს. ჟურნალისტი (1985). დაამთავრა თსუ-ის ფილოსოფიის ფაკ-ტი (1952), მოსკოვის უმაღლესი პარტსკოლა ჟურნალისტიკის განხრით (1961), შემდეგ – ეკონომიკის ფაკ-ტი (1967). იყო გაზ. *„სამშობლოს“* რედაქტორი (1967–71), მუშაობდა საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის დირექტორად (1983–91).

Ე. იყო საქართვ. ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის (ფედერაციის) წევრი (1959), საქართვ. ჟურნალისტთა კავშირის მდივანი, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტ. კავშირის საქართვ. საზ. პრეზიდიუმის წევრი (1983), 9 აპრილის გარემოებათა შემსწავლელი კომისიის წევრი (1989). 1990-იდან სიცოცხლის ბოლომდე იყო საზ-ბა *„საქართველო-იტალიის“* პრეზიდენტი.

კარდიფის, პალერმოს, ბელჯირატეს, ტურინის საპატიო მოქალაქე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲙᲐ (ბერძნ. aisthetikos – გრძნობადი, მგრძნობელი და მომდინარეობს სიტყვიდან aisthēma – გრძნობა, გრძნობადი აღქმა), ფილოსოფიური დისციპლინა მშვენიერების ფორმების შესახებ მხატვრულ შემოქმედებაში, ბუნებასა და სოციუმში; მოძღვრება ხელოვნებისა და მშვენიერების ბუნებისა და კანონზომიერებათა შესახებ. მეცნიერება, რ-იც სწავლობს ადამიანის მიერ მშვენიერების გაგებაზე დამყარებულ, სპეციფ. არაუტილიტარულ ხერხს სამყაროს შემეცნებისა, სინამდვილისადმი ადამიანის შემოქმედებით, მხატვრულ, მჭვრეტელობით დამოკიდებულებას. Ე-ს ხშირად ხელოვნების ფილოსოფიასაც უწოდებენ. ფილოს.-მეთოდ. მიდგომის მიხედვით, ერთმანეთისაგან განასხვავებენ ემპირიულ, ფორმალურ, ნორმატიულ, სპეკულატურ Ე-ს.

ესთეტ. პრობლემატიკა ჯერ კიდევ ანტ. ხანის ფილოს. პრობლემატიკის წიაღში ყალიბდება. ძვ. ბერძნ. ფილოსოფიაში საუბრობენ მშვენიერების ონტოლოგიური ბუნების შესახებ და მას გაიაზრებენ როგორც ყოფიერების, ჰარმონიის, კოსმოსის ფუნდამენტურ ატრიბუტს. ხელოვნებისა და მშვენიერების შესახებ სისტემური ფილოს. გააზრება დასავლეთში *პლატონის* ფილოსოფიიდან იწყება. ამ თეორიის თანახმად, ჭეშმარიტად მშვენიერია მხოლოდ მშვენიერების იდეა. საგნების მშვენიერება ამ იდეასთან ზიარების შედეგია. ხელოვნება მიბაძვის (ანუ საგანთა) მიბაძვაა და ეთიკური მიზნებისათვის ნაკლებად გამოსადეგად მიიჩნევა. ამ მხრივ განსხვავებულია არისტოტელეს ხედვა, რ-ის თანახმადაც, ხელოვნება (ტრაგედია) სული განწმენდის, კათარზისის საშუალებას წარმოადგენს. ხელოვნება ესთეტ. განცდაზე დაფუძნებული მიბაძვაა, ხოლო მშვენიერება (მშვენიერი ფორმები) ადამიანის აღქმასთან, მხედველობასა და სმენასთან მიმართებაში არსებობს და არა თავისთავად. პლოტინისთვის კი ესთეტ. შეფასების კრიტერიუმია სილამაზე როგორც ეიდოსი.

ანტიკურობისაგან განსხვავებით, შუა საუკუნეების ესთეტ. ცნობიერების ობიექტია არა გრძნობად-მატერ. კოსმოსი, არამედ აბსოლუტი (ღვთაებრივი სრულყოფილება და ჰარმონია), რ-ის გამოსახვაც მხოლოდ სიმბოლურადაა შესაძლებელი. ეს ესთეტ. პრინციპია ასახული არეოპაგიტულ კორპუსშიც. მშვენიერების შესახებ ცალკეული განაზრებანი გვხვდება ეკლესიის მამების, ნეტარი ავგუსტინესა და ერიუგენას ნაშრომებში. თომა აკვინელი ქმნის სწავლებას ღვთაებრივი მშვენიერების შესახებ, რ-ის თანახმად, სილამაზისა და სრულ-

ყოფილების ეტალონი არის თავად ღმერთი, სამყაროში არსებული საგნები კი სრულყოფილების, სილამაზის, ჰარმონიისა და სიკეთის გარკვეულ ხარისხს ავლენს მხოლოდ. რენესანსის ეპოქაში ესთეტ. კატეგორიებზე, კერძოდ, მშვენიერებასა და სილამაზეზე მსჯელობენ მ. ფიჩინო და ჯ. პ. დელა მირანდოლა, ხოლო ცნობილი ხელოვანები (ლ. ბ. ალბერტი, ა. დიურერი, ლეონარდო და ვინჩი და) იკვლევდნენ რა მხატვრული ტექ. ცალკეულ საკითხებს, ამასთანავე, ახდენენ ეპოქის ესთეტ. ცნობიერების ილუსტრირებას. განმანათლებლობის ეპოქაში ესთეტ. აზროვნების ძირითადი თემებია: ხელოვნების სოც. საგანმან. ფუნქცია, ხელოვნებისა და მორალის ურთიერთმიმართება. ხელოვნების აღმზრდელობით მნიშვნელობაზე საუბრობენ დ. დიდრო, *ვოლტერი*, ე. ბ. დე კონდილიაკი, ჟ. ჟ. რუსო, კ. ა. ჰელვეციუსი, გ. ე. ლესინგი და სხვები. ესთეტ. კატეგორიებიც (მშვენიერი, ამაღლებული, ჰარმონია, გემოვნება) განმანათლებლობის ეპოქის მოღვაწეებს აინტერესებთ როგორც „ახალი ადამიანის“ აღზრდის საშუალება. რ. *დეკარტის* რაციონალიზმის გავლენით შექმნილ ესთეტ. თეორიათა შორის აღსანიშნავია ფრანგი პოეტისა და კრიტიკოსის ნ. ბუალოს კონცეფცია, რ-შიც დასრულებული სახითაა წარმოდგენილი კლასიციზმის Ე. დეკარტეს რაციონალიზმის გავლენით, ბუალოს ესთეტ. უნარის სპეციფიკა ინტელექტუალურ უნარზე დაჰყავს: ხელოვნებაში (პოეზიაში) ფანტაზია და გრძნობა გონებას და საღ აზრს უნდა დაექვემდებაროს. ფორმითა და შინაარსით ხელოვნება გასაგები უნდა იყოს, სტილით – დახვეწილი და მაღალი. ახ. დროის ესთეტ. აზრის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ე. ე. კ. შეფტსბერის, ფ. ჰატჩისონს და დ. ჰიუმს, რ-ებიც მიიჩნევენ, რომ Ე-ის, როგორც მეცნ., საგანია ესთეტ. გემოვნების ანალიზი. ჰიუმი უპირისპირდება რაციონალიზმს Ე-ში და გემოვნების ფსიქოლოგიურ თავისებურებას იკვლევს. შეფტსბერი და ჰატჩისონი კი ზნეობრივისა და მშვენიერის (ესთეტ.) მჭიდრო კავშირზე მსჯელობენ.

Ე-ის, როგორც მეცნ., ისტორია ექსპლიციტურად სწორედ განმანათლებლობის ეპოქაში, XVIII ს-ში იწყება. ტერმინი „Ე.“, როგორც მეცნ. აღმნიშვნელი, შემოიტანა განმანათლებლობის ეპოქის გერმ. ფილოსოფოსმა, ა. ბაუმგარტენმა (,,მეტაფიზიკა“, 1739), ,,ფილოსოფიური განაზრებანი პოეტურ ნაწარმოებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ“ (1735); ორტომეული [,,Aesthetica (ესთეტიკა)“ (1750–58)]. კლასიკური Ე-ის პრობლემატიკას სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი. ბერძნ. ტერმინის αισθητικός-ის თანამედროვე გაგებაც მისგან იღებს სათავეს. ბაუმგარტენისთვის Ე. არის მეცნიერება გრძნობადი შემეცნების შესახებ (განსხვავებით ლოგიკისაგან, რ-იც აზროვნების კანონებს სწავლობს). ესაა მოძღვრება კარგი და ცუდი გემოვნების შესახებ. საზოგადოდ, გერმანული განმანათლებლობის Ე-ის მთავარი მიზანი სილამაზის ობიექტური საფუძვლების დადგენა გახდათ. სხვა გზა აირჩია ი. *კანტმა*. იგი მშვენიერების აღქმის სუბიექტურ პირობებზე საუბრობს და თვლის, რომ Ე-ი მეცნიერების ამოცანაა ესთეტ. მსჯელობის უნარის კრიტიკა. მშვენიერი არის წარმოსახვის უნარის ფუნქცია, რ-ითაც გრძნობა და განსჯა ჰარმონიაში მოიყვანება. მშვენიერება დაუინტერესებელი ჭვრეტის საგანია. ესთეტ. მისი აზრით, არ დაიყვანება არც შემეცნებაზე და არც მორალზე. კანტის კრიტიკის საგანი იყო Ე-ის პრობლემატიკის ის ახსნა, რ-საც რაციონალიზმი და ემპირიზმი იძლეოდა. თავად კანტის ესთეტ. კონცეფცია ფორმალისტურია. გ. ვ. ფ. ჰეგელი Ე-ს განმარტავს როგორც ხელოვნების ფილოსოფიას. აბსოლუტური იდეის თვითგანვითარების ერთ-ერთ სტადიად, რ-ლიგ. და ფილოსოფიასთან ერთად, ჰეგელი ასახელებს ხელოვნებას. ამიტომ Ე-ის საგნად იგი მიიჩნევს ხელოვნების ადგილის განსაზღვრას მსოფლიო გონის სისტემაში. ესთეტ. იდეალის პრობლემა, როგორც თეორ. პრობლემა სწორედ ჰეგელმა დასვა. ესთეტ. იდეალი, ესაა ხელოვნებაში რეალიზებული აბსოლუტი, რ-ისკენაც ისწრაფვის ხელოვნება. ჰეგელის მსგავსად, სპეკულატური მეტაფიზ. ჩარჩოებში ვითარდება ფ. შელინგის ესთეტ. თეორიაც, რ-ის თანახმადაც, თვითცნობიერება თავისი განვითარების საბოლოო საფეხურს ხელოვნებაში, მხატვრულ შემოქმედებაში აღწევს. ესთეტ. ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ფ. შილერის თეორიამ, ასევე ა. შოპენჰაუერისა და ფ. ნიცშეს კონცეფციებმა ხელოვნების, მუსიკის შესახებ.

XIX ს-იდან ორი პრინციპი უპირისპირდება ერთმანეთს, ესენია: ,,ხელოვნება ხელოვნებისთვის“ (ჯ. ე. მ. ვისტლერი, ო. უაილდი) და რეალიზმი ხელოვნებაში (ი. ტენი, ნ. *ჩერნიშევსკი*). ამ პერიოდიდან მოყოლებული, Ე-ის მეცნიერებაში დისკურსი ხელოვნების სოც. ფუნქციის შესახებ უფრო ინტენს. ხასიათს იძენს. XX ს. პირველი ნახევრის Ე-ში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორიაა ბ. კროჩეს მეტაფიზ. კონცეფცია, რ-ის მიხედვითაც, ხელოვნება ლირ. ინტუიცია, შემოქმედებითი გონების ერთგვარი პროდუქტია. კროჩე ხელოვნებათმცოდნეობასა და მხატვრულ კრიტიკაში ახ. ესთეტ. იდეალიზმის სკოლის დამფუძნებლად მიიჩნევა. Ე-ის პრობლემები მუშავდება ისეთ ფილოს. სკოლებსა და მიმდინარეობებში, როგორიცაა ნატურალიზმის (ჯ. სანტაიანა), პრაგმატიზმის (ჯ. დიუი, ჯ. მური), ექსპრესიონიზმის სკოლები (ბ. ბოზანკეტი, რ. ჯ. კოლინგვუდი), ნეოკანტიანური სკოლა (ე. კასირერი, ჰ. კოჰენი, პ. ნატორპი, ნ. ჰარტმანი), ანალიტიკური, ლინგვისტური სკოლა (ნ. გუდმენი, ჯ. დიკი, ლ. ვიტგენშტაინი, პ. კივი, ფ. სიბლეი), ფენომენოლოგია და ეგზისტენციალური ფილოსოფია (ჰ. გ. გადამერი, მ. დიუფრენი, რ. ინგარდენი, მ. მერლო-პონტი, ხ. ორტეგა ი გასეტი, ჟ. პ. სარტრი, მ. ჰაიდეგერი), მარქსისტული (კ. *მარქსი*, ფ. *ენგელსი*) და ნეომარქსისტული ფილოსოფია (გ. ლუკაჩი, ა. ლუნაჩარსკი, ლ. ტროცკი), ფრანკფურტის სკოლა (ვ. ბენიამინი, ჰ. მარკუზე), პოსტ-სტრუქტურალიზმის სკოლა (რ. ბარტესი, პ. ბურდიე, ჟ. დერიდა, ჟ. ფ. ლიოტარი მ. პ. ფუკო). XX ს. Ე-ში ერთობ გავლენიანი კონცეფციის ავტორია ფრანკფურტის ნეომარქსისტული ესთეტ. სკოლის წარმომადგენელი თ. ადორნო, რ-იც ხელოვნების პრობლემატიკას, ხელოვნების სოც. კონტექსტსა და ფუნქციას ძირითადად მუსიკის ხელოვნების კრიტიკის მაგალითზე იხილავს.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი სამეცნ. აზროვნებაში ტერმინი „Ე.“ „ხელოვნება“ შემოიტანა დავით ბატონიშვილმა). მანვე თარგმნა ი. ფ. ანსილონის (XVIII ს.) „ესთეტიკური განსჯანი“, თუმცა ესთეტ. კატეგორიებთან დაკავშირებული

განაზრებანი საქართველოში, სავარაუდოდ, ადრეული შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს. პირველი ფილოს. განაზრებანი მშვენიერების თაობაზე გადმოცემულია არეოპაგიტულ კორპუსში (ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიის თანახმად, V ს. მოღვაწის, პეტრე იბერის თხზულებათა კრებულში). ამ კონცეფციის მიხედვით, გამოუთქმელი ერთი, ანუ ღმერთი, არის ერთადერთი და საბოლოო წყარო ჭეშმარიტებისა, სინათლისა, სიკეთისა და მშვენიერებისა. იგი ასხივებს სამყაროსა და მის ატრიბუტებს – სიკეთეს, ჭეშმარიტებას, მშვენიერებას, რ-ებიც ინტენსივობის თვალსაზრისით ღვთისაგან დაშორების პროპორციულად იკლებენ. XII ს-ში, ქართ. ნეოპლატონიზმის წიაღში, არეოპაგიტულ კონცეფციას ავითარებენ *იოანე პეტრიწი* და შოთა *რუსთაველი*. პეტრიწის თანახმად, მშვენიერება, არსებობასა და სიკეთესთან ერთად, პირველი ერთის (ღმერთის) თვისებაა. მშვენიერება პირველი ერთის უმაღლესი განსაზღვრებაა. საგნების მშვენიერება „საზესთაო ერთისგანაა“ მიფრქვეული. პირველი მიზეზი „მოივლის“ მთელს არსს, გააკეთილშობილებს თავისი სიკეთით და სიკეთესთან ერთად მისცემს მშვენიერებას. ღვთის მშვენიერება აბსოლუტურია, ხოლო სამყაროსეულ საგნებს შეფარდებითი მშვენიერება ახასიათებთ. არსსა და სამყაროში არსებული მშვენიერება ვლინდება მათ მოწესრიგებულობაში, წყობაში. შოთა რუსთაველთან კი საგულისხმოა მსჯელობები მიწიერი, ღვთის მიერ შექმნილი სინამდვილის მშვენიერების ანუ გრძნობადი აღქმის საგანთა და მოვლენათა მშვენიერების შესახებ. ამათგან, ყველაზე მშვენიერი ციური სხეულებაა. მზე კი, როგორც უმშვენიერესი, ღვთის სიმბოლოა. ხოლო ღმერთს აბსოლუტური მშვენიერება მიეწერება. ქართ. სინამდვილეში (მხატვრული ლიტ-რის სფეროში) ესთეტ. იდეალების ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ქართველ მეფეებსა [*თეიმურაზ I, არჩილ II, ვახტანგ VI*] და დიდებულებს. მ. შ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია არჩილ II და მამუკა *ბარათაშვილი*. არჩილ II ქართ. ესთეტ. აზროვნებაში დას. ორიენტაციის მოაზროვნედ მიიჩნევა. მისი კონცეფცია ხელოვნების არსისა და დანიშნულების თემას ეხება. ხელოვნების ძირითადი პრინციპი, არჩილ II-ის აზრით, არსებული რეალობის მართებულ, მიუკერძოებელ ასახვაში („მართლის თქმაში“) მდგომარეობს. იგი ლიტ-რის ჟანრთა კლასიფიკაციის საკითხსაც სვამს. ვახტანგ VI-ის ლიტ. სკოლის წარმომადგენლის, პოეტი-ლირიკოსის, მ. ბარათაშვილის დამსახურება ქართ. სააზროვნო სივრცეში კი ესთეტ. პრობლემატიკის სისტემატიზაციაში მდგომარეობს. მის თხზულებაში „ჭაშნიკი“ ანუ „სწავლა ლექსთა თქმისა“, სადაც პოეზიის არსსა და დანიშნულებაზეა საუბარი, გამოკვეთილია ხელოვნების დიდაქტ.-აღმზრდელობითი ფუნქცია. თხზულების ავტორის თანახმად, ხელოვნება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ზნეობრივ აღზრდას უნდა ემსახუროს. ხელოვნების აღმზრდელობითი ფუნქცია შეუნიშნავი არ დარჩენია დ. *გურამიშვილსაც*, რ-იც თვლის, რომ ხელოვნების, კერძოდ, ლიტ-რის მისია ზნეობრივ ღირებულებათა ფორმირებაში მდგომარეობს. ამასთან, რუსთაველის მსგავსად, გურამიშვილის ხედვითაც სამყაროს მშვენიერება ისეთივე მიმართებაშია ღვთაებრივ მშვენიერებასთან, როგორც ხილული მზე სულიერ მზესთან – ქრისტესთან.

XIX ს. მოღვაწეთა შორის მნიშვნელოვანია ს. *დოდაშვილის* შეხედულება ხელოვნების ევრისტიკული ფუნქციის შესახებ. ხელოვნების ამ ფუნქციას, დოდაშვილის აზრით, საფუძვლად უდევს წარმოსახვის ძალა. სწორედ ისაა ახლის აღმომჩენი. ამასთან, დოდაშვილი იზიარებს იმ აზრს, რომ მშვენიერების ჭვრეტა თავისი ბუნებით დაუინტერესებელია. ესთეტ. ფენომენის ბუნების, ესთეტ. აღქმისა და გემოვნების, ხელოვნების არსისა და ფუნქციის შესახებ ვრცელი მსჯელობები გვხვდება ი. *ჭავჭავაძის* პუბლიც. წერილებში. ილიას აზრით, ხელოვნება ესთეტ. ზემოქმედების ძალასთან ერთად, შემეცნებითი ღირებულების მატარებელია. ხელოვნება უნდა „ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისთვის“. ქართ. ესთეტ. აზრის ისტორიაში ღირებულია ა. *წერეთლის* ცალკეული განაზრებანი შემოქმედებითი პროცესის საიდუმლოებისა და გენიოსის პრობლემის შესახებ. მისი აზრით, უმაღლესი ღირებულებების (ჭეშმარიტების, მშვენიერებისა და სიკეთის) რეალიზაციის პროცესში ვლინდება ადამიანის არსება და ცხოვრების საზრისი. მხატვრული ასახვისა და ასახვის სხვა ფორმების სპეციფიკის დადგენა წარმოადგენს ნ. *ნიკოლაძის* ესთეტ. განაზრების საგანს. მისი აზრით, ხელოვნება უშუალო კავშირში უნდა იყოს რეალურ ცხოვრებასთან და ზრუნავდეს მისი უკეთესობისკენ გარდასაქმნელად. ქართვ. სამოციანელთა მსგავსად, პრინციპს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ემიჯნებოდა *ვაჟა-ფშაველაც*, რ-იც რეალისტური Ø-ის პრინციპებს იზიარებდა.

XX ს. პირველ ნახევარში სამშობლოში ბრუნდებიან უცხოეთში განსწავლული ქართვ. მხატვრები (ე. *ახვლედიანი*, ლ. *გუდიაშვილი*, დ. *კაკაბაძე*, ქ. *მაღალაშვილი*, დ. *შევარდნაძე*), რეჟისორები (ა. *ახმეტელი*, კ. *მარჯანიშვილი*) და საკუთარ მხატვრულ შემოქმედებაში ახლებურ ესთეტ. ხედვას ამკვიდრებენ. დიდი გამოცოცხლებაა ქართ. ლიტ-რაშიც, რ-ის ცალკეული დაჯგუფებები (სიმბოლისტები, ფუტურისტები და სხვ.) საპროგრამო მანიფესტებს აქვეყნებენ. ჟალიბდება და ვითარდება ხელოვნების დარგების შემსწავლელი დისციპლინები. ხელოვნებისა და ლიტ-რის ესთეტ. ფუნქციის, ფორმისა და შინაარსის მიმართების, მშვენიერების ბუნების შესახებ საინტერესო მსჯელობებს ვხვდებით ქართვ. ლიტერატორების (კ. *აბაშიძე*, კ. *კაპანელი*, გ. *რობაქიძე*, გ. *ქიქოძე*) შრომებში. 1921 საქართველოს ანექსიის შემდეგ, ახლად-ფეხადგმული ქართ. ფილოსოფია და ხელოვნებათმცოდნეობა მკაცრი იდეოლოგიური წნეხის ქვეშ ექცევა. მარქსისტული მსოფლმხედველობის იდეოლოგიურ-დოგმატური მეთოდი ესთეტ. კვლევაშიც გაბატონებულ ადგილს იკავებს. მიუხედავად ამისა, იქმნება Ø-ის საკითხებისადმი მიძღვნილი ცალკეული საინტერესო გამოკვლევები და სახელმძღვანელოები: შ. *ნუცუბიძის* „ხელოვნების თეორია“ (1929); მ. *გოგიბერიძის* „რუსთაველის ესთეტიკა“; კ. კაპანელის „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები. ორგანოტროპიზმი“ (1925), „რუსთაველის ესთეტიკა“ (1928), „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“ (1931). რუსთაველის Ø-ის კვლევას იწყებს მ. გოგიბერიძეც. დ. *უზნაძე* აქვეყნებს სტატიებს მხატვრული აზროვნების

ფსიქოლ. მახასიათებლების შესახებ. ს. *დანელია* ქართულად თარგმნის არისტოტელეს ,,პოეტიკას'' და მას ვრცელ გამოკვლევას უძღვნის. XX ს. მეორე ნახევარში საქართველოში ე-ის საკითხების კვლევა ახ. ძალას იძენს. საბჭოეთში ე-ის საკითხებზე წამოწყებულ დებატებში აქტიურად მონაწილეობენ ახ. თაობის ქართვ. ფილოსოფოსები და ლიტერატორები (ზ. *კაკაბაძე*, ნ. *კაკაბაძე*, ვ. *ქვაჩახია*, ნ. *ჭავჭავაძე*, გ. *ჯიბლაძე*, ო. *ჯინორია* და სხვ.). მათგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნ. ჭავჭავაძისა [,,ესთეტიკის საკითხები'' (1958), ,,ესთეტიკის საგნის ბუნებისათვის'' (1965)] და ზ. კაკაბაძის [,,კანტის ესთეტიკური კონცეფციის ინტერპრეტაციისათვის'' (1972), ,,ხელოვნების ფენომენი'' (1980)] ნაშრომები მშვენიერების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ მშვენიერის ესთეტიკურის ფენომენს ისინი ანთროპოლოგიურ, ეგზისტენციალურ ჭრილში იხილავენ. ნ. ჭავჭავაძე მშვენიერების ცნებას ჰარმონიის ცნებასთან აკავშირებს. მშვენიერება მისთვის არის პიროვნების ,,მხარეთა'' ჰარმონიის განცდა. მშვენიერია ის საგანი, რ-იც იწვევს ამ ჰარმონიას. ამასთან, ესთეტ. საგნის მშვენიერებისთვის აუცილებელია ადამიანის მთელი არსების, მისი ყველა მხარის ,,ჩართვა'', მონაწილეობა, აქტიურობა. ზ. კაკაბაძე კი მშვენიერს ადამიანური ყოფიერების არსებით სტრუქტურად მოიაზრებს. მისი აზრით, მშვენიერება ადამიანის ყოფიერების გამოვლენა, ,,გამოცხადებაა''. სწორედ ადამიანის არსის ხედვა, ჭვრეტა იწვევს მშვენიერების ანუ სიამოვნების განცდას (მშვენიერი ანუ სასიამოვნო არის ადამიანის არსის ხედვა). XX ს. ქართვ. ფილოსოფოსები დასავლურ ესთეტ. კონცეფციებსაც იკვლევენ [ა. *ბოჭორიშვილი*, ,,კანტის ესთეტიკა'' (1967) და წერილები ჰაიდეგერის ესთეტიკის შესახებ; ე. *თოფურიძე*, ,,კროჩეს ესთეტიკა'' (1967); ნ. ტუფინაშვილი, ,,დილთაის ესთეტიკა'' (1973); რ. შენგელია, ,,ანტიკური ესთეტიკის ისტორიიდან'' (1970) და ,,ესთეტიკა და გონების ერთიანობის პრობლემა კანტის ფილოსოფიაში'' (1989)]. ე-ის ცალკეულ პრობლემებს იხილავენ ქართვ. ლიტერატორებიც, რ-თა შორისაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რ. *სირაძის* ნაშრომი ,,სახისმეტყველება'' (1985). ქართ. ენაზე გამოცემულია ე-ის სახელმძღვანელოები (თ. *კუკავა*, ა. *ტყემალაძე*, ა. ყულიჯანიშვილი, ბ. *წოწონავა*).

ლიტ.: თ ე ვ ზ ა ძ ე გ., აღორძინების ეპოქის ფილოსოფიის ისტორია. მარსელიო ფიჩინოდან იაკობ ბოემემდე, თბ., 2008; მ ი ს ი ვ ე, ახალი ფილოსოფიის ისტორია, ნაწ. 1. განმანათლებლობა. ფრენსის ბეკონიდან იმანუელ კანტამდე, თბ., 2010; მ ი ს ი ვ ე, ახალი ფილოსოფიის ისტორია, ნაწ. 2. იმანუელ კანტიდან ფრიდრიხ ნიცშემდე, თბ., 2012; კ ა კ ა ბ ა ძ ე ზ., კანტის ესთეტიკური კონცეფციის ინტერპრეტაციისათვის, თბ., 1972; მ ი ს ი ვ ე, ხელოვნების ფენომენი, თბ., 1980; ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ნ., ესთეტიკის საკითხები, თბ., 1958; მ ი ს ი ვ ე, ესთეტიკის საგნის ბუნებისათვის, თბ., 1965; ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია, ტ. 4, თბ., 2003; Лосев А. Ф., История античной эстетики, т. 1–8, М.,1963–2002; მ ი ს ი ვ ე, Эстетика возрождения, М., 1978; Encyclopedia of Philosophy, 2nd ed. (10 Volume Set). by Donald M. Borchert (Editor). MacMillan Reference Books, 2 ed. (2006).

ნ. ფიფია.

ესიძღვი, მთა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, კავკასიონის მთავარ ქედზე, ყელის ვულკანური ზეგნის ჩრდ. კიდეზე, სიმაღლე 3572 *მ*. აგებულია მეოთხეული ასაკის ანდეზიტური ლავებით. აღმართულია იურული ფიქლებისა და ქვიშაქვების საფუძველზე. ჩრდ. კალთა ციცაბოა, სამხრ. – შედარებით დამრეცი. 2800 *მ* სიმაღლემდე ალპ. მდელოებია. *ჭ. ჯანელიძე.*

ესკალატორი (ინგლ. escalator, ლათ. scala – კიბე), მოძრავი კიბის სახის ქვეითთა გადასაყვანი ამწევსატრანსპ. მოწყობილობა, კონვეიერი, რ-იც შედგება ჩაკეტილი წირის ფორმის ორი საწევი ჯაჭვისაგან, მათზე სახსრულად დამაგრებული საფეხურებით. ელექტრომძრავას ბრუნვით მოძრაობაში მოჰყავს ორი წყვილი ,,ვარსკვლავი'' მათზე გადაცმული საწევი ჯაჭვებით. ამძრავი, ჩვეულებრივ, ე-ის ქვეშ სამანქანო განყოფილებაშია განლაგებული. ე-ის ზედა და ქვედა ნაწილებში საფეხურებით იქმნება ჰორიზ. სიბრტყეები, რითაც მოსახერხებელი ხდება ე-ზე შესვლა და გადმოსვლა.

ე-ის კონსტრუქცია 1892 წელს დააპატენტა ამერიკელმა გამომგონებელმა ჯ. რენომ, თუმცა ეს კონსტრუქცია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თავისი დანიშნულებით თანამედროვე ე-ისგან და გამიზნული იყო ატრაქციონისთვის. პირველი თანამედროვე ტიპის ე. დამონტაჟდა ლონდონის მეტროპოლიტენში 1911 წელს. შემდეგ იგი სწრაფად გავრცელდა სხვადასხვა ქვეყნის მეტროპოლიტენების შედარებით დიდ სიღრმეზე განლაგებულ სადგურებში. მოგვიანებით ე-ის გამოყენება სხვა ობიექტებზეც დაიწყეს. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ე-ს შეუძლია მგზავრების გადაყვანა უწყვეტ რეჟიმში, განსხვავებით ლიფტისგან, და მაღალი მწარმოებლურობა (თეორიულად 10 ათასამდე მგზავრი *სთ*-ში), რ-იც არ არის დამოკიდებული აწევის სიმაღლეზე, თუმცა მას გააჩნია რიგი ნაკლოვანებებისა, როგორიცაა მაგ., აწევის შეზღუდული სიმაღლე, დამოკიდებული მექანიზმის ტვირთამწეობაზე (ჩვეულებრივ, ე-ით ხდება 30-40 *მ*-მდე დონეთა სხვაობის გადალახვა), დაბალი სიჩქარე და როგორც კონსტრუქციული, ასევე საექსპლუატაციო სიძვირე. მეტროპოლიტენების სადგურების გარდა ამჟამად ე. გამოიყენება ზოგიერთ მრავალსართულიან ობიექტზე, არის შემთხვევები როდესაც ის გამოიყენება დიდი დაქანების მქონე ქუჩებში ქვეითთა მოძრაობის გასაიოლებლად. ასევე აღსანიშნავია ესკალატორის ტიპის ე.წ. მოძრავი ტროტუარები, რ-ებითაც მგზავრების გადაადგილება ხდება ერთ დონეზე ან მცირე დაქანებით.

ერთ-ერთი ყველაზე გრძელი ე-ის (სანქტ-პეტერბურგის მეტროს სადგური ,,ადმირალტეისკაია'') სიგრძეა 137 *მ* და დონეთა სხვაობა 68,7 *მ*. ყველაზე პატარა ე. ფუნქციონირებს ქ. კავასაკის (იაპონია) ერთ-ერთ სუპერმარკეტში. მისი სიმაღლე მხოლოდ 83 *სმ*-ია და მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ე-ის გამოყენება უკავშირდება მეტროპოლიტენის მშენებლობას. პირველი ე. დამონტაჟდა სადგურ ,,მარჯანიშვილის'' მშენებლობისას 1959 წელს. მეტროს სადგურ ,,სამგორში'' დამონტაჟებულია მოძრავი ჰორიზ. ტროტუარი, რ-იც ერთმანეთთან აკავშირებს ზედა და ქვედა ვესტიბიულებს (1998-იდან არ ფუნქციონირებს). XX ს. 80-იან წლებში ქართვ. არქიტექტორების მიერ შემოთავაზებულ იქნა ე-ის გამოყენების იდეა თბილ. დიდი ქანობების მქონე ქუჩებისთვის სოლოლაკის, მთაწმინდისა და რიგ სხვა უბნებში. საქართველოში ე. გამოიყენება აგრეთვე სართულების დასაკავშირებლად დიდ სავაჭრო ცენტრებში სტაციონარული კიბეების ნაცვლად.

გ. დათუკიშვილი.

ესკიზი (ფრანგ. esquisse), მხატვრული ნაწარმოების (სურათი, ქანდაკება, არქიტექტურული პრო-

ექტი, თეატრის ან კინოს დეკორაცია და სხვ.) ან მისი რომელიმე ნაწილის ჩანახატი. ე. სრულდება გრაფიკულად, ფერწერულად ან სკულპტურულად. ე-ში გადმოცემულია ავტორის ძირითადი ჩანაფიქრი, მომავალი ნაწარმოების არსებითი და მნიშვნელოვანი მხარეები, კომპოზიცია, კოლორიტი, პროპორციები, რიტმი. დიდი მხატვრების (მიქელანჯელო, რემბრანდტი, რუბენსი, დელაკრუა და სხვ.) ე-ები მაღალმხატვრული ნაწარმოებებია.

ქართ. მხატვართაგან აღსანიშნავია პ. ოცხელის, ლ. გუდიაშვილის, ს. ქობულაძის, ა. ქუთათელაძის, ს. ვირსალაძის, დ. ერისთავის ე-ები მონუმ.-დეკორ. მხატვრობის, ილუსტრაციების, თეატრ. და კინო-დეკორაციებისათვის, დაზგური ფერწერისა და გრაფ. ნიმუშებისათვის.

ფართო მნიშვნელობით ე. ეწოდება სახვითი ხელოვნ. დაუმთავრებელ ნაწარმოებებს, რ-ებიც შესრულებულია წარმოსახვით ან ნატურიდან.

ესოპე (Aesopos), ძვ. წ. VI ს. ბერძენი მწერალი. იგავარაკული ჟანრის ფუძემდებელი. ანტ. სამყაროში ე-ს კრებულები ფართოდ იყო გავრცელებული. XIII–XIV სს. მიჯნაზე ეს არაკები შეკრიბა მაქსიმე პლანუდემ. ე-ს არაკების სიუჟეტები გამოიყენეს ფედრუსმა, ჟ. ლაფონტენმა, ი. კრილოვმა, ს.-ს. ორბელიანმა. საქართველოში ადრევე დაინტერესებულან ე-ს შემოქმედებით. ჩვენამდე მოღწეული უძველესი თარგმანი XVIII ს. I ნახევრით თარიღდება. რამდენიმე ხელნაწერში (ხელნაწ. ეროვნ. ცენტრი, S–2409, 1536; H–180 და სხვ.) დაცულია ბერძნულიდან თარგმნილი 40 იგავი (მთარგმნელი უცნობია); თარგმანის ვერსიას ქართ. ბერძნ. ტექსტების შეჯერება ადასტურებს. სხვადასხვა ქართ. ხელნაწერში დაცულ ტექსტებს შორის შეინიშნება ვარიანტული სხვაობანი, მაგრამ უდავოა, რომ ისინი მომდინარეობენ ერთი საერთო პირველწყაროდან ან ერთიმეორისგან. თარგმანის ენა სადაა და ადვილად გასაგები. როგორც დედანში, თარგმანშიც არაკები ორი ნაწილისაგან შედგება – საკუთრივ არაკისა და შეგონებისაგან. შეგონებას ქართ. ტექსტში ,,თარგმანი'' ეწოდება. ქართ. ხელნაწერებს შემოუნახავს ე-ს ,,ცხოვრების'' თარგმანიც, რ-იც, შესაძლოა, არაკებზე ადრეც იყოს შესრულებული. ,,ცხოვრების'' ქართ. თარგმანს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ბერძნ. ტექსტის თავდაპირველი სახის გასათვალისწინებლად. 1859 ვენეციაში ქართულად დაისტამბა ე-ს იტალიურიდან თარგმნილი 95 არაკი. მთარგმნელის ვინაობა ცნობილი არ არის.

თხზ.: იგავნი, თბ., 1944; იგავ-არაკები, თბ., 1968.

ლიტ.: ბ ა ა კ ა შ ვ ი ლ ი ვ., ესოპეს არაკების ქართული თარგმანი, «ლიტერატურული ძიებანი», 1959, [ტ.] 12; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958.

ვ. ბააკაშვილი.

ესტაკადა (ფრანგ. estacade, პროვანსალურიდან estaca – კოჭი, ხიმინჯი):

1. მიწისზედა (ან წყალზედა) მრავალმალიანი ხიდური ტიპის ნაგებობა, მეტწილად კოჭოვანი ან ჩარჩოვანი სისტემისა. ე. ძირითადად სატრანსპ. დანიშნულებისაა და გამოიყენება სატრანსპ. ნაკადების სხვადასხვა დონეზე გასატარებლად, ხიდების მისასვლელებზე, მთიანი რელიეფის პირობებში ციცაბო ფერდობის გასწვრივ გზის გასაყვანად და ა.შ. ე. ხშირად წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის ნაგებობის შემადგენელ ნაწილს მათთან მისასვლელის სახით. ქალაქის პირობებში სივრცე ე-ის ქვეშ ხშირად გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულების სათავსებისათვის: საწყობები, ავტოსადგომები და ა. შ. სამრეწვ. საწარმოებში ე-ები გამოიყენება ტექნოლ. მილგაყვანილობის გასატარებლად, მანქანა-მექანიზმების სამოძრაოდ, ტვირთების დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების შესასრულებლად.

ტრანსპორტის განვითარებამ, თავის მხრივ, გამოიწვია საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება. თანამედროვე მძლავრი და დიდი სიჩქარის მქონე სატრანსპორტო ნაკადების განუხრელმა ზრდამ განსაკუთრებით ქალაქებში, რებიც ტრანსპორტის სამოძრაო სივრცის სიმცირეს განიცდის, გამოიწვია ე-ის მშენებლობის განვითარება მთელ მსოფლიოში. ერთერთი ასეთი ყურადსაღები ნაგებობაა ბანგნა, რ-იც მსოფლიოში ყველაზე გრძელი ე. არის (54 *კმ*). სავალი ნაწილი შედგება სამი ზოლისაგან თითოეული მიმართულებით (საერთო სიგანით 27,2 *მ*). ნაგებობა დაჯდა ერთ მილიარდ დოლარზე მეტი და მშენებლობა გაგრძელდა 5 წელიწადს (ექსპლუატაციაში გადაეცა 2000).

საქართველოში XX ს. 60-იან წლებამდე ე-ები გამოიყენებოდა სამრეწვ. დანიშნულებით. მოგვიანებით ე. თანდათან ფეხს იკიდებს სატრანსპ. მშენებლობაში, ძირითადად ხიდების მისასვლელებზე და გზაგამტარების სახით. ე-ები ამ შემთხვევაში ცვლის დიდი სიმაღლის



ესტაკადა. თბილისის შემოვლითი რკინიგზის ხაზზე. 2014.

ყრილებს, რითაც შესაძლებელი ხდება მიწის მნიშვნელოვანი ფართობების გამოთავისუფლება. ამ პერიოდში აშენებული ე-ებიდან ყურადღებას იპყრობს თბილისიდან დასავლეთისკენ გასასვლელში მდ. მტკვრის გაყოლებაზე აგებული ე. (1975; სქემით* 28×15,0 *მ*, საერთო სიგრძე 430 *მ*); ქ. ქუთაისის (1968; ე. გზაგამტარი სქემით 7×21,6 *მ*, საერთო სიგრძე 160 *მ*); ე. თბილისი–სენაკი–ლესელიძის საავტომობილო გზის 229 *კმ*-ზე (1977; სქემით 8×32,56 *მ*, საერთო სიგრძე 270 *მ*); გზაგამტარი ე. ქ. სამტრედიაში (1980; სქემით 5×21,0 *მ*, საერთო სიგრძით 112,0 *მ*). ე-ის მშენებლობამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა შეიძინა თანამედროვე პერიოდში, მაღალი კლასის გზებისა და საქალაქო საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. მათი აგებისას დაცულია გამკაცრებული მოთხოვნები მრუდების რადიუსებისა და ქანობების სიდიდის მიმართ. აღსანიშნავია ბოლო პერიოდში აგებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ე., კერძოდ, სარკინიგზო ე. თბილ. შემოვლითი რკინიგზის ხაზზე ზაჰესის დასახლებასთან (სქემით 16,5+31×27,6+16,5 *მ*, საერთო სიგრძით 902,8 *მ*). აგრეთვე ე. ხიდური გადასასვლელის შემადგენლობაში მდ. ლიახვზე თბილისი–სენაკი–ლესელიძის E-60 საერთაშ. ავტომაგისტრალის 85 *კმ*-ზე. ე-ით გადახურულია ხიდის გრძელი და მაღალი მისასვლელები (სქემით 36+7×45,0+40+6×45,0+2×48,0+45,0 +42,0+43,0, საერთო სიგრძით 895 *მ*, სავალი ნაწილის გაბარიტია 2×11,5+2×1,0 *მ*). ნაგებობა წარმოადგენს წინასწარ დაძაბული რკინაბეტონის და უჭრკოჭოვანი (საყრდენის თავზე გაუჭრელი) სისტემის მალის ნაშენების კომბინაციას, რ-იც განლაგებულია გრძივ ქანობზე.

განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს ე-ები თბილ. პირობებში გზაგამტარების შემადგენლობაში. აღსანიშნავია სტუ-ის ხიდებისა და გვირაბების მიმართულების სპეციალისტთა მონაწილეობა ახ. ე-ების დაპროექტებების საქმეში. მათი მონაწილეობით (ჯგუფის ხელმძღვანელი ბ. მაისურაძე) დაპროექტდა ესტაკადების კონსტრუქციები მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე (ბარათაშვილის ხიდიდან იუსტიციის სახლთან ჩამოსასვლელი ე., ე-ები ,,ლაგუნა ვერე'', მ. კოსტავას ქუჩიდან გმირთა მოედანზე ჩასასვლელი ე., ასევე სარკინიგზო ე. თბილ. შემოვლითი რკინიგზის ხაზზე). ბარათაშვილის ხიდიდან იუსტიციის სახლისკენ ჩამომავალი ე. წარმოადგენს რკინაბეტონის და ფოლად-რკინაბეტონის მალის ნაშენების კომბინაციას (სქემით 16.0+2×30,0+23.0 *მ*, საერთო სიგრძე 109,9 *მ*). ე. განლაგებულია მაქსიმალურ 70% ქანობზე და გეგმით 33 *მ* რადიუსის მრუდზე.

,,ლაგუნა ვერეს'' ორი ესტაკადური გზაგამტარი წარმოქმნის სამსართულიან კვანძს, რ-ის ქვედა სართული (მტკვრის სანაპირო – გმირთა მოედნის მიმართულება) მდებარეობს გეგმით 50 *მ* და შვეულ სიბრტყეში 300 *მ* რადიუსის მრუდებზე. ნაგებობის კონსტრუქცია შერეული ტიპისაა ჭრილკოჭოვანი სისტემის რკინაბეტონისა და უჭრკოჭოვანი სისტემის ფოლად-რკინაბეტონის კოლოფისებრი კვეთის მალის ნაშენებით (სქემით 22,0+26,0+ +(33,0+28,0)+24,0+18,0 *მ*, საერთო სიგრძე 152,6 *მ*). კვანძის ესტაკადური ნაწილის ზედა სართული (გმირთა მოედნიდან დიღმის მიმართულებით) მდებარეობს გეგმით 60 *მ* და შვეულ სიბრტყეში 433 *მ* რადიუსის მრუდებზე. ნაგებობის კონსტრუქცია ასევე შერეული ტიპისაა ჭრილკოჭოვანი სისტემის რკინაბეტონისა და უჭრკოჭოვანი სისტემის ფოლად-რკინაბეტონის კოლოფისებრი კვეთის მალის ნაშენებით (სქემით 24 ,0+27,0+(33,0+30,0+33,0+33,0)+2×2 7,0+24,0 *მ*, საერთო სიგრძე 259,6 *მ*). გმირთა მოედნის სატრანსპ. კვანძი სამდონიანია, რ-ის მესამე, ზედა დონე შესრულებულია ესტაკადების კომპლექსის სახით, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობის განმხოლოებას. მალის ნაშენის კონსტრუქციები შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონისაგან.

2. საზღვაო და სამდინარო გასასვლელებზე ხიმინჯებისაგან აგებული წყალქვეშა ღობურა, რ-საც ზედა სავალი ნაწილი არა აქვს.

3. ნაგებობა, რ-საც გააჩნია საავტომობილო ტრანსპორტის დასათვალიერებელი ორმო. *ესტაკადის სქემა აღნიშნავს მალის ნაშენების თანმიმდევრობას ნაგებობის სტრუქტურაში. *თ. ჭურაძე. გ. დათუკიშვილი.*

ესტაფეტა (ფრანგ. estafette, იტალ. staffa – უზანგი, ავჟანდი), 1. სა-განგებო ფოსტა, რ-იც დაჰქონდათ შიკრიკებს, ჩვეულებრივ, ცხენოსნებს; 2. ს პ ო რ ტ შ ი, გუნდური შეჯიბრება სხვადასხვა სპორტულ დისციპლინაში; გუნდის წევრები ერთიმეორის მიყოლებით გადიან დისტანციის ეტაპებს და გადასცემენ თანაგუნდელს დისტანციაზე გადაადგილების რიგს. მძლეოსნობაში ესტაფეტა გადაეცემა ჯოხით, სათხილამურო სპორტში – თანაგუნდელის ხელის შეხებით, ცურ-



ესტაკადა. გმირთა მოედნის სატრანსპორტო კვანძი. 2011. თბილისი.

ვაში – აუზის ბორტზე შეხებით.

ესტონელები (საკ. სახელწ. – ე ე ს ტ ლ ა ს ე დ ი), ერი, ესტონეთის ძირითადი მოსახლეობა. ცხოვრობენ აგრეთვე რუსეთში, ლატვიაში, უკრაინაში, საქართველოში (ძირითადად – აფხაზეთში), აშშ-ში, შვედეთსა და კანადაში. ენა – ესტონური. წარმომავლობითა და ენით განეკუთვნებიან ბალტიისპირა – ფინური ჯგუფის ფინურ-უნგრულ ხალხებს. მიეკუთვნებიან ევროპეოიდულ რასას. ესტონელი ხალხის ჩამოყალიბება ძირითადად XIII–XVI სს-ში დასრულდა. XIII ს-ში ე-მა მიიღეს კათოლიკობა, რ-იც XVI ს-ში, რეფორმაციის პერიოდში, ლუთერანობით შეიცვალა. XIX ს. შუა ხანებში მოსახლეობის დაახლ. 10–12%-მა მართლმადიდებლობა აღიარა. მათი მთავარი საქმიანობა იყო მიწათმოქმედება, მეცხოველეობა და თევზჭერა. ე-ს ისტ. და სოც. მიზეზების გამო არაერთხელ მოუხდათ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა. XIX ს. II ნახევრისა და XX ს. დასაწყისში მძიმე ეკონ. პირობების გამო ე. მასობრივად გაასახლეს, ძირითადად, რუს. გუბერნიებში.

XIX ს. 80-იანი წლებიდან ე-ის დასახლებები გაჩნდა საქართველოში (კერძოდ, აფხაზეთში). თავდაპირველი მოსახლენი იყვნენ 1857 კუსალეს მიწაზე (ესტონეთი) გლეხთა მღელვარების შედეგად დარბეული გლეხები. 1882 ლესელიძის მახლობლად (მდ. ფსოუს მარცხენა ნაპირზე), დააარსეს სოფ. სალმე, შემდეგ იმავე ხეობაში – სოფ. სულევო და, გულრიფშთან ახლოს, კოდორის ხეობაში – სოფ. *ესტონკა* (ყოფ. ბაღნაშენი). ე-მა ხელი მოჰკიდეს მებოსტნეობას, მეთამბაქოეობას, მეჩაიეობას და მალე ეკონომიკურად დაწინაურდნენ.

ლიტ.: კ ი ლ ა ძ ე ა., ჩვენი ესტონელი მეგობრები, «დროშა», 1982, №10; Вопросы этнической истории эстонского народа, Таллин, 1956; М е с х и И., Как живёте абхазские эстонцы? Моя маленькая советская Грузия, Тб., 1988.

პ. ყიფიანი.

ესტონკა (1955-მდე – ბ ა ღ ნ ა შ ე ნ ი), სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის ვლადიმიროვკის თემში (აფხაზეთის არ), მდ. კოდორის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 50 *მ*, გულრიფშიდან 13 *კმ*. 1,3 ათ. მცხ. (1989). იხ. აგრეთვე სტ. *ესტონელები*.

ესტრადა (ფრანგ. estrade < ლათ. stratum – ფიცარნაგი), 1. სასცენო მოედანი, ფიცარნაგი (სახელდახელო ან ფუნდამენტური) მსახიობთა საკონცერტო გამოსვლებისათვის. 2. სასცენო ხელოვნების სახე, რ-იც მოიცავს დრამ. და ვოკალური ხელოვნების, მუს., ქორეოგრაფიის, ცირკის და სხვა ნომრებს, რ-ებიც კონცერტში გაერთიანებულია თემატურად კონფერანსის მიერ. როგორც დამოუკ. ხელოვნება ჩამოყალიბდა XIX ს., თუმცა საქართველოში საესტრადო ხელოვნების საწყისები გაცილებით ადრე შეინიშნება. იხ. აგრეთვე *საესტრადო ხელოვნება*.

ესქილე (Aischylos) (დაახლ. ძვ. წ. 525, ელევსინი, ათენის მახლობლად, – 456, გელა, სიცილია), ძვ. ბერძენი დრამატურგი. შექმნა 90-მდე ნაწარმოები, რ-თაგან სრული სახით შემორჩენილია შვიდი ტრაგედია. ე. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტრაგიკოსია, მან თავის შემოქმედებაში ფართოდ გამოიყენა არგონავტების თქმულება და საგანგებო ტეტრალოგიაც მიუძღვნა; მასში, სავარაუდოდ, შედიოდა ,,ლემნოსელი კაცები'', ,,ჰიფსიპილე'', ,,კაბეირები'' და სატირული დრამა ,,არგო''. ცნობების სიმწირის გამო ძნელია რაიმე ითქვას კონკრეტულად იმ დრამების შესახებ, რ-თაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ. მთლიანად სკვითიაში, ანუ კავკასიაში, იშლება ,,მიჯაჭვული პრომეთეს'' სიუჟეტი. ამ ნაწარმოებს საფუძვლად უდევს მითი მეამბოხე ტიტანის შესახებ, რ-იც ზევსის ბრძანებით მიაჯაჭვეს კავკასიონს. ეს ტრაგედია ჩვენამდე მოღწეულ ბერძნ. წყაროებში ერთ-ერთი პირველია, სადაც მოხსენიებულია ტერმ. კავკასია (სტრ. 442, 719), ნახსენებია აგრეთვე კოლხები, ხალიბები და მათი მეზობელი სხვა ხალხები. ესქილესეული სახეები (განსაკუთრებით პრომეთეს სახე) ფართოდ აისახა მსოფლიო ლიტერატურაში, მხატვრობასა და მუსიკაში.

თხზ.: ორესტეა, თბ., 1974; ტრაგედიები, თარგმ. გ. სარიშვილისა, თბ., 1978.

ლიტ.: უ რ უ შ ა ძ ე ა., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964; ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1950.

რ. გორდეზიანი.

ეტალონი (ფრანგ. étalon), 1. რაიმე იდეალური, სანიმუშო ზომა, გაზომვის საშუალებები ან მათი კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფს ფიზიკური სიდიდის ერთეულის აღწარმოებას და შენახვას, აგრეთვე მისი ზომების სხვა გაზომვის საშუალებებისათვის გადაცემას. ე. ემყარება ნივთიერებათა ან სხეულთა ისეთ თვისებებს, რ-ებიც არ იცვლება. ე-ის გარეშე შეუძლებელია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა ხელსაწყოებით შესრულებული გაზომვების შედეგების შეპირისპირება (შედარება). ე. ზედმიწევნითი სიზუსტის საზომი ხელსაწყოა, რ-ის დანიშნულებაა სხვა საზომი ხელსაწყოების შემოწმება. ე-ების სიზუსტისადმი განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნების გამო მათი შექმნა, შენახვა და გამოყენება მოითხოვს სპეც. გამოკვლევებსა და დამუშავებებს, რ-ებიც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და სრულდება სახელმწიფოების ეროვნ. მეტროლ. ლაბორატორიებში. ერთეულთა საერთაშ. უნიფიკაციისათვის შექმნილია საერთაშ. ე-ები, რ-ებიც ინახება პარიზში ზომა-წონის საერთაშ. ბიუროში, ცალკეულ ქვეყნებში კი – ეროვნ. ე-ები. ქვეყნის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შექმნილია ეროვნ. ე-ების სპეც. ბაზები. ასეთი ბაზებია: სტანდარტების ეროვნ. ბიურო (აშშ), ეროვნ. ფიზ. ლაბორატორია (დიდი ბრიტანეთი), ფედერალური ფიზ.-ტექ. ინ-ტი (გერმანია), დ.ი. მენდელეევის სახ. მეტროლოგიის ინ-ტი (რუსეთი).

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი სტანდარტები და ეტალონები, საქართველოს კონსტიტუციით, მხოლოდ უმაღლეს სახელმწ. ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება. შესაბამისი სამსახური შექმნილია სტანდარტიზაციის ეროვნ. სააგენტოს მეტროლოგიის ინ-ტში. ეროვნ. ე-ები იყოფა პირველად, სპეც. და მეორეულ ე-ებად. შედარებით მრავალფეროვანია მეორეული ე-ები. ასეთებია: ეტალონ-ასლები, შედარებისა და მუშა ე-ები. მეორეული ე-ები ძირითადად გამოიყენება ერთეულთა ზომების გადასაცემად გაზომვების სანიმუშო და ყველაზე ზუსტი მუშა საშუალებებისათვის. ეტალონთა ბაზა შეიცავს *ერთეულთა საერთაშორისო სისტემის* (SI) ძირითადი ერთეულების – მეტრი, კილოგრამი, წამი, ამპერი, კელვინი, კანდელა, მოლი – ეროვნ. ე-ებს, აგრეთვე წარმოებული ფიზ. სიდიდეების (ელექტრული ძაბვა, ძალა, მაგნ. ინდუქცია და სხვ.) ერთეულების ე-ებს.

2. გადატანითი მნიშვნელობით: რისიმე სანიმუშო ეგზემპლარი; სტანდარტი.

ა. დანელიანი.

ეტიმოლოგია (ბერძნ. etymon –

სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა და logos – სიტყვა, მოძღვრება), 1. ისტორიული ლექსიკოლოგიის დარგი. შეისწავლის სიტყვის მნიშვნელობის განვითარებას, განსაკუთრებით – მის თავდაპირველ მნიშვნელობას. თანამედროვე Ე. ემყარება ენის სტრუქტურის, ენობრივი სისტემის ყველა რგოლის ჩამოყალიბებასა და ცვლის ცოდნას. მაგ., სიტყვა ნახშირის წარსულის კვლევის საფუძველია ქართ. ბგერათა ჯგუფების შ ხ, ხ შ ისტ. შესწავლა, კილოების მონაცემთა (ნ ა ხ შ ი რ ი) გათვალისწინება და სვანურსა და მეგრულში შემორჩენილ ფუძეთა (შ ი ხ, ნ ო შ ქ ვ ე რ ი) შედარება. 2. სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა, მაგ., ორი, ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, უკავშირდება სიტყვებს ყ უ რ ი, ყ ე ვ ა რ ი, თავდაპირველად იგი წყვილობის აღმნიშვნელი სიტყვა იყო. ცალკეული სიტყვის Ე. ზოგჯერ საინტერესო მასალაა ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის ყოფის ან აზროვნების ისტ. კვლევისათვის. მაგ., მიზეზობრივი კავშირის გამომხატველი სიტყვა ,,ვ ი ნ ა ი დ ა ნ'' გამოხატავდა თანამიმდევრობას დროში – ,,რ ა დ რ ო ი დ ა ნ'', თავდაპირველად კი გადმოსცემდა თანმიმდევრობას სივრცეში – ,,ს ა ი დ ა ნ''. ამგვარად, ,,ვ ი ნ ა ი დ ა ნ'' სიტყვის მნიშვნელობის ცვლაში უკუფენილია აზროვნების განვითარება კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ. 3. ძვ. სასკოლო გრამატ. დარგი სიტყვის აგებულების შესახებ (დაახლ. შეესაბამებოდა შემდეგდროინდელ მორფოლოგიას). *ბ. ფორჩხუა.*

ეტიუდი (ფრანგ. étude, სიტყვასიტყვით – შესწავლა, ვარჯიში):

Ე. მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა შ ი – მცირე ფორმის ნაწარმოები, რომელიც ასახავს სინამდვილეს, ადამიანის ცხოვრების, მოქმედების, განცდის რომელიმე მომენტს, ფრაგმენტს. Ე. ეწოდება აგრეთვე ლიტერატურულ, კრიტ., ისტ., ფილოს. ან მეცნ. ნარკვევს, რ-შიც ერთი რომელიმე საკითხი მოკლედ, შეკუმშულადაა გაანალიზებული.

ქართ. ლიტერატურაში ცნობილია შ. არაგვისპირელისა და ნ. ლორთქიფანიძის მხატვრული Ე-ები. ლიტერატურულ-კრიტ. და მეცნ. Ე-ების ნიმუშებია კ. აბაშიძის ,,ეტიუდები'', აკად. კ. კეკელიძის ,,ეტიუდები ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან'' და სხვ.

Ე. ს ა ხ ვ ი თ ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა შ ი – ნაწარმოები, რ-საც ხატავენ ნატურიდან ან ნატურის შესასწავლად. გამოირჩევა შთაბეჭდილების ცოცხალი გადმოცემით, უშუალობით. ფერწერული, სკულპტურული და გრაფ. Ე. ნაწარმოებზე მუშაობის მოსამზადებელი მასალის როლს ასრულებს. მაღალხარისხოვანი Ე. ხშირად დასრულებული მხატვრული ნაწარმოებია. ბრწყინვალე Ე-ებს ქმნიდნენ პ. პ. რუბენსი, პ. სეზანი, ვ. ვან-გოგი, ი. ენგრი, ა. ვატო და სხვ. საინტერესოა ქართვ. მხატვრების: გ. გაბაშვილის, ა. გველესიანის, ვ. სიდამონ-ერისთავის, კ. სანაძის, ე. კალანდაძის, ზ. ნიჟარაძისა და სხვათა Ე-ები.

Ე. მ უ ს ი კ ა შ ი – მზარდი ტექნიკური სირთულის მუს. პიესა, რ-იც ავითარებს დაკვრის ტექნიკის რომელიმე ელემენტს (ტერცია, ოქტავა, გამა). აღსანიშნავია შოპენის, შუმანის, ლისტის Ე-ები.

Ე. ს პ ო რ ტ შ ი – *ჭადრაკსა* და *შაშში* მოფიქრებული პოზიცია, რ-შიც უნდა იქნეს ნაპოვნი სწორი სვლები პარტიის მოსაგებად ან ყაიმის მისაღწევად. Ე-ში სვლების რაოდენობა განსაზღვრული არ არის. ჭადრაკში Ე-ს უნდა ახასიათებდეს ჩანაფიქრის ორიგინალურობა, ამოხსნის გარდაუვალობა თითოეული ვარიანტის მიხედვით. შაშში Ე-ის პოზიცია შეიცავს არაუმეტეს 4 თეთრ კოჭს და არანაკლებ 2 კომპოზიციურ განშტოებას.

ეტიფანე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (XIII ს.), იხ. *ეპიფანე.*



ბრინჯაოს ეტლი. ძვ. წ. VII–VI სს. სოფელი გოხები.

ეტლი, ბორბლიანი მსუბუქი ტრანსპორტი ცოცხალი გამწევი ძალით (ხარი, ცხენი, სახედარი და სხვ.). საბას მიხედვით, ,,ურმის მსგავსი კამაროსანი დიდებულთა საჯდომელად''. Ე-ის წარმომავლობის შესახებ მრავალი ვარაუდია გამოთქმული. ზოგი მეცნიერის აზრით ბორბლიანი ხის ტრანსპორტი პირველად კავკასიაში ან ზაგროსში უნდა შექმნილიყო. ფიქრობენ, რომ Ე-ები ან მისი დასამზადებელი მასალა ძვ. ეგვიპტეში ამიერკავკასიიდან შეჰქონდათ. Ე-ის უძველესი ნიმუშები ჯერჯერობით ცნობილია მესოპოტამიიდან და ელამიდან (ძვ. წ. IV–III ათასწლ.). ძვ. წ. III ათასწლ. დასაწყისიდან ძვ. შუმერულ და ბაბილონურ გამოსახულებებში გვხვდება სხვადასხვა დანიშნულების Ე-ები. საომარ სცენებში (საბეჭდავები, სტელები) Ე-ზე დგას შეიარაღებული ღვთაება ან რომელიმე ხელისუფალი, რ-იც ზოგჯერ წინ მიუძღვის მეომართა ფალანგას. უძველესი Ე-ები ოთხთვლიანია. გამწევ ძალას ხარი ან სახედარი წარმოადგენდა (ხშირად ოთხი, ერთრიგად შებმული). ძვ. წ. III ათასწლ. შუა ხანიდან ბაბილონში Ე-ის მასიური დისკოსებური თვლები შეიცვალა უფრო მსუბუქი, ოთხმანიანი თვლებით.

ძვ. წ. II ათასწლ. სამხ. საქმეში დიდ როლს ასრულებდა ცხენშებმული ორთვლიანი მსუბუქი Ე-ები მანებიანი თვლებით. ძვ. წ. XVI ს-ში ამგვარი Ე-ების შეტანას მესოპოტამიასა და ინდოეთში მიაწერენ იქ შეჭრილ არიელებს. Ე. ფართოდ გავრცელდა ეგვიპტეში, სადაც მას სირიიდან შემოტანილად თვლიდნენ. ამავე ხანაში Ე. როგორც საომარი და სანადირო ტრანსპ. გავრცელდა მცირე აზიასა (ხეთების იმპერია) და საბერძნეთში (კრეტა-მიკენი). ჰომეროსი იცნობდა როგორც საბრძოლო, ისე ორადგილიან მსუბუქ სამგზავრო Ე-ს. ძვ. წ. 1500 წლიდან Ე. დამოწმებულია ჩრდ. ევროპასა და ჩინეთში. იგი დიდხანს შემორჩა სპარსელებსა და კელტებთან.

დაახლ. ძვ. წ. 1000 წ. Ე-ის მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა. საბრძოლო Ე. ფართოდ გავრცელდა ასირიისა და ურარტუს სახელმწიფოებში. ძვ. წ. VIII ს. შუა ხანებისათვის ასურეთში ექვსმანიანი ბორბალი უკვე შეცვლილი იყო რვამანიანით. ძვ. წ. IX ს. ურარტულ ტექსტებში ლაპარაკია საბრძოლო Ე-ის არსებობაზე. მათი გამოსახულებები კი ცნობილია ვანის სამეფოს გვიანდ. პერიოდიდან. ურარტული საბრძოლო Ე. ახლოს დგას ასურულთან. Ე. ორ- ან სამცხენიანი იყო, ძარაში თავსდებოდა მეეტლე და მეომარი. ძვ. საბერძნეთიდან და რომიდან ცნობილია ოთხცხენიან ტრიუმფატორთა Ე-ები.

შუა საუკუნეებში დას. ევროპაში იყენებდნენ საომარ ოთხთვალებს


სათოფურებიანი მაღალი მძლავრი კედლებით, რ-შიც მსუბუქ და ზარბაზნებთან ერთად თავსდებოდნენ მსროლელები. XVI ს-ში დაახლ. ასეთ ოთხთვალებს იყენებდნენ ციმბირელი კაზაკები.

უძველესი დროიდანვე ე. დაკავშირებული იყო დაკრძალვის რიტუალთან. დასაკრძალავი ე-ები აღმოჩენილია ურის სამეფო სამარხებში, სამხრ. რუს. ორმოიან სამარხებში (ძვ. წ. III ათასწლ.), აგრეთვე ცნობილია ჰალშტატისა და ლატენის კულტურებიდან (ძვ. წ. I ათასწლ.) და სხვ. ამიერკავკასიაში უძველესი ბორბლიანი ტრანსპორტის არსებობის ნიშნები შეიმჩნევა *მტკვარ-არაქსის კულტურის* ძეგლებში. თრიალეთის ყორღანებში (ძვ. წ. III–II ათასწლ.) დაკრძალულ წარჩინებულებს ჩატანებული ჰქონდათ ხარებშებმული ხის ოთხთვლიანი სარიტუალო ე-ები. მათი შესწავლის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძვ. წ. III ათასწლ. დასასრულამდე თრიალეთში, ბრძოლის დროს იხმარებოდა ოთხთვლიანი ე., რ-საც შემდეგში დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებით იყენებდნენ. ცხენებშებმული ე-ები აღმოჩნდა *ბერიკლდეების* (ძვ. წ. XV ს.) და *არადეთის ორგორის* (ძვ. წ. XIV–XIII სს.) ყორღანებში. სხვადასხვა სახის ე-ები ცნობილია ლჭაშენისა (ძვ. წ. XIII–XI სს.) და ქვემო ადიამანის (ძვ. წ. X ს.) ყორღანებიდან. ლჭაშენში აღმოჩნდა ბრინჯაოს ხეთური ტიპის ე-ის მოდელი, რ-ზედაც ხეთურმუზარადიანი მეომრის 2 ფიგურაა. ამავე ხანისაა სტეფანავანში აღმოჩენილი ბრინჯაოს სარტყელი, რ-ზედაც სქემატურად გამოსახულია ორთვლიანი ე. ურარტული ე-ები ამიერკავკასიაში გავრცელდა ძვ. წ. VIII ს-იდან. მათი გამოსახულება ახტალისა და თლის სამარხებში (ძვ. წ. VIII–VII სს.) აღმოჩენილ ბრინჯაოს სარტყლებზეა მოთავსებული. ამავე ხნის უნდა იყოს კახეთში აღმოჩენილი ორცხენშებმული ორთვალა საომარი ე-ის ბრინჯაოს მოდელი (ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯვანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში).

ლიტ.: მ ე ლ ი თ ა ურ ი კ., ოთხთვლიანი საომარი ეტლი ძველ საქართველოში, <<ძეგლის მეგობარი>>, 1970, კრ. №21.

ე. გოგაძე.

ეტრატი (ბერძნ. tetradiōn – რვეული), საქონლის ტყავისაგან დამზადებული საწერი მასალა, რ-საც უძველესი დროიდან იყენებდნენ აღმოსავლეთში. ძვ. წ. II ს-იდან ე-ის წარმოებით განსაკუთრებით დაწინაურდა მცირე აზიის ქ. პერგამონი, რ-ის სახელწოდებიდან არის ნაწარმოები პალეოგრაფიული ტერმინი პერგამენტი. ე. გამძლე, მოქნილი და ადვილად მოსახმარი იყო, ამიტომ პაპირუს-ჭილთან შედარებით უპირატესობა მოიპოვა და დიდად შეუწყო ხელი მწიგნობრობის წინსვლას. ე-ის დასამზადებლად ტყავს ალბობდნენ კირიან ან ნაცარტუტიან წყალში, შემდეგ ბალანს აცლიდნენ და გასაშრობად



ეტრატი.

გადაჭიმავდნენ. გამომშრალ ტყავს დასარბილებლად ცხიმით პოხავდნენ, ზოგჯერ კვერცხის ცილითა და შაბით დამზადებულ ემულსიას უსვამდნენ, გასათეთრებლად კი – ცარცს, კირს. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ე. უმეტესად შემოჰქონდათ და ადგილზეც ამზადებდნენ. ქართ. ხელნაწერებში ე. X ს-იდან მოიხსენიება; ტერმინი უფრო ადრე (V ს.) უნდა იყოს ზეპირი გზით ბერძნულიდან შემოსული. როგორც ჩანს, ე. თავდაპირველად აღნიშნავდა ტყავის ოთხფურცლედ რვეულს, შემდეგ – საერთოდ ტყავის საწერ მასალას. აღმ. საქართველოს მთის კილოებში შემორჩენილია ტერმინები: ,,ატრატი'', ,,ატრატაი''. ე-ზეა დაწერილი უძველესი (VI–X სს.) ქართ. ხელნაწერები [ხანმეტი, ჰაემეტი ფრაგმენტები, სინური მრავალთავი (864), ადიშის ოთხთავი (897), ოშკის ბიბლია (978) და სხვ.].

ლიტ.: ს ურ გ უ ლ ა ძ ე მ., ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 9, თბ., 1996).

კ. დანელია.

ეტრუსკები, ტ უ ს კ ე ბ ი (ბერძნ. Tyrrēnoi; Tyrsēnoi; ლათ. Etrusci, Tusci; ეტრუსკ. Rosenna), იტალიის უძველესი მოსახლეობა. ძვ. წ. I ათასწლეულში ეკავათ ვრცელი ტერიტორია აპენინის ნ.-კ-ის ჩრდ.-დას. ნაწილში (ძვ. ეტრურია, ახლანდ. ტოსკანა). ე-მა შექმნეს მაღალგანვითარებული ცივილიზაცია, ინტენსიური საქალაქო ცხოვრება, თვითმყოფი ხელოვნება, ბერძნული ანბანის საფუძველზე ჩამოყალიბებული დამწერლობა. ე-ის წარმომავლობის შესახებ სამი უმთავრესი ჰიპოთეზა არსებობს: 1. ე. ჩრდილოეთიდან მოსული ხალხია. დღეს ამ მოსაზრებას ბევრი არ იზიარებს. 2. ე. ავტოქთონური (ადგილობრივი) წარმოშობის არიან. ეს მოსაზრება ჯერ კიდევ ანტ. ეპოქაში წამოაყენა დიონისე ჰალიკარნასელმა (ძვ. წ. I – ახ. წ. I ს.), რ-საც თანამედროვე ეტრუსკოლოგთა ერთი ნაწილი ეთანხმება. დიონისე ჰალიკარნასელი ასე ახასიათებდა ეტრუსკებს: ,,ხალხი, რომელიც არ ჰგავს სხვას არავის, არც ენით და არც ჩაცმულობით''. 3. ე. მცირე აზიიდან, ლიდიიდან გადმოსახლებულან. თანამედროვე მეცნიერებაში ყველაზე პოპულარულ ამ თვალსაზრისს, რ-იც ჰეროდოტედან (ძვ. წ. V ს.) მომდინარეობს, დღეს ყველაზე მეტი მხარდამჭერი ჰყავს.

ძვ. წ. V ს. დასაწყისიდან იწყება ე-ის თანდათანობითი დაქვეითების პროცესი. ძვ. წ. IV ს-ში კელტების შემოსევის შედეგად ე-მა დაკარგეს გავლენა მდ. პოს ხეობასა და ადრიატიკის სანაპიროზე, ხოლო ძვ. წ. I ს. რომმა ე-ის მთელი ტერიტორიის ანექსია შეძლო, ამის შემდგომ ე. საკმაოდ ადვილად დაექვემდებარნენ რომაელებთან ასიმილაციას და ბოლოს და ბოლოს შეერწყნენ იტალიის ლათინურენოვან მკვიდრთ.

ინტენსიური კვლევების მიუხედავად, ჯერჯერობით გაურკვეველია ე-ის ენის წარმომავლობის საკითხი. არსებობს აზრთა დიდი სხვადასხვაობა ენათა ცნობილ ოჯახებში ეტრუსკული ენის ადგილის განსაზღვრის შესახებ. XIX ს-იდან მოკიდებული ეტრუსკულ ენას აკავშირებენ ცალკეულ ინდოევროპულ (ხეთური, ბერძნული, სომხური, ალბანური და სხვ.) ან არაინდოევროპულ (დრავიდული, ეგვიპტური, უნგრული, ფინური, თურქული და სხვ.) ენებთან. 1899 ვ. თომსენმა გამოაქვეყნა ნაშრომი ,,შენიშვნები ეტრუსკული ენის ნათესაობის შესახებ'', რ-ითაც იგი



ს. ეული.

ეტრუსკულის ჩრდ. კავკასიის ენებთან მიმართების თვალსაზრისს გვთავაზობს. ეტრუსკული ენის კავკასიურ ბუნებას ამტკიცებდნენ ნ. მარი და სხვ. XX ს. განმავლობაში იყო ფრაგმენტული ცდები ეტრუსკული ენის ქართველურ ენებთან დაკავშირებისა, მაგრამ ენობრივი მიმართებების გამოვლენას სისტემური ხასიათი მიეცა რ. *გორდეზიანის* მონოგრაფიის ,,ეტრუსკული და ქართველური'' (1980) გამოქვეყნების შემდეგ. მას გამოუჩნდნენ თანამოაზრეები (ა. ი. ნემიროვსკი, ე. ი. ფურნიე, ჯ. გარბინი და სხვ.). 2007 გამოცემული ,,მედიტერანულ-ქართველური მიმართებების'' III ტომი მთლიანად ეძღვნება ეტრუსკულ ენასა და მის ქართველურთან მიმართების საკითხს. ნაშრომებში ჩამოყალიბებული თვალსაზრისით, ეტრუსკული წინაბერძნულ ენობრივ სამყაროს განეკუთვნება და მისი ფორმირება ამგვარად უნდა მომხდარიყო: კავკასიური, უპირატესად ქართველური, ტომების ერთი ნაწილის მიგრაციის შემდეგ (ძვ. წ. III–II ათასწლეულთა მიჯნა) ეგეიდა-ანატოლიის რეგიონში ეგეოსური სუბსტრატის ბაზაზე უნდა წარმოქმნილიყო ქართველურის მონათესავე მინოსური დას. ანატოლიურ-პელასგურ ენათა ჯგუფი. მისი თანდათანობითი დიფერენციაციის შედეგად ძვ. წ. XX ს-იდან მოყოლებული მიმდინარეობდა წინაბერძნულ, წინაიტალიურ ენათა მთელი წყების ჩამოყალიბების პროცესი. დაახლოებით ძვ. წ. XIII–XII სს. შორის ე. წ. დარდანიული (ტროული) ენიდან წარმოიქმნა ტირსენიული, ხოლო ეტრუსკულ ენაზე მოლაპარაკე ხალხთა იტალიაში გადანაცვლების შემდგომ – ეტრუსკული. აქედან გამომდინარე, ეტრუსკულის ქართველურთან მიმართებას აქვს სისტემური ხასიათი და ენათა შეპირისპირების ყველა დონეზე ვლინდება როგორც გრამატ. სტრუქტურაში (ფონოლოგია, მორფოლოგია და ა. შ.), ასევე ლექსიკაშიც.

ლიტ.: ა ვ ა ლ ი ა ნ ი ე., ეტრუსკოლოგიის ნარკვევები, თბ., 2005; კ ო ბ ა ხ ი ძ ე ე., ეტრუსკული საკულტო ტერმინოლოგია (სემანტიკა, გენეზისი), თბ., 1994; მ ი ს ი ვ ე, ეტრუსკები ანტიკურ ლიტერატურაში, თბ., 2007; B e e k e s R., The Origin of the Etruscans, Amsterdam, 2003; B e e k e s R., V a n d e M e e r L. B., De Etrusken Spreken, Muiderberg, Coutinho, 1991; B o n f a n t e G., B o n f a n t e L., The Etruscan Language: an Introduction, Manchester, 2000; Etruscan Life and Afterlife: A Handbook of Etruscan Studies, ed. L. Bonfante, Detroit, 1986; P a l l o t t i n o M., Etruscologia, Milano, 1973; P f i f f i g A., Die etruskische Sprache. Versuch einer Gesamtdarstellung, Graz, 1969; P f i f f i g A. J., Einführung in die Etruskologie. Probleme, Methoden, Ergebnisse, Darmstadt, 1972; P i t t a u M., La Lingua Etrusca. Grammatica e lessico, Nuoro, 1997; R i x H., Etruskische Texte, Bd. 1–2, Tübingen, 1991; S t e i n b a u e r D., Neues Handbuch des Etruskischen. Scripta Mercaturae, 1999; W a l l a c e R. E., Zikh Rasna: a Manual of the Etruscan Language and Inscriptions, Beech Stave Press, 2008.

რ. გორდეზიანი.

ეუთო, იხ *ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია.*

ეული სანდრო (ნამდვ. გვარი და სახელი – ქ უ რ ი ძ ე ალექსანდრე ქაშვარდის ძე) [11 (23). X. 1890, სოფ. ზომლეთი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 25. III. 1965, თბილისი], პოეტი. 1907 დაამთავრა ლანჩხუთის სამოქალაქო სასწავლებელი. 1909-იდან, ფოთში მუშაობის დროს, ჩაება რევ. საქმიანობაში. 1920 იყო ქართ. ბოლშევიკური გაზ. ,,კომუნისტის'' რედაქტორი. იყო საქართვ. მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი (1934–39), ჟურნ. ,,ნიანგის'' რედაქტორი (1925, 1928–30, 1936–44), საქართვ. საჯარო ბ-კის დირექტორი (1933–36 და 1944–62). ლექსების ბეჭდვა 1909 დაიწყო. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების (1921) შემდეგ ე. იყო ,,პროლეტარული მწერლობის'' ერთ-ერთი მეთაური. აღსანიშნავია მისი პოემები: ,,არწივების ბუდე'', ,,ჭალადიდი''; დრამ. პოემა ,,ახალი ბალეტი''; პიესა ,,უძლეველი ძალა''; მოთხრობები: ,,ამირან ვაშალომიძე'', ,,სიცოცხლის დაბრუნება'' და სხვ., რ-ებიც გაერთიანდა კრებულებში: ,,რჩეული ლექსები და პოემები'' (1930), ,,პოემები'' (1933), ,,რჩეული'' (1941), ,,პატარა მოთხრობები'' (1942).

დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: თხზულებანი ორ ტომად, თბ., 1963–64.

ლიტ.: ა კ ე რ მ ა ნ ი ნ., ბ ა ქ რ ა ძ ე თ., ლ ა ი შ ვ ი ლ ი ნ., სანდრო ეული–ქურიძე. 1890–1960 (მოკლე ბიბლიოგრაფიული საძიებელი), თბ., 1960.

ა. მირიანაშვილი.

ეფთვიმე, იხ. *ექვთიმე III* (ეფთვიმე).

ეფთვიმე (ე ქ ვ თ ი მ ე) I (ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე), აფხაზეთის (დას. საქართველოს) კათოლიკოს-პატრიარქი 1578–1616; ადრე იყო მოქვის მთავარეპისკოპოსი – მ ო ქ ვ ე ლ ი. ბიჭვინთის საკათოლიკოსოს შეუძინა დიდძალი მოძრავი ქონება: თვალ-მარგალიტით შემკული, ძვირფასი ქსოვილებისაგან დამზადებული საპატრიარქო შესამოსელი, ოქრო-ვერცხლისაგან ნაკეთები სარიტუალო ინვენტარი, მდიდრულად მოკაზმული საეკლ. წიგნები, ,,ქართლის ცხოვრება'', თავისივე გადაწერილი ,,გულანი'' და სხვ. ამასთან პირადი ქონებაც ეკლესიის საკუთრებად აქცია. კერძოდ, ოდიშის მთავარს, *ლევან II დადიანს*, ადგილ-მამულის საკათოლიკოსოსათვის გადასაცემად მისცა დიდი რაოდენობით ძვირფასი ნივთი.

კათოლიკოსმა შეამკო მოქვის ტაძარი, სპეციალურად მოაჭედვინა და შესწირა მას მოქვის ღვთისმშობლის ხატი. მისი შეკვეთით გადაიწერა უამრავი ხელნაწერი, რებმაც გაამდიდრა საქართვ. თითქმის ყველა კუთხის ეკლესია-მონასტერი.

წყარო: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, თ. ჟორდანიას გამოც., წგ. 2, ტფ., 1897.

ლიტ.: ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

ბ. ლომინაძე.

ეფთვიმე (ე ქ ვ თ ი მ ე) II (ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე), აფხაზეთის (დას. საქართველოს) კათოლიკოს-პატრიარქი 1669–73. ძირითადად იმერეთში ცხოვრობდა. 1672 იმყოფებოდა ოდიშის მთავარ *ლევან III დადიანის* კარზე, სადაც შეხვდა ფრანგ მოგზაურს ჟან შარდენს. წერილში, რ-იც ბაგრატ IV-მ (1669) გაუგზავნა რუს. მეფეს – ალექსი მიხეილის ძეს, იმერეთის სამეფოს თავკაცთა შორის იხსენიება როგორც ,,საქართველოს მაკურთხეველი კათალიკოზი''.

წყარო: B r o s s e t M., Переписка на иностранных языках Грузинских царей с Российскими государями от 1659 до 1700, СПб., 1861.

ლიტ.: ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., მასალები დასავლეთ საქართველოს XVII–XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 31.

ბ. ლომინაძე.

ეფთვიმე გენათელი (ერისკაცობაში – შ ე რ ვ ა შ ი ძ ე) (გ. 1822), მიტროპოლიტი 1776–1820, ეკავა ჯუმათის საეპისკოპოსო. დიდი ხარჯი გასწია გელათის საეპისკოპოსოს ეკონ. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ყურადღებას აქცევდა გაპარტახებული ადგილების აღდგენას. სოფ. ბოსლევში ხე-

ლახლა დაასახლა გლეხები, ააშენა სოფ. მუხაღრუა, იქვე ააგო ეკლესიაც. იბრძოდა ცენტრ. სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის. 1789 შედიოდა იმერეთის საერო და საეკლ. თავკაცთა ჯგუფში, რ-თაც წინადადებით მიმართეს *ერეკლე II-ს,* თავისი ხელისუფლების ქვეშ გაეერთიანებინა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები. 1819, იმერეთის აჯანყების დროს, ე. ბ. რუს. ხელისუფლებამ დააპატიმრა – ეგზარქოს *თეოფილაქტეს* ცრუ დაბეზღების გამო იგი მიჩნეული იყო აჯანყების ერთ-ერთ მოთავედ. ე. ბ. სხვებთან ერთად გადაასახლეს რუსეთში.

ლიტ.: იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას გამოც., ტფ., 1936; კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წგ.2, ტფ., 1921; კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია (XIX ს.)., თბ., 1954. *ბ. ლომინაძე.*

ეფორე (Ephoros) (დაახლ. ძვ. წ.405–330), ბერძენი ისტორიკოსი მცირე აზიის ქ. კიმედან; ავტორია 30 წიგნად შედგენილი თხზულებისა – ,,ისტორია‘‘, რ-იც მოიცავს ძვ. ბერძნ. სამყაროს ისტორიას დორიელთა შემოსევებიდან ძვ. წ. 340 წლამდე, ფილიპე მაკედონელის ხანამდე. ე-ს თხზულების ფრაგმენტი მოღწეულია გვიანდელ ავტორთა, პირველ რიგში, სტრაბონის ნაშრომში, თუმცა ამ ავტორთა მიერ ე-ს შრომის უშუალო გამოყენებას საეჭვოდ მიიჩნევენ. სტრაბონთან მოყვანილ ფრაგმენტებში რამდენჯერმე მოიხსენიება ხალიბთა ტომი და მისი ადგილსაცხოვრისი.

გამოც.: Jakoby F., Die Fragmente der griechischen Historiker, Berlin–Leiden, 1927, S. 70. *ნ. ლომოური.*

ეფრემ I, აღმ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1497–1503. მოიხსენიება კახთა მეფის *ალექსანდრე I-ისა* და ძეთა მისთა გიორგისა და დიმიტრის მიერ კათოლიკოსისადმი გაცემული 1500–02 წწ. დათარიღებულ საბუთში, რ-ის მიხედვით საკათოლიკოსოს საკუთრებაში გადაეცა საგარეჯოს მამულების შემოსავლის ნაწილი, აგრეთვე მამული კახეთში.

წყარო: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, თ. ჟორდანიას გამოც., წგ. 2, ტფ., 1897.

ეფრემ II (ერისკაცობაში – გრიგოლ შიოს ძე სიდამონიძე) (19. X. 1896, სოფ. დოესი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 7. IV. 1972), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1960–72). განათლება მიიღო გორის სას. სასწავლებელში. 1918 დაამთავრა თბილ. სას. სემინარია, 1920–22 სწავლობდა თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტზე. 1922 აღიკვეცა ბერად. 1925 ე. II აიყვანეს არქიმანდრიტის ხარისხში და დაინიშნა აღმ. საქართვ. მონასტრების მთავარეპისკოპოსად. 1927 ხელდასმულ იქნა ეპისკოპოსად და დაინიშნა თავდაპირველად მანგლისის, შემდეგ კი ნინოწმინდის ეპისკოპოსად. შეთავსებით იყო კათოლიკოს პატრიარქის ქორეპისკოპოსი, საიდანაც 1928 პირადი თხოვნის საფუძველზე გაათავისუფლეს. 1930 დროებით განაგებდა ურბნისის ეპარქიას. 1937 ე. II, როგორც ხელისუფლებისათვის მიუღებელი პიროვნება, დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. 1944 გათავისუფლდა სასჯელისგან და ქუთათელ-გაენათელ ეპისკოპოსად დაინიშნა. 1945 აყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში და დროებით მართავდა არგვეთის, ნიკორწმინდის, ცაგერისა და ჭყონდიდის ეპარქიებს. 1953 გადაყვანილ იქნა ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის მმართველად. 1960-იდან იყო საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქი. ე. II-ის ინიციატივით მცხეთაში გაიხსნა სამოძღვრო სასწავლებელი, რ-იც 1963 სემინარიად გადაკეთდა. მისი კათოლიკოსობის დროს საქართვ. ეკლესია შევიდა *ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში.* 1970 ე. II-ს მიენიჭა ღვთისმეტყველების დოქტორის სამეცნ. ხარისხი. დაჯილდოებული იყო ალექსანდრიის, ანტიოქიის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუსეთისა და საქართველოს მრავალი საეკლ. და საერო ორდენითა და მედლით. დაკრძალულია თბილ. სიონის ტაძარში.

ლიტ.: ვარდოსანიძე ს., სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ეფრემ II, თბ., 2007; ჟვანია ზ., საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ქუთ., 1994; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000; Журнал Московской Патриархии, 1960, 1972. *ე. ბუბულაშვილი.*

ეფრემ ასური (306 – 9. VI. 373), სირიელი მწერალი, ასკეტურ-მისტიკური მიმართულების საეკლესიო მოღვაწე. მისი თხზულებები განსაკუთრებით პოპულარული იყო ქრისტ. აღმოსავლეთში, კერძოდ, საქართველოში. დაიბადა ქ. ნისიბინში, წარმართთა ოჯახში, ჭაბუკობის ასაკში მიიღო ქრისტიანობა. როდესაც ნისიბინი სპარსელთა ხელში გადავიდა, იძულებული გახდა დაეტოვებინა (363) მშობლიური ქალაქი. 365 ედესაში დასახლდა.

ე. ა-ის ლიტ. მემკვიდრეობა მოიცავს მრავალ პროზაულ და პოეტურ თხზულებას. მას ეკუთვნის ბიბლ. ტექსტების კომენტარები, თეოლ. პოლემიკა, დიდაქტ. ხასიათის ჰომილიები, აპოკრიფები, საღვთისმეტყველო და ისტ. თემებზე შექმნილი ჰიმნები. აღსანიშნავია მისი ჰიმნები ნისიბინზე ,,Carmina Nisibina‘‘ (პირველი ოცი ჰიმნი დაწერილია ნისიბინში 350–363, დანარჩენი 52 – ედესაში 363–373). სირიულ პოეზიაში მის მიერ უნდა იყოს შეტანილი მადრაშის (სასმღერო ლექსები) ერთ-ერთი სახეობა ,,სოღითა‘‘ და ლექსის შვიდმარცვლიანი ზომა. პროზაული თხზულებებიდან მნიშვნელოვანია ქრისტ. აღმოსავლეთში გავრცელებული ,,სახარების‘‘ ტექსტის – ,,დიატესარონეს‘‘ – კომენტარები. ე. ა-ის თხზულებათა დიდი ნაწილი ადრინდ. თარგმანების სახით არის შემონახული ბერძნ., სომხ., კოპტურ და ეთიოპიურ ენებზე. სირიულ ენაზე ზოგიერთი თხზულება დაცულია სირიელი ბერის სევერუსის კრებულში ,,Catena Patrum‘‘, აგრეთვე უფრო გვიანდელ სირიელ ავტორებთან.



ეფრემ II.

სქართველოში ე. ა-ის თხზულებანი ფართოდ იყო ცნობილი ჯერ კიდევ VIII–IX სს-ში. ამ თხზულებებს სწავლობდნენ და თარგმნიდნენ. მათი ავტორი დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. ეს კარგად ჩანს გიორგი მერჩულეს ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც‘‘. 977 ოშკში გადაწერილი ე. ა-ის ქადაგებათა კრებული ცხადყოფს, რომ მისი თხზულებანი ქართულად ჯერ კიდევ X ს-მდე უთარგმნიათ. ე. ა-ის მთარგმნელთა შორის არიან ქართვ. მოღვაწეები *ექვთიმე მთაწმიდელი* და *ეფრემ მცირე* (,,სწავლანი‘‘, ,,ასკეტიკონი‘‘, ,,ლოცვები‘‘ და სხვ.).

თხზ.: Opera omnia, v. 1–6, Roma, 1732–46 (3 ტ. ბერძნ., 3 ტ. სირ., ლათ. თარგმანით).

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960; Baumstark A., Geschichte der syrischen Literatur, B., 1968.

კ. წერეთელი.

ეფრემი (XIII–XIV სს. მიჯნა), მინიატიურისტი და კალიგრაფი. 1300 მოქვის მთავარეპისკოპოსის დანიელის შეკვეთით გადაწერა მოქვის ოთხთავის სახელით ცნო-

ბილი სახარება, რ-იც ერთ-ერთი უმდიდრესი ქართ. ხელნაწერია მინიატიურებისა და მორთული საზედაო ასოების რაოდენობის მხრივ [152 მინიატიურა, 531 საზედაო ასო (ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი Q-902)]. ხელნაწერის მორთულობა ტრადიციულია: 10 კამარა, ვედრება, მახარებლები, თავსამკაულები, მინიატიურები სახარების სიუჟეტებითა და საზედაო ასოებით. სიუჟეტის მხრივ საგანგებოდაა აღსანიშნავი იშვიათი გამოსახულება – ქრისტეს გენეალოგიური ხე და ღვთისმშობელი ყრმით, რ-თა წინ მუხლი მოუყრია დანიელ მოქველს. სახარების მორთულობისთვის Ე. ოსტატურად იყენებს მცენარეებს, ფრინველთა და ცხოველთა ფიგურებს; საზედაო ასოების ნაწილი ფერადი ზოლებით (ოქროსი, ლურჯი, წითელი) არის გამოყვანილი; ზოგი ფიგურა საკმაოდ რეალისტურადაა წარმოდგენილი.

ვ. ბერიძე.

ეფრემის ქრონიკა, ლექსად დაწერილი ისტორიული ქრონიკა. ავტორის – ეფრემის (Ephraim) ბიოგრაფია უცნობია. ქრონიკა 1313 ახლო ხანებში დაიწერა. იგი იწყება იულიუს კეისრის (I ს.) მოღვაწეობით და მოიცავს ისტ. მოვლენებს 1261 ბიზანტიაში ლათინთა ბატონობის დამხობის ჩათვლით. Ე. ქ-ში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი კომნენოსებისა და ანგელოსების ეპოქას და ნიკეის სამეფოს ისტორიას.

ავტორი გვაწვდის ცნობას ბიზანტ. იმპ. ბასილი II-ის საქართველოში ლაშქრობის შესახებ. საყურადღებოა, რომ გაერთიანებული საქართველოს მცხოვრებლებს იგი ,,აბაზგებს'' (t'Abasgoi) უწოდებს. *გიორგი I-ც*, რ-საც ებრძოდა ბასილი II, ბიზანტ. წყაროებში იწოდება ,,აბაზგთა მეფედ''. მოჰყავს აგრეთვე იმპ. მიხეილ VII-ის ბერად აღკვეცისა და დედოფალ – მარიამის (მართა-ყოფილის) იმპ. ნიკიფორე ბოტანიატესთან ქორწინების ფაქტი, თუმცა დედოფლის სახელს არ ახსენებს. იმპ. ისააკ II ანგელოსს აუჯანყდა სარდალი ალექსი ვრანა, რ-ის წინააღმდეგ შეკრებილი ჯარი ისააკ ანგელოსის სიძის კონრად მონფერატელის მეთაურობით, ეფრემის თქმით, შედგებოდა ,,სკვითთა, იტალიელთა, აგარიანთა და იბერიელთაგან''.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 7, თბ., 1967.

ნ. მიწიშვილი.

ეფრემიძე თორნიკე იპოლიტეს ძე (დ. 10. VIII. 1932, სოფ. სალხინო, ვანის მუნიციპალიტეტი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (1998). დაამთავრა ქუთაისის პედ. ინ-ტი (1954). 1976–85 და 2001–05 იყო ქუთაისის ა. წერეთლის სახ. სახელმწ. უნ-ტის ფიზიკის კათედრის გამგე, ამავე უნ-ტის საგამომცემლო-სარედ. საბჭოს თავრე (1999–2004), 2006-იდან არის ემერიტუს პროფესორი. კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა, კვანტური ველების თეორია, ფიზ. ისტორია. დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში ფიზ. განვითარების ისტ. შესწავლაში.

ეფრემ მაწყვერელი, აწყურის ეპისკოპოსი დაახლ. 845–885. დაიბადა ქართლში, დიდებული აზნაურის ოჯახში. იზრდებოდა ხანძთის მონასტერში, იყო *გრიგოლ ხანძთელის* მოწაფე, შემდეგ მოღვაწეობდა ნეძვის მონასტერში. წყაროებში იხსენიება „დიდი ეფრემის'' სახელით. Ე. მ. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, მან არსენ I კათოლიკოსის წინააღმდეგ შექმნილი ძლიერი დაჯგუფება მშვიდობიანად დაშალა, კათოლიკოსს შეარიგა უკმაყოფილო ეპისკოპოსები და მთავარი გუარამ მამფალი. Ე. მ-ის მცდელობით ქართ. ეკლესიამ იერუსალიმის პატრიარქ სერგისაგან (843–859) მიიღო უფლება „მირონის კურთხევისა'' ქართლში (მანამდე მირონი იერუსალიმიდან იგზავნებოდა). დასაფლავებულია აწყურის მონასტერში. Ე. მ. შერაცხულია წმინდანად, მისი ხსენების დღეა 17 (30) აპრილი.

წყარო: გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ე, ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963.

ლიტ.: ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე ა., ერთი ქრონოლოგიური საყრდენი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა (აშოტ I დიდი კურაპალატის სიკვდილის თარიღის შესახებ), კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წგ. 1, თბ., 1970; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1965.

ბ. ლომინაძე.

ეფრემ მცირე, XI ს. II ნახევრის სასულიერო მოღვაწე, ღვთისმეტყველი, ფილოლოგი, ფილოსოფოსი, მთარგმნელი. 1091 აირჩიეს კასტანის მონასტრის წინამძღვრად შავი მთის ქართ. კოლონიაში. სავარაუდოდ იქვე გარდაიცვალა. რუის-ურბნისის საეკლ. კრების (1104) აქტები მას უკვე მიცვალებულთა შორის იხსენიებს. შავი მთის ქართველმა მოღვაწეებმა, რ-ებიც ქართ. მწერლობის განვითარების საქმეს ემსახურებოდნენ, სათანადოდ გამოიყენეს Ე. მ-ის ნიჭი, დიდი განსწავლულობა და ბერძნ. წიგნების თარგმნა მიანდეს.

Ე. მ. განსაკუთრებული მოვლენაა ქართ. მწერლობის ისტორიაში ღრმა განსწავლულობითა და ბერძნ. მწერლობის საფუძვლიანი ცოდნით.

მთარგმნელობითი მოღვაწეობის დასაწყისში Ე. მ. წინამორბედ ქართვ. მთარგმნელთა, განსაკუთრებით კი ათონელთა, მთარგმნელობითი პრინციპების („სიტყუა დართვითი თარგმანის'') მიმდევარი იყო და მათ მოწაფედ თვლიდა თავს. ხოლო შემდგომ თანდათან ჩამოაყალიბა საკუთარი მთარგმნელობითი კონცეფცია.

Ე. მ-მ სათავე დაუდო ელინოფილურ მიმართულებას ქართ. მწერლობაში. ელინოფილობამ, როგორც კულტ. ორიენტაციამ, მოიტანა ბიზანტ. სას. მწერლობის ზედმიწევნითი აღქმის მოთხოვნილება როგორც შინაარსობრივი (საღვთისმეტყველო), ისე ფორმის (ენობრივ-სტილისტური და ტერმინოლოგიური) კუთხით, რამაც, წინარე მთარგმნელობითი ტრადიციისაგან განსხვავებით, გამოიწვია ორიგინალის თითქმის ადეკვატური გადატანა თარგმანში; ამ ეპოქის ბიზანტ. მოღვაწეთათვის დამახასიათებელია საეკლ. ტექსტების მეცნ.-კრიტ. კვლევის მეთოდოლ. შემუშავება, ლიტ.-თეორ. აზროვნებისაკენ სწრაფვა, რიტორიკისა და გრამატიკისადმი ღრმა ინტერესი, კომენტატორული მოღვაწეობა, აგრეთვე ანტ. კულტ. მემკვიდრეობისადმი განსაკუთრებული ინტერესი.

Ე. მ-მ თარგმნა და ააგო ისეთი კრებულები, რ-ებიც შედგენილობით, სქოლიოებით – საღვთისმეტყველო, მითოლ., რიტორიკული, გრამატ., ლექსიკოგრაფიული და სხვ. ხასიათის კომენტარებითა და შენიშვნებით – კოლოფონებით (ანდერძებით), ზანდუკებით, მარგინალური ნიშნებით, პუნქტუაციით, მხატვრული გაფორმებით და ა. შ. საუკეთესო ბიზანტ. კრებულების ტოლფასია და ზოგჯერ აღემატება კიდეც მათ თავისი სისრულით. ამ კრებულებით Ე. მ-მ მაქს. ინფორმაცია მიაწოდა

თანამემამულეთ ბიზანტ. საეკლ. მწერლობის შესახებ.

ე. მ-მ პირველმა მოიყვანა სისტემაში თეოლ. ტერმინოლოგია, შეიმუშავა მწიგნობრული, პალეოგრაფიული, გრამატ. სალექსთწყობო ტერმინოლოგია, რაც დღესაც გამოიყენება. ე. მ. არის ლექსთწყობისა და, ზოგადად, ლიტ-რის პირველი თეორეტიკოსი საქართველოში. მანვე ჩამოაყალიბა სტილური, პოეტიკური თეორია და სხვადასხვა ლიტ.-თეორ. შეხედულებები. ე. მ. პირველი ქართ. ლექსიკონის ავტორია (ფსალმუნთა განმარტების სახისმეტყველებითი ლექსიკონი).

ე. მ-მ თარგმნა თხზულებანი სას. მწერლობის თითქმის ყველა დარგიდან. მას ეკუთვნის სამოციქულოს ახ. რედაქცია, კირილე ალექსანდრიელის მიერ შედგენილი კატენური კრებული სამოციქულოს თარგმანებისა, შექმნა დამოუკიდებელი რედაქცია დავითნის კატენებისა; უთარგმნია გრიგოლ ღვთისმეტყველის 19 აპორეტული (არალიტურგიკული) საკითხავი, ბასილი კესარიელისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიანზელი) ეპისტოლეები, იოანე დამასკელის „გარდამოცემა'', ბასილი კესარიელის, ეფრემ ასურის, კასიანე ჰრომაელის, პალადიოს ელენოპოლელის, თეოდორიტე კვირელის ასკეტიკურ-მისტიკური თხზულებანი, არეოპაგიტული კორპუსი მაქსიმე აღმსარებლისა და გერმანე პატრიარქის სახელით ცნობილი კომენტარებით, გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 სადღესასწაულო სიტყვა ბასილი მინიმუსის კომენტარებით (ხელმეორედ თარგმნილი ექვთიმე ათონელის შემდეგ ახ. მთარგმნელობითი პრინციპით), სხვადასხვა ავტორის მეტაფრასული ცხოვრებანი, ჰომილეტიკური თხზულებანი. დიდია ე. მ-ის ღვაწლი ლიტურგიკულ თუ არალიტურგიკულ თარგმანსა და ორიგინ. ჰიმნოგრაფიაში (მარხვანის ციკლი). ძირითადად ე. მ-მ დაუდო სათავე ქართ. ორიგინ. თუ ნათარგმნ არალიტურგიკულ ჰიმნოგრაფიას, რ-იც გაგრძელდა გელათის სკოლაში (გრიგოლ ღვთისმეტყველის „ასეული იამბიკო'', აგრეთვე ორიგინ. იამბიკური თუ 16-მარცვლიანი შესხმები და სხვ.).

ე. მ-ის ორიგინ. ისტ.-ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „უწყებაჲ'' სხვადასხვა წყაროდან შეკრებილია ცნობები ქართველთა მოქცევის შესახებ. მისი მიზანი იყო ქართ. ეკლესიის ავტოკეფალიის დაცვა. ორიგინალურად ითვლება ე. მ-ის კოლოფონები, ზოგიერთი კომენტარი და შენიშვნა, რ-თა ისტ.-ბიბლიოგრ. და ლიტ. მნიშვნელობა ძალზე დიდია.

ჩვენამდე მოაღწია ე. მ-ის ერთმა ავტოგრაფულმა ნუსხამ (S–1276, XI ს. მიწურული) – ჰომილეტიკურმა კრებულმა, რ-იც უმეტესად საკუთრივ მისეული თარგმანების კრებულია. მასზე ჩანს ტექსტზე მუშაობის ეფრემისეული მეთოდი, კომენტირებისა და რედაქტირების პრინციპები.

ე. მ-ის დამსახურებაა შუა საუკუნეების ქართ. ფილოს. აზროვნებაში არეოპაგიტული მოძღვრების (იხ. *არეოპაგიტიკა)* შემოტანა. მის მიერ თარგმნილმა არეოპაგიტულმა კორპუსმა და კომენტარებმა გააღრმავა ინტერესი არეოპაგიტული მოძღვრების ანტ. წყაროების, კერძოდ, პროკლეს მოძღვრებისადმი. იოანე დამასკელის „ცოდნის წყაროს'' ეფრემისეული თარგმანისა და შენიშვნების მიხედვით კი – ელინური განათლება, გარეშე სიბრძნე, კლასიკური ტრივიუმი და კვადრიუმი ღვთისმეტყველებას უნდა ემსახურებოდეს, რათა „მათითავე ისრითა'' განიგმიროს გარეშე (წარმართული, ანტ.) ფილოსოფია.

ე. მ-ის მოღვაწეობის მიმართულებები გააგრძელეს არსენ იყალთოელმა და ე. წ. პეტრიწული, ანუ გელათური სკოლის წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით იოანე პეტრიწმა. ამ სკოლაში გაგრძელდა ე. მ-ის მიერ დაწყებული საღვთისმეტყველო და ფილოს. ლიტ-რის თარგმნა და კომენტირება, ბიზანტ. რიტორიკის სხვადასხვა საკითხებზე ლიტ.-თეორ. შეხედულებათა ჩამოყალიბება. არეოპაგიტიკამ და იოანე პეტრიწის ფილოს. შეხედულებებმა ნიადაგი მოუმზადა რუსთაველის მსოფლმხედველობას და, გარკვეულწილად, მის ლიტ.-თეორ. შეხედულებებს. ეკლესიისა და ერის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და ღირსი ეფრემ მცირე უწოდა. მისი ხსენების დღეა 18 (31) იანვარი.

თხზ.: მოსავსენებელი მცირე სჯმენისათჳს ლოღოეტისა [და] თხრობაჲ მიზეზთა ამათ საკითხავთა თარგმანისათა, წგ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 5, თბ., 1957; უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევსასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიჴსენების, თ. ბრეგაძის გამოც., თბ., 1959; შ ა ნ ი ძ ე მ., შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა (ტექსტი და შენიშვნები), თბ., 1968 (თსუ. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11).


ლიტ.: ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი ქ., ეფრემ მცირე, ელინოფილები და ბერძნულ-ქართული ლექსთწყობის საკითხები, კრ.: ფილოლოგიური ძიებანი, [ტ.] 2, თბ., 1995; ბ რ ე გ ა ძ ე თ., ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი ძეგლები, კრ.: მრავალთავი, [ტ.] 1, თბ., 1971; თ ვ ა ლ თ ვ ა ძ ე დ., ეფრემ მცირის ერთი უცნობი ანდერძი, თბ., 1988 (თსუ. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 27); კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.1, თბ., 1960; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ე., ეფრემ მცირის ავტოგრაფი, «ხელნაწერთა ინ-ტის მოამბე», 1969, [ტ.] 1; ო თ ხ მ ე ზ უ რ ი თ., ფსევდონენეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული თარგმანები, თბ., 1989; ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984; ს ი რ ა ძ ე რ., ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975.

ვ. ბააკაშვილი. ქ. ბეზარაშვილი.

ეფრემოვკა (ისტ. გ ო ლ ი), სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გორელოვკის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), მადათაფის ტბის მახლობლად. ზ. დ. 2110 *მ*, ნინოწმინდიდან 15 *კმ*. 179 მცხ. (2002).

ეფშტაინი (Epstein) ედუარდ იოსების ძე (1827, გერმანია, – 1889, თბილისი), გერმანელი პიანისტი, პედაგოგი. საქართველოში პროფ. სამუსიკო განათლების ერთ-ერთი აქტ. მოღვაწე. 1848 შევიდა ლაიფციგის კონსერვატორიაში (პროფ. ე. მოშელესის საფორტეპიანო კლასი). კონსერვ. დამთავრების შემდეგ კონცერტებს მართავდა ევრ. ქვეყნებში, მ. შ. რუსეთშიც. 1857 ე. ცნობილ მომღერალ გ. ფერზინგთან ერთად საგასტროლოდ ეწვია თბილისს და აქვე დარჩა საცხოვრებლად. ეწეოდა, უპირატესად, პედ. მოღვაწეობას. იყო *„კავკასიის სამუსიკო საზოგადოების''* აქტ. წევრი. 1879-იდან მუშაობდა ხ. *სავანელის*, ა. *მიზანდარისა* და კ. *ალიხანოვის* მიერ დაარსებულ სამუსიკო სკოლაში (1882-იდან – სამუსიკო სასწავლებელი). სამი ათეული წლის განმავლობაში ე-მა მრავალი პიანისტი აღზარდა, შეიმუშავა სამუსიკო აღზრდის მეთოდიკური საფუძვლები, რაც ჩამოაყალიბა ნაშრომში „მოზარდი თაობის მუსიკალური აღზრდა'' (1888 დაისტამბა ლაიფციგში, 1898 – პეტერბურგში). 1887 თბილ. საზოგადოებრიობამ აღნიშნა ე-ის პედ. მოღვაწეობის 30 წლისთავი. *ნ. ლორია.*

ეძეძი, X ს. II ნახ. გუმბათოვანი ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი თორთომის ხეობაში, ისტ. ტაოში (ამჟამად თურქ. ტერიტ.). გეგმით „ნახევრად თავისუფალი ჯვრის“ ტიპის ნაგებობა, რ-ის აღმ. მკლავი აფსიდიანი იყო, დანარჩენი სამი მკლავი კი – სწორკუთხა. საკურთხეველს ორივე მხარეს ასევე აფსიდით დასრულებული თითო პატარა სათავსი – სამკვეთლო და სადიაკვნე ჰქონდა. გუმბათი ეყრდნობოდა კედლების კუთხეებს. კვადრ. ფუძიდან გუმბათის წრეზე გადასვლა ხდებოდა პანდანტივების მეშვეობით, რ-ებშიც „ჩახაზულია“ დეკორ. ტრომპები, შესასვლელები მოწყობილი იყო სამხრეთის მკლავსა და დასავლეთის მკლავის ჩრდ. კედელში. ნათდებოდა რვაწახნაგა გუმბათის ყელში დატანებული 8-თაღოვანი სარკმლით. თითო სარკმელი იყო აგრეთვე აფსიდებში, ჩრდ. და დას. მკლავებში. ძუნწად მორთული ფასადი და გუმბათის ყელი შემოსილი იყო სუფთად გათლილი ქვის კვადრებით. აღმ. ფასადზე საკურთხევლის აფსიდს სადიაკვნესა და სამკვეთლოსაგან ყოფდა გეგმით სამკუთხა ღრმა ნიშები. კარსარკმელს აგვირგვინებდა მსუბუქი სათაურები. გუმბათის ყელს და ზოგი სარკმლის სათაურს ამკობდა პოლიქრომული ქვები.



ექეძი. X ს. II ნახევარი.

1960 ე., რ-იც გვიანდ. შუა საუკუნეების დროს მეჩეთად იყო გადაქცეული, მის ადგილას ახალი მეჩეთის აგებასთან დაკავშირებით დაანგრიეს.



ექვთიმე (კერესელიძე).

ლიტ.: Беридзе В., Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тб., 1981 (ტექსტი აგრეთვე ფრანგ. ენაზე). *თ. საყვარელიძე.*

ექვთიმე (ერისკაცობაში – ესტატე სოლომონის ძე კერესელიძე) (1865, სოფ. სადმელი, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 1944, ზედაზნის მონასტერი, მცხეთის მუნიციპალიტეტი), ზედაზნის მონასტრის იღუმენი. XIX ს. 80-იან წლებში ე-ს თაოსნობით თბილისში დაარსდა უფასო „საღმრთო წიგნთ-საკითხავი“, რ-ის მიზანი იყო ძვ. ქართ. საეკლ. გალობის შესწავლა და გავრცელება. 1912 ბერად აღიკვეცა გელათში. 1917 ხელდასმულ იქნა მღვდელ-მონაზვნად. 1921 ქუთაისში კომუნისტური ხელისუფლების მოსვლისთანავე დააპატიმრეს, მაგრამ მალე გაათავისუფლეს. 1925 განაწესეს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, სადაც ფარულად გადმოიტანა და გადამალა საეკლ. გალობის იშვიათი ხელნაწერები. სვეტიცხოველში მან მიაკვლია ძლისპირთა უძველეს ნევმირებულ კრებულს და ეს საგალობლებიც ხუთხაზიან საწოტო სისტემაზე გადმოიტანა.

1929 ე. ზედაზნის მონასტერში განაწესეს, სადაც რკინის ყუთებში საიმედოდ დაცული ქართ. საგალობლების ხელნაწერები მიწაში დაფლა. 1935 ე-მ სახელმწ. მუზეუმს გადასცა 5532 საგალობლის ხელნაწერი და სას. შინაარსის 34 საწოტო კრებული. დაკრძალულია ზედაზნის მონასტერში.

2003 საქართვ. მართლმადიდებელმა ეკლესიამ იღუმენი ე. ქართ. საეკლ. საგალობლების გადარჩენისათვის წმინდანად შერაცხა და ექვთიმე აღმსარებელი უწოდა. მისი ხსენების დღეა 20 იანვარი (ახ. სტ. 2 თებერვალი).

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, თბ.–ათონი, 2003.

თ. მარგველაშვილი.

ექვთიმე (მჭედლიშვილი) (გ. 1804), გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტი 1775–1804. იყო ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში დიდად განსწავლული, *ერეკლე II-ისა* და *გიორგი XII-ის* კარზე დაახლოებული პირი, სამეურნეო-ეკონ. საქმეების კარგი ორგანიზატორი. ე-მ ააშენა ლეკების მიერ გადამწვარი სოფ. ხაშმი. აშენებდა ვენახებს, წისქვილებს, მიწაზე ასახლებდა უმიწაწყლო გადმოხვეწილ გლეხებს. მისი ინიციატივით იოანე ნათლისმცემლის მონასტერს გადაეცა არაერთი ყოფილი სამეფო მამული. ე-ს თაოსნობით სავანეში ითარგმნებოდა სას. ლიტ-რა. მან საბა ნინოწმინდელის დავალებით, დაწერა წმ. ნინოს საგალობლები. 1797, როდესაც თბილისში შავი ჭირის ეპიდემიამ იფეთქა, უდაბნოს ბერები, ე-ს ხელმძღვანელობით, ეხმარებოდნენ ავადმყოფ და უპოვარ ხალხს. საქართვ. სამოციქულო ეკლესიამ, ეკლესიისა და ერისათვის დამაშვრალი მოღვაწე წმინდანად შერაცხა. ღირსი ექვთიმეს ხსენების დღეა 8 (21) აგვისტო.

ლიტ.: იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. 2, თბ., 1948; ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966; ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, თბ.–ათონი, 2003.

ბ. ლომინაძე.

ექვთიმე I, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1049–55. ცნობები მის შესახებ არ შემონახულა.

ექვთიმე II, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1220–22. ცნობები მის შესახებ არ შემონახულა.

ექვთიმე III (ეფთვმე), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი XIV ს. I ნახევარში. გიორგი ბრწყინვალესთან ერთად ენერგიულად შეუდგა მონღოლთა ბატონობის შედეგად დარღვეული სახელმწ. წესრიგის აღდგენას; მონაწილეობდა საკანონმდებლო დარბაზის მუშაობაში, რ-მაც მთის მოსახლეობისათვის კანონები შეიმუშავა (იხ. *„ძეგლის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ“*). ე. III იღვწოდა მთიულეთ-ხევის მოსახლეობაში შერყეული ქრისტ.-ზნეობრივი ნორმების მოსაწესრიგებლად. ზრუნავდა საზღვარგარეთის ქართ. და არაქართ. ქრისტ. მონასტრების მატერ.-მორალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 1334 ე. III-მ პალესტინის საბაწმიდის მონასტერს შეწირულება გაუგზავნა. დაახლ. ამავე პერიოდში დაეხმარა იერუსალიმის ჯვრის მონასტერს, რისთვისაც მას საუკუნო აღაპი დაუწესეს. მოხსენიებულია სინას მთის მონასტრის სულთა მატიანეში.

წყარო: ძეგლის დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ, წგ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ.1, თბ., 1963; მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI–XVII სს.), თბ., 1962.

ლიტ.: დოლიძე ი., გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957.

ბ. ლომინაძე.

ექვთიმე ათონელი, იხ. *ექვთიმე მთაწმიდელი.*

ექვთიმე მთაწმიდელი, ეფთვიმე მთაწმიდელი (955–1028), მთარგმნელი და სასულიერო მოღვაწე, ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარი,

ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი (1005–19). ექვთიმეს მამა იოანე მთაწმიდელი იყო ათონის ქართველთა სამონასტრო კოლონიის ფუძემდებელი. მამის ბერად აღკვეცის შემდეგ ექვთიმე პაპისა და ბიძების ზედამხედველობით იზრდებოდა. ამ ხანებში ბიზანტ. იმპერატორმა დავით კურაპალატს „ზემონი ქუეყანანი'' დაუთმო და მძევლად აზნაურთა შვილები მოითხოვა, მ. შ. აღმოჩნდა ექვთიმეც. მამამ იმპერატორის ნებართვით დაიბრუნა შვილი და მასთან ერთად ათანასეს ლავრაში (ათონის მთა) დამკვიდრდა. იოანე ბავშვობიდანვე ერის განათლებისათვის ზრუნვას უნერგავდა შვილს. მამამ განსწავლა და აღზარდა ექვთიმე, რ-მაც „უმეცრების საბურველი'' მოხსნა ქართველთა გონებას. მამა-შვილის ღვაწლი იმდენად დიდი იყო, რომ თანამოღვაწენი და მოწაფენი მათ აფასებდნენ, როგორც „შემდგომად ღმრთისა ამათ სულთა ცხორებისა მომცემელნი ქართველთა ნათესავსა''.

მამის გარდაცვალების შემდეგ ე. მ. ათონის მონასტრის წინამძღვარი გახდა. მას ეკისრებოდა ეპიტროპობა ანუ მესულეობა ათონის ლავრისა, სამას სულზე ზრუნვა, აღმშენებლობითი საქმიანობა და არაქართული სავანეების დაარსება. 14 წლის შემდეგ ე. მ-მა დატოვა წინამძღვრობა. მისი ღვაწლი აღწერა *გიორგი მთაწმიდელმა.*

ე. მ-მა ლიტ. მოღვაწეობა 975–977 დაიწყო. იგი ბავშვობიდანვე სრულყოფილად ფლობდა ბერძნ. ენას; თარგმნიდა არა მარტო ბერძნულიდან ქართულად, არამედ ქართულიდან ბერძნულადაც [მისი ბიოგრაფი ბერძნულ ენაზე ნათარგმნთა შორის ასახელებს „ბალაჰვარს'' *(„სიბრძნე ბალავარისი'')* და „აბუკურას'']. ექვთიმეს ბერძნულადაც დაუწერია თხზულება სამონაზვნო ცხოვრების წესების შესახებ.

ე. მ-მა დასაბამი მისცა ქართ. მწერლობის პოპულარიზაციას საერთაშ. სარბიელზე. მან წარმატებით შეძლო ქართველთა სულიერი ცხოვრების სწორად წარმართვა. ღირსი მამის წყალობით ქართ. კულტურა ბერძნულს გაუთანაბრდა. ბიოგრაფის სიტყვებით, ე. მ-ის თარგმანების მსგავსი „არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ვჰგონებ თუ, არცაღა გამოჩინებად არს''. თარგმნისას იგი ერის პრაქტ. საჭიროებას, მის პოლიტ. თუ კულტ. ინტერესებსა და შესაძლებლობებს ითვალისწინებდა. მისი თარგმანები ეხებოდა იმ დარგებს, რ-იც ნაკლებად ან საერთოდ არ იყო ცნობილი ქართ. მწერლობაში.

სას. მწერლობის თითქმის ყველა დარგი ე. მ-თან წარმოდგენილია გამორჩეული თხზულებებით, რ-თაგან ზოგი საეტაპო მნიშვნელობისაა. ძვ. და ახ. აღთქმის წიგნთაგან მას უთარგმნია სახარება-ოთხთავი, იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება, დავითნი და სხვ., ეგზეგეტიკურ თხზულებათაგან – ანდრია კრეტელის „თარგმანი იოანე მახარებლის ხილვისაჲ'', იოანე ოქროპირის „თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ'', ბასილი კესარიელის „თარგმანებაჲ ფსალმუნისაჲ''. მანვე თარგმნა ასკეტიკურ-მისტიკური ხასიათის მრავალი ძეგლი – გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიანზელის), გრიგოლ ნოსელის, იოანე ოქროპირის თხზულებანი და ჰომილეტიკური კრებულები – „მარგალიტი'', „ყვავილკრებული''. ათონელ მოძღვარს გამოკრებილი სახით გადმოუღია ლიტურგიკისთვის აუცილებელი კრებულები: „მცირე სვინაქსარი'', გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა მცირე კორპუსი და სხვ. ათონის ივერთა სავანეს მან შეუდგინა „წესი და განგება''. ეს იყო პირველი ქტიტორული ტიპიკონი, რ-იც გავრცელდა არა მხოლოდ ათონში, არამედ ყველა ქართ. მონასტერში. ე. მ-მა შეადგინა აპოკრიფულ წიგნთა ინდექსი, რ-იც არ იმეორებს დღემდე ცნობილ არც ერთ ინდექსს და ორიგინ. ნაწარმოებად შეიძლება ჩაითვალოს. ბიზანტ. და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების სამართლის ისტორიამ არ იცის ე. მ-ის მიერ შედგენილი „მცირე სჯულისკანონის'' მსგავსი კრებული. თავისი შედგენილობით სრულიად გამორჩეული და ინდივიდ. თხზულება ,,წინამძღუარი'', რ-იც ექვთიმეს მიერ რამდენიმე წყაროს საფუძველზე შედგენილი ქრისტ. ღვთისმეტყველების სახელმძღვანელოა. ათონელმა მამამ თარგმნა კიმენური და მეტაფრასული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, იოანე დამასკელის, კასიანე ჰრომაელის, სვიმეონ მესოპოტამიელის, მაკარი მეგვიპტელისა და სხვა ავტორთა თხზულებანი. გიორგი მთაწმიდლის სიტყვებით, ე. მ-ის მიერ თარგმნილ თხზულებათა „აღრიცხვაჲ კნინღა შეუძლებელ არს''.



ექვთიმე მთაწმიდელი. ფრესკა. XIII ს. ახტალის მონასტრის მოხატულობა.

ე. მ. ბიზანტიელ სწავლულთა, კომენტატორთა თუ ენციკლოპედისტთა ტიპის მოღვაწეა. მისი თარგმანები უაღრესად თავისებურია. „სულიწმიდის მადლით'' ცხებული მთარგმნელი შემოქმედებითად უდგებოდა ტექსტს – მიმართავდა კომპილაციას, ავსებდა სხვადასხვა წყაროდან ან ტექსტის სქოლიოებიდან ამოკრებილი ცნობებით, ერთი და იგივე წყარო შეჰქონდა სხვადასხვა თხზულებაში, ურთავდა საკუთარ კომენტარებს, ცვლიდა ორიგინალის ჟანრს, ზოგჯერ თარგმანის სათაურსაც კი ავრცობდა. ათონელი მოძღვრის თარგმანებში მთარგმნელის უფლება ავტორის უფლებას უთანასწორდება. მან კატეგორიულად დასვა საკითხი, რომ თხზულება უშუალოდ დედნიდან ეთარგმნათ. მისი თარგმანები სადა და დახვეწილია, თხრობა – ლაღი და ბუნებრივი.

თანამემამულენი შესანიშნავად აცნობიერებდნენ ექვთიმეს პატრიოტულ მისიას. გადამწერი იორდანე მაირენისელის ცნობით, თავად დავით კურაპალატი იყო დაინტერესებული ე. მ-ის თარგმანთა გამრავლებით. გიორგი ჭყონდიდელს წერილი გაუგზავნია ღირსი მამისათვის და უთხოვია განემარტა საეკლ. მწერლობასთან დაკავშირებული ზოგი საცილობელი საკითხი. ეფრემ მცირის თქმით, ე. მ-მა გააღრმავა ქართვ. მკითხველის ცოდნის დონე, რითაც შესაძლებელი გახადა ზუსტ თარგმანზე გადასვლა.

დიდი სას. მოღვაწე ქართ. და

ბერძნ. ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად და ეწოდა ღირსი ექვთიმე. მისი ხსენების დღეა 13 (26) მაისი.

წყარო: გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 2, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1967.

ლიტ.: ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1982; კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 2, თბ., 1945; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1 – ძველი მწერლობა, თბ., 1960; მეტრეველი ე., ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996; ჭელიძე ი., უძველესი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, თბ., 1997.

ვ. ბაკაშვილი. ნ. ჩიკვატია.

ექვთიმიშვილი თამაზ აკაკის ძე (დ. 12. I. 1956, თბილისი), მწერალი, დრამატურგი. დაამთავრა თსუ-ის ქიმიის ფაკ-ტი (1977). პირველი მოთხრობა ,,ამპუტაცია'' გამოაქვეყნა 1985, პირველი კრებ. ,,ჟირაფები ზამთარში'' – 1995. 1999 გამოსცა მოთხრობათა კრებ. ,,მოწმე''. ავტორია რომანისა ,,აქ, იმ ქალაქში'' (2010), ნოველებისა და პიესებისა, რ-ებიც იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებსა და ალმანახებში. 2010 პიესისათვის



წმ. გიორგის ექვსაფსიდიანი ეკლესია. X ს. ბოჭორმა.

,,პუანტები'' მიენიჭა ლიტ. პრემია ,,საბა''.

ექვსაფსიდიანი ეკლესია, გუმბათოვანი ეკლესიის ტიპი, რომელმაც ქართული ხუროთმოძღვრების გარდამავალი პერიოდის ბოლოს, X ს-ში, საქართვ. სხვადასხვა პროვინციაში იჩინა თავი. იგი წარმოიშვა როგორც *ტეტრაკონქის* ძვ. ტიპის ერთგვარი დეკორ. გადამუშავების თუ განვითარების შედეგი. თუ არ ჩავთვლით *ნინოწმინდის* ტაძარს (VI ს., საგარეჯოს მუნიციპალიტეტი), ეს ერთადერთი სახეობაა ქართ. გუმბათიანი ტაძრებისა, რ-ებშიც გუმბათის კვადრატს არ ეყრდნობა. გუმბათის საყრდენად აქ გამოყენებულია რადიალურად განლაგებული აფსიდების ექვსი შვერილი. გარედან ე. ე. შედგება ორი ერთმანეთზე შესმული წახნაგოვანი ცილინდრისაგან: ქვემო, უფრო ფართო, შეიცავს თვით აფსიდებს. ზემო – გუმბათის ყელია. ამ ტიპის ცალკეული ნიმუშები საკუთარი თავისებურებით გამოირჩევა. ე. ე-ის ნიმუშებია: *გოგიუბის*, ქიაგლის-ალთის, ოლთისის, *ბოჭორმის* ეკლესიები, *კაცხის ტაძარი*. გენეტიკურად ამავე თემასთანაა დაკავშირებული *კუმურდო* და *ნიკორწმინდა*.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; მისივე, Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тб., 1981 (ტექსტი აგრეთვე ფრანგ. ენაზე).

ვ. ბერიძე.

ექიმბაშობა, კანონით აკრძალული ექიმობა, როდესაც მკურნალს არა აქვს სამედიცინო განათლება და სამკურნალოდ იყენებს მეცნიერულ საფუძველს მოკლებულ საშუალებებსა და პრიმიტიულ ხერხებს, რასაც თან ახლავს სხვადასხვა შელოცვა და რიტუალი. ე-ს დიდი ხნის ისტორია აქვს. ექიმბაშები დაავადების გამომწვევ მიზეზად ავ სულებს მიიჩნევდნენ. დროთა განმავლობაში ე. გამოეყო ხალხ. მედიცინას. იგი ხელობად, ექიმბაშის გამდიდრების წყაროდ იქცა. მეცნ. და ხალხ. მედიცინისაგან ნასესხები მკურნალობის სხვადასხვა ხერხისა და პრიმიტიული წესით დამზადებული წამლების უმეცრული გამოყენების შედეგად მკურნალობა ექიმბაშის ხელში ტლანქ, ზოგჯერ დანაშაულებრივ თაღლითობად იქცევა.

საქართველოში ხალხ. მკურნალობის მაღალი დონე ყოველთვის ზღუდავდა ე-ის ფართოდ გავრცელებას. ჩვენს დროში ე. სხვადასხვა სახით კვლავ იჩენს ხოლმე თავს. იგი უაღრესად უარყოფითი და არქაული მოვლენაა. საქართვ. სისხლის სამართ. კოდექსი უკანონო საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობისათვის ითვალისწინებს სისხლის სამართ. პასუხისმგებლობას (მ. 246).

ი. ქურჩიშვილი.

ექიმთა ასოციაცია საქართველოსი, პირველი არასამთავრობო, პროფესიული ორგანიზაცია საქართველოში. დაფუძნდა 1989 წელს.

იგი აერთიანებს ჩვენი ქვეყნის ყველა პროფილის ექიმს; დაინტერესებულია, რომ მისი წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის ჯანდაცვის პოლიტიკისა და სტრატეგიული განვითარების საკითხების ფორმირებაში. ე. ა. ხელს უწყობს ქვეყანაში მოსახლეობის სამედ. დახმარების ხარისხის და ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებას.

მისი საქმიანობა მოიცავს ქვეყნის ძირითად ტერიტორიას, ასევე საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანას, სადაც საქართვ. ე. ა-ის ინტერესთა კოორდინაცია ხორციელდება ასოციაციის წარმომადგენლების მიერ. ასოციაცია დასახულ მიზნებს ახორციელებს მის სტრუქტურაში მყოფი კომიტეტების საშუალებით.

ე. ა-ის ამოცანებია: ჯანდაცვის სისტემის დეცენტრალიზაციის ხელშეწყობა, ექიმთა უფლებების დაცვა, ექიმთა პროფ. სრულყოფის მხარდაჭერა, სამედ. მიღწევების პოპულარიზაცია, ეკოლ. და დემოგრ. პრობლემების გაშუქება, ბიოსამედიცინო ეთიკა, ახალგაზრდა ექიმთა დახმარება, სასწავლო, სამეცნ. და პრაქტ. ღონისძიებების ორგანიზაცია და წარმართვა, ექიმთა და სამედ. დაწესებულებების ლიცენზირება – აკრედიტაცია, უწყვეტი სამედ. განათლება და უწყვეტი პროფ. განვითარება; საკანონმდებლო ორგანოსთან მჭიდრო ურთიერთობა.

ე. ა-ს საქმიანი ურთიერთობები აქვს და თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშ. ორგანიზაციასთან: PWG (Permanent Working Group of European Junior Doctors), EFMA-WHO (European Forum of Medical Associations and World Health Organization), AMA (American Medical Association), EMSA (European Medical Students` Association), EUMS (European Union of Medical Specialists) და სხვ. ე. ა-ს შესრულებული აქვს 11 საერთაშ. და ქვეყნის შიდა გრანტი და პროექტი.

ასოციაციის მთ. აღმასრულებელი პირია დირექტორთა საბჭოს თავ-რე (გ. ლობჟანიძე). პრეზიდიუმს წარმოადგენს მოქმედი საპატიო პრეზიდენტი (ნ. ლომიძე) და არჩეული საპატიო პრეზიდენტი (შ. ჯაფარიძე).

„ექიმი“, ყოველთვიური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი სამედიცინო ჟურნალი. ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების პირველი გამოცემა ქართულ ენაზე.

გამოდიოდა თბილისში 1919 წ. იანვრიდან ივლისის ჩათვლით (სულ გამოიცა 8 ნომერი), იბეჭდებოდა სტამბაში ,,სორაპანი‘‘. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: ს. *ვირსალაძე*, ვ. *მოსეშვილი*, გ. *მუხაძე*, შ. *მიქელაძე*, ა. *ნათიშვილი*, პასუხისმგებელი რედაქტორები იყვნენ: ს. ვირსალაძე, შ. მიქელაძე. ჟურნალის მიზანს წარმოადგენდა სამედ. მეცნიერების პოპულარიზაცია. ,,Ე-ში‘‘ იბეჭდებოდა ქართვ. პროფესორთა და ექიმთა ნაშრომები მედ. სხვადასხვა დარგიდან.

ᲔᲫᲡᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ელეონორა გრიგოლის ასული (11. II. 1919, თბილისი, – 5. I. 2003, იქვე), კომპოზიტორი, პედაგოგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967). 1940 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვ. ფორტეპიანოსა (ხელმძღვ. ა. თულაშვილი) და კომპოზიციის (ხელმძღვ. ი. რიაზანოვი და ა. ბალანჩივაძე) განხრით. 1944-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. სახელმწ. კონსერვატორიაში, 1973-იდან პროფესორი (სპეც. ფორტეპიანოს კათედრა). 1973 განათლების სამინისტროსთან გაიხსნა საქართველოში პირველი ექსპერ. სამუსიკო სკოლა-სტუდია, რ-იც ფუნქციონირებს Ე-ის მეთოდიკით. 1944-იდან საქართვ. სახელმწ. ფილარმონიის სოლისტი. Ე. ავტორია მრავალი მუს. ნაწარმოებისა, მ. შ. აღსანიშნავია: „გასეირნება‘‘ („ტყის მეგობრები‘‘, ერთაქტიანი საბავშვო ოპერა, 1961), პრელუდია და ეტიუდი ფორტეპიანოსათვის (1939), კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმფ. ორკესტრისათვის №1 (1944), №2 (1955), სიმებიანი კვარტეტი №1 (1944), №2 (1942), საფორტეპიანო კვინტეტი (1945), სონატინა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის (1981), სიმღერები, თეატრის მუსიკა და სხვ. Ე. ავტორია მეთოდური ნაშრომებისა, აგრეთვე სამუსიკო ხელოვნების სხვადასხვა საკითხისადმი მიძღვნილი სტატიებისა.

ᲔᲫᲡᲚᲘᲑᲠᲘᲡᲘ (<ლათ. ex libris – წიგნებიდან), გრაფიკულად შესრულებული წიგნის ნიშანი, იარლიყი, რომელიც მიკრულია წიგნის ყდის შიგნითა მხარეს, ზემო მარცხენა კუთხეში და გვამცნობს წიგნის მფლობელის ვინაობას (ბაკას ან კერძო პირს). Ე-ზე შეიძლება გამოსახული იყოს ემბლემა, დევიზი, მფლობელის პროფესიის ამსახველი სიმბოლური ნახატი ან ჰქონდეს სიუჟეტურ-თემატური ხასიათი. ნიშანი სრულდება კალმით, ტუშით, აკვარელით, ნაბეჭდი Ე. კი – ცინკოგრაფიული, ქსილოგრაფიული, ოფორტის, ლითოგრ. და ლინოგრავიურის ტექნიკით. Ე. XVI ს-ში პირველად გერმანიაში გამოჩნდა. ცნობილია გერმ. ფერმწერთა ა. დიურერის, ჰ. ჰოლბაინ უმცროსის, ლ. კრანახის Ე-ები.

Ე-ის პირველი ქართ. ნიმუში XVII ს. ქართ. ხელნაწერშია შემონახული. XX ს. 20–30-იან წლებში Ე-ზე ნაყოფიერად მუშაობდნენ მხატვრები (ვ. წილოსანი, ვ. გრიგოლია, ვ. ქუთათელაძე, დ. ციციშვილი, გ. ლეჟავა, ვ. თოფურიძე, ნ. ჩერნიშკოვი, დ. გაბაშვილი, ს. კეცხოველი, ლ. გუდიაშვილი), არქიტექტორები და სხვ. 1934 ქ. ლოს-ანჯელესში (აშშ) Ე-ის საერთაშ. გამოფენაზე, მონაწილეობდნენ: ვ. წილოსანი, ვ. ქუთათელაძე, ვ. გრიგოლია (პირველი პრემია), დ. ციციშვილი (ვერცხლის მედალი). XX ს. 60–70-იან წლებში Ე-ებს ქმნიდნენ: ნ. კანდელაკი, მ. თუშმალიშვილი, ი. თუმანიშვილი, ნ. ფოფხაძე და სხვ. 1972 საქართვ. ხელოვნ. მუზეუმში მოეწყო ვ. წილოსანის Ე-ების კოლექციის გამოფენა, რამაც სტიმული მისცა Ე-ის შემდგომ განვითარებას საქართველოში. Ე-ების საინტერესო ნიმუშები შექმნეს ახალგაზრდა მხატვრებმა: ე. ჯოხაძემ, ტ. თუმანიშვილმა, ი. სამსონაძემ, კ. თოდუამ, ნ. ჭურღულიამ, ნ. ჯიქიამ, ნ. მუმლაძემ, ა. რიჟინაშვილმა. 1982 თბილისში, ,,მხატვრის სახლში‘‘, მოეწყო ამიერკავკ. რესპუბლიკებისა და საკავშ. (1985) გამოფენები Ე-ის დარგში. 2001, თბილისშივე მოეწყო ,,ქართველი მხატვრის ექსლიბრისის‘‘, ხოლო 2002, 2009 – ,,თანამედროვე ქართული ექსლიბრისის‘‘ გამოფენები, რ-ზეც წარმოდგენილი იყო ლ. ლომთაძის, ნ. ზაალიშვილის, კ. ფაჩულიას და სხვათა ნამუშევრები.

მ. გაჩეჩილაძე.

ᲔᲫᲡᲝᲠᲘᲐ [ლათ. ex– -გან, -იდან და ბერძნ. horos – საზღვარი (მოძვ.)], სახელმწიფოდან განდევნა, გადახვეწა (უმთავრესად პოლიტიკური მიზეზების გამო). ფეოდ. საქართველოში ტერმინი ,,ექსორია‘‘ იხმარებოდა *გაძევების* აღსანიშნავად. ასეთ სასჯელს ადებდნენ ,,მინდობით გამოყვანილ‘‘, ანუ მშვიდობიანი მოლაპარაკებით დამორჩილებულ შეთქმულებს, ,,ვისაც განდგომაში მცირედი მონაწილეობა ჰქონდა მიღებული, აგრეთვე განდგომისა და ღალატის მეორეგზისი განზრახვისა და დაპირებისათვის‘‘ (ივ. ჯავახიშვილი). გაძევებულს ,,ექსორიაქმნილი‘‘ ეწოდებოდა.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 2, თბ., 1984 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 7).

ი. ფუტკარაძე.

ᲔᲫᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲫᲘᲠᲣᲠᲒᲘᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ კ. ერისთავის სახელობისა, სააქციო საზოგადოება, ქირურგიის ერთ-ერთი მოთავე დაწესებულება, რომელიც შეიქმნა 1946 როგორც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ახლანდ. სტატუსი მიიღო 2000). მისი დამაარსებელი და პირველი დირექტორი იყო გ. *მუხაძე*.

სხვადასხვა დროს ინ-ტის დირექტორები იყვნენ: გ. მუხაძე, კ. *ერისთავი*, გ. *იოსელიანი*, ვ. *ფიფია*, გ. *გოკიელი*, ბ. მოსიძე და სხვ.

თავდაპირველად ინ-ტი მუშაობდა ქირურგ. პათოლ. საკითხებზე, ძირითადად კი – საჭმლის მომნელებელი სისტემის ქირურგ. პრობლემებზე. არსებობის პერიოდში ქირურგ. ეროვნ. ცენტრი ჩამოყალიბდა როგორც მრავალპროფილური, სპეციალიზებული სამეცნ.-კვლ. და კლინ. დაწესებულება – ზოგადქირურგიული, ანგიოლოგიის და რეკონსტრუქციული ქირურგ. კლინიკა შესაბამისი განყოფილებებით, ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და ჰემოდიალიზის განყოფილება, კარდიოქირურგიული კლინიკა ,,ღია გული‘‘, ფილტვის ქირურგიის, ნეიროქირურგიის, ანესთეზიოლოგია-რეანიმაციისა და დიაგნოსტიკის განყოფილებებით.

ინ-ტში ექსპერიმენტულად მუშავდებოდა ქირურგ. აქტუალური საკითხები. მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღებული ხელოვნური და დამხმარე სისხლის მიმოქცევის, ხელოვნური გულის ბიოტექნიკური სისტემის შემუშავებაში, შექმნასა და ექსპერ. აპრობაციაში; თავის ტვინისა და გულის იზოლირებული პერფუზიის, კორონარული დაავადებების ქირურგ. მკურნალობის, გასტროდუოდენური სისხლდენის მკურნალობის, გაუტკივარების, თრომბოემბოლიური გართულებების პროფილაქტიკისა და მკურნალობის ახ. მეთოდების დამუშავებაში; აგრეთვე, ღვიძლის მწვავე უკმარისობის მკურნალობის, მიოკარდიუმის რევასკულარიზაციის მეთოდების,

ექსლიბრისი



დ. ციციშვილი. ექსლიბრისი გ. ნიორაძისათვის. ქსილოგრაფია. 1930.



ლ. გრიგოლია. საკუთარი ექსლიბრისი. ცინკოგრაფია. 1933.

გულ-ფილტვის პრეპარატის მოდიფიცირებული ტრანსპლანტაციის საკითხებში. დეტალურად იქნა შესწავლილი პოსტქოლეცისტექტომიური სინდრომის კლინიკა და მკურნალობა; იქვე პირველად საქართველოში, წარმატებით განხორციელდა თირკმლის ტრანსპლანტაცია და სხვა.

2012-იდან ცენტრში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები. კერძოდ, მნიშვნელოვნად დაიხვეწა სამედ. მომსახურების ხარისხი; პაციენტის ოპერატიული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა ერთიანი კომპიუტერული ელექტრონული ბაზა; გაუმჯობესდა შიდა და გარე ინფრასტრუქტურა, გაფართოვდა უკვე არსებული რეანიმაციული, ინტენს. თერაპიისა და პოსტოპერაციული განყ-ბა. ჩამოყალიბდა მრავალი ახ. სამსახური: ამბულატორიულ-დიაგნოსტიკური, ქირურგ. გინეკოლოგია, მ. შ. ონკოგინეკოლოგია, გულმკერდის ქირურგია, ტოქსიკოლოგიური, თერაპიული, ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული, ალერგოლოგიური, ყბა-სახის, პროქტოლოგიური, ნევროლოგიური, უროლოგიური და სხვ. დაინერგა უახლესი სადიაგნოსტიკო-კვლევითი მეთოდები. დამონტაჟდა თანამედროვე სამედ. აპარატურა (IV თაობის კომპიუტერული ტომოგრაფი), შეიქმნა გადაუდებელი მედ. სამსახური.

კლინიკა არის თბილ. სახელმწ. სამედიცინო უნ-ტის, თბილ. დავით აღმაშენებლის სახ. უნ-ტის, თბილ. ივ. ჯავახიშვილის სახ. უნ-ტის სასწავლო ბაზა.

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲠᲤᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ, იხ. *მორფოლოგიის ინსტიტუტი* ა. ნათიშვილის სახელობისა.

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲐ, ფსიქოლოგიის დარგებისა და განხრების საერთო დასახელება, სადაც ეფექტურად გამოიყენება ექსპერიმენტული მეთოდი, უმთავრესად ლაბორატორიული ექსპერიმენტი. ფსიქ. პროცესების ხელოვნურ გამოწვევას და აღნუსხვას, ანუ ფსიქოლ. ექსპერიმენტს, უძველეს დროშიც იყენებდნენ, ხოლო XVIII ს-იდან მას საკმაოდ ხშირად მიმართავდნენ უპირატესად ფსიქოფიზიოლოგიის სფეროში. რეაქციის დროის ექსპერ. კვლევა პირველად ასტრონომმა ფ. ბესელმა განახორციელა (1823), ხოლო შეგრძნების ზღურბლებისა – ფიზიოლოგმა ე. ვებერმა (1834). პირველი ფუნდამენტური ნაშრომი ე. ფ-ში („ფსიქოფიზიკის ელემენტები“; 1860) შექმნა გ. ფეხნერმა. მასში მოცემულია ე. ფ-ის ყველა მთავარი ნიშანი – ცვლადებს შორის კანონზომიერი კავშირის გამოვლენა, ადეკვატური მეთოდური ხერხებისა და სათანადო მათ. აპარატის გამოყენება შედეგების დასამუშავებლად.

ექსპერ.-ფსიქოლ. კვლევას სისტემ. ხასიათი მისცა ვ. ვუნდტმა, ლაიფციგის უნ-ტში თავისსავე დაარსებულ ფსიქოლ. ლაბორატორიაში (1879). აქ მიმდინარეობდა მარტივი ფსიქ. პროცესების (შეგრძნება-აღქმა, რეაქციის დრო, ასოციაციები, უნებლიე ყურადღება, ელემენტარული გრძნობები) ექსპერ. შესწავლა. ვუნდტს მიაჩნდა, რომ მაღალი ფსიქ. პროცესების კვლევისთვის ექსპერ. მეთოდი არ გამოდგება. პირველი, რ-მაც წარმატებით გამოიყენა ექსპერიმენტი მაღალი ფსიქ. პროცესების კვლევისას, იყო ჰ. ებინგჰაუსი (1885). ორიგინ. მეთოდიკური სისტემის გამოყენებით მან შეისწავლა მეხსიერება (შეგნებული დასწავლა და დავიწყების პროცესი). მისი კვლევა გააღრმავა გ. ე. მიულერმა გეტინგენის ლაბორატორიაში (1881). აზროვნებისა და ნებელობის ექსპერ. კვლევა წამოიწყეს ო. კიულპემ და მისმა თანამშრომლებმა ვიურცბურგის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში (1901–09; ვიურცბურგის სკოლა). ვუნდტისაგან განსხვავებული პრინციპებით მიმდინარეობდა ექსპერ. მუშაობა კ. შტუმპფის ბერლინის ლაბორატორიაშიც (1894). 1904, ებინგჰაუსის თაოსნობით შეიქმნა გერმანიის ე. ფ-ის საზ-ბა. XX ს. დამდეგისთვის ექსპერ.-ფსიქოლ. კვლევა ევრ. სხვა ქვეყნებშიც გაიშალა. იგი განსაკუთრებით პოპულარული გახდა ამერიკაში, სადაც ვუნდტის მოწაფემ ს. ჰოლმა 1883 ბალტიმორში გახსნა პირველი ექსპერ. ლაბორატორია. 1900-თვის უკვე 42 საუკეთესოდ აღჭურვილი ლაბორატორია მუშაობდა. საწყის ეტაპზე ამერიკაში ე. ფ-ს უფრო გამოყენებითი ორიენტაცია ჰქონდა, თუმცა იგი ევროპაშიც აღარ შემოიფარგლებოდა მხოლოდ აკად. ინტერესით და ზოგადფსიქოლ. თემატიკით, რაც ვუნდტისთვის იყო დამახასიათებელი. ე. ფ-ის კვლევა წარიმართა პედ. და განვითარების ფსიქოლოგიის (ე. მოიმანი, ს. ჰოლი, ე. ჯ. ბოლდუინი, ე. კლაპარედი და სხვ.), დიფერენციალურ ფსიქოლოგიის (რ. კეტელი, ა. ბინე, ვ. შტერნი და სხვ.), ინდუსტრიული და იურიდ. ფსიქოლოგიის (ჰ. მიუნსტენბერგი, ვ. შტერნი და სხვ.), კლინ. ფსიქოლოგიის (პ. ჟანე, ლ. უიტმერი და სხვ.), ცხოველთა ფსიქოლოგიის (ე. თორნდაიკი, რ. იერქსი და სხვ.) განხრით.

XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისის ფსიქოლოგთა უმეტესობა, რ-თაც რამდენადმე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თავიანთი დარგის განვითარებაში, თვალსაჩინო ექსპერიმენტატორები გახდნენ. დღეს ე. ფ. გავრცელებულია ფსიქოლ. კვლევის პრაქტიკულად ყველა სფეროში. მიმდინარეობს მისი მეთოდური პოტენციალის განვითარება. საკუთრივ ფსიქოლ. მეთოდების სრულყოფასთან ერთად (ლაბორატორიული, ბუნებრივი ექსპერიმენტი, ფსიქომეტრული და ა. შ.) ე. ფ. წარმატებით იყენებს მომიჯნავე მეცნიერებათა მეთოდებსაც (ნეიროფიზიოლოგიის, ბიოლოგიის, სოციოლოგიის და სხვ.).

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ფსიქოლ. მეცნიერება ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ე. ფ-თან. ლაიფციგში განსწავლულმა დ. *უზნაძემ* თავისი განწყობის თეორია თავიდანვე ექსპერ. მონაცემებზე დააფუძნა. ექსპერ. კვლევა პირველ ხანებში მიმდინარეობდა (1918) თბილ. უნ-ტის უზნაძის მიერ დაარსებულ ფსიქოლ. ლაბორატორიაში. 1943-იდან ფსიქოლ. კვლევის (მ. შ. ექსპერიმენტულის) ცენტრი გახდა უზნაძისავე დაარსებული საქართვ. მეცნიერებათა აკად. ფსიქოლ. ინ-ტი.

განწყობის ეფექტების ექსპერ. კვლევამ ფსიქოლ. მეცნიერება სრულიად ახ. ემპირიული მონაცემებით გაამდიდრა. მათი საშუალებით დადასტურდა განწყობის თეორიის მრავალი დებულება. ამ კვლევაში მონაწილეობდნენ ქართ. ფსიქოლ. სკოლის რამდენიმე თაობის მეცნიერები. განსაკუთრებულია პირველი პლეადის წარმომადგენელთა წვლილი (ე. აბაშიძე, ი. *ბჟალავა*, ნ. ელიავა, რ. *ნათაძე*, ვ. ნორაკიძე, ბ. ხაჭაპურიძე, ზ. ხოჯავა, შ. ჩხარტიშვილი და სხვ.).

ე. ფ-ის კვლევა მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ფსიქოლ. სხვადასხვა დარგებში (სოც. დიფერენციალური, კლინ. განვითარების და ა. შ. ფსიქოლოგია). ზოგად ფსიქოლოგიაში ორიგინ. მეთოდიკის გამოყენებით შესწავლილია

აღქმის, მეხსიერების, აზროვნების, მეტყველების, ემოციების, მოტივაციის და სხვ. პროცესები. ამ გამოკვლევებმა ფართოდ გაუთქვეს სახელი ქართ. ფსიქოლოგიას, როგორც გამორჩეული ექსპერ. კულტურის მქონე მეცნ. სკოლას.

ლიტ.: უ ზ ნ ა ძ ე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, შრომები, ტ. 3–4, თბ., 1964; მ ი ს ი ვ ე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, იქვე, ტ. 6, თბ., 1975; ი მ ე დ ა ძ ე ი., ფსიქოლოგიის ისტორია, თბ., 2008; Г л е й т м а н Г., Ф р и д л у н д А., Р е й с б е р г Д., Основы психологии, СПб., 2001; С о л о м о Р., М а к л и н К., Экспериментальная психология, М., 2006; Экспериментальная психология, под ред. П. Фресса и Ж. Пиаже,т.1–6, М., 1966–78; B o r i n g E.G., History of Experimental Psychology, N.Y., 1950.

ი. იმედაძე.

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ, პერსონალურ კომპიუტერზე მორგებული პროგრამა, რომელსაც შეუძლია დიალოგურ რეჟიმში შეასრულოს კვალიფიციური ექსპერტის როლი სხვადასხვა პრობლემურ დარგში (მედიცინა, ელექტრონიკა, ეკოლოგია, ეკონომიკა და ა. შ.). Ე. ს. იყენებს ამ სფეროში მომუშავე წამყვანი სპეციალისტების ცოდნასა და გამოცდილებას სათანადო ბაზის შესაქმნელად და გვეხმარება გადაწყვეტილებათა მიღებაში.

Ე. ს-ის სტრუქტურა შედგება მოდულებისაგან:

1) ცოდნის ათვისების მოდული; 2) ცოდნის ბაზა; 3) გამოყვანის მექანიზმი; 4) Ე. ს-ისა და მომხმარებლის კავშირი (ინტერფეისი). ცოდნის ათვისების მოდული ამუშავებს წინასწარ მოცემულ და ექსპერტთა გამოკითხვით მიღებულ ინფორმაციას, რის შედეგადაც ყალიბდება Ე. ს-ის ცოდნის ბაზა, რ-იც სისტემატურად ახლდება და მდიდრდება როგორც გარედან შემოსული ინფორმაციით, ასევე Ე. ს-ის თვითსწავლების საფუძველზე. გამოყვანის მექანიზმის დანიშნულებაა მომხმარებელთა კითხვაზე პასუხის ან რჩევის ჩამოყალიბება. მასში შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვა მეცნ. მეთოდი: ლოგიკური გამოყვანა (დასკვნა), გადაწყვეტილებათა მიღების თეორია და სხვ. ინტერფეისის საშუალებით მყარდება მოხერხებული კავშირი მომხმარებელსა და Ე. ს-ს შორის. ეს არის ,,ფანჯარა ადამიანთა სამყაროში‘‘.

Ე. ს-ების შექმნაზე მუშაობა დაიწყო საზღვარგარეთ XX ს. 70-იან წლებში. ამ დროისთვის კიბერნეტიკასა და ხელოვნურ ინტელექტზე შეიქმნა მრავალი თეორ. ნაშრომი, დაგროვდა შედეგები, იდეები. ამ მასალის პრაქტიკაში გამოყენების მეშვეობით წარმოიქმნა სხვადასხვა ტიპის Ე. ს-ები. პირველი Ე. ს-ები DENDRAL და MYCIN შეიქმნა აშშ-ში სტენფორდის უნ-ტში (ე. ფეიგენბაუმი, XX ს. 60-იანი წლების ბოლო, ე. შორტლიფი, 70-იანი წლების დასაწყისი). არსებობს Ე. ს-ების ასობით ტიპი, რ-ებსაც წარმატებით იყენებენ ისეთ დარგებში, როგორიცაა სამედ. დიაგნოსტიკა, გეოლ. საძიებო სამუშაოები, ორგ. ქიმია, სამხ. საქმე და სხვ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი Ე. ს-ების თეორ. საფუძვლების შექმნასა და სათანადო პროგრამულ უზრუნველყოფაზე (აღჭურვილობაზე) მუშაობა დაიწყო XX ს. 80-იანი წლების დასაწყისში. მიმდინარეობს კვლევა სხვადასხვა სამეცნ. დაწესებულებაში: სტუ-ში იუნესკოს ხაზით შექმნილ ,,პროექტირების, ავტომატიზაციისა და ექსპერტული სისტემების‘‘ ლაბორატორიაში, რაც გ. *ჩოგოვაძის* სახელთანაა დაკავშირებული; საქართვ. მეცნ. აკად. კიბერნეტიკის ინ-ტში – გადაწყვეტილებათა მიღების Ე. ს-ების შექმნაზე (ვ. ჟუკოვინი). საქართვ. თითქმის ყველა სამეცნ. დაწესებულებაში, განსაკუთრებით კი გამოთვლით ცენტრებში მუშაობდნენ რომელიმე კონკრეტულ პრობლემურ დარგში Ე. ს-ის შექმნაზე (ი. *ფრანგიშვილის* საერთო ხელმძღვანელობით).

ვ. ჟუკოვინი.

ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢᲘ (ინგლ. export < ლათ. exporto – გამაქვს, გავზიდავ), საქონლის, კაპიტალის ან მომსახურების გატანა საზღვარგარეთ, საგარეო ბაზარზე მისი რეალიზაციის მიზნით (იხ. აგრეთვე *საგარეო ვაჭრობა*).

„ᲔᲥᲡᲞᲝᲯᲝᲠᲯᲘᲐ“ (Expo Georgia), გ ა მ ო ფ ე ნ ე ბ ი ს ც ე ნ ტ რ ი ,,ე ქ ს პ ო ჯ ო რ ჯ ი ა‘‘ (სააქციო საზოგადოება). მისი დანიშნულებაა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, მეცნ. და ტექ. მიღწევათა და სამომავლო პერსპექტივების დემონსტრირება და რეკლამა. 1957 თბილისში გაიხსნა საქ. სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მუდმივმოქმედი სამრეწვ. გამოფენა (ცენტრ. შესასვლელი და საერთო დაგეგმარება – არქიტ. ლ. მამალაძე), რ-იც 1960 გადაკეთდა საქ. სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენად, ხოლო 1991-იდან ეწოდა საქართველოს სამეცნ.-ტექ. და კომერც. გამოფენების ცენტრი. 1996-იდან კი მის ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბა გამოფენების ცენტრი ,,Ე.‘‘ მდებარეობს თბილ. ცენტრ. ნაწილში, დიდუბის რ-წში. მისი საერთო ფართობია 139244 $მ^2$, მ. შ. გადახურული საგამოფენო ფართობი – 10200 $მ^2$, ღია საგამოფენო ფართობი – 39500 $მ^2$, საპარკო-სარეკრეაციო ზონა – 35000 $მ^2$, სუბტროპ. კულტურების ორანჟერეა – 940 $მ^2$, ორი დეკორ. აუზი შადრევნებით – 2920 $მ^2$ და სხვ. გამოფენის ტერიტორიაზე განლაგებულია და მოქმედებს სხვადასხვა სტილით აშენებული 11 საგამოფენო პავილიონი, საკონფერენციო დარბაზი სინქრონული თარგმანის აპარატურით (6 ენაზე), საწყობი (3900 $მ^2$), შიდა ავტოსადგომი მსუბუქი მანქანებისა და ტრაილერებისათვის (9000 $მ^2$), კაფე-რესტორანი ,,ტერასა‘‘ (200-ადგილიანი), ღია საკონცერტო მოედანი და ა. შ. საგამოფენო ცენტრში შექმნილია თანამედროვე ინფრასტრუქტურა, მოდერნიზებულია ძირითადი საგამოფენო ფონდები, დაინერგა მომსახურების ახ. სახეები.

„Ე-ის‘‘ საქმიანობის მიზანია საქართვ. და საზღვარგარეთის სახელმწიფოთა შორის ეკონ., სამეცნ.-ტექ., სავაჭრო კავშირებისა და ურთიერთთანამშრომლობის განვითარება, აგრეთვე საგამოფენო ინტერიერების, ოფისებისა და სავაჭრო დარბაზების დაპროექტება და დამონტაჟება, სარეკლამო-საინფორმაციო ღონისძიებების



,,ექსპოჯორჯია‘‘. გამოფენების ცენტრი.

შემუშავება და განხორციელება, საგარეო-ეკონ. თანამშრომლობის ახ. ფორმების განვითარება და სხვ. 1958–2013 გამოფენების ცენტრში ჩატარდა 500-მდე რესპ. და საერთაშ. სხვადასხვა დარგობრივი თუ სპეციალიზებული გამოფენა, გამოფენა-გაყიდვა, ბაზრობა, კონგრესი, სიმპოზიუმი, კონფერენცია, ფესტივალი და სხვა ღონისძიება. საქართვ. ექსპოზიციები მოეწყო ესპანეთში, ინდოეთში, ირანში, იუგოსლავიაში, პოლონეთში, რუსეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, თურქეთში, უზბეკეთსა და ყაზახეთში.

2005 ,,ე.'' აირჩიეს საგამოფენო ინდუსტრიის მსოფლიო ორგანიზაციის (UFI) სრულუფლებიან წევრად გამოფენების ორგანიზატორის კატეგორიაში.

თ. ვარდიშვილი.

ექსპრესიონიზმი (< ფრანგ. expression – გამოსახვა, გამოვლენა), ერთ-ერთი გავრცელებული მოდერნისტული მიმდინარეობა XX ს. აზროვნებაში, განსაკუთრებით ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ფართო გაგებით ასახავს უკიდურეს დაძაბულობასა და ტრაგიზმს თანამედროვე ადამიანის მსოფლშეგრძნებასა და მთელს მის ეგზისტენციალურ ცნობიერებაში.

სახვით ხელოვნებაში ე-ის წინამორბედებად ითვლებიან ფერმწერები: ჰოლანდიელი ვ. ვან გოგი, ნორვეგიელი ე. მუნკი, ბელგიელი ჯ. ენსორი, შვეიც. ფ. ჰოდლერი და სხვ. ე. განსაკუთრებით გავრცელდა გერმანიაში, სადაც ორგანიზაციულად გაფორმდა სხვადასხვა ესთეტ. გაერთიანებაში: „ხიდი'' (1905), „ახალი მხატვრული გაერთიანება'' (1910), რ-ის საფუძველზედაც ჩამოყალიბდა გაერთიანება „ლურჯი მხედარი'' (1911–12).

საქართველოში ე. იმთავითვე გახდა ცნობილი. ამ მიმართულების ღრმა დახასიათება მოგვცა დ. *კაკაბაძემ* თავის ნაშრომში „ხელოვნება და სივრცე'' (1926, პარიზი; 1983, თბილისი). XX ს. 20-იან წლებში ევრ. ხელოვნების ტრადიციებთან ასიმილირებული ე-ის სტილისტურ პრინციპთა ქართულ ხელოვნებასთან შერწყმას ვხვდებით ლ. *გუდიაშვილისა* („თევზი ცოცხალი'', „ქეიფი ქალთან'', „ქეიფი განთიადისას'', „ქრისტინე'' და სხვ.) და შ. *ქიქოძის* („უდროოდ დალუპული მეგობრის მოსაგონებლად'', „სამი მხატვარი'' და სხვ.) შემოქმედებაში. 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში ექსპრესიონისტული სტილიზაციის პრინციპთა გამოყენება დამახასიათებელია ლ. ჭოლოშვილის სურათებისათვის („ეკატერინე გაბაშვილი შვილებთან ერთად'', „ზურაბ არაგვის ერისთავის მკვლელობა'', „ოჯახი'' და სხვ.). XX ს. 80-იან წლებში ე-ისა და ნეოექსპრესიონიზმის გამოცდილება აისახა მხატვრების მ. ცეცხლაძის, ნ. ცეცხლაძის, კ. კაჭარავას, მ. ჯაფარიძის, კ. რამიშვილის, გ. ბუღაძის შემოქმედებაში (გამოფენები: 1985 – თელავში, 1986–87 – თბილისში, 1987–89 – ბერლინსა და ლაიფციგში). ქართველ მხატვართა შემოქმედებაში ე-ის დამახასიათებელი ნიშნები შეხამებულია ეროვნ. მხატვრულ ტრადიციებთან.

ე-ის გავლენა შეიმჩნევა ქართველი მწერლების: დ. *შენგელაიას*, ლ. *ქიაჩელის*, ს. *შანშიაშვილის*, კ. *გამსახურდიას* შემოქმედებაში.

კ. კაჭარავა.

ექსპრომტი (ლათ. expromtum – მზა), რომელიმე მოვლენის ან მისგან მიღებული შთაბეჭდილების გამო სახელდახელოდ შეთხზული ლექსი, უმეტესად სახუმარო, სატირული ან საზეიმო და სახოტბო ხასიათისა. ქართ. მწერლობაში განსაკუთრებით გავრცელებული იყო XVIII–XIX სს-ში. ძვ. ქართ. მწერლობაში ე. *მუნასიბის* სახელით იყო ცნობილი, ე-ს ქართ. ხალხ. სიტყვიერებაში *კაფია* ეწოდება.

მუსიკაში – უეცრად, იმპროვიზაციის შედეგად შექმნილი საფორტეპიანო პიესა. მისთვის დამახასიათებელია ლირიზმი, აღფრთოვანება.

ექსტრადიცია (ლათ. ex – -გან, -იდან, tradition – გადაცემა), სახელმწიფოს მიერ მის ტერიტორიაზე მყოფი ბრალდებულის გადაცემა უცხო სახელმწიფოსათვის პასუხისგებაში მისაცემად ან მსჯავრდებულისა – განაჩენის აღსასრულებლად. სახელმწ. შეუძლია მოითხოვოს, გადასცენ მას ბრალდებული იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული მოხდა მის ტერიტორიაზე, თუ ბრალდებული მისი მოქალაქეა ან დანაშაულის შედეგად დაზარალდა ეს სახელმწიფო. დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის მიზნით დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის **ე**-ის საკითხებს აწესრიგებს ორმხრივი ხელშეკრულებები, საერთაშ. (რეგიონალური) კონვენციები და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა. საქართველოში ბრალდებულის ან მსჯავრდებულის **ე**-ის და **ე**-ზე უარის თქმის გადაწყვეტილებას იღებს საქართვ. იუსტიციის სამინისტრო (საქართვ. მთავარი პროკურატურა). **ე**-ის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. ე-ის საკითხის განხილვისას ეს ორგანოები ხელმძღვანელობენ: სტრასბურგის 1957 წ. ევრ. კონვენციით **ე**-ის შესახებ და მისი დამატებითი ოქმებით; 1993 წ. მინსკის კონვენციით; სტრასბურგის 1983 წ. მსჯავრდებულ პირთა გადაცემის კონვენციით და მისი დამატებითი ოქმით; საქართვ. კონსტიტუციით; საქართვ. სისხლის სამართ. კოდექსით და სისხლის სამართ. სფეროში საერთაშ. თანამშრომლობის შესახებ არსებული საქართვ. კანონით (2010 წ. 21 ივლ.).

საერთაშ. დანაშაულში მხილებული ბრალდებული გადაეცემა სისხლის სამართ. საერთაშ. სასამართლოს. გადაცემა რეგულირდება სისხლის სამართ. საერთაშ. სასამართლოს რომის წესდებით (1998) და საქართვ. კანონით ,,სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ'' (2003 წ. 14 აგვ.).

ლიტ.: გვარამია ვ., საერთაშორისო დანაშაულში ბრალდებულის ექსტრადიცია, თბ., 2002; ექსტრადიციაზე უარის თქმის იმპერატიული საფუძვლები, თბ., 2005.

ვ. გვარამია.

ექსცენტრიკა (ლათ. excentrum – ცენტრის მიღმა), საცირკო და საესტრადო ხელოვნების ჟანრი. მსახიობის (კლოუნი, გიმნასტი) საშემსრულებლო ხერხი, რ-ის დროსაც დარღვეულია ჩვეულებრივი, საყოველთაოდ მიღებული მოქმედების ნორმები. მისთვის დამახასიათებელია ალოგიკურობა, მოულოდნელობა, შეუსაბამობა, იუმორი. ე-ის ხერხებს იყენებენ საცირკო ხელოვნ. ყველა ჟანრში (აკრობატიკა, გიმნასტიკა, მუს. ნომრები). მის ელემენტებს შეიცავდა მოხეტიალე მსახიობთა, ჯამბაზთა, მასხარათა გამოსვლები. საცირკო ე-ის ოსტატები იყვნენ კლოუნები გროფი, ბიმ-ბომი და სხვ. ცხოველების მწვრთნელი ა. ცხომელიძე, გიმნასტი ა. დონატო. ე-ს მიმართავენ მუს. ნომრის შესრულების დროსაც – მუს. საკრავებად იყენებენ ქვებს, ტაფებს და სხვ. *შ. ცუცქირიძე.*

ექტენია (ekteneia), იხ. *კვერექსი.*

ეღიშე (ძვ. სომხ. – ე ღ ი შ ე), V ს. სომეხი ისტორიკოსი. ე-ს ნაწარმოებთაგან უმთავრესია ,,ვარდანისა და სომეხთა ომის შესახებ''. მასში გადმოცემულია სომხ. ისტორია V ს. 20-იანი წლებიდან 60-იანი წლების შუახანამდე. წიგნში მთავარი ადგილი ეთმობა 450–451 სომხ. აჯანყებას ირანის ბატონობის წინააღმდეგ. აჯანყებას მეთაურობდა ვარდან *მამიკონიანი*. ტრადიციის თანახმად, ე. იყო ვარდან მამიკონიანის მდივანი და მეომარი, აჯანყების მონაწილე. იმავე ტრადიციით, აჯანყების დამთავრების შემდეგ იგი ბერად აღიკვეცა და ხელი მოჰკიდა ლიტ. მოღვაწეობას. ე-ს წიგნი მნიშვნელოვანი წყაროა V ს. სომხ. ისტორიისათვის. მასში საყურადღებო ცნობებია იმდროინდელ ქართლსა და ალბანეთზე, ამიერკავკასიის ხალხთა ერთობლივ ბრძოლაზე ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ნაშრომი დაწერილია დახვეწილი ეპიკური სტილით. თარგმნილია რუს., ინგლ., იტალ. და ფრანგ. ენებზე.

ლიტ.: მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი ლ., ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941; А б е г я н М. Х., История древнеармянской литературы, Ер., 1975.

ლ.-ნ. ჯანაშია.

ეშბა ეფრემ (დურუ) ალექსის ძე (20. III. 1893, სოფ. ბედია, – 1939), პარტიული მუშაკი. კომპარტიის წევრი 1914-იდან. სწავლობდა ქუთაისის და თბილ. გიმნაზიებში, შემდეგ მოსკ. უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე. 1917–18 იყო სამურზაყანოს არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რსდმ(ბ) სოხუმის საოლქო კომიტეტის თავ-რე და მუშათა დეპუტატების საბჭოს თავ-რე. აფხ. რევკომის თავ-რე. მას შემდეგ, რაც 1918 წ. 11 ივნ. საქართვ. დემოკრ. რესპ. და აფხაზეთს შორის დადებული ხელშეკრულებით აფხაზეთს ფართო ავტონომია მიენიჭა, ე-ს მეთაურობით სოხუმში შეიქმნა სამხ. რევკომი, რ-მაც სოხუმის ოლქის უშუალოდ რუსეთთან მიერთება გადაწყვიტა. საქართვ. მთავრობის აქტ. საპასუხო მოქმედებით ქართულმა ჯარმა გენ. გ. *მაზნიაშვილის* მეთაურობით 17–22 ივნისს სეპარატისტთა ეს მცდელობა აღკვეთა. ე. იყო საბჭ. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, აფხაზეთში ჩამოყალიბებული რევკომის თავრე, რ-მაც 1921 წლის მარტის დასაწყისში საქართვ. ხელმძღვანელთა წინაშე დასვა საკითხი აფხ. დამოუკიდებელი საბჭ. სოციალ. რესპ. შექმნის შესახებ. 21 მარტს საქართვ. რევკომმა გამოსცა დეკლარაცია აფხ. დამოუკიდებლობის შესახებ. მოგვიანებით (16 დეკ.) ე-მ მხარი დაუჭირა აფხაზეთის შესვლას საბჭ. საქართველოს შემადგენლობაში სახელშეკრულებო საწყისებზე, თუმცა მისი მოღვაწეობა ამ პერიოდშიც ფაქტობრივად საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ იყო მიმართული. 1922 მარტიდან მუშაობდა საქ. კპ ცკ-ის მესამე მდივნად, იმავე წლის ოქტ-იდან – საქ. სსრ იუსტიციის სახ. კომისრად. 1926–27 იყო საკ. კპ(ბ) ჩაჩნეთის ორგბიუროს მდივანი. თანაუგრძნობდა ტროცკისტულ მიმდინარეობას, რისთვისაც პარტიიდან გარიცხეს (1927). 1930–35 მუშაობდა სსრკ საგარეო ვაჭრობისა და მძიმე მრეწველობის კომისარიატებში. პოლიტ. რეპრესიების მსხვერპლი.

გ. ანჩაბაძე.

ეშბა მარინა ეფრემის ასული (20. VII. 1924, ლონდონი, – 17. V. 2002, სოხუმი), აფხაზი მოქანდაკე. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1981). დაამთავრა მოსკ. დეკორ. და გამოყენებითი ხელოვნ. ინ-ტი (1951). 1951-იდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში. მნიშვნელოვანი ნამუშევრები: მამის, ე. *ეშბას* ძეგლი (1973, სოხუმი); ,,1905 წელი'', ბარელიეფი (1955, რევ. მუზეუმი, მოსკოვი); ა. პუშკინის პორტრეტი (1956; სოხუმის სურათების გალერეა); ავტორია მედლებისა: ,,მოსკოვი'' (1957), ,,პირველი თანამგზავრი'' (1958), ,,26 ბაქოელი კომისარი'' (1958) და სხვ.

ეშბა ნელი რაჟდენის ასული (დ. 25. IV. 1928, ოჩამჩირე), აფხაზი რეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1971). 1961 დაამთავრა საქართვ. რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი. იმავე წლიდან სოხუმის ს. ჭანბას სახ. სახელმწ. დრამ. თეატრის, აფხ. დასის რეჟისორი იყო (1962–63 – მთ. რეჟისორი). 1963–64 სტაჟირებას გადიოდა პეტერბურგის მ. გორკის სახ. აკად. დიდ დრამ. თეატრში გ. ტოვსტონოგოვის ხელმძღვანელობით. 1964–68 რეჟისორად მუშაობდა თბილ. ა. გრიბოედოვის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრში. 1968–74 იყო სოხუმის სახელმწ. თეატრის დირექტორი და აფხ. დასის მთ. რეჟისორი. საუკეთესო დადგმები: დ. გულიას ,,აჩრდილები'', პ. კოჰოუტის ,,როცა ასეთი სიყვარულია'', რ. ებრალიძის ,,თანამედროვე ტრაგედია'', ე. შვარცის ,,შიშველი მეფე'', მ. გორკის ,,მოაგარაკენი'', ა. დიუმას ,,კლოდის ცოლი'', დ. ჟოტევის ,,ვენერას შემოსვა'', ბ. შინკუბას ,,სიმღერა კლდეზე'', ფ. შილერის ,,დონ კარლოსი'' და სხვ. 1973–74 და 1977–83 ე. რუსეთის სხვადასხვა თეატრში რეჟისორობდა. 1974–77 იყო ასტრახანის დრამ. თეატრის დირექტორი და მთ. რეჟისორი. 1988 მისი ხელმძღვანელობით მოსკოვში შეიქმნა თეატრი ,,ვრემია'', სადაც იგი მოღვაწეობდა როგორც დირექტორი და მთ. რეჟისორი. *შ. ცუცქირიძე.*

ეშერა, სოფელი სოხუმის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), მდ. გუმისთის მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: ე., გვანდრა, კუტიშხა, შიწკვარა). ზ. დ. 120 *მ,* სოხუმიდან 13 *კმ.* 2,1 ათ. მცხ. (1989).



ე. ეშბა.

ე. ზღვისპირა კლიმ.-ბალნეოლ. კურორტია. იცის ძლიერ რბილი, უთოვლო ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა 5,7°C) და ძლიერ თბილი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპრა 22,9°C); ნალექები – 1488 *მმ* წელიწადში. ე-ის კლიმატი და ზღვა სამკურნალოა გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი ორგანოებისა და ნერვული სისტემის დაავადებებისათვის. სეზონი გრძელდება მთელი წელი. *გ. უშვერიძე.*

ეშერის არქეოლოგიური ძეგლები, სხვადასხვა დროის არქეოლოგიური ძეგლები სოფელ ეშერის (აფხაზეთის არ) ტერიტორიაზე და მის მიდამოებში. 1934 და 1957 წლებში გათხარეს ძვ. წ. III–II ათასწლ. დოლმენების ჯგუფი (ხელმძღვ. ბ. *კუფტინი,* ო. *ჯაფარიძე),* რ-ებშიც აღმოჩნდა კოლექტიური სამარხები (ერთერთ დოლმენში 30 ჩონჩხი იყო). ნაპოვნია ბრინჯაოს ყუადაქანებული ცულები, სატევრები, კავები, თიხის ჭურჭელი, მძივები და სხვ. (იხ. *აფხაზეთის დოლმენები*). 1969 გაითხარა ძვ. წ. II ათასწლ. დასაწყისის (ხელმძღვ. გ. შამბა) 2 კრომლეხი. თითოეული მათგანი შედგება ვერტიკალურად ჩასმული 25–100 *სმ* სიმაღლის ქვების ოთხოთხი კონცენტრული რგოლისგან. კრომლეხების გარე რგოლის დიამეტრია 41 *მ.* მათ ცენტრში კოლექტიური სამარხები იყო. აღმოჩენილია ბრინჯაოს სატევრები, თიხის ჭურჭელი, მძივები და სხვა მასალა, რ-ებიც დოლმენებში აღმოჩენილი არქეოლ. მასალის მსგავ-



მ. ე შ ბ ა. ,,ჯუმა ახუბა''. ქანდაკება.



ნ. ეშბა.

სია. ე. წ. ვერეშჩაგინის გორაზე გაითხარა საქართველოში უძველესი ქვევრსამარხები. ქვევრები მიწაში ვერტიკალურად პირქვე იყო ჩასმული. შიგ ჩაწყობილი იყო მიცვალებულის ძვლები (მეორეული დაკრძალვა), ბრინჯაოს კოლხური ცულები, შუბისპირები, სატევრები, სარდიონის მძივები და სხვ. ანტ. ხანის ძეგლებიდან აღსანიშნავია ძვ. წ. I ათასწლ. II ნახ. ნაქა-



ეშერის არქეოლოგიური ძეგლები. ეშერის კრომლეხი.

ლაქარი, რ-საც 3 ჰა ფართობი უკავია. გათხრილია საფორტიფიკაციო (კედლები-კოშკები) და საცხოვრებელი ნაგებობები, წყალსადენი, აგრეთვე სამაროვანი. აღმოჩნდა ძვ. ბერძნ. ნივთები (შავლაკიანი და წითელფიგურული კერამიკა, სინოპური დამღიანი კრამიტი, კოსის ამფორები და სხვ.).

ლიტ.: Куфтин Б. А., Материалы к археологии Колхиды, [т.] 2, Тб., 1950; Очерки истории Абхазской АССР, ч.1, Сух., 1960; Шамба Г. К., Эшерские кромлехи, Сух., 1974. *გ. შამბა.*

ეშერის მღვიმე, კარსტული მღვიმე სოხუმის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ). იხ. *აძაბის მღვიმე.*



ეშთეჰა (იშტა) მირზა (ნამდვ. სახელი – მირზა აბდ ალ-ლაჰ იბნ ფერიდუნ გორჯი) (1829, ისპაჰანი, – 1872), სპარსელი პოეტი, წარმოშობით ქართველი. აღა-მაჰმად-ხანის მმართველობის დროს მისი ოჯახი სხვა ქართვ. თავადების ოჯახებთან ერთად ჩაიყვანეს ირანში. მიიღო ფილოლ. და ფილოს. განათლება. იყო კალიგრაფი და ამ საქმიანობით ირჩენდა თავს. ავტორია ღაზალებისა. მის პოეტურ ნაწარმოებებში დიდი ადგილი ეთმობა ხილთა და კერძთა ქებას. ისპაანელმა კალიგრაფმა მირზა ნასრ ალ-ლაჰ იბნ მოჰამად შაფიმ ე-ს გაფანტული ლექსები შეკრიბა, წინასიტყვაობა დაურთო და დივანი გააწყო. დივანის ხელნაწერი ინახება თეირანში, ირანის მეჯლისის ბ-კაში. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ეს დივანი დაბეჭდილიც არის. ე. წერდა სარგაშთეს ფსევდონიმითაც. ხაიამფურის ლიტ. ლექსიკონში მას სათანადო ადგილი აქვს დათმობილი.

ლიტ.: აბაშიძე ი., მირზა ეშთეჰა გორჯის დივანი, კრ.: სპარსულ- ქართული ცდანი, თბ., 1983; თოდუა მ., ქართულ-სპარსული ეტიუდები, თბ., 1971. *მ. შონია.*

ეშიკაღასბაში, ეშიკაღასი (თურქ. ეშიქ – ზღურბლი, აღა – ბატონი, ბაშ – თავი), საპოლიციო-აღმასრულებელი აპარატის უფროსი გვიანდ. ფეოდალურ საქართველოში. შემოიღეს სპარს. სამხელეო წყობილების მიბაძვით. ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ცნობით, ეშიკაღასბაშობა როსტომ მეფის დროიდან დაწესდა მანდატურთუხუცესობის მაგიერ. ე-ის ხელქვეითი მოხელეები იყვნენ ხელჯოხიანები (იხ. *არგნოსანი*), *ბოქაულთუხუცესი* (ე-ის მოადგილე), ბოქაული, *სოიბათიასაული, ყორიასაული, იასაული,* მემანდარი, *ყაფიჩი* და თალიში. ისინი ე-ის ხელმძღვანელობით აღასრულებდნენ სხვადასხვა ბრძანებას, სასამართლოს განაჩენ-გადაწყვეტილებას და სხვ. ე. იყო სასახლის მთავარი გამრიგე, მეფის მეჯლისებთან დაკავშირებული ცერემონიალის ხელმძღვანელი, წესრიგის დამცველი; მონაწილეობდა სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხის გადაჭრაში. ვახტანგ მეფის *დასტურლამალში* მოხსენიებულია 2 ე.; მოგვიანებით დაწესდა აგრეთვე არმისა და ხალვათხანის ე-ის სახელოები. ეს ე-ები იყვნენ სასახლის ხელშინაური მოხელეები. XVIII ს. II ნახევარში ქართლისა და კახეთისათვის ცალ-ცალკე არსებობდა სამეფო, არმისა და ხალვათხანის ე-ის სახელოები.

ლიტ.: გაბაშვილი ვ., დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, «ენიმკის მოამბე», 1942, ტ. 13; სურგულაძე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, [ტ.] 1, თბ., 1952.

ი. სურგულაძე.

ეშმაკი, ეშმა (ძვ. ირანული აიშმა – ავი სული, დემონი; ახ. ირანულში ხეშმ, ხიშმ – რისხვა, ცოფი, ბრაზი), ბოროტების საწყისი, სატანა, მაცდური, ღვთის მოწინააღმდეგე, ქართული დემონოლოგიის ძირითადი არსება ხალხური ზღაპრის პერსონაჟი. პირველშემცდენელი გველი იგივე ეშმაკია: „გუელი დასაბამისა, რომელს ეწოდების ეშმაკი და სატანა, რომელი აცთუნებს ყოველსა სოფელსა“ (ბიბლია, აპოკალიფსი. 12.79). ე-ს მიეწერება ბუნების მავნე მოვლენები (ელვა, სეტყვა და სხვ.).

ზღაპრულ ეპოსში ე. ზოომორფული არსებაა, ბალნიანი და რქიანი; ცხოვრობს ნანგრევებსა და მიტოვებულ ადგილებში. აქვს გარდასახვის უნარი. ქრისტ. მოძღვრების მიხედვით, უნებისყოფო ადამიანის სხეულში ჩასახლებული ე. გონებას ურევს მას და აავადებს. ასეთ ავადმყოფებს „მიმძლავრებულთა ეშმაკისათას“ უწოდებენ (ბიბლია, საქმე 10.38). ე. დარაჯობს მელოგინეს, რათა ახალდაბადებულს დაეპატრონოს. იგი ყველა ადამიანის მარცხენა მხარეს ზის და ცდილობს ბოროტებისკენ უბიძგოს, შეაცდინოს იგი (არსებობს გამოთქმა: „ეშმაკმა შემაცდინა“). ე-თა მავნებლობის შეზღუდვას ცდილობდნენ მაგიური ლოცვებით. ე-გან თავდაცვის მიზნით შავტარიანი დანით ჭრიდნენ ნახშირს, კარზე ამაგრებდნენ ნალს ან გახვრეტილ ქვას.

ზოგიერთ ზღაპარში ე. სატირულ იერს ატარებს, მას ხშირად ამასხარავებს და ატყუებს ადამიანი. ე. მხატვრული პროზის ყველა ჟანრში გვხვდება. მეტწილად იგი გათანაბრებულია მითოლ. დაბალი რანგის პერსონაჟებთან: ქაჯთან, ჭინკასთან, ალთან.

ზღაპრებისა და მითოლ. გადმოცემების პოპულარული პერსონაჟებია ეშმაკ-მაცილი (ფშავში – ნაცილი, ხევს., მთიულ. – მაცდური) და ეშმათ კბილსავარცხელა (ადამიანის მტერი, ბოროტი ეშმაკეული დედაბერი დიდი პირით და გრძელი კბილებით). ვაჟა-ფშაველა მას ასე მოიხსენიებს: „დევთ სულნი დაკოდილები, ქვესკნელში ჩაიყარნიან, წინ მაეგებნენ მაცილნი, პირიპსირ შაიყარნიან“ („კოპალა“).

ლიტ.: მაკალათია ს., ფშავი, თბ., 1985; სახოკია თ., ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956; ქართული ფოლკლორი, ტ. 4, თბ., 1974.

მ. ჩაჩავა.



„ეშმაკი“, იუმორისტული ალმანახი; გამოდიოდა 1907–08 თბილისში, როგორც გაზ. „*ხუმარას*“ გაგრძელება. გამომცემლები – პ. გაჩეჩილაძე (1907), პ. კალანდაძე (1908). გამოვიდა სულ 4 ნომერი. კარიკატურები ეკუთვნის ო. *შმერლინგს. ი. ლორთქიფანიძე.*

„ეშმაკის მათრახი“, 1. ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1907–08, 1915–17, 1919–21. სხვადასხვა

დროს რედაქტორები იყვნენ: თ. ბოლქვაძე და ნ. კალანდაძე (ეშმაკი); გამომცემლები: თ. ბოლქვაძე, ა. ბუკია, ე. ლომთათიძე, ს. თავართქილაძე. ჟურნალში ორიგინ. ნაწარმოებებთან ერთად იბეჭდებოდა თარგმანები, მ. შ. ა. ჩეხოვის მოთხრობები. ,,Ე. მ-ის'' მხატვრობა და კარიკატურები ეკუთვნით ო. *შმერლინგსა* და შ. *ქიქოძეს*. 1908 წ. 11 აგვისტოს თბილ. ხელისუფლების განკარგულებით ჟურნალი დაიხურა. 1915–17 კვლავ განახლდა, შემდეგ მისი გამოცემა ისევ შეწყდა. განახლდა 1919, გამოდიოდა 1921 წ. 14 თებერვლამდე. სხვადასხვა დროს ჟურნალის სახელწოდება იყო: „მათრახი'', „მათრახი და სალამური'', „ჩვენი სალამური'' და სხვ.

2. იუმორისტული ალმანახი, გამოდიოდა თბილისში 1909; დაისტამბა 2 ნომერი. გამომცემლები: ვ. ცქიტიშვილი.

ი. ლორთქიფანიძე.

„ეშმაკის მახე'', ყოველკვირეული ლიტერატურულ-იუმორისტული ჟურნალი; გამოდიოდა თბილისში 1911, სულ გამოიცა 15 ნომერი. რედ.-გამომცემელი – გ. ჯაჭვაძე. ჟურნალთან თანამშრომლობდნენ: ნ. კალანდაძე (ეშმაკი), გ. *ქუჩიშვილი*, ა. ბრეგვაძე, ვ. მალაქიაშვილი, შ. შარაშიძე (თაგუნა) და სხვ. კარიკატურები ეკუთვნის ო. შმერლინგს. *ი. ლორთქიფანიძე.*

„ეშმაკის სალამური'', ყოველკვირეული იუმორისტული ალმანახი; გამოდიოდა თბილისში 1909 ჟურნ. „სალამურის'' ნაცვლად. გამოიცა ორი ნომერი. გამომც. – მ. კალანდაძე. რედაქციასთან თანამშრომლობდნენ: ვ. მალაქიაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ნ. აზიანი ფონტფო (ს. ნოზაძე) და სხვ. ერთ-ერთ ჟურნალში დაბეჭდილია სარედაქციო სტატია ნ. გოგოლის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით და მწერლის პორტრეტი. კარიკატურები ეკუთვნის ო. შმერლინგსა და შ. ქიქოძეს.

ი. ლორთქიფანიძე.

ეშტია, ე შ ტ ი ო, სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ჯავახეთის ზეგანზე. თემის ცენტრი (სოფლები: ე., თორია, უჯმანა, ყაურმა). ზ. დ. 1850 *მ*, ნინოწმინდიდან 12 *კმ*. 3,1 ათ. მცხ. (2002).

ე. ისტ. ჯავახეთის ერთ-ერთი ძვ. სოფელია. წყაროებში მოიხსენიება XVI ს-იდან, როდესაც თურქული ადმ. დანაწილების მიხედვით, ის ახალქალაქის ლივის აკშეჰირის რაიონში შედიოდა. სოფელში შემორჩენილია გვიანდ. საყდარი, რ-იც შუა საუკუნეების ქართ. ეკლესიის ადგილზე აუგიათ. მის კედლებშივე დაუყოლებიათ გვიანდელი შუა საუკუნეების ქართული საფლავის ქვები, რ-ებზედაც შერჩენილია სხვადასხვა გამოსახულება. ეკლესიის გალავნის შიგნით ძველი სასაფლაოა. XVI ს-ში ე-ში 12 კომლი ცხოვრობდა: გოგიჩა ძამანას ძე, მერაბ, თევდორი, ზარასფა, ყურუ გრიგოლის ძე, ლომკაც ავგაროზის ძე, გოგიჩა სარხოშის ძე და სხვ. მათ მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, სელის თესლი; ჰქონდათ ბოსტნები; ჰყოლიათ ფუტკარი, ღორი, ცხვარი. სოფელში ყოფილა 3 თვალი წისქვილი და ზეთსახდელი. ე-ს წლიური გადასახადი 21000 ახჩას შეადგენდა. XIX ს. 30-იან წლებში აქ თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხი მოახალშენენი დასახლდნენ.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 1, თბ., 1964; ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2–3, თბ., 1941–58. *დ. ბერძენიშვილი.*

ეჩმიაძინის ბრძოლა 1804, ბრძოლა რუსეთისა და ირანის ცხენოსან ჯარს შორის ეჩმიაძინის მონასტრის ახლოს. რუსეთ-ირანის ომის (1804–13) დროს კავკ. მთავარმართებელი პ. *ციციანოვი* 1804 გაზაფხულზე დაახლ. 6 ათ. კაცით ერევნისაკენ დაიძრა და ეჩმიაძინთან დაბანაკდა. მას ალყა შემოარტყა ირანის 12 ათასიანმა კორპუსმა. ამ ბრძოლაში ირანის მხარეს მონაწილეობდა *ალექსანდრე ბატონიშვილი,* ირანელები ცდილობდნენ სამხრეთიდან შემოჭრილიყვნენ საქართველოში. ხანმოკლე წარმატების მიუხედავად ირანელები დამარცხდნენ. 27 ივნ. ეჩმიაძინის მონასტერი რუს. გარნიზონმა დაიკავა.

ეჩმიაძინის წმინდა გიორგის ეკლესია, სომხური სამოციქულო ეკლესია, დგას *ავლაბარში* (თბილისი), ნ. ბარათაშვილის აღმართის მარცხ. მხარეს, ავლაბრის მოედნის ჩრდ-ით. ეკლესია ააგეს სოფ. ეჩმიაძინიდან (სომხეთი) XVIII ს. მიწურულში ავლაბარში გადმოსახლებულმა სომხებმა. ისინი, როგორც წესი, სამშობლოში მიტოვებული ადგილების უკვდავსაყოფად თბილისში დაარსებულ თავიანთ ახალშენებს მშობლიურ სახელებს არქმევდნენ. 1989 წ. 9 აპრ. ტრაგედიასთან დაკავშირებით ქართველებისადმი სომეხი ხალხის თანაგრძნობის ნიშნად ეკლესიის წინ, სკვერში, აღმართეს სომხეთიდან ჩამოტანილი „ხაჩკარი'' (ქვაჯვარი).



ეჩო.

ეჩო, ხის სათლელი რკინის იარაღი, პირბრტყელი და თოხივით მოხრილი. დანიშნულებისა და სამუშაო პირის მოყვანილობის მიხედვით ცნობილია სხვადასხვა სახის ე. (ღორეჩო, ფეხეჩო, ხელეჩო, ცულეჩო, თოხეჩო და სხვ.). მისი სათლელი პირი თავისკენ მიითლის ნაფოტს და მთლელისკენ ისვრის, რაც თავისებურადაა ასახული ხალხ. სიტყვიერებაში „განა კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდეს?'' *ნ. რეხვიაშვილი.*

ეცერის გორანამოსახლარი, ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლი სოფელ ფხუტერერში (ეცერის თემი, მესტიის მუნიციპალიტეტი). სადაზვერვო გათხრები ჩატარდა 1975 (ხელმძღვ. შ. ჩართოლანი). გამოვლინდა ანტ. ხანის საცხოვრებელი, საკულტო, სამეურნ. და საფორტიფიკაციო დანიშნულების ნაგებობათა ერთიანი კომპლექსი. საგანგებოდ



ეჩმიაძინის წმინდა გიორგის ეკლესია. XVIII ს. II ნახევარი. თბილისი. ავლაბარი.

მოსწორებულ მოედანს 3 მხარეს შემოუყვება 1 *მ* სიგანის ქვით ნაშენი გალავანი 2 კოშკით. გალავნის ქვემოთ, 15 *მ* დაცილებით, ციცაბო ფერდობს გასდევს 6 *მ* სიგანის თხრილი. მისი კედლები მიწის ადვილად შლად მონაკვეთებში ქვის მშრალი წყობის კედლებით ყოფილა გამაგრებული. საცხოვრ. და სამეურნ. ნაგებობანი განლაგებულია გორის თავზე და უმეტესად შიდა მხრიდან გალავანზეა მიშენებული. შიდა ეზოს ან ნაგებობებს შორის არსებული დერეფნების მხრიდან გაკეთებული იყო შესასვლელი კარი. გამონაკლისია მოედნის სამხრ.-დას. კუთხეში მოთავსებული სახაბაზო. ყველაზე თვალსაჩინო აღმ. მონაკვეთი საკულტო ნაგებობებისთვის იყო შერჩეული. შიდა ეზოს უკავია მოედნის ცენტრ. ნაწილი (დაახლ. 500 *მ²*). მას საზ.-საკრებულო ადგილის ფუნქციაც ჰქონდა. ნაგებობათა კედლები დგას გრუნტზე, კლდეზე საგანგებოდ ამოჭრილ მტკიცე საფუძველზე. ყველა ნაგებობა აშენებულია წინასწარ შერჩეული სწორპირიანი ან ცალმხარეს ჩამოტეხვით მოსწორებული ქვისაგან (ფიქალი, ნაფლეთი ან რიყის). კედლის ორ რიგ ქვის წყობას შორის დარჩენილი არე თიხის ხსნარში არეული ღორღითაა შევსებული. ქვის ზოგიერთი ნაგებობის კედლები და ქვის საძირკველზე ამოყვანილი ხის ძელური თუ წნული კედლები თიხით ყოფილა შელესილი. საშენ მასალად ბზენარევი ალიზის კვადრებსაც იყენებდნენ.

გამოვლენილია წვრილმარცვლოვანი თიხისაგან გამოძერწილი წრიული საკურთხევლები, სამსხვერპლო აბაზანები და მარცვლის შესანახი ხაროს ძირი. გათხრების შედეგად გამოვლენილია 4 სამშ. ფენის 31 სათავსი. სხვადასხვა დროს სამოსახლო მრავალგზის გადაუკეთებიათ. ქვედა ფენიდან ცალკეული ფრაგმენტებია შემორჩენილი. შედარებით კარგად არის შემონახული ზედა ფენა (ძვ. წ. IV–III სს.).

Ე. Გ-ზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ნივთიერი მასალა: სამეურნ., სამზარეულო და საკულტო დანიშნულების თიხის ჭურჭელი, ქვის ხელსაფქვავები, რკინის სამიწათმოქმედო, საბრძოლო და სამეურნ. იარაღი, სამკაული, უძვ. მარცვლეული კულტურების ნაშთი (რბილი ხორბალი, ჭვავი, ფეტვი და სხვ.), პალეობოტან., შინაური და ნანადირევი ცხოველების დიდძალი ოსტეოლოგიური და სხვა ნივთიერი მასალა. ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის სვანეთის ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმში.

აღმოჩენები მიუთითებს მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, რკინის მეტალ. და მეთუნეობის განვითარების დონეს. Ე. Გ-ით ვიღებთ ინფორმაციას ისტ. კოლხეთის მთიანეთის მოსახლეობის განსახლების, ტოპოგრაფიის, მშენებლობის, ტექ. და ტექნოლ., სამეურნ., სოც., რელიგ.-იდეოლოგიური ცხოვრებისა და კულტ. განვითარების შესახებ.

საბჭ. საქართვ. რესპ. მთავრობის 1978 წ. 22 ნოემბრის №1501 დადგენილებით Ე. Გ. შეტანილია სახელმწ. დაცვისა და რესტავრაციის ობიექტთა სიაში.

Ე. Გ-ის სტრატეგიული მდებარეობის გამო იქიდან კარგად მოჩანს მდ. ენგურის ხეობის დიდი მონაკვეთი: უახლოესი სოფლები, ხევისპირა, გვერდითი და საუღელტეხილო გზების მნიშვნელოვანი მონაკვეთები. ეცერის მოსახლეობა ამ გორაზე წელიწადში ერთხელ ზეიმობდა ,,სვიკობას'' (სვან. ,,სვიკვ'' – გორა) ანუ გორების დღესასწაულს. ტრადიციულად აქ იკრიბებოდა სოფლის რჩეულთა ყრილობა შიდა სასოფლო და ხევის საკითხების გადასაწყვეტად.

ლიტ.: ჩართოლანი შ., ახალმოსახლეობა და არქეოლოგიური კვლევა-ძიება სვანეთში, «ძეგლის მეგობარი», 1990, №1; მისივე, ძველი სვანეთი, თბ., 1996; Чартолани Ш., Калдани А., Итоги разведывательной экспедиции Сванетии 1975 года, კრ.: Археологические исследования в Грузии в 1975 году, Тб., 1976; Чартолани Ш., Иремашвили Ш., Сванетская археологическая экспедиция, კრ.: Полевые археологические исследования, Тб., 1979.

შ. ჩართოლანი.



ეცოს სამაროვანი. მინის, სერდოლიკისა და ოქროს მძივები. სერდოლიკის საკიდი. ძვ. წ. III ს.

ეცოს სამაროვანი, ძვ. წ. IV – I სს. არქეოლოგიური ძეგლი სოფ. ვარხუნოს (ისტორიული წყაროებით ვარხუნა-ვერხვნალა) მახლობლად, მდ. ჭივჭავის ხეობაში, ადგილ ,,ეცოზე'' (თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი). გაითხარა 1986–88 (ხელმძღვ. ზ. შატბერაშვილი). სამარხები განლაგებულია ფერდობზე, მიწის ზედაპირიდან 0,2–1,3 *მ* სიღრმეზე. შესწავლილი 120 სამარხიდან უმრავლესობა ქვაყუთია, 9 კი – ორმოსამარხი, მ. შ. ერთი ქვევრის გვერდის ნატეხით იყო გადახურული. მიცვალებულები დაკრძალულია კიდურებმოკეცილ ან მოკრუნჩხულ მდგომარეობაში. ფიქსირებულია



ეცოს სამაროვანი. თიხის დოქი და ხელადა. ძვ. წ. IV–III სს.

აღაპის ნაშთიც (ცხვრის, თხის, ძროხის ძვლები).

მასალის მიხედვით გამოიყოფა 3 ძირითადი ქრონოლ. ჯგუფი. პირველი ჯგუფის სამარხების უმრავლესობა ძვ. წ. IV–III სს. განეკუთვნება. დამახასიათებელია მსხლისებური კერამ. დოქები (მათი ნაწილი წითელი საღებავითაა მოხატული), ჯამები, რკინის სამაჯურები, რკინის იარაღი (აღმოჩენილია 11 შუბი და 4 ცული). სტატისტიკურად ჩანს, რომ ქვემო ქართლში ყოველი მესამე მამაკაცი შეიარაღებული ყოფილა. გათხრილი სამარხების უმრავლესობა ქართლის სინქრონულ ძეგლებზე აღმოჩენილ მასალას ენათესავება. მხოლოდ ერთ სამარხშია ნაპოვნი ბრინჯაოს სამაჯური, რ-იც კოლხურ იერს ატარებს.

მეორე ქრონოლ. ჯგუფს განეკუთვნება ძვ. წ. II ს. სამარხები. მათთვის დამახასიათებელია ქუსლიანი ჯამები, ოვალური ან მრგვალტანიანი დოქები, მოხატული კერამიკა, ოქროს ან ვერცხლის სარჩულიანი მინის მძივები.

მესამე ჯგუფში შედის ძვ. წ. I ს-ით დათარიღებული სამარხები. აღმოჩენილი მასალა სამთავროს ქვევრსამარხების მასალის მსგავსია.

ძვ. წ. IV–I სს. ისტ. მონაკვეთი ქართ. სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და განვითარების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია. Ე. ს-ის არქეოლ. შესწავლა საინტერესო დამატებით მასალას იძლევა იბერიის სამეფოს ისტ. და მატერ. კულტურის კვლევისათვის.

არქეოლ. მასალა ინახება თეთ-

რიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. *ვ. შატბერაშვილი.*

ᲔᲫᲐᲜᲘ, სოფელი ისტორიულ თრიალეთში, მდ. ქციის მარჯვ. ნაპირზე; ამჟამად წალკის ნაწილი. Ე-ის უძველეს დასახლებაზე მიუთითებს *ეძანის (ბარმაქსიზის) ნამოსახლარი.*

სოფელში ორი ეკლესიაა: ერთი, ღვთისმშობლის სახელობის, VI ს-ისაა, ნაგებია სუფთად გათლილი, ქვის მსხვილი კვადრებით. საერთო პროპორციებით, სადა და მკაცრად გადაწყვეტილი ფასადებით ძეგლი მონუმენტურ შთაბეჭდილებას ახდენს. ინტერიერი საფუძვლიანად გადაუკეთებიათ 1830 არზრუმიდან ჩამოსახლებულ ბერძნებს (სწორედ მაშინ დაიკარგა ამ ეკლესიის წარწერა, რ-იც თავის დროზე დააფიქსირა ბარონ ნიკოლაიმ). მორთულობა ძუნწია. დას. ფასადზე გაფორმებულია მხოლოდ შესასვლელი და მის ზემოთ გაჭრილი სარკმელი. შესასვლელის თავზე მოთავსებულია ტიმპანი (დღეს მისი ზედაპირი ჩამომტვრეულია, ხოლო შესასვლელი – ამოქოლილი), რ-ის ქვედა ნაწილში მოთავსებულ რელიეფურ კომპოზიციაში გამოსახულია ღვთისმშობელი ჩვილით, მის ორივე მხარეს კი (სიმეტრიულად) – მფრინავი ანგელოზები (ღვთისმშობლის განდიდების სცენა). თლილი ქვით ნაგები მეორე დარბაზული ეკლესია X ს-ით თარიღდება; სახურავი და დას. კედელი ჩამონგრეულია; საკურთხეველში ორი მცირე ნიშია, აქვეა მოხატულობის კვალი. წარწერიანი ქვა, რ-იც აქ ადრე ყოფილა, ახლა აღარ ჩანს. ეკლესიის ირგვლივ მდებარე სასაფლაოზე საფლავის ქვათა შორის ცხენისა და ყოჩის ქანდაკებებია. როგორც ჩანს, ეკლესია გვიანდელ შუა საუკუნეებშიც მოქმედებდა. დღევანდელი დაბის აღმ. ნაწილში, მდ. ქციაზე ძველი ხიდია. მის ბურჯებში ჩუქურთმიანი და წარწერიანი ქვებია ჩაყოლებული. ასომთავრულ წარწერებში იხსენიებიან მირიან თარხონის ძე (ეკლესიის მაშენებელი), ბაგრატ IV მეფეთა მეფე. სევასტოსი, აგრეთვე მამამთავარი, წურწყაბელი ერისთავი გრიგოლ. სავარაუდოდ, ეს ქვები აქ გადმოტანილია ძვ. წალკის ეკლესიიდან XIX ს-ში, ხიდის მშენებლობის დროს.

სოფ. Ე. წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება 1392 წლით დათარიღებულ მცხეთის საკათოლიკოსო მამულების სიათარხნის გუჯარში. 1412–43 ერთი საბუთის მიხედვით ალექსანდრე მეფეს მაღალაძეებისათვის უბოძებია თრიალეთის Ე-ის მოურავობა, ქადაგობა და სამცხეთოს გამოსაღების ერთი ნაწილი. 1581 Ე. ისევ მცხეთის სვეტიცხოვლისა იყო, მაღალაძე კი – მისი მოურავი.


XIX ს-ში თურქეთიდან ჩამოსახლებულმა ბერძნებმა თრიალეთში თავიანთი ძვ. სოფლების სახელწოდებები შემოიტანეს. Ე-ს მაშინ ბარმაქსიზი უწოდეს. ამ სახელწოდებით დარჩა XX ს. 30-იან წლებამდე.

ლიტ.: ა ლ ა დ ა შ ვ ი ლ ი ნ., ეძანის ეკლესიის რელიეფი, «ძეგლის მეგობარი», 1972, №29; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, [ტ]. I, თბ., 1964; საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები, თბ., 1959; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970. *დ. ბერძენიშვილი.*

ᲔᲫᲐᲜᲘᲡ (ᲑᲐᲠᲛᲐᲥᲡᲘᲖᲘᲡ) ᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ, განვითარებული მეზოლითის ხანის ნამოსახლარი, დაბა წალკის ჩრდილოეთ ნაწილში. გათხარეს 1936 (ბ. კუფტინი) და 1963–64 (მ. გაბუნია). აღმოჩნდა ობსიდიანის მრავალფეროვანი საწარმოო იარაღი. ჭარბობს გეომ. *მიკროლითები,* არის აგრეთვე ისრისპირისებრი იარაღი, კარგად დამუშავებული მრავალი ჩასართი, მიკროლითური მრგვალი საფხეკები და სხვ. აღმოჩენილი მასალა ეძანის მოსახლეობის მძლავრ კულტ. განვითარებაზე მიუთითებს. ირმის, ჯეირანის, კანჯარის, გარეული ძროხის, ღორისა და ცხენის ძვლების აღმოჩენა მოწმობს, რომ მეზოლითის ეპოქაში სამხრ.-აღმ. საქართველოში სტეპური და ნახევრად სტეპური ლანდშაფტი ჭარბობდა. ამასვე ადასტურებს მტვრიანისა და სპორების ანალიზის შედეგები.

ლიტ.: გ ა ბ უ ნ ი ა მ., პალეოლითური ნაშთები ეძანის გამოქვაბულიდან, «მაცნე», 1964, №5; К у ф т и н Б. А., Археологические раскопки в Триалети, т. 1, Тб., 1941. *მ. გაბუნია.*

ᲔᲫᲒᲕᲔᲠᲐᲫᲔ გიორგი (გია) ვახტანგის ძე (დ. 10. VI. 1953, თბილისი), ფერმწერი, გრაფიკოსი. დიუსელდორფის (გერმანია) სამხატვრო აკად. პროფესორი (1995). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1980). ამავე წლიდან მონაწილეობს სამხატვრო გამოფენებში. Ე-ის მხატვრობა პოსტ-მოდერნისტული ფერწერის პრობლემატიკის გაღრმავების ნიშნით გამოირჩევა. მიწვეული იყო სამუშაოდ ესპანეთსა და საფრანგეთში; 1986-იდან ცხოვრობს და მუშაობს გერმანიაში. Ე-ის პერსონალური გამოფენა, თბილ. გარდა (მხატვრის სახლი, 1987), მოეწყო მსოფლიოს მრავალი ქალაქის გალერეებში: მოსკოვი (1987), პიტსბურგი (1988), დალასი (1988), ბრიუსელი (1988), დორტმუნდი (1989, 2006), მიუნხენი (1989, 1991, 1998, 1999, 2000, 2004), მადრიდი (1990), ჰელსინკი (1991), სტოკჰოლმი (1992), ამსტერდამი (1994), ლაიპციგი (1996), დიუსელდორფი (1997, 2004, 2007), ვენეცია (1997), ბუდაპეშტი (1998, 2004), იოჰანესბურგი (2004), ნიუ-იორკი (1999, 2002, 2011) და სხვ. მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში: 80-იანელთა თაობა (თბილისი, მხატვრის სახლი, 1986), ქართვ. აბსტრაქციონისტთა გამოფენა (მოსკოვი, 1988), ქართვ. მხატვართა გამოფენა (პარიზი, 1990), ვენეციის ბიენალეზე (1997) და სხვ. მისი 3 ნამუშევარი ,,სოთბის'' აუქციონზე შეიძინა შვეიცარიის გალერეამ (1988). მნიშვნელოვანი ნამუშევრები: ,,ადიულტერი'', ,,საგანი'' (ორივე – 1987), ,,ტრიპტიქი საქორწინო ბეჭდით'', ,,ფრენსის ბეკონის პორტრეტი'', ,,ტოტალური ხედვა'' (სამივე – 1989), ,,ჯვარცმა'' (1991), ,,ბადმინტონის მოთამაშენი'' (1996), ,,უსათაურო'' (1998) და სხვ. Ე-ის ნამუშევრები დაცულია საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებში, გალერეებსა და კერძო კოლექციებში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).



გ. ე ძ გ ვ ე რ ა ძ ე. ,,კომპოზიცია''. 1989.



მ. ე ძ გ ვ ე რ ა ძ ე. სასტუმრო ,,კოლხეთი''. 1985. ქობულეთი.

ი. ქარაია.

ᲔᲫᲒᲕᲔᲠᲐᲫᲔ მედეა დომენტის ასული (დ. 21.II. 1935, თბილისი), არქიტექტორი. 1959 დაამთავრა სპი. მუშაობდა საპროექტო ინსტი-

ტუტ „საქქალაქმშენსახპროექტში“ (1959–63), ხოლო 1964-იდან 1992-მდე – ტიპობრივი და ექსპერ. დაპროექტების თბილ. ზონალურ სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (პროექტის მთ. არქიტექტორი). მის მიერ შემუშავებული ტიპური პროექტით აიგო რამდენიმე სკოლა და საავადმყოფო (ცხინვალი, რუსთავი, გარდაბანი, ზესტაფონი და სხვ., XX ს. 60-იანი წწ.). ქობულეთში სასტუმრო „კოლხეთის“ (1983) არქიტექტურისათვის მიენიჭა საქართვ. სსრ მინისტრთა საბჭოს პრემია „ხუთწლედის მატიანე“ (1985, ავტორთა ჯგუფთან ერთად).

ს. კინწურაშვილი.

ᲔᲬᲔᲠᲘ, სოფელი აბაშის მუნიციპალიტეტის ონტოფოს თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ნოღელის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 30 *მ,* აბაშიდან 8 *კმ.* 234 მცხ. (2002).

ᲔᲬᲔᲠᲘ, სოფელი გალის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის თემში (აფხაზეთის არ), სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 50 *მ,* გალიდან 23 *კმ.* 74 მცხ. (1989).

ᲔᲬᲔᲠᲘ, სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე, მდ. ძევრულის (ყვირილის აუზი) მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: Ე., ახალუბანი). ზ. დ. 200 *მ,* თერჯოლიდან 10 *კმ,* სვირიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 20 *კმ.* 1,7 ათ. მცხ. (2002).

ᲔᲬᲔᲠᲘ, სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჯურუყვეთის თემში (გურიის მხარე), გურიის დაბლობზე. ზ. დ. 75 *მ,* ლანჩხუთიდან 9 *კმ.* 478 მცხ. (2002). სოფლის ტერიტ. დასახლებულია წინაფეოდ. ხანიდან.

ᲔᲬᲔᲠᲘ, სოფელი მარტვილის მუნიციპალიტეტის ტალერის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის ვაკეზე, მდ. ტეხურის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 340 *მ,* მარტვილიდან 25 *კმ.* 497 მცხ. (2002).

ᲔᲬᲔᲠᲘ, სოფელი სენაკის მუნიციპალიტეტის ზანის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ზანის (ხობის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 110 *მ,* სენაკიდან 18 *კმ.* 307 მცხ. (2002).

ᲔᲬᲔᲠᲘ, სოფელი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), მდ. ენგურის მარცხ. მხარეს. ქ. ჯვარის ტერიტ. ორგანოს სათავო სოფელი. ზ. დ. 320 *მ,* წალენჯიხიდან 7 *კმ,* ჯვარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2 *კმ.* 2,2 ათ. მცხ. (2002).

ᲔᲬᲔᲠᲘ, სოფელი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის ვაკეზე, მდ. ჩხოუშის (ენგურის აუზი) ნაპირას. სათავო სოფელი. ზ. დ. 260 *მ,* წალენჯიხიდან 6 *კმ,* ჯვარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 *კმ.* 1,1 ათ. მცხ. (2002).

ᲔᲬᲔᲠᲘ (ყოფ. ჯვარი ეწერი), სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტის კაცხის თემში (იმერეთის მხარე), ჭიათურის პლატოზე. ზ. დ. 620 *მ,* ჭიათურიდან 16 *კმ,* ჯოყოეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ.* 739 მცხ. (2002).

ᲔᲬᲔᲠᲬᲔᲠᲓᲘ, სოფელი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჭალის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), მდ. ენგურის ხეობაში. ზ.



ეხვევი. ღვთისმშობლის ეკლესია. XI ს.

დ. 320 *მ,* წალენჯიხიდან 26 *კმ,* ჯვარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 *კმ.* 433 მცხ. (2002).

ᲔᲮᲕᲔᲕᲘ, XI ს. დამდეგის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ერთნავიანი ეკლესია „დედა ღვთისა“ მდ. ყვირილის ხეობაში, საჩხერიდან 10 *კმ.* საყურადღებოა მისი ჩრდ. და დას. შესასვლელების მოჩუქურთმებული ტიმპანები და დას. და აღმ. სარკმლების საპირეები, სათაურები და შეწყვილებული გრეხილი „სვეტები“, რ-ებიც ტაო-კლარჯეთის X–XI სს. ძეგლთა მორთულობას ენათესავება. ჩუქურთმები მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული. თავდაპირველად ეკლესიას ეგვტერები ჰქონია, რ-ებიც XX ს. დასაწყისში შენობის შეკეთებისას ძვ. სენაკების ნაშთებთან ერთად დაუნგრევიათ.

ლიტ.: ბერიძე ვ., ეხვევის ტაძარი „დედაღვთისა“, «ქართული ხელოვნება», 1942, ტ.1. *ვ. ბერიძე.*


ᲔᲮᲜᲘ, ფართოშესასვლელიანი პატარა კარსტული მღვიმე. „კლდე გამონახეთქი ქვაბივით“ (საბა). მცირე სიღრმისაა, გვერდითი კედლები სუსტი აქვს. Ე-ში ქვის ხანაში ადამიანები ბინადრობდნენ. საქართველოში ცნობილია ეძანის, *მღვიმევის, ჯრუჭულისა* და სხვა Ე-ები. *მ. გაბუნია.*

ᲔᲯᲘ, მანძილის საზომი ერთეული XII–XVIII სს. საქართველოში. უდრიდა 6–7,5 *კმ.*

ლიტ.: ჯაფარიძე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX–XIX სს.), თბ., 1973.

ᲔᲯᲘᲑᲘ (არაბ. ჰაჯიბ – მეფის მეკარე, კარისკაცი), 1. ერთ-ერთი დიდმოხელე ქართველი მეფის სასახლეში, მეკარე, მეფისთვის აჯვა-სათხოვართა მომხსენებელი. *ამირეჯიბის* ხელქვეითი. საქართველოში Ე-ები ჰყავდათ დიდებულ ხელისუფლებსაც და მაღალი წრის მანდილოსნებსაც. სელჩუკთა სახელმწიფოში სასახლის მსახურთა უფროსი იყო საგანგებო მოხელე „დიდი ჰაჯიბი“ („ჰაჯიბთ-ჰაჯიბი“). 2. (ეთნოგრ.) ქართ. საქორწინო ცერემონიალში ვაჟის მაყრების უფროსი, რ-იც „მეფის“ (ნეფის) წარმომადგენელი და ნებასურვილის აღმსრულებელი იყო. მთიულეთში Ე. სასიძოს მკვიდრი ბიძაშვილი უნდა ყოფილიყო, რ-ის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა ჯვარდაწერილი ნეფე-დედოფლისათვის გვირგვინის მოხდა იყო. ამ მნიშვნელობით Ე-ის გარდა გვხვდება სხვა ტერმინებიც. მაგ., „მეჯვარე“, „ხელისმომკიდე“.


ლიტ.: ითონიშვილი ვ., ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960; ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, ნაწ. 1, თბ., 1955; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 1, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 6). *ი. ფუტკარაძე. ვ. ითონიშვილი.*



ვინი



ვინის მოხაზულობა ასომთავრულში ურთიერთპერპენდიკულარული ხაზების კომბინაციაა, რომელიც კვადრატულ არეს იკავებს. იგი ნუსხურში კუთხოვანი ფორმისაა და მარჯვნივ გადახრილი. მხედრულში ვინის ზედა და ქვედა ნაწილები რკალური ფორმისაა. ნუსხურში და მხედრულში იგი ქვედა სამ ხაზში იწერება.



ვ, ქართული ანბანის მეექვსე ასო. მისი სახელია ,,ვინი''; გრაფ. სიმბოლო კბილბაგისმიერი სონორი თანხმოვნისა. ასომთავრულში იწერება Ⴕ, ნუსხურში – ⴕ; ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავს ექვსს (6). მხედრული დამწერლობის ოთხხაზოვან სისტემაში მისი მოხაზულობა ქვედა სამ ხაზში თავსდება.


ვ-ის გრაფ. განვითარება წარმოდგენილია V–XVII სს. ეპიგრაფიკული ძეგლების, ხელნაწერებისა და ისტ. საბუთების მიხედვით.

ვაგზალი (ინგლ. Vauxhall), სახელწოდება ლონდონში არსებული პარკისა და გასართობი ადგილისა, რ-იც XVII ს-ში ჯეინ ვოქსს ეკუთვნოდა. რუს. ენაში ეს სიტყვა განზოგადდა პეტერბურგის მახლობლად ქ. პავლოვსკში ერთ-ერთი პირველი ვ-ის აშენების შემდეგ. იგი სამგზავრო შენობაც იყო და საკონცერტო დარბაზიც.

თანამედროვე ვ. არის შენობა ან შენობების, ნაგებობებისა და მოწყობილობების კომპლექსი, რ-ის დანიშნულებაა მგზავრთა მომსახურება, ტრანსპორტის მიმოსვლის მოწესრიგება და მომსახურე პერსონალის განთავსება. ვ-ის ზოგ შენობაში სატვირთო და საფოსტო ოპერაციებიც მიმდინარეობს. ვ-ებს ერთმანეთისაგან განასხვავებენ გამოყენებული ტრანსპორტის სახეობის (*აეროვაგზალი, ავტოვაგზალი, რკინიგზის ვაგზალი, საზღვაო ვაგზალი,* სამდინარო ვ.), მაგისტრალზე მდებარეობის

(ბოლო, საკვანძო, შუალედური, სატრანზიტო), დანიშნულების ადგილის (შორი, ადგილ., საგარეუბნო, საერთაშ.), მგზავრთა სიჭარბის და სხვათა მიხედვით.

პირველი ვ. გაჩნდა მას შემდეგ, რაც დაიწყო მგზავრთა გადაყვანა რკინიგზით (ინგლისი, სტოქტონ-დარლინგტონის ხაზი, 1822–25). XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში ვ. თავისი მოცულობითა და ფორმით ქალაქის თვალსაჩინო შენობად იქცა.



ვ. რ. ვაგნერი.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ვ-ის პირველი ნაგებობები აშენდა ფოთი–თბილისის რკინიგზის (1865–72) გახსნის შემდეგ. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ვ-ის შენობა თბილისში (იხ. *თბილისის ცენტრალური რკინიგზის ვაგზალი*).

ვაგინი ლეონიდე ივანეს ძე (18. II. 1905, თბილისი, – 4. IV.1976, მოსკოვი), გენერალ-მაიორი (1944), საბჭოთა კავშირის გმირი (6.IV.1945). დაამთავრა თბილ. საარტ. სასწავლებელი (1925). მონაწილეობდა II მსოფლიო ომში (1939–45). იყო 79-ე მსროლელი დივიზიის მეთაურის მოადგილე, შემდეგ – მეთაური. ვისლა-ოდერის ოპერაციაში (1945) გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით.

ტ. ჩიხჩილაკაშვილი.



ვაგიფი.

ვაგიფი მოლა ფანაჰ (დაახლ. 1717, სოფ. სალაჰლი, ახლანდ. ყაზახის რ-ნი, – 1797, ქ. შუშა), აზერბაიჯანელი პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე. მიუღია საფუძვლიანი განათლება, იცოდა აღმოსავლური ენები, ლიტ-რა, მეცნიერებანი. 1769–70 ყარაბაღში მიიწვიეს, სადაც მალე გახდა სამეფო კარის გამრიგე, შემდეგ – პირველი ვაზირი. 1797 ხანის ბრძანებით ვ. თავის ვაჟიშვილთან ერთად სიკვდილით დასაჯეს. ვ. იყო რუს. ორიენტაციის მომხრე. ამის გამო მას აქტ. ურთიერთობა ჰქონდა მეფე ერეკლე II-სა და ლევან ბატონიშვილთან. XVIII ს. 70-იან წლებში დიპლ. მისიით იმყოფებოდა თბილისში და თავისი საქმიანობით ხელს უწყობდა ქართ. და აზერბ. ხალხთა შეკავშირებას ირანის წინააღმდეგ.

ვ-ის როლი აზერბ. ლიტ-რაში განუზომლად დიდია. იგი ახ. აზერბ. პოეზიის ფუძემდებელია. აზერბ. ლიტ-რის ისტორიაში პირველად ვ-ის ლირიკაში გამოჩნდა რეალიზმის ელემენტები. მან დააკანონა ჰეჯას ზომა, ხალხ. მეტყველებას დაუახლოვა კლასიკური ლექსი.

ვ. კარგად იცნობდა საქართველოს. ქართ. თემატიკას ეხება მისი სამი ლექსი, რ-ებიც ეძღვნება ქართვ. ქალს, თბილისსა და ერეკლე II-ის ძეს, ლევანს. ვ-ის ლირიკა თარგმნილია ქართ. ენაზე.

თხზ.: Əsərləri, Бакы, 1960; Əsərləri, Baki, 2004; Лирика, М., 1968; [წიგნში] სომხური და აზერბაიჯანული ლიტერატურის ქრესტომათია, თბ., 1968.

ლიტ.: Д а д а ш з а д е А., Певец жизни (Раздумья о Вагифе), Баку, 1968.

გ. შაყულაშვილი.

ვაგნერი (Wagner) ვილჰელმ რიხარდ (22.V.1813, ლაიფციგი, – 13.II.1883, ვენეცია), გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი, მუს. მწერალი და თეატრალური მოღვაწე. 1842–49 იყო დრეზდენის ოპერის კაპელმაისტერი. მონაწილეობდა 1849 მაისის დრეზდენის აჯანყებაში, რ-ის დამარცხების შემდეგ 13 წელი დევნილი იყო. 1872-იდან ცხოვრობდა ბაიროითში, სადაც 1876 დააფუძნა ვაგნერის ბაიროითის თეატრი (აქ ყოველწლიურად იმართება ვაგნერის საოპერო მუს. ფესტივალი).

ვ. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კომპოზიტორი და საოპერო ხელოვნების უდიდესი რეფორმატორია. მისი ოპერები: ,,მფრინავი ჰოლანდიელი'' (1841), ,,ტანჰოიზერი'' (1844) და ,,ლოენგრინი'' (1848) წარმოადგენს ახ. ერას ეროვნ.-რომანტ. მუს. თეატრის ისტორიაში. ვ-ის საოპერო რეფორმამ თეორ. გააზრება პოვა მის ნაშრომებში: ,,ხელოვნება და რევოლუცია'' (1849), ,,მომავლის მხატვრული ნაწარმოები'' (1850), ,,ოპერა და დრამა'' (1851), ,,მიმართვა მეგობრებისადმი'' (1851). ცენტრ. ადგილი ვ-ის საოპერო შემოქმედებაში უკავია მონუმ. ციკლს ,,ნიბელუნგის ბეჭედი''. ამ ტეტრალოგიისა და აგრეთვე მუს. დრამის ,,ტრისტან და იზოლდეს'' დრამატურგია ემყარება მუს. უწყვეტ მდინარებას (,,უსასრულო მელოდია''), ოპერის სიმფონიზაციისა და ლაიტმოტივების სისტემას. ვ-ის მუს. დრამები დაწერილია გერმ.-სკანდინავიური მითოლ. სიუჟეტებზე. აღსანიშნავია რეალისტური ყოფითი კომედიური ოპერა ,,ნიურნბერგელი მაისტერზინგერები''. ვ. იყო სადირიჟორო ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. მრავალმხრივია მისი სალიტ. მოღვაწეობაც. ავტორია ოპერის ლიბრეტოების, დრამების, რეცენზიების, ხელოვნების ისტ. ნარკვევების, პოლიტ. და ფილოს. ხასიათის სტატიების. ვ-მა უდიდესი გავლენა იქონია მისი თანამედროვე და მომდევნო ეპოქების მსოფლიო მუსიკაზე.

ვ-ის ოპერებიდან თბილისში დადგმულია ,,ტანჰოიზერი'' (1886), ,,ლოენგრინი'' (1890, 1922, 1973) და ,,მფრინავი ჰოლანდიელი'' (1976).

ლიტ.: დ რ უ ს კ ი ნ ი მ., საზღვარგარეთის ქვეყნების მუსიკის ისტორია, თბ., 1978.

ვაგნერი (Wagner) მორიც (3. X. 1813, ბაიროითი, – 30. V. 1887, მიუნხენი), გერმანელი მოგზაური, გეოგრაფი და ბუნებისმეტყველი, მიუნხენის უნ-ტის საპატიო პროფესორი და ბავარიის მეცნ. აკად. წევრი. 1843–46 ვ-მა მოიარა შავიზღვისპირა ქვეყნები, კავკასია, ქურთისტანი და სპარსეთი. 1852–55 იმოგზაურა ჩრდ. და ცენტრ. ამერიკასა და ვესტინდოეთში, 1856–60 – სამხრ. ამერიკაში. თავისი მოგზაურობა აღწერა რამდენიმე ნაშრომში. ცნობები საქართველოს შესახებ დაცულია წიგნში: ,,მოგზაურობა კოლხეთსა და კავკასიის იქითა მხარეს მდებარე გერმანულ კოლონიებში'' (ლაიფციგი, 1850), რ-იც შედგება წინასიტყვაობისა და ათი თავისაგან. I და II თავები ძირითადად ეხება თბილისის აღწერას, წარმოდგენილია ქალაქის გარეგანი სახე, მისი ქუჩები, მოედნები, სახლები, ბაზრები, აბანოები, ეკლესიები, სასახლეები, ბაღები. მისი აზრით, ,,...ტფილისის კლდეთა სარტყლის სერიოზული სიმშვენიერე, უცხო, ჭრელი მრავალფეროვნება აღმოსავლური და ევროპული შენობებისა, რომლებიც ველური მთის მდინარის მაღალ ნაპირებს ამშვენებს, ასევე საკმაოდ მომაჯადოებელი ხედები – დეკორაციის დიდებული ბრწყინვალებით აჭარბებს საუცხოო პრაღას, რომელიც ერთგვარად ჰგავს ტფილისს და გერმანიის სახელმწიფოს ქალაქებს შორის ტოლი არ ჰყავს''. ვ. ვრცლად ეხება ქალაქის მოსახლეობას, მის ეროვნ. შემადგენლობას, სხვადასხვა ეროვნებათა ბუნება-საქმიანობას, ჩაცმა-დახურვას, საცხოვრებლებს, შეძლებას, ადარებს მათ ერთმანეთს. დიდ ადგილს უთმობს ქართველ ქალთა აღწერას: ,,ხანდახან შეამჩნევ მოსასხამშემოხვეული ქართველი ქალის დიდებულ ფიგურას, რომელიც რომაელი ქურუმი

ქალის ქანდაკებას ჰგავს...“. 3. ეხება სარწმუნოებას, ღვთისმსახურებას და სწავლა-განათლების საქმეს თბილისში.

3. საინტერესოდ აღწერს და ახასიათებს სხვადასხვა ისტ. პირებს: მთავარმართებლებს, გენერლებს, რიგით მოქალაქეებს, გერმ. კოლონისტებს. როგორც გერმანელი, საკმაოდ კრიტიკულად უყურებს რუს. მთავრობის საქმიანობას კავკასიასა და თბილისში.

წიგნის III–V თავებში 3. გადმოგვცემს საქართველოში არსებული გერმ. კოლონიების დაარსების ისტორიას და მათ თანამედროვე მდგომარეობას, სამეურნეო თუ სულიერ ცხოვრებას. VI თავი ეთმობა 3-ის მოგზაურობას თბილისიდან ქუთაისისკენ; გვაცნობს ქუთაისის საინტერესო სურათს; ეხება კაპუცინთა მოღვაწეობას საქართველოში, მათ როლს ადგილ. მოსახლეობის განათლების საქმეში და ა. შ. წიგნის VII–IX თავები ეხება 3-ის მოგზაურობას იმერეთსა და სამეგრელოში. ვრცლად აღწერს რედუტ-კალეს (ყულევი), ფოთის ციხეს, მის ისტორიას და მნიშვნელობას რუს. მთავრობისთვის; ზუგდიდს და დადიანთა რეზიდენციას. X თავი დათმობილი აქვს სამეგრელოს სოც. მდგომარეობის აღწერას, აგრეთვე მის მოგზაურობას ლაზეთში. აღგვიწერს ბათუმის ნავსადგურს და გვთავაზობს ლაზების ზოგად დახასიათებას.

გამოც.: მ ო რ ი ც ვ ა გ ნ ე რ ი საქართველოს შესახებ. გერმ. ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002. *გ. გელაშვილი.*

„ვაგონმშენებელი კომპანია“ (შპს), სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის საწარმო საქართველოში (კერძო საკუთრება; დამაარსებელი და მფლობელი ბ. წილოსანი). დაფუძნდა 2005 რუსთავში. მისი ამუშავებით ქვეყანაში დაიწყო ახ. ეტაპი სარკინიგზო ტრანსპორტის მშენებლობისა და მოდერნიზაციის მიმართულებით. საწარმოს ძირითადი საქმიანობაა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ყველა ტიპის სატვირთო ვაგონების (ნავთობმზიდი ცისტერნები, ნახევარვაგონები, კონტეინერმზიდები, ხორბალმზიდები, ცემენტმზიდები და სხვ.) წარმოება, ასევე ყველა ტიპის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზების, შეკეთების, კაპიტ. რემონტისა და სხვა სახის სამუშაოები. ქ-ნა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და მოწინავე ტექნოლოგიებით, დანერგილია ინოვაციური მეთოდები. გამოშვებული პროდუქცია შეესაბამება ევროპ. სტანდარტებს და პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. საწარმოს პარტნიორული თანამშრომლობა აკავშირებს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის რკინიგზებთან, აგრეთვე რუსეთის, უკრაინის, შუა აზიისა და ევროპის ქვეყნების სხვადასხვა კომპანიებთან.

კომპანია ფლობს ხარისხის მართვის საერთაშ. სისტემის სერთიფიკატს ISO-9001-2000-ს. „3. პ.“ 2008-იდან გაერთიანებულია „საქართველოს ვაგონმშენებელთა ჰოლდინგში“ (*ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანასა* და რუსთავის მეტალურგიულ კომბინატთან ერთად). *ბ. წილოსანი.*

ვადაჭკორია ბადრი ნიკოლოზის ძე (დ. 29. V. 1947, ლანჩხუთი), ჟურნალისტი, ფოტოკორესპონდენტი. საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2003). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტის ჟურნალისტიკის განყ-ბა (1977). მუშაობდა საქტელერადიოკომიტეტში სპეც. კორესპონდენტად (1971-იდან). იყო საქტელერადიოკორპორაციისა და „ახალი ქართული გაზეთის“ საკუთარი კორესპონდენტი ცენტრ. და აღმ. ევრ. ქვეყნებში (1998–2002). გაზეთების „ნატვრისთვალის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი. 1994–98 მოღვაწეობდა დიპლომატიურ სამსახურში. არის საერთაშ. ფოტოკონკურსების მონაწილე და ლაურეატი.

3. არის საქართვ. ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის (ფედერაცია) წევრი (1982), ჟურნალისტთა საერთაშ. ორგანიზაციის წევრი (1993) და ჟურნალისტთა ფედერ. პრიზის „ოქროს ფრთის“ ლაურეატი (2005).

არის 25 ფოტოკრებულის და 6 წიგნის ავტორი. მისი ნამუშევრებია: ფოტოალბომი „ქართული სული“ (2007, I ტ.), „ჩემი საქართველო“ (2010) და სხვ.

ვადაჭკორია გურამ არსენის ძე (დ. 11. X. 1930, თბილისი), პათომორფოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1991). 1952 დაამთავრა თსსი. ხელმძღვანელობდა პათომორფოლ. განყ-ბებს თავდაპირველად (1960–62) ტუბერკულოზის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, შემდეგ 1962–71 – ექსპერ. და კლინ. თერაპიის ინ-ტში. 1973–2003 უძღვებოდა ა. წულუკიძის სახ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის პათომორფოლ. და ჰისტოქიმიის ლაბორატორიას. არის საქართველოს სამედ.-ბიოლ. მეცნ. აკად. წევრი (1996). საქართვ. პროფილაქტიკური მედ. და ადამიანის ეკოლ. მეცნ. აკად. წევრი (1994). 3-ს სამეცნ. კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ენდოკრინული სისტემის სტრუქტურული ცვლილებების შესწავლა ექსპერ. ათეროსკლეროზის დროს. გამოცემული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. სამი მონოგრაფია. არის ერთი გამოგონების ავტორი.



ბ. ვადაჭკორია.

ვადაჭკორია (ქალიშვილობის გვარი – ხ ი მ შ ი ა შ ვ ი ლი) დოდო ალექსანდრეს ასული (დ. 15.VI. 1923, ქუთაისი), მწერალი და მთარგმნელი. დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი (1946). იყო სსრკ მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდული ლიტ-რის სექციის ბიუროს წევრი (1972), საკავშირო საბავშვო და მხატვრ. ლიტ-რის საბჭოს წევრი (1985). პირველი მოთხრობა „ჭრელი ხელთათმანები“ 1950 გამოაქვეყნა, პირველი კრებ. „უცნაური დედობილი“ – 1959. აღსანიშნავია მისი კრებულები: „თეთრი კენჭი“ (1962), „გაზაფხული, მზე და სიყვარული“ (1962), „ტატო, ქუდი და ქარი“ (1966), „გოლიათი კაკალი“ (1969); „ბროლის ციგა“ (1972), „ჩემი სოფელი“ (1973), „ერთი კალთა სიყვარული“ (1978), „კენკრა ტკბილია“ (1978), „ვარსკვლავები საჩუქრად“ (1984), „ბასარა და ტარაბისო“ (1988). 2000 გამოიცა 3-ს რჩეული „ვინ მივა პირველი საქართველოში“, 2005 – მოთხრობების კრებ. „დედის ლოცვა“, ხოლო 2014 – წიგნი „ყოჩივარდები“. თარგმნა ვ. მედვედევის, ბ. კამოვისა და სხვათა ნაწარმოებები, უკრაინული და შვედური ზღაპრები. მისი ნაწარმოებები თარგმნილია რუს. ენაზე. არის შიო მღვიმელის სახ. პრემიის ლაურეატი (1986). მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1999).



ზ. ი. ვადაჭკორია სცენის დროს.


ვადაჭკორია ზურაბ ივანეს ძე (დ. 24.II. 1961, თბილისი), მსახიობი, ილუზიონისტი. დაამთავრა საქართველოს საცირკო-საესტრადო ხელოვნების სახელმწ. სასწავლებელი (1986). 1981–91 იყო საქართვ. ფილარმონიის ორიგინ. ჟანრის მსახიობ-ილუზიონისტი. 3-მ პირველმა შემოიტანა და დაამკვიდრა საქართველოში საილუზიო ხელოვნების კულტურა. 1991-იდან არის ნ. დუმბაძის სახ. მოზარდ მაყურებელთა თეატრის კონსულ-

ტანტი. 1986 ჩამოაყალიბა საქართვ. ილუზიონისტთა კლუბი და არჩეულ იქნა მის პრეზიდენტად. 1988 მოსკოვის ილუზიონისტთა ფესტივალის კონკურსზე ,,ჯადოსნური აღლუმი-88'' გახდა პირველი ადგილის მფლობელი ,,საერთო მაგიაში''. 1992 თბილისში შექმნა საილუზიო შოუ-სპექტაკლი ,,მაგიური შოუ''. 1981-იდან არის მოსკოვის ილუზიონისტთა კლუბის წევრი. 1991-იდან გაწევრიანდა აშშ-ის საერთაშ. ილუზიონისტთა საძმოში, 2004-იდან – ქ. ბრნოს (ჩეხეთი) ილუზიონისტთა კლუბში. გასტროლებზე იმყოფებოდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. გამოქვეყნებული აქვს 4 წიგნი, რ-ებიც ეძღვნება საილუზიო ხელოვნების შესწავლას. არის მრავალი ფოკუსის ავტორი და ახალგაზრდა, დამწყებ ილუზიონისტთა აღმზრდელი. 2007 შეიქმნა დსთ-ის ქვეყნებში პირველი საფოსტო მარკა ,,ქართული საილუზიო ხელოვნება'' 3-ს სილუეტით. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).



ნ. ვადაჭკორია (ლ. კარკუსოვასა და მარგველაშვილთან ერთად). სასტუმრო ,,ამირანი''. თბილისი. 1986.

ვადაჭკორია ზურაბ ოთარის ძე (დ. 16. I. 1958, თბილისი), ყბასახის ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (1997). 1979 დაამთავრა თსსი. მუშაობდა თბილ. ბავშვთა V კლინ. საავადმყოფოში (1983–87), 1987-იდან დღემდე მუშაობს თსსუ-ის გ. ჟვანიას სახ. პედიატრიის აკად. კლინიკაში. იყო თსსუ-ში ბავშვთა სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრის გამგე (1993), ბავშვთა და მოზარდთა ქირურგ. სტომატოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი (2006).



შ. ვადაჭკორია.

1991–97 იყო თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკ-ტის დეკანი, 1997–2004 – თსსუ-ის პრორექტორი საერთაშ. ურთიერთობის დარგში, 2009-იდან – რექტორი.

შ. იყო თსსუ-ის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, 1997–2004 – საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, 1994-იდან – სახისა და ყბების განვითარების თანდაყოლილი მანკის მქონე ბავშვთა დისპანსერიზაციის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის ნაც. ცენტრის ხელმძღვანელი.



მ. ვადბოლსკი.

შ. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 1 მონოგრაფიისა და 1 სახელმძღვანელოს თანაავტორი.

ვადაჭკორია ნოდარ კონდრატეს ძე (დ. 27.II.1930, თბილისი), არქიტექტორი. დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1955). მუშაობდა თბილ. სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციებში. 1988 არჩეულ იქნა ,,საკკურორტპროექტის'' საქართვ. ფილიალის დირექტორად (1996-იდან – შპს ,,კურორტპროექტი''). მონაწილეობდა სანატორიუმ ,,იმერეთის'' (წყალტუბო) დაპროექტებაში (1958). ძირითადი ნამუშევრები: სასტუმრო დაბა ფასანაურში (1958, ზ. თავართქილაძესთან ერთად); მინისტრთა საბჭოს დასასვენებელი სახლი ბიჭვინთაში (1963); პანსიონატები წყნეთში (1964, ყველა ვ. ალექსი-მესხიშვილთან ერთად); პანსიონატი ,,სინოპი'' სოხუმში (1965); დასასვენებელი სახლი ,,ჰორიზონტი'' ქობულეთში (1978, მ. ლიპარტელიანსა და მ. ჩხენკელთან ერთად); სასტუმრო ,,ამირანი'' თბილისში (1986, ლ. კარკუსოვასა და მ. მარგველაშვილთან ერთად); საკასაციო სასამართლო თბილისში (2006, რ. ბაკურაძესთან ერთად) და სხვ. საერთაშ. გამოფენებზე იყო აგრეთვე საქართვ. პავილიონების ავტორი გფრ-ში (1972), თურქეთში (1973), ბულგარეთში (1974), საფრანგეთში (1975, ყველა რ. კიკნაძესა და შ. ყავლაშვილთან ერთად), მოსკოვში (1977, ო. ლითანიშვილთან ერთად). მიღებული აქვს ღირსების ორდენი (2002).

ს. კინწურაშვილი.

ვადაჭკორია შოთა იპოლიტეს ძე (21. II. 1928, თბილისი, – 9. XII. 2005, იქვე), მწერალი, ჟურნალისტი, საქართველოს კულტურის დამს. მუშაკი (1984). დაამთავრა თსუ-ის დას. ევრ. ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1952). 1953-იდან მუშაობდა სხვადასხვა გაზეთის (,,ზარია ვოსტოკა'', ,,ახალგაზრდა კომუნისტი'', ,,სახალხო განათლება'', ,,ლელო'') და ჟურნ. ,,ჟურნალისტის'' (1993–95, მთ. რედაქტორის მოადგილე) რედაქციებში, ხოლო 1966-იდან – 2003-მდე – ქართული ენციკლოპედიის მთავარ სამეცნ. რედაქციაში: 1966–67 იყო სიტყვანისა და სამეცნ. კონტროლის რედაქციის გამგე, 1967–93 – ენისა და ლიტრის რედაქციის გამგე, 1995-იდან – 2003-მდე – სიტყვანისა და ბიბლიოგრაფიის რედაქციის გამგე.

,,ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის'' 12-ტომეულის მომზადებასა და გამოცემაში შეტანილი წვლილისათვის 3-ს 1988 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (სხვებთან ერთად).

1953-იდან სისტემატურად აქვეყნებდა ლიტ.-კრიტ. და პუბლიც. წერილებს, მოთხრობებს. ავტორია მოთხრობათა კრებულისა ,,პირველი ჩემპიონები'' (1965). 1987 ცალკე წიგნად გამოსცა მოთხრობა ,,კუპრა'', ავტორია აგრეთვე მოთხრობებისა: ,,ნოვოკაინი'' (1988), ,,შურისგება'' (1989) და სხვ. აღსანიშნავია რომანი-დილოგია (I წიგნი – ,,მზის თვალი'', თბ., 1977; II წიგნი – ,,ლოტოსის ფურცლები'', თბ., 1984), რ-შიც გადმოცემულია სტუდენტობისა და შემოქმედი ინტელიგენციის ყოფა-ცხოვრება.

ლ. ავალიანი.

ვადბოლსკი მიხეილ ნიკოლოზის ძე (20. II. 1899, ვარშავა, – 19. V. 1990, თბილისი), საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1981), ჰერალდიკის სპეციალისტი, ჭადრაკის ისტ. მკვლევარი. მხატვრობა შეისწავლა სანქტ-პეტერბურგში, სადაც ბავშვობა გაატარა. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში მოხალისედ ავსტრიელების წინააღმდეგ. 1920 სამოქალაქო ომის დროს ასევე მოხალისედ იბრძოდა დას. ფრონტზე. რუს. სამოქალაქო ომმა მთელი მისი ოჯახი შეიწირა, რის შემდეგაც, 1924, შ. თბილისში დასახლდა. მუშაობა დაიწყო მხატვარ-გამფორმებლად. მოღვაწეობდა პოლიტ. სატირისა და აგიტაციის დარგში. ამავე პერიოდში შექმნა ისტ. პირთა პორტრეტები, ქართ. ისტ. საგვარეულოთა გერბები, დროშები, მოიძია ფულისა და ქართ. ტანსაცმლის ნიმუშები. ამასთანავე სწავლობდა საჭადრაკო თეორიებს საქართველოში, აღმოსავლეთისა და დას. ევროპის ქვეყნებში, იკვლევდა საკითხს ,,ჭადრაკი საქართველოში'' და სტატიების სახით აქვეყნებდა ჟურნალ-გაზეთებში. II მსოფლიო ომის დროს შ. დაუბრუნდა პროპაგანდის თემას და ხელმძღვანელობდა თბილ. წითელი არმიის სახლის სატირის ფანჯარას.

შ-მ ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება ქართ. გერბების შექმნის ისტორიას. იგი არის ქართ. ჰერალდიკური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი. შ-ს წიგნი ჰერალდიკის შესახებ გამოიცა სხვადასხვა სახელწოდებით: ,,ქართული ჰერალდიკის ალბომი'' (1947), ,,ძველი ქართული ჰერალდიკა და ხეთო-ივერო - ქართველური სიმბოლიკა'' (1970), ,,მასალები ძველი ქართული სიმბოლიკის და ჰერალდიკის საკითხისათვის'' (1970), ,,ქართული ჰერალდიკური

სიმბოლიკა'' (1980). 2010 საქართველოს პარლამენტთან არსებულმა ჰერალდიკის სახელმწ. საბჭომ გამოსცა წიგნი ვ-ის შესახებ: ,,მიხეილ ვადბოლსკი და ქართული ჰერალდიკა''.

ვაველის მუზარადი, XIV ს. უიშვიათესი აღმოსავლური მუზარადი; გამოჭედილია ფოლადის ერთი ნაჭრისაგან, აქვს დაბალი გვირგვინი სამყურა ორნამენტით, სათვალის ჭრილები დეკორ. ,,წარბების'' კვალით; სათვალის ჭრილებს შორის ბუდეა ბრტყელი საცხვირისათვის; გუმბათის ქვედა კიდეზე მოქლონით დამაგრებული ზარადის საკიდი კავებია, გაყრილი ლითონის წნელით, რ-ზეც ზარადის ჯაჭვის ზედა რგოლები იყო დაკიდებული. მუზარადის თავზე სამყურა ორნამენტით შედგენილი როზეტია წარწერით. ვ. მ-ის მასაა 985 გ, სიმაღლე – 20 *სმ*, დიამეტრი – 21,5 *სმ*.

დიდი ხნის განმავლობაში ვ. მ. სპარს. ნახელავად ითვლებოდა და მისი წარწერის შინაარსი უცნობი რჩებოდა. ამჟამად დადგენილია მუზარადის ქართ. წარმომავლობა და მისი ადგილი აღმოსავლური ზუჩების ევოლ. პროცესში. ვ. მ-ს წინამორბედი მუზარადები დადასტურებულია XII ს-ის ჯრუჭის ოთხთავისა და XIV ს-ის დავითნის მინიატურებში (H 1665) და დაცულია საქართვ. ეროვნულ მუზეუმში ე. წ. ჯალალ ად-დინის მუზარადის სახელით. ვ. მ-ის შემდგომ ევოლუციას ვხედავთ XVII ს-ის მამუკა თავაქარაშვილის ,,ვეფხისტყაოსნის'' მინიატურებში და ქ. კასტელის ალბომში, რაც საქართველოში ასეთი ფორმის ზუჩის წარმოების ტრადიციაზე მიუთითებს. ვ. მ. ეკუთვნოდა XVII ს. მოღვაწე, იმერეთის ძლიერი ფეოდ. გვარის წარმომადგენელს, საზვერელ ჩიჯავაძეს, რ-ის მფლობელობის დროსაც მუზარადზე დატანილია ქართ. წარწერა: ღმერთო და მხნეო მხედარო, დიდო წმინდ(ა)ო გიორგიო, გ(ა)უმარჯვე ჩიჯ(ა)ვაძეს საზვ(ე)რელს. მუზარადი უცხოეთში ჩიჯავაძის დაღუპვის შემდეგ (XVII ს. II ნახ.) მოხვდა. 1946-იდან დაცულია კრაკოვში (პოლონეთი), ვაველის სასახლის მუზეუმში. წარმოადგენდა თავადი კრასინსკების საკუთრებას.

ლიტ.: წ უ რ წ უ მ ი ა მ., მუზარადი ვაველის მუზეუმიდან და მისი ადგილი აღმოსავლური ზუჩების ევოლუციის პროცესში, ჟურნ. «ქართველოლოგია», V, 2010; მ ი ს ი ვ ე, The Helmet from the Wawel Royal Castle Museum and its place in the evolution of Oriental Helmet, «Acta Militaria Mediaevalia», VII, 2011.

მ. წურწუმია.

ვავილოვი ნიკოლოზ ივანეს ძე [13(25).XI. 1887, მოსკოვი, – 26. I. 1943, სარატოვი], გენეტიკოსი, მემცენარე, გეოგრაფი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1929), უკრაინის მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1929). საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. პრეზიდენტი (1929–35) და ვიცე-პრეზიდენტი (1935–40). 1931–40 საკავშ. გეოგრ. საზ-ბის პრეზიდენტი. 1911 დაამთავრა მოსკოვის სას.-სამ. ინ-ტი. ვ-მა ჩამოაყალიბა თანამედროვე სელექციის მეცნ. საფუძვლები, შექმნა მოძღვრება კულტ. მცენარეთა წარმოშობის მსოფლიო ცენტრებისა და მათი გეოგრ. გავრცელების შესახებ, აღმოაჩინა მცენარეთა მემკვიდრეობითი ცვალებადობის ჰომოლოგიური რიგისა და მცენარეთა იმუნიტეტის კანონები.

ვ-მა 1920–40 მოაწყო მრავალი ბოტან.-აგრონ. ექსპედიცია ამიერკავკასიაში, მ.შ. საქართველოში. მისი ხელმძღვანელობით საქართველოში აღმოჩენილ იქნა მცენარეთა მრავალი ახ. სახეობა და სახესხვაობა, მ. შ. ხორბლის (ზანდური, დიკა, გეორგიკუმი, მახა). მასვე ეკუთვნის საქართველოში ბევრი ახ. მცენარის, კერძოდ, ჩაისა და სხვა სუბტროპ. კულტურების შემოტანა-დანერგვის იდეა. ვ. იყო ლენინური პრემიის ლაურეატი (1926) ავღანეთში ჩატარებული გეოგრ. გამოკვლევებისათვის გადაეცა ნ. პრჟევალსკის სახ. ოქროს მედალი. ვ. იყო მრავალი საზღვარგარეთული აკად. და საზ-ბის წევრი და საპატიო წევრი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. დაწესებულია ნ. ვავილოვის სახ. პრემია (1965) და ოქროს მედალი (1968). მისი სახელი მიენიჭა მემცენარეობის საკავშ. ინ-ტს (1967). იყო რეპრესირებული (1940).

ვაზაგაშვილი გიორგი მურაზის ძე (დ. 19. IV. 1974, სოფ. ფლავი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი), სპორტსმენი (ძიუდო). სიდნეის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (2000), დსთ-ის ჩემპიონი (1992), ევრ. (1993) და მსოფლიოს (1994) ჩემპიონი ახალგაზრდებში. ევრ. და მსოფლიო ჩემპიონატების მეორე პრიზიორი (1995). ევრ. ჩემპიონი (1996, 1997), მსოფლიოსა (1997) და ევრ. (1999) ჩემპიონატების მესამე პრიზიორი. გამოდიოდა სხვადასხვა წონით კატეგორიაში. მიღებული აქვს ღირსებისა (1997) და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის (2000) ორდენები.

ვაზეჰე (ნამდვ. სახელი – მ ი რ ზ ა შ ა ფ ი) (დაახლ. 1792–96, განჯა, – 28. XI. 1852, თბილისი), აზერბაიჯანელი პოეტი, განმანათლებელი, კალიგრაფი. 1840-იდან თბილ. სამაზრო სასწავლებელში ასწავლიდა აზერბ. და სპარს. ენებს. 1844 დააარსა ლიტ.-ფილოს. წრე. 1846–50 განჯაში მასწავლებლობდა. 1850 დაბრუნდა თბილისში.

ვ-ის შემოქმედება შეიცავს ფილოს. ლირიკას, სატირული ჟანრის ნაწარმოებებს, სატრფიალო ლექსებს და სხვ. ვ-ის ლექსების დედნები, მცირე გამონაკლისის გარდა, შემორჩენილი არ არის. მსოფლიო მას იცნობს გერმ. პოეტის ფ. *ბოდენშტედტის* თარგმანით (,,ათას ერთი დღე აღმოსავლეთში'', 1850 და ,,მირზა შაფის სიმღერები'', 1851).

ვ. კარგად იცნობდა ქართ. სინამდვილეს, რაც მის პოეზიაშიც აისახა (,,დამშვიდობება თბილისთან'').

თხზ.: Избранная лирика, Баку, 1986; [წიგნში] Антология азербайджанской поэзии, т. 2, М., 1960.

ლიტ.: ბ ო დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ფ., ათას ერთი დღე აღმოსავლეთში, თბ., 1965; Р а ф и л и М., Мирза Шафи в мировой литературе, Баку, 1958; С е й д - з а д е А. А., Мирза-Шафи Садык-оглы Вазех, Баку, 1969.

გ. შაყულაშვილი.

ვაზი, მხვიარა მცენარე, მიეკუთვნება ვაზისებრთა (Vitaceae) ბოტან. ოჯახში შემავალ (Vitis L.) გვარს, რ-შიც გაერთიანებულია ვ-ის ყველა კულტ. სახეობა (70-მდე); ადამიანი იყენებს ევრ. სახეობას (V. Vinifera L.). ის შეიცავს ველურ (V. Silvestris) და კულტ. (V. Sativa) ფორმებს. მათ შორისაა *ვაზის ქართული ჯიშები*, რ-ებიც შავი და კასპიის ზღვის აუზის ჯგუფებშია გაერთიანებული, ეკუთვნის ევრაზიულ სახეობას.

საქართველოში ვ-ის კულტურა უძველესი დროიდანაა ცნობილი. მისი მოშენება დაიწყეს ენეოლითის ხანაში (ძვ. წ. VI–IV ათასწლ.). ბიოლ. და სამეურნეო თვლსაზრისით ძვირფასი მცენარეა, მსხმოიარობს დარგვიდან მეორე-მესამე წელს, ადვილად ეგუება სხვადასხვა ნიადაგურ-კლიმ. პირობებს, კარგად ფესვიანდება. გამოირჩევა გვალვა- და ყინვაამტანობით. იძლევა მინერ. მარილებით, ვიტამინებით და ორგ. მჟა-



ვაველის მუზარადი. XIV ს. ვაველის სასახლის მუზეუმი. ქ. კრაკოვი. პოლონეთი.



ნ. ვავილოვი.



გ. ვაზაგაშვილი.



ვაზი.

ვებით მდიდარ მაღალკალორიულ პროდუქციას. არსებობს ყურძნით (ამპელო-) და ღვინით (ენოთერაპია) მკურნალობის მეთოდი. ვაზი 50–60 წელი მსხმოიარობს. მისი ნაწილებია: ფესვი, შტამბი, მხარი და ტოტი (მრავალწლიანი ნაწილი), რქა, ყლორტი, კვირტი, ფოთოლი, პწკალი, ყვავილედი, მტევანი, მარცვალი, წიპწა. 3. შეიძლება იყოს შტამბიანი და უშტამბო, დაბალ ან მაღალშტამბიანი. მცენარის შტამბზე, ტოტზე და მხრებზე განლაგებულია რქები, რ-ებზეც ფოთოლთა ყუნწების იღლიაში მოთავსებულია კვირტი. ის შედგება მთავარი და შემცვლელი კვირტებისაგან. მრავალწლიან ნაწილებზე ვითარდება მძინარე კვირტი, მისგან განვითარებული ყლორტი უმეტესად უმოსავლოა. ზაფხულში ყლორტზე ვითარდება დამატებითი ყლორტი ანუ ნამხარი; პწკალი (ულვაში) 3-ის საყრდენზე დასამაგრებელი საშუალებაა, რ-იც ყლორტის მესამე-მეხუთე მუხლიდან ვითარდება. ფოთოლი მწვანეა, მოწითალო ან მოყვითალო ელფერით; მომრგვალო, ოვალური ან გულისებრი, დანაკვთულია სხვადასხვა სიღრმეზე, ზოგჯერ დაუნაკვთავი, ნაპირებზე სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ხერხისებრი კბილები დაჰყვება. ჯიშის მიხედვით ფოთოლი შეიძლება იყოს შებუსული ან შეუბუსავი; ყვავილები შეკრებილია ყვავილედად. 3-ის ყვავილი ორსქესიანი ან ცალსქესიანია (მდედრობითი, მამრობითი). მტევანი სხვადასხვა ზომისა და სიკუმსისაა. ფორმის მხრივ შეიძლება იყოს ცილინდრული, კონუსური, ცილინდრულ-კონუსური, უფორმო, განტოტვილი, ფრთიანი ან მხრიანი. მარცვალი სხვადასხვა ფორმისაა: მრგვალი, მომრგვალო, ოვალური, გრძელი, სხვადასხვა კონსისტენციის რბილობით (წვნიანი, მეტად წვნიანი, ხორციანი, მეტად ხორციანი – ხრაშუნა), აქვს სასიამოვნო ტკბილი გემო, ზოგჯერ სპეციფ. მუსკატისებრი ან იზაბელასებრი არომატით. მარცვალში 1–4 წიპწაა, რ-იც მოყავისფროა, აქვს ნისკარტი, ქალაძა და მუცლის ღარები. 3-ს წლიური განვითარების ციკლში აქვს პასიური და აქტ. პერიოდები. პასიური პერიოდი იწყება ფოთლის გაცვენით და მთავრდება ადრე გაზაფხულზე (მცენარეში წვენის მოძრაობის დაწყებისას). აქტ. პერიოდი იწყება 3-ის ტირილით (წვენის მოძრაობით) და მთავრდება შემოდგომაზე ფოთოლცვენით. აქტ. პერიოდი შედგება 6 ბიოლ. ფაზისაგან: 3-ის ტირილი, კვირტების გამოფურჩქნა და ყლორტების განვითარება, ყვავილობა; მარცვლების ზრდა-განვითარება, სიმწიფე შეთვალებიდან სრულ სიმწიფემდე, ფოთოლცვენა. კლიმ. პირობების მიხედვით ტირილი შეიძლება გაგრძელდეს 20–22 დღეს. კვირტის გამოფურჩქნა იწყება მაშინ, როცა ჰაერის დღეღამური საშ. ტემპ-რა 10–12°C მიაღწევს (მარტის ბოლო, აპრილის დასაწყისი). 3-ის გამოფურჩქნაზე გავლენას ახდენს პოლარულობა, ნიადაგსა და მცენარეში არსებული ტენის მარაგი, ჰაერში ჟანგბადის რაოდენობა და ტემპერატურა. ეს პროცესი 45–55 დღეს გრძელდება. 3-ის ყვავილობა 15°C ტემპ-რის პირობებში იწყება და 25–30°C-ზე (მაისის ბოლო – ივნისის დასაწყისი) ძლიერდება. მისი ხანგრძლივობა 10–12 დღეა. გამოხორბლილი მარცვლის ზრდასთან ერთად მასში უხვად გროვდება ორგ. მჟავები და კანი ჯიშისათვის დამახასიათებელ ელფერს იღებს. ყურძენი ტექ. სიმწიფეშია თუ მასში შაქრიანობა მიაღწევს 18–22%, ხოლო მჟავიანობა 5–9 *გ/დმ*³-მდეა. 3-ის ჯიშისა და ბუნებრივი პირობების შესაბამისად, მისი სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 150–260 დღეს გრძელდება. მოქმედ ბუნებრივ ფაქტორთაგან აღსანიშნავია ტემპრა, ტენი, სინათლე, ჰაერი, გეოგრ. განედი, სიმაღლე ზ. დ-იდან, ნაკვეთის ექსპოზიცია, ნიადაგი და ქარი. 3. – 15°-მდე ყინვას იტანს, ზოგიერთი კი – 30°C-საც უძლებს (იზაბელა, ამურის 3.); ქართ. 3-ის ჯიშები ყინვებისადმი მგრძნობიარეა.

3. მრავლდება ვეგეტატიურად: რქით, კვირტით, გადაწიდვნით, მყნობით. თესლით ანუ წიპწით გამრავლება გამოიყენება მხოლოდ სელექციური მიზნებისათვის – ახ. ჯიშების მისაღებად. 3-ს ამყნობენ ხელით, სამყნობი დანით ან მანქანით. პირველადი შეხორცების შემდეგ ნამყენს რგავენ სანერგეში, სადაც სათანადო მოვლის შედეგად მიიღებენ ერთწლიან ნერგს. დარგვის პირველ წლებში უტარებენ მოვლის კომპლ. აგროღონისძიებებს.

საქართველოში 3. ზ. დ. 1200 *მ*-მდეა გავრცელებული, სამრეწვ. ნარგავები კი 800 *მ*-მდე.

დიდი ყურადღება ექცევა 3-ის დაცვას მავნებლებისა და დაავადებებისაგან. მცენარის უმთავრესი მავნებლებია: ფილოქსერა, ყურძნის ჭია, ტკიპები, ამიერკავკ. მარმარა ღრაჭა და სხვ.; დაავადებებია: ჭრაქი, ნაცარი, ყურძნის სიდამპლეები, ფესვის სიდამპლე, ანთრაქნოზი, ბაქტერიული და ვირუსული დაავადებები და სხვ.

ლიტ.: კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი ნ., რ ა მ ი შ ვ ი ლ ი მ., ტ ა ბ ი ძ ე დ., საქართველოს ამპელოგრაფია, თბ., 1960; რ ა მ ი შ ვ ი ლ ი მ., ამპელოგრაფია, თბ., 1970.

მ. რამიშვილი. ნ. ჩხარტიშვილი.

„ვაზი+“ (შპს), სუვენირული ღვინის ქარხანა. შეიქმნა 1995 თბილისში (ზაჰესი). ფლობს 90 ჰა მიწის ფართობს საქართვ. სხვადასხვა კუთხეში (კახეთი, სამეგრელო), სადაც გაშენებულია ადგილობრივი უნიკალური ვაზის ჯიშები (ოჯალეში, საფერავი, რქაწითელი), რაც საავტორო ღვინოების შექმნის საშუალებას იძლევა. კლასიკურად დამზადებული ღვინოების გვერდით, როგორიცაა: ,,მუკუზანი“, ,,საფერავი“, ,,წინანდალი“, ,,ქინძმარაული“ და ა. შ. ღვინო მზადდება ტრად. მეთოდით – ქვევრში. ღვინო გამოდის სავაჭრო ნიშნით ,,ბინეხი“. ამ კოლექციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვევრის ღვინოებს. ღვინო, ბოთლების გარდა, ისხმება აგრეთვე სხვადასხვა ფორმის კერამ. ჭურჭელში, რ-ებიც მზადდება ხელით, სპეც. ტექნოლოგიით, კომპანიის კუთვნილ საამქროში. საწარმო მრავალფეროვან ღვინოებთან ერთად უშვებს ყურძნის ჭაჭას და ალუბლის ლიქიორს. ქ-ნის საპროექტო სიმძლავრეა 25 ათასი *დკლ* ღვინო წელიწადში.

,,3.+“ დიდ ყურადღებას უთმობს ახ. საავტორო სასმელების შექმნას. ამის შედეგად შეიქმნა ნატურალური ემულსიური ,,ალუბლის ლიქიორი“, ,,ჭაჭა ტარხუნა“ და საავტორო ღვინოები – თეთრი მშრალი და თეთრი ნახევრადმშრალი ღვინო ,,ბინეხი“. პროდუქცია გაიდის ექსპორტზე (იაპონია, კორეა, ჩინეთი, პოლონეთი, გერმანია, თურქეთი, უკრაინა, ბალტიისპირეთის ქვეყნები და სხვ.). სხვადასხვა საერთაშ. კონკურსებსა და გამოფენებზე მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მ. შ. 1 გრანპრი (2000, სანქტ-პეტერბურგი), 17 ოქროს, 10 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი (2000–12).

ბ. ხალვაში.

ვაზიანი, სოფელი გარდაბნის მუნიციპალიტეტის მარტყოფის თემში (ქვემო ქართლის მხარე),

სამგორის ვაკეზე. რკინიგზის სადგური. ზ. დ. 580 *მ*, გარდაბნიდან 48 *კმ*. 7,7 ათ. მცხ. (2002).

ვაზიანი (1945-მდე – დ ა მ პ ა ლ ო), სოფელი მცხეთის მუნიციპალიტეტის ქსოვრისის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მუხრანის ვაკეზე, მდ. ქსნის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 590 *მ*, მცხეთიდან 25 *კმ*, ქსნიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 14 *კმ*. 590 მცხ. (2002).

სოფელი დამპალოს სახელწოდებით მოხსენიებულია წილკნის სამწყსოს სიგელში (1669). ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) მას იხსენიებს დამპალეთის სახელწოდებით და სამუხრანოში აქცევს, სოფლის სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს სოფელში სარწყავი არხების მოშლის გამო წარმოქმნილი ჭაობიანი დამპალი მიწების არსებობას. 1865–თვის დამპალო შედიოდა დუშეთის უბნის ქსოვრისის სასოფლო თემში და იქ 19 კომლი ცხოვრობდა.

3-ის მიდამოებში, სასაფლაოზე, შემორჩენილია გუმბათოვანი ეკლესია ,,ზუმბიანი'' (XVII ს. დასაწყისი). სოფლის შუაში ციხე–გალავანია (XVIII ს. II ნახ.).

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941.

ლიტ.: გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.

ჯ. გვასალია.

ვაზიანი (ყოფ. ზ ე მ ო ჯ ვ ა რ ც მ ა), სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის თემში (გურიის მხარე), მდ. სუფსის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 250 *მ*, ჩოხატაურიდან 5 *კმ*, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 24 *კმ*. 364 მცხ. (2002).

„ვაზიანი“ (სააქციო საზოგადოება), ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანია, დაარსდა 1982 თბილისში როგორც ,,სამტრესტის'' სუვენირულ ნაკეთობათა კომბინატი (უშვებდა სუვენირულ ბოთლებში ჩამოსხმულ ღვინოს, კონიაკსა და არაყს), რ-იც 1989-იდან სამრეწვ.-კომერციულ ფირმად გადაკეთდა და ეწოდა ,,ვაზიანი''. 1992-იდან კი ჩამოყალიბდა როგორც სააქციო საზ-ბა ,,ვ.'' უშვებდა 32 დასახელების სხვადასხვა ასორტიმენტის პროდუქციას: ნატურალურ ღვინოს, კონიაკს (ბრენდი), არაყს და ცქრიალა ღვინოს. მისი წლიური ბრუნვა 3 მლნ. ბოთლს შეადგენდა. ქ-ნა აღჭურვილი იყო უახლესი ტიპის მანქანა-დანადგარებით. კომპანია კახეთში (თელავი) ფლობდა ღვინის პირველადი გადამუშავების ქ-ნას და ვენახებს. ნედლეულს ღებულობდა აგრეთვე საქართვ. სხვა რეგიონებიდანაც ვაზის ადგილწარმოშობის მიხედვით. ღვინის ჩამოსხმა ხდებოდა როგორც ბოთლებში, ისე სხვადასხვა ტევადობის კერამიკულ დოქებში.

კომპანია კონიაკის ერთ-ერთი ძირითადი მწარმოებელი იყო საქართველოში. ,,3-ს'' ჰქონდა რამდენიმე ასეული ათასი *დკლ* ტევადობის სპირტსაცავი (ორხევში),



,,ვაზიანი''. ღვინის ქარხანა.

სადაც ინახავდნენ საკონიაკე სპირტს სამარკო და ორდინარული კონიაკების დასამზადებლად. ,,3-ის'' მიერ დამზადებული კონიაკებიდან განსაკუთრებული გემოთი და ხარისხით გამოირჩეოდა: ,,არაგვი'', ,,გრემი'', ,,ვარციხე'', ,,ენისელი'', ,,თბილისი''. ცქრიალა ღვინოებიდან აღსანიშნავი იყო ,,სამეფო'' და ,,ოქრო''.

საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის 80% საექსპორტოდ იგზავნებოდა დსთ-ის ქვეყნებში, კანადაში, აშშ-ში, პოლონეთში, ბელგიაში, გერმანიაში და სხვ.

,,3-ის'' პროდუქციას საერთაშ. გამოფენებზე მიღებული ჰქონდა 5 ოქროს, 7 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი. 2004 წ. ქ. ოდესაში (უკრაინა) გამართულ ალკოჰოლური სასმელების საერთაშ. გამოფენაზე ცქრიალა ღვინო ,,სამეფომ'' მიიღო გრან-პრი.

2012 კომპანიაში მოხდა რეორგანიზაცია და იგი დაიშალა რამდენიმე შპს-დ. ,,3-ის'' სამართალმემკვიდრე გახდა შპს ,,ვაზიანი კომპანი'', რ-იც ფლობს სრული ციკლის უახლესი ტექნიკით აღჭურვილ ახალ ღვინის ქ-ნას თელავში (აშენდა 2013). ქ-ნის საპროექტო სიმძლავრე 3 მლნ. ბოთლია წელიწადში. უშვებს 22 დასახელების როგორც თეთრ, ისე წითელ ღვინოს წლიურად საშუალოდ 1,5 მლნ. ბოთლის ოდენობით. პროდუქცია გადის საექსპორტოდ ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, პოლონეთში, რუსეთში, უკრაინაში, ყაზახეთში, ჩინეთში და ა. შ. *ლ. აბრამიშვილი.*

„ვაზი და ღვინო“, სამეცნიერო-პოპულარული ორკვირეული ჟურნალი. საქართვ. მელვინე-მევენახეების ყრილობათა საბჭოს ორგანო. გამოდიოდა 1920 თებ-იდან დეკ-მდე (გამომცემელი – მელვინე-მევენახეთა ყრილობის საბჭო). იბეჭდებოდა მასალები ვაზის მოვლა-გაშენების, ღვინის დაყენებისა და გასაღების საკითხებზე.

გ. თოდუა.

ვაზირი, იხ. *ვეზირი.*

ვაზის ლოკოკინა (Helix Lucorum), ხმელეთის ნიჟარიანი მოლუსკი მუცელფეხიანთა (Gastropoda) კლასისა. ნიჟარა მოყავისფრო-მოყვითალო შეფერილობისაა 2–5 მუქი ყავისფერი ზოლით. ნიჟარის სიმაღლე 35–50 *მმ*, ხოლო სიგანე 40–55 *მმ*-ის ფარგლებში მერყეობს. ვ. ლ. ჰერმაფროდიტი ცხოველია. წელიწადში რამდენჯერმე მრავლდება, ერთ ჯერზე 20–30 კვერცხს დებს. ცოცხლობს 3–5 წელიწადი. სქესმწიფობას აღწევს 2 წლის ასაკში. იკვებება მცენარის ცოცხალი ფოთლებით და ნაყოფებით. უმნიშვნელო ზიანი მოაქვს სოფლის მეურნეობისთვის. გავრცელებულია მთელ საქართველოში. ბინადრობს როგორც დაბლობ, ისე მთიან ზონაში. ძირითადად გვხვდება დასახლებულ პუნქტებსა და მის შემოგარენში, იშვიათად – ბუნებრივ ლანდშაფტებში. გლობალურად გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში (ევროპასა და რუსეთის ევრ. ნაწილში ვ. ლ-ს უწოდებენ მის მონათესავე სახეობას – Helix pomatia). ვ. ლ. პოპულ. საკვებია მთელ მის გავრცელების არეალში, მ. შ. სამცხე-ჯავახეთშიც. ამ მიზნით მას ბევრ ქვეყანაში ხელოვნურადაც ამრავლებენ.



ვაზის ლოკოკინა.

ვ. ლ-ს უახლოესი მონათესავე სახეობებია ბუხის ლოკოკინა (Helix buchi) და *გოდერძის ლოკოკინა* (Helix goderdziana), რ-ებიც კავკ. ენდემებია. ბუხის ლოკოკინა გავრცელებულია მთელ საქართველოში, აფხაზეთის გარდა, და მცირედით იჭრება ჩრდილოეთ თურქეთისა და სომხ. ტერიტორიაზე.



ვაზის საძირე ლერწიდან კვირტების ასაჭრელი მანქანა.

ვაზის სამყნობი მანქანების კომპლექსი, მანქანების კომპლექსი, რომელიც ახორციელებს ვაზის მყნობის ტექნოლოგიურ პროცესს. შედგება რამდენიმე მანქანისაგან. თითოეული მათგანი ასრულებს ვაზის მყნობის ტექნოლ. პროცესის რომელიმე ოპერაციას.



ვაზის საძირე და სანამყენე ლერწის დასაჭრელ-დასაყალიბებელი მანქანა.



ვაზის სამყნობი მანქანა.



ვაზისუბანი (გურჯაანის მუნიციპალიტეტი). ორმოცი მოწამის ეკლესია (დავითიანი). VII ს.

ვაზის საძირე ლერწიდან კვირტების საჭრელი მანქანით კვირტებს აჭრიან მყნობამდე, რათა დარგვის შემდეგ მათგან ყლორტები არ განვითარდეს. მანქანას აქვს ელექტროამძრავი და შედგება კვირტების ასაჭრელი და ლერწის გასატანი ძირითადი კვანძებისაგან. ლერწის მიწოდების შემდეგ კვირტების აჭრა და დამუშავებული ლერწის დალაგება ავტომატურად ხდება. მისი მწარმოებლურობა ხელით შრომასთან შედარებით 8-ჯერ მეტია. ემსახურება ერთი კაცი.

ვაზის საძირე და სანამყენე ლერწის დასაჭრელ-დასაყალიბებელი მანქანა საძირე და სანამყენე ლერწებს ჭრის საჭირო ზომაზე, დიამეტრის მიხედვით აყალიბებს და ფრაქციებად ანაწილებს ყუთებში. ლერწის მიწოდების შემდეგ მანქანა ყველა ოპერაციას ავტომატურად ასრულებს. მანქანის ჩარჩოზე დაყენებულია 2 ცალი ლერწის დასაჭრელ-დასაყალიბებელი კვანძი, რ-ებიც მუშაობს ხან ერთდროულად, ხან ცალ-ცალკე (საჭიროების მიხედვით). მანქანას ამუშავებს ელექტროძრავა, სანამყენე ლერწის დაჭრისას მისი მწარმოებლურობა ცვლაში 40 000 ცალია, ხოლო საძირე ლერწის დაჭრისას – 24 000 ცალი; ემსახურება ორი კაცი.

ვაზის სამყნობი მანქანა ვაზს ამყნობს ირიბული კოპულაციის წესით. მყნობის ყველა ოპერაცია (გარდა მასალის მიწოდებისა) ავტომატიზებულია. მანქანა შედგება: ა) ჩარჩოზე დაყენებული მჭრელი ტიპის ბრტყელი დანებისაგან, რ-ებიც საჭრელ ზედაპირზე სრიალით მოძრაობს და სამყნობ კალმებს სწორად და სუფთად ჭრის; ბ) სამყნობი კალმების დასამაგრებელი, სანამყენეს საძირესთან ავტომატურად შესაერთებელი, მუშა ორგანოს ჩასართავი და ავტომატურად გამოსართავი კვანძებისაგან. მანქანას ამუშავებს ელექტროძრავა. მწარმოებლურობა – საათში 550 ცალი ნამყენი. ემსახურება ერთი კაცი.

ვაზის ნამყენის შესახვევი მანქანა ნამყენის ჭრილობის ადგილს 25 *მმ* სიგრძეზე ორფენად შემოახვევს ძაფს, რაც ნერგის გამოსავლიანობას 6–8%-ით ზრდის. მწარმოებლურობა – ცვლაში 3000 ნამყენი. ემსახურება ერთი კაცი.



ვაზისუბანი (გურჯაანის მუნიციპალიტეტი). სანაგირის ღვთისმშობლის ეკლესია. X–XI სს.

ვაზის ნამყენის პაკეტურ დასაპარაფინებელი მოწყობილობა შედგება ნამყენით სავსე ყუთის დასამაგრებელი, ყუთის 180°-ით მოსაბრუნებელი და თხევად პარაფინში ჩასაშვები კვანძებისგან. მოწყობილობაში შედის აგრეთვე ორმაგკედლიანი სპეც. ჭურჭელი ელექტროსახურებლითურთ, რ-იც მყარ პარაფინს ადნობს. თხევადი პარაფინის ტემპერა ოპტიმალურ დონეზე ავტომატურად რეგულირდება. ხელით დაპარაფინებასთან შედარებით მოწყობილობა შრომის ნაყოფიერებას 40-ჯერ ზრდის. ემსახურება ერთი კაცი. ვ. ს. მ. კ. შეიქმნა მებაღეობის, მევენახეობისა და მელვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. კომპლექსის ავტორები არიან გ. ი. პაპავა და ვ. გ. პაპავა (საქართვ. სახელმწ. პრემია, 1977).

ლიტ.: პაპავა გ., ვაზის მყნობის მექანიზაცია, თბ., 1960. *გ. პაპავა.*

ვაზისუბანი (1951-მდე – ურეათუბანი), სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის ჩრდ.–აღმ. კალთის ძირას, თელავი–ბაკურციხის საავტ. გზაზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 500 *მ*, გურჯაანიდან 13 *კმ*. 3,9 ათ. მცხ. (2002).

ახლანდელი 3-ის ტერიტ. ადრინდ. ფეოდ. ხანაშივე მჭიდროდ დასახლებული მნიშვნელოვანი საეკლ. და სავაჭრო ცენტრი იყო.

სოფელში დგას VI ს. II ნახ. ხუროთმოძღვრების ძეგლი, *ვაზისუბნის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია.* სოფლის მახლობლად დგას X–XI სს. დიდი სამნავიანი ბაზილიკა *სანაგირე*. 3-ის მახლობლადაა აგრეთვე დავითიანად წოდებულ ადგილზე მდგარი VII ს.



ვაზისუბანი (გურჯაანის მუნიციპალიტეტი). ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია. VI ს. II ნახევარი.

გუმბათოვანი ეკლესია, რ-იც ორმოცი მოწამის სახელზეა აგებული.

დ. მუსხელიშვილი.

ვაზისუბანი, სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების თემში (იმერეთის მხარე), კოლხეთის დაბლობზე, მდ. ხევისწყლის (რიონის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 20 *მ*, სამტრედიიდან 14 *კმ*, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ*. 620 მცხ. (2002).

ვ-ში არის ღვთისმშობლის ეკლესია (განვითარებული შუა საუკ.). ინტერიერში მოხატულობა დაზიანებულია. ჩრდილოეთის ფასადის მოჩუქურთმებულ ქვაზე ორ სვეტად ამოკვეთილია ლაპიდარული წარწერა, შუაში ასევე ამოკვეთილია ჯვარი. წარწერის თანახმად, ძეგლი აუგია ფეოდალ ჭილაძეს, აქედან მოდის ტერიტ. სახელწ. ,,საჭილაო‘‘.

„ვაზისუბანი“, სუფრის თეთრი ღვინო, მზადდება *რქაწითელისა* და *მწვანე კახური* ჯიშის ყურძნისგან, რ-ებიც გაშენებულია კახეთის ზონაში. არის ღია ჩალისფერი, ნაზი ჯიშური ბუკეტი, აქვს რბილი ჰარმონიული გემო. სიმაგრე – 11,5–12,5%, ტიტრული მჟავიანობა – 5,5–7,0 *გ/დმ*^{3}. უშვებენ 1978-იდან. ,,ვ‘‘-ის ჩამოსხმა ხდება ღვინის ქ-ნებში: ,,თელიანი ველი‘‘, ,,თელავის ღვინის მარანი‘‘, ,,თბილღვინო‘‘, ,,ბადაგონი‘‘ და სხვ.

ვაზისუბნის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, დგას სოფლის ცენტრში. განეკუთვნება VI ს. II ნახევარს. ეკლესია მოზრდილი სამნავიანი ბაზილიკაა. ნაგებია თანაბარი ზომის მსხვილი რიყის ქვის სწორად ნაწყობი რიგებით. გეგმით წაგრძელებული შენობა ბოძების ორი წყვილით ვიწრო, მაღალ ნავებად არის გაყოფილი. სამი მხრიდან გარშემოსავლელი ეკვრის. კოლოფა კამარით გადახურული შუა ნავი აღმ-ით საკურთხევლის აფსიდით არის დასრულებული. გვერდის ნავების გადახურვა ნალისებრი მოყვანილობისაა. აღმ. ნაწილში მათ თითო, გეგმით სწორკუთხა სათავსი აქვთ. ნალისებრი მოყვანილობისაა, აგრეთვე, ნავების გამყოფი თაღებიც. შესასვლელი სამია – სამხრეთის, ჩრდილოეთის და დასავლეთისა. ბაზილიკის შესასვლელის პირდაპირ, გარშემოსასვლელში ჩრდ. და სამხრ. მხარეს სამ-სამ თაღიანი, ხოლო დას-ით ერთთაღიანი შესასვლელია მოწყობილი. გარსშემოსავლელი გადახურულია კამარით, რ-იც ბაზილიკის კედლებზე მიშენებულ ბოძებზე გადაყვანილ თაღებს ეყრდნობა. ეკლესიის ფასადები სადაა, მხოლოდ მთავარი ნავის კედლების ზემო ნაწილს ამკობს დეკორაციული თაღები. ბაზილიკა XIX ს-ში შეუკეთებიათ და კრამიტით გადაუხურავთ.

2011 საერთაშ. საქველმოქმედო ფონდ ,,ქართუს‘‘ დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 1-ი, თბ., 2013; Ч у б и н а ш в и л и Г. Н., Архитектура Кахетии., Тб., 1959.

თ. საყვარელიძე.

ვაზის ქართული ჯიშები, აბორიგენული მცენარეები. საქართველო კულტ. ვაზის ფორმათა წარმოშობის ერთ-ერთ პირველად კერადაა აღიარებული, სადაც ხალხ. სელექციით 500-ზე მეტი აბორიგენული ჯიშია გამორჩეული, მოშინაურებული და გავრცელებული. აქვე მოპოვებული და აღწერილია თანამედროვე კულტ. ვაზის (Vitis vinifera sativa) უშუალო წინაპარი ველური სახეობა *უსურვაზი* (V. vinifera silvestris), რ-იც წითელ წიგნშია შეტანილი. მისი წარმოშობის ადგილებში აღწერილია 400-მდე ველური და გაველურებული ფორმა; ფიქსირებულია მათ შორის გარდამავალი ფორმებიც, რაც ველური ვაზის გაკულტურების პროცესზე მიგვანიშნებს. ვაზის ქართ. აბორიგენული ჯიშები მორფოლ.-ბიოლ. ნიშან-თვისებათა მიხედვით მოქცეულია შავი ზღვის აუზის (Convar pontica Negr.) საქართვ. ქვეჯგუფში (Sub. convar Georgica Negr.), რ-შიც გაერთიანებულია დას. და ნაწილობრივ აღმ. საქართვ. ჯიშები: *ცოლიკოური, ციცქა, კრახუნა, ოცხანური საფერე, ჩხავერი, ოჯალეში, კაჭიჭი, რქაწითელი, საფერავი* და სხვ. მათი განმასხვავებელი ამპელოგრაფიული ნიშნებია – ყლორტის წვერის ახალგაზრდა და ზრდასრული ფოთლების სხვადასხვა ინტენსივობით შებუსვა, საშუალო სიდიდის მტევნები, რ-ებიც უმეტესად საღვინე და ორმაგი (საღვინე-სასუფრე) დანიშნულებისაა. აღმ. საქართველოს ვაზის ჯიშების ნაწილი მოთავსებულია აღმ. აზიურ ეკოლ.-გეოგრ. ჯგუფის (Convar orientalis Negr.) კასპიის ზღვის აუზის (Sub. convar Caspica Negr.) ჯიშთა ჯგუფში (*თავკვერი, შავკაპიტო* და სხვ.), რ-თა განმასხვავებელი ნიშნებია: ყლორტის კონუსისა და ნორჩი ფოთოლაკების შეუბუსავობა, საშუალოზე დიდი მტევნები საკმაოდ წვნიანი მარცვლებით. საქართველოში გამოყოფილია კულტ. ვაზის ფორმათა წარმოშობის ორი კერა: კოლხეთის და ალაზნის. ვ. ძ. ჯ. ენდემურია და გავრცელებულია ძირითად ეთნ.-გეოგრ. ცენტრებში: კახეთში (90-მდე) – რქაწითელი, *მწვანე კახური, ხიხვი,* ქისი, მცვივანი, საფერავი და სხვ. ქართლში (72 ჯიში) – *ჩინური,* გორული მწვანე, გორულა სუფრის, ბუდეშური, შავკაპიტო, თავკვერი და სხვ.; იმერეთში (70-ზე მეტი) – ცოლიკოური, ციცქა, კრახუნა, ოცხანური საფერე, ძელშავი და სხვ.; რაჭაში (40-ზე მეტი) – *ალექსანდროული, მუჯურეთული წულუკიძის თეთრა,* კაბისტონი და სხვ.; ლეჩხუმში – *უსახელოური,* ორბელური, ოჯალეში და სხვ.; გურიაში (60-მდე) – ჩხავერი, *ალადასტური, ჯანი,* სხილათუბანი, *საკმიელა* და სხვ.; აჭარაში (50-მდე) – *საწურავი,* ბროლა, კლარჯული და სხვ.; სამეგრელოში (60-ზე მეტი) – ოჯალეში, ჩერგვალი, პუმპულა და სხვ.; აფხაზეთში (50-მდე) – ავასირხვა, კაჭიჭი და სხვ.; მესხეთში (25-ზე მეტი) – მესხური საფერავი, მესხური ცხენის ძუძუ, თამარის ვაზი და სხვ. ვაზის სამრეწვ. სორტიმენტში შეტანილი 47 ჯიშიდან 38 ქართულია (საღვინე – 37, წითელყურძნიანი – 14, თეთრყურძნიანი – 23).

ფ ე რ ა დ ყ უ რ ძ ნ ი ა ნ ი ჯიშებია: საფერავი, საფერავი ბუდეშურისებრი, ალადასტური, თავკვერი, შავკაპიტო, ოცხანური საფერე, ალექსანდროული, მუჯურეთული, ოჯალეში, ჩხავერი, ძელშავი, კაჭიჭი, საწურავი და სხვ.;

თ ე თ რ ყ უ რ ძ ნ ი ა ნ ი – რქაწითელი, მწვანე კახური, ხიხვი, ქისი, გორული მწვანე, ჩინური, ცოლიკოური, ციცქა, და სხვ.;

ს ა ს უ ფ რ ე აბორიგენული ჯიშებია: წითელი და თეთრი ბუდეშური, *გორულა,* ქართლის *თითა,* კლარჯული; სელექციური – ქართ. საადრეო, *თბილისური,* რქაწითელი მუსკატური, ივერია, ბესტავაშვილის თეთრა, დაისი, აგუნა, ვარძია და სხვ. ფილოქსერაგამძლე ქართ.-ამერიკული საძირე ჰიბრიდებია: რქაწითელი × რიპარია გლუვარი 14, რქაწითელი× (ბერლანდიერი × რიპარია 420^A) 19, შავი ხარისთვალა × (ბერლანდიერი × რიპარია ტელეკი 8^B) ბიოტიპი 9. საკოლე-



ალადასტური.



საფერავი.



უსახელოური.



ჩხავერი.

ვაზის ქართული ჯიშები

თეთრყურძნიანი ჯიშები



მწვანე კახური.



რქაწითელი.



ციცქა.



ცოლიკოური.

ქციო ნარგაობაში გამოვლენილია 20-მდე პერსპექტიული ჯიში: მცვივანი, ჩიტისთვალა, დანახარული, მხარგრძელი, ჯანი, საკმაელა, სხილათუბანი, პუმპულა, ბროლა და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ვაზის მცირედ გავრცელებული, უნიკალური ჯიშების (მწვანე კახური, ხიხვი, ქისი, მცვივანი, ალექსანდროული, მუჯურეთული, უსახელოური, კრახუნა, ოცხანური საფერე, ჩხავერი, ოჯალეში, შავკაპიტო, კაჭიჭი და სხვ.) აღდგენა-გავრცელებას. ვ. ძ. ჯ-ის უმეტესობა ჯიშურ პოტენციალს მაქსიმალურად ამჟღავნებს წარმოშობის კერებში და მის ანალოგიურ ადგილებში, უნიკალურ მიკროზონებში. საფერავისთვის ასეთი ადგილია შიდა (ახაშენი, მუკუზანი, ქინძმარაული) და გარე კახეთი (ხაშმი), რქაწითელის განვითარებისათვის საუკეთესოა წინანდლის, ნაფარეულისა და გურჯაანის მიკროზონები, მწვანე კახურისათვის – გარე კახეთი (მანავი-კაკაბეთის მიკროზონა); ხიხვისთვის რეკომენდებულია იყალთო (თელავი) და კარდენახი-ბაკურციხე (გურჯაანი), ჩინურისა და გორული მწვანესათვის გამორჩეულია ატენისა (გორი) და ქსნის ხეობა (ვაზიან-ქსოვრისის მიკროზონა); ალექსანდროული და მუჯურეთული მხოლოდ რაჭაში, ამბროლაურში (ხვანჭკარა, სადმელი, ბოსტანა, ჩორჯო და მათი მიმდებარე ადგილები) ავლენენ საუკეთესო თვისებებს. უსახელოურისთვის შეუცვლელია ზუბი-ოყურეშის მიკროზონა, ჩხავერისათვის – გურიისა და აჭარის მთის წინა ზვრები (ბახვი-ასკანა, ბუკისციხე) და ქედა (აჭარა); ოჯალეშისთვის – სამეგრელო (სალხინო და ბანძა); ციცქა, ცოლიკოური და კრახუნა ჯიშურ პოტენციალს მაქსიმალურად ავლენენ შუა (ზესტაფონი, ბაღდადი, თერჯოლა) და ზემო იმერეთის (ხარაგაული, საჩხერე) მიკროზონებში.

XIX ს. I ნახევარში, პარიზში ვ. პიულიამ (1809), ჟ.-ფ. გამბამ (1824), ა. დეკანდოლმა, გ. შარერმა და ფ. კოლენატმა (1843–44) აღწერეს ვაზის რამდენიმე ქართ. ჯიში, საქართველოში კი – ლ. ჯორჯაძემ (1876), ე. *ნაკაშიძემ,* ი. *წინამღვრიშვილმა* და სხვ. ივ. ჯავახიშვილის წიგნში ,,საქართველოს ეკონომიკის ისტორია'' (1934) გაშუქებულია ვ. ძ. ჯ-ის წარმომავლობის, გავრცელების, სახელწოდებების, მათი უცხოეთში გატანისა და სხვა საკითხები. 1938 გამოიცა ს. *ჩოლოყაშვილის* სახელმძღვანელო ამპელოგრაფიაში. მანვე საინტერესო შრომა მიუძღვნა თამარის ეპოქის (XII ს.) ჯიშებს (საფერავი, რქაწითელი, ხიხვი, მწვანე, ხევარდული), რ-ებიც V ს-იდან მოიხსენიებიან ისტ. წყაროებში. 1934 თ. კვარაცხელიამ შეაგროვა და აღწერა აფხაზეთის ვაზის ჯიშები, მ. *რამიშვილმა* – გურიის, სამეგრელოსა და აჭარის (1947), დ. *ტაბიძემ* – კახეთის (1947), ნ. ჩახნაშვილმა (1953) და რ. კიკაჩეიშვილმა (1963) – ქართლისა, ა. მიროტაძემ – რაჭა-ლეჩხუმის. ვაზის ჯიშები გამოიყვანეს ნ. ჩახნაშვილმა და ვ. *ქანთარიამ* (თბილისური, მუსკატური რქაწითელი), დ. ტაბიძემ (ქართ. ადრეულა, სახალხო თეთრი), აგრეთვე მ. რამიშვილმა და რ. რამიშვილმა (ივერია, კოლხური, ვარძია, ნაცრისფერი მუსკატი და სხვ.). 1960 დაიბეჭდა ილუსტრირებული ატლასი ,,საქართველოს ამპელოგრაფია'' (ნ. კეცხოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე). 1946–70 ქ. მოსკოვში გამოცემულ საკავშ. ამპელოგრაფიის XI ტომში ქართველმა მეცნიერებმა (მ. რამიშვილი, რ. რამიშვილი, დ. ტაბიძე, ნ. ჩახნაშვილი, რ. კიკაჩეიშვილი და სხვ.) 414 ჯიში აღწერეს. 1983–86 გამოვიდა მ. რამიშვილის სახელმძღვანელო ,,ამპელოგრაფია''. 1986–96 მოლდავეთში, ქ. კიშინიოვში გამოიცა სამტომეული ,,მევენახეობის ენციკლოპედია'' (სარედაქციო კოლეგიის წევრი ნ. *ჩხარტიშვილი*), რ-შიც 300-ზე მეტი ქართ. ჯიშია შეტანილი. აღსანიშნავია რ. რამიშვილის მონოგრაფია ,,ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია'' (2004), რ-შიც 300-მდე ჯიშია წარმოდგენილი, დახასიათებულია საქართველოში გავრცელებული ველური და გაველურებული ვაზის ფორმებიც, საიდანაც 400-ზე მეტი მანვე მოიპოვა. 2004 და 2009 იტალ. ენაზე გმოცემულ წიგნში ,,აღმოსავლეთის ამპელოგრაფია'' 150 ქართ. ჯიშია დახასიათებული (ნ. ჩხარტიშვილი, ნ. ცერცვაძე). 2012 ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა ,,კავკასია და შავი ზღვის ჩრდილოეთ რეგიონის ამპელოგრაფია'' (ნ. ჩხარტიშვილი, ნ. ცერცვაძე, დ. მაღრაძე), რ-შიც 50-მდე ქართ. ჯიშია აღწერილი და ილუსტრირებული. საფრანგეთის დედაქალაქში, პარიზში, ორივე გამოცემას მიენიჭა მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშ. ორგანიზაცია oiv-ის პრემია.

საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშები თავმოყრილია ამპელოგრაფიულ კოლექციებში. XX ს. 30-იან წლებში კახეთში, თელავში, მევენახეობა-მელვინეობის კვლ. ინ-ტის ექსპერ. ბაზაზე გაშენდა პირველი საკოლექციო ნაკვეთი 600 ნიმუშით, საიდანაც 300-ზე მეტი იყო ქართული. 1947 თბილ. მახლობლად, დიღმის მეურნეობაში მოეწყო საკოლექციო ნაკვეთი 1200 ჯიშით, რ-იც 1968 გაფართოვდა და გადაიქცა საერთაშ. კატეგორიის საკოლექციო ნარგაობად 3000-მდე ჯიშით, მათ შორის 420 იყო ქართული. იქვე, მ. რამიშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა ამპელოგრაფიული ლაბორატორია, რ-იც გადაიქცა ვაზის ქართ. გენოფონდის კვლევის ცენტრად. სამხარეო და ადგილობრივი კატეგორიის ნარგაობები მოეწყო: საქარაში (200-ზე მეტი ჯიში), გუდაუთაში (აფხაზეთი; 300-ზე მეტი), ზუგდიდში (სამეგრელო; 50-მდე), აჭარაში (40 ჯიში), მესხეთში (30-მდე), მუხრანში (200-ზე მეტი) და სხვ. 2003 საქართვ. მებაღეობის, მევენახეობისა და მელვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის თბილ. ვაშლივჯვარის ექსპერ. ბაზაზე საერთაშ. პროექტით (გენოფონდის დაცვის ინ-ტი; რომი) გაშენდა 350-ზე მეტი კულტ. და ველური ვაზის ჯიში და ჯიშფორმა (ნ. ჩხარტიშვილი, ნ. ცერცვაძე). მილანის უნტთან თანამშრომლობით იტალ. ქ. გორიციაში გაიგზავნა ვაზის 150 ქართ. ჯიში; პარალელურად, კახეთში, ყვარლის მეურნეობის კერძო სექტორში გაშენდა 300-ზე მეტი ჯიში (ლ. უჯმაჯურიძე); აგრეთვე 150-ზე მეტი ნიმუში დაცულია წინანდალში, კომპანია ,,შუმის'' ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე. XX ს. ბოლოდან კოლექციების დიდი ნაწილი დაკნინდა. ზოგი მათგანი (აფხაზეთის, აჭარის, სამეგრელოს, საქარის საცდელი სადგურის, აგრ. უნ-ტის, თბილისის ვაშლივჯვრის) აღარც კი არსებობს. ბ. *ივანიშვილის* ძალისხმევით საქართვ. მებაღეობის, მევენახეობისა და მელვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის სამეცნ. ძალებისა და ტექ. ბაზის გამოყენებით 2007 მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯიღაურაში შეიქმნა ვაზისა და ხეხილის ჯანსაღი სარგავი მასალის წარმოების ცენტრი (ხელმძღვ. ლ. უჯმაჯურიძე, მეცნ.-კონსულტანტი ნ. ჩხარტიშვილი), რ-იც ნერგის წარმოებასთან ერთად უზრუნვე-

ლყოფს ვაზისა და ხეხილის გენოფონდის კონსერვაციას, კვლევას და აღწარმოებას. იქვე 2009 გაშენდა საკოლექციო ნაკვეთი, სადაც 450-მდე ვაზის ქართ. ჯიშია თავმოყრილი (თითოეული 10–20 ძირის რაოდენობით), ასევე შემოტანილი და დაცულია 300-ზე მეტი უცხ. ჯიში. კოლექცია რეგისტრირებულია საერთაშ. კატეგორიის სტატუსით. 2014-იდან საქველმოქმედო ფორმა ორგანიზაციისა შეიცვალა და გადავიდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში სამეურნეო ანგარიშიანი მეურნეობის სახით. ქართ. ვაზის გენოფონდს იცავს საქართვ. კანონი ,,ვაზისა და ღვინის შესახებ'' (1998).

ვაზის უნიკალური ქართ. ჯიშებისაგან ღებულობენ ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებს: ,,*რქაწითელი*'', ,,*ნაფარეული*'', ,,*გურჯაანი*'', ,,*მუკუზანი*'', ,,*ქინძმარაული*'', ,,*ახაშენი*'', ,,*ხვანჭკარა*'', ,,*წინანდალი*'', ,,*მანავის მწვანე*'', ,,*სვირი*'' და სხვ. აღიარება პოვა ქართ. ვაზის ღვინო-მასალებისაგან შექმნილმა ,,*ენისელმა*'', ,,*გრემმა*'' და სხვ. ქართულმა ღვინომ საერთაშ. კონკურსებზე არაერთგზის დაიმსახურა უმაღლესი ჯილდოები, ოქროსა და ვერცხლის მედლები.

ნ. ჩხარტიშვილი.

ვაზოვანი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, VI ს. *სამეკლესიანი ბაზილიკა.* მდებარეობს ყვარლის ჩრდ.-აღმ-ით 3 *კმ*-ზე, მდ. ვაზოვანის მარცხ. შემაღლებულ ნაპირზე, ტყეში. შენობა ნაგებია რიყის და ნატეხი ქვით კირის ხსნარზე. შიგნით და გარედან გალესილი ყოფილა. კუთხეები მსხვილი თლილი ქვითაა გამოყვანილი. გვხვდება გათლილი შირიმის ქვაც. მაღალი და ვრცელი შუა ნავის გრძივი კედლები სამ-სამი ორსაფეხურიანი პილასტრით ოთხ მონაკვეთადაა დაყოფილი. აღმოსავლეთის მხარეს ნალისებრი აფსიდია, რ-ის გვერდებზე გეგმით სწორკუთხა, უშუალოდ შუა ეკლესიასთან კარით დაკავშირებული სამკვეთლო და სადიაკვნეა განლაგებული. სამხრ. ეკლესიიდან შემორჩენილია ეკლესიის აფსიდის ნაშთი; ჩრდ. ეკლესიები მთლიანად დანგრეულია. მთავარი ნავის სამხრ., ჩრდ. და დას. კედლებზე შემორჩენილია კონსოლები, რ-ებსაც გვერდითი ეკლესიების და დას. გარშემოსავლელის გადახურვა იყო დაყრდნობილი. საკურთხევლის აფსიდსა და მის გვერდებზე არსებული სათავსების აღმ. კედელში გარეთკენ შევიწროებული თითო სარკმელია. შუა ნავი ნათდებოდა 2 ასეთივე სარკმლით, რ-ებიც გაჭრილი იყო, შუა ნავის სამხრ. კედელში. შუა ეკლესიას 3 შესასვლელი აქვს. მოკლებულია ორნამენტულ სამკაულებს, წარწერებს. ინტერიერში შემონახულია მოხატულობის უმნიშვნელო ფრაგმენტები. ძეგლის სამხრ.-აღმ-ით დასახლების ნაშთია, ხოლო მისგან აღმ-ით დაახლ. 3 *კმ*-ზე საკმაოდ დიდი ნაქალაქარია, რ-საც ადგილობრივი მოსახლეობა ყორიანს უწოდებს.

ლიტ.: ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი გ., კახეთის ერთი უცნობი არქიტექტურული ძეგლის შესახებ (ვაზოვანი), «ძეგლის მეგობარი», 1986, №2; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 1-ი, თბ., 2013; Ч у б и н а ш в и л и Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

ვათეიშვილი (ვ ა თ ა ძ ე) ჯუანშერ ლევანის ძე (დ. 8. X. 1931, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1990), რფ მეცნ. დამს. მოღვაწე (1992). საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი [1990. პრემია მიენიჭა არნ. ჩიქობავასთან ერთად მონოგრაფიისათვის ,,პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები'' (ქართ., რუს., ინგლ. ენებზე), თბ., 1978]. 1954 დაამთავრა მოსკ. სახელმწ. უნ-ტი. 1958-იდან მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმში (პრეზიდენტის თანაშემწედ, განყ-ბის გამგედ), 1960–62 – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტში (1962–64 სწავლული მდივანი). 1985-იდან მოსკოვის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტ. სამეცნ.-კვლ. მუზეუმის დირექტორია, 1988-იდან – გერმ. სამეცნ. საზ-ბის ,,გიორგესგეზელშაფტის'' (ქ. კიოლნი) ნამდვილი წევრი. 1992-იდან ხელმძღვანელობს მოსკოვში თავისსავე დაფუძნებულ ალექსანდრე და პეტრე ბაგრატიონების სახ. საერთაშ. ფონდს, 1996-იდან კი – ამსტერდამში ნიკოლაას ვიტსენისა და ალექსანდრე ბაგრატიონის სახ. ქართ. სამეცნ.-კულტ. ცენტრ ,,გეორგიკას''.

3-ის სამეცნ. ინტერესების სფერო მოიცავს საქართვ. ურთიერთობათა ისტორიას რუსეთთან და დას. ევრ. ქვეყნებთან. 1977–82–90, როგორც იუნესკოს სტიპენდიანტმა, ხუთი ქვეყნის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ჰოლანდია, შვედეთი) არქივებში მოიძია ვრცელი დოკუმენტური მასალა დას. ევროპის ქვეყნებთან საქართვ. ისტ. ურთიერთობის შესახებ.

თხზ.: საქართველო-რუსეთის მეცნიერულ-კულტურული თანამშრომლობის ისტორიიდან XVIII საუკუნეში, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1975, №4; Русская общественная мысль на Кавказе в первой трети XIX века, М., 1973; П. И. Иоселиани. Очерк жизни и научно-общественной деятельности, Тб., 1978 (თანაავტ. ა. ბარამიძე); Грузия и европейские страны. Очерки истории взаимоотношений XIII–XIX вв.; т.1 – Грузия и Западная Европа XIII–XVII вв., т. 2 – Побратим Петра Великого. Жизнь и деятельность Александра Багратиони; т. 3 – Грузия и Россия X–XIX вв., М., 2003–04; Die Anfänge des georgischen Buchdrucks, «Georgica», Jena –Tb., 1980; The first Georgian printed Bible: on the history of its appearance, «Estudios Biblicos», v. 41, cuad. 3–4, Madrid, 1983; Origine e vicende editoriali della prima Biblia in lingua georgiana, «Nicolaus», Bari, 1986, Fasc. 1; Pietro Della Valle and his „information on Georgia" of 1626, «Regnum Dei», 2000, №126.

ვაინახები, იხ. *ვეინახები.*

„ვაინმენი" (Wine Man), შპს, ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანია. დაარსდა 1998 სოფ. წინანდალში (ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი) ალექსანდრე ჯორჯაძის მიერ (ამ გვარის წარმომადგენლებმა, რ-ებიც წარმოშობით კახეთიდან არიან, XVIII –XIX სს-ში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართ. მეღვინეობის განვითარებაში). კომპანია აწარმოებს ქართ. კლასიკურ ღვინოებს (საფერავი, მუკუზანი, ნაფარეული, ქინძმარაული, ხვანჭკარა, ახაშენი, წინანდალი, რქაწითელი, ფიროსმანი და სხვ.) სავაჭრო ნიშნით ,,ვაინმენი''. ამასთან ერთად 2009-იდან დაიწყო ახ. ღვინოების გამოშვება სავაჭრო ნიშნით ,,სანთელი''. ამ ღვინოების საწარმოებლად გამოიყენება ახლად გაშენებულ ვენახებში დაკრეფილი ყურძენი. ასეთი ყურძნისგან დამზადებული ,,სანთლის'' ღვინოები გამოირჩევა სხვადასხვა ხილის გემოს ინტენს. გამოხატულებით. ,,3.'' სრული ციკლის საწარმოა, სადაც წარმოდგენილია წარმოების ყველა პროცესი, დაწყებული ყურძნის გადამუშავებიდან – დამთავრებული ღვინის ჩამოსხმით. საწარმო ნედლეულით მარაგდება წინანდლისა და მუკუზნის მიკრო-ზონების საზღვარზე კახი-ფარის მიდამოებში მდებარე საკუთარი სავენახე ადგილ-მამულებიდან და კახეთისა და რაჭის სხვადასხვა



ჯ. ვათეიშვილი.

სოფლების ადგილობრივი მევენახეებისგან. საწარმოს საპროექტო სიმძლავრე 3000000 ბოთლი (0,75 ლ) ღვინოა წელიწადში. აღჭურვილია თანამედროვე მანქანა-დანადგარებით (იტალიური წარმოების ჩამოსხმის ხაზი, უჟანგავი ფოლადის ცისტერნები და ა. შ.). პროდუქცია გადის საექსპორტოდ უკრაინაში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, ჩეხეთში, ჰოლანდიაში, კანადაში, აშშ-ში, ჩინეთში და სხვ.

კომპანიის პროდუქციას 2010–12 წლებში საერთაშ. გამოფენებსა და დეგუსტაციებზე მიღებული აქვს არაერთი ჯილდო, მ. შ.: 4 ოქროს, 9 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი.



ი. ვაკელი.

ვაიო, სოფელი ქედის მუნიციპალიტეტის ზვარის თემში (აჭარის არ), მდ. აჭარისწყლის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 380 *მ,* ქედიდან 6 *კმ.* 505 მცხ. (2002).

3. აჭარისწყლის ხეობაში გამავალ დიდ სატრანზიტო გზაზე მდებარეობდა.

ინტენს. ცხოვრება ამ სოფელში შუა საუკუნეებშიც გრძელდებოდა. კარგახანს იგი ქვემო ხევის ადმ. ცენტრი უნდა ყოფილიყო (გვიანდ. შუა საუკუნეებიდან კი ამ ფუნქციას დაბა ქედა ასრულებს).

XVI ს. 70-იანი წლების ბოლოს მთელ აჭარასთან ერთად 3-ც ოსმალთა იმპერიაში მოექცა. აჭარის გათავისუფლებისათვის მიმდინარე შემდეგდროინდელი ბრძოლების დროს იგი აჭარისწყლის ხეობასთან ერთად პერიოდულად უბრუნდებოდა დედასამშობლოს, მაგრამ მტერი კვლავ ახერხებდა მის დაკავებას. 1878 წელს 3. საბოლოოდ განთავისუფლდა. ხალხი სოფლის სახელწოდებას – ,,ვაიოს'' ოსმალთა ბატონობის ავბედით ხანას უკავშირებს.

იხ. აგრეთვე *ვაიოს არქეოლოგიური ძეგლები. ი. სიხარულიძე.*

ვაიოს არქეოლოგიური ძეგლები, ძვ. წ. II ათასწლ. დასასრულის – I ათასწლ. დასაწყისის გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ძეგლი. აღმოჩენილია 1992–93 სოფ. ვაიოში (ქედის მუნიციპალიტეტი), ადგილ ნაასლარზე (მდ. აჭარისწყლის მარცხ. სანაპირო). გზის ჭრილში ნაპოვნია კანელურებით შემკული დოქი, ბრინჯაოს სასაფეთქლე ხვიები (4 ც.), რგოლი და მოზრდილი ზომის მძივსაკიდი; გამოვლენილია კულტ. ფენა, სადაც ბათქაშისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები იყო. არსებული მასალის მიხედვით სავარაუდოა სამოსახლოსა და სამაროვნის არსებობა.

სოფ. ვაიოში არის სპილენძის საბადოები. სავარაუდოდ, აქ მზადდებოდა დასაკრძალავი რიტუალისათვის საჭირო ნივთები.

ლიტ.: კ ა ნ დ ე ლ ა ., ახალი არქეოლოგიური მონაპოვრები სოფ. ვაიოდან, გაზ. «აჭარა», 1994, 30 აპრ.

ა. კახიძე.

ვაკე, უბანი თბილისის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მტკვრის მარჯვ. მხარეს, ვარაზისხევიდან ყოფილ სოფელ ბაგებამდე. სახელწოდება გაჩნდა XIX ს-ში, ნიშნავს სწორ, გაშლილ ადგილს. 3. ძვ. ვერის ნაწილის (საგაბაშვილოს) ტერიტორიაზე წარმოქმნილი დასახლ. პუნქტია. თბილისს 1907-იდან შეუერთდა. უკვე XX ს. დასაწყისისათვის წყნეთის (ახლანდ. პ. მელიქიშვილის) ქუჩის განაშენიანებამ მიაღწია ვარაზისხევს, რ-ზედაც პატარა ხიდი იყო გადებული. თბილისის 1907 გეგმაზე ხევის გაღმა მხოლოდ სათავადაზნაურო გიმნაზიის (ახლანდ. თსუ-ის მთ. კორპუსი) შენობაა აღნიშნული, მისგან დიდ მანძილზე შენდება სას. სემინარიის შენობა, ხოლო ნაკვეთი, რ-იც ყოფ. ფიზ. აღზრდისა და სპორტის სახელმწ. აკადემიას ეჭირა, კადეტთა კორპუსისათვის იყო გამოყოფილი.

3-ის ინტენს. განაშენიანება XX ს. 20-იანი წლების შემდეგ დაიწყო. ვარაზისხევის ამოვსების შემდეგ იგი ფართო ქუჩით დაუკავშირდა ქალაქის სხვა ცენტრ. რ-ნებს და დღეისათვის ერთ-ერთი დიდი საცხოვრ. უბანია.

ლიტ.: თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები. ენციკლოპედია, თბ., 2008.

ვაკე, იმერეთის დაბლობის დასავლეთ ნაწილის ისტორიული სახელწოდება (წყაროებში იხსენიება XVII ს-იდან). ტერიტორიულად მოქცეულია მდ. ცხენისწყალსა და რიონს შორის. ადამიანის ცხოვრების კვალი აქ ზედა პალეოლითის ხანიდანაა დამოწმებული. შემორჩენილია ბრინჯაოს ხანის ნასახლარები – ბორცვები, ე. წ. ,,გორიკები''. ადრეულ შუა საუკუნეებში 3-ის ტერიტ. ეგრისის სამეფოში შედიოდა, ერთიანი საქართველოს დაშლის (XV ს.) შემდეგ კი – იმერეთის სამეფოში. სამხ.-ადმ. დანაწილებით იგი იმერეთის სამეფოს პირველი სადროშოს შემადგენელი ნაწილი იყო.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973. *თ. ბერაძე.*

ვაკე, სოფელი გაგრის მუნიციპალიტეტის ხაშუფსეს თემში (აფხაზეთის არ), აფხაზეთის გორაკ-ბორცვიან მთისწინეთში, მდ. ხაშუფსეს მარცხ. მხარეს. ზ. დ. 320 *მ,* გაგრიდან 23 *კმ.* 221 მცხ. (1989).

ვაკე, სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტის ქვემო ოროზმანის თემში (ქვემო ქართლის მხარე), დმანისის პლატოზე. ზ. დ. 1230 *მ,* დმანისიდან 5 *კმ.* 317 მცხ. (2002).

ვაკე, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის ჩხიკვთის თემში (ქვემო ქართლის მხარე), ალგეთის ხეობაში, სოფ. გუდარეხის ჩრდ.-აღმ-ით. ზ. დ. 860 *მ.* 12 მცხ. (2002).

XV–XVIII სს. ისტ. საბუთებში მოხსენიებულია როგორც საბარათიანოს სოფელი. 3. აღნიშნულია ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) რუკებზე და მოხსენიებულია ქვემო ქართლის სოფელთა სიაში. 3. არსებობდა შუა საუკუნეებშიც, რასაც ადასტურებს XIII ს. ორი ეკლესია. ერთ-ერთი მათგანის წარწერაში იხსენიება თამარ მეფე. XIX–XX სს-ში სოფელში ცხოვრობდნენ ჩამოსახლებული მთიელები. სოფლის განაპირას დგას 1341 წ. აგებული ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის I მეოთხედში, თბ., 1935; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, ნაწ. 1, თბ., 1964.

თ. თოდრია.

ვაკე, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის ქვემო ჭალის თემში (შიდა ქართლის მხარე), ხარულის ქედის სამხრ. დაბოლოებაზე, მდ. ლეხურის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 960 *მ,* კასპიდან 14 *კმ.* 116 მცხ. (2002).

1342 გიორგი ბრწყინვალის ძემ დავითმა სოფ. 3-ის მიდამოებში დააზავა ცხრაზმისხეველები და არაგველები.

ვაკე, სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შრომის თემში (გურიის მხარე), ნასაკირალის სერზე. ზ. დ. 100 *მ,* ოზურგეთიდან 24 *კმ,* ნატანებიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 12 *კმ.* 502 მცხ. (2002).

„ვაკე“, იხ. *,,ხორცპროდუქტების ქარხანა ვაკე''.*

ვაკევისა, სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტის ხვაშითის თემში (იმერეთის მხარე), რაჭის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. სატოპელას (ჯრუჭულის მარჯვ. შენაკადი; ყვირილის აუზი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 760 *მ,* ჭიათურიდან 19 *კმ.* 109 მცხ. (2002).

ვაკელი (ნამდვ. გვარი – მ ე გ რ ე ლ ი ძ ე) იონა ლუკას ძე [10

(23). XI. 1900, სოფ. ვაკე, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 11. IV. 1988, თბილისი], პოეტი, დრამატურგი. 1920 დაამთავრა შ. ნუცუბიძის განათლების კურსები თბილისში. იყო ლიტ. დაჯგუფება ,,პროლეტარული მწერლობის'' ერთ-ერთი მესვეური. მუშაობდა გაზ. ,,მუშაში'', ხელმძღვანელობდა ჟურნ. ,,ჩირაღდანს''. 1945-იდან წლების განმავლობაში უძღვებოდა საქართვ. მწერალთა კავშირის დრამის სექციას. თავდაპირველად ლექსებს აქვეყნებდა ი. მეგრელიძის ხელმოწერით, ხოლო 1920-იდან – ი. ვაკელის ფსევდონიმით. პირველი ლექსი ,,გურია'' 1918 გამოაქვეყნა ჟურნ. ,,მხედარში''. ამის შემდეგ მისი ლექსები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. 1922 გამოვიდა 3-ის ლექსების პირველი კრებ. ,,შარავანდედი'', მომდევნო წლებში – ლექსების რამდენიმე კრებული, მ. შ. ,,რჩეული'' (1958). 3. ავტორია პოემებისა: ,,ევროპა'' (1924), ,,მეწისქვილე'' (1926), ,,შირაქიანი'', ,,ზელიმხანი'' (1927), ,,არსენა ჯორჯიაშვილი'' (1930); პიესებისა: ,,აპრაკუნე ჭიმჭიმელი'' [1933, კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრი, 1934; 25 წლის შემდეგ გადაამუშავა და უწოდა ,,აპრაკუნე'' (,,საქმის კაცი''), ცალკე წიგნად გამოვიდა 1969], ,,შამილი'' (1934; კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრი, 1935), ,,გიორგი სააკაძე'' (1939; თბილ. ა. გრიბოედოვის სახ. რუს. დრამ. თეატრი; პრემია საკავშ. კონკურსში, 1941; ცალკე წიგნად გამოვიდა 1947, 1957), ,,რვალი'' (1952; რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრი; ცალკე წიგნად გამოვიდა 1953), ,,შური'' (1938; კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრი; ცალკე წიგნად – 1956), ,,ხელაშვილების ოჯახი'' (იგივე ,,ახალი აზნაურები'', 1962; ქუთ. თეატრი; ცალკე წიგნად – 1963) და სხვ. თარგმნა პ. ბ. შელის, ჰ. ჰაინეს, ი. ვ. გოეთეს, ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვისა და სხვათა თხზულებანი. მისი ნაწარმოებები თარგმნილია რუს. ენაზე.

თხზ.: რჩეული, თბ., 1958; თხზულებანი ორ ტომად, თბ., 1975–77; ტრაგედიები, თბ., 1960; პიესები, თბ., 1969; ქართული მელოდიები. ლექსები და პოემა, თბ., 1971; მე შემართება მიყვარს ქართული, თბ., 1983; რა ცოტა გვყოფნის, თბ., 1987. *რ. კვერენჩხილაძე.*

ვაკისა, სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტის ჭალოვნის თემში (იმერეთის მხარე), ლიხის ქედის დას. კალთაზე. ზ. დ. 900 *მ*, საჩხერიდან 47 *კმ*. 67 მცხ. (2002).

ვაკის პარკი, პარკის გაშენება დაიწყო 1947, გაიხსნა 1957. 3. პ-ის დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტის ავტორია ქ. *დგებუაძე*, დენდროლოგი ე. ციციშვილი. 1957–92 3. პ-ს ერქვა გამარჯვების პარკი. პარკის ტერიტორია – 18 ჰა. 1997-იდან შპს ,,ვაკის პარკია''; ექვემდებარება თბილ. მერიასა და კულტ. სამმართველოს. პარკი გამწვანებულია წიწვოვანი, ფოთლოვანი და მარადმწვანე ხე-მცენარეებით. მუშაობს გასართობი ატრაქციონები.



ვაკის პარკი.

პარკში არის პენსიონერთა ხეივანი (მათი დასვენებისა და გართობის ადგილი); 3 სპორტ. მოედანი (კორტები, კალათბურთისა და გოლფის მოედნები). დამსვენებლებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებით.

3. პ-ის არქიტ. კომპლექსის (წყლის კასკადი, ქალის ფიგურა – გამარჯვების სიმბოლო, უცნობი ჯარისკაცის საფლავი) ავტორები არიან: მოქანდაკე გ. ოჩიაური; არქიტექტორები ვ. ალექსი-მესხიშვილი, კ. ნახუცრიშვილი, ო. ლითანიშვილი. 1946–81 3. პ-ის გამწვანება-განაშენიანებას ხელმძღვანელობდა აგრონომ-დეკორატორი გ. მრულიშვილი. 2011–14 ჩატარდა 3. პ-ის მნიშვნელოვანი სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

ლიტ.: ისაკაძე შ., ველური ხალიჩოვანი მცენარეები თბილისის ქუჩა-მოედნებზე, ამიერკავკ. ბოტ. ბაღ. სამეც. სესია; თბ., 1964.

შ. ისაკაძე. ჭ. ნიჟარაძე.

ვაკის ღვთისმშობლის ეკლესია, ერთნავიანი პატარა ეკლესია, თეთრი წყაროდან 4–5 *კმ*-ზე, სოფ. *ვაკის* ჩრდ.-დას-ით. აღმ. სარკმლის თავზე ამოკვეთილი ასომთავრული წარწერის მიხედვით იგი აგებულია 1341, *გიორგი V* ბრწყინვალის მეფობაში. გადახურულია ცილინდრული კამარით. აღმ-ით აქვს კონქით დასრულებული ნალისებრი ფორმის ღრმა აფსიდი. შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. შიგნითა კედლები ნაგებია ნატეხი ქვით. კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ადგილები თლილი ქვითაა ამოყვანილი. ინტერიერი შელესილი და მოხატული იყო, ქვის კანკელი დამსხვრეულია (ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში). ერთსაფეხურიან ბაქანზე აღმართული ეკლესიის ფასადები შემოსილი იყო ლამაზად ნაწყობი თლილი ქვის კვადრებით. ფასადები სადაა, 3 სარკმლიდან მხოლოდ აღმოსავლეთის სარკმელია მორთული კედლის სიღრმეში ჩაკვეთილი ორიგინალურ-წნულიანი ჩარჩოთი.



ვაკის ღვთისმშობლის ეკლესია. 1341.

ლიტ.: ასათიანი ნ., ჭიჭინაძე ი., ალგეთი, თბ., 1985; ზაქარაია პ., XIV საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი სოფელ ვაკეში, «საქართვ. მეცნ. აკად. მოამბე», 1950, ტ. 11, №3.

პ. ზაქარაია.

ვაკიჯვარი, სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (გურიის მხარე), მდ. ნატანების მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: ვ., ფამფალეთი). ზ. დ. 320 *მ*, ოზურგეთიდან 13 *კმ*. 844 მცხ. (2002).

სოფელში არის ხუროთმოძღვრული ანსამბლის ნანგრევები. მათგან შედარებით უკეთ შემონახულია X ან XI ს. საშ. ზომის ერთნავიანი ეკლესია.

ვაკიჯვრის განძი, ძვ. წ. XII –XI სს. ბრინჯაოს ნივთების განძი. აღმოჩენილია 1936 სოფ. ვაკიჯვარში (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი), ადგილ ქორბუდეში. განძის შემადგენლობაში იყო დ. ქორიძისეული I სახეობის კოლხური ცული, დაზიანებული წალდი, ბრტყელი ცულის ნატეხი, სამი თოხი, სეგმენტისებური იარაღის ნატეხები; შუბისპირი, სატეხი (თუ ბრტყელი ცული), 24 ზოდი.

1960 სოფელში აღმოჩნდა ძვ. წ. II ათასწლ. დასასრ. – I ათასწლ. I ნახ. მშვილდსაკინძი, იგი ერთწილადია, მშვილდი შემკულია წიწვისებური ორნამენტით.

მასალა ინახება ოზურგეთის ისტ. მუზეუმში.

ლიტ.: რამიშვილი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974; ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.

ა. რამიშვილი.

ვალაშკერტი, ისტორიული სომხეთის *ბაგრევანდის* მხარის ცენტრი. ეკუთვნოდა *გრიგოლ განმანათლებლის* საპატრიარქო სახლს. კათოლიკოს სააკ პართელის სიკვდილის (439) შემდეგ მისი სამფლობელოები გადავიდა კათოლიკოსის ქალიშვილის – სააკანუშ მამიკონიანის ხელში და ამ ფეოდ. გვარის დომენის ნაწილად იქცა.

იხ. სტ. *ვალაშკერტის საეპისკოპოსო.*

ვალაშკერტის საეპისკოპოსო, ქალკედონური საეპისკოპოსო ისტორიული სომხეთის ბაგრევანდის ოლქის ცენტრში. ესაზღვრებოდა ბასიანის მხარეს. ეპარქიის შექმნა უკავშირდება სომეხი ქალკედონიტი ეპისკოპოსის – ნერსეს III-ის მოღვაწეობას (641–661), რ-მაც ვალაშკერტში ღვთისმშობლის ეკლესია ააგო. სავარაუდოდ, X ს. დამლევიდან იგი სხვა სომხ. მიწებთან ერთად დავით კურაპალატის სამეფოს ექვემდებარებოდა. ეს მხარე ბიზანტ. იმპერატორმა სიცოცხლის ვადით უბოძა ქართველთა მეფეს. XI ს. დასაწყისისათვის ვალაშკერტის მწყემსმთავრობა *ზაქარია ბანელმა* შეითავსა, რის გამოც ვალაშკერტიც ბანის ეპარქიაში უნდა შესულიყო და მცხეთის კათოლიკოსს დაქვემდებარებოდა. ამ დროიდან სომხურთან ერთად აქ ქართველი მრევლიცაა საგულებელი. როგორც ჩანს, ერთიანი საქართველოს დაშლის (XV ს.) შემდეგაც ვ. ს. ისევ ქართლის კათოლიკოსს ექვემდებარებოდა. ვ. ს. მოხსენიებულია XV ს. ბოლოს შედგენილ სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სიაში, სადაც განსაზღვრულია ეპარქიის საზღვრები და მისი ადგილი საეკლ. იერარქიაში: ,,ვალაშკერტელის სამწყსო ყაღზევანს ზეითი, ვალაშკერტის აქათ ხინუსი და დევაბონის აქეთი... ამ ეპისკოპოსებთ მაკურთხეველი და უფროსი ქართლის კათალიკოზია: ამის ხელთ არის ყველა‘‘.

ლიტ.: მეტრეველი ე., ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; Арутюнова-Фиданян В. А., Армяне–халкидониты на восточных границах Византийской империи (XII в.), Ер., 1980.

გ. მაისურაძე.

ვალდაის ივერთა მონასტერი, მამათა მონასტერი ვალდაის ტბის ერთ-ერთ პატარა კუნძულზე, ნოვგოროდის მახლობლად. სახელწოდება მიიღო ათონის ივერთა მონასტრის გეგმის მიხედვით), სადაც ხატი გადმოასვენეს და მიძინების ტაძრის სახატეში დაასვენეს. მოსკ. ნიკონის ტაძარში დარჩა ამ ხატიდან გადაღებული პირი. ვ. ი. მ. ძლიერი და მდიდარი ყმა-მამულების მფლობელი მამათა მონასტერი იყო.



ვალდაის ივერთა მონასტერი. XVII ს.

ვალდებულებითი სამართალი, სამოქალაქო სამართლის იმ ნორმათა ერთობლიობა, რ-იც აწესრიგებს ქონების გადაცემასა და სამუშაოს შესრულებასთან, მომსახურების გაწევასა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან, უსაფუძვლო გამდიდრებასა და სხვა სამოქალაქო-სამართ. ვალდებულებებთან დაკავშირებით დამყარებულ ურთიერთობებს. ვ. ს. შედგება ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან. ზ ო გ ა დ ი ნ ა წ ი ლ ი ს ნორმებით, რ-ებსაც ყველა ვალდებულების მიმართ იყენებენ, განისაზღვრება ვალდებულების ცნება და მისი წარმოშობის და შეწყვეტის საფუძვლები, შინაარსი და შესრულების წესი, პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის და სხვ.; კ ე რ ძ ო ნ ა წ ი ლ ი ს ნორმებით რეგულირდება ცალკეული ვალდებულებები (მაგ., ნასყიდობა, ქირავნობა, ნარდობა, გადაზიდვა).

თვით ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა სამოქალაქო-სამართ. ურთიერთობაა, რ-ის ძალით მისი ერთი მონაწილე (კრედიტორი) უფლებამოსილია მოსთხოვოს მეორე მონაწილეს (მოვალეს) რაიმე მოქმედების შესრულება (გადასცეს ქონება, შეასრულოს სამუშაო, გაუწიოს მომსახურება და სხვა). შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც (მაგ., საგამომცემლო ხელშეკრულების ვადის

განმავლობაში არ გადასცეს სხვას თავისი ნაწარმოების გამოყენების უფლება). ვალდებულება წარმოიშობა განსაზღვრული იურიდ. ფაქტების საფუძველზე, რ-თაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელშეკრულება. ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას ცალმხრივი გარიგების საფუძველზეც (მაგ., ჯილდოს საჯაროდ დაპირების შედეგად), ზიანის მიყენებიდან, უსაფუძვლო გამდიდრებიდან და სხვა; იმის მიხედვით, ხელშეკრულებიდანაა წარმოშობილი თუ სხვა იურიდ. ფაქტიდან, ვალდებულებები იყოფა ორ ტიპად: სახელშეკრულებო ვალდებულებად და არასახელშეკრულებო ვალდებულებად. სახელშეკრულებო ვალდებულებათა შინაარსი განისაზღვრება არა მხოლოდ კანონით, არამედ ასევე ხელშეკრულების მონაწილეთა შეთანხმებით. არასახელშეკრულებო ვალდებულების შინაარსი კი დამოკიდებულია კანონზე ან კანონსა და ვალდებულების ერთი მხარის ნებაზე. ვ. ს-ის ნორმები ჩამოყალიბებულია საქართვ. სამოქალაქო კოდექსში (წიგნი მესამე, მ. მ. 316 –1016).

ვ. ს. საკმაოდ განვითარებული იყო ძვ. საქართველოში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძვ. ქართ. ვ. ს-ის ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა ნასყიდობა, ნაჩუქრობა, ქირავნობა (ქონების ქირავნობა, პირადი ქირავნობა), სესხი და ქონებით უსასყიდლო სარგებლობა (ნათხოვრობა). მათ მომწესრიგებელ ნორმებს შეიცავს *„ძეგლის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ“*, *„წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე“*, *„სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა“* და სხვა სამართ. ძეგლები.

ლიტ.: ფუტკარაძე ი., ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1976; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 2, ტფ., 1929 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 7, თბ., 1984); Klutmann R., Analyse des national – grusinischen Obligationenrechts im Kodex König Wachtangs VI, «Zeitschrift für vergleichende Rechtswissenschaft», 1908, Bd. 21.

ზ. ახვლედიანი. ი. ფუტკარაძე.

ვალდზეემიულერი (Waldseemüller, აგრეთვე Waltzemüller, ლათ. Hylacomilus) მარტინ (1470, რადოლფსცელი, – 16. III. 1520, სენტ-დიე, ლოთარინგია), გერმანელი კარტოგრაფი. 3-მა 1507 გერმ. კარტოგრაფ მათიას რინგმანთან ერთად გამოსცა ნაშრომი ,,კოსმოგრაფიის შესავალი“ («Cosmographiae Introductio»). ავტორებმა წამოაყენეს წინადადება, ახლად აღმოჩენილი კონტინენტისათვის, ამერიგო ვესპუჩის სახელის მიხედვით, ეწოდებინათ ,,ამერიკა“. 3-მა ტერმინი ,,ამერიკა“ პირველმა დაიტანა რუკაზე 1507. 3-ის 1516 დათარიღებულ მსოფლიოს მეორე რუკაზე მნიშვნელოვანი მასალაა წარმოდგენილი საქართველოს შესახებ. შავ და კასპიის ზღვებს შორის დატანილი მცირე ჯვრები ქვეყნების ქრისტიანობაზე უნდა მიანიშნებდეს. საქართველოდ მოაზრებული ტერიტ. რუკაზე აზოვის და კასპიის ზღვების ზედა კიდეებამდე მიდის. Colchidis (კოლხიდა) ამ შემთხვევაში უნდა აღნიშნავდეს სამეგრელოს, Iberia (იბერია) აქ, სავარაუდოდ, არის იმერეთის სამეფო, Georgia (გეორგია) ალბათ – ქართლ-კახეთის სამეფო. 1513–18 ქართლ-კახეთის სამეფო, მცირე ხნით, მართლაც ერთიანი იყო. არ არის გამორიცხული, 3-ს ეს ინფორმაცია ჰქონოდა. აღმ. საქართველოს სამეფოში ვხედავთ ქალაქ თბილისს (Triphelis), რ-ის აღსანიშნავად მოცემულია ეკლესიის ან ქალაქის გამოსახულება. იქვე გამოხატულია საქართვ. მეფე გვირგვინით, სამეფო ტანსაცმლით და კვერთხით. რაკი ამ დროს ქართლ-კახეთის მეფეა დავით X, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 3-ის რუკა გვთავაზობს ქართლ-კახეთის მეფის, დავით X-ის გამოსახულებას. თბილ. სამხრ-ით დატანილი ტბა, რ-იც აღმ. საქართველოს სამეფოშია, წესით სევანი უნდა იყოს, თუმცა ავტორი შესაძლოა სევანის ტბას ვანის ტბასთან აიგივებდეს. ამ ტბიდან დას-ით გამოედინება ევფრატი, აღმ-ით კი – მტკვრისა და არაქსის ერთგვარი მთლიანობა, რ-იც შემდეგ კასპიის ზღვაში ჩადის. ტბის სამხრ-ით მდებარე მთებზე მოჩანს პატარა ზომის ნოეს კიდობანი. რუკის მიხედვით, აღმ. საქართველოს სამეფოს ტერიტ. შავიზღვისპირა რეგიონებსაც მოიცავს.

ლიტ.: თვარაძე ა., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (XII –XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე), თბ., 2004.

ა. თვარაძე.

ვალე (Valle) პიეტრო დელა (11. IV. 1586, რომი, – 21. IV. 1652, იქვე), იტალიელი განმანათლებელი, საზოგადო მოღვაწე, მოგზაური, აღმოსავლეთმცოდნე, ლიტერატორი, თეოლოგი, დიპლომატი, მუსიკათმცოდნე. იცოდა მრავალი ენა. ეკუთვნოდა რომის ცნობილ არისტოკრატთა გვარს. 1614–26 იმოგზაურა აღმ. ქვეყნებში (ოსმალეთი, არაბეთი, პალესტინა, ეგვიპტე, ერაყი, სპარსეთი, ინდოეთი), რამდენიმე წელი დაყო შაჰ-აბას I-ის კარზე. აქ იგი დაუახლოვდა სპარსეთში მცხოვრებ ქართველებს (მ. შ. ქეთევან დედოფალს), ჰქონდა მათთან მიმოწერა, რის საფუძველზეც აღწერა საქართველო და ქართველები. 1626 წ. 28 მარტს ვ. დაბრუნდა რომში და პაპ ურბან VIII-ს წარუდგინა მოხსენება საქართველოს შესახებ (გამოქვეყნდა 1627). ვ. ცდილობდა, ვატიკანის ხელისუფლება დაერწმუნებინა, რომ საქართველო – დამოუკიდებელი და ქრისტ. სახელმწიფო – სავსებით შესაძლებელი იყო, შემდგომში კათოლ. ქვეყანა გამხდარიყო, რაც მას სასიკეთოდ მოუბრუნდებოდა. მაგრამ, ვ-ს აზრით, პირველ რიგში საჭირო იყო საქართველოს მძიმე პოლიტ. მდგომარეობით სათანადო დაინტერესება, უნდა დასრულებულიყო ის დაუშვებელი ინდიფერენტიზმი, რასაც აქამდე იჩენდა მთელი კათოლ. სამყარო და მისი ციტადელი – ვატიკანი – საქართველოსა და მისი ხალხისადმი. ,,მოხსენებაში“ აღწერილია საქართვ. გეოგრაფია, საზ. წყობილება, საეკლ. ორგანიზაცია; დახასიათებულია შაჰ-აბასის პოლიტიკა საქართველოს მიმართ. აბას I-ის მიერ მრავალი ათასი ქართველის სპარსეთში იძულებით გადასახლებას იგი ,,ქართველების დიდ გადასახლებას“ უწოდებს. ავტორი თეიმურაზ I-ის პოლიტიკის დახასიათებისას, მიუთითებს მის რუს. ორიენტაციაზე და სხვ. მოხსენებაში ვ. გ. *სააკაძის* პიროვნებას მუქ ფერებში წარმოაჩენს, როგორც რენეგატსა და საქართვ. მოღალატეს. მხოლოდ წერილის ბოლოს გაკვრით მიანიშნებს იმ უდიდეს პოზიტიურ როლზე, რ-იც გ. სააკაძემ ისტ. მოვლენების შემდგომ განვითარებაში ითამაშა, კერძოდ, როგორ ჩაშალა სპარს. შაჰის ვერაგული გეგმები საქართველოს მიმართ. 3-ს ცნობით (1627), ოდიშისა და გურიის სამთავროს ქვეშევრდომები გულთბილად იღებდნენ თავიანთ ქვეყანაში კაზაკებს, რ-ებიც დნეპრის შესართავთან ცხოვრობდნენ. თვით პოლონეთის ხელმწიფეს მიმოწერა და მეგობრობა ჰქონდა ქართვ. მთავრებთან. ,,ხშირად ერთი ქვეყნიდან მეორეში სავაჭრო ხომალდები დადიოდნენ. კაზაკები ხშირად მთავრების სავაჭრო გემებს მფარველობდნენ“. ,,მოხ-



პიეტრო დელა ვალე. უცნობი ავტორი. პიეტრო დელა ვალეს შთამომავალთა კრებულიდან. ქ. აქვილა. იტალია.



ვალე. ქალაქში შესასვლელი.

სენების'' ქართ. თარგმანი პირველად 1879 გამოქვეყნდა ,,ივერიაში''. 3. საქართველოში კათოლ. (თეატინელთა) მისიის მოწყობისა და რომში პირველი ბეჭდური ქართ. წიგნების გამოცემის ინიციატორი იყო ნიკიფორე ირბახთან (იხ. *ჩოლოყაშვილი* ნიკოლოზ) ერთად; აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდა ქართველებისათვის რომში კათოლ. კოლეგიუმის დაარსებაში.

3-მ მეორედ იქორწინა ტყვეობიდან მის მიერ გამოსყიდულ სპარს. კარზე მყოფ ქართვ. ქალზე – თინათინ-მარია ძიბაზე, რ-თანაც 14 შვილი შეეძინა. 1630 წ. 18 მაისს 3. პიეტრო *ავიტაბილესადმი* გაგზავნილ წერილში წერდა ,,... საქართველო მუდამ ჩემს გულშია. ახლა ჩემი სიყვარული მისადმი უფრო გაძლიერდა. მე ვალში ვარ... ქართველი ხალხის წინაშე. ამ სიყვარულის ნიშნად ჩემს ქალიშვილს დავარქვი რომიბერი (რომი და იბერია), რადგან მსურს ჩვენი ორი ერი მუდამ მჭიდრო კავშირში იყოს ერთმანეთთან...''.

ლიტ.: Ватейшвили Дж. Л., Грузия и европейские страны, т. 1, кн. 2, М., 2003; Полиевктов М. А., Европейские путешественники XIII–XVIII вв. по Кавказу, Тфл., 1935.

ე. მამისთვალიშვილი.

ვალე, ქალაქი (1962-იდან) სამხრ. საქართველოში, ახალციხის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), მდ. ფოცხოვისწყლის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს, ერუშეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. რკინიგზის სადგური. ზ. დ. 1170 *მ,* ახალციხიდან 12 *კმ.* 5,3 ათ. მცხ. (2002). 3-ში მთიანეთის სტეპის ჰავაა. იცის ცივი მცირეთოვლიანი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 9°C, იანვ. –3,8°C, ივლ. 20,2°C. ნალექები 550 *მმ* წელიწადში. 3., როგორც ქალაქი, წარმოიქმნა მურა ნახშირის მოპოვებასთან დაკავშირებით (დაბა-ლი ტექ.-ეკონ. მაჩვენებლების გამო ნახშირის მოპოვება ამჟამად შეწყვეტილია). მოსახლ. ნაწილი ეწევა სას.-სამ. საქმიანობას. ქალაქში არის სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადასამუშავებელი წვრილი საწარმოები, საჯარო სკოლები.

3-ში შემორჩენილია ნათლისმცემლის ნაეკლესიარი და X ს. ბოლო მეოთხედის ღვთისმშობლის ტაძარი, რ-ზედაც შემონახულია ასომთავრული და მხედრული წარწერები (იხ. *ვალეს ღვთისმშობლის ეკლესია*), დგას აგრეთვე ღვთისმშობლის კათოლ. ეკლესია. ქალაქის მახლობლად, მდ. ფოცხოვისწყლის მარცხ. სანაპიროზე, შემორჩენილია პერანგშემოძარცული დარბაზული ეკლესიის ნაშთი ირქის წმ. გიორგის სახელწოდებით. გადმოცემის თანახმად, აქ ირმები მოდიოდნენ და ეწირებოდნენ წმ. გიორგის. ამიტომ ჰქვია ,,ირმის რქის'' ანუ ,,ირქის წმ. გიორგი''. მდ. ფოცხოვისწყალზე, დღევანდელი ხიდის სიახლოვეს, ძველი ნახიდარის ნაშთია.

ოსმალთა მიერ დაპყრობილ სამცხეში 1595 სოფ. 3. ახალციხის ლივაში ჩრდილის რ-ნის ცენტრი იყო. აქ ცხოვრობდა 59 კომლი ქართველი: ვარძელა ილარიონისძე, რევაზა დათუნასძე, ნადირა გოგორისძე, ვარძელა ზეინკლისშვილი, ოქროპირ ქამაზასძე, ცხადა თადეოზასძე, ახალბედ ბადურასძე, აზარია მღვდელი და სხვ. მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, მუხუდო, ოსპი, ცერცვი, სელის თესლი; ჰქონდათ ხილი, კაკალი, ბოსტნები, ვენახი; წისქვილი ერთი თვალი სრული წლით; ჰყავდათ ღორი, ცხვარი, ფუტკარი. 3-ს მიმდებარე ადგილების, ვენახისა და ბაღის სარწყავად ძველთაგანვე მდ. ბორბალას წყალს და წყალთბილას წყლის ნახევარს იყენებდნენ. სოფლის მოსახლეობა წლიურად 25 ათას ახჩას იხდიდა.

1933 3-ში 400 კომლი ცხოვრობდა: ქართვ. კათოლიკე – 250 კომლი, ქართვ. მართლმადიდებელი – 60 კომლი, ქართვ. მაჰმადიანი – 90 კომლი. ამ უკანასკნელთა გვარები იყო: ჭავჭავაძე, ამილახვარი, ბოჭოშვილი, ჩიტაძე, ბერიძე, ნადირაძე, კაპანაძე. ამჟამად 3-ში ცხოვრობს 650 კომლი, ძირითადად ქართვ. მართლმადიდებლები და კათოლიკეები. მათი გვარებია: ასპანიძე, დიასამიძე, გიორგაძე, დარბაზოვი, კოპაძე, დემეტრაძე, ხმალაძე, ჩიტაძე, გოგოლაშვილი, ნასყიდაშვილი, თელიაშვილი, ათუნაშვილი, ჯანაშვილი.

წყარო: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2, ს. ჯიქიას გამოც., თბ., 1941.

ლიტ.: ბოჭორიძე გ., მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992.

დ. ბერძენიშვილი.
ვ. ჯაოშვილი.

ვალერიუს ფლაკუსი (Valerius Flaccus Setinus Balbus) გაიუს სეტინუს ბალბუს (ახ. წ. I ს. II ნახ. – დაახლ. 90 –95), რომაელი ეპიკური პოეზიის წარმომადგენელი, სენატორი, წარმოშობით იტალიის პროვინცია კამპანიის ქ. სეტიიდან. ცნობილია, როგორც ავტორი ეპიკური პოემისა ,,არგონავტიკა'', რ-იც მიუძღვნა იმპ. *ვესპასიანეს.* პოემაში *აპოლონიოს როდოსელის* მიბაძვით აღწერილია არგონავტთა მოგზაურობა კოლხეთისაკენ. თხზულება დაუმთავრებელია, შედგება 8 წიგნისაგან. ეტყობა ვერგილიუსის სტილის გავლენა. აღწერს შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლე ტომებს, მ. შ. ქართველურ ტომებს: ხალიბებს, ტიბარენებს, მოსინიკებს, მაკრონებს. დაწვრილებითი ცნობებია საკუთრივ კოლხეთზე, მდ. ფასისზე, მეფე აიეტზე. აშკარად ჩანს, რომ ავტორი იყენებდა თავის თანამედროვე რომაელი მწერლების, პირველ რიგში, პომპონიუს მელას და პლინიუსის გეოგრ. აღწერებს. ძვ. და ახ. ცნობების ასეთი შერწყმა მოითხოვს 3. Ფ-ის ცნობებისადმი კრიტ. მიდგომას.

თხზ.: Argonauticon libri VIII, ed. O. Kramer, Lipsiae, 1913; Argonauticon libri octo, ed. J. H. Horley, L., Cambr. 1934 (Loeb Classical Library).

ლიტ.: გიგაური ც., ვალერიუს ფლაკუსის ,,არგონავტიკა'', «ცისკარი», 1969, №8; ურუშაძე ა., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.

ნ. ლომოური.

ვალეს ნამარხი ფლორა, ფლორა, რომელიც განამარხებულია ახალციხის დეპრესიის ცენტრ. ნაწილში, ქ. ვალესთან, სარმატული ასაკის ტუფოგენურ ნალექებში, რ-იც გოდერძის ვულკანოგენური წყების ქვედა ნაწილს შეესაბამება. ვალედან სამხრ-ით, მდ. ფოცხოვისწყლის მარცხ. ნაპირზე, ფლორის ნაშთების შემცველი, 20–35 *მ* სისქის შრეები საკმაოდ მაღალ კარნიზს ქმნის. მასალა ძირითადად წარმოდგენილია ნამარხი მცენარეების ფოთლების კარგად დაცული ანაბეჭდებით. აქ 60-ზე მეტი სახეობიდან უმეტესად ორლებნიანი ხეების და ბუჩქების ნაშთებია, მათ შორის თანაბარი რაოდენობითაა მარადმწვანე და ფოთოლმცვენი ფორმები. ფლორის დიდი ნაწილი თბილი და შედარებით მშრალი ჰავისთვის დამახასიათებელი ლანცეტისებრი ფორმის ფოთლების მქონე სახეობებია, რ-თაგან უმეტესობა გადაშენებულია. მათი თანამედროვე ანალოგები გვხვდება სამხრ.-აღმ. აზიაში, ჩრდ. და ცენტრ. ამერიკაში, კანარის კ-ებზე, ხმელთაშუა ზღვის ოლქში, ცენტრ. ევროპასა და ამიერკავკასიაში.

ი. რამიშვილი.

ვალეს ღვთისმშობლის ეკლესია, X საუკუნის უკანასკნელი



ვალეს ღვთისმშობლის ეკლესია. X ს.

მეოთხედის ტაძარი ქალაქ ვალეში, ისტ. სამცხეში. თავიდან გუმბათიანი შენობა ყოფილა, XVI ს-ში სამნავიან ბაზილიკად გადაუკეთებიათ. თავდაპირველი ეკლესიიდან შემონახულია კარ-სარკმლების მდიდრული მორთულობა. აღმ. ფასადის ცენტრ. სარკმლის თავზე გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით, მის დაბლა მთავარანგელოზისა და ქალის ფიგურებია; ორივეს ასომთავრული წარწერები ახლავს: 1. ,,გაბრიელ მახაროპელი''; 2. ,,წმიდაო ღმრთისმშობელო კრავაი შეიწყალე''. სამხრ. ფასადზე, კარის ორსავე მხარეს, შეწყვილებული ნახევარსვეტებია, რ-თაც თაღი ეყრდნობა. მარჯვ. ნახევარსვეტების კაპიტელზე ყოფილა ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რ-იდანაც მხოლოდ ნაწყვეტი იკითხება: ,,... გუერაისძის წყალი...''. ამავე ფასადის კარის ტიმპანზე ქრისტეს დიდი გამოსახულებაა, რ-ის ორსავე მხარეს მოციქულთა პატარა ფიგურებია ამოღარული წარწერებით: ,,პავლე, პეტრე მოციქული...''. დას. შესასვლელის თავზე ცხენოსნებია გამოსახული. ეკლესიის შიგნით, სადიაკვნეს ტიმპანზე რელიეფური ჯვარია გამოხატული, რ-საც ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ახლავს: ,,ძელო ცხორებისაო, მე, ცოდვილი დანგათ სვიმეონ ამის პატიოსნისა ჯუარისა გამომხატველი''. ტაძრის სვეტებზე შემონახულია ასომთავრული და მხედრული წარწერები, რ-ებიც ეკლესიის გადაკეთების დროინდელია. 1561–64 წარწერაში ქართველთა მეფეთ-მეფის კონსტანტინეს შვილიშვილი, ბაგრატ მეფის ასული, ათაბაგ-ამირსპასალარის სახლის რძალი – დედისიმედი მოგვითხრობს 3. ღ. Ე-ის მეორედ აღშენებაზე. აქვე იხსენიებიან მისი მეუღლე ქაიხოსრო ათაბაგი, შვილები – ყვარყვარე, მზეჭაბუკ, მანუჩარ, თვალშვენიერი, ივანე, თამარ, დედისიმედის ძმები ჰერაკლე, აშოთან, და თეოდორა... 1561–72 წარწერებში ყვარყვარე და მზეჭაბუკი უკვე ცალ-ცალკე მოიხსენიებიან. ეკლესიის აღმ-ით, მრგვალ სვეტზე ქვისაგან გამოკვეთილი ჯვარი დევს. მისი ასომთავრული წარწერა ასე იკითხებოდა: ,,ქრისტე ადიდე სული პატრი... შვილნი... წმიდაო გიორგი''. ჯვარი მოგვიანებით სხვა ადგილიდან მოუტანიათ და აქ დაუდევთ.

წყარო: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2, ს. ჯიქიას გამოც., თბ., 1941; ლაპიდარული წარწერები, I, ნ. შოშიაშვილის გამოც., თბ., 1980.

ლიტ.: ზაზაძე ელ., გადმოცემები წმინდა გიორგიზე სამცხე-ჯავახეთში, «მესხეთი», II, ახალციხე, 1998; სილოგავა ვ., სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა..., კრ.: მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, [ტ.] 10, თბ., 1983.

დ. ბერძენიშვილი.

ვალი (არაბ., სიტყვასიტყვით – დამცველი), ოლქის, პროვინციის (*ვილაიეთის*) მმართველი თურქეთსა და ზოგ სხვა მუსლიმანურ ქვეყანაში. ემორჩილება ცენტრ. ადმინისტრაციას. აქვს მნიშვნელოვანი უფლებამოსილება, მეთაუროობს საოლქო ადმ. აპარატს.


გვიანდ. ფეოდ. საქართველოში 3. (ირანის შაჰის ,,მოადგილე'') ეწოდებოდა ქართლის მაჰმადიან მეფეებს, რ-ებიც ქვეყანას განაგებდნენ 1632–1744 (როსტომი და სხვ.).



ს. ვალიშევსკი. ,,სტეპკოს დუქანი''.

ვალითა, ვალიანთ კარი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის არცევის თემში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. არცევულის (მევზუდის აუზი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1030 *მ*, ერედვიდან 13 *კმ*. 15 მცხ. (1989).

ვალიშევსკი (Waliszewski) სიგიზმუნდ (ზიგმუნტ) (1. XII. 1897, პეტერბურგი, – 1936, ვარშავა), პოლონელი ფერმწერი და გრაფიკოსი. 1903 3-ების ოჯახი საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში, 1905 კი – თბილისში, სადაც 3. სწავლობდა თბილისის ნატიფ ხელოვნებათა წამახალისებელი კავკ. საზ-ბის ქანდაკებისა და ფერწერის სკოლაში. 1908 თბილისში გაიმართა მისი პერსონალური გამოფენა სახელწოდებით ,,საოცარი ბავშვი''. 1919 თბილისში მოხატა რესტორანი ,,ქიმერიონი'' (ლ. გუდიაშვილთან, დ. კაკაბაძესა და ს. სუდეიკინთან ერთად, ამჟამად შოთა რუსთაველის სახ. დრამ. თეატრის შენობაშია), მონაწილეობდა ნ. ფიროსმანაშვილის სურათების შეგროვებაში. 1921-იდან პოლონეთში ცხოვრობდა. სწავლობდა კრაკოვის სამხატვრო აკადემიაში, 1924–31 ცხოვრობდა საფრანგეთში, 1931-იდან – ისევ პოლონეთში. 3. ახ. პოლონური მხატვრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი ნამუშევრებისათვის ნიშანდობლივია პიროვნების ხასიათის სიმკვეთრე, ზოგჯერ გროტესკულობა, ნახატის სიმახვილე, ფართო ფერწერული მანერა. მხატვრის სურათების უმრავლესობა თავმოყრილია კრაკოვის, პოზნანისა და ვარშავის ეროვნ. მუზეუმებში. ნამუშევრები: ,,მოცარტი და სალიერი'' (1917), ,,სიყვარულის კუნძული'' (1935), ავტოპორტრეტი (1935; ყველა – პოლონეთის ეროვნ. მუზეუმი, ვარშავა). ძვ. თბილ. თემებზე ასრულებდა თეატრ. დეკორაციებსაც.



ს. ვალიშევსკი.

ვ. ბერიძე.

ვალიშვილი ვლადიმერ იაგორის ძე (18. VI. 1910, თბილისი, – 29. XII. 1992, იქვე), პირველი ოსი პროფესიონალი კინოდოკუმენტალისტი, კინორეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961). დაამთავრა მოსკ. კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (1936, ს. ეიზენშტეინის სახელოსნო). ნახევარი საუკუნის განმავლობაში გადაიღო 100-ზე მეტი დოკუმენტური, სამეცნ.-პოპულ. ფილმი და კინოჟურნალ ,,საბჭოთა საქართველოს'' 300-მდე ნომერი. მის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმებიდან აღსანიშნავია: ,,ალკაზარი'' (1937), ,,კავკასიონის ქედის გადაღმა'' (1940), ,,პატრიოტი მეთევზეები'' (1943), ,,გამარჯვებით დაბრუნება'' (1945), ,,უშბა'' (1946), ,,სვანეთის მთებში'' (1949), ,,ქართული ფოლადი'' (1961), ,,ზაქარია ფალიაშვილი'' (1971), ,,მთაში შობილი ხელოვნება'' (1974), ,,პროფესიის სიყვარულით'' (1976) და სხვ. ვ-ის მიერ ს. დოლიძესთან ერთად გადაღებულია მხატვრული ფილმი ,,ფატიმა'' (1958). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ა. გვენცაძე.

ვალიშვილი ნოდარ ვარლამის ძე (დ. 25. X. 1932, ქუთაისი), მეცნიერი მანქანათმშენებლობის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1972). 1956 დაამთავრა მოსკ. ჩარხსაინსტრუმენტო ინ-ტი, 1968 კი – მოსკ. მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწ. უნ-ტის მათემატიკის ფაკ-ტი. 1958–66 მუშაობდა მოსკ. ჩარხსაინსტრუმენტო ინ-ტში, 1966–73 – მოსკ. ნ. ბაუმანის სახ. უმაღლეს ტექ. სასწავლებელში. 1973 –89 ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახ. პოლიტექ. ინ-ტის რექტორია. 1989-იდან ამავე ინ-ტში ხელმძღვანელობდა მასალათა გამძლეობის კათედრას. 2009-იდან არის ა. წერეთლის სახ. უნ-ტის პროფესორი. 1998 ქუთაისში დააარსა ახ. ტიპის საავტორო საშ. სკოლა. ვ. იკვლევს მყარი დეფორმირებადი სხეულების არაწრფივ მექანიკას. მის მიერ დამუშავებული მეთოდები საფუძვლად დაედო ალგორითმებსა და პროგრამებს, რ-ებსაც იყენებენ თხელკედლიანი კონსტრუქციების გაანგარიშებებსა და პროექტირებაში. ავტორია 21 მონოგრაფიისა, აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: მასალებისა და კონსტრუქციების გამძლეობა, თბ., 2008 (თანაავტ. დ. გიორხელიძე); Формулы для расчёта рам со стойками переменного сечения, М., 1965; Применение ЭВМ для расчёта деталей машин, М., 1974; Методы расчёта оболочек вращения на ЭЦВМ, М., 1976.

ვალსეკა (Valseca) გაბრიელ დე, XV საუკუნის ესპანელი კარტოგრაფი. ქართ. მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანია ვ-ს ორი პორტოლანი (საზღვაო რუკა), რ-ებიც მან შექმნა 1439 და 1447. ვ-ს პორტოლანები საკმაოდ უხვ მასალას გვთავაზობს მსოფლიოს ქვეყნების დროშების შესახებ.

1439 პორტოლანზე აფრიკის სამხრ.-აღმ. კუთხეში მოცემულია *იოანე პრესბიტერის* გამოსახულება მცირე ზომის ჯვრის ნიშნით. ჩრდ. აფრიკის მთელ გაყოლებაზე ჩამწკრივებულია მაჰმადიან მმართველთა დროშები. დას. ევროპაში ვხედავთ ცალკეული ევრ. სახელმწიფოების და ქალაქების დროშებს. მცირე აზიაში თურქ. სულთნის დიდი გამოსახულება ჩნდება, ტრაპიზონთან კი – კომნენოსთა წითელი დროშა ორთავიანი, ოქროსფერი არწივით. შავი ზღვის აღმ-ით გამოხაზულია ვერტ. მთაგრეხილი, რ-იც ლიხის ქედი ან კავკასიონის მთა უნდა იყოს. ამ მთაგრეხილზე დატანილია დროშა – თეთრ ფონზე ხუთი წითელი ჯვრით. ეს მთაგრეხილი და ხუთჯვრიანი დროშა ვ-ს 1439 და 1447 პორტოლანებზე ოდნავ ჩრდილოეთითაა წაწეული, რაც საერთო სურათს არ ცვლის, რადგან კავკასიის ჩრდ-ით მდებარე ტერიტორია ამ დროის პორტოლანებზე საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში მოიაზრება. ამ ფაქტს ადასტურებს მრავალი ევრ. რუკა. ვ-ს 1447 პორტოლანზე დას. ევროპაში ჩანს მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოს დროშა, სოხუმის ოდნავ ზემოთ კი – ხუთჯვრიანი დროშა.

ლიტ.: თ ვ ა რ ა ძ ე ა., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (XII –XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე), თბ., 2004. *ა. თვარაძე.*

ვალუტა (იტალ. valuta – ფასი, ღირებულება), 1. ქვეყნის ფულის ერთეული (დოლარი – აშშ-ში, იენა – იაპონიაში, რუბლი – რუსეთში, ლარი – საქართველოში და ა. შ.); 2. უცხო სახელმწიფოების ფულის ნიშნები, აგრეთვე საკრედიტო და საგადასახდელო დოკუმენტები (თამასუქების, ჩეკების, ბანკნოტების სახით), რებიც გამოხატულია უცხოური ფულის ერთეულებით და გამოიყენება საერთაშორისო ანგარიშსწორებაში (უცხოური ვ.).

გამოყენების რეჟიმის მიხედვით ვ. შეიძლება იყოს თავისუფლად კონვერტირებადი, ნაწილობრივ კონვერტირებადი და არაკონვერტირებადი. თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა დ კ ო ნ ვ ე რ ტ ი რ ე ბ ა დ ი ა იმ ქვეყნების ვ., რ-თა კანონმდებლობით ვ-სთან დაკავშირებული ოპერაციები პრაქტიკულად შეუზღუდავია. ასეთი ვ. სპეც. ნებართვის გარეშე იცვლება ნებისმიერ სხვა ვ-ზე. პირველ რიგში მათ მიეკუთვნება აშშ დოლარი, ინგლ. გირვანქა სტერლინგი, იაპონური იენა, ევრო და სხვ. თავისუფლად კონვერტირებადი ვ. (განსაკუთრებით აშშ დოლარი და ევრო) ფართოდ გამოიყენება საერთაშ. ანგარიშსწორებისათვის და სავალუტო რეზერვების შესაქმნელად. ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ კ ო ნ ვ ე რ ტ ი რ ე ბ ა დ ი ა იმ ქვეყნების ვ., სადაც გარკვეული წრის სავალუტო ოპერაციებზე შეზღუდვებია შენარჩუნებული. ა რ ა კ ო ნ ვ ე რ ტ ი რ ე ბ ა დ ი ა ვ. იმ ქვეყნებისა, სადაც მოქმედებს სხვადასხვა სახის შეზღუდვა და აკრძალვა ეროვნ. და უცხ. ქვეყნების ვ-ის შემოტანა-გატანაზე, ვ-ისა და სავალუტო ფასეულობათა ყიდვა-გაყიდვაზე, მის გაცვლაზე.

ცალკეული ქვეყნების ვ-ის ყიდვა-გაყიდვა ხდება ვ ა ლ უ ტ ი ს ბ ა ზ ა რ ზ ე, სადაც ეს პროცესი მიმდინარეობს ვ-ზე მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე. ვ-ის ბაზარი უზრუნველყოფს საერთაშ. ანგარიშსწორებასა და სავალუტო რისკის დაზღვევას, ვ-ის რეზერვის დივერსიფიკაციას, სავალუტო ინტერვენციას. ვ-ის ბაზრის მთ. სუბიექტს წარმოადგენენ ბანკები, რ-ებიც ფლობენ ფილიალთა ფართო ქსელს. ამასთან, ვ-ის ბაზარზე სავალუტო ოპერაციები ხორციელდება როგორც ბანკებს, ასევე ბანკებსა და საკუთარ კლიენტებს შორის (საერთაშ. ანგარიშსწორება საგარეო ვაჭრობის, ტურიზმის, მომსახურების, კერძო გზავნილების, კაპიტალის მოძრაობის ხაზით და სხვ.).

უმსხვილესი საერთაშ. სავალუტო ბაზრებია: ნიუ-იორკის, ლონდონის, ტოკიოს, პარიზის, მაინის

ფრანკფურტის, ციურიხის, ჰონკონგის, სინგაპურის, ბაჰრეინის და ა. შ.

სხვადასხვა ქვეყნების ფულად ერთეულებს შორის თანაფარდობას ვალუტის კურსი ეწოდება. ვ-ის კურსის სიდიდეზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ვ-ის მყიდველობითუნარიანობა, ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი, ინფლაციის დონე, ქვეყნის განვითარების საერთო ეკონ. დონე, წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, წარმოების ეფექტიანობა, პოლიტიკური სტაბილურობა, აგრეთვე ისეთი სუბიექტური ფაქტორები, როგორიცაა: ნდობა, რწმენა, ინფლაციური მოლოდინი მოცემული ვ-ისადმი და მოცემული ქვეყნის ეკონ. განვითარების პერსპექტიულობა.

უცხოური ვ-ის კურსის დადგენა (კოტირება) ხდება ვ-ის ბაზარზე მოქმედი მარეგულირებელი ნორმებისა და ჩამოყალიბებული პრაქტიკის შესაბამისად.

მსოფლიოს ქვეყნების ვ-ების ჩამონათვალი და თანაფარდობა ბანკნოტსა და მონეტას შორის მოცემულია ცხრილში.

ცხრილი

მსოფლიოს ქვეყნების ვალუტები

ქვეყანა	ფულის ერთეული და მისი დაყოფა		საერთაშორისო აღნიშვნა*	კოდი
ავსტრალია	ავსტრალიური დოლარი	არის 100 ცენტი	AUD	036
ავსტრია	ევრო	– 100 ევროცენტი	EUR	978
ავღანეთი	ავღანური ავღანი	– 100 პული	AFA	004
აზერბაიჯანი	აზერბაიჯანული მანათი	– 100 გიაპიკი	AZM	031
ალბანეთი	ალბანური ლეკი	– 100 კინდარკა	ALL	008
ალჟირი	ალჟირული დინარი	– 100 სანტიმი	DZD	012
ამერიკის შეერთებული შტატები	აშშ დოლარი	– 100 ცენტი	USD	840
ანგოლა	კვანზა	– 100 სენტავო	AON	024
ანდორა	ევრო	– 100 ევროცენტი	EUR	978
ანტიგუა და ბარბუდა	აღმოსავლეთკარიბული დოლარი	– 100 ცენტი	XCD	951
არაბთა გაერთიანებული საამიროები	არაბთა გაერთიანებული საამიროების დირჰამი	– 100 ფილსი	AED	784
არგენტინა	არგენტინული პესო	– 100 სენტავო	ARS	032
აღმოსავლეთი ტიმორი	აშშ დოლარი	– 100 ცენტი	USD	840
ახალი ზელანდია	ახალზელანდიური დოლარი	– 100 ცენტი	NZD	554
ბანგლადეში	ბანგლადეშური ტაკა	– 100 პაისა	BDT	050
ბარბადოსი	ბარბადოსული დოლარი	– 100 ცენტი	BBD	052
ბაჰამის კუნძულები	ბაჰამური დოლარი	– 100 ცენტი	BSD	044
ბაჰრეინი	ბაჰრეინული დინარი	– 100 ფილსი	BHD	048
ბელარუსი	ბელარუსული რუბლი	– 100 კაპიკი	BYR	974
ბელგია	ევრო	– 100 ევროცენტი	EUR	978
ბელიზი	ბელიზური დოლარი	– 100 ცენტი	BZD	084
ბენინი	აფრიკული ფრანკი	– 100 სანტიმი	XOF	952
ბოლივია	ბოლივიური ბოლივიანო	– 100 სენტავო	BOB	068
ბოსნია-ჰერცეგოვინა	ბოსნიური კონვერტირებადი მარკა	– 100 ფენინგი	BAM	977
ბოტსვანა	ბოტსვანური პულა	– 100 თჰებე	BWP	072
ბრაზილია	ბრაზილიური რეალი	– 100 სენტავო	BRL	986
ბრუნეი	ბრუნეის რინგიტი	– 100 სენი	BND	096
ბულგარეთი	ბულგარული ლევი	– 100 სტოტინკა	BGL	100
ბურკინა-ფასო	აფრიკული ფრანკი	– 100 სანტიმი	XOФ	952
ბურუნდი	ბურუნდული ფრანკი	– 100 სანტიმი	BIF	108
ბჰუტანი	ბჰუტანური ნგულტრამი	– 100 ჩეტრუმი	BTN	064
გაბონი	აფრიკული ფრანკი	– 100 სანტიმი	XAF	950
გაიანა	გაიანური დოლარი	– 100 ცენტი	GYD	328

გამბია	გამბიური დალასი	–	100 ბუტუტი	GMD	270
განა	განური სედი	–	100 პესევა	GHC	288
გერმანია	ევრო	–	100 ევროცენტი	EUR	978
გვატემალა	გვატემალური კეცალი	–	100 სენტავო	GTQ	320
გვინეა	გვინეური ფრანკი	–	100 სანტიმი	GNF	324
გვინეა-ბისაუ	აფრიკული ფრანკი	–	100 სანტიმი	GWP	624
გრენადა	აღმოსავლეთკარიბული დოლარი	–	100 ცენტი	XCD	951
დანია	დანიური კრონა	–	100 ერე	DKK	208
დასავლეთი სამოა	ტალა	–	100 სენე	WST	882
დიდი ბრიტანეთი	გირვანქა სტერლინგი	–	100 პენსი	GBP	826
დომინიკა	აღმოსავლეთკარიბული დოლარი	–	100 ცენტი	XCD	951
დომინიკელთა რესპუბლიკა	დომინიკური პესო	–	100 სენტავო	DOP	214
ეგვიპტე	ეგვიპტური გირვანქა	–	100 პიასტრი	EGP	818
ეთიოპია	ეთიოპიური ბირი	–	100 ცენტი	ETB	230
ეკვადორი	აშშ დოლარი	–	100 ცენტი	ECS	218
ეკვატორული გვინეა	აფრიკული ფრანკი	–	100 სანტიმი	XAF	950
ერაყი	ერაყული დინარი	–	1000 ფილსი	IQD	368
ერიტრეა	ნაკფა	–	100 ცენტი	ERN	232
ესპანეთი	ევრო	–	100 ევროცენტი	EUR	978
ესტონეთი	ევრო	–	100 ევროცენტი	EUR	978
ვანუატუ	ვანუატური ვატუ	–	100 ვატუ	VUV	548
ვატიკანი	ევრო	–	100 ევროცენტი	EUR	978
ვენესუელა	ვენესუელური ბოლივარი	–	100 სენტიმო	VEB	862
ვიეტნამი	ვიეტნამური დონგი	–	100 ჰაო	VND	704
ზამბია	ზამბიური კვაჩა	–	100 ნგვე	ZMK	894
ზიმბაბვე	ზიმბაბვეს დოლარი	–	100 ცენტი	ZWD	716
თურქეთი	თურქული ლირა	–	100 ყურუში	TRY	949
თურქმენეთი ახალი	თურქმენული მანათი	–	100 ტენგე	TMT	934
იამაიკა	იამაიკური დოლარი	–	100 ცენტი	JMD	388
იაპონია	იაპონური იენა	–	100 სენი	JPY	392
იემენი	იემენის რიალი	–	100 ფილსი	YER	886
ინდოეთი	ინდური რუპია	–	100 პაისა	INR	356
ინდონეზია	ინდონეზიური რუპია	–	100 სენი	IDR	360
იორდანია	იორდანული დინარი	–	100 პიასტრი	JOD	400
ირანი	ირანული რიალი	–	100 დინარი	IRR	364
ირლანდია	ევრო	–	100 ევროცენტი	EUR	978
ისლანდია	ისლანდიური კრონა	–	100 ეირე	ISK	352
ისრაელი	ისრაელური შეკელი	–	100 აგორა	ILS	376
იტალია	ევრო	–	100 ევროცენტი	EUR	978
კაბო-ვერდე	კაბო-ვერდეს ესკუდო	–	100 სენტავო	CVE	132
კამბოჯა	კამბოჯური რიელი	–	100 სენი	KHR	116
კამერუნი	აფრიკული ფრანკი	–	100 სანტიმი	XAF	950
კანადა	კანადური დოლარი	–	100 ცენტი	CAD	124
კატარი	კატარული რიალი	–	100 დირჰამი	QAR	634
კენია	კენიური შილინგი	–	100 ცენტი	KES	404
კვიპროსი	ევრო	–	100 ევროცენტი	EUR	978
კირიბატი	ავსტრალიური დოლარი	–	100 ცენტი	AUD	036
კოლუმბია	კოლუმბიური პესო	–	100 სენტავო	COP	170
კომორის კუნძულები	კომორული ფრანკი	–	100 სანტიმი	KMF	174
კონგო (დედაქალაქი – ბრაზავილი)	აფრიკული ფრანკი	–	100 სანტიმი	XAF	950

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (დედაქალაქი – კინშასა)	კონგოს ფრანკი	–	100 სანტიმი	XAF	950
კოსტა-რიკა	კოსტარიკული კოლონი	–	100 სენტიმო	CRC	188
კოტ-დ'ივუარი	აფრიკული ფრანკი	–	100 სანტიმი	XOF	952
კუბა	კუბური პესო	–	100 სენტავო	CUP	192
ლაოსი	ლაოსური კიპი	–	100 ატი	LAK	418
ლატვია	ლატვიური ლატი	–	100 სანტიმი	LVL	428
ლესოთო	ლოტი	–	100 სენტი	LSL	426
ლიბანი	ლიბანური გირვანქა	–	100 პიასტრი	LBP	422
ლიბერია	ლიბერიული დოლარი	–	100 ცენტი	LRD	430
ლიბია	ლიბიური დინარი	–	1000 დირჰამი	LYD	434
ლიტვა	ლიტვური ლიტი	–	100 ცენტი	LTL	440
ლიხტენშტაინი	შვეიცარიული ფრანკი	–	100 სანტიმი	CHF	756
ლუქსემბურგი	ევრო	–	100 ევროცენტი	EUR	978
მადაგასკარი	მალაგასიური არიარი	–	100 ირაიმბილანია	MGF	450
მავრიკი	მავრიკიული რუპია	–	100 ცენტი	MUR	480
მავრიტანია	მავრიტანიული უგია	–	5 ხუმი	MRO	478
მაკედონია	მაკედონიური დენარი	–	100 დენი	MKD	807
მალავი	მალავიური კვაჩა	–	100 ტამბალა	MWK	454
მალაიზია	მალაიზიური რინგიტი	–	100 სენი	MYR	458
მალდივი	მალდივური რუფია	–	100 ლაარი	MVR	462
მალი	აფრიკული ფრანკი	–	100 სანტიმი	XOF	952
მალტა	ევრო	–	100 ევროცენტი	EUR	978
მაროკო	მაროკოული დირჰამი	–	100 სანტიმი	MAD	504
მარშალის კუნძულები	აშშ დოლარი	–	100 ცენტი	USD	840
მექსიკა	მექსიკური პესო	–	100 სენტავო	MXN	484
მიანმა (ყოფ. ბირმა)	მიანმური კიატი	–	100 პია	MMK	104
მიკრონეზიის ფედერაციული შტატები	აშშ დოლარი	–	100 ცენტი	USD	840
მოზამბიკი	მოზამბიკური მეტიკალი	–	100 სენტავო	MZM	508
მოლდოვა	მოლდოვური ლეი	–	100 ბანი	MDL	498
მონაკო	ევრო	–	100 ევროცენტი	EUR	978
მონტსერატი	აღმოსავლეთკარიბული დოლარი	–	100 ცენტი	XCD	951
მონღოლეთი	მონღოლური ტუგრიკი	–	100 მუნგუ	MNT	496
ნამიბია	ნამიბიური დოლარი	–	100 ცენტი	NAD	516
ნაურუ	ავსტრალიური დოლარი	–	100 ცენტი	AUD	036
ნეპალი	ნეპალის რუპი	–	100 პაისა	NPR	524
ნიგერი	აფრიკული ფრანკი	–	100 სანტიმი	XOF	952
ნიგერია	ნიგერიული ნაირა	–	100 კობო	NGN	566
ნიდერლანდები	ევრო	–	100 ევროცენტი	EUR	978
ნიკარაგუა	ნიკარაგუული კორდობა	–	100 სენტავო	NIO	558
ნორვეგია	ნორვეგიული კრონა	–	100 ერე	NOK	578
ომანი	ომანის რიალი	–	1000 ბაიზა	OMR	512
პაკისტანი	პაკისტანური რუპი	–	100 პაისა	PKR	586
პალაუ	აშშ დოლარი	–	100 ცენტი	USD	840
პანამა	პანამური ბალბოა	–	100 სენტესიმო	PAB	590
პაპუა-ახალი გვინეა	კინა	–	100 ტოია	PGK	598
პარაგვაი	გუარანი	–	100 სენტიმო	PYG	600
პერუ	პერუული ნუევო სოლი	–	100 სენტიმო	PEN	604
პოლონეთი	პოლონური ზლოტი	–	100 გროში	PLN	985
პორტუგალია	ევრო	–	100 ევროცენტი	EUR	978

რუანდა	რუანდის ფრანკი	–	100 სანტიმი	RWF	646
რუმინეთი	რუმინული ლეი	–	100 ბანი	ROL	642
რუსეთის ფედერაცია	რუსული რუბლი	–	100 კაპიკი	RUB	643
საბერძნეთი	ევრო	–	100 ევროცენტი	EUR	978
სალვადორი	სალვადორული კოლონი	–	100 სენტავო	SVC	222
სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა	რენდი	–	100 ცენტი	ZAR	710
სამხრეთი კორეა	სამხრეთკორეული ვონა	–	100 ჩონი	KRW	410
სან-მარინო	ევრო	–	100 ევროცენტი	EUR	978
სან-ტომე და პრინსიპი	სან-ტომეს და პრინსიპის დობრა	–	100 სენტიმო	STD	678
საუდის არაბეთი	საუდის რიალი	–	100 ჰალალა	SAR	682
საფრანგეთი	ევრო	–	100 ევროცენტი	EUR	978
საქართველო	ქართული ლარი	–	100 თეთრი	GEL	981
სეიშელის კუნძულები	სეიშელის რუპია	–	100 ცენტი	SCR	690
სენეგალი	აფრიკული ფრანკი	–	100 სანტიმი	XOF	952
სენტ-ვინსენტი და გრენადინები	აღმოსავლეთკარიბული დოლარი	–	100 ცენტი	XCD	951
სენტ-კიტსი და ნევისი	აღმოსავლეთკარიბული დოლარი	–	100 ცენტი	XCD	951
სენტ-ლუსია	აღმოსავლეთკარიბული დოლარი	–	100 ცენტი	XCD	951
სერბეთი	სერბული დინარი	–	100 პარა	RSD	941
სვაზილენდი	ლილანგენი	–	100 ცენტი	SZL	748
სიერა-ლეონე	ლეონე	–	100 ცენტი	SLL	694
სინგაპური	სინგაპურული დოლარი	–	100 ცენტი	SGD	702
სირია	სირიული გირვანქა	–	100 პიასტრი	SYP	760
სლოვაკეთი	ევრო	–	100 ევროცენტი	EUR	978
სლოვენია	ევრო	–	100 ევროცენტი	EUR	978
სოლომონის კუნძულები	სოლომონის კუნძულების დოლარი	–	100 ცენტი	SBD	090
სომალი	სომალური შილინგი	–	100 ცენტი	SOS	706
სომხეთი	სომხური დრამი	–	100 ლუმა	AMD	051
სუდანი	სუდანური გირვანქა	–	100 პიასტრი	SDG	938
სურინამი	სურინამული დოლარი	–	100 ცენტი	SRD	968
ტაილანდი	ტაისური ბატი	–	100 სატანგი	THB	764
ტანზანია	ტანზანიური შილინგი	–	100 ცენტი	TZS	834
ტაჯიკეთი	ტაჯიკური სომონი	–	100 დირამი	TJS	972
ტოგო	აფრიკული ფრანკი	–	100 სანტიმი	XOF	952
ტონგა	პაანგა	–	100 სენიტი	TOP	776
ტრინიდადი და ტობაგო	ტრინიდადისა და ტობაგოს დოლარი	–	100 ცენტი	TTD	780
ტუვალუ	ტუვალუური დოლარი	–	100 ცენტი	AUD	036
ტუნისი	ტუნისური დინარი	–	100 მილიმი	TND	788
უგანდა	უგანდური შილინგი	–	100 ცენტი	UGX	800
უზბეკეთი	უზბეკური სუმი	–	100 ტიინი	UZS	860
უკრაინა	უკრაინული გრივნა	–	100 კაპიკი	UAH	980
უნგრეთი	უნგრული ფორინტი	–	100 ფილერი	HUF	348
ურუგვაი	ურუგვაის პესო	–	100 სენტესიმო	UYU	858
ფილიპინები	ფილიპინური პესო	–	100 სენტიმო	PHP	608
ფინეთი	ევრო	–	100 ევროცენტი	EUR	978
ფიჯი	ფიჯის დოლარი	–	100 ცენტი	EJD	242
ქუვეითი	ქუვეითური დინარი	–	100 ფილსი	KWD	414
ყაზახეთი	ყაზახური ტენგე	–	100 ტიინი	KZT	398

ყირგიზეთი	ყირგიზული სომი	–	100 ტიინი	KGS	417
შვედეთი	შვედური კრონა	–	100 ერე	SEK	752
შვეიცარია	შვეიცარიული ფრანკი	–	100**	CHF	756
შრი-ლანკა	შრი-ლანკური რუპია	–	100 ცენტი	LKR	144
ჩადი	აფრიკული ფრანკი	–	100 სანტიმი	XAF	950
ჩერნოგორია	ევრო	–	100 ევროცენტი	EUR	978
ჩეხეთი	ჩეხური კრონა	–	100 ჰელერი	CZK	203
ჩილე	ჩილეს პესო	–	100 სენტავო	CLP	152
ჩინეთი	ჩინური იუანი	–	100 ფინი	CNY	156
ჩრდილოეთი კორეა	ჩრდილოკორეული ვონა	–	100 ჩონი	KPW	408
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	აფრიკული ფრანკი	–	100 სანტიმი	XAF	950
ხორვატია	ხორვატული კუნა	–	100 ლიპა	HRK	191
ჯიბუტი	ჯიბუტის ფრანკი	–	100 სანტიმი	DJF	262
ჰაიტი	ჰაიტური გურდი	–	100 სანტიმი	HTG	332
ჰონდურასი	ჰონდურასული ლემპირა	–	100 სენტავო	HNL	340
ჰონკონგი (სიანგანი)	ჰონკონგური დოლარი	–	100 ცენტი	HKD	344

*ზოგიერთ ვალუტას, გარდა საერთაშორისო აღნიშვნისა და კოდისა, აქვს სპეციალური სიმბოლო. მაგ., ₾ – ქართული ლარი, ₼ – აზერბაიჯანული მანათი, ₺ – თურქული ლირა, ₽ – რუსული რუბლი, ₴ – სომხური დრამა, $ – აშშ დოლარი, £ – გირვანქა სტერლინგი, € – ევრო და სხვ.

** შვეიცარიული ფრანკის 1/100 ნაწილს, ქვეყანაში არსებული სამი ოფიციალური ენის შესაბამისად ეწოდება რაპენი (გერმანულად), სანტიმი (ფრანგულად) და ჩენტეზიმო (იტალიურად).

ვალფიში (Walfisch) არნოლდ ზელმანის ძე (2. VII. 1892, ვარშავა, – 29. V. 1962, თბილისი), მათემატიკოსი. მათ. დოქტორი (1921, გეტინგენი), ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1947, დისერტაციის დაუცველად), პროფესორი (1948). სწავლობდა მიუნხენის, ბერლინის, ჰაიდელბერგის, გეტინგენის უნ-ტებში. 1927–36 მუშაობდა ვარშავაში სადაზღვევო საზ-ბის მათემატიკოსად, ხოლო 1930-იდან შეთავსებით – დოცენტის თანამდებობაზე ვარშავის უნ-ტში. 1936 მიიწვიეს სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მათემატიკის ინ-ტში (ახლანდ. ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინ-ტი), სადაც გარდაცვალებამდე მუშაობდა. იყო თეორ. მათემატიკის განყ-ბის გამგე (1940–43), ალგებრისა და გეომ. განყ-ბის გამგე (1948–62). კითხულობდა ლექციებს თსუ-ში, თბილ. და ქუთაისის პედაგოგიურ ინ-ტებში. ვ-ის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში რიცხვთა თეორიის დარგში მეცნ. კვლევის მიღწევები. ვ-ის შრომები ეძღვნება მრავალგანზომილებიან ელიფსოიდებში მთელ წერტილთა რაოდენობის განსაზღვრას, მართივ რიცხვთა ადიტიურ თეორიას, დიოფანტურ მიახლოებებს, კვადრატული ფორმებით რიცხვთა წარმოდგენას და სხვ.

1963 ბერლინში გერმ. ენაზე გამოიცა ვ-ის მონოგრაფია, ,,ვაილის მაჩვენებლიანი ჯამები თანამედროვე რიცხვთა თეორიაში'', რ-შიც გადმოცემულია როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე, მ. შ. თვით ავტორის, გამოკვლევები გამყოფთა პრობლემის, ეილერისა და მებიუსის ფუნქციების, რიმანის ძეტა-ფუნქციისა და მართივ რიცხვთა განრიგების შესახებ.

ვ. იყო საერთაშ. მათ. ჟურნ. ,,Acta Arithmetica'' ერთ-ერთი დამაარსებელი და სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ვ-ის ,,რიცხვთა თეორიის კურსი'' ამჟამადაც ითვლება ქართ. ენაზე რიცხვთა თეორიის ძირითად სახელმძღვანელოდ.

თხზ.: რიცხვთა თეორიის კურსი, თბ., 1947; Целые точки в многомерных шарах, Тб., 1960.

ვალხოხი, მთა ჯავის მუნიციპალიტეტში, რაჭის ქედის ჩრდ. განშტოებაზე. სიმაღლე 2359 *მ*. აგებულია ცარცული კირქვებითა და ქვიშაქვებით. 1900 *მ* სიმაღლემდე შემოსილია ფართოფოთლოვანი ტყით, უფრო მაღლა ალპ. მდელოებია. *ჭ. ჯანელიძე.*

ვამეჟ I დადიანი, ოდიშის ერისთავი 1384–96, მანდატურთუხუცესი. ერთიანი საქართველოს მეფეებთან ერთად ებრძოდა განკერძოების მოსურნე იმერეთის მეფეებს. 1392 დაამარცხა იმერეთის მეფე *გიორგი I*, რ-იც ამ ბრძოლაში დაიღუპა. ვ. I დ-ის დახმარებით საქართვ. მეფე *გიორგი VII-მ*, თემურლენგის შემოსევათა მიუხედავად, დას. საქართველოში თავისი ძალაუფლება განამტკიცა. ვ. I დ-მა წარმატებით ილაშქრა ჯიქეთში და იქიდან წამოღებული მარმარილოს სვეტებითა და ფიქლებით ხობის ეკლესიას თავისი მშობლების საძვალე მიაშენა. მისივე თაოსნობით მოხატეს წალენჯიხის ეკლესია.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ტფ., 1913; მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941. *თ. ბერიძე.*

ვამეჟ II დადიანი, ოდიშის ერისთავი 1474–82. ბიძა *შამადავლე დადიანისა*, რ-ის სიკვდილის შემდეგაც დაეუფლა ოდიშს. ებრძოდა იმერეთის მეფე ბაგრატ II-ს (იხ. *ბაგრატ VI*), რ-მაც 1477 ილაშქრა ოდიშში. ვ. II დ. დამარცხდა და იძულებული გახდა იმერეთის მეფეს დამორჩილებოდა. ბაგრატის სიკვდილის შემდეგ (1478) ვ. II. დ-მა არ მისცა საშუალება მის მემკვიდრე ალექსანდრეს (იხ. *ალექსანდრე II*) გამეფებულიყო და ხელი შეუწყო ქართლის მეფე კონსტანტინე II-ს, განემტკიცებინა თავისი ხელისუფლება იმერეთში.

ლიტ. იხ. სტ-თან ვამეჟ I დადიანი. *თ. ბერაძე.*

ვამეჟ III დადიანი, ოდიშის მთავარი 1658–60/62. *ლევან II დადიანის* სიკვდილის (1657) შემდეგ *ალექსანდრე III-მ* იმერთა მეფის დახმარებით, ხელთ იგდო ოდიშის სამთავრო ტახტი და დადიანის ტიტული. 1658 ბანძასთან დაამარცხა თავისი მეტოქე *ლიპარიტ III დადიანი.* 1660 იმერეთის სამეფოში გაჩაღებულ შინაომში

ჩაერია, დიდებულთა დახმარებით დაიპყრო სამეფოს დიდი ნაწილი და მეფის ტიტულიც მიიღო. მის წინააღმდეგ გაილაშქრა ქართლის მეფე *ვახტანგ V-მ,* მაგრამ საქმე მორიგებით დამთავრდა: ვახტანგ V-ს იმერეთის სამეფოს ზემო მხარე დარჩა, დანარჩენი ნაწილი – ვ. III დ-ს. ამ უკანასკნელს თავისი ასული ქართლის მეფის ძის არჩილისათვის უნდა მიეთხოვებინა, რის შედეგადაც იმერეთის სამეფო არჩილის ხელში გადადიოდა. ვ. III დ-ს კი იმერეთი თავისთვის უნდოდა. მან პირობა დაარღვია და თავისი ასული იმერეთის ძლიერ თავად ბეჟან ღოღობერიძეს მიათხოვა. ამას მოჰყვა ვახტანგ V-ის მეორე ლაშქრობა. ვ. III დ-ს იმერეთისა და ოდიშის დიდებულთა დიდი ნაწილი განუდგა. მან თავდაპირველად ოდიშს მიაშურა, მაგრამ როდესაც ოდიშის ციხესიმაგრეებიც ვახტანგ V-ის ლაშქარმა დაიპყრო, სვანეთში გაიქცა. მისი ოჯახი ქართლის ლაშქარმა ჩაიგდო ხელთ. ვახტანგ V-მ ოდიშში ლევან II დადიანის ძმისწული შამადავლე დასვა მთავრად (იხ. *ლევან III დადიანი*). ვახტანგ V-ის მოკავშირემ, ლეჩხუმის მფლობელმა ხოსია ლასხიშვილმა ვ. III დ. სვანეთში მოაკვლევინა.

წყარო: ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბ ე რ ა ძ ე თ., ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1964, [ტ.] 2.

თ. ბერაძე.

ვანათი, V–VI სს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამეკლესიიანი ბაზილიკა ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო ბოლნისსა და ხატისსოფელს შორის.



ვანათი. სამეკლესიიანი ბაზილიკა. V–VI სს.

შედგება 3 წაგრძელებული, გვერდიგვერდ განლაგებული სათავისაგან, რ-ებიც დამოუკიდებელ ეკლესიებს წარმოადგენენ და გარედან გეგმის სწორკუთხედში არიან მოქცეული. სამივე ეკლესია აღმ-ით დასრულებულია ნალისებრი აფსიდით. ბაზილიკის ერთადერთი სამთაღიანი შესასვლელი მოწყობილია ეკლესიის სამხრ. კედელში. თვით სამხრ. ეკლესია კი, შუა ეკლესიას ორი კარით უკავშირდება, ხოლო აქედან ჩრდ. ეკლესიაში ერთი კარია გაჭრილი. ნაგებობაში არ შეინიშნება შინაგანი სივრცის პლასტ. დანაწევრების ან დამატებითი სათავსების სხვა კვალი. შუა ეკლესია ნათდებოდა სარკმლებით, რ-თაგან ერთი საკურთხევლის აფსიდში იყო გაჭრილი, 2 – სამხრეთის და ერთიც – დას. კედლებში. გვერდითი ეკლესიების აფსიდებს სარკმლები არ ჰქონდა. საშენ მასალად გამოყენებულია ბოლნისის ყვითელი ტუფის შედარებით მსხვილი კვადრები, რ-თა სწორ წყობაში აქა-იქ ჩართულია წითელი, მწვანე და მოთეთრო – ქვიშისფერი გათლილი ქვები. კედლების ზედა ნაწილები მოთეთრო-მონაცრისფრო პატარ-პატარა ქვის ბლოკებითაა ამოყვანილი. გეგმით, ზომით, პროპორციებითა და საშენი მასალით ვ. *ქვემო ბოლნისის* სამეკლესიიანი ბაზილიკის მსგავსია და მასთან ერთად ქართ. ხუროთმოძღვრების ამ ორიგინ. ტიპის განვითარების ერთ-ერთი ადრინდ. ნიმუშია.

ლიტ.: Ч у б и н а ш в и л и Г. Н., Одна из древнейших трёхцерковных базилик Квемо Картли, მის წგ.: Вопросы истории искусства, т. 1,Тб., 1970. *პ. ზაქარაია.*



ვანათი (ერედვის მუნიციპალიტეტი). ციხესიმაგრე.

ვანათი (ყოფ. მ ი გ ი რ ლ ო), სოფელი ბოლნისის მუნიციპალიტეტის რაჭისუბნის თემში (ქვემო ქართლის მხარე), მდ. ფოლადაურის (მაშავრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 510 *მ*, ბოლნისიდან 6 *კმ*. 530 მცხ. (2002).

ვანათი, ტერიტორიული ორგანოს ცენტრი ერედვის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), გუდისის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. პატარა ლიახვის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1000 *მ*, ერედვიდან 7 *კმ*. 361 მცხ. (2002).

სოფლის მახლობლად, მდ. პატარა ლიახვის მარცხ. ნაპირას, მაღალ მთაზე, ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი გორის აღგილას შემორჩენილია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – ფეოდ. ხანის დანგრეული ციხესიმაგრე (წყაროებში იხსენიება XVI ს-იდან). იგი მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა, კონტროლს უწევდა ქსნის საერისთავოს მთიან ნაწილს. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ციხე 1731 ოსმალებს დაურბევიათ და ნაწილობრივ დაუნგრევიათ. 1739 მას სპარსელები შემოეწყვნენ, მაგრამ ვერ აიღეს. ნანგრევებში გამოირჩევა 3 სამშენებლო ფენა: პირველი – დიდი ზომის მონუმ. კოშკის ქვედა ნაწილი გალავნის აღმ. მონაკვეთითურთ (X –XIII სს.), მეორე – სამხრ. ნაწილის ცენტრში აღმართული ე. წ. *ზურგიანი კოშკი* (XIV –XV სს.), მესამე – ჩრდ.-დასავლეთის გალავანი და სამხრ-ით შესასვლელი კოშკი (XVIII ს.). ციხის მახლობლად დგას ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – X ს. მაცხოვრის ერთნავიანი ეკლესია.

ლიტ.: М е п и с а ш в и л и Р. С., Ц и н ц а д з е В. Г., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида-Картли, Тб., 1975. *ჯ. გვასალია. პ. ზაქარაია.*

ვანათი, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის ორბეთის თემში (ქვემო ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ვერის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1100 *მ*, თეთრი წყაროდან 34 *კმ*. 16 მცხ. (2002).

ვანათის არხი, სარწყავი არხი შიდა ქართლის ვაკეზე. წყალს იღებს მდ. პატარა ლიახვიდან, სოფ. საცხენეთთან. უერთდება მდ. ლიახვს ქ. ცხინვალთან. საექსპლუატაციოდ გადაეცა 1953. სიგრძე

14 *კმ*. რწყავს ძირითადად გორისა და ერედვის მუნიციპალიტეტების სოფლების სას.-სამ. სავარგულებს.

ვანანდი, შუა საუკუნეების სომხეთის აირარატის ოლქის მხარე. მისი ტერიტორია შეესაბამება თანამედროვე ყარსისა და სარიყამიშის რ-ნებს. თავდაპირველად ამ მხარეს ვანანდელი მთავრები განაგებდნენ, VIII ს. ბოლოდან კი ბაგრატუნების ხელშია. სომხეთის მეფის აშოტ III-ის მიერ ყარსის გამგებელად დანიშნულმა მისმა ძმამ, მუშელ ბაგრატუნმა, 963 თავი მეფედ გამოაცხადა. ასე ჩაეყარა საფუძველი ყარსის, ანუ ვ-ის სამეფოს, რ-იც მთლიანად მოიცავდა ვ-ის მხარეს. ეს სამეფოც, სხვა სომხ. სამეფოების მსგავსად, ბაგრატუნიანთა ანისის ცენტრ. სამეფოს ექვემდებარებოდა. ბაგრატუნიანთა სამეფოს დაცემის (1045) შემდეგ ვ. ბიზანტიამ დაიპყრო და 1065 იბერიის საკატეპანოს (იხ. *იბერიის თემი*) შემადგენლობაში შეიყვანა. საქართველოს თავდაცვისათვის ვ-ზე კონტროლს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რის გამოც ქართვ. ხელისუფლები ცდილობდნენ მის შემოერთებას. ,,მატიანე ქართლისაჲს'' ცნობით, ,,სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისანი'' XI ს. 70-იანი წლების დასაწყისში სელჩუკიანი თურქების წინააღმდეგ მებრძოლ *გიორგი II-ს* აუღია. *დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის* ცნობით კი – ბიზანტ. იმპერიის დიდმოხელემ, *გრიგოლ ბაკურიანის ძემ*, რ-იც იმ დროს ოლთისს, კარნუ ქალაქსა და კარს ფლობდა, კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა გიორგის გადასცა, ხოლო გიორგი II-მ ის შავშელ აზნაურებს ჩააბარა სამართველოდ. 1074–80 ვ-ის ქვეყანა სელჩუკიანმა თურქებმა დაიპყრეს. დავით აღმაშენებელმა სომხეთში ლაშქრობისას ანისის შემდეგ ვ-ც გაათავისუფლა სელჩუკიანთა ბატონობისაგან და საქართველოს შემოუერთა. 1205–06 (თამარ მეფის დროს) საქართვ. ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გამოიხსნა ვ. მაჰმადიანი მფლობელებისაგან.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; История армянского народа, Ер., 1951.

გ. მაისურაძე.

ვანაძეები, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტის ღორჯომის თემში (აჭარის არ), მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე, ღორჯომისწყლის (აჭარისწყლის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1200 *მ*, ხულოდან 15 *კმ*. 408 მცხ. (2002). სახელი ეწოდა ვანაძეების საგვარეულოს მიხედვით.

სოფლის სამხრ-ით, ჩრდილაქედის (,,საკაჟიქედი'') შემაღლებულ ადგილზე, შემონახულია XI ს. დასაწყ. ეკლესიის ნანგრევები. მოსახლეობა ამ ქედს საყდრისქედს, ეკლესიის ადგილს – ნასაყდრალს, ხოლო თვით ეკლესიას აგარის ეკლესიას უწოდებს. ჯერ კიდევ 1888 ეკლესიის შიდა ნაწილის გათხრებისას დიდი რაოდენობით აღმოჩენილი არქეოლ. მასალის საუკეთესო ნიმუშები პ. *უვაროვას* ჩამოთვლილი აქვს თავის ნაშრომში, ხოლო ეკლესიის თავდაპირველი სახე გამოვლინდა 1985 ნანგრევების გაწმენდის შემდეგ. ეკლესიის ირგვლივ მთელ ფერდობზე ორმოსამარხებია. მიცვალებულთა დასაკრძალავად იყო გამოყენებული ეკლესიის სამხრ. მინაშენიც. სამარხების ძირითადი ტიპია ორმოსამარხები, ხოლო დამარხვის წესები ისეთივეა, როგორც საერთოდ იმდროინდელ ქრისტ. სამყაროში იყო გავრცელებული.

ლიტ.: მ ა მ უ ლ ა ძ ე შ., ღორჯომის წყლის ხეობაში 1985 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, წგ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, თბ., 1988.

ვანდერველდე (Vandervelde) ემილ (25. I. 1866, იქსელი, – 27. XII. 1938, ბრიუსელი), ბელგიელი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. ბრიუსელის უნ-ტის პოლიტ. ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი (1924-იდან). იურისტი. მემარჯვენე სოციალისტი და ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი დას. ევროპაში. ,,ანტიბოლშევიკ ერთა საერთაშორისო ბლოკის'' საპატიო წევრი (ბლოკის გენ. მდივანი იყო ნ. ნაკაშიძე). 1900-იდან II ინტერნაციონალის საერთაშ. სოციალ. ბიუროს თავ-რე. 1894-იდან ბელგიის პარლამენტის დეპუტატთა პალატის წევრი. 1914–37 ბელგიის მთავრობის წევრი – საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი. ბელგიის დელეგაციის ხელმძღვანელი პარიზის (1919–20) საზავო ხელშეკრულების დადებისას. ხელი მოაწერა ვერსალის ზავს (1919).

1922, როგორც დამცველი, მოსკოვში მონაწილეობდა მემარჯვენე ესერთა სასამართლო პროცესში. *ერთა ლიგის* დაარსების დღიდან (1919) გამოდიოდა ამ საერთაშ. გაერთიანებაში საბჭ. რუსეთის, შემდეგ კი სსრკ-ის მიღების წინააღმდეგ. აქტიურად იცავდა საბჭ. იმპერიის მიერ დაპყრობილ ერთა, პირველყოვლისა კი – საქართველოს ინტერესებს.

3-მ II ინტერნაციონალის ოფიც. დელეგაციის შემადგენლობასთან ერთად იმოგზაურა (1920 სექტ.) საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკაში. მან დიდად შეუწყო ხელი საქართველოს საერთაშ. სამართალსუბიექტად აღიარებას და ოფიციალურად ცნობას (დე-ფაქტო 1920 წ. 12 იანვ., დე-იურე – 1921 წ. 27 იანვ.).

1921-იდან, საბჭ. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ იღვწოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ხელს უწყობდა ბელგიის ქართველთა სათვისტომოს საქმიანობას. მისი ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი იყო თვალსაჩინო ქართვ. პოლიტოლოგი და სოვეტოლოგი, ბრიუსელის უნ-ტის პოლიტ. მეცნ. დოქტორი, ვ-ს სახელობის ინტის სამეცნ. ბ-კის ხელმძღვ. მ. ტულუში. ვ-ს ახლო მეგობრობა აკავშირებდა ქართ. პოლიტ. ემიგრაციის სხვა არაერთ გამოჩენილ მოღვაწესთან. *ლ. ურუშაძე.*



ე. ვანდერველდე.

ვანელი, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), მდ. ლიახვის მარჯვ. მხარეს, ჯავა–როკის საავტ. გზაზე. ზ. დ. 1340 *მ*, ჯავიდან 16 *კმ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 40 *კმ*. 37 მცხ. (1989).

ვანთა, სოფელი თელავის მუნიციპალიტეტის აკურის თემში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთის ძირას, მდ. ვანთისხევის (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 600 *მ*, თელავიდან 13 *კმ*, წინანდლიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ*. 1,2 ათ. მცხ. (2002).



ვანთა. სასახლის ნანგრევები.VIII–IX სს.

ვ. პირველად იხსენიება 1392 ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათოლიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში კალაურისა და აკურის გვერდით. შემდეგ მოხსენიებულია 1712 ონოფრე მაჭუტაძის მიერ დავითგარეჯისადმი შეწირულობის გუჯარში სოფ. აკურასთან ერთად.

ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.) ვ. ვანათის სახელწოდებით აქვს მოხსენიებული. 1802 ქართლ-კახეთის მაზრებად დაყოფის უწყების მიხედვით ვ. საეკლ. მფლობელობის ქართველებით დასახლებული სოფელი იყო. 1804 თელავის მაზრის კამერალური აღწერიდან ჩანს, რომ ვ. შერეული მფლობელობის საეკლ. და საბატონო სოფელი იყო. აქ ყმები ჰყავდათ როგორც ეკლესიას (მცხეთის საპატრიარქო, დავითგარეჯის მონასტერი), ასევე თავად ჯანდიერებსაც. ვ. XIX ს-ში თელავის მაზრის შემადგენლობაში შევიდა. 1841 –1917 თელავის მაზრის წინანდლის საპოლიციო უბანს ეკუთვნის. 1888 წინანდლის უბანი 21 სასოფლო თემად დაყვეს. ვ-მ ბუშატთან ერთად ვანთა-ბუშატის სასოფლო თემი შექმნა. 1930, მაზრების გაუქმების შემდეგ, ვ. თელავის რ-ნში შევიდა.

სოფლის მახლობლად, მდ. ვანთასხევის ფლატის პირას, გაშენებული იყო VIII –IX სს. ქართ. ხუროთმოძღვრული კომპლექსი. ადგილ. მოსახლეობა მას ნაცისხარს უწოდებს. კომპლექსიდან შემორჩენილია ფეოდალის დიდი სასახლის ნანგრევები და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები. ვ-ის სასახლე ადრინდ. ფეოდ. ხანის საერო ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია.

სასახლის სამხრ.-დას. კუთხიდან 15 –20 ნაბიჯზე დგას სასახლისავე თანადროული, რიყის ქვით ნაგები პატარა ერთნავიანი ეკლესია, რ-ის საკურთხევლის აფსიდი ნალისებრი ფორმისაა. აქვეა წყარო ამოშენებული წყალსატევით, მოშორებით კი – აბანოს ნანგრევები.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 8, თბ., 1985.

ლიტ.: Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии,Тб., 1959.

პ. ზაქარაია. ზ. ცინცაძე.

ვანთის სამარხი, ძვ. წ. XIII – XII სს. არქეოლოგიური ძეგლი. მდებარეობს სოფ. ვანთის ჩრდ-ით, ადგილ ,,ღრუ ტყეში‘‘. აღმოჩნდა 1972. გათხარა კახეთის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ორმოსამარხი ოთხკუთხაა (ზომები – 2 *მ* × 1,6 *მ*), დამხრობილი იყო ჩრდ.-დას-იდან სამხრ.-აღმოსავლეთისკენ. მიცვალებული ესვენა მარჯვ. გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდ.-დასავლეთისკენ. ჩატანებული ჰქონდა თიხის ჭურჭელი (დერგი, ქილა, კოჭობი, ბადია), ბრინჯაოს ნივთები (შედგენილტარიანი სატევარი, მასრაშეკრული შუბისპირი, მრგვალი ფარი), სამკაული (ბრინჯაოს ზამბარისებური ხვია, ბოლოებგახსნილი ბეჭედი, სარდიონის ექვსწახნაგა მძივი, ცალმხრივ გახვრეტილი მძივები) და სხვ.

მასალა ინახება თელავის ისტ. მუზეუმში.

ლიტ.: მაისურაძე ბ., იორ-ალაზნის ზემო დინების გვიანბრინჯაო – რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993; ნუცუბიძე ა., ალაზნის ველის ძვ. წ. XIV–XII სს. ძეგლები, თბ., 1981; ფიცხელაური კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV –VII სს.), თბ., 1973.

ც. მენაბდე.

ვანთლიაშეთი, უღელტეხილი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, კახეთის კავკასიონზე, მდ. ჩარალდისხევის (კაბალის მარჯვ. შენაკადი) სათავეში. სიმაღლე 2441 *მ*. უღელტეხილის მიდამოები აგებულია იურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. ვ. ბილიკით აკავშირებს მდინარეების კაბალისა (ალაზნის მარცხ. შენაკადი) და ავარიის ყოისუს (სულაკის მარცხ. მდგენელი; დაღესტანი) ხეობებს. მის კალთებზე სუბალპ. მდელოთა ლანდშაფტია.

დ. უკლება.

ვანი, ქალაქი (1961–81 – დაბა) დასავლეთ საქართველოში (იმერეთის მხარე). ვანის მუნიციპალიტეტის ცენტრი. მდებარეობს იმერეთის დაბლობზე, მდ. სულორის (რიონის მარცხ. შენაკადი) ნაპირას, ბაღდათი–დაფნარის საავტ. გზაზე. ზ. დ. 60 *მ*, თბილისიდან 276 *კმ*, სამტრედიიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 23 *კმ*. 4,7 ათ. მცხ. (2002). ვ-ში ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. იცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 13,9°C, იანვ. საშ. ტემპ-რა 4,1°C, ივლ. 23,4°C. ნალექები 1380 *მმ* წელიწადში.

ვ-ში არის სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადასამუშავებელი და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო სკოლები, ო. ლორთქიფანიძის სახ. ვანის არქეოლ. მუზეუმ-ნაკრძალი, სახალხო თეატრი. მოსახლ. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება შპს ,,ფარმაცია-ვანი‘‘ და შპს ,,ადითი‘‘.

ვანი, სოფელი შუახევის მუნიციპალიტეტის ბარათაულის თემში (აჭარის არ), ნაცარა-ტინტის (მესხეთის ქედის განშტოება) სამხრ.-აღმ. კალთაზე, მდ. ბარათაულისწყლის (ჭვანისწყლის მარცხ. შენაკადი) ზემოწელში. ზ. დ. 1440 *მ*, შუახევიდან 24 *კმ*. 243 მცხ. (2002).

ვანი, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზომლეთის თემში (გურიის მხარე), საირაოს სერზე (გურიის ქედის შუა მონაკვეთი), მდ. სუფსის ხეობაში. ზ. დ. 240 *მ*, ჩოხატაურიდან 14 *კმ*. 449 მცხ. (2002).

ვანი, სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტის ხვაშითის თემში (იმერეთის მხარე), რაჭის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. სატოპელას (ჯრუჭულის მარჯვ. შენაკადი) ზემოწელში. ზ. დ. 920 *მ*, ჭიათურიდან 20 *კმ*. 47 მცხ. (2002).

ვანი, სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საღანძილის თემში (იმერეთის მხარე), მესხეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, ჯინჯოურის (ჩხერიმელის მარცხ. შენაკადი)



ვანი. ქალაქის საერთო ხედი.

ხეობაში. ზ. დ. 560 *მ,* ხარაგაულიდან 6 *კმ.* 280 მცხ. (2002).

ვ-ში დგას ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – უხეშად გათლილი ქვით ნაგები წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია. მშენებლობის თავდაპირველი ფენა IX–X სს. მიეკუთვნება. ძეგლი დაზიანებულია. კომპოზიციით ორნავიან ეკლესიას წააგავს, მაგრამ სინამდვილეში ჩრდილოეთის ვიწრო მინაშენი აქ ვერ ასრულებს ,,ნავის'' ფუნქციას. საყურადღებოა დას. და აღმ. სარკმლების, კარნიზის ქვებისა და ინტერიერთა პილასტრების კაპიტელების დეკორ. მორთულობა. მოგვიანებით, XVI ს. დასაწყისში ეკლესია აღადგინეს, შეაკეთეს და მოხატეს. კედელზე გამოსახული არიან იმერეთის მეფე *ალექსანდრე II* და გელათის წინამძღვარი მელქიზედეგ აბაშიძე (1505–19). შენობას XIX ს. რესტავრაციის კვალიც აჩნია. დასავლეთის ამჟამად დანგრეული მინაშენი სულ გვიანდ. დანამატია. ეკლესიაში იდგა საკურთხევლის წინა ჭედური ჯვარი (XVI ს.), რ-იც გადმოტანილი და დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში.

ამჟამად ძეგლი მთლიანად აღდგენილია. რეკონსტრუქციის დროს ეკლესიის ჩრდ. კედლის ძირში აღმოჩნდა ქვით ნაგები, კამარით გადახურული სათავსი, როგორც ჩანს, სამკვალე. ეკლესიის ეზოში დაცული ორი სვეტისთავი უფრო ადრინდელ ნაგებობას ეკუთვნის.

ვ-ის ეკლესიის ჩრდ-ით, ნაციხრის მთაზე, შემორჩენილია ჩიქოვანთა ციხე-გალავნის ნაშთები. მთის ფერდობზე ქვით ნაგები ტერასების კვალია.

სოფლიდან 3 *კმ*-ზე, კახორის მთაზე მდებარეობს წმ. გიორგის ეკლესია. კახორის ეკლესიაში, რ-იც, ალბათ, ძვ. წარმართული საკურთხევლის ადგილზე იდგა, აღმართული ყოფილა ხავერდის მოსასხამით შემოსილი ხის დიდი ჯვარი წმ. გიორგის გამოსახულებით (კახორის ეკლესიას იხსენიებს ლ. *გოთუა* რომანში ,,გმირთა ვარამი''). აქ იმართებოდა საეკლ. დღესასწაული კახორობა.

ლიტ.: ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე თ., ვანის წმინდა გიორგის ეკლესია, «ძეგლის მეგობარი», 1972, №29; ტ ა ბ ა ტ ა ძ ე კ., სოფელ ვანის ეკლესია და მისი შემოგარენი, იქვე, 1986, №3.

თ. საყვარელიძე.

ვანისა და ბაღდათის ეპარქია, *ეპარქია* დასავლეთ საქართველოში. მისი საზღვრები ემთხვევა ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების ადმ. საზღვრებს. **ვ. და ბ.** ე-ს დას-ით ესაზღვრება შემოქმედის, აღმ-ით – მარგვეთისა და უბისის, ჩრდ-ით – ქუთაისგაენათის, სამხრ-ით – ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიები.

თანამედროვე **ვ. და ბ.** ე-ში, როგორც საერთოდ საქართველოში, ქრისტიანობის გავრცელება I ს-იდან დაწყებულა. აქ გადიოდა გზა, რ-ითაც დას. ქვეყნები აზიასთან ამყარებდნენ ურთიერთობას. დას. საქართვ. საკათოლიკოსოს წარმოქმნის შემდეგ (XIV ს.), დღევანდელი **ვ. და ბ.** ე-ის ტერიტ. ქუთაისისა და მარგვეთის სამწყსოში შედიოდა (იმერეთის სამეფო), XVIII ს. დასაწყისში – ქუთათელისა და ხონელის ეპარქიაში, ხოლო საქართვ. საეგზარქოსოს პერიოდში კი იმერეთის ეპარქიის დაქვემდებარებაში იყო. ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917) ეს ტერიტ. ქუთაისისა და გაენათის ეპარქიას მიაკუთვნეს.

ვ. და ბ. ე. ჩამოყალიბდა 1995 წ. 5 აპრილს წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით. მღვდელმთავრის რეზიდენციაა ვანი და ბაღდათი.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 5, თბ., 1971; История Грузинской иерархии с присовокуплением обращения в христианство осетин и других горских народов, М., 1826. *ე. ბუბულაშვილი.*

ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი ო. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს ა, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა. დაარსდა 1985 კულტ. სამინისტროს ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოსთან. პირველი ექსპოზიცია გაიხსნა ამავე წლის 29 სექტემბერს, შავიზღვისპირეთის ძვ. ისტორიისა და არქეოლოგიისადმი მიძღვნილი საერთაშ. სიმპოზიუმის დროს. მუზეუმის დაარსების ინიციატორი იყო ო. *ლორთქიფანიძე.*

მუზეუმის დაარსებას საფუძვლად დაედო ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის და ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექციები, აგრეთვე საქართვ. მეცნ. აკად. არქეოლ. კვლევის ცენტრის ვანის არქეოლ. ექსპედიციის ბაზაზე დაცული მასალები.

1982 შეიქმნა ვანის სახელმწ. ისტ.-არქეოლ. მუზეუმ-ნაკრძალი; 1985 გახსნილი მუზეუმი ნაკრძალის ტერიტორიაზეა; 1987 ეწოდა ვანის სახელმწ. არქეოლ. მუზეუმ-ნაკრძალი; 2002-იდან ეწოდება ვანის ო. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლ. მუზეუმ-ნაკრძალი; 2005-იდან შედის საქართვ. ეროვნ. მუზეუმის შემადგენლობაში.

მუზეუმში დაცულია ვანის არქეოლ. ექსპედიციის მიერ 1947–2009 ვანის ნაქალაქარზე და მის შემოგარენში (საყანჩია, ციხესულორი, სულორი, მთისძირი, დაბლაგომი, დაფნარი და სხვ.) აღმოჩენილი არქეოლ. მასალა, რ-ის ძირითადი ნაწილი ძვ. წ. VIII–I სს-ით თარიღდება. მათგან აღსანიშნავია: ძვ. წ. II ს. ბრინჯაოს ტორსი, ოქროს სამკაულების კოლექცია, ბრინჯაოს ქანდაკებების კოლექცია, ვერცხლის მონეტების განძი სულორიდან და სხვ.

საერთაშ. აღიარება ვანის მუზეუმ-ნაკრძალს მოუტანა ძვ. წ. VIII–I სს. უმდიდრესმა სამარხებმა, სადაც აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის არაჩვეულებრივი ნივთები. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ვანის კოლექციის ნაწილი საერთაშ. ტურნეზე გაიტანეს და მსოფლიოს წამყვან მუზეუმებში გამოიფინა.

მუზეუმის ფონდი ივსება არქეოლ. გათხრებით; 2013 წ. 1 იანვრისათვის მუზეუმში დაცული იყო 30 ათასამდე ექსპონატი. 2012 ვანის მუზეუმი დაათვალიერა 5500-მდე მნახველმა. *დ. კაჭარავა.*





ვანის განძი. სპილენძის მონეტა. ძვ. წ. I ს. 80-იანი წლები. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი.


ვანის განძი, ძვ. წ. II–I სს. სპილენძის მონეტების განძი. აღმოჩენილია 1967 ვანის ნაქალაქარის არქეოლ. გათხრების დროს მოზაიკურიატაკიანი ტაძრის სკურთხევლის წინ. შეიცავს 119 ც. მონეტას. განძის 1 მონეტა მოჭრილია ქ. ამისოსში და თარიღდება ძვ. წ. 111–105 (შუბლზე, მარჯვნივ, ომის ღმერთის არესის თავის გამოსახულებაა, ზურგზე – ქარქაშში ჩაგებული მახვილი). დანარჩენი მონეტები ერთნაირია (თარიღდება ძვ. წ. I ს. 80-იანი წლებით), რ-თა შუბლზე გამოსახულია ნაყოფიერების ღვთაების ისიდას თავსამკაული – სტილიზებული ლოტოსი, ზურგზე – რვაქიმიანი ვარსკვლავი. ეს მოტივი უნიკალურია. ასეთი მონეტები აღმოჩენილია მხოლოდ ძვ. კოლხეთის ტერიტორიაზე (ვანი, ეშერა). ამის საფუძველზე სავარაუდოა, რომ ისინი ადგილობრივად იჭრებოდა.

ლიტ.: დ უ ნ დ უ ა გ., იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში?, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნ. და ხელოვნ. ისტ. სერია, 1974, №2; დ უ ნ დ უ ა გ., ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა ი., ქართული ნუმიზმატიკური

ლექსიკონი, თბ., 2009; Дундуа Г. Ф., Лордкипанидзе Г. А., Денежное обращение Центральной Колхиды, Тб., 1983.

გ. დუნდუა.

ვანის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში (იმერეთის მხარე). აღმ-ით ესაზღვრება ბაღდათის, დას-ით – სამტრედიისა და ჩოხატაურის, სამხრ-ით – ადიგენის, ჩრდ-ით – წყალტუბოს მუნიციპალიტეტები. ფართ. 557,0 *კმ²*. მოსახლ. 34,5 ათ. კაცი (2002). ცენტრი – ქ. *ვანი*. 3. მ-ში არის 1 ქალაქი, 41 სოფელი, 19 თემი: ამაღლების, ბზვანის (ცენტრი – ქვედა ბზვანი), გადიდის, გორის (ცენტრი – ქვედა გორა), დიხაშხოს, ზედა ვანის, ზეინდრის, მუქედის (ცენტრი – ქვედა მუქედი), სალომინაოს, სალხინოს, საპრასიის, სულორის, ტობანიერის, უხუთის, ფერეთის, ყუმურის, შუამთის, ციხესულორის, ძულუხის.



ისტორიული ცნობა. არქეოლ. მონაცემების მიხედვით ტერიტ., რ-იც დღეს 3. მ-ს უკავია, უძველესი დროიდან იყო დასახლებული. განსაკუთრებით დაწინაურებული ჩანს იგი ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში, ამას მოწმობს *ვანის ნაქალაქარის* არქეოლ. მონაპოვრები. XV ს. 90-იანი წლებიდან, როდესაც საქართვ. ერთიანი სამეფო დაიშალა, ახლანდ. 3. მ-ის ტერიტ. იმერეთის სამეფოში შევიდა, გვიანდ. შუა საუკუნეებში იგი ორი მხარისაგან – სალომინაოსა და საჩინოსაგან შედგებოდა. სალომინაო მდინარეებს – კორისწყალსა და კვინისწყალს შორის მოქცეულ სოფლებს მოიცავდა, ხოლო საჩინოში მდინარეების სულორისა და ყუმურის ხეობები შედიოდა, ამიტომ სულორის ხეობას ზემო საჩინო შეერქვა, ხოლო ყუმურის ხეობას – ქვემო საჩინო.

გვიანდ. შუა საუკუნეებში საჩინო ჩიჯავაძეების ფეოდ. სახლს ეკუთვნოდა, ამიტომ მას ხშირად საჩიჯავაძოსაც უწოდებდნენ. XVIII ს. 20-იან წლებში სალომინაოს საერისთავო ეწოდა. რუს. მმართველობის დროს, XIX ს. მეორე ნახევარში, ქუთ. გუბ. შექმნის შემდეგ, დღევანდელი 3. მ-ის ტერიტ. ცალკეული საზ-ბების სახით ქუთ. მაზრის ბაღდათის უბანში შედიოდა, 1930-მდე – *ქუთაისის მაზრაში,* 1930-იდან გამოიყო ცალკე რ-ნად, 1963 –64 შედიოდა მაიაკოვსკის (ახლანდ. ბაღდათის) მუნიციპალიტეტში, 1965-იდან კვლავ გამოიყო ახლანდ. საზღვრებში, 2005-იდან მუნიციპალიტეტია.

ბუნება. 3. მ-ის მთავარი ოროგრ. ერთეულებია მესხეთის ქედის ჩრდ. კალთა, იმერეთის სამხრ. გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთი და იმერეთის დაბლობი. მესხეთის ქედი აგებულია უმეტესად შუაეოცენური ვულკანოგენური ქანებით და ნაწილობრივ თიხიანი ქვიშაქვებითა და ფიქლებით. ქედის უმაღლესი მწვერვალია მეფისწყარო (2850 *მ*). მნიშვნელოვანი ჩრდ. განშტოებაა ლობოროტის ქედი (მწვერვალები დიდი და მცირე ლობოროტი), რ-საც გამოეყოფა გურიისა და შუაგორის შტოქედები. ამ ქედების ჩრდ. კალთები, აგრეთვე ღრმა და ვიწრო ხეობები ქმნიან 3. მ-ის სამხრ. მთიან ნაწილს. შუა ნაწილს მოიცავს გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთი, რ-იც აგებულია ძირითადად მესამეული და ნაწილობრივ გვიანდ. ცარცული ნალექებით. ჩრდ. ნაწილი უჭირავს იმერეთის დაბლობს, აგებულია მეოთხეული და თანამედროვე ალუვიური ნალექებით.

მთავარი წიაღისეული სიმდიდრეა საშენი მასალა (კირქვა, ანდეზიტი, ბაზალტი, კერამ. თიხა და სხვ.), აგრეთვე მინერ. თერმული წყლები, რ-თა ნაწილს სამკურნალოდ იყენებენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სულორისა და ჭოკიანის სულფიდურ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი წყლები.

მუნიციპალიტეტში ზღვის ნოტიო სუბტროპ. ჰავაა. დაბლობში იცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული, გორაკ-ბორცვიან მთისწინეთში – ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული, მთაში – ცივი ზამთარი და ხანგრძლივი გრილი ზაფხული. მაღალ მწვერვალებზე არის ზაფხულს მოკლებული მაღალმთის ნოტიო ჰავა. საშ. წლ. ტემპ-რა 14°C-იდან (დაბლობში) 0°C-მდეა (მთაში). იანვ. საშ. ტემპ-რა 4°C, –10° C, შესაბამისად, ივლ. 23°C და 4° C; აბსოლ. მინ. –15° C და –30°C, აბსოლ. მაქს. 40°C და 20°C. ნალექები – 1200 –1500 *მმ* წელიწადში. უხვი ნალექი მოდის შემოდგომასა და ზამთარში.

ჩრდ-ით მუნიციპალიტეტის საზღვარს გასდევს მდ. რიონი. სხვა მდინარეებიდან აღსანიშნავია: სულორი, ყუმური, კორისწყალი (რიონის მარცხ. შენაკადები). მდინარეები საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზაფხულში.

დაბლობზე სუბტროპ. ეწერი და ალუვიური ნიადაგებია, გორაკ-ბორცვიან მთისწინეთში – წითელმიწა, ყვითელმიწა და კორდიან-კარბონატული, მთაში – ტყის ყომრალი, ხოლო მესხეთის ქედის ყველაზე მაღალ ადგილებში – მთის მდელოს კორდიან-ტორფიანი ნიადაგები.

მუნიციპალიტეტში 1000-ზე მეტი სახეობის მცენარეა. დაბლობი წარსულში შემოსილი იყო კოლხური ტყით, რ-შიც ჭარბობდა მუხა, რცხილა, ვერხვი, იფანი, მურყანი და სხვ. ამჟამად ეს ტყეები გაჩეხილია და ტერიტ. დიდი ნაწილი გამოყენებულია სას.-სამ. კულტურებისათვის. გორაკ-ბორცვიან მთისწინეთში გვხვდება კოლხური ტყის უმნიშვნელო კოროშები (წიფელი, წაბლი, ქართ. მუხა, რცხილა და სხვ.). 600–700-იდან 1500–1600 *მ*-მდე წიფლის ტყის ზონაა, შერეულია რცხილა, მუხა, წაბლი, ცაცხვი, თელადუმა და სხვ. უფრო ზემოთ გავრცელებულია წიწვოვნები (ნაძვი, სოჭი, ნაკლებად – ფიჭვი). სუბალპ. ზონაში (1900-იდან 2300 *მ*-მდე) სუბალპ. მდელოები (ბარისპირა, ნემსიწვერა, მედგარი, შვრიელა, წივანა და სხვ.), ლიხი (დიყი, დუცი, მზიურა, ხარისშუბლა, დეზურა, შროშანი და სხვ.) და სუბალპ. ბუჩქნარია (დეკა, იელი, ღვია). 2300 *მ* ზემოთ ალპ. მდელოებია (ალპ. თივაქასრა, მარმუჭი, ფურისულა, ნაღველა, ბაია, ისლურა, მარწყვაბალახი, ფხიჭა, ქუდუნა და სხვ.). სუბალპ. და ალპ. მდელოები გამოყენებულია სათიბ-საძოვრებად.

ცხოველებიდან მაღალმთიან მდელოებზე ჯერ კიდევ დიდი რაოდენობითაა შემორჩენილი არჩვი, კურდღელი, პრომეთეს მემინდვრია, შურთხი, ორბი, მთის ტოროლა და სხვ.; ტყის ზონაში ბინადრობს დათვი, მგელი, ტყის კატა, კვერნა, გარეული ღორი, ირემი, შველი, ზღარბი და სხვ.

ძირითადი ლანდშაფტები: 1. დახრილი ვაკე-დაბლობები კოლხ. მცენარეულობით, ალუვიური და ეწერი ნიადაგებით; 2. მთა-ტყის ლანდშაფტი; 3. მთა-მდელოს ლანდშაფტი.

მოსახლეობა. მოსახლ. 99,5% ქართველია, მცირე რაოდენობით ცხოვრობენ სხვა ეროვნების წარმომადგენლები. განსახლების ძირითადი ზონა არის ზ. დ. 100–200 *მ* ფარგლებში. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვეა 61,9 კაცი 1 *კმ*^{2}-ზე. მუნიციპალიტეტის მთელი მოსახლ. 86,3% ცხოვრობს სოფლად.

მეურნეობა. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია მევენახეობა და მეხილეობა, განვითარებულია აგრეთვე მებოსტნეობა. ნათესი ფართობის დიდი ნაწილი უჭირავს მარცვლოვან (მოჰყავთ უმთავრესად სიმინდი) და პარკოსან კულტურებს. მრავალწლოვანი კულტურებიდან ძირითადია ვაზისა და ხეხილის ნარგავები, მცირე ფართობი უკავია ციტრუსოვან კულტურებს. ვაზის მთავარი ჯიშებია: ცოლიკოური, ციცქა, ალადასტური და იზაბელა. განვითარებულია მესაქონლეობა, მეღორეობა. მისდევენ აგრეთვე მეფრინველეობას, მეფუტკრეობასა და მეაბრეშუმეობას.

მრეწველობა წარმოდგენილია უმთავრესად კვების მრეწვ. საწარმოებით. არის სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადასამუშავებელი და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები. მდ. სულორზე აგებულია ჰესი.

მუნიციპალიტეტში არ არის რკინიგზის ხაზი (უახლოესი რკინიგზის სადგურია სამტრედია), ამიტომ მიმოსვლის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს საავტ. ტრანსპორტი. აქ გადის შუამთა–ვანი–ბაღდათის საავტ. გზა.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. მუნიციპალიტეტში არის სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო, სამუსიკო და სასპორტო სკოლები, ო. ლორთქიფანიძის სახ. *ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი*, გ. *ტაბიძისა* და ტ. *ტაბიძის* სახლ-მუზეუმები (სოფ. ჭყვიში), *ვანის სახალხო თეატრი*.

მოსახლ. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება შპს ,,ფარმაცია-ვანი'' და შპს ,,ადითი''. მუნიციპალიტეტში არის ადგილ. მნიშვნელობის კურორტი *სულორი*. სამკურნალოდ გამოყენებულია სოფ. ამაღლებისა და საპრასიის თერმული წყლები.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. ვ. მ-ის ისტ. და კულტ. ძეგლთაგან აღსანიშნავია: *ვანის ნაქალაქარი*, ეკლესიის ნანგრევები გადიდის მიდამოებში (XI ს.), მთავარანგელოზის ეკლესია (XII –XIII სს.) და სამრეკლო (XIX ს.) *ზედა ვანში*, ეკლესია (XIV –XV სს.) და კოშკი (შუა საუკუნეები) ისრითში, ეკლესია (XVIII ს. I. ნახ.) დიხაშხოში. წმ. გიორგის ეკლესია (1615) შუამთაში, მაცხოვრის ეკლესია (1619) ამაღლებაში, კოშკი ,,გორმაღალის ციხე'' სულორში (შუა საუკუნეები) და სხვ. *თ. ბერაძე. ე. ლოლუა. ა. ტერელაძე.*



ვანის მუნიციპალიტეტი. ზედა ვანის მთავარანგელოზთა ეკლესიის სამრეკლო. XIX ს. II ნახევარი.

ვანის ნაქალაქარი, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი. მდებარეობს ქ. *ვანში*, მდ. ჭიშურის (მდ. სულორის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე, ადმ. ცენტრიდან სამხრ.-დას-ით, 1 *კმ*-ის დაცილებით, ბორცვზე, რ-საც ,,ახვლედიანების გორას'' უწოდებენ. ნაქალაქარი განლაგებულია სამ ტერასად დანაწილებულ ბორცვზე, რ-საც ორი მხრიდან იცავდა ღრმა ხევები [მათგან ერთია სამხრ-იდან (,,საქვაბიას ღელე''), მეორე – დას-იდან. ეს უკანასკნელი ამჟამად მიწითაა ამოვსებული]. ფართობი დაახლ. 6,5 *ჰა*.

პირველი ცნობები ვანის არქეოლ. აღმოჩენების შესახებ ჩნდება მ. *პროსპერ* ნაშრომში (1851), გაზეთ ,,დროებასა'' და ,,კავკაზში''. 1889 ვანის მცირე გათხრები ჩაატარეს ბ. სტოიანოვმა (მხარეთმცოდნე, ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი) და ვინმე იაკობმა; 1896, 1901–1903 – ე. *თაყაიშვილმა*. 1936 დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა ,,ენიმკის'' ექსპედიციამ (ნ. *ბერძენიშვილი*, ნ. ხოშტარია, ლ. *მუსხელიშვილი*). 1947–62 (ხანგამოშვებით) გათხრებს ატარებდა საქართვ. მეცნ. აკად. ისტორიის ინ-ტის ექსპედიცია ნ. ხოშტარიას ხელმძღვანელობით, 1966-იდან (რეგულარულად) – არქეოლ. კვლევის ცენტრის ექსპედიცია (ხელმძღვ. ო. *ლორთქიფანიძე*; 2002-იდან დ. კაჭარავა).

გამოვლენილია ძვ. წ. VIII ს. – I ს. შუა წლების, აგრეთვე ახ. წ. II –III სს. და შუა საუკუნეების ძეგლები. გამოიყოფა განვითარების შემდეგი ეტაპები:

1. ძვ. წ. VIII–VII სს. კულტ. ფენები: საკულტო კომპლექსი, ხის მრავალსათავსოიანი ჯარგვალური ნაგებობა.; სამშენებლო ნაშთები – ჯარგვალური წესით ნაგები ხის ძელების კვალი, ხის ფოთლებისა და წნულის ანაბეჭდიანი თიხის ბათქაშის ფრაგმენტები; კერამიკა – შავ ან ნაცრისფერზედაპირიანი, მორგვზე დამზადებული, ორნა-



ვანის ნაქალაქარი. სამაჯურები. ოქროს მთლიანი სხმულები ჯიხვის თავების გამოსახულებით. ძვ. წ. V–IV სს.

მენტირებული, უნაგირისებურ-შვერილიანი (,,ზოომორფული'') ყურიანი ქოთნები, დოქები, კონუსურძირიანი სასმისები, საკულტო რიტუალის დროს მოედანზე საგანგებოდ დამსხვრეული; კერამიკასთან ერთად ადამიანის [ქალის – ,,დიდი დედის'' (?)], ცხოველთა და ორ- და სამპროტომიან არსებათა ტერაკოტული გამოსახულებანი, კერამიკაზე ორნამენტის გამოსაყვანი კაჭის იარაღი, ცხოველთა დანახშირებული ძვლები.

სავარაუდოა, რომ ძვ. წ. VIII–VII სს-ში ვანი მნიშვნელოვან საკულტო ცენტრს წარმოადგენდა.



ვანის ნაქალაქარი. ოქროს წყვილი სასაფეთქლე საკიდი. ძვ. წ. IV ს.

2. ძვ. წ. VII ს. დასასრ. – IV ს. შუა წლები: ხის ,,ტაძარი-სამლოცველო'', კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი სარიტუალო ორმოები და არხები, კულტ. ფენები, მდიდრული სამარხები (ნაქალაქარის სხვადასხვა უბნებზე – ადგილობრივ არისტოკრატთა საცხოვრებელი სახლების ეზოებში გამართული საოჯახო სამარხები); სამშ. ნაშთები – ხის ფოთლებისა და წნულის ანაბეჭდიანი ბათქაშები, ჯარგვალური წესით ნაგები ხის ძელები; კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი სწორკუთხა ფოსოებში ჩადგმული ხის საძირკვლები – ბალიშები; კულტ. ფენებში აღმოჩენილი კერამიკა (ძირითადად შავ- ან ნაცრისფერზედაპირიანი, მორგვზე დამზადებული) – სამეურნეო (ქედიანი და დაღარულზედაპირიანი ქვევრები ოთხკუთხა ან სამკუთხაგანივკვეთიანი ორნამენტირებული პირის გვირგვინით, ქვევრისებური და ორყურა ფართოპირიანი დერგები); სამზარეულოს (ქილისებური ქოთნები, ქვაბები, საწურები, ხუფები), სუფრისა (ყურმილიანი დოქები; ჭიქისებური, კონუსურტანიანი, ცილინდრულტანიანი და ფეხიანი სასმისები; ირიბკალთიანი ბრტყელძირა ჯამები) და დეკორ. ჭურჭელი (ლარნაკები); კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშები: დიადემები, სასაფეთქლეები, ყელსაბამები, სამაჯურები; რკინის ნივთები – სახნისისებური იარაღი, ორფრთიანი ისრისპირი, ლურსმნები, ბრინჯაოს ჯავშნისა და ჭურჭლის ფრაგმენტები, ქვის ხელსაფქვავები.

იმპორტული ნაწარმი: ლესბოსის, ქიოსის ამფორების, ქიოსური პოლიქრომიული თასის, ატიკური შავ- და წითელფიგურული, შავლაკიანი კერამიკა.

ივარაუდება, რომ ძვ. წ. VI–IV სს. ვანი წარმოადგენდა კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთ პოლიტ.-ადმ. ერთეულის ცენტრს.

3. ძვ. წ. IV–III სს. არქიტ. ნაშთები: ქვით შედგენილი საკურთხევლები, კულტ. ფენები, მდიდრული სამარხები (ძირითადად ცენტრ. და ზედა ტერასაზე კონცენტრირებული).

არქიტ. ნაგებობები: სასიმაგრო კედელი – თიხის ხსნარით ერთმანეთთან დაკავშირებულ, თიხის ბრტყელი ქვათლილებით ნაგებ კედლებზე ამოყვანილი რიყის ქვებით შევსებული ხის კონსტრუქცია; რიყის ქვებით აგებული სამლოცველო; სასახლის ტიპის ნაგებობა – რიყის ქვის საძირკველზე ამოყვანილი კირქვის ბრტყელი ფილებით ნაგები კედლები.

კულტ. ფენებში წარმოდგენილია შემდეგი სახის მასალა: ადგილობრივი კერამიკა – სამეურნეო [დაღარულზედაპირიანი ქვევრები, ,,კოლხური ყავისფერკეციანი ამფორები'' (სინოპურის მიბაძვით), ცალყურა დერგები]; სამზარეულოს (უყურო და ცალყურიანი ქოთნები, ქვაბები, საწურები, ხუფები, პირგადაშლილი ბადიები), სუფრის (ყურმილიანი დოქები, ჭიქისებური, კონუსურ და ცილინდრულტანიანი სასმისები, ქუსლიანი ჯამები) და სამეზავრო ჭურჭელი (მათარები); კვირისტავები; სამშენებლო კერამიკა (სინოპური კრამიტი, მ. შ. დამღიანი, ადგილობრივი – ყავისფერკეციანი).

არქიტ. დეტალებს შორისაა ორმაგბროდმიანი სვეტისთავის ფრაგმენტები; გორგონას გამოსახულებიანი ანტეფიქსები; ბრინჯაოს ფრაგმენტული ნივთები, მ. შ. ,,მტრედიანი ქალის'' მინიატიურული ბიუსტი, ხარის თავი [ბუნიკის ნაწილი ?], აბჯრის ფირფიტები, სამფრთიანი ყუნწიანი ისრისპირები, სამაჯურები,



ვანის ნაქალაქარი. ქალაქის კარიბჭე. ძვ. წ. III–I სს.

საბეჭდავი ბეჭდები. რკინისა და ბრინჯაოს ანთროპომორფული მცირე ზომის ქანდაკებები. რკინის ნივთები – დანები, მასრიანი შუბისპირები, ლურსმნები. მინის პოლიქრომიული მძივები და ფიგურული მძივსაკიდები; ქარვის, გიშრის, სარდიონის მძივები. საიუველირო წარმოების ნაშთები: ოქროს ნამზადი, ფირფიტები, აგრეთვე ძვლის იარაღი.

იმპორტ. კერამიკა: ქიოსის, თასოსის, მენდესის, ე. წ. სოლოხა I-ის ტიპის, ჰერაკლეის, სინოპის (მ. შ. დამღიანი) ამფორები; ატიკური წითელფიგურული და შავლაკიანი ჭურჭელი; მცირეაზიული სანელსაცხებლეები; ღია (ყვითელი) ფერის ანგობზე წითლად მოხატული (შევრონები, ,,მძივსაკიდი'') დოქები.

მონეტები: ,,კოლხური თეთრის'' მცირე ნომინალები (ნახევარდრაქმები), მაკედონიის მონარქთა – ფილიპე II-ის, ალექსანდრე მაკედონელის, ფილიპე III-ის – სტატერები; ძვ. წ. IV ს. 40–30-



ვანის ნაქალაქარი. სასახლის ნანგრევები. ძვ. წ. II ს.

იანი წწ. პანტიკაპეონის მონეტა; ძვ. წ. III ს. დასაწყ. სინოპური ჰემიდრაქმა.

4. ძვ. წ. III ს. II ნახ. – I ს. შუა წ-მდე. თავის მხრივ, იყოფა სამ ძირითად სამშენებლო პერიოდად: ა) ძვ. წ. III ს. II ნახ. – ძვ. წ. II ს. II მეოთხედი (ე. წ. პერგამული კომპლექსის როდოსული ამფორებით დათარიღებული): კარიბჭე (,,ცოტა კარი''), კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი სამსხვერპლო ნიშები, ცენტრ. ტერასაზე კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი ქვათლილებისათვის განკუთვნილი ფოსოებით ფიქსირებული ნაგებობანი, კლდოვან დედაქანში გამართული სამსხვერპლოები, თიხის ქვის ფილებით მოგებული გზა; ბ) ძვ. წ. II ს. ბოლოდან – ძვ. წ. I ს. შუა წლებამდე. ამ დროს ყალიბდება ძვ. ქალაქის ძირითადი არქიტ. სტრუქტურა. ამ პერიოდის უმთავრესი ნაგებობებია: კოშკებით გამაგრებული თავდაცვითი კედლები, განახლებული კარიბჭე, ქვედა ტერასაზე დიდი საკულტო კომპლექსი: ტაძარი-პროპილეუმი, ცენტრ. ტერასაზე ,,მოზაიკურ-იატაკიანი'' ტაძარი, ,,მრგვალი ტაძარი'', 12-საფეხურიანი საკურთხეველი ქვის ფილებით. შედგენილი წყალსაწრეტი არხები, ბრინჯაოს ქანდაკების ჩამოსასხმელი სახელოსნო; გ) ძვ. წ. I ს. შუა წლები: დანგრეული ნაგებობის ადგილზე სასწრაფოდ აშენებული გალავნის კონტრფორსებიანი კედელი, სათავსები.

ქალაქის ისტ. მე-4 ეტაპზე ძირითადად წარმოდგენილია სწორკუთხა რუსტისებული ქვათლილებით აგებულ საძირკველზე ალიზ-აგურით ამოყვანილი კედლები; გვხვდება აგრეთვე თიხის ბრტყელი ფილებით ამოყვანილი კედლები. გადახურვა – კრამიტით (ბრტყელი და ღარიანი) შედგენილი ორფერდა ან ცალქანობიანი სახურავი. იატაკი – თიხატკეპნილი, ერთ შემთხვევაში – თავწაკვეთილი რიყის ქვებით შედგენილი ,,მოზაიკური''.

კულტ. ფენებსა და სამსხვერპლოებზე აღმოჩენილი არქეოლ. მასალა მრავალფეროვანია:

კერამიკა – წითლად გამომწვარი, დაღარული პირისგვირგვინიანი ქვევრები, დერგები და ქოთნები, ,,წელშეზნექილი ამფორები'', წითელსარტყლიანი ცალყურა და ორყურა დოქები, ქუსლიანი ჯამები, ბერძნ. ჭურჭლის მინაბაძი (სათევზე ლანგრები, კანთაროსისებური თასები, თიმიატერიონები – სარიტუალო ცეცხლისათვის განკუთვნილი ფეხიანი თასები). ვერტ. საქსოვი დაზგისათვის განკუთვნილი თიხის პირამიდული საწაფები.

ადგილ. კირქვისაგან დამზადებული არქიტ. დეტალები – ლომის თავები, სიმის ნაწილები, ფიგურული კაპიტელები, სვეტის ბაზები და დოლები, აკროტერიუმი, რელიეფურგამოსახულებიანი ფრიზის ფრაგმენტები, ტერაკოტული ანტეფიქსები, რკინის სამაგრები.

ბრინჯაოს დიდი ქანდაკებების ფრაგმენტები (ადამიანის სხეულის ნაწილების, აბჯრის, ცხენის), მ. შ. ჭაბუკის ტორსი, ,,მკაცრ სტილზე'' აქცენტირებული ხელოვნების ნიმუში.

იმპორტ. კერამიკა – სინოპის, ჰერაკლეის, როდოსის, კნიდოსის, კოსის (,,თეთრანგობიანი'' ამფორები), მცირეაზიული, პერგამული, ალექსანდრიული (რელიეფური და სადა შავ- და წითელლაკიანი ჭურჭელი, ,,მეგრული თასები'', ტერაკოტები).

მონეტები – ,,ახალი სტილის'' ათენური ტეტრადრაქმა, კაპადოკიის, მითრიდატე VI-ის დროის პონტოს ქალაქების (ამასტრისი), ე. წ. კისტოფოროს, ანონიმური (ლოტოსისგამოსახულებიანი), პართიის, რომის რესპუბლიკური.

ბრინჯაოს ფილაზე ბერძნ. წარწერის – სატაძრო საკანონმდებლო აქტის ფრაგმენტი, ბერძნ. გრაფიტოები თიხის ჭურჭელზე.

სავარაუდოა, რომ ძვ. წ. III–I სს. ვანი წარმოადგენდა სატაძრო ქალაქს, რ-იც დანგრეული და გადამწვარია ძვ. წ. III–I სს-ში.

შემდგომი ეპოქების ძეგლები მცირერიცხოვანია: II–III სს-ით თარიღდება ლომისთავებიანი ბრინჯაოს სარკოფაგი, მონეტები (რომის იმპ. მარკუს ავრელიუსისა და კარაკალასი).

შუა საუკუნეებს განეკუთვნება ეკლესია და მასთან დაკავშირებული უინვენტარო სამარხები, მეომრის სამარხი, კერამიკის გამოსაწვავი ქურის ნაშთები.

ნაქალაქარზე აღმოჩენილი არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმსა და ო. ლორთქიფანიძის სახ. ვანის არქეოლ. მუზეუმ-ნაკრძალში.

ლიტ.: ვანი. არქეოლოგიური გათხრები, რედ. ო. ლორთქიფანიძე: I–VIII, თბ., 1972–86; ვანის ნაქალაქარის შესახებ 1996 წლამდე გამოცემული ლიტერატურა იხ.: ვანი IX. ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, თბ., 1996.

ო. ლორთქიფანიძე.

ვანის სამეფო, იხ. სტ. *ურარტუ.*

ვანის სახალხო თეატრი, დაარსდა 1930 თვითმოქმედი დრამ. კოლექტივის ბაზაზე, 1978 მიენიჭა სახ. თეატრის სტატუსი; თეატრი სპექტაკლებს მართავდა ვანის კულტ. სახლში. თავდაპირველად სცენისმოყვარეთა ძალებით დადგა შემდეგი სპექტაკლები: ა. ყაზბეგის ,,არსენა'', ,,ელეონორა'', ვ. გუნიას ,,და-ძმა'', დ. ჭონქაძის ,,სურამის ციხე'', ს. შანშიაშვილის ,,ხევისბერი გოჩა'' (ა. ყაზბეგის ,,ხევისბერი გოჩას'' მიხედვით) და სხვ. ვ. ს. თ-ში დაიდგა ვ. დარასელის ,,კიკვიძე'', ლ. მილორავას ,,კერპჯიუტა'', ა. ჩხაიძის ,,სამიდან ექვსამდე'', ო. იოსელიანის ,,ადამიანი იბადება ერთხელ'', ნ. დუმბაძის ,,საბრალდებო დასკვნა'' და სხვ.

თეატრს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: ი. აბრამიძე,

ს. შარაშენიძე, შ. გიორგაძე, დ. ნიკოლეიშვილი, კ. გიორგაძე, ნ. გაბუნია, ს. ხვიჩია, ლ. გერსამია, ბ. ტორონჯაძე. 1994-იდან ვ. ს. თ-ს ხელმძღვანელობს მ. პირველაშვილი. თეატრში ჩამოყალიბდა ახალგაზრდული დასი. 2001 წ. 17 ნოემბ. ვ. ს. თ-ს გადაეცა ახ. შენობა, რ-ის სცენაზე საზეიმოდ გაიხსნა საქართვ. სახალხო (მოყვარულთა) თეატრების ფესტივალი.

1994–2010 თეატრის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ო. იოსელიანის ,,აიეტი, მედეას მამა'' და ,,გამოქვაბული'', მ. ხეთაგურის ,,დატყვევებული ქარი'', პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი'', ნ. დუმბაძის ,,კუკარაჩა'', ლ. თაბუკაშვილის ,,მაგრამ უფლება არ მიუცია'', ო. შანიძის ,,ვივა სურიდატს'', მ. პირველაშვილის ,,ღირსების მსხვერპლი'' და სხვ.

ვ. ს. თ. აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა თეატრ. ფესტივალებში, მიღებული აქვს სხვადასხვა ჯილდოები. 2009 წ. 6 ნოემბერს თეატრის ოთხკაციანმა ჯგუფმა (მ. პირველაშვილი, ზ. ბურკაძე, ბ. გვენეტაძე, გ. ბუბუტეიშვილი) ვანში გამართულ იუმორისტულ კონკურსზე პირველი ადგილი დაიკავა. *მ. პირველაშვილი. კ. სეფიაშვილი.*

ვანის სახარება, ვ ა ნ ი ს ო თ ხ თ ა ვ ი, გიორგი მთაწმიდელისეული ქართული რედაქციის ხელნაწერი XII–XIII სს. მიჯნისა. შესრულებულია ლამაზი ნუსხურით ორ სვეტად. შეიცავს 274 ფურცელს (241-ე ფურცელი ამოვარდნილია), სვეტში 21 სტრიქონია. ხელნაწერის ზომაა 29 × 21 *სმ*, ნაწერი სვეტისა – 19 × 5,2 *სმ*. სათაურები, აბზაცის დასაწყისი და ზოგჯერ ცალკეული სიტყვების პირველი ასოები შესრულებულია მთავრულითა და ოქრომელნით. მდიდრულადაა შემკობილი ევსების ,,10 კანონის'' შემცველი კამარებით, მახარებელთა სურათებითა და მინიატიურებით. ხელნაწერის მომხატველია ბერძენი მიქაელ კორესელი. გადაწერილია თამარ მეფის სამეფო კარის დაკვეთით ვინმე იოვანეს მიერ ქ. კონსტანტინოპოლთან ახლომდებარე ჰრომაის (რომანას) ქართველთა მონასტერში. ანდერძიდან ჩანს, რომ ცნობილი მოღვაწე ბერი ზაქარია ჩასულა ათონის მთაწმიდის მონასტერში, მის წიგნსაცავში მოუძიებია ოთხთავის გიორგი მთაწმიდელისეული ავტოგრაფი; იგი თავდაპირველად შატბერდელ



ვანის სახარება. XII–XIII სს.

სტეფანე ხუცს გადაუწერია, შემდეგ კი – იოვანეს.

ყოველ სახარებას უძღვის მოკლე უწყება და თავების ტექსტი: მათესას – 76, მარკოზისას – 57, ლუკასას – 96, იოვანესას – 36. ეს თავები ტექსტშიც მეორდება სათანადო ადგილებში. ხელნაწერში დაცულია ბევრი მინაწერი და გიორგი მთაწმიდლის ცნობილი ანდერძიც.

ვ. ს-ს ახასიათებს ორთოგრაფიულ-ფონეტ. თავისებურებანი: უ დაწერილობა უ-ს ნაცვლად, ს-ს ასიმილაციური ცვლილება შ-დ ჯ ჭ ჩ-ს წინ, ჰ პირის ნიშნის ხმარება მხოლოდ ხ-ს წინ, ვნებით გვარში ზმნის უვინო დაწერილობა და ა. შ.

ვ. ს. ერთხანს (XIV–XV სს.) დაცული ყოფილა მესხეთში, შორათის მონასტერში, მერე (XVIII ს.) – ვანში, 1889-იდან – გელათში, საიდანაც ვ. *ბერიძეს* ჩამოუტანია თბილისში. ამჟამად ინახება ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრში (A–1335). ტექსტი გამოკვლევითურთ გამოსცა ი. იმნაიშვილმა (,,ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია'', თბ., 1979).

ლიტ.: ა ბ უ ლ ა ძ ე ი., ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი, გამოც. მე-2, თბ., 1973; მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ე., ვანის ოთხთავის დეკორაციული მორთულობა, «ხელნაწერთა ინტის მოამბე», 1960, ტ. 2; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), IV, თბ., 1954; ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი თ., ზოგი ქართული ხელნაწერის ბერძნული მინაწერები, «მიმომხილველი», 1951, [ტ.] 2. *კ. დანელია.*

ვანისძეები, სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთისპირის თემში (გურიის მხარე), მდ. ბახვისწყლის (სუფსის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 280 *მ*, ოზურგეთიდან 20 *კმ*. 335 მცხ. (2002).

ვანის ქვაბები, VIII–XVI სს. გამოქვაბულთა კომპლექსი, უდაბნო-მონასტერი და კულტურულ-საგანმანათლებლო კერა ისტორიულ ჯავახეთში. მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში (ქ. ასპინძიდან 27 *კმ* დაშორებით), მდ. მტკვრის ზემოთში, მარჯვ. ნაპირზე. XIV ს-მდე ვაჰანის ქვაბები ერქვა. უძველესი ქვაბთა ჯგუფი, რ-შიც ეკლესიაც შედის, არაუგვიანეს VIII ს-ისაა. იგი დღემდეა შემონახული. IX–XI სს. ვ. ქ-ის უდაბნო გაფართოვდა. მის ცენტრში წმ. გიორგის ტაძარი და ახ. ქვაბ-სენაკები გამოკვეთეს. 1089



ვანის ქვაბები. იჩქით გურგენიძის წარწერა. XII ს. დასასრული.



ვანის ქვაბები. წმინდა გიორგის ეკლესია. XI ს.

ძლიერი მიწისძვრის შედეგად ვ. ქ-ის ცენტრ. ნაწილი ტაძრიანად დაინგრა. თითქმის მთელი XII ს. განმავლობაში, 1191-მდე, ვ. ქ. გურგენისძეთა ფეოდ. სახლის საგვარეულო მონასტერი იყო. 1191–98 ვ. ქ. მეფის ხელში გადავიდა. თამარის მეფობის ხანაში (1184–1213) დაიწყო მისი რეკონსტრუქცია. 1186–91 მონასტრის პატრონმა, იჩქით გურგენისძემ, განაახლა იგი, აღადგინა და ძვირფასი ხატებით შეამკო წმ. გიორგის ტაძარი; მის გვერდით ააგო საგვარეულო ეგვტერი და ორივე შესასვლელში თავისი მოღვაწეობის ამსახველი წარწერა გაუკეთა; 1204 მწიგნობართუხუცესმა ანტონ ჭყონდიდელმა ვ. ქ-ის ძვ. ქვითკირის ზღუდე აღადგინა. 1204–83 ვ. ქ-ს თმოგველთა ფეოდ. საგვარეულო ფლობდა. 1204–34 თმოგველებმა მონასტერს დაუწესეს ახ. ტიპიკონი (*„ვაჰანის ქვაბთა განგება“*), 1265–83 ააშენეს წმ. გიორგის ტაძრის კარიბჭე, სამრეკლო და დარბაზული ეკლესია. 1283 მიწისძვრის შედეგად ვ. ქ. კვლავ დაინგრა (თმოგველებმა დატოვეს თმოგვი, ვაჰანის მონასტერი და ქართლში გადასახლდნენ). XIV–XVI სს. აქ კვლავ გამოცოცხლდა სამონასტრო ცხოვრება. XIV–XV სს-ში ვ. ქ-ის პატრონად ღარიბაისძეთა საგვარეულო ჩანს. ვ. ქ. 1551 სპარსელებმა, ხოლო 1576 ოსმალებმა აიღეს და დაარბიეს, რის შემდეგაც იგი გაუკაცრიელდა.

ვ. ქ-ის კლდეში ნაკვეთი 200-მდე გამოქვაბული 16 სართულად არის განლაგებული. სამონასტრო კომპლექსში შედის კლდეში ნაკვეთი სადგომები, ქვაბები და სამეურნეო დანიშნულების სათავსები, ეგვტერ-სამარხები, საძვალე, თავშესაფარი, სამიმოსვლო გვირაბები და 6 ეკლესია. შემორჩენილია მხატვრობის ფრაგმენტები და ისტ. ხასიათის მნიშვნელოვანი წარწერები, წყალსადენის 3 ტრასისა და წყალსაცავის ნაშთი. კლდის ოვალურ უბეში ტერასულად განლაგებული ქვითკირის ზღუდით გამაგრებული სენაკები მონასტრის წინ ჩაკეტილ შიდა ეზოს ქმნის. კომპლექსის ცენტრია წმ. გიორგის გუმბათიანი ტაძარი, ორ სართულად განლაგებული სამარხი ეგვტერითა და მოჩუქურთმებული ქვითკირის კარიბჭით, რ-ის ქვეშაც ქვაბ-საძვალეა მოთავსებული. აქვე აღმოჩნდა კანკელის მოჩუქურთმებული დეტალებისა და კარიბჭესთან შერწყმული სამრეკლოს ჩუქურთმიანი ქვები. კარიბჭის ჩრდ-ით, იმავე ტერასაზე, ქვითკირის დარბაზული ეკლესიაა, ხოლო ქვემოთ, ანსამბლის მარცხ. ფრთის ტერასებზე – სამ სართულად განლაგებული ქვაბსამარხი და ქვის სადგომები.

არქეოლ. გათხრების შედეგად აღმოჩენილია რვაქვევრიანი მარანი, მოჭიქული კერამ. ჭურჭლის დასამზადებელი საწარმო-სახელოსნო, კლდისა და ქვის შერწყმით ნაგები სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა, კლდეში ნაკვეთი საწნახლითა და მცირე წყალსადენი ტრასით, ქვით ნაშენი 2 სახლი და სხვ. ზღუდის გარეთ, ტერასაზე აღმართული ოვალური კოშკი რთული თავდაცვითი ნაგებობის ნაწილი იყო და ზღუდის მისადგომებს იცავდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არქეოლ. გათხრებით გამოვლენილი ეპიგრაფიკული ძეგლები, მ. შ. იჩქით გურგენისძის სამშენებლო წარწერა. ვ. ქ-ის დას-ით მეუდაბნოეობის ხანის მცირე ეკლესიაში შემონახულია XIII ს. მხატვრობის ფრაგმენტები. გამოვლინდა აგრეთვე XII ს. ქართ. ჭედური ხელოვნ. მნიშვნელოვანი ძეგლები, მ. შ. ვერცხლის 3 თასი. სამონასტრო ანსამბლში სამონაზვნო სენაკებს შორის დაცულია როგორც უდაბნოსათვის დამახასიათებელი უძველესი სამყოფი ქვაბები, ასევე შემდეგდროინდელი სამონასტრო ცხოვრების შესაფერი კლდის საცხოვრებლები თავიანთი სამეურნეო დამხმარე სადგომებით.

ვ. ქ-ის ხუროთმოძღვრებაში მკვეთრად ჩანს კლდეში ნაკვეთ ადრეულ ქვაბთა თავისებურებანი; იგი კლდის ხუროთმოძღვრების შუალედური ძეგლია, რ-მაც ქვაბთა თანდათანობითი განვითარებით XII–XIII სს. *ვარძიის* ხუროთმოძღვრული ფორმების ჩამოყალიბება შეამზადა. მონასტრის ქვაბთა შორის გადარჩენილია კიდევ 2 პატარა ეკლესია. ერთი მათგანი დაბლა, ქვაბთა ზონის დასაწყისში მდებარეობს. მისი სამხრ. შესასვლელი კარის ამყოლად დატანებულია წარწერიანი ქვა, რ-შიც ანტონ ჭყონდიდელია მოხსენიებული. მეორე ეკლესია (XV ს.) მაღლა, მუქი ნაცრისფერი ანდეზიტის კლდეებშია.

ეკლესია საინტერესო და მნიშვნელოვანია ვ ა ნ ი ს ქ ვ ა ბ თ ა პ ო ე ზ ი ი თ ა ც. ეს არის XV ს. II ნახევარში აქ შეხიზნული მონაზონი ქალების მიერ მელნით შესრულებული მხედრული წარწერები და ნახატები, რ-ებითაც დაფარულია კედლების თავისუფალი არე. წარწერათა ავტორები არიან გულქანი, ანა რჩეულაშვილი, თუმიან გოჯიშვილი, მისი და შაღაბანი სულთანი და სხვ. წარწერებიდან ჩანს, რომ ისინი აქ იძულებით მოუყვანიათ და თავიანთი ბედით უკმაყოფილონი არიან. პროზაულთან ერთად გვხვდება გალექსილი წარწერები. ქალებს ზეპირად წაუწერიათ ძვ. ქართ. პოეზიის ნიმუშებიც. გვხვდება ,,ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტი – ორი სტროფი ნესტანის წერილიდან, ქაჯეთის ციხიდან რომ სწერს ტარიელს (1300, 1301), ,,როსტომიანის“ ერთი სტროფი (2903), ლირ. ლექსები სას. და საერო ხასიათისა (უმთავრესად

სატრფიალო-სამიჯნურო), რ-თაგან რამდენიმე ეკუთვნის წარწერათა შემსრულებლებს ანას და თუმიანს, არის აგრეთვე ხალხ. ლექსები. ვ. ქ-ის მონასტრის წარწერებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართ. მწერლობის ისტორიისათვის. მათ შემოინახეს ქართ. ლირ. პოეზიის, ,,ვეფხისტყაოსნისა'' და ,,როსტომიანის'' სტროფთა უძველესი ნიმუშები. წარწერების მიხედვით ვეცნობით XV ს. ქართვ. საზ-ბის ლიტ. გემოვნებასა და კულტ. დონეს.

წყარო: ვაჰანის ქვაბთა განგება, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, ტფ., 1939.

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ც., ვარძია. გზამკვლევი, თბ., 1948; გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი გ., ვარძია და მისი მიდამოების ქვაბები, თბ., 1957; მ ი ს ი ვ ე, ვანის ქვაბის განძი, «ძეგლის მეგობარი», 1966, №6; მ ი ს ი ვ ე, არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძიებანი ვანის ქვაბში 1967 და 1968 წწ., წგ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, [ტ.] 2, თბ., 1971; მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, ნაკგ. 2, თბ., 1962; ო ნ ი ა ნ ი შ., ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია, «საბჭოთა ხელოვნება», 1959, № 7; 1960, №8.

გ. გაფრინდაშვილი. ლ. მენაბდე. შ. ონიანი.

ვანის ქვაბთა პოეზია, იხ. *ვანის ქვაბები.*

ვანისჭალა, სოფელი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მექვენის თემში (იმერეთის მხარე), ხვამლის მასივის აღმ. კალთაზე, მდ. რიონის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 600 *მ*, წყალტუბოდან 58 *კმ*. 113 მცხ. (2002).


ვანიშვილი შალვა ნიკოლოზის ძე (დ. 1. IX. 1931, სოფ. ატენი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი), იურისტი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (1992), საქართველოს პოლიტ. მეცნ. აკად. წევრი. 1954 დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი, სპეციალობით სახელმწ. სამართალი. 1954-იდან მუშაობდა ადმ. ორგანოებში, პარალელურად პედ. საქმიანობას ეწეოდა ნ. ბარათაშვილის სახ. გორის პედაგოგიურ ინ-ტში, თსუ-სა და სტუ-ში. მისი სამეცნ. კვლევის საგანია სახელმწ. და სამართლის ისტორია. არის გორისა და ვ. სუხიშვილის უნ-ტების სრული პროფესორი.

ვ. 70–80-იან წლებში მოღვაწეობდა საქართვ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინ-ტში. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. სტატიები ქართ., რუს. და ინგლ. ენებზე, მ. შ. მონოგრაფია – ,,ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში (1864–1917)''.

ვანტი (Vant) იან, XVI ს. ევროპელი პილიგრიმი. ვ-ის ცნობით, რ-იც დათარიღებულია 1519-ით, ქართველები კვლავ ჩვეულებრივად ფლობდნენ გოლგოთის მთას: ,,იერუსალიმში ბევრი ქართველია, ისინი მრავალ წმინდა ადგილს ფლობენ, კერძოდ გოლგოთის მთას იმ ადგილითურთ, სადაც ჯვარი იდგა''.

ლიტ.: თ ვ ა რ ა ძ ე ა., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (XII–XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე), თბ., 2004. *ა. თვარაძე.*

ვანძი, ფ ა შ ა - ვ ა ნ ქ ი, სომეხთა ღვთისმშობლის ეკლესია თბილისში, *ორბელიანთუბანში*, ავანაანთხევის (სალალაკისწყალი) და მტკვრის შესაყარზე, მდინარის მარჯვ. ნაპირზე, მუხრანის (ახლანდ. ნ. ბარათაშვილის) ხიდის მახლობლად. ძვ. თბილისში ცნობილი იყო ,,ფაშავანქის'' (ფაშას მონასტერი) სახელით, ასევე მოიხსენიებენ როგორც წმ. მამების მონასტერს. ,,პირველი მამათ მონასტერი, სადაც მჯდომარებს ეჩმიაწინით წარმოვლენილი ეპისკოპოსი ანუ არხიეპისკოპოსი, წინამძღვრად წოდებული, განმგებელი საქართველოს ჰაოსთა, ამას შინა არს. აღშენებული ქვით-კირით დიდი ეკკლესია ... არს აღშენებული წელსა 1480-სა'' (დ. *კარიჭაშვილი*), ზოგიერთი სომეხი მკვლევრის მოსაზრებით, ვ. აგებულია X ს. ან XV ს-ში (პ. მურადიანი). ლ. *მელიქსეთ-ბეგი* სომხ. წერილობით წყაროებში მოხსენიებული ისტ. პირების სახელთა მოშველიებით ძეგლს XIV–XVI სს-ით ათარიღებს. პ. *იოსელიანის* მოსაზრებით, ,,ფაშავანქი'' XVI ს. ძეგლია. ვახუშტის გეგმაზე ვ. დატანილია №25-ით, პიშჩევიჩის 1785 გეგმაზე №72-ით აღნიშნულია ,,სომეხი ბერების მონასტერი''. 1715–20 და 1788–1800 ეკლესია რამდენჯერმე გადაკეთდა და განახლდა. ვ. დაანგრიეს XX ს. 30-იან წლებში ნ. ბარათაშვილის (ყოფ. მუხრანის) ქუჩის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით. ამჟამად შემორჩენილია XIX ს. სამრეკლო. ეკლესიასთან არსებობდა სასაფლაო. ვახუშტის იგი 1735 გეგმაზე დატანილი აქვს №26-ით – ,,სასაფლაო სომეხთა''.



ვანქი. სამრეკლო. XIX ს.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე თ., ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977; მ ე ლ ი ქ ს ე თ – ბ ე გ ი ლ., ტფილისის ვანქის დაარსების საკითხისათვის, «ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე», 1924, ტ. 4; ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ., საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი, ქუთ., 1899; И о с е л и а н и П., Описание древностей г. Тифлиса, Тфл., 1866.

თ. ბერიძე.

ვანძის უბანი, ფ ა შ ა - ვ ა ნ ქ ი ს უ ბ ა ნ ი, მდებარეობდა ისტორიული თბილისის ჩრდილო-დასავლეთით, *ორბელიანთუბანში*, მტკვრის მარჯვენა მხარეს, ავანაანთხევის (სალალაკისწყლის) მარცხენა სანაპიროსთან. სახელი უბანმა მიიღო აქ მდგარი ვანქის (ფაშა-ვანქის) სომხ.-სამოციქულო მონასტრის გამო. პორუჩიკ ჩუიკოს 1800 თბილ. გეგმაზე რომაული ციფრით VII აღნიშნული აქვს ,,Предместье Ванкис Убани'', ხოლო ციფრით VIII – ვანქის ციხე – ,,Замок Ванк'', რაც სინამდვილეს არ შეეფერება. თბილ. გარეთუბანში ,,ვანქის ციხე'' არ არსებობდა. ეტყობა, რადგანაც ვანქი (ფაშა-ვანქი) გალავანშემოვლებული იყო, ჩუიკოს იგი დატანილი აქვს როგორც ,,ციხე''. ვ. უ-ის საზღვრები ამჟამად დაახლოებით ასე შეიძლება შემოიფარგლოს: აღმ-ით – მტკვარი, სამხრ-ით – ბარათაშვილის ქუჩა, დას-ით – გიორგი ათონელის ქუჩის მიდამოები და ჩრდ-ით – მტკვრის ქუჩა.

თ. ბერიძე.

ვანციანი ვაჩაგან უნანის ძე (1913, სოფ. ზაკვი, ახლანდ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, – 1. III. 1944, უკმერგე, ლიტვა), საბჭოთა კავშირის გმირი (8.

IV. 1945, სიკვდილის შემდეგ), სერჟანტი. ცხოვრობდა საქართველოში. აქვე მიიღო საშ. განათლება. II მსოფლიო (1939–45) ომის დროს მონაწილეობდა ბელორუსიისა და ლიტვის განთავისუფლებაში. ლიტვის უკმერგეს რნის სოფ. ტაუსნაისთან ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება (ყუმბარით შეუვარდა გერმანელთა ტანკს). დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენით და მედლით. *ტ. ჩიხჩილაკაშვილი.*

ვაჟასწყაროჲ, ბალნეოკლიმატური კურორტი დუშეთის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 1050 *მ* სიმაღლეზე. თბილისიდან – 70 *კმ*, დუშეთიდან – 25 *კმ*. იცის ზომიერად ცივი თოვლიანი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა –4°C) და თბილი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპ-რა 18°C). ნალექები 1000 *მმ* წელიწადში. ბუნებრივი სამკურნ. ფაქტორია მთის ჰავა და მინერ. წყალი (იხ. *„ვაჟას წყარო“*),

„ვაჟას წყაროჲ“, ნახშირორჟანგიანი ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული კალციუმ-ნატრიუმიანი სამკურნალო მინერალური წყალი. საბადო მდებარეობს დუშეთის მუნიციპალიტეტში, ფშავის არაგვის ხეობაში, მდ. ჩარგლულის შესართავთან, ადგილ. მნიშვნელობის კურორტ *ვაჟასწყაროს* მიმდებარე ტერიტორიაზე. მინერ. წყალი განლაგებულია იურულ-ცარცული ასაკის კარბონატული ქანების ნაპრალოვან ზოლში. საბადოს ჯამური მარაგი (დებიტი) არის 229 $მ^3/დღ-ღ$. წყლის ქიმ. შედგენილობა:

$$CO_2\,1{,}4-2{,}0\;M_{7-8}\frac{HCO_3\,70-75Cl25-30}{(Na+K)70+75Ca\,20-25}.$$

ტემპ-რა 11–12°C. მაღალი მინერალიზაციის წყალს (M – 12–22 *გ/ლ*) სეზონურად იყენებენ აბაზანების მისაღებად (წყალს ათბობენ 37–38°C-მდე), დაბალი მინერალიზაციისას (M – 4–12 *გ/ლ*) – სასმელ-სამკურნალოდ.

წყალს იყენებენ ძირითადად საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებათა – ქრონ. გასტრიტის, კოლიტის, პანკრეატიტის, კუჭისა და თორმეტგოჯას წყლულოვანი დაავადების, ღვიძლის ქრონ. დაავადებების, ნივთიერებათა ცვლის ზოგიერთი მოშლილობისა და სხვათა სამკურნალოდ.

ტ. ჩიჩუა. ვ. ჯალიაშვილი.

ვაჟა-ფშაველა (ნამდვ. სახელი და გვარი – ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი) [14 (26). VII. 1861, სოფ. ჩარგალი, ახლანდ. დუშეთის მუნიციპალიტეტი, – 27. VII (9. VIII). 1915, თბილისი], პოეტი. 8 წლამდე ჩარგალში იზრდებოდა მამის, თვითნასწავლი სოფლის მღვდლის, პავლეს, და დედის, ბარბალე (გულქან) ფხიკელაშვილის, წვრილშვილიან ოჯახში (ვ.-ფ-ს ძმებიც – *ბაჩანა* და თ. *რაზიკაშვილი* ცნობილი მწერლები გახდნენ). სწავლობდა თელავის სას. სასწავლებელში, 1877–79 – თბილ. სამასწავლებლო ინ-ტთან არსებულ ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში, 1879-იდან – გორის სამასწავლებლო (საოსტატო) სემინარიაში, რ-იც 1882 დაამთავრა. დაუახლოვდა გორის ხალხოსანთა წრეს. ერთხანს ამტნისხევში მასწავლებლობდა, 1883–84 პეტერბურგის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტის თავისუფალი მსმენელი იყო. ხელმოკლეობის გამო მალე დატოვა უნ-ტი და რამდენიმე წელიწადს მუშაობდა ოთარაშენში, ამილახვრის ოჯახში, შინამასწავლებლად, შემდეგ – დიდი თონეთის სოფლის სკოლაში. 1888-იდან ჩარგალში ცხოვრობდა. სხვა გლეხებივით ხნავდა მიწას, უვლიდა საქონელს და ნადირობდა. ვ.-ფ. მთის ხალხში დიდი გავლენით სარგებლობდა. იშვიათად ჩამოდიოდა ბარად. ფშაური ზამთრის გრძელ ღამეებში დაიწერა მისი გენიალური პოემები, მოთხრობები და ლექსები. ვ.-ფ-ს პირველი კორესპონდენცია „წერილი ხევსურეთიდან“ 1879 დაიბეჭდა („დროება“, №1), პირველი თარგმანი ერკმან–შატრიანის მოთხრობისა „ფეოდალის აღზრდა“ – 1880 („ივერია“, №4), პირველი ლექსი „მეომარი“ – 1881 („იმედი“, №3–4), პირველი მოთხრობა „სურათი ფშავლის ცხოვრებიდან“ – 1881 („დროება“, №184). ვ.-ფ-ს შემოქმედება XIX ს. ქართ. კრიტ. რეალიზმის უმაღლესი საფეხურია. სამყაროს მამოძრავებელი ძალების, ბუნების „იდუმალი ენის“ წვდომის დაუცხრომელი წადილი მას ქართ. რომანტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელთან – ნ. ბარათაშვილის შემოქმედებასთან ანათესავებს. მაგრამ თუ ბარათაშვილის ლირიკაში ადამიანის შინაგანი, სუბიექტური სამყაროა მოქცეული ყურადღების ცენტრში, როგორც ყოფიერების სასრული, გარდაუვალი იდეების გამოხატულება, ვ.-ფ-ს პოეზიის ყველაზე ორგ. ნიშანთვისებაა სინამდვილის მატერიალ. აღქმა, ქვეყნიერების „უთვალავ ფერთა“ მთლიანად დანახვისა და წარმოსახვის უნარი. პოეტის მხატვრული მსოფლგაგების ქვაკუთხედია ხალხურობა და რეალიზმი. შემდგომ მის შემოქმედებაში გაღრმავდა ის რეალისტური ტენდენციები, რ-ებსაც ი. ჭავჭავაძემ და ა. წერეთელმა მისცეს გეზი. ვ.-ფ-ს თხზულებებში სინამდვილე მთელი თავისი ხელშესახები, ნივთიერი რეალობით წარმოგვიდგება. მან უაღრესად სრულყოფილი ფორმით გამოხატა „მიწისა“ და „ცის“ – რეალისტურისა და რომანტიკულის – ურთიერთგამსჭვალავი მთლიანობა. პოეზიის ვაჟასეული გაგება, მისი რეალისტური კრედო ჩანს ლექსებში: „მთას ვეყავ“ (1890), „სიტყვა ეული“, „ნუგეში მგოსნისა“ (1894), „სიმღერა“ (1896); ლიტ.-კრიტ. და პუბლიც. წერილებში: „ფიქრები“ (1891), „Pro domo sua“ (1896), «ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ» (1911) და სხვ. პოეტის დამოკიდებულება ხალხ. შემოქმედებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მის წერილებში – „გმირის იდეალი ფშაურ პოეზიის გამოხატულებით“ (1889), „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“ (1914) და სხვ.



ვაჟა-ფშაველა.

ქართვ. პოეტთა შორის ვ.-ფ. ყველაზე ღრმად ჩასწვდა ბუნების საიდუმლოებას. მის ლირიკაში ბუნების საგნებსა და მოვლენებს სავსებით შენარჩუნებული აქვს პირველქმნილი სიხალასე. პოეტისათვის მშვენიერება განფენილია სინამდვილის აურაცხელ კონკრეტულ ფორმაში. სიცოცხლე მთელი თავისი ნაირფერობით პოეტს მაღალი გონიერებისა და სიკეთის განსახიერებად წარმოუდგენია („მუდარა“, 1889; „დამსეტყვე, ცაო“, 1903; „სიცოცხლემ შხამი მასმია“, 1903 და სხვ.). მაგრამ ვ.-ფ., როგორც დიდი ჰუმანისტი, შორსაა ეთიკური განურჩევლობისაგან. მისთვის მთები არა მხოლოდ ესთეტ. ჭვრეტისა და ტკბობის საგანია, არამედ ეთიკური მწვერვალიც („გამამერია ჭაღარა“, 1894; „მთათ მითხრეს“, 1897 და სხვ.). უნივერს. ჰარმონიისაკენ სწრაფვას არ დაუჩრდილავს პოეტის თვალში ადამიანური ყოფის წინააღმდეგობები. ვ.-ფ. მტრისადმი დაუნდობელი სისასტიკის მქადაგებელია, თავის სიმღერებს მებრძოლ, შეუპოვარ კილოზე აგებს. მან უდიდესი გავლენა მოახდინა ქართვ. ხალხის გაღვიძებულ ეროვნ. თვითშეგნებაზე („ომის



„ვაჟა-ფშაველა“. მხატვარი კ. სანაძე.

წინ ჯვარის სიმღერა‘‘, 1888; ,,ხმა სამარიდამ‘‘, 1893; ,,ბაკური‘‘, 1899; ,,ქართლს‘‘, 1912; ,,კახეთს‘‘, 1913; ,,ფშაველი ჯვარისკაცის წერილი‘‘, 1914 და სხვ.). ვ.-ფ-ს პატრ. ლირიკაში ალეგორიულ სიმბოლიკას დაკარგული აქვს სპეციფ. რაციონალისტური ელფერი. აქ ყოველი სახე ემოციურია და მკაფიოდ გამოხატული გრძნობადი ხასიათი აქვს (,,ამირანი‘‘, 1884; ,,არწივი‘‘, 1887; ,,კიდევაც ვნახავ გაზაფხულს‘‘, 1906). ვ.-ფ. პიროვნული სრულყოფის, ,,კაი ყმის‘‘ ვაჟკაცური კულტის დამამკვიდრებელია ქართ. პოეზიაში (,,კაი ყმა‘‘, 1909; ,,პასუხი ბაჩანას‘‘, 1913 და სხვ.); ამასთან კეთილშობილი მიჯნურიც არის (,,ფშაველის სიყვარული‘‘, 1886; ,,სიყვარული‘‘, 1891; ,,გამოღმით მე ვარ, გაღმა შენ‘‘, 1905) და ნაზი იისა თუ ნიბლია ჩიტის უბედობის გულისხმიერი მოზიარეც (,,ნიბლიას ანდერძი‘‘, 1891; ,,იას უთხარით, ტურფასა‘‘, 1903).

ვ.-ფ-ს პოეზიაში სრულქმნილად განხორციელდა XIX ს. ქართ. ლიტ-რის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანდასახულობა – ეროვნ. ეპოპეის შექმნის ამოცანა. სამი საწყისი განსაზღვრავს მისი ეპიკური შემოქმედების პათოსს: ჰეროიკული, ტრაგიკული და ჰუმანისტური [პოემები: ,,მოხუცის ნათქვამი‘‘, ,,გიგლია‘‘ (1886), ,,გოგოთურ და აფშინა‘‘ (1887), ,,ალუდა ქეთელაური‘‘ (1888), ,,ბახტრიონი‘‘ (1892), ,,სტუმარ–მასპინძელი‘‘ (1893), ,,ივანე კოტორაშვილის ამბავი‘‘ (1896), ,,სისხლის ძიება‘‘ (1897), ,,გველის მჭამელი‘‘ (1901) და სხვ.]. მან ქართ. პოეზიაში შემოიყვანა ახ. გმირი, რ-ის უკომპრომისო ბუნებას, შინაგან სიმრთელეს, დაუშოშმინებლობასა და შეუპოვრობას თითქოს გარემომცველი ბუნების სტიქიური ძალები ასაზრდოებს, ამასთან, სულის სიღრმეში ივი ატარებს დიად ფიქრს კაცობრიობის ხვედრისა და დანიშნულების შესახებ. ადამიანის ხვედრი ტრაგიკულია, მაგრამ ვ.-ფ-ს გმირები ადამიანური ღირსების მაღალი შეგნებით ეგებებიან ბედისწერის განაჩენს (ზვიადაური – ,,სტუმარ–მასპინძელი‘‘, ალუდა – ,,ალუდა ქეთელაური‘‘). ჭეშმარიტი ადამიანურობის მაღალ საწყისებს განასახიერებენ სამშობლოსათვის თავშეწირული სახ. გმირები (,,ბახტრიონი‘‘). ვ.-ფ-ს პერსონაჟების სულიერი თვალსაწიერი ზოგჯერ ვერ თავსდება დაკანონებული ზნეობრივი კოდექსის ჩარჩოებში (ზვიადაური, ალუდა). ცხოვრება მოითხოვს ძირეულ გარდაქმნას, რაც, პოეტის რწმენით, შესაძლებელია მხოლოდ სულიერად სრულქმნილი, ძლიერი პიროვნების ტიტანური შემართებით. მძაფრ კოლიზიას ამგვარ პიროვნებასა და ვიწრო უტილიტარული ინტერესებით შეზღუდულ საზ-ბას შორის ავლენს ,,გველის მჭამელი‘‘. მინდიას ფაუსტური სწრაფვა სამყაროს იდუმალებათა შეცნობისაკენ შეწყმულია ადამიანთათვის თავდადებული მსახურების ძლიერ წადილთან. ,,ბახტრიონისა‘‘ და ,,გველის მჭამელის‘‘ ავტორმა სამყაროს მხატვრულ გააზრებაში შემოიტანა მითის ელემენტი და ამ პრიზმით სინამდვილის ახ. უჩვეულო მასშტაბები განჭვრიტა.

ვ.-ფ-ს პოეტური სტილი მკვეთრად გამოირჩევა მთელი XIX ს. ფონზე. მისი ხატოვანი აზროვნების პირველწყარო ხალხ. შემოქმედებაა. ვ.-ფ-ს პოეზიის ენა კამათის საგნად იქცა (ა. წერეთლის ცნობილი ლექსი ,,ვაჟა-ფშაველას‘‘, 1913 და ვ.-ფ-ს ,,დაგვიანებული პასუხი აკაკის‘‘, 1913). ვ.-ფ-მ გააფართოვა ქართ. პოეტური მეტყველების ჩარჩოები, კერძოდ, დიალექტური და ძვ. ქართ. ფორმების შემოტანით გაამდიდრა ლექსიკა, მრავალფეროვნება შესძინა ლექსის სიტყვიერ ქსოვილს.

ვ.-ფ-ს მოთხრობებში მთიელთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი რეალისტური სურათების, კოლორიტული ხასიათების ფონზე გახსნილია იმდროინდელი საქართვ. მძაფრი სოც. კონფლიქტები (,,პატარა მწყემსის ფიქრები‘‘, ,,დარეჯანი‘‘, 1886; ,,პაპას მსოფლიო ფიქრები‘‘, 1903; ,,უძმოს-ძმა‘‘, 1906 და სხვ.). უნიკალური შინაარსისაა XIX ს. ქართ. ლირ. პროზის ნიმუშები ,,შვლის ნუკრის ნაამბობი‘‘ (1883), ,,ხმელი წიფელი‘‘ (1888–89), ,,ქუჩი‘‘ (1892), ,,მთანი მაღალნი‘‘ (1895). გასულდგმულებული ბუნების პირით გამოხატულია უგულობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ მიმართული, ღრმა ჰუმანური იდეალებით შთაგონებული თვალსაზრისი. ზნეობრივი პრინციპების უაღრესი მხატვრული თვალსაჩინოება, თხრობის ფოლკლორული სისადავე და ასეთივე უბრალო, ხატოვანი ენა გამიზნულია მოზარდი მკითხველისათვის. ყველა ეს ნაწარმოები ქართ. საბავშვო ლიტ-რის კლასიკური ნიმუშია.

ვ.-ფ-ს დრამ. ნაწარმოებთაგან (,,სცენა მთაში‘‘, ,,სცენები‘‘, 1889; ,,ტყის კომედია‘‘, 1911; ,,ნაკვესები‘‘, 1886–1908) აღსანიშნავია დრამა ,,მოკვეთილი‘‘ (1894), რ-იც წლების განმავლობაში წარმატებით იდგმებოდა ქართ. სცენაზე.

ვ.-ფ. კრებდა და აქვეყნებდა ხალხ. პოეზიის ნიმუშებს. ქართ. ეთნოგრაფიისა და ფოლკლორისტიკისათვის ფასდაუდებელია მისი წერილები: ,,ფშაველები‘‘, ,,ფშაველების ცხოვრებიდამ‘‘, ,,ხევსურები‘‘ (1886), ,,ლაშარობა‘‘ (1888), ,,ფშაველი დედაკაცის მდგომარეობა და იდეალი ფშაურის პოეზიის გამოხატულებით‘‘ (1889), ,,ძველი და ახალი ფშაველების პოეზია‘‘ (1896) და სხვ. ,,ცივილიზებულ‘‘ სამყაროსთან განშორებული პოეტი გამუდმებით თვალს ადევნებდა კაცობრიობის სულიერი განვითარების რთულ პროცესს და ცდილობდა გამოენახა პასუხი ეპოქის მტკივნეულ კითხვებზე, დაედგინა მანკიერებათა პირველმიზეზიც და მათგან განკურნვის, ზნეობრივი გამოჯანმრთელების საღი წყაროები (პუბლიც. წერილები: ,,ფიქრები‘‘, 1892, 1901, 1902; ,,რამე-რუმე მთისა‘‘, 1892; ,,თიანური ფელეტონები‘‘, 1901, 1902; ,,კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი‘‘, 1905; ,,შავბნელი ამბები‘‘, 1905).

ვ.-ფ-ს ნაწერები პოეტის სიცოცხლეში ცალკე წიგნებად იშვიათად იბეჭდებოდა (მოთხრობათა კრებული, 1889, 1898; ,,თხზულებანი‘‘, 1899; ,,ცრემლები‘‘, 1909 და სხვ.). 1925 –56 ა. აბაშელის თაოსნობით გამოქვეყნდა მწერლის თხზულებათა კრებული შვიდ ტომად. ვ.-ფ-ს ნაწერები თარგმნილია რუსულ (მთარგმნელები: ვ. დერჟავინი, ნ. ზაბოლოცკი, ო. მანდელშტამი, ბ. პასტერნაკი, მ. ცვეტაევა და სხვ.), ინგლ., ფრანგ., გერმ. და სხვ. ენებზე.

საქართვ. თეატრებში დაიდგა ვ.-ფ-ს ნაწარმოებები. მისი მოთხრობების მიხედვით გადაღებულია კინოფილმები. დაწესებულია ვაჟა-ფშაველას სახ. პრემია. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით 1961 მთელ მსოფლიოში აღინიშნა ვ.-ფ-ს დაბადების 100 წლისთავი.

მძიმედ დაავადებული ვ.-ფ. წმ. ნინოს სახ. სამხედრო ლაზარეთში მოათავსეს (ახლანდ. თსუ-ის I კორპუსი), სადაც გარდაიცვალა. დაკრძალეს დიდუბის პანთეონში. 1935 მწერლის ნეშტი მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს.

თხზ.: თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, თბ., 1961; თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბ., 1964.

ლიტ.: აბაშიძე კ., ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1962; ასათიანი გ., ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე, თბ., 1974; ბენაშვილი დ., ვაჟა-ფშაველა. შემოქმედი და მოაზროვნე, თბ., 1961; ევგენიძე ი., ვაჟა-ფშაველა (ცხოვრება და შემოქმედებითი ისტორიის საკითხები), თბ., 1989; ზანდუკელი მ., ვაჟა-ფშაველა, თბ., 1953; კიკნაძე გ., ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, [თბ.], 1957; კოტეტიშვილი ვ., ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.), თბ., 1959; ლომაშვილი ჯ., ვაჟალოგიის საკითხები, თბ., 1997; ქიქოძე გ., ეტიუდები და პორტრეტები, თბ., 1958; ქურდოვანიძე თ., ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეტური სიტყვა, თბ., 1991; მისივე, ზეპირსიტყვიერი ვაჟა-ფშაველას პროზაში, თბ., 2010; ყუბანეიშვილი ს., ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი (მასალები), თბ., 1961; ჩხენკელი თ., ტრაგიკული ნიღბები, თბ., 1971; ვაჟა-ფშაველას ბიობიბლიოგრაფია. 1879–1979, შემდგ. თ. ნაკაშიძე და ი. გორგაძე, თბ., 1987.

გ. ასათიანი.



ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი. სოფელი ჩარგალი.

ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი, დაარსდა 1961, სსიპ, მდებარეობს დუშეთის მუნიციპალიტეტში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ისტ. ფშავში, დუშეთიდან 52 *კმ* დაშორებით მდებარე სოფ. ჩარგლის ცენტრში. 2008-იდან საქართველოში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. სახლ-მუზეუმში დაცულია პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მემორიალური ნივთები, XIX ს. და XX ს. დასაწყისის ეთნოგრ. ხასიათის მასალები, პოეტის კრებულების სხვადასხვა პერიოდის გამოცემები, აგრეთვე პოეტისადმი მიძღვნილი ფერწერული, გრაფ. და სკულპტურული ნამუშევრები, ფოტომასალა და სხვ. მუზეუმის საფონდო ერთეულთა რაოდენობა შეადგენს 2300-ზე მეტ ეგზემპლარს. სამუზეუმო კომპლექსში შედის საცხოვრებელი სახლი და საგამოფენო შენობა.



ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი. ინტერიერი.

სახლი ერთსართულიანია, ოროთახიანი. ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. წინა მხარეს, გრძივი ფასადის მთელ სიგრძეზე, ხის სვეტებიანი გადახურული აივანი გასდევს, რ-იც მხოლოდ გვერდებიდანაა გახსნილი. აივნიდან სწორკუთხა შესასვლელით ვხვდებით ვიწრო ტალანში. მის ორივე მხარეს სხვადასხვა ზომის თითო ოთახია, ორივე ოთახის ფანჯრები აივანზე გამოდის. პატარა ოთახს ორი სწორკუთხა ფანჯარა აქვს, მოზრდილს – სამი. ორივე ოთახში თითო ბუხარია. პირველი, პატარა 16 *კვ.მ* ოთახი. ვაჟას მამის, პავლე რაზიკაშვილის (1831–90) აგებულია, სადაც დაიბადა და თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა ვაჟა–ფშაველამ. მეორე ოთახი (ფართ. 20 კვ. მ), რ-იც ვაჟას ოჯახისთვის იყო განკუთვნილი, 1935 წელსაა მიშენებული. 1976 ძეგლს სარემონტო სამუშაოები ჩაუტარა სპეც. სამეცნ.-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანებამ (ხელმძღვ. თ. აბრამიშვილი). აღდგა პავლესეული სახლი, შეკეთდა გადახურვა და სხვ. 1986 აღადგინეს საბძელ-გომური, წყლის წისქვილი, წყარო. 1987, მწერლის დაბადების 125 წლისთავზე, აშენდა მუზეუმისთვის განკუთვნილი შენობა ოთხი საგამოფენო დარბაზით და ერთი ფონდსაცავით (არქიტექტორები: ო. ლითანიშვილი, ა. გურული). მუზეუმის შესასვლელის წინ დადგეს ვაჟა-ფშაველას ბრინჯაოს ქანდაკება – კვარცხლბეკზე შედგმული დიდი ზომის (სიმაღლე 5 *მ*) ბიუსტი (მოქანდაკე ბ. ავალიშვილი). ქანდაკების უკან, მუზეუმის სახურავზე, ვიწრო, სწორკუთხა კვარცხლბეკზე დგას არწივის ბრინჯაოს ქანდაკება, რ-იც ვაჟას მიერ შექმნილ პოეტურ სახეს განასახიერებს. მუზეუმის შენობას მინიჭებული აქვს კულტ. მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი (საქართვ. კულტ. და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2007 წლის № 3/181 ბრძანება).

მუზეუმში იმართება თემატური გამოფენები; აგრეთვე მოქმედებს საგანმან. პროგრამა, ტარდება ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიებები.

ვაჟა-ფშაველას მწვერვალი, მწვერვალი კიდეგანის ქედზე (ხევსურეთის კავკასიონი), მდინარე არხოტისწყლის (ასის ზემოწელი) სათავეში. სიმაღლე 4200 *მ*. აგებულია იურული თიხაფიქლებით.



ვაჟა-ფშაველას მწვერვალი.

მწვერვალზე პირველად ავიდნენ 1943 ალპინისტ ალექსანდრე *ჯაფარიძის* ხელმძღვანელობით (ალპინისტური ჯგუფის წევრები იყვნენ ე. რეიზენი და გ. ხულელიძე).

„ვაჟიკა და ხვარამზე“, ხალხური სატრფიალო ლექს-სიმღერების ციკლი, რ-შიც გადმოცემულია ქალ-ვაჟის უიღბლო სიყვარული. გადმოცემით, ვაჟიკა ნაკვეთაური და სამუკათ ხვარამზე ფშაველები ყოფილან, ცხოვრობდნენ XIX ს. II ნახევარში. თავად ხვარამზე შესანიშნავი მოლექსე ყოფილა, მასვე შეუქმნია ეს ლექსები, რებიც შემდეგ ფართოდ გავრცელდა და გახალხურდა. „ვ. და ხ-ს“ პირველი ჩანაწერი დათარიღებულია 1886-ით. ამ ციკლის ლექსები შეუკრიბავთ ი. ჭავჭავაძეს, დ. ხიზანაშვილს, პ. უმიკაშვილს, თ. რაზიკაშვილს და სხვ.; გამოუქვეყნებიათ პ. უმიკაშვილს, თ. რაზიკაშვილს, ვ. კოტეტიშვილს.

ტექსტი: ქართული ხალხური პოეზია თორმეტ ტომად, ტ. 6, თბ., 1970; ხვარამზე, „ვერცხლის თასადამც მაქცია“, თბ., 1976

ლიტ.: კოტეტიშვილი ვ., ხალხური პოეზია, გამოც. მე-2, თბ., 1961; ჩიქოვანი მ., ლექსი ვაჟიკასი და ხვარამზისა, «თბილისის პედაგოგიური ინ-ტის შრომები», 1952. ტ. 9.

ჯ. ბარდაველიძე.

„ვარადღო“, აფხაზური ხალხური სიმღერა, რომელსაც ზოგჯერ „კლდის სიმღერის“ სახელწოდებითაც მოიხსენიებენ. სიმღერას საფუძვლად უდევს ლეგენდა ორი ძმის შესახებ: მაღლა, კლდის ორწოხებში გახლართული უფროსი ძმა შველას სთხოვს უმცროსს. ეს უკანასკნელი ქვემოდან შესძახებს, რომ მისი დაღუპვის შემთხვევაში იგი მის ცოლს ხასად დაისვამს, შვილებს მონებად გაიხდის და მის სახლ-კარს მიითვისებს. უფროსი ძმა უკანასკნელ ძალ-ღონეს მოიკრებს, გამოვა ხლართებიდან, ძირს დაეშვება და სატევარს ჩასცემს გულში მოღალატეს. სახლში დაბრუნებულს დედა აუხსნის, რომ უმცროსმა ძმამ ეს სიტყვები მის გადასარჩენად მოიგონა. გაუბედურებული კაცი კლდის პირას უმცროსი ძმის გვერდით იკლავს თავს. სიმღერა სამხმიანია. მისი ხასიათი გამოხატულია ნელი ტემპით და სევდიანი განწყობით. სიტყვიერი ტექსტი მთლიანად სამღერისებს ემყარება.

ლიტ.: კოკელაძე გრ. (შემდგ.), ქართული ხალხური სიმღერები თქმულებებითა და კომენტარებით, თბ., 1985. *ნ. კალანდაძე.*

ვარაზაშვილები, ძმები – ივანე, ისიდორე, ვასილი და გიორგი, საზოგადო მოღვაწეები, ქველმოქმედნი.

ივანე სოფრომის ძე ვარაზაშვილი (1879, სოფ. მუხლი, რაჭის მაზრა, – 1955, თეირანი), ინჟინერ-პოლკოვნიკი, სპეციალისტი რკინიგზის ტრანსპორტის დარგში. დაამთავრა თბილ. სარკინიგზო ტექ. სასწავლებელი და პეტერბურგის სარკინიგზო ინ-ტი. სწავლა განაგრძო შვეიცარიაში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ბორჯომი–ბაკურიანის რკინიგზის მშენებლობაზე. ააშენა წალკის ხიდი. I მსოფლიო ომის დროს მიიღო ინჟინერ-პოლკოვნიკის წოდება და ხელმძღვანელობდა ბაქო – ჯულფის და ერზურუმი – სარიყამიშის რკინი-



ძმები ვარაზაშვილები. მარცხნიდან: ვასილი, ივანე, ისიდორე და გიორგი.

გზის მშენებლობას.

საქართველოში ჭიათურის მანგანუმის მადნის მრეწველობის განვითარებით დაინტერესებულმა ძმებმა ივანე და ისიდორე 3-მა ნ. *ნიკოლაძესთან* ერთად 1918 დააარსეს *ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა აქციონერული საზოგადოება.* ამ საზოგადოებაში ძმები ივანე და ისიდორე 3. იყვნენ ამხანაგობა „ძმები ივ. და ის. ვარაზაშვილების“ მფლობელები და მონაწილეობდნენ ხელშეკრულების დადებაში (1925) კომპანია „ჰარიმან ბრაზერს ენდ K°-თან“, კონცესიის გადაცემასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების სამი დედნიდან ერთი ჩაბარდა ივ. ვარაზაშვილს (ეს დედანი დაცულია საქართვ. უახლესი ისტორიის ცენტრ. სახელმწ. არქივში). ძმების გაწონასწორებული დიპლომატიისა და უცხოეთთან მათი ფართო კავშირების გამო საბჭ. მთავრობა მათ არ ზღუდავდა.

მანგანუმის მადნის საექსპორტო კავშირების მოსაპოვებლად ივანე და ისიდორე 3. 1922 გაემგზავრნენ გერმანიაში, სადაც მათ შეუერთდა ბერლინში მყოფი მათი სტუდენტი ძმა გიორგი. ძმებმა თავიანთი ინიციატივითა და სახსრებით, გერმ. ქართველოლოგ რ. *მეკელაინთან* ერთად, ბერლინში დააარსეს „რუსთაველის საზოგადოება“, რ-ის ქართვ. წევრები იყვნენ: ივანე, ისიდორე და გიორგი („რუსთაველის საზ-ბის“ მდივანი) 3., მ. შანიძე (ა. *შანიძის* ძმა), გ. დიასამიძე და ლ. ხოჭოლავა. ისინი დიდ დახმარებას უწევდნენ უცხოეთში მცხოვრებ ქართვ. სტუდენტებს. მათვე დააარსეს გამომცემლობა „ახლო აღმოსავლეთი“ („Naher Osten“) და ჟურნ. „მორგენლანდი“ („das Morgenland“), რ-საც რ. მეკელაინი რედაქტორობდა. უცხოეთში მყოფ ქართვ. სტუდენტთა დასახმარებლად აქ დაიბეჭდა „გერმანული ენის სახელმძღვანელო ქრესტომათიითა და ლექსიკონით“. ეხმარებოდნენ ასევე საქართველოში ქართ. ჟურნალ-გაზეთების გამომცემლებს.

მშობლიურ ენასთან ერთად, ივ. ვარაზაშვილი ფლობდა რუს., ფრანგ., გერმ. და ირან. ენებს. 1928 შაჰის მთავრობის მიწვევით იგი ირანს გაემგზავრა, სადაც მნიშვნელოვანი სარკინიგზო მშენებლობის ხელმძღვანელად დანიშნეს. აქ ივანე გაეცნო ფერეიდნელ ქართველთა ცხოვრებას. საბჭოური რეპრესიების გამო იგი საცხოვრებლად ირანში დარჩა. II მსოფლიო ომის წლებში ივ. ვარაზაშვილმა დიდი თანხა გაიღო საბჭ. ავიაციის განვითარებისათვის. დიდ ყურადღებას იჩენდა, პირველ რიგში, უცხოეთში მყოფი ქართვ. სტუდენტების მიმართ. მზრუნველობას არ აკლებდა უმცროს ძმებს. დაკრძალულია თეირანის მართლმადიდებლურ სასაფლაოზე.

ისიდორე სოფრომის ძე ვარაზაშვილი (14. XI. 1882, სოფ. მუხლი, რაჭის მაზრა, – 18. IV. 1945, ურალსკი, ციმბირი), სარკინიგზო საქმის სპეციალისტი. 1897 დაამთავრა თბილ. სარკინიგზო სასწავლებელი. სხვადასხვა დროს მუშაობდა: ბორჯომი – ბაკურიანის, ბაქო – ჯულფის, ერზურუმი – სარიყამიშის რკინიგზის გაყვანაზე. 1901 გ. ნუცუბიძესთან

ერთად ჭიათურაში დააარსა სცენის მოყვარულთა წრე. 1909 იყო ჭიათურის რკინიგზის სადგურის უფროსი. ამავე წელს დანიშნეს ჭიათურის მანგანუმის მრეწველთა საბჭოში საბაგირო გზების გამგედ. იყო სინდიკალისტთა მთ. კომიტეტის თავ-რე, ,,ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა აქციონერული საზოგადოების'' ერთ-ერთი გავლენიანი წევრი. აღსანიშნავია, რომ ის ვარაზისშვილის თაოსნობით და ამ საზ-ბის სახსრებით მთაწმინდის საზ. მოღვაწეთა პანთეონში დაიდგა ა. წერეთლის ძეგლი. 1922 ის. ვარაზაშვილი ძმასთან, ივანესთან ერთად გაემგზავრა გერმანიაში, სადაც, კომერციული საქმიანობის გარდა, თანამშრომლობდა ,,რუსთაველის საზოგადოებასთან''. 1926 იგი საქართველოში დაბრუნდა და ნ. ნიკოლაძესთან ერთად დააარსა თბილ. საპაიო-საგამომცემლო საზ-ბა ,,ქართული წიგნი'', სადაც გამოიცა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული, დაიბეჭდა ნ. ბარათაშვილის, გ. ორბელიანის ლექსთა კრებულები, კ. გამსახურდიას მიერ თარგმნილი უცხოელ კლასიკოსთა ნაწარმოებები.

ახ. ეკონ. პოლიტიკის (ნეპი) დასრულების შემდეგ (XX ს. 30-იანი წლების დასაწყისი), საბჭ. მთავრობამ გადაწყვიტა ჰარიმანის კომპანიისათვის ჭიათურის მანგანუმის საბადოს ჩამორთმევა. ის. ვარაზაშვილი დაინიშნა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საზ-ბის სალიკვიდაციო საბჭოს კონსულტანტად.

1930 ის. ვარაზაშვილი საქართველოში სამონტაჟო-სამშ. ტრესტს ხელმძღვანელობდა. მიუხედავად დიდი დამსახურებისა, იგი პოლიტიკურმა რეპრესიებმა შეიწირა.

ვასილ სოფრომის ძე ვარაზი (ვარაზაშვილი) [1(13). I. 1888, თბილისი, – 9. IX. 1969, იქვე], ბიოქიმიკოსი და პათოფიზიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1925), პროფესორი (1930). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1944). 1918 დაამთავრა ხარკოვის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. სწავლის დასრულებისთანავე მუშაობა დაიწყო ხარკოვის უნ-ტის პათოფიზიოლოგიის კათედრაზე, ლაიფციგიდან მოწვეულ პროფ. რ. გრიმბერგთან. რ. გრიმბერგმა მას შესთავაზა გერმანიაში წასვლა, რაზეც ვ. ვარაზაშვილმა უარი განაცხადა და საქართველოში დაბრუნდა. მუშაობდა სამედ. პარაზიტოლოგიისა და ტროპ. მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1931 დაინიშნა სახელმწ. სამედ. ინ-ტის ბიოქიმიის კათედრის გამგედ.

ვ. ვარაზაშვილი იკვლევდა მალარიისა და აზიური ქოლერის დაავადებებს, ელექტროლიტებისა და წყლის ბალანსის დარღვევებს, ნახშირწყლებისა და აზოტური ცვლის ბიოქიმიის საკითხები, დაადგინა მეტაბოლიტების როლი ნივთიერების ცვლაში, დაამუშავა ფსიქონევროზისა და ეპილეფსიის ბიოქიმ. და მალარიის პათოფიზიოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხები და სხვ.

მსოფლიოს მეცნ. ყურადღება მიიპყრო ვ. ვარაზაშვილის ნაშრომებმა ,,ღვიძლში ცილების მარაგის შესახებ'' (Warasi W., Über das Reserveeiweiß in der Leber, ,,Zeitschrift für die gesamte experimentelle Medizin einschließlich experimenteller Chirurgie'', 1929, Bd. 66, Lfg. 1) და ,,ცენტრალური ნერვული სისტემა მალარიის დროს''. 1938 ნობელის კომიტეტმა იგი პრემიის შესაძლო კანდიდატად მიიჩნია და კაროლინის სამეფო ინ-ტის დავალებით (შვედეთი) ფიზიოლ. და მედ. დარგში 1939 წლის ნობელის პრემიის მოსაპოვებლად მესამე ტურის კონკურსზე მიიწვია. ეს ფაქტი მხოლოდ ვ. ვარაზაშვილის გარდაცვალების შემდეგ გამჟღავნდა – მან მოწვევა გადამალა იმ პერიოდში მიმდინარე რეპრესიების შიშით. მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდოები.

გიორგი სოფრომის ძე ვარაზაშვილი (7. IV. 1893, თბილისი, – 5. IX. 1966, იქვე), სამთო ინჟინერი, საქართვ. დამს. ინჟინერი (1964). თბილ. კლასიკური ვაჟთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1914) სწავლა განაგრძო გერმანიაში, დაამთავრა ბერლინის სამთო აკადემია. იყო გერმანიაში დაარსებული ,,რუსთაველის საზოგადოების'' მდივანი. ეხმარებოდა ძმებს ჭიათურის მრეწველთათვის საექსპორტო კავშირების დამყარებაში. ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას.

1925 გ. ვარაზაშვილი დაბრუნდა საქართველოში. თანამშრომლობდა ,,ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა აქციონერულ საზოგადოებასთან''. მუშაობდა ნატახტრის წყალსადენის მშენებლობაზე, დიდი წვლილი შეიტანა თბილ. წყალმომარაგების საქმეში, ასევე სოხუმის წყალმომარაგების სისტემის აღდგენაში. 1928-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას სპი-ში, გეოდ. და მარკშაიდერიის კათედრაზე. 1947 სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწვ. მინისტრის ბრძანებით, მიენიჭა სამთო დირექტორის პერსონალური წოდება (შემოღებულია 1947). მისი ნაშრომი ,,მთის რეგიონებში წყალსაცავებისა და წყალსამეურნეო სისტემების შექმნისა და ექსპლუატაციის საინჟინრო-ეკოლოგიური პრობლემები'' გამოქვეყნდა 2002 სპი-ს გამომცემლობაში. მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

ლიტ.: ჭანიშვილი ვ., მანგანუმის მადნის ქართველი მრეწველები, «მეცნიერება და ტექნიკა», 1988, №3; საქართველოს რესპუბლიკური სახელმწიფო არქივი, «საისტორიო მოამბე», 1990, №59–60; კრებული – ,,გამოჩენილი ინჟინრები და მეცნიერები'', შემდგ.: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე და სხვ.; სამეცნ. რედ. ა. ფრანგიშვილი, თბ., 2012.

თ. არსენაძე. ს. ბაქრაძე.

ვარაზაშვილი გიორგი დიმიტრის ძე (12. V. 1914, სოფ. ჯიმითი, ახლანდ. გურჯაანის მუნიციპალიტეტი, – 6. II. 1945, კოცუოლის ბორცვი, ტრევიზოს პროვ., ჩრდ. იტალია. დასაფლავებულია იმავე პროვ. სოფ. ტოვენაში), იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე II მსოფლიო ომის (1939 –45) დროს. 1940 დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკად. ქანდაკების ფაკ-ტი. ამავე წელს გაიწვიეს წითელ არმიაში. 1941 დაჭრილი ტყვედ ჩავარდა. 1942 ტყვეობას თავი დააღწია და ბრიანსკის ტყეებში პარტიზ. რაზმში იბრძოდა. 1943 კვლავ ტყვეობაში იყო ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში (იუგოსლავია, იტალია). 1944 ტყვეობიდან გაიქცა და ,,კაპიტან მონტის'' ფსევდონიმით ბრძოლა განაგრძო იტალიის პარტიზ. რაზმში ,,პიავე''. 1945 წ. 6 თებ. იტალ. ფაშისტებმა დაზვერვაზე წასულ 3-ს და ორ იტალ. პარტიზანს ალყა შემოარტყეს და ტყვედ დანებება მოსთხოვეს. 3-მა ტყვეობას სიკვდილი ამჯობინა და გულზე ხელყუმბარა აიფეთქა. იტალიის რესპ. პრეზიდენტის 1971 წ. 25 იანვ. დადგენილებით 3. სიკვდილის შემდეგ დააჯილდოვეს ბრინჯაოს მედლით ,,მხედრული მამაცობისათვის''. *ლ. ხუბულური.*



გ. ვარაზაშვილი.

ვარაზაშვილი ნინო გიორგის ასული (20. XII. 1926, თბილისი, – 27. VIII. 2009, იქვე), ჰიდროტექნიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი (1982), საქართველოს მეცნ. დამს. მოღვაწე



ნ. ვარაზაშვილი.



ა. ვარაზი.

(1990), საქართველოს ეკოლოგიურ მეცნ. აკად. (1977) და ,,ფაზისის'' აკად. (2000) წევრი. 1947 დაამთავრა სპი. 1947–50 მუშაობდა ,,საქსოფელექტროპროექტში''. 1951-იდან – წყალთა მეურნეობის და საინჟ. ეკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე (1957–71 – სექტორის გამგედ და 1972-იდან – სამთო წყალსაცავების და ზღვის ლაბორატორიის ხელმძღვანელად). პარალელურად ვ. კითხულობდა ლექციებს სას.-სამ. ინ-ტში (1970–93) და სპი-ში (1978–93). 1976–92 იყო სსრკ მეცნ. აკად. სამეცნ. საბჭოს წევრი, მონაწილეობდა სხვადასხვა სამეცნ. კომისიის მუშაობაში. 1978–92 ვ. იყო ზღვისა და წყალსაცავების წყლის რესურსების ათვისებისა და ეკოლ. უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშ. პროგრამების ერთ-ერთი განაკვეთის კოორდინატორი. ვ. იყო სამთო რეგიონებში, ბუნებრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, წყლის რესურსების გამოყენების და დაცვის საკითხების კომპლ. მეცნ. კვლევის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ავტორია მრავალი სამეცნ. შრომისა (მ. შ. 2 მონოგრაფია). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (2003).

თხზ.: წყლის რესურსების თავისებურებები, თბ., 1994; სამთო რეგიონების პირობებში წყალსაცავიანი წყალსამეურნეო სისტემების შექმნისა და ექსპლუატაციის საინჟინრო-ეკოლოგიური პრობლემები, თბ., 2003.

ვარაზ-ბაკურ გამრეკელი, ჯავახეთის ერისთავი XI ს. II ნახევარში. 1064 საქართველოში შემოიჭრა ალფ-არსლანი და ახალქალაქი აოხრა. ამის შემდეგ მან საქართვ. მეფეს ბაგრატ IV-ს დამოყვრება შესთავაზა – ცოლად სთხოვა დისწული, რ-იც ამავე დროს სომეხთა მეფის (ტაშირ-ძორაგეტის მეფე), კვირიკეს ძმისწული იყო. ბაგრატმა კვირიკესთან მოციქულად ვ.-ბ. ბ. მიაგზავნა. სომეხთა მეფემ უარი განაცხადა ძმისწულის გათხოვებაზე. ამ საბაბით ბაგრატ IV-მ კვირიკე შეიპყრო და სამშვილდე ჩამოართვა.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955. *ბ. კუდავა.*

ვარაზ-ბაკური, ვ ა რ ა ზ - ბ ა - ქ ა რ ი, ქართლის მეფე IV ს. II ნახევარში. აიგივებენ *ამიანე მარცელინუსის* მიერ მოხსენიებულ ასფაგურთან, რ-იც 368, რომაელთა მომხრე საურმაგის განდევნის შემდეგ, ირანელებმა გაამეფეს. 370 ვ.-ბ. იძულებული გახდა საურმაგისათვის დაებრუნებინა მტკვრის სამხრ-ით მდებარე ქართლის ნაწილი. 70-იანი წლების ბოლოს მან ირანელთა დახმარებით ისევ გააერთიანა ქართლი. ქართ. წყაროების თანახმად, ვ.-ბ-ის დროს ირანელებმა პირველად დააკისრეს ხარკის გადახდა ქართლს. მის დროსვე პირველად იხსენიება თბილისი.

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963.

ლიტ.: გ ო ი ლ ა ძ ე ვ., ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, «მნათობი», 1988, №3.

ლ.-ნ. ჯანაშია.

ვარაზ-ბაკური (გ. 456), ქართლისა და ალბანეთის მარზპანი V ს. 40-იანი წლების დამდეგიდან, *ბარზაბოდის* ძე და *ვახტანგ I* გორგასლის ბიძა. მამის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო მარზპანის ადგილი. ჯუანშერის ცნობით 447 ჩრდ. კავკასიაში სალაშქროდ მიმავალ ვახტანგ გორგასალს ვ.-ბ-მა 12000 მეომარი დაახმარა. 453–456 მან ირანის ჩრდ. ქუსტაქში შემავალი ქვეყნების ლაშქრით ვახტანგ გორგასალთან ერთად ბიზანტ. იმპერიის წინააღმდეგ გაილაშქრა. მოკლეს ბიზანტიელებთან ბრძოლაში. ვ.-ბ-ის ცხედარი ქართლ-ალბანეთის მარზპანთა რეზიდენციაში – ქ. ბარდავში გადაასვენეს.

წყარო: ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: გ ო ი ლ ა ძ ე ვ., ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა ქართულ საისტორიო ტრადიციაში, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნების ისტ. სერია, 1982, №4.

ვ. გოილაძე.

ვარაზ-გრიგოლი, ალბანეთის მთავარი VII ს. 20–30-იან წლებში. რეზიდენცია ჰქონდა ციხე-ქალაქ გარდმანში (შამქორის ხეობა). ვ.-გ-ს საქართველოში ჰერაკლე კეისრის ლაშქრობასთან დაკავშირებით იხსენიებს ,,*მოქცევაჲ ქართლისაჲ*'' (X ს.) და *სუმბატ დავითის ძე* (XI ს.), არაბების შემოსევებთან დაკავშირებით კი – *მოვსეს კალანკატვაცი.*

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. 1, ი. აბულაძის რედ., თბ., 1963; მ ო ვ ს ე ს კ ა ლ ა ნ კ ა ტ უ ა ც ი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ძვ. სომხურიდან თარგმნა ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1985; ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე, ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა, გ. არახამიას გამოც., თბ., 1990.

ლიტ.: მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980.

გ. არახამია.

ვარაზვარდი, *კამბეჩოვანის* მთავარი VI ს. II ნახევარში. *სუმბატ დავითის ძის* (XI ს.) ქრონიკაში დაცული ცნობების მიხედვით, ბაგრატიონთა საგვარეულოს ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელი. ვ-ის დროს კამბეჩოვანი (ისტ. ჰერეთის ერთ-ერთი პროვინცია) ცალკე ,,ქვეყანას'', დამოუკიდებელ ფეოდ. სენიორიას წარმოადგენდა. მისი ცენტრი იყო ხორნაბუჯში. ვ-მა ისარგებლა ირანელთა ბატონობით გამოწვეული უკმაყოფილებით თავისი ძმის (ასამის) დახმარებითა და შემწეობით, ,,გარდაუქცია ერი'' შაჰის ირანელ მოხელეს ვეზან ხორნაბუჯის ერისთავს, მოკლა იგი, დაიპყრო კამბეჩოვანი და თვითონ გამთავრდა.

წყარო: ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.


თ. პაპუაშვილი.

ვარაზი (ვ ა რ ა ზ ა შ ვ ი ლ ი) ავთანდილ ვასილის ძე (25. X. 1926, თბილისი, – 4. III. 1977, იქვე), ფერმწერი, გრაფიკოსი, არქიტექტორი. საქართვ. დამს. მხატვარი (1967). დაამთავრა თბილ. პოლიტექ. ინ-ტის არქიტექტურის ფაკ-ტი (1948) და ქართ. ხელოვნების ისტორიის ინ-ტის ასპირანტურა (1951). ძირითადად მუშაობდა პორტრეტისა და ნატურმორტის ჟანრში. შექმნა თბილისელ მოქალაქეთა პორტრეტები: ,,ვახტანგ რურუა'' (1962), ,,ქალი ჭრელ კაბაში'' (1964), ,,მანანა თავსაფრით'' (1964), ,,ლიკა'' (1971), ,,ნესტან ლეონიძე'' (1972) და სხვ. მიმართავდა კოლაჟის ტექნიკას: კომპოზიცია ,,ვიოლინო'' (1970), ,,ხარის თავი'' (1970) და სხვ. მრავალი ნახატი შესრულებული აქვს კალმით, გაზავებული ტუშით, ფანქრით: ,,ქალი თმას ივარცხნის'' (1967), ,,პოეტი'' (1972), ,,ქალიშვილის ტორსი'' (1975) და სხვ. ვ-ის ნატურმორტებისათვის დამახასიათებელია მონოქრომიზმი, კომპოზიციის სისადავე, საგნებისა და სივრცის ორგანიზებული ერთიანობა (,,მსხლები'', 1973; ,,ნატურმორტი ლიმონით'', 1973).

1959-იდან, როგორც მხატვარი და არქიტექტორი მუშაობდა ს. ჯვანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის არქეოლ. განყ-ბისა და ფეოდ. ხანის განყ-ბის ექსპოზიციებზე. 1966 ორიგინალურად გააფორმა არქეოლ.

გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთების გამოფენა. ეს იყო ახ. სიტყვა ქართ. საექსპოზიციო ხელოვნებაში. 1966 გააფორმა შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენა საქართვ. სურათების ეროვნ. გალერეაში და გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმის ექსპოზიცია. მხატვრულად გააფორმა კინორეჟისორ გ. შენგელაიას ფილმი ,,ფიროსმანი'', სადაც ფიროსმანის როლი თავად შეასრულა (1970) – შექმნა მხატვრის ღრმა ფსიქოლოგიზმით აღბეჭდილი დასამახსოვრებელი სახე.

ვ-ის ნამუშევრები დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების



ა. ვ ა რ ა ზ ი. ,,ვიოლინო''. 1970.

მუზეუმში, კერძო კოლექციებში თბილისში და საზღვარგარეთ.

მ. კარბელაშვილი.

ვარაზი (ვ ა რ ა ზ ა შ ვ ი ლი) ვასილ სოფრომის ძე – IX. ვ ა რ ა ზ ა შ ვ ი ლ ე ბ ი.

ვარამ გაგელი, იხ. *გაგელი* ვარამ.

ვარგავი, სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალქალაქის პლატოს ჩრდ.-დას. ნაწილში. თემის ცენტრი (სოფლები: ვ., თოკი). ზ. დ. 1720 *მ*, ასპინძიდან 32 *კმ*. 105 მცხ. (2002). სოფლის მიდამოებშია ტუფის საბადო.

,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში'' ვ. ოსმალთაგან დაპყრობილი ჯავახეთის გაუკაცრიელებულ სოფლად არის მოხსენიებული. მაშინ იგი შედიოდა ხერთვისის ლივის ტყიანი ჯავახეთის ნაჰიეში და გადასახადად ჰქონდა შეწერილი 3000 ახჩა. სოფელში არის გვიანდ. ხანის ეკლესიის ნანგრევი, ე. წ. ,,იესოს გული'', რ-საც არავითარი მორთულობა არ აქვს, სასაფლაო სამია: ქართველების, ,,ფრანგების'' (კათოლიკური) და სომხების. ვ-ში მცხოვრებთა გვარებია: შეშაბერიძე (კავთისხევიდან მოსული), ლაზარაშვილი (ხერთვისიდან), თარხნიშვილი, თამაზაშვილი და დათიაშვილი (ხიზაბავრიდან), დავლაშერიძე (როკითიდან). ადგილობრივთა გადმოცემით, ისინი აქ დასახლებულან XIX ს. I ნახევარში. მაშინ იგი უკვე ნასოფლარი ყოფილა. სოფელს ჩრდ.-აღმ-ით ორი სერი ესაზღვრება; ,,პატარა სერი'' ძვ. ნასახლარია, რ-საც შერჩენილი აქვს კოშკის ნანგრევი თავის გალავნიანად. მეორე ,,დიდი სერიც'' გალავანშემოვლებული ნასახლარია სადგომთა ნაშთებით. აკრეფილი კერამ. ფრაგმენტები ორივეგან ადასტურებს როგორც წინარე, ისე ადრინდ. ფეოდ. ხანის საცხოვრისებს. ვ-ში შემორჩენილია ძვ. ქართ. დარბაზიც [სიმონ შეშაბერიძესთან, რ-იც შეიცავს სხვადასხვა დანიშნულების სათავსებს: ბაგა (იქვეა ფურნეც), ბოსელი, დარბაზი (იქვეა ხორბლის საწყობი), ოდა (საძინებლითა და ბუხრით)]. *დ. ბერძენიშვილი.*

ვარდან არეველცი, ვ ა რ დ ა ნ ბ ა რ ძ რ ბ ე რ დ ე ც ი, ვ ა რ დ ა ნ დ ი დ ი (დაახლ. 1200/10–1271). სომეხი სწავლული, ბერი, დაიბადა ბარძრბერდში (კილიკია). მას მიაკუთვნებენ რელიგ. შინაარსისა და ისტ.-გეოგრ. ხასიათის თხზულებებს. წარმომავლობით იგი აღმ. სომხეთიდან უნდა იყოს, რაზეც მისივე სახელწოდება ,,არეველცი'' (აღმოსავლელი) მიგვითითებს.

ვ. ა-ის ,,მსოფლიო ისტორია'' გვაწვდის ცნობებს სომხეთისა და მეზობელი ქვეყნების, მ. შ. საქართველოს შესახებ უძველესი დროიდან 1267-მდე. იგი უმთავრესად წინამორბედ ისტორიკოსთა შრომებს ემყარება. ამასთან, ნაშრომში ისტ. მნიშვნელობის ისეთი ცნობებიცაა, რ-ებიც სხვა წყაროებით ცნობილი არ არის. ნაშრომში გამოყენებულია ქართ. წყაროების ცნობებიც (მაგ., ქართვ. მეფეთა შთამომავლობის გადმოცემისას), მაგრამ არა უშუალოდ, არამედ მხითარ ანელის ,,ისტორიის'' მეშვეობით. ვ. ა-ის თხზულებაში საქართველოს შესახებ საყურადღებო ისტ. ცნობაა არაბების მიერ ქართლის ერისმთავრად აშოტ დიდი კურაპალატის დანიშვნისა და შემდგომ მისი სამფლობელოს გაფართოების შესახებ (კლარჯეთიდან თბილისამდე). ვ. ა-ის ცნობით დავით აღმაშენებელმა საბერძნეთში გაგზავნა 40 ახალგაზრდა იქაურ სკოლებში სწავლის მისაღებად და მთარგმნელობით ხელოვნებაში გასაწვრთნელად. ერთობ საყურადღებოა ვ. ა-ის ცნობა სომეხთა პატრიარქის ვაჰანის (X ს.) მიერ სომხ. ეკლესიებში ქართ. ხატების შეტანის მცდელობაზე, რის გამოც იგი საპატრიარქო ტახტიდან გადაუყენებიათ.

ვ. ა. მთარგმნელიც ყოფილა. სხვა ავტორთან ერთად მას მიაწერენ ასურულიდან პეტრე იბერის მოწაფის, იოანე მაიუმელის ,,პლეროფორის'' თარგმანს, რ-შიც მონოფიზიტობის ისტორიასთან ერთად გადმოცემულია პალესტინაში პეტრე იბერის მოღვაწეობის ეპიზოდები.



ა. ვ ა რ ა ზ ი. ნიკო ფიროსმანი, კადრი ფილმიდან ,,ფიროსმანი''.

თხზ.: მსოფლიო ისტორია. ძვ. სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ, თბ., 2002.

ლიტ.: მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი ლ., ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941; А б е г я н М., История древнеармянской литературы, Ер., 1975.

გ. მაისურაძე.

ვარდანიანცი ლევონ არსენის ძე (28. IX. 1893, ეკატერინოდარი, ახლანდ. კრასნოდარი, რფ, – 18. V. 1971, ლენინგრადი, ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი), სომეხი გეოლოგი. სომხეთის მეცნ. აკად. წ.-კორ. (1945). გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1939), პროფესორი (1940). დაამთავრა დონეცკის პოლიტექ. ინ-ტის სამთო ფაკ-ტი (1918). 1926-იდან მუშაობდა სსრკ გეოლ. კომიტეტში. ვ-ის კვლევები ეძღვნება კავკ., შუა აზიის, აღმ. ევროპის გეოლ. აგებულებას და გეოლ. მეცნიერებათა (კრისტალთა ოპტიკის, მინერალოგიის, პეტროლოგიის) თეორ. საკითხებს. შეისწავლა ცენტრ. კავკასიონის გვიანდ. იურული და კაინოზოურ-მეოთხეული ნალექების სტრატიგრაფიის, ტექტონიკის, სეისმოტექტონიკისა და გეოლ. განვითარების ისტ. საკითხები, მეოთხეული გამყინვარების სტადიები კავკასიაში, დევდარაკის მყინვარი, ჩრდ. კახეთის მაგმური წარმონაქმნები, მამისონის სპილენძის გამოვლინება და სხვ. შეადგინა კავკასიის მილიონიანი მასშტაბის გეომორფოლოგიური, სტრატიგრაფიული, ტექტონ., სეისმოტექტონიკური, პეტროგრაფიული რუკები (1935

ვარდი
საბაღო ფორმები
სახეობები



ნაოჭა ვარდი (Rosa rugosa).



სურნელოვანი ვარდი (Rosa odorata).



ყვითელი ვარდი (Rosa lutea).

ჯიშები



ჩაის ჰიბრიდი – სოფი ლორენი (Sophia Loren).



ფლორიბუნდა – დედოფალი ელიზაბეტი (Queen Elizabeth).

–67). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: О некоторых стратиграфических и тектонических соотношениях в Центральном Кавказе между ВГ и ВО дорогами, «Известия Геол. комитета», 1929, т. 48, в. 4; Об орогенических фазах верхней юры на Кавказе, «Доклады АН СССР», 1934, т. 3, №5; Об отложениях титана и валанжина в верховьях рек Ардон и Терек в Центральном Кавказе, «Известия АН СССР», сер. 7, 1934; Интрузивы Северной Кахетии, «Проблемы современной геологии», 1936, т. 8, №4; Постплиоценовая история Кавказско-Черноморско-Каспийской области, Ер., 1948. *ვ. ზესაშვილი.*

ვარდანისძენი, დიდ ფეოდალთა საგვარეულო XI–XV სს. საქართველოში. სავარაუდოა, რომ წარმოდგება მარუშიანთა (მარუშისძეთა) საგვარეულოდან. შემდეგ ,,მარუშიანი'' ვარდანისძეთა გვარში პირის სახელად დამკვიდრდა. ისტ. წყაროების მიხედვით, ვ-თა გვარის პირველი წარმომადგენელი და მისი დამფუძნებელი ჩანს სვანთა ერისთავი ვარდან, რ-იც საქართვ. მეფე *გიორგი II-ის* დროს მოღვაწეობდა. სხვა დიდ ფეოდალებთან ერთად ისიც განუდგა მეფეს. გიორგი II-ს ჯილდოებითა და წყალობით შემოურიგებია გამდგარი დიდგვარიანები, მათ შორის ვარდანი და მისთვის ასკალანა უბოძებია. ვ-თა საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ ერისთავთერისთავები, სვანთა ერისთავები. სხვადასხვა პერიოდში მეფის კარზე მათ ჰქონდათ სხვადასხვა სავაზირო ხელი: ერთიანი საქართვ. მეფის მეჭურჭლეთუხუცესობა, ლიხთ-იმერეთის მეფის მსახურთუხუცესობა, მეჭურჭლეთუხუცესობა და მანდატურთუხუცესობა, სავარაუდოა, რომ ვ-თა საგვარეულოს განშტოება იყო დადიანთა გვარი.

XII ს. 80-იან წლებში სვანთა ერისთავად იხსენიება ბარამ ვარდანისძე, მეჭურჭლეთუხუცესად – კახაბერ ვარდანისძე (ყუთლუ-არსლანის გადაყენების შემდეგ, აბულასანისათვის მეჭურჭლეთუხუცესობის ბოძებამდე); ვარდანისძე უნდა იყოს, აგრეთვე იმ დროს ჩუხჩარხად მოხსენიებული მარუშიანიც. თამარის ისტორიკოსი კახაბერ ვარდანისძეს, სხვა მოხელეებისაგან გამორჩევით, საგანგებოდ უწოდებს ,,დიდსა და გვარიან კაცს''. ვ-თა წარჩინებაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ისინი ლიხთიმერეთის ორ სხვა საგვარეულოსთან (საღირისძეებთან და ამანელისძეებთან) ერთად მონაწილეობდნენ თამარის კურთხევაში. მათ ჩააბარეს თამარს მთავარსარდლის ინსიგნია – ხმალი. დას. საქართვ. დიდგვარიანთა და, კერძოდ, ვ-თა დაწინაურებას სამეფო კარზე ხელი შეუწყო დემნა უფლისწულის აჯანყებამ (1177), რ-შიც უმთავრესად აღმ. საქართველოს დიდგვარიანები მონაწილეობდნენ, ხოლო გიორგი რუსის აჯანყებამ (1191), რ-შიც ძირითადად დას. საქართველოს დიდგვარიანები (და მათ შორის ვარდანისძეებიც) მონაწილეობდნენ, გამოიწვია ამ საგვარეულოს სამეფო კარისაგან ჩამოცილება. XII ს. 80-იანი წლებიდან XIII ს. II ნახევრამდე ვ-თ აღარ ჰქონდათ სახელმწ. უწყების გამგებლობა (უხუცესობა). ლიხთ-იმერეთში დავით ნარინის მიერ ცალკე სამეფო დინასტიის დაფუძნებამ კვლავ დააწინაურა დას. საქართველოს დიდგვარიანები, მათ შორის ვ-ც. ისინი კვლავ იღებენ სამეფოს ვაზირის – უხუცესის – სხვადასხვა სახელოს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე, ტ. 2, თბ., 1959; მატიანე ქართლისა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955; მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI–XVII სს.), თბ., 1962.

ლიტ.: მესხია შ., საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს. საქართველოში, თბ., 1979; შოშიაშვილი ნ., XII–XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი, «ცისკარი», 1965, №9. *ნ. შოშიაშვილი.*

ვარდან სვანთა ერისთავი, XI ს. II ნახევრის დიდი ფეოდალი. *იხ. ვარდანისძენი.*

ვარდგინეთი, სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტის ყვიბისის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ბორჯომის ხეობაში, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 940 *მ*, ბორჯომიდან 6 *კმ*. 247 მცხ. (2002).

,,ვარდგინეთი'' ამ ადგილის სახელწოდებად ისტ. წყაროებში არ მოიხსენიება. ძვ. თორში, რ-ის ნაწილს შეადგენდა ხეობა, იყო ვარდის სოფელი, ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) სოფლების სიაში და რუკაზეც იგი თორის ციხისჯვართანაა აღნიშნული. სოფლის სახელი ,,ვარდგინეთი'' ახალია და იგი შეურქმევიათ ძვ. ნასახლარისათვის.

სოფლის განაპირას წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევია. იგი კლდის ლოდებით ნაშენი ერთნავიანი ნაგებობაა, რ-საც ემჩნევა ხშირი გადაკეთების კვალი. ირგვლივ ძვ. და ამჟამადაც მოქმედი სასაფლაოა. საფლავებს შორის ხუთამდე მეტ-ნაკლებად დანგრეული, მცირე ზომის ქვის კონუსური ნაგებობაა, მათ გვირგვინერდოიანი გადახურვა ჰქონდათ. ასეთი ძეგლები თორში გვხვდება ძვ. დროიდან ადრინდ. ფეოდ. ხანის ბოლომდე. ეკლესია და სასაფლაო ამ შენობათა დანგრევის შემდგომ დროს – განვითარებული ფეოდალიზმის ხანას – უნდა ეკუთვნოდეს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თ. ენუქიძისა და გ. ბედოშვილის გამოც., თბ., 1986.

ლიტ.: Сумбадзе Л., Архитектура грузинского народного жилища – Дарбази, Тб., 1983. *დ. ბერძენიშვილი.*

„ვარდების რევოლუცია“, პირობითი სახელწოდება 2003 წ. ნოემბერში საქართველოსა და უმთავრესად თბილისში განვითარებული მოვლენებისა, რომლის შედეგადაც გადადგა პრეზიდენტი ე. *შევარდნაძე* და დაინიშნა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები.

2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების პირველადი შედეგების გამოქვეყნებისთანავე მაშინდელმა ოპოზიციამ არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადა. ზ. *ჟვანიამ*, ნ. ბურჯანაძემ და მ. *სააკაშვილმა* მომხრეებთან ერთად საპროტესტო აქციები დაიწყეს. 22 ნოემბერს ხელისუფლებამ ახალ არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა დანიშნა. ოპოზიციამ თბილისში (ამ დროისათვის მას საკუთარი მომხრეები ჰყავდა ჩამოყვანილი რაიონებიდან) მასშტაბური საპროტესტო აქცია მოაწყო, რ-იც პარლამენტის შენობაში შესვლით, სხდომათა დარბაზის დაკავებითა და სხდომის ჩაშლით დამთავრდა. ოპოზიციის ნაწილმა მთავრობის კანცელარიის შენობა დაიკავა. 23 ნოემბერს საპროტესტო აქციები გაგრძელდა. შედგა შეხვედრა ზ. ჟვანიასი და მ. სააკაშვილისა ე. შევარდნაძესთან, რ-ის შემდეგ ე. შევარდნაძემ გადადგომის გადაწყვეტილება მიიღო. პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება ნ. ბურჯანაძეს დაევალა და დაინიშნა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები.

ვარდევანი, სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტის გვერდისუბნის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), თორის ქვაბულში, მდ. გუჯარეთისწყლის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 1500 *მ*,

ბორჯომიდან 33 *კმ*, წაღვერიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 19 *კმ*. 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

სოფლის სახელწოდება ახალია და ისტ. წყაროებში – უცნობი. ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) სოფლების სიისა და რუკის მიხედვით, ამ სოფლის ძვ. სახელწოდება შესაძლოა ლელისუბანი იყო.

სოფლის სამხრ-ით, შემაღლებულ ადგილზე, შემორჩენილია X ს. შუა წლების ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევები. შიგნით და გარედან ნაგებია სწორად ნაწყობი მოვარდისფრო ტუფის გათლილი მოზრდილი კვადრებით. შესასვლელი სამხრ-იდან ჰქონდა. იქვე გდია ვეება, კარგად დამუშავებული ვარდისფერი ქვის არქიტრავი, რ-ზედაც გამოსახულია ორი ლილვით შექმნილ წრეში ჩასმული ტოლმკლავებიანი, ბოლოებგაშლილი ჯვარი. კედლებთან პროფილიანი კარნიზის ქვები ყრია, იქვეა კედლიდან ჩამოვარდნილი ქვა ასომთავრული წარწერის ფრაგმენტით: ,,მშლი'' (მშობელი?, მაშენებელი?). კარნიზი სოფ. *გვერდისუბნის* ეკლესიის კარნიზის მსგავსია – აქაც მის პროფილს მაღალი შეზნექილი არე და ვიწრო თარო შეადგენს. ეკლესიას ირგვლივ სასაფლაო აკრავს.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., გიორგაძე მ., ჩაჩხუნაშვილი ც., ჭანიშვილი გ., გუჯარეთი, თბ., 1987. *დ. ბერძენიშვილი.*

ვარდელი კონსტანტინე პეტრეს ძე (დ. 5. V. 1939, ლენინგრადი), მევიოლინე. საქართვ. სახ. არტისტი (1980). შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. (1992) და ზ. ფალიაშვილის სახ. (1971) პრემიების ლაურეატი. თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის პედაგოგი (1966–90), პროფესორი (1984). 1963 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. ლ. შიუკაშვილის კლასი). ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ეწეოდა აქტ. საკონცერტო მოღვაწეობას. იყო ქ. ვლადიმირის სიმებიანი კვარტეტის (ხელმძღვ. პროფ. ვ. კუბაცკი) წევრი. 1966-იდან საქართვ. სახელმწ. სიმებიანი კვარტეტის წევრია. კვარტეტთან ერთად მართავდა კონცერტებს სსრკ ქალაქებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში (გერმანია, საბერძნეთი, ჩეხეთი, სლოვაკია, იტალია, შვედეთი, ფინეთი, სამხრ. ამერიკა, უნგრეთი, ჰოლანდია, ბელგია და სხვ.). ასრულებდა ქართველ, რუს და დას. ევროპის კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. 1990-იდან იყო გერმანიაში და 1998-მდე მონაწილეობდა ლ. ისაკაძის კამერულ ორკესტრში (I ვიოლინო). პერიოდულად მართავდა კონცერტებს საქართველოში (სიმებიანი კვარტეტის შემადგენლობაში). 2005-იდან კვლავ საქართველოშია. არის სიმებიანი კვარტეტის ლ. ვაინერის სახ. საერთაშ. კონკურსის ლაურეატი (კვარტეტის წევრებთან ერთად, 1973, ბუდაპეშტი). *ლ. საყვარელიძე.*

ვარდი (Rosa), მცენარის გვარი ვარდისებრთა ოჯახისა. ცნობილია დაახლ. 400 ველური სახეობა (ასკილი), რ-ებიც გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროში. ვ-ების მრავალფეროვნებით გამორჩევა აზია, ნაკლებად – ევროპა და ჩრდ. ამერიკა. საქართველოში ვ. უძველესი დროიდანაა კულტივირებული. აქ მისი 25-მდე სახეობა გვხვდება. ვ. მარადმწვანე ან ფოთოლმცვენი ბუჩქია, რ-ის სიმაღლე 15 *სმ*-იდან 2 *მ*-მდე აღწევს. ზოგიერთ სახეობას გრძელი (10–12 *მ*-მდე) ხვიარა ტოტები აქვს, ღერო დაფარულია ეკლებით. ფოთოლი კენტფრთისებრია, ღეროზე მორიგეობით განლაგებული. ყვავილი მარტივია ან ბუთხუზა (2–15 *სმ* დიამეტრის), არომატული ან უსუნო, ვარდისფერი, წითელი, თეთრი, ყვითელი, ნარინჯისფერი ან იასამნისფერი; შეკრებილია ქოლგისებრ-საგველა ყვავილედებად ან ერთეულია. ნაყოფი ერთთესლიანი (ზოგჯერ რამდენიმეთესლიანი) კაკლუჭაა, რ-იც ხორცოვან ცრუნაყოფშია მოთავსებული. ვ-ის გვარი იყოფა 4 ქვეგვარად, რ-თაგან ყველაზე დიდია Rosa, იგი მოიცავს 192 სახეობას. აქედან განვითარდა საბაღო ვარდები. ვ-ის ბევრი სახეობა ბუნებრივ პირობებში ადვილად ეჯვარება ერთმანეთს და წარმოქმნის სახეობათშორის ჰიბრიდებს. ცნობილია ვ-ის 25 ათ. ჯიში და ფორმა.

ვ. მრავლდება დაკალმებით, ამონაყრით, ბუჩქის დაყოფით, გადაწვენით, ბაღისა და საპარკე ვ-ების უმეტესობა – კვირტით და კალმით მყნობით. საქართველოში მყნობა იწყება ივნისიდან, გრძელდება ოქტომბრამდე, ირგვება გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ვ. კარგად ხარობს თიხნარ, ქვიშნარ, ქვიშიანსა და თიხიან ნიადაგებზე. 1948-იდან თბილ., ბათუმისა და სოხუმის ბოტან. ბაღებში მიმდინარეობდა სამეცნ.-კვლ. მუშაობა ვ-ის ინტროდუქციისა და სელექციის დარგში. მას იყენებენ დეკორ. მებაღეობაში და ჰიბრიდიზაციისათვის. ზოგიერთი სახეობისაგან იღებენ ეთეროვან ზეთებს. ვ-გან ამზადებენ მურაბას. ბევრი სახეობის ცრუ ნაყოფის რბილობი შეიცავს C, ნაწილობრივ P ვიტამინს. ვ-ის დაავადებებია: ნაცარი, ჟანგა, ნაცრისფერი სიდამპლე, ფოთლების შავი ლაქიანობა და სხვ. მავნებლებია – ბუგრი, ხერხია, ფოთლიხვევია და სხვ.

მ. ექვთიმიშვილი. ჟ. ავალიშვილი.



კ. ვარდელი.

ვარდიაშვილი ანა დიმიტრის ასული (31. V. 1900, სოფ. საბუე, ყვარლის მუნიციპალიტეტი, – 15. X. 1978, თბილისი), ხალხური მომღერალი, საქართვ. დამს. არტისტი (1960). 1931 დაამთავრა თბილ. რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრთან არსებული სტუდია. ერთხანს ირიცხებოდა ამ თეატრის მუდმივ დასში (ასრულებდა სახასიათო როლებს). 1939 შედგა ვ-ის, როგორც მომღერლის, დებიუტი მედუდუკეთა ანსამბლთან ერთად (ხელმძღვ. ხ. ტალგაუკოვი). 1939–47 ვ. საქართვ. რადიოკომიტეტის სოლისტი იყო. ამ პერიოდში მეტად პოპულარული გახდა მის მიერ შესრულებული სიმღერები: ,,იავნანა'', ,,არწივი'', ,,გუთნური'', ,,ციცინათელა'', ,,სალამი, ჩიტუნებო'', ,,სიზმარი'', ,,მოხევის ქალო თინაო'', ,,მშვენიერო, შენ გეტრფი'', ,,კეკელა და მარო'', ,,მუხამბაზი'', ,,თამარ ქალის სიმღერა'', (,,ჩემი გმირი გიწოდე'') და სხვ. ვ. ძირითადად აღმოსავლური ტიპის ანსამბლის, ე. წ. *დასტის* თანხლებით მღეროდა (სიმღერებს ასრულებდა ჩონგურის, დუდუკის, გიტარის თანხლებითაც). განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ღვაწლი ამ ანსამბლის აღმოსავლური რეპერტუარის გაქართულებაში. მან ანსამბლს დაუმატა მესამე დუდუკი. დამატება განპირობებული იყო ქართ. სიმღერების სამხმიანი ბუნებით. ანსამბლმა დიდი პოპულარობა მოუპოვა მომღერალს საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ.



ა. ვარდიაშვილი.

ვარდიაშვილი ვარო (ბარბარე) მათეს ასული (1888, სოფ. ვაქირი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 5. I. 1962, თბილისი), პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. საქართვ. დამს. მასწავლე-

ვარდი ეთერზეთოვანი



დამასკური ვარდი (Rosa damascena).



ასფურცელა ვარდი (Rosa centifolia).



კაზანლიკური ვარდი.

ბელი (1939). დაამთავრა ბოდბის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი (1905). სხვადასხვა დროს მუშაობდა სოფ. ალექსანდროვკის (სიღნაღის მაზრა) სახალხო სკოლაში, ბოდბის საცდელ-სანიმუშო სახალხო სკოლაში და შვიდწლიან სანიმუშო სკოლაში, სიღნაღის ქალთა პროგიმნაზიაში რუს. ენისა და ლიტ-რის მასწავლებლად, თბილ. ქალთა I გიმნაზიაში ქართ. ენისა და ლიტ-რის მასწავლებლად. არის ავტორი სახელმძღვანელოებისა: ,,კლასგარეშე კითხვის ორგანიზაციისათვის'' (1948), ,,სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის'' (1954), ,,განმეორება – ცოდნის განმტკიცებისა და გაღრმავების აქტიური მეთოდი'' (1951) და სხვ. *ა. სამადაშვილი.*

ვარდიაშვილი ნინო მათეს ასული [12(24). III. 1897, სოფ. ვაქირი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 1. XI. 1975, თბილისი], პედაგოგი. საქართვ. დამს. მასწავლებელი (1955), ნ. კრუპსკაიას სახ. პრემიის ლაურეატი (1967). დ. მენდელეევის სახ. საკავშ. საზ-ბის წევრი. 1927 დაამთავრა თბილ. სახელმწ. უნ-ტის საბუნების-მეტყველო ფაკ-ტი. 1915-იდან პედაგოგად მუშაობდა სოფ. კალაურის დაწყებით სკოლაში (ახლანდ. გურჯაანის მუნიციპალიტეტი), 1916-იდან – სიღნაღის მარიამის პროგიმნაზიაში, 1917–19 – ორკომპლექტიან უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში, 1920–28 – თბილ. 21-ე შრომით სკოლაში, ხოლო 1928-იდან სიცოცხლის ბოლომდე – თბილ. პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში (ახლანდ. თბილ. პირველი კლასიკური გიმნაზია) ქიმიის მასწავლებლად. ვ. იყო ნოვატორი მასწავლებელი, რ-იც შემოქმედებითად იყენებდა სწავლებისა და აღზრდის უმდიდრეს მეთოდებს. იგი მხარში ედგა მოსწავლეთა ქართ. სიმღერის გუნდს, რ-იც თბილ. ოლიმპიადის ლაურეატი გახდა (1953). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ა. სამადაშვილი.

ვარდიგორა, სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის თუზის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის ჩრდ. მთისწინეთში, მდინარეების ძუსისა და ბუჯის (ყვირილის აუზი) წყალგამყოფ სერზე. ზ. დ. 370 *მ*, თერჯოლიდან 17 *კმ*, ზესტაფონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 21 *კმ*. 350 მცხ. (2002).

სოფლის მიდამოებშია ზედაცარცულ შრეებრივ კირქვებში გამომუშავებული სამჭინკას მღვიმე.

ვარდი ეთერზეთოვანი, მრავალწლოვან მცენარეთა ჯგუფი ვარდისებრთა ოჯახისა. მისი სამშობლოა ირანი. 1,5 *მ*-მდე სიმაღლის ბუჩქია. აქვს ეკლიანი ღერო, რთული ფოთოლი, ბუთხუზა ყვავილი – ვარდისფერი, თეთრი ან წითელი, ყვავილედად შეკრებილი ქოლგა. ცნობილია 500-მდე სახეობა. გავრცელებული სახეობებია: დამასკური (R. damascena), ფრანგული (R. gallica) და ასფურცელა (R. centifolia) ვარდები, რ-თაგან პოპულარულია დამასკური ვარდი (კაზანლიკურის წინაპარი), ყირიმის წითელი ვარდი და სხვ. საქართველოში პირველი პლანტაცია გაშენდა 1897. გავრცელებულია თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, აბაშის მუნიციპალიტეტებში. 1 ჰა იძლევა 2–5 *ტ* ყვავილის მოსავალს, რ-ისგანაც მიიღება 1,5–2 *კგ* ეთერზეთი. იყენებენ პარფიუმერიაში, კოსმეტიკაში, კვების მრეწველობასა და მედიცინაში.

ი. ლეკვეიშვილი.

ვარდისუბანი, XIX ს-ში ძველი ვერის – საგაბაშვილოს – ტერიტორიაზე გაჩენილი სოფლური დასახლება. სახელწოდება მიიღო აქ არსებული ასკილის (გარეული ვარდი) ბუჩქნარის გამო. აღსანიშნავია, რომ 1884 თბილ. გეგმაზე ვარაზისხევის ადგილას დატანილ ხევს ეწოდება ,,...овраг Вардисхеви''.

ვ. დაახლოებით შემოიფარგლებოდა თ. ჭოველიძის, პ. მელიქიშვილის, კ. კეკელიძის ქუჩებითა და ზემო ვერის დასახლებით (ე. წ. ,,სემიონოვკის დასახლება''). ამ ადგილას სოფ. ვ-ის არსებობაზე მიგვანიშნებს ამავე სახელწოდების ქუჩა (ახლანდ. ს. ჯანაშიას ქუჩა) და ,,ვარდისუბნის მთა'' (ახლანდ. ზემო ვერე). ამ ტერიტორიის ქალაქური განაშენიანება XIX ს. 80-იანი წლებიდან იწყება.

ლიტ.: ბერიძე თ., ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977; თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები, ენციკლოპედია, თბ., 2008.

ვარდისუბანი, სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტის დიდი დმანისის თემში (ქვემო ქართლის მხარე), დმანისის პლატოზე, მდ. მაშავრის (ხრამის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 840 *მ*, დმანისიდან 15 *კმ*, კაზრეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 15 *კმ*. 403 მცხ. (2002).

ქვემო ქართლში ამ სახელწოდების რამდენიმე სოფელი იყო, რაც ვარდების სიმრავლეს, ვარდნარს აღნიშნავდა. ქართლის მეფემ სიმონმა 1588 დმანისის ღვთისმშობელს სხვა სოფლებთან ერთად შესწირა ვ. და დმანისის ხეობის დამღის (საბაჟოს გადასახადი) ნახევარი. საყაფლანიშვილოს შემოსავლის დავთარში ვ-ის ზვარს 1619 წ. შეწერილი ჰქონდა 28 საპალნე ღვინო. 1721 აღწერით სოფელში ითვლებოდა ერთი მებატონე (ყაფლანიშვილი), 8 მემამულე აზნაური (ავთანდილიშვილები), 8 გამომღები და 10 ბოგანო ყმა. ვ-ის სიახლოვეს აღმოჩენილია ადრინდ. ფეოდ. ხანის (IV–VIII სს.) სამაროვანი. იქაური ქვასამარხების მჭიდრო განლაგება მოზრდილი დასახლების არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. სოფელში ერთი დარბაზული მცირე ეკლესიაა, რ-იც გვიანდ. საუკუნეებში საფუძვლიანად არის გადაკეთებული. აღმ. და დას. კედლებში ჩასმული წუნელჩუქურთმიანი და ჯვრიანი ქვები კი განვითარებულ შუა საუკუნეებს (XII–XIII სს.) განეკუთვნება. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა ძვ. და ახ. საფლავის ლოდებით.

წყარო: ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში, ნაწ. 1–2, თბ., 1935; ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1955; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, თ. ჟორდანიას გამოც., წგ. 2, ტფ., 1897, წგ. 3, თბ., 1967.

ლიტ.: ბოლქვაძე გ., ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანი დმანისის რაიონიდან, «ძეგლის მეგობარი», 1984, №66. *დ. ბერძენიშვილი.*

ვარდისუბანი, სოფელი თელავის მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, მდ. თურდოს (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს, ახმეტა–თელავისა და თელავი–გომბორის საავტ. გზებზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 640 *მ*, თელავიდან 3 *კმ*. 3,3 ათ. მცხ. (2002).

სოფელი მოხსენიებულია 1800 შედგენილ განჩინებაში, სადაც ჩანს, რომ იგი საქართვ. პატრიარქის, ე. ი. მცხეთის საკათოლიკოსოს კუთვნილება ყოფილა.



ვარდისუბანი. ეკლესია ,,დეკანოზური''. VI ს.

სოფლის მახლობლად, გომბორი – თელავის გზიდან 3 *კმ*-ზე, ტყეში დგას VI –VII სს. მიჯნის ხუროთმოძღვრების ძეგლი, თეთრი გიორგის *სამეკლესიანი ბაზილიკა*. ადგილ. მცხოვრებნი მას ,,დეკანოზურს'' უწოდებენ.

სოფლის სამხრეთით, ადგილ ,,სოფლის თავში'' შემორჩენილია საცხოვრ. კომპლექსის კოშკისა და მასზე მიდგმული საცხოვრ. დარბაზის ნაშთი, ასევე ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევები. მოსახლეობა მას ,,ბაქრაძიანთა კოშკებს'' უწოდებს. სოფელში, ყარაულაშვილების უბანში, კიდევ 2 ეკლესიაა – ღვთისმშობლისა (XIX ს.) და მთავარანგელოზისა (გვიანდ. შუა საუკუნეები), ამავე უბანშია გვიანდელი ხანის ,,ხახმატის ჯვრის'' ეკლესია. 3-ის მიდამოებშია აგრეთვე ძვ. შუამთისა და ახ. შუამთის მონასტრები, წმ. კვირიკესა და ღვთისმშობლის (გვიანდ. შუა საუკუნეები) ერთნავიანი ეკლესიები.

წყარო და ლიტ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 6, თბ., 1977; ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი დ., ვარდისუბნის თეთრი გიორგის სახ. ეკლესია ,,დეკანოზური'', «ძეგლის მეგობარი», 1982, №60. *თ. ტატიშვილი.*

ვარდისუბანი, სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), ალაზნის ვაკეზე, ლაგოდეხი–წნორის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: 3., მშვიდობიანი, საქობო, სვიდება). ზ. დ. 240 *მ*, ლაგოდეხიდან 15 *კმ*, წნორისწყლიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 25 *კმ*. 1,4 ათ. მცხ. (2002).

ვარდისუბანი, სოფელი მცხეთის მუნიციპალიტეტის ქსოვრისის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მუხრანის ვაკეზე, მდ. ქსნის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 580 *მ*, მცხეთიდან 22 *კმ*, ქსნიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 12 *კმ*. 98 მცხ. (2002).

3. პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში. მისი მამულები ეკუთვნოდა ზევდგენიძეთა საგვარეულოს. XVI –XVIII სს-ში შედიოდა სამუხრანბატონოში. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) 3-ს მუხრანის თემის სოფლებში განიხილავს. *ჯ. გვასალია.*

ვარდისუბანი, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის სოფ. *ატიშადუს* სახელწოდება 1955-მდე.

ვარდისუბანი (ყოფ. ტ ო რ ნ ი ს ა), სოფელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სიონის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ხევის კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. თერგის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1920 *მ*, სტეფანწმინდიდან 10 *კმ*. 97 მცხ. (2002).


ვარდისუბანი, ნასოფლარი ისტორიულ ჯავახეთში (ახლანდ. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი). მდებარეობს ხანჩალის ტბის დასით სოფ. დლივსა (ახლანდ. დილიფი) და ნასოფლარი კურიდადეშს შორის. 3-ში, შემაღლებულ ადგილას, გალავანშემოვლებული ეკლესიის ბუდეა, მის ირგვლივ – გვიანი შუა საუკუნეების საფლავის ქვებია. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით, 1595 3. დიდი სოფელი იყო, 39 კომლი მოსახლით, რ-თაგან სახელების მიხედვით ყველა ქართველია (აბრამ ზეინკლის შვილი, იასონ შერვანის ძე, რამაზა ძე მისი, მახარებელ იონას ძე, გოგიჩა ძმა მისი, გოგიჩა აბესალომის ძე, ივანე ძმა მისი, პეტრე ძე მისი, სახელად ელიაზარ, ვარძელ ძმა მისი, სულა იორდანეს ძე, მოსე ძმა მისი და სხვ.), ორის გარდა. მათ მოყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, ხელის თესლი; ჰქონიათ ბოსტნები; ჰყავდათ ღორი, ცხვარი, ფუტკარი; სოფელს ჰქონდა ერთი თვალი წისქვილი სრული წლით, მეორე კი – გაპარტახებული. მოსახლეთა სიას ახლავს მინაწერი: ,,საყანე მიწა ჩაირითურთ მელქიზედექ აზნაურისა, აწ ჰაჯიყულის ძის მუჰამედის მფლობელობაში (მყოფი), სასამართლოს განაჩენის თანახმად ყუშურსა და გამოსაღებს იძლევა'', ამ სოფლის გადასახადი წლიურად 19000 ახჩა იყო. 1704–05 3. ეკუთვნოდა ქანარბელის ნაჰიეს ჩილდირის ლივაში, იგი ექვემდებარებოდა ვინმე უსუფს და მისი წლიური გადასახადი უკვე 11000-მდე ახჩას უდრიდა, რაც სოფლის მოსახლეობის შემცირებაზე მეტყველებს. უცნობია 3-ის მიტოვების თარიღი, XIX ს. 30-იან წლებში ის გავერანებულ ნასოფლარებშია ჩამოთვლილი.

წყარო: ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, ც. აბულაძისა და მ. სვანიძის გამოც., თბ., 1979; ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2–3, თბ., 1941–58.

დ. ბერძენიშვილი.

ვარდისფერი ვარხვი (Pelicanus onocrotalus), ფრინველი ვარხვისნაირთა რიგისა. ტანად ბატზე გაცილებით დიდია, აქვს მოვარდისფრო-თეთრი სხეული, შავბოლოებიანი ფრთები, გრძელი ნისკარტის ქვეშ – კუნთოვანი პარკი. გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, ცენტრ. აფრიკასა და ეგვიპტეში (ყველგან სპორადულად). ბინადრობს ველისა და უდაბნოს ზონების ტბებსა და მდინარეების დელტებზე. იკვებება თევზებით. შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში''. საქართველოში გვხვდება მხოლოდ მიმოფრენისას შავი ზღვის სანაპიროებზე.

რ. ჟორდანია.



ვარდისფერი ვარხვი (Pelicanus onocrotalus).

ვარდიძე შალვა (XIX ს. ბოლო, სოფ. არალი, ახალციხის მაზრა, – XX ს. 50-იანი წლები, ბეირუთი), სასულიერო და პოლიტიკური მოღვაწე, მეცნიერი, მწერალი, მთარგმნელი. თავდაპირველად მოღვაწეობდა პ. *ხარისჭარაშვილის* მიერ სტამბოლში დაარსებულ (XIX ს. 60-იანი წლები) ქართველ კათოლიკეთა მონასტერში. თანამშრომლობდა ევროპაში არსებულ ,,*საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნულ კომიტეტთან*'', ხოლო 20-იანი წლებიდან – პარიზში დაარსებულ ,,*თეთრი გიორგის*'' ორგანიზაციასთან. 1921-იდან დიდ დახმარებას უწევდა ქართ. ემიგრაციას სტამბოლში. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს თურქებმა შეიპყრეს და გაასახლეს. შემდეგ მოღვაწეობდა ბეირუთში, სან-ჟოზეფის უნ-ტში, სადაც არაბულ ენაზე გამოსცა 2 ბროშურა საქართველოს შესახებ. ფრანგულიდან ქართულად თარგმნა და სტამბოლში გამოსცა ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს წიგნი ,,ქართველები კონსტანტინეპოლში'' და რ. ჟანენის წიგნი ,,ქართველები იერუსალიმში'' (ორივე – 1921). მისი შრომები სისტემატურად იბეჭდებოდა უცხ. ჟურნალ-გაზეთებში. გარდა მეცნ. ნაშრომებისა, 3-ს ეკუთვნის პატრიოტული ხასიათის ლექსები: ,,ჩემი ლოცვა'' (1950), ,,წმინდა ნინოს'' (1951).



შ. ვარდიძე.

თხზ.: სტამბოლის მონასტერი და რაფიელ ინგილო, გაზ. «დამოუკიდებელი საქართველო», პარიზი, 1931, №63–64; ლიბანში აღმოჩენილი ქართული ხელნაწერის შესახებ, «ბედი ქართლისა», პარიზი, 1954, №17; ხმა ლიბანის ობოლ კედართა მაღნარიდან, იქვე, 1955, №19; Un court aperçu historique sur le monastère géorgien de la Sainte Croix à Jérusalem, P., 1932.

ლიტ.: შ ა რ ა ძ ე გ., ბოლოსიტყვა წიგნისა: ევგენი დალეჯიო დ' ალესიო, ქართველები კონსტანტინოპოლში, თბ., 1990. *გ. შარაძე.*

ვარდკანაფა (Eupatorium), მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. აერთიანებს 1200-მდე სახეობას, რ-ებიც უმთავრესად გავრცელებულია ამერიკაში, რამდენიმე სახეობა – ევრაზიასა და



ვარდკანაფა (Eupatorium).

ტროპ. აფრიკაში. საქართველოში გვხვდება მარტო ერთი სახეობა კანაფურა – E. cannabinum. ვ. 50–120 *სმ* სიმაღლის ბალახია. აქვს მარტივი ან ზედა ნაწილში დატოტვილი ღერო და მოპირისპირედ, იშვიათად ჩხროებად (ღეროს შუა ნაწილში) განლაგებული ფოთლები. მისი ორსქესიანი მოვარდისფრო ყვავილები შეკრებილია პატარა კალათებში, რ-ებიც თავმოყრილია კენწრულ ფარისებრ-საგველა ყვავილედში. გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. იზრდება ტენიან ადგილებში, უმეტესად მდინარის ნაპირებზე, მთის შუა, ზოგჯერ ზედა სარტყლამდეც. იყენებენ დეკორ. მებაღეობაში, ხალხ. მედიცინაში (წყალმანკის სამკურნალოდ), სამღებრო საქმეში (ღეროსა და ფოთლებისგან ლურჯი და შავი საღებავი მიიღება). *მ. გურგენიძე.*




ვარდკაჭაჭა (Cichorium).

ვარდკაჭაჭა (Cichorium), ბალახოვან მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. აერთიანებს 10-მდე სახეობას, რ-ებიც ველურად იზრდება ევრაზიასა და ჩრდ. აფრიკაში, შეტანილია ორივე ნახევარსფეროს ზომიერ და სუბტროპ. სარტყლებში. საქართველოში ველურად გვხვდება ერთი სახეობა – ულეწელა (C. intybus). იგი მრავალწლიანი მცენარეა. აქვს 50–125 *სმ* სიმაღლის გაფარჩხულად დატოტვილი ღერო, მთავარღერძიანი გრძელი ფესვი, ცისფერი, იშვიათად – თეთრი ყვავილები. მისი ზედა ფოთლები მჯდომარე, ლანცეტა და ღერომხვევია, ფესვთანური – მოგრძო ლანცეტა და ფრთისებრ განკვეთილი. იზრდება მთელ საქართველოში მთის შუა სარტყლამდე გზისა და ტყის პირებზე, ნათესებში, დანაგვიანებულ ადგილებზე, ბაღებსა და ველობებზე. კარგი თაფლოვანი მცენარეა, მისი ფესვი შეიცავს ინსულინს და მწარე გლიკოზიდ ინტიბინს. იყენებენ ხალხ. მედიცინაში. კულტურული ფორმების ფესვი ძირხვენად არის სახეცვლილი და მას ყავის სუროგატად იყენებენ.

მ. გურგენიძე.

„ვარდნილჰესების კასკადი“ (შპს), ვ ა რ დ ნ ი ლ ჰ ე ს ე ბ ი, შედის ენგურის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის შემადგენლობაში. ოთხი (ვარდნილჰესი-I, ვარდნილჰესი-II, ვარდნილჰესი-III, ვარდნილჰესი-IV), შედარებით ნაკლები სიმძლავრის ჰესი,ს მდებარეობს გალის მუნიციპალიტეტში. აშენებულია ენგურჰესის გამომყვან არხზე, მდ. ენგურის



„ვარდნილჰესების კასკადი“. ვარდნილჰესი-I.

ძირითადი ჩამონადენის გადაგდებით მდ. ერისწყლის კალაპოტში. საერთო საპროექტო დადგმული სიმძლავრეა 340 *მეგვტ*, ხოლო ელექტროენერგიის საშ. წლიური საპროექტო გამომუშავება – 1111 მლნ. *კვტ.სთ*.

ვ ა რ დ ნ ი ლ ჰ ე ს ი-I ექსპლუატაციაში შევიდა 1971. მდებარეობს მდ. ერისწყალზე, ქ. გალის ჩრდ-ით. ჰესის ძირითადი ნაგებობებია: ადგილობრივი მასალებისაგან აშენებული კაშხალი (სიგრძე – 890 *მ*, სიმაღლე – 57,5 *მ*, სიგანე თხემზე – 10 *მ*); კაშხალთან მიმდებარე მიწისზედა ჰესი, სამშ. გვირაბი, რ-ის სიგრძეა 517,5 *მ*, წყალმიმღები და წყალსაშვი ნაგებობანი, გამომყვანი არხი, 110 *კვ* და 220 *კვ* ძაბვის ქვესადგური. ვარდნილჰეს-I-ში დადგმულია 3 ვერტ. ჰიდროაგრეგატი, საპროექტო დადგმული სიმძლავრეა 220 *მეგვტ*, მაქს. დაწნევა – 64,5 *მ*, ელექტროენერგიის საშ. წლიური საპროექტო გამომუშავება – 730 მლნ. *კვტ·სთ*.



„ვარდნილჰესების კასკადი“. ვარდნილჰესი-II.



„ვარდნილჰესების კასკადი“. ვარდნილჰესი-III.

ვ ა რ დ ნ ი ლ ჰ ე ს ი-II,-III,-IV, მდებარეობს ვარდნილჰეს-I-ის ქვემოთ (შესაბამისად 5,5; 10,1 და 14,9 *კმ*-ზე). ექსპლუატაციაში შევიდა 1971–72 წლებში. სამივე ჰესს ერთნაირი დაწნევა აქვს (11,2 *მ*). თითოეული ჰესი შედგება ორ-ორი ჰორიზონტ. კაფსულური ტიპის ჰიდროაგრეგატისაგან. სამივე ჰესის ჯამური სიმძლავრეა 120 *მეგვტ* (თითოეულის 40–40 *მეგვტ*), ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება – 381 მლნ. *კვტ·სთ* (თითოეულის 127 მლნ. *კვტ·სთ*).

ვარდნილჰესებმა გამოიმუშავეს ელექტროენერგია (მლნ. *კვტ·სთ*): 1971 წ. – 23,0; 1975 წ. – 33,5; 1980 წ. – 830,2; 1985 წ. – 706,0; 1990 წ. – 643,6; 1995 წ. – 363,4; 2000 წ. – 487,5; 2005 წ. – 425,0; 2010 წ. – 717,3; 2013 წ. – 648,8.

1999 წ. 29 დეკემბრიდან ვარდნილჰესების ბაზაზე შეიქმნა შპს „ვ. კ.“ *დ. ჩომახიძე.*

ვარდობა, რელიგიური, ხალხური დღესასწაული, მისი დასახელებიდან მომდინარეობს მაისის თვის ძვ. სახელწოდება „ვარდობისაჲ“. ვ. 21 აპრილს იწყებოდა და 20 მაისს მთავრდებოდა. „ვარდობისაჲ“ წარმართობის ხანიდან მომდინარე ბუნების აღორძინების, ვეგეტაციის, დიდი დედისადმი მიძღვნილი დღესასწაული იყო. იგი ასევე უკავშირდებოდა მოკვდავ და აღდგენად ღვთაება ადონისს და აფროდიტეს. ითვლებოდა, რომ წითელი ვარდები ადონისის სისხლიდან წარმოიქმნა. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ, ვ. ღვთისმშობლის დღესასწაულსაც დაუკავშირდა. ხევსა და გუდამაყარში მარიამობას „ვარდის დღეობაც“ ერქვა, ხოლო საქართ. მთიანეთში თიბვის დაწყების ზეიმს ვარდობასაც უწოდებდნენ. ქართ. ხალხ. კალენდრის მიხედვით, ზემო იმერეთის სოფ. გეთსამანიაში ვ-ის დღესასწაული პეტრე-პავლობის მარხვის პირველ ორშაბათს აღინიშნებოდა. ვინაიდან პეტრე-პავლობის მარხვა მოძრავია, დღესასწაული შესაძლოა ყოფილიყო როგორც მაისში, ასევე ივნისში. ექვთიმე ათონელის ცნობით, პეტრე-პავლობის მარხვას „ქართველნი ვარდობად უწოდენ“. სულთმოფენობის წინა დღეს, სულთაობის შაბათს, საქართველოში „ვარდის შაბათს“ ეძახდნენ. იგი მიცვალებულთა მოსახსენიებელი დღე იყო. ზოგან ამ საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, შეძლებისდაგვარად ყველა სახეობის ყვავილს აგროვებდნენ (აკაციის ყვავილის გარდა), რათა მიცვალებულის საფლავზე დაეფინათ. ხალხ-

ის გადმოცემით, ,,მიცვალებულებს მათი სუნი სიამოვნებთ''. ზოგან შეგროვილ ყვავილებს გარეთ ან თონეში აწყობდნენ და დილით ადრე საფლავზე გასულებს თან მიჰქონდათ ყვავილები, სანთლები, კოკით წყალი. ყველაფერს საფლავზე ალაგებდნენ და წყალს ასხამდნენ. ამ დღეს ოჯახში წანდილს ან კორკოტს აკეთებდნენ და მეზობლებს ურიგებდნენ. ყვავილებით ირთვებოდა ოჯახი, ეზო და გზაჯვარედინები. ბუნების აღორძინებისადმი მიძღვნილი ვ-ის დღესასწაული უხვად იყო გაჯერებული სატრფიალო მოტივებით. სავარაუდოდ, ვ-ის დღესასწაულს უნდა უკავშირდებოდეს ცნობილი ქართ. ხალხ. სატრფიალო ლექსი: ,,აქედან და შენამდე, ვარდი მასხია ყელამდე, რომ ვინმე გამომიშვებდეს, სულ ფრენით მოვალ შენამდე''.

ლიტ.: ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე ე., ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის ძირითადი სახეობანი, «ლიტერატურული ძიებანი», [ტ.] 8, თბ., 1953; ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., ძველ-ქართული წარმართული კალენდარი მე-5–8 საუკუნის ძეგლებში, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1929–30, ტ. 6; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ერა და ეორტალოგიური წელიწადი, «ენიმკის მოამბე», 1940, ტ. 5–6; ს ვ ა ნ ი ძ ე გ., ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი, თბ., 1957; შ ვ ე ლ ი ძ ე მ., ზაფხულის ხალხურ დღეობათა კალენდარი ქვემო ქართლში, კრ.: ქვემო ქართლი, თბ., 1990. *ნ. ღამბაშიძე.*

ვარდოზისა, ვ ა რ დ ო ბ ი ს თ ვ ე, იხ. *მაისი.*

ვარდოსანიძე დავით გრიგოლის ძე (15. X. 1918, ტყიბული, – 10. V. 1995, თბილისი), ბიოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1966). გვარდიის თადარიგის მაიორი. 1939 დაამთავრა საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო ინ-ტი. II მსოფლიო ომის წლებში (1941–45) იმყოფებოდა ფრონტზე, ომის დამთავრების შემდეგ დარჩა საბჭოთა არმიის რიგებში. 1954-იდან მუშაობდა საქართვ. სახელმწ. ზოოტექ.-სავეტერინარო ინ-ტში. 1965-იდან იყო ორგ. და ბიოლ. ქიმიის კათედრის გამგე, კათედრის პროფესორი, 1982-იდან – სას.-სამ. ცხოველთა კვებისა და საკვებთა ტექნოლ. განყ-ბის მთ. სპეციალისტი.

ვ-ს კვლევის ძირითადი სფერო იყო ცხოველების სისხლის ბიოქიმიისა და კლინ. საკითხების შესწავლა. არის მრავალი სამეცნ. სტატიის, მ. შ. ერთი მონოგრაფიის ავტორი. ვ-ს სამხ. საქმიანობისთვის მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ვეტერინარული ბიოქიმია, თბ., 1978.

ვარდოსანიძე ვლადიმერ (ლადო) გრიგოლის ძე (დ. 10. IV. 1945, ქ. ვლადიკავკაზი), არქიტექტორ-ურბანისტი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (2012). დაამთავრა სპი (1969). იყო საქართვ. ურბანისტთა საზ-ბის თავ-რე (1990–2007). მუშაობდა ,,საქქალაქმშენსახპროექტში'' (1969–72), მოსკ. ქალაქთმშენებლობის ცენტრ. სამეცნ.-კვლ. საპროექტო ინ-ტში (1972–77), ძეგლთა დაცვის სისტემაში; იყო ძეგლთა აღრიცხვა-პასპორტიზაციის განყ-ბის გამგე. სამეცნ.-კვლ. საქმიანობას ეწევა ქალაქების (კერძოდ, საქართველოს ქალაქების) სოციოლოგიის, ურბანისტიკისა და თეორიის სფეროში. ამ დარგში და თანამედროვე არქიტ. პრაქტიკის სხვადასხვა საკითხზე გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. შრომები და კრიტ. სტატიები (ქართ., ინგლ., გერმ., რუს. ენებზე). 1977-იდან პედ. მოღვაწეობას ეწევა სპუ-ის არქიტ. ფაკ-ტზე. *ლ. ბოკერია.*


ს. კინწურაშვილი.

ვარდოსანიძე იოჰან (იაგო) ლევანის ძე (17. VI. 1928, სოფ. ობჩა, ახლანდ. ბაღდათის მუნიციპალიტეტი, – 1. I. 1996, თბილისი), ჟურნალისტი, მთარგმნელი. საქართვ. ჟურნალისტთა ფედერაციის (კავშირის) წევრი (1958), საქართვ. კულტურის დამს. მუშაკი (1983). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1951). 1952–61 მუშაობდა გაზ. ,,ახალგაზრდა კომუნისტის'' რედაქციაში ლიტმუშაკად (1952–54), ხოლო შემდეგ აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ (1954–61). 1961–65 იყო გამომც. ,,ნაკადულის'' საშ. და უფრ. ასაკის ბავშვთა ლიტ-რის რედაქციის გამგე, ხოლო შემდეგ – ამავე გამომცემლობის მთ. რედაქტორი. 1968 მუშაობა დაიწყო ქართ. ენციკლოპედიის მთავარ სამეცნ. რედაქციაში: იყო უფრ. სამეცნ. რედაქტორი, ლიტკონტროლის რედაქციის გამგე (1970–75) და პასუხისმგებელი მდივანი (1975–95). ,,ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის'' 12-ტომეულის მომზადებასა და გამოცემაში შეტანილი წვლილისათვის ვ-ს 1988 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (სხვებთან ერთად).

ვ. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. თარგმნა ბ. ლავრენიოვის, ვ. იანის, რ. ჩანდლერის და სხვათა ნაწარმოებები.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.


ვარდოსანიძე სერგო სერგოს ძე (დ. 2. I. 1956, სოფ. ზოვრეთი, ახლანდ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (2002), პროფესორი (2004). 1979 დაამთავრა ა. პუშკინის სახ. თბილ. სახელმწ. პედაგოგიური ინ-ტი (ახლანდ. ილიას სახელმწ. უნ-ტი). 1994-იდან იყო თბილ. სას. აკად. კათედრის გამგე. 1990–2004 მუშაობდა ს.-ს. ორბელიანის სახ. თბილ. სახელმწ. პედაგოგიურ უნ-ტში – იყო საქართვ. ისტ. ფაკ-ტის დეკანი, კათედრის პროფესორი, პრორექტორი სამეცნ. დარგში. 2005-იდან კავკასიის უნ-ტის, 2009-იდან კი საპატრიარქოსთან არსებული წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. უნ-ტის სრული პროფესორია, 2010-იდან – ამავე უნ-ტის რექტორი, ჰუმანიტარულ მეცნ. ფაკ-ტის დეკანი.



ი. ვარდოსანიძე.

ვ-ის კვლევის ძირითადი მიმართულებაა საქართვ. ეკლესიის ეპარქიები, რუს. დროებითი მთავრობა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობისა და ეპარქიის საკითხები, საქართვ. და სომხ. ეკლესიის ურთიერთობა, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია და მისი მღვდელმთავრები. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი.

ვარდოშვილი (ნამდვ. გვარი – ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი) ხარიტონ ივანეს ძე (7. X. 1895, სოფ. ცხემლისხიდი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 15. X. 1970, თბილისი), პოეტი. დაამთავრა სოფლის ორკლასიანი სასწავლებელი. 1918-იდან თსუ-ის სიტყვიერების ფაკ-ტის თავისუფალი მსმენელი იყო. მუშაობდა თავდაპირველად ქუთაისში, გაზ. ,,სამშობლოს'' რედაქციაში (1916), შემდეგ (1921-იდან) – თბილისში, გაზ. ,,კომუნისტის'' რედაქციაში. პირველი ლექსი 1914 გამოაქვეყნა, ლექსების პირველი კრებ. – 1924. თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებთან: ,,თეატრი და ცხოვრება'', ,,განათლება'' და სხვ. ვ-ის აღრინდ. პოეზიაში დეკადენტობის გავლენა იგრძნობა, ცხოვრება პოეტს რღვევისა და განწირულობის ქაოსად ესახებოდა. ბუნდოვანი სახეები, პესიმიზმი და გულგატეხილობა შეინიშნება მის ლექსებში: ,,სიკვდილის ამბორი'' (1918), ,,სათხოვარი სულისადმი'',



ი. ვართაგავა.



კ. ვართანიანი.

,,მუხრანის ხიდი'', ,,დინ-დან-დარიდან'' (1919), ,,ხალისის დასაფლავება ტფილისში'' (1920), ,,საუბარი უბედურ ლანდთან'' (1922) და სხვ. 30-იანი წლებიდან 3-ის პოეზიაში თანდათანობით დამკვიდრდა როგორც თანამედროვე საქართველოს, ასევე ჩვენი ხალხის გმირული წარსულის თემატიკა (,,ახალი კოლხეთი'', 1928; ,,შოთა რუსთაველს'', 1937; ,,ქართლის ზეცა'', 1939; ,,ფაზისს'', 1940 და სხვ.). თარგმნა ა. პუშკინის, ტ. შევჩენკოს, ვ. ბრიუსოვის, ი. ვ. გოეთეს, ფ. შილერის, ჰ. ჰაინესა და სხვათა ნაწარმოებები.

თხზ.: რჩეული, თბ., 1959.

ლ. ავალიანი.

ვარღციხე, *ვარციხის* ისტორიული სახელწოდება.

ვარევანი, სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ალასტანის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალქალაქის პლატოზე, მდ. ჭობარეთის (ფარავნის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 1680 *მ*, ახალქალაქიდან 19 *კმ*. 779 მცხ. (2002).

,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' (1595) მიხედვით, 3. ოსმალთა მიერ დაპყრობილი ჯავახეთის სოფელია, შედიოდა ხერთვისის ლივის ტყიანი ჯავახეთის ნაჰიეში, სადაც 18 კომლი ქართვ. ცხოვრობდა: ელისა გრიგოლისძე, დემეტრე გოგოლასძე, ყანდურალი მათიასძე, აბისონ კეკელისძე, შირინა ხახუტასძე, სიმონგულ პეტრიას ძე და სხვ. მათ ჰქონდათ ბოსტნები, მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, იონჯა, სელის თესლი (ზეთისათვის), ჰყავდათ ცხვარი, ღორი, ფუტკარი და იხდიდნენ გადასახადს 8000 ახჩის ოდენობით. 1718–19 3. ექვემდებარებოდა ვინმე იბრაჰიმ მუსტაფას ძეს და შეწერილი ჰქონდა 18500 ახჩა გადასახადი. 1829 ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით სამხრ. საქართველოს ნაწილი რუს. იმპერიას შეუერთდა და მაშინ დასახლდნენ აქ არზრუმიდან გადმოსახლებული სომხები. ერთ ხალხურ ლექსში ნათქვამია: ,,ვარევანი მოსავლითა თუმცა ზოგჯერ ნაქებია, ქართველებიცა სახლობენ, უფრო მეტი ფრანგებია'' (ე. ი. კათოლიკეები). 1944 აქაური მაჰმადიანი ქართველები შუა აზიაში გადაასახლეს. ახლა 3-ში მოსახლე ქართველთა გვარებია: ბალახაძე, მელიქიძე, ბერიძე, მაისურაძე და სხვ. სოფელში ორი ეკლესია დგას: ქართ. – ღვთისმშობლის სახელობისა და სომხ. – 1893 აგებული. ქართ. ეკლესია გაქართველებული ბერძნის მიერ აშენებული (გარდადანი) გვიანდ. ნაგებობაა, მისი საფლავის ქვაც იქვეა ქართ. წარწერით. ეკლესიის სამხრ-ით არის ძვ. ქართ. ეკლესიის ბუდე, რ-ის დას-ით დიდი ბალავრის ქვაა. მასზე სამზოლიანი რელიეფური თაღია, რ-ის ორივე მხარეს მცირე ჯვრებია გამოსახული, ხოლო ზევიდან ამოღარულია ასომთავრული წარწერა: ,,სახელითა ღმრთისაჲთა დაიდვა ესე ბალავერი ქელითა ცოდვილის აიოვანეს და გაბრიელისათა, ქორონიკონი იყო სმ'' (240) –1020 წ. ერთი მოსახლის ყორეში ჩაყოლებულია განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ჯვრიანი ლოდი. აქვე აკად. ნ. ბერძენიშვილს 1933 უნახავს ქვა უცნობი რელიეფური ნიშნებით.

წყარო და ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 1, თბ., 1964; ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, ც. აბულაძის და მ. სვანიძის გამოც., თბ., 1979; ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2, თბ., 1941; წგ. 3, თბ., 1958. *დ. ბერძენიშვილი.*

ვარენცოვი მიხეილ ივანეს ძე [7(20). I. 1902, სოფ. პოპოვსკაია, ახლანდ. ივანოვოს ოლქი, რფ, – 26. V. 1977, მოსკოვი], რუსი გეოლოგი. სსრკ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1953), გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1940), პროფესორი (1942). დაამთავრა მოსკოვის სამთო აკად. გეოლ.-საძიებო ინ-ტი (1929). მუშაობდა ნავთობის გეოლ.-საძიებო ინ-ტში (1934-იდან – დირექტორის მოადგილე), 1949–55 სსრკ მეცნ. აკად. გეოლოგიის ინ-ტის დირექტორია, 1956–77 – საწვავი წიაღისეულის გეოლ. და დამუშავების ინ-ტის დირექტორი. პარალელურად ეწეოდა პედ. მოღვაწეობას.

3-ის შრომები ძირითადად შეეხება ნავთობაირიანი რეგიონების (კავკასია, ვოლგა–ურალი, ციმბირი, ყაზახეთი, შუა აზია, ჩინეთი, ავსტრია, აფრიკა და სხვ.) გეოლ. უმნიშვნელოვანეს საკითხებს (შედარებითი ტექტონიკა და სტრატიგრაფია, განვითარების ისტორია) და ნავთობისა და აირის საბადოების განთავსების კანონზომიერებებს. 3-მა დიდი ღვაწლი დასდო საქართვ. ნავთობიანი რაიონების გეოლ. შესწავლის საქმეს. ამ საკითხებისადმი მიძღვნილი აქვს 2 ათეულზე მეტი შრომა. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Перспективы нефтеносности западной части Куринской депрессии и соседних областей Большого и Малого Кавказа, «Бюллетень Грузнефти», 1947, №1–2; Геологическое строение западной части Куринской депрессии, М.–Л., 1958; Геологическое строение области Триалетских гор и смежных районов Карталинии, «Труды Ин-та нефти», 1950, т. 1, в. 2.

ლიტ.: 75-летие М. И. Варенцова, «Советская геология», 1977, №3; Биобиблиографический словарь, в. 8, М., 1978.

ვ. ზესაშვილი.

ვართაგავა იპოლიტე პეტრეს ძე (30. I. 1872, სოფ. ხეთა, ახლანდ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, – 6. I. 1967, თბილისი), კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პედაგოგი. დაამთავრა თბილ. სემინარია (1895), ყაზანის სას. აკადემია (1899). პედაგოგად მუშაობდა სიმფეროპოლის სას. სემინარიაში (1899–1907), თბილ. სხვადასხვა სკოლაში (1907–37), გორისა და ცხინვალის პედ. ინ-ტებში (1937–58). 1894-იდან მისი წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა იმდროინდელ ქართ. პრესაში. 3-ს მონოგრაფიები, ლიტ.-კრიტ. წერილები და ნარკვევები ეხება იაკობ ცურტაველის, ჩახრუხაძის, შოთა რუსთაველის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, რ. ერისთავის, ვაჟა-ფშაველას, შ. მღვიმელის, ი. ევდოშვილის, ვ. ბარნოვის, მ. ჯავახიშვილის, შ. დადიანის, ლ. ქიაჩელისა და სხვ. ქართვ. მწერლების შემოქმედებას. მასვე ეკუთვნის ,,მოკლე მიმოხილვა ქართული მწერლობისა უძველესი დროიდან'' (1909–10), მონოგრაფია ,,შიო მღვიმელი'' და ,,ბავშვთა სამყარო'' (1917), სახელმძღვანელო ,,სიტყვიერების თეორია'' (1922). XIX ს. ლიტ. მოვლენათა ცოცხალი სურათებია წარმოდგენილი მისი მემუარული ჟანრის ვრცელ ,,მოგონებებში'' (ნაწ. 1–2, 1956–62) და სხვ.

თხზ.: ვაჟა-ფშაველა, ტფ., 1921; ქართველი მწერლების სილუეტები, [ტ.] 1, თბ., 1956; XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები, თბ., 1957; კრიტიკული წერილები, [ტ.] 1, თბ., 1958; შალვა დადიანის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1962; თანამედროვე ქართველი მწერლები, თბ., 1972. *ი. მეგრელიძე.*

ვართანიანი კონსტანტინე ტიგრანის ძე [24. IX (6. X). 1898, თბილისი, – 10. XII. 1957, იქვე], ინჟინერ-ტექნოლოგი. ტექ. მეცნ. კანდიდატი (1953), 1931 გერმანიაში დაამთავრა სამთო აკადემია. 1932–57 მუშაობდა მინერ. ნედლეულის საკავშ. ინ-ტის საქართველოს განყ-ბაში (ახლანდ. კავკ. მინერ.

ნედლეულის ინ-ტი) უფროს მეცნ. თანამშრომლად, ლაბორატორიის გამგედ. 3-ის შრომები ძირითადად ეხება სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების საკითხებს. 1951 საქართვ. ბარიტისის საბადოთა შესწავლისათვის, სხვა სპეციალისტებთან ერთად, მიენიჭა სტალინური პრემია.

ვართანოვი არტემ სოლომონის ძე (15. II. 1855, თბილისი, – XX ს. დასაწყ., ვარშავა), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1913). დაამთავრა თბილ. რეალური სასწავლებელი, საარტ. სასწავლებელი, ოფიცერთა საარტ. სკოლა, მიხეილის საარტ. აკადემია. 1872-იდან მსახურობდა საარტ. ნაწილებში. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომში. 1898–1904 მეთაურობდა კავკასიის არმიის საარტ. პოლკს, 1907–08 – მე-16 საარტ. ბრიგადას. 1907 მიენიჭა გენ.-მაიორის წოდება. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. 1915–16 იყო მე-14 საარტ. კორპუსის ინსპექტორი, შემდეგ – I არმიის არტილერიის ინსპექტორი.

დაჯილდოებულია წმ. ვლადიმირის, წმ. ანას, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

მ. გოგიტიძე.

ვართანოვი სერგო ალფრედის ძე (12. VI. 1932, თბილისი, – 7. VI. 1990, მოსკოვი), სამედიცინო სამსახურის გენერალ-მაიორი (1982). დაამთავრა ლენინგრადის სამხ.-სამედ. აკადემია (1956). 1968–87 იყო მოსკოვის სამხ. ოლქის ჰაერსაწინაღო თავდაცვის სამხ. ჰოსპიტლის მთ. ექიმი, ხოლო 1987–90 – ამავე ოლქის სამხ. სამედ. სამსახურის უფროსი. სპორტის ოსტატი კალათბურთში, თამაშობდა თბილ. ,,დინამოს'' გუნდში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლ. დოლიძე.

ვართაპეტოვი არტაშეს (არკადი) იაკობის ძე [20. I(1. II). 1894, ბაქო, – 10. V. 1987, თბილისი], დერმატოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1955), პროფესორი (1956), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1962). 1919 დაამთავრა მოსკოვის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი; 1952-იდან ხელმძღვანელობდა საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს კანისა და ვენერულ სნეულებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დერმატოლოგიურ განყ-ბას. იკვლევდა ნეიროგენულ-ალერგიული დერმატოზების პათოგენეზის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხებს. დაამუშავა ქრონ. დერმატოზების ბალნეო- და თალასოთერაპიით კომპლ. მკურნალობისა და სტაფილოდერმიის ღრმა ფორმების სტაფილოკოკური ბაქტერიოფაგით მკურნალობის წესები. შეისწავლა ნერვული სისტემის როლი ტროფიკული წყლულების განვითარებაში. დაადგინა ურთიერთდამოკიდებულება კანის პათოლოგიასა და შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციურ მდგომარეობას შორის. იყო სსრკ-ის დერმატოლოგ-ვენეროლოგთა სამეცნ. საზ-ბის საპატიო წევრი (1973).

თხზ.: К клинической симптоматологии пеллагры, Тфл., 1934; Патология кожи и внутренняя секреция, Тфл., 1935 (თანაავტ.). Современные основы иммунотерапии глубоких форм стафилодермии, Тб., 1971; Чесотка, Тб., 1973.

ვარიანი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი), მდ. ლიახვის მარჯვ. მხარეს, გორი – ნიქოზის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: 3., არაშენდა, ახალდაბა, საქაშეთი). ზ. დ. 680 *მ,* გორიდან 14 *კმ.* 2,0 ათ. მცხ. (2002). სოფელში არის ი. *გოგებაშვილის* სახლ-მუზეუმი.

3. უძველესი დროიდან უნდა ყოფილიყო დასახლებული. ფეოდ. ხანაში სოფელი და მისი შემოგარენი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქართლის ეკონ. და პოლიტ. ცხოვრებაში. აქ განვითარებული იყო სოფ. მეურნეობა. გვიანდ. ფეოდ. ხანაში 3. წარმოადგენდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს საქართველოში შემოსული მტრის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. 1656 ქართლის მეფე როსტომმა ამოწყვეტილი მაჩაბლის მამული 3-ში უბოძა სეხნია მაჩაბლის შვილებს. ფეოდალების, ბატონიშვილებისა და მეფის მოხელეებისაგან შევიწროებულმა ვარიანელმა გლეხებმა 1789 საჩივრით მიმართეს ერეკლე II-ს.

სოფლის დას-ით, დაახლ. 0,5 *კმ*-ზე, მდებარეობს გვიანდ. შუა საუკუნეების კოშკი. იგი საბრძოლო-საცხოვრ. დანიშნულებისა იყო. ნაგებია რიყის ქვით, შერეულია აგურიც. მის მახლობლად ნასოფლარია (მოსახლ. აყრილა XVIII ს-ში ლეკთა თარეშის გამო). სოფლის შუაში დგას რიყის ქვითა და აგურით ნაგები ღვთისმშობლის ერთნავიანი ეკლესია (1835), სახურავზე დას-ით ოთხივე მხრიდან თაღებით გახსნილი სამრეკლო ადგას. სოფლის ჩრდ.-აღმ-ით სასაფლაოზე განვითარებული შუა საუკ. კიდევ ერთი ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესიაა. ნაგებია დიდი ზომის რიყისა და მოყავისფრო შირიმის ქვებით. ჩრდილოეთის კარის თავზე ტიმპანში მოთავსებული წარწერა X–XI სს-ით თარიღდება.

ჯ. გვასალია.

კ. კახაძე.

ვარიაციათა აღრიცხვა, მათემატიკის დარგი, რ-იც ეძღვნება ფუნქციონალების უდიდეს და უმცირეს მნიშვნელობათა მოძებნას. 3. ა-ში განიხილება ვარიაციული ამოცანები, მაგ., ამოცანები გეოდეზიური წირის მოძებნისა და ბრაქისტოქრონის (3. ა-ის პირველი ამოცანა) შესახებ, იზოპერიმეტრული ამოცანა და სხვ. ამ ამოცანებში გამოსაკვლევი ცვლადი სიდიდე – ფუნქციონალი დამოკიდებულია იმ ფუნქციის არჩევაზე, რ-იც წირის განტოლებას განსაზღვრავს, რაც ამ ამოცანებს არსებითად განასხვავებს ექსტრემუმის ამოცანებისგან *დიფერენციალურ აღრიცხვაში.* ვარიაციულ ამოცანებს იკვლევდნენ უძველესი დროიდან (მაგ., იზოპერიმეტრულ ამოცანას ძვ. საბერძნეთში), მაგრამ მეცნიერთა საერთო ყურადღება პირველად მიიპყრო შვეიცარიელი მათემატიკოსის იოჰან ბერნულის მიერ 1696 დასმულმა ამოცანამ ბრაქისტოქრონის შესახებ. 3. ა-ის სწრაფი განვითარება დაიწყო მას შემდეგ, რაც შვეიცარიელმა მათემატიკოსმა იაკობ ბერნულიმ ამ ამოცანასთან ერთად ზოგიერთი სხვა ვარიაციული ამოცანაც ამოხსნა. ლ. *ეილერისა* და ფრანგი მათემატიკოსის ჟ. ლაგრანჟის გამოკვლევებმა კი 3. ა. დამოუკიდებელ მათ. დისციპლინად ჩამოაყალიბა.

3. ა-ის მეთოდი არის ფიზიკაში მოძრაობის განტოლების პოვნის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება.

3. ა-ის უმარტივესი ამოცანაა იმ ფუნქციის მოძებნა, რ-იც ექსტრემუმს ანიჭებს ფუნქციონალს. 3. ა-ის პირველი ამოცანები (მექანიკის) დასმული იყო XVIII ს-ში. იმ დროის ტრად. მიხედვით, პირველი კითხვა, რ-ზეც საჭირო იყო პასუხის გაცემა, ფაქტობრივად ეხებოდა იმ ფუნქციის მოძებნის ხერხს, რ-იც ფუნქციონალს მინიმუმს ანიჭებს. ლ. ეილერმა შექმნა 3. ა-ის ამოცანების ამოხსნის რიცხვითი მეთოდი, რ-საც ეილერის ტეხილების მეთოდი ეწოდება. ეს იყო პირველი მეთოდი დიდი კლასის (ე. წ. პირდა-

პირ) მეთოდთა შორის. ყველა ამ მეთოდს საფუძვლად უდევს ვ. ა-ის ამოცანის მიახლოებითი შეცვლა რამდენიმე ცვლადის ფუნქციის ექსტრემუმის მოძებნის ამოცანით. გამოთვლითი ტექ. განვითარების შედეგად პირდაპირი მეთოდები ვ. ა-ის ამოცანების ამოხსნის ძირითადი იარაღი გახდა.

კვლევის მეორე მიმართულებაა იმ აუცილებელი და საკმარისი პირობების ძიება, რ-ებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ფუნქციონალისთვის მინიმუმის მიმნიჭებელი ფუნქცია. ამ მიმართულებას საფუძვლად უდევს ჟ. ლაგრანჟის მიერ XVIII ს. 60-იან წწ-ში შემოღებული ვ ა რ ი ა ც ი ი ს ცნება, რ-იც დიფერენციალის ცნების განზოგადებაა ფუნქციონალებისათვის.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ვ. ა. იყო პირველი მათ. დარგი, რ-ითაც დაიწყო მათემატიკაში სამეცნ.-კვლ. მუშაობა. ა. *რაზმაძის* გამოკვლევებში გაფართოებულია ვ. ა-ის კლასიკური ამოცანების წრე (განსაკუთრებით აღსანიშნავია წყვეტილ ექსტრემალთა შემთხვევა) და ნაპოვნია ასეთი ამოცანების ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ა. რაზმაძის ნაშრომი, რ-შიც იგი იხილავს ა. *პუანკარეს* მიერ დასმულ ამოცანას პერიოდული ამონახსნებისა და შეკრული ექსტრემალების შესახებ (გამოქვეყნდა 1934). ამ ნაშრომში განვითარებულ თეორიას ცნობილი გერმ. მათემატიკოსი კ. კარათეოდორი ა დ ა მ ა რ – რ ა ზ მ ა ძ ი ს თ ე ო რ ი ა ს უწოდებს.

ლიტ.: რ ა ზ მ ა ძ ე ა. ვარიაციათა აღრიცხვა, ტფ., 1933; Л а в р е н т ь е в М. А., Л ю с т е р н и к Л. А., Курс вариационного исчисления, 2 изд., М.–Л., 1950.

ვარისი, ვ ა რ ა ს ი (არაბ. ვარის – მემკვიდრე), ფეოდალურ საქართველოში ზოგადად – უფლებამონაცვლე, კერძოდ კი – უფრო შორეული, როდესაც პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე არ არსებობდა. ტერმინი ,,ვარისი'' ხშირადაა გამოყენებული XVII–XVIII სს. საბუთებში; გვხვდება XIX ს-შიც. ვახტანგ VI-ის წყალობის სიგელში თბილ. მცხოვრებლებისადმი (1722) მოხსენიებულია ვ., რ-ის ძალითაც მემკვიდრეთა წრე გაფართოვდა და მას განაყარი ნათესავები და მოყვრებიც კი მიეკუთვნენ (იხ. *ვახტანგ VI-ის სამემკვიდრეო კანონი*).

ლიტ.: ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე დ., ვახტანგ VI-ის სამემკვიდრეო კანონი, «საბჭოთა სამართალი», 1969, №3; ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე ი., ფაქტობრივი მფლობელობის დაცვა ფეოდალურ საქართველოში, კრ.: ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, [ტ.] 3, თბ., 1979.

დ. ფურცელაძე.

ვარკეთილი (,,ველკეთილისაგან''), სოფელი ქალაქ თბილისის (2007-იდან) ადმინისტრაციულ საზღვრებში. მდებარეობს სამგორის ვაკეზე, თბილისის ზღვის სამხრ.-აღმ. ნაპირთან. ზ. დ. 560 *მ*.

3-ში აღმოჩნდა ძვ. წ. III ათასწლ. II ნახ. (ადრინდ. ბრინჯაოს ხანის) ბრინჯაოს ყუნწიანი სატევარი, ჰემატიტის ლახტისთავი, ლეგა-მოშავო ფერის თიხის ჭურჭელი და ძვ. წ. VII ს. დასასრულის – ძვ. წ. VI ს. I ნახ. ე. წ. სკვეთური ტიპის ბრინჯაოს სამფრთიანი ისრისპირი. აქვეა ფეოდ. ხანის ნასახლარი.

ი. სულთანიშვილი.

„ვარლაამი და იოასაფი“, ,,ვ ა რ ლ ა ა მ ი და ი ო ს ა ფ ა ტ ი'' (Barlaam kai Joasaph), შუა საუკუნეების ბიზანტიური რომანი, ბერძნულ ენაზე მოღწეული ჰაგიოგრაფიული თხზულება. მისი სიუჟეტი ბუდას ლეგენდის სანსკრიტულ რედაქციას უკავშირდება. მასში მოთხრობილია ამბავი ინდოელი მეფის ვაჟის, იოასაფისა, რ-იც გაქრისტიანდა, ტახტზე უარი თქვა და თავის მოძღვარ ვარლაამთან ერთად უდაბნოში წავიდა. თხზულებაში ჩართულია აღმოსავლური წარმოშობისა და სახარებიდან გადმოღებული იგავები: ქრისტ. პოლემიკური და დოგმატიკური ლიტერატურიდან ნასესხები ადგილები. თხრობის მსუბუქი სტილი ოსტატურადაა შეზავებული ,,წმიდა მამათა'' თეოლოგიასთან. XI–XII სს-ში შესრულებული ორი ლათ. თარგმანის მეშვეობით რომანი ფართოდ გავრცელდა ევროპაში. ითარგმნა და არაერთგზის გადამუშავდა თითქმის ყველა ევრ. ენაზე. ცნობილია ,,ვ. და ი-ის'' ცხრა იტალიური, რვა ფრანგული, ხუთი ესპანური გადამუშავება. ბერძნ. ენიდან იგი ითარგმნა აგრეთვე აღმოსავლეთის არაერთი ქრისტ. ქვეყნის ენაზე (სლავური, სომხური და სხვ.), ასევე არაბულად და დიდი პოპულარობა მოიპოვა. იგი ძვ. რუს. წიგნთსაცავებში ყველაზე გავრცელებული თხზულებაა, რ-ის ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი ფრაგმენტული თუ სრული სახით ათას ეგზემპლარს აღწევს. XII ს-იდან მოყოლებული მისი გავლენა ეტყობა ევრ. ლიტ-რის მრავალ თხზულებასა (სარაინდო რომანი ,,პარციფალი'') და მწერლის შემოქმედებას (უ. შექსპირისა და ლ. ტოლსტოის ჩათვლით).

,,ვ. და ი-ის'' ავტორობის საკითხი თანამედროვე ბიზანტინისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. აღიარებულია, რომ სანსკრიტიდან ბერძნულამდე არსებობდა სულ ცოტა ორი შუალედური რედაქცია – ფალაური და არაბული. არის აგრეთვე მოსაზრება, რომ არაბულსა და ბერძნულს შორის არის ქართ. ვერსია, რ-ის ორი რედაქცია შემონახულია ძვ. ქართ. ხელნაწერებში: ,,იოდასაფის ცხოვრება'' და ,,სიბრძნე ბალავარისი''. ბერძნ. და ლათ. ხელნაწერთა ტრად. კვალად ბიზანტინისტიკაში ჯერ კიდევ პოპულარულია აზრი, რომ რომანის ავტორია *იოანე დამასკელი.* ამ ვერსიის მეცნ. დასაბუთება უკავშირდება გერმ. ბიზანტინისტის – ფ. *დელგერის* სახელს (1953). XIX ს. მიწურულში ჩამოყალიბებული მეცნ. თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ,,ვ. და ი-ის'' ავტორი შესაძლებელია იყოს საბაწმინდის მონასტრის უცნობი ბერი, სახელად იოანე (ჰ. ზოტენბერგი), ერთგვარად მოდერნიზებული სახით განმეორდა XX ს. დასასრულსაც (,,ოქსფორდის ბიზანტიური ლექსიკონი'', 1991). XI ს-იდან დაწყებული ბერძნ., ლათ. და ქართ. ცნობები კი თხზულების ავტორად ეფთვიმე იბერს (იხ. *ექვთიმე მთაწმიდელი*) ასახელებს. ამ თვალსაზრისის მეცნ. არგუმენტაცია 1931 წარმოადგინა პ. პეეტერსმა. დღეისათვის იგი დასტურდება შემდეგი არგუმენტებით:

1. ექვთიმე მთაწმიდლამდე ბერძნ. ენაზე არ არსებობდა რომანის არც ხელნაწერები, არც დამოწმება სვინაქსარებში, არც რაიმე რემინისცენცია, გადაკრული მინიშნებაც კი; მეორე მხრივ, ექვთიმე მთაწმიდლის დროს, X ს. უკანასკნელ ათწლეულში, ბიზანტ. სამეფო კარზე და საეკლ. წრეებში საჭირო და თანადროული უნდა ყოფილიყო ,,ვ. და ი-ის'' როგორც ფაბულა (ახალგაზრდა უფლისწულის გაქრისტიანების ამბავი), ასევე ქრისტოლოგია (პოლემიკა წარმართობის წინააღმდეგ); 2. თხზულება გამოჩნდა ათონის მთაზე, სადაც მოღვაწეობდა ექვთიმე მთაწმიდელი; 3. მსგავსი მეტაფრასული სტილის ჰაგიოგრაფიული თხზულება შეუძლებელია ჩამოყალიბებულიყო

მეტაფრასტიკის წარმოშობამდე – ექვთიმე მთაწმიდლის მოღვაწეობის დრომდე; 4. ბერძნ. ტექსტის ზოგი თავისებური წაკითხვის ახსნა შესაძლებელი იქნება, თუ გავიზიარებთ აზრს, რომ თხზულება ქართულიდან მომდინარეობს; 5. ბერძნ., არაბ. და ქართ. რედაქციათა საერთო ნაწილის ბერძნ. ტექსტი შორდება არაბულს და უახლოვდება ქართულს.

გამოც.: Barlaam and Joasaph, with an English transl. by G. R. Woodward and H. Matingly, L., 1967.

ლიტ.: გ ვ ა ხ ა რ ი ა ა., ,,ბალავარიანის'' სპარსული ვერსიები, თბ., 1985; ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე ე., ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიისათვის, თბ., 1982 (რუს. გამოც., თბ., 1989; ინგლ. გამოც., ამსტერდამი, 1966); Л е б е д е в а И. Н., Повесть о Варлааме и Иоасафе, Л., 1985; D ö l g e r F., Der Griechische Barlaam-Roman–ein Werk des H. Johannes von Damaskos, Ettal, 1953; P e e t e r s P., La Première traduction latine de ,,Barlaam et Ioasaph'' et son original grec. – In: «Analecta Bollandiana». t. 49, fasc. 3 et 4, Brux., Paris, 1931.

ე. ხინთიბიძე.

ვარლაამ მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – ვარლამ მელიტონის ძე მ ა ხ ა რ ა ძ ე) (26. III. 1873–1943), სასულიერო მოღვაწე. 1895 დაამთავრა თბილ. სას. სემინარია, 1897 ხელდასხმულ იქნა მღვდლად და განამწესეს სოფ. კავთისხევის ეკლესიის წინამძღვრად. 1899–1914 ფოთის საკათედრო ტაძრის მღვდელმთავარი იყო. 1914 საქართველოს ეგზარქოსის მიერ ვ. მ. გადაყვანილ იქნა ერევნის საოსტატო სემინარიისა და ქალთა მეორე გიმნაზიის საღვთო სჯულის მასწავლებლად და სემინარიის კარის ეკლესიის მღვდლად. 1915 იყო ყარსის ოთხი სამხედრო ჰოსპიტლის, ხოლო 1916 – ერევნის ჰოსპიტლის მღვდელი: 1918 დაინიშნა თბილ. №1 საქალებო გიმნაზიისა და ვაჟთა №7 გიმნაზიის პედაგოგად.

1919 წ. 12 აპრილს მიენიჭა დეკანოზის ხარისხი. 1926 წ. 7 მარტს საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქის *ამბროსის* ლოცვა-კურთხევით ხელდასხმულ იქნა მარგვეთის ეპისკოპოსად. 1929 გადაიყვანეს ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად.

1930 წ. 25 ოქტომბერს ვ. მ-ს მიენიჭა მიტროპოლიტის ხარისხი. 1934–37, სამღვდელოების დევნისას, იყო უეპარქიოდ. 1937 წ. 7 ივნისს, საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქის *კალისტრატეს* ლოცვა-კურთხევით დაინიშნა ქუთაის-გაენათის ეპარქიის მიტროპოლიტად. იმავე წელს გადაასახლეს, გარდაიცვალა იქვე.

ლიტ.: ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე ს., ქართველი მღვდელმთავრები (XX–XXI საუკუნეები), თბ., 2010; ჟ ვ ა ნ ი ა ზ., საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ქუთ., 1994.

თ. მარგველაშვილი.

ვარლამი (ე რ ი ს თ ა ვ ი) (8. VIII. 1763 – 18. XII. 1830, მოსკოვი), საქართველოს ეგზარქოსი 1811–17, დავით ქსნის ერისთავის ძე. პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. 1784 დაამთავრა თბილ. სას. სემინარია. ვ. იყო ღრმად განსწავლული ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიაში, შესანიშნავი რიტორი, მოქადაგე და ენების მცოდნე, ახალგაზრდობიდანვე აღიკვეცა ბერად და მალევე მღვდელმონაზონის ხარისხში იქნა აყვანილი. ქართლ-კახეთის სამეფო კარის გადაწყვეტილებით ვ. დაინიშნა ახტალის ეპარქიის მმართველად. 1794 ვ. რუსეთში გაემგზავრა და მოღვაწეობა დაიწყო პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრაში. 1801 იმპერატორ პავლე I-ის განკარგულებით იგი აირჩიეს რუსეთის უწმიდესი სინოდის წევრად. შეისწავლა რუს., ებრ., ძვ. ბერძნ. ენები. პეტერბურგში მოღვაწეობის დროს ვ-მა გამართა ქართ. სტამბა და ხელი მიჰყო საგამომცემლო საქმიანობას – 1802 რუს. ენაზე დაიბეჭდა ნაშრომი ,,ქართული ენის გრამატიკა'', მასვე ეკუთვნის ნაშრომი ,,განმარტებანი სახარებისა'', რ-იც შემდგომში რუსულად ითარგმნა.

1808 ვ. საქართველოში დააბრუნეს. პეტერბურგის საიმპერატორო კარი დიდ იმედს ამყარებდა მასზე. ვ. გვერდში ამოუდგა კავკასიის რუს. ხელისუფლებას საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების საქმეში. 1810 წ. 3 ნოემბ., საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქის *ანტონ II-ის* რუსეთში გაწვევის შემდეგ, ვ. დაინიშნა კათოლიკოსის მოვალეობის შემსრულებლად. ხელისუფლების დავალებით მან შეადგინა აღმ. საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი, რ-იც საქართვ. საეგზარქოსოს შექმნას და რუს. სინოდისადმი მის დაქვემდებარებას ითვალისწინებდა. 1811 წ. 30 ივნისს რუს. იმპერატორმა, მცირედი ცვლილებებით, ხელი მოაწერა ვ-ის შედგენილ პროექტს. საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა. ვ. გახდა საქართვ. ეგზარქოსი, ხოლო დას. საქართველოს საკათოლიკოსოს გაუქმების (1814) შემდეგ – საქართველო-იმერეთის ეგზარქოსი. ადგილობრივი საერო და სას. პირების წინააღმდეგობის გამო, მან დას. საქართველოში რეფორმა ვერ განახორციელა, რის გამოც საქართველოდან რუსეთში გაიწვიეს. იგი თავდაპირველად სანქტ-პეტერბურგის სინოდის წევრად დანიშნეს, 1825 კი – მოსკოვის დანიელის მონასტრის წინამძღვრად, სადაც გარდაიცვალა. დაკრძალულია იქვე.

ლიტ.: ბ უ ბ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ე., საქართველოს ეგზარქოსის ვარლამ ერისთავის მოღვაწეობის ისტორიიდან. კრებული, მიძღვნილი ვალერი გაბაშვილის 90 წლისთავისადმი, თბ., 2003; ლ ე კ ი შ ვ ი ლ ი ს., ქართული სტამბის მოღვაწენი, «მწიგნობარი», 1982, №81; К и р и о н II (Садзаглов), Епископ, Краткий очерк истории Грузинской церкви и экзархата за XIX столетие, Тфл., 1901.

ე. ბუბულაშვილი.



ფ. ვარლამიშვილი.

ვარლამიშვილი (ვ ა რ ლ ა) ფელიქს გრიგოლის ძე (22. IV. 1903, ქუთაისი, – 6. II. 1986, პარიზი), ფერმწერი. სწავლობდა თსუ-ის საბუნებისმეტყველო-მათ. ფაკ-ტსა (1920–23) და თბილ. სამხატვრო აკად. ფერწერის ფაკ-ტზე (1923–27). მისი პედაგოგები იყვნენ ი. შარლემანი და ე. ლანსერე, 1929-იდან ცხოვრობდა პარიზში. 1945-იდან იყო ,,შემოდგომის სალონის'' ჟიურის წევრი, 1948–52 ცხოვრობდა და მოღვაწეობდა არგენტინაში. სხვადასხვა დროს პერსონალური გამოფენები მოაწყო საფრანგეთის, აშშ-ის, არგენტინის, იაპონიის, ირანის, ბელგიის სხვადასხვა ქალაქში. 1987 მხატვრის მიერ ნაანდერძევი 10 ნამუშევარი გადმოეცა შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმს. გამოფენები მოეწყო თბილისსა (1987) და ქუთაისში (1988). ვ-ის ტილოებზე ასახულია საოჯახო, შრომის,



ფ. ვ ა რ ლ ა მ ი შ ვ ი ლ ი. ,,მეთევზეები''. 1978.

თევზაობის, ნადირობის რეალისტური სცენები. ნამუშევრები ხასიათდება მაღალი პროფ. დონით, ორიგინ. ხედვით, კომპოზიციისა და ფერების დეკორ. ხასიათით, თბილი კოლორიტით, პოეტური, ნაღვლიანი განწყობილებით (,,ავტოპორტრეტი'', 1924; ,,მაწვნის გამყიდველი'', 1943; ,,მეთევზეები'', 1978 და სხვ.).

ქ. კინწურაშვილი.

ვარნეთი, სოფელი ისტორიულ ჯავახეთში. მდებარეობს ნიალის ველის სამხრ.-აღმ. კიდეზე, ქარზამეთისწყლის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. 3-ში ყოფილა ციხე (,,მესხურ მატიანეში'' იხსენიება 1576), სადაც მომხდარა ბრძოლა ათაბაგისა და შალიკაშვილის მომხრეთა შორის: ,,ვარნეთის ციხეს უღალატეს მგელციხიდამა და ენკენისთუეს ოთხსა პატრონი ერეკლე, მათი ბიძაშვილი, მგელციხეს იყვნეს და შალიკაიანთ აზნაურიშვილებს თავს დაესხნენ. აზნაურიშვილები გარდაეხუეწნეს''. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით, 1595 3. ახალქალაქის ლივაში შემავალ ნიალისყურის რწში შედიოდა. მაშინ იქ 12 კომლი ქართვ. ცხოვრობდა: ბატატა თევდორეს ძე, გაგუჩა ძმა მისი, გოგიჩა ელიას ძე, ელისა ძმა მისი, ზურაბ, ვარძელ ძმა მისი, ლაშქარა გუბელას ძე, ბევროზა ძმა მისი, გოგოლა დანიელის ძე, დათუნა გულას ძე, იარაზიზ ბევროზას ძმა, იზაკა დანიელის ძე. მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი და სელი. ჰქონიათ ბოსტნები, ჰყავდათ ცხვარი, ღორი და ფუტკარი. მათი წლიური გამოსაღები 14365 *ახჩას* შეადგენდა. 1714 ,,ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთრის'' მიხედვით, სოფ. 3. ექვემდებარებოდა ვინმე აჰმედ მეჰმედის ძეს და იხდიდა გადასახადს 14365 ახჩის ოდენობით.

წყარო: სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV–XVI სს.), ქრ. შარაშიძის გამოც., თბ., 1961; ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, ც. აბულაძისა და მ. სვანიძის გამოც., თბ., 1979; ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2–3, თბ., 1941–58.

დ. ბერძენიშვილი.

ვარნეთი, ვარენთა, ნასოფლარი ასპინძის სამხრეთ-დასავლეთით, ხევის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ,,ასპინძის-ხევის შესართავს ზეით მოერთვის მტკვარ ვარენთის-ჴევი... ვარენთას არს ციხე მაგარი, კლდესა ზედა შენი''. აქაური დასახლების სიძველეს მოწმობს 1970 ხვნის დროს აღმოჩენილი ადრეული შუა საუკუნეების ეკლესიის დეტალები. ნასოფლარის თავზე გადმომდგარ კლდეზე აგებულია 3-ის ციხე, რ-იც სამი მხრიდან სრულიად მიუვალია. ციხის ერთ-ერთ ბურჯზე დარბაზული ეკლესიაა დაშენებული. ციხეცა და ეკლესიაც განვითარებული შუა საუკუნეების ხანისა უნდა იყოს. გაურკვეველია, სოფლის სახელი ვახუშტი ბატონიშვილმა დაამახინჯა, თუ შემდგომში შეიცვალა ვარენთი 3-ად; 1595 ამ სოფელს 3. ერქვა. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში'' იგი ახალციხის ლივაში შემავალ ასპინძის ნაჰიეშია დასახელებული, სადაც 13 კომლი ქრისტიანი ქართველი ცხოვრობდა: ჯიმშერ, პაპუნა ძმა მისი, ვარძელ, გოგოლა ჯანისარის ძე, მირზა ძმა მისი, ბადურა, ვარძელ ძმა მისი, მასურა ზანდარას ძე, იონა პავლიას ძე და სხვ.; მათ მოყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, მუხუდო, ოსპი, სელის თესლი; ჰქონიათ ბოსტნები, კაკალი, ხილი, ჰყოლიათ ცხვარი, ღორი, ფუტკარი, სოფელს ჰქონია 2 თვალი წისქვილი. მათი წლიური გამოსაღები 13500 *ახჩას* შეადგენდა. 1714 სოფელი ექვემდებარებოდა ვინმე აბდურრაჰიმს და იხდიდა 700 ახჩას. 1848 მას უკვე დიდი 3. ერქვა, სადაც 15 კომლი, 1870 კი – 24 კომლი ცხოვრობდა. ბოლო წლებში ჯავახეთის 3-ს ზემო, სამცხისას კი ქვემო 3. ერქვა. 1944 აქაური მაჰმადიანი მესხები შუა აზიაში გადაასახლეს, ამჟამად ნასოფლარია.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომთურისა და ნ. ბერძენიშვილის გამოც., თბ., 1941; ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, ც. აბულაძისა და მ. სვანიძის გამოც., თბ., 1979.

დ. ბერძენიშვილი.

ვარონი (Varro) მარკუს ტერენციუს (ძვ. წ. 116, ქ. რეატე, – ძვ. წ. 27), რომაელი მწერალი, მეცნიერი, ენციკლოპედისტი. თავდაპირველად ცხოვრობდა რომში, შემდეგ – ათენში. იყო სახ. ტრიბუნი და *პომპეუსის* დაახლოებული პირი. იულიუს კეისრის დავალებით რომში დააარსა საჯარო ბიბლიოთეკა. ავტორია 74-მდე შრომისა პოეზიის, ისტორიის, რიტორიკის, სამართლისა და სხვა საკითხებზე. უმრავლესობამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. ერთ-ერთი მთავარი თხზულებაა 41 წიგნად შედგენილი ,,ძველთა საერო და საღვთო საქმენი'', რ-შიც აღწერილია რომაელთა ისტორია და რელიგ. ყოფა უძველესი დროიდან (მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი).

3. თან ახლდა პომპეუსს ამიერკავკ. ქვეყნებში ლაშქრობისას. პლინიუსმა შემოგვინახა 3-ის ცნობები ამ ქვეყნებზე, შორეულ აღმოსავლეთთან დამაკავშირებელ სავაჭრო-სატრანზიტო გზაზე (იხ. აგრეთვე *ამიერკავკასიის ძველი სავაჭრო-სატრანზიტო გზები*). 3-ის ცნობით, იმ დროს ინდოეთიდან 7 დღეში შეიძლებოდა ბაქტრიაში მისვლა, აქედან მდ. ბაქტრიით და მდ. ოქსოსით (ახლანდ. ამუდარია) – კასპიის ზღვაში, შემდეგ კი მდ. მტკვარში შემოსვლა, საიდანაც სახმელეთო გზით ინდოეთის საქონელი 5 დღეში აღწევდა ფასისს. პომპეუსი ამიერკავკასიაში ლაშქრობისას სწორედ ამ სავარაუდო მარშრუტით მოძრაობდა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; Латышев В. В., Известия древних писателей о Скифии и Кавказе, «Вестник древней истории», 1949, №2; Dahlmann H., M. T. Varro, წგ.: Pauly`s Realencyclopädie der classischen Altertumswissenschaft, Suppl.-Bd. 6, Stuttg., 1935, S. 1172; Lindberg D., The Beginnings of Western Science, Chicago, 2007.

ვარპახოვსკი ლეონიდ ვიქტორის ძე (29. III. 1908, მოსკოვი, – 27. XI. 1976, იქვე), რუსი რეჟისორი და მხატვარი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1964), რსფსრ სახ. არტისტი (1966). 1918 სწავლობდა მოსკ. დიდ თეატრთან არსებულ საბალეტო სკოლაში. მოსკ. სახელმწ. უნ-ტის ლიტერატურისა და ხელოვნების ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ (1931) მუშაობდა მოსკ. მუშა ახალგაზრდობის თეატრში რეჟისორის ასისტენტად და მხატვრად, ამავე დროს იყო კრიტიკოსი. ვ. მეიერჰოლდის თეატრში 1934–35 დადგა ა. დიუმას ,,ქალი კამელიებით''. პარალელურად სწავლობდა ვახტანგოვის სახ. თეატრის სტუდიაში. 1937–53 მუშაობდა რეჟისორად ალმა-ათისა და მაგადანის თეატრებში, სადაც დადგა ვ. ვიშნევსკის ,,ოპტიმისტური ტრაგედია'', კ. გოლდონის ,,ორი ბატონის მსახური'' და ,,სასტუმროს დიასახლისი'', ა. სოფრონოვის ,,მოსკოვური ხასიათი'', ა. ოსტროვსკის ,,შმაგი ფული'', ა. ჩეხოვის ,,თოლია'' და სხვ.

1945–55 3. თბილ. ა. გრიბოედოვის სახ. თეატრის რეჟისორი იყო (ა. ჩეხოვის ,,თოლია'', მ. ბულგაკოვის ,,ტურბინთა დღეები''),

მოღვაწეობდა აგრეთვე კინოსტუდია ,,ქართულ ფილმში‘‘, ხოლო 1956-იდან – მოსკ. თეატრებში. დადგმული აქვს მუს. სპექტაკლები და ოპერეტები. *შ. ცუცქირიძე.*

ვარსამუსე, ვარსამუშა, ბიზანტიელი ისტორიკოსის თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობით, სპარსელების ქვეშევრდომი, იბერიელთა მთავარი. 627 ნინევიის ნანგრევებთან ბრძოლისას (ახლანდ. ქ. მოსულის მახლობლად) ტყვედ ჩაიგდო ჰერაკლე კეისარმა. ვარაუდობენ, რომ ვ. ქვემო ქართლის პიტიახში არშუშა უნდა იყოს.

ლიტ.: გოილაძე ვ., არის თუ არა თეოფანე ჟამთააღმწერელთან მოხსენიებული ვარსამუსე ქართლის ერისმთავარი, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1976, №1; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1979 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 1). *ვ. გოილაძე.*

ვარსიმაანთკარის არქეოლოგიური ძეგლები, ძვ. წ. V–IV სს. ნამოსახლარი და სამაროვანი სოფ. ვარსიმაანში, ადგილ ვარსიმაანთქედებზე (დუშეთის მუნიციპალიტეტი). არქეოლ. გათხრები ჩატარდა 1972, 1981–86 (ხელმძღვ. რ. რამიშვილი). გამოვლენილია ქვაყრილიანი და მიწაყრილიანი ინდივიდ. ორმოსამარხები. სამაროვანი ერთფენიანია. მოქმედებდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში მარჯვენა (კაცები) ან მარცხენა (ქალები) გვერდზე. იშვიათია წყვილადი დაკრძალვა. 4 სამარხში მხედართან ერთად დაკრძალული იყო ცხენი. სამარხში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი (ხელადები, სასმისები, ჯამები, კოჭბები, გუთნები), რკინის იარაღი (შუბისპირები, სატევრები, ისრისწვერები, დანები), ბრინჯაოს ნივთები (ფარი, მუზარადი, ჯავშანი, სამაჯურები, სასაფეთქლე რგოლები, ბეჭდები, საკინძეები), ვერცხლისა და ოქროს სამკაული.

სამაროვნის ჩრდ.-დას-ით 10 *მ*-ზე გამოვლენილია სინქრონული ნამოსახლარი. კედლები ნაგებია ქვის საძირკველზე ამოყვანილი ალიზით. გათხრილია კერამ. ქურაც.

მოპოვებული მასალა აღმ. საქართველოს ანალოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი მასალის მსგავსია.

ლიტ.: წითლანაძე ლ., ვარსიმაანთკარის სამაროვანი, წგ.: ჟინვალი. არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, I, თბ., 1983; Мухигулашвили Н. З., Варсимаантканский могильник, კრ.: Археологические открытия 1981 года, М., 1983; Работы Жинвальской археологической экспедиции, წგ.: Полевые археологические исследования в 1981 году, Тб., 1984.

ნ. მუხიგულაშვილი.

ვარსიმაანი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. დუშეთისხევის (არაგვის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 960 *მ,* დუშეთიდან 3 *კმ.* 200 მცხ. (2002).

ვარსიმაშვილი ავთანდილ ედუარდის ძე (დ. 10. XI. 1959, თბილისი), თეატრისა და კინოს რეჟისორი. 1981 დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკტი (რ. სტურუას კლასი). 1982–92 მუშაობდა თბილ. შოთა რუსთაველის სახ. აკად. თეატრში. დამდგმელ რეჟისორად. 1992–96 იყო ,,კავკასიის ტელერადიოკომპანიის‘‘ სამხატვრო ხელმძღვანელი. 1997



ა. ვარსიმაშვილი. სცენა სპექტაკლიდან ,,მექანიკური ფორთოხალი‘‘. 2011.

კოლეგებთან ერთად დააარსა და ხელმძღვანელობდა *,,თეატრალურ სარდაფს‘‘.* 1999-იდან თბილ. ა. გრიბოედოვის სახ. რუს. დრამ. თეატრის მმართველი და სამხატვრო ხელმძღვანელია. 2001 დააარსა *,,თავისუფალი თეატრი‘‘*, 2008 – კინოსტუდია ,,vars studio‘‘. მნიშვნელოვანი დადგმებია: რუსთაველის თეატრში – კ. გოლდონის ,,მშვენიერი ქართველი ქალი‘‘ (1981), ლ. თაბუკაშვილის ,,ათვინიერებენ მიმინოს‘‘ (1982), ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი‘‘ (1986), მ. ჯავახიშვილის ,,კვაჭი კვაჭანტირაძე‘‘ (1988), უ. შექსპირის ,,ტიტუს ანდრონიკუსი‘‘ (1993); ა. გრიბოედოვის თეატრში – ე. ზოლას ,,ტერეზა რაკენი‘‘ (1999), მ. ბულგაკოვის ,,ოსტატი და მარგარიტა‘‘ (2005), ნ. გოგოლის ,,ქორწინება‘‘ (2011), ლ. ტოლსტოის ,,ცხენის ისტორია‘‘ (2012); არის რეჟისორი მხატვრული ფილმისა ,,თვინიერი‘‘ (1990, საქართველოსა და იტალიის ერთობლივი ნაწარმოები) და სატელევიზიო ფილმისა ,,სახლი ძველ უბანში‘‘ (1993–94; 30 სერია); კინოსტუდია Vars studio-ში გადაიღო ფილმები: ,,იდიოტოკრატია‘‘ (2008), ,,ყველაფერი კარგად იქნება‘‘ (2009), ,,მიდი ძმაო, მიდი!‘‘ (2010), ,,ბამბაზიის სამოთხე‘‘ (2010), ,,ისფაჰანი – ბათუმი‘‘ (2012).

1981-იდან ეწევა პედ. მოღვაწეობას შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნ-ტში, არის უნ-ტის სრული პროფესორი, რეჟისურის მიმართულების ხელმძღვანელი, საქართვ. სახელმწ. პრემიის (1999), კ. მარჯანიშვილის პრემიისა (2002) და არაერთი თეატრ. პრემიის ლაურეატი.



ა. ვარსიმაშვილი.

ვარსიმაშვილი რევაზ შალვას ძე (დ. 30. IX. 1930, ქუთაისი), მეცნიერი მექანიკა-მანქანათმშენებლობის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1986), საქართვ. საინჟ. აკად. წევრი (1996). 1954 სპი-ის მექანიკის ფაკტი. 1962–65 იყო საპროექტო ინ-ტ ,,საქკვებმრეწვსახპროექტში‘‘ განყბის გამგე. 1965-იდან მუშაობს სტუ-ში მანქანათა ნაწილებისა და ამწე-სატრანსპორტო მანქანების კათედრაზე (1990–2000 – კათედრის გამგე, 2000-იდან – ამავე კათედრის პროფესორი). ვ-ის კვლევები ეხება არამრგვალი სივრცითი კბილანური გადაცემების თეორიას. მის მიერ შემოთავაზებული არამრგვალი კბილანური გადაცემები საშუალებას იძლევა, მანქანების მუშა ორგანოების მოცემული კანონით მიმდინარე მოძრაობა გადაეცეს ურთიერთგადამკვეთ და აცდენილ ღერძებს. ამ კვლევებმა შესაძლებელი გახადა მანქანების ახ. ტიპის კომპაქტური ამძრავების შექმნა, რამაც გაამარტივა მანქანათა კონსტრუქციები, შეამცირა მათი ზომები და წონა. ვ-ის შრომები ეხება აგრეთვე არამრგვალი კბილანების დამზადების მეთოდებს პროგრამული მართვის სისტემების გამოყენებით, არამრგვალკბილანებიანი პლანეტარული და დიფერენციალური მექანიზმების კვლევას.

თხზ.: Зубчатые механизмы с некруглыми колесами, Тб., 1985; Планетарные и дифференциальные механизмы с некруглыми колесами, Тб., 1987.

ვარსინის (ვაჭევის) მღვიმე, კარსტული მღვიმე ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. ვაჭევში, იმერეთის მაღლობზე, ზ. დ. 740 *მ* სიმაღლეზე. გამომუშავებულია ზედაცარცულ

სქელშრეებრივ კირქვებში. მღვიმეში შესასვლელი იხსნება კაცხურის ხეობის ფსკერისპირა ზოლის მარცხ. ფერდობზე, ვიწრო, 0,5 *მ* სიმაღლის, ხვრელის სახით. მღვიმე დერეფნული ტიპისაა, აქვს სუბჰორიზონტული ფსკერი და ცალკეული დარბაზული გაფართოებანი. მთელ მანძილზე ნგრევის უხვი მასალაა დაგროვილი. გაედინება ნაკადული, რ-იც შესასვლელთან ნაზვავ მასალაში იფილტრება. მღვიმის ჯამური სიგრძე 960 *მ*-მდეა, ფსკერის ფართ. – 1400 *მ*^{2}, მოცულობა – 5600 *მ*^{3}. მღვიმეში ჰაერის ტემპ-რა 9°C-მდე აღწევს.

ლიტ.: ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

ვარსკვლავები, გავარვარებული იონიზებული აირისგან (პლაზმისგან) შემდგარი ციური სხეულები; მათ წიაღში მიმდინარე თერმობირთვული სინთეზისას გამოყოფილ ენერგიას ვ. ასხივებს ელექტრომაგნიტური ტალღის სახით სპექტრის ფართო დიაპაზონში. ვ. გაერთიანებულია ვარსკვლავთა სისტემებად – გალაქტიკებად, რ-თა ერთობლიობა შეადგენს მთელ ხილულ სამყაროს – მეტაგალაქტიკას. ვ-ის ერთ-ერთი რიგითი წარმომადგენელია მზე. ჩვენს გალაქტიკაში – ირმის ნახტომში ≈ 150 მლრდ. ვარსკვლავია, მეტაგალაქტიკაში კი ≈ 10^{21}, თუმცა შეუიარაღებელი თვალით მხოლოდ 6000-მდე ვარსკვლავის შემჩნევა შეიძლება.

ვ. წარმოიშვა გაიშვიათებული აირის შეკუმშვით (კოლაფსით) გრავიტაციული მიზიდულობის გამო, რასაც მოჰყვა შეკუმშული ნივთიერების ღრმა ფენების გაცხელება გრავიტაციული ველის ენერგიის ხარჯზე ისეთ დიდ ტემპ-რამდე (≥10^7 K), რ-საც მოსდევს ქიმ. ელემენტთა სინთეზის რეაქციების დაწყება. ამის შემდეგ ვ-ის განვითარება მის ქიმ. ევოლუციას იწვევს, რის გამოც იცვლება ვ-ის ყველა პარამეტრი: რადიუსი, ქიმ. შედგენილობა, მასა, გარე ფენების ტემპ-რა, ნათობა, ფიზ. პარამეტრთა განაწილება ვ-ის შიგნით და სხვ. ამას გარდა, ევოლ. სხვადასხვა ეტაპზე ვ. მეტ-ნაკლები არასტაციონარულობის ეტაპებსაც გადის, კერძოდ, გამოაფრქვევს ნივთიერებას სტაბილური ვარსკვლავიერი ქარის სახით ან მასის ერთჯერადი გამოტყორცნით (ანთებადი ვარსკვლავები, ახ. ვარსკვლავები და მისთანა მოვლენები). თავის მხრივ, ვარსკვლავთშორისი მატერიის ღრუბლები, როგორც XX–XXI სს. ასტრონომია გვიჩვენებს, დროდადრო კვლავ ვ-ად იკუმშება. მათი წარმოქმნის პროცესი სამყაროში განუწყვეტლივ გრძელდება.

ვ-ს უძველესი დროიდან შეისწავლიან. დიდ სიძნელეებს ქმნის მათი სიშორე – მზიდანაც კი სინათლის სხივის დედამიწამდე მოღწევას 8,3 წუთზე მეტი დრო სჭირდება, უახლოესი მეზობელი ვარსკვლავიდან (ე. წ. კენტავრის



კლასტერი კვინტუალეტი (Quintuplet_ Cluster).

α სამმაგი სისტემა) – 4 წელიწადზე მეტი, ჩვენი გალაქტიკის ცენტრიდან ≈ 26000 წელიწადი, ყველაზე შორი გალაქტიკებიდან კი – 13 მლრდ. წელიწადზე მეტი (შედარებისათვის, მზის ასაკია ≈ 5 მლრდ. წ).

შორეულ წარსულში ვ-ს ცის სფეროზე უძრავად დამაგრებულ წერტილებად მიიჩნევდნენ. მათ შესახებ ყველა ძირითადი მონაცემი XV ს. შემდეგაა მოპოვებული. მაგ.: ცვალებადი ვარსკვლავების (იტალ. ასტრონ. ი. ფაბრიციუსი, 1596), ორმაგი ვარსკვლავების (იტალ. ასტრონ. ჯ. რიჩოლი, 1650), ვ-ის საკუთარი მოძრაობების (ინგლ. ასტრონ. ე. ჰალი, 1718) აღმოჩენები, ვ-მდე მანძილების გაზომვა (ვ. სტრუვე, ფ. ბესელი, თ. ჰენდერსონი, 1835–39), ვ-ის სპექტრების მიღება (XIX ს. ბოლო), დოპლერის ეფექტის დადასტურება სინათლისათვის (რუსი ასტრონ. ა. ბელოპოლსკი, 1900), რაც საფუძვლად დაედო ვ-ის სხივური სიჩქარის დადგენას მათ სპექტრში ხაზების წანაცვლების მიხედვით, ატომური და ბირთვული ფიზიკის წარმატებების საფუძველზე ვ-ის ფიზ. ბუნებისა და ქიმ. შედგენილობის განსაზღვრა, მათი შინაგანი აგებულების კვლევა (შვეიც. ასტრონ. რ. ემდენი, გერმ. ასტრონ. კ. შვარცშილდი, ინგლ. ასტრონ. ა. ედინგტონი და სხვ., XX ს. 20-იანი წლებიდან), პლანეტების სისტემების აღმოჩენა სხვა ვ-ის გარშემო (XX ს. ბოლო; XXI ს. დასაწყისისათვის ნაპოვნია 1200-მდე ასეთი ექსტრასოლარული პლანეტა).

მნიშვნელოვანია ვ-ის ძირითად პარამეტრებს შორის ფუნქციურ თუ სტატისტ. დამოკიდებულებათა დადგენა (ჰერცშპრუნგ-რასელის დიაგრამა, ე. წ. მასა-ნათობის კანონი და სხვ.), ვ-ის სპექტრული კლასიფიკაციის შემოღება (ჰარვარდის ობსერვატორია, აშშ, XX ს. დასაწყისი), რ-იც აიხსნება ბოლცმანისა და საჰას იონიზაციის თეორიის საფუძველზე, აგრეთვე ვ-ის ევოლ. დამუშავება და მათი ბოლო სტადიების შესაბამისი კონფიგურაციების დადგენა, რ-ებსაც შეესატყვისება ზემკვრივი ობიექტები – თეთრი ჯუჯები, ნეიტრონული ვარსკვლავები (პულსარები) და შავი ხვრელები. ამ ამოცანებს შეისწავლიან დედამიწაზე განლაგებულ ტელესკოპებზე მომუშავე დამკვირვებელი და თეორეტიკოსი ასტრონომები. ვ-ს იკვლევენ დედამიწის ატმოსფეროს გარეთ გატანილი (ხელოვნურ თანამგზავრებზე დამონტაჟებული) ტელესკოპებითაც, რათა ციურ სხეულებს დააკვირდნენ ელექტრომაგნიტური სპექტრის რენტგენულ, ულტრაიისფერ და სხვა უბნებში, რ-თა შესაბამისი გამოსხივება ატმოსფეროს არსებობის გამო ვერ აღწევს დედამიწის ზედაპირამდე. XX ს. ბოლოს ამოქმედდა ,,ნეიტრინული ტელესკოპები‘‘. მათი საშუალებით აკვირდებიან ვ-ის ბირთვებში მიმდინარე პროცესებს.

სახართველო ში დაკვირვებითი სამუშაოები ვ-ზე ძირითადად ტარდება *აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში.* ე. *ხარაძის,* მ. *ვაშაკიძისა* და მათი მოწაფეების შრომები ეძღვნება ჩვენი გალაქტიკის აგებულების შესწავლას; ვარსკვლავთა სპექტრული კლასიფიკაციის სისტემის დამუშავებას და მის საფუძველზე ათასობით ვ-ის სპექტრების კატალოგთა შედგენას; ცვალებადი ვ-ის სპეც. ტიპების გამოკვლევას; ვ-ის სისტემების მოძრაობას; გარეგალაქტიკურ ობიექტებს, მ. შ. კვაზარებს; დაკვირვებას მზეზე, კერძოდ, მზის სხვადასხვა

ფენაზე თუ წარმონაქმნზე (ფოტოსფერო, ქრომოსფერო, გვირგვინი, პროტუბერანცები, მზის ლაქები, ფლოკულები და სხვ.; იხ. *ასტრონომია*). ვ-ში მიმდინარე პლაზმურ პროცესებს სწავლობენ ობსერვატორიის თეორეტიკოსი ასტროფიზიკოსები (იხ. *ასტროფიზიკა*); კვლევა მიმდინარეობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის ასტრონ. კათედრაზეც. ვ-ის მკვლევარი ქართვ. ასტრონომები აქტიურად თანამშრომლობენ უცხოელ მეცნიერებთან.

ლიტ.: საბაშვილი შ., სამყაროს საინტერესო ობიექტები, თბ., 1976; სურგულაძე ე., კასრაძე მ., ლომიძე ი., სამყაროს ფიზიკა, თბ., 2001; ხარაძე ე., ასტრონომიის საფუძვლები, [ტ.] 2, თბ., 1974; Шкловский И. С., Звезды: их рождение, жизнь и смерть, 3 изд., М., 1984.

შ. საბაშვილი. ი. ლომიძე.

ვარსკვლავთა ასტრონომია, ასტრონომიის დარგი, რომელიც შეისწავლის ვარსკვლავთა სისტემების შედგენილობის, აგებულების, მოძრაობისა და ევოლუციის ზოგად კანონზომიერებებს, აგრეთვე *ვარსკვლავებისა* და ვარსკვლავთშორისი მატერიის განლაგებას გალაქტიკაში. ვ. ა-ის ერთ-ერთი მიზანია ჩვენი გალაქტიკის, როგორც მთლიანისა და ერთიანის, აგებულებისა და განვითარების გამოკვლევა. ეს კვლევა ემყარება ვარსკვლავთა გეომ., კინემატიკური და ფიზ. პარამეტრების შესახებ მოპოვებული მონაცემების სტატისტ. განხილვას და ასტრომეტრული, ასტროფიზ. და ცის მექანიკის (დინამიკური) მეთოდების გამოყენებას. ვ. ა-ში ფართოდ იყენებენ ასტრომეტრიისა და ასტროფიზ. ფაქტობრივ მონაცემებს (ვარსკვლავთა სივრცული განაწილება და საკუთარი მოძრაობა, სხივური სიჩქარეები, სპექტრული კლასები, ნათობა და სხვ.). ვ. ა-ის ზოგადი დასკვნები საფუძვლად ედება კოსმოგონიასა და კოსმოლოგიას, დიდია ვ. ა-ის, როგორც მეცნიერების, ფილოს.-შემეცნებითი მნიშვნელობა. სამყაროს აგებულებისა და განვითარების ზოგადი სურათის დადგენისას. იგი ემყარება დაკვირვების შედეგად მოპოვებული ფაქტების განზოგადებასა და ანალიზს. ვ. ა. შედგება სამი ნაწილისაგან: ვარსკვლავთა სტატისტიკისაგან (შეისწავლის უმთავრესად ვარსკვლავებისა და მათი სისტემების სივრცულ განაწილებას და განაზოგადებს მათ ფიზ. თვისებებს), ვარსკვლავთა კინემატიკისა (იკვლევს ვარსკვლავებისა და მათი სისტემების მოძრაობათა ზოგად კანონზომიერებებს) და ვარსკვლავთა დინამიკისგან (შეისწავლის სხეულთა და ნივთიერების მოძრაობას ვარსკვლავთა სისტემების გრავიტაციულ ველში და ამ მოძრაობების ევოლუციას).

მათ. სტატისტ. მეთოდებით შეისწავლიან გალაქტიკის სხვადასხვა ნაწილში ვარსკვლავთა ,,მოსახლეობის'' მახასიათებლებს, ადგენენ, თუ რომელი კატეგორიის ვარსკვლავებისგანაა შედგენილი *ვარსკვლავთა გროვები* და ვარსკვლავთა ასოციაციები; იკვლევენ ვარსკვლავთა განაწილებას ხილული ბრწყინვალებისა და ნათობის მიხედვით (ე. წ. ნათობის ფუნქცია), აგრეთვე განაწილებას მანძილების მიხედვით მოცემულ სივრცით კუთხეში (სიმკვრივის ფუნქცია); სწავლობენ სინათლის ვარსკვლავთშორის შთანთქმას. აღნიშნულ ფუნქციებს შორის არსებობს კავშირები, რ-ებიც გამოიხატება ე. წ. ვარსკვლავთა სტატისტ. ძირითადი განტოლებებით. სტატისტ. ურთიერთკავშირი არსებობს ვარსკვლავთა სხვა მახასიათებლებს შორისაც. ხშირად ამ კავშირებს სტატისტ. დიაგრამებით გამოხატავენ, ასეთებია ჰერცშპრუნგ-რასელის დიაგრამა, აგრეთვე დიაგრამები: ,,ფერი-ნათობა'', ,,მასა-აბსოლუტური ვარსკვლავიერი სიდიდე'' და სხვ. ამ დამოკიდებულებათა ინტერპრეტაცია საფუძვლად უდევს ზოგად დასკვნებს გალაქტიკების სტრუქტურისა და ევოლ. შესახებ.



გაბნეული გროვა NGC602.

ვარსკვლავთა კინემატიკის ძირითადი დამზერითი მასალაა ოპტ. მეთოდებით განსაზღვრული ვარსკვლავების საკუთარი მოძრაობები, მანძილები, სხივური სიჩქარეები, ვარსკვლავთშორისეთის ნეიტრალური წყალბადის გამოსხივების 21 *სმ* ტალღის სიგრძის სპექტრული რადიოხაზის დოპლერისეული წანაცვლებანი, რასაც რადიოასტრონ. მეთოდით მოიპოვებენ. ვარსკვლავის საკუთარი მოძრაობა და სხივური სიჩქარე გარკვეული თანაფარდობით დაკავშირებულია ვარსკვლავის სივრცულ მოძრაობასთან მზის მიმართ. მზის მოძრაობის სიჩქარე მის ,,მახლობლობაში'' მყოფი ვარსკვლავების მიმართ 19,5 *კმ/წმ* ტოლია და მიმართულია ცის წერტილისაკენ, რ-ის კოორდინატებია პირდაპირი აღვლენა – 18 *სთ*, და დახრილობა – +30° (ჰერკულესის თანავარსკვლავედში). ვარსკვლავთა სიჩქარეების სტატისტ. შესწავლამ ცხადყო, რომ ისინი წრიულად მოძრაობს გალაქტიკის ღერძის ირგვლივ. მზის მახლობლად განლაგებული ვარსკვლავებისათვის ეს სიჩქარეა დაახლ. 250 *კმ/წმ*. ამ არიდან გაქცევის სიჩქარე, ე. ი. სიჩქარე, რ-ის მიღწევისას მზის მეზობელ ვარსკვლავს შეუძლია გაიჭრეს გალაქტიკის სივრციდან, არის 320 *კმ/წმ*. ამასთან, არსებობს ვარსკვლავთა კრებულები ანუ ნაკადები, რ-თა შემადგენელ ვარსკვლავებს საშუალოდ ერთნაირი სივრცული სიჩქარე აქვს. ვარსკვლავთა მოძრაობების თავისებურებას განაპირობებს ისიც, რომ გალაქტიკის სხვადასხვა ქვესისტემები სხვადასხვა კუთხური სიჩქარით ბრუნავს გალაქტიკის ღერძის ირგვლივ.

ვ. ა., როგორც მეცნ. დარგი, ჩაისახა XVIII ს. დასასრულს, როცა ინგლ. ასტრონომმა უ. ჰერშელმა შეძლო იმ ვარსკვლავების გადათვლა, რ-ებიც მოჩანდა მისი ტელესკოპის ხედვის არეში. მან აღმოაჩინა გალაქტიკური კონცენტრაციის მოვლენა, წარმოადგინა გალაქტიკის ლინზისებრი მოდელი და განსაზღვრა მზის მოძრაობის მიმართულება. ჰერშელმა აღმოაჩინა მრავალი ორჯერადი ვარსკვლავი, შენიშნა ზოგი მათგანის ორბიტული მოძრაობა და დაადგინა, რომ ეს მოძრაობა ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონის შესაბამისად ხდება. XX ს-ში მსოფლიოს მრავალი მოწინავე ობსერვატორიის, მ. შ. საბჭ. კავშირის ასტრონომთა აქტ. მონაწილეობით დადგინდა, რომ მზე მდებარეობს გალაქტიკის ცენტრის მოშორებით და შეფასდა ეს

დაშორება (ამერ. ასტრონ. ჰ. შეპლი), დადგინდა გალაქტიკის, როგორც ერთიანი სისტემის, ბრუნვის ფაქტი (ნიდერლ. ასტრონომი ი. ოორტი, საბჭ. ასტრონ. კ. ოგოროდნიკოვი). ვ. *ამბარცუმიანმა* შ. *გორდელაძესთან* ერთად აღმოაჩინა ვარსკვლავთშორისი ნივთიერების დისკრეტული აგებულება, რამაც გარკვეული მიმართულება მისცა სინათლის ვარსკვლავთშორისი შთანთქმის გამოკვლევებს. მ. *გაშაკიძემ* და ი. ოორტმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთდროულად შეიმუშავეს გალაქტიკური ობიექტების სივრცული განაწილების განსაზღვრის მოხერხებული მეთოდი, რ-საც ამჟამად ფართოდ იყენებენ (იხ. *გაშაკიძე-ოორტის მეთოდი*).

3. ა-ის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ამბარცუმიანის მიერ ვარსკვლავთა ასოციაციების აღმოჩენას და პ. პარენაგოსა და ბ. კუკარკინის (მოსკოვი), აგრეთვე უ. ბაადეს (აშშ) მიერ დადგენილ ფაქტს, რომ გალაქტიკა სხვადასხვა კატეგორიის ობიექტებით დასახლებული ქვესისტემების ერთობლიობაა. რადიოასტრონ. მეთოდის გამოყენებამ ახ. ბიძგი მისცა 3. ა-ს. XX ს. შუა წლებიდან დიდად განვითარდა ვარსკვლავთა დინამიკა. მისი რთული ამოცანების გადაჭრას ხელს უწყობს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება.

1989–93 წლებში განხორციელდა ევრ. კოსმ. სააგენტოს პროექტი Hipparcos: გეოსტაციონარულ ორბიტაზე გაყვანილი კოსმ. ტელესკოპით დამზერილ იქნა მილიონზე მეტი ვარსკვლავი და შედგენილ იქნა კატალოგები ,,Hipparcos'', ,,Tycho'' (1997) და ,,Tycho–2'' (2000), რ-თა სიზუსტე აღწევს 1 mas (რკალის მილისეკუნდი). მნიშვნელოვნად დაზუსტდა მანძილი 70 000 ვარსკვლავამდე.

აბასთუმნის ასტროფიზ. ობსერვატორიის დამზერითსა და კვლევით მუშაობაში 3. ა-ს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. XX ს. 30-იანი წლების დასასრულსა და 40-იან წლებში მრავალი დაკვირვება და გამოკვლევა შესრულდა იმ დროისათვის შედარებით ახ. პრობლემის – ვარსკვლავთშორისეულ სივრცეში ვარსკვლავთა სინათლის გაბნევისა და შთანთქმის მახასიათებლების, აგრეთვე ვარსკვლავთა პარამეტრების (ვარსკვლავიერი სიდიდეები, ფერის მაჩვენებელის ცვალებადობა) შესასწავლად, შემდგომ კი – სპექტრული კლასებისა და ნათობის მასობრივი განსაზღვრისათვის. დამუშავდა და ფართოდ იქნა გამოყენებული ფოტომეტრული და სპექტრული მეთოდები. გამოქვეყნდა ვარსკვლავთა პარამეტრების (ფერის მაჩვენებლები, ფოტოვიზუალური ვარსკვლავიერი სიდიდეები, სპექტრისა და ნათობის კლასების ჯერადობა) შემცველი კატალოგები, განისაზღვრა ვარსკვლავთა ფოტომეტრული სტანდარტები, აიგო ცვალებად ვარსკვლავთა მრუდები, გამოთვლილ იქნა ცვალებადობის ელემენტები [შეტანილია ცვალებად ვარსკვლავთა კრებსით მრავალტომიან კატალოგში (მოსკოვი, სსრკ მეცნ. აკად. გამოცემა)]; განისაზღვრა ცალკეულ კატეგორიათა ობიექტების (,,ძველი'' ახ. ვარსკვლავების, ცირკონიუმოვანი ვარსკვლავების) პოზიციური მდებარეობანი; გამოკვლეულია ვარსკვლავთა გროვების ევოლ. საკითხები ვარსკვლავთა დინამიკის მეთოდებით; დახასიათებულია ვარსკვლავთა და ვარსკვლავთშორისი ნივთიერების სივრცული განაწილება და სხვა თვისებები, აგრეთვე მათი ურთიერთკავშირი ჩვენი გალაქტიკის ზოგიერთ არეებში; ჩამოყალიბებულია ვარსკვლავთა მცირედისპერსოვანი სპექტრების კლასიფიკაციის სამეცნ. მიმართულება, რ-იც წამყვანი იყო საბჭ. კავშირში 1959–80 წლებში. აბასთუმნის ასტროფიზ. ობსერვატორია მეთაურობდა საბჭ. კავშირში 3. ა-ის დარგში გამოკვლევების კოორდინაციას. ამჟამადაც იგი ფართოდ მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშ. მაკოორდინებელ, პრობლემურსა და სამუშაო ჯგუფებში.

ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ში შესრულებულია რამდენიმე ნაშრომი შერჩეულ ვარსკვლავთა აგრეგატების შესახებ.

ლიტ.: კ ო ლ ხ ი დ ა შ ვ ი ლ ი მ., ლექციები ვარსკვლავთა ასტრონომიის კურსში, თბ., 1979; Х а р а д з е Е. К., Каталог показателей цвета 14000 звезд и исследование поглощения света в Галактике на основе цветовых избытков звезд, «Бюллетень Абастуманской астрофизической обсерватории», 1952, №2; V a n Z e e u w e n F., Hipparcos, the New Reduction of the Raw Data, Springer, 2007; P e r r y m a n M., Astronomical Applications of Astrometry: Ten Years of Exploitation of the Hipparcos Satellite Data, Cambr., 2009.

ე. ხარაძე. შ. საბაშვილი.

ვარსკვლავთა გროვები, ერთმანეთთან გრავიტაციული ურთიერთმიზიდულობის ძალით დაკავშირებულ ვარსკვლავთა ჯგუფები, რ-ებსაც აქვთ საერთო წარმოშობა და ურთიერთმსგავსი ქიმ. შედგენილობა. განასხვავებენ სფერულ 3. გ-ს, რ-ებიც შედგება ათეულ ათასობით (ზოგჯერ მილიონზე მეტი) ვარსკვლავისაგან, და გაბნეულ 3. გ-ს, რ-ებიც, ჩვეულებრივ, რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ასეულამდე ვარსკვლავს შეიცავს. 3. გ-ზე დაკვირვება არის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი, რითაც ხდება შორს განლაგებულ ასტრონ. ობიექტებამდე მანძილის დადგენა და ვარსკვლავების ევოლ. შესწავლა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი 3. გ-ის შესწავლა მიმდინარეობს *აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში* (2008–12 – ილიას სახელმწ. უნ-ტის ობსერვატორია).



სფერული გროვა NGC265.

ვარსკვლავთა დინამიკა, *ვარსკვლავთა ასტრონომიის* დარგი, რომელიც შეისწავლის ვარსკვლავთა მოძრაობის კანონზომიერებებს მათი სისტემების გრავიტაციულ ველში. იკვლევს აგრეთვე ვარსკვლავთა სისტემების მდგრადობის, დაშლისა და ევოლ. საკითხებს. მნიშვნელოვანი პრობლემა, რ-საც ამჟამად შეისწავლის 3. დ., არის ვარსკვლავთა სისტემების, კერძოდ, ჩვენი გალაქტიკის სპირალური სტრუქტურის წარმოშობისა და ევოლ. საკითხები, აგრეთვე ამ სისტემების რელაქსაციის დროის განსაზღვრა.

3. დ. იყენებს *სტატისტიკური – ფიზიკის* და ჰიდროდინამიკის მეთოდებს, რაც განპირობებულია იმით, რომ ვარსკვლავთა სისტემებს ახასიათებს როგორც აირის, ასევე სითხის მრავალი თვისება. ვარსკვლავთა სისტემა (გალაქტიკა, *ვარსკვლავთა გროვები* და სხვ.) კარგი მიახლოებით შეიძ-

ლება წარმოვიდგინოთ, როგორც ,,აირი'', რ-ის ,,მოლეკულებსაც'' ცალკეული ვარსკვლავები წარმოადგენს და რ-ზეც ვარსკვლავთა სისტემის მიერ შექმნილი გრავიტაციული ველი მოქმედებს. ვარსკვლავთა სისტემებში არსებული აირისა და მტვრის ღრუბლებზე მოქმედებს სინათლის წნევის ძალა და მაგნ. ველები, მაგრამ ვ. დ-ში ძირითადია გრავიტაციული ძალები. ვ. დ-მ თანამედროვე სახე მიიღო ამერ. ასტროფიზიკოსის ს. ჩანდრასეკარის, საბჭ. ასტრონომების ვ. *ამბარცუმიანის*, კ. ოგოროდნიკოვის და სხვათა შრომების საფუძველზე.

ვ. დ-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართვ. ასტრონომებმა, რ-ებმაც შეისწავლეს ვარსკვლავთა მოძრაობების კანონზომიერებისა და მათი ევოლ. საკითხები (გ. მალასიძე, ა. ტორონჯაძე, რ. ძიგვაშვილი და სხვ.). *რ. ძიგვაშვილი.*

ვარსკვლავთცვენა, ვარსკვლავური წვიმა, იხ. *მეტეორული ნაკადი.*

ვარსკვლავი სახელობითი, იხ. *სახელობითი ვარსკვლავი.*

ვარსქენ პიტიახში, არშუშას ძე, ქვემო ქართლის მმართველი V ს. 60–80-იან წლებში. ქართლის ცენტრ. ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი, აღმავალი ფეოდ. ძალების ერთ-ერთი მეთაური იყო. ცდილობდა გამოეყენებინა გარეშე ძალაც – დამპყრობელი ირანელები. ამ მიზნით მიიღო ირანში სახელმწ. სარწმუნოებად აღიარებული მაზდეანობა. ამიტომ *ვახტანგ I* გორგასალმა ირანის წინააღმდეგ აჯანყება იმით დაიწყო, რომ ვ. პ. (482) მოაკვლევინა.

ვ. პ. იაკობ ცურტაველის ,,შუშანიკის წამების'' ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია.

წყარო და *ლიტ.*: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; ჯანაშია ლ.-ნ., ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962. *ლ.-ნ. ჯანაშია.*

ვარშალომიძე გურამ ჰუსეინის ძე (დ. 5. V. 1939, სოფ. ხელვაჩაური, ახლანდ. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი), სამთო ინჟინერი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1996), პროფესორი (1999). საქართვ. (2000), უკრაინის (2001) და სხვ. საინჟინრო აკადემიების წევრი. 1964 დაამთავრა სპი-ის სამთო-გეოლ. ფაკ-ტი. 1964–70 მუშაობდა ტრესტ ,,საქნავთობის'', აზერბ. ,,ყარადაღნავთობის'' და ,,აფშერონ ნავთობის'' საწარმოებში; საქართვ. სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზ. ინ-ტში; საქართვ. მეცნ. აკადემიის სამთო მექანიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. იყო აჭარის ავტონ. რესპ. მინისტრთა საბჭოს თავ-რე (1991–93), 2005–06 – ,,საქნავთობის'' გენ. დირექტორი. 2006-იდან პედ. საქმიანობას ეწეოდა სტუ-ში, იყო ,,ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების, ბურღვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების'' კათედრის გამგე. 2007-იდან მუშაობს ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელად და შპს ,,საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში'' მრჩეველ-ექსპერტად.

ვ-ის სამეცნ. გამოკვლევები ეძღვნება ენერგო- და რესურსდამზოგი ეკოლოგიურად სუფთა თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ტექნოლოგიას, შედეგები დაინერგა ,,საქნავთობში'', ,,თბილისის მეტროპოლიტენსა'' და ,,ყუბანგაზმრეწვში'' (რფ). ვ-ის ახ. სამეცნ. კვლევები ეხება ანტირადიაციული მასალის მიღების ახ. ტექნოლოგიებს. გამოქვეყნებული აქვს ხუთი მონოგრაფია და შრომები საქართველოსა და საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. აქვს გამოგონებები. არის საქართვ. ეროვნ. პრემიის ლაურეატი (2010). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1999).

თხზ.: მაგისტრალური ნავთობსადენები, გაზსადენები და მიწისქვეშა გაზსაცავების დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლუატაცია, თბ., 2009 (თანაავტ. ი. გოგუაძე); Проблемы механики бурения нефтяных и газовых скважин, Батуми, 2003.

ვარშალომიძე ლევან გურამის ძე (დ. 17. I. 1972, ბათუმი), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (2004–12). 1994 დაამთავრა კიევის უნ-ტის საერთაშ. ურთიერთობების ინ-ტის საერთაშ. სამართლის ფაკ-ტი. იყო საქართვ. საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშ.-სამართლებრივი დეპარტამენტის ორმხრივი ურთიერთობების სამმართველოს უფროსი (1998–2000), საქართვ. იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტ. თავ-რე (2000–02), საქართვ. ფინანსთა სამინისტროს იურიდ. დეპარტ. დირექტორი (2002), საქართვ. სახელმწიფო და სამართლის ინ-ტის საერთაშ. კერძო სამართლის განყ-ბის მეცნ. თანამშრომელი. ,,საქართველოს რკინიგზის'' გენ. დირექტორი (2004).

ვარშანიძე მამია ომერის ძე (15. XII. 1916, სოფ. ურეხი, ახლანდ. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, – 29. III. 1998, ბათუმი), პოეტი, II მსოფლიო ომის მონაწილე. დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. პედ. ინ-ტი (1954). 1961 მუშაობა დაიწყო ჟურნ. ,,ჭოროხის'' რედაქციაში პ/მგ მდივნად. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1933-იდან. პირველი წიგნი ,,მებრძოლის სიმღერები'' 1946 გამოაქვეყნა ბათუმში. მის კრებულთა შორის გამოირჩევა: ,,ჩემო სამშობლოვ'' (1950), ,,სიცოცხლის წყარო'' (1953), ,,მთის ყვავილები'' (1955), ,,შენ მზეს ვფიცავ'' (1957), ,,ჩემი ტაძარი'' (1960), ,,ფიცი'' (1970), ,,იმღერე, გულო!'' (1972). შეადგინა აჭარისადმი მიძღვნილი ლექსების კრებ. ,,მამულო საყვარელო'' (1971). გამოცემაში ,,თარგმნილი ლექსები'' (1971) შესულია უკრაინელი, რუსი, აფხაზი, თურქი პოეტების ნაწარმოებთა თარგმანები. აღსანიშნავია კრებულები: ,,ჩემი ოცნების მდინარეები'' (1980), ,,ჩემი დედულეთი'' (1980), ,,მებრძოლის სიმღერები'' (1981), ასევე ლიტ. წერილები ,,ჩემი გულისთქმა'' (1983).



გ. ვარშალომიძე.



ლ. ვარშალომიძე.

„ვარშაყიანი“, XVIII ს. ქართული მწერლობის ანონიმური ძეგლი, საგმირო-ფანტასტიკური დასთანების ვრცელი კრებული. მასში ლექსნარევი პროზით მოთხრობილია ვარშაყისა და მისი წინაპრების რამდენიმე თაობის ფალავანთა სარაინდო თავგადასავალი. ვარაუდობენ, რომ თხზულება ნათარგმნია ან გადმოკეთებულია დღემდე უცნობი სპარს. წყაროდან. ყურადღებას იქცევს ტექსტში ქართ. ასოებით ჩაწერილი თურქ. ფრაზა. ძეგლი შედგება 18 კარისაგან (გამოცემულია მხოლოდ I კარი), ჩვენამდე მოღწეულია ერთადერთი ხელნაწერის სახით. არსებობს ცნობა, რომ ,,ვ.'' თარგმნა ვინმე ტუსიშვილმა XIII ს-ში. შესაძლოა, ეს გვარი სპარს. დასთანების ცნობილი შემდგენლის ტარტუსის დამახინჯებული წაკითხვისგან მომდინარეობდეს.

ტექსტი: ვარშაყიანი, კარი I. ძველებური ზღაპრული მოთხრობა სპარსულიდან ნათარგმნი, გადასწორებით მ. ახპატელოვისა, ტფ., 1885.

ლიტ.: ახვლედიანი გ., ვარშაყიანი, კრ.: ქართული ლიტერატურის საკითხები, თბ., 1968; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958. *ა. გვახარია.*

ვარჩა, სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის ბაბუშარის თემში (აფხაზეთის არ), შავიზღვი-

სპირა დაბლობზე, მდ. კოდორის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 20 *მ*, გულრიფშიდან 21 *კმ*, დრანდიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ*. 2,7 ათ. მცხ. (1989).

ვარცანა, გეოგრაფიული პუნქტი ისტორიულ აღმოსავლეთ საქართველოში, ჰერეთის ტერიტორიაზე, მდ. ვეძისხევის ხეობაში, სოფ. შილდიდან 4–5 *კმ*-ზე (ყვარლის მუნიციპალიტეტი). ადგილ. მაცხოვრებლები მას ,,ბარცანასაც'' უწოდებენ. ვ-ის მახლობლად იყო სამონასტრო კომპლექსი, რ-ისგანაც შემორჩენილია IX ს. ღვთისმშობლის ტაძარი. იგი აშენებულია ჰერეთის სამთავროს პოლიტ. ძლიერებისა და კულტ. აყვავების პერიოდში (VIII–IX სს.).

XIV–XVI სს. ისტ. საბუთების მიხედვით ვ-ის ღვთისმშობლის მონასტერი მცხეთის საკათოლიკოსო კათედრის კუთვნილება იყო.

ვ-ის ეკლესია წარმოადგენს გუმბათოვან, გეგმით მართკუთხა ნაგებობას. ძეგლი ნაგებია რიყის ქვით. კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები შირიმის ქვისაა. შირიმითაა აგრეთვე ამოყვანილი ნაგებობის კუთხეები. ფასადები სადა იყო. ძეგლს ეტყობა გვიანდელი შეკეთების კვალი. 1985–87 ძეგლზე ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

წყარო: კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., ისტორიული საბუთები, წგ. 2, ტფ., 1913; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, თ. ჟორდანიას გამოც., წგ. 2, ტფ., 1897.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 1ი, თბ., 2013; Ч у б и н а ш в и л и Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

თ. პაპუაშვილი. შ. საღარაძე.

ვარციხე, სოფელი ბაღდათის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე, ხანისწყლისა და რიონის შესართავთან, ვარციხის წყალსაცავის სამხრეთით. სათავო სოფელი. ზ. დ. 80 *მ*, ბაღდათიდან 13 *კმ*, რიონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 *კმ*. 1,9 ათ. მცხ. (2002). ვ-ის მახლობლადაა *აჭამეთის სახელმწიფო ნაკრძალი.*

ახლანდ. სოფლის ადგილზე ადრინდ. შუა საუკუნეებში მდებარეობდა ეგრისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი – ბერძნ. წყაროებით რ ო დ ო პ ო ლ ი ს ი, ქართ. წყაროებით – ვ ა რ ც ი ხ ე, ვ ა რ დ ც ი ხ ე. პირველად მოიხსენიება VI ს. ბიზანტ. წყაროებში. ხელსაყრელი გეოგრ. მდებარეობის გამო ვ-ს დიდი სტრატეგიული და ეკონ. მნიშვნელობა ჰქონდა. აქ გადიოდა მნიშვნელოვანი საერთაშ. სავაჭრო გზა (იხ. *ამიერკავკასიის ძველი სავაჭრო-სატრანზიტო გზები*). VI ს. შუა წლებში სპარს.-ბიზანტ. ომის დროს ქალაქი ხელიდან ხელში გადადიოდა. ირანელების პირველი თავდასხმის წინ ქალაქის კედელი მოარღვიეს, რათა მტერს შემდგომში ახ. დაპყრობათა პლაცდარმად არ ექცია. IX–XI სს-ში ქალაქმა აღმავლობა განიცადა. გვიანდ. შუა საუკუნეების ვ. იმერეთის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია იყო.

1737 შედგენილ დას. საქართველოს რუკის მიხედვით, აქ აღმშენებლობითი სამუშაოები ჩაუტარებია იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ს, იმავე პერიოდისაა ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე გამოვლენილი ნაგებობათა ნაშთები და გალავნის გარეთ არქეოლოგების მიერ გაწმენდილი, გეგმით ოთხკუთხა მცირე ზომის ეკლესია, ვახუშტის მიხედვით ,,ერისთავებმა მოსწვეს სასახლე ალექსანდრესი ვარციხეს''.

ვ-ის ნაქალაქარის ტერიტორიაზე გათხრები წარმოებს 1972-იდან (ხელმძღვ. ვ. ჯაფარიძე). გამოვლინდა ციხე-ქალაქის უძველესი კომპლექსი კოშკებიანი გალავნით. არქეოლ. მასალა (ძირითადად კერამიკა და მინა) IV–VI სს-ით თარიღდება. ამ ხანაში ციხე-ქალაქი მნიშვნელოვანი გამაგრებული პუნქტი იყო. ნაქალაქარზე მოპოვებული არქეოლ. მასალა ეგრისის სავაჭრო-ეკონ. ურთიერთობაზე მიუთითებს. წითელლაქიანი კერამიკა და ამფორები ნაქალაქარზე რიონ-ფაზისის გზით უნდა მოხვედრილიყო. ამ გზამ ანტ. ხანაში და ფეოდ. ხანის გარკვეულ მონაკვეთებშიც შეინარჩუნა მნიშვნელობა. ასეთივე მნიშვნელოვანი იყო ქ. არტაშატიდან ზეკარზე, მდ. ხანისწყლის ხეობასა და ვ-ზე გავლით სებასტოპოლისკენ მიმავალი გზა.

გამოვლინდა აგრეთვე ნაგებობათა ნაშთები, რ-ებიც ვ-ის ახ. აღმავლობის ხანას (IX–XI სს.) განეკუთვნება. ამ ხანის ცხოვრების კვალი მთლიანად მოიცავდა IV–VI სს. ციხე-ქალაქის ტერიტორიას. აღმოჩნდა IX–X სს. მოჭიქული კერამიკა.

ვ-იდან 800 *მ* დაცილებით გაითხარა ანტ. ხანის ნამოსახლარი გორა, რ-საც ხელოვნური თხრილი შემოუყვება. აღმოჩნდა ადრინდ. ანტ. ხანის რიყის ქვითა და კირქვით ნაგები, ხანძრით განადგურებული შენობების ნაშთები. ანტ. ხანის კულტ. ფენები ვრცელდება სამოსახლოს ირგვლივ. აღმოჩენილია ადგილ. და იმპორტ. კერამიკა (შავლაქიანი ჭურჭელი, ამფორები).

გაითხარა ძვ. წ. IV–III სს. სამარხი. აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯურები, მინისებრი პასტის მძივები, წითლად გამომწვარი დოქი და კოლხური თეთრი.

მდ. რიონის მარჯვ. სანაპიროზე დაზვერვითი სამუშაოების ჩატარების დროს გამოვლინდა ადრინდ. შუა საუკუნეების ვ-ის სინქრონული სამოსახლოს ნაშთი.

რიონის პირას შემორჩენილია ხუროთმოძღვრების ძეგლი – დიდი ციხის ნანგრევები. გეგმით წაგრძელებულ ციხეს (სიგრძე დაახლ. 200 *მ*, სიგანე 125 *მ*) კუთხეები მომრგვალებული აქვს. ძვ. ბერძნ. წყაროებში იგი როდოპოლისის (ნოქალაქევის) ციხესთან ერთად მოხსენიებულია როგორც ,,უდიდესი და ძველი სიმაგრეები'' (თ. ყაუხჩიშვილი). გათხრების შედეგად გამოირკვა, რომ არსებული ციხის კედლების ქვეშ უფრო ძვ. ციხის ნაშთია. ძვ. ციხის კედლების სისქე დაახლ. 1 *მ*, ნაგებია კირქვის ნატეხებითა და კირის ხსნარით. აქა-იქ აგურიც გამოუყენებიათ. მეორე სამშენებლო ფენაში კედლების სისქე 2,5–4,5 *მ*-მდეა. საპირე წყობაში რიყის ქვაა ნახმარი, კედლებს შორის შესავსებად უძველესი ფენის ნანგრევებიდან მოპოვებული კირქვაც არის გამოყენებული. ზოგ ადგილას კედლების სიმაღლე 6–8 *მ* აღწევს, ზოგან მიწასთანაა გასწორებული. ციხის ჩრდ. ბოლოში, როგორც ჩანს, XX ს. დასაწყისში აქვე მოპოვებული ქვებით აგებული ეკლესია დგას.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 3, თბ., 1936.

ლიტ.: ლ ო მ ო უ რ ი ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ვ., ნაქალაქარ ვარდციხის არქეოლოგიური შესწავლისათვის, კრ.: ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, [ტ.] 2, თბ., 1974; Л е к в и н а д з е В. А., Материалы по монументальному строительству в Лазике, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1961, ტ. 22B.

ვ. ჯაფარიძე.

„ვარციხე“, ქართული სამარკო ბრენდი (*კონიაკი*) აწარმოებენ 1957-იდან. მზადდება 6–7 წლის განმავლობაში მუხის კასრში ან მუხის ტკეჩზე დაძველებული სპირტისაგან, რ-იც მიიღება ბაღდათის



,,ვარციხე''. ქართული ბრენდი.

მუნიციპალიტეტისა და, კერძოდ, სოფ. ვარციხის მიკრორაიონში მოწეული თეთრი ყურძნისგან მიღებული (ცოლიკოური) ღვინომასალების გამოხდით. ხასიათდება გამჭვირვალე ოქროსფერით, ჰარმონიული სასიამოვნო გემოთი, 40% მოცულობითი სპირტშემცველობით და 0,8% შაქრიანობით. 1958-იდან სხვადასხვა საერთაშ. გამოფენაზე, დეგუსტაციასა და კონკურსზე მიღებული აქვს 9 ოქროს, 4 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი. *რ. ყურაშვილი.*

,,ვარციხე-2005'' (შპს), ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების კასკადი, ქვეყნის ერთ-ერთი მძლავრი სეზონური ჰიდროელექტროსადგურების კომპლექსი დას. საქართველოში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, მდ. რიონზე. სადგურის ჯამური საპროექტო დადგმული სიმძლავრეა 184 *მეგვტ*, ელექტროენერგიის გამომუშავება – 1 მლრდ. *კვტ.სთ*; კასკადი შედგება 4 ჰესისაგან. პირველი ჰესი ექსპლუატაციაში შევიდა 1976, მეორე – 1978, მესამე – 1980, მეოთხე – 1988 წელს. გამოყენებულია მდ. რიონის წყლის ვარდნა მის ქვემო წელზე – რიონჰესის გადამგდები არხიდან მარჯვენა შენაკად მდ. გუბისწყლის შესართავამდე. ამ მონაკვეთზე მდ. რიონის ვარდნა 64,5 *მ* შეადგენს.

ვარციხის ჰესების შემადგენლობაშია: დაბალზღურბლიანი დასაშლელი კაშხალი, რ-იც აშენებულია მდ. რიონზე, სოფ. გეგუთში (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი) 1976 წ. დეკემბერში. კაშხალის სიგრძე – 98 *მ*, სიმაღლე – 21,2 *მ*; წყალმიმღები გამრეცხი გალერეები; მიწაყრილის ყრუ კაშხალი (სიგრძე – 44,7 *მ*, სიმაღლე – 11 *მ*); მარჯვენა სანაპირო დამბა (სიგრძე – 2387 *მ*); დერივაციის ტრასა, რ-იც მიჰყვება მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროს (საერთო სიგრძე – 27,15 *კმ*), შედგება 4 მონაკვეთისაგან, თითოეული მონაკვეთის ბოლოს განლაგებულია კასკადში შემავალი ჰესები.

ვარციხის ჰესების კასკადის თითოეული ელექტროსადგურის საპროექტო დადგმული სიმძლავრეა 46 *მეგვტ*, მაქს. დაწნევა – 15 *მ*, ელექტროენერგიის გამომუშავება – 250 მლნ. *კვტ.სთ*. ცალკეულ ჰესში დადგმულია ორ-ორი მოსაბრუნებელფრთებიანი ტურბინა, თითოეული 23 *მეგვტ* სიმძლავრისა. გამომუშავებული ელექტროენერგია 110 *კვ*-იანი გადამცემი ხაზების საშუალებით მიეწოდება საქართვ. ენერგოსისტემას. ვარციხის ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია (მლნ. *კვტ.სთ*) 1977 წ. შეადგენდა 61,1; 1980 წ. – 360,6; 1985 წ. – 543,6; 1990 წ. – 851,4; 1995 წ. – 591,2; 2000 წ. – 665,7; 2005 წ. – 674,0; 2010 წ. – 796,2; 2013 წ. – 847,6.

1996 წ. 17 დეკემბერს ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის ბაზაზე შეიქმნა სააქციო საზ-ბა ,,ვარციხეჰესების კასკადი'', რ-იც 2006 წ. მაისიდან გარდაიქმნა შპს-დ და დაერქვა ,,ვ.-2005''. 2007 წ. 1 იანვრიდან შედის ჰოლდინგურ კომპანია შპს ,,ჯორჯიან მანგანეზში''. საქართვ. მთავრობის გადაწყვეტილებით 2005 წ. დამდეგს განხორციელდა ჰესის პრივატიზაცია. *დ. ჩომახიძე.*



,,ვარციხე–2005''. ჰესი-4.

ვარცლა, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ხეობის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ქართლის ქედის დას. კალთაზე. ზ. დ. 1200 *მ*, დუშეთიდან 19 *კმ*. 11 მცხ. (2002).

ვარცლი, 1. ცომის მოსაზელი ხის ჭურჭელი, რ-საც მოგრძო და ღრმა, ორივე მხარეს წაშვერილი თავი აქვს. 3. შეიძლება მთლიანი მორისაგან იყოს გამოთლილი ან ნაჭრებისაგან შეკრული. 3-ის ხის საფარებელს ორომი ეწოდება. 3-ის თავებზე ამოგუნდავებული პური ორომზე გადააქვთ და ისე აკრავენ თონეში. ძველად ქართ. დარბაზში 3. დედაბოძის ზურგთან მიყრდნობილი ფეხებიანი სადგარის ზემო თაროზე იდო, ხშირად იგი კიდობანს ცვლიდა. ზოგან 3. წისქვილის ხვიმირს ეწოდებოდა. ქიზიყში ხის მთლიანი ნაჭრებისაგან უსამსჭვლოდ (უფარეშოდ) ჭურჭლის გამომთლელ მოხელეს მევარცლე ერქვა. 2. მცირე ნავი (საბა).

ვარძელაშვილი ჟანეტა ალექსანდრეს ასული (დ. 26. XII. 1960, თბილისი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (2002), პროფესორი (2004). საქართვ. პედაგოგიურ მეცნ. აკად. (2008) და რფ-ის პედაგოგიურ და სოც. მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი (2006). 1982 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი სლავური ენების სპეციალობით. 1994–2006 მუშაობდა ს.-ს. ორბელიანის სახ. თბილ. სახელმწ. უნ-ტში, 1999–2005 იყო რუს. ფილოლ. ფაკ-ტის დეკანი. 2007-იდან არის თბილ. ეკონ. ურთიერთობათა სახელმწ. უნ-ტის ქართ. და ევრ. ენების პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი და სრული პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები და რამდენიმე სახელმძღვანელო. მისი კვლევის ძირითადი მიმართულებებია ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში სხვადასხვა ტიპის ლექსიკონის შედგენა, ლექსიკურ-სემანტიკური თეორ. კვლევა.

თხზ.: არსებითი სახელების კონსტრუქციული განპირობებული მნიშვნელობა. ზოგადი და კერძო საკითხები, თბ., 1994; მეტაფორული ნომინაციები რუსულ ენაში, თბ., 2001.

ვარძია, კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი, XII–XIII სს. ქართული ხუროთმოძღვრებისა და კულტურის ძეგლი; კულტ.-საგანმან. კერა. მდებარეობს ჯავახეთში, ასპინძის მუნიციპალიტეტში (ასპინძიდან 30 *კმ*), მტკვრის მარცხ. ნაპირას. სამონასტრო ანსამბლი შეიქმნა ძირითადად 1156–1203, აკურთხეს 1185 წ. 15 აგვისტოს თამარის მეფობის ხანაში (1184–1213). სამეფო მონასტერი დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტ. და კულტ. ცხოვრებაში. ჟამთა სიავის გამო ჩვენამდე მოღწეულია 3-ის მწიგნობართა მემკვიდრეობის მხოლოდ მცირე ნაწილი. იოანე შავთელმა აქ შეთხზა ,,გალობანი ვარძიისა ღვთისმშობლისანი'' – სამადლობელი ბასიანის ომში (1203) ქართველთა გამარჯვებისადმი მიძღვნილი საგალობელი. ცნობილია იქაური ხელნაწერები: იოანე ოქროპირის თარგმანები მათეს თავისა (XII



ვარცლი.

ს.), ოთხთავი (XII–XIII სს.) და სხვ. ვ-ის მონასტრის წინამძღვარი ეკლესია-მონასტრების საქმიანობას ხელმძღვანელობდა, ზოგჯერ საწოლის მწიგნობარიც იყო. მონ-



ვარძია. საერთო ხედი.

ღოლთა ბატონობის ხანაში (XIII ს. II ნახ.) ვარძიელი ბერმონაზვნები აქტიურად იბრძოდნენ სარწმუნოებისა და ეროვნ. კულტურის გადასარჩენად. 1551 ვ-ის მონასტერი სპარს. ჯარმა დაარბია და დაანგრია. ვ-ის ცნობილი ღვთისმშობლის ხატი და კულტ. სხვა მრავალი განძი მტერმა გაიტაცა. 1578, როდესაც ეს მხარე ოსმალეთმა დაიპყრო, ვ. საბოლოოდ გაუკაცრიელდა. რუსეთ-ოსმალეთის 1828–29 ომის შედეგად ვ. კვლავ საქართველოს დაუბრუნდა.

XX ს. 20-იანი წლებიდან დაიწყო ვ-ის მეცნ. შესწავლა. 1938 იგი მუზეუმ-ნაკრძალად გამოცხადდა. 1970–71 ვ-ში ჩატარდა არქე-



ვარძია. ცენტრალური ნაწილი.

ოლ. გათხრები, მიკვლეულ იქნა 3 კულტ. ფენა: ადრინდ. შუა საუკუნეებისა, XII და XIII–XIV სს.; აღმოჩნდა მოჭიქული კერამ. მრავალფეროვანი ნიმუშები, ქაშანურის ფრაგმენტები, ლითონის სადნობი, სხვადასხვა ნივთი და იარაღი. ვ-ის მონასტერი გამოკვეთილია ერუშეთის მთის კალთაზე ტუფბრექჩიების შვეულ კლდეში. სიგრძე 500 მეტრამდეა. განლაგებულია ცამეტ სართულად. შედგება ისტორიულად ჩამოყალიბებული 2 ნაწილისაგან: საკუთრივ ვ-ის მონასტრისა და უფრო ადრინდ. ხანის (X–XII სს.) კლდის სოფელ *ანანაურისაგან*. ვ-ის კომპლექსის მშენებლობა რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა. პირველ ეტაპზე, გიორგი III-ის მეფობის წლებში (1156–84), შემუშავდა ზოგადი გეგმა და გამოიკვეთა კლდის პირველი საცხოვრებლები – სენაკები ეკლესიითურთ. II ეტაპზე (1184–85) არსებული გეგმა ნაწილობრივ შეიცვალა. თამარ მეფის მითითებით მოხდა მონასტრის ცენტრის რეკონსტრუქცია – კლდეში გამოკვეთეს ღვთისმშობლის მიძინების დიდი დარბაზული ტაძარი სტოა-პორტიკით. ტაძარი მოხატა მხატვარმა გიორგიმ და მხატვართა ჯგუფმა ქართლის ერისთავის, რატი სურამელის თაოსნობითა და სახსრებით. III ეტაპზე (1185–1203) დამთავრდა სათავსებისა და მონაზონთა სენაკების, თავდაცვითი და საირიგაციო ნაგებობების გამოკვეთა. მშენებლობის IV ეტაპი დაკავშირებულია 1283 მიწისძვრასთან. აქ ბექა ჯაყელ-ციხისჯვარელის ათაბაგობის ხანაში (1285–1306) აგეს ორთაღიანი ნაგებობა სტოა-პორტიკის გასამაგრებლად და XIII ს. დამახასიათებელი ორნამენტით შემკული სამრეკლო. მშენებლობის V ეტაპზე, ივანე ათაბაგის დროს (1391–1444), მოეწყო დიდი სატრაპეზო.

ვ-ის ხუროთმოძღვრება დაფუძნებულია წინასწარ შემუშავებულ კომპოზიციურ იდეაზე – მრავალსართულად გამოკვეთილი საცხოვრებლები განლაგებულია კლდის უბის სიღრმეში ჩასმული ცენტრის (ტაძრის) გარშემო. ეკლესიის ადგილი გარედან ადვილი გამოსაცნობია: მის წინ კლდის შეღრმავებაში ჩაშენებულია თლილი ქვის ორი თაღი, რ-თა გვერდით აღმართულია სამრეკლო. მთელი მონასტერი სამხრ-ითაა მიმართული და საცხოვრებლები კლდის სიღრმეში სამხრეთიდან ჩრდილოეთითაა გამოკვეთილი. სადგომები დაჯგუფებულია მცირე კომპლექსებად, რ-ებიც ერთმანეთთან გადასასვლელებით დაკავშირებული 2-, 3- და 4-ოთახიანი სადგომებისაგან შედგება (მონასტერში ასეთი 120 საცხოვრებელი და 420 სათავსია, მ. შ. 25 მარანი 185 ქვევრით). საცხოვრ. კომპლექსი შედგება ერთ ღერძზე განლაგებული საცხოვრებლისა და საკუჭნაოსაგან. კარიბჭე მთავარი არქიტ. ელემენტია, რ-იც მას წინამორბედ უდაბნო-მონასტრებისაგან განასხვავებს, ხოლო კარიბჭის ფართო თაღი ერთადერთი და მთავარი არქიტ. ტექტონ. ელემენტია მონასტრის ფასადის გაფორმებაში. საზ. და საცხოვრ. სადგომები ტექნიკურად ოსტატურადაა შესრულებული – ოთახების კედლებში გამოკვეთილია ფართო ნიშები საწოლად, ლოგინის დასალაგე-

ბლად, მცირე ნიშები – ჭურჭლის, წიგნებისა და ჭრაქისათვის, მერხები, კერა და სხვ. ნიშები მეტწილად თაღოვანია და შემკულია მარტივი ჩაჭრილი საპირეებით. კლდის სიბრტყეები მთავარ სათავსებში დამუშავებულია ხორკლიანი ფაქტურით. ზოგ სამყოფელს საკუთარი სამლოცველოც ეკვრის (ასეთი სულ თორმეტია). ვ. არ გამოირჩევა მორთულობის სიმდიდრით. ერთადერთი სამკაულია სამლოცველოს კედლის მხატვრობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღვთისმშობლის მიძინების ტაძრისა და კარიბჭის მოხატულობა (1184–86) – ქართ. მონუმ. ფერწერის შესანიშნავი ნიმუში, სადაც ქრისტეს ცხოვრების ამსახველ სცენებთან ერთად გამოსახულია გიორგი III-ისა და თამარ მეფის პორტრეტები, აგრეთვე ქართლის ერისთავი რატი სურამელი. თამარი, როგორც ჩანს, გათხოვებამდეა დახატული. მხატვრობა შემონახულია აგრეთვე ანანაურის ეკლესიაში. იგი XV–XVI სს. მიჯნას მიეკუთვნება.

ვ-ის მთელ ანსამბლში აღმ. ნაწილი უკეთაა დაცული. აქ მთლიანად ან ნაწილობრივ გადარჩენილია 242 გამოქვაბული ოთახი, მ. შ. დიდი დარბაზი (5,6×8 *მ*), რ-ის კედლებიც განსაკუთრებული გულდასმით არის დამუშავებული. ამავე ნაწილშია ,,სადარბაზო'' საკრებულო მცირე ეკლესიით, თამარის ოთახი, ე. წ. ,,სალხინო'' (მარნით) და სხვ. მონასტერს დას. ნაწილში ჰქონდა აგრეთვე სატრაპეზო, სამლოცველოები, ხოლო ცენტრ. ნაწილში – საგანგებო თავშესაფარი, სამალავი ოთახები; გვირაბები მარაგდებოდა წყლით. მთავარი ეკლესიის დას-ით, სიღრმეში, ბუნებრივი წყაროა. ამასთან კლდეში გამოკვეთილ გვირაბში გაყვანილი იყო 3,5 *კმ* სიგრძის წყალსადენის ტრასა.

საუკუნეთა განმავლობაში მიწისძვრების თუ მტრის ხელით მრავალჯერ დაზიანებული ძეგლი დღეისათვის მოვლილია.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; გაბაშვილი ც., ვარძია. გზამკვლევი, თბ., 1945; გაფრინდაშვილი გ., ვარძია, თბ., 1976; მელითაური ა., ვარძიის სამშენებლო-ხუროთმოძღვრული შესწავლის საკითხები, თბ., 1961; Гаприндашвили Г., Пещерный ансамбль Вардзиа (1156–1213 гг.), Тб., 1960; მისივე, Ancient monuments of Georgia: Vardzia, Leningrad, 1975 (ინგლ., რუს. და ქართ. ენებზე).

გ. გაფრინდაშვილი. ლ. მენაბდე.

ვარძია, კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ასპინძის მუნიციპალიტეტში. ზ. დ. 1100 *მ,* ასპინძიდან 30 *კმ.* კლიმატი – შუამთის, რბილი; იცის მცირეთოვლიანი ზამთარი (იანვ. საშ. ტემპ-რა –2,8°C) და თბილი, ზომიერად მშრალი ზაფხული (აგვ. საშ. ტემპ-რა 19°C), ნალექები 500 *მმ* წელიწადში. ჰაერი სუფთაა, გამჭვირვალე, წიწვის არომატით. სამკურნალო ფაქტორია თერმული მინერალური წყალი.

ვარძია, სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის მთისწინეთში, მდ. ბორიმელის (ძირულის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. სათავო სოფელი. ზ. დ. 400 *მ,* ხარაგაულიდან 15 *კმ.* 1,5 ათ. მცხ. (2002).

იხ. აგრეთვე *ვარძიის მონასტერი.*

,,ვარძია“, ქართული სამარკო ბრენდი (*კონიაკი*). აწარმოებდნენ 1966-იდან. მისი გამოშვება მიეძღვნა შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავს. მზადდებოდა მუხის კასრში ან მუხის ტკეჩზე 20–30 წლიანი დაძველებული სპირტისაგან, რ-იც მიღებული იყო ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. შილდისა და თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. წინანდლის მევენახეობის მიკრორაიონებში მოწეული თეთრი ყურძნისგან (რქაწითელი) მიღებული ღვინომასალების გამოხდით. ხასიათდება გამჭვირვალე მუქი ოქროსფერით, მკვეთრად განვითარებული ბუკეტით, რბილი ჰარმონიული და ხავერდოვანი გემოთი, 40% მოცულობითი სპირტშემცველობით და 0,5% შაქრიანობით. 1968-იდან სხვადასხვა საერთაშ. გამოფენაზე, დეგუსტაციასა და კონკურსებზე მიღებული აქვს 11 ოქროს მედალი და 3 გრან-პრი. გამოშვება შეწყდა 1970. *რ. ყურაშვილი.*

,,ვარძია“, ნახშირორჟანგიანი, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიანი სამკურნალო მინერალური წყალი. საბადო მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირას, სოფ. ნაქალაქევში. საბადო დაკავშირებულია პალეოგენურ ვულკანოგენურ ქანებთან ფიქსირებული ანტიკლინის სამხრ. ფრთასთან, სადაც ზედაცარცული კარბონატული ქანებიცაა გავრცელებული. წყლის ქიმ. შედგენილობა:

$$CO_2 1,0–1,2\,M_{7,8–8,0}\,\frac{HCO_3\,55–60\,Cl\,30–40}{(Na+K)\,80–89}$$

წყალში აღმოჩენილია ბიოლოგიურად აქტ. მიკროკომპონენტები: ბრომი, იოდი, სილიციუმმჟავა, დარიშხანა (1,5–6,0 *მლგ/ლ*). ტემპ-რა 37–46°C. მას იყენებენ ჩამოსასხმელად, აბაზანების მისაღებად, ქრონ. გასტრიტის (სეკრეტორული უკმარისობით), ქრონ. კოლიტის, პანკრეატიტის, ნივთიერებათა ცვლის დაავადებათა (შაქრიანი დიაბეტი, ოქსალურია, შარდმჟავა დიათეზი), სხვადასხვა წარმოშობის სისხლნაკლებობისა და სხვათა სამკურნალოდ.

ტ. ჩიჩუა. ვ. ჯალიაშვილი.

ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, შეიქმნა 1938 საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებით ამ სახელწოდებით, ხოლო 1981 წელს მას ეწოდა ხელოვნ., ისტ. და არქიტ. მუზეუმ-ნაკრძალი ,,ვარძია''. 2004-იდან მუზეუმ-ნაკრძალზე კონტროლს ახორციელებს საქართვ. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო. 2008 წლიდან საქართვ. პრეზიდენტის ბრძანებულებით მუზეუმ-ნაკრძალი გადავიდა საქართვ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ეროვნ. სააგენტოს დაქვემდებარებაში და ეწოდა ვ. ი.-ა. მ.-ნ.

მუზეუმ-ნაკრძალი მოიცავს ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს. იგი შედგება XII ს. კლდეში ნაკვეთი ისტ. არქიტ. გამოქვაბულთა კომპლექსისა და უფრო ადრინდ. ხანის (X–XII სს.) *ანანაურის* ძეგლისაგან. მრავალსართულად (13 სართული) გამოკვეთილი კომპლექსი (ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, თავდაცვითი და საირიგაციო ნაგებობები, მონაზონთა სენაკები და სხვ.) ძირითადად შეიქმნა 1156–1203, ეკურთხა 1185 წელს თამარის მეფობის ხანაში (1184–1213). ვარძიის მრავალსათავსიანი პალატებისა (120 საცხოვრებელი კომპლექსის 420 სათავსი, 25 მარანი 185 ქვევრით და სხვ.) და ანსამბლის სხვა ელემენტების (სენაკები, სამრეკლო, სატრაპეზო და სხვ.) აგება XIII–XIV სს. დასრულდა. 2010 წლის 1 იანვრისათვის კომპლექსში შედიოდა: 242 გამოქვაბული, ,,სადარბაზო'' მცირე ეკლესიით, თამარის სენაკი, სათათბირო ოთახი, სატრაპეზო, სალხინო მარნით, აფთიაქი, წყალსადენის ტრასა, თავდაცვითი ნაგებობები (საგანგებო სამალავები, საიდუმლო გვირაბები), XIII ს. სამრეკლო და მთავარი

ეკლესიის კარიბჭე, ანანაურის ეკლესია XIII–XV სს. მოხატულობით, ,,ლიტანიის ეკლესია'' (სულ 15 ეკლესია); განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღვთისმშობლის მიძინების ტაძრისა და კარიბჭის მოხატულობა (1184–1203), სადაც მაცხოვრის ცხოვრების ამსახველ სცენებთან ერთად გამოსახულია გიორგი III-ისა და თამარ მეფის პორტრეტები.

მუზეუმ-ნაკრძალი ზედამხედველობას ახორციელებს, სწავლობს და პოპულარიზაციას უწევს მის სამოქმედო ზონაში განლაგებულ ისტ., არქიტ. და არქეოლ. ძეგლებს.

ვარძიის მონასტერი, შუა და გვიანდ. ფეოდალური ხანის მონასტერი ზემო იმერეთის სოფ. ვარძიაში (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი), მდებარეობდა მდ. ვარძეულის (მდ. ბორიმელის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე. დღეისათვის შემორჩენილია მონასტრის მთავარი ეკლესია და სამრეკლო. ვ. მ. თავდაპირველად დაარსდა როგორც ვარძიის ცნობილი მონასტრის მეტოქი (ფილიალი). გადმოცემით, იგი თამარ მეფემ ააშენა მესხეთის ვარძიის მონასტრიდან



სოფელი ვარძია. ღვთისმშობლის ეკლესია.

გადმოსვენებული ღვთისმშობლის ხატის სახელზე. ვ. მ. წყაროებში XVII ს. 50-იანი წლებიდანაა დამოწმებული. 1777 ვ. მ. არქიმანდრიტ ნიკოლოზ ყიფიანის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვნად გადაკეთდა, რასაც მოწმობს ამ მონასტრის ლაპიდარული წარწერა. 1783 იმერეთის მეფე სოლომონ I-მა ,,პირობითი წერილით'' ვ. მ. უძრავ-მოძრავი ქონებით კუნძულ კვიპროსზე მდებარე წმ. კიკოს მონასტერს გადასცა, ეს ,,პირობითი წერილი'' შემდეგ განაახლა სოლომონ II-მ. წერილობით გადაცემული ვ. მ-ის მთელი ფულადი შემოსავალი კიკოს მონასტერს ეგზავნებოდა, ხოლო ნატურით აღებული გადასახადი ვ. მ-ს ხმარდებოდა. XVIII ს. 80-იანი წლებიდან XX ს. 10-იანი წწ. ბოლომდე მონასტრის წინამძღვრები იყვნენ კიკოს მონასტრიდან გამოგზავნილი ბერძენი ბერები. ფულადი გადასახადის გაზრდის მიზნით ისინი მონასტერზე მიწერილ გლეხებს აზატებად აქცევდნენ.

XVIII ს. 80-იანი წწ. ბოლოს იმერეთის სამეფოში მიმდინარე დინასტიური ომის დროს მონასტერი დაწვეს (1790) და საეკლ. მოწყობილობა იავარყვეს, მაგრამ სამეფო ხელისუფლების ხელშეწყობით მონასტერი მალე აღდგა. აქ გადაიწერა ქართ.-თურქ. ლექსიკონი, რ-ის ერთ-ერთ მინაწერში მოთხრობილია გიქოს (კიკოს) მონასტრის საქართველოში დამკვიდრების ისტორია. XIX ს-ში ვ. მ-ს დიდძალი ყმა-მამული გააჩნდა. 1873 რუს. ხელისუფლებამ მონასტერს კუთვნილი ყმა-მამული ჩამოართვა, მაგრამ 1884 კვლავ დაუბრუნა. ვ. მ. ბერძნების ხელში იყო XX ს. 10-იან წწ-მდე. XIX ს. დასაწყისში მონასტერი სამრევლო ეკლესიად გადაკეთდა და წირვა-ლოცვა XX ს. 40-იან წწ-მდე მიმდინარეობდა; იმავე საუკუნის ბოლოს ეკლესიაში წირვა-ლოცვა აღდგა. 2014-თვის ეკლესია *მარგვეთისა და უბისის ეპარქიას* ეკუთვნის.

ლიტ.: ბ უ ბ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ე., ზემო იმერეთის ვარძიის ღვთისმშობლის მონასტრისა და კვიპროსის წმ. კიკოს მონასტრის ურთიერთობის ისტორიიდან, «არისტოტელეს სახ. ბერძნულ-ქართული უნივერსიტეტის შრომები», ტ. 1, თბ., 1993; ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი გ., წარწერა იმერეთის სოფ. ვარძიის მონასტრის სამრეკლოზე, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 31.

ე. ბუბულაშვილი.

ვარხანი, სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალციხის ქვაბულში, მდ. ოცხის (ა ბ ა ს თ უ მ ნ ი ს წ ყ ა ლ ი; ქვაბლიანის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას, ახალციხე – ბაღდათის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: ვ., აბასთუმანი, საღრძე, ფარეხა, ქიქინეთი, წახანი, წახანწყარო, ხარჯამი). ზ. დ. 1130 *მ,* ადიგენიდან 16 *კმ,* ახალციხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 20 *კმ.* 814 მცხ. (2002).

,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' (1595) მიხედვით, ოსმ. მიერ დაპყრობილი სამცხის სოფ. ვ. შედიოდა ახალციხის ლივის ალთუნკალეს ნაჰიეში, სადაც ცხოვრობდა 25 კომლი ქართველი (როსება ანანიასძე, ივანე აბასძე, გიორგი გულიასძე, იორდანე ონანისძე, ვარმელ ნურალისძე, ბადურა აბრმასძე, იასონ სოლომანისძე, ბასილ პაპასძე, ენუქა გულასძე და სხვ.). ისინი მისდევდნენ მემინდვრეობას (ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, მუხუდო, ოსპი), მებოსტნეობას, მესაქონლეობას (ცხვარი, ღორი) და შეწერილი ჰქონდათ გადასახადი 14000 *ახჩა.* 1870 ვ-ში 52 კომლი იყო. 1944 იქაური მაჰმადიანი ქართველები შუა აზიაში გადაასახლეს, აქ კი მოსახლეობა იმერეთიდან გადმოიყვანეს. ვ-ში ეკლესიის კვალი არ ჩანს, შემორჩენილია XIX ს-ში აგებული ჯამე.

ლიტ.: ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2–3, თბ., 1941–58.

დ. ბერძენიშვილი.

ვარჯანაული, სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჭახათის თემში (აჭარის არ), მდ. კინტრიშის ნაპირას. ზ. დ. 350 *მ,* ქობულეთიდან 20 *კმ.* 42 მცხ. (2002).

მდ. კინტრიშზე შემონახულია შუა საუკუნეების თაღოვანი ხიდი (მალის სიგრძე 15,6 *მ,* სიგანე 2,8 *მ*), სიმაღლე წყლის დონიდან 10 *მ.* გადმოცემის თანახმად, აგებულია XVII ს-ში ძლიერი ფეოდალის თამაზ-ოღლის (თამაზაშვილის) მიერ.

ვარჯანაული, სოფელი შუახევის მუნიციპალიტეტის ჭვანის თემში (აჭარის არ), ნაცარა-ტინტის (მესხეთის ქედის განშტოება) სამხრ.-დას. კალთაზე, მდ. ბარათაულისწყლის (ჭვანისწყლის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 550 *მ,* შუახევიდან 13 *კმ.* 153 მცხ. (2002).

ვარჯანისი, სოფელი ქედის მუნიციპალიტეტის წონიარისის თემში (აჭარის არ), მდ. აჭარისწყლის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 500 *მ,* ქედიდან 8 *კმ.* 250 მცხ. (2002).

ვასაკ სივნიელი, ვ ა ს ა კ ს ი უ ნ ი, სივნიეთის (სიუნიქის) მთავარი, V ს. 30-იანი წწ. ბოლოს ირანელთა მარზპანი ქართლში, 40-იანი წწ. დასაწყისიდან – სომხ. მარზპანი. ირანის წინააღმდეგ სომხ. 450–451 აჯანყების ერთ-ერთი მეთაური, შემდეგ გადაუდგა აჯანყებულებს და განხეთქილება შეიტანა მათ რიგებში. მიუხედავად ამისა, აჯანყების დამარცხების შემდეგ ირანელებმა მარზპანობა ჩამოართვეს და ციხეში ჩასვეს, სადაც გარდაიცვალა.

წყარო და *ლიტ.*: ჯ ა ნ ა შ ი ა ლ.-ნ., ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962.

ლ.-ნ. ჯანაშია.

ვასალიტეტი (ფრანგ. vassalité < vassal, გვიანდ. ლათ. vassallus< vassus – მსახური), პირადი დამოკიდებულების სისტემა წვრილი ფეოდალებისა (ვასალებისა) დიდ ფეოდალებზე (სენიორებზე) შუა საუკუნეებში.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი თავდაპირველად ვ-ის შესატყვისი ტერმინები იყო ,,უფალ-მონობა'' (X ს-მდე), ხოლო შემდეგ ,,პატრონყმობა'', ,,ბატონყმობა'' (X–XVIII სს-ში). ,,უფალი'' (მამფალი, ე. ი. მამაკაცი უფალი) აღნიშნავდა სენიორს, ,,მონა'' (ძვ. სპარს.) – ვასალს. X ს-იდან უფალი შეცვალა პატრონმა (ლათ.), ხოლო მონა – ყმამ (სიტყვიდან ყრმა – ყმაწვილი). XV ს-იდან გვხვდება პატრონიდან ნაწარმოები ტერმინი ბატონი (შუალედური ტერმინები პატრონსა და ბატონს შორის იყო პატონი და ბატრონი). ამრიგად, ვასალიტეტის აღსანიშნავად XV ს-იდან ბატონყმობის პარალელურად იხმარება ტერმინი *ბატონყმობა*. XVIII ს. ბოლომდე მაინც გაბატონებულია ,,პატრონი'', ,,ბატონი'' შედარებით იშვიათად იხმარება. უმაღლეს სენიორს – სიუზერენს ეწოდებოდა მეფე (უფალი, მეუფე და მეფე საერთო ძირიდან ნაწარმოები ტერმინებია). სენიორალური უფლებების აღმნიშვნელი ტერმინები იყო: უფლება||უფლობა‖ფლობა, მეუფება, მეფობა, პატრონობა‖ბატონობა. ვასალურ ვალდებულებებს აღნიშნავდა ტერმინები: მონება, სამსახური, ყმობა (აქედან ყველაზე უფრო გავრცელებული იყო სამსახური). გვხვდება აგრეთვე სენიორისა და ვასალის აღმნიშვნელი კერძო ხასიათის ტერმინები: გამზრდელი (სენიორი) – გაზრდილი (ვასალი); მამა-მძუძე (სენიორი) – ძუძეული, ძუძუმტე (ვასალი); საკუთარი (მაღალი კატეგორიის ვასალი); წული (ვასალი), სეფეწული (სამეფო ვასალი); წინაშემდგომელი (ვასალი); მსახური (დაბალი კატეგორიის ვასალი, შემდეგში ყმა-გლეხთა წოდების ერთ-ერთი კატეგორია); კაცი (დაბალი კატეგორიის ვასალი; შემდეგში ყმა-გლეხის სინონიმი); მოკიდებული (ვასალი). ეკლესიაც ფეოდ. ორგანიზაცია იყო და მასაც ჰყავდა თავისი ვასალი ფეოდალები. იქ ვასალის აღმნიშვნელი ტერმინი იყო ,,შვილი'', ხოლო სენიორისა ,,მამა''. საეკლ. და სამონასტრო ვასალ-ფეოდალებს ეწოდებოდა: ,,ეკლესიისშვილი'', ,,საყდრისშვილი'', ,,მცხეთისშვილი'' (მცხეთის სვეტიცხოვლის ყმა ფეოდალი), ,,მონასტრის შვილი'', ,,ვარძიისშვილი'' (ვარძიის მონასტრის ყმა ფეოდალი), ,,ქვათახევისშვილი'', ,,შიოსშვილი'' (შიომღვიმის მონასტრის ყმა ფეოდალი) და სხვა. ტერმინი ,,შვილი'' ეკლესიაში შევიდა საერო სფეროდან, სადაც ის, როგორც სოც.-პოლიტ. ტერმინი, წარმოიქმნა გვაროვნული წყობილების წიაღში და გადავიდა კლასობრივ საზოგადოებაშიც. საერო სფეროში ის შეცვალა ტერმინმა მონამ (ისევე, როგორც მამა შეცვალა უფალმა). ვ-ის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები ქართულში იხმარებოდა აგრეთვე ფეოდალებისა და უშუალო მწარმოებლების იურიდ. ურთიერთობის აღსანიშნავადაც: უფალი აღნიშნავდა არა მარტო სენიორს, არამედ – გლეხის ბატონსაც (პატრონი). მონა აღნიშნავდა ვასალსაც და თავისუფლებაწართმეულ მონა-მწარმოებელსაც, ასევე ყმა, გარდა ვასალისა, ეწოდებოდა ყმა-გლეხსაც.

ვასალად მიღება სრულდებოდა განსაკუთრებული ცერემონიით – დალოცვით. ვასალისთვის მიწისა და თანამდებობის (,,ჭელის'') მიცემას ეწოდებოდა შეწყალება. შეწყალებული ვასალი სენიორისგან მიწას იღებდა სამსახურის პირობით (ბენეფიციუმი). ასეთ ,,საჭელო მიწას'' XI–XIII სს-ში ეწოდებოდა ,,საკარგავი'', ხოლო მის მფლობელს – ,,მოსაკარგავე''. სახელო და სასაკარგავო მიწები თანდათანობით იქცეოდა სამემკვიდრეო საკუთრებად – ,,მამულად''. სწორედ ,,მამული'' წარმოადგენდა საქართველოში სენიორიის – ფეოდ. ,,სახლის'' მატერ. საფუძველს. სენიორიას მეფე ანიჭებდა შეუვალობას (იმუნიტეტს). უფალ-მონობის ხანაში (X ს-მდე) საქართველოში უკვე არსებობდა ფეოდ. იერარქია: მეფე – ,,აზნაურნი დიდ-დიდნი'' (წარჩინებულნი) – მცირე აზნაურები; პატრონყმობის ხანაში (XI–XIV სს.): მეფე – დიდებულნი, მთავარნი – აზნაურნი; პატრონყმობა // ბატონყმობის ხანაში (XV–XVIII სს.): მეფე – მთავარნი – თავადნი – აზნაურნი. საქართველოში ფეოდ. დაქუცმაცებულობა გახანგრძლივდა არახელსაყრელი საშინაო და საგარეო პირობების გამო. ამიტომ ვ-იც XIX ს-მდე არსებობდა. ის იყო საქართვ. ფეოდ. კლასის შინაპოლიტ. ორგანიზაცია რუსეთთან შეერთებამდე. პატრონყმობა//ბატონყმობამ ვ-ის შინაარსი დაკარგა მხოლოდ XIX ს-ში. ამ პერიოდში უკვე ბატონყმობა აღნიშნავდა მხოლოდ ფეოდალებისა და ყმა-გლეხების ურთიერთობას. სენიორალურ-ვასალური ურთიერთობა არსებობდა სხვადასხვა ფეოდ. სახელმწიფოებს შორისაც. ფეოდ. საქართველოს XII–XIII სს-ში ჰყავდა თავისი ვასალური სახელმწიფოები – ყმადნაფიცი ქვეყნები (აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური ერთეულები), რ-ებიც საქართველოს უხდიდნენ ხარკს და უწევდნენ სამხ. დახმარებას, იყვნენ მისი პოლიტ. გავლენის ქვეშ. საქართველო, თავის მხრივ, იცავდა მათ გარეშე მტრებისაგან (იხ. სტ. *პატრონყმობა*, სენიორია, *სათავადო*).


წყარო: სამართალი ბექასი და აღბუღასი. – სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა, წგ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 1, თბ., 1963; [ისტორიული საბუთები], იქვე, ტ. 2–5, თბ., 1965–74.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 1–2, თბ., 1982–84 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 6–7).

ნ. შოშიაშვილი.

ვასაფი შიჰაბ ალ-დინ აბდ ალ-ლაჰ იბნ ფაზლ ალ-ლაჰ შირაზი (XIII ს. დასასრული – XIV ს. დასაწყისი), ირანელი ისტორიკოსი. ცნობილია ,,ვასაფ ალ-ჰაზრათის'' (,,მისი უდიდებულესობის მეხოტბე'') სახელითაც. ავტორია დიდი საისტ. ნაშრომისა (სპარს. ენაზე) ,,თარიხე ვასაფი'' (,,ვასაფის ისტორია''). ნაშრომი წარმოადგენს *ჯუვეინის* თხზულების უშუალო გაგრძელებას და მოიცავს პერიოდს 1257-იდან 1323-მდე. თხზულებაში არის უხვი ცნობები ილხანთა საგადასახადო სისტემის შესახებ. ვ-ის პირველწყაროები იყო ჯუვეინისა და რაშიდ ალ-დინის საისტ. ნაშრომები, საფინანსო უწყების დოკუმენტები, საკუთარი თვალით ნანახი და თვითმხილველთა მოგონებები. თხზულებაში არის საინტერესო ცნობები მონღოლთა ბატონობის დროინდელი საქართველოს შესახებ.

დ. კაციტაძე.



ა. ა. ვასაძე.

ვასაძე აკაკი ალექსის ძე [25. VII (6. VIII). 1899, ქუთაისი, – 23. III. 1978, თბილისი], მსახიობი და რეჟისორი, ახ. ქართ. თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი და საზ. მოღვაწე. საქართვ. (1934) და სსრკ (1936) სახ. არტისტი,



ა. ა. ვასაძე. ახმა, ს. შანშიაშვილის ,,ანზორი''.

შოთა რუსთაველის პრემიის (1975), სტალინური პრემიების (1942, 1946, 1951) და საქართვ. სახელმწ. პრემიის (1975) ლაურეატი. 1917 ქუთაისის თეატრში მუშაობდა მხატვარ-დეკორატორად, იქვე გამოვიდა პირველად სცენაზე. 1918–20 სწავლობდა თბილისში, ა. ჯაბადარის დრამ. სტუდიაში. 1920–58 იყო თბილ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის წამყვანი მსახიობი (1935–55 – სამხატვრო ხელმძღვანელი), 1958–68 – ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. 1969-იდან მოღვაწეობდა რუსთავის სახელმწ. დრამ. თეატრში, ხოლო 1975-იდან – თბილ. კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. აკად. თეატრში.



ა. ა. ვასაძე. შაჰ-აბასი, ა. ხორავა – გიორგი სააკაძე, კადრი ფილმიდან ,,გიორგი სააკაძე''.

3. ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის მსახიობი იყო. მაღალი ოსტატობით ქმნიდა როგორც ტრაგიკულ, ისე კომიკურ სახეებს, აღიარებული იყო როგორც ბრწყინვალე აქტიორული ტექ. და დიდი შესაძლებლობების მქონე შემოქმედი, გამოირჩეოდა თამაშის თავისებური სტილითა და გარდასახვის უდიდესი უნარით. 3-მ გამორჩეული სცენური სახეებით გაამდიდრა ქართ. თეატრის ისტორია. როლები: რუსთაველის თეატრში – მენგო (ლოპე დე ვეგას ,,ცხვრის წყარო''), ახმა (ს. შანშიაშვილის ,,ანზორი''), ფრანც მოორი (ფ. შილერის ,,ყაჩაღები''), იაგო (უ. შექსპირის ,,ოტელო''), კიკვიძე (ვ. დარასელის ,,კიკვიძე'', მისივე დადგმა, სტალინური პრემია, 1942), დარისპანი (,,შემოდგომის აზნაურები'', დ. კლდიაშვილის მიხედვით), სვიმონ ლიონიძე (დ. ერისთავის ,,სამშობლო''), შუისკი (ა. სოლოვიოვის ,,დიდი ხელმწიფე'', მისივე დადგმა, სტალინური პრემია, 1946), პეპია (ი. ჭავჭავაძის ,,გლახის ნაამბობი''), აბდულ სადიქი (ი. მოსაშვილის ,,ჩაძირული ქვები'', მისივე დადგმა, სტალინური პრემია, 1951) და სხვ.; ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრში – ყვარყვარე (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი''), რიჩარდ III (უ. შექსპირის ,,რიჩარდ მესამე''), ნერონი (ლ. სანიკიძის ,,ნერონი'') და სხვ.; რუსთავის თეატრში – ისიდორე (ნ. დუმბაძის ,,საბრალდებო დასკვნა''), მეფე ლირი (უ. შექსპირის ,,მეფე ლირი'', შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემია, 1975), მაესტრო (ს. კვარონსკის ,,მაესტრო''), გიორგი (თ. ჭიკაძის ,,სურათები საოჯახო ალბომიდან'') და სხვ.; კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში – პასტორი მანდერსი (ჰ. იბსენის ,,მოჩვენებანი'').

1926-იდან ეწეოდა რეჟისორულ მოღვაწეობას. მის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: ს. შანშიაშვილის ,,არსენა'', დ. ერისთავის ,,სამშობლო'', ჟ. პ. სარტრის ,,ედმონდ კინი'', ი. ჭავჭავაძის ,,ოთარაანთ ქვრივი'' და სხვ.

განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქართ. კინოხელოვნ. განვითარებაშიც. როლები: გირგოლა (,,მამის მკვლელი'', 1923), პლატონი (,,სამანიშვილის დედინაცვალი'', 1926), გარდუფხანი (,,ძინა ძაძუ'', 1926), შაჰ-აბასი (,,გიორგი სააკაძე'', 1942–43; სსრკ სახელმწ. პრემია, 1946), მამასახლისი (,,მაგდანას ლურჯა'', 1955), ფარსმან სპარსი (,,დიდოსტატის მარჯვენა'', 1969–70), მორდუხაი (,,დათა თუთაშხია'', 1977) და სხვ.

3. იყო კორპორაცია ,,დურუჯის'' დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. 1926-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა შოთა რუსთაველის თეატრთან არსებულ დრამ. სტუდიაში, ხოლო 1939-იდან – საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრალურ ინ-ტში (1947-იდან – პროფესორი). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. თბილისში არის 3-ის სახლ-მუზეუმი.

თხზ.: მოგონებები. ფიქრები, თბ., 1977.

ლიტ.: ბ უ ხ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი გ., აკაკი ვასაძე, თბ., 1960; ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე დ., სახიობა, [წგ.] 1, თბ., 1958; Г у г у ш в и л и Э., Театральные портреты, Тб., 1968; М а р к о в П., А. Васадзе, წგ.: Народные артисты СССР, М.–Л., 1937.

აკაკი ვასაძის სახლ-მუზეუმი, თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმის ფილიალი. გაიხსნა 1988 წ. 14 იანვარს ბინაში, სადაც იგი ცხოვრობდა 1936-იდან სიცოცხლის ბოლომდე. ექსპოზიცია მოთავსებულია ორ ოთახში. პირველში წარმოდგენილია 3-ის როგორც მსახიობის, რეჟისორისა და ლიტერატორის შემოქმედების ამსახველი მასალები: აფიშები, ფოტოები, თეატრ. მაკეტები, იაგოსა და პასტორ მანდერსის კოსტიუმები; თეატრ. რეკვიზიტები სხვადასხვა სპექტაკლიდან: ჩიშმაკოვის გიტარა (კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლიდან ,,მზის დაბნელება საქართველოში''), ახმას ფანდური (ა. ახმეტელისა და 3-ის მიერ დადგმული სპექტაკლიდან ,,ანზორი''), ლირის ხმალი (გ. ლორთქიფანიძისა და 3-ის მიერ დადგმული სპექტაკლიდან ,,მეფე ლირი''), ძველებური დაირა, თეატრ. ნიღბები და სხვ. აქვეა ტ. ტაბიძისა და ი. გრიშაშვილის ლექსები, მიძღვნილი 3-ისადმი; ე. ნემიროვიჩ-დანჩენკოს, გ. რობაქიძის, დრამატურგ ვ. სოლოვიოვის, კრიტიკოს ი. ალტმანის, ამერიკელი რეჟისო-

რის რ. პორტერის გამონათქვამები 3-ზე, როგორც მსახიობსა და რეჟისორზე. ვიტრინებში გამოფენილია 3-ის ხელით გადაწერილი როლები თავის ჩანახატებიანად; თეატრ. პროგრამები: 3-ის ,,მოგონებები, ფიქრები'' (2 ტ.) და ,,ჩემი სამსახიობო გზა''; წიგნები 3-ზე; მნიშვნელოვანი წერილები და დეპეშები; საქართვ. და შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიების დიპლომები, მთავრობის სხვადასხვა ჯილდო (ორდენები, მედლები), აგრეთვე პირადი ნივთები. მეორე ოთახს შენარჩუნებული აქვს 3-ის სამუშაო-მისაღები ოთახის სახე. აქ დგას მისი საწერი მაგიდა თავისი სავარძლით, როიალი, რბილი ავეჯი. კედლებზე განლაგებულია 3-ის ბავშვობის, გიმნაზიის წლების, ახალგაზრდობის ამსახველი ფოტოები, აქვეა მისი ოჯახის წევრების პორტრეტები. ერთი კედელი დათმობილი აქვს რუსთაველის თეატრის 20-იანი წლების ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ უნიკალურ ფოტოებს, რებშიც არიან კ. მარჯანიშვილი, ვ. აბაშიძე, ნ. გოცირიძე, შ. დადიანი და ქართ. თეატრისა და კულტურის სხვა გამოჩენილი მოღვაწენი. ამავე ოთახშია გამოფენილი 3-ის საზ. ცხოვრების ამსახველი ფოტოები, სადაც მასთან ერთად არიან გამოჩენილი რეჟისორები და მწერლები: ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ა. კოონენი, ა. ტაიროვი, ა. ტოლსტოი, ა. კორნეიჩუკი და სხვ. (სულ გამოფენილია 172 ფოტოსურათი). გამოფენილია აგრეთვე 3-ის მიერ აკვარელით და ფანქრით შესრულებული ნახატები: იმერეთის ორი პეიზაჟი, მეუღლისა და შვილიშვილის პორტრეტები. სახლ-მუზეუმში ექსპონირებულია ლ. გუდიაშვილის მიერ ნაჩუქარი ფერწერული ტილო ,,წყურვილი'', ი. ნიკოლაძის ნაჩუქარი შოთა რუსთაველის ბარელიეფი (ბრინჯაო), უ. ჯაფარიძის ნახატი ,,ა. ვასაძე ერეკლე II-ის როლში'' (სპექტაკლიდან ,,კრწანისის გმირები''), კრიტოვის ნახატი ,,ა. ვასაძე ნოვიკოვის როლში'' (სპექტაკლიდან ,,ლიანდაგები გუგუნებენ''), ნაჭყებიას ნახატი ,,ა. ვასაძე – პეპია'', ე. შუხაევის მიერ შესრულებული 3-ის პორტრეტი. ექსპოზიციაში აგრეთვე წარმოდგენილია სხვადასხვა მემორიალური ნივთი თავისი წარწერებით. სახლ-მუზეუმში ინახება 3-ის ბ-კა და პირადი არქივი. მუზეუმის შენობას მინიჭებული აქვს კულტ. მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი (საქართვ. კულტ. და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2007 წ. 3/181 ბრძანება).

ვასაძე აკაკი გიორგის ძე (27. VII. 1939, თბილისი, – 1. XI. 1998, იქვე), მწერალი, ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1981). დაამთავრა თსუ-ის დას. ევროპის ენებისა და ლიტ-რის ფაკ-ტი (1962). 1965 მეთევზე-მეზღვაურად ახლდა ქართ. საოკეანო თევზმჭერ ფლოტს. 1967-იდან მუშაობდა შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტერატურის ინ-ტში მეცნ. თანამშრომლად. პირველი მოთხრობა ,,გარსია'' 1962 გამოაქვეყნა ჟურნ. ,,მნათობში'', პირველი წიგნი – მხატვრული ნარკვევების კრებული ,,ქართველები ოკეანეში'' – 1968. გამოქვეყნებული აქვს მოთხრობების კრებულები: ,,უჩვეულო დღეები'' (1971), ,,მოთხრობები'' (1974); ლექსების კრებ. ,,თეთრი ნავი'' (1978); ლექსებისა და პოემების კრებ. ,,გამხელა'' (1985), პროზაული კრებ. ,,სამი ამბავი'' (1988); ესეები და ნარკვევები: ,,ლექსი და შემოქმედება'' (1975), ,,პოეზიის პრინციპები'' (1987) და სხვ. მის სამეცნ. ნაშრომებში დასმულია ლიტ-რის ისტორიისა და თეორიის, ფსიქოლ., ესთეტ., ხელოვნებათმცოდნეობის პრობლემები. 3-მ ჩვენში ახ. მეცნ. დისციპლინის – მხატვრული შემოქმედების ფსიქოლ. საკითხებს მიუძღვნა ნაშრომები: ,,მხატვრული გრძნობის პრობლემა'' (1975, რუს. – 1978), ,,მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგიის საკითხები'' (1979) და სხვათა თარგმნა ჟ.-პ. სარტრის, ჰ. უელსის, ა. პუშკინისა და სხვათა ნაწარმოებები.

ვასაძე გაიოზ შალვას ძე (დ. 14. V. 1928, ქუთაისი), ექიმი. მედ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1967); საქართვ. მედიცინის მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი (1994). სამედ. კიბერნეტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. 1952 დაამთავრა ლენინგრადის სამხ.-სამედ. აკადემია. 1960–63 ხელმძღვანელობდა ექსპერ. ქირურგიის ლაბორატორიას თავდაპირველად ქალის ფიზიოლ. და პათოლოგიის, შემდეგ კი ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტებში. 1963–68 იყო ექსპერ. და კლინ. ქირურგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის პათოფიზიოლოგიის განყ-ბის გამგე, 1968–84 – სამედ. კიბერნეტიკის განყ-ბის გამგე, 1971–84 – ამავე ინ-ტის დირექტორის მოადგილე, 1984–87 – საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს IV მთავარი სამმართველოს ცენტრ. სამეცნ.-კვლ. ლაბორატორიის დირექტორი, 1985–90 – კიბერნეტიკისა და ინფორმატიკის კათედრის გამგე თბილ. თსსუ-ში. პარალელურად 1964–94 იყო რესპ. დარგობრივი ავტომატიზებული მართვის სისტემის მთავარი კონსტრუქტორი, 1987–1994 – სამედ. ინფორმატიკისა და კომპლექსური ავტომატიზაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი და ამავე დასახელების საწარმოო-სამეცნ. პრაქტ. ცენტრის გენ. დირექტორი, 1994–2006 – საქართვ. სოც. და ჯანმრთელობის ინ-ტის (ყოფ. საქართვ. ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაც. ცენტრი) მრჩეველი. შეისწავლიდა შოკის, სისხლის დაკარგვისა და ტერმინალურ მდგომარეობათა პათოფიზიოლოგიას, სამედ. კიბერნეტიკის, ინფორმატიკის, ბიომათემატიკის, ცოდნის მართვის სისტემათა და საქართველოში სამედ. მეცნ. ორგანიზაციის საკითხებს. 1991–2006 სამედ. ინფორმატიკისა და ბიოსამედ. ინჟინერიის ასოციაციის პრეზიდენტი იყო. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998).

თხზ.: Методы борьбы против терминальных состояний, Тб., 1961 (თანაავტ.: И. Р. Петров); Необратимые изменения при шоке и кровопотере, Л., 1972 (თანაავტ.: И. Р. Петров); Метод системно-аналитических психофизиологических исследований в медицине, Тб., 1986 (თანაავტ.: И. Михель, Г. Думбадзе).

ვასაძე გიორგი აკაკის ძე (23. VII. 1919, თბილისი, – 23. VIII. 1969, იქვე), მსახიობი და რეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967), ა. ა. *ვასაძის* შვილი. 1941 დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინტის სამსახიობო ფაკ-ტი, 1948 – მოსკ. ლუნაჩარსკის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი. 1941–44 მსახიობად მუშაობდა თბილ. რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრში. 1948–53 იყო სოხუმის ქართ. დრამ. თეატრის, ხოლო 1954–55 – მოსკ. ლიტ.-დრამ. თეატრის რეჟისორი, 1958–61 მუშაობდა საქართვ. ფილარმონიაში (მთ. რეჟისორი). 1967-იდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ტელევიზიის მუს. გადაცემათა მთ. რეჟისორი. საუკეთესო დადგმები: ი. მოსაშვილის ,,ჩაძირული ქვები'' და ,,მისი ვარსკვლავი'', გ. მდივნის ,,ვარდო'', ა. ოსტროვსკის ,,უკანასკნე-

ლი მსხვერპლი‘‘ (სოხუმის ქართ. დრამ. თეატრი), ბ. ლავრენიოვის ,,რღვევა‘‘, გ. სუნდუკიანის ,,პეპო‘‘ (ოზურგეთის თეატრი), ვ. დოლიძის ოპერა ,,ქეთო და კოტე‘‘ (საქართვ. სახელმწ. ფილარმონია) და სხვ. ვ-ის მიერ შექმნილ იდეურად ღრმა და მაღალმხატვრულ სპექტაკლებს ამშვენებს მდიდარი რეჟისორული ფანტაზია.



ი. შ. ვასაძე.

ვასაძე იუზა შალვას ძე (დ. 27.XII. 1935, ქუთაისი), აგრონომი, ინჟინერ-ტექნოლოგი. სოფ. მეურნეობის მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (2001), საქართვ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (1995; წ.-კორ. – 1992). 1959 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ., ხოლო 1961 – საქართვ. სუბტროპ. მეურნეობის ინ–ტი. 1976–81 სოფელ გალავნის, 1981–83 მცხეთის, ხოლო 1983–92 საგურამოს ექსპერ. მეურნეობების დირექტორი იყო, 1992–94 – კვებისა და გადამამუშავებელი მრეწვ. მინისტრის მოადგილე, 1994–97 – სოფ. მეურნ. მინისტრის მოადგილე, 1997–99 – მევენახეობისა და მეღვინეობის სახელმწ. რეგულირების დეპარტ. ,,სამტრესტის‘‘ თავ-რე, 1999–2002 – საქართვ. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მრჩეველი სამაჩაბლოში, 2002–12 – საქართვ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინტის მეხილეობის ტექნოლ. კვლევის განყ-ბის გამგე. 2011-იდან არის საქართვ. ,,მევენახეთა, მეღვინეთა და მებაღეთა სამეცნ.-კვლ. საწარმოო კავშირის‘‘ პრეზიდენტი. ვ-მ შეისწავლა ხეხილოვანი კულტურების თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები, აღწერა 16-ზე მეტი ვაშლის ადგილ. ჯიში, რაც საფუძვლად დაედო ამ ჯიშების გამრავლებას საქართველოში. ავტორია 9 გამოგონების. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997).




ი. კ. ვასაძე.



ლ. ვასაძე.

თხზ.: თესლოვანი კულტურების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოს რესპუბლიკაში და მათი განვითარების პერსპექტივები, თბ., 1987; ნედლეულის გამოყენების ახალი ტექნოლოგიები კვების მრეწველობაში, თბ., 1994; საქართველოს მეხილეობის თანამედროვე მდგომარეობა, თბ., 2000.

ვასაძე იური კარლოს ძე (31. III. 1930, სოფ. ასკანა, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 9. IX. 2006, თბილისი), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1990). 1948–51 სწავლობდა თბილ. ა. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინ-ტის ისტ. ფაკ-ტზე, 1951–54 – თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ცენტრ. მუს. სკოლაში ვოკალის განხრით (პედაგოგები: ვ. ქაშაკაშვილი, ს. ინაშვილი). 1954–56 მუშაობდა თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში გუნდის მომღერლად. 1961 დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრალური ინ-ტის მუს. კომედიის ფაკ-ტი (პირველი გამოშვება). ამავე წლიდან მუშაობდა თბილ. ვ. აბაშიძის სახ. მუს. კომედიის თეატრში (ამჟამად ვ. აბაშიძის სახ. მუს. კომედიისა და დრამის თეატრი) წამყვან მსახიობად. ვ-ის დებიუტი შედგა თბილ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის სცენაზე 1960 (ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს) სპექტაკლ ,,ქალთა აჯანყებაში‘‘ (ქურდი ჰანსენი, რეჟ. მ. თუმანიშვილი). 1977–81 პარალელურად მუშაობდა კინოსტუდია ,,ქართულ ფილმთან‘‘ არსებულ ,,თეატრალურ სახელოსნოში‘‘ (სამხატვრო ხელმძღვ. მ. თუმანიშვილი). შესრულებული აქვს 80-მდე როლი,



ი. კ. ვასაძე. ოთარი, კადრი ფილმიდან ,,ერთი ნახვით შეყვარება‘‘.

რ-თაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ვანო (ა. კერესელიძის ,,ჯვაზომანია‘‘), ბიძინა გრიგორიჩი (შ. მილორავას ,,სამი უფროსის მსახური‘‘), დომენტი (გ. ცაბაძის ,,შესანიშნავი სამეული‘‘), სიმონიკა (ვ. ცაგარეიშვილის ,,მზის დაბნელება‘‘), ბუხუტი წილოსანი (ს. ნასიძის ,,სტუდენტები‘‘), ყვარყვარე თუთაბერი (ნ. გაბუნიას ,,ყვარყვარე‘‘) და სხვ. გადაღებულია კინოფილმებში (ოთარი, ,,ერთის ნახვით შეყვარება‘‘, რეჟ. რ. ესაძე; ყანდური, ,,დათა თუთაშხია‘‘, რეჟ. გ. ლორთქიფანიძე; მიხაკო, ,,სიყვარული ყველას უნდა‘‘, რეჟ. გ. შენგელაია და სხვ.). ვ-ის შესრულებისათვის დამახასიათებელი იყო პროფესიონალიზმი, უშუალობა, ვოკალის ფლობა და მიზანდასახული გამოყენება სცენური სახის შესაქმნელად.

ვასაძე ლევან შიოს ძე (დ. 20. XII. 1970, თბილისი), ბიზნესმენი, მწერალი-პუბლიცისტი, ქველმოქმედი. დაამთავრა თსუ-ის გეოგრაფია-გეოლ. ფაკ-ტი (1992), ატლანტის ემორის უნ-ტის რობერტო გოიზუეტას სახ. ბიზნესსკოლა (1995). სხვადასხვა დროს (1990–2007) სწავლობდა და გადიოდა ტრენინგებს ნიუ-იორკის შტატის სენტ-ლოურენსის, ვაშინგტონის ჯორჯტაუნის, მოსკოვის წმინდა ტიხონის მართლმადიდებლურ ჰუმანიტარულ უნ-ტებში.

ვ. მუშაობდა ბიზნესის სფეროში აშშ-ში (1990–91 და 1993–95), რუსეთში (1995–2007), ინგლისში (2008–09). 2009 დაბრუნდა საქართველოში. იყო წამყვანი რუს. საერთაშ. კომპანიების დირექტორთა საბჭოს თავ-რე, გენ. დირექტორი, ვიცე-პრეზიდენტი და დირექტორი. არის რამდენიმე კომპანიის, მ. შ. შპს ,,ბაგრატიონი 1882-ის‘‘ (2006-იდან) და შპს ,,სამოსელი პირველის‘‘ (2009-იდან) დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოების თავ-რე, კიკეთის ,,იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული სასწავლებლის‘‘ დამაარსებელი და მმართველობის წევრი (2009-იდან), საქართვ. დემოგრ. აღორძინების ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე (2013-იდან), ყოველწლიური საქველმოქმედო ღონისძიების ,,ქართული მეჯლისის‘‘ დამფუძნებელი და სამეურვეო საბჭოს წევრი (2011-იდან). ავტორია პუბლიც. და ლიტ. სტატიებისა და ესეებისა. იყო პროფესიონალი რაგბისტი, თამაშობდა თბილ. ,,ლოკომოტივში‘‘ (1988–92). მისი ძალისხმევით კიკეთში დაარსდა სარაგბო კლუბი ,,იუნკერები‘‘ (2010).

ვასაძე ნათელა შალვას ასული (დ. 1. VIII. 1930, ქუთაისი), პედაგოგი. პედ. მეცნ. დოქტორი (1977), პროფესორი (1979), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1986). რუსეთის განათლების აკად. ნამდვ. წევრი (1985), საქართვ. პედაგოგიურ მეცნ. საზ. აკადემიის პრეზიდენტი და მისი ნამდვ. წევრი (1995). საქართვ. პედაგოგიური საზ-ბის თავ-რე (1990-იდან). 1954 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკტი. 1950-იდან დაკავებული იყო კომკავშირული საქმიანობით. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქ. ალკკ თბილ. ორჯონიკიძის რაი-

კომის პირველ მდივნად (1952–54), საქ. ალკკ ცკ-ის მდივნად (1954–60), საქ. ალკკ ცკ-ის II მდივნად (1960–62). 1962-იდან პარტიულ სამუშაოზე იყო საქართვ. კომპარტიის ცკ-ის აპარატში (1962–69), საიდანაც გადაიყვანეს საქართვ. პროფსაბჭოს მდივნად (1962–72). 1972–85 იყო თბილ. ა. პუშკინის სახ. სახელმწ. პედაგოგიური ინ-ტის რექტორი, 1986–88 – საქართვ. განათლების მინისტრი.

ვ. იკვლევს პედ. თეორიისა და ქართ. პედ. აზროვნების ისტ. საკითხებს. არის ,,საქართველოს პედაგოგიური აზრის ანთოლოგიის'' (რუს. ენაზე, მ., 1987) სარედაქციო კოლეგიის წევრი და რედაქტორი, აგრეთვე ,,პედაგოგიკის ისტორიის'' სახელმძღვანელოს (თბ., 1988) რედაქტორი და თანაავტორი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: სკოლა-ინტერნატებში აღმზრდელობითი მუშაობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965; უმაღლესი სკოლის ღირსეული შევსება, თბ., 1977; მარიამ ორახელაშვილი, თბ., 1977; Из истории высшего педагогического образования в Грузии, Тб., 1975. *დ. გურგენიძე.*

ვასაძე როლანდ გრიგოლის ძე (დ. 24. IV. 1944, თბილისი), გასტროენტეროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (2001). 1968 დაამთავრა თსსი.

1968–71 მუშაობდა ყაზახეთში, ქ. ცელინოგრადის ბავშვთა საავადმყოფოში; 1971–2002 – თსსუ-ის ბავშვთა პროპედევტიკის კათედრაზე. 2002-იდან მოღვაწეობს ნიუ-იორკში (2002–07 – Caring Professional Inc. of New York, 2007-იდან – Department of Nutrition VMLG Inc. of New York).

ვ. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი. მისი კვლევის სფეროა გასტროენტეროლოგიისა და დიეტოლოგიის აქტუალური საკითხები.

ვასიფი აჰმედ (1738, ბაღდადი, – 1806), ოსმალო ისტორიკოსი. აქტიურად მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკებებში. მიმოწერას აწარმოებდა რუს. იმპერატორ ეკატერინე II-სა და დიდ ვეზირს შორის. ვ-მ შეადგინა 1772 ბუქარესტის საზავო მოლაპარაკების ოქმი. 1783 გახდა სულთნის კარის ისტორიკოსი, ოფიც. ჟამთააღმწერელი. ვ-ს ხელი მიუწვდებოდა ყოველგვარ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებზე. იგი თვითმხილველი და უშუალო მონაწილე იყო მრავალი მნიშვნელოვანი ისტ. მოვლენისა, რ-თა შესახებაც დაწვრილებით გადმოგვცემს თავის ორტომიან თხზულებაში ,,მშვენიერი ძეგლები და სარწმუნო ცნობები'' (მოიცავს 1753–74 პერიოდს). ვ-სათვის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი წყაროა მუსტაფა *ჩეშმი-ზადეს* ,,ისტორია''. იგი ამოკლებს ჩეშმი-ზადეს ცნობებს საქართველოს შესახებ. ხშირ შემთხვევაში არ ასახელებს იმერეთ-გურია-სამეგრელოს მთავართა და წარჩინებულთა სახელებს. I ტომში არის ცნობები 1766–69 საქართველოს შესახებ, კერძოდ, ჩილდირის ეიალეთზე, მის ურთიერთობაზე იმერეთთან; ოსმალების თავდასხმების შესახებ იმერეთზე, იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ბრძოლაზე ოსმალებთან და სხვ.

ლიტ.: ბურჯანაძე შ., სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752–1768 წწ.), «თსუ შრომები», 1950, ტ. 41; შენგელია ნ., ოსმალო ისტორიკოსის აჰმედ ვასიფის ცნობები საქართველოს შესახებ, «ქართული წყაროთმცოდნეობა», 1971, [ტ.] 3.

გ. ალასანია.

ვასუსარმა, ვასურმე, *თაბალის* ,,დიდი მეფის'', თუვათის (თუათის) ძე, ასურეთის მეფის, ტიგლათფილესერ III-ის (ძვ. წ. 745–727) თანამედროვე და ერთხანს – მისი ქვეშევრდომიც. დაახლ. 728 ვ-ს ასურელთა ბატონობისაგან გათავისუფლება განუზრახავს. ამ გადაწყვეტილებას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ურჩი მეფის ნაცვლად ასურელებს თაბალის სამეფო ტახტზე ჰყოლი (ჰულუ – ,,არავის შვილი'') დაუსვამთ. ამ სამხ. მოქმედების დროს ტიგლათფილესერ III-ის ლაშქარს თაბალში ნადავლის სახით ხელთ უგდია 10 ტალანტი (300 *კგ*) ოქრო, 1000 ტალანტი (30 *ტ*) ვერცხლი და 2000 ცხენი. ვ-სა და მისი ქვეშევრდომების (ე. წ. ,,მსახურების'') სახელებს უკავშირდება თაბალის ყოფილ ტერიტორიაზე XX ს. 30-იანი წლებიდან დღემდე აღმოჩენილი იეროგლიფურ-ლუვიური (ხეთური) წარწერების უმრავლესობა.

ლიტ.: ხაზარაძე ნ., აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში, თბ., 1978.

ნ. ხაზარაძე.

ვატიკანი (ოფიც. Stato della Città del Vaticano), ქალაქ-სახელმწიფო, კათოლიკური ეკლესიის მეთაურის – პაპის რეზიდენცია. მდებარეობს იტალიის დედაქალაქის, რომის დას. ნაწილში, მონტე-ვატიკანის ბორცვზე. ვ-ს თითქმის ყველა მხრიდან შემოვლებული აქვს ქვის გალავანი. ფართ. 0,44 *კმ*², მოსახლეობა დაახლ. 1 ათ. კაცი. ოფიც. ენებია ლათინური და იტალიური, ფულის ერთეული – ვატიკანის ევრო (2002-მდე – ვატიკანის ლირა). ვ-ში აბსოლუტური თეოკრატიული მონარქიაა, სახელმწ. მეთაურია რომის პაპი, რ-საც ფარული კენჭისყრით მუდმივად ირჩევს მისივე დანიშნული სათათბირო ორგანო – კარდინალთა კოლეგია (კონკლავი). პაპს ეკუთვნის უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრ. და სასამართლო ხელისუფლება.

მონტე-ვატიკანოს ბორცვზე პაპები დაფუძნდნენ IV–V სს-ში. 1150 პაპმა ევგენი III-მ აქ სასახლე ააგო, რ-იც 1377-იდან ვ-ის პაპების მუდმივ რეზიდენციად გადაიქცა. 1929 ლატერანის ხელშეკრულებების თანახმად აღიარებულ იქნა პაპის სუვერენული სახელმწიფო – ვ.

საქართველო-ვ-ის ურთიერთობას ჯერ კიდევ VI ს. ჩაეყარა საფუძველი. რომის პაპ გრიგოლ I-სა და ქართლის კათოლიკოს კირიონს მიმოწერა ჰქონდათ ნესტორიანობის საკითხებზე.

შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით ჯვაროსანთა ლაშქრობების ხანიდან, საქართველო-ვ-ის ურთიერთობა კიდევ უფრო გააქტიურდა. საქართვ. მეფეს რუსუდანს (1223–45) მიმოწერა ჰქონდა რომის პაპ გრიგოლ IX-თან; რუსუდანმა 1239–40 დახმარება სთხოვა რომის პაპს მონღოლების წინააღმდეგ საბრძოლველად, სამაგიეროდ საქართველოს გაკათოლიკებას ჰპირდებოდა, მაგრამ პაპმა უარი უთხრა, ვინაიდან თვითონაც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. თვით პაპი რუსუდანს სთხოვდა, დახმარებოდა თბილისში მყოფი მინორიტების ორდენის მისიონერებს. 1329 პაპის იოანე XXII-ის ბრძანებით თბილისში დაარსდა კათოლიკეთა საეპისკოპოსო. პირველ ეპისკოპოსად დაინიშნა ქართ. ენის მცოდნე დომინიკელი ბერი იოანე ფლორენციელი.

ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ რომის პაპმა პავლე II-მ (1405–64) გადაწყვიტა აღმ. ქვეყნების მონაწილეობით შეექმნა ანტიოსმალური კოალიცია და ამ მიზნით აღმოსავლეთში გამოაგზავნა ლუდოვიკო ბოლონიელი. იგი სხვა ქვეყნებთან ერთად დაუკავშირდა საქართვ. მეფე-მთავრებს, რ-ებმაც, თავის მხრივ, ელჩები გააგზავნეს დას.



ვატიკანი.

ევროპაში, კერძოდ, ვ-ში. მიუხედავად დიდი მცდელობისა, კოალიცია არ შედგა (იხ. *ანტიოსმალური კოალიციები XV–XVII სს-ში*).

ქართლის მეფე სიმონ I (1537–1611) თავის საგარეო პოლიტიკას ევრ. ქვეყნებთან ურთიერთობაზე ამყარებდა, რ-ებთანაც შუამავლის როლი ვ-ს უნდა შეესრულებინა.

XVII ს. I ნახ-იდან საქართვ. სამეფო-სამთავროების ურთიერთობა ვ-თან კიდევ უფრო გააქტიურდა. საქართველო-ვ-ის ურთიერთობა, სხვადასხვა კათოლ. ორდენის მისიონერების მოღვაწეობის მიხედვით, რამდენიმე პერიოდად შეიძლება დაიყოს: 1. XIII ს. 20-იანი წლებიდან XVI ს. ბოლომდე, როდესაც საქართველოში დომინიკელები და ფრანცისკელები მოღვაწეობდნენ; 2. XVII ს. I ნახ., საქართველოში თეატინელ მისიონერთა მოღვაწეობის ხანა. ამ დროს (1622) ვ-მა დააარსა პროპაგანდის კონგრეგაცია („პროპაგანდა ფიდე“), რ-ის მიზანი იყო აღმოსავლეთის მართლმადიდებელთა შორის კათოლიკობის გავრცელება და პროტესტანტებთან ბრძოლა; 3. კაპუცინების მოღვაწეობის ხანა (1661–1845).

XVIII ს. 10-იან წლებში ვ-ს დიპლ. მისიით ეწვია ს.-ს. ორბელიანი. მან მოლაპარაკება გამართა პაპ კლემენტ XI-თან – სთხოვდა მას დახმარებოდა ირანის ტყვეობიდან ვახტანგ VI-ის გათავისუფლების საქმეში, მაგრამ მისია წარუმატებლად დამთავრდა.

ვ. ცდილობდა ქართ. ეკლესიის შეერთებას, თუმცა განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა ქართ. მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. იგი თავის მისიონერებს ავალებდა აღენუსხათ ყველაფერი, რაც ქართვ. ერის რელიგიას, ეთნოგრაფიას, კულტურას და პოლიტ. ცხოვრებას ეხებოდა და სისტემ. და დეტალური ანგარიშები გაეგზავნათ ვ-ში. ასეთი გააქტიურებული ურთიერთობების გამო უცხოეთის არქივებსა და წიგნსაცავებში დაგროვდა ამ პერიოდის მასალა, რ-იც ეხება ვ-ის პოლიტიკას აღმ. ქვეყნებში და, კერძოდ, საქართველოში. ეს არის კათოლიკე მისიონერების მოგზაურთა წერილები, ბარათები, ანგარიშები, ჩანაწერები, მემუარული ხასიათის თუ სხვა სახის დოკუმენტები.

ვ-მა დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში საგანმან. სისტემის განვითარების საქმეში. მან ევროპას გააცნო ქართ. კულტურა და ევრ. კულტურის სათანადო ელემენტები შემოიტანა საქართველოში. მისი დახმარებით ევროპაში შეიქმნა პირველი ქართ. საბეჭდი შრიფტი (1629) და გამოიცა პირველნაბეჭდი ქართ. წიგნი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, დაარსდა ქართ. სტამბა. ვ-ის წარგზავნილთა მეშვეობით საქართველოში გაიხსნა საგანმან. დაწყებითი და სშ. კათოლ. სკოლები საზ-ბის ყველა ფენისათვის.

არანაკლები როლი შეასრულა ვ-მა საქართველოს დას. ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარების საქმეში. ვ-ის წარგზავნილთა დახმარებით საქართველოში დაჩქარდა ქართვ. ვაჭართა ერთი ფენის გაკათოლიკების საქმე, რაც იწვევდა ქვეყანაში აღებ-მიცემობის კიდევ უფრო განვითარებას. XVIII ს-იდან საქართველო-ვ-ის ურთიერთობა შესუსტდა, რასაც ძირითადად შემდეგი მიზეზები განსაზღვრავდა: საქართველოს მძიმე პოლიტ. მდგომარეობა, ირან-ოსმალეთის ექსპანსიის გაძლიერება, სომხ. ეკლესიის მიერ ვ-ის წარგზავნილთა დევნა, შემდეგ კი საქართველოს რუსეთთან შეერთება.

XX ს. 90-იან წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ვ-თან ურთიერთობის ახ. ხანა დაიწყო – 1992 წ. 23 მაისს დამყარდა დიპლ. კავშირი საქართველოსა და ვ-ს შორის: 1993 საქართველოში გაიხსნა წმიდა საყდრის საელჩო, ხოლო 2004 – საქართვ. საელჩო წმინდა საყდართან. ამოქმედდა კათოლ. ტაძრები და საკრებულოები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში და სხვ. აშენდა რამდენიმე ტაძარი. 1999 ნოემბ. რომის პაპი იოანე პავლე II (1978–2005) ეწვია თბილისს.

ლიტ.: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ..., ტფ., 1902; ჩიქობავა ა., ვათეშვილი ჯ., პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., 1983.

ქ. პავლიაშვილი.

ვაუჩერი (ინგლ. voucher – ხელწერილი, თავდებობა), მოწმობა წერილობითი დოკუმენტის ან სხვა რაიმე სახით, რომელიც იძლევა განსაზღვრული საქონლის ან მომსახურების დადგენილი ოდენობით მიღების უფლებას.

ვ. შეიძლება გაიცეს სხვადასხვა მიზნით, როგორც კერძო პირის, ისე სახელმწ. მიერ. უფრო ხშირად ის გამოიყენება სახელმწ. მიერ, როგორც სოც. და (ან) ეკონ. პოლიტიკის მიზნის მიღწევის ინსტრუმენტი. საბჭოთა კავშირის დაშლის (1991) შემდეგ წარმოქმნილ სახელმწიფოებში სიტყვა „ვაუჩერი“ დამკვიდრდა პრივატიზების პროცესთან დაკავშირებით. საბჭოთა მბრძანებლურ-გეგმური და ცენტრალიზებული სისტემის დემონტაჟი სხვა ღონისძიებებთან ერთად განხორციელდა პრივატიზების გზით, რაც გულისხმობდა სახელმწ. საკუთრების კერძო საკუთრებაში როგორც უფასო, ისე გამოსყიდვის გზით გადაცემას. ამ უკანასკნელში მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობის მიზნით სახელმწიფომ გამოიყ-

ენა ვაუჩერული პრივატიზება, რ-ის დროსაც სახელმწ. საწარმოების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის შემდეგ მათი აქტივების (აქციების) ყიდვა შესაძლებელი იყო ,,საპრივატიზებო ბარათებით'' (,,ვაუჩერი'' მათი არაოფიციალური დასახელებაა).

საქართველოში 3. ფართოდ გავრცელდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. საქართვ. სახელმწიფომ 3-ები გამოუშვა შემდეგი პრინციპით: 1. გაიცა უფასოდ საქართველოს ყველა მოქალაქეზე; 2. ერთი საპრივატიზებო ბარათის ნომინალური ღირებულება განისაზღვრა 30 აშშ დოლარის ოდენობით; 3. მისი გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ საპრივატიზებო ობიექტების აქტივების შესაძენად; 4. მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო ერთი წლით; 5. შეიძლებოდა მისი ყიდვა-გაყიდვა შეუზღუდავად; 6. არ იყო სახელობითი და მისი გამოყენება შეეძლო ყველა წარმომდგენს; 7. დაკარგვის შემთხვევაში სახელმწ. არ ჰქონდა აღდგენის პასუხისმგებლობა; 8. მისი გამოყენება შეიძლებოდა სპეციალურ, საბარათე აუქციონებზე სავაუჩერო პრივატიზების პროგრამით განსაზღვრულ პერიოდში; 9. ანგარიშსწორებაში საპრივატიზებო ბარათი მიიღებოდა ნომინალური ღირებულებით, მიუხედავად იმისა, თუ როგორი იყო იმ მომენტისათვის მისი საბაზრო ღირებულება. ამრიგად, საპრივატიზებო ბარათის სახით 3. იყო დადგენილი ნომინალური ღირებულების, მიზნობრივი დანიშნულების სახელმწ. ფასიანი ქაღალდი, რ-იც გამოიყენებოდა სახელმწ. საკუთრების ობიექტების საპრივატიზებოდ. პრივატიზების დროს 3. წარმოადგენდა ერთგვარ ქონებრივ კუპონს, რ-იც მოსახლეობამ მიიღო.

3-ს აქვს უფრო ფართო დანიშნულება, ვიდრე საპრივატიზებო ბარათისა და ქონების გადანაწილებისა. ის სხვადასხვა შემთხვევებში გამოიყენება როგორც წერილობითი მოწმობა, დავალება, გარანტია. ის შეიძლება იყოს გარკვეული მიზნებით ფულის ნაცვლად გამოსაყენებელი კუპონი ან სერტიფიკატი. 3-ები გამოიყენება ტურიზმის სფეროში, განსაკუთრებით სასტუმროების მომსახურების დროს. ფართო გავრცელება პოვა ფასდაკლების ვაუჩერულმა სისტემამ. სიტყვა ,,ვაუჩერი'' დამკვიდრდა ემპირიულ ლექსიკაში ინდივიდ. შეღავათების აღსანიშნავად. XX ს. 90-იანი წლებისაგან განსხვავებით, როდესაც მას ნეგატიური მნიშვნელობით იყენებდნენ, XXI ს. დასაწყისში მან პოზიტიური მნიშვნელობა შეიძინა.

3. შეიძლება იყოს ფულადი კუპონის სახით. ამ ტიპის კუპონი 3-ს წარმოადგენდა საქართველოში მისი შემოღებიდან (1993 წ. აპრილი) ეროვნულ ვალუტად – ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად – გამოცხადებამდე (1993 წ. აგვისტო). ნაღდი ფულის ნიშნების უქონლობის გამო გამოწვეული პრობლემების დასაძლევად მიმოქცევაში შემოტანილ იქნა ფულის 3., ფულის სუროგატი (შემცვლელი) – ,,კუპონი''. კუპონი წარმოადგენდა რუბლის სერტიფიკატს, საქართვ. სახელმწ. მიერ გაცემულ რუბლის გარანტიის დოკუმენტურ მოწმობას, მიმოქცევაში რუბლის ტექ. შემცვლელს, ხოლო რუბლი უნაღდო ანგარიშსწორებაში რჩებოდა იქ, სადაც კუპონი არ იყო დაშვებული მის ეროვნ. ვალუტად გამოცხადებამდე. კუპონის, ისევე როგორც ნებისმიერი 3-ის უკან, რეალური ფიზ. ქონება, ფასეულობა არ იდგა. ის მხოლოდ რუბლის ჩანაცვლების უფლების მოწმობა იყო. 3-ის ფულის სერტიფიკატის მნიშვნელობით გამოყენება ფართოდ გავრცელდა თანამედროვე საქართველოში. ერთ-ერთი ასეთი სახეა სასწ. 3., რ-იც გამოიხატება მოსწავლეებისა და სტუდენტების პერსონიფიცირებულ დაფინანსებაში განათლების მიღების მიზნით. სახელმწ. მიერ მოსწავლის განათლების დაფინანსება საქართველოს სახელმწ. ბიუჯეტიდან ხორციელდება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანს. ნორმატივის შესაბამისი 3-ით. იგივე დანიშნულება ჰქონდა პროფ. განათლების მსურველთათვის განკუთვნილ ერთჯერად 1000-ლარიან 3-ს (2011). 3-ის მეშვეობით მოხდა კახეთში მევენახეთა დამატებითი ანაზღაურება შავი და თეთრი ყურძნის სახეობების მიხედვით (2012 წ. შესაბამისად შეადგინა 35 და 25 თეთრი).

3-ით მნიშვნელოვანი ზემოქმედება შეუძლია სახელმწ. არა მარტო ეკონომიკაზე, არამედ სოც. სფეროზეც. სოც. დახმარების სისტემაში 3. გამოიყენება ახ. მეთოდების დასანერგად, როდესაც სოც. მომსახურების გაწევა კი არ ფინანსდება, არამედ ხდება მომსახურების შესყიდვა. ასეთებს წარმოადგენს სადაზღვევო 3., სოც. 3., აგრეთვე სასურსათო და ენერგეტ. 3-ები. აღნიშნული 3-ების გაყიდვა არ შეიძლებოდა, თუმცა შეიძლებოდა მისი გადაცემა ადრესატის მითითებით.

2011 საქართვ. მთავრობამ 3-ები ქვეყნის მოსახლეობისთვის 3-ჯერ გასცა. ესენია: 20-ლარიანი ენერგოვაუჩერი, 30-ლარიანი სასურსათო 3., 5-ლარიანი სატრანსპ. 3. (გაიღო თბილ. მერიამ დედაქალაქის მოსახლეობისათვის). 2011 წ. 20 დეკემბრიდან 2012 წ. 31 იანვრამდე დარიგდა 30-ლარიანი ,,სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერი''. თბილ. 2013 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული 100-ლარიანი კომუნ. 3. გაიცა თბილ. მერიისაგან ხუთი თვის განმავლობაში. ამასთან 40 ათასზე მეტ სოციალურად დაუცველ ოჯახს დამატებით მიეცემა 150 ლარი წლის განმავლობაში, აგრეთვე 5-ლარიანი სატრანსპ. ვაუჩერი 2012 წ. 17 ოქტომბრიდან 2013 წ. პირველ იანვრამდე. თბილისში 3-ის გაცემა ადრეც ხდებოდა. 2007 ბოლოს გაიცა მედიკამენტების შესაძენი 25-ლარიანი 3. პენსიონერებზე. 2012 დარიგდა 20-ლარიანი ,,ელექტროენერგიის ვაუჩერი'' და სხვ.

2013 წ. 1 მარტიდან ხელისუფლებამ შემოიღო ფულის სერტიფიკატი ოფიც. დასახელებით – ,,სასოფლო-სამეურნეო ბარათი''. აღნიშნული 3. სახელობითია და მისი თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა არ შეიძლება. სას.-სამ. ბარათების დარიგება ხდება საქართვ. მთავრობის ,,მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტის'' შესაბამისად. ის სხვადასხვა ტიპისაა. მცირემიწიანი ფერმერები სას.-სამ. ბარათის ფორმით, მიიღებენ მათ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის შესაბამის სარგებელს. 2013 ,,მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის'' განხორციელების მიზნით გათვალისწინებულია 180 მლნ. ლარზე მეტი. *მ. ჯიბუტი.*

ვაძირი, სოფელი სიღნაღის მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. მთისწინეთში. სათავო სოფელი. ზ. დ. 320 *მ*, სიღნაღიდან 9 *კმ*, წნორისწყლიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5 *კმ*. 2,9 ათ. მცხ. (2002). სოფელშია ი. *მოსაშვილისა* და ა. *გზირიშვილის* სახლმუზეუმები.

3. მოხსენიებულია 1710 ერთ საბუთში, ხოლო 1772 ამ სოფელ-



ვაქირი. ნათლისცემლის ეკლესია. VI – VII სს.

ში ერეკლე მეფის უშუალო დახმარებით მუშაობდა ა. *გიულდენშტედტი.*

სოფელში დგას VI–VII სს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი, ნათლისმცემლის სამეკლესიანი ბაზილიკა. ნაგებია რიყის ქვისა და აგურის შერეული წყობით მთავარი ეკლესიის გვერდებზე. მოწყობილია შუა ეკლესიასთან დაკავშირებული მცირე სათავსები (სადიაკვნე და სამკვეთლო). ეკლესიის მხატვრული დამახასიათებელია ის, მთავარი ეკლესიის კედელი წინწამოწეულია. შენობა ორჯერ არის შეკეთებული, აქედან ერთხელ 1555 კახეთის მეფე ლევან II-მ აღადგინა და შეაკეთა. მთავარი – შუა ეკლესიის იატაკი თითქმის 1 *მ*-მდეა შემაღლებული, მოწყობილია დამატებითი საბჯენები თაღებისათვის, შეცვლილია გვერდითი ეკლესიების თავდაპირველი სახე.



ა. ა. ვაშაკიძე.

3-ში კიდევ არის კვირაცხოვლის 2 ეკლესია.

ლიტ.: ბეგიაშვილი ლ., სიღნაღი. გზამკვლევი, თბ., 1982; Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

რ. გვერდწითელი. ბ. ნანობაშვილი.

ვაღარშაპატის საეკლესიო კრება, იხ. *დვინის საეკლესიო კრება 506.*

ვაყა, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტის გომის თემში (შიდა ქართლის მხარე), დოღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი), მდ. ჭერათხევის (სურამულის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 670 *მ*, ხაშურიდან 16 *კმ*, გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ*. 1,4 ათ. მცხ. (2002).

სოფლის ტერიტორიაზე მიკვლეულია გვიანდ. ბრინჯაოსა და ანტ. ხანის არქეოლ. ძეგლები. 3. ქართ. ისტ. საბუთებში პირველად 1715, რუისის საკათოლიკოსო დავთარში იხსენიება. ვახუშტი ბატონიშვილთან (XVIII ს.) იგი ალის ფრონის ხეობაში, სომანეთის სამხრ-ითაა მითითებული. 3. გვიანდ. შუა საუკუნეების ადმ.-ტერ. დაყოფით, ზემო ქართლის სადროშოში შედიოდა. 1715 რუისის საკათოლიკოსო დავთრის მიხედვით, აქ ცხოვრობდა 30 კომლი ქართვ. გლეხი: ნადირაშვილები, ზემბდაშვილები, კბილაშვილები, ზესელაშვილები, ქოჩორაძეები, მეგრელიშვილები, დალაქიშვილები, საყვარელაშვილები, დათუკიშვილები, იმერლიშვილები, ხუციშვილები, ტატიაშვილები, ბანქუაშვილები, ხოტივრაშვილები, ყიფიანიშვილები, ახბადიშვილები, მამუკაშვილები, ნაცვლიშვილები, ინანაშვილები, გაჩაგედაშვილები, მეხრიშვილები. XVIII ს-ში ლეკების პერმანენტულმა თავდასხმებმა საგრძნობლად დააზიანა ფრონის ხეობა, რის გამოც მკვიდრი ქართვ. მოსახლეობა შეთხელდა, XVIII ს. მიწურულში აქ სომხ. მოსახლეობაც გაჩნდა. XIX ს. დასაწყისში, როდესაც ქართლ-კახეთში რუს. მმართველობა დამყარდა, 3. გორის მაზრის შემადგენლობაში შევიდა. 1802 აღწერის მიხედვით შერეული მფლობელობის საეკლ. და სადედოფლო სოფელია და იგი ქართველებითა და სომხებითაა დასახლებული.

1842–1917 3. სურამის საპოლიციო უბნის შემადგენლობაშია. 1865 შეიქმნა 3-ის სასოფლო საზ-ბა, რ-შიც შედიოდა სოფლები: 3., ვარდისუბანი, ზემო-გომი, სატივე. 1890 გაუქმდა 3-ის სასოფლო საზ-ბა და ჩამოთვლილი სოფლები ნაბახტევის სასოფლო საზ-ბაში გადავიდა. 1930 მაზრები გაუქმდა და 3. ხაშურის რ-ნის შემადგენლობაში შევიდა. სოფლის სამხრ-ით, განაპირას დგას XVI–XVII სს. ,,დედაღვთისას'' ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რ-შიც შედის 2 ეკლესია და სხვადასხვა სახის დამხმარე ნაგებობანი. კომპლექსთან ახლოს, სასაფლაოზე, გვიანდ. შუა საუკუნეების ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესიაა. ღვთისმშობლის მეორე დარბაზული ეკლესია სოფლის სამხრ-ითაა, 1,5 *კმ*-ზე, ნასოფლარ სომანეთის ტერიტორიაზე.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; თაყაიშვილი ე., არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წგ. 1, ტფ., 1907.

ლიტ.: გვასალია ჯ., ფრონის ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, კრ.: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, [ტ.] 7, თბ., 1989; მაკალათია ს., ფრონის ხეობა, თბ., 1963.

შ. საღარაძე. ზ. ცინცაძე.

ვაშაკიძე ამირან სერგოს ძე (17. II. 1927, თბილისი, – 5. IV. 2007, იქვე), ინჟინერ-მანქანათმშენებელი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1974), პროფესორი (1979), საქართვ. საინჟ. აკად. წევრი (2002). 1950 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის მექანიკის ფაკ-ტი მანქანათმშენებლობის ტექნოლოგის სპეციალობით. 1951–59 მუშაობდა თბილ. ინდუსტრიულ ტექნიკუმში პედაგოგად, თბილ. ზუსტი ხელსაწყოების ქ-ნაში – განყ-ბის გამგედ; 1959–90 იყო საქართვ. მეცნ. აკად. მეტალურგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ლითონთა წნევით დამუშავების განყ-ბის გამგე. შეთავსებით პედ. საქმიანობას ეწეოდა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში ლითონთა წნევით დამუშავების კათედრაზე.

3-ის კვლევის ძირითადი მიმართულებაა მარტივ და ფასონურ ყალიბებში გლინვის პროცესის თეორ. და ექსპერ. კვლევა. მის მიერ დამუშავებულია მზა ნაგლინი პროდუქტების მიღების პროგრ. ტექნოლოგიები. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია, არის 15 გამოგონების ავტორი.

ვაშაკიძე არჩილ აკაკის ძე (დ. 30. V. 1943, თბილისი), ინჟინერ-ელექტრიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (1992), საქართვ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (2003). დაამთავრა სპი-ის ენერგეტ. ფაკტი (1967), მუშაობდა: საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში ელექტროტექნიკისა და ელექტრიფიკაციის კათედრაზე ელექტრიფიკაციისა და ავტომატიზაციის ფაკ-ტის დეკანის, გამოთვლითი ტექ. და ავტომატიზაციის კათედრის გამგის თანამდებობებზე (1970–97). იყო ამავე ინ-ტის პრორექტორი (1997–2003), რექტორი (2003–05). 2012-იდან არჩეულია სტუ-ის ენერგეტ. და ტელეკომუნიკაციის ფაკ-ტის სრულ პროფესორად. 3. არის მრავალი სასწ., მეთოდური, სამეცნ. ნაშრომებისა და გამოგონების ავტორი, მონაწილეობდა საქართველოში პირველი მობილური სატელეკომუნიკაციო სისტემის ,,ალტაის'' შექმნაში. მისი სამეცნ.-კვლ. საქმიანობა ეძღვნება: ცოცხალ ორგანიზმებზე ზემოქმედებისას ენერგეტ. მოწყობილობების ოპტიმალური პარამეტრების დადგენას; საქართვ. ელექტროენერგიის აღდგენადი და არატრად. წყაროების გამოყენებას; საქართველოში ბიობენზინისა და ბიოდიზელის წარმოებასთან დაკავ-

შირებულ საკითხებს. შექმნა სამკურნალო მცენარის ,,იუკა დიდებულის'' ამღები და ციტრუსების გამომრჩევი მანიპულატორი.

თხზ.: საქართველოს სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია, თბ., 1991.

ვაშაკიძე გიორგი გიულის ძე (დ. 27. II. 1967, სოფ. დიდი ჯიხაიში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი), გენერალ-მაიორი (1993). 1985–87 მსახურობდა საბჭ. არმიაში. აქტიურად მონაწილეობდა საქართვ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში. 1989–90 იყო სამხ. ეროვნ. ფორმირების ,,მხედრიონის'' ერთ-ერთი შემქმნელი და სამტრედიის რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი. აფხაზეთის კონფლიქტის დროს თავდაპირველად მეთაურობდა გაგრის ,,მხედრიონის'' ფორმირებას, შემდეგ – ოჩამჩირის სამხ. ფორმირებას. 1993–94 იყო საქართვ. თავდაცვის მინისტრის მოადგილე, 2001–02 მუშაობდა საქართვ. წარმომადგენლად დსთ-ის შეიარაღებული ძალების საკოორდინაციო შტაბში. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1993). *ლ. დოლიძე.*

ვაშაკიძე დარეჯან რაჟდენის ასული [27. XII. 1908 (9. I. 1909), ბაქო, – 8. VI. 1993, თბილისი], მათემატიკოსი. პროფესორი (1968), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1974). დაამთავრა თსუ (1929). იყო თბილ. ა. პუშკინის სახ. სახელმწ. პედაგოგიური ინტის მათ. სწავლების მეთოდიკის კათედრის გამგე (1968–79). იკვლევდა ალბათობის თეორიის, მიახლოებითი ანალიზისა და მათ. სწავლების მეთოდიკის საკითხებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: მათემატიკური ანალიზის კურსი, ნაწ. 1–3, თბ., 1961–63.

თ. ებანოიძე.

ვაშაკიძე ელზა ტიტეს ასული (დ. 5. I. 1950, ხონი), ინფექციონისტი, გასტროენტეროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1998), პროფესორი (2001). 1973 დაამთავრა თსსი. 1978–81 – მუშაობდა რესპ. ინფექციურ საავადმყოფოში; 1981-იდან თსსუ-ის ინფექციურ სნეულებათა კათედრაზეა, 1999–2006 – ამავე კათედრის გამგეა. 2006-იდან თსსუ-ის ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სრული პროფესორია.

3. არის საქართვ. ინფექციონისტთა ასოციაციის წევრი (1973-იდან); ღვიძლის შემსწავლელთა ევრ. ასოციაციის (EASL) ნამდვილი წევრი (2004-იდან); ევრ. ინფექციონისტთა და კლინ. მიკრობიოლოგთა საზ-ბის (ESCMID) წევრი (2006-იდან); ინფექციონისტთა საერთაშ. ასოციაციის (ISID) წევრი (2007-იდან). არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი, რ-იც ეხება საქართველოში ინფექციური და ღვიძლის დაავადებების პრობლემატიკას.

ვაშაკიძე ვერა ივანეს ასული (10. III. 1927, თბილისი, – 22. IX. 1996, იქვე), ექიმი-ტოქსიკოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1979), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1985); საქართვ. მედ. მეცნ. აკად. წევრი (1994). 1949 დაამთავრა თსსი; მუშაობდა სანატორიუმ ,,ლიკანსა'' და ,,სტროიტელში'' (გუდაუთა); იყო ნ. მახვილაძის სახ. შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადების სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ტოქსიკოლოგიური განყ-ბის გამგე (1963–78); ამავე ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში, ხოლო შემდეგ – დირექტორი (1978–96).

3. არჩეული იყო მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის ევრ. რეგიონალური ბიუროს მრჩევლად (1978), იყო იუნეპის პოტენციურად ტოქსიკური ნივთიერების საერთაშ. რეგისტრის კორესპონდენტი (1985), ჩინეთის სამედ. მეცნ. აკად. ვიზიტ-პროფესორი (1990), რესპ. მთ. სპეციალისტი პროფპათოლოგ-ტოქსიკოლოგიის დარგში (1987).

3. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 7 მონოგრაფიის ავტორი.

ვაშაკიძე თამარ ვლადიმერის ასული (დ. 8. IV. 1957, თბილისი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (2001). 1980 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი ქართველური ენების სპეციალობით. 1980-იდან მუშაობს არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინ-ტში. 2006-იდან არის ამავე ინ-ტის ქართ. მეტყველების კულტ. განყ-ბის ხელმძღვანელი. 1996–2006 პედ. საქმიანობას ეწეოდა ს.-ს. ორბელიანის სახ. სახელმწ. პედაგოგიურ უნ-ტში. 3-ის კვლევის მიმართულებებია ქართ. ენის მორფოლოგიის, სინტაქსის, სემანტიკის საკითხები; მეტყველების კულტურასა და ორთოგრაფიასთან დაკავშირებული პრობლემები; კომპიუტერული ლინგვისტიკა. 3. ავტორია მონოგრაფიისა ,,ზმნის აღწერითი წარმოება ძველ ქართულში'' (1993). მისი ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით გამოცემულია ლექსიკონები, მ. შ. ,,ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი'' (2009) და ,,პარონიმების ლექსიკონი'' (2010).

ვაშაკიძე ივანე შალვას ძე (17. II. 1924, სამტრედია, – 2. VIII. 1996, თბილისი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1969). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1985). დაამთავრა თსუ (1951). 1963–72 იყო ბირთვული ფიზ. სამეცნ. ლაბორ. და ბირთვული ფიზ. კათედრის გამგე, 1972–96 – თეორ. ფიზ. კათედრის გამგე. 1969–74 და 1983–91 იყო ფიზ. ფაკ-ტის დეკანი. 3-ის შრომები ძირითადად ეხება მსუბუქი ატომბირთვების თეორიას. იყო II მსოფლიო ომის მონაწილე. მიღებული აქვს სახელმწ., მ. შ. საბრძოლო ჯილდოები.

თხზ.: კვანტური მექანიკა, გამოც. მე-2, თბ., 1978 (თანაავტ.: ვ. მამასახლისოვი, გ. ჭილაშვილი).

მ. გელიტაშვილი.

ვაშაკიძე ლამარა მიხეილის ასული (დ. 2. VII. 1950, სამტრედია), პულმონოლოგ-ფთიზიატრი. მედ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1996). 1974 დაამთავრა თსსი. 1980–94 მუშაობდა ტუბერკულოზის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ფთიზიატრიისა და პულმონოლოგიის კათედრაზე, 1994-იდან ამავე კათედრის გამგეა.

3. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი, რ-ებიც ეხება ფთიზიატრიისა და პულმონოლოგიის აქტუალურ საკითხებს; ეკუთვნის 2 რაციონალიზატორული წინადადება და 2 მეთოდური რეკომენდაცია.

3. არის ფთიზიატრთა და პულმონოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი.

თხზ.: რეზისტენტური ტუბერკულოზი, თბ., 2006 (თანაავტ.); ტუბერკულოზი. სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის, თბ., 2007.

ვაშაკიძე ლარისა კონსტანტინეს ასული (დ. 6. I. 1935, თბილისი), სწავლული აგრონომი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (2006), ბიოლ. მეცნ. კანდიდატი (1965). 1957 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი. 1958-იდან მუშაობდა საქართვ. მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1993—2003 იყო ციტოგენეტიკის ლაბორ. გამგე. 2006-იდან არის ვაზისა და ხეხილის გენოფონდის კვლევისა და გენეტიკა-სელექციის განყ-ბის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. 3-ის შრომებში შესწავლილია ვაზის აღგილობრივი ჯიშები; მორფო-,



მ. ვაშაკიძე.

ციტოგენეტიკურად და ციტოემბრიოლოგიურად გამოკვლეულია ქართ. გენოტიპები, ველური და გაველურებული ფორმები; შედგენილია ჯიშების იდენტიფიკაციის ტესტ-სისტემა; შემუშავებულია ფუნქციურად მდედრობითი ვაზისა და თვითსტერილური ხეხილის ჯიშებისათვის უკეთესი დამამტვრიანებლების შერჩევის მოდელი; შესწავლილია სასელექციო მასალის მიღების კანონზომიერებანი და სხვ. 3-ის თანაავტორობით მიღებულია ვაზის 1 კლონი და ატმის 15 ინდუცირებული ფორმა. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა (მ. შ. 1 სახელმძღვანელო, 1 მონოგრაფია, 3 გამოგონება). დაჯილდოებულია აკად. ნ. ი. ვავილოვის მედლით (1987) და ღირსების ორდენით (2013).

თხზ.: ვაზის ქართული გენოტიპების იდენტიფიკაციისა და ზოგიერთი ფიტოტექნიკური ღონისძიების ოპტიმიზაციის მეცნიერული საფუძვლები, თბ., 2006.

ვაშაკიძე მიხეილ ალექსანდრეს ძე [15 (28). VIII. 1909, სოფ. დიდი ჯიხაიში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 27. XI. 1956, თბილისი, დაკრძალულია აბასთუმანში, ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე], ასტრონომი და ასტროფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1950), პროფესორი (1954). დაამთავრა თსუ-ის ფიზიკა-მათ. ფაკტი (1932). 1936–56 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. აბასთუმნის ასტროფიზ. ობსერვატორიაში. შეიმუშავა ვარსკვლავთა სივრცული განაწილების შესწავლის ახ. ეფექტური მეთოდი, რ-იც გამოიყენება გალაქტიკაში სხვადასხვა მიმართულებით ვარსკვლავთა სივრცული განაწილების განსასაზღვრავად, ვარსკვლავთშორის განფენილი მატერიის მიერ სინათლის შთანთქმის გათვალისწინებით (იხ. *ვაშაკიძე – ოორტის მეთოდი*). შეადგინა 509 გარეგალაქტიკური ნისლეულისა და 110 გრძელპერიოდიანი ცეფეიდის ფერის მაჩვენებელთა კატალოგი, რ-ისთვისაც ძირითადი მასალა მიღებული იქნა აბასთუმნის ობსერვატორიაში. მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს ჩატარებული მზის გვირგვინის (კორონის) და გალაქტიკური ნისლეულების გამოსხივების პოლარიზაციის შესწავლის დარგში. ვარსკვლავთა ასტრონ. კვლევის დარგში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება 3-ის ნაშრომს ,,სინათლის გალაქტიკური შთანთქმის შესწავლა გარეგალაქტიკური ნისლეულებისა და გრძელპერიოდიანი ცეფეიდების ფერის სიჭარბეთა მიხედვით და სხვა მეთოდებით'' (1950).

3-მ აბასთუმნის ობსერვატორიაში შმიდტისეულ კამერაზე მორგებული, თავისივე შექმნილი ორიგინ. ხელსაწყოთი – პოლაროიდით – აღმოაჩინა კიბორჩხალას ნისლეულის გამოსხივების ძლიერი პოლარიზაცია, რის საფუძველზეც დადგინდა ამ ნისლეულის გამოსხივების არასითბური, სინქროტრონული ბუნება.

დიდია 3-ის ღვაწლი აბასთუმნის ობსერვატორიის ტელესკოპების და დანადგარების განახლების საქმეში. მან რამდენიმე შრომა მიუძღვნა ახ. ტელესკოპების გამოკვლევას.

3-ის უშუალო ხელმძღვანელობით აბასთუმნის ობსერვატორიის სამეცნ. ექსპედიციების მიერ ტარდებოდა დაკვირვებები მზის სრულ დაბნელებებზე: ურალში (1941), კარელიაში (1945), ბრაზილიაში (1947), შუა აზიასა (1952) და ლაგოდეხში (1954) (იხ. *მზის დაბნელება*).

სამეცნ. საქმიანობასთან ერთად 3. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თსუ-სა და ქუთაისის პედ. ინ-ტში, სადაც კითხულობდა ვარსკვლავთა ასტრონ. კურსს. დიდია მისი წვლილი ქართვ. ასტრონომების აღზრდაში. იყო საერთაშ. ასტრონ. კავშირის დარგობრივი კომისიისა და სსრკ მეცნ. აკადემიის ასტრონ. საბჭოს წევრი. შეყვანილია მსოფლიოს 400 გამოჩენილი ასტრონომის ბიოგრ. ლექსიკონში.

1970 ქ. ბრაიტონში (ინგლისი) აშშ-ის დელეგაციის წარდგინებით, ასტრონომთა XIV გენ. ასამბლეაზე, ასტრონ. მეცნიერების წინაშე დამსახურებისათვის, მთავარის ჩრდ. ნახევარსფეროს უკანა მხარის ერთ-ერთ კრატერს ,,*ვაშაკიძის*'' სახელი ეწოდა.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე ნ., მიხეილ ალექსანდრეს ძე ვაშაკიძე, თბ., 1980; მთვარის ბინადარი, მიხეილ ვაშაკიძე – 100. შემდგ.: ნ. დოლიძე, ც. ვაშაკიძე, თბ., 2009; К о л ч и н с к и й И. Г., К о р с у н ь А. А., Р о д р и г е с М. Г., Астрономы. Биографический справочник, К., 1977.

ნ. დოლიძე.

ვაშაკიძე ნიკოლოზ ამირანის ძე (დ. XII. 1965, თბილისი), ინჟინერ-მეტალურგი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (2001). 1987 დაამთავრა სპი-ის მეტალურგიის ფაკ-ტი. გავლილი აქვს სასწ. კურსები დიდი ბრიტანეთის სასწავლებლებში (1997–2002) თავდაცვისა და უსაფრთხოების სწავლების პროგრამით. 1988-იდან მუშაობდა სპი-ის ლითონთა წნევით დამუშავების კათედრაზე. 2000–12 იყო საქართვ. ეროვნ. უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე, ნავთობის საერთაშ. კორპორაციის პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, საქართვ. თავდაცვის მინისტრის მოადგილე.

3-ის კვლევის სფეროა: სორტუ-ლი პროფილების გლინვის ოპტიმიზაცია; გლინვის პროცესების მათ. მოდელირება; ელექტროგლინვის პროცესების განვითარება და კალიბრთა სისტემების კვლევა.

თხზ.: რუსეთი და დასავლური არჩევანის პერსპექტივები, თბ., 2003.

ვაშაკიძე ომარ შალვას ძე (27. IV. 1933, სოფ. დიდი ჯიხაიში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 27. VII. 2007, თბილისი), აგრარიკოს-ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი (1995). 1955 დაამთავრა საქართვ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ეკონ. ფაკ-ტი. 1959–64 მუშაობდა საქართვ. სოფ. მეურნეობის ეკონ. და ორგანიზაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, 1964–2006 – საქართვ. სახელმწ. აგეგმო კომიტეტთან არსებულ სახ. მეურნეობის ეკონ. და დაგეგმვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში სოფ. მეურნეობის განყ-ბის გამგედ. 1959-იდან ლექციებს კითხულობდა საქართვ. აგრარულ უნ-ტსა და თბილ. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. 1992–98 იყო სახელმწ. მრჩეველი საქართვ. სახელმწ. მეთაურის (1995-იდან – საქართველოს პრეზიდენტის) აპარატში. მონაწილეობდა ქვეყნის აგრ.-სამრეწვ. კომპლექსის ეკონ. და მართვის საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში.

3-ის სამეცნ. შრომები ეძღვნება აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკის, სოფ. მეურნეობის ორგანიზაციის, მართვისა და დაგეგმვის სრულყოფის პრობლემურ საკითხებს. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001).

ვაშაკიძე ტარასი დავითის ძე [8. VI. 1873, სოფ. დიდი გუბი, ახლანდ. ხონის მუნიციპალიტეტი, – 26. II. 1937, თბილისი], საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალი (1918), ,,შაითან-კაპიტნად'' წოდებული. დაამთავრა ქუთ. საქალაქო სასწავლებელი (1891) და თბილ. იუნკერთა სასწავლებელი (1895). სამხ. სამსახური დაიწყო დერბენდის 154-ე პოლკში. I მსოფლიო

ომში (1914–18) კავკ. ფრონტზე სარიყამიშის ოპერაციის დროს 1914 წ. 22 დეკემბერს (იხ. *სარიყამიშის ოპერაცია 1914–15*) თავისი ასეულით დაატყვევა ოსმალთა ჯარის მე-9 კორპუსის სარდალი ისჰაკ-ფაშა თავისი შტაბით (მაშინ ეწოდა ,,შაითან-კაპიტანი''). ამ გმირობისათვის პ-ს მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება (1916, პოდპოლკოვნიკობის გამოტოვებით), საფრანგეთის პრეზიდენტმა კი გადასცა სამხ. მედალი, რითაც მხოლოდ არმიათა სარდლებს აჯილდოებდნენ. 1918–21 ქართ. არმიაში მეთაურობდა გაგრა-ტუაფსეს მიმართულებით მოქმედ შენაერთებს. 1921–37 მსახურობდა საქართვ. ფინანსთა სახ. კომისარიატში. დაჯილდოებულია წმ. სტანისლავის II და წმ. ანას II, წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენებით. დაკრძალულია თბილისში ვაკის სასაფლაოზე.

ლიტ.: დ ა თ უ ა შ ვ ი ლ ი დ., სარიყამიშის გმირი ტარასი დავითის ძე ვაშაკიძე, «საისტორიო მოამბე», 1974, [ტ.] 29–30; Г о г и т и д з е М., Грузинский генералитет (1899–1921), К., 2001.

ვ. ჯავრიშვილი.

ვაშაკიძე შოთა ივანეს ძე (დ. 18. IX. 1950, თბილისი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1990). 1972 დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი. უნ-ტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინ-ტში (დუბნა, რფ).


პ. 1975–92 მუშაობდა თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზ. ინ-ტში. 1991–92 – თსუ-ის თეორ. ფიზ. კათედრაზე, 1985–86 და 1988–89 – მერილენდის (აშშ) უნ-ტში, 1989–90 იყო ფრასკატის (იტალია) ბირთვული ფიზ. ინ-ტის მიწვეული პროფესორი.

პ. 1993-იდან ატარებს სამეცნ. კვლევებს აშშ-ის წამყვან კვლევით ლაბორატორიებსა და უნ-ტებში გამოყენებითი მათ. და ფიზ. მიმართულებით.

პ. პარალელურად ეწევა საზ. საქმიანობას. არის აშშ-ის ქართველთა სათვისტომოს საერთაშ. ასოციაცია ,,*კვალის*'' დამაარსებელი და პრეზიდენტი. სასწ.-ინფორმაციული ცენტრის ,,კვალის'' დირექტორი, ,,ამერიკაში საქართველოს ასოციაციის'' დირექტორთა საბჭოს წევრი – განათლების განყ-ბის დირექტორი, ,,საქართველოს ამერიკელი მეგობრების'' საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

პ-მ ქართველ ლინგვისტებთან და პროგრამისტებთან ერთად შექმნა ინგლ.-ქართ. ინტერნეტ-ლექსიკონი, ჩაატარა განათლების, მეცნ. და მედიცინის საერთაშ. ფორუმი (2004, თსუ). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. შრომა. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).

,,ვაშაკიძე'', კრატერი მთვარის ჩრდ. ნახევარსფეროს უკანა მხარეზე, 50 *კმ* დიამეტრისა. ,,პ-ის'' სელენოგრაფიული (მთვარის ცენტრის მიმართ) კოორდინატებია: აღმ. გრძედი 93°, ჩრდ. განედი 44°. კრატერს სახელი ეწოდა მ. *ვაშაკიძის* ხსოვნის უკვდავსაყოფად ასტრონ. საერთაშ. კავშირის XIV გენერალურ ასამბლეაზე (ინგლისი, ქ. ბრაიტონი, 1970).



კრატერი ,,ვაშაკიძე'' მთვარის ჩრდილოეთ ნახევარსფეროს უკანა მხარეზე.

ვაშაკიძე–ორტის მეთოდი, მეთოდი, რომლითაც ასტრონომიაში შეისწავლიან ვარსკვლავთა სივრცულ განაწილებას ჩვენს გალაქტიკაში. მ. *ვაშაკიძემ* (1937) და ნიდერლანდელმა ასტრონომმა ი. ორტმა (ჰოლანდია, 1938) ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გამოიყვანეს ფორმულა და შეიმუშავეს მეთოდი, რ-ითაც შესაძლებელია გალაქტიკის პოლუსის მიმართულებით დათვლილი ვარსკვლავების მეშვეობით, სინათლის შთანთქმის გავლენის მიუხედავად, გამოითვალოს ვარსკვლავთა სიმკვრივე ნებისმიერი სხვა მიმართულებით უფრო დაბალ განედებზე, სადაც სინათლის შთანთქმის გავლენა მნიშვნელოვანია. ამ მეთოდმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენი გალაქტიკის აგებულების შესწავლაში, რაც იმ დროისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო.

პ.-ს მ-ს ფართოდ იყენებენ *ვარსკვლავთა ასტრონომიაში*, ცვალებად ვარსკვლავთა შემსწავლელ დარგებში და სხვ.

ლიტ.: კ ო ლ ხ ი დ ა შ ვ ი ლ ი მ., ვარსკვლავთა ასტრონომიის კურსი, თბ., 1988; К у л и к о в с к и й П. Г., Звездная астрономия, М., 1978.

ვაშაყმაძე თამაზ სერგოს ძე (დ. 16. IX. 1937, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1987), პროფესორი (1995), საქართვ. საინჟინრო აკად. ნამდვ. წევრი (2005). დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი (1959). 1959–68 მუშაობდა თბილ. ა. რაზმაძის სახ. მათ. ინ-ტში, 1968-იდან კი თსუ-ში, 2009-იდან არის თსუ-ის პროფესორ-ემერიტუსი. 1999 მი-



ჯ. ვაშაყმაძე.



დ. ვაშაყმაძე-ვერონეზე. აიდა, ჯ. ვერდის ოპერა ,,აიდა''.



მ. ვაშაძე.

წვეული იყო დელავერის უნ-ტში (აშშ) მკვლევარ-პროფესორად. 3-ის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: გამოთვლითი მათემატიკა, მაღალი სიზუსტის რიცხვითი გამოთვლების მეთოდები, არითმეტიკულ ოპერაციათა მინიმიზაციის კრებადი და მდგრადი სქემები, უწყვეტი გარემოს მექანიკის მათ. მეთოდები. 3-ის მიერ შემოთავაზებულია უწყვეტი გარემოს ნებისმიერი ფორმის აღწერის უნივერსალური პრინციპი, რ-ის ზოგიერთი შედეგიც დადასტურებულია ექსპერიმენტულად. გამოქვეყნებული აქვს ოთხი მონოგრაფია, მათ შორის ერთი – შპრინგერის საერთაშ. გამომცემლობაში. დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის მედლით (1997, 2009), ღირსების ორდენით (2003) ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით (2013). მიღებული აქვს ი. ვეკუას სახ. პრემია (1993).

თხზ.: რიცხვითი ანალიზი, I, თბ., 2009; The Theory of Anisotropic Elastic Plates, 2-nd edition. Dordrecht-Boston-London, 2010.

ლიტ.: თამაზ ვაშაყმაძე, თბ., 2012.

ვაშაყმაძე ივანე ალექსის ძე (1901, ახალსაყდარი, ოზურგეთის მაზრა, – 1937, თბილისი), ფილოს. მეცნ. დოქტორი, პროფესორი. სკკპ წევრი 1917-იდან. მონაწილეობდა გურიის გლეხობის შეიარაღებულ გამოსვლებში, ასრულებდა საკავშ. კპ(ბ) ამიერკავკ. სამხარეო კომიტეტის სპეც. დავალებებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების (1921) შემდეგ ვ. იყო დუშეთისა და ახალსენაკის კომკავშირის სამაზრო კომიტეტების მდივანი. 1923 საქართვ. კპ ცკ-მა ვ. სასწავლებლად მოსკოვში გააგზავნა. 1926 დაამთავრა მოსკ. სახელმწ. უნ-ტი, კომუნისტური აკად. ფილოს. ინ-ტის ასპირანტურა, რის შემდეგ იქვე დაიწყო მუშაობა მეცნ. თანამშრომლად და ისტ. მატერიალიზმის სექციის სწავლულ მდივნად. უმაღლეს სასწავლებლებში კითხულობდა დიალექტ. და ისტ. მატერიალიზმის კურსს.

1930 დანიშნეს საქართველოს სახელმწ. პედ. ინ-ტის დირექტორად და აირჩიეს დიალექტ. მატერიალიზმის კათედრის პროფესორად. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქ. სსრ განათლების სახ. კომისრის მოადგილედ, ამიერკავკ. ინდუსტრ. ინ-ტის დირექტორად. 1934 აირჩიეს სსრკ მეცნ. აკად. საქართვ. ფილიალის პრეზიდიუმის წევრად. იკვლევდა დიალექტ. და ისტ. მატერიალიზმის საკითხებს. არის პოლიტ. რეპრესიების მსხვერპლი.

ვაშაყმაძე სერგო ესტატეს ძე [3 (16). III. 1901, სოფ. სალხინო, (ჯვარისწერი), ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 16. III. 1995, თბილისი], პედაგოგი, მათემატიკოსი. საქართვ. დამს. მასწავლებელი (1961). მათემატიკაში მოსწავლეთა შორის პირველი ოლიმპიადის ერთ-ერთი ორგანიზატორი (1933, თბილ. №26-ე საცდელ-საჩვენებელი სკოლა) სსრკ-ში. დაამთავრა თსუ-ის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტი (1931). 1924–27 მუშაობდა სოხუმის 9-წლიან ქართ. სკოლაში მათ. მასწავლებლად, ხოლო 1931–80 – თბილ. სხვადასხვა სკოლაში. მისი მრავალი მოსწავლე გახდა ცნობილი მეცნიერი. 3-ს მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ჩემი გამოცდილებიდან, თბ., 1985; У истоков олимпиадного движения, «Квант», 1979, №11.

ვაშაყმაძე ჯულიეტა დანიელის ასული (დ. 14. VIII. 1933, თბილისი), ტელეჟურნალისტი. საქართვ. დამს. არტისტი (1967), ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის (ფედერაცია) წევრი (1991). დაამთავრა სპი-ის სამშენებლო ფაკ-ტი არქიტ. სპეციალობით (1958), აგრეთვე, თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი (1960). ორი სეზონის განმავლობაში (1961–62) იყო კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრის მსახიობი, სადაც რამდენიმე როლი განასახიერა. 3. გადაღებულია კინოფილმებში: ,,ყვავილი თოვლზე'', ,,თოჯინები იცინიან'', ,,პაპა გიგია'', ,,არაჩვეულებრივი გამოფენა'' და ტელეფილმში – ,,მზე ჭიქაში''.

1958-იდან 3. ტელევიზიის დიქტორი გახდა, შემდგომში – კომენტატორი, პროგრამების ხელმძღვანელი, საინფორმაციო-პოლიტ., ლიტ., სამეცნ., საბავშვო, თეატრ. თუ ხელოვნების ამა თუ იმ დარგისადმი მიძღვნილ გადაცემათა წამყვანი, ტელეგადაცემების ავტორი (,,რედაქციაში წერილი მოვიდა'', ,,ცარიელ დარბაზში'', ,,სპექტაკლის შემდეგ'', ,,სტუდია-5'', ,,ჩვენი მისამართია'').

3-ს მიღებული აქვს არაერთი ჯილდო, სიგელი და მედალი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996).

ვაშაყმაძეები, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტის ღორჯომის თემში (აჭარის არ), მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ღორჯომისწყლის (აჭარისწყლის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1200 *მ*, ხულოდან 16 *კმ*. 231 მცხ. (2002).

სოფლის სახელწოდება მომდინარეობს 3-ის საგვარეულოდან.

ვაშაყმაძე-ვერონეზე დიანა თამაზის ასული (4. XI. 1966, თბილისი, – 14. V. 2011, იქვე), მომღერალი (დრამ. სოპრანო) და თეორეტიკოს-ფიზიკოსი. იტალიელი მუსიკოსის ა. ვერონეზეს მეუღლე. 1987 დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი, ხოლო 1991 – თბილ. კონსერვატორია (პროფ. ნ. ანდღულაძისა და გ. კარიაულის კლასი). 1987 სწავლა განაგრძო ნიუ-იორკის კონსერვატორიაში (პროფ. მალასის კლასი) და ოზიმოს ვოკალურ აკადემიაში. 1994–96 3.-3-მ გაიარა პროფ. სწავლების პროგრამა ნიუ-იორკის მანჰეტენის უმაღლეს სამუსიკო სკოლაში.

3.-3-ს დებიუტი საოპერო სცენაზე შედგა ნიუ-იორკში, რ. ვ. უილიამზის ოპერაში ,,ზღვის მხედრები''; 3.-3-ს მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ლედი მაკბეთი, აიდა, აზუჩენა (ჯ. ვერდის ,,მაკბეთი'', ,,აიდა'', ,,ტრუბადური''), ტურანდოტი (ჯ. პუჩინის ,,ტურანდოტი''), იზოლდა (რ. ვაგნერის ,,ტრისტანი და იზოლდა'') და სხვ., 2005 3.-3. წარმატებით წარსდგა ქართვ. მაყურებლის წინაშე აიდას პარტიით ვერდის ოპერა ,,აიდაში''. ჰქონდა ძლიერი, ყველა რეგისტრში თანაბრად მჟღერი, სავსე ბგერის მქონე ხმა.

აღსანიშნავია 3.-3-ს სამეცნ. მოღ ვაწეობა. ის ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა მათემატიკასა და თეორ. ფიზიკაში. ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო *კვანძთა თეორიის* გამოყენება ელემენტარული ნაწილაკების აღსაწერად. მიღებული აქვს 3 პატენტი.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2009).

თხზ.: Same Problems of Particle Physics According to the Topological Models of Three-dimensional Manifolds, Tb., 2000.

ზ. ოიკაშვილი.

ვაშაძე მიხეილ სიმონის ძე [1(14). XII. 1908, ჭიათურა, – 30. VI. 1996, თბილისი], მსახიობი და რეჟისორი. საქართვ. სახ. არტისტი (1965). 1923-იდან მონაწილეობდა ჭიათურის სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში. პროფ. სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1926 ჭიათურის საშ. სკოლის დამთავრებისთანავე. 1926–67 იყო ჭიათურის სახელმწ. დრამ. თეატრის მსახიობი და რეჟისორი (გარდა 1931–32 და 1932–

34 წლებისა, როდესაც ქუთაისისა და ხაშურის თეატრებში მუშაობდა). 1967-იდან 3. თბილ. კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობი იყო. გამოირჩეოდა ფართო შემოქმედებითი დიაპაზონით, უშუალობით, სისადავით, სიწრფელით, მაღალი პროფ. კულტურით. 3-ის საუკეთესო როლებია: ოთარბეგი (ა. სუმბათაშვილიუჟინის ,,ღალატი''), არსენა (ს. შანშიაშვილის ,,არსენა''), სვიმონ ლიონიძე (დ. ერისთავის ,,სამშობლო''), პეტრუჩიო (უ. შექსპირის



მ. ვაშაძე. პლატონი, დ. კლდიაშვილის ,,სამანიშვილის დედინაცვალი''.

,,ჭირვეულის მორჯულება''), იაგო (უ. შექსპირის ,,ოტელო''), ოიდიპოს მეფე (სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე''), ბასა გუჯაბიძე (გ. ხუხაშვილის ,,ცხოვრება კაცისა''), ალექსანდრე ჩინჩახელი (კ. ბუაჩიძის ,,ეზოში ავი ძაღლია'') და სხვ. 3-მ დიდი წარმატებით განასახიერა პლატონ სამანიშვილისა (დ. კლდიაშვილის ,,სამანიშვილის დედინაცვალი'') და ყვარყვარე თუთაბერის (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი'') როლები.

დადგმული აქვს სხვადასხვა ჟანრისა და სტილის სპექტაკლები. მათ შორის: ი. ვაკელის ,,რვალი'', დ. ერისთავის ,,სამშობლო'', ნ. შიუკაშვილის ,,სულელი'', ა. წერეთლის ,,ბაში-აჩუკი'', ჯ. პრისტლის ,,ინსპექტორი მოვიდა'', გ. ბერძენიშვილის ,,ტირიფის ქვეშ'' და სხვ.

3-მ შთამბეჭდავი სახეები შექმნა კინოფილმებშიც. ესენია: მღვდელი (,,ეპისკოპოსი ნადირობაზე'', 1971), ტაგუია (,,მამლუქი'', 1958), არჩილი (,,განგაში'', 1968), ყარამანი (,,ტარიელ გოლუა'', 1968), დათეშიძე (,,ნერგები'', 1972), ერმილე (,,ჩაძირული ქალაქის მაძიებელნი'', 1972) და სხვ.

შ. ცუცქირიძე.

ვაშაძე როსტისლავ სერგოს ძე [5 (18). VIII. 1914, თბილისი, – 15. II. 1994, იქვე], გრაფიკოსი, სცენოგრაფი, კინოს მხატვარი. საქართვ. დამს. მხატვარი (1969). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1939). ამავე წლიდან მხატვრად მუშაობდა თბილ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. აკადემიურ, შემდეგ კი თელავის დრამ. თეატრებში. 1945-იდან იყო თბილ. კინოსტუდია ,,ქართული ფილმის'' კომბინირებულ გადაღებათა მხატვარი. მისი მონაწილეობით შეიქმნა მრავალი ფილმი: მ.შ. ,,დავით გურამიშვილი'' (1946), ,,აკაკის აკვანი'' (1947), ,,ქეთო და კოტე'' (1948), ,,ბაში-აჩუკი'' (1956), ,,მამლუქი'' (1958), ,,მაია წყნეთელი'' (1959), ,,ჯარისკაცის მამა'' (1964), ,,სინემა'' (1977), ,,ყვარყვარე თუთაბერი'' (1978), ,,ჯადოსნური ღამე'' (1983), ,,საფეხური'' (1986) და სხვ. შექმნა ა. ანტონოვსკაიას რომან ,,დიდი მოურავის'' ილუსტრაციები.

ა. გვენცაძე.

ვაშინგტონია (Washingtonia), მარაოფოთლებიანი პალმების გვარი. გვარში 2 სახეობაა – ძაფისებრი 3. (W. filifera) და მძლავრი 3. (W. robusta). ბუნებრივად იზრდება აშშ-სა (სამხრ.-აღმ. კალიფორნია, დას. არიზონა, კოლორადო) და ჩრდ.-დას. მექსიკაში მდინარეებისა და ნაკადულების ქვიან კალაპოტში, კანიონებსა და ხევებში; ქმნის კორომს. ორივე სახეობა დეკორ. მცენარედ კულტივირებულია საქართვ. შავი ზღვის სანაპიროზე ბაღებსა და პარკებში. საქართვ. ზღვისპირა ზონის (გულრიფში, სოხუმი) ძ ა ფ ი ს ე ბ რ ი 3-ის სიმაღლე 30 *მ* არის. ყვავილობასა და ნაყოფმსხმოიარობას 10–15 წლისა იწყებს. გამოირჩევა გვალვაგამძლეობით, კარგად იზრდება კირიან ნიადაგზე. უძლებს –10°C ყინვას (ცალკეული ეგზემპლარები – ამაზე დაბალსაც), უფრო მკაცრი ზამთარი კი აზიანებს. მ ძ ლ ა ვ რ ი 3. ძაფისებრზე მაღალი და წვრილია, აქვს უფრო კომპაქტური ვარჯი და ნაკლებ ყინვაგამძლეა.

ვაშლანა, ჩ ი ტ ა კ ო მ შ ა, ჩ ი ტ ა წ კ ე პ ლ ა (Cotoneaster), მცენარეთა გვარი ვარდისებრთა ოჯახისა. 1–3 *მ*-მდე სიმაღლის ბუჩქი. აქვს მორიგეობით განლაგებული ფოთლები და მტევნისებრ ან ფარისებრ ყვავილედებად შეკრებილი პატარა თეთრი ან მოვარდისფრო ყვავილები. გვარში 100-მდე სახეობაა. გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და ჩრდ. აფრიკაში. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი 8 სახეობაა. მათგან აღმ. საქართველოში უფრო მეტად გავრცელებულია ჩ ი ტ ა კ ო მ შ ა (C. racemiflora). იგი 1 *მ*-მდე სიმაღლისაა. მისი ნორჩი ტოტები ქეჩისებურადაა შებუსული, დანარჩენი კი შიშველია (ყავისფერი ან ალუბლისფერი). ნაყოფი წითელია. იზრდება ბუჩქნარებსა და მშრალ ქვიან ფერდობებზე მთის შუა სარტყლამდე. ნაყოფი შეიცავს C ვიტამინს. თითქმის იმავე ადგილებში იზრდება მ რ ა ვ ა ლ ყ ვ ა ვ ი ლ ა 3. (C. multiflora). ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი 3. (C. integerrima) მთელ საქართველოშია გავრცელებული, შ ა ვ ი 3. (C. melanocarpa) კი – მარტო ქართლსა და გარე კახეთში (ქვიან ფერდობებზე მთის შუა, ზოგჯერ ალპ. სარტყელში). მისი ნაყოფი და ფოთლები მდიდარია C ვიტამინით. 3. გვალვაგამძლეა, იყენებენ მშრალი, ხრიოკი ფერდობების გასამაგრებლად.



ვაშინგტონია. მძლავრი ვაშინგტონია (W. robusta).

ვაშლევი, სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბორითის თემში (იმერეთის მხარე), მდ. ძირულის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 650 *მ*, ხარაგაულიდან 36 *კმ*. 120 მცხ. (2002).



ვაშლანა. ჩიტაკომშა (Cotoneaster).

ვაშლი (Malus), ხე და ბუჩქოვან მცენარეთა გვარი ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახისა. მოიცავს 50 ველურ სახეობას, რ-ებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშია გავრცელებული. 3. ერთ-ერთი უძველესი ხეხილოვანი მცენარეა. კულტივირებულია დაახლოებით 4 ათასი წლის წინათ. ხეხილის ნარგაობათა შორის, ფართობისა და პროდუქციის მხრივ, ვაშლს პირველი ადგილი უჭირავს დედამიწის ზომიერი სარტყლის ფარგლებში. მსოფლიოში აღწერილია 20 ათასი ჯიში.

კულტ. 3-ის ხის სიმაღლეა 2–7 *მ* და ზოგჯერ მეტიც. სხვადასხვა ჯიშის ნაყოფის ზომა, ფორმა და შეფერილობა სხვადასხვაგვარია. წვრილნაყოფიანი ჯიშების ნაყოფის მასა 25 გ-მდეა, მსხვილნაყოფიანებისა – 175 გ-ზე მეტი. ფორმის მიხედვით ნაყოფი მომრგვალო, ბრტყელი, ცილინდრული, კვერცხისებრი, წაგრძელებული ან ზარისებრია. მისი ზედაპირი გლუვია, წიბოიანი, ზოგჯერ ბორცვიანი. კანის ძირითადი შეფერილობა ცვალებადობს მომწვანოდან ყვითელსა და თეთრამდე. ნაყოფს



ვაშლი.

აქვს მფარავი ფერიც, რ-იც წარმოიქმნება მზის სხივების ზემოქმედებით, იგი იცვლება ვარდისფერიდან ღია წითელ ან მუქ წითელ ფერამდე. რბილობი თეთრი, მომწვანო, ყვითელი ან ვარდისფერია. 3. სინათლის მოყვარული, ტენისა და საკვები ნივთიერებების მომთხოვნი მცენარეა. მოჰყავთ მეხილეობის ყველა ზონაში სხვადასხვაგვარ ნიადაგზე. 3-ის კულტ. ჯიშებს საძირეზე მყნობით ამრავლებენ. ამისთვის იყენებენ როგორც ველურ ფორმებს, ისე კულტ. ჯიშების თესლებიდან მიღებულ საძირეებს.

საქართველოში აღწერილია 3-ის 200 ჯიში. ყველა კულტ. ჯიში გაერთიანებულია შინაური 3-ის (M. domestica) სახეობაში. 3-ის ქართ. ჯიშები ძირითადად წარმოშობილია მაჟალოდან (M. orientalis) ხალხ. სელექციით. ისინი დაჯგუფებული არიან შემდეგნაირად: ძუძუ ვაშლის, *თურაშაულის*, კიტრა ვაშლის, *აბილაურის* და ხომანდულის ტიპის ჯიშებად.

ადგილობრივ ჯიშთაგან ცნობილია: აბილაური, ქართ. დანა 3., მამულო, მახარა, *კეხურა*, თურაშაული, ყინულა, ნისკარტა და სხვ.; შემოტანილი ჯიშებიდან – ზამთრის ბანანი, კანადური რენეტი, შამპანური რენეტი, აპორტი, როზმარინ თეთრი, ბელფლორ ყვითელი, შაფრანი, ზამთრის პარმენი და სხვ. სკრის მეხილეობის საცდელ სადგურში სელექციონერმა თ. ცერცვაძემ გამოიყვანა 3-ის ახ. ჯიშები: *საგამოფენო*, გორული სინაპი, *ივერია*, *საქართველოს პიონერი*; მებაღეობის, მევენახეობისა და მელვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ხეხილის სელექციის განყ-ბაში კი შ. ახვლედიანმა – არაგვი, არგო, არმაზი, გალავნურა, გორული რენეტი, დელისი, დიდგორი, მზიური, მუხიანი, ხორუმი, ფავორიტი. ინტროდუცირებულია და იცდება 3-ის ჯიშები, რ-თა ნაყოფზეც დიდი მოთხოვნილებაა მსოფლიო ბაზარზე. ესენია: გრანი სმიტი, მონდეან გალა, სტარ ფუჯი, პინკ ლედი; ჯონაგოლდი, გლოსტერი, გოლდენ რაინდერსი, გალა შინგა და სხვ. საქართველოში 3. ფართოდაა გავრცელებული მეხილეობის ყველა ზონაში: კახეთსა და ქართლში, მესხეთსა და იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში, გურიაში, აჭარაში, სამეგრელოში, აფხაზეთში.

3-ის კულტ. ჯიშების ნაყოფი შეიცავს შაქარს (ფრუქტოზა, გლუკოზა, საქაროზა), ორგ. მჟავებს, პექტინს, ცილოვან ნივთიერებებს, უჯრედისს, ვიტამინებს (A, B, C), წყალს (83–90%) და სხვ. ნაყოფს იყენებენ ნედლად, ჩირისა და კონსერვის სახით, მისგან ამზადებენ ჯემს, პასტილას, მარმელადს, მურაბას, კომპოტს, ღვინოს, წვენს და სხვ.

3-ს აზიანებს 3-ის მავნებლები: ჩრჩილი, ნაყოფჭამია, მინაფრთიანა, ფოთლის რინქიტი, კალიფორნიის ფარიანა და სხვ.; დაავადებათაგან: 3-ის ქეცი, ნაცარი, ჟანგა, სიდამპლე და სხვ.

ლიტ.: ბადრიშვილი გივი, ბადრიშვილი გიორგი, ხეხილის ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 2009; ბადრიშვილი გ., ბაიაძე მ., ბლიაძე გ., ხილის ატლასი, ტ. 1. ვაშლი, სკრა, 2007; საქართველოს მეხილეობა, ტ. 3, თბ., 1973.

შ. დიასამიძე. მ. ვარძელაშვილი.

ვაშლიანი, სოფელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გომბორის თემში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, მდ. ივრის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1120 *მ*, საგარეჯოდან 58 *კმ*. 23 მცხ. (2002).

ვაშლიჯვარი, უბანი, ყოფილი სოფელი თბილისის დასავლეთ ნაწილში, მტკვრის ხეობის მარჯვენა მხარეს, მდ. დიღმისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ძირითადად ონადირის მთის ფერდობის ირგვლივ.



ვაშლიჯვარი. ონადირის ეკლესია. IX–X სს.

3-ში აღმოჩენილი არქეოლ. ძეგლები ადასტურებს, რომ აქ ადამიანს ჯერ კიდევ ძვ. წ. IV–III ათასწლეულებში უცხოვრია. 1959 დიღმისწყლის ხიდთან აღმოჩნდა გვიანდ. ანტ. – ადრეფეოდ. ხანის ორმოსამარხები და ქვაყუთები. 3-ის მიდამოებში რეგულ. არქეოლ. გათხრები 1968-იდან ტარდება. 1972 დიღმისწყლის მარჯვ. სანაპიროზე მდებარე ქედზე აღმოჩნდა ადრეფეოდ. ხანის IV–VII სს. სამაროვანი, 1981 – მტკვარ-არაქსის ეპოქისა და ახ. წ. I ათასწლ. ძეგლები. ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი) ადრინდ. შუა საუკუნეების სამაროვანზე აღმოაჩინა ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები და ქვაყუთები. ქვის ფილებით გადახურული სამარხები ინდივიდუალურია, ხოლო ქვაყუთები – ძირითადად კოლექტიური, რ-ებშიც ორიდან ოთხამდე მიცვალებულია დაკრძალული. ორივე ტიპის სამარხში მიცვალებულები დამარხული იყვნენ ქრისტ. წესით – გაშოტილი, გულხელდაკრეფილი, თავით დას-კენ. 3-ის სამაროვანზე გათხრილი სამარხების ძირითად არქეოლ. ინვენტარს სამკაული და ტანსაცმლის აქსესუარები წარმოადგენს. ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები თარიღდება IV–V სს-ით, ხოლო ქვაყუთები – VI–VII სს-ით.

3-ის ისტ. ბედი მჭიდროდ არის დაკავშირებული სოფ. დიღმთან. გვიანდ. შუა საუკუნეებში 3. დიღმის მოურავის იურისდიქციას ექვემდებარებოდა. XIX საუკუნეში აქ გაშენდა ზვრები, საბჭ. პერიოდში კი დაარსდა საქართვ. მევენახეობა-მელვინეობის კვლევითი ინ-ტი თავისი ექსპერ. ბაზით, რ-იც საქართვ. ქალაქებსა და სოფლებს საადრეო-სასუფრე ყურძნის ჯიშით ამარაგებდა. XIX ს. 80-იან წლებში 3. სოფლის ტიპის დასახლება იყო. შემდეგ აქ გაშენდა ახ. უბანი მრავალსართულიანი სახლებით დაახლ. 40 ათას მოსახლეზე. ქ. თბილისს შეერწყა 1972.

3-ში შემორჩენილია განვითარებული შუა საუკუნეების ონადირის (მონადირის) დარბაზული ეკლესია (IX–X სს).

ლიტ.: თბილისი. არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1978; ნიკოლაიშვილი ვ., ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობიდან, კრ.: საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბ., 1978; მისივე, ვაშლაჯვარას სამაროვანი, იქვე, II, თბ., 1979; მისივე, დიღმის ხეობა ადრეფეოდალურ ხანაში, იქვე, III, თბ., 1985; სონღულაშვილი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის (დიღმის ხეობა), წგ. 1, თბ., 1969; ქორიძე დ., თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწ. 1, თბ., 1955.

მ. აბრამიშვილი.
ვ. ნიკოლაიშვილი.
ა. სონღულაშვილი.

ვაშლობი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭართლის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), გუდამაყრის ქედის დას. კალთაზე, მდ. ჯუღისის (მთიულეთის არაგვის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1300 *მ*, დუშეთიდან 43 *კმ*. 26 მცხ. (2002).

ვაშლობი, სოფელი ისტორიულ ქვემო ჯავახეთში, მტკვრის ხეო-

ბაში. XVI ს-ში, ოსმალთა ბატონობისას, ეს სოფელი შედიოდა ახალქალაქის ლივის თმოგვის ნაჰიეში. მაშინ იქ 22 კომლი ცხოვრობდა, სახელების მიხედვით – ყველა ქართველი: რევაზა ზოზასძე, ვარძელ ბადრიასძე, თევდორე ბასილასძე, ზაქარა დემეტრესძე, სიმონ ივანესძე, ვარძელ მანასესძე და სხვ. მათ მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, სელი, ჰქონდათ ბოსტნები, ჰყავდათ ცხვარი, ღორი, ფუტკარი; წლიური გამოსაღები შეადგენდა 15500 *ახჩას*. 1703–04 ეს სოფელი ვინმე ალის ექვემდებარებოდა და წლიური გამოსაღები 15300 ახჩა იყო.

წყარო: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოც., წგ. 2–3, თბ., 1941–58; ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, ც. აბულაძის და მ. სვანიძის გამოც., თბ., 1979.

დ. ბერძენიშვილი.

ვაშლობი, ნასოფლარი ისტორიულ სამცხეში, მდ. ურავლის მარჯვენა სანაპიროზე. XVI ს. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, ის შედიოდა ახალციხის ლივის ჭაჭარაქის ნაჰიეში. იქ მაშინ 3 კომლს უცხოვრია: ვაშლობელს, მის ძმას და ბატატა ვაშლობელისძეს. მათ მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, ამუშავებდნენ სელს, ჰქონიათ ბოსტნები, ჰყოლიათ ღორი და ფუტკარი. მათი წლიური გამოსაღები 8045 *ახჩა* იყო. 1720–21 ეს სოფელი ყოფილა ზეამეთი ვინმე აბუბექრისა, მისი გამოსაღები უკვე 31260 ახჩა გამხდარა, რაც სოფლის მოსახლეობის მატებაზე მიუთითებს.

წყარო: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოც., წგ. 2–3, თბ., 1941–58; ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, ც. აბულაძის და მ. სვანიძის გამოც., თბ., 1979.

დ. ბერძენიშვილი.

ვაშლოვანი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ბოლის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ხარულის ქედის აღმ. მთისწინეთში, მდ. ქსნის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 880 *მ*, ახალგორიდან 4 *კმ*, ქსნიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 36 *კმ*. 32 მცხ. (2002).

ვაშლოვანი, სოფელი გაგრის მუნიციპალიტეტის მეხადირის თემში (აფხაზეთის არ), აფხაზეთის მთისწინეთში, მდ. მეხადირის (ერთვის შავ ზღვას) ხეობაში. ზ. დ. 110 *მ*, გაგრიდან 24 *კმ*. 176 მცხ. (1989).

ვაშლოვანი, გულრიფშის მუნიციპალიტეტის სოფ. *ჩერნიგოვკის* ძვ. სახელწოდება.

ვაშლოვანი, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის ბორბალოს თემში (ქვემო ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 820 *მ*, თეთრი წყაროდან 35 *კმ*, მარნეულიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 20 *კმ*. 812 მცხ. (2002).

3. წყაროებში იხსენიება XVI ს-იდან. სოფელში შემონახულია ორბელიანების სასახლის ნანგრევი და საცხოვრ. კოშკი. წარწერის თანახმად, აუშენებია რუს. ჯარის გენერალს, თ. ორბელიანს 1811 (მშენებელი *გიორგი ოსტატი*). სოფლის აღმ. ნაწილში, ხევის პირას, დგას თლილი ქვით შემოსილი წინანაურის ღვთისმშობლის ერთნავიანი ეკლესია. იგი XI–XII სს-ში უნდა იყოს აგებული და გვიანდ. ფეოდ. ხანაში შეკეთებული. სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში XVII–XVIII სს. ღვთისმშობლის ეკლესიაა. მის მახლობლად, სამხრ-ით, წმინდა მარინეს შუა საუკ. პატარა ეკლესიის ნანგრევებია.

ლიტ.: ბერიძე ვ., XVI–XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. 1, თბ., 1983.

ვაშლოვანი, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლების *ზემო ვაშლოვნის* და *ქვემო ვაშლოვნის* გავრცელებული სახელწოდება.

ვაშლოვანი, ისტორიული მხარე და ციხესიმაგრე სამხრეთ საქართველოში, ტაოში (ახლანდ. თურქეთის ტერიტორია). 3. პირველად იხსენიება თამარის პირველ ისტორიკოსთან, ძეგლში ,,*ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი*'' (XII–XIII სს.): გუზან (ტაოს ერისთავი) ,,გამტანელი ტაოსკარისა და ვაშლოვანისა და სხვათა ციხეთა მრავალთა''. ხშირად გვხვდება ჟამთააღმწერელთან XIII ს. მიწურულისა და XIV ს. დასაწყისის ამბებთან დაკავშირებით. ჟამთააღმწერელი წერს: ,,მაშინ ბექამან (ჯაყელ-ციხივჯვარელი) დაიპყრა... უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი''... ამ კონტექსტში 3. უკვე მხარის მნიშვნელობით იხსენიება; გვიანდ. წყაროებში (XV–XVIII სს.) 3., როგორც ცოცხალი ტოპონიმი, აღარ ჩანს.

ყველა მონაცემის მიხედვით, 3. ლოკალიზდება ოლთისისწყლის (ახლანდ. ოლთუჩაი) სათავის მიდამოებში, სადაც მდებარეობს სოფლები ქვემო და ზემო ხნძორქები. ,,ხნძორქ'' ქართ. 3-ის სომხ. თარგმანია. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) წერს: ,,თორთომის ციხის ზეით არს ხენძორეთი დაბა დიდი და გზა არზრუმისა''. წყაროებით დასტურდება, რომ XIV ს-იდან ტაოში იწყება ლტოლვილების შემოსვლა მეზობელი სომხ. პროვინციებიდან. ამაზე ცხადად მეტყველებს ტაოს ერთ-ერთ სოფელში გადაწერილი სომხ. ხელნაწერის მინაწერი. მოსული მოსახლეობის მიერ სიტყვასიტყვით თარგმნის შედეგად გაჩნდა ახ., თუმცა ძველთან სემანტიკურად დაკავშირებული ,,ხნძორქ'' (ვაშლოვანი), რაც შეეხება ვახუშტისთან დაცულ ფორმას ,,ხენძორეთის'' გავრცობას ,,ეთ'' სუფიქსით, როგორც ჩანს, ტოპონიმმა ასეთი სახე მიიღო ამ მხარის ხელახალი ქართიზაციის შემდეგ.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 3, თბ., 1958.

ა. თორდია.

ვაშლოვნის ბრძოლა, ქართველთა ბრძოლა მცირეაზიელ თურქთა ტომებთან. გაიმართა სამხრ. საქართველოში XIII ს. 80-იან წლებში თურქთა ტომების ხელმეორედ შემოსევის დროს აზატ მოსეს მეთაურობით (იხ. *აზატ მოსეს ლაშქრობანი საქართველოში*). *ბექა I-მა* ჯაყელმა ვაშლოვნის სანახებში თურქთა 10000 კაციან რაზმს 500 კაცი დაახვედრა. ქართველებმა მუსრი გაავლეს მტერს. განრისხებულმა აზატ მოსემ 3000 ჯარისკაცი გამოყო და ,,წარემართა ვაშლოვანს ძებნად სისხლთა სპათა მისთასა''. ბექამ წინასწარ გაიგო მისი განზრახვა და თურქებს რჩეული ლაშქარი დაადევნა სარგის ბექას ძე ჯაყელის (იხ. *სარგის II*) მეთაურობით. ვაშლოვანში გაიმართა უთანასწორო ბრძოლა, რ-მაც სასტიკი ხასიათი მიიღო. ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

წყარო: ჟამთააღმწერელი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1962. *ქ. ნადირაძე.*

ვაშლოვნის სახელმწიფო ნაკრძალი, კომპლექსური ნაკრძალი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, შირაქის ზეგანზე, საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, იორსა და ალაზანს შორის. ნაკრძალად გამოცხადდა 1935 ნ. კეცხოველის და ვ. გულისაშვილის ინიციატივით. ამჟამად გამოცხადებულია ეროვნ. პარკად. საერთო ფართობია 10142



ვაშლოვნის სახელმწიფო ნაკრძალი. ,,არწივის ხეობა‘‘.



ა. ვაჩეიშვილი (1886–1964).

ჰა. ზ. დ. 300–600 *მ.* აღმ-იდან ესაზღვრება ყუმურდოს ხევი, დას-იდან კი – მამაჩაის და ეშმაკის ხეობა. 4 ჰა-ზე მეტი დაფარულია ტყით, დანარჩენი ნაწილი ველებს, ხევებს, კლდეებსა და ალესილებს უჭირავს. ნაკრძალის მშრალი (ქსეროფილური) ნათელი ტყის ძირითადი კომპონენტია საკმლის ხე და ღვია. ეროზიული შთენილები და თიხის კარსტები ჰარმონიულად გადადის ღვიის კორომებში, საკმლის ხის ტყეებში, ღვიიან-საკმლისხიან შერეულ მშრალ ტყეებში. აქვე გვხვდება აკაკი, ბერყენა, ბროწეული, ბოლღოჯი, გრაკლა, შავჯაგა, ძეძვი, ჭალაფშატა და სხვ., ბალახოვანი საფარიდან – უროიანი, აბზინდიანი და მლაშობურიანი დაჯგუფებები; გვხვდება 70-მდე სახეობის ფრინველი (კაკაბი, კოდალა, ორბი, სვავი, უფეხურა, მოლაღური, კვირიონი, მიმინო, შავი ყარყატი, იშხვარი, ჩხართვი, ბელურა, მეღორღია, ჩიტბატონა, სკვინჩა, კოლხური ხოხობი, მერცხალი და სხვა), ასევე 700-მდე სახის მწერი; ბინადრობს 46 სახის ძუძუმწოვარი (გარეული ღორი, კურდღელი, ტყის და ველის მელა, კავკ. მგელი, დათვი, ზოლებიანი აფთარი, მაჩვი და სხვ.). 2003 ბოლოს ვ. ს. ნ-ში აღმოაჩინეს წინააზიური ჯიქი (ლეოპარდი). ეროვნ. პარკის ტერიტორიაზე გავრცელებულია ასევე ქვეწარმავლები (ხმელთაშუა ზღვის კუ, გრძელფეხა სცინკი, თვალტიტველა ხვლიკი, ჯოჯო, დასავლური მახრჩობელა, ოთხზოლიანი მცურავი, ჩვეულებრივი ანკარა, გიურზა). ნაკრძალის მიზანია ნათელი ტყის ფლორისა და ფაუნის იშვიათი წარმომადგენლების დაცვა.

ლიტ.: ლომთათიძე გ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთისა და ივრის ხეობებში, თბ., 1989; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, ზ. ალექსიძისა და შ. ბურჯანაძის გამოც., წგ.1, თბ., 1964; საქართველოს დაცული ტერიტორიები, თბ., 2007; ფანცხავა ლ., მაისურაძე ბ., სამი სამარხი სოფ. ვერონიდან, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1982, ტ. 36; ჯორბენაძე ბ., გოგოთური გ., გვიანბრინჯაოს-ადრერკინის ხანის მასალები ივრის ხეობიდან, თბ., 1992.

ვაშნარი, უჯერანი, VI ს. II ნახ. მონასტერი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედუბნის მიდამოებში. არქეოლ. გათხრების შედეგად გამოვლინდა საფორტიფიკაციო ნაგებობათა (შესაძლებელია მონასტრის გალავანი), ბაზილიკისა და მარტირიუმის (მოწამის საფლავზე აგებული ქრისტ. საკულტო შენობა) ნაშთები. ბაზილიკას 3-ის მხრიდან გარსშემოსავლელი ჰქონდა. როგორც ჩანს, გადახურული იყო ოთხფერდა სახურავით. მარტირიუმი იზოლირებული ნაგებობაა. *თ. თვალავაძე.*

ვაშპარიანი, სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ძირულის თემში (იმერეთის მხარე), მდ. ჩხერიმელის (ძირულის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 400 *მ*, ზესტაფონიდან 16 *კმ*, ძირულიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2 *კმ*. 66 მცხ. (2002).

ვაშტიალი, სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჭანიეთის თემში (გურიის მხარე), მდ. აჭისწყლის (ბჟუჟის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 200 *მ*, ოზურგეთიდან 6 *კმ*. 131 მცხ. (2002).

ვაჩაძე ამბაკო ავთანდილის ძე (დ. 17. III. 1983, ქუთაისი), სპორტსმენი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). მსოფლიოს ჩემპიონი (2010), ევრ. სამგზის ჩემპიონი (2009–11), რუს. ჩემპიონი და მსოფლიოს თასის მფლობელი რუს. ნაკრების შემადგენლობაში (2008), მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (2009). რუს. საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი (2009), რუს. სპორტის დამს. ოსტატი (2010). რუს. ნაკრების წევრი 2006-იდან.

ვაჩე, *ლეონტი მროველის* მიხედვით, ქართლის მე-20 (,,*მოქცევაჲ ქართლისაჲს*‘‘ მიხედვით – 22-ე) მეფე, რევის ძე, დაახლ. III ს. 70-იან თუ 80-იან წლებში.

ვაჩე, კახეთის მთავარი (ქორეპისკოპოსი) 827–839, გარდაბნელ მთავართა – დონაურების საგვარეულოდან. ვ. უნდა იყოს ,,მატიანე ქართლისაჲში‘‘ მოხსენიებული დაჩი ქორეპისკოპოსი (იოვანე ქვაბულის ძის შვილი). 827, კახეთის მთავრის გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ, გარდაბნიდან გამოსულმა დონაურთა საგვარეულოს მთავრებმა შეთქმულება მოაწყვეს, ხელში ჩაიგდეს კახეთ-კუხეთ-გარდაბნის პოლიტ. ძალაუფლება და ვ. დონაური გაამთავრეს. ქორეპისკოპოს ვ. დონაურის დროს კახეთში აჯანყდნენ არაბების წინააღმდეგ. არაბი მწერლის იაკუბის ცნობით, დაახლ. 829–832 არაბებმა გამდგარი თბილ. საამიროსა და ამბოხებული *წანარეების* წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი ლაშქარი გამოგზავნეს სარდალ ხალიდ იბნ იაზიდის სარდლობით, რ-მაც აჯანყება სასტიკად ჩაახშო.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: პაპუაშვილი თ., რანთა და კახთა სამეფო (VIII–XI სს.), თბ., 1982. *თ. პაპუაშვილი.*

ვაჩეიშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე [12 (24). IV. 1886, ქუთაისი, – 31. VII. 1964, თბილისი], მეცნიერი, იურისტი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, სისხლის სამართლისა და სამართლის ისტორიის სპეციალისტი. საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1946). ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების (1904) შემდეგ ლექციებს ისმენდა პარიზის, ბრიუსელისა და ჟენევის უნ-ტებში. 1912 წარჩინებით დაამთავრა ოდესის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი და მიენიჭა სამართლის კანდიდატის წოდება. 1915-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა ოდესის კერძო გიმნაზიაში. 1921 ოდესის სახ. განათლების ინ-ტში ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები და აირჩიეს ლექტორად. 1922-იდან ივ. ჯავახიშვილის მოწვევით მოღვაწეობდა თსუ-ში – მონაწილეობდა სოც.-ეკონ. ფაკ-ტის (ეკონ. და იურიდ. განყ-ბების) ჩამოყალიბებაში; კითხულობდა ლექციების კურსს სოციოლოგიაში, სამართ. თეორიაში, სისხლის სამართალსა და სისხლის სამართ. პროცესში. აღსანიშნავია მისი შედარებით-ისტ. გამოკვლევები ძვ. ქართ. სამართალში. 1923 გამოსცა სალექციო კურსი ,,სოციოლოგიის შესავალი‘‘, რითაც დაიწყო უნ-ტში სოციოლოგიის განვითარების პირველი ეტაპი. 1931–64 იყო თსუ-ის პროფესორი და სისხლის სამართ. კათედრის გამგე. დიდი დამსახურება მიუძღვის ქართ. იურიდ. ტერმინოლოგიის დადგენა-დამუშავებაში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: სამართლის ზოგადი თეორია, ტფ., 1926 (გამოც. მე-2, თბ., 2010); ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ. 1–3, თბ., 1946–63; სისხ-

ლის სამართლის პროცესი, ნაწ. 1, თბ., 1955; დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, თბ., 1957; სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი, თბ., 1960.

ვაჩეიშვილი ალექსანდრე (სანდრო) კონსტანტინეს ძე [31.X. 1960, თბილისი, – 15.VIII. 1992, დაბა განთიადი (გაგრის მუნიციპალიტეტი); დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე], ფერმწერი, გრაფიკოსი. დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1984). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას სოფ. ძვ. ქანდის (ახლანდ. მცხეთის მუნიციპალიტეტი) საშ. სკოლაში (1984–87) და თბილ. ს.-ს. ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედ. ინ-ტში (1987–92). მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში: საქართვ. მხატვართა რესპ. საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენები (1987, თბილისი, მხატვრის სახლი); საქართვ. ახალგაზრდა მხატვართა გამოფენა (1988, თბილისი, აბანოთუბანი); საქართვ. მხატვართა გამოფენა (1988, მოსკოვი, მანეჟი); ავანგარდისტ მხატვართა გამოფენა (1991, თბილისი, მხატვრის სახლი); პერსონალური გამოფენა (1993, თბილისი, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმი); ,,გამოფენა-კონტრასტი'' (1999, თბილისი, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეა); პერსონალური გამოფენა (2001, თბილისი, გალერეა ,,TMS-ი'').

ვ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია აზრის გადმოცემის სიცხადე და ფაქიზი კოლორიტი, ფორმის ძიების თვალსაზრისით ის ნოვატორია. შექმნილი აქვს პორტრეტების, აბსტრაქციების, მონუმ.-დეკორ. კომპოზიციების ვრცელი სერიები. მთავარი თემა ადამიანის ჰარმონიულობაა. გამოცემულია ვ-ის ნამუშევრების ალბომი-კატალოგი (2001, თბილისი).

მოხალისედ იბრძოდა სამაჩაბლოსა (1991 დეკ.) და აფხაზეთში (1992), დაიღუპა დაბა განთიადში მოწინააღმდეგის I საბრძოლო დესანტის გადასხმის დროს. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია მედლით ,,მხედრული მამაცობისათვის'' (1995).

თ. მელიქიშვილი.

ვაჩეიძორი, ვ ა ჩ ი ძ ო რ ი, IX ს. მონასტერი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ისტორიული ტაოს – ნიაკომის (ნიკომის) ხეობაში (ახლანდ. თურქ. ტერიტ.). ძეგლი 1907 პირველმა გამოიკვლია ე. *თაყაიშვილმა.*

სამონასტრო კომპლექსში შედიოდა წმ. სტეფანეს გუმბათოვანი ეკლესია, მის ირგვლივ განლაგებული გვიანდ. მინაშენები (უკვე დანგრეული) – სამრეკლო, საოსტიგნო, სალარო, კამარიანი დარბაზები (ერთ-ერთი, როგორც ჩანს, სატრაპეზო იყო), დიდი დარბაზული ეკლესია და სხვ. ე. თაყაიშვილმა მიაგნო მთავარი ტაძრის ასომთავრულ წარწერას (ჩაშენებული იყო სხვა ნაგებობაში), საიდანაც ირკვევა, რომ ტაძრის ეგვტერი აგებულია 1306 ქართველთა და აფხაზთა მეფე დემეტრეს ასულ რუსუდანის საფასით. მეორე ქართ. ასომთავრულით შესრულებული



ვაჩეძორის მონასტერი. IX ს.

წარწერა სამრეკლოს მეორე სართულზე იყო, ოსტატის გამოსახულების გვერდით. მონასტრის სახელწ. ,,ვაჩეძორი'' ე. თაყაიშვილმა დაადგინა მონასტრის მახლობლად მდებარე გამოქვაბულში აღმოჩენილი XV ს. საბუთების მიხედვით (მანამდე იგი ,,ვანქად'' იწოდებოდა).

XI ს. ერთ-ერთი ქართ. ხელნაწერის მინაწერში მოხსენიებულია გრიგოლ ვაჩეძორელი, რ-საც იგი გადაუწერია შატბერდის ლავრაში. როგორც ჩანს, მაშინ ვ-ის მონასტერი უკვე არსებობდა. შემორჩენილი ფოტოებისა და ანაზომების ანალიზის შედეგად ძეგლის აგების თარიღმა IX ს-ში გადაინაცვლა. მონასტრის მახლობლად მდებარე გამოქვაბულში ნაპოვნი საბუთები მხედრულითაა ნაწერი, ამათგან ერთი მონასტრის დადგენილებაა, 2 – ნასყიდობის წიგნი და 3 – წერილი. ყველა შედგენილია მონასტრის მოძღვრისა და კრებულის მიერ. ვ-ის დადგენილებიდან ვიგებთ, რომ მონასტრის მოძღვარს, კანდელაკსა (მნათე) და კრებულს ერისთავთერისთავისა და მეჭურჭლეთუხუცეს ზაზა ფანასკერტელისათვის უთხოვია, გაეთავისუფლებინა ვ. სამონასტრო გადასახადისაგან – ალავისაგან. მას თხოვნა შეუწყნარებია და გადაუცია გუჯარი ,,თავსა და ბოლოს ფიცით''. კრებულს ზაზასთვის 6 წირვა დაუწესებია წელიწადის სადღესასწაულო დღეებში. კრებული პირობას დებდა, რომ თუ ერისთავი შემდეგში რაიმე ახ. გადასახადს შემოიღებდა, ისინი მას შეკრებდნენ და ერისთავს დროულად წარუდგენდნენ, ალავის გაუქმებას კი ამ ახ. გადასახადზე უარის სათქმელად არ გამოიყენებდნენ.

სხვა საბუთები უმნიშვნელოა და ნაკლული, მაგრამ მათშიც არის ნახსენები ტაოს მაშინდელი პუნქტები: ხავაღი, ნამორეთი, პარგრძორი, ორისი. ამ საბუთებიდან ნათლად ჩანს, რომ XV ს. I ნახევარში, ჯაყელთა გაძლიერების მიუხედავად, ფანასკერტელებს ტაოში კვლავ მიუწვდებოდათ ხელი მონასტრებსა და ციხეებზე (ვ., ხავაღი, ოლთისი და სხვ.).

შემდგომი წლების წერილობით წყაროებში ვ. აღარ იხსენიება; როგორც ჩანს, მისი სახელი მიივიწყეს. გვხვდება მხოლოდ იქვე არსებული სოფელი ნიაკომი ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარში (1694–1732). აქ იგი ტაოსკარის ნაჰიეს არტანუჯის ლივაშია დასახელებული.

ვ-ის მთავარი ტაძარი გუმბათოვანი ნაგებობა იყო, რ-ის გუმბათი 4 თავისუფლად მდგარ ბოძს ეყრდნობოდა. ნაგებია სწორ რიგად ნაწყობი პატარ-პატარა უხეშად დამუშავებული ქვით. მრგვალი გუმბათის ყელი დაბალი და ფართოა. იგი ეყრდნობა ტრომპებს, რებიც IX ს. შემდეგ აღარ გვხვდება. ძეგლს არ ამკობს კვეთილი ორნამენტი (იგი X ს. I ნახ-იდან იჩენს უკვე თავს). ერთადერთი ძლიერ დაზიანებული რელიეფი შედარებით ადრეულ ხანაზე მიუთითებს.

თავდაპირველად ტაძარი ერთიანად მოხატული ყოფილა. როდესაც იგი ე. თაყაიშვილმა მოინახულა, მოხატულობის მხოლოდ ფრაგმენტებიღა იყო შემორჩენილი. გუმბათის ყელში გამოსახული იყვნენ წინასწარმეტყველნი, რ-თაც ხელში გრაგნილები ეჭირათ, და მიქელ მთავარანგელოზი (ქართ. წარწერებით), საკურთხეველში – ეკლესიის მამები, სხვადა-

სხვა ადგილზე – იოაკიმე და ანა, იოანე ღვთისმეტყველი და სხვ. ფრესკებით იყო შემკული მთავარი ტაძრის სამხრ.-აღმ-ით მდგარი ერთნავიანი ნაგებობაც, რ-იც, ე. თაყაიშვილის აზრით, მოგვიანებით გადააკეთეს ეკლესიად. მან აქ გაარჩია ასომთავრულით შესრულებული რამდენიმე წარწერა. ამ ფრესკებს იგი ეკლესიის მოხატულობასთან შედარებით უფრო მოგვიანო ხანას მიაკუთვნებდა (XV ს.).

ორსართულიანი სამრეკლო საქართველოში გავრცელებულ სამრეკლოთა ტიპისაა – გეგმით კვადრ. ქვედა სართული, სადაც მონასტრის გალავნის შესასვლელია მოწყობილი, და II სართულის რვაწახნაგა, თაღებით გახსნილი ფანჩატური.

წყარო: ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, ც. აბულაძისა და მ. სვანიძის გამოც., თბ., 1979.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1960, [ტ.] 1; თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938; Беридзе В. В., Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тб., 1981.

ვ. ბერიძე. დ. ბერძენიშვილი.

ვაჩიანი, სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალქალაქის პლატოზე, ვაჩიანის ტბასთან, ახალქალაქი–კარწახის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: ვ., მურჯახეთი, ჩამძვრალა). ზ. დ. 1760 *მ*, ახალქალაქიდან 9 *კმ*. 2,2 ათ. მცხ. (2002).

,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' (1595) მიხედვით, ოსმალთა მიერ დაპყრობილი ჯავახეთის სოფელი ვ. შედიოდა ახალქალაქის ლივის აქშეჰირის ნაჰიეში. იქ 17 კომლი ქართველი ცხოვრობდა, ჰყავდათ ცხვარი, ღორი, ფუტკარი, მოჰყავდათ ბოსტნეული, ხორბალი, ქერი, ჭვავი, სელის თესლი (საზეთედ), იონჯა და იხდიდნენ გამოსაღებს (19500 *ახჩას*). 1703–04 ვ. ექვემდებარებოდა ვინმე ჰალილს და შეწერილი ჰქონდა 6000 ახჩა. 1829 ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით, ვ. სამხრ. საქართველოს ნაწილთან ერთად, რუს. იმპერიას შეუერთდა. ამ დროს დასახლდნენ აქ ოსმალეთიდან წამოსული სომხები. ვ3-ში ძვ. ქართ. ეკლესიების ნანგრევებზე აგებულია ახ. ეკლესია, რ-იც XIX ს. 30-იან წლებში აუშენებიათ არზრუმელ სომხებს. წყობაში კარგად ჩანს ადრინდ. ხანის სტელები, ,,ბოლნურმედალიონები-ანი'' ლოდები, ქართ. წარწერათა ფრაგმენტები (ნუსხური), რ-ებიც კედლებში უადგილოდაა ჩაყოლებული (,,ქრისტე, შეიწყალე მონა შენი ზურაბ'', ,,ედიშერ''...) და XIII ს. უნდა ეკუთვნოდეს. 1933 ნ. ბერძენიშვილს ვ-თან უნახავს მოზრდილი ლოდი ქართ. (ნუსხური) წარწერით, სადაც საუბარია ზაქარია ამირსპასალარის (მხარგრძელი) ბრძანებით ზრესკელი ბერის მიერ ზუინაქტის აშენებაზე, იქვე იხსენიებიან შალვა და მისი ძმა ივანე (ახალციხელები). წარწერა XIII ს-ით თარიღდება და ამჟამად ახალციხის მუზეუმშია დაცული. ვ-ის ,,ზემო ეკლესიის'' ირგვლივ ძვ. სასაფლაოა, სადაც გვხვდება ვერტიკალურად დაყენებული ჯვრიანი ქვები და ყორებისა და ცხენების ფიგურები საფლავის ლოდებად.

წყარო: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოც., წგ. 2, თბ., 1941; ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, ც. აბულაძისა და მ. სვანიძის გამოც., თბ., 1979.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 1, თბ., 1964. *დ. ბერძენიშვილი.*

ვაჩიბერიძე გენო დავითის ძე (დ. 15. III. 1931, ქუთაისი), ფიზიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (2003), საქართვ. საინჟინრო აკად. ნამდვ. წევრი (2007). 1954 დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი. 1955–58 მუშაობდა სსრკ მეცნ. აკად. გამოყენებითი გეოფიზიკის ინ-ტში (მოსკოვი). 1959–75 საქართვ. მეცნ. აკად. მართვის სისტემების ინ-ტში იყო ლაბორატორიის გამგე, 1976–91 – სსრკ თავდაცვის მრეწვ. სამინისტროს ავტომატიკისა და ჰიდრავლიკის ცენტრ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის (მოსკოვი) თბილისის ფილიალის დირექტორი. 1991–2005 ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორია, 2004-იდან – საქართვ. ტექ. უნ-ტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკ-ტის პროფესორი. მონაწილეობდა საქართველოში პირველი ციფრული (იმპულსური) ეგმ ,,დელისის'' შექმნაში. 1975–89 იყო სარაკეტო და სამხ. დანიშნულების სხვა სისტემების ციფრული მართვის მოწყობილობათა კომპლექსების დაპროექტებისა და შექმნის ხელმძღვანელი (მთ. კონსტრუქტორი).

ვ-ის სამეცნ. შრომები ეხება ციფრული სისტემების სიზუსტისა და სწრაფქმედების, მდგრადობისა და საიმედოობის საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, 7 მონოგრაფია, 2 სახელმძღვანელო; აქვს 8 პატენტი გამოგონებაზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: მოდელირების საფუძვლები, თბ., 2009; კომპიუტერების არქიტექტურის საფუძვლები, თბ., 2010.

ვაჩნაძე ალექსანდრე ივანეს ძე (8. VIII. 1855, სოფ. კოლაგი, ახლანდ. გურჯაანის მუნიციპალიტეტი, – 24. XII. 1922), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1913). დაამთავრა პოლტავის სამხ. გიმნაზია, თბილ. იუნკერთა სასწავლებელი. 1871-იდან მსახურობდა კავალერიაში, პიატიგორსკის 151-ე ქვეით პოლკში. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთისა (1877–78) და რუსეთ-იაპონიის (1904–05) ომებში. მეთაურობდა ასეულს, ბატალიონს. 1905 მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება.

პირველი მსოფლიო ომის (1914–18) დროს, 1915 დაინიშნა ამიერკავკასიის მე-2 სარეზერვო ქვეითი ბრიგადის მეთაურად, 1916 – კავკასიის მე-4 საარტ. ბრიგადის მეთაურად. დაჯილდოებულია ოქროს იარაღით (1906), წმ. სტანისლავის I ხარისხის, წმ. ანას, წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

ლიტ.: Гогитидзе М., Грузинский генералитет, К., 2001; Волков С., Генералитет Российской Империи от Петра I до Николая II, т. 1, М., 2009.

მ. გოგიტიძე.

ვაჩნაძე ბალო (აბრამ) გიორგის ძე (2. IX. 1853, სოფ. კარდანახი, ახლანდ. გურჯაანის მუნიციპალიტეტი, – 14. II. 1941, თბილისი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1914). სწავლობდა პეტერბურგის კადეტთა კორპუსში, დაამთავრა ვორონეჟის სამხ. გიმნაზია. არმიაში მსახურობდა 1872-იდან. მოხალისედ წავიდა რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომში. ორჯერ დაიჭრა. ერთ-ერთი შეტაკების დროს ბრძოლის ველიდან გამოიყვანა დაჭრილი ოფიცერი, რისთვისაც დააჯილდოვეს ოქროს იარაღით და ოფიცრის ჩინით, ჩაირიცხა მისი უდიდებულესობის პოლკში. შემდეგ მსახურობდა ქ. ლომჟაში (პოლონეთი) ოფიცრად. 1897–98 მეთაურობდა ბათუმის ციხის ქვეით პოლკს. 1898 პოლკოვნიკის ჩინით თადარიგში გავიდა. 1901 კვლავ სამხ. სამსახურში დაბრუნდა და 1906-მდე მეთაურობდა მე-8 ქვეითი დივიზიის მე-2 პოლკს.

მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904–05) ომში. 1906–13 წწ. 31-ე ქვეითი დივიზიის მე-2 ბრიგადის მეთაური იყო. 1908 მიენიჭა გენ.-მ. წოდება. 1913 დაინიშნა პეტერგოფის სამხ. კომენდანტად. 1917 თებ. რევ. შემდეგ ა. კერენსკის თხოვნით დარჩა გარნიზონის უფროსად, აქტ. მონაწილეობა მიიღო პეტერგოფის ქონების გადარჩენაში, ხოლო სამი თვის შემდეგ თავი დაანება სამსახურს და დაბრუნდა საქართველოში.

თბილისში, სამხ. სამსახურის პარალელურად ვ. კომერციულ საქმიანობასაც ეწეოდა. 1914 პეტერბურგში დააარსა ,,რუსული ყურძნის ღვინის გაყიდვის საზოგადოება'', რ-იც ღვინოებს კახეთიდან იღებდა. თბილისში მისი ინიციატივით შეიქმნა ღვინის წარმოების საზ-ბა ,,იბერია'', რ-იც 1921 გაუქმდა. დაახლოებული იყო რუსეთის საიმპერატორო სახლთან – ვ-ის უფროსი ვაჟი მეფე ნიკოლოზ II-ის ნათლული იყო, უფროსი ქალიშვილი – მეფის დედის მარიამ თედორეს ასულისა. დაჯილდოებულია წმ. სტანისლავის I, წმ. ანას, წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

წყარო: Российский Государственный исторический архив в Санкт-Петербурге, фонд 1276, опись 10, дело №734 (Дело кн. А. Г. Вачнадзе).

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ნ., თავად ვაჩნაძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის, კრ.: «სამეცნიერო პარადიგმები», თბ.–ქუთ., 2009; მ ი ს ი ვ ე, Грузины под российским флагом (Грузинские военные и государственные деятели на службе России 1703–1917 гг.), Тб., 2003.

ნ. ჩერქეზიშვილი. ნ. ჯავახიშვილი.

ვაჩნაძე ბარძიმ, XVII ს. I ნახ. პოეტი, ,,შაჰნამეს'' ქართ. ვერსიების ერთ-ერთი ციკლის, ,,უთრუთიან-საამიანის'' გამლექსავი. ვ. ზუსტად მისდევს ქართ. პროზაულ ტექსტს, მისი ლექსი საკმაოდ გამართულია, იგრძნობა რუსთაველის დიდი გავლენა.. ვ-ის თხზულება დაიწერა ოდიშში, ლევან დადიანის კარზე. ტექსტს აკლია დასაწყისი და დასასრული.

თხზ. იხ. შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, იუსტ. აბულაძის გამოც., ტფ., 1916 (ძველი ქართული მწერლობა, ტ. 1); [ტ.] 3, დ. კობაიძის გამოც., თბ., 1974.

ლიტ.: ბ ა რ ა მ ი ძ ე ა., როსტომიანი, წგ.: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1966; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958. *ა. გვახარია.*


ვაჩნაძე (გ უ რ გ ე ნ ი შ ვ ი ლ ი) გიორგი ემანუკის ძე (10. I. 1935, სოფ. ნანიანი, ახლანდ. გურჯაანის მუნიციპალიტეტი, – 3.VIII. 1997, თბილისი), ფიზიკოსი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1997). ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1984). დაამთავრა თსუ (1958). ამავე წლიდან მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ფიზიკის ინ-ტში (1998-იდან ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზ. ინ-ტი). 1989-იდან იყო ამავე ინ-ტის კონდენსირებულ გარემოთა თეორიის განყ-ბის ხელმძღვანელი. ვ-ის სამეცნ. შრომები ეხება ნახევრადგამტარებში ციკლოტრონული და კომბინირებული რეზონანსის მოვლენებს, მყარი სხეულების მაგნ. თვისებებსა და თხევადი ^{3}He-ის ზედინადი ფაზების ანიზოტროპიისა და სპინური დინამიკის თეორიას.

თხზ.: Комбинированный резонанс в деформированном p-Ge, «Физика твердого тела», 1963, т. 5; Гибридизация коллективных коллебаний в ^{3}He-A вблизи перехода в A-фазу, «Письма в Журнал экспериментальной и теоретической физики», 1980, т. 31 (თანაავტ. Г. Харадзе); Possibility of New Coherently Precessing Spin States in Superfluid ^{3}He-B, იქვე, 1992, т. 56 (თანაავტ. Г. Харадзе). *გ. ხარაძე.*

ვაჩნაძე გიორგი იურის ძე (დ. 13. VII. 1967, თბილისი), პიანისტი. პიანისტთა არაერთი საერთაშ. კონკურსის (ჯინა ბახაურის სახ., 1994; ცინცინატის, 1997; პალმბიჩის, 1998) ლაურეატი. თბილ. ცენტრ. სამუსიკო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1986, სწავლა განაგრძო ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორიაში (ვ. შიუკაშვილის კლასი). 1990 (მეოთხე კურსიდან) სასწავლებლად გადავიდა აშშ-ში, ნიუ-იორკის მენეს-კოლეჯში. 1999 შედგა ვ-ის საკონცერტო დებიუტი ნიუ-იორკის ლინკოლნ-ცენტრის ,,ალისტული-ჰოლში''. ამ დროიდან ეწევა წარმატებულ საკონცერტო მოღვაწეობას (აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ფინეთი და სხვ.). 2010-იდან არის ჩიკაგოს უნტის პროფესორი, კათედრის გამგე.

ვაჩნაძე დავით (დათა) ვლადიმერის ძე (4. VIII. 1884, სოფ. დიდი ლილო, – 23. I. 1962, მიუნხენი, გერმანია), პოლიტიკური მოღვაწე. 1894–1902 სწავლობდა თბილ. კადეტთა კორპუსში. 1904 დაამთავრა პეტერბურგის სამხ. სასწავლებელი. 1904–05 მსახურობდა მესანგრეთა ბატალიონში თავდაპირველად ვარშავაში, ხოლო 1905–07 – თბილისში. 1907-იდან მსახურობდა დაღესტანში. პირადი სურვილით სამხ. სამსახურს თავი დაანება, თბილისში დაბრუნებული ჩაება საზ. და სამეურნეო საქმიანობაში. 1909–10 მონაწილეობდა სას.-სამ. და საკრედიტო კოოპერაციის საქმიანობაში. სოფ. ლილოში დააარსა მერძეველობის ამხანაგობა ,,ლილო'', იყო თბილ. სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკთან არსებული საადგილმამულო კომისიის წევრი. კომისია მიზნად ისახავდა უცხ. კოლონიზაციის წინააღმდეგ ბრძოლას. 1912 რ. *გაბაშვილთან* ერთად დააარსა ეროვნ. მიმართულების ჟურნ. ,,კლდე''.

1914–15, პირველი მსოფლიო ომის დროს, მონაწილეობდა სპეც. რაზმის ჩამოყალიბებაში, რ-ის დანიშნულება იყო თურქ. ფრონტის ახლომახლო მდებარე სოფლებში მცხოვრებ ქართვ. მაჰმადიანთა დაცვა. 1915-იდან მიიწვიეს საადგილმამულო კომისიის მდივნად [გარდაცვლილი ა. ყიფშიძის (ფრონელის) ნაცვლად]. ვ. იყო საზღვარგარეთ შექმნილი საქართვ. დამოუკიდებლობის ეროვნ. კომიტეტის აქტ. მოღვაწე. 1915, ჟურნ. ,,კლდის'' დახურვის შემდეგ, სხვა ქართვ. ნაციონალისტებთან ერთად გამოსცა გაზ. ,,საქართველო'', რ-იც შემდეგ ეროვნ.-დემოკრ. პარტიის ორგანო გახდა. ვ. ამ პარტიის ცკ-ის წევრი იყო. მან აქტ. როლი შეასრულა ქართ. ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში. 1917 ნოემბერში შევიდა საქართვ. ეროვნ. საბჭოს შემადგენლობაში. 1918 გაზაფხულზე ვ-მ იშუამდგომლა იმ დროს თბილისში მყოფ გრაფ შულენბურგთან და მისი ნებართვით ჩამოაყალიბა გერმ. ტყვეთაგან შედგენილი შეიარაღებული 1200-კაციანი რაზმი, რ-მაც დიდი როლი შეასრულა თურქების შემოტევის შეჩერებაში.



გ. ე. ვაჩნაძე.



დ. ვ. ვაჩნაძე.

1918 წ. 26 მაისს, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, ვ. საქართვ. პირველი პარლამენტის წევრი გახდა. 1918, სომხეთთან ომის დროს, სამხ. მინისტრმა გ. გიორგაძემ ვ. მიიწვია ქართ. ჯარის სასწრაფო მობილიზაციისა და სხვა საკითხთა მოსაგვარებლად, მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება.

1921 თებერვალში საბჭ. რუსეთის აგრესიისაგან საქართველოს დასაცავად 400-კაციანი მოხალისეთა რაზმი შეადგინა. საქართველოს რესპ. მთავრობის ემიგრაციის შემდეგ ვ. სამშობლოში დარჩა, ქ. ჩოლოყაშვილს დაუკავშირდა და ბრძოლა გააგრძელა. 1922 დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ მონაწილეობდა



ვ. დ. ვაჩნაძე.



ე. ვაჩნაძე.

იმ ჯგუფის საქმიანობაში, რ-საც უნდა შეემუშავებინა ,,საქართველოს პარტიზანთა შტაბის'' შექმნის გეგმა. 1922 დიდი წვლილი შეიტანა ხევსურეთის აჯანყების მომზადებაში. 1923 გაზაფხულზე, ,,სამხედრო საიდუმლო შტაბის'' ჩავარდნის შემდეგ, იატაკქვეშეთში გადავიდა.

1923 ეროვნ.-დემოკრ. პარტიის ცკ-ის დავალებით თურქეთში გაემგზავრა მთავრობისათვის დახმარების სათხოვნელად, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. 1924 აგვ. აჯანყების გამო იქვე ჩარჩა, 1926 ოქტ. პარიზში ჩავიდა. 1926–37 იყო ,,ეროვნ.-დემოკრ. პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს'' წევრი. 1937 დატოვა პარტია. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს, გერმანიის მიერ სსრკ-ზე თავდასხმის შემდეგ, საქართველო-კავკასიის საკითხის გასარკვევად ბერლინში ჩავიდა და შეხვდა გრაფ შულენბურგს. მოლაპარაკების საგანი იყო ქართვ. ტყვეების და საქართველოს მომავლის საკითხი, მაგრამ 3-ის მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. 1943 ავსტრიაში დასახლდა, ომის შემდეგ კი – მიუნხენში. 3. აქტიურად თანამშრომლობდა ქართ. ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებთან [გაზ. ,,საქართველო'' (ბერლინი), გაზ. ,,საქართველოს დამოუკიდებლობა'' (პარიზი), ,,კავკასიონი'' (პარიზი), ,,ქართული აზრი'' (ნიუიორკი)].

თხზ.: ქართული სილუეტები, მიუნხენი, 1954; Грузия между Севером и Югом с древнейших времен до наших дней, Париж, 1936; Грузинские силуэты, Мюнхен, 1955.

ლიტ.: უ რ უ შ ა ძ ე ლ., ევროპა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, თბ., 2005; შ ა რ ა ძ ე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, ნაწ. 3, თბ., 1982. *გ. ნარსია.*

ვაჩნაძე დავით თამაზის ძე (6. XI. 1844, გურჯაანი, – XX ს. I მეოთხედი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1908). 1866-იდან სამხ. სამსახურში იყო კავკასიის სამხ. ოლქის ჯარებში. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომში. 1898–1901 იყო ტვერის დრაგუნთა 43-ე პოლკის მეთაურის მოადგილე (პოლკოვნიკის ჩინით 1900-იდან). 1901 თადარიგში გავიდა. 1902-იდან მუშაობდა მომრიგებლად თბილ. გუბერნიის დუშეთის მაზრაში.

დაჯილდოებულია წმ. ვლადიმირის, წმ. ანას, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით და რუმინეთის ორდენით ,,კრკინის გვირგვინი''. *ნ. ჯავახიშვილი.*

ვაჩნაძე ეკატერინე გიორგის ასული (10. X. 1920, სოფ. ნანიანი, ახლანდ. გურჯაანის მუნიციპალიტეტი, – 20.II.2012, თბილისი), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1990). 1943 დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრალური ინ-ტის სამსახიობო ფაკტი (პედაგოგი გ. ტოვსტონოგოვი) და ამავე წელს ჩაირიცხა თბილ. რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის დასში. განასახიერა 50-მდე სხვადასხვა სახის როლი: კაროჟნა (,,შემოდგომის აზნაურები'', დ. კლდიაშვილის მიხედვით), სონა (გ. წერეთლის ,,პირველი ნაბიჯი''), ლირსა (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი''), ვარა (ო. მამფორიას ,,მეტეხის ჩრდილში''), მაკინე (მ. ელიოზიშვილის ,,ბებერი მეზურნეები''), ვარვარა კარპოვნა და კოკონა (კ. ბუაჩიძის ,,ეზოში ავი ძაღლია'' და ,,ამბავი სიყვარუ-



ე. ვ ა ჩ ნ ა ძ ე. კაროჟნა, ,,შემოდგომის აზნაურები''.

ლისა''), სონა (გ. ნახუცრიშვილის ,,ფიროსმანი''), თამარი (გ. ქელბაქიანის ,,ახალგაზრდა მასწავლებელი''), ფეფელა (გ. სუნდუკიანის ,,პეპო''), მაიკო (ა. სუმბათაშვილი-იუჟინის ,,ღალატი''), გალჩიხა (ა. ოსტროვსკის ,,უდანაშაულო დამნაშავენი''), ტასო (ვ. როზოვის ,,ხალისიანი მეგობრები''), ლიზა (ე. როსტანის ,,სირანო დე ბერჟერაკი''), მარიამი (ი. ფუჩიკის ,,ადამიანებო, იყავით ფხიზლად'') და სხვ. შესანიშნავად ასრულებდა სახასიათო როლებს. გამოირჩეოდა სცენური მომხიბვლელობით, აქტიორული ინდივიდუალობით, პროფ. ოსტატობით. გამოდიოდა ესტრადაზეც. *მ. გოგოლაშვილი.*

ვაჩნაძე ვალენტინა იურის ასული (დ. 6. X. 1931, ბაქო), ფარმაკოქიმიკოსი. ფარმაციის მეცნ. დოქტორი (1977), პროფესორი (1992). 1955 დაამთავრა ლენინგრადის ფარმაკოქიმიის ინ-ტი. 1956–58 იყო თბილ. ფარმაკოქიმიის ქარხნის ინჟინერი, 1958–78 – ფარმაკოქიმიის ინ-ტის უმცრ., შემდეგ – უფრ. მეცნ. თანამშრომელი, 1972–80 – სწავლული მდივანი, 1980-იდან – ალკალოიდების განყ-ბის ხელმძღვანელი.

3-ის კვლევის ძირითადი მიმართულებაა საქართვ. მოზარდი და ინტროდუცირებული მცენარეების ქიმ. შესწავლა ფიზიოლოგიურად აქტ. ალკალოიდების შემცველობაზე და მათ საფუძველზე სამკურნ. პრეპარატების შემუშავება თანამედროვე ფიტოტექნოლოგიების გამოყენებით.

3. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი, მ. შ. 1 მონოგრაფიისა (,,Vinka-ს ალკალოიდების ბიოგენეზის და მცენარეში მათი წარმოქმნის ზოგიერთი საკითხები'', თბ., 1977). მიღებული აქვს 8 საავტორო მოწმობა და ორი პატენტი.

ვაჩნაძე ვახტანგ დიმიტრის ძე (დ. 20. VI. 1929, ქ. ბობრუისკი, ბელორუსია), ინჟინერ-მექანიკოსი, კ. ციოლკოვსკის სახ. კოსმონავტიკის აკად. ნამდვ. წევრი (1998). საშ. განათლება მიიღო თბილისში. 1953 დაამთავრა ს. ორჯონიკიძის სახ. მოსკ. საავიაციო ინ-ტი და მუშაობა დაიწყო ქ. კალინინგრადის (მოსკ. ოლქი, ამჟამად ქ. კოროლიოვი) სამეცნ.-კვლ. ინ-ტის საკონსტრუქტორო ბიუროში. 1964–66 3. იყო ამავე საკონსტრუქტორო ბიუროს რეაქტიული ძრავების წარმოების საამქროს უფროსი, 1966–74 – ექსპერ. მანქანათმშენებლობის ქარხნის მთ. ინჟინერი; 1974 დანიშნეს სსრკ საერთო მანქანათმშენებლობის სამინისტროს მესამე მთ. სამმართველოს უფროსად და კოლეგიის წევრად, 1977–91 იყო სამეცნ. საწარმოო გაერთიანება ,,ენერგიის'' გენ. დირექტორი. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში აიგო კოსმ. ხომალდები ,,სოიუზი'' და ,,პროგრესი'', ორბიტული სადგური ,,სალუტი'' და ორბიტული კომპლექსი ,,მირი''. 3-ს დიდი წვლილი მიუძღვის კოსმოსთან დაკავშირებულ როგორც სამხ., ასევე სამეცნ. კვლევების განვითარებაში. მომდევნო პერიოდში 3. ქ. კოროლიოვში არსებული კოსმონავტიკის კომერციულ-ტექ. ცენტრის ,,კოსმოსის'' გენ. დირექტორია და პარალელურად ეწევა პედ. მოღ-

ვაწეობას მოსკ. საავიაციო ინ-ტში. ამჟამად ამავე ცენტრის საპატიო კონსულტანტია. არის ლენინური (1960) და სსრკ სახელმწ. (1989) პრემიების ლაურეატი. რაკეტულ-კოსმ. პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობისა და ხელმძღვანელობისათვის მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები და ორდენები. არის ქ. კოროლიოვის საპატიო მოქალაქე (2005).

ლ. დოლიძე.

ვაჩნაძე ივანე ასლანის ძე [10. IV. 1899, სოფ. კარდანახი, – 23. IV. 1976, სომიური (საფრანგეთი)], საფრანგეთის არმიის ოფიცერი. სწავლობდა ვორონეჟის კადეტთა კორპუსში. 1918 ჩამოვიდა საქართველოში. სწავლა განაგრძო იუნკერთა სასწავლებლის საცხენოსნო განყ-ბაზე. რუსეთ-საქართველოს 1921 ომში იბრძოდა კოჯორსა და ტაბახმელაში იუნკერთა სკოლის შემადგენლობაში. ემიგრაციაში წასვლის შემდეგ სწავლობდა საფრანგეთში, სენმექსანის სამხ. სასწავლებელში. იყო ესკადრონის უფროსი. 1931 მსახურობდა სომიურის კავალერისტთა სკოლაში. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს ვ. იბრძოდა გერმანელთა წინააღმდეგ საფრანგეთში. ჩავარდა ტყვედ, მაგრამ გაიქცა და 1940 ჩრდ. აფრიკაში შეუერთდა ფრანგულ არმიას. 1944 იბრძოდა საფრანგეთსა და გერმანიაში. 1946-იდან ალჟირში მეთაურობდა საფრანგეთის უცხ. ლეგიონის ქვედანაყოფს. მიღებული აქვს საფრ. რესპ. ჯილდოები, მ. შ. საპატიო ლეგიონის ორდენის ორი ხარისხი და საბრძოლო ჯვარი. 1951, სამხ. სამსახურის დატოვების შემდეგ, ასწავლიდა სომიურის კავალერისტთა სკოლაში. ვ-ს საფრანგეთის ქვეშევრდომობა არ მიუღია, ბოლომდე საქართველოს მოქალაქედ დარჩა. აღესრულა სომიურში. სკოლის დარბაზს, საიდანაც გამოასვენეს, მისი სახელი ეწოდა. ანდერძის თანახმად, დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

მ. წურწუმია.

ვაჩნაძე იური ანატოლის ძე (დ. 8. III. 1933, თბილისი), პუბლიცისტი. დაამთავრა თბილ. ცენტრ. სამუსიკო სკოლა ვიოლინოს განხრით და თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1956). 1960–90 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას სპი-ში. 1994-იდან ამერიკული რადიოსადგურის ,,სვობოდას'' კოლუმნისტი და საკუთარი კორესპონდენტია თბილისში. ეთერში გავიდა ვ-ის 200-ზე მეტი მხატვრული გადაცემა. 2004–08 რადიო ,,თავისუფლების'' ეთერში მიჰყავდა ყოველკვირეული საავტორო გადაცემა ,,მუსიკა, მუსიკა'', რ-მაც ავტორის პროფესიონალიზმისა და დახვეწილი გემოვნების, აგრეთვე გადმოცემის მაღალი კულტ. გამო დიდი პოპულარობა მოიპოვა. გამოცემულია ვ-ის მხატვრული რადიო-გადაცემების კომპაქტ-დისკების ალბომი (2010), ორენოვანი წიგნი ,,ქართულ-რუსული კონტრაპუნქტი'' (2011), აგრეთვე პოეტური კრებულები ,,ბედ-იღბლის საზომით'' (2012), ,,ჩემი ფაეტონი'' (2013) და ,,საუბრები მუსიკაზე'' (2013).

ვაჩნაძე მერაბ დიმიტრის ძე (დ. 27. VI. 1948, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2001). 1973 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1974-იდან დაიწყო პედ. მოღვაწეობა თსუ-ში. კითხულობდა საქართველოსა და რუსეთის ისტ. კურსებს. 1997–2005 იყო თსუ-ის ისტ. ფაკ-ტის დეკანი, 1995–2004 – თსუ-ის მოსამზადებელი ცენტრის დირექტორი, 1999–2005 – თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტის სამეცნ. საბჭოს თავ-რე, 2002–06 – რუს. ისტ. კათედრის გამგე, 2008–11 წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართ. უნ-ტის პროფესორი.

ვ. იკვლევს საქართვ. და რუს. ახ. და უახლეს ისტორიას (XIX–XX სს.), ქართ. პოლიტ. აზრისა და საქართვ. პოლიტ. პარტიების ისტორიას, საქართველო-რუსეთის ურთიერთობისა და საქართვ. საგარეო-პოლიტ. ორიენტაციის ისტორიას. მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო საქართვ. უახლესი ისტ. (XX ს. 90-იანი წწ.) შესწავლა.

ვ. არის საშ. სკოლის VII–XI კლასების საქართვ. ისტ. სახელმძღვანელოს, საქართვ. და რუს. ისტ. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების თანაავტორი, მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

თხზ.: საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 1998; ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის საკითხები (1892–1921), თბ., 1998; ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892–1918), თბ., 1999; საქართველოს ისტორია (XX საუკუნე), თბ., 2003 (თანაავტ.); რუსეთის ისტორია (IX–X სს.), თბ., 2003.

ვაჩნაძე ნათელა ზაქარიას ასული (1. V. 1940, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1993). 1962 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1963–2006 პედ. და სამეცნ. მუშაობას ეწეოდა თსუ-ის შუა საუკუნეებისა და საქართვ. ისტ. კათედრებზე. ვ. არის საქართვ. ბიზანტიოლოგთა ეროვნ. კომიტეტის დამფუძნებელი (კოპენჰაგენი, 1996) და უცვლელი ვიცე-პრეზიდენტი, საქართვ. ისტორიკოსთა ეროვნ. კომიტეტის წევრი (1997), საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის საქართვ. ისტორიის და საქართვ. ისტ. წყაროების კომისიების წევრი, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართ. უნ-ტის მოწვეული პროფესორი.

ვ-ის კვლევის საგანია: შუა საუკუნეების ქართ. საზ-ბის მენტალიტეტი, ქართ. და ბერძნ. ჰაგიოგრაფიული თხზულებები, ქრისტ. სიმბოლიკა, ქართ.-ბიზანტ. ურთიერთობები, წარმართული სააზროვნო სისტემის რელიქტები, საქართვ. და რუს. მუზეუმებისა და წიგნსაცავების ისტორია (XX ს. II ნახ.), ძვ. ქართ. ჰაგიოგრაფიული თხზულებების რუს. ენაზე თარგმნა და კომენტირება, ,,ქართლის ცხოვრების'' სახისმეტყველება, ბერძნ. ეპისტოლოგრაფია. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მ. შ. 5 მონოგრაფიის ავტორი, თსუ-ის ისტ. ფაკ-ტის ,,შრომების'' სერიის შემდგენელი, საქართვ. ისტ. პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს (ტომი I) თანაავტორი. მისი სამეცნ. ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართ., გერმ., ინგლ. და ფრანგ. ენებზე.

თხზ.: სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975; საზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი (V–X სს.), თბ., 1998; Житие и мученичество святого мученика Константи Грузина, который был замучен царём вавилонян Джафаром. Перевод с древнегрузинского, исследование и комментарий Н. З. Вачнадзе и К. К. Куция, Тб., 1978; Д. И. Арсенишвили. Эскизы к творческому портрету, Тб., 1990.

ლიტ.: სამეცნიერო პარადიგმები. კრებული ეძღვნება პროფესორ ნათელა ვაჩნაძეს, თბ., 2009.

ვაჩნაძე ნატალია (ნატო) გიორგის ასული (3. IV. 1904, ვარშავა,




ი. ვაჩნაძე (1899–1976).



ნ. გ. ვაჩნაძე.



ნ. გ. ვაჩნაძე. თამარი, კადრი ფილმიდან ,,უკანასკნელი მასკარადი''. 1934.



ნ. გ. ვაჩნაძე. კადრი ფილმიდან ,,მამის მკვლელი''. ნუნუ – ნ. ვაჩნაძე, ონისე – ვ. სარაჯიშვილი. 1924.

– 14. VI. 1953, თბილისი), კინომსახიობი, პირველი ქართვ. კინოვარსკვლავი. საქართვ. სახ. არტისტი (1940), მამის, ინგუშეთის მაზრის უფროსის, გ. ანდრონიკაშვილის დაღუპვის შემდეგ, დედა (წარმოშობით პოლონელი) ოთხი მცირეწლოვანი ბავშვით დასახლდა გურჯაანში. შემდგომში ვ. სწავლობდა თბილ. ქალთა I გიმნაზიაში, მუშაობდა მუსიკის მასწავლებლად. მალე ცოლად გაჰყვა მ. ვაჩნაძეს.



ნ. გ. ვაჩნაძე. ციცია, კადრი ფილმიდან ,,უკანასკნელი ჯვაროსნები''.

ვ. გამოირჩეოდა იშვიათი სილამაზით, რითაც კინორეჟისორთა ყურადღება მიიპყრო და თითქმის ერთდროულად ორი როლი შესთავაზეს: ნენო (,,არსენა ყაჩაღი'') და ნუნუ (,,მამის მკვლელი'', ორივე 1923; რეჟ. ა. ბეკ-ნაზაროვი). ვ-მ კინოში შექმნა სახეები, რ-ებიც გამოირჩეოდა გრძნობათა სიწრფელით, არტისტული ინდივიდუალობით, ლირიზმით. განსაკუთრებული წარმატებით შეასრულა რომანტ. ხასიათის როლები: ესმა და დესპინე (,,სამი სიცოცხლე'' და ,,ჩვენი ქვეყნის რაინდი''; ორივე ფილმის რეჟ. ი. პერესტიანი, 1925), ფატი (,,ვინ არის დამნაშავე''; რეჟ. ა. წუწუნავა, 1925), გოული (,,გოული'', 1927; რეჟ. ნ. შენგელაია, რ-საც შემდეგ ცოლად გაჰყვა), ევრ. ქალი და ჯემა (,,ამოკი'', 1927; ,,კრაზანა'', 1928; ორივე ფილმის რეჟ. კ. მარჯანიშვილი). 1932-იდან მუშაობდა ცნობილი კინოდოკუმენტალისტის ე. შუბის ასისტენტად, 1934 კვლავ მიიწვიეს ,,სახკინმრეწვში'', სადაც განასახიერა ციციას როლი ს. დოლიძის ფილმში ,,უკანასკნელი ჯვაროსნები''. ხმოვან კინოში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია თამარი და ნენო (,,უკანასკნელი მასკარადი'', 1934; ,,არსენა'', 1937; ორივე ფილმის რეჟ. მ. ჭიაურელი), ნანი (,,ნარინჯის ველი'', 1937; სტალინური პრემია, 1941; რეჟ. ნ. შენგელაია), მართა (,,ქაჯანა'', 1941, რეჟ. კ. პიპინაშვილი), მანო (,,აკაკის აკვანი'', 1947; რეჟ. კ. პიპინაშვილი). ვ-ს იწვევდნენ სხვადასხვა ქვეყნის კინოსტუდიებში [სსრკ-გერმანიის ერთობლივი ნამუშევარი ,,ცოცხალი ლეში'' (მაშა, 1929, რეჟ. ფ. ოცეპი), ,,გარეუბნის კვარტლები'' (დორა, 1930, რეჟ. გ. გრიჩერ-ჩერიკოვერი, კიევის კინოსტუდია), ,,რკინის ბრიგადა'' (გრიჩის მეუღლე, 1930, რეჟ. მ. ვერნერი) და სხვ.]. მისი უკანასკნელი როლია ელისაბედი (,,მწვერვალთა დამპყრობნი'', 1951, რეჟ. დ. რონდელი). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

1953 წ. 14 ივნისს დაიღუპა საჰაერო კატასტროფაში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. კინოსტუდია ქართ. ფილმის ეზოში დგას ვ-ის ბიუსტი. 1981 სოფ. გურჯაანში გაიხსნა ვ-ის სახლ-მუზეუმი. 1996-იდან საქართვ. კინოხელოვნების აკადემიაში დაწესდა ვ-ის სახ. პრიზი – ,,ნატო'' (სხვადასხვა ნომინაციით).

ლიტ.: გოგოძე კ., ნატო ვაჩნაძე, თბ., 1949; სეფიაშვილი ო., ნატო ვაჩნაძე, თბ., 1962; Вельтман С., Ната Вачнадзе, М., 1940; Королевич В., Ната Вачнадзе, М., 1926.

ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი, დაარსდა 1981 სოფ. გურჯაანში (გურჯაანის მუნიციპალიტეტი), ვაჩნაძეთა საგვარეულო სახლში. სახლ-მუზეუმში დაცული და ექსპონირებულია მსახიობისა და მისი ოჯახის წევრების მემორიალური ნივთები: XIX ს. დასასრულისა და XX ს. დასაწყისის ავეჯი, ხალიჩები, ფარდაგები, ჭურჭელი (რუსული და ფრანგ. ფაიფური), ფერწერული, გრაფიკული, სკულპტურული ნამუშევრები, ფოტომასალა, სხვადასხვა დოკუმენტები; ვ-ის შესახებ გამოცემული წიგნები, კინოფილმების ასლები მსახიობის მონაწილეობით. სახლ-მუზეუმში დაცულია



ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი. სოფელი გურჯაანი.

აგრეთვე კახეთის მხარისათვის დამახასიათებელი ყოფის ეთნოგრ. მასალები, წარმოდგენილია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლ. ნივთები – სულ 5300 ექსპონატი. მუზეუმის პარტნიორი ორგანიზაციაა საქართვ. თეატრისა და კინოს სახელმწ. უნ-ტი.



ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმი. ინტერიერი.

ვაჩნაძე ნიკოლოზ (1887, თბილისი, – 1940, ლუკენვალდე, გერმანია), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული არმიის პოლკოვნიკი (1919). დაამთავრა სამხ.-საარტ. სასწავლებელი. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში (1914–18). 1915 მიენიჭა რუს. არმიის მაიორის წოდება. რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრ. რესპ. ანექსიის (1921, თებ.-მარტი) შემდეგ ვ. იყო პოლიტ. ემიგრანტი. 1923 დაამთავრა პოლონეთის სამხ. აკადემია. იყო პოლონეთის ეროვნ. არმიის პოდპოლკოვნიკი (1931), II მსოფლიო ომის (1939–45) დროს – მედლინგის გარნიზონის უფროსი. გერმანიის მიერ პოლონეთის ოკუპაციის (1939) შემდეგ იგი ტყვედ ჩავარდა და მალევე გარდაიცვალა ლუკენვალდის ჰოსპიტალში. დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის ორი ჯვრით, პოლონეთის რამდენიმე საბრძოლო ჯილდოთი, მათ შორის უმაღლესი ორდენით – „ვირტუტი მილიტარი“ (მხედრული მამაცობისათვის).

ლიტ.: ურუშაძე ლ., ევროპა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, თბ., 2005. *ლ. ურუშაძე.*

ვაჩნაძე სიმონ (სიკო) გიორგის ძე (9. X. 1908, თბილისი, – 23. V. 1974, იქვე), რეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1966). სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1923-იდან. 1928 დაამთავრა ლენინგრადის მასობრივ სანახაობათა და ზეიმთა სტუდია. იმავე წლიდან მსახიობად მუშაობდა თბილ. კინოსტუდიასა (1928–29) და სატირის თეატრში (1929–30). რეჟისორულ მოღვაწეობას ეწეოდა 1930-იდან. სხვადასხვა დროს დამდგმელ რეჟისორად მუშაობდა ბათუმის, ფოთის, თბილ. (კ. მარჯანიშვილის სახ.) თეატრებში; სამხატვრო ხელმძღვანელად, მთ. რეჟისორად და დირექტორად – ბაქოს ქართულ, გორის გ. ერისთავის სახ., ხაშურისა და ცხინვალის თეატრებში. 1967-იდან იყო ქუთ. თოჯინების სახელმწ. თეატრის დამდგმელი რეჟისორი, 1969-იდან – მთ. რეჟისორი. მნიშვნელოვანი დადგმები: დრამ. თეატრებში – კ. კალაძის „ხატიჯე“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, შ. დადიანის „გუშინდელნი“, ა. ცაგარლის „ხანუმა“, ა. ყაზბეგის „არსენა“, გ. ნახუცრიშვილის „შაითან ხიხო“, მ. გორკის „ვასა ჟელეზნოვა“ და სხვ.; ქუთ. თოჯინების თეატრში – ჯ. ნიქაბაძის „ცანგალა“, ქ. ხაფავას „ვაჟიკა“, კ. გოგიაშვილის „ბაქია“, რ. ბეროძის „ღიმილა და ფინფინა“ და სხვ.

ვაჩნაძე სიმონ მიხეილის ძე (15. II. 1888, თბილისი, – 4. IV. 1959, იქვე), ენათმეცნიერი, რუსისტი, ლექსიკოგრაფი. ფილოლ. მეცნ. კანდიდატი (1950). დაამთავრა მოსკოვის უნ-ტის ფილოლოგიურ ფაკ-ტის სლავურ-რუსული განყ-ბა (1918). 1930-მდე ქართ. და რუს. ენებს ასწავლიდა თბილ. I გიმნაზიასა და საშ. სკოლებში. 1930-იდან სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თსუ-ის ფილოლოგიურ ფაკ-ტის რუს. ენისა და ლიტ-რის (შემდეგ რუს. ენის) კათედრაზე. 1938-იდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა რუს. ენის კათედრას თბილ. ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტში. იმავე წლებში იყო ინ-ტის პრორექტორი სასწ.-სამეცნ. დარგში და ფილოლ. ფაკ-ტის დეკანი. იკვლევდა რუს. ენის ისტორიასა და თანამედროვე რუს. ენის, რუს. და ქართ. ენების შეპირისპირებითი შესწავლის საკითხებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონოგრაფია „რუსულ-ქართული შეპირისპირებითი გრამატიკის სინტაქსის საკითხები“ (რუს. ენაზე, 1970). გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე შრომები რუს. ენის სწავლების მეთოდიკის საკითხებზე. ვ. იყო „*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის*“ მთავარი რედაქციის წევრი და V ტომის ერთ-ერთი რედაქტორი, რისთვისაც სხვა რედაქტორებთან ერთად მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია მეცნ. და ტექ. დარგში (1971). მონაწილეობდა თსუ-ის მიერ 1937 გამოცემული „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ შედგენაში. იყო ენათმეცნ. ინ-ტის მიერ შედგენილი „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ (ტ. 1–3, 1956–59) სარედაქციო კოლეგიის წევრი

(ლექსიკონის მე-3 ტომს ერთვის მისი ,,რუსული ენის მოკლე გრამატიკული მიმოხილვა‘‘).

ა. კობახიძე.

ვაჩნაძეები, ფეოდალური საგვარეულო საქართველოში. ვახუშტი ბატონიშვილი თავის თხზულებაში ჩამოთვლილ კახეთის 13 სათავადო გვარს შორის 3-ის საგვარეულოს მეექვსე ადგილზე ასახელებს. მისივე განმარტებით, ვაჩნაძეთა გვარი არის ,,უწარჩინებულესი და შემძლებელი‘‘. ეს გვარი უნდა მომდინარეობდეს ხორნაბუჯის ერისთავ ვაჩეს სახელიდან, რ-იც XI ს-შია დადასტურებული. დავით რექტორის მტკიცებით, გამოჩენილი მოღვაწე და ფილოსოფოსი არსენ იყალთოელი (XII ს.) 3-ის საგვარეულოდან იყო. იოანე ბატონიშვილის თხზულებაში ჩამოთვლილ კახეთის 24 სათავადო გვარს შორის 3-ის საგვარეულო დასახელებულია მეხუთე ადგილას. 3-ის სამფლობელოები მდებარეობდა მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეს, კარდანახსა და თელავს შორის (ამ რეგიონს ,,სავაჩნაძოც‘‘ ეწოდებოდა). 3-ის საგვარეულო სასაფლაო იყო წმ. საბას ეკლესია (კარდანახის ჩრდილოეთით). სავაჩნაძო, ისევე როგორც კახეთის სხვა თავადთა სამფლობელოები, ერთიან სათავადოდ არ ჩამოყალიბებულა. 3-ის ცალკეული სახლები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, განცალკევებით ფლობდნენ თავიანთ სამფლობელოებს. ამის შედეგად, 3-ის რამდენიმე განშტოება წარმოიქმნა. როგორც იოანე ბატონიშვილი მიუთითებს: ,,ვაჩნაძეები ესენი არიან მამულით, სახელებითაც სხუა გვარად წოდებულნი, ე. ი. ასათის შვილებად და აგათოშვილებად და ონანაშვილებად, ხოლო პირველნი არიან ამათ შორის მოსახლენი: 1) ბებურის შვილები; 2) ყაპანას შვილები; 3) გიორგის შვილები; 4) აიდემურის შვილები; 5) თამარის შვილები; 6) ომანის შვილები. ესენი სახლობენ კარდანახს. ხოლო აგათოშვილები – ბაკურციხეს და ონანაშვილები – კოლაკს‘‘. ამ უკანასკნელთა შესახებ შენიშნავს, რომ ,,თუმცა ონანაშვილები იყვნენ პირველ სომეხთა გვარნი, გარნა მეფემან ერეკლე პირველმან შუამდგომელობითა განჯის ბეგლარბეგის ქალბალაის ხანისა თხოვითა უბოძა ვაჩნაძეობა წელსა ქ-ეს აქეთ 1695-სა და მამული ამოწყვეტილი ვაჩნაძისა და გვარიც მისივე და ასრეთვე მეფემან თეიმურაზმანცა და მეორემან ერეკლემანცა მიიღეს რიცხვთა შინა თავად ვაჩნაძედ და აწ არიან მოსახლედ ლუარსაბისშვილად წოდებულნი‘‘.

3-ის საგვარეულოს წარმომადგენლები ქართ. საისტორიო წყაროებში XIV–XV საუკუნეებიდან უწყვეტად იხსენიებიან. პირველი ასეთი ცნობა დაცულია ,,*გარიგება ქელმწიფის კარისას*‘‘ XVI პუნქტში (,,ვეზირობა‘‘).

კახეთში 3-ს ეკავათ სხვადასხვა თანამდებობა: მეღვინეთუხუცესობა, ბოქაულთუხუცესობა, სხვადასხვა სამოურავოების, მ. შ. ქიზიყის, გავაზის განმგებლობა.

3. აქტიურად მონაწილეობდნენ კონსტანტინე-ხანის წინააღმდეგ 1605 მოწყობილ აჯანყებაში. 18 ოქტომბერს, ბელაქნის წყალზე მომხდარ ბრძოლაში თამაზ და ბებურ 3-მა მოკლეს მოღალატე ბატონიშვილი – კონსტანტინე-ხანი. XVII ს. ცნობილი მოვლენების (შაჰ აბას I-ის ლაშქრობანი კახეთში, ბრძოლა თეიმურაზ I-სა და როსტომს შორის, ბახტრიონის აჯანყება და სხვ.) დროს 3-ის რამდენიმე სახლი ამოწყდა. 3. იბრძოდნენ ერეკლე II-ის გვერდით 1751 იანვარში აგრისწყალთან (აგრიჩაი) მომხდარ ბრძოლაში, 1755 – ყვარლის ციხის ალყის გარღვევის ოპერაციაში. მათ თავი ისახელეს 1800 წ. 7 ნოემბერს კაკაბეთთან, ნიახურას ველზე, ომარ-ხანთან მომხდარ ბრძოლაში. რუს. იმპერიის მიერ გაუქმებული ქართ. სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მებრძოლთა შორის 3-ც იყვნენ. აქტიურად მონაწილეობდნენ კახეთის 1812 აჯანყებაში. 1850 რუს. იმპერიაში დამტკიცებულ ქართვ. თავად-აზნაურთა ნუსხაში თავადი 3-ც შედიოდნენ. 3-ის გვარიდან გამოვიდა არაერთი გენერალი და ოფიცერი. 3. აქტიურად მონაწილეობდნენ 1924 აგვისტოს აჯანყებაში. ემიგრაციაში წასვლის შემდეგ ისინი მსახურობდნენ უცხოეთის ქვეყნების (საფრანგეთი, პოლონეთი, გერმანია) არმიებში.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, რომელნიცა აღწერილ არიან ძველად მეფეთაგანცა (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი № 550), თბ., 1997.

ლიტ.: ა ს ა თ ი ა ნ ი ნ., საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI–XVII სს. კახეთის სამეფოში, «თსუ შრომები», 1959, ტ. 77; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ნ., თავად ვაჩნაძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის. – კრ.: «სამეცნიერო პარადიგმები», თბ.–ქუთ., 2009.

ნ. ასათიანი. ნ. ჯავახიშვილი.

ვაჩნაძიანი, სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, გურჯაანი – თელავის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: 3., კახიფარი). ზ. დ. 560 *მ*, გურჯაანიდან 18 *კმ*, რკინიგზის სადგურ ვაჩნაძიანიდან 1,5 *კმ*. 2,1 ათ. მცხ. (2002). 3-ში არის ღვინის ქ-ნა, გ. მაისურაძის სახ. სოფლის ისტორიის მუზეუმი.

3. პირველად იხსენიება 1822 თელავის მაზრის შემადგენლობაში. 1841 თელავის მაზრის საპოლიციო უბანს ეკუთვნის. 1865 3-ში შექმნეს სასოფლო თემი, რშიც შევიდა სოფლები: 3., აკურა, ბუშატი. 1902 კი მას მიემატა სოფლები – ვანთა და კალაური. 1888 საქართველოში საუბნო მმართველობის ხელახალ შემოღებასთან დაკავშირებით, 3. წინანდლის საპოლიციო უბანში მოექცა. 1930 მაზრებად დაყოფა გაუქმდა და 3. გურჯაანის რაიონს გადაეცა.

XX ს. 30-იან წლებში სოფელს დაერქვა შ რ ო მ ა. ძვ. სახელწ. ,,ვაჩნაძიანი‘‘ დაუბრუნდა 1990. სოფელი და მისი მიდამოები მდიდარია სხვადასხვა ეპოქის ხუროთმოძღვრული და მატერ. კულტურის ძეგლებით. შუა სოფელში ე. წ. ,,მღვრიე ხევის‘‘ მარჯვ. მხარეს დგას წმ. გიორგის (ამიდასტურის) სამეკლესიანი ბაზილიკა. ნაგებია თანაბარი ზომის დიდი რიყის ქვებით. კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები – კუთხეები, თაღები და სხვ. შირიმის ქვით და აგურითაა ამოყვანილი. გ. ჩუბინაშვილი მას *ნეკრესის* სამეკლესიანი ბაზილიკის ანალოგიურად მიიჩნევს და VI ს. დასასრ. და VII ს. დასაწყისით ათარიღებს. ეკლესიის ირგვლივ წინაქრისტიანული ხანის მრავალი სამარხია, რ-ებშიც ნაპოვნია ბრინჯაოს ნივთები, თიხის ჭურჭელი, სამკაულები. ეკლესიას გარს ერტყა გალავანი (შემორჩენილია ფრაგმენტები). მისგან სამხრ-ით, დაახლ. 20 *მ*-ზე მიწის პირზე ძვ. საძირკვლის ნაშთია. მოსახლეობა მას ,,სვეტიცხოველს‘‘ უწოდებს. როდესაც გ. ჩუბინაშვილმა მოინახულა (1920–22), იგი უკვე დანგრეული იყო. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ეს ძეგლი სოფ. *ვაზისუბანთან* მდებარე დავითიანის ეკლესიის



ვაჩნაძიანი. ,,ვაჩნაძიანის პალატების'' ნანგრევები.

გეგმას იმეორებს და VII ს-ით ათარიღებს მას. ეკლესიის სახელწოდებიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, სოფელი დროის გარკვეულ მონაკვეთში, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ეკუთვნოდა მცხეთის საკათოლიკოსოს, დაახლ. XIV ს-მდე. ამ დროისათვის აქ უკვე ჩანან ადგილ. ფეოდალები – ვაჩნაძეები და ჯანდიერები. სოფლის შუაში მოსახლე ე. სულაძის ეზოში ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევებია, მას ოღლიანთ ან სულაძიანთ უსანეთს უწოდებენ. სოფლის სამხრ-ით, თელავი–გურჯაანის გზიდან 1,5 *კმ*-ზე, ადგილ ,,გუჯაურებში'' შემორჩენილია, ე. წ. ,,ვაჩნაძიანთ პალატების'' ნანგრევები. რიყის ქვით და აგურით ნაგები შენობა ორსართულიანი იყო. I სართული სამეურნეო დანიშნულებისაა, II – საცხოვრებელი. მის აღმ-ით სამნავიანი ბაზილიკაა, რ-ის მახლობლად ღვთისმშობლის ერთნავიანი ეკლესია დგას (რესტავრირებულია XIX ს-ში თავად ლ. *ჯანდიერის* მიერ). გ. ჩუბინაშვილი მას VIII–IX სს-ით ათარიღებს. კომპლექსის ირგვლივ გალავნის ნაშთია. მოსახლეობაში შემონახულია გადმოცემა იმის შესახებ, თითქოს აქ სას. სასწავლებელი იყო. სწავლადამთავრებულებს შემდეგ ათონში აგზავნიდნენ, აქ უსწავლია ჩახრუხაძესაც. ,,გუჯაურებში'' გვიანდ. შუა საუკუნეების კიდევ მრავალი ძეგლია შემორჩენილი, მ. შ. რიყის ქვით ნაგები ერთნავიანი ეკლესიები: ზურიას ეკლესია, ღვთისმშობლის ეკლესია (ეს იყო სოფლის უკანასკნელი მოქმედი ეკლესია). სოფლის დას-ით კიდევ ერთი ეკლესიის ნანგრევებია. აქვეა ადგილ. აზნაურის საცხოვრ. კომპლექსის ნაშთი, რ-ის ძირითადი ნაგებობებია ოთხსართულიანი კოშკი და მის გვერდით მდგომი წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია. მოპირდაპირე მხარეს ადგილ ,,სავჯოგეში'' ე. წ. სავჯოგის კოშკის ნანგრევებია, მის აღმ-ით, დაახლ. 50 *მ*-ზე, ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევებია. კოშკები გამოჯღნული არის ,,ბრმა ხევით''. სოფლის ჩრდ-ით 2 *კმ*-ზე ადგილ ,,ულენჯიანში'' დიდი ლოდებით ნაშენი სამნავიანი ბაზილიკის ულენჯიანის უსანეთის ნაშთია (მის ირგვლივ მუხნარი იყო, რ-იც გაჩეხეს და ვაზი გააშენეს). სოფლის სამხრ-ით, დაახლ. 8 *კმ*-ზე, *ვაჩნაძიანის ყველაწმინდის* სამონასტრო კომპლექსია. სოფლის მუზეუმში ინახება გვიანდ. ბრინჯაოს – ადრინდ. რკინის ხანის ბრინჯაოს ცული.

თ. ტატიშვილი. ზ. ცინცაძე.

,,ვაჩნაძიანი'' (შპს), ერთ-ერთი უძველესი ღვინის ქარხანა სოფ. ვაჩნაძიანში (გურჯაანის მუნიციპალიტეტი). დაარსდა 1953. მისი საერთო ფართობია 7,03 ჰა. ქ-ნის სიმძლავრე გათვლილია 9 ათას *ტ* ყურძნის გადამუშავებაზე წელიწადში. საწარმო დაკომპლექტებულია იტალ. წარმოების მანქანა-დანადგარებით.

ტერიტორიას, რ-იც ,,ვაჩნაძიანის'' ქ-ნას უკავია, XIX ს-ში ფლობდა თავადი ლევან ჯანდიერი. გასაბჭოების შემდეგ ჯანდიერები გაასახლეს, აქ გაშენებული ვენახი კი ჩამოართვეს. მოგვიანებით, კოლექტივიზაციის ჩამოყალიბების პერიოდში, ადგილ. მოსახლეობის ძალისხმევით ამ ადგილზე გაკეთდა ყურძნის დასაწური ადგილი, რ-საც ,,წითელი მარანი'' უწოდეს; ჩაიყარა 200 ქვევრი, რ-თა გარშემო დაიწყო ქვიტკირის კედლების აგება. მშენებლობა შეწყდა II მსოფლიო ომის დაწყებისას და განახლდა 1944-იდან. დაემატა 200 ქვევრი ახლად მიმატებული შენობის მეორე ნახევარში. ნაგებობა გადაიხურა და დასრულებული მარნის სახე მიიღო, რ-საც გლეხები ,,პუნქტს'' ეძახდნენ. ვენახების გაფართოებამ გამოიწვია ქვევრების ნაკლებობა, რის გამოც ქ-ნაში შეიქმნა სპეც. საბონდერო საამქრო, სადაც მზადდებოდა მუხის ბუტები, როფები და კასრები ღვინის დასაძველებლად. მომდევნო წლებში ყურძნის ჩამბარებელთა რაოდენობა იმდენად გაიზარდა, რომ საჭირო გახდა ქ-ნის გადაიარაღება სხვადასხვა ტევადობის რკინის, მომინანქრებული და უჟანგავი ფოლადის ცისტერნებით. 1953-იდან მას ,,*სამტრესტის*'' შრომის ღვინის ქ-ნა ეწოდა, 1976-იდან შედიოდა გურჯაანის ღვინის ქარხანათა საწარმოო გაერთიანებაში. 1990 კი სახელი შეეცვალა და ვაჩნაძიანის ღვინის ქ-ნა ეწოდა (სოფ. შრომის სახელწოდების ვაჩნაძიანით შეცვლასთან დაკავშირებით). 1994, ქ-ნის პრივატიზაციის შემდეგ, შეიქმნა სააქციო საზ-ბა ,,ვაჩნაძიანი'', ხოლო ერთი წლის შემდეგ გახდა შპს ,,3.'' 2007-იდან იგი გადაეცა კომპანია შპს ,,*მეღვინეობა ხარებას*'', რის შემდეგაც დაიწყო მისი რეკონსტრუქცია და გადაიარაღდა ევრ. წარმოების მანქანა-დანადგარებით. საწარმოში ხდება ყურძნის მიღება-გადამუშავება და ღვინომასალების დამზადება, რ-იც დავარგება-დაძველებისათვის იგზავნება ყვარლის გვირაბში.

ლიტ.: კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე ბ., ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მატიანე, თბ., 2008.

ვაჩნაძიანის ნამოსახლარი, აშელური ხანის არქეოლოგიური ძეგლი სოფელ ვაჩნაძიანის (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) ჩრდ-ით 5–6 *კმ*-ზე. მდ. ალაზნის მარჯვ. შენაკადის – აკურისხევის მარჯვ. ნაპირზე. 1966 ნაპოვნია კაჟის ერთფუძიანი განივი ნუკლეუსი და 3 რელიეფურბურცულიანი მოგრძო ანატკეცი, რ-ებსაც გლუვი დარტყმის მოედანი აქვს.

ნივთები ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის საცავში.

ლიტ.: ბ უ გ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი თ., ქვედა პალეოლითის ხანის ახალი მასალები კახეთიდან, «მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის», 1974, ტ. 6. *თ. ბუგიანიშვილი.*

ვაჩნაძიანის ყველაწმინდა, მონასტერი გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფლებს ვაჩნაძიანსა და კალაურს ზემოთ, მთებში. ეს მონასტერი სამეცნ. ლიტერატურაში ცნობილია როგორც ,,ვაჩნაძიანის ყველაწმინდა‘‘.

სახელგანთქმული და ძლიერი მონასტრის ყველაზე ძვ. ნაგებობა (VI–VII სს.) დიდი სამეკლესიანი ბაზილიკა იყო. ძეგლის დას. ნაწილი (შემორჩენილია აღმ. მონაკვეთი) ჩამოზვავებულ მიწას ჩაუტანია. ნაგებია რიყის ქვითა და დიდი ზომის აგურით, კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ადგილები შირიმის ქვითაა ამოყვანილი. ძეგლის თავისებურება იყო სამხრ-იდან და ჩრდ-იდან მიდგმული თითო პატარა ეკლესია (ფაქტობრივად 5 ნავი), ხოლო ნალისებრი აფსიდით დასრულებული შუა ნავის ორივე მხარეს განლაგებულ პატარა, გეგმით სწორკუთხა სათავსებში აღმ-ის ფასადიდან თითო შესასვლელი იყო მოწყობილი. ამავე სათავსების დას. კედლებში დატანებული კარის მეშვეობით მთავარი ეკლესია გვერდის ეკლესიებს უკავშირდებოდა. მონასტრის მთავარი ნაგებობაა ყველაწმინდის გუმბათოვანი ტაძარი, რ-იც VIII ს. დასასრ. და IX ს. დასაწყისშია აგებული. ნაშენია რიყის ქვითა (კედლები, ზოგი კამარა, კონქები) და აგურით (ზოგი თაღი და კამარა, გუმბათის ყელი, ტრომპები და სხვ.). ძირითადი ნაწილი წაგრძელებული ნავია, რ-ის ცენტრში გრძივი კედლების შვერილებზე დაყრდნობილი გუმბათია აღმართული. შუა ნავის გარშემო მოთავსებულია სამკვეთლო, სადიაკვნე და გარსშემოსავლელი. ტაძრის ინტერიერი მნახველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. წინა დროის ძეგლებთან (*ჯვარი, წრომი, ატენი*) შედარებით პროპორციები მთლიანად შეცვლილია; ჩანს სწრაფვა ზემოთკენ – სივრცე დავიწროებული და ამაღლებულია, სიგრძივი ღერძიც უფრო მკაფიოდაა ხაზგასმული; საერთო აღნაგობა, ნაწილთა ურთიერთშეთანხმება ჰარმონიულია. ტაძარი საერთო კომპოზიციით წარმოადგენს სამეკლესიანი ბაზილიკის თავისებურ გადამუშავებას. გუმბათისა და გუმბათქვეშა კვადრატის დასაკავშირებლად ჩნდება ახ. კონსტრ. ელემენტი – აფრები (პანდატივები), თუმცა არც ტრომპია უგულებელყოფილი, ის გამოუყენებიათ დამატებით სადგომებსა და ნავის კონქებით გადახურულ გვერდის ნიშებში.



ვაჩნაძიანი. ,,ყველაწმინდის‘‘ მონასტერი.

ვაციწვერა (Stipa).

ვ. ყ-ის ტაძარი მხატვრული ღირსებებით ქართ. ხუროთმოძღვრების გარდამავალი ხანის ყველაზე მაღალმხატვრულ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება. სამონასტრო ნაგებობათაგან შემორჩენილია აგრეთვე სატრაპეზოსა და სხვა შენობათა ნანგრევები. გუმბათოვანი ეკლესიის სამხრ-ით რამდენიმე ოთახია. მათგან ერთი, გეგმით კვადრ., ყრუკედლებიანი სათავსი ზემოდან ნათდებოდა. სავარაუდოა, რომ აქ მონასტრის ბიბლიოთეკა იყო (აქვეა წყარო). მონასტრის მაღალ გალავანს დასით ჭიშკარი ჰქონდა. 2011–12 მიმდინარეობდა ძეგლის აღდგენითი სამუშაოები.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; Белокуров С. А., Сношения России с Кавказом, т.1 (1578–1613), М., 1889.

ვ. ბაქარაძე.

ვაჩნაძის ელჩობა რუსეთში 1588–89, კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში. ელჩობას მეთაურობდა დიპლომატი და სახელმწ. მოღვაწე თავადი ყაფლან ვაჩნაძე. ვ. ე-ში მოხსენიებული არიან კირილე ბერი და ჩერქეზი ხურშიტა. ვ. ე. იყო პასუხი *ბირკინის ელჩობისა* (1587–88) კახეთში, როდესაც კახეთის მეფე *ალექსანდრე II-მ* მიიღო რუსეთის სახელმწ. ერთგულების ფიცი. მფარველის მოვალეობა მეორე ოფიც. დოკუმენტით (წყალობის სიგელი) უნდა გაფორმებულიყო. ამიტომ ბირკინის ელჩობას უკან გაჰყვა ვ. ე., რ-იც კახეთიდან 1588 გაემგზავრა. რუს. ხელმწიფემ, თედორე ივანეს ძემ, შეიწყნარა კახეთის მეფის თხოვნა და განაცხადა, რომ მათთან ერთად წყალობის სიგელით კახეთში გაგზავნიდა თავის ელჩებს (იხ. *ზვენიგოროდსკის ელჩობა* კახეთში 1589–90).

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; Белокуров С. А., Сношения России с Кавказом, т.1 (1578–1613), М., 1889.

ვ. მაჭარაძე.

ვაციკშარსი, მთა ჯავის მუნიციპალიტეტში, ცენტრალური კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდინარეების თერგისა და სბის (დიდი ლიახვის მარჯვ. შენაკადი) სათავეებთან. სიმაღლე 3573 *მ.* აგებულია ზედაიურული მერგელებით, კირქვებით, კონგლომერატებით, თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. მეოთხეულ პერიოდში ვ-იდან მყინვარები ყველა მიმართულებით ეშვებოდა. მთის დას. კალთა ციცაბოა, დანარჩენი – დამრეცი. შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით.

ვაციწვერა (Stipa), მრავალწლოვან, იშვიათად ერთწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი მარცვლოვანთა ოჯახისა. უმეტესად კორდის შემქმნელი მცენარეებია. საგველა ყვავილედის თავთუნებში თითო მარცვალა ნაყოფია, რ-საც ყვავილის ქვედა კილი მჭიდროდ აქვს შემოზრდილი. კილი ფხიანია, ფხა ქვედა ნაწილში დაგრეხილი, საკმაოდ გრძელი და უმეტესად შებუსულია. 300-მდე სახეობა გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ზომიერ, სუბტროპ. და ტროპ. სარტყლებში. აღმ. საქართველოს ბარისა და მთის ველებში 9 სახეობა იზრდება. მათგან ლ ე ს ი ნ გ ი ს ვ. (S. lessingiana), ფ რ თ ი ს ე ბ რ ი ვ. (S. pennata) და წ ვ რ ი ლ ფ ო თ ო ლ ა ვ. (S. tirsa)

ველის მცენარეულობის ერთ-ერთი ედიფიკატორია; წ უ რ წ უ მ ა ვ. (S. capillata) მეზოფილურ თვისებებს იჩენს, ვრცელდება მთის კალთების ქვიშნარ ნაიდაგზე. იგი სხვა ვ-ებთან შედარებით გვიან ვითარდება და ცხოველისათვის კარგი საკვებია (მხოლოდ ყვავილობამდე). ვ-ს სახეობათა უმეტესობა ქმნის დამოუკიდებელ დაჯგუფებებს – *ვაციწვერიანებს.*

შ. ნახუცრიშვილი.

ვაციწვერი, უღელტეხილი ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ლეჩხუმის ქედზე, მდინარეების ცხენისწყლისა და რიონის სათავეებს შორის. სიმაღლე ზ. დ. 2910 *მ.* ვ-ის მიდამოები აგებულია ლიასური თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით. საცალფეხო გზით აკავშირებს მდინარეების რიონისა და ცხენისწყლის ზემო დინებათა ხეობებს. *ც. ვაშაკიძე.*

ვაციწვერიანი, მცენარეთა დაჯგუფება, რომელსაც ქმნის *ვაციწვერა.* გავრცელებულია საქართველოს აღმ. რაიონების ბარსა და სამხრ. მთიანეთში, ზეგნებზე (ჯავახეთი, თრიალეთი, ზურტაკეტი). აქ ვ-ები ან ტიპურ ველებს ქმნიან, ან მათი კომპონენტებია. ბარში აღსანიშნავია გარეჯის ვ. ველები, რ-ებიც შეთავსებულია ურიოან ველებთან. აქ ვაციწვერასთან ყოველთვის ხარობს ურო, წივანა და სხვ. ვ-ის უფრო ქსეროფილურ ვარიანტებს ქმნის პონტოური ვაციწვერა (Stipa pontica) და ლესინგის ვაციწვერა (Stipa lessingiana); ხშირია წურწუმას (Stipa capillata) დაჯგუფებებიც, რ-ებიც ჩრდ. კავკასიაში ზამთრის საძოვრების ქვიშნარ ნიადაგზე იზრდება. მთის ველებიდან სამხრ. მთიანეთის ზეგნებზე (ზ. დ. 1800 – 2100 *მ*-მდე) გვხვდება ვაციწვერიან-წივანიანი, ხოლო უფრო მაღლა (2500 *მ*-მდე) – წვრილფოთოლა ვაციწვერას (Stipa tirsa) ვ-ები.

შ. ნახუცრიშვილი.

ვაწაძე გიორგი სპირიდონის ძე [15 (27). XII. 1893, თბილისი, – 4. X. 1971, იქვე], ფიზიოლოგი და ჯანდაცვის ორგანიზატორი. მედ. მეცნ. დოქტორი (1932), პროფესორი (1935), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1944). 1916 დაამთავრა მოსკოვის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. 1924–26 იყო საქართვ. ჯანდაცვის სახ. კომისრის მოადგილე. 1926–29 მუშაობდა ბერლინში რონას ლაბორატორიაში და კილში ჰებერის ფიზიოლ. ინ-ტში. 1930–31, 1932–36 იყო თბილ. სამედ. ინ-ტის რექტორი, 1930–45 – ამავე ინ-ტის ფიზიოლ. კათედრის ხელმძღვანელი, 1936–45 – საქართვ. ჯანდაცვის სახ. კომისარიატის სამეცნ.-კვლ. ლაბორატორიის დირექტორი. 1956–71 განაგებდა საქართვ. მეცნ. აკად. ფიზიოლოგიის ინ-ტის რადიობიოლოგიის ლაბორატორიას; 1943 მისი თაოსნობით შეიქმნა ნატურალური კუჭის წვენის დასამზადებელი საამქრო თბილ. ფარმაცევტულ ქ-ნაში. ვ-მ შეისწავლა ჰიპოფიზის უკანა წილის ჰორმონის მნიშვნელობა შარდის გამომუშავებისას; წყალტუბოს, ბორჯომისა და ჯავის მინერ. წყლების გავლენა საჭმლის მონელებისა და ნივთიერებათა ცვლის პროცესებზე. გამოიკვლია რენტგენის სხივების გავლენა ნერვული უჯრედის დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას შედგენილობაზე. იყო საქართვ. მეცნ. აკადემიასთან არსებული რადიობიოლოგიის პრობლემური საბჭოს თავ-რე (1960–71).

თხზ.: О симпатической иннервации скелетной мышцы, «Журнал экспериментальной биологии и медицины», 1926, №8; Действие рентген-лучей на окислительное фосфорилирование мозговой ткани, «Вопросы биохимии нервной системы», 1963, №5.

ნ. გელაშვილი.

ვაწაძე იოსებ სპირიდონის ძე [4(16). IX. 1885, თბილისი, – 16. I. 1948, იქვე], მეცნიერი მანქანათმშენებლობის დარგში. პროფესორი (1936). 1906 დაამთავრა ბრაუნშვაიგის (გერმანია) უმაღლესი ტექ. სასწავლებელი და მიიღო ინჟინერ-მანქანათმშენებლის წოდება. 1909–12 მუშაობდა გერმანიაში მანქანათმშენებელი ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორად. 1912 დაბრუნდა საქართველოში. 1912–18 იყო თბილ. წყალსადენის სახელოსნოების გამგე, ავჭალის სატუმბო სადგურის უფროსი, ხოლო 1918–24 – თბილ. ტრამვაის პარკის მთ. ინჟინერი. ვ-მ შეისწავლა დას. საქართველოს წყლის რესურსები, მისი ინიციატივით დაიწყო რიონჰესის მშენებლობა. საქართველოში მშენებლობების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობდა მისი კონსულტაციითა და უშუალო მონაწილეობით. მ. შ. აღსანიშნავია: რიონჰესი; ზესტაფონის ფეროშენადნობთა, კასპის ცემენტის, გორის საკონსერვო და სხვა ქარხნები; თბილ. მაუდის ფ-კა; თბილ. თბოელექტროცენტრალი; სამი მსხვილი აბრეშუმსახვევი ფ-კა ქუთაისში, ხონსა და ოზურგეთში; ნატახტრის წყალსადენის ქსელი თბილისში; ფოთის წყალსადენი და სხვა. იყო თბილ. უნ-ტის პოლიტექ. ფაკ-ტის ერთ-ერთი დამაარსებელი (1922) და მანქანათმცოდნეობის კათედრის გამგე, კითხულობდა ლექციებს საქართვ. პოლიტექ. ინ-ტში, აქვე ხელმძღვანელობდა გამოყენებითი მექან. და მანქანათა ნაწილების კათედრას. ლექციებს კითხულობდა, აგრეთვე, ამიერკავკ. სატყეო ინ-ტში (1930). 1936-იდან ამავე ინ-ტში იყო მექანიზაციის ფაკ-ტის დეკანი. 1938-იდან მოღვაწეობდა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში.

კ. ნუცუბიძე.



ი. ვაწაძე.

ვაწაძე ნუგზარ მიხეილის ძე (დ. 10. VI. 1937, თბილისი), კომპოზიტორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1983). 1961 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (ა. ბალანჩივაძის საკომპოზიციო კლასი). 1959-იდან ეწევა პედ. მოღვაწეობას (1970-იდან – თბილ. III სამუსიკო სასწავლებელში). 1996–2009 საქართვ. კომპოზიტორთა კავშირის მდივანი იყო.

ვ-ს ეკუთვნის ოპერეტა ,,ბერიკონი'' (1984), 2 საფორტეპიანო კონცერტი (1956, 1961), სიმებიანი კვარტეტი (1960; პრემირებულია ახალგაზრდა კომპოზიტორთა შემოქმედების საკავშ. დათვალიერებაზე მოსკოვში, 1962), საგუნდო ნაწარმოებები, საესტრადო სიმღერები, მუსიკა დრამ. სპექტაკლებისათვის. შექმნილი აქვს მუსიკა მრავალი მხატვრული კინოფილმისათვის: ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი'', 1962 (ა. კერესელიძესთან ერთად), ,,პიერო, მილიციის თანამშრომელი'', 1965; ,,ცისკრის ზარები'', 1967; ,,სინათლე ჩვენს ფანჯრებში'', 1969; ,,მაცივარში ვიღაც იჯდა'', 1983 და სხვ.). მუსიკალურად გააფორმა არაერთი ანიმაციური ფილმი: მ. შ. ,,ნარცისი'' (1964), ,,ო, მოდა, მოდა'' (1968), ,,ხელმარჯვე ოსტატი წყალქვეშ'' (1977), ,,ხელმარჯვე ოსტატი გამოფენაზე'' (1980) და სხვ.



ს. ნ. ვაწაძე.

ვაწაძე სერაპიონ ნესტორის ძე [19 (31). III. 1899, თბილისი, – 18. V. 1967, იქვე], სცენოგრაფი, კინოს მხატვარი, ფერმწერი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1946). 1925 დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (პედაგოგები – გ. გაბაშვილი, ე. ლანსერე). 1920-იდან მხატვრულად გააფორმა სპექტაკლები საქართვ. თეატრებსა

და დრამ. წრეებში. 1926–27 იყო ქუთაისის სახელმწ. დრამ. თეატრის მთ. მხატვარი. 1929-იდან მუშაობდა საქართვ. ,,სახკინმრეწვში'' მხატვრად, ხოლო 1939–65 – მთ. მხატვრად. არის მრავალი საინტერესო ქართ. მხატვრული ფილმის დამდგმელი მხატვარი (,,ზვავთა მხარეში'', 1931; ,,უკანასკნელი ჯვაროსნები'', 1933; ,,ჭირვეული მეზობლები'', 1945; ,,ქართული ბალეტის ოსტატები'', 1955; ,,ჩრდილო გზაზე'', 1956; ,,ფატიმა'', 1958; ,,მამლუქი'', 1958; ,,ოტელო'', 1960; ,,კეთილი ადამიანები'', 1961; ,,რაც გინახავს, ველარ ნახავ!'', 1965 და სხვ.). შექმნა მრავალი ფერწერული ტილო (პორტრეტები, პეიზაჟები, ნატურმორტები). 1975 თბილისში მოეწყო 3-ის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა. *ა. გვენცაძე.*

ვაწაძე სპირიდონ იოსების ძე (24. X. 1857, სოფ. ღვარდია, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 4. III. 1923, თბილისი), ექიმი-ინფექციონისტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1891). სამედ. სამსახურის გენ.-მ. (1898). 1883 დაამთავრა პეტერბურგის სამხ.-სამედ. აკადემია. 1883–91 იყო თბილ. ნიჟნეგოროდსკის პოლკის ჰოსპიტლის ექიმ-ორდინატორი, ხოლო 1891-იდან – მთავარი ექიმი. 1891 დაიცვა დისერტაცია თემაზე: ,,ჯანმრთელი და ავადმყოფი კუჭის ფუნქციაზე და შარდის მჟავობაზე ტუტემარილიანი მინერალური წყლების (ესენდუკი №17 და ბორჯომის წყალი) გავლენის შესახებ''. მისი ერთ-ერთი ოპონენტთაგანი იყო ი. პ. *პავლოვი,* რ-მაც დადებითი შეფასება მისცა დისერტაციას. 3-მ პირველმა შეისწავლა მეცნიერულად ბორჯომის წყლის სამკურნ. თვისებები. მისი თაოსნობით ავლაბარში (,,ქალაქის I საავადმყოფოს ტერიტორიაზე) გაიხსნა 20-საწოლიანი ინფექციური ბარაკი.



კ. ვაჭარაძე.

1904 3-მ თბილისში პირველმა ჩამოაყალიბა ტუბერკულოზთან მებრძოლი მრავალპროფილური 53-კაციანი კომისია. 3-ის უშუალო ინიციატივით ქალაქის საბჭოში დაისვა საკითხი სასწრაფო დახმარების სამსახურის შექმნის თაობაზე (1908), რასაც მოჰყვა 1911 თბილ. სასწრაფო დახმარების სამსახურის გახსნა. *ლ. დოლიძე.*

ვაჭარაძე კახა ვაჟას ძე (დ. 22. VI. 1962, თბილისი), ექიმი-ფთიზიატრი. მედ. მეცნ. დოქტორი (1998), პროფესორი (2004). 1985 დაამთავრა თსსი; 1987–89 მუშაობდა რესპ. ცენტრ. კლინ. საავადმყოფოს გულმკერდის ქირურგ. განყ-ბაში, 1990–2001 – გ. მესტიაშვილის სახ. ტუბ. საავადმყოფოში; 1996–97 იყო ფთიზიატრიისა და პულმონოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორის მოადგილე, 2001-იდან – ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნ. ცენტრის ბრონქიოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი, 2004-იდან – ამავე ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, 2003–05 – თსსუ-ის ფთიზიატრიისა და პულმონოლოგიის კათედრის პროფესორი, 2005–06 – ამავე კათედრის გამგე, 2006-იდან – თსსუ-ის ფთიზიატრიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

3. არის საქართვ. რესპირაციული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი (პრეზიდენტი – 2010–13) და სხვადასხვა საერთაშ. ასოციაციის წევრი. ეროვნ. პრემიის ლაურეატი (2012).

3. მრავალი სამეცნ. შრომის, 2 პრაქტ. რეკომენდაციისა და 2 გამოგონების ავტორია.

ვაჭართუხუცესი, იხ. სტ. *ვაჭრები.*

ვაჭარ-ხელოსანთა და მედუქნეთა ამბოხება 1698, გამოსვლა თბილისში კათოლიკე მისიონერების წინააღმდეგ, რ-ებიც თავიანთი საქმიანობით ხელს უწყობდნენ ევრ. სავაჭრო კაპიტალის გაბატონებას საქართველოში, ეწეოდნენ ვაჭრობას, მევახშეობას და სერიოზულ კონკურენციას უწევდნენ თბილისელ ვაჭრებს. განსაკუთრებით შელახეს სომეხთა სამოციქულო ეკლესიის ინტერესები. გამოსვლა ფორმით რელიგ. ხასიათისა იყო, რ-იც თითქოს გამოწვეული უნდა ყოფილიყო კათოლიკეების მომრავლებით. აჯანყების ინიციატორები იყვნენ ეკლესიის წარმომადგენლები, სომეხთა ვარდაპეტი და რამდენიმე მოქალაქე, მთავარი ძალა კი – ვაჭრები და მედუქნეები, რ-ებმაც მოწოდებისთანავე დაკეტეს დუქნები და კეტებით შეიარაღებულებმა პატრების სახლებსა და ეკლესიებს შეუტიეს. არეულობა თითქმის მთელი დღე გაგრძელდა. მოსახლეობის დაშოშმინება სამეფო ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი რაზმით მოხერხდა. აჯანყებულებმა მანამდე არ დატოვეს პატრების ეკლესია, სანამ მეფის საგანგებო ბრძანება არ გამოიცა, რ-ითაც შეიზღუდა კათოლიკე მისიონერების მოქმედების ასპარეზი. ამრიგად, 1698 გამოსვლა არსებითად ევრ. სავაჭრო კაპიტალის აგენტებისა და მათი ხელშემწყობი ფეოდ. არისტოკრატიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ იყო მიმართული.

ლიტ.: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902.

ვაჭვი, სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), ჭიათურის პლატოზე. თემის ცენტრი (სოფლები: 3., მელუშეეთი, ღვითორი, ჯოლხეეთი). ზ. დ. 840 *მ,* ჭიათურიდან 19 *კმ.* 679 მცხ. (2002).

3-ის მიდამოებშია *ვარსინის (ვაჭვის) მღვიმე* და ხერგულისკლდის (გულგულისკლდის) მღვიმე. სოფელი წერილობით წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს. I ნახ. ერთ სიგელში, როგორც ნასოფლარი. XVII–XVIII სს-ში კაცხის მონასტრის საკუთრებაა.

თ. ბერაძე.

ვაჭრები, საზოგადოების სოციალური ფენა. 3. საქონელს ყიდულობენ არა საკუთარი მოხმარებისათვის, არამედ გასაყიდად – მოგების მიღების მიზნით. პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის პროცესში გაჩნდნენ შუამავლები, რ-ებიც შემდგომ კლასობრივ საზ-ბაში სოც. სტრუქტურის აუცილებელ ელემენტებად, 3-ად ჩამოყალიბდნენ.

საქართველოში 3-ის სოც. ფენა ანტ. პერიოდში შეიქმნა. ფეოდალიზმის ეპოქაში აქ იყვნენ როგორც თავისუფალი 3., ისე პირადთავისუფლებაწართმეული ყმა 3. ერთიანი ფეოდ. მონარქიის ხანაში *დიდვაჭრები* გაძლიერდნენ და ქვეყნის ეკონ. ცხოვრებაში გარკვეული პოლიტ. პრივილეგიებიც მოიპოვეს – ისინი ასრულებდნენ მნიშვნელოვან სახელმწ. დავალებებს საგარეო ურთიერთობის სფეროში (ელჩობა, დაზვერვა, ინფორმაცია). ასე მაგ., თბილისელ დიდვაჭარს ზანქან ზორაბაბელს დაევალა ისეთი მნიშვნელოვანი საქმე, როგორიც იყო თამარ მეფისათვის საქმროს ჩამოყვანა რუსეთიდან. 3-ს, სავარაუდოდ, თავიანთი კორპორაციები ჰქონდათ, რ-ებსაც ალბათ სათავეში ვაჭართუხუცესები (იხსენიება ,,ვეფხისტყაოსანში'') ედგნენ.

XII–XIII სს. შემდეგ დიდვაჭართა სოც. სტატუსი განისაზღვრა მაგ., ბექა-აღბუღას სამართალში, რ-ის მიხედვით ,,საპატიო ვაჭარი'' წვრილ აზნაურს უტოლდებოდა. XVIII ს. სამართლის წიგნის

მიხედვით (ვახტანგ ბატონიშვილის სამართალი) 3. წარმოადგენდნენ უკვე წოდებას და იყოფოდნენ 4 სოც. კატეგორიად: 1. დიდებული დიდვაჭარი მოქალაქე, 2. დიდებული ვაჭრის ქვემო საფეხურზე მდგომი მეორე ვაჭარი, 3. შუა ვაჭრის ქვემოთ მდგომი მესამე ვაჭარი, 4. მეოთხე ვაჭარი. მათგან პირველი უტოლდებოდა შუა აზნაურს, უკანასკნელი კი – გლეხს.

XVIII ს-ში საქართველოს 3. ეკონომიკურად მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მახლობელი აღმ. ქვეყნების მსხვილ სავაჭრო ცენტრებთან (შემახა, ბაქო, განჯა, ისპაანი, ერევანი, არზრუმი, სმირნა, კონსტანტინოპოლი და სხვ.). თბილისელი 3. აღებ-მიცემობას ეწეოდნენ აგრეთვე ინდოეთსა და ბუხარაში. ერეკლე II-ის მიერ ვაჭარ რაფიელ დანიბეგაშვილის მივლინება ინდოეთში სხვა მოვალეობასთან ერთად კომერციული ურთიერთობის გააქტიურებასაც ისახავდა მიზნად. XVIII ს. 50-იანი წლებიდან, ,,დარიალის გზის'' აღდგენის შემდეგ, საქართვ. 3. აქტიურად გადიოდნენ რუს. ქალაქებში (მოზდოკი, ყიზლარი, ასტრახანი), რ-თა მეშვეობით ისინი ნიჟნი-ნოვგოროდსა და მოსკოვს უკავშირდებოდნენ. შესამჩნევად იზრდებოდა საქართვ. 3-ის ფულადი კაპიტალი. 1827 წელს 6 თბილისელი ვაჭრიდან თითოეულს 50000 მანეთზე მეტი ფულადი კაპიტალი ჰქონდა. 1845 მხოლოდ რუს. საქონლით მოვაჭრე 63 თბილისელი ვაჭრიდან 19-ს 50000-იდან 30000-მდე, ხოლო 44-იდან თითოეულს 10000-იდან 40000 მანეთამდე ფულადი კაპიტალი გააჩნდა. ზოგიერთი ვაჭარი კაპიტალს აბანდებდა მრეწველობაშიც, რაც გზას უხსნიდა სამრეწვ. კაპიტალის განვითარებას. 1820–24 ვაჭარმა მიხეილ სარაჯიშვილმა დააარსა ტყავის ქ-ნა; 1839–46 მოქმედებდა მდიდარი 3-ის – იაკობ ზუბალაშვილის (იხ. სტ. *ზუბალაშვილები*), დავით ტერ-გუკასოვის, დავით თამამშევისა და ტარიელ ლორის-მელიქოვის შაქრის ქ-ნა, აგრეთვე დავით თამამშევის ტყავის ქ-ნა, ლორის-მელიქოვისა და მელვინოვის საპნის ქ-ნები, ზუბალაშვილისა და ვატმანის არყის სახდელი ქ-ნა, ხატისოვების სანთლისა და საპნის ქ-ნები და სხვ.

1872 თბილისელმა 3-მა დააარსეს თბილ. კომერც. ბანკი. XIX–XX სს. მიჯნაზე საქართვ. ვაჭრობის ორგანიზაციაში ცვლილებები მოხდა. შეიქმნა რამდენიმე სამრეწვ. სააქციო საზ-ბა, რაც სავაჭრო კაპიტალისთვის დამოუკიდებელი მდგომარეობის დაკარგვასა და სამრეწვ. კაპიტალის აგენტად გადაქცევას გულისხმობდა. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოისპო ბურჟუაზიის კლასი და მისი შემადგენელი ვაჭართა სოც. ფენა.

ლიტ.: გ უ გ უ შ ვ ი ლ ი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX სს. მონოგრაფიები, ტ. 1–6, თბ., 1949–79; ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე ე., ვაჭრობა და ვაჭართა ფენა რეფორმამდელი ხანის საქართველოში, თბ., 1974; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970.

ე. ორჯონიკიძე. ლ. ტუხაშვილი.

ვაჭრობა, ეკონომიკის დარგი, რომელიც ყიდვა-გაყიდვის საშუალებით უზრუნველყოფს საქონლის მიმოქცევას, ანუ მის მიწოდებას მწარმოებლიდან მომხმარებლამდე.

ისტორიულად 3. წარმოიშვა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების აღმოცენებისა და შრომის საზ. დანაწილების შედეგად ჯერ კიდევ პირველყოფილი საზ-ბის პირობებში. 3-ის განვითარებას მნიშვნელოვანი ბიძგი მიეცა ფეოდ. საზოგადოებაში დიდი გეოგრ. აღმოჩენების შედეგად, ხოლო კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად მან თავისი სრულყოფის უმაღლეს ფორმას მიაღწია.

საბაზრო ურთიერთობის პირობებში 3. მოიცავს ყველა სახის საქონლით (მატერ.-ნივთობრივი, მიწა, კაპიტალი, მომსახურება, ფასიანი ქაღალდები, ვალუტა, ინტელექტუალური და ინფორმაციული პროდუქტი და ა. შ.), ანუ ყველა იმ ფასეულობებით 3-ს, რ-იც აკმაყოფილებს ადამიანის ამა თუ იმ მოთხოვნილებას და წარმოდგენილია ბაზარზე გასაყიდად. განასხვავებენ შიდა და საგარეო (საერთაშორისო) 3-ს.

შ ი დ ა 3., თავის მხრივ, ორგანიზაციული ფორმებიდან გამომდინარე, შედგება საბითუმო და საცალო 3-ისაგან.

ს ა ბ ი თ უ მ ო 3. წარმოადგენს ე. წ. ,,შუალედური'' 3-ის რგოლს მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. მისი ყიდვა-გაყიდვის ობიექტია მსხვილი სასაქონლო პარტიები, რ-ებსაც საბითუმო საწარმოები და ფირმები შეისყიდიან უშუალოდ მწარმოებლებისაგან, რათა მიყიდონ იმ საწარმოებს, რ-ებიც მათი საცალო გაყიდვით არიან დაკავებულები.

ს ა ც ა ლ ო 3. საქონელმიმოქცევის საცალო ფაზაა, რ-ის დროსაც საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია უშუალოდ მომხმარებლისათვის, ანუ უმთავრესად მათი პირადი საჭიროებისათვის არის განკუთვნილი და ხორციელდება საცალო ქსელის მეშვეობით. საცალო ქსელში საქონლისა და მომსახურების გაყიდვების შედეგად მიღებული შემოსავალი შეადგენს საცალო საქონელბრუნვის მაჩვენებელს, ხოლო მასში შემავალი ცალკეული სასაქონლო ჯგუფებისა და სახეების წილი ქმნის საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურას.

უკანასკნელ პერიოდში მრეწველობა სულ უფრო მეტად აფართოებს ს ა ფ ი რ მ ო 3-ს, საკუთარი საქონლისა და მომსახურების რეალიზაციას საკუთარი საცალო ქსელით.

თანამედროვე სამეცნ.-ტექ. პროგრესის პირობებში 3-ის უახლესი ფორმაა ე ლ ე ქ ტ რ ო ნ უ ლ ი 3. – 3. ინტერნეტისა და სხვა ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით.

ს ა გ ა რ ე ო 3. მოიცავს საქონლითა და მომსახურებით 3-ს ქვეყნებს შორის. ძირითადი განსხვავება შიდა და გარე 3-ს შორის მდგომარეობს იმაში, რომ უკანასკნელი გულისხმობს სხვადასხვა ქვეყნის ვალუტის გამოყენებას, აგრეთვე ისეთი მექანიზმების რეგულირებას, როგორებიცაა: სატარიფო პოლიტიკა, კვოტები და სავალუტო კონტროლი.

ეკონ. თეორიაში მიღებულია, რომ საერთაშ. 3-ის არსებობის საფუძველი არის არსებითი განსხვავება ქვეყნებს შორის წარმოების ხარჯებში, აგრეთვე ის, რომ რიგი საქონლის წარმოება და მომსახურება მხოლოდ გარკვეულ ქვეყნებშია შესაძლებელი. შეფარდებითი უპირატესობის თეორიის მიხედვით, ქვეყნებს შორის განსხვავება ხარჯების სტრუქტურაში ანიჭებს ამ ქვეყნებს შეფარდებით უპირატესობას, წარმოშობს საერთაშ. 3-ის აუცილებლობას და უზრუნველყოფს ამ სფეროდან ქვეყნებისთვის მაქს. კეთილდღეობის მიღებას. საერთაშ. 3. გვევლინება წარმოების განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად. საკმარისია აღინიშნოს, რომ მისი ზრდის ტემპები მსოფლიო წარმოების ზრდის ტემპებს 1,5–2-ჯერ აღემატება.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი 3-ის განვითარებას უძველესი ისტორია აქვს, რაც მნიშვნელოვნად გამოი-

კვეთა XI – XII სს-ში, როდესაც ქვეყანაში შექმნილი დოვლათის უდიდესი ნაწილი (ხელოსნური წარმოება, სამშენებლო, ძვირფასი ლითონები და ქვები, სოფლის მეურნეობის პროდუქტი) როგორც შიდა, ასევე გარე ვ-ის საგანი იყო. საგარეო ვ-ის განვითარებას დიდად უწყობდა ხელს ის ფაქტი, რომ საქართველოზე გადიოდა *აბრეშუმის დიდი გზის* ერთ-ერთი მარშრუტი. ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კვალობაზე ძირეულად შეიცვალა ვ-ის განვითარების ტენდენციები. 1990-მდე საქართველოში ძირითადად სამი ფორმის ვ. იყო წარმოდგენილი: სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო, რ-თაგან წამყვანი როლი სახელმწ. ვ-ს ეკავა. იგი მოიცავდა საცალო საქონელბრუნვის 70%-ს და სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო ბრუნვის 90-მდე პროცენტს. ქვეყანაში საბაზრო ეკონ. პრინციპების დანერგვის კვალობაზე სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს კერძო ვ., რ-ის ხვედრითი წილი საერთო საქონელბრუნვაში 99%-ს აღწევს.

ღია ტიპის საბაზრო ეკონ. განვითარებასთან ერთად დამყარდა მრავალმხრივი ეკონ. კავშირები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, რამაც, თავის მხრივ, ბიძგი მისცა საგარეო ვ-ის როგორც მოცულობის, ასევე არეალის მნიშვნელოვან ზრდას.

საქართველოში 2011 წლის მონაცემებით ვ-ზე მოდიოდა მთლიანი შიდა პროდუქტის (24,4 მლრდ. ლარი) 12,6% (3,1 მლრდ. ლარი). საგარეო ვ-ის ბრუნვამ 2014 წელს შეადგინა 11,4 მლრდ. აშშ დოლარი, აქედან ექსპორტმა – 2,8, ხოლო იმპორტმა – 8,5 მლრდ. დოლარი (წინა წელთან შედარებით ზრდა 5%). საქართველო ახორციელებს ლიბერალურ სავაჭრო პოლიტიკას (დაბალი გადასახადები იმპორტზე, იმპორტ-ექსპორტირებისათვის საჭირო ლიცენზიების მცირე რაოდენობა და სხვ.). საქართველო *ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის* (ვმო) წევრია 2000-იდან და ,,უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით'' სარგებლობს ვმო-ს 159 წევრ ქვეყანასთან.

2005-იდან საქართველო სარგებლობს პრეფერენციების განზოგადებული სისტემის ახ. სქემის ბენეფიციებით და უფლება აქვს ევროკავშირში უბაჟოდ შეიტანოს 7000-ზე მეტი დასახელების პროდუქცია. თავისუფალი ვ-ის შესახებ შეთანხმებები გაფორმებული აქვს მსოფლიოს 12 ქვეყანასთან, მ. შ. თურქეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, უკრაინასთან და სხვ. *გ. ჭუმბურიძე.*

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო) (World Trade Organization – WTO), საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელი ორგანო. დაარსდა 1994 და მუშაობას შეუდგა 1995 წ. 1 იანვრიდან. იგი წარმოადგენს 1948 წელს დაარსებული გაეროს დაწესებულების – ვაჭრობაზე და ტარიფებზე საერთაშ. შეთანხმების (General Agreement on Tariffs and Trade – GATT) ბაზაზე შექმნილ ორგანიზაციას. მისი მთავარი ამოცანაა საერთაშ. ვაჭრობის ლიბერალიზაცია და მის წევრ-ქვეყნებს შორის სავაჭრო-პოლიტ. ურთიერთობათა რეგულირება.

ორგანიზაციის საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს 60-ზე მეტი შეთანხმება, რ-ებიც განსაზღვრავენ მსოფლიოში საერთაშ. ვაჭრობისა და სავაჭრო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. საკანონმდებლო ხასიათის დასკვნითი შეთანხმება მოცემულია სავაჭრო მოლაპარაკებების ურუგვაის რაუნდის აქტში. ამ დოკუმენტის მთავარი პრინციპებია: საერთაშ. ვაჭრობაში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ვაჭრობის თავისუფლება; ჯანსაღი კონკურენციის სტიმულირება; შეღავათიანი სავაჭრო პირობების შექმნა ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის.

ვმო-ის მთავარი ფუნქციებია: მის წევრ-ქვეყნებს შორის დადებული სავაჭრო შეთანხმებების შესრულების კონტროლი; სავაჭრო შეთანხმებების ორგანიზაცია; სავაჭრო პოლიტიკის მონიტორინგი; ახ. წევრების მიღება; ორგანიზაციის წევრებს შორის სავაჭრო დავების გადაწყვეტა.

2013-თვის ვმო-ში გაწევრიანებული იყო 159 სახელმწიფო, რ-ებზეც მოდიოდა მსოფლიო ვაჭრობის 90%-ზე მეტი. შტაბ-ბინა მდებარეობს ჟენევაში (შვეიცარია), მის საქმიანობას ხელმძღვანელობს გენ. დირექტორი.

ვმო არის ერთადერთი საერთაშ. ორგანიზაცია, რ-მაც შეიმუშავა საერთაშ. ვაჭრობის წესები, აგრეთვე მის წევრ ქვეყნებს შორის წარმოქმნილი დავის გადაწყვეტის პროცედურები. იგი არის არა მხოლოდ ორგანიზაცია, არამედ იმავდროულად მრავალმხრივი სამართლებრივი სავაჭრო ხელშეკრულებების კომპლექსი, რ-იც განსაზღვრავს საქონლით და მომსახურებით საერთაშ. ვაჭრობის სფეროში სახელმწიფოთა მთავრობების უფლებებს და მოვალეობებს.

ვმო-ის უმაღლესი ორგანოა წევრი ქვეყნების მინისტრების კონფერენცია. მას იწვევენ არანაკლებ 2 წელიწადში ერთხელ. იგი იღებს გადაწყვეტილებებს მრავალმხრივ სავაჭრო შეთანხმებებზე. შეთანხმებათა და მინისტრების გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას და მმართველობით საქმიანობას ახორციელებს ვმო-ის გენ. საბჭო. იგი იკრიბება წელიწადში რამდენჯერმე ჟენევაში. როგორც წესი, გენ. საბჭოში შედიან ვმო-ის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები ანდა ელჩები. მის სტრუქტურაში შედის აგრეთვე სავაჭრო პოლიტიკის ანალიზისა და დავების გადაწყვეტის ორგანოები. გენ. საბჭოს ექვემდებარება კომიტეტები: ვაჭრობისა და განვითარების, სავაჭრო ბალანსის, საბიუჯეტო, საფინანსო და ადმ. საკითხების.

ვმო-ის გენ. საბჭო აკონტროლებს პროფილური საბჭოების: საქონლით ვაჭრობის, მომსახურებით ვაჭრობის (მის შემადგენლობაში შედის ფინანს. მომსახურებით ვაჭრობის კომიტეტი და პროფესიული მომსახურების სამუშაო ჯგუფი), ინტელექტუალური საკუთრების საბჭოების საქმიანობას. გარდა ამისა, ვმო-ის შემადგენლობაშია სხვადასხვა სამუშაო და ექსპერტული ჯგუფები და სპეციალიზებული კომიტეტები. მათ ფუნქციებში შედის მრავალმხრივი შეთანხმებების ცალკეული საკითხების შესრულების განხილვა, აგრეთვე წევრ-ქვეყანათა ინტერესებში შემავალი ისეთი საკითხების შესწავლა, როგორიცაა კონკურენციის, ინვესტიციის, ბუნების დაცვის, სავაჭრო შეთანხმების ფინანს. ასპექტები, აგრეთვე ახ. წევრების მიღება.

ვმო-ის სტრუქტურაში შედის სამდივნო, რ-ის ძირითადი მოვალეობაა ტექ. მხარდაჭერით უზრუნველყოს სხვადასხვა საბჭოები და კომიტეტები, აგრეთვე მინისტრთა კონფერენციები, ხელი შეუწყოს განვითარებად ქვეყნებში ვაჭრობის განვითარებას, ჩაატა-

როს მსოფლიო ვაჭრობაში მიმდინარე პროცესების ანალიზი და განუმარტოს საზოგადოებას და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ვმო-ის ძირითადი დებულებები. სამდივნო ასევე უზრუნველყოფს დავების გადაწყვეტის პროცესს სამართლებრივი მექანიზმებით და კონსულტაციებს უწევს იმ ორგანიზაციებს, რ-ებსაც სურთ ვმო-ში გაწევრიანება.

საქართველო 2000 წ. 14 ივნისიდან გახდა ვმო-ის 137-ე სრულუფლებიანი წევრი. მასში გაწევრიანებით საქართველოზე ავტომატურად გავრცელდა ამ ორგანიზაციის ყველა წევრ-ქვეყანასთან ერთად უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი – გაუქმდა აკრძალვა ჩვენს საექსპორტო პროდუქციაზე, მოიხსნა კვოტები და სხვა შეზღუდვები; გაუმჯობესდა ქართ. ფირმებისათვის საზღვარგარეთ მუშაობის პირობები, რ-ებიც დაკავშირებულია წარმოების ზრდასა და სამუშაო ადგილების შექმნასთან, აქედან გამომდინარე – სხვა ეკონ. პროგრესთანაც.

ვმო-ში გაწევრიანებისას საქართველომ იკისრა სათანადო ვალდებულებები: საბაჟო ტარიფებში ცვლილებების შეტანა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების რეგულირება, ტექ. ბარიერების გამოყენება (სტანდარტიზაცია-სერტიფიცირების, ლიცენზირების მექანიზმები), სოფლის მეურნეობის სექტორის სუბსიდირება, სამთავრობო შესყიდვები, სამოქალაქო ავიატექ. და მისი სათადარიგო ნაწილებით ვაჭრობა, სანიტ. და ფიტოსანიტარული წესების გამოყენება და სხვ. საქართველო მიუერთდა ბმული ტარიფების ცხრილებს, რ-ებიც წარმოადგენს საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფის იმ მაქს. განაკვეთების ჩამონათვალს, რ-თა გამოყენების უფლება აქვს სახელმწიფოს ვმო-იდან დამატებითი თანხმობის მიღების გარეშე.

საქართველომ ვმო-ის მოთხოვნებთან სატარიფო პოლიტიკის ჰარმონიზაციის მიზნით შეიმუშავა დიფერენცირებული, ლიბერალური სატარიფო რეჟიმი; გამარტივდა სავაჭრო პროცედურები; მოიხსნა რაოდენობრივი შეზღუდვა და სატარიფო და არასატარიფო კვოტები, სატარიფო ბაჟი ექსპორტზე და რექსპორტზე; ექსპორტი გათავისუფლდა დამატებული ღირებულების გადასახადისაგან. საქართველოს ვმო-ში გაწევრიანებამ ხელი შეუწყო პირდაპირი უცხ. ინვესტიციების მოზიდვას.

საქართველო, როგორც ვმო-ის წევრი, ვალდებულია არ გამოიყენოს ანტიდემპინგური, საკომპენსაციო და დაცვითი ღონისძიებები მანამ, ვიდრე ვმო-ის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყანაში არ იქნება შესაბამისი საკანონმდებლო ნორმატიული ბაზა. მნიშვნელოვანია აგრეთვე საქართველოს ურთიერთობა ვმო-თან ინტელექტუალური საკუთრების სფეროში. ამ მიმართულებით საქართვ. პარლამენტმა მიიღო კანონები: საპატენტო, საავტორო და მომიჯნავე უფლებების, სასაქონლო ნიშნის, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრ. აღნიშვნების შესახებ, ინტეგრალური მიკროსქემის ტიპოლოგიისა და ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ. ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივ დონეზე რეგულირებისათვის ცვლილებები და დამატებები შევიდა ,,სისხლის სამართლის კოდექსში'', ,,საბაჟო კოდექსში'', ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში'' და სხვა საკანონმდებლო აქტებში.

საქართველოს მიმართ გამოიყენება შემდეგი შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმი: MFN (უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი) ტარიფები ვმო-ის წევრ ქვეყნებთან; პრეფერენციული (შეღავათიანი) ტარიფები აშშ-თან, კანადასთან, შვეიცარიასთან, იაპონიასთან და ა. შ.; განზოგადებული პრეფერენციების სისტემა (GSP+), რაც საქართველოს აძლევს უფლებას, ევროკავშირის ქვეყნებში უბაჟოდ შეიტანოს 7200 სახეობის პროდუქცია; ვაჭრობაში ეკონ. თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ტექ. რეგულირების სისტემა, რაც შედეგად ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას და ვაჭრობაში ტექ. ბარიერების შემცირებას გამოიწვევს.

ლიტ.: მესხია ი., საერთაშორისო ვაჭრობა, თბ., 2011; თოქმაზიშვილი მ., ვაჭრობა, წგ.: საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2012; Дюмулен И. И., Всемирная торговая организация, М., 2003.

ი. მესხია. კ. ხმალაძე.

ვაჭრობის საერთაშორისო პალატა (International Chamber of Commerce, ICC), საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია. შეიქმნა 1919 და დღეისათვის აერთიანებს ათასობით მსხვილ საწარმოს, ასოციაციას, კომპანიას მსოფლიოს 150-მდე ქვეყნიდან და ხელს უწყობს ბიზნესის წინაშე მდგარი მეთოდური და პრაქტ. ამოცანების გადაწყვეტას. იგი მჭიდროდ თანამშრომლობს *გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან, მსოფლიო ბანკთან,* სხვა საერთაშ. საფინანსო-ეკონ. ორგანიზაციებთან და წარმოადგენს მათ საკონსულტაციო კოლექტიურ ორგანოს. ვ. ს. პ-ის ადგილსამყოფელია პარიზი (საფრანგეთი).

ვ. ს. პ-ის ძირითადი ამოცანებია: ვაჭრობისა და ინვესტირების წესების საფუძველზე ეკონ. პოლიტიკისა და პრაქტიკის სრულყოფის საკითხების თაობაზე შეიმუშაოს რეკომენდაციები, კომერციული საქმიანობის სტანდარტების უნიფიცირებული კოდექსები და წესები, რ-ებიც დაკავშირებულია საერთაშ. ვაჭრობის ლიბერალიზაციასთან.

ვ. ს. პ., როგორც ეკონ. თვითმმართველობის საერთაშ. ინტი, თავის საქმიანობას წარმართავს საექსპერტო კომისიების, კომიტეტების, ქვეკომიტეტების და სამუშაო ჯგუფების მეშვეობით. მათი საქმიანობის ძირითადი სფეროებია: საერთაშ. კომერციული ტერმინების განსაზღვრა; საგადასახადო მექანიზმების სტანდარტიზაცია; ინკასოთი საერთაშ. ანგარიშსწორების უნიფიცირებული წესების შემუშავება; სავაჭრო დოკუმენტების უნიფიცირება აკრედიტივებზე, სახელშეკრულებო გარანტიებზე, საარბიტრაჟო სამართალზე, კონკურენციაზე, უცხ. ინვესტიციებზე, გადაზიდვებზე და ა.შ.

ვ. ს. პ. ყოველწლიურად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ატარებს საერთაშ. კონფერენციებს და სემინარებს, რ-თა მეშვეობითაც საზოგადოებამდე მიაქვს ექსპერტთა შეფასებები და სიახლეები. ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ატარებს გლობალური მასშტაბის მსოფლიო კონგრესს, სადაც განიხილავენ საერთაშ. გამოწვევებს და პრობლემებს, რ-ებსაც შეიძლება უახლოეს მომავალში წააწყდეს საწარმო ან კომპანია და შეიმუშავებენ სტრატეგიას მათი დაძლევის მიმართულებით.

ვ. ს. პ-თან არსებობს 1923 შექმნილი საერთაშ. საარბიტრაჟო სასამართლო (International Court Arbitration), რ-იც განიხილავს საერთაშ. დავებს ვაჭრობის სფეროში.



ნ. ვახანია.

პ-ის ფარგლებში ფუნქციონირებს 15 საერთაშ. კომისია, მათთან არსებული კომიტეტები და სამუშაო ჯგუფები შემდეგ სფეროებში: საერთაშ. ვაჭრობა და ინვესტიციური პოლიტიკა; ფინანს. მომსახურება; დაზღვევა; დაბეგვრა; ენერგეტიკა; გარემოს დაცვა; კონკურენციის პრაქტიკა და სამართალი; მარკეტინგი და სამართალი; საჰაერო ტრანსპორტი; საზღვაო და სახმელეთო ტრანსპორტი; კომპიუტერები, ტელესაკომუნიკაციო და ინფორმაციული პოლიტიკა; საერთაშ. არბიტრაჟი; ინტელექტუალური და სამრეწვ. საკუთრება. გარდა ზემოაღნიშნული საერთაშ. კომისიებისა, პ-თან ფუნქციონირებს შემდეგი სპეციალიზებული ორგანოები: საერთაშ. საზღვაო არბიტრაჟის მუდმივი კომიტეტი; ექსპერტიზის საერთაშ. ცენტრი; მარკეტინგის პრაქტიკის საერთაშ. ცენტრი; საერთაშ. მეწარმეობის სამართლის და პრაქტიკის ინ-ტი; სავაჭრო პალატების საერთაშ. ბიურო; სამსახური კომერციულ დანაშაულებებზე; საზღვაო თანამშრომლობის ცენტრი.

ყოფ. სსრკ-ის ტერიტორიაზე მოქმედებს ეროვნ. პალატები რუსეთში, უკრაინაში, ლიტვაში, ესტონეთსა და საქართველოში (იხ. სტ. *საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა*). *ი. მესხია.*

ვახა, სოფელი მარტვილის მუნიციპალიტეტის სალხინოს თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ასხის მასივის დას. კალთაზე, მდ. ტეხურის ხეობაში. ზ. დ. 340 *მ*, მარტვილიდან 18 *კმ*. 318 მცხ. (2002).

ვახანი, სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), საბულრაოს ქედის (მესხეთის ქედის ჩრდ. განშტოება) ჩრდ.-დას. კალთაზე, მდ. ვახანისწყლის (ჩხერიმელის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: პ., ზედუბანი, სერბაისი). ზ. დ. 620 *მ*, ხარაგაულიდან 14 *კმ*. 594 მცხ. (2002).

სოფლის ზემოთ, მთის წვერზე, შემორჩენილია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – *ვახანის ციხე*.

ვახანია ევგრაფ ყარამანის ძე (20. V. 1911, სოფ. ხაბუმე, ახლანდ. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, – 24. I. 2003, თბილისი), გეოლოგი. გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1993), საქართვ. დამს. ინჟინერი (1961). II მსოფლიო ომის მონაწილე. ამიერკავკ. სამთო-მეტალ. ინ-ტის დამთავრების (1932) შემდეგ მუშაობდა გეოლ. სამმართველოში (გეოლ. პარტიის უფროსი), 1933–40 და 1945–79 – ტრესტ ,,საქნავთობში'' (გეოლ. პარტიის უფროსი, გეოლ.-საძიებო კანტორის მთ. გეოლოგი, 1959–79 – ტრესტის მთ. გეოლოგი). 1979–81 იყო ნავთობის მრეწვ. ჩრდ. კავკასიის სახელმწ. სამეცნ.-კვლ. და საპროექტო ინ-ტის საქართვ. ფილიალის დირექტორის მოადგილე, 1981-იდან – ტრესტ ,,საქნავთობგეოფიზიკის'' თემატიკური პარტიის უფროსი.

პ. იყო საქართვ. ნავთობიანი რეგიონების ცნობილი მკვლევარი. დიდი დამსახურება მიუძღვის საქართვ. მეზო-კაინოზოური ნალექების ნავთობ-აირიანობის შესწავლის მეცნ. საფუძვლების დადგენაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ღვაწლი ამ თვალსაზრისით საინტერესო ნალექების სტრატიგრაფიის, ტექტონიკის, პერსპექტიულობის, ძიების მეთოდური და სხვა საკითხების კვლევაში. პ. იყო საქართვ. გეოლ. საზ-ბის საპატიო წევრი (1991). მიღებული ჰქონდა სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: О возрасте Колхидской серии, «Сообщения АН ГССР», 1957, т. 18, №3; Тектоника и нефтегазоносность Колхидской низменности и смежных районов Грузии, М., 1967. *ვ. ზესაშვილი.*

ვახანია ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (28. VIII. 1930, ქუთაისი, – 23. VII. 2014, თბილისი), მათემატიკოსი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (2001; წ.-კორ. 1988). ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1971), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1981). დაამთავრა თსუ (1954). იყო საქართვ. მეცნ. აკად. ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათ. ინ-ტის ალბათობის თეორიისა და ფუნქციური ანალიზის განყ-ბის გამგე (1961-იდან), დირექტორი (1979–2005), თსუ-ის კიბერნ. და გამოყენებითი მათ. ფაკ-ტის დეკანი (1970–73), ამავე უნ-ტის შემთხვევითი პროცესების თეორიის კათედრის გამგე (1971–78), ქართ. ენციკლოპედიის მთავარი სამეცნ. საბჭოს წევრი და მათ. სამეცნ. საბჭოს თავრე (1992-იდან). პ-ს ძირითადი შრომები ეძღვნება ალბათობის თეორიისა და ფუნქციური ანალიზის, აგრეთვე გამოთვლითი მათ. დიფერენციალურ განტოლებათა თეორიის პრობლემებს. მან ააგო უსასრულოგანზომილებიან სივრცეებში ალბათურ განაწილებათა კოვარიაციული თეორია, აღწერა გაუსის ზომები წრფივ სივრცეებში, გამოიკვლია ვექტორულ ფუნქციათა წრფივი აპროქსიმაციის თეორიის საკითხები, შეისწავლა არაკლასიკური სასაზღვრო ამოცანები ჰიპერბოლური ტიპის განტოლებებისათვის, სითხით გავსებული ბზრიალას მცირე რხევების მდგრადობის ამოცანა და სხვ. პ-ს მნიშვნელოვან გამოკვლევათა შედეგების დიდი ნაწილი თავმოყრილია მონოგრაფიებში: ,,ალბათური განაწილებები წრფივ სივრცეებში'' (თბ., 1971, რუს. ენაზე) და ,,ალბათური განაწილებები ბანახის სივრცეებში'' (სხვა ავტორებთან ერთად, მოსკოვი, 1985, რუს. ენაზე, ამ დარგის ერთ-ერთი ყველაზე მეტად ციტირებული მონოგრაფია). ორივე მონოგრაფია თარგმნილია ინგლისურად და გამოცემულია ჰოლანდიაში. მიღებული აქვს ა. რაზმაძისა და ნ. მუსხელიშვილის სახ. პრემიები (1992, 2003). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

ლიტ.: К юбилею Н. Н. Вахания, «Теория вероятностей и ее применения», 2005, т. 50, №4. *ვ. ტარიელაძე.*

ვახანის ქედი, მესხეთის ქედის ჩრდილო განშტოება, მდინარეების ვახანისწყლისა და ბჟოლისხევის (ჩხერიმელის მარცხ. შენაკადები) წყალგამყოფი. იწყება 1815 *მ* სიმაღლის მთასთან, მიემართება ჩრდ-ით და თანდათან დაბლდება (მთა ზვენიდაურა – 1164 *მ*, ნაჩიხურა – 1008 *მ*). აგებულია მესამეული დანალექი ქანებით. კალთები ძლიერ დახრილია. შემოსილია ფართოფოთლოვანი ტყით, ზოგან წიწვოვნებიცაა. თხემზე აქა-იქ მდელოებია. *დ. უკლება.*

ვახანის ციხე, მდებარეობს სოფელ ვახანის (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი) სამხრეთით. წყაროებში პირველად დამოწმებულია 1650–52 წლებში იმერეთში რუსი ელჩების, ტოლოჩანოვისა და იევლიევის, ანგარიშებში. პ. ც-ს მეტად ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა ეკავა და კონტროლს უწევდა მესხეთიდან დას. საქართველოში მიმავალ უკიდურეს აღმოსავლეთ და აღმ. საქართველოდან დასავლეთში მიმავალ უკიდურეს სამხრეთ გზებს. ციხის უძველეს სამშ. ფენებში შეიმჩნევა ადრინდ. შუა საუკუნეების ხანის წყობის ფრაგმენტები.

ციხის ერთი ზურგის კედელი სწორ ხაზს მისდევს, დანარჩენები კუთხეებმომრგვალებულ წაგრძელებულ სწორკუთხედს ქმნის. ზურგის კედელს გარედან მცირედ



ვახანი. ვახანის ციხე.

შვერილი ბურჯები აქვს, შიგნიდან ზედ მიდგმულია გეგმით კვადრ. კოშკი – დონჟონი. ნაგებია ტლანქად დამუშავებული, დიდი კვადრ. ლოდებით. სათოფურები არა აქვს, რაც იმას მოწმობს, რომ აშენებულია ცეცხლსასროლი იარაღის შემოღებამდე, XV–XVI სს-მდე. გალავნის შიგნით, ჩრდ.-აღმ. კუთხეში, უხეში ქვით ნაშენი პატარა ერთნავიანი სამლოცველოა.

ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ ვ. ც. თავდაპირველად იმერეთის სამეფოში შედიოდა. შემორჩენილია იმერეთის მეფის *ალექსანდრე III-ის* 1658–60 წწ. სიგელი ომადმანიძისადმი, სადაც იმერეთის მეფე ამ საგვარეულოს ერთ-ერთ წარმომადგენელს უახლებს ციხის მფლობელობას. მოგვიანებით ვ. ც-ს აბაშიძეები დაეუფლნენ. XVIII ს. 30–50-იან წლებში ვ. ც. ქართლის სააბაშიძეოს კუთვნილებაში გადავიდა და ქართლის სამეფოს საზღვრებში მოექცა. 1779 ქართლის სააბაშიძეო დაიშალა, ხოლო ვ. ც. აბაშიძეთა საერთო საკუთრებად ჩაითვალა. 1785 წ. 27 ოქტომბერს ვ. ც-ს ალყა შემოარტყა ავარიის გამგებელმა *ომარ-ხანმა*. ციხის დაცვას ხელმძღვანელობდა ქაიხოსრო აბაშიძე. ორჯერ უშედეგო იერიშის შემდეგ ომარ-ხანმა ციხე მოტყუებით ჩაიგდო ხელში (1785 წ. 31 ოქტ.). ლეკებმა ვ. ც. გადაწვეს, ხოლო იქ თავშეფარებული 700 კაციდან ნაწილი დახოცეს, ნაწილი კი ტყვედ წაიყვანეს.

თ. ბერაძე. ვ. ბერიძე.

ვახვახიშვილები, თავადური გვარი კახეთში. *იოანე ბატონიშვილის* მიხედვით მათი წინაპრები, ვახვახად წოდებულნი, თავდაპირველად სამცხეში სახლებულან, XIII ს. ბოლოს კახეთში გადასულან და თელავს დასახლებულან; იწოდებოდნენ ვ-ად და ბაზიერთხუციშვილებად; ამათივე განაყოფები არიან ზაალისშვილები, ყორჩიბაშისშვილები და კახისშვილები. ყველაზე ადრე იხსენიებიან 1492–97 კათოლიკოს აბალაკის საბუთში, რ-შიც ვახვახიშვილი ზუბელა დასახელებულია მოწმედ კახეთში მცხეთის კუთვნილი მამულების საზღვრების დადგენის ამბავთან დაკავშირებით. ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.) ვ. შეყვანილი ჰყავს კახეთის ,,უწარჩინებულეს და შემძლებელ მთავართა'' სიაში. მისივე მტკიცებით, 1587 ერთ-ერთი ვახვახიშვილი გამოცხადებულა შაჰ აბას I-თან და გამაჰმადიანებულა, ხოლო შაჰ-აბასის მიერ ერევნის ციხის აღების (1604 წ. 8. VI) შემდეგ, როდესაც მას ალექსანდრე II კახთა მეფისათვის წაურთმევია გაღმა მხრის კახეთის აღმ. ნაწილი – კაკელისენი და წუქეთი – ამ ტერიტ. მმართველად, ალის-სულტნად, სწორედ გამაჰმადიანებული ვ. დაუსვამს. მისი რეზიდენცია იყო ,,ქურმუხი, სიმაგრე დიდშენი, და აწ სახლი ალისსულტნისა''.

თელავში შემორჩენილია უფრო გვიანდელი ხანის – XVIII ს. *ვახვახიშვილების ციხე.*

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, რომელნიცა აღწერიენ არიან ძველად მეფეთაგანცა (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი №550), თბ., 1997. *ნ. ასათიანი.*

ვახვახიშვილების ციხე, XVIII საუკუნის ციხესიმაგრე თელავში, ბატონის ციხის აღმ-ით, ხევგაღმა. ალაყაფის კარის თავზე მოთავსებულ წარწერაში, რ-იც ახლა დაკარგულია, ნათქვამი იყო: ,,ჩვენ... გვარად ვახვახისამან ბაზიერთუხუცესის ძემან, თვით ბაზიერთუხუცესმან ზაალ და ძმამან ჩვენმან ვახუშტიმ აღვაშენეთ და სრულ ვყავით ზღუდე ესე და სახლ-სავანით გავაშენეთ და საყოფად ჩვენდა შევამზადეთ''. ეს მომხდარა 1743 წელს.

ციხის გალავანში ჩართული იყო ექვსი კოშკი. მას შემდეგ, რაც ციხემ ფუნქცია დაკარგა, კოშკები საცხოვრებლად გადააკეთეს, ეზოში მდგარი სხვადასხვა დანიშნულების მრავალი ნაგებობა დაანგრიეს და ახლები ააგეს. ზოგიერთი კოშკი ისეა გადაკეთებული, რომ თავდაპირველი სახის წარმოდგენა შეუძლებელია. ჩრდ. გალავნის შუა ნაწილზე მდგარი კოშკის ნაშთიც კი აღარ არის. დარჩენილი კოშკებიდან ოთხი კუთხეებშია განლაგებული. მეხუთე – აღმოსავლეთის ვიწრო კედლის შუაშია და ორიგინალურადაა გადაწყვეტილი. ალაყაფის კარი დას-ით ყოფილა. მას ორი მხრიდან გზები ადგებოდა. ციხის მაღალი გალავანი ორიარუსიანია. ზედა იარუსზე სათოფურებია დატანებული.

ლიტ.: ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობები, თბ., 1962. *პ. ზაქარაია.*




ვახვახიშვილების ციხე. ფრაგმენტი. XVIII ს.

ვახვახიშვილი გრიგოლ, იხ. *გრიგოლ დოდორქელი.*

ვახვახიშვილი თამარ ნიკოლოზის ასული (4. I. 1894, ვარშავა, – 31. X. 1976, თბილისი), კომპოზიტორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1940). სწავლობდა თბილ. კონსერვატორიაში (ნ. ნიკოლაევის საფორტეპიანო და ტ.



თ. ნ. ვახვახიშვილი.



ვახტანგ გორგასალი. ხატმწერი ი ლ ი ა I I. 1977. საქართველოს საპატრიარქო.

გარტმანის საკომპოზიციო კლასები). 1927 დაამთავრა პარიზის კონსერვატორია (პ. ვიდალის საკომპოზიციო კლასი). 1926–33 თანამშრომლობდა კ. მარჯანიშვილთან (1929-მდე – ქუთაისის დრამ. თეატრში, 1929–33 იყო თბილ. მარჯანიშვილის სახ. დრამ. თეატრში სამუსიკო ნაწილის გამგე). 1933–71 ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მოსკოვში. მუშაობდა ძირითადად ბალეტისა და პანტომიმის ჟანრში. თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიდგა 3-ის ერთაქტიანი ბალეტები (ჟანრის პირველი ნიმუშები ქართ. მუსიკაში) – ,,ბახუსის დღესასწაული'' (1919), ,,სიყვარულის ბანგი'' (1920), ,,სპარტაკი'' (1937, ქართ. ბალეტის შექმნის პირველი ცდები); პანტომიმები – ,,ირანული პანტომიმა'' (1914), ,,მზეთამზე'' (1929), ,,ხანძარი'' (1930, დაიდგა მოსკოვში, ხარკოვსა და ქუთაისში); 3-ს ეკუთვნის მუს. კომედია ,,დონ ჰილი – მწვანე შარვალი'' და სხვ., აგრეთვე კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრის თანხლებით (3 ნაწილად), კანტატა, რომანსები, მუსიკა დრამ. სპექტაკლებისათვის (,,ცხვრის წყარო'', ,,ურიელ აკოსტა'' – კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში; ,,ვერაგობა და სიყვარული'' – მოსკ. მცირე თეატრში და სხვ.). ავტორია წიგნისა ,,თერთმეტი წელი კოტე მარჯანიშვილთან'' (1976, რუს. ენაზე). *გ. ტორაძე.*

ვახვახიშვილი თორნიკე (აგაფონ) გარსევანის ძე (5. X. 1837, სოფ. კურდღელაური, ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი, – 8. I. 1909, ვარშავა), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1892). სამხ. სამსახური დაიწყო გალიციის ეგერთა პოლკში, შემდეგ მსახურობდა ჟიტომირის ქვეით პოლკში. 1860-იდან მეთაურობდა სოკოლსკოეს ცხენოსანთა-საბადრაგო რაზმს. ლაიბგვარდიის ვოლინის პოლკის შემადგენლობაში მონაწილეობდა 1863–64 პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში, შემდეგ – რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომში. 1892 თადარიგში გავიდა.

დაჯილდოებულია წმ. ანას, წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით. დაკრძალულია ვარშავაში. *მ. გოგიტიძე.*

ვახნიანსკი მოსე აბრამის ძე (22. X. 1899, ნოვი-ბუგი, ნიკოლაევის ოლქი, უკრაინა, – 7. IV. 1964, თბილისი), რუსი რეჟისორი და მსახიობი. თბილ. მოზარდ მაყურებელთა რუს. სახელმწ. თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1918 დაამთავრა თბილ. IV ვაჟთა გიმნაზია. 1919–20 მონაწილეობდა ავჭალის აუდიტორიასთან არსებულ რუს. დრამწრის წარმოდგენებში. 1921–22 მსახიობად მუშაობდა თბილ. პროლეტკულტის რუს. თეატრში, 1922–24 – მოსკ. სამხატვრო თეატრში რეჟისორის თანაშემწედ (პარალელურად სწავლობდა ამავე თეატრის მე-2 სტუდიაში), 1924–27 კი მოღვაწეობდა – ბაქოსა და თბილ. თეატრებში. 1927–31 და 1945–64 თბილ. მოზარდ მაყურებელთა რუს. სახელმწ. თეატრის რეჟ. იყო, ხოლო 1943–45 – მაგადანის სახელმწ. დრამ. თეატრისა. მნიშვნელოვანი დადგმები: ა. ოსტროვსკის ,,უდანაშაულო დამნაშავენი'', ,,შემოსავლიანი ადგილი'', ს. მიხალკოვის ,,საგანგებო დავალება'', გ. ვლადიჩინასა და ო. ნეჩაევის ,,მშვენიერი ვასილისა'', ვ. კატაევის ,,პოლკის შვილი'', ვ. კანდელაკის ,,მაია წყნეთელი'' და სხვ.

ვახტანა, სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტის თერეგვანის თემში (შიდა ქართლის მხარე), ლიხის ქედის აღმ. მთისწინეთში, საავტ. გზაზე. ზ. დ. 1000 *მ*, თიღვიდან 15 *კმ*. 176 მცხ. (1989).

ვახტანგ I გორგასალი, ქართლის მეფე V ს. II ნახევარში. ზედწოდება მიიღო მუზარადზე გამოსახული მგლის გამო: სპარსულად ,,გორგასარ'' მგლისთავას ნიშნავს. მის შესახებ ცნობები დაცულია ქართ. (,,მოქცევაჲ ქართლისაჲ'', ჯუანშერი, ბერი არსენი) და სომხ. (ლაზარ ფარპეცი, V ს.) ისტ. თხზულებებსა და დოკუმენტურ მასალებში. ჯუანშერის თხზულება ,,ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა'', რ-იც შესულია ,,ქართლის ცხოვრებაში'', სპეციალურად 3. I-ის მოღვაწეობისადმია მიძღვნილი. იგი სადევგმირო რომანის ელემენტებითაა გადატვირთული, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, თვით ვახტანგის დროინდელ წყაროზეა დამყარებული და მთელ რიგ ფრიად საყურადღებო და სანდო ცნობებს შეიცავს. მიუხედავად ამისა, მისი მოღვაწეობის სრული სურათის აღდგენა შეუძლებელია. ჯუანშერის თხზულებიდან სრულიად აშკარად ჩანს 3. I-ის პოლიტ. კურსის ძირითადი მიმართულება: ქვეყნის კონსოლიდაცია და დამოუკიდებლობის აღდგენა. 3. I-ის მეფობის დასაწყისში ქართლის სამეფო მძიმე მდგომარეობაში იყო: ქვეყანა ირანის ვასალურ სახელმწიფოდ იყო ქცეული; ბიზანტიის მიერ ანექსირებული იყო სამხრ.-დას. პროვინციები და აგრეთვე ჩრდ.-დას. ეგრისის დიდი ნაწილი ციხე-გოჯამდე; ქართლს ოსები და ჰუნები შემოესივნენ და დაარბიეს. ვიდრე 3. I მთავარი ამოცანის – ირანისაგან განთავისუფლების განხორციელებას შეუდგებოდა, საჭირო იყო ძალთა მოკრება და ზურგის გამაგრება, ე. ი. პირველ რიგში ჩრდ. კავკ. მომთაბარეების – ოსებისა და ჰუნების დამორჩილება. ეს მძიმე პრობლემა 3. I-მა ბრწყინვალედ გადაჭრა – ილაშქრა ჩრდ. კავკასიაში და დარიალი და სხვა ციხესიმაგრეები კვლავ დაიბრუნა, ,,დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაყნი'' (ჰუნები). ამის შემდეგ ჩრდ. კავკასიაზე გავლით კლუხორის უღელტეხილით იგი ეგრისში გადავიდა, გაათავისუფლა ბიზანტიელებისაგან ანექსირებული ეგრისის ტერიტორია და ეგრისი მთლიანად ქართლს შეუერთა. მასვე შეუერთა ბიზანტიელებისაგან მიტაცებული ქართლის სამხრ.-დას. პროვინციებიც.

3. I-ის აქტ. პოლიტ. აქციები ქართლის აღმ. პროვინციებსაც შეეხო: უშუალოდ შემოიერთა მანამდე ქართლის სამეფოსთან ვასალურ ურთიერთობაში მყოფი ჰერეთის პროვინცია და აქ ცალკე საერისთავო შექმნა. ასევე შემოიერთა დღევანდელი დაღესტნის სამხრ.-დას. მთიანი პროვინციაც – წუქეთი (მდ. სამურის სათავეები). ამრიგად, 3. I-მა დას. და აღმ. საქართველო ერთ სახელმწიფოდ გააერთიანა, მთელი ეს ტერიტ. ადმინისტრაციულად მოაწესრიგა და, შეიძლება ითქვას, პირველმა ქართვ. მეფეთა შორის, მთელი კავკასია თავის პოლიტ. თვალსაწიერში მოაქცია.

ეს დიდი ეროვნ.-პოლიტ. პროცესი განპირობებული იყო იმდროინდელი საქართველოს სამეურნეო-ეკონ. აღმავლობით, რ-საც 3. I აქტიურად უწყობდა ხელს ახ. ქალაქებისა თუ ციხესიმაგრეთა მშენებლობით (უჯარმა, ჭერემი, არტანუჯი და სხვ.). ქვეყნის კონსოლიდაციისაკენ მიმართულ მის საშინაო პოლიტიკაში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობას. 3. I-მა არა მხოლოდ პოლიტიკურად საბოლოოდ დაიმორჩილა აღმ. საქართველოს მთიანეთი, არამედ

მთისა და ბარის მოწესრიგებულ სავაჭრო-ეკონ. ურთიერთობაზეც ზრუნავდა, რასაც იმდროინდელი ნუმიზმატიკური მასალაც მოწმობს. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს შორის მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობათა გაცხოველებას და საბოლოო ჯამში – ქვეყნის კონსოლიდაციას.

დიდი ეროვნ.-პოლიტ. და ეკონ. აღმავლობის პროცესის მანიშნებელია და მისივე შედეგია ის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ვ. I-ის ინიციატივით ქვეყნის ცენტრი მცხეთიდან თბილისში გადმოიტანეს. ამ სახელმწიფოებრივი აქციის უდიდესი მნიშვნელობა და ისტ. აუცილებლობა საქართვ. მთელმა შემდგომმა ისტორიამ დაადასტურა. ამითვე საფუძველი ჩაეყარა თბილ. ამიერკავკ. უმნიშვნელოვანეს ეკონ. და პოლიტ. ცენტრად გადაქცევის პროცესს.

ქვეყნის გაერთიანების საქმეს ემსახურებოდა ვ. I-ის ეროვნ.-კულტ. მოღვაწეობაც. მან ქართ. ეკლესიაც ამ მიზნებს დაუქვემდებარა. თავისი პოლიტ. მოწინააღმდეგე ,,დიოფიზიტიზმის ბურჯი'' ეპისკოპოსი მიქაელი ქართლიდან გააძევა, იმპ. ზენონის ე. წ. ,,ჰენოტიკონის'' შემრიგებლური საეკლ. პოლიტ. ნიადაგზე ეკლესიას ავტოკეფალია მოუპოვა, სათავეში თავისივე ამორჩეული კათოლიკოსი დაადგინა, ხოლო მთელი ქვეყანა საეპისკოპოსოებად დაყო და ეპისკოპოსები კათოლიკოსს დაუმორჩილა. ქართლის მეფის ინიციატივით შექმნილი საეკლ. წესწყობილება მასვე სჭირდებოდა, როგორც იდეოლოგიური და პოლიტ. იარაღი სამეფოს კონსოლიდაციისათვის. რამდენადაც აღმ. საქართვ. ეკლესია ქართულენოვანი იყო, ამდენად ქართ. კულტურა და ქართ. ენა ამიერიდან კიდევ უფრო ინტენსიურად ვრცელდებოდა როგორც ჩრდ. კავკასიაში (დვალეთი, ოვსეთი, დურძუკეთი, დიდოეთი, წუქეთი), ისე აღმ-ითა (ჰერეთი, კამბეჩანი) და დას-ით (ეგრისი, სადაც ამ დროისათვის ბერძნ. ეკლესიის დიდი გავლენა იგრძნობოდა). ვ. I-ის ამ კულტ. მოღვაწეობის შედეგია ეკლესია-მონასტრების მშენებლობა (სვეტიცხოვლის ბაზილიკა, ბოლნისის ბაზილიკა, არტანუჯის, ახიზის, უჯარმის, ჩელეთის ეკლესიები). მის დროსვე ჩამოყალიბდა ღვთისმსახურების გარკვეული წესი და ითარგმნა ადრებიზანტ. ე. წ. იერუსალიმური პერიოდის ლიტურგიკული თხზულებანი. შემთხვევითი არ არის, რომ მის დროს შეიქმნა ქართ. ჰაგიოგრაფიის ისეთი ბრწყინვალე ძეგლი, როგორიცაა ,,წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი''.



,,ვახტანგ გორგასალი''. მოქანდაკე ე. ამაშუკელი (არქიტექტორები: თ. კანდელაკი, დ. მორბედაძე). 1967. თბილისი.

ვ. I-ის, როგორც ტიპური ადრეფეოდ. მონარქის, შიდა სოც.-პოლიტიკის ძირითადი მიმართულება იყო ე. წ. თავისუფალ მეთემეთა ჯერ კიდევ არსებულ ფართო ფენებზე დაყრდნობით ცენტრალისტური პოლიტიკის შეგუება მზარდი ფეოდ. ფენის სეპარატისტულ ტენდენციებთან. საგარეო პოლიტიკაში ვ. I-ის ძირითადი მიზანი იყო სამეფოსათვის სრული დამოუკიდებლობის მოპოვება, რისთვისაც მისი თანადროული საგარეო პოლიტ. ვითარების გათვალისწინებით, იგი ცდილობდა რთული დიპლ. ურთიერთობის საშუალებით ბიზანტ. და ირან. იმპერიების ერთმანეთთან დაპირისპირებას, მეზობელ სახელმწიფოებთან (ალბანეთი, სომხეთი) ირანის საწინააღმდეგო სამხ. კოალიციის შექმნას. 482 მისი თაოსნობით დაიწყო აჯანყება ირანის წინააღმდეგ, მაგრამ ქართვ. და სომეხი ფეოდალების ღალატის გამო ეს აჯანყება მარცხით დამთავრდა.

ვ. I, როგორც დიდი სახელმწ. მოღვაწე, ამავე დროს ტრაგიკული პიროვნება იყო. იმდროინდელი ისტ. აუცილებლობის შედეგად, საგარეო და შიდა სოც. და პოლიტ. ფაქტორები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში აღმოჩნდა და ვ. I-ის პროგრ. ეროვნ.-პოლიტ. მიზნების განხორციელება შეუძლებელი შეიქნა. სიმბოლურია მისი სიკვდილიც: იგი შიდა ოპოზიციისა და გარეპოლიტ. ძალის ერთობლივი კავშირის მსხვერპლი აღმოჩნდა.

მემატიანეთა გადმოცემით, ,,იყო იგი უმაღლეს კაცთა მის ჟამისათა, და უშუენიერეს სახითა და ძლიერი ძალითა'', ,,გოლიათ და განთქმულ ყოველსა ქუეყანასა''. მისი აბჯარი და ტანისამოსი XII ს-ში ჯერ კიდევ შემონახული ყოფილა ისევე, როგორც გამოსახულია საფლავის ქვაზე ,,სწორი ჰასაკითა (სიმაღლე) მისისაჲ''.

3. I დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში. მიუხედავად მარცხისა, 3. I-მა დიდ ეროვნ. წამოწყებას – ერთიანი, კონსოლიდირებული ეროვნ. სახელმწიფოს შექმნას იმდენად მკვიდრი საფუძველი დაუდო, რომ შემდგომ საუკუნეებშიც, მიუხედავად ხანგრძლივი საგარეო გართულებებისა (ირანის ექსპანსია VI ს., არაბობა VII ს. შუა წლებიდან ეს პროცესი (დამყარებული ახალგაზრდა ფეოდ. ქვეყნის ეკონ. აღმავლობაზე) ფაქტობრივად აღარ შეწყვეტილა, ვიდრე X ს. II ნახ-სა და XI ს. დასაწყისში არ წარმოიქმნა ფეოდ.-ეროვნ. ერთიანი მონარქია ,,საქართველო''. ფეოდ. ხანის ეროვნ. ისტორიოგრაფია 3. I-ს დავით აღმაშენებლის გვერდით აყენებდა, როდესაც ქართ. ეროვნ. დროშას ,,დავითიანის'' და ,,გორგასლიანის'' ეპითეტით ამკობდა.

ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ 3. I წმინდანად შერაცხა. წმინდა დიდი მეფის ვახტანგ გორგასლის ხსენების დღეა 30. XI. (13. XII).

წყარო: ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე გ., ჯუანშერი და მისი ,,ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა'', «მაცნე», 1987, №4; გ ო ი ლ ა ძ ე ვ., ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991; კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., ვახტანგ გორგასალი, თბ., 1959; ლ ო მ ო უ რ ი ნ., საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., 1989; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ., ქართლი V ს. მეორე ნახევარში, თბ., 1979; მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნაწ. 1, თბ., 1977; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1979 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 1); Очерки истории Грузии, II, Тб., 1988.

დ. მუსხელიშვილი.

ვახტანგ II, აღმოსავლეთ საქართველოს მეფე 1289–92, *დავით VI* ნარინის ძე. მეფედ დასვა არღუნ ყაენმა *ხუტლუბუღას* რჩევით იმ ანგარიშით, რომ იგი დავით ნარინის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით მიიღებდა დას. საქართველოს ტახტსაც. ამ გზით მონღოლთა მფლობელობაში გაერთიანდებოდა ლიხსიქითა საქართველოც. 3. II-ის აღმზრდელი ყოფილა მწიგნობარი ვინმე ფარსმანის შვილი. 3. II დინჯი და წინდახედული მმართველი, ქვეშევრდომების მიმართ მოწყალე და გულუხვი, მართლმსაჯულების პირუთვნელი დამცველი გამოდგა. მან თვითონ აიღო ხელში ქვეყნის მმართველობა და ხუტლუბუღას თვითნებობის უფლება არ მისცა, ამის გამო მათ შორის მტრობა ჩამოვარდა. ხუტლუბუღამ ვახტანგს დემეტრე II-ის ვაჟი დავითი (შემდგომში დავით VIII) დაუპირისპირა, მაგრამ ვერაფერს გახდა. 3. II მოულოდნელად გარდაიცვალა. დაკრძალულია გელათში.

წყარო: ჯ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ასწლოვანი მატიანე, რ. კიკნაძის გამოც., თბ., 1987.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3). *ნ. ასათიანი.*

ვახტანგ III, საქართველოს მეფე 1298/1299 და 1302–08. *დემეტრე II* თავდადებულის ძე, *დავით VIII-ის* უმცროსი ძმა. ყაზან ყაენის წინააღმდეგ დავით VIII-ის აჯანყების დასაწყისშივე გაგზავნეს ელჩად ოქროს ურდოში თოხთამიშ ყაენთან. ელჩობა წარმატებით დამთავრდა, მაგრამ უკან გამობრუნებული ვახტანგი გზაში ირანის ილხანებმა დაატყვევეს. ყაზან-ყაენმა იგი მეფობის აღთქმით, თავის მხარეზე გადაიბირა და დავით VIII-ის საპირისპიროდ საქართველოს მეფედ დანიშნა, დავით VIII-მ შეძლო მისი დაპატიმრება და ჟინვანის ციხეში გამოკეტა. ივანე ბურსელის შუამდგომლობით ძმები შერიგდნენ, მაგრამ მათ შორის ნდობა მაინც ვერ აღდგა. 1302 3. III ყაენს ეახლა. ყაენმა იგი ხელახლა დაამტკიცა მეფედ, მაგრამ ფაქტობრივად მას მხოლოდ თბილისი და ქვემო ქართლი ექვემდებარებოდა.

3. III ქართულ ჯართან ერთად მონაწილეობდა მონღოლთა ლაშქრობებში სირია-პალესტინაში, გილანში, მონაწილეობდა დავით VIII-ის წინააღმდეგ ბრძოლებშიც, მაგრამ როგორც მემატიანე შენიშნავს: ,,არათუ ვახტანგ მტერ იყო ძმისა, არამედ თათართა შიშითა იძულებით შეება''. გარდაიცვალა მუცლის სალმობით. დაკრძალულია დმანისში.

წყარო: ჯ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ასწლოვანი მატიანე, რ. კიკნაძის გამოც., თბ., 1987; Р а ш и д - а д - Д и н, Джами-ат-Таварих (сборник летописей), III, пер. с персидского А. К. Арендса, Баку, 1957.

ლიტ.: კ ი კ ნ ა ძ ე ვ., საქართველო XIV საუკუნეში, თბ., 1989; ნ ი ნ ი ძ ე დ., ვახტანგ III-ის გარდაცვალების თარიღისათვის, «ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები», XVI, თბ., 1987; მ ი ს ი ვ ე, XIV საუკუნის დამდეგის საქართველოს ისტორიის რამდენიმე ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხი, «თსუ შრომები», 1989, ტ. 283; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს ,,მრავალმეფიანობის'' ხანის (1298–1318) დიპლომატია, კრ.: ქართული დიპლომატია. წელიწდეული, I, თბ., 1994; მ ი ს ი ვ ე, პროვინციის მეფეები XIV–XV სს. საქართველოში, თბ., 1995; ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ი., ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII–XIV სს., თბ., 1967; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3).

ნ. ასათიანი.

ვახტანგ IV, საქართველოს მეფე 1442–46. *ალექსანდრე I* დიდის ძე, გამეფდა მამის ბერად აღკვეცის შემდეგ. 3. IV-თან ერთად მეფეებად მოიხსენიებიან მისი ძმები: დიმიტრი, გიორგი, მისი ბიძაშვილი ბაგრატი (იხ. *ბაგრატ VI),* რაც ერთიანი საქართვ. მეფის ხელისუფლების დაკნინებას მოწმობს. 1444 ჯაჰან-შაჰმა სამცხეს შემოუტია (იხ. *ჯაჰან-შაჰის ლაშქრობები საქართველოში XV ს. 40-იან წლებში),* მაგრამ 3. IV-მ მისი უკუგდება შეძლო. გარდაიცვალა უძეოდ. დაკრძალულია ბანაში მეუღლესთან, ფანასკერტელის ასულ სითიხათუნთან ერთად.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3). *ნ. ასათიანი.*

ვახტანგ V, შ ა ჰ ნ ა ვ ა ზ ი (გ. 1675), ქართლის მეფე 1658–75. ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს წარმომადგენელი. სათავადოს მეთაური 1629–58. 3. V როსტომ მეფემ იშვილა და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. 1654 ირანში მას მაჰმადიანობა მიაღებინეს და შაჰნავაზი უწოდეს. 3. V-ის პოლიტიკის მიზანი იყო ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება და დას. საქართვ. მეფემთავრებთან მჭიდრო კავშირის დამყარება ქართლის ჰეგემონობით; ცენტრ. ხელისუფლების განმტკიცება და თავადების პოლიტ. უფლებების შეზღუდვა; ქართლის საშინაო ცხოვრების მოწესრიგება და ეკონ. წინსვლისათვის ხელის შეწყობა. საგარეო პოლიტიკაში 3. V ირანის ვასალად აღიარებდა თავს და მასთან მშვიდობიანი ურთიერთობის დაცვას ცდილობდა. მშვიდობიანმა საგარეო პოლიტ. ვითარებამ ხელი შეუწყო ქართლის მოშენებას და ეკონ. წინსვლას.

3. V-მ მოაკვლევინა კახეთის ფაქტობრივი გამგებელი ზაალ არაგვის ერისთავი და კახეთი თავისი გავლენის სფეროში მოაქცია. ისარგებლა იმერეთის სამე-

ფოში მომხდარი არეულობით, შეუთანხმდა სამეგრელოს მთავარ ვამეყ III დადიანს, იმერეთის დიდი ნაწილი დაიკავა და თავისი უფროსი ვაჟი არჩილი იმერეთის ტახტზე აიყვანა (1661). დადიანად 3. V-მ თავისი მომხრე დასვა და საკუთარი ძმისწული *თამარი* შერთო, გურიელთან მეგობრული კავშირი დაამყარა, აფხაზეთის მთავარმაც მორჩილება განუცხადა და, ამრიგად, თითქმის მთელი საქართველო 3. V-ის ხელქვეით გაერთიანდა. მაგრამ მალე ოსმალეთის მოთხოვნით 3. V იძულებული გახდა არჩილი იმერეთიდან გაეყვანა, რის შემდეგაც 3. V-მ მისი კახეთში გამეფება მოინდომა, თუმცა უშედეგოდ – მის მეტოქედ კახეთის სამეფო ტახტზე თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ერეკლე (შემდეგში *ერეკლე I*) გამოვიდა, რ-მაც ირანის ხელშეწყობით კახეთი დაიკავა. 3. V-ის მეორე ვაჟი ლუარსაბი ახალციხეს გაიქცა, რათა იქიდან ოსმალეთის დახმარებით იმერეთის ტახტი დაეკავებინა (არჩილიც მას გაჰყვა). ამის გამო 1675 ირანის შაჰმა 3. V თავისთან დაიბარა. ირანს მიმავალი მეფე გზაზე ავად გახდა და გარდაიცვალა. დასაფლავებულია ქ. ყუმში.

წყარო: გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», 1925, [ტ.] 2; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ფ ე შ ა ნ გ ი, შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძის და ს. იორდანიშვილის რედ., [თბ.], 1935.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გ. აკოფაშვილი.

ვახტანგ VI (15. IX. 1675 – 26. III. 1737, ასტრახანი, დაკრძალულია იქვე, კრემლის მიძინების ტაძარში), ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) 1703–14, მეფე – 1716–24. *გიორგი XI-ის* ძმის, ლევანის ძე. პოეტი, მეცნიერი და სჯულმდებელი, ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს წარმომადგენელი. მამამისი, ლევანი, *ვახტანგ V-ის* ვაჟი იყო; დედა, თუთა – ქაიხოსრო გურიელის ასული. სამი წლის ვახტანგს დედა გარდაეცვალა და მას დედინაცვალი, თინათინ ავალიშვილი ზრდიდა. სწავლა-განათლება და სამხ. წვრთნა 3. VI-მ ბიძის, გიორგი XI-ის, კარზე მიიღო. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდო მომავალი მეფის აღზრდას ს.-ს. *ორბელიანმა*. 3. VI ჭაბუკობის ასაკიდანვე აქტიურად ჩაება ქართლის ტახტის გარშემო გაჩაღებულ შინაპოლიტიკურ ბრძოლაში, სადაც ირანის ბატონობის მომხრე და მისი მოწინააღმდეგე ძალები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ქართ. პატრ. ძალებთან ერთად იგი გიორგი XI-ის მხარეზე დადგა. გარედან სამხ. დახმარების მისაღებად 18 წლის 3. VI, გიორგი XI-ის დავალებით, საშამხლოში გაემგზავრა და მოლაპარაკება გამართა შამხალთან; ჩერქეზების მისამხრობად, ბიძის ნებით, 1695 ცოლად შეირთო ჩერქეზი ბატონის ასული რუსუდანი. ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ გამართული ბრძოლა გიორგი XI-ის მარცხით დამთავრდა, რის შემდეგ ქართლის მესვეურებმა ბრძოლის ტაქტიკა შეცვალეს. მათ შაჰის



ვახტანგ VI. მინიატურა. ფრაგმენტი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

კარზე პოლიტ. გავლენის მოპოვება და მისი საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენება სცადეს. 1703, როდესაც შაჰმა გიორგი XI-ს კვლავ ქართლის მეფობა უბოძა, მის მოადგილედ (ჯანიშინად), მისივე თხოვნით, 3. VI დაამტკიცა. ირან. კარზე გავლენიან ქართველთა მხარდაჭერითა და მაჰმადიანი მეფის ზურგს ამოფარებული ,,ჯანიშინი'' ქართლში წარმატებით შეუდგა ,,ქართველობისათვის'' ბრძოლას: გადააყენა *ერეკლე I-ის* მომხრე ირანოფილი მოხელეები და სამეფო კარზე მოკალათებული მერყევი, საეჭვო ელემენტები, მათი ადგილები კი ქვეყნისა და მეფის ერთგული ადამიანებით შეავსო; გააუქმა ქვეყანაში ფეხმოკიდებული ირანულ-ყიზილბაშური წესები და აღადგინა ქართ. ეროვნ. წეს-ჩვეულებები; 1705 მოიწვია საეკლ. კრება, რ-მაც ქართლის კათოლიკოსად 3. VI-ის ძმა – დომენტი აირჩია (იხ. *დომენტი IV*); ცენტრ. ხელისუფლების განმტკიცების მიზნით და თავადური სეპარატიზმის დასათრგუნად ,,მცველთა ჯარი'' გაიჩინა; 1707 წარმატებით ილაშქრა დვალეთში, ხოლო 1711 – ოსეთში. ამით ჩრდილოეთის მომთაბარეთაგანაც დაიცვა თავი, სახელმწ. საზღვარიც გაამაგრა და ქსნისა და არაგვის საერისთავოების ზურგში მოქცევით ამ უკანასკნელებს ურჩობის ხალისი დაუკარგა; თბილ. ყიზილბაში ციხისთავები ქართველებით შეცვალა, რის შემდეგ ტყვის სყიდვაც აკრძალა. ირანის სამსახურში მყოფი ქართვ. სარდლებით და დიდმოხელეებით დავალებული შაჰი იძულებული იყო შერიგებოდა 3. VI-ის სითამამეს, ზოგჯერ კი მხარიც დაეჭირა მისთვის.

,,ქართველობისა'' და ქრისტიანობის აღდგენისათვის ნაყოფიერმა მოღვაწეობამ 3. VI-ის ავტორიტეტი დიდად გაზარდა მთელ საქართველოსა და ქრისტ. კავკასიაში. *ვახუშტი ბატონიშვილის* მოწმობით, 3. VI-ს მორჩილებდნენ იმერნი და უსმენდნენ კახნი. საქართვ. ამ მხარეების მეტად დასაკავშირებლად მან დინასტიური ხასიათის ღონისძიებებსაც მიმართა. 1712 თებერვალში თავისი ქალიშვილი, *თამარი*, კახთ ბატონიშვილს, თეიმურაზ ერეკლეს ძეს, მიათხოვა, ხოლო მეორე ქალიშვილი, ანუკა ბატონიშვილი – იმერეთის გავლენიან თავადს ვახუშტი *აბაშიძეს*. ამ დროისათვის გიორგი XI-ისა და ირანში მისი შემცვლელის ქაიხოსროს ტრაგიკული დაღუპვის გამო შაჰის კარზე ქართლის მეფის ვაკანტურ ადგილზე კანდიდატის შერჩევის საკითხი დადგა. შაჰმა თავისი არჩევანი 3. VI-ზე შეაჩერა, მაგრამ აუცილებელ პირობად გამოაჰმადიანება დაუდო. 1712 აპრილში, 300 კაცის თანხლებით, 3. VI ისპაანს გაემგზავრა. მასთან იყო ს.-ს. ორბელიანიც. ირანი მწვავე შინაგან კრიზისს განიცდიდა. უკანასკნელ სეფიანთა უძლურება 3. VI-ს ირანისაგან განთავისუფლების იმედს უსახავდა. ირანის სისუსტით სარგებლობას ცდილობდნენ თურქეთი და რუსეთიც. თურქეთს კავკასია – აზერბაიჯანის დაპყრობა და ამით მისთვის მიუღებელი რუსეთ.-ირანის სავაჭრო მაგისტრალის (ვოლგა – ასტრახანის გზის) გადაკეტვა სურდა, რუსეთს კი – კასპიისპირეთის დაპყრობა, რათა აზიაში მიმავალ სავაჭრო გზებზე კონტროლი დაეწესებინა.



ვახტანგ VI. უცნობი მხატვარი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

ირანის ვასალი, ქართლის სამეფო ამ ორი დიდი სახელმწ. ეკონ. და პოლიტ. ინტერესების გადაკვეთის გზაზე აღმოჩნდა, რის გამოც ორივე დაპირისპირებული მხარე ვ. VI-ის მიმხრობით დიდად იყო დაინტერესებული. XVII ს. II ნახ-იდან საქართველოში კათოლიკე მისიონერები და დასავლეთის სავაჭრო-პოლიტ. აგენტები გააქტიურდნენ. საფრანგეთისა და ვატიკანის ზოგი გავლენიანი პირი იზიარებდა ამიერკავკასიაში დიდი კათოლ. სახელმწიფოს შექმნის გეგმას. ვ. VI უაღრესად საპასუხისმგებლო არჩევანის წინაშე დადგა. ირანი თუ მისთვის ,,ფოცხვერი'' იყო, თურქეთს ის ,,ბაბრს'' (ჯიქს) უწოდებდა. მახლობელი აღმოსავლეთის ასპარეზზე ახ. პოლიტ. ძალების გამოჩენა ვ. VI-ს საგარეო ორიენტაციის შესაცვლელად იწვევდა. ჩანს, ამიტომაც ქართლის ტახტის ,,ქრისტიანობით დაუფლებას'' ის პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ირანის შაჰი, მართალია, ქართლის ვალის ბევრს უთმობდა, მაგრამ თავისი ქვეშევრდომის ,,მაჰმადიანობით დამტკიცებას'' მისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ვ. VI დიდ პოლიტიკაში ჩათრეული აღმოჩნდა. ირანში მყოფმა ვ. VI-მ ევრ. მონარქებთან დაკავშირება და მათგან დახმარების მიღება სცადა. ამ მიზნით 1713 შემოდგომაზე ს.-ს. ორბელიანი პარიზსა და რომში გაემგზავრა ლუი XIV-სა და პაპ კლიმენტი XI-თან შესახვედრად. ,,სიჯიუტისათვის'' შაჰმა ვ. VI ქირმანში გადაასახლა, ხოლო მისი გამაჰმადიანებული ძმა, იესე, 1714 ქართლის მეფედ დანიშნა. ირანთან თანხმობის პერიოდში მიღწეული წარმატებები თანდათან გაფერმკრთალდა, ქვეყანა უკან იხევდა, ყიზილბაშური წესები კვლავ თავს იჩენდნენ. სულხან-საბა 1716 ევროპიდან ხელცარიელი დაბრუნდა. იმავე წელს ფარაბადში ვ. VI-მ მაჰმადიანობა მიიღო და ქართლის ტახტი დაიბრუნა, მაგრამ შაჰმა ვ. VI ირანში დაიტოვა და ბარდა და თავრიზი მისცა სამმართველოდ, ქართლის სამეფო კი მის შვილს – *ბაქარს* ჩააბარა, რ-იც სამეფოს მამის ჩამოსვლამდე მართავდა. 1719 ვ. VI ქართლში დაბრუნდა და ირანისგან თავის დახსნის სამზადისს შეუდგა. ამ სამზადისში უმთავრესად ადგილი ეთმობოდა რუსეთთან კავშირს და პეტრე I-ის ახლოაღმოსავლური პოლიტ. პროგრამის რეალიზაციისათვის ხელის შეწყობას. პროგრამით იგეგმებოდა ამიერკავკასიაში ბუფერული ქართულ-სომხური ძლიერი ქრისტ. სახელმწიფოს შექმნა ვ. VI-ის მეთაურობით, რ-იც შეძლებდა თურქეთისათვის გზის გადაღობვას და არ დაუშვებდა მის გაჭრას კასპიისპირეთის რუს. სამფლობელოებისაკენ. 1719–20 ასტრახანის გუბერნატორმა ა. *ვოლინსკიმ*, პეტრე I-ის დავალებით, ვ. VI-თან მოლაპარაკება დაიწყო სამხ.-პოლიტ. კავშირის დასადებად. ქართლის სამეფოს დარბაზის წევრთა უმეტეს ნაწილს სახიფათოდ მიაჩნდა დასახული გეგმა, რამდენადაც მისი გამჟღავნების შემთხვევაში საქართველოს მრავალრიცხოვანი მტრები რუს. ლაშქრის მოსვლამდე ააოხრებდნენ ქვეყანას. ვ. VI-ის ამ პოლიტ. კურსის მოწინააღმდეგე, ჩანს, დ. გურამიშვილიც იყო, რ-იც მეფის გადაწყვეტილებას ასე აფასებდა: ,,მესამე კიდევ მოიბა, ორი საბელი თავს ება'' (იხ. *თბილისის თათბირი 1722*). 1721 ნოემბ. პეტრე I და ვ. VI ერთობლივ საომარ მოქმედებაზე შეთანხმდნენ. 1722 აგვისტოში რუსთა ჯარმა კასპიისპირეთში მოქმედება დაიწყო. იმავე ხანებში, ირანზე გალაშქრების მიზნით, თურქეთმა ვ. VI-ს სამხ. კავშირი შესთავაზა, რისთვისაც მთელ საქართველოს ჰპირდებოდა. შაჰმა, თავის მხრივ, ვ. VI-ს აჯანყებული ლეკების დასასჯელად შირვანს გალაშქრება უბრძანა. ქართლის მეფემ შაჰის ბრძანება პეტრე I-თან შეთანხმებული გეგმის საფარად გამოიყენა და აგვისტოს ბოლოს ქართველთა ლაშქრით განჯისაკენ გაემართა, სადაც მისივე ძალისხმევით ორგანიზებული სომხ. ლაშქარი შეუერთდა. რუს. ჯარი ვ. VI-ის ლაშქარს დარუბანდსა და ბაქოს შორის უნდა შეერთებოდა, ამიტომ რუსების შირვანში გამოჩენამდე ვ. VI განჯაში იცდიდა. ცდა ერთობ გახანგრძლივდა, დარუბანდს მიღწეული პეტრე I-ის ჯარი უკან, ასტრახანში გაბრუნდა. ირანის ,,ვალის'' აჯანყება აშკარად გაცხადდა, რითაც ვ. VI-მ მთელი მაჰმადიანური სამყარო აიმხედრა. შაჰმა ვახტანგი გადააყენა და ქართლი კახეთის მეფე *კონსტანტინე II-ს* უბოძა. მეფეს შინაურების მნიშვნელოვანი ნაწილიც განუდგა. 1723 წ. 4 მაისს გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ ლეკთა დაქირავებული ლაშქრით თბილისი აიღო, იმავე წლის ივნისში კი თურქები თბილისს მოადგნენ და აღმ. საქართველო და სომხეთი დაიკავეს. 1724 კონსტანტინოპოლის ხელშეკრულებით რუსეთმა ცნო თურქეთის უფლება მთელ ამიერკავკასიაზე, კასპიისზღვისპირა ვიწრო ზოლის გარდა, რ-იც თავისთვის შეინარჩუნა. 1724 ივლისში ვ. VI, დიდი ამალით (1214 კაცის შემადგენლობით), რაჭის გავლით რუსეთში გაემგზავრა, იმ იმედით, რომ მალე დაბრუნდებოდა რუსთა ჯარით და სამშობლოს ირანისა და თურქეთის ბატონობისაგან გამოიხსნიდა. ქართლი ერთბაშად დაიცალა მოწინავე გონებრივ მუშაკთაგან და აქ დიდი ხნით შეწყდა კულტ. მოღვაწეობა. ქართვ. ემიგრანტები, მ. შ. ვ. VI-ც, მალე რუს. სამსახურში აღმოჩნდნენ ჩაბმულნი, მათი შთამომავალნი კი მომდევნო წლებში რუს. პოლიტ. ინტერესების ყველაზე აქტ. დამცველები გახდნენ. რეშთისა (1732) და განჯის (1735) ხელშეკრულებით რუსეთმა ირანს დაუბრუნა კასპიისპირა პროვინციები. ამიერკავკასიის პრობლემები კარგა ხნით გამოვიდა რუს. პოლიტ. ინტერესების სფეროდან. ვ. VI-ის ძალისხმევით გაცოცხლებული და მოშენებული ქვეყანა დიდ სახელმწიფოთა ჭიდილში ჩართვამ ერთიანად დააქცია.

ნაყოფიერი იყო ვ. VI-ის მიერ სოც. ურთიერთობათა მოწესრიგებისა და ქვეყნის სამეურნეო-ეკონ. და კულტ. დაწინაურებისათვის გატარებული ღონისძიებები. ძვ. მივიწყებული სარწყავი არხების აღდგენასთან ერთად დაიწყო ახ. არხებისა და რუების მთელი სისტემის მშენებლობა ქციისა და მაშავრის ხეობებში, ყარაიის ველზე და სხვაგან. არხების მშენებლობას თან სდევდა უდაბური ადგილების მოშენება, დაუსახლებელ ტერიტორიებზე ახ. დაბებისა და სოფლების გაჩენა, მოსახლეობის მომრავლება. დიდი სამუშაოები ჩატარდა გზების, ხიდების, ქარვასლების, სასახლეთა და ეკლესია-მონასტრების აღდგენა-აშენებისათვის. თბილისში აიგო მეფის დიდებული სასახლე.

ვ. VI-ის ინიციატივით და აქტ. მონაწილეობით დამუშავდა ორიგინ. ქართული ადმ.-სამეურნეო წესდება *დასტურლამალი*, რ-მაც ხელი შეუწყო სახელმწ. ეკონ. საფუძვლების გამტკიცებას. მისივე თაოსნობით შეიქმნა კანონთა კრებული, რ-ის ძირითადი ნაწილი – ,,*სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა*'' მნიშვნელოვნად აწესრიგებდა სოც. ურთიერთობას ქვეყანაში. ვ. VI-ის სამართლის კა-

ნონებისა და ,,დასტურლამალის'' ნორმებით ხელმძღვანელობდნენ როგორც ქართლის სამეფოში, ისე კახეთსა და იმერეთშიც.

ვ. VI-ის მეფობის წლები გამოირჩევა ქართ. მეცნიერებისა და კულტ. აღორძინებით. აღსანიშნავია ვ. VI-ის ღვაწლი საქართველოში ასტრონ., ქიმ., მედ., ლექსიკოგრაფიის, ისტორიოგრაფიის, გეოგრ. და მეცნ. სხვა დარგების განვითარებაში. ვ. VI-ის სახელთანაა დაკავშირებული განათლებულ მეცნიერთა დასის – *სწავლულ კაცთა კომისიის* დიდი კულტ. საქმიანობა. მრავალ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ვ. VI-ის თაოსნობით 1709 თბილისში პირველი ქართ. სტამბის დაარსება. ამ სტამბაში 1712 პირველად დაიბეჭდა შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსნის'' მეცნ.-კრიტ. ტექსტი საფუძვლიანი გამოკვლევითურთ, რ-შიც განხილულია თეორ. საკითხები – პოემის ორიგინალურობის დასაბუთება, იდეური მიზანდასახულობა და სხვ. ნაშრომი საგულისხმოა ლექსიკოლოგიური თვალსაზრისითაც. ვახტანგისეული გამოცემა მნიშვნელოვანია როგორც პირველი მცდელობა, პოემის ტექსტის შემდგომი შესწავლა-აღდგენის საქმეში, რამაც საფუძველი ჩაუყარა მეცნ. რუსთველოლოგიას. ვ. VI-ს წვლილი მიუძღვის ქართ. დიდაქტ. მწერლობის განვითარებაშიც. სწავლა-აღზრდის ახლებურ ნიადაგზე აღორძინება მას ძნელბედობაში ჩავარდნილი ქვეყნის უპირველეს ამოცანად მიაჩნდა. მან თარგმნა და გადმოაკეთა მსოფლიო დიდაქტ. ლიტ-რის თვალსაჩინო ნიმუშები: გალექსა რუს. თხზულების ,,აპოფთეგმატას'' ე. თურქესტანიშვილისეული მოკლე რედაქცია (,,სიბრძნე მალაღობელი''), თარგმნა ,,ქილილა და დამანა'', ,,ამირ-ნასარიანი'' და სხვ.

ვ. VI-ის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლირიკას, რ-იც თემატიკური მრავალფეროვნებითა და იდეური სიღრმით გამოირჩევა. ძვ. ქართ. მწერლობაში მან ერთ-ერთმა პირველმა შექმნა პატრ. ლირიკის ნიმუშები, განავითარა ე. წ. აღორძინების ხანის პოეზიისათვის ნიშანდობლივი მოტივი – ,,მდურვა სოფლისადმი''. ვ. VI-ის სატრფიალო ხასიათის ლექსები მეტწილად ალეგორიულ-მისტიკური შინაარსისაა; სიყვარულის ერთადერთ საგნად დასახულია უმაღლესი რეალობა, როგორც ეს ქრისტ. თეოლოგიაშია მიჩნეული, ღვთაებრივი სინამდვილე. ამ ე. წ. ,,საღვთო მიჯნურობის'' კონცეფციით სცადა მან ,,ვეფხისტყაოსანში'' სიყვარულის მოტივის ახსნა-განმარტებაც. ვ. VI-ის ლირიკის ამ თავისებურებამ შემდგომი განვითარება პოვა ქართ. პოეზიაში (დ. გურამიშვილი, მ. ბარათაშვილი და სხვ.). პოეტის ლექსები არც გრძნობადკონკრ. სახეებსაა მოკლებული. მის ლირ. შედევრებში აღბეჭდილია ღრმად ინდივიდ. ადამიანური განცდები (,,რანი და მოვაკანი და ...''), გამოხატულია ბუნების მშვენიერების განცდა (,,რა სჯობს მაისში ტფილისსა ...'') და სხვ.

თხზ.: ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედ., თბ., 1975; ვახტანგ VI-ის წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა, თ. ენუქიძისა და ვ. კოკოჩაშვილის რედ., თბ., 1981; სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ი. დოლიძის გამოც., თბ., 1981.

წყარო: გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი დ., დავითიანი, თბ., 1964; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902; ჩ ხ ე ი ძ ე ს., ცხოვრება მეფეთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ნაწ. 2, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ., 1854; Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, СПб., 1861.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; გ ა წ ე რ ე ლ ი ა ა., მასალები ვახტანგ VI-ის ბიოგრაფიისათვის, «მნათობი», 1957, №12; დ ო ნ დ უ ა ვ., ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან (1712–1745), «მიმომხილველი», 1953, ტ. 3; პ ა ი ჭ ა ძ ე გ., ვახტანგ VI, თბ., 1975; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ქ ი ქ ო ძ ე მ., ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, თბ., 1988; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII ს-ში, ტფ., 1919; Л ы с ц о в В. П., Персидский поход Петра I (1722–23 гг.), М.,1951; М а р к о в а О. П., Россия, Закавказье и международные отношения в XVIII в., М., 1966.

გ. მაისურაძე. ს. ცაიშვილი.

ვახტანგაძე მუხრან ალის ძე (დ. 22. I. 1973, ბათუმი), სპორტსმენი (ბერძნ.-რომაული ჭიდაობა). ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (სიდნეი, 2000), მსოფლიოს ჩემპიონი (2001), მსოფლიოს თასის მფლობელი პირად (2003) და გუნდურ (2004) ჩათვლაში. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის (2001) ორდენების კავალერი.

ვახტანგ ბატონიშვილი (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი), იმერეთის მეფის *ალექსანდრე II-ის* ძე. თავისი უფროსი ძმის, იმერეთის მეფის *ბაგრატ III-ის* მმართველობის პირველ წლებში უკმაყოფილო ვ. ბ. ამალით ქართლს გაიქცა. მეფე დაედევნა და 1512 მოხისთან დაამარცხა იგი. ქართლის მეფის *დავით X-ის* შუამდგომლობით ძმები შერიგდნენ. შემდეგში ვ. ბ. მეფის პოლიტიკის ერთგული მიმდევარი იყო. 1547, როდესაც ოსმალები გურიაში შეიჭრნენ, *როსტომ გურიელმა* დახმარებისათვის მიმართა ბაგრატ III-ს და *ლევან I დადიანს*. ბაგრატმა გურიელს ვ. ბ-ის მეთაურობით 500 მხედარი მიაშველა, მაგრამ რადგან დადიან-გურიელის შეერთებაში საფრთხეს ხედავდა, ვახტანგს დაავალა, არ დაეშვა მთავართა გაერთიანება. ვახტანგმა წარმატებით შეასრულა ძმის დავალება, დადიანს შეუთვალა – ჩემ ძმას და გურიელს პირი აქვთ შეკრული, თუ ,,შეიკრიბნეთ... მოგაკვდინებენ ანუ შეგიპყრობენ''. დადიანი შეშინდა და უკან გაბრუნდა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., საქართველოს მოკლე ისტორია, ტფ., 1920; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

ო. სოსელია.



მ. ვახტანგაძე.

ვახტანგ ბატონიშვილი (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი), იმერეთის მეფის *დავით II-ის* შვილიშვილი, აქტიურად მონაწილეობდა 1819–20 იმერეთის აჯანყებაში. აჯანყების დამარცხების შემდეგ ახალციხის საფაშოში გაიქცა. 1835 ვ. ბ. კონსტანტინოპოლში იყო, იქიდან თავის ძმასთან – ტარიელთან ერთად პარიზში წავიდა, ურთიერთობა ჰქონდა მ. *ბროსესთან.*

წყარო და *ლიტ.*: დ ა დ ი ა ნ ი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962; М а х а р а д з е Н. Б., Восстание в Имеретии 1819–1820, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1942, ნაკვ. 3.

ო. სოსელია.

ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) (22. VI. 1761 – 28. X. 1814, პეტერბურგი), ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ძე. ლევან ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ საუფლისწულოდ მიიღო არაგვის საერისთავო, აქტიურად მონაწილეობდა კრწანისის ბრძოლაში. ტახტისათვის ატეხილ ბრძოლაში მხარს უჭერდა ძმებს – იულონს და ფარნაოზს, ოპოზიციაში ედგა უფროს ძმას, გიორგის. 1802 რუსთა წინააღმდეგ თავადაზნაურთა გამოსვლის პერიოდში რუსებმა

ვახტანგ გორგასლის ორდენი



ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი.



ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი.



ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი.

შეიპყრეს და დარეჯან დედოფალთან ერთად ავლაბრის სასახლეში დაატუსაღეს; 1803 თებერვალში სამეფო სახლის სხვა წევრებთან ერთად პეტერბურგში გაასახლეს. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში.

ვ. ბ-მა განაახლა კანონმდებლობა არაგვის საერისთავოსათვის *„განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“* და სხვ. ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე მისმა ეპისტოლურმა მემკვიდრეობამ.

თხზ.: ისტორიებრი აღწერა ღირსთა ხსომისა შემთხვეულებათა საქართველოსა..., ს. კაკაბაძის გამოც., ტფ., 1914; Обозрение истории грузинского народа, СПб., 1914.

წყარო და *ლიტ.*: ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოც., თბ., 1941; იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას გამოც., ტფ., 1936; ფუტკარაძე ი., ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1964; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965. *დ. მეგრელაძე.*

ვახტანგ გორგასალი, იხ. *ვახტანგ I* გორგასალი.

ვახტანგ გორგასლის მოედანი, თბილისის ძველთაძველი სავაჭრო მოედანი, ცნობილია XVII ს-იდან. მდებარეობს ძვ. თბილისში (*კალა*), მეტეხის ხიდსა და ჟ. შარდენის, კ. აფხაზის, ჰ. თუმანიანისა და ვახტანგ გორგასლის ქუჩებს შორის. მოქცეულია ქალაქის ორ უძველეს ნაწილს – აბანოთუბანსა და კალას შორის, ხოლო მეტეხის ხიდით დაკავშირებულია მესამე ძვ. უბანთან – ისანთან.

მოედანი რამდენიმე სახელითაა ცნობილი: თავდაპირველად დაბლა ციხესთან სიახლოვის გამო ციხის მოედანი ერქვა (ასეა დატანილი *ვახუშტი ბატონიშვილის* მიერ შედგენილ თბილ. 1735 წ. გეგმაზე). 1750, ქალაქისა და ციხის გამყოფი კედლის აღების შემდეგ, იხსენიება როგორც ქვემო მეიდანი, მეიდანი (შეტანილია 1841 წ. შედგენილ თბილ. ქუჩებისა და მოედნების სიაში), თათრის მაიდანი (დატანილია თბილ. 1851, 1867, 1897, 1934 წლების გეგმებზე), მაიდანი (ასეა შეტანილი თბილ. გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში; თბილ. ქუჩების 1940 წ. ცნობარშიც). *ვახტანგ I* გორგასლის სახელი ეწოდა 1958.

ვ. გ. მ. იყო კალის სამხ. (აქ იმართებოდა სამხ. აღლუმები), საზ. და სავაჭრო ცენტრი. ყოველდღიური ბაზრობის გარდა, აქ ეწყობოდა საკვირაო და სადღესასწაულო ბაზრობაც, სადაც ქარავნები აღმ. ქვეყნებიდანაც ჩამოდიოდნენ. მოედნის შუაში გამართულ ჩარდახში იდგა დიდი სასწორი – აქედან ხდებოდა პროდუქტების გადანაწილება ბაზრის ტერიტორიაზე. „სოფლიდან მოსული საქონელი თავდაპირველად ქალაქის მცხოვრებლებს უნდა ეყიდათ და შემდეგ – ქორვაჭრებს, რისი ნიშანიც ყაფანზე აღმართული ბაირაღი იყო. სრულ 12 საათზე ბაირაღს დაუშვებდნენ და ეს იმას ნიშნავდა, რომ ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო ვაჭართა და სოფლელთა აღებ-მიცემა“ (ი. გრიშაშვილი). მოედანზე შადრევნიანი წყალსატევი იყო (იარსება XIX ს. დასასრულამდე), რ-შიც კერამიკული მილებით ჩაედინებოდა თაბორის ქედის კალთებიდან გამოყვანილი წყაროს წყალი. მოედანზევე იყო სამეფო დუქნები, ყავახანები, სასადილოები (აშპაშხანა).

ვ. გ. მ-ის რეკონსტრუქცია დაიწყო XX ს. 20-იან წლებში ყოფ. შუა ბაზრის (ახლანდ. კ. აფხაზის ქუჩა) გაფართოებასა და კეთილმოწყობასთან დაკავშირებით. შემდეგი რეკონსტრუქციის დროს (1940–50) მოედანი გაიხსნა მტკვრის მხარეს. რეკონსტრუქციების შედეგად მოისპო მეტად კოლორიტული გაშენიანება მეტეხის ხიდის გარშემო – შაჰ-ისმაილის მეჩეთი (XVII–XVIII სს.) და მინარეთი, ქარვასლა, შეკიდებულიაივნიანი სახლები, რ-თა პირველი სართულები სავაჭროებს ჰქონდა დათმობილი. ძვ. შენობებიდან შემორჩა მხოლოდ ციხის დიდი ეკლესია. ძვ. მოედნის კოლორიტი ასახულია მრავალ დოკუმენტსა თუ მხატვრულ ნაწარმოებში (ჟ. შარდენი, ჟ. ტურნეფორი, გ. გაგარინი და სხვ.). ამჟამად მოედანი საკმაოდ გადატვირთული მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძია.

ლიტ.: გრიშაშვილი ი., ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა. ტფ., 1927; თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები, თბ., 2008. *თ. ბერიძე.*

ვახტანგ გორგასლის ორდენი, სამხედრო ორდენი. დააწესა საქართვ. პარლამენტმა 1992 წ. 24 დეკემბერს. ავჯილდოებენ საქართვ. სამხ. მოსამსახურეებს, რ-ებმაც სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოიჩინეს თავდადება და მამაცობა, უნარიანი ხელმძღვანელობით უზრუნველყვეს სამხ. ნაწილებისა და ქვეგანყოფების წარმატება, შეიმუშავეს და განახორციელეს საბრძოლო ოპერაციები. ვ. გ. ო-ით ავჯილდოებენ აგრეთვე სპორტსმენებსა და კულტ. მოღვაწეებს განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

ვ. გ. ო. სამი ხარისხისაა. დავჯილდოება ხდება შემდეგი თანამიმდევრობით: III ხარისხის ორდენით ავჯილდოებენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მაღალი საბრძოლო მომზადებისათვის, II ხარისხის ორდენით – სამხ. ხელმძღვანელობის მიერ მიცემული საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის, I ხარისხის ორდენით – ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურების, თავდადებისა და თავგანწირვისათვის. ვ. გ. ო-ის ავტორია ე. *ბურჯანაძე.* იხ. აგრეთვე სტ. *ორდენები* საქართველოსი.

ლიტ.: ჯავახიშვილი ნ., ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა), თბ., 1995. *ნ. ჯავახიშვილი.*

ვახტანგ I გურიელი, გურიის მთავარი 1583–87. გამთავრებამდე საბატონიშვილოდ ჰქონდა ქობულეთის მხარე. მთავრად დასვა სამეგრელოს მთავარმა *მამია IV დადიანმა*, რ-მაც დაამარცხა *გიორგი II გურიელი*. ვ. I გ-ის ცოლი იყო *ქაიხოსრო II* ათაბაგის ასული თამარი. ჰყავდათ შვილები – თამარი და ქაიხოსრო. (იხ. *ქაიხოსრო I გურიელი*).

ქ. ჩხატარაიშვილი.

ვახტანგ II გურიელი, გურიის მთავარი 1639–40, გიორგი II გურიელის უმცროსი ვაჟი. საბატონიშვილოდ ჰქონდა მდ. ბჟუჟის ხეობა. XVII ს. დასაწყისში ზარზმიდან (სამცხე) გადმოტანილი საეკლ. სიწმინდეების დასაცავად შემოქმედის საკათედრო ტაძართან ააგო ღვთისმშობლის შობის ეკლესია და მას რამდენიმე აზნაური და 80 კომლი გლეხი შესწირა. 1639 გურიელად დასვა *ლევან II დადიანმა* და ფაქტობრივად მისი ვასალი იყო. *ქ. ჩხატარაიშვილი.*

ვახტანგ III გურიელი, გურიის მთავარი 1792–97, გიორგი V გურიელის ვაჟი. 1788 საბატონიშვილო მამული მიიღო მდ. სუფსის მარჯვ. მხარეს, შემდეგ მიითვისა საჯუმათლოს ყმა-მამულიც, ეურჩებოდა ძმას – სვიმონ III გურიელს. 1792 გურიელად დასვა სოლომონ II-მ. 1794 სოლომონ II-ის წინააღმდეგ მებრძოლ დავით გიორგის ძეს მიემხრო. სოლომონ II-ის გამარჯვების შემდეგ ოსმალებს დაუახლოვდა. 1797 ძმამ – ქაიხოსრომ გადააყენა და კვლავ საბატონიშვილოზე დასვა. ვ. III გ. განაგრძობდა ბრძოლას

ხელისუფლებისათვის, რის გამოც იგი ქაიხოსრომ შეიპყრო და გურიიდან გააძევა. ვ. III ბ-მა ახალციხის ფაშას – სელიმს შეაფარა თავი. ქაიხოსროს თხოვნით 1804 იგი სელიმმა შეიპყრო, მაგრამ სოლომონ II-ისა და პ. ციციანოვის თხოვნით გაათავისუფლა. 1805 საბატონიშვილო მამული დაიბრუნა, თუმცა მალევე გარდაიცვალა.

ქ. ჩხატარაიშვილი.

ვახტანგისი (ყოფ. ვოეკოვი, ულიანოვკა, ახალი ულიანოვკა), სოფელი გარდაბნის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის მხარე), გარდაბნის ვაკეზე, გარდაბან–აღსთაფის საავტ. გზაზე. სათავო სოფელი ზ. დ. 270 *მ*, გარდაბნიდან 12 *კმ*. 2,6 ათ. მცხ. (2002).

ვახტანგ VI-ის მონეტა, ქართლის მეფის *ვახტანგ VI-ის* სპილენძის მონეტები, რომლებიც იჭრებოდა მისი ჯანიშინობისას თბილისის სამეფო ზარაფხანაში 1708–09. 1708 წ. დათარიღებული ნახევარბისთიანი მონეტების საშუალო მასა შეადგენს 8,87 *გ* (მაქს. 9,04 *გ*, მინ. 8,38 *გ*), ხოლო 1709 დათარიღებულისა – 8,79 *გ* (მაქს. 9,16 *გ*, მინ. 8,20 *გ*). მათი დიამეტრი საშუალოდ 25–26 *მმ*. მონეტის შუბლზე გამოსახულია მარჯვნივ ან მარცხნივ მცურავი სამანძიანი ხომალდი, გემზე ზემოდან ეშვება მტრედი, რ-საც ნისკარტით რტო უპყრია. ქვემოთ, ზღვის ტალღების ფონზე, მონეტაზე აღნიშნულია მოჭრის თარიღი შემდეგი ფორმით – 178 (იგულისხმება 1708) ან 179 (იგულისხმება 1709). ყოველივე ამას გარს აკრავს ხაზოვან-წერტილოვანი რკალი. ზოგჯერ ხომალდის ანძებს შორის აღბეჭდილია ვარსკვლავი, მონეტის ზურგზე კი – სამი (,,ვნგ'' ან ,,ვტგ'') ანდა ორი ასოსაგან შემდგარი მეფის დაქარაგმებული სახელი ქართულად (მხედრული შრიფტით), რ-იც ჩასმულია ორნამენტულ ჩარჩოში. მის გარეთ სპარს. ლეგენდაა: ,,ფულუსი იჭედა თბილისს წელსა 1120''. იქვე გამოსახულია ორი თევზი, რ-ებიც ერთმანეთის საპირისპიროდ მიცურავს (ზოდიაქოს ნიშანი). მონეტებზე მათი მოჭრის თარიღი აღნიშნულია როგორც ქრისტ. წელთაღრიცხვით, ასევე ჰიჯრით, რაც პირველი შემთხვევაა ქართ. ნუმიზმატიკის ისტორიაში. ამ მონეტების გამოშვებით თბილ. ზარაფხანაში განახლდა ქართულწარწერიანი ლითონის ფულის მოჭრა, რაც ორ საუკუნეზე მეტხანს შეწყვეტილი იყო. ამით ბაგრატიონებმა დაიბრუნეს სამონეტო რეგალია.

ლიტ.: დუნდუა თ., დუნდუა გ., ჯავახიშვილი ნ., ფული საქართველოში, II გადამუშ. გამოცემაგამოც. მე-2, თბ., 2003; დუნდუა გ., დუნდუა თ., ქართული ნუმიზმატიკა, ნაწ. 2, თბ., 2011; ჯავახიშვილი ნ., ვახტანგ VI-ის ღვაწლის ასახვა საზოგადოებრივ აზროვნებაში, ჟურნ. «ისტორიანი», 2013, №9 (33); Кутелия Т., Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), Тб., 1979.

ნ. ჯავახიშვილი.

ვახტანგ VI-ის სამართალი, *ვახტანგ VI-ის* თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით შედგენილი კოდექსი 1705–08 წლებში. იხ. ,,*სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა*''.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ვახტანგ ბატონიშვილის ბრძანებით შექმნილი საკოდიფიკაციო კომისიის მიერ 1705–08 შედგენილი კანონთა კრებული; შეიცავს შესავალსა და შვიდ საკანონმდებლო ძეგლს: 1. სამართალი მოსესი, 2. სამართალი ბერძნული, 3. სამართალი სომხური, 4. სამართალი კათოლიკოსთა, 5. სამართალი მეფის გიორგისა, 6. სამართალი აღბუღასი, 7. სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა.



მოსეს სამართლის ქართ. ვერსია წარმოადგენს გამონაკრებს ბიბლიის მე-5 წიგნიდან – ,,მეორე სჯულიდან'' (5, 13–27) და შეიცავს 52 მუხლს. კანონთა ტექსტი აღებულია არა თანამიმდევრობით, არამედ შერჩევითა და შემოკლებით.

კრებულის II ნაწილია ,,*სამართალი ბერძული*'', რ-შიც გადმოცემულია მათე ბლასტარის იურიდ. ტრაქტატის – ალფაბეტური სინტაგმისა და კონსტანტინე არმენოპულოსის ,,ექვსწიგნეულის'' შემოკლებული თუ სხვა წყაროებიდან შერჩეული სამართ. დებულებები და ნორმები.

კრებულის III ნაწილი – ,,*სამართალი სომხური*'' – შედგება სირიულ-რომაული სამართლისა (მმ. 1–150) და *მხითარ გოშის* სამართლის წიგნის ქართ. ვერსიებისაგან (მმ. 151–431). სომხ. ტექსტის ბევრი მუხლი ქართულში შემოკლებული და გაერთიანებულია ან, პირიქით, დედნის ერთი მუხლი დაყოფილია რამდენიმე მუხლად. ქართულად თარგმნილი არ არის სომხ. სამართ. წიგნის შესავლის I–VII და IX–XI თავები, აგრეთვე მრავალი მუხლი. ამავე დროს ქართ. ვერსიაში არის ისეთი მუხლები და ჩანართები, რ–ებიც სომხ. დედანში არ მოიპოვება. მხითარ გოშის სამართ. წიგნი შედგენილია XII–XIII სს. მიჯნაზე.

კრებულის IV ნაწილია ,,*კათალიკოსთა სამართალი*'', რ-იც, პ. კეკელიძის აზრით, შედგენილია 1543–49. მისი მთავარი წყაროა ,,დიდი სჯულისკანონი''. საკანონმდებლო კრებაში მონაწილეობდნენ ქართლის კათოლიკოსი მალაქია, აფხ. კათოლიკოსი ევდემონი და ,,ყოველნი ებისკოპოზნი აფხაზეთისანი''. კათოლიკოსთა სამართალი, რ-იც დას. საქართველოს საეკლ. სჯულმდებლობას წარმოადგენს, აღმ. საქართველოშიც მოქმედებდა.

კრებულის V ნაწილი – სამართალი მეფის გიორგისა ანუ ,,*ძეგლის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ*'' – შეიცავს შესავალსა და 46 მუხლს; შედგენილი უნდა იყოს 1335. იგი ძირითადად წარმოადგენს სისხლის სამართ. კანონმდებლობას – ,,სისხლის განაჩენს'', აწესრიგებს აგრეთვე ადმ. სამარ-



ვახტანგ VI-ის მონეტა. სპილენძი. XVIII ს. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი.

ვახტან VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. 1705–1708.

თლის, საადგილმამულო ურთიერთობის, პროცესუალურ და ზოგ სამოქალაქო სამართ. საკითხს.

კრებულის VI ნაწილი – სამართალი აღბუღასი (იხ. *„წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე“*) – ბექა მანდატურთუხუცესისა და აღბუღა ათაბაგ–ამირსპასალარის სამართ. წიგნებს შეიცავს. ბექას სამართალი (მმ. 1–65) შედგენილია 1295–1304, აღბუღასი – 1381–86. კრებულის ხელნაწერებში ბექა-აღბუღას სამართალი ერთ საკანონმდებლო ძეგლად არის შეტანილი და 175 მუხლს შეიცავს (იხ. აგრეთვე *ბაგრატ კურაპალატის სამართალი*). უეჭველია, რომ ბექა-აღბუღას სამართალმა დიდი გავლენა იქონია ვახტანგ ბატონიშვილის სამართ. წიგნზე.

კრებულის ბოლო, VII ნაწილი – საკუთრივ *„სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“* – შედგენილია 1705–08, შეიცავს შესავალსა და 270 მუხლს. ვახტანგის სამართ. წიგნის ძირითადი წყაროა ქართ. ჩვეულებითი სამართალი. კანონთა შედგენისას გათვალისწინებულია კრებულში შესული სხვა ქართ., აგრეთვე უცხ. სამართ. წიგნებიც.

კრებულის უძველეს ნუსხად ითვლება საქართვ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინ-ტის (ახლანდ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი) S – 3683 ხელნაწერი, რ-იც თვით ვახტანგის მიერ არის რედაქტირებული. 1711 წლამდე უნდა იყოს გადაწერილი კრებულის Ω – 575 ნუსხაც. სხვა ნუსხები უფრო გვიანდელია. კრებული თარგმნილია რუს. და ევრ. ენებზე; ორჯერ გამოიცა რუსულად (Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, 1828 და 1887). 1914 ო. უორდროპმა ინგლისურად თარგმნა გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადება, ხოლო 1934–39 სტრასბურგის უნ-ტის პროფესორმა ჟ. კარსტმა ფრანგ. ენაზე 5 წიგნად გამოაქვეყნა გიორგი ბრწყინვალის, ბექა-აღბუღასა და ვახტანგ VI-ის სამართ. წიგნები, რ-თაც ვრცელი მუხლობრივი კომენტარი დაურთო.

პუბლ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ.1, თბ., 1963.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 1, ნაკვ.1, ტფ., 1928 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 6, თბ., 1982). *ი. დოლიძე.*

ვახტანგ VI-ის სამემკვიდრეო კანონი, 1722 წლის წყალობის სიგელი თბილისის მოქალაქეთადმი კანონისმიერ მემკვიდრეთა წრის გაფართოებისა და ბეითალმანობის შეზღუდვის თაობაზე. ამ კანონით ხელი უნდა შეწყობოდა შეძლებული ფენის (დიდებული ვაჭრებისა და ქეთხუდების) კაპიტალის ზრდას, მის დაბანდებას სააღებმიცემო ბრუნვასა და მსხვილ სახელოსნო წარმოებაში, ხოლო ამისდა კვალად – ქალაქისა და აგრეთვე მთელი ქვეყნის სამეურნეო აღმავლობას. ამ სიგელის საფუძველზე ჩამოყალიბებულ წესებს ხშირად „საკუთრების ქალაქურ წესს“ ან, უბრალოდ, „ქალაქურ წესსაც“ უწოდებდნენ.

პუბლ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ.2, თბ., 1965, საბ. 99.

ლიტ.: ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე დ., ვახტანგ VI-ის სამემკვიდრეო კანონი, «საბჭოთა სამართალი», 1969, №3.

დ. ფურცელაძე.

ვახტანგ VI-ის სტამბა, პირველი ქართული სტამბა. დაარსდა 1708–09 (თუმცა, ზოგიერთი ცნობით, მასზე ადრე, 1705, თბილისში სტამბა მოუწყვია და რამდენიმე წიგნი დაუბეჭდავს ვახტანგის ძმას, კათოლიკოს დომენტის); იარსება 1723-მდე. განთავსებული იყო მტკვრის მარჯვ. ნაპირას სპეციალურად აგებულ შენობაში. სტამბა გაუმართავს *ანთიმოზ ივერიელის* ნამოწაფარს, ვლახეთიდან (ახლანდ. რუმინეთი) მოწვეულ ოსტატს მიხაილ *იშტვანოვიჩს*. პირველი წიგნი, რ-იც აქ დაისტამბა, „სახარება“ იყო. 1709–12 დაიბეჭდა 11 დასახელების წიგნი, მ. შ. „ვეფხისტყაოსანი“ – ვახტანგ VI-ის რედაქციითა და საფუძვლიანი კრიტ.-მეცნ. გამოკვლევითურთ (1712). ვახტანგ VI-ის ქირმანში გადასახლების გამო 1713–20 წიგნების გამოცემა შემცირდა (დაიბეჭდა მხოლოდ 5 წიგნი). 1721–22-იდან კვლავ აღორძინდა სტამბაში წიგნების ბეჭდვა-გამოცემა. დაისტამბა 19 დასახელების წიგნი, მ. შ. „ქმნულების ცოდნის წიგნი“ ანუ „აიათი“, ქადაგებანი, ვახტანგ VI-ის მიერ სპარსულიდან თარგმნილი გეოგრ. თხზულება, ასევე ანბანი ლოცვებით, „ჟამნი“ და სხვ., რ-თა ბეჭდვისა და გამოცემის ხარისხი ევრ. სტამბებში გამოცემული წიგნებისას უტოლდება. სტამბას ჰქონდა რამდენიმე სახის შრიფტი: ხუცური (ასომთავრული, ნუსხური), მხედრული, ბერძნ. და ლათ. ერთსა და იმავე დროს იყენებდნენ როგორც შავ, ისე წითელ საღებავს. წიგნებში ჩართულია სურათები (გრავიურით). ტექ. შესრულების ყოველი მხარე – კარგი ქაღალდი, ჩინებული აკინძვა და გაფორმება – იმდროინდელი ხელოვნების შედევრია. სტამბაში მოღვაწეობდნენ ცნობილი ოსტატები: მღვდელმონაზვნები ნიკოლოზი (ს.-ს. ორბელიანის ძმა) და გერმანე, კვიპრიანე სამთავნელი და სხვ.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ე., ვახტანგ მეექვსე და ქართული სტამბის მოღვაწენი, თბ., 1962; შ ა რ ა შ ი ძ ე ქ., პირველი სტამბა საქართველოში (1709–1722), თბ., 1955.

ვახტანგ მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – ბადრი რუბენის ძე ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი) (დ. 25. X. 1953, სოფ. ლასურა, ახლანდ. ცაგერის მუნიციპალიტეტი), სასულიერო მოღვაწე. სწავლობდა და მსახურობდა კიევის უმაღლეს სამხ.-საინჟ. საავიაციო სასწავლებლის სამხ. ძალებში. 1975–78 სწავლობდა მცხეთის სას. სემინარიაში. 1977 ეკურთხა დიაკვნად და დადგინდა თბილ. სიონის ტაძრის ღვთისმსახურად. 1978 ვ. მ. კათოლიკოს-პატრიარქ *ილია II-ის* მიერ ეკურთხა მღვდლად და დაინიშნა თბილ. ყოვლადწმიდა სამების ტაძრის წინამძღვრად. მოგვიანებით მთაწმინდის მამა დავითის ტაძრის მღვდელმსახური იყო. 1980 წ. 15 ოქტომბერს დეკანოზის ხარისხი მიენიჭა. 1982 წ. 1 აგვისტოს აღიკვეცა ბერად და აყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. 1982 წ. 2 აგვისტოს სრულიად საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აკურთხა ეპისკოპოსად და დაადგინა აგარაკ-წალკის ეპარქიაში. ვ. მ. 1984-იდან განაგებდა ჭყონდიდის, ხოლო 1988-იდან – ურბნისის ეპარქიებს, 1992 იგი აყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში. 1995-იდან იყო სამთავისისა და გორის ეპარქიის, 2001 – საგარეჯოსა და გურჯაანის ეპარქიის მმართველი, ხოლო 2002 წ. 17 აგვისტოდან განაგებს მარგვეთისა და უბისის ეპარქიას. 2009 ებოძა მიტროპოლიტის ხარისხი.

ვ. მ. 2007 წ. 25 დეკემბერს დაჯილდოვდა წმ. გიორგის ორდენით.

„ვახტანგური“, ქართული (გურული) ხალხური სუფრული სიმღერა. გადმოცემით, იგი თავად ვახტანგ გურიელის პატივსაცემად შეუქმნიათ და სახელწოდებაც აქედან უნდა მომდინარეობდეს. სიტყვიერი ტექსტი მთლიანად სამღერისებზეა აგებული. ასრულებს ტრიო სამხმიან გადაძახილთან ერთად. „3-ის“ ვარიანტები გვხვდება სამეგრელოსა და იმერეთშიც.

ლიტ.: ე რ ქ ო მ ა ი შ ვ ი ლ ი ა. (შემდგ.), ქართული ხალხური მუსიკა. გურია. არტემ ერქომაიშვილის სანოტო კრებული, თბ., 2005. *ნ. კალანდაძე.*



ვახტანგ VI-ის სტამბა. მემორიალური სტელა წარწერით: «ამ ადგილას იყო სტამბა, რომელიც დააარსა ვახტანგ მეექვსემ. ამ სტამბაში დაიბეჭდა ოცზე მეტი დასახელების ასეულობით წიგნი, მათ შორის შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი“».

ვახუშტი ბაგრატიონის უფსკრული, კარსტული უფსკრული გაგრის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), ბერჭილის ქედზე (*არაბიკის მასივის* განშტოება), გელგელუკის ტროგული ხეობის მარჯვ. ფერდობზე, ზ. დ. 2145 *მ* სიმაღლეზე. გამომუშავებულია სქელშრეებიან ქვედაცარცულ კირქვებში. ჯამური სიღრმე 250 *მ*, სიგრძე 413 *მ*, მოცულობა 4400 $მ^3$. ვ. ბ. უ. ციკლგავლილი მშრალი მღვიმეა. გავრცელების მთელ არეალში კასკადური ჭები მორიგეობს მეანდრირებულ დერეფნებთან. აღსანიშნავია დარბაზები: ,,თოვლიანი'', ,,ქვათაცვენის'', ,,მარგალიტების'' და სხვ. ქიმ. ნალექებიდან გვხვდება ოოლითებისა და პიზოლითების მდიდარი ბუდეები; მღვიმის ჩასასვლელში თოვლის, ფირნისა და გლეტჩერული ყინულების გროვებია (საერთო მოცულობა 1300 $მ^3$), მღვიმის ჰაერის ტემპ-რა 1,8–2,2°C, შეფარდებითი ტენიანობა – 97–99%.

მღვიმე აღმოჩენილი და გამოკვლეულია ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინ-ტის მიერ 1961 (ხელმძღვ. ლ. მარუაშვილი).

ლიტ.: ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (1696, თბილისი, – 1757, მოსკოვი), ისტორიკოსი, გეოგრაფი და კარტოგრაფი. *ვახტანგ VI-ის* შვილი. ფრანგი მოგზაურის შარლ პეისონელის (1700–57) ცნობით, მისი დედა ყმა გლეხის ქალი ყოფილა. განათლება მიიღო ქართლის სამეფო კარზე იესე და გიორგი გარსევანიშვილებთან, რთაგან ქართ. ტრად. ,,საღმრთო და საერო'' განსწავლულობა შეიძინა. სწავლობდა აგრეთვე თბილისში მცხოვრებ კათოლიკე მისიონერებთან (ლათ. და ევრ. ენები, ისტორია, გეოგრაფია, გრამატიკა, მათემატიკა, ასტრონომია). 1717–24 აქტიურად მონაწილეობდა ქართლის სამეფოს პოლიტ. ცხოვრებაში. 1717 სარდლობდა ლაშქარს მეფის წინააღმდეგ აჯანყებული ქსნის ერისთავის დასამორჩილებლად. არაერთხელ მიიღო მონაწილეობა, როგორც ლაშქრის ერთერთმა სარდალმა, სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლებში. 1721 დაინიშნა ქვემო ქართლის ანუ მეწინავე სადროშოს სარდლად და მეფის დავალებით ჩაატარა სადროშოს მოსახლ. აღწერა. 1722, ვახტანგ VI-ის განჯაში ყოფნის დროს, ქართლს განაგებდა. ვ. ბ. ბევრს მოგზაურობდა (კახეთი, იმერეთი). კარგად იცნობდა საქართვ. ეკონ. ვითარებას, ქართლის სამოხელეო წესწყობილებას, მეფის სამდივანმწიგნობრო საბუთებს, აგროვებდა საქართვ. ისტ. და გეოგრაფიისთვის მასალას, შედგენილი ჰქონდა სათანადო რუკები. 1724 ვახტანგ VI-ს რუსეთში გაჰყვა. სხვა ქართვ. ემიგრანტებთან ერთად ვ. ბ. დასახლდა მოსკ. განაპირა უბანში – პრესნიაზე და აღსრულებამდე იქ ცხოვრობდა თავის მრავალშვილიან ოჯახთან ერთად (ვ. ბ-ის მეუღლე იყო იმერეთის ცნობილი ფეოდალის, გიორგი აბაშიძის, ასული მარიამი). რუსეთში ცხოვრების პერიოდში იგი აქტიურად ჩაება სამეცნ. მუშაობაში. ეცნობოდა რუს. და ევრ. საისტ. და საბუნებისმეტყველო დისციპლინებს. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. 1752 მან რუსულიდან ქართულად თარგმნა ,,მოკლე პოლიტიკური გეოგრაფია'' 27-რუკიან მსოფლიო ატლასთან ერთად (ამ სახელმძღვანელოთი ასწავლიდნენ გეოგრაფიას თელავის სემინარიაში). ვ. ბ. ჩართული იყო რუს. სამეცნ. ცხოვრებაში; მ. ლომონოსოვთან ერთად ითვლებოდა მოსკ. უნ-ტის (1755) ერთ-ერთ დამაარსებლად. მისი დამსახურება აღნიშნული იყო მოსკ. უნ-ტის კედელზე მიმაგრებულ მარმარილოს დაფაზე, რ-ზეც ოქროთი მოვარაყებული ასოებით ამოჭრილი იყო უნ-ტის დამფუძნებელთა სახელები. XX ს. დასაწყისში ეს მარმარილოს დაფა ჯერ კიდევ არსებობდა, ისევე როგორც ვახუშტის ბიუსტი, რ-იც უნ-ტის სააქტო დარბაზის ვესტიბიულში მდგარა.




ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი). მხატვარი გ. აღაპიშვილი. 1983.

ვ. ბ-მა მანამდე მოპოვებული დიდძალი საისტ. მასალის საფუძველზე 1742–45 მოსკოვში დაწერა სამეცნ. ნაშრომი ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა'', რ-იც მოიცავს საქართვ. ისტორიას ,,დასაბამიდან'' 1745-მდე და მის გეოგრ. აღწერილობას პროვინციათა მიხედვით. გარდა ამისა, ვახუშტის მიერ შედგენილია ორი გეოგრ. ატლასი: პირველი (1735) რვა რუკისაგან შედგებოდა (შემორჩენილია 5), ხოლო მეორე (როგორც ჩანს, შედგენილია XVIII ს. 40-იანი წწ. დასაწყისში) შეიცავს ცხრამეტ რუკას, რომელთაგან ორი საქართველოს საერთო რუკაა. ორივეზე გამოსახულია მთელი კავკასია, ხოლო დანარჩენი რუკები საქართველოს ცალკეულ მხარეებს ეძღვნება. ვ. ბ-ის რუკებს ავტორის სიცოცხლეშივე მაღალი შეფასება მისცეს ევროპელმა კარტოგრაფებმა. ისინი თარგმნეს ფრანგ. და რუს. ენებზე და XVIII ს-ში გამოიყენეს ევრ. რუკების შესადგენად.

ვ. ბ. კარგად იცნობდა როგორც ,,ძველი ქართლის ცხოვრების'' ნუსხას, ასევე ვახტანგ VI-ის ,,სწავლულ კაცთა'' შემოქმედებასაც, მაგრამ კრიტიკულად აფასებდა და აღნიშნავდა მათ ნაკლს (თხრობის წინააღმდეგობრიობა, ქრონოლოგიის თითქმის სრული უქონლობა). სწორედ ამ მიზეზთა გამო და ვახუშტისეული კრიტ. თვალსაზრისის საფუძველზე შეიქმნა მისი ზემოხსენებული მონუმ. ნაშრომი, რ-ის შესავალში მას ჩამოყალიბებული აქვს ევრ. ისტორიოგრაფიის შესწავლის საფუძველზე შემუშავებული მეთოდოლ. დებულება, რომ ,,მატიანე'' (ისტ. მეცნიერება) ოთხ ასპექტს მოიცავს: ,,ადგილის აღწერა'' (გეოგრაფია), ,,ნათესავთმეტყველება'' (ეთნოგენეზი და გენეალოგია), ,,წლისმრიცხველობა'' (ქრონოლოგია) და ,,მოქმედების აღწერა'' (პოლიტ. ისტორია). უკვე ამით ვ. ბ. ნოვატორად გვევლინება ქართ. ისტორიოგრაფიაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მან ,,ადგილის აღწერა'' ანუ გეოგრაფია ისტ. სამსახურში ჩააყენა და, ამდენად, ფაქტობრივად პირველმა აღიარა ისტ. გეოგრ. საჭიროება.

ნიშანდობლივია მისი კვლევის მეთოდიც: მეცნიერი იყენებს ძვ. და შუა საუკუნეების მსოფლიო ისტორიის კარგად დათარიღებულ ცნო-





ბილ ფაქტებს, ცდილობს მიუსადაგოს ისინი საქართვ. ისტ. მოვლენებს და ამით ქრონოლოგიურად გამართოს იგი. ამ მხრივ უაღრესად ფასეულია ვრცელი ქრონოლ. ცხრილი, რ-იც ასახავს საქართველოს და მახლობელი აღმოსავლეთის ისტ. სინქრონულ მოვლენებს. ეს ცხრილი, რ-იც ბოლოს ერთვის მის ნაშრომს, თანამედროვე ფუნდამენტურ ისტ. გამოკვლევასაც კი დაამშვენებდა.

ვ. ბ. იცნობდა არა მხოლოდ შუა საუკუნეების ბერძენ ქრონოგრაფებს და აღმოსავლელ მუსლიმ მემატიანეებს, არამედ ანტ. ხანის მოაზროვნეებსაც: პლატონს, ციცერონს, პლინიუსს. კარგად იცნობდა თანადროულ ევრ. ისტორიოგრაფიასაც. თავისი ისტორიის საშენ მასალად იყენებდა არა მხოლოდ მემატიანეებს, მეფეთა თუ ფეოდალთა საგვარეულო სიგელ-გუჯრებს თუ სხვა დოკუმენტურ მასალას, არამედ ძვ. ქართ. ეპიგრაფიკას, მატერ. ძეგლებს, თქმულებებს და ანდაზებსაც კი.

ვ. ბ. პირველი ქართვ. ისტორიკოსია, რ-მაც საგანგებოდ წარმოგვიდგინა ძვ. ერთიანობის დროინდელი საქართვ. საზ-ბის კლასობრივი სტრუქტურა. მისთვის უცხო არ არის ევოლ. თვალსაზრისი ძვ. ქართ. სახელმწიფოებრივი თუ სოც. წყობის შესახებ. ამ მხრივ, მეცნიერი არსებითად განსხვავდება შუა საუკუნეების დროინდელ მემატიანეთაგან, რამდენადაც მისი თხრობა მხოლოდ ნარატიული ხასიათის კი არ არის, არამედ მნიშვნელოვანწილად ანალიტიკური შინაარსისაა. სწორედ ასეთი მაღალმეცნიერული თვალსაწიერიდან შეძლო მან ქვეყნის სახელმწიფოებრივი და საზ. ევოლ. იმ მიჯნების შემჩნევა, რ-თა საფუძველზეც ხერხდება ამა თუ იმ ქვეყნის ისტ. განვითარების პროცესის პერიოდიზაცია. ვ. ბ. საქართველოს სახელმწიფოს ისტორიას ორ პერიოდად ყოფს: პირველი, ეს არის ერთიანი საქართველოს მონარქიის წარმოქმნისა და არსებობის ეპოქა; მეორე – საქართველოს ფეოდ. დაქუცმაცებულობის პერიოდი. ასეთი პერიოდიზაციის საფუძვლად მეცნიერი მხოლოდ პოლიტ. განვითარებას კი არ გულისხმობს, არამედ სახელმწ. წესწყობილების, სოც. სტრუქტურის და თვით ხალხის ზნე-ჩვეულებათა ცვლილებებსაც.

ამდენად, ვ. ბ. იყო არა შუა საუკუნეების ტიპის ქრონოგრაფი თუ მემატიანე, არამედ ჭეშმარიტი მეცნიერ-ისტორიკოსი, რ-იც ფლობდა მისი თანადროული ევრ. ისტორიოგრაფიის მეთოდოლ. მიღწევებს და წარმატებით იყენებდა მათ საქართვ. ისტ. შესამუშავებლად.

ვახუშტის ნაშრომის გეოგრ. ნაწილი არის პირველი ცდა საქართვ. ტერიტორიის სისტემ. და, შეიძლება ითქვას, დეტალური გეოგრ. აღწერისა და ამდენად იგი, ფაქტობრივად, საქართვ. გეოგრ. მეცნიერების ფუძემდებელია. ნაშრომში განხილულია ხუთი პოლიტ.-ეთნ. ერთეულის (ქართლისა და კახეთის სამეფოების, სამცხე-საათაბაგოს, დას. საქართველოს და კავკასიონის მაღალმთიანი ჩრდ. კალთის) ბუნებისა და მოსახლ. თავისებურებანი. აღწერილობაში თითოეული ადგილის გეოგრ. დახასიათება ჩამოყალიბებულია კომპაქტურად, შემდეგი თანამიმდევრობით: ტერიტ. საზღვრები და მდებარეობა, ბუნებრივი პირობების დახასიათება, ცნობები მოსახლ. და მეურნ. შესახებ, ისტ.-კულტ. ძეგლების მოკლე მიმოხილვა და ა. შ. ვ. ბ-ს საკუთარი, სრულიად გარკვეული მოძღვრება ჰქონდა შემუშავებული საქართვ. გეობოტანიკური არეების ზონალური გავრცელების შესახებ. ამ თვალსაზრისით მის მიერ ჩამოყალიბებული სისტემა ნახევარი საუკუნით უსწრებს წინ ევროპაში შექმნილ ასეთსავე მოძღვრებას. ამ გეობოტან. კონცეფციით საქართვ. ტერიტორიის ,,მთად'' და ,,ბარად'' დანაწევრება გულისხმობდა არა მხოლოდ მისი ზედაპირის გეომორფოლ. თვისებებს, არამედ სას.-სამ. ზონებად დაყოფასაც. ვ. ბ. განსაკუთრებით უსვამდა ხაზს საქართველოს ფიზ. და ეკონ. გეოგრაფიის ისეთ თავისებურებას, როგორიცაა მთისა და ბარის ზონათა ურთიერთსიახლოვე და მჭიდრო სამეურნეო კავშირი, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართვ. პოლიტ. ისტორიისათვის.

ვ. ბ. საქართვ. ისტ. გეოგრაფიის, როგორც ისტ. დამხმარე დისციპლინის, ფუძემდებელიცაა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი თავის ნაშრომში ხშირად მთლიანად საქართველოს და მისი შემადგენელი ცალკეული თემების ისტ. საზღვრების შესახებ საუბრობს, ანდა ისტ. წყაროებში დასახელებული უცნობი გეოგრ. ერთეულების (მთები, მდინარეები, ქალაქები, დაბები) მისებურ ლოკალიზაციას ახდენს, არამედ პირველ რიგში იმიტომ, რომ იგი თავის გეოგრ. აღწერილობას თანამიმდევრულად წარმართავს უძველესი ისტ.-გეოგრ. და ადმ. ერთეულების, ,,ხევების'' მიხედვით, რ-თაგან ბევრი მის დროს რეალურად აღარც არსებობდა.

თავის თხზულებაში ვ. ბ-მა პირველმა მიაქცია ყურადღება საქართვ. ისტ. თემთა მოსახლეობის ყოფითი კულტურისა და ზნე-ჩვეულებების სპეციფ. თავისებურებებს, ანუ საფუძველი ჩაუყარა ქართველების (და, საერთოდ, კავკ. მოსახლეობის) ეთნოგრ. შესწავლას. იგი ენციკლოპედიური ცოდნის მეცნიერი იყო, რ-მაც დაამკვიდრა საქართველოსა და მისი მოსახლ. შემსწავლელი მთელი რიგი სამეცნ. დისციპლინები.

ვ. ბ. დაკრძალულია მოსკოვში, დონის მონასტერში. მისი საფლავის ქვა წარწერით უკანასკნელად 1929 უნახავს პოეტ-აკადემიკოს გ. ლეონიძეს, 1934 წლისათვის იგი უკვე დაკარგული იყო. XX ს. 80-

იან წლებში ვ. ბ-ის საფლავის მიგნების მიზნით დონის მონასტერში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა ძიებამ (ხელმძღვ. გ. ღამბაშიძე) შედეგი ვერ გამოიღო.

ვ. ბ-ის სახელი ეწოდა გეოგრაფიის ინ-ტს, მწვერვალს სვანეთის კავკასიონზე და კარსტულ უფსკრულს ბერჭილის ქედზე. 1973 საქართვ. მინისტრთა საბჭომ დააწესა ვ. ბ-ის სახ. პრემია, 2010 კი ასეთივე პრემია დააწესა მეცნ. ეროვნ. აკადემიამ. 1997 ოქტომბერში იუნესკოს ეგიდით აღინიშნა მისი დაბადებიდან 300 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით გამოიცა ვ. ბ-ის თხზულება ,,საქართველოს გეოგრაფია'' და მაღალ პოლიგრ. დონეზე შესრულებული ,,საქართველოს ატლასი''.

თხზ.: აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997; საქართველოს ატლასი, თბ., 1997.

ლიტ.: გაბაშვილი ვ., ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1969; ვახუშტი ბაგრატიონი. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ. ფრ. სიხარულიძე, თბ., 1990; ვახუშტი ბაგრატიონი – გეოგრაფი, თბ., 1997; ვახუშტი ბაგრატიონი – ისტორიკოსი და ეთნოგრაფოსი, თბ., 1997; მათურელი ი., ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა, თბ., 1990; მარუაშვილი ლ., საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის ფუძემდებელი ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1956; მეტრეველი რ., ტატაშიძე ზ., ვახუშტი ბაგრატიონი – დიდი მეცნიერი და მამულიშვილი, თბ., 1997; ხარაძე კ., უებრო ბუმბერაზი. ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 2013; ჯავახიშვილი ა., ვახუშტი ბაგრატიონი – გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი, «ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინ-ტის შრომები», 1947, ტ. 1; ჯავახიშვილი ივ., ბატონიშვილი ვახუშტი, თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1977.

დ. მუსხელიშვილი.

ვახუშტის მწვერვალი, მწვერვალი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონზე, მდ. ენგურის სათავეში. სიმაღლე ზ. დ. 4000 *მ.* აგებულია იურული თიხაფიქლებით. მწვერვალი დაფარულია მარადი თოვლით, კალთები – ალპ. მდელოებით. პირველი ასვლა 1933 მოაწყო ალპ. ჯგუფმა (ხელმძღვ. ა. გვალია), რ-მაც მწვერვალს *ვახუშტი ბატონიშვილის* პატივსაცემად ვ. მ. უწოდა.



ვახუშტის მწვერვალი.

გ. დევდარიანი.

ვაჰანი, იხ. *ვანის ქვაბები.*

,,ვაჰანის ქვაბთა განგება'', ვაჰანის ქვაბების მონასტრის (ისტ. ჯავახეთში) წესდება, ქართული საკორპორაციო სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლი. წესდება შედგენილია მონასტრის ახ. პატრონის, ერისთავთერისთავის მხარგრძელ-თმოგველის მიერ 1198–1234 შორის. ქრონოლოგიის ქვედა ზღვარი აღებულია ვანის ქვაბის მონასტრის ზღუდის სამშენებლო წარწერის მიხედვით, საიდანაც ჩანს, რომ ამ დროს მონასტერი ჯერ ისევ მეფის ხელშია, თუმცა მალევე თმოგველებს გადასცემს საგვარეულო მონასტრად. ზედა ზღვრად აღებულია მონღოლების შემოსევის თარიღი, რადგან მათ შესახებ წესდებაში არავითარი ცნობა არ არის. ძეგლი დამტკიცებულია ტექსტის ბოლოში ქართლის კათოლიკოს გაორგის ხელმოწერით. შემდეგში, მამის სიცოცხლეში, წესდების ტექსტი დაუმტკიცებია მხარგრძელის შვილს, სარგისს, რ-საც, მამის მსგავსად, ზოგიერთი კეფის პირი და ზურგი მოუნიშნავს ხელმოწერით. მამაშვილი ხელს აწერს მხედრულად, ხოლო კათოლიკოსი – გაკრული ნუსხა-ხუცურით. ძეგლი დაზიანებულია, მაგრამ დღეისათვის საქართველოში, სხვა ფრაგმენტული ტიპიკონებისაგან განსხვავებით, თითქმის ერთადერთი, მთლიანი სახით შემორჩენილი სამონასტრო შინაგანაწესია, ამიტომ იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამონასტრო ცხოვრების შესასწავლად. დაწერილია კალიგრაფიული სკოლის მიერ გამომუშავებული მსხვილი მრგვლოვანი, კლასიკური ხანის ნუსხურით. წარმოადგენს ხის ტაბიკზე (ყუბარზე) დახვეულ ეტრატის გრაგნილს, რ-იც ამჟამად ძაფით გადაკერებული 12 სხვადასხვა სიგრძე-სიგანის კეფისაგან შედგება (სიგრძე 5,62 *მ*, სიგანე 19–27 1/2 *სმ*-მდე); თავდაპირველად 15 კეფი უნდა ყოფილიყო, ამჟამად წესდებას დასაწყისი კეფები აკლია. დედანი დაცულია ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრში (№933 Ad). ხელნაწერზე დართულია სხვადასხვა დროის 20 მინაწერი (№107); მათ შორის ყველაზე ადრინდელია მურვან ღარიბაიძის 1393 წლით დათარიღებული აღაპი. ეს მინაწერები – აღაპები – მნიშვნელოვანი წყაროა ჯავახეთის ეკონ. ისტორიისათვის და ისტ. გეოგრაფიისათვის, რადგან მონასტრისადმი შეწირული მამულების ჩამონათვალში დასახელებულია გვარ-სახელები, სოფლისა თუ ცალკეულ ადგილთა ტოპონიმები და მოსავლის სახეობანი. მონასტრის საერთო საცხოვრებელი რთული საკულტო-რელიგ. და სამეურნეო ცხოვრებით ხასიათდებოდა: მონაზონთათვის გათვალისწინებული იყო საცხოვრებელი სენაკები, სურსათ-სანოვაგე, ფეხსაცმელი და ტანსაცმელი, ჭურჭელი; ეკლესიებში – წირვა–ლოცვა, პატრონთა და შემწირველთა სააღაპე მოხსენიება, მლოცველთა და სტუმართა მიღება, საზეიმო-სადღესასწაულო ცერემონიალი, ავადმყოფთა მკურნალობა, უძლურთა მოვლა-პატრონობა და სხვ. წესდებით თითოეულ მათგანს გარკვეული პირი განაგებდა. მათი უფლება-მოვალეობა თუ სამონაზვნო ცხოვრების წესი მტკიცედ არის ჩამოყალიბებული ,,ვ. ძ. გ-ში''.

,,ვ. ძ. გ-ით'' მონასტერში მოღვაწეობდა 20 მონაზონი, 24 მღვდელი, 7 დიაკონი და 10 საერო პირი, რ-ებიც სამზარეულოსა და სახაბაზოში მსახურობდნენ. ,,ვ. ძ. გ-ში'' იმდენი თანამდებობაა დასახელებული (წინამძღვარი, დეკანოზი, იკონომოსი, მემხრე, მწირველ-მკითხველი, მეჭურჭლე, მეტრაპეზე, კანდელაკი, იპიტირიტისი, მესნეულე, მეკარე და სხვ.), რომ, ჩანს, თითოეული მონაზონი გარკვეული საქმიანობით იყო დაკავებული. წესდებაში დადასტურებულია სოც. უთანაბრობის სურათი – ნახსენებია ,,უთავადესი ძმანი'', ,,მეორე დასისა'' და ,,მესამე დასის'' მონაზვნები. ძველად არსებული მონარქიული წესწყობილების მაგიერ გვხვდება რესპ. მართვა-გამგეობის ფორმები. წესდებაში მოცემულია საკორპორაციო სასამართლოს ორგანიზაცია და სასჯელთა სისტემა. ,,ვ. ძ. გ-ის'' ვაჰანის ქვაბთა ანსამბლთან შედარებითი შესწავლით მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული; არქეოლ.-არქიტ. კვლევა-ძიებით მოპოვებულმა არქიტექტურულმა და ეპიგრაფიკულმა ძეგლებმა დაადასტურა წესდების ჩვენება იმის შესახებ, რომ თმოგველები ერისთავთერისთავები იყვნენ და XIII ს. ფლობდნენ ვანის ქვაბს,

რაც მათი სამონასტრო-სამშ. მოღვაწეობით გამოიხატა (დარბაზული ეკლესია-ეკვდერი, ტაძრის კარიბჭე, სამრეკლო).

,,ვ. ქ. ბ.'' პირველად გამოსცა თ. ჟორდანიამ ,,ძეგლი'' ანუ ,,განგება'' ვაჰანის ქვაბთა მონასტრისა, რასაც დაურთო მინაწერების ნაწილი. მანვე გადაბეჭდა წესდების ნაწყვეტი თავის ,,ქრონიკების'' II ტომში. ტექსტის მეორე კრიტ. გამოცემა ეკუთვნის ლ. მუსხელიშვილს.

პუბლ.: ჟ ო რ დ ა ნ ი ა თ., ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და ,,ძეგლი'' ვაჰხანის ქვაბთა, ტფ., 1896; მ ი ს ი ვ ე, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 2, ტფ., 1897; ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს.). ლ. მუსხელიშვილის გამოც., ტფ., 1939; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 2, ტფ., 1929 (თხზ. თორმეტ. ტომად, ტ. 7, თბ., 1984).

გ. გაფრინდაშვილი.



ლ. ფ. დე ვეგა კარპიო.

ვეგა კარპიო (Vega Carpio) ლოპე ფელიქს დე (25. XI. 1562, მადრიდი, – 27. VIII. 1635, იქვე), ესპანელი დრამატურგი; ესპანეთის ეროვნ. თეატრის ფუძემდებელი. დაიბადა ხელოსნის ოჯახში. მიიღო საფუძვლიანი განათლება. თავდაპირველად სწავლობდა მადრიდის იეზუიტთა კოლეგიაში, შემდეგ კი სამეფო აკადემიასა და ქ. ალკალა დე ენარესის უნტში. ვ. პ-ს ლიტ. მემკვიდრეობა ჟანრობრივად მრავალფეროვანია, მაგრამ მისი სახელი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია თეატრსა და დრამატურგიასთან. როგორც ვარაუდობენ, მისი დრამატურგიული მემკვიდრეობა უნდა მოიცავდეს 2000-ზე მეტ პიესას; ჩვენამდე მოაღწია 458 პიესამ, 50-მდე აუტომ, დანარჩენი თხზულებები მხოლოდ სათაურებითაა ცნობილი. ვ. პ-ს პიესა ,,ფუენტე ოვეხუნა'' (,,ცხვრის წყარო'') იყო პირველი ქართ. სპექტაკლი, რ-ითაც აღინიშნა ჩვენი ეროვნ. თეატრის აღორძინების დასაწყისი. პიესა 1922 თბილ. რუსთაველის სახ. ქართ. აკად. თეატრში დადგა კ. მარჯანიშვილმა (თარგმნა კ. მაყაშვილმა; რეჟ. დ. ანთაძე, მხატვარი ვ. სიდამონ-ერისთავი, კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი, ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი), პრემიერა შედგა 25 ნოემბ. და ფართო გამოხმაურება პოვა. სპექტაკლი 1928 (24 ნოემბ.) წარმოადგინეს მოსკოვში გასტროლების დროს. მარჯანიშვილისეული დადგმა აღადგინა ვ. გოძიაშვილმა თავდაპირველად 1941, შემდეგ – 1947. დიდი მოწონება ხვდა წილად აგრეთვე ვ. პ-ს კომედიას ,,ცეკვის მასწავლებელი'', რ-იც თარგმნა ს. ფაშალიშვილმა.



ჰ. ვედეკინდი.

ვედეკინდი (Wedekind) ჰერმან (18. XI. 1910, კოესფელდი, გფრ, – 16. I. 1998, ზაარბრიუკენი), გერმანელი კულტურის მოღვაწე, რეჟისორი, მსახიობი, მომღერალი; ქართ. კულტურის პროპაგანდისტი და მოამაგე გერმანიაში. 1946 იყო ბონის საოპერო თეატრის მთ. რეჟისორი და სამსახიობო სკოლის ხელმძღვანელი, 1951 მიუნსტერის საქალაქო თეატრის დირექტორი. ქ. ზაარბრიუკენის სახ. თეატრის გენ. დირექტორად მუშაობის დროს (1972–76) მჭიდრო კავშირი დაამყარა თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრთან, რაც შემდეგ აქტიურ კულტ. ურთიერთობაში გადაიზარდა თბილისსა და ზაარბრიუკენს შორის. ამ პერიოდში ზაარბრიუკენის თეატრის სცენაზე დაიდგა ზ. ფალიაშვილის ,,დაისი'', ,,აბესალომ და ეთერი'', ო. თაქთაქიშვილის ,,მინდია'', აგრეთვე დრამ. სპექტაკლები: დ. კლდიაშვილის ,,სამანიშვილის დედინაცვალი'', რ. ებრალიძის ,,თანამედროვე ტრაგედია'' და სხვ. 1973–83 ვ-მა საქართვ. თეატრებში დადგა ათი საოპერო და დრამ. სპექტაკლი: რ. ვაგნერის ,,ლოენგრინი'' და ,,მფრინავი ჰოლანდიელი'', ვ. მოცარტის ,,ჯადოსნური ფლეიტა'', შ. გუნოს ,,ფაუსტი'', ა. გრიფიუსის ,,ქეთევან ქართველი'', ფ. შილერის ,,ვერაგობა და სიყვარული'', ვ. ბორხერტის ,,გარეთ, კარის წინ'', ფ. დიურენმატის ,,ფიზიკოსები''. ვ-მა თავისი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თბილ. და ზაარბრიუკენის დაძმობილებაში. მან თავდაპირველად კირფბაირენში, შემდეგ კი ვედერნში დააარსა ,,ქართული მუზეუმი'' და რუსთაველის საზ-ბა. მიღებული აქვს როგორც გერმანიის, ისე საქართვ. სახელმწ. ჯილდოები. 1990 საქართველოში აღინიშნა ვ-ის დაბადების 80 წლისთავი. 1995 აირჩიეს თბილისის, ხოლო 1996 – ქუთაისის საპატიო მოქალაქედ.

ვედი, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზედა ვედისა* და *ქვედა ვედის* გავრცელებული სახელწოდება.

ვედიდკარი, სოფელი მარტვილის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მარტვილი – აბაშის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: ვ., ლეფოჩხუე, მახათი, მუხურჩა, ორქა). ზ. დ. 80 *მ*, მარტვილიდან 14 *კმ*, აბაშიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 20 *კმ*. 1,0 ათ. მცხ. (2002).

ვედისი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, IX–X სს. ეკლესია. მდებარეობს ისტ. საქართველოს ერთ-ერთი პროვინციის – ჰერეთის ტერიტორიაზე (ახლანდ. აზერბ. რესპ. შაქის რ-ნის სოფ. ვედისის მახლობლად). ეკლესიას აღმ-ით მკვეთრად გამოსახული ნალისებრი მოყვანილობის აფსიდი აქვს. ნალისებრია სატრიუმფო თაღიც. აფსიდის ჩრდ. და სამხრ. გვერდებში 2 საკმაოდ ღრმა ნიშია. მსგავსი ნიში ჩანს სამხრ. კედლის საკურთხევლის მიმდებარე მონაკვეთშიც. ეკლესია ნათდებოდა აღმ., სამხრ. და დას. კედლებში გაჭრილი სარკმლებით. ეკლესიის ერთადერთი დეკორ. ელემენტია სატრიუმფო თაღის მარტივი ფორმის კაპიტელი. შენობას ორი შესასვლელი აქვს – სამხრ-ით და დას-ით. დას. კარი გარედან დასრულებულია ნალისებრი თაღით. ეკლესია გარედან სუფთად გათლილი, არათანაბარი ზომის, მაგრამ სწორრიგებად ნაწყობი კვადრებით არის შემოსილი. კედლების შიგა პირი ნაგებია რიყის შერჩეული ქვით. ღიობთა წირთხლები და სატრიუმფო თაღის კუთხეები შირიმითაა ამოყვანილი. შირიმისავე კვადრებითაა ნაწყობი კამარაც. ფასადები დასრულებულია სადა, მოურთავი კარნიზით. *გ. მარჯანიშვილი.*

ვედრება, სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტის კეხიჯვრის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. ძამის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 720 *მ*, ქარელიდან 8 *კმ*. 217 მცხ. (2002).

სოფლის დას-ით, სასაფლაოზე, შემორჩენილია IX–X სს. ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესიის ნანგრევები.

ვედრებისა, XVI ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმ. გიორგის ეკლესია. მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ნასოფლარ თარაქის ზემოთ, ტყეში. მცირე ზომის გეგმით ჯვრის ფორმის ცენტრალურგუმბათოვანი ნაგებობა ნაშენია ორი ფერის (ღია ვარდისფერი და ღია ყავისფერი) აგურითა და მონაცრისფრო-თეთრი სქელი დუღაბით. სამხრ-ისა და ჩრდ-ის მკლავები სწორკუთხაა, აღმ-ისა და დას-ისა – აფსიდიანი. მკლავების გადაკვეთაზე აღმართულია აფრებზე ამოყვანილი,

ოთხსარკმლიანი, შიგნიდან მრგვალი, გარედან რვაწახნაგა გუმბათის ყელი კონუსისებური გადახურვით. ეკლესიის კორპუსი გარედან რვაწახნაგაა – ჯვრის მკლავებს შორის ნიშებია მოწყობილი. ოთხივე მკლავისა და გუმბათის ყელის კარნიზები გათლილი ფოროვანი შირიმის ქვისაა. აღმოსავლეთის ფასადზე (მთელ სიმაღლეზე) აგურის წყობით გამოყვანილია ისრული თაღით დაგვირგვინებული მცირე შეღრმავება, რ-შიც საკურთხევლის სარკმელია, მის ზემოთ კი ასევე შეღრმავებით გამოყვანილი, საფეხურებიან პოსტამენტზე დადგმული ჯვარია. შესასვლელი სამია – ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან.

ლიტ.: ბერიძე ვ., XVI–XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბ., 1994; Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

ვედრებისელი (ნამდვ. გვარი – მალიაშვილ-კალგინა) დარია კონსტანტინეს ასული (1874, სოფ. ვედრება, ახლანდ. ქარელის მუნიციპალიტეტი, – 1925), მწერალი, პუბლიცისტი. დაამთავრა ბაქოს ქალთა გიმნაზია (პედ. განხრით) და იქვე დაიწყო მუშაობა მასწავლებლად. აქტიურად ჩაება ბაქოს კულტ.-საზ. ცხოვრებაში. 90-იანი წლებიდან დაიწყო ლიტ. საქმიანობა. მოთხრობებსა და ნარკვევებს აქვეყნებდა ბაქოს, თბილისისა და პეტერბურგის რუს. პრესაში. 1898 ჟურნ. ,,რუსსკოე ბოგატსტვოში'' დაიბეჭდა მისი მოთხრობა ,,ხიზნები'', რ-საც ინტერესით შეხვდა რუს. ლიტ. წრეები. 1908 პეტერბურგში ნ. გორბუნოვის გამომცემლობამ გამოსცა ვ-ის მოთხრობების კრებ. ,,ხელუხლებელი კუთხე'' (II გამოც. 1912, თბ.). ვ-ს შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ქართვ. და რუს მოღვაწეებთან: ვ. კოროლენკოსა და ნ. მიხაილოვსკისთან, დ. ოვსიანიკო-კულიკოვსკისთან, ე. გაბაშვილთან, გ. თუმანიშვილთან, ნ. ნაკაშიძესთან, ა. ერისთავ-ხოშტარიასა და სხვებთან. დაკრძალულია მცხეთის სამთავროს ეკლესიის გალავანში.

ლიტ.: სიგუა ა., მწერლები და პორტრეტები, თბ., 1977; ხუციშვილი ს., ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, თბ., 1961. *ნ. ღუდუშაური.*

გ. ჯავახიშვილი.

ვედრი (შევედრება-მინდობა, რწმუნება, მიბარება), შენახვის ხელშეკრულების ობიექტი, ანაბარი ძვ. ქართ. სამართალში. დაახლოებით ამასვე ნიშნავდა და ვ-თან ერთად იხმარებოდა ,,ნამარხევი'' (დამარხვა, ე. ი. შენახვა). ვ-ად შეიძლებოდა დადებულიყო ყოველგვარი მოძრავი თუ უძრავი ქონება, ფული, ყმა-მამული, წერილობითი საბუთი. XIII ს-ში გაჩნდა არაბულიდან შემოსული ტერმინი – ,,ამანათიც'', მაგრამ ვ. და ,,შევედრება'' კიდევ დიდხანს (XVII ს.) გვხვდება, მეტადრე ლიტ-რაში.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 7, თბ., 1984.

დ. ფურცელაძე.

ვეერეში (Weöres) შანდორ (22. VI. 1913, სომბათჰეი, – 22. I. 1989, ბუდაპეშტი), უნგრელი პოეტი, მთარგმნელი. XX ს. უნგრეთის ლირიკის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი; ბაუმგარტენის (ორგზის) და კოშუტის სახ. (1970) პრემიათა ლაურეატი. ესეისტური ნაშრომისათვის ,,ლექსის დაბადება'' მიენიჭა დოქტორის სამეცნ. ხარისხი (1939). დიდ ინტერესს იჩენდა ქართ. პოეზიის მიმართ. თარგმნა ,,ვეფხისტყაოსანი'' (Tigrisboros lovag / Rusztaveli; forditotta Weöres Sandor; Zichy Mihaly 27 kepevel. Budapest, 1954), ვახტანგ VI-ის, ბესიკის, ა. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის და სხვ. ლექსები.

ლიტ.: გაგნიძე ჯ., ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანები, თბ., 1975.

ვეზან ხორნაბუჯელი, ხორნაბუჯის (კამბეჩოვანის) ერისთავი VI ს-ში. ვ. ხ-ის ერისთავობა ემთხვევა ქართლში ირანელების ბატონობის პერიოდს; იგი შაჰის ირანელი მოხელე იყო; კამბეჩოვანში ერისთავად დანიშნა სასანური ირანის ცნობილმა მხედართმთავარმა, აზერბაიჯანის მარზპანმა, ბაჰრამ-ბარ-ბაჰრამ გუშნასპმა (ჩუბინად წოდებული). დაახლ. VI ს. 70-იან წლებში, ირანელთა ბატონობით უკმაყოფილო ჰერები, რ-თაც *ასამ* და *ვარაზვარდ* ბაგრატიონები მეთაურობდნენ, აჯანყდნენ და ვ. ხ. მოკლეს.

წყარო: სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955.

ლიტ.: პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

თ. პაპუაშვილი.

ვეზირი, ვაზირი (არაბ. ვაზირუნ – ვეზირი, მინისტრი), ცენტრალური სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი უწყების (სამხ., საპოლიციო, საფინანსო-სამეურნეო და სხვ.) ხელმძღვანელი გაერთიანებული საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოში. სულ ექვსი ვ. იყო: *მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი* და *მსახურთუხუცესი.* მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იყო ,,ვაზირთა უპირველესი'' – სავეზიროს თავ-რე, პირველი პირი მეფის შემდეგ. დანარჩენები იყოფდნენ ,,სამთა ვაზირთა'' (ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი) და ,,ორთა ვაზირთა'' (მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი) ჯგუფებად. დიდი დარბაზობის, ვაზირობისა და პურობის დროს პირველი ჯგუფი მეორესთან შედარებით უპირატესობით სარგებლობდა. ვ-თა ინ-ტის არსებობა დამოწმებულია გიორგი V-ის სამართალში (იხ. *,,ძეგლის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ''*). XVI ს-იდან ტერმინი ვ. ორგვარი მნიშვნელობით იხმარება. ვ. ეწოდება მმართველობის ცენტრ. აპარატის ყველა მოხელეს. ამასთან, საქართვ. სამეფო-სამთავროებში მეფისა თუ მთავრის კარზე დაწესდა თანამდებობა ერთი ვ-ისა, რ-იც მეფის პირველი მოხელე იყო. XVII–XVIII სს. მიჯნაზე ვ., ვახტანგ მეფის *დასტურლამალის* მიხედვით, ირანის საოკუპაციო ხელისუფლების მოხელე იყო ქართლის სამეფო კარზე. XVIII ს-ში, ქართლ-კახეთის გაერთიანების შემდეგ, ვ-ის სახელომ თანდათანობით დაკარგა მნიშვნელობა და ბოლოს სულ მოისპო.

ლიტ.: გაბაშვილი ვ., დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, «ენიმკის მოამბე», 1942, ტ. 13; მისივე, სახელმწიფო წყობილების საკითხისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში, «მიმომხილველი», 1951, [ტ.] 2; სურგულაძე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, [ტ.] 1, თბ., 1952; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 1, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 6).

ი. სურგულაძე.

ვეზიროვი დიმიტრი გიორგის ძე [15(27). V. 1825, სოფ. ოსიაური, ყოფ. გორის მაზრა, – 18. IV. 1898, თბილისი], რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1875). მსახურობდა ქართველ გრენადერთა პოლკში. მონაწილეობდა ყირიმისა (1853–56) და რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომებში. 1868 მიიღო გენ.-მ. ჩინი.

დაკრძალულია სოფ. ოსიაურში, საგვარეულო აკლდამაში.

მ. გოგიტიძე.

ვეზიროვი ირაკლი იოსების ძე [1(13). VIII. 1866, სოფ. ოსიაური, ყოფ. გორის მაზრა, – XX

ს. I ნახ., საფრანგეთი], რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1919). არმიაში მსახურობდა 1885-იდან. 1913 მიენიჭა პოლკოვნიკის ჩინი. 1918–21 მსახურობდა ქართ. ჯარში. 1919-იდან იყო საქართველოს დემოკრ. რესპ. ჯარის სამხ. პროკურორი. 1921-იდან ემიგრაციაში წავიდა.

დაჯილდოებულია წმ. სტანისლავის III ხარისხის ორდენით.

მ. გოგიტიძე.

ᲕᲔᲖᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ოთარ შალვას ძე (დ. 5. X. 1938, თბილისი), ენერგეტიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1987), საქართვ. დამს. გამომგონებელი (1989). 1961 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ენერგეტიკის ფაკ-ტი. მუშაობა დაიწყო საქართვ. მეცნ. აკად. ენერგეტიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1975-იდან ეწევა პედ. საქმიანობას საქართვ. ტექ. უნ-ტში ენერგეტიკის ფაკ-ტზე. არის საქართვ. ენერგეტიკის აკად. ნამდვ. წევრი; ხელმძღვანელობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ევრ. აკად. საქართვ. ფილიალს. 3-ის სამეცნ. კვლევის სფეროა ენერგოდამზოგი პროგრ. ტექნოლოგიების დამუშავება, განახლებადი ენერგორესურსების ეფექტური გამოყენებისათვის დანადგარების შექმნა და ეკოლ. სისტემის დაცვის კომპლექსური სქემების დანერგვა. გამოქვეყნებული აქვს 18 მონოგრაფია და 9 სახელმძღვანელო. აქვს 7 გამოგონება. 1974 3-მა ვ. *გომელაურთან* ერთად შექმნა სსრ კავშირში პირველი თბური ტუმბო, რ-იც დაინერგა სამტრედიის ჩაის ფაბრიკაში. არის სტუ-ის თბოენერგეტიკული დანადგარების სასწ.-სამეცნ. მიმართულების ხელმძღვანელი.



ა. ვეკუა.

თხზ.: ენერგოეფექტურობის მენეჯმენტი ენერგეტიკაში, თბ., 2008.

ᲕᲔᲖᲣᲠᲘ, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ. ჯეჯორის (რიონის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1680 *მ*, ონიდან 30 *კმ*. 10 მცხ. (1989).

3. საკურორტო აღგილია. იცის რბილი, თოვლიანი ზამთარი და ზომიერად თბილი ზაფხული. დაფარულია შერეული ტყით. 3-ის ტერიტორიაზე გამოვლენილია ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული ნატრიუმ-კალციუმიანი მინერ. წყალი; საკმაო რაოდენობით შეიცავს რკინას. მინერალიზაცია შეადგენს 1,5–2,0 *გ/ლ*. იყენებენ საჭმლის მომნელებელი ორგანოების ქრონ. დაავადებების სამკურნალოდ.

გ. უშვერიძე.

ᲕᲔᲚᲓᲔᲜᲑᲐᲣᲛᲘ ევგენი გუსტავის ძე (9. XI. 1845, პეტერბურგი, – 15. I. 1918, თბილისი), კავკასიოლოგი, საზოგადო მოღვაწე, ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი, რედაქტორი. დაამთავრა პეტერბურგის უნ-ტის ფიზ.-მათ. ფაკ-ტის საბუნებისმეტყველო განყ-ბა კანდიდატის ხარისხით (1871). მსახურობდა ნიკოლაევში და ოდესაში. 1877-იდან ცხოვრობდა საქართველოში. მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. 1877 სექტ-იდან კავკ. მთიელთა სამმართველოში ასრულებდა განყ-ბის უფროსის მოვალეობას. 1881 დაინიშნა კავკ. სამხ.-სახ. სამმართველოს, ხოლო 1883 მთავარმართებლის სამხ.-სახ. სამმართველოს კანცელარიის განყ-ბის უფროსად. 1906 აპრილიდან იყო კავკ. მეფისნაცვლის საბჭოს წევრი. 1916 მაისში ავადმყოფობის გამო გადადგა სამსახურიდან. 1917 იანვრიდან გარდაცვალებამდე განაგებდა კავკ. მუზეუმის ბ-კას.

1881 3-მა დ. ბაქრაძესთან ერთად დააარსა კავკ. ისტ. და არქეოლ. მოყვარულთა საზ-ბა. იმავე წელს მონაწილეობდა თბილისში მოწვეულ V არქეოლ. ყრილობის მუშაობაში, იყო მოსკოვის არქეოლ. საზ-ბის (შეიქმნა 1901) კავკასიის განყ-ბის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1904 დაინიშნა კავკ. არქეოლ. კომისიის თავ-რედ. 3-ის ნაშრომებში განხილულია კავკ. ხალხების ისტ., ეთნოგრ., გეოგრ., კულტ. და ა. შ. საკითხები. მას წვლილი მიუძღვის საქართვ. ისტ. შესწავლაში. გამოაქვეყნა შრომები რუსეთ-საქართველოს ისტ. ურთიერთობის შესახებ. სწავლობდა ქართ. პრესის ისტ. საკითხებს. თარგმნა უცხ. წყაროები საქართველოს შესახებ. იკვლევდა ა. პუშკინის, ა. გრიბოედოვის, ა. ბესტუჟევ-მარლინსკის და სხვ. ცხოვრება-მოღვაწეობას.

3-ის არქივი დაცულია ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრში.

თხზ.: პატარ-პატარა ამბები წარსულიდან. ჩხუბი ქალების აბანოში; როგორ ფასობდა ტფილისში ყმა დედაკაცი და სხვ. თარგმ. ა. ყიფშიძისა, «ივერია», 1902, 24 დეკ., №276; აფხაზეთის ისტორიიდან. სიმაგრე სოუკ-სუს ალყა. ისტორიული ამბავი. თარგმ. ა. ყიფშიძისა, «ივერია», 1903, 26 თებ., №45; გრაფი ქუთაისოვი და გლეხი ქუთაისოვი, თარგმ. ა. ყიფშიძისა, «ივერია», 1903, 18 ივლ., №152; Кавказские амазонки (Материалы для древней этнографии Кавказа), «Знание», 1872, №9–10; Кавказские этюды. Исследования и заметки, Тфл., 1901.

ლიტ.: გაბედავა ბ., ჟორდანია ო., ევგენი ვეიდენბაუმი და საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 2001; Барнавели Э. Г., Документальное наследие Е. Г. Вейденбаума, «Археографический ежегодник за 1978 год», М., 1979; Меликсет-Беков Л. М., Е. Г. Вейденбаум как кавказовед, «Известия Кавказского музея», 1919, т. 12.

ო. ჟორდანია.

ᲕᲔᲘᲜᲐᲮᲔᲑᲘ, ვაინახები, კავკასიის უძველესი მკვიდრი (ავტოქტონური) მოსახლეობის – ჩაჩნების (,,ნოხჩი'') და ინგუშების (,,ღალიღაი'') საერთო სახელწოდება, ნიშნავს ,,ჩვენ ხალხს'' (ტერმინები ,,ჩაჩანი'' და ,,ინგუში'' გვიანდელია და XVIII ს-მდე არ არსებობდა). 3-ით დასახლებულ ტერიტორიას ჩრდ-იდან ესაზღვრება სტავროპოლის მხარე, აღმ-ით – დაღესტანი, სამხრ-ით – საქართველო, დას-ით – ოსეთი.

საქართველოს ჩრდ. კავკ. ხალხებთან, კერძოდ 3-თან, ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს, თუმცა ამ ურთიერთობების სრულფასოვან შესწავლას აბრკოლებს საისტორიო წყაროთა სიმცირე. ქართულ-ვეინახური ურთიერთობის ერთ-ერთ უძველეს წერილობით წყაროდ უნდა ჩაითვალოს ,,ქართლის ცხოვრებაში'' დაცული ლეონტი მროველისეული ცნობა: ,,ხოლო დურძუკ, რომელი უწარჩინებულეს იყო შვილთა შორის კავკასისთა, მივიდა და დაჯდა ნაპრალსა შინა მთისასა, და უწოდა სახელი თვისი დურძუკეთი''. აქ დურძუკი სწორედ ვეინახის აღმნიშვნელი ტერმინია. ლეონტი მროველის ცნობით, ფარნავაზის მეუღლე დურძუკი იყო, რაც მის მემკვიდრეს საურმაგს დიდად დაეხმარა შიდა კონფლიქტის მოგვარებაში. საურმაგმა დურძუკების ნაწილი საქართვ. მთიანეთში დაასახლა. ქართ. წყაროებში 3-ის წინაპრები დურძუკების, ღლიღვების, ქისტების სახელებით მოიხსენიებიან (ამჟამად ქისტებს საქართვ. ტერიტ. ნაწილის – პანკისის ხეობის მოსახლეობას უწოდებენ).

საქართველო ხევსურეთისა და თუშეთის მხრიდან უშუალოდ ემეზობლება 3-ებს, რაც უძველესი დროიდანვე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მათ შორის მჭიდრო კავშირის დასამყარებლად. უმთავრესი მნიშვნელობა დარიალის გასასვლელს ენიჭებოდა, ამასთანავე არსებობდა ადგილობრივი მნიშვნელობის რამდენიმე სხვა კომუნიკაციაც თუშეთის მხრიდან. ვახუშტი ბატონიშვილის აზრით, დურძუკეთი კახეთის მეფე *კვირიკე*

III-ის დროს კახეთის შემადგენლობაში შედიოდა.

დავით აღმაშენებლის დროიდან ᲘᲑ. საქართვ. ფეოდ. მონარქიის პოლიტ. გავლენის ქვეშ მოექცნენ, ხოლო თამარ მეფის დროიდან ეს ურთიერთობები ყმადნაფიცობის პრინციპებზე იყო დაფუძნებული. საქართველო-ᲘᲑ-ის ურთიერთობას ორმხრივი საფუძველი გააჩნდა – საქართველოსთვის ᲘᲑ. საგარეო და საშინაო საფრთხის წინააღმდეგ ეფექტურ დამხმარე სამხ. ძალას წარმოადგენდნენ, ამასთანავე საქართველოს ინტერესებში შედიოდა კავკასიონის ულელტეხილებზე კონტროლის დაწესება, ხოლო ᲘᲑ-ს საქართველოსთან ურთიერთობის გაფართოებას ეკონ. და პოლიტ. ინტერესები კარნახობდა.

ᲘᲑ-ში პოლიტ. გავლენის გაძლიერების მიზნით საქართველო ქრისტიანობის ფართოდ გავრცელების პოლიტიკას ატარებდა. ამით იყო განპირობებული ქართ. ტაძრებისა და ეკლესიების მასშტაბური მშენებლობა (მაგ.: თხაბა-ერდის ქართ. ტაძარი მდ. ასას ხეობაში და სხვ.). ტაძრებზე შემორჩენილია ქართ. წარწერები, აღმოჩენილია ქართ. ხელნაწერები, რაც ამ რეგიონში საქართველოს დიდ გავლენაზე მიუთითებს. ამ დროს ᲘᲑ-ში ვრცელდება ქართ. დამწერლობა.

მონღოლების მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ შესუსტდა ქვეყნის გავლენა ჩრდ. კავკასიაზე, თუმცა გიორგი ბრწყინვალის დროს პოლიტ. გავლენა ᲘᲑ-ზე ნაწილობრივ აღდგა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მონღოლთა დაპყრობებმა გამოიწვია ᲘᲑ-ის სამხრით, საქართვ. მთიანეთში მიგრაციის დაწყება.

XVIII–XIX სს-ში გრძელდებოდა ᲘᲑ-ის საქართველოში გადმოსახლება: თავდაპირველად – ბაცბიელების, მოგვიანებით კი (პანკისის ხეობაში) – ქისტებისა. დროთა განმავლობაში მოხდა მათი კულტ. ასიმილაცია ქართ. მოსახლეობასთან.

წყარო: ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, წგ.: ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: გასვიანი გ., გასვიანი თ., ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე, თბ., 2006; ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვ. 1, თბ., 1968 (ავტორთა კოლექტივი: ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე); ხანგოშვილი მ., ვაინახური საგმირო ეპოსი, თბ., 2006; Анчабадзе Г., Вайнахи (чеченцы и ингуши), Тб., 2001; Маргошвили Л. Ю., Культурно-этнические взаимоотношения между Грузией и Чечено-Ингушетией в XIX–нач. XX в. (Кисты Панкиси), Тб., 1990; Шавхелишвили А. И., Из истории горцев Восточной Грузии, Тб., 1983.

ე. კოპალიანი.

ᲕᲔᲘᲜᲐᲮᲣᲠᲘ ᲔᲜᲔᲑᲘ, ჩაჩნური და ინგუშური ენების გამაერთიანებელი სახელწოდება. იხ. *ნახური ენები.*

ᲕᲔᲙᲣᲐ აბესალომ კაპიტონის ძე (1. IX. 1925, ქ. ფოთი, – 19. II. 2014, თბილისი), პალეობიოლოგი. საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (2013; წევრკორ. 2001), ფაზისის აკად. წევრი (2002); გეოლ.-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი (1969). 1981-იდან იყო საქართვ. მეოთხეული პერიოდის შემსწავლელი კომისიის თავ-რე, საქართვ. ტერიოლოგიური საზ-ბის პრეზიდენტი (1990), 1956-იდან – საქართვ. მეცნ. აკად. პალეობიოლოგიის ინ-ტის თანამშრომელი, 2009-იდან – საქართვ. ეროვნ. მუზეუმის პალეობიოლოგიის ინ-ტის სამეცნ. ხელმძღვანელი.

ᲘᲑ-მ შეისწავლა საქართველოს და მიმდებარე რეგიონების ზედა ნეოგენის და ანთროპოგენის ძუძუმწოვართა პალეობიოლოგია და პალეოანთროპოლოგია, ასევე ახალქალაქის, ქვაბების, ძეძვთახევის, კოწახურის და მთლიანად საქართვ. ძვ. ქვის ხანის ხერხემლიანთა ფაუნა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ᲘᲑ-სა და მეცნიერთა ჯგუფის მიერ (ლ. გაბუნია, დ. ლორთქიფანიძე) ევრაზიაში უძველესი (დაახლ. 1 მილიონ 800 ათასი წლის) ჰომინიდების აღმოჩენა დმანისში და მათი სისტემატიკური ადგილის დადგენა. იყო მრავალი სამეცნ. ნაშრომისა და 12 მონოგრაფიის ავტორი. საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი მეცნ. დარგში (2004), ღირსების ორდენის კავალერი (2001), ქ. ფოთის საპატიო მოქალაქე (2003).

თხზ.: ახალქალაქის ქვედაპლეისტოცენური ძუძუმწოვრების ფაუნა, თბ., 1962; დმანისის ჰომინიდები, თბ., 2011 (თანაავტ. დ. ლორთქიფანიძე); Квабебская фауна акчагыльских позвоночных, М., 1972; Грузия в антропогене, Тб., 1981; Дманисская фауна виллафранкских позвоночных, Тб., 2012.

ᲕᲔᲙᲣᲐ გიორგი ერმილეს ძე (დ. 12. VII. 1925, სოფ. მცირე ბარღები, ახლანდ. გალის მუნიციპალიტეტი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1978), პროფესორი (1979). დაამთავრა თსუ-ის ფილოს. ფაკ-ტი (1951). იყო თსსი-ის ფილოს. კათედრის გამგე (1962–94), საზ. მეცნ. კათედრის პროფესორი (1994-იდან). ᲘᲑ-ს კვლევის ძირითადი მიმართულებებია რელიგ. ისტორია, მატერიალ. დიალექტიკა, თანამედროვე მედიცინის ფილოს. საკითხები.

თხზ.: მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიები, თბ., 1960; მიზეზობრიობის პრობლემა ფილოსოფიასა და მედიცინაში, თბ., 1977; მედიცინის ფილოსოფია (ლექციების მოკლე კურსი), თბ., 1994.

ᲕᲔᲙᲣᲐ ილია ნესტორის ძე [23. IV (6. V). 1907, სოფელი შეშელეთი, ახლანდ. გალის მუნიციპალიტეტი, – 2. XII. 1977, თბილისი], მათემატიკოსი და მექანიკოსი. სსრკ მეცნ. აკად. (1958) და საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946), საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოს-მდივანი (1947–51), საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმის წევრი (1964-იდან), პრეზიდენტი (1972–77), ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი (1940), პროფესორი (1940). საქართველოსა (1966) და აფხაზეთის (1967) მეცნ. დამს. მოღვაწე, სოციალ. შრომის გმირი (1969) დაამთავრა თსუ (1930). იყო ამავე უნ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტის დეკანი (1940–44), პრორექტორი (1944–47), რექტორი (1966–72), გამოყენებითი მათ. ინ-ტის მეცნ.-ხელმძღვანელი და დირექტორი (1968–77), სსრკ მეცნ. აკად. პრეზიდიუმის წევრი (1973–77), სსრკ მეცნ. აკად. ვ. სტეკლოვის სახ. მათ. ინ-ტის (მოსკოვი) დირექტორის მოადგილე (1955–59), სსრკ მეცნ. აკად. ციმბირის განყ-ბის პრეზიდიუმის წევრი (1958–64), ნოვოსიბირსკის უნ-ტის რექტორი (1959–64).



ი. ვეკუა.

ᲘᲑ-ს სამეცნ. შრომები ეხება თეორ. და გამოყენებითი მათ. მრავალი დარგის საკითხებს. განსაკუთრებული ადგილი უკავია კერძოწარმოებულიანი განტოლებების თეორიას. ელიფსური განტოლებებისათვის დაამუშავა ამონახსნთა ზოგადი წარმოდგენების თეორია და გამოიყენა იგი სასაზღვრო ამოცანების შესასწავლად; მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ერთგანზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში; განიხილა ფუნქციათა თეორიის ერთობ ზოგადი სასაზღვრო ამოცანა, შენიშნა მისი ახლებური ბუნება, ბოლომდე გამოიკვლია ამოხსნადობის საკითხი და მოგვცა ინდექსის გამოსახულება. ეს გამოკვლევა საფუძვლად დაედო ღრმა განზოგადებებს ელიფსური დიფერენციალური ოპერატორების

ინდექსის პრობლემასთან დაკავშირებით; დაამუშავა განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორია, რ-იც კლასიკურ ანალიზურ ფუნქციათა თეორიის არსებითი გაფართოებაა. 3-ს ეკუთვნის დრეკად გარსთა მათ. თეორიის ახ. ვარიანტი, რ-იც გამოირჩევა მექან. სურათისადმი ზუსტი შესაბამისობით (იხ. *ვეკუას მოდელი* გარსთა თეორიისა).



ნ. ვეკუა.

3. იყო სსრკ თეორ. და გამოყენებითი მექან. ნაციონალური კომიტეტის წევრი (1956-იდან), ედინბურგის (1958), სტოკჰოლმის (1962), მოსკოვის (1966), ნიცის (1970) მათემატიკოსთა საერთაშ. კონგრესების მონაწილე, გდრ-ის მეცნ. აკად. (1968), გერმ. საბუნებისმეტყველო მეცნ. აკად. ,,ლეოპოლდინას'' (1969, ჰალე), მეცნიერების, ლიტ. და ხელოვნ. აკად. (1976, პალერმო) უცხოელი წევრი, რამდენიმე საერთაშ. სამეცნ. ორგანიზაციის წევრი, ჰალეს უნ-ტის საპატიო დოქტორი (1969), იენის უნ-ტის საპატიო სენატორი (1969). სსრკ VII–IX მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინური პრემიის ლაურეატი (1963), სტალინური (1950) და სსრკ სახელმწ. (1984, გარდაცვალების შემდეგ) პრემიების ლაურეატი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

თხზ.: Новые методы решения эллиптических уравнений, М.– Л., 1948; Обобщенные аналитические функции, М., 1959; Некоторые общие методы построения различных вариантов теории оболочек, М., 1982.

ლიტ.: მ ა ნ ი ა გ., ხ ვ ე დ ე ლ ი ძ ე ბ., ილია ვეკუა, თბ., 1967; ო რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ე., აკადემიკოსი ილია ვეკუა, თბ., 1982; ილია ვეკუა. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ.: ნ. ბაღათურია, ე. დოლიძე, თბ., 1987; Б и ц а д з е А. В., Илья Несторович Векуа, Тб., 1967.

ᲕᲔᲙᲣᲐ კირილე მოსეს ძე [4(16). V. 1891, სოფ. ახუთი, ახლანდ. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, – 28. VI. 1968, ბერლინი], ქიმიკოსი. ქუთ. კლასიკური გიმნაზიის დამთარების (1915) შემდეგ სწავლა გააგრძელა ხარკოვის უნ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტზე. ხარკოვის უნ-ტში სწავლისას რევ. სტუდენტობას მიემხრო, იყო სოციალ.-დემოკრატი, ოქტ. გადატრიალების (1917) შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. აქტიურად მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობით საქმიანობაში. საქართველოს გასაბჭოების (1921) შემდეგ 3., როგორც ახ. საოკუპაციო რეჟიმის შეურიგებელი მოწინააღმდეგე, დააპატიმრეს და 1922 სხვა პოლიტ. მოღვაწეებთან ერთად საქართველოდან გააძევეს. 1922 დეკ. პირველ რიცხვებში 3. უკვე გერმანიაში (ბერლინში) იყო. 1924 სწავლა გააგრძელა გეტინგენის უნ-ტში, დაამთავრა ქიმ. ფაკტი. 1931 მიენიჭა ფილოს. დოქტორის სამეცნ. ხარისხი ქიმ. დარგში. 1935–52 მუშაობდა ბერლინის უმაღლეს ტექ. სასწავლებელში, სადაც მისი ხელმძღვანელობით გაიხსნა საღებრების ლაბორატორია. სიცოცხლის ბოლო წლებში ნაყოფიერ პედ. მოღვაწეობას ეწეოდა. მისი ხელმძღვანელობით შესრულდა რამდენიმე ათეული სადიპლომო და სადოქტორო ნაშრომი. 3-ს მრავალი მოწაფე მუშაობს გერმანიაში ლაქ-საღებავებისა და მონათესავე დარგებში. 3. ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა ქართ. ეროვნ. ემიგრაციის პოლიტ. და საზ. ცხოვრებაში, იყო ახალგაზრდული ორგანიზაციის ,,თეთრი გიორგის'' წევრი. 1967 საქართველოში იმყოფებოდა.

გ. შარაძე.

ᲕᲔᲙᲣᲐ ნიკოლოზ პეტრეს ძე [28. VII(10. VIII). 1913, სოფ. ახუთი, ახლანდ. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, – 11. IV. 1993, თბილისი], მათემატიკოსი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960; წ.-კორ. 1955). ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1946), პროფესორი (1947), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). დაამთავრა თსუ (1937). 1948–51 იყო თსუ-ის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტის დეკანი, თეორ. მექან. კათედრის გამგე (1961-იდან), 1976-იდან – საქართვ. მეცნ. აკად. ა. რაზმაძის სახ. მათ. ინ-ტის დირექტორი, ამავე ინ-ტის მათ.-ფიზ. განტოლებათა განყ-ბის გამგე (1957-იდან).

3-ს ძირითადი შრომები ეხება კომპლ. ცვლადის ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანებს, სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებსა და მათ გამოყენებას მათ. ფიზიკაში, მცირეპარამეტრიან დიფერენც. და ინტეგრალურ-დიფერენციალურ განტოლებებსა და თეორ. მექანიკის საკითხებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ მიღებული შედეგები რამდენიმე უცნობი ფუნქციისათვის ჰილბერტის წყვეტილკოეფიციენტებიანი ამოცანისა და წყვეტილკოეფიციენტებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემების შესახებ. 3-მ დაადგინა, რომ არსებობს კავშირი ,,მცირეპარამეტრებიან ამოცანებსა'' და დინამ. სისტემების ამონახსნთა ლიაპუნოვის მიხედვით მდგრადობას შორის. 3-ს შრომები თარგმნილია ინგლისურ, ჩინურ და რუმინულ ენებზე. მიღებული აქვს საქართვ. სახელმწ. პრემია (1975) და სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: თეორიული მექანიკა, გამოც. მე-3, ნაწ. 1–2, თბ., 1970; დიფერენციალურ განტოლებათა თეორიის ზოგიერთი საკითხი და მათი გამოყენება მექანიკაში, თბ., 1983; Системы сингулярных интегральных уравнений и некоторые граничные задачи, 2 изд., М., 1970.

ლიტ.: ე ბ ა ნ ო ი ძ ე თ., წერილები ქართველ მათემატიკოსებზე, თბ., 1981; ნიკოლოზ ვეკუა. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ.: ი. დუდუჩავა, ც. კვაჭაძე, თბ., 1988.

ᲕᲔᲙᲣᲐ სერაფიმა გიორგის ასული [8(21). VIII. 1914, თბილისი, – 19. I. 2000, იქვე], ბალეტის მსახიობი, კლასიკური ცეკვის პედაგოგი. საქართვ. დამს. არტისტი (1958). 1922–30 სწავლობდა თბილ. მ. *პერინის* საბალეტო სკოლა-სტუდიაში. 1931–35 ცეკვავდა თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დასში. 1936–39 სწავლა გააგრძელა ლენინგრადის ქორეოგრ. ტექნიკუმში (პედაგოგები – ა. ვაგანოვა და მ. რომანოვა); 1939–43 ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის, ხოლო 1943–59 კვლავ თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო, პარალელურად – საბალეტო დასის პედაგოგ-რეპეტიტორიც. თავისი საბალეტო მოღვაწეობისას შეასრულა არაერთი მნიშვნელოვანი სოლო პარტია როგორც საბალეტო, ისე საოპერო სპექტაკლებში. მისი შესრულება გამოირჩეოდა აქტიორული ოსტატობით, გამომსახველობით. 1943-იდან მუშაობდა თბილ. ვ. ჭაბუკიანის სახ. ქორეოგრ. სასწავლებელში წამყვან პედაგოგად. 1964–72 იყო ამ სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელი. მისი მოსწავლეები იყვნენ ი. *ნიორაძე*, ნ. *არობელიძე*, რ. ლევინა და მრავალი სხვა.

ა. ჩხეიძე.

ᲕᲔᲙᲣᲐᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ, ამ მეთოდით გაუსის ცვლადი დადებითი სიმრუდის მქონე ზედაპირის უსასრულოდ მცირე ღუნვის ამოცანა დაიყვანება მუდმივი დადებითი სიმრუდის მქონე ზედაპირის უსასრულოდ მცირე ღუნვის შესწავლაზე, რაც შესაძლებელია იმის გამო, რომ ცვლადი სიმრუდის შემთხვევაში ღუნვის მახასიათებელი სიდიდეები შეუღლებულ-იზოთერ-

მულ პარამეტრიზაციაში აღიწერება განზოგადებული ანალიზური ფუნქციებით (ამ ფუნქციების დასრულებული თეორია შექმნა ი. *ვეკუამ*), ხოლო მუდმივი სიმრუდის შემთხვევაში უსასრულოდ მცირე ღუნვა – ჩვეულებრივი ანალიზური ფუნქციების საშუალებით. ჩვეულებრივ და განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა შორის კავშირის ვეკუას მიერ მიღებული ფორმულა ღრმა ანალოგიის გატარების საშუალებას იძლევა ცვლადი და მუდმივი სიმრუდის მქონე ზედაპირების უსასრულოდ მცირე ღუნვათა თვისებებს შორის.

ლიტ.: В е к у а И. Н., Обобщенные аналитические функции, М., 1959.

გ. ჯაიანი.

ვეკუას მოდელი გ ა რ ს თ ა თ ე ო რ ი ი ს ა, გარსთა თეორიის ერთერთი მოდელი, რომელიც დაამუშავა ი. *ვეკუამ* (1955–77). ფაქტობრივად იგი არის გარსების ისეთი დაზუსტებული თეორია, რ-ისთვისაც დიფერენციალურ განტოლებათა სისტემასა და სასაზღვრო პირობებს შორის არსებობს სრული შესაბამისობა. ეს არსებითია, ვინაიდან გარსების ე. წ. კლასიკურ თეორიაში დიფერენციალური განტოლების რიგსა და საზღვარზე პირობების რაოდენობას შორის არსებობდა გარკვეული შეუსაბამობა. მეორე მხრივ, ი. ვეკუას მიერ მიღებული დიფერენციალური განტოლებების სტრუქტურა ახლოსაა ბრტყელი დრეკადობის თეორიის განტოლებებთან. ეს ფაქტიც არსებითია, ვინაიდან გარსთა თეორიის ამოცანების შესასწავლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ის მეთოდები, რ-ებიც ადრე წარმატებით გამოიყენეს ქართვ. მეცნიერებმა ნ. *მუსხელიშვილის* ხელმძღვანელობით ბრტყელი დრეკადობის ამოცანების (კომპლ. ცვლადის ფუნქციათა თეორია, ინტეგრალურ განტოლებათა თეორია და სხვ.) შესასწავლად.

ი. ვეკუას შრომებმა დასაბამი მისცა ლეჟანდრის პოლინომების გამოყენებას გარსების თეორიაში და სხეულის დაძაბული და დეფორმირებული მდგომარეობის კვლევებში. 1955 გამოქვეყნებულ სტატიაში ,,პრიზმული გარსების გაანგარიშების ერთი მეთოდის შესახებ'' (რუს. ენაზე) ი. ვეკუამ პირველად გამოიყენა საძიებელი ველების ლეჟანდრ-ფურიეს მწკრივებად გაშლის მეთოდი და მიიღო ცვალებადი სისქის პრიზმული გარსებისათვის ორგანზომილებიან განტოლებათა უსასრულო სისტემა. შემდეგ ეს მეთოდი მანვე განაზოგადა ცვალებადი სისქის მქონე ნებისმიერი თხელი და დამრეცი გარსებისათვის.

გარსების გათვლა ორგანზომილებიან განტოლებათა უსასრულო სისტემის საშუალებით დაკავშირებულია დიდ მათ. სიძნელეებთან, ამიტომ ი. ვეკუამ შექმნა სასრულ სისტემაზე გადასვლის რამდენიმე ხერხი და ცხადყო, რომ, თუ გარსის შუა ზედაპირზე კოორდინატთა სისტემად აღებულია იზომეტრიულ წირთა ბადე, მაშინ ორგანზომილებიანი განტოლებების სასრული სისტემა დაიყოფა ორ ჯგუფად: პირველი ჯგუფის განტოლებათა სისტემის მთავარი ნაწილი ბრტყელი დრეკადობის თეორიის განტოლებებია, მეორისა კი – პუასონის განტოლებები. ი. ვეკუამ დაამტკიცა, რომ თუ ველების მწკრივად გაშლაში შენარჩუნებულია პირველი N წევრი, მაშინ ორგანზომილებიან განტოლებათა სისტემა შეიცავს $3N+3$ მეორე რიგის კერძოწარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებას $3N+3$ სასაზღვრო პირობით, რომელთათვისაც მართებულია არსებობისა და ერთადერთობის თეორემები. ამასთან, მიახლოება $N=0$ არსებითად არის გარსების უმომენტო თეორია, რ-იც ისეა დაზუსტებული, რომ შესაბამის განტოლებათა სისტემა თავსებადია სამ ფიზ. სასაზღვრო პირობასთან. მანვე დაამტკიცა, რომ მიახლოება $N=1$ ახლოსაა გარსების მომენტურ თეორიასთან, მაგრამ მას ზუსტად არ ემთხვევა. კლასიკური მომენტური თეორიისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ბუნებრივად შემოდის ე. წ. ,,გამხლეჩი'' ძალები, რ-თა საშუალებით ი. ვეკუამ შეძლო აეგო გარსების დაზუსტებული თეორია.

ი. ვეკუას დიდი წვლილი მიუძღვის გარსების უმომენტო თეორიის შესწავლაში. მეტად ეფექტური აღმოჩნდა მის მიერ შექმნილი განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიის აპარატი, რ-მაც ნათელი მოჰფინა გარსების უმომენტო თეორიის მრავალ საკითხს (გარსების უმომენტო თეორიასა და ზედაპირების უსასრულო ღუნვის თეორიას შორის მჭიდრო კავშირის დადგენა და მისი შემდგომი დაზუსტება, გარსების უმომენტო თეორიის რეალიზაციის საკითხი, ოვალოიდის სიხისტის საკითხი და სხვ.). მნიშვნელოვანია აგრეთვე ი. ვეკუას წვლილი ე. წ. ,,სტატიკურად განსაზღვრული'' ამოცანების შესწავლასა და დრეკად გარსებში ნეიტრალური ზედაპირების არსებობის დადგენის საკითხში (იხ. აგრეთვე *გარსთა ზოგადი თეორია*).

ლიტ.: В е к у а И. Н., Обобщенные аналитические функции, М., 1959; მ ი ს ი ვ ე, Теория тонких пологих оболочек переменной толщины, Тб., 1965; მ ი ს ი ვ ე, Некоторые общие методы построения различных вариантов теории оболочек, М., 1982.

თ. მეუნარგია.

ვეკუას ფორმულები, ფორმულები, რომლებიც იძლევა კოშისგულიანი მახასიათებელი სინგულარული ინტეგრალური განტოლების ეფექტურ ამონახსნს კვადრატურებში. ეს ფორმულები მიიღო ი. *ვეკუამ* 1940. მახასიათებელი სინგულარული ინტეგრალური განტოლებაა $a\varphi+bs(\varphi)=f$, სადაც a, b და f არის კომპლექსური სიბრტყის რომელიმე შეკრულ L წირზე განსაზღვრული ცნობილი ფუნქციები, φ საძიებელი ფუნქციაა L-ზე, ხოლო s არის L-ზე გავრცელებული კოშისგულიანი სინგულარული ოპერატორი. იმ კერძო შემთხვევაში, როცა $a=0$ და $b=1$, ვ. ფ-იდან მიიღება სინგულარულ ინტეგრალთა შებრუნების ფორმულები: $s(\varphi)=f$, $\varphi=s^{-1}(f)$. ი. ვეკუამ ეს ფორმულები მიიღო იმ შემთხვევისთვის, როდესაც L ერთი შეკრული გლუვი წირია, ხოლო a, b, f და φ – ჰელდერის კლასის ფუნქციები. აღნიშნული შედეგი შემდგომ სხვადასხვა მიმართულებით განაზოგადეს ბ. *ხვედელიძემ*, ლ. *მაღნარაძემ* და სხვ.

ლიტ.: მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ნ., სინგულარული ინტეგრალური განტოლებები, თბ., 1982; В е к у а И. Н., О сингулярных линейных интегральных уравнениях, содержащих интегралы в смысле главного значения по Коши, «Доклады АН СССР», 1940, т. 26, № 4; М е у н а р г и я Т. В., Краткий обзор основных результатов И. Н. Векуа по теории оболочек, Тб., 1989.

თ. გეგელია.

ველები, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის ქვახვრელის თემში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 840 *მ*, გორიდან 14 *კმ*. 15 მცხ. (2002).

ველები, სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტის ძვილეთის თემში (შიდა ქართლის მხარე), შიდა ქართლის ვაკეზე. ზ. დ. 890 *მ*, თიღვიდან 9 *კმ*. 185 მცხ. (1989).

ველევი, სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ველეულის (ხოტეურის მარჯვ. შენაკადი; რიონის აუზი) მარჯვ.

ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: ვ., ბეთლევი, კვირიკეწმინდა, შხივანა). ზ. დ. 1160 *მ,* ამბროლაურიდან 19 *კმ.* 138 მცხ. (2002).

ვ-ის მახლობლად, რაჭის ქედის ჩრდ. ფერდობზე, მდებარეობს ცარცული ასაკის მასიურ და სქელშრეებრივ კირქვებში გამომუშავებული დოლაბისთავის მღვიმე.

ვ. წყაროებში იხსენიება XVII ს-იდან. სოფელში შემორჩენილია XV ს. სამების ეკლესია, რ-იც შიგნით მოხატულია.

ველთაურთკარი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭონქაძის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ალევის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ჭალახევის (არყალის მარჯვ. შენაკადი; არაგვის აუზი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1040 *მ,* დუშეთიდან 7 *კმ.* 27 მცხ. (2002).

ველი, სტეპი, მცენარეულობის ტიპი, რ-საც მიეკუთვნება გვალვადა ყინვაგამძლე მრავალწლოვანი კორდოვანი ბალახოვანი მცენარეებისგან შექმნილი ფიტოცენოზები. გავრცელებულია უმეტესად შავმიწა და წაბლა ნიადაგებზე (მშრალი ჰავის პირობებში). ფიტოცენოზებში ჭარბობს მკვრივკორდოვანი მარცვლოვნები: ვაცივწვერა, წივანა, კეწეწურა და სხვ., იშვიათად ისლი. დამახასიათებელია აგრეთვე სახეობებით მდიდარი ორლებნიანი და ერთლებნიანი მცენარეებისგან შემდგარი ნაირბალახოვანი დაჯგუფებები (სინუზიები), ნახევრადბუჩქების ზოგიერთი სახეობა (ძირითადად ავშნის გვარისა) და ველის ბუჩქები.

საქართველოში ვ-ები უმთავრესად გავრცელებულია აღმ-ით, ვაკეებსა და მთისწინეთში, ჯავახეთის ზეგანზე; წამყვანი ფორმაციებია უროიანი, წივანიან-ვაცივწვერიანი, ნაირბალახოვან-ვაცივწვერიანი და სხვ.; უროიანი ვ-ები დიდ ფართობზე ვრცელდება ივრის ზეგანზე (გარეჯი, შირაქი). ვ. უმეტეს შემთხვევაში მეორეული წარმოშობისაა, იგი მთის ტყისა და ნათელი ტყის განადგურების შედეგია. ვ-ების დიდი ნაწილი ათვისებულია სას.-სამ. კულტურებისათვის, იყენებენ საძოვრად და სათიბად. *მ. ივანიშვილი.*

ველი, ისტორიული ციხესიმაგრე და სოფელი სამხრეთ საქართველოში, ქვემო არტაანში (ახლანდ. თურქეთის ტერიტორია 1921-იდან). სოფ. ვ. მდებარეობს არტაანის მტკვრის მარცხ. ნაპირზე, ერუშეთისწყლის შესართავის აღმ-ით 2,5 *კმ*-ზე. 1595 ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით სოფელში, რ-იც შევიდა დიდი არტაანის ლივაში, 30 კომლიღა ცხოვრობდა. არტაანის სხვა სოფლებისგან განსხვავებით, ველელებმა შეინარჩუნეს ქრისტიანობა. 1737-იდან სოფლის მოსახლეობამ კათოლიკობაზე გადასვლა დაიწყო. 1829 რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ვ-ის მოსახლეობა აიყარა და გადასახლდა ახალქალაქის გარშემო მდებარე სოფლებში – ბავრაში, ხულგუმოსა და კარტაკამში. ვ-იდან წასული თურქულენოვანი ქართველები დასახლდნენ თრიალეთის სოფ. რეხაში.

სოფლის დას-ით მდებარეობს ვ-ის ციხე. პირველად იხსენიება მესხურ მატიანეში 1578, როდესაც იგი საათაბაგოს სხვა ციხეებთან ერთად აიღო მუსტაფა ლალა ფაშამ (,,ქაჯის ციხე, ველი და თეთრი ციხე წამუართუეს ურუმთა''...). 1902 ციხე მოინახულა და აღწერა ე. თაყაიშვილმა. ციხე იდგა მტკვრის მაღალ და კლდოვან ნაპირზე, ჰქონდა მრავალი კოშკი და მაღალი გალავანი, რ-იც საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა. ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია მცირე სამლოცველოს ნანგრევები და ეკლესია. ეკლესია აფსიდიანია. აგებულია სუფთად გათლილი მუქი წითელი ქვით, გადახურულია ქვის ფილებით (ლორფინებით). დას. სარკმელი შემკულია ორი კვეთილი ჯვრით, ხოლო აღმ. სარკმელი – თაღით, რ-ის ქვეშ ამოკვეთილ უთარიღო წარწერაში მოხსენიებულია ვინმე გუარამი. იგივე გუარამი იხსენიება ეკლესიის გვერდით აღმართულ რვაწახნაგა ბოძის წარწერაშიც. ე. თაყაიშვილის აზრით, ორივე წარწერა თანადროულია, ამიტომ ბოძის წარწერაში აღნიშნული თარიღი 954 თავისთავად ათარიღებს ეკლესიასაც, რასაც ძეგლის ხუროთმოძღვრული და მხატვრული სახეც ადასტურებს. ეკლესია მოხატული იყო. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით მხატვრობა მაღალ დონეზე იყო შესრულებული. საკურთხევლის მარჯვნივ გამოსახული იყო თეთრ ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგი, რ-იც გმირავს გველეშაპს. საკურთხევლის მარცხნივ, სავარაუდოდ, წმ. თევდორე ან წმ. დიმიტრია გამოსახული. საკურთხეველში კიდევ წმინდანთა 5 ფიგურაა. საკურთხევლის დას-ით გეგმით წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის დარბაზია, რ-ის გადამხური კამარა საბჯენ თაღებს ეყრდნობოდა.

1878 ვ. არტაანის მხარესთან ერთად რუს. იმპერიის შემადგენლობაში მოექცა და ახალშექმნილი ყარსის ოლქის არტაანის (არდაჰანის) ოკრუგში შევიდა.

წყარო და ლიტ.: ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუაწლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბ., 1975; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV–XVI სს.), ქრ. შარაშიძის გამოც., თბ., 1961; ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 3, თბ., 1958; Бериадзе В. В., Место памятников Тао-Кларджети в истории Грузинской архитектуры, Тб., 1981; Христианские памятники. Экскурсия Е. Такайшвили, «Материалы по археологии Кавказа», 1902, вып. 12.

ა. თორდია. დ. ხოშტარია.

ველი (1948-მდე ზემო კოვალევსკოე), სოფელი გაგრის მუნიციპალიტეტის ბაღნარის თემში (აფხაზეთის არ), მთისწინეთში, მდ. სანდრიფშის (ხაშუფსეს მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 240 *მ,* გაგრიდან 35 *კმ.* 72 მცხ. (1989).

ველი, სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის წებელდის თემში (აფხაზეთის არ), აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, კოდორის ხეობაში. ზ. დ. 450 *მ.*

ველიამინოვი ალექსი ალექსანდრეს ძე (1785–27.III.1838), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, 1816–27 იყო კავკ. ჯარების შტაბის უფროსი და საქართვ. სამოქალაქო გუბერნატორი. *იმერეთის აჯანყების 1819–20* დროს, მთავარმართებელ ა. *ერმოლოვის* დავალებით, ხელმძღვანელობდა აჯანყებულთა წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებას, იმერეთში სერიოზული სამხ. ძალა გააგზავნა, თუმცა შემდეგ შეეცადა დაპირებებით დაეცხრო მოძრაობა, თბილისიდან პროკლამაციით მიმართა იმერეთის მოსახლეობას და დაპირდა, რომ აღარ განახორციელებდა საეკლ. რეფორმას, უკან გაიწვევდა საფოველთაოდ საძულველ ეგზარქოს *თეოფილაქტეს.* შედეგად აჯანყება დროებით დაცხრა. რუსებმა განსაკუთრებით დაარბიეს რაჭა, ცეცხლს მისცეს და მიწასთან გაასწორეს სოფლები, დაანგრიეს ციხესიმაგრეები. რაჭის შემდეგ გენ. ვ. გურიაში გაემართა. 24 ივლისს სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ შემოქმედის ციხე აიღო. 1831-იდან იყო კავკ. ხაზის ჯარების სარდალი და კავკ. ოლქის უფროსი, 1831–38 ხელმძღვანელობდა კავკ. მთიელების წინააღმდეგ მიმართულ ექსპედიციებს.

ველიანთა, მთა ონის მუნიციპალიტეტში, მდინარეების ჯეჯორისა (რიონის მარცხ. შენაკადი) და ქვედრულის (ჯეჯორის მარჯვ. შენაკადი) წყალგამყოფ რაჭის ქედზე. სიმაღლე ზ. დ. 2223 *მ.* აგებულია პალეოგენური თიხებით, ქვიშაქვებითა და ბრექჩიებით. სამხრ. კალთები ციცაბოა, დანარჩენი – დამრეცი. შემოსილია სუბალპ. მდელოებით.

ველისა, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ლარგვისის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. ჭურთის (ქსნის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 1500 *მ*, ახალგორიდან 38 *კმ*. 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

ველის არწივი (Aquila rapax), დიდი ზომის ფრინველი შავარდნისნაირთა რიგისა. სიგრძე – 80 *სმ*, მასა – 4 *კგ*. აქვს ერთფეროვანი მურა ბუმბული. გავრცელებულია სამხრ.-აღმ. ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. საქართველოში გვხვდება მხოლოდ მიმოფრენის ან მომთაბარეობისას (ნომადობისას). ბინადრობს ველისა და უდაბნოს ღია ლანდშაფტებში. ბუდეს იკეთებს მიწაზე, აპრილში დებს 2–3 კვერცხს. იკვებება, ძირითადად, მღრღნელებით. შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში''.

რ. ყორდანია.

ველის გველგესლა (Vipera ursini), შხამიანი გველი გველგესლასებრთა ოჯახისა. მორუხო-მურა ფერის ზურგზე კლაკნილი ზოლი გასდევს. აქვს უზარმაზარი არეალი. საქართველოში ძირითადად გვხვდება აღმ. ნაწილის მთიანეთში. ბინადრობს სუბალპ. და ალპ. მდელოებზე, ტყისპირებზე, ქვაღორღიან ადგილებში, ბალახში. ვრცელდება ზღვის დონიდან თითქმის 3000 *მ*-მდე სიმაღლეზე. სეზონის მიხედვით ხან დღისით არის აქტიური, ხან ბინდისას. იკვებება ძირითადად მწერებით (კალიასნაირებით), აგრეთვე წვრილი ხერხემლიანებით. ცოცხლადმშობია. ნაშიერები (17-მდე) იბადებიან აგვისტო-სექტემბერში. ვ. გ-ს ნაკბენისგან ადამიანის სასიკვდილოდ მოშხამვის შემთხვევები ცნობილი არ არის.

თ. მუსხელიშვილი.

ველის დიდი ბაზი (Bombus fragrans), მწერი სიფრიფანაფრთიანთა რიგის ფუტკრების ოჯახისა, საზოგადოებრივად მცხოვრები. გავრცელებულია ევროპაში, დას. ციმბირის სამხრ. ნაწილში, უნგრეთში, მოლდოვაში, სამხრ. კავკასიაში და სხვ. საქართველოში უმთავრესად მის აღმ. ნაწილშია. ბუნებაში მისი რიცხობრიობა მნიშვნელოვნად შემცირებულია, ვ. დ. ბ-ის თავი, ფეხები და სხეული შავი ფერის ბუსუსებითაა შემოსილი. მკერდის წინა ნაწილი და მუცელი ყვითელია. ზურგზე, ფრთების საწყისებს შორის, შავი ბუსუსებიანი ვიწრო განივი საბმური აქვს. ოჯახი შედგება დედალი, მამალი და მუშა (უსქესო) მწერებისაგან. ფრენს გაზაფხულიდან შემოდგომამდე; ჯვარედინად ამტვერიანებს ძირითადად ველის ბიოცენოზების ყვავილოვან მცენარეებს, კერძოდ, ტუჩოსნებს, რთულყვავილოვნებს და პარკოსანთა ყვავილებს. ბინადრობს უმთავრესად მთისა და ბარის ველებზე. ბუდეს იკეთებს მიწაში, მღრღნელების მიერ მიტოვებულ სოროებში, დებს 5–10 კვერცხს. წელიწადში იძლევა 1 თაობას. სახეობა იკვებება და შთამომავლობასაც კვებავს ყვავილის მტვრით, ნექტრითა და იმ მცირე რაოდენობის თაფლით, რ-საც იგი იძლევა.

სახეობის დაცვის მიზნით უნდა აიკრძალოს მათი ბუდეების მოშლა და პესტიციდების გამოყენება. სასურველია ველზე ნაკრძალებისა და მიკრონაკრძალების მოწყობა.

ლიტ.: Схиртладзе И., Пчелиные Закавказья, Тб., 1981.

ი. სხირტლაძე.

ველის კატა, ხალიანი კატა (Felis libyca caudata), მტაცებელი ძუძუმწოვარი კატების გვარისა. სხვა კატებთან შედარებით ტანად პატარაა, შინაური კატის ტოლი. სხეულის სიგრძე 60–70 *სმ*, კუდი 30–35 *სმ*, სიმაღლე მინდაოში 27–30 *სმ*, მასა 5 *კგ* აღწევს. აქვს დაბალი, ნაზი ბეწვი, მორუხო-ნაცრისფერ სხეულზე – შავი ხალები, კუდზე – შავი რგოლები, წვერში – შავი ფუნჯი. ყელსა და მუცელზე გასდევს თეთრი არშია, რ-იც კიდურებზე გადადის. გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის ზოგიერთ კუნძულზე, სირიასა და პალესტინაში, არაბეთში, ერაყსა და ირანში, ავღანეთში, ინდოეთსა და ჩინეთში, შუა აზიაში, ამიერკავკასიაში – კერძოდ, აზერბაიჯანში. საქართველოში ნაპოვნია ბორჯომთან, სოფელ გომნაში. ბინადრობს კულტ. ლანდშაფტის მოსაზღვრე ბუჩქნარ, ქვანაყარ ადგილებში. იკვებება მღრღნელებითა და ფრინველებით. მძუნაობს თებერვალ-მარტში. 63 დღის შემდეგ შობს 4–6 უსუსურ კნუტს. სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს. მცირერიცხოვანია. შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში''.

ველის კვანტური თეორია, კვანტური ველების თეორია, უსასრულო რაოდენობის თავისუფლების ხარისხის მქონე სისტემების, ანუ ფიზიკური ველების, კვანტური თეორია; წარმოიშვა როგორც კვანტური მექან. განზოგადება ელემენტარულ ნაწილაკთა დაბადების, შთანთქმისა და ურთიერთგარდაქმნების პროცესების აღსაწერად. მას ფართოდ იყენებენ აგრეთვე კონდენსირებული გარემოს, ატომბირთვისა და მიკროსამყაროს ფიზ. სხვა დარგებში. ვ. ჰ. თ. კვანტური სისტემების შესწავლის ძირითადი თეორ. მეთოდია.

ვ. ჰ. თ-ის ზოგადი და უპირველესი ამოცანაა ფიზ. ველების დაკვანტვა. ნაწილაკთა ცვლადი რიცხვის მქონე სისტემების დაკვანტვის მეთოდი (,,მეორეული დაკვანტვა'') შემოთავაზებულ იქნა ინგლ. ფიზიკოსის პ. დირაკის მიერ (1927). იგი მნიშვნელოვნად განავითარა საბჭოთა ფიზიკოსმა ვ. ფოკმა (1932).

პირველი დასრულებული ვ. ჰ. თ. იყო კვანტური ელექტროდინამიკა – ელექტრონულ-პოზიტრონული და ფოტონური ველების ურთიერთქმედების კვანტური თეორია. რელატივისტურად კოვარიანტული სახით იგი ჩამოყალიბდა XX ს. 40-იანი წწ. დასასრულს იაპონელი ფიზიკოსის ს. ტომონაგას, ამერ. ფიზიკოსების ჯ. შვინგერის, რ. ფეინმანის, ფ. ჯ. დაისონისა და სხვათა ფუნდამენტური გამოკვლევების შედეგად.

საქართველოში ვ. ჰ. თ-ის პრობლემებით დაინტერესება XX ს. 50-იანი წწ-იდან იწყება. კვლევები მიმდინარეობდა თსუ-ში (ამჟამად ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ), თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზ. ინ-ტში, საქართვ. მეცნ. აკად. ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზ. ინ-ტსა და საქართვ. მეცნ. აკად. ა. რაზმაძის სახ. მათ. ინ-ტში. შესწავლილ იქნა ვაკუუმის პოლარიზაციის საკითხები არაწრფივი ველის თეორიის მოდელებში, მისი გავლენა ნუკლონებისა და მეზონების ურთიერთქმედებაზე (მ. *მირიანაშვილი*), კრიტიკულად გაანალიზდა რენორმირებული მუხტის სასრულობის პრობლემა სხვადასხვა მიახლოებითი მეთოდის გამოყენების არეში როგორც ზოგადი დისპერსიული წარმოდგენებით (მ. მირიანაშვილი), ისე



ველის არწივი (Aquila rapax).



ველის გველგესლა (Vipera ursini).



ველის დიდი ბაზი (Bombus fragrans).



ველის კატა. ხალიანი კატა (Felis libyca caudata).

კვანტური ელექტროდინამიკის ფუნქციონალური ფორმულირების საფუძველზე (ნ. *პოლიევქტოვ-ნიკოლაძე*). ჩატარდა მაკროსკოპულ გარემოში კვანტური ელექტროდინამიკის ფორმულირების ერთ-ერთი პირველი ცდა (ნ. პოლიევქტოვ-ნიკოლაძე).

ნუკლონებზე π-მეზონების ფოტოდაბადების პროცესებისთვის დისპერსიულ თანაფარდობათა დამტკიცების საფუძველზე შეიქმნა ამ პროცესთა თეორია (ა. *თავხელიძე,* ა. *ლოგუნოვი*). მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული π-მეზონებისა და ნუკლონების სტატ. მოდელების დაკვანტვაში (ა. თავხელიძე).

პრინციპული მნიშვნელობა აქვს ვ. ჰ. თ-ში ბმული მდგომარეობების შესწავლის კვაზიპოტენციალურ მეთოდს (ა. თავხელიძე, ა. ლოგუნოვი). ეს მეთოდი განაზოგადებს ორი ნაწილაკის ურთიერთქმედების პოტენციალის ცნებას, ამასთან თანხმობაშია რელატივისტური კვანტური თეორიის ყველა ძირითად პრინციპთან და ამავე დროს საშუალებას იძლევა ორი ნაწილაკის ამოცანა ჩამოვაყალიბოთ სამგანზომილებიანი ფორმით. მიღებულია ერთდროიანი კვაზიპოტენციალური განტოლებები ფერმიონებისათვის და შესწავლილია მათი თვისებები უსასრულოდ ზრდადი გულების შემთხვევაში (ა. *ხელაშვილი*). ჩამოყალიბებულია ბმული მდგომარეობის ამოცანა ნულოვანი სიბრტყის ვ. ჰ. თ-ში, რაც ბუნებრივად აღწერს ჰადრონთა კვარკ-გლუონურ შედგენილ მოდელს სინათლის ფრონტის ცვლადებში (ვ. გარსევანიშვილი, ა. თავხელიძე, ა. *კვინიხიძე*, ზ. მენთეშაშვილი, ლ. სლეპჩენკო, ა. ხელაშვილი). განზოგადებულია კვაზიპოტენციალური მეთოდი სამ- და მრავალნაწილაკოვანი სისტემებისათვის (ა. თავხელიძე, ა. კვინიხიძე, ა. ხელაშვილი), შესწავლილია კვაზიპოტენციალური განტოლებების ამონახსნთა თვისებები სინგულარული პოტენციალების გამოყენებისას (ვ. გოგოხია).

ვ. ჰ. თ-ის უზოგადეს აქსიომებზე დაყრდნობით წამოყენებულ იქნა ე. წ. ავტომოდელობის პრინციპი (ა. თავხელიძე და სხვ.), რაც ხსნის ღრმად არადრეკად და *ინკლუზიურ პროცესებში* დამზერილ მასშტაბურ თვისებებს. შედგენილი ნაწილაკების ფორმფაქტორებისთვის ამ პრინციპის მიყენებით დადგინდა მათი ასიმპტოტური ქცევის დამოკიდებულება შემადგენელ ნაწილაკთა რაოდენობაზე – ე. წ. კვარკული თვლის წესი (ა. თავხელიძე და სხვ.). ამ წესის გამოყენებით მიღებულ იქნა დიდი განივი იმპულსების გადაცემით მიმდინარე ინკლუზიური და ექსკლუზიური პროცესების კვეთები (ა. თავხელიძე, ლ. სლეპჩენკო). ნულოვან სიბრტყეზე კვაზიპოტენციალური ფორმულირების საფუძველზე დასაბუთებულია კვარკული თვლის წესები ვ. ჰ. თ-ში (მ. მარგველაშვილი, ა. ხელაშვილი), ნაპოვნია კვანტურ-ქრომოდინამიკური შესწორებები (ლ. სლეპჩენკო და სხვ.). მათემატიკურად მკაცრი ინტეგრალური წარმოდგენების გამოყენებით შესწავლილია ფორმფაქტორთა ავტომოდელური ქცევა (ა. თავხელიძე, ა. კვინიხიძე, ბ. მაღრაძე).

კვარკებისთვის ,,ფერის'' შემოღებისა (ა. თავხელიძე, ნ. *ბოგოლიუბოვთან* და ბ. სტრუმინსკისთან ერთად) და კვანტური ქრომოდინამიკის წარმატებების შედეგად დიდი ყურადღება მიექცა არააბელური ყალიბრული თეორიების პრინციპული საკითხების შესწავლას. გამოკვლეულია გლუონის პროპაგატორის ინფრაწითელი ქცევა და მიღებულია შვინგერ-დაისონის განტოლებათა ცხადი ამონახსნი, რ-იც შეესაბამება *კვარკონიუმების* სპექტრებში დამზერილი წრფივად ზრდადი და კულონური პოტენციალების სუპერპოზიციას (ლ. ვაჩნაძე, ნ. კიკნაძე, ქ. ნატროშვილი, ა. ხელაშვილი, ვ. *ხმალაძე*). გლუონის ასეთი პროპაგატორის გამოყენებით შესწავლილია კვარკის პროპაგატორის ანალიზური თვისებები (ვ. გოგოხია) და გლუონური და კვარკული კონდენსატები (ქ. ნატროშვილი, კ. ტურაშვილი, ა. ხელაშვილი, ვ. ხმალაძე). შესწავლილია აგრეთვე ეფექტური კირალური ლაგრანჟიანების რენორმირების საკითხები სიმეტრიის დარღვევის შემთხვევისათვის და მიღებულია დაბალი ენერგიების ზღურბლური თეორემების შესწორებები კირალური სიმეტრიის ზღვარში (ა. ხელაშვილი, ვ. ხმალაძე). შესწავლილია ყალიბრული და კირალური ველების დაკვანტვის საკითხები სინგულარული ლაგრანჟიანების ზოგადი კლასებისათვის (ს. გოგილიძე, მ. ელიაშვილი, ფ. *ტყებუჩავა*, ნ. ჩიტაია), ნულოვანი მოდების პრობლემები (ნ. კიკნაძე, გ. ჩეჩელაშვილი) და კოლექტიური ცვლადების გამოყენების საკითხი ძლიერი ბმის თეორიების დაკვანტვისას (ა. *შურღაია*). π-მეზონების ელექტროდაბადების შექცეული პროცესებისათვის დამტკიცებულია კვაზიზღურბლური თეორემა და ნაჩვენებია კირალური დენების ალგებრის გამოყენების შესაძლებლობა სუსტი და ელექტრომაგნ. რეაქციებისათვის რეალური ზღურბლიდან დაშორების შემთხვევაში (ფ. ტყებუჩავა). განვითარებულია არაპერტურბატული (შეშფოთებათა თეორიის მიღმა მოქმედი) მეთოდები და მიღებულია სოლიტონური ტიპის ამონახსნები ვ. ჰ. თ-ის კირალურ მოდელებში, ე. წ. ს კ ი რ მ ი ს მოდელში (ნ. კიკნაძე, გ. ლავრელაშვილი, ა. ხელაშვილი).

ვ. ჰ. თ-ის პრინციპებიდან გამომდინარე, დადგინდა სასრული ენერგიების ჯამთა წესები (ა. თავხელიძე, ა. კვინიხიძე და სხვ.), რაც საფუძვლად დაედო მაღალ და დაბალ ენერგეტ. არეებში მიმდინარე პროცესების ფუნდამენტური კანონზომიერების – გ ლ ო ბ ა ლ უ რ ი დ უ ა ლ უ რ ო ბ ი ს – დასაბუთებას. ამ მეთოდის შემდგომმა განვითარებამ განაპირობა სიმებისა და სუპერსიმების მოდელების შესწავლის აუცილებლობა. სიმების პროტოტიპია ლიუვილის განტოლებაზე დამყარებული ორგანზომილებიანი მოდელი, რ-იც ინტერპრეტირებულია, როგორც რელატივისტურ ნაწილაკთა სისტემა (გ. *ჯორჯაძე*). შესწავლილია სუპერგრავიტაციის ეფექტური ლაგრანჟიანების სტრუქტურა სუპერსიმის მოდელის კვანტური შესწორებების გათვალისწინებით (შ. *ვაშაკიძე*). განხილულია მონოპოლის ტიპის ამონახსნები ვ. ჰ. თ-ის სხვადასხვა მოდელში (მ. სერებრიაკოვი). შესწავლილია კვატერნიონულ და ოქტონიონურ ველებზე დამყარებული მოდელების სტრუქტურა (დ. *კურდღელაიძე*, ჯ. *ჩქარეული*). ვ. ჰ. თ-ის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით მიღებულია დისპერსიული თანაფარდობები სხვადასხვა პროცესის ამპლიტუდებისათვის (ა. თავხელიძე, მ. *მესტვირიშვილი*). მიღებულია მკაცრი შეზღუდვები ამპლიტუდათა ქცევაზე ენერგიებისა და გაფანტვის კუთხეების მიხედვით (მ. მესტვირიშვილი), ანალიზური თვისებები და ასიმპტოტური შეფასებები განზოგადებულია ღრმად არადრეკადი (ინკლუზიური) პროცესებისათვის (მ. მესტვირი-

შვილი, ა. ლოგუნოვთან ერთად). გამოკვლეულია სუპერყალიბრული და კირალური მოდელების როლი ცხელი სამყაროს ევოლუციის ადრინდ. სტადიაში ფაზური გადასვლებისას და სხვა კოსმოლოგიური პრობლემები (ზ. ბერეჟიანი, მ. ელიაშვილი, ზ. *კაკუშაძე*, გ. ლავრელაშვილი, ო. ვ. *ყანჩელი*, ჯ. ჩქარეული).

სუპერსიმების თეორიის განვითარებამ ერთიანი კვანტური ველების სიმეტრიების თეორ. სქემაში ბუნებრივად ჩაიყოლა გრავიტაციული ურთიერთქმედებები. მნიშვნელოვანი ნაშრომებია შესრულებული სუპერგრავიტაციის თეორიაში (გ. *დვალი*, ზ. კაკუშაძე), სადაც მოდელების რენორმირება მიიღწევა მაღალ სივრცულ განზომილებებში (10 ან 26). მაღალი განზომილებების გამოყენებამ ვ. ა. თ-ის ახ. ტოპოლოგიური და ფიზ. შესაძლებლობები გამოავლინა (გ. გაბადაძე, გ. დვალი, მ. გოგბერაშვილი, ზ. კაკუშაძე, ჯ. ჩქარეული). განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. დვალის მიერ (სხვებთან ერთად) დამატებითი განზომილებების ფიზ. აზრის ახსნა (ე. წ. ADD თეორია). ამ ნაშრომებმა არსებითად შეცვალა ჩვენი წარმოდგენები ნიუტონისა და აინშტაინის გრავიტაციის თეორიაზე. ამასთან, შეიქმნა სამყაროს გეომეტრ. სტრუქტურის ახ. კონცეფციები, რამაც მძლავრი ბიძგი მისცა მემბრანების (საზოგადოდ, D-ბრანების) სურათის განვითარებას (ზ. ბერეჟიანი, გ. გაბადაძე, მ. გოგბერაშვილი, გ. დვალი, ზ. კაკუშაძე). დღევანდელი ვ. ა. თ. მოიცავს ელემენტარულ ნაწილაკთა სამყაროს ყველა არსებით ფიზ. მოვლენას. განვითარდა *შავი ხვრელებისა* და ბ ნ ე ლ ი მ ა ტ ე რ ი ი ს თეორიები. შეიქმნა წარმოდგენები ე.წ. სარკულ სამყაროზე (ზ. ბერეჟიანი). კოსმოლოგიის პრობლემებში ნეიტრინოს როლის გამომზეურებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს დიდი გაერთიანებისა და სუპერგრავიტაციის თეორ. მოდელების დამუშავებას და მათ გაღრმავებას (ზ. ბერეჟიანი, გ. დვალი, ჯ. ჩქარეული).

ამ მიმართულებებთან ერთად ვითარდებოდა ვ. ა. თ-ის ტოპოლოგიური მოდელები დაბალ სივრცულ (სამზე ნაკლებ) განზომილებებში, სადაც კვლევა ღრმად გადაეჯაჭვა კონდენსირებული გარემოს ფიზ. პრინციპულ საკითხებს, როგორიცაა წილადმნიშვნელოვანი სტატისტიკები (მ. ელიაშვილი, ნ. კიკნაძე, გ. ციციშვილი, ა. ხელაშვილი), ჰოლის კვანტური ეფექტი, *მაღალტემპერატურული ზეგამტარობა* (მ. ელიაშვილი, გ. ციციშვილი, გ. ი. *ჯაფარიძე*). ამ გზაზე ფართოდ გამოყენებულმა ჩერნ-საიმონსის ტიპის ტოპოლოგიურმა მოდელებმა, სუპერსიმების თეორიასთან ერთად, მიგვიყვანეს არაკომუტატური კვანტური მექან. აღმოჩენამდე და არაკომუტატური გეომ. სივრცეების შესწავლის აუცილებლობამდე. კვლევები ამ მიმართულებით ინტენსიურად მიმდინარეობს (მ. ელიაშვილი, გ. ციციშვილი, გ. ჯორჯაძე).

ლიტ.: Боголюбов Н. Н., Ширков Д. В., Введение в теорию квантованных полей, 4 изд., М., 1985; Индурайн Ф., Квантовая хромодинамика, М., 1986; Ициксон К., Зюбер Ж.-Б., Квантовая теория поля, М., 1984; Общие принципы квантовой теории поля, М., 1987; Arkani-Hamed N., Dimopoulos S., Dvali G., Large Extra Dimensions: a New Arena for Particle Physics, «Physics Today», 2002, vol.55, №2; Kaku M., Quantum Field Theory, Oxford University Press, 1993; Weinberg S., Quantum Theory of Fields, «Cambridge University Press», I, II, III (1995, 1996, 2000).

ა. ხელაშვილი.

ველისპირი, სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტის სარკინეთის თემში (ქვემო ქართლის მხარე), გომარეთის პლატოზე. ზ. დ. 1320 *მ*, დმანისიდან 20 *კმ*. 64 მცხ. (2002).

ვ. შესაძლოა ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) სოფლების სიაში მოხსენიებული და რუკაზე დატანილი ,,თოფრაყალა'' იყოს. ,,დასტურლამალის'' მიხედვით,



ველისპირი. ეკლესია.

ზურტაკეტის თოფრაყალის გლეხებს, მეზობელ სოფლელებთან ერთად, შეწერილი ჰქონდათ საფერისცვალებო თევზის ჭერა. 1721 აღწერის მიხედვით, ამ სოფელში ითვლებოდა 2 მებატონე (ნოდარ და ავთანდილ სუფრაჯები) და 3 გამომღები ყმა. ამჟამად ვ-ში ქართველებთან ერთად ცხოვრობენ ბერძნები, რ-ებიც რუს. მთავრობამ 1830 გადმოასახლა გიუმიშხანედან (თურქეთი). მათ თან მოიტანეს იქაური სოფლის სახელი – ბულჰასან-ქეივან, რ-იც 1949 ვ-ით შეიცვალა.

ვ-ში ორი ეკლესიაა, ორივე გვიან გადაკეთებული. პირველი (მოზრდილი) დარბაზული შენობაა, რ-საც გადაკეთების მიუხედავად, ერთგან მაინც შერჩენია ადრინდ. ფეოდ. ხანის კედლის წყობა – ნალისებრი თაღი და ასევე შემკული ლავგარდანები; სატრაპეზო ლოდზე გამოსახულია ,,ბოლნური მედალიონი''. მეორე ეკლესია ქედზეა, დას. კედელზე განახლების თარიღად მინიშნებულია 1888. სამხრ. სარკმელს განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ჩუქურთმიანი ქვა ამკობს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის გამოც., თბ., 1970.

ლიტ.: ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში, ნაწ. 1–2, თბ., 1935; ყაუხჩიშვილი ს., ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში, «ქუთაისის პედ. ინ-ტის შრომები», 1942, ტ. 4.

დ. ბერძენიშვილი.

ველის ტოროლა (Melanocorypha calandra), ფრინველი ბეღურასნაირთა რიგისა. სიგრძე 17,5–20 *სმ*, შეფერილობა ზევიდან მურა-რუხი აქვს, მუქი მურა კოპლებიანი, ქვევიდან – მოთეთრო, მკერდი – მოყვითალო, წვრილი მურაკოპლებიანი; სხეულის გვერდები, ფრთისუკანა კიდე, ბოლოს გვერდები – თეთრი. გავრცელებულია სამხრ. ევროპასა და სამხრ. აზიაში (სპორადულად). საქართველოში მომთაბარე ცხოვრებას ეწევა. მცირერიცხოვანი და იშვიათი ფრინველია. ცხოვრობს ბალახით დაფარულ ველებსა და მარცვლოვანი კულტურების ნათესებში. ბუდეს იკეთებს მიწაზე. მაისში დედალი დებს 4–6 კვერცხს, ინკუბაცია გრძელდება 16 *დღ-ღ*. იკვებება მწერებით, მატლებით და მცენარეთა თესლებით. *რ. ჟორდანია.*



ველის ტოროლა (Melanocorypha calandra).

ველისციხე, სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), ალაზნის ვაკეზე, მდ. ჭერმისხევის (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას, თელავი–ბაკურციხის საავტ. გზაზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 380 *მ*, გურჯაანიდან 9 *კმ*, მუკუზნიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2 *კმ*. 6,4 ათ. მცხ.



ველისციხე. წმინდა გიორგის ეკლესია. XVIII–XIX სს.

(2002). სოფელში არის *ველისციხის სახალხო თეატრი.*

3. წყაროებში პირველად იხსენიება V ს-ში, როგორც ერთ-ერთი ფორპოსტი ირანელთა აგრესიის წინააღმდეგ. იყო ჰერეთის პოლიტ. ცენტრი და მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე. მომდევნო საუკუნეებში დაკარგა ადრინდ. მნიშვნელობა. VIII ს. მიწურულში 3. და მისი საგამგეო ერთეული უკვე კახეთის სამთავროს მიეკუთვნება. განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდისათვის იგი კარგავს თავის პოლიტ. მნიშვნელობას. 3. შედიოდა ჭერემის ეპარქიაში, 1757-იდან – ალავერდის სამწყსოში.

შუა სოფელში შემორჩენილია ციხე-დარბაზისა და VI ს. ღვთისმშობლის სამეკლესიიანი ბაზილიკის ნანგრევები. ბაზილიკას 3 მხრიდან გარსშემოსავლელი ჰქონდა (შემორჩენილია ფრაგმენტები). ჯერ კიდევ XVII ს-ში იგი საფუძვლიანად გადაუკეთებიათ. ჩანს XIX ს. გადაკეთების კვალიც. რიყის ქვით ნაგები ციხე-დარბაზი IX–X სს. განეკუთვნება. შემორჩენილია ოთხკუთხა გალავნის, სასახლისა და სხვ. ნაგებობათა ნაშთი. სასახლე ორსართულიანი იყო, ზედა სართულზე ასასვლელი კიბე გარედან იყო მოწყობილი, მეორე სართულის დიდი დარბაზის აღმ. კედელში 4 დიდი სარკმელი ყოფილა. სასახლეს ბევრი რამ აქვს საერთო *ნეკრესის, ჭერემის, ვანთის, კვეტერისა* და იმ ხანების სხვა სასახლეებთან. სასახლის ახლოს ციხე-დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან დგას წმ. გიორგის ეკლესია, რ-იც სავარაუდოდ XVIII ს. ბოლო და XIX ს. დასაწყისს განეკუთვნება.

ლიტ.: Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

მ. ბალიაური. პ. ზაქარაია. დ. მუსხელიშვილი.

ველისციხის სახალხო თეატრი ვასო გოძიაშვილის სახელობისა, დაარსდა 1885 როგორც სცენისმოყვარეთა დრამატული წრე. პირველად წარმოადგინა გ. ერისთავის ,,ძუნწი'' და რ. ერისთავის ,,ბიძიასთან გამოხმაურება''. რევოლუციამდე თეატრის სცენაზე დაიდგა სპექტაკლები: ჰ. ჰაჯიბეკოვის ოპერეტა ,,არშინ მალ-ალან'', ,,მაშტი იბადი'', დ. ერისთავის ,,სამშობლო'', ა. წერეთლის ,,პატარა კახი'', ა. სუმბათაშვილ-იუჟინის ,,ღალატი'', ა. ცაგარლის ,,ციმბირელი'', ,,ხანუმა'', კურსელის ,,ორი ჯიბგირი'' (დადგმა შ. საფაროვისა).

შ. დადიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით თეატრის სცენაზე დაიდგა მისივე პიესა ,,საშინელი შურისძიება'' ანუ ,,შვილი თუ საყვარელი'', ა. შაშიაშვილმა დადგა ა. ყაზბეგის ,,კონსტანტინე ბატონიშვილი'', ქ. ანდრონიკაშვილი-კახიძისამ – შ. დადიანის ,,გუშინდელნი''.

ი. მებურიშვილმა და შ. დადიანმა საფუძველი ჩაუყარეს მუდმივ თეატრ. დასს, რ-საც სოფლის სცენისმოყვარეებმა ,,ლურჯხალათიანთა კოლექტივი'' უწოდეს. დასი 1929-მდე მუშაობდა და დგამდა პიესებს: ტ. რამიშვილის ,,სტუმარმასპინძლობა'' (ი. მებურიშვილის დადგმა), ჰ. ჰაჯიბეკოვის ,,აშუღარიბი'', ,,ლეილ-მაჯნუნი'' (ი. ბეჟანოვის დადგმა), ი. გედევანიშვილის ,,მსხვერპლი'', დ. თაქთაქიშვილის ,,ოჯახი'' (რეჟ. ა. ჯაყელი), ნ. გოგოლის ,,რევიზორი'', ა. შირვანზადეს ,,ნამუსი'' (რეჟ. ი. მებურიშვილი).

1929-იდან ველისციხეში ,,ლურჯხალათიანთა კოლექტივის'' ბაზაზე შეიქმნა საკოლმეურნეო თეატრი, რ-იც 1931-იდან პროფესიულ სახელმწ. დრამ. თეატრად გადაკეთდა (1960-იდან – 3. ს. თ.). 1986 14 იანვარს აღინიშნა თეატრის საუკუნოვანი იუბილე, ამ დღეს წარმოდგენილი იყო ა. აბშილავას ,,ადამიანი დაბრუნდა''.

3. ს. თ-ში სხვადასხვა პერიოდში მოღვაწეობდნენ საქართვ. დამს. არტისტები: ლ. თევზაძე, მ. მესხი, მ. ღაღაშვილი; კულტ. დამს. მუშაკები: ც. ისაკოვი, ქ. მელექსაშვილი, ა. დავიდოვი, ა. თომაძე, ბ. ტატიშვილი და სხვ.; რეჟისორები: ა. ყაზაროვი, ი. გოგოლაძე, მ. ბაბლოიანი, ვ. კარდენახიშვილი, გ. ხოსიტაშვილი; მხატვრები: ა. ფერიშვილი, მ. არბოლიშვილი, ვ. შალვაშვილი, ზ. თათარაშვილი, ბ. ზეინალოვი.

ნ. კარდენახიშვილი. კ. სეფიაშვილი.



ველის ჭრიჭინა (Melanogryllus desertus).

ველის ჭრიჭინა (Melanogryllus desertus), მწერი სწორფრთიანთა რიგისა ჭრიჭინასებრთა ოჯახისა. ფართოდ არის გავრცელებული ჩრდ. აფრიკაში, მცირე აზიასა და სირიაში, ირანსა და ავღანეთში, ევროპის სამხრეთში, კავკასიაში, შუა აზიასა და ყაზახეთში. ამიერკავკასიაში, მ. შ. საქართველოში, დიდი რაოდენობით გვხვდება დაბლობსა და მთისწინა ზონებში, უმეტესად კი ტენიან ბიოტოპებსა და სარწყავი ქსელის მიდამოებში, მდინარეების ნაპირებზე და ფხვიერ ნიადაგზე. 3. ჭ. საშუალო ზომის (1,5-იდან 2 *სმ*-მდე) შავი ფერის მწერია. მუცლის ქვედა მხარე, უკანა ბარძაყები და კანჭები დაფარული აქვს ხშირი, ღია ფერის დაწოლილი ბუსუსით. თუ მისი ზედა ფრთები ნორმალურადაა განვითარებული, მაშინ ისინი სხეულზე გრძელია. ზამთრობს მატლის ან ზრდასრულ ფაზაში.

3. ჭ. პოლიფაგი მწერია, იკვებება სხვადასხვა მცენარეებით. განსაკუთრებით დიდი ზიანი მოაქვს აღმ. საქართვ. დაბლობი რაიონებისათვის. *ე. აბაშიძე. მ. სტოლიაროვი.*

ველიჩკო ვასილ ლვოვის ძე [2 (14). VII. 1860, ქ. პრილუკი, პოლტავის გუბერნია, – 31. XII. 1903 (13. I. 1904), პეტერბურგი], უკრაინული წარმომავლობის რუსი მწერალი, პუბლიცისტი, გაზეთ ,,კავკაზის'' რედაქტორი (1896–1899), მონარქისტი და რუს. თვითმპყრობელობის აპოლოგეტი. თავის ნაწერებში ხოტბას ასხამდა საქართველოს და კავკასიაში რუს. სახელმწიფოებრივი ინტერესების გამტარებელ ბურჯს უწოდებდა, ხოლო სომხებს – არასაიმედო პარტნიორებს. ეწეოდა აქტ. ანტისომხურ პროპაგანდას; ამასთანავე, მიიჩნევდა, რომ ქართველებისთვის, როგორც რაინდულ ტრადიციებზე აღზრდილი მეომარი ხალხისათვის, მავნებელი იყო ევრ. კულტურა და განათლება. 3-ს პუბლიცისტიკაში მკაფიოდ იკვეთება შოვინისტური და ანტისემიტური ტენდენციები. 1894 პეტერბურგში გამოსცა ორიგინ. და ნათარგმნი ლექსების კრებ. ,,აღმოსავლური მოტივები'', რ-შიც ქართვ. პოეტთა (ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე) თარგმანებიც შეიტანა (თარგმნა აგრეთვე ა. წერეთლის, გ. *ვოლსკის* და სხვ. ნაწარმოებები). ქართული თემატიკით მდიდარია პეტერბურგშივე გამოცემული 3-ს პოეტური კრებ. ,,არაბესკები''

(1904). ქართ. საზ-ბა, ხედავდა რა 3-ში ქართ. კულტ. პოპულარიზატორს, ხაზგასმული პატივისცემითა და საგანგებო ნადიმით შეხვდა მის ჩამოსვლას თბილისში (1895), თუმცა მას მერე, რაც გამომჟღავნდა 3-ს რუსიფიკატორული მიზნები, ქართვ. მოღვაწეთა უმეტესობა უარყოფითად განეწყო მის მიმართ (3-ს საქმიანობის უკიდურესად ნეგატიური შეფასებაა მოცემული ა. წერეთლის ლექსში – ,,ყიზილბაშური‘‘).

თხზ.: Полн. собр. соч., т. 1–2, СПб., 1904–05; Кавказ. Чёрная книга, М., 2003.

ლიტ.: გოგებაშვილი ი., მოყვარე თუ მტერი? რჩ. თხზ. 5 ტომად, ტ. 3, თბ., 1990; ლასხიშვილი გ., მემუარები, თბ., 1992; ნოზაძე ც., ვ. ლ. ველიჩკოს წერილი გრ. ვოლსკისადმი, კრ.: ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, დ. გამეზარდაშვილის რედ., ტ. 3, თბ., 1974; პოეტის ველიჩკოს პატივსაცემლად გამართული ნადიმი, «ივერია», 1895, № 217; Апраксин П. Н., Бурнашев С. Н., Последние дни Величко, М., 1904; Воинство святого Георгия, წგ.: Жизнеописания русских монархистов начала XX века. Сост. и ред. А. Д. Степанов, А. А. Иванов, СПб., 2006; Нилус С. А., Близ есть при дверях, М.–СПб., 1999; Туманов Г.М., Характеристики и воспоминания, т. 2, Тфл., 1905.

თ. ჯოლოგუა.

ველმანსი (Velmans) ტანია (დ. 6. I. 1931, სოფია), ფრანგი მეცნიერი, ბიზანტიური, ქართული და სომხური ხელოვნების ისტორიკოსი. მეცნ. დოქტორი. კვლევათა ხელმძღვ. სამეცნ. კვლევა-ძიებათა ეროვნ. ცენტრში (CNRS, პარიზი), ხელოვნ. ისტორიისადმი მიძღვნილი პერიოდული კრებულის – ,,არქეოლოგიური რვეულების‘‘ (,,Cahiers Archéologiques‘‘) – დირექტორი, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების რამდენიმე სამეცნ. ინ-ტისა და საზ-ბის, სამეცნ. რედაქციების წევრი. მისი კვლევის საგანია ფერწერა. სადოქტორო დისერტაცია მიუძღვნა შუა საუკუნეების დასასრულის ბიზანტ. მხატვრობას. აქვს ნაშრომები ხელნაწერთა მორთულობის შესახებ. არის ქართ. ხელოვნებისადმი მიძღვნილი საერთაშ. სიმპოზიუმებისა და სხვა საერთაშ. სამეცნ. ყრილობათა მონაწილე, წაიკითხა მოხსენებები: II სიმპოზიუმზე (1977) – ,,ვედრების სცენა ქართ. კედლის მხატვრობაში‘‘, III სიმპოზიუმზე (1980) – ,,დაკვირვებანი იერუსალიმში შესვლის იკონოგრაფიაზე სვანეთის ეკლესიებში‘‘; IV სიმპოზიუმზე (1983) – ,,ზენობნის ეკლესიის ფრესკები და წმ. ევსტათის ხილვის თემა საქართველოში‘‘. ავტორია რამდენიმე წიგნისა და სამეცნ. პერიოდიკაში გამოქვეყნებული მრავალი ათეული სპეც. ნარკვევისა, მ. შ. წერილებისა ქართ. ფრესკების, ცალკეული ძეგლების, მათთან დაკავშირებული პრობლემების, უმეტესად, იკონოგრაფიის საკითხების შესახებ [მაგ., ,,არქეოლოგიურ რვეულებში‘‘ დაბეჭდილი წერილები: ,,ყინწვისის ღვთისმშობლის ეკლესიის ფრესკები‘‘, ,,მოციქულთა ზიარების უნიკალური გამოსახულება‘‘ (XXVII, 1978), ,,ვედრების გამოსახულება საქართველოს ეკლესიებსა და ბიზანტიური სამყაროს სხვა რეგიონებში‘‘ (XXIX, 1981), ,,წალენჯიხის ეკლესიის საკურთხევლის დეკორი‘‘ (XXXVI, 1988)].

თხზ.: Une image paléochrétienne rare au baptistère de Pitzunda: «Actas del VIII Congresso internacional de Arqueologia cristiana», Barcelona, 1972; Icones médiévales de Géorgie: «Archéologie», Juillet, 1982; Observations sur la peinture murale en Géorgie au début du XIII-e siècle: «Actes du colloque de Halle», 1989; Une icone du Musée de Mestia et le thème des Quarantes Martyrs en Géorgie: «Zograf», № 14, Belgrade, 1989; Le Miroir de l’invisible. Paintures at architectures en Géorgie (avec une contribution sur l’architecture de Adriano Alpago Novello), Paris, 1996.

ვ. ბერიძე.

ველოსპორტი, სპორტის სახეობა, რომელიც მოიცავს ველოსიპედით რბოლას (გზატკეცილზე, დასერილ მიდამოზე, ტრეკზე), ფიგურულ რბოლას და ველობურთს. მთიდან დაშვება ცალკე დისციპლინაა 1970-იდან, ოლიმპიური დისციპლინა – 1996-იდან. პირველი საველოსიპედო ასპარეზობა მოეწყო 1869 საფრანგეთში (რბოლა პარიზი – რუანი, მანძილი 120 *კმ*) ხის ველოსიპედებით. პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ტრეკზე ჩატარდა 1863 ჩიკაგოში, გზატკეცილზე – 1921 კოპენჰაგენში. 3. ოლიმპიური სახეობა გახდა კაცებში 1896, ქალებში – 1984. 1900 წ. პარიზში შეიქმნა ველოსიპედისტთა საერთაშ. კავშირი, რ-იც დღეისათვის აერთიანებს 100-ზე მეტი ქვეყნის ეროვნ. ფედერაციებს. 1965 კავშირში შეიქმნა ორი კომიტეტი: პროფესიონალებისათვის და მოყვარულთათვის. პროფესიონალთათვის შეჯიბრება ,,ტურ დე ფრანსი‘‘ იმართება 1903-იდან, მოყვარულთათვის მსოფლიო ველოშეჯიბრება – 1948-იდან. 3-ში მონაწილეები იყოფიან ასაკობრივ ჯგუფებად: საბავშვო, ახალგაზრდული და მოზრდილთა.



ველოსპორტი. პირველი ველოტრეკი საქართველოში. 1892. თბილისი.



ველოსპორტი. თბილისის ველოტრეკი. 1972. თბილისი.

საქართველოში, კერძოდ თბილისში, 3-ის განვითარება XIX ს. ბოლოს და XX ს. დამდეგს დაიწყო. თბილ. პირველი ველოტრეკი აიგო 1892, ახლანდ. უზნაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე. მისი აშენების ერთ-ერთი ინიციატორი და დამფინანსებელი იყო ვ. ჯორჯაძე, რ-მაც გაიმარჯვა პირველ შეჯიბრებაში. საქართველოში 3-მა ფართო აღიარება მოიპოვა XX ს. 20-იანი წლებიდან. ამაღლდა ველოსიპედისტთა დაოსტატების დონე, შეივსო სპორტის ოსტატთა რიგები, გაუმჯობესდა რეკორდები. 1972-იდან თბილ. ახ. ველოტრეკზე (ცენტრალური ველოდრომი) ყოველწლიურად ტარდებოდა საერთაშ. შეჯიბრებები საქართვ. ტელევიზიის პრიზზე. დამყარდა რესპ., საკავშირო, მსოფლიო რეკორდები. მოქმედებდა ბავშვთა და ოლიმპიური რეზერვების სპეც. სკოლა, რ-საც ხელმძღვანელობდა მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი, სსრკ მრავალგზის ჩემპიონი ო. *ფხაკაძე.*

საკავშ. შეჯიბრებებში თბილისელთაგან პირველი ჩემპიონი გახდა გ. ლეჟავა (ოთხგზის), შემდგომში სსრკ ჩემპიონები იყვნენ ო. დათუნაშვილი, ვ. ძებნიაური, ა. ხაბურზანია, ო. პროკოპენკო, ი. კავსაძე, ი. ვოლკოვი, ვ. პოპოვი, გ. ტრავკინი, პ. ჩევარდოვი.

ველტყევი, კვეშლევი, მთა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, რაჭის ქედზე, მდინარეების ჯრუჭულისა (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) და კრიხულის (რიონის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფ მონაკვეთზე. სიმაღლე ზ. დ. 1927 *მ.* აგებულია ცარცული ასაკის კირქვებით. 3-ის სამხრ.-აღმ.

კალთა ციცაბოა, დანარჩენი – დამრეცი. ყველაზე დამრეცია ჩრდ.-დას. კალთა, რ-საც ახასიათებს რელიეფის კარსტული ფორმები. 3-ის ზედა ნაწილი შემოსილია სუბალპ. ბუჩქნარითა და მდელოებით, ქვედა – სოჭისა და წიფლის ტყეებით.
ს. ნემანიშვილი.

ველტყევის მონასტერი, რაჭის საერისთავოს ერთ-ერთი მთავარი მონასტერი გვიანდ. შუა საუკუნეებში. წერილობით წყაროებში 3. მ. ზოგჯერ ,,რაჭის უდაბნოს'', ,,ნათლისმცემლის უდაბნოს'', ,,სხვავას მონასტრის'' და ,,სხვავას უდაბნოს'' სახელით არის მოხსენიებული. მდებარეობდა რაჭის ქედზე, სოფ. სხვავიდან სამხრ. მიმართულებით (დაახლ. 10 *კმ*-ზე). 3. მ. X–XI სს-ში უნდა იყოს აგებული. დაახლ. 1754 როსტომ რაჭის ერისთავს აქ არსებული ძეგლის ადგილას ახ. ეკლესია აუგია, რასაც მოწმობს დას. შესასვლელის ლაპიდარული წარწერა, რ-იც



ველტყევის მონასტერი. X–XI სს.

დღეს ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმში ინახება. მონასტრის ბერები ფიცრულ სენაკებში ცხოვრობდნენ. 1825 მონასტრის ეზოში იდგა წინამძღვრის ხის სახლი ექვსი ხის სენაკით ბერებისათვის. ამ დროს აქ წინამძღვრიანად ექვსი ბერი იყო. მონასტერს 1825-თვის ეკუთვნოდა 41 კომლი ყმაგლეხი, ვენახები და სახნავ-სათესი მიწები რაჭის სხვადასხვა სოფელში. XIX ს. შუა წლებში მონასტერი გაუქმდა.
თ. ბერაძე.

ველურა, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ზახორის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. ლეხურის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 910 *მ*, ახალგორიდან 59 *კმ*, კასპიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 27 *კმ*. 38 მცხ. (1989).



გ. ვენაძე.

ვენაძე (ნამდვ. გვარი – ი ნ ა შ ვ ი ლი) გრიგოლ იობის ძე [25. I(6. II). 1896, თბილისი, – 22. VII. 1968, იქვე], მომღერალი (ბარიტონი), საქართველოს სახ. არტისტი (1943). ა. *ინაშვილის* ძმა. 1924 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (ე. *რიაძნოვის* კლასი). 1925–41 იყო თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. ძლიერი ხმისა და საერთო მუს. კულტურის მეშვეობით მან საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა ქართ. საოპერო სცენაზე. 3-ის საუკეთესო პარტიებია: მურმანი, კიაზო (ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი'', ,,დაისი''); აბდულ-არაბი (დ. არაყიშვილის ,,თქმულება შოთა რუსთაველზე''); გოჩა (მ. ბალანჩივაძის ,,დარეჯან ცბიერი''); ზაქროს მამა (ა. ანდრიაშვილის ,,კაკო ყაჩაღი''); ონეგინი და ელეცკი (პ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინი'', ,,პიკის ქალი''); ჟერმონი (ჯ. ვერდის ,,ტრავიატა'') და სხვ. წლების განმავლობაში იყო საქართვ. ფილარმონიის, ხოლო შემდგომ სახელმწ. ცირკის დირექტორი.

ვენახი, 1. მიწის ნაკვეთი, რ-ზეც გაშენებულია *ვაზი*, – ვაზის ბაღი. 2. ვაზის ძვ. და კუთხური სახელწოდება.

ვენეროლოგია (ლათ. Venus, ნათ. ბრ. Veneris – ვენერა, ძვ. რომაელების სიყვარულის ქალღმერთი და ბერძნ. logos – სიტყვა, მოძღვრება), დარგი, რ-იც შეისწავლის ვენერულ დაავადებებს, მათ ეტიოლოგიას, კლინიკას, მკურნალობას და პროფილაქტიკას. ვენერული დაავადებები ინფექციურ დაავადებათა ჯგუფია, რ-ებიც გაერთიანებული არიან დაავადების გადადების საერთო, ძირითადად სქესობრივი გზის მიხედვით. თანამედროვე ვენეროლოგია, კლასიკური ვენერული დაავადებების გარდა (სიფილისი, გონორეა, შანკროიდი, საზარდულის ლიმფოგრანულომატოზი), მოიცავს სქესობრივი გზით გადამდებ 20-ზე მეტ ინფექციას: უროგენიტალური ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი, მიკოპლაზმოზი, უროგენიტალური კანდიდოზი, გენიტალური ჰერპესი, აივ-ინფექცია, B-ჰეპატიტი და სხვ. ამიტომ ტერმინ ვენერული დაავადებების ნაცვლად უფრო ხშირად იხმარება – სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები.

3. დაკავშირებულია მედიცინის სხვა დარგებთან, ესენია: მეანობა-გინეკოლოგია, დერმატოლოგია, თერაპია, უროლოგია, ნევროპათოლოგია, ფსიქიატრია, ინფექციური დაავადებები, პედიატრია და სხვ.

ვენერული დაავადებები შეისწავლება კლინ., სტატისტ., ბაქტერიოლოგიური, სეროლოგიური, ჰისტოლოგიური, იმუნობიოლოგიური მეთოდებით.

უძველესი დროიდან იკვლევდნენ იმ დაავადებებს, რ-თაც შემდგომ ვენერული ეწოდათ. ისინი აღწერილია ძვ. ბერძენი ექიმის ჰიპოკრატეს (V–IV სს. ძვ. წ.), რომაელი მეცნიერ-ენციკლოპედისტის ა. კ. ცელსუსის (I ს. ძვ. წ. – I ს. ახ. წ.), რომაელი ექიმის გალენოსის (II ს.) და სხვათა მიერ.

დამოუკიდებელ დარგად 3. XV ს. ბოლოს ჩამოყალიბდა, მაშინ, როდესაც ქრისტეფორე კოლუმბის მეზღვაურების ამერიკიდან დაბრუნებას მოჰყვა ევროპაში ათაშანგის პანდემია.

პარაცელსუსმა (1529) პირველმა აღწერა თანდაყოლილი სიფილისი. ჟ. ასტრიუკმა გამოსცა ტრაქტატი ,,De morbis veneris'' (1736), რ-შიც დაიბეჭდა იმ დროისათვის გამოქვეყნებული ყველა შრომა სიფილისზე. ბელმა პირველმა აღწერა მაგარი შანკრი. დ. გიუნტერმა (1786) მკვეთრად განაცალკევა რბილი და მაგარი შანკრი. გერმანელმა დერმატოლოგ-ვენეროლოგმა ა. ნაისერმა (1879) აღმოაჩინა და აღწერა გონორეის გამომწვევი გონოკოკი, ხოლო ე. ბუმმა (1885) გამოყო გონოკოკის სუფთა კულტურა. 1905 გერმანელმა მეცნიერებმა ფ. შაუდინმა და ე. ჰოფმანმა მიაგნეს სიფილისის გამომწვევ სპიროქეტას, ხოლო 1906 გერმანელმა მეცნიერმა ა. ვასერმანმა ათაშანგის სადიაგნოსტიკო სეროლოგიური რეაქცია შემოიღო. 1909 პ. ერლიხმა და ს. ჰატამ შექმნეს ათაშანგის სამკურნალო პრეპარატი – სალვარსანი. ფრანგმა ექიმებმა მ. დიურანმა, ი. ნიკოლამ და მ. ფავრმა 1913 ნოზოლოგიურად გამოყვეს საზარდულის ლიმფოგრანულომატოზი ანუ მეოთხე ვენერული დაავადება და სხვ. XX ს. 30-იან წლებში ვენერულ დაავადებათა სამკურნალოდ დაიწყეს სულფანილამიდური პრეპარატების გამოყენება, ხოლო 1944-იდან ათაშანგის სამკურნალოდ პენიცილინი დაინერგა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი პრაქტიკული და მეცნ. 3-ის განვითარება დაიწყო 1920, თბილ. სახელმწ. უნ-ტთან კანისა და ვენსნეულებათა კათედრის შექმნიდან. მანამდე საქართველოში იყო ერთადერთი ვენდაწესებულება – თბილ. სიფილისის საავადმყოფო ქალთათვის. 1922 ჩამოყალიბდა ვენსექცია, რ-საც რესპუბლიკაში ვენდაავადე-

ბებთან ბრძოლის ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობა დაევალა. 1925 თბილისში გაიხსნა პირველი ვენეროლოგიური დისპანსერი. 1928 საქართველოში იყო 12 ვენდისპანსერი, 80-საწოლიანი 2 ვენსტაციონარი (თბილისსა და ქუთაისში). 1928 თბილისში ჩატარდა საქართვ. ვენეროლოგთა I კონფერენცია, სადაც გადაწყდა ვენეროლოგიური ცენტრის შექმნის აუცილებლობა. იმავე წელს თბილისში დაარსდა საჩვენებელი ვენდისპანსერი, წლის ბოლოს კი მას კანისა და ვენერულ სნეულებათა ინ-ტის სტატუსი მიენიჭა. 1934 ჩატარდა ვენეროლოგთა II რესპ. კონფერენცია. 1935 შეიქმნა კანისა და ვენერულ სნეულებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. აგრეთვე თბილ. ექიმთა დახელოვნების კათედრა. 1934–48 წლებში არსებობდა სტომატოლოგიური ინ-ტი, მასთან 1937-იდან არსებობდა კანისა და ვენსნეულებათა კათედრა (სამედ. ინ-ტთან გაერთიანებამდე). 2006 ექიმთა დიპლომის შემდგომი ინ-ტი (ყოფილი ექიმთა დახელოვნების ინ-ტი) შეუერთდა თსსუ-ს. 2011 გაერთიანდა კანისა და ვენსნეულებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტი და ქ. თბილისის II დერმატო-ვენეროლოგიური დისპანსერი, რ-საც 2012-იდან ეწოდა შპს ,,კანისა და ვენსნეულებათა ეროვნული ცენტრი''.

საქართველოში მეცნ. და პრაქტ. ვ-ის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით: მ. ბერიძეს, პ. *ბუაჩიძეს*, ა. დიასამიძეს, ი. თოფურიძეს, ვ. იაშვილს, ვ. კოტარიას, ს. მაჭავარიანს, გ. მგელაძეს, დ. *საყვარელიძეს*, ლ. ფირცხალავას, პ. ფოჩხუას, გ. ფხალაძეს, ლ. *შეწირულს*, ი. შველიძეს, ვ. ჩოხელს, რ. ჩუბინიძეს, მ. ჩხიკვიშვილს, ა. ცინცაძეს, დ. ჭოჭუას და სხვ.

ლიტ.: ბ უ ა ჩ ი ძ ე პ., კანისა და ვენდაავადებები, თბ., 1963; ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე დ., კანისა და ვენერული დაავადებები, თბ., 1994; ფ ხ ა ლ ა ძ ე გ., ვენერული დაავადებები. სიფილისი, თბ., 1969; შ ვ ე ლ ი ძ ე ი., კანისა და ვენდაავადებები, თბ., 1964.

ც. ლეონიძე.

ვენუოლისი (Vienuolis) (ნამდვ. გვარი – ჟ უ კ ა უ ს კ ა ს ი – Zukauskas) ანტანას [26. III(7. IV). 1882, სოფ. უჟუოჟერიაი, ლიტვა, – 17. VIII. 1957, იქვე], ლიტველი მწერალი. ლიტვის ხელოვნების დამს. მოღვაწე (1947), ლიტვის სახ. მწერალი (1957). 1903–07 ცხოვრობდა თბილისში, ოტენის აფთიაქში მუშაობდა პროვიზორად. 1905 რევ. მოძრაობაში მონაწილეობისთვის ჩასვეს მეტეხის ციხეში, სადაც დაწერა ნარკვევი ,,ციხეში''. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო თბილისში, საქართველოთია შთაგონებული მისი ,,კავკასიური ლეგენდები'' (1905–06, ქართ. თარგმანი 1963). 1946 ვ. მეორედ ჩამოვიდა საქართველოში. შთაბეჭდილებები ასახა წიგნში ,,კავკასია''. მეგობრობდა ქართვ. მწერლებთან: გ. ტაბიძესა და გ. ლეონიძესთან, ი. აბაშიძესთან, გ. აბაშიძესა და კ. ლორთქიფანიძესთან, ა. ქუთათელთან, კ. კალაძესა და სხვებთან. 1957 გამოაქვეყნა ,,ჩემი მოგონებები'' და ,,გადმოცემები და ლეგენდები''. *ი. ბოგომოლოვი.*

ვეჟან ბუზმირი, ქართლის მარზპანი VI ს. 40-იან წლებში. მოხსენიებულია VI ს. ძეგლში ,,ევსტათი მცხეთელის მარტვილობა'', ვ. ბ-მა მცხეთელი სპარსელების დაბეზღებით შეიპყრო გაქრისტიანებული სპარსელი ევსტათი და სიკვდილით დასაჯა.

წყარო: მარტვლობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963.

ლ. ფარცხალაძე.

ვერდი (Verdi) ჯ უ ზ ე პ ე (10. X. 1813, რონკოლე, პარმის პროვინცია, – 27. I. 1901, მილანი), იტალიელი კომპოზიტორი, საოპერო ხელოვნების რეფორმატორი. 7 წლიდან სწავლობდა ორგანის დაკვრას. 12 წლისა ეკლესიის ორგანისტი იყო. მისი პირველი ცდები კომპოზიციაში 1828 განეკუთვნება. 1833 ვ. ქალაქის სასულე ორკესტრს დირიჟორობდა, 1836 ფილარმონიული საზ-ბის ხელმძღვანელი იყო ბუსეტოში. 1839 მილანში დაიდგა მისი პირველი ოპერა ,,ობერტო, გრაფი ბონიფაჩო'', რ-იც საზ-ბამ გულთბილად მიიღო. 1840 ოპერა ,,მეფე ერთი საათით ანუ ცრუ სტანისლავის'' წარუმატებელი დადგმის შემდეგ ვ-მ ზედიზედ დაწერა 2 ოპერა – ,,ნაბუკო'' (,,ნაბუქოდონოსორი'', 1841; დაიდგა 1842) და ,,ლომბარდიელები ჯვაროსნულ ლაშქრობაში'' (1842; დაიდგა 1843, ფრანგ. რედაქციით ,,იერუსალიმი'', 1847). 1842–49 დაწერა 13 ოპერა, მ. შ. ,,ერნანი'' (1844), ,,ატილა'' (1846), ,,მაკბეთი'' (1847), ,,ლუიზა მილერი'' (1849). ვ-ს პატრ. განწყობილებებმა გამოხატულება პოვა 1848 დაწერილ ჰიმნში ,,იჟღერე, საყვირო'' (გ. მამელის ტექსტზე). ვ-ს მსოფლიო სახელი მოუხვეჭა 50-იან წლებში შექმნილმა ოპერებმა ,,რიგოლეტომ'' (1851, ვ. ჰიუგოს დრამის – ,,ხელმწიფე ერთობა'' – მიხედვით). ,,ტრუბადურმა'' (1852), ,,ტრავიატამ'' [1853, დიუმას (შვილის) დრამის – ,,ქალი კამელიებით'' – მიხედვით]. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით 50–60-იან წლებში შექმნილ ოპერებში ვ-მ კვლავ ჰეროიკულ სიუჟეტებს მიმართა [,,სიცილიური მწუხრი'' (1854; დაიდგა 1855), ,,სიმონ ბოკანეგრა'' (1857, მე-2 რედ. 1881), ,,ბალ-მასკარადი'' (1859)]. 1862 პეტერბ. მარიამის თეატრის დაკვეთით დაწერა ოპერა ,,ბედისწერის ძალა'' (მე-2 რედ. 1869). ოპერის დადგმასთან დაკავშირებით ვ. ორჯერ ეწვია რუსეთს (1861, 1862). 1866 პარიზის თეატრ ,,გრანდ ოპერისათვის'' დაწერა ოპერა ,,დონ კარლოსი'' (დაიდგა 1867), 1870 – იტალ. საოპერო ხელოვნ. ერთერთი მშვენება, ოპერა ,,აიდა'' (დაიდგა 1871, კაირო), რ-შიც აღმოსავლური ეგზოტიკა, თეატრ. ბრწყინვალება და პომპეზურობა შერწყმულია ღრმა ფსიქოლოგიზმსა და დრამატიზმთან. იტალ. მწერლის ა. მანძონის ხსოვნის აღსანიშნავად ვ-მ შექმნა ,,რეკვიემი'' (1874), რამდენიმე ვოკალური ნაწარმოები. რეალისტური ხელოვნ. შედევრი და ფსიქოლ.-მუს. დრამის ბრწყინვალე ნიმუშია ოპერა ,,ოტელო'' (1886; დაიდგა 1887). ვ-ს უკანასკნელი ოპერა ,,ფალსტაფი'', გონებამახვილური და კომიკური, იტალ. ოპერა-ბუფის ჟანრის ნაწარმოებია (უ. შექსპირის კომედიის ,,უინძორელი მხიარული ქალების'' მიხედვით, 1892; დაიდგა 1893).



ჯ. ვერდი.

ვ-ს ოპერების პოპულარობა მთელ მსოფლიოში განაპირობა მათმა იდეურ-მხატვრულმა სიმდიდრემ, ჰუმანისტურმა სულმა, იტალ. ეროვნ.-დემოკრ. კულტურასთან კავშირმა. მან დაწერა 26 ოპერა (აქედან 6 ორი რედაქციით), კანტატები, მ. შ. ,,ერის ჰიმნი'' (1862), სას. ნაწარმოებები, ,,რეკვიემი'' (1874), ,,Te Deum'' (1896), ,,Stabat Mater'' (1897), სიმებიანი კვარტეტი (1873), ვოკალური ანსამბლები, რომანსები, სიმღერები და სხვ.

თბილ. საოპერო თეატრის რეპერტუარის ძირითად ფონდს მისი დაარსებიდანვე (1851) ვ-ის ოპერები შეადგენდა. თეატრის პირველსავე სეზონში დაიდგა მისი ოპერა

,,ერნანი'', ხოლო შემდგომ (იტალ. პრემიერების 2–3 წლის შემდეგ) ოპერატიულად იღგმებოდა 3-ს ყოველი ახლად შექმნილი ოპერა (თბილისში 3-ის 26 ოპერიდან დღემდე დაიდგა 19). თითქმის ყველა სეზონზე იდგმებოდა ,,ტრავიატა'', ,,რიგოლეტო'' და ,,აიდა'' – ცნობილი ოპერებიდან არ დადგმულა მხოლოდ ,,ფალსტაფი''. თბილისში არაერთხელ შესრულდა 3-ს ,,რეკვიემი''. მის ოპერებს შესანიშნავად წარმოადგენდნენ ქართვ. დირიჟორებისა და მომღერლების ყველა თაობის წარმომადგენლები. 3-ს ოპერები არაერთხელ დადგეს აგრეთვე ბათუმის საოპერო თეატრში (1921–26 და 1993-იდან; 1995 დაიდგა ,,აიდა'', 1997 – ,,ოტელო''), 1994 თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრმა იტალიაში გასტროლების დროს 3-ს მშობლიურ ქ. ბუსეტოში წარმატებით წარმოადგინა ოპერა ,,ოტელო'' (დირიჟორი ჯ. კახიძე, ოტელო – ზ. სოტკილავა). 1961-იდან ბუსეტოში იმართება ვოკალისტთა საერთაშ. კონკურსი ,,ვერდის ხმები''. ამ კონკურსის ლაურეატია ქართვ. მომღერალი პ. *ბურჭულაძე* (1982, II პრემია, პირველი არავისთვის მიუნიჭებიათ).

ლიტ.: დ რ უ ს კ ი ნ ი მ., საზღვარგარეთის ქვეყნების მუსიკის ისტორია, თბ., 1975; ტ ო რ ა ძ ე გ., ბრძენთა ღიმილი (ვერდის ,,ფალსტაფის'' შესახებ), «საბჭოთა ხელოვნება», 1967, №5; О р д ж о н и к и д з е Г. Ш., Оперы Верди на сюжеты Шекспира, М., 1967.

გ. ტორაძე.

ვერდიქტი (ლათ. Vere dictum – ჭეშმარიტად ნათქვამი), განაჩენი, გადაწყვეტილება განსასჯელის დამნაშავეობასა ან უდანაშაულობაზე, ჩვეულებრივ, *ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსი*, რ-იც საქართველოში 2011-იდან ამოქმედდა.

ვერე, მდინარე თრიალეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ დაბოლოებასთან. სათავეს იღებს დიდგორის მთის (ვერის დიდგორი) კალთებზე. მტკვრის მარჯვენა შენაკადი (ერთვის თბილისის ფარგლებში). სიგრძე 34 *კმ*, აუზის ფართ. 200 *კმ*^{2}. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. მთავარი შენაკადებია: მარცხენა – ლასტისციხისხევი, ვენახებისხევი, სუდოსხევი, იფნარისხევი, ცხენჭამიახევი, წმინდა წყალი; მარჯვენა – კვესეთისწყალი, ბეთანიისხევი, უძოსხევი, ვარაზისხევი. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა ზაფხულსა და ზამთარში. ახასიათებს პერიოდული წყალმოვარდნა. 3-ის ხეობა ღრმად არის ჩაჭრილი ზედაეოცენურ თაბაშირიან თიხებსა და ქვიშაქვებში. ქვემოწელში ქმნის მეანდრებს, ღორღით, ხრეშითა და სილით აგებულ ნარიყებს, რებიც წყალდიდობისას წყლით იფარება. საშ. წლ. ხარჯი 0,97 *მ*^{3}*/წმ*. შუა- და ქვემოწელში იყენებენ სარწყავად. 3-ის მარჯვ. მხარეს მდებარეობს ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი *ბეთანია*. შესართავის მახლობლად გაშენებულია ნ. დუმბაძის სახ. საბავშვო ქალაქი ,,მზიური'' და ზოოლ. პარკი.

ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) 3-ს სკვირეთადაც მოიხსენიებს: ,,ხოლო კოჟრის ჩდილოთ კერძ არს სკვირეთის მდინარე, აწ წოდებული ვერე; გამოსდის დიდგორის მთას, მოდის აღმოსავლით, ერთვის მტკუარს დასავლიდამ, ტფილისის ჩდილოდ კერძ შესართავსა ზედა არს ლურჯი მონასტერი. და ჯეობა ესე დიდგორის მთის კერძო არს უვენახო, უხილო ვანათამდე, მას ქუეით ვენახოვანი, ხილიანი, ტყიანი, ნადირიანი, ფრინველიანი''.

თ. კიკილაშვილი. ე. ლოლუა.

ვერე, ვერა, თბილისის უბანი, მდებარეობს ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მტკვრის მარჯვენა მხარეს. პირველად სიტყვა ,,ვერე'' ,,ვერისხევის'' სახელად XIII



ვერე. ლურჯი მონასტერი. XIII ს.

ს-იდან გვხვდება. მდ. ვერის ქვემოწელზე, მტკვრის შესართავთან, XVIII ს. წერილობით წყაროებში იხსენიება სოფ. 3. (ვერა). როდის გაჩნდა აქ ამ სახელწოდების სოფელი ან ზუსტად სად მდებარეობდა იგი, ცნობილი არაა. XVI ს-ში მეფე სიმონ I-ის მიერ გაცემულ სიგელში გვხვდება ,,ვერისხევის'' ტარუღა. 3. საგაბაშვილო მამული იყო. 3-ის ადრინდ. სახელია ,,სკვირეთი, სკორეთი''. 3-ის ხეობას თავისი არსებობის განმავლობაში არასდეს დაუკარგავს სტრატეგიული მნიშვნელობა. 3-ზე გადიოდა თრიალეთისაკენ მიმავალი სავაჭრო-საქარავნო გზა. XVIII ს-ში მას იცავდა სანგრებო რაზმი, ე. წ. ,,ვერის ხევის ყარაული''.

3. შემოიფარგლებოდა აღმოსავლეთიდან – გაბაანთ ხევით (ახლანდ. მ. ჯავახიშვილისა და ე. გაბაშვილის ქუჩებით), ჩრდილოეთიდან – საბურთალოთი, დასავლეთიდან – ვარაზისხევით, ხოლო სამხრეთიდან – ე. წ. ,,სემიონოვკის დასახლებით'' (ახლანდ. ზემო 3-ით).

XVIII ს-ში შედგენილი ერთი დოკუმენტის (,,ქალაქის მოურავის სარგო'') მიხედვით, ქალაქის მოურავს თავისი წილი 3-ის ბაღებიდანაც ერგებოდა, XIX ს-ში აქ ახ. უბნები გაჩნდა – ვარდისუბანი, ვაკე. 3-ის ინტენს. განაშენიანება XIX ს. 80-იან წლებში დაიწყო და საუკუნის ბოლოს ქალაქურმა საცხოვრებელმა სახლებმა ვაკის საზღვარს (ვარაზისხევს) მიაღწია. 3-ის ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან დღესაც დგას XIII ს. ძეგლი – ლურჯი მონასტერი, რ-ის გვერდით მდებარეობს XX ს. დასაწყისში აგებული იოანე ნათლისმცემლის ეკლესია.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე თ., ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977.

თ. ბერიძე.

„ვერე პალასი“ (შპს), ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო თბილისში. მდებარეობს დედაქალაქის ცენტრში (ვერის უბანი, გ. ქუჩიშვილის ქ. 22/24). გაიხსნა 1999 (არქიტ. დ. მორბედაძე). 2007 განხორციელდა შენობის გაფართოებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოები. სასტუმრო კერძო საკუთრებაა. შენობა რვასართულიანია, სადაც განთავსებულია 42 ნომერი 64 საწოლზე, მ. შ. არის 1 აპარტამენტი, 3 – უმაღლესი კლასის ლუქსი, 6 – ლუქსი, 15 – ორადგილიანი დელუქსი, 17 – ორადგილიანი სტანდარტული ნომერი. სასტუმროს აქვს რესტორანი (65-ადგილიანი) ქართ. და ევრ. სამზარეულოთი, გამაგრილებელი და ალკოჰოლური სასმელების ორი ბარი (მათგან ერთი ღია ვერანდაზე), 120-ადგილიანი საკონფერენციო დარბაზი, ბიზნესცენტრი, მუდმივი სატელეფონო კავშირი მსოფლიოს ნების-



,,ვერე პალასი''. არქიტექტორი დ. მორბედაძე. 1999.

მიერ ქვეყანასთან, ღია საცურაო აუზი და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

ვერეშჩაგინი ვასილ ვასილის ძე [14 (26). X. 1842, ჩერეპოვეცი, ნოვგოროდის გუბ., — 31. III (13. IV). 1904, პორტ-არტური], რუსი ფერმწერი, ბატალისტი. სწავლობდა პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში (1860—63), აგრეთვე პარიზში (1864—65) ჟ. ლ. ჟერომის ხელმძღვანელობით. ბევრს მოგზაურობდა რუს. სხვადასხვა მხარეში, დას. ევრ. ქვეყნებში, სირიაში, პალესტინაში, ინდოეთში, იაპონიასა და აშშ-ში. საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ კავკასიაში იყო და ერთ ხანს ხატვას ასწავლიდა თბილ. ერთ-ერთ ქალთა სასწავლებელში. აქ მხატვარმა შექმნა კავკ. ტიპების პორტრეტები, რ-თაც უფრო ეთნოგრ. მნიშვნელობა აქვთ. ვ-ის მიერ თბილისური ცხოვრების ამსახველი ჩანახატები (სამი ალბომი) გამოირჩევა მხატვრული ოსტატობითა და გემოვნებით. მხატვრის ნამუშევრები ექსპონირებული იყო თბილისში მოწყობილ სამხატვრო გამოფენებზე.

ვერის ბაღი, XX საუკუნის პირველი ნახევრის საბაღე-საპარკო ხელოვნების ნიმუში, მდებარეობს მ. კოსტავასა და ნ. ნიკოლაძის ქუჩების გასწვრივ. წარსულში ვარდისა და ვაშლოვნის უბნებს ესაზღვრებოდა ვერის სასაფლაო (დაიხურა 30-იან წლებში), სადაც შემორჩენილია ცნობილი მწერლის დ. ჭონქაძის და სხვათა საფლავები. 1933 დაიწყო ვერის ტერიტორიის (6,5 ჰა) რეკონსტრუქცია – ვერის მთის ზეგნისა (სასაფლაო) და მიმდებარე ფერდობების (მდ. მტკვრის სანაპირო ზოლი) *ლურჯი მონასტრის* ჩათვლით. 1934 აგრონომ-დეკორატორის ა. მაჭავარიანის დაგეგმარებით დაიწყო ტერიტორიის გამწვანება. ბაღის შესასვლელი და ცენტრ. მოედანი ფრანგული სტილის ლანდშაფტური არქიტექტურით დაიკვალა, ხოლო პარტერული თარგები სეზონური ყვავილებით და ტანმაღალი ბუჩქებით მოირთო. 1961–72 ეს ადგილები ქართ. ჩუქურთმის ორნამენტების შესაბამისად (შ. ისაკაძე) ყვავილებით ირთვებოდა. ამ ადმ. რაიონების (ყოფ. ორჯონიკიძე – კალინინი) ქუჩა-მოედნების გამწვანებას უზრუნველყოფდა იქვე ფერდობებზე გაშენებული კვალსათბურები და ტერასული სასათბურე მეურნეობა (ა. ფხაკაძე).

1940-მდე კიროვის ბაღი და შემოგარენის საერთო ტერიტორია 5,3 ჰა იყო. მდ. მტკვრის სანაპირო ზოლსა და ფერდობებზე დაწყებულმა ბინათმშენებლობამ (1936–39) ბაღის საერთო ფართობი 2,8 ჰა-მდე შეკვეცა, ხოლო ხე-ბუჩქების ასორტიმენტი 78 სახეობამდე შეამცირა. 1950–70 სპორტ. ბაზების რაოდენობამ კიროვის ბაღში მაქსიმუმს მიაღწია. ალპინისტების კლუბს დაემატა კალათბურთის, ფრენბურთის, კრივის, ტანვარჯიშის დარბაზები. 1973 წ. სანერგე ადგილზე ჭადრაკის სასახლე (არქიტექტორები: ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. ღუდუშაური) აშენდა, რ-საც ნ. გაფრინდაშვილის სახელი მიენიჭა (2001). 1989 აიღეს ს. კიროვის ძეგლი (დაიდგა 1936). ბაღმა დაიბრუნა ვ. ბ-ის სახელწოდება, მისი ქართ. ორნამენტული ყვავილნარის პარტერი ფილარმონიის საჰაერო-კონდიციონერის აუზმა დაიკავა და ბაღის გამწვანების ფართობი 1,2 ჰა გახდა.

ბაღში 62 სახეობის ხე-ბუჩქის ასორტიმენტი ხარობს: წიწვოვანთა 10 სახეობა (მჩხვლეტავი ნაძვი, ჰიმალაის კედარი, ცეფალოტაქსუსი, ელდარის ფიჭვი და სხვ.), ფოთლოვანთა 52 სახეობა (კავკასიური ცაცხვი, აღმოსავლური და დასავლური ჭადარი, იაპონური სოფორა, ნეკერჩხალი, წაბლფოთოლა მუხა და სხვ.), ბუჩქები (აბელია, ოლეანდრი, ბზა, ვარდი, გრაკლა, პირაკანტა, ღვია, ტუია, დიდგულა, უთხოვარი). ბაღს ამშვენებს ექვთიმე თაყაიშვილის ქანდაკება (მოქანდაკე ბ. ავალიშვილი, არქიტექტორი მ. ყრუაშვილი, 1993), მერაბ კოსტავას ბიუსტი (მოქანდაკე ვ. არუნაშვილი, არქიტ. შ. იორდანიშვილი, 1999).

შ. ისაკაძე.



ვერის ბაღი.

ვერის მონასტერი, მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის სოფ. გარდატენიდან 5,5 *კმ*-ზე. მდ. ვერისწყლის ხეობაში შემორჩენილია სამონასტრო ნაგებობების, გალავნის, გვიანდ. ხანის სამრეკლოსა და სხვა შენობათა ნაშთები. ანსამბლის ცენტრში აღმართულია VII ს. ღვთისმშობლის სამნავიანი ბაზილიკა (ძლიერ დაზიანებული). ვ. მ. მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.). ქვითკირით ნაგები მაღალი და ვრცელი ეკლესია შიგნიდან და გარედან შემოსილია წითელი და რუხი ფერის ქვის პერანგით. გამოყენებულია შირიმის ქვაც. გადახურული იყო ქვის ფილებით, შესასვლელი აქვს ჩრდ-იდან, სამხრ-იდან და დას-იდან. ინტერიერში



ვერის მონასტერი. ღვთისმშობლის სამნავიანი ბაზილიკა. VII ს.

ნავები გამოყოფილია სვეტების 2 წყვილით, შუა ნავი გადახურულია კამარით. აღმ. სარკმლის ჩარჩოზე ამოკვეთილ ასომთავრულ წარწერაში მოხსენიებულია ატენის ციხისთავი გრგნელი, რ-საც XI ს. 60-იან წლებში ძეგლი აღუდგენია, საფუძვლიანად შეუკეთებია და ჩუქურთმებით შეუმკია, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს ფასადებზე. მონასტრის ქვემოთ, კლდოვან ქედზე, IX–X სს. *ვერის ციხის* ნანგრევებია.

ლიტ.: ჩუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1, თბ., 1936.

პ. ზაქარაია.

ვერის ციხე, აზრატის ციხე, ბერეს ციხე (ივ. ჯავახიშვილის ცნობით), მდებარეობს მდ. ვერის ნაპირას, ძნელად მისადგომ ქედზე. ციხეს სტრატეგიულად მოხერხებული მდებარეობა აქვს (აქედან მოჩანს ტანის ხეობა და გორი მისი მიდამოებით). ნაგებობა თარიღდება IX–X სს-ით. X ს. მიწურულიდან ციხე კლდეკარის ერისთავთერისთავების – ბაღვაშების ხელში გადავიდა. XI ს. დამდეგიდან შუახანებამდე ვ. ც-ის მიდამოები საქართვ. სამეფო სახლის განკარგულებაში იყო. 1554 ზაფხულში შაჰ-თამაზმა ვ. ც. აიღო და გზა გაიხსნა ატენის ციხისაკენ, სადაც ქართლის მეფე ლუარსაბ I-ის დედა და ქართლის თავადაზნაურთა ოჯახები იმყოფებოდნენ. XVII–XVIII სს. ციხე თავად ციციშვილთა ხელში გადავიდა და ამ საგვარეულოს მნიშვნელოვან საყრდენ პუნქტად იქცა. 1638 ვ. ც-ში გამაგრდა როსტომ მეფის წინააღმდეგ აჯანყებული ქართლის თავადთა მეთაური – ნოდარ ციციშვილი. მეფემ ალყა შემოარტყა ციხეს. აჯანყებულმა ციციშვილმა გაქცევით უშველა თავს. როსტომ მეფემ ვ. ც. აიღო და გაანადგურა.



ვერის ციხე. IX–X სს.

ციხე გეგმით წაგრძელებულია (სიგრძე 44,6 *მ*, სიგანე აღმ-ით 14,8 *მ*, დას-ით 6 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. ნაგებობა დაზიანებულია. ფერდობებზე შემორჩენილია 4–5 *მ* სიმაღლის კედლები. ციხის აღმ. და დას. მხარეები მთავრდება სხვადასხვა ზომისა და ფორმის კოშკებით. აღმ. კოშკიდან გადარჩენილია მხოლოდ კონტური, დას-ის კოშკი გეგმით უსწორო ელიფსურია. ქვედა სართული ცილინდრული კამარით გადახურული გრძელი სათავსია, რ-იც ციხის ეზოს განიერი თაღოვანი კამარით უკავშირდება. ციხის ეზოში, გალავნის სამხრ. კედელთან, დიდი წყალსაცავია.

ლიტ.: მაკალათია ს., ატენის ხეობა, თბ., 1957; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990.

ზ. ცინცაძე.

ვერის ხიდი, თბილისის ერთ-ერთი უძველესი ხიდი, მდ. ვერეზე, ე. წ. ბეჰბუდას ხიდი. ეს სახელი მიიღო როსტომ მეფის დროს მოღვაწე ზარაფთუხუცესის ხოჯა ბეჰბუდას სახელიდან, რ-საც მიაწერენ მდ. ვერეზე, მცხეთისაკენ მიმავალ გზაზე ქვითკირის ხიდის აგებას XVII ს. 40–50-იან წლებში. პირველად ამ ხიდის შესახებ ცნობას ვხვდებით ვახუშტისთან: ,,ვერასა ზედა არს ხიდი კვითკირისა''. შემდგომში ამავე ცნობას გვაწვდის ი. გიულდენშტედტი, რ-იც ამბობს, რომ ვერის ხევზე არის ,,ქვის ხიდი''. ვ. ხ. გადაიხურა გმირთა მოედნის 1981 ჩატარებული რეკონსტრუქციის დროს.

ვერის ხიდი, სამმალიანი რკინის ხიდი ქვის ბურჯებზე. აიგო მტკვარზე 1885 (ინჟინერი – ს. უმანსკი). ქალაქის სათათბიროში გააფრთებით დაობდნენ იმის შესახებ, თუ სად უფრო ადრე უნდა აშენებულიყო ხიდი – ვერეზე თუ ადრინდ. მუხრანის (ახლანდ. ნ. ბარათაშვილის) ქუჩასთან. ბევრი ხმოსანი (სათათბიროს წევრი) მუხრანის ხიდის უპირატესობას ამტკიცებდა. ვ. ხ-ის აქტ. დამცველი კი ნ. *ნიკოლაძე* იყო. მას ნათლად ჰქონდა გააზრებული, რომ ქალაქის განვითარება რეალურად ვერისკენ იყო მიმართული და რომ სულ მალე ამ ხიდის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ქალაქის ნორმალური ფუნქციონირება. მტკვარზე ხიდის აგებას მოჰყვა ახ. ქუჩის – ვერის დაღმართის (ახლანდ. მ. ჯავახიშვილის ქუჩა) გაჩენა. ვ. ხ-ით ჩრდილოეთისკენ მზარდი ქალაქის უბანი (იქ. *ვერეს ტერიტ.*) დაუკავშირდა მტკვრის მარცხ. ნაპირზე ახლად განაშენიანებულ ე. წ. ,,გერმანელთა კოლონიას'', ახალ კუკიას, დიდუბესა და რკინიგზის სადგურს. ვ. ხ. წარმოადგენდა ლითონის ფერმებზე მოწყობილ ფიცარფენილს. მისი სიგანე 10 *მ* არ აღემატებოდა. ხიდზე ტრანსპორტის გატარებისათვის დაწესებული იყო გადასახადი (5 კაპიკი; გაუქმდა 1915). ამ ხიდმა იარსება 1953-მდე, შემდეგ იგი შეიცვალა ახ. ხიდით (ახლანდ. გალაკტიონის ხიდი).

ლიტ.: ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება, [ტ.] 2, თბ., 1963.

თ. ბერიძე. თ. გომართელი.

ვერლიბრი (ფრანგ. verslibre), თავისუფალი ლექსი, ლექსის სახეობა, რ-იც მეტრულ წესრიგს არ ემორჩილება. ლექსის მეტრული წესრიგის შესუსტება სხვადასხვა ლიტ-რაში სხვადასხვანაირად ხდებოდა იმისდა მიხედვით, თუ რას ემყარებოდა ამ ლიტ-რაში



ვერის ხიდი. 1885.

მიღებული სალექსო ფორმა. ქართ. ვ-თვის დამახასიათებელია სილაბურობის დარღვევა, სხვადასხვა სიგრძის სტრიქონთა არაკანონზომიერი მონაცვლეობა, სტროფული ამორფიზმი ან ასიმეტრიულობა, ურითმობა ანდა რითმის სპორადული ხასიათი. მაგრამ ვ. მაინც ლექსია და ლექსთწყობის წეს-კანონების სრული იგნორირება მასში შეუძლებელია. ვ-ს ლექსის სახეს აძლევს, უპირატესად, შიდა რიტმი – სალექსო მუხლთა ხასიათის ურთიერთშეხამება. ამით განსხვავდება იგი პროზისა და ჩვეულებრივი მეტყველებისაგან. რიტმი ვ-ში მეტწილად ბატონობს ბოლომდე განუხორციელებელი კონსტრუქციის სახით. ბგერითი ერთეულების კანონზომიერი თანამიმდევრობა ხშირად შეცვლილია სინტაქსურ ერთეულთა კანონზომიერი განმეორებით. ვ-ში შესამჩნევია სინტაქსურ-ინტონაციური მონაკვეთების მონაცვლეობა. რიტმის მაწარმოებელი ფუნქცია დაკისრებული აქვს ენის ლოგიკას, ამიტომ თუ მეტრულ ლექსში აქცენტი სიტყვაზეა გადატანილი, ვ-ში იგი ფრაზაზე მოდის. მეტრული ლექსის რიტმთან შედარებით ვ-ის რიტმი თავისუფალია, მოშვებული. მისთვის უცხოა ინვერსია – სტრიქონის რიტმული გამძაფრება. ვ-თვის ნიშანდობლივია არაორდინარული სახეები, განწყობილებანი. ვ. შეგნებული რეაქციაა მეტრული ლექსის წინააღმდეგ, ამიტომ მისი ძიება რომანტიკოსთა თუ უფრო ადრინდ. სას. ან საერო პოეზიაში, საფუძველს მოკლებულია. ვ-ის ნიმუშები შექმნეს უ. უიტმენმა, ე. ვერჰარნმა, ბ. ბრეხტმა, პ. კლოდელმა, ა. ფეტმა, ა. ბლოკმა, ა. ახმატოვამ და სხვ.

საქართველოში ვ. XX ს. დასაწყისიდან დამკვიდრდა. იგი ევრ. ლიტ-რიდან შემოვიდა. ვ-ის პირველი ნიმუშები ეკუთვნის გ. ტაბიძეს (,,ფარდების შრიალი'', ,,სამრეკლო უდაბნოში'') და ცისფერყანწელებს (პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი). ვ-ითაა დაწერილი გ. ტაბიძის პოემა ,,ჯონ რიდი''. ვ-ის ხელახალი აღორძინება 60–70-იან წლებში მოხდა (ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული, ლ. სტურუა და სხვ.).

ა. გაწერელია.


ვერნები, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტის ფუშრუკაულის თემში (აჭარის არ), სხალთის ქედის (არსიანის ქედის დას. განშტოება) ჩრდ. კალთაზე, მდ. სხალთის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1100 *მ*, ხულოდან 37 *კმ*. 415 მცხ. (2002).

ვ. აჭარის ერთ-ერთი უძველესი სოფელია სხალთის ხეობაში. სოფლის შუაში შემორჩენილია XI ს. ეკლესიის ნანგრევები. კარის თავზე ამოკვეთილ წარწერაში მოხსენიებული არიან აბუსერისძეთა ფეოდ. გვარის წარმომადგენლები.

ოთხსაფეხურიან ცოკოლზე აღმართულ გეგმით სწორკუთხა ეკლესიას აფსიდი აღმ-ით ჰქონდა, შესასვლელები კი – სამხრ-იდან და დას-იდან. გადამხური კამარა პილასტრებზე ამოყვანილ საბჯენ თაღებს ეყრდნობოდა. კედლები შიგნით და გარედან შემოსილი იყო სხვადასხვა ზომის სუფთად გათლილი კვადრებით. სტილისტურად ენათესავება სხალთის დიდ ტაძარს. ეკლესია დანგრეულია თურქთა ბატონობის ხანაში. 1977 არქეოლ. გათხრებმა გამოავლინა სადა და მოჭიქული კერამ., ქვევრების ნამტვრევები, ბრინჯაოს ჯვარი – ჯვარცმული ქრისტეს გამოსახულებით, ბრინჯაოს ფირფიტა – ღვთისმშობლის გამოსახულებებით. მიკვლეულია აგრეთვე ბრინჯაოს ცულები და სხვა ნაკეთობანი.

ლიტ.: მ ა მ უ ლ ა ძ ე შ., ვერნების ეკლესია (ახალი მასალები ძეგლის დათარიღებისათვის), კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, [ტ.] 1, ბათ., 1980.

ვერნი (Verne) ჟიულ (8. II. 1828, ნანტი, – 24. III. 1905, ამიენი), ფრანგი მწერალი, მეცნიერულ-ფანტასტიკური რომანის ჟანრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. განათლებით იურისტი. შექმნა ,,არაჩვეულებრივი მოგზაურობის'' 65-ტომეული, რ-შიც გააერთიანა მეცნ.-ფანტასტიკური, სათავგადასავლო-გეოგრ. და სოც.-სატირული რომანები-სა და მოთხრობების სერიები. ჩვენთვის საყურადღებოა რომანი ,,კლოდიუს ბონბარნაკი'' (1892). მისი გმირი, ფრანგ. გაზ. ,,XX საუკუნის'' რეპორტიორი, მოგზაურობს საქართველოში რკინიგზით, რ-იც მწერლის ჩანაფიქრით, გადაჭიმულია თბილისიდან პეკინამდე შუა აზიის უდაბნოების გავლით. ვ. ყოველი ახ. რომანის დაწყებამდე აგროვებდა როგორც სამეცნ.-ტექ. ინფორმაციებს, ისე გეოგრ. ცნობებს. ამჯერადაც მწერალი საკმაოდ ბევრ წყაროს გასცნობია საქართველოს შესახებ. წიგნში მოცემულია ცნობები, დასახელებულია ენციკლოპედიები, გეოგრ. ნაშრომები და მოგზაურთა ჩანაწერები, აგრეთვე ცნობილი გეოგრაფის – ე. რეკლიუს ,,ახალი მსოფლიო გეოგრაფია'', რ-ის VI ტომი შეიცავს ცნობებს საქართველოს შესახებ (ნაშრომიდან ჩანს, რომ თვით რეკლიუ ეყრდნობა ი. კლაპროთის, ფ. ბოდენშტედტის, ვ. კონის, მ. ტილმანის, ფ. დიუბუა დე მონპერეს ჩანაწერებს). ვ-ს ხელთ უნდა ჰქონოდა აგრეთვე ა. კეხლინ-შვარცის და სხვა მოგზაურთა ნაშრომები. ამასთან, მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ა. *დიუმასთან* და, ბუნებრივია, კარგად იცნობდა მის ,,კავკასიასაც''. ვ-ის გმირი ქალაქის დათვალიერებას იწყებს მტკვრის სანაპიროთი და ერთიანად წარმოადგენს თბილ. კოლორიტულ სურათს; ასახელებს მტკვრის მარცხ. სანაპიროზე მდებარე ბაღს და მას ,,ადგილობრივი ელისეის ველს, კოპენჰაგენის ტივოლის ბაღის მსგავსს'' უწოდებს. აღწერს გოგირდის აბანოებს, ქარვასლას, ბაზარს და სხვ., საინტერესოდაა რომანში წარმოდგენილი ქართ. მუს. საკრავები, ქალებისა და მამაკაცების გარეგნობა და ჩაცმულობა. ვ-ის გმირი ვრცლად აღწერს თბილ. სადგურს და, საერთოდ, საქართვ. სარკინიგზო ხაზებს, რ-თაგან ერთი თბილისს დას. საქართველოსთან აკავშირებს და მთავრდება ფოთში, მეორე აღმოსავლეთით ბაქომდეა გადაჭიმული, ხოლო მესამე ვლადიკავკაზამდე აღწევს და ჩრდ. კავკასიასა და სამხრ. კავკასიას აერთიანებს. ეს ფანტასტიკური გზა 4000 ფუტის სიმაღლეზე გადაკვეთს არხოტის ხეობას და საქართვ. დედაქალაქს სამხრ. რუსეთის სალიანდაგო გზებთან აკავშირებს. ჩანს, მწერალს შეუსწავლია იმ დროს ჩვენში მიმდინარე ტრანსკავკასიის გზის მშენებლობის საკითხებთან დაკავშირებული დისკუსიების მასალები. ამ პროექტის შედგენა დავალებული ჰქონდა ინჟ. ფ. დ. რიძევსკის, რ-იც მანამდე წიფის გვირაბის გაყვანას ხელმძღვანელობდა. მისი პროექტი რკინიგზის გაყვანას სწორედ არხოტის უღელტეხილზე ითვალისწინებდა. რომანში არაერთი უზუსტობაც გვხვდება, მაგრამ იგი, ისევე როგორც ვ-ის სხვა რომანები, მძაფრი ინტერესით იკითხება.



ჟ. ვერნი.

ვ-ის ნაწარმოებები ჩვენში დიდი პოპულარობით სარგებლობს. თარგმნილი და გამოცემულია მისი თხზულებების 8 ტომი (1973–79); ვ-ის მთარგმნელთაგან აღსანიშ-

ნავი არიან ნ. კურდღელაშვილი, კ. ჯავრიშვილი, გ. ბუაჩიძე, ნ. ქადეიშვილი, მ. ფიფია და სხვ.

ლიტ.: ორლოვსკაია ნ., ჟიულ ვერნის რომანი, რომელიც საქართველოში იწყება, «მნათობი», 1987, №1.

ნ. ორლოვსკაია.

ვერონა, სოფელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გომბორის თემში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, მდ. გომბორის (ივრის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1200 *მ*, საგარეჯოდან 53 *კმ*. 94 მცხ. (2002).

სოფ. ვ. (ვერენა) მოხსენიებულია კახთა მეფე ალექსანდრე I-ის XV ს. შეწირულობის სიგელში.

სოფლის მახლობლად, მაღალ კლდოვან მთაზე, ადგილობრივი კლდის ქვით ნაგები IX–X სს. ციხის ნანგრევებია (ქვითკირის კედლები, მრგვალი ბურჯები და კოშკები). გალავანი რელიეფს გასდევდა, შემორჩენილია სამხრ-ით და აღმ-ით 3–4 *მ*-მდე სიმაღლის კედლები და ნახევარწრიული მოხაზულობის კოშკების პირველი სართულები. კოშკებს შესასვლელი ეზოდან ჰქონდა. მთავარი შესასვლელი აღმ. მხრიდან იყო. ციხე დარაჯობდა ივრის ხეობიდან გომბორის უღელტეხილით ალაზნის ველზე გამავალ გზას. იხ. აგრეთვე *ვერონის არქეოლოგიური ძეგლები*.



ვერონიკა (Veronica).

ვერონიკა (Veronica), ჩ ა ღ ა ნ დ ა რ ი, მცენარეთა გვარი შავწამალასებრთა ოჯახისა. ერთ-, ორ- ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია, უფრო იშვიათად ნახევრად ბუჩქები ან ბუჩქები (ავსტრალია და ახალი ზელანდია), აქვთ სწორი ან გართხმული ღეროები, მოპირისპირედ, სპირალურად ან რგოლურად განლაგებული მარტივი ან ღრმად დანაკვთული ფოთლები, მარტოული ან კენწრულ მტევნისებრ ყვავილედებად შეკრებილი ლურჯი, ცისფერი ან მოთეთრო ყვავილები. გვარში 300-მდე სახეობაა, რ-ებიც მეტწილად ზომიერ სარტყელშია გავრცელებული.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ვ-ის 47 სახეობა იზრდება. აქედან 4 სახეობა საქართვ. ენდემია: გაშიშვლებული ჩაღანდარი (V. denudata), კემულარიას ჩაღანდარი (V. kemulariae), იმერული ჩაღანდარი (V. imerethica), გალათიური ჩაღანდარი (V. galathica). *ლ. ხინთიბიძე.*

ვერონის არქეოლოგიური ძეგლები, სხვადასხვა დროის არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ძეგლები სოფ. ვერონის (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

1950 სოფლის ერთ-ერთ ყანაში აღმოჩნდა დანგრეული ქვის სამარხი, რ-შიც იყო გვიანდ. ბრინჯაოს – ადრინდ. რკინის ხანის ე. წ. კახური ტიპის ბრინჯაოს მახვილი (ძვ. წ. XII ს. II ნახ. – X ს.). 1974 კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) სადაზვერვო გათხრები ჩაატარა სოფლის დასაწყისში. გომბორი–ვერონის გზის მარცხ. მხარეს გამოვლინდა 3 ქვაყრილიანი ორმოსამარხი, მათში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს რგოლები და საკინძეები (მ. შ. ერთი ადამიანის ფიგურა ვედრების პოზაში) და სხვ. არქეოლ. მასალა ძვ. წ. VIII–VI სს. განეკუთვნება. ციხის ტერიტორიაზე 1965 გამოვლინდა დაზიანებული სამარხი, მასში აღმოჩნდა სარდიონის მძივები (XII–XIV სს.).

მასალა ინახება დუშეთის არქეოლ. საცავში, თელავის ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმსა და გომბორის საშ. სკოლაში.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ლ ო მ თ ა თ ი ძ ე გ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთისა და ივრის ხეობებში, თბ., 1989; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წგ. 1, ზ. ალექსიძისა და შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1964; ფ ა ნ ც ხ ა ვ ა ლ., მ ა ი ს უ რ ა ძ ე ბ., სამი სამარხი სოფ. ვერონიდან, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე», 1982, ტ. 36 B; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., გ ო გ ო თ უ რ ი გ., გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მასალები ივრის ხეობიდან, თბ., 1992.

ბ. მაისურაძე. ბ. ჯორბენაძე.

ვერსი (რუს. верста), სიგრძის საზომი ერთეული რუსეთში, დასტურდება XII ს-იდან, იყენებდნენ 1918-მდე, საქართველოში XIX ს. დამდეგიდან გვხვდება საგზაო და სამიჯნო ვ-ები. საგზაო ვ. გამოიყენებოდა გზებზე მანძილის გასაზომად და XIX ს-მდე შეადგენდა 500 *საჟენს* (მხარს) ანუ 1066,8 *მ*, სამიჯნო ვ. გამოიყენებოდა XVII–XVIII სს-ში ძირითადად მიწების გამიჯვნის დროს, შეადგენდა 1000 საჟენს ანუ 2133,6 *მ*.

ლიტ.: Каменцева Е. И., Устюгов Н. В., Русская метрология, 2 изд., М., 1975.

გ. ჯაფარიძე.

ვერსიფიკაცია, იხ. *ლექსთწყობა*.

ვერტაში (სამერცხლე კლდე), უდაბნო, კლდეში ნაკვეთი ქართული ხუროთმოძღვრული კომპლექსი ასპინძის მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 35 *კმ*-ზე, მდ. მტკვრის ხეობის ზემოწელში. შედგება კლდეში გამოკვეთილი ეკლესიისა და ეკლესიის სარკმლის დონეზე განლაგებული მონაზონთა სამყოფი თითო ჩამოშლილი ქვაბებისაგან, სადაც მხოლოდ მთამსვლელური ტექ. დახმარებით შეიძლება შეღწევა. ქვაბთა კომპლ. მეუდაბნოეობების ეპოქის VI–VIII სს. ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება, ხოლო ეკლესია VIII ს-ით თარიღდება.

ეკლესია გრძელი, ვიწრო და მაღალი პროპორციების დარბაზული ტიპის ნაგებობაა, აღმ-ით ნალისებრი ფორმის საკურთხევლის აფსიდი აქვს. შიგნით საკურთხევლის ჩრდ. და სამხრ. კედლებში თითო ნახევარწრიული ნიშია გამოკვეთილი: დას. კედელში გაჭრილი სარკმელი მტკვრის ხეობას გადაჰყურებს. ინტერიერში საბჯენი შეისრული თაღები მარტივ კრონშტაინებზეა დაყრდნობილი. დეკორ. ელემენტთაგან აღსანიშნავია კარიბჭის ცენტრში წრეში ჩასმული რელიეფური ჯვარი და ჩაჭრილსაპირიანი თაღები. ეკლესია სამალავის დანიშნულებასაც ასრულებდა. მისი კარიბჭიდან გამოკვეთილია ჰორიზ. დაბალი გვირაბი, რ-იც ეკლესიის დას. ნაწილის იატაკში ამოდის. გვირაბი კარიბჭეში ქუსლიანი ქვის კარით იხურებოდა, ხოლო ეკლესიაში – კლდის 2 დიდი ლოდით, რებიც ეკლესიის გამოკვეთის პროცესშივეა დამზადებული.

გ. გაფრინდაშვილი.

ვერტყვილა, სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხუნევის თემში (იმერეთის მხარე), მდ. ძირულის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 410 *მ*, ხარაგაულიდან 38 *კმ*. 476 მცხ. (2002).

ვ. წყაროებში იხსენიება XVII ს-იდან. გვიანდ. შუა საუკუნეებში შედიოდა ხეფინის ხევში. სოფელში შემორჩენილია განვითარებული შუა საუკ. ეკლესია.

თ. ბერაძე.

ვერტყვიჭალა, სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხუნევის თემში (იმერეთის მხარე), მდ. ძირულის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 400 *მ*, ხარაგაულიდან 40 *კმ*. 400 მცხ. (2002).

ვ. წყაროებში იხსენიება XVII ს-იდან.

ვერულავა იუზა შალვას ძე (1. VI. 1944, თბილისი, – 1. I. 2009, იქვე), მეცნიერი მართვის სისტე-

მების დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (1998). საქართვ. საინჟინრო აკად. წევრი (2005) და საერთაშ. საინჟინრო აკად წ.-კორ. (2002). 1966 დაამთავრა სპი-ის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექ. ფაკ-ტი მათ. საანგარიშო ხელსაწყოებისა და მოწყობილობების სპეციალობით. 1967-იდან მუშაობდა თბილ. ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტში; 1975–85 – საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ელექტრონული გამომთვლელი მანქანების კათედრაზე; 1985 3-მ ჩამოაყალიბა არქიტ. და მშენებლობაში ავტომატიზებული პროექტირების სისტემების კათედრა, სადაც მოღვაწეობდა სიცოცხლის ბოლომდე. 3-ს სამეცნ. კვლევის მიმართულებაა განაწილებულ-პარამეტრებიანი ობიექტების ოპტიმალური მართვის საკითხები, რთული ტექ. ობიექტების იდენტიფიკაციის თეორია, სტოქასტიკური სისტემების მათ. მოდელირება. მან დაამუშავა შენობათა სეისმომედეგობის გაანგარიშების ახ. პრინციპი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2002).

თხზ.: დიდმასშტაბიანი სისტემების კვლევის მაგნიტური მოდელები, თბ., 2002 (თანაავტ.).

ვერულავა ოთარ გიორგის ძე (დ. 24. I. 1945, თბილისი), ინჟინერი მართვის სისტემების დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1994). 1967 დაამთავრა სპი-ის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექ. ფაკ-ტი. მუშაობა დაიწყო საქართვ. მეცნ. აკად. ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, ინფორმაციის გარდაქმნის განყ-ბაში. 1975-იდან ეწევა პედ. საქმიანობას საქართვ. ტექ. უნ-ტში ავტომატური მართვის კათედრაზე. 1998 3-ს ინიციატივით შეიქმნა ხელოვნური ინტელექტის კათედრა, რ-საც დღემდე ხელმძღვანელობს.

3-ს მეცნ. მოღვაწეობის სფეროა ხელოვნური ინტელექტის თეორიის მახასიათებლები, კლასტერირების თეორია, გადაწყვეტილებათა მიღება და აღწერების აგება სახეთა ამოცნობაში. 2005-იდან არის ბაზელის (შვეიცარია) სამეცნ. საზ-ბის კოლეგიის წევრი. გამოქვეყნებული აქვს 2 მონოგრაფია.

თხზ.: ხელოვნური ინტელექტის საფუძვლები კრიპტოგრაფიაში, თბ., 2008.

ვერულაშვილი ეკატერინე ვარლამის ასული (31. VIII. 1917,



ე. ვერულაშვილი. სასიდედრო, კადრი ფილმიდან ,,ქორწილი''.

თბილისი, – 28. IX. 1973, იქვე), მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1966). საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ (1940) მსახიობად მუშაობდა ქუთაისის, ხაშურის, გორისა და თელავის სახელმწ. დრამ. თეატრებში, ხოლო 1955-იდან სიცოცხლის ბოლომდე თბილ. კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში მოღვაწეობდა. შექმნა სახასიათო და კომედიურ სახეთა მთელი გალერეა, მ. შ. ქაბატო (ა. ცაგარელის ,,ხანუმა''), ლამაზისეული (ი. ჭავჭავაძის ,,კაცია ადამიანი?!''), სოფი (ფ. შილერის ,,ვერაგობა და სიყვარული''), მუზა (კ. ბუაჩიძის ,,მკაცრი ქალიშვილები'') და სხვ.

კინოფილმებში შეასრულა ოცამდე სახასიათო როლი, რ-თაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია: სასიდედრო (მ. კობახიძის ,,ქორწილი'', 1964), დამსვენებელი ქალი (,,წარსული ზაფხული'', 1959), მეზობელი (,,კეთილი ადამიანები''; 1961), ჭორიკანა (,,მალე გაზაფხული მოვა'', 1967), დედა (,,ალადინის ჯადოსნური ლამპარი'', 1967) და სხვ. მრავალი.


3. აღიარებულია ეპიზოდური როლების ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად.

ვერულაშვილი ივანე ვასილის ძე (დ. 3. III. 1952, ქუთაისი), ნევროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1996), პროფესორი (2004). 1974 დაამთავრა თსსი; 2001–04 იყო თსსუ-ის ნევროლოგიის კათედრის პროფესორი, 2004-იდან არის ნეირომედიცინის დეპარტამენტის ნერვულ სნეულებათა პროპედევტიკის და ტოპიკური დიაგნოსტიკის მიმართულების ხელმძღვანელი, თსსუ-ის ა. ალადაშვილის სახ. საუნივერსიტეტო ნევროლოგიის დეპარტამენტი ხელმძღვანელი; თბილისის ს. ყიფშიძის სახ. ნევროლოგთა საზ-ბის თავ-რე. ევრ. ნევროლოგთა საზ-ბის ნამდვ. წევრი (1992).

3-ის სამეცნ. შრომები ეხება კლინ. ნევროლოგიის აქტუალურ საკითხებს.

თხზ.: გვირაბული სინდრომების მკურნალობა, თბ., 1996; ნერვულ სნეულებათა კვლევის და დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები, თბ., 2004 (თანაავტ.: ნ. ნინუა, გ. ქორთუშვილი); ასაკი და ორგანიზმის ბიოლოგიური საათი, თბ., 2008 (თანაავტ.); ნევროლოგია – ტოპიკური დიაგნოსტიკის საფუძვლები (სახელმძღვანელო), თბ., 2009; Неврология женского организма (Монография), М., 2001 (აღნიშნულია წმინდა ილარიონ ქართველის პრემიით); Nervous diseases propaedeutics and topical diagnosis, Tb., 2012.

ვერულეიშვილი ავთანდილ ალექსანდრეს ძე (18. III. 1918, ხაშური, – 23. VIII. 1987, თბილისი), მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1961). სწავლობდა თბილ. კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრთან არსებულ დრამ. სტუდიაში. საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტის დამთავრების (1941) შემდეგ მსახიობად მუშაობდა კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში, მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: კინტო (ზ. ანტონოვის ,,მზის დაბნელება საქართველოში''), მელორე (პ. კაკაბაძის ,,კოლმეურნის ქორწინება''), მოლა მუსა (ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი''), ტიბალტი (უ. შექსპირის ,,რომეო და ჯულიეტა''), აიტუზა (მ. მრევლიშვილის ,,ხარატაანთ კერა''), რაბინი (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა''), დერვიში (ნ. ჰიქმეთის ,,ლეგენდა სიყვარულზე''), სერგო, დარჩო (ა. გეწადის ,,წმინდანები ჯოჯოხეთში'', ,,ყარამან ყანთელაძე''), ფიჩხულა (ა. ცაგარლის ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ''), ჩინჩახელი (კ. ბუაჩიძის ,,ეზოში ავი ძაღლია''), ამილახვარი (ვ. კანდელაკის ,,მაია წყნეთელი'') და სხვ. მოღვაწეობდა ქართ. ესტრადაზე. შექმნა აგრეთვე მრავალი ეპიზოდური კინემატოგრაფიული სახე. მონაწილეობდა ტელე- და რადიოდადგმებში.



ა. ვერულეიშვილი (1918–87).

ვერულეიშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (21. VII. 1916, ხაშური, – 19. I. 2000, თბილისი), ფერმწერი, თეატრისა და კინოს მხატვარი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1957). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1947). 1949-იდან მთ. მხატვრად მუშობდა სოხუმის სახელმწ. დრამ. თეატრში. მხატვრულად გააფორმა სპექტაკლები: უ. შექსპირის ,,ანტონიუსი და კლეოპატრა'' (1956), ვ. კანდელაკის ,,მაია წყნეთელი'' (1955), ა. ოსტროვსკის ,,უდანაშაულო დამნაშავენი'' (1959). 3-ის შემოქმედე-



ა. ვერულეიშვილი (1916–2000).

ბა გამოირჩევა ჟანრულ-თემატური მრავალფეროვნებით, ხატავდა საქართვ. პეიზაჟებს, თანამედროვეთა პორტრეტებს.

ᲕᲔᲠᲨᲝᲙᲘ (რუს. вершок – გოჯი), სიგრძის საზომი ერთეული ძვ. რუსეთში, გვხვდება XVII ს-იდან. გამოიყენებოდა 1918-მდე. შეადგენდა 4,5 *სმ* (1935-იდან კი – 4,44 *სმ*). XIX ს-იდან გავრცელებული იყო საქართველოშიც.

გ. ჯაფარიძე.



ვერცხლი. კონიაკის სერვიზი. ჭედურობა. მხატვარი მ. ქუთათელაძე.

ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘ (Argentum), Ag, *ელემენტთა პერიოდული სისტემის* I ჯგუფის ქიმიური ელემენტი. ატ. ნომერი 47, ატ. მასა 107,8682.

ისტორიული ცნობა. ვ. ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულში ეგვიპტეში, სპარსეთსა და ჩინეთში. ანტიკური ხანიდან მოყოლებული, ვერცხლის მოპოვების ცენტრებმა ევროპაში გადაინაცვლა. 1447, ე. წ. ,,წმინდა გიორგის'' მაღაროებში (შნეებერგის საბადო, საქსონია, გერმანია, აღმოჩენილ იქნა თვითნაბადი ვ., რ-ის მასა 20 *ტ* აღწევდა. კოპენჰაგენის მუზეუმში (დანია) ინახება თვითნაბადი ვ-ს ნიმუში მასით 254 *კგ*, რ-იც 1666 კონგსბერგის (ნორვეგია) საბადოში იპოვეს. 1894 შახტიდან ,,Smuggler Mine'' ამოღებულ 1065 *კგ* მასის ნიმუშიდან 835 *კგ* სუფთა ვ. გამოადნეს. კანადის პარლამენტის შენობაში ინახება კობალტის (კოლორადო, აშშ) საბადოებში ნაპოვნი თვითნაბადი ვ-ის ფირფიტა, რ-ის მასაა 612 *კგ*. აქვე მოპოვებულ მეორე ფირფიტას ,,ვერცხლის ტროტუარი უწოდეს'' – მისი სიგრძე 30 *მ*-ს აღწევდა და სიღრმეში 18 *მ*-მდე ჩადიოდა. ამ ფირფიტიდან 20 *ტ*. ვ. გამოადნეს. ჩანაარკილის (ჩილე) XVI ს. იპოვეს თვითნაბადი ,,ფირფიტა'' მასით 1420 *კგ*.

ამერიკის კონტინენტის კოლონიზაციის დასაწყისში 1527 ესპანელმა სებასტიან კაბოტმა ,,Rio de la Plata'' (ესპანურად ,,ვერცხლის მდინარე'') უწოდა მდინარეს, რ-ის ნაპირებზე მკვიდრ მაცხოვრებლებს ვ-ის დიდი რაოდენობის ნაკეთობები წაართვეს. შემდგომში ეს სახელწოდება მთელ ქვეყანაზე გავრცელდა. ესპანეთისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1826) ქვეყანას არგენტინა ეწოდა.

ვ. ბუნებაში. დედამიწის ქერქში ვ-ის საშ. შემცველობა (კლარკი) მასის მიხედვით შეადგენს $7 \cdot 10^{-6}$%, ზღვის წყალში $3 \cdot 10^{-8}$%. ვ. ძირითადად გვხვდება საშუალო და დაბალტემპერატურული ჰიდროთერმული საბადოების [დედამიწის წიაღში ცირკულირებად ცხელ (700–600 °C-იდან 50–20 °C-მდე) მინერალურ წყლებში გახსნილ ნივთიერებათა დალექვისას წარმოქმნილი მთამადნეულის საბადოები], აგრეთვე – სულფიდური საბადოების გამდიდრებულ ზონებში, იშვიათად – დანალექ ქანებსა (ნახშიროვან ნივთიერებათა შემცველი ქვიშაქვები) და ვერცხლის ქვიშრობებში. ცნობილია 50-ზე მეტი ვ-ის შემცველი მინერალი.

ვ. ბუნებაში მოიპოვება ორი მდგრადი იზოტოპის ნარევის სახით: ^{107}Ag და ^{109}Ag. ვ. ერთ-ერთი ყველაზე დეფიციტური მასალაა. ვ-ის მდიდარი საბადოებია ამერიკის კონტინენტზე. 2013 მონაცემებით, ვ-ის მსოფლიო მარაგი ფასდება 540 ათ. *ტ*.

ფიზიკური და ქიმიური თვისებები. ვ. თეთრი ფერის პლასტიკური ლითონია, კარგად პრიალდება, განეკუთვნება კეთილშობილურ ლითონებს. ხასიათდება მაღალი ელექტრო- და სითბოგამტარობით, არეკვლის საუკეთესო უნარით (უახლოვდება 100 %).

ვ-ს აქვს ელემენტთა პერიოდული სისტემის I ბ ქვეჯგუფის ელემენტისათვის დამახასიათებელი ქიმ. თვისებები. ნაერთებში ჩვეულებრივ, ერთვალენტიანია. მოთავსებულია ძაბვის მწკრივის ბოლო რიგში. ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ვ. O_2, N_2, H_2-თან არ ურთიერთქმედებს. თავისუფალი ჰალოგენებისა და გოგირდის მოქმედებით ვ-ის ზედაპირზე წარმოიქმნება მცირედ ხსნადი ჰალოგენებისა და სულფიდის Ag_2S (რუხი-მოშავო ფერის კრისტალები) დამცავი აფსკი. ატმოსფეროს გოგირდწყალბადის (H_2S) გავლენით ვ-ის ნაკეთობათა ზედაპირზე თხელი აფსკის სახით Ag_2S წარმოიქმნება, რაც ამ ნაკეთობათა გამუქებას იწვევს.

ვ-ის ქვეჟანგი Ag_2O და ჟანგი AgO მდგრადი ჟანგეულებია.

ვ-ის მიღება. ვ-ის დაახლ. 80% მიიღება პოლიმეტალური მადნებისაგან, აგრეთვე ოქროს, სპილენძის და ტყვია-თუთიის მადნების გადამუშავებით. ვ-ისა და ოქროს მადნებისგან მეტალური ვ-ის გამოსაყოფად იყენებენ *ციანირებას*. სპილენძისა და ტყვია-თუთიის მადნებისაგან ამოღებულ ვ-ს შეადნობენ (დორეს შენადნობი) და ელექტროლიტურ დახალასებას ჩაუტარებენ. ვ-ის გამოყოფა შესაძლებელია უფრო ახ. მეთოდებითაც. მაგ. იონგაცვლითი ფისებითა და თხევადი ექსტრაქციით.

ვ-ის გამოყენება. ვ., მიუხედავად სიძვირისა, ფართოდ გამოიყენება ტექნიკაში. მის მრავალ ნაერთს იყენებენ კინო- და ფოტომასალის წარმოებაში. რადიოდეტალების ვ-ით დაფარვა აუმჯობესებს მათ ელექტროგამტარობასა და კოროზიულ მედეგობას. ვ-ის მინაზე დაფენით მიიღება მაღალი ხარისხის სარკეები. ვ-ისგან მზადდება ვერცხლ-თუთიისა და ვერცხლ-კადმიუმის აკუმულატორების ელექტროდები, ვ-ის კონტაქტები ელექტრონული მრეწველობისათვის, ლაბორატორიული და საყოფაცხოვრებო სადენები და სხვ. ტიტანისა და მისი შენადნობების რჩილვისას იყენებენ ვ-ის სარჩილავს. ვ. კატალიზატორის როლს ასრულებს ორგ. და არაორგ. სინთეზის დროს. მისი იონები სპობს ბაქტერიებსა და ასტერილებს სასმელ წყალს. კვების მრეწველობაში ვ-ს იყენებენ ხილის წვენების დასამზადებელ აპარატებში.

ვ. ხელოვნებაში. ლითონის ათვისების ეპოქებიდან მოყოლებული, ვ., ოქროსთან და ბრინჯაოსთან ერთად, ფართოდ გამოიყენებოდა დეკორ. ხელოვნებაში. ძვ. წ. III ათასწლეულიდან ვერცხლის მხატვრული ნაკეთობები იქმნებოდა შუამდინარეთში, ანატოლიაში, კავკასიაში. ვ-ის გამოყენებას ხელოვნებაში მისი პლასტ. თვისებების გარდა, ხელი შეუწყო ძველ სამყაროში გავრცელებულმა ძვირფას ლითონთა მისტიკური ძალის რწმენამ. ძვ. ტრად. თანახმად, ოქრო და ვ-ი ღვთაებრივ ენერგიას შეიცავს. ძველ აღთქმაში ტაძართა შემკობაში ვ-ის გამოყენების არაერთი მაგალითია მოყვანილი (მაგ., სოლომონის ტაძრის აღწერა).

სხვადასხვა ისტ. ეპოქის ვ-ის მხატვრული ნაკეთობები (სარიტუალო და სახმარი ჭურჭელი, სამკაულები, საეკლ. ნივთები) ფართოდ არის გავრცელებული.

ვ-ის დამუშავების ურთულესი ტექ. და მხატვრული ხერხები თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ყველა ხალხი, საკუთარი მხატვრული ტრად. შესაბამისად, ორიგინ. ტექნოლოგიით, ვ-ის რელიეფური და გრავირებული სახეებით შემკულ ორიგინ. მხატვრულ ნაკეთობებს ქმნის.

საბერძნეთმა და რომმა, ბიზანტიამ და ირანმა, რომანული და გოტიკური ეპოქების დას. ევრ. ქვეყნებმა შემოგვინახეს 3-ის მხატვრულ ნაკეთობათა უმდიდრესი საგანძური.

საქართველოში 3-ის მხატვრული დამუშავება ქართ. ხელოვნების ერთ-ერთი უმთავრესი და უძველესი დარგია და არსებობის რამდენიმე ათასწლეულს ითვლის. საქართველომ უდიდესი წვლილი შეიტანა ლითონ-მქანდაკებლობის განვითარებაში როგორც კავკასიაში, ისე ახლო აღმოსავლეთში. უძველესი წერილობითი წყაროები მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ქართველთა ტომებში ლითონის დამუშავების ხელოვნების შესახებ. ქართველური ტომები შესანიშნავ იარაღსა და მაღალმხატვრულ ჭურჭელს ამზადებდნენ. ამას მოწმობს ასურეთის მეფე სარგონ II-ის წარწერა (ძვ. წ. 714), რ-შიც ჩამოთვლილია ,,თაბალთა ქვეყანაში'' მოპოვებული ოქროსა და 3-ის მხატვრული ნაკეთობანი. ხელოვნ. ამ დარგის განვითარებას ხელი შეუწყო ქვეყანაში ძვირფას ლითონთა საბადოების არსებობამ, რაც დადასტურებულია ძვ. ავტორთა თხზულებებში (სტრაბონის ,,გეოგრაფია''). ამასვე ამტკიცებს ბერძნ. მითი ოქროს საწმისის შესახებ, რ-იც ძვ. ბერძნ. ავტორთა აზრით, კოლხეთში რეალურ ვითარებას ასახავდა. ბიბლიაში მოხსენიებულია ქართველთა წინაპარი, ,,თუბალ-კაენი, მჭედელი რვალისა და რკინისა'' (დაბადება, IV, 22).

3-ის მხატვრული დამუშავების ისტორია საქართველოში რამდენიმე ისტ. ეტაპს მოიცავს: *თრიალეთის კულტურასთან* დაკავშირებული უძველესი პერიოდი, ანტ., გვიან ანტ. ხანა და შუა საუკუნეები.

თრიალეთში მოპოვებული 3-ის ნივთები (ფრიზებიანი თასი, სარწყული) *ტორევტიკის* უძველესი ნიმუშებია საქართველოში. ეს საკულტო-სარიტუალო ნივთები თავიანთი მხატვრული თავისებურებებით, პლასტ. კომპოზიციების დახვეწილობით, ორიგინ. სიმბოლური არსით ძვ. სამყაროს გამორჩეული ნაწარმოებებია. თრიალეთის 3-ის ნივთების მხატვრული ხასიათი, სტილი მჭიდრო კავშირს ავლენს წინა აზიის უძველეს ხელოვნებასთან.

მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია ანტ. საქართველოს (ძვ. წ. V–IV სს.) 3-ის მხატვრული ნაკეთობანი. ორიგინალურად დეკორირებული 3-ის ჭურჭელი (ყაზბეგი, ახალგორი, ვანი) გამოირჩევა მაღალი მხატვრული გემოვნებით, ტექ. ოსტატობით, თავისებური დეკორატიულობით. ამ მხატვრულ ნაკეთობებში საინტერესოდ აისახა საქართველოსა და ანტ. სამყაროს ურთიერთკავშირი. ანტ. ეპოქის სხვადასხვა ეტაპის ძეგლები საქართველოში სხვადასხვა სისრულითაა წარმოდგენილი. განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა საქართველოს გვიან. ანტ. ხანის (I–III სს.) 3-ის საგანძური. არქეოლ. გათხრების შედეგად 3-ის მრავალი ნიმუშია აღმოჩენილი როგორც დას. საქართველოში (სარგვეში, თაგილონი, ხაიში, კვაშხიეთი, ურეკი), ისე აღმ. საქართველოში (არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანი, ბაგინეთი, ბორი, ზღუდერი, ერწო, ჟინვალი), რაც ანტ. ხანის საქართველოში ჭედური ხელოვნ. მძლავრი კერის არსებობას ადასტურებს. საქართვ. გვიანანტიკური ხანის 3-ის ნაკეთობანი ნაირგვარია თავისი დანიშნულებით, ფორმითა და მხატვრული ხასიათით (ლანგრები, დიდი ორნამენტული თასები, სხვადასხვა ფორმის კათხები და სასმისები, ფიალები, სურები, ავეჯის მოჩუქურთმებული ნაწილები). 3-ის ნაკეთობებში რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა: მკაფიო თავისებურების მქონე ადგილ. ნაწარმი, რომაული ტორევტიკის ძეგლები, ადგილ. სახელოსნოებში ელინისტურ-რომაული ნიმუშების მიხედვით შექმნილი ნივთები, აღმოსავლური იერის ნაწარმოებები.

ვერცხლეულის ცალკეულ ჯგუფებში ადგილ. მხატვრული ცენტრებისათვის დამახასიათებელი მხატვრულ-სტილური ნიშნებია გამოვლენილი. ასეთებია 3-ის სურები, ფიალები სამსხვერპლოს წინ მდგარი ცხენების გრაფ. გამოსახულებებით (ბორი, არმაზისხევი, ზღუდერი, ჟინვალი), 3-ის გარსაკრავიანი ხის მოჩუქურთმებული ფეხები ტახტისა (ბაგინეთი) და სარეცლისათვის (არმაზისხევი, ბორი, ზღუდერი, ჟინვალი).

საქართვ. ანტ. ხანის ტორევტიკის ყველაზე გვიანდ. ძეგლები IV ს. დასაწყისს მიეკუთვნება. შუა საუკუნეების 3-ის ყველაზე ადრეული ქართ. ძეგლებია მარტვილის ენკოლპიონი (VIII–IX სს.) და *ზარზმის ფერისცვალების* ხატი (886) – ჭედური ხელოვნების უნიკალური ნიმუშები, მაღალგანვითარებული მხატვრული აზროვნების ნაყოფი. დღეისათვის შუა საუკუნეების ქართ. ჭედურობის საგანძური 2500-ზე მეტ ნაწარმოებს შეიცავს.

ქართ. ჭედური ხელოვნ. მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება X ს. 70-იანი წლებიდან, როდესაც ქართვ. ლითონმქანდაკებელთა წინაშე საკუთრივ სკულპტურული ამოცანები დაისვა. ამ ეტაპის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუშია იშხნის საწინამძღვრო ჯვარი (973) ჯვარცმული ქრისტეს სკულპტურული ფიგურით, იგივე მხატვრული ტენდენცია იკვეთება დავით კურაპალატის ჯვარში (XI ს. დასასრული; ოსტატი *ასათ მოქმედი*). 3-ის პლასტიკის მნიშვნელოვანი ნიმუშებია ბრეთის საწინამძღვრო ჯვარი (დაახლ. 1000 წ.; ოსტატი – *გაბრიელ საფარელი*), საღოლაშენის 3-ის ფირფიტების რელიეფები, მარტვილის საწინამძღვრო ჯვარი (XI ს. II მეოთხედი, ოსტატი – *ივანე დიაკონი*).

X–XI სს-ში შეიქმნა 3-ით მოჭედილი ფერწერული ხატები: ხობის ღვთისმშობლის ხატი (970), წალენჯიხის, იანაშის, გელათის, მღვიმევის, კაცხის ხატები (XI ს.). განსაკუთრებული მხატვრული ღირსებებით გამოირჩევა XI ს. 20-იან წლებში შექმნილი ზარზმის ღვთისმშობლის ხატი, ე. წ. ,,ლაკლაკიძეების ღვთისმშობელი''.

საქართვ. მთიანი რეგიონების ეკლესიებში (სვანეთი, რაჭა) შემონახულია საკურთხევლის წინ აღმართული ხის მოზრდილი ძელებისაგან შედგენილი მონუმ. ჯვრები, რ-ებიც 3-ის ჭედური ფირფიტებითაა მოპირკეთებული. 3-ის ამგვარი მონუმ. ჯვრები საკმაოდ დიდხანს (X–XI სს. მიჯნიდან XVI ს. ბოლომდე) არსებობდა (მესტიის, კაცხის, სხვავას საკურთხევლისწინა ჯვრები).

შუა საუკუნეების საქართველოში 3-ის მხატვრული დამუშავების სახელოსნოები მონასტრებში იყო თავმოყრილი. მნიშვნელოვანი საოქრომჭედლო ცენტრები იყო საფარის, ზარზმისა და ხობის მონასტრები. ჭედურობის დიდი ცენტრები იყო ცაგერში, ზემო სვანეთში, გურიაში.

XII ს-ში ხელოვნ. ყველა დარგმა განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა. ეპოქის ჭედური ხელოვნ. ბრწყინვალე ნიმუშია *ხახულის ხატი*, შექმნილი დავით აღმაშენებლის ძის, დემეტრე I-ის დროს (XII ს. 20-იანი წწ.), რ-იც სწორუპოვარია თავისი მხატვრული

ღირსებებითა და ტექ. სრულყოფით.

ვ-ის ნაკეთობებზე ოსტატთა არაერთი სახელია შემონახული, მ. შ. თამარ მეფის ეპოქის ოქრომჭედლებისა. ესენი არიან: *ბექა ოპიზარი* და *ბეშქენ ოპიზარი*. ბეშქენმა შექმნა ბერთის სახარების ყდის მოჭედილობა, ბექამ – წყაროსთავის სახარების მოჭედილობა და *ანჩის კარედი ხატის* ჭედური ჩარჩო. გარდა საღვთისმსახურო ვ-ის ნივთებისა, არსებობდა ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული საერო ნივთები, რ-თაგან სულ რამდენიმეა შემორჩენილი: გიორგი III-ის ვ-ის სურა (მესტიის მუზეუმი) და ვანის ქვაბის მონასტერში აღმოჩენილი სამი ვ-ის თასი (საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმი), რ-ებიც დახვეწილი პლასტიკური და სევადიანი ორნამენტითაა შემკული.

XIII–XIV სს. ვ-ის ნაკეთობები ძირითადად წინა ეპოქის მხატვრულ პრინციპებს აგრძელებს, მთავარი ყურადღება გადატანილია დეკორსა და ორნამენტიკაზე (მაცხოვრის ხატი გელათიდან, თამარ მეფის გულსაკიდი ჯვრის ბუდე), ხელმეორედ შეამკეს ძვ. ხატები (ანჩის ხატი, ხობის ღვთისმშობლის ხატი).

XV ს. შუა წლებიდან, როდესაც საქართველომ თემურ ლენგის დამარბეველი ლაშქრობების შემდეგ ნელ-ნელა დაიწყო წელში გასწორება, ჭედური ხელოვნება ერთგვარად გამოცოცხლდა. ამ ეპოქიდან შემონახულია ჭედურ ნაწარმოებთა ჯგუფი, რ-თა ავტორია მამნე ოქრომჭედელი (საკურთხევლისწინა ჯვრები სადგერიდან და ბარაკონიდან, შემოქმედის კარედი ხატი).

XVI ს-თვის ჭედური ხელოვნების განვითარებაში სხვადასხვა მხატვრული მიმდინარეობა შეინიშნება. შეიქმნა ჭედურ ხატებზე ქტიტორთა ფიგურების გამოსახვის ტრადიცია.

XVII ს. ოქრომჭედელთა ნამუშევრები მხატვრული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მნიშვნელოვანია სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნოს ნაკეთობანი, რ-იც ჭედურობის ძვ. ეროვნ. ტრადიციებს აგრძელებს. XVII ს. ბოლოსთვის ქართ. ჭედურობაში ევრ. ხელოვნ. ერთგვარი გავლენა შეიმჩნევა. ეს ტენდენცია თვალსაჩინო ხდება XVIII ს. ნაწარმოებებში.

XIX ს. დასაწყისში ჭედურობის ქართვ. ოსტატთა შორის გამოირჩევა ხალხ. ტრადიციების გამგრძელებელი პეპუ მეუნარგია. ამ დროს არსებითად დამთავრდა ვ-ის მხატვრული დამუშავების მრავალსაუკუნოვანი ისტორია საქართველოში. დაიწყო საფაბრიკო და ხელოსნური ნაწარმის გავრცელება.

ვ-ის მხატვრული დამუშავების უძველეს ტრადიციას დღეს ქართვ. მხატვართა ახ. თაობები აგრძელებენ. *კ. მაჩაბელი.*

ვ. მედიცინაში. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ვ-ის გამოყენების ერთ-ერთი მთავარი სფერო იყო ალქიმია, რ-იც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მედიცინასთან. ძველი ეგვიპტელები ადამიანს იარებზე (შეხორცების მიზნით) ადებდნენ ვ-ის ფირფიტებს. ვ. გამოიყენება ინდურ ფარმაკოლოგიაშიც. ვ-ის მცირე კონცენტრაცია სასარგებლოა, რადგან მას ბაქტერიციდული მოქმედება გააჩნია. დადგენილია, რომ ვ-ის იონების მცირე კონცენტრაცია ხელს უწყობს იმუნიტეტის ამაღლებას. ვ-ის კვალი (≈ 0,02 *მგ/კგ*) ნაპოვნია ყველა ცოცხალ ორგანიზმში, თუმცა მისი ბიოლოგიური ქმედება შესწავლილი არ არის. ადამიანის თავის ტვინში ვ-ის შედარებით მაღალი შემცველობაა. ვ. ორგანიზმში წარმოქმნის ცილოვან ნაერთებს. ის ფერმენტების ინჰიბიტორია. მედიცინაში კოლოიდურ ვ-ს იყენებენ როგორც ლორწოვან გარსზე მოქმედ ანტისეპტიკურ საშუალებას (არგიროლი, კოლარგოლი, პროტარგოლი და სხვ.).

ვ. ეკონომიკაში. სასაქონლო წარმოების პირობებში ოქროსთან ერთად ვ. ასრულებდა საყოველთაო ეკვივალენტის ფუნქციას და ფულად იქცა, რასაც ხელი შეუწყო ვ-ის თვისებებმა – ერთგვაროვნებამ, დამუშავების სიადვილემ და სხვ. თავდაპირველად ვ. მიმოქცევაში იყო სხმულების სახით. ძვ. აღმოსავლეთის ქვეყნებში, აგრეთვე საბერძნეთსა და რომში ვ., როგორც ოქრო და სპილენძი, ფართოდ გავრცელებული ფულადი ლითონი იყო. ძვ. რომში ვ-ის მონეტების მოჭრა დაიწყეს ძვ. წ. IV–III სს-ში, ხოლო რუსეთში – IX ს-ში. ადრინდ. შუა საუკუნეებში უპირატესად ოქროს მონეტებს ჭრიდნენ. XVI ს-იდან ოქროს უკმარისობისა და ევროპაში ვ-ის მოპოვების გაფართოების გამო ვ. ევროპის ქვეყნებში ძირითად ფულად ლითონად გადაიქცა. კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების ეპოქაში თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობდა ვ-ის მონომეტალიზმი და ბიმეტალიზმი (ფულადი სისტემა, რ-შიც ოქრო, ვ. და საყოველთაო ეკვივალენტის როლს ასრულებს). ოქროს მსოფლიო მოპოვების ზრდამ დააჩქარა მიმოქცევიდან გაუფასურებული ვ-ის გამოდევნა. XIX ს. უკანასკნელ მეოთხედში კაპიტალ. მსოფლიოში ფართოდ გავრცელდა ოქროს მონომეტალიზმი. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ოქროს ვალუტით ვ-ის ვალუტის გამოდევნა XX ს. დასაწყისისათვის დამთავრდა. ვ-ის ვალუტა შემორჩა XX ს. 30-იან წლებამდე ჩინეთში, ირანსა და ავღანეთში. II მსოფლიო ომამდე მოპოვებული ვ-ის 75 %-ს მონეტების მოსაჭრელად იყენებდნენ, 1971-თვის ეს მაჩვენებელი 5%-მდე შემცირდა. 2013 მონაცემებით ვ-ის წლიური მოპოვების ლიდერია მექსიკა (4500 *ტ*). მერე და მესამე ადგილზეა პერუ და ჩინეთი (4000 *ტ*).

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი, ვ., ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ვ-ის გამოყენების მრავალმხრივობა დაკავშირებულია მის სასარგებლო თვისებებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ-ის, როგორც ფულადი საქონლის, გამოყენება. ვ-ის მონეტების მოჭრა საქართველოში ძვ. წ. VI ს-იდან დაიწყო. სხვადასხვა დროს მოჭრილ ოქროს, სპილენძისა და ბრინჯაოს მონეტებთან ერთად იყო ვ-ის მონეტებიც. მუზეუმებში, მ. შ. საქართვ. ეროვნ. მუზეუმსა და ქუთაისის სახელმწ. ისტ. მუზეუმში, შემონახულია უძველესი კოლხური დიდრაქმა (ძვ. წ. VI ს.), ასევე ძვ. წ. V ს-ის კოლხური დრაქმა, რ-იც მაღალი ხარისხის ვ-ისგანაა დამზადებული. IX ს-ში თბილისის ზარაფხანაში იჭრებოდა არაბული ტიპის ვ-ის მონეტები. VII ს-ში ქართლში მოჭრეს სასანური ტიპის ვ-ის მონეტა ქართ. წარწერით და ჯვრის გამოსახულებით; შემონახულია IX–X სს-ში თბილისში მოჭრილი არაბული ვ-ის დრაქმები, სპილენძის ფელსებთან ერთად. XIX ს-ის დასაწყისიდან (1804-იდან 1834-მდე) თბილისში რუსეთის ხელისუფლების მიერ სპილენძის მონეტებთან ერთად რუსულ ყაიდაზე იჭრებოდა ვ-ის მონეტები – ,,ქართული თეთრი‘‘. საქართველოში, სხვა უცხ. ნივთებთან ერთად, სხვადასხვა

დროს გავრცელებული იყო უცხ. ვ-ის ფული. მათგან ერთ-ერთი უძველესია რომაული ვ-ის განძი და მონეტები, ძვ. წ. I ს-ში მითრიდატე პონტოელის მიერ მოჭრილი მონეტა, VI–VII სს-ში ბიზანტ. და სასანური მონეტები. XVII ს-იდან საქართვ. ფულის მიმოქცევაში დიდი რაოდენობით იყო ირანული და სხვა ქვეყნის ვ-ისა და სხვა მონეტები.

1934-იდან ქართული მონეტების მოჭრა შეწყდა. 1993-იდან, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართვ. ეროვნულმა ბანკმა დაიწყო საკოლექციო და საინვესტიციო ეროვნ. მონეტების გამოშვება.

ვ. გამოიყენება აგრეთვე *ჰერალდიკაში.*

ლიტ.: ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი თ., XIII–XIV სს. დასავლურ-ქართული ფული (კირმანეული), თბ., 1959; დ უ ნ დ უ ა თ., დ უ ნ დ უ ა გ., ქართული ნუმიზმატიკა, ნაწ. 1, თბ., 2006; მ ა ჩ ა ბ ე ლ ი კ., ძველი საქართველოს ვერცხლი, თბ., 1983; პ ა ტ ა რ ი ძ ე მ., ჯ ა ნ ჯ ღ ა ვ ა გ., ტრაპიზონის იმპერიის იშვიათი მონეტები, თბ., 2006; ქ ე ბ უ ლ ა ძ ე რ., ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV–XVIII სს., თბ., 1971; ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი გ., არმაზის საგანძური, თბ., 2007; Грузинское чеканное искусство, Тб., 1959. *გ. მალაშხია.*

ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲐᲓᲜᲔᲑᲘ, ბუნებრივი მინერალური წარმონაქმნები, რ-ებშიც ვერცხლისწყალი ისეთი რაოდენობით შედის, რომ მისი ამოღება ტექნიკურად შესაძლებელი და ეკონომიკურად მიზანშეწონილია. ვ. მ-ის ძირითადი მადნეული მინერალია სინგური HgS (86,2% Hg). სამრეწვ. ვ. მ-ში ვერცხლისწყლის შემცველობა მერყეობს 0,2-იდან 1%-მდე. ძირითადად წარმოიქმნება დაბალტემპერატურული ჰიდროთერმული ხსნარებიდან.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ვ. მ. ცნობილია აფხაზეთში (ახეის, ავადჰარის, ახახჩოს, აღურაფსთისა და ბითაგის საბადოები), სვანეთში (ენგურის ზემოწელი), მთიან რაჭაში (კოდისძირის, ტალახიანის, მამისონის, გომისა და სხვ. საბადოები), ჯავის მუნიციპალიტეტში (ერწოს საბადო, ყემულთის მადანგამოვლინება). *ვ. ჯავრიშვილი.*

ᲕᲔᲠᲫᲐᲫᲔ ნური მუსტაფას ძე (დ. 5. VI. 1939, ხელვაჩაური), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1996). საქართვ. პედ. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვ. წევრი (1996). 1966 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკტი. 1991–96 მუშაობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. უნ-ტის ზოგადი ფილოლ. კათედრის გამგედ. 1996–2002 იყო ამავე უნ-ტის რექტორი, 2004–05 – მ. აბაშიძის სახ. სამეცნ.-კვლ. ცენტრის დირექტორი. ვ-ის სამეცნ. კვლევის ძირითადი მიმართულებაა ქართ.-უკრაინულ-რუს. ენების ურთიერთშეპირისპირების, თარგმანისა და ზოგადსაენათმეცნიერო თეორ. საკითხები. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. მონოგრაფიები: ,,ლექსის ენა და თარგმანი'' (1989); ,,ქართული სიტყვის მადლით'' (1994); ,,ხმოვანება ეროვნული სულისა'' (1999); ,,ჩანაწერები მომავლისათვის'' (2001) და სხვ.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

ᲕᲔᲠᲫᲘ, ზოდიაქოს თანავარსკვლავედი, იხ. სტ. *ზოგიაქო.*

ᲕᲔᲠᲫᲝᲜᲔ (Verzone) პაოლო (1902, ქ. ვერჩელი, – 1986), იტალიელი ხელოვნების ისტორიკოსი. ადრინდ. შუა საუკუნეების რომანული, ბიზანტიური და აღმოსავლურქრისტიანული ხელოვნების მკვლევარი. ტურინისა და სტამბოლის პოლიტექ. ინ-ტების პროფესორი (1951–56). სხვადასხვა ქვეყნის მეცნ. აკად. და სამეცნ. საზ-ბათა წევრი. 1958-იდან ხელმძღვანელობდა არქეოლ. გათხრებს მცირე აზიაში (ქ. იერაპოლისი, ახლანდ. ფამუქკალე). 1971 იყო საქართველოში ქართ. ხუროთმოძღვრული ძეგლების გასაცნობად. გამოაქვეყნა ნარკვევები ქართ. ხელოვნების შესახებ (იტალ. ენაზე): ,,ქართული ხუროთმოძღვრება და რომანული ხუროთმოძღვრება'', ,,შუა საუკუნეების ქართული მინანქარი'' (ორივე კრებულში: ,,XX Córso di cultura sull'arte ravennate e bizantina'', Ravenna, 1973); 1977 ქართ. ხელოვნებისადმი მიძღვნილ მეორე საერთაშ. სიმპოზიუმზე (თბილისი – გელათი) წაიკითხა მოხსენება მცხეთის ჯვრის შესახებ.

თხზ.: L'architettura dall' alto medioèvo nell' Italia settentrionalle, 1942; L'arte preromanica in Liguria ed i relievi decorativi nei sècoli barbari, 1942; Werdendes Abendland, 1967. *ვ. ბერიძე.*

ᲕᲔᲠᲮᲕᲔᲚᲘ (ყოფ. ბ ე რ დ ო ხ ე ვ ი), სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის ზარიძეების თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ქართლის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ვერხველის (ქუსნოს ზემო დინება; ივრის აუზი) ნაპირას. ზ. დ. 1400 *მ*, თიანეთიდან 10 *კმ*. 44 მცხ. (2002).

ᲕᲔᲠᲮᲕᲘ (Populus), ფოთოლმცვივანი ორსახლიანი ხეების გვარი ტირიფისებრთა ოჯახისა. მისი სიმაღლე არის 30–45, ზოგჯერ 60 *მ*, სიგანე – 1–1,5 *მ* (იშვიათად 3 *მ*-საც აღწევს). ვ. ფართო ან პირამიდულვარჯიანი ხეა. ყვავილები ცილინდრულ მჭადა ყვავილედებად არის შეკრებილი. ყვავის ადრე გაზაფხულზე ფოთლების გაშლამდე ან ფოთლების გამოტანისთანავე. ხშირად ერთსა და იმავე ხეს სხვადასხვა ტოტზე სხვადასხვა ფორმის ფოთოლი გამოაქვს. ნაყოფი კოლოფია. ვ. მრავლდება თესლით, ძირკვის ამონაყრით, ფესვის ნაბარტყითა და კალმებით. გვარში 30 სახეობაზე მეტია. გავრცელებულია დედამიწის მხოლოდ ჩრდ. ნახევარსფეროში, ძირითადად ზომიერ სარტყელში; სახეობათა დიდი ნაწილი – მთელ ევროპაში, აზიაში, ჩრდ. ამერიკასა და აფრიკის ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებში.



ვერხვი. ვერხვი პირამიდული (Populus pyramidalis).

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ბუნებრივად იზრდება 7 სახეობა, მ. შ. *ოფი,* თეთრი *ხვალო* და მთრთოლავი ვ. (P. tremula) ფართოდაა გავრცელებული მთელ ქვეყანაში. ინტროდუცირებულ სახეობათაგან მოშენებულია კანადური, პირამიდული და ბალზმური ვ. იგი მრავალ სპონტანურ ჰიბრიდს იძლევა, ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი გამოყოფს ვ-ის 100-ზე მეტ სახეობას. ვ. ძირითადად იზრდება მდინარეთა გაყოლებით, ხევებსა და ტყისპირებზე, მეტწილად მთის ქვედა და შუა სარტყელში. ყველა სახეობა (მეტადრე ფართოვარჯიანი) სინათლისმოყვარულია, უმრავლესობა – ტენისა და სითბოსი, ვერ იტანს დაჭაობებას. ზოგიერთი სახეობა, მაგ., ტურანგი (P. euphratica), იზრდება დამლაშებულ ნიადაგზეც, ზოგიერთი კი ყინვაგამძლეა (ხვალო, მთრთოლავი ვ.). ვ. სწრაფმზარდია. ტენიან, დრენირებულ ნიადაგზე ვ-ის კორომი 80–90 წლის განმავლობაში *ჰა*-ზე 500–700 $მ^3$ მერქანს იძლევა. მერქანი თეთრი, მსუბუქი და რბილია, იყენებენ ქაღალდის, ასანთისა და საფანერო წარმოებაში. ქერქი შეიცავს მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებებს. ქერქისა და კვირტების ნახარშს ხალხ. მედიცინაში იყენებენ. არსებობს ვ-ის მაღალი წარმადობის მრავალი ბუნებრივი და ხელოვნური ჰიბრიდი. *გ. ვაჩნაძე.*

ᲕᲔᲠᲮᲕᲘᲐᲜᲘ, სოფელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კაკაბეთის თემში (კახეთის მხარე), გომბორის

ქედის სამხრ.-დას. კალთაზე. ზ. დ. 700 *მ*, საგარეჯოდან 25 *კმ*, ბადიაურიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 10 *კმ*. 540 მცხ. (2002).

ვერხვისმინდორი, სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გიორგეთის თემში (კახეთის მხარე), ალაზნის ვაკეზე. ზ. დ. 240 *მ*, ლაგოდეხიდან 21 *კმ*. 256 მცხ. (2002).

ვერხვისძირა (Leccinum aurantiacum, Boletus versipellis), ქუდიანი სოკო ბოლეტუსისებრთა ოჯახისა. მისი ქუდის დიამეტრი 20 *სმ* აღწევს; ქუდი ნახევარსფეროსებრია, შემდეგ კი ბალიშისებრი ხდება, ნარინჯისფერი ან ნარინჯისფერწითელია. ქუდის ქვედა მხარეს განვითარებულია წვრილმილებიანი შრე, რ-იც თავდაპირველად თეთრია, შემდეგ – ნაცრისფერი, ფეხის სიგრძე 20 *სმ*-მდეა, სისქე – 5 *სმ*-მდე, ძირისკენ მსხვილდება, მოთეთროა, ზედაპირი დაფარულია თეთრი, ყავისფერი ან შავი ქერცლით. რბილობი თეთრია, ჰაერზე თავდაპირველად ლურჯდება, შემდეგ – შავდება. ძირითადად იზრდება ნიადაგზე ვერხვნარებში, ზაფხულ-შემოდგომაზე გვხვდება სხვა ფოთლოვან და შერეულ ტყეშიც. საქართველოში ყველგანაა გავრცელებული, იყენებენ საკვებად. *ი. ნახუცრიშვილი.*



ვერხვისძირა (Leccinum aurantiacum, Boletus versipellis).

ვერხნიაია-აპიანჩა (1955-მდე – ზემო აფიანჩა), სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის წებელდის თემში (აფხაზეთის არ), აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. დიდი მაჭარის აუზში. ზ. დ. 500 *მ*, გულრიფშიდან 18 *კმ*.

ვერხნიაია-ეშერა (1955-მდე – ზემო ეშერა), სოფელი სოხუმის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში. თემის ცენტრი (სოფლები: ვ.-ე., ამბარიხუწა, აღდარა, აძიგეჟი, უაზაბაა). ზ. დ. 220 *მ*, სოხუმიდან 14 *კმ*. 738 მცხ. (1989).

სოფლის ტერიტორიაზეა ზედაცარცულ კირქვებში გამომუშავებული *აძაბის მღვიმე*, გვირაბი და ფარდული.

ვერხნიაია-იაშთხვა (1955-მდე – ზემო იაშთხვა), სოფელი სოხუმის მუნიციპალიტეტის თავისუფლების თემში (აფხაზეთის არ), აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში. ზ. დ. 150 *მ*, სოხუმიდან 5 *კმ*. 454 მცხ. (1989).

ვერხნიაია-მწარა (1955-მდე – ზემო მწარა), სოფელი გუდაუთის მუნიციპალიტეტის მწარის თემში (აფხაზეთის არ), აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. მწარის (ააფსთის მარცხ. შენაკადი) ზემოწელში. ზ. დ. 380 *მ*, გუდაუთიდან 18 *კმ*. 144 მცხ. (1989).

ვერხოვანი, ნასოფლარი თუშეთში (ახმეტის მუნიციპალიტეტის ომალოს თემი). ნასოფლარის განაპირას დგას გვიანდ. შუა საუკუნეების ფიქლით ნაგები ექვსსართულიანი კოშკი, რ-იც გადახურული ყოფილა ფიქლისავე ცალფერდა სახურავით. ძეგლი დაზიანებულია.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 2, თბ., 2004.

ვესელოვსკი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე [4(16). II. 1838, მოსკოვი, – 10(23). X. 1906, პეტერბურგი), ლიტერატურის ისტორიკოსი, ფოლკლორისტი, პეტერბურგის უნ-ტის პროფესორი (1878), პეტერბურგის მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1880). შედარებით-ისტ. ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. თავდაპირველად მითოლ. სკოლის მიმდევარი იყო, თუმცა მის ზოგიერთ კონცეფციას არ იზიარებდა. ვ-ს პირველი დიდი ნაშრომი, რ-იც შედარებით-ისტ. მეთოდის საფუძველზე შეიქმნა, იყო ,,სლავური თქმულებები სოლომონსა და კიმოვრასზე'' და ,,დასავლური ლეგენდები მეროლფსა და მერლინზე'' (1872). შემდეგ ვ-მ გამოაქვეყნა ფუნდამენტური შრომები ბოკაჩოს, დანტეს, პეტრარკას, პუშკინის, ჟუკოვსკის შემოქმედების შესახებ. ლიტ-რისა და ხელოვნების გენეზისისა და ევოლ. პრობლემის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ,,სიუჟეტების პოეტიკა'' (1897) და,,ისტორიული პოეტიკის სამი თავი'' (1899).

ვ. მასალას კრებდა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ზეპირსიტყვიერებიდან. იგი იცნობდა და თავის შრომებში იყენებდა ქართ. მითოლოგიასა და ფოლკლორს.

თხზ.: Собр. соч., т. 1–6, 8, 16, СПб.–М.–Л., 1908–38 (დაუმთავრებელია); Историческая поэтика, изд. В. М. Жирмунского, Л., 1940.

ლიტ.: Гусев В. Е., А. Н. Веселовский и проблемы фольклористики, «Известия АН СССР. Отделение литературы и языка», 1957, т.16, в. 2. *ჯ. ბარდაველიძე.*

ვესიოლოვკა (1955-მდე – სალხინო), სოფელი გუდაუთის მუნიციპალიტეტის ანუხვის თემში (აფხაზეთის არ), ივერიის მთის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 340 *მ*, გუდაუთიდან 27 *კმ*, ახალი ათონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 12 *კმ*. 86 მცხ. (1989).

ვესკონტე (Vesconte) პიეტრო, XIV ს. ვენეციელი კარტოგრაფი, ითვლება ამ დარგის ერთ-ერთ პირველ პროფესიონალად. ვ-ს ეკუთვნის როგორც *პორტოლანები* (საზღვაო რუკები), ასევე მსოფლიოს სხვადასხვა რუკები.

1320 შავი ზღვის პორტოლანზე ვ. საქართვ. სანაპიროსთან ათავსებს ორ დროშას. სებასტოპოლისთან (სოხუმთან) დატანილ დროშაზე გამოსახულია ერთი დიდი ჯვარი, ხოლო ოთხ მინდორში მოთავსებულია ოთხი შავი წერტილი. ფაზისთან (ფოთთან) აღმართულია მეორე, ერთჯვრიანი დროშა. შესაძლოა ვ. აქ დას. და აღმ. საქართველოს სამეფოების დროშებს გვთავაზობდეს.

ვ-ს 1320 მსოფლიოს რუკაზე შავი ზღვა, ისევე როგორც ხმელთაშუა ზღვის სივრცე, ლამის თანამედროვე სიზუსტით არის დატანილი. კასპიის ზღვა პირველად პტოლემაიოსის შემდეგ, მსოფლიო ოკეანეს აღარ უკავშირდება. ,,რკინის კარიბჭე''-დერბენდი და კასპიის მთები ვ-სთან კორექტულადაა მოთავსებული შავ და კასპიის ზღვებს შორის. გოგისა და მაგოგის ხალხები ვ-მ უკიდურეს აღმოსავლეთში, ოკეანესთან გადაანაცვლა. შავ და კასპიის ზღვებს შორის გაირჩევა სამი წარწერა: ორჯერ – Georgia, ერთხელ – Colcia. არ არის გამორიცხული, ვ-ს ორი საქართველო და ერთი კოლხეთი აღნიშნავდეს დას. საქართველოს, აღმ. საქართველოს და სამცხეს. ვ-ს რუკაზე კოლხეთის აღნიშვნის ფაქტი იძლევა კიდევ ერთ საბუთს, რომ ანტ. კოლხები დასავლეთევროპელებისათვის უშუალოდ შუა საუკუნეების ქართველებთან ასოცირდებოდნენ.

ლიტ.: თვარაძე ა., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (XII–XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე), თბ., 2004; Almagia R., Monumenta cartographica Vaticana, t. 1, 1944; Portulane, Seekarten vom 13. bis zum 17. Jahrhundert, hrsg. von Monique de la Roncière und Michel Mollat du Jourdin, Münch., 1984. *ა. თვარაძე.*

ვესპასიანე (Vespasianus) ტიტუს ფლავიუს (17. XI. 9, რეატეს მახლობლად, – 24. VI. 79, იქვე), რომის იმპერატორი (69–79), ფლავიუსების დინასტიის დამაარსებელი. ვ-ს დროს ჩაახშვეს აჯანყება პონტო-კოლხეთში. მან ლეგიონერთა ძლიერი რაზმი გაგზავნა სარდალ ვირდიუს გემინუსის მეთაურობით (იხ. *ანიკეტეს აჯანყება*).

ახ. წელთაღრიცხვის დასაწყისში (ვ-სა და მისი მემკვიდრეების დროს) ურთიერთობა რომსა და

იბერიის შორის მეგობრულ-სამოკავშირეო იყო. ამაზე მეტყველებს 1867 მცხეთაში ნაპოვნი სამშენებლო ქვა მასზე 75 წელს ამოკვეთილი ბერძნ. წარწერით: ,,იმპერატორმა კეისარმა ვესპასიანე ავგუსტოსმა... და იმპერატორმა ტიტე კეისარმა, ავგუსტოსის ძემ და დომიციანე კეისარმა, ავგუსტოსის ძემ იბერთა მეფეს მითრიდატეს, მეფე ფარსმანისა და იამასასპოს ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს, და ხალხს – ეს კედლები განუმტკიცეს''.

წყარო: სვეტონიუს გაიუს ტრანკვილიუსი, თორმეტი კეისრის ცხოვრება, თარგმნა მ. გულიაშვილმა, თბ., 1994.

ლიტ.: სანიკიძე ლ., რომის იმპერია, თბ., 1984; წერეთელი გ., მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა, თბ., 1958; Ковалев С. И., История Рима, [Л.], 1948; Штаерман Е. М., Кризис 68–69 гг. и деятельность Веспасиана, «Вестник древней истории», 1951, №3.

ლ. სანიკიძე.

ვესტი (West) რიჩარდ (დ. 2. X. 1941, კოპენჰაგენი), დანიელი ასტრონომი. 1970–2005 იყო ევრ. სამხრ. ობსერვატორიის (გარხინგი, მიუნხენის მახლობლად) უფრ. მეცნ. მუშაკი და განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საერთაშ. ასტრონ. კავშირის გენ. მდივანი (1979–82). კოპენჰაგენის უნ-ტის დამთავრების შემდეგ ვ. სტაჟირებას გადიოდა აბასთუმნის ასტროფიზ. ობსერვატორიაში (1964). მისი თაოსნობით შედგენილია სამხრ. ცის ატლასი. აღმოაჩინა 4 კომეტა და 500-მდე მცირე ცთომილი. მისი, როგორც პირველაღმომჩენის, უფლებითა და ინიციატივით საერთაშ. ასტრონ. კავშირის ნომენკლატურულმა კომისიამ ზოგიერთ აღმოჩენილ ციურ ობიექტს მიანიჭა ვ-ისთვის პატივსაცემ ადამიანთა და ქალაქთა სახელები: *გუდიაშვილი, მცხეთა, ყაზბეგი, ხარაძე* და სხვ., 1990–94 ვ-მა დახმარება აღმოუჩინა ქართვ. ასტრონომებს გამოთვლითი და დაკვირვებებისათვის განკუთვნილი ტექნიკით, გრანტებით და სხვ. 1997 აირჩიეს საქართველოს საპატიო მოქალაქედ.

თ. ბორჩხაძე.

„ვესტნიკ ვოზროჟდენია“, იხ. *„ვოზროჟდენიე“*.


ვეტერინარია (ლათ. veterinarius – საქონლის მომვლელი, მკურნალი), ვეტერინარული მედიცინა, მეცნიერებათა სისტემა, რ-იც შეისწავლის ცხოველთა დაავადებებს, მათი თავიდან აცილებისა და მკურნალობის მეთოდებს, ცხოველთა პროდუქტიულობის გადიდების საკითხებს, შეიმუშავებს ადამიანის დაცვის ღონისძიებებს ცხოველისა და ადამიანის საერთო დაავადებებისაგან.

ცნობები ცხოველთა დაავადებისა და მკურნალობის შესახებ ძვ. წ. IV ათასწლეულს განეკუთვნება. ძვ. საბერძნეთში ცხოველებს მკურნალობდნენ ე. წ. ჰიპიატრები (hippos – ცხენი და latros – ექიმი). პირველად ტერმ. ,,ვეტერინარია'', იხმარა რომაელმა აგრონომმა და მეცნ. კოლუმელამ (ახ. წ. I ს.). 1761 ფრანგმა კ. ბურჟელამ დააარსა პირველი უმაღლესი ვეტ. სკოლა. 1807 კოპენჰაგენში შეიქმნა პირველი ვეტ. საზ-ბა, 1863 ქ. ჰამბურგში (გერმანია) ჩატარდა პირველი საერთაშ. ვეტ. კონგრესი. 1808–83 პეტერბურგში ფუნქციონირებდა სამედ.-ქირურგ. აკადემიის ვეტგანყოფილება. რუს. ვ-ს აღიარება მოუპოვა ი. კაიდანოვის (1779–1855), ვ. ვსევოლოდოვის (1790–1867), ხ. გელმანის (1846–1902), კ. სკრიაბინის (1878–1972) და სხვათა შრომებმა. XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში სავეტერინარო დაწესებულებების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. 1977 გამოუშვეს 150-ზე მეტი დასახელების ვაქცინა (69), ჰიპერიმუნური შრატი და გლობულინი (16). სსრკ-ში ვეტსამსახურს ხელმძღვანელობდა სოფ. მეურნ. სამინისტრო.

დასავლეთის ქვეყნებში ვეტსაქმის ორგანიზაციას 3 ფორმა ჰქონდა: სახელმწიფო და კერძო ვეტმომსახურება და დაზღვევის ვეტსაქმე. მსოფლიოს მეცნიერები გაერთიანებული იყვნენ საერთაშ. ვეტასოციაციაში.

საქართველოში კარაბადინის სახით შემორჩენილ ქართ. ხელნაწერებში, რ-ებიც ძირითად XVII–XIX სს. განეკუთვნება, აღწერილია ცხოველთა სხვადასხვა დაავადება, მათი მკურნალობის მეთოდები და საშუალებები. საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გამოვლენილი და აღწერილია ცხოველის სამკურნალო 47 ქართ. ხელნაწერი წიგნი, რ-თაგან 35 ეხება ცხენის დაავადებათა მკურნალობას. ერთ წიგნში (ფრაგმენტებში) ძაღლის მოშენება, დაგეშვა და მკურნალობაა აღწერილი, 9 ხელნაწერში – ფრინველის მოშენება და დაავადების მკურნალობის საკითხები. 2 ხელნაწერი ვეტრეცეპტურაა: *ვახტანგ VI-მ, ბაგრატ ბატონიშვილმა, იოანე ბატონიშვილმა* და სხვ. დიდი წვლილი შეიტანეს ცხოველის სამკურნ. ხელნაწერი წიგნების შედგენასა და გავრცელებაში. 1818 ბაგრატ ბატონიშვილმა (ბაგრატიონი) პეტერბურგში, კერძო სტამბაში, საკუთარი სახსრებით გამოსცა თავისივე გადმოკეთებული (ქართულად) და შეკრებილი წიგნი ,,სამკურნალო ცხენთა და სხვათა პირუტყვთა''. ეს იყო პირველი ქართ. ვეტ. წიგნი.


XIX ს. 60-იან წლებში საქართველოში დაარსდა პირველი ვეტსამკურნალო დაწესებულება და დაიწყო ბრძოლა ეპიზოოტიებთან. 1877 საქართველოში მუშაობდა 4 ვეტექიმი და 20 ვეტფერშალი. 1899-მდე ვ. ექვემდებარებოდა კავკ. სამოქალაქო უწყების სამედ. ნაწილის სამმართველოს, 1899 შეიქმნა კავკ. სამოქალაქო უწყების ვეტნაწილის სამმართველო. 1907 თბილისში დაარსდა ამიერკავკასიაში პირველი ვეტლაბორატორია, რ-მაც საქართველოში გამოავლინა მსხვილფეხა საქონლის პასტერელოზი. 1913 აქვე მომზადდა ჯილეხის (ციმბირული წყლული) საწინააღმდეგო ცენკოვსკის ვაქცინა. 1907–17 თბილისში არსებობდა ,,ამიერკავკასიის ვეტერინარული საზოგადოება'', რ-მაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ვ-ის განვითარებაში. 1913 საქართველოში უკვე არსებობდა 5 ვეტსამკურნალო და 31 ვეტამბულატორია, სადაც მუშაობდა 104 ვეტექიმი და 155 ვეტფერშალი. 1918 მ. ფარცვანიძის ინიციატივით ქუთაისში დაარსდა მსხვილფეხა საქონლის ჭირის საწინააღმდეგო სადგური, რ-იც 1919 სოფ. ტაბახმელაში გადმოიტანეს. შემდეგ შეიქმნა საკავშ. დაქვემდებარების საქართვ. ბიოკომბინატი. იგი ამზადებდა თურქულის, ემფიზემური კარბუნკულის (ემკარის), ცოფის ფენოლალურ და კულტურალურ, ფრინველთა ჭირის, ლარინგოტრაქეიტის, სალმონელოზის ვაქცინებს, პულორულ ანტიგენს, პასტერელოზის საწინააღმდეგო შრატს. 1919 კ. ფარეიშვილის ინიციატივით ჩამოყალიბდა ქართ. ვეტ. საფერშლო სკოლა. 1928 თბილისში გაიხსნა სავეტერინარო ტექნიკუმი, 1929 – სახელმწ. სამეცნიერო ექსპერ. ვეტ. ინ-ტი; 1932 დაარსდა საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო ინ-ტი, 1959 – საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო სასწ.-კვლევითი ინ-ტი, რ-იც ზოოინჟინრებს და ვეტე-



რ. ვესტი.

ქიმებს ამზადებდა. 1968 თბილისში შეიქმნა ვეტსანიტარიის საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის საქართველოს საყრდენი პუნქტი, რ-იც გადაკეთდა ამიერკავკ. განყ-ბად; მოგვიანებით კი შეუერთდა საქართვ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. სისტემას. აღნიშნულ დაწესებულებაში იკვლევდნენ საქონლისა და ფრინველის ბინების აეროზოლური დეზინფექციის, ზოოჰიგიენის, რძის სანიტარიის, მიკოლოგიის საკითხებს. რესპ. მეცხოველეობას სერიოზულ ეკონ. ზარალს აყენებდა სას.-სამ. ცხოველთა ინფექციურ-ინვაზიური და არაგადამდები დაავადებანი, რ-თაგან ზოგი ლიკვიდირებულ იქნა, ზოგიც – მკვეთრად შემცირებული (იხ. *დაავადებები სასოფლო-სამეურნეო ცხოველისა*).

XX ს. ბოლოსა და XXI ს. დასაწყისში 3. საგრძნობლად განვითარდა. 2002 საქართველოში იყო 639 ვეტდაწესებულება, სოფ. მეურნ. და სურსათის სამინისტროს ვეტდეპარტამენტი მასზე დაქვემდებარებული ვეტსამსახურებით – აფხ. და აჭარის ვეტდეპარტამენტები შესაბამისი სტრუქტურებით, მხარეებში – ვეტ. ინსპექციები, ვეტდიაგნოსტიკისა და ექსპერტიზის ეროვნ. ცენტრი, ვეტექსპედიცია, თბილ. ვეტ. გაერთიანება შესაბამისი სტრუქტურებით, რუსთავის, ქუთაისის, ფოთის ვეტსამმართველოები შესაბამისი სტრუქტურებით, სასაზღვრო-სატრანსპ. ვეტსანიტარიული ზედამხედველობის სამმართველო მასში შემავალი სასაზღვრო-სატრანსპ. 26 ვეტუბნით და სასაზღვრო-საკონტროლო 10 ვეტუბნით, 65 სავეტერინარო სადგური, 391 ვეტუბანი, 58 ვეტსანიტ. ექსპერტიზის ლაბორატორია, 32 სანიტ. ვეტლაბორატორია, 1 ვეტსანიტარიული სადგური; სახელმწ. ვეტ. ქსელში 2203 ვეტექიმი და 363 ვეტფერშალი მუშაობდა. საქართველოში იყო კომერციული სტრუქტურების შ.პ.ს. ,,ვეტბიოფარმის'' და ვეტ. კორპორაციის ,,ვიტ-ჯორჯიას'' სისტემებში შემავალი ვეტაფთიაქების ფართო ქსელი, ასევე კერძო საკუთრების აფთიაქები (1921-მდე საქართველოში სავეტერინარო აფთიაქი მხოლოდ თბილისში იყო).


ა. ვეფხვაძე.

3-ის დარგში მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს სას.-სამ. ცხოველთა, ფრინველთა და ფუტკრის სხვადასხვა ინფექციური, ინვაზიური დაავადებანი. მათი აღმძვრელების ბიოლოგია, დაავადებათა გადამტანები, დაავადებათა ეპიზოოტოლოგია, პათოგენეზი, დამუშავებულია და სისტემატურად უმჯობესდება მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები და საშუალებები. შესწავლილია აგრეთვე სას.-სამ. ცხოველთა ანატომიის, ჰისტოლოგიის, ფიზიოლოგიის, პათოფიზიოლოგიის, ბიოქიმიის, პათანატომიის, ქირურგიის, ფარმაკოლოგიის, ტოქსიკოლოგიის სას.-სამ. ცხოველთა შინაგან არაგადამდებ და გინეკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და თერაპიის, ზოოჰიგიენის, ეპიზოოტოლოგიის, ვეტეკონომიკისა და 3-ის ისტ. საკითხები.

საქართველოში ყოველწლიურად მიმდინარეობდა სას.-სამ. ცხოველთა დიაგნოსტიკური გამოკვლევა, პროფილაქტიკური აცრა, დეჰელმინთიზაცია, სამკურნ. პროფილაქტიკური დამუშავება, მეცხოველეობის პროდუქტებისა და საკვების ექსპერტიზა, ვეტსპეციალისტები იბრძოდნენ მეცხოველეობის ფერმების ვეტსანიტარიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ახორციელებდნენ მოსაზღვრე ქვეყნებიდან ცხოველთა დაავადებების შემოტანის საწინააღმდეგო საკარანტინო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, ეწეოდნენ მოსახლეობაში ვეტ. მეცნ. ცოდნის პროპაგანდას.

საქართველოში ვეტდაწესებულებათა დაარსებაში სამეცნ.-კვლ. მუშაობის ორგანიზაციასა და განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით: შ. *არაგვისპირელს*, დ. *ახმეტელს*, გ. ბედენაშვილს, პ. ბურჯანაძეს, გ. *გოდერძიშვილს*, ი. *კვაჭაძეს*, ი. კვესიტაძეს, ლ. *ლეონიძეს*, ი. *მათიკაშვილს*, ვ. *მამათელაშვილს*, მ. ნათიძეს, ჯ. ნაჭყებიას, ი. სადათერაშვილს, კ. ფარეიშვილს, მ. *ფარცვანიძეს*, თ. *ყურაშვილს*, ვ. *შამათავას*, შ. *ჩხარტიშვილს* და სხვ.

2005 წ. დეკემბერში მიღებულ იქნა კანონი ,,სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ''. სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა სურსათის უვნებლობის, ვეტ. და მცენარეთა დაცვის სამსახური (ახლანდ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნ. სააგენტო), რასაც მოჰყვა ვეტ. რეფორმა. შედეგად ძირეულად შეიცვალა ადრე არსებული ვეტ. დეპარტამენტის სტრუქტურა. ვეტ. მომსახურება ძირითადად გახდა ფასიანი, ცხოველთა დაავადებების მკურნალობა და პროფილაქტიკა ტარდება ცხოველის მეპატრონის ხარჯით.

ლიტ.: ყ ურ ა შ ვ ი ლ ი თ., კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე მ., ვეტერინარია, თბ., 2013; К а п а н а д з е К. С., К истории ветеринарии в Грузии, Тб., 1960; მ ი ს ი ვ ე, Развитие ветеринарии в Грузии за годы Советской власти, Тб., 1965.

კ. კაპანაძე. თ. ყურაშვილი.

ვეტერინარული განათლება, იხ. სტ. *სასოფლო-სამეურნეო განათლება*.

ვეფიკ-ფაშა (Vefik Paşa) აჰმედ (3. VII. 1823, სტამბოლი, – 2. IV. 1891, იქვე), თურქი მწერალი, მეცნიერ-ისტორიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე. განათლება მიიღო პარიზში. იყო თურქეთის ელჩი თეირანსა და პარიზში, იუსტიციისა და განათლების მინისტრი, ედირნეს ვალი, ორჯერ ეკავა დიდვეზირის (პრემიერის) პოსტი. თურქულად თარგმნა ფრანგ და სხვა ევრ. კლასიკოსთა (უ. შექსპირი, ფ. შილერი, ფ. ფენელონი, მოლიერი, ვოლტერი და სხვ.) ნაწარმოებები. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე თურქ. სალიტ. ენის ძირეული რეფორმის განხორციელებაში. 1875 აირჩიეს პეტერბურგის მეცნ. აკად. წევრად. 3.-ფ-ს ეკუთვნის ,,ოსმალეთის ისტორია'' (1869), სადაც ამბები გადმოცემულია სახელმწიფოს დაარსებიდან 1789-მდე. მის თხზულებაში არაერთი საყურადღებო ცნობაა საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ.

ლიტ.: შ ე ნ გ ე ლ ი ა ნ., XV–XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974.

ნ. შენგელია.

ვეფხვაძე ალექსი ივანეს ძე (1. VI. 1931, თბილისი, – 17. XII. 1982, იქვე), ფერმწერი. საქართვ.


ა. ვ ე ფ ხ ვ ა ძ ე. ,,დღეს პორტრეტი''. 1979.

დამს. მხატვარი (1965). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1945, უ. ჯაფარიძის კლასი) და ლენინგრადის ი. რეპინის სახ. სამხატვრო ინ-ტი (1948). მნიშვნელოვანი ნამუშევრები: ,,ბაგრატიონის დაჭრა ბოროდინოს ბრძოლაში'' (1948), ,,ი. ბ. სტალინის გადასახლება ბათუმიდან 1903 წელს'' (1949; სტალინური პრემია, 1951). ,,კ. მარქსი და ნ. ნიკოლაძე'' (1957) (ყველა – შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმი, თბილისი) ,,დღეს პორტრეტი'' (1979) და სხვ.

ვეფხვაძე თეიმურაზ ვალერიანის ძე (დ. 1. III. 1944, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1996). დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი (1966). 1970–94 მუშაობდა თსუ-ში ზოგადი და უმაღლესი მათ. კათედრებზე, 1995–2006 – ფიზ. ფაკ-ტზე, 2006-იდან – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნ. ფაკ-ტზე, 1996-იდან (შეთავსებით) – პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრ. ინ-ტში. 2001–05 იყო საქართვ. მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტი. 3-ის კვლევის ძირითადი მიმართულებაა: რიცხვთა წარმოდგენა დადებითად განსაზღვრული კვადრატული ფორმებით და მასთან დაკავშირებული საკითხები კვადრატულ ფორმათა ანალიზური არითმეტიკიდან. ლიუვილის ცნობილი ფორმულების დამტკიცებისათვის (1965) 3-მ მიიღო პირველი პრემია სტუდენტთა ნაშრომების საკავშ. კონკურსზე (1966).

ვეფხვაძე ივანე ალექსის ძე (18. II. 1888, თბილისი, – 13. IV. 1971, იქვე), ფერმწერი. საქართვ. სახ. მხატვარი (1965). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1928), მისი პედაგოგები იყვნენ გ. გაბაშვილი და ე. ლანსერე. შემოქმედების პირველ პერიოდში ხატავდა ძვ. თბილისის ამსახველ კამერულ სურათებს: ,,მზითევის გადატანა'' (1918, კერძო კუთვნილება), ,,თავადები და მედუქნე'', ,,თბილისელი ვაჭრები'' (ორივე 1918, კერძო კუთვნილება), ,,ძველი თბილისი'' (1930) და სხვ. სურათების გარდა (პორტრეტები, პეიზაჟები, ინტერიერები), 3. ხატავდა ფერწერულ აბრებსა და კინოპლაკატებს (იყო ერთ-ერთი პირველი კინოპლაკატისტი). თბილ. აღმასკომის მუზეუმის დაკვეთით [ამჟამად ი. გრიშაშვილის სახ. თბილ. ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა)] 1927–30 მონაწილეობდა ძვ. თბილისისადმი მიძღვნილი ნახატების სერიის შექმნაში (,,ძველი თბილისის პეიზაჟები''). საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ზოოლ. განყ-ბისათვის შეასრულა სავიტრინე პეიზაჟი – პანორამა (ამჟამად ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმი). შემდგომში შექმნა რევ. მოღვაწეთა პორტრეტები. ბოლო პერიოდში მიმართა ისტ.-რევ. და ჟანრულ თემებს: ,,გენერალ-პოლკოვნიკი კ. ლესელიძე სვანეთის მთებში'' (1942), ,,სამგორის მშენებლობაზე'' (1948) და სხვ.



ი. ვეფხვაძე. ,,შოთა რუსთაველი ვარძიაში''. 1965. კერძო კოლექცია.

ვეფხვაძე კონსტანტინე ფარნაოზის ძე (7. IV. 1898, სოფ. ზვარე, ახლანდ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, – 29. XII. 1974, თბილისი), ონკოლოგი, მეცნ. ონკოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში. მედ. მეცნ. დოქტორი (1938). პროფესორი (1939), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1924 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1945–74 განაგებდა თბილ. ექიმთა დახელოვნების სახელმწ. ინ-ტის ონკოლოგიის კათედრას. 3-ის სამეცნ. შრომები ეძღვნება თეორ. და კლინ. ქირურგ. და ონკოლოგიის აქტუალურ საკითხებს. იკვლევდა ავთვისებიანი სიმსივნეების, კერძოდ, სარძევე ჯირკვლისა და ძვლის კიბოს წარმოქმნის, განვითარების, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის, აგრეთვე ავთვისებიანი სიმსივნეების ეპიდემიოლოგიისა და სამრეწვ. ტრავმატიზმის საკითხებს. შეადგინა ზოგადი ქირურგ. პირველი სახელმძღვანელო ქართ. ენაზე (1933). იყო საქართვ. და თბილ. ონკოლოგთა სამედ.-სამეცნ. საზ-ბის თავ-რე (1955–74). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ლულოვანი ძვლების ოსტეოგენური სარკომები, თბ., 1936; კიბო, თბ., 1948; ავთვისებიანი სიმსივნეები, თბ., 1952; ონკოლოგია, თბ., 1967 (მე-2 გამოც. – 1975).



ი. ვეფხვაძე.

ვეფხვაძე ნინო რევაზის ასული (დ. 6. XII. 1956, თბილისი), ექიმი–რადიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1999). 1979 დაამთავრა თსსი. 1986–87 იყო თბილ. ენდოკრინოლოგიური დისპანსერის რადიოიზოტოპური დიაგნოსტიკის ლაბორატორიის გამგე; 1996–2007 – თსსუ-ის პრევენციული მედ. კათედრის გემგე, საზ. ჯანდაცვის კათედრის პროფესორი; 2007-იდან – პრევენციული მედ. დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 2009-იდან სრული პროფესორი. საქართვ. ეკოლოგიურ მეცნ. აკად. წევრი (1995); საქართვ. პროფილაქტიკური მედ. მეცნ. აკად. პრეზიდენტი (2009).

3-ის კვლევის ძირითადი მიმართულებაა – გარემოს რადიაციული ფონის, გარემოში რადიონუკლიდების მიგრაციისა და ონკოლოგიურ სნეულებათა ეპიდემიოლოგიის საკითხები. 3-ის მიერ თანაავტორებთან ერთად შედგენილია საქართველოს რადიაციული რუკა.

3. არის სკრანტონის (აშშ, პენსილვანია) უნ-ტის საპატიო პროფესორი (2000); ამერიკის ბიოგრ. ინ-ტის (American Biographical Institute) პროფესიონალ ქალთა მრჩეველთა საბჭოს (Professional Women's Advisory Board) საპატიო წევრი (2005); თსსუ-ის აკად. საბჭოს წევრი (2006-იდან).



რ. ვეფხვაძე.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. და სასწავლო-მეთოდოლოგიური ნაშრომი, მ. შ. 1 მონოგრაფია:,,კიბოს პრევენცია და ადრეული აღმოჩენა'' (2006); სახელმძღვანელოები – ,,ჰიგიენა'' (1998); ,,პრევენციული მედიცინა'' (2009), ,,ჰიგიენა და სამედიცინო ეკოლოგია'' (2013) და სხვ.

ვეფხვაძე რევაზ იასონის ძე (14. V. 1926, თბილისი, – 27. XII. 2001, იქვე), რენტგენოლოგ-რადიოლოგი და ონკოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1969), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1986). საქართვ. მედ.(1997), სამედიცინო-ბიოლოგიურ (1997) და ეკოლ. მეცნ. აკად. (1998) წევრი. 1948 დაამთავრა თსსი. 1955–58 მუშაობდა თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის რენტგენო-რა-

დიოლოგიის კათედრაზე. 1958–66 იყო რადიოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის რადიოიზოტოპური დიაგნოსტიკის ლაბორ. ხელმძღვანელი, 1972–77 – დირექტორი, 1989-იდან – ონკოლოგიის სამეცნ. ცენტრის დირექტორი, 1999-იდან – ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავ-რე, 1972–2001 – საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს მთ. რადიოლოგი, საქართვ. რენტგენოლოგ-რადიოლოგთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე. დააარსა საქართვ. თერმოგრაფისტთა სკოლა. 3. იკვლევდა ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკისა და სხივური მკურნალობის აქტუალურ საკითხებს. შესწავლილი აქვს ადამიანის და ცხოველის სასიცოცხლო ორგანოების დასხივების შემდგომი გართულებები, მათი პროფილაქტიკისა და მკურნალობის მეთოდები. შეიმუშავა და პრაქტიკაში დანერგა სხივური თერაპიის ოპტიმიზაციის, თერმოდიაგნოსტიკისა და რენტგენოგრაფიის მეთოდები და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1997).

თხზ.: გამათერაპია, თბ., 1980; Лучевые осложнения почек, Тб., 1967; Медицинская термография, Тб., 1975.



ვეფხვი (Panthera tigris).

ვეფხვი (Panthera tigris), მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახისა. არსებობს 3 ქვესახეობა: ამურული (P. t. altaica), კორეული და თურანული (P. t. virgata), 3-ის სხეულის სიგრძე – 290 *სმ*, კუდისა – 110 *სმ*, მასა 320 *კგ* აღწევს. სხეული მოყვითალო და შავზოლებიანია. გავრცელებულია შუა აზიაში, კასპიის ზღვის სანაპიროზე – ლენქორანში, თალიშში, თურანსა და ირანში. საქართველოში თურანული 3-ის შემოსვლის რამდენიმე შემთხვევაა აღრიცხული. XVIII ს-ში ორი 3. მოკლეს ჭარ-ბელაქანში, ერთი – ახმეტის მახლობლად, ერთიც – 1922 თბილისთან ახლოს, სოფ. ლელობთან. 3. ბინადრობს ტყე-ბუჩქნარიან მდინარის სანაპირო, უფრო ტუგაის ტიპის ტყეში. იკვებება გარეული და შინაური ცხოველებით, თავს ესხმის ადამიანსაც. 4 წლიდან 3. მრავლდება ორ წელიწადში ერთხელ. მძუნაობს დეკემბერ-იანვარში, მაკეობა 112 დღ-ღ-მდე გრძელდება, მაისში შობს 2–4 ბოკვერს. ერთი თვის ბოკვრები უკვე დედას დასდევენ და ნადირობაში იწვრთნებიან. 3. უძვირფასესი ზოოლ. ექსპონატია. რაოდენობრივი სიმცირის გამო შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის წითელ წიგნში.

ა. არაბული.

ვეფხვის დატირება, მონადირეთა უძველესი ჩვეულება, ტოტემისტური რწმენის გადმონაშთი: მონადირე თითქოს ნანობს ნადირის მოკვლას, ბოდიშს იხდის მის წინაშე. ვეფხვს რამდენი ზოლიც ჰქონდა, იმდენი დატირება უნდა თქმულიყო. 3. დ-ის ტექსტი შემორჩენილია ლექს-ფორმულების სახით.

ლიტ.: ვირსალაძე ე., ქართული სამონადირო ეპოსი, თბ., 1964.

ნ. შამანაძე.

„ვეფხი და მოყმე“, იხ. *„ლექსი ვეფხისა და მოყმისა“*.

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია, დაარსდა 1962 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან. 1985-იდან შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტერატურის ინ-ტის შემადგენლობაში იყო. ამზადებს „ვეფხისტყაოსნის“ აკად. გამოცემას 10 ტომად – მასში შევა ძირითადი და ჩანართ-დანართი სტროფების ტექსტი ვარიანტებით, ტექსტოლ. შენიშვნებით, კომენტარებითა და სიმფონია-ლექსიკონით. მთავარმა რედაქციამ 1984 დაამთავრა პოემის ტექსტის დადგენა. ტექსტი 1988 დაიბეჭდა მასობრივ გამოცემად (ჩანართ-დანართი სტროფებისა და სამეცნ. აპარატის გარეშე, თანამედროვე ორთოგრაფიით). კომისიას აქვს ქართ. ლექსიკის ამსახველი მდიდარი კარტოთეკა (5 მლნ-ზე მეტი ბარათი). გამოცემულ წიგნთაგან აღსანიშნავია: შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ (რედ. გ. წერეთელი და ი. აბაშიძე; 1966); ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია (ტ. 1, 1970); გ. წერეთელი, „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“ (1973).

1985-მდე კომისიის თავ-რე იყო ი. აბაშიძე; 1985–92 – ს. ცაიშვილი; 1992–94 – ა. ბარამიძე. მთ. რედაქტორები: გ. წერეთელი (1962–73), ა. ბარამიძე (1973–94). 1997–2006 კომისიას ხელმძღვანელობდა თ. გამყრელიძე.

2006-იდან საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიასთან არსებობს აკად. გ. წერეთლის სახ. „ვეფხისტყაოსნის“ აკად. გამოცემისა და „ქართული ენის თესაურუსის“ კომიტეტი („რუსთაველის კომიტეტი“, თავ-რე თ. გამყრელიძე). მუშაობა მიმდინარეობს „ქართული ენის თესაურუსის“ (ქართული ენის დოკუმენტირებული ლექსიკონი) ელექტრონულ ვერსიაზე.

გ. კარტოზია.

ვეფხისციხე, ისტორიული სოფელი კახეთში, გაღმა მხარში. XVIII ს. 60-იან წლებში ლომისციხესთან ერთად ერეკლე მეფემ დაასახლა იმ სოფლების გადარჩენილი მოსახლეობით, რ-ებიც ლეკებმა დაარბიეს. მდებარეობდა ყვარლის სამხრ.-დას-ით 1/2 *კმ*-ზე. ათწლოვანი შრომის შედეგად მოახალშენეებმა შეძლეს სამეურნეო ცხოვრების აღდგენა. 3. სამეფო მფლობელობის სოფელი იყო, რ-საც მოურავი დავით ჩოლოყაშვილი განაგებდა. იხსენიება 1802 კახეთში დაწყებული ცნობილი მოვლენების დროს, როდესაც კახეთის მოსახლეობამ გაუქმებული ქართ. სახელმწ. აღდგენა სცადა – კარის მრჩეველი კარნეევი და გენ.-მ. გულიაკოვი მეამბოხე თავადის დავით ჩოლოყაშვილის შესაპყრობად მივიდნენ, მაგრამ იგი გაქცეული დახვდათ. 1804 წ. კამერალური აღწერით საბატონო და საეკლ. მფლობელობის სოფელია.

წყარო: გოულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის თარგმ. და გამოც., ტ. 1, თბ., 1962; Акты, собранные Кавказской археографической комиссией (АКАК), т. 1, Тфл.,1866.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

ზ. ცინცაძე.

ვექილი (არაბ. ვაქილ), რწმუნებული, მეურვე, მზრუნველი ფეოდალურ საქართველოში. XVII–XVIII სს-ში ტერმინი „ვ.“ ხშირად იხმარებოდა მოხელის აღსანიშნავად. სამეფო კარის მოხელეების საერთო სახელწოდება იყო „ვექილ-ვეზირები“. 3. ეწოდებოდა ირანის მოხელეს, რ-იც ქართლ-კახეთის სამეფოში საფინანსო ფუნქციებს ასრულებდა. 3. იყო აგრეთვე ქართლ-კახეთის მეფის წარმომადგენელი ვასალურ სახანოებში (ერევნის 3., განჯის 3.). შემოსავალ-გასავლის მოსაქმეს „ვექილ-ხარჯი“ ერქვა. ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, „ვაქილი“ არის „თანამოსარჩლე სამსჯავროსა შინა ფასითა“, ძვ. ქართ. წყაროებში ადვოკატობის ინ-ტი, 3-ების კორპორაცია, დამოწმებული არ არის. ვექილობის ანუ, როგორც *დავით ბატონიშვილი* უწოდებს, „მონაცვლე კაცის“ ინ-ტი საქართველოში წარმოიქმნა XIX ს-ში. რუსეთთან შეერთების შემდეგ ტერმინი „ვ.“ ადვოკატის მნიშვნელობითაც იხმარება.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 5, თბ., 1971; როგავა ა., ადვოკატთა ინსტიტუტის შესახებ ძველ საქართველოში, «საბჭოთა სამართალი», 1958, №4; სურგულაძე ი., ვექილობის

ინსტიტუტის შესახებ ,,ვეფხისტყაოსანში'', იქვე, 1966, № 5; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 2, თბ., 1984 (იხზ. თორმეტ ტომად, ტ. 7).

ი. სურგულაძე.

ᲕᲔᲥᲡᲘᲚᲘ, *იხ. თამასუქი.*

ᲕᲔᲨᲐᲒᲣᲠᲜᲘ, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურის ტერიტ. ორგანოში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ალევის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ხანდოსხევის (არაგვის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1320 *მ*, დუშეთიდან 45 *კმ*. 24 მცხ. (2002).

ᲕᲔᲨᲐᲞᲔᲚᲘ (ნამდვ. გვარი – ვ ე შ ა პ ი ძ ე) გრიგოლ გიორგის ძე (1892, სოფ. საირხე, ახლანდ. საჩხერის მუნიციპალიტეტი, – 1926, პარიზი), პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი. 1910 დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, დაენიშნა ,,კავკასიის ოლქის სახაზინო სტიპენდია'' და სწავლა განაგრძო მოსკ. უნ-ტის ისტორია-ფილოლ. ფაკ-ტზე, რ-იც დაამთავრა 1916. შემდეგ სწავლობდა იმავე უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე (სწავლა არ დაუმთავრებია).

გიმნაზიასა და უნ-ტში სწავლის დროს თანამშრომლობდა საქართვ. და მოსკ. გაზეთებთან. სტუდენტობისას მოსკ. ქართველთა სათვისტომოს გამგეობისა და ქართ. კოლონიის კულტ. და სამეცნ. საზ-ბის წევრი იყო. უნ-ტში სწავლის დროს სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის ერთი წლით გარიცხეს. 3. თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. 1917–18 რედაქტორობდა გაზ. ,,*საქართველოს*''. აქტიურად მონაწილეობდა ეროვნ.-დემოკრ. პარტიის დაფუძნებაში, იყო პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. ეროვნ.-დემოკრ. პარტიის დამფუძნებელმა კონფერენციამ (1917) 3. აირჩია პარტიის მთავარ კომიტეტში. იმავე წელს ამ პარტიის სიით აირჩიეს თბილ. ქალაქის ხმოსნად. იყო ინტერპარტიული საბჭოს და მისი აღმასრ. კომიტეტის წევრი. საქართვ. ეროვნ. ყრილობაზე (1917 ნოემბერი) 3. აირჩიეს ეროვნ. საბჭოსა და მისი აღმასრ. კომიტეტის წევრად, საბჭოს თავრის ამხანაგად (მოადგილედ). იყო ამიერკავკ. სეიმის წევრი. 1918 თებერვალში მონაწილეობდა ტრაპიზონის საზავო კონფერენციის მუშაობაში. კონფერენციის მუშაობის შეწყვეტის შემდეგ, როგორც ეროვნ. საბჭოს წარმომადგენელი, დარჩა თურქეთში *ენვერ-ფაშასთან* მოსალაპარაკებლად. ეროვნ. საბჭოს საქართვ. პარლამენტად გარდაქმნის შემდეგ იყო მისი ეროვნ.-დემოკრ. ფრაქციის თავ-რე. 1919 სექტ. 3. აირჩიეს საქართვ. დამფუძნებელი კრების წევრად დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრ. პარტიისაგან პარტიის სა-პარლამენტო ფრაქციის თავ-რედ.

1918–20 3. იყო გაზ. ,,*კლდის*'' (1919 გაზ. ,,სალი კლდის'', ,,პიტალო კლდის'' სახელით გამოდიოდა), 1920 გაზ. ,,ნაციონალისტის'', ხოლო 1920–21 – გაზ. ,,*მიწის*'' რედაქტორი.

1920 სხვებთან ერთად შექმნა საქართვ. მესაკუთრეთა ეროვნ. პარტია. საბჭ. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის (1921) შემდეგ მონაწილეობდა ბათუმში საქართვ. დამფუძნებელი კრების სალიკვიდაციო სხდომის მუშაობაში, სადაც განაცხადა, რომ ,,იყო ომი და დამარცხება არა საქართველოსი რუსეთის მიერ, არამედ მეწშევიზმისა ბოლშევიზმის მიერ''. აქედან წავიდა ემიგრაციაში საზღვარგარეთ, სადაც იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, შემდეგ განუდგა ქართ. ემიგრაციას და საბჭ. ხელისუფლების პლატფორმაზე დადგა; სურდა საბჭ. საქართველოში დაბრუნება. 1924 პარიზში გამოსცა გაზ. ,,ახალი საქართველო''. ქართულმა ემიგრაციამ იგი სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადა. 3. მოკლა ქართველმა ემიგრანტმა – ა. მერაბიშვილმა. დაკრძალეს პარიზის მონპარნასის სასაფლაოზე. მოგვიანებით საბჭ. საქართვ. მთავრობამ მისი ნეშტი საქართველოში გადმოასვენა და დაკრძალეს დიდუბის სასაფლაოზე. 1937 წელს, დიდუბის სასაფლაოს პანთეონად გადაკეთების შემდეგ, იგი ვაკის სასაფლაოზე გადაასვენეს.

თხზ.: საქართველო და რუსეთი. რუსეთისა და საქართველოს ტრაქტატი 1783 წლის და ქართლ-კახეთისა, იმერეთისა, გურიისა და სამეგრელოს საკავშირო ხელშეკრულება 1790, ტფ., 1918; სიტყვები, ნათქვამი პარლამენტში (ეროვნულ საბჭოში), ტფ., 1918; ახალი საქართველო. წერილების კრებული (1914–1925), ტფ., 1928.

უ. სიდამონიძე.

ᲕᲔᲨᲐᲘᲫᲔ შოთა ალექსის ძე (დ. 20. IX. 1954, სოფ. კაკაბეთი, ახლანდ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (2000), პროფესორი (2002). 1977 დაამთავრა თსუ-ის ვაჭრობის ეკონ. და საქონელმცოდნეობის ფაკ-ტი. იყო ,,ტექინფორმის'' ეკონ. განათლების სექტორის გამგე (1985–87), საქ. კპ ცკ-ის მარქსიზმ-ლენინიზმის უნ-ტის დეკანი (1987–91), თსუ-ის საერთაშ. ბიზნესისა და ეკონ. მოძღვრებათა ისტ. კათედრის პროფესორი (2001–11), თბილ. სოც.-ეკონ. ინ-ტის (2007-იდან ევროპული უნ-ტი) პრორექტორი, შემდეგ კი – რექტორი (1992–2010); 2007-იდან არის საქართვ. ტექ. უნ-ტის პროფესორი, 2011-იდან – დავით აღმაშენებლის სახ. საქართვ. ეროვნ. თავდაცვის აკად. პროფესორი. მისი კვლევის სფეროა ქართ. ეკონ. აზრის ისტ., გლობალიზაციის, საერთაშ. ეკონ., მსოფლიო ეკონ. პრობლემები. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი, მ. შ. სამი მონოგრაფიისა და ათი სახელმძღვანელოსი.

ᲕᲔᲨᲙᲣᲓᲔᲚᲘ, სოფელი გალის მუნიციპალიტეტის ოტობაიის თემში (აფხაზეთის არ), სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 10 *მ*, გალიდან 35 *კმ*. 587 მცხ. (1989).

,,ᲕᲔᲩᲔᲠᲜᲘ ᲢᲑᲘᲚᲘᲡᲘ'', საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქალაქო გაზეთი. გამოდიოდა 1923-იდან კვირაში 4-ჯერ რუს. ენაზე (1985-იდან მთ. რედ. – ვ. ანასტასიადი) სხვადასხვა სახელწოდებით: ,,რაბოჩაია პრავდა'', ,,ტიფლისსკი რაბოჩი'', 1935 ეწოდა ,,З. Ф.'' 1939 გაზეთის გამოცემა შეწყდა, აღდგა 1958. გაზეთის დევიზია: ,,თანხმობისა და თანამშრომლობისაკენ, მამულის აღორძინებისათვის''. მასში შუქდებოდა საქალაქო ცხოვრების პრობლემატიკის ყველა ასპექტი. 1993, სოხუმის მოვლენების შემდეგ, რედაქციის ბაზაზე გამოდიოდა გაზ. ,,დემოკრატიჩესკაია აბხაზია'', 1993–2005 – ყოველკვირეული დამატება გაზ. ,,გოლოს აბხაზიი''. ჰქონდა ყოველთვიური ახალგაზრდული დამატება, აგრეთვე ყოველთვიური დამატება გაზ. ,,ფანჯარა'' (1998–2000) ქართ. ენაზე.



,,ᲕᲔᲫᲐ'', მჟავე წყალი. ,,მომჟაო წყარო ბუნებით'' (სულხან-საბა ორბელიანი).

ᲕᲔᲫᲐᲗᲮᲔᲕᲐ (ყოფ. ვ ე ძ ა, უ ნ ა გ ა ძ ე), სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის ნაქალაქარის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ერწოს ქვაბულში, მდ. აძეძის (ივრის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1040 *მ*, თიანეთიდან 30 *კმ*. 154 მცხ. (2002).

სოფლის სახელწოდება მომდინარეობს მჟავე, მინერ. წყლიდან (იხ. ,,*ვეძა*''). როგორც ჩანს, ადრე შუა საუკუნეებიდანვე სოფლის

ტერიტ., თანამედროვე ნაქალაქარის თემში შემავალ სხვა სოფლებთან ერთად, უფრო ვრცელ სამოსახლო არეალს ქმნიდა, რ-იც ,,საძმორეს'' (ძმარი, მჟავეწყლიანი ადგილი) სახელით იყო ცნობილი. ზოგიერთ ისტ. საბუთში სოფლის ტერიტ. სავეძოდაც იწოდება.

იოანე ბაგრატიონის ,,ქართლ-კახეთის სამეფოს აღწერაში'' 3-ის სახელწოდების სოფელი არა ჩანს, სამაგიეროდ დასახელებულია მჟავე, ტუტე წყლიდან ნაწარმოები სახელწოდება – ტუტალა, რ-იც გვიანდ. შუა საუკუნეებში 3-ის სახელს უნდა ფარავდეს.

სოფლის ისტორია განუყრელია ერწო-თიანეთის მხარის ისტორიასთან. მისი ტერიტ. უძველესი დროიდანვე ადამიანთა აქტ. სამოსახლოს წარმოადგენდა. სოფლის ჩრდ-ით მდებარე მარიამწმინდისა და ლომისის ეკლესიები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს ტერიტ. სხვა დასახლებებთან (საყდრიონი, ბეწენწურები, ქვემო და ზემო ნაქალაქარი, დორეულები და სხვ.) ერთად ქრისტ. რელიგ. და კულტ. გავრცელების ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა ამ რეგიონში. მართლაც, როგორც ცნობილია, IV ს-ში წმ. ნინო ,,გადავიდა ერწოს და ჟალეთში დადგა დაბასა ედემს და ნათელ სცა ერწო-თიანეთელთა''. ამ ნათელღების პირველი მიმღები კი სწორედ ზემოაღნიშნული მხარე უნდა ყოფილიყო. ამასთან, 3-ის მნიშვნელოვან სამიმოსვლო გზაზე მდებარეობა თავიდანვე აქტიურად რთავდა მას ქვეყნის სოც.-ეკონ. და პოლიტ. ცხოვრებაში.

3. თავდაპირველად კახეთის სამთავროში, ხოლო ერთიანი ქართ. მონარქიის მოშლის შემდეგ (XVI–XVIII სს.) კახეთის სამეფოში შედიოდა და უფრო სვეტიცხოვლის მონასტრის კუთვნილ სოფლად განიხილებოდა. იგი ,,სრულიად მისი შენობით სვეტიცხოვლის სამკვიდრო მამული იყო''. მისი მფლობელობა თავდაპირველად ალექსანდრე I-მა დიდმა (1434), ხოლო შემდეგ ლევანმა და ალექსანდრე კახთა მეფეებმა (1537 და 1579) განუახლეს სვეტიცხოველს. XVII ს. II ნახ-იდან კი სოფლის ტერიტ. მნიშვნელოვანი ნაწილი სახასო საკუთრებად განიხილებოდა და მის მართვას სამეფო კარი თავისი მოხელის მეშვეობით ახორციელებდა. გვიანდ. შუა საუკუნეების სამხ.-ტერიტ. დაყოფით 3. რუსთველი ეპისკოპოსის სამწყსოსა და სადროშოში შედიოდა, საქართველოს რუსეთთან მიერთების შემდეგ კი – თიანეთის მაზრაში.

შაჰ-აბასისა და სხვა დამპყრობთა დამარბეველი შემოსევების შედეგად სოფელი მოსახლეობისაგან დაიცალა, ამიტომ XVIII–XIX სს-ში შესამჩნევია ქართვ. მთიელთა მიგრაციის პროცესი. 3-ში ჯერ კიდევ XIX ს. I ნახევარში სახლობდნენ ფშავლები (მათურიშვილი, ხინჩილაშვილი, ღრუბელაშვილი); მათი ჩამოსახლება XIX ს. II ნახევარშიც გრძელდებოდა.

სოფლის მახლობლად შემორჩენილია შუა საუკუნეების რამდენიმე ძეგლი. ჩრდ-ით, ხევის მარჯვ. ნაპირზე, მდებარეობს პატარა ერთნავიანი ეკლესია ,,ადგილისდედა'', რ-ისგანაც შემორჩენილია აფსიდი ჩრდ. და სამხრ. კედლების ნაწილით. ეკლესიას გარს არტყია გალავანი.

სოფლის ჩრდ-ით, ზეგანზე, მარიამწმინდის ერთნავიანი ეკლესიაა, რ-საც აღმ-ით პატარა, ოდნავ ბრტყელი აფსიდი აქვს. ეკლესია შელესილია, სახურავი – ჩანგრეული. შესასვლელი სამხრ-იდან ჰქონდა. სამხრ-იდანვე აქვს მინაშენი (დანგრეულია). მის მახლობლად ზეგანზე დგას რიყის სხვადასხვა ზომის ქვითა და დუღაბით ნაგები დარბაზული ეკლესია ლომისა. მას გარს ერტყა წრიული მოხაზულობის გალავანი.

წყარო: ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, აღწერა ქართლ-კახეთის სამეფოსი, თბ., 1986; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედ., ტ. 3, თბ., 1970.

ლიტ.: ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი გ., ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980; თ ო ფ ჩ ი შ ვ ი ლ ი რ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII–XX სს., თბ., 1984; რ ა მ ი შ ვ ი ლ ი რ., ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1978, №1; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, კრ. 4 – ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში, თბ., 1982.

კ. კახაძე. რ. რამიშვილი. ბ. ჯორბენაძე.

ᲕᲔᲫᲐᲗᲮᲔᲕᲘ, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭონქაძის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ალევის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ჭალახევის (არყალის მარჯვ. შენაკადი; არაგვის აუზი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1000 *მ,* დუშეთიდან 10 *კმ.* 51 მცხ. (2002).

ᲕᲔᲫᲔᲑᲘ, სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტის შახვეტილის თემში (კახეთის მხარე), მდ. ხევგრძელის (ილტოს მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 850 *მ,* ახმეტიდან 15 *კმ.* 12 მცხ. (2002).

ᲕᲔᲫᲘᲡᲘ, ქალაქისპირა სოფელი. მდებარეობდა თბილისის ჩრდ.-დას-ით, მტკვრის მარჯვ. მხარეს, ეკავა ახლანდ. ს. კანდელაკის ქუჩა და მისი მიმდებარე ტერიტორია. სოფლის სახელი მომდინარეობს სიტყვიდან *,,ვეძა''.* 3-ს სამხრ-იდან და აღმ-იდან ,,საგაბაშვილო'' ემიჯნებოდა, დას-ით და ჩრდ-ით – ნახშირგორისა და დიღმის (დიღმელთა) მამულები.

3-ის შესახებ მეტად მწირი ცნობებია შემორჩენილი. დოკუმენტების მიხედვით იგი XVIII ს. 20-იან წლებში სახასო სოფელი ყოფილა. 1723, თბილ. დაკავების შემდეგ, კახეთის მეფეს კონსტანტინე II-ს იგი ციციშვილისთვის უბოძებია. 3-ში, როგორც ჩანს, ძირითადად მევენახეობას მისდევდნენ. 1733 დოკუმენტი გვაუწყებს, რომ ვეძელები თურქების სასარგებლოდ იხდიან ,,კულუხს'' (ღვინის გადასახადს). 3-ში, ციციშვილების გარდა, ყმა გლეხებს ფლობდნენ თარხნიშვილები, სოლოღაშვილები, თუმანიშვილები. ჯერ კიდევ XX ს. 30-იან წლებში იყო 2 სოფელი – ქვემო 3. და ზემო 3. ქალაქის ტერიტორიას შემოუერთდა XX ს. 40–50-იან წლებში.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე თ., ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977.

თ. ბერიძე.

ᲕᲔᲫᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲘ, გვიანდელი ბრინჯაოს ხანის სამარხი. აღმოჩნდა 1965 თბილისში, საბურთალოს (ახლანდ. ს. ცინცაძის) ქუჩაზე მდებარე სახლის სარდაფში, 1,5 *მ* სიღრმეზე. გამოვლინდა მიცვალებულის ჩონჩხის ძვლები და სხვადასხვა მოყვანილობის თიხის ცხრა ჭურჭელი. სავარაუდოა, რომ აქ არსებობდა სამაროვანი, რ-იც სახლის მშენებლობის დროს დაზიანდა. მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის საცავებში.

ᲕᲔᲫᲘᲡᲝᲑᲐ, სახალხო დღესასწაული (დღეობა) თბილისში. დაწესდა XX ს. მიწურულს და იხდიან ქალაქის უბან ვეძისში 1993-იდან (შემოდგომით, ოქტ. I კვირას). 3. იმართება უბნის თავში, ,,გულიგორის'' სერზე, სადაც 1993 საფუძველი ჩაეყარა წმ. გიორგის საყდარს და აიგო სამლოცველო ნიში. 1998-იდან 3-ზე იმართება დღეი; გრძელდება თბილ. ძვ. ცხენოსნური ტრადიციები (იხ. *ცხენოსნობა, ყაბახი).*

ვეძისხევი, ნასოფლარი ყვარლის მუნიციპალიტეტში ალაზნის მარცხ. მხარეს, სოფ. შილდის მახლობლად. პირველად იხსენიება XII ს. დასაწყისში, როდესაც ვ. საფეოდალო მამულს წარმოადგენდა. ისტ. წყაროში (დავით აღმაშენებლის სიგელი არიშიანისადმი, XII ს. I მეოთხედი) მოხსენიებულია ჰერეთის ერთ-ერთი აზნაური, ვეძისხველი ნიანია გრიგოლ მაოხრებლის შვილი, რ-იც ჰერეთის დიდებული აზნაურის, არიშიანის მფარველობაში იმყოფებოდა. უფრო გვიან, XVI ს. მიწურულიდან, ვ. მცხეთის საკათოლიკოსოს სამწყსოში შევიდა.

წყარო: ცინცაძე ი., დავით მეფის სიგელი, «საქართველოს არქივი», წგ. 2, ტფ., 1927.

ლიტ.: პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970.

თ. პაპუაშვილი.

ვეჯინი, სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთის მთისწინეთისა და ალა-



ვეჯინი. აბაშიძეების კოშკი. XVIII ს.

ზნის ვაკის მიჯნაზე, თელავი–ბაკურციხის საავტ. გზაზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 420 *მ,* გურჯაანიდან 6 *კმ.* 3,9 ათ. მცხ. (2002). სოფელში არის ი. *ბერიტაშვილის* სახლ-მუზეუმი.

ვ. წყაროებში პირველად იხსენიება (ვეჟინის სახელწოდებით) X ს. დასაწყისში და გვიანდ. შუა საუკუნეებშიც. 1757 ვ. საჭერმელოს სამწყსოში შედიოდა. ვახუშტი ბატონიშვილიც კახეთის სოფლების ჩამოთვლისას ვ-ს ჭერემის მხარეში ასახელებს. მაშინდელი ადმ.-ტერიტ. დაყოფის მიხედვით ვ. კახეთის სამეფოს მეწინავე (ბოდბელის) სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა. 1804 კამერალური აღწერით იგი საბატონო სოფელი ყოფილა. ვ-ში ყმები ჰყავდათ ანდრონიკაშვილებისა და აბაშიძეების ფეოდ. გვარის წარმომადგენლებს. სოფელში შემორჩენილია XVIII ს-ის არქიტექტურული ძეგლი – ოთხსართულიანი ,,აბაშიძეების კოშკი''.

ვ-ის მოსახლ. აბსოლ. უმრავლესობა მართლმადიდებელი ქართველები (191 კომლი) იყვნენ, სომეხი ქრისტიანები კი – მხოლოდ 8 კომლი. რუს. მმართველობისას სხვადასხვა დროს ვ. შედიოდა ხან თელავის, ხანაც სიღნაღის მაზრის შემადგენლობაში. 1930, მაზრების გაუქმების შემდეგ, ვ. გურჯაანის რ-ნს მიეკუთვნა. სოფლის მახლობლად მდებარეობს *ვეჯინის ციხე.*

ვეჯინის განძი, თამარ მეფისა და დავით სოსლანის სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტების განძი (სულ 2759 ც., აქედან ქრონიკონიანია 2656 ც., უქრონიკონო – 103 ც.). ნაპოვნია 1924 სოფ. ვეჯინში (გურჯაანის მუნიციპალიტეტი), მონეტების შუბლზე ოთხსტრიქონიანი არაბული წარწერაა: ,,დედოფალი დედოფალთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემლისა''; ზურგზე – თამარისა და დავითის დაქარაგმებული სახელები და მოჭრის თარიღი ქრონიკონით 420 (1200). უქრონიკონო მონეტები კი მოჭრილი უნდა იყოს თამარისა და დავითის შეუღლებიდან (1189-იდან) დავითის გარდაცვალებამდე (1207).

ლიტ.: დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; ლომოური თ., თამარის ფულების განძი, «თსუ შრომები», 1936, ტ. 1.

ი. ჯალაღანია.

ვეჯინის საერისთავო, ვეჟინის საერისთავო, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული XI ს. კახეთ-ჰერეთის სამეფოში. შექმნა *კვირიკე III-მ.* ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ვეჯინის (ვეჟინის) ერისთავს ექვემდებარებოდა ტერიტ. ,,ქისიყის საზღვარს ზეით თურდოს ხევამდე და ალაზანსა და ჰერეთის მთის შიგნით, რომელ არს შიგნით-კახეთი''. სავარაუდოა, რომ ვ. ს. დავით აღმაშენებელმა კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ გააუქმა.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბახტაძე მ., ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003.

მ. ბახტაძე.

ვეჯინის შეთანხმება, დაზავება კახთა ქორეპისკოპოს *კვირიკე I-ს,* აფხაზთა მეფე *კონსტანტინე III-სა* და ჰერეთის მთავარ *ადარნასე პატრიკს* შორის *ვეჯინის ციხესთან.* როდესაც კვირიკე ქორეპისკოპოსმა და კონსტანტინე აფხაზთა მეფემ 915 ილაშქრეს ჰერეთის წინააღმდეგ, ადარნასე პატრიკმა დაზავება არჩია, ,,და მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი და კრიკეს ორჭობი''.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ლორთქიფანიძე მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX–X სს.), თბ., 1963.

ქ. ნადირაძე.

ვეჯინის ციხე, ვეჟინის ციხე, X–XI სს. ციხე კახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვეჯინის მახლობლად. პირველად იხსენიება X ს. დასაწყისში (იხ. *ვეჯინის შეთანხმება*).

ვ. ც. თავდაპირველად ჰერეთის, შემდეგ კახეთის სამეფოს ერთ-ერთი ცენტრი იყო. XI ს. 80-იან



ვეჯინის ციხე. X–XI სს.

წლებში, კახეთში თურქებთან ერთად ლაშქრობის დროს, მეფე გიორგი II-მ სცადა ვ. ც-ის აღება, მაგრამ უშედეგოდ. დავითის ისტორიკოსის სიტყვებით, გიორგი არ დაელოდა ვ. ც-ის აღებას, თოვლის მოსვლისას ავჯამეთის ტყეში სანადიროდ წავიდა, შემდეგ დას. საქართველოში გადავიდა და ქვეყანა თურქებს მოსაოხრებლად დაუტოვა.

ვეჯინის X–XI სს. ციხესიმაგრე აღმართულია მაღალ გორაკზე, ნაგებია რიყის ქვით. დროთა განმავლობაში ბევრჯერ გადაუკეთებიათ, საფუძვლიანად კი – XVIII ს-ში. ციხის შიგნით რამდენიმე ეკლესია და სხვა ნაგებობაა. აღსანიშნავია ამაღლების, აღდგომის და წმ. მარიამის ეკლესიები. ყოველი მათგანი რამდენჯერმეა გადაკეთებული. უცვლელად დგას მხოლოდ XV–XVI სს. ორსართულიანი სამრეკლო. ციხის ქვემოთ, გზის პირას, აღმართულია ყველაწმინდის ეკლესია. თავდა-



ვეჯინის განძი. თამარ მეფისა და დავით სოსლანის სახელით მოჭრილი მონეტა. 1189–1207. სპილენძი. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი.



ვეჯინის ციხე. ქველა-წმინდის ეკლესია. XVII ს.

პირველად აქ რიყის ქვით ნაგები მცირე ზომის ეკლესია მდგარა, რ-იც XVII ს. დასაწყისში აგურით ნაშენ ცენტრ.-გუმბათოვან ნაგებობად გადაუკეთებიათ.

პ. ზაქარაია. დ. მუსხელიშვილი.

ვეჯინის ხევი, ვეჯინი, ხეობა სოფ. გლდანის დასავლეთით. მოიცავს ტერიტორიას ჯოხტნის-ხევიდან დიდველის მთამდე. ადგილ. მცხოვრებთა გადმოცემით, აქედან აყრილი მოსახლეობა კახეთის სოფ. ვეჯინში ჩასახლებულა. შემონახული ძეგლების მიხედვით ვ. ხ-ის ტერიტ. უკვე ადრინდ. შუა საუკუნეებში ინტენსიურად ყოფილა დასახლებული. ხეობის დასაწყისიდან 1 *კმ*-ზე, მთის ფერდობზე, VIII–IX სს. სასახლის კომპლექსის საკმაოდ მოზრდილი დარბაზის (23,5*მ* × 8,5*მ*) და რამდენიმე მომცრო ოთახის ნანგრევებია. კედლები შიგნიდან თლილი ქვით ყოფილა შემოსილი, კედლის სისქეში დატანებულია წყალსადენის კერამ. მილები. აქაც, ისევე როგორც კახეთის პალატებში, ხეობისაკენ მიმართული დიდი სარკმლებია, რ-ებიც პირდაპირ იატაკიდან იწყება, ვ. ხ-ის სასახლე ქართ. საერო არქიტ. მნიშვნელოვანი ძეგლია. სასახლის ჩრდ.-აღმ-ით, ასიოდე ნაბიჯზე, დგას პატარა ერთნავიანი ეკლესია, რ-იც, როგორც ჩანს, ასრულებდა კარის ეკლესიის დანიშნულებას და სასახლესთან ერთად ერთიან კომპლექსს შეადგენდა. ეკლესიაში შემონახულია ერთიანი ქვისგან გამოთლილი სატრაპეზო, რ-ზეც გამოსახულია წრეში ჩასმული რელიეფური ჯვარი. ცოტა მოშორებით, ტყეში, კიდევ 2 პატარა ეკლესიაა, რ-ებიც ასევე სასახლის კომპლექსის მსგავსია სამშენებლო მასალით, წყობით და არქიტ. ფორმებით.

ამავე კომპლექსს მიეკუთვნება სასახლიდან დაახლ. 300 *მ* დაშორებით მდებარე პატარა დარბაზული ეკლესია. ეკლესია სადაა, მორთულობის გარეშე, მხოლოდ სამხრეთის ფასადის კედლის წყობაშია ჩართული მწვანე ქვისგან გამოთლილი მოჩუქურთმებული სტელისა და მისი ბაზისის ფრაგმენტები.

ლიტ.: Шмерлинг Р., Долидзе В., Барнавели Т., Окрестности Тбилиси, Тб., 1960. *თ. საყვარელიძე.*

ვიბორგის მოწოდება, მანიფესტი „ხალხს სახალხო წარმომადგენლებისაგან“, რუსეთის იმპერიის I სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა ჯგუფის საპროტესტო განცხადება სათათბიროს დათხოვნასთან (1906 წ. 9 ივლ.) დაკავშირებით. დეპუტატები შეიკრიბნენ ქ. ვიბორგში და საპროტესტო მიმართვის შესამუშავებლად აირჩიეს 6-კაციანი კომისია, რ-ის შემადგენლობაში ნ. ჟორდანია და ს. ჯაფარიძეც შედიოდნენ, დეპუტატები ხალხს პასიური წინააღმდეგობისაკენ (გადასახადებზე უარის თქმა და ა. შ.) მოუწოდებდნენ. ხელისუფლებამ ვ. მ-ის ხელმომწერ 169 დეპუტატიდან [ვ. მ-ს ხუთივე ქართვ. სოც.-დემოკრატი დეპუტატი (ზემოდასახელებულებთან ერთად – ი. გომართელი, ი. რამიშვილი, ს. წერეთელი) და სოციალისტ-ფედერალისტი ი. ბარათაშვილი აწერდა ხელს] 167-ს სამი თვით პატიმრობა მიუსაჯა, რაც მათ მომდევნო არჩევნებში მონაწილეობის უფლებასაც ართმევდა. ნ. ჟორდანია არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა და ამით დააღწია თავი პატიმრობას.

დ. შველიძე.

ვიბრაციული ტექნიკა, მექანიკური რხევების (ვიბრაციის) აღმძვრელი მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობა, რ-საც იყენებენ სატრანსპორტო-ტექნოლ. ოპერაციების შესრულებისას; ვიბრაციის მართვის, გაზომვის, კონტროლისა და მავნე ვიბრაციასთან ბრძოლის ხერხების დასამუშავებლად. ვ. ტ., როგორც თეორ.-პრაქტ. მეცნიერება, თანამედროვე მანქანებისა და მექანიზმების დინამიკის შემადგენელი ნაწილია.

ვ. ტ-ში იყენებენ სისტემის საკუთარ რხევებს, რ-იც რეზონანსული აწყობის დროს, ენერგეტ. თვალსაზრისით უფრო მომგებიანია, ვიდრე არარეზონანსული რხევების შექმნა ტრად. გზით, ბრუნვითი მოძრაობის გამოყენებით. ამასთან კონსტრუქციის სიმარტივე და მართვის მოხერხებულობა საიმედოობის გაზრდისა და ავტომ. მართვის წინაპირობას ქმნის.

ვ. ტ. ძირითადად გამოიყენება მასალების ტრანსპორტირების, გაცრის, დაქუცმაცების, სეპარაციის ტექნოლ. პროცესებში. ფიზ., ქიმ. და ბიოლ. პროცესებისა და რეაქციების ინტენსიფიკაციისათვის; დეტალების ვიბრაციული დამუშავებისათვის (დაწნეხა, ჭრა, გაწმენდა, გახეხვა და სხვ.).

ვ. ტ. ფართოდ დაინერგა სამთო-მამდიდრებელ, ქიმ., მეტალ. მრეწველობაში, ბეტონის დამზადებისა და სამშენებლო საქმის სხვა ტექნოლ. პროცესებში, მანქანათმშენებლობაში, სოფლის მეურნეობასა და სხვა დარგებში.

ვ. ტ-ის ერთ-ერთი დანიშნულებაა ადამიანების, ხელსაწყოების, მანქანების, ნაგებობების დაცვა მავნე ვიბრაციისგან. ჩვეულებრივ, პასიურ ვიბროიზოლაციასთან ერთად, რ-საც არ სჭირდება ენერგიის დამატებითი წყარო, მიმართავენ აქტ. ვიბროდაცვასაც, რ-იც ხორციელდება რხევების მართვით. პრაქტიკაში ხშირად იყენებენ მარტივ მეთოდებს – სტატ. და დინამ. ბალანსირებას, ამასთან, შეარჩევენ ისეთ ინერციულ და დრეკად პარამეტრებს, რ-ებიც გამორიცხავს მუშაობას სიხშირეთა რეზონანსულ ზოლში. რეზონანსის ზოლთან ახლოს მუშაობის აუცილებლობისას, სისტემაში შეჰყავთ მადემპფირებელი ელემენტები; ვიბრაციას დინამიკურად ახშობენ სპეციალურად მოწყობილი ვიბრაციული ან დარტყმა-ვიბრაციული მოწყობილობის (დინამ. მქრობლის) მიერთებით. კუთხურ ვიბრაციებს ახშობენ სპეც. ხელსაწყოებით.

საქართველოში ვ. ტ-ის დარგში ძირითადი კვლევა და პრაქტ. საქმიანობის კოორდინაცია მიმდინარეობდა საქართვ. მეცნ. აკად. მანქანათა მექ. ინ-ტის მანქანათა დინამიკის განყ-ბაში. აქ შეიქმნა და დეტალურად დამუშავდა: არაწრფივი ელექტრომაგნ. ვიბრაციული აღგზნების საერთო თეორია და გაანგარიშების მეთოდები (მ. *ხვინგია*); ვიბროიზოლაციის ახ., ე. წ. კვანძური ტიპის სისტემა; მცირე ჰისტერეზისის მქონე დრეკადი ელემენტები; დაბალი სიხშირის რხევების სუბჰარმონიკული არაწრფივი აღგზნების თეორია; დრეკადი სისტემების გაანგარიშების განზოგადებული

მეთოდები; მატერ. ნაწილაკის რხევითი გადაადგილების, რხევის მოდელირებისა და ოპტიმიზაციის მეთოდების საერთო თეორია მუშა ორგანოს არაწრფივი სივრცითი ვიბრაციის დროს (ვ. ზვიადაური, ვ. სვანიძე, ჰ. წულაია, ი. პიტიმაშვილი, მ. ხვინგია). ამ თეორ. კვლევათა საფუძველზე შექმნილია და წარმოებაში დანერგილია ვიბროიზოლაციის კვანძური სისტემა, მცირე ჰისტერეზისის მქონე მანქანები, დაბალი სიხშირის აღმგზნები და სხვ. (მ. ხვინგია, ვ. სვანიძე, მ. თედოშვილი, მ. ჭელიძე). ანოტირებული და გამოცემულია სტატიათა კრებულები: ,,ვიბრაციული მანქანების დინამიკა და სიმტკიცე'' (ჩეხოსლოვაკია), ,,დაბალი სიხშირის აღმგზნები'' (პოლონეთი) და სხვ. თბილ. ელექტრონულ-იონური ტექნოლ. (ყოფილი ელექტროტექნიკის) სამეცნ.-კვლ. ინ-ტში შეიმუშავეს და დანერგეს სხვადასხვა სახის ელექტრომაგნ. ვიბრატორები, მათი პარამეტრების გაზომვის მეთოდიკა და საშუალებები (ბ. ნინოშვილი, ჯ. მგალობლიშვილი, ო. სალკოვა, შ. ნემსაძე, რ. ქსოვრელი), ელექტროსტატიკურ ველში ვიბრაციული დაფარვის ტექნოლ. პრინციპები (ბ. ნინოშვილი, გ. ფოჩხუა, რ. სამხარაძე). საქართვ. სახელმწ. აგრარულ უნ-ტში შეიქმნა და 14 ქვეყანაში დაპატენტდა კუთხით რხევადი ერთ- და სამფაზიანი სხვადასხვა სახის ელექტრომაგნ. ვიბრატორები, ვიბრაციული ტუმბოები, ბოსტნეულის თესლის ვიბრაციული დანადგარ-დამხარისხებლები (რ. ქსოვრელი, ა. კ. *დიდებულიძე*, გ. ჯავახიშვილი). საქართველოში დამუშავდა აგრეთვე ელექტრომაგნ. ვიბრატორების მუშაობის თეორ. საკითხები და ძირითადი პარამეტრების განსაზღვრის მეთოდები (ბ. ნინოშვილი, რ. ქსოვრელი, ა. დიდებულიძე, შ. ნემსაძე, გ. ჯავახიშვილი). თბილ. მცირე სიმძლავრის ელექტული მანქანების ტექნოლ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში გამოიყენეს ვიბრაციული პროცესები და სერიულად გამოუშვეს შესაბამისი ტექნოლ. მანქანები. მანქანათა მექან. ინ-ტის ინიციატივით 3. ჩ-ის დარგში პერიოდულად ტარდებოდა საკავშ. კონფერენციები თბილისში (1978), ქუთაისში (1981), თელავსა (1984) და ბათუმში (1987).

ლიტ.: ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი ბ., ელექტრომაგნიტური ვიბრაციული სატრანსპორტო მანქანები, თბ., 1964; Б ы х о в с к и й И. И., Основы теории вибрационной техники, М., 1969; М и з е в, Динамика и прочность электровибрационных машин, М., 1980; Х в и н г и я М. В., Вибрации пружин, М., 1969; D u k k i p a t i R. V., S r i n i v a s T., Textbook of Mechanical Vibrations, 2 ed., Delhi, 2012.

ვიდალი მოლა ვალი (დაახლ. 1707, შამქორი, – 1808, სოფ. შიხლი), აზერბაიჯანელი პოეტი, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. ერთხანს გულისტანის სახანოში და ერეკლე II-ის კარზე ცხოვრობდა. საბოლოოდ შიხლიში დასახლდა. ვ. იყო პოეტ ვაგიფის ნათესავი. მათი მიმოწერა მნიშვნელოვანი ფაქტია აზერბ. ლიტრის ისტორიისათვის. ვ-ის შემოქმედება პესიმიზმითა და მისტიციზმითაა გამსჭვალული, განიცდის ფოლკორის გავლენას.

საქართველოში ყოფნისას ვ-მა შექმნა შესანიშნავი ელეგია ერეკლე II-ის ძის, ლევან ბატონიშვილის გარდაცვალების გამო.

თხზ.: Əsərləri Öndər,Baki, 2004; [წიგნში] Антология азербайджанской поэзии, т.1, М., 1960.

ლიტ.: Азәрбајчан әдәбијјаты тарихи, ч.I, Бакы, 1960; Д у н я м а л и е в а Т. А., Жизнь и творчество М. В. Видади, Баку, 1970. *გ. შაყულაშვილი.*

ვივალდი (Vivaldi) ანტონიო (4. III. 1678, ვენეცია, – 28. VII. 1741, ვენა), იტალიელი კომპოზიტორი, ვირტუოზი მევიოლინე, დირიჟორი და პედაგოგი. XVIII ს. იტალ. სავიოლინო სკოლის უდიდესი წარმომადგენელი. სწავლობდა თავის მამასთან, ჯოვანი ბატისტასა (ვიოლინო) და ლეგრენციასთან (კომპოზიცია). 1714 ვენეციაში ხელმძღვანელობდა კონსერვ. ,,დელა პიეტას'' ორკესტრსა და გუნდს. ვ-მ შექმნა საკრავიერი სოლო კონცერტის ჟანრი, გავლენა იქონია ვირტუოზული სავიოლინო ტექ. განვითარებაზე. ვ. საანსამბლო-საორკესტრო კონცერტის – ,,კონჩერტო გროსოს'' – ოსტატია. დაწერილი აქვს ოპერები, კანტატები, სიმფონიები, 460-ზე მეტი კონცერტი, მ. შ. პროგრამულ-სიმფ. მუსიკის ფუძემდებლური ნაწარმოებები ,,წელიწადის დრონი'', საკლ. ნაწარმოებები და სხვ. აღსანიშნავია ვ-ს მიერ კავკ. (საქართველო და სომხეთი) თემაზე დაწერილი ოპერები ,,არსილდა, პონტოს დედოფალი'' (ლიბრეტო დ. დალისა, 1716), ,,მითრიდატე'' (1724), ,,ტიგრანი'' (1724, ლიბრეტო ზილვანისა).

ვივიანი (Vivian) კათრინ (1917, ლონდონი, – 2010, იქვე), ინგლისელი მწერალი და მთარგმნელი. დაამთავრა სორბონის უნ-ტი (პარიზი) ფრანგ. ცივილიზაციის სპეციალობით. იყო ქართველოლოგიური სემინარის მსმენელი პროფ. დ. *ლანგთან* ლონდონის უნ-ტში. მუშაობდა ჟურნალისტად. გამოქვეყნებული აქვს საკუთარი და თარგმნილი ლექსები და პიესები; წერილები ქართ. ყოფის, ლიტ-რისა და ხელოვნების სხვადასხვა პრობლემების შესახებ; არის ,,ვეფხისტყაოსნისადმი'' მიძღვნილი სამეცნ. სტატიების ავტორი. კითხულობდა მოხსენებებს შუა საუკუნეების ქართ. კულტ. შესახებ არაერთ საერთაშ. სიმპოზიუმზე როგორც საქართველოში, ასევე დიდ ბრიტანეთსა და ევრ. სხვა ქვეყნებში. ინგლისურად თარგმნა და გამოსცა კ. სალიას მონოგრაფია ,,საქართველო'' (1975); ს.-ს. ორბელიანის ,,სიბრძნე სიცრუისა'' (1983); ,,ქართლის ცხოვრება'' [(ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე); 1992]. ორგზის გამოსცა ,,ვეფხისტყაოსნის'' თარგმანი (ლონდონი, 1977, ამსტერდამი, 1995), რ-იც შესრულებულია პროზად. ლექსად გაწყობილია პოემის მხოლოდ პროლოგი და ეპილოგი. მთარგმნელი ცდილობს ტექსტი შეუხამოს თანამედროვე ინგლ. მკითხველის ლიტ. გემოვნებას და ხშირად ამარტივებს რუსთველისეულ რთულ მხატვრულ სახეებს, განმარტავს ან ტოვებს ზოგ მეტაფორას და ა.შ.: პოემას ერთვის მთარგმნელის კომენტარები და შესავალი წერილი, რ-შიც წარმოდგენილია მნიშვნელოვანი პარალელები აღმოსავლურ ლიტრასთან და საინტერესო დასკვნები პოემის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შესახებ.

1995 ვ-ს მიენიჭა საზღვარგარეთელი ქართველოლოგებისათვის დაარსებული მ. უორდროპის პრემია. 1977 აირჩიეს თბილ. სახელმწ. უნ-ტის საპატიო დოქტორად. *ე. ხინთიბიძე.*



ა. ვივალდი.

ვიზა (ფრანგ. visa < ლათ. visus – გასინჯვა), 1. სახელმწიფოდან გასვლის, სხვა სახელმწიფოში შესვლის ან სახელმწიფო ტერიტორიის გადაკვეთის უფლების აღნიშვნა მოქალაქის პასპორტში ან მის შემცვლელ დოკუმენტში. ვ-ს გასცემს კომპეტენტური სახელმწ. ორგანო გარკვეული ვადით.

საქართვ. მოქალაქისათვის ვ-ს გასცემს უცხოეთის საელჩო ან საკონსულო, უცხოელისათვის – საქართვ. საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო განყ-ბა.

ეროვნ. კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ვ-ის გაცემის გამარტივებული წესი. მაგ., უცხოელისათვის ვ-ის აღნიშვნა პასპორტში ქვეყანაში ჩამოსვლისთანავე – აეროპორტში. სახელმწიფოში შესვლის, სახელმწიფოდან გასვლის ან სახელმწ. დატოვების უვიზო წესი რეგულირდება სახელმწიფოთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

ერთი სახელმწიფოდან მეორეში მოსახვედრად მესამე სახელმწ. ან სახელმწიფოების გადაკვეთისას საჭიროა **ს ა ტ რ ა ნ ზ ი ტ ო ვ ი ზ ა**. სატრანზიტო ვ. არ სჭირდება მგზავრს საავიაციო და საზღვაო ხაზებზე, თუკი იგი არ ტოვებს აეროპორტს ან ნავსადგურს. ასეთი ვ. არ სჭირდება უცხო ქვეყნის ნავსადგურში სავაჭრო გემის ეკიპაჟსაც, რ-საც შეუძლია გადავიდეს ნაპირზე და დაყოს გარკვეული დრო ამა თუ იმ ტერიტ. ფარგლებში.

ქვეყნის მთავრობის წევრებსა და უმაღლესი თანამდებობის პირებზე, დიპლ. მისიების წევრებსა და დიპლ. კურიერებზე გაიცემა **დ ი პ ლ ო მ ა ტ ი უ რ ი ვ ი ზ ა** – საგარეო უწყების, დიპლ. ან საკონსულო დაწესებულებების მიერ პასპორტში გაკეთებული განსაკუთრებული აღნიშვნა, რაც ნიშნავს პირის დიპლ. სტატუსის აღიარებას.

საქართველოში აკრედიტებული დიპლ. წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების, აგრეთვე მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების უცხოელი თანამშრომლები საქართველოში პირველადი შემოსვლისათვის საჭიროებენ ვ-ს. აკრედიტაციის პერიოდში ისინი ქვეყანაში იმყოფებიან და საზღვარს კვეთენ საქართვ. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად გაცემული სააკრედიტაციო ბარათის საფუძველზე, თუ საერთაშ. ვალდებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან მისი სპეციალიზებული სააგენტოების მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტების მფლობელებს შეუძლიათ საქართვ. ტერიტორიაზე შემოსვლა ან ყოფნა უვიზოდ 90 დღემდე.

საერთაშ. ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია გარკვეულ სახელმწიფოებში უვიზო მიმოსვლა ან მიმოსვლის შეღავათიანი რეჟიმი, მაგ., საქართველო-ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებასთან დაკავშირებული შეთანხმების ახ. წესები, რ-ებიც ძალაშია 2011 წ. 1 მარტიდან. წესების მიხედვით, შეთანხმების მიზანია გაამარტივოს საქართვ. მოქალაქეებისთვის ვ-ის გაცემის პროცედურა, რაც ითვალისწინებს ყოფნას არა უმეტეს 90 დღისა თითოეულ ჯერზე, 180-დღიანი მთლიანი პერიოდიდან. ეს შეთანხმება არ ეხება შემდეგ სახელმწიფოებს: დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს, ირლანდიას, დანიის სამეფოს, ისლანდიის რესპუბლიკას, ნორვეგიის სამეფოს, შვეიცარიას, ლიხტენშტაინს.

საერთაშ. ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია აგრეთვე გარკვეულ სახელმწიფოებში უვიზო მიმოსვლა. მაგ., **შ ე ნ გ ე ნ ი ს ვ ი ზ ა** – ევროკავშირის ქვეყნებს შორის სავიზო კონტროლის გარეშე გადაადგილების უფლება. ევროკავშირში სავიზო რეჟიმის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს რეგულაცია 539/2001, რ-იდანაც ევროკავშირის წევრი 27 სახელმწიფოდან 25 სახელმწ. იყენებს და ახორციელებს სრულ საერთო სავიზო პოლიტიკას. ერთ-ერთ ამ ქვეყანაში გაცემული ვიზა მოქმედებს, არა მხოლოდ მისი გამცემი ქვეყნისათვის, არამედ შენგენის ზონის სხვა ქვეყნებშიც. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს საქართველოში შემოსვლა შეუძლიათ პირადობის მოწმობის საფუძველზე.

2. ფართო მნიშვნელობით ვ. ნიშნავს თანამდებობის პირის წარწერას რაიმე დოკუმენტზე ან აქტზე, მისი ნამდვილობის დადასტურების ან მისთვის ოფიც. ძალის მიცემის მიზნით. *მ. კვაჭაძე.*

ვიზიროვკა, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის ირაგის თემში (ქვემო ქართლის მხარე), ბედენის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. თორნისწყლის (ხრამის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 1460 *მ*, თეთრი წყაროდან 18 *კმ*. 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

„ვითიბი ბანკი ჯორჯია“ (VTB Bank Georgia), სააქციო საზოგადოება, ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკი საქართველოში, ყოფ. ,,გაერთიანებული ქართული ბანკი‘‘, რ-იც შეიქმნა 1995 სახელმწ.-კომერციული ბანკების: ,,ინდუსტრიაბანკის‘‘, ,,საქექსიმბანკის‘‘ და ,,ახალი ქართული ბანკის‘‘ (ყოფ. ,,შემნახველი ბანკი‘‘) შერწყმის შედეგად. 2005-იდან ბანკი რუს. წარმოშობის საერთაშ. ფინანს. ჯგუფის – *ვითიბი ჯგუფის* წევრი გახდა. ამჟამად ბანკის უმსხვილესი აქციონერია ღია სააქციო საზ-ბა ,,ვითიბი ბანკი‘‘ (ფლობს აქციათა 96,31%, 2013 წ. 1 იანვ. მონაცემებით), ასევე სხვა ფიზ. და იურიდ. პირები. 2006 წ. 25 დეკემბრიდან ,,გაერთიანებულ ქართულ ბანკს‘‘ ეწოდა სააქციო საზ-ბა ,,ვ. ბ. ჯ.‘‘ მისი განაღდებული და გაცხადებული საწესდებო კაპიტალი 148 მლნ. ლარს შეადგენს (2013 წ. 1 იანვ.).

ბანკის სათავო ოფისი თბილისშია (გ. ჭანტურიას ქ. №14). გარდა ამისა გააჩნია ფილიალების და სერვისცენტრების ფართო ქსელი თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, რუსთავში, მარნეულში, თელავში, ოზურგეთსა და ფოთში. იგი მომხმარებელს სთავაზობს ყველა სახის საბანკო მომსახურებას: კორპორატიულ და საცალო ბიზნესის დაფინანსებას, იპოთეკურ, სამომხმარებლო, აგროსესხებს, მრავალფეროვან საბანკო ბარათებს, სხვადასხვა სახის დეპოზიტს, დისტანციურ საბანკო მომსახურებას, საერთაშ. სწრაფი ფულადი გზავნილების მრავალფეროვან სისტემას და სხვ. 2013 წ. 25 ივლისს საერთაშ. სარეიტინგო კომპანია ,,ფიტჩ რეიტინგსმა‘‘ (Fitch Ratings) ბანკს გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი (სტაბილური პროგნოზით) მიანიჭა.



,,ვითიბი ბანკი ჯორჯია‘‘. არქიტექტორები: ლ. ბოკერია, ა. არიშინი. 1983. თბილისი.

,,ვ. ბ. ჯ.‘‘ ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას. მან დააფინანსა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი. მისი თაოსნობით თბილისში გაიხსნა საეკლ. გალობისა და ხალხ. სიმღერის სასწავლებელი (ხელმძღვ. ა. ერქომაიშვილი); დააფინანსა ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიის გამოცემა, სპონსორობას უწევს სპორტის მრავალ სახეობას, მ. შ.: ფეხბურთს, კალათბურთს, რაგბის, ავტოსპორტსა და ტანვარჯიშს.

ბანკი არის შოთა რუსთაველის სახ. და ქუთაისის ლადო ალექსი-მესხიშვილის სახ. თეატრების გენ. სპონსორი და სხვ.

ვითიბი ჯგუფი (VTB Group), საერთაშორისო ფინანსური ჯგუფი, ოპერირებს ევროპის, აზიისა და აფრიკის 20-ზე მეტ ქვეყანაში. ჩამოყალიბდა 2002–04 ,,ვითი ბანკის'' (ყოფ. ,,ვნეშტორგბანკის'') საფუძველზე. საფინანსო ბაზრებს იგი სთავაზობს საცალო და კორპორატიული საბანკო პროდუქტების სრულ სპექტრს. ვ. ჯ-ს 1000-ზე მეტი გაყიდვის წერტილი გააჩნია მსოფლიოში.

ვ. ჯ-ში შედის ღია სააქციო საზ-ბა ,,ვითიბი ბანკი'', საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები, რ-თა საწესდებო კაპიტალში ბანკის წილობრივი მონაწილეობა შეადგენს ხმის მიცემის პროცესში მონაწილე აქციების წილის საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს და რ-ებიც, ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრაციის მიხედვით წარმოადგენენ საკრედიტო-საფინანსო ორგანიზაციებს.

საქართველოში ვ. ჯ-ის წევრია სააქციო საზ-ბა *,,ვითიბი ბანკი ჯორჯია''*.

ვიკარი (Vikár) ბელა (1. IV.1859, ჰეტეში, – 22. IX. 1945, დუნავეჩე), უნგრელი ფოლკლორისტი, მწერალი, მთარგმნელი. უნგრ. აკად. წ.-კორ. (1911), ფინეთის მეცნ. აკად. საპატიო წევრი. ფინური ეპოსის ,,კალევალას'' თარგმანზე მუშაობისას იგი საგანგებოდ ესტუმრა მიხაი ზიჩის ფინეთში, სოფ. ლახტაში, და სთხოვა, დაესურათებინა წიგნი. ზიჩიმ ვ-ს გააცნო თავის მიერ დასურათებული ,,ვეფხისტყაოსანი''. ,,კალევალას'' თარგმანის დამთავრებისთანავე ვ. შეუდგა ქართ. ენის შესწავლას; შეიძინა ,,ვეფხისტყაოსნის'' რამდენიმე თარგმანი (ა. ლაისტისა, მ. უორდროპისა), აგრეთვე მ. ზიჩის ნაჩუქარი ქართველიშვილისეული გამოცემა (1888) და შეუდგა თარგმნას. 1917 ,,ვეფხისტყაოსნის'' მისეული თარგმანი გამოსცა ბუდაპეშტის გამომც. ,,ათენიომმა''. ამ გამოცემაში ჩართულია ზიჩის 26 ილუსტრაცია, ხოლო გარეკანი შესრულებულია ქართველიშვილისეული გამოცემის მიხედვით. თარგმანს წინ უძღვის ვ-ის წინასიტყვაობა, რ-შიც იგი ვრცლად მსჯელობს პოემის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე, ქართველმა მკვლევრებმა ჯ. გაგნიძემ და გ. შარაძემ ვ-ის არქივში მიაკვლიეს მასალას, რ-იც მოწმობს, რომ უნგრელი მწერალი დაინტერესებული ყოფილა საერთოდ ქართ. ლიტ-რით, განსაკუთრებით ფოლკლორით, და რომ ამ საქმეში მას დახმარებას უწევდნენ უცხოეთში მცხოვრები ქართველები. ვ-ის არქივში დაცულია ქართ. ლიტ-რის სხვა ნიმუშებიც, ჩანაწერები და თარგმანები.

ლიტ.: გაგნიძე ჯ., ,,ვეფხისტყაოსნის'' უნგრული თარგმანები, თბ., 1975; შარაძე გ., მასალები ბელა ვიკარის არქივიდან, თბ., 1981. *გ. შარაძე.*

ვილაიეთი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ოსმალეთის იმპერიაში. სულთან მურად III-ის (1574–95) დროიდან იხმარებოდა *ეიალეთის* პარალელურად.

ვილდა, ერედვის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზემო ვილდისა* და *ქვემო ვილდის* გავრცელებული სახელწოდება.

ვილშაუ ვიქტორ რობერტის ძე [17 (29). IV. 1870, მოსკოვი, – 11. IV. 1937, თბილისი], მევიოლინე, პედაგოგი. ეროვნებით გერმანელი. 1886 დაამთავრა მოსკ. კონსერვატორია (ი. გრჟიმალის სავიოლინო კლასი). შემდეგ დაოსტატების მიზნით გაემგზავრა გერმანიაში. თავდაპირველად მეცადინეობდა ჰ. პეტრისთან, შემდეგ კი – ი. იოახიმთან. პედაგოგად მუშაობდა ტამბოვის სამუსიკო სასწავლებელში, 1898 კი – თბილ. პირველ სამუსიკო სასწავლებელში. აქ მან ძლიერი სავიოლინო სკოლა შექმნა. მისი მოღვაწეობის წლებში საგრძნობლად გაიზარდა სასწავლებელში ვიოლინოს შემსწავლელთა რიცხვი. იგი მევიოლინეთა საუკეთესო კადრებს გზავნიდა პეტერბურგისა და მოსკოვის კონსერვატორიებში. ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობასაც, გამოდიოდა სიმებიანი ანსამბლების (კვარტეტის, კვინტეტის, ტრიოს) შემადგენლობაში. აქტიურად მონაწილეობდა ქართ. საზ-ბის მიერ გამართულ საქველმოქმედო საღამოებში. 1917 სამუსიკო სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა თბილ. კონსერვატორია. ამავე წელს სამუსიკო სასწავლებლის სამხატვრო საბჭომ ვ. აირჩია კონსერვატორიის პროფესორად. მის მოწაფეთაგან ცნობილია პირველი ქართვ. მევიოლინე ქალი თ. *ძნელაძე.*


,,ვიმ-ბილ-დან საქართველო'' (შპს), კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანია, საერთაშორისო კომპანია, ,,პეპსიკოს'' (PepsiCo) ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში. ამოქმედდა 2009 თბილისში (ისანი-სამგორის, ახლანდ. კრწანისის რ-ნი, სოფ. ფონიჭალა), როგორც რუს. კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანიის ,,ვიმ-ბილ-დანის'' შვილობილი კომპანია. ,,ვ.-ბ.-დ.ს-ს'' რძის საწარმო აშენდა 2008 შპს ,,ქართული პროდუქტის'' (რ-იც ასევე აწარმოებდა რძის პროდუქტებს) საწარმოს ბაზაზე. ძვ. საწარმოს შენობა-ნაგებობანის დემონტაჟის შემდეგ, მის ადგილზე აიგო სრულიად ახ., თანამედროვე დანადგარებითა და სტანდარტების დაცვით აღჭურვილი ქ-ნა. პირველი პროდუქცია საწარმომ გამოუშვა 2009. მისი საპროექტო სიმძლავრეა 80 ტ რძის პროდუქცია დღეში. კომპანია აწარმოებს 30 დასახელების რძის პროდუქტს, რ-იც გამოდის სამი სავაჭრო ნიშნით: ,,სოფლის ნობათი'' (რძე, არაჟანი, მაწონი, კეფირი, ხაჭოს დესერტი), ,,ჩუდო'' (მოჭიქული ხაჭო, ხაჭოს დესერტი, იოგურტი, არომატული რძე), ,,მე მარგო'' (რძე, არაჟანი, მაწონი). საწარმო მარაგდება როგორც ადგილობრივი, ისე უცხოეთიდან შემოტანილი ნედლეულითა და ინგრედიენტებით. პროდუქციის გასაღების ძირითადი ბაზარია საქართველო, ნაწილი გადის საექსპორტოდ (აზერბაიჯანი, სომხეთი). საწარმოს პროდუქციას მიღებული აქვს ჯილდოები სხვადასხვა ნომინაციებში.


ბ. ვიკარი.

2011-იდან კომპანიის საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდა კვების პროდუქტებისა და გამაგრილებელი სასმელების მწარმოებელი საერთაშ. ამერიკული კომპანია ,,პეპსიკო'', რ-საც აქვს ფილიალები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამ პერიოდიდან ,,ვ.-ბ.-დ.ს.'', გარდა რძის პროდუქტებისა, მომხმარებელს სთავაზობს ,,პეპსიკოს'' ჰოლდინგში შემავალ კომპანიებში წარმოებულ სხვადასხვა სახის კვების პროდუქტს: გაზიან გამაგრილებელ სასმელს ,,პეპსი'', ხილის წვენებს – ,,სანდორა'', ,,სადაჩოკი'', ,,ჯეი-7'', ჩიპსებს – ,,ლეისი'', ,,დორიტოსი'', ორცხობილა – ,,ხრუსტიმი'' და სხვ.

კომპანია ,,ვ.-ბ.-დ.ს.'' ეწევა ქველმოქმედებას და სპონსორობას უწევს მრავალ პროექტს.

ვინერი (Wiener) ნორბერტ (26. XI. 1894, კოლუმბია, მისურის შტატი, აშშ, – 18. III. 1964, სტოკჰოლმი), ამერიკელი მეცნიერი, *კიბერნეტიკის* ერთ-ერთი ფუძემდებელი. 14



ნ. ვინერი.

წლისამ შეისწავლა უმაღლესი მათემატიკა, 18 წლისა უკვე ჰარვარდისა უნ-ტების ფილოს. დოქტორი იყო მათემატიკურ ლოგიკაში. განათლება მიიღო ჰარვარდის, კემბრიჯისა და გეტინგენის უნ-ტებში. 1919–32 იყო მასაჩუსეტსის ტექნოლ. ინ-ტის მასწავლებელი, ხოლო 1932-იდან – პროფესორი. 1920–30 სახელი გაითქვა როგორც მათემატიკოსმა. მისი შრომები ეხება პოტენციალის თეორიისა და ჰარმონიული ფუნქციების საკითხებს, ფურიეს გარდაქმნებსა და მწკრივებს, ტაუბერის ტიპის თეორემებს, ზოგადი ჰარმონიული ანალიზის საკითხებს და სხვ. შემთხვევით პროცესთა თეორიაში დიდი მნიშვნელობა აქვს მის მიერ შემოღებულ ზომას უწყვეტ სივრცეში (,,ვინერის ზომა‘‘).

II მსოფლიო ომის დროს (1939–45) ვ. მუშაობდა ელექტრული ქსელებისა და გამოთვლითი ტექ. საკითხებზე. ა. *კოლმოგოროვის-გან* დამოუკიდებლად განავითარა სტაციონარულ შემთხვევით პროცესთა ინტერპოლაციისა და ექსტრაპოლაციის თეორია. 1945–47, როდესაც იგი მეხიკოს კარდიოლოგიის ინ-ტში მუშაობდა, დაებადა იდეა ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის პროცესის, მართვისა და კონტროლის შემსწავლელი ერთიანი მეცნ. შექმნისა. ამ მეცნიერებას მან კიბერნეტიკა უწოდა. ბუნებრივია, რომ ცოდნის ახ. დარგის (კიბერნეტიკის) ჩამოყალიბებაში სხვებსაც მიუძღვით წვლილი, მაგ., მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამერ. მეცნიერმა კ. შენონმა. მაგრამ ვ-ის დამსახურება უდავოდ დიდია თანამედროვე მეცნ. და ტექნიკისათვის კიბერნ. მნიშვნელობის პროპაგანდის საქმეში.

საყურადღებოა ვ-ის გამონათქვამები მეცნიერთა მორალური პასუხისმგებლობის შესახებ მშვიდობის შენარჩუნებაში. დიდი გამოხმაურება პოვა მწერალ-ფანტასტთა ნაწარმოებებში ვ-ის იდეამ ,,მანქანების აჯანყების‘‘ შესაძლებლობის შესახებ.



რუხი ვირთაგვა (Rattus norvegicus).

1962–63 ვ-თან მიმოწერა ჰქონდა შ. ადეიშვილს, ,,კიბერნეტიკა, ანუ მართვა და კავშირი ცხოველსა და მანქანაში‘‘. ქართულ თარგმანთან დაკავშირებით, რ-იც შესრულდა. ვ-ის მეორე (1961) შევსებულა გამოცემიდან. თარგმანს დაერთო დამატებები და განმარტებები ქართველი სტუდენტებისათვის, რისთვისაც ვ-მა შ. ადეიშვილს მადლობა გადაუხადა. მოგვიანებით ვ-მა შ. ადეიშვილს გამოუგზავნა თავისი შრომების ბიბლიოგრაფია.

1962 მათემატიკოსთა საერთაშ. კონგრესზე სტოკჰოლმში ვ-ს შეხვდნენ ქართვ. მათემატიკოსები ი. *ვეკუა* და გ. *ჭოლოშვილი*, რ-ებმაც აცნობეს ვ-ს, რომ ქართ. ენაზე გამოიცა მისი წიგნი ,,კიბერნეტიკა და საზოგადოება‘‘ (1950).

თხზ.: კიბერნეტიკა და საზოგადოება, თარგმ. შ. ადეიშვილისა, თბ., 1961.

ვინსენტ დე ბოვე (Vincent de Beauvais), ვინცენტიუსი (Vincentius) (1184/94–1264), ფრანგი მეცნიერი, პედაგოგი, დომინიკელი ბერი, შუა საუკუნეების პირველი ენციკლოპედიის ავტორი. ენციკლოპედია შედგენილია 1247–60 შორის. მოიცავს 80 წიგნს. ემყარება 2000-მდე წყაროს. შედგება სამი ნაწილისაგან. პირველი ეხება ისტორიას, მეორე – თეოლოგიას, მესამე – ბუნებას. ვ. დე ბ-ს ცნობით ,,ქართველები მართლაც ქრისტეს თაყვანისმცემელი ხალხია, ბერძნულ წესს იცავენ, სპარსელთა მეზობლად ცხოვრობენ და შორს არიან აღთქმული მიწისაგან: მათი ტერიტ. გადაჭიმულია თითქმის კასპიის მთებამდე. მამაკაცები მებრძოლნი არიან, თავზე ტონზურა აქვთ, სას. პირებს – მრგვალი, ხოლო საეროებს – ოთხკუთხედი. წარჩინებული ქალები განსწავლულნი არიან საომარ ხელოვნებაში. როცა მამაკაცები საომარ მწყობრში ემზადებიან მტერთან შესაბრძოლებლად, ერთი ყლუპით სცლიან წყალგარეული ღვინით სავსე პატარა მათარას და ამის შემდეგ მაშინვე მამაცურად მიაქვთ იერიში მოწინააღმდეგეზე‘‘. აქაც და შემდეგაც ვ. დე ბ. ნაწილობრივ იმეორებს *ოლივერუსის* ცნობებს, რომ ქართველები აღუფრთოვანებია ჯვაროსანთა მიერ ქ. დამიეტას აღებას და თვითონაც გადაუწყვეტიათ დაეპყროთ სარკინოზთა რომელიმე განთქმული ქალაქი.

ლიტ.: თ ვ ა რ ა ძ ე ა., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (XII–XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე), თბ., 2004. *ა. თვარაძე.*

ვიპატოსი, იპატოსი (Ypatos), ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული, თავდაპირველად შეესაბამებოდა გვიანდელი რომაული ხანის ,,კონსულის‘‘ ტიტულს, მაგრამ უკვე ადრებიზანტიურ ხანაში დაკარგა მნიშვნელობა და შედარებით დაბალ წოდებად გადაიქცა თანამდებობის გარეშე. IX–X სს-ში შემოღებულ იქნა ,,ფილოსოფოსთა ვ-ის‘‘ ტიტული, რ-იც ენიჭებოდა მოხელეს, მეცნიერს ჰუმანიტარული დარგის გამგებელს კონსტანტინოპოლის უმაღლეს სკოლაში. ვ-ის ტიტულს ზოგჯერ ანიჭებდნენ ვასალურ სახელმწიფოთა წარჩინებულ, მაგრამ არა უმაღლესი რანგის გამგებლებს. VI–VII სს-ში ჯვრის მონასტრის წარწერების მიხედვით, ვ-ს ტიტული ჰქონდა ქართლის ერისმთავრის, სტეფანოზის ძმას – დემეტრეს და შვილს – ადარნასეს (ერისმთავრად გახდომამდე).

ლიტ.: ლაპიდარული წარწერები, I. ნ. შოშიაშვილის გამოც., თბ., 1980; B r e h i è r L., Les institutions de l’Empire Bysantin, წგ.: Le monde Bysantin, v.2, P., 1948.

ვირზე შესმა, ვირს ა ღ ს მ ა, *გამაწბილებელი სასჯელის* სახეობა ძველ საქართველოში. წყაროებში იხსენიება V ს-იდან. დამნაშავის ვ. შ. და საჯაროდ ტარება მძიმე სასჯელად ითვლებოდა. მისი მიზანი იყო დამნაშავისათვის მორალური ტანჯვის მიყენება. ასე სჯიდნენ, პირველ ყოვლისა, გაბატონებული ზნეობის დამრღვევთ – მრუშებს, ავხორცებსა და მუცლის მოშლაში მხილებულთ, აგრეთვე ხელმწიფის საწინააღმდეგო შეთქმულების მონაწილეებს. გვიანდ. ფეოდ. ხანაში დასასჯელს ვირზე პირუკუღმა შესვამდნენ და კუდს ხელში დააჭერინებდნენ. ამ სასჯელს საჯაროდ XX ს-მდე იყენებდნენ.

წყარო და *ლიტ.*: ბ აგ რ ატ ი ო ნ ი დ., საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, ა. როგავას გამოც., თბ., 1959; ნ ა დ არ ე ი შ ვ ი ლ ი გ., განქორწინება ქართული სამართლის მიხედვით, კრ.: ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, [ტ.] 1, თბ., 1973; ს ახ ო კ ი ა თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. 1, თბ., 1950. *გ. ნადარეიშვილი.*

ვირთაგვა (Rattus), ძუძუმწოვართა გვარი თაგვისებრთა ოჯახისა. გვხვდება ყველგან, უდაბნოებისა და პოლარული მხარის გარდა. ცხოვრობს ძირითადად ადამიანთა საცხოვრებელ და სამეურნეო დანიშნულების შენობებში, ასევე ადამიანის დასახლების მოშორებით – მდინარეთა სანაპიროზე, სარწყავი არხის გაშემო, ტყესა და ბუჩქებში, ბოსტნებსა და ბაღებში, პარკებში, პურის ნათესებში. ბუნებრივ პირობებში სახლდება სოროში, ზვინებში, ზოგჯერ ფუღუროში ან ხეზე ტოტებისა და ფოთლებისაგან ბუდეს იკეთებს.

საქართველოში 3-ის გავრცელების ზედა საზღვარი ზ. დ. 1800 *მ* აღწევს. მისი სხეულის სიგრძეა 10–30 *სმ*, კუდი სხეულის 2/3-ს შეადგენს ან უფრო გრძელია. 3-ის სხეული შემოსილია უხეში ერთფეროვანი მუქი ნაცრისფერი, მორუხო შავწითელი ან შავი ბეწვით. პოლიფაგი ცხოველია. მრავლდება მთელი წლის განმავლობაში, უფრო მეტად – წლის თბილ სეზონში. შობს 1–15-მდე ნაშიერს. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 3–4 თვეში. წელიწადში იძლევა 2–4 თაობას. ნამარხი ფორმები ცნობილია შუა პლეისტოცენიდან. დიდი ზიანი მოაქვს – ანადგურებს საკვებს, აზიანებს ხის ძვირფას ნივთებს, შალისა და ბამბის ქსოვილებს, ბეწვეულს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, თავს ესხმის შინაური ფრინველების წიწილებს, ავრცელებს ინფექციურ სნეულებას (მუცლის ტიფი, დიზენტერია, ქოლერა და სხვ.). გვარში 60-მდე სახეობაა, რ-თა შორის საქართველოში ბინადრობს ორი: რუხი 3. (R. norvegicus; გავრცელებულია თითქმის ყველგან. სხეულის სიგრძეა 24 *სმ*, კუდისა – 10–12 *სმ*, მასა 522 გ აღწევს. გვხვდება მელანისტური ფორმები) და შავი 3. (R. rattus; ასევე ფართოდაა გავრცელებული. სხეულის სიგრძეა 225 *მმ*, კუდისა – 147 *მმ*, მასა 250 გ). ქვესახეობათაგან საქართველოში გვხვდება ორი: ჩვეულებრივი შავი 3. (R. r. rattus) და ალექსანდრიული 3-ები (R. r. alexandrinus). *გ. ენუქიძე.*

ვირთხა, იგივე, რაც *ვირთაგვა*.

ვირი (Asinus), კენტჩლიქოსანი ძუძუმწოვრების ქვეგვარი ცხენისნაირთა რიგისა. ცხენისაგან განსხვავებით აქვს გრძელი ყურები, დიდი თავი, ვიწრო ჩლიქები, წვრილი კუდი, რ-იც გრძელბალნიანი ფუნჯით მთავრდება. არსებობს შინაური 3-ის 2 ჯიშური ჯგუფი: 1. აფრიკისა და აზიის ადგილობრივი ტანმორჩილი (მ. შ. კავკასიური); 2. კულტურული 3-ის ჯიშები, რ-ებსაც იყენებენ ჯორის გამოსაყვანად. დედა 3. წელიწადში ერთ ჩოჩორს შობს. სიცოცხლის ხანგრძლივობა 12–18 წელია. იკვებება ბალახით. 3-ს იყენებენ სასაპალნედ და შესაბმელად, განსაკუთრებით მთაგორიან ადგილებში და ბილიკების სავალ გზებზე. 3-ს შეუძლია ტვირთის გადატანა ზურგით (საშუალოდ 80–98 *კგ*-მდე) და საზიდრით (1,0 *ტ*-მდე). 3-ს ამუშავებენ 2 წლიდან. საქართველოში (კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, აფხაზეთი) გავრცელებული 3. ტანად პატარაა, მისი სიმაღლე 95 *სმ* აღწევს. 3-ს უმთავრესად იყენებენ საკარმიდამო სამუშაოებისათვის, აგრეთვე მეცხოველეობაში, განსაკუთრებით მეცხვარეობის ფერმებში საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე. მოვლა-კვების მხრივ ნაკლებმომთხოვნი, გამძლე და ამტანი პირუტყვია, იშვიათად ავადდება. *დ. კობალავა.*

ვირისტერფა (Tussilago), მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. გვარში მხოლოდ 1 სახეობაა – T. farfara. ფესურიანი ბალახია. აქვს მარტივი საყვავილე ღეროები, რ-ებიც ქერქლისებრი ფოთლებითაა შემოსილი. ყვავილობს ადრე გაზაფხულზე (ყვავილები კაშკაშა ყვითელია, შეკრებილია კალათა ყვავილედებად), დაყვავილების შემდეგ მწვანეფესვთანური გრძელყუნწიანი ფოთლები გამოაქვს (ფოთოლი ზედა მხარეზე მწვანეა, ქვედა მხარეზე კი ქეჩისებრ სქლადაა თეთრად შებუსული). გავრცელებულია ევრაზიაში, ჩრდ. აფრიკასა და ჩრდ. ამერიკაში. საქართველოში თითქმის ყველა რ-ნში გვხვდება. იზრდება ტენიან ადგილებში, ღელეებისა და მდ-ების ნაპირებზე, ჩამონაზვავებზე, თიხნარ და ქვიშნარ ან ჩამორეცხილ ნიადაგზე მთის ქვედა და შუა სარტყელში. ფოთოლი და ყვავილედი შეიცავს გლიკოზიდებს, საპონინებს და სხვ. ნაყენს ხმარობენ მედიცინაში. თაფლოვანია. *ლ. ხინთიბიძე.*

ვირის ხიდი, მტკვრის ვიწრო ტოტზე გადებული, ხის კოფოებზე შემდგარი, მარცხენა სანაპიროსა და *ორთაჭალის* დამაკავშირებელი ხიდი. ეს სახელი იმიტომ შეერქვა, რომ ორთაჭალაში დაკრეფილი ხილი და ბოსტნეული ხურჯინ და გოდორაკიდებული ვირებით ქალაქში გასაყიდად აღნიშნულ ხიდზე გავლით გადაჰქონდათ. მოგვიანებით ორთაჭალაში არსებული ხიდის სახელი დაერქვა *მეტეხის ხიდს*, რ-ზეც სივიწროვის გამო ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალული იყო.

ვირსალაძე (ქალიშვილობის გვარი – აბდუშელიშვილი) ანასტასია დავითის ასული [29. X (10. XI). 1883, ქუთაისი, – 5. IX. 1968, თბილისი], პიანისტი და პედაგოგი, ქართ. პიანისტური (საშემსრულებლო და პედაგოგიური) სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართვ. სახ. არტისტი (1960). 1909 წარჩინებით დაამთავრა პეტერბურგის კონსერვატორია (ხელმძღვ. პროფ. ა. ესიპოვა). იგი იყო პირველი ცნობილი ქართვ. მუსიკოსი ქალი, რმაც უმაღლესი მუს. განათლება მიიღო. 1921–68 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიაში. 1932-იდან იყო პროფესორი, მრავალი წლის განმავლობაში – კათედრის გამგე. 1926 შემოქმედებითი მივლინებით იყო ბერლინში. ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას. იყო პიანისტების II (1935) და III (1937) საკავშ. კონკურსების ჟიურის წევრი. კონსერვატორიასთან ,,ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფის'' დაარსებიდან (1934; 1938-იდან – ცენტრ. მუს. ათწლედი) იყო მისი პროფესორი, აღზარდა 100-ზე მეტი მოწაფე (მ. შ. დ. ბაშკიროვი, ე. კ. *ვირსალაძე*, ლ. ვლასენკო). შექმნა საფორტეპიანო სკოლა, რ-თვისაც დამახასიათებელია სტილის ფაქიზი შეგრძნება, დახვეწილი გემოვნება, ბგერის მაღალი კულტურა. პერიოდულად გამოდიოდა საკონცერტო ესტრადაზე როგორც სოლისტი და ანსამბლისტი. მაღალი პროფ. ოსტატობით ასრულებდა ლ. ვან ბეთჰოვენის, ფ. შოპენის და სხვ. ნაწარმოებებს. 3. ავტორია მრავალი მეთოდოლ. ხასიათის წერილისა და მოგონებისა თავისი მასწავლებლის ა. ესიპოვას შესახებ. 3-ის სახელი მინიჭებული აქვს თბილ. ხელოვნების ერთ-ერთ სკოლას.

ლიტ.: ტორაძე გ., ანასტასია ვირსალაძე, თბ., 1981; Анастасия Вирсаладзе. Сб., сост. Г. Торадзе, Тб., 1985; Башкиров Д., О моем первом профессоре, «Советская музыка», 1977, №3.

გ. ტორაძე.

ვირსალაძე დავით კონსტანტინეს ძე (დ. 25. XI. 1943, თბილისი), ენდოკრინოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (2002), პროფესორი (2004), საქართვ. სამედ.-ბიოლ. მეცნ. აკად. წევრი (2002). 1966 დაამთავრა თსსი. 1977-იდან იყო თსსი-ის ენდოკრინოლოგიის კათედრის თანამშრომელი, კათედრის გამგე (2003-იდან), 2009-იდან არის თსსუ-ს მედ. ფაკ-ტის ენდოკრინოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი. 2000-იდან არის საქართვ. ენდოკრინოლოგთა საზ-ბის თავრე, არასამთავრობო ორგანიზაცია – ექიმთა და დიაბეტით დაავადებულთა თბილ. რეგიონული კავშირის ,,დ-მელიტუსის'' ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავ-რე (1997-



ვირი.



ვირისტერფა (Tussilago).



ა. ვირსალაძე.

იდან), ევრ. დიაბეტის შესწავლის საერთაშ. ასოციაციის (EASD) წევრი (2002-იდან), საქართვ. თიროიდოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი (2004); ევრ. ენდოკრინოლოგთა ასოციაციის გამგეობის (ESE) წევრი (2005-იდან).

3-ის სამეცნ. კვლევის ძირითადი სფეროა შაქრიანი დიაბეტი, მეტაბოლური სინდრომი (შაქრიანი დიაბეტის და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების წინა მდგომარეობა), ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები.

3. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 4 მონოგრაფიის ავტორი.



ე. ბ. ვირსალაძე.

თხზ.: მეტაბოლური სინდრომი – რეალობა და პერსპექტივები, თბ., 2001; ოქსიდატური სტრესი და ენდოთელური დისფუნქცია მეტაბოლური სინდრომის დროს, თბ., 2006.

ᲕᲘᲠᲡᲐᲚᲐᲫᲔ ელენე ბაგრატის ასული (29. VI. 1911, თბილისი, – 11. III. 1977, იქვე), მეცნიერი, ფოლკლორისტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1971), საქართვ. მეცნ დამს. მოღვაწე (1965). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკტი (1930), შემდეგ – ლენინგრადის ლიტერატურის, ენისა და ფილოს. ინ-ტის ასპირანტურა (1935). 1936-იდან მუშაობდა შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტერატურის ინ-ტში. პარალელურად კითხულობდა ლექციებს თსუ-სა და სხვადასხვა პედ. ინ-ტში. 1976-იდან ხელმძღვანელობდა თსუ-ის ფოლკლორისტიკის კათედრას. იკვლევდა ქართ. ფოლკლორის აქტუალურ საკითხებს: მითოლ. პრობლემებს, ეპიკურ ტრადიციათა თავისებურებებს ზეპირსიტყვიერებაში, ხალხ. ლირიკას, ფოლკლორში თანამედროვე თემატიკის ასახვის ფორმებს, ლიტ.-ფოლკლორულ ურთიერთობებს და სხვ. 3-ს თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ეროვნ. ზეპირსიტყვიერების შეკრება-გამოცემაში. აქტიურად მონაწილეობდა ფოლკლორულ ექსპედიციებში. მის მიერ შეკრებილი მასალის დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია გამოკვლევებითა და მეცნ. კომენტარებით. ამ მხრივ აღსანიშნავია 3-ის ,,რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები'' (ტ. I, 1949; II–1958), ,,ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება'' (1958), ,,ქართული ხალხური თქმულებები და ლეგენდები'' (რუს. ენაზე, 1973) და სხვ. მონაწილეობდა ,,ქართული ხალხური პოეტური შემოქმედებისა'' (ტ. 1–3, 1960–73) და ,,ქართული ხალხური პოეზიის'' თორმეტტომეულის (1972–84) შედგენაში, რისთვისაც



ე. კ. ვირსალაძე.

მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1988, სხვებთან ერთად). 3-ის მონოგრაფია ,,ქართული სამონადირო ეპოსი'' (1964) ქართ. ფოლკლორისტიკის მნიშვნელოვანი შენაძენია. იგი რუსულადაც დააბეჭდა მოსკოვში (სერია – აღმოსავლეთის ფოლკლორისა და მითოლოგიის გამოკვლევები; 1976). 3. იყო ნარატიული ფოლკლორის საერთაშ. საზ-ბის წევრი (1974). მისი სამეცნ. ნაშრომები თარგმნილია რუს., ფრანგ., ინგლ. და გერმ. ენებზე. *ფ. ზანდუკელი.*

ᲕᲘᲠᲡᲐᲚᲐᲫᲔ ელისო კონსტანტინეს ასული (დ. 14. IX. 1942, თბილისი), პიანისტი. საქართვ. (1974) და სსრკ (1989) სახ. არტისტი. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიისა (1983) და ზ. ფალიაშვილის სახ. პრემიის (1991) ლაურეატი. ა. *ვირსალაძის* შვილიშვილი და მოწაფე. 1964 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია. ასპირანტურის კურსი გაიარა მოსკ. კონსერვატორიაში (ხელმძღვ. პროფ. ი. ზაკი). 3-ის ხელოვნებამ ფართო საერთაშ. აღიარება მოიპოვა. იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი მუსიკოსია. 3-ის შესრულება გამოირჩევა უმაღლესი მუს. კულტურით, ვირტუოზული ტექნიკითა და არ-




ე. კ. ვირსალაძე როიალთან.

ტისტიზმით, მისი რეპერტუარი ფართო და მრავალფეროვანია. გასტროლებს მართავს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (აშშ, ინგლისი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, გერმანია, ბულგარეთი, იტალია, იაპონია, არგენტინა და სხვ.). არის მსოფლიო ახალგაზრდობის ვენის მუს. ფესტივალის ლაურეატი (1959). მოსკ. საკავშ. (1961, III პრემია) და პ. ჩაიკოვსკის სახ. საერთაშ. (1962, III პრემია) კონკურსების, აგრეთვე ცვიკაუს (გდრ) შუმანის სახ. საერთაშ. კონკურსის (1966, I პრემია) ლაურეატი. 1967-იდან 3. პედ. მოღვაწეობას ეწევა მოსკ. კონსერვატორიაში. არის მოსკოვისა (1979-იდან) და მიუნხენის (1995-იდან) კონსერვატორიების პროფესორი, ფლორენციის სამუსიკო სკოლის პედაგოგი (2010-იდან პროფესორი). მისი ინიციატივით 1982 დაარსდა ქ. თელავის მუს. ფესტივალი ,,ქება ვაზისა'' (გაიმართა ხუთჯერ, განახლდა 2010-იდან).

[ი ს .: ტ ო რ ა ძ ე გ., უკრავს ელისო ვირსალაძე, «საბჭოთა ხელოვნება», 1959, №1; მ ი ს ი ვ ე, შთაგონებული შემოქმედი, «ლიტერატურული საქართველო», 1983, №6; მ ი ს ი ვ ე, თაიგული ელისო ვირსალაძეს წგ. ქართული მუსიკა საუკუნის გადასახედიდან თბ., 1998; მ ი ს ი ვ ე, ელისო ვირსალაძე, თბ., 2012; А л е к с а н д р о в Б., Элисо Вирсаладзе, «Советская музыка», 1971, №10; Ц ы п и н Г., Портреты современных пианистов, М., 1982. *გ. ტორაძე.*

ᲕᲘᲠᲡᲐᲚᲐᲫᲔ თინათინ ბაგრატის ასული (26. X. 1907, თბილისი, – 28. X. 1985, იქვე), მეცნიერი, ხელოვნების ისტორიკოსი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1976). 1925–26 სწავლობდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში. 1929 დაამთავრა თსუ-ის პედ. განყ-ბა, 1936 კი – ლენინგრადის ხელოვნებათმცოდნეობის ინ-ტის ასპირანტურა. 1937–41 მუშაობდა მუზეუმ ,,მეტეხში'', 1941-იდან მოღვაწეობას ეწეოდა ახლად დაარსებულ საქართვ. მეცნ. აკად. ქართული ხელოვნ. ისტორიის ინ-ტში (შემდგომში გ. ჩუბინაშვილის სახელობისა), იყო სახვითი ხელოვნების განყ-ბის ხელმძღვანელი (1985-მდე). 3-ის სამეცნ. მოღვაწეობის ძირითადი სფერო იყო შუა საუკუნეების ქართ. ფერწერა. მის შესწავლას, სისტემატიზებასა და ევოლ. გზების დადგენას მეცნიერმა დიდი ღვაწლი დასდო: შექმნა ფუნდამენტური ნაშრომები ამ დარგში. 3-მ ღრმა სტილისტური და ისტ. ანალიზის საფუძველზე გამოავლინა ქართ. კედლის მხატვრობის ეროვნ. თავისებურებანი, მისი მიმართება ბიზანტ. მხატვრობასთან, მოხატულობათა თემატიკის კავშირი ქვეყნის თანადროულ ისტ. ვითარებასთან. მანვე წამოჭრა ძვ. ქართ. მონუმენტური მხატვრობის რეგიონალური სკოლების არსებობის აუცილებლობა. 3-ს ეკუთვნის მნიშვნელოვანი ნაშრომები XX ს. ქართ. მხატვრობის თაობაზე. მონაწილეობდა ქართ. ხელოვნებისადმი მიძღვნილ პირველ (1974, ბერგამო) და მეორე (1977, თბილისი) საერთაშ. სიმპოზიუმებში.

თხზ.: გელათი, თბ., 1982 (თანაავტ.



ს. ბ. ვირსალაძე.



ს. ბ. ვირსალაძე. კოსტიუმის ესკიზი – ცეკვა ,,ჯეირანი''.



ს. ბ. ვირსალაძე. დეკორაცია ბალეტისთვის ,,მძინარე მზეთუნახავი'' (კომპოზიტორი – პ. ჩაიკოვსკი, ქორეოგრაფი – ი. გრიგოროვიჩი). 1973.

რ. მეფისაშვილი, ქართ. და ინგლ. ენებზე); ატენის საონის მოხატულობა, თბ., 1984 (ქართ. და რუს. ენებზე); Фрагменты древней фресковой росписи Главного Гелатского храма, «ქართული ხელოვნება», 1959, ტ. 5; Фресковая роспись в церкви Архангелов села Земо-Крихи, იქვე, 1963, ტ. 6 (სერია A); Роспись Иерусалимского Крестового Монастыря и портрет Шота Руставели, Тб., 1973; Основные этапы развития грузинской средневековой монументальной живописи, Тб., 1977. *მ. დიდებულიძე.*

ვირსალაძე კონსტანტინე სპირიდონის ძე (28. I (10.II). 1914, თბილისი, – 13. X. 1992, იქვე), თერაპევტი. მედ. მეცნ. დოქტორი (1952), პროფესორი (1953), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). ს. ს. *ვირსალაძის* შვილი. 1936 დაამთავრა თსსი. 1954-იდან იყო ამავე ინ-ტის თერაპიის კათედრის, 1957–87 – ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის გამგე, 1975–85 – თბილ. სამედ. ინ-ტის რექტორი. 3-მ ერთ-ერთმა პირველმა შეისწავლა ეპიდემიოლოგიური კვლევის საფუძველზე კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები საქართვ. რ-ნებში და შეიმუშავა ამ დაავადებათა პროფილაქტ. ღონისძიებანი; დანერგა კვლევის ენდოსკოპიური მეთოდები გასტროენტეროლოგიაში. მისი თაოსნობით რესპ. კლინ. საავადმყოფოსთან დაარსდა გასტროენტეროლოგიისა და სამკურნ. კვების განყ-ბები (1960), შეიქმნა გასტროენტეროლოგთა რესპ. და თბილ. თერაპევტთა სამეცნ. საზ-ბები (1973). იყო საქართვ. თერაპევტთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე (1978), თერაპევტთა მსოფლიო ასოციაციის წევრი, სსრკ IX–X მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Пилоро-дуоденальные стенозы язвенного происхождения, Тб., 1956.

ვირსალაძე სიმონ (სოლიკო) ბაგრატის ძე [31. XII. 1908 (13. I. 1909), თბილისი, – 7. II. 1989, იქვე], თეატრის მხატვარი. სსრკ სახ. მხატვარი (1976), სსრკ სამხატვრო აკად. ნამდვ. წევრი (1975). შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1989, გარდაცვალების შემდეგ); ლენინური პრემიის ლაურეატი (1970); სტალინური (1949, 1951) და სსრკ სახელმწ. (1977) პრემიების ლაურეატი. სწავლობდა მ. თოიძის სტუდიაში, პარალელურად ესწრებოდა ქორეოგრ. სტუდიის მეცადინეობას. 1927 შევიდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში. დაამთავრა ლენინგრადის სამხატვრო აკადემია (1931). თბილისში დაბრუნების შემდეგ შექმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნამუშევარი, რ-თაგან აღსანიშნავია ზ. ფალიაშვილის ,,დაისის'' სცენური გაფორმება (1936). 1932–36 იყო თბილ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის მთ. მხატვარი. 1937 3. ლენინგრადში (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი) მიიწვიეს, სადაც მხატვრულად გააფორმა ვ. ჭაბუკიანის მიერ დადგმული ბალეტები: ა. ბალანჩივაძის ,,მთების გული'' (1938), ა. კრეინის ,,ლაურენსია'' (1939) და სხვ. 3-ის შემოქმედებამ მთელი ეტაპი შექმნა თეატრ.-დეკორ. ხელოვნებაში. მნიშვნელოვანი ნამუშევრები: თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში – პ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინი'' (1934), ,,გედების ტბა'' (1935), მ. მინკუსის ,,დონ კიხოტი'' (1940), ,,შოპენიანა'' (ფ. შოპენის მუსიკაზე, 1943), ა. მაჭავარიანის ,,ოტელო'' (1957), ვ. ა. მოცარტის ,,დონ ჟუანი'' (1964) და სხვ.; ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრში (1940–41 და 1945–62 მთავარი მხატვარი) – ა. გლაზუნოვის ,,რაიმონდა'' (1948; სტალინური პრემია, 1949), დ. კაბალევსკის ,,ტარასის ოჯახი'' (1950; სტალინური პრემია, 1951) და სხვ. განსაკუთრებით მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტი ჰქონდა ქორეოგრაფ ი. გრიგოროვიჩთან. მოსკოვის დიდ თეატრში მათ ერთად შექმნეს სპექტაკლები: ა. ხაჩატურიანის ,,სპარტაკი'' (1968; ლენინური პრემია, 1970), პ. ჩაიკოვსკის ,,მძინარე მზეთუნახავი'' (1973), ა. ეშპაის ,,ანგარა'' (სსრკ სახელმწ. პრემია, 1977) და სხვ. უდიდესი წვლილი მიუძღვის ი. სუხიშვილის სახ. ქართული ნაციონალური ბალეტის მსოფლიო მასშტაბით ტრიუმფალურ წარმატებაში (კოსტიუმების მხატვრობა). 1999 3-ის საიუბილეოდ თბილ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრში დაიდგა პ. ჩაიკოვსკის ბალეტი ,,მაკნატუნა'' (3-ის კოსტიუმებითა და დეკორაციებით). მოეწყო პერსონალური გამოფენა, დაიბეჭდა ალბომი. მის საცხოვრებელ სახლში, მისივე სახელობის ქუჩაზე, გახსნილია მემორიალური სახელოსნო.

ლიტ.: ლუცკაია ე., სოლიკო ვირსალაძე (მხატვარ-დეკორატორი), თბ., 1969; მაჩაბელი კ., სოლიკო ვირსალაძე, თბ., 1984; ნაციაშვილი ს., სოლიკო ვირსალაძე დიდ თეატრში, «თეატრალური მოამბე», 1976, №3; ოკლეი მ., თეატრის მხატვარი - სოლიკო ვირსალაძე, თბ., 1993; Ванслов В., Симон Вирсаладзе, М., 1969.

ვირსალაძე სპირიდონ სიმონის ძე [17 (29). III. 1868, სოფ. ნახშირღელე, ახლანდ. თერჯოლის მუნიციპალიტეტი, – 30. III. 1930, თბილისი], თერაპევტი, მეცნიერული თერაპიის და ტროპიკული მედიცინის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მედ. მეცნ. დოქტორი (1910), პროფესორი (1919). 1896 დაამთავრა ტომსკის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. 1898–1909 მუშაობდა პეტერბურგში ი. პავლოვის, ა. ნეჩაევისა და ვ. ბეხტერევის ხელმძღვანელობით. 1909 გადმოვიდა თბილისში და დაინიშნა მიხეილის საავადმყოფოს (ამჟამად ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტის კლინიკური საავადმყოფო) მთ. ექიმის მოადგილედ და თერაპიული განყ-ბის გამგედ. 1909 მოსკოვში დაიცვა



ს. ს. ვირსალაძე.

სადოქტორო დისერტაცია. 1919 აირჩიეს თსუ-ის პროფესორად და პათოლ. და თერაპიის კათედრის გამგედ, 1921-იდან სიცოცხლის ბოლომდე განაგებდა ჰოსპიტალური თერაპიის კათედრას.

3. საქართველოში უმაღლესი სამედ. განათლების ერთ-ერთი ორგანიზატორია. მისი თაოსნობით 1916–17 თბილისში დაარსდა ქართვ. ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზ-ბა, რ-მაც დიდი როლი ითამაშა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტის დაარსებაში. იგი იყო პირველი ქართ. სამედ. ჟურნალ ,,ექიმის'' რედაქტორი (შ. მიქელაძესთან ერთად). შეიმუშავა კავკასიაში ტროპ. სნეულებებთან ბრძოლის მეცნ. გეგმა, შექმნა ტროპ. სნეულებათა ცენტრ. სადგური, რ-იც მისივე ინიციატივით 1924 ტროპ. სნეულებათა ინ-ტად გადაკეთდა (ამჟამად ს. ვირსალაძის სახ. სამედ. პარაზიტოლოგიისა და ტროპ. მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი). შეისწავლა თავის ტვინის ქერქის გავლენა ნაღვლის გამოყოფაზე. იკვლევდა აგრეთვე აორტის ჰიპოპლაზიისა და წყლულოვანი დაავადების პათოგენეზში მემკვიდრეობითი ფაქტორების როლს. 3-სვე ეკუთვნის გამოკვლევები კარდიოლოგიის, პულმონოლოგიის, გასტროენტეროლოგიისა და ტროპ. მედიცინის დარგებში.

თხზ.: К вопросу о преждевременной плотности периферических артерий и об ее отношении к так называемой аортальной гипоплазии, СПб., 1910.

ლიტ.: მარუაშვილი გ., აბულაძე ს., სპირიდონ ვირსალაძე, თბ., 1969. *ა. არაბული.*

ვირუსოლოგია (ლათ. virus – შხამი, logos – სიტყვა, მოძღვრება), მეცნიერების დარგი, რ-იც შეისწავლის ვირუსების და ვირუსისმაგვარი აგენტების სტრუქტურას, კლასიფიკაციას და ევოლუციას, მათ მიერ მასპინძელი უჯრედის დაინფიცირებისა და გასამრავლებლად (რეპროდუქციისთვის) გამოყენების გზებს, მასპინძელ ორგანიზმთან მათ ურთიერთქმედებას, დაავადებებს, რ-თაც ისინი იწვევენ, მათი გამოყოფის და კულტივირების მეთოდებს.

ვირუსები, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ზღვარზე მყოფი უმცირესი ზომის (30–450 *ნმ*) ფართოდ გავრცელებული არაუჯრედული წარმონაქმნებია. ისინი უჯრედშიდა პარაზიტები არიან. ვირუსები უჯრედული ორგანიზმებისაგან, მ. შ. ბაქტერიებისაგან განსხვავებით, შეიცავენ ნუკლეინის მჟავას მხოლოდ ერთ ტიპს – ან დნმ-ს, ან რნმ-ს. მათთვის, როგორც ყოველი ცოცხალი ორგანიზმისათვის, დამახასიათებელია თვითრეპროდუქცია. ვირუსებში ეს პროცესი მიმდინარეობს ვირუსით ინფიცირებული უჯრედის ენერგეტ. რესურსებისა და ნივთიერებათა ცვლის ხარჯზე, ანუ მათ არ გააჩნიათ ბაქტერიის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი თვისება – ნივთიერებათა ცვლის დამოუკიდებელი მექანიზმი. ვირუსები იწვევენ ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეების მთელ რიგ მწვავე, ქრონიკულ, პერსისტულ და ნელ ინფექციურ დაავადებებს.

3-თან აკავშირებენ მთელ რიგ პათოლოგიებს, სიმსივნეების წარმოშობას, ათეროსკლეროზს, დიაბეტს, სხვადასხვა ნერვულ და ფსიქ. დაავადებებს. ვირუსები არა მარტო ცოცხალი ორგანიზმების ინფექციური დაავადებების აღმძვრელი პარაზიტები არიან, არამედ წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფაქტორს ორგ. სამყაროს ევოლუციაში.

3., როგორც მეცნიერება, ჩამოყალიბდა მეტად არაორდინარულად. ვირუსების ოფიც. აღმოჩენამდე 100 წლით ადრე, 1796, ექიმმა ე. ჯენერმა შექმნა ყვავილის ვირუსის საწინააღმდეგო პირველი ვაქცინა, ხოლო 1885 ლ. *პასტერმა* – ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა.

ვირუსები აღმოაჩინა ჰოლანდიელმა მეცნიერმა მ. ვ. ბეირინკმა, რ-მაც 1898 დაამტკიცა, რომ თამბაქოს მოზაიკის ვირუსი არის თხიერი, ცოცხალი კონტაგიოზური აღმძვრელი. მცენარეული ვირუსის აღმოჩენას მოჰყვა ცხოველური ვირუსის – თურქულის გამომწვევის აღმოჩენა ფ. ლეფლერისა და პ. ფროშის მიერ და დაფიქსირდა ,,როგორც ფილტრში გამავალი ბაქტერია''.

ბაქტერიების ვირუსების – ბაქტერიოფაგების აღმოჩენა დაკავშირებულია მეცნიერების – ფ. ტუორტის, ფ. *დ'ერელის* და გ. *ელიავას* სახელებთან.

3-ის მეცნიერებად ჩამოყალიბების პროცესში ხშირად ხდებოდა შემეცნების ცვალებადობა ორგანიზმის დონიდან სუბმოლეკულურ დონემდე. ეს განპირობებული იყო მოსაზღვრე სამეცნ. დისციპლინების (გენეტიკა, ბიოქიმია, მოლეკულური ბიოლოგია, ბიოორგანული ქიმია და სხვ.) მიღწევების ფართოდ გამოყენებით 3-ში. 3-ის განვითარებამ, ვირუსების ღრმა შესწავლამ, მიღებული კანონზომიერებების გამოყენებამ, განსაპირობა ზემოაღნიშნული სამეცნ. დისციპლინების განვითარება და ჩამოყალიბება.

სწორედ ბაქტერიული ვირუსების – ბაქტერიოფაგების შესწავლამ მიგვიყვანა მოლეკულური ბიოლოგიის მეცნიერებად ჩამოყალიბებამდე.

3-ის განვითარებაში შესაძლებელია გამოიკვეთოს 4 ეტაპი: 1. ორგანიზმის დონე – ლაბორატორიული ცხოველების გამოყენება (XX ს. 20–30-იანი წწ.). 2. ქათმის ემბრიონებში ვირუსების კულტივირება, ჰემაგლუტინაციის რეაქცია (XX ს. 30-იანი წწ.). 3. ქსოვილოვანი კულტურების შემოღება – რევოლუცია ვირუსოლოგიაში (XX ს. 40-იანი წწ.). 4. მოლეკულური და სუბმოლეკულური დონე დაკავშირებულია ახ. ტექნოლოგიების განვითარება-დანერგვასთან (ელექტრონული მიკროსკოპია, ულტრაცენტრიფუგირება, სპექტროფოტომეტრია, ავტორადიოგრაფია, რენტგენო-სტრუქტურული ანალიზი და ა.შ.).

3-ის ძირითადი მიმართულებებია: ვირუსების მოლეკულური ორგანიზაციის, ბიოქიმიის, გენეტიკის, ანტივირუსული იმუნიტეტის შესწავლა; ვირუსული ინფექციების დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის ხერხების შემუშავება და სრულყოფა. XX ს. 50–60-იანი წწ. სამედ. ვირუსოლოგიის ოქროს ხანაა, როდესაც აღმოაჩინეს კოკსაკი, ეხო, სხვა ენტერო- და ადენოვირუსები, რესპირატორულ – სინციტიალური ვირუსი, ონკოვირუსები და პერსისტენტული ინფექციის გამომწვევები, ვიროიდები და პრიონები.

დაავადებების გამომწვევ ვირუსებს შორის გავრცელებისა და შედეგების მიხედვით გრიპოზულ ინფექციებს წამყვანი ადგილი უკავია.

გრიპის გამომწვევები მიეკუთვნებიან ორთომიქსოვირუსების ოჯახს და წარმოდგენილი არიან გრიპის ვირუსის სამი: A, B და C გვარით. ჯანმო-ს ნომენკლატურის თანახმად ვირუსის შტამები აღინიშნება შემდეგი მონაცემებით: გვარი, იზოლაციის ადგილი და წელი, ჰემაგლუტინინის (H) და ნეირამინიდაზას (N) ნაირსახეობა. მაგალითად A/სინგაპური/57/H2N2 აღნიშნავს A გვა-

რის ვირუსს, რ-იც გამოყოფილია 1957 წელს სინგაპურში და რ-საც აქვს H2N2 სახეობის ანტიგენები.

გრიპის ვირუსი შედგება რნმ-სა და გარეგანი გარსისგან. მასში განლაგებულია 2 ანტიგენი – ჰემაგლუტინინი და ნეირამინიდაზა. ჰემაგლუტინინი პასუხისმგებელია უჯრედში ვირუსის შეჭრაზე (,,H'' ქვეტიპის მიმართ იმუნიტეტი უზრუნველყოფს ინფექციის პროფილაქტიკას). ნეირამინიდაზა ორგანიზმში ახ. ვირუსების გამოთავისუფლებაზე პასუხისმგებელია (,,N'' ქვეტიპის მიმართ იმუნიტეტი ამცირებს დაავადების სიმძიმეს). ამ ანტიგენებს უნარი აქვთ, შეიცვალონ თვისებები მუტაციის შედეგად. ეს განაპირობებს ვირუსის ახ. ვარიანტის წარმოქმნას, რ-ის მიმართაც მოსახლეობას იმუნიტეტი არ გააჩნია (ყოველწლიური, სეზონური ეპიდემიების მიზეზი). ვრცელდება წვეთოვანი გზით.

ინფექციისაგან ორგანიზმის ხანგრძლივად დამცავი ვაქცინის შექმნისათვის საკმაოდ სერიოზულ წინააღმდეგობას წარმოადგენს გრიპის ვირუსის ყოველწლიური ცვალებადობა. ამიტომ ვაქცინები შესაბამის წელს მოსალოდნელი ქვეტიპების ვარიანტების შემცველი ვირუსებისაგან მზადდება.

ჰ ე რ პ ე ს ვ ი რ უ ს ე ბ ი (Herpesviridae) დნმ-ს შემცველი ვირუსების დიდი ოჯახია (დაახლოებით 200 სახეობა), რ-ებიც იწვევენ დაავადებებს არა მარტო ადამიანებში, არამედ ცხოველებში, ფრინველებში, რეპტილიებსა და თევზებში. მათგან ადამიანებისათვის პათოგენურია მარტივი ჰერპესი (I და II ჯგუფის), ჩუტყვავილა (Varicella) და სარტყლისებური ჰერპესი (Zoster), ეპშტეინ-ბარი, ციტომეგალოვირუსი, როზეოლოვირუსი (მე-6 და მე-7 ტიპის) და კაპოშის სარკომასთან ასოცირებული ვირუსი. ჰერპესვირუსით დაავადებულია პლანეტის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. ადამიანის ყველა ჰერპესვირუსი ხასიათდება უნიკალური ბიოლ. თვისებებით – ქსოვილური ტროპიზმი, ვირუსის ლატენტური არსებობა ნერვულ უჯრედებში და ხანგრძლივი პერსისტენცია კლინ. გამოვლინებების გარეშე. ჰერპესვირუსი რჩება ადამიანის ორგანიზმში მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ვირუსს შეუძლია პერიოდული რეციდივირება დამახასიათებელი კლინ. ნიშნებით ან უსიმპტომოდ. იგი აზიანებს სხვადასხვა ორგანოსა და სისტემას, იძენს გენერალიზებულ სახეს შესაძლო ლეტალური შედეგით. უმეტეს შემთხვევაში პირველადი და მეორეული ინფიცირება ხდება ჰაეროვანი გზით, ჰიგიენისა და საყოფაცხოვრებო ნივთებით ან უშუალო კონტაქტით ქსოვილებთან და ბიოლ. სითხეებთან, აგრეთვე კანთან. ასევე დასტურდება ინფექციის გადაცემის ტრანსფუზიური და ტრანსპლაცენტალური გზები.

აღწერილია რამდენიმე ტიპის ვირუსი, რ-თაც ვირუსული ჰეპატიტის გამოწვევა შეუძლია.

ვ ი რ უ ს უ ლ ი ჰ ე პ ა ტ ი ტ ი იყოფა ორ ძირითად ჯგუფად, რ-ებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან ინფიცირების გზით: 1) ტიპური საკვებისმიერი და წყლისმიერი ინფექციები ე. წ. ფეკალურ-ორალური – ენტერალური გზით გადაცემა; მათ მიეკუთვნება ჰეპატიტი A და E; 2) ტიპური ,,სისხლისმიერი'' ინფექციები: გადაეცემა პარენტერალური გზით – სისხლის და მისი პროდუქტების ტრანსფუზიით, სქესობრივი კონტაქტით, კონტამინირებული ნემსებისა და შპრიცების გამოყენებით, მ. შ. ტატუირებისას, ვერტიკალური გადაცემა დედიდან ბავშვზე მშობიარობისას, გადაცემა – კანის მიკროტრავმისას ან ლორწოვანზე დაავადებულის სეკრეტების მოხვედრით. ამ ჯგუფის წარმომადგენელია ჰეპატიტი B, C და D (D ჰეპატიტის გამომწვევია, დეფექტური რნმ-ის შემცველი ვირუსი). განსაკუთრებით საშიშია ამ ვირუსების მიერ გამოწვეული ჰეპატიტების ქრონ. ფორმები, რ-თა შედეგი ხშირად ღვიძლის ციროზია ან ჰეპატოცელულარული კარცინომა. ამჟამად გამოიყენება ვაქცინები მხოლოდ A და B ჰეპატიტის საწინააღმდეგოდ.

საქართველოში B, C ჰეპატიტები საკმაოდ გავრცელებულია. თბილ. მოსახლეობაში C ჰეპატიტის პრევალენტობა 7%-მდეა.

ა დ ა მ ი ა ნ ი ს პ ა პ ი ლ ო მ ა ვ ი რ უ ს ე ბ ი (აპვ – ცნობილია მეჭეჭების ვირუსების სახელით), დნმ-ს შემცველი ვირუსებია, ცირკულირებს სისხლში, გადადის პირდაპირი კონტაქტით ადამიანიდან ადამიანზე (არა მხოლოდ სქესობრივი გზით), ასნებოვნებს ეპიდერმისის ბაზალურ უჯრედებს და იწვევს ქსოვილის ზრდის ცვლილებებს. შედეგად წარმოიქმნება პაპილომა – საწოვარასებრი წანაზარდების სახით კანის ზედაპირზე. ცნობილია 100-ზე მეტი სახეობის აპვ. მათგან 40-მა სახეობამ შეიძლება გამოიწვიოს ანოგენიტალური ტრაქტის დაზიანება და მახვილთავიანი კონდილომების წარმოქმნა. ზოგი მათგანი უვნებელია, დანარჩენი აჩენს მეჭეჭებს, ზოგიერთი კი – ავთვისებიან სიმსივნეებს.

როგორც წესი, ქალი პაპილომავირუსით შეიძლება დაავადდეს ახალგაზრდა ასაკში სქესობრივი ცხოვრების დაწყებისას, მაგრამ ვირუსი არამყისიერად, არამედ შედარებით იშვიათად აჩენს თავის პათოგენურ პოტენციალს და მრავალი წლის განმავლობაში რჩება ლატენტურ მდგომარეობაში. ვირუსის გააქტიურება და სამვილოსნოს ყელის კიბო შეიძლება განვითარდეს მრავალი წლის შემდეგ, 50–70 წლის ასაკში – სხვადასხვა მაპროვოცირებელი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება აპვ-ის საწინააღმდეგო ვაქცინა.

ა ი ვ - შ ი დ ს ი (ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი, შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი) პროგრესირებადი ანთროპონოზური დაავადებაა და იწვევს ორგანიზმის იმუნოკომპეტურობის ძლიერ დაქვეითებას, რის ფონზეც ხდება ავთვისებიანი სიმსივნეების, ოპორტუნისტული ინფექციებისა და ავტოიმუნური დაავადებების ჩამოყალიბება. აივ მიეკუთვნება რნმ-შემცველ რეტროვირუსების ოჯახს. ვირუსი უმთავრესად იჭრება და აზიანებს იმუნური სისტემის უჯრედებს და სხვადასხვა მექანიზმით იწვევს მათ თანდათანობით დაღუპვას.

ინფექციის წყაროს წარმოადგენს ადამიანი, რ-იც იმყოფება დაავადების ნებისმიერ სტადიაში. ყველაზე ხშირად ვირუსის გავრცელება ხდება დაუცველი სქესობრივი კონტაქტით, ინფიცირებული სისხლის ან მისი პროდუქტების ტრანსფუზიით, ან სამედ. და პარასამედიცინო მანიპულაციებით, ტრანსპლაცენტურად, მშობიარობისას ან ძუძუთი კვებისას. მაღალი რისკის ჯგუფში შედიან მრავალი სქესობრივი პარტნიორის მქონე პირები და ჰომოსექსუალები, სისხლის რეციპიენტები, ინიექციური ნარკომანები, სამედ. პერსონალი.

მაღალაქტიური ანტირეტროვირუსული თერაპია იძლევა პრაქტიკულად ნორმალური ცხოვრების საშუალებას, აგრეთვე იცავს ახალშობილს ინფექციის გადაცემისგან.

აივ-ინფექციის ეფექტური ვაქცინა ჯერჯერობით არ არსებობს და პროფილაქტიკის მთავარ მეთოდად რჩება მაღალი რისკის მქონე ქცევის აღმოფხვრა და ზიანის შემცირების პროგრამები, დაცული სექსი და დროული დიაგნოსტიკა.

ვ-ის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერებს: ფ. ბერ-ნეტს, მ. დელბრიუკს, რ. დულბეკოს, ჯ. ენდერზს, ა. ლვოვს, ა. სეიბინს, ჯ. სოლკს, მ. ჩეიზს, ა. ჰერშის და სხვ.

ბუნებაში, ვირუსების გარდა, არსებობს მათზე უფრო მცირე ზომის ინფექციური აგენტები ვიროიდები და პრიონები.

XX ს. 80-იანი წლების დასაწყისში გამოვლენილ იქნა მცენარის უცნაური დაავადება, რ-იც აღმოჩნდა მცირე ზომის გენეტ. აგენტი — ვიროიდი. ეს სახელწოდება 1971 წელს შემოიღო ტ. დინერმა.

პრიონების შესწავლას საფუძველი ჩაეყარა 1954 წელს. ამ წელს ვ. სიგურდსონმა გამოაქვეყნა თავისი მრავალწლიანი გამოკვლევების შედეგი, რ-იც შეეხებოდა ცხვრების მასობრივ დაავადებებს ისლანდიაში. პრიონები წარმოადგენს ინფექციური ცილოვანი ბუნების აგენტებს, ნუკლეინის მჟავების გარეშე. მათ გააჩნიათ უნარი, გამოიწვიონ ისეთი ნელი ლეტალური ინფექციები, რ-ებიც აზიანებენ ადამიანისა და ცხოველების ცენტრ. ნერვულ სისტემას. ისინი წარმოადგენენ როგორც ინფექციური, ასევე მემკვიდრეობითი დაავადებების საფუძველს. ყველაზე ფართოდ ცნობილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ღრუბლისებური ენცეფალოპათია, რ-იც ადამიანებში იწვევს კრეიცფელდ-იაკობის დაავადების ახ. ვარიანტს.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი 1959 ე. ვარდოსანიძის და ვ. მეუნარგიას თაოსნობით თბილ. ონკოლოგიურ საავადმყოფოში ჩამოყალიბდა ონკოვირუსების ლაბორატორია.

1979 შავი ჭირის საწინააღმდეგო სადგურში (ამჟამად, *დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი*) ლ. *საყვარელიძის* ხელმძღვანელობით გაიხსნა განსაკუთრებით საშიშ ვირუსულ ინფექციათა განყ-ბა, სადაც იკვლევდნენ I და II ჯგუფის, მ. შ. ჰემორაგიული ცხელებების გამომწვევ ვირუსებს. ვირუსოლოგიურ კვლევას წარმატებით ახორციელებდნენ: ნ. ბარნაბიშვილი, ლ. ბაქანიძე, ე. ივანიძე, ს. კუპრაძე, თ. მაჭავარიანი, თ. ქუთათელაძე, ე. ზანგალაძე, ტ. შუტკოვა, შ. ცანავა, ა. მაჩაბლიშვილი. ამჟამად სამეცნიერო კვლევებს ხელმძღვანელობს პ. იმნაძე.

1966 ვ. *ბახუტაშვილმა* სანიტარიისა და ჰიგიენის ინ-ტში დაარსა ვირუსოლოგიის განყ-ბა, რ-იც 1978 გადაეცა საქართვ. მეცნ. აკად. ა. ნათიშვილის სახ. ექსპერ. *მორფოლოგიის ინსტიტუტს*, ხოლო 1991 ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ბიოტექნოლოგიის ინ-ტად (დირექტორი ვ. ბახუტაშვილი). ინ-ტში მოღვაწეობდნენ ვირუსოლოგები: ი. თოფურია, ბ. *კორსანტია*, ს. კუპრაძე, ჯ. მერაბიშვილი, გ. რუხაძე. კვლევები ტარდებოდა ენტერო- და არბოვირუსებზე, პლაფერონზე მოლეკულური ვ-ის სხვადასხვა მიმართულებით.

ვ-ის სწავლება მიმდინარეობდა თბილ. სახელმწ. უნ-ტის და სამედ. უნ-ტის კათედრებზე, ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ბაზაზე ვ. ყურაშვილის მიერ ჩამოყალიბებულ (1975) ვირუსოლოგიის კათედრებზე.

მცენარეთა დაცვის ინ-ტში ფუნქციონირებს ვირუსოლოგიის განყ-ბა (ხელმძღვ. ც. ჩხუბიანიშვილი), სადაც სწავლობენ მცენარეთა ვირუსულ დაავადებებს და სახავენ მათთან ბრძოლის ღონისძიებებს.

საქართველოში ბაქტერიული ვირუსების აღმოჩენა და შესწავლა დაკავშირებულია გ. ელიავას სახელთან. მისი ინიციატივით 1923 საქართვ. ჯანდაცვის სახელმწ. კომისარიატის მიერ ბაქტერიოლოგიური ლაბორ. ბაზაზე დაარსდა ბაქტერიოლოგიური ინ-ტი (1950-იდან – თბილ. ვაქცინების და შრატების სამეცნ. კვლევითი ინ-ტი, ხოლო 2006 წლიდან კი – *თბილისის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი*). ამ ორგანიზაციას წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ: რ. ადამია, ა. ბოკუჩავა, ლ. საყვარელიძე, ვ. ანთაძე, ნ. სირბილაძე, ი. *გიორგაძე*, ა. მეიფარიანი, თ. *ჭანიშვილი* და სხვ. ეს ინ-ტი ერთადერთი იყო საბჭოთა კავშირში, სადაც დაარსების დღიდან ბაქტერიულ ვირუსებს იკვლევდა სპეციალისტების დიდი ჯგუფი ე. მაყაშვილის და თ. ჭანიშვილის ხელმძღვანელობით (ლ. გაჩეჩილაძე, ზ. გოგოლაძე, რ. ვარაზიშვილი, გ. *კაციტაძე*, თ. *კერესელიძე*, ქ. კუჭაშვილი, ნ. მგალობლიშვილი, ა. მეიფარიანი, თ. მესხი, მ. ფოფხაძე, ლ. ჭანიშვილი, ი. ჭირაქაძე და სხვ.).

ინ-ტის სამეცნ. კვლევები დაკავშირებულია რ. ადამიას სახელთან. ამ მიმართულებით აგრეთვე მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით: ნ. ბალარჯიშვილს, ტ. გაბისონიას, მ. დარსაველიძეს, მ. თედიაშვილს, ლ. კვაჭაძეს, მ. ქუთათელაძეს, ნ. ჭანიშვილს და სხვ.

1954 ინ-ტის ბაზაზე ვ. ყურაშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ცხოველთა ვირუსების განყ-ბა, სადაც სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ვირუსოლოგები: ა. ანჯაფარიძე, კ. აფრიდონიძე, გ. გოგბაიძე, ე. ვარდოსანიძე, ნ. თოფურია, ვ. მეუნარგია, ი. სესიაშვილი, ლ. ტყემალაძე, ი. ფაღავა, ლ. ცინცაძე და სხვა. 1972-იდან ინ-ტის ვირუსოლოგიის ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა ი. გიორგაძე. ლაბორატორიაში ტარდებოდა მრავალმხრივი კვლევები გრიპის, პოლიომიელიტის, ჰერპესის, ნაწლავთა ინფექციების გამომწვევ ვირუსებზე. მიღებულ იქნა ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატები, ხდებოდა მათი ტექნოლ. სქემების შემუშავება. ი. გიორგაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ინტერფერონის პირველი საწარმოო განყოფილება.

გ. ელიავას სახ. ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინ-ტში წლების განმავლობაში შეგროვილია ბაქტერიული ვირუსების უნიკალური კოლექცია, რ-იც შეიცავს 500-ზე მეტ კლონს. მათი გამოყენებით მიმდინარეობს ბაქტერიული ვირუსების მორფოლ. თვისებებისა და ტაქსონომიური ნიშნების, მოლეკულური ორგანიზაციის, ცვალებადობის და მასპინძელ უჯრედთან ურთიერთობის მექანიზმების დადგენა, ახ. პრეპარატების შემუშავება. გაწეული სამუშაოს შედეგად შექმნილია და პრაქტიკაში დანერგილია 20-ზე მეტი სამკურნ.-პროფილაქტიკური და სადიაგნოსტიკო პრეპარატი.

2013 ᲓᲙᲔᲪ-ში შეიქმნა რ. ლუგარის სახ. საზ. ჯანდაცვის ცენტრ. ლაბორატორია, კავკასიაში უნიკალური ბიოუსაფრთხოების მე-3 დონით და გენომის სექვენიერების შესაძლებლობით, სადაც მიმდინარეობს კვლევები: პოლიომიელიტის და სხვა ენტეროვირუსების, გრიპის და წითელას ვირუსებზე და სხვა. იმავე წელს საქართველოში აღმოჩენილ იქნა ორთოპოქსვირუსების ახალი სახეობა.

ი. გიორგაძე. პ. იმნაძე.

ბ. კორსანტია.

ვირშელი, ცხრაზმისხევის (ქსნის) ერისთავი XIV ს. I ნახევარში, ლარგუელ II-ის ძე, გიორგი V ბრწყინვალის თანამედროვე. ვ. მეფესთან ერთად ებრძოდა ,,ოსთა გორს მყოფთა''. გორის აღების შემდეგ უთანხმოება მოხდა ქსნის ხეველებსა და არაგვის მთიულებს შორის. უფლისწულ დავით გიორგის ძის წინააღმდეგობის მიუხედავად შეტაკება მაინც მოხდა. არაგვისხეველები დამარცხდნენ.

ვ-ის ერისთავობაში ქვენიფნევს საზრდოობდა 55 სახლი ,,უძლურთა და დავრდომილთა'', ,,და სამარადისოდ ყოველი პატრონისა ტაბლისაგან მიეცემოდა დღითი დღე''. ვ-ს და მის მეუღლე გვანცას ჰყავდათ სამი ვაჟი: ქუენიფნეველი, იოვანე და გიორგი.

წყარო: ახალი ქართლის ცხოვრება. მეორე ტექსტი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოც., «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 30.

მ. ზალდასტანიშვილი.

ვირშელი იოანეს ძე (1376 – დაახლ. XV ს. დამდეგი), ცხრაზმისხევის (ქსნის) ერისთავი. ერისთავობის პირველსავე წელს ააშენა წმ. ნიკოლოზის ქვიტკირის ეკლესია. შემოიმტკიცა დვალები, მნაველები, თრუსოსხეველები, მოხევეები, ფადელ-ცხვატელნი. თემურლენგის 1400 წ. შემოსევის დროს, გიორგი VII-ის დას. საქართველოში გადასვლის შემდეგ, ვ. დედაწულით ბეხუშის ციხეში შეიხიზნა. თემურლენგს ბურდიასშვილი ვირშელი გამოუძღვა და მტრის ლაშქარმა ,,შემუსრა ყოველი ციხენი და დაქცივნა ყოველნი საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი''. მაშინ ვ-მა ხიზნები ქნოღოს ციხეში გადაიყვანა, თვითონ ბუხუშის ციხესთან შეება მტერს, ხეობის ვიწროებში დაამარცხა თემურლენგის ლაშქარი და გამარჯვებული მიბრუნდა ქნოღოს ციხეში. მტრის შემოსევით ისარგებლეს დვალებმა და უღალატეს ვ-ს. ლიხთ-იმერეთიდან გადმოსულმა გიორგი მეფემ და ერისთავმა ამის გამო დვალებზე გაილაშქრეს, დაამარცხეს, ხელთ იგდეს დიდი ალაფი და ,,დაფლული მრავალი განძი''.

წყარო: ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოც., «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 30.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3).

მ. ზალდასტანიშვილი.

ვირხოვი, ვირხო (Virchow) რუდოლფ (13. X. 1821, შიფელბაინი, – 5. IX. 1902, ბერლინი), გერმანელი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე, უჯრედოვანი პათოლოგიის თეორიის შემქმნელი. 1843 დაამთავრა ბერლინის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. 1856-იდან მუშაობდა ამავე უნ-ტში საგანგებოდ მისთვის ჩამოყალიბებული პათოლ. ანატ., ზოგადი პათოლოგიისა და თერაპიის კათედრის პროფესორად და პათოლ. ინ-ტის დირექტორად. ვ. ამტკიცებდა, რომ ნებისმიერი პათოლ. პროცესი წარმოადგენს თითოეულ უჯრედში მომხდარი დარღვევების ჯამს. სწავლობდა ადამიანის იმ დროისათვის ცნობილ თითქმის ყველა ავადმყოფურ პროცესს. ამტკიცებდა მრავალი დაავადების სოც. ბუნებას. ვ-ის გამოკვლევებმა, მისმა უჯრედოვანი პათოლ. თეორიამ დიდი გავლენა იქონია მედ. განვითარებაზე. 1847 რაინჰარდტთან ერთად დააარსა ჟურნალი ,,Archiv für Pathologische Anatomie, Physiologie und für Klinische Medizin'', რ-იც ,,ვირხოვის არქივის'' სახელითაა ცნობილი. ვ. სწავლობდა აგრეთვე ანთროპოლ., ეთნოგრ. და არქეოლ. საკითხებს. იყო მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის აკადემიებისა და სამედ. საზოგადოებების საპატიო წევრი.

ვ. მონაწილეობდა თბილისში 1881 გამართულ V არქეოლ. ყრილობის მუშაობაში. კავკ. საექიმო საზ-ბის სხდომაზე წაიკითხა მოხსენება ,,ტუბერკულოზით დაავადებულთა კლიმატით მკურნალობა'', იმოგზაურა საქართვ. სამხ. რ-ნებში ექიმ გ. *ტარსაიძის* თანხლებით, აღნიშნა ბორჯომისა და აბასთუმნის უაღრესად ხელსაყრელი საკურორტო კლიმ. პირობები. მისი აბასთუმანში სტუმრობის უკვდავსაყოფად რემერტის ხიდთან კლდეზე დაიდგა მემორიალური დაფა, რ-ზედაც ასეთი წარწერაა: ,,გაკეთებულია პროფესორ ვირხოვის თაყვანისმცემელ ექიმების მიერ, მისი აბასთუმანში ჩამოსვლასთან დაკავშირებით''. ვ-ის საქართველოში ყოფნას ფართოდ გამოეხმაურა ქართ. პრესა, მას საგანგებო სტრიქონები უძღვნა ი. ჭავჭავაძემ.

თხზ.: Die Zellularpathologie in ihrer Begründung auf physiologische und pathologische Gewebelehre, B., 1858; Целлюлярная патология как учение, основанное на физиологической и патологической гистологии, 2 изд., СПб., 1871.

ლიტ.: Сахаров Т. П., Рудольф Вирхов и русская медицина, М., 1922; Meyer E.,R. Virhow, Wiesbaden, [1956]; André Ch., Rudolf Virchow. Leben und Ethos eines groβen Arztes, Münch, 2002. *ვ. აბაშიძე.*

,,ვისია, ვისია ქალი ლამაზი'', ქართული (ქართლური) ხალხური მაყრული სიმღერა, საქორწილო ცერემონიალის შემადგენელი ნაწილი. სრულდება ანტიფონურად (ორპირულად). სიმღერა კუპლეტური აღნაგობისაა და შედარებით ნელი ტემპით და ამაღლებული განწყობით სრულდება, ფერხულზე გადასვლისას კი ტემპი ჩქარდება.

ლიტ.: ჩხიკვაძე გ., ქართული ხალხური სიმღერა, თბ., 1960.

ო. ჩიჯავაძე.

ვისოლ ჯგუფი, ერთ-ერთი მსხვილი ბიზნესჯგუფი საქართველოში. მოღვაწეობს ენერგეტიკის, სამშენებლო, სარეკლამო და საცალო ვაჭრობის სფეროში. დაარსდა 2000 წ. კომპანიის აქციონერები არიან ვისოლ პეტროლიუმი (შვეიცარია), სილკ როუდ ჯგუფი (საქართველო) და კერძო პირები. მისი ძირითადი საქმიანობაა ქვეყანაში ნავთობპროდუქტების შემოტანა, მომხმარებელთა უზრუნველყოფა და მათთვის სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევა; გარდა ამისა, დაკავებულია სამშ. და სარეკლამო ბიზნესით. ვ. ჯ-ში შემავალი შვილობილი კომ-



ვისოლ ჯგუფი. დასვენებისა და მომსახურების კომპლექსი ცენტრალური მაგისტრალის გორის მონაკვეთზე.



ფ. ვისოცკი.

პანიებია: სააქციო საზ-ბა ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია'' (ეწევა ნავთობპროდუქტების იმპორტსა და დისტრიბუციას) და მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულები – ეარ ვისოლი (უზრუნველყოფს ავიასაწვავით ავიალაინერებს), ვისოლ გაზი (გაზგასამართი სადგურები, რ-ებიც შეკუმშულ ბუნებრივ გაზს აწვდიან მომხმარებელს), ვისოლ გაზის სადისტრიბუციო კომპანია (ბუნებრივ გაზს აწვდის თელავის მუნიციპალიტეტს), აგრეთვე: უძრავი ქონებისა და სამშ. კომპანიამ ,,ველავჯიო'' (ეწევა ყველა სახის მშენებლობას) სარეკლამო კომპანია ,,ალმა'' (მოიცავს ყველა სახის სარეკლამო მომსახურებას), სუპერმარკეტების ქსელი ,,სმარტი'', ამერ. რესტორნების ქსელი ,,ვენჯორჯია'' და ავტომომსახურების ცენტრების ქსელი ,,ვიანორ ჯორჯია''.

,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას'' აქვს დასავლური ტიპის ავტოგასამართი და გაზგასამართი სადგურების ფართო ქსელი, შემოაქვს ევრ. ხარისხის საწვავი იტალ. კომპანია ,,აპისგან'', აგრეთვე საავტომობილო ზეთები და საპოხი მასალები ფრანგ. კომპანია ,,ტოტალისაგან''. კომპანიის მფლობელობაშია 102 ავტოგასამართი და 16 გაზგასამართი სადგური (2012 მონაცემებით) მთელი ქვეყნის მასშტაბით. ფლობს ტერმინალებს თბილისსა და სამტრედიაში. იგი ერთადერთი კომპანიაა, რ-მაც ინტეგრირებული (ყველა სახის ავტომომსახურება) გასამართი სადგურები დანერგა საქართველოში. ვ. ჯ. მოქმედებს საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისად. ფლობს საერთაშ. ხარისხის სერთიფიკატს ISO 9001–2008-ს. 2010 წ. 16 ნოემბერს პარიზში გამართულ ევრ. ბიზნესდაჯილდოებაზე 15 ათას ევროპულ კომპანიას შორის წარმატებულ კომპანიათა ათეულში მოხვდა.

ვ. ჯ. ეწევა ქველმოქმედებას, ახორციელებს ინვესტიციებს და აფინანსებს სხვადასხვა სოც. პროექტებს. *ლ. აბრამიშვილი.*

ვისოცკი ფელიქს მიხეილის ძე (20. XI. 1909, რიგა, – 1. VIII. 1982, თბილისი), კინოოპერატორი. საქართვ. სახ. არტისტი (1979). დაამთავრა კინემატოგრაფიის სკავშ. სახელმწ. ინ-ტის საოპერატორო ფაკ-ტი (1936). 1926–31 მუშაობდა კინოს რეკლამის მხატვრად. 1936–82 კინოსტუდია ,,ქართულ ფილმში'' გადაიღო 30-მდე მხატვრული ფილმი, მ. შ. ,,დაგვიანებული სასიძო'' (1939), ,,ქაჯანა'' (1941), ,,ხიდი'' (1942), ,,ოქროს ბილიკი'' (1945), ,,აკაკის აკვანი'' (1947), ,,ორი ოკეანის საიდუმლოება'' (I–II სერია, 1955–56), ,,ყვავილი თოვლზე'' (1959), ,,კეთილი ადამიანები'' (1961), ,,ზღვის ბილიკი'' (1962), ,,ხევისბერი გოჩა'' (1964), ,,შეხვედრა წარსულთან'' (1966), ,,მოლოდინი'' (1969), ,,სემირამიდას ბალები'' (1970), ,,გაქცევა გათენებისას'' (1975), ,,სამი ალიყური'' (1982) და სხვ. გადაიღო აგრეთვე მრავალი დოკუმენტური ფილმი და სიუჟეტი, ფილმი-ბალეტი ,,ოტელო'' (1961). ვ. გამოირჩეოდა საკუთარი ხელწერითა და დახვეწილი გემოვნებით. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

„ვისრამიანი“, ძველი ქართული მწერლობის ძეგლი, XI ს. სპარსელი პოეტის ფახრ ალ-დინ ასად გორგანის სამიჯნურო პოემის ,,ვის ო რამინის'' პროზაული თარგმანი, შესრულებული XII ს. I ნახევარში. ტრადიციულად ,,ვ-ის'' მთარგმნელად *სარგის თმოგველს* ასახელებენ.

,,ვ.'' იმთავითვე იქცა ქართ. ლიტ-რის ორგ. ნაწილად და სიტყვაკაზმული მწერლობის იმ კლასიკურ ფონდს შეუერთდა, რ-მაც სათავე მისცა ქართ. საერო ლიტ-რას. ,,ვ-ით'' ქართვ. მკითხველის დაინტერესება აიხსნება ხსენებული ხანის ქართ. მწერლობაში საერო ტენდენციების მომძლავრებით, რაც, თავის მხრივ, ქვეყანაში მომხდარი სოც.-პოლიტ. ძვრების კანონზომიერი შედეგი იყო. გორგანის პოემის მკვეთრად გამოხატული საერო ჟღერადობა სავსებით შეესატყვისებოდა



,,მოაბადისა და ვისის ქორწილი''. მინიატურა. XVIII ს. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

გაერთ. საქართვ. ფეოდ.-რაინდული საზ-ბის განწყობილებასა და სულიერ მოთხოვნილებას. მსგავსი გმირები უცხო არაა კლასიკური პერიოდის ძეგლებისათვის (,,აბდულმესიანი'', ,,თამარიანი'', ,,ვეფხისტყაოსანი'', ,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი''). ,,3-ისადმი'' ინტერესი არც აღორძინების ხანაში შენელებულა. მეფე-პოეტ არჩილს გაულექსავს მისი ქართ.პროზაული რედაქცია (დაახლ. მეოთხედი ნაწილი). ვისისა და რამინის სამოჯნურო თავგადასავალი მოთხრობილი აქვს აგრეთვე თეიმურაზ II-ს თავის ,,სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასებაში''. ქართველმა მკითხველმა ,,3.'' ორიგინ. თხზულებად აღიქვა და ისე შეითვისა, რომ დიდხანს, თვით XIX ს. დამლევამდეც კი, მისი არაქართული წარმოშობის საკითხს ეჭვის თვალით უყურებდა. ნათარგმნი თხზულების ასეთი იშვიათი წარმატება, ორიგინალის მიმზიდველ სიუჟეტსა და მხატვრულ ღირსებასთან ერთად, განაპირობა მთარგმნელის დიდოსტატობამ. ,,3.'' დღემდე რჩება თარგმნითი ხელოვნების სრულყოფილების კლასიკურ ნიმუშად. მთარგმნელს ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოაქვს დედნის როგორც შინაარსობრივი, ასევე ლექსიკური მხარე და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, თუმცა ეს ხელს არ უშლის მას, შემოქმედებითად მიუდგეს სათარგმნ მასალას. იგი ზოგჯერ კვეცს პოემის ამა თუ იმ პასაჟს ან ერთ ლაკონურ ფრაზაში ათავსებს რამდენიმე სალექსო სტრიქონის აზრს, რაც მეტ მოქნილობას ანიჭებს თხრობას; ხშირად აძლიერებს და მომეტებული გამომსახველობით ტვირთავს დედნის პოეტურ სახეებს, ანდა სრულიად ცვლის მათ შესატყვისი ქართ. ეკვივალენტებით. განსაკუთრებით საგულისხმოა დედანში ჩარევის ის შემთხვევები, რ-ებითაც მჟღავნდება მთარგმნელის დამოკიდებულება გორგანის პოემის იდეურ კონცეფციასთან. იმ ცალკეული სიტყვებითა და ფრაზებით, რ-ებსაც მთარგმნელი ზოგჯერ ურთავს დედნის ტექსტს პროზაული თხრობის გასამართავად ან ქვეტექსტის გამოსავლენად, იგი ერთგვარ თანამშრომლობას უწევს ავტორს, ეხმარება ჩანაფიქრის გახსნაში, შემოქმედებითად ავითარებს, აღრმავებს მის აზრებს. ეს თავისებური კომენტარები შუქს ჰფენს პოემის იდეური კონცეფციის შესახებ ბევრ საღისკუსიო საკითხს და ააშკარავებს ამ უძველესი რომანის მხატვრული სპეციფიკის ზოგ ისეთ ნიუანსს, რ-იც შეუმჩნეველი დარჩათ ან მცდარად განმარტეს მისმა გვიანდ. კომენტატორებმა.

მთარგმნელი ამკვეთრებს დედნისათვის ისედაც ნიშანდობლივ რეალისტურ და ფსიქოლ. ტენდენციას; ეს მოწმობს, რომ მთარგმნელის ესთეტ. მრწამსი თანხვდება ავტორისეულს. აღსანიშნავია ,,3-ის'' უმდიდრესი ქართ. ფრაზეოლოგია, რაც ამ ნათარგმნ თხზულებას ორიგინ. იერს ანიჭებს.

,,3-ის'' ტექსტი გამოცემულია 5-ჯერ (1884, 1938, 1960, 1962, 1964). მეოთხე, აკად. გამოცემა, წარმოადგენს კრიტიკულად დადგენილ ტექსტს; მეხუთე გამოცემა ძირითადად ამ ტექსტის გამეორებაა.

,,3-მა'' უდიდესი როლი შეასრულა თვით სპარს. დედნის კრიტ. ტექსტის დადგენაშიც. გორგანის პოემის სპარს. ხელნაწერებმა ჩვენამდე მცირე რაოდენობით მოაღწია. ისინი გვიანდ. ხანისაა (XVI–XVIII სს.) და, ცხადია, მეტ-ნაკლებად დაშორებულია პირვანდელ სახეს. ასეთ ვითარებაში ჯერ კიდევ XII ს-ში შესრულებულ ქართ. თარგმანს, რ-იც ტექსტობრივად ზედმიწევნით ახლოს დგას დედანთან, პირველხარისხოვანი საკონტროლო ნუსხის მნიშვნელობა აქვს. ,,3-ისა'' და ყველა სპარს. ხელნაწერის გათვალისწინებით მ. *თოდუამ* და ა. ა. *გვახარიამ* დაადგინეს და გამოსცეს გორგანის ,,ვის ო რამინის'' კრიტ. ტექსტი (თეირანი, 1970).

აღსანიშნავია ,,3-ის'' როლი დედნის პოპულარიზაციის თვალსაზრისითაც. ევრ. მკითხველმა გორგანის თხზულების სრული ტექსტი პირველად სწორედ ქართ. ვერსიის მეშვეობით გაიცნო, როდესაც ლონდონში გამოქვეყნდა ამ ვერსიის ო. უორდროპისეული ინგლ. თარგმანი (1914). ,,3.'' თარგმნილია აგრეთვე რუს. და გერმ. ენებზე.

გამოც.: ვისრამიანი, ა. გვახარიას და მ. თოდუას გამოც., თბ., 1962; ა რ ჩ ი ლ ი, ვისრამიანი, თხზ. სრ. კრ. ორ ტომად, ტ. 1, თბ., 1936; Висрамиани. Грузинский роман XII века и персидская поэма XI века «Вис и Рамин», М.–Л., 1938; Висрамиани. Вис и Рамин, пер. с древнегруз. С. Иорданишвили, Тб., [1966]; Visramiani. Transl. from the Georgian version by O. Wardrop, L., 1966; Wisramiani..., Übertr. aus dem Georgischen und Nachwort von R. Neukomm und K. Tschenkeli, Z., 1957; Wis und Ramin. Aus dem Georgischen übersetzt von N. Amaschukeli und N. Chuzischwili, Lpz., 1991.

ლიტ.: ა ბ უ ლ ა ძ ე ი., ,,ვისრამიანის'' ტექსტისათვის, კრ.: ლიტერატურული მემკვიდრეობა, წგ. 1, თბ., 1935; ბ ა რ ა მ ი ძ ე ა., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 1, თბ., 1945; [ტ.] 5, თბ., 1971; გ ვ ა ხ ა რ ი ა ა., ვისრამიანის ტექსტოლოგიური საკითხები, კრ.: ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, III, თბ., 2002; ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი გ., ვისრამიანი, წგ.: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1966; კ ა ლ ა ძ ე ი., ვისრამიანის პოეტური რედაქციის შესახებ, «თსუ შრომები», 1962, ტ. 99; მ ი ს ი ვ ე, ,,ვისრამიანის'' მთარგმნელობითი მეთოდის ერთი ასპექტის გამო, «მაცნე», 1973, №3; კ ა რ ტ ო ზ ი ა გ., ტექსტოლოგიური გამოკვლევები, თბ., 2004; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958; კ ო ბ ი ძ ე დ., ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, [ტ.] 2, თბ., 1969; მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი მ., გორგანის ,,ვის ო რამინ'' და ქართული ვისრამიანი, თბ., 1977; М а р р Н. Я., К вопросу о влиянии персидской литературы на грузинскую, «Журнал Министерства народного просвещения», 1897, март; м и с и в е, Из грузино-персидских литературных связей, «Записки Коллегии востоковедов», 1925, [т.] 1; м и с и в е, Вопросы „Вепхисткаосани" и „Висрамиани", Тб., 1966.

ო. კალაძე.

30ტე სერგეი იულის ძე [17(29). VI. 1849, თბილისი, – 28. II(13. III). 1915, პეტერბურგი], რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე, გრაფი (1905), დიპლომატი, პეტერბურგის მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1893). 3. 17 წლის ასაკამდე თბილისში იზრდებოდა. დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, შემდგომ კი თბილ. ვაჟთა კლასიკური გიმნაზია დაამთავრა. 1866 ოჯახი საცხოვრებლად ქ. ოდესაში გადავიდა. 3-მ 1870 დაამთავრა ნოვოროსიის (ოდესა) საიმპერატორო უნ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკულტეტი.

3. იყო საიმპერატორო კართან (თავიდან ალექსანდრე III-ის, შემდგომ კი ნიკოლოზ II-ის მმართველობის პირველ ნახევარში) ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული პირი. 1892-იდან იყო თავდაპირველად გზათა მიმოსვლის, შემდეგ კი ფინანსთა მინისტრი, 1903-იდან – მინისტრთა კომიტეტის, ხოლო 1905–06 – მინისტრთა საბჭოს თავ-რე (რუს. ისტორიაში პირველი პრემიერ-მინისტრი).

3-ს ინიციატივით განხორციელდა დიდმასშტაბიანი ეკონ. ღონისძიებები: შემოღებულ იქნა სახელმწ. მონოპოლია ღვინოზე (1894), გაიყვანეს ციმბირის რკინიგზა, გატარდა ფულის რეფორმა (1897). 3. ატარებდა ეკონ. გან-

ვითარების ფორსირების პოლიტიკას, რაც დაკავშირებული იყო უცხ. კაპიტალის მოზიდვასთან ქვეყნის მრეწველობაში (მათ შორის თბილ. და ქუთაისის გუბერნიების სამთამადნო მრეწველობაში), ბანკებსა და სახელმწ. სესხებში. XIX ს. 90-იანი წლების ბოლოს ვ-მ შეიმუშავა აგრ. რეფორმათა ფართო პროგრამა, რ-იც შემდგომში პრემიერ-მინისტრმა პ. სტოლიპინმა ცხოვრებაში ნაწილობრივ გაატარა.

1905 ვ. ხელმძღვანელობდა სამშვიდობო დელეგაციას პორტსმუთში, სადაც ხელი მოაწერა კაპიტულანტურ საზავო ხელშეკრულებას იაპონიასთან. ვ. იყო ინიციატორი 1905 წ. 17 ოქტ. მანიფესტისა, რ-ითაც იმპერატორის სახელით რუს. მოსახლეობისათვის პოლიტ. უფლებათა ბოძების შესახებ გამოცხადდა. ამის საფუძველზე ჩატარებული რუს. პირველი სახ.-წარმომადგენლობითი არჩევნების შემდეგ მოწვეულ იქნა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – სახელმწ. დუმა.

სიცოცხლის ბოლო წლებში ვ. ჩამოცილებული იყო აქტ. სახელმწიფოებრივ საქმიანობას და მემუარების წერით იყო დაკავებული. 1907–12 გამოქვეყნდა მისი ,,მოგონებები'', რ-იც მნიშვნელოვანი წყაროა ცარიზმის პოლიტიკის შესასწავლად.

ვ. დაკრძალულია პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრის ლაზარევის სასაფლაოზე.

თხზ.: Воспоминания, т. 1–3, М., 1960.

ლიტ.: Ананьич Б. В., Ганелик Р. Ш., Сергей Юльевич Витте, «Вопросы истории», 1991, №8; Тарле Е. В., Граф С. Ю. Витте. Опыт характеристики внешней политики, Л., 1927.

გ. გ. ლორთქიფანიძე.

ვიტელიუსი (Vitellius) ლუციუს (ძვ. წ. 5 – ახ. წ. 51 შემდეგ), სირიის ლეგატი რომის იმპერატორ ტიბერიუსის (14–37) დროს, იმპერატორ ავლუს ვიტელიუსის მამა. ტიბერიუსის აღმ. პოლიტიკის აქტ. გამტარებელი. რამდენჯერმე იყო არჩეული კონსულად. 34 წელს ვ-ის უშუალო მხარდაჭერით ფარნავაზიანმა უფლისწულმა, იბერიის მეფის ფარსმან I-ის ძმამ – *მითრიდატემ* დიდი სომხეთის ვაკანტური ტახტის დაკავება შეძლო. ვ-მა ლეგიონების მობილიზაციითა და მესოპოტამიის პართიის სამფლობელოებში შეჭრის მუქარით არა მარტო აღკვეთა პართიის მეფის არტაბან III-ის (13–38) დაგეგმილი ლაშქრობა დიდ სომხეთში, არამედ დიპლ. სვლებით აიძულა იგი, სამეფო დაეტოვებინა და ჰირკანიაში გაქცეულიყო. პართელ დიდებულთა დახმარებით არტაბანმა კვლავ დაიბრუნა ტახტი. ტიბერიუსის პრინციპატის ბოლოს მდ. ევფრატზე დაიდო შეთანხმება ვ-სა და არტაბანს შორის, რ-ის თანახმად, პართიის მეფე ცნობდა დიდ სომხეთში მითრიდატე იბერიელის მეფობას. იმპერატორმა გაიუს კალიგულამ (37–41) ვ. აღმოსავლეთიდან გაიწვია.

წყარო: ტაციტუსი ცნობები საქართველოს შესახებ. ლათინური ტექსტი ქართ. თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებით ურთ გამოსცა ალ. გამყრელიძემ, თბ., 1973.

ლიტ.: The Cambridge Ancient History, v. 10, Cambr., 1963. *ნ. მიწიშვილი.*

ვიტრი (Vitry) ჟაკ დე (1170–1240), ფრანგი კარდინალი, ისტორიკოსი. ჯვაროსნული ლაშქრობების ერთერთი სულისჩამდგმელი. საინტერესო ცნობები აქვს ქართველების შესახებ: ,,აღმოსავლეთში არის კიდევ ერთი ქრისტიანი ხალხი... მეტად მებრძოლი, ომში მამაცი, მძლავრი აღნაგობის და ძლევამოსილი, ჰყავს ურიცხვი მეომარი, შიშის ზარს სცემს სარკინოზებს. თავისი თავდასხმებით ხშირად დიდ ზიანს აყენებს სპარსელებს, მიდიელებს და ასურელებს, რომელთა მოსაზღვრე მხარეებშიც სახლობს ურწმუნო ხალხებით გარშემორტყმული. ამ ხალხს გეორგიელებს უწოდებენ, რადგან განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობიან და ეთაყვანებიან წმიდა გიორგის, თავიანთ მფარველად და მედროშედ მიაჩნიათ ის ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში და ყველა სხვა წმინდანზე მეტად სცემენ პატივს... უფლის საფლავის მოსალოცად მიმავალნი დროშებგაშლილნი შემოდიან წმინდა ქალაქში და ბაჟს არავის უხდიან. სარკინოზები წყენინებას ვერ უბედავენ... ქართველთა წარჩინებულ ქალებს, ამორძალთა მსგავსად, ომში რაინდებივით იარაღი აქვთ ასხმული...''

ვ-ის ცნობაში წმინდა გიორგის კულტთან ერთად ქართველებთან ფაქტობრივად ფიქსირდება წმინდა გიორგის დროშა.

ლიტ.: გაბაშვილი ტ., ,,მიმოსლვა''. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1956; თვარაძე ა., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (XII–XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე), თბ., 2004. *ა. თვარაძე.*

ვიტრუვიუსი (Vitruvius), ძვ. წ. I ს. რომაელი არქიტექტორი და ინჟინერი. მისი ნაშრომი ,,ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ'' ერთადერთი ანტ. არქიტ. ტრაქტატია, რ-მაც ჩვენამდე სრული სახით მოაღწია. ტრაქტატში განხილულ სამშ. საინჟ.-ტექ. და სამხატვრო საკითხებში განზოგადებულია ელინისტური საბერძნეთისა და რომის ხუროთმოძღვრების თეორ. და არქიტ. გამოცდილება. დიდი მნიშვნელობა აქვს მის მოსაზრებას არქიტ. ნაწარმოების ტექ., ფუნქციური და ესთეტ. ასპექტის ერთიანობის შესახებ (ნაგებობა უნდა იყოს გამძლე, სარგებლიანი და ლამაზი). ვ-ის ტრაქტატი შუა საუკუნეებში თითქმის სრულიად მიივიწყეს, მაგრამ XV ს-იდან დაიწყეს მისი შესწავლა და თარგმნა მრავალ ენაზე. მან დიდი როლი ითამაშა XVII–XVIII სს. არქიტ. ორდერის კანონიკური ფორმების გამომუშავებაში. ვ-ის ნაშრომში აღწერილია ძვ. კოლხური სახლი – პროტოტიპი შემდეგდროინდელი ქართ. გლეხური დარბაზისა.

თხზ.: Десять книг об архитектуре, пер. Ф. А. Петровского, т. 1, М., 1936.

ლიტ.: Михайлов Б. П., Витрувий и Эллада, М., 1967.

ვიტსენი (Witsen) ნიკოლაას კორნელის (8. V. 1641, ამსტერდამი, – 10. VIII. 1717), ჰოლანდიელი სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი – აღმოსავლეთმცოდნე, კარტოგრაფი. ადრევე დაინტერესდა აღმოსავლეთით. 1664–65 ჰოლანდიის ელჩობის წევრი იყო რუსეთში, სადაც შეკრიბა რუსეთისა და მის მეზობლად მცხოვრებ ხალხებზე ეთნოგრ. მასალები, რაც საფუძვლად დაედო მის მიერ შედგენილ ამ რეგიონის რუკას (1687) და ნაშრომს ,,ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ თათრეთი'' (1692). ამ წიგნში საგანგებო თავი დაეთმო საქართველოსა და ქართველებს. ვ. მოსკოვში შეხვდა ნიკოლოზ ბატონიშვილს (შემდეგში *ერეკლე I*). სამშობლოში დაბრუნებული ვ. ამსტერდამის ბურგომისტრად დანიშნეს. 80-იან წლებში ვ. დაინტერესდა მოსკოვში მყოფი ქართველებით. არჩილ II-მ რუსეთში ჰოლანდიის რეზიდენტის ბარონ კელერის მეშვეობით ვ-ს წერილი გაუგზავნა და ქართ. შრიფტის დამზადება შესთავაზა. წერილთან ერთად ვ-მა მიიღო კალიგრაფიულად შესრულებული ქართ. ანბანი, რ-იც მან 1692 გამოცემულ თავის ნაშრომში შეიტანა. 1697 ჰოლანდიაში რუსეთის ,,დიდი ელ-

ჩობის“ ჩასვლის შემდეგ, მან ახლო ურთიერთობა დაამყარა *ალექსანდრე ბატონიშვილთან* (არჩილ II-ის ძესთან). ვ-ის ხელშეწყობით ალექსანდრე ბატონიშვილმა, რ-იც ჰოლანდიაში 1699-მდე დარჩა, საარტ. საქმე აითვისა მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებთან. ვ-მა ალექსანდრესა და მისი მხლებლებისაგან ჩაიწერა ცნობები სამეგრელოზე, ჩერქეზეთზე, ქართ. დამწერლობაზე. ვ-სა და ალექსანდრეს შემოქმედებითმა ურთიერთობამ ასახვა პოვა დასახელებული წიგნის II გამოცემაში (1705), რ-ის ნაწილი საქართველოს შესახებ ძირეულად არის გადახალისებული და შევსებული. აქვე შევიდა ვ-ის მიერ ალექსანდრე ბატონიშვილის დახმარებით შედგენილი უნიკალური ჰოლანდიურ-ქართ. ლექსიკონი და ვ-ის თხოვნით ჰოლანდიელი მხატვრის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული ნიკოლოზისა (ერეკლე I) და არჩილ II-ის ერთობლივი სურათი. მისი ნაშრომი ერთ-ერთი მდიდარი წყაროა საქართველო-კავკასიის ისტორიის შესახებ.

თხზ.: Noord en Oost Tartarye, Amsterdam, 1705.

ლიტ.: ვ ა თ ე ი შ ვ ი ლ ი ჯ., ნიკოლაას ვიტსენი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1977; მ ი ს ი ვ ე, Грузия и европейские страны, т. 1, кн. 2, М., 2003.

ჯ. ვათეიშვილი. ფ. სიხარულიძე.

ვიქტორია (Victoria), წყლის მცენარეთა გვარი დუმფარასებრთა ოჯახისა. აქვს წყალზე მოტივტივე დიდი ზომის აკეცილკიდეებიანი ფოთლები; ფოთლის ქვედა მხარეზე განვითარებულია მსხვილი ძარღვების ქსელი, რ-იც შეიცავს ჰაერშემცველ ქსოვილს. გვარში 2 სამხრეთამერიკული სახეობაა: ა მ ა ზ ო ნ ი ს ვ. (V. amazonica, V. regia) იზრდება მდ. ამაზონის აუზში, მისი ფოთლის დიამეტრი 2 *მ* აღწევს და 50 *კგ*-ზე მეტ ტვირთს უძლებს. დიდი (დიამეტრი 25–35 *სმ*) და სურნელოვანი ყვავილი აქვს, რომელიც ყვავილობს 2 დღე-ღამის განმავლობაში, ამ დროს გვირგვინის ფურცლების ფერი იცვლება თეთრი და ვარდისფრიდან – ჟოლოსფრამდე. დღისით ყვავილი იკეცება და ეშვება ფსკერზე, სადაც შავთესლიანი ნაყოფი ვითარდება. მეორე სახეობა (V. cruziana) გვხვდება მდ. პარანის აუზში (პარაგვაი, ბოლივია). მისი ფოთლის დიამეტრი 1,4 *მ* აღწევს. ორივე სახეობას აშენებენ ორანჟერეებში. თბილ. ბოტან. ბაღში კარგად ხარობს V. cruziana.

გ. ნახუცრიშვილი.

ვიჩნაში, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის კალის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ჩხუნდერის (ჩხუტნერის) ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1760 *მ*, მესტიიდან 35 *კმ*. 30 მცხ. (2002).

სოფელში დგას შუა საუკ. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – წმ. ბარბარეს ეკლესია. ნაგებია ნაძვის ხის მორებით. კარი სამხრეთიდან აქვს. გადახურულია ფიქლით. აშენების თარიღი უცნობია.

ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა, იხ. *ვიწროლიანდიანი რკინიგზა.*

ვიწროლიანდიანი რკინიგზა, რკინიგზა, რომლის ლიანდის სიგანე (600-იდან 1200 *მმ*-მდე) ნაკლებია ჩვეულებრივზე (1500 *მმ*). არსებობს საერთო სარგებლობის და სამრეწვ. დანიშნულების მიწისზედა და მიწისქვეშა ვ. რ-ები, რ-თა სტანდ. სიგანეა: მიწისზედასი – 750 *მმ*, მიწისქვეშასი კი – 600–700 *მმ* (შახტებში) და 750 *მმ* (მაღაროებში). სამრეწვ. ობიექტებს ემსახურება და მუშაობის ხასიათის მიხედვით არის: მუდმივი (ძირითადი), დროებითი (რამდენიმე წელიწადს მოქმედი) და მუშა ვ. რ. უკანასკნელი უშუალოდაა დაკავშირებული საწარმოს ტექნოლ. პროცესებთან და ექსპლუატაციის პროცესში ხდება მათი სივრცის ცვლილება, მაგ., კარიერების სანგრევის ლიანდი, ნაყარის ლიანდი, ხეტყის გადასატანი, ჩარჩოსებრი გადასატანი ლიანდი ტორფის საბადოებზე, ამწის გადასაადგილებელი ლიანდი მშენებლობებზე და სხვ.

ვ. რ-ის მშენებლობა ხელსაყრელი, სწრაფი, იაფი და მომგებიანია ფართოლიანდიან რკინიგზასთან შედარებით, მიწის სამუშაოების მოცულობა მცირეა, მსუბუქია მისი საინჟ. ნაგებობები და რელსები. იგი საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ მცირე რადიუსის მოსახვევები და ციცაბო აღმართები, რაც განსაკუთრებით ხელსაყრელია რთულ რელიეფზე რკინიგზის გაყვანისას.

ვ. რ-ით ფართოდ სარგებლობენ იაპონიაში (სიგანე 1067 *მმ*), ამასთან, ამ ხაზებზე მატარებლების მოძრაობის საშ. სიჩქარეა 200 *კმ/სთ*. საფრანგეთში გავრცელებული იყო ე. წ. დეკავილური (500 *მმ*) ვ. რ., ინდოეთში გავრცელებულია 634 *მმ*, 736 *მმ* და 1000 *მმ* სიგანის ვ. რ. ამ სახის რკინიგზით სარგებლობენ ესპანეთში, ბრაზილიაში, შვეიცარიაში, შვედეთში, ჩეხეთში, ავსტრიაში, ფინეთში, კორეაში და რიგ სხვა ქვეყნებში, XX ს. 50-იან წლებამდე იყენებდნენ საბჭოთა კავშირშიც, სადაც 1947 მონაცემებით, მისი საერთო სიგრძე აღწევდა 14 ათას *კმ*. შემდგომ წლებში ვ. რ-ის ნაწილი გაუქმდა.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ვ. რ. ასევე გამოიყენება როგორც საბავშვო რკინიგზა.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ვ. რ-ს იყენებდნენ გარკვეული რაიონის (მაგ., შორაპან–ჭიათურის უბანი; ექსპლუატაციაში იყო 1895–1956), ასევე ტურისტული და საკურორტო ზონის მომსახურებისათვის. მისი საუკეთესო ნიმუშია ბორჯომ–ბაკურიანის ვ. რ., რ-ის მშენებლობა 1897 დაიწყო. რთული კლიმ. პირობების გამო იგი გაგრძელდა ოთხ წელიწადს, მიმოსვლა გაიხსნა 1901. ლიანდის სიგანეა 912 *მმ*. ამ რკინიგზისათვის ინგლისში



ვიქტორია (Victoria).



ვიწროლიანდიანი რკინიგზა.

სპეციალურად დაუკვეთეს ,,პორტერის'' ტიპის ორთქლმავალი. მატარებელს ებმოდა ღია ტიპის ვაგონები, რ-ებიც მხოლოდ მოჯირებით იყო შემორაგული. 1967 პატარა ორთქლმავალი ელექტრომავალმა ჩაანაცვლა; განახლდა ვაგონები, ხოლო 2011 ჩაუტარდა სრულყოფილი რეკონსტრუქცია. 37 *კმ* სიგრძის ხაზი მთლიანად ელექტრიფიცირებულია (1,5 კვ ძაბვის მუდმივი დენით).

1905-იდან თბილისში მოქმედებს ვ. რ. (სიგანე 980 *მმ*) მთაწმინდის ფუნიკულიორზე. 1935 *მუშთაიდის ბაღში* გაიხსნა მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა.

ვიწურ-არქაბული კილოკავი, იხ. სტ. *ზანური ენა.*

ვიწური თქმა, ვიწურ-არქაბული კილოკავის ვიწური თქმა (იხ. სტ. *ზანური ენა*).

ვიჭაკი, ხალხური წეს-ჩვეულება – მკითხაობა, გამოცნობა, ახსნა. იმართებოდა ამაღლების წინა დღეს ძვ. თბილ. ყველა უბანში, ვ-ში მონაწილეობდნენ სომეხი და ქართვ. ქალები (გათხოვილი თუ გაუთხოვარი). განსაკუთრებით სადღესასწაულო სახეს ატარებდა ხოჯევანქის სასაფლაოზე გამართული ვ. აქ მონაწილეობის მისაღებად ქალაქიდან მიემართებოდა საგანგებოდ გამოწყობილ-გამოპრანჭულ ქალთა დიდი ნაკადი. ვ. ანიმისტური წეს-ჩვეულება იყო. მასში, გადმოცემის თანახმად, გარდაცვლილთა სულებიც იღებდნენ მონაწილეობას. ამდენად, ხოჯევანქის სასაფლაოზე მოწყობილ ვ-ს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ვ. მეტად მარტივი და პრიმიტიული სახისა იყო. მკითხაობაში მონაწილე რომელიმე ქალიშვილი წყლის ჭურჭლით სისხამ დილით (მზის ამოსვლამდე) გადიოდა შინიდან, ხმის ამოუღებლად შემოივლიდა თავისი უბნის შვიდ წყაროს (ან მტკვრის სხვადასხვა ადგილს), წყლით აავსებდა ჭურჭელს და სამკითხაო ადგილას მიწაზე დაუდგმელად (სიწმინდის დაცვის მიზნით) მიიტანდა. ადგილზე მიტანილ წყალს ასხამდნენ სხვა ჭურჭელში, რ-საც ვ-ში მონაწილენი ფერადი ქსოვილით რთავდნენ (ანდა ჭურჭელში მინდვრის ყვავილებს ყრიდნენ) და, რაც ყველაზე მთავარი იყო, ყველა მონაწილე ქალი წყლის ჩასხმამდე ჭურჭელში დებდა რაიმე ნივთს: ბეჭედს, საყურეს, სამაჯურს, სათითეს, კენჭს და ა. შ. როცა ვ-ის მოსამზადებელი ყველა ცერემონია დამთავრდებოდა, მხოლოდ მაშინ შეეძლო წყლის ჭურჭლის მომტანს ხმის ამოღება. თუ იგი დროზე ადრე ალაპარაკდებოდა, სამკითხაო წყალი თავის ,,ყოვლისშემძლეობას'' კარგავდა და მკითხაობა იშლებოდა. მაშინ მოტანილ წყალს ღვრიდნენ და წესის დამრღვევს ახ. წყლის მოსატანად აგზავნიდნენ. ვ. საღამოჟამს, ნასადილევს, სამხარზე იწყებოდა. მონაწილენი წრიულად სხდებოდნენ და წყლიანი ჭურჭლიდან ნივთების ამომღებად მოჰყავდათ პატარა პირმშო გოგო, რ-საც რაიმე ქსოვილით თვალებს აუხვევდნენ. გოგონა რიგრიგობით იღებდა ჭურჭელში ჩაწყობილ ნივთებს, რ-საც თან სდევდა სიმღერა თათრულ ენაზე (მას თარგმნიდა საგანგებოდ მოყვანილი თათრული ენის მცოდნე). სიმღერის უცხო ენაზე შესრულებას თავისი დატვირთვა ჰქონდა – ეს რიტუალს მეტად ამძაფრებდა. ნამღერი სტროფი წინასწარ აუწყებდა ამა თუ იმ ნივთის პატრონს, თუ რა მოელოდა მომავალში: სიყვარული, ბედნიერება, უბედურება, სატრფოს დაბრუნება, დაკარგული ნივთის პოვნა, სურვილის ასრულება, გათხოვება და ა. შ. ვ. მთავრდებოდა ვახშმით. როგორც ბევრმა საერო თუ საეკლ. წეს-ჩვეულებამ, ვ-მაც დროთა განმავლობაში სახეცვლილება განიცადა. ი. გრიშაშვილი ვ-ის ჩატარების წეს-ჩვეულებას სხვაგვარად აღგვიწერს. მისი გადმოცემით, ვ-თვის განკუთვნილ წყლიან ჭურჭელს სამ დღეს ინახავდნენ და მეოთხე დღეს გამოჰქონდათ. სიმღერა სომხ. ენაზე დაწერილი ,,ვჯანგულების'' წიგნის კითხვასთან ერთად სრულდებოდა. როგორც ჩანს, ვ. ამ სახით უკვე გვიან, XX ს. დასაწყისში ხდებოდა ი. გრიშაშვილის უბანში, ხარფუხში.

ლიტ.: ბერიძე თ., ძველი თბილისის სურათები, თბ., 1980; გრიშაშვილი ი., ქალაქური ლექსიკონი, თბ., 1997; «Кавказ», 1856, №41.

თ. ბერიძე.

ვიხოდცევა თამარ მიხეილის ასული (23. XII. 1907, თბილისი, – 2. IX. 1993, იქვე), ქართული ბალეტის მსახიობი, კლასიკური ცეკვის პედაგოგი. საქართვ. დამს. მასწავლებელი (1961). 1917–20 სწავლობდა თბილისში ა. *ინოჩენცის*, 1920–21 – მ. მორდკინის კერძო საბალეტო სტუდიებში, ხოლო 1921–26 – მ. *პერინის* საბალეტო სკოლა-სტუდიაში. 1924–37 თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი მოცეკვავე იყო (ცეკვავდა წამყვან პარტიებს როგორც ქართ., ისე საზღვარგარეთულ ბალეტებში), 1936–91 კი იყო თბილ. ვ. ჭაბუკიანის სახ. ქორეოგრაფ. სასწავლებლის კლასიკური ცეკვის პედაგოგი. მან აღზარდა არაერთი შესანიშნავი მოცეკვავე (ნ. *ანანიაშვილი,* ლ. *მითაიშვილი,* ლ. ბაბკოვა, თ. *სანაძე,* ი. *ზელენსკი* და სხვ.), რ-ებმაც სახელი გაითქვეს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

ა. ჩხეიძე.

ვლადიმერი (ერისკაცობაში – ვასილ ნიკიფორეს ძე ბოგოიავლენსკი) (1. I. 1848, ტამბოვის გუბ., – 1918), საქართველოს IX ეგზარქოსი (1892–98). დაამთავრა კიევის სას. აკადემია. 1888 აღიკვეცა ბერად. მალევე აკურთხეს ეპისკოპოსად. 1891-იდან განაგებდა სამარის ეპარქიას. საქართვ. ეგზარქოსად ყოფნის დროს ვ-ის ინიციატივით დაარსდა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის აღმდგენელი კომიტეტი, რ-საც თავად თავმჯდომარეობდა. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სამისიონერო საქმიანობას. ამ მიზნით თბილ. მოლოკნებით და სხვა სექტანტებით დასახლებულ უბნებში დააარსა სამისიონერო სას.-საგანმან. ძმობა, ააგო ყაზანის ღვთისმშობლის ეკლესია, სადაც გაიხსნა ბ-კა. ასევე ზრუნავდა, სას. სასწავლებლებში სასწ.-აღმზრდელობითი საქმიანობის გაუმჯობესებაზე. ვ-ის ეგზარქოსობის დროს, 1894, ქუთაისში დაარსდა სას. სემინარია. მისი ხელშეწყობით 1894 ქართ. საზ-ბის ერთმა ნაწილმა რუს. სინოდში გაგზავნილი მოხსენებით ამხილა ეგზარქოსების მიერ ქართ. ეკლესიის ჩაგვრა-შევიწროება, მოითხოვდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის გაუქმებას, ეპარქიების რაოდენობის გაზრდას და სხვ.

1898 ვ. გადაიყვანეს მოსკ. მიტროპოლიტად. 1912 პეტერბურგის, შემდეგ ლადოგის, 1915-იდან კი უკრაინის ეპარქიას განაგებდა. 1918 კომუნისტებმა წამებით მოკლეს. რუს. ეკლესიამ ვ. წმინდანად შერაცხა.

ლიტ.: ბუბულაშვილი ე., XIX ს. მეორე ნახევარში საქართველოში მოღვაწე ეგზარქოსები (მოკლე დახასიათება), კრ.: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2004;

ფერაძე ი., საქართველოს ეგზარქოსები, ჟურნ. «მოგზაური», 1901, №5; Православная Богословская энциклопедия или Богословский энциклопедический словарь, т. 4, под ред. А. П. Лопухина, СПб., 1903. *ე. ბუბულაშვილი.*

ვლადიმიროვი ლევ ალექსანდრეს ძე [10 (23). XII. 1903, ქ. ალექსანდროპოლი (ახლანდ. ქ. გიუმრი, სომხეთი), – 10. I. 1989, თბილისი], გეოგრაფ-ჰიდროლოგი. გეოგრ. მეცნ. დოქტორი (1965), პროფესორი (1966), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1976). 1931 დაამთავრა ერევნის პოლიტექ. ინ-ტი. 1945–58 იყო საქართვ. მეცნ. აკად. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინ-ტის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, 1958–80 – ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის განყ-ბის ხელმძღვანელი, 1980–89 – პროფესორ-კონსულტანტი.

ვ-მა დაამუშავა მთიანი მხარეების მდინარეთა ჩამონადენის, მდინარეთა საზრდოობის, წყლის ბალანსის გაანგარიშებისა და ჰიდროლ. დარაიონების მეთოდები, მოგვცა საქართვ. კარსტული წყლების კლასიფიკაცია. მისი შრომები გამოყენებულია საქართვ. ენერგეტ. და საირიგაციო ნაგებობათა დაპროექტებაში. ,,საქართველოს სსრ ატლასის'' შედგენაში (1964) მონაწილეობისათვის მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1971). საქართვ. გეოგრ. საზ-ბის ა. ჯავახიშვილის სახ. პრემია (1993, გარდაცვალების შემდეგ).

თხზ.: Питание рек и внутригодовое распределение речного стока на территории Грузии, Тб., 1964; Водный баланс Большого Кавказа, Тб., 1970; Водный баланс Грузии, Тб., 1974 (თანავტ.: Д. Я. Шакаришвили, Т. И. Габричидзе).

გ. გიგინეიშვილი.

ვლადიმიროვკა (1955-მდე – კოდორი), სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), მდ. კოდორის მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: ვ., ესტონკა, შმათი, ხუმუშქური). ზ. დ. 70 *მ,* გულრიფშიდან 18 *კმ.* 1,6 ათ. მცხ. (1989).

ვლადიმიროვკა, სოფელი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ფოკის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ფარავნის ტბის ნაპირას. ზ. დ. 2080 *მ,* ნინოწმინდიდან 35 *კმ.* 174 მცხ. (2002).

ვ-ის ძვ. სახელია პოპლიკა-მი. სოფელსა და მის დას-ით არსებულ ნასოფლარში ეკლესია აღარ დგას. სოფლის ჩრდ.-დას-ით, გორაკზე, მშრალი წყობით ნაგები მცირე სიმაგრე და ერთი მენჰირია, იქვეა ნაეკლესიარიც. ვ-იდან მიდის ძვ. გზა სოფ. *აბულისაკენ,* გზის ორსავე ნაპირზე ყორღანები ჩანს. *აბულის ციხის* ჩრდ-ით გამავალი ეს გზა აღნიშნულია რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის (ახ. წ. IV ს.) რუკაზე.

XX ს. 90-იან წლებამდე ვ-ში დუხობორები ცხოვრობდნენ, რებიც 1841 რუს. მთავრობამ ჩამოასახლა ახალქალაქის მაზრაში.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი, თბ., 1985. *დ. ბერძენიშვილი.*

ვნების კვირა, აღდგომის წინა დიდმარხვის ბოლო კვირა. ეკლესია მძიმე მარხვით აღნიშნავს ქრისტეს ვნების (ტანჯვის) დღეებს. ვ. კ-ის ყოველი დღე ,,დიდად'' იწოდება: დიდ ორშაბათს მოიხსენიება იესო ქრისტეს სასწაული ლეღვის ხის გახმობასთან დაკავშირებით; დიდ სამშაბათს იკითხება ქრისტეს უკანასკნელი საუბრები მოწაფეებთან და მისი უკანასკნელი იგავი; დიდი ოთხშაბათი უკავშირდება ქრისტეს ყოფნას ბეთანიაში, სიმეონ კეთროვნის სახლში; დიდ ხუთშაბათს მოიხსენიება საიდუმლო სერობა – ამ დღეს საკათედრო ეკლესიებში ბასილი დიდის ლიტურგიის შემდეგ სრულდება ,,ფერხთაბანის'' წესი, საპატრიარქო ტაძრებში კი – მირონის კურთხევა; დიდ პარასკევს იკითხება ,,ათორმეტი სახარება'' (მაცხოვრის ვნება), მწუხრზე იხსენიებენ მაცხოვრის დასაფლავებას, ხდება ,,გარდამოხსნის'' შემოსვენება; დიდ შაბათს ცისკრისას სრულდება ,,გარდამოხსნის'' თაყვანისცემა, ჟამნობას მოსდევს მწუხრი და მოჰყვება ბასილი დიდის ჟამისწირვა.

ვობი, სვანური მითოლოგიით – ჭექა-ქუხილის, მეხთატეხის ღმერთი. იგი ქართ. წარმართული პანთეონის ერთ-ერთი უძველესი სახეა. სვანურსა და მეგრულში აღნიშნავს პარასკევ დღეს (სვ. ვებ-იშ, მეგრ. ვობი-შხა). სვანეთში კარგა ხანს (მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში) იგი უქმედ ითვლებოდა და ყოველგვარი საქმიანობა აკრძალული იყო. ტერმინი ,,ვობი'' ამავე დროს, გამოიყენება რაიმე განსაკუთრებულის აღსანიშნავად, მაგ.: ,,ხოლა ვობ ესგენე'' – ,,ცუდი ამბავი, დღე დააწია'' (არაპირდაპირი თარგმანი). მისი ეტიმოლოგია უცნობია.

ლიტ.: გელოვანი ა., მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983; თოფურია ვ., ქალდანი მ., სვანური ლექსიკონი, თბ., 2002. *ხ. იოსელიანი.*

„ვოგგ“ (VOGG), შპს, ფეხსაცმლის ფაბრიკა თბილისში. დაარსდა 1996. 2004 განხორციელდა საწარმოს ტექ. გადაიარაღება და დაინერგა უახლესი ტექნოლოგიები. საწარმო უშვებს მამაკაცის და ქალის ფეხსაცმელს. საჭირო ნედლეული შემოდის იტალიიდან, ესპანეთიდან, თურქეთიდან. პროდუქციის რეალიზაცია ხდება საქართველოში საკუთარი საფირმო მაღაზიების ქსელის მეშვეობით. ფ-კის წლიური საპროექტო სიმძლავრე შეადგენს 150000 წყვილ ფეხსაცმელს. 2012 მონაცემით ,,ვ.'' შესულია საქართვ. 13 საუკეთესო კომპანიათა სიაში.

2011 ბოლოს თბილისში კაიროს (ახლანდ. გრიგოლ ლორთქიფანიძის) ქ. №13 დაიწყო 4000 $მ^2$ ფართობის მქონე ახ. ფ-კის მშენებლობა (საპროექტო სიმძლავრე 600 000 წყვილი ფეხსაცმელი წელიწადში), რ-ის გახსნაც დაგეგმილია 2014-თვის.



ლ. ვლადიმიროვი.

ვოდევილი (ფრანგ. vaudeville), მცირე ფორმის კომედიური ჟანრი, წარმოიშვა საფრანგეთში. ქართ. ლიტ-რაში XIX ს. II ნახევარში გაჩნდა და კომედიასთან ერთად განვითარდა. თავდაპირველად წამყვანი ადგილი ეკავა სხვა ენებიდან (უმთავრესად რუს. და ფრანგ.) თარგმნილ და გადმოკეთებულ პიესებს, თუმცა პარალელურად იქმნებოდა ორიგინ. ნიმუშებიც (რ. *ერისთავის,* ზ. *ანტონოვის,* ა. თუთაევის, პ. *უმიკაშვილისა* და სხვ.).

ქართ. ვ-ისათვის ძირითადად დამახასიათებელია ინტრიგა, ზოგჯერ ნაკლებად დამაჯერებელი, რაც გამოყენებულია მახვილი კომიკური სიტუაციების შესაქმნელად მოქმედების დინამ. განვითარებისათვის. ეს სიტუაციები უმეტესად გარეგან კომიკურ ეფექტებს ემყარება (ა. წერეთლის ,,ბუტიაობა'', რ. ერისთავის ,,ბრილიანტი'' და ,,პარიკმახერისას'', ა. ცაგარლის ,,ჭკუისა მჭირს'', დ. აწყურელის ,,რა ოინია'' და სხვ.). ხშირად ეპიზოდური კომიკური სიტუაციების საფუძველი ხდება არა ღრმა ცხოვრებისეული კონფლიქტები, არამედ ყოფითი წვრილმანები ან რაიმე ადამიანური ნაკლი (გულუბრყვილობა, დაბნეულობა, გონებაშეზღუდულობა, პატივმოყვარეობა, ტრაბახი, თვითგანდიდება, ფიზ. დეფექტიც კი). ამდენად, აქ დომინანტობს მდგომარეობის კომიზმი, რაც, თავის მხრივ, მოქმედების, პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდე-



ა. ვოეიკოვი.



ა. ვოზნესენსკი.

ბულების მოულოდნელი შემობრუნებით და მშვიდობიანი ფინალით ხასიათდება.

3-ების სიჭარბე განსაკუთრებით XIX ს. 80-იან წლებში შეინიშნება, თუმცა, მათი დიდი ნაწილის იდეურ-შემეცნებითი დონე დაბალი იყო, რის გამოც იგი სცენას ველარ შემორჩა. თავისი ღირებულებით იმ დროისათვის გამოირჩეოდა ზ. ანტონოვის, ვ. *გუნიას*, რ. ერისთავის, ა. ცაგარლის, ბ. *ჯორჯაძის* და სხვა ავტორთა 3-ები.

ეს ჟანრი ვითარდებოდა XX ს. ლიტ-რაშიც (ტ. რამიშვილის, კ. *კალაძის*, გ. ბუხნიკაშვილის, ი. ტარუაშვილის და სხვათა პიესები). მართალია, ტრანსფორმაციის პროცესში მან დაკარგა 3-ის კლასიკური ფორმისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი (ახ. 3-ებში სიმღერა და ცეკვა, როგორც ჟანრის სინთეზურობის მაჩვენებელი, მკრთალად არის წარმოდგენილი), მაგრამ ისინი სრულად რომ დია გამქრალი, რაც მას კვლავაც გარკვეულ დამოუკიდებლობასა და თავისთავადობას ანიჭებს.

ქართ. სცენაზე 3-ის ბრწყინვალე შემსრულებლებად ითვლებიან ვ. *აბაშიძე*, ნ. *გაბუნია*, ვ. *გოძიაშვილი*, ა. *კვანტალიანი*, ე. *მანჯგალაძე*, კ. *მესხი*, ა. *ჟორჟოლიანი*, მ. *საფაროვა-აბაშიძე*, კ. *ყიფიანი*, ე. *ჩერქეზიშვილი*, რ. *ჩხიკვაძე*, ი. *ხვიჩია* და სხვ. *გ. ლომძე.*

ᲕᲝᲔᲘᲙᲝᲕᲘ ალექსანდრე ივანეს ძე [8 (20). V. 1842, მოსკოვი, – 27. I (9. II). 1916, პეტროგრადი], რუსი კლიმატოლოგი, გეოგრაფი. პეტერბურგის მეცნ. აკად. წ.-კორ. (1910). 1860 შევიდა პეტერბურგის უნ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტზე. 1861 სტუდენტთა რევ. მღელვარებასთან დაკავშირებით უნ-ტის დახურვის გამო თავდაპირველად სწავლა განაგრძო ჰაიდელბერგის, შემდეგ – გეტინგენის (გერმანია) უნ-ტში. მრავალჯერ იყო კავკასიაში, ყირიმსა და შუა აზიაში, იმოგზაურა ევროპაში, ამერიკასა და აზიაში. 1871 3-მა გერმანულად გამოაქვეყნა კავკ. ფიზ.-გეოგრ. დანაწილების სქემა, რომელშიც ატმ. ნალექების განაწილებისა და ტყის მცენარეულობის ხასიათის გათვალისწინებით გამოყოფილია 8 ოლქი. ეს სქემა საყურადღებოა, როგორც კავკ. ლანდშაფტური დაყოფის პირველი ცდა. 1884 გამოაქვეყნა კაპიტ. ნაშრომი ,,დედამიწის კლიმატები, განსაკუთრებით რუსეთისა'', რისთვისაც მიიღო რუს. გეოგრ. საზ-ბის დიდი ოქროს მედალი.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი 3-მა რამდენჯერმე იმოგზაურა (1898, 1911, 1913 წწ.) და მრავალი შრომა მიუძღვნა ზოგიერთი მხარის ჰავის დეტალურ დახასიათებას. შეისწავლა საქართვ. შავიზღვისპირეთისა და ბორჯომის მიდამოების ჰავა. ამ უკანასკნელის შესწავლის შედეგად დაადგინა მასზე რელიეფისა და მცენარეულობის გავლენა. იწინასწარმეტყველა სამხრ. კავკასიაში მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის განვითარების, ხოლო შუა აზიაში ბამბის ძვირფასი ჯიშების მოყვანის შესაძლებლობა. 3-მა საყურადღებო მასალა დაგვიტოვა საქართვ. ტერიტორიაზე ატმ. ნალექების განაწილების შესახებაც.

3-ს მიღებული ჰქონდა რამდენიმე ოქროსა და ვერცხლის მედალი. 3-ის სახელს ატარებს მყინვარი ჩრდ. ურალში, სრუტე კურილის კ-ებს შორის და მთავარი გეოფიზ. ობსერვატორია (დაარსდა 1849 პეტერბურგში).

თხზ.: Избр. соч., т. 1–4, М.–Л., 1948–57.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი შ., ა. ი. ვოეიკოვი. დიდი რუსი კლიმატოლოგი და გეოგრაფი, თბ., 1954.

შ. ჯავახიშვილი.

ᲕᲝᲖᲜᲔᲡᲔᲜᲡᲙᲘ ანდრია ანდრიას ძე (12. V. 1933, მოსკოვი, – 1. VI. 2010, იქვე), რუსი პოეტი. დაამთავრა მოსკოვის არქიტ. ინ-ტი (1957). პირველი ლექსები დაბეჭდა 1958, პირველი კრებულები ,,პარაბოლა'' და ,,მოზაიკა'' – 1960. 3-ს პოემამ ,,ოსტატები'' (1959) ყურადღება მიიპყრო მხატვრული წარმოსახვის სიახლით. კრებულები: «40 ლირიკული წიაღსვლა პოემიდან ,,სამკუთხა მსხალი''» (1962), ,,ანტისამყაროები'' (1964), ,,აქილევსის გული'' (1966), ,,მზერა'' (1972) გამოირევა ორიგინ. პოეტური ხედვით, თანამედროვეობის მძაფრი შეგრძნებით.

ქართ. თემა 3-ს პოეზიაში 60-იანი წლებიდან გაჩნდა. მისი ლექსები საქართველოზე და საქართველოსათვის (,,ქართული არყის ხეები'', ,,თბილისური ბაზრები'', ,,მთებში'' და სხვ.) თავმოყრილია კრებულში ,,ივერიის ნათელი'' (თბ., 1984). კრებულს ერთვის ავტორისავე წინასიტყვაობა. 3. თავის ინტერესს საქართველოსადმი გენეტ. კავშირით ხსნიდა (მისი პაპის მამა ქართველი იყო). ,,საქართველომ გამაოგნა'', – ასე იხსენებს პოეტი თავის პირველ მოგზაურობას საქართველოში. ამ პერიოდში ,,ლიტერატურნაია გაზეტაში'' დაიბეჭდა 3-ს საქართველოსადმი მიძღვნილი სამი ლექსი. ლექსში ,,პრადედ'' (,,პაპის მამა''), შემდეგ პოემაში ,,ანდრეი პოლისადოვი'' მოთხრობილია 3-ს წინაპარზე, რ-იც მურომში ჩამოუყვანიათ და შემდგომში მურომის არქიმანდრიტი გამხდარა. ქართ. ხალხისადმი სიყვარული პოეტს გამჟღავნებული აქვს ნარკვევში ,,ერთიანი ცის ქვეშ''.

3. თარგმნიდა ქართ. პოეზიას – გ. *აბაშიძის*, ი. *აბაშიძის*,რ. *მარგიანის*, შ. *ნიშნიანიძის*, ი. *ნონეშვილის*, ლ. *სტურუას*, ო. *ჭილაძის* ლექსებს.

თხზ.:Антимиры, М., 1964; Тень звука, М., 1970; Иберский свет, Тб., 1984.

„ᲕᲝᲖᲠᲝᲕᲓᲔᲜᲘᲔ“, ყოველდღიური რუსულენოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი. დაარსდა თბილისში 1905 წ. 1 (14) ოქტომბერს და გამოდიოდა 11 (24) დეკემბრამდე (სულ გამოვიდა 45 ნომერი), წლის ბოლოს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით მისი გამოცემა შეწყდა. 1906 წ. 19 თებერვლიდან (4 მარტი) ,,3.'' კვლავ განახლდა და 25 თებერვლამდე (10 მარტი) გამოვიდა გაზეთის 6 ნომერი. 1906 წ. მარტიდან ,,3.'' გადაიქცა ყოველდღიურ გაზეთ ,,ვესტნიკ ვოზრაჟდენიად'' (,,Вестник возрождения''), რ-მაც 19-იდან 24 მარტამდე (№1–5) იარსება. გამოცემამ დე-იურე იარსება 1906 აგვისტომდე და გაუქმდა გაკოტრების გამო. შემდეგ გამოცემა კვლავ განახლდა 1917 – 20 წლებში და გაგრძელდა 1921-მდე (რედ. – ა. მდივანი, გამომცემელი – პ. გოთუა).

სტრუქტურულად ,,3.'' მკვეთრად განსხვავდებოდა მისი თანამედროვე ,,კავკაზისა'' და ,,ნოვოე ობოზრენიესაგან''. გამოცემას ახასიათებდა სტრუქტურული სიმარტივე, ,,3-ს'' სტატიათა უმრავლესობა მის რედაქტორს პ. გოთუას ეკუთვნოდა (ფსევდონიმი – ,,გურიეც''). ფსევდონიმების უმრავლესობა ,,3-ში'' გაშიფრული არ არის. ცნობილია მხოლოდ მუდმივ თანამშრომელთა – პ. გოთუას, გ. ლასხიშვილის, პ. გელეიშვილის, ბ. გვაზავას, დ. ყიფიანის ფსევდონიმები და კრიპტონიმები.

,,3-ს'' დაარსებას ხელი შეუწყო ქვეყანაში არსებულმა რევოლუციურმა მოძრაობამ. XX ს. დასაწყისის საქართვ. რუსულენოვანი ჟურნალისტიკის ისტორიაში პ.

გოთუას გაზეთი ,,ᲕᲐ.'' შევიდა რო-გორც რევ. გამოცემა, თუმცა იგი არასოდეს ყოფილა ამა თუ იმ პარ-ტიის ან საზ.-პოლიტ. დაჯგუფე-ბის ინტერესების გამტარებელი.

ლიტ.: ანანიაშვილი ნ., გა-ზეთ ,,ვოზროჟდენიეს'' (1905–1906 წწ.) ისტორიის ზოგიერთი ასპექტი, «მაცნე», 1993, №1; Зерцалов Г., Библиография русской периодики Грузии, ч. I (1828 – 1920), Тб., 1941.

ᲕᲝᲚᲘᲜᲡᲙᲘ არტემ პეტრეს ძე [1689–27. VI (8. VII). 1740, პე-ტერბურგი], რუსი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. 1717–18 რუს. ელჩობას ხელმძღვანელობდა ირანში, რ-ის დროსაც ურთიერ-თობა დაამყარა ქართველ და სო-მეხ მოღვაწეებთან. 1719–24 იყო ასტრახანის გუბერნატორი. დიდი წვლილი მიუძღვის 1722–23 პეტრე I-ის მეთაურობით კასპიისპირეთის ლაშქრობის მომზადებასა და განხ-ორციელებაში. აქტიურად უჭერდა მხარს რუს. არმიის და ვახტანგ VI-ის ჯარის შეერთებისა და ირანში ლაშქრობის გეგმას. 1725–30 იყო ყაზანის გუბერნატორი, 1738-იდან – კაბინეტ-მინისტრი და იმპ. ანა ივანეს ასულის უახლოესი თანამშ-რომელი. ცდილობდა შეესუსტები-ნა უცხოელთა გავლენა სასახლის კარზე, რისთვისაც გარს შემოიკრი-ბა რუს თავადაზნაურთა წრე. 1740 დააპატიმრეს, ბრალად დასდეს სახელმწ. ღალატი და სიკვდილით დასაჯეს. ვ-ის ირანში ელჩობის მასალებში, კერძოდ, მის თხზულე-ბაში ,,სპარსეთის აღწერა'', არის საინტერესო ცნობები საქართვე-ლოს შესახებ. აღსანიშნავია ავტო-რის შეხედულება ქართ. მხედრო-ბის ბრძოლისუნარიანობაზე. იგი აღნიშნავს, რომ ქართვ. ცხენო-სანთა ლაშქარი, როგორც წესი, გამარჯვებული გამოდის ირანელ-თა მრავალრიცხოვან ჯართან შე-ტაკების დროს.

ლიტ.: Пайчадзе Г. Г., Русско-грузинские отношения в 1725–1735 годах, Тб., 1965.

ᲕᲝᲚᲙᲝᲜᲡᲙᲘᲡ ᲔᲚᲩᲝᲑᲐ კახეთში 1637–40, რუსეთის სამეფოს ელჩობა კახეთში. საქარ-თველოში გამოემგზავრა თეიმუ-რაზ I-ის ელჩთან, ბერძენ მიტ-როპოლიტ ნიკიფორესთან, მო-ლაპარაკების (1637 ივნისი) შემ-დეგ. ელჩობაში მონაწილეობდნენ: თავადი თეოდორე ვოლკონსკი, დიაკი (მდივანი) არტემ ხვატოვი, თარჯიმნები, სას. პირები, მხატ-ვრები და ხელოსნები. 1637 ოქ-ტომბერში ვ. ე. რუსეთიდან გამო-ემგზავრა და 1638 სექტემბერში თერგის გზით ალავერდში ჩავიდა. ელჩებმა თეიმურაზ I-ს გადასცეს რუსი ხელმწიფის წერილი, რ-შიც ნათქვამი იყო, რომ რუსეთი კის-რულობდა მტრისაგან ივერიის ქვეყნის დაცვას. კახეთის მეფე კი რუსეთისგან ითხოვდა: კახეთის ახ-ლოს ციხესიმაგრის აგებას და იქ 2000 კაცის ჩაყენებას; ასევე ირან-თან შუამდგომლობას, რათა შაჰს თეიმურაზისათვის დაებრუნებინა ქართლი. 1639 აპრილს მოლაპარა-კება განახლდა ზაგემში. ქართველ-მა დიპლომატებმა ფიცის წიგნის საკუთარი პროექტი წარადგინეს, მაგრამ რუსმა ელჩებმა მოითხოვეს რუსეთში შედგენილი ფიცის წიგ-ნის უცვლელად მიღება. 1639 წ. 23 აპრილს თეიმურაზ I-მა, ხოლო 25 აპრილს კახელმა დიდებულებმა, ხელი მოაწერეს რუს. ერთგულების ფიცის წიგნს. 1640 იანვარში ვ. ე. ქართველთა ელჩის ნიკიფორეს თანხლებით მოსკოვში დაბრუნდა.

ლიტ.: Белокуров С. А., Поездка старца Арсения Суханова в Грузию (1637–1640), «Христианское чтение», 1884, кн. 3–4; Полиевктов М. А., Материалы по истории грузино-русских взаимоотношений. 1615–1640, Тб., 1937.

ვ. მაჭარაძე.

ᲕᲝᲚᲝᲑᲣᲔᲕᲘ ალექსანდრე ვიქ-ტორის ძე (8. XI. 1907, ქ. ყარ-სი, – 18. X. 1963, სოხუმი), არ-ქიტექტორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961). თბილისში დაამთავრა ამიერკავკ. მიმოსვლის გზათა ინჟინრების ინ-ტი (1933). 1938–41 მუშაობდა მოსკოვში (მო-ნაწილეობდა საბჭოების სასახლის დაპროექტებაში), შემდეგ – თბილ. საპროექტო ინ-ტებში (,,თბილქა-ლაპროექტი'', ,,საქკომუნპრო-ექტი'' და სხვ.), ხოლო 1954-იდან გარდაცვალებამდე – სოხუმში (,,საქქალაქმშენსახპროექტის'' სოხუმის ფილიალი). მისი პრო-ექტებით აშენებულია საცხოვრ. და საზ. ნაგებობები თბილისში, ბა-თუმში, ჭიათურასა და ცხინვალში. თანაავტორია თბილისში ფუნიკუ-ლიორის ზედა სადგურის არქიტე-ქტურისა (1938; ავტორები ზ. და ნ. ქურდიანები); დააპროექტა: სოხ-უმში – საჰაერო დაცვის საუწყებო სანატორიუმის საძილე კორპუსი, სოხუმის მთის ტყე-პარკის ობი-ექტები (თ. თელიასთან, ლ. ლით-ანიშვილთან, თ. მაჭარაშვილთან, ლ. მუშკუდიანსა და ს. ცინცაბა-ძესთან ერთად); მიუსერასა და გუდაუთაში – დასასვენებელი სახლები; ეშერაში – რესტორანი (ვ. ნოსკინთან ერთად; ყველა – XX ს. 50-იანი წწ.) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ს. კინწურაშვილი.

ᲕᲝᲚᲝᲒᲔᲡ (ვალარშ) **I,** პარ-თიის მეფე (51–77), არშაკიდთა საგვარეულოს გვერდითი შტოს წარმომადგენელი. გამეფებისთა-ნავე აქტიურად დაიწყო ბრძოლა დიდ სომხეთში პართიის გავლენის აღდგენისათვის. 51 დიდი სომხ-ეთის მეფე მითრიდატე იბერი-ელი ღალატით მოკლა თავისმა ძმისწულმა, რადამისტმა, ფარსმან I-ის ძემ. რადამისტის გამეფება ვ-მა სომხეთის დაბრუნებისთვის ხელსაყრელ მომენტად მიიჩნია, რათა სამეფო საკუთარი ძმისთ-ვის, ტირიდატესთვის გადაეცა. 52 იბერიელებმა უომრად და-ტოვეს ქვეყანა. სომხებმა ვ-ს გა-დასცეს ქალაქები: არტაქსატა და ტიგრანაკერტი, მაგრამ მკაცრმა ზამთარმა, სურსათის უქონლობამ და ჯარში გავრცელებულმა ეპი-დემიამ ვ. აიძულა სომხეთი დაე-ტოვებინა. ქვეყანაში კვლავ რად-ამისტი შემოიჭრა, მაგრამ სომეხი დიდებულები აჯანყდნენ და იგი იბერიაში გაიქცა. სომხეთში ისევ ტირიდატე გამეფდა. 58 რომის მხედართმთავრის კორბულონის ლაშქრობის დროს იბერიელები აქტიურად ეხმარებოდნენ რომაე-ლებს, რისთვისაც ფარსმან I-მა სომხ. ტერიტორიის გარკვეული ნაწილიც მიიღო. საბოლოოდ ვ-მ შეძლო *დიდი სომხეთის* დაკავება და იქ კვლავ ტირიდატეს გამეფე-ბა. ამის შემდეგ ტახტს არშაკიდი უფლისწულები ფლობდნენ, თუმცა ფორმალურად დიდი სომხ. მეფე რომის იმპერატორის ვასალად ით-ვლებოდა.

წყარო: ტაციტუსი ცნობები საქართველოს შესახებ. ლათინური ტე-ქსტი ქართ. თარგმანით და კომენტარ-ებით გამოსცა ა. გამყრელიძემ, თბ., 1973.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარ-კვევები, ტ. 1, თბ., 1970; Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.

ნ. მიწიშვილი.

ᲕᲝᲚᲝᲓᲐᲠᲡᲙᲝᲔ, სოფელი სოხუ-მის მუნიციპალიტეტის ახალ-სოფლის თემში (აფხაზეთის არ), შავიზღვისპირა დაბლობზე. ზ. დ. 120 *მ,* სოხუმიდან 3 *კმ.* 453 მცხ. (1989).

ᲕᲝᲚᲡᲙᲐᲘᲐ ანელი ივანეს ასული (26. XII. 1923, თბილისი, – 14. XI. 2009, იქვე), ხელოვნების ის-ტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნეო-ბის დოქტორი (1975). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1944). 1949-იდან მოღვაწეობდა სა-ქართვ. მეცნ. აკად. გ. ჩუბინიშვი-ლის სახ. ქართ. ხელოვნების ის-

ტორიის ინ-ტში (1987-იდან – წამყვანი მეცნ. თანამშრომელი). 3-ს მეცნ. კვლევის სფერო ძირითადად შუა საუკუნეების ქართ. მონუმენტური მხატვრობა და ქანდაკებაა. ავტორია ნაშრომებისა თანამედროვე სახვითი ხელოვნების შესახებ. 3-ს ეკუთვნის შუა საუკუნეების ქართ. მხატვრობის სხვადასხვა სკოლის გამოყოფა და კლასიფიკაცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ნაშრომები, რ-ებიც ეძღვნება სვანეთისა და დავითგარეჯის ფერწერულ სკოლებს. მნიშვნელოვანია აგრეთვე მისი გამოკვლევა შუა საუკუნეების ქართ. ეკლესიების კანკელების პლასტიკური დეკორის შესახებ. 3. მონაწილეობდა ქართ. ხელოვნების, აგრეთვე ქართ. და ბიზანტ. ხელოვნების ურთიერთმიმართებისადმი მიძღვნილ საერთაშ. სიმპოზიუმებში, ბიზანტინოლოგთა საერთაშ. კონგრესებში.



გ. ვოლსკი.



ვოლტერი (მ. კ. ლატურის ნახატის ლითოგრაფია, 1736).

თხზ.: Рельефы Шиомгвиме и их место в развитии грузинской средневековой скульптуры, Тб., 1957; Росписи средневековых трапезных Грузии, Тб., 1974; Гареджииская живописная школа, კრ.: Средневековое искусство: Русь. Грузия, М., 1978; Живописная школа Сванети, Тб., 1983 (თანაავტ. Н. Аладашвили, Г. Алибегашвили); Le icone della Georgia, წგ.: Le icone, Milano, 1981 (თანაავტ. მ. ლიბეგასჰვილი); Le iconi della Georgia, Milano, 1984 (თანაავტ.). *მ. დიდებულიძე.*

ვოლსკი გრიგოლ იოსების ძე [24. I (5. II). 1859, ქუთაისი, – 5. X. 1909, თბილისი], პოეტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. 1878–85 სწავლობდა ნოვოროსიის (ოდესა), მოსკოვისა და ყაზანის უნ-ტებში ერთდროულად ორ – სამედ. და ფილოლ. – ფაკ-ტზე. 1887 საქართველოში დაბრუნდა, აქტ. მონაწილეობას იღებდა საზ. ცხოვრებაში, დაუახლოვდა ,,ივერიის'' გარშემო შემოკრებილ მოღვაწეებს, განსაკუთრებით – ი. ჭავჭავაძეს. 1888 წ. II ნახ. საცხოვრებლად გადავიდა ბათუმში და რკინიგზის ექიმად დაიწყო მუშაობა. იმავე წელს, ი. ჭავჭავაძის ინიციატივით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის წარმომადგენლად დაინიშნა ახალშემოერთებულ აჭარაში. წლების განმავლობაში იყო ბათუმის თვითმმართველობის წევრი და მისი ქართ. ფრთის ლიდერი. 3-მ დიდი ღვაწლი დასდო ბათუმის აღმშენებლობას, განათლებისა და კულტ. აღორძინებას, ქალაქში ქართ. მენტალიტეტის დამკვიდრებას.

3-მ ლიტ. მოღვაწეობა 18 წლისამ დაიწყო. ბეჭდავდა პუბლიც.-ლიტ. წერილებს თავდაპირველად ,,უმწიფარიძის'', ხოლო შემდეგ ,,იმეს'' ფსევდონიმით. პარალელურად ქართულად თარგმნიდა ა. ჩეხოვისა და ჰ. კ. ანდერსენის ნაწარმოებებს, ხოლო რუსულად – ი. ჭავჭავაძის, შ. არაგვისპირელის, ე. გაბაშვილის, დ. მეგრელისა და სხვა ქართ. მწერალთა თხზულებებს. მის ლექსზე ,,შენ გეტრფი მარად'' მ. ბალანჩივაძემ დაწერა მუსიკა, რ-იც დღემდე ქართ. კლასიკური რომანსის ნიმუშია.

3-ის საქმიანობას დიდად აფასებდნენ ცნობილი ქართ. მწერლები და საზ. მოღვაწეები: ი. ზურაბიშვილი, გ. წერეთელი, დ. კლდიაშვილი და სხვ. 3. დაკრძალულია ბათუმში, ქართ. ეკლესიის ეზოში.

ლიტ.: ზურაბიშვილი ი., კარგ ქართველთა ხსოვნისათვის, თბ., 2006; კომახიძე თ., ბათუმის ამაგდარნი, ბათ., 1993; ნაცვალაძე დ., გრიგოლ ვოლსკი, ბათ., 1955; ნოზაძე ც., გრიგოლ ვოლსკი, ბათ., 1999.

გ. გ. ლორთქიფანიძე.

ვოლტერი (Voltaire) (ნამდვ. სახელი და გვარი – მარი ფრანსუა არუე, Arouet) (21. XI. 1694, პარიზი, – 30. V. 1778, იქვე), ფრანგი განმანათლებელი; პოეტი, პროზაიკოსი, სატირიკოსი, საზ. მოღვაწე. საფრ. აკად. წევრი. წერდა მხატვრულ, ისტ. და ფილოს. თხზულებებს. 3-ის ფილოს. მოძღვრება მჭიდროდ უკავშირდება მის შეხედულებას რელიგიაზე. იგი იყო დეისტი, იცავდა ,,ბუნებრივ რელიგიას''. იბრძოდა საეკლ. დოგმების, განსაკუთრებით, ფრანგ. კათოლიციზმის წინააღმდეგ; იცავდა შემეცნების რელატიურობის თვალსაზრისს და ამ საფუძველზე სკეპტიციზმამდე მიდიოდა. რელატიურობის პრინციპი შეიტანა ესთეტიკაშიც. პირველმა შემოიღო ტერმ. ,,ისტორიის ფილოსოფია''. 3. ცდილობდა კაცობრიობის ისტორია წარმოედგინა როგორც პროცესი, რ-შიც პროგრესი სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლაში იკვლევს გზას.

3-ის შემოქმედებაში ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც გვხვდება ცნობები საქართველოს შესახებ. როგორც ჩანს, მისთვის ხელმისაწვდომი იყო ანტ. ხანის ავტორთა ზოგიერთი ცნობა კოლხეთის შესახებ, აგრეთვე ევრ. მოგზაურთა, კერძოდ, შარდენის აღმოსავლეთში მოგზაურობის ამსახველი ჩანაწერები. საქართველო ნახსენებია 3-ის ნაშრომში ,,ცდა ეროვნებათა ზნე-ჩვეულებებსა და სულზე''. საქართველოსთან დაკავშირებული საკითხები განხილულია 3-ისა და ეკატერინე II-ის რუსეთ-თურქეთის ომისდროინდელ მიმოწერაში, აქვეა ცნობები მეფე არჩილისა და ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ. 3-ის ისტ. ნაშრომებში [,,რუსეთის იმპერიის ისტორია პეტრე I-ის მეფობის დროს'' (1759–63), ,,შარლ XII-ის ისტორია'' (1731)] არსებული ცნობები, თუნდაც ფრაგმენტული, მოწმობს, რომ მასალები საქართველოს შესახებ იმ წყაროთა შორის იყო, რ-ებითაც 3. სარგებლობდა ისტ. შრომებზე მუშაობისას. საქართველოში 3-ის სახელი ცნობილი გახდა XVIII ს. დასასრულს. დაინტერესება მისი განმანათლებლური იდეებით დაიწყო XIX ს. დასაწყისიდანვე. ამ ინტერესმა საქართველოში *ვოლტერიანელობის* გავრცელება გამოიწვია. როგორც მწერალმა და მოაზროვნემ, 3-მა უდიდესი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ თანამედროვეებზე, არამედ მომდევნო თაობებზეც. მისი სახელი პროგრ. აზროვნების სინონიმად იქცა. 3. იხსენიება იოანე ბატონიშვილის ,,კალმასობაში'', რ-შიც აირეკლა ეპოქის განმანათლებლური იდეები, და დიმიტრი თუმანიშვილის ლექსში ,,ფას მუხალიფის ხმაზედ''.

ქართ. ენაზე 3-ის თხზულებათა მთარგმნელებს XIX ს. I ნახევარში უფრო მეტად იზიდავდა მისი დრამატურგია, ხოლო ამავე საუკუნის II ნახევრიდან, ქართ. ლიტ-რაში რეალიზმის დამკვიდრების დროიდან, – პროზაული ნაწარმოებები.

3-ის შემოქმედებით დაინტერესდნენ განმანათლებლური იდეებით გატაცებული ბატონიშვილები – დავითი, იოანე და თეიმურაზი. 3-ის თხზულებების პირველი მთარგმნელი იყო დავით ბატონიშვილი, რ-მაც თარგმნა პოემა ,,ტაქტიკა''. იოანე ბატონიშვილმა თარგმნა ,,აღსარება'', ხოლო თეიმურაზ ბატონიშვილმა – ,,აღათოკლე''. 3-ის ნაწარმოებები თარგმნეს აგრეთვე გ. ავალიშვილმა (რამდენიმე პროზაული ნაწარმოები, მ. შ. ,,ზადიგი ანუ ბედი''), ი. გარსევანიშვილმა (ისტ. ნაშრომები, ,,ლუი XIV-ისა და ლუი XV-ის მეფობის ისტორია''). 3-ის ზოგიერთი ლექსი და პიესა უთარგმნია ა. ჭავჭავაძესაც (ყველაზე საინტერესო თარგმანია ტრაგედია ,,ალზირა ანუ ამერიკელები'').

XIX ს. II ნახ. პერიოდულ პრე-

საში იბეჭდებოდა პ. ყიფიანის (,,თეატრი'', 1886, №37, 44; 1888, №25), დ. კარიჭაშვილის (,,თეატრი'', 1888, №216), თ. სახოკიას (,,ივერია'', 1891, №270) და სხვათა მიერ თარგმნილი ვ-ის ნაწარმოებები. ცალკე წიგნად გამოიცა ,,ზადიგის'' ა. ახნაზაროვისეული (ოზურგეთი, 1891) და ,,უმანკოს'' თ. სახოკიასეული თარგმანები (თბილისი, 1892). ქუთაისში ,,მერანმა'' გამოსცა 1919 ჯ. ჯორჯიკიას მიერ საშ. სასწავლებლებისათვის შემოკლებული ფრანგული ტექსტი თხზულებისა ,,შარლ XII-ის ისტორია ვოლტერისა''. ამავე პერიოდში დაიბეჭდა ვ-ის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალები: ვ. გუნიას (,,თეატრი'' 1886, №36, 42, 44; 1887, №4, 7), ი. მანსვეტაშვილის (,,ივერია'', 1886, №236), თ. სახოკიას (წინასიტყვაობა წიგნისა: ,,ვოლტერი'', ,,უმანკო'', თბილისი, 1892); გაზეთებში გაშუქდა მწერლის ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი, დაიბეჭდა მისი მოსწრებული სიტყვა-პასუხები (,,ივერია'', 1886, №53, 273, 274, 277). ვ-ზე დაწერილ ძვ. ნაშრომთაგან აღსანიშნავია ზ. ჭიჭინაძის ,,ვოლტერი'' (თბილისი, 1889). ვ-ის გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაზ. ,,ივერიაში'' (1878, №22) დაიბეჭდა ვ. ჰიუგოს მიერ პარიზში წარმოთქმული სიტყვა. ამ პუბლიკაციას წერილით გამოეხმაურა ს. მგალობლიშვილი (,,ივერია'', 1878, №33). ვ-ის საზ. მოღვაწეობა, კერძოდ, პროტესტანტ ჟ. კალასის დასაცავად წარმოთქმული სიტყვა, გაშუქებულია ა. ნიკიტინის ვრცელ სტატიაში (,,ივერია'', 1899, №27).

ვ-ის მიმართ ინტერესი გრძელდება XX ს-შიც. გამოქვეყნდა გ. სალუქვაძის მიერ თარგმნილი პიესა ,,ფანატიზმი'' (ბათუმი, 1971); რ. დოდაშვილისა და ნ. ქადეიშვილის ნათარგმნი ფილოს. მოთხრობები: ,,ზადიგი'', ,,კანდელი'', ,,ბაბილონის პრინცესა'' (თბილისი, 1949, 1992). წიგნს ერთვის გ. ქიქოძის ვრცელი სტატია, რ-შიც მიმოხილულია დიდი ფრანგი განმანათლებლის შემოქმედებითი გზა. *ნ. ორლოვსკაია.*

ᲕᲝᲚᲢᲔᲠᲘᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ, ფრანგი მწერლის, ფილოსოფოსისა და განმანათლებლის, *ვოლტერის,* იდეების მიმდევართა პირობითი სახელწოდება. საქართველოში გავრცელდა რუსეთიდან. ვ-ს აქ ნოყიერი ნიადაგი დახვდა ქართვ. საზ-ბის განათლებული ნაწილის სახით, რ-იც ქვეყნის ხსნის საშუალებად ევრ. კულტ. და მოწინავე იდეების შემოტანას მიიჩნევდა. განმანათლებლური სულისკვეთების მქონე ქართველმა მოღვაწეებმა, განსაკუთრებით ბატონიშვილებმა და მოსკოვ-პეტერბურგის კულტ.-საგანმან. ცენტრების წარმომადგენლებმა, აიტაცეს ,,ეპოქის მაღელვებელი იდეები'' და აუცილებლად მიიჩნიეს მათი საქართველოში გავრცელება. დაიწყეს ვოლტერისა და სხვა განმანათლებელთა თხზულებების თარგმნა, ,,რამაც მე-18 საუკუნის განმანათლებლობას, კერძოდ, ვოლტერიანობას, კარი გაუღო საქართველოში'' (შ. ნუცუბიძე).

პირველ ქართვ. ვოლტერიანელად ითვლება *დავით ბატონიშვილი,* რ-ის გარდაცვალებასაც პეტერბურგის ერთ-ერთი გაზეთი გამოეხმაურა წერილით ,,ვოლტერიანელის სიკვდილი''. დავით ბატონიშვილმა თარგმნა ფრანგ. ენციკლოპედიაში გამოქვეყნებული რამდენიმე სტატია (,,სიბრძნის მოქმედება არს კეთილის მოქმედება'', ,,სეკთათვის'', ,,კეთილის-მოქმედება'', ,,ანგელოზთათვის'', ,,ანგელოზთათვის ჰინდუსთა, სპარსელთა და სხვათა'') და თხზულებები: ,,შობისათვის'' (1813–18), ,,ტაქტიკა'' (ფრანგულიდან); აგრეთვე მონტესკიეს მთავარი ნაწარმოები ,,კანონთა არსი'' სათაურით ,,გულისხმისყოფისათვის სჯულთასა'' (1814), რ-იც, მთარგმნელის აზრით, არის ,,ერთიცა ესე უმჯობესთა წერილთაგანი ყოველსა ევროპასა შინა''. *იოანე ბატონიშვილმა* რუსულიდან თარგმნა ვოლტერის ,,აღსარება'', რ-იც პოემა ,,ბუნებრივი კანონისათვის'' ეპილოგია და დედანში ,,ლოცვა'' ეწოდება; *თეიმურაზ ბატონიშვილმა* თარგმნა ,,აღათოკლე'' (1813–19), ა. ჭავჭავაძეს ფრანგულიდან უთარგმნია ,,აღსარება'', აგრეთვე პოემა ,,ტაქტიკა'' და ტრაგედია ,,ალზირა ანუ ამერიკელები'', რ-შიც სარწმუნოებრივი პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება პერუელების ბრძოლას ესპანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ვოლტერის თხზულებებს თარგმნიდნენ დ. ფურცელაძე (ტრაგედია ,,ზაირი'', 1831), ი. ზუბალაშვილი (,,მაჰმადი ანუ ფანატიზმი'', 1846), ი. გარსევანიშვილი (,,ლუი XIV-ისა და ლუი XV-ის მეფობის ისტორია'', 1838) და სხვ.

ცნობილმა მწერალმა, მთარგმნელმა და საზ. მოღვაწემ გ. *ავალიშვილმა* თარგმნა ვოლტერის ფილოს. მოთხრობები ,,ზადიგი ანუ ბედი'' (1817) და ,,ქვეყანა, ვითარცა არს, ხილვაჲ ბაბუკასი'' (1818). ამ მოთხრობათა იდეა ნათელია: ბრძენი, განსწავლული და სამართლიანი მეფე ხალხს მშვიდობიანსა და ბედნიერ ცხოვრებას შეუქმნის; სიკეთე სწავლული ადამიანების თანამდევია, ბოროტების მოსასპობად სიკეთის გამრავლებაა საჭირო, რაც შესაძლებელია განათლებისა და მეცნ. ცოდნის გავრცელებით.

ვოლტერის იდეების მიმართ დიდი ინტერესი გამოიხატა არა მხოლოდ თარგმნითი ლიტერატურით. ამ იდეების გავლენა დაეტყო გარდამავალი მწერლობის არაერთ ორიგინ. ნაწარმოებს, რებშიც აშკარად იგრძნობა პოლიტ. და რელიგ. თვალსაზრისით თავისუფალი აზროვნება. მონტესკიესა და ვოლტერის იდეების კვალი ატყვია ვახტანგ (ალმასხან) ერეკლეს ძე ბაგრატიონის შემოქმედებას. მის თხზულებაში ,,ეპისტოლენი საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგისა...'' (რუსულად დაიბეჭდა 1812) აისახა განმანათლებლურ მოძღვრებაზე დაფუძნებული იდეები ადამიანთა უფლებების, კერძო საკუთრების, განათლების, ,,ბუნებრივი სამართლის'' შესახებ. იგივე საკითხებია წამოჭრილი გიორგი (იაგორ) *ჭილაშვილის* ნაშრომშიც ,,ბუნებითი სჯულის მონახაზი'' (დაიბეჭდა რუსულად 1812). ა. *ამილახვრის* პოლიტ. ტრაქტატი ,,ბრძენი აღმოსავლეთისა'' გაჟღენთილია მოწინავე ევრ. იდეებით ადამიანთა თანასწორობის, ურთიერთშემწყნარებლობის, მშვიდობის, განათლებისა და მეცნ. გავრცელების აუცილებლობის შესახებ. დავით ბატონიშვილის ,,ახალი შიხი'' (1803) ფორმით ჟან-ჟაკ რუსოს ,,ახალი ელოიზას'' გავლენას განიცდის, შინაარსით კი უფრო პოლიტ. ალეგორიად აღიქმება, ვიდრე მიჯნურთა სასიყვარულო მიმოწერად. ფერია საქართველოს ალეგორიაა, ტარტაროზი – რუსეთის, რ-მაც დაატყვევა ფერია. შიხი სანინის სახეში თავად ავტორი, დავით ბატონიშვილი, იგულისხმება, რ-ის გულისტკივილი გაუზიარებელი ტრფობით კი არა, საქართვ. სამეფო სახლის დაცემითაა გამოწვეული; გაისმის მოწოდება აქტ. მოქმედებისაკენ, რაც ქვეყნის გამოხსნის აუცილებლობით

არის ნაკარნახევი. ,,ახალ შიხში'' იგრძნობა ვოლტერის დეისტური რელიგ. გავლენაც. დეისტების მსგავსად, დავით ბატონიშვილიც იმ აზრისაა, რომ ჯანსაღი მორალი ბუნების სწორ შემეცნებაზეა დამყარებული.

იოანე ბატონიშვილი საქართვ. საზ. ცხოვრების ევრ. ყაიდაზე გარდაქმნის მოსურნე იყო. მისი ,,სჯულდება'' ითვალისწინებდა საქართველოს მართვის, პოლიტ.-საზ. და კულტ.-ეკონ. ცხოვრების რეორგანიზაციას ევრ. ქვეყნების მიბაძვით და ადგილ. ვითარების გათვალისწინებით. თავისებური ენციკლოპედიაა მისი ,,კალმასობა'', რ-იც ქართვ. მკითხველს იმდროინდელ მეცნ. მიღწევებს აზიარებს. ავტორი საინტერესოდ გადმოსცემს ევრ. განმანათლებლურ იდეებს და მათ განხორციელებას უკავშირებს საქართველოს პოლიტ. ძლიერებასა და კულტ.-ეკონ. აღორძინებას. მისი აზრით, ქვეყანას უნდა მართავდეს განათლებული მონარქი, რ-იც აღკვეთს ფეოდალთა თვითნებობას და მოხელეთა თარეშს; საუკეთესო მმართველობის შესაქმნელად საჭიროა საზ-ბის გონებრივი განვითარება და ზნეობრივი აღზრდა, ევროპულ განმანათლებელთაგან განსხვავებით, იოანე ბატონიშვილი ბატონყმობის მომხრე იყო, მაგრამ ილაშქრებდა გადაგვარების გზაზე დამდგარი თავად-აზნაურების წინააღმდეგ, ამხელდა მათ უვიცობას, უზნეობას, უსამართლობას, ხოლო დაბალი ფენის მიმართ თანაგრძნობას გამოხატავდა.



ვ. ვორონინი.

ლიტ.: ასათიანი ლ., ვოლტერიანობა საქართველოში, ტფ., 1933; კიკნაძე ლ., გიორგი ავალიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1992; ლაშქარაძე დ., ლიტერატურული მერიდიანები, თბ., 1985; ნუცუბიძე შ., ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, თბ., 1956; Микадзе Г., Очерки из истории грузинской поэтики, Тб., 1974.

ლ. კიკნაძე.

„ᲕᲝᲠᲘᲠᲐᲨᲐ“, სატრფიალო შინაარსის ქართული (სვანური) ხალხური ცეკვა, მკლავებით გადაჭდობილ ქალ-ვაჟთა წყვილები ეწყობიან ნახევარწრეზე და ფეხების გადაჭდობითა და გასმით მოძრაობენ მარჯვნივ, რკალზე, წრის შეუკვრელად. დასასრულს საცეკვაო მოედნის შუაში ცეკვავს ერთი ან რამდენიმე წყვილი. ცეკვას სვანეთში ჯანგელდსაც უწოდებენ. ცეკვავენ დღესასწაულებსა და ლხინში ფერხისას სახით, ორპირული სამხმიანი სიმღერის თანხლებით. მუს. ზომა 2/4.

ლიტ.: თათარაძე ა., ქართული ხალხური ცეკვა, თბ., 2012.

ა. თათარაძე.

ᲕᲝᲠᲝᲜᲘᲜᲘ ვლადიმერ ვასილის ძე [15 (27). VII. 1870, სოფ. ნიკოლსკოე, ყოფ. ტულის გუბ., – 11. XI. 1960, თბილისი], რუსი პათოფიზიოლოგი. მეცნიერული პათოფიზიოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში. მედ. მეცნ. დოქტორი (1897), პროფესორი (1908), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1942), საქართვ. მეცნ. აკად. სა-პატიო აკადემიკოსი (1944). 1893 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის სამედიცინო ფაკ-ტი. 1908–22 განაგებდა ზოგადი პათოლ. და ბაქტერიოლოგიის კათედრას თავდაპირველად ოდესის უნ-ტში, ხოლო შემდეგ – სამედიცინო ინ-ტში. 1923–53 ხელმძღვანელობდა თბილ. სახელმწ. სამედიცინო ინ-ტის პათოლ. ფიზიოლოგიის კათედრას, 1944–60 – საქართვ. მეცნ. აკად. ფიზიოლოგიის ინ-ტის პათოლ. ფიზიოლოგიის განყ-ბას. იკვლევდა ანთების მექანიზმებს, ნერვული სისტემის გულის, სისხლის, მიკროცირკულაციის ფიზიოლ. და ზოგადი პათოლ. საკითხებს. მუშაობდა აგრეთვე მიკრობიოლ., ეპიდემიოლოგიისა და ზოოლ. დარგში. ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა ბიოლოგიასა და მედიცინაში ვარიაციული სტატისტიკისა და კიბერნ. მეთოდი. ფართოდ იყენებდა ფიზ. მეთოდებს სისხლის მიმოქცევის შესწავლაში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. 3-ის პირადი ბიბლიოთეკა დაცულია საქართვ. მეცნ. აკად. ცენტრალურ სამეცნ. ბიბლიოთეკაში.

თხზ.: Исследования о воспалении, М., 1897; Руководство по патологической физиологии, ч. 1–2, Тб., 1947–48; Трофическая язва, Тб., 1955 (თანაავტ. И. Д. Гедеванишвили); Воспаление, [2 изд.], Тб., 1959; Миелиновое нервное волокно, Тб., 1960 (თანაავტ.: М. Р. Купрадзе, Н. К. Тотибадзе); Основы теории микроскопа, Тб., 1965.

ლიტ.: ვლადიმერ ვორონინი. ბიობიბლიოგრაფია. შემდგ.: მ. ბარკავა, ე. დოლიძე, თბ., 1987; Мчедлишвили Г. И., В. В. Воронин, Тб., 1973.

ᲕᲝᲠᲝᲜᲘᲮᲘᲜᲘ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე [6 (18). VII. 1882, გატჩინა, – 18. III. 1956, ლენინგრადი], ბოტანიკოს-ალგოლოგი, ფიტოპათოლოგი, ჰიდრობიოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1934), პროფესორი (1939). დაამთავრა პეტერბურგის უნ-ტის საბუნებისმეტყველო განყ-ბა (1907). მსახურობდა კავკასიაში – სოჭში (1912–15), თბილ. ბოტანიკურ ბაღსა (1915) და საქართვ. სახელმწ. მუზეუმში (1921). დააარსა სპოროვან მცენარეთა განყ-ბები. 1918-იდან შეთავსებით განაგებდა თბილ. ბოტან. ბაღის მიკოლოგიის კაბინეტს. სოფლის მეურნ. უმაღლეს კურსებზე (1919–21) და თბილ. სახელმწ. უნ-ტში (1921–22) ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა ფიტოპათოლოგიის კათედრებს. თბილ. პოლიტექ. ინ-ტში კითხულობდა მიკოლოგიის კურსს (1920). 3-მა შეისწავლა სოკოები და მათ მიერ გამოწვეული ამიერკავკასიის სას.-სამ. კულტურების დაავადებები, კავკასიისა და აღმ. ევროპის (სსრკ-ის ევროპული ნაწილის) მტკნარი წყლების და შავი ზღვის წყალმცენარეები. 3-ის სამეცნ. ნაშრომების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება კავკასიის სპოროვან მცენარეებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Новые виды водорослей с Кавказа, [в. 1–4], П. 1923; [ჟურნალში] «Материалы для флоры пресноводных водорослей Кавказа», ч. 1–9, 1923–26; Материалы к флоре грибов Кавказа, «Труды Ботанического музея АН СССР», 1927, т. 21.

ლ. კუხალეიშვილი.

ᲕᲝᲠᲝᲜᲝᲕᲘ იური ნიკოლოზის ძე [1 (13). VI. 1874, თბილისი, – 10. XII. 1931, ლენინგრადი], რუსი სისტემატიკოსი და ბიოლოგი. საქართვ. (განსაკუთრებით აფხაზეთის) ფლორისა და მცენარეულობის მკვლევარი. 1894 ოქროს მედალზე დაამთავრა ქუთ. გიმნაზია. სწავლობდა ნოვოროსიის (ოდესა) უნ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტზე, 1896-იდან – მოსკოვის უნ-ტსა და სას.-სამ. ინ-ტში, 1897–98 – მონპელიეს (საფრანგეთი) სას.-სამ. კოლეჯში, შემდეგ პეტერბურგის სატყეო ინ-ტისა და უნ-ტის მსმენელი იყო. 1902-იდან დაიწყო კავკ. ბოტან. შესწავლა, რასაც მიუძღვნა თითქმის მთელი თავისი მეცნ. მოღვაწეობა. 1906-იდან მუშაობდა თბილ. ბოტან. ბაღსა და საქართვ. სახელმწ. მუზეუმში. 1918–21 იყო ამ მუზეუმის დირექტორი, 1923–24 – თბილ. სახელმწ. პოლიტექ. ინ-ტის პროფესორი. 1925-იდან ლენინგრადის მემცენარეობის ინ-ტში მოღვაწეობდა. 1925–26 ხელმძღვანელობდა პირველ საბჭ. ბოტან. ექსპედიციას ამერიკაში. 3. მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორია. მისი სისტემატიკური ხასიათის ნაშრომები შესულია ფუნდამენტურ ,,Flora Caucasica Critika''-ში, აღმოაჩინა და აღწერა მცენარეთა მრავალი ახ. სახეობა.

ზ. ღვინიანიძე.

ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕ-ᲓᲐᲨᲙᲝᲕᲘ ილარიონ ივანეს ძე [27. V (8. VI). 1837,

პეტერბურგი, – 15 (28). I. 1916, ალუპკა], კავკასიის მეფისნაცვალი (1905–15), კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი (1914–15). გრაფი, რუს. სახელმწ. მოღვაწე. კავალერიის გენერალი (1890). ვ.-დ. კავკასიაში თვითმპყრობელობის განმტკიცების პოლიტიკას ატარებდა. აწყობდა დამსჯელ ექსპედიციებს რევ. გამოსვლების წინააღმდეგ. იყენებდა თავისი ხელშეწყობით შექმნილ შავრაზმულ ორგანიზაციებს. ხუცეს გოროდცოვის მიერ შექმნილი ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციის მიერ მთავრობის მხარდასაჭერად მოწყობილ მანიფესტაციას 1905 წ. 21–22 ოქტომბერს მოჰყვა მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა თბილისში. ვ.-დ. ერთმანეთის წინააღმდეგ განაწყობდა ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხებს, კავშირი დაამყარა დაშნაკ ნაციონალისტთა ლიდერებთან და მათთან შეთანხმებით 1913 ნოემბერში დაავალა სპეც. თათბირს განეხილათ ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების თბილ. გუბერნიიდან გამოყოფისა და ცალკე სომხ. გუბერნიის შექმნის საკითხი. თათბირმა, რ-შიც სომხებიც მონაწილეობდნენ, ეს წინადადება უარყო. ვ.-დ. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ამიერკავკასიის რუსიფიკაციას. 1909 დაისახა ამოცანა, ამიერკავკასიაში ჩამოესახლებინა ნახევარი მლნ. რუსი და მათი რაოდენობა, ნაცვლად 2,5 პროცენტისა, 15 პროცენტამდე გაეზარდა. ფართო კოლონიზაციის შედეგად 1908–15 საქართველოში გადმოასახლეს 66 ათასი კაცი, რებიც ადგილ. გლეხებისათვის ჩამორთმეულ მიწებზე დაასახლეს. მისივე ინიციატივით 1913 კავკასიაში გატარდა კანონი დროებით ვალდებული გლეხების მიერ მიწის სავალდებულო გამოსყიდვის შესახებ. ამავე დროს, მეფისნაცვლის თანამდებობაზე ყოფნისას ვ.-დ-მა ზოგი რამ სასიკეთოც გააკეთა: 1907–09 თბილისში აშენდა გვირაბი, რ-მაც ბოტან. ბაღი ქალაქთან დააკავშირა, 1909 გაიხსნა კ. ი. ზუბალაშვილის სახ. სახალხო სახლი (ახლანდ. კ. მარჯანიშვილის თეატრი); 1911 – ბავშვთა საავადმყოფო და თბილ. ელექტროსადგური. ყოველივე ამის გამო თბილ. სათათბირომ 1913 წ. 25 ნოემბ. ვ.-დ. ქალაქის საპატიო მოქალაქედ აირჩია.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972; Письма И. И. Воронцова- Дашкова Николаю Романову, «Красный архив», 1922, т. 1.

მ. ცირეკიძე.

ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘ მიხეილ სიმონის ძე [19(30). V. 1782 – 6 (18). XI. 1856, ოდესა], კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი (1844–54). გრაფი, რუს. სახელმწ. მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი (1856). მთავარმართებლობის დროს ვ. ერთგულად ემსახურებოდა კავკ. კოლონიზაციისა და იმპერიასთან სრული შერწყმის საქმეს, მაგრამ ამას აკეთებდა მოქნილად, მეთოდურად, უპირატესად კულტ. ღონისძიებებით: მისი მმართველობის დროს აღდგა ქართ. თეატრი, გაიხსნა საჯარო ბ-კა, დაარსდა კავკ. გეოგრ. საზ-ბა, სასწ. დაწესებულებები, გამოვიდა გაზ. ,,კავკაზი'', მნიშვნელოვნად განაშენიანდა თბილისი, აიგო ე. წ. მიხეილის (ვორონცოვის) ხიდი, მოედანი, სადაც 1867 დადგეს ვორონცოვის ძეგლი (აიღეს 1922); ადგილ. მოსახლეობაში რუს. ენის გავრცელების მიზნით სხვა ღონისძიებებთან ერთად ქართვ. თავად-აზნაურთა შვილებს გზავნიდა მოსკოვისა და პეტერბურგის სასწავლებლებში და სხვ. მათი მხარდაჭერის მოსაპოვებლად ვ-მა 1849 მთავრობას მიაღებინა კანონი, რ-მაც მემამულეები გაათავისუფლა სასამართლო ორგანოებში ყმების კუთვნილების შესახებ საბუთების წარდგენის მოვალეობისაგან. ვ-ის ხელშეწყობით დაახლ. 30 ათასი კაცი დამტკიცებულ იქნა თავადაზნაურულ წოდებაში.

ცვლილებები მოხდა ამიერკავკასიის ადმ. დანაწილებაში. 1846 წ. 14 დეკემბრის ბრძანებულებით საქართველო-იმერეთის გუბერნიისა და კასპიის ოლქის ნაცვლად შეიქმნა ოთხი გუბერნია: თბილისის, ქუთაისის, შემახისა და დარუბანდის. 1849 კი მათ მიემატა ერევნის გუბერნია. ვ. მეფის უერთგულესი მსახური იყო, სხვა მოხელეთაგან გამოირჩეოდა გამჭრიახი გონებით, განათლებითა და გარკვეული ლიბერალიზმით. არსებობს ე. წ. ,,თავად ვორონცოვის არქივი'', რ-იც შეიცავს XVIII–XIX სს. რუს. თვალსაჩინო პოლიტ. მოღვაწეების საგვარეულო საბუთებს. არქივში შემონახულია XIX ს. საქართველოს მდგომარეობის ამსახველი ცნობები. მასალა დაცულია მოსკოვის, სანქტ-პეტერბურგის, ვლადიმირის, ყირიმის, ოდესის არქივებსა და ბ-კებში.

ლიტ.: Архив кн. Воронцова, т. 1–40, СПб., 1870–95 (იხ. ,,Роспись ...'', М., 1897); А в а л и а н и С. Л., Граф М. С. Воронцов и крестьянский вопрос, т. 1–2, Од., 1912–14; Щ е р б и н и н М. П., Биография генерал-фельдмаршала князя М. С. Воронцова, СПб., 1858.

ნ. ნაკაშიძე.

ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲛᲓᲕᲘᲛᲔ, გვიანდელი ენეოლითიდან ადრინდელ ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი ეტაპის არქეოლოგიური ძეგლი მდ. კუდეფსტას სათავეში (ადლერის რ-ნი; რფ), ზღვიდან 22 *კმ*-ზე. 1953–54 გაითხარა ორ იარუსად განლაგებული მღვიმეები: ქვედა – ,,ოჩაჟნი'', ზედა – ,,კოლოკოლნი'' და ,,ზალოჟენი''.

,,ოჩაჟნიში'' უმთავრესად აღმოჩნდა კაჟის იარაღი (წვეტანები, საფხეკები, სახვრეტები, სამკუთხა ყუნწიანი, სწორფუძიანი, რომბისებრი შუბისა და ისრისპირები). რიყის ქვის ნაწარმიდან აღსანიშნავია წვერწამახული მიწის დასამუშავებელი იარაღი, ე. წ. პიკის ტიპის იარაღი, ცულები, სატეხები. ნაპოვნია, აგრეთვე, ქვის სამაჯურები და კვირისტავები. მურა-ნაცრისფერი ან მოშავო მრგვალძირიანი კერამიკა ხელით ნაძერწია. ჭარბობს უყელო დერგები, ძაბრისებურყელიანი, ბირთვისებურტანიანი ქოთნები.

,,კოლოკოლნი'' და ,,ზალოჟენი'' შედარებით მოგვიანო ხანისაა, მცირე რაოდენობით აღმოჩენილია კაჟის იარაღი, უმთავრესად საფხეკები. ნაპოვნია ერთი ასიმეტრიული ისრისპირი, რიყის ქვის სატეხი და ცული, ძვლის ნემსები, სახვრეტები, საპრიალებელი, სპილენძის მრგვალპირიანი დანა. თიხის ჭურჭელი 2 ტიპისაა: 1. რელიეფური სარტყლით (ე. წ. ,,მარგალიტოვანი'' ამობურცული ორნამენტით) შემკული ყელიანი ქოთნები; 2. ძაბრისებურყელიანი მრგვალძირიანი ჭურჭელი, ისეთივე, როგორც ,,ოჩაჟნის'' მღვიმეში.



მ. ვორონცოვი.

ვ. მ-ის ნაწარმი მსგავსებას პოულობს მაიკოპის კულტურის კერამიკასთან და აგრეთვე რიონ-ყვირილის აუზის მღვიმეებთან. ლ. სოლოვიოვი ძეგლს ძვ. წ. XXIII–XXI სს-ით ათარიღებდა. შემდეგი აღმოჩენების გათვალისწინებით ვ. მ. ძვ. წ. IV–III ათასწლ. მიჯნით განისაზღვრა.

ლიტ.: ფ ხ ა კ ა ძ ე გ., დასავლეთი ამიერკავკასია ძვ. წ. III ათასწლეულში, თბ., 1993; С о л о в ь е в Л. Н., Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья эпохи энеолита и бронзы– Стоянки Воронцовской пещеры, «Труды Абхазского ин-та», 1958, в.29.

გ. ფხაკაძე.

„ᲕᲝᲡᲐ“, ვ ო ს ა, ქართული ხალხური სიმღერა. გავრცელებულია

დას. საქართველოში. გურიასა და ბარის აჭარაში სიმღერა საცეკვაოა. 1907 ფირმა ,,გრამოფონის'' მიერ ჩაწერილმა ფირფიტამ შემოგვინახა გიგო ერქომაიშვილის მიერ ნამღერი ,,ვ-ს'' ვარიანტი. სიტყვიერი ტექსტი მთლიანად სამღერისებს ემყარება. ამავე სახელწოდებით ზემო აჭარაში სალხინო სუფრული, ხოლო სამეგრელოში სატრფიალო სიმღერაც არსებობს.



ე. ვრონსკი.



ვ. ვრონსკი-ნადირაძე.

ლიტ.: ერქომაიშვილი ა., როდონაია გ., პირველი ჩანაწერები საქართველოში (1901–1914), თბ., 2006; ჭოხონელიძე ე., კალანდაძე ნ. (შემდგ.), ქართული ხალხური მუსიკა. სამეგრელო (სანატო კრებული), ტ. 2, თბ., 2005; Georgian Songs (coll. by E. Garakanidze), Wales, 2004. *ნ. კალანდაძე.*

ᲕᲝᲣᲑᲐ ვალერი სოკრატის ძე (დ. 23. VIII. 1942, სოფ. თხინა, ონ-ამჩირის მუნიციპალიტეტი), ინჟინერ-ტექნიკოსი. აფხ. კულტ. დამს. მუშაკი. ახალი ათონის ტურისტულ-საექსკურსიო გაერთიანების გენ. დირექტორი (1974). ახალი ათონის მღვიმის კომპლექსის შექმნისათვის მეცნიერთა და მშენებელთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია (1977).

,,ᲕᲠᲐᲡᲢᲐᲜ'' (სომხ. – ,,საქართველო''), ყოველკვირეული დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი სომხურ ენაზე. დაარსდა 1920 თბილისში ,,კარმირ ასტხის'' (,,წითელი ვარსკვლავი'') სახელწოდებით. სხვადასხვა დროს ერქვა ,,მარტაკოჩი'' (,,საბრძოლო ძახილი''), ,,პროლეტარი'', ,,სოვეტაკან ვრასტან'' (1940-იდან). იყო საქ. კპ ცკ-ის, უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო. 1990-იდან ,,ვ.'' ეწოდა. რედ. – ვან ბაიბურთი (1987-იდან). გაზეთის საქმიანობის ძირითადი მიმართულება: მკითხველის ინფორმირება საქართველოს პოლიტ., ეკონ. და კულტ. ცხოვრების შესახებ. აქვეყნებს საქართვ. პრეზიდენტის ბრძანებულებებს, პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს, სხვა მნიშვნელოვან ნორმატიულ აქტებს. ხელს უწყობს ხალხთა შორის მეგობრული სულისკვეთების, ქართ.-სომხ. სახელმწიფოებრივ და კულტ. ურთიერთობათა განმტკიცებას.

ᲕᲠᲐᲪ-ᲓᲐᲨᲢᲘ (სომხ. – ქართველთა ველი), გეოგრაფიული ტერმინი, რ-ითაც ძვ. სომეხი ისტორიკოსები აღნიშნავდნენ ქვემო ქართლის (სომხ. წყაროებით – გუგარქის) ერთ მხარეს, კერძოდ, მდ. დებედის, ხრამის ქვემო წელისა და მათი შენაკადების – ფოლადაურის, მაშავრის, შულავრისწყლის მიმდებარე ტერიტორიას. სომეხი ისტორიკოსის, უხტანესის (X ს.) მიხედვით, ვ.-დ-ში იყო ქვემო ქართლის პიტიახშის – ვარსქენის (V ს.) რეზიდენცია – ცურტავი. აქვე იყო ქართ. და სომხ. წყაროებში მოხსენიებული გაგის ციხე.

დ. მუსხელიშვილი.

ᲕᲠᲝᲜᲡᲙᲘ ევგენი ალექსის ძე (10. I. 1883, სოფ. სოროჩინსკოე, ახლანდ. სამარის ოლქი, – 30. IV. 1942, თბილისი), რუსი მომღერალი (ბარიტონი) და პედაგოგი. აჭარის დამს. არტისტი (1922, ამ საპატიო წოდების პირველი მფლობელი აჭარაში) და საქართვ. სახ. არტისტი (1941). ქართ. ვოკალური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი (ო. ბახუტაშვილ-შულგინასთან ერთად). მუს. განათლება თავდაპირველად მიიღო რუსეთში, შემდეგ – იტალიაში. 1909 მღეროდა მოსკ. და ოდესის საოპერო სცენაზე. სტაჟირება გაიარა იტალიაში, მილანის სახელგანთქმულ თეატრ ,,ლა სკალაში''. 1912 დაბრუნდა საქართველოში, მოღვაწეობდა თბილ. საოპერო თეატრის სცენაზე (1912–13 და 1915–17). 1917 გადავიდა ბათუმში, სადაც დირიჟორ ვ. კორშინთან ერთად დააარსა ბათუმის ოპერის თეატრი (1921), საოპერო სტუდია (1922) და კონსერვატორია (1922), საფუძველი ჩაუყარა სამუსიკო სასწავლებლის დაარსებას. ბათუმის საოპერო სცენაზე მოამზადა სპექტაკლები: ა. რუბინშტეინის ,,დემონი'', ჯ. ვერდის ,,ტრავიატა'', პ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინი'', ,,პიკის ქალი'', ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე'', დ. არაყიშვილის ,,თქმულება შოთა რუსთაველზე'' (ბარიტონის პარტიებს თვითონვე ასრულებდა). 1925 კვლავ თბილისშია, ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. სახელმწ. კონსერვატორიაში (1932-იდან – პროფესორი). ჩამოაყალიბა ძლიერი ვოკალური სკოლა. მისი მოსწავლეები იყვნენ: დ. *ანდღულაძე*, დ. *ბადრიძე*, დ. *გამრეკელი* ვ. *კანდელაკი*, ბ. *კრავეიშვილი*, ნ. *ხარაძე* და სხვ.

ლიტ.: ჩხარტიშვილი ლ., ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის ისტორია, ბათ., 1998.

ᲕᲠᲝᲜᲡᲙᲘ-ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ ვახტანგ ივანეს ძე (28. VIII. 1905, თბილისი, – 27. II. 1988, კიევი), ბალეტის მსახიობი, ბალეტმაისტერი, პედაგოგი. სსრკ სახ. არტისტი (1962), საქართვ. სახ. არტისტი (1971). 1923 დაამთავრა თბილ. საბალეტო სკოლა. 1923–25 მუშაობდა როსტოვის მუსკომედიის თეატრში. იყო თბილისის (1925–26), ბაქოს (1926–32), ტაშკენტისა და სხვ. ოპერისა და ბალეტის თეატრების წამყვანი სოლისტი; ბაქოს (1932 და 1937–40), სარატოვის (1933–37), ოდესის (1940–54) (პარალელურად 1941–44 დნეპროპეტროვსკის) და კიევის ტ. შევჩენკოს სახ. (1954–63) ოპერისა და ბალეტის თეატრების მთ. ბალეტმაისტერი, უკრაინის ცეკვის სახელმწ. ანსამბლის (1951–54) მხატვრული ხელმძღვანელი. 1960-იდან პარალელურად ხელმძღვანელობდა უკრაინულ ,,ბალეტს ყინულზე''. 1934-იდან ასწავლიდა სარატოვისა და ბაქოს საბალეტო სკოლებში. მის მიერ შესრულებული როლებია: პრინცი (პ. ჩაიკოვსკის ,,გედების ტბა''), ვაცლავი (ბ. ასაფიევის ,,ბახჩისარაის შადრევანი''), უფლისწული (ჩ. პუნის ,,კუზიანი კვიცი''), ფრანცი (ლ. დელიბის ,,კოპელია'') და სხვ.; დადგმები: ა. ბადალბეილის ,,ქალწულის კოშკი'' (1940, ს. კევორკოვთან ერთად), კ. დანკევიჩის ,,ლილეა'' (1956), ე. რუსინოვის ,,ოლესია'' (1947), ფ. იარულინის ,,შურალე'' (1955), გ. ჟუკოვსკის ,,როსტისლავა'' (1955), ს. პროკოფიევის ,,რომეო და ჯულიეტა'' (1955), ბ. ასაფიევის ,,ბახჩისარაის შადრევანი'' (1961), ა. ხაჩატურიანის ,,სპარტაკი'' (1964), ზნატოკოვის ,,თავადის ქალი ვოლკონსკაია'' (1966), ბ. იაროვინსკის ,,პოემა მარინაზე'' (1968); ცეკვები – ზ. ფალიაშვილის ოპერაში ,,დაისი'' (ა. წუწუნავას დადგმა) და სხვ. ყინულზე დადგა ბალეტები: ,,გაზაფხულის ზღაპარი'', ,,სამოცი წუთი დედამიწის გარშემო'' და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. *ა. ჩხეიძე.*

ᲕᲡᲔᲕᲝᲚᲝᲓᲡᲙᲘᲡ ᲔᲚᲩᲝᲑᲐ კახეთში 1593–94, რუსეთის სამეფოს ელჩობა კახეთში. მოეწყო იორამისა და კირილეს ელჩობის საპასუხოდ, როდესაც კახეთის მეფემ, ალექსანდრე II-მ რუს. ხელმწიფეს, თეიმურაზ ივანეს ძეს სთხოვა დაეცვა კახეთი საშამხლოს თავდასხმებისაგან.

ვ. ე-მ ალექსანდრე II-ს საჩუქრებთან ერთად გაადასცა ბორის გოდუნოვის (რ-საც თეიმურაზ მეფემ კახეთის საქმეები მიანდო) წერილი, რ-შიც ნათქვამი იყო, რომ რუს. ხელმწიფემ ჯარი გაგზავნა საშამხლოში. გოდუნოვი კახეთის მეფეს სთხოვდა, მასაც გაეგზავნა ჯარი ტარკში და რუს. ჯარის სარ-

დალთან შეთანხმებით ემოქმედა. 3. ე-ს სამშობლოში დაბრუნებისას გაჰყვნენ კახეთის სამეფოს ელჩები – ხურშიტა და იორამი.

წყარო: Белокуров С. А., Сношения России с Кавказом, в. 1 (1578–1613), М., 1889.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967. *ვ. მაჭარაძე.*

ვსევსვიატსკოე (ქართ. წყაროებით – ,,სვესენწკა'', ,,სვენწკა'', ,,სესენცკა''), მოსკოვის ქართველთა ახალშენი, ქართული მწიგნობრობის კერა. XIV ს-ში 3-ს მიდამოებს აქ არსებული მონასტრის გამო, ,,ოტცი სვიატიეს'' უწოდებდნენ, იგი რუსი დიდებულის, მ. ი. პანკრატიევის მამული იყო. XVII ს. II ნახ-ში ეს ადგილები მამულად მიიღო მეფე ალექსი მიხეილის ძის ცოლის ნათესავმა, ბოიარმა ი. მ. მილოსლავსკიმ. მან აქ კარის სალოცავი – ,,ვსეხსვიატიხ'' – ააშენა. ამიერიდან სოფელსაც 3. ეწოდა. 1691 მეფე *არჩილ II-ის* შვილებს, ალექსანდრესა და მამუკას, ქალაქში საცხოვრებელ სასახლესთან ერთად უბოძეს აგარაკი 3. 90-იან წლებში იქ *ალექსანდრე ბატონიშვილმა* სასახლე გამართა. 1700-იდან იქვე ცხოვრობდა არჩილ II თავის ამალასთან ერთად. 3-ში მნიშვნელოვან კულტ. საქმიანობას ეწეოდნენ. აქ რუს. და სხვა ენებიდან ითარგმნა მხატვრული, საისტორიო და სხვა ძეგლები: რომანი ,,ალექსანდრია'', მსოფლიო ისტორია ,,ქრონოგრაფი'', აქვე გადაიწერა ,,სახარება'', ,,სადღესასწაულო'' და სხვა სას. შინაარსის წიგნები. ,,სწავლულ კაცთა'' დახმარებით არჩილმა აქ წამოიწყო ,,დაბადების'' ტექსტის დასაბეჭდად მომზადება და სლავურ ბიბლიასთან შედარება. 3-ში ჩამოყალიბდა არჩილ II-ის ორიგინ. თხზ. კრ-ის ,,არჩილიანის'' რედაქცია (კალიგრაფი და სასახლის მდივანი გ. თუმანიშვილი).

მეფე არჩილ II-ის ანდერძით 3. დაუმტკიცდა მის ასულს – *დარეჯან ბატონიშვილს.* ქართვ. ბატონიშვილის სასახლეში ხშირად თავს იყრიდნენ რუს. საიმპერატორო სახლის, გენერალიტეტის წარმომადგენლები, უცხოელი დიპლომატები. 1721 შვედებზე გამარჯვების ზეიმი იმპ. პეტრე I-მა საგანგებოდ 3-დან დაიწყო. 1724 3-ში ჩავიდნენ ს.-ს. *ორბელიანი, ვახტანგ VI, ბაქარი* და სხვ. 1725 წ. 25 იანვარს 3-ს ძვ. საყდარში დაიკრძალა ს.-ს. ორბელიანი. ამით საფუძველი ჩაეყარა 3-ს ქართვ. მოღვაწეთა პანთეონს. 1733 დარეჯან ბატონიშვილმა ძვ. საყდრის ადგილზე ააგო ახ. საყდარი ორი ეკვდერით, შეამკო სალოცავი და შესწირა ძვირადღირებული სამღვდელმსახურო ინვენტარი. მისი მოღვაწეობა მოხსენიებულია ტაძარში გაკრულ სააღმშენებლო წარწერაში. 1727 დარეჯანის მემკვიდრედ დამტკიცდა ბაქარი, რ-მაც 3. დარეჯანის გარდაცვალების შემდეგ (1740) მიიღო. 3-ში მოეწყო ქართ. სტამბა-გამომცემლობა, სადაც 1743 დაიბეჭდა ქართ. ბიბლია. შემდეგში აქვე გამოიცა რამდენიმე ქართ. წიგნი. 3-ს განაშენიანებაში წვლილი მიუძღვით: *გიორგი ბატონიშვილს* (ვახტანგ VI-ის ძე), გ. ა. *გრუზინსკის.* აქვე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მწერალი, დიპლომატი, მოგზაური, გ. *ავალიშვილი.* 3. დიდხანს იყო მოსკოველ ქართველთა იდეური ცენტრი. XIX ს. ბოლომდე აქ ღვთისმსახურება ქართულად მიმდინარეობდა. შეწყვეტილი ღვთისმსახურება 1945 ისევ აღდგა. ტაძარი დღესაც მოქმედია. *ფ. სიხარულიძე.*

ვსევსვიატსკოეს ქართველ მოღვაწეთა პანთეონი, მოსკოვის ქართველთა ახალშენის გამოჩენილ მოღვაწეთა განსასვენებელი. ჩამოყალიბდა *ვსევსვიატსკოეს* ტაძართან. 1725 ვსევსვიატსკოეს ძვ. ტაძარში, *დარეჯან ბატონიშვილის* ინიციატივით დაიკრძალა ს.-ს. *ორბელიანი.* ახლად აშენებულ, გაფართოებულ ტაძარში 1745 დაიკრძალა სამეფო კარის დეკანოზი, ვახტანგ VI-ის შვილების აღმზრდელი, გ. გარსევანიშვილი. აქვე დაკრძალეს მწერალი და მეცნიერი დ. ციციშვილი, გ. ავალიშვილი, პ. ბაგრატიონის მამა – იოანე და სხვ. პანთეონის შესწავლას ამაგი დასდეს გ. ლეონიძემ, ვ. ტატიშვილმა, ა. ფადეევმა, ვ. შკლოვსკიმ და სხვ. 1983 შემოდგომაზე სალოცავის ეზოში არსებული სასაფლაოს ნაწილი ,,მწვანე ზოლად'' გამოცხადდა. საქართვ. მეცნ. აკად. ხალხთა მეგობრობის მუზეუმის მოსკ. ფილიალის ინიციატივით, ქ. მოსკოვის ლენინგრადის სახ. რ-ნის სახ. დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება გამოჩენილ ქართვ. მოღვაწეთა საფლავების დაცვის შესახებ.

ფ. სიხარულიძე.

ვულკანოლოგია (<Volcanus, Vulcanus – ცეცხლისა და მჭედლობის ღვთაება და logos – სიტყვა, მოძღვრება), გეოლოგიური მეცნიერების დარგი. შეისწავლის ვულკანების წარმოშობის პროცესებსა და მიზეზებს, მათ აგებულებას, განვითარებას, ამოფრქვევის პროდუქტების ფაციესურ, მინერალურ-პეტროგრაფიულ და ნივთიერ შედგენილობას, დედამიწაზე მათი განლაგების კანონზომიერებებს, მოქმედების ცვალებადობას დროსა და სივრცეში და სხვ.

საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე ვულკ. მოქმედებები არ შეინიშნება, თუმცა ზოგიერთი უცხოელი მკვლევრის (ო. ბოგატიკოვი, ე. როგოჟინი და სხვ.) აზრით, ადრე ჩამქრალ ვულკანებად მიჩნეული მთის მასივები იალბუზი და მყინვარწვერი (ყაზბეგი) დღესდღეობითაც მოქმედ ვულკანებს წარმოადგენს. რაც შეეხება ჩამქრალ ვულკანებს, რ-ებსაც შემორჩენილი აქვს მათთვის დამახასიათებელი კონუსის ან წაკვეთილი კონუსის ფორმა, ჩვენში ფართოდაა გავრცელებული ჯავახეთის ვულკ. ზეგანზე (დიდი და პატარა აბული, სამსარი, თავკვეთილი და სხვ.), კავკასიონზე (მყინვარწვერის ჯგუფის ვულკანები, დიდი და პატარა მეფისკალო და სხვ.), შედარებით ნაკლებად კი – მესხეთისა და თრიალეთის ქედებზე (ფერსათი, დაბაძველი, მუხერი, ციხისჯვარი და სხვ.). ისინი უახლოეს გეოლ. წარსულში (ნეოგენ-ანთროპოგენური დრო) საკმაო აქტიურობით ხასიათდებოდნენ.

საქართველოში გასული საუკუნის 30-იანი წლების მიწურულიდან განვითარდა 3-ის ქვედარგი *პალეოვულკანოლოგია,* რ-იც შეისწავლის ვულკანების მოქმედებას წარსულ გეოლ. ეპოქებში. ამ მიმართულებით ფუძემდებლური შრომები აქვს გ. *ძოწენიძეს.* მსოფლიოს გეოლ. ლიტ-რაში პირველად მის მონოგრაფიულ ნაშრომში ,,საქართველოს მიოცენამდელი ეფუზიური ვულკანიზმი'' (თბ., 1948, რუს. ენაზე; სტალინური პრემია, 1950) თავმოყრილი და განხილულია საქართვ. და მისი მიმდებარე კავკ. ტერიტ. მაგალითზე წარსული გეოლ. ეპოქების ვულკ. პროცესები, მასთან დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის ჩამოყალიბების კანონზომიერებანი, ვულკანების მკვებავი მაგმების ქიმიზმის ევოლუცია დროსა და სივრცეში, ვულკანიზმის როლი მიწის ქერქის ჩამოყალიბების და ევოლ. პროცესში.

საქართვ. ტერიტორიის უფრო ახალგაზრდა (პოსტპალეოგენური

– ნეოგენური და მეოთხეული პერიოდების) ვულკანიზმის კვლევის შედეგები განაზოგადა ნ. *სხირტლაძემ* მონოგრაფიულ ნაშრომში – ,,პოსტპალეოგენური ეფუზიური ვულკანიზმი საქართველოში'' (თბ., 1958, რუს. ენაზე). XX ს. 60-იანი წლებიდან საქართველოში პალეოვულკანოლოგიური კვლევები ინტენსიურად ვითარდებოდა. შესწავლილია საქართვ. ცალკეული რეგიონების ვულკანიზმის ხასიათი (თ. *ჯანელიძე*, მ. *ბერიძე*, ვ. *გუგუშვილი*, ბ. *თუთბერიძე*, მ. ლორთქიფანიძე, გ. მიქაძე, გ. ნადარეიშვილი და სხვ.) და გამოქვეყნებულია მონოგრაფიები.

ამავე წლებიდან გ. ძოწენიძე იკვლევდა ვულკანიზმის როლს დანალექი ქანებისა და მადნების წარმოქმნაში. 1972 მას ვულკანოგენური ფორმაციების მადანშემცველობის შესახებ ნაშრომთა კომპლექსის შექმნისათვის მიენიჭა ლენინური პრემია.

რეგიონალური კვლევების განზოგადების საფუძველზე გამოვლენილი იქნა ალპური ნაოჭა სარტყლის კავკ. სეგმენტის მეზოზოურ-კაინოზოური ვულკანიზმის განვითარების კანონზომიერებანი და მისი გამოვლენის გეოდინამიკა. გასული საუკუნის 80-იან წლებში ღრმა ჭაბურღილების მასალის კვლევის შედეგად შესწავლილ იქნა საქართვ. მთათაშუეთის (ტერიტ. მთელი დადაბლებული ნაწილის) მეზოზოური და პალეოგენური ვულკანოგენურ-დანალექი ფორმაციები მათი ნავთობ-გაზიანობაზე შეფასების თვალსაზრისით. ამავე კვლევის შედეგად გამოვლენილი და შესწავლილ იქნა შავი ზღვა – კოლხეთის კალთაიურ-გვიანიურული რიფტი, რ-იც განამარხებულ ვულკ.-ტექტონ. სტრუქტურას წარმოადგენს.

პალეოვულკანოლოგიური კვლევები მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს თსუ-ში, ა. ჯანელიძის გეოლ. ინ-ტში, ა. თვალჭრელიძის კავკ. მინერ. ნედლეულის ინ-ტში და სხვ.

ლიტ.: გ უ გ უ შ ვ ი ლ ი ვ., საქართველოს ბელტის ცარცული ვულკანიზმი, თბ., 1968; მ ი ქ ა ძ ე გ., სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს პალეოგენური ვულკანიზმი, თბ., 1969; ძ ო წ ე ნ ი ძ ე ნ., ყელის ვულკანური ზეგნის გეოლოგია, თბ., 1972; ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე თ., კავკასიონის სამხრეთი ფერდის გეოსინკლინის შუაიურული ვულკანიზმი (მდ-ების ენგურისა და ცხენისწყლის სათავეები), თბ., 1969; Б о г а т и к о в О. А. и др., Древние землетрясения и вулканические извержения в районе Эльбруса, «Доклады АН России», 2003, т. 390, №4; Г у г у ш в и л и В. И., Поствулканический процесс и формирование рудных и нерудных полезных ископаемых в интрадуговых палеорифтах и островных дугах, Тб., 1981; Л о р д к и п а н и д з е М. Б., Альпийский вулканизм и геодинамика Центрального сегмента Средиземноморского складчатого пояса, Тб., 1980; Н а д а р е и ш в и л и Г. Ш., Меловой вулканизм Аджаро-Триалети, Тб., 1981; м о ს ი ვ ე, Позднеюрский вулканизм Грузии (Закономерности эволюции, геодинамика проявления и проблема Восточно-Черноморской впадины), «Труды ГИН АН Грузии. Нов. серия», 2002, вып. 117; Р о г о ж и н Е. А., О соотношении проявлений землетрясений, вулканизма и катастрофических пульсаций ледников Северной Осетии в голоцене, «Вестник Владикавказского научного центра», 2004, т. 4, №3.

გ. ნადარეიშვილი.

ᲕᲣᲜᲓᲢᲘ (Wundt) ვილჰელმ მაქსიმილიან [16.VIII. 1832, ნეკარაუ (ბადენი), – 31.VIII. 1920, გროსბოთენი, ლაიფციგის მახლობლად], გერმანელი ფსიქოლოგი, ფიზიოლოგი, ფილოსოფოსი და ენათმეცნიერი. ფიზიოლ. პროფესორი ჰაიდელბერგში (1864–74), ფილოს. პროფესორი ლაიფციგში (1875–1920), მრავალი უცხოური აკად. და სამეცნ. საზ-ბის წევრი. Ვ-ის სახელთან არის დაკავშირებული ფსიქოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბება და მსოფლიოში პირველი ექსპერ. ფსიქოლ. ლაბორატორიის დაარსება.

1874 გამოქვეყნებულ წიგნში ,,ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის საფუძვლები'' სისტემ. მოძღვრების სახით ჩამოაყალიბა თავისი ორიგინ. და ეპოქალური მნიშვნელობის მქონე შეხედულებები ფსიქოლ. მეცნიერების შესახებ.

1879 Ვ-მა ლაიფციგში დააარსა ფსიქოლ. ლაბორატორია, რ-მაც ორ წელიწადში საუნივერსიტეტო ინ-ტის სტატუსიც შეიძინა. აქ ექსპერ. კვლევების პარალელურად იზრდებოდნენ პროფესიონალ ფსიქოლოგთა ახ. თაობები.

Ვ-მა ფსიქოლოგია ექსპერ. მეცნიერებად აქცია; ტრად., უსისტემო თვითდაკვირვება – ექსპერ. თვითდაკვირვებად, რაც ექსპერ. სტანდ. პირობებს აკმაყოფილებდა, თუმცა უარი არ უთქვამს ინტროსპექციის (თვითდაკვირვების) მეთოდზე.

Ვ. ფსიქოლოგიას ორ შტოდ, ორ მიმართულებად განიხილავდა –ექსპერ. ფსიქოლოგიად, რ-ის საგანი ელემენტარული ფსიქ. პროცესებია, და ფსიქოლოგიად, რ-იც იმ რთულ ფსიქ. მოვლენებს შეისწავლის, რ-ებიც ექსპერიმენტს არ ექვემდებარება და უნდა შეისწავლებოდეს ,,კაცობრიობის სულიერი ისტ. პროდუქტების – ენის, მითოლოგიის, ხელოვნების, რელიგიის და სხვ. ანალიზის საფუძველზე''. ამ ფსიქოლოგიას Ვ-მა ,,ხალხთა ფსიქოლოგია'' უწოდა და სიცოცხლის ბოლო ოცი წელი ამ შრომას (გამოცემულია 10 ტომად) მიუძღვნა. აღსანიშნავია, რომ Ვ-ის ლექციებს ,,ხალხთა ფსიქოლოგიაში'' ესწრებოდნენ გ. *ჩუბინაშვილი* და ს. *კაკაბაძე*.


Ვ-მა შექმნა უდიდესი სამეცნ.-საგანმან. სკოლა, რ-მაც ხელი შეუწყო პროფესიონალ ფსიქოლოგთა თაობების ჩამოყალიბებას. ლაიფციგის უნ-ტში სასწავლებლად ჩამოდიოდნენ ახალგაზრდები სხვადასხვა ქვეყნებიდან და სწორედ Ვ-ის ხელმძღვანელობით ეუფლებოდნენ ფსიქოლოგიასა და მეცნ. კვლევის საფუძვლებს. ბევრი მათგანი შემდგომში მსოფლიოში ცნობილი ფსიქოლოგი გახდა: ე. კრეპელინი, ე. მოიმანი, ო. კიულპე, დ. კრიუგერი (გერმ.), ვ. ბეხტერევი და ნ. ლანგე (რუს.), ჯ. კეტელი, ჯ. სტენლი ჰოლი, ე. ტიტჩენერი (აშშ), დ. *უზნაძე* და სხვ. Ვ-ის სკოლაგამოვლილი ახალგაზრდა მეცნიერები მთელი მსოფლიოდან თავიანთ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აყალიბებდნენ ექსპერ. ლაბორატორიებსა და კვლევით ცენტრებს, სადაც ამ ახ. მეცნ. განვითარება ხდებოდა.

ლიტ.: ი მ ე დ ა ძ ე ი., ფსიქოლოგიის ისტორია, თბ., 2008; D o r s c h F., Wörterbuch der Psychologie, Lpz., 1981.

დ. ფარჯანაძე.

ᲕᲘᲠᲐᲯᲘ ანდრეი თედორეს ძე (13. XII. 1922, სოხუმი, – 10. XII. 2008, მოსკოვი), საბჭოთა არტილერიის გენერალ-მაიორი (1966), სამხ. მეცნ. კანდიდატი (1981). ეროვნებით ბერძენი. ცხოვრობდა და საშ. განათლება მიიღო ბათუმში. დაამთავრა სევასტოპოლის სამხ.-საზენიტო საარტ. სასწავლებელი, ლენინგრადის სამხ. საარტ. აკადემია (1958). II მსოფლიო ომის (1939–45) დროს იბრძოდა უკრ. I ფრონტზე, მონაწილეობდა პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის სამხ. ოპერაციებსა და ბერლინის აღებაში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები.

ლ. დოლიძე.



ზ, ქართული ანბანის მეშვიდე ასო. მისი სახელია ზენი; გრაფ. სიმბოლო წინაენისმიერი ნაპრალოვანი მჟღერი თანხმოვნისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴆ, ნუსხურში – **ⴆ**; ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავს შვიდს (7). მხედრული დამწერლობის ოთხხაზოვან სისტემაში მისი მოხაზულობა ზედა სამ ხაზში თავსდება.

ზ-ის გრაფ. განვითარება წარმოდგენილია V–XVII სს. ეპიგრაფიკული ძეგლების ხელნაწერებისა და ისტ. საბუთების მიხედვით. **ზა**, ისტ. სოფელი ქვემო ქართლში, ალგეთის ხეობაში. ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) გეოგრაფიაში და რუკაზე აღნიშნულია როგორც ,,ზა‘‘, ისტ. წყაროებში გვხვდება აგრეთვე ,,ზასი‘‘. ვახუშტისეულ სოფლების სიაში ზის ხეობაში 6 სოფელია ჩამოთვლილი. ისტ. საბუთებში იხსენიება XVI ს-იდან როგორც საბარათიანოში, შემდგომ კი – საგერმანოზიშვილოში შემავალი სოფელი. XVII ს. დოკუმენტებში ზ-ს მოსახლეთა შორის დასახელებულია გვარები: კახაბრიშვილი, პაპუჩაშვილი, ფარდონასშვილი, მამაცაშვილი, ახალკაციშვილი. 1721 ზ-ში ითვლებოდა 9 მებატონე (ნამანგლელევიშვილები, ქავთარაშვილები, გერმანოზიშვილები, კანჭაშვილები და სხვ.), 18 გამომღები და 4 ბოგანო ყმა.

ზ-ში შემორჩენილია X–XI სს. 3 ეკლესია – ღვთისმშობლის, წმ. გიორგის და პეტრე-პავლესი. წმ.

გიორგის დარბაზული ეკლესიის აღმ., სამხრ. და დას. კედლები გამოირჩევა რელიეფური გამოსახულებებით: დანიელი – ლომების ხაროში, საერო და სას. პირთა, ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებანი, ასევე ჯვრები. ეკლესიის მიმდებარე სასაფლაოზე ქვაჯვრებიანი და საყოფაცხოვრებო გამოსახულებებიანი საფლავის ქვებია. XX ს. დასაწყისში აქ ე. თაყაიშვილმა იპოვა ქვა ასომთავრული წარწერით, სადაც იხსენიებოდა მეფეთ მეფე ბაგრატ IV (1027–72). XIX ს. 70-იან წლებში ამ ტერიტორიაზე მთიულეთიდან გადმოვიდნენ მოახალშენენი და დასახლებას *ახალსოფელი* უწოდეს.



თ. დ. ზაალიშვილი.



თ. მ. ზაალიშვილი.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ი., ქვემო ქართლი XVIII ს. I მეოთხედში, ნაწ. 1–2, თბ., 1935; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წგ. 1, ზ. ალექსიძის და შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1964; К а к а б а д з е С. С., Грузинские документы Института народов Азии, М., 1967; Т а к а й ш в и л и Е. С., Археологические экскурсии, разыскания и заметки, в.4, Тфл., 1913.

დ. ბერძენიშვილი.

ზაალ არაგვის ერისთავი (გ. 13. V. 1660), ქართლის დიდი თავადი, ანტიირანული ბრძოლის ერთ-ერთი გამოჩენილი მეთაური. მისი ძმის დათუნას (იხ. *დათუნა არაგვის ერისთავი*) სიკვდილის შემდეგ – არაგვის ერისთავი (1633–60). როდესაც ქართლის მეფეები *როსტომი* და *თეიმურაზ I* სამეფო ტახტისათვის ებრძოდნენ ერთმანეთს, ზაალი თავდაპირველად თეიმურაზის მხარეზე იყო, დაუკავშირდა *იესე ქსნის ერისთავს*, ქართლის სხვა თავადებს და მათ იმერეთში გახიზნული თეიმურაზი მეფედ მოიწვიეს. როსტომმა მოწინააღმდეგეები დაამარცხა. ზაალი აქტიურად ჩაება ახალ შეთქმულებაში როსტომის წინააღმდეგ. როსტომმა შეთქმულები ამჯერადაც დაამარცხა და სასტიკად დასაჯა. 1648, თეიმურაზის კახეთიდან განდევნის შემდეგ, ზაალმა და სხვა დიდებულებმა როსტომს შერიგება სთხოვეს. მეფე დათანხმდა იმ პირობით, თუ ზაალი ირანის შაჰს ეახლებოდა; შაჰმა ზაალი დიდი პატივით მიიღო: 500 თუმანი, ხალათი, ოქროთი შეკაზმული ცხენი, 15 სოფელი (ყაზვინთან ახლოს) უბოძა და სამშობლოში დააბრუნა. ზაალმა ერწო-თიანეთიც დაისაკუთრა. როსტომის გარდაცვალების (1658) შემდეგ ქართლის ტახტზე ავიდა *ვახტანგ V*. ზაალმა იგი მეფედ არ ცნო და შესაფერის დროს უცდიდა მის წინააღმდეგ საბრძოლველად. შაჰისთვის მეფისა და ზაალის გამწვავებული ურთიერთობა ხელსაყრელი არ იყო, რის გამოც ზაალი თავისთან დაიბარა. მან, თავის ამალასთან ერთად, მაჰმადიანობა მიიღო და დიდი პატივითა და საჩუქრებით სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ მშვიდობა მალე დაირღვა, რადგან ყიზილბაშებმა კვლავ დღის წესრიგში დააყენეს შაჰ აბას I-ის ძველი გეგმა – კახელების ამოწყვეტა და იქ თურქმანული ტომების ჩასახლება. ზაალმა აჯანყებულთა საერთო ხელმძღვანელობა ითავა (იხ. *კახეთის აჯანყება 1660*).

ზ. ა. ე. ვახტანგ V-ის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა. ვახტანგმა მოახერხა ზაალის ძმისწულებისა და დისწულების გადაბირება, რ-ებმაც საკუთარი ბიძა სიცოცხლეს გამოასალმეს. მისი სიკვდილი დიდი დანაკლისი იყო სპარსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ძალებისათვის.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500–1810), ტფ., 1922; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1972.

გ. ნარსია.

ზაალიშვილი თენგიზ დიმიტრის ძე (დ. 22. IX. 1928, თბილისი), მომღერალი (ლირ. ტენორი). საქართვ. სახ. არტისტი (1985). 1957 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია ვოკალის განხრით (ს. ინაშვილის კლასი). ზ-ის დებიუტი შედგა 1958 ზ. ფალიაშვილის სახ. თბილ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. აკად. თეატრში (ალფრედი, ჯ. ვერდის ოპერაში ,,ტრავიატა''), რის შემდეგ იგი ამ კოლექტივის წამყვანი მომღერალი გახდა. შეასრულა მრავალი წამყვანი პარტია ქართ. და მსოფლიო საოპერო რეპერტუარიდან, რ-თაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: მალხაზი, გურამი (ზ. ფალიაშვილის ,,დაისი'', ,,ლატავრა''), მასხარა (მ. ბალანჩივაძის ,,დარეჯან ცბიერი''), კოტე (ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე''), მოხუცი (გ. ყანჩელის ,,და არს მუსიკა''), სალოსი (მ. მუსორგსკის ,,ბორის გოდუნოვი''), ლენსკი (პ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინი''), გრაფი ალმავივა (ჯ. როსინის ,,სევილიელი დალაქი''), ჰერცოგი (ჯ. ვერდის ,,რიგოლეტო''), ფაუსტი (შ. გუნოს ,,ფაუსტი'') და სხვ.

1960 საკონკურსო შერჩევის შედეგად, ფირფიტაზე ჩაიწერა ზ. ფალიაშვილის ,,დაისი'', სადაც მალხაზის პარტიას ასრულებს ზ. საქართვ. რადიოს ფონდში დაცულია ვ. სარაჯიშვილისადმი მიძღვნილი რადიოდადგმა, სადაც სახელგანთქმულ მომღერალს ზ. ახმოვანებს.

1963–66 საკონცერტო პროგრამით იმოგზაურა გდრ-სა და პოლონეთში. ზ-ის შემოქმედება მჭიდროდაა, დაკავშირებული ქართ. ხალხ. სიმღერასთან. იგი წლების განმავლობაში (1983–88) მოღვაწეობდა ხალხ. სიმღერის ანსამბლში (ხელმძღვ. მ. ხატელიშვილი), იყო ხალხ. ანსამბლ ,,ფიროსმანის'' წევრი. მასთან ერთად მოიარა ევროპის მრავალი ქვეყანა და აშშ. ანსამბლის სხვა წევრებთან ერთად არჩეულია ატლანტის (აშშ) საპატიო მოქალაქედ (1985). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998). 1988 დატოვა სცენა. ეწევა საზ. და პედ. მოღვაწეობას.




თ. დ. ზ ა ა ლ ი შ ვ ი ლ ი. ლენსკი, პ. ჩაიკოვსკის ოპერა ,,ევგენი ონეგინი''.

ზაალიშვილი თენგიზ მალხაზის ძე (დ. 18. VI.1949, თბილისი), ბიოქიმიკოსი. საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკად. წ.-კორ. (1997). ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი (2001). 1971 დაამთავრა თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტი, 1974–86 მუშაობდა ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლ. ინ-ტში უმცროს და უფრ. მეცნიერ თანამშრომლად. 1986-იდან მუშაობს მოლეკულური ბიოლ. და ბიოლ. ფიზიკის ინ-ტში გენომის სტრუქტურისა და ფუნქციის ლაბორ. გამგედ. 2000–06 იყო

ამ ინ-ტის დირექტორი, 1996–2006 – თსსუ-ის ბიოქიმიის კათედრის და თსუ-ის უჯრედის და მოლეკულური ბიოლ. კათედრის პროფესორი. ზ-ის გამოკვლევები ეხება ეუკარიოტულ უჯრედებში ბირთვული მატრიქსის სტრუქტურულ-ფუნქციური ორგანიზაციისა და ადფ-რიბოზილირებით ცილების მოდიფიკაციის როლის შესწავლას. არის საქართვ. ბიოქიმიკოსთა ასოციაციის წევრი, მრავალი საერთაშ. ორგანიზაციის წევრი, სამეცნ. შრომების ავტორი.

ზაალიშვილი იოსებ (სოსო) გიორგის ძე [2 (15). III. 1905, ქ. ახალციხე, – 31. I. 1987, თბილისი], არქიტექტორი. საქართვ. მეცნ. აკად. ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინ-ტის ბიოფიზ. სექტორის ბაზაზე დაარსდა საქართვ. მეცნ. აკად. მოლეკულური ბიოლ. და ბიოფიზ. ინ-ტი. 1986–2000 იყო აღნიშნული ინ-ტის დირექტორი, 2000–06 – საქართვ. მეცნ. აკად. მოლეკულური ბიოლ. და ბიოფიზ. ინ-ტის ზემოლეკულური სისტემებისა და უჯრედის ბიოფიზ. ლაბორ. გამგე, 2006-იდან – ამავე ინ-ტის ბიოლ. ძვრადობის განყ-ბის გამგე, 1989–2002 – საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმის წევრი და ბიოლ. განყ-ბის აკად. მდივანი, 2004-იდან – საქართვ. მეცნ. ეროვნული აკად. პრეზიდიუმის მრჩეველი, 2001–06 – საქართვ. მეცნ. აკად. ცენტრალური სამეცნ. ბიბლიოთეკის დირექტორი. 1956–2005 თსუ-ის ბიოლ. და ფიზ. ფაკ-ტებზე ეწეოდა სამეცნ.-პედ. საქმიანობას. ზ., როგორც ფიზ. ფაკ-ტის პროფ., კითხულობდა ლექციებს შემდეგ დისციპლინებში: ზოგადი და უჯრედის ბიოფიზიკა, მოლეკულური ბიოლოგია, რადიობიოლოგია.



ი. გ. ზ ა ა ლ ი შ ვ ი ლ ი (ვ. კედიასთან ერთად). სააბაზანო შენობა. 1965. წყალტუბო.

დამს. ინჟინერი (1961). სწავლობდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში (1927–30) და საქართვ. საინჟ.-სამშ. ინ-ტში (1930–32). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. სამხატვრო აკადემიაში (1955–87), პროფესორი (1974). 1932–70 მუშაობდა სხვადასხვა საპროექტო და სამეცნ.-კვლ. ინ-ტებში. ძირითადი ნამუშევრები: კურორტ წყალტუბოს გენ. გეგმა (1953; ვ. კედიასთან ერთად), ოჩამჩირის დაგეგმარება და რეკონსტრუქცია (1974; სხვებთან ერთად), კურორტების ავადჰარას (1963), ლებარდეს (1967), საირმის (1974), დაგეგმარების პროექტები. ნაყოფიერად მუშაობდა ქალაქთმშენებლობითი ხასიათის იდეა პროექტების შექმნაზე [ზღვისპირა კურორტების დაგეგმარება ბიჭვინთის მაგალითზე (1960); დასასვენებელი კომპლექსი ღია ზღვაში (80-იანი წწ.); დასასვენებელი ხელოვნური კუნძულები „არქიპელაგი“ (80-იანი წწ.) და სხვ.]. მონაწილეობდა და იმარჯვებდა რესპ. და საერთაშ. კონკურსებში [თბილისში შოთა რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქცია (1961; ავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი, I პრემია); ქ. ვარნის (ბულგარეთი) ცენტრის ქალაქმშენებლობითი იდეა (1966; ნ. მიქაძესთან ერთად, წამახალისებელი პრემია) და სხვ.]. განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია: №8 საბაზანო წყალტუბოში (1962; კონსტრუქტორები ნ. მესხი, დ. ქავჯაია), კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინ-ტი თბილისში (1963), სანატორიუმი „მთის ხეობა“ ბორჯომში (1980) და სხვ.

ლიტ.: დ ა ვ ი თ ა ი ა ვ., არქიტექტორის გზა, «საბჭოთა ხელოვნება», 1968, №1; სოსო ზაალიშვილი. გამოფენის კატალოგი, თბ., 1980; 1986.

ს. კინწურაშვილი.

ზაალიშვილი ირინე მიხეილის ასული [19. V (1.VI). 1909, გორი, – 6.XI.1976, თბილისი], პათოფიზიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1955), პროფესორი (1958), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1965). 1938 დაამთავრა თსსი, 1955–76 იყო ამავე ინ-ტის პათოლ. ფიზიოლ. კათედრის გამგე, თბილ. პათოფიზიოლოგთა სამეცნ. საზ-ბის ერთ-ერთი დამაარსებელი (1960) და თავ-რე (1960–76). სწავლობდა სისხლის მიმოქცევის ფიზიოლ. და პათოლ. მექანიზმებსა და ზოგად კანონზომიერებებს. შეიმუშავა კაპილაროსკოპიული დაკვირვების სქემა და პერიფერიული სისხლძარღვების ტონუსის შესასწავლი ტესტი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: პათოფიზიოლოგიის მოკლე სახელმძღვანელო, თბ., 1937 (თანაავტ.); Нарушение местного кровообращения, წგ.: Многотомное руководство по патологической физиологии, т. 3, М., 1966.

ზაალიშვილი მალხაზ მიხეილის ძე (დ. 27. IX. 1920, მცხეთა), ბიოფიზიკოსი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (1988; წ.-კორ. 1979). ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1975). თეორ. და გამოყენებითი ბიოფიზ. განათლების საერთაშ. ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი. 1941 დაამთავრა თსუ-ის ქიმ. ფაკ-ტი ფიზიკური ქიმ. სპეციალობით. 1941–44 იყო საქართვ. ჰიგიენის ინ-ტის ქიმიკოს-ანალიტიკოსი. 1947–86 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. ფიზიოლ. ინ-ტში, სადაც 1962 შექმნა ბიოფიზ. ლაბორატორია (შემდეგ – ბიოფიზ. სექტორი). მისი ინიციატივით საქართვ. მეცნ. აკად. ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინ-ტის ბიოფიზ. სექტორის ბაზაზე დაარსდა საქართვ. მეცნ. აკად. მოლეკულური ბიოლ. და ბიოფიზ. ინ-ტი. 1986–2000 იყო აღნიშნული ინ-ტის დირექტორი, 2000–06 – საქართვ. მეცნ. აკად. მოლეკულური ბიოლ. და ბიოფიზ. ინ-ტის ზემოლეკულური სისტემებისა და უჯრედის ბიოფიზ. ლაბორ. გამგე, 2006-იდან – ამავე ინ-ტის ბიოლ. ძვრადობის განყ-ბის გამგე, 1989–2002 – საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმის წევრი და ბიოლ. განყ-ბის აკად. მდივანი, 2004-იდან – საქართვ. მეცნ. ეროვნული აკად. პრეზიდიუმის მრჩეველი, 2001–06 – საქართვ. მეცნ. აკად. ცენტრალური სამეცნ. ბიბლიოთეკის დირექტორი. 1956–2005 თსუ-ის ბიოლ. და ფიზ. ფაკ-ტებზე ეწეოდა სამეცნ.-პედ. საქმიანობას. ზ., როგორც ფიზ. ფაკ-ტის პროფ., კითხულობდა ლექციებს შემდეგ დისციპლინებში: ზოგადი და უჯრედის ბიოფიზიკა, მოლეკულური ბიოლოგია, რადიობიოლოგია.

ზ-მა საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ბიოფიზ. და მოლეკულური ბიოლ. რიგი მიმართულებების განვითარებას. მისი კვლევის თემაა მეორეული ფილამენტების მაკრომოლეკულების როლი კუნთის უჯრედის მოქმედებაში; კუნთის გიგანტური ცილების მინორულ ცილებთან ურთიერთქმედება და მათი როლი კუნთის შეკუმშვის პროცესში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ.შ. ერთი მონოგრაფია („კუნთის მოქმედების ფიზიკო-ქიმ. საფუძვლები“; თბ., 1971). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).



მ. მ. ზაალიშვილი.

ზაალიშვილი მიხეილ ზაქარიას ძე (3. I. 1858 – XX ს. I ნახ.), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1914). დაამთავრა თბილ. ალექსანდრეს სახ. გიმნაზიის 2 კლასი და თბილ. იუნკერთა სასწავლებელი. 1876-იდან მსახურობდა ასეულის და ბატალიონის მეთაურად 161-ე ალექსანდროპოლის ქვეით პოლკში, ხოლო 1905–12 – 186-ე ასლანდუზის ქვეით პოლკში. 1910 მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) და რუსეთ-იაპონიის (1904–05) ომებში.

1914 გადადგა სამხედრო სამსახურიდან. დაჯილდოებულია წმ.



ნ. ზაბოლოცკი.





ზაგემის განძი. აბას I-ის სახელით მოჭრილი აბაზი. ვერცხლი. 1622/23. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი.

ანას, წმ. ვლადიმირის, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით. *მ. გოგიტიძე.*

ზაალიშვილი მიხეილ ყარამანის ძე [10 (22).IX. 1865, სოფ. იგოეთი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 10. IX. 1920, თბილისი], პედაგოგი, პირველი ქართ. საბუნებისმეტყველო სახელმძღვანელოების ავტორი. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა ერევანსა (1897–1902) და გორში (1902–18). შეადგინა და გამოსცა სახელმძღვანელოები: ,,საზოგადო ზოოტეხნია ანუ საქონლის მოვლა-მოშენება'' (1890), ,,საზოგადო მიწათმოქმედება'' (1891), ,,მეფუტკრეობა, მოშენება და მოვლა ფუტკრისა'' (1897), ,,არაორგანული ბუნება. ჰაერი, წყალი და დედამიწა'' (1917), ,,ბოტანიკა'', ,,ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია'', ,,ზოოლოგია'' (სამივე გამოვიდა 1918), ,,პირველდაწყებითი გეოგრაფია'', ,,არითმეტიკა'' (1919).

ზაალიშვილი ნინო იოსების ასული (დ. 1. XII. 1945, თბილისი, – 18. IV. 2013, იქვე), მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე. დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1970), 1972–2008 აქვე ეწეოდა პედ. საქმიანობას, 2007–11 იყო აკადემიის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, საქართვ. მხატვართა კავშირის თანათავმჯდომარე (1996-იდან), მდივანი (2002-იდან), ხელოვნების განვითარების ცენტრის ,,არტ არსის'' დამფუძნებელი და პრეზიდენტი (2001-იდან). მონაწილეობდა გამოფენებში: საბავშვო წიგნის ბიენალე (თეირანი, 1993), ქართ. მხატვრობა (იუნესკო, პარიზი), პერსონალური (თბილისი, 2000). ავტორია ნაშრომებისა: ,,ქართული სახვითი შექსპირიანა'' (1977–2006), ,,რეპრესირებული ქართველი მხატვრები'' (2006). მისი რედაქტორობით გამოიცა თანამედროვე ქართველ მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა ბიობიბლიოგრ. ლექსიკონი ,,ვინ ვინაა'' (2000). ავტორია საგამოფენო პროექტებისა სერიიდან ,,კულტურათა დიალოგი'', მონაწილეობდა ქართ. ხელოვნებისადმი მიძღვნილ საერთაშ. სიმპოზიუმებში (1977, 1983, 1989). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2004).

ზაარბრიუკენის მოედანი, მოედანი თბილისში (ძველი *კუკია, ჩუღურეთი*). მდებარეობს დავით აღმაშენებლის გამზირსა და დ. უზნაძის, პლატონის, ლ. ტოლსტოის, მ. გოგიბერიძის ქუჩებს შორის. თავდაპირველად მ. ვორონცოვის, შემდეგ კ. მარქსის მოედანი ერქვა. 1867 აქ, ალგეთის ქვით მოპირკეთებულ კვარცხლბეკზე, დაიდგა კავკ. პირველი მეფისნაცვლის, გენ.-ფელდმარშლის მ. *ვორონცოვის* ძეგლი (ჩამოისხა პეტერბურგში). ეს იყო სამხრ. კავკასიაში დადგმული პირველი ქანდაკება. 1922 წ. ძეგლი აიღეს.

ზაბოზლაევი სერგეი პეტრეს ძე (1894–1939), კინოოპერატორი. პირველი ქართული ფილმების გადამღები. 1923-იდან მუშაობდა საქართვ. ,,სახკინმრეწვში'' ოპერატორად. გადაიღო ფილმები: ,,მამის მკვლელი'' (ა. ბეკ-ნაზაროვი, 1923), ,,დაკარგული საუნჯე'' (ა. ბეკ-ნაზაროვი, 1924), ,,ვინ არის დამნაშავე'' (ა. წუწუნავა, 1925), ,,ნათელა'' (ა. ბეკ-ნაზაროვი, 1926), ,,ხანუმა'' (ა. წუწუნავა, 1926), ,,ორი მონადირე'' (ა. წუწუნავა, 1927), ,,ამერიკანკა'' (ა. გალპერინთან ერთად; ლ. ესაკია, 1930). როგორც ოპერატორი იყო კ. მარჯანიშვილის ყველა ფილმის დადგმის თანამონაწილე – ,,ქარიშხლის წინ'' (1926), ,,გოგი რატიანი'' (ვ. კერესელიძესთან ერთად, 1927), ,,ამოკი'' (1927), ,,კრაზანა'' (1928), ,,კომუნარის ჩიბუხი'' (1929); გადაიღო კინოსიუჟეტები მისი სპექტაკლებისათვის ,,ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ'' და ,,შუაღამემ გადაიარა'' (მ. აფაქიძესთან ერთად). მუშაობდა დოკუმენტურ კინოშიც: ,,მალარია'' (ლ. პუში, 1928), ,,მუხრუჭის გარღვევა'' (ს. ფალავანდიშვილი, 1930), ,,ბუბა'' (ნ. ღოღობერიძე, 1930). 1930-იდან გადავიდა უზბეკეთში, სადაც გადაიღო ფილმები ,,დროის ბეჭედი'' (1932), ,,ჯიგიტი'' (1936) და სხვ. *მ. კერესელიძე.*

ზაბოლოცკი ნიკოლოზ ალექსის ძე [24. IV (7. V). 1903, ყაზანი, – 14. X. 1958, მოსკოვი], რუსი პოეტი, მთარგმნელი, მხატვრული თარგმანის თეორეტიკოსი. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1975, სიკვდილის შემდეგ). 1925 დაამთავრა ლენინგრადის პედ. ინ-ტი. პირველი ნაწარმოები 1928 გამოაქვეყნა, ლექსების პირველი კრებული – 1929. ავტორია საბავშვო მოთხრობებისა.

ზ-ს დიდი წვლილი მიუძღვის რუს.-ქართ. ლიტ. ურთიერთობათა სფეროში. იგი ორგანულად დაუკავშირდა საქართველოს, შეისისხლხორცა მისი კულტურა; განსაკუთრებით დაუახლოვდა ს. ჩიქოვანს, გ. ლეონიძეს, პ. ინგოროყვას, ი. აბაშიძეს. ზ-მ რუს. ენაზე თარგმნა ,,ვეფხისტყაოსანი'', დ. გურამიშვილის, ვაჟა-ფშაველას, გ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის ნაწარმოებები, აგრეთვე პოეტების: ა. აბაშელის, გ. აბაშიძის, ტ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, კ. კალაძის, ი. ნონეშვილისა და სხვათა ლექსები.

თხზ. და *თარგმ.:* Избранное, М., 1960; Грузинская классическая поэзия в переводах Н. Заболоцкого, т. 1–2, Тб., 1958.

ლიტ.: მარგველაშვილი გ., ნიკოლოზ ზაბოლოცკი და ქართული პოეზია, «მნათობი», 1959, №5; Македонов А., Николай Заболоцкий. Жизнь. Творчество. Метаморфозы, [Л., 1968].

ნ. ცხოვრებოვი.

ზაგანი, სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის გუფის თემში (აფხაზეთის არ), აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში. ზ. დ. 140 *მ,* ოჩამჩირიდან 13 *კმ.* 359 მცხ. (1989).

სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში ,,ზეგანის'' სახელწოდებით.

ზაგარი, უღელტეხილი სვანეთის ქედზე, იხ. *ატკვერი.*

ზაგარი, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის ფარის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ცალგმილის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1400 *მ,* მესტიიდან 28 *კმ.* 15 მცხ. (2002).

ზაგარის ქედი, სვანეთის კავკასიონის სამხრ. განშტოება. იხ. *ულვირის ქედი.*

ზაგემი, ისტორიული ქალაქი ფეოდალურ საქართველოში. მდებარეობდა დღევანდელ ქ. ბელაქნიდან (ახლანდ. აზერბ. რესპ.) 16 *კმ* დაშორებით. იხ. *ძეგამი.*

ზაგემის განძი, 1. XVII ს. დასაწყისის ირანული ვერცხლის მონეტების განძი, აღმოჩენილი 1969 თიხის ხელადაში ზაგემის ნაქალაქარზე, სოფ. ალიაბადიდან (ზაქათალის რ-ნი, აზერბაიჯანი) 7 *კმ*-ზე. შეიცავს 195 მონეტას (168 აბაზიანი, 22 ორშაურიანი, 5 შაურიანი), რ-ებიც მოჭრილია ირანის შაჰის აბას I-ის სახელით სხვადასხვა ზარაფხანაში (არდებილი, განჯა, დაურაყი, ერევანი, თავრიზი, თეირანი, ორდუ, რამჰორმზი, რეშთი, შუსთარი, ჰოვეიზა); ხოლო 2 მონეტა თბილისშია მოჭრილი, 7 კი – კახეთის ქ. ზაგემის ზარაფხანაში. განძის ყველაზე ადრეული მონეტა თარიღდება 1602, უგვიანესი – 1615. ზ. ბ. დაფლული უნდა იყოს 1616 აბას I-ის მიერ კახეთის აოხრების დროს, ქ.

ზაგემის განადგურებისას. განძი დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

2. 1982 ზაგემის ნაქალაქარის მიდამოებში აღმოჩნდა განძი, რ-იც შეიცავდა 1921 ცალ ვერცხლის მონეტას. მათი უმეტესობა მოჭრილია შემახაში, 1 მონეტა – სეფიანი შაჰის ისმაილ I სახელით ჰიჯრის 928 (1521–22). ზოგიერთ მონეტაზე იკითხება თარიღები. ერთ-ერთ მონეტაზე იკითხება შაჰ-თამაზ I-ის სახელი. განძი დაფლული უნდა იყოს XVI ს. შუა ხანებში.

ლიტ.: ქ უ თ ე ლ ი ა თ., ზაგემში მოჭრილი მონეტები, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1972, №4; მ ი ს ი ვ ე, Грузия и сефевидский Иран, Тб., 1979.

თ. ქუთელია.

ზაგემის ზარაფხანა, მოქმედებდა ისტორიულ ქალაქ *ზაგემში* XVI ს. მეორე ნახევრიდან. პირველად საქართველოში უშვებდა ფულს სეფიანთა დინასტიის ფულადი სისტემით. ზარაფხანა მუშაობდა XVII ს. 30-იან წლებამდე. ცნობილია ირანის სეფიანი შაჰების სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტის 80-მდე სხვადასხვა ნომინალი: თამაზ I-ის (1524–76) ბისთი და ნახევარი; შაჰები, რ-იც გამოშვებულია ჰიჯრის 963 (1555/6), 975 (1567/8) და 977 (1569/70) წლებში; აბას I-ის (1587–1629) სახელით ჰიჯრის 1012 (1603/4) წელს და 1614–16 წლებამდე მოჭრილი მაჰმუდები და აბაზები; სეფი I-ის (1629–42) აბაზები, მოჭრილი 1039 (1629/30) და 1041 (1631/2) წლებში. ზ. ზ-ში მოჭრილი ფული გვხვდება სამონეტო განძებში, რებიც საქართველოს (ამბროლაური, ბირკიანი, რაჭა, ჭიკაანი), აზერბაიჯანისა (შაჰბუზი) და სომხეთის (აშტარაკი) ტერიტორიებზე აღმოჩნდა. მონეტები დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმის, აზერბ. და სომხ. ისტ. მუზეუმების, სანქტ-პეტერბურგის სახელმწ. ერმიტაჟისა და მოსკ. ისტ. მუზეუმის ფონდებში.

თ. ქუთელია.

ზაგიუ მიხეილ მიხეილის ძე (1.VIII. 1875, თბილისი, – 7. VI. 1951, მოსკოვი), საბჭოთა გენერალ-ლეიტენანტი (1940), სამხ. მეცნ. დოქტორი (1933), გენ. ნ. *ზაგიუს* ძმა. დედა ქართველი ჰყავდა (ყარანგოზიშვილი). 1892 დაამთავრა თბილ. კადეტთა კორპუსი, 1894 – კონსტანტინეს მე-2 სამხ. სასწავლებელი სანქტ-პეტერბურგში. მსახურობდა ყაბარდოს მე-80 ქვეით პოლკში და კავკ. I მსროლელ ბატალიონში. 1917 მიენიჭა გენ.-მაიორის წოდება. 1918-იდან მსახურობდა წითელ არმიაში. იყო უმაღლესი სამხ. საბჭოს წევრი, საველე შტაბის ერთ-ერთი სამართველოს უფროსი. 1921, 1926 ორჯერ იყო დაპატიმრებული. 1932-იდან კითხულობდა ლექციებს სამხ.-ქიმ. აკადემიაში (მოსკოვი). 1936 მიენიჭა ბრიგადის ინტენდანტის სამხ. წოდება. ავტორია წიგნებისა სამხ. სფეროში.

დაჯილდოებულია წმ. ვლადიმირის, წმ. სტანისლავის, წმ. ანას სხვადასხვა ხარისხის, აგრეთვე საბჭ. ორდენებითა და მედლებით.

ლიტ.: В о л к о в С., Генералитет Российской Империи от Петра I до Николая II, т. I , М., 2009; Г о г и т и д з е М., Военная элита Кавказа (Генералы и адмиралы из Грузии), кн. 1, Тб., 2007.

მ. გოგიტიძე.

ზაგიუ ნიკოლოზ მიხეილის ძე (24. XI. 1866, თბილისი, – გ. წ. უცნობია), რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1917). გენ. მ. *ზაგიუს* უფროსი ძმა. დედა ქართველი ჰყავდა (ყარანგოზიშვილი). დაამთავრა თბილ. სამხ. გიმნაზია, 1884 – კონსტანტინეს მე-2 სამხ. სასწავლებელი და 1892 – გენშტაბის ნიკოლოზის აკადემია სანქტ-პეტერბურგში (I თანრიგით). ჯარში მსახურობდა 1882-იდან კავკასიის I მსროლელ ბატალიონში. მონაწილეობდა რუს. არმიის ლაშქრობაში შუა აზიაში. 1902–05 – კავკ. გრენადერთა დივიზიის შტაბის უფროსი, 1905–17 – თბილ. სამხ. სასწავლებლის უფროსი. 1910 მიენიჭა გენ.-მ. წოდება. 1917–22 სამხრ. რუსეთში იყო თეთრი მოძრაობის მონაწილე.

დაჯილდოებულია წმ. ანას და წმ. სტანისლავის, წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის, ასევე სპარსეთის ,,ლომისა და მზის'' ორდენებით.

ლიტ.: В о л к о в С., Генералитет Российской Империи от Петра I до Николая II, т. 1, М., 2009; Г о г и т и д з е М., Военная элита Кавказа (Генералы и адмиралы из Грузии), кн. 1, Тб., 2007.

მ. გოგიტიძე.

ზაგურსკი (Zagórski) იეჟი (13.XII. 1907, კიევი, – 1984, კრაკოვი), პოლონელი პოეტი და მთარგმნელი. განათლებით იურისტი. ეწეოდა ჟურნალისტურ და თეატრ. მოღვაწეობას. 1961 გამოცემულ ქართ. პოეზიის ანთოლოგიაში გამოაქვეყნა ,,ვეფხისტყაოსნის'' ნაწყვეტების თარგმანი. პოემის სრული თარგმანი, ი. ბრაუნის კონსულტაციით, გამოაქვეყნა კრაკოვში 1976. 1985 გამოცემულ ქართ. პოეზიის ანთოლოგიაში კვლავ შეტანილია ,,ვეფხისტყაოსნის'' ზაგურსკისეული თარგმანი, აგრეთვე ი. აბაშიძის, ს. ჩიქოვანის, გ. შატბერაშვილის, ი. ნონეშვილის, ო. შალამბერიძისა და სხვათა ლექსების მისეული თარგმანები.

ზაგურსკი (Zagórski) ლეონარდ პეტრეს ძე (6.XI. 1827, სოფ. ბაქშინო, ვოლინის გუბერნია, – 1891, თბილისი), რუსი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, კავკასიისმცოდნე, პედაგოგი, რუსეთის საიმპერატორო გეოგრ. საზ-ბის ნამდვ. წევრი (1851-იდან) და მისი კავკ. განყ-ბის საქმეთა მმართველი (1876-იდან). დაამთავრა კიევის უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი (1849).

1850-იდან გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა თბილისში. 1850–70 თბილ. I ვაჟთა გიმნაზიის, ხოლო 1870–88 თბილ. რეალური სასწავლებლის ისტ. მასწავლებელი იყო, 1888–91 – კავკ. მთავარმართებლის სამმართველოს განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე.

ზ-ს ეკუთვნის მრავალრიცხოვანი შრომები კავკ. ხალხთა ისტ. და ეთნოგრ. საკითხებზე. თანამშრომლობდა კავკ. მუზეუმთან (ამჟამად საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმი). იყო პერიოდული გამოცემების – ,,Сборник сведений о Кавказе'', ,,Кавказский календарь'', ,,Сборник материалов для описания Тифлисской губернии'' აქტ. თანამშრომელი. მეგობრობდა მოწინავე ქართვ. საზოგადო მოღვაწეებთან.

ლ. ურუშაძე.



ზაგემის ზარაფხანა. შაჰ სეფი I-ის სახელით მოჭრილი აბაზი. ვერცხლი. 1629/30. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი.

ზადენგორა, ნასოფლარი და მრავალფენიანი ძეგლი სამცხეში, ადიგენის მუნიციპალიტეტში, მდ. ოცხის (ობრხის) მარცხ. ნაპირზე, სოფ. ბენარის მახლობლად. ტოპონიმი დაკავშირებულია ღვთაება *ზადენთან.* ზ-ში ქრისტ. საკულტო ცენტრის არსებობაზე მიუთითებს *ლეონტი მროველი* (XI ს.). სამხრ. საქართველოში, კერძოდ, ზ-ზე მისულმა ანდრია პირველწოდებულმა: ,,...იხილნა კაცნი მის ადგილისანი რამეთუ უზორვიდეს კერპთა ყრუთა, და ილოცნა მოციქულმან წმიდისა მის ხატისა მიმართ. და ყოველნი იგი კერპნი დაემხუნეს და შეიმუსრნეს''. მემატიანის ცნობა დასტურდება არქეოლ. ძეგლებით. აღმოჩენილია: ბრინჯაოს ნიღბიანი ხარის ქანდაკება; კარგად გათლილ-დამუშავებული ქვის კვარცხლბეკი, რ-ზეც, სავარაუდოდ ღვთაება ზადენის ქანდაკება

იდგა; რიყისა და კლდის ნაფლეთი ქვებით თიხახსნარზე ნაგები დიდი შენობისა და ქვის კიბის ნაშთები, რ-ებიც ძლიერი ხანძრის შედეგად განადგურებულა; ქვაყრილით დაფარული წმინდა ცეცხლის ორმო, რ-იც ნაცრითა და ნახშირით იყო სავსე. თიხით შელესილი ორმოს კედლები შემკული იყო გარკვეული ინტერვალით დაშორებული ვერტ. ღარებით.

მომდევნო, ქრისტ. ეპოქაში ზ-მ ფუნქცია დაკარგა, თანდათან დაკნინდა და XIX ს. მიწურულამდე არსებობდა როგორც პატარა სოფელი.

წყარო: ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი, ცხოვრება, ქართველთა მეფეთა, წგ.: ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 3, თბ., 1958.

ლიტ.: Б и б и л у р и Т. И., Б е н а ш в и л и О. А. и др., Работы Заденгорского отряда Мцхет-джавахетской экспедиции, кр.: Полевые археологические исследования в 1984–85 годах, Тб., 1987.

თ. ბიბილური.

ზადენი, ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში დადასტურებული სახელწოდება მთისა, ციხესიმაგრისა და კერპისა (ღვთაებისა). ზ-ის მთას მკვლევარნი აიგივებენ ბერძნ.-რომაულ წყაროებში მოხსენიებულ სევსამორასთან, თანამედროვე სოფ. წიწამურის (მცხეთის მუნიციპალიტეტი) ადგილას (მდ. არაგვის მარცხენა სანაპიროზე). როგორც ჩანს, ქართლის მეოთხე მეფე *ფარნავაზომმა* სწორედ აქ ,,აღაშენა ციხე ზადენი, და შექმნა კერპი სახელით ზადენ, და ამართა ზადენს''. ,,ციხე ზადენი'', არმაზციხესთან ერთად, უნდა ყოფილიყო ,,დიდი მცხეთის'' ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი და საკულტო ცენტრი, ღვთაება ზადენის ადგილსამყოფელი. მეფე ფარნავაზომის მიერ შექმნილი ეს კერპი ქართლის ერთ-ერთ მთავარ ღვთაებად ითვლებოდა (არმაზის შემდეგ). ამ სამეფო ღვთაების შემოღების მიზეზი, ისევე როგორც სიტყვა ზ-ის ეტიმოლოგია, დაუდგენელია. არსებობს მოსაზრება, რომ სახელწ. ზ. დასაკავშირებელია სამხრეთ მცირეაზიურ (ხეთურ-ლუვიურ) ღვთაება ,,სანდონის'', ,,სანთას'' სახელწოდებასთან. ძვ. ქართ. საისტორიო ტექსტებში შემონახულია აგრეთვე ზ-ისაგან ნაწარმოები ტოპონიმები: ზადენ-გორა (სოფელი ,,საზღუართა სამცხისათა''), ზედაზენი (ციხესიმაგრე ქართლ-კახეთის საზღვარზე). სავარაუდოა, რომ ტოპონიმი ,,ზედაზენი'' მიღებულია ,,ზედა ზადენისაგან''. ზ. სოფლის სახელად გვხვდება სამხრ. საქართველოშიც (მესხეთში).

ლიტ.: ა ფ ა ქ ი ძ ე ა., ანტიკური წყაროების სევსამორა-წიწამური, «ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები», 1958, ტ. 4, ნაკვ. 1; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; М е л и к и ш в и л и Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.

გ. გიორგაძე.

ზადენი, ნასოფლარი ისტორიულ სამცხეში (ახლანდ. ადიგენის მუნიციპალიტეტი). მდებარეობს მდ. ოცხის (ოძრხის) მარცხ. ნაპირზე, სოფ. ბენარის ჩრდ-ით, მაღალ გორაზე. ზადენი ძვ. ქართ. წარმართული ღვთაებაა, რ-საც არმაზთან ერთად მცირეაზიურ სამყაროდან შემოსულ ღვთაებად მიიჩნევენ. ამ მხრივ საინტერესოა სამცხის ზ-ში აღმოჩენილი საკულტო დანიშნულების ბრინჯაოს ნიღბიანი ხარის პატარა ქანდაკება, რ-საც სარიტუალო ცერემონიის მონაწილედ თვლიან. *ლეონტი მროველის* ტექსტში ჩანართის სახით შეტანილი ცნობით, ანდრია მოციქულმა ,,...შთავლო ხევი ოძრახისა და მოვიდა საზღუართა სამცხისათა, დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების ზადენ-გორა. მიხედნა მოციქულმან და იხილნა კაცნი მის ადგილისანი რამეთუ უზორვიდეს კერპთა ყრუთა, და ილოცა მოციქულმან წმიდისა მის ხატისა მიმართ. და ყოველნი იგი კერპნი დაემხუნეს და შეიმუსრნეს''. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით, 1595 გორა და ზ. ცალკეული სოფლებია, რ-ებიც ირიცხებიან ახალციხის ლივაში, ოძრხის ნაჰიეში. ზ-ში მაშინ 20 ქართ. კომლი ცხოვრობდა: ბასილა ანდრიას ძე, ანანია ძმა მისი, სიმონ ბასილას ძე, იოსებ დავითის ძე, გოგინა ძმა მისი, გრიგოლ მარუშას ძე, ენუქა ძე მისი, ელიაზარის შვილიშვილი, გრიგოლ იოსების ძე, მანველ ძმა მისი და სხვ. მათ მოსავალს შეადგენდა ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, ბოსტნეული. ჰყავდათ ღორი, ცხვარი, ფუტკარი და ყველაფერ ამისთვის სოფელი წლიურად იხდიდა 7000 ახჩას. ,,ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარში'' სოფ. ზ. არ გვხვდება, უნდა ვიფიქროთ, რომ 1694–1732 ის უკვე გაუკაცრიელებული იყო. 1932–33 ზ-ის ნასოფლარზე კარგად ჩანდა ერთმანეთის მახლობლად მდებარე ორი უზარმაზარი ქვა, იქვე იყო ოთხ-ოთხი ქვისაგან შედგენილი აკლდამები, ნასახლარები, დიდი ლოდებით დახურული დერეფნები.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2–3, თბ., 1941–58.

ლიტ.: ბ ო ჭ ო რ ი ძ ე გ., მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970. *დ. ბერძენიშვილი.*

ზადიანთკარი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის კოდისწყაროს თემში (შიდა ქართლის მხარე), შიდა ქართლის ვაკეზე. ზ. დ. 810 *მ,* კასპიდან 22 *კმ.* 61 მცხ. (2002).

ზავილეისკი პეტრე დამიანის ძე (დ. წ. უცნობია, – 1843, სანქტ-პეტერბურგი), რუსი მოხელე. წარმოშობით პოლონელი. 1828 დაინიშნა საქართველოს სახაზინო ექსპედიციის უფროსად. მას ევალებოდა თვალყურის დევნება ამიერკავკ. მხარის კამერალური აღწერისათვის. 1829 თებერვალში დაინიშნა საქართვ. სამოქალაქო გუბერნატორად. რუსეთ-ოსმალეთის (1828–29) ომის დროს რუს. მთავრობამ სამხრ. საქართველოს შემოერთებულ მიწებზე სომეხი მოსახლეობის დასახლების მიზნით შექმნა გადმოსახლების განსაკუთრებული კომიტეტი, რ-ის თავ-რედ ზ. დაინიშნა. ამ პერიოდში მან სამცხე-ჯავახეთიდან ოსმალეთში განდევნილი ქართვ. მაჰმადიანებისაგან ჩალის ფასად შეიძინა 25 სოფელი. 1831-იდან იყო ახლად დაარსებული ამიერკავკ. სავაჭრო კომპანიის ერთ-ერთი დირექტორი და მისი მთავარი ზედამხედველი.

მეგობრობდა ა. გრიბოედოვთან. მასთან ერთად აპირებდა ამიერკავკასიაში რუს. კომპანიებისა და საწარმოების შექმნას. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ოქროპირ ბატონიშვილთან, ა. ჭავჭავაძესთან და სხვ. მას ბრალად ედებოდა კავშირი 1832 შეთქმულების მონაწილეებთან. ამის საბაბად ასახელებდნენ მის მიერ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ მკაცრ მოპყრობას, რათა უკმაყოფილო ხალხი შემდგომში აჯანყებულიყო. ამასთანავე იგი თითქოსდა აღნიშნავდა, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით საქართველოში მეტი თავისუფლება ყოფილა, ვიდრე რუს. მმართველობის დროს. მეფის მთავრობამ მისი, როგორც ყოფილი გუბერნატორის, საჯარო გასამართლება საქართველოში მიზანშეუწონლად ჩათვალა, ბრალდების დაუმტკიცებლობის საბაბით არ დაკითხა, მაგრამ საიდუმლო მეთვალყურეობა დაუნიშნა. 1832 იანვარში გუბერნატორო-

ბიდან გადააყენეს, იმავე წლის 6 მარტს პეტერბურგში გაემგზავრა, სადაც იგი ფინანსთა სამინისტროს საბჭოს წევრი გახდა.

ლიტ.: ბერძნიშვილი მაქს., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, თბ., 1980; გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ.1–3, თბ., 1935–76. *გ. ნარსია.*

ზავრიევი კირიაკ სამსონის ძე [16 (28). I. 1891, თბილისი, – 14. XII. 1978, იქვე], მეცნიერი სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის დარგში, სეისმომედეგობის დინამიკური თეორიის ფუძემდებელი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1941). პროფესორი (1924), ტექ. მეცნ. დოქტორი (1935), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამსახურებული მოღვაწე (1941), სსრკ მშენებლობისა და არქიტ. აკად. ნამდვ. წევრი (1956). 1914 დაამთავრა პეტერბურგის მიმოსვლის გზათა ინჟინრების ინ-ტი. მუშაობდა იქვე (1914–15), მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში (1914–18), ახ. სამხ. ხიდების მშენებლობაზე. შემდეგ პედ. საქმიანობას ეწეოდა ოდესისა (1918–19) და თბილ. (1921–30) პოლიტექ. ინ-ტებში, თბილ. სამშ.-საინჟ. ინ-ტში (1930–32), თბილ. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინ-ტში (1933–59). 1959-იდან მოღვაწეობდა სპი-ში. პარალელურად ზ. 1941–47 იყო საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმთან არსებული ანტისეისმური მშენებლობის ბიუროს თავ-რე, ხოლო 1947-იდან გარდაცვალებამდე – ამ ბიუროს ბაზაზე ჩამოყალიბებული სამშ. მექანიკისა და სეისმომედეგობის ინ-ტის დირექტორი (1980-იდან ინ-ტი ზ-ის სახელობისაა). ზ. რუსეთსა და ამიერკავკასიაში აგებული მრავალი დიდი ხიდის პროექტის ავტორია. მისი შრომები ეხება ნაგებობათა თეორიას. საფუძველი ჩაუყარა მრღვევი დატვირთვების მიხედვით ნაგებობათა გაანგარიშების მეთოდს (1913). პირველმა დაასაბუთა ქვის სეისმომედეგ ნაგებობათა მშენებლობის შესაძლებლობა და დაამუშავა შენობათა ანტისეისმური სარტყელი. დიდი წვლილი მიუძღვის მსუბუქი რკინაბეტონის კონსტრუქციების დამუშავებასა და დანერგვაში, ხელმძღვანელობდა ბეტონის სპეციალისტთა ამიერკავკ. სკოლას. იყო აშშ-ის წინასწარდაბაბული რკინაბეტონის ინ-ტის ნამდვილი წევრი (1957-იდან). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Руководство к проектированию состава бетона, «Труды Закавказского ин-та сооружений», 1931, в. 2; Расчетные формулы прочности в особых случаях, М.–Л.,1935; Динамика сооружений, М., 1946; Сейсмостойкое строительство, М., 1969; Сейсмостойкость, Тб., 1973.

ლიტ.: გაბრიჩიძე გ., აკადემიკოს კირიაკ ზავრიევის დაბადების 120 წლისთავი, თბ., 2011; კირიაკ ზავრიევი. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ. ი. დუდუჩავა, თბ., 1978. *ზ. წილოსანი.*

ზაზალო, სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტის უდის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), მდ. ქვაბლიანის ხეობაში. ზ. დ. 1480 *მ,* ადიგენიდან 18 *კმ,* ახალციხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 23 *კმ.* 63 მცხ. (2002).

ზ. მდებარეობს ისტ. სამცხეში. ადრე ეს მნიშვნელოვანი სოფელი ყოფილა, რაზედაც აქაური ნაეკლესიარიც მეტყველებს. იგი მოზრდილი ნაგებობა იყო, რ-იც გამაჰმადიანებულ მესხებს მეჩეთად გადაუკეთებიათ. აქვე ყრია ძვ. ეკლესიიდან დარჩენილი ქვები: ქვაჯვარის ბაზისი, მრგვალი სვეტი, მისივე ოთხმხრივ დამუშავებული კაპიტელი ასომთავრული წარწერის ნაშთით: ,,წმიდაო ეკლესიაო სლმ''... 1932–33 გ. ბოჭორიძეს აქ უნახავს სხვა ქვებიც ასომთავრული წარწერებით: ,,... განუსვენე სულსა შიში''..., ,,ქრისტე შეიწყალე ბარბარე''; ეს უკანასკნელი წითლად ყოფილა შეღებილი. სოფლის სამხრ-ით მისთვისვე უჩვენებიათ დიდი, მოწითალო ქვა, რ-ის ერთ-ერთ გვერდზე 15-მდე ჩაჭდეული ჯვარი იყო გამოსახული. ჯვრები იყო გამოსახული ზედა მხარეზეც. იქვე ყოფილა რამდენიმე ფიქლით გადახურული შენობა. მდინარის მარჯვნივ ჩანს გვირაბის შესასვლელი, რ-საც ციხეზე ასასვლელად მიიჩნევენ, თუმცა ამის შემოწმება არ ხერხდება და არც ციხეში ჩანს მისი კვალი. სამცხეში ციხიდან მდინარეზე ჩამავალი გვირაბები სხვაგანაცაა დადასტურებული. სოფლის დასით 2 *კმ*-ზე არის ,,ზაზალოს ციხე'', რ-იც დამუშავებული ლოდებითა და კირხსნარითაა კლდეზე ნაგები. კლდის თხემი მთლიანად ციხის ნაგებობებს უკავია; აღმ. კოშკის ნაშთი მრგვალია, დასავლეთისა – ოთხკუთხა, გარედან კუთხეებმომრგვალებული. იგი ოთხსართულიანია, შერჩენილია ბუხარი, სალოდე, სამზერები; გარედან დას. კედლის ქვედა წყობაში ერთ ლოდზე გამოსახულია რელიეფური ჯვარი. მისადგომი ადგილები კლდეზე კედლებითაა გამაგრებული. კოშკებს შორის სადგომების ნაშთები ჩანს. კოშკის კედლების ქვედა რიგები ჰორიზ. წყობისაა, ზოგან ვერტიკალურად ჩაშენებული ქვებით. ციხე აგებული ჩანს თოფ-ზარბაზნის შემოღებამდე, იგი აქ გამავალ გზებს მოხერხებულად აკონტროლებდა. 1870 ციხის მახლობლად იყო საკორდონო პოსტი, რ-იც ახლაც ასევეა. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით, 1595 ახალციხის ლივაში, უდის ნაჰიეში შემავალ სოფ. ზ-ში 4 კომლი ქართვ. ცხოვრობდა: ტატულა, თავზარი – ძმა მისი, ნიკოლოზის შვილიშვილი, გოგიჩა ძე მისი. მათ მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, მუხუდო, ოსპი, სელის თესლი, ბოსტნეული; ჰყავდათ ღორი, ცხვარი, ფუტკარი და წლიურად იხდიდნენ 7500 *ახჩას.* 1944-მდე ზ-ში გამაჰმადიანებული მესხები ცხოვრობდნენ, მათი ქართ. გვარები იყო ამილახვარი და ბოჭორიძე. ისინი შუა აზიაში გადაასახლეს. ახლა სოფელში უდელები ჩასახლდნენ (15 კომლი).

წყარო: ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2–3, თბ., 1941–58.

ლიტ: ბოჭორიძე გ., მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992.

დ. ბერძენიშვილი.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, XV ს. პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი. ციციშვილთა ფეოდ. საგვარეულოსა და საციციანოს ერთ-ერთი ფუძემდებელი. XV ს. 60-იან წლებში იგი ფანასკერტიდან (ტაო) შიდა ქართლში გადასახლდა. მის სახელთან არის დაკავშირებული საციციანოს კულტ. დაწინაურება, ყინწვისის მონასტრის განახლება და ეგვტერის მიშენება. ავტორია ორიგინ. სამედ. ძეგლისა ,,სამკურნალო



კ. ზავრიევი.



ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი. ყინწვისის მონასტერი. ეგვტერის მოხატულობა.

წიგნი – კარაბადინი‘‘. წიგნში განხილულია თეორ. და პრაქტ. მედიცინის საკითხები. მისი აზრით, ავადმყოფის განსაკურნავად საჭიროა ზუსტ ცოდნაზე აგებული მკურნალობის რაციონალური მეთოდების გამოყენება. ზ. ფ.-ც. უარყოფს ფსიქ. დაავადებათა მისტიკურ ბუნებას, მათ მიიჩნევს ტვინში მიმდინარე პათოლ. პროცესების გამოვლენად.

თხზ.: სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), პროფ. ი. აბულაძის და კ. გრიგოლიას გამოც., მ. სააკაშვილის რედ., თბ., 1950; ი გ ი ვ ე, მ. შენგელიას გამოც., თბ., 1959; 1978.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი დ., ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1960, [ტ.] 1; მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., ძამის ხეობა, თბ., 1961.




ს. ზაზაძე.

ზაზაშვილი შოთა პეტრეს ძე (დ. 2. VI. 1946, სოფ. უდე, ახლანდ. ადიგენის მუნიციპალიტეტი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1998). დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი (1969). 1968–89 მუშაობდა ამავე უნ-ტის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათ. ინ-ტში სხვადასხვა სამეცნ. თანამდებობაზე. 2003–05 იყო თსუ-ის მესხეთის ფილიალის მათ. და ასტრონ. კათედრის გამგე, 2005–07 – ამავე ფილიალის დირექტორი. 2009-იდან მუშაობს სტუ-ის უმაღლესი მათ. დეპარტამენტში. ზ-ს კვლევის სამეცნ. მიმართულებებია: დრეკადობის თეორიის სტატიკის ძირითადი, შერეული და საკონტაქტო ამოცანების მათ. მოდელირება და გამოკვლევა; თხელი ანიზოტროპული დრეკადი ფირფიტის ღუნვის ძირითადი და შერეული სასაზღვრო ამოცანები; მრავალგანზომილებიანი ფიზ. ველების ურთიერთქმედების მათ. ამოცანები კომპოზიტური დრეკადი სხეულებისათვის.

ზაზაძე სიმონ პავლეს ძე (დ. 1933, თურქეთი), ქართული კულტურის მოღვაწე თურქეთში. საქართვ. საპატიო მოქალაქე (1996). ბიზნესმენი და საზ. მოღვაწე. დაამთავრა სტამბოლის უნ-ტის ეკონ. ფაკ-ტი, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ლონდონში. 1962–82 ზ. მამასთან ერთად აფინანსებდა პარიზში გამომავალ ,,ბედი ქართლისას‘‘ ფრანგულენოვან გამოცემას. ისინი ასევე ფინანსურად ეხმარებოდნენ საზღვარგარეთ გამომავალ სხვა ქართ. გამოცემებს, მ. შ. ჟურნალებს ,,ფიროსმანსა‘‘ და ,,ჩვენებურებს‘‘ (სტამბოლი). ვაჟიშვილთან ერთად არის თურქეთში 2000 დაარსებული თურქეთ-საქართველოს კულტ. და განათლების ფონდის საბჭოს წევრი, სტამბოლში მდებარე ქართველ კათოლიკეთა ეკლესიისა და მონასტრის პატრონი. იგი 2006 ეს-ტუმრა ისტ. სამშობლოს – სოფ. უდეს. არჩეულია ახალციხის საპატიო მოქალაქედ. არის აგრეთვე თსუ-ის, ბათუმისა და ქუთაისის უნ-ტების საპატიო დოქტორი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2007).

ზაზიაშვილი გიორგი (გიგო) ივანეს ძე (12.XI. 1868, თბილისი, – 25.VI. 1952, იქვე), ფერმწერი. სპეც. განათლება არ მიუღია. მჭიდრო კავშირი ჰქონდა XX ს. დამდეგის რეალისტ მხატვრებთან. ქართ. რეალისტური ფერწერის წამყვანი მოტივები მხატვრის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. განიცდიდა გ. გაბაშვილის გავლენას. მუშაობდა როგორც პორტრეტის, ისე ჟანრული ფერწერის დარგში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზ-ის მიერ შესრულებული ქართ. კულტ. მოღვაწეთა პორტრეტები (ზაქარია ჭი-



გ. ზ ა ზ ი ა შ ვ ი ლ ი. ,,ღვინის გამყიდველი‘‘. 1912.

ჭინაძე, 1909; იოსებ იმედაშვილი, 1910 და სხვ.). ჟანრული სურათებიდან საინტერესოა ,,დევრიში‘‘ (1911), ,,ღვინის გამყიდველი‘‘ (1912), ,,ებრაელი‘‘ (1919), ,,მეწისქვილე‘‘ (1915) და სხვ. ზ-ის ყველა ნამუშევარი ინახება შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმში. *მ. კარბელაშვილი.*

ზაიბტი (Seibt) ვერნერ (დ. 6. VII. 1942, ზენფტენბერგი, კრემს- ლანდის ოლქი, ქვემო ავსტრია), ავსტრიელი მეცნიერი, ბიზანტიის ისტორიის, სფრაგისტიკისა და მცირე ხელოვნებათა მკვლევარი. იკვლევს აგრეთვე ბიზანტ. და საქართვ., ბიზანტ. და სომხ.ისტ. და კულტ. ურთიერთობათა საკითხებს. ფილოს. დოქტორი, ვენის უნ-ტის პროფესორი. მისი კვლევის საგანია ბიზანტინისტიკა, საქართვ. და სომხ. შუა საუკუნეების ისტორია. ავტორია წიგნებისა და სამეცნ. პერიოდიკასა და ენციკლოპედიებში გამოქვეყნებული მრავალი წერილისა, რეცენზიისა, კატალოგების ტექსტებისა. არის ქართ. ხელოვნებისადმი მიძღვნილი საერთაშ. სიმპოზიუმების მონაწილე. VI სიმპოზიუმზე (1989) წაიკითხა მოხსენება ,,ქართველ ისტორიულ პირთა ბიზანტიური სახეშდავები‘‘. 1981, როდესაც ვენაში მოეწყო ქართ. მცირე ხელოვნებათა (ოქრომქანდაკებლობის, მინანქრების, ნაქარგობის, ფერწერული ხატების) დიდი გამოფენა, მისი რედაქციით გამოვიდა კატალოგი შესავალი წერილებით (თ. სანიკიძის თანაავტორობით). ზ-ს ეკუთვნის წერილი ,,საქართველო. ისტორია და კულტურა‘‘.

თხზ.: Schatzkammer Georgiens. Mittelalterliche Kunst aus dem Staatlichen Kunstmuseum Tbilisi, წგ.: Georgien. Geschichte und Kultur, W., 1981; Les sceaux byzantines de la collection Henri Seyrig. Catalogue raisonné, P., 1991 (თანაავტ.); Westgeorgien (Egrisi, Lazica) in frühchristlicher Zeit, კრ.: Die Schwarzmeerküste in der Spätantike und im frühen Mittelalter, W., 1992 (თანაავტ.); Wo, wann und zu welchem Zweck wurde das georgische Alphabet geschaffen? წგ.: Die Entstehung der kaukasischen Alphabete als Kulturhistorisches Phaenomen, hrsg. von W. Seibt, 2011; მ ი ს ი ვ ე, Byzantine Imperialism against Georgia in the later 10th and 11th centuries, კრ.: ქართული დიპლომატია. წელიწდეული, 16. მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2013. *ვ. ბერიძე.*

ზაიონჩკოვსკი (Zajączkowski) ანანიაშ (12.XI. 1903, ვილნიუსი, – 6. IV. 1970, რომი), პოლონელი აღმოსავლეთმცოდნე, თურქოლოგი. პოლონეთის მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1952), პოლონეთის მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის დირექტორი (1953–68), პოლონეთის სახელმწ. პრემიის ლაურეატი, თურქ. ლინგვ. საზ-ბის საპატიო წევრი. მუშაობდა ორიენტალისტიკის მრავალ დარგში – თურქოლოგია, ირანისტიკა, არაბისტიკა. გამოქვეყნებული აქვს ფუნდამენტური ნაშრომები შავიზღვისპირეთის და კასპიისპირეთის თურქულენოვანი ხალხების, კერძოდ, თურქ., ყივჩაყური და ხაზარული ენების შესახებ. მას მსოფლიო აღიარება

მოუტანა ნიზამის პოემის ,,ხოსროვ და შირინის'' გამოკვლევამ. დიდი ღვაწლი მიუძღვის მამლუქურ-ყივჩაყური ძეგლების შესწავლა-გამოცემის საქმეში. ზ-ს მჭიდრო სამეცნ. ურთიერთობა ჰქონდა ქართვ. აღმოსავლეთმცოდნეებთან: გ. წერეთელთან, ს. ჯიქიასთან. რამდენჯერმე იყო საქართველოში და ინტერესით სწავლობდა ქართვ. ხალხის წარსულს, მის კულტ. მემკვიდრეობას. მისი ხელშეწყობით ქართვ. მეცნიერებმა მჭიდრო კავშირი დაამყარეს პოლონელ მეცნიერებთან. ზ. 1966 აირჩიეს თსუ-ის საპატიო დოქტორად.

ლიტ.: ჯ ი ქ ი ა ს., აკადემიკოსი ანანიაშ ზაიონჩკოვსკი (1903–70). გახსენება, «თსუ შრომები», 1976, ტ. 180 (აღმოსავლეთმცოდნეობის სერია); Д ж и к и я С. С., Ц е р е т е л и Г. В., Из истории польского востоковедения, «მაცნე», 1964, №6. *მ. სვანიძე.*

ზაიცევი ფილიპე ადამის ძე [14 (26). III. 1877, კიევი, – 10.VI.1957, თბილისი], ენტომოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1941), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1946), საკავშირო ენტომოლოგიის საზ-ბის საპატიო წევრი. საქართვ. მეცნ. აკად. ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1900 დაამთავრა პეტერბურგის უნ-ტის ფიზ.-მათ. ფაკ-ტის საბუნებისმეტყველო განყ-ბა.

1911 ზ. საქართველოში გადმოვიდა და დაიწყო საქართველოსა და, საერთოდ, კავკ. ენტომოფაუნის კვლევა. 1920–28 იყო სას.-სამ. სასწავლებლების პროფესორი და თბილ. პოლიტექნიკური ინ-ტის სას.-სამ. ფაკ-ტის დეკანი, ხოლო შემდეგ – ამ ინ-ტის პრორექტორი და რექტორი. მისი ხელმძღვანელობით საქართველოში ჩამოყალიბდა თბილ. ბოტან. ბაღის ენტომოლოგიის კაბინეტი (1911), ყოფ. კავკ. მუზეუმის ენტომოლოგიის განყ-ბა (1917), სსრკ მეცნ. აკად. ზოოლოგიის ინ-ტის თავდაპირველად ამიერკავკ., ხოლო შემდეგ საქართვ. ფილიალის ზოოლოგიის სექტორი (1932). იგი 1941-იდან გადაკეთდა საქართვ. მეცნ. აკად. ზოოლოგიის ინ-ტად, რ-ის უცვლელი დირექტორიც თვითონ იყო გარდაცვალებამდე.

ზ-ის ნაშრომებში გაშუქებულია თეორ. და პრაქტ. მნიშვნელობის მქონე მწერების ჯგუფების ფაუნის, სისტემატიკის, ეკოლ. და ზოოგეოგრ. საკითხები. პარალელურად იგი რედაქტორობდა მრავალ პერიოდულ გამოცემასა და ცალკეულ წიგნებს ენტომოლოგიის და ზოოლ. დარგში. მონაწილეობდა I და IV საერთაშ. კონგრესების მუშაობაში. საქართველოსა და ამიერკავკ. რესპუბლიკების შესაბამის ორგანიზაციებს კონსულტაციებს უწევდა მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავებასა და პრაქტ. განხორციელებაში.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: К фауне плодовых мух (пестрокрылок) Кавказа и сопредельных стран (Diptera Trypetidae), «საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ზოოლოგიის ინ-ტის შრომები», 1947, ტ. 7; Обзор кавказских представителей трибы Sericini (Coleoptera, Scarabaeidae), იქვე; Плавунцовые и вертячки. Монография, წგ.: Фауна СССР – Насекомые, т. 4, М.–Л., 1953.

ბიბლ.: ფილიპე ზაიცევი. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ.: გ. მგელაძე, მ. ბარკავა, მ. პატარაია, თბ., 1980.

„ზაკავკაზსკაია რეჩ“, რუსულენოვანი ყოველდღიური საზოგადებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი. გამოდიოდა 1910–16 თბილისში. რედაქტორები: გ. ფალავანდოვი (1910–12), დ. დუმბაძე, კ. თუმანოვი (1912–16); გამომცემელი – ე. გორდელაძე. დაარსდა ორი რედაქციის: ,,ნოვაია რეჩის'' და ,,ზაკავკაზსკოე ობოზრენიეს'' გაერთიანების შედეგად. 1914 კავკასიაში გამომავალი რუსულენოვანი პერიოდული ორგანოების სიაში, რ-იც თბილ. ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტმა შეადგინა, ,,ზ. რ.'' ცენზურის თვალსაზრისით მიჩნეული იყო არასაიმედო გამოცემად; 1916 წ. 23 იანვრის ნომერი (№18) დააპატიმრეს, ამავე წელს შეწყდა კიდეც მისი გამოცემა, რაც დაკავშირებული იყო საცენზურო კომიტეტის რეორგანიზაციასა და თბილისში პერიოდულ გამოცემათა ერთი ჯგუფის გაუქმებასთან.

ლიტ.: ა ნ ა ნ ი ა შ ვ ი ლ ი ნ., გაზეთი ,,ზაკავკაზსკაია რეჩ'' (1910–16 წწ.), «მაცნე». ენისა და ლიტ. სერია, 1992, №1. *ნ. ანანიაშვილი.*

„ზაკავკაზსკი ვესტნიკ“, ყოველკვირეული საგუბერნიო რუსულენოვანი გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1838–55 და ვრცელდებოდა როგორც ამიერკავკასიაში, ისე რუს. იმპერიის ცენტრებში (პეტერბურგი, მოსკოვი, ასტრახანი და სხვ.). თავიდან იბეჭდებოდა მხოლოდ ოფიც. ცნობები. ,,ზ. ვ-ის'' პირველი რედაქტორი ფორმალურად იყო დ. *ყიფიანი* (1838 წლის აპრილი–ივნისი), თუმცა იგი თბილისში არ იმყოფებოდა, ხელს არ აწერდა ნომრებს და, ფაქტობრივად, გაზეთის გამოცემაში მონაწილეობას არ იღებდა. 1844 ,,ზ. ვ-ის'' რედაქტორად დაინიშნა პ. *იოსელიანი*, რ-ის დროსაც გაზეთს დაემატა არაოფიციალური ნაწილი (1845-იდან), გაფართოვდა და გამრავალფეროვანდა გამოცემის კულტ.-საგანმან. მიზანდასახულობა და თემატურ-შინაარსობრივი მხარე. ,,ზ. ვ-ის'' არაოფიციალურ ნაწილში იბეჭდებოდა საისტ. და სალიტ. ხასიათის თხზულებები და წერილები საქართვ. ძვ. და ახ. ისტორიის, ლიტერატურის, ზეპირსიტყვიერების, ისტ. გეოგრაფიის, ეკლესია-მონასტრების, ქართველთა ადათ-წესების, ზნე-ჩვეულებების, განათლების, საბიბლიოთეკო საქმის, თეატრ. ცხოვრების (ავტორები: პ. იოსელიანი, მ. *ბროსე*, დ. ყიფიანი, ნ. ბერძნიშვილი, ი. პოლონსკი, ი. სლივიცკი და სხვ.) შესახებ და სხვ. XIX ს. 50-იან წლებში ,,ზ. ვ-მა'' ვერ გაუძლო კონკურენციას გაზეთ *,,კავკაზთან''* – თავდაპირველად გაუქმდა მისი ოფიც. ნაწილი, ხოლო 1855 წლის ბოლოს ,,ზ. ვ.'' საბოლოოდ შეერწყა ,,კავკაზს''. 1845–46 გამოდიოდა ,,ზ. ვ-ის'' ოფიც. ნაწილის ქართ. დუბლიკატი *,,კავკასიის მხარეთა უწყებანი''* (სულ გამოვიდა 11 ნომერი).




ფ. ზაიცევი.

ლიტ.: Б а р а м и д з е А. А., В а т е й ш в и л и Д. Л., П. И. Иоселиани. Очерк жизни и научно-общественной деятельности, Тб., 1978; М а х а р а д з е Н. А., К вопросу о русских газетах на Кавказе в первой половине XIX века, კრ.: ჟურნალისტიკის საკითხები, დ. გამეზარდაშვილის რედ., ტ. 7–8, თბ., 1981. *თ. ჯოლოგუა.*

ზაკვი, სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალქალაქის პლატოზე, ბარალეთისწყლის (ფარავნის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: ზ., ბალხო, ბუღაშენი, გომანი, თირკნა, ოლავერდი). ზ. დ. 1700 *მ*, ახალქალაქიდან 13 *კმ*. 785 მცხ. (2002).

ზ-ში არის ვულკ. წიდის საბადო.

ზ. მდებარეობს ისტ. ზემო ჯავახეთში. 1595 დაიპყრეს ოსმალებმა. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით (XVI ს.) შედიოდა ხერთვისის ლივის ტყე-ჯავახეთის ნაჰიეში. მაშინ იქ ქართველების 7 კომლი ცხოვრობდა, რ-ებიც მისდევდნენ მემინდვრეობას (ხორბალი, ქერი, ჭვავი), მესაქონლეობას (ცხვარი, ღორი), მებოსტნეობას, მეფუტკრეობას, მოჰყავდათ სელის თეს-


გ. ზალდასტანიშვილი.


ნ. ზალდასტანიშვილი.


ო. ზალდასტანიშვილი.

ლი (საზეთედ) და იხდიდნენ გადასახადს – 10000 *ახჩას.* 1705–06 ზ. წარმოადგენდა ვინმე მეჰმედიის ზეამეთს (საკარგავს), საიდანაც მას 21630 ახჩა შემოსავალი ჰქონდა. 1829 ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით, ზ. ჯავახეთთან ერთად რუს. იმპერიაში შევიდა. ამის შემდეგ რუს. მთავრობამ ერზერუმიდან გადმოასახლა სომხები. სოფელში ძვ. ქართ. ნაეკლესიარის ადგილზე ახ. მოზრდილი სომხ. ეკლესია აშენდა. ეზოში დგას ქვავჯვარის ბაზისი. აქედანვეა წაღებული მეორე ბაზისი და ჯვრიანი ქვები, რ-ებიც სოფლის ჩრდ.-დას-ით მდებარე ნასოფლარზე გადაუტანიათ. სოფლის სამხრ-ით, მდინარის მარცხნივ, კლდეში, გამოქვაბულია, რ-საც ადრე სამალავად იყენებდნენ.

წყარო და ლიტ.: ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, ც. აბულაძისა და მ. სვანიძის გამოც., თბ., 1979; ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2, თბ., 1941, წგ. 3, თბ., 1958.

დ. ბერძენიშვილი.

ზალდა, სოფელი ქურთის მუნიციპალიტეტის ქემერტის თემში (შიდა ქართლის მხარე). ზ. დ. 1200 *მ,* ქურთიდან 10 *კმ,* ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 15 *კმ.* 94 მცხ. (1989).

ზალდასტანიშვილი გივი სოლომონის ძე (1. XI. 1919, თბილისი, – 12. X. 2007, იქვე), ბიზნესმენი. 1925 ოჯახთან ერთად ემიგრაციაში წავიდა პარიზში. 1944 დაამთავრა სორბონის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი.

1942–46 იყო ქართვ. ახალგაზრდების ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი პარიზში. საცხოვრებლად გადავიდა აშშში, სადაც 1948 დაამთავრა ჰარვარდის ბიზნესსკოლა. 1951 მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი. 1954 მიიღო აშშ-ის მოქალაქეობა. მონაწილეობდა ,,ამერიკის ხმის'' ქართ. რედაქციის დაარსებაში. 1951–65 რედაქტორობდა ქართ. პერიოდულ გამოცემას ,,თავისუფალი საქართველოს ხმა'' (ინგლ. ენაზე, ,,Voice of Free Georgia''), 1966–95 იყო აშშ-ის ,,ქართველთა საზოგადოების'' პრეზიდენტი და შემდეგ ვიცე-პრეზიდენტი. 1970–90 რედაქტორობდა პარიზში გამომავალ ქართ. ჟურნ. ,,ივერიას''. ჟურნალი ფარულად ვრცელდებოდა საქართველოში. იყო ნიუ-იორკისა და ბოსტონის ჰარვარდის კლუბების წევრი, ჰარვარდის უნ-ტის მმართველობის წევრი. 1976-იდან ხელმძღვანელობდა თავისსავე დაარსებულ საინჟ.-საკონსულტაციო ფირმას ,,Zaldastani Associates''-ს. 1980-იდან იყო ბოსტონში მარკეტინგული ფირმის ,,Zaldastani Consalting''-ის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. ზ. 1987 წ. 16 სექტემბერს პირველად ჩამოვიდა სამშობლოში. იყო თბილ. ბიზნესსკოლის დამსწრები პროფესორი, სადაც ჰარვარდის ბიზნესსკოლის პროგრამა ,,ქეის'' მეთოდით მიჰყავდა კურსები: 1991 – მარკეტინგში, 1992 – მეწარმეობაში, 1993 – მენეჯმენტსა და ლიდერობაში, 1994 – ფინანს. მართვაში. 1993-იდან იყო სტუ-ის დამსწრები პროფესორი.

1997 ო. *ზალდასტანიშვილთან* ერთად მიენიჭა საქართვ. საპატიო მოქალაქეობა. საქართველოდან 1921 გატანილი ეროვნ. არქივის მოვლისა და საქართველოში ბიზნესის განვითარებისათვის.

2001 საქართველოში დააარსა ამერიკული სკოლა – ამერიკული აკადემია.

2004 ზ. საბოლოოდ დაბრუნდა საქართველოში და უკანასკნელი წლები სამშობლოში გაატარა.

ლიტ.: გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი აკ., გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ლ., უტეხი სული, 2006.

ზალდასტანიშვილი ნოდარ კონსტანტინეს ძე (5. VI. 1931, თბილისი, – 2. III. 1997, იქვე), ინჟინერი კვების მრეწველობის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1982), პროფესორი (1985), საქართვ. დამს. გამომგონებელი (1978), საქართვ. საინჟინრო აკად. წ.-კორ. (1992). 1954 დაამთავრა სპი. 1954–60 მუშაობდა სპი-ის კვების მრეწვ. საწარმოთა მოწყობილობების კათედრაზე. 1990-იდან იყო კვებისა და სამაცივრო საწარმოო მოწყობილობების და წარმოების ავტომატიზაციის კათედრის გამგე. ზ-ის ძირითადი სამეცნ. მიმართულებაა კვების მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ფხვიერი მასალების მექან. თეორ. და ექსპერ. კვლევა. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა, რ-თაგან 70 გამოგონებაა. ყურძნის გადასამუშავებელი მაღალმწარმოებლური კომპლ.-მექანიზებული ხაზის შექმნისა და დანერგვისათვის 1981 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია.

თხზ.: Основы расчета приемных бункеров винограда для заводов первичного виноделия, Тб., 1974.

ზალდასტანიშვილი, ზ ა ლ დ ა ს ტ ა ნ ი, ოთარ სოლომონის ძე (10. VIII. 1922, თელავი, – 9. VIII. 2005, ბოსტონი, აშშ), ინჟინერ-მშენებელი, ბიზნესმენი, მეცენატი. დოქტორი (1946), პროფესორი (1947). მოღვაწეობდა აშშ-ში. 1925 ოჯახთან ერთად ემიგრაციაში გაემგზავრა საფრანგეთში. 1945 დაამთავრა პარიზის გზებისა და ხიდების სამშ. ინ-ტი. 1946 მუშაობდა ჰარვარდის უნ-ტში. 1947–50 იყო მასაჩუსეტსის ტექნოლ. ინ-ტისა და ჰარვარდის უნ-ტის პროფესორი. 1948 საცხოვრებლად გადავიდა ბოსტონში და კონსულტანტად დაიწყო მუშაობა ფირმაში ,,Nichols & Norton''. 1952-იდან იყო სამშენებლო კორპორაცია ,,Nichols, Norton & Zaldastani''-ის პარტნიორი, 1964–89 – ბოსტონში ,,Zaldastani Association''-ის პრეზიდენტი, ხოლო 1989–97 – თავმჯდომარე. პარალელურად 1961-იდან ლექციებს კითხულობდა ჰარვარდის უნ-ტში სამშ. მექანიკაში. იმავდროულად მიიწვიეს აშშ-ის სამხ.-საზღვ. ფლოტის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში წყალქვეშა გემების დინამიკის საკითხებთან დაკავშირებულ კვლევით სამუშაოებზე. მოგვიანებით სამუშაოდ მიიწვია საბრძოლო თვითმფრინავების ავიაკონსტრუქტორმა – ა. *ქართველმა* (ქართველიშვილი). ზ-ის ავტორობით და მონაწილეობით აშენებულია 1000-ზე მეტი სამშ. ობიექტი (ბოსტონის აეროპორტი, ბოსტონის ერთ-ერთი მთ. მოედანი და სტადიონი, საუდის არაბეთის დედაქალაქ ელ-რიადის მახლობლად არქიტ. კომპლექსი ,,პალმა ჯუმეირა'' – პალმის ფორმის 200 ხელოვნურ კუნძულზე შექმნილი ნაგებობების ანსამბლი, რ-ის მშენებლობაში გამოყენებულია ზ-ის მიერ დამუშავებული ზღვაში ხელოვნური ნიადაგის შექმნის პრინციპი და სხვ.). მიღებული აქვს მრავალი ნაციონალური ჯილდო და პრემია, როგორც ამერიკის ერთ-ერთ საუკეთესო ინჟინერს.

1958–65 ზ. იყო ,,ქართველთა საზოგადოების'' პრეზიდენტი, აგრეთვე საქართვ. ამერ. მეგობრების საზ-ბის დირექტორი. 1997 მიენიჭა საქართვ. საპატიო მოქალაქეობა საქართველოდან 1921 გატანილი ეროვნ. არქივის მოვლისა და საქართველოში ბიზნესის განვითარებისათვის. 2013 ზ-ის არქივი გადაეცა საქართვ. ეროვნულ ბიბლიოთეკას.

ლიტ.: დ ა უ შ ვ ი ლ ი რ., ქართველი მრეწველები და გამომგონებლები ამერიკაში, თბ., 2002; მ ი ს ი ვ ე, ქართული ემიგრაცია 1921–34 წლებში,

თბ., 2007.

ზალდასტანიშვილი სოლომონ ნიკოლოზის ძე (4. XII. 1891, სამტრედია, – 5. XII. 1941, ბუქარესტი), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, საქართვ. დემოკრ. რესპ. არმიის პოლკოვნიკი, 1917-იდან – საქართვ. ეროვნ.-დემოკრ. პარტიის წევრი. 1921–24 ეროვნ.-განმათ. მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. 1909 დაამთავრა თბილ. ქართ. სათავადაზნაურო გიმნაზია, 1913 – პეტერბურგის წმ. ვლადიმირის სამხ. სასწავლებელი და დაინიშნა თურქესტანში განლაგებული ერთ-ერთი პოლკის ასეულის მეთაურად. I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე (1914) პოლკი გაიგზავნა კავკ. ფრონტზე. 1915 პორუჩიკის წოდებით დაინიშნა ბატალიონის მეთაურად. ბრძოლებში ორჯერ დაიჭრა. 1917 მიენიჭა პოდპოლკოვნიკის სამხ. წოდება, დაჯილდოვდა წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით. პეტერბურგის სამხ. აკადემიაში გაგზავნეს, მაგრამ რევოლუციამ მოუსწრო და საქართვ. დაბრუნდა. საქართვ. დემოკრ. რესპ. გამოცხადებისთანავე (1918) დაინიშნა ეროვნ. არმიის საავტ.-მოტორიზებული გუნდის (პოლკი) მეთაურად და მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის (1921 თებ. – მარტი) შემდეგ, ემიგრაციაში წავიდა, მაგრამ 1922 ეროვნ.-დემოკრატთა ჯგუფის დავალებით კ. *აფხაზთან* კავშირის დასამყარებლად ბათუმში დაბრუნდა, სადაც ,,ჩეკამ'' დააპატიმრა, მაგრამ ყოფ. ჯარისკაცების დახმარებით მოახერხა თავის დახსნა. 1922–24 იყო საქართველოს ანტიბოლშევიკური ინტერპარტ. პარიტეტული კომიტეტის (იგივე საქართვ. *დამოუკიდებლობის კომიტეტი*) სამხ. ცენტრის წევრი. მონაწილეობდა ხევსურეთის ამბოხებასა (1922) და საერთო-სახალხო ეროვნ. აჯანყებაში (1924, აგვ.). მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქ. *ჩოლოყაშვილთან* და მის ,,შეფიცულთა რაზმთან''. 1924 *აგვისტოს აჯანყების* დამარცხების შემდეგ იყო პოლიტ. ემიგრანტი. 1925–40 ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საფრანგეთში. მისი თაოსნობით საფრანგეთში შეიქმნა პატრ. ორგანიზაცია ,,შევარდენი''.

1941 ზ-ის ინიციატივით გერმანიაში შეიქმნა მოხალისეთა სამხ. შენაერთი ,,თამარ II'' (იხ. ,,*თამარა*''), რ-ის მიზანი იყო საბჭ. იმპერიისგან საქართველოს გათავისუფლება. შენაერთი ირიცხებოდა ,,ვერმახტის'' ქართ. ლეგიონის შემადგენლობაში. შენაერთის მეთაურად ზ. იქნა დანიშნული. 1941 დამლევს იგი ჩავიდა რუმინეთში საკონცენტრაციო ბანაკიდან ქართვ. სამხ. ტყვეების დასახსნელად. ზ-მა მოითხოვა 500-ივე ქართველის გათავისუფლება. გერმანელებისგან თანხმობა მხოლოდ 90-ზე მიიღო. გერმანელთა უარის გამო დანარჩენი პატიმრებისათვის შემწეობის გასაწევად ზ. დარჩა ტყვეთა ბანაკში, სადაც დასნეულდა. გარდაიცვალა ბუქარესტის სამხ. ჰოსპიტალში.

1956 მიუნხენში გამოიცა ზ-ის მოგონებები 1924 წ. აჯანყებაზე, რ-იც მნიშვნელოვანი წყაროა საქართვ. 1921–24 ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ისტ. შესასწავლად.

თბილისში, წმ. მიქაელ ტვერელის ეკლესიის ეზოში, გაკეთებულია ზ-ის სიმბოლური საფლავი, ერთ-ერთ ქუჩას კი მისი სახელი ეწოდა.

თხზ.: საქართველოს 1924 წლის ამბოხება, მიუნხენი, 1956; თბ., 1994.

ლ. ურუშაძე.

ზალდასტანიშვილი ჯუანშერ ვასილის ძე (დ. 5. V. 1933, მოსკოვი), ბიოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2001), საქართვ. სპორტის დამს. მოღვაწე (2000), საკავშირო კატეგორიის მსაჯი თანამედროვე ხუთჭიდში (1960), საქართვ. დამს. მწვრთნელი. საქართვ. სპორტის დამს. მუშაკი. 1957 დაამთავრა საქართვ. ფიზ. კულტურის ინ-ტი, ხოლო 1969 – თსუ-ის ბიოლ. ფაკ-ტი. 1957–2007 იყო საქართვ. ფიზ. კულტურის ინ-ტის ფარიკაობის, მშვილდოსნობის კათედრების გამგე; დაუსწრებელი სწავლების ფაკ-ტის დეკანი; მწვრთნელთა ფაკ-ტის დეკანი; პრორექტორი; სპორტის გამოყენებითი სახეების დეპარტ. უფროსი; 2007–10 კი – ილიას უნ-ტის ბიზნესისა და სამართლის ფაკ-ტის მოწვეული პროფესორი.

2004–12 იყო საქართვ. თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის ეროვნ. ფედერ. პრეზიდენტი, ხოლო 2012-იდან არის ფედერ. საპატიო პრეზიდენტი. ზ-ის სამეცნ. კვლევის სფეროა: სპორტის ფიზიოლოგია, თანამედროვე ხუთჭიდი, ფარიკაობა, ცხენოსნობა, რაიტთერაპია.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. სახელმძღვანელო და მონოგრაფია (ცხენოსნობა, თბ., 1993).

ზალუმჯანიანი, ძვ. ქართული მწერლობის ანონიმური ძეგლი, სამიჯნურო-სადევგმირო ხასიათის ვრცელი თხზულება, რ-შიც აღწერილია მეფე გულაზარის ვაჟის, ზალუმჯანის, საგმირო საქმეები, დევებთან ბრძოლა და ა. შ. ჩვენამდე თხზულების ფრაგმენტებმა მოაღწია. ვარაუდობენ, რომ ,,ზ.'' გადმოღებულია სპარსულიდან XVIII ს-ში. არც სპარს. წყარო, არც ავტორი ცნობილი არ არის.

ლიტ.: გვახარია ა., სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან, თბ., 1973; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958.

ა. გვახარია.



ს. ზალდასტანიშვილი.



ჯ. ზალდასტანიშვილი.



ა. ზალცმანი.

ზალცმანი ალბერტ თევდორეს ძე (10. IX. 1833, თბილისი, – 26. VII. 1897, იქვე), XIX ს. 60–90-იანი წლების თბილისელი არქიტექტორი, რ-ის მამა თბილისში დამკვიდრებული გერმანელი იყო. სპეც. განათლება მიიღო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. 1861-იდან მთელი მისი მოღვაწეობა საქართველოსთან, კერძოდ, თბილისთან არის დაკავშირებული. 1865–66 იმოგზაურა გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიასა და ინგლისში, სადაც ეცნობოდა საავადმყოფოებისა და სატუსაღოების შენობებს. 1867 პეტერბურგის სამხატვრო აკადემიამ აკადემიკოსის წოდება მიანიჭა. 1876 დანიშნეს კავკ. სამხ. ოლქის საოლქო-საინჟ. სამმართველოს არქიტექტორად. 35 წლის განმავლობაში მისი პროექტით მრავალი სახაზინო, საზ. და კერძო სახლი აშენდა თბილისში. 1865 დაინიშნა მისივე პროექტით აგებული ქალაქის, ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს სამშ. კომისიის წევრად. სხვა ნამუშევართაგან აღსანიშნავია: კათოლიკეთა ეკლესია ი. ჯავახიშვილის ქუჩაზე (1870), კავკ. მუზეუმის შენობა (დამთავრდა 1870, იდგა საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმის ახლანდ. შენობის ადგილას), ქალთა გიმნაზიის შენობა (დამთავრდა 1874, ახლანდ. ლ. გუდიაშვილის ქ. №10), 1886–93 ხელმძღვანელობდა თბილ. სახაზინო (ახლანდ. ოპერისა და ბალეტის) თეატრის მშენებლობას, მისი პროექტითაა აგრეთვე აგებული თბილ. არისტოკრატიული და ბურჟ. ფენების წარმომადგენელთა მრავალი საცხოვრ. სახლი. ზ., ო. სიმონსონთან ერთად იმ არქიტექ-



ა. ზალცმანი. სამხედრო-ისტორიული მუზეუმი, ე. წ. დიდების ტაძარი (ამჟამად დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა). 1893.

ტორთაგანი იყო, რ-მაც ქალაქის განაშენიანებას ახლებური ხასიათი შესძინა; კერძოდ, იმდროინდელ რუსეთსა და დას. ევროპაში მიღებული რენესანსულ-ბაროკული ფასადები. მისი ნამუშევრებიდან ასევე აღსანიშნავია: ზ-ის საკუთარი სახლი დავით აღმაშენებლის გამზირზე №115-ში (1872), სახლი რ. თაბუკაშვილის ქ. №14-ში (1876), კავკ. მუზეუმისა და ქალთა გიმნაზიის ფასადები, საცხოვრ. სახლი გალაკტიონ ტაბიძის 22-ში, რ-იც განსაკუთრებით საინტერესოა ქართ. ისტ. არქიტ. მოტივებით დამუშავებული ფასადით.

ზ. დაჯილდოებული იყო რუს. და სხვა ქვეყნების ორდენებით.

ლიტ.: ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801–1917 წწ., [ტ.] 2, თბ., 1963; მანია მ., ევროპელი არქიტექტორები თბილისში, თბ., 2006.

ვ. ბერიძე.



ზამბახი (Iris).

ზამბახი (Iris), მცენარეთა გვარი ზამბახისებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ტუბერბოლქვიანი ან ფესურიანი ბალახოვანი მცენარეებია, ღეროს ძირთან შეკრებილი ხმლისებრი ან ხაზური ფოთლები აქვთ. ყვავილედი კენწრულია, 1–5-ყვავილიანი. ყვავილსაფარი გვირგვინისებრია, ფერად ლურჯი, იისფერი, ცისფერი, თეთრი, ყვითელი ან მოყვითალო. ზ-ის 250-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია ჩრდ. ნახევარსფეროში, მათგან 11 საქართველოშია. იზრდება მშრალ, ღია ადგილებზე, სტეპებსა და უდაბნოებში, ჭაობებსა და წყალსაცავების სანაპიროებზე. ვ ი ნ ო გ რ ა დ ო ვ ი ს ზ. (I. winogradowii) ვიწრო ენდემური სახეობაა და გვხვდება აფხ. და ქართლის ალპ. სარტყლის მდელოებზე, ზოგჯერ მცირერიცხოვანი პოპულაციების სახით; კავკ. ენდემებიდან აღსანიშნავია: ქ ა რ თ უ ლ ი ზ. (I. iberica) და ქართლის ზ. (I. carthaliniae) იზრდება ქართლში, მშრალ, ქვიან ადგილებზე, ბუჩქნარებს შორის. საკმაოდ გავრცელებული დეკორ. სახეობებია. კ ო ლ ხ უ რ ი ზ. (I. colchica) გვხვდება კოლხეთის (აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი, იმერეთი) დაბლობ რ-ნებში. ვინოგრადოვის ზ. და ქართული ზ. შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში‘‘.

ლ. ხინთიბიძე.

ზამბახიძე გრიგოლ ნიკიფორეს ძე (30. XI. 1911, ფოთი, – 26.V. 1962, თბილისი), ჰიდროტექნიკოსი. საქართვ. დამს. ინჟინერი (1961). დაამთავრა სპი. 1936–41 მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. 1941–44 იყო საქ. სსრ წყალთა მეურნეობის სახ. კომისარი, 1944–48 – საქ. კპ ცენტრ. კომიტეტის მრეწვ. განყ-ბის გამგე. ხელმძღვანელობდა დედაქალაქის ღირსშესანიშნაობად ქცეული მრავალი სამოქალაქო და სამრეწვ. ობიექტის აგებას. იყო საქ. სსრ სამშ. მასალების მრეწველობის მინისტრი (1954–56), საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი მოსკოვში (1956–58). ეწეოდა სამეცნ.-კვლ. მუშაობას ჰიდრავლიკის დარგში. მის მიერ საფუძვლიანადაა შესწავლილი და გადაჭრილი წყლის ნაკადისა და მდინარეთა გამრუდებულ მონაკვეთზე მყარი სხეულების მოძრაობის პრობლემა.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ზამბახიძე ვლადიმერ ნიკიფორეს ძე (29.X. 1902, ფოთი, – 17.VI. 1974, თბილისი), მწერალი, კრიტიკოსი. თსუ-ის პედ. კათედრის პროფესორი (1963). დაამთავრა თსუ-ის საბრძნისმეტყველების ფაკ-ტი (1923). იკვლევდა ქართ. პედ. აზროვნების, XIX ს. ქართ. ლიტ-რის ისტორიის, ქართ.-რუს. ლიტ. ურთიერთობათა საკითხებს, წერდა თანამედროვე ლიტ. პროცესების შესახებ. მისი ნაშრომებიდან საყურადღებოა: ,,ილია ნაკაშიძე‘‘ (1947), ,,ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიკური იდეები‘‘ (1957), ,,ლიტერატურული წერილები‘‘ (1964), ,,დიდი სამოციანელი‘‘ (1968) და სხვ. ზ-ს მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ზამბახიძე ლაზარე გრიგოლის ძე (10. VII. 1942, თბილისი, – 6. II. 2008, იქვე), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1984), პროფესორი (1985). დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი (1964). 1968-იდან მუშაობა დაიწყო იქვე. 1969–84 იყო ქართული ენციკლოპედიის მთ. სამეცნ. რედაქციის ფიზიკა-მათ. და ტექ. რედაქციის უფრ. სამეცნ. რედაქტორი, 1978–2006 – თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტის დეკანი, 1998–2005 – თსუ-ის ალგებრა-გეომ. კათედრის გამგე. ზ-ის კვლევის ძირითადი მიმართულებაა ტოპოლოგია. აღსანიშნავია მის მიერ მიღებული შედეგები ტოპოლოგიურ სივრცეთა განზომილებისა და განზომილების აქსიომატურ თეორიაში, ასევე ტოპოლოგიურ ჯგუფთა თეორიაში. მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახ. მედალი (2002) და ღირსების ორდენი (2003).

ზამბახიძე ლალი (ლარისა) ალექსანდრეს ასული (დ. 18. X. 1941, ჩოხატაური), გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1981). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1965). იქვე ეწევა პედ. საქმიანობას (1971-იდან) – გრაფიკის კათედრის გამგე (2002–06), პროფესორი. გამოფენებში მონაწილეობს 1965-იდან. მთავარი ნამუშევრები: გრაფიკული სერიები – ,,ადამიანი და გარემო‘‘ (1978), ,,მშობლიური მოტივები‘‘ (1979), ,,მიტოვებული ადგილები‘‘ (1986), ,,გერმანული მოტივები‘‘ (1990) და სხვ.; ილუსტრაციები წიგნებისთვის – ი. ჭავჭავაძის ,,კაცია-ადამიანი?!‘‘, ე. ნინოშვილის ,,პალიასტომის ტბა‘‘, ნ. დუმბაძის ,,მე ვხედავ მზეს‘‘ და სხვ. მხატვრის პერსონალური გამოფენა მოეწყო ქუთაისსა (1980) და თბილისში (2002). მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში: რუსეთი (1978, 1986, 1987), იტალია, ესპანეთი (1984) და სხვ., მოსკ. საკავშირო, ბერლინის, ქუთაისის საერთაშ. პლენერებში. ზ-ის ნამუშევრები დაცულია დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეაში. მოსკ. ტრეტიაკოვის სახელმწ. გალერეაში, მოსკ. აღმ. ხალხთა ხელოვნ. მუზეუმში და სხვა ქალაქების მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში. დაჯილდოებულია ღირსების



ლ. ა. ზამბახიძე. ,,კაცია-ადამიანი?!‘‘. 1978.

ორდენით (2004).

ზამთარაძე აკაკი იოაკიმეს ძე (10. IV. 1919, სოფ. ეწერი, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 23. IV. 1991, თბილისი), საბჭოთა გენერალ-მაიორი (1970). დაამთავრა სამტრედიის რკინიგზის სახელოსნო სასწავლებელი (1934), ლენინგრადის მ. ფრუნზეს სახ. სამხ. სასწავლებელი (1939), იქვე – სამხ.-სატრანსპ. აკადემია (1954). II მსოფლიო ომის (1939–45) დროს მონაწილეობდა ლენინგრადის დაცვაში. 1943–45 მეთაურობდა I გვარდიული რკინიგზის სამშ. ბრიგადის ასეულს სამხრ., სამხრ.-დას., უკრაინის III, ბელორუსიის I ფრონტებზე. 1959–63 მსახურობდა ამიერკავკასიის სამხ. ოლქში დივიზიის მეთაურის მოადგილედ. 1963–76 იყო სპი-ის (ახლანდ. სტუ) სამხ. კათედრის უფროსი. მიღებული აქვს საბრძოლო ორდენები და მედლები.

ლ. დოლიძე.

ზამთარაძე შოთა ამბაკოს ძე (7. V. 1926, სოფ. ეწერი, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 30. IV. 1993, ბათუმი), ფერმწერი. აჭარის არ ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1955, პედაგოგი ა. ქუთათელაძე). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობს 1955-იდან. მისი შემოქმედების ძირითადი თემა იყო ქ. ბათუმი. ხატავდა პეიზაჟებს, პორტრეტებს, ჟანრულ კომპოზიციებს. მნიშვნელოვანი ნაწარმოებები: ,,საღამო ბათუმის პორტში'' (1956), ,,ბათუმელი თევზმჭერები'' (1961), ,,სასიხარულო ცნობა'' (1955), ,,დასვენება'' (1964), ,,დიადი განთიადი'' (1973), ,,ბათუმის ნავსადგურში'' (1977), ,,წითელი წისქვილი'' (1979) და სხვ.

ი. ქარაია.

ზამთარეთი, სოფელი ონის მუნიციპალიტეტში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), მდ. ღრამულის (ჯეჯორის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1640 *მ*, ონიდან 50 *კმ*. 36 მცხ. (1989).

,,ზამთარი'', ქართული (ქართლ-კახური) ხალხური, ე. წ. ,,გრძელი'' სუფრული სიმღერა. აგებულია ,,ვეფხისტყაოსნის'' ერთ-ერთ სტროფზე (,,ზამთარი ვარდთა გაახმობს, ფურცელნი ჩამოსცვივიან...''). სიმღერაში ნათლად შეინიშნება ლიტ. პირველწყაროდან მომდინარე ფილოს. ჩაფიქრება, რაც მუსიკის ხასიათითაც გამოიხატება. სიმღერა სამხმიანია, შედგება რამდენიმე მუხლისაგან და ზოგიერთი ვარიანტი ბოლოვდება აღმავალი სეკვენციებით. სხვა სუფრულების მსგავსად სიმღერაში ორი მთქმელი ავითარებს მელოდიურ ნახაზს გაბმული (ბურდონული) ბანის ფონზე.

ლიტ.: ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი ე ო., ქართული (კახური) ხალხური სიმღერები, ნაწ. 1, თბ., 1962; ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე გრ., ქართული ხალხური სიმღერა, თბ., 1960.

ი. ჟორდანია.

ზამთრის სოკო (Flammulina velutipes), ქუდიანი სოკო ტრიქოლომასებრთა ოჯახისა. მისი ქუდის დიამეტრი 10 *სმ* აღწევს, ბრტყელია, შიშველი, ლორწოიანი ზედაპირი აქვს, ფერად ყვითელია, შუაში – მოყავისფრო. ქუდის ქვედა მხარეს განვითარებულია მეჩხრად განლაგებული, განიერი, მოყვითალო ფირფიტები. ფეხი ცილინდრულია, ძირში გაწვრილებული, ბოჭკოვან–ხავერდოვანი ზედაპირი აქვს; ზედა ნაწილი მოყვითალოა, ძირისკენ – ყავისფერი, შემდეგ – შავი. იზრდება ჯგუფებად დამპალ ფოთლოვან ხეებზე, განსაკუთრებით კი – ვერხვსა და ტირიფზე გვიანი შემოდგომიდან თითქმის გაზაფხულამდე. საქართველოში ყველგანაა გავრცელებული, განსაკუთრებით – ჭალის ტყეებში. იხმარება საკვებად. ზოგიერთ ქვეყანაში ხელოვნურად ამრავლებენ.

ი. ნახუცრიშვილი.

ზამპატნინი სერგეი ნიკოლოზის ძე [9 (21). IV. 1899, პავლოვსკი, ახლანდ. ვორონეჟის ოლქი, – 5. XI. 1958, ლენინგრადი, ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი], რუსი არქეოლოგი, პრეისტორიული არქეოლ. მკვლევარი. ზ-მა აღმოაჩინა და გამოიკვლია პალეოლითის ხანის ძეგლები: ბერდიჟის, გაგარინოს, კოსტიონკის, სატანიდარის და სხვ. ჩამოაყალიბა კავკ. პალეოლითის პერიოდიზაცია; შეისწავლა პალეოლითის კულტ. ლოკალური განსხვავებანი, პალეოლითისა და ნეოლითის ხელოვნება და სხვ. საქართველოში პირველად აღმოაჩინა ზედა პალეოლითის ნახატები კლდეზე, აღლერის მახლობლად გამოქვაბულის მასალის მიხედვით დაადგინა პალეოლითური ძეგლების სტრატიგრაფიული ფენები.

დაჯილდოებულია სახელმწ. ორდენითა და მედლებით.

თხზ.: Очерки по Палеолиту, М. –Л., 1961.

ზამლეთი, სოფელი შუახევის მუნიციპალიტეტში (აჭარის არ), ღორექეთის ქედის (მესხეთის ქედის სამხრ. განშტოება) სამხრ. კალთაზე, მდ. აჭარისწყლის მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: ზ., ბუთურაული, მომწვარი, მჭედლური, ნენია, ნიგაზეული, ფოთელაური, ფურტიო). ზ. დ. 800 *მ*, შუახევიდან 10 *კმ*. 217 მცხ. (2002).

ზანა, მდინარე დას. საქართველოში, ხობის მუნიციპალიტეტში, მდ. ხობის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 42 *კმ*, აუზის ფართ. 69,7 *კმ*². საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმოვარდნები – ზაფხულ–შემოდგომაზე. უერთდება 60-მდე შენაკადი, რ-თა ჯამური სიგრძეა 86 *კმ*. საშ. წლ. ხარჯი 2,9 *მ*³/*წმ*. მდინარის ხეობაშია *ნაზოდელავოს მღვიმე.*

ი. აფხაზავა.



ზამთრის სოკო (Flammulina velutipes).

ზანა, სოფელი სენაკის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდინარეებს ზანასა და ცივს შორის, სენაკი–ჩხოროწყუს საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: ზ., ეწერი, საესებუო, სატყებუჩავო, საშურღაიო). ზ. დ. 160 *მ*, სენაკიდან 18 *კმ*. 271 მცხ. (2002).

სოფელი აღნიშნულია იტალიელი მისიონერის ა. *ლამბერტის* მიერ შედგენილ რუკაზე (XVII ს.).

თ. ბერაძე. დ. სვანიძე.

ზანავი, სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ქვაბლიანის (ფოცხოვისწყლის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: ზ., გომარო, პატარა ზანავი, წრე). ზ. დ. 1480 *მ*, ადიგენიდან 4 *კმ*. 332 მცხ. (2002).

ზ. მდებარეობს ისტ. სამცხის ქვაბლიანის თემში. სახელწ. ,,ზანავი'' (იგი სხვაგანაც გვხვდება) ასეთივე ფუძიან სახელებთან ერთად (ზანა, ზანათი, საზანო) ზანური ტომის ნაკვალევი უნდა იყოს. სამცხის ზ. იხსენიება ბასილი ზარზმელის თხზულებაში ,,სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება'', რ-ის მიხედვით, ამ მხარის დიდი მთავრის – გიორგი ჩორჩანელის ,,ტაძარნი შენ იყვნეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანავისასა''. ამავე წყაროს ცნობით, გიორგი ჩორჩანელს მამა სერაპიონისთვის უთხოვია მონასტრის (,,უდაბნო დიდი და მაღალი'') აშენება არა ზარზმას, არამედ ,,ადგილთა მას ზანავისათა'' უფრო მარჯვე და დამამშვიდებელ გარემოში. სერა-



ზანავი (ადიგენის მუნიციპალიტეტი). ციხე-სიმაგრე. შუა საუკუნეები.

პაონის უარის მიუხედავად, ზ-ის ადგილებში მაინც აუგიათ მშვენიერი მონასტერი, რ-ის პირველ აღმშენებლებად ბასილი ზარზმელი ასახელებს ამასპოსა და ქურდიას. გარდაცვალების შემდგომ იქვე დაუკრძალავთ გიორგი ჩორჩანელი, ხოლო მისი საფლავი მოუნახულებია და უკურთხებია სერაპიონ ზარზმელს.

ოსმალთაგან დაპყრობილ სამცხეში, ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით, 1595 ზ. ახალციხის ლივის უდის ნაჰიეში შედიოდა. მაშინ იქ ორი სოფელი ყოფილა: ზემო ზ. ეკლესიითურთ და შუა ზ., ანუ წინ- ზ. ორივე ზ-ში მაშინ 24 კომლი ცხოვრობდა შემდეგი გვარებით: გრიგოლ ჯალიასძე, მახარებელ გრიგოლისძე, მახარებელ ხიზანასძე, გოგიჩა მიქელისძე, თაბუკა ივ ანესძე, ვარძელა გიორგისძე, დემეტრე კავალასძე, იოსებ იასასძე, მიქელ ამირინდოსძე, ტატუნა მიქელისძე და სხვ. მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, მუხუდო, ოსპი, ცერცვი, სელის თესლი (ზეთისთვის), ბოსტნეული, ჰყოლიათ ცხვარი, ღორი და ფუტკარი, ჰქონდათ ხილი, კაკალი და იხდიდნენ გადასახადს 8000 ახჩის ოდენობით. 1829 ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით, ზ. სამცხესთან ერთად რუს. იმპერიაში შევიდა. 1944 ამ სოფლის მაჰმადიანი ქართველები შუა აზიაში გადაასახლეს და აქ გადმოიყვანეს იმერლები და აჭარლები. ახლა ზ-ში მაცხოვრებელთა გვარებია: ინასარიძე, ხოსრევანიძე, შაინიძე, სურმანიძე, ბერიძე, ზაზაძე, მაისურაძე, გობაძე, ანძაველიძე, ქოჩალაძე, მახარაძე, შავაძე, მარკოიძე, გიორგაძე, გელაძე, კახაძე, ხმალაძე, ლომიძე, თეთვაძე, ნუცუბიძე, კინწურაშვილი, გამცემლიძე და სხვ.

ზ-ში შემორჩენილია ყოველი მხრიდან ციცაბო კლდეზე აღმართული შუა საუკუნეების ციხე. გალავნის კედლები კლდის ნატეხი ქვითა და კირითაა ნაგები. ატყვია გვიანი შეკეთების კვალი. შიდა ციხის ზურგიანი კოშკი სამსართულიანია და წყობაც უფრო რეგულარული, ვიდრე გალავნისა. კოშკს ყოველ მხარეს სამზერები აქვს, მეორე სართულზე – ბუხარიც. სამხრ. კედლის თაღოვანი კარი გადის შიდა ეზოში, სადაც კლდეში ამოჭრილი წყლის საცავია. უფრო სამხრ. არის მეორე კოშკი, რ-შიც ნაეკლესიარის ნაშთია; მის ქვემოთ გალავანთან ზედ მიმდგარი კიდევ ერთი მრგვალი კოშკია. ციხის მცირე ფართობს კლდის თხემი განაპირობებს, მაგრამ ყველაფერს ანაზღაურებს მისი მიუვალობა. საფიქრებელია, აქ იყო გიორგი ჩორჩანელის ერთ-ერთი რეზიდენცია, რ-იც შემდგომ ხანებშიც არაერთხელ აღუდგენიათ.

სოფლის უდიდესი ნაწილი ციხის აღმოსავლეთითაა, ღელის გადაღმა. იქ ძვ. ნაეკლესიარზე ახ. ჯამეა აშენებული (1927). ძვ. ეკლესიიდან გადარჩენილია ნახევარსვეტთა პროფილიანი და ღარიანი კაპიტელები, ბრტყელ ქვაზე გამოსახულია ჯვარი რ-იც ორლილვიან ჩარჩოში ზის.

ზ-ის ჩრდ-ით, დაახლ. 2 *კმ*-ზე, ზანავის ხევის სათავეებში (ძვ. ზემო ზ.), შერეული ტყით გარემოცულ მინდორში მოზრდილი დარბაზული ეკლესიის ნაშთია, რ-იც, სავარაუდოდ, ბასილი ზარზმელის თხზულებაში მოხსენიებული მონასტერი უნდა იყოს. ეკლესიის სამხრ-ით და ჩრდ-ით მინაშენები ჰქონია. კედლების ორივე მხარე გათლილი, მოზრდილი ქვების პერანგით იყო შემოსილი. შესასვლელი დასავლეთიდან აქვს, ხოლო სამხრ. და ჩრდ. კედლებში გაჭრილი კარები მინაშენებში გადიოდა. ეკლესიის ჩამოცვენილი, ჩუქურთმიანი ქვები ორმაგი, გრეხილი ლილვებითაა მოჩარჩოებული. არის ლოტოსის გამოსახულება და წნულჩუქურთმიანი, ტოლმკლავა ჯვარი. ეკლესიას გალავანი ჰქონდა, რ-ის შიგნით და გარეთ სხვა ნაგებობათა ნაშთებია; იქვეა წყაროც. ჩანს, ეკლესია ფუნქციონირებდა შემდგომ ხანებშიც.

წყარო: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, [წგ.] 1, თბ., 1963; ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2–3, თბ., 1941–58.

ლიტ.: მიქელაძე თ., ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II–I ათასწლეულები), თბ., 1974.

დ. ბერძენიშვილი.

ზანავი, სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტის ყვიბისის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ბორჯომის ხეობაში, მდ. მტკვრის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 840 *მ*, ბორჯომიდან 9 *კმ*. 280 მცხ. (2002).

ზ. მდებარეობს ისტ. ხეობაში, რ-იც თორის მხარეში მტკვრის ხეობის სოფლებს აერთიანებდა. ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ზ. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით, 1595 პეტრეს ლივის ქაშუეთის ნაჰიეში შედიოდა და 9500 *ახჩა* გადასახადს იხდიდა. 1639, ირან-ოსმალეთის ზავის შემდეგ, თორი და ხეობა ქართლს შეუერთდა, მაგრამ XIX ს-მდე თითქმის დაცლილი იყო. ამჟამად იქ ქართლიდან და იმერეთიდან მოსული 100-ზე მეტი კომლი ცხოვრობს. მათი გვარებია: რაზმაძე, კიკაძე, თაბაგარი, გელაშვილი, გრიგალაშვილი, კაპანაძე, ლომიძე, ხარატიშვილი, ღარიბაშვილი, ცუცქირიძე, გოგალაძე და სხვ. ზ-ის ეკლესიებიდან აღსანიშნავია წმ. გიორგის მოზრდილი, დარბაზული ეკლესია, რ-იც მრავალჯერ არის გადაკეთებული და ძვ. სახურავი აღარ შერჩენია. სამხრ. და დას. კედლებში შესასვლელებია. სამხრ. შესასვლელს ზემოდან ოთხკუთხა ლოდი ადევს, რ-ის რელიეფურ ჩარჩოში რელიეფურივე, მოგრძო ჯვარია გამოსახული. ეკლესიაში ერთსაფეხურიან პილასტრებს პროფილიანი კაპიტელები აქვს, პროფილიანია ლავგარდნებიც. საკურთხევლის მარცხ. მხარეს მაღალი ნიშაა. ეკლესიის ირგვლივ ძვ. სასაფლაოა. მეორე ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისაა, მისგან მხოლოდ აღმ. კედელია გადარჩენილი, რ-ის შიდა და გარე წყობა გათლილი ქვისა ყოფილა. სოფლის დას-ით, რველისა და ზ-ის გამყოფ ქედზე არის ასევე სალოცავი – ელიობა, რ-ის ნანგრევებში გამოირჩევა სამხრ. შესასვლელი, საკურთხევლის ორი კვადრ. თახჩა და სამ. ზომის გათლილი ქვების ჰორიზ. წყობა. ზ-ის სამივე სალოცავი განვითარებული ფეოდალიზმის ხანისაა.

წყარო: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოც., წგ. 2, თბ., 1941. *დ. ბერძენიშვილი.*

ზანათი, აბაშის მუნიციპალიტეტის სოფლების *გაღმა ზანათისა* და *გამოღმა ზანათის* გავრცელებული სახელწოდება.

ზანაქიძეები, სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შარაბიძეების თემში (აჭარის არ), მდ. ჭოროხის ხეობაში. ზ. დ. 60 *მ*, ხელვაჩაურიდან 2 *კმ*. 2,0 ათ. მცხ. (2002).

ზანდარაკი, რკინის ჯვარი, უელტეხილი მესტიისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში, ეგრისის ქედის დას. ნაწილში, სიმაღლე 2758 *მ*. ზ-ის მიდამო აგებულია ბაიოსური პორფირიტების, ტუფ-ბრექჩიების, ტუფ-კონგლომერატებისა და ტუფ-ქვიშაქვებისა-

გან. შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით. ზ. აკავშირებს მდინარეების მაგანისა (ენგურის მარცხ. შენაკადი) და თხეიშის (ხაიშურის ერთ-ერთი მდგენელი) ხეობებს. *მ. უთმელიძე.*

ზანდუკელი მიხეილ ზურაბის ძე [14 (26). X. 1889, სოფ. არანისი, ახლანდ. დუშეთის მუნიციპალიტეტი, – 2. IV. 1968, თბილისი], პედაგოგი, ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1936), პროფესორი (1936); საქართველოს მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1897–1909 სწავლობდა თბილ. ქართ. გიმნაზიაში, სადაც 1904–05 გ. ავალიანთან და პ. დადვაძესთან ერთად გამოსცა კრებული ,,ღელვა''. 1909–13 სწავლობდა მოსკოვის უნ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტზე, აქტიურად მონაწილეობდა ქართვ. სტუდენტთა სათვისტომოს საქმიანობაში. 1913, უნ-ტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო ყარსის რეალურ სასწავლებელში, 1914-იდან კი მოღვაწეობდა თბილისის I გიმნაზიაში (1917), I ვაჟთა გიმნაზიაში (1918), I საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლაში (1921). წლების განმავლობაში იყო I სკოლის დირექტორი, 1921–22 – საქართვ. განათლების სახ. კომისარიატის საშ. და უმაღლესი სკოლების მთ. სამმართველოს გამგე, 1921–25 – განათლების კომისარიატთან არსებული სახელმწ. სამეცნ. საბჭოს მდივანი. 1923–28 კითხულობდა ქართ. ლიტ-რის ისტორიის კურსს თბილ. პედ. ინ-ტში. 1923 ივ. ჯავახიშვილის წინადადებით მიიწვიეს თსუ-ში, რათა მოემზადებინათ საპროფესოროდ ქართ. ლიტ-რის ისტორიაში. 1929 მიენიჭა დოცენტის წოდება. 1933-იდან რამდენიმე წელი ხელმძღვანელობდა თსუ-თან ჩამოყალიბებული ენის, ლიტრისა და ხელოვნების ისტ. ინ-ტის ახ. ქართული ლიტ-რის სექციას. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს თსუ-ში; ასევე თბილ. ა. ს. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტში, ქუთაისის და თელავის პედ. ინ-ტებში. იყო თსუ-ის ფილოლ. ფაკულტეტის ახ. ქართული ლიტრის ისტ. კათედრის პროფესორი. 1941–47 იყო რეპრესირებული.

ზ-ს დიდი დამსახურება მიუძღვის XIX ს. ქართ. ლიტ-რის ისტორიის შესწავლისა და სისტემატიზაციის საქმეში. მისი სამტომიანი ნაშრომი ,,ახალი ქართული ლიტერატურა'' (1932–36) რამდენჯერმე გამოიცა. ზ-ის გამოკვლევებიდან აღსანიშნავია ,,რომანტიზმი ქართულ ლიტერატურაში'' (1927), ,,თერგდალეულები და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში'' (1928) და სხვ. მისი რედაქტორობით გამოიცა დ. ჭონქაძისა და გ. ორბელიანის თხზულებები.

ზ. დაჯილდოებულია ი. გოგებაშვილის სახ. მედლით. დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თხზ.: თხზულებანი, [ტ.] 1–3, თბ., 1972–78; ლიტერატურული ნარკვევები, [ტ.] 1–2, თბ., 1957–61; ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1959; ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა, თბ., 1960; ვაჟა-ფშაველა, თბ., 1963; შიო არაგვისპირელი, თბ., 1966.

ლიტ.: გოზალიშვილი შ., სახელოვანი მეცნიერი და მამულიშვილი, «მნათობი», 1972, №2; ხუციშვილი ს., მიხეილ ზანდუკელი, თბ., 1973.

ნ. ალანია.

ზანდუკელი მიხეილ ოთარის ძე (1. V. 1881, სოფ. არანისი, ახლანდ. დუშეთის მუნიციპალიტეტი, – 22. XI. 1950, თბილისი), ფიზიოთერაპევტი და კურორტოლოგი. 1909 დაამთავრა მოსკ. უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. ზ. საკურორტო საქმის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო საქართველოში. მისი ხელმძღვანელობით გაიხსნა სანატორიუმები ბორჯომსა და აბასთუმანში, თბილისში (გოგირდის წყლითა და ტალახით სამკურნალო), თბილ. ბალნეოლ. კურორტი (1937, იყო მისი პირველი დირექტორი); ზ-მა დააარსა და ხელმძღვანელობდა თბილ. ფიზიოთერაპიული მეთოდებით მკურნალობის ინ-ტს (1926–41), II მსოფლიო ომის დროს განაგებდა ამ ინ-ტის ბაზაზე გახსნილ ევაკოჰოსპიტალს, 1946–50 კი – თბილ. ფიზიოთერაპიულ საავადმყოფოს. ზ. საქართვ. ფიზიოთერაპევტთა საზ-ბის ერთ-ერთი დამაარსებელი და თავ-რე იყო (1938–50). მისი სამეცნ. შრომები ეხება ძირითადად ფიზიოთერაპიული მეთოდებით მკურნალობის საკითხებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. 1907 დაარსდა ,,მოსკოვის ქართველთა საზოგადოება'', რ-ის თავმჯდომარე იყო ა. სუმბათაშვილი, მოადგილე – მ. ზანდუკელი. საზბამ მოაწყო ლაზარეთი დაჭრილ ქართვ. მეომართათვის (გამგე – მ. ზანდუკელი).

1912 მისი ინიციატივით მოსკოვში დაარსდა საექიმო შრომის სამედ. ბიურო, რ-ის თავ-რე თვითონ იყო.

ლიტ.: ტატიშვილი ირ., დეკანოსიძე თ., მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართული ახალგაზრდობა, თბ., 1960.

ზანდუკელი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1887, დუშეთი, – 20. V. 1923, თბილისი), საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე. 1918–21 იყო საქართველოს დემოკრ. რესპ. ეროვნ. არმიის ოფიცერი, 1915-იდან – საქართვ. ს. დ. (მენშევიკური) პარტიის წევრი, 1922–23 – საქართვ. ანტისაბჭ. ინტერპარტიული პარიტეტული კომიტეტის (იგივე – დამოუკიდებლობის კომიტეტი) სამხ. ცენტრის წევრი. ბოლშევიკური რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციის შემდეგ აქტ. მონაწილეობდა ანტისაოკუპაციო შეიარაღებული რაზმების შექმნაში. დუშეთის მაზრაში ზ-ის უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა ორი ასეთი რაზმი, რ-ებიც დაექვემდებარა დამოუკიდებელი კომიტეტის სამხ. ცენტრს. 1922 აქტ. მონაწილეობდა ხევსურეთის ამბოხებაში, რ-საც სათავეში ედგა ქ. *ჩოლოყაშვილი.* გამცემლობის შედეგად სამხ. ცენტრის სხვა 14 წევრთან ერთად ზ. დააპატიმრა საქართვ. სსრ ე. წ. საგანგებო კომისიამ, რ-ის დადგენილებით ისინი დახვრიტეს თბილისში, ახლანდ. ვაკის პარკის ტერიტორიაზე.



მ. ზ. ზანდუკელი.



მ. ო. ზანდუკელი.

ლიტ.: აჯანყება – 1924. საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალდებო საქმე), თბ., 1994 (პირველად გამოიცა 1925 წ.); ჟურნ. «სამშობლო», პარიზი, 1937, № 21–22.

ლ. ურუშაძე.

ზანდუკელი ფიქრია ზურაბის ასული (9. IV. 1933, თბილისი, – 3. XI. 2005, იქვე), ფოლკლორისტი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1995). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1956). მუშაობდა ამავე უნ-ტში, იყო ფოლკლორისტიკის განყ-ბის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი. პირველი სამეცნ. ნაშრომი 1959 გამოაქვეყნა, პირველი წიგნი ,,იავნანა'' – 1965. იკვლევდა საბავშვო ფოლკლორის, საწესჩვეულებო პოეზიის, ხალხ. პროზის, მხატვრული ოსტატობის, ფოლკლორული ჟანრების თავისებურებებს რეგიონების მიხედვით და სხვ. საკითხებს. ძირითადი ნაშრომები: ,,ფოლკლორი და ქართველი საბავშვო მწერლები'' (1974), ,,ქართული საბავშვო ფოლკლორის საკითხები'' (1977), ,,წერილები საბავშვო ფოლკლორზე'' (1980), ,,მხატვრული ოსტატობის საკითხები ქართ. ფოლკლორში''

(1985), ,,ქართული ფოლკლორის მოკლედ ანოტირებული ბიბლიოგრაფია (1829–1901)'' (წგ. 1, 1973, ე. ვირსალაძესა და მ. გოგიჩაიშვილთან ერთად) და სხვ.

1988 ,,ქართული ხალხური პოეზიის'' თორმეტტომეულის მომზადებისათვის მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (სხვებთან ერთად).



ზანდუკი.

ზანდუკი, სახურავიანი ხის ყუთი, თუნუქის გასაკრავი სალტეებით შეკრული. გამოიყენებოდა ქალის ტანსაცმლისა და სამკაულების შესანახად. იყო სამზითვო ნივთი და ქალის პირად საკუთრებას წარმოადგენდა. ოჯახის გაყრის დროს წილში არ შედიოდა. ქვრივის გათხოვების შემთხვევაში ზ. ოჯახს რჩებოდა. თუ ქვრივი მოახერხებდა განაწყენებულ მაზლებთან შერიგებას, სამზითვო ზ. მას უბრუნდებოდა. ზ. წყაროებში XVIII ს-იდან იხსენიება.

ლიტ.: ა რ თ ი ლ ა ყ ვ ა ვ., XVI–XVIII სს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1965; ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ., მოხევეების საოჯახო ყოფა, თბ., 1970.

ლ. ბედუკიძე.

ზანდუკი (ყოფ. ნ ა თ ი ა ნ ი), სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის გუდამაყრის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), გუდამაყრის არაგვის (მთიულეთის არაგვის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1320 *მ*, დუშეთიდან 61 *კმ*. 63 მცხ. (2002).

ზ-ში სამი უბანია: ნათიანი, ლაგაზიანი, კოტორიანი. ყოველ მათგანში შემორჩენილია დარბაზული ეკლესიების ნანგრევები. ლაგაზიანში არის მთავარანგელოზის ნიში – მთელი სოფლის საერთო სალოცავი. ნათიანში ძველად მდგარა ციხე, რ-იც დაუნგრევიათ. ზ-ის სამხრ.-აღმ-ით, მთის ფერდობზე და ქედის ქიმზე არის ადრეფეოდალური ხანის ორი ციხე ზურგიანი კოშკებით – მახვილოკლის ციხე და *მახვილოს ციხე*. სოფ. ზ-იდან არიან წარმოშობით აზნაური ზანდუკელები.

ჯ. გვასალია.

ზანდუკის ხევი, მდებარეობს გუდამაყრის ხეობაში სოფ. ზანდუკის გასწვრივ. ხევში მომდინარე წყალი სათავეს იღებს შირიმის მთისა და ქვენამთის ჭიუხებთან. მას სოფ. ბოსლის სახელწოდების მიხედვით ბოსლისწყალს ეძახიან. მდინარე სოფ. კიტოხთან თორელაანთწყალს უერთდება, რის შემდეგაც იწოდება შავ, ანუ გუდამაყრის არაგვად. მანძილს, რ-იც ხევს უკავია სოფ. ბოსლიდან ვიდრე თორელაანთ ადგილამდე, ეწოდება ზ. ხ. იგი იხსენიება გიორგი ბრწყინვალის ,,ძეგლისდებაში'' (XIV ს.), როგორც სამართლის წიგნის მოქმედების აღმ. საზღვარი.

ლიტ.: დ ო ლ ი ძ ე ი., გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ., 1957.

ჯ. გვასალია.

ზანდუკლისხევი (ახლანდ. ს ა კ ა ნ ა ფ ს ხ ე ვ ი), მდინარე, ერთვის არაგვს სოფ. არანისთან. სახელწოდება მომდინარეობს აზნაურ ზანდუკელთა გვარიდან, რ-თაც რეზიდენცია ჰქონდათ სოფ. არანისში და წარმოშობით გუდამაყრის სოფ. *ზანდუკიდან* იყვნენ. ზ-ს ახსენებს ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) ბაზალეთ-არაგვისპირის აღწერისას.

ჯ. გვასალია.

ზანეები, იხ. *სანები.*

ზანთარაია გიორგი მალხაზის ძე (დ. 21. X. 1987, გალი), სპორტსმენი (ძიუდო). მსოფლიო ჩემპიონი (2009), მეორე (2010) და მესამე (2011) პრიზიორი. ევრ. ჩემპიონი (2011) და მეორე პრიზიორი (2009). ევრ. ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის გამარჯვებული (2003), ევრ. ჩემპიონი ახალგაზრდებში (2006). ასპარეზობს უკრაინის სახელით. უკრაინის პირველი მსოფლიო ჩემპიონი ძიუდოში. ამავე ქვეყნის ეროვნ. ოლიმპიური კომიტეტის მიერ ორჯერ დასახელდა უკრაინის საუკეთესო სპორტსმენად (2009, 2011). მისი მწვრთნელები იყვნენ ვ. ბრიმანი და ვ. დუბროვა.

ზანური ენა, კ ო ლ ხ უ რ ი ე ნ ა, ერთ-ერთი ქართველური ენა. ერთიან ზ. ე-ზე დღეს არავინ მეტყველებს; ცნება ,,ზანური'', ანუ ,,კოლხური'' ისტ. შინაარსისაა. ამჟამად ზ. ე-ს აქვს ორი დიალექტი – მეგრული და ლაზური (ჭანური), რ-ებიც რეალურად ფუნქციონირებენ.

მეგრულ-ლაზურის ერთიანობის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი გვხვდება. ნ. *მარს* ადრე გამოყენებული ჰქონდა ტერმ. ,,თუბალკაენური'' (თუბალურში მეგრული იგულისხმებოდა, კაენურში – ლაზური). შემდეგ მეგრულისათვის ნ. მარმა ,,ივერიულიც'' გამოიყენა. მეგრულ-ლაზურის მნიშვნელობით ტერმ. ,,ზ. ე.'' დაამკვიდრა არნ. *ჩიქობავამ*. ავტორი ემყარებოდა როგორც ისტ. წყაროებს, ისე თანამედროვე ენობრივ მონაცემებს. კერძოდ, ბერძნ. წყაროებში შავიზღვისპირა ზოლის ქართველური მოსახლეობა იხსენიება როგორც ,,სანები'' (,,ზ'' ფონემა ბერძნულს არა აქვს, საფიქრებელია, რომ ,,ს'' ასო ზ-ს გადმოსაცემად იყო გამოყენებული). ტერმ. ,,ზანი'' დღესაც არ არის დავიწყებული ქართველურ ენათა წრეში. იგი შემორჩენილია ტოპონიმებში ზანა, საზანო, ზანათი; ზან- ძირი დაცულია სვანურშიც და მეგრელების აღსანიშნავად გამოიყენება – მგზან – ,,მეგრელი''. ტერმ. კ ო ლ ხ უ რ ი პირველად გამოიყენა გერმ. მეცნიერმა გ. *როზენმა*, მაგრამ იგი ქართველოლოგიაში არ დამკვიდრებულა. XX ს. 60-იან წლებში ტერმ. ,,კოლხური'' მეგრულ-ჭანურის მნიშვნელობით გამოიყენა ა. *შანიძემ* და ამის შემდეგ იგი ,,ზანურის'' პარალელურად შემოვიდა სამეცნ. ლიტ-რაში.

ზანურს, სვანურთან შედარებით, უფრო გვიან უნდა მიეღო დამოუკიდებელი სახე. წინარე ქართველური ენიდან სვანური ადრე ჩანს გამოყოფილი, გლოტოქრონოლოგიური მეთოდის მიხედვით, სავარაუდოდ, ძვ. წ. II ათასწლ. დასაწყისისათვის (გ. *კლიმოვი*) ან ძვ. წ. X ს-თვის (თ. *გამყრელიძე*, გ. *მაჭავარიანი*). სვანურის გამოყოფის შემდეგ ქართ. და ზანური გაუთიშავი ორი ფენა იყო კიდევ ათი საუკუნე მაინც. ამ ხანას უწოდებენ ზ ა ნ უ რ - ქ ა რ თ უ ლ ი ერთიანობის ხანას. ამ ერთიანობიდან ზანურის გამოყოფა, სავარაუდოდ, უნდა მომხდარიყო ძვ. წ. X–VIII სს-ში (გ. კლიმოვი) ან ახ. წ-ის მიჯნაზე (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი). ზანურის დიფერენციაცია ორ კილოდ (მეგრული და ლაზური) უნდა დაწყებულიყო ახ. წ. პირველი საუკუნეების აქეთ. დაახლ. VII ს-თვის ამ კილოებს დამოუკიდებელი სახე უნდა ჰქონოდა. ზანურის (კოლხურის) გავრცელების არეალი ისტორიულად უფრო დიდი იყო, ვიდრე დღესაა. მეგრული და ლაზური მეტყველების რეგიონები ამჟამად გათიშულია გურია-აჭარის ტერიტორიით, რაც ამ ტერიტორიაზე ქართულენოვანი მოსახლეობის მიგრაციით აიხსნება (ნ. მარი, ივ. *ჯავახიშვილი*, ს. *ჯანაშია*, არნ. ჩიქობავა...). ამას ადასტურებს გურია-აჭარის ტერიტორიაზე ზანური ტოპონიმების არსებობაც.

მეგრულ-ლაზურის თავდაპირველი დიფერენციაცია კილოებად შემდეგ პერიოდებში უფრო გაღრმავდა, რასაც ხელს უწყობდა განსხვავებული ენობრივი გარემოც, რ-შიც მათ უხდებოდათ და უხდე-

ბათ ფუნქციონირება. თუმცა სხვაობა იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რომ ისინი დამოუკიდებელ ენებად ჩაითვალოს: მათი ფუნქციური და გრამატ. სტრუქტურები ახლოსაა ერთმანეთთან. ამასთანავე, ლაზებსა და მეგრელებს მეტნაკლებად ესმით ერთმანეთისა.

საერთო ნიშნების მიუხედავად, განსხვავება ლაზურსა და მეგრულს შორის მაინც საგრძნობია. ამას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ნ. მარმა, რ-მაც ეს განსხვავება საკმაო საფუძვლად მიიჩნია ლაზურისა და მეგრულის სხვადასხვა ენებად გამოსაცხადებლად. განსხვავება ვლინდება როგორც ფონეტიკაში (ბგერით სისტემებში, ფონეტ. პროცესებში), ისე გრამატიკაში: დიდი სხვაობაა უღვლილების სისტემაში (აწმყოს, მყოფადისა და აორისტის წარმოება, მასდარის წარმოება და სხვ.), არსებით და ზედსართავ სახელებში, ნაცვალსახელებში (განსაკუთრებით – ჩვენებით ნაცვალსახელებში); სინტაქსურ კონსტრუქციებში და ა. შ. მეგრულისა და ლაზურის (ჭანურის) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობის სასარგებლოდ, ნ. მარის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მათ (ამ კერძო შემთხვევაში ნ. მარი მხოლოდ ჭანურზე მსჯელობს) საკუთარი კილოები და თქმები აქვთ, რ-ებიც, მრავალფეროვნების მიუხედავად, ერთიანდებიან საერთო ლინგვ. ნორმით. განხილულ თვალსაზრისს არაერთი მკვლევარი იზიარებს როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში.

კ. დანელია.

ზანძელ ზორაბაბელი (,,ქართლის ცხოვრების'' ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებით: ზ ა ნ ქ ა ნ), თბილისელი ებრაელი დიდვაჭარი XII ს. II ნახევარში. თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით გაიგზავნა ჩრდ. კავკასიაში თამარის საქმროს ჩამოსაყვანად. მან სწრაფად შეასრულა დავალება და საქართველოში ჩამოიყვანა ვლადიმირ-სუზდალის დიდი მთავრის, ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟი იური (გიორგი), რ-იც, საკუთარი სამფლობელოდან გაძევებული, ყივჩაყთა ქალაქ სევინჯში (სუნჯაში) იყო თავშეფარებული. თამარის მეორე ისტორიკოსის ბასილი ეზოსმოძღვრის აზრით, ეს გადაწყვეტილებაც ნაჩქარევი იყო და ზ.ზ-ც არ შეესაბამებოდა ასეთი მნიშვნელოვანი დავალების შემსრულებლის დონეს.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წგ.: ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008; ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ უ ა რ ი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, იქვე.

ლიტ.: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., დავით აღმაშენებელი. – მეფე თამარი, თბ., 2002. *რ. კიკნაძე.*

,,ზაპისკი კავკაზსკოგო ოტდელა იმპერატორსკოგო რუსსკოგო გეოგრაფიჩესკოგო ობშჩესტვა'', რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების პერიოდული სამეცნიერო ბეჭდვითი ორგანო. გამოცემულია 30 წიგნი (I–XXX, 1852–1917). თავდაპირველად იბეჭდებოდა როგორც განყ-ბის წევრთა, ისე ევრ. მეცნიერთა შრომები, 1872-მდე ქვეყნდებოდა აგრეთვე განყ-ბის ადმ.-ორგანიზაციული საქმიანობის ამსახველი მასალაც. ძირითადად გამოდიოდა თბილისში. IX წიგნი დაიბეჭდა პეტერბურგში (1875), XXI და XXII – პიატიგორსკში (1899, 1902).

სამეცნ. ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებული სტატიები მოიცავს მეცნიერების მრავალ დარგს. იგი ეხება კავკ., კერძოდ, საქართვ. ისტორიას (არქეოლოგიას, ეთნოგრაფიას), გეოგრაფიას (ოროგრაფიას, ჰიდროგრაფიას), დემოგრაფიას, გეოდეზიას, კარტოგრაფიას, სტატისტიკას, მრეწველობასა და ვაჭრობას. გამოქვეყნებულია ბიოგრ. სტატიები, ნეკროლოგები, მოგონებები. გამოცემაში აქტიურად მოღვაწეობდნენ როგორც ქართველი, ისე საქართველოში მოღვაწე უცხოელი მეცნიერები: ვ. *აბიხი,* ნ. *ანდრუსოვი,* დ. ზ. *ბაქრაძე,* ლ. *ბაცევიჩი,* კ. *ბოროზდინი,* ნ. *დინიკი,* რ. *ერისთავი,* პ. *იოსელიანი,* ა. *ლაისტერი,* ი. პანტიუხოვი, ფ. პაროტი, გ. *რადე,* ი. *სტებნიცკი,* ა. ფილადელფინი, დ. *ფრეშვილდი,* გ. *ყაზბეგი,* ა. ციმერმანი, ნ. ხანიკოვი, ი. *ხოძკო,* ნ. *ხუდადოვი* და სხვ. *დ. კაპანაძე. ე. ლოლუა.*

ზარა, ძ ა რ ა, მასისა და მოცულობის ერთეული, გავრცელებული იყო აღმ. საქართველოში. მოხსენიებულია XVIII ს. დასაწყისში ,,დასტურლამალში''. ზ-ს (ძარას) იყენებდნენ XVII ს-ში დას. საქართველოში, უდრიდა 25 *ბათმანს* (დაახლ. 200 *კგ*). იმერეთსა და ლეჩხუმში ზ. ახლა ჰქვია ურემზე დასადებ ყუთისმაგვარ მოწნულ ჭურჭელს.

ლიტ.: ჯ ა ფ ა რ ი ძ ე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX–XIX სს.), თბ., 1973.

ზარაგულა, სოფელი ცაგერის მუნიციპალიტეტის ლუხვანოს თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), ცაგერის ქვაბულის დას. ფერდობზე, მდ. ნამყაშურის (ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 780 *მ,* ცაგერიდან 5 *კმ.* 97 მცხ. (2002).

სოფელში აღმოჩენილია ძვ. წ. IV ს. დასასრ. კოლხური მონეტების განძი. დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში. *ნ. სულავა.*

ზარათი, სოფელი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რაიონის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის ჩრდ. ბორცვიან მთისწინეთში, მდ. რიონის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 360 *მ,* წყალტუბოდან 30 *კმ,* ქუთაისიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 20 *კმ.* 547 მცხ. (2002).

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XIII ს-ში. სოფლის სასაფლაოზე დგას XIII ს. წმ. კვირიკეს მცირე ზომის ეკლესია. აღმ-ით აქვს აფსიდი. შესასვლელი ორია – დას. და სამხრ-იდან. შიგნით გრძივი ჩრდ. და სამხრ. კედლები დაყოფილია სამ ნაწილად ყრუ დეკორ. თაღებით. კედლები მთლიანად დაფარულია XVIII ს. ტრად. რელიგ. მოხატულობით. სამხრ. კედლის აღმ. მონაკვეთში მოთავსებულია ღვთისმშობლისკენ ვედრებით მიმართული მხატვრის გამოსახულება. მსგავსი კომპოზიცია იშვიათია ქართ. კედლის მხატვრობაში. ზ-ის მოხატულობა გვიანდ. ფეოდ. ხანის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია. *ი. მამაიაშვილი.*

ზარანი, სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საღანძილის თემში (იმერეთის მხარე), მდ. ჩხერიმელის (ძირულის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 520 *მ,* ხარაგაულიდან 5 *კმ.* 250 მცხ. (2002).

ზარაფიშვილი ილია აბრამის ძე (1856, სოფ. ქვემო მაჩხაანი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 1909, თელავი), პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. 1878 დაამთავრა თბილ. სას. სემინარია და მოღვაწეობა დაიწყო ქართ. ენისა და ლიტ-რის მასწავლებლად თელავის სას. სასწავლებელში და მათ. მასწავლებლად წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში. ზ-ის წერილები ,,ნადიკვარელის'' ფსევდონიმით იბეჭდებოდა გაზ. ,,დროებაში'', ,,ივერიასა'' და ,,ცნობის ფურცელში''. 1895 მისი ხელმძღვანელობით თელავში



,,ზარაფხანა''. კოლექცია ,,ვეფხისტყაოსნის'' თემაზე.



,,ზარაფხანა''. საიუველირო ნაკეთობათა ნიმუშები.

დაარსდა ქალთა ამხანაგობა, რ-შიც გაერთიანდა ორმოცდაათამდე ქალი. ამხანაგობა ატარებდა ლექცია-მოხსენებებს, ჩამოაყალიბა სცენის მოყვარეთა წრე, რ-იც მართავდა წარმოდგენებს. ზ. იყო ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის'' აქტ. წევრი. ოცდახუთწლიანი პედ. მოღვაწეობის შემდეგ ზ. აქტიურად ჩაება საზ.-კულტ. და რევ. საქმიანობაში. 1905 რევ. პერიოდში დააარსა თელავის მაზრის მასწავლებელთა კავშირი. ზ-ის პირდაპირი მონაწილეობა რევ. მოძრაობაში შეუმჩნეველი არ დარჩენილა. იგი დააპატიმრეს და შორეულ ჩრდილოეთში გადასახლება მიუსაჯეს, რ-იც შემდეგ ხანდაზმულობის გამო სამშობლოდან წასვლით შეუცვალეს. ზ-მა თავი შეაფარა თავრიზს, საიდანაც დაავადმყოფებული და დაუძლურებული დაბრუნდა სამშობლოში.

ა. სამადაშვილი.

ზარაფხანა, მონეტების, ორდენების, მედლებისა და სხვა სახელმწიფო ნიშნების დასამზადებელი სახელმწიფო საწარმო, რ-იც ფართოდ იყენებს მოოქროების, მოვერცხლვისა და საიუველირო მინანქრით ლითონის ნაკეთობათა დაფარვის ხერხებს. ზ. შეიქმნა ეროვნ. სახელმწ. წარმოშობასთან ერთად, როდესაც მონეტების მოჭრა სახელმწ. მონოპოლიად იქცა. საქართვ. ტერიტორიაზე ზ-ში მონეტას ჭრიდნენ ძვ. წ. VI ს-იდან. *კოლხური თეთრი* მოჭრილია საქართველოში, მაგრამ ზ-ის ადგილმდებარეობა უცნობია. ქართლშია მოჭრილი ე. წ. ქართ.-სასანური დრამები (VI–VIII სს.), თუმცა მათზე ზ-ის სახელწოდება აღნიშნული არ არის. 704 არაბულ დრამაზე *თბილისის ზარაფხანა* პირველად აღინიშნა. IX ს-იდან თბილისში დროგამოშვებით იჭრებოდა ფული არაბი ხალიფას, ხოლო X ს. II ნახ-იდან – თბილ. ამირას სახელით. XIII ს. 40-იანი წლებიდან XV ს. დასაწყისამდე მონეტებზე კვლავ გვხვდება თბილ. ზ-ის აღნიშვნა. 1603-იდან XVIII ს. დასასრულამდე თბილ. ზ. სისტემატურად უშვებდა ვერცხლისა და სპილენძის ფულს. XVII ს. ზ. მდებარეობდა კალაში, სიონის მახლობლად. *დასტურლამალში* შემონახულია ზ-ის წესდება. 1803–33 თბილისში იჭრებოდა ე. წ. რუს.-ქართ. ფული. ზ. მდებარეობდა როსტომ მეფის სასახლის ტერიტორიაზე.

თბილ. გარდა დროგამოშვებით ფული იჭრებოდა აგრეთვე დმანისში (XIII ს.), ახალციხეში (XIV ს. დასაწყ.), ანისში (XIV ს.), არტანუჯში (1520), ზაგემში (XVI–XVII სს.). სხვადასხვა დროს ზ-ები მოქმედებდა უფლისციხეში, ქუთაისში, ცხუმში, ზუგდიდში და სხვ.

ლიტ.: კ ა პ ა ნ ა ძ ე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; П а х о м о в Е. А., Монеты Грузии, Тб., 1970.

თ. ქუთელია. ც. ღვაბერიძე.

,,ზარაფხანა'' (შპს), თბილისის საიუველირო ნაკეთობათა ქარხანა. ძვ. თბილ. ისტ. ნაწილში, შარდენისა და ვერცხლის ქუჩებზე განლაგებული მცირე, ინდივიდუალური საიუველირო სახელოსნოების გაერთიანების შედეგად 1939 შეიქმნა თბილ. საიუველირო ფაბრიკა (მდებარეობდა კ. ლესელიძის, ახლანდ. კ. აფხაზის ქუჩაზე), სადაც მუშაობდა 200-მდე იუველირი. ამზადებდნენ ოქროს სამკაულებსა და სამაჯურებს საათებისთვის, ვერცხლის სამკაულებსა და ჭურჭელს, კერძოდ, ქართ. ტრად. დოქებს, ყარყარებს, ღვინისა და კონიაკის სასმისებს. 1970 მას შეუერთდა სუვენირების ფ-კა ,,მხატვარი'' (მდებარეობდა ოქროსუბანში, მაზუთის, ახლანდ. პ. ჩანჩიბაძის ქუჩაზე) და დაერქვა ,,თბილისის საიუველირო ქარხანა''. 1973 დიდუბის რ-ნში აშენდა საიუველირო ქ-ნის ახ. შენობა, სადაც დასაქმებული იყო 1500 კაცი.

სსრ კავშირის დაშლამდე საიუველირო ქ-ნა საკავშ. დაქვემდებარების იყო და აღნიშნული პროფილის წარმატებულ საწარმოთა პირველ ხუთეულში შედიოდა. შემდეგ იგი საქართველოს რესპ. მინისტრთა კაბინეტს დაექვემდებარა. საქართვ. პრეზიდენტის 1996 ბრძანებულების საფუძველზე საიუველირო ქ-ნის ბაზაზე შეიქმნა ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახაზინო საწარმო ,,საქართველოს ეროვნული ზარაფხანა''. 2000 წ. სახაზინო საწარმო გადაკეთდა შპს-დ 100%-იანი სახელმწ. საკუთრებით. 2006 იგი შეიძინა ქართულმა კომპანიამ შპს ,,გოლდინვესტმა'' და დაერქვა ,,ზ.'' ინვესტიციების განხორციელების შედეგად ქ-ნა აღიჭურვა ახ. ჩარხ-დანადგარებით, რამაც საგრძნობლად გაუმჯობესა წარმოებული პროდუქციის ხარისხი. ,,ზ.'', რ-იც ამ პროფილის ერთადერთი საწარმოა საქართველოში, ამზადებს ფართო ასორტიმენტის საიუველირო ნაკეთობებს ძვირფასი ლითონებისა და თვლების, აგრეთვე ბუნებრივი, სინთეტიკური და სანახელავო ქვების გამოყენებით. გარდა ამისა, უშვებს სხვადასხვა ტიპის სუვენირებს, ამზადებს სახელმწ. ჯილდოებს (ორდენებს, მედლებს), სამკერდე ნიშნებს, ასრულებს სხვადასხვა ტიპის ექსკლუზიურ შეკვეთებს. ქ-ნას აქვს თავისი საფირმო მაღაზიათა ქსელი ქვეყნის მასშტაბით.

,,ზ.'' აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საერთაშ. გამოფენებზე, მიღებული აქვს მრავალი პრიზი. ორგანიზაცია ,,ბიზნესის საერთაშორისო ინიციატივების'' (BID) მიერ აშშ-ში მოწყობილ ხარისხის სამიტზე 2003 ,,ზ.'' დაჯილდოვდა სპეც. პრიზით ,,ხარისხისა და ბიზნესის პრესტიჟისათვის'' ოქროს კატეგორიაში. *ჯ. წამალაიძე.*

ზარბაზანი, იხ. *ქვემეხი.*

ზარბაზნის ქუჩა, ქუჩა XIX ს. თბილისში. დღის ყოველი 12 საათის აღსანიშნავად თბილისში, ისევე როგორც რუსეთის იმპერიის სხვა დიდ ქალაქებში (მაგალითად, პეტერბურგში), ისროდნენ ზარბაზანს. ,,საათი ზარბაზანი'' თავდაპირველად იდგა ძვ. არსენალის (მოგვიანებით *ღუნიბის მოედანი*) მახლობლად, შემდეგ, XIX ს. 60-იან წლებში, დადგეს ალექსანდრეს ბაღში, ქაშვეთის ეკლესიასთან. ზარბაზნის ყოველი გასროლა ზიანს აყენებდა ეკლესიას, კედლებიდან ცვიოდა ბათქაში, გაჩნდა ბზარები, რის გამოც ეკლესიის მესვეურებმა არაერთგზის მიმართეს თხოვნით ქალაქის ხელისუფლებას, რათა ,,საათი ზარბაზანი'' გადაეტანათ სხვაგან. XIX ს. 80-იან წლებში იგი მტკვრის მარცხ. მხარეს, ჩუღურეთში, არსენალის (ახლანდ. შ. გამცემლიძის) ქუჩის მახლობლად დადგეს. XIX ს. დასასრულს ,,საათი ზარბაზნის'' გამო ჩუღურეთში, არსენალისა და დოქის ქუჩებთან გაჩნდა ზ. ქ.

თ. ბერიძე.

ზარდალიშვილი გრიგოლ ივანეს ძე (1. VIII. 1914, ქუთაისი, – 28. X. 1979, თბილისი), ეკონომ-გეოგრაფი. გეოგრ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1967), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). 1941 დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტი. 1945-იდან იყო თსუ-ის ეკონ. გეოგრ. კათედრის თანამშრომელი. 1960 მუშაობა დაიწყო თბილ. ა. პუშკინის სახ. სახელმწ. პედაგოგიურ ინ-ტში; 1964-იდან გარდაცვალე-

ბამდე იყო ამავე ინ-ტის გეოგრ. კათედრის გამგე, 1966–69 – ქსე-ის დედამიწის შემსწავლელ მეცნ. რედაქციის უფრ. სამეცნ. რედაქტორი. საქართველოს გეოგრ. საზ-ბის სამეცნ. საბჭოსა და პრეზიდიუმის წევრი. წლების განმავლობაში რედაქტორობდა ჟურნ. ,,სკოლა და ცხოვრების'' მეთოდიკურ დამატებას – ,,ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში''. ზ-ის ძირითადი შრომები შეეხება საქართველოს ეკონ. დარაიონების პრობლემებს, გეოგრ. კვლევის ისტ. საკითხებს, საინტერესო ცნობები შეაგროვა ქართვ. მოგზაურის რ. *დანიბეგაშვილის* მოგზაურობის შესახებ. შრომებში მოცემულია საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საქართვ. დასახლებული პუნქტების, მ. შ. თბილ. და მისი მიდამოების სახელწოდებათა ახსნა.

თხზ.: გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება, თბ., 1965 (თანაავტ.); გამოჩენილი ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები, თბ., 1966; ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში, თბ., 1971; თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმიკა, თბ., 1977; Экономическая география Грузинской ССР, Тб., 1983.

ე. ლოლუა.

ზარდალიშვილი იუზა ფრანცის ძე (20. XI. 1883, ქუთაისი, – 13. V. 1943, თბილისი), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1940). ვ. გუნიას მიწვევით ქუთაისის დრამ. თეატრის სცენაზე 1899–1900 სეზონში პირველად ითამაშა გაიოზ ფაღავას როლი ვ. გუნიას პიესაში ,,და-ძმა''. 1904–07 იყო მეზღვაური. 1907 ჩაირიცხა ქუთაისის ლ. მესხიშვილის დრამ. დასში. 1910-იდან გამოდიოდა თბილ. თეატრებში. 1909-იდან მიიწვიეს თბილ. ქართ. დრამ. თეატრში. 1912 ქართ. დრამ. საზ-ბამ ზ. მიავლინა მოსკ. სამხატვრო თეატრში გამოცდილების მისაღებად და რუს. თეატრ. ცხოვრების გასაცნობად. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ბაქოს (1915), ქუთაისისა (1923–26) და ფოთის (1926–28) თეატრების ხელმძღვანელად. 1921 წ. 26 თებერვალს ზ. დაინიშნა თბილ. ოპერისა და დრამ. თეატრების კომისრად. 1928 იგი თავის თეატრში მიიწვია კ. მარჯანიშვილმა. 1927 მისი თაოსნობით ქუთაისის კულტურის სახლთან დაარსდა მოძრავი თეატრი. ზ-ის ამპლუა იყო ტრაგიკული და დრამ. ხასიათის როლები, 1938–43 ზ. ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრის წამყვანი მსახიობი იყო. მის მიერ შექმნილი როლებიდან აღსანიშნავია: ფრანც მოორი (ფ. შილერის ,,ყაჩაღები''), კრეჩინსკი (ა. სუხოვო-კობილინის ,,კრეჩინსკის ქორწინება''), მუროვი (ა. ოსტროვსკის ,,უდანაშაულო დამნაშავენი''), ლევან ხიმშიაშვილი (დ. ერისთავის ,,სამშობლო''), ერეკლე და სოლეიმანი (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი''), ჩაცკი (ა. გრიბოედოვის ,,ვაი ჭკუისაგან''), ჰამლეტი, ედგარი და იაგო (უ. შექსპირის ,,ჰამლეტი'', ,,მეფე ლირი'' და ,,ოტელო''), ურიელი (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა''), არმანი (ა. დიუმას ,,მარგარიტა გოტიე''), რასკოლნიკოვი (თ. დოსტოევსკის ,,დანაშაული და სასჯელი''), საბა (ნ. შიუკაშვილის ,,სიმახინჯე''), შაჰ-აბაზი (ს. შანშიაშვილის ,,დიდი მოურავი'') და სხვ.

ლიტ.: ჩ ხ ე ი ძ ე დ., იუზა ზარდალიშვილი, თბ., 1960.

ზარდალიშვილი ოთარ იუზას ძე (8. IX. 1928, თბილისი, – 7. VIII. 2014, იქვე), აგროქიმიკოსი. საქართვ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (1992). სოფლის მეურნეობის მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1980), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1984). 1952 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი. 1952–77 მუშაობდა საქართვ. ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში აგროქიმიის განყ-ბის გამგედ, შემდეგ დირექტორის მოადგილედ სამეცნ. ნაწილში. 1977–81 იყო აგროქიმიის მომსახურების საკავშ. ინ-ტის თბილ. ფილიალის დირექტორი, 1982–92 – საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის აგროქიმიის კათედრის გამგე.

ზ-მა გამოიკვლია აზოტის მიმოქცევა საქართვ. მიწათმოქმედებაში, დასახა მისი რეგულირების გზები. შეისწავლა საქართვ. ნიადაგებში მიკროელემენტების შემცველობის კანონზომიერებანი, დაადგინა მიკროსასუქების გამოყენების პირობები. ავტორია 10 მონოგრაფიული და მრავალი სამეცნ. ნაშრომისა, მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998). ზ. ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას. 1984-იდან იყო საქართვ. სახელმწ. აგრარული უნ-ტის აგრონომიის ფაკ-ტის აგროეკოლოგიის დეპარტამენტის აგროქიმიის განყ-ბის სრული პროფესორი.


თხზ.: აზოტის ბალანსი საქართველოს მიწათმოქმედებაში, თბ., 1977; მიწათმოქმედების ძირითადი კანონები და სასუქების გამოყენება, თბ., 1979; მიკროსასუქების გამოყენება საქართველოს მიწათმოქმედებაში, თბ., 1982 (თანაავტ. ი. ქართველიშვილი).

ზარდალიშვილი შოთა ივანეს ძე (15. VIII. 1922, თბილისი, – 26. IV. 1996, იქვე), საბჭოთა გენერალ-მაიორი (1977). დაამთავრა კიევის საარტ. სასწავლებელი (1942), თბილ. ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტი (ახლანდ. ილიას უნ-ტი) დაუსწრებლად (1957), 1940-იდან წითელი არმიის რიგებში მსახურობდა. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს იბრძოდა სტეპის და უკრაინის II ფრონტებზე; მონაწილეობდა უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებაში, იყო ასეულის, ბატალიონის მეთაური. 1950-იდან მუშაობდა სახელმწ. უშიშროების კომიტეტში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, 1976–85 იყო საქ. სსრ სახელმწ. უშიშროების კომიტეტის თავ-რის მოადგილე. 1985 თადარიგში გავიდა. 1967 მიენიჭა სახელმწ. უშიშროების საპატიო თანამშრომლის წოდება. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1994), საბჭ. ორდენებით და მედლებით. *ლ. დოლიძე.*



ი. ზარდალიშვილი.

ზარდახანა (სპარს. ზარრადხანე), არსენალი, სამხედრო საჭურვლის საწყობი ძვ. საქართველოში. ზ-ში ინახავდნენ სამხ. აღჭურვილობას, ცხენის აღკაზმულობას და სხვ. ზ. სამხ. უწყების დაწესებულება იყო და უშუალოდ *ამილახორს* ემორჩილებოდა. მას განაგებდა ზ-ის უხუცესი. ზ-ის მოხელეები იყვნენ მოლარე და მწიგნობარი, აგრეთვე მისრატულთუხუცესი და მისრატულები (უზანგის დამჭერები), რებიც მეფეს ემსახურებოდნენ ცხენით მოგზაურობის დროს). ზ-ს წელიწადში ერთხელ აღწერდნენ და ამოწმებდნენ ამილახორი, *მეაბჯრეთუხუცესი*, ზ-ის უხუცესი და მწიგნობარი (მწიგნობართუხუცესჭყონდიდელის მოხელე).



ო. ზარდალიშვილი.

ლიტ.: ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის გამოც., თბ., 1970; ჯ ავ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 1, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ.6).

ი. სურგულაძე.

ზარდიანთკარი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის მერეთის თემში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. ჭარებულის (აბურის მარჯვ. შენაკადი; ლიახვის აუზი) მარცხ. ნაპირას. ზ. ღ. 960 *მ,* გორიდან 28 *კმ.* 117 მცხ. (2002).

სოფელში გამოვლენილია გვიანდ. ბრინჯაო – ადრინდ. რკინის ხანის გორანამოსახლარი. გორა (50 *მ* × 20 *მ*) დაყოფილია სამ ტერასად. ნაპოვნია თიხის ჭურჭლის ნატეხები. *ჯ. გვასალია.*

ზარდლაში, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის მულახის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), გვალდის ქედის (სვანეთის კავკასიონის განშტოება) სამხრ. კალთაზე, მდ. მულხრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1700 *მ,* მესტიიდან 12 *კმ.* 7 მცხ. (2002).

ზარელუა ვლადიმერ ექვთიმეს ძე (1. IX. 1903, ფოთი, – 19. VII. 1979, თბილისი), საბჭოთა გენერალ-მაიორი (1944). დაამთავრა ფოთის ჰუმანიტარული ტექნიკუმი (1924). 1925–27 მუშაობდა კოლხეთის ჭაობის ამოშრობაზე. 1927–29 ფოთში იყო სხვადასხვა კომკავშირულ, პროფკავშირულ და პარტ. სამუშაოზე. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს იყო მოქმედ არმიაში 46-ე, მე-18, მე-3 გვარდიების განსაკუთრებული განყ-ბის უფროსი (1942–45). ასრულებდა სპეც. დავალებებს. იბრძოდა ამიერკავკასიის, ჩრდ. კავკასიის, უკრაინის I და IV, იმიერბაიკალეთის ფრონტებზე. 1945–48 მსახურობდა საბჭ. ჯარში პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ავსტრიაში, გერმანიასა და მანჯურიაში. 1954–72 მუშაობდა სხვადასხვა სამეურნეო თანამდებობაზე. 1973–79 იყო საქართვ. წყალზე მაშველი საზ-ბის პრეზიდიუმის თავ-რე. სახელმწ. უშიშროების საპატიო თანამშრომელი, შსს დამსახურებული მუშაკი. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. *ლ. დოლიძე.*



ი. ზარეცკი.

ზარეცკი იური ალექსანდრეს ძე (22. XII. 1928, ზაპოროჟიე, – 8. V. 1985, თბილისი), მოცეკვავე და ბალეტმაისტერი, საქართვ. სახ. არტისტი (1964). 1951 დაამთავრა თბილ. ქორეოგრ. სასწავლებელი. 1948–55 ამიერკავკასიის სამხ. ოლქის ანსამბლის ბალეტმაისტერი იყო, 1955–67 – თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. სახელმწ. ოპერისა და ბალეტის თეატრისა და ბაქოს მ. ფ. ახუნდოვის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. ცეკვებს დგამდა თბილ. ოპერისა და ბალეტის, ვ. აბაშიძის სახ. სახელმწ. მუს. კომედიისა და დრამის, აგრეთვე საქართვ. სხვადასხვა დრამ. თეატრში, ასევე ლენინგრადის, კიევის, კიშინიოვის, ეკატერინბურგის, ოდესის, ბაქოს თეატრებში. რუსთაველის თეატრში ქორეოგრაფიულად გააფორმა მრავალი სპექტაკლი, რ-თაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია უ. შექსპირის ,,ზაფხულის ღამის სიზმარი'' (1964), ,,მეფე ლირი'' (1966) და ,,იულიუს კეისარი'' (1973, სამივეს რეჟისორი მ. თუმანიშვილი); ა. ცაგარლის ,,ხანუმა'' (1968), ბ. ბრეხტის ,,კავკასიური ცარცის წრე'' (1977, ორივეს დამდგმელი რეჟისორი რ. სტურუა) და სხვ. 1972-იდან თბილ. რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის მთ. ბალეტმაისტერი იყო. ზ. მოღვაწეობდა კინოშიც. დადგა ცეკვები კინოფილმებში – ,,ვერისუბნის მელოდიები'' (1973, რეჟ. გ. შენგელაია) და ,,აურზაური სალხინეთში'' (1975, რეჟ. ლ. ღოღობერიძე). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. ქორეოგრ. სასწავლებელსა და საქართვ. თეატრისა და კინოს ინ-ტში (სცენური მოძრაობის კათედრის გამგე 1964–73). ზ. კოლექციონერი იყო. მისი მდიდარი კოლექცია (ვერცხლისა და თითბრის ანტიკვარული ნივთები, უნიკალური საოჯახო ავეჯი და სხვ.) მისივე ანდერძით გადაეცა თბილ. ი. გრიშაშვილის სახ. ეთნოგრ. მუზეუმ ,,ქარვასლას''.

ე. გუგუშვილი. ა. ჩხეიძე.

ზარზმა, სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტის მლაშის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალციხის ქვაბულში, მდ. ქვაბლიანის (ფოცხოვისწყლის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1300 *მ,* ადიგენიდან 8 *კმ.* 394 მცხ. (2002).

ზ. მდებარეობდა ისტ. სამცხის ქვაბლიანის თემში. პირველად იხსენიება ბასილი ზარზმელის თხზულება ,,სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში'', რ-ის მიხედვითაც მინიშნებამ და სასწაულებმა აიძულეს ბერები მონასტრის ასაშენებლად შეერჩიათ ერთი უდაბური, ტყიანი ადგილი. აქ აურჩევიათ შესაფერისი ბორცვი ეკლესიისათვის და მის აღმ-ით – მშვენიერი წყარო. ,,ცხოვრების'' ავტორის სიტყვით, მომხდარი სასწაულების შემსწრე ხალხს შიშის ზარი დაუფლებია, რის გამოც ამ ადგილისთვის ზარზმა დაურქმევიათ. მონასტრის დაარსების შემდეგ (იხ. *ზარზმის მონასტერი*) თანდათან მოშენებულა სოფელიც, რ-ის სიახლოვეს აუგიათ ციხე-კოშკი. სოფელში ახლაც მოჩქეფს ზარზმელის ,,ცხოვრებაში'' მოხსენიებული წყარო, რ-საც შუა საუკუნეებში ამოუშენეს კედლები, გადახურეს და შეამკეს რელიეფური გამოსახულებებით. მზეჭაბუკ ათაბაგმა 1500–15 ზარზმის მონასტერი, მისი კუთვნილი სოფლებითა და აგარაკებით, აწყურის ტაძარს შესწირა. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით, 1595 ზ. შედიოდა ახალციხის ლივის უდის ნაჰიეში. მაშინ იქ სოფელი უკვე აღარ უნდა ყოფილიყო, თუმცა ეკლესიის მსახური ათი კომლია აღწერილი (მათი გვარებია: აზარ მოსიასძე, მღვდელი საბია გუბელისძე, ივანე კაპანასძე, ტეტია მახარებლისძე, მღვდელი სიმონ ფირალასძე, სიმონ პაპასძე, ისაკა გიორგისძე და სხვ.). მათ მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, ცერცვი, ფეტვი, მუხუდო, სელის თესლი (ზეთისთვის) და ბოსტნეული; ჰყოლიათ ცხვარი, ღორი, ფუტკარი და იხდიდნენ გადასახადს 8000 *ახჩის* ოდენობით. 1829 ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების თანახმად, ზ. სამცხესთან ერთად რუს. იმპერიაში შევიდა.

1944 ამ სოფლის მაჰმადიანი ქართველები შუა აზიაში გადაასახლეს. ახლა ზ-ში რაჭველები და აჭარლები ცხოვრობენ.

წყარო და ლიტ.: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, თ. ჟორდანიას გამოც., წგ. 2, ტფ., 1897; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 6, თბ., 1977; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის გამოც., წგ.1, თბ., 1963; ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2–3, თბ., 1941–58.

დ. ბერძენიშვილი.

ზარზმის მონასტერი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ძველი ქართული საეკლესიო და მწიგნობრულ-საგანმანათლებლო კერა სამცხეში. მდებარეობს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფ. ზარზმაში. შემონახულია რამდენიმე ძვ. ნაგებობა: გუმბათოვანი ტაძარი, სამრეკლო, ერთნავიანი სამლოცველოები (ზოგი დანგრეულია). სხვა სამონასტრო შენობები არ შემონახულა. მონასტერი დაუარსებია ადრინდ. ფეოდ. ხანის სას. მოღვაწეს *სერაპიონ ზარზმელს* IX ს-ში (მისი ცხოვრების დროის შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობს – VIII ს., IX ს.). სერაპიონისა და მისი მომდევნო წინამძღვრების სამშ. მოღვაწეობის ამბავი კარგადაა ცნობილი *ბასილი ზარზმელის* (X ს.) ჰაგიოგრაფიული თხზულების ,,სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების'' წყალობით. სერაპიონისათვის დიდი დახმარება გაუწევია ადგილ.

მთავარს გიორგი ჩორჩანელს; მას ახ. მონასტრისთვის სოფლები და მამულები შეუწირავს. სერაპიონის დროინდელი ეკლესია, რ-საც ჩვენამდე არ მოუღწევია, ხუროთმოძღვარ გარბანელს აუშენებია. იგი, როგორც ჩანს, მარტივი ნაგებობა ყოფილა, ამიტომ მალევე მეორე ეკლესიაც აუშენებიათ, მაგრამ ზარზმის ამ უძველეს ნაგებობებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

ამჟამად ზარზმაში ყველაზე ძვ. ისტ. ძეგლია სამრეკლოს გვერდით მდებარე სამლოცველოს შესასვლელის თაღში ჩასმული, ადრინდ. შენობიდან გადმოტანილი, X ს. ბოლო ათეული წლების წარწერა, რ-შიც მოთხრობილია დავით III კურაპალატის გალაშქრების ამბავი ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ. ზარზმის ახლანდ. ტაძარი (რ-მაც, სავარაუდოდ, ადრინდ. ნაგებობათა ადგილი დაიჭირა) და სამრეკლო აგებულია XIV ს. პირველ წლებში სამცხის მთავრის ბექა მანდატურთუხუცესის დროს. ტაძარი ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რ-შიც მკაფიოდ ჩანს მაშინდელი ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ახ. თავისებურება (ცვლილებები შენობის პროპორციებსა და ფასადთა მორთულობის სისტემაში). იგი ნაგებია თლილი ქვით, სახურავიც მთლიანად ქვისაა. ტაძარს სამხრეთის მთელი ფასადის გაყოლებით ამშვენებს ეკლესიის შესასვლელის წინ სამი თაღით გახსნილი კარიბჭე, რ-ის მსგავსი ზარზმის თანამედროვე არც ერთ სხვა დიდ ეკლესიას არა აქვს. განსხვავებულია ჩუქურთმის სახეები და მორთულობის ცალკეული ნაწილებიც. აღმ. ფასადზე ცენტრ. ადგილი უჭირავს მთავარი სარკმლის თავზე მოთავსებულ უზარმაზარ მოჩუქურთმებულ ჯვარს, რ-ის მკლავებიც ფასადის თითქმის მთელ სიგანეს სწვდება. გუმბათის ყელზე, ისევე როგორც საფარის წმ. საბას ტაძარში, თითო სარკმლის გამოტოვებით ცრუ სარკმელია დატანებული. ასეთი რამ, გარდა საფარისა და ზარზმის ტაძრებისა, არც ერთი ეპოქის სხვა ძეგლებში არ გვხვდება. ზარზმის კედლებზე ჩუქურთმის მრავალგვარი სახეა ამოკვეთილი, შთაბეჭდილებას აძლიერებს კედლის წყობაში სხვადასხვა ფერის ქვების გამოყენება.

ტაძარში დაცულია კედლის მხატვრობა, რ-შიც ტრად. სიუჟეტებთან ერთად შემონახულია სამცხის მფლობელ ჯაყელთა (სარგისის, ბექა მანდატურთუხუცესის, სარგის II-ისა და ყვარყვარეს), აგრეთვე XVI ს. ისტ. პირთა (იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის, სერაპიონ ხურციძისა და სხვ.) პორტრეტები.



ზარზმის მონასტერი. XIV ს. დასაწყისი.

ზ. მ-ის სამრეკლო ერთ-ერთი უდიდესი და უძველესია საქართველოში და ამ ტიპის ნაგებობათა საუკეთესო ნიმუშად ითვლება. სამრეკლოს უმთავრესი სამკაულია I სართულის ვარსკვლავისებრი კამარა, რ-იც საზეიმო იერს ანიჭებდა ამ სადგომს. საკუთრივ სამრეკლო II სართულზე იყო, იგი წარმოადგენდა თაღებით გახსნილ ფანჩატურს, რ-ის სფერული გუმბათის ქვის წყობას პროფესიონალი ოსტატის ხელი ეტყობა. XVIII–XIX სს. მიტოვებული, მაჰმადიანი მოსახლეობით გარშემორტყმული ტაძარი თანდათან ზიანდებოდა. ზარზმის მთელი ქონება – ხატები, ჯვრები, სხვა საეკლ. ნივთები, უპირველეს ყოვლისა კი უმთავრესი საწმინდე – *ზარზმის ფერისცვალების ხატი* გურიაში გახიზნეს და დაასვენეს სოფ. შემოქმედში საგანგებოდ აშენებულ ახ. ეკლესიაში, რ-საც აგრეთვე ზარზმა ეწოდა (ამჟამად ზარზმის მთელი გადარჩენილი განძი თბილისში, საქართვ. ეროვნ. მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმშია დაცული). XX ს. დასაწყისში ჩატარდა ზარზმის ეკლესიის, სამრეკლოსა და მხატვრობის რესტავრაცია, რის შედეგად მხატვრობის კოლორიტი და ნაწილობრივ სტილისტური თავისებურებაც შეილახა.

ზარზმის სავანეში, ბასილი ზარზმელის გარდა, მოღვაწეობდნენ სხვა მწიგნობრებიც: გერმანე ზარზმელი, ბენედიქტე ზარზმელი და სხვ.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1970; მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, ნაკვ. 2, თბ., 1962.

ვ. ბერიძე. ლ. მენაბდე.

ზარზმის ფერისცვალების ხატი, ქართული ჭედური ხელოვნების ადრინდელი გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიმუში (131 *სმ* × 74 *სმ*).



ზარზმის ფერისცვალების ხატი.

ამჟამად დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში. თავდაპირველად ზარზმის მონასტრის საგანძურს წარმოადგენდა, მონასტრის დახურვის შემდგომ ზარზმის მთელ განძეულობასთან ერთად ინახებოდა გურიის შემოქმედის მონასტერში. მოგვიანებით აქ საგანგებოდ აშენდა ახ. ეკლესია, რ-საც აგრეთვე ზარზმა ეწოდა. ხატი დაზიანებულია (განსაკუთრებით ქვედა ნაწილი), ეტყობა ადრინდ. რესტავრაციის კვალი. კომპოზიციის ცენტრში, ოვალურ ,,დიდებაში'' გამოსახულია ქრისტეს მთლიანი ფიგურა, მაკურთხებელი მარჯვენითა და გრაგნილით ხელში, ტრად. თანახმად, მის ორივე მხარეს ვედრების პოზაში დგანან წინასწარმეტყველები (მარცხნივ – ილია, მარჯვნივ – მოსე), ქვემოთ მიწაზე გართხმული ორი მოციქულის ფიგურაა. მესამე მოციქული ქრისტესგან მარცხნივ, წინასწარმეტყველ ილიას მუხლებთანაა წარმოდგენილი. სახეები შესრულებული ყოფილა ფერწერით. ხატს ახლავს ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა (ნაწილობრივ დაზიანებულია), რ-იც შინაარსით სხვადასხვა დროს მიეკუთვნება. პირველ, ორსტრიქონიან წარწერას ახლავს ქორონიკონი, რ-ის მიხედვითაც ხატის მოჭედილობა 886 წლით თარიღდება. მეორე ორი სტრიქონი იხსენიებს მის შემკეთებელს, ზვიად ერისთავს (XI ს.). ამ დროს ხატს დაემატა ორნამენტული ჩარჩო (ამჟამად მოხსნილია). ხატის მოჭედილობაში ჩანს ეპოქისათვის დამახასიათებელი სტილური თავისებურებანი: სიუჟეტური კომპოზიციის გადმოცემა პირობითი გრაფ. საშუალებებით, შინაარსობრივი მხარის გამოყოფა და მთელი კომპოზიციის დეკორ.-მონუმენტური აგება.

ლიტ.: ჩუბინაშვილი გ., ქართული ოქრომჭედლობა. VIII–XVIII სს., თბ., 1957; მისივე, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959; მისივე, Из истории средневекового искусства Грузии, Избр. труды, М., 1990. *რ. ყენია.*

ზარზმის ღვთისმშობლის ხატი, ე. წ. ლაკლაკიძეების ხატი, XI ს. ქართული ჭედური ხელოვნების ძეგლი, მოოქრული ვერცხლის ხატი (80 *სმ* × 64 *სმ*). შესრულებულია ლაკლაკიძეთა ოჯახის დაკვეთით ზარზმის მონასტრისათვის. ცენტრში გრავირებული ორნამენტის ფონზე გამოსახულია ღვთისმშობელი და



ზარზმის ღვთისმშობლის ხატი. XI ს.

ყრმა იესო, რ-თა სახეები ფერწერულია. ფართო ჩარჩოზე (13*სმ*) მაღალი რელიეფითა და დიდი პროფ. ოსტატობით შესრულებულია ქრისტესა და ღვთისმშობლის ცხოვრების ამსახველი მრავალფიგურიანი კომპოზიციები. XVI ს-მდე ზ. ღ. ხ. ინახებოდა ზარზმის მონასტერში, შემდეგ – სოფ. შემოქმედში, 1924-იდან – ძვ. ქართ. ხელოვნების მუზეუმში, 1934-იდან – საქართვ. ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმში (ამჟამად შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმი).

ლიტ.: Чубинашвили Г. Н., Грузинское чеканное искусство, Тб., 1959.

ზარზმის წარწერა ივანე სულასძისა (დაახლ. 979), ზარზმის მონასტრის (ისტ. სამცხე, ახლანდ. ადიგენის მუნიციპალიტეტი) სამრეკლოს შესასვლელის თავზე ჩასმული, ქვის ფილაზე ამოკვეთილი ქართ. ასომთავრული წარწერა. დიდი ზომის (211 *სმ* × 100 *სმ*) ქვის ფილის ცენტრში გამოყვანილი იყო ,,აყვავებული ჯვრის'' რელიეფური გამოსახულება. წარწერა ამოკვეთილი იყო ჯვრის ორივე მხარეს ათ-ათ სტრიქონად. მოგვიანებით ფილა ხელმეორედ გამოუყენებიათ საშენ მასალად და მისი მარჯვენა მხარე ჩამოუჭრიათ. ამ ნაწილის ფრაგმენტი, წარწერის ნაწყვეტით, თავდაღმაა ჩასმული მონასტრის მთავარი ტაძრის (XIV ს.) სამხრ. კედელში. სამრეკლოს შესასვლელის თავზე ჩასმულ ფილაზე სრულადაა შერჩენილი წარწერის მარცხენა ნაწილი (10 სტრიქონი) და მარჯვენა ნაწილის სტრიქონთა დასაწყისი 4–7 ასოს ზომაზე. ადგილზე დარჩენილი და დიდი ტაძრის სამხრ. კედელში ჩასმული ფრაგმენტები ტექსტის გადაშლისა და ნაკლულობის გამო ერთმანეთს არ ებმის. ამიტომ ტექსტის აღდგენა წარწერის მარჯვენა ნაწილში ვერ ხერხდება. ფაქტობრივად, ჩვენამდე მოაღწია წარწერის მხოლოდ მარცხენა ნაწილმა, რ-იც ასე იკითხება:

,,† სახელითა ღმრთისაჲთა და წმიდისა ღმრთისმშობელისა მეოხებითა მე, ივანე, ძემან სულაჲსმან, აღვაშენე წმიდაჲ ეგუტერი მას ჟამსა, ოდეს საბერძნეთს გადგა სკლიაროსი. დავით კურაპალატი ადიდენ ღმერთმან, უშუ-



ზარზმის წარწერა. დაახლოებით 979.

ელა წმიდათა მეფეთა და ჩუენ ყოველნი ლაშქარს წარგუავლინნა. სკლიაროსი გავაქციეთ. მას ქუეყანასა, რომელსა ჰრქუიან ხარსანი, ადგილსა, რომელსა ჰრქუიან

სარვენისნი, მუნ ესვენა ტახტი...‘‘.

ამგვარად, წარწერა ეკუთვნის ბიზანტ. საიმპერატორო კარის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა სკლიაროსთან *დავით I* კურაპალატის მიერ 975 წ. საომრად გაგზავნილი ლაშქრის მონაწილეს – ივანე სულას ძეს. საისტორიო წყაროების მონაცემებით (,,სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება‘‘, ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი) იგი *ჩორჩანელთა* ადგილობრივი საგვარეულოს წარმომადგენელია. ე. *თაყაიშვილი* თვლიდა, რომ ზ. ზ-ში ნახსენები ივანე სულას ძე და ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ გაგზავნილი მხედრობის სარდალი – თორნიკე ერისთავი ერთი და იგივე პირი უნდა ყოფილიყო. მეცნიერის აზრით, თორნიკეს ბერობის სახელი იოანე იგივე ივანეა, სულა კი თორნიკეს მამის – ჩორდვანელის მეორე სახელია. ეს სულა და ათონის ქართველთა მონასტრის იმავე დროის ერთერთ აღაპში დასახელებული სულა (ფარსმანისა და ჩორჩანელის მამა) სხვადასხვა პირია. ორივე სულას სხვადასხვა დროის მოღვაწეებად მიიჩნევენ ნ. *ბერძენიშვილი* და ე. *მეტრეველი*.

წარწერა, მასში წარმოდგენილი ისტ. რეალიებითა და პალეოგრაფიული ნიშნებით, დაახლოებით 979 თარიღდება. იგი დოკუმენტურად ადასტურებს ქართველთა ლაშქრის მონაწილეობას ბიზანტ. სამეფო კარის გადარჩენის საქმეში X ს. 70-იანი წლების ბოლოს.

წყარო: ქართული წარწერების კორპუსი, [ტ.] 1 – აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V–X სს.), ნ. შოშიაშვილის გამოც., თბ., 1980; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, თ. ჟორდანიას გამოც., წგ. 1, ტფ., 1892.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., სამცხის ხუროთმოძღვრება. XIII–XVI სს., თბ., 1955; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ე., ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ., 1998.

ვ. სილოგავა.

ზარი, ქართული ხალხური სამგლოვიარო რიტუალის ნაწილი, მოთქმის ერთ-ერთი სახეობა, გუნდური სამგლოვიარო საგალობელი. ზ-ით გლოვა დასტურდება ძვ. ქართ. მხატვრულ და საისტორიო ძეგლებში. განსხვავებული სახით შემორჩენილია საქართვ. სხვადასხვა კუთხეში. აღმ. საქართველოში ზ. ორხმიანია, დას. საქართველოში კი – სამხმიანი, განსაკუთრებით აღსანიშნავია სვანური, მეგრული და გურული ზ. სვანურ ზ-ს განსაკუთრებულ შემთხვევაში ასრულებენ სპეც. მომღერლები (პროფ. შემსრულებლები – მოზარენი) ღრმად მოხუცებული ან პატივსაცემი სვანის გარდაცვალების გამო. ზ. სრულდება რამდენჯერმე – მიცვალებულის გამოსვენებამდე, გამოსვენების დროს, სასაფლაოზე შესვლისას და დასაფლავებისას. იგი სამხმიანია, სრულდება ორპირულად (ორი გუნდის მონაცვლეობით), პოეტური ტექსტის გარეშე. აღსანიშნავია, რომ სვანეთში თითქმის ყველა სოფელს თავისი ზ. გააჩნია. ასე მაგალითად, ცნობილია მულახის, ლატალის, მესტიის, ლენჯერის, ლენტეხის, აგრეთვე ბალსზემოური და სხვა სახის ზ. სამეგრელოშიც ზ. უსიტყვოდ სრულდება, ორი გუნდის მონაცვლეობით, გაგრძელებული ,,ვაი-ვაის‘‘ დართვით. ზ-ის დაწყებისთანავე მოტირალნი იწყებენ ორივე ხელით შუბლში ცემას და ისე მიემართებიან მიცვალებულის სახლისაკენ. შორეული სოფლებიდან მოსულ ნათესავებს მოზარეთა საკუთარი გუნდი მოჰყავდათ, თან მოჰქონდათ დიდი კელაპტარი ან სიცოცხლის ხის სიმბოლო. განსაკუთრებით რთული, პოლიფონიზებული მუს. ენით გამოირჩევა გურული ზ. რაჭაში ზ-ს ქალები ასრულებენ და ზრუნს უწოდებენ.

ლიტ.: ა ხ ო ბ ა ძ ე ვ., ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული, თბ., 1957; მ ა ჩ ა ბ ე ლ ი დ., ქართველთა ზნეობა, I. გალობა «ცისკარი», 1864, №5; ს ა ხ ო კ ი ა თ., ეთნოგრაფიული ჩანაწერები, თბ., 1956.

ზარი, ლითონის, ჩვეულებრივ, ბრინჯაოს ან თითბრის სასიგნალო საკრავი; მსხლისებრი ან წაკვეთილი კონუსის ფორმის ღრუ ხელსაწყო, შიგნით შეკიდული მოძრავი ენით, რ-ის ცემა ზ-ის კედლებზე გამოსცემს ხმას; ,,რვალის დიდი სარეკელი‘‘ (ს.-ს. ორბელიანი). ზ-ის რეკვით მოიხმობდნენ მოსახლეობას თავყრილობაზე, საომრად, სალოცავად. შუა საუკუნეებში ზ. ქრისტ. საეკლ. რიტუალის განუყოფელ ნაწილად იქცა. ზ-ების დასაკიდებლად ეკლესიებზე ან ეკლესიებთან საგანგებო სამრეკლოებს აშენებდნენ. ზ. მუს. ინსტრუმენტიც არის: სხვადასხვა ზომის ზ. სხვადასხვა ტონის ბგერას გამოსცემს. რაც უფრო დიდი ზომისაა ზ., მით უფრო დაბალია მისი ჟღერადობა.

სხვადასხვა დანიშნულების მცირე ზომის ზ-ები (ზარაკები, ზანზალაკები, ეჟვნები) ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული თითქმის მთელ მსოფლიოში იყო გავრცელებული. დას. ევროპაში დიდი ზომის საეკლ. ზ-ების ჩამოსხმა დაიწყეს VII ს-იდან. საეკლ. ზ-ები ბიზანტიაში პირველად IX ს-ში ვენეციიდან ჩამოიტანეს. იგი ფართოდ გავრცელდა XIII ს-იდან.

საქართველოსა და კავკასიაში აღმოჩენილი უძველესი ზარაკები ძვ. წ. VII ს-ით თარიღდება. მათ, უპირატესად, სარიტუალო დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ძვ. წ. VI–IV სს. ყაზბეგის, ახალგორის, ყანჩაეთის შტანდარტებზე სხვადასხვა ზომის ცილინდრული გვერდჩაჭრილი ზარაკებია შეკიდული. ასეთივე ზარაკებს ჰკიდებდნენ ცხენებს (მკერდზე), საქონელს (საირხე, ძვ. წ. V ს.). ეს დანიშნულება მას გვიანობამდე შემორჩა.

ქართ. ეკლესია XII ს-მდე მლოცველებს ძელის კვრით მოუხმობდა. ასეთი ძელები საქართვ. ზოგიერთ კუთხეში XVII ს-მდე შემორჩენილა. ჟ. შარდენის ცნობით, სამეგრელოში წმ. ძელი დაახლ. ერთი მტკაველი სიგანისა და ხუთი მტკაველი სიგრძის თხელი ფიცარი იყო და იმ ეკლესიაშიც კი, სადაც ზარიც ეკიდა, პირველად მაინც ძელს შემოჰკრავდნენ ხოლმე.

საეკლ. ზ-ები საქართველოში ფართოდ გავრცელდა XIII ს-იდან. ამავე ხანით თარიღდება უძველესი ქართ. სამრეკლოები (გუდარეხი, ვარძია). თანდათან ვითარდება ზ-ების ჩამოსხმის ხელობა. XVIII ს-იდან საქართველოში დაიწყეს რუს. ზარების შემოტანა, XIX ს-ში კი ზ-ების ადგილობრივი წარმოება შეწყდა.

ძვ. ქართული ზ-ების დიდი ნაწილი ემსხვერპლა საქართველოს ავბედობას (ცნობილია, რომ შაჰ-თამაზის მოლაშქრეებს ვარძიის სამრეკლოდან ჩამოუხსნიათ ზარი, რ-ის მასა 70 ლიტრას აღწევდა), უამრავი ზარი განადგურდა XX ს. 20-იან წლებში ანტირელიგიური კამპანიის დროს. დღემდე შემორჩენილია სულ ორი ათეული ქართ. ზ., რ-თაგანაც უძველესი XV ს-ით თარიღდება. ზოგიერთ ზ-ზე შემწირველის ასომთავრული ან მხედრული წარწერაა ამოკვეთილი. ერთ-ერთმა წარწერამ შემოგვინახა XVI ს. ქართვ. ხელოსნის (ჩამომსხმელის) სახელი – ძედან თითაძე. თბილისში, ელიას მთაზე აგებული წმინდა სამების საკათედრო ტაძრის სამ-



ზარი. სვეტიცხოვლის ზარი.



ზარი. თბილისის სიონის ზარი. 1931.



ზარი. წმინდა სამების ეკლესიის ზარი.

რეკლოზე დაკიდებულია 9 ზარი, რ-თა შორის ყველაზე დიდის – დედო-ზარის მასაა 8200 *კგ*. ისინი კომპოზიტორ ნ. *მამისაშვილის* გათვლებით შეიქმნა და გერმანიაში დამზადდა. ჩამოსხმისას გათვალისწინებულ იქნა გარკვეული სიმბოლიკის მქონე რამდენიმე ქართ. რიტუალი, XII ს. ქართ. მინანქარზე აღბეჭდილი ფორმა და, რაც მთავარია, ქართ. მართლმადიდებლური საგალობლის ტონთა მიზიდულობის პრინციპები და აკუსტიკური ველი.

ლიტ.: ცისკარიშვილი ვ., ქართული ზარები, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1982, №1.

ი. გაგოშიძე. ნ. კალანდაძე.

„ზარი“, პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი სოციალ-დემოკრატიული მიმართულებისა. გამოდიოდა თბილისში 1906–07 კვირაში ორჯერ. 1906 გამოვიდა №1–5; 1907 – №6–8. სულ გამოვიდა 8 ნომერი. რედ.-გამომცემელი – ნ. კურდღელაშვილი. დაიბურა თბილ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით.

„ზარია ვოსტოკა“, ყოველდღიური რუსულენოვანი გაზეთი, საქ. კპ ცკ-ის, უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანო. გამოდიოდა 1922–91. თავდაპირველად იყო კავკ. ბიუროს, ამიერკავკ. ფედერაციის შექმნის შემდეგ კი – საოლქო კომიტეტის ორგანო, ფედერაციის გაუქმების შემდეგ – საქ. კპ. ცკ-ის ორგანო. გაზეთის პირველი რედაქტორები იყვნენ მ. *ორახელაშვილი*, ა. მიასნიკოვი. სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ: მ. ლიფშიცი, ს. სეფი (ს. ფრაერმანი), ვ. გრიგორიანი, ნ. პავჩინსკი, ი. ჩხიკვიშვილი, ვ. ხომერიკი, შ. ყარყარაშვილი, ო. *ქინქლაძე*, ნ. ჩერქეზიშვილი, ა. იოსელიანი, ვ. კეშელავა. 1991-იდან გამოდის გაზ. ,,ვესტნიკ გრუზიის‘‘, შემდეგ – *,,სვობოდნაია გრუზიას*‘ სახელწოდებით.



გ. ზარიძე.

ზარიძე გიორგი მიხეილის ძე [16 (29). V. 1908, თბილისი, – 12. II. 2002, იქვე], გეოლოგი. საქართველოს მეცნ. აკად. წ.-კორ. (1967), გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1945), პროფესორი (1945), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1933 დაამთავრა ამიერკავკ. ინდუსტრიული ინ-ტი და იქვე დაიწყო მუშაობა. 1936 იყო სსრკ მეცნ. აკად. პეტროგრაფიული ინ-ტის მეცნიერი თანამშრომელი. 1937-იდან მუშაობდა ა. ჯანელიძის სახ. გეოლ. ინ-ტში – 1958–86 იყო პეტროლოგიის, 1986–89 – პეტროლოგიის, მინერალოგიისა და იზოტოპური გეოქრონოლოგიის განყ-ბის გამგე, 1989-იდან – დირექციის მრჩეველი. პარალელურად 1937–48 მოღვაწეობდა თსუ-ში (1938–39 იყო გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტის დეკანი). 1948-იდან მუშაობდა აგრეთვე სპი-ში (ახლანდ. სტუ), 1948–60 და 1974–78 იყო მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის გამგე, 1952–56 – ამავე ინ-ტის დირექტორი, 1985-იდან – იქვე დაარსებული კვლევის სპექტრული მეთოდების რესპ. ცენტრის ხელმძღვანელი.

ზ-ის შრომები ძირითადად ეხება მეტამორფული ქანებისა და გრანიტოიდების გენეზისს, ენდოგენური ქანების ფორმაციული კლასიფიკაციისა და კავკ. რეგიონული პეტროლოგიის საკითხებს. თანაავტორი და თანარედაქტორია საქართვ. გეოლ. შესახებ შექმნილი პირველი განმაზოგადებელი ნაშრომისა (,,Геология СССР, т. 10 – Грузинская ССР, ч. 1. Геологическое описание, М., 1964; საქართვ. სახელმწ. პრემია, 1973). ზ. იყო საქართვ. საინჟ. აკად. ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი საპატიო პრეზიდენტი, საქართვ. ტექ. ინტელიგენციის კავშირის პრეზიდენტი, საფრანგეთის, სერბეთის და გერმანიის გეოლ. საზ-ბების წევრი. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1996).

თხზ.: Геологические аспекты современной петрологии и вулканологии, кн. 1–2, Тб., 2001.

ბიბლ.: გიორგი ზარიძე. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ.: ე. დოლიძე, ი. დუდუჩავა, თბ., 1995.

დ. შენგელია.

ზარიძე რევაზ სპირიდონის ძე (დ. 8. V. 1938, თბილისი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1986). 1962 დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი და მუშაობა დაიწყო იქვე, ნახევარგამტარების პრობლემურ ლაბორატორიაში. 1973–90 მუშაობდა აგრეთვე სამხ.პრობლემებთან დაკავშირებულ დაკვეთებზე. 1981–2008 იყო თსუ-ის გამოყენებითი ელექტროდინამიკის ლაბორ. გამგე. 1991-იდან დღემდე ზ. თანამშრომლობს საზღვარგარეთის მრავალ უნ-ტთან, Motorola-ს კვლევით ლაბორატორიასთან (აშშ), ეწევა სამეცნ. და პედ. საქმიანობას. 1996-იდან არის ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის ინ-ტის (IEEE, აშშ) ორგანიზატორი და განყოფილების გამგე. 2009-იდან თსუ-ის ემერიტუს პროფესორია. კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ელექტრომაგნ. მოვლენების თეორ. და ექსპერ. კვლევა, მოდელირება და სიმულაცია, ველის ზემოქმედება ბიოლ. ობიექტებზე.

დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის ორი მედლით (1995, 2009).

ზარიძე ჯიმი შალვას ძე (დ. 2. VIII. 1952, ახალი ათონი), ბრიგადის გენერალი (2005). დაამთავრა თბილ. უმაღლესი საარტ. სამეთაურო სამხ. სასწავლებელი (1973), ლენინგრადის მ. კალინინის სახ. სამხ.-საარტ. აკადემია (1983). 1973–78 მსახურობდა გერმანიის დემოკრ. რესპუბლიკაში საბჭ. ჯარებში. 1991–92 იყო საარტ. პოლკის მეთაური, 1992–93 – საქართვ. თავდაცვის სამინისტროს სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის უფროსის მოადგილე. 1993–97 – გაერთ. სამხ. აკად. უფროსის მოადგილე, 2001–02 – სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე, 2002–03 – გენშტაბის ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, 2003–04 – ეროვნ. სასწ. ცენტრის უფროსი. 2004 იყო საქართვ. შეიარაღებული ძალების არტილერიის სარდალი, 2005–06 – საქართვ. შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსის მოადგილე.

დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენით და მედლით.

ლ. დოლიძე.

ზარიძეები (ყოფ. ჩიტაური), სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ქართლის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ვერხველის (იავრის აუზი) ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: ზ., ბუჭყინტა, ვერხველი, ზემო შარახევი, ზენამხარი, იარაჯულები, ივლიანთგორი, ლახატო, საკრეჭიო, ქვემო შარახევი, ხოფცა, ჯიჯგეთი). ზ. დ. 1170 *მ*, თიანეთიდან 7 *კმ*. 439 მცხ. (2002).

სოფლის შუა ნაწილში დგას XVIII ს. დარბაზული ეკლესია. ეკლესიას დას. კედელზე დაშენებული ჰქონია პატარა სამრეკლო.

ზარიძეების სამაროვანი, VI–VII სს. არქეოლოგიური ძეგლი. აღმოჩენილია 1982 სოფ. ზარიძეების მახლობლად (თიანეთის მუნიციპალიტეტი), მდ. ქუსნოს სათავეებთან. მიკვლეულ ქვის სამარხში აღმოჩნდა: სარდიონის სასანური გემა, მძივები და 2 მონეტა. ელიფსური ფორმის ნარინჯისფერი სარდიონის საბეჭდავი, რ-საც აქვს ზონრის გასაყრელი ნახვრეტი. საბეჭდავის პირზე

გამოსახულია წვერიანი მამაკაცის ბიუსტი პროფილში. მეფე კავადის ვერცხლის დრაქმები მოჭრილია VI ს. დასაწყისში სასანური ირანის ორი სხვადასხვა პროვინციის ზარაფხანებში.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

ლიტ.: წ ო წ ე ლ ი ა მ., სასანური წარმოშობის მასალა სოფ. ზარიძეებიდან, «ძეგლის მეგობარი», 1985, №70.

მ. წოწელია. ბ. ჯორბენაძე.

ზარნა, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ადრინდ. ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრული კომპლექსის ნანგრევები სოფ. (ახლანდ. აზერბაიჯანის ზაქათალის რ-ნი; ისტ. საინგილო). საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას ერტყა გალავანი, რ-ის შთამბეჭდავი ფრაგმენტები აქა-იქაა შემორჩენილი (ჩრდ.-აღმ. ნაწილში ერთ-ერთ მათგანს კონტრფორსებიც ამაგრებს). ორ ადგილას ჩანს სხვადასხვა ფორმის (წრიული და სწორკუთხა) მიწისქვეშა რეზერვუარი. კომპლექსის მთავარ ნაგებობას წარმოადგენს კლდის ქვით, შირიმითა და აგურით ნაგები დარბაზული ეკლესია სამხრ. მინაშენითა და დას-ის გარსშემოსავლელით. შესასვლელი ეკლესიას სამხრიდან ჰქონდა, იგი წარმოადგენდა გეგმით სწორკუთხა აგურის ბურჯზე დამყარებულ ორმალიან თაღნარს. ეკლესიის მთავარი აფსიდა ნახევარწრიული ფორმისაა, გვერდითი კი – მკვეთრად გამოსახული ნალისებრი მოხაზულობისა.

გ. მარჯანიშვილი.

ზარნაძეები, სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ალისუბნის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. ჩხარის (ყვირილის აუზი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 300 *მ,* თერჯოლიდან 9 *კმ.* 673 მცხ. (2002).

ზარნიში, ლითონის ნივთებზე ამოჭრილი, ოქროთი ან ვერცხლით ამოვსებული სხვადასხვა სახის ორნამენტული გამოსახულება; მხატვრული დამუშავების ერთ-ერთი უძველესი სახეობა. იყენებდნენ ეგვიპტელები და ბერძნები. ფართოდ იყო გავრცელებული აღმ. ქვეყნებში, განსაკუთრებით ირანში, საიდანაც ეს სახეობა შემოვიდა საქართველოში. ჩვენში ზ-ს უმთავრესად საბრძოლო იარაღის შესამკობად ხმარობდნენ. ზ-ით ამკობდნენ ბრინჯაოს, რკინისა (IX–X ს-იდან) და ფოლადისგან დამზადებულ საყოფაცხოვრებო ნივთებსა და საბრძოლო იარაღებს. ზ. განსაკუთრებულ განვითარებას აღწევს XII ს. ბიზანტიაში, სირიაში, ირანში, ჩინეთში, იაპონიასა და ამიერკავკასიაში. ლითონის ზედაპირზე საჭრისების საშუალებით იჭრება ღარები, რ-ებიც ივსება ძვირფასი ლითონებით (ოქრო, ვერცხლი). ზ-ით შესაძლებელია უწვრილესი, ნატიფი ორნამენტის, ცხოველების, ფრინველებისა და ადამიანთა გამოსახულებების შესრულება. ზოგჯერ ამ ტექ. ხერხით სრულდება სიუჟეტური სცენებიც და ორნამენტულ-დეკორ. ხასიათის წარწერებიც. ოქროს ზ. თავის უმაღლეს განვითარებას აღწევს XVI–XVII სს. (საბრძოლო აღჭურვილობისა და იარაღების უმდიდრესი კოლექცია ინახება მოსკოვში კრემლის საჭურვლის პალატაში). დღეს ოქროს ზ-ს იყენებენ თანამედროვე გამოყენებითი ხელოვნების უცხოელი ოსტატები. განსაკუთრებით კუბაჩელი (დაღესტანი) მხატვარ-ხელოსნები და ურალელი ოქრომჭედლები.

რ. ყენია.

ზარუდნაია ბარბარე (ვერა) მიხეილის ასული [5 (17). XII. 1857, ეკატერინოსლავი, ახლანდ. დნეპროპეტროვსკი, – 14. III. 1939, მოსკოვი], რუსი მომღერალი (სოპრანო) და პედაგოგი, მ. *იპოლიტოვ-ივანოვის* მეუღლე. მისი დედა ქართველი იყო, გვარად გარსევანოვა (გარსევანიშვილი). 1882 დაამთავრა პეტერბურგის კონსერვატორიის ვოკალური განყ-ბა (ნილსენ-სალომანისა და კ. ევერარდის კლასები), შემდეგ ერთი სეზონის განმავლობაში კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრში მღეროდა წამყვან პარტიებს, ხოლო მ. იპოლიტოვ-ივანოვის თბილისში გადმოსვლის შემდეგ აქ განაგრძო არტისტული და პედ. მოღვაწეობა. 1883–93 ზ. თბილ. საოპერო თეატრის სოლისტი იყო. ასრულებდა წამყვან პარტიებს რუს. და დას. ევროპის ოპერებში: ტატიანა, მარია, ნასტია (პ. ჩაიკოვსკის ,,ევგენი ონეგინი'', ,,მაზეპა'', ,,ჯადოქარი ქალი''), ნატაშა (ა. დარგომიჟსკის ,,ალი''); დიდი წარმატებით გამოდიოდა ჯ. ვერდის ,,აიდაში'', შ. გუნოს ,,ფაუსტში'', ჯ. მეიერბერის ,,აფრიკელ ქალში''. ეწეოდა საკონცერტო მოღვაწეობას. იყო თბილ. სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი, მის მოსწავლეთაგან აღსანიშნავია ქართვ. მომრერალი ქალი ლ. რჩეულიშვილი. *მ. ფიჩხაძე.*

ზარფუში, არყის გამოსახდელი ქვაბის ხუფი (სახურავი, ლაფრანი). იგი გამოკვერილია სპილენძის რამდენიმე ფირფიტისაგან, მოუკალავია. ზ-ს აქვს წინ გაშვერილი მილი, რ-იც თავში განიერია, ბოლოში კი – ვიწრო, რათა იოლად შევიდეს წყლიანი ტაშტის მილში. ზ-ს წაკვეთილი გუმბათის ფორმა აქვს. სპილენძის მრგვალღერა სახელური (ყური) მირჩილულია ზ-ის ტანზე და დამაგრებულია სპილენძის მანჭვლებით. არყის გამოხდისას ზ. მჭიდროდ ეხურება ჭაჭაჩაყრილ ქვაბს. ადუღების შემდეგ მასში დაგროვილი ორთქლი ზ-ის ყელიდან გადადის წყლიანი ტაშტის მილში და გადაიქცევა სითხედ. ცნობილია ასევე თიხის ზ-ები, თუმცა უპირატესობას სპილენძის ზ-ს ანიჭებდნენ.

ლიტ.: კ ა კ ა ბ ა ძ ე ც., შროშული კერამიკა, თბ., 1982; მ ი ს ი ვ ე, სპილენძის ქართული ჭურჭელი, «ეთნოლოგიური ძიებანი», I, თბ., 2000.

ც. კაკაბაძე.

ზარწუშა, სოფელი გალის მუნიციპალიტეტის ოტობაიის თემში (აფხაზეთის არ), სამურზაყანოს დაბლობზე. ზ. დ. 12 *მ,* გალიდან 30 *კმ.* 605 მცხ. (1989).

ზასეთა, სოფელი ონის მუნიციპალიტეტის ჩასავლის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), მდ. ჯეჯორის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1480 *მ,* ონიდან 24 *კმ.* 145 მცხ. (1989).

,,ზასტავა'' (რუს. – საყარაულო, საგუშაგო), სიტყვა ქართულში გაჩნდა XIX ს. დასაწყისში, როდესაც აღმ. საქართველოში დამყარდა რუს. მმართველობა (1801). მოსკოვის ,,ზ.'' ჩრდ-იდან (რუსეთიდან) თბილისში შემოსასვლელ გზას აკონტროლებდა და მდებარეობდა ახლანდ. რუსთაველის მოედნის სიახლოვეს. მოსკოვის ,,ზ-ის'' მახლობლად გაჩნდა სამსახურიდან გადამდგარ სამხ. მოსამსახურეთა (ძირითადად ზასტაველთა) დასახლება, რ-საც შემდეგ ,,მოსკოვის ქუჩა'' ეწოდა (ახლანდ. ძმები კაკაბაძეების ქუჩა); ერევნის ,,ზ.'' აკონტროლებდა ქალაქში შემოსასვლელ სავაჭრო-სატრანზიტო გზას, მდებარეობდა ორთაჭალაში, ახლანდ. 300 არაგველის მემორიალის მახლობლად; კახეთის ,,ზ.'' მტკვრის მარცხ. მხარეს, კახეთის გზაზე იყო და აღმ-იდან ქალაქში შემოსასვლელ გზას აკონტროლებდა.



ზარნიში.

ზატიკი, 1. დღესასწაული, დაკავშირებული ებრაელების ეგვიპტიდან გამოსვლის ფაქტთან. 2. ქართ. სინამდვილეში – აღდგომის

დღესასწაული; აგრეთვე, აღდგომის პერიოდის საგალობლების შემცველი წიგნი; გაგრძელება დიდი მარხვის პერიოდის საგალობლებისა – *მარხვანისა.* ჰიმნოგრაფიასა და ლიტურგიკაში ზ. დამკვიდრდა XI ს-იდან. მანამდე მარხვანი და ზ. გაერთიანებული იყო ერთ წიგნში, რ-საც ხვედრნი ეწოდებოდა. კ. კეკელიძის აზრით, ტერმინი ზ. წარმოდგება ,,აზატისაგან'', რაც თავისუფალ დღეს, ე. ი. დღესასწაულს ნიშნავს. ზ. მოიცავდა აღდგომის პერიოდის მთავარი დღესასწაულების (აღდგომა, ამაღლება, მარტვილია, რებიც მორწმუნეთა შეგნებაში ერთ მთლიან, განუწყვეტელ დღესასწაულად აღიქმებოდა) ჰიმნებს.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960. *შ. ონიანი.*



ზაფრანა.

ზაულისტანი, ზ ე უ ლ ი ს ტ ა ნ ი, სოფელი ისტორიულ ზურტაკეთში (ახლანდ. დმანისის მუნიციპალიტეტი). ვახუშტი ბატონიშვილის სოფლების სიისა და რუკის მიხედვით, მდებარეობდა შავი წყარო-ყარაბულაღის მარცხენა შენაკად საფიქლისხევის მარცხნივ, სოფ. ურცევანსა და თოფრაყალას შორის. XVIII ს. დასაწყისში ეს იყო ნასოფლარი, რ-იც შემდგომ მოშენებულა; 1721 აღწერით, იქ ითვლებოდა ერთი მებატონე – ავთანდილ სუფრაჯი, უყმო აზნაური – ბეჟუაშვილი გიორგი, რვა გამომღები და ორი ბოგანო ყმა; 1723 ვახტანგ VI-ის ბრძანებით ,,თრიალეთზედ ზეულისტანი ავთანდილ კორკოტის კერძო მამული'' უბოძეს ამილღაბარ გოსტაშაბიშვილს. ზეულისტანელთ ევალებოდათ საფერისცვალებო თევზის ჭერა.



ზაფხულის მანჭკვალა (Kuehneromyces mutabilis).

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., ტ. 1, წგ. 1, ტფ., 1920; ტ. 2, ტფ., 1909; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ი., ქვემო ქართლი XVIII ს. I მეოთხედში, ნაწ. 1–2, ტფ., 1935. *დ. ბერძენიშვილი.*

ზაუტაშვილი ბერდი ზაქარიას ძე (დ. 6. XI. 1932, ქ. ყვარელი), გეოლოგი. გეოლ.-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი (1977), პროფესორი (1988), ჰიდროგეოლოგთა საერთაშ. ასოციაციის წევრი (1990), საქართვ. ეკოლოგიის მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი (1995). 1955 დაამთავრა სპი ინჟინერ-გეოლოგის კვალიფიკაციით. 1955–74 მუშაობდა სპი-ის ჰიდროგეოლ. და საინჟ. გეოლ. სექტორში (1967–74 – განყ-ბის გამგე). 2003-იდან იყო საქართვ. მეცნ. აკად. ჰიდროგეოლოგიის და საინჟ. გეოლოგიის ინ-ტის განყ-ბის გამგე – მთ. სპეციალისტი. 1962-იდან პარალელურად ეწევა პედ. საქმიანობას სტუსა და თსუ-ში. 2006-იდან არის სტუ-ის სრული პროფესორი.

ზ. ძირითადად იკვლევს საქართვ. სასარგებლო წიაღისეულისა და ქიმ. ელემენტთა ჰიდროგეოქიმიის, მინერ., თერმული, სამრეწვ. და მტკნარი წყლების განაწილებისა და ფორმირების საკითხებს, სასმელ-სამკურნ. და ბალნეოლ. ჰიდრომინერ. რესურსებს, საქართვ. მიწისქვეშა სამრეწვ. წყლებს და მათი გამოყენების პერსპექტივებს, კავკ. და საქართვ. ჰიდროგეოლ. დარაიონების პრობლემებს.

ზ-ს თანაავტორებთან ერთად გამოცემული აქვს ,,კავკასიის ჰიდროგეოლოგიური რუკა'' (თბ., 1997) და ,,საქართველოს სასმელ-სამკურნალო და ბალნეოლოგიური რესურსების რუკა'' (თბ., 1997; ქართ., რუს. და ინგლ. ენებზე). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. 3 სახელმძღვანელო.

ზაუტაშვილი მიხეილ (გივი) ნიკოლოზის ძე (დ. 5. II. 1938, სოფ. ბერშუეთი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი), სსრ კავშირისა და საქართველოს დამს. მწვრთნელი, სსრკ ძიუდოს ნაკრები გუნდის მწვრთნელი. მისი აღზრდილები არიან ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები შ. *ხაბარელი* და თ. *ხუბულური* (ძიუდო), ი. ახალბედაშვილი და ა. *ხანიშვილი* (სამბო). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

ზაფრანა, კ რ ო კ ო (Crocus), მცენარეთა გვარი ზამბახისებრთა ოჯახისა. არის მრავალწლოვანი ტუბერბოლქვიანი ბალახოვანი მცენარე. ტუბერბოლქვებს სიფრიფანა ან ბოჭკოვანი გარსი აკრავთ. ღერო არა აქვთ და ყვავილი თითქოს პირდაპირ ბოლქვიდან ამოდის. დაყვავილების შემდეგ ან, იშვიათად, ყვავილობისას ფესვის ყელთან ვითარდება 1–4 ფოთოლი. ყვავილები დიდია, ძაბრისებრი, იისფერი, ლილისფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი, იშვიათად – მოთეთრო ან თეთრი. თვითდამტვერავი მცენარეა. 80-მდე სახეობა გავრცელებულია ევროპასა და სამხრ.-დას. აზიაში, კავკასიაში, ყირიმსა და შუა აზიაში. საქართველოში გვხვდება 6 სახეობა, ისინი ძირითადად სუბალპ. და ალპ. მდელოების კომპონენტებია. ოტრანის ზ. (C. autranii), ლაზური ზ. (C. lazicus) და ხეობის ზ. (C. vallicola) ყვავის შემოდგომაზე, ხოლო ადამის ზ (C. adamii) და ართვინის ზ (C. artvinensis) – გაზაფხულზე. ოტრანის ზ. ვიწრო ენდემური სახეობაა და საქართველოში მხოლოდ აფხაზეთში, ალპ. სარტყლის კირქვიანებზე იზრდება. თითქმის ყველა სახეობა ლამაზად მოყვავილეა. იყენებენ დეკორ. მებაღეობაში. ზოგიერთი სახეობა ცნობილია, როგორც კულტ. მცენარე (C. sativus) და მას სუნელ-საღებლადაც იყენებენ.

ლ. ხინთიბიძე.

ზაფხულის მანჭკვალა [Kuehneromyces (Pholiota) mutabilis], ქუდიანი სოკო კოპრინუსისებრთა ოჯახისა. მისი ქუდის დიამეტრი 6 *სმ* აღწევს, ზრდის პროცესში ამობურცულია, შემდეგ კი ბრტყელი. შუაში ბორცვაკი აქვს. ქუდის ქვედა მხარეს განვითარებულია ჟანგისფერ-მურა ფირფიტები. ფეხი ბოჭკოვანი აგებულებისაა, ზევით – მოთეთრო, ძირში – მუქი მურა. ფეხს აქვს ფიფქოვან-ბოჭკოვანი საყელო. ზაფხულ-შემოდგომით იზრდება ჯგუფურად გამხმარ და დამპალ ხეებზე. საქართველოში ყველგანაა გავრცელებული. მდარე ხარისხის საჭმელი სოკოა.

ი. ნახუცრიშვილი.

ზაქათალა, იხ. *ზაქათალის ოკრუგი.*

ზაქათალის 164-ე ქვეითი პოლკი, დაარსდა 1874 წ. 1 აგვისტოს. მის შემადგენლობაში შეიყვანეს 21-ე ქვეითი დივიზიის სახელგანთქმული აფშერონის 81-ე, დაღესტნის 82-ე, სამურის 83-ე და შირვანის პოლკების ბატალიონები. პოლკმა თავი ისახელა რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომში გურია-აჭარის ფრონტზე. მონაწილეობდა ხუცუბნის, მუხაესტატეს, ციხისძირის ოპერაციებში. პოლკის ოთხივე ბატალიონს ებოძა გიორგის დროშა წარწერით ,,წარჩინებისათვის 1877 და 1878 წლების ოსმალეთის ომში''.

ლიტ.: Хроника кавказских войск, в двух частях. Сост. ген.-майор в отставке А. Л. Гизетти, под ред. ген.-лейт. Чернявского, Тфл., 1896. *ო. ჟორდანია.*

ზაქათალის ოკრუგი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში. შეიქმნა 1860. მოიცავდა ფეოდალური ხანის საქართველოს ძვ. ისტორიული

პროვინციის *ჰერეთის* ჩრდ.-აღმ. მხარეს. *საინგილოს* მნიშვნელოვან ნაწილს, რ-იც დღეს აზერბაიჯანის ფარგლებში შედის (დღევანდელი ბელაქნის, ზაქათალის და კახის რ-ნების ტერიტორია).

ზ. ო-ის ტერიტ. XI ს. 20-იანი წლებიდან, ჰერეთ-კახეთის გაერთიანების შემდეგ, რანთა და კახთა სამეფოს საზღვრებში მოექცა. XVI–XVII სს-ში ოსმალეთისა და ირანის აგრესიამ, განსაკუთრებით კი დაღესტნელ ფეოდალთა სისტემატურმა თავდასხმებმა ამ მხარის პოლიტ. დაცემა გამოიწვია. XVIII ს. I მეოთხედში აქ საბოლოოდ ჩამოყალიბდა ავარიელი და წახურელი ლეკების ე. წ. თავისუფალი თემები. 1803 აღნიშნული მხარე რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი გახდა; 1830 ცარიზმმა საბოლოოდ დაიპყრო თავისუფალი თემების სამფლობელო და გააუქმა მათი პოლიტ. დამოუკიდებლობა. ამავე წელს, მთავარმართებელ ი. პასკევიჩის დროს, საფუძველი ჩაეყარა თვით მომავალ ქ. ზაქათალას, რ-იც მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. ფერდობის ძირას, მდ. თალაჩაის (ალაზნის მარცხენა შენაკადი) ნაპირზე. თავდაპირველად აქ მარტო ციხე იყო, სადაც რუსთა ჯარი იდგა. 1830–40 ეს მხარე ჭარ-ბელაქნის ოლქის სახელწოდებით იხსენიება, 1840-იდან კი იგი ბელაქნის მაზრად გადაკეთდა, რ-იც ადმინისტრაციულად საქართვ.-იმერეთის გუბერნიას დაექვემდებარა. 1842 იგი კვლავ ცალკე ოლქად გამოიყო, 1844–60 ადმინისტრაციულად ქმნიდა ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქს, 1860–1917 კი – ზ. ო-ს, რ-იც იყოფოდა ალიაბადის, ბელაქნის, ჭარ-მუხახის და კაკის უბნებად, ადმინისტრაციულად კი თბილ. გუბ. ექვემდებარებოდა. 1918–21 აღდგა ისტ. სამართლიანობა და ეს ძირძველი ქართ. მიწა-წყალი დაუბრუნდა დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. 1921 თებერვალ-მარტში, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, ზ. ო-ის ტერიტ. (დაახლ. 4000 *კმ*²) კვლავ მოსწყდა საქართველოს და აზერბაიჯანის ფარგლებში მოექცა.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 3, თბ., 1966; პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970; მისივე, ჭარ-ბელაქანი, თბ., 1972; მისივე, რანთა და კახთა სამეფო (VIII–XI სს.), თბ., 1982.

თ. პაპუაშვილი.

ზაქათკარი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ქვეშეთის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. მთიულეთის არაგვის ხეობაში, კაიშაურის პლატოზე. ზ. დ. 1650 *მ*, დუშეთიდან 70 *კმ*. 81 მცხ. (2002).

სოფლის სახელწოდება იქ მცხოვრებ ზაქაიძეთა გვარიდან მომდინარეობს. ზაქაიძე ყოფილა ხადის ერთ-ერთი ციხისთავი. ხადის ციხისთავები იხსენიებიან ,,ძეგლის დადებაში მეფეთ მეფისა გიორგის მიერ'' (XIV ს.). შემორჩენილია ფეოდ. ხანის ციხესიმაგრის კომპლექსი, რ-საც ,,ციხისთავიანთს'' უწოდებენ. სოფლის განაპირას, გალავნით შემოზღუდულ სასაფლაოს ტერიტორიაზე, დგას შუა საუკუნეების პატარა სამლოცველო, სამრეკლო და უზარმაზარი ლოდებით ნაშენი *ზურგიანი კოშკის* ნანგრევები, რ-იც უფრო ადრეული ხანისა ჩანს. სოფლის მახლობლად, მთის თხემზე დგას განვითარებული შუა საუკუნეების ჯვარმიანთ



ზაქათკარი. ზურგიანი კოშკი.

ეკლესია.

ლიტ.: ხადის ხეობა, თბ., 1983.

ჯ. გვასალია. გ. ბაგრატიონი.

ზაქაიძე ილია ვასილის ძე (7. VI. 1924, ქ. დუშეთი, – 8. II. 2008, თბილისი), ხალხური მომღერალი. საქართვ. სახ. არტისტი (1980). 1957-იდან საქართვ. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის წამყვანი სოლისტი. შეუდარებელი ოსტატობით ასრულებდა ქართლ-კახურ სიმღერებს (,,ჩაკრულო'', ,,შენ ბიჭო ანაგურელო'', ,,მეტივური'', ,,ჭონა'', ,,გუშინ შვიდნი გურჯანელნი'', ,,შაშვი-კაკაბი'', ,,კალოსპირული'' და სხვ.). აღსანიშნავია ზ-ის მიერ ჩონგურზე საუცხოოდ შესრულებული ცალფა სიმღერები, კერძოდ, ,,ბალადა ვეფხისა და მოყმისა'' (1951). ამ სიმღერის ბრწყინვალე შესრულებისთვის დაჯილდოვდა სახატიო სიგელით ,,საქართველო''. კონცერტებს მართავდა საქართვ. თითქმის ყველა კუთხეში და საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით (1997).

1977 ზ-ის და რ. საგინაშვილის მიერ შესრულებული გრამფირფიტაზე ჩაწერილი ,,ჩაკრულო'' ნასამ (აშშ) კოსმოსში გაგზავნა.




ი. ზაქაიძე.

ზაქარაია გენადი (გენო) შოთას ძე (დ. 30. XI. 1950, სოფ. ნაჯახავო, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი), მოქანდაკე. საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2005). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1980; პედაგოგები – ი. ოქროპირიძე, შ. მიქატაძე). სწავლობდა მოსკოვში სსრკ სამხატვრო აკადემიის ქანდაკების სახელოსნოში (1984–87). გამოფენებში მონაწილეობს 1980-იდან. მისი გამოფენა (ჯგ. ბჟალავასთან ერთად) გაიმართა საფრანგეთსა (ქალაქები – პო, ბიარიცი) და ანდორაში (1998). მონაწილეობს საერთაშ. სიმპოზიუმებში: ნორმანდია, საფრანგეთი (2003–05) და ჯგუფურ გამოფენებში. ძირითადი ნამუშევრები: ,,ქალის ტორსი'' (თაბაშირი, 1983, საქართვ. მხატვართა კავშირმა აღიარა წლის საუკეთესო ნამუშევრად), ,,შინმოუსვლელთა მემორიალი'' (კერამიკა, აბაშა, 1985), ,,სივრცე'' (ქვა, 1988), ,,თეთრი ხსოვნა'' (ეძღვნება მარკ შაგალს, ქვა, გროდნო, ბელორუსია, 1988), ,,ლაქა მთვარეზე'' (მარმარილო, კინოთეატრი ,,მოსკოვი'', მინსკი, 1989); ,,1937'' (ქვა, თელავი, 1989), ,,კორიდა'' (ქვა, ბიარიცი, საფრანგეთი, 1991), ,,პენელოპე'' (ხე, 1992), ზ. ავალიშვილის საფლავი (დიდუბის პანთეონი, თბილისი, 1997), ნ. ჟორდანიას ბიუსტი (საქართვ. პარლამენტი, თბ., 1998), ე. ერისთავის ბიუსტი (ბრინჯაო, გორი, 2003), აფხაზეთში დაღუპულთა მემორიალი (ქვა, გარდაბანი, 2004), მ. მამარდაშვილი, ჰორელიეფი (ბრინჯაო, გორი, 2005), გენერალ გ. მაზნიაშვილის მემორიალი (ბრინჯაო, ოკამი, 2006).



ი. ზაქაიძე სცენაზე.



გ. ზაქარაია.

ზაქარაია ეფრემ ფარნაოზის ძე [16(28). II. 1889, სოფ. ნაჯახავო,



გ. ზაქარაია ,,მერაბ მამარდაშვილი''. ჰორელიეფი. ბრინჯაო. 2005. გორი.

ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი, – 19. XII. 1946, თბილისი], ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1937), პროფესორი (1937), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1944). 1914 დაამთავრა ნოვოროსიის (ოდესის) უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. I მსოფლიო ომის დროს ექიმად მსახურობდა (1914–15) მოქმედ არმიაში. 1921 დაბრუნდა საქართველოში. 1932 დაინიშნა თბილ. წითელი ჯვრის საავადმყოფოს ქირურგ. განყ-ბის გამგედ. 1935–41 განაგებდა თბილ. სამედ. ინ-ტის საფაკულტეტო ქირურგ. კათედრას, 1941–46 – ამავე ინ-ტის ზოგადი ქირურგ. კათედრას. იმავდროულად 1938–41 თბილ. ონკოლოგიური საავადმყოფოს დირექტორი იყო. Ზ-ს ნაშრომები ეხება ტეტანუსის მკურნალობის, ართროპლასტიკის, სწორი ნაწლავისა და მუცლის ღრუს ქირურგ. საკითხებს, ტროფიკული ინერვაციის პრობლემას და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.



პ. ზაქარაია.

თხზ.: ტროფიკული წყლულის პათოგენეზისათვის, თბ., 1937; О процессах всасывания и движения жидкостей по стволу нерва, «Труды Ин-та физиологии им. И. Бериташвили», 1937, №3.

ზაქარაია პარმენ ფარნაოზის ძე (24. VIII. 1914, სოფ. ნავჯახავო, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი, – 20. IV. 2003, თბილისი), არქიტექტორი, ხელოვნებათმცოდნე. საქართველოს მეცნ. აკად. წ.-კორ. (1988). ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1960), პროფესორი (1962), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1973). დაამთავრა საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტი (1940). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. სამხატვრო აკადემიაში, საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტში, სპი-ში. ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმში ჩამოაყალიბა (1956) და ხელმძღვანელობდა შუა საუკუნეების საქართველოს ისტ. განყ-ბას. 1975–97 იყო თსუ-ის ხელოვნ. ისტ. და თეორიის კათედრის გამგე. Ზ-ს მეცნ. კვლევის არე საკმაოდ ფართოა – ანტ. ხანიდან ხელოვნების დღევანდელ პრობლემებამდე, ძირითადად იკვლევდა შუა საუკუნეების ქართ. ხუროთმოძღვრებას. მასვე ეკუთვნის ფუძემდებლური გამოკვლევები საქართველოს საფორტიფიკაციო ნაგებობების არქიტექტურაში. Ზ. მუშაობდა არქეოლ. კვლევის დარგში, განსაკუთრებით დიდი დასახლებების, ნაქალაქარების გათხრებზე. მისი აქტ. მონაწილეობით და ხელმძღვანელობით გაითხარა დიდი არქეოლ. ობიექტები (*ურბნისი,* გრემი, ნოქალაქევი–არქეოპოლისი და სხვ.), აგრეთვე გვიანდელი ანტ. ხანის დას. საქართველოს ერთ-ერთი ნაქალაქარი ზიღანეოსი–გუდაყვა–*გუდავა* (გალის მუნიციპალიტეტი), ციხესიმაგრე ჭაქვინჯა (IV–XVIII სს.), გაითხარა და აღდგა გიორგი სააკაძის რეზიდენცია ნოსტეში და სხვ.

თხზ.: ბოლნისები და წულრუღაშენი, თბ., 1953; ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1965; საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბ., 1973; ნაქალაქარ გრემის არქიტექტურა, თბ., 1975; ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, ტ. 1–2, თბ., 1975–78; ტ. 3, თბ., 1981; ციხე-გოჯი–ნოქალაქევი, თბ., 1984 (თანაავტ. ნ. ლომოური); საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბ., 1988; ქართული ხუროთმოძღვრება (XI–XVIII სს.), თბ., 1990; ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბ., 2000 (თანაავტ. გ. აბრამიშვილი); Древние крепости Грузии, Тб., 1969; Зодчество Тао-Кларджети, Тб., 1991.

ს. კინწურაშვილი.

ზაქარია, ზაქარია ქართველი, V–VI სს. ქართველი სასულიერო მოღვაწე პალესტინაში. *პეტრე იბერის* ,,ასურულ ცხოვრებაში'' Ზ. პეტრესთან დაახლოებულ მოწაფეთა შორის იხსენიება, რ-თაც გარდაცვალების წინ პეტრე იბერმა თავისსავე დაარსებული მონასტრის გამგებლობა, მონასტრის ძმობაზე მზრუნველობა დაავალა და სთხოვა, ,,უცვლელად დაეცვათ სიკვდილამდე მართლმადიდებლობა'' (იგულისხმება მონოფიზიტობა).

პეტრე იბერის ,,ქართულ ცხოვრებაში'', რ-იც პეტრეს ,,ასურული ცხოვრებიდანაა'' გადმოკეთებული, Ზ. ,,ზაქარია ქართველად'' იწოდება. მთარგმნელის ანდერძში ნათქვამია, რომ იგი პეტრეს ,,მიცვალებამდე'' მისი მოწაფე და მხლებელი იყო. Ზ. მასთან დაახლ. 482-იდან მოღვაწეობდა, თან ახლდა ცხელ წყლებზე სამკურნალოდ მყოფ პეტრეს გამგზავრებიდან სიკვდილამდე – ,,ამისთჳსცა'' აღწერა ,,ცხორებაჲ მისი და სასწაულნი, თუალითა... ხილულნი და ყურითა სმენილნი''. ,,ასურული ცხოვრების'' ქართ. ენაზე გადმომკეთებლის მაკარი მღვდლის სიტყვით, პეტრე იბერის ,,ცხოვრება'' ,,კურთხეულმა და სანატრელმა'' Ზ-მ ,,ასურებრითა ენითა აღწერა'', ,,ვინაჲთგან ფრიადა მეცნიერ ყოფილა მისთა ენისა''.

,,ასურული ცხოვრების'' ავტორად მეცნიერთა ნაწილი იოანე რუფუსს, ნაწილი კი VI ს. სირიელ ისტორიკოსს *ზაქარია რიტორს* მიიჩნევდა, მაგრამ პეტრე იბერის ,,ქართულ ცხოვრებაზე'' დართული ანდერძის შინაარსიდან გამომდინარე, ასევე პეტრეს ,,ასურული ცხოვრების'' ცნობით, ამ ნაწარმოების ავტორად Ზ. იქნა მიჩნეული (ი. ლოლაშვილი).

წყარო: ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ... პეტრე ქართველისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 2 (XI–XV სს.), თბ., 1967; ცხოვრება პეტრე იბერისა. ასურული რედაქციის ქართული თარგმანი, გამოსცა ი. ლოლაშვილმა, თბ., 1988.

ვ. გოილაძე.

ზაქარია, ბერეთელი საეკლესიო მოღვაწე (IX ს.). ააგო ბერეთელთის მონასტერი და სათავე დაუდო შემდგომში აქ მცხოვრებ წმ. მამების მოღვაწეობას. შერაცხულია წმინდანად, მოიხსენიება კლარჯეთის უდაბნოს ღირს მამათა და დედათა (VIII–IX სს.) შორის 5 (18) ოქტომბერს.

ზაქარია (ჯორჯაძე), აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1623–32, ნეკრესის ეპისკოპოსი (ნეკრესელი) დაახლ. 1613–23, სამეფო კარის ეკლესიის წინამძღვარი. 1614, კახეთში აბას I-ის შემოსევის დროს, Ზ. კახეთიდან ლტოლვილ თეიმურაზ I-ს ახლდა იმერეთში. მან 1624 ქართლის სამეფო ხელისუფლებას განაახლებინა მცხეთის საკათოლიკოსო მფლობელობა. მიმოწერა ჰქონდა რომის პაპ ურბან VIII-თან, სთხოვდა საქართველოში გამოეგზავნა მკურნალები, მხატვრები და მტრისგან გაძარცული ეკლესიებისათვის ინვენტარ-შესამოსელი, ბარძიმები. მფარველობდა იტალ. მისიონერებს და ცდილობდა გამოეყენებინა ისინი ქვეყნის ინტერესებისათვის. მეფისა და კათოლიკოსის ურთიერთშეთანხმებით დას. ევროპაში ელჩად გაიგზავნა ნ. ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი (იხ. *ჩოლოყაშვილი* ნ.), რასაც ქ. კასტელის ცნობაც ამოწმებს: ,,ეს ნიკიფორეა, გვარად ირბახი, მეფისა და საქართველოს პატრიარქის ელჩი''. Ზ-ს ურბან VIII-მ საჩუქრად გამოუგზავნა თვალმარგალიტით შემკული მიტრა და ფალონი, მაგრამ იგი ლათ. ყაიდის იყო და Ზ-მ თეიმურაზ I-ს გადასცა.

ლიტ.: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902; ლომინაძე ბ., მასალები საქართველოს XVII–XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1951, ნაკვ. 29; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

ბ. ლომინაძე.

ზაქარია (ქვარიანი) (გ. 1660),

აფხაზეთის (დას. საქართველოს) კათოლიკოს-პატრიარქი 1657–60, იმავდროულად გელათის ეპისკოპოსი (გენათელი) მიტროპოლიტის წოდებით. მას საგვარეულო მამულები და სასახლე ჰქონდა ქუთაისში, მწვანეყვავილაზე, სადაც 1637–39 მთავარანგელოზის ეკლესია, ციხე და სახლ-კარი ააშენა. იგი იმერეთის სამეფო კართან დაახლოებული პირი და ალექსანდრე III-ის პირადი მოძღვარი იყო. ზ. აქტიურად მონაწილეობდა დას. საქართველოს პოლიტ. ცხოვრებაში. ზრუნავდა დას. საქართველოს ეკლესიისა და კულტ. მთლიანობის



ზაქარია (ქვარიანი). კასტელის ალბომი. XVII ს.

განსამტკიცებლად. ზ-მ დაახლ. 1659 ოდიშის მთავარს, ვამეყ III დადიანს ფიცი დაადებინა ოდიშის საკათოლიკოსო მამულების მმართველობაში ჩაურევლობის შესახებ, მისგანვე მიიღო საკათოლიკოსო სადგომად სენაკის საწინამძღვრო ეკლესია მამულებითა და სასახლით; საკათოლიკოსო სადგომად გურიის მთავრებისაგან მიიღო აკეთის საწინამძღვრო ეკლესია ასევე მამულებითა და სასახლით. ცნობილია მისი შეკვეთით 1652–55 გადაწერილი დიდი გულანი, რ-იც 1705 დავითგარეჯის მონასტრისათვის შეუწირავთ. ზ. სიცოცხლეშივე გამოუხატავთ გელათის ეკლესიის სამხრ. სვეტზე. მისი მოღვაწეობა აღწერილი აქვთ რუს. ელჩებს – იევლიევსა და ტოლოჩანოვს, იტალიელ მისიონერებს – იოსებ ძამპის და ანდრეა ბორომეოს, რ-ებიც პირადად იცნობდნენ ზ-ს. დაკრძალულია გელათში.

ლიტ.: ლომინაძე ბ., მასალები დასავლეთ საქართველოს XVII–XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 31; მისივე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

ბ. ლომინაძე.

ზაქარია, გარეჯის დოდოს მონასტრის წინამძღვარი 1704–08 და 1711–12. XVII ს. დასასრ. აღადგინა უცხოელ დამპყრობთა მიერ მოოხრებული და გაუქმებული დოდოს მონასტერი. ზრუნავდა მისი ეკონ. განმტკიცებისათვის: მატერ. დახმარება და ადგილ-მამულები მიიღო ნინოწმინდელი ეპისკოპოსის იოსებისაგან (ვაჩნაძე), კახეთის სამეფო კარისაგან და სხვ. საკუთარი სახსრებით მონასტერს შეუძინა ვენახი საგარეჯოში.

ლიტ.: ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორიები), [ტ.] 1, თბ., 1966.

ბ. ლომინაძე.

ზაქარია აგულეცი (26. IX. 1630–1691), სომეხი ვაჭარი და მემატიანე. ზედწოდება ,,აგულეცი'' მიიღო მშობლიურ სოფელ აგულისიდან. 17 წლის ასაკიდან ჩაება სავაჭრო საქმიანობაში, რის წყალობითაც მოიარა ამიერკავკასია, ირანი, ოსმალეთი და დას. ევროპის ქვეყნები. ნანახი და განცდილი აღწერა თავის ,,დღიურში'', რ-იც დღეისათვის ცნობილი მისი ერთადერთი ნაწარმოებია. ,,დღიური'' დაწერილია ქრონოლ. თანმიმდევრობით, 1647 დაწყებული – 1691 ჩათვლით. აზიისა და ევროპის ქვეყნებში მისი თანადროული მნიშვნელოვანი მოვლენებისა და კერძო ამბების გადმოცემისას საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველოს პოლიტ., სოც. და ეკონ. ცხოვრების ცალკეული ფაქტების შესახებ. ეს ცნობები ავსებენ, ზოგჯერ კი აზუსტებენ XVII ს. საქართველოს ისტ. ცნობილ მოვლენებს. ქართ. ისტ. წყაროებისგან განსხვავებით, ზ. ა. *ვახტანგ V-ის* ხოშკარში გარდაცვალების თარიღად ასახელებს 1676. მასთან პირველად ვხვდებით ვახტანგ V-ის მოწამვლის ცნობას. ზოგიერთი ახ. დეტალით ავსებს ჩვენს ცოდნას ვახტანგ V-ის სიკვდილის შემდეგ საქართველოში შექმნილ პოლიტ. სიტუაციაზეც. საყურადღებოა მისი ცნობა დას. საქართველოში ოსმალთა სამხ. ექსპედიციაზე არჩილ II-ის წინააღმდეგ. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ზ. ა-ის ცნობები სომხეთში მოღვაწე, შაჰის სამსახურში მყოფი ქართვ. ეროვნების მსხვილ და საშუალო მოხელეებზე [მაგ., ერევნის სახანოს ქართვ. მმართველი ზალ-ხანი (1679–85), ცღნოს ბატონი ფარსადან-ბეგი და სხვ.], თბილ. ზარაფხანაზე, 1651 წ. 11 აგვისტოს დიდი წყალდიდობის შესახებ თბილისში და სხვ.

თხზ.: დღიური, ნაწ. 2–3. ძვ. სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1979.

ლიტ.: მელიქსეთ-ბეგი ლ., ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941; Абегян М., История древнеармянской литературы, Ер., 1975.

გ. მაისურაძე.

ზაქარია ანჩელი, მღვდელმთავარი ანჩის კათედრაზე (IX ს.). გამოირჩეოდა სიწმინდითა და სასწაულთმოქმედებით. შერაცხულია წმინდანად, მოიხსენიება კლარჯეთის უდაბნოს ღირს მამათა და დედათა (VIII–IX სს.) შორის 5 (18) ოქტომბერს.

ზაქარია ბანელი, მამამთავარი, ვალაშკერტელი, სვინგელოზი (X ს. II ნახ. – XI ს. 30-იანი წლები), შუა საუკუნეების საქართველოს, კერძოდ, ტაოს სამეფოს სასულიერო, კულტურის და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწე. ე. *მეტრეველის* ვარაუდით, ზ. ბ-ის მშობლები ქართვ. არისტოკრატთა მაღალ წრეს, დაფანჩულთა ცნობილ ფეოდ. გვარს ეკუთვნოდნენ და დავით კურაპალატთან დაახლოებული პირები იყვნენ. ზ. ბ. ავტობიოგრაფიულ ანდერძში დავით კურაპალატს თავის ,,მზრდელსა და შემოქმედს'' უწოდებს. X ს. უკანასკნელ მეოთხედში ის მორჩილად მიუყვანიათ ოთხთა ეკლესიაში, სადაც არსენ მამამთავარს დამოწაფებია. ცხოვრების დიდი ნაწილი მან გაატარა ტაოში, სადაც უდიდესი და ყველაზე გავლენიანი ეპარქიის – ბანის მამამთავრობას მიაღწია. ერთხანს ის ბიზანტ. სამეფო კარზე დიპლომატად, მწიგნობრად და იმპერატორთან დაახლოებულ პირადაც მოჩანს. ბანელობის დროს ზაქარიამ ბიზანტ. იმპერატორისაგან უმაღლესი სას. პატივი – სვინგელოზობა დაიმსახურა. XI ს. 20-იანი წლებისთვის ბანელობასთან ერთად ვალაშკერტის სამწყსოს ეპისკოპოსობაც შეითავსა, რასაც განსაზღვრული პოლიტ. მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ტაოს, ისე

მეზობელი რეგიონებისთვისაც.

წერილობითი წყაროების თანახმად, ზ. ბ. ტაოს პოლიტ. ცხოვრების ასპარეზზე 1022 გამოჩნდა, როცა მოლაპარაკება მიმდინარეობდა. ბასიანში დაბანაკებულ ბიზანტიის იმპერატორ *ბასილი II-სა* და *გიორგი I-ს* შორის. იმპერატორის ნდობით აღჭურვილმა ეპისკოპოსმა ორჯერ შეაჩერებინა ბასილის ტაოზე გალაშქრება. იგი ცდილობდა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას, მაგრამ გიორგი I ვერ დაიყოლია ბასილის მოთხოვნათა შესრულებაზე. ზ. ბ-ის შუამავლობის მარცხმა საბოლოოდ გაამჟღავნა იმპერატორისადმი მისი ერთგულების მოჩვენებითი ხასიათი. განრისხებულმა ბასილი II-მ ზ. ბ. ტაოდან გააძევა და კონსტანტინოპოლში გადაასახლა, სადაც მცირე ზომის *აგიაპანტის* მონასტერი მიუჩინა მუდმივ სამკვიდრებლად. ამ დროიდან ზ. ბ. აქტიურად ერთვება ათონის ივერთა მონასტრის დიდ ქართვ. მოღვაწეთა კულტ. საქმიანობაში, გიორგი მთაწმიდელთან ერთად შეუდგა ექთვიმე მთაწმიდლის თარგმანთა გამრავლებასა და მისი პიროვნების პოპულარიზაციას, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ათონზე ბერძნებთან გამწვავებული ურთიერთობისა და ბრძოლის პირობებში ქართველთა უფლებების დასაცავად. XI ს. 30-იან წლებში ზ. ბ-ის ბრძანებითა და მატერ. შემწეობით არაერთი ძვირფასი ხელნაწერი შეიქმნა კონსტანტინოპოლში, თავისსავე დაარსებულ მონასტერში. ბერძნ. ენაზე დაწერილ ერთ ლექსში ზ. ბ. თავის თავს ივერიელ (ე. ი. ქართველ) ბერს უწოდებს, რასაც ზედმიწევნით ამართლებდა მთელი მისი მოღვაწეობა.

წყარო: არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1974.

ლიტ.: მეტრეველი ე., ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996.

გ. მაისურაძე.

ზაქარია გაგელი, იხ. *გაგელი* ზ.

ზაქარია რიტორი (დაახლ. 482 – დაახლ. 560), ბიზანტიელი ისტორიკოსი და მოაზროვნე. მისი ,,ისტორია'' შეიცავს საყურადღებო ცნობებს ბიზანტ. ისტ. შესახებ 436-იდან 491-მდე. იყო მონოფიზიტური მიმდინარეობის წარმომადგენელი. მის ნაშრომში შემონახულია უაღრესად საყურადღებო ცნობები მაიუმასის ეპისკოპოსის პეტრე იბერის შესახებ, რ-საც ,,მსოფლიოში განსაცვიფრებლად სახელგანთქმულ ადამიანს'' უწოდებდა.

ტექსტ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 3, ტფ., 1936.

ლიტ.: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1980; Нуцубидзе Ш. И., Тайна Псевдо-Дионисия Ареопагита, Тб., 1942; Пигулевская Н. В., Сирийские источники по истории народов СССР, М.–Л., 1941.

ზაქარიასთავი, ზაქარიასწვერი, მთა მცხეთის მუნიციპალიტეტში, საბადურის ქედზე (ქართლის ქედის სამხრ.-აღმ. მონაკვეთი). სიმაღლე 1433 *მ.* აგებულია ნეოგენური თიხებისა და ქვიშაქვების შუაშრეებიანი კონგლომერატებით. ჩრდ. და ჩრდ.-აღმ. კალთები დამრეცია, სამხრ. და სამხრ.-დას. – შედარებით ციცაბო. კალთების ქვემო ნაწილი შემოსილია ტყის ყომრალ ნიადაგებზე განვითარებული მუხნარ-რცხილნარით, ზემო – ამავე ნიადაგებზე გავრცელებული წიფლის ტყეებით. *მ. უთმელიძე.*

ზაქარია ქანაქერცი, ჰოვჰანავანქეცი, სარკავაგი (დიაკონი) (1627, სოფ. ქანაქერი, ერევნის მახლობლად, – 1699), სომეხი ისტორიკოსი. 13 წლისა მიაბარეს ჰოვჰანავანქში – იოანეს მონასტერში, სადაც მთელი სიცოცხლე გაატარა. თავისი ქართ. წარმომავლობის შესახებ ლეგენდარულ ცნობას გვაწვდის საისტორიო თხზულებაში, რ-იც ,,ქრონიკის'' სახელითაა ცნობილი. ამ გადმოცემის თანახმად, ჰოვჰანავანქის მონასტერში, თურმე, ესვენა წმ. გიორგის ნეშტი, რ-ის შემწეობითაც მრავალი სნეული იკურნებოდა. როცა შირაკის ქვეყანა (ე. ი. ცენტრ. სომხეთი) ქართვ. მეფეების ხელში იყო, მეფის შვილის განსაკურნად წმ. ნეშტის საქართველოში გადასვენება გადაწყვიტეს, რისთვისაც მეფე იძულებული გახდა სომხეთში მძევლებად გაეგზავნა ყმაწვილები ქართვ. დიდებულთა ოჯახებიდან. შემდეგში ამ მძევალთა ერთი ნაწილი სომხეთში დარჩენილა. მათგან ერთ-ერთის შთამომავალი, ზ. ქ-ის თქმით, მისი მამა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ზ. ქ. დარწმუნებული იყო თავის ქართ. წარმომავლობაში და კიდეც ამაყობდა წინაპრებით, ეროვნ. თვითშეგნებითა და სარწმუნოებით სომეხი იყო და სომხეთის პოლიტ. და კულტ. ინტერესების ერთგულ დამცველად გვევლინება.

ზ. ქ-ის საისტ. თხზულება სამი ნაწილისაგან შედგება. უფრო ფასეულია მისი თანადროული ამბების ამსახველი მეორე ნაწილი, სადაც მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტ. მოვლენებთან კავშირში დაწვრილებით გადმოგვცემს საქართველოში მიმდინარე პოლიტ. და სოც. პროცესების ამსახველ ფაქტებს. რამდენადაც ზ. ქ. უმთავრესად ზეპირ გადმოცემებს ეყრდნობა, მის მონათხრობში მრავალ უზუსტობას ვხვდებით, მაგრამ ამასთანავე ჩვენი ისტ. ცალკეულ ფაქტებს უცნობი დეტალებითაც ავსებს. ვრცლად აღწერს გიორგი *სააკაძის* ავჯანყებას შაჰის წინააღმდეგ, *ყარჩიხა-ხანის* მოკვლის ეპიზოდს და საინტერესო დეტალებს გვაწვდის მარტყოფის ბრძოლის შესახებ (იხ. *მარტყოფის ბრძოლა 1625*). ყურადღებას იქცევს ცნობები როსტომისა და *თეიმურაზ I-ის* მტრობის, *ერეკლე I-ისა* და *გიორგი XI-ის* ბრძოლების, ვახტანგ V შაჰნავაზის ცხოვრება-მოღვაწეობის, თუმანიშვილებისა და ბარათაშვილების საგვარეულოთა დაპირისპირებისა და სხვა ისტ. სიუჟეტების შესახებ. საინტერესო ცნობებს გვაწვდის ერევნის სახანოს ქართვ. მმართველების – ხოსრო-ხანისა და ზალ-ხანის შესახებ, რ-თა მოღვაწეობასაც სომეხი ისტორიკოსი უაღრესად დადებითად აფასებს.

ლიტ.: დავლიანიძე ლ., ზაქარია ქანაქერცის ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ, კრ.: ქართული წყაროთმცოდნეობა, [ტ.] 7, თბ., 1987; მელიქსეთ-ბეგი ლ., ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941. *გ. მაისურაძე.*

ზაქარიაძე ალექსანდრე ყარამანის ძე (15. II. 1884, სოფ. ქვედა სიმონეთი, ქუთაისის მაზრა, – 1957, პარიზი), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალი (1919). რუს. იმპერიის არმიის პოლკოვნიკი (1915). პოლონეთის არმიის ბრიგადისა (1923) და დივიზიის გენერალი (1927). 1900 დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი. 1901–03 სწავლობდა თბილ. იუნკერთა სასწავლებელში. 1903-იდან მსახურობდა 79-ე ქვეით, შემდეგ სამარის 147-ე ქვეით პოლკებში. რუსეთ-იაპონიის ომის დროს მუკდენთან ბრძოლაში (1905) თავში მძიმედ დაიჭრა. 1909–12 სწავლობდა გენშტაბის აკადემიაში. იყო კაზაკთა მე-3 დივიზიის შტაბის უფროსი (1914),

27-ე კორპუსის შტაბის ოფიცერი (1915), ლიტვის მე-2 მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსი (1917). მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. 1917 დაბრუნდა საქართველოში. იყო ეროვნ. საბჭოს სამხ. კომისიის შტაბის უფროსი (1917), ქართ. კორპუსის შტაბის უფროსი (1918), საქართვ. გენშტაბის უფროსი (1919–21). 1922-იდან მსახურობდა პოლონეთის არმიაში. 1939 პოლონეთის არმიის რიგებში იბრძოდა გერმანელთა წინააღმდეგ. პოლონეთის ოკუპაციის პერიოდში ზ. 5-ჯერ დააპატიმრეს, გადარჩა ვერმახტის ოფიცრების ჩარევით. 1945–48 იმყოფებოდა გერმანიაში, ინგლისელთა საოკუპაციო ზონაში, შემდეგ ცხოვრობდა საფრანგეთში. ემიგრაციაში ზ-მ დაწერა მოგონებები – ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–21 წწ.)''. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. ზ. დაჯილდოებულია წმ. გიორგის, წმ. ანას, წმ. სტანისლავის, წმ. ვლადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით, წმ. გიორგის ხმლითა და ინგლისის საბრძოლო ჯვრით.

ლიტ.: უ რ უ შ ა ძ ე ლ., ევროპა და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, თბ., 2005; შ ა რ ა ძ ე გ., გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე, «მხედარი», II, 1992; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ნ., ქართველი მხედრები პოლონეთის დროშის ქვეშ, თბ., 1998. *მ. წურწუმია.*

ზაქარიაძე ანასტასია თენგიზის ასული (დ. 27. VI. 1954, თბილისი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნიერებათა დოქტორი (1999), პროფესორი (2002). დაამთავრა თსუ-ის დას. ევროპის ენების და ლიტ-რის ფაკ-ტი ანგლისტიკის სპეციალობით (1976), ასპირანტურა ფილოს. სპეციალობით (1984). 1988–2006 იყო ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის ფილოს. და ფსიქოლ. ფაკ-ტის ფილოს. თანამედროვე პრობლემების კვლევის სამეცნ. ცენტრის უფრ. მეცნიერი თანამშრომელი, 1988–2002 – თსუ-ის ეთიკისა და რელიგიათმცოდნეობის კათედრის დოცენტი, 2002–06 – ამავე კათედრის პროფესორი, 2006-იდან – ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნ. ფაკ-ტის ასოცირებული პროფესორი, 2005–09 – ამავე უნ-ტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი; სამსახურის უფროსი. პედ. საქმიანობასთან ერთად იკვლევს პრაქტ. ფილოსოფიისა და ფილოს. ისტორიის პრობლემებს – ამერ. ფილოსოფიის, ესთეტიკის, ეთიკის, ბიოეთიკის, ქრისტ. ეთიკის საკითხებს. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 4 მონოგრაფიის, 2 სახელმძღვანელოსა და 1 მეთოდური რეკომენდაციის ავტორი.

თხზ.: მხატვრული სიმბოლოს ბუნებისათვის, თბ., 2008; ნარკვევები ამერიკულ ფილოსოფიაში, თბ., 2009.

ზაქარიაძე ბუხუტი ალექსანდრეს ძე [1(14). VI. 1913, სოფ. ყანგიჩალა, ახლანდ. აზერბ. რესპ., – 1. II. 1988, თბილისი], მსახიობი, საქართველოს სახ. არტისტი (1965). მუშაობდა ქუთაისის (1931–35), ჭიათურის (1935–37), ბათუმის (1937–41), სოხუმის (1948–53), 1945–48 – თბილ. მარჯანიშვილის (1941–45) და რუსთაველის (1953-იდან) თეატრებში. ზ. სამსახიობო ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ბახვა ფულავა (გ. წერეთლის ,,პირველი ნაბიჯი''), ტირეზია (სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე''), ვანო ლაითაძე (კ. ბუაჩიძის ,,ეზოში ავი ძაღლია''), გუზან მჭედელი (დ. გაჩეჩილაძის ,,ამირანი''), ოლეკო დუნდიჩი (მ. კაცისა და ა. რჟეშევსკის ,,ოლეკო დუნდიჩი''), ჯემალი (ი. მოსაშვილის ,,ჩაძირული ქვები''), გელა (ს. შანშიაშვილის ,,ხევისბერი გოჩა''), ზურია ხარატნელი (მ. მრევლიშვილის ,,ხარატაანთ კერა''), სოსა (მ. ელიოზიშვილის ,,ბებერი მეზურნეები''), ანანია (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი''), ბეკინა (დ. კლდიაშვილის ,,სამანიშვილის დედინაცვალი'') და სხვ. გამოდიოდა აგრეთვე ხონის, ხაშურისა და თელავის თეატრების სცენაზე. მის მიერ შესრულებული როლები გამოირჩეოდა სიმართლით, უშუალობით, ტემპერამენტით, ღრმა დამაჯერებლობით. გადაღებულია 40-მდე ფილმში. მისი საუკეთესო კინოროლებია: მამუკა (,,ჩრდილი გზაზე'', 1956), ბექნუ (,,ენგურის ნაპირებზე'', 1961), შავგოგია (,,ქვევრი'', 1970), სოსა (,,ბებერი მეზურნეები'', 1973), გლეხი (,,წყარო'', 1974) და სხვ. შესრულებული აქვს როლები: ბესარიონი (,,ვერტიკალი'', 1966, ოდესის კინოსტუდია), პოლკოვნიკი გიორგი (,,თეთრი აფეთქება'', 1969, ოდესის კინოსტუდია), სტალინი (,,განთავისუფლება'', 1970, ,,მოსფილმი'') და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.



ბ. ზაქარიაძე.

ზაქარიაძე თენგიზ ვლადიმერის ძე (31. III. 1928, თბილისი, – 15. IV. 2011, იქვე), თერაპევტი. საქართვ. მედიცინის მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (1994). მედ. მეცნ. დოქტორი (1966), პროფესორი (1970), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1984). 1951 დაამთავრა თსსი. 1955–57 მუშაობდა თბილ. ტუბერკულოზის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში უფრ. მეცნიერ მუშაკად; 1957–74 – ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ტუბერკულოზის, პულმონოლოგიის და თერაპიის კათედრებზე დოცენტის და პროფესორის თანამდებობებზე. 1974–2000 იყო თერაპია-პულმონოლოგიის კათედრის გამგე, ასევე თერაპიის ფაკულტეტის დეკანი, 2000–06 – სასწ. ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი.



ს. ზაქარიაძე.

1981–2003 იყო სამინისტროს მთ. პულმონოლოგი, საქართვ. სამედ. აკადემიის ,,პულმონოლოგთა და თორაკო-ქირურგიის'' სამეცნ. ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნ. საბჭოს წევრი; თერაპიის, პულმონოლოგიის საბჭოების წევრი სამედ. უნ-ტში; უწყვეტი სამედ. განათლების პროგრამების ავტორი შინაგან სნეულებებში.

ზ-მ შეისწავლა კლინ. იმუნოლოგიის და პულმონოლოგიის აქტუალური საკითხები. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 3 სახელმძღვანელოს და 2 მონოგრაფიის ავტორი.

თხზ.: ფილტვების და ბრონქების მწვავე დაავადებები (ექიმებისა და სტუდენტებისათვის), თბ., 1980; კლინიკური პულმონოლოგია, თბ., 1998, 2002.



ს. ზ ა ქ ა რ ი ა ძ ე. ,,ფიროსმანი''. 1961.

ზაქარიაძე სერგო ალექსანდრეს ძე [18. VI (1. VII). 1909, ბაქო, –13. IV. 1971, თბილისი], მსახიობი. საქართვ. (1951) და სსრკ სახ. არტისტი (1958). შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის (1971, გარდაცვალების შემდეგ) ლაურეატი. სწავლობდა თსუ-ის



ბ. ზ ა ქ ა რ ი ა ძ ე. მურადის ბიძა, ,,ერთი ნახვით შეყვარება''. 1975.



ს. ზაქარიაძე. გიორგი მახარაშვილი, ,,ჯარისკაცის მამა''. 1965.

ფილოლ. ფაკ-ტზე. 1926 მუშაობა დაიწყო თბილ. რუსთაველის სახ. თეატრში, 1928-იდან იყო კ. მარჯანიშვილის მიერ ქუთაისში დაარსებული თეატრის (შემდეგ თბილ. კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრი) მსახიობი, 1956 გადავიდა შოთა რუსთაველის სახ. თეატრში. ზ-ის შემოქმედება გამოირჩეოდა ღრმა ინტელექტუალობით, გაბედულებით, ჩანაფიქრის ხორცშესხმისას აზრის სიცხადით და ემოციურობით, გმირის ხასიათის გახსნის სიზუსტით და სულიერი სითბოთი. იგი სცენური ხასიათების დამუშავების დიდოსტატი იყო და ფაქიზი ფსიქოლ. ნიუანსებით ძერწავდა სახეებს. ზ-ის გმირთა ბუნებაში ვაჟკაცობა და ნებისყოფის სიმტკიცე ეხამებოდა ლირიზმს. მსახიობი თამაშობდა გმირულ, სახასიათო და კომედიურ როლებს. კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის სცენაზე შექმნილი როლებიდან აღსანიშნავია: რევოლუციონერი დომენტი (შ. დადიანის ,,ნაპერწკლიდან'', 1937), ჯიბილო (პ. კაკაბაძის ,,კოლმეურნის ქორწინება'', 1938), კაპიტანი რატიანი (ლ. გოთუას ,,უძლეველნი'', 1945), გიგაური (ი. მოსაშვილის ,,მისი ვარსკვლავი''; სტალინური პრემია, 1952), გიორგი (რ. თაბუკაშვილის ,,რაიკომის მდივანი'', 1954); რომანტ. ელფერით გამოირჩეოდა ზ-ის მიერ შესრულებული როლები: ბაგრატიონი (ა. სამსონიას ,,ბაგრატიონი'', 1944), ბახა (ვაჟა-ფშაველას ,,მოკვეთილი'', 1945), მეფე დავითი (ლ. გოთუას ,,დავით აღმაშენებელი'', 1946), ბესიკ გაბაშვილი (ლ. გოთუას ,,მეფე ერეკლე'', 1942). ზ. დიდი ოსტატობით განასახიერებდა უარყოფით პერსონაჟებს, დაუნდობლად ამხელდა ადამიანურ მანკიერებებსა და ცხოვრების მახინჯ მოვლენებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა თინიბეგი მ. მრევლიშვილის ,,ზვავში'' (1956). მახვილი კომედიური ნიუანსებით ძერწავდა მსახიობი სახასიათო როლებს (კავალერი რიპაფრატა, კ. გოლდონის ,,სასტუმროს დიასახლისი'', 1952). შემოქმედებითი აზრის სიმწიფე, რომანტ. მგზნებარება ახასიათებდა ზ-ის მიერ შოთა რუსთაველის სახ. თეატრის სცენაზე შესრულებულ როლებს: ქადაგი (,,ბახტრიონი'' ვაჟა-ფშაველას მიხედვით, 1960), ფიროსმანი, დევი (გ. ნახუცრიშვილის ,,ფიროსმანი'', 1961; ,,ჭინჭრაქა'', 1964). ნატიფი ფსიქოლ. ნიუანსებით გამოსახა ზ-მ ოიდიპოს მეფის სახე (სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე'', 1956), სატირული სიმძაფრით იყო აღბეჭდილი მისი შუისკი (ა. პუშკინის ,,ბორის გოდუნოვი'', 1957).

1934-იდან პარალელურად მოღვაწეობდა კინოში. შეასრულა როლები: თორღვაი (,,უკანასკნელი ჯვაროსნები'', 1934), შადიმან ბარათაშვილი (,,გიორგი სააკაძე'', 1942–43; სტალინური პრემია, 1946), ფოსტალიონი გიორგი (,,დღე უკანასკნელი, დღე პირველი'', 1960), ხოლო 1965 გიორგი მახარაშვილის როლის შესრულებით (,,ჯარისკაცის მამა'', 1965; ლენინური პრემია, 1966) ზ-მ საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ქართ. კინოს. მისი ბოლო კინოსახე იყო ლევან ცინცაძე, ფილმში ,,არ იდარდო'' (1969).



ს. ზაქარიაძე – დევი. რ. ჩხიკვაძე – ქოსიკო, ,,ჭინჭრაქა''. 1964.

ლიტ.: გუგუშვილი ე., თეატრალური პორტრეტები, თბ., 1966; Твалчрелидзе Т., Церетели К., Серго Закариадзе, კრ.: Актеры советского кино, в. 3, М., 1967. *ნ. გურაბანიძე.*

ზაქარო, სოფელი მცხეთის მუნიციპალიტეტის გალავნის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), საგურამოს ვაკეზე, მდ. თეზმის (არაგვის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 770 *მ,* მცხეთიდან 19 *კმ.* 697 მცხ. (2002).

ზ. (ზაქარა) იხსენიება კახეთის მეფის დავით იმამყული-ხანის 1722 ,,ღმრთაების გუჯარში'', რ-ის თანახმადაც მეფემ ზ. მძორეთთან, ბიწმენდთან და საგურამოსთან ერთად მარტყოფის სამწყსოს უბოძა. ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.), კახეთის სოფლების დასახელებისას, ზ. გარდან-საგურამოს მხარეში აქვს შეყვანილი. გვიანდ. შუა საუკუნეების აღმ.-ტერ. დაყოფით ზ. კახეთის სამეფოს მემარცხენე ანუ ,,რუსთველის'' სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა. XIX ს-იდან უკვე ზ-ს სახელწოდებით იხსენიება და 1917-მდე დუშეთის მაზრის ივთის-ზაქაროს სასოფლო საზ-ბაში ითვლებოდა.

სოფლის აღმ-ით, სოფ. გალავნისკენ მიმავალ საავტ. გზის პირას, დგას გვიანდ. შუა საუკუნეების კვირაცხოვლის ერთნავიანი ეკლესია; სოფლის ჩრდ.-დას-ით – VIII–IX სს. ერთნავიანი ეკლესია – შინდიანის ხატი, რ-შიც შემორჩენილია გვიანდ. შუა საუკუნეების მოხატულობის ნაშთი. სოფლის ჩრდ.-აღმ-ით 2–3 *კმ*-ზე, ყანებში კიდევ ერთი ერთნავიანი დაზიანებული ეკლესიაა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1966. *ზ. ცინცაძე.*

ზაქარწმინდა, ისტორიული სოფელი მესხეთში. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით, ზ. ჩრდილის (ჩილდირის) ლივის ჯანბაზის ნაჰიეში, პალაკაციოს ტბის ჩრდ.-დას. სანაპიროზე მდებარეობდა და სოფ. აღჯაყალის (ქართ. ,,თეთრი ციხე'') შემდეგ მე-18 სოფლად არის აღწერილი. ზ-ს ჩვენს დრომდე არ მოუღწევია. სოფელში ცხოვრობდა 7 კომლი: შაქარა, მანველი, ივანე, ზაქარა, გიორგი, ვათენა და გოგიჩა. სოფლის მცხოვრებთ მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, სელი. მისდევდნენ მეფუტკრეობას, მებოსტნეობას. მოშენებული ჰყავდათ ღორები და ცხვრები.

ლიტ.: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოც., წგ. 2, თბ., 1941. *ზ. ცინცაძე.*

ზაქარწმინდა, ნასოფლარი ისტორიულ ზემო ჯავახეთში, ტაბაწყურის ტბის სამხრეთ-დასავლეთით. XVI ს. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში'' უკვე გაუკაცრიელებულ სოფელზე ნათქვამია, რომ ზ. ახლოა სოფ. მოდიგანთან. მართლაც ამ სოფლის დას-ით, დაახლ. ერთ *კმ*-ზე, დიდი ნასოფლარია, სადაც შერჩენილია მოზრდილი დარბაზული ეკლესიის ბუდე, საკურთხეველში სატრაპეზო ლოდია. ეკლესიას ირგვლივ გალავანი ჰქონია შემოვლებული. ნასოფლარში ჩანს ზეთსახდელის მოზრდილი გელაზები. ოსმალთა ბატონობისას ზ. შედიოდა ხერთვისის ლივის ტყე-ჯავახეთის ნაჰიეში. ასეთივე სახელწოდების სოფელი ყოფილა ჩილდირის ლივაშიც. დასახელება ნაწარმოებია წმინდანის სახელობის ეკლე-

სიიდან ისევე, როგორც ანდრიაწმინდა, სტეფანწმინდა, მიქელწმინდა, გიორგიწმინდა და სხვ.

ლიტ.: ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 3, თბ., 1958.

ზაქსი (Sachs) კურტ (29. VI. 1881, ბერლინი, – 5. XI. 1959, ნიუ-იორკი), გერმანელი მუსიკისმცოდნე. 1904 დაამთავრა ბერლინის უნტი. 1920-იდან იყო ბერლინის მუს. უმაღლესი აკად. და უნ-ტის პროფესორი. 1933–37 ცხოვრობდა და მუშაობდა პარიზში, 1937-იდან – აშშ-ში, სადაც 1957-მდე იყო ნიუ-იორკისა და კოლუმბიის უნ-ტის (1953-იდან) პროფესორი. ზ-ის მეცნ. კვლევის ძირითადი სფეროა ორგანოლოგია და მუს. ეთნოგრაფია. იგი ავტორია კაპიტ. შრომებისა: ,,საკრავთა ლექსიკონი'' (1913), ,,საკრავთმცოდნეობის სახელმძღვანელო'' (1920). მათში აღწერილი და დახასიათებულია მსოფლიოს ხალხთა საკრავები, მ. შ. ქართულიც, კერძოდ, ჩანგი, ჩონგური, სალამური, სტვირი, გუდასტვირი. ზ. ავტორია ნაშრომებისა ანტ. მუსიკის კულტ. შესახებ. *მ. შილაკაძე.*

ზაცეპა ლევ გრიგოლის ძე [20. II. 1916, თბილისი, – 22. XI. 1996, ლუცკი (უკრაინა)], საბჭოთა კავშირის გმირი (23. II. 1945), სამხ. მფრინავი, პოლკოვნიკი. ეროვნებით რუსი, იზრდებოდა თბილისში, აქვე მიიღო საშ. განათლება. 1936-იდან წითელ არმიაში მსახურობდა. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს საჰაერო ბრძოლებში მოპოვებული წარმატებებისა და გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. ომის შემდეგ მუშაობდა სამხ.-საჰაერო ძალებში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები. *ტ. ჩინჩილაკაშვილი.*

ზაზა, ზ ა ყ ა, ისტორიული *დვალეთის* ერთ-ერთი თემი. მდებარეობდა ცენტრ. კავკასიონზე, მდ. არდონის სათავეებთან, ზახის ხევში. XVII–XVIII სს-ში არაგვის ერისთავების მფლობელობაში იყო. 1859-მდე შემოდიოდა საქართველოს შემადგენლობაში, შემდეგ დანარჩენ დვალეთთან ერთად გადაეცა კავკასიის ხაზის მარცხ. ფრთას – ოსეთის სამხ. ოკრუგს. დღეს ჩრდ. ოსეთის რესპ. შემადგენლობაშია. ზ-იდან გზები გადადის თრუსოში, ზეკარისა და სბის გავლით დიდ ლიახვზე ქართლში. ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII ს.) რუკაზე ზ-ში ოთხი დაბაა აღნიშნული. იქვეა აღნიშნული მცირე ეკლესიაც. ზ-ის სოფ. ქესათი-ყაუში ამ ეკლესიის მხოლოდ ცოკოლია შემორჩენილი.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973. *ჯ. გვასალია.*

ზახაროვა ვალენტინა ნიკოლოზის ასული (15. IV. 1908, დონის როსტოვი, – 28. XI. 1978, თბილისი), რუსი მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1970). თეატრ. განათლება მიიღო დონის როსტოვში (1925). სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1924. 1924–36 მუშაობდა როსტოვის, დონბასის, ტაგანროგის, სტავროპოლის, ვლადიკავკაზის თეატრებში. 1936-იდან სიცოცხლის ბოლომდე ზ. თბილ. ა. გრიბოედოვის სახ. რუს. დრამ. თეატრის წამყვანი მსახიობი იყო. გამოირჩეოდა სცენური მომხიბვლელობით, უშუალობით. ასახიერებდა სრულიად სხვადასხვა ხასიათის როლებს: მაშენკა (ა. ოსტროვსკის ,,ზოგჯერ ბრძენიც შეცდება''); ანია (ს. ნაიდენოვის ,,ვანიუშინის ოჯახი''), მაშენკა (ა. აფინოგენოვის ,,მაშენკა''), შურა (კ. სიმონოვის ,,რუსი ადამიანები''), ბებია (ა. კასონას ,,ხეები ზეზეურად კვდებიან''), ანა (ო. ჩიჯავაძის ,,თხუნელა'') და სხვ.

ზახაროვი გარეგინ ვაჩაგანის ძე (დ. 1. XI. 1954, თბილისი), მეტალურგი. 1978 დაამთავრა საქართვ. სპი-ის მეტალ. ფაკ-ტი, შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოების სპეციალობით. 1978–84 მუშაობდა რუსთავის ქ-ნა ,,ცენტროლიტში'' ინჟინრად. 1984-იდან ფ. თავაძის სახ. მეტალ. და მასალათმცოდნეობის ინ-ტის მთ. მეცნ. თანამშრომელია. ნაშრომისათვის ,,თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის მაღალეფექტური ტექნოლოგიების შემუშავება ახალი კლასის მასალების მისაღებად'' ჯგუფთან ერთად (ზ. ასლამაზიშვილი, გ. *ვარშალომიძე*, გ. *ონიაშვილი*) მიენიჭა საქართვ. ეროვნ. პრემია (2010).

ზახორი, ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზემო ზახორის, ქვემო ზახორისა* და *შუა ზახორის* გავრცელებული სახელწოდება. ზ. მდებარეობს მდ. ლეხურის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) სოფელთა სიაში ზ. შეტანილია ,,ქართლით'' სახელდებულ თემში.

სოფლის სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს მდ. ლეხურის ზემოწელის მფლობელის აზნაურ ზახორ ღაზნელიძის სახელიდან, რ-იც XVI ს-ში ცხოვრობდა. 1625 ანდუყაფარ ამილახვარმა ქსნის ერისთავთან ერთად ამოწყვიტა აზნაურ ღაზნელიძის ოჯახი, ხოლო მისი მამულები გაანაწილეს.

XVII ს. საამილახვროს დავთრის მიხედვით ზ-ში ცხოვრობდნენ ზურაბ ღაზნელიძის ყმები – ქართველი გლეხები, 1791 საბუთის მიხედვით ამოწყვეტილი ღაზნელიძის ყმებიდან ზ-ში დარჩენილია მხოლოდ ოთხი კომლი.

1865 ზ. 21 კომლი მოსახლით ქსნის უბნის ზახორის სას. თემის შემადგენლობაშია. სოფელში, მდ. ლეხურის ნაპირას, საყარაულო ოთხკუთხა კოშკებია. არის აგრეთვე ტაძრის ნანგრევები. ზ-იდან 2 *კმ*-ზე ჩრდ-ით მდებარეობს ღაზნელიძის ციხე-დარბაზი, ე. წ. კაბერის ციხე. ციხე-დარბაზი შემოზღუდული ყოფილა ქვითკირის გალავნით, რ-საც ჰქონია სათოფურები და ქონგურები. ძეგლი XVI ს. თარიღდება.

ჯ. გვასალია.

ალ-ზაჰაბი შამს ალ-დინ აბუ აბდ ალ-ლაჰ მუჰამად (1273–1348), არაბი მწერალი. ავტორია რამდენიმე ისტ. თხზულებისა, რთაგან მნიშვნელოვანია ,,თარიხე ალ-ისლამი'' (,,ისლამის ისტორია'') 20 ტომად. მასში აღწერილია ისლამის წარმოშობისა და განვითარება-გავრცელების ხანგრძლივი ისტორია, დამოკიდებულება ოქროს ურდოსა და ილხანთა სახელმწიფოებს შორის, ხშირი ომები, რ-თა ასპარეზი საქართვ. ტერიტ. იყო. როგორც ზ. იუწყება, აბაღა-ხანსა (1265–82) და ბერქას (1255–66) შორის ომი (1264–65) ბერქას გამარჯვებით დამთავრდა. 1265 ბერქას მემკვიდრე მანქუ-თიმურს (1267–80) ლაშქრობა განუახლებია. აბაღა-ხანი მდ. მტკვართან შეჩერებულა და თავდაცვის მიზნით თბილისის აღმ-ით 7 დღეში ხის კედელი აღუმართავს, თუმცა დამარცხება მაინც არ ასცდენია. მემატიანის გადმოცემით, 1271 ომი კვლავ დაწყებულა და მისი ასპარეზი ისევ აღმ. საქართველო ყოფილა.

ბ. სილაგაძე.

ზაჰესი, დაბა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში. მდებარეობს საგურამოს ქედის სამხრ. მთისწინეთში, მდ. მტკვრის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 480 *მ.* შეიქმნა XX ს. 20–30-იან წლებში ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით,



ვ. ზახაროვა.



ვ. ზ ა ხ ა რ ო ვ ა. ლიზა სინიჩკინა, დ. ლენსკის ,,ლევ გურიჩ სინიჩკინი''.



გ. ზახაროვი.

როგორც მუშა-მოსამსახურეთა დასახლება. ჩრდ.-აღმ-ით, გორაკზე, დგას XVII–XVIII სს. პეტრე მოციქულის ერთნავიანი ეკლესია. ზ-ის მშენებლობის დროს აღმოჩნდა I ს. აგურით ნაგები სამარხი. აქ მოპოვებული კეისარ ავგუსტუსის (ძვ. წ. 40–14 წწ.) ორი ცალი ვერცხლის ფული და გოტარზის (40–51 წწ.) ვერცხლის 2 დრაქმა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

„ზაჰესი“ (სააქციო საზოგადოება), ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური, პირველი მძლავრი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში, მდ. მტკვარზე, მცხეთასთან, მტკვრისა და არაგვის შესართავის მახლობლად. „ზ.“ დერივაციული ტიპისაა. მდ. მტკვარზე ჰესის მშენებლობის



ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური.

პროექტები არსებობდა 1904–05 და XX ს. 20-იან წლებში. 1922 წ. 23 მაისს, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილ. საბჭომ მიიღო დადგენილება ზაჰესის მშენებლობის დაწყების შესახებ; 1923 წ. 16 იანვარს სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით საკავშ. სახსრებიდან თბილ. საბჭოს ამ მიზნით გამოეყო გრძელვადიანი სესხი – 750 ათ. ოქროს მანეთი. ზაჰესის პირველი ესკიზური პროექტი ეკუთვნის ინჟ. ი. მელიქ-ფაშაევს. მშენებლობა დაიწყო 1922 წ. 10 სექტემბერს, რ-საც ხელმძღვანელობდა ბ. ა. *ჭიჭინაძე*. ჰესის პირველი რიგი (12,8 *მეგვტ* ჯამური სიმძლავრის 4 აგრეგატი) საექსპლუატაციოდ გადაეცა 1927 წ. 26 ივნისს. მეორე რიგის სამშ. სამუშაოები 1930 დაიწყო და დამთავრდა 1938. გაშვებულ იქნა კიდევ ორი აგრეგატი – თითოეული 12 *მეგვტ* სიმძლავრისა. ჰესის ჯამურმა სიმძლავრემ მიაღწია 36,8 *მეგვტ*, საშ. წლიურმა გამომუშავებამ კი – 203 მლნ. *კვტ·სთ*. მაქს. დაწნევამ შეადგინა 24,1 *მ*, მინიმალურმა – 18,6 *მ*.

„ზ.“ მეორე დიდი ჰიდროელექტროსადგური იყო საბჭ. კავშირში (ვოლხოვის ჰესის შემდეგ). „ზ-ის“ აგებით საფუძველი ჩაეყარა საქართვ. სახ. მეურნეობის ელექტრიფიკაციას. იგი აშენებულია მაღალ საინჟ.-ტექ. დონეზე, მისი დაპროექტებისა და მშენებლობისას განხორციელებულია რამდენიმე ორიგინ. გადაწყვეტა: ძალური კვანძის ნაგებობათა რაციონალური განლაგება; სადაწნეო აუზის ორიგინ. კონსტრუქცია, რ-იც სამანქანო შენობასთან ერთად ქმნის არქიტ. ანსამბლს (ელსადგურის არქიტ. ნაწილის ავტორები: ა. კალგინი, მ. მაჭავარიანი და კ. ლეონტიევი).

ჰიდროკვანძში შედის სათავის ბეტონის კაშხალი (სიმაღლე 34 *მ*), წყალმიმღები, სადერივაციო არხი (სიგრძე 3 *კმ*), სადაწნეო აუზი და ჰესის შენობა. კაშხალი ქმნის სადღეღამისო რეგულირების წყალსაცავს. 1995 წ. 28 დეკემბრიდან ჰიდროელექტროსადგურის ბაზაზე ჩამოყალიბდა შპს „ზაჰესი“, რ-იც 2008 გარდაიქმნა სააქციო საზ-ბად „ზ.“ ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია (მლნ. *კვტ·სთ*): 1928 წ. – 23,9; 1955 წ. – 187,0; 1960 წ. – 229,1; 1965 წ. – 213,2; 1970 წ. – 222,2; 1975 წ. – 178,9; 1980 წ. – 162,8; 1985 წ. – 131,0; 1990 წ. – 137,9; 1995 წ.–152,3; 2000 წ. – 135,4; 2005 წ. – 148,0; 2010 წ. –192,8; 2013 წ.–166,3.

დ. ჩომახიძე.

ზაჰირ ალ-დინ ნიშაბური (გ. დაახლ. 1186 ან 1187), ირანელი ისტორიკოსი. სპარს. ენაზე დაწერა ისტ. თხზულება „სელჩუკნამე“, რ-შიც გადმოცემულია სელჩუკიანთა გენეალოგია, დიდი სელჩუკებისა და ერაყის სელჩუკიანთა ისტორია. ამ დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის თოღრულ III-ის ტახტზე ასვლამდე (1177). თხზულებაში საინტერესო ცნობებია სამხრ. კავკასიის ქვეყნებში, კერძოდ, საქართველოში სელჩუკიანთა შემოსევის შესახებ. *რ. კიკნაძე.*

ზდანევიჩები, ძმები კირილე და ილია – მხატვრები, მწერლები, პუბლიცისტები, რ-თაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ნ. *ფიროსმანაშვილის* სურათების აღმოჩენასა და შეგროვებაში. მათი მამა – მიხეილ ანდრიას ძე ზდანევიჩი – წარმოშობით პოლონელი იყო, დედა – ვალენტინა კირილეს ასული გამყრელიძე – ქართველი.

კ ი რ ი ლ ე (9. VII. 1892, კოჯორი, – 1. XI. 1969, თბილისი), ფერმწერი, გრაფიკოსი, ხელოვნების მკვლევარი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე. სწავლობდა თბილისის I გიმნაზიაში, პარალელურად მეცადინეობდა ნ. *სკლიფასოვსკის* ფერწერისა და ხატვის სასწავლებელში. 1911 სწავლა განაგრძო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, სადაც დაუახლოვდა მხატვრებს მ. ლე-დანტიუს, მ. ლარიონოვს, ნ. გონჩაროვას, რამაც გარკვეული გავლენა იქონია მხატვრის შემოქმედებაზე. მონაწილეობდა სამხატვრო საზ-ბა „ოსლინი ხვოსტის“ მიერ ნეოპრიმიტივიზმის ლოზუნგით პეტერბურგსა და მოსკოვში მოწყობილ გამოფენებში. 1912 მ. ლე-დანტიუსთან ერთად თბილისში აღმოაჩინა და შეაგროვა ნ. ფიროსმანაშვილის ნამუშევრები, მისი შემოქმედება დიდ მხატვრულ მოვლენად მიიჩნია, დაწერა და გამოაქვეყნა რამდენიმე წიგნი, ნარკვევი და სტატია მხატვრის შესახებ (მონოგრაფიები 1963, 1964, 1965), ხოლო სურათები გადასცა საქართვ. ხელოვნ. მუზეუმს. 1914 ცხოვრობდა და მუშაობდა პარიზში. 1914–17 მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. დემობილიზაციის შემდეგ, 1917, დაბრუნდა თბილისში. გახდა „ფუტურისტების სინდიკატისა“ და საზ-ბა – „უნივერსიტეტი 41⁰-ის“ წევრი. 1918–20 გააფორმა სპექტაკლები კლუბში „ლადია არგონავტოვ“, ამავე დროს მუშაობდა წიგნის გაფორმების დარგში. განსაკუთრებით საინტერესოა მის მიერ შექმნილი ილუსტრაციები ფუტურისტული კრებულისათვის „ზაუმ“. 1921-დან აქტიურად მონაწილეობდა თბილ. კულტ. ცხოვრებაში. ბევრს მუშაობდა როგორც თეატრის მხატვარი, ქმნიდა საინტერესო აგიტპლაკატებს, აფიშებს, ფერწერულ და გრაფ. სურათებს. 1949 გადაასახლეს ვორკუტაში. 1959 გაათავისუფლეს და განაგრძო შემოქმედებითი მოღვაწეობა როგორც თბილისში, ასევე მოსკოვში. მხატვრის გარდაცვა-

ლების შემდეგ მოეწყო მისი რამდენიმე პერს. გამოფენა: კუბისტურ ნამუშევართა გამოფენა (პარიზი, სამხატვრო გალერეა ,,დარიალი''), ,,კ. ზდანევიჩი და კუბოფუტურიზმი'' (ნიუ-იორკი, 1987), ,,კირილე და ილია ზდანევიჩები'', გამოფენის კატალოგი (საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი, თბილისი, 1989).

ი ლ ი ა (ილიაზდი) (21. IV. 1894, თბილისი, – 25. II. 1975, პარიზი), პოეტი, მწერალი, მხატვარი, პუბლიცისტი, გამომცემელი, ფუტურისტული მოძრაობის თეორეტიკოსი. 1911–17 სწავლობდა პეტერბურგის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტზე. ამ დროს დაუახლოვდა ავანგარდისტ მხატვართა თვალსაჩინო წარმომადგენლებს. 1913 ლიტ-რასა და ხელოვნებაში პირველმა წამოაყენა ე. წ. ,,ვსეჩესტვოს'' (ყოვლისშემძლეობა) იდეა. მხატვარ მ. ლარიონოვთან ერთად გამოაქვეყნა ფუტურისტების მანიფესტი ,,რატომ ვფერადდებით''. 1913, არდადეგებზე თბილისში ჩამოსული, გაეცნო ნ. ფიროსმანაშვილის შემოქმედებას. პირადად შეხვდა მხატვარს, რ-მაც შეასრულა ილიას პორტრეტი (დაკვეთით). გაზეთებში ,,ზაკავკაზსკაია რეჩ'' და ,,ვოსტოკ'' მან გამოაქვეყნა წერილები ნ. ფიროსმანაშვილის შესახებ (ერთ-ერთი პირველი წერილი 1914 დაიბეჭდა). იგი ფიროსმანაშვილის თემით დაინტერესებული იყო სიცოცხლის ბოლომდე. 1972 პარიზში დაისტამბა Ზ-ის წიგნი ,,ნიკო ფიროსმანაშვილი'', რ-შიც გამოქვეყნდა პიკასოს მიერ შესრულებული ფიროსმანაშვილის გრაფ. პორტრეტი. 1916 ძმასთან ერთად მოაწყო ნ. ფიროსმანაშვილის ნამუშევრების ერთდღიანი გამოფენა თბილისში. 1917 მონაწილეობდა ე. თაყაიშვილის მიერ ტაო-კლარჯეთში მოწყობილ ექსპედიციაში, სადაც აზომა და ჩახატა ძვ. ქართ. ხუროთმოძღვრული ძეგლები. 1921 ეს მასალა გამოიფინა პარიზის დეკორ. ხელოვნ. მუზეუმში, ხოლო ბიზანტინისტთა ყოველწლიურ ყრილობაზე მონაწილეობისას ცდილობდა მსმენელთა ინტერესი აღეძრა თურქეთის ტერიტორიაზე მოხვედრილი ამ ძეგლებისადმი. 1919 თბილისში დააარსა გამომცემლობა ,,41⁰'', სადაც დაისტამბა მისი დრამები. 1920–21 ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში, სწავლობდა სოფიის ტაძრის არქიტექტურას. 1921-იდან ცხოვრობდა პარიზში, იყო ,,რუს მხატვართა კავშირის'' მდივანი. 1922, ვ. მაიაკოვსკისთან შეხვედრის შემდეგ, საბჭ. ხელოვნების წარმომადგენლებთან ურთიერთობის დამყარების მიზნით დააარსა ლიტ.-მხატვრული ჯგუფი ,,ჩერეზ''. 1924 მუშაობდა თარჯიმნად საბჭოთა საელჩოში, პარიზში. იყო კოკო შანელის ფაბრიკის მხატვარი, შემდეგ დირექტორი. მისი პერსონალური გამოფენები: ,,კირილე და ილია ზდანევიჩები'' (საქართვ. ხელოვნების მუზეუმი, თბ., 1957), ,,შეხვედრა ილიაზდი-პიკასო'' (თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, 1998, პარიზი), ,,ილიაზდი'' (პომპიდუს ცენტრი, 1978), ,,ილიაზდი, როგორც წიგნის ხელოვნების ოსტატი'' (მონრეალი, კვებეკის უნ-ტის ხელოვნ. გალერეა, 1984), ,,ილიაზდი და ილუსტრირებული წიგნი'' (თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ნიუ-იორკი, 1987). *ლ. დოლაბერიძე.*



კირილე და ილია ზდანევიჩები.

ზდანოვიჩი გიორგი ფელიქსის ძე (ფსევდ. მ ა ი ა შ ვ ი ლ ი) [4 (16). XI. 1854, ქუთაისი, – 31.VII (13. VIII). 1917, იქვე], ქართველი რევოლუციონერ-ხალხოსანი, პუბლიცისტ-ეკონომისტი. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების (1871) შემდეგ სწავლობდა პეტერბურგის ტექნოლ. ინ-ტში. რევ. მოღვაწეობა დაიწყო 1873 ,,ქართველთა წრეში''. 1874 გადავიდა მოსკოვში, იყო ,,სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციური ორგანიზაციის'' (,,მოსკოველთა წრე'') ერთ-ერთი შემქმნელი და ხელმძღვანელი პ. ალექსეევთან, ს. ბარდინასთან, ი. ჯაბადართან და სხვებთან ერთად. 1875 მეფის ოხრანკამ ორგანიზაციის ხელმძღვანელები დააპატიმრა. Ზ. შემთხვევით გადაურჩა დაპატიმრებას და თავის თავზე აიღო ორგანიზაციის ხსნა საბოლოო განადგურებისაგან. მალე ისიც დააპატიმრეს და გაასამართლეს ,,50-ის პროცესზე'', სადაც მან შთამბეჭდავი საბოლოო სიტყვა წარმოთქვა. 1877 მიუსაჯეს კატორღა ციმბირში 6 წლითა და 8 თვით. 1886-იდან ცხოვრობდა ტომსკში და ხელმძღვანელობდა ,,სიბირსკაია გაზეტას''. 1889 დაბრუნდა ქუთაისში და თანამშრომლობდა ქართ. პრესასთან. იყო საქართვ. ,,სოციალისტ-ფედერალისტების'' პარტიის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და მისი მემარცხენე ხალხოსნური მიმართულების ლიდერი. Ზ-ის მსოფლმხედველობა ნაროდნიკობის იდეოლოგიის გავლენით ჩამოყალიბდა. Ზ. 1882 კ. მარქსის ნაშრომებს გაეცნო და 1886 რუსულად თარგმნა კ. მარქსის ,,ფილოსოფიის სიღატაკე'' (არ გამოცემულა). XIX ს. 90-იან წლებში კავკ. პერიოდიკაში მარქსის მოძღვრების პროპაგანდას ეწეოდა. იგი თანდათან გათავისუფლდა ხალხოსნური იდეოლოგიის გავლენისაგან, უარყო დოქტრინა რუსეთისა და საქართველოს არაკაპიტალისტური გზით განვითარების შესახებ და დაიწყო საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების საჭიროების ქადაგება. იგი არა მარტო თეორიულად, პრაქტიკულადაც იბრძოდა კაპიტალიზმის დასანერგავად, 1896–1917 იყო ჭიათურის მანგანუმის მრეწველთა საბჭოს უცვლელი თავ-რე. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა ქართველ მრეწველთა არაერთი ამხანაგობა და სააქციო საზ-ბა.

თხზ.: რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. 1–2, თბ., 1967–68 (ქართ. და რუს. ენებზე). *შ. ცირეკიძე.*

ზეამეთი (არაბ.), სახელმწიფო მიწის კატეგორია შუა საუკუნეების ოსმალეთში. მისი წლიური შემოსავალი, გადასახადების სახით, შეადგენდა 20–100 ათას *ახჩამდე* (ვერცხლის ფული, თეთრი). Ზ-ის მფლობელს (ძირითადად საშ. ფეოდალი) ზაიმი ეწოდებოდა. იგი ვალდებული იყო ომის დროს ლაშქრობაში გამოსულიყო და შემოსავლის ყოველ 5 ათას ახჩაზე ერთი შეიარაღებული მხედარი – ჯებელი გამოეყვანა. ამ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში მას Ზ. ჩამოერთმეოდა. ზაიმი ვალდებული იყო იქ ეცხოვრა, სადაც მისი Ზ. იყო. Ზ. მემკვი-

დრეობით მამიდან შვილზე გადადიოდა, მაგრამ არ შეიძლებოდა მისი გაყიდვა, გასხვისება და ვაკუფად (საეკლ. მიწა) შეწირვა. ზ-ის ბოძების წესი გაუქმდა XIX ს. 30-იან წლებში სამხ.-ლენური სისტემის ლიკვიდაციასთან ერთად. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ზ. გავრცელებული იყო ოსმალეთის მიერ მიტაცებულ ქართ. მიწებზეც.

მ. სვანიძე.

ზეამზია, სამი სოფელი ისტორიულ გუჯარეთში (ახლანდ. ბორჯომის მუნიციპალიტეტი). მდებარეობს გუჯარეთისწყლის მარცხენა შენაკადზე. ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) რუკაზე აღნიშნულია ამ სახელწოდების სამი სოფელი. ამჟამად ორი სოფელია – ქვემო და ზემო *მზეთამზე.*

ქვემო მზეთამზის ძვ. ნაეკლესიარი ღვთისმშობლის სახელობისაა. ნანგრევებში მოჩანს თანაბარი ლოდების მწკრივები, რ-თა წყობა მეტ-ნაკლებად თარაზულია. დარბაზული ეკლესიის ზომებია 2 *მ* × 5 *მ*. მის ცენტრში, ორსაფეხურიან ბაზისში 70 *სმ* სიმაღლის ოთხკუთხა სვეტია ჩასმული, რ-ის ერთ სიბრტყეზე, შუაში, მოგრძო, რელიეფური ჯვარია გამოსახული. სვეტს ზევიდან ფოსო აქვს, რ-შიც ვიწრო ტოლმკლავა ჯვარი ჩაუსვამთ, კონცენტრირებული წრეებით მკლავების გადაკვეთაზე. საკურთხეველში არის მეორე ბაზისიც ქვაჯვარის გარეშე; კიდევ ერთ ქვაზე ,,ბოლნური მედალიონია'' გამოსახული. შენობას შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონდა და გარს გალავანი ერტყა. ქვემო და ზემო მზეთამზის შემაერთებელ გზაზე მცირე გორაკია, სახელად ,,საჯვარე''. ზედ მართლაც ქვაჯვარის ბაზაა, აქედან გადავარდნილი მომაღლო სვეტი იქვე გდია, ზედ მოგრძო რელიეფური ჯვარია გამოსახული. ზემო მზეთამზეში, სასაფლაოზე დგას 1901 აგებული წმ. გიორგის მოზრდილი, დარბაზული ეკლესია. იგი იმ უცხო სტილითაა ნაგები, რ-იც XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში ევროპიდან რუსეთის გზით შემოვიდა და ფართოდ გავრცელდა. ზემო მზეთამზის სამხრ.-აღმ-ით ნასახლარებია, ეს უნდა იყოს ვახუშტი ბატონიშვილის რუკისეული მესამე ზ. ამ სოფლის სალოცავი ,,საყდრისერზე'' მდგარი ნაეკლესიარი უნდა ყოფილიყო: ის მსგავსია ქვემო მზეთამზის ეკლესიისა. გარეთ, აღმ. კედელთან გდია ქვაჯვარის ბაზისი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რაც ვინოგრადოვ-ნიკიტინმა 1916 მზეთამზიდან გადაიტანა და ბორჯომპარკში გამოფინა. ესაა ორი მაღალი, ოთხკუთხა ქვის სტელა თავისი ბაზისებით. ერთერთის სამ გვერდზე გამოსახულია ჯვრები და მამაკაცის ფიგურა გრძელი წვერით. სტელები აღწერა და ფოტოებიც გამოაქვეყნა აკად. გ. ჩუბინაშვილმა. მან ეს ძეგლები კატაულასა (VII ს.) და უსანეთის (VIII ს.) სტელებზე ბევრად უფრო გვიანდელად მიიჩნია. ამ პუნქტების სახელი ძველიდან ჩვენს დრომდე ასე იცვლება – სამძივისხევი სამზიოსხევი, ზეამზია, მზეთამზე. ამოსავალი რომ სამძივისხევია და სამძივი, ჩანს საგვარეულოს სახელწოდებიდან – სამძივარი, სადაც -არ სუფიქსი წარმომავლობას, აგრეთვე რომელიმე პუნქტის კუთვნილებას აღნიშნავს. ამ საგვარეულოს წარმომადგენელს პირველად ახსენებენ ,,ქართლის ცხოვრების'' ჩანართში ანდრია მოციქულის მოღვაწეობის შესახებ, რ-იც ლეონტი მროველის ტექსტშია დაცული. იქ ნათქვამია, რომ ,,აწყურში მთავრობდა მაშინ დედაკაცი ვინმე ქურივი სამძივარი''. მოტანილი ცნობა შეიძლება ისე გავიგოთ, რომ ეს იყო სამძივისხევში დაწინაურებული საგვარეულოს წარმომადგენელი, გათხოვილი აწყურის მთავარზე. ახლანდელი ზემო და ქვემო მზეთამზე XX ს. დასასრულს აღორძინდა ძვ. ნასოფლარებზე. აქ ქართლიდან და იმერეთიდან (ნადაბური, ამაშუკეთი) გადმოსულები დასახლდნენ.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., გიორგაძე მ., ჩაჩხუნაშვილი ც., ჭანიშვილი გ., გუჯარეთი, თბ., 1987. *დ. ბერძენიშვილი.*

ზებედე I, აღმ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1552–56. 1552, თბილისიდან სპარსელ დამპყრობთა განდევნის შემდეგ (შაჰმა თამაზ I-მა თბილისი დაიკავა 1548), ზ. I-მა ,,აიაზმით განწმინდა'' და ხელახლა აკურთხა სიონის ღვთისმშობლის საეპისკოპოსო ტაძარი, აგრეთვე ქალაქის ყველა დანარჩენი ეკლესია, რ-იც მტერმა შებილწა და გააუქმა. ხელი მოაწერა ლუარსაბ I-ის 1552 წლის სიგელს სიონის ეკლესიაში მღვდელმსახურების აღდგენისა და მამულების შეწირვის შესახებ.

წყარო: ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 2, ტფ., 1897; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000. *ბ. ლომინაძე.*

ზებედე II, აღმ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1610–11. ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის თანხმობით ზ. II-მ საკათოლიკოსო აზნაურებს ქონებრივი ძლიერების მიზნით 1610 წ. ყმამამულები უბოძა და სათანადო წყალობის წიგნებიც გადასცა.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

ზებეჟურის ქედი, საშუალო სიმაღლის ქედი აღმ. საქართველოში, ახალგორის მუნიციპალიტეტში, მდინარეების ლეხურისა და ქსნის წყალგამყოფი. გამოეყოფა ხარულის ქედს ცხრაწყაროს მთასთან და მიემართება სამხრ-ით. აგებულია ნეოგენური კონგლომერატებით, თიხებისა და ქვიშაქვების შუაშრეებით. კალთები სუსტად დანაწევრებულია, შემოსილია ფართოფოთლოვანი და შერეული ტყით, ჩრდ. მონაკვეთზე მეორეული მდელოებია. ქედზე აღმართულია ზებეჟურის მთა (2118 *მ*).

ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII ს.) სიტყვით, ,,ამ კლდეს ქუეით მტკურამდე ქსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი... და ამ კლდეს ზეით იწრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხუანი მთის ალაგნი მოსავალითა, ტყიან-კლდიანობითა''.

გ. დევდარიანი. ჯ. გვასალია.

ზებუ, კუზიანი ძროხა (Bos indicus), მისი სამშობლოა ინდოეთი. გავრცელდა აზიისა და აფრიკის კონტინენტებზე. ამერ. ტროპ. და სუბტროპ. ზონებში. მოშენებულია აზერბაიჯანსა და ცენტრ. აზიის ქვეყნებში. არსებობს ზ-ს და ზებუსნაირი ძროხეულის 370-მდე ჯიში. მათი სულადობა 500 მლნ. აჭარბებს. ნიდაოზე აქვს შემაერთებელი ქსოვილოვანი ცხიმ-ხორცოვანი კუზი, ძლიერ განვითარებული კანის ნაოჭები და დიდი ზომის ყურები. ფერად შავი, წითელ-ჭრელი, თაფლა, ნაცრისფერი და წაბლაა. ზრდასრული ფურის საშ. მასაა 250–270 *კგ*, კუროსი – 300–350 *კგ*, კულტ. ჯიშების ფურისა – 450–550 *კგ*, კუროსი კი – 850–1000 *კგ*. ზ. ზოგიერთი ენდემური დაავადებისადმი გენეტ. მდგრადია. კარგად ეგუება პაპანაქება სიცხეს. წლიურად იწველის 1500 *კგ*-მდე, რეკორდული ნაწველია 5600 *კგ*. რძე შეიცავს დიდი რაოდენობით ცხიმს (4,5–5%-მდე). საქართველოში ზ. 1976 შემოიყვანეს. იყენებენ



ზებუ.

ჰიბრიდიზაციის გზით მაღალი ტემპერატურისა და დაავადებებისადმი გამძლე მერძეული და მეხორცული ჯიშების გამოსაყვანად.

გ. გოგოლი.

ზეგაანი, სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტის მუკუზნის თემში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. მთისწინეთში, მდ. ჭერმისხევის (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 460 *მ*, გურჯაანიდან 10 *კმ*, მუკუზნიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ*. 610 მცხ. (2002). ზ-ის მახლობლადაა *ზეგაანის მონასტერი*.

ზეგაანის მონასტერი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ზეგაანის მახლობლად, ტყეში. სამონასტრო ნაგებობათაგან აღსანიშნავია VI–VII სს. ღვთისმშობლის *სამეკლესიანი ბაზილიკა* – ყველაწმინდა. რიყის ქვით ნაგები შენობის გარეთა კუთხეები, ბოძების იმპოსტები და



ზეგაანის მონასტერი. ღვთისმშობლის სამეკლესიანი ბაზილიკა – ყველაწმინდა. VI–VII სს.

სარკმლის საპირეები (გარედან) ამოყვანილია შირიმის კვადრებით. შუა, მთავარი ეკლესიის აფსიდის კონქი და ბემის თაღი ნალისებრი ფორმისაა. კამარა ეყრდნობა თლილი ქვის კონსოლებზე გადაყვანილ სამ საბჯენ თაღს. ნავის დას. ნაწილში მოწყობილია პატრონიკე. სამხრ. ეკლესიასაც აღმ-ით აფსიდი აქვს, ხოლო მისი სამხრ. კედელი ორ მრგვალ სვეტზე დაყრდნობილი ორთაღიანი შესასვლელი აქვს. მონასტერი შემოზღუდულია გალავნით, რომლის შიგნით შემორჩენილია დარბაზული ეკლესია და საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ნანგრევები.



ზეგაანის მონასტერი. წმინდა მარინეს ეკლესია. V ს.

მონასტრის მახლობლად, ტყეში V ს. წმ. მარინეს ეკლესიაა. გეგმით მართივი ჯვრის ფორმის შენობის გუმბათი ორფერდა სხურავის ქვეშაა მოქცეული. სამხრ. და ჩრდ. მკლავები დაბალია. ყველა მკლავი გადახურულია ნალისებრი ფორმის კამარით. ეკლესია შიგნიდან და გარედან შელესილია. ინტერიერში შემონახულია გვიანდელი ხანის მოხატულობა (რესტავრირებულია 2009).

ლიტ.: Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

შ. საღარაძე.

ზეგანი, ზაკი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, X ს. გუმბათოვანი ეკლესია ისტ. ჯავახეთში (ამჟამად თურქეთის ტერიტორია). 1902 მოინახულა ე. თაყაიშვილმა. გამოაქვეყნა გეგმა, ჭრილი და 2 ფოტოსურათი (ძეგლი შედარებით კარგ მდგომარეობაში იყო. ამჟამად ნანგრევებადაა ქცეული). სამხრ. შესასვლელის თავზე საქტიტორო რელიეფი იყო მოთავსებული, რომლის კომპოზიცია უნიკალურია როგორც იკონოგრაფიული თვალსაზრისით, ასევე ფიგურათა რაოდენობითა და მათი შემადგენლობით. რელიეფზე გამოსახულია ღვთისმშობელი ჩვილით და ქტიტორი ეკლესიის მოდელით ხელში. მათ შუა ანგელოზის ფიგურაა. შემორჩენილია ცალკეული ქართ. ასოებიც. რელიეფებში ფრინველთა და ცხოველთა გამოსახულებებიც იყო ჩართული.

ეკლესია გეგმით ტრიკონქია. ერთი ნავისაგან შემდგარი დას. მკლავი წაგრძელებულია. საკურთხევლის აფსიდი გარედან ხუთწახნაგაა, გვერდითი აფსიდები სწორკუთხედშია მოქცეული; სამკვეთლო და სადიაკვნე უშუალოდ გვერდით აფსიდებს უკავშირდება. ეკლესიას სამხრ-იდან და დას-იდან საერთო გარშემოსავლელი ჰქონდა. დას. მკლავი პილასტრების მეშვეობითაა დანაწევრებული. ამავე მკლავშია მოწყობილი პატრონიკე. მაღალ და მრგვალ გუმბათს ყელში 4 სარკმელია, რ-თაგან 2 მრგვალია. გუმბათის ყელზე გადასვლა ხდება ტრომპულ-აფრული სისტემით. შიგნით პილასტრები და თაღები თლილი ქვითაა ამოყვანილი, ფასადები შემოსილია სწორ რიგებად ნაწყობი სუფთად გათლილი კვადრებით. გუმბათს შემოუყვება არკატურა, რ-ის თაღებიც მონაცვლეობით შეწყვილებულ ლილვებს და კრონშტაინებს ეყრდნობა. ფასადებს და ლავგარდანს ამკობდა კვეთილი ორნამენტი. სამხრ. სარკმლის თავზე ჯვრისა და ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგის გამოსახულებაა.

ლიტ.: Беридзе В. В., Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тб., 1981.

ზეგანი, ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზედა ზეგნისა* და *ქვედა ზეგნის* გავრცელებული სახელწოდება. სოფ. ზ. XVIII ს. I ნახევრის წყაროებში იხსენიება.

ზეგანი, სოფელი გაგრის მუნიციპალიტეტის მეხადირის თემში (აფხაზეთის არ), აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. ჟეოფსეს მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 460 *მ*, გაგრიდან 34 *კმ*. 90 მცხ. (1989).

ზეგანი, სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის წებელდის თემში (აფხაზეთის არ), მდ. დიდი მაჭარის (მაჭარის მდგენელი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 360 *მ*, გულრიფშიდან 21 *კმ*.

ზეგანი, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის იფარის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), სვანეთის ქედის ჩრდ. კალთის ძირას, მდ. ენგურის მარცხ. ნაპირზე, ლასილის შესართავთან. ზ. დ. 1650 *მ*, მესტიიდან 19 *კმ*. 117 მცხ. (2002).

სოფელში დგას ღვთისმშობლის ეკლესია („ლამარია“). აშენების თარიღი უცნობია. ერთნავიანი შენობა ნაგებია ქვითა და შირიმის თლილი კვადრებით. აქვს 2 სარკმელი და ერთი შესასვლელი. ინტერიერში არის კანკელი. იატაკი ფიცრისაა, გადახურულია ყავრით.

ზეგანი, სოფელი სოხუმის მუნიციპალიტეტის შრომის თემში (აფხაზეთის არ), აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში. ზ. დ. 520 *მ*, სოხუმიდან 12 *კმ*. 11 მცხ. (1989).

ზეგარდა, XIII–XIV სს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმ. გიორგის ეკლესია სოფ. დიღმის მიდამოებში. გეგმით სწორკუთხა, პატარა ზომის ნაგებობა აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდით არის დასრულებული. შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. ნათდება საკურთხევლისა და სამხრ. და ჩრდ. კედლების სარკმლებიდან. ჩრდ. კედელში სარკმლის დატანება იშვიათია შუა საუკუნეების ქართ. ხუროთმოძღვრებისთვის. ასევე თავისებურადაა გადაწყვეტილი საკურთხევლის აფსიდიც: სატრი-

უმფო თაღის პილასტრები აფსიდის ნახევარწრეს კი არ ერწყმის, არამედ გამოწეულია მის ფარგლებს გარეთ. ფასადი შემოსილია ქვის გათლილი ფილებით. დას. მხარეს შემოყოლებულია ვიწრო ფილების სარტყელი, რ-იც აქ დეკორ. დანიშნულებას ასრულებს. სამხრ. კარის თავზე მოთავსებული არქიტრავი შემკული იყო ნახევარწრიული თაღით. დეკორ. მორთულობიდან აღსანიშნავია სხვადასხვა სიგანის 3 რელიეფური ღილვით შემკული საკურთხევლის სარკმლის საპირე.

ლიტ.: Шмерлинг Р., Долидзе В., Барнавели Т., Окрестности Тбилиси, Тб., 1960.

ზეგელაშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (31. III. 1858 – XX ს. 20-იანი წლები), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (XX ს. 10-იანი წლები). სამხ. სამსახურში იყო 1876-იდან. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომში. დაამთავრა გენშტაბის აკადემია I თანრიგით. 1895-იდან იყო კავკ. ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი. 1897 მიენიჭა გენ.-მაიორის წოდება. 1913-იდან მეთაურობდა 21-ე საარმიო კორპუსის 33-ე ქვეით დივიზიას კიევში. 1917-იდან იყო ჩრდ.-დას. ფრონტის მე-3 საარმიო კორპუსის სარდალი.

დაჯილდოებულია წმ. გიორგის, წმ. ვლადიმირის, წმ. ანას, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით, აგრეთვე თეთრი არწივის ორდენით.

ლიტ.: Брусилов А., Мои воспоминания, М., 1983. *ლ. დოლიძე.*

ზედა აგარა, სოფელი ქედის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის თემში (აჭარის არ), მესხეთის ქედის დას. მთისწინეთში, მდ. აგარისწყლის (აჭარისწყლის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 440 *მ*, ქედიდან 7 *კმ*. 226 მცხ. (2002).

ზედა ალისუბანი, სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის მაღლობის ჩრდ.-დას. მთისწინეთში, მდ. ჩხარის (ყვირილის აუზი) სათავეში. ალისუბნის თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ა., ზარნაძეები, თხილთაწყარო, მაჩიტაური, ქვედა ალისუბანი). ზ. დ. 300 *მ*, თერჯოლიდან 8 *კმ*. 551 მცხ. (2002).

იხ. აგრეთვე სტ. *ალისუბანი.*

ზედა აღვი, სოფელი ცაგერის მუნიციპალიტეტში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), ცაგერის ქვაბულის სამხრ. ნაწილში, მდ. ცხენისწყლის ხეობაში. აღვის თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ა., კენაში, ქვედა აღვი, შუა აღვი). ზ. დ. 660 *მ*, ცაგერიდან 12 *კმ*. 50 მცხ. (2002).

იხ. აგრეთვე სტ. *აღვი.*

ზედა აჭყვა, სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საჩინოს თემში (აჭარის არ), მესხეთის ქედის დას. მთისწინეთში. ზ. დ. 200 *მ*, ქობულეთიდან 15 *კმ*, ჩაქვიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ*. 1,2 ათ. მცხ. (2002).

ზედა ახალშენი, სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ახალშენის თემში (აჭარის არ), მესხეთის ქედის დას. მთისწინეთში. ზ. დ. 200 *მ*, ხელვაჩაურიდან 19 *კმ*. 2,0 ათ. მცხ. (2002).

ზედა ბაში, ყოფ. სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტში. გაუქმდა 2007.

ზედა ბახვი, სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (გურიის მხარე), გურიის დაბლობზე, მდ. ბახვისწყლის (სუფსის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ბახვის თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ბ., მშვიდობაური, ოქროსქედი, ქვედა ბახვი). ზ. დ. 210 *მ*, ოზურგეთიდან 12 *კმ*. 1,2 ათ. მცხ. (2002).

ზედა ბერეთისა, სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტის ნიგოზეთის თემში (იმერეთის მხარე), ჭიათურის პლატოზე, მდ. დუმალის (ძირულის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 840 *მ*, ჭიათურიდან 19 *კმ*. 544 მცხ. (2002).

იხ. აგრეთვე სტ. *ბერეთისა.*

ზედა ბზვანი, სოფელი ვანის მუნიციპალიტეტის ბზვანის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის მაღლობის სამხრ.-დას. მთისწინეთში, მდ. სულორის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 240 *მ*, ვანიდან 10 *კმ*. 770 მცხ. (2002).

იხ. აგრეთვე სტ. *ბზვანი.*

ზედა ბზუბზუ, სოფელი ქედის მუნიციპალიტეტის მახუნცეთის თემში (აჭარის არ), შავშეთის ქედის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. აჭარისწყლის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 400 *მ*, ქედიდან 15 *კმ*. 351 მცხ. (2002).

ზედა გორა (ყოფ. გორა-ზეინდარი), სოფელი ვანის მუნიციპალიტეტის გორის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის მაღლობის სამხრ. მთისწინეთში, მდ. ფერეთის (რიონის აუზი) ხეობაში. ზ. დ. 320 *მ*, ვანიდან 20 *კმ*, რიონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 21 *კმ*. 528 მცხ. (2002).

იხ. აგრეთვე სტ. *გორა.*

ზედა გორდი, სოფელი ხონის მუნიციპალიტეტის გორდის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის ჩრდ. ბორცვიან მთისწინეთში, მდ. ცხენისწყლის ხეობაში. ზ. დ. 650 *მ*, ხონიდან 22 *კმ*. 464 მცხ. (2002).

შემონახულია დადიანების საზაფხულო რეზიდენცია. გაშენებულია ძირითადად XIX ს-ში. ხუროთმოძღვრულ კომპლექსში შედის პარკი, სასახლე (ნანგრევებია), წყარო. ზ. გ-ის მიდამოებშია შუა საუკუნეების რამდენიმე ციხე.

იხ. აგრეთვე სტ. *გორდი.*

ზედა დაგვა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ *დაგვის* ყოფ. სახელწოდება.

ზედა დიმი, სოფელი ბაღდათის მუნიციპალიტეტის ნერგეეთის თემში (იმერეთის მხარე), მდ. ხანისწყლის (რიონის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 220 *მ*. ბაღდათიდან 3 *კმ*. 1,5 ათ. მცხ. (2002).

იხ. აგრეთვე სტ. *დიმი.*

ზედა ერგე, სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შარაბიძეების თემში, მდ. ჯოჭოსწყლის (ჭოროხის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 200 *მ*, ხელვაჩაურიდან 6 *კმ*. 386 მცხ. (2002).

ზედა ეწერი (ყოფ. რუხისწყალი), სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჩხორიის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), კოლხეთის დაბლობზე, მდ. ენგურის მარცხ. მხარეს, ზუგდიდი – ჯვარის საავტ. გზაზე. ზ. დ. 200 *მ*, ზუგდიდიდან 11 *კმ*. 2,6 ათ. მცხ. (2002).

ზედა ეწერი, სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის მაღლობის სამხრ.-დას. მთისწინეთში, მდ. კაპიტონის (რიონის აუზი) ნაპირას. ზ. დ. 140 *მ*, სამტრედიიდან 16 *კმ*. 183 მცხ. (2002).

ზედა ეწერი-ტობანიერი, სოფელი ვანის მუნიციპალიტეტის ტობანიერის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე. ზ. დ. 200 *მ*, ვანიდან 10 *კმ*. 284 მცხ. (2002).

ზედა ვანი, სოფელი ვანის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე. თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ვ., ტყელვანი). ზ. დ. 100 *მ*, ვანიდან 2 *კმ*. 658 მცხ. (2002).

სოფელში დგას XII–XIII სს. მთავარანგელოზის ეკლესია. ნაგებია კარგად გათლილი ქვით. ჩრდ-ით და სამხრ-ით მიშენებული აქვს ეგვტერები, ხოლო დას-ით – ნართექსი. სარკმლები ჩასმულია


პროფილირებულ საპირეებში. ჩრდ. ეგვტერისა და ნართექსის კედლებზე შემორჩენილია მხატვრობის ფრაგმენტები. პირველი ფენა XII–XIII სს. მიეკუთვნება, მეორე – XVII ს-ზე უგვიანესი არ უნდა იყოს. ეკლესიასთან ახლოს დგას XIX ს. სამსართულიანი სამრეკლო, რ-ის პირველი სართული გადახურულია შეკრული კამარით, მეორე სართული გახსნილია, მესამე თაღებით დაკავშირებული სვეტებისაგან



ზედა ვანი. მთავარანგელოზის ეკლესია. XII–XIII სს.

შედგება და კონუსისებრი სახურავი აქვს. *შ. საღარაძე.*

ზედა ვარძია, X–XI სს. მიჯნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ღვთისმშობლის ეკლესია. მდებარეობს ვარძიის ჩრდ.-დას-ით 3 *კმ*-ზე. ზედა ვარძიის ხევის ზემო ნაწილში, გიორგიწმინდის ხევის შესაყართან. ნასოფლარს ჰქვია **ზ. ვ**. ეკლესია აღმართულია კლდის ძირას ხელოვნურად მოსწორებულ და გამაგრებულ ბაქანზე. მიეკუთ-



ზედა ვარძია. ღვთისმშობლის ეკლესია. X–XI სს.

ვნება ორნავიან ეკლესიათა ტიპს, რ-საც სამხრ-ით დამატებული აქვს სამთაღედით შემკული ღია სტოა, რ-იც მთავარ ნავს კარით უკავშირდება. დას. მინაშენი უფრო გვიანდელი ხანისაა. ეკლესია ნაგებია კარგად გათლილი მოწითალო-იასამნისფერი ტუფ-ანდეზიტის კვადრებით. შიგნით შემოსილია დიდრონი თლილი ქვებით. ღრმა აფსიდით დასრულებული მთავარი ნავი მაღალია და ფართო, ჩრდ-ისა კი – დაბალი და ვიწრო. ისინი დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ორ ბურჯზე დაყრდნობილი თაღებით. ეკლესია შიგნით შელესილი ყოფილა, შეიმჩნევა მოხატულობის კვალი. გარედან ორივე ნავი გადახურულია ერთიანი ორფერდა სახურავით და უხვადაა მორთული ჩუქურთმებით. შესასვლელის თავზე სტილიზებული ასომთავრული წარწერაა, რ-შიც მოხსენიებულია ფრესკების ქტიტორის – აფრიდონის სახელი. მას ეკავა მსახურთუხუცესის თანამდებობა მეფე გიორგი III-ის დროს და ფლობდა თმოგვს. ეკლესიის მახლობლად, კლდეში, ერთ ან ორ სართულად გამოკვეთილია ქვაბსენაკები მონაზვნებისათვის.

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ც., ზედა ვარძია, თბ., 1985; გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი გ., ვარძია, თბ., 1976 (ქართ., ინგლ., რუს. ენებზე). *ი. ელიზბარაშვილი.*

ზედა ვედი, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის ხაიშის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ეგრისის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ურაშის (თხეიშის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 1360 *მ,* მესტიიდან 88 *კმ.* 27 მცხ. (2002).

ზედა ზეგანი, სოფელი ბაღდათის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), მდ. საკრაულის (ხანისწყლის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზეგნის თემის ცენტრი (სოფლები: **ზ. ზ.**, ქვედა ზეგანი, წიფა). ზ. დ. 440 *მ,* ბაღდათიდან 12 *კმ.* 146 მცხ. (2002).

იხ. აგრეთვე სტ. *ზეგანი.*

ზედაზენი, მთა საგურამოს ქედზე, მცხეთის მუნიციპალიტეტში. სიმაღლე 1178 *მ.* აგებულია მეოტურ-პონტოური კონტინენტური კონგლომერატებით, ქვიშაქვებისა და თიხების შუაშრეებით. კალთები დამრეცია, მცირედ დანაწევრებული. შემოსილია მთის ყომრალ ნიადაგზე გავრცელებული ფართოფოთლოვანი ტყით (მუხა, რცხილა, წიფელი). *მ. უთმელიძე.*

„ზედაზენი“, ლუდსახარში, იხ. *„ქართული ლუდის კომპანია“.*

ზედაზნის მონასტერი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამონასტრო კომპლექსი, მდებარეობს მცხეთის ჩრდ.-აღმ-ით, მდ. არაგვის მარცხ. ნაპირზე, საგურამოს ტყიანი ქედის ზედაზნის მთის კეხზე. ადრეულ ეპოქაში აქ აღმართული იყო *ზადენის* წარმართული კერპი, რ-ის ადგილზე VI ს. 40-იან წლებში ერთ-ერთ *ასურელ მამას* იოანეს ქართ. მონასტერი დაუარსებია. შემდეგში მას *იოანე ზედაზნელი* უწოდეს, ხოლო მონასტერს – იოანე ზედაზნელის მონასტერი. ზ. მ-ში მოღვაწე მწიგნობართაგან ცნობილია მხოლოდ მიქაელ წინამძღვარი (XI ს.), რ-ის ინიციატივით, მისივე მიწოდებული მასალის საფუძველზე, უცნობმა ავტორმა შექმნა „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქცია.

სამონასტრო ნაგებობათაგან დღეისათვის შემორჩენილია ნათლისმცემლის სამნავიანი ბაზილიკა, რ-იც ააშენა კათოლიკოსმა კლემენტოსმა VIII ს. დასასრულს (ადრინდელი პატარა დარბაზული ეკლესია ჩართულია მის მოცულობაში). გეგმით კვადრატული ბაზილიკის შუა ნავი ვიწროა და მაღალი. აღმ-ით მას ნახევარწრიული აფსიდი აქვს. შიგა სივრცე ორ წყვილ პილასტრზე აგურით ამოყვანილი ნახევარწრიული საბჯენი თაღებით სამ მონაკვეთად არის დაყოფილი. ნათდება საკურთხევლისა და გრძივი კედლების ზემო ნაწილებში გაჭრილი სარკმლებიდან. სამხრ. და ჩრდ. ნავები მთავარ ნავს აგურით ამოყვანილი ნალისებრი ფორმის თაღოვანი გასასვლელებით უკავშირდება. ჩრდ. ნავის აღმ. ნაწილში მოქცეულია VI–VII სს. მიჯნაზე აგებული პატარა დარბაზული ეკლესია, რ-ის გეგმით სწორკუთხა აფსიდი გადახურულია კონუსურ ტრომპებზე დაყრდნობილი ნალისებრი მოხაზულობის კონქით. საკურთხეველი 4 საფეხურითაა ამაღლებული. აქ დგას იოანე ზედაზნელის ქვის კუბო „პატიოსანი ლუსკუმა“, რ-იც ერთი მესამედით საკურთხეველშია შეჭრილი. ჩრდ. ნავის დას. ნაწილში წყლის აუზია. სამხრ. ნავი 2 ნაწილისგან შედგება, მის აღმ. მონაკვეთში უშუალოდ მასთან კარით დაკავშირებულია თითქმის კვადრატული სათავსი. ეკლესიაში შესასვლელიც თავდაპირველად აქედან იყო (ახლანდელი დას. შესასვლელი მოგვიანებითაა გაჭრილი). ძეგლი ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით, ნაწილობრივ აგურით, გვხვდება შირიმის ქვაც. ფასადები მარტივია და სადა. აღმ. ფასადზე სარკმლები განლაგებულია ასიმეტრიულად. მთავარი ნავის სარკმელი შემკულია „განედლებული“ რელიეფით, თვით ფასადზე ჯვრის მარტივი გამოსახულებაა.

ეკლესიას სამხრეთიდან ეკვრის თლილი ქვით შემოსილი ცილინდრულკამარიანი კვადრ. კარიბჭე, რ-ის სახურავზე აგურით ნაგები,



ზედაზნის მონასტერი. ნათლისმცემლის სამნავიანი ბაზილიკა. VIII ს.

თაღებით ოთხმხრივ გახსნილი რვაწახნაგა სამრეკლო დგას. მის დას-ით გამოყოფილია მცირე სენაკი (ორივე XVIII ს.). **ზ. მ.** რამდენჯერმეა შეკეთებული; 1970–71 ჩატარდა სარესტავრაციო და კეთილმოწყობის სამუშაოები.

ლ. მენაბდე. ნ. ანდღულაძე.

ზედა თლუღი, სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ჭელიაღელის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1200 *მ*, ამბროლაურიდან 15 *კმ*. 72 მცხ. (2002).

სოფელი პირველად მოხსენიებულია 1544 იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის სიგელში ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრალის დაარსების შესახებ. შემორჩენილია ფეოდ. ხანის წმ. გიორგის ეკლესიისა და ციხის ნანგრევები.

იხ. აგრეთვე სტ. *თლუღი*.

თ. ბერაძე.

ზედა თმოგვი, XI ს. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, სამნავიანი ბაზილიკა, ამავე სახელწოდების ნასოფლარში (ასპინძის მუნიციპალიტეტი). მდებარეობს ვარ-



ზედა თმოგვი. სამნავიანი ბაზილიკა. XI ს.

ძიისა და თმოგვის ციხის ჩრდ-ით მაღალმთიან პლატოზე. ნაგებია კარგად გათლილი მუქი ნაცრისფერი ბაზალტის ქვით. გადახურულია ლორფინებით. მაღალი და ფართო ცენტრ. ნავი გვერდის ნავებისაგან 2 წყვილი სვეტითა და მათზე დაყრდნობილი სამ-სამი თაღით არის გამოყოფილი. აღმ. ფასადზე გეგმით სამკუთხა ორი დიდი ნიშია და სხვადასხვაგვარად შემკული სამი სარკმელი. სამხრეთიდან სწორკუთხა ჩარჩოში ჩასმული, ჩუქურთმებითა და წარწერებით შემკული შესასვლელია. ბაზილიკის ჩრდ. კედელში ჩართულია VIII–IX სს. მცირე ზომის დარბაზული ეკლესიის სამხრ. კედელი შესასვლელითურთ, რ-ის დეკორი – ორ წაწყვილებულ სპირალზე დაყრდნობილი ნალისებრი თაღი – ჩრდ. ნავის ინტერიერშია მოქცეული. ბაზილიკის ერთ-ერთი წარწერიდან ირკვევა, რომ ძეგლი ბაგრატ IV-ის მეფობის (1027–72) დროს აუგია იოვანე ჭიმჭიმელის ძეს – ერისთავთ ერისთავს ფარსმანს. ძეგლს რამდენიმე აღდგენა-გადაკეთების კვალი ემჩნევა.

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ც., პორტალები ქართულ არქიტექტურაში, თბ., 1955; გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი რ., ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერები, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1947, ტ. 14. *რ. გვერდწითელი.*

ზედა თხილვანა, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტში (აჭარის არ), არსიანის ქედის დას. კალთაზე, მდ. ხიხანისწყლის (სხალთის აუზი) ნაპირას. თხილვანის თემის ცენტრი (სოფლები: **ზ. თ.**, ბაკო, მთისუბანი, ქვედა თხილვანა). ზ. დ. 1560 *მ*, ხულოდან 40 *კმ*. 506 მცხ. (2002).

იხ. აგრეთვე სტ. *თხილვანა*.

ზედა თხილნარი, სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის თხილნარის თემში (აჭარის არ), ჭანეთის ქედის ჩრდ.-აღმ. დაბოლოებაზე, მდ. ბოლოკოს (ჭოროხის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 200 *მ*, ხელვაჩაურიდან 7 *კმ*. 724 მცხ. (2002).

ზედა ილემი, სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ილემის თემში (იმერეთის მხარე), მდ. ძირულის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 320 *მ*, ზესტაფონიდან 13 *კმ*, ძირულიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ*. 313 მცხ. (2002).

იხ. აგრეთვე სტ. *ილემი*.

ზედა კვალითი, სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცხრაწყაროს თემში (იმერეთის მხარე), მდ. ყვირილის ხეობაში. ზ. დ. 300 *მ*, ზესტაფონიდან 9 *კმ*. 435 მცხ. (2002).

შემორჩენილია ეკლესიის ნაშთი, რ-საც ,,ნასაყდარს'' უწოდებენ.

იხ. აგრეთვე სტ. *კვალითი*.

ზედა კვირიკე, სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის კვირიკეს თემში (აჭარის არ), მესხეთის ქედის დას. მთისწინეთში, მდ. კინკიშის (კინტრიშის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 260 *მ*, ქობულეთიდან 6 *კმ*. 805 მცხ. (2002).

ზედა კინჩხა, სოფელი ხონის მუნიციპალიტეტის კინჩხის თემში (იმერეთის მხარე), ასხის მასივის სამხრ. ფერდობზე, მდ. ოკაცეს (ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი) ზემოწელში. ზ. დ. 760 *მ*, ხონიდან 28 *კმ*. 62 მცხ. (2002).

ზედა კირნათი, სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კირნათის თემში (აჭარის არ), შავშეთის ქედის მთისწინეთში, მდ. ჭოროხის ხეობაში. ზ. დ. 300 *მ*, ხელვაჩაურიდან 20 *კმ*. 156 მცხ. (2002).

ზედა კლდეეთი, სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის მაღლობის სამხრ. მთისწინეთში, მდ. აჯამურის (ყვირილის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. კლდეეთის თემის ცენტრი (სოფლები: ზ. კ., ალავერდი, თვრინი, კინოთი, მწყერისციხე, ტაბაკინი, ქვედა კლდეეთი). ზ. დ. 350 *მ*, ზესტაფონიდან 7 *კმ*. 521 მცხ. (2002).

ზედა კონდიდი, სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ალამბარის თემში (აჭარის არ), მესხეთის ქედის დას. მთისწინეთში. ზ. დ. 200 *მ*, ქობულეთიდან 7 *კმ*. 437 მცხ. (2002).

ზედა ლია (ყოფ. ლ ე ბ ო ხ ა), სოფელი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ლიის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის ვაკეზე, მდ. ენგურის მარცხ. მხარეს, ზუგდიდი–ჯვარის საავტ. და სარკინიგზო გზაზე. ზ. დ. 320 *მ*, წალენჯიხიდან 14 *კმ*. 1,5 ათ. მცხ. (2002).

ზედა ლუხვანო, სოფელი ცაგერის მუნიციპალიტეტის ლუხვანოს თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), ცაგერის ქვაბულის დას. ფერდობზე, მდ. ნამკაშურის (ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 900 *მ*, ცაგერიდან 7 *კმ*. 138 მცხ. (2002).

ზ. ლ. მთის სოფელია გაფანტული მოსახლეობით. აქ მრავალი ცალკე მდგომი გალავნიანი კოშკია. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით ლეჩხუმის ,,მოსახლენი არიან აზნაურნი და გლეხნი, რამეთუ არა არს მოსახლე, რომელსა არა ედგას კოშკი ქვითკირისა და შენობანი ყოველნივე ქვითკირისანი''. ისინი ერთმანეთისგან მოშორებით დგანან და ალბათ აქაურ აზნაურთა საგვარეულო საცხოვრებლებს წარმოადგენდნენ. ყოველ მათგანს შერჩენილი აქვს საკუთარი სახელი, რ-ებიც უბ-

ნების, ხოლო ზოგჯერ მფლობელთა საგვარეულოსაც გამოხატავს – შტურო, ლესარო, თაკვერელიანი. ეს უკანასკნელი გვარი დღეს აღარ ჩანს, მაგრამ ქვემო სვანეთის ჩოლურის თემში დაცულ XVI ს. ჯვრის წარწერაში მოხსენიებულია დევნა თაკვერელიანი. შტურო სოფლის ჩრდ.-დას-ით მაღალ ბორცვზეა. დღეისათვის შემორჩენილია კოშკის, სწორკუთხა საკურთხევლიანი ეკლესიისა და ტერასულად განლაგებული ორმაგი ზღუდის ნაშთი, რაც ამ ადგილზე შუა საუკუნეებში ძლიერად გამაგრებული ნასახლარის არსებობაზე მიგვანიშნებს. ლესარო სოფლის აღმ-ით განაპირა ბორცვზე დგას. მისგან გადარჩენილია დამუშავებული ქვის რეგულ. წყობით ნაგები ოთხკუთხა კოშკისა და კედელ-გალავნის ფრაგმენტები თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. უფრო გვიანდ. ხანისაა ლესაროს ციხის დას-ით, მდ. ნამჭარაშულის ხევს დაღმა, მარცხ. კბოდეზე განლაგებული კოშკისა და საცხოვრ. ნაგებობის ნაშთი და სალეთოდიანოს ორი ციხე.

მდ. ნამკაშურის აყოლებით მიდის გზა ტყემლავაკეზე, რ-იც შემდეგ ახალჭალის გავლით მარტვილის მუნიციპალიტეტში გადადის. ლაბარაზის გადასასვლელით კი გზა ლენტეხის მთებისკენ მიემართება.

იხ. აგრეთვე სტ. *ლუხვანო.*

ლიტ.: ლეჩხუმი, თბ., 1983.

ზედა ლუჰა, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის ფარის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ცალგმილის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1250 *მ*, მესტიიდან 26 *კმ*. 61 მცხ. (2002).

ზედა მახუნცეთი, სოფელი ქედის მუნიციპალიტეტის მახუნცეთის თემში (აჭარის არ), მესხეთის ქედის სამხრ. მთისწინეთში, მდ. აჭარისწყლის ხეობაში. ზ. დ. 350 *მ*, ქედიდან 12 *კმ*. 351 მცხ. (2002).

ზედა მესხეთი, სოფელი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქვიტირის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე. ზ. დ. 110 *მ*, წყალტუბოდან 27 *კმ*, ქუთაისიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ*. 1,2 ათ. მცხ. (2002).

ზ. მ. ძველად სოფ. *მესხეთის* ნაწილი იყო.

ზედა მუქედი, სოფელი ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის მაღლობის სამხრ. მთისწინეთში, მდ. ყუმურის (რიონის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 160 *მ*, ვანიდან 9 *კმ*. 427 მცხ. (2002).

ზედა მღვიმე, შუა პალეოლითის ხანის კარსტული მღვიმე სოფ. ცუცხვათის ტერიტორიაზე (ტყიბულის მუნიციპალიტეტი), მდ. შაბათაღელის მარჯვ. ნაპირზე, მდინარის დონიდან 65 *მ*, ზ. დ. 340 *მ* სიმაღლეზე. მღვიმე გამომუშავებულია ოკრიბა-არგვეთის ქედის ქვედა ცარცულ კირქვებში. იგი წარმოადგენს ცუცხვათის მრავალიარუსიანი (12) მღვიმური კომპლექსის IX იარუსს. აღმოჩენილია 1971 (ჭ. ჯანელიძე). გაითხარა 1971, 1974 (დ. თუშაბრამიშვილი). მღვიმე მშრალია. შესასვლელი მიმართულია ჩრდ-კენ (სიგრძე – 3,20 *მ;* სიგანე – 3,10 *მ*; სიმაღლე – 0,70 *მ*). გათხრილია 7 *კვ. მ*. დადგენილია 8 ლითოლოგიური ფენა. II–VII ფენებში აღმოჩენილია შუა პალეოლითური ხანის 14 ნივთი (იარაღი, ანატკეც-ლამელები), რ-ებიც თავისი იერსახით (ქვის გაპობის არალევალუური, არაფაცეტირებული ტექნიკა, ტიპური მუსტიე, გამდიდრებული დაკბილული ფორმები) მიეკუთვნება ცუცხვათის მუსტიეური კულტურის გვიანდ. საფეხურს.

I–IV, V, VI და VII ფენებისგან მიღებულია პალინოლოგიური მონაცემები. სპორა-მტვრის სპექტრებში უწვეულოდ დიდი რაოდენობით გამოჩნდა სითბოსა და ტენიანობის მოყვარული წაბლის მტვერი; დადასტურდა ჭაობის კვიპაროსის, ბზის, ბაძგის არსებობა.

ზ. მ-ის ფაუნა მდიდარია. დადგენილია შემდეგი ცხოველების არსებობა: თრია, მცირე აზიური ზაზუნა, რუხი კურდღელი, მგელი, ტურა, მელა, მღვიმური დათვი, მურა დათვი, მღვიმური აფთარი, ტყის კვერნა, მაჩვი, ავაზა, მღვიმური ლომი, ცხენი, გარეული ღორი, კეთილშობილი ირემი, შველი, არჩვი, კავკ. თხა, ბიზონი, კაჭკაჭი, ქორცქვიტა.

მღვიმეში (ძირითადად IV და V ფენებში), ცხოველთა მრავალი დანაწევრებული და ლულოვანი ძვლების გარდა, აღმოჩენილია მღვიმური დათვის თავის ქალები ქვედა ყბის გარეშე, რ-ებიც კედლების გასწვრივ გარკვეული რიგით იყო დალაგებული. წარმოების გადანაყარის არარსებობა, იარაღის მცირე რაოდენობა და გარკვეული თანამიმდევრობით დალაგებული მღვიმური დათვის თავის ქალები იმის მაუწყებელია, რომ ზ. მ-ს საკულტო დანიშნულება ჰქონდა და შუა პალეოლითელი ადამიანი მას ცხოველთან (უფრო მღვიმურ დათვთან) დაკავშირებულ სარიტუალო წეს-ჩვეულების შესასრულებლად იყენებდა.

მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

ლიტ.: Векуа А. К., Тушабрамишвили Д. М., Уникальная культовая пещера, წგ.: Изучение пещер Колхиды, Тб., 1978; Любин В. П., Палеолит Кавказа, წგ.: Палеолит Кавказа и Северной Азии, Л., 1989; Тушабрамишвили Д. М., Векуа А. К., Палеолит в Грузии, წგ.: Четвертичная система Грузии, Тб., 1982. *ნ. თუშაბრამიშვილი.*

ზედა ნაძალადევი, ყოფილი სოფელი სენაკის მუნიციპალიტეტში, ოდიშის დაბლობზე. გაუქმდა 2007.

ზედანია გიგა ომარის ძე (1.IV.1977, თბილისი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (2005), ილიას სახელმწ. უნ-ტის რექტორი (2014-იდან).

სწავლობდა თსუ-ის ფილოს. და სოციოლოგიის ფაკ-ტზე (1994–2000) ბარდის კოლეჯში (აშშ, 1996–97), ცენტრ. ევრ. უნ-ტში (უნგრეთი, 1999–2000); ბოხუმის რურის უნ-ტში (გერმანია, 2005) დაიცვა სადოქტორო საკვალიფიკაციო ნაშრომი.

სხვადასხვა დროს საქმიანობდა ფონდ ,,ღია საზოგადოება-საქართველოში'' (2005–08), ილიას სახელმწ. უნ-ტში. 2002-იდან იყო ილიას სახელმწიფო უნ-ტის ასოცირებული პროფესორი, სრული პროფესორი, პროფესორი.

არის ავტორი მონოგრაფიისა და თარგმანებისა.

თხზ.: Von Einheit zu Pluralität. Nikolaus von Kues als Interpret der Schriften des Dionysius Pseudo-Arēopagita, Lpz., 2008.

ზედა ონჭეიში, სოფელი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მექვენის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის მაღლობის ჩრდ.-დას. მთისწინეთში, მდ. ლეხიდრის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 400 *მ*, წყალტუბოდან 50 *კმ*. 32 მცხ. (2002).

სოფელს თავდაპირველად *ონჭეიში* ერქვა.

ზედა ორლული, სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტის ჩიხის თემში (იმერეთის მხარე), მდ. ყვირილის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 560 *მ*, საჩხერიდან 9 *კმ*. 463 მცხ. (2002).

ზედა რგანი, სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტის სარქველთუბნის თემში (იმერეთის მხარე), ჭიათურის პლატოზე, მდ. ყვირილის ხეობაში. ზ. დ. 600 *მ*, ჭიათური-



ი. ზედაშიძე სცენაზე.

დან 7 *კმ.* 297 მცხ. (2002).

იხ. აგრეთვე სტ. *რგანი.*

ზედა საზანო სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), მდ. ძუსის (ჩოლაბურის მდგენელი) ხეობაში. თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ს., დელტასუბანი, მუჯირეთი, სკანდე, შიმშილაქედი, ჩიხორი). ზ. დ. 320 *მ*, თერჯოლიდან 12 *კმ.* 1,7 ათ. მცხ. (2002).

იხ. აგრეთვე სტ. *საზანო.*

ზედა საირმე, სოფელი ცაგერის მუნიციპალიტეტის ალპანის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), გორმაღლის ქედის სამხრ. დაბოლოებაზე, მდ. რიონის ხეობაში. ზ. დ. 760 *მ*, ცაგერიდან 27 *კმ.* 336 მცხ. (2002).

იხ. აგრეთვე სტ. *საირმე.*

ზედა სამეგა, სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ქობულეთის თემში (აჭარის არ), მდინარეების კინკიშისა და კინტრიშის წყალგამყოფ სერზე. ზ. დ. 150 *მ*, ქობულეთიდან 9 *კმ.* 769 მცხ. (2002).

ზედა საძარა, სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), მდ. ბუჯის (ჩოლაბურის მდგენელი) მარცხ. მხარეს, ზესტაფონი–ჭიათურის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ს., ბეღლევი). ზ. დ. 300 *მ*, ზესტაფონიდან 3 *კმ.* 2,9 ათ. მცხ. (2002).

სოფლის მახლობლადაა XVI ს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – ეკლესია ,,გულბანდიანი". იგი გეგმით ,,თავისუფალი ჯვრის" ტიპისაა, ე. ი. კვლავ ცოცხლდება ტიპი, რ-იც ჩვენში მხოლოდ X ს-მდე იყო გავრცელებული, შემდეგ კი თითო-ოროლა გამონაკლისის სახით ჩნდებოდა.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974.

ზედა სიმონეთი, სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), მდებარეობს სიმონეთის ვაკესა და ბორცვიან მთისწინეთზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 350 *მ*, თერჯოლიდან 11 *კმ*, არგვეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 20 *კმ.* 1,8 ათ. მცხ. (2002).

იხ. აგრეთვე სტ. *სიმონეთი.*

ზედა სორტა, ყოფილი სოფელი სენაკის მუნიციპალიტეტში, ოდიშის დაბლობზე. გაუქმდა 2007.

ზედა ულიანოვკა (ყოფ. ბუკნარი), ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ *საჩინოს* სახელწოდება 1994-მდე.

ზედა ულიანოვკის განძი, ძვ. წ. XIV–XI სს. კოლხური ცულების განძი აღმოჩენილია ყოფილ სოფ. ზედა ულიანოვკაში (ახლანდ. სოფ. საჩინო, ქობულეთის მუნიციპალიტეტი). განძი შედგება დ. ქორიძისეული I ტიპის დაზიანებული 2 კოლხური ცულისაგან.

ცულები დაცულია აჭარის ხ. ახვლედიანის სახ. მუზეუმში.

ლიტ.: რამიშვილი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974. *ა. რამიშვილი.*

ზედა უჩხუბი, სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცხემლისხიდის თემში (გურიის მხარე), გურიის ქედის მთისწინეთში, მდ. ნატანების მარცხ. მხარეს. ზ. დ. 220 *მ*, ოზურგეთიდან 9 *კმ.* 468 მცხ. (2002).

ზედა ღელე, ყოფ. სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, კახაბრის ვაკეზე. გაუქმდა 2012.

ზედა ღვარდია, სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ცახის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. რიონის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 650 *მ*, ამბროლაურიდან 27 *კმ.* 91 მცხ. (2002).

ზ. ღ. ძველად სოფ. ღვარდიის ნაწილი იყო, შემდეგ ცალკე გამოეყო. წყაროებში XVI ს. II ნახევრიდან იხსენიება ზეღვარდიის სახელწოდებით. *თ. ბერაძე.*

ზედა ღვირიში, სოფელი ცაგერის მუნიციპალიტეტის ღვირიშის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), მდინარეების რიონისა და ცხენისწყლის წყალგამყოფზე. ზ. დ. 840 *მ*, ცაგერიდან 34 *კმ.* 76 მცხ. (2002).

ზედა ყანა, სოფელი შუახევის მუნიციპალიტეტის ჭვანის თემში (აჭარის არ), მდ. ჭვანისწყლის (აჭარისწყლის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 800 *მ*, შუახევიდან 15 *კმ.* 120 მცხ. (2002).

ზედა შავრა, სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ნამანევის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. შარეულის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1100 *მ*, ამბროლაურიდან 30 *კმ.* 136 მცხ. (2002).

სოფლის განაპირას იდგა XI ს. დასაწყისის კვერთის წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია – ამჟამად დანგრეულია. მეორე – ღვთისმშობლის, აგრეთვე ერთნავიანი ეკლესია განვითარებულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება. თავდაპირველად მცირე ზომის ნაგებობა XIX ს-ში გაუფართოებიათ. სოფლის მიდამოებშია ე. წ. *ლეკნარის* წმ. გიორგის სამონასტრო ანსამბლი.

ზედაშე, წითელი ღვინო, რ-საც ხმარობენ ზიარების დროს ან ჯვრისწერის წესის შესრულებისას; ხალხ. ყოფაში – საეკლ. დღესასწაულისათვის საგანგებოდ შემონახული საეკლ. ღვინო, არაყი და სხვ. გადატანითი მნიშვნელობით – საუკეთესო ხარისხის ღვინო.

ზედაშიძე იასონ (იაშა) ჯაგულის ძე (7. IX. 1930, ქუთაისი, – 21. I. 2010, თბილისი), მოცეკვავე. საქართვ. დამს. არტისტი (1967), მსოფლიო ახალგაზრდობის V (ვარშავა, 1958, I პრემია) და VII (მოსკოვი, 1967, ვერცხლის მედალი) ფესტივალების ლაურეატი. ცეკვა დაიწყო 13 წლისამ ქუთაისში (დ. უშვერიძის ანსამბლი). 1956 დაამთავრა თბილ. სახელმწ. უნ-ტის იურიდიული ფაკტი. 1965–90 მუშაობდა საქართვ. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იურისტად. 1948–53 ცეკვავდა საქართვ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლში [ხელმძღვანელები (სხვადასხვა დროს): ი. (ჯ.) *ბაგრატიონი*, ა. *თათარაძე*]. 1953–58 იყო საქართვ. სახელმწ. ფილარმონიის სოლისტი – მოცეკვავე. ერთხანს (1957) ცეკვავდა მოსკოვში, ი. მოისეევის ანსამბლში, 1958–63 – საქართვ. ცეკვის სახელმწ. აკად. ანსამბლში (ხელმძღვანელები ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი). ზ-ს ცეკვის მანერა გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, ოსტატობით და ცეცხლოვანი ტემპერამენტით. მის მიერ შესრულებული ცეკვებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ,,ყაზბეგური'', ,,ფარიკაობა'', ,,აჭარული'' და სხვ. გამოდიოდა გ. *ბერაძესთან* ერთად. გასტროლებით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

ზედა ჩხუტუნეთი (ყოფ. კახეთი, ნაგერვეთი), სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაჭახლის თემში (აჭარის არ), მდ. მაჭახლისწყლის (ჭოროხის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 600 *მ*, ხელვაჩაურიდან 21 *კმ.* 420 მცხ. (2002).

იხ. აგრეთვე სტ. *ჩხუტუნეთი.*

ზედაციხე, ქალაქის ყველაზე გამაგრებული ნაწილი (ძვ. საბერძნეთში – აკროპოლისი), წარმოადგენდა ციხესიმაგრეს, რ-საც ომიანობის დროს თავს აფარებდა მოსახლეობა. ზ-ს საქართველოში უწოდებდნენ აგრეთვე შიდაციხეს, ზედაქალაქს. ზ. ჰქონდა ძვ. ქართულ ქალაქებს: მცხეთას,

თბილისს, ქუთაისს, არქეოპოლისს, ანაკოფიას, ვანს და ა. შ.

ზედა ციხესულორი, სოფელი ვანის მუნიციპალიტეტის ციხესულორის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე, მდ. რიონის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 70 *მ*, ვანიდან 2,5 *კმ*. 536 მცხ. (2002).

შემორჩენილია ციხის ნანგრევები ადრინდ., შუა და გვიანდ. ფეოდ. ხანის სამშენებლო ფენებით.

ზ. ც. ძველად სოფ. *ციხესულორის* ნაწილი იყო. *თ. ბერაძე.*

ზედა ძიმითი, სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (გურიის მხარე), მდ. სუფსის მარჯვ. მხარეს, ოზურგეთი–ლანჩხუთის საავტ. გზაზე. ძიმითის თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ძ., ნასაკირალი, ქვედა ძიმითი). ზ. დ. 100 *მ*, ოზურგეთიდან 18 *კმ*. 751 მცხ. (2002).

ზედა ფევა, სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ძირულის თემში (იმერეთის მხარე) იმერეთის მაღლობზე, მდ. ძირულის ხეობაში. ზ. დ. 580 *მ*, ზესტაფონიდან 14 *კმ*. 132 მცხ. (2002).

სოფელშია XI ს. წმინდა გიორგის ეკლესია. გადაკეთებულია 1863. ეკლესიაში შემონახულია XVI–XVII სს. მოხატულობა, ლაპიდარული წარწერა.

ზედა ფირმინდი, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის ხაიშის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), მდ. კასლეთის (ხაიშურის მარჯვ. შენაკადი; ენგურის აუზი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1500 *მ*, მესტიიდან 84 *კმ*. 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

ზედა ფიფლავაკე, სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სანახშირის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის მაღლობზე, მდ. ძირულის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 480 *მ*, ზესტაფონიდან 12 *კმ*. 200 მცხ. (2002).

ზედა ჭალოვანი, სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტის ხვაშითის თემში (იმერეთის მხარე), რაჭის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ციხისწყლის (ჯრუჭულის მარჯვ. შენაკადი; ყვირილის აუზი) ნაპირას. ზ. დ. 1040 *მ*, ჭიათურიდან 18 *კმ*. 338 მცხ. (2002).

ზედა ჭარნალი, სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის თხილნარის თემში (აჭარის არ), მდებარეობს მდ. ჭარნალის (ჭოროხის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 90 *მ*, ხელვაჩაურიდან 8 *კმ*. 532 მცხ. (2002).

ზედა ჭყვიპი, სოფელი ტყიბულის მუნიციპალიტეტის ორპირის თემში (იმერეთის მხარე), ოკრიბის წვრილმთიანეთში, მდინარეების წყალწითელასა და ჭალის წყალგამყოფ სერზე. ზ. დ. 420 *მ*, ტყიბულიდან 28 *კმ*, ორპირიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ*. 127 მცხ. (2002).

ზედა ჭყვიში, სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), გორმაღლის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. რიონის ხეობაში. ჭყვიშის თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ჭ., ქვედა ჭყვიში, ქვიშარი). ზ. დ. 800 *მ*, ამბროლაურიდან 26 *კმ*. 197 მცხ. (2002).

სოფლის თავში გვიანდ. შუა საუკუნეების ციხის ნანგრევებია. ზ. ჭ-ის მახლობლადაა შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია *ლაბეჭინა*.

ზედა ხაიში, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის ხაიშის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), მდ. ენგურის მარცხ. მხარეს. ზ.დ. 1400 *მ*, მესტიიდან 72 *კმ*.

ზედგენიძე გიორგი არტემის ძე [21. II(6. III). 1902, თბილისი, – 24. VIII. 1994, მოსკოვი], რენტგენოლოგ-რადიოლოგი. რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი სსრკ-ში. მედ. მეცნ. დოქტორი (1937), პროფესორი (1939), სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960). 1927 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. თითქმის მთელი სიცოცხლე მსახურობდა რუსეთში. 1939–41 იყო სამხ.-საზღვაო სამედ. აკად., ხოლო 1941–59 – ლენინგრადის სამხ.-სამედ. აკად. რენტგენოლოგიის კათედრის უფროსი, 1958–73 – სსრკ მედ. მეცნ. აკადემიის სამედ. რადიოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დამაარსებელი და პირველი დირექტორი, 1973-იდან – მოსკოვის კლინ. და ექსპერ. ონკოლოგიური ცენტრის კონსულტანტი, 1958-იდან – ჟურნ. ,,მედიცინსკაია რადიოლოგიის'' რედაქტორი.

ზ-ს დამუშავებული აქვს მაიონიზებელი გამოსხივების ბიოლ. მოქმედების, სხივური თერაპიის, ავთვისებიანი სიმსივნეების, ძვლებისა და სახსრების, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის, ფილტვის დაავადების, ტრავმულ და სხვა დაზიანებათა რენტგენოდიაგნოსტიკის, რენტგენოლოგიური გამოკვლევის საკითხები. 1958-იდან იყო რენტგენოლოგ-რადიოლოგთა საკავშ. საზ-ბის თავ-რე (1979-იდან საპატიო თავ-რე), საფრანგეთის, გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის და ბულგარეთის რენტგენოლოგ-რადიოლოგთა საზ-ბებისა და მსოფლიოს რენტგენოლოგ-რადიოლოგთა ასოციაციის აღმასკომის წევრი. შექმნა რენტგენოლოგებისა და რადიობიოლოგების სკოლა სსრკ-ში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Экспериментальные фиброзные дистрофии костей, Л.,1938; Рентгенодиагностика повреждений костей и суставов, 2 изд., М., 1944; Неотложная рентгенодиагностика, Л., 1957 (თანაავტ.: Л. Д. Линденбратен); Краткий курс рентгенологии и радиологии, М., 1963 (თანაავტ.: Л. Д. Линденбратен); Клиническая радиоизотопная диагностика, М., 1968; Рентгенологическое исследование лабораторных животных, М., 1970; Клиническая рентгенорадиология. Руководство в 5-ти томах, М., 1983–85.

რ. ვეფხვაძე.



გ. ზედგენიძე.

ზედგენიძეები, ზედგენიძეები, ფეოდალური საგვარეულო აღმ. საქართველოში. ზ. XIV ს. I ნახევარში დამკვიდრდნენ მდ-ების რეხისა და მეჯუდის მიმდებარე ტერიტორიაზე. XIV ს. 80–90-იან წლებში სამეფო კარის ერთგულებისათვის (იხ. თ. *ზევდგინიძე*) საგვარეულო საძვალედ მიიღეს შიომღვიმე. ალექსანდრე I-მა ზ-ს დაუმტკიცა გორის მოურაობა, ამილახვრობა და სოფლები – კასპი, გომი, ნადარბაზევი – ყმა-მამულებით. პირველი ამილახვარი იყო თაყა ჯანიბეგის ძე ზევდგინიძე. აქედან მომდინარეობს ამილახვართა გვარი და სათავადო საამილახვრო.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.

მ. ქიქოძე.

ზედგზითი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, X–XI სს. ეკლესია ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი პროვინციის ჰერეთის ტერიტორიაზე (დღეს აზერბაიჯანის რესპუბლიკა, შექის რ-ნის სოფ. ორთა-ზეიზითის მახლობლად). ნაგებობა წარმოადგენს ე. წ. ,,თავისუფალი ჯვრის'' ტიპის ვარიანტს. გარედან იგი მთლიანად სწორ რიგებად დალაგებული შირიმის თლილი კვადრებით არის ამოყვანილი; შიგნითა კედლები წვრილი ნატეხი ქვითაა ნაგები. კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები (თაღები, კამარები) გამოყვანილია შირიმით.

აფსიდაში ორი ნიშია მოწყობილი. ნიშები იატაკიდან იწყება. 3 საბჯენი თაღითა და აფსიდის კონქით შემოფარგლულ გუმბათქვეშა კვადრატს აქვს სწორკუთხა კვეთის თაღების ორი და ლილვის ფორმის მესამე საფეხური, რ-იც ენასკვება გუმბათქვეშა სალტის ლილვს. გუმბათქვეშა კვადრატზე აღმართულია დაახლოებით ორჯერ ნაკლები დიამეტრის მქონე გუმბათის ყელი. თავდაპირველად ეკლესია მოხატული ყოფილა. დას. მკლავის ჩრდ. კედელზე შემორჩენილია მხატვრობის მცირე ფრაგმენტი, XIX ს. 80-იან წლებში აქ შესაძლებელი იყო მთავრული ასოების გარჩევა. ამ თავისებური ეკლესიის პარალელები გვხვდება X–XI სს. მიჯნის ტაო-კლარჯეთისა და თრიალეთის ძეგლებში, რითაც განისაზღვრება მისი აგების თარიღი. შენობის ჩრდ. მკლავზე მიშენებულია მცირე კაპელა – საძვალე.

ლიტ.: Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

გ. მარჯანიშვილი.

ზედგინიძე ავთანდილ ალექსანდრეს ძე (დ. 8. X. 1938, სოფ. კოთელია, ახლანდ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1993). 1967 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის სატყეო-სამეურნეო ფაკ-ტი. 1974–82 მუშაობდა თსუ-ში საინჟ.-ეკონ., ხოლო შემდეგ სახ. მეურნეობის დაგეგმვის ფაკ-ტებზე. 1982-იდან იყო საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის (ახლანდ. საქართვ. სახელმწ. აგრარული უნ-ტი) სატყეო ეკონომიკის, ორგანიზაციისა და ტაქსაცია-ტყეთმოწყობის კათედრის თანამშრომელი, პროფესორი (1993-იდან); 2006-იდან კი – ამავე უნ-ტის სატყეო დეპარტამენტის პროფესორი. მისი კვლევის ძირითადი სფეროა სატყეო და სოფ. მეურნეობის დარგების ინტეგრაციის განვითარების ძირითადი მიმართულებები საბაზრო ეკონომიკის პირობებში. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი.

თხზ.: ტყის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა, თბ., 1975 (თანაავტ.); ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზი, თბ., 1976 (თანაავტ.); აგროსამრეწველო კომპლექსში სატყეო მეურნეობის წარმოების გაძღოლის საფუძვლები, თბ., 1988.

ზედგინიძე ალა გიორგის ასული (დ. 16. II. 1941, თბილისი), ჰემატოლოგი, გენეტიკოსი. მედ. მეცნ. დოქტორი (1987), პროფესორი (1999). 1964 დაამთავრა თსსი. 1965-იდან მუშაობს ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში სხვადასხვა სამეცნ. თანამდებობაზე. იყო სსრკ-ის მეცნ. აკად. გენეტიკისა და სელექციის საბჭოს სიმსივნის გენეტიკის სექციის წევრი (1982-იდან), ჰემატოლოგიის საკავშ. პრობლემური კომისიის ექსპერტი. 1989-იდან ხელმძღვანელობს ამავე ინ-ტში თავისსავე ჩამოყალიბებულ ლაბორატორიას, სადაც აწარმოებს ონკო-გენეტ. კვლევებს. 1997-იდან ზ-ის ინტერესის სფეროა რადიაციული გენეტიკა. 1999–2006 იყო თსსუ-ის ჰემატოლოგიის კათედრის პროფესორი.

ზ-ის სამეცნ. კვლევის ძირითადი მიმართულებაა ლეიკოზისწინარე მდგომარეობისა და ლეიკოზის განვითარებისას გენეტ. აპარატის დარღვევების გამოვლენა.

ზ. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი, მ. შ. 3 გამოგონების, 4 მეთოდური რეკომენდაციისა და 1 სახელმძღვანელოსი.

ზედგინიძე გიორგი ვლადიმერის ძე (28. X. 1922, სოფ. ბალანთა, ახლანდ. ბორჯომის მუნიციპალიტეტი, – 1. XII. 1994, ბორჯომი), მწერალი. დაამთავრა გორის პედ. ინ-ტის ლიტ-რის ფაკ-ტი (1953). მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. 1940-იდან აქვეყნებდა წერილებსა და ნარკვევებს ჟურნალ-გაზეთებში. მისი მთავარი ნაწარმოებია ისტ. რომანი ,,დედის ტაძარი'' (1969, 1981), რ-შიც ასახულია XVII ს. მესხეთ-ჯავახეთის ვითარება. ზ. ავტორია აგრეთვე კრებულისა ,,მოთხრობები'' (1976), ისტ. პიესისა ,,მანუჩარ ჯაყელი'' და სხვ. მისი სამეცნ. ნაშრომები სამხრ. საქართველოს ისტ. მოვლენებზე სისტემატურად ქვეყნდებოდა სამეცნ. ჟურნალებში.

ზედგინიძე გიორგი სერგის ძე (25. IX. 1911, ჟენევა, – 13. III. 1984, თბილისი), ნევროპათოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1966). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1973). 1931 დაამთავრა თსსი. 1931–32 მონაწილეობდა ექსპედიციაში ყინულმჭრელ ,,მალიგინზე''. 1932–34 იყო ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში არქტიკის შემსწავლელი და კოლიმის მეორე პოლარული ექსპედიციების ექიმი; ამ პერიოდს ეკუთვნის მისი პირველი სამეცნ. გამოკვლევები, რ-ებიც ეხებოდა ჩუკოტკის ერთ-ერთი რ-ნის მოსახლეობის სტატისტ. შესწავლას, პოლარულ ფსიქოზს და ჰაისბეკის დაავადებისა და სურავანდის შერწყმის აშვიათ შემთხვევას. არქტიკაში ყოფნის დროს ასრულებდა საქართვ. გეოგრ. საზ-ბის დავალებებსაც, აგროვებდა კოლექციებსა და სხვ.

ზ. იყო II მსოფლიო ომის მონაწილე. არმიიდან დაბრუნების შემდეგ (1951-იდან) მუშაობდა თბილ. კურორტოლოგიის ინ-ტის წყალტუბოს ფილიალში, სადაც ხელმძღვანელობდა ნევროლოგიურ განყ-ბას და ასრულებდა დირექტორის მოადგილის მოვალეობას სამეცნ. დარგში. აქ მან შექმნა ბავშვთა პოლიომიელიტის განყ-ბა, შეიმუშავა პოლიომიელიტგადატანილ ბავშვთა მკურნალობის მაჩვენებლები და მეთოდიკა. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა სამუშაო კუნთების პროგრ. დისტროფიისა და ნერვული სისტემის ორგ. დაავადებათა ბალნეოთერაპიის ხაზით.

1958-იდან იყო კლინ. და ექსპერ. ნევროლოგიის ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში. იკვლევდა ნერვულ დაავადებათა ეპიდემიოლოგიას, ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევას და ეპილეფსიას.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Курорт Цхалтубо и его неврологическое профилирование, Тб., 1963; Словарь по терминологии эпилепсии, Женева, 1973.

ლიტ.: ზაქარიაძე მ., მეგრელაძე შ., ქართველი ექიმები ჩრდილოეთის ექსპედიციებში, თბ., 1987.

ა.ზედგინიძე.

ზედგინიძე ელიზბარ კონსტანტინეს ძე [10(23). XI.1903, თბილისი, – 7. X. 1983, იქვე], მწერალი. 1910–17 სწავლობდა თბილ. ქართ. გიმნაზიაში, 1927–31 – თსუ-ის ფილოლ. ფაკტ-ზე. 1928–29 თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრის ორგანიზატორი და პირველი დირექტორი იყო. წლების განმავლობაში მუშაობდა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1923, როდესაც გაზ. ,,სპარტაკსა'' და ჟურნ. ,,მომავალში'' გამოაქვეყნა მოთხრობები. მოთხრობათა პირველი წიგნი ,,ვერცხლის ქამარი'' 1927 გამოიცა. მას მოჰყვა წიგნები: ,,რკინის ძმები'' (1930), ,,შორეული ცის ქვეშ'' (1937), ,,დაუვიწყარი ზაფხული'' (1952), ,,ოქროს თუმნიანი'' (1959), ,,თავ-

დადებულნი“ (1976). ზ. ავტორია რამდენიმე რომანისა: „იღვიძებენ მთები“ (1934), „განთიადის წინ“ (1941, შემდგომ ეწოდა „მზის ამოსვლამდე“, 1954, 1960), „გაზაფხული დაიწყო ადრე“ (წგ. 1–2, 1963–67), „უბატონო ქვეყანა“ (1975). მასვე ეკუთვნის პიესები: „მაღაროში მომუშავენი“ (1924), „ბნელი ძალები“ (1928); ნარკვევების კრებულები: „გუგუნი გვირაბებში“ (1931), „გიგანტის მშენებლები“ (1932), „დღეები ჭიათურაში“ (1932); საბავშვო მოთხრობები, ისტ. ნოველები, დოკუმენტური მოთხრობა, ციკლები ძვ. თბილ. ცხოვრებასა და ქართვ. კლასიკოსებზე. მისი თხზულებები თარგმნილია უცხ. ენებზე.

თხზ.: რჩეული, თბ., 1956; რჩეული ორ ტომად, თბ., 1971–73; გაზაფხული დაიწყო ადრე. რომანი. – მოთხრობები და ნარკვევები, თბ., 1967.

რ. კვერენჩხილაძე.

ზედგინიძე იაკობ სიმონის ძე (1859, სოფ. ვალე, ახლანდ. ახალციხის მუნიციპალიტეტი, – 1943), პედაგოგი, მეთოდისტი. დაამთავრა ახალციხის სამაზრო სასწავლებელი (1874), თბილ. სამასწავლებლო ინ-ტი (1879); მუშაობა დაიწყო ქ. შუშაში სამოქალაქო სკოლის მასწავლებლად. მუშაობდა განჯის სამოქალაქო და სახელოსნო სასწავლებელში, თბილ. მე-5 გიმნაზიაში, თბილ. I საშ. სკოლაში. ზ-ს ეკუთვნის შრომები: „ახალი ქართული ანბანი“ (1920) ოთხ ნაწილად, „ქართული წერის მეთოდიკა“ (1934) და სხვ.

ზედგინიძე ივანე (ვანო) ალექსანდრეს ძე (დ. 31. VII. 1929, სოფ. კოთელია, ახლანდ. ახალქალაქის მუნიციპალიტეტი), აგრონომი. სოფლის მეურნეობის მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1997). 1954 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის აგრონომიული ფაკ-ტი. 1954–56 მუშაობდა საქართვ. მემინდვრეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, 1958–60 – საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში; 1962–79 იყო საქართვ. მცენარეთა დაცვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ბიოფიზიკის განყ-ბის სპეც. ლაბორატორიის გამგე, 1979–82 – საქართვ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სას.-სამ. რადიოლოგიის კვლევითი ლაბორ. რადიოგამძლეობის განყ-ბის გამგე. 1983–98 ეწეოდა სამეცნ.-პედ. მოღვაწეობას საქართვ. აგრ. უნ-ტში გენეტიკისა და სელექციამეთესლეობის კათედრაზე. 1998–2006 იყო ამავე ინ-ტის მემცენარეობის კათედრის გამგე, 2006–10 – აგროტექნოლოგიის დეპარტამენტის კონსულტანტი. 2011-იდან მუშაობს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებულ სას.-სამ. კულტურების ჯიშთა გამოცდის სამსახურში. ზ-ის კვლევის მიზანია მაიონიზებელი გამოსხივების გავლენის დადგენა სტრატეგიული კულტურების (ხორბალი, კარტოფილი) სამეურნეო-ბიოლ. თვისებებზე, დაავადებათა მიმართ გამძლეობასა და მათი გამომწვევების პათოგენობაზე. ზ-ის ხელმძღვანელობით საქართველოში პირველად განხორციელდა უნიკალური ექსპერიმენტი – მიწისზედა ბირთვული აფეთქების მოდელირება, რის შედეგადაც ზ-მ დაადგინა მცენარის ცალკეული ორგანოების რადიონუკლიდებით დანაგვიანების დოზები და მათი ბიოლ. ეფექტი, გამოავლინა რადიაციისადმი შედარებით გამძლე ხორბლის სახეობები და ჯიშები, შეისწავლა რადიაციის სხვადასხვა ფონზე მასპინძელ მცენარესა და მის პათოგენს შორის ურთიერთგავლენის კანონზომიერება, ასევე პარაზიტის ქცევები, დაამუშავა შესაბამისი ინსტრუქციები. ზ. მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).

თხზ.: მემცენარეობა თესლმცოდნეობის საფუძვლებით, თბ., 2009.

ზედგინიძე ილია შალვას ძე (26. XI. 1926, თბილისი, – 20. XII. 1996, იქვე), ჰემატოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1966), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1985), საქართვ. სამედ.-ბიოლ. მეცნიერებათა აკად. წევრი (1994). 1948 დაამთავრა თსსი. 1956–58 მუშაობდა საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს გ. მუხაძის სახ. ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის, 1958–70 კი – რენტგენოლოგიისა და სამედ. რადიოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტებში განყ-ბის ხელმძღვანელად, შემდეგ დირექტორის მოადგილედ სამეცნ. დარგში. 1966–69 იყო გაეროს ატომური ენერგიის საერთაშ. სააგენტოს ბუნებისმეტყველების მეცნიერების და სამედ. დეპარტამენტის (ქ. ვენა) დირექტორი, 1971–73 და 1983-იდან – ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი, 1973–78 – საქართვ. ჯანდაცვის მინისტრი, 1975-იდან – საქართვ. ჰემატოლოგთა და ტრანსფუზიოლოგთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე. 1978 მისი ინიციატივით, ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ბაზაზე შეიქმნა ჰემატოლოგიის და ტრანსფუზიოლოგიის კათედრა, რ-საც ზ. ხელმძღვანელობდა 1989-მდე; 1996 კათედრას მიენიჭა ზ-ის სახელი. იყო აგრეთვე ბულგარეთის და ჩეხოსლოვაკიის ჰემატოლოგთა და ტრანსფუზიოლოგთა სამეცნ. საზ-ბების საპატიო წევრი, ტრანსფუზიოლოგთა საერთაშ. სამეცნ. საზ-ბის წევრი და სხვ. ზ. იკვლევდა ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის აქტუალურ საკითხებს, ლეიკოზისა და ანემიის ეტიოპათოგენეზის, კლინიკისა და მკურნალობის საკითხებს. დაადგინა ჰემატოენცეფალური ბარიერის ფუნქციური მდგომარეობა სხვადასხვა ტრანსფუზიული საშუალებების გადასხმის დროს და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Хронический лимфолейкоз, Тб., 1976; Морфологические особенности острых лейкозов, Тб., 1979; Manual of Radiation Haematology, Vienna, 1971.

ზედგინიძე ირაკლი გიორგის ძე (14. XI. 1940, თბილისი, – 1. I. 2011, იქვე), მეცნიერი ავტომატიკასა და გამოთვლითი ტექნიკის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1979), საქართვ. საინჟინრო აკად. ნამდვ. წევრი (2007), გაეროსთან არსებული ინფორმატიზაციის საერთაშ. აკად. წევრი (1994) და კავშირგაბმულობის საერთაშ. აკად. ნამდვილი წევრი (1997). 1963 დაამთავრა სპი-ის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექ. ფაკ-ტი. 1972-იდან გარდაცვალებამდე იყო სტუ-ის საზომი ტექ., ექსპერტიზისა და ხარისხის მენეჯმენტის კათედრის გამგე.

ზ-ის კვლევები ეხება საზომი ექსპერიმენტის მათ. დაგეგმვის, პროდუქციის ხარისხის კონტროლისა და მართვის, მეტროლოგიის, სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის საკითხებს. შექმნა ექსპერიმენტის მათ. დაგეგმვის ქართ. სკოლა. ავტორია 9 მონოგრაფიისა და მრავალი სახელმძღვანელოსი.

თხზ.: ხარისხის მართვა, თბ., 2008 (თანაავტ. მ. ბალიაშვილი); Планирование эксперимента для исследования многокомпонентных систем, М., 1976.

ზედენადობა, კვანტური სითხის დაბალტემპერატურული მოწესრიგებული ფაზის თვისება – ვიწრო ხვრელებში სითხის გადინების უნარი სიბლანტის გარეშე, როდესაც დინების სიჩქარე დაბალია (ე. წ. კრიზისულ სიჩქარეზე ნაკლები). კარგად არის შესწავლილი ჰელიუმის იზოტოპების (^{4}He და ^{3}He) ზ. სავარაუდოდ, ზ-ის

უნარი აქვს ბირთვულ ნივთიერებას ნეიტრონულ ვარსკვლავებში (ე. წ. პულსარებში).

^{4}He ზედენადობა. გაჯერებული ორთქლის წნევისას თხევადი ^{4}He ამჟღავნებს ზ-ს T_c=2,17 K კრიზისულ ტემპ-რაზე დაბლა. ამ მოწესრიგებულ ფაზას უწოდებენ ^{4}He II (ნორმალურ, ანუ მოუწესრიგებელ ფაზას, რ-იც ხორციელდება $T > T_c$ ტემპ-რაზე, უწოდებენ ^{4}He I). ^{4}He ზ. აღმოაჩინა პ. *კაპიცამ* (1938). ბოზე-სითხის (რ-ის მაგალითია ^{4}He) ფენომენოლოგიური თეორია შექმნა ლ. *ლანდაუმ*, ხოლო პირველად მიკროსკოპულად აღწერა ნ. *ბოგოლიუბოვმა*.

ლანდაუს ორსითხოვანი მოდელის თანახმად, ^{4}He II არის ორი ურთიერთშეღწევადი კომპონენტის (ნორმალურისა და ზედენადის) ნარევი. ნორმალური კომპონენტი [სიმკვრივე $\rho_n(T)$] სითხის ელემენტარული აღგზნებების (კვაზინაწილაკების) ერთობლიობაა. განსხვავებით ნორმალური კომპონენტისაგან, რ-საც გარკვეული სიბლანტე ახასიათებს, ზედენად კომპონენტს [სიმკვრივე – $\rho_s=\rho-\rho_n(T)$] სიბლანტე არა აქვს და სწორედ მას შეუძლია ვიწრო ხვრელებში სიბლანტის გარეშე გადინება.

ტემპ-რის აბსოლ. ნულზე $\rho_n=0$, ხოლო $\rho_s=\rho$ (ρ – სითხის მასური სიმკვრივეა).

^{4}He II თვისებების კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართვ. ფიზიკოსებმა. ფუნდამენტური ექსპერ. შედეგი მიიღო ე. *ანდრონიკაშვილმა*. მან პირველმა დაადგინა (1946) ნორმალური კომპონენტის სიმკვრივის ტემპრული დამოკიდებულება, რაც ლანდაუს ფენომენოლოგიური თეორიის მართებულობის დამამტკიცებელია (იხ. *ანდრონიკაშვილის ექსპერიმენტი*). გ. გამცემლიძის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები გამოიყენეს საბჭოთა მეცნიერებმა ვ. გინზბურგმა და ლ. პიტაევსკიმ ^{4}He II თეორიის შექმნისას. შესწავლილ იქნა კვანტური გრიგალებით გამსჭვალული მბრუნავი ^{4}He II თვისებები (ე. ანდრონიკაშვილი, ი. *მამალაძე*, ჯ. *წაქაძე*). გინზბურგ–პიტაევსკის თეორია განავითარა ი. მამალაძემ. თეორიულად შესწავლილია ბგერის გავრცელების თავისებურებანი ^{4}He II-ში ნორმალური კომპონენტის დამუხრუჭების პირობებში (ჯ. *სანიკიძე*).

^{3}He ზედენადობა. ^{3}He ფერმისითხეა და მოწესრიგებულ (ზედენად) მდგომარეობაში გადადის უკიდურესად დაბალი კრიზისული ტემპ-რის დროს (T_c~3·10^{-3} K). ამ პირობებში ფერმიონული კვაზინაწილაკები ქმნის კუპერის წყვილებს (ზეგამტარებში ელექტრონული წყვილების მსგავსად). ^{3}He-ში კუპერის წყვილებს აქვს შინაგანი სტრუქტურა – აქვს ნულისაგან განსხვავებული სპინური და ორბიტული მომენტები. ამის შედეგად კუპერის წყვილების მოწესრიგებული ფაზა ($T<T_c$), გარდა ზ-ისა, ამჟღავნებს *თხევადი კრისტალებისა* და ანტიფერომაგნ. ნივთიერებებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს. ამერ. ფიზიკოსების (დ. ოშეროვი, დ. ლისა, რ. რიჩარდსონი) მიერ აღმოჩენილია ზედენადი ^{3}He-ის სამი ფაზა: A, A_1 და B, რ-თა თვისებები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულია.

მნიშვნელოვანია ქართვ. ფიზიკოსების წვლილი ^{3}He-ის ზედენადი ფაზების თვისებათა გამოკვლევაში. გ. *ვაჩნაძემ* და გ. *ხარაძემ* ჩამოაყალიბეს ძლიერ მაგნ. ველში მოთავსებული ზედენადი A ფაზის სამსიჩქარიანი ჰიდროდინამიკა. მათვე შეიმუშავეს მბრუნავი ზედენადი ფაზის ანიზოტროპული თვისებების თეორია, რ-იც საფუძვლად დაედო საქართველო-რუსეთ-ფინეთის ერთობლივი პროექტის (ROTA Project, 1973–75) ფარგლებში მიღებული ექსპერ. შედეგების ინტერპრეტაციას. ამ ექსპერიმენტების შესრულებაში მონაწილეობდნენ ქართვ. ფიზიკოსები დ. ღარიბაშვილი და ჯ. წაქაძე. გ. ვაჩნაძემ და გ. ხარაძემ თეორიულად დაადგინეს ზედენად B ფაზაში ახ. ტიპის მაგნ. აღგზნებების არსებობა, რაც შემდგომ ექსპერიმენტულადაც დადასტურდა.

ლიტ.: ანდრონიკაშვილი ე., მამალაძე ი., წაქაძე ჯ., ზედენადი ჰელიუმი, ტ. 1–2, თბ., 1975. *გ. ხარაძე.*

ზედსიძეობა, სიმამრის ოჯახში ჩასიძება. ზ-ის საფუძველი იყო ქალის ოჯახის უძეობა და ვაჟის ეკონ. ხელმოკლეობა. ზედსიძედ შესული უძეო ოჯახის ქონებრივ მემკვიდრეობას ღებულობდა. ზედსიძედ მიღება ხელსაყრელად ითვლებოდა ქალის ოჯახისთვისაც, რ-საც მამაკაცი უპატრონებდა. ქართ. საქორწილო და საოჯახო ურთიერთობაში ზ. იშვიათი მოვლენა იყო, რადგანაც ვაჟკაცის დამამცირებლად ითვლებოდა (ტრადიციით ქორწინების შემდეგ ცოლი უნდა გადავიდეს საცხოვრებლად ქმრის სახლში). განსაკუთრებით არასასურველად ითვლებოდა ზ. ქართვ. მთიელებში, სადაც ქალს მემკვიდრეობის უფლება თავად არ ჰქონდა და აქედან გამომდინარე, ვერც უცხო პირს შეიყვანდა ოჯახში მემკვიდრის უფლებით.

ლიტ.: ლითონიშვილი ვ., ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960; Харадзе Р. Л., Грузинская семейная община, ч. 1–2, Тб., 1960–61. *ვ. ითონიშვილი.*

ზედუბანი, სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტის ჭეჭლის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ქვაბლიანის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1570 *მ*, ადიგენიდან 11 *კმ*. 116 მცხ. (2002).

სოფელი შეტანილია ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში'' (XVI ს.).

ზედუბანი, სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შრომის თემში (გურიის მხარე). ზ. დ. 120 *მ*, ოზურგეთიდან 26 *კმ*. 167 მცხ. (2002).

ზედუბანი, სოფელი ტყიბულის მუნიციპალიტეტის საწირის თემში (იმერეთის მხარე), ოკრიბის წვრილმთიანეთში, მდ. მთისჭალის (წყალწითელას მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 580 *მ*, ტყიბულიდან 8 *კმ*, საწირიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 1,5 *კმ*. 220 მცხ. (2002).

ზ. ძველად სოფ. *საწირის* ერთერთი უბანი იყო. შემორჩენილია ფეოდ. ხანის საწირის ციხე.

ზედუბანი, სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტის ზოდის თემში (იმერეთის მხარე), ჭიათურის პლატოზე, მდ. ჯრუჭულის (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 700 *მ*, ჭიათურიდან 15 *კმ*, დარკვეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 10 *კმ*. 545 მცხ. (2002).

სოფლის ტერიტორიაზე, ზედაცარცულ კირქვებში, მდებარეობს ზედუბნის მღვიმე (გამოკვლეულია ზ. *ტატაშიძის* მიერ 1957).

ზედუბანი, სოფელი ხარაგაულის მუნიციპლიტეტის ვახანის თემში (იმერეთის მხარე), მდ. ვახანისწყლის (ჩხერიმელის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 500 *მ*, ხარაგაულიდან 16 *კმ*, მარელისიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5 *კმ*. 239 მცხ. (2002). წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში.

ზედქალაქის საყდარი, მაცხოვრის ჯვარცმის ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძარი ზემო რაჭის

სოფ. ზედქალაქში, რ-იც ფეოდ. ხანის ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული და ეკონომიკურად დაწინაურებული სოფელი იყო (XVII ს-ში გაერთიანდა სოფ. ღებთან). ზ. ს. XI ს-იდან 1544-მდე – ცაგერის, 1544-იდან XIX ს. 20-იან წლებამდე ნიკორწმინდის ეპისკოპოსების ერთ-ერთ რეზიდენციას წარმოადგენდა, სადაც თავიანთი სამწყსოს შემოვლისას ეპისკოპოსები დროდადრო ჩერდებოდნენ. ტაძრის ეს საპატიო ფუნქცია იგულისხმება ჯაფარიძეებისა და ზემო სვანეთის სასისხლო საქმის სასამართლო გადაწყვეტილებაში (1503), სადაც ზედქალაქის ეკლესია ,,საეფისკოპოზო საყდრად'' იწოდება. ზედქალაქსა და მიმდებარე სოფლებში ჯვარცმის ეკლესიას XVI ს. დასაწყისისათვის ასი კომლი ყმა-გლეხი ეკუთვნოდა. ეკლესიის მეურნეობას ქორეპისკოპოსები განაგებდნენ, რ-ებიც ადგილობრივ სამღვდელო ან საერო პირთაგან ინიშნებოდნენ ეპისკოპოსების მიერ.

ლიტ.: ბერაძე თ., რაჭა, თბ., 2004; მეტრეველი რ., რაჭა. შტრიხები წარსულიდან, თბ., 2013; ჩხატარაიშვილი ქ., ქართული ეკლესიის ისტორიიდან, კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1999. *გ. არახამია.*

ზევახი, ჯავახი, ქართლის ერისთავი (პიტიახში) II ს. 30–50-იან წლებში, მეფე *ფარსმან II-ის* დროს. მოხსენიებულია *არმაზის ბილინგვაში*, როგორც უდროოდ გარდაცვლილი სერაფიტის მამა. არმაზისხევში აღმოჩენილია მდიდრული სამარხი, რ-იც თვით ზ-ს ეკუთვნოდა. უამრავ ძვირფას ნივთს შორის სამარხში აღმოჩნდა ოქროს სარტყელი, რ-ის ერთ-ერთი ბალთის თვალზე ამოკვეთილია ახალგაზრდა ქალვაჟის გამოსახულება გარსშემოვლებული წარწერით: ,,ჯავახ სიცოცხლეა ჩემი კარპაკ''. ზ-ს მოიხსენიებენ აგრეთვე არმაზისხევის კიდევ ერთ მდიდრულ, როგორც ჩანს, ქალის სამარხში ნაპოვნ ბეჭდის თვლის წარწერაში.

გ. მელიქიშვილი.

ზევდგინიძე თაყა, XIV ს. 80–90-იანი წლების პოლიტიკური მოღვაწე, ქართლის მეფის გიორგი VII-ის თანამებრძოლი. თათართა წინააღმდეგ ერთ-ერთ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ გიორგიმ თავი სამცხეს შეაფარა. აქ მეფის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო. შეთქმულთა განზრახვა ზ-მ მეფეს შეატყობინა და შეთქმულების ღამეს თვითონ ჩაწვა მეფის საწოლში. შეთქმულებმა იგი დაჭრეს (ზოგიერთი ცნობით მოკლეს). ამ თავგანწირვისთვის გიორგი VII-მ ნასისხლად შიომღვიმე და სოფლები უბოძა. ვახუშტის მიხედვით, ეს ფაქტი XV ს-ში მოხდა, მეფისათვის თავდადებულ ზ-ს კი იოთამი ერქვა.

ლიტ. იხ. სტ-თან ზედგენიძეები. *მ. ქიქოძე.*

ზეთავი, მთა თელავის მუნიციპალიტეტში, კახეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ. სტორის (თუშეთის ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. სიმაღლე 3099 *მ*. აგებულია ლიასური თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. მთის კალთები ციცაბოა, ზოგან ფრიალო კლდოვანი ფლატეებია. შემოსილია მთის მდელოს ნიადაგებზე განვითარებული სუბალპ. და ალპ. მდელოებით.

ზეთის კურთხევა, მართლმადიდებელი ეკლესიის შვიდი საიდუმლოთაგან ერთ-ერთი, ძირითადად სრულდება ავადმყოფებისათვის. წმიდა წერილის მცნების მიხედვით, ნაკურთხ ზეთს სას. პირი შვიდჯერ წასცხებს დაავადებულს, რათა იგი განიკურნოს სულიერი და ხორციელი ვნებებისაგან. დიდი მარხვის პერიოდში ზეთის კურთხევა სრულდება ყველა მორწმუნესათვის. *ვ. კობახიძე.*

ზეთისხილი (Olea), მცენარის გვარი ზეთისხილისებრთა ოჯახისა. ცნობილია 60-მდე სახეობა. სამეურნ. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ერთ სახეობას – O. Europaea. ზ. 4–12 *მ* სიმაღლის მარადმწვანე სუბტროპ. ხეხილოვანი მცენარეა, ფოთლები წვრილი, ლანცეტისებური აქვს, ნაყოფი კურკიანია, მოგრძო-ოვალური ან მომრგვალო ფორმისა, მისი მასა 15 *გ* შეადგენს. ცოცხლობს 300–400 წელზე მეტს. ერთი ხიდან 20–40 *კგ* მოსავალი მოდის. ნაყოფს იყენებენ ადამიანთა საკვებად (ამწნილებენ, აკონსერვებენ, ხდიან ზეთს ე.წ. ზეითუნის ზეთს), მედიცინაში; მის კოპტონს – ცხოველთა საკვებად, ხოლო მერქანს – სადურგლო და სახარატო საქმეში. ზ. გავრცელებულია ყირიმში, ამიერკავკასიაში, თურქმენეთში, კრასნოდარის მხარეში. ზ-ის 500 ჯიშიდან განსაკუთრებით ცნობილია 80 ჯიში.

საქართველოში ზ. გავრცელებულია აფხაზეთში, აგრეთვე კახეთის მშრალ სუბტროპ. ზონაში.

ზეთსახდელი (ძვ. ქართულ წყაროებში – საზეთე) (ეთნოგრ.), სელის ზეთის სახდელი საწარმო, გამართული იყო ქვის შენობაში; შედგებოდა ღუმლისაგან, საზეთე წისქვილისა (გელაზი) და წნეხისაგან. იქვე იყო დამხმარე ხელსაწყოებიც (საცრები, ლასტები, ხის კუნძები, მარცვლისა და წყლის საწყაოები, გამწევი ძალის უღლები, წყლის ჭურჭელი და სხვ.). ქვით ნაგები ღუმელი ზ-ის კედელთან იყო მიშენებული. ღუმელზე მარცვალს ხალავდნენ. წისქვილი ნაგებობის ცენტრში იყო გამართული და სალეწი ,,კალოსა'' და დოლაბისაგან შედგებოდა. მისი დანიშნულება იყო მოხალული მარცვლის დაფქვა-დაგელაზება და დასაწნეხი ქუმელის შემზადება. წნეხი შედგებოდა საწნეხი ძელებისა (ხრახნითურთ) და საქუმელე გეჯისაგან. ზ-ები საქართველოში საზეთე სელის ზონაში (უმთავრესად მესხეთ-ჯავახეთსა და თრიალეთში) იყო გავრცელებული. წყაროების მიხედვით, ქართ. საეკლ. კერებს საკუთარი ზ-ები ჰქონდათ. XIX ს-ში ზოგ ზეთსახდელ სახელოსნოში დაქირავებულ შრომას იყენებდნენ და ზეთს გასაყიდად ხდიდნენ. მესხეთ-ჯავახეთსა და თრიალეთში ზ-ები XX ს. 40-იან წლებამდე არსებობდა. საზეთე სელის კულტურის მზესუმზირით შეცვლის შემდეგ ზეთის წარმოების ცენტრებმა მზესუმზირის გავრცელების ზონაში – კახეთსა და ქვემო ქართლში გადაინაცვლა.


ზეთისხილი.

ლიტ.: მოლოდინი ლ., ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთსახდელი იარაღები), თბ., 1963; ქურდიანი ი., ნაკაშიძე ე., ზეთოვანი მცენარეები, ტფ., 1935. *ლ. მოლოდინი.*

ზეთსახდელი და ცხიმის წარმოება, იხ. *მცენარეული და ცხოველური ზეთებისა და ცხიმების წარმოება.*

ზეიანის გორასამარხი, ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახ. ძეგლი სოფ. მანავის სამხრ.-აღმ-ით 5 *კმ*-ზე, ადგილ ზეიანზე (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი). არქეოლ. გათხრები ჩატარდა 1982 (არქეოლ. კვლევის ცენტრის კახეთის არქეოლ. ექსპედიცია. ხელმძღვ. კ. ფიცხელაური, ვ. ვარაზაშვილი). გაითხარა დაზიანებული გორასამარხი (მიწაყრილის დიამ. 55–60 *მ*, სიმაღლე ცენტრ. ნაწილში 6 *მ*). მიწაყრილის ქვეშ, დასაკრძალავი ორმოს ზემოდან რიყის ქვის ზვინული იყო (ქვაყრილის დიამ. 25 *მ*, სიმაღლე ცენტრ. ნაწილში 2 *მ*). ქვაყრილს 1,5–2 *მ* დაშორებით ირგვლივ შემოუყვებოდა შეწყვილე-



თ. ზეინკლიშვილი. კიაზო, ზ. ფალიაშვილის ოპერა ,,დაისი‘‘.



ჯ. ზეინკლიშვილი.

ბული მორებისაგან ჰორიზონტ. წყობით აღმართული 1 *მ* სიმაღლის წრე. მორების წრეს 2 *მ* დაშორებით შემოუყვებოდა 4–5 *მ* სიგანისა და 2 *მ* სიმაღლის რიყის ქვის ყორე. სამარხი ორმო (სიგრძე 12 *მ*, სიგანე 9 *მ*, სიღრმე 5 *მ*) დამხრობილი იყო ჩრდ.-დასავლეთიდან სამხრ.-აღმოსავლეთისაკენ. სამარხი გაძარცულია. დამწვარი მიცვალებულის ფერფლი დასვენებული იყო ხის ურემზე. დარბაზის სამხრ. კუთხესთან აღმოჩნდა მოხრილკიდურებიანი გვერდზე მწოლიარე 2 მიცვალებულის ჩონჩხი – ერთი მარჯვ. გვერდზე, მეორე – მარცხენაზე. მათი ხელის მტევნები ერთმანეთს ეხებოდა. სავარაუდოდ ისინი შეწირული ადამიანები იყვნენ. სამარხში გამოვლინდა შავად გამომწვარი თიხის ორნამენტირებული ჭურჭელი (დერგი, ჯამი, ფიალა), ბრინჯაოს 2 მძივი და ისრისპირი, აგრეთვე ნიჟარის საკინძი.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის სიღნაღის მუზეუმში.

ლიტ.: ფიცხელაური კ., ვარაზაშვილი ვ., ზეიანის №1 გორასამარხი, კრ.: კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, ტ. 8. გარეჯი, თბ., 1988.

მ. კინწურაშვილი.

ზეიკიძე დავით ალექსანდრეს ძე (დ. 2. I. 1945, მუხრანი, ახლანდ. მცხეთის მუნიციპალიტეტი), პოლიციის გენერალ-მაიორი (1993). 1967 დაამთავრა თბილ. საარტ. სასწავლებელი. მსახურობდა სსრკ შეიარაღებულ ძალებში. 1978 ჩაირიცხა ლენინგრადის საარტ. აკადემიაში, რ-ის კურსი ვერ დაასრულა. 1981 დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი.

1976-იდან მუშაობდა შს ორგანოებში – თბილ. რაიონებისა და ქალაქის შს განყ-ბების სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორად, უფროს ინსპექტორად, ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილედ, უფროსად. 1990–92 იყო მცხეთის შს რაიგანყოფილების უფროსი, 1992–93 – თბილ. შს სამმართველოს უფროსი, 1993–94 – საქართვ. შს მინისტრის მოადგილე.

1995–99 საქართვ. პარლამენტის წევრი იყო.

მინიჭებული აქვს შსს დამსახურებული მუშაკის წოდება (1988). არის სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში (1966). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლ. დოლიძე.

ზეინაბ ბეგუმი, ანა ხანუმი (XVI ს. II ნახ. – XVII ს. I ნახ.), შაჰ-თამაზ I-ის (1524–76) ასული, დედით – შალიკაშვილი. შაჰ-ისმაილ II-მ (1576–78) ზ. ბ. ჰერათის მმართველზე ალიყულიხან შამლუზე დანიშნა, მაგრამ სასიძოს სიკვდილის გამო ქორწინება არ შედგა. ზ. ბ. შაჰ-აბას I-ის მეფობისას (1587–1629) ჰარამხანის უფროსი იყო. ნ. *ფალსაფის* ცნობით, ზ. ბ. მეფური ჩამომავლობის ქალთაგან ყველაზე მეტად იყო დაახლოებული შაჰთან და სამეფო კარზე დიდი პატივითა და გავლენით სარგებლობდა. ბევრ ისეთ თათბირსა და ლხინში მონაწილეობდა, სადაც მხოლოდ მამაკაცები იკრიბებოდნენ. ირანში მცხოვრები კარმელიტი მისიონერების გადმოცემით, ზ. ბ. დიდი ინტელექტის მქონე, ძალზე დაფასებული ყოფილა შაჰ-აბასის მიერ და მას სამხ. ლაშქრობებშიც კი თან ახლდა. ზ. ბ-მა ხელი შეუწყო ირან-ოსმალეთის 1612 საზავო ხელშეკრულების დადებას, რ-შიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართვ. დიპლომატი ქალი *გულჩარა*.

ლიტ.: სვანიძე მ., ქართველი ქალები შაჰ აბას I-ის კარზე, მის წგ.: საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1990.

მ. სვანიძე.

ზეინალ აბიდინ ალი, XVI ს. II ნახ. სპარსულენოვანი ისტორიკოსი. ავტორი თხზულებისა ,,თაქმილათ ალ-ახბარ‘‘ (,,დამატება ცნობებისა‘‘), რ-იც მიძღვნილია ახალგაზრდა შაჰ-თამაზ I-ის (1524–76) და შირვანშაჰ ჰალილულაჰ II-ის (1524–35) ცოლის ფერიხან-ხანუმისადმი. თხზულება მსოფლიო ისტ. ტიპისაა, მისი პირველი ნაწილი მოიცავს სეფიანი შაჰების ისმაილ I-ის (1501–24) და თამაზ I-ის ზეობის ისტორიას 1560/61-მდე. თხზულებაში არის ცნობა 1521 საქართველოში დივსულთნის ლაშქრობის, შაჰ-ისმაილ I-ის კარზე ლევან კახთა მეფის, დავით ქართლის მეფის და სამცხის მთავრის ყვარყვარეს ყოფნის შესახებ.

ლიტ.: Эфендиев О. А., Образование Азербайджанского государства Сефевидов в начале XVI века, Баку, 1961.

დ. კაციტაძე.

ზეინდარი, სოფელი ვანის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), იმერეთის დაბლობზე, მდ. ფერეთის (რიონის აუზი) ნაპირას, ვანი–ბაღდათის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: ზ., შუა გორა). ზ. დ. 100 *მ*, ვანიდან 15 *კმ*. 1,3 ათ. მცხ. (2002).

ზეინკლიშვილი თენგიზ ვასილის ძე (14. X. 1933, ბორჯომი, – 4. VII. 1990, იქვე, დაკრძალულია თბილისში), მომღერალი (ბარიტონი). საქართვ. დამს. არტისტი (1967). 1960 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (ვოკალის განხრით, ხელმძღვ. პროფ. ნ. ბოკუჩავა) და იმავე წელს ჩაირიცხა თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში სოლისტად. 1958 (ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს) მონაწილეობა მიიღო ქართ. ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში. შეასრულა გოჩას არია ა. ბალანჩივაძის ოპერა ,,დარეჯან ცბიერიდან‘‘. 1964 სტაჟირება გაიარა მოსკ. დიდ თეატრში (პროფ. ლისიცინის კლასი). აქ მან წარმატებით შეასრულა ამონასროს პარტია (ჯ. ვერდის ,,აიდა‘‘, ზ. ანჯაფარიძესა და გ. ვიშნევსკაიასთან ერთად). თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში შესრულებული პარტიებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: მურმანი, კიაზო (ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი‘‘, ,,დაისი‘‘), თავადი ლევანი (ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე‘‘), სილვიო (რ. ლეონკავალოს ,,ჯამბაზები‘‘), ამონასრო, ჟერმონი (ჯ. ვერდის ,,აიდა‘‘, ,,ტრავიატა‘‘) და სხვ. გაახმოვანა მურმანის პარტია ქართ. მხატვრულ ფილმში ,,აბესალომ და ეთერი‘‘. ჰქონდა ძლიერი, ლამაზი ტემბრის ხავერდოვანი ხმა, სცენური კულტურა.

ზეინკლიშვილი ჯემალ ვასილის ძე (19. XII. 1937, ბორჯომი, – 1. IX. 2011, თბილისი), სპორტსმენი (ფეხბურთი), სსრკ სპორტის ოსტატი. 1959–65 იყო თბილ. ,,დინამოს‘‘ ნახევარმცველი და ცენტრ. მცველი. უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 171 მატჩი (6 გოლი). სსრკ ჩემპიონი (1964) და ორგზის მესამე პრიზიორი (1959, 1962). 1964 დაასახელეს სსრკ-ის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში.

გამოირჩეოდა ფიზ. მონაცემებით, შრომისუნარიანობით. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).

ზეისტეჩო, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ხევსურეთის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. ესაჩოს (ხევსურეთის არაგვის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 2000 *მ*, დუშეთიდან 75 *კმ*. 1 მცხ. (2002).

ზეკარა, უღელტეხილი ჯავის მუნიციპალიტეტში, კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ. ზეკარის (ქედშელთის მარჯვ. შენაკადი; ლიახ-

ვის სისტემა) სათავეში. სიმაღლე 3184 *მ.* ზ-ის კალთები აგებულია იურული ქვიშაქვებითა და თიხაფიქლებით. ჩრდ. კალთა დაფარულია მუდმივი თოვლითა და ყინულით. მდ. ლიახვის ხეობას (საქართველო) აკავშირებს მდ. თერგის ხეობასთან (რუსეთის ფედერაცია).

ზეკარი, რკინის ჯვარი, უელტეხილი ადიგენის მუნიციპალიტეტში, მესხეთის ქედზე. სიმაღლე 2182 *მ.* აგებულია შუაეოცენური ანდეზიტებითა და ტუფბრექჩიებით. შემოსილია ალპური და სუბალპ. ბუჩქნარებითა და მდელოებით. ზ-ზე გადის საავტ. გზა (ქუთაისი–ბაღდათი–საირმე–აბასთუმანი–ბენარა), რ-იც აკავშირებს მდინარეების ხანისწყლისა (რიონის მარცხ. შენაკადი) და ქვაბლიანის (ფოცხოვისწყლის მარცხ. შენაკადი) ხეობებს.

ზეკარი, ბალნეოკლიმატური კურორტი ბაღდათის მუნიციპალიტეტში, მესხეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 650 *მ* სიმაღლეზე, მდ. ხანისწყლის (რიონის შენაკადი) ხეობაში, ბაღდათიდან 35 *კმ.* კურორტის ტერიტ. ფოთლოვანი (მუხა, წიფელი) და წიწვოვანი ტყით არის დაფარული. კლიმ. თავისებურებას განაპირობებს კოლხეთის დაბლობის სიახლოვე და შავი ზღვიდან მომავალი თბილი, ტენიანი ჰაერის მასების ზემოქმედება. ზამთარი რბილია და თითქმის უთოვლო (იანვ. საშ. ტემპ-რა –1°C), ზაფხული – თბილი და ზომიერად ნოტიო (აგვ. საშ. ტემპ-რა 21°C), ნალექების წლიური ჯამი 1300 *მმ*-ია.

კურორტის ძირითადი ბუნებრივი სამკურნ. ფაქტორია სუსტად სულფიდური ჰიდროკარბონატული ქლორიდულ-ნატრიუმიანი მინერ. წყალი (ტემპ-რა 36°C), მინერალიზაცია – 1,5 *გ/ლ*; წყაროების ჯამური დებიტი – 400 ათ. *ლ/დღ-ღ.* წყალს იყენებენ აბაზანებისათვის საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებათა სამკურნალოდ.

ზეკოტა, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტის სურამის ტერიტორიულ ორგანოში (შიდა ქართლის მხარე), ლიხის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. შუაღელის (სურამულის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 800 *მ*, ხაშურიდან 7 *კმ*, სურამიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ.* 248 მცხ. (2002).

ზელენსკი იგორ ანატოლის ძე (დ. 13. VII. 1969, ქ. ლაბინსკი, კრასნოდარის მხარე), ბალეტის მსახიობი, რუს. სახ. არტისტი (2008), ბალეტის მსახიობთა პარიზის საერთაშ. კონკურსის ლაურეატი (1990). 1979–87 სწავლობდა ვ. ჭაბუკიანის სახ. თბილ. სახელმწ. ქორეოგრაფიულ სასწავლებელში (ვ. *ჭაბუკიანის* კლასი). 1986-იდან ჩაირიცხა თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის მსახიობად. 1988–92 ზ. ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის, 1992–98 ,,ნიუიორკ სიტი ბალეს'' პრემიერი მოცეკვავე იყო. პარალელურად ცეკვავდა ბერლინის (1990–2001), ლონდონის ,,კოვენტ გარდენის'' (1996–2001), მოსკ. დიდი თეატრის (2000–01) სცენებზე მიწვეული სოლისტის რანგში, გამოდიოდა მსოფლიოს მრავალ წამყვან თეატრში. 2001–06 იყო ათენის, 2006–11 – ნოვოსიბირსკის, 2011-იდან – მოსკოვის სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს მუს. თეატრის საბალეტო დასების ხელმძღვანელი. შესრულებული პარტიებიდან აღსანიშნავია: მოცეკვავე (,,სიმფონიური ცეკვები'', ა. ბერგისა და ბ. ბრიტენის მუსიკაზე, დადგმა გ. ალექსიძის. წარმოდგენილი იყო ქ. ედინბურგის საერთაშ. ხელოვნ. ფესტივალზე), სოლორი [ლ. მინკუსის ,,ბაიადერა'' (რუს. ეროვნ. თეატრ. პრემია ,,ოქროს ნიღაბი'')] და ბაზილი (,,დონ-კიხოტი''), ალბერი და კორსარი (ა. ადანის ,,ჟიზელი'', ,,კორსარი''), დეზირე, ზიგფრიდი, რომეო (პ. ჩაიკოვსკის ,,მძინარე მზეთუნახავი'', ,,გედების ტბა'', ,,რომეო და ჯულიეტა'') და სხვ. ზ-ის შესრულება აღინიშნება ექსპრესიულობით, უზადო ტექნიკით, დახვეწილი გემოვნებით.

ბ. ბარამიძე.

ზემელი, XIX ს. თბილისის ერთ-ერთი მიკროუბანი (ახლანდ. რუსთაველის მოედანი და მისი მიმდებარე ტერიტ.). სახელი შეერქვა აქვე მდებარე აფთიაქის სახელწოდების მიხედვით, რ-იც 1890 ოლღას (ახლანდ. მ. კოსტავას) ქუჩისა და ვერის დაღმართის კუთხეში გახსნა წარმოშობით გერმანელმა, პეტერბურგის უნ-ტის ფარმაკ. განყ-ბის კურსდამთავრებულმა, პროვიზორ-აფთიაქარმა ევგენი იაკობის-ძე ზემელმა (თვით აფთიაქარიც იმავე სახლში ცხოვრობდა). XX ს. 30-იან წლებში მოედნის გაფართოებასთან დაკავშირებით აფთიაქი აიღეს. მოგვიანებით ამავე ადგილზე იდგა სხვა აფთიაქი, რ-საც ტრადიციით კვლავ ზ-ის აფთიაქს უწოდებდნენ. 1983, რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, ეს აფთიაქიც აიღეს. მიკროუბანს ხალხი დღემდე ამ სახელით მოიხსენიებს.

თ. ბერიძე.


ზემო აბაშა, ყოფ. სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტში. გაუქმდა 2007.

ზემო ავჭალის სამარხი, ადრინდელი რკინის ხანის (ძვ. წ. XI–X სს.) ძეგლი. 1927 გაითხარა (გ. ნიორაძე) ორმოსამარხი, რ-შიც მჯდომარე პოზაში ქალი იყო დაკრძალული. აღმოჩნდა: ბრინჯაოს ბოლოკვეთილი მახვილი, ბეჭდები და ღილაკები, რკინის შუბისპირი და სატევარი, კერამ. დოქი, ლანგარი, ჯამი და 2 კოჭობი, სარდიონის, კვარცის და მინის მძივები. ნივთები დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

ლიტ.: აბრამიშვილი რ., რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორი-



ი. ზელენსკი.



ი. ზელენსკი. მოცეკვავე, ,,სიმფონიური ცეკვები'' (ა. ბერგისა და ბ. ბრიტენის მუსიკაზე).



ე. ზემელი.



ზემელი. ზემელის აფთიაქი. XX ს. დასაწყისი.

აზე (ძვ. წ. XIV–VI სს.), «ს. ჯვანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1961, ტ. 22 B; ნიორაძე გ., ზემო ავჭალის სამარე, იქვე, 1930, ტ. 6; ფიცხელაური კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV–VII სს.), თბ., 1973. *ი. გაგოშიძე.*

ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური, იხ. სტ. *„ზაჰესი“.*

ზემო აკეთი, სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის თემში (გურიის მხარე), გურიის ქედის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 150 *მ*, ლანჩხუთიდან 9 *კმ*. 408 მცხ. (2002).

სოფელში არის მაცხოვრის ეკლესიის ნანგრევები.

ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა, საინჟინრო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსი აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში. სარწყავი სისტემა დააპროექტა საპროექტო ინ-ტმა ,,საქწყალპროექტმა“ 1964. 1965 დაიწყო მშენებლობა, რ-ის პირველი რიგი ექსპლუატაციაში შევიდა 1979.



ზემო ალვანი. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია. VIII–IX სს.

სარწყავი სისტემის მთავარი სათავე ნაგებობა აშენებულია მდ. ალაზანზე, სოფ. დუისთან (ახმეტის მუნიციპალიტეტი) და უზრუნველყოფს მდინარიდან სარწყავი წყლის აღებას (24 $მ^3/წმ$), რ-იც მაგისტრალური არხის (სიგრძე 89,2 *კმ*) მეშვეობით მიედინება ალაზნის ვაკესა და ივრის ზეგანზე. სისტემის დამატებითი კვებისათვის მდ. ილტოზე (ალაზნის მარჯვ. შენაკადი) აშენებულია დაბალწნევიანი კაშხალი, რ-იც მაგისტრალურ არხს მე-18-ე *კმ*-ზე (ქ. ახმეტასთან) დამატებით აწვდის (6 $მ^3/წმ$) წყალს.

ზემო ალაზნის მაგისტრალური არხი გადის პანკისის ქედის აღმ. კალთის ძირში, შემდეგ მიუყვება გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. მთისწინეთს მდ. ფაფრისხევამდე. რთულმა რელიეფურმა პირობებმა განაპირობა მსხვილი ჰიდროტექ. ნაგებობების მოწყობის აუცილებლობა, ესენია: 7 გვირაბი (საერთო სიგრძე 13834 *მ*), 14 გალერეა (7608 *მ*), 18 დიუკერი (7266 *მ*) და ა. შ.

ზემო ალაზნის მაგისტრალური არხი ალაზნის ვაკის მარჯვ. მხარეზე თვითდინებით რწყავს ახმეტის, თელავისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტების მიწებს (21,8 ათ. *ჰა*). *ზ. ქაჯაია.*

ზემო ალვანი, სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), ალაზნის ვაკეზე, მდ. ალაზნის მარცხ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: **ზ. ა.**, ხორბალო). ზ. დ. 460 *მ*, ახმეტიდან 9 *კმ*, თელავიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 42 *კმ*. 5,0 ათ. მცხ. (2002).

თავდაპირველად არსებობდა ალვანის ველი, რ-საც მხოლოდ საძოვრად იყენებდნენ. თუშების მუდმივ საცხოვრ. ადგილად იგი XIX ს. დასაწყისიდან გადაიქცა. იმ დროს გაჩნდა სოფ. ალვანიც. ამჟამად ზ. ა. დასახლებულია თუშებით (წოვათა და პირიქითა თემები).

1972 სოფლის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩნდა გვიანდ. ბრინჯაოს ხანის დასასრ. არქეოლ. ძეგლი, რ-იც შეისწავლა კახეთის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ქვაყრილიან სამარხში აღმოჩნდა გეომ. ორნამენტებით შემკული თიხის ნივთები – 8 ქილა, ხელადა, კათხა, 2 პატარა სასმისი, ქილებისა და ჯამების ფრაგმენტები და ბრინჯაოს სატევარი (მასალა ინახება **ზ. ა**-ის საშ. სკოლის მუზეუმში).

სოფლის ჩრდ.-აღმ-ით დგას VIII–IX სს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი, ქვის კედლით შემოზღუდული იოანე ნათლისმცემლის სამნავიანი ბაზილიკა. ბაზილიკის გარდა გალავნის შიგნით მარნისა და სხვადასხვა დანიშნულების სამეურნ. და საცხოვრ. ნაგებობათა ნაშთებია. ეკლესია ნაშენია რიყისა და ნატეხი ქვით, კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები – ბოძები და თაღები – ამოყვანილია აგურით. ბაზილიკის შუა ნავი დასრულებულია აფსიდით, რ-ის ორივე მხარეს მისგან იზოლირებული და გვერდის ნავებთან გასასვლელებით დაკავშირებული გეგმით სწორკუთხა სათავსებია. შიდა სივრცე გეგმით ჯვრისებრი ბოძების 2 წყვილით სამ ნავად არის გაყოფილი. მთავარი ნავის კამარა ორ საბჯენ თაღს ეყრდნობა. ბაზილიკის კედლები მთლიანად მოხატულია. დას. კედელზე შემონახულია ლევან მეფისა (1520–74) და თინათინ დედოფლის პორტრეტული გამოსახულებანი. XVII ს. ბაზილიკას სამხრეთიდან მიაშენეს აგურის ორსართულიანი სამრეკლო, რ-ის ქვედა სართული კვადრატულია, ზედა კი – რვაწახნაგა.

ბაზილიკის მახლობლად მაღალ მთაზე მდებარეობს ლევან მეფის სასახლის – ,,ცხრაკარას“ ნანგრევები. აგურით ნაგები სასახლის საძირკველი ქვით იყო ამოყვანილი. ნაგებობა წარმოადგენდა ერთ მთლიან ვრცელ დარბაზს. სამხრ. კედელში დატანებული ექვსი სარკმელი გადაჰყურებდა მის წინ გაშლილ ალაზნის ველს.

ლიტ.: დედაბრიშვილი შ., რუსიშვილი რ., ზემო ალვანის შუაბრინჯაოს ხანის სამარხი, კრ.: კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, ტ. 4, თბ., 1980; Чубинашвили Г. Н., Архитектура Кахетии, Тб., 1959.

მ. ბალიაური. თ. საყვარელიძე. რ. რუსიშვილი.

ზემო ამბრეთი, სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტის ყორნისის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. აღმოსავლეთის ფრონის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1160 *მ,* თიღვიდან 15 *კმ*. 17 მცხ. (1989).

ზემო ამირნი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ფასანაურის ტერიტორიულ ორგანოში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. მთიულეთის (თეთრი) არაგვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1450 *მ,* დუშეთიდან 52 *კმ*. 13 მცხ. (2002).

ზ. ა-ის ძვ. სახელწოდებაა *ამირთკარი.*

ზემო აჟარა, სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის აჟარის თემში (აფხაზეთის არ), მდ. კოდორის ხეობაში. ზ. დ. 1100 *მ,* გულრიფშიდან 79 *კმ*. 322 მცხ. (2002).

ზემო არტანი, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. ივრის მარჯვ. ნაპირას, არტნის თემის ცენტრი (სოფლები: **ზ. ა.**, ბოდახევა, დულუზაურები, თეთრაულები, კვერნაულა, ლიშო, სახევი, სხლოვანი, ქვემო არტანი, ქუშხევი), ზ. დ. 1250 *მ,* თიანეთიდან 14 *კმ*. 49 მცხ. (2002).

სოფლის სასაფლაოზე დგას XVIII ს. მთავარანგელოზთა დარბაზული ეკლესია. ეკლესიის დას. კედელზე დაშენებულია აგურით ნაგები ვიწრო და მაღალი ოთხწახნაგა სამრეკლო. სოფლის ჩრდ.-დას-ით, ტყეში, მდებარეობს ეკლესიის კომპლექსი. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. კომპლექსში შედის ეკლესია, კოშკი და გალავანი.

ზემო არძევანი (ყოფ. ზემო ქოშაქილისი), სოფელი ბოლნისის მუნიციპალიტეტის მამხუტის თემში (ქვემო ქართლის მხარე), ქვემო ქართლის ვაკეზე, მდ. ხრამის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 400 *მ,* ბოლნისიდან 28 *კმ*. 604 მცხ. (2002).

ზემო აფიანჩა, გულრიფშის მუნიციპალიტეტის სოფელ *ვერხნიაია-აპიანჩის* სახელწოდება 1955-

მდე.

ზემო აშკალა, ყოფ. სოფელი წალკის მუნიციპალიტეტში. გაუქმდა 1989.

ზემო აჩაბეთი, სოფელი ქურთის მუნიციპალიტეტის ქურთის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. ლიახვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1060 *მ*, ქურთიდან 2 *კმ*. 860 მცხ. (2002).

სოფლის განაპირას, პატარა გორაკზე, დგას წმ. ესტატეს VIII–IX სს. ერთნავიანი ეკლესია.

ზემო აძვისი, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ალის თემში (შიდა ქართლის მხარე), დღღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი), მდ. ჭერათხევის (სურამულის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 700 *მ*, ხაშურიდან 19 *კმ*, გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 7 *კმ*. 123 მცხ. (2002).

სოფლის სამხრ.-დას-ით ოთხასიოდე *მ*-ზე ქვიშაქვითა და რიყის ქვით ნაგები სამების ეკლესიის ნანგრევებია (შუა საუკუნეები).

ზემო აჭარა, ისტორიული მხარე დას. საქართველოში – აჭარაში. მდ. აჭარისწყლის ხეობის ზემოწელი. ზ. ა. ,,ზეგანის“ სახელითაც არის ცნობილი. მოიცავდა დღევანდელი ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებს. *ი. სიხარულიძე.*

ზემო ახალდაბა, ისტორიული სოფელი შიდა ქართლში, გორთან ახლოს. იხსენიება 1559 ქართლის საკათოლიკოსო მამულების სითარხნის სიგელში. ქართლის მეფემ სვეტიცხოველს სხვა მამულებთან ერთად განუახლა და გაათარხნა: ,,გორს რაცა ძუელითგან მცხეთის შეწირულნი ვაჭარნი და გლეხნი არიან, მათითა სახლკარითა, ქულბაკითა და მამულითა, გორისპირსა ზემო ახალდაბა და ფალავანდიშვილისაგან შემოწირული თვრამეტი მთელი მამული მისითა სამართლიანითა მზღურითა“. გვიანდ. შუა საუკუნეებში ზ. ა. შედიოდა ქართლის IV და III სადროშოში. ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.) ზ. ა. ქართლის სოფლების სიაში შეტანილი არა აქვს. არ იხსენიებს მას *იოანე ბატონიშვილიც.* როგორც ჩანს ეს სოფელი ამ ავტორების დროს აღარ არსებობდა, თუმცა მათთან ამ ადგილას მოხსენიებული ახალდაბა შესაძლოა მისი ნაშთი ან მეზობელი სოფელი იყოს.

წყარო: მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წგ. 1, თბ., 1964; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970. *ზ. ცინცაძე.*

ზემო ახალსოფელი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის საყავრის თემში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. თეძმის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1560 *მ*, გორიდან 40 *კმ*. 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

ზემო ახალშენი, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის ჭივჭავის თემში (ქვემო ქართლის მხარე), მდ. ჭივჭავის (ხრამის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 1000 *მ*, თეთრი წყაროდან 8 *კმ*. 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

ზემო ახკალაფა, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის ჭივჭავის თემში (ქვემო ქართლის მხარე), ბედენის ქედის სამხრ. დაბოლოებაზე, მდ. ხრამის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1260 *მ*, თეთრი წყაროდან 22 *კმ*. 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

ზემო ბაგები, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის წინაგრის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ-ების ლეხურისა და მეჯუდის წყალგამყოფი ქედის სამხრ. მთისწინეთში. ზ. დ. 1120 *მ*, ახალგორიდან 82 *კმ*. 6 მცხ. (1989).

ზემო ბაგინი, ისტორიული სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტში. მდებარეობდა ქსნის ხეობის სათავეებში. ზ. ბ-ში შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხესიმაგრის ნანგრევები.

ჯ. გვასალია.

ზემო ბარი, სოფელი ონის მუნიციპალიტეტში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ბარულის (რიონის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ბარის თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ბ., სამთისი, ქვემო ბარი). ზ. დ. 1200 *მ*, ონიდან 25 *კმ*. 79 მცხ. (2002).

სოფელში შემორჩენილია გვიანდ. ფეოდ. ხანის მთავარანგელოზთა ერთნავიანი ეკლესია ფრესკული მოხატულობით.

იხ. აგრეთვე სტ. *ბარი.*

ზემო ბარღები, სოფელი გალის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), სამურზაყანოს დაბლობზე. თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ბ., საბუთბაიო, საშამუგიო). ზ. დ. 20 *მ*, გალიდან 12 *კმ*. 569 მცხ. (1989).

ზემო ბია, სოფელი ხობის მუნიციპალიტეტის ბიის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ხობის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 100 *მ*, ხობიდან 8 *კმ*. 9 მცხ. (2002).

ზემო ბირცხა (ყოფ. ბ უ რ ს ი), სოფელი სოხუმის მუნიციპალიტეტის ბესლეთის თემში (აფხაზეთის არ), მდ. ბესლეთის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 150 *მ*, სოხუმიდან 5 *კმ*. 3,0 ათ. მცხ. (1989).

ზემო ბიყარი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის არცევის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. მეჯუდის ხეობაში. ზ. დ. 1320 *მ*, ერედვიდან 50 *კმ*. 14 მცხ. (1989).

იხ. აგრეთვე სტ-ები *ბიყარი, ბიყარის ციხე.*

ზემო ბოდბე, სოფელი სიღნაღის მუნიციპალიტეტის ბოდბის თემში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის სამხრ.-აღმ. დაბოლოებაზე. ზ. დ. 840 *მ*, სიღნაღიდან 7 *კმ*, წნორიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 9 *კმ*. 739 მცხ. (2002).

სოფლის შუაში ყოფილა დიდი ეკლესია, რ-საც ადგილ. მოსახლეობა ,,სვეტიცხოველს“ უწოდებდა. ეს ეკლესია ამჟამად დანგრეულია.

სოფლის ჩრდ-ით, დაახლ. 1 *კმ*-ზე, მდებარეობს ადგილი ,,საგინაანი“. აქ ძველი ნასახლარია. აქვე მდგარა ღვთისმშობლის ეკლესია. დღეს ამ ნაგებობის ნიშანკვალიც აღარ ჩანს.

ზ. ბ-ის აღმ-ით, დაახლ. 1,5 *კმ*-ზე, მდებარეობს ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევი, რ-საც ,,ფერისცვალებას“ უწოდებენ. ამჟამად ამ ნაგებობის მხოლოდ საკურთხეველი, ჩრდ. კედელი და სახურავის მცირე ნაწილია შემორჩენილი. ადგილს, სადაც ეკლესია დგას ,,ბოხორი“ ეწოდება. შესაძლოა აქ ცალკე პუნქტი – ნასოფლარი იყო.

თ. ტატიშვილი.

ზემო ბოდბის ყორღანები, ძვ. წ. XV ს. II ნახ. – XIV ს. I ნახ. არქეოლოგიური ძეგლი სოფ. ზემო ბოდბის მახლობლად, ე. წ. ,,დაცული ტყის“ პირას (სიღნაღის მუნიციპალიტეტი). არქეოლ. გათხრები მიმდინარეობდა 1964, 1970 და 1972 წლებში (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). გაითხარა 7 მიწაყრილიანი გორასამარხი. ყრილის დიამ. 35 *მ*, 20 *მ*, 1,4 *მ*. ყრილის სიმაღლე 2 *მ*, 1,5 *მ*, 1,2 *მ*. დამხრობილია ჩრდ-იდან სამხრ-ით ან სამხრ.-აღმ-იდან სამხრ.-დას-ით. ყორღანების ორმოები ხის ძელებით ყოფილა გადახურული. ყრილის ქვეშ, ცენტრ. ნაწილში, როგორც წესი, ოთხკუთხა მოგრძო ორმოა (ზომები: 1,5×2,6 *მ*; 3,6×2 *მ*, სიღრმე – 1,2 *მ*). მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, მოხრილი



ზემო აჩაბეთი. წმინდა ესტატეს ეკლესია. VIII–IX სს.



ზემო ბარი. მთავარანგელოზთა ეკლესია. გვიანდელი შუა საუკუნეები.

კიდურებით, თავით ჩრდ-კენ ან ჩრდ.-დას-კენ. სამარხებში აღმოჩენილია დერგი, ქილა, ქვაბი (ბრინჯაოს ქვაბის მინაბაძი), ქოთანი, ბადია, ღრმა ჯამი, მაღალფეხიანი ღრუქუსლიანი სასმისი (ბარძიმი). ბრინჯაოს ნაწარმიდან აღსანიშნავია ლახტისთავი და წინააზიური ტიპის სატევარი, რ-საც ჩარჩოიანი ტარი აქვს.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის საცავში.

ლიტ.: ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV–VII სს.), თბ., 1973. *ც. მენაბდე.*

ზემო ბოლი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ბოლის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. ქსნის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 880 *მ*, ახალგორიდან 1 *კმ.* 212 მცხ. (2002).

სოფელში მიკვლეულია ძვ. ქვის ხანის (პალეოლითის) ადამიანის ნამოსახლარი. შემორჩენილია ფეოდ. ხანის ციხისა და ეკლესიის ნანგრევები.

იხ. აგრეთვე სტ. *ბოლი.*

ჯ. გვასალია.

ზემო ბოლნისი, ძვ. ნასოფლარი, მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მდ. ბოლნისისწყლის (ფოლადაურის) ხეობაში, *ბოლნისის სიონის* ზემოთ. საცხოვრ. შენობათა ნანგრევებს შორის, ერთმანეთისგან 2–3 *კმ* დაშორებით, დგას 2 პატარა ერთნავიანი ეკლესია. ერთი მათგანი ნაგებია სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვით. აქვს ორი შესასვლელი – დას-იდან და სამხრ-იდან. დას. შესასვლელის თავზე ჩასმულ ღია მწვანე ფერის ქვაზე ამოკვეთილ ასომთავრულ წარწერაში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ ბოლნელმა ეპისკოპოსმა იოსებ რევიშვილმა 1651 ააშენა ეკლესია ყიზილბაშთაგან განადგურებულ სოფ. ზ. ბ-ში. წარწერაში მოხსენიებულია კიდევ ორი განადგურებული სოფელი – ახოთი და თალია.



ზემო ბოლნისი. ერთნავიანი ეკლესია. XVII ს.

მეორე ეკლესია უფრო პატარა და უხეშად ნაწყობია. მის დას. ფასადში ჩართულია მოჩუქურთმებული ქვები.

ლიტ.: Ч у б и н а ш в и л и Г. Н., К вопросу о местонахождении трех Болниси, მის წგ.: Вопросы истории искусства, т. 1, Тб., 1970.

ზემო ბოლქვი, სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის არეშფერანის თემში (კახეთის მხარე), ალაზნის ვაკეზე, მდ. არეშის (კაბალის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 280 *მ*, ლაგოდეხიდან 27 *კმ*. 422 მცხ. (2002).

ზემო ბოშური, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის ბოშურის თემში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ტანის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 1200 *მ*, გორიდან 30 *კმ*. 167 მცხ. (2002).

სოფელს არ ახსენებს ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.), როგორც ჩანს იმ დროს ის უკვე ნასოფლარია, რასაც ადასტურებს აქ დარჩენილი ძვ. ეკლესიის ნანგრევები. სავარაუდოდ, აქ მჭიდრო დასახლება იყო, მაგრამ განადგურებულია ლეკიანობის დროს. სოფელი ახლოს არის მდ. ტანის სათავეებთან. XIX ს-ში ეს მხარე გაუკაცრიელებულია, რის გამოც ერისთავებს აქ ქსნისა და არაგვის ხეობებიდან მთიულები გადმოუსახლებიათ. მდ. ტანის ხეობაში დგას ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი მარიამწმინდის ეკლესია (ღვთისმშობლის ეკლესია) – თარიღდება IX–X სს.

ზემო ბროლოსანი, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტის წაღვლის თემში (შიდა ქართლის მხარე), ლიხის ქედის აღმ. მთისწინეთში, მდ. ჭერათხევის (სურამულის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 900 *მ*, ხაშურიდან 28 *კმ*, გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 17 *კმ*. 126 მცხ. (2002).

სოფლის სამხრ-ით, 500 *მ* დაშორებით სასაფლაოზე დგას გვიანდ. შუა საუკუნეების წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია. ძეგლი გადაკეთებულია. აქვე, დაახლ. 50 *მ*-ზე, 1915 აგებული მეორე ერთნავიანი ეკლესია დგას.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

ზემო გალი, სოფელი გალის მუნიციპალიტეტის პირველი გალის თემში (აფხაზეთის არ), სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ერისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 140 *მ*, გალიდან 8 *კმ*. 391 მცხ. (1989).

ზემო გომი, ისტორიული სოფელი. იხსენიება 1392 ალექსანდრე მეფის მიერ გაცემულ ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათოლიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში. ამ საბუთში ზ. გ. ისეთი სოფლების გარემოცვაში მოიხსენიება, რომ ის უეჭველად ჯავახეთშია. გურჯისტანის ვილაიეთის დავთარში და ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარში გომი აღნიშნულია სოფ. ბნელას მახლობლად ჯავახეთში.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970; ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 3, თბ., 1958.

დ. ბერძენიშვილი.

ზემო გორეთი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ღრომის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. მეჯუდის ხეობაში. ზ. დ. 1140 *მ*, ერედვიდან 47 *კმ*. 34 მცხ. (1989).

ზემო გრუ, ზ ე მ ო ღ რ უ, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის გდუს თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ალევის ქედის დას. კალთაზე, მდ. ალეურის (ქსნის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1260 *მ*, ახალგორიდან 19 *კმ*. 8 მცხ. (2002).

იხ. აგრეთვე სტ. *გრუ.*

ზემო გულავერი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფ. *წიფორის* ჟოფ. სახელწოდება.

ზემო გულრიფში, სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის მაჭარის თემში (აფხაზეთის არ), შავიზღვისპირა დაბლობზე. ზ. დ. 160 *მ*, გულრიფშიდან 2 *კმ*. 1,8 ათ. მცხ. (1989).

ზემო გურგენიანი, სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ნინიგორის თემში (კახეთის მხარე), ალაზნის ვაკეზე, ზ. დ. 450 *მ*, ლაგოდეხიდან 10 *კმ*.

ზემო დვანი, სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტის ავნევის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. აღმოსავლეთის ფრონის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 790 *მ*, თიღვიდან 30 *კმ*. 60 მცხ. (1989).

ზემო დოდოთი, სოფელი ქურთის მუნიციპალიტეტის ხეთაგუროვის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. წუნარისხევის (აღმოსავლეთის ფრონის მარცხ. შენაკადი) ზემოწელში. ზ. დ. 1160 *მ*, ქურთიდან 12 *კმ*. 57 მცხ. (1989).

სოფლის თავში, მთის ფერდობზე, შემორჩენილია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლის *დოდოთის ცხრაკარის* ნანგრევები.

ზემო ენთელი, სოფელი ადიგენის მუნიციპალიტეტის ფხეროს თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე.

ზ. დ. 1380 *მ,* ადიგენიდან 10 *კმ.* 202 მცხ. (2002).

ზ. ე. იხსენიება ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ (XVI ს.).

ზემო ერკეთი, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (გურიის მხარე), სუფსის ვაკეზე, მდ. სუფსის მარცხ. მხარეს. ერკეთის თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ე., ზემო ონჭიკეთი, ქვემო ერკეთი, ქვემო ონჭიკეთი, შუბანი). ზ. დ. 200 *მ,* ჩოხატაურიდან 10 *კმ.* 238 მცხ. (2002).

სოფლის მახლობლად, მდ. გუბაზეულის მარჯვ. მხარეს, გორაკზე დგას მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების (განვითარებული შუა საუკუნეები) ერთნავიანი ეკლესია. აქვს 3 კარიბჭე. შიგნით XVII–XVIII სს. მოხატულობაა. არის წარწერებიც. იხ. აგრეთვე სტ. *ერკეთი.*

ლიტ.: ბ ა ქ რ ა ძ ე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987.

ზემო ეშერა, სოხუმის მუნიციპალიტეტის სოფელ *ვერხნიაია-ეშერის* სახელწოდება 1955-მდე.

ზემო ეშერის მღვიმე, კარსტული მღვიმე დას. საქართველოში, სოხუმის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), გუმიშხა-ფსირცხის კირქვულ მასივზე, სოფ. ზემო ეშერის (*ვერხნიაია-ეშერის*) ტერიტორიაზე. იხ. *აძაბის მღვიმე.*

ზემო ვაშლოვანი (1948-მდე – ზედა ალმე), სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტის ვაშლოვნის თემში (აჭარის არ), მდ. აჭარისწყლის მარჯვ. მხარეს, ბათუმი–ახალციხის საავტ. გზაზე. ზ. დ. 1200 *მ,* ხულოდან 3,5 *კმ.* 706 მცხ. (2002).

ზემო ვილდა, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის არცევის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. მეჯუდის (ლიახვის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1480 *მ,* ერედვიდან 57 *კმ.* 60 მცხ. (1989).

ზემო ზახორი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ზახორის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. ლეხურის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1050 *მ,* ახალგორიდან 69 *კმ.* 30 მცხ. (1989).

იხ. აგრეთვე სტ. *ზახორი.*

ზემო ზახორის (ზაჰორის) სამაროვანი, III ს. არქეოლოგიური ძეგლი, აღმოჩენილია (1974) სოფ. ზემო ზახორში (ახალგორის მუნიციპალიტეტი). გამოვლენილ სამარხებში აღმოჩნდა: ცხოველთა გამოსახულებიანი ბრინჯაოს ჭვირული ბალთა, მშვილდსაკინძის რკალისებური მშვილდი ბულით, კონუსის მოყვანილობის, დაფანჯრულკორპუსიანი ზარაკი, რ-საც აქვს ყუნწი და ძეწკვი; ვერცხლის ბეჭედი, რ-ის მინის ინტალიოზე გამოსახულია ლომი; მინის, სარდიონის, ქალკედონის და გიშრის მძივები; გოტარზეს პართული ვერცხლის დრაქმა და სხვ. მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ქ., გვიანანტიკური ხანის სამარხი ს. ზახორიდან, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1987, ტ. 39 B. *ქ. ჯავახიშვილი. ბ. ჯორბენაძე.*

ზემო ზიმა (ყოფ. ზ ი მ ა), სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის აჟარის თემში (აფხაზეთის არ), მდ. კოდორის ხეობაში. ზ. დ. 640 *მ,* გულრიფშიდან 75 *კმ.* 30 მცხ. (2002).

ზემო ზონკარი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ბელოთის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. პატარა ლიახვის (ლიახვის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 1250 *მ,* ერედვიდან 17 *კმ.* 41 მცხ. (2002).

სოფლის დას-ით, დაახლ. 300 *მ*-ზე, დგას ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია, რ-იც სტილისტიკური ნიშნებით VIII–X სს. ძეგლების მსგავსია. ეკლესიის აღმ-ით, მთის ფერდობზე, ადრინდ. ფეოდ. ხანის ზურგიანი კოშკია.

ლიტ.: გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., პატარა ლიახვის ხეობის ისტორიული ძეგლები, «ძეგლის მეგობარი», 1976–77, №43–44.

„ზემო ზღვის ქვეყნები“, ასურეთის მეფეების *თუქულთი-ნინურტა I-ისა* (მეფობდა ძვ. წ. 1245–1209) და ტიგლათფილესერ I-ის (მეფობდა ძვ. წ. 1114–1076) წარწერებში არაერთხელ მოხსენიებული ქვეყნები, რ-თა წინააღმდეგ ამ ორ დამპყრობელს ხანგრძლივი ბრძოლები ჰქონდა. ,,ზ. ზ. ქ-ს“ პირველად იხსენიებს თუქულთი-ნინურტა ერთ-ერთ წარწერაში. იგი გვამცნობს, რომ ,,ნაირის ყველა ქვეყანა და ზემო ზღვის ნაპირას (მდებარე) ყველა ქვეყანა ჩემმა ხელმა დაიპყრო. მათი 40 მეფე დავიმორჩილე, ჩემს ფერხთ წინაშე დავამხე და ხარკი დავადე“. კიდევ უფრო ვრცელ ცნობებს გვაწვდის ამ მხარის შესახებ ტიგლათფილესერ I, რ-საც ამ მიმართულებით ულაშქრია ძვ. წ. 1112. იგი გვამცნობს, რომ ილაშქრა ,,... შორეულ მეფეთა ქვეყნებისაკენ, რომელნიც ზემო ზღვის ნაპირას“ ცხოვრობდნენ. მას დაუტყვევებია ყველა მეფე, მაგრამ ადგილზევე გაუთავისუფლებია ისინი, გარდა დაიაენის მეფე სიენისა. ამ წარწერაში საყურადღებოა ის, რომ ნაირის იმ ქვეყნების კოალიციის საშველად, რ-საც სათავეში დაიაენი ედგა, მოდის სხვა ,,60 მეფის“ ლაშქარი, რ-თაც ტიგლათფილესერი ამარცხებს და ,,ზემო ზღვამდე“, როგორც ჩანს, მათ გამოსავალ პუნქტამდე, მიერეკება. არაერთი მკვლევარი თვლის, რომ ასურეთის მეფეთა წარწერებში მოხსენიებული ,,ზემო ზღვა“ შავი ზღვაა (თუმცა არსებობს სხვა მოსაზრება, რ-ის თანახმად აქ ვანის ტბა უნდა იგულისხმებოდეს). მართლაც, ჯერ ერთი, თუქულთი-ნინურტა I თავის თავს უწოდებს ,,დამპყრობელს ქვემო ზღვიდან ვიდრე ზემო ზღვამდე“. რამდენადაც ,,ქვემო ზღვა“ სპარსეთის ყურეს და მის გაგრძელებას – ოკეანის სივრცეს გულისხმობს, ,,ზემო ზღვაშიც“ მისი მსგავსი რამ უნდა იგულისხმებოდეს. ასეთად კი ვანის ტბა ნამდვილად არ გამოდგება. ამასვე ამტკიცებს ტიგლათფილესერის წარწერები, სადაც იგი ,,ზემო ზღვის“ ნაცვლად ხშირად ,,დიდ ზღვას“ იხსენიებს, რაც აგრეთვე გამორიცხავს ვანის ტბის გაიგივებას ამ ზღვასთან.

ძვ. წ. XIII–XII სს. ასურული წარწერების მიხედვით ,,ზემო ზღვაში“ შავი ზღვის მიჩნევას დიდი მნიშვნელობა აქვს სამხრ.-აღმ. და აღმ. შავიზღვისპირეთის, ე. ი. ძვ. კოლხეთის ისტორიისათვის. ძვ. წ. XIII–XII სს. ასურულ წყაროებში ფიქსირებული შავიზღვისპირეთის ტომთა კავშირები კოლხეთის მოსახლეობის გაერთიანებად უნდა მივიჩნიოთ. ამ მხრივ საინტერესოა ტიგლათფილესერის კიდევ ერთი წარწერა, რ-შიც იგი თავის თავს უწოდებს ,,ნაირის ქვეყნების დამპყრობელს თუმედან ვიდრე დაიაენიმდე, (აგრეთვე) კილხის ქვეყნის დამპყრობელს ვიდრე დიდ ზღვამდე“, საინტერესოა, რომ ზღვისპირა ქვეყნების გაერთიანება აქ ,,კილხის“ ანუ კოლხის, კოლხეთის სახელით იხსენიება. ამდენად შესაძლოა ვილაპარაკოთ ძვ. წ. XII–XI სს. ასურეთის ხელისუფლებასთან კოლხური გაერთიანების ბრძოლებზე. ამ ბრძოლებში კოლხური გაერთიანება მჭიდრო კავშირში გამოდიოდა მის სამხრ-ით მდებარე ნაირის ქვეყნების გაერთიანებასთან, რ-საც სათავეში *დიაუხი* (დაიაენი) ედგა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; М е л и к и ш в и л и Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959. *გ. მელიქიშვილი.*

ზემო თელეთი, სოფელი გარდა-



ზემო თელეთი. წმინდა გიორგის ეკლესია და კოშკი-სამრეკლო.



ზემო კოდისწყარო. სასახლის კომპლექსი (კოშკი). XVI ს.

ბნის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის მხარე), თელეთის ქედის სამხრ. კალთაზე, თბილისი–მარნეულის საავტ. გზაზე. თელეთის თემის ცენტრი (სოფლები: **ზ. ი.**, ახალწყაროო, მუხრან-თელეთი, ქვემო თელეთი, წალასყური). ზ. დ. 700 *მ*, გარდაბნიდან 37 *კმ*, ფონიჭალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 12 *კმ*. 847 მცხ. (2002).

სოფელში შემორჩენილია წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია (XIX ს. II ნახ.) და კოშკი – სამრეკლო, რ-იც 1832 საფუძვლიანად შეუკეთებიათ. ზედ შემორჩენილია ამავე ხანის ქართული და სომხ. წარწერები.

იხ. აგრეთვე სტ. *თელეთი.*

ლიტ.: Шмерлинг Р., Долидзе В., Барнавели Т., Окрестности Тбилиси, Тб., 1960. *მ. უთმელიძე. თ. სანიკიძე.*

ზემო იაშთხვა, სოხუმის მუნიციპალიტეტის სოფელ *ვერხნაია-იაშთხვის* სახელწოდება 1955-მდე.

ზემო იმერეთი, იმერეთის აღმოსავლეთი მთაგორიანი ნაწილი. იგივეა, რაც ზემო მხარი (იხ. *ზემო ქვეყანა*). წერილობით წყაროებში XVIII ს. 80-იან წლებიდან არის დამოწმებული. თავიდანვე **ზ. ი.** გეოგრ. ტერმინი იყო. დღეისათვის **ზ. ი.** მიჩნეულია დას. საქართველოს ერთიან ეკონ. რეგიონად, რ-შიც შედის საჩხერის, ზესტაფონის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტებისა და ქ. ჭიათურის ტერიტორია.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973. *თ. ბერაძე.*

ზემო კარი, შუა საუკუნეების თბილისის ერთ-ერთი კარიბჭე – იგივეა, რაც *კოჯრის კარი.*

ზემო კოდისწყარო, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის მჭადიჯვრის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ალევის ქედის სამხრ. დაბოლოებაზე. ზ. დ. 870 *მ*, დუშეთიდან 17 *კმ*. მცხეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 21 *კმ*. 53 მცხ. (2002).

ზ. კ. პირველად მოხსენიებულია 1433 შიომღვიმის მონასტრისადმი მიძღვნილ თაყა ზედგინიძის შეწირულობის სიგელში, რ-ის თანახმად სოფელს საკმაოდ განვითარებული მეურნეობა ჰქონია. მონღოლთა შემოსევის დროს გაპარტახებულა. XVI ს-ში ზედგინიძეთა მცდელობით ისევ აღორძინებულა. სოფელი ქსნისა და არაგვის საერისთაოთა საზღვარზე მდებარეობდა და მუდმივი ქიშპის საგანი იყო. XVII ს-ში **ზ. კ.** ამილახვართა გავლენას დამორჩილდა. XVIII ს-ში, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, სამუხრანბატონო სოფელია და წილკნის საეპისკოპოსოში შედის. სოფელში დგას გვიან დ. შუა საუკუნეების წმ. ბარბარეს დარბაზული ეკლესია და კიდევ ერთი უსახელო შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია.

ზ. კ-დან დას-ით მდებარეობს სასახლის კომპლექსი, რ-შიც შედის სასახლე, კოშკი, ეკლესია და რამდენიმე გაურკვეველი შენობის ნაშთი, თარიღდება XVI ს-ით.

ზემო კოზი, სოფელი ონის მუნიციპალიტეტის ჩასავლის თემში, მდ. ღარულის (რიონის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1900 *მ*. 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

ზემო კორკულა, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ქსუისის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდინარეების პატარა ლიახვისა და მეჯუდის წყალგამყოფი ქედის სამხრ.-დას. კალთაზე. ზ. დ. 1110 *მ*, ერედვიდან 10 *კმ*. 138 მცხ. (2002).

ზემო კორსევი, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტის მსხლების თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. ფაწის (ლიახვის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1400 *მ*, ჯავიდან 6 *კმ*. 32 მცხ. (1989).

ზემო კოშკა, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტის ვანელის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. ლიახვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1880 *მ*, ჯავიდან 21 *კმ*. 19 მცხ. (1989).

ზემო კრიხი, სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის იწის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. კრიხულის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 920 *მ*, ამბროლაურიდან 5 *კმ*. 36 მცხ. (2002).



ზემო კრიხი. მთავარანგელოზთა ეკლესია. X ს. დასაწყისი.

სოფლის განაპირას აღმართული იყო X ს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – მთავარანგელოზთა ეკლესია (დაინგრა 1991 წლის 29 აპრ. მიწისძვრის შედეგად). აღდგენილია 2008–09.

ზემო ლათა, სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის ლათის თემში (აფხაზეთის არ), მდ. კოდორის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 400 *მ*, გულრიფშიდან 62 *კმ*. 55 მცხ. (1989).

ზემო ლემსის ნამოსახლარი, ნეოლითური ხანის არქეოლ. ძეგლი. მდებარეობს სოფ. წებელდიდან (გულრიფშის მუნიციპალიტეტი) 5 *კმ*-ზე, მთა ფარცხის სამხრ. ფერდზე. აღმოაჩინეს 1967 (ი. ვორონოვი). არქეოლ. გათხრების დროს გამოვლინდა 4 კულტ. ფენა. ზედა 3 ფენა შუა საუკუნეების მასალას შეიცავდა. ქვედა ფენაში ძირითადად ქვის იარაღი აღმოჩნდა (ნუკლეუსები, სხვადასხვა სახის ლამელები, საფხეკები, საჭრისები, სეგმენტები, სწორკუთხედები, დაკბილული იარაღი). იარაღებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ნეოლითური ხანისათვის დამახასიათებელი ვიწრო და მაღალი ფორმის ტრაპეციები.

მასალა ინახება სოხუმის მუზეუმში.

ლიტ.: Воронов Ю. Н., Памятники каменного века Военно-Сухумской дороги, Тб., 1984. *ლ. წერეთელი.*

ზემო მაგისტრალური არხი, იხ. *სამგორის სარწყავი სისტემა.*

ზემო მაკვანეთი, სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაკვანეთის თემში (გურიის მხარე), მდინარეებს აჭისწყალსა და ბჟუჟს შორის. ზ. დ. 140 *მ*, ოზურგეთიდან 5 *კმ*. 842 მცხ. (2002).

ზემო მარღი, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის ჭუბერის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), შდავლერის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე, მდ. ნენსკრის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1280 *მ*, მესტიიდან 88 *კმ*.

114 მცხ. (2002).

ზემო მაღარო, სოფელი სიღნაღის მუნიციპალიტეტის მაღაროს თემში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის სამხრ.-აღმ. დაბოლოებაზე. ზ. დ. 950 *მ,* სიღნაღიდან 7 *კმ,* ქვემო მაღაროდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 *კმ.* 224 მცხ. (2002). ზ. მ-ში დაიბადა ს. *დოდაშვილი.*

ზ. მ. მდებარეობს ისტ. ქიზიყში. პ. იოსელიანის ცნობით აქ იყო ერეკლე I-ის ძის, მეფე დავით იმამყული-ხანის, საზაფხულო სასახლე (არსებობდა 1705-მდე).

სოფლის მახლობლადაა მაღარო–სიღნაღის უღელტეხილი. მისი თხემის ცენტრ. ნაწილში, სოფლის სამხრ. განაპირას, არის ე. წ. ზლუდრის გორაკი, რ-ის სამხრ. და დას. კალთებზე ნამოსახლარებია, ხოლო აღმ. მხარეს, სადაც უღელტეხილი თხემს ებმის, ზლუდრის ნაშთია. სხვა შესწავლილი ,,ზლუდერების'' მიხედვით, ამ ძეგლის დათარიღება ძვ. და ახ. წელთაღრიცხვის მიჯნით შეიძლება (ლ. ჭილაშვილი). ზლუდრის გორაკის თავზე დგას გვიანდ. ხანის ერთნავიანი ეკლესია – ,,ზლუდრის'' წმ. გიორგი, თხემის ჩრდ. დაქანებაზე შუა საუკუნეების საფორტიფიკაციო ნაგებობა მდგარა (დაუშლიათ 1930 საშენ მასალად), ხოლო ბოდბისხევის გადასახედში – სათავდაცვო კოშკი. ამას მოწმობს ტოპონიმი ,,ციხითვეანი''. ეს სახელი დღესაც ჰქვია სოფლის ერთ-ერთ უბანს.

ლიტ.: შ ა ი შ მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ი., კამბეჩოვანი, ხორნაბუჯი, ქიზიყი, «ძეგლის მეგობარი», 1969, №17.

თ. ტატიშვილი.



ზემო მაჩხაანი. მთავარანგელოზთა ეკლესია. XVIII ს.

ი. შაიშმელაშვილი.

ზემო მაჩხაანი, სოფელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის სამხრ.-აღმ. დაბოლოებაზე. თემის ცენტრი (სოფლები: ზ. მ., მირზაანი). ზ. დ. 700 *მ,* დედოფლისწყაროდან 20 *კმ.* 2,8 ათ. მცხ. (2002).

შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან სოფელში აღსანიშნავია წმ. გიორგის, არმათიონის, მთავარანგელოზთა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიები; იაკობიანთ უბანში – ყველაწმინდის ეკლესია და ბეჩაანთ სათვალთვალო კოშკი; სოფლის მახლობელ მინდვრებში – ქვედაწყლისა და პატარა ელიას ეკლესიები.

ლიტ.: მ ა მ ი ს ა შ ვ ი ლ ი დ., ს ტ უ რ უ ა ზ., კარგი თაოსნობა, «ძეგლის მეგობარი», 1974, №35.

ზემო მაჭარა (ყოფ. მ ე ო რ ე მ ა ჭ ა რ ა), სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის მერხეულის თემში, მდ. მაჭარის (ერთვის შავ ზღვას) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 100 *მ,* გულრიფშიდან 10 *კმ.* 684 მცხ. (1989).

ზემო მახისი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ბიყარის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. მეჯუდის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1430 *მ,* ერედვიდან 35 *კმ.*

ზემო მლეთა, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ქვეშეთის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ალევის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. მთიულეთის არაგვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1550 *მ,* დუშეთიდან 70 *კმ.* 176 მცხ. (2002).

სოფელში შემონახულია ქართ. ხუროთმოძღვრული ძეგლები: შუა საუკუნეების კვირაცხოვლის დარბაზული ეკლესია და *ზურგიანი კოშკი,* რ-იც, როგორც ჩანს, XVI–XVII სს-ში აუგიათ. კოშკი სოფლის თავში მთის ფერდობზე დგას. მის გარშემო ნასოფლარია. სოფლის ჩრდ-ით 300 *მ*-ზე, ძვ. სასაფლაოზე დგას გვიანდ. შუა საუკუნეების ღვთისმშობლის დარბაზული ეკლესია.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., XVI–XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1983; ზ ა ქ ა რ ა ი ა პ., საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბ., 1988.

ზემო მონასტერი, სოფელი ქურთის მუნიციპალიტეტის ქურთის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 1130 *მ,* ქურთიდან 3 *კმ.* 48 მცხ. (2002).

ადრე აქ არსებობდა სოფ. თირი, რ-საც შემდეგ მონასტერი ეწოდა მის მახლობლად არსებული *თიროს მონასტრის* გამო.

ზემო მსხალგორი, სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბაისუბნის თემში (კახეთის მხარე), ალაზნის ვაკეზე, მდ. ბაისუბნისხევის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 380 *მ,* ლაგოდეხიდან 15 *კმ.* 646 მცხ. (2002).

ზემო მწარა, გუდაუთის მუნიციპალიტეტის სოფელ *ვერხნიაია-მწარის* სახელწოდება 1955-მდე.

ზემო ნაგვაზავო, სოფელი მარტვილის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ნაგვაზავოს თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ნ., ლეკვანტალიე, ქვემო ნაგვაზავო). ზ. დ. 150 *მ,* მარტვილიდან 7 *კმ.* 837 ათ. მცხ. (2002).

ზემო ნატანები (ყოფ. ს ა მ ღ ვ თ ო), სოფელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების თემში (გურიის მხარე), შავიზღვისპირა დაბლობზე. ზ. დ. 100 *მ,* ოზურგეთიდან 24 *კმ,* ნატანებიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 *კმ.* 1,8 ათ. მცხ. (2002).

ზემო ნაძალაძარი, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის ნაქალაქარის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ერწოს ქვაბულის სამხრ.-აღმ. კიდეში. ზ. დ. 1100 *მ,* თიანეთიდან 38 *კმ.* 250 მცხ. (2002). ზ. ნ-ში დაიბადა პოეტი მ. *გელოვანი.*

სოფლის ტერიტ. უძველესი დროიდან წარმოადგენდა ადამიანთა სამოსახლოს. იგი ერწოს ქვაბულში ქვემო ნაქალაქარს, ბეწენწურებსა და სხვა დასახლებებთან ერთად გარკვეულ სამეურნეო, საზ. და კულტ. მთლიანობას ქმნიდა. სოფლის სამხრ.-დას. ნაწილს თელთუბანს უწოდებენ. მკვლევრები მას ტოპონიმ თხილნარასთან აიგივებენ. ორივე ეს ტოპონიმი გვხვდება XVI–XVIII სს. საისტ. წყაროებში.

ბევრი ზ. ნ-ს სწორედ თელთუბანთან აიგივებს. საისტ. საბუთებში თხილნარა-თელთუბნის მოხსენიება დასახლების სიძველეზე მიგვანიშნებს.

ზ. ნ., ერწოს სხვა სოფელთა მსგავსად, თავდაპირველად მონღოლთა მარბიელ ლაშქრობებს, ხოლო შემდეგ შაჰ-აბასის შემოსევებს უნდა გაენადგურებინა. ზ. ნ-ის ტერიტორიაზე განფენილი ძვ. დასახლება XI–XVI სს-ში ერწოს სხვა დასახლებებთან ერთად ძირითადად სვეტიცხოვლის მონასტრის კუთვნილება იყო, ხოლო



ზემო მლეთა. ზურგიანი კოშკი. XVI–XVII სს.



ზემო ნიქოზი. ღვთაების ეკლესია. V–VI სს.



ზემო ოროზმანი. ერთნავიანი ეკლესია. XII–XIII სს.

მომდევნო საუკუნეებში – კახეთის მეფეთა სახასო საკუთრება. გვიანდ. შუა საუკუნეებში სამხ.-ტერიტ. დაყოფით ეს ტერიტ. კახეთის სამეფოს რუსთველი ეპისკოპოსის სადროშოში შედიოდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების (1801) შემდეგ **ზ. ნ.** თიანეთის მაზრის შემადგენლობაშია.

სოფლის სამხრ.-დას. ნაწილში, ე. წ. თელთუბანში, შემორჩენილია წმ. გიორგის ეკლესიის დას. კედელი. გარშემოვლებულია გალავნით. აქვეა ნასოფლარი.

ზ. ნ-ის ორ უბანს – მთიულთხევსა და თელთუბანს შორის მდებარეობს კიდევ ერთი დარბაზული ეკლესიის – საყდარგორის ნანგრევები. აღმ. ფასადის ზედა ნაწილში ჩასმულ შირიმის ფილაზე ამოკვეთილია ჯვარი. ეკლესიას შემოვლებული აქვს რიყის ქვის გალავანი. ეზოში აკლდამებია.

ერთ-ერთ ოთხკუთხა მოყვანილობის აკლდამას შეისრული თაღი აქვს. შესასვლელი დას. მხრიდან ჰქონდა, კედლები ამოყვანილი იყო კლდის ქვებითა და დუღაბის ხსნარით. ესვენა რამდენიმე მიცვალებული. ინვენტარი არ აღმოჩნდა. შესაძლოა გვიანდ. შუა საუკუნეებისა იყოს. ეკლესიასთან ახლოს ნასოფლარის ნაშთია.

წყარო: ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965 (ყდაზე: 1966).

ლიტ.: ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი გ., ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980; რ ა მ ი შ ვ ი ლ ი რ., ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1978, №1; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, ტ. 4 – ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში, თბ., 1982.

კ. კახაძე. რ. რამიშვილი. ბ. ჯორბენაძე.

ზემო ნაფოვარი, სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის აფენის თემში (კახეთის მხარე), ალაზნის ვაკეზე, მდ. აფენის (არეშის მარჯვ. შენაკადი; ალაზნის აუზი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 240 *მ*, ლაგოდეხიდან 25 *კმ*. 333 მცხ. (2002).

ზემო ნიქოზი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის ნიქოზის თემში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. ლიახვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 850 *მ*, გორიდან 28 *კმ*, ნიქოზიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 1 *კმ*. 1,1 ათ. მცხ. (2002).

სოფლის ცენტრში მდებარეობს ღვთაების ეკლესიის კომპლექსი, რ-შიც შედის ეკლესია, ეპისკოპოსის სასახლე და სამრეკლო. შემორჩენილია გალავნის ფრაგმენტებიც. კომპლექსის ცენტრში დგას ღვთაების ეკლესია. პირველი სამშ. ფენა თარიღდება V–VI სს-ით. რამდენიმეჯერ ისეა გადაკეთებული, რომ მომდევნო სამშ. ფენების დადგენა გაძნელებულია (უკანასკნელი XIX ს. უნდა მიეკუთვნებოდეს). მემატიანე ჯუანშერის ცნობით იგი ვახტანგ გორგასლის დაკვეთით აუგიათ.

თავდაპირველად ნაგებობა სამნავიანი ბაზილიკა ყოფილა. ეკლესია ამჟამად ჯვარგუმბათოვანია. ეპისკოპოსის სასახლე დგას გალავნის გარეთ, სამხრ.-აღმ-ით. თარიღდება X–XI სს-ით, წარმოადგენს გეგმით სწორკუთხა, ორსართულიან ნაგებობას. სამრეკლო დგას გალავნის ჩრდ.-დას. კუთხეში. თარიღდება XVI–XVII სს-ით. ნაგებობა ორსართულია-



ზემო ნიქოზი. მთავარანგელოზის ეკლესია. X ს.

ნია. ეკლესიის შესასვლელი არის სამრეკლოს პირველ სართულზე. სოფელში დგას აგრეთვე მთავარანგელოზის ჯვარგუმბათოვანი ეკლესია, რ-იც X ს-ით თარიღდება.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

ზემო ნიჩბისი, სოფელი მცხეთის მუნიციპალიტეტის ნიჩბისის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ორიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ნიჩბისისწყლის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 900 *მ*, მცხეთიდან 23 *კმ*, ძეგვიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 12 *კმ*. 237 მცხ. (2002).

სოფლის მახლობლად, ჩრდ-ით, ტყეში დგას შუა საუკუნეების ერთნავიანი ეკლესია. სოფლის სამხრ-ით 2 *კმ*-ზე, ერთსაფეხურიან ბაქანზე აღმართულია ვანთების IX–X სს. სამეკლესიანი ბაზილიკა. **ზ. ნ**-ის მახლობლად არის აგრეთვე არქეოლ. ძეგლი, სამაროვანი.

ზემო ნოღა, სოფელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის მაღლობის სამხრ. მთისწინეთში, მდ. ხევისწყლის (რიონის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 200 *მ*, სამტრედიიდან 17 *კმ*, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 9 *კმ*. 496 მცხ. (2002).

იხ. აგრეთვე სტ. *ნოღა*.

ზემო ომარიშარა, სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის აჭარის თემში (აფხაზეთის არ), მდ. გვანდრის (კოდორის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 820 *მ*, გულრიფშიდან 92 *კმ*. 121 მცხ. (2002).

იხ. აგრეთვე სტ. *ომარიშარა*.

ზემო ონჭიკეთი, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ერკეთის თემში (გურიის მხარე), მდ. სუფსის ხეობაში. ზ. დ. 480 *მ*, ჩოხატაურიდან 12 *კმ*. 161 მცხ. (2002).

ზემო ოროზმანი, სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტის ქვემო ოროზმანის თემში (ქვემო ქართლის მხარე), დმანისის პლატოზე. ზ. დ. 1270 *მ*, დმანისიდან 5 *კმ*. 901 მცხ. (2002).

ზ. ო-ში შემორჩენილია XII–XIII სს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – ერთნავიანი მომცრო ეკლესია. ეკლესია დგას შემაღლებულ კლდეზე. კლდეში გამოკვეთილი დარანიდან ერთი გვირაბი თვით ეკლესიაში ადის, მეორე – მოშორებით, მაღალ მთაზე. ეკლესიის გარშემო, სასაფლაოზე ქართულწარწერიანი საფლავის ქვებია.

ლიტ.: მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ლ., არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში, თბ., 1941.

დ. ბერძენიშვილი.

ზემო ოსიაური, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), დოღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი), მდ. სურამულის (მტკვრის აუზი) მარცხ. ნაპირას. ოსიაურის თემის ცენტრი (სოფლები: **ზ. ო.**, ახალსოფელი, ქვემო ოსიაური). ზ. დ. 680 *მ*, ხაშურიდან 3 *კმ*. 1,4 ათ. მცხ. (2002).

სოფლის აღმ. ნაწილში დგას გვიანდ. შუა საუკუნეების ქართ.

ხუროთმოძღვრების ძეგლი ზღუდერის წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია. ნაგებია ნატეხი ქვით. ეკლესიის მახლობლად დაახლ. 8 *მ*-ზე დგას ქვიშაქვის კვადრებით ნაგები სამრეკლო, რ-იც აღმ-ით და დას-ით თაღებითაა გახსნილი.

სოფლის ცენტრში შემონახულია XVII–XVIII სს. ციხე, რ-ის გალავნის ოთხივე კუთხეში თითო კოშკია ჩადგმული.

ზემო ოტრევი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის არცევის თემში (შიდა ქართლის მხარე), შიდა ქართლის ჩრდ. მთისწინეთში. ზ. დ. 1055 *მ*, ერედვიდან 13 *კმ*. 17 მცხ. (1989).

ზემო ოქონა, სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტის თიღვის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. შუა ფრონის (მტკვრის აუზი) ხეობაში. ზ. დ. 880 *მ*, თიღვიდან 56 *კმ*. 81 მცხ. (1989).

იხ. აგრეთვე სტ. *ოქონა*.

ზემო ოქროყანა, სოფელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კობის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), თრუსოს ხეობაში, მდ. თერგის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 2080 *მ*, სტეფანწმინდიდან *24 კმ*. 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

სოფელში დგას 4 კოშკი. ერთი მათგანი, რ-იც უშუალოდ თერგის ვიწროების საგუშაგოს წარმოადგენდა, ზომიერი პროპორციების მაღალი პირამიდისებრი ნაგებობაა და დანარჩენი კოშკებისაგან გამოირჩევა თავისი აგებულებით. ქვის წყობით გამაგრებულ ხელოვნურ ბაქანზე დგას ეკლესია, რ-იც აგებულია XIX ს. დასასრულს. ეკლესია გეგმით სწორკუთხაა.

ლიტ.: ზაქარაია პ., არაგვისა და თერგის ხეობა, თბ., 1972.

ზემო ოძისი, ისტორიული სოფელი ქვემო ქართლში, მანგლისის ხეობაში. ზ. ო. იხსენიება XVII ს. საბუთებში. ქართლის მეფემ როსტომმა ჰასანბეგ ბარათაშვილს სამკვიდროდ უბოძა (1663) სააკაძისეული სოფელი მანგლისის ხევზე. გიორგი სააკაძის საქართველოდან გადახვეწის შემდეგ ეს სოფელი სახასო გახდა და იგი როსტომ მეფემ იორამ სააკაძეს უბოძა. გვიანდ. შუა საუკუნეებში ზ. ო. ადმ.-ტერიტ. დაყოფით ქართლის სამეფოს მეწინავე სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა.

წყარო: მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წგ. 1, თბ., 1964.

ზ. ცინცაძე.

ზემო ჟოშხა, სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ჭრებალოს თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), გორმაღლის ქედის სამხრ.-აღმ. კალთაზე, მდ. ასკისწყლის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 700 *მ*, ამბროლაურიდან 22 *კმ*. 272 მცხ. (2002).

ზემო რენე, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის კოდისწყაროს თემში (შიდა ქართლის მხარე), კვერნაქის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 840 *მ*, კასპიდან 21 *კმ*. 319 მცხ. (2002).

სოფლის სამხრ-ით, სასაფლაოზე, შემორჩენილია შუა საუკუნეების ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევები. ნაგებია ქვიშაქვით. ზ. რ-ის მახლობლად მრავალი არქეოლ. ძეგლი და ნასოფლარია.

ზემო რეხა, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის ბერბუკის თემში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. მეჯუდის (ლიახვის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 640 *მ*, გორიდან 5 *კმ*. 338 მცხ. (2002).

ზ. რ. ადრე არსებული სოფ. *რეხის* ძვ. ნაწილს ეწოდება. 1865 ზ. რ. შედიოდა გორის უბნის თორტიზის სასოფლო თემში, სადაც ცხოვრობდა 17 კომლი.

სოფელში დგას ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი XVIII ს. ღვთისმშობლის ერთნავიანი ეკლესია. ეკლესიის გარშემო, ეზოში, ჩაფლულია ქვევრები, რ-ებსაც შემოდგომაზე ღვინით ავსებდნენ და ,,ღვთისმშობლის საზედაშეს'' უწოდებდნენ. ინახავდნენ აღდგომამდე, რ-ის შემდეგ აქ იმართებოდა ხატობა – ,,კვირაცხოვლობა''. ქვევრის პატრონები ამ ღვინით მლოცველებს უმასპინძლდებოდნენ.

ლიტ.: მაკალათია ს., ლიახვის ხეობა, თბ., 1971.

ზემო როკა, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტის როკის თემში (შიდა ქართლის მხარე), კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ლიახვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1800 *მ*, ჯავიდან 34 *კმ*. 93 მცხ. (1989). ზ. რ-ზე გადის გზა როკის უღელტეხილისაკენ, რ-იც შიდა ქართლს ჩრდ. კავკასიასთან აკავშირებს.

ზ. რ. წყაროებში (,,ძეგლი ერისთავთა'') პირველად XIV ს-ში იხსენიება. სოფელში შემორჩენილია გვიანდ. შუა საუკუნეების გეგმით ოთხკუთხა კოშკების ნანგრევები.

ზემო საროაბუკი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ვანათის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. პატარა ლიახვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1160 *მ*. ერედვიდან 6 *კმ*. 136 მცხ. (1989).

ზემო სარალი, სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტის შულავრის თემში (ქვემო ქართლის მხარე), მარნეულის ვაკეზე, მდ. დებედის (ხრამის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 400 *მ*, მარნეულიდან 21 *კმ*, შულავრიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5 *კმ*. 1,1 ათ. მცხ. (2002).

ზემო სნეკვი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ქსუისის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. პატარა ლიახვის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1280 *მ*, ერედვიდან 10 *კმ*. 14 მცხ. (1989).

ზემო სობისი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის ზეღდულეთის თემში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი). ზ. დ. 750 *მ*, გორიდან 18 *კმ*. 612 მცხ. (2002).

სოფლის შუაში დგას გვიანდ. შუა საუკუნეების ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლები – 2 ეკლესია: ერთი – კვირაცხოვლის, მეორე – ღვთისმშობლისა. ორივე ეკლესია ერთნავიანია.

ზემო სურები, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (გურიის მხარე), მესხეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. სუფსის მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ს., თავსურები, ტობახჩა, შველაურციციბაური, ჩაკიტაური, წითელგორა, ჭალა-ქადაგაური). ზ. დ. 640 *მ*, ჩოხატაურიდან 25 *კმ*. 9 მცხ. (2002).

ზემო სხვავა, სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სხვავის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. კრიხულის (რიონის მარცხ. შენაკადი) ზემოწელში. ზ. დ. 1150 *მ*, ამბროლაურიდან 12 *კმ*. 53 მცხ. (2002).

ზემო სხვილისი, სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტის სხვილისის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალციხის ქვაბულში, მდ. ბორბალას (ფოცხოვისწყლის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1050 *მ*, ახალციხიდან 5 *კმ*. 336 მცხ. (2002).

,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში'' (1595) ეს სოფელი

ახალციხის ლივის ჩილდირის რაიონში ითვლებოდა. იქ ზ. ს. ქვემო სხვილისთან ერთადაა აღრიცხული და 30 კომლი ქართველია ჩამოთვლილი. ეს სოფელი ძირითადად მიწათმოქმედებას (მემინდვრეობა, მებოსტნეობა, მებაღეობა-მევენახეობა) მისდევდა, ჰყავდათ საქონელი და ფუტკარი, ჰქონდათ წისქვილები (10 თვალი). მინაწერში ნახსენებია ვენახი და ბაღი პაპუნა უზუნასძისა, ,,აწ ახალციხის ციხის მცველის იბრაჰიმის მფლობელობაში მყოფი‘‘. აქვეა ნახსენები ვენახი, საყანე მიწა და წისქვილი, რ-იც სამეფო კარის ჩავუშის ალის მფლობელობაში იყო. ამავე მინაწერში ნათქვამია, რომ მდ. ბორბალადან მომდინარე წყლის მესამედი ძველთაგანვე სხვილისის საზღვარზე მდებარე მიწების, ვენახისა და ბაღის სარწყავი ყოფილა. სოფლის წლიური გამოსაღები 26200 ახჩას შეადგენდა.

1694–1732 ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარში ზ. ს. აღარ ჩანს. სხვილისში ახლა XIX ს. 30-იან წლებში არზრუმის მხრიდან გადმოსახლებული სომხ. მოსახლეობაა. იქაური ახ. ეკლესია აშენებულია 1900.

წყარო: ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2–3, თბ., 1941–58. *დ. ბერძენიშვილი.*

ზემო უბანი, თბილისის ისტორიულად ჩამოყალიბებული უბანი, *კალის* ნაწილი. სახელწ. ,,ზემო უბანი‘‘ მომდინარეობს კალის ცენტრ. არტერიის – შუა ბაზრის (შემდგომში სომხის ბაზრის, ახლანდ. კ. აფხაზის ქუჩა) მარცხნივ ან კიდევ მტკვრის დინების მიხედვით ზემო მდებარეობის გამო, *ქვემო უბნის* საპირისპიროდ. ზ. უ. შემოსაზღვრული იყო ახლანდ. კ. აფხაზის ქუჩით, მტკვრის კალაპოტით და ნ. ბარათაშვილის ქუჩით. ზ. უ-ის ისტ. ცენტრია ზემო მოედანი (იგივე ბატონის მოედანი, ახლანდ. *ერეკლე II-ის მოედანი*). ზ. უ. იყოფოდა მიკროუბნებად, რ-თაც სახელები ერქმეოდათ ეკლესიის, მნიშვნელოვანი ნაგებობის ან მაცხოვრებელთა მიხედვით; მაგ., ანჩისხატის უბანი, სიონის უბანი, ორბელიანების ახ. უბანი, კვირაცხოვლის ქუჩა (კვირაცხოვლის ეკლესიის მიხედვით, ახლანდ. ნ. და ი. ნაკაშიძეების ქუჩა) და სხვ. გვიანდ. შუა საუკუნეებში ზ. უ-ში სასახლეები ჰქონდათ მეფეებს, ფეოდ. არისტოკრატიას, უმაღლეს სამღვდელოებას. აქვე იყო ქალაქის ერთ-ერთი საქმიანი ცენტრი – *რასტაბაზარი,* სხვა სავაჭრო-სახელოსნო რიგები, ქარვასლები.

მ. ბერძნიშვილი.

ზემო უბანი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ლაფანაანთკარის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. აბანოსხევის (არაგვის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1160 *მ,* დუშეთიდან 20 *კმ.* 9 მცხ. (2002).

სოფლის სამხრ.-აღმ-ით დგას შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია. კედლების ნაწილი დანგრეულია და მინაშენების მხოლოდ კვალი შეიმჩნევა.

ზემო ფარცხმა, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (გურიის მხარე), გურიის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. სუფსის ხეობაში. ფარცხმის თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ფ., შუა ფარცხმა). ზ. დ. 200 *მ,* ჩოხატაურიდან 3 *კმ,* საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 16 *კმ.* 875 მცხ. (2002).

ზემო ფონა, სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ფონის თემში (კახეთის მხარე), მდ. კაბალის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 360 *მ,* ლაგოდეხიდან 20 *კმ.*

ზემო ფრისი, ქართული ფრისი, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ბერულის თემში (შიდა ქართლის მხარე), გუდისის ქედის სამხრ. კალთაზე. ზ. დ. 1000 *მ,* ერედვიდან 4,5 *კმ.* 215 მცხ. (2002).

ზემო ფშაფი, სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის დრანდის თემში (აფხაზეთის არ), მდ. ფშაფის (ერთვის შავ ზღვას) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 80 *მ,* გულრიფშიდან 10 *კმ,* დრანდიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ.* 930 მცხ. (1989).

ზემო ქარზმანი, სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტის ჭალის თემში (იმერეთის მხარე), მდ. ყვირილის ზემო დინების ხეობაში. ზ. დ. 700 *მ,* საჩხერიდან 24 *კმ.* 88 მცხ. (2002).

ზემო ქართლი, მხარე საქართველოში: 1. ასე ეწოდებოდა XVI ს-მდე საქართველოს სამხრ.-დას. ნაწილს – მტკვრის ზემოთს ტაშისკარიდან მდ. მტკვრის სათავემდე და ჭოროხის აუზის ზემოწელს. ეს ტერმინი წყაროში პირველად XII ს-ში იხსენიება, მაგრამ გაცილებით ადრინდელი უნდა იყოს. ლეონტი მროველის (XI ს.) მიხედვით, ზ. ქ. ქართველთა ლეგენდარული მამამთავრის, ქართლოსის უფროსი ძმის, მცხეთოსის შვილების – ოძრხოსის და ჯავახოსის (იხ. სტ. *ქართველთა ეთნარქები*) წილხდომილი მხარეა. იგი მესხების და ჯავახების თავდაპირველი განსახლების ტერიტორიაა. ანტ. წყაროების მიხედვით (სტრაბონი), ამ ტერიტორიას ,,მოსხიკე‘‘ (ქართ.: მესხეთი) ეწოდება: ზ. ქ-ში შედიოდა შემდეგი ერთეულები: *სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი, არტაანი* და *კოლა* – მტკვრის ზემოწელზე; *კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, სპერი* – ჭოროხის ზემოწელზე. VIII–IX სს-ში ზ. ქ-ის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ქართვ. ბაგრატიონთა საკურაპალატო (IX ს. დასასრულიდან – სამეფო). XII–XIII სს-ში ამ მხარის ფეოდ. მფლობელები იყვნენ თორელები, ჯაყელები, ფანასკერტელები. XV ს. II ნახევარში ჯაყელების საგვარეულოს მეთაურობით ზ. ქ. დამოუკიდებელ სამთავროდ (იხ. *სამცხე-საათაბაგო*) ჩამოყალიბდა, რ-ის ცენტრიც ახალციხე იყო. XVI ს-ში ეს ტერიტ. თანდათან ოსმალეთმა დაიპყრო და აქ თავისი ადმ. ერთეული – *ახალციხის (ჩილდირის) საფაშო* შექმნა. 2. XVI ს-იდან ასე ეწოდებოდა ძვ. შიდა ქართლის ტერიტორიას, უფრო მის ჩრდ.-დას. ნაწილს. ვახუშტის მიხედვით XVIII ს-ში ზ. ქ. შეადგენდა მეორე სასპასპეტოს, რ-ის ცენტრი გორი იყო.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (იხზ. თორმეტ ტომად, ტ. 2).

დ. მუსხელიშვილი.

ზემო ქედი, სოფელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), შირაქის ვაკეზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 700 *მ,* დედოფლისწყაროდან 26 *კმ.* 3,0 ათ. მცხ. (2002).

1970 სოფელში შემთხვევით აღმოჩნდა ძვ.წ. II ათასწლეულის არქეოლ. მასალა. ძეგლი შეისწავლა კახეთის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნაპოვნია თიხის შავპრიალა სამი ჭურჭელი, 2 ქილა და ჯამი. ქილები ხაზოვანი ორნამენტითაა შემკული.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის სიღნაღის ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმში. *რ. რუსიშვილი.*

ზემო ქერე, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ქსუისის თემში (შიდა ქართლის მხარე). ზ. დ. 1040 *მ,* ერედვიდან 10 *კმ.* 122 მცხ. (1989).

ზემო ქვათეთრი, სოფელი თიღ-

ვის მუნიციპალიტეტის ძვილეთის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. ღაღურის (შუა ფრონის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 780 *მ*, თიღვიდან 8 *კმ*. 73 მცხ. (1989).

ზემო ძვალონი (1990-მდე ალიონი), სოფელი ხობის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ხობის მარცხ. მხარეს, ხობი–სენაკის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ქ., საალანიო-საფაჩულიო, სახოჭოლავო). ზ. დ. 15 *მ*, ხობიდან 12 *კმ*. 205 მცხ. (2002).

ზემო ძვეძანა, ზემო მხარი, ისტორიული მხარე იმერეთში, იმერეთის სამეფოს მეორე სადროშო. ისაზღვრებოდა: აღმ-ით – ლიხის ქედით, ჩრდ-ით – რაჭის ქედით, სამხრ-ით – აჭარა-იმერეთის ქედით, დას-ით – მდ. ყვირილის შენაკადებით (ბუჯა, ძუსა, ჩოლაბური). მოიცავდა ყოფილი არგვეთის საერისთავოს დიდ ნაწილს. ზ. ქ-ის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი აბაშიძეთა და წერეთელთა ფეოდ. საგვარეულოებს ეკუთვნოდა. სადროშოს სარდლებიც, ჩვეულებრივ, ამ საგვარეულოებიდან გამოდიოდნენ. XVIII ს. დასაწყისში ზ. ქ-ის ერთი ნაწილი, ხეფინისხევი და ჩხერიმელის ხეობის ზემოთი, ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. იხ. აგრეთვე სტ. *ზემო იმერეთი*.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973. *თ. ბერიძე.*

ზემო ძლივანა, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ღრომის თემში (შიდა ქართლის მხარე). ზ. დ. 1230 *მ*, ერედვიდან 32 *კმ*. 9 მცხ. (1989).

სოფლის მახლობლად დგას XIII–XIV სს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – სამნავიანი ბაზილიკა. ნაგებია სხვადასხვა ზომის ქვით. თაღები და გადახურვა აგურითაა ამოყვანილი. ინტერიერი ბოძების ორი წყვილით დაყოფილია სამ ნავად. შუა ნავი, რ-იც აფსიდით მთავრდება, მაღალია და ვიწრო, ასევე ვიწროა მასზე ბევრად დაბალი გვერდის ნავებიც, რ-თა აღმ. მონაკვეთში ორ სართულად განლაგებულია მცირე სათავსები. ბოძების იმპოსტები პროფილირებულია. შუა ნავის აღმ. და დას. კედლებში გაჭრილი ვიწრო და ძალიან მაღალი სარკმლები ხაზს უსვამს მის მოხდენილ პროპორციებს. ფასადების მორთულობა ძუნწია; მხოლოდ აღმ. და დას. სარკმლებს აქვს ფართო პროფილირებული საპირეები. დას. კარის მომწვანო-მოყვითალო ტიმპანის ქვაზე გამოხატულია წრეში მოქცეული ბოლოებაგაფართოებული რელიეფური ჯვარი. ფასადები მთავრდება პროფილირებული კარნიზებით. ეკლესია შიგნით მოხატული იყო, ფრაგმენტი შემორჩენილია აღმ. სარკმლის ღიობში.

ლიტ.: Меписашвили Р., Цинцадзе В., Архитектура нагорной части исторической провинции Грузии – Шида-Картли, Тб., 1975.

რ. მეფისაშვილი. ვ. ცინცაძე.

ზემო ძოშაძილისი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ *ზემო არქევანის* ყოფ. სახელწოდება.

ზემო ძსოვრისი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის ატენის თემში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 1080 *მ*, გორიდან 30 *კმ*. 12 მცხ. (2002).

სოფელი მდებარეობს სკრის ხეობაში, XV–XIX სს-ში შედიოდა *საციციანოში*. სოფლის თავში, საქორეთის მთის კალთაზე დგას დიდი ზომის ქვის კვადრებით ნაგები ღვთისმშობლის ერთნავიანი ეკლესია. სოფლიდან 1 *კმ*-ზე, ტყეში, სკრის ხეობისა და ნალიანის ხევის შესართავთან დგას წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია. ეკლესიის გარშემო შემორჩენილია სხვადასხვა ნაგებობისა და გალავნის ნანგრევები. ზ. ქ-ის ეკლესიები შეიძლება ზოგადად შუა საუკუნეებით დათარიღდეს.

ჯ. გვასალია.

ზემო ძუტირი, ისტ. სოფელი იმერეთის სამეფოში. 1545 ზ. ქ. ბაგრატ III იმერთა მეფემ გელათის წმ. გიორგის საყდარს შესწირა „ხელშეუცვლელად... თჳნიერ ნადირობისა''. ზ. ქ-ის ციხისთავ ღოღობერიძის ეული მოსახლე 2 კომლი ფეტუშნელიძე, სხვა გლეხთან ერთად, მეფემ „ნაშვილობით'' მიიღო ღოღობერიძის „უშვილოდ გარდახდომის'' გამო. ზ. ქ. გვიანი შუა საუკუნეების ადმ.-ტერიტ. დაყოფით იმერეთის სამეფოს ქვემო მხარის სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა, XIX ს-ში – ქუთაისის გუბ. ქუთაისის მაზრის ხონის საპოლიციო უბნის ღანირის სასოფლო საზ-ბაში; 1930, მაზრების გაუქმების შემდეგ, კი ზ. ქ. ხონის რაიონში შევიდა.

წყარო: მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წგ. 1, თბ., 1964; საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 12, საბ. 51. *ზ. ცინცაძე.*

ზემო ღარისწყალა, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭოპორტის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ქართლის ქედის დას. კალთაზე, მდ. არაგვის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1100 *მ*, დუშეთიდან 22 *კმ*. 1 მცხ. (2002).

ზემო ღუმურიში, სოფელი გალის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), აფხაზეთის ბორცვიან მთისწინეთში, მდ. ოქუმის (ერთვის შავ ზღვას) მარცხ. მხარეს. ღუმურიშის თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ღ., ფართოღალი, ქვემო ღუმურიში). ზ. დ. 240 *მ*, გალიდან 11 *კმ*. 435 მცხ. (1989).

ზემო ყანდაურა, სოფელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ყანდაურის თემში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის სამხრ.-დას. კალთაზე. ზ. დ. 900 *მ*, საგარეჯოდან 36 *კმ*, ბადიაურიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 *კმ*. 33 მცხ. (2002).

ზემო ყარაბულაღი, სოფელი დმანისის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის მხარე), გომარეთის პლატოზე, შავწყაროსწყლის (ხრამის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ყარაბულაღის თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ყ., ახა, გედაგდაღი, მამიშლარი, სალამალეიქი, სოღუთლო, უსეინქენდი, ქვემო ყარაბულაღი). ზ. დ. 1320 *მ*, დმანისიდან 18 *კმ*. 1,1 ათ. მცხ. (2002).

სოფლის მახლობლად, მდინარეების შავწყაროსწყლისა და თეთრწყაროსწყლის შესართავთან, დგას XI ს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – გეგმით სწორკუთხა, ნახევარწრიული აფსიდით დასრულებული ერთნავიანი ეკლესია. შიგა სივრცე სიგრძივი კედლებიდან ძლიერ გამოშვერილი კედლის სვეტებით (პილასტრებით) გაყოფილია სამ ნაწილად. სვეტებს შორის გადაყვანილი ისრისებრი თაღები ქმნიან ღრმა უბეებს.



ზემო ქლივანა. სამნავიანი ბაზილიკა. მთავარი ნავის ინტერიერი.



ზემო ყარაბულაღი. ერთნავიანი ეკლესია. XI ს.

ჩუქურთმებით ძუნწად მორთული ფასადები შემოსილია ბაზალტის ქვით, შიგა პირი – შერეული წყობით. სამხრ. კარის თავზე ამოკვეთილ ასომთავრულ წარწერაში მოხსენიებული არიან დავით და კვირიკე მეფეები. შენობის ზედა ნაწილს ემჩნევა შეკეთების კვალი. ირგვლივ სასაფლაო ყოფილა.

ლიტ.: Такайшвили Е., Археологические экскурсии, разыскания и заметки, в. 4, Тфл., 1913. *ლ. რჩეულიშვილი.*

ზემო ყორნისი, სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტის ყორნისის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. ტილიანის (აღმოსავლეთის ფრონის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 980 *მ*, თიღვიდან 15 *კმ*. 43 მცხ. (1989).

ზემო ყულარი, სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტის ყულარის თემში (ქვემო ქართლის მხარე), მარნეულის ვაკეზე, მდ. ხრამის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 320 *მ*, მარნეულიდან 18 *კმ*, შულავრიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 3 *კმ*. 1,7 ათ. მცხ. (2002).

ზემო ყური, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის წინაგრის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი). ზ. დ. 900 *მ*, ახალგორიდან 100 *კმ*. 97 მცხ. (1989).

ზემო შავნი, ისტორიული სოფელი ქვემო ქართლში (სკვირეთში, ანუ მდ. ვერის ხეობაში, მის სათავეებში). ამჟამად ეკუთვნის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს. აღნიშნულია ვახუშტის რუკაზე და შავთას სახელწოდებით მოხსენიებულია ქვემო ქართლის სოფლების სიაში. ისტ. საბუთებში მოხსენიებულია XVII ს-იდან, როგორც საბარათიანოს სოფ. შავნი, შავთა, შამთა, ზემო შავნი. ნაოხარი და ნასოფლარი ტერიტორია ბარათაშვილებისაგან იყიდა ყორღანაშვილმა და ხელახლა გააშენა. აქვე იყო მონასტერიც, რ-იც როსტომ მეფემ ყორღანაშვილებს დაუმტკიცა. სოფელი არსებობდა განვითარებულ შუა საუკუნეებშიც, რასაც მოწმობს აქ შერჩენილი ეკლესიის ნანგრევი და საფლავის ქვები. გვიან ხანებში აქ ჩამოსახლდნენ მთიულები, რ-თა სოფლებს ეწოდებოდა დიდი შამთა, მეორე შამთა და მესამე შამთა. დღეს ყველა ეს სოფელი დაცლილია.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწ. 1–2, თბ., 1935; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, [წგ.] 1, თბ., 1964.

თ. თოდრია.

ზემო შარახევი, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის ზარიძეების თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ქართლის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. შარახეულის (ივრის აუზი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1300 *მ*, თიანეთიდან 17 *კმ*. 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

ზემო შაქშაქეთი, სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტის მოხისის თემში (შიდა ქართლის მხარე), დოღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი), მდ. ფცის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 700 *მ*, ქარელიდან 16 *კმ*, აგარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 *კმ*. 149 მცხ. (2002).

ზემო შუახევი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის მჭადიჯვრის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ალევის ქედის სამხრ. დაბოლოებაზე, მდ. ნარეკვავის (არაგვის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1000 *მ*, დუშეთიდან 15 *კმ*. 144 მცხ. (2002). სოფლის სასაფლაოზე შემორჩენილია გვიანდ. შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესიის კედლების ნაწილი.

ზემო შუახევის არქეოლოგიური ძეგლები, გვიანდელი ბრინჯაოს-ადრინდელი რკინის ხანის არქეოლოგიური მასალა. აღმოჩენილია სოფ. ზემო შუახევში (დუშეთის მუნიციპალიტეტი) სხვადასხვა დროს. 1928 შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს (ან სპილენძის) კასრში ჩაწყობილი ბრინჯაოს ნივთების განძი – 16 ზოდი და ზოდის ნატეხები, მაღალტანიანი ხელეჩო (ან თოხი), ლაგმის ფრაგმენტი. ნივთები ინახება საქართველოს ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში. 1968 სოფელში ნაპოვნია საკინძები, კერამ. ჭურჭლის ნატეხები და ბრინჯაოს სამაჯური, ასეთივე ანალოგიური სამაჯური აღმოჩენილია კახეთში, გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ერწოს სამარხეულ კომპლექსში. სოფელში ნაპოვნია აგრეთვე ბრინჯაოს 2 ზარაკი (გვიანდ. ბრინჯაოს-ადრინდ. რკინის ხანა) და მშვილდსაკინძი.

1974 სადაზვერვო გათხრების დროს (ხელმძღვ. ლ. წითლანაძე) სოფლის ჩრდ-ით გამოვლინდა გვიანდ. ბრინჯაოს-ადრინდ. რკინის ხანის გორანამოსახლარი. კულტ. ფენები დაზიანებულია. შემორჩენილია ღია ფერის ალიზით კედლის შელესილობის კვალი. ნაპოვნია კერამ. ჭურჭლის ფრაგმენტები.

გორანამოსახლარზე აღმოჩნდა აგრეთვე გვიანდ. ფეოდ. ხანის ჩაშვებული სამარხი.

არქეოლ. მასალა ინახება დუშეთის არქეოლ. ბაზაზე.

ლიტ.: ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისთვის, თბ., 1965; წითლანაძე ლ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება დუშეთის რაიონში 1969 წ., კრ.: არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს, თბ., 1971.

ლ. წითლანაძე.

ზემო შუხუთი, სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შუხუთის თემში (გურიის მხარე), გურიის დაბლობზე. ზ. დ. 20 *მ*, ლანჩხუთიდან 5 *კმ*. 480 მცხ. (2002).

იხ. აგრეთვე სტ. *შუხუთი.*

ზემო ჩიბათი, სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის თემში (გურიის მხარე), გურიის დაბლობზე. ზ. დ. 60 *მ*, ლანჩხუთიდან 5 *კმ*. 406 მცხ. (2002).

ზემო ჩიტიანი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ცხრაძმის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. ცხრაძმულის (ქსნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე. ზ. დ. 1450 *მ*, ახალგორიდან 25 *კმ*.

ზემო ჩოჩეთი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის ახალქალაქის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. თეძმის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 600 *მ*, კასპიდან 14 *კმ*, მეტეხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 8 *კმ*. 600 მცხ. (2002).

სოფელში, თოიძიანთუბანში, შემონახულია ნატეხი ქვით ნაგები XIV–XV სს. საბრძოლო კოშკი, ოსეფაანთუბანში – რიყის ქვით ნაგები გვიანდ. შუა საუკუნეების მეორე კოშკი, ოკაანთუბანში – აგურით ნაგები მარიამ ღვთისმშობლის XVIII–XIX სს. ერთნავიანი ეკლესია. სოფლის განაპირას, ჩრდ-ით აღმართულია ნატეხი და რიყის ქვით ნაგები ეკლესია, რ-იც X ს. დასასრულს მიეკუთვნება. სოფლის სასაფლაოზე დგას აგრეთვე ამავე მასალით ნაგები IX–X სს. წმ. სამების ერთნავიანი ეკლესია.

ზემო ცხილონი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ზახორის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. ლეხურის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 920 *მ*, ახალგორიდან 57 *კმ*. 54 მცხ. (1989).

ზემო ცხირი, სოფელი გალის მუნიციპალიტეტის მზიურის თემში (აფხაზეთის არ). ზ. დ. 200 *მ*, გალიდან 5 *კმ*. 93 მცხ. (1989).

ზემო ძალინა, სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტის თერეგვანის

თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. შუა ფრონის (მტკვრის აუზი) ხეობაში. ზ. დ. 920 *მ*, თიღვიდან 2 *კმ*. 67 მცხ. (1989).

სოფლის მახლობლად შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხე და ფალავანდიშვილების კუთვნილი XVII–XVIII სს. დაზიანებული კოშკები. იხ. აგრეთვე სტ. *ძაღინა*.

ზემო ფერაძვი, დღევანდელი სოფ. წერაქვის ისტ. სახელი, რ-იც შეერქვა ქვემო წერაქვისგან განსასხვავებლად (ამჟამად ნასოფლარია).

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ხევი ბოლნისისა, კრ.: დმანისი, IV, თბ., 2003. *დ. ბერძენიშვილი.*

ზემო ფირი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ზახორის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ხარულის ქედის დას. კალთაზე, მდ. ლეხურის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1300 *მ*, ახალგორიდან 69 *კმ*, კასპიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 31 *კმ*. 42 მცხ. (1989).

ზემო ფოლდა, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ზახორის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. ლეხურის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1280 *მ*, ახალგორიდან 70 *კმ*, კასპიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 36 *კმ*. 11 მცხ. (1989).

ზემო ფორბისი, სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტის ყორნისის თემში (შიდა ქართლის მხარე), აღმოსავლეთის ფრონის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 980 *მ*, თიღვიდან 16 *კმ*. 107 მცხ. (1989).

სოფლის მახლობლად შემორჩენილია კოშკები, დიდი სამონასტრო კომპლექსის ნანგრევები. იხ. აგრეთვე სტ. *ფორბისი*.

ზემო ფუბენი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ზახორის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. ლეხურის (მტკვრის მარცხ. შენაკადი) შუა დინების ხეობაში. ზ. დ. 1040 *მ*, ახალგორიდან 64 *კმ*, კასპიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 31 *კმ*. 97 მცხ. (1989).

ზემო ფყარო (ყოფ. ლემსა), სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის წებელდის თემში (აფხაზეთის არ), მდ. კოდორის ქვემო დინების ხეობაში. ზ. დ. 620 *მ*, გულრიფშიდან 22 *კმ*. 150 მცხ. (1989).

ზემო ქარები, სოფელი ერედვის მუნიციპალიტეტის ქსუისის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდინარეების პატარა ლიახვისა და მეჯუდის წყალგამყოფი ქედის დას. კალთაზე, მდ. ჭარებულის (აძურის მარჯვ. შენაკადი; მეჯუდის აუზი) ზემოწელში. ზ. დ. 1070 *მ*.

იხ. აგრეთვე სოფ. *ჭარები*.

ზემო ჭინჭრიანი, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის შეხვეტილის თემში (ქვემო ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის სამხრ. კალთაზე, ალგეთის ხეობაში. ზ. დ. 1300 *მ*, თეთრი წყაროდან 50 *კმ*.

ზემო ხალაფანი (ყოფ. ნაპანკისევი), სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), პანკისის ხეობაში, მდ. ალაზნის მარცხ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ხ., დუმასტური, ქვემო ხალაფანი, შუა ხალაფანი). ზ. დ. 710 *მ*, ახმეტიდან 25 *კმ*. 125 მცხ. (2002).

სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, მთის ფერდობზე, დგას ადრინდ. შუა საუკუნეების ეკლესია. ასევე მაღლობზე დგას XVI ს. დარბაზული ეკლესია. მოგვიანებით ეკლესიისათვის დას-იდან კარიბჭე მიუდგამთ.

ზემო ხანდაკი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), მდ. თეძმის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ხ., ზენადრისი, კალოუბანი, ჭყოპიანი). ზ. დ. 610 *მ*, კასპიდან 20 *კმ*, მეტეხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 11 *კმ*. 1,9 ათ. მცხ. (2002).



ზემო ხანდაკი. წმინდა თევდორეს ეკლესია. XIV–XVI სს.

სოფლიდან 1 *კმ*-ზე, სოფ. ხოვლისკენ მიმავალი გზის მარჯვ. მხარეს, მთის ფერდობზე შემონახულია XIV–XVI სს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი, წმ. თევდორეს ერთნავიანი ეკლესია. მოგვიანებით ეკლესიისთვის სამხრ-იდან კარიბჭე, ეგვტერი და პატარა სათავსი მიუშენებიათ, დას-იდან კი მთელ სიგრძეზე – ვიწრო სათავსი. სოფლის მახლობლად კიდევ ერთი გვიანდ. ფეოდ. ხანის სამების პატარა ეკლესია დგას, სოფლის სამხრ.-აღმ-ით 2 *კმ*-ზე – XVII–XVIII სს. ტუფით, ქვიშაქვით და აგურით ნაშენი ერთნავიანი ეკლესია, სოფლის შუაში კი – XIX ს. ამავე ტიპის წმ. გიორგის ეკლესია, რ-იც ნაგებია ნატეხი ქვით, რიყის ქვით და აგურით, კუთხეები ნაწყობია თლილი ქვით.

ლიტ.: მაკალათია ს., თეძმის ხეობა, თბ., 1959. *ნ. ანდღულაძე.*

ზემო ხევი, სოფელი გაგრის მუნიციპალიტეტის კოლხიდის თემში (აფხაზეთის არ), გაგრის ქედის სამხრ. კალთის ძირას. ზ. დ. 150 *მ*, გაგრიდან 15 *კმ*. 262 მცხ. (1989).

ზემო ხევი, სოფელი შუახევის მუნიციპალიტეტის ბარათაულის თემში (აჭარის არ), ნაცარა-ტინტეს (მესხეთის ქედის განშტოება) სამხრ. კალთაზე, მდ. ჭვანისწყლის (აჭარისწყლის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 950 *მ*, შუახევიდან 15 *კმ*. 270 მცხ. (2002).

ზემო ხეჩილი, სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ფონის თემში (კახეთის მხარე), მდ. კაბალის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 440 *მ*, ლაგოდეხიდან 21 *კმ*. 90 მცხ. (2002).

ზემო ხვედურეთი, სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), მტკვრის შუა ხეობის ვაკეზე, მდ. ხვედრულის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ხ., თრეხვი, მეხეთი, ტყემალა, ქვემო ხვედურეთი, ქვენაფლავი, ღვლევი, ჭანდრები, ხეობა). ზ. დ. 680 *მ*, ქარელიდან 6 *კმ*. 1,5 ათ. მცხ. (2002).

სოფლის სამხრ-ით დაახლ. 1,5 *კმ*-ზე, მთის ფერდობზე წმ. გიორგის დარბაზული ეკლესიაა. მას სამხრ-ით მინაშენი ჰქონია. სტილისტური ნიშნებით ეკლესია თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. აღმ. ფასადის წყობაში სარკმლის თავზე ჩასმულია მწვანე



ზემო ხვედურეთი. წმინდა გიორგის ეკლესია.

ქვიშაქვის ორნამენტირებული ფრაგმენტი – კვადრატულ ბაზისზე დაყრდნობილი შეწყვილებული ლილვები (თარიღდება XI ს-ით). ზ. ხ-ში ციციაანთ ეკლესიიდან თითქმის აღარაფერია შემორჩენილი.

იხ. აგრეთვე სტ. *ხვედურეთი.*

ჯ. გვასალია.

ზემო ხვითი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის ნიქოზის თემში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. ლიახვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 835 *მ,* გორიდან 29 *კმ.* 839 მცხ. (2002).

სოფლის განაპირას დგას სამებისა და წმ. გიორგის გვიანდ. შუა საუკუნეების ერთნავიანი ეკლესიები. მცირე ზომის ეკლესიები ნაგებია ნატეხი და ტუფის ქვით. აღმ-ით ორივეს აქვს ნახევარწრიული აფსიდები და ნიშები. შიგა სივრცე დანაწევრებულია პილასტრებით (სამებისა – ორ მონაკვეთად, წმ. გიორგისა – სამ მონაკვეთად). სამების ეკლესიის სახურავის დას. ნაწილში მოგვიანებით დააშენეს ოთხივე მხრიდან თაღებით გახსნილი სამრეკლო. წმ. გიორგის ეკლესიას კი დას-იდან მიდგმული აქვს ორიარუსიანი, ოთხ სვეტზე დაყრდნობილი სამრეკლო. სოფლის განაპირას შემორჩენილია აგრეთვე გეგმით მრგვალი კოშკის ერთი სართული. კოშკი გვიანდ. შუა საუკუნეებისაა.

ნ. ანდღულაძე.

ზემო ხვწე, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტის ხვწის თემში (შიდა ქართლის მხარე), ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 1300 *მ,* ჯავიდან 4 *კმ.* 92 მცხ. (1989).

ზემო ხიზა, სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, იხ. *ხიზა.*

ზემო ხოდაშენი, სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტში (კახეთის მხარე), ალაზნის ვაკეზე, მდ. ალაზნის მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: ზ. ხ., აწყური, ახალდაბა, ჩარექაული, ხველიანდრო). ზ. დ. 600 *მ,* ახმეტიდან 16 *კმ,* თელავიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 15 *კმ.* 1,1 ათ. მცხ. (2002).



ზემო ხოდაშენი. ხარების ეკლესია. XVI ს.



ზემო ხოდაშენი. კოშკი მარნით.

სოფლის შუაგულში ძვ. სამონასტრო კომპლექსიდან შემორჩენილია მხოლოდ ხარების ეკლესია, რ-იც ყოფილა ლევან მეფისა (1520–74) და ალექსანდრე II-ის (1574–1605) მიერ ათონის მთაზე აგებული ფილოთეოსის მონასტრის მეტოქი, ასევე შემორჩენილია კოშკი მარნით.

ზ. ხ-ის მახლობლად მდებარეობს XIX ს. ბოჭორმის დარბაზული ეკლესია, გვიანდ. შუა საუკუნეების ნათლისმცემლის, კვირაცხოვლის, წმ. გიორგის, წამებულის, წმ. მარიამის დარბაზული ეკლესიები და სხვა.

სოფლის სამხრ.-აღმ-ით 7–8 *კმ*-ზე მდებარე კომპლექსში შედის წმ. ნიკოლოზის ეკლესია, სასახლე, სატრაპეზო, კოშკი – სამრეკლო, საცხოვრებელი ნაგებობები და მარანი. კომპლექსს შემოვლებული აქვს გალავანი. წმ. ნიკოლოზის ეკლესია, რ-იც დგას კონტრფორსებიანი საყრდენი კედლით გამაგრებულ ტერასაზე, აგებულია XIII ს. II ნახ-ში. იგი სამეკლესიიანი ბაზილიკაა. შუა ეკლესია გვერდის ეკლესიებთან შედარებით ორნახევარჯერ უფრო ფართოა. სასახლე გეგმით სწორკუთხა ნაგებობაა. დგას ეკლესიის დას-ით, სასახლის დას-ით კი სატრაპეზოს ნანგრევებია შემორჩენილი. ეს შენობა გალავანშია ჩართული. სასახლის სამხრ-ით დგას გეგმით კვადრატული სამსართულიანი კოშკი-სამრეკლო, რ-ის ნაწილი გალავნის ფარგლებს გარეთაა გასული. ამ ნაწილში, I სართულზე, სამხრ.-დას. კედელში მონასტრის მთავარი შესასვლელია. მონასტრის ეზოს სამხრ.-აღმ-ით და ჩრდ.-დას-ით საცხოვრებელი ნაგებობების ნანგრევებია.

სოფლის სამხრ-ით 3–3,5 *კმ*-ზე მდებარეობს VIII–IX სს. სამეკლესიიანი ბაზილიკა.

ლიტ.: ბერიძე ვ., XVI–XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. 1, თბ., 1983.

ზემო ხორხი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ჟინვალის ტერიტორიულ ორგანოში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), გუდამაყრის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ხორხულის (ერთვის ჟინვალის წყალსაცავს) ზემოწელში. ზ. დ. 1400 *მ,* დუშეთიდან 30 *კმ.* 64 მცხ. (2002).

მდ. ხორხის (არაგვის მარცხ. შენაკადი) სათავესთან, მაღალ მთაზე მდებარეობს არაქველის ციხის კომპლექსი. განეკუთვნება შუა საუკუნეებს. კომპლექსში შედის წმ. გიორგის ეკლესია, რამდენიმე ნაგებობის ნანგრევი და გალავანი. მდ. ხორხის შუა წელზე, მარჯვ. ნაპირას, მთის კალთაზე აგებულია X ს. კომპლექსი. მასში შედის ღვთისმშობლის ეკლესია, კოშკი და გალავანი.

ზემო ხუნწი, სოფელი მარტვილის მუნიციპალიტეტის ხუნწის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 200 *მ,* მარტვილიდან 8 *კმ.* 427 მცხ. (2002).

ზემო ჯავა, ისტორიული სოფელი ქართლში. იხსენიება XVII ს. I ნახევრის ერთ საბუთში, სადაც აღნიშნულია, რომ ზ. ჯ-ის მოსახლეობა „ამოწყდა და დაუკაცურდა ოსთაგან“. ეს სოფელი უნდა იყოს ვახუშტი ბაგრატიონთან მოხსენიებული „პატარა ჯავა“ და 1865 თბილ. გუბერნიის თემთა აღწერილობის „ჯავისთავი“.

წყარო: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, [ტ.] 1, თბ., 1940; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941. *ჯ. გვასალია.*

ზემო ჯომაღა, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტის როკის თემში (შიდა ქართლის მხარე), კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ლიახვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 2050 *მ,* ჯავიდან 37 *კმ.* 1989 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

ზემო ჯოჭო, სოფელი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შარაბიძეების თემში (აჭარის არ), მდ. ჯოჭოსწყლის (ჭოროხის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 160 *მ,* ხელვაჩაურიდან 6 *კმ.* 1,0 ათ. მცხ. (2002).

ზემო ჯოჭოს განძი, ძვ. წ. XIV ს. კოლხური ცულების განძი, აღმოჩნდა 1960 სოფ. ზემო ჯოჭოში, ადგილ ზარახიაში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი). განძი შედგება დ. ქორიძისეული I სახეობის ბრინჯაოს 5 ცულისა და ზოდებისაგან.

განძი დაცულია აჭარის ხ. ახვლედიანის სახ. მუზეუმში.

ლიტ.: რამიშვილი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974; ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965. *ა. რამიშვილი.*

ზემრავალხმიანობა, ხუთ-ექვსხმიანი გალობა, რ-იც ტრადიციულად არსებობდა ქართულ ეკლესიაში XIX ს. დასაწყისამდე (საწყისი პერიოდი უცნობია). ექვსხმიან გუნდში ყოველ ხმას საკუთარი სახელწოდება ჰქონდა: თქმა, მოძახილი ან კრინი, ზილი, ბანი, დაბალი ბანი (ან შემდეგი) და დვრინი. თითოეულ ხმას თითო შემსრულებელი ჰყავდა. ზემრავალხმიანი გალობის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ი. ბაგრატიონი, დ. მაჩაბელი, დ. გურამიშვილი და ბესიკი. ი. ბაგრატიონის მიხედვით ზ. ქართ. ეკლესიაში მხოლოდ განსაკუთრებულ, საზეიმო შემთხვევებში გამოიყენებოდა. XIX ს-ში ქართ. გალობის ოფიც. პროფ. სკოლის მოშლამ გამოიწვია ზ-ის დაკარგვა (საგალობლები ხალხში შემოინახა სამხმიან წყობაში). ქართ. ხალხ. მუსიკაში ზ. არ გვხვდება და არც რაიმე ცნობა მოგვეპოვება წარსულში მისი არსებობის შესახებ.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938. *ი. ჟორდანია.*

„ზემყრელო“, ქართული ხალხური ცეკვა, საბრძოლო შინაარსის სართულიანი (ორ- და სამსართულიანი) ფერხული. მესხეთში მას „სამყრელოს“ უწოდებენ, თუშეთში – „ქორბელელას“, სვანეთში – „მირიმიქელას“. იგი ასახავს ომის დროს ციხე-სიმაგრეების დალაშქვრის მომენტს, როდესაც მეომრები ერთმანეთს მხრებზე ადგებოდნენ ციხის გალავანზე გადასასვლელად. ფერხულის მნიშვნელოვანი ელემენტია სართულებიდან მოწყვეტით ძირს დაცემა და ფერხულში ჩაბმა. „ზ-ს“ მხოლოდ მამაკაცები ცეკვავენ. „ზ.“ შორეულ წარსულში ნაყოფიერების ღვთაებასთან იყო დაკავშირებული. ფერხულის სამწილადი ზომა და სინკოპირებული რიტმი ბრუნვად მოძრაობას ორიგინ. იერს ანიჭებს. *ა. თათარაძე.*

ზემცოვსკი იზალი იოსების ძე (დ. 22. II. 1936, ლენინგრადი), რუსი მუსიკისმცოდნე-ფოლკლორისტი და ეთნომუსიკოლოგი. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1981). ფუმიო კოიცუმის პრემიის ლაურეატი (2011). 1958 დაამთავრა ლენინგრადის უნ-ტის ფილოლ. ფაკ-ტი, 1961 – ლენინგრადის ნ. რიმსკი-კორსაკოვის სახ. კონსერვატორია ერთდროულად მუსიკისმცოდნეობისა და კომპოზიციის განხრით. 1972-იდან არის იუნესკოსთან არსებული ხალხ. მუსიკის საერთაშ. საბჭოს წევრი. 1994-იდან კითხულობდა ლექციებს აშშ-ის სხვადასხვა უნ-ტში, მიჰყავდა ქართ. ტრად. მუსიკის კურსი. ამჟამად არის მედისონის უნ-ტის მიწვეული პროფესორი ეთნომუსიკოლოგიასა და ფსევდომისტიკაში. ძირითადად იკვლევს მუს. ფოლკლორისტიკის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის, სლავური მუსფოლკლორის, ფოლკლორისა და საკომპოზიციო შემოქმედების ურთიერთობის, აგრეთვე მრავალხმიანობის (მათ შორის ქართული) საკითხებს. 1982-იდან დაკავშირებულია თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახელმწ. კონსერვატორიასთან (2006-იდან საპატიო პროფესორი) და საქართვ. კომპოზიტორთა კავშირთან. იკვლევს ქართ. ხალხ. მუს. შემოქმედების საკითხებს. მონაწილეობდა ქართ. მრავალხმიანობის საკითხებისადმი მიძღვნილ თბილისის (1986), ბორჯომის (1988) კონფერენციებსა და მრავალხმიანობის პრობლემებისადმი მიძღვნილ საერთაშ. სიმპოზიუმებში, რ-ის ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი იც თვითონ იყო. ზ-მ რამდენიმე სერიოზული ნაშრომი მიუძღვნა ქართ. მრავალხმიანობას, მათ შორის ერთ-ერთია „The Georgian Model Toward the Ethnomusical Approach to the Walid of Oral Poliphony“, რ-იც შეტანილია წიგნში: Echoes from Georgia. Seventeen arguments on Georgian polyphony, New York, 2010.

მ. კალანდაძე.

ზენადრისი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის ზემო ხანდაკის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. თეძმის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 980 *მ,* კასპიდან 17 *კმ.* 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.



ა. ზენაიშვილი.

სოფლის მიდამოებშია შუა საუკუნეების *დრის ციხის* კომპლექსი.

ზენაიშვილი აბესალომ მელიტონის ძე (1. XII. 1920, სოფ. ჩიბათი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 20. I. 1994, ბათუმი), შორეული ნაოსნობის კაპიტანი. II მსოფლიო ომის (1939–45) მონაწილე, საქართვ. მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრი. 1944 დაამთავრა ბათუმის საზღვაო ტექნიკუმი, იყო ვეშაპსარეწი გემის „სლავას“ კაპიტანი (1954), საქართვ. საოკეანო თევზსაჭერი ფლოტის ტრაულერ „შოთა რუსთაველის“ კაპიტან-დირექტორი (1961), მრავალი სხვა გემის კაპიტანი. 1988-იდან იყო ტანკერ „ნოდარ დუმბაძის“ კაპიტანი. ვეშაპსარეწი გემით ორჯერ შემოუარა ანტარქტიდას. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, დიდი სამამულო ომის I ხარისხის ორდენით და მრავალი მედლით.

ვ. ბარათაშვილი.

ზენაიშვილი ოთარ პლატონის ძე (დ. 18. VII. 1924, ქუთაისი), პარაზიტოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1995), საქართვ. პროფილაქტიკური მედ. მეცნ. აკად. წევრი (1994). 1946 დაამთავრა თსსი. მუშაობა დაიწყო ცხინვალში ჯანმრთელობის დაცვის საოლქო სამალარიო სადგურის გამგედ, პარალელურად – საოლქო პოლიკლინიკის თერაპევტად. 1950-იდან სამედ. პარაზიტოლოგიის და ტროპ. მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის თანამშრომელია, 1961-იდან ხელმძღვანელობს კლინ. განყოფილებას. ზ. არის პარაზიტოლოგიის და ტროპ. მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის სამეცნ. საბჭოს წევრი; საქართვ. ინფექციონისტთა, ეპიდემიოლოგთა, ჰეპა-

ტოლოგთა, პარაზიტოლოგთა და მიკრობიოლოგთა სამეცნ. ასოციაციის დამფუძნებელი (2003). მისი სამეცნ. მუშაობის ძირითადი სფეროა პარაზიტულ და ტროპ. დაავადებათა მკურნალობის, მ. შ. ექინოკოკოზის კონსერვატიული მკურნალობის საკითხები. ზ. არის ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1991). მრავალი სამეცნ. შრომის და 5 მონოგრაფიის, ავტორი.

ზენამხარი (ყოფ. ბეჟანთკარი), სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის ზარიძეების თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ქართლის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ვერხველის (ივრის აუზი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1600 *მ*, თიანეთიდან 14 *კმ*. 5 მცხ. (2002).

ზენა სოფელი, ისტორიული მხარე ქართლში, გვიანდ. შიდა ქართლის ნაწილი. მოიცავდა მდ. მტკვრის შუაწელის აუზს, რ-საც აღმიდან მდ. არაგვი და არმაზის ხევი ესაზღვრება, დას-იდან – ლიხის ქედი, სამხრ-იდან – თრიალეთის ქედი, ჩრდ-იდან – კავკასიონი.


ლიტ.: ჯანაშია ს., იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში; აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს უძველესი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრების საკითხისათვის, მის წგ.: შრომები, ტ. 2, თბ., 1952.

დ. მუსხელიშვილი.

ზენდიდი, სოფელი ქედის მუნიციპალიტეტის ქედის ტერიტორიულ ორგანოში (აჭარის არ), მდ. აჭარისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 350 *მ*, ქედიდან 1 *კმ*. 332 მცხ. (2002).

ზ. მოიხსენიება ,,ტბეთის სულთა მატიანეში'' (XII–XVII სს.).

დ. ხახუტაიშვილი.



ვ. ზენკოვიჩი.

ზენი, სოფელი გალის მუნიციპალიტეტის დიხაზურგის თემში (აფხაზეთის არ), მდ. ენგურის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 120 *მ*, გალიდან 15 *კმ*. 533 მცხ. (1989).

ზენი, სოფელი გალის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის თემში (აფხაზეთის არ), სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 50 *მ*, გალიდან 13 *კმ*. 936 მცხ. (1989).

ზენი, სოფელი გალის მუნიციპალიტეტის ჭუბურხინჯის თემში (აფხაზეთის არ), სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ენგურის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 100 *მ*, გალიდან 10 *კმ*. 1,2 ათ. მცხ. (1989).

ზენი, სოფელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის ილორის თემში (აფხაზეთის არ), სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ღალიძგის ნაპირას. ზ. დ. 10 *მ*, ოჩამჩირიდან 2 *კმ*. 386 მცხ. (1989).

ზენი, სოფელი ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ხობის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 30 *მ*, ხობიდან 3 *კმ*. 240 მცხ. (2002).

ზენი, სოფელი ხობის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ჭანისწყლის (ხობის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. საჯიჯაოს თემის ცენტრი (სოფლები: ზ., გაღმა საჯიჯაო, ზუბი, ჯაფშაქარი). ზ. დ. 40 *მ*, ხობიდან 12 *კმ*. 1,3 ათ. მცხ. (2002).

ზენითი, სოფელი ქობულეთის მუნიციპალიტეტში (აჭარის არ), მესხეთის ქედის დას. მთისწინეთში. სათავო სოფელი. ზ. დ. 160 *მ*, ქობულეთიდან 16 *კმ*. 980 მცხ. (2002).

ზენითის განძები, კოლხური კულტურის ძეგლები, აღმოჩენილი სხვადასხვა დროს სოფ. ზენითში (ახლანდ. ქობულეთის მუნიციპალიტეტი). 1. ძვ. წ. XVI–XIV სს. ბრინჯაოს 3 ცული, რ-ებიც კოლხური ცულების პროტოტიპებიდან კოლხურ ცულებზე გარდამავალ სახეს წარმოადგენს. აღმოჩნდა 1926; 2. ძვ. წ. XIII–XII სს. ბრინჯაოს წალდი და 3 თოხი. აღმოჩნდა 1935; 3. ძვ. წ. XII–XI სს. სპილენძისა და ბრინჯაოს ნივთები (1 ცული, 4 ცულის ნატეხი, 1 წალდი, 4 თოხი, თოხის ნატეხები, 4 სეგმენტისებური იარაღი, 1 სატევრის ნატეხი, ნამგლის ნატეხები, ზოდები, აგრეთვე რკინის დანები, ცულები და თოხები) მოთავსებული იყო სანთლით დაგმანულ თიხის ჭურჭელში. აღმოჩნდა 1926, 1929 შეისწავლა ა. იესენმა. სამივე განძი დაცულია აჭარის ხ. ახვლედიანის სახ. მუზეუმში.

ლიტ.: რამიშვილი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974; ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965; ჯაფარიძე ო., კოლხური ცული, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1950, ტ. 16B; Иессен А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, «Известия Гос. академии истории материальной культуры», 1935, в. 120.

ა. რამიშვილი. ლ. ფანცხავა.

ზენკოვიჩი ვსევოლოდ პავლეს ძე [22. I (4. II). 1910, მოსკოვი, – 18. VIII. 1994, იქვე], ოკეანოლოგი და გეომორფოლოგი. გეოგრაფიულ მეცნ. დოქტორი (1943), პროფესორი (1947), სსრკ მეცნ. აკად. ოკეანოლოგიის (1944–71) და გეოგრ. (1971–74) ინ-ტების ზღვის სანაპირო ზონის ლაბორატორიის გამგე. 1975–90 მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრ. ინ-ტში, ხელმძღვანელობდა შავი ზღვის სანაპირო ზონის მორფოლ. და დინამიკის ლაბორატორიას. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა შავი ზღვის სანაპიროს შემსწავლელი ქართ. სკოლა. 1991-იდან კვლავ გადავიდა მოსკოვში. ზ-ს დიდი წვლილი მიუძღვის ზღვის სანაპირო ზონის შესწავლაში, მის მიერ შემუშავებული და დანერგილია კვლევის მრავალი ახ. მეთოდი, დადგენილია სანაპირო ზონაში მიმდინარე თანამედროვე პროცესების კანონზომიერებანი და სხვ. ზ. იყო საერთაშ. გეოგრ. კავშირის ზღვის ნაპირთა შემსწავლელი კომისიის წევრი (1960-იდან), ზღვის ნაპირების მკვლევართა საერთაშ. საზ-ბის წევრი (1976-იდან), სტალინური (1951) და ლენინური (1964) პრემიების ლაურეატი. მიღებული ჰქონდა სსრკ სახ. მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიდი ვერცხლის მედალი (1956), სსრკ გეოგრ. საზ-ბის თ. ლიტკეს სახ. ოქროს მედალი (1958) და სხვ. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომის და 50-მდე სამეცნ.-პოპულ. წიგნისა.

თხზ.: Динамика и морфология морских берегов, М.–Л., 1946; Морфология и динамика советских берегов Черного моря, т. 1–2, М., 1958–60; Основы учения о развитии морских берегов, М., 1962; Проблема стабилизации морских берегов Грузинской ССР, «Геоморфология», 1977, №1; Пицунда наша радость и тревога, Тб., 1984.

გ. დონდუა.

ზენობანი, სოფელი გულრიფშის მუნიციპალიტეტის ლათის თემში (აფხაზეთის არ), კოდორის ხეობაში. ზ. დ. 560 მ, გულრიფშიდან 50 *კმ*.

ზენობანი, სოფელი ვანის მუნიციპალიტეტის სალხინოს თემში (იმერეთის მხარე), მდ. სულორის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 200 *მ*, ვანიდან 7 *კმ*. 218 მცხ. (2002).

სოფლის თავში, გალავნით გარშემორტყმულ სასაფლაოზე, აღმართულია X–XI სს. მიჯნის ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – მაცხოვრის ერთნავიანი ეკლესია.

ლიტ.: დიდებულიძე მ., ზენობანის მაცხოვრის ეკლესიის ხუროთმოძღვრება, «ძეგლის მეგობარი», 1988, №4; მისივე, ზენობანის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა, «მაცნე». არ-

ქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნების ისტ., სერია, 1990, №1. *მ. დიდებულიძე.*

ზენობანი, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხიდისთავის თემში (გურიის მხარე), მდინარეების სუფსისა და გუბაზეულის წყალგამყოფზე, გუბაზეულის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 400 *მ,* ჩოხატაურიდან 10 *კმ.* 125 მცხ. (2002). სოფელში არის ნ. *დუმბაძის* სახლმუზეუმი.

ზენობია, ქართლის (იბერიის) მეფის ფარსმან I-ის ვაჟის რადამისტის მეუღლე (I ს. 60-იანი წწ.). რომაელი ისტორიკოსის ტაციტუსის ცნობით, როდესაც სომხეთში გამეფებულ რადამისტს აუჯანყდნენ და იგი სამშობლოსაკენ გაიქცა, ფეხმძიმე ზ-მ ვერ გაუძლო ცხენზე ჯდომას და სთხოვა რადამისტს მოეკლა იგი, რათა მტრებს ხელში არ ჩავარდნოდა. დიდი მუდარის შემდეგ რადამისტმა შეუსრულა თხოვნა, დაჭრა და მდ. არაქსში გადააგდო. ცოცხალ-მკვდარი ზ. მწყემსებმა იპოვეს, გადაარჩინეს და სომხეთში გამეფებულ ტირიდატეს მოჰგვარეს ქ. არტაქსატაში.

ლიტ.: გ უ ჩ უ ა ვ., გადავხედოთ წარსულს, თბ., 1967. *გ. მელიქიშვილი.*

ზენონი, ხანძთელი სასულიერო მოღვაწე (IX ს.), სამცხელი დიდგვაროვნის შვილი, გრიგოლ ხანძთელის უახლოესი მოწაფე. მოიხსენიებენ როგორც ,,სათნოებათა საუნჯე, მონაზონებისა წესი წმიდა, კლარჯეთისა უდაბნოთა ზღუდე“. ზ ღრმა მოხუცებულობაში გარდაიცვალა, შერაცხულია წმინდანად, მოიხსენიება კლარჯეთის უდაბნოს ღირს მამათა და დედათა (VIII–IX სს.) შორის 5 (18) ოქტომბერს.

ზენონ იყალთოელი, ერთ-ერთი ასურელი მამა, რ-იც VI ს. შუა წლებში ჩამოვიდა ანტიოქიიდან საქართველოში თავის მასწავლებელ *იოანე ზედაზნელთან* ერთად. ცხოვრობდა თავდაპირველად ზედაზნის, შემდეგ კი თავისსავე დაარსებულ იყალთოს მონასტერში. დასაფლავებულია იქვე. ზ. ი-ის მოღვაწეობამ ხელი შეუწყო კახეთში ქრისტ. ეკლესიის განმტკიცებას. მისი ცხოვრების ამსახველი თხზულება შემონახული არ არის. ზ. ი. იხსენიება იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში. შერაცხულია წმინდანად და მოიხსენიება 7 (20) მაისს ასურელ მამათა შორის.

ლიტ. იხ. სტ-თან ი ო ა ნ ე ზ ე დ ა ზ ნ ე ლ ი. *ბ. ლომინაძე.*

ზენუბანი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭართლის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ალევის ქედის აღმ. კალთაზე. ზ. დ. 1440 *მ,* დუშეთიდან 40 *კმ.* 8 მცხ. (2002).

სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, მთის მწვერვალზე დგას VIII–IX სს. და გვიანდ. შუა საუკუნეების კომპლექსი. მასში შედის სამების დარბაზული ეკლესია (VIII–IX სს.), მცირე დარბაზული ეკლესია (ამჟამად მისი ნაწილია შემორჩენილი), კოშკი, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები და გალავანი.

ზეპირსიტყვაობა, რაიმე ამბის, თქმულების, გადმოცემის, ლექსის, ზღაპრის და ა. შ. ზეპირად თქმა. ზ. ფოლკლორული ნაწარმოების შექმნისა და გავრცელების ერთ-ერთი ნიშანდობლივი ფორმაა.

ლიტ.: ქართული ხალხური სიტყვიერება (ქრესტომათია), შედგ. და გამოც. ქს. სიხარულიძის მიერ, თბ., 1970.

ზეპირსიტყვიერება, აღნიშნავს ყველა სახის ზეპირად ნათქვამს, მაგ., რაიმე წეს-ჩვეულების აღწერას ანდა ამავე წეს-ჩვეულების ამსახველი ნაწარმოების გადმოცემას. მხატვრული ზ. კი გულისხმობს მხოლოდ ფოლკლორულ ნაწარმოებს, რ-საც განსაზღვრული ჟანრული ფორმა აქვს. იხ. აგერთვე სტ. *ფოლკლორი.*

ლიტ.: ქართული ხალხური სიტყვიერება (ქრესტომათია), შედგ. და გამოც. ქს. სიხარულიძის მიერ, თბ., 1970.

ზეპური, საზოგადოების მაღალი ფენა ქართლის (იბერიის) სამეფოში. დამოწმებულია ,,შუშანიკის მარტვილობაში“. ქვემო ქართლში იმ დიდ აზნაურთა სახლისშვილებს ეწოდებოდათ, რ-ებიც უფლისწულებზე იყვნენ დამოკიდებული.

ა. ბოგვერაძე.

ზერაგია პოლიკარპე კონსტანტინეს ძე [19. III (1. IV). 1912, ფოთი, – 6. VI. 1986, თბილისი], მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1957), პროფესორი (1959), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). დაამთავრა თსუ (1934). იყო ამავე უნ-ტის მექანიკა-მათ. ფაკ-ტის დეკანი (1956–62), ზოგადი მათ. კათედრის გამგე (1960–86). იკვლევდა პოლიჰარმონიული, არაწრფივი ჰიპერბოლური და პარაბოლური, აგრეთვე არაწრფივი ინტეგრალური განტოლებების ამოხსნის საკითხებს. საქართვ. უმაღლესი და საშ. სპეც. განათლების სამინისტროს პრემიის ლაურეატი (1987, სიკვდილის შემდეგ). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: უმაღლესი მათემატიკის კურსი, ტ. 1–2, თბ., 1985.

ზერაკიძე ზურაბ სერგოს ძე (დ. 21. VII. 1939, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1998), პროფესორი (2000). დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი (1962). 1962-იდან მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. კიბერნეტიკის ინ-ტში, 1971-იდან – თსუ-ის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათ. ინ-ტში, 1980–89 – თსუ-ის ალბათობათა თეორიისა და მათ. სტატისტიკის კათედრაზე, 1989–2003 – გორის სახელმწ. უნ-ტში უმაღლესი მათ. კათედრის გამგედ, 2003-იდან მოღვაწეობს გორის უნ-ტში. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია ,,მათემატიკური სტატისტიკა“ სერიაში ,,მათემატიკური ენციკლოპედია“ (შპრინგერის გამომცემლობა, გერმანია). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

ზერტი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის მეჯვრისხევის თემში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. მეჯვრისხევის მარცხ. და ტირიფონის არხის მარჯვ. მხარეს, გორი – მეჯვრისხევის საავტ. გზაზე. ზ. დ. 760 *მ,* გორიდან 19 *კმ.* 2,7 ათ. მცხ. (2002).

ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) ზ-ს მდინარე მეჯვრისთით მორწყულ სოფელთა სიაში მოიხსენიებს. 1398 სოფ. ზ-ის შეწირულობა განუახლდა სვეტიცხოველს. XV ს. 70-იან წლებში ქართლის მეფემ – კონსტანტინემ ზ. იოთამ მაღლანიძეს უბოძა. 1559 სიმონ მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ზ-ის შეწირულობა. 1616 ქრისტეფორე კათოლიკოსმა ზ. სამოურავოდ გადასცა იესე გაბრიელისშვილს, 1696 კათოლიკოსმა იოანე დიასამიძემ სახლთუხუცეს რევაზ მაღალაძეს ზ-ის მოურავობა უბოძა. 1700 ერეკლე I-მა ზ-ში მცხოვრები მამულაშვილები და სხვა გლეხები უბოძა ამილბარ მაღალაძეს. XVIII ს-ში სოფელს ეწერა 26 სახასო მოლაშქრე. 1865 ზ. 72 კომლი ქართველით გორის უბნის ზერტის სასოფლო თემში შედიოდა.

სოფლის შუაში დგას გვიანდ. შუა საუკუნეების ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია. აგრეთვე სოფლის შუაში დგას XIX ს. ღვთისმშობლის ეკლესია – სამნა-

ვიანი ბაზილიკა. სოფლის სამხრ-ით კი, სასაფლაოზე დგას 1839 ნაგები წმ. გიორგის ეკლესია.

ლიტ.: გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.

ჯ. გვასალია.

ზესაშვილი ვახტანგ ივანეს ძე (1. X. 1922, სენაკი, – 27. I. 2006, თბილისი), გეოლოგი. კავკ. იურული ნალექების სტრატიგრაფიისა და პალეონტოლ. მკვლევარი, საქართვ. დამს. გეოლოგი (1985), საქართვ. გეოლ. საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტი (1964–85). 1948 დაამთავრა სპი (ახლანდ. სტუ) ინ-ჟინერ-გეოლოგის სპეციალობით. 1947-იდან მუშაობდა ა. ჯანელიძის სახ. გეოლ. ინ-ტში, იყო ინ-ტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი და განყ-ბის გამგე. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში გამოიცა განყ-ბის თანამშრომელთა სამეცნ. სტატიების 4 კრებული, შედგა ,,კავკასიის იურული ნალექების უნიფიცირებული სტრატიგრაფიული სქემები'' (1972–84), გამოქვეყნდა ინ-ტის მონოგრაფიული პალეონტოლ. მუზეუმის 2 კატალოგი (1961, 1984). Ზ-მა შეადგინა მუზეუმის 2 მეგზური რუს. (1963, 1989) და ინგლ. (1984) ენებზე, ჩაატარა საკავშ. სამეცნ. თათბირები: ნამარხი მარჯნების (თბილისი, 1978), კავკ. ცარცული ნალექების სტრატიგრაფიის (წყალტუბო, 1979), კავკ. იურული ნალექების სტრატიგრაფიის (კრასნოდარი, 1979), მიკროპალეონტოლოგიის (თბილისი, 1984) საკითხებზე, განსაზღვრა ადრე და შუაიურული ფაუნის 130-მდე კოლექცია.

Ზ. იყო სსრკ სტრატიგრაფიული კომიტეტის იურული კომისიის წევრი (1960–91), კავკ. სტრატიგრაფიული კომიტეტის იურული სექციის თავ-რე (1975–83), ქართ. ენციკლოპედიის მეცნიერი კონსულტანტი (1998–2000).

თხზ. (თანაავტორი): Вопросы геологии Грузии, Тб., 1964; Унифицированные стратиграфические схемы юрских отложений Кавказа, Л., 1984; Геологическое строение СССР и закономерности размещения полезных ископаемых, т. 5 (Карпаты, Крым, Кавказ), Л., 1989; Юра Кавказа, Л., 1991.

მ. თოფჩიშვილი.

ზესკნელი, უძველესი ქართული მითოლოგიური წარმოდგენით სამყაროს ერთ-ერთი ნაწილი (იხ. *გარესკნელი, ქვესკნელი*). ფანტასტიკური ზღაპრის პერსონაჟები Ზ-შიც ისევე თავისუფლად მოქმედებენ, როგორც დედამიწაზე. ზღაპრული გმირი Ზ-ში მკვდრის მაცოცხლებელი წყლის – მზის პირის ნაბანის – მოსაპოვებლად მიდის და მიზანსაც აღწევს. ხალხ. რწმენით Ზ. ღვთისა და ზებუნებრივ არსებათა ადგილსამყოფელია.

ლიტ.: შ ე ნ გ ე ლ ა ი ა დ., სამი სკნელი, თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1960.

ნ. შამანაძე.

ზესოფელი, სოფელი ქედის მუნიციპალიტეტის ზვარის თემში (აჭარის არ), მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. აჭარის-წყლის მარჯვ. მხარეს. Ზ. დ. 650 *მ*, ქედიდან 7 *კმ*. 242 მცხ. (2002).



ზესტაფონი. საერთო ხედი.

ზესტაფონი, ქალაქი (1926-იდან) დას. საქართველოში (იმერეთის მხარე), ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრი. მდებარეობს კოლხეთის დაბლობის უკიდურეს აღმ. ნაწილში, იმერეთის დაბლობზე, მდ. ყვირილის ორივე ნაპირზე, იქ, სადაც დაბლობი გორაკ-ბორცვებში გადადის. სარკინიგზო და საავტ. გზების კვანძი. Ზ. დ. 160 *მ*, თბილისიდან 197 *კმ*. 24,2 ათ. მცხ. (2002).

ჰავა ზღვის ნოტიო სუბტროპიკულია. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და შედარებით ცხელი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 13,9°C, იანვ. საშ. ტემპ-რა 3,7°C, აგვ. 23,9°C; აბსოლ. მინ. –20°C, აბსოლ. მაქს. 42°C. ნალექები 1300 *მმ* წელიწადში.

Ზ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVI ს. 60-იან წლებში. სახელწოდება ,,ზესტაფონი'' გადმოცემის თანახმად, წარმოდგება ზედა ფონისაგან (მდ. ყვირილაზე). XIX ს. 20-იან წლებში აქ იყო კაზაკთა ჯარის პოსტი – ყვირილის პოსტი და Ზ-საც ყვირილა დაერქვა. თბილისი–ფოთის რკინიგზის გაყვანის (1872) შემდეგ აქ ვაგზლის შენობა ააგეს. იმატა მოსახლეობამ. შემდეგში მას კვლავ Ზ. დაერქვა. XX ს. 20-იან წლებში მცირე ხნის განმავლობაში ქალაქი ატარებდა რევოლუციონერ ს. ჯუღელის სახელს.

Ზ. მნიშვნელოვანი სამრეწვ. ცენტრია. ქალაქში არის შავი მეტალ. დიდი საწარმო – *ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა*, აგრეთვე სააქციო საზ-ბა ,,საქკაბელი'', ღვინის, ხორცპროდუქტებისა და პურის საწარმოები, სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო, სამუსიკო და სპორტ. სკოლები, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, ბ-კა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, უ. ჩხეიძის სახ. *ზესტაფონის სახელმწიფო დრამატული თეატრი*, სამედ. დაწესებულებები.

XX ს. დასაწყისამდე Ზ. უწესრიგოდ იყო განაშენიანებული 1–2 სართულიანი სახლებით. 1955 შედგა ქალაქის დაგეგმარებისა და რეკონსტრუქციის (არქიტ. ე. ბაგრატიონი, თანაავტორი ვ. გოგიჩაიშვილი), 70-იან წლებში – განაშენიანების (არქიტ. ვ. გოგიჩაიშვილი) პროექტები, შემდგომ მდ. ყვირილის ნაპირზე გაკეთდა ჯებირები, აშენდა მრავალსართულიანი საცხოვრ. სახლები, კეთილმოწყობილი გახდა ქუჩები.

ე. ბაგრატიონი. თ. ბერაძე. ვ. ჯაოშვილი.

ზესტაფონის კრება 1892, ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დამფუძნებელი საერთო კრება. 1892 წ. 25 დეკემბერს (ძვ. სტ.), ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის დაბა ყვირილაში (ზესტაფონი) იოსებ კაკაბაძის ბინაზე არალეგალურად შეიკრიბნენ ე. ნინოშვილი, ნ. ჟორდანია, ნ. ჩხეიძე, ი. რამიშვილი, მ. ცხაკაია, ი. კაკაბაძე, დ. კალანდარიშვილი, რ. კალაძე, ა. წითლიძე, ე. ვაწაძე. შეკრების დასასრულს მათ შეუერთდა ს. ჯიბლაძე. Ზ. კ-ის მონაწილენი სოციალ. დოქტრინით იყვნენ გატაცებულნი და ქართვ. ერის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას

ამ მოძღვრებაზე დაყრდნობით აპირებდნენ. ისინი მართალია თავს სოციალისტებად თვლიდნენ, მაგრამ ერთიან იდეურ პლატფორმაზე არ იდგნენ და განიცდიდნენ სოციალ. დოქტრინის სხვადასხვა მიმდინარეობის იდეურ გავლენას. კრების მოწვევამდე რამდენიმე ხნით ადრე ნ. ჟორდანიამ დაწერა და ვარშავაში მყოფ ფ. მახარაძეს გაუგზავნა ,,ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამის'' პროექტი. ეს დოკუმენტი ფ. მახარაძეს უკან აღარ დაუბრუნებია. ვარშავიდან დ. კალანდარიშვილის სახელზე გამოგზავნილ წერილში ფ. მახარაძე იუწყებოდა, რომ ნ. ჟორდანიას პროექტი განიხილა და დაიწუნა ვარშავის ქართვ. სტუდენტთა წრემ, რასაც ადასტურებდა ამავე წრის წევრი მ. მირიანაშვილიც. ამდენად ნ. ჟორდანიას ,,ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამის'' პროექტი ზ. პ-ს არ განუხილავს, რადგან თვით პროექტი ხელთ არ ჰქონდათ. ასეთ ვითარებაში კრებაზე დაიწყო პოლემიკა ქართვ. დემოკრატთა საპროგრამო პრინციპების შესახებ. პოლემიკის შედეგად გამოიკვეთა ორი შეხედულება: რუს. ნაროდნიკული სოციალიზმისა და რუს. ს.-დ. სოციალიზმისა. საპროგრამო პრინციპებში ვერ აისახა დემოკრ. მოთხოვნები და ეროვნ. საკითხი. ეს იმას ნიშნავდა, რომ უპირატესობა რუს. სოციალიზმის საპროგრამო მოთხოვნებს მიეცა.

კრებაზე მოხდა ქართ. ს.-დ-ის ორგანიზაციული გაერთიანება – შეიქმნა პირველი საერთო ქართ. ს.-დ. ორგანიზაცია, რ-საც შემდგომში *,,მესამე დასი''* ეწოდა. ზ. პ-ზე პროგრამის საკითხი საბოლოოდ გადაუჭრელი დარჩა, მაგრამ, ს.-დ-თა ორგანიზაციული და იდეური გაერთიანების გზაზე, უთანხმოების მიუხედავად, პირველი სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა.

ლიტ.: გ უ რ უ ლ ი ვ., ქართული სოციალ-დემოკრატია 1892–1904 წლებში, ნაკვ. 1–2, თბ., 1995; ჟ ო რ დ ა ნ ი ა ნ., რჩეული ნაწერები, თბ., 1990; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970; ხ უ ნ დ ა ძ ე ს., სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. 2, ტფ., 1927.

ვ. გურული.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დას. საქართველოში (იმერეთის მხარე), კოლხეთის დაბლობის აღმ. ნაწილში. აღმ-ით ესაზღვრება ჭიათურის, სამხრ.-აღმ-ით – ხარაგაულის,



ჩრდ-ით – თერჯოლის, სამხრ.-დას-ით – ბაღდათის მუნიციპალიტეტები. ფართ. 423,0 *კმ²*. მოსახლ. 76,2 ათ. კაცი (2002). ცენტრი – ქ. *ზესტაფონი*. მუნიციპალიტეტში არის 1 ქალაქი, 58 სოფელი, 17 თემი: ბოსლევის (ცენტრი – ბელღევი), დილიკაურის, ზედა საქარის, ზოვრეთის, ილემის (ცენტრი – ქვედა ილემი), კვალითის (ცენტრი – შუა კვალითი), კლდეეთის (ცენტრი – ზედა კლდეეთი), მეორე სვირის, პირველი სვირის, როდინაულის, სანახშირის, ფუთის, ქვედა საზანოს, ქვედა საქარის, შროშის, ცხრაწყაროს, ძირულის.

ისტორიული ცნობა. არქეოლ. მონაცემების მიხედვით ტერიტ., რ-იც დღეს ზ. მ-ს უკავია, უძველესი დროიდან იყო დასახლებული. განსაკუთრებით დაწინაურებული ჩანს იგი ელინისტურ და გვიანდ. ანტ. ხანაში. ზ. მ-ის ტერიტორიაზე მდებარე შორაპნის ციხე მოხსენიებული აქვს სტრაბონს თავის გეოგრაფიაში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს სოფ. ზედა კლდეეთი, სადაც II ს. მდიდრული სამაროვანია აღმოჩენილი. საქართველოს სამეფოს ერთიანობის ხანაში, ახლანდ. ზ. მ-ის სოფლების დიდი ნაწილი ისტ.-გეოგრ. მხარეს ლომსიანს ეკუთვნოდა, რ-საც გვიანდ. შუა საუკუნეებში ლომსიათხევი ეწოდა. XIX ს. მეორე ნახევარში, ქუთაისის გუბ. შექმნის შემდეგ, ახლანდ. ზ. მ-ის სოფლები, ცალკეული საზოგადოებების სახით, *შორაპნის მაზრის* ყვირილის უბანში შედიოდა. 1921 საქ. სსრ აღმ.-ტერ. დაყოფით ისევ შორაპნის მაზრაშია, 1930 გამოიყო ზესტაფონის რ-ნად, 2006-იდან მუნიციპალიტეტია.

ბუნება. ზ. მ-ის ტერიტორიაზე გამოიყოფა 4 ოროგრაფიული ერთეული: მდ. ყვირილის ორივე მხარეს სადგ. აჯამეთიდან ზესტაფონამდე ვრცელდება კოლხეთის დაბლობის აღმ. ნაწილი (იმერეთის დაბლობი), რ-ის აბსოლ. სიმაღლეა 90–200 *მ*; სამხრ-ით და ნაწილობრივ აღმ-ით 200–500 *მ* სიმაღლის გორაკ-ბორცვიანი ზონაა; აღმ. ნაწილი უკავია იმერეთის მაღლობის სამხრ.-დას. მონაკვეთს; სამხრ-ით აღმართულია მდინარეების ყვირილისა და საკრაულის დაბალი წყალგამყოფი ქედი (მწვერვალები: საფიშლისთავი, კვიწნარი), რ-ის ჩრდ. კალთა ზ. მ-ს ეკუთვნის. დაბლობი აგებულია ახალგაზრდა ალუვიონით, რ-შიც გამომუშავებულია მდ. ყვირილის განიერი აკუმულაციური ტერასები. გორაკ-ბორცვიანი ზონა აგებულია ოლიგოცენური და მიოცენური ასაკის თიხებით, ქვიშაქვებითა და მერგელებით. ზედაპირი დანაწევრებულია მდ. ყვირილის შენაკადებით, ფერდობები დამეწყრილია. იმერეთის მაღლობი ძირითადად განვითარებულია ძირულის კრისტალურ მასივზე, რ-იც მდ. ყვირილის მარჯვ. მხარეს მდ. ძუსამდე ვრცელდება. მუნიციპალიტეტის ფარგლებში მაღლობი აგებულია კამბრიულისწინა და პალეოზოური ასაკის კრისტალური ფიქლებით, გნაისებითა და გრანიტოიდებით. მაღლობის სამხრ. ნაწილში გაშიშვლებულია ლიასური თიხა-ფიქლები და ქვიშაქვები, აგრეთვე ბაიოსური პორფირიტები, ტუფები და ტუფ-ბრექჩიები. ყვირილისა და საკრაულის წყალგამყოფი ქედი უმთავრესად აგებულია ძლიერ დანაოჭებული ეოცენური ტუფ-ბრექჩიებითა და მერგელებით.

წიაღისეული სიმდიდრიდან აღსანიშნავია კირქვა და ქალცედონი სოფ. აჯამეთთან, კვარცი – სოფ. დილიკაურთან, შროშის მარმარილოსა და ცეცხლგამძლე თიხის საბადოები.

დაბლობ ზონაში ზღვის ნოტიო სუბტროპ. ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და შედარებით მშრალი, ცხელი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 14°C აღწევს (საქარა 13,9°C, აჯამეთი 14,1°C), იანვ. საშ. ტემპ-რა 3,7–4,3°C, აგვ. 23,6–23,9°C; აბსოლ. მინ. –20°C, აბსოლ. მაქს. 42°C. ნალექები 1200 *მმ* წელიწადში, მაქს. – ზამთარში, მინ. – ზაფხულში. გორაკ-ბორცვიან და დაბალმთიან ზონაში ჰაერის ტემპ-რა რამდენადმე დაბალია, ნალექები უფრო უხვია. მუნიციპალიტეტში გაბატონებულია აღმ. და დას. ქარები. აღმ. ქარი უმეტესად ფიონურია. ზესტაფონამდე ზოგჯერ ზღვის ბრიზიც აღწევს.

მდინარეთა შორის მთავარია ყვირილა, ძირულა, ჩოლაბური, ჩხერიმელა და მათი შენაკადები. მდინარეები საზრდოობენ წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ზაფხულ-შემოდგომაზე.

ნიადაგი დაბლობზე ალუვიურია, ტერასებზე – სუბტროპ. ეწერი. გორაკ-ბორცვიანი ზონა უჭირავს კორდიან-კარბონატულ ნიადაგს; ძლიერ დახრილ კალთებზე მცირე სისქის ხირხატიანი სახესხვაობებია, ხოლო დამრეც კალთებზე – დიდი სისქის გამოტუტვილი და თიხიანი კორდიან-კარბონატული ნიადაგები. მუნიციპალიტეტის აღმ. ნაწილში გვხვდება გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგი. მდინარეების ყვირილისა და საკრაულის წყალგამყოფი ქედის ჩრდ. კალთაზე გავრცელებულია ტყის ყომრალი ნიადაგი.

დაბლობ და გორაკ-ბორცვიან ზონაში გავრცელებულია კოლხური ტყე, რ-ის მთავარი შემადგენელი ჯიშებია: რცხილა, მუხა, წიფელი, წაბლი, მურყანი, აგრეთვე ლაფანი და სხვ. ქვეტყეს ქმნის მარადმწვანე (ბაძგი, წყავი, თაგვისარა) და ფოთოლმცვივანი (თხილი, კვიდო, კუნელი, ძახველი, ხეჭრელი, იელი, ზღმარტლი და სხვ.) ბუჩქები. ლიანებიდან ხარობს ეკალღიჭი, მაყვალი, კატაბარდა, სურო და სხვ. ტყეში ზოგან შემორჩენილია რელიქტური ძელქვა. დაბლობ და გორაკ-ბორცვიან ზონაში ტყის ფართობი ამჟამად ძლიერ შემცირებულია. იგი კარგად არის შემონახული ყვირილისა და საკრაულის წყალგამყოფ ქედზე. აქ ძირითადი ჯიშია წიფელი, შერეულია რცხილა, ნეკერჩხალი, ცაცხვი, იმერული მუხა; ქვეტყეს ქმნის: შქერი, წყავი, ბაძგი, ძმერხლი, იელი, მოცვი და სხვ. ნატყევარ ადგილებზე მდელოებია.

მუნიციპალიტეტში ცხოველებიდან ბინადრობს მგელი, მელა, ტურა, მაჩვი, კურდღელი, დედოფალა, ზღარბი, თხუნელა. ფრინველებიდან გვხვდება ტოროლა, ყორანი, ყვავი, კოლხური წიწკანა, ოფოფი, მწყერი, ტყის ქათამი და სხვ.; ქვეწარმავლებიდან – გველი, ხვლიკი და სხვ.

ძირითადი ლანდშაფტები: 1. ნოტიო სუბტროპ. ჭალა მდელო-ტყის მცენარეულობით (ლაფნარ-მურყნარი) და ალუვიური ნიადაგით; 2. დახრილი ტერასული ვაკე-დაბლობი კოლხური მცენარეულობით, ალუვიური და სუბტროპ. ეწერი ნიადაგებით; 3. გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთი კოლხ. მცენარეებით, კორდიან-კარბონატული და სუბტროპ. ეწერი ნიადაგებით; 4. ნოტიო სუბტროპ. ბორცვიანი პლატო, მუხნარ-რცხილნარით, ტყის ყომრალი და კორდიან-კარბონატული ნიადაგით; 5. ნოტიოჰავიანი დაბალი მთები წიფლის ტყითა და ტყის ყომრალი ნიადაგით.

მოსახლეობა. ზ. მ-ის მოსახლეობის 99,4% ქართველია. განსახლების ძირითადი ზონა ზ. დ. 100–400 *მ* ფარგლებშია. მოსახლ. საშ. სიმჭიდროვე არის 180,2 კაცი 1 *კმ*^{2}-ზე (2002). მუნიციპალიტეტის მოსახლ. 66,2% ცხოვრობს სოფლად.

მეურნეობა. სოფ. მეურნ. მთავარი დარგია მევენახეობა, განვითარებულია აგრეთვე მეცხოველეობა, მოჰყავთ მარცვლეული კულტურები. ყურძნის ძირითადი ჯიშებია ცოლიკოური და ციცქა. მევენახეობის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა საქარის მევენახეობის საცდელმა სადგურმა. მრავალწლიანი კულტურებიდან ვაზის გარდა არის ხეხილის ნარგავები, გავრცელებულია დაფნა. მარცვლეული კულტურებიდან ძირითადად მოჰყავთ სიმინდი. მეცხოველეობა სარძეო-სახორცე მიმართულებისაა. უმთავრესი დარგებია მესაქონლეობა, მეღორეობა და მეფრინველეობა. მნიშვნელოვანი სამელიორაციო ნაგებობაა *აჯამეთის არხი*. შროშაში არის სატყეო მეურნეობა.

მრეწვ. მთავარი დარგებია: შავი მეტალურგია, ელექტროტექ. და კვების მრეწველობა. მუშაობს *ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა*, სააქციო საზ-ბა ,,საქკაბელი''. შროშის თიხის საბადოს ბაზაზე მუშაობს ძირულის ცეცხლგამძლე ნაკეთობათა ქ-ნა ,,შროშა'', რ-იც ძირითადად ემსახურება შუშის ქ-ნებს. შროშაში არის წითელი მარმარილოს საბადო (იხ. *შროშის მარმარილოს საბადო*). კვების მრეწვ. ძირითადად წარმოდგენილია ღვინის, ხორცპროდუქტებისა და პურის საწარმოებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის რკინიგზის მაგისტრალი. მას ზესტაფონში გამოეყოფა ჭიათურა–საჩხერის განშტოება, რ-მაც 1957 შეცვალა შორაპანი–საჩხერის ვიწროლიანდაგიანი გზა. აქ გადის ხაშური–სამტრედიის, ზესტაფონი–ბაღდათის, ზესტაფო-



ზესტაფონი. ,,ირინეს ბაღის'' შესასვლელი.

ნი–ჭიათურისა და ზესტაფონი–ხარაგაულის საავტ. გზები.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. მუნიციპალიტეტში არის სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო, სამუსიკო და სპორტ. სკოლები, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, ბ-კები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (ზესტაფონი), უ. ჩხეიძის სახლ-მუზეუმი (ფუთი), ზესტაფონის სახელმწ. დრამ. თეატრი, ე. წ. ირინეს ბაღი.

მუნიციპალიტეტის მოსახლ. ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება რამდენიმე სამკურნალო დაწესებულება: ,,ცენტრალური პოლიკლინიკა'', შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსი'', ,,ფერომედი'', ,,კლინიკა ელიტე'' და სხვ.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. მუნიციპალიტეტის ისტ.-ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან აღსანიშნავია *შორაპნის ციხე* (ადრინდ. და განვითარებული შუა საუკუნეები), კოშკი *ქვედა საქარაში* (შუა საუკუნეები), გულბადიანის ეკლესია ზედა საქარის მიდამოებში (XVI ს.), ეკლესია *ზედა წევაში* (XI ს., გადაკეთებულია XIX ს-ში), წმ. გიორგის ეკლესია *ტაბაკინის* მიდამოებში (VI–VII სს.), სანახშირის ეკლესია (შუა საუკუნეები), შროშის ციხე (შუა საუკუნეები), ,,თამარის ხიდი'' ჭალატყის მიდამოებში (განვითარებული შუა საუკუნეები).

თ. ბერაძე. გ. დევდარიანი. დ. სვანიძე. ვ. ჯაოშვილი.

ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაარსდა 1968, როგორც სასკოლო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (ზესტაფონის რკინიგზის №7 სკოლა). 1968–80 გადავიდა სხვა შენობაში და არსებობა განაგრძო საზ. საწყისებზე. 1980 მიიღო სახელმწ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სტატუსი. ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმის (ამჟამად საქართვ. ეროვნ. მუზეუმი) დახმარებით ჩატარდა საექსპოზიციო სამუშაოები და 1987 გაიხსნა ყველა ექსპოზიცია. მუზეუმზე კონტროლს ახორციელებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა. მას აქვს რამდენიმე განყოფა. 2013 წ. 1 იანვრისათვის Ზ. მ. მ-ის ფონდში იყო დაახლ. 8,5 ათ. ექსპონატი. დაცული ნივთების



ზესტაფონის მუნიციპალიტეტი. ,,თამარის ხიდი'' მდინარე ჩოლაბურზე.

უმრავლესობა ადგილ. ტერიტორიაზეა აღმოჩენილი; ისინი 3500-ზე მეტი წლისაა. აღსანიშნავია ქვა-კაჟისაგან დამზადებული საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, ბრინჯაოს ხანის ნივთები, ადრეანტიკური და ელინისტური ხანის რკინის საბრძოლო და შრომის იარაღები, მნიშვნელოვანია შორაპნის ციხის ტერიტორიაზე ნაპოვნი ქვის ღუზა და ბრინჯაოს მხედრის სკულპტურა, რ-იც თარიღდება ძვ. წ. VI–IV სს-ით, XII ს. ჯაჭვის პერანგი, შუა საუკუნეების საყოფაცხოვრებო ნივთები. იქვე დაცულია აგრეთვე კერამ. ნაწარმის ნიმუშები. Ზ. მ. მ. განსაკუთრებით მდიდარია ნუმიზმატიკური მასალით – აქ წარმოდგენილია ფულის ნიმუშები უძვ. დროიდან დღემდე, მ. შ. *კოლხური თეთრი*. იქვე ინახება მრავალი შემოწირული ნივთი [პირველი მსოფლიო ომის საბრძოლო მედალი, ბელგიასა (1906) და ნეაპოლში (1910) ღვინის მსოფლიო გამოფენაზე მიღებული ქართ. ღვინოების მედლები, ჩოხა-ახალუხი ვერცხლის ქამარ-ხანჯლით და სხვ.]. Ზ. მ. მ-ში დაცულია ადგილობრივ მხატვართა მიერ შესრულებული სახვითი ხელოვნების ნიმუშები, XIX ს. წერილობითი დოკუმენტები და ფოტომასალები.

მუზეუმის ფილიალია უ. ჩხეიძის სახლ-მუზეუმი (იხ. სტ. *ჩხეიძე უშანგი*).

ბ. ვარდოსანიძე. მ. ჯაოშვილი.

ზესტაფონის სახელმწიფო დრამატული თეატრი უ. ჩხეიძის სახელობისა, დასაბამს იღებს 1875-იდან, როდესაც დაბა ყვირილაში (ახლანდ. ქ. ზესტაფონი) ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა პირველი წარმოდგენა (მოლიერის ,,სგანარელი, ანუ ვითომდა რქოსანი'') დადგეს. ამის შემდეგ აქ, უპირატესად სცენისმოყვარეთა საქველმოქმედო წარმოდგენები იმართებოდა. შენობის უქონლობის გამო ეს წარმოდგენები კერძო სახლებში, სასამართლოს დარბაზში ან სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე იდგმებოდა. შედარებით კეთილმოწყობილი სათეატრო ნაგებობა 1897 აუგიათ. სწორედ აქ დადგა პირველად სცენისმოყვარეთა მუდმივმა დასმა ა. ცაგარლის კომედია ,,ჭკუისა მჭირს''. ამ შენობაში 30 დასახელების სხვადასხვა პიესა დაიდგა. XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში Ზ-ის სცენისმოყვარეთა წრე ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოში, სადაც მოღვაწეობდნენ: ვ. და ფ. არაბიძეები, კ. ასათიანი, თ. ბაქრაძე, მ. მდივანი, ს. გაჩეჩილაძე. კ. მოდებაძე, მ. ჭანიშვილი და სხვ. Ზ-ის თეატრში წარმოდგენებს მართავდა თბილისისა და ქუთაისის პროფ. დასები.

1901 წ. 30 აპრილს თეატრის შენობა ხანძარმა იმსხვერპლა. საკუთარი კერის უქონლობის მიუხედავად, ზესტაფონელი სცენისმოყვარეები წარმოდგენების დადგმას მაინც ახერხებდნენ. 1904 წ. 30 მაისს საზეიმოდ გაიხსნა თეატრის ახ. შენობა, სადაც ყოველ კვირადღეს იმართებოდა წარმოდგენები, მეტწილად – ადგილობრივ სცენისმოყვარეთა ძალებით (ნ. აზიანის ,,ფული და ხარისხი'', დ. კლდიაშვილის ,,ირინეს ბედნიერება'', დ. ჭონქაძის ,,სურამის ციხე'' და სხვ.). რეაქციის წლებში (1905–07) მეფის დამსჯელმა რაზმებმა ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით სასტიკად დაარბიეს ზესტაფონის თეატრიც. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციაც ზღუდავდა თეატრის შემოქმედებით მუშაობას, ენთუზიასტები მაინც ახერხებდნენ წარმოდგენების გამართვას. ისინი ემსახურებოდნენ არა მარტო ზეს-



ზესტაფონის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

ტაფონს, არამედ მის მახლობელ სოფლებსა და დაბებსაც.

1929 საზაფხულო სეზონში დასს ხელმძღვანელობდა რეჟ. ა. წუწუნავა. მასში ირიცხებოდნენ მსახიობები: ც. ამირეჯიბი, ვ. არაბიძე, ა. რუხაძე, ფ. არაბიძე, უ. ჩხეიძე, შ. ღამბაშიძე, დ. ანთაძე და სხვ. ამ თეატრის სცენაზე აიდგეს ფეხი ძმებმა ს. და ბ. ზაქარიაძეებმა.

1939 მთავრობის გადაწყვეტილებით ზესტაფონში დაარსდა სახელმწ. თეატრი. სეზონი გაიხსნა ვ. გაბისკირიას პიესით – ,,მათი ამბავი''. 1947 ზ. ს. დ. თ. ზონალურ თეატრად გამოცხადდა, ემსახურებოდა ჩხარის, ხარაგაულისა და ბაღდათის რ-ნებს. 1949 მოხდა თეატრის ლიკვიდაცია; მის ადგილზე დაფუძნდა ზესტაფონის კულტსახლი, სადაც თეატრის დასის დარჩენილი წევრებისაგან ჩამოყალიბდა დრამწრე, რ-საც 1960 რესპ. დათვალიერებაზე მიღწეული წარმატებისათვის მიენიჭა სახ. თეატრის წოდება. 1962 გაიხსნა ყოველმხრივ კეთილმოწყობილი თეატრის ახ. შენობა. თეატრის რეპერტუარში იყო მ. ჯაფარიძის ,,ჟამთაბერის ასული'', კ. ბუაჩიძის ,,ვარდი ასფურცლოვანი'', ნ. დუმბაძის ,,მე ვხედავ მზეს'', ლ. სანიკიძის ,,მედეა'' და სხვ. 1963–66 თეატრის მთ. რეჟისორად მუშაობდა ა. გუბელაძე, რ-მაც დადგა: ევრიპიდეს ,,მედეა'', დ. ერისთავის ,,სამშობლო'' და სხვ. 1967-იდან თეატრს სათავეში ჩაუდგა რ. აბესაძე. დადგა: ა. ყაზბეგის ,,მოძღვარი'', ჯ. ფლეტჩერის ,,როგორ მოვარჯულოთ ცოლი'', პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი'' და სხვ. 1964 ზ. ს. დ. თ-ს უშანგი ჩხეიძის სახელი მიენიჭა.

თეატრმა (ჯერ კიდევ სახ. თეატრის სტატუსით) მონაწილეობა მიიღო მექსიკის (1984), შვედეთის (1987), სომხეთის (1988), საერთაშ. ფესტივალებზე და საპატიო პრიზები და დიპლომები მოიპოვა, ხოლო 1998 რუსთავის საერთაშ. ფესტივალზე ,,ოქროს ნიღაბი'' ზესტაფონის თეატრმა ლ. ქიაჩელის ,,ჰაკი აძბას'' წარმოდგენისათვის სპეც. პრიზი დაიმსახურა (რეჟ. ზ. წაქაძე).

1991 ზესტაფონის უ. ჩხეიძის სახ. სახალხო თეატრის ბაზაზე აღდგა მისივე სახ. სახელმწ. დრამ. თეატრი. თეატრის რეპერტუარშია (1991–2013): ნ. დუმბაძის ,,საბრალდებო დასკვნა'' (1992) და ,,მარადისობის კანონი'' (2003, ორივეს რეჟ. რ. აბესაძე), ლ. თაბუკაშვილის ,,დარაბებს მიღმა გაზაფხულია'' (1993, რეჟ. გ. ბუთხუზი) და ,,ნატაძრალი'' (2004, რეჟ. მ. ცერცვაძე), ა. გეწაძის ,,ყარამან ყანთელაძე'' და გ. ნახუცრიშვილის ,,კომბლე'' (ორივე 1993, რეჟ. ლ. პაქსაშვილი), მ. ჯავახიშვილის ,,მუსუსი'' (1993, რეჟ. ზ. წაქაძე) და ,,კურდღელი'' (2006, რეჟ. მ. ცერცვაძე), ო. იოსელიანის ,,სანამ ურემი გადაბრუნდება'' (1994, რეჟ. ზ. აბესაძე), რ. გაბრიაძის ,,მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი'' (1995, რეჟ. გ. კაპანაძე), ედგარ პოს ,,დოქტორ პაპატაჩის ვალსი'' (1998, რეჟ. ზ. წაქაძე), რ. ნეშის ,,წვიმის გამყიდველი'' (2005, რეჟ. მ. ცერცვაძე), ბ. ჯანიკაშვილის ,,თითით საჩვენებელი'' (2007, რეჟ. მ. მესტვირიშვილი), ლ. ბულაძის ,,ნუგზარი და მეფისტოფელი'' (2007, რეჟ. მ. ცერცვაძე), ა. ჩხაიძის ,,შთამომავლობა'' (2007, რეჟ. რ. აბესაძე). ი. ჭავჭავაძის ,,მგზავრის წერილები'' (2008, რეჟ. თ. კუპრავა), დ. კლდიაშვილის ,,ბაკულას ღორები'' (2010, რეჟ. მ. ცერცვაძე), გ. დოჩანაშვილის ,,იქამდე'' (2011) და ,,იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი ანუ გრიშა და მთავარი'' (2013, ორივეს რეჟ. ზ. წაქაძე), ი. გოგებაშვილის ,,იავნანამ რა ჰქმნა?!'' (2011, რეჟ. გ. ქურციკიძე), დ. კლდიაშვილის ,,სოლომან მორბელაძე'' (2013, რეჟ. ბ. წერედიანი), ს.-ს. ორბელიანის ,,სიბრძნე სიცრუისა'' (2013, რეჟ. კ. მჟავია) და სხვ.

2011 საფრანგეთიდან სამუშაო ვიზიტით ჩამოსულმა ქართველმა რეჟისორმა ა. ჯაყელმა დადგა ოთხი სპექტაკლი: ,,ოპუსი 115'' (მოლიერის ,,დონ ჟუანისა'' და ,,ტარტიუფის'' მიხედვით), ,,უტოპია'', ,,ისევ ზღაპარი'' (ორივეს იდეის ავტორი ა. ჯაყელი) და ,,ვოიცეკი'' (გ. ბიუხნერის მიხედვით).

თეატრის დასში არიან (2014) მსახიობები: ნ. აბესაძე, ბ. ტაბატაძე, გ. გლოველი, თ. ქველიაშვილი, ზ. აბესაძე, მ. აბესაძე, თ. კიკნაველაძე, ვ. კვინიკაძე, კ. ჭანკოტაძე, ნ. ისიანი და სხვ.; თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი – ნ. ლიპარტიანი; მხატვრები – დ. კამკამიძე და ნ. ბერაძე; თეატრის დირექტორი თ. მაღლაკელიძე.

ლიტ.: ანთაძე დ., თეატრალური ზესტაფონი, თბ., 1970.

შ. ცუცქირიძე. ვ. კვინიკაძე.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა გ. ნიკოლაძის სახელობისა (შპს *,,ჯორჯიან მანგანეზის''* ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა), საქართველოს შავი მეტალურგიის ერთ-ერთი დიდი საწარმო ზესტაფონში. აშენდა 1933 ჭიათურის მანგანუმის მადნის, ტყიბულის ქვანახშირისა და რიონჰესის ელექტროენერგიის ბაზაზე. ექვემდებარებოდა სსრ კავშირის შავი მეტალ. სამინისტროს. საწარმოს დაპროექტებაში, წარმოების გამართვასა და ტექნოლ. დამუშავებაში დიდი წვლილი მიუძღვის გ. *ნიკოლაძეს*. 1967-იდან ქ-ნა მისი სახელობისაა.

1930 წ. თებერვალში შეიქმნა ,,ფეროსამანგანშენის'' სამმართველო, იმავე წლიდან დაიწყო მუშათა ქალაქის, ქ-ნისა და სხვა ობიექტების მშენებლობა. პარალელურად თბილისში 1930 აიგო საცდელი ქ-ნა (იარსება 1936-მდე, ხოლო შემდეგ გადატანილ იქნა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქ-ნაში), რ-მაც ზესტაფონის მომა-



ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. ერთ-ერთი საამქრო.

ვალი ქ-ნისათვის შეიმუშავა ფეროშენადნობთა წარმოებისათვის აუცილებელი ტექნოლოგია და დიდი როლი შეასრულა კვალიფიციური კადრების მომზადებაში. 1933 წ. 30 ოქტომბერს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქ-ნამ პირველი შენადნობი გამოუშვა, ხოლო 1937 საპროექტო სიმძლავრეს მიაღწია (16 ათ. ტ ფეროშენადნობი წელიწადში). დაარსების დღიდან საწარმოს ერქვა ,,ზესტაფონის ფერომანგანუმის ქარხანა'', 1938-იდან კი ეწოდა ,,ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა''. თავდაპირველად ქ-ნაში მხოლოდ ერთი ძირითადი №1 საამქრო მუშაობდა, უშვებდა ნახშირბადიან ფერომანგანუმს, ფეროსილიციუმსა და სილიკომანგანუმს. 1942-იდან ამუშავდა საცდელი საამქრო, რ-იც ელექტროლიზურ ლითონურ მანგანუმს ამზადებდა. აღნიშნული ლითონის მიღების ტექნოლოგია შეიმუშავა რ. *აგლაძემ* და გ. *სიორიძემ*. II მსოფლიო ომის დროს ქარხანამ დიდი წვლილი შეიტანა ფოლადის წარმოებისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში.

ომის შემდგომ წლებში (1955–66) მოხდა ქარხნის ძირეული რეკონსტრუქცია, ამუშავდა ახ. საამქროები (№2, №3, №4), რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ღუმლების საერთო სიმძლავრე, ასევე წარმოების მოცულობაც (შეადგინა 250 ათ. ტ ფეროშენადნობი წელიწადში). თუ 1933 საწარმომ 1000 ტ ფეროშენადნობი გამოუშვა, 1955 ამ მაჩვენებელმა 95700 ტ, ხოლო 1965 – 204800 ტ შეადგინა. გაფართოვდა გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტიც. საწარმომ 47 ახ. დასახელების ფეროშენადნობის წარმოება აითვისა. აღსანიშნავია, რომ ელექტროლიზური მანგანუმის სამრეწვ. მასშტაბებით წარმოება მსოფლიოში პირველად იქნა ათვისებული ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქ-ნაში. საქართველო სსრ კავშირში ფეროშენადნობების ერთ-ერთი ძირითადი მწარმოებელი იყო, ხოლო ელექტროლიზური ლითონური მანგანუმი და საშუალონახშირბადიანი ფერომანგანუმი მხოლოდ ამ ქ-ნაში მზადდებოდა. საწარმოს პროდუქცია ყველა მოკავშირე რესპუბლიკასა და მსოფლიოს 30 ქვეყანაში იგზავნებოდა.

1980–88 ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქ-ნაში განხორციელდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები და დაიწყო ტექ. გადაიარაღების ახ. ეტაპი – 1980 სილიკომანგანუმის წარმოებისათვის ამოქმედდა №5 საამქრო, დაიდგა იაპონური წარმოების დახურული ტიპის ღუმლები და გარემოს დამცავი დანადგარები, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ატმოსფეროს დაბინძურება გამოფრქვეული მტვრისაგან. წარმოების მოცულობის მხრივ 1988 იყო პიკი – ქ-ნამ გამოუშვა 480 ათ. ტ სასაქონლო ფეროშენადნობი, მ. შ.: მაღალნახშირბადიანი ფერომანგანუმი – 87,9 ათ. ტ, საშუალონახშირბადიანი ფერომანგანუმი – 116,6 ათ. ტ, სილიკომანგანუმი – 273 ათ. ტ და ელექტროლიზური მანგანუმი – 1979 ტ.

1990–2000 ქ-ნაში დიდი სიძნელეები წარმოიშვა ნედლეულის, ელექტროენერგიის, მასალებისა და სხვათა დეფიციტის გამო, რის შედეგადაც მკვეთრად შემცირდა გამოშვებული პროდუქცია. კერძოდ, 2000 წელს 1990 წელთან შედარებით მაღალნახშირბადიანი ფერომანგანუმის წარმოება დაეცა 70-ჯერ, საშუალონახშირბადიანი ფერომანგანუმისა – 12,3-ჯერ, სილიკომანგანუმისა – 5,8-ჯერ. 2000 აღნიშნული პროდუქციის წარმოებამ შეადგინა, შესაბამისად: 582 ტ, 6088 ტ და 27347 ტ. რაც შეეხება ელექტროლიზურ მანგანუმს, იგი ქ-ნას 1994-იდან აღარ უწარმოებია.

1996 ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქ-ნა სააქციო საზ-ბად გადაკეთდა. ქ-ნის სახელმწ. მფლობელობაში არსებული აქციების 51% სამართავად (მინდობილობით) გადაეცა ,,რეკონსტრუქციისა და განვითარების რუსულ-ქართულ ბანკს''. 1998 სახელმწიფომ გამოაცხადა კონკურსი საწარმოს აქციების 49%-ის პრივატიზაციაზე, რ-იც შეისყიდა შვეიცარულმა კომპანიამ Novarco AG-მა და დაახლ. 3000 ფიზიკურმა და იურიდ. პირმა. 2003 ქ-ნის სახელმწ. საკუთრებაში დარჩენილი აქციების 51%-ის მფლობელი გახდა ავსტრიული კომპანია DCM DECOmetal International Trading GmbH. ამ დროიდან ქ-ნას კვლავ ქართ. მენეჯმენტი მართავდა (2006-მდე). დაიწყო წარმოების აღდგენა-განვითარება.

2006 წ. 7 სექტემბრიდან შეიქმნა ჰოლდინგური კომპანია შპს ,,ჯორჯიან მანგანეზი'', რ-შიც



ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა.



ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. საფეხბურთო სტადიონი.

სააქციო საზ-ბა ,,ზ. ფ. ქ-სთან'' ერთად გაერთიანდა სააქციო საზ-ბა *,,ჭიათურმანგანუმი''*. მათი მფლობელია უკრაინული კომპანია ,,GM – Georgian manganese holding Limited''. საწარმო აღიჭურვა უახლესი მოწყობილობა-დანადგარებით. 2007–14 მწყობრში ჩადგა მზა პროდუქციის სამსხვრევ-დამხარისხებელი მძლავრი კომპლექსი, წიდების სამსხვრევ-დამხარისხებელი და სეპარაციის კომპლექსი, კაპიტ. შეკეთდა 22,5 *მეგვა* სიმძლავრის შვიდი და 11,5 *მეგვა* სიმძლავრის სამიე ღუმელი, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი და ეკოლ. მდგომარეობა.

2012-იდან კომპანიის მოწვევით ქ-ნას მართავს ამერ. მენეჯმენტი ,,GEORGIAN AMERICAN ALLOIS MANAGEMENT LLC-ს'' სახით. 2012–13 რეკონსტრუქცია ჩაუტარდა №4 საამქროს ღუმლებს; ელექტროდების განშლის დიამეტრის შემცირების ხარჯზე შემცირდა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა; გაიზარდა ღუმლების წარმადობა და შემცირდა ელექტროენერგიის ხარჯი; სახელურიანი ფილტრები დადგენილი პერიოდულობით იცვლება ქ-ნის ყველა აირგამწმენდ მოწყობილობაზე. 2013 ქ-ნის მზა ნაწარმის საწყობის №1 უბანზე ექსპლუატაციაში შევიდა ახ. აირგამწმენდი დანადგარები, რ-ებიც უზრუნველყოფენ ატმოსფეროში გამოფრქვეული მტვრის 99%-ის შეგროვებას. ამჟამად ქ-ნაში ფუნქციონირებს 2 ძირითადი საამქრო (№1 და №4). მზადდება: ფეროსილიკომანგანუმი და ფერომანგანუმი (გამოიყენება ფოლადის წარმოებაში როგორც განმჟანგველი და მალეგირებელი დანამატები). ქ-ნა ძირითადი საწარმოო ნედლეულით (მანგანუმის მადნით) მარაგდება შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' საკუთრებაში არსებული ,,ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატიდან'', ავსტრალიიდან, სამხრ. აფრიკიდან, გაბონიდან, განადან; კოქსი შემოდის უკრაინიდან; კვარციტი – მადნეულის საბადოდან (ბოლნისის მუნიციპალიტეტი), უკრაინიდან, თურქეთიდან და ბულგარეთიდან; კირქვა – ავჯამეთის ქალცედონის კარიერიდან (სოფ. ნახშირლელე, თერჯოლის მუნიციპალიტეტი). ქ-ნის საწარმოო სიმძლავრეა 230 ათ. ტ ფეროშენადნობი წელიწადში (2013 წ. 1 იანვ. მონაცემებით). 2013 ქ-ნამ გამოუშვა 181,1 ათ. ტ სასაქონლო სილიკომანგანუმი, რაც აღემატება 1990 და 2000 წლის მაჩვენებლებს, შესაბამისად, 14,8%-ით და 6,7-ჯერ. რაც შეეხება ფერომანგანუმს, მასზე შეკვეთები ქ-ნას 2014-მდე არ ჰქონია, ხოლო საშუალონახშირბადიანი ფერომანგანუმი 2008-იდან, ელექტროლიზური მანგანუმი კი 1994-იდან აღარ უწარმოებია. პროდუქცია გამოირჩევა მაღალი კონკურენტუნარიანობით, იგზავნება იაპონიაში, დას. ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში.

ქ-ნას უმაღლესი ხარისხის პროდუქციის წარმოებისათვის მიღებული აქვს ჯილდოები: ,,ოქროს ვარსკვლავი'' (1999, მადრიდი), საერთაშ. პრიზი ,,ხარისხის გვირგვინი'' (2003, ლონდონი), ,,ხარისხის ერა'' (2004, ჟენევა).

ქ-ნის ბალანსზეა ხელოვნურსაფრიანი საფეხბურთო სტადიონი, ბაკურიანის დასასვენებელი ბაზა და წმ. ნინოს ეკლესია. *დ. გველესიანი.*

„ზესტაფონო ფვიდობით“, ქართული ხალხური სიმღერა, ქალაქური მუს. ფოლკლორის დას. შტოს ერთ-ერთი ნიმუში. ძვ. სარეკრუტო სიმღერა. ამ ჰანგზე ქართვ. ჯარისკაცები სხვა სიმღერასაც მღეროდნენ (,,საწყალი ვარ სალდათი''). განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკაში (1918–21). სიმღერა სამხმიანია. ჩაწერილია დ. არაყიშვილის მიერ.

ლიტ.: მ შ ვ ე ლ ი ძ ე ა., ქართული ქალაქური ხალხური სიმღერები, გრ. ჩხიკვაძის რედ., თბ., 1970.

ზესხო, უღელტეხილი ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ზესხოს ქედზე. სიმაღლე 2562 *მ*. აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით. ზ-ზე გამავალი საპალნე გზა აკავშირებს ცხენისწყლისა და ზესხოს (ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი) ზემო დინებათა ხეობებს.

მ. სანებლიძე.

ზესხო, მდინარე ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 19 *კმ*. სათავე აქვს სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, შარივცეკის უღელტეხილის დას-ით 2780 *მ* სიმაღლეზე. მარჯვნიდან ერთვის მდ. ყორულდაში. საზრდოობს მყინვარის, თოვლის, მიწისქვეშა და წვიმის წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულ-ზაფხულში, წყალმცირეა ზამთარში. საშ. წლ. ხარჯი 7,65 $მ^3/წმ$.

ი. აფხაზავა.

ზესხო (ყოფ. ზ ე რ ი ა), სოფელი ლენტეხის მუნიციპალიტეტის ცანის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ზესხოს (ცხენისწყლის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1800 *მ*, ლენტეხიდან 62 *კმ*. 29 მცხ. (2002).

ზესხოს ქედი, ქედი ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ.-დას. განშტოება, მდინარეების ცხენისწყლისა და ზესხოს წყალგამყოფი. სიგრძე 15 *კმ*. აგებულია იურული თიხაფიქლებით, ქვიშაქვებითა და კირქვებით. ქედზე ორი პატარა მყინვარია. კალთებზე არის მეოთხეული გამყინვარების ნიშნები – ცირკები, ტროგები და მორენები. ზ. ქ-ის კალთების ქვემო და შუა ნაწილები შემოსილია ფართოფოთლოვანი ტყით, ზემო კალთები – ნაძვნარ-სოჭნარით, უფრო მაღლა სუბალპ. და ალპ. მდელოებია.

ს. ნემანიშვილი.

ზეულისტანი, იხ. *ზაულისტანი.*

ზეღდულეთი, სოფელი გორის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. ბერშოულის (მეჯუდის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: ზ., ახალშენი, ბერშუეთი, ზემო სობისი, კირბალი, ქვემო ახალსოფელი, ქვემო სობისი). ზ. დ. 700 *მ*, გორიდან 15 *კმ*. 1,1 ათ. მცხ. (2002).

სოფლის ჩრდ-ით დგას განვითარებული ფეოდ. ხანის რიყისა და ნატეხი ქვით ნაგები ღვთისმშობლის ერთნავიანი ეკლესია. სოფლის შუაში, სასაფლაოზე, ასევე ღვთისმშობლის ერთნავიანი ეკლესიაა. თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ცოკოლი ნატეხი და რიყის ქვითაა ამოყვანილი, კედლები – კვადრატული აგურისა და ნატეხი ქვიშაქვის მონაცვლეობით. ორივე ეკლესია გვიანდ. შუა საუკუნეებს მიეკუთვნება და ორივე ძლიერ დაზიანებულია.

ზვავი, თ ო ვ ლ ი ს ზ ვ ა ვ ი, თოვლის დიდი მასის სწრაფი გადაად-

გილება სიმძიმის ძალის ზემოქმედებით. იგი განეკუთვნება სტიქიურ უბედურებათა კატეგორიას, მას ზოგჯერ ,,თეთრ სიკვდილს'' უწოდებენ. ზ. წარმოიქმნება ფერდობებზე თოვლის საფრის მდგრადობის დარღვევით, რაც შეიძლება გამოიწვიოს დიდთოვლიანობამ, თოვლის ინტენსიურმა დნობამ, წვიმებმა და სხვ. ხშირია იქ, სადაც ფერდობის დახრილობა 15°-ზე, თოვლის საფრის სისქე კი 30 *სმ*-ზე მეტია. ზ. ეშვება გამაყრუებელი და შემზარავი ხმაურით, 100–110 *მ/წმ*-მდე სიჩქარით, 100 *ტძ*-მდე დარტყმის ძალით 1 $მ^2$-ზე, 3–5 მლნ. $მ^3$-მდე მოცულობით, მოსხლეტის ადგილიდან 6–9 *კმ* გარბენის მანძილით. დიდი ენერგიის გამო ხშირად ადის მოპირდაპირე ფერდობზე (70–80 *მ*-მდე), წარმოშობს ჰაერის ტალღებს, რებიც აძლიერებს დამანგრეველ მოქმედებას გაჩერების ადგილიდან 300–350 *მ* მანძილზე.

მოძრაობის ხასიათის მიხედვით განასხვავებენ ზ-ის 3 ტიპს: თ ო ვ ლ ი ს მ ე წ ყ ე რ ი, რ-იც ფერდობის მთელ ზედაპირზე მოსრიალებს უკალაპოტოდ; ღ ა რ უ ლ ი ზ., რ-იც მოჰყვება ხევებსა და ეროზიულ კალაპოტებს და ხ ტ ო მ ე ლ ა ზ., რ-იც თავისუფლად ვარდება საფეხურიდან საფეხურზე.

თოვლის მასის ფიზ. თვისებების მიხედვით განარჩევენ მ შ რ ა ლ ზ-ს, რ-იც წარმოიქმნება ჰაერის უარყოფითი ტემპ-რის დროს, და ს ვ ე ლ ზ-ს, რ-იც წარმოიქმნება ტენიანი, წყლიანი თოვლისაგან, ლელმის, გაზაფხულის თოვლდნობისა და წვიმების დროს. არჩევენ ასევე ახალმოსული თოვლის ზ-ს, რ-იც წარმოიქმნება თოვის დროს, და ძველი თოვლის ზ-ს, რ-იც წარმოიქმნება თოვის შემდეგ, დნობის, გამკვრივების, ქარბუქის, აცივების დროს.

ზ. მთის მოსახლეობას უძველესი დროიდან აწუხებდა. ცნობებს მის შესახებ ვხვდებით ახ. წ. დასაწყისის რომაულ წყაროებში. მის სრულყოფილ მეცნ. განმარტებას იძლევა ს.-ს. ორბელიანი თავის ,,ქართულ ლექსიკონში'' (,,სიტყვის კონა'', 1685–1716).

საქართველოში ზ. ხშირია კავკასიონზე და სამხრ. მთიანეთში. პირველი ოფიც. ცნობები მის შესახებ ჩნდება 1804 და დაკავშირებულია საქართვ. სამხ. გზაზე რეგულ. მიმოსვლის დაწყებასთან. 1912 დაიწყო ზ-ის შესახებ ცნობების სისტემ. გამოქვეყნება ,,კავკაზსკი კალენდარში''.

ზ-ს თავისი დამანგრეველი ძალით არაერთხელ მიუყენებია დიდი ზარალი საქართვ. მოსახლეობისათვის. სოფლების განადგურებითა და ადამიანთა მსხვერპლით გამოირჩეოდა 1843, 1851, 1902, 1932, 1954, 1971, 1976, 1987, 1988, 1989, 1992, 1997, 2006, 2007 წლებში ჩამოსული ზ-ები, რომელთა შედეგად დაიღუპა 660 ადამიანი.

ზ-ის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს XX ს. 30-იანი წლებიდან საუღელტეხილო გზების დაპროექტებასთან დაკავშირებით. ექსპედიციების მეშვეობით დაიწყეს ზ-ის შესწავლა სოხუმის სამხ. გზაზე (1933), ტრანსკავკასიურ რკინიგზის ტრასებზე (1933–37), მდ. ზესხოს ხეობაში (1939–40), კლუხორის უღელტეხილზე (1944–46). ამავე პერიოდში ჩაატარეს სპეც. ექსპერ. დაკვირვება *ბიდარის ხეობაში*. დიდი კვლევითი სამუშაოები ჩატარდა თბილ. გეოფიზიკურ ობსერვატორიასა და ჰიდრომეტეოროლოგიურ ინ-ტში, რამაც საფუძველი ჩაუყარა ზ-ის შესწავლას ანკეტური, ექსპედიციური და სტაციონარული მეთოდებით.

ფართო კვლევითი სამუშაოების შედეგად დაგროვდა უნიკალური მასალა, რ-თა ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე დადგინდა ზ-ის წარმოშობის, გავრცელების, ცვალებადობის თავისებურებანი და კანონზომიერებანი, დამუშავდა მათი დინამ. მახასიათებლების გამოთვლის, სხვადასხვა გენეზისის ზ-ის ჩამოსვლის პროგნოზისა და კარტირების მეთოდები, შედგენილ იქნა ზვავსაშიში რ-ნების, ზ-ის ჩამოსვლის, განმეორებადობის, კერების სიხშირის რუკები კავკასიის, სამხრ. კავკასიისა და საქართველოს მასშტაბით, ასევე ზ-ების ახალი სრულყოფილი კადასტრი სამხრ. კავკასიისა და დაღესტნის მასშტაბით. რუკა შეტანილია ,,მსოფლიოს თოვლ-ყინულოვანი რესურსების ატლასში''.

საქართველოში ტერიტ. 56% ზვავსაშიშია. ამასთან, ტერიტ. 20%-ზე ზ-ები ყოველწლიურად აღინიშნება და მათ ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ზ ვ ა ვ ე ბ ს უწოდებენ. დანარჩენი ტერიტ. 36%-ზე ზ-ები იშვიათად, რამდენიმე წელიწადში ერთხელ, ან ათეულ წელიწადში ერთხელ ჩამოდის და მათ ს პ ო რ ა დ უ ლ ი ზ ვ ა ვ ე ბ ი ეწოდებათ. საქართველოში 10 ათასზე მეტი ზვავშემკრებია, ამათგან 2550-ში წარმოქმნილი ზ. დასახლებულ პუნქტსა და სხვადასხვა ობიექტს ემუქრება. 348 დასახლებული პუნქტიდან 69-ში ზვავების ჩამოსვლამ ნგრევა და ადამიანთა მსხვერპლი გამოიწვია, 81-ში – ნგრევა, 58-ში – დაზიანება, ხოლო 140 დასახლებული პუნქტი პოტენციურად ზვავსაშიშია. ზვავსაშიში დასახლებული პუნქტების რაოდენობით გამოირჩევა მესტიის (61), ლენტეხის (34), ხულოს (45), შუახევის (21), ჯავის (25) და დუშეთის (49) მუნიციპალიტეტები.

ზ-ის წინააღმდეგ მიმართულია პროფილაქტიკური და საინჟ. ღონისძიებები: შემუშავებულია ყველა ტიპის ზ-ის პროგნოზირების მეთოდი, ჩატარებულია სროლა-აფეთქების გზით ზ-ის ხელოვნურად გამოწვევა, მნიშვნელოვანია ტყის საფრის აღდგენა, ფერდობების დატერასება, ზვავსაწინააღმდეგო საინჟ. ნაგებობის მშენებლობა. ამ მხრივ მსოფლიო მნიშვნელობის კლასიკური მაგალითია საქართვ. სამხ. გზის გუდაურ–კობის საუღელტეხილო მონაკვეთი, სადაც ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება დაიწყო XIX ს. 80–90-იან წლებში და დღესაც გრძელდება. მათ რიცხვს ეკუთვნის ფერდობების დატერასება, შემჩერებელი კედელი ,,ბოდო'', მიმართულების შემცვლელი კედელი ,,კულაგინი''. უფრო ეფექტური გამოდგა რკინაბეტონის გუდაურის ღია გალერეა და ბიდარის ხეობაში გამოყენებული დახურული ტიპის გალერეები, რ-ებიც ერთი კედლით მთის კალთებს არის მიყრდნობილი. გალერეის ტიპის ნაგებობები დღეს მასიურადაა გამოყენებული.

საქართველოში ზ-ის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს მეცნიერებმა: კ. აბდუშელიშვილმა, ნ. გვინჩიძემ, მ. სალუქვაძემ, თ. სიმონიამ, გ. *სულაქველიძემ*, კ. უკლებამ, ლ. *ქალდანმა*, ვ. ჩიტაძემ, ვ. *ცომაიამ* და სხვებმა.

ლიტ.: ბ ა ს ი ლ ა შ ვ ი ლ ი ც., ს ა ლ უ ქ ვ ა ძ ე მ., ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე გ., ც ო მ ა ი ა ვ., კატასტროფული წყალდიდობები, ღვარცოფები და თოვლის ზვავები საქართველოში და მათი უსაფრთხოება, თბ., 2012; ს ა ლ უ ქ ვ ა ძ ე მ., ზემო სვანეთის ზვავსაშიშროება, თბ., 2011; ს ა ლ უ ქ ვ ა ძ ე მ., კ ო ბ ა ხ ი ძ ე ნ., ჯ ი ნ ჭ ა რ ა ძ ე გ., კატასტროფული ზვავების ფორმირების თავისებურებანი საქართველოს ტერიტორიაზე. საერთაშორისო კონფერენციის ,,გარემო და გლობალური დათბობა'' მასალები, №3(82), თბ., 2011; Абдушелишвили К. Л., Калдани Л. А., Салуквадзе М. Е., Катастрофические лавины на территории Грузии,



,,ზვარე''. მინერალური წყალი.

«Труды Зак. НИГМИ», 1979, в. 68(74); Котляков В. М., Снежный покров Земли и ледники, Л., 1968; Сулаквелидзе Г. К., К вопросу об образовании и движении снежных лавин, «Труды Ун-та физики и геофизики АН Груз. ССР», 1949, т. 2; Тушинский Г. К., Лавины. Возникновение и защита от них, М., 1949; Цомая В. Ш., Прогноз схода лавин свежевыпавшего снега на основе учета факторов снегонакопления на склоне, «Труды Зак. НИГМИ»,1979, в. 68(78); Читадзе В.С., Залиханов М. Ч., Лавинная опасность Ингурского ущелья, «Труды ВГИ», 1967, в. 6.

გ. ცომაია.

მ. სალუქვაძე.

ზვანბა სოლომონ თემურყვას ძე (1809, სოფ. დრანდა, – 25.X. 1855), აფხაზი ისტორიკოსი და ეთნოგრაფი, რუს. არმიის ოფიცერი. 1826 პეტერბურგში სასწავლებლად გააყოლეს აფხ. მთავრის ვაჟს, კონსტანტინეს. 1832 უნტეროფიცრის წოდებით დაამთავრა სამხ. სასწავლებელი. ყირიმის ომში (1853–56) პოლკოვნიკის ჩინით მეთაურობდა №11 შავი ზღვის სახაზო ბატალიონს, რ-მაც თურქებთან ენგურის ბრძოლის დროს მთავარი დარტყმა მიიღო და დაკარგა მეთაური – იგი ბატალიონს კონტრიერიშზე მიუძღოდა. მრავალმხრივი განათლების მქონე ზ. შესანიშნავად იცნობდა აფხ. მოსახლეობას, ბუნებას. 1852–55 გაზეთ ,,კავკაზში'' გამოქვეყნდა მისი რამდენიმე ისტ.-ეთნოგრ. ხასიათის ნაშრომი, კერძოდ, ,,უბიხთა ზამთრის ლაშქრობები აფხაზეთში'', ,,აფხაზური მითოლოგია, რელიგ. წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები'' და სხვ. ზოგი მათგანი იმავე ხანებში ითარგმნა და გამოქვეყნდა გერმანულად.

თხზ.: Абхазские этнографические этюды, изд. Г. Дзидзария, Сух., 1982.

გ. ანჩაბაძე.

ზვანდრიფში, სოფელი გუდაუთის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), მდ. მჭიშთის (ერთვის შავ ზღვას) მარცხ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: ზ., აკვასქემწა, ალაჰაშხუ, ბაალარხვა). ზ. დ. 80 *მ*, გუდაუთიდან 21 *კმ*. 145 მცხ. (1989).

ზვარაკი, მსხვერპლად შესაწირავი საქონელი, იხ. *მსხვერპლშეწირვა.*

ზვარე, სოფელი ქედის მუნიციპალიტეტის ზვარის თემში (აჭარის არ), მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. აჭარისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 350 *მ*, ქედიდან 4 *კმ*. 190 მცხ. (2002).

ზვარე, სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), ლიხის ქედის დას. კალთაზე, მდ. ზვარულის (ჩხერიმელის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: ზ., ნუნისი, ჩრდილი). ზ. დ. 700 *მ*, ხარაგაულიდან 20 *კმ*, მოლითიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 4 *კმ*. 407 მცხ. (2002). სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია (მზავარე) XVIII ს-ში.

ზ. ადგილ. მნიშვნელობის ბალნეოლ. კურორტია. გარშემო აკრავს ფოთლოვანი ტყით შემოსილი მთის კალთები. ჰავა რბილია, იცის თითქმის უთოვლო ზამთარი (იან. საშ. ტემპ-რა 0° C) და თბილი, ზომიერად ნოტიო ზაფხული (ივლ.-აგვ. საშ. ტემპ-რა 21,0° C). ნალექები საშუალოდ 1300 *მმ* წელიწადში. სამკურნ. ფაქტორია მინერ. წყალი ,,ზვარე''.

გ. უშვერიძე.

„ზვარე“, ნახშირორჟანგიანი ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული კალციუმ-ნატრიუმიანი სამკურნ. და სუფრის მინერ. წყალი. საბადო მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, მდ. ჩხერიმელის მარცხ. შენაკად ზვარულის ხეობაში, სოფ. *ზვარის* ტერიტორიაზე. მინერ. წყლის საბადო დაკავშირებულია ზედაცარცული კარბონატული ქანების ძლიერ დანაპრალიანებულ უბანთან, რ-იც დაფარულია ალუვიური ნალექებით. წყალი აღმოაჩინეს 1932. წყლის მარაგი (დებიტი) შეფასებით არის 15–20 $მ^3$ დღ-ღ. ქიმ. შედგენილობა:

$$CO_2\,0{,}7–2{,}0\;M_{3{,}3–10{,}0}\;\frac{HCO_3\,50–70\;Cl\,20–50}{(Na+K)\,70–90\;Ca\,10–20}$$

ტემპ-რა 13–17°C. წყალში აღმოჩენილია ბიოლოგიურად აქტ. ზოგიერთი მიკროკომპონენტი (ბრომი, იოდი და სხვ.). 2012-მდე ხდებოდა მინერ. წყლის ჩამოსხმა (იხ. შპს ,,ზვარე'').

,,ზ-ს'' იყენებენ საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებების (ქრონ. გასტრიტი, კოლიტი, პანკრეატიტი, ღვიძლისა და ნაღველმდენი გზების დაავადებანი და სხვ.) სამკურნალოდ და ნივთიერებათა ცვლის ზოგიერთი მოშლილობის (ალიმენტური სიმსუქნე, ნიკრისის ქარი, ოქსალურია, ფოსფატურია და სხვ.) დროს.

ტ. ჩიჩუა. ვ. ჯალიაშვილი.

„ზვარე“ (შპს), მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხანა. მდებარეობს სოფ. ზვარეში (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი). წყლის საბადოს პირველი საძიებო სამუშაოები 1933 ჩატარდა, რის შედეგადაც 1934 აღიმართა პირველი მექანიზებული ჭაბურღილი, 1936-იდან კი დაიწყო მინერ. წყლის *,,ზვარეს''* ჩამოსხმა. ქ-ნა საქართვ. კვების მრეწვ. სამინისტროს რესპ. სახელმწ. სამრეწვ. გაერთიანება ,,საქმინხილწყალს'' ექვემდებარებოდა. 1993-იდან მოხდა მისი პრივატიზება და დაერქვა შპს ,,ჯორჯიან აკვატონი'', 2005-იდან კი გახდა შპს ,,ზ.'' წლების განმავლობაში საწარმოში რამდენჯერმე ჩატარდა გაფართოებისა და ტექ. გადაიარაღების სამუშაოები. 1950 წ. ჩამოასხეს 1,511; 1970 წ. – 5,450; 1980 წ. – 11,080; 1990 წ. –10,6 მლნ. ბოთლი (0,5 ლ). გამოშვებული პროდუქციის 90% ქვეყნის გარეთ გადიოდა. ძირითადი მომხმარებელი იყო რუსეთი, უკრაინა, მოლდავეთი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკები.

1991-იდან ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტ. და ეკონ. მდგომარეობის გამო მინერ. წყლის ჩამოსხმა მკვეთრად შემცირდა, 1994-იდან კი – თითქმის შეწყდა. 2008 ,,ზ-ს'' აქციები შეიძინა ბრი-


,,ზვარე''. ჭაბურღილი. პირველი საძიებო სამუშაოები.

ტანულმა კომპანია ,,ტრანსსატ კორპორეიშენმა'' ამერ. კომპანია ,,ტრაინექსთან'' ერთად. საწარმოში ჩატარებული მნიშვნელოვანი ტექ. გადაიარაღებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემდეგ ,,ზვარეს'' ჩამოსხმა განახლდა 2010-იდან. ქ-ნის საპროექტო სიმძლავრე იყო 40–45 ათ. ბოთლი (ერთი ლიტრი) *დღ-ღ*-ში (2010).

ქ-ნა მონაწილეობდა საერთაშ. გამოფენებში. 2002 ,,ზვარემ'', როგორც საუკეთესო სამომხმარებლო თვისებების მქონე წყალმა, ჟენევაში – ოქროს, ხოლო 2008 წ. ნიუ-იორკში პლატინის მედალი დაიმსახურა. 2012-იდან მინერ. წყლის ჩამოსხმა შეჩერდა.

ზვარეთი (ყოფ. ხ ე ო ბ ა, ს ა რ ა ლ ა რ ი), სოფელი ბოლნისის მუნიციპალიტეტის რატევნის თემში (ქვემო ქართლის მხარე), მდ. მაშავრის (ხრამის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 700 *მ*, ბოლნისიდან 5 *კმ*. 501 მცხ. (2002).

ზვარეთი, სოფელი ონის მუნიციპალიტეტის კვაშხიეთის თემში (რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარე), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ხეორის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1160 *მ*, ონიდან 14 *კმ*. 14 მცხ. (2002).

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში.

ზვარი, დ ი დ ი ვ ე ნ ა ხ ი, იხ. სტ. *მევენახეობა*.

ზვარულა, მდინარე დასავლეთ საქართველოში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, მდ. ჩხერიმელის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 8,4 *კმ*, აუზის ფართ. 36,6 *კმ*^{2}. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმოვარდნები – გაზაფხულ-შემოდგომაზე, წყალმცირეა ზამთარში. უერთდება ბევრი შენაკადი, რ-თა ჯამური სიგრძეა 40 *კმ*. საშ. წლ. ხარჯი 0,52 *მ*^{3}/წმ. *ი. აფხაზავა.*

ზველი, სოფელი ისტორიულ სამცხეში (ახლანდ. ასპინძის მუნიციპალიტეტი). მდებარეობს ასპინძის დას-ით, მტკვრის მარცხენა სანაპიროს ზეგანზე. სოფლის სახელწოდების სწორი ფორმა უნდა ყოფილიყო ,,ზრზველი'', საიდანაც მივიღეთ ,,ზველი''. დღევანდელი ,,ძველი'', რ-იც ხშირად იხმარება, ისტორიულად უმართებულოა. სოფლის სიახლოვეს შუაბრინჯაოს ხანის ყორღანებია, ზოგიერთი მათგანი გათხრილია (მ. აბრამიშვილი). სოფელში არის X ს. წმ. გიორგის ეკლესია. იგი კარგადაა შენახული და ამჟამადაც მოქმედია (შეკეთებულია 1945). შენობა თლილი ქვითაა ნაგები, დას-იდან მინაშენი აქვს. საკურთხევლის სარკმელს გარედან ორლილვიანი თავსართი ახლავს. სამხრ. კედელზე ორი სარკმელია, დასავლეთისაზე – ერთი. ეკლესიის ეზოში ძვ. სასაფლაოა, გამოირჩევა ქვის ვერძების ქანდაკებები, რ-ებზეც საომარი და სამეურნეო იარაღებია გამოსახული. ერთი ასეთი ქანდაკება, 1854 წ. ეპიტაფიით, დგას მღვდელ ზედგინიძის საფლავზედაც. არის სტელის ნატეხიც და მისი კუბური ბაზისიც. ეზოს ყორე აქვს შემოვლებული. სოფლის განაპირას, ღობიეთისკენ ჩამავალ გზაზე, ნაკოშკარი და კედლის ნაშთია. ქვები კირზეა ნაწყობი, მეტნაკლები ჰორიზონტალურობის დაცვით. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით (1595) სოფ. ზ. (თურქ. დასახელება ზურზელი), ადგილ ღობიეთითა და ხსენებული ადგილის ვენახებით, შედიოდა ასპინძის ნაჰიეს ახალციხის ლივაში. იქ მაშინ 61 კომლი ქართვ. ცხოვრობდა. იხ. აგრეთვე *ძველი*.

წყარო.: ჯ ი ქ ი ა ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წგ. 2, თბ., 1941.

ზვენიგოროდსკის ელჩობა კ ა ხ ე თ შ ი 1589–90, რუსეთის სამეფოს ელჩობა კახეთში. 1589 აპრილში რუს. ხელმწიფემ თეოდორე ივანეს ძემ კახეთის მეფის ალექსანდრე II-ისაგან ფიცის წიგნის მიღების შემდეგ კახეთში გაგზავნა ელჩობა თავად სიმონ ზვენიგოროდსკისა და დიაკ ტორხ ანტონოვის მეთაურობით. მათთან ერთად საქართველოში გამოემგზავრნენ ქართვ. ელჩები თავად ყაფლან ვაჩნაძის მეთაურობით (იხ. *ვაჩნაძის ელჩობა რუსეთში*). 1589 წ. ოქტომბერში **ზ. ე.** კახეთში ჩავიდა. ელჩებმა ალექსანდრე II-ს რუს. ხელმწიფის წყალობის სიგელი და საჩუქრები გადასცეს. წყალობის სიგელით ხელმწიფე კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღებას და გარეშე მტრებისაგან დაცვას აღუთქვამდა. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, 1590 წ. მაისში, **ზ. ე.** კახეთიდან რუსეთში გაემგზავრა. მათ თან გაჰყვნენ ქართველთა ელჩები სულეიმანი და ხურშიტა.

წყარო: Белокуров С. А., Сношения России с Кавказом, в. 1 (1578–1613), М., 1889.

ლიტ.: ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967. *ვ. მაჭარაძე.*

ზვიადაური ვიქტორ სუხას ძე (დ. 17. VIII. 1945, სოფ. ხაიშო, ახლანდ. თიანეთის მუნიციპალიტეტი), ინჟინერ-მექანიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (1996), საქართვ. საინჟინრო აკად. ნამდვ. წევრი (2002), საერთაშ. ტრიბოლოგიური (ხახუნისა და ცვეთის შემსწავლელი მეცნიერების) საბჭოს წევრი და საქართველოს ტრიბოლოგიური საზბის ვიცე-პრეზიდენტი. 1968 დაამთავრა სპი-ის მანქანათმშენებლობის ფაკ-ტი. 1968–74 მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. 1974-იდან მოღვაწეობს მანქანათა მექან. ინ-ტში. 2006-იდან ხელმძღვანელობს ამავე ინ-ტის მანქანათა დინამიკის განყ-ბას. პარალელურად (1992-იდან) ეწევა პედ. საქმიანობას სტუ-ის სამთო ფაკ-ტზე. 1992–2004 იყო საქართვ. ეროვნ. სოც.-ტექნოლოგიური უნ-ტის რექტორი.



ზ. ზვიადაური.

ზ-ის კვლევის სფეროა: ვიბროტექნიკა, მანქანათა დინამიკა, გამოყენებითი მათემატიკა და მექანიკა, წრფივი და არაწრფივი რხევების თეორია, ტრიბოლოგია. გამოქვეყნებული აქვს 6 მონოგრაფია, არის ოთხი გამოგონების ავტორი.

თხზ.: დინამიკური პროცესები სამთო სატრანსპორტო ტექნოლოგიურ სისტემებში, თბ., 2009; Динамика вибрационных транспортно-технологических машин, Тб., 2001.

ზვიადაური ზურაბ მამუკას ძე (დ. 2. VII. 1981, ახმეტა), სპორტსმენი (ძიუდო). ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებში (2000), მსოფლიოს ორგზის მეორე პრიზიორი (2001; 2003), ევრ. ორგზის ჩემპიონი გუნდურ (2002–03), ევრ. მესამე პრიზიორი პირად შეჯიბრებაში (2002). საქართვ. პარლამენტის წევრი (2012).



ჯ. ზვიადაური.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2004).

ზვიადაური ჯარჯი ოთარის ძე (დ. 10. XI. 1986, ახმეტა), სპორტსმენი (ძიუდო). ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (ათენი, 2004) და ბრინჯაოს პრიზიორი (ლონდონი, 2012). მსოფლიოს ჩემპიონი (2010–11), მსოფლიოს ჩემპიონატების მეორე (2005, 2007) და მესამე (2013) პრიზიორი, ევრ. ჩემპიონი (2004), მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებში (2002). 2002-იდან ასპარეზობს საბერძნე-

თის სახელით (ილიას ილიადისი).

ზვიადაძე მიხეილ დავითის ძე (დ. 22. I. 1935, თბილისი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1991). დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1958). 1962–66 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. კიბერნეტიკის ინ-ტში, 1966–73 ნახევარგამტარული ხელსაწყოების სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, 1973–86 და 1998–2009 – ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზ. ინ-ტში; 1986–98 იყო სპი-ის (ამჟამად სტუ) ზოგადი და თეორ. ფიზ. კათედრის გამგე. 2009-იდან მუშაობს სტუ-ში. კვლევის ძირითადი სფეროა: მაგნ. რეზონანსის თეორია, არაწონასწორული პროცესების თეორია, ელექტროენერგიის გამომმუშავებელი ძრავების თეორია.

ზვიადაძე უჩა ივანეს ძე (დ. 16. VIII. 1937, ზესტაფონი), გეოლოგი. გეოლ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1995), 1960 დაამთავრა სპი-ის (ახლანდ. სტუ) სამთო-გეოლ. ფაკ-ტი. 1960–68 მუშაობდა საქართვ. გეოლ. სამმართველოს თეთრი წყაროს, ბოლნისის, გურჯაანის, წითელწყაროს (ახლანდ. დედოფლისწყარო) საველე გეოლ. პარტიებში. 1968-იდან მუშაობს სტუ-ის ჰიდროგეოლ. და საინჟ. გეოლ. კათედრაზე, ამჟამად სრული პროფესორია.

ზ. პედ. მოღვაწეობასთან ერთად ეწევა სამეცნ. საქმიანობას ჰიდროგეოლ. სხვადასხვა მიმართულებით. შეისწავლა საქართვ. მინერ. და თერმული წყლები, მრავალრიცხოვანი ანალიტიკური და ექსპერ. განზოგადების შედეგად გამოიკვლია საკითხები საქართვ. მიწისქვეშა წყლებში მიკროკომპონენტების, კადმიუმის, სტრონციუმის, კობალტის, ტყვიის, ნიკელის და სხვა ელემენტების მიგრაციისა და დაგროვების თავისებურებათა შესახებ, დასახლ. პუნქტების სასმელი და სამეურნეო წყალმომარაგების შესახებ და სხვ.

ზვიად ერისთავთერისთავი, იხ. *მარუშიანი* ზვიად.

„ზვირთი“, ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიკური და ლიტერატურული მუშათა გაზეთი, სოციალ-ფედერალისტური მიმართულებისა. გამოდიოდა თბილისში 1915–17. სულ გამოვიდა 84 ნომერი. რედ.-გამომცემელი – ი. დუშურაშვილი. გაზეთთან უმთავრესად მუშები თანამშრომლობდნენ. მას პოლემიკა ჰქონდა სხვა მიმართულების გაზეთებთან (,,თანამედროვე აზრი“, ,,საქართველო“ და სხვ.).

ზიარება, ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი მთავარი საიდუმლო. მისი აღსრულება ხდება საგანგებო ღვთისმსახურების – წირვის (იხ. *ლიტურგია*) დროს. წმიდა ძღვენი – პური და ღვინო – ღვთის ნებითა და ეკლესიის ლოცვით შეიცვლება იესო ქრისტეს ჭეშმარიტ ხორცად და სისხლად, რასაც ეზიარებიან მორწმუნენი, რათა დაიმკვიდრონ ღვთის სასუფეველი. ზ-ს წინ უსწრებს მორწმუნის მიერ ცოდვების საიდუმლოდ აღიარება მოძღვართან, რ-იც წმიდა სამების სახელით შეუნდობს მას ცოდვებს. საეკლ. სამართლით, უზიარებლობა სასჯელის ერთ-ერთი ფორმაა. ზ-ის უფლება ერთმევა მორწმუნეს განზრახ მკვლელობისათვის (20 წლით), უნებლიე მკვლელობისათვის (10 წლით), მრუშობისათვის (15 წლით), სიძვისათვის (7 წლით), ცრუ ფიცისათვის (10 წლით) და სხვ. ზოგიერთი მძიმე დანაშაულისათვის (მაგ., შავი მაგიისთვის) მორწმუნეს მთელი სიცოცხლე ერთმევა ზ-ის უფლება – როგორც ყველა მოკვდავს, მასაც მხოლოდ სიკვდილის წინ შეუძლია ეზიაროს. საეკლ. მოძღვრება ზ-ის საიდუმლოს დაწესებას იესო ქრისტეს მიაწერს (მისი ვნების წინ, საიდუმლო სერობის დროს): ,,და ვითარცა ჭამდეს იგინი, მოიღო იესო პური და ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თვისთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი. და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ და ჰრქუა: სუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატევებლად ცოდვათა“ (მათე, XXVI, 26–28).

ზ. კიკნაძე. ვ. კობახიძე.

ზიარი, სოფელი გურჯაანის მუნიციპალიტეტის არაშენდის თემში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. ზ. დ. 820 *მ*, გურჯაანიდან 45 *კმ*. 75 მცხ. (2002).

ზიარის არქეოლოგიური ძეგლები, სოფელ ზიარის (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე და მის მიმდებარე მიდამოებში გამოვლენილი რამდენიმე არქეოლ. ძეგლი.

1. ქვედა პალეოლითური სახელოსნო ზიარი მდებარეობს სოფ. ზიარის სამხრ-ით 0,5 *კმ*-ზე, ზ. დ. 900 *მ*-ზე, ე. წ. დურგლიანთ მიწებზე. ძეგლი აღმოაჩინეს 1966. არქეოლ. გათხრები ჩატარდა 1968–72 (ხელმძღვ. თ. ბუგიანიშვილი). ზიარი აშელური ხანის ერთადერთი სტრატიფიცირებული ძეგლია საქართველოში, სადაც ზედაპირულ მასალასთან ერთად დაცულია მძლავრი კულტ. ფენა (2,5 ათ. *მ*^{2} ფართ., 2,2 *მ* სისქის). გამოიყო ქვედა პალეოლითური შრე. აშელის მასალის შემცველია ზევიდან მესამე 0,8 *მ* სისქის ფენა. აღმოჩნდა 5000-ზე მეტი ქვის ნივთი და ცხოველთა ძვლები (გარეული ცხენის, კეთილშობილი ირმის და დომბას).

ქვის მასალა შედგება წარმოების ნარჩენების – ქერცლისებრი ანატკეცების, ანამტვრევების, ქვარგვალების, ნუკლეუსების, მასიური აშელ-კლექტონური ანატკეც-ნამზადებისა და მათზე დამზადებული იარაღისაგან. ნაპოვნია კაჟისაგან გამოთლილი 2 ნუშისებრი და ერთი ოვალური ხელნაჯახი, ორპირა და სხვა ტიპის სახოკები, ორმხრივ დამუშავებული უხეში საჩეხები, დაკბილული, ბურღისებური და ამოღარული იარაღი, პროტოლიმასი და სახვრეტები. იარაღი ძირითადად დამზადებულია ანატკეცებზე და ანამტვრევებზე, ზოგიერთი – შუაზე გაპობილ კაჭრებზე. ნივთების გასაკეთებლად გამოყენებულია კაჟი, კირქვა, მერგელი და სხვ. ქანები, რ-თა გამოსავლები იქვე, ძეგლის ტერიტორიაზეა. იარაღი მზადდებოდა გაპობა-ატკეცის არქ. აშელ-კლექტონური ტექნიკით და ძირითადად გაფორმებულია ცალმხრივი, ზურგისმიერი ფართოფაცეტოვანი ციცაბო რეტუშით.

კულტ. ფენის ანალოგიური ნივთები ზედაპირულად შეგროვდა დურგლიანთ მიწების ფერდობებზეც. ყველა ნივთი ერთი საწარმოო კომპლექსის ერთიან ინდუსტრიას შეადგენს და შუა აშელის ხანის ერთ ქრონოლ. ეტაპს მიეკუთვნება.

2. ნასახლარი დიდი ტინები მდებარეობს სოფ. ზიარის დას-ით 1,5 *კმ*-ზე, მდ. ლაკბისპირას მარცხ. ნაპირზე. გათხარეს 1969 (ხელმძღვ. თ. ბუგიანიშვილი). ნაპოვნია კაჟის ქვედა პალეოლითური (შუა აშელის ხანა) ნივთები: 1 დისკოსებური ორმხრივი ნუკლეუსი, 6 მოგრძო გლუვდარტყმისმოედნიანი ანატკეცი და 5 იარაღი (2 ამოზნექილსამუშაოპირიანი, გვერდებმოღარული იარაღი, სახვრეტი და ტეიაკური წვეტანა).

3. ნასახლარი დიდი ლაკბე მდებარეობს სოფ. ზიარისა და დიდი ტონების დას-ით, სოფლიდან

დაახლ. 1,5 *კმ*-ზე, ნასახლარიდან 0,5 *კმ*-ზე, მდ. ლაკბისხევისა და მდ. დიდი ლაკბის შესართავთან, მარცხ. ნაპირზე, ე. წ. ნიჩერაანთ ახოზე. ძეგლი გამოავლინეს 1975 (თ. ბუგიანიშვილი). ნაპოვნია ქვედაპალეოლითური (გვიანდ. აშელის ხანა) 33 ნივთი (1 კაჭარი, 8 ნუკლეუსი, 11 ანატკეცი და 13 იარაღი).

ნუკლეუსები არის: ამორფული ერთფუძიანი განივი, ორფუძიანი ცალმხრივი, დისკოსებური ორმხრივი და ცალმხრივი და ამორფული. იარაღიდან წარმოდგენილია ცალპირა და ორპირა სწორი, ამოზნექილი, ჩაზნექილი, გრძივდა განივსამუშაოპირიანი, კუთხისა და კონვერგენტული სახოკები, ამოზნექილსამუშაოპირიანი საფხეკები, გვერდებამოღარული და კომბინირებული იარაღი და სახვრეტი.

4. ნასახლარი გურზას ქვა მდებარეობს სოფ. ზიარის სამხრით დაახლ. 2,5 *კმ*-ზე, მდ. ლაკბის მარცხ. შენაკადის, შორისხევის მარჯვ. ნაპირზე. ძეგლი აღმოჩენილია 1977 (თ. ბუგიანიშვილი). ნაპოვნია ქვედაპალეოლითური (შუა აშელის ხანა) ხანის კაჟის 12 ნივთი (ამორფული ნუკლეუსი და ანატკეცები).

ყველა ძეგლზე აღმოჩენილი მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის საცავში.

ლიტ.: ბ უ გ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი თ., ქვედა პალეოლითი, წგ.: საქართველოს არქეოლოგია, [ტ.] 1, თბ., 1991; მ ი ს ი ვ ე, ქვედა პალეოლითის ხანის ახალი მასალები კახეთიდან, «მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის», 1974, ტ. 6.

თ. ბუგიანიშვილი.
დ. თუშაბრამიშვილი.

ზიგანევის საეპისკოპოსო, იხ. *გუდაყვის საეპისკოპოსო.*

ზიდრიტები, ძ ი დ რ ი ტ ე ბ ი, ტომი, რომელიც ფლავიუს არიანეს ცნობით, ახ. წ. II ს-ში შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდა. V ს. ანონიმი ავტორის ცნობით, ზ-ს ეკავათ ტერიტორია მდ. აფსარის (ჭოროხის) შესართავის სამხრ-ით, მდ. არქაბისის (ახლანდ. არქაბესუ) შესართავამდე. თავისი ძლიერების ხანაში იბერიამ ზ. დაიმორჩილა და ამ რაიონში შავი ზღვის სანაპიროზე გავიდა. ფლავიუს *არიანეს* მიხედვით, შავი ზღვის აღმ. სანაპიროზე მისი მოგზაურობის დროს (ახ. წ. 131) ზ. ემორჩილებოდნენ იბერიის მეფე *ფარსმან II-ს.*

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970.

გ. მელიქიშვილი.

ზიზილა (Bellis), ერთ- ან მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. აქვთ 5–15 *სმ*-მდე სიმაღლის ერთი ან რამდენიმე ერთკალათიანი, უფოთლო საყვავილე ღერო და ფესვის ყელთან როზეტად თავმოყრილი ნიჩბისებრი ფოთლები. კალათაში განაპირა ყვავილები ენისებრია, ბუტკოიანი, თეთრი ან ვარდისფერი, შიგნითა – მილისებრი ორსქესიანი და ყვითელი. ოლიგოტიპური გვარია. საქართველოში გავრცელებულია მისი მხოლოდ 1 სახეობა – მრავალწლოვანი ზ. (B. perennis). იგი გვხვდება მთელ საქართველოში – ზღვისპირა ზოლში მთის შუა სარტყლამდე და მთისწინებზე, ბაღებში, გზის პირებსა და დანაგვიანებულ ადგილებში. მის ბუთხუზაყვავილებიან ფორმებს დეკორ. მებაღეობაში იყენებენ. საქართველოს გარეთ გავრცელებულია დას. და აღმ. ევროპაში, ბალკანეთში, მცირე აზიაში, ჩრდ. ამერიკასა და აფრიკაში. *ლ. ხინთიბიძე.*

ზიკიკი (Zichichi) ანტონინო (დ. 15. X. 1929, ტრაპანი, იტალია), იტალიელი ფიზიკოსი, საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკად. უცხოელი წევრი (1996), დოქტორი (1953), ბოლონიის (იტალია) უნტის პროფესორი (1963). მსოფლიოს მრავალი მეცნ. აკად. წევრი, საერთაშ. სამეცნ., კულტ. და საზ. ორგანიზაციის ხელმძღვანელი და საპატიო წევრი, მსოფლიოს მეცნ. მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი (1989). მუშაობდა მსოფლიოს წამყვან კვლევით ცენტრებში [ფერმილაბი (აშშ), ცერნი (შვეიცარია) და სხვ.]. 1981 იტალ. მთავრობის მიერ წარდგენილი იყო ცერნის (CERN, ბირთვული გამოკვლევების ევრ. ცენტრი) გენ. დირექტორის თანამდებობაზე, თუმცა არ აირჩიეს. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. შრომა ელემენტარული ნაწილაკების თვისებებსა და ბუნებაში არსებულ ფუნდამენტურ ძალებზე. მას ეკუთვნის ჰადრონული ურთიერთქმედების პროცესში წარმოქმნილი ლეპტონური წყვილების შესწავლის ახ. მეთოდი, ე. წ. ,,ეფექტური ენერგიის'' მეთოდი ორი სხეულის ურთიერთქმედების შესასწავლად, აგრეთვე იდეა მძიმე ლეპტონის არსებობის შესახებ. შემუშავებული აქვს ექსპერ. მეთოდი ზემოაღნიშნული ლეპტონის აღმოსაჩენად e^-e^+ ანიჰილაციებში. 1965 ექსპერიმენტატორთა ჯგუფმა მისი ხელმძღვანელობით ცერნ-ში მიიღო პირველი ანტიდეიტრონი.

ზ-ს შემოთავაზებული აქვს გრიგორიანული კალენდრის დაზუსტების სქემა. არის ღირსების ორდენების კავალერი, წმ. პაპის სილვესტერის ორდენის დიდი ჯვრის რაინდი (ვატიკანი, 1985), მიღებული აქვს სხვა ჯილდოებიც. არის მრავალი ქვეყნის ქალაქის საპატიო მოქალაქე.


თხზ.: L'Infinito, publ. by Rizzoli-Bur, 7 ed., 1994; Scienza ed Emergenze Planetarie, «Il Paradosso dell' Era Moderna», publ. by Rizzoli, 5 ed., March, 1997; Tra Féde e Sciènza. Da Giovanni Paolo II a Benedetto XVI, il Saggiatóre, 2005. *ვ. მირიანაშვილი.*

ზიკილია, სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტის აგარის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), მესხეთის ქედის სამხრ. მთისწინეთში, მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 940 *მ*, ახალციხიდან 16 *კმ*, აწყურიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 4 *კმ*. 421 მცხ. (2002).

ზ. მდებარეობს ისტ. სამცხეში. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის'' მიხედვით (1595) ოსმალთაგან დაპყრობილი ზ. შედიოდა ახალციხის ლივის აწყურის ნაჰიეში. იქ ცხოვრობდა 11 კომლი ქართვ. (პაპუნა მახარებლისძე, ვარძელ გიორგისძე, ივანე გურამასძე, როსება მაზიასძე და სხვ.). ისინი მისდევდნენ მემინდვრეობას (ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, მუხუდო, ოსპი, ცერცვი), მესაქონლეობას (ცხვარი, ღორი), მეხილეობას, მეფუტკრეობას, მოჰყავდათ ყელის თესლი (ზეთისთვის) და იხდიდნენ გადასახადს 15000 ახჩას. 1704–05 ,,ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთრის'' მიხედვით, ახალციხის ლივის აწყურის ნაჰიეს სოფ. ზ. ვინმე ჰუსეინის ზეამეთი (საკარგავი) იყო და მისი შემოსავალი ამ სოფლიდან 28000 ახჩას უდრიდა. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) იხსენიებს ზ-ს და მტკვრის მარცხ. შენაკად ზიკილიის ხევს. სოფლის ერთ-ერთი უკანასკნელი მფლობელი თავადი ელისბარ ციციანოვი ყოფილა. 1944 ზ-ში მოსახლეობა მოვიდა ქართლისა და იმერეთის სოფლებიდან. ამჟამად იქაურთა გვარებია: გაჩეჩილაძე, ინასარიძე, ახალკაცი, ჩერქეზია, შავთვალაძე, მიქაძე, აბაშიძე, სუხიაშვილი, კურტანიძე, ხარატიშვილი, ბლუაშვილი. სოფელში ეკლესია აღარ შემორჩენილა. ხევის მარჯვ. ნაპირზე კლდეში ორი გამოქვაბუ-



ზიზილა (Bellis).



ა. ზიკიკი.

ლია ერთმანეთში გასასვლელით; ორივეში ოთხკუთხა შესასვლელი და თახჩებია გამოჭრილი; მარცხენა, მოზრდილ გამოქვაბულში გახსნილი საფლავია: ქვაყუთის ირგვლივ ადამიანის ძვლები და განვითარებული ფეოდალიზმის ხანის კერამ. ნამსხვრევებია მიმოფანტული. გამოქვაბულებში ბერების სადგომი უნდა ყოფილიყო.

წყარო: გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ს. ჯიქიას გამოც., წგ. 2, თბ., 1941, გვ. 100; წგ. 3, თბ., 1958; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, ც. აბულაძისა და მ. სვანიძის გამოც., თბ., 1979.

დ. ბერძენიშვილი.

ზილგახოხი, მწვერვალი კავკასიონის მთავარ ქედზე, მდინარეების სბისა და ჭელიათისწყლის (ლიახვის აუზი) სათავეებს შორის. სიმაღლე 3857 *მ*. აგებულია ზედაიურულ-ვალანჟინური მერგელებით, კირქვებით, კონგლომერატებით, თიხაფიქლებით, ქვიშაქვებით. კალთები ციცაბოა, დამახასიათებელია სუბნივალური და ნივალური ლანდშაფტი. მწვერვალზე 1852 ავიდა რუსი გეოდეზისტი, წარმოშობით პოლონელი, გენ.-ლ. ი. *ხოძკო.*

მ. უთმელიძე.

ზილი, 1. ქართული ექვსხმიანი გალობის ერთ-ერთი მაღალი (წმინდა) ხმა. ამ მნიშვნელობით ტერმინი ,,ზ.'' მოხსენიებულია XVIII–XIX სს. ქართ. ლიტერატურაში: ,,ზილი-კრინი, წვრილი ხმა გალობაში'' (ნ. ჩუბინაშვილი), ,,ვახტანგ მეფე და იაკობ მაღლა ზილს მიეტკბურება'' (დ. გურამიშვილი). ამჟამად სამხმიან გუნდში ზ. აღარ მონაწილეობს.

2. ჩონგურის ,,წვრილი'' ხმის გამომცემი სიმი (ქვევიდან მეორე), რ-იც გაბმულია ტარის შუამდე. მასზე მელოდია არ დაიკვრება. იყენებენ მხოლოდ შესაბამის აკორდებში. ჩონგურის გადაწყობისას სხვა სიმებთან ერთად ზ-იც იცვლის სიმაღლეს, მაგრამ ყოველგვარ წყობაში ყველა სიმზე მაღლა ჟღერს. ზ. მაღალი სიმის აღმნიშვნელ ზოგად სახელადაც იხმარებოდა.

ზ. ჩხიკვაძე.

ზილჩის გორასამარხი, ძვ. წ. II ათასწლეულის I მეოთხედის არქეოლ. ძეგლი. მდებარეობს ივრის ზეგანზე, ქვემო ქედის დასახლების აღმ-ით ზილჩის ხეობაში (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი). კახეთის არქეოლ. ექსპედიციამ (კ. ფიცხელაური, ზ. მახარაძე) გამოავლინა გორასამარხების ჯგუფი. გათხარეს ქვაყრილიანი გორასამარხი (დიამეტრი 14 *მ*, სიმაღლე 0,8 *მ*), რ-იც გარშემო ქვის ლოდებით იყო შემოსაზღვრული. ქვაყრილის ქვეშ გამოვლინდა მართკუთხედის ფორმის, კუთხეებმომრგვალებული, ქვით ამოვსებული სამარხი (ორმოს სიგრძე 3,3 *მ*, სიგანე – 2 *მ*), რ-იც გადახურული ყოფილა ხის ძელებით. სამარხი დამხრობილია ჩრდ.-აღმ-კენ. სამარხის სამხრ.-დას. ნაწილში, 2,2 *მ* სიღრმეზე, აღმოჩნდა მიცვალებულის ძვლები. იგი ესვენა მარჯვ. გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით დას-კენ.

მიცვალებულის ყელთან გამოვლინდა მთის ბროლის მძივი, ხელებთან – ბრინჯაოს მახვილი და თიხის სასმისი, ზურგს უკან – მეორე სასმისი. სავარაუდოა, რომ იგი ხის სარეცელზე ესვენა. ჩონჩხის ქვეშ, ორმოს ძირზე აღმოჩნდა თიხის ქილა, მიცვალებულის ფერხთით იყო ბატკნის მთლიანი ჩონჩხი, 2 დერგი (ერთ მათგანში ქოთანი იდო), ცხოველის ძვლები და ძროხის ჩონჩხი თავის ქალის გარეშე. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი სარეცლის ქვემოთ იყო მოთავსებული. სამარხში აღმოჩენილი თიხის 2 სასმისი, ქილა, ქოთანი სამზარეულო დანიშნულებისაა, გამოვლენილი 2 დერგი – სამეურნეო დანიშნულების.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის სიღნაღის ისტ.-ეთნ. მუზეუმში.

ლიტ.: Махарадзе З., Курган №1 Долины Зилича, Тб., 1986; Пицхелаури К., Мамаиашвили Н. и др., Кахетская археологическая экспедиция, кр.: Полевые археологические исследования в 1981 году, Тб., 1984.

რ. რუსიშვილი.

ზილჩის სერი, სერი ივრის ზეგნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეზე, მდ. ალაზნის ხეობას გამოყოფს დიდი შირაქის ვაკე-ტაფობისაგან. უმაღლესი ადგილია მთა ზილჩა (846 *მ*). აგებულია მესამეულის კონგლომერატებით, თიხებითა და ქვიშაქვებით. სერის აღმ. კალთა დაღარულია მშრალი ხევებით და ციცაბოდ ეშვება ალაზნისკენ, სამხრეთი კი თანდათან გადადის ჯეირანთველის ტაფობში. რელიეფისათვის დამახასიათებელია ბედლენდები და ეოლური ფორმები. სერზე აქა-იქ ნათელი ტყეებია, უმეტესად ღვიანები.

დ. უკლება.

ზიმა, გულრიფშის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზემო ზიმის* და *ქვემო ზიმის* გავრცელებული სახელწოდება.

ზინდისი, ისტორიული სოფელი შიდა ქართლში, სურამისწყლის ხეობაში. იხსენიება დიდოთეოს კათოლიკოსის იტრიის ეკლესიისადმი 1584 შეწირულების სიგელში. ზ. იტრიის ეკლესიამ თავდაპირველად ქართლის მეფე გიორგი IX-საგან იყიდა, შემდეგ კი სიმონ I-მა საკუთრებად დაუმტკიცა. ზ-ში ცხოვრობდნენ ჯინგარაძეები, მახარაძეები და ჯონჭორაულები. ზ. გვიანდ. შუასაუკუნეების ადმ.-ტერიტ. დაყოფით შედიოდა ზემო ქართლის სადროშოში. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) ზ-ს ,,შინდისის'' ფორმით იხსენიებს. ზ. XIX ს. ბოლოს გორის მაზრის სურამის საპოლიციო უბნის იტრიის სასოფლო საზ-ბაში შედიოდა. 1930, მაზრების გაუქმების შემდეგ, ზ. ხაშურის რაიონში შევიდა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წგ. 1, თბ., 1964; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 3, თბ., 1970.

ზ. ცინცაძე.

ზინობიანი (1938–2010 – ოქტომბერი), სოფელი ყვარლის მუნიციპალიტეტის ჭიკაანის თემში, ალაზნის ვაკეზე, მდ. ავანისხევის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 340 *მ*, ყვარლიდან 12 *კმ*, მუკუზნიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 27 *კმ*. 412 მცხ. (2002).

ზ. ადგილ. მნიშვნელობის კურორტია.

ზინობი მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – ზაქარია აკიმის ძე მაჟუგა) (14. IX. 1896, ქ. გლუხოვი, – 8. III. 1985, დაკრძალულია თბილ. წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძარში), სასულიერო მოღვაწე. დაამთავრა საეკლ. სამრევლო სასწავლებელი. 1912 იყო გლინსკის უდაბნოს მონასტრის მორჩილი. 1921 აღიკვეცა ბერად.

1922 ზ. მ-მა საქართველოში დრანდის მონასტერში დაიწყო მთავარდიაკვნობა. 1925 წ. 18 იანვარს ხელდასხმულ იქნა მღვდელმონაზვნად. 1925–30 იყო სოხუმის წმ. ნიკოლოზის ტაძრის მღვდელმსახური, 1930–36 როსტოვის სოფიის ტაძარში მოღვაწეობდა. 1942–45 იყო თბილ. სიონის საკათედრო ტაძრისა და მცხეთის წმ. ოლღას მონასტრის მღვდელმსახური.

1945–47 გადავიდა სომხეთში, სოფ. კიროვოს წმ. ნიკოლოზის

ეკლესიის წინამძღვრად. 1945 აყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში. 1950 ზ. მ-ს არქიმანდრიტის ხარისხი ებოძა და დაინიშნა თბილ. ა. ნეველის ტაძრის წინამძღვრად. შეთავსებით ასრულებდა საქართველოსა და სომხეთში არსებული რუსულენოვანი მრევლის კეთილმოწესის მოვალეობასაც. 1952 წ. 11 ივნისიდან დაინიშნა საქართვ. სინოდის წევრად. 1956 წ. 29 დეკემბერს, მიუხედავად სინოდის წევრთა წინააღმდეგობისა, სრულიად საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქის, *მელქისედეკ III-ის* გადაწყვეტილებით არქიმანდრიტი ზინობი ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად. 1957 წ. 6 მარტს კი დაინიშნა მელქისედეკ III-ის მეორე ქორეპისკოპოსად წოდებით ,,ეპისკოპოსი სტეფანოვისა''. 1960 ეწოდა თეთრიწყაროელი ეპისკოპოსი, ამავე დროს იგი რჩებოდა თბილ. ა. ნეველის ეკლესიის წინამძღვრად. 1972 წ. 8 აპრილს ზ. მ. აყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში.

ზ. მ-ს მიღებული აქვს მრავალი საეკლ. ჯილდო: 1953 გადაეცა მეორე გამშვენიერებული ჯვრის ტარების უფლება არქიმანდრიტის კვერთხით (1954) და სკუფიაზე ჯვრის ტარების უფლებით (1958 წ. ნოემბერი), მოციქულთასწორის წმ. ნინოს I და II ხარისხის, ასევე რუს. ეკლესიის მოციქულთასწორის მთავარ ვლადიმირის I და II ხარისხის, ალექსანდრიის ეკლესიისგან მოციქულ მარკოზის II ხარისხის და ჩეხეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მოციქულთა სწორთა კირილესა და მეთოდეს II ხარისხის ორდენები.

ლიტ.: ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე ს., ქართველი მღვდელმთავრები (XX–XXI საუკუნეები), თბ., 2010; ჟ ვ ა ნ ი ა ზ., საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქნი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ქუთ., 1994.

თ. მარგველაშვილი.

ზირაძაძე ალექსანდრა ნაუმის ასული (7. II. 1928, თბილისი, – 27. XII. 1990, იქვე), ფიზიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1987), პროფესორი (1990). 1951 დაამთავრა თსსი-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1951–60 მუშაობდა ამავე ინ-ტის ნორმალური ფიზიოლ. კათედრაზე; 1960–63 – ფარმაკოქიმიის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომლად. 1963–90 იყო კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედ. და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ფიზიოლ. და პათოფიზიოლოგიის განყ-ბის უფრ. მეცნ. თანამშრომელი და ექსპერ. ლაბორ. გამგე, შემდეგ – ამავე ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში. პარალელურად პედ. საქმიანობას ეწეოდა თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტში მეანობა-გინეკოლოგიის კათედრაზე. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. 1 მონოგრაფია. ზ. ავტორია ერთი გამოგონებისა.

ზირაძაძე მიხეილ ილიას ძე (5. I. 1928, სოფ. ზეგანი, ახლანდ. ბაღდათის მუნიციპალიტეტი, – 22. IX. 1998, თბილისი), გეოლოგი. გეოლ.-მინერალოგიის მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1988), საქართვ. დამს. გეოლოგი (1975). 1949 დაამთავრა სპი სამთო ინჟინერ-გეოლოგის კვალიფიკაციით. 1950–60 მუშაობდა რუსეთში (იაკუტიის ავტ. რესპუბლიკაში), სადაც აღმოაჩინა რამდენიმე ათეული პოლიმეტალური საბადო. 1960 დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო ტრესტ ,,საქნავთობის'' სისტემაში თავდაპირველად აგეგმვითი, შემდეგ – თემატური პარტიის უფროსის თანამდებობაზე.

ზ-ის კვლევის სფერო იყო დას. საქართველო, მისი გეოლ. აგებულება და ნავთობგაზიანობის პერსპექტივები. გურიის მთისწინა ქვიშაქვიანი ჰორიზონტების ბურღვის შედეგად დადასტურდა ნავთობის საბადოს არსებობა, რაც ზ-მ შრომისუბან-წყალწმინდის ნავთობის საბადო უწოდა.

1995–98 ზ. პარალელურად პედ. საქმიანობას ეწეოდა სტუ-ის ნავთობისა და გაზის საბადოთა ძებნა-ძიების კათედრაზე. ზ. ავტორია სახელმძღვანელოსი ,,ნავთობისა და გაზის დაგროვების ძებნა-ძიების თეორიული საფუძვლები და მეთოდები'' (1998).


ზირგითი, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის ახალსოფლის თემში (ქვემო ქართლის მხარე), ბედენის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ბზისწყლის (ალგეთის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1200 *მ*, თეთრი წყაროდან 42 *კმ*. 77 მცხ. (2002).

ზ. ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) რუკებზე დატანილია, როგორც სოფ. ახალშენი, ასევეა მოხსენიებული ქვემო ქართლის სოფლების სიაში. ზ. სოფელს ეწოდა მას შემდეგ, რაც აქ ორბეთის მახლობელ სოფ. ზირბითიდან გადმოსახლდნენ ქართვ. მთიულები. ისტ. საბუთებში იხსენიება XVI ს-იდან როგორც საბარათიანოს სოფელი ახალშენი, ეკუთვნოდათ გერმანოზიშვილებს (XVI ს.), არსებობდა ადრინდ. და შუა საუკუნეებშიც, რასაც მოწმობს აქ შემორჩენილი წმ. გიორგის (VIII–IX სს.) და კვირაცხოვლის (X–XI სს.) ეკლესიები. სოფლის განაპირას, მდინარის პირას, ამართულია გორა, რ-იც წარმოადგენს წინაფეოდალური ხანის საცხოვრისს.

ლიტ.: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ი., ქვემო ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში, ნაწ. 1–2, თბ., 1935.

თ. თოდრია.

ზიჩი (Zichy) მიხაი (15.X.1827, სოფ. ზალა, უნგრეთი, – 28. II. 1906, სანქტ-პეტერბურგი, დაკრძალეს 18. III. 1906, ბუდაპეშტი), უნგრელი ფერმწერი და გრაფიკოსი. სწავლობდა ბუდაპეშტის უნ-ტში, 1842-იდან მეცადინეობდა ფერწერაში იტალ. მხატვარ ი. მარასტონისთან, რ-მაც პეშტში გახსნა პირველი სამხატვრო სასწავლებელი. 1843 გადავიდა ვენაში, სადაც ფერწერას სწავლობდა ფ.-გ. ვალდმიულერის ხელმძღვანელობით. 1846 იმოგზაურა იტალიაში. 1847-იდან ცხოვრობდა პეტერბურგში. 1858 აირჩიეს პეტერბურგის სამხატვრო აკად. აკადემიკოსად. 1859-იდან იყო რუს. საიმპერატორო კარის მხატვარი, 1874–81 წლებში ცხოვრობდა საზღვარგარეთ, 1875–80 იყო პარიზში უნგრელთა ურთიერთდახმარების საზ-ბის თავ-რე. 1881–82 ცხოვრობდა კავკასიაში. 1883–1906 კვლავ რუს. საიმპერატორო კარის მხატვარია. დემოკრატი მხატვარი თანაუგრძნობდა უნგრეთის რევოლუციას, იზიარებდა უტოპიური სოციალიზმის იდეებს.



მ. ზიჩი.



მ. ზ ი ჩ ი. შოთა რუსთაველი ,,ვეფხისტყაოსანს'' მიართმევს თამარ მეფეს. ხელოვნების მუზეუმი. 1888. თბილისი.



ი. ზლობინი.



ი. ზ ლ ო ბ ი ნ ი. ნეზნამოვი, ა. ოსტროვსკის ,,უდანაშაულო დამნაშავენი‘‘.

ზ-ს შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მაღალი პროფ. დონე. განსაკუთრებული წარმატებით მუშაობდა წიგნის გრაფიკის დარგში. დაასურათა მ. ლერმონტოვის ,,დემონი‘‘ (,,თამარის ცეკვა‘‘, ტრეტიაკოვის გალერეა; ,,თამარი კუბოში‘‘, პუშკინის სახლ-მუზეუმი, სანქტ-პეტერბურგი და სხვ.). 1881 ზ. თბილისში ჩამოვიდა, სადაც მოწინავე ქართვ. ინტელიგენციის თხოვნით დაიწყო ,,ვეფხისტყაოსნის‘‘ ილუსტრაციებზე მუშაობა. სულ შექმნა 34 სურათი (შეუკვეთეს 14), ,,ვეფხისტყაოსნის‘‘ საგამომცემლო კომისიამ 27 სურათი შეარჩია. აღნიშნული ნამუშევრები (ინახება შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმში) მხატვარმა ქართვ. ხალხს უსასყიდლოდ გადასცა. ზ-ს ,,ვეფხისტყაოსნის‘‘ ილუსტრაციები თავის დროზე დიდი მხატვრული მოვლენა იყო. მან ქართ. თემაზე კიდევ რამდენიმე ტილო შექმნა – ,,ქართველი ქალის პორტრეტი‘‘ (1874, კერძო კუთვნილება), ,,იკორთის მონასტერი‘‘ (1888, საქართველოში მეორედ ჩამოსვლის დროს) და სხვ. 1988 თბილისში დაიდგა ზ-ს ძეგლი (მოქანდ. შ. კიში, არქიტ. ჯ. ვადაში, ნ. მგალობლიშვილი).

ლიტ.: გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი ბ., ზიჩი საქართველოში, გამოც. მე-2, თბ., 1966; შ ა რ ა ძ ე გ., მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა, თბ., 1978.

თ. ფერაძე.

ზიცარი იური ვლადიმერის ძე (14. IV. 1928, სოფ. მაკუშინო, კურგანის ოლქი, – 23. VI. 2009, სანქტ-პეტერბურგი), რუსი ენათმეცნიერი. დაამთავრა ლენინგრადის უცხ. ენების ინ-ტი (1950). 1955 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ბასკური ენის შესახებ. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას ორიოლსა და სამარაში; მუშაობდა თსუ-ში. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფია და სამეცნ. შრომები. ზ-ის სამეცნ.-კვლევის სფერო ეხება ბასკური ენის ეტიმოლოგიას, რეკონსტრუქციას, ბასკური და იბერ.-კავკ. ენების ტიპოლოგიური კვლევის საკითხებს.

მ. მაჭავარიანი.

ზიხები, ზ ი გ ე ბ ი, უძველესი ტომობრივი გაერთიანება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. პირველად იხსენიება სტრაბონთან (ძვ. წ. I ს.). იხ. *ჯიქები.*

ზლატკინი მარკ იზრაელის ძე [30. VII (12.VIII). 1898, სოფ. გროდოვკა, ახლანდ. დონეცკის ოლქი, – IX. 1995, ისრაელი], ჟურნალისტი, გამომცემლობის მუშაკი. 1925 რუსეთიდან მოავლინეს თბილისში ცენტრ. გამომცემლობების ,,იზვესტიის‘‘, ,,პრავდის‘‘ და ,,ტრუდის‘‘ ამიერკავკ. განყოფილების გამგედ და მისი ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირდა საქართველოს, მის ლიტ-რასა და კულტურას. იყო გამომც. ,,ზარია ვოსტოკას‘‘ დირექტორი, 1963-იდან – გამომც. ,,მერანის‘‘ რუს. გამოცემათა რედაქციის მთ. რედაქტორი, 1985-იდან – ამ გამომცემლობის მთ. კონსულტანტი. ზ. ქართ. ლიტ-რის პოპულარიზატორი იყო. ავტორია ორიგინ. ჟანრის თხზულებისა ,,როცა წიგნი ხალხებს აახლოებს‘‘ (რუს. ენაზე, 1972, 1979), რ-იც თავისებური მატიანეა 20–70-იანი წლების ლიტ. მოვლენებისა. 1983 რუს. და 1986 ქართ. ენაზე გამოვიდა ზ-ის წიგნი ,,მათი მოსაგონარი ჩანახატები‘‘, რ-შიც მოცემულია ა. აბაშელის, კ. გამსახურდიას, ნ. ტიხონოვის, ლ. გუდიაშვილის, ვ. გოლცევის, ბ. ჯღენტის, ნ. ზაბოლოცკის, გ. ლეონიძის, მ. მრევლიშვილის, ლ. კალანდაძის, შ. ნუცუბიძის, კ. სიმონოვის, დ. შენგელაიას ლიტ. სახეები.

ვ. შადური.

ზლობინი იგორ ივანეს ძე (11. IV. 1914, ქ. მილეროვო, როსტოვის ოლქი, – 27.V.1977, თბილისი), რუსი მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1970). 1931 დაამთავრა თეატრ. სტუდია დონის როსტოვში. იმავე წლიდან დაიწყო სასცენო მოღვაწეობა მილეროვოში. 1932 მუშაობდა გროზნოს, 1933 – არმავირის, 1934 – სტალინგრადისა და 1935–47 – ყაზანის თეატრებში. 1948-იდან ზ. თბილ. ა. გრიბოედოვის სახ. თეატრის მსახიობი იყო. გამოირჩეოდა ფართო შემოქმედებითი დიაპაზონით. სახასიათო კომედიურ როლებთან ერთად წარმატებით ასრულებდა დრამ. როლებსაც როგორც თანამედროვე, ისე კლასიკურ პიესებში. მის მიერ განსახიერებულ როლებს შორისაა: ტრეპლიოვი (ა. ჩეხოვის ,,თოლია‘‘), კარანდიშევი, ნეზნამოვი (ა. ოსტროვსკის ,,უმზითვო‘‘, ,,უდანაშაულო დამნაშავენი‘‘), ხლესტაკოვი (ნ. გოგოლის ,,რევიზორი‘‘), მოხუცი (მ. ფერმოს ,,კარებს აჯახუნებენ‘‘), მოლჩანინი (ა. გრიბოედოვის ,,ვაი ჭკუისაგან‘‘), ევგენი (ნ. დუმბაძის ,,მარადისობის კანონი‘‘), სუსლოვი (მ. გორკის ,,მოაგარაკენი‘‘), კარლო ფიგურელო (მაროტა და რანდონე ,,ქვრივების ნუგეშისმცემელი‘‘), ვიშნევსკი (ა. ოსტროვსკის ,,შემოსავლიანი ადგილი‘‘), მთხრობელი (გ. ბათიაშვილის ,,გზა‘‘) და სხვ. ზ. ავტორია პიესების, ინსცენირებებისა და ლიბრეტოების, რ-იც წარმატებით იდგმებოდა ქვეყნის სხვადასხვა თეატრში.

შ. ცუცქირიძე.

ზმა, ქართული ლექსთწყობის ტერმინი; სიტყვის ან მათი ნაწილების საგანგებო მიჯრით წარმოქმნილი სხვა სიტყვა, რ-იც გამოხატავს ავტორის შეფარულ აზრს, ჩანაფიქრს. მაგ.:

მაღლით წვიმა მოდიოდა,
ნაბადმა ვერ დამფარაო,
დამასველა მან თავიდან
ფეხებამდე მ ა ს ხ ა რ ა ო.
(ა. წერეთელი)

აქ ზ-ის მეოხებით მოწინააღმდეგე მხარე შეფარვით თავიდან ფეხებამდე მასხარადაა გამოყვანილი.

ზ. ქართ. პოეზიაში მიღებული იყო სალაღობოდ, საპაექროდ, შემდგომ – ცენზურის თვალის ასახვევად. ზ-ს ხშირად მიმართავდნენ იოანე შავთელი, ჩახრუხაძე, თეიმურაზ II, დ. გურამიშვილი, ბესიკი, დავით რექტორი, ა. წერეთელი და სხვ. რ. ერისთავს ჟურნ. ,,თეატრში‘‘ (1887, №6–7, გვ. 19–23) გამოქვეყნებული აქვს ამ ტერმინისადმი მიძღვნილი საგანგებო წერილი – ,,ზმა‘‘.

გ. მიქაძე.

ზნაკვა, სოფელი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ზნაკურის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: **ზ.**, მოტყიარი, საკეცია). ზ. დ. 800 *მ*, ამბროლაურიდან 11 *კმ*. 212 მცხ. (2002).

წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება ,,ნიკორწმინდის დაწერილში‘‘ (1071–80). ზ. XVII–XVIII სს-ში რაჭის საწულუკიძეოს შემადგენლობაშია. შემორჩენილია წულუკიძეთა ფეოდ. ხანის ციხე-დარბაზი. ზ. XI–XV სს-ში ცალკე სოფელი იყო (ზნაკვის აგარა, იგივე ქვედა აგარა). XVII–XVIII სს-ში ციხის უბანს ნააგარევი ეწოდებოდა. ამიტომ, ზნაკვის ციხე ნააგარევის ციხის სახელითაც მოიხსენიებოდა. გორაკზე, ციხე-დარბაზის მახლობლად, მიკვლეულია აღრინდ. ანტ. ხანის კერამ. ფრაგმენტები.

ე. ტაბუცაძე. თ. ბერაძე.

ზნაური, *ყორნისის* სახელწოდება 1931–91.

ზნაურის რაიონი, ყ ო რ ნ ი ს ი ს რ ა ი ო ნ ი, 1991 ყორნისის რაიონი გაუქმდა და მისი ტერიტ. შეუერთ-

და ახლანდ. *ქარელის მუნიციპალიტეტს.*

ზნე-ჩვეულება, წეს-ჩვეულება, ადამიანთა ამა თუ იმ საზოგადოებაში დამკვიდრებული ყოფაქცევის წესების ერთობლიობა. ზნე ანუ მორალი არის საზ. შეგნების ერთ-ერთი ფორმა. ზნე წარმოადგენს ქცევის ნორმების ერთობლიობას, რ-იც მოიცავს ადამიანების ურთიერთობას და საზოგადოებასთან მათ დამოკიდებულებას. სამართ. ნორმებისაგან განსხვავებით, რ-თაც იცავს სახელმწ. ხელისუფლება, ზნე ემყარება საზ. შეხედულებას, შინაგან რწმენას, ქცევის ნორმებს. ადამიანთა მოქმედების შეფასება ზნეობრივი პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად გამოიხატება ისეთი კატეგორიებით, როგორიცაა სიკეთე და ბოროტება, სინდისი და უსინდისობა, სამართლიანობა და უსამართლობა.

ჩვეულება არის გარკვეულ საზ. გარემოში დამკვიდრებული წესი, რ-იც არეგულირებს ადამიანთა მოქმედებას და ქცევას, განაგრძობს არსებობას საზ. ურთიერთობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. იგი უშუალოდ არის დაკავშირებული ამა თუ იმ ხალხის ყოფით კულტურასთან და მიჩნეულია ეთნ. კულტურის ერთ-ერთ კომპონენტად. ჩვეულების წარმოშობასა და მის ხასიათზე გავლენას ახდენს ამა თუ იმ ხალხის ცხოვრების ბუნებრივ-საწარმოო პირობები, მისი ისტ. წარსულის, სოც.-ეკონ. ურთიერთობისა და რელიგ. შეხედულებების თავისებურებანი. თუ ჩვეულება ნებადართულია სახელმწ. მიერ, ის იქცევა ჩვეულებითი სამართლის ნორმად.

ქართ. ტრადიციების აღწერა-დახასიათებაში ერთიმეორის პარალელურად იხმარება ორი შედგენილი ცნება – ზ.-ჩ. და წეს-ჩვეულება. ზნე და ზნეობა ხშირად იგივეა, რაც წესი და *ადათი*, მაგრამ იგი უფრო მკაფიოდ ასახავს მორალისა და ეთიკის ნორმებს, გვაცნობს ადამიანის სულიერ თვისებებს და ქცევას.

ქართ. სამეცნ. ლიტერატურაში ზ.-ჩ-ის ეთნოგრ. შინაარსი მკაფიოდაა გამოკვეთილი ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ნაშრომის იმ თავში, რ-საც ეწოდება ,,ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი‘‘. იგი ერთობლივად გვიხატავს ქართვ. ხალხის ყოფას, ჩვეულებებსა და სულიერ ცხოვრებას. ცალკე გამოყოფილ პარაგრაფში (ზნეთათუს) ქართვ. ხალხის ზნე ანუ თვისებები და ფსიქოლ. სამყარო ასეა დახასიათებული: ,,ზნენი აქუნდათ პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთჳს, ციხესიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქუეყანისა, ერთისა ცოლისა ქმრობა, რამეთუ მოიყვანიან თჳს-თჳსთა თანასწორთა: მთავარნი მთავართა, აზნაურნი აზნაურთა და უმცირესნი უმცირესთა; და ამის მიერ არა იყო მრავალცოლობა, ვითარცა ვიხილავთ ქართლოსისასა და სხუათაცა‘‘.

პარაგრაფში ,,ჩვეულებისათჳს‘‘ ვახუშტი აღწერს ლხინსა და ჭირში (ქორწილი, სუფრის ტრადიციები, გლოვის რიტუალი...) მოქმედ წესებს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973. *ვ. ითონიშვილი.*

ზოგადი ფსიქოლოგია, *ფსიქოლოგიის* ფუნდამენტური დარგი; შეისწავლის ფსიქიკის, ფსიქიკურის გამოვლენის, განვითარებისა და მიმდინარეობის უზოგადეს კანონებს, აღწერს და ხსნის ადამიანის განცდებს, ქცევის კანონზომიერებებსა და მექანიზმებს, ქმნის პიროვნების ერთიან მეცნ. კონსტრუქტს, რ-იც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პიროვნების ინდივიდ. გამოცდილებისა და შესაძლებლობების უნიკალურ ორგანიზებას ითვალისწინებს.

საქართველოში ზოგადფსიქოლ. კვლევებისა და ზოგადფსიქოლ. ცოდნის დანერგვით დაიწყო ფსიქოლ. დარგის განვითარება, რ-ის ფუძემდებელი დ. *უზნაძე* იყო. მისი თაოსნობით 1918 (თსუ-ის დაარსებისთანავე) გაიხსნა ზოგადი ფსიქოლ. კათედრა, ხოლო 1923 – ფსიქოლ. ლაბორატორია. სწორედ აქ დამუშავდა მსოფლიოში აღიარებული განწყობის ზოგადფსიქოლ. თეორია. დ. უზნაძეს ეკუთვნის ზ. ფ-ის პირველი ქართ. სახელმძღვანელო, რ-იც ფსიქოლოგთა კადრების მომზადების ძირითადი წყაროა. მისი აქტუალობა განსაზღვრულია ფსიქოლ. საგნის ორიგინ. გაგებით, ფსიქ. მოვლენათა და პროცესთა ახლებური სისტემატიზაციითა და კლასიფიკაციით, ახ. მეცნ. ტერმინოლოგიის დანერგვით (მაგ., ,,აღქმა‘‘) და მეთოდური თვალსაზრისით შინაარსის თავისებური და უაღრესად პროდუქტიული წყობით.

ზ. ფ-ის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა *რ. ნათაძემ.* იგი ავტორია ზ. ფ-ის ფუნდამენტური სახელმძღვანელოსი, არასპეციალური ფაკ-ტებისთვის განკუთვნილი ფსიქოლ. მოკლე კურსისა, საშ. სკოლების სახელმძღვანელოსი. ფსიქოლოგთა და სხვა დარგის სპეციალისტთა მომზადებას დიდად უწყობს ხელს აგრეთვე ფსიქოლ. ცნობილი ქართვ. მოღვაწეების (ა. *ბოჭორიშვილი,* შ. *ჩხარტიშვილი,* ვ. *ნორაკიძე,* თ. გოგიჩაიშვილი და სხვ.) მიერ შექმნილი სახელმძღვანელოები.

ზ. ფ. განსაზღვრავს ფსიქოლ. კვლევის მეთოდოლოგიასა და თეორ. პრინციპებს. აქედან გამომდინარე, იგი ფსიქოლ. სხვა დარგების ფუნდამენტური საფუძველია. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია რ. ნათაძის, ი. *ბჟალავას,* ვ. ნორაკიძის, ნ. იმედაძისა და შ. *ნადირაშვილის* გამოკვლევებში დადგენილი ზოგადფსიქოლ. კანონზომიერებანი, რ-ებიც შემდგომ საფუძვლად დაედო პედაგოგიკის, სპორტის, პათოლ. ფსიქოლოგიის ორიგინ. მიმართულებით განვითარებას; დიდად მნიშვნელოვანია აგრეთვე აღქმის (რ. ნათაძე, ნ. ადამაშვილი, გ. *კეჩხუაშვილი*), აზროვნების (რ. ნათაძე, შ. ნადირაშვილი), მეტყველების (დ. რამიშვილი, ნ. იმედაძე), ხასიათის (ვ. ნორაკიძე) სფეროში ჩატარებული გამოკვლევები.

ლიტ.: ბოჭორიშვილი ა., ჩხარტიშვილი შ., ფსიქოლოგია, თბ., 1950; გოგიჩაიშვილი თ., ფსიქოლოგია, თბ., 1996; ნათაძე რ., ფსიქოლოგიური მეცნიერება თბილისის უნივერსიტეტში, თბ., 1978; მისივე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1986; მისივე, ფსიქოლოგიის მოკლე კურსი, თბ., 1989; უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1940. *დ. ფარჯანაძე.*

ზოგიში, სოფელი ცაგერის მუნიციპალიტეტის ალპანის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), მდ. რიონის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 520 *მ,* ცაგერიდან 23 *კმ.* 293 მცხ. (2002).

ზ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XIII ს-ში. სოფლის ტერიტორიაზე, შემთხვევით აღმოჩენილია გვიანდ. ანტ. ხანის ბრინჯაოს საკიდი, რ-იც ფრინველის გამოსახულებას წარმოადგენს; ქვის კვირისტავი; ზოომორფულ სახელურებიანი ქოთანი; ბრინჯაოს კოლხური ცული.

სოფლის სამხრ-ით, მთის წვერზე, შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხის ნანგრევები. გალავანი რელიეფს მიჰყვება. კედლის

სიმაღლე ზოგან 5 *მ*-მდე აღწევს. ნაგებია უხეშად დამუშავებული სწორხაზოვნად და მტკიცედ ნაწყობი კლდის ქვითა და ბათქაშით. გალავნის შიგნით 2 კოშკის ნაკვალევი შეინიშნება. აქვეა საგანგებოდ მოწყობილი წყლის რეზერვუარი, რ-იც პერიოდულად თავისით ივსება. ადგილ. მოსახლეობა ციხეს თავად ახვლედიანების საკუთრებად თვლის. 1669 ჭყონდიდელ-ცაგარლის განჩინების წიგნში მოხსენიებულია ლეჩხუმის ბატონი ხოსია ახვლედიანი.

ძვ. სასაფლაოსთან, მცირე შემაღლებაზე, შუა საუკუნეების მარიობის ეკლესიის ნანგრევებია. ძეგლს გარს შემოვლებული ჰქონდა გალავანი, რ-ისგანაც დღეისათვის ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი.

ლიტ.: ლეჩხუმი, თბ., 1983.

ნ. სულავა.

ზოგრაფი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე [26. II(10. III). 1889, მოსკოვი, – 17. I. 1942, ლენინგრადი], მეცნიერი-ნუმიზმატიკოსი. 1912-იდან მუშაობდა მოსკ. სახვითი ხელოვნ. მუზეუმში, 1922-იდან იყო ერმიტაჟის თანამშრომელი, 1935-იდან – ერმიტაჟის ნუმიზმატიკის განყ-ბის გამგე. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ზ-ის ღვაწლი ანტ. პერიოდის კავკ. ნუმიზმატიკური ძეგლების შესწავლის საქმეში. მან პირველმა სცადა, თავი მოეყარა კავკასიაში მოჭრილი და გავრცელებული ანტიკური, მათ შორის კოლხური მონეტებისა და მინაბაძებისათვის, მოეცა მათი მეცნ. ატრიბუცია და ასევე მეცნიერულად გაეაზრებინა შესაბამისი პერიოდის სამონეტო მიმოქცევისა და სამონეტო საქმის კარდინალური საკითხები. ეს შრომები დღესაც ინარჩუნებს მეცნ. ღირებულებას.

თხზ.: Античные золотые монеты Кавказа, «Известия Гос. академии истории материальной культуры», 1935, в. 110; Распространение античных монет на Кавказе, Л., 1945.

ზოდეგის განძები, კოლხური კულტურის დამახასიათებელი არქეოლოგიური ძეგლები, რ-ებიც სპილენძ-ბრინჯაოს ზოდებს შეიცავს. გვხვდება გვიანდ. ბრინჯაოს ხანიდან როგორც სხვა არქეოლ. ნივთებთან ერთად, ასევე ცალკე. ცნობილია: 1. წ ყ ა ვ რ ო კ ა ს გ ა ნ ძ ი – აღმოაჩინეს 1946. შედგება 29 უფორმო ნატეხისაგან. დაცულია აჭარის ხ. ახვლედიანის სახ. სახელმწ. მუზეუმში; 2. უ რ ე კ ი ს გ ა ნ ძ ი – აღმოაჩინეს 1961. 11 ნატეხი 70–80 *კგ*; 3. ბ ა ღ დ ა დ ი ს გ ა ნ ძ ი – აღმოაჩინეს 1961. 12 უფორმო ნატეხი რკინის ჟანგის კვალით. დაცულია ოზურგეთის ისტ. მუზეუმში; 4. წ ყ ე მ ი ს გ ა ნ ძ ი – აღმოაჩინეს 1936. შედგება 16 სხვადასხვა ზომის ნატეხისაგან. დაცულია ფოთის კოლხ. კულტ. მუზეუმში; 5. კ ა ლ ა ს გ ა ნ ძ ი. დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის სვანეთის მუზეუმსა და ს. ჯვანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში; 6. კ ა ჩ ა რ ი ს გ ა ნ ძ ი – აღმოაჩინეს 1930. ზოგიერთი ნატეხის მასა 10 *კგ*; 7. დადიანების სასახლეთა ისტ.-არქიტ. მუზეუმში დაცულია მრავალი სხვადასხვა ზომის ზოდი, რ-თა აღმოჩენის ზუსტი ადგილი ცნობილი არ არის.

ლიტ.: ქ ო რ ი ძ ე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.

ლ. ფანცხავა.

ზოდელავა ზურაბ ლევანის ძე (10. II. 1924, თბილისი, – 14. V. 1978, იქვე), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი (1975). 1946 დაამთავრა თსსი; 1948–54 მუშაობდა მოსკოვში, ა. ვ. ვიშნევსკის სახ. ქირურგ. ინ-ტში, 1954–73 – თბილ. ექიმთა დახელოვნების სახელმწ. ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1974–78 იყო თსსი-ის ქირურგ. კათედრის გამგე.

ზ-ის სამეცნ. შრომები ეხება ზოგადი ქირურგ. აქტუალურ საკითხებს.

ზოდელავა მამია მამიას ძე (დ. 2. III. 1949, თბილისი), ჰემატოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1987), პროფესორი (1990); საქართვ. მედ. მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი (1998). 1972 დაამთავრა თსსი. 1976–88 მუშაობდა თსსი-ის და თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის კათედრებზე. 1988–2006 იყო ჰემატოლოგიის და ტრანსფუზიოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი; 2001-იდან – სახელმწ. სარეზიდენტურო პროგრამის (სპეციალობა – ჰემატოლოგია) დირექტორი. ამავე წლიდან – ჰემატოლოგიისა და ქიმიოთერაპიის კლინიკა ,,ჰემას'' დირექტორი, 2006-იდან – თსსუ-ის ონკოლოგიის და ჰემატოლოგიის დეპარტამენტის ონკო-ჰემატოლოგიის მიმართულების სრული პროფესორი, თსსუ-ის მედ. ფაკ-ტის სადისერტაციო საბჭოს თავ-რე (2007–09), საქართვ. სახელმწ. სამედ. აკად. დიდი საბჭოს წევრი (1996–2005).

ზ-ს კვლევის ძირითადი სფეროა: მწვავე ლეიკემიების ქიმიოთერაპიისადმი რეზისტენტობის პროგნოზირება და დაძლევის პრინციპების შემუშავება.

ზ. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. –1 მონოგრაფიისა და 1 გამოგონების ავტორი.

ზოდეხი, სოფელი ახალგორის მუნიციპალიტეტის ცხრაძმის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ალევის ქედის დას. კალთაზე, მდ. ცხრაძმულის (ქსნის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 1600 *მ*, ახალგორიდან 26 *კმ*. 5 მცხ. (2002).

ზ. პირველად იხსენიება 1459 სამთავისის საეპისკოპოსოს სამწყსოს წიგნში. შუა საუკუნეებში იგი შედიოდა ქსნის საერისთავოში. ზ-ში დგას წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია (VIII–IX სს.). 1865 ზ. თავისი 10 ქართვ. კომლით ქსნის უბნის დაბაკნეთის სასოფლო თემში შედიოდა.

ჯ. გვასალია.

ზოდი, ისტორიული სოფელი ახლანდელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. სოფლის ტერიტორიაზე ნაპოვნია (1964–65) ძვ. წ. XI–VIII სს. ბრინჯაოს ცულები. ერთი – ქორიძისეული III სახეობის კოლხური ცულია, რ-საც თითქმის სიმეტრიული ორფრთიანი პირი და მახვილი ყუა აქვს, მეორეს (IV სახეობა) აქვს ცალფრთიანი პირი და სწორი შუბლი. დაცულია ჩოხატაურის მუზეუმში.

ლიტ.: რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974. *ა. რამიშვილი.*

ზოდი, სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), ჭიათურის პლატოზე. თემის ცენტრი (სოფლები: ზ., დარკვეთი, ზედუბანი, მოხოროთუბანი). ზ. დ. 630 *მ*, ჭიათურიდან 13 *კმ*, დარკვეთიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 6 *კმ*. 2,1 ათ. მცხ. (2002).

სოფლის მიდამოებში არის ბრეგვაძეებისკლდის, სამერცხლეკლდის, ხვედელიძეებისკლდის, ჯრუჭულის, თაროკლდის (რაჭველების) კარსტული მღვიმეები, გოგირდოვანი წყლის აბანო.

ზ. პირველად დამოწმებულია ქუცნა ამირეჯიბის შეწირულების სიგელში ულუმბის მონასტრისადმი, რ-იც ზოგადად XV ს. დასაწყისით თარიღდება. გვხვდება აგრეთვე XVII–XVIII სს. რამდენიმე დოკუმენტში. 1639 იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ს ზ-ში მცხოვრები ორი კომლი

ყმა-გლეხი წინამძღვარ ფილიპე წერეთლისათვის უბოძებია, ხოლო 1771 დავით ბატონიშვილის ერთი კომლი ყმა გლეხი ამ სოფლიდან ჯრუჭის მონასტრისათვის შეუწირავს. ვახუშტი ბატონიშვილის რუკებზე დატანილია სოფელი ზ. და იქ მდებარე აზნაურის ციხე-დარბაზი. ზ. მოხსენიებულია ი. *გიულდენშტედტთანაც.* სოფელში შემორჩენილია ყაველაშვილების ანუ ზედუბნის ციხის ნანგრევები. აქვე გვიანდ. ხანაში მოსაპირკეთებლად გამოყენებულ ქვებში გვხვდება ძვ. ეკლესიის ქვები. გვიანდ. შუა საუკუნეების დაყოფის მიხედვით ზ. იმერეთის სამეფოს II ანუ ,,ზემო მხრის'' სადროშოში შედიოდა. XIX ს. რუს. ადმ.-ტერ. დაყოფით ქუთაისის გუბ. შორაპნის მაზრის წირქვალის სასოფლო საზ-ბას ეკუთვნოდა. 1930, მაზრების გაუქმების შემდეგ, ჭიათურის რაიონს გადაეცა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მასალები საქართველოს ისტორიისა და ტოპონიმიკისათვის, წგ. 1, თბ., 1962; საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 254, ან. 1, ს. 688; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, თ. ჟორდანიას გამოც., წგ. 1, ტფ., 1892.

ზ. ცინცაძე.

ზოდიაქო, ზოდიაქოს წრე (ბერძნ. zōdiakos<zōon – ცხოველი), ეკლიპტიკის გასწვრივ განლაგებული 12 თანავარსკვლავედი, რომელთაგან ზოგიერთს ცხოველთა სახელები აქვს მიკუთვნებული. ზ-ს თანავარსკვლავედებზე [ვერძი, კურო, მარჩიბი (ტყუპები), კირჩხიბი (კიბო), ლომი, ქალწული, სასწორი, ღრიანკალი, მშვილდოსანი, თხის რქა, მერწყული (წყლის საქანელა), თევზები] გადის მზისა და მზის სისტემის ცთომილთა ხილული წლიური გზები ვარსკვლავთა შორის. ძვ. ბერძნებმა ზ-ს თანავარსკვლავედებისათვის სპეც. ნიშნები შემოიღეს. გაზაფხულისა და შემოდგომის ბუნიობის წერტილები და, შესაბამისად, ზაფხულისა და ზამთრის მზებუდობის წერტილები აღინიშნება იმ თანავარსკვლავედთა ნიშნებით, რ-ებშიც ისინი სპეც. ნიშნების შემოღებისას მდებარეობდა. ეს აღნიშნები დღემდეა შემორჩენილი. მაგ., გაზაფხულის (შემოდგომის) ბუნიობის წერტილი აღინიშნება ვერძის (სასწორის) თანავარსკვლავედის ნიშნით, მიუხედავად იმისა, რომ დედამიწის ბრუნვის ღერძის პრეცესიის გამო ეს წერტილი ამჟამად თევზების (ქალწულის) თანავარსკვლავედშია. შემორჩენილია აგრეთვე ჩრდ. და სამხრ. ტროპიკების სახელწოდებანი – კირჩხიბის ტროპიკი და თხის რქის ტროპიკი, თუმცა ზაფხულისა და ზამთრის მზებუდობის წერტილები (ამ წერტილების მიღწევისას მზე შესაბამისი ტროპიკის ზენიტში იმყოფება) ამჟამად მდებარეობს, შესაბამისად, მარჩიბივის და მშვილდოსნის თანავარსკვლავედებში.

საქართველოს ტერიტორიიდან ზ-ს ყველა თანავარსკვლავედი ჩანს. შესაძლოა, ეს გარემოება იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ,,ცხოველთა წრესთან'' მჭიდროდ იყო დაკავშირებული ძვ. ქართ. კალენდარი. მეგრულ, ჭანურსა და სვანურ ენებში დაცული კვირის დღეების სახელების ანალიზმა საშუალება მისცა დ. გ. *ცხაკაიას* გამოეთქვა ვარაუდი, რომ ძვ. ქართ. კალენდარში შვიდდღიანი კვირის ნაცვლად უნდა არსებულიყო თოთხმეტდღიანი პერიოდი, რ-ის შემადგენელი დღეები ატარებდნენ მზის, მთვარის და ზ-ს თორმეტი თანავარსკვლავედის სახელებს. მაგ., სამშაბათი – თახამხა – თხის დღე, ოთხშაბათი – ჯუმამხა – ძმის დღე ანუ ტყუპები, ხუთშაბათი – ცაშხა – ქალიშვილის, ქალწულის დღე და ა.შ. პ. ინგოროყვას აზრით, ძვ. ქართ. კალენდრის ასტრონ. საფუძველს ზ. წარმოადგენდა. მეცნიერის ეს მოსაზრება ემყარებოდა ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში მოცემულ მასალას. ამ კალენდარში ყოველი თვის დასაწყისი ემთხვეოდა შესაბამის თანავარსკვლავედში მზის შესვლის მომენტს. ჩვენს წინაპრებს საკალენდრო გამოთვლებისათვის მნიშვნელოვანი დროის მომენტების (ბუნიობისა და მზებუდობის) აღსანიშნავად სპეც. ტერმინები მოეპოვებოდათ.

ლიტ.: ინგოროყვა პ., ძველქართული წარმართული კალენდარი, «საქართველოს მუზეუმის მოამბე», 1931–33, ტ. 6–7; ორბელიანი ს.-ს., ლექსიკონი ქართული, წგ. 1, თბ., 1966; Цхакая Д. Г., История математических наук в Грузии с древних времен до начала XX века, Тб., 1959.

გ. გიორგობიანი.

ზოვრეთი, სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში (იმერეთის მხარე), მდ. ძუსის (ყვირილის აუზი) მარჯვ. მხარეს, ზესტაფონ – თუზის საავტ. გზაზე. სათავო სოფელი. ზ. დ. 220 *მ*, ზესტაფონიდან 13 *კმ*. 2,1 ათ. მცხ. (2002).

ზ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XV ს-ში.

ზოზიროვი ზაზა დიანოზის ძე (დ. 19. IV. 1972, გორი), მოჭიდავე (თავისუფალი ჭიდაობა). საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი, ევრ. ორგზის ჩემპიონი (1993, 1999) და მესამე პრიზიორი (1996), მსოფლიო ჩემპიონატის ორგზის მეორე (1997, 1998) პრიზიორი, ჭაბუკთა შორის მსოფლიოს (1990) და ევრ. (1989) ჩემპიონი, დსთ-ის ჩემპიონი (1992). 1994–99 წლებში გამოდიოდა უკრაინის სახელით.

ზოიძე ბესარიონ ინუსის ძე (დ. 27. VI. 1953, სოფ. დაბაძველი, ახლანდ. შუახევის მუნიციპალიტეტი), იურისტი. იურიდ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1996), 1999–2009 საქართვ. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი (2001–06 – თავ-რის მოადგილე, პირველი კოლეგიის თავ-რე). დაამთავრა თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი (1976). 1982-იდან მუშაობს საქართვ. მეცნ. აკად. სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტში. 1993-იდან იყო ამავე ინ-ტის კერძო სამართ. განყ-ბის გამგე, ხოლო 1996–99 – დირექტორი. იკვლევს თანამედროვე და ძვ. ქართ. სამოქალაქო სამართ. და საკონსტიტუციო სამართ. პრობლემებს. გამოქვეყნებული აქვს შრომები როგორც ქართ., ასევე უცხ. ენებზე. 1995-იდან ინტენსიურად მუშაობს მაქს-პლანკის სახ. საზღვარგარეთის ქვეყნების კერძო სამართლის (ჰამბურგი) და საჯარო სამართლის (ჰაიდელბერგი) ინ-ტებში. იყო საქართვ. სამოქალაქო კოდექსის პროექტის სარედაქციო ჯგუფის წევრი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).

თხზ.: ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისათვის, თბ., 1989; ქართული სანივთო სამართალი, თბ., 1999 (მეორე გამოც. 2003); ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბ., 2000; ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბ., 2005; საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007.

ზოიძე ნუგზარ აკაკის ძე (10. V. 1935, თბილისი, – 30. XII. 2005, იქვე), მეტალურგი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1996). 1958 დაამთავრა სპი-ის (ახლანდელი სტუ) მეტალ. ფაკ-ტი. 1958-იდან მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. მეტალურგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე, მ. შ. 1984–98 იყო ამავე ინ-ტის ლაბორატორიის გამგე და დირექტორის მოადგ-

ზოდიაქო

ზოდიაქოსა და თვეების ნიშნები





შ. ზოიძე.



ზოლებიანი აფთარი (Hyaena hyaena).



ზოლიანი ხვლიკი (La certa strigata).

ილე სამეცნ. დარგში. მონაწილეობდა ხუთენოვანი (ქართ.-რუს.-ინგლ.-გერმ.-ფრანგ.) მეტალ. ტერმინოლოგიური ლექსიკონის გამოცემაში (მოსკოვი, 1988). ინგლისურიდან რუსულად თარგმნა ,,რკინის მეტალოგრაფია'' (სამტომეულის II ტომი, მოსკოვი, 1972). 1982-იდან პედ. საქმიანობას ეწეოდა სტუ-ის მეტალ. ფაკ-ტზე. ზ-ის კვლევის მიმართულებებია: ფაზური გარდაქმნების თერმოდინამიკა და კინეტიკა; ლითონური შენადნობების თერმული და თერმომექან. დამუშავება; მაღალი მექან. თვისებების მქონე ფოლადების მიღება; ფხვნილთა მეტალურგია და კომპოზიტური მასალები. მიღებული აქვს მრავალი საავტორო მოწმობა და პატენტი.

ზოიძე შოთა ახმედის ძე (დ. 2. I. 1941, ახალდაბა, ახლანდ. შუახევის მუნიციპალიტეტი), პოეტი. ზ-ს 1997 მიენიჭა საქართველოს სახელმწ. პრემია კრებულისათვის ,,უსანქციო სონეტები''. დაამთავრა ბათუმის რუსთაველის სახ. სახელმწ. პედაგოგიური ინ-ტი (1967), მოსკ. მ. გორკის სახ. ლიტ-რის ინ-ტის უმაღლესი კურსები (1977). იყო აჭარის ტელერადიოდეპარტამენტის თავ-რე (1991–93), საქართვ. მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავ-რე (1993–94), აჭარის უზენაესი საბჭოს თავ-რის მოადგილე (1994–98). საქართვ. პრეზიდენტთან არსებული ლიტ-რის, ხელოვნებისა და არქიტ. სახელმწ. პრემიების კომიტეტის წევრი. 2009-იდან ბათუმის უნ-ტის პროფესორია.

პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1960, პირველი წიგნი – 1968. გამოცემული აქვს წიგნები: ,,ათასი ზარი'' (1972), ,,პაემანი წვიმაში'' (1974), ,,ელდორადო'' (1982), ,,ბათუმის წვიმა'' (რუს. ენაზე, მოსკოვი, 1979); ლიტ. წერილები: ,,სიყვარულის გაკვეთილები'' (1984), ,,ჯვარცმული ფიქრი'' (1995; ნ. ნიკოლაძის ლიტ. პრემია). 1997 გამოაქვეყნა ,,საქართველოს გოლგოთა'', რ-იც ი. ჭავჭავაძის ცხოვრებას ეძღვნება. 2000 გამოსცა მონოგრაფია ა. კალანდაძეზე – ,,ანა დედოფალი'', 2003 – ლექსების კრებული ,,სვეტი ნათლისა'' და ესეების კრებ. ,,ადამიანი, რომელსაც ღმერთმა აკოცა'', 2013 – ,,რჩეული ნაწერები'' (2 ტ.). ზ-მ თარგმნა მ. ლერმონტოვის, თ. ტიუტჩევის, ა. ბლოკის, ს. ესენინის, ა. ახმატოვას, მ. ცვეტაევას, ბ. პასტერნაკის, ე. ევტუშენკოს, ი. მორიცის, ბ. ოკუჯავას, კ. სიმონოვის და სხვათა ლექსები.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997). მიღებული აქვს გ. ლეონიძის სახ. (2007) და მ. აბაშიძის სახ. (2009) პრემიები.

ზოლეგიანი აფთარი (Hyaena hyaena), მტაცებელი ცხოველი აფთრისებრთა ოჯახისა. მისი მოკლე სხეულის (91–120 *სმ*-მდე) ნიდაოს (კისრიდან ფეხის ჩათვლით) სიმაღლე 76–80 *სმ*-ია, წონა – 26–35 *კგ*. დაფარულია უხეში ჯაგრისებრი რუხი ბეწვით, განივი მუქი ზოლები გასდევს ზურგის გასწვრივ, აყრია მაღალი ფაფარი. აქვს მსხვილი კისერი, მასიური თავი და მოკლე, ბანჯგვლიანი კუდი. გავრცელებულია აფრიკაში, არაბეთში, ირანში, ავღანეთში, ინდოეთში, მცირე აზიასა და შუა აზიის სამხრ. რ-ნებში, სომხეთში, აზერბაიჯანში; საქართველოში გვხვდება ივრის ზეგნის აღმ. ნაწილში. საქართველოში, სომხეთსა და შუა აზიაში ზ. ა. გადაშენების გზაზეა. ამჟამად თითო-ოროლა შემორჩენილია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ვაშლოვნის სახელმწ. ნაკრძალში, პანტიშარის, მამაჩაისა და ყუმუროს უბნებში. ბინადრობს ნახევრად უდაბნოებსა და უდაბნოებში, ველებზე – ტყე-ბუჩქნარიან ადგილებში, მყუდრო კლდიან ღელეებში (,,ალესილებში''). მძუნაობს გვიან შემოდგომასა და ზამთარში, მაკეობის ხანგრძლივობა 90–94 დღემდე გრძელდება, შობს 2–4 თვალაუხილავ და უსუსურ ლეკვს. პოლიფაგია, მისი ძირითადი საკვებია მძორი, ჭამს ასევე ძვალს, ზოგჯერ იკვებება მცენარეებითაც. შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში''.

წყარო: საქართველოს წითელი წიგნი, თბ., 1982, გვ. 12.

ზოლეგიანი ბაზი (Bombus zonatus), ბუდის მშენებელი საზოგადოებრივი მწერი ფუტკრისებრთა ოჯახისა. მკერდისა და მუცლის წინა მხარე შემოსილი აქვს ყვითელი, სხეულის დანარჩენი ნაწილი კი – შავი ბუსუსებით. გავრცელებულია ბალკანეთის ნ.-კ-ზე, მცირე აზიასა და ირანში, შავიზღვისპირეთის ჩრდ., ჩრდ. კავკასიაში (დაღესტანში), სამხრ. კავკასიაში. საქართველოში გვხვდება მცირე კავკასიონზე (ახალქალაქი). ბინადრობს მთისწინა ველებზე. იშვიათი სახეობაა როგორც საქართველოში, ისე სამხრ. კავკასიაში. შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში''. *რ. წერეთელი.*

ზოლიანი ხვლიკი (Lacerta strigata), ქვეწარმავალი ხვლიკისებრთა ოჯახისა. სხეულის სიგრძე 11 *სმ* აღწევს, კუდისა – 20 *სმ*-ზე მეტს. ახასიათებს სქესობრივი დიმორფიზმი: მამალი მკაფიო მწვანეა, დედალი ასევე მწვანე, თუმცა დაჰკრავს მურა ელფერი. ზრდასრულ ფორმებს სხეულზე მრავალრიცხოვანი მუქი ლაქები აქვს და ხუთი გასწვრივი ზოლი გასდევს, რ-ებიც ასაკთან ერთად თანდათან ქრება. ზ. ხ. გავრცელებულია ჩრდ.-აღმ. მცირე აზიაში, დას., ცენტრ. და ჩრდ.-აღმ. ირანსა და შუა აზიის უკიდურეს სამხრ.-დასავლეთში. საქართველოში გვხვდება აღმოსავლეთში – დაბლობებსა და მდინარისპირა ველებში, ქალაქებშიც კი. საცხოვრებელს ირჩევს ბალახოვან, ნახევრად ბუჩქნარ მცენარეულობას, ბაღებს, ბოსტნებს, ვენახებს, გამწვანებულ ღობეებსა და ნარგავებს. თავს აფარებს მღრღნელების სოროებს, თვითონაც შეუძლია საკუთარი სოროს გამოთხრა. მეტად სწრაფი და მარდი ცხოველია. იკვებება სხვადასხვა უხერხემლოებით. მრავლდება კვერცხებით წელიწადში ორჯერ. თითო ჯერზე დებს 6–11 კვერცხს. ნაშიერების ზომა 30 *მმ*-ს აღწევს. ზ. ხ. ჩვენი ფაუნის ყველაზე გავრცელებული სახეობაა. დაჭერილი ცხოველი, სხვა ხვლიკების მსგავსად, კბენას ცდილობს, მაგრამ ნაკბენი უვნებელია, თუმცა დიდმა ეგზემპლარმა შეიძლება კანი დააზიანოს.

თ. მუსხელიშვილი.

ზოლოტოვა ნატალია ვიქტორის ასული (7. V. 1928, ქ. ვიქსა, ნიჟნი-ნოვგოროდის ოლქი, – 29. VII. 2003, მოსკოვი), ბალეტის მსახიობი, პედაგოგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1990). 1945 დაამთავრა ლენინგრადის ა. ვაგანოვას სახ. ქორეოგრ. სასწავლებელი (პედ. მ. რომანოვა), ხოლო 1969 – ამავე სასწავლებლის პედ. განყოფილება. მუშაობდა ერევნისა (1945–46) და მინსკის (1946–48) თეატრებში. 1949–67 ნიჟნი-ნოვგოროდის ა. პუშკინის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტი იყო. 1969–89 მოღვაწეობდა მოსკოვის ქორეოგრ. სასწავლებელში. მოსწავლეები: ნ. *ანანიაშვილი,* ი. ლიეპა, ს. ცოი, ი. იოვინა, კ. რიჟოვა და სხვ. ზ-ს დიდი ღვაწლი მიუძღვის ნ. ცისკარიძის, ი. ნიორაძის, ი. ზელენსკის, დ. მახათელის წარმატებულ



რ. ზ ო მ ე რ ი. სამარყანდი.

კარიერაში. 1989–91 ზ. მეუღლესთან, ბ. რახმანინთან ერთად მოიწვიეს თბილ. ვ. ჭაბუკიანის სახ. ქორეოგრ. სასწავლებელში როგორც კლასიკური ცეკვის პედაგოგი და მეთოდისტი. მისი მოწაფეები იყვნენ: ნ. ოჩიაური, ც. ჩოლოყაშვილი, ვ. ახმეტელი და სხვ. *ა. ჩხეიძე.*

ზომერი (Sommer) რიხარდ კარლ (1866, მიუნხენი, – 1939), ფერმწერი, გრაფიკოსი. დაამთავრა პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემია (1893). 1912–37 ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ზ. იყო კავკ. ნატიფ ხელოვნებათა საზ-ბის ერთ-ერთი ორგანიზატორი და დამაარსებელი. მოიარა თითქმის მთელი საქართველო. ქმნიდა ძირითადად ეთნოგრ. ხასიათის ნამუშევრებს – პორტრეტებს, ყოფით ბატალურ სცენებს, არქიტ. ძეგლებს, პეიზაჟებს (,,ძველი თბილისი'', ,,სვანი ქალი'', ,,გურული ტიპები'', ,,გრემი'', ,,ვაშლის გამყიდველი'') და სხვ. მხატვარი ეწეოდა პედ. მოღვაწეობასაც. გახლდათ ლ. *გუდიაშვილის* ხატვის პირველი მასწავლებელი. ზ-ის ნამუშევრების დიდი ნაწილი დაცულია თბილისში შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმსა და ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმში, აგრეთვე საზღვარგარეთის ქალაქებსა და კერძო კოლექციებში. იყო რეპრესირებული. *ი. ქურდაძე.*

ზომის თეორია, თანამედროვე მათემატიკური ანალიზის დარგი, რ-იც შეისწავლის ზომებს, ზომად ფუნქციებსა და ზომებით წარმოქმნილ ინტეგრალებს. X სიმრავლის ქვესიმრავლეთა რომელიმე A კლასზე მოცემულ μ ფუნქციას უწოდებენ ზომას, თუ ის თვლადად ადიტიურია, ე. ი. A-ში შემავალი წყვილ-წყვილად თანაუკვეთი სიმრავლეების ნებისმიერი სასრული ან თვლადი (A_n) მიმდევრობისათვის, რ-თვისაც:

$$A=\bigcup_n A_n,$$

სამართლიანია ტოლობა:

$$\mu(A)=\sum_n \mu(A_n).$$

ზომის განსაზღვრის არედ, ჩვეულებრივ, იღებენ ამა თუ იმ σ-ალგებრას, ე. ი. ქვესიმრავლეთა ისეთ კლასს, რ-იც შეიცავს X-ს და ჩაკეტილია თვლადი გაერთიანებისა და დამატების ოპერაციების მიმართ. ამ σ-ალგებრის ელემენტებს ზომად სიმრავლეებს უწოდებენ, მის მიმართ განისაზღვრება ფუნქციის ზომადობა, ხოლო ზომადი ფუნქციისათვის განისაზღვრება ინტეგრალი ზომის მიმართ.

ზომის აბსტრ. ცნება წირის სიგრძის, ბრტყელი ფიგურის ფართობისა და სივრცული სხეულის მოცულობის ცნებათა განზოგადებაა.

მონაკვეთის სიგრძის ცნების განზოგადების პირველი ცდები რიცხვითი ღერძის ქვესიმრავლეთა უფრო ფართო კლასისათვის ეკუთვნით გერმ. მათემატიკოსებს: ო. შტოლცს, ა. ჰარნაკს და გ. კანტორს (1884–85), თუმცა მათ მიერ აგებული სიმრავლის ფუნქცია არ აღმოჩნდა ადიტიური. იტალ. მათემატიკოსმა ჯ. პეანომ (1887) და ფრანგმა მათემატიკოსმა კ. ჟორდანმა (1893) რიცხვითი ღერძის ქვესიმრავლეთა გაერთიანების ოპერაციის მიმართ ჩაკეტილ გარკვეულ კლასზე ააგეს სიმრავლის ადიტიური ფუნქცია, მაგრამ მათი კლასი არ შეიცავს ყველა შემოსაზღვრულ ღია სიმრავლეს, ხოლო მათი ფუნქცია არაა თვლადად ადიტიური. ფრანგმა მათემატიკოსმა ე. ბორელმა პირველმა აღნიშნა (1898) თვლადი ადიტიურობის პირობის მნიშვნელობა. მან განიხილა რიცხვითი ღერძის ყველა ინტერვალით წარმოქმნილი σ-ალგებრა (ბორელის σ-ალგებრა) და მოგვცა მასზე ზომის განსაზღვრის სქემა. საბოლოოდ, ფრანგმა მათემატიკოსმა ა. ლებეგმა აჩვენა (1902), რომ არსებობს ბორელის σ-ალგებრის შემცველი σ-ალგებრა (ლებეგის σ-ალგებრა) და ისეთი ზომა მასზე, რ-ის მნიშვნელობაც ნებისმიერ ინტერვალზე ემთხვევა ამ ინტერვალის სიგრძეს. ლებეგმა განსაზღვრა აგრეთვე ინტეგრალი მის მიერ შემოღებული ზომის მიმართ (ლებეგის ინტეგრალი) და შეისწავლა ამ ინტეგრალის თვისებები; მანვე მიიღო ანალოგიური შედეგები სასრულგანზომილებიანი სივრცეებისათვის. იტალ. მათემატიკოსმა ჯ. ვიტალემ აჩვენა (1905), რომ არსებობს, ლებეგის აზრით, არაზომადი სიმრავლე. ფრანგმა მათემატიკოსმა მ. ფრეშემ შემოიღო (1915) ნებისმიერი სიმრავლის ქვესიმრავლეთა ზოგად σ-ალგებრაზე განსაზღვრული ზომები და ინტეგრალები მათ მიმართ.

ზ. თ. იყენებს სიმრავლეთა თეორიის ენას. ზ. თ-ის საბაზისო დებულებებია თეორემები ზომის გაგრძელების (ჰანი – კარათეოდორი), ორი ზომის ნამრავლის მიმართ ინტეგრების (ფუბინი), ზომების უსასრულო ნამრავლის (ანდერსენი – იენსენი), შეთანხმებული ალბათობების (ა. *კოლმოგოროვი*), აბსოლუტურად უწყვეტი ზომის წარმოდგენისა (რადონი – ნიკოდიმი) და ზომიანი სივრცეების იზომორფულობის შესახებ (ნოიმანი – ჰალმოში – როხლინი). არსებობს ზომის თეორიის აგების სხვა გზაც, რ-იც დაფუძნებულია არა ზომის, არამედ ინტეგრალის (როგორც განსაკუთრებული სახის ფუნქციონალის) ცნების აქსიომატიზაციაზე (ინგლისელი მათემატიკოსი პ. დანიელი, ფრანგ მათემატიკოსთა კოლექტივი ,,ნ. ბურბაკი'').

ლებეგის ზომისა და ინტეგრალის გამოყენებამ ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორიის განვითარების ახ. ეტაპს მისცა დასაბამი



ს. ზონი.

– ნათელი მოეფინა წარმოებულის მიხედვით ფუნქციის აღდგენისა და ტრიგონ. მწკრივების კრებადობის პირობების შესწავლის ამოცანებს; გაჩნდა ფუნქციათა მეტრიკული თეორია, რ-იც ფუნქციებს Ზ. Თ-ის ტერმინებით შეისწავლის. Ზ. Თ-ის თვალსაზრისით რიცხვების შესწავლამ წარმოშვა რიცხვთა მეტრიკული თეორია. ლებეგის ზომის მიმართ ინტეგრებადი ფუნქციების კლასების შესწავლამ მნიშვნელოვნად განაპირობა ფუნქციონალური ანალიზის წარმოქმნა. Ზ. Თ-ზეა დაფუძნებული ალბათობის მათ. თეორია (ა. კოლმოგოროვი, 1933); ლოკალურად კომპაქტურ ჯგუფებში ინვარიანტული ზომისა და ინტეგრალის აგება (უნგრელი მათემატიკოსი ა. ჰაარი, 1933) საფუძვლად დაედო აბსტრ. ჰარმონიული ანალიზის განვითარებას, ერგოდულობის თეორიასა და ინფორმაციის მათ. თეორიას. Ზ. Თ-ის ზოგიერთი პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული სიმრავლეთა თეორიისა და მათ. ლოგიკის საკითხებთან. ზოგად ტოპოლოგიურ სივრცეებში მოცემული ზომები თანამედროვე ალბათობის თეორიის, მათ. ანალიზისა და მათ. ფიზიკის მნიშვნელოვანი ობიექტებია.

საქართველოში Ზ. Თ-სა და მის მომიჯნავე დარგებში მეცნ. მუშაობის დაწყება უკავშირდება *ვ. ჭელიძის* სახელს. გამოკვლეულია ორი ცვლადის ფუნქციის აღდგენის საკითხი წარმოებულის მიხედვით და, ამასთან დაკავშირებით, განზოგადებულია *დანჟუას ინტეგრალის* ცნება (ვ. ჭელიძე, ა. ჯვარშეიშვილი და სხვ.). შესწავლილია ლებეგის ზომის ინვარიანტული გაგრძელებებისა და სხვადასხვა სახის ინვარიანტული ზომების არსებობის საკითხები (შ. *ფხაკაძე*, ა. *ხარაზიშვილი* და სხვ.). შეისწავლება ფუნქციათა მეტრიკული თეორიისა და ერგოდულობის თეორიის საკითხები (ო. *წერეთელი* და მისი მოწაფეები), ჯერადი ტრიგონ. მწკრივების კრებადობასა და შეჯამებადობასთან დაკავშირებული საკითხები (ლ. *ჟიჟიაშვილი* და მისი მოწაფეები). შესწავლილია სხვადასხვა ტიპის ზომების მიმართ ინტეგრებად ფუნქციათა სივრცეებში (წონიან სივრცეებში) მოქმედი ინტეგრალური ოპერატორები (ვ. *კოკილაშვილი* და სხვ.), უსასრულოგანზომილებიან სივრცეებში ალბათური ზომებისა და მათი მახასიათებლების აღწერის საკითხები (ნ. *ვახანია* და მისი მოწაფეები).

ლიტ.: Вахания Н. Н., Тариеладзе В. И., Чобанян С. А., Вероятностные распределения в банаховых пространствах, М., 1985; Жижиашвили Л. В., Сопряженные функции и тригонометрические ряды, Тб., 1969; Кокилашвили В. М., Максимальные функции и сингулярные интегралы в весовых функциональных пространствах, Тб., 1985; Пхакадзе Ш. С., К теории лебеговой меры, «Труды Тбилисского математического ин-та им. А. М. Размадзе», 1958, т. 25; Халмош П., Теория меры, пер. с англ., М., 1953; Харазишвили А. Б., Инвариантные продолжения меры Лебега, Тб., 1983; მისივე, Топологические аспекты теории меры, К., 1984; Церетели О. Д., Метрические свойства сопряженных функций, კრ.: «Современные проблемы математики», 1975, т. 7; მისივე, Об эргодических свойствах граничных значений интеграла Шварца борелевской меры, «Труды Тбилисского математического ин-та им. А. М. Размадзе», 1985, т. 76.

ვ. ტარიელაძე.

ზომლეთელი (ნამდვ. გვარი – ქურიძე) ნოე ალმასხანის ძე (1880, სოფ. ზომლეთი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 10. VI. 1938, თბილისი), პოეტი. 1900 დაამთავრა ხონის სამასწავლებლო სემინარია და მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. პირველი ლექსი 1899 გამოაქვეყნა. 1901-იდან თანამშრომლობდა გაზ. ,,კვალთან''. 1905–07 რევოლუციაში აქტ. მონაწილეობისათვის დააპატიმრეს. მისი ლექსები მებრძოლი სულისკვეთებით გამოირჩეოდა (,,ალ. წულუკიძის ხსოვნას'', 1906; ,,პოეტი'', 1913; ,,მშვიდობა ქოხებს'', 1921 და სხვ.). ლექსების პირველი კრებული 1924 გამოაქვეყნა. საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ იყო ლიტ. ჯგუფის – ,,პროლეტარული მწერლობის'' – ერთერთი ხელმძღვანელი. Ზ-ის შემოქმედების უმთავრესი თემაა რევ. ბრძოლა (რომანი ,,უგულო ღამეები'', ადრინდ. სახელწოდებით ,,იფქლი'', 1927; პოემები: ,,კამო'', 1929; ,,ახალი ნასაკირალი'', 1933 და ლექსები: ,,ფეიქრები'', 1923; ,,საბჭოთა ავტო'', 1932; ,,ორთქლმავალი'', 1933; ,,თბილის-ზაჰესს'', 1935 და სხვ.). Ზ. წერდა აგრეთვე სატირულ-იუმორისტულ ლექსებს, ფელეტონებს, საბავშვო ლექსებსა და მოთხრობებს.

თხზ.: რჩეული, თბ., 1953.

ლ. ავალიანი.

ზომლეთი, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (გურიის მხარე), გურიის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. სუფსის მარჯვ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: Ზ., ვანი). Ზ. დ. 160 *მ,* ჩოხატაურიდან 12 *კმ.* 365 მცხ. (2002).

ზონენაშვილი იოსებ ამბროსის ძე (დ. 29. VIII. 1932, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1987). დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი (1956), 1959 მუშაობა დაიწყო თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტის თეორ. მათემატიკის კათედრაზე. 2005 აირჩიეს საქართვ. საინჟ. აკად. საპატიო წევრად. ავტორია მრავალი სამეცნ. შრომისა. კვლევის თემაა – გამაგრებული და გამონაწნეხიანი ხვრელების მქონე ფირფიტებისა და გარსების სტატიკის პირდაპირი და შებრუნებული ამოცანები.

დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის მედლით (2002), ღირსების ორდენით (2003).

ზონი სერგეი ვლადიმერის ძე (3. IV. 1906, ვლადიკავკაზი, ჩრდ. ოსეთი, – 22.VI. 2002, მოსკოვი), აგრონიადაგმცოდნე. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1950), პროფესორი (1951), რფ და ყალმუხეთის მეცნ. დამს. მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი (1951). 1929 დაამთავრა გორსკის (ვლადიკავკაზი) სას.-სამ. ინ-ტი. 1946–48 Ზ. იყო მოსკ. სატყეო-ტექ. ინ-ტის სატყეო ნიადაგმცოდნეობის, ხოლო 1962–86 – მოსკ. ხალხთა მეგობრობის უნ-ტის ტროპ. ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგე.

Ზ-ის სამეცნ. ინტერესთა სფეროში შედიოდა ნიადაგური საფარის კვლევა, მისი გენეზისი და გეოგრაფია, მელიორ. და სატყეო ნიადაგმცოდნეობა და სხვ. Ზ-მა რამდენიმე ნაშრომი უძღვნა საქართვ. ნიადაგების პრობლემებს, მ. შ. კაპიტ. მონოგრაფია – ,,საქართველოს სუბტროპიკების ნიადაგური საფარი და მისი ბუნებისა და მეურნეობის გარდაქმნის პრობლემები'' (1987). Ზ-ს ურთიერთობა ჰქონდა ქართვ. მეცნიერებთან (მ. *საბაშვილი*, ვ. *გულისაშვილი*, მ. *დარასელია*), მოამზადა ქართვ. ნიადაგმცოდნეთა კადრები (თ. *ურუშაძე*, ნ. ტარასაშვილი, შ. ფალავანდიშვილი და სხვ.), 1999 აირჩიეს საქართვ. სახელმწ. აგრარული უნ-ტის საპატიო დოქტორად. Ზ. დაჯილდოებულია ვ. დოკუჩაევის სახ. ოქროს მედლითა (1978) და პრემიით (1988), იყო საერთაშ. ნიადაგმცოდნეობის საზ-ბის საპატიო წევრი (1998), მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Горно-лесные почвы Северо-Западного Кавказа, М.–Л., 1950; Научные основы и методические указания к

биогеоценотическому изучению почв горных лесов, Тб., 1974 (თანაავტ. Т. Ф. Урушадзе).

ლიტ.: ურუშაძე თ., საპატიო დოქტორები, თბ., 2009. *თ. ურუშაძე.*

ზონკარი, ერედვის მუნიციპალიტეტის სოფლების *ზემო ზონკარისა* და *ქვემო ზონკარის* გავრცელებული სახელწოდება.

ზოოგეოგრაფია, ცხოველთა გეოგრაფია, თანამედროვე *ზოოლოგიის* დარგი, ბიოგეოგრაფიის განუყოფელი ნაწილი; შეისწავლის ცხოველთა გავრცელებას დედამიწაზე შორეული წარსულიდან დღემდე, ადგენს გავრცელების საერთო კანონზომიერებებს. ზ-ის ძირითადი ობიექტია ფაუნა, ანუ ცხოველთა სახეობების ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობლიობა, რ-ებიც დასახლებული არიან ბუნებრივ რაიონებში (კონტინენტი, კუნძული, გეოგრ. რეგიონი, მაგ. კავკასია).

ზ-ს ყოფენ რიგ დარგებად: აღწერითი ზ-ის მიზანია ბუნებრივი რაიონის ფაუნის სახეობათა და სხვა ტაქსონომიურ ერთეულთა აღნუსხვა; შედარებითი ზ-ის ამოცანაა ერთი რაიონის ფაუნის შედარება მეზობელ და უფრო დაშორებულ რაიონთა ფაუნებთან; კაუზალური (მიზეზობრივი) ზ. არკვევს როგორც ცალკეული სახეობის ან უფრო მაღალი სისტემატიკური კატეგორიების, ისე მთელი ფაუნის არეალების ჩამოყალიბების მიზეზებსა და კანონზომიერებებს; ისტორიული (გენეზისური) ზ. მჭიდრო კავშირშია კაუზალურთან და შეისწავლის წარსულ გეოლ. ეპოქებში ცხოველთა გავრცელების დამოკიდებულებას გარემოს მოქმედ ფაქტორებთან, იკვლევს ფაუნის გენეზისს. სისტემატიკური ზ. სხვადასხვა რაიონთა ფაუნისტური კომპლექსების მსგავსება-განსხვავების მიხედვით ყოფს დედამიწის ზედაპირს ზოოლ. ოლქებად (ან სამეფოებად) და უფრო პატარა ტაქსონებად; ეკოლოგიური ზ. ადგენს არაორგ. და ორგ. გარემო ფაქტორების ზეგავლენას ცხოველთა გეოგრ. გავრცელებაზე. ზ-ის ყველა დარგი წარმოადგენს ერთ მთლიანს და განსხვავდება მხოლოდ ფაქტობრივი მასალისადმი მიდგომით.

ზ. მჭიდროდაა დაკავშირებული ცხოველთა სისტემატიკასთან, პალეოზოოლოგიასთან, ფიტოგეოგრაფიასთან, ფიზ. გეოგრაფიასთან, ისტ. გეოლოგიასთან, აგრეთვე ზოგიერთ ჰუმანიტარულ მეცნიერებასთან (ისტორია, განსაკუთრებით ეთნოგრაფია, არქეოლოგია). ეს დარგები ადამიანის კულტ. აღმავლობის პარალელურად გვაწვდის ცნობებს ისტ. დროში ცხოველთა სამყაროს გარკვეული ნაწილის ცვლილებათა შესახებ.

ზ., როგორც მეცნიერების წანამძღვრები, შეიქმნა XVII ს-ში (ვირტსგენი, 1605, ინგლისელი მკვლევარი სიმფსონი, 1630). უდიდესი გეოგრ. აღმოჩენების შედეგად ინფორმაციის დამუშავება-გარკვევამ, უწინარესად ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში, განაპირობა XIX ს-ში ზ-ის მეცნიერებად ჩამოყალიბება.

ზ-ის განვითარების ისტორიას ყოფენ სამ პერიოდად: პირველი პერიოდის ხანგრძლივობა თითქმის ას წელს მოიცავს (XVIII ს.). ამ დროს მოხდა დედამიწაზე გავრცელებული ცხოველთა სამყაროს სხვადასხვა ჯგუფის აღწერა, დარაიონება, ანუ ზოოგეოგრ. ოლქების გამოყოფის მცდელობა, რაც უწინარესად დაკავშირებულია შვედი მეცნიერის კ. ლინეს კვლევებთან. მეორე პერიოდი იწყება ჩ. *დარვინის* მოძღვრების გამოჩენისთანავე და საფუძველი ეყრება ისტ. ზ-ს. ამ პერიოდში ინგლისელმა ზოოგეოგრაფებმა (პ. სკლეტერი, 1858; ა. უოლესი, 1876) აღწერეს ცხოველთა გეოგრ. გავრცელება, დაარაიონეს დედამიწის ფაუნა ზოოგეოგრ. ოლქებისა და უფრო მცირე ტაქსინების მიხედვით: პალეარქტიკის, ნეარქტიკის, ნეოტროპიკების, ეთიოპიის (აფროტროპიკული), ინდო-მალაის (ორიენტალური) და ავსტრალიის ოლქები. ფაუნის წარმოშობას, რაც შორეულ წარსულში ცხოველთა გეოგრ. გავრცელებასთანაც არის დაკავშირებული, ევოლ. თეორიაზე დაყრდნობით ხსნიდნენ. მესამე პერიოდი იწყება XX ს-ში და დღესაც გრძელდება, ხასიათდება ზ-ის ,,ეკოლოგიზაციით'', ანუ ცხოველთა გარემოს, აგრეთვე ორგანიზმისა და გარემოს ურთიერთქმედების შესწავლით. ამავე პერიოდში ზ-ზე (საერთოდ ბიოგეოგრაფიაზე) გავლენა მოახდინა გენეტიკამ, თუმცა ზ-ის ღერძს მაინც ისტ. ზ. წარმოადგენს.

ზ-ში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქვეყნის ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას.

ზ-ის კვლევის ერთ-ერთი მეთოდია კარტოგრაფირება, რ-ის დროსაც რუკაზე აღინიშნება ცხოველის გავრცელების ყველა უბანი. ამგვარად განისაზღვრება სახეობის არეალი, რაც ზ-ის ძირითადი საფუძველია (ისევე როგორც სისტემატიკური ზოოლოგიისათვის – სახეობა). არეალის ფართობი განსხვავებულია. სახეობა ცხოვრობს მხოლოდ არეალის გარკვეულ უბნებში – სტაციებში, სადაც მისთვის შექმნილია ყველა საჭირო საარსებო პირობა. საარსებო პირობების გაუარესება იწვევს ცხოველთა სახეობების არეალის შემცირებას, საარსებო პირობების გაუმჯობესებისთანავე სახეობები კვლავ აღიდგენენ საწყის არეალს ან იფართოებენ მას. ამ პროცესს არეალის პულსაციას უწოდებენ.

არეალი შეიძლება იყოს უწყვეტი ანუ მთლიანი (მაგ., თეთრი მელა პოლარულად მთელს ჩრდ. ნახევარსფეროში ვრცელდება), წყვეტილი ანუ დიზუნქციური (მაგ., არჩვი ბინადრობს ალპებში, ტატრებში, კავკასიისა და ანატოლიის მხოლოდ მთიან სისტემებში).

ზოგჯერ მეზობელ ან დაშორებულ ტერიტორიაზე, მსგავს პირობებში, ერთ სახეობას ცვლის მისი მახლობელი მეორე სახეობა. ამ მოვლენას ვიკარირება, ხოლო თვით სახეობებს – ვიკარული სახეობები ეწოდებათ.



ზოოგეოგრაფია

გეოგრ. ვიკარირების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს კოლხ. ხოხბის ქვესახეობათა გავრცელება კავკასიიდან წყნარ ოკეანემდე. სახეობის არეალის დას. ნაწილი უკავია კოლხ. ხოხბის ქვესახეობას (Phasianus colchicus colchicus), ირანში ბინადრობს სპარს. ხოხობი, უზბეკეთში – ოქროსფერი და ა. შ. ამ მაგალითით ხოხბის განსხვავებული ფორმები არა მარტო წარმოშობით დგანან ერთმანეთთან ახლოს, არამედ ერთნაირი ბიოტოპებიც უკავიათ (სისტემატიკური ვიკარიატი). ზოგჯერ სხვადასხვა ქვეყანაში (კონტინენტზე) ერთნაირი ბიოტოპები უკავია სისტემატიკური თვალსაზრისით, ანდა წარმოშობით განსხვავებულ სახეობებს (კონვერგენცია, ანდა ეკოლ. ვიკარიატი). ცნობილია, რომ მაგ., ევრ. თხუნელას აფრიკაში (შესაბამის გარემოში) ცვლის ოქროთხუნელა (სხვა ოჯახიდან), ხოლო ავსტრალიაში – ჩანთოსანი თხუნელა (სხვა ინფრაკლასიდან – უმდაბლ. ძუძუმწოვრები). როდესაც ვიკარულ სახეობებს

ან სხვა ტაქსონებს უკავიათ ისეთი იზოლირებული არეალები, რ-თა ურთიერთგადაფარვა არასდროს ხდება, მათ ალოპატრიულს უწოდებენ (მაგ., ხოხობთა არეალები). სხვა შემთხვევაში ხდება სხვადასხვა სახეობათა არეალების ურთიერთგადაფარვა გარკვეულ ფართობზე. მაგ., ჩრდ. ევროპაში თეთრი და რუხი კურდღლების არეალები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, გარკვეულ ტერიტორიაზე ერთმანეთს კვეთენ. ასეთ არეალებს სიმპატრიულს უწოდებენ.

სისტემატიკურ ერთეულებს (სახეობა, გვარი და სხვ.), რ-ებიც მხოლოდ ერთ რომელიმე გარკვეულ ტერიტორიაზე ბინადრობენ, ენდემებს უწოდებენ (კავკ. ენდემებია ჯიხვი, კავკ. როჭო, კოლხური ხოხობი და სხვ.). დაკავებული ფართობის მიხედვით ენდემური სახეობა შეიძლება იყოს ვიწრო გავრცელების ენდემი (ერთი პატარა კუნძულის, მთის, ერთი ხეობის და ა. შ.) და ფართო გავრცელების ენდემი (ქვეყნის, კონტინენტისა და სხვ.). ენდემიზმის აუცილებელი პირობაა გეოგრ. იზოლაცია, ამიტომ ყველაზე უკეთ გამოხატულია კუნძულებზე (მაგ., გალაპაგოსის), კონტინენტებზე კი – იქ, სადაც რელიეფი მკვეთრადაა დანაწევრებული (მთიანი ქვეყნები). მაგ., კავკ. ენტომოფაუნაში ენდემურია სწორფრთიანების 30%, ჭიანჭველების სახეობათა – 18%, ხოლო მათი რასების – 44%, ფსილიდების – 23% და ა. შ. გეოლოგიურად უფრო ძვ. წარმოშობის კონტინენტებსა თუ ბიოგეოგრ. ზონებში ენდემიზმის დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე ახალგაზრდა წარმოშობის ანალოგიურ ადგილებში.

ისტ. თვალსაზრისით არჩევენ პროგრესულსა და რელიქტურ ენდემებს. პროგრ. ენდემებია (ნეოენდემები) სახეობები ანდა გვარები, რ-ებიც დიდი ხანი არაა, რაც ფაუნაში წარმოიშვნენ და ვერ მოასწრეს თავიანთი პირვანდელი ლოკალური არეალიდან განსახლება. რელიქტური პალეოენდემებისა ფორმირება მოხდა წარსულ გეოლ. ეპოქებში, ადრე ამ ცხოველთა არეალები გაცილებით დიდი იყო, ამჟამად კი მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიაზე – რეფუგიუმებში შემორჩნენ, ბევრი მათგანი ბუნებრივად, ადამიანის ჩარევის გარეშე, გადაშენების გზაზე დგას. მაგ., სავარაუდოა, რომ მიოცენის რელიქტი, ტროპ. წარმოშობის პეპელა *კოლხური პრამეა* დას. საქართველოში გადაშენდა 50–100 წლის წინათ. მისი ვიკარული ფორმა – თალიშური პრამეა კი, როგორც მოწყვლადი სახეობა, ჯერ კიდევ მოიპოვება.

ამა თუ იმ ზოოგეოგრ. რ-ნის ფაუნის სტრუქტურის განხილვისას ადგენენ, თუ ფაუნის რომელი ელემენტი წარმოიშვა შესასწავლი ტერიტორიის საზღვრებში ადგილობრივ და რომელი შემოიჭრა შორეულ თუ ახლო წარსულში წარმოშობის სხვა ცენტრებიდან. ადგილობრივებს უწოდებენ ავტოქთონებს, ხოლო შემოსულებს – ალოქთონებს. მაგ., კავკასიაში ჯიხვი ავტოქთონია, ხოლო ნიამორი, წინა აზიიდან შემოსული – ალოქთონი. ადამიანის მიერ სხვა ზოოგეოგრ. რაიონებში ხელოვნურად განსახლებულ ორგანიზმებს ,,შემოტანილ'' ანუ ,,ადვენტურ'' ელემენტებს უწოდებენ, ისინი ფაუნის ზოოგეოგრ. ანალიზისას სათვალავში არ მიიღებიან. ბოლო საუკუნეებში ფაუნის სახეობათა არეალების კონფიგურაციის შეცვლაში დიდი როლი მიუძღვის ადამიანს, ე. ი. ანთროპოგენურ ფაქტორს.

დედამიწის ზედაპირს, ცალკე ხმელეთსა და ცალკე მსოფლიო ოკეანეს, ყოფენ ზოოგეოგრ. ოლქებად (სამეფოებად) და უფრო მცირე ზოოგეოგრ. ტაქსონებად. იხ. *ზოოგეოგრაფიული დარაიონება.*

საქართველოს ფაუნის შესახებ ფრაგმენტულ მასალებს ვპოულობთ ძვ. ისტორიკოსთა და მოგზაურთა შრომებში. იტალიელი ა. ლამბერტი (XVII ს.) მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა კოლხეთის ფაუნაზე. საყურადღებო ზოოგეოგრ. მასალაა წარმოდგენილი *ვახუშტი ბატონიშვილის* ნაშრომში ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა'' (1745). შემდეგი დროის მკვლევართა შორის, რებიც იკვლევდნენ კავკასიისა და მასთან ერთად საქართვ. ფაუნასაც, აღსანიშნავია რუსი მეცნიერები: ლ. *ბერგი*, ი. *გიულდენშტედტი*, კ. ე. *ეიხვალდი*, კ. კესლერი, ს. კამენსკი, კ. სატუნინი და სხვ. შემდგომ საქართვ. ფაუნის ზოოგეოგრ. კვლევის შედეგები აისახა ი. ჩხიკვიშვილის, ბ. *ყურაშვილის*, დ. *კობახიძის*, ა. *ჯანაშვილის*, ა. გეგეჭკორისა და სხვათა შრომებში. *ა. გეგეჭკორი.*

ზოოგეოგრაფიული დარაიონება ხმელეთისა და მსოფლიო ოკეანისა, დედამიწისა და მისი ცალკეული ტერიტორიებისა და აკვატორიების დაყოფა ზოოგეოგრაფიულ რეგიონებად (ზოოგეოგრაფიული მონაცემების მიხედვით). ამ თვალსაზრისით ცხოველთა სამყარო იყოფა ორ ნაწილად: კონტინენტურ ფაუნად (კუნძულებისა და მტკნარი წყლების ფაუნის ჩათვლით) და ოკეანურ ფაუნად. ზოგჯერ კონტინენტური წყალსატევების ფაუნისტური დაყოფა ხდება ხმელეთის ცხოველთა სამყაროსაგან დამოუკიდებლად (ლ. *ბერგი*, 1934, 1949).

დედამიწის ხმელეთის ფაუნის დარაიონებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. 1858 ინგლისელმა ზოოგეოგრაფმა პ. სკლეტერმა ფრინველთა გავრცელების მიხედვით გლობალური ხმელეთის ფაუნა დაყო ექვს ფაუნისტურ ოლქად: პალეარქტიკის, ეთიოპიის, ინდოეთის, ავსტრალიის, ნეარქტიკისა და ნეოტროპიკების ოლქებად. 1876 ინგლისელმა ზოოგეოგრაფმა ა. უოლესმა ძირითადად ხმელეთის ძუძუმწოვრების გლობალური გავრცელების მიხედვით მიიღო პ. სკლეტერის დარაიონება, მაგრამ ინდოეთის ოლქს აღმ. ოლქი უწოდა. სკლეტერ–უოლესის დარაიონება თანამედროვე გაგებით შეესატყვისება დედამიწის ფილების რაოდენობას. იგი დღემდე აღიარებულია, თუმცა არაერთხელ შესწორდა. მოგვიანებით შემოიღეს უფრო მაღალი ტაქსონომიური რანგის დარაიონება, სადაც ნეონტოლოგიურ მასალებთან ერთად გამოიყენეს პალეონტოლ. მონაცემებიც. ასე დადგინდა ფაუნათა ისტ. კავშირები. მაგ., 1890 ინგლისელმა მეცნიერმა ა. ბლენფორდმა სკლეტერის ოლქები გააერთიანა 3 ჯგუფში – არქტოგეაში (ეთიოპიის, აღმოსავლეთის, პალეარქტიკის და ნეარქტიკის ოლქები), სამხრ. ამერიკასა და ავსტრალიაში. ამ ჯგუფებს ინგლისელმა ზოოგეოგრაფმა რ. ლიდეკერმა 1896 მიანიჭა სამეფოების რანგი. რამდენადმე მოგვიანებით ორ უკანასკნელს დაერქვა ნეოგეა და ნოტოგეა. 1957 ამერიკელმა ზოოგეოგრაფმა ფ. დარლინგტონმა არქტოგეას გადაარქვა სახელი და უწოდა მეგაგეა (იგი გაცილებით ხშირად მოიხსენიება ჰოლარქტიკად). XX ს. II ნახევრიდან ზოოგეოგრაფების მიერ ფართოდ იქნა აღიარებული ოთხი დიდი ხმელეთი – გეა (გაეა): სამეფო პალეოგეა 4 ოლქით – ეთიოპიის (აფროტროპიკული),

ინდო-მალაის (აღმოსავლეთის), მადაგასკარისა და პოლინეზიის; სამეფო არქტოგეა – ქვესამეფო პალეარქტიკა ევროპა-ციმბირის, ძვ. ხმელთაშუაზღვისა და აღმ. აზიის ოლქებით და ქვესამეფო ნეარქტიკა კანადისა და სონორას ოლქებით; სამეფო ნეოგეა ორი ოლქით – ნეოტროპიკებისა და კარიბის; სამეფო ნოტოგეა 3 ოლქით – ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და პატაგონიის.

უკანასკნელ დროს ევრ. ავტორების (გერმანელი მეცნიერი გ. ჰოლცი და სხვ., 2013) ხერხემლიან ცხოველთა ხუთივე ჯგუფის (21,037 სახეობა) გავრცელების კანონზომიერებების საფუძველზე მოხდა სკლეტერ–უოლესისეული დარაიონების მნიშვნელოვანი რევიზია. იგი განხორციელდა ინტერდისციპლინური კვლევისა (შედარებითი ეკოლოგია, ბიოგეოგრაფია, ეკოლოგია, კონსერვაციული ბიომრავალფეროვნება) და თანამედროვე ტექ. პროგრესის საფუძველზე. ამ კვლევით დედამიწის ხმელეთის ფაუნა ამჟამად დაყოფილია 11 სამეფოდ: პალეარქტიკა, საჰარა-არაბეთი, აფროტროპიკები, მადაგასკარი, ორიენტალური, სინო-იაპონია, ახალი გვინეა (ოკეანიის კუნძულებით), ავსტრალია (ახალი ზელანდიით), ნეარქტიკა, ნეოტროპიკები, ცენტრ. ამერიკა (პანამა). ანტარქტიკა მიმდებარე კუნძულებით მხედველობაში აღარ არის მიღებული. დედამიწის ხმელეთის ფაუნის უოლესისეული დარაიონება მიჩნეულია ანალოგიური, ფიტოგეოგრ. და ბიოგეოგრაფიული დარაიონების ქვაკუთხედად. ზოოგეოგრაფიულსა და დანარჩენ დარაიონებებს შორის მსგავსება გაცილებით მეტია, ვიდრე განსხვავება.

პალეარქტიკის დარაიონება სხვადასხვა ავტორის მიერ განსხვავებულია. ამ ქვესამეფოს შემადგენლობაში კავკ. რეგიონი სკლეტერ–უოლესს შეტანილი აქვთ ხმელთაშუაზღვის ქვეოლქში. თანამედროვე ზოოგეოგრ. ტაქსონომიით გაცილებით მართებულია ამ რეგიონის გაერთიანება არქტოგეას სამეფოსა და პალეარქტიკის ქვესამეფოს ორ ოლქში – ევროპა-ციმბირულსა და ირანულ-თურანულში, ანდა ჰოლარქტიკის სამეფოს ძვ. ხმელთაშუაზღვის ოლქში, ხოლო ამ უკანასკნელში – ევრ. მთის ტყეების ქვეოლქსა (მეზოფილური ცხოველები) და საჰარა-გობის ქვეოლქის ირანულ-თურანულ ზეპროვინციაში (ქსეროფილური ცხოველები).

ლიტ.: Берг Л. С., Разделение палеарктики на зоогеографические области на основании распространения пресноводных рыб, «Труды 1–20 Всесоюз. геогр. съезда», 1934, 3; Мовсовец, Рыбы пресных вод СССР и сопредельных стран, т. 3, М.–Л., 1949; Гегечкори А. М., Псиллиды Кавказа, 1984 (глава IV. Зоогеографический обзор фауны псиллид Кавказа); Крыжановский О. Л., Состав и распространение энтомофауны Земного шара, М., 2002; Holt B.G., et al., An update of Wallace's zoogeographic regions of the world, «Science», 2013, 339, 4; Olson D.M., et al., Terrestrial ecoregions of the World: a new map of life on Earth, «BioScience», 2001, 51,1.

ა. გეგეჭკორი.

ზოოვეტერინარული ინსტიტუტი, სტ. იხ. *საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი.*

ზოოლოგია (ბერძნ. zoon – ცხოველი, ცოცხალი არსება, logos – სიტყვა, მოძღვრება), მეცნიერება ცხოველების შესახებ. შეისწავლის ცხოველთა სამყაროს ნაირგვარობას, აგებულებას, ცხოველმოქმედებას, გავრცელებას, საარსებო გარემოსთან კავშირს, ინდივიდ. და ისტ. განვითარების კანონზომიერებებს. ზ. დაკავშირებულია ადამიანის მიერ ცხოველთა სამყაროს ათვისებასთან, რეკონსტრუქციასა და დაცვასთან. ზ. იყოფა დარგებად: ცხოველთა ანატომია და *მორფოლოგია ცხოველთა, ეკოლოგია, ზოოგეოგრაფია, პალეოზოოლოგია, ფიზიოლოგია,* ეთოლოგია და სხვ. იგი დაკავშირებულია სხვა ბიოლ. მეცნიერებებთან, აგრეთვე, მედიცინასა და ვეტერინარიასთან.

ცხოველთა პირველი აღწერილობა შემონახულია ძვ. ჩინეთის, ინდოეთისა და სხვა ქვეყნების წიგნებში. ზ. როგორც მეცნიერება ჩაისახა ძვ. საბერძნეთში, მის მამამთავრად ითვლება *არისტოტელე.* ზ-ში ახ. ხანა დაკავშირებულია მიკროსკოპის გამოგონებასთან. ნიდერლანდელი ნატურალისტის ა. ლევენჰუკის, იტალ. ბიოლ. და ექიმის მ. მალპიგის და ინგლ. მეცნიერის უ. ჰარვეის შრომებით საფუძველი ჩაეყარა მიკროსკოპული ორგანიზმების, ცხოველთა ორგანიზმის მიკროსკოპული აგებულებისა და ჩანასახოვანი განვითარების შესწავლას. თანამედროვე ცხოველთა სისტემატიკა ჩაისახა XVII ს. დასასრულს – XVIII ს. დასაწყისში. ფრანგმა მეცნიერმა ჟ. კიუვიემ დაამუშავა მოძღვრება ორგანოთა კორელაციის შესახებ (1801–05) და შემოიღო ცნება ,,ტიპი'' (1812). XVIII ს. დასასრულის – XIX ს. დასაწყისის სხვა გამოჩენილ მეცნიერთა (ფრანგი ზოოლოგი ე. ჟოფრუა სენტ-ილერი და სხვ.) ორგ. სამყაროს პირველი ევოლ. თეორია მოგვცა ფრანგმა ბუნებისმეტყველმა ჟ. ბ. ლამარკმა თავის წიგნში ,,ზოოლოგიის ფილოსოფია'' (1809). ზ-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ემბრიოლოგიის ფუძემდებელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს კ. ე. ბერს, რ-მაც შექმნა მოძღვრება ჩანასახოვანი ფურცლების განვითარეის შესახებ. XIX ს-ში გერმ. მეცნიერმა თ. შვანმა შექმნა უჯრედული თეორია.

ზ-ისთვის, ისევე როგორც მთლიანად ბიოლოგიისთვის, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ინგლისელი მეცნიერის ჩ. *დარვინის* ევოლ. თეორიას (1859), რ-მაც ცოცხალი ბუნების კვლევის ახ. შესაძლებლობები წარმოაჩინა. შემობრუნების ხანა გახდა მის მიერ ორგ. სამყაროს ევოლ. თეორიის შექმნა (1859), რ-მაც განამტკიცა ბუნებაზე ისტ. შეხედულებანი და აღმოაჩინა ევოლ. ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორი – ბუნებრივი გადარჩევა. XIX ს. II ნახევარში გერმ. მეცნიერებმა ე. ჰეკელმა და ფ. მიულერმა შეისწავლეს ცხოველთა ინდივიდ. განვითარების კანონზომიერებანი ევოლ. მოძღვრებაზე დაყრდნობით და ჩამოაყალიბეს ე. წ. ბიოგენეზური კანონი. თანდათან მატულობს ცხოველთა აღწერილ სახეობათა რაოდენობა (შვედი ბუნებისმეტყველის კ. ლინესათვის ცნობილი იყო 4208, XIX ს. I ნახევარში – 48000, XIX ს. დასასრულს – 412000, ხოლო ამჟამად – 1500 000-მდე სახეობა). XIX ს. II ნახევარში საფუძველი ჩაეყარა ცხოველთა ეკოლოგიას, ჰიდრობიოლოგიას, პალეონტოლოგიას. თანდათან იხვეწება ცხოველთა სისტემატიკა.

საქართველოს ცხოველთა სამყარო ძველთაგანვე იპყრობდა ევრ. მოგზაურების, მეცნიერებისა თუ მწერლების ყურადღებას. მაგ., იტალ. მოგზაური ა. ლამბერტი (XVII ს.) საყურადღებო ცნობებს იძლევა კოლხეთის ფაუნაზე. გარკვეულ მონაცემებს ცხოველების შესახებ ვპოულობთ VIII–XVI სს. ქართვ. სწავლულთა ნაწერებშიც. მეტად მნიშვნელოვანი იყო *ვახუშ-*



ტი ბატონიშვილის ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა'' (1745), რ-შიც იგი გვაცნობს საქართვ. ცხოველთა სამყაროს ყველაზე გავრცელებულ წარმომადგენლებს გეოგრ. და, ნაწილობრივ, ეკოლ. თვალსაზრისითაც. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქართველების მაშინდელი ცოდნა ზოოლოგიაში ევრ. განათლების დონეზე იდგა.

საყურადღებოა *იოანე ბატონიშვილის* ,,ხუმარსწავლა'' ანუ ,,კალმასობა'' (1813–28), ,,ბუნებისმეტყველების ენციკლოპედია'' (1814), სადაც მოცემულია სისტემატიკის პრინციპები და სხვ.

კავკ. და, კერძოდ, საქართვ. ცხოველთა სამყარომ, რ-ის შესახებ ცოტა რამ იყო ცნობილი, დააინტერესა რუსი და ევრ. მეცნიერები. XVIII ს. 70-იანი წლების დასაწყისში საქართველოში (კავკასიაში) იმოგზაურეს ს. *გმელინმა,* ი. *გიულდენშტედტმა,* რ-ებმაც დასაბამი მისცეს საქართვ. ცხოველთა სამყაროს აღწერას; მოგვიანებით, საქართველოში იმოგზაურეს და მუშაობდნენ რუსეთში მოღვაწე მეცნიერები: კ. ე. *ეიხვალდი* (1824–26), ე. მენეტრიე (1829–30), ი. კრინიცკი (1835–37), ა. ნორდმანი (1836) და სხვ. მართალია, ამ მოგზაურ-მეცნიერთა გამოკვლევები ამომწურავი არ იყო და ატარებდა ფრაგმენტულ, სამოგზაურო-სამარშრუტო აღწერილობის ხასიათს, მაგრამ მას, უდავოდ, მაინც საკმაო მნიშვნელობა ჰქონდა.

საქართვ. ცხოველთა შესწავლამ უფრო სისტემ. ხასიათი მიიღო XIX ს. II ნახევარში, როდესაც თბილისში მოღვაწეობა დაიწყო ,,რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ'' (1850), კავკ. მუზეუმმა (1852; ამჟამად ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმი), ,,სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოებამ'' (1855), ,,რუსეთის ენტომოლოგიური საზოგადოების'' განყ-ბამ (1859) და სხვ. 1863 თბილისში დასახლდა გ. *რადე,* რ-მაც ააღორძინა კავკ. მუზეუმი, შექმნა ზოოლ. განყ-ბა და გამოფენა, მოაწყო მრავალი მნიშვნელოვანი ექსპედიცია, რ-ის დროსაც შეაგროვა დიდძალი ზოოლ. საკოლექციო მასალა და დაბეჭდა მათი აღწერილობა, გამოსცა მონოგრაფია კავკ. ფრინველებზე (1884). მუზეუმი გახდა ზოოლ. კვლევის ცენტრი კავკასიაში. XIX ს. დასასრულს – XX ს. დასაწყისში საქართვ. ცხოველების სხვადასხვა ჯგუფს იკვლევდნენ რუსეთში მოღვაწე მეცნიერები: ლ. *ბერგი,* მ. ბოგდანოვი, ი. მიხალოვსკი, კ. კესლერი, ნ. დინიკი, თ. ვოლკონსკი, ბ. დომბროვსკი, ა. კობილინი, პ. ბანკოვსკი, კ. დერიუგინი, პ. ნესტეროვი, ა. ნიკოლსკი, ე. ცვეტკოვი, პ. საყვარელიძე და სხვ. თბილისში დასახლდნენ თვალსაჩინო ზოოლოგები: კ. სატუნინი (შეისწავლა ძუძუმწოვრები, ფრინველები), ბ. უვაროვი (შეისწავლა მწერები), ფ. *ზაიცევი* (შეისწავლა მწერები). მიუხედავად ამისა, საქართვ. ცხოველთა სამყაროს შესწავლა სისტემ. ხასიათს არ ატარებდა, ხდებოდა მხოლოდ ცხოველთა გარკვეული ჯგუფების ინვენტარიზაცია, რაც ცალკეულ მეცნიერთა ან მეცნ. კოლექტივების კერძო ინიციატივას ემყარებოდა.

საქართველოში ზ-ის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1918 თბილ. უნ-ტის დაარსებას, სადაც შეიქმნა ზოოლ. კათედრა; ამან კი დასაბამი მისცა ადგილ. კვალიფიციურ ზოოლოგთა კადრების მომზადებას, ზოოლ. კვლევის გაფართოებას. შეიქმნა პირველი ორიგინ. ზოოლ. სახელმძღვანელო ქართვ. სტუდენტებისათვის (გ. ჯავახიშვილი).

შემდგომ პერიოდში, თსუ-ისა და საქართვ. მუზეუმის გარდა, შეიქმნა და გაფართოვდა ისეთი დაწესებულებების ქსელი, რ-ებიც სამეცნ.-კვლ. მუშაობას ეწევიან ზოოლ. ცალკეულ დარგებში. ზოოლ. კათედრები შეიქმნა სას.-სამ. ინ-ტში, ქუთაისის, ბათუმის უნ-ტებში და სხვ. დაარსდა თბილ. ზოოპარკი, მცენარეთა დაცვის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს სამედ. პარაზიტოლოგიის და ტროპ. მედიცინის ინ-ტის ენტომოლოგიის განყ-ბა, ექსპერ. მორფოლოგიის ინ-ტი, მებაღეობის, მევენახეობისა და მელვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მცენარეთა დაცვის განყ-ბა, საქართვ. ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწ.-კვლ. ინ-ტის ზოოლ. კათედრა, ჩაისა და სუბტროპ. კულტურათა საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მცენარეთა დაცვის განყ-ბა და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სპეც. წამყვანი სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დაარსებას – თავდაპირველად სსრკ-ის მეცნ. აკად. ამიერკავკ. (შემდგომში საქართველოს) ფილიალთან (1935) სექციების სახით, 1941-იდან კი – საქართვ. მეცნ. აკად. ზოოლოგიის ინ-ტის სახით. ამ დაწესებულებებში მნიშვნელოვანი გამოკვლევები ჩატარდა ზოოლ. სხვადასხვა დარგში, გარკვეული წარმოდგენა შეიქმნა საქართვ. ფაუნაზე მთლიანობაში, გამდიდრდა ჩვენი ცოდნა ცხოველთა სამყაროს ცალკეული ჯგუფებისა და წარმომადგენლების არეალებზე, ბიოეკოლოგიაზე, მორფოლოგიაზე, ეთოლოგიაზე, სამეურნეო მნიშვნელობაზე. გარკვეული მუშაობა ტარდება ზ-ის დარგში სახელმწ. ნაკრძალებში, ,,მონკავშირის'' ორგანიზაციაში და სხვ.

სამეცნ.-კვლ. მუშაობა ზ-ში მოიცავს ფუნდამენტურ პრობლემებს, რ-ებიც ითვალისწინებენ ანატ. და მორფოლ., ფაუნისტურ, სისტემ., ეკოლ., ეთოლოგიურ, ზოოგეოგრ. და ევოლ. ხასიათის თემატიკას. ძირითადი მიმართულებაა საქართველოს და მისი მეზობელი ტერიტორიების ფაუნის ინვენტარიზაცია, ცალკეული ფორმების ბიოეკოლ. და რიცხოვნობის, სამეურნეო მნიშვნელობის შესწავლა, იშვიათი და ამოწყდომის საშიშროების წინაშე მდგომი ცხოველების დაცვისა და აღწარმოების ღონისძიებათა შემუშავება, ფაუნისტურ-ზოოგეოგრ. ანალიზი, კარიოსისტემატიკა და სხვ. მრავალწლიანი მუშაობის შედეგად საფუძვლიანად აღწერილია საქართვ. ფაუნა, გამოიცა ,,საქართველოს ცხოველთა სამყაროს'' ოთხტომეული (ტ. 1–4, 1963–73).

უხერხემლოთა ზ-ში შესწავლილია პარაზიტული უმარტივესების ფაუნა (ი. გოგებაშვილი, ლ. ბურთიკაშვილი), დიდი მუშაობაა ჩატარებული ჰელმინთების ფაუნისტურ-ეკოლ. შესწავლისათვის, მათი სახეობრივი შედგენილობის, გავრცელების, ჰელმინთოფაუნის ფორმირების ფაქტორების, სამეურნეო მნიშვნელობის გამოსავლენად, აღწერილია მეცნიერებისათვის ახ. ფორმები (ბ. *ყურაშვილი,* გ. მაცაბერიძე და სხვ.), საფუძვლიანადაა აღწერილი საქართვ. სანადირო-სარეწაო ფრინველთა ჰელმინთები (ბ. ყურაშვილი, თ. როდონაია); მნიშვნელოვანი მონაცემებია მოპოვებული ფიტოჰელმინთოლოგიასა და ნიადაგის ზ-ში, აღწერილია დორილაიმიდის გვარის თავისუფლად მცხოვრები ნემატოდების ახ. სახეობები (ი. *ელიავა,* ნ. *ბაღათურია* და სხვ.). ამ მონაცემებს სამეცნ. ინტერესების პარალე-

ლურად დიდი პრაქტ. მნიშვნელობა აქვს. მნიშვნელოვანია ენტომოლოგიური გამოკვლევები; დადგენილია საქართვ. ენტომოფაუნის სისტემატ.-ფაუნისტური შემადგენლობა, ეკოლოგია; გამოვლენილია სამეურნეო მნიშვნელობის მქონე ფორმები; დამუშავებულია მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები (ფ. ზაიცევი, ლ. *კალანდაძე*, ი. *ბათიაშვილი*, დ. *კობახიძე*, გ. *ყანჩაველი*, ზ. *ჰაჯიბეილი*, ა. ჭოლოკავა, ა. გეგეჭკორი, გ. ჯაფოშვილი და სხვ.); შესწავლილია სასარგებლო ენტომოფაგები (ვ. *იასნოში*), ტყის მავნებელი მწერები (შ. სუპატაშვილი და სხვ.), საქართვ. და კავკ. აკაროფაუნა (ჰ. რეკი, გ. *ქაჯაია*, ნ. ჯაფარიძე, მ. მერვანიძე და სხვ.); აღწერილია ახ. ფორმები; შესწავლილია ბიოეკოლოგია; საფუძვლიანადაა შესწავლილი საქართვ. და კავკ. ფსილოფაუნა (ა. გეგეჭკორი); აღწერილია საქართვ. არაქნოფაუნა (თ. მხეიძე); აღსანიშნავია საინტერესო მალაკოფაუნისტური (გ. კოკოჩაშვილი და სხვ.), ეკოლ. (ი. ელიავა, გ. ქაჯაია, ე. ყავაძე და სხვ.) გამოკვლევები.

ინტენსიურად წარმოებს საქართვ. ჰ ი დ რ ო ბ ი ო ლ ო გ ი უ რ ი და ჰიდროფაუნისტური კვლევა. ამ თვალსაზრისით შესწავლილია საქართვ. მდინარეები, ტბები, წყალსატევები (ვ. *ნიკიტინი*, ა. სადოვსკი, ლ. *კუტუბიძე*, ო. ცხომელიძე, რ. ალანიძე).

ხ ე რ ხ ე მ ლ ი ა ნ თ ა ზ-ში მნიშვნელოვანია ფაუნისტურ-ეკოლ. ნაშრომები იქთიოლოგიაში (ვ. შარვაშიძე, რ. ელანიძე, რ. შავერდაშვილი, მ. დემეტრაშვილი, თ. გოგმაჩაძე და სხვ.), ბატრაქოლოგიასა და ჰერპეტოლოგიაში (ვ. როსტომბეგოვი, თ. მუსხელიშვილი, მ. ბაქრაძე, დ. თარხნიშვილი, ვ. ჩხიკვაძე და სხვ.); საფუძვლიანადაა შესწავლილი აღმ. საქართვ. ქვეწარმავლები (თ. მუსხელიშვილი, მ. ბაქრაძე); შესწავლილია საქართვ. ორნითოფაუნა; გამოკვლეულია ფრინველთა სისტემ.-ფაუნისტური შემადგენლობა, ეკოლოგია, დაზუსტებულია რიცხოვნობა, არეალები (ი. ჩხიკვიშვილი, ლ. ჩინჩალაძე, რ. ჟორდანია); შესწავლილია ქართლის ბელურასნაირები (ლ. ჩინჩალაძე), მცირე კავკასიონის და ლიხის ქედის ფრინველები (რ. ჟორდანია), ქათმისნაირი და შავარდნისნაირი ფრინველების ბიოლოგია, გავრცელება, რიცხოვნობა (მ. კუტუბიძე); საფუძვლიანადაა შესწავლილი საქართვ. თერიოფაუნა (ა. ჯანაშვილი და სხვ.); დიდი ყურადღება მიექცა მღრღნელებისა და წვრილი ძუძუმწოვრების (მ. შიდლოვსკი, ი. ბერიშვილი, ს. კოხია, დ. მელაძე, ჯ. ბერაძე, მ. ბურდული და სხვ.), ჩლიქოსნებისა და მტაცებლების (ა. ჯანაშვილი, ზ. ექვთიმიშვილი, ა. არაბული, ზ. ჩლაიძე, ა. კაპანაძე და სხვ.) ფაუნისა და ცალკეულ ცხოველთა ბიოეკოლ. შესწავლას; გამოკვლეულია ხერხემლიან ცხოველთა შედარებითი ანატომია, ჩატარებულია შედარებით-ემბრიოლ. გამოკვლევების სერია (ლ. *ნათაძე*); საინტერესო მონაცემებია მიღებული ცხოველთა ციტოლოგიური და ელექტრონულ-მიკროსკოპული კვლევის შედეგად (გ. *კვინიხიძე*, გ. *ბახტაძე* და სხვ.); ცხოველთა სამყაროს იკვლევენ ზოოგეოგრ. (ა. ჯანაშვილი, ი. ჩხიკვიშვილი, ა. გეგეჭკორი და სხვ.) თვალსაზრისით; განვითარდა ცხოველთა ეთოლოგია (ი. ბადრიძე, ნ. კოპალიანი), ბიონიკა, ენტომოჰელმინთოლოგია (გ. კაკულია, ც. დევდარიანი, მ. ლორთქიფანიძე); კარიოსისტემატიკა (ნ. ბახტაძე და სხვ.); წარმოებასთან კავშირის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია მეცხოველეობის ბიოლ. პროდუქტიულობის (მ. *რჩეულიშვილი*, ა. დოლმაზაშვილი) და თევზების ბიოლ. პროდუქტიულობის (რ. შავერდაშვილი) შესწავლა.

ქართვ. მოსწავლე ახალგაზრდობისათვის შექმნილია საშუალო (დ. კობახიძე, ა. მაჩაბელი, ა. ჯანაშვილი, მ. ღარიბაშვილი) და უმაღლესი სკოლის (გ. *ჯავახიშვილი*, დ. კობახიძე, ,,უხერხემლოთა ზოოლოგია'', 1952; 1956; ბ. ყურაშვილი, ,,უხერხემლოთა ზოოლოგია'', 1973, 1996; ლ. ნათაძე ,,ხერხემლიან ცხოველთა შედარებითი ანატომია'', 1962; რ. ჟორდანია ,,ზოგადი ორნითოლოგია'', 1997; ,,ხერხემლიანთა ზოოლოგია'', 1997) სახელმძღვანელოები ქართ. ენაზე, სხვადასხვა ჯგუფის ცხოველთა სტაციონარული (ა. ჯანაშვილი, ლ. კუტუბიძე, მ. კუტუბიძე) და საველე (რ. ჟორდანია და სხვ.) სარკვევები, ზოოგეოგრ. სახელმძღვანელო და რუკა (ა. ჯანაშვილი, ა. გეგეჭკორი), გამოქვეყნდა ,,მოკლე ზოოლოგიური ლექსიკონი'' (ი. ელიავა, 2002).

1994–97 რ. ჟორდანიას ხელმძღვანელობით მოეწყო პირველი ქართ. ფაუნისტური ექსპედიცია თურქეთში (ტაო-კლარჯეთი, შავშეთი, არტაან-ერუშეთი), რის შედეგად გამოიცა სამეცნ. კრებული ,,ქართველი ზოოლოგები თურქეთში'' (1997). *რ. ჟორდანია. ი. ელიავა.*

ზოოლოგიის ინსტიტუტი, იღ-იას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (უნივერსიტეტს შეუერთდა 2009 წ.). დაარსდა 1941, სსრკ მეცნ. აკად. საქართვ. ფილიალის ზოოლ. სექტორის ბაზაზე. ინ-ტის პირველი დირექტორი იყო ფ. *ზაიცევი* (1941–57), შემდეგ – დ. *კობახიძე* (1957–1963), ბ. *ყურაშვილი* (1964–89), ი. *ელიავა* (1989–2005). 2006-იდან დირექტორია გ. ბახტაძე. ინ-ტის საქმიანობის მიმართულებებია: ცხოველთა მრავალფეროვნების ფუნდამენტური კვლევა; კვლევათა შედეგების პრაქტიკული გამოყენება; საგანმან. მუშაობა.

ფაუნის ფუნდამენტური კვლევა ითვალისწინებს უხერხემლო და ხერხემლიან ცხოველთა ბიომრავალფეროვნების, სისტემატიკის, ზოოგეოგრ., ეკოლ., ევოლ., რეინტროდუქციის საკითხების და კონსერვაციის შესწავლას. გარდა ამისა, შეისწავლება ენტომო და ცხოველთა პარაზიტოფაუნა. საქართვ. ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევების ეკოსისტემები და მათი ბიოპროდუქტიულობა. პრაქტ. მიმართულებით ხორციელდება მონიტორინგი და ბიოკონტროლი.

ინ-ტის საქმიანობის შედეგად შექმნილია საკოლექციო ფონდი, რ-შიც წარმოდგენილია საქართვ. ცხოველთა პრაქტიკულად ყველა ძირითადი ჯგუფი (20 ათასი ერთეული).

ზ. ი-ში 6 სამეცნ.-კვლ. ჯგუფია (ხერხემლიან ცხოველთა, ჰიდრობიოლ. და იხთიოლოგიის, ნემატოლოგიის, ენტონოპათოგენების შემსწავლელი, პარაზიტოლოგიის და კარიოსისტემატიკის) და 3 ბიოლ. სადგური ახალდაბაში, ხეკორძში და ქ. ქუთაისში.

გამოცემულია ინ-ტის შრომების 23 ტომი (დაარსებიდან 2008-მდე). ინ-ტს აქვს ბ-კა (20 ათასზე მეტი საბიბლიოთეკო ერთ.).

გ. ბახტაძე.

ზოოლოგიური პარკი, ზ ო ო პ ა რ კ ი, სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნების დემონსტრაციის, მათი შესწავლის, საბუნებისმეტყველო-სამეცნ. ცოდნის გავრცელებისა



ზოოლოგიური პარკი. თბილისი.

და გარეული ცხოველების დაცვის პროპაგანდის მიზნით ვოლიერებში, ზოგჯერ ნახევრად თავისუფალ ადგილებზე (შემოღობილ დიდ ფართობზე, რ-იც ბუნებრივ პირობებს გავს) ჰყავთ გარეული ცხოველები. გარდა ამისა, ზ. პ-ის მიზანია, შეინარჩუნოს იშვიათი და გადაშენების პირას მდგომი ცხოველების გენოფონდი.

თბილისში ზ. პ. დაარსდა 1927 საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილებით. მის მოსაწყობად მდ. ვერეს ხეობაში გამოიყო 120-მდე ჰა მიწის ნაკვეთი (2014-თვის 9 ჰა), სადაც გათვალისწინებული იყო კავკ. ანუ მხარეთმცოდნეობის, სსრკ-ის ფაუნის, ეგზოტიკური ცხოველების, სას.-სამ. ცხოველების განყოფილებების გახსნა. თბილ. ზ. პ-ში სამეცნ. მუშაობას ეწეოდნენ დ. *აგლაძე*, მ. *რჩეულიშვილი*, ა. *ჯანაშვილი*, ი. *ჯანდიერი* და სხვ. პრიმატების ფსიქიკასა და სხვა თავისებურებებს სწავლობდნენ ნ. *ძიძიშვილი* და ცხოველთა ფიზიოლ. ქართ. სკოლის ფუძემდებელი, ი. *ბერიტაშვილი*. 1931 ზ. პ-ში დაარსდა პარაზიტოლოგიის ლაბორატორია და ზოოლ. მუზეუმი. 1935 ი. ჯანდიერის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით იქვე გაიხსნა ბოიღ. სადგური, რ-იც 1938 თსუ-ს გადაეცა.

დღეისათვის თბილ. ზ. პ-ში მოქმედებს ცხოველთა კოლექციის შემდეგი განყოფილებები: მტაცებელ ცხოველთა, პრიმატების, ფრინველების, ჩლიქოსან ცხოველთა, კინოლოგიური, ეგზოტარიუმის (თევზების, ამფიბიებისა და რეპტილიების), სამეცნ.-საგანმან., ვეტ., გამწვანების, მარკეტინგისა და საზ-ბასთან ურთიერთობის განყ-ბები; აგრეთვე საზედამხედველო სამსახური, საწყობი, სამეურნეო ნაწილი. ახლანდ. მდგომარეობით ზ. პ-ის ცოცხალ კოლექციაში შედის: თევზების 146, ქვეწარმავლების 35, ფრინველების 30, ჩლიქოსნების 21, მტაცებლების 18 და პრიმატების 3 სახეობა. ზ. პ. შევსებულია ცხოველთა ახ. სახეობებით: თეთრი მარტორქა, თეთრი ლომი, აფრ. ცივეტა, აფრ. გენეტა, კატისებური ლემური, ხალებიანი აფთარი, მილკბილა, დიდყურა მელა, დაბლობის ტაპირი, ჯუჯა ცხენი ფალაბელა, შოტლანდიური პონი, ანტილოპა დიკ-დიკი, თეთრყელა ვარანი, მწვანე პითონი, ლეოპარდისებური კუ, თუთიყუში არა და ა.შ. აგრეთვე ბეჰემოტი, ინდური სპილო, აფრიკული გარეული ძაღლი; საქართვ. ცხოველთა სამყაროს ბინადარი ცხოველები: მურა დათვი, რუხი მგელი, მელა, ტურა, ჯიხვი, კეთილშობილი ირემი, შველი, გარეული ღორი; ასევე კოლხური ხოხობი, გიურზა და ა. შ.

2007 წლის 30 დეკემბერს დაიბადა მამრი ინდური სპილო. მრავლდებიან იაგუარები, თეთრი ვეფხვები, ლომები, აზავერები, ლამები, ზებრები, გარეული ღორები, ხოხბებისა და თუთიყუშების, თევზებისა და ქვეწარმავლების სხვადასხვა სახეობები. აშენდა ღია ტიპის ვოლიერები დათვების, ლომების, ვეფხვების, მგლების, აფრ. გარეული ძაღლების, ტურების, მელიების, მაჩვ-ზღარბების, მილკბილას, ნიანგებისა და ფარშავანგებისთვის. აშენების პროცესშია ახ. ვოლიერები.

2006 ზოოპარკში გაიხსნა ამერკავკასიაში პირველი ზღვის აკვარიუმი.

2006-იდან თბილ. ზ. პ. სახეობების საერთაშ. საინფორმაციო ცენტრის ISIS (International Species Information System) წევრია, ხოლო 2010-იდან – ევრ. ზოოპარკებისა და აკვარიუმების ასოციაციის – EAZA (European Association of Zoos and Aquaria) – წევრობის კანდიდატი.

თბილ. ზ. პ-ს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები აქვს როგორც ევრ. და ამერ. წამყვან, ასევე საქართველოს მეზობელი ქვეყნების, კერძოდ კი, ერევნისა და ბაქოს ზოოლ. პარკებთან.

დ. თაქთაქიშვილი.

ზოოტექნიკა (ბერძნ. zōon – ცხოველი და technē – ოსტატობა), მეცნიერება სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოშენების, კვების, შენახვისა და სწორად გამოყენების შესახებ, რ-ის მიზანია მეცხოველეობის პროდუქციის (ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, ტყავეული და სხვ.) წარმოება. ზ. შეიმუშავებს ღონისძიებებს სას.-სამ. ცხოველთა ხარისხიანი და დაბალი თვითღირებულების მქონე პროდუქციის მისაღებად. ის ემყარება თანამედროვე მეცნიერებების (ზოოლოგია, ანატომია, ჰისტოლოგია, ფიზიოლოგია, ემბრიოლოგია, გენეტიკა, ბიოქიმია, იმუნოლოგია, აგრონომია, ვეტერინარია, საკვებწარმოება და სხვა) მიღწევებს. ზ. იყოფა ზოგად და კერძო ნაწილებად. ზ ო გ ა დ ი ზ. შეისწავლის ყველა სახეობის სას.-სამ. ცხოველის მოშენების, გამრავლების, კვების, ჰიგიენის, შენახვისა და გამოყენების საკითხებს მათი ბიოლ. და სამეურნ. თავისებურებათა გამოკვლევის საფუძველზე და შეიმუშავებს საერთო კანონზომიერებებს.

კ ე რ ძ ო ზ. იმავე პრობლემებს შეისწავლის სხვადასხვა სახეობის თავისებურებათა გათვალისწინებით, ადგენს მათი რაციონალური წარმოების ტექნოლოგიას კონკრეტულ ბუნებრივ-კლიმ. პირობებთან დაკავშირებით.

ზოგადი ზ. იყოფა 3 ნაწილად: 1. მ ო მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა მოიცავს სას.-სამ. ცხოველთა სრულყოფისა და რაოდენობრივი ზრდის საკითხებს. 2. სას.-სამ. ცხოველთა კ ვ ე ბ ა სწავლობს ცხოველთა ნორმირებული კვების მეთოდებს. 3. სას.-სამ. ცხოველთა შ ე ნ ა ხ ვ ა

სწავლობს სას.-სამ. ცხოველთა შენახვის ხერხებს (ბაგური, დაუბმელი, ჯგუფური და სხვ.).

ანტ. ხანის მწერლების შრომებში გვხვდება ზოოტექ. განზოგადებანი ცხოველთა გადარჩევის, კონსტიტუციის, კვების და სხვა საკითხებზე. XVII ს-ში დაიწყო სას.-სამ. ცხოველთა კვების ნორმების დადგენის ცდები, სანაშენე მუშაობის სრულყოფა. XIX ს-ში ზ-ის განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინეს ინგლ. ჩ. *დარვინმა*, გერმ. მეცნიერებმა გ. ნატუზიუსმა და გ. ზეტეგასტმა. XX ს-ში გერმ. კ. კრონახერმა, შვეიც. უ. დიურსტმა, ინგლ. ჯ. ჰემონდმა, ო. კელნერმა, ამერ. გ. არმსბიმ, დანიელმა ნ. ფიორდმა, შვედმა ნ. ჰანსონმა და სხვ.

რუსეთში XIX ს. II ნახევარში და XX ს. დასაწყისში გამოვიდა ნ. ჩირვინსკის, პ. კულეშოვის, მ. პრიდოროგინის, ე. ბოგდანოვის, მ. ივანოვის, ა. მალიგონოვის, მოგვიანებით – ე. ლისკუნის, დ. კისლოვსკის, ი. პოპოვის და სხვათა შრომები, რ-შიც დამუშავებულია ზ-ის მრავალი პრობლემა. შემუშავდა სას.-სამ. ცხოველთა ჯიშების გამოყვანისა და სრულყოფის მეთოდები, ასევე მათი შეფასების (ბონიტირების) სისტემა, ინბრიდინგისა (ახლონათესაური შეწყვილება) და ჰეტეროზისის (შეჯვარებისა და ჰიბრიდიზაციის დროს ჰიბრიდული ძალის გამოვლინება) ბიოლ. არსისა და სანაშენე საქმეში გამოყენების პრობლემები, მეცხოველეობის ფერმებში საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სისტემები და სხვ.

საქართველოში ცხოველთა მოვლა-მოშენების კულტურა ძველთაგანვე მაღალ დონეზე იყო, რასაც მოწმობს ქართ. ტომების მიერ გამოყვანილი ჯიშები (ქართ. მთის ძროხა, იმერული და თუშური ცხვარი, მეგრული თხა, კახური ღორი, თუშური და მეგრული ცხენი, თიანეთური ინდაური, სამტრედიული ქათამი, ქართ. ფუტკარი და სხვ.). ქართ. კარაბადინებში მოცემულია ცხოველთა ექსტერიერული შეფასების, მწარმოებლების შერჩევის, მოშენებისა და გამოყენების საკითხები, აგრეთვე რეკომენდაციები მეფრინველეობის შესახებ. ვახუშტი ბატონიშვილმა (XVIII ს.) დაადგინა საქართველოს სას.-სამ. ცხოველთა გავრცელების ფარგლები და აღწერა მათი შენახვის სისტემები ბუნებრივ-კლიმ. პირობების შესაბამისად. XIX ს. I ნახ-ში ძმებმა კვარაცხელიებმა გამოიყვანეს ძროხის მეგრული წითელი ჯიში. 1850 შეიქმნა ,,კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება'', მის ბეჭდვით ორგანოებში ქვეყნდებოდა წერილები პირუტყვის ადგილ. და უცხ. ჯიშების სამეურნეო თვისებებისა და მეცხოველეობის გაძღოლის სისტემების გაუმჯობესების შესახებ. აღსანიშნავია ამ საკითხებზე ი. ანდრონიკაშვილის, რ. ერისთავის, მ. მაჩაბლის, ა. ქალანთარის ნაშრომები. ზ-ის დარგში თავდაპირველად სამეცნ.-კვლ. მუშაობა გაიშალა ი. *ჯანდიერის*, ნ. *იოსელიანის* და დ. *აგლაძის* მიერ თსუ-ში (1923), ცენტრ. ზოოტექ. საცდელ სადგურში (1927), აგრეთვე სას.-სამ. და ზოოვეტ. ინ-ტების სათანადო კათედრებზე. მოგვიანებით კვლევები გაგრძელდა სხვადასხვა სასწ. და სამეცნ.-კვლ. დაწესებულებებში. XX ს. 20-იან წლებში ნ. იოსელიანმა კრანიოლოგიურად შეისწავლა ქართ. ძროხა, თუშური ცხვრის ფენოანალიზის საკითხები. დ. აგლაძემ და მისმა მოწაფეებმა (პ. ბოლქვაძე ნ. *გოცირიძე*, გ. ჯორჯიკია, მ. ხუროძე, და სხვ.) შეისწავლეს ცხვრის მეტიზაციის, მატყლის სტანდარტიზაციის, ხევსურული ძროხის ოსტეოლოგიის, საქართვ. მეცხოველეობის გაძღოლისა და სას.-სამ. პირუტყვის სხვადასხვა სახეობის მოშენების საკითხები. მანვე თარგმნა კლასიკური ნაშრომები გენეტიკაში. ი. ჯანდიერმა ექსპედიციურად შეისწავლა მეცხოველეობის ცალკეული დარგები საქართველოს ყველა რ-ნში, ხოლო სტაციონარებსა და ლაბორატორიებში საფუძველი ჩაუყარა მათ ბიოლ.-სამეურნეო შესწავლას. ამ სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობდა კვალიფიციური ახალგაზრდა კადრების (შ. აბულაძე, ნ. ანთაძე, პ. გეგენავა, შ. *გონაშვილი*, ქ. გოჩიტაშვილი, გ. დევდარიანი, ფ. კვაშალი, ე. მებუკე, ნ. მელითაური, გ. სანიკიძე, ნ. ფირანიშვილი, ნ. ცაგარელი და სხვ.) აღზრდა.

საქართველოში ზ-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით: გ. *რცხილაძეს*, შ. აბულაძეს, ლ. ლეონიძეს და სხვ. ნ. გოცირიძემ ამიერკავკასიისა და დაღესტნის მეცნიერებთან ერთად გამოიყვანა ძროხის ახ. ჯიში, შეისწავლა საქართველოში მოშენებული ძროხების ნიშან-თვისებების ცვალებადობა. შეიქმნა ცხვრის ახ. ჯიშები (ა. *ნატროშვილი*, ი. ბაძოშვილი), შემუშავდა მეცხოველეობის (მ. *რჩეულიშვილი*, ნ. გოცირიძე, ი. პოპიაშვილი, ნ. ჩხეიძე) და საკვებწარმოების (გ. *აგლაძე*, ლ. ყავრიშვილი, ვ. ჭიჭინაძე) დარგების რაციონალურად გაძღოლის სისტემები. ა. ციციშვილმა შეისწავლა ქართ. ძროხისა და ცხვრის წარმოშობის საკითხები. მ. რჩეულიშვილმა შეიმუშავა მომთაბარე მეცხვარეობის წარმოების რაციონალური ტექნოლოგია. გ. *გოგოლმა* და ა. დოლმაზაშვილმა დაადგინეს საქართვ. მეძროხეობაში ზებუს გამოყენების ეფექტიანობა. გ. აგლაძემ დაამუშავა სათიბ-საძოვრების გაუმჯობესების და უკეთ გამოყენების კომპლ. ღონისძიებები. ჯ. *გუგუშვილმა* შექმნა ბოცვერის ახ. ჯიშური ჯგუფი.

ჩატარდა გამოკვლევები ცხოველთა იმუნოგენეტ. პარამეტრების ცვალებადობის შესასწავლად. აღსანიშნავია ს. *ერქომაიშვილის*, თ. *კობახიძის*, ა. *კოზმანიშვილის*, რ. მიჩიტაშვილის და გ. მაძღარაშვილის შრომები ცხოველთა კვების, გ. დალაქიშვილის და ლ. *თორთლაძის* – მეძროხეობის, გ. როსჩუპკინისა და ა. ღლიღვაშვილის – მეცხვარეობის, ნ. ქუმსიშვილის და ი. შუბითიძისა – მეღორეობის, რ. ნოზაძის, გ. ჭულუხაძის და ლ. ჯიქიას – მეფრინველეობის, ჯ. გუგუშვილის – მებოცვრეობის, დ. კობალავასი – მეცხენეობის დარგებში და სხვ.

XXI ს. დასაწყისიდან ზ-ის განვითარების საკითხებზე ზრუნავს *საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია*, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის სამეცნ.-კვლ. ცენტრი.

ზ-ის დარგში გაჩნდა ასოციაციები, ფირმები და კოოპერატივები. სას.-სამ. ცხოველთა სასელექციო პროგრამების განხორციელებისათვის შეიქმნა ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა; გათვალისწინებულია საკვები ბაზა, კომბინირებული საკვებისა და მისი დანამატების ინდუსტრია და სხვ. განხორციელდა სანაშენე საქმის ორგანიზაცია და განახლდა ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერება. ქვეყანაში შემოიყვანეს სას.-სამ. ცხოველთა თანამედროვე მაღალპროდუქტიული ჯიშები.

ლიტ.: აგლაძე დ., მეცხოველეობის საფუძვლები, ტ. 1–3, თბ., 1956–64;

გოცირიძე ნ., რძისა და ძროხის ხორცის წარმოების ტექნოლოგია, თბ., 1997; ხაჭაპურიძე ე., კობალაძე კ., სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა აღწარმოებისა და პროდუქტიულობის გაზრდის ზოოტექნიკური საფუძვლები, თბ., 2012; Рчеулишвили М. Д., К истории овцеводства Грузии, Тб., 1953.

ნ. გოცირიძე. ლ. თორთლაძე.

ზოოფსიქოლოგია, მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ცხოველთა ფსიქიკას, მის გამოვლინებებს ონტოგენეზსა და ფილოგენეზში, ცხოველთა ფსიქიკური პროცესებისა და ქცევის ხასიათს და მექანიზმებს. ზ-ის კვლევის არეალში შედის ადამიანისა და ცხოველის ფსიქ. ცხოვრების განსხვავებისა და მსგავსების საკითხებიც, თუმცა ეს ასპექტი ნაწილობრივ სპეც. დარგის, ე. წ. ,,შედარებითი ფსიქოლოგიის'' კომპეტენციასაც განეკუთვნება. ეს უკანასკნელი, ზ-ის გარდა, ზოგადი, სოც., ეთნ., ნეირო- და სხვა ფსიქოლ. მონაცემების საფუძველზე ერთმანეთს ადარებს ადამიანისა და ცხოველის ფსიქიკას. ზ. იკვლევს ფსიქ. და ქცევის განვითარებას ცხოველური ფსიქ. საწყისი ფორმებიდან უმაღლესამდე. ამდენად, მისი მონაცემები ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ზოგადფსიქოლ. მასშტაბის თეორ. სისტემებისთვის, სადაც განხილულია ფსიქ. ყველა ასპექტი და ფორმა. მაგ., გეშტალტფსიქოლოგია მიმართავს ზოოფსიქოლ. კვლევას, რათა აჩვენოს ფსიქ. მთლიანობის პრინციპის საყოველთაო ხასიათი; განწყობის მექანიზმის უნივერსალობის საჩვენებლად იგივე მიდგომაა გამოყენებული დ. *უზნაძის* თეორიაში; ბიჰევიორიზმი ქცევის ფსიქოლ. კანონზომიერებების დადგენას ცხოველთა ქცევის შესწავლით ცდილობს.

მეცნ. ზ. იწყება ჩ. დარვინიდან. მან გამოთქვა პირველი ვარაუდები ცხოველთა გრძნობებისა და ინტელექტის შესახებ. მისი ხაზი გააგრძელა ინგლ. ბიოლ. ჯ. რომანესმა (1848–94), რ-საც უკავშირდება ე. წ. ანთროპომორფისტული მიდგომა ზ-ში. მის პარალელურად ვითარდება ე. წ. მექანიცისტური მიდგომაც, რ-ის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია ამერ. ბიოლოგი ჟ. ლები (1859–1924). ანთროპომორფიზმი პირდაპირ მიაწერს ცხოველებს ადამიანურ თვისებებს (მსჯელობა, წარმოდგენა, ცნობიერება და სხვ.), ხოლო მექანიციზმი ცხოველს საერთოდ ფსიქ. გარეშე ტოვებს და ცოცხალ ავტომატად განიხილავს. თანამედროვე ზ-ში არსებითად ამ მიმართულებების შერიგება ხდება.

ცხოველთა გონებრივი შესაძლებლობების სისტემ. ლაბორ. შესწავლა XIX ს. მიწურულს წამოიწყო ბიჰევიორიზმის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, ამერ. ფსიქოლოგმა ე. თორნდაიკმა (1874–1949). მისი დასკვნით, ცხოველები არ აზროვნებენ – ახ. სიტუაციაში საჭირო მოქმედებას შემთხვევით, ,,ცდისა და შეცდომის'' გზით აგნებენ და დაისწავლიან. ეს მოსაზრება უარყო გეშტალტფსიქოლოგიის ერთ-ერთმა ლიდერმა გერმ.-ამერ. ვ. კელერმა (1887–1967), რ-იც ცდებს შიმპანზეზე ატარებდა. მისი მონაცემებით, ანთროპოიდები ავლენენ გონიერი ქცევის ნიშნებს, ახ. ამოცანას მიხვედრის – ე. წ. ,,ინსაიტის'' – საშუალებით წყვეტენ და მსგავს სიტუაციებზე განაზოგადებენ. ეს დაადასტურა, აგრეთვე, გამოჩენილმა ამერიკელმა ზოოფსიქოლოგმა რ. იერქსმა (1876–1959). ამის შემდეგ გავრცელდა შეხედულება ცხოველთა ფსიქ. ცხოვრების 3 დონის შესახებ: პირველ დონეზეა თანდაყოლილი, სტერეოტიპული, ინსტინქტური მოქმედება; მეორეზე – ქცევის ცვალებადი და შეძენილი (დასწავლილი) ფორმები; მესამეზე – პრიმიტიული ინტელექტუალური, გონიერი ქცევა.

ამჟამად, ცხოველების კოგნიტური ფუნქციების შესწავლის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს. მას ახ. იმპულსი მისცა მაიმუნების ენობრივი შესაძლებლობების კვლევამ, რ-მაც, მიუხედავად არაერთმნიშვნელოვანი შეფასებებისა, უფრო ანთროპომორფისტული პოზიცია გააძლიერა. ქცევის დასწავლილი ფორმების კვლევა, ამერიკული ბიჰევიორიზმის ტრადიციიდან გამომდინარე, ლაბორ. პირობებში მიმდინარეობდა. რაც შეეხება ცხოველთა ფსიქ. ინსტინქტურ გამოვლინებებს, მათ შესწავლაში XX ს. 30-იანი წლებიდან აქტიურად ჩაერთო ევრ. მეცნიერთა ჯგუფი, რ-ებიც კვლევას ბუნებრივ (საველე) პირობებში ატარებდნენ. ამ მიმართულებას ეთოლოგია ეწოდა. მის ფუძემდებლებად ითვლებიან ნობელის პრემიის ლაურეატები ავსტრიელი ეთოლოგი კ. ლორენცი (1903–89), ნიდერლანდელი ეთოლოგი და ორნიტოლოგი ნ. ტინბერგენი (1907–88) და გერმ. ეთოლოგი კ. ფრიში (1886–1982). დღეს ზ-ში ამ მიმართულებების გაერთიანება ხდება როგორც კვლევის ტაქტიკის, ასევე მისი შინაარსის თვალსაზრისით. კერძოდ, თანამედროვე შეხედულებების თანახმად, ცხოველთა ქცევების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიცავს თანდაყოლილ და შეძენილ მომენტებს.

საქართველოში ზ-ის მონაცემებს ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა. ქართ. ფსიქოლ. სკოლის ფუძემდებელი დ. უზნაძე თავიდანვე ეძებდა ცნობიერების გარეშე მიმდინარე ქცევის, სახელდობრ, ცხოველის ინსტინქტური ქცევის მიზანშეწონილობის საფუძველს. უარყო რა ინსტინქტის მექანიცისტური და ფსიქოვიტალისტური გაგება, მან მიუთითა ცოცხალი ორგანიზმის სპეც. მდგომარეობაზე, რ-შიც წინასწარ არის განსაზღვრული ცხოველის ქცევა. შემდგომში ამ ,,ბიოსფერულ'' მდგომარეობას განწყობა ეწოდა და იგი ყოველგვარი ქცევის ფსიქ. მექანიზმად იქნა მიჩნეული. განწყობის ექსპერ. შესწავლა მიმდინარეობდა როგორც ადამიანებზე, ისე ცხოველებზე დაკვირვებით. დ. უზნაძის თანამშრომლებმა – ნ. ადამაშვილმა და ნ. ჭრელაშვილმა, ე. წ. ,,ფიქსირებული განწყობის'' მეთოდის ადაპტირებული ვარიანტით გამოიკვლიეს განწყობის კანონზომიერებანი განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ ცხოველებში (ქათმები, თეთრი ვირთაგვები, მაიმუნები). კოგნიტური და ემოციური პროცესების გენეზისის კონტექსტში ცხოველთა ფსიქ. შესახებ საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა დ. რამიშვილმა.

ლიტ.: იმედაძე ი., ფსიქოლოგიის ისტორია, თბ., 2008; უზნაძე დ., განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, შრომები, ტ. 6, თბ., 1975; Палмер Д., Палмер Л., Эволюционная психология, СПб., 2003; Филипова Г. Г., Зоопсихология и сравнительная психология, М., 2007; Хайнд Р., Поведение животных, М., 1975; Boakes R., From Darvin to Behaviorism: Psychology and the Minds of Animals, N.Y., 1984.

ი. იმედაძე.

ზოროასტრიზმი, ძველად და ადრინდელ შუა საუკუნეებში ირანში, შუა აზიაში, ავღანეთში, აზერბაიჯანსა და ახლო და შუა აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანაში გავრცელებული რელიგია. ამჟამად ინდოეთში ფარსების რელიგიაა, ირანში – გებრებისა. სახელი ეწოდა წინასწარმეტყველ ზოროასტრის (ზარათუშტრა) მიხედვით. ზ-ის წმინდა კანონია ავესტა, უზენაესი ღვთაება – აჰურამაზდა, რ-ის გამო ზ-ს მაზდეანობასაც

უწოდებენ.

ზ-ის და ზოროასტრული კულტების ისტორია საქართველოში 3 პერიოდად შეიძლება დაიყოს:

1. აქემენიდური ხანიდან სასანიანთა გამეფებამდე (ძვ. წ. VI – ახ. წ. III სს.), როდესაც ზ. საქართველოში ვრცელდებოდა უპირატესად ირანთან მშვიდობიანი ურთიერთობის გზით. ამ უძველესი პერიოდის ირან.-ზოროასტრული მძლავრი გავლენის კვალი დღემდე შემორჩა ქართ. ენაში (ტაძარი, კერპი, ზვარაკი, ეშმა, ჯოჯოხეთი, მართალი, წარმართი, ბაგინი, დროშა, ანდერძი, დასტური და სხვ.). ზ. განსაკუთრებით ფეხმოკიდებული ჩანს ქართლის სამეფოს მმართველ ზედაფენაში, რისი მაჩვენებელიცაა მათ შორის გავრცელებული ირან.-ზოროასტრული თეოსოფიური სახელები (ფარნავაზი, ფარნაჯომი, არტავაზი, არშაკი, ბაგრატი, ბაკური, ბარტოში, მირდატი და სხვ.). ერთ ხანს, როდესაც ,,ქართლის ცხოვრების'' ცნობით, ქართლის სამეფო ტახტზე არშაკიანების დინასტიის ერთ-ერთი შტო დამკვიდრდა, ზ-ის რომელიღაც სახეობა სამეფო კულტის დონემდეც კი ამაღლდა. ამის საბუთი უნდა იყოს დედოფლის მინდორზე (ქარელის მუნიციპალიტეტი) აღმოჩენილი ძვ. წ. II–I სს. სატაძრო კომპლექსი, რ-იც უეჭველად უკავშირდება ცეცხლთაყვანისმცემლობას (იხ. სტ. *დედოფლის მინდვრის არქეოლოგიური ძეგლები*). მცხეთაში ძველთაგანვე არსებობდა ცეცხლთაყვანისმცემელთა – მოგვთა ცალკე უბანი და ცხოვრობდა ზ-ის მიმდევართა თემი;

2. ირანში სასანიანთა დინასტიის მეფობის ხანა (III–VII სს.), როდესაც ირანი ძალით ცდილობდა აღმ. საქართველოში ირან. სახელმწ. რელიგ. დამკვიდრებას. ამ დროს ზ. საქართველოში ქრისტიანობის უძლიერესი კონკურენტი იყო. ქართველობა ცვალებადი წარმატებით, მაგრამ განუწყვეტლივ იბრძოდა ზ-ის დანერგვის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის კვალი კარგად ჩანს იმდროინდელ ქართ. წერილობით წყაროებში (შუშანიკის და ევსტათი მცხეთელის მარტვილობები; ლეონტი მროველის, ჯუანშერის ცნობები და სხვ.). ამ ბრძოლის მიუხედავად საქართვ. ქალაქებსა და ზოგიერთ სოფელშიც არსებობდა ზ-ის მიმდევარი მოსახლეობა, ასე მაგ., მემატიანის ცნობით, ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის დროს ნიქოზში იყო ,,საგზებელი ცეცხლისა'' (ცეცხლის ტაძარი);

3. სასანიანთა იმპერიის დაცემის შემდგომი ხანა, როდესაც ზ. თვით ირანში იქცა დევნილ რელიგიად. VIII–IX სს-ში საქართველოში ხდება ზოროასტრული კულტების ერთგვარი გამოცოცხლება, რაც შეიმჩნევა ნივთიერ კულტ. ძეგლებში (გველდესის საკურთხეველი, ბროწეულის ყვავილის თავიანი საკინძები და სხვ.). ეს მოვლენა შეიძლება აიხსნას, როგორც რეაქცია არაბთა მძლავრობაზე და შედეგი ირანიდან ლტოლვილ ცეცხლთაყვანისმცემელთა შემოხიზვნისა საქართველოში. შემდგომში ზოროასტრული კულტები საქართველოში მხოლოდ გადმონაშთების სახით განაგრძობდა არსებობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში ზ-ის მიმდევართა, ალბათ, სპარსულენოვანი თემი, როგორც ჩანს, სახლობდა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. ამის უეჭველი საბუთია თბილ. ერთ-ერთ უბანში – ფეთხაიმზე დღემდე შემორჩენილი ცეცხლის ტაძრის – ,,ათეშგას'' (იხ. სტ. *ათეშგაჰი*) ნაშთები.

ლიტ.: ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, [ტ.] 1, თბ., 1966.

ი. გაგოშიძე.

ზოსიმე, XI ს. ქართველი ჰიმნოგრაფი, ათონის ლიტ. სკოლის მოღვაწე. მისი დაწერილია ილარიონ ქართველისა და ექვთიმე მთაწმიდელის საგალობლები. მასვე გადაუწერია გიორგი მთაწმიდელის რამდენიმე თარგმანი.

ლიტ.: კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

ზოსიმე (Zosimos), V საუკუნის მეორე ნახევრის ბიზანტიელი მემატიანე. თავის ,,ახალ ისტორიაში'', რ-იც მოიცავს იმპერატორების ხანის ისტ. მოვლენებს 410-მდე, მოგვითხრობს კოლხეთის სანაპიროზე, გუთების თავდასხმების შესახებ III ს. შუა ხანებში. ,,სკვითებმა'' (ასე უწოდებს იგი გუთებს), მისი თქმით, დაარბიეს მხარეები ვიდრე კაპადოკიამდე, პიტიუნტამდე და ეფესომდე. 252 გუთები ბოსფორელთა ხომალდებით მიდგომიან კავკ. სანაპიროს და თავს დასხმიან პიტიუნტს. რომაელებს დაუმარცხებიათ გუთები. რამდენიმე ხნის შემდეგ გუთებს კვლავ გაულაშქრებიათ კოლხეთის სანაპიროზე, გადმოსულან ფაზისის მახლობლად, სადაც, ისტორიკოსის თქმით, ფასიანელი არტემიდას ტაძარი და აიეტის სასახლე ყოფილა. გუთებს ვერ აუღიათ ტაძარი და კვლავ პიტიუნტს დასხმიან თავს, აუღიათ და გაუძარცვავთ იგი. შემდეგ ზღვით ტრაპეზუნტისათვის შეუტევიათ, ქალაქი აუღიათ და აუოხრებიათ. სავარაუდოა, გუთების მარცხი ფაზისთან მიუთითებს ლაზთა სამეფოს ძლიერების ზრდაზე, რ-ებმაც რომაელთა გარნიზონთან ერთად შეძლეს გუთების მოგერიება.

თბზ. [წგ.]: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ალ. გამყრელიძისა და ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1961.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970.

გ. მელიქიშვილი.

ზოსიმე II (ერისკაცობაში – ზედ ე), კუმურდოელი ეპისკოპოსი XV ს. ბოლოსა და XVI ს. შუა წლებში. აღიზარდა ქართლის მეფე *გიორგი VIII-ის* ასულის, ქეთევანის კარზე. 1515 ზ. II ბერად აღიკვეცა. ამავე წელს მოხდა მისი ეპისკოპოსად ხელდასხმაც, რასაც ადასტურებს კუმურდოს ტაძრის მინაშენზე არსებული წარწერა. ზ. II-ის დიდი წვლილი მიუძღვის იერუსალიმის წმ. მიწაზე ქართველთა უფლებების დაცვასა და კათოლიკეებისაგან გოლგოთის გამოხსნის საქმეში (XV–XVI სს. მიჯნა), რის გამოც ზ. II-ის სახელზე სამუდამო კანდელი დაიკიდა გოლგოთასა და ჯვრის მონასტერში.

2002 წ. 17 ოქტომბერს, კუმურდოს საეპისკოპოსო კათედრის აღდგენასთან ერთად, ზ. II წმინდანად შერაცხეს. წმ. მოწამე ზ. II-ის ხსენების დღეა 1(14) მაისი.

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, თბ. – ათენი, 2003.

თ. მარგველაშვილი.

ზოსიმე მესუკეველი, იხ. *მესუკეველი მოწამენი.*

ზოსიმე მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – შოთა გიორგის ძე შიოშვილი) (დ. 3. VIII. 1951, ქ. თბილისი), სასულიერო მოღვაწე. 1969, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო სპი-ში სატრანსპ. ფაკ-ტზე. 1974 ჩაირიცხა მცხეთის სას. სემინარიაში. 1975 მეორე კურსის სტუდენტი ზ. მ. დიაკვნად, ხოლო 1977 საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქის *დავით V-ის* ლოცვა-კურთხევით მღვდლად აკურთხეს. 1979 აყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში. 1978–80 მსახურობდა



ზოტიკიანთკარი. შუასაუკუნეების კოშკი.

თბილ. მამა დავითის ეკლესიაში. 1981 აღიკვეცა ბერად. ამავე დროს ასრულებდა მცხეთის სას. სემინარიის რექტორის მოვალეობას. 1980 აყვანილ იქნა არქიმანდრიტის, ხოლო 1983 – ეპისკოპოსის ხარისხში და დაინიშნა ჭყონდიდის ეპარქიის მმართველად. 1984 იყო მცხეთის სას. სემინარიის რექტორი. ამავე წელს ზ. მ. გადაიყვანეს წილკნის ეპარქიის მმართველად. დღემდე (2014) განაგებს *წილკნისა და დუშეთის ეპარქიას*. 1985–88 შეთავსებით მართავდა ურბნისის ეპარქიასაც. 1984–92 საქართვ. საპატრიარქოს საგამომცემლო განყ-ბის თავ-რე იყო. იგი მონაწილეობდა შოტლანდიაში ევრ. ეკლესიათა კონფერენციის მუშაობაში. ხელმძღვანელობდა ათონიდან ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლის საქართველოში გადმობრძანებას. 1988–89 თბილ. სას. აკად. და სემინარიის რექტორი იყო.

1996 წ. 25 დეკემბერს ზ. მ. აყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში, ხოლო 2009 წ. 26 სექტემბერს ებოძა მიტროპოლიტობა. 2007 წ. 25 დეკემბერს დაჯილდოვდა წმ. გიორგის ორდენით.

ზოსიძე რევაზ შაქირის ძე (დ. 5. VIII. 1940, სოფ. ჯაბნიძეები, შუახევის მუნიციპალიტეტი), ბიოლოგი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2000), ემერიტუსი (2010). 1967 დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტი. 1967–77 მუშაობდა ამავე ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე: 1985–2006 იყო ბიოლოგია-ქიმ. ფაკ-ტის დეკანი, ადამიანის ანატომია-ჰიგიენის კათედრის გამგე, 2006-იდან – ამავე უნ-ტის ბიოლ. დეპარტ. სრული პროფესორი.

არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი. მ. შ. ერთი მონოგრაფიისა – ,,აჭარის იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგარი ცხოველები‘‘.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

ზოტი, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (გურიის მხარე), მესხეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. გუბაზეულის (სუფსის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. სათავო სოფელი. ზ. დ. 820 *მ*, ჩოხატაურიდან 25 *კმ*. 1,2 ათ. მცხ. (2002). ზ-ში არის პირიტის საბადო (თეთრიხევის ხეობა) და თერმული მინერ. წყალი (სანისლია).

სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ბრინჯაოს ნაკეთობანი, ორნამენტიანი ქვები. შემორჩენილია ფეოდ. ხანის დიდი ქვებით ნაშენი ღობის ციხე, ასეთივე მეორე ციხე და ნასაყდრალი. XIX ს. 80-იანი წლებიდან აქ ცხოვრობს ზემო აჭარიდან გადმოსული მოსახლეობა.

სოფელში, მდ. გუბაზეულის მარჯვ. ნაპირას, დგას XIX ს. დასასრ. აგებული მეჩეთი. იგი ორსართულიანი ხის შენობაა, ინტერიერს ამკობს ხეზე ნაკვეთი ჩუქურთმები და მოხატულობა, რ-იც ქართველს – ჭან ომერს შეუსრულებია. *ნ. კახიძე. შ. საღარაძე.*

ზოტიკიანთკარი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ანანურის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ალევის ქედის აღმ. კალთის ძირას, მდ. არყალის (მთიულეთის არაგვის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 900 *მ*, დუშეთიდან 23 *კმ*. 80 მცხ. (2002).

სოფელში შემორჩენილია კოშკი.

ზოტიმერია, ზოტისმთა, მთა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მესხეთის ქედზე, მდინარეების გუბაზეულისა (სუფსის მარცხ. შენაკადი) და ქვაბლიანის (ფოცხოვისწყლის მარცხ. შენაკადი) სათავეებში. სიმაღლე 2676 *მ*. აგებულია შუაეოცენური ანდეზიტებით, ტუფებითა და ტუფ-ბრექჩიებით. კალთები დამრეცია. შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით.

ქ. ჯაყელი.

ზოფხიტო, ხეობის მყინვარი ონის მუნიციპალიტეტში, რაჭის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ. ზოფხიტურის (რიონის მარცხ. შენაკადი) სათავეში. სიგრძე 4,2 *კმ*, ფართ. 2,8 *კმ*^{2}. მყინვარის ენა ეშვება 2480 *მ* სიმაღლემდე. ფირნის ხაზის სიმაღლე 3360 *მ*.

რ. შენგელია.

ზოჰაბის ზავი 1639, დაიდო ოსმალეთსა და ირანს შორის სოფ. ზოჰაბში, კასრი შირინის მახლობლად (ლიტ-რაში ეწოდება კასრი შირინის საზავო ხელშეკრულებაც), ზ. ზ-ით დამთავრდა ოსმალეთ-ირანის ომები (1514–1639), რ-ებიც მიმდინარეობდა ახლო აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში ბატონობისათვის. ზავით საბოლოოდ დადგინდა საზღვარი ოსმალეთსა და ირანს შორის დაპყრობილ ქვეყნებზე, ხოლო ის ქვეყნები, რ-ებიც დასაპყრობი რჩებოდა, გავლენის სფეროებად განაწილდა. საზღვარი გავიდა ახალციხის, ყარსის, ვანის, შეჰრიზორის, ბაღდადისა და ბასრის აღმოსავლეთით. აზერბაიჯანი მთლიანად ირანს დარჩა, არაბ. ქვეყნები – ოსმალეთს, აღმ. სომხეთი და აღმ. ქურთისტანი – ირანს, დას. სომხეთი და დას. ქურთისტანი – ოსმალეთს.

ასევე გაინაწილეს საქართველო: აღმ. საქართველო ირანს დარჩა, დას. საქართველო და სამცხე-საათაბაგო – ოსმალეთს. ზავმა ფაქტობრივად დააკანონა საქართველოს პოლიტ. დანაწევრება, რადგან ოსმალეთი და ირანი აღმ. და დას. საქართველოს თავიანთ სამფლობელოებად თვლიდნენ და ხელს უშლიდნენ ქვეყნის გაერთიანებას. ქართველები არ ცნობდნენ ზ. ზ-ის პირობებს და იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის. ზ. ზ. არ დარღვეულა 1723-მდე, ამიტომ მას საუკუნოვან ზავსაც უწოდებენ.

ლიტ.: გაბაშვილი ვ., ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI–XVII სს.), «მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის», 1954, ნაკვ. 31; სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI–XVII სს., თბ., 1971; ჩოჩიევი ვ., ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, კრ.: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა), თბ., 1957.

მ. სვანიძე.

ზრამაგა, ციხე ისტ. *დვალეთის* ერთ-ერთ თემში – ზრამაგისხევში, რ-შიც ვახუშტი ბატონიშვილი ანსხვავებს ორ დასახლებულ პუნქტს – ზემო და ქვემო ზ-ს: ,,ქვემო ზრამაგა... ციხე დიდი, ფრიად მაგარი; იტყვიან აღშენებულსა თამარ მეფისაგან, და დაბა კოშკოვანი‘‘. ზ-ის ციხე თავისი ზომით და გეგმით მნიშვნელოვნად განსხვავდება ადგილ. საგვარეულო კოშკებისაგან. იგი აღმართულია კოშკივით წინ წამოწეულ მაღალ გორაზე, რ-ის ძირას ერთმანეთს ერთვის რამდენიმე მდინარე. ზ-ის ციხის ძირთან იწყება კასრის ხეობა. თვით ციხე ხეობის სიღრმეში იყურება. კლდე, რ-ზეც ზ. დგას, აღმ-ით შვეულად ეშვება და მიუდგომელია. კოშკის ზომაა 13 *მ* × 26 *მ*. ციხის ნაგებობის გეგმა წარმოადგენს არასწორ ოთხკუთხედს. XVII ს-ში ზ-სა და ქართლს შორის ინტენს. ურთიერთობა იყო. XVII–XVIII სს. მიჯნაზე ზ-ის წარჩინებულ გვარად და ციხის მფლობელად მოიხსენიებიან ელიყანაშვილები, რ-თა თავკაცები ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ ქართლის მეფეებთან. დვალეთს არაერთხელ შეფარებია მეფე არჩილ II, ხოლო 1689 ზ-ში მისი შვილებიც იყვნენ.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს.

ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ჯ. გვასალია.

ზრამაგისხევი, ისტორიული დვალეთის ერთ-ერთი თემი ცენტრალურ კავკასიონზე, ზრამაგისხევის მიდამოებში (მდ. არდონის მონაკვეთი ჟღელეს ხეობის შესართავიდან ზროგოს ხეობის შესართავამდე), დანარჩენ დვალეთთან ერთად შემოდიოდა საქართველოს შემადგენლობაში. 1859 მეფისნაცვალმა ა. *ბარიატინსკიმ* ზრამაგის თემი, რ-იც შედიოდა ნარის უბანში, გადასცა კავკ. ხაზის მარცხ. ფრთის ოსეთის სამხ. ოკრუგს. ეს უკანასკნელი შემდგომში შევიდა თერგის ოლქის, ხოლო 1924-იდან კი – ჩრდ. ოსეთის შემადგენლობაში. ზ-ში ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს.) ასხვავებს ორ დასახლებულ პუნქტს – ზემო და ქვემო *ზრამაგას*. ზემო ზრამაგაში ახსენებს მცირე ეკლესიას, რ-ის შირიმის ფილები უწესრიგოდ გამოუყენებიათ XIX ს-ში აგებული ახ. ეკლესიის წყობაში, ხოლო სოფლიდან მცირედით დაშორებულ ნანგრევს უწოდებენ ,,სანიბას'', ანუ ,,სამებას''.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ჯ. გვასალია.

ზრბითი, ნასოფლარი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ქვემო ქართლში, ალგეთის ხეობაში, ორბეთის ციხესთან, ზრბითის ხევზე (მდ. ალგეთის მარცხ. მხარეს). აღნიშნულია ვახუშტის რუკებზე და მოხსენიებულია ქვემო ქართლის სოფლების სიაში. ჩანს რომ, ზ. დიდი და მნიშვნელოვანი სოფელი იყო, რადგან მისი სახელი ეწოდა მთელ ხევს, სადაც მდებარეობდა ისეთი მნიშვნელოვანი ციხეები, როგორიცაა ორბეთი და ფარცხისი. ერთ-ერთი სპარს. წყარო ორბეთის ციხეს იხსენიებს როგორც ზრბითის ციხეს (ალბათ, სიახლოვის გამო). ისტ. საბუთებში მოხსენიებულია XVI ს-იდან როგორც საბარათიანოს სოფელი ზ., ზრბეთი, ზირბითი. ეკუთვნოდა აზნაურ თულაშვილებს. არსებობდა ადრინდ. შუა საუკუნეების ხანაშიც, რასაც მოწმობს აქ დაცული ორი ეკლესია. აქედან გადასახლებულმა ქართველმა მთიულებმა თავიანთი სოფლის სახელი დაარქვეს ლაკვისწყლის (ზის ხევი) სოფ. ახალშენს (ამჟამად სოფ. *ზირბითი*).

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წგ. 1, თბ., 1964.

ლიტ.: კაციტაძე დ., საქართველო XIV–XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1975.

თ. თოდრია.

ზრესი, ფასკია, ტბა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, ახალქალაქის პლატოზე, 1720 *მ* სიმაღლეზე. ზედაპირის ფართ. 1,77 *კმ*², აუზის ფართ. 48,4 *კმ*², მაქს. სიღრმე 1 *მ*, საშ. სიღრმე 0,6 *მ*. საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით – მაქს. დონეს აპრილ-მაისში აღწევს, მინიმალურს – იანვარ-თებერვალში. ტბასთან არხით შეერთებულია მდ. მურჯახეთის-წყალი (ფარავნის მარცხ. შენაკადი), იყენებენ სარწყავად.

ი. აფხაზავა.

ზროგო, ისტორიული დვალეთის ერთ-ერთი თემი, მდებარეობდა ცენტრალურ კავკასიონზე, მდ. არდონის მარჯვენა შენაკადის ზროგოსხევის მიდამოებში. დანარჩენ დვალეთთან ერთად 1859-მდე შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში, შემდეგ გადაეცა კავკ. ხაზის მარცხ. ფრთის ოსეთის სამხ. ოკრუგს. XVIII ს-სა და XIX ს. დასაწყისში თავად მაჩაბელთა მფლობელობაშია ზ-ს სოფლები: ბირეთი, ხოზიტა, თავგაზა, კოზიტა, საფადანა. ამჟამად ზ. ჩრდ. ოსეთის რესპ. შემადგენლობაშია. ვახუშტის რუკაზე თემში ხუთი დაბაა აღნიშნული. ზ-ში შემორჩენილია ქართ. ხუროთმოძღვრების XI ს. ნიმუში – ეკლესია *ხოზიტა-მარიამი*, რ-საც XIX ს-ში ჯერ კიდევ ზროგოს ღვთისმშობლის ეკლესიას უწოდებდნენ.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.

ჯ. გვასალია.

ზროხაკუდი, ძველად საქართველოში გავრცელებული ლითონის ჩასაბერი მუსიკალური საკრავი. მოიხსენიება ,,შაჰ-ნამეს'' ქართულ ვერსიებში. ს.-ს. ორბელიანის მიხედვით ,,ზროხაკუდი საყვირია მომცრო''. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით ,,ზროხაკუდი სამხედრო, სახელდობრ, საომარი საკრავი ყოფილა''. ჰქონდა ძლიერი ხმა და ხშირად იხმარებოდა *სპილენძჭურთან* ერთად. დღეისათვის საკრავი მივიწყებულია და მისი გარეგნული სახის აღდგენა ჭირს.

ლიტ.: ჩიჯავაძე ო., საკრავები ძველ საქართველოში, თბ., 2009; ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938.

ი. ჟორდანია.

ზრუნი, სამგლოვიარო ბანი მიცვალებულის დაკრძალვის ქართულ ხალხურ რიტუალში, ,,გოდების ბანი'' (ს.-ს. ორბელიანი), ,,გოდების ბანი მოტირალთაგან'' (ნ. ჩუბინაშვილი). მთის რაჭაში ტერმ. ,,ზ.'' ინდივიდ. მოთქმას და ზოგჯერ სამგლოვიარო ტექსტსაც აღნიშნავს.

ლიტ.: სიხარულიძე ქ., სამგლოვიარო ლექსები, მის წგ.: ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, [ტ.] 1, თბ., 1960; მისივე, ხალხური ხელოვნების ისტორიიდან, «საბჭოთა ხელოვნება», 1963, №5; ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938.

ნ. შამანაძე.

ზუა (zua/zuani/zuana), ურარტული წარწერების მიხედვით *დიაუხის* ერთ-ერთი სამეფო ქალაქი, ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია. სავარაუდოდ ლოკალიზდება თანამედროვე თურქ. ტერიტორიის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. ზ-ს ეტიმოლოგია უცნობია. ძვ. წ. IX–VIII სს. მიჯნაზე ურარტუს მეფე *მენუა* (ძვ. წ. 810–786) დიაუხის სამეფოში შეიჭრა, აიღო სამეფო ქალაქი შაშილუ და ბრძოლით მიაღწია ზ-მდე. მენუას სამხ. ექსპედიციის შემდეგ დიაუხის სამეფო ცენტრმა შაშილუდან ზ-ში გადაინაცვლა. ძვ. წ. 785 დიაუხის სამეფო ურარტუს მეფე არგიშთი I-მა (ძვ. წ. 786–764) დალაშქრა. აიღო და გადაწვა სამეფო ქალაქი ზ. აქვე ურარტუს მეფემ აღმართა ძლევამოსილი გამარჯვების მაუწყებელი წარწერა. ამის შემდეგ ზ. წერილობით წყაროებში აღარ ჩანს.

ლიტ.: Меликишвили Г. А., Диаухи, «Вестник древней истории», 1950, №4; мисивე, К истории древней Грузии, Тб., 1959; мисивე, Урартские клинообразные надписи, М., 1960.

თ. ჯოჯუა.

ზუბალაშვილები [იგივე ზუბაშვილები, ზუბიათი, ზუბალოვები, ხელობის მიხედვით – მესტამბისძენი, მესტამბისშვილები], სოვდაგართა, მეწარმეთა და ქველმოქმედთა ცნობილი გვარი. იხსენიებიან XVII ს. ოთხმოციანი წლებიდან. ცხოვრობდნენ სოფ. ხეთაში (გორის მაზრა), ახალციხეში (აწყური, ოცხისი), ასპინძაში (ხიზაბავრა), საჩხერეში, სიღნაღში, ქუთაისში, კახეთში, სამეგრელოში, გორში, თბილისში. წარმოშობით მესხები იყვნენ, შემდეგ კი ქართლში გადმოვიდნენ, თავდაპირველად მართლმადიდებელ სარწმუნოებას აღიარებდნენ. მოგვიანებით ამ საგვარეულოს



ლ. ზუბალაშვილი (1853–1914).



ს. ზუბალაშვილი (1860–1904).



პ. ზუბალაშვილი (1862–1903).



ი. ზუბალაშვილი (1876–1941).



ზუბალაშვილები. ნიკოლოზ ზუბალაშვილის მიერ აშენებული ,,უპოვართა თავშესაფარი''. 1906. თბილისი.

ერთმა ნაწილმა კათოლიკობა მიიღო და თბილისში, სოლოლაკში (ახლანდ. ამაღლების ქუჩა) დასახლდა, 1780 დაარსებული კათოლიკური სასაფლაო კი თავიანთ საძვალედ აქციეს.

ზ. განთქმული მესტამბეები და მწიგნობრები იყვნენ. ვახტანგ VI-ის დროის მოღვაწე მღვდელი გიორგი, სარწმუნოებით მართლმადიდებელი, ქართ. სტამბის გახსნის მონაწილე იყო. შემდეგში ვახტანგს გაჰყვა რუსეთში. ერეკლე II-ის დროს მოღვაწეობდა მესტამბე რომანოზი, ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ იმერეთში გადასახლდა და იქ განაგრძო წიგნების ბეჭდვა (1811-მდე). რომანოზის საქმიანობა გააგრძელეს მისმა შვილებმა დავითმა და გიორგიმ.

ზ-მა ადრიდანვე გაითქვეს სახელი ქველმოქმედებით.

ივანემ 1775 თბილისში ააშენა ე. წ. ,,სამათხოვრო სახლი'', სადაც ღატაკებს შეეძლოთ ღამის გათევა. ამ საქმეს მან დიდი თანხა შესწირა. ფრანცისკემ ქართლის მრავალი გლეხი ბატონყმობიდან გამოისყიდა. 1802 იაკობმა გორის მაზრის სოფლების ღარიბ-ღატაკებს, რ-თაც გასაწევი ძალა არ გააჩნდათ, უყიდა ხარ-კამეჩები და ურმები.

ზ. განსაკუთრებით დაწინაურდნენ ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად. 1805 ივანე, ანდრია და მერაბ ზ-მა ავლაბარში პურის ორი მაღაზია გახსნეს. თბილ. გუბერნიის გლეხობას აქ მოჰქონდა ფქვილი, პური. ამით გლეხობამ მიიღო გასაღების მყარი ბაზარი, მეორე მხრივ კი ჩაება სასაქონლო-ფულად ურთიერთობაში, რაც იმდროინდელი ქართვ. გლეხკაცობისათვის რთული საქმე იყო. სტეფანე ზუბალაშვილი ფართომასშტაბიან ვაჭრობას ეწეოდა ჩრდ. კავკასიაში, თურქეთში, ირანსა და განსაკუთრებით ინდოეთში. XIX ს. 20-იან წლებში რუსეთთან ვაჭრობით დაწინაურდნენ დავითი, გრიგოლი, მიხეილი. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი დიდმა ვაჭარმა და ქველმოქმედმა იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილმა (1792–1864). მას არყის სახდელები ჰქონდა ქუთაისსა და მის შემოგარენში. 1837 თბილისში დაარსდა ამიერკავკასიაში პირველი შაქრის ქარხანა, რ-ის მწარმოებლობამ 186 ათ. მან. მიაღწია და სადაც დასაქმებული იყო 300-მდე მუშა და ოსტატი. ქარხანამ 7–8 წელი იარსება და დაიხურა უმთავრესად რუსეთიდან შემოტანილი შაქრის კონკურენციისა და ადგილ. ნედლეულის უქონლობის გამო. იმავე წელს მან ააგო სასტუმრო (ახლანდ. საქართვ. ეროვნ. მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი) და მალევე საჩუქრად გადასცა ქალაქს.



ზუბალაშვილები. ზუბალაშვილების მიერ აშენებული ,,სახალხო სახლი''. 1909. თბილისი.

ძალზე მნიშვნელოვანია ზ-ის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენლის კონსტანტინე იაკობის ძისა (1828–1901) და მისი შვილების – ლევანის (1853–1914), სტეფანეს (1860–1904), პეტრესა (1862–1903) და იაკობის (1876–1941) წვლილი ქვეყნისა და მისი დედაქალაქის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში. კონსტანტინემ კარგი განათლება მიიღო. თავდაპირველად სამხ. სამსახურში იყო, მონაწილეობდა დაღესტნის ბრძოლებში, შემდეგ თადარიგში გავიდა და კომერციას მიჰყო ხელი. კონსტანტინემ სპეციალისტებთან კონსულტაციების შემდეგ ბაქოში შეიძინა ადგილები, სადაც ნავთობის არსებობას ვარაუდობდა. მალე მისი შემოსავალი ბაქოს ყველაზე მსხვილ ნავთობმრეწველთა შემოსავალს გაუთანასწორდა. ზ-მა დიდი თანხა გაიღეს თბილ. სათავადაზნაურო სკოლის (თბილ. მომავალი უნ-ტი) მშენებლობისათვის. სტეფანემ მამის ნებართვით და მხარდაჭერით, კონსტანტინეს ხსოვნის უკვდავსაყოფად, ააგო სახალხო სახლი (ამჟამად კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწ. დრამ. თეატრი), მის გვერდით – მეორე შენობაც, სადაც ბ-კა და სამკითხველო გაიხსნა. 1908 ეს შენობები ზ-მა ქალაქს გადასცეს. ააგეს აგრეთვე თბილ. მუს. სკოლის შენობა (ახლანდ. ნიჭიერ ბავშვთა სამუსიკო გიმნაზია). სტეფანე და იაკობ ზ-მა დიდი ფული გაიღეს ამჟამინდელი კონსერვატორიის მშენებლობისათვის. მათ დახმარებისათვის მიმართავდა ყველა, ვინც კი გაჭირვებაში ვარდებოდა.

როდესაც გაზ. ,,კვალის'' რედაქციას გაუჭირდა, ზ-მა მას ყოველთვიური დახმარება დაუნიშნეს. ასეთივე დახმარებას ღებულობდა გაზ. ,,ივერია'', ჟურნ. ,,მოგზაური''. მათი სახსრებით გამოვიდა ოცზე მეტი სახელმძღვანელო. ქრისტიანობის დასამკვიდრებლად აჭარაში, ქ. ბათუმში ააგეს დიდი კათოლიკური ტაძარი. სტეფანე ზუბალაშვილის გარდაცვალების შემდეგ ეს საპატიო ტვირთი ითავა მისმა უმცროსმა ძმამ იაკობმა – მისი სახსრებით გამოდიოდა გაზ. ,,ვოზროჟდენიე'', მისივე თაოსნობით განახლდა ,,ივერია'', გამოვიდა ყოველთვიური საბავშვო ჟურნ. ,,ნაკადული''. იაკობის დანიშნული სტიპენდიებით სარგებლობდნენ ზ. ფალიაშვილი, მ. ჯავახიშვილი, კ. მარჯანიშვილი და სხვ.

ნიკოლოზ ზუბალაშვილმა XX ს. დასაწყისში მოხუცთათვის ააშენა ,,უპოვართა თავშესაფარი'' (ახლანდ. ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე მდებარე ბავშვთა პირველი მუნიციპალური საავადმყოფო), რ-ის მშენებლობისათვის საჭირო თანხა – 220 ათ. მან. – მანვე გაიღო. ქველმოქმედების მასშტაბის წარმოსადგენად საკმარისია გავიხსენოთ, რომ რევოლუციამდელ რუსეთში ერთი მანეთი 980 სინჯის 1 გ ოქროს ეკვივალენტი იყო. მამულისა და ხალხის მიმართ გაწეული დიდი ამაგის გამო თბილ. ერობამ პეტრე და სტეფანე (გარდაცვალების შემდეგ), ლევანი და იაკობი 1913 წ. 1 მაისს თბილ. საპატიო მოქალაქეებად აირჩია. დედაქალაქში არის ძმები ზუბალაშვილების სახელობის ქუჩა.

ლიტ.: გ უ გ უ შ ვ ი ლ ი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX სს., ტ. 5, თბ., 1962; ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ზ., მრეწველობის წარმომადგენნი და ისტორია ზუბალაშვილების გვარისა, ტფ., 1906; ხ ო შ ტ ა რ ი ა ე., მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, [ტ.] 1, თბ., 1966.

ლ. მიქელაძე. ე. ხოშტარია.

ზუბალაშვილი ზაქარია მიხეილის ძე (1810–77), ექიმი და საზოგადო მოღვაწე. 1835 დაამთავრა ლაიფციგის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი და მიიღო მედ. და ქირურგ. დოქტორის ხარისხი, ხოლო 1836, დერპტის უნ-ტში გამოცდების ჩაბარების შემდეგ, – მკურნალის წოდება. 1837-იდან მუშაობდა დუშეთის, შემდეგ კი ახალციხის მაზრის ექიმად. 1839-იდან თბილ. მაზრის ექიმი იყო. 1844 სადისერტაციო ნაშრომისა და საექიმო დამსახურებისთვის მიენიჭა შტაბ-მკურნალის წოდება. ზ. მონაწილეობდა საქართველოში ქოლერისა (1838, 1842, 1854) და შავი ჭირის (1865) ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1846 პირველად გამოსცა ქართ. ენაზე ,,შემოკლებითი დარიგება ჯეროვანის ხმარებისათვის ქინაქინის მარილისა ადვილ-მოსარჩენად დღეგამოშვებითის ცივებისა''. ზ. კავკ. სამედ. საზ-ბის ერთ-ერთი დამაარსებელია.

ზ. ჯიჯეიშვილი.

ზუბალოვი თეოფილაქტე ანდრიას ძე (15. IX. 1915, სოფ. გუნიაყალა; ახლანდ. წალკის მუნიციპალიტეტი, – 10. IX. 1968, პიატიგორსკი), საბჭოთა კავშირის გმირი (20. XII. 1943), გვარდიის მაიორი. 1951 დაამთავრა პიატიგორსკის პედ. ინ-ტის ისტ. ფაკ-ტი (დაუსწრებლად). 1936-იდან მსახურობდა საბჭ. არმიის რიგებში. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს მდ. დნეპრის მარჯვ. ნაპირზე პლაცდარმის აღებისა და შენარჩუნების დროს გამოჩენილი მამაცობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

ზუბი, სოფელი ცაგერის მუნიციპალიტეტში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), მდ. ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს, ცაგერი –ქუთაისის საავტ. გზაზე. თემის ცენტრი (სოფლები: **ზ.**, ისუნდერი, მახურა). ზ. დ. 640 *მ*, ცაგერიდან 13 *კმ*. 630 მცხ. (2002).

ზ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში. სოფლის მიდამოებში შემორჩენილია შუა საუკუნეების ზუბის ციხის ნანგრევები. ციხე დგას მთებით შემოზღუდული ხეობის შუაში მძლავრად ამოზიდულ კონცხზე. იგი ბუნებრივად მიუვალია. მდინარის მხრიდან იცავს შვეული კლდეები და თვით მდინარე. დანარჩენი მხარეებიდან ციხე ტერასულად განლაგებულ ბაქნებზე აშენებული დამატებითი ზღუდეებით იყო გამაგრებული. გალავანი რელიეფს მიჰყვება და ქმნის სამკუთხა ბაქანს, რ-ის შუაში ცალი მხრიდან ბურჯით გამაგრებული დიდი ოთხკუთხა კოშკია, ციხის ეზოს ჩრდ. კუთხეში კი – ნახევარწრიული საბრძოლო ბურჯი. აღმ-ით არის დიდი ბურჯით გამაგრებული კუთხის მრგვალი კოშკის ნაშთი, მის ძირში კი – რეზერვუარი წყლისთვის. ციხე ნაგებია უხეშად დამუშავებული კლდის ქვით, რ-საც ალაგ-ალაგ მოშინდისფრო ან ყვითელი ფერი დაჰკრავს. კედლების წყობა სხვადასხვაგვარია. ციხე მოგვიანებით საფუძვლიანად შეუკეთებიათ.

სოფლის ტერიტორიაზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვ. ნაპირზე, შემთხვევითაა აღმოჩენილი შუა ბრინჯაოს ხანის შავპრიალა თიხის დაბალი, სამყურიანი ჭურჭელი და ელინური ხანის ბრინჯაოს 2 სამაჯური.

მასალა ინახება ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ნ. სულავა.

ზუბი, სოფელი ხობის მუნიციპალიტეტის ახალხიბულის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ხობის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 60 *მ*, ხობიდან 22 *კმ*. 825 მცხ. (2002).

ზ. დატანილია იტალ. მისიონერის ა. *ლამბერტის* (XVII ს.) რუკაზე.

ზუბი, სოფელი ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის დაბლობზე, მდ. ხობის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 60 *მ*, ხობიდან 15 *კმ*. 890 მცხ. (2002).



ზუბუნი.

ზუბუნი, მამაკაცის მოკლე *ახალუხი*. ზ. გრეხილითა და საოლეველით (არშიით) იყო გაწყობილი, საყელო და საგულე მოქარგული ჰქონდა. იკვრებოდა ლითონის ან ძაფის ღილებით, ან დედალ-მამალი ხრიკით. საზაფხულო ზ. მეტწილად უსახელო იყო, საზამთრო – სახელოებიანი და დაბამბული. გავრცელებული იყო გურიაში, აჭარაში, მესხეთ-ჯავახეთში, ლაზეთსა და, ნაწილობრივ, სამეგრელოშიც (აჭარაში ზ-ს ქალის ხიფთანსაც უწოდებდნენ).



ზუგდიდი. ქალაქის საერთო ხედი.

ლიტ.: ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ი., მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, თბ., 1954. *ც. ბეზარაშვილი.*

ზუგდიდი, თვითმმართველი ქალაქი დას. საქართველოში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე). ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრი. მდებარეობს ოდიშის დაბლობზე, მდ. ჩხოუშის (ჯუმის მარჯვ. შენაკადი) ორივე ნაპირას. ქალაქში არის რკინიგზის სადგური, წარმოადგენს საავტ. გზების კვანძს. ზ. დ. 110 *მ*, თბილისიდან 339 *კმ*. 68,9 *ათ*. მცხ. (2002).

ჰავა ზღვის ნოტიო სუბტროპიკულია, იცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 13,8°C, იანვ. საშ. ტემპრა 4,9°C, აგვ. 22,7°C; აბსოლ. მინ. –17°C, აბსოლ. მაქს. 40°C. ნალექები 1620 *მმ* წელიწადში.

ზ. წერილობით წყაროებში პირველად XVI ს. 70-იან წლებში იხსენიება, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ დასახლება ბევრად ადრე არსებობდა. სავარაუდოა, რომ ზ. XIII–XIV სს. მიჯნიდან ოდიშის (სამეგრელო) საერისთავოს ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა, ხოლო საერისთავოს სამთავროდ გადაქცევის (XVI ს. შუა ხანები) შემდეგ სამთავროს პოლიტ. ცენტრი გახდა.

ძვ. ზ. მდებარეობდა მდ. სინწის მარჯვენა მხარეს მდებარე გორაკზე (ზურგა), რ-იც ახლომახლო არსებული შემაღლებული ადგილებისგან სიდიდით გამოირჩეოდა. აქედან მიიღო სახელწოდება ,,ზუგდიდი'' (პირვანდ. ფორმა – ზურგდიდი). ძველი ზ-იდან შემორჩენილია წმ. გიორგის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი, რ-იც აშენებულია XIV ს. I ნახ-ში ადრე არსებული მაცხოვრის ეკლესიის ადგილზე (შესაბამისად ამ ადგილს მაცხვარკარი/მაცხოვრისკარი ეწოდება), და XIII–XIV სს. ციხე-კოშკის ნაშთი. XVII ს. I ნახ-ში აქ მდგარა დადიანების ციხე-დარბაზი, რ-ის ნახატი შეტანილია ქრისტეფორე *კასტელის* (XVII ს. I ნახ.) ალბომში, ხოლო სიტყვიერი აღწერილობა – რუსი ელჩების ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ანგარიშებში (1639–40).



ზუგდიდი. ცენტრალური მოედანი.

ახალ ზ-ს საფუძველი ჩაეყარა XVII ს. I ნახ-ში, როდესაც სამეგრელოს მთავარმა *ლევან II დადიანმა* გორაკის მიმდებარე ველზე ააგო ახ. ორსართულიანი სასახლე გალავნით, ციხე-კოშკითა და კარის ეკლესიით. მთავრის რეზიდენციის ველზე გადმოტანას მოჰყვა მის გარშემო ახ. დასახლების შექმნა და გაფართოება, რამაც ძვ. და ახ. ზ. ერთიან დასახლებულ პუნქტად აქცია.

ზ-ის განვითარებაში გარკვეული კვალი დატოვა XIX ს. 30–40-იან წლებში *დავით დადიანის* მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა, რამაც ზ. ხელოსნობისა და ვაჭრობის მნიშვნელოვან ცენტრად აქცია. მის ცენტრ. ნაწილში აშენდა სახელოსნოები, სავაჭრო დუქნები, საზ. დაწესებულებები და ა. შ.; შეიქმნა პირველი საწარმოები: აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა, სპირტის სახდელი ქარხანა, სამშ. მასალების დამამზადებელი საწარმო და სხვ. განახლდა მთავრის რეზიდენციაც – დავითმა ააგო ორი ახ. (სარეზიდენციო და სამეჯლისო) სასახლე (იხ. *დადიანების სამთავრო რეზიდენციები*) და კანცელარიისა და უზენაესი სასამართლოს შენობები. 1840 დავითმა და *ეკატერინე დადიანმა* დაიწყეს სასახლესთან დეკორ. ბაღის გაშენება (იხ. *ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი*).

ყირიმის ომის (1853–56) დროს, 1855 წ. 26 ოქტომბერს, ზ. ოსმ. საოკუპაციო ჯარმა დაიკავა. იმავე წლის დეკემბერში სამეგრელოს სახ. მოლაშქრეთა (მილიციის) რაზმი გ. ლ. *დადიანის* მეთაურობით თავს დაესხა და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ზ-ში დაბანაკებულ ოსმალთა გარნიზონს. უკან დახევისას (1856 იანვარი) ოსმალთა რაზმმა მეთაურის ისკანდერ-ფაშას ბრძანებით გაძარცვა, შემდეგ კი დაწვა დ. დადიანის მიერ აშენებული მთავრის სარეზიდენციო და სასტუმრო (ე. წ. ჯვარედინა) სასახლეები, სასამართლოს, კანცელარიის და სხვ. ნაგებობები, აჩეხა და გააპარტახა ბოტან. ბაღი, მოქალაქეთა დუქნები, სახე-

ლოსნოები, საცხოვრ. სახლები, ძაფსახვევი ფაბრიკა და სხვ. ამას დაერთო გლეხთა ფართომასშტაბიანი ავჯანყება (იხ. *სამეგრელოს გლეხთა ავჯანყება 1856–57*), რ-ის ტალღა ზ-საც მიწვდა. 1857 მაისში ზ. რამდენიმე დღით ავჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა. გლეხთა ავჯანყება რუს. მთავრობამ საბაბად გამოიყენა და სამეგრელოს სამთავროს ავტონომია ფაქტობრივად გააუქმა (ფორმალურად სამთავრო 1867-მდე განაგრძობდა არსებობას), მთავრის ტახტის მემკვიდრის *ნიკო დადიანის* სრულწლოვანებამდე სამთავროს მმართველად დანიშნული ეკატერინე ტახტის მემკვიდრესთან ერთად რუს. იმპერატორმა პეტერბურგში გაიწვია, სამეგრელოში კი რუს. მმართველობა შემოიღო და სამ ოლქად დაყო. ერთ-ერთი ოლქის ადმ. ცენტრი ზ. გახდა.

ზ-ის ეკონ. და კულტ. განვითარებას ახ. იმპულსები შესძინა ბატონყმობის გაუქმებამ (1867). დაარსდა საკრედიტო საზ-ბა და საკრედიტო ბანკი. ვაჭრობა-ხელოსნობის შემდგომმა აღმავლობამ და შემოსავლების ზრდამ ხელი შეუწყო საქალაქო მეურნეობის განვითარებას. შეიცვალა ქალაქის იერსახეც. მის ცენტრ. ნაწილში ზ-ის ოლქის უფროსის რ. დ. *ერისთავის* თაოსნობით გაშენდა ჭადრების ხეივანი, რ-ის გაყოლებაზე ერთ მხარეს ჩამწკრივდა სახელოსნოები და კომერციული ობიექტები, მეორე მხარეს – საზ. დაწესებულებები (სასამართლო, ფოსტა, ტელეგრაფი და ა. შ.); გაიხსნა სხვადასხვა საფეხურის სახაზინო, სამრევლო და კერძო სკოლები, გიმნაზია, პროფ. სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, საფუძველი ჩაეყარა თეატრ. ცხოვრებას. მზრუნველი ხელი დაეტყო ყოფილი მთავრების რეზიდენციასაც, რ-იც სამეგრელოს სამთავროს იურიდ. გაუქმების შემდეგ უკანასკნელი მთავრის მემკვიდრეების კერძო საკუთრებად იქცა. სამშობლოში დაბრუნებულმა ეკატერინე დადიანმა ლევან II დადიანის დროინდელი სასახლე გადააკეთა არქიტ. ე. რაისის გეგმით. ძვ. სასახლეს მარცხ. მხარეს სამსართულიანი კოშკი, დავით დადიანის აგებულ ფლიგელს კი მთელ სიგრძეზე ხის აივანი მიაშენეს, რ-იც კოშკსა და ფლიგელს შუა მოქცეულ ხისავე ფართო აივანს შეუერთეს, მოაპირკეთეს ფასადი და ფრონტონებიც დაამშვენეს. ხეზე კვეთის ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს აივნის ჩუქურთმები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფართო აივნის ჭერის შემკულობა, რ-იც დაახლ. ათი ათასამდე ხელით დამუშავებული ხის მცირე ზომის ფიგურისგან შექმნილ მოზაიკას წარმოადგენს. გადმოცემის მიხედვით, მოზაიკის ფიგურების განსხვავებული ფერების მისაღებად, ისინი თაფლში მოხარშეს, ოღონდ სხვადასხვა ტემპერატურაზე, აივნის ჩუქურთმები კი დედოფლის მიერ საგანგებოდ მოწვეულმა ლაზმა ოსტატებმა დაამზადეს.



ზუგდიდი. იუსტიციის სახლი.

დეკორ. ბაღის აღსადგენად ეკატერინემ იტალიიდან, ქ. ვარესედან (მდებარეობს მილანთან ახლოს) მებაღე-დეკორატორები გ. და ჯ. ზამბერლეტები მოიწვია. ბაღს დაუბრუნდა პირვანდელი იერსახე და დანიშნულება. იმავე ხანებში ნიკომ არქიტ. ვასილიევის პროექტით ახ. ორსართულიანი სასახლე ააშენა.

1917 ზ-ს მიენიჭა ქალაქის სტატუსი. იმავე წლის 1 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების შემდეგ შეიქმნა საქალაქო თვითმმართველობა. საქართველოს დემოკრ. რესპ. დროს, 1919, ჩატარდა აღგილ. თვითმმართველობის არჩევნები, რ-ის შედეგად ჩამოყალიბდა ზ-ის სამაზრო ერობა და მისი გამგეობა.

1921, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ზ. მაზრის ადმ. ცენტრად რჩებოდა. 1929, ადმ. რეფორმის შემდეგ, ზ. რაიონის ცენტრი გახდა. 1966 ზ-ს მიენიჭა რესპ. დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი, 2014 აგებულ. თვითმმართველობის კანონის თანახმად – თვითმმართველი ქალაქისა.

ზ-ში ლიტ. საქმიანობა ადრეული ხანიდან შეინიშნება. ხელნაწერთა გამრავლებაზე ზრუნავდნენ *ლევან I დადიანი, გიორგი III*



ზუგდიდი. სამხარეო ადმინისტრაციის შენობა.

დადიანი და სხვ.

ლიტ. მუშაობა გაცხოველდა ლევან II დადიანის კარზე, სადაც მოღვაწეობდნენ მ. *თავაქარაშვილი* და ბ. *ვაჩნაძე*. XVII ს. II ნახევარში აქ შეიქმნა პოპულარული საზღაპრო თხზ. ,,რუსუდანიანი''. ბეჟან დადიანის კარზე მოღვაწეობდა პეტრე *ჩხატარაისძე*. ინტენსიურად მრავლდებოდა ხელნაწერები. ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდნენ ნ. გ. *დადიანი*, გ. ლ. დადიანი და სხვ. დადიანთა წიგნსაცავიდან მოღწეულია ხელნაწერთა მდიდარი კოლექცია.

ზ-ში არის ჩაის პირველადი გადამუშავების, თხილის გადასამუშავებელი, ეთეროვანი ზეთების მწარმოებელი, საფეიქრო, საკონსერვო, ღვინის, ყველ-კარაქის, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების, პურის, ხორცპროდუქტების და სხვ. საწარმოები. 2002-მდე ფუნქციონირებდა ,,*ზუგდიდის ფაიფური*''. უმნიშვნელო დატვირთვით მუშაობს ,,*ენგურქაღალდკომბინატის*'' რამდენიმე საწარმო.

ზ-ში არის სკოლამდელი დაწესებულებები, სავჭარო, სამუსიკო და სპორტ. სკოლები, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, ქორეოგრ. სტუდია, *ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი*, *ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*, პროფტექ. სასწავლებელი, ჩაის, სუბტროპ. კულტურების და ჩაის მრეწვ. ზუგდიდის სამეცნ. ცენტრი, ბიბლიოთეკები, *დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი*, სასტუმროები, *ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი*, კულტსახლი, კინოთეატრი, *ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრი*, კულტ. და დასვენების პარკები, სამედ. დაწესებულებები, სპორტ. კომპლექსი, იპოდრომ-სტადიონი, ტურბაზა.

ქართ. ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან შემორჩენილია სამეგრელოს მთავრების – დადიანების სასახლე, ეკლესია და სხვა ნაგებობანი (ძირითადად XIX ს.). ქალაქის განაპირას, გორაკზე, აღმართულია, სავარაუდოდ, XIV ს. II ნახევრის ჯვარგუმბათოვანი ეკლესია, რ-ის დას. კარიბჭეზე სამრეკლოა დაშენებული. თლილი კვადრებით მოპირკეთებული ეკლესიის კარ-სარკმლები მოჩუქურთმებულია. ქალაქის ცენტრი გამწვანებულია, ქუჩები განაშენიანებულია საცხოვრ. სახლებით, ადმ. და საზ. ნაგებობებით.

ლიტ.: მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, ნაკვ. 2, თბ., 1962; მ ე ს ხ ი ა შ., ზუგდიდი თუ ზუბდიდი, «ორიონი», ა. შანიძისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1967; მ ე უ ნ ა რ გ ი ა ი., დავით დადიანი და მისი დრო, თბ., 2002; ტ უ ღ უ შ ი ა., ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან, თბ., 2012. *გ. არახამია.*

პ. ზაქარაია. კ. კაჭარავა. ლ. მენაბდე. მ. შენგელაია.


ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ეპარქია. 1995 წ. 5 აპრილის საქართვ. ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე აღდგა 1923 გაუქმებული ცაიშის საეპისკოპოსო კათედრა და ახლად აღდგენილ სამღვდელმთავროს **ზ. და ც. ე.** ეწოდა. იგი მოიცავს ქალაქებს: ზუგდიდს, წალენჯიხას და მათ მიმდებარე ტერიტორიას. მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ჭყონდიდის, დას-იდან – ცხუმ-აფხაზეთის, ჩრდ-იდან – მესტიისა და ზემო სვანეთის, სამხრ-იდან – ფოთისა და სენაკის ეპარქიები.

საეკლ. ტრადიციის თანახმად, ამ მხარეში წმ. მოციქულებს – ანდრია პირველწოდებულს, სვიმონ კანანელსა და მატათას უქადაგიათ და პირველი ქრისტ. თემისათვის ეკლესიაც დაუფუძნებიათ.

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, გაშენებულია ქ. ზუგდიდში, დადიანების სამთავრო რეზიდენციასთან. ბაღს ეკავა 26 ჰა ფართობი. დეკორ. ბაღის მშენებლობას ზუგდიდის სამთავრო რეზიდენციასთან საფუძველი ჩაეყარა 1840 სამეგრელოს მთავრის მემკვიდრის *დავით დადიანისა* და მისი მეუღლის *ეკატერინე დადიანის* მიერ. ამ მიზნით პარიზიდან (ვერსალის ბაღიდან) გამოიწერეს სხვადასხვა ჯიშის მცენარეთა თესლი და ნერგები. მშენებლობის ხელმძღვანელად ქ. ტრიესტიდან მოიწვიეს მებაღე – დეკორატორი ჟ. ბაბინი. ბაღის მშენებლობაზე ზრუნვა მთლიანად დედოფალმა იტვირთა. მოეწყო სანერგე და ორანჟერეა, რის შემდეგაც ჟ. ბაბინის პროექტის მიხედვით საბაღე ფართობი ფრანგულ სიმეტრიულ სტილზე დაგეგმარდა. პირველ რიგში გაკეთდა ვრცელი ხელოვნური ტბა თავისი კუნძულითა და ნახევარკუნძულით. ტბის მუდმივი წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად მდ. ჩხოუშიდან გამოიყვანეს არხი. საბაღე ფართობი მალე ადგილ. და უცხ. ჯიშის მცენარეებით, ყვავილნარებით, გაზონებით დაიფარა. **ზ. ბ. ბ-ს** დიდი ზიანი მიადგა *ყირიმის ომის 1853–56* დროს, რ-ის ასპარეზად აფხაზეთ-სამეგრელოც იქცა. ოსმ. საოკუპაციო ჯარებმა 1855 ოქტომბერში ზუგდიდიც დაიკავეს. უკანდახევისას ზუგდიდში დაბანაკებული ოსმ. გარნიზონის მეთაურის ისკანდერ-ფაშას ბრძანებით გადაწვეს და გაანადგურეს მთავრის რეზიდენცია, პირწმინდად აჩეხეს ბოტან. ბაღის ნახევარი, დანარჩენი სრულიად გააპარტახეს, გააჩანაგეს ორანჟერეა (1856 იანვარი). ომის დამთავრების შემდეგ სამეგრელოს სამთავროს მმართველი ეკატერინე დადიანი ენერგიულად შეუდგა ბაღის აღდგენას, თუმცა მალევე რუს. იმპერატორის ბრძანებით სამთავრო დაატოვებინეს და პეტერბურგში ხანგრძლივი დროით გაიწვიეს, საიდანაც სამთავროს გაუქმების შემდეგ (1869) დაბრუნ-



ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი.



ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი.

და, როგორც კერძო პირი. მას და მის შვილებს, იმპერატორის ბრძანებით, მემკვიდრეობით გადაეცათ ყოფილი სამთავრო რეზიდენცია და ბოტან. ბაღი ზუგდიდში. ეკატერინემ განაახლა ბაღის აღდგენითი სამუშაოები. მისი გარდაცვალების (1882) შემდეგ ბაღის მოვლა-პატრონობაზე ზრუნავდა *ნიკო დადიანი,* რ-მაც 1896 იტალიიდან, ქ. ვარესედან (მდებარეობს მილანის ახლოს) მებაღე-დეკორატორები ძმები გაეტანო და ჯოვანი ზამბერლეტები მოიწვია. მათ ბაღის თავდაპირველი დაგეგმარება ძირითადად ხელუხლებელი დატოვეს, შეავსეს მხოლოდ დანაკლისი, გააფართოვეს ბაღის ტერიტორია და გააგრძელეს ბზისა და სხვა ხეების ხეივნები, შემოიტანეს მრავალი დეკორ. ჯიშის ეგზოტიკური მცენარე, აღადგინეს ხელოვნური ტბა, მოაწესრიგეს ოსმალთა მიერ აჩეხილი რცხილების ხეივნების ამონაყარი. ამით დადიანების ბაღს დაუბრუნდა პირვანდელი იერსახე და დანიშნულება.

ნიკო დადიანის გარდაცვალების (1903) შემდეგ 1917-მდე ბაღს დადიანების სხვა ქონებასთან ერთად იცავდა და განაგებდა მათი რწმუნებული, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში (1918–21) – ზუგდიდის ერობა.

1922 ზ. ბ. ბ-ს განაგებდა განათლების სახ. კომისარიატი, 1924-იდან 1926-მდე ბაღი გადავიდა სას.-სამ. ტექნიკუმის გამგებლობაში, 1926-იდან საქართვ. სსრ მიწსახკომის განკარგულებით იგი დაექვემდებარა *თბილისის ბოტ. ბაღს.* ბაღი ერთხანს ზუგდიდის ქალაქის საბჭოს კულტ. და დასვენების პარკადაც იქცა. საქართვ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის დადგენილებით, ზ. ბ. ბ. გადაეცა საქართვ. მეცნ. აკად. ცენტრალურ ბოტანიკურ ბაღს და ეწოდა: საქართვ. სსრ მეცნ. აკად. ცენტრალური ბოტანიკური ბაღის ზუგდიდის ფილიალი. მოკლე ხნის განმავლობაში ბაღში შესრულდა შრომატევადი სამუშაო, ბაღის სანერგეში შეიტანეს 350 ახალი სახეობისა და სახესხვაობის ნერგი. 1998 ზ. ბ. ბ. და ზუგდიდის ისტ. მუზეუმი გაერთიანდა საქართვ. მეცნ. აკად. რეგიონულ სამეცნ. ცენტრში, რ-ის ლიკვიდაციის (2007) შემდეგ ზ. ბ. ბ. გადავიდა საქართვ. ეკონ. და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში, ხოლო მასზე ზრუნვა იკისრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ.

ზ. ბ. ბ-ში ოთხმოცამდე გვარის მრავალი სახეობის ხე, ბუჩქი და მცენარე იზრდება. ბაღი გაშენების დღიდან ძვირფას მცენარეთა ინტროდუქციის კერად იქცა სამეგრელოში, საიდანაც ასობით უცხო მცენარე ფართოდ გავრცელდა მოსახლეობაში, გაშენდა მრავალი ბაღი, სკვერი და პარკი სოფლებში, დაბებსა და ქალაქებში. ბოტან. ბაღის ნიადაგი საშუალო ეწერი, თიხიანია. ქვენიადაგი ხასიათდება უძველესი მდინარის ნაფენებით. ფიზ. თვისებების მიხედვით ნიადაგის ზედა ფენები (20 *სმ* სიღრმე) სუსტი გოროხოვანია, მის ქვემოთ კი – უსტრუქტურო. აერაცია ზედა ფენებში კარგია, ქვედა ფენებში – სუსტი. ქვედა თიხიან ფენებში შეიმჩნევა დაჭაობების ნიშნები. ნიადაგი სიღრმეში თითქმის ყოველთვის ტენიანია.

ინტროდუცენტები გეოგრ. წარმოშობის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: აღმოსავლეთ აზია (ჩინეთი, იაპონია, კორეა, ინდოეთი), ჰიმალაი, მცირე აზია (ირანი და ავღანეთი), ლენქორანი, შორეული აღმოსავლეთი, ხმელთაშუა ზღვა, ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა, მექსიკა, კანარისა და მადეირის კუნძულები, ავსტრალია და ახალი ზელანდია.

ლიტ.: ბალანჩივაძე შ., ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ეგზოტიკური მერქნიანი მცენარეები, თბ., 1975; ბოროზდინი კ., სამეგრელო და სვანეთი 1854-1861 წწ., თბ., 2004; გიორგბერიძე ჯ., საქართველოს ძველი ბაღები და პარკები, თბ., 1985; გოგია ი., ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, «ზუგდიდის მუზეუმის შრომები», ტ. 1, თბ., 1947; მეუნარგია ი., დავით დადიანი და მისი დრო, თბ., 2002.

გ. არახამია.



ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი.

ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, დაარსდა 1991 წ. 3 დეკემბერს. ზ. დ. უ-მა 2004 მიიღო პირველი ინსტიტუციური აკრედიტაცია, 2006 კი – მეორე; 2007 წ. 30 ოქტ. განათლების ეროვნ. ცენტრის უმაღლესი საგანმან. დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ზ. დ. უ-ის კონტინგენტი განისაზღვრა 770 სტუდენტით; 2008 წ. 10 ნოემბერს – 1137 სტუდენტით, ხოლო 2010 წ. 12 იანვარს – 1828 სტუდენტით.

უნ-ტის დაფინანსების წყაროებია სტუდენტთა სახელმწ. გრანტები და კერძო შემოწირულობები.

ზ. დ. უ-ში არის დღის სწავლების სამსაფეხურიანი სისტემა: ბაკალავრიატში – 4 წელი (240

კრედიტ-საათი), მაგისტრატურაში – 2 წელი (120 კრედიტ-საათი), დოქტორანტურაში – 3 წელი (180 კრედიტ-საათი); უნ-ტი იძლევა ერთსაფეხურიან სამედ. განათლებას – 5 წელი (300 კრედიტ-საათი); მოქმედებს უმაღლესი პროფ. საგანმან. პროგრამები, სწავლების ხანგრძლივობა – 2 წელი (140 კრედიტ-საათი).

ზ. დ. უ-ში ფუნქციონირებს: ჯანდაცვის, ჰუმანიტარული, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკ-ტები; ქიმიისა და ფარმაციის, სტომატოლოგიის, ზოგადსამედიცინო, ენებისა და ლიტ-რის, ზოგადეკონომიკური დისციპლინების და სამართალმცოდნეობის კათედრები.

ზ. დ. უ-ს აქვს 3 კეთილმოწყობილი 5-სართულიანი სასწ. კორპუსი (საერთო ფართობი – 9457 *კვ.მ*); სტომატოლოგიური კლინიკა.

2014 წ. 1 იანვრისთვის ზ. დ. უ-ში სწავლობდა 1800 სტუდენტი, რ-ებიც აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივ და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარებულ სამეცნ. კონფერენციებში.

უნ-ტს აქვს ბ-კა, რ-ის წიგნადი ფონდი შეადგენს 14 ათ. დაცვით ერთეულს, მ. შ. სახელმძღვანელო 12676 ერთეულია.

2005-იდან უნ-ტი გამოსცემს შრომათა კრებულებს.

ფ. შენგელია. გ. ხვიტია.

ზუგდიდის მაზრა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიის ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში.

ზ. მ. შეიქმნა 1867 წ. 16 აპრილს, მაზრის ცენტრი – *ზუგდიდი*. 1867 ზ. მ-ის სოფლები სასოფლო თემებად გაერთიანდნენ. 1888, როდესაც მაზრები საპოლიციო უბნებად დაყვეს, ზ. მ. სამ საპოლიციო უბნად დანაწილდა: ზუგდიდის, რედუტკალესა და წალენჯიხის.

ზუგდიდის საპოლიციო უბანში 1888-იდან 1917-მდე შემდეგი სასოფლო თემები შედიოდა: აბასთუმნის, დარჩელის, ზუგდიდის, კახათის, კოკის, კორცხელის, გულისკარის, ნიკოსიის, ობუჯის, ხიბულის, ცაიშის, წაქვინჯისა და ჭკადუაშის. 1909–12 ობუჯის სასოფლო საზ-ბა გადაეცა წალენჯიხის საპოლიციო უბანს და ზუგდიდის საპოლიციო უბნის შემადგენლობაში თორმეტი სასოფლო თემი დარჩა.


რედუტ-კალეს საპოლიციო უბანი დაყოფილი იყო შვიდ სასოფლო თემად: ზანას, ქვალონის, ნოჯიხევის, საჯიჯავოს, ხეთის, ხორგისა და ხორშის. 1900 ამ სასოფლო თემებს დიდი ნეძვის სასოფლო საზ-ბა შეუერთდა. წალენჯიხის საპოლიციო უბანში შედიოდა სასოფლო თემები: ახუთის, ჯვარის, ჯგალის, კირცხის, ლესიჭინეს, ლეწურწუმეს, ლიას, მუხურის, ფახულანის, წალენჯიხის, ჭოგისა და ჩხოროწყუს.

ზ. მ. ყოფილი სამეგრელოს სამთავროს ჩრდ.-დას. ნაწილს მოიცავდა, ფართობი 2975,9 *კმ*², მოსახლეობა 11,5 ათ. კაცი (1894). ეროვნ. შემადგენლობა – ქართველები. მაზრას ესაზღვრებოდა: აღმ-ით და სამხრ-ით – სენაკის მაზრა; ჩრდ.-დას-ით – სოხუმის ოკრუგში შემავალი სამურზაყანოს საპოლიციო უბანი; ჩრდ-ით – ლეჩხუმის მაზრის სვანეთის საპოლიციო უბანი. ზ. მ. 1930 გაუქმდა. თანამედროვე ადმ.-ტერ. დარაიონებით მოიცავდა ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების ტერიტორიას.

წყარო: Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. 12, Тфл., 1904; Кавказский календарь на 1909 год, Тфл., 1908, л. 454–458; Списки населенных мест Кавказского края, в. 5 –Кутаисская губерния, Тфл., 1879.

ზ. ცინცაძე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), შავი ზღვის სანაპიროზე. აღმ-ით ესაზღვრება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, დას-ით – შავი ზღვა, ჩრდ.-დას-ით – გალის, ჩრდ-ით – წალენჯიხის, სამხრ-ით და სამხრ.-აღმ-ით – ხობის მუნიციპალიტეტები. ფართ. 682,1 *კმ*². მოსახლ. 167,8 ათ. კაცი (2002). ცენტრი – ქ. *ზუგდიდი*. ზ. მ-ში არის 1 ქალაქი, 58 სოფელი, 30 თემი: აბასთუმნის, ანაკლიის, ახალი აბასთუმნის, ახალკახათის, ახალსოფლის, განარჯიის მუხურის, გრიგოლიშის, დარჩელის, დიდი ნეძის, ერგეტის, ინგირის, კახათის, კოკის, კორცხელის, ნარაზენის, ოდიშის, ორსანტიის, ორულუს, ოქტომბრის, რიყის, რუხის, ურთის, ყულიშკარის, შამგონის, ჩხორიის, ცაიშის, ჭაქვინჯის, ჭითაწყარის, ჭკადუაშის, ჯიხასკარის.



წლეულით თარიღდება. ეს ტერიტ. თავდაპირველად *ეგრისში* შედიოდა. ოდიშის საერისთავოს წარმოშობის შემდეგ მისი შემადგენელი ნაწილი გახდა. XVI–XIX სს-ში იგი ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს ეკუთვნოდა, ხოლო 1867-იდან ზუგდიდის მაზრის გაუქმებამდე ამ მაზრის შემადგენლობაში იყო.

ბუნება. ზ. მ-ის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე. გამოიყოფა 3 ოროგრაფიული ერთეული: ოდიშის დაბლობი, ოდიშის პლატო და ურთის მთა. ოდიშის დაბლობს უჭირავს მუნიციპალიტეტის დას. და სამხრ.-დას. ნაწილი. იგი აგებულია ალუვიური ნალექებით. დაბლობის ვაკე ზედაპირი დასერილია მდინარეთა კალაპოტებით. დაბალი ნაწილი (20–25 *მ*-მდე) დაჭაობებულია. მუნიციპალიტეტის აღმ. და ჩრდ.-აღმ. ნაწილი უჭირავს მდინარეთა ხეობების ხშირი ქსელით დასერილ ოდიშის პლატოს, რ-იც აგებულია ნეოგენური ზღვიური და მეოთხეული კონტინენტური ნალექებით (თიხები, ქვიშაქვები, კონგლომერატები), აგრეთვე მეოტური კირქვიანი კონგლომერატებით, რასთანაც დაკავშირებულია კარსტული მღვიმეებისა და ძაბრების განვითარება. ზ. მ-ის სამხრ.-აღმ. ნაწილშია პალეოგენური კირქვებითა და მერგელებით აგებული მთა ურთა (469 *მ*). აქ არის მღვიმეები, ძაბრები და სხვა კარსტული ფორმები. ზღვის სანაპიროს გასწვრივ დაბალი ქვიშიანი დიუნებია.

წიაღისეული სიმდიდრიდან აღსანიშნავია ტორფი, ურთის მთაზე კირქვებია. სოფ. ცაიშში არის თერმული მინერ. წყალი. მინერ. წყაროებია სოფ. ურთაშიც.

მუნიციპალიტეტში ზღვის ნოტიო სუბტროპ. ჰავაა, იცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშ. წლ. ტემპ-რა 13–14°C, იანვ. საშ. ტემპ-რა 4,5–5,4°C, აგვ. 22,9°C; აბსოლ. მინ. –19°C, აბსოლ. მაქს. 40°C. ნალექები 1540-იდან 1720 *მმ*-მდეა წელიწადში. ნალექების მაქს. რაოდენობა ზაფხულ-შემოდგომაზე მოდის. ყველაზე უხვნალექიანია სექტემბერი, მცირენალექიანი – მაისი. კარგადაა გამოხატული მუსონური ხასიათის ქარები.

ზ. მ-ს დას. საზღვარზე ჩამოუდის მდ. ენგური. მუნიციპალიტეტის ტერიტორიას კვეთს მდ-ები: ჯუმი (მარჯვ. შენაკად ჩხოუშით), ჭანისწყალი და სხვ. პატარა მდინარეებიდან აღსანიშნავია რუხი (ენგურის მარცხ. შენაკადი), დიდღალი, ერგეტა, გალენიწყარი, ჭითაწყარი, მოგირი, უმპია და სხვ. მდინარეები საზრდოობენ ძირითადად წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით, პატარა მდინარეებით და ჭაობებით. წყალდიდობა იცის ზაფხულ-შემოდგომაზე, წყალმცირობა – გაზაფხულზე და ზამთარში. შავი ზღვის სანაპირო ზოლი დაჭაობებულია.

მუნიციპალიტეტში დიდი ფართობი უჭირავს სუბტროპ. ეწერ ნიადაგს. ოდიშის ვაკეზე ჩამოყალიბებულია წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგები და მათი გაეწრებული სახესხვაობები. მთავარ მდინარეთა ხეობებში გავრცელებულია ადგილ-ადგილ დაჭაობებული ალუვიური კარბონატული, ასევე უკარბონატო ნიადაგები. ყველაზე დაბალ ადგილებში ჭაობის ლამიანი, ტორფიან-ჭაობიანი და ეწერ-ლებიანი ნიადაგებია, ურთის სერზე კი – კორდიან-კარბონატული.

ბუნებრივი მცენარეულობა უმთავრესად შეცვლილია კულტ. მცენარეულობით, აქა-იქ შემორჩენილია კოლხური ტიპის ტყე. მაღვიზღვისპირა ზოლში გავრცელებულია ქვიშიანის ბალახეულობა და ბუჩქნარი, რ-საც დაჭაობებულ ადგილებში ცვლის მურყნის ტყე. ოდიშის პლატოზე და შედარებით კარგად დრენირებულ დაბლობზე გვხვდება კოლხური ტიპის ტყე (მუხა, რცხილა, წიფელი, წაბლი, ნეკერჩხალი, ლაფანი). ზოგან შემორჩენილია რელიქტური ძელქვა. ფართოდაა გავრცელებული ჩვეულებრივი და კოლხური სურო, ღიჭი, გარეული ვაზი, ღვედკე-



ზუგდიდის მუნიციპალიტეტი. ზუგდიდი. წმინდა გიორგის ეკლესია მაცხოვრის გორაზე. XIV ს. II ნახევარი.



ზუგდიდის მუნიციპალიტეტი. ზუგდიდი. დადიანების კარის ეკლესია. XIX ს.

ცი და სხვ. ქვეტყეს ქმნის წყავი, შქერი, ბზა, თაგვისარა, ბაძგი.

ტყეში ბინადრობს ტურა, ტყის კვერნა, ტყის კატა, მელა, თხუნელა, ზღარბი, შავი და რუხი ვირთაგვა. ფრინველებიდან გვხვდება ყორანი, რუხი ყვავი, ჭილყვავი, ჩხიკვი, მოლაღური, შაშვი, კოდალა, გუგული, ოფოფი, ქორი, ჭოტი, იხვი და სხვ.; ქვეწარმავალთაგან – ჭაობის კუ, სხვადასხვა სახის ხვლიკი, გველხოკერა; ბევრია ამფიბია. მდინარეებში გავრცელებულია სალამურა, ლოქო, გველთევზა, ქარიყლაპია, ფარგა, ქორჭილა და სხვ.

ძირითადი ლანდშაფტები: 1. დაჭაობებული ვაკე-დაბლობი უმთავრესად მურყნარით და ლამიან-ჭაობიანი ნიადაგებით; 2. ჭალები მდელო-ტყის მცენარეულობითა (ლაფნარ-მურყნარით) და ალუვიური ნიადაგით; 3. დაბალი ვაკე-დაბლობი, კოლხური მცენარეულობით, ალუვიური და ეწერი ნიადაგებით; 4. ბორცვიანი მთისწინეთი კოლხური მცენარეულობით, წითელმიწა და გაეწრებული წითელმიწა ნიადაგებით; 5. კარსტული სერი კოლხური მცენარეულობითა და კორდიან-კარბონატული ნიადაგებით.

მოსახლეობა. ზ. მ-ის მოსახლეობის 99,3% ქართველია, მცირე რაოდენობით ცხოვრობენ რუსები და სხვ. განსახლების ძირითადი ზონა ზ. დ. 200 *მ*-მდეა. საშ. სიმჭიდროვეა 346,9 კაცი 1 *კმ*^{2}-ზე (2002).

მეურნეობა. სოფ. მეურნ. ძირითადი დარგებია მეციტრუსეობა და მეცხოველეობა; განვითარებულია აგრეთვე მევენახეობა, მეხილეობა, მეჩაიეობა. მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავთ უმთავრესად სიმინდი, პარკოსანი კულტურებიდან – ლობიო. მეცხოველეობა სარძეო-სახორცე მიმართულებისაა. მისდევენ მესაქონლეობას, მეღორეობას. განვითარებულია მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა.

ზ. მ-ში სამრეწვ. წარმოება შედარებით სუსტადაა განვითარებული, ძირითადად წარმოდგენილია კვების მრეწვ. საწარმოებით. არის ჩაის პირველადი გადამუშავების ფ-კები, აგრეთვე ადგილ. მნიშვნელობის საშენ მასალათა საწარმოები. მთავარი სამრეწვ. ცენტრია ზუგდიდი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიას კვეთს რკინიგზის მაგისტრალი, რ-საც ზუგდიდი უკავშირდება ზუგდიდი–ინგირის (6 *კმ*) განშტოებით. ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით გაყვანილია რკინიგზის ხაზი ზუგდიდიდან ქ. ჯვარამდე. ზ. მ-ში გადის შავიზღვისპირა გზატკეცილი და საავტ. გზები: ზუგდიდი – ანაკლია, ზუგდიდი – წალენჯიხა – ჩხოროწყუ, ზუგდიდი – ჯვარი – მესტია, ზუგდიდი – ხობი – სამტრედია.

კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა. მუნიციპალიტეტში არის სკოლამდელი დაწესებულებები, საჯარო, სამუსიკო და სპორტ. სკოლები, ბ-კები, ი. *მეუნარგიას* სახლ-მუზეუმი (ცაიში), შინმოუსვლელთა სახლ-მუზეუმი (ერგეტა), საკლუბო დაწესებულებები, ზუგდიდის დამოუკიდებელი უნ-ტი, ზუგდიდის სახელმწ. სასწ. უნ-ტი, შ. დადიანის სახ. ზუგდიდის სახელმწ. დრამ. თეატრი.

მოსახლეობის ჯანმრთელობას ემსახურება მრავალპროფილიანი კლინ. საავადმყოფო ,,რესპუბლიკა'', ზუგდიდის რეგიონული ტუბსაწინააღმდეგო, ინფექციური და ცენტრ. საავადმყოფოები და სხვ.

ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები. მუნიციპალიტეტის ისტ. და ხუროთმოძღვრულ ძეგლთაგან აღსანიშნავია ზუგდიდში დადიანების კარის ეკლესია, წმ. გიორგის გუმბათოვანი ეკლესია მაცხოვრის გორაზე (XIV ს. II ნახ.) და დადიანების სასახლე (XIX ს.) ზუგდიდში, *კორცხელის* ციხე – ,,ჩიჟის კარი'' სოფ. *ბაშის* მიდამოებში (XIII–XIV სს.), კვირეოს ციხე და ეკლესია – ნათლისმცემლის კვირეოს ხატი (XVI–XVII სს.) *ნარაზენში*, *ცაიშის* ეკლესია და კომპლექსი ,,ჯეგეთა'' (XII–XIII სს.), *ანაკლიის* (შუა საუკუნეები), *რუხის* (1636), *ჭაქვინჯის* (შუა საუკუნეები) ციხეები.

ლიტ.: ბერაძე თ., მაისაია ი., სამეგრელო (მეგზური), თბ., 2000.

ე. ლოლუა. მ. შენგელაია. ი. ძიძიგური.

ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრი შ. დადიანის სახელობისა, ქართული პროფესიული თეატრი ზუგდიდში. სათავეს იღებს 1868-იდან. ამავე წლის 11 აპრილს ადგილობრივ სცენისმოყვარეთა ძალებით გაიმართა პირველი წარმოდგენა – მოლიერის ,,ძალად ექიმი''. დადგმის ინიციატორი იყო მწერალი და საზ. მოღვაწე ა. *ფურცელაძე*. სცენისმოყვარეთა შემდგომი წლების რეპერტუარში ძირითადი ადგილი ორიგინ. დრამატურგიას (გ. ერისთავის ,,ძუნწი'', ,,უჩინმაჩინის ქუდი'' და სხვ.) ეკავა. XX ს. დასაწყისში ზუგდიდში სცენისმოყვარეთა სხვადასხვა დასი მუშაობდა. 1898 სცენისმოყვარეთა ერთ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ნ. ბუკია (დადგა გ. ერისთავის ,,გაყრა''). პარალელურად მოღვაწეობდა სცენისმოყვარეთა მეორე ჯგუფიც ლ. გვიშიანის ხელმძღვანელობით (დადგა ა. წერეთლის ,,კინტო'', ,,პატარა კახი''; ვ. გუნიას ,,და-ძმა'', ა. ცაგარლის ,,ქართველი დედა''). 1907–08 შეიქმნა ს.-დ. პარტიის თეატრ. წრე, ე. წ. ,,მუშური დრამწრე'', რ-მაც წარმოადგინა ა. აწყურელის ,,ორი მშიერი'' (პირველი წარმოდგენა), ი. ჭავჭავაძის ,,ქართვლის დედა'', ა. ყაზბეგის ,,არსენა'', პ. ირეთელის ,,ქრისტინე'' (ე. ნინოშვილის მიხედვით), ა. ცაგარლის ,,ხანუმა'', ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ'', ა. წერეთლის ,,პატარა კახი'', ნ. *ნა-*



ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

კაშიძის ,,ვინ არის დამნაშავე'' და სხვ. ზუგდიდში გასტროლებს მართავდნენ და სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში მონაწილეობდნენ: ლ. მესხიშვილი, ვ. აბაშიძე, ე. ანდრონიკაშვილი, ვ. გუნია, ე. ჩერქეზიშვილი, შ. დადიანი, ა. იმედაშვილი, პ. კობახიძე და სხვ. 1932 დაარსდა **ზ. ს. დ. თ.**, რ-იც ახალ შენობაში საზეიმოდ გაიხსნა იმავე წლის 11 აგვისტოს სპექტაკლებით – ნ. შიუკაშვილის ,,სამართალი'' (რეჟ. გ. ფრონისპირელი) და პ. სამსონაძის ,,სალტე'' (რეჟ. გ. ფრონისპირელი და ა. ციცია-შვილი). თეატრის ადგილობრივი ძალებისთვის მოეწყო გადასამზადებელი კურსები ცნობილი რეჟისორების ხელმძღვანელობით. დასი შეივსო თბილისიდან ჩამოყვანილი მსახიობებით. მათ სათავეში ჩაუდგა თბილისიდან მიწვეული ცნობილი რეჟისორი ვ. *გარიკი*, რ-მაც 1932–34 დადგა გ. რობაქიძის ,,ლამარა'', ს. შანშიაშვილის ,,ანზორი'', ბ. ლავრენიოვის ,,რღვევა'', გ. ბუხნიკაშვილის ,,ნაბიჭვარი'', ლოპე დე ვეგას ,,ცხვრის წყარო'' და სხვა ყველა ის სპექტაკლი, რ-ებიც წარმატებით იდგმებოდა რუსთაველის თეატრის სცენაზე. თეატრის რეპერტუარში ძვ. ქართ. და თანამედროვეობის ამსახველი პიესების გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა დას. ევრ. კლასიკამ. **ზ. ს. დ. თ**-ის შექმნასა და განვითარებაში წვლილი მიუძღვით: მ. ქორელს, გ. ფრონისპირელს, ნ. გვარაძეს, გ. იოსელიანს, გ. გაბუნიას, რ. ქართველიშვილს, ბ. მაღლაკელიძეს, გ. ლაღიძეს, ვ. მჭედლიძეს, შ. მჟავანაძეს, თ. ჩხეიძეს, დ. კობახიძეს, ნ. დეისაძეს და სხვ. მხატვრებს: ი. გამრეკელს, დ. მირიანაშვილს, ნ. ყაზბეგს, ი. პეტრაიტისს და სხვ. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **ზ. ს. დ. თ**-ის ისტორიაში ვ. გარიკთან ერთად ვ. *ყუშიტაშვილის* მოღვაწეობის პერიოდს. დადგმებიდან აღსანიშნავია: შ. დადიანის ,,უტუ მიქავა'', ბ. ლავრენიოვის ,,რღვევა'', გ. რობაქიძის ,,ლამარა'', ლოპე დე ვეგას ,,თივა და ავი ძაღლი'', ა. ცაგარლის ,,ციმბირელი'', ვ. დარასელის ,,კიკვიძე'', ა. გეწაძის ,,წმინდანები ჯოჯოხეთში'', ა. ჩხაიძის ,,შთამომავლობა'', ნ. ჰიქმეთის ,,ყეყეჩი'', ა. ოსტროვსკის ,,უდანაშაულო დამნაშავენი'', ი. ვოინოვიჩის ,,გრიგალი'', ბ. ტომასის ,,ჩარლის დეიდა'', ა. ჩხაიძის ,,დაბრუნება'', პ. კაკაბაძის ,,კოლმეურნის ქორწინება'', დ. კლდიაშვილის ,,დარისპანის გასაჭირი'', ,,სამანიშვილის დედინაცვალი'', კ. ბუაჩიძის ,,ეზოში ავი ძაღლია'', გ. კაჭარავას ,,ევრიკა'', რ. ერისთავის ,,ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს'' და სხვ. 1965 თეატრალური ინ-ტის მაშინდელმა დიპლომანტმა თ. ჩხეიძემ **ზ. ს. დ. თ**-ის სცენაზე დადგა ახალგაზრდა მსახიობის ჯ. მონიავას პიესა ,,კორპუსი 5, ოთახი 55''. წარმოდგენა მხატვრულად გააფორმა ა. რამიშვილმა. როლებს ასრულებდნენ თბილისიდან ჩამოსული ახალგაზრდა მსახიობები: ნ. ფაჩუაშვილი, ა. მახარაძე, ჟ. ლოლაშვილი, აგრეთვე თვით რეჟისორი თ. ჩხეიძე. ამავე სეზონში თ. ჩხეიძემ დადგა ვ. დარასელის ,,კიკვიძე''. თეატრთან, მისივე ძალებით შეიქმნა ,,თოჯინების თეატრი, რ-მაც 1965 წარმოადგინა გერნეტისა და გურევიჩის ზღაპარი-კომედია ,,ბატის ჭუკი''. **ზ. ს. დ. თ**. გასტროლებს აწყობდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში. თეატრს 1959 მიენიჭა შ. დადიანის სახელი. დასში არიან (2014): მსახიობები – ზ. ლაშხია, მ. კაკალია, რ. ჯოჯუა, ნ. ბუკია, ზ. გუნია, მ. დარასელია, მ. ჩარგაზია, მსახიობი და ქორეოგრაფი გ. ქობალია და სხვ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია რეჟ. ბ. წერედიანი, მხატვარი – მ. კორკელია, დირექტორი – მ. კალანდია. 2013 თეატრმა აღნიშნა 145 წლის იუბილე, იმავე წელს წარმოადგინა გ. დოჩანაშვილის ,,ხორუმი ქართული ცეკვაა'' და ე. შვარცის ,,თოვლის დედოფალი''.

ლიტ.: გაბისონია გ., ბარამია ა., ზუგდიდის თეატრი, თბ., 1969.

შ. ცუცქირიძე. მ. კალანდია.

ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი შ. მ ე ს ხ ი ა ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს ა, სავჭარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ). დაარსდა 2007 წ. 13 ივლისს საქართვ. მთავრობის დადგენილებით (№145) თსუ-ის ზუგდიდის ფილიალის ბაზაზე, რ-საც შეუერთდა სსიპ ზუგდიდის პროფ. ლიცეუმი და სენაკის აგრ.-ეკონ. კოლეჯი. საქართვ. მთავრობის 2008 წ. 15 მაისის დადგენილებით (№122) ზუგდიდის უმაღლეს საგანმან. დაწესებულებას ეწოდა შ. მესხიას სახ. ზუგდიდის სახელმწ. ინ-ტი, ხოლო საქართვ. მთავრობის 2009 წ. 9 ოქტ. დადგენილებით (№182) – **ზ.ს.ს.უ.**

უნ-ტის დაფინანსების ძირითადი წყაროებია: სახელმწ. სასწ. გრანტი, სოც. დახმარება, სპეცსახსრები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწ. სამეცნ. გრანტები.

უნ-ტში მოქმედებს დღის სწავლების (დასწრებული) ფორმა, საბაკალავრო, სამაგისტრო, სახელობო და უმაღლესი პროფ. პროგრამები. უნ-ტს ჰყავს რექტორი, აკად. საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

თსსუ-ში არის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის, ჯანდაცვის, აგრ. (მდებარეობს სენაკში) ფაკ-ტები. ფუნქციონირებს საბაკალავრო (ქართ. ენა და ლიტ-რა, ისტორია, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა, სამართალმცოდნეობა, ფარმაცია), სამაგისტრო (ბიზნესის ადმინისტრირება, ქართ. ლიტ-რა, საქართვ. ისტორია), აგრეთვე პროფ. უმაღლესი საგანმან. [საბანკო საქმე, სოფლის მეურნ. სპეციალისტი (აგრ. მენეჯერი); ვეტერინარის თანაშემწე, ფარმაცევტის თანაშემწე, ზოგადი პროფილის ექთანი] პროგრამები.

უნ-ტს აქვს ორი სასწ. კორპუსი, სასწ. სახელოსნო, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, მასწავლებელთა სახლი, სპორტდარბაზი, აგრ. მეურნეობა და ბ-კა.

უნ-ტში ფუნქციონირებს ფარმაციის ლაბორატორია, უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრი, 4 კომპიუტერული ლაბორატორია, სტუდენტთა სამეცნ. წრე, ქართ. ქორეოგრაფიული ცეკვის ანსამბლი, თანამედროვე ცეკვების სტუდია, თეატრ. დასი, ფეხბურთისა და კალათბურთის გუნდები, ლიტერატორთა წრე, შემოქმედ სტუდენტთა კლუბი. გამოსცემს შრომათა კრებულს (2007-იდან).

უნ-ტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-თან. *ბ. მოსია.*

„ზუგდიდის ფაიფური“ (სააქციო საზოგადოება), ფაიფურის ქარხანა. ამუშავდა 1975 წლის დეკემბერში ზუგდიდში (საპროექტო სიმძლავრე – 28 მლნ. ც. ფაიფურის ჭურჭელი წელიწადში). უშვებდა 75 დასახელების ფაიფურის ჭურჭელს. ნედლეულს რუსეთიდან და უკრაინიდან იღებდა. ქ-ნის პროდუქცია საბჭ. კავშირში ფაიფურის საწარმოთა შორის გამოირჩეოდა მხატვრულობის მაღალი დონითა და ეროვნ. სტილით. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტ.-ეკონ. კრიზისის გამო

1989–92 წარმოება თითქმის გაჩერდა. ტექნოლ. ციკლის გადაწყობის, ტექ. გადაიარაღების, ადგილ. ნედლეულის მოძიებისა და გამოყენების შედეგად 1993-იდან ქ-ნა არასრული დატვირთვით ამუშავდა. 1994 ფაიფურის ქ-ნის ბაზაზე შეიქმნა სააქციო საზ-ბა ,,ზ. ფ.'' 1998 საწარმომ აითვისა ახ. სახის პროდუქცია – ელექტროფაიფური, ხოლო 1999–2000 დაიწყო ადგილობრივი კერამ. ნედლეულისაგან თანამედროვე დიზაინისა და ტექნოლოგიის კრამიტის გამოშვება. ფაიფურს აწარმოებდნენ საქართვ. სხვადასხვა კუთხიდან შემოტანილი ნედლეულით: ბაჯითის ქვიშით (საჩხერის რ-ნი), ბერთაკარის ფაიფურის ქვით (ბოლნისის რ-ნი), ბენტონიტური თიხით (ოზურგეთის რ-ნი) და სხვ. ხუდონის თაბაშირის ქვისაგან ამზადებდნენ საყალიბო თაბაშირს. სულ უშვებდა 32 დასახელების ჭურჭელს. 2002-იდან საწარმომ შეწყვიტა ფუნქციონირება.



ზუთხი (Acipenser).

ზუდალი, სოფელი ონის მუნიციპალიტეტის კვაშხიეთის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), რიონის მარცხ. მხარეს, მდ. ხეორისწყლის შესართავთან. ზ. დ. 750 *მ*, ონიდან 7 *კმ*. 38 მცხ. (2002).

სოფელი აღნიშნულია ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) მიერ შედგენილ რუკებზე. ამავე რუკათა მიხედვით, ზ-ში მდგარა ციხე-დარბაზი. *თ. ბერაძე.*

ზუდჰაიმი (Sudheim) ლუდოლფ ფონ, XIV ს. გერმანელი სასულიერო პირი, წარმოშობით ვესტფალიიდან. 1336–41 იმოგზაურა აღმოსავლეთში. 1336 მოინახულა იერუსალიმი. მისი ცნობა ქართველების შესახებ დათარიღებულია 1347–ით, სადაც ნათქვამია: ,,ქართველებს აქვთ წმინდა საფლავის ეკლესიის გასაღები და ისინი დიდძალი ფულისთვისაც არ შეელევიან საფლავის ქვის უმცირეს ნატეხსაც კი. ქართველები წმინდა საფლავის გასაღებს ფლობენ, რადგან ისინი განსაკუთრებით თაყვანს სცემენ მაცხოვარის საფლავს და ასევე ბრწყინვალე მცველები არიან''. ზ. ქებას ასხამს ქართველთა მხედრულ ძლევამოსილებას. ზ-ის მიხედვით ქართველებს აქვთ საკუთარი ენა და წმ. გიორგის დროშები.

ლიტ.: თ ვ ა რ ა ძ ე ა., საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (XII–XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე), თბ., 2004. *ა. თვარაძე.*

ზუევი ვასილი თევდორეს ძე [1(12). I. 1754, პეტერბურგი, – 7(18). I. 1794], რუსი მეცნიერი ბუნებისმეტყველი, მოგზაური. პეტერბურგის მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1787). დაამთავრა პეტერბურგის უნ-ტი, სწავლობდა ლეიდენსა და სტრასბურგში. რუსეთში დაბრუნების შემდეგ მონაწილეობა მიიღო ციმბირის ექსპედიციაში. 1781 აკადემიის დავალებით მოაწყო ექსპედიცია შავიზღვისპირეთის შეუსწავლელი ადგილების გამოსაკვლევად. 1787 პეტერბურგში გამოიცა მისი წიგნი ,,1781 და 1782 წწ. სანქტ-პეტერბურგიდან ხერსონამდე მოგზაურობის ჩანაწერები'', რ-ის ერთი ნაწილი მთლიანად საქართველოს ეხება. ავტორი ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის დას. საქართველოს სხვადასხვა კუთხის, განსაკუთრებით სამეგრელოს შესახებ. იგი აღწერს ფლორას და ფაუნას, მეგრელების ეთნიკურ ტიპს, ყოფას, წეს-ჩვეულებებს, მეურნეობას. საყურადღებო ცნობებს გვაწვდის *ტყვის სყიდვის* შესახებ.

ლიტ.: Б е р у л а в а Г. Г., У истоков русского грузиноведения (XVIII век), Тб., 1983; Р а й к о в Б. Е., Академик Василий Зуев, его жизнь и труды, М.–Л., 1955 (ბიბლ.).

ზუთხი (Acipenser), თევზების გვარი ზუთხისებრთა ოჯახისა. ზოგი მტკნარი წყლის ბინადარია, ზოგიც – ზღვაში გამსვლელი. ქვირითს მხოლოდ მტკნარ წყლებში ყრის. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 6–16 წლამდე. გავრცელებულია ევროპის, ჩრდ. აზიის და ჩრდ. ამერიკის წყლებში. აერთიანებს 16 სახეობას, რ-თაგან საქართველოში (შავი ზღვა) ბინადრობს 7 სახეობა: ფორონჯი, ატლანტური ზუთხი (A. sturio linnaeus, 1758); ფორეჯი, ჯარღალა (A. nudirentris levetsky, 1828); ტარაღანა (A. stellatus Pallas, 1771); რუსული ზუთხი (A. güldenstädti, Brandt et Rotzeuburg, 1833); კოლხური ზუთხი, თართი (A. colchicus, V. Mart, 1940); სპარსული ზუთხი (A. Borodin, 1897); სვია (Huso huse, Linnaeus, 1758). ამ ძვირფასი თევზის, ჯიშებისაგან მზადდება ზურგიელი, დოში, შავი ხიზილალა, კონსერვები და სხვ. მათი მარაგი ძლიერ შემცირებულია სხვადასხვა მავნე ფაქტორის გავლენით, ძირითადად კი ჭარბჭერის გამო. ზოგიერთი მათგანი შეტანილია წითელ წიგნებში, წითელ ნუსხაში, ბერნის კონვენციის (დაცული ფაუნა) I-II-III და CITESI-ის I, II დანართებში. ტარდება ღონისძიებები ზ-ის მოსამრავლებლად.

ნ. ნინუა. მ. დემეტრაშვილი.

ზუთხისებრნი (Acipenseridae Bonaparte, 1831), თევზების ოჯახი, მიეკუთვნება ზუთხისნაირების რიგს (Acipenseriformes), რ-შიც შედის გადაშენებული – Chondrosteidae, ნიჩაბცხვირიანები (Polyodontidae) და ზუთხისებრნი (Acipenseridae).

ზ-თა ოჯახის 26 სახეობა გაერთიანებულია 4 გვარში: სვია, ზუთხი, ნიჩაბცხვირიანები და ცრუ ნიჩაბცხვირიანები. ზუთხების გვარში 16 სახეობაა, რ-ებიც ბინადრობენ შავ ზღვაში (7); აზოვის ზღვაში (4); კასპიის ზღვაში (7) და შორეულ აღმოსავლეთში (2). ზ. გამსვლელი თევზები არიან, ქვირითის დასაყრელად მდინარეებში შედიან. ზოგიერთი სახეობა ბინადრობს როგორც მტკნარ წყალში, ასევე ზღვაში. *ნ. ნინუა.*

ზუმბულიძე ბაგრატ (ბორის) ზაქარიას ძე (7.VII. 1905, გორი, – 2.XI.2000, თბილისი), საბჭოთა კავშირის გმირი (2.VII. 1945), პოლკოვნიკი (1946). 1935 დაამთავრა სევასტოპოლის სამხ.-საჰაერო სასწავლებელი. 1937 დაინიშნა მძიმე ბომბდამშენთა რაზმის უფროსად. II მსოფლ. ომის (1939–45) დროს მეთაურობდა მძიმე ბომბდამშენთა საავიაციო პოლკს. იბრძოდა უკრაინის IV, ბალტიისპირეთის I, ბელორუსიის III და სხვა ფრონტებზე. ზემლანდის (გერმანია) ნ.-კ-თვის ბრძოლაში პოლკის ხელმძღვანელობისა და მამაცობისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება. ომის შემდეგ მსახურობდა სამოქალაქო ავიაციაში. ზ-ს მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები.

ტ. ჩიხჩილაკაშვილი.

ზუმბულიძე იაკობ მიხეილის ძე (XVIII ს. 20-იანი წლები, რუსეთი, – 1800, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1781). ზ-მ სამხ. სამსახური დაიწყო 1756. მონაწილეობდა შვიდწლიან ომში (1756–63), თავი გამოიჩინა კოლბერგთან ბრძოლაში (1761). რუსეთ-ოსმალეთის ომში (1768–74) გამოჩენილი მამაცობისათვის 1770 წ. 1 ნოემბერს დაჯილდოვდა წმ. გიორგის IV ხარისხის ორდენით. 1781–93 იყო ორენბურგის ობერკომენდანტი. 1796 სამხ. სამსახურიდან გადადგა. *ლ. დოლიძე.*

ზუმბურიძე ოთარ გრიგოლის ძე [დ. 28. X. 1945, კლუხორის რაიო-

ნი (ახლანდ. სტავროპოლის მხარე, რუსეთი)], ინჟინერი გამომგონებელი ელექტრონიკის დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1996). 1967 დაამთავრა სპი-ის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექ. ფაკ-ტი ელექტროინჟინრის სპეციალობით. 1970–93 პედ. საქმიანობას ეწეოდა სტუ-ში მრავალარხიანი ელექტროკავშირგაბმულობის კათედრაზე. 1994–2007 იყო სტუ-ის სასწ. მეთოდური სამმართველოს უფროსი, პარალელურად – საერთაშ. და საქალაქთაშორისო სატელეკომუნიკაციო კომპანიის მარკეტინგის დირექტორი (1996–2001), 2001–07 – ,,საქართველოს ტელეკომის'' პრეზიდენტი და გენ. დირექტორი. 2009-იდან დღემდე სტუ-ის საერთაშ. ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის უფროსია.

ზ-ის კვლევის თემაა სატელევიზიო ინფორმაციის ციფრული დამუშავება, გადაცემა და ეფექტური ოპტიმალური კოდირება. აქვს ორი გამოგონება და რამდენიმე პატენტი.

თხზ.: მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2008; Передача телевизионных сигналов по спутниковым каналам связи, М., 1994.


ზუმი, სოფელი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის ვაკეზე, მდ. ხობის მარჯვ. ნაპირას. სათავო სოფელი. ზ. დ. 240 *მ*, ჩხოროწყუდან 12 *კმ*. 1,5 ათ. მცხ. (2002).

ზუნდაგა, სოფელი ქედის მუნიციპალიტეტის მახუნცეთის თემში (აჭარის არ), მესხეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. აჭარისწყლის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 450 *მ*, ქედიდან 16 *კმ*. 345 მცხ. (2002).

ზურაბ არაგვის ერისთავი (გ. 1631), ქართლის დიდი თავადი, ნუგზარ არაგვის ერისთავის მეორე ვაჟიშვილი. მამის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ერისთავი უფროსი ძმა *ბაადურ* (*ბაინდურ*) *არაგვის ერისთავი* გახდა, ზ. ა. ე. მას არ დაემორჩილა და ცოლთან ერთად სპარსეთში გადაიხვეწა. გ. *საკაძის* შუამდგომლობით (ზ. ა. ე. საკაძის ცოლისძმა და აღზრდილი იყო) შაჰმა ერისთავობა უბოძა. ზ. ა. ე-მა ბაადური გააძევა, დაიმორჩილა მთიულეთი, ხევი და უფრო გაძლიერდა. როდესაც ქართლის ხანმა სიმონმა (იხ. *სიმონ II*) გადაწყვიტა შაჰისათვის ქართლის თავადების ურჩობაზე შეეჩივლა, ზ. ა. ე-მა დაასწრო და თვითონ ეახლა შაჰს. აბას I-მა სიმონ-ხანი გ. საკაძისა და ზ. ა. ე-ის თანხლებით უკან დააბრუნა, თან დიდი ჯარი გამოაყოლა ყარჩიხანის სარდლობით. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ საკაძემ ზ. ა. ე-ს აჯანყების მზადების ამბავი გაანდო. ერისთავი თავდაპირველად ყოყმანობდა, რადგან მისი ცოლი შაჰს თავისთან ჰყავდა დატოვებული. გ. საკაძე მას კახეთის გამგებლის ფეიქარ-ხანის მეუღლის ლელა-თინათინ ბატონიშვილის (ლუარსაბ მეფის და) ცოლობას შეჰპირდა. ზ. ა. ე. დათანხმდა, რადგან იგი ამ აქტით ქართლის ბაგრატიონთა ოჯახს უმოყვრდებოდა. მან ქართლისა და კახეთის თავადებს საკაძის გეგმა გააცნო, რ-ებმაც აჯანყების ხელმძღვანელობა გ. საკაძეს და ზ. ა. ე-ს მიანდვეს. მარტყოფის ბრძოლის შემდეგ (იხ. *მარტყოფის ბრძოლა* 1625) ზ. ა. ე. კახეთისაკენ გაემართა, რათა ფეიქარ-ხანისათვის საცოლე წაერთმია, მაგრამ გაქცეულებს ვეღარ დაეწია და საკაძის შუამდგომლობით ცოლად შეირთო თეიმურაზ I-ის ასული დარეჯანი. მარაბდის ბრძოლაში (იხ. *მარაბდის ბრძოლა 1625*) დიდი შემართებით მებრძოლი ზ. ა. ე. თავში დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიატოვა. როცა თეიმურაზსა და საკაძეს შორის ურთიერთობა დაიძაბა, მან მეფეს დაუჭირა მხარი. ბაზალეთის ბრძოლის შემდეგ (იხ. *ბაზალეთის ბრძოლა 1626*) კი ქართლისა და კახეთის სამეფოთა ცალ-ცალკე არსებობის მომხრე იყო: ,,სწადდა, რათა იყოს თეიმურაზი კახბატონად და სიმონ ქართლისად და ორნივე იყვნენ მავედრნი მისნი'' (ვახუშტი). მალე იგი სიმონ II-ს დაუახლოვდა და მთელი ქართლის ფაქტობრივი ბატონი გახდა, თეიმურაზთან კი ურთიერთობა კიდევ უფრო დაეძაბა. აბას I-ის სიკვდილის შემდეგ (1629) თეიმურაზმა გადაწყვიტა სპარსეთში წასვლა. სხვა საქმეთა გარდა, მისი ერთ-ერთი მიზანი იყო ზ. ა. ე-ის მძლავრობისაგან თავის დაღწევა. ერისთავმა საფრთხე იგრძნო, სხვილოსში მძინარე მეფე სიმონს თავი მოჰკვეთა და თეიმურაზს გაუგზავნა (1631). თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფე გახდა. ზ. ა. ე. სათავეში ედგა თეიმურაზის მიერ მოწყობილ ლაშქრობას ლეკების წინააღმდეგ, რ-ებიც აბას I-ის ლაშქრობათა დროს კახეთს არბევდნენ. თეიმურაზი მარჯვე დროს ეძებდა ერისთავის მოსაშორებლად. მან სიმონ მეფის მოკვლისათვის შურისძიების საბაბით ზ. ა. ე. მოაკვლევინა და თავი შაჰს გაუგზავნა.

ქართ. ხალხ. სიტყვიერებაში ზ. ა. ე. მოხსენიებულია როგორც თუშ-ფშავ-ხევსურთა მოსისხლე მტერი, დამპყრობელი, სისხლის დამქცევი, უზნეო და უგვანო საქმეთა ჩამდენი, ტყვეთა გამყიდველი. მას ხშირად უწყობდნენ თავდასხმებს, თუმცა უშედეგოდ.

შემთხვევითი არ არის, რომ ზ. ა. ე-ის მიერ განაწამებმა მთიელებმა თეიმურაზის წაქეზებით აქტ. მონაწილეობა მიიღეს მის მკვლელობაში.



ა. ზურაბაშვილი.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1969; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ქს. სიხარულიძის გამოც., [ტ.] 1, თბ., 1961.

ლიტ.: კაკაბაძე ს., საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500–1810 წწ.), ტფ., 1922; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *გ. ნარსია.*

ზურაბაშვილი ავლიპი დავითის ძე [2(15).II.1902, სოფ. ბოდბისხევი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, – 15.VIII.1994, თბილისი], ფსიქიატრი და ნეირომორფოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1955), სსრკ-ის მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960), მედ. მეცნ. დოქტორი (1937), პროფესორი (1942), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1944). 1927 დაამთავრა თსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტი. 1927–31 მუშაობდა ამავე უნ-ტის სამკურნ. ფაკ-ტის ფსიქიატრიის კლინიკაში მ. მ. *ასათიანის* ხელმძღვანელობით, 1931–38 – ლენინგრადში ს. კიროვის სახ. სამხ.-სამედ. აკად. ფსიქიატრიის კლინიკაში ვ. ოსიპოვთან; ამავე დროს მუშაობდა აკად. ვ. ბეხტერევის სახ. ტვინის ინ-ტში, აკად. ი. პავლოვის სახ. ფიზიოლ. ინ-ტში და ექსპერიმენტული მედ. საკავშ. ინ-ტში. 1938–50 იყო საქართვ. მეცნ. აკად. *ფიზიოლოგიის ინსტიტუტის* მორფოლ. განყ-ბის ხელმძღვანელი, 1938–64 – თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტის ფსიქიატრიის კათედრის გამგე, 1938–94 – მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი.

ზ-ის გამოკვლევები ძირითადად ეხება კლინ. ფსიქიატრიისა და ნეირომორფოლ. საკითხებს. მან ახლებურად გააშუქა სინაფსების არქიტექტონიკა და პათოარქიტექტონიკა, შეისწავლა ადამიანის



ი. ზურაბიშვილი (1872–1940).

თავის ტვინის ქერქის შუბლის წილის მორფოლ. განვითარების კანონზომიერებანი, შეიმუშავა მხედველობის ბორცვების ონტოგენეზური კლასიფიკაცია, შექმნა ასოციაციური ექსპერიმენტის ორიგინ. მეთოდი; განავითარა დებულებანი ფსიქონევროლოგიაში პერსონოლოგიური კვლევის მნიშვნელობის შესახებ. 1955 გამოკვლევებისათვის სინაფსოარქიტექტონიკაში ზ-ს მიენიჭა საქართვ. მეცნ. აკად. ი. თარხნიშვილის სახ. პრემია, ხოლო 1963 ფსიქიატრიის თეორ. პრობლემების დამუშავებისათვის – სსრკ მედ. მეცნ. აკად. ვ. ბეხტერევის სახ. პრემია. ზ. იყო ტვინის შემსწავლელი საერთაშ. ორგანიზაციის წევრი (1962). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. იყო თბილ. საპატიო მოქალაქე (1983).

თხზ.: ფსიქიატრია (სახელმძღვანელო), თბ., 1971; Синапсы и обратимые изменения нервных клеток, 2 изд., Тб., 1958; Вопросы патоархитектоники лучевого поражения, Тб., 1962 (თანაავტ.: Б. Р. Нанеишвили); Актуальные проблемы персонологии и клинической психиатрии, Тб., 1970.

ლიტ.: ავლიპი ზურაბაშვილი. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ. ნ. ბაღათურია, ი. დუდუჩავა, თბ., 1984; Минковский Е., К 70-летию А. Д. Зурабашвили, «ფსიქიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის შრომები», 1974, ტ. 19–20.

ზურაბაშვილი ზიგურდ ავლიპის ძე (23. III. 1936, ლენინგრადი, – 5. V. 2013, თბილისი), ჰისტოლოგი და ემბრიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1988). 1960 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი; 1970 იყო მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის თავის ტვინის პათომორფოლოგიის განყ-ბის გამგე, 1988-იდან – ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის კათედრის გამგე, 2004-იდან – ამავე ინ-ტის ფუნდამენტური მედ. კათედრის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის სექციის ხელმძღვანელი. 2006–14 იყო თსსუ-ის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ემბრიოლოგიის კათედრის კონსულტანტი. თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშ. ორგანიზაციის (IBRO) წევრი (1998). მისი შრომები ეხება თავის ტვინის პათომორფოლოგიის აქტუალურ საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. შრომა, მ. შ. 8 მონოგრაფია. არის 6 გამოგონების ავტორი.

ზურაბაშვილი ზურაბ ავლიპის ძე (დ. 13. IV. 1938, თბილისი), ფსიქიატრი. მედ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1978), საქართვ. მედ. მეცნ. აკადემიის ნამდვ. წევრი (1997); საქართვ. ეკოლოგიურ მეცნ. აკად. წევრი (2004). 1962 დაამთავრა თსსი. 1965–71 მუშაობდა მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1972–89 ხელმძღვანელობდა ამავე ინ-ტის პათოფიზიოლ. ლაბორატორიას, 1984–96 – საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს ქრომატოგრაფიის ცენტრს; 1996-იდან არის მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ფუნქციური დიაგნოსტიკის ლაბორ. გამგე.

ზ-ის სამეცნ. შრომები ეხება ფსიქიატრიის აქტუალურ საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. 6 მონოგრაფია, ავტორია 12 გამოგონებისა და 6 რაციონალური შეთავაზებისა.

ზურაბიანი პავლე ალექსანდრეს ძე [27. I. 1874, შუშა (ყოფ. ელიზავეტპოლის გუბ.), – 21. II. 1942, თბილისი], არქიტექტორი. დაამთავრა პეტერბურგის სამოქალაქო ინჟინერთა ინ-ტი (1898). მუშაობდა თბილ. თვითმმართველობაში უბნის არქიტექტორად. მისი ნამუშევრებიდან აღსანიშნავია: ყოფ. სომხ. სემინარიის შენობა არსენალის მთაზე, პ. სააკაძის ქ. 1 (1910–11, არქიტ. მ. *ნებრინცევთან* ერთად), IV სამმართველოს სამკურნ. კომბინატი, ი. ჭავჭავაძის პრ. 5 (1937, არქიტ. პ. *უშენინთან* ერთად; დაანგრიეს 2012, შემორჩენილია შენობის ფასადის მხოლოდ მცირე ფრაგმენტი), საცხოვრებელი სახლები (კოჯრის ქ. 3, ვ. სარაჯიშვილის ქ. 3ა, მ. წინამძღვრიშვილის ქ. 39). ზ-მა შეადგინა აგრეთვე ეკონ. მცირე შეძლების მცხოვრებთათვის საცხოვრ. სახლის ტიპობრივი პროექტი, რ-იც თბილ. თვითმმართველობამ 1910 გამოსცა.

თ. გერსამია.

ზურაბიშვილები, ფეოდალური საგვარეულო ქართლში. XVII ს. შუა წლებში ქართლის მეწინავე სომხით-საბარათიანოს სადროშოს სარდალი ზ. *ბარათაშვილი* გამოეყო სახლიკაცებს და ცალკე სათავადო – საზურაბიშვილო ჩამოაყალიბა. XVIII ს. დასაწყისისათვის ზ. 100-მდე კომლს ფლობდნენ. მამულები უმთავრესად დმანისისა და ქციის ხეობაში ჰქონდათ, რეზიდენცია, სასახლითა და ეკლესია-მონასტრით – კაზრეთის ხეობაში. ზ-ს ქართლის სამეფო კარზე სუფრაჯის, მორდლის, ბოქაულთუხუცესის თანამდებობანი ეპყრათ. XVIII ს. დასასრულს მათი მამული გააჩანაგა და ააოხრა ლეკთა გამუდმებულმა თარეშმა.

ლიტ.: გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.

გ. აკოფაშვილი.

ზურაბიშვილი ელენე გიორგის ასული, იხ. *დ'ანკოსი* ელენ კარერ.

ზურაბიშვილი ვალერიან სოლომონის ძე (25. X. 1917, სოფ. შემოქმედი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 29. XII. 2006, თბილისი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1996), საქართვ. დამს. ეკონომისტი (1967). 1939 დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი. 1947–86 მუშაობდა სსრკ-ის სახელმწ. კონტროლის სამინისტრო სისტემაში და საქართვ. ფინანსთა სამინისტროს ცენტრ. აპარატში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე. ეწეოდა სამეცნ.-პედ. საქმიანობას თსუ-ში (1961–86), საქართვ. მეცნ. და ტექ. სახელმწ. კომიტეტთან არსებულ სახ. მეურნეობის მართვის ინ-ტში (1986–91), ფინანსებისა და სტატისტ. ინ-ტში (1991–94).

1994–2003 იყო ეკონ. და სოც. პრობლემების სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის განყ-ბის გამგე, 2004–06 – ამავე ინ-ტის მთ. მეცნ. თანამშრომელი.

ზ. მრავალი სამეცნ. შრომის ავტორია. მისი კვლევის საგანია ფინანსების და სამეურნეო საქმიანობის ეკონ. ანალიზის საკითხები. აღსანიშნავია ზ-ის ღვაწლი ეკონ. და საფინანსო-საკრედიტო ტერმინოლოგიის შემუშავებაში. გამოცემული აქვს მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. 1977–87 იყო თბილ. სახ. დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მრავალი მოწვევის დეპუტატი. მიღებული აქვს საბრძოლო და სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998).

თხზ.: მშენებლობის ეკონომიკური ანალიზი, თბ., 1990; საწარმოთა საბრუნავი საშუალებები, თბ., 1993; საქართველოს საბიუჯეტო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პერიოდში, თბ., 2005; საქართველოს საფინანსო პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პერიოდში, თბ., 2006.

ზურაბიშვილი ივანე ივანეს ძე (26. I. 1872, ფოთი, – 14. VI. 1940, საფრანგეთი), საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, ჟურნალისტი.

1891 დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, 1895 – მოსკოვის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტი. იმავე წელს დაბრუნდა საქართველოში, დაქორწინდა ნ. ნიკოლაძის ასულ ნინოზე. 1896-იდან თბილისშია. მუშაობდა კერძო იურიდ. ფირმაში, 1908–19 იყო ამიერკავკ. რკინიგზის მთ. იურისკონსულტი. ეწეოდა პუბლიც. და მთარგმნელობით მოღვაწეობას, აქვეყნებდა ნოველებს, ესკიზებს, რუსულად თარგმნა დ. კლდიაშვილის, ვაჟა-ფშაველას მოთხრობები. იბეჭდებოდა გაზეთებში: ,,ივერია'', ,,ცნობის ფურცელი''; ჟურნალებში: ,,მოამბე'', ,,ერი''; რუს. პრესაში: ,,ნოვოე ობოზრენიე'', ,,ვოზროჟდენიე''. თარგმნიდა ა. ფრანსის, გი დე მოპასანის, ა. დოდეს, შ. ბოდლერის, ჰ. სენკევიჩისა და სხვ. ნაწარმოებებს. 1907 გაზ. ,,ამირანში'' (№84–124) დაიბეჭდა მის მიერ თარგმნილი იაპონელი მწერლის კენძირო ტოკუტომის ვრცელი რომანი ,,ნამიკო''.

ზ. მონაწილეობდა ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების'', ქართ. სათავადაზნაურო სკოლის დამხმარე კომიტეტისა და ქართ. დრამ. საზ-ბის მუშაობაში.

XX ს. დასაწყისიდან ქართ. საზ-ბის ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა, დაეფუძნებინა ეროვნ. მიმართულების მოძრაობა ი. ჭავჭავაძის მეთაურობით. საადგილმამულო ბანკში მოწვეულმა კრებამ მოძრაობის პოლიტ. ხელმძღვანელად ზ. აირჩია. 1905 რევოლუციისა და მომდევნო რეაქციის ხანაში მოძრაობა პარტიად ვერ ჩამოყალიბდა. მოგვიანებით, 1918 დაარსდა ეროვნ.-დემოკრ. პარტია, რ-ის წევრიც იყო ზ. იმავე წელს იგი ედპ-ის ცკ-ის წევრად აირჩიეს, შემდეგ კი – საქართვ. სენატის წევრად. 1921 ზ. საკათოლიკოსო საბჭოს მრჩეველია.

1921 ზ. ცოლ-შვილთან ერთად ემიგრაციაში წავიდა, თავდაპირველად სტამბოლში, შემდეგ კი – პარიზში დასახლდა. ბეჭდავდა წერილებს ემიგრანტულ პრესაში ფსევდონიმებით: ,,ვინ-ზენ'', ,,ზ-ლი'', ,,ჟანზეტ'', ,,დარბაისელი''. 1936 გამოაქვეყნა წიგნი ,,საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა''; 1962 კი პარიზში, დაბეჭდა მოგონებათა წიგნი ,,კარგ ქართველთა ხსოვნისათვის'', რ-ის დასრულებაც ზ-მა ვერ მოასწრო. ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა გ. რობაქიძემ. ზ. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე (პარიზის მახლობლად).

თხზ.: კარგ ქართველთა ხსოვნისათვის, პარიზი, 1962; მოთხრობები, შემდგ. და შესავალი წერილის ავტორი ვ. წოწელია, თბ., 1965.

ლიტ.: შ ა რ ა ძ ე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წგ. 1, თბ., 1991.


გ. შარაძე. ვ. წოწელია.

ზურაბიშვილი ილია ელეფთერის ძე (18.III.1872, ყვარელი, – 29.III.1955, თბილისი), მწერალი, ხელოვნებათმცოდნე. დაამთავრა სოფ. საცხენისის ორკლასიანი სასწავლებელი. ოჯახიდან მოსდგამდა ხელოვნების სიყვარული და ცოდნა; საფუძვლიანად შეისწავლა ქართ. ლიტ-რა, თეატრ. ხელოვნება. 1893 გაიწვიეს მეფის ჯარში, სადაც 1894 დაწერა პირველი ავტობიოგრაფიული ხასიათის მოთხრობა ,,გარო-ზგილი'' – 1905 დაიბეჭდა ,,ივერიის ბიბლიოთეკაში'' (ცალკე წიგნად გამოიცა 1953). ამავე წელს ,,კვალში'' დაიბეჭდა მისი ვრცელი მოთხრობა ,,სამშობლოს მსხვერპლი''. 1896 ზ. საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში, მუშაობდა საოლქო სასამართლოში თარჯიმნად. 1903 აირჩიეს თბილ. გუბერნიის საკრებულოს მდივნად. ი. ჭავჭავაძემ ყურადღება მიაქცია ახალგაზრდა მწერალს და სისტემატურად უბეჭდავდა მოთხრობებს, ესკიზებს, ფილოს. ნოველებსა და თეატრ. რეცენზიებს (აღსანიშნავია, რომ მისი 39 მოთხრობიდან ,,ივერიაში'' დაიბეჭდა 32, მ. შ.: ,,შენმა სულმა ზღოს'', 1894; ,,დიდება ხელოვნებას'', 1895; ,,ლულუნი'', 1895; ,,განთიადი, განთიადი!'', 1902; ,,ტალღა'', 1905 და სხვ.). ხშირად ბეჭდავდა ფსევდონიმებით: ილია ელეფთერიძე, ინზენი და ილო. მოთხრობა ,,ტურიკო, მგელია და თოლია'' 1905 გამოქვეყნდა ,,ივერიის ბიბლიოთეკაში'', ხოლო 1926 გამოიცა ცალკე წიგნად სახელწოდებით ,,ორი მონადირე''. ამ მოთხრობის საფუძველზე გადაღებულია კინოფილმი. ზ-მა შექმნა ქართვ. მსახიობთა შთამბეჭდავი პორტრეტები, დაგვიტოვა მოგონებები ქართვ. მწერლებზე: ,,მოგონება ილია ჭავჭავაძეზე'' (გამოქვეყნდა 1939), ,,მოგონება აკაკი წერეთელზე'' (1942), ნიკო ლორთქიფანიძეზე – ,,რაინდი უშიშარი და უმწიკვლო'' (1945) და სხვ. აღსანიშნავია ზ-ის მოღვაწეობა მუსიკათმცოდნეობის დარგში. მას ეკუთვნის გამოკვლევები: ,,კახური მრავალჟამიერი'', ,,ურმული'', ,,ცეკვა ქართული'' (წიგნში – ,,ხალხის შემოქმედი გენია'', 1949); მონოგრაფიული ნაშრომები: ,,ვანო სარაჯიშვილი'' (1939), ,,ნიკო ქუმსიაშვილი'' (1940), «ზაქარია ფალიაშვილის ოპერა ,,აბესალომ და ეთერი''» (1941). ამ ნაშრომებით ზ-მა ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა ქართ. სამუსიკო კრიტიკას, როგორც ქართ. მუსიკათმცოდნეობის დარგს. იგი, ამასთანავე, თარგმნიდა რუს. და ევრ. კლასიკოსებს. იყო უნ-ტის დაარსების საკითხების მოსაგვარებელი დამფუძნებელი საზ-ბის წევრი.

თხზ.: თეატრალური პორტრეტები, ნარკვევები მუსიკაზე, თბ., 1972; მოთხრობები. მოგონებები, თბ., 1977.

ლიტ.: ს ი გ უ ა ა., ქართული ხელოვნების მოღვაწენი, თბ., 1985; მ ი ს ი ვ ე, ილია ზურაბიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1989.

ნ. ალანია. ვ. წოწელია.



ი. ე. ზურაბიშვილი.

ზურაბიშვილი ირაკლი ივანეს ძე (23. V. 1918, თელავი, – 27. IX. 1991, თბილისი), მეცნიერი სამთო დარგში. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1983). ტექ. მეცნ. დოქტორი (1966), პროფესორი (1968), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). 1941 დაამთავრა საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტი. 1957–73 იყო საქართვ. მეცნ. აკად. გ. წულუკიძის სახ. სამთო მექანიკის ინ-ტის სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დამუშავების ლაბორ. გამგე, 1973–80 – ამავე ინ-ტის დირექტორის მოადგილე, 1980–87 – დირექტორი, 1955-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას სპი-ში. ზ-ის ძირითადი შრომები ეხება მანგანუმის საბადოების მიწისქვეშა დამუშავების საკითხებს, მადნეული საბადოების დამუშავების ოპტიმალური პარამეტრების დადგენის მეთოდებსა და სხვ. მან ჩამოაყალიბა ფენობრივი ტიპის საბადოების დამუშავების მეცნ. საფუძვლები. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა, მ. შ. 8 მონოგრაფიის. არის საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1973). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Технология подземной разработки рудных месторождений, М., 1976; Разработка марганцеворудных месторождений, М., 1987 (თანაავტ.: В. А. Каландадзе, А. Ф. Кикабидзе).



ი. ზურაბიშვილი (1918–91).



ს. ზურაბიშვილი.

ზურაბიშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე (1868, თბილისი, – XX ს. I ნახ.), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1916). დაამთავრა თბილ. კადეტთა კორპუსი, მიხეილის საარტ. სასწავლებელი და მიხეილის საარტ. აკადემია (I თანრიგით, 1894). 1886-იდან მსახურობდა ჯარში. 1907 დაინიშნა ლუგანსკის სავაზნე

ქარხნის უფროსად. 1906 მიენიჭა პოლკოვნიკის წოდება. 1907–09 იმყოფებოდა თადარიგში. 1916-იდან იყო ლუგანსკის სავაზნე ქ-ნის უფროსის თანაშემწე ტექ. დარგში.

დაჯილდოებულია წმ. ანას, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

ლიტ.: ქართლ-კახეთის თავადები და აზნაურები, თბ., 2005. *მ. გოგიტიძე.*

ზურაბიშვილი სალომე ლევანის ასული (დ. 18. III. 1952, პარიზი), დიპლომატი, იტალიის რესპუბლიკის ღირსების ორდენის კავალერი (1977), საფრანგეთის რესპუბლიკის ღირსების ეროვნული ორდენის ოფიცერი (1996) და საფრანგეთის რესპ. საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი (2004), საფრანგეთის პოლიტ. მეცნ. ინ-ტის პროფესორი (2006). 1973 დაამთავრა პარიზის პოლიტ. მეცნ. ინ-ტი, კოლუმბიის უნ-ტი (ნიუ-იორკი, 1973). 1974-იდან მუშაობდა სხვადასხვა დიპლ. თანამდებობებზე, როგორც საფრანგეთში, ასევე აშშ-ში, იტალიაში, ავსტრიაში, ჩადის რესპუბლიკაში, ბელგიაში. იყო ეროვნ. თავდაცვის გენ. სამდივნოს საერთაშ. და სტრატეგიულ საკითხთა ხელმძღვანელი (პარიზი, 2001–03), საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში (2003–04), საქართვ. საგარეო საქმეთა მინისტრი (2004–05), ზ. არის ,,სალომე ზურაბიშვილის საზოგადოებრივი მოძრაობის'' (2005), ხოლო 2006-იდან – პოლიტ. გაერთიანება ,,საქართველოს გზის'' ლიდერი.



გ. ზურებიანი.

თხზ.: საქართველოსკენ, თბ., 2006; Que sais-je: La Géorgie, P., 1986; Une famme pour deux pays, P., 2006; Quelles frontières pour l'Europe, P., 2007; Les cicatrices des Nations, P., 2008.

ზურგა, ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი ბორცვი სოფ. ქვემო ჭალადიდში (ხობის მუნიციპალიტეტი), მდ. რიონის მარჯვ. სანაპიროდან (ჩრდ-ით) 1,5 *კმ*-ზე. საერთო ფართობი 1800 *მ*², ზ. დ. 5,03 *მ.* ამჟამად ბორცვზე თანამედროვე სამოსახლოებია. 1962 ჩატარდა ნაწილობრივი არქეოლ. გათხრები (ხელმძღვ. თ. მიქელაძე). დადასტურდა 3 კულტ. ფენა.



ზურნა.

ქვედა ფენაში (რადიოკარბონული მეთოდით აბსოლ. თარიღი ძვ. წ. XVI–XV სს.) გამოვლინდა ხის გადამწვარი ნაგებობების ნაშთები. იატაკი საგანგებოდ დატკეპნილი თიხნარის იყო. იქვეა ფიქსირებული ხის დანახშირებული ძელი. ნაპოვნია მეტწილად შავად და მოვარდისფროდ გამომწვარი საშუალო და მცირე ზომის ჭურჭლის ფრაგმენტები. შავი ფერის ჭურჭელი უფრო მრავალფეროვანი (ფრინველის მკერდისებურყურიანი, ზომორფულყურიანი, პირმოყრილი ტოლჩები, თასები, პირმოყრილი და პირგადაშლილი თასები, ტოლჩები, ქოთნები, ქილები) და თითქმის ყველა ორნამენტირებულია (ღაროვანი, წერტილოვანი კონცენტრული, ზოლურ-ლენტური და სხვ.). ამავე ფენაში აღმოჩენილია ლითონის ნივთის ჩამოსასხმელი ყალიბის ცალი საგდული და ქვის ხელსაფქვავის ფრაგმენტები, კვირისტავი და ძვლის საპრიალებელი.

მომდევნო შუა ფენა განკუთვნება გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ადრინდ. ეტაპს (თ. მიქელაძის პერიოდიზაციით). შუა ფენა წარმოადგენს ყვითელი ფერის წმინდა თიხნარს, რ-შიც აღმოჩენილია მრავალფეროვანი მასალა. ჭარბობს მოვარდისფროდ გამომწვარი ჭურჭელი. ჩნდება ჭურჭლის ახ. ფორმებიც. თუმცა ქვედა ფენის ფორმები პრინციპულად შენარჩუნებულია, ორნამენტი ოდნავ შეცვლილია და კომპოზიციურად გამარტივებული. ამავე ფენაში აღმოჩნდა ქვის დაკბილული შტამპი, რითაც თიხის ჭურჭელზე ორნამენტი გადაჰქონდათ, აგრეთვე ნამგლის კაჟის ჩასართები.

ზედა ფენა (ძვ. წ. VIII–VII სს. ანუ ძველკოლხური II პერიოდი) ქვიშანარევ ყვითელ თიხნარს წარმოადგენდა. მასში გამოვლინდა წითლად გადამწვარი ბათქაშის შრე და თიხის სხვადასხვა ჭურჭლის ნატეხები. ზედა ფენა უფრო ღარიბულ მასალას შეიცავდა, მაგრამ მასში შეიმჩნევა ორივე წინამორბედი ფენის ჭურჭლის ფორმებთან დაკავშირებული ტენდენციები.

სამივე ფენის ძირითადი ნივთიერი მასალა (კერამიკა) ერთმანეთთან გენეტ. კავშირშია და ევოლუციას განიცდის. ზ. ცენტრ. კოლხეთისათვის დამახასიათებელი ტიპური ძეგლია. წამყვან სამეურნეო დარგებს აქ განვითარებული მიწათმოქმედება და მეცხოველეობა წარმოადგენდა.

ლიტ.: მიქელაძე თ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბ., 1978; მისივე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ.წ. II–I ათასწლეულები), თბ., 1974.

ე. გოგაძე.

ზურგი, მასისა და მოცულობის საწყაო. მოხსენიებულია XV–XVI სს. ქართ. ისტ. წყაროებში. იხმარებოდა თივის, ფეტვის, კანაფის, სელის და ღვინის საზომად. იყენებდნენ XVII და XIX სს-შიც. იგი გულისხმობდა ისეთი სიმძიმის ტვირთს, რ-ის მოკიდება შეეძლო ერთ ადამიანს. საშუალოდ ზ. 32 *კგ* უდრიდა.

ლიტ.: ჯაფარიძე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX–XIX სს.), თბ., 1973.

ზურგიანი კოშკი, კოშკის ერთ-ერთი სახე, რომლისთვისაც დამახასიათებელია მომრგვალებული უკანა მხარე – ,,ზურგი'' და ჩვეულებრივი, ოთხკუთხა მოხაზულობის წინა მხარე. პირველად ყურადღება მიაქცია პ. *ზაქარაიამ.* გვხვდება შიდა ქართლის ხეობათა ზემო წელზე, მთაში, მდ-ების: ქსნის (უკანუბანი, ქარჩოხი, წინკიბე, ალავერდი), რეხულის (ქოროღო), მეჯუდის (ბიყარი), პატარა ლიახვის (სიათა, ვანათი), სკრის (კოშკები) ხეობებში. განსაკუთრებით გავრცელებულია მთიულეთსა და ხევში ხადას (ქოროღოს, იუხოს, ცეცხლისჯვრის, კაიშაურის, ქალაქეთისა და სხვ. კოშკები), არაგვის (ჟინვალი, ზემო მლეთა), თერგის (გერგეტი და ხურთისი) ხეობებში. ზ. კ-ის ქრონოლოგია დროის დიდ მონაკვეთს მოიცავს. ზოგი მათგანი ადრინდელსა და განვითარებულ შუა საუკუნეებსაც მიეკუთვნება.

ზურგისძვალი, მთა ყვარლის მუნიციპალიტეტში, კახეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ. დურუჯის (ალაზნის მარცხ. შენაკადი) სათავეებში. სიმაღლე 2768 *მ.* აგებულია ქვედაიურული თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. ზ-ის ჩრდ., სამხრ. და დას. კალთები ციცაბოა, აღმ. – დამრეცი. მდ. შავი დურუჯისაკენ (დურუჯის ერთ-ერთი სათავე) მიმართული კალთა გაშიშვლებულია, დანარჩენი შემოსილია სუბალპ. და ალპ. მდელოებით.

გ. ჩანგაშვილი.

ზურგოვანა, სოფელი მცხეთის მუნიციპალიტეტში. 2007 შევიდა ქ. თბილისის ადმ. საზღვრებში. ზ. დ. 720 *მ.*

ზურეგიანი გოჯი ნარიმანის ძე (1906, მულახი, ახლანდ. მესტიის მუნიციპალიტეტი, – 1975, იქვე), ალპინისტი, მეგზური, მთამსვლელობის ინსტრუქტორი. სსრკ-ის სპორტის დამს. ოსტატი. სსრკ-ში პირველმა განახორციელა ჯგუფთან ერთად კედლოვანი ასვლა სამხრეთ უშბაზე (1937). მონაწი-

ლეობდა ა. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ჩატარებულ მცირე (ლეხზირი – ულუყარა) და დიდ (წურუნგალა – აილამა – შხარა) ტრავერსებში (1940), ი. მარის ხელმძღვანელობით უშბაზე და რამდენიმე უსახელო მწვერვალზე ჩატარებულ ექსპედიციებში (1946–47), ტრავერსში შხელდაზე (1949). იყო სსრკ-ის ჩემპიონი ტრავერსების კლასში (1950, შხელდა–უშბა).

ლიტ.: კავკასიონზე (კრებული), შემდგ. დ. ფურცელაძე, რედ. ნ. კეცხოველი, თბ., 1959.

ზურნა, აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული კონუსის ფორმის ერთლეროვანი ჩასაბერი მუსიკალური საკრავი. თვით ტერმინიც არაბ.-სპარს. წარმოშობისაა. ივ. ჯავახიშვილის აზრით ამ საკრავის გავრცელება აღმ. საქართვ. რეგიონებში ძირითადად XVII ს-იდან იწყება. საქართველოში ამზადებენ უმთავრესად გარგარის, აგრეთვე კაკლის ხისაგან, ღეროზე ზედა მხრიდან ამოჭრილია 7–8 თვალი, ზურგის მხრიდან – ერთი. ბოლო განიერი აქვს. ღეროს სიგრძე 28–30 *სმ*. ზ-ის დიაპაზონია მცირე ოქტავის Ь – III ოქტავის С. ზოგჯერ შეიძლება IV ოქტავამდე გაზრდაც. მისი მყიფე, გამყინავი და ჭყიპინა ტემბრი კარგად მიესადაგება სპორტული (ჭიდაობა, ბერიკაობა, ყაბახი და სხვ.) პაექრობების დაძაბულობასა და ლხინის, სახალხო დღესასწაულების ამაღლებულ განწყობას, რასაც დოლის რიტმული თანხლებაც უწყობს ხელს. ზ. საანსამბლო საკრავია. მეზურნეების ანსამბლს (*დასტა*) შეადგენენ: უსტაბაში (I მეზურნე), დამქაში (II მეზურნე) და მედოლე. იყენებდნენ აგრეთვე ბრძოლის ველზე, საბრძოლო განწყობის ასამაღლებლად. ხშირად იხსენიება XVII–XVIII სს. ქართ. ლიტერატურაში.

ლიტ.: გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ი., თხზ. კრ. ხუთ ტომად, ტ. 3, თბ., 1963.

„ზურნა“, 1. კარიკატურებიანი საოხუნჯო ალმანახი. გამოდიოდა თბილისში 1908 (რედაქტორი – ა. წერეთელი, გამომცემელი – დ. აბდუშელი). გამოვიდა 3 რვაგვერდიანი ნაკვეთი უთარიღოდ. 2. კარიკატურებიანი სატირულ-იუმორისტული ყოველდღიური ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1912 (გამომცემელი – მ. ლელაშვილი). კარიკატურები ეკუთვნით ო. შმერლინგსა და სატურნს. გამოვიდა 3 რვაგვერდიანი ნომერი. „ზ-ის“ გაგრძელება იყო ჟურნ. „შურდული“.

ზურტაკეტი, ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში, ახლანდელ დმანისის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს გომარეთის პლატოზე, მდ. შავწყაროსწყლის (ხრამის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. დას-იდან ზ-ს ესაზღვრება ჯავახეთის ქედი, ჩრდ-ით – კვირიკეთის ქედი, აღმ-ით – ხრამის ხეობა, სამხრ-ით – ლუკუნის მთა. პლატოს სიმაღლე 1200–1600 *მ*. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) თავის „გეოგრაფიაში“ ზ-ის აღწერას იძლევა, 46 სოფლის სიას კი აწერია – „გომარეთი და ზურტაკეტა“. შესაძლოა ეს ფაქტიც ამ გეოგრ. ერთეულში ჩამოყალიბებულ ორ მიკროქვეყანაზე მეტყველებს. მატერ. კულტ. ძეგლებიდან აღსანიშნავია გათხრილი და შესწავლილი ყორღანები, რ-ებიც ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება (ო. ჯაფარიძე). შუა საუკუნეთა ძეგლებიდან გამოირჩევა ციხე-ქვაბი და მუსის ციხე, გომარეთის ადრეული სტელები, ეკლესიების დიდი რაოდენობა, რ-თაც მნიშვნელოვანი წარწერები ახლავთ. საყურადღებოა ქარვასლის ნანგრევი სოფ. სალამალეიქის (ახლანდ. სოფ. ქარვასლა) მახლობლად; იგი, ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, ყოფილა „თამარ მეფისაგან აღშენებული ზამთარ მოგზაურთათვის“. ამჟამად იქაური მოსახლეობა ნარევია (ქართველები, სომხები, თურქულენოვანი ბერძნები). უდიდესი ქარ. სოფელია *გომარეთი*, რ-იც ძვ. წყაროებშიც ასევე მოიხსენიება. ვახუშტი წერს: „აქა არს დაბა დიდი გომარეთი, ვითარცა მცირე ქალაქი“. მხარის დაწინაურებას ხელს უწყობდა ქვემო ქართლიდან ჯავახეთისაკენ გამავალი გზა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი დ., თრიალეთის უცნობი წარწერები, «საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული», 1982, ტ. 6; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ო., არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969. *დ. ბერძენიშვილი.*

ზურტაკეტის ხეობის გამოქვაბულები, ხუროთმოძღვრებისა და არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლში მდინარე ხრამის მარჯვ. შენაკადის – შავწყაროსწყლის (ისტორიული ზურტაკეტი) ხეობაში (დმანისის მუნიციპალიტეტი). აქ მრავალი ხელოვნური გამოქვაბულია. განსაკუთრებით საინტერესოა სოფ. გომარეთისა და ახას მიდამოების გამოქვაბულთა კომპლექსები.

I კომპლექსი ხეობის მარცხ. ციცაბო კალთაზე 4 იარუსად განლაგებულ 40-მდე გამოქვაბულისაგან შედგება, ხოლო მისი მოპირდაპირე II კომპლექსი 2 იარუსად განლაგებულ 20-მდე ძლიერ დაზიანებულ გამოქვაბულს მოიცავს. ქვემოთ, დაახლ. 1 *კმ*-ზე, ხეობის ერთმანეთის მოპირდაპირე კალთებზე გამოკვეთილია 3 იარუსად განლაგებული III (25 გამოქვაბული) და IV (35 გამოქვაბული) კომპლექსები. ამის ქვემოთ, დაახლ. 2 *კმ*-ზე 10-მდე გამოქვაბულის ჯგუფია გამოკვეთილი.

ასიმეტრიული, გეომ. ფორმის გამოქვაბულები გამონგრეულია ბაზალტის ქანებში რკინის იარაღის დაუხმარებლად. შუა საუკუნეებში დაზიანებული კომპლექსები აღუდგენიათ – გვხვდება ქვითკირის ზღუდეები, ნახევარწრიული და სწორკუთხა გეგმის კოშკები და სხვ.

I კომპლექსის IV იარუსის ცენტრ. ნაწილში რამდენიმე დაზიანებული ქვაბული წინიდან ქვითკირის კედლით მოუზღუდავთ და ერთნავიანი, ბრტყელაფსიდიანი ეკლესია აუგიათ.

1987–88 ჩატარდა არქეოლ. გათხრები (ხელმძღვ. ნ. ბახტაძე). გამოქვაბულთა იატაკები მოლესილი ან თიხატკეპნილი იყო. ზედა ფენებში აღმოჩნდა XI–XIV სს. საქართველოში გავრცელებული წერნაქით მოხატული და მოუხატავი, ორნამენტირებული და სადა თიხის ნაწარმის (ჯამები, დოქები, ქოთნები, დერგები, თონეები, კერები) ნატეხები, იმავე ფენებში აღმოჩნდა ლითონის, ხის, ძვლის და სხვ. მასალის ნაკეთობანი (ხელსაფქვავები, კოვზები, სავარცხელი, კვირისტავები, ქსოვილის ფრაგმენტები და სხვ.), აგრეთვე რუსუდანისა და ყაანური XIII–XIV სს. სპილენძისა და ვერცხლის მონეტები.

არქეოლ. შესწავლით ჩანს, რომ XI–XIV სს. ამ მიდამოებში კლდეში ნაკვეთი სოფლები იყო, სადაც აღნიშნული საფორტიფიკაციო ნაგებობანი მოსახლეობისა და დაწინაურებული ფენის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა.

ზოგიერთი გამოქვაბულის ფეოდ. ხანის იატაკის ღრმულებში, გამოვლინდა ხრამის ხეობის გამოქვაბული კომპლექსებისთვის დამახასიათებელი გვიანდ., შუა და ადრინდ. ბრინჯაოს ხანის თიხის



ბ. ზუტნერი.



მ. ზუხბა.



ო. ზუხბაია.

ნაწარმის ფრაგმენტები. ჩანს, ეს მიდამოები, ძირითადად, ადრეულ ხანაში ყოფილა ათვისებული.

არქეოლ. მასალა დაცულია ს.-ქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

ლიტ.: ბახტაძე ნ., ქვემო ქართლის კლდის ძეგლები, თბ., 1991.

ნ. ბახტაძე.

ზუტნერი (Suttner) არტურ გუნდაკარ ფონ (21. II. 1850–10. XII. 1902), ავსტრიელი მწერალი; მეუღლესთან ბ. ფონ *ზუტნერთან* ერთად ცხრა წელი (1876–85) ცხოვრობდა საქართველოში. თითქმის მთელი თავისი შემოქმედება მიუძღვნა საქართველოსა და კავკასიის თემას; საყურადღებოა მისი რომანები ,,დარეჯანი'' (მეორე გამოც. 1896, პირველი არ არის მიკვლეული), ,,აზნაური'' (1886), ,,შამილი'', ,,აჭარლები'' (ორივე 1890), ,,ჩერქეზები'' (1898). XIX ს. II ნახ. საქართველო საინტერესოდაა წარმოსახული მოთხრობების კრებულში ,,კავკასიის შვილები'' (2 წიგნად, 1890–91). ცნობილია, რომ ცოლ-ქმარი დიდად დაინტერესებულა ,,ვეფხისტყაოსნით'' (თარგმნეს გერმ. და ფრანგ. ენებზე, თარგმანი არ არის მიკვლეული); თარგმნის დაწყებამდე, 1884, ზ-ს გაზ. ,,კავკაზის'' რამდენიმე ნომერში გამოუქვეყნებია საინტერესო წერილები, რ-ებიც იმავე წელს ,,ივერიამაც'' დაბეჭდა სათაურით «უცხოელის აზრი ,,ვეფხისტყაოსანზე''. პოემის გადათარგმნის გამო ფრანსიულს ენაზე». ეს იყო უცხოელი ავტორის ერთ-ერთი პირველი ნაშრომი რუსთაველის შესახებ.

ლიტ.: კაკაბაძე ნ., რუხაძე ნ., კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში, თბ., 1963; კახნიაშვილი ვ., კოლხ მედეადან თანამედროვე საქართველომდე, თბ., 1984.

ნ. კაკაბაძე.

ზუტნერი (Suttner) ბერტა ფონ (ქალიშვილობაში – გრაფინია კინსკი, Kinsky) (9.VI.1843, პრაღა, – 21.VI.1914, ვენა), ავსტრიელი მწერალი ქალი. ევროპაში სახელი გაითქვა პაციფისტური რომანით ,,ძირს იარაღი!'' (1889). 1905 მიენიჭა ნობელის მშვიდობის პრემია. 1876–85 მეუღლესთან, ა. *ზუტნერთან* ერთად ცხოვრობდა საქართველოში სამეგრელოს დედოფალ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანთან, რ-საც ჯერ კიდევ პარიზში ყოფნისას დაუახლოვდა. ზ-ის ლიტ. მემკვიდრეობა შეიცავს ბელეტრისტულ, პუბლიც., კრიტ. და ისტ. ხასიათის ნარკვევებს. მისი წიგნი ,,მემუარები'' (1909), რ-შიც ვრცელი თავი მთლიანად ეძღვნება საქართველოს, ჩვენთვის მრავალმხრივ საინტერესოა. აღსანიშნავია, რომ ცოლ-ქმარს, ბერტა ზ-ის ცნობით, უთარგმნიათ ,,ვეფხისტყაოსანი'' გერმ. და ფრანგ. ენებზე, მაგრამ ხელნაწერი მიუკვლეველია. სავარაუდოა, რომ ინახება მათ არქივში.

თხზ.: ქართველებთან და საქართველოში, ნ. კაკაბაძის თარგმანი და გამოც., თბ., 1999.

ლიტ.: კაკაბაძე ნ., რუხაძე ნ., ბერტა ფონ ზუტნერის მოგონებები საქართველოზე, «ცისკარი», 1962, №5; მათივე, კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში, თბ., 1963.

ნ. კაკაბაძე.

ზუფუ, დასახლებული პუნქტი და მხარე გვიანდ. შუა საუკუნეების აფხაზეთში. ქართ. საისტორიო წყაროებში გვხვდება აგრეთვე ,,ზუფუს წყალი'', ,,ზუფუს მდინარე''. ზ. პირველად დამოწმებულია ,,იღორის ხატის'' 1651 წარწერაში. ,,ზუფუს წყალს'', ,,ზუფუს მდინარეს'' დღევანდელი მდ. ხიფსთა შეესაბამება. დასახლებული პუნქტი ზ., რ-ის მეორე სახელწოდება არის *ლიხნი*, წარმოადგენდა აფხ. ერისთავების – შარვაშიძეების მთავარ რეზიდენციას. ზ-ს მხარე მოიცავდა ტერიტორიას დაახლოებით გაგრის მიდამოებიდან (გაგრის ქედი) ანაკოფიის (დღევანდელი ახალი ათონის) მიდამოების ჩათვლით.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბურჯანაძე შ., ლიხთა-იმერეთის 1737 წლის რუკა როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო, «ხელნაწერთა ინსტიტუტის შრომები», 1959, ტ. 1; გრიგოლია კ., იღორის წმ. გიორგის ხატის წარწერა, «ენიმკის მოამბე», 1942, ტ. 13; ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954.

თ. ბერაძე.

ზუფუს მდინარე, ახლანდ. *ხიფსთა*, იგივე თეთრწყალა.

ზუხბა მინადორა ივანეს ასული [6(19).XI.1909, სოფ. ღუმურიში, ახლანდ. გალის მუნიციპალიტეტი, – 1998, სოხუმი], აფხაზი მსახიობი. საქართვ. (1958) და აფხ. (1960) სახ. არტისტი. სასცენო მოღვაწეობას ეწევოდა 1935-იდან, აფხაზეთის ს. ჭანბას სახ. დრამ. თეატრში (სოხუმი). 1939 დაამთავრა თბილ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრთან არსებული თეატრ. სტუდია (აფხ. სექტორი). იყო ა. ხორავასა და ა. ვასაძის მოწაფე. ზ-ს სცენური შემოქმედება გამოირჩეოდა სიწრფელით, ტემპერამენტით, გარდასახვის უნარითა და მაღალი პროფ. კულტურით. წარმატებით ასახიერებდა სახასიათო, კომედიურ და ტრაგიკულ როლებს, რ-თა შორის მნიშვნელოვანია: გუნდა (შ. ფაჩალიას ,,გუნდა''), სოფი (მ. შავლოხოვის ,,საქმრო''), ხანუმა (ა. ცაგარლის ,,ხანუმა''), დედა (კ. აგუმაას ,,დიდი მიწა''), ზიზა, კარამსადა (შ. ფაჩალიას ,,დიდი ქორწილი'', ,,სოლუმანი''), სოფიო (მ. გორკის ,,უკანასკნელნი''), შასია (მ. ლაკერბაის ,,დანაყაი''), ზეინაბი (ა. სუმბათაშვილის ,,ღალატი''), მედეა (ევრიპიდეს ,,მედეა'') და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

შ. ცუცქირიძე.

ზუხბაია ვალერიან ავქსენტის ძე (9.IV.1914, წალენჯიხა, –27.V.2011, თბილისი), გეოლოგი. აფხაზეთის რეგიონული მეცნ. აკად. წევრი (1995), საქართვ. უმაღლესი სკოლის დამს. მუშაკი (1992), პროფესორი (1992). 1945 დაამთავრა თსუ-ის გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტი. 1946–51 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკადემიის აფხ. ასსრ-ის საწარმოო ძალთა შემსწავლელ სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1951-იდან მუშაობდა სოხუმის პედ. ინ-ტში (საბუნებისმეტყველო ფაკ-ტის დეკანი, გეოგრ. კათედრის გამგე), 1954–59 – ქუთაისის პედ. ინ-ტში, 1959 – 93 – საქართველოს სუბტროპ. მეურნეობის ინ-ტში, 1993–2005 – საქართვ. მეცნ. აკად. ა. ჯანელიძის სახ. გეოლ. ინ-ტში (წამყვანი მეცნ. თანამშრომელი) და თსუ-ის სოხუმის ფილიალში (პროფესორი). ზ. ავტორია უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოებისა (მინერალოგიისა და პეტროგრაფიის მოკლე კურსი; ზოგადი გეოლ. პრაქტიკუმი; ზოგადი გეოლოგია; მხარეთმცოდნეობა); გამოიკვლია და დაადგინა 4000-მდე აფხ. ტოპონიმი, შეისწავლა ქვის კულტ. ისტორია საქართველოში, ძვირფასი ქვები ,,ვეფხისტყაოსანში'' და სხვ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2002), ივ. ჯავახიშვილისა და ა. ჯანელიძის მედლებით.

თხზ.: რას გვიამბობს საქართველოს მიწა, თბ., 1959; საქართველოს დეკორატიული და ფერადი ქვები, თბ., 1974; ქართლის ცხოვრების ქვის ფურცლები, თბ., 1975; ძვირფასი და ტექნიკური ქვები, თბ., 1980; ქართული ოქრო, თბ., 1995; სოხუმი, თბ., 1997; აფხაზეთო ჩემო, თბ., 1998; ბუნება ,,ვეფხისტყაოსანში'', თბ., 1999; ანაკოფია – ახალი ათონი, თბ., 2001; გალის რაიონის ბუნება, ისტორია, სახალხო მეურნეობა, თბ., 2002.

ვ. ზესაშვილი.

ზუხბაია ოთარ გიორგის ძე (7.IX.1940, ქ. გალი, აფხ. არ, – 27.VII. 1995, თბილისი), აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (1987–89). 1963 დაამთავრა სპი (ახლანდ. სტუ) ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით, 1984 – სკკპ ცკ-ის საზოგადოებრივ მეცნ. აკადემია (დაუსწრებლად). 1963–74 მუშაობდა საქქალაქმშენპროექტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1978–80 იყო საქართვ. კპ გალის რაიკომის პირველი მდივანი, 1980–85 – საქართვ. კპ აფხ. საოლქო კომიტეტის მდივანი, 1985–87 – მეორე მდივანი, 1989–91 – საქართვ. მინისტრთა საბჭოს საგანგებო სიტუაციების გან-ბის გამგე. 1991–95 იყო საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. პრეზიდენტის მოადგილე საერთო საკითხებში.

ზღაპარი, ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი ძირითადი ჟანრი; ეპიკური, უმეტესად პროზაული სახის ჯადოსნური, სათავგადასავლო ან ყოფითი ხასიათის მოთხრობა, რ-საც საფუძვლად უდევს მხატვრული გამონაგონი. ზღაპრული ეპოსის ნაწარმოებები სამ ძირითად ჯგუფად არის დაყოფილი, ესენია: ზ. ცხოველთა შესახებ, ჯადოსნური და ნოველისტური ზ-ები. ზ-ის საწყისი ფორმაა მოკლე მოთხრობა. მითისგან განსხვავებით ის მოგვითხრობს არა ბუნების ძალებზე, არამედ ცალკეულ ადამიანზე, გმირზე, გადმოგვცემს მის ინდივიდ. კონფლიქტს ბუნების განმასახიერებელ ძალებთან ან სოც. გარემოსთან. თუმცა, თავდაპირველად ზ. გამსჭვალული იყო მითოლ. რწმენა-წარმოდგენებით, ადამიანთა ურთიერთობის გამოსახატავად ის ხშირად მითოსის სახეებსა და მეტაფორებს მიმართავდა. დროთა ვითარებაში ზ-ს გარკვეული ზეპირი ტრადიციით შეპირობებული სტილისტურ-კომპოზ. თავისებურებანი ჩამოუყალიბდა (გალექსილი საწყისი და დაბოლოება, სამმაგობა, ტრად. ფორმულები და სხვ.).

ცხოველთა ეპოსი უძველესია პროზაულ ჟანრებს შორის. მასში ვხვდებით არქ. ტოტემურ წარმოდგენებს, იგავ-არაკის საპირისპიროდ. ცხოველები აქ ადამიანის ალეგორიას არ წარმოადგენენ – ჯერ კიდევ არ არის გაცნობიერებული პრინციპული განსხვავება ადამიანსა და ბუნებას შორის. ქართ. ფოლკლორში ფიქსირებულია ამგვარი ზ-ის 90-მდე სიუჟეტი. ჯადოსნური ზ. გვაროვნული წყობილების დაშლასა და კლასობრივი საზ-ბის ჩამოყალიბების ხანას უკავშირდება, მაგრამ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების, სოც. უთანასწორობის ამსახველ თემატიკას ამ საფეხურზე ჯერ კიდევ ერწყმის ტოტემური თუ მითოლ. წარმოდგენები. ქართ. ჯადოსნური ზ-ის პერსონაჟები არიან: მზეთუნახავი, დევი, ქაჯი, გველეშაპი, მინდორთბატონი ქალი, ავი ბებერი და მისთანები. ჯადოსნური ზღაპრისათვის დამახასიათებელია მკვეთრად განსაზღვრული სამმაგობის პრინციპი. ამ ტიპის ზ-ში ბოროტს მუდამ სძლევს კეთილი, დაჩაგრული საბოლოოდ გამარჯვებული რჩება. ზ. ასახავს ადამიანის მარადიულ ოცნებას ბედნიერ მყოფადზე. მორალისტურ, ანუ ლეგენდურ, ზ-ში ჯადოსნური ელემენტების ადგილს ქრისტ. ელემენტები იჭერს. ნოველისტური ზ-ის გმირი თანდათან მეტ ინდივიდ. ნიშნებს იძენს, მძაფრდება სოც. მოტივები და რეალისტური ელემენტები. ჩნდება ახ. პერსონაჟები: ვაჭარი, ნოქარი, გენერალი, ჯარისკაცი, მინისტრი; იცვლება ზ-ის ფორმა. ის უფრო ლაკონიური, სადა ხდება, უახლოვდება ჩვეულებრივ მოთხრობას. იქმნება ხალხ. ნოველის ჟანრი. აღსანიშნავია, რომ ზღაპრული ეპოსის სამივე ქვეჟანრის ნაწარმოებთა გმირებს შორის არსებობს საერთო გენეტ. ხაზი.

ტერმ. ,,ზღაპარი'' პირველად ბიბლიაში გვხვდება (VII ს. თარგმანი). ქართ. ზ-ის დღემდე ცნობილი უადრესი ჩანაწერი XVII ს. ეკუთვნის (ჩაიწერა *ბერნარდე ნეაპოლელმა*). სისტემ. შეკრება XIX ს. 50-იანი წლებიდან დაიწყო. ცალკე კრებულად პირველად ლ. აღნიაშვილმა გამოსცა (1890). ქართ. ზ-ები თარგმნილია რუს. (1884), ინგლ. (1894), გერმ. (1920), ჩეხურ (1949), უნგრულ (1958), იაპონურ (1973) და სხვ. ენებზე.

ზ-ის საფუძველზე ან ამ ჟანრის გამოყენებით მრავალი მხატვრული ნაწარმოებია შექმნილი (ა. პუშკინის, ლ. ტოლსტოის, ჰ. კ. ანდერსენის, შ. პეროს, ო. უაილდის, ს.-ს. ორბელიანის, ვაჟა-ფშაველას, კ. გამსახურდიას და სხვათა თხზულებანი).

გამოც.: ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ს. გაჩეჩილაძის მიერ სოფ. წევაში, ზემო იმერეთს, [ა. ა.], 1903; ხალხური ზღაპრები, კახეთსა და ფშავში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, ტფ., 1909; ხალხური ზღაპრები, ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, ტფ., 1909; ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედ., ტ. 1, თბ., 1938; რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, ე. ვირსალაძის რედ. და წინასიტყვ., ტ. 1–2, თბ., 1949–58; ქართული ზღაპრები, ა. ღლონტის გამოც., თბ., 1974, გამოც. მე-2, თბ., 1987.

ლიტ.: ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე ე., ზღაპარი, წგ.: ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ნაწ. 1, თბ., 1960; ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, [ტ.] 1, თბ., 1975; ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი რ., უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში, თბ., 2004; П р о п п В. Я., Морфология сказки, 2 изд., М., 1969.

ე. ვირსალაძე.

ზღაპრის ბეგარა, ბეგრის სახეობა შუა საუკუნეების საქართველოში. აკაკი წერეთლის მოწმობით, ,,ბატონყმობის დროს ზოგიერთ გლეხებს მთელი გვარეულობით ზღაპრებისა და შაირების მეტი არა ემართათ რა გადასახადი''. ზ. ბ. ეკისრებოდათ ზღაპრის თქმასა და შეთხზვაში დახელოვნებულ ყმა გლეხებს. სპეც. მეზღაპრე ჰყოლიათ სვანეთში დადეშქელიანებს. ყმა გლეხ მეზღაპრეთა არსებობა დადასტურებულია ქართლშიც.

ლიტ.: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ქს., საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949; წ ე რ ე თ ე ლ ი ა., განცხადებასავით, «კვალი», 1895, №6.

ჯ. ბარდაველიძე.

ზღარბა (Acantholimon), მცენარეთა გვარი ტყვიაბალახისებრთა ოჯახისა. ეკლიანი, ხშირად ბალიშისებრი ბუჩქები ან ნახევრად ბუჩქებია. აქვთ ხაზურ-ლანცეტა მჩხვლეტავი ფოთლები და ყვავილედებად შეკრებილი დიდი, მეწამული ან ვარდისფერი ყვავილები. 150-მდე სახეობა გავრცელებულია სამხრ. საბერძნეთიდან ცენტრ. აზიამდე. საქართველოში ამ გვარის 4 სახეობაა, მათგან 2 (A. fominii, A. lepturoides) კავკასიის ენდემია. იზრდება მთის შუა, სუბალპ. და ალპ. სარტყლების მშრალ, ქვიან ფერდობებზე ჯავახეთში, გარე კახეთში, ქიზიყში, ქართლსა და მესხეთში.

ლ. ხინთიბიძე.

ზღარბი, ჩვეულებრივი ზღარბი (Erinaceus europaeus), ძუძუმწოვარი, ზღარბისნაირთა (Erinaceomorpha) რიგისა, ზღარბისებრთა (Erinaceidae) ოჯახის წარმომადგენელი.

გავრცელებულია ევროპაში, აზიასა (სამხრ.-აღმ. აზიის გარდა) და აფრიკაში. შეყვანილია ახალ ზელანდიაში.

ცხოვრების ნირი მკაცრად ღამისა აქვს, სხეული – მკვრივი, კუდი – ძალიან მოკლე, ფართოდ განლაგებული ფეხები. ზურგი და, ნაწილობრივ, გვერდები დაფარულია ეკლებით; მათ შორის განლაგე-



ზღარბა (Acantholimon).



ზღარბი (Erinaceus europaeus).

ბულია წვრილი ძაფისმაგვარი ბეწვი. ეკლები წარმოადგენენ სახეშეცვლილ ბეწვს. ისინი არ ცვივა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზ. იცვლის პირველად ეკლებს და უვითარდება მოზრდილი ზ-ის ეკლები. კანის ქვეშ განლაგებულია სიგრძივი და რგოლოვანი კუნთები, რ-თა შეკუმშვის შედეგად ზ. გორგლის ფორმას იღებს. მაკეობა გრძელდება 40–58 დღე, ბადებს 3–6 ნაშიერს (იბადებიან რბილი ეკლებით), სიცოცხლის ხანგრძლივობა – 2–8 წელი (შინაურ პირობებში – 16 წლამდე).

ზ. იკვებება როგორც მცენარეული, ასევე ცხოველური საკვებით (ბაყაყები, გველები). საშუალოდ ზ. დღე-ღამეში 200 გ მწერს ჭამს. *ი. ელიავა.*

ზღვაოსნობა, გემებით მიმოსვლა ზღვებზე. იგი უძველესი დროიდან არის ცნობილი. ზ-ის უმარტივეს მეთოდებს ფლობდნენ არა მარტო ძვ. ეგვიპტელები და ფინიკიელები, არამედ განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხებიც. თანამედროვე ზ-ს საფუძველი ჩაუყარა გემის კურსის განსაზღვრისათვის კომპასის გამოყენებამ, აგრეთვე ფლამანდიელი კარტოგრაფის გ. მერკატორის მიერ რუკების შედგენამ (1569) ახ. მათემატიკურად დასაბუთებული პრინციპების მიხედვით და მექან. ლაგის (მანძილისა და სიჩქარის გასაზომი ხელსაწყო) გამოგონებამ (XIX ს.). ფიზ. განვითარებასთან დაკავშირებით XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში შეიქმნა ელექტრონავიგაციის ხელსაწყოები და გემთტარების რადიოტექ. საშუალებანი.

ზ. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი. ძვ. საქართველოში ზღვაოსნობის განვითარებაზე ქართ. საზღვაო სახელწოდებანი მიგვანიშნებს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ორიგინალურია, ხოლო დიდი ჯგუფი ძვ. და ბიზანტ. ხანის ბერძნულიდანაა ნასესხები. XIV–XV სს-ში ქართ. ენაში დამკვიდრდა იტალ., ხოლო XVI–XVIII სს-ში – თურქ. საზღვაოსნო ტერმინები. XVIII ს. ბოლოდან ახ. საზღვაოსნო სახელწოდებები ძირითადად რუს. ენის მეშვეობით შემოდის.

ძვ. ქართულში წყალზე მიმოსვლის ყოველგვარ საშუალებას, ტივის გარდა, ნავი ეწოდებოდა. ეს ტერმინი ძვ. ბერძნულიდან უნდა იყოს შემოსული. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა აგრეთვე ადგილობრივი ტერმინი ჭურჭელი. XVIII ს-იდან საშუალო და დიდ ნავებს გემს უწოდებდნენ. ერთ ხეში ამოთლილ ნავებს ქართველები ნიშა/ნუშას უწოდებდნენ, ხოლო უფრო მოზრდილ, ერთიალქნიან საკაბოტაჟო საზღვაო ნავს – ვარცლს. XIX ს-ში ეთნოგრ. ყოფაში ვარცლი ნიშას მნიშვნელობით იხმარებოდა. წინა და ადრეანტიკურ ხანაში ხეში ამოთლილ ნავებს გვერდებზე დამატებით ფიცრებს აჭედებდნენ. ასეთ ნავებს ,,ოლეჭკანდერი/ოლაჭკანდერი'' ეწოდებოდა და მათ საბრძოლოდ იყენებდნენ. გვიანდ. შუა საუკუნეებში ოლეჭკანდერი იყო ოთხკუთხა აფრიანი, დაახლოებით 11 წყვილნიჩბიანი საბრძოლო-საზღვაო ნავი, რ-ზედაც 80–100 მებრძოლი აჰყავდათ. შუა საუკუნეებში ქართველები საზღვაო ნავებს განასხვავებდნენ ზომის, დანიშნულების, ძირითადი მამოძრავებელი ძალის მიხედვით. საზღვაო-საბრძოლო ნავებს – გალერებს, რ-ებიც ძირითადად ნიჩბებით მოჰყავდათ მოძრაობაში, ქართველები კატარღებს უწოდებდნენ, ხოლო სავაჭრო-სატრანსპორტო საზღვაო ნავებს, რ-ებიც ძირითადად აფრებით გადაადგილდებოდნენ, – ხომალდებს. ადრინდ. შუა საუკუნეებში ქართველები ბიზანტ. საბრძოლო საზღვაო ნავს დრომონს უწოდებდნენ, გვიანდ. შუა საუკუნეებში ეს სახელწოდება თურქ. გალეონს აღნიშნავდა. სხვადასხვა საზღვაო ნავებს ქართველები მაკუკს, კარაპას, სანდალს, ზარბუნას, პურკატას, ფელუკას/ფულუკას უწოდებდნენ. გვიანდ. შუა საუკუნეებში დას. საქართველოში სავაჭროდ, სამგზავროდ და სათევზაოდ იყენებდნენ ორჩხომელის ტიპის საზღვაო ნავებს, რ-ებსაც ერთი ირიბი აფრა და ორი წყვილი ნიჩაბი ჰქონდა. ეს იყო უგემბანო ნავი, რ-ის ბოლოში ჩარდახი იყო მოწყობილი. ძვ. ქართ. საზღვაოსნო ტერმინოლოგიაში ფართოდ იყო წარმოდგენილი საზღვაო ნავების ცალკეული ნაწილების, ნავების ეკიპაჟის ცალკეულ წევრთა, სანაპირო ნაგებობათა, ქარებისა და საზღვაო გეოგრ. აღმნიშვნელი ტერმინები.

უძველესი ცნობა ქართველთა ზღვაოსნობის შესახებ შემოგვინახა არგონავტების ბერძნ. მითმა, რ-იც ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარშია შექმნილი. ძვ. ბერძენი და რომაელი ავტორების ჰიპოკრატეს, ქსენოფონტეს, დიოდორე სიცილიელის, სტრაბონის, ოვიდიუს ნაზონის, ტაციტუსის ცნობებით ქართველთა წინაპრები თავიანთი ,,ნუშა'' ნავებით მდინარეებსა და ზღვაში ნაპირთან ახლოს დაცურავდნენ, ხოლო ოლაჭკანდერი (,,კამარა'') ნავებით შორეულ საზღვაო ლაშქრობებს აწყობდნენ და შიშის ზარს სცემდნენ სამხრ.-აღმ., აღმ. და დას. შავიზღვისპირეთის მოსახლეობას, აგრეთვე ღია ზღვაში მეკობრეობდნენ. არის საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ძვ. წ. VI–II სს-ში კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს სახელმწ. ფლოტიც გააჩნდა. ძვ. წ. II–I სს. მიჯნაზე პონტოს სახელგანთქმულ მეფეს *მითრიდატე VI ევპატორს* კოლხეთიდან მოსდიოდა ,,მეტი ძალები სანაოსნო სამსახურისათვის''. უძველესი ცნობა კოლხეთის სამეფოს ფლოტის შესახებ მოიპოვება აპოლონიოს როდოსელის ,,არგონავტიკაში'', რ-ის მიხედვითაც კოლხეთის სამეფოს მრავალრიცხოვანი ფლოტი გააჩნდა.

მნიშვნელოვანი საზღვაო ძალების არსებობას ეგრისის (ლაზიკის) სამეფოში V–VI სს-ში მოწმობს ბიზანტ. იმპერატორის ტიბერიუსის 575 წ. ბრძანებულება, რ-ის მიხედვით ლაზიკის მოსახლეობას, ბოსფორელებთან და ხერსონელებთან ერთად, ეკისრებოდა საზღვაო ბეგარა. ამ ბეგარის საფუძველზე ეგრისის სამეფო ბიზანტ. იმპერიას აწვდიდა საზღვაო ნავებს, მათ ცალკეულ ნაწილებს ან აღჭურვილობას, ამავე პერიოდში უნდა გაჩენილიყო ტერმ. ,,ნავტობა'' (ბერძნ. სიტყვიდან ,,ნავსტეს'', რაც მეზღვაურს ნიშნავდა), რ-ის საფუძველზე კოლხეთის მკვიდრთ იმპერიის ფლოტში სამსახური ევალებოდათ. VI ს. ბიზანტ. ისტორიკოსების პროკოპი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის ცნობით ლაზიკის მკვიდრნი აქტიურად მონაწილეობდნენ საზღვაო ვაჭრობაში.

შუა საუკუნეების საქართველოში ზღვაოსნობის შედარებით მაღალი დონე აისახა შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანში''. პოემაში მოხსენიებულია ზღვაოსნობის მხოლოდ ადგილობრივი ქართ. ტერმინები ,,კატარღა'' და ,,ხომალდი'', აგრეთვე ,,ნავი მეკობრე'' თავისი შავი დროშით. ეს უნდა იყოს მეკობრეებისათვის დამახასიათებელი შავი დროშის პირველი მოხსენიება მსოფლიო ლიტერატურაში. საზღვაოსნო ტერმინოლოგია ძირითადად ამ

ეპოქაშია შექმნილი.

XIV–XV სს-ში ადიღეური მოდგმის ჯიქი მეკობრეები სისტემატურად ესხმოდნენ თავს საქართვ. ზღვისპირეთს. ქართველები ჯიქებს საზღვაო ლაშქრობებითვე პასუხობდნენ.

ოდიშის მთავარმა *ლევან I დადიანმა* ნამდვილი საზღვაო ომი წამოიწყო ჯიქების წინააღმდეგ, რ-იც თითქმის სამი ათეული წელი გაგრძელდა. 1557 ლევან I დადიანი სტამბოლში გაემგზავრა და ოსმალეთის მთავრობას დახმარება სთხოვა. სულთანმა მას კატარღები გადასცა, რ-ის ,,წინამძღოლად'' (ადმირალად) ლევან I დადიანმა ქრისტეკოჩი რატია დანიშნა და ამ კატარღების ეკიპაჟიც თავისი ქვეშევრდომებით შეავსო. მომდევნო, 1558 ოდიშის მთავარმა ზავი შეკრა ჯიქებთან, რ-ის თანახმად ჯიქების თავდასხმები საქართვ. ზღვისპირეთზე თითქმის მთელი საუკუნით შეწყდა.

გვიანდ. შუა საუკუნეებში საქართველოს მოწინააღმდეგეს ოსმ. იმპერია წარმოადგენდა. ქართველების თავდასხმების აღსაკვეთად ოსმ. ხელისუფლებამ ტრაპიზონის ნავსადგურში საგანგებო საზღვაო საბრძოლო შენაერთი ჩააყენა. XVI ს. I ნახ-ში ოსმ. და დას. საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის ბრძოლა ზღვისპირეთში ძირითადად ჭანეთისათვის მიდიოდა. ოსმ. ხელისუფლება საგანგებო ღონისძიებებს მიმართავდა ანატოლიის სანაპიროზე ქართველების ზღვიდან თავდასხმების აღსაკვეთად.

1571 წ. II ნახ-ში ოდიშის მთავრის ბრძანებით ოსმალებთან საბრძოლველად დამატებით 6 საბრძოლო ნავი ააგეს და არტილერიით შეაიარაღეს.

1578–79 ოსმალებმა დროებით დაიკავეს საქართვ. თითქმის მთელი ზღვისპირეთი და ქართველების საბრძოლო აქტივობა შავ ზღვაზე ძალზე შემცირდა, თუმცა მთლიანად არ შეწყვეტილა. ამ ბრძოლებმა პარტიზანული ომის ხასიათი მიიღო. ამის საპასუხოდ 1579 ოსმალეთის ხელისუფლებამ ფოთში სპეც. ,,საკაპიტნო'' შექმნა, რ-საც ოსმ. სამხ.-საზღვ. ფლოტის ერთი შენაერთი დაუქვემდებარა. მას საქართვ. საზღვ. ნაპირებთან მუდმივი კრეისერობა დაევალა. XVI ს. 90-იან წლებში ოსმ. ხელისუფლება იძულებული გახდა საქართვ. ზღვისპირეთის დიდი ნაწილი დაეცალა და ფოთის ,,საკაპიტნოც'' გაუქმდა.

XVII ს. წერილობითმა წყაროებმა თითქმის არ შემოგვინახა ცნობები ქართველებისა და ოსმალების საზღვაო ბრძოლების შესახებ. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს 1647 გონიოს ციხესთან ოსმალებთან მებრძოლი კაზაკების დასახმარებლად რამდენიმე ათეული ქართ. საბრძოლო საზღვაო ნავის გამოჩენა. როგორც ირკვევა, ოდიშის მთავარ *ლევან II დადიანს* მნიშვნელოვანი სამხ.-საზღვ. ძალები გააჩნდა და ზღვაზე მეკობრეობას წარმატებით ეწეოდა.

XVII ს. წერილობითმა წყაროებმა საინტერესო ცნობები შემოგვინახა ქართველთა სავაჭრო-სატრანსპ. ზღვაოსნობის შესახებ. ისინი თავიანთი ,,ოჩხომელებით'' დაცურავდნენ ყირიმში, სამხრ.-აღმ. შავიზღვისპირეთში და სტამბოლში. ზღვაოსნობას მაქსიმალურად იყენებდნენ აგრეთვე ადგილობრივი მიმოსვლისათვის.

ქართველები თავიანთი ,,ოჩხომელებით'' თევზჭერასაც ეწეოდნენ. წერილობით წყაროთა ჩვენებით, გვიანდ. შუა საუკუნეებში ისინი შედარებით დიდი რაოდენობით ზღვის თევზს იჭერდნენ, ამუშავებდნენ და საუკეთესო ხიზილალასაც ამზადებდნენ. საზღვ. თევზჭერა სასაქონლო ხასიათს ატარებდა და დას. საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. მეთევზე გლეხები ზღვისპირეთის გლეხთა ცალკე კატეგორიას წარმოადგენდნენ, მათ განსაკუთრებული ბეგარა – ,,მეთევზეობა'' ეკისრებოდათ, რ-საც თევზით, თევზის პროდუქტით და ფულით იხდიდნენ. საქართვ. ზღვისპირეთში გლეხთა ერთ კატეგორიას სპეც. საზღვაო ბეგარა ,,მენავტობა'' ეკისრებოდა, რაც მთავრის თუ ფეოდალის სასარგებლოდ ზღვაზე სამსახურით გამოიხატებოდა. ზოგჯერ ერთსა და იმავე კომლს ერთდროულად ორივე ბეგარის გადახდა (,,მენავტობა'' და ,,მეთევზეობა'') ევალებოდა.

საზღვ. ნავებს დას. საქართველოში აგებდნენ. მათი მშენებლობა სხვადასხვა დარგის ხელოსანთა კოლექტიური შრომის შედეგი იყო. ზოგი ხელოსანი ნავისათვის მასალას ამზადებდა, ზოგი – სპეც. ლურსმნებს, ზოგი – აფრას, ზოგიც კი – ნავის კორპუსს. როგორც ფიქრობენ, გვიანდ. შუა საუკუნეებში ნავთმშენებლობა საქართვ. ზღვისპირეთში სასაქონლო ხასიათს ატარებდა.

1703-იდან რამდენიმე ათეული წელი მიმდინარეობდა ნამდვილი საზღვაო ომი ოსმ. ფლოტის შენაერთებსა და საქართვ. საბრძოლო ნავებს შორის.

ოსმ. წარმატებას საქართვ. ზღვისპირეთში XVIII ს. II მეოთხედში კატასტროფული შედეგი მოჰყვა – თითქმის მთლიანად შეწყდა ზღვაოსნობის, თევზჭერის და ნავთმშენებლობის ის ტრადიციები, რ-იც ჯერ კიდევ წინაანტიკური ხანიდან მოდიოდა. თუმცა ნავთმშენებლობა მთლიანად მაინც არ შეჩერებულა. XIX ს. დამდეგს, ოდიშის სამთავროს რუსეთთან შეერთებამდე, სამეგრელოში ჯერ კიდევ აგებდნენ მცირე ზომის ბრტყელძირა საზღვაო ნავებს.

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის და აღმ. შავიზღვისპირეთში გაბატონების შემდეგ ქართ. ნაოსნობას ფაქტობრივად ბოლო მოეღო. ამასთან კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად დღის წესრიგში დადგა საქართვ. ბუნებრივი ნავსადგურების ამოქმედება. 1878 დაარსდა *ბათუმის საზღვაო ნავსადგური*, რ-იც ძირითადად საერთაშ. ვაჭრობას ემსახურებოდა. XIX–XX სს. მიჯნაზე ნავსადგურის ტვირთბრუნვის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენდა ნავთობის ექსპორტი. 1889–1905 ნ. ნიკოლაძის თაოსნობით აშენდა *ფოთის ნავსადგური.* ამ პერიოდში გაჩნდა ქართვ. მეზღვაურთა ფენა, რ-ებიც უცხოეთის, ძირითადად რუს. გემებზე მსახურობდნენ.

საქართველოს დემოკრ. რესპ. არსებობის წლებში აღდგა ქართ. ზღვაოსნობა. შეიქმნა სამხ.-საზღვაო ძალები, რ-ის შემადგენლობაში შედიოდა ერთი ნაღმოსანი – ,,პატარა კახი'', 4 მოიერიშე და 3 ნაღმოსანი კატარღა, 10 დამხმარე გემი. ეს ძალები საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გაუქმდა. ამასთან მომდევნო 70 წლის განმავლობაში საქართველოში შეიქმნა საკმაოდ მძლავრი სავაჭრო-სატრანსპ. ფლოტი. 1921 დაარსდა *ბათუმის გემთსაშენი ქ-ნა*, მოგვიანებით – ფოთის გემთსაშენი ქარხანა, სადაც მზადდებოდა მცირეტონაჟიანი გემები, წყალქვეშა ფრთიანი კატარღები და სხვ. 1929 ბათუმში გაიხსნა საზღვაო სასწავლებელი, რ-იც 1994 გადაკეთდა *ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიად.* იგი




ზღვის ბალახი (Zostera).



ზღვის დრაკონი (Trachinus).



შავი ზღვის ზღარბი – ზღვის ჩიქვი (Scorpaena porcus).



ზღვის კარჩხანა (Diplodus annularis).



ზღვის კატა (Dasyatis pastinaca).



ზღვის მელა (Raja clavata).

ამზადებს როგორც სამოქალაქო მეზღვაურებს, ისე სამხ.-საზღვაო ოფიცრებს. 1967 დაარსდა საქართვ. საზღვაო სანაოსნო, რ-ის შემადგენლობაში შედიოდა სატრანსპ. ფლოტი, საქართვ. შავიზღვისპირა ნავსადგურები, ფლოტის მომსახურე საწარმოები და ორგანიზაციები. სანაოსნო ითვლიდა რამდენიმე ათეულ სხვადასხვა დანიშნულების სატრანსპ. ხომალდს, მისი გემები მსოფლიოს 60 ქვეყნის 170-მდე ნავსადგურში შედიოდა. XX ს. 90-იან წლებში სანაოსნოს კუთვნილი ბევრი ხომალდი ისე გაიყიდა, რომ ქვეყანას სარგებელი არ მიუღია. 2004 მთავრობის გადაწყვეტილებით საზღვაო სანაოსნოს 12 ხომალდი კონკურსის წესით შეიძინა ერთერთმა უცხოურმა ფირმამ.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ქვეყნის საზღვაო აკვატორიის დაცვის მიზნით შეიქმნა ახ. სამხ.-საზღვაო ფლოტი, რ-ის შემადგენლობაში ძირითადად შედის რამდენიმე ათეული ხომალდი, უმთავრესად სწრაფმავალი კატარღები და სანაპირო დაცვის გემები.

ლიტ.: ბერაძე თ., ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981; მოსიევ, ოდიშის საერისთავო, კრ.: სამეგრელო, ი. ანთელავას რედ., თბ.–ზუგდიდი, 2000; კუტალეიშვილი ზ., ნაოსნობა საქართველოში, თბ., 1987; მამისთვალაშვილი ე., საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს. II ნახევარსა და XVI საუკუნეებში, თბ., 1981. *თ. ბერაძე.*

ზღვის ბალახი, ზოსტერა (Zostera), ზღვის მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ზოსტერასებრთა ოჯახისა. წყალში ჩაყურყუმელავებული მხოხავფესურიანი მცენარეებია. 10-მდე სახეობა გავრცელებულია სუბტროპ., ზომიერ და სუბანტარქტიკულ ზღვებში. საქართველოში (აფხაზეთსა და აჭარაში) მხოლოდ 1 სახეობა გვხვდება – Z. marina; მისი ფესურა საკმაოდ მსხვილი და მარტივია; ღეროს სიგრძეა 60–150 *სმ*, ფოთლისა – 50 *სმ* და ხშირად უფრო მეტიც (1 *მ*-მდე). იზრდება ზღვაში, ქვიშიან და ლამიან ფსკერზე 10 *მ* სიღრმემდე, ადის აგრეთვე მდინარის დელტებში. მისი გამხმარი ფოთლები („ზღვის ბალახი“) იხმარება ლეიბის დასატენ და შესაფუთ მასალად, ზოგჯერ – სასუქად.

ზღვის დრაკონი (Trachinus), თევზების გვარი დრაკონისებრთა ოჯახისა, მოიცავს 4 სახეობას. გავრცელებულია ატლანტის ოკეანის აღმ. ნაწილში და ხმელთაშუა ზღვაში. შავ ზღვაში ბინადრობს ერთი სახეობა – ზღვის დრაკონი (T. draco), რ-იც საქართვ. სანაპიროებთან ყველგანაა გავრცელებული. მისი სხეულის მაქსიმალური სიგრძე 53 *სმ* აღწევს. აქვს ძალიან გრძელი ზურგის მე-2 და კუდქვეშა ფარფლები. მტაცებელია, იკვებება წვრილი თევზებით, კრევეტებით და კიბორჩხალებით, მრავლდება ივნისიდან ოქტომბრამდე. ნაყოფიერება – 8700–7500 ქვირითი. შხამიანია (შხამიანი ჯირკვლები აქვს ფარფლების სხივების ფუძესთან). ხორცი გემრიელია. სიმცირის გამო მისი სამეურნეო მნიშვნელობა უმნიშვნელოა. იჭერენ სხვა თევზებთან ერთად. *მ. დემეტრაშვილი.*

ზღვის ზღარბები (Echinoidea), კანეკლიანების კლასი. ცნობილია პალეოზოური ერიდან მოყოლებული დღემდე. არჩევენ სწორ (ტუთსხივიან) და უსწორო (ორმხრივსიმეტრიულ) ზ. ზ-ს. მათი სხეული ოვალურია, დისკოსებრი, ზოგჯერ სფეროსებრი, ქვემოდან მეტ-ნაკლებად შებრტყელებული. ჯავშანი შედგება მრავალრიცხოვანი ფირფიტებისაგან, რ-ებიც კანითა და ეკლებითაა დაფარული. ზოგ ზ. ზ-ს აქვს გადმობრუნებული კონუსის ფორმის საღეჭი აპარატი (არისტოტელეს ფარანი), რითაც ცხოველი სუბსტრატიდან წყალმცენარეებს ფხეკს. დეტრიტით მკვებავებს საღეჭი აპარატი არ გააჩნიათ. ცხოვრობენ ფსკერზე, დაცოცავენ ან გრუნტში არიან ჩაფლული. ცნობილია 2 ათასამდე ამომწყდარი და 800-ზე მეტი თანამედროვე სახეობა. შავ ზღვაში განამარხებული სახით დიდი რაოდენობით გვხვდება პალეოზოურ, მეზოზოურ და კაინოზოურ ნალექებში. საქართველოში განსაკუთრებით ბევრია ცარცულ ნალექებში.

შავ ზღვაში გავრცელებულია ზღვის ზღარბი – ზღვის ჩიქვი (Scorpaena porcus), თევზი ზღვის სკორპენების ოჯახს მიეკუთვნება. აქვს მაღალი, გვერდებიდან შებრტყელებული სხეული, დიდი თავი, რ-ზედაც კანოვანი გამონაზარდებია. მისი სხეულის სიგრძე 30 *სმ* აღწევს, ჩვეულებრივ უფრო პატარებია. ბინადრობს ქვიან ადგილებში. ქვირითს ყრის ორჯერ, მაისიდან სექტემბრამდე. ნაყოფიერება – 2000–180 000 ქვირითი. გავრცელებულია ატლანტის ოკეანეში, ხმელთაშუა და შავ ზღვებში. საქართველოში გვხვდება შავი ზღვის სანაპირო ზოლში. მტაცებელი თევზია. ცხოვრობს ფსკერზე, ნაკლებად მოძრავია, ადვილად იღებს გარემოს ფერს. იკვებება წვრილი თევზებით. მცირე სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. იჭერენ სხვა თევზებთან ერთად. ზ. ჩ-ის ხორცი გემრიელია, იყენებენ ნედლი სახით.

მ. დემეტრაშვილი. გ. მჭედლიძე.

ზღვის კარჩხანა, ლასკერი (Diplodus annularis), თევზი სპარუსისებრთა ოჯახისა. აქვს მაღალი, 30 *სმ*-მდე სიგრძის სხეული, კუდზე მოშავო ხალი. გავრცელებულია ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეებში, ხმელთაშუა, შავ და აზოვის ზღვებში. საქართვ. შავი ზღვის სანაპირო ზონაში ყველგან გვხვდება. ქარავნული თევზია. ეტანება წყალმცენარეებით მდიდარ ადგილებს, იკვებება ლოკოკინებით, ჭიებით, ნაწლავღრუიანებით, წყალმცენარეებით. მისი ხორცი ნაკლებად გემრიელია. აქვს მცირე სამეურნეო მნიშვნელობა. იყენებენ ნედლად.

მ. დემეტრაშვილი.

ზღვის კატა (Dasyatis pastinaca), თევზი კუდჩხვლეტიასებრთა ოჯახისა. კუდის ზედა მხარეზე აქვს ერთი გრძელი ხანჯლისმაგვარი მჭრელი ნემსი. იზრდება 1 *მ*-მდე (იშვიათად 2,5 *მ*-მდე), მასა – 10 *კგ*, ზოგჯერ 20 *კგ* აღწევს. გავრცელებულია ატლანტის ოკეანეში, ჩრდილოეთის, ხმელთაშუა, შავ და აზოვის ზღვებში. გვხვდება შავი ზღვის საქართვ. სანაპირო ზონაში, ფსკერის თევზია; ცოცხლადმშობია, შობს 4–12 ლიფსიტას. იკვებება წვრილი თევზით და ფსკერის უხერხემლოებით. სითბოს მოყვარულია, 6–7°C-ზე იღუპება. მისი ღვიძლი შეიცავს 70% ცხიმს, რ-იც მდიდარია D ვიტამინით. იყენებენ აგრეთვე მის ტყავს. ამზადებენ თევზის ფქვილს ცხოველების საკვებად. სარეწაოდ მნიშვნელოვანი თევზია.

მ. დემეტრაშვილი.

ზღვის მელა, ქიცვიანი სკაროსი (Raja clavata), თევზი სკაროსისებრთა ოჯახისა. რომბისებრი სხეული ზურგ-მუცლის მიმართულებით აქვს გაბრტყელებული. თავიდან ზურგის მე-2 ფარფლამდე 24–32 მსხვილი ქიცვების მწკრივი გასდევს. ზურგის მხარე მოყვითალოა, უმეტესად თეთრი ლაქებით; მუცლის მხარე ღია ფერისაა. მამლის სიგრძეა 85 *სმ*,

დედლისა – 125 *სმ*-მდე, მასა 18 *კგ* აღწევს. გავრცელებულია ატლანტის ოკეანეში, ბალტიის, ხმელთაშუა და შავ ზღვებში. შავი ზღვის საქართვ. სანაპიროებთან თითქმის ყველგანაა; ბინადრობს 100 *მ* სიღრმეზე, ზღვის ფსკერზე. იკვებება თევზით და უხერხემლოებით. ხშირად ჩაფლულია შლამში, მრავლდება მარტიდან ივლისამდე, ნაყოფიერება 30–550 კვერცხამდეა. კვერცხი რქოვანი გარსითაა დაფარული. აქვს სარეწაო მნიშვნელობა. შავ ზღვაში იჭერენ დიდი რაოდენობით, საქართველოში – ანაკლიის, ფოთის, ბათუმის, ბიჭვინთის სანაპიროებთან. იყენებენ ხორცს, ღვიძლისგან ადნობენ ტექ. ცხიმს. *მ. დემეტრაშვილი.*

ზღვის ფინია, სფინქსი (Blennius sphinx), თევზი ფინიასებრთა ოჯახისა. პატარა თევზია, 6–7 *სმ*-მდე სიგრძისა. სხეულის გვერდებზე გასდევს 6–7 განივი მურა ზოლი. გავრცელებულია ხმელთაშუა, მარმარილოს და შავ ზღვებში. შავი ზღვის საქართვ. სანაპირო ზონაში გვხვდება ყველგან, წყალმცენარეებით დაფარულ ქვიან ადგილებში. იკვებება კიბოსნაირებით, მოლუსკებით, თევზის ქვირითით, ჭიებით, წყალმცენარეებით. აპრილიდან სექტემბრამდე ქვირითს ყრის ქვებზე, ლოკოკინის ცარიელ ნიჟარებში, ორმოებში, მამალი იცავს ქვირითიან ბუდეს. სამეურნეო მნიშვნელობა არა აქვს.

მ. დემეტრაშვილი.

ზღვის ღორი (Phocoena phocoena), წყლის ძუძუმწოვარი ცხოველი დელფინების ქვეოჯახისა. გავრცელებულია ჩრდ. ატლანტიკასა და წყნარი ოკეანის ჩრდ. ნაწილში. საქართველოში გვხვდება შავი ზღვის სანაპირო ზონაში. შავი ზღვის სახეობა ზომით ყველაზე პატარაა. მისი სხეულის სიგრძე 1–1,8 *მ*, მასა 30–80 *კგ* აღწევს. სხვა დელფინებისაგან განსხვავებით დედალი მამალზე დიდია. ზ. ღ-ს აქვს ბლაგვი დინგი, ოდნავ წამოწეული ქვედა ტუჩი, შედარებით დაბალი ზურგის ფარფლი. სხეულის ზედა მხარე და ფარფლები თითქმის შავია, ქვედა – ღია ფერისაა, თეთრიდან მუქ ნაცრისფრამდე. იკვებება თევზებით. საკვების ძებნისას ყვინთავს 50–75 *მ* სიღრმეზე არა უმეტეს 6 წუთისა, ჩვეულებრივ კი ღრმად არ ჩადის. ცხოვრობენ ჯოგებად, რ-შიც 2–10 ინდივიდია. მაკეობა 9–10 თვეს გრძელდება. შობს ერთ ნაშიერს, რ-ის სხეულის სიგრძე 70–75 *სმ* აღწევს. მნიშვნელოვანი სარეწაო ობიექტი იყო. ქონისაგან ამზადებდნენ სამკურნალო პრეპარატ დელფინოლს და ტექ. ცხიმებს. 1965-იდან მისი რეწვა აკრძალულია. *რ. წერეთელი.*

ზღვის შროშანი (Pancratium maritimum), მრავალწლოვანი მსხვილბოლქვიანი მცენარე ამარილისებრთა ოჯახისა. აქვს 40–70 *სმ* სიმაღლის უფოთლო, სქელი ღერო, რ-ის წვერზე შეკრებილია დიდი თეთრი ძაბრისებრი, გრძელმილიანი, ოდნავ სურნელოვანი ყვავილები. ფესვთანური ფოთლები ფართოხაზურია. გავრცელებულია შუა ევროპასა და ხმელთაშუაზღვისპირეთში. საქართველოში გვხვდება მხოლოდ აჭარასა და აფხაზეთში ზღვისპირა სილიანზე. იყენებენ დეკორ. მებაღეობაში სილიანი ადგილების გასამწვანებლად, აგრეთვე ხალხ. მედიცინაში. მრავლდება ვეგეტატიურად და თესლით (ყვავილობას იწყებს მეხუთე, მეექვსე წელს). შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში''.

მ. გურგენიძე.

ზღვის ცხენთევზა (Hippocampus), თევზების გვარი ნემსთევზასებრთა ოჯახისა. სხეულის სიგრძე 4–20 *სმ* აღწევს. ფორმით მოგვაგონებს ჭადრაკის ფიგურას – მხედარს. კუდისა და მუცლის ფარფლები არა აქვს. თავი და კუდი მუცლის მხარეზეა მოხრილი. მამალს კუდის დასაწყისში, ქვედა მხარეზე აქვს ლიფსიტების გამოსაჩეკი პარკი, სადაც დედალი დებს 102–197 ქვირითს. გამოჩეკილი ლიფსიტები იკვებებიან ყვითრით, შემდეგ გარეთ გამოდიან და იკვებებიან პლანქტონით. გვარი აერთიანებს 30-მდე სახეობას. საქართველოში ბინადრობს ამ გვარის 1 სახეობა, შავი ზღვის ცხენთევზა (H. guttulatus microstephanus), რ-იც გავრცელებულია ატლანტის ოკეანეში, ხმელთაშუა და შავ ზღვებში. საქართვ. შავი ზღვის სანაპირო ზონაში გვხვდება ყველგან წყალმცენარეებს შორის, რ-ებსაც თავისი მოკაუჭებული კუდით ეჭიდება. სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს.

მ. დემეტრაშვილი.

ზღმარტლი (Mespilus), ფოთოლმცვივან მცენარეთა გვარი ვარდისებრთა ოჯახისა. გვარში მხოლოდ 2 სახეობაა – M. germanica და M. canescens (ჩრდ. ამერიკაში). პირველი გავრცელებულია სამხრ.-აღმ. ევროპიდან ცენტრ. აზიამდე, ირანში. საქართველოში ყველგან გვხვდება, 1,5–5 *მ*-მდე სიმაღლის ეკლიანი ან უეკლო ხე ან ბუჩქია. მისი ყლორტები მოწითალო მურა ფერისაა, ნორჩობაში შებუსულია. მოგრძო ლანცეტა ან ელიფსური ფოთლები და დიდი თეთრი მარტოული ყვავილები აქვს. ნაყოფი მსხლისებრი ან სფეროსებრი კურკიანია; მკვახე მაგარი და მწკლარტეა, გადამწიფებული – რბილი და ტკბილი. ჩვენში იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყელში, ზ. დ. 1200 *მ*-მდე, ბუჩქნარებში, ტყის პირებზე, ტენიან ადგილებზე, კარგად ხარობს კირიან ნიადაგებზე. მრავლდება თესლით, ძირკვისა და ფესვის ამონაყრით. ხელოვნურად ამრავლებენ მყნობით. ნაყოფი შეიცავს შაქარსა და C ვიტამინს, ქერქი, ფოთლები და მკვახე ნაყოფი – მთრიმლავ ნივთიერებებს. თაფლოვანი მცენარეა.

მ. გურგენიძე.

ზღუბირი, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტის როკის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. ლიახვის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 1650 *მ*, ჯავიდან 39 *კმ*. 60 მცხ. (1989).

ზღუდერი (ყოფ. ზორეთი), სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტში (შიდა ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდინარეების ძამისა და ლვანანის (მტკვრის აუზი) შეერთების ადგილას. თემის ცენტრი (სოფლები: ზ., აბუხალო, არცევი, ბანი, ბატიური, გვერძინეთი, ელბაქიანთკარი, იმერხევი, კოდმანი, კოშკინეთი, მუხილეთი, ორთუბანი, სათერძე, სუქანაანთუბანი, ტყემლოვანა, ქვათეთრი, ყინწვისი, ძაძვისმონასტერი, წითელსოფელი, წიფლოვანა). ზ. დ. 770 *მ*, ქარელიდან 12 *კმ*. 283 მცხ. (2002).

ზ. შუა საუკუნეების საქართველოში ერთ-ერთ გაცხოველებულ მაგისტრალზე მდებარეობდა. მის მახლობლად იყო ისეთი ცნობილი ძეგლები, როგორიცაა *სამწევრისის* ეკლესია და ციხე, *მძოვრეთისა* და *ყინწვისის* კომპლექსები, *ძამის ციხე* და სხვ., რ-თა უმრავლესობა ძლიერი ფეოდალების ფანასკერტელ-ციციშვილების კუთვნილება იყო.

სოფელში, ერთმანეთის გვერდით შემონახულია 2 ეკლესიის ნანგრევი და გალავნის ნაშთი (ძეგლები ძლიერ დაზიანდა 1940 მიწისძვრის დროს). ერთი მათგანი – VI ს. მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია – ნაგებია დიდ-დიდი თლილი კვადრებით. სამხრ. კარის თავზე ღია ლუნეტი აქვს. V ს. განეკუთვნება მეორე ნაგებობის – მოზრდილი *სამკლესიანი ბაზილიკის* თავდაპირველი


ზღვის ფინია (Blennius sphinx).


ზღვის ღორი (Phocoena phocoena).


ზღვის შროშანი (Pancratium maritimum).


ზღვის ცხენთევზა (Hippocampus).


ზღმარტლი (Mespilus).



ზღუდერი. სამნავიანი ბაზილიკა. ინტერიერი. საკურთხევლის ქვა ჯვრის გამოსახულებით.

სამშენებლო ფენაც. იგი პირვანდელი სახით წარმოადგენდა სამნავიან ბაზილიკას, რ-საც ინტერიერში ორი წყვილი, გეგმით ჯვრისებრი სვეტები ჰქონდა (ამ ტიპის სვეტები აქვთ ისეთ ბაზილიკებს, როგორიცაა ბოლნისის სიონი, ურბნისის, ანჩისხატის ბაზილიკები, წილკნის ტაძარი). მშენებლობის შემდეგი ფენები, შესაბამისად, X–XI და XIII–XIV სს-ით თარიღდება. ნაგებია სუფთად გათლილი კვადრებით. სამხრ. შესასვლელს ვაზის სტილიზებული გამოსახულება ამშვენებს (XI ს.). 1984–85 ძეგლზე ჩატარდა გამწმენდი სამუშაოები.

ლიტ.: რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი ლ., ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, «ქართული ხელოვნება», 1948, ტ.2; შ მ ე რ ლ ი ნ გ ი რ., ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, თბ., 1954. *თ. სანიკიძე. დ. სვანიძე.*


ზღუდრის არქეოლოგიური ძეგლები, მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი, მდ. ძამის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირზე, ადგილ გოჩაანთკარში (ქარელის მუნიციპალიტეტი). გაითხარა 1964–66 (ხელმძღვ. გ. ნემსაძე). სახელწოდება მომდინარეობს სახელიდან ,,ზღუდე‘‘, ,,შემოზღუდული ადგილი‘‘ (ე. ი. ქალაქი). გათხრების დროს გამოვლინდა გვიანდ. ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. II ათასწლ. ბოლო – I ათასწლ. დასაწყ.) სამაროვანი – 10 ორმოსამარხი და 6 ქვაწრიული ყორღანი (დიამ. 5 *მ*), რ-შიც თითო მიცვალებული ესვენა. მათ ჩატანებული ჰქონდათ შავად და ნატრისფრად გამომწვარი ზოგჯერ ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭელი (ქოთნები, ლანგრები, სადღვებელი), სამკაული (ბრინჯაოს თავხვია საკინძები, სამაჯურები და ბეჭდები, სარდიონის, მინისა და პასტის მძივები), შრომისა და საბრძოლო იარაღი (ბრინჯაოს ნემსი, მახათი, ისრისპირები, რკინის მასრა, გახსნილი შუბისპირი). ყორღანებში ჩაშვებულია ორმოსამარხები, რებშიც კიდურებმოხრილ მიცვალებულებს ჩატანებული ჰქონდათ ლეგად გამომწვარი თიხის ჭურჭელი (ფიალები, ტოლჩები, ლანგრები) და ბრინჯაოს სამკაული (თავხვია საკინძები, სამაჯურები).

გათხრების შედეგად აღმოჩნდა აგრეთვე გვიანდ. ანტ. ხანის (II ს. ბოლო – IV ს. დასაწყ.) დიდგვაროვანთა სამაროვანი. ორმოსამარხებსა და ქვის სარკოფაგებში გვხვდება თითო-თითოდ და წყვილად დაკრძალვაც. თავით დასკენ დასვენებულ მიცვალებულებს ჩატანებული ჰქონდათ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჭურჭელი (მ. შ. ბერძნ. და არაბულწარწერებიანი ლანგარი, კოვზი და თასი; ცეცხლოვანი ბომონისა და საკურთხევლის წინ მდგარი ცხენებისგამოსახულებიანი პინაკები და სხვ.), სამკაული (ძვირფასი თვლებით შემკული საყურეები, გემიანი ბეჭდები, სამაჯურები, აბზინდები, ვარდულები და სხვ.), რიტუალური დანიშნულების ნივთები (ბრინჯაოს გრიფონი; 2 სასაკმევლე, რ-თაგან ერთი ხარის თავის გამოსახულებას, მეორე კი ტაძრის მოდელს წარმოადგენს), იმპორტული მინის ნაწარმი, ვერცხლის გარსაკრავებიანი ხის სარეცლის ფეხები, ოქროსა და ვერცხლის რომაული და პართული მონეტები. ანალოგიური მასალა საქართველოში მრავლად გვხვდება (ბორი, ბაგინეთი, კლდეეთი, მცხეთა-არმაზი, ჟინვალი). დიდგვაროვანთა სამარხების გვერდით აღმოჩნდა მათი თანადროული ღარიბული ორმოსამარხებიც. მიცვალებულები იწვნენ მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოხრილნი. ჩატანებული ჰქონდათ მოვარდისფროდ და ლეგად გამომწვარი თიხის ხელადები, ვერცხლის ბეჭდები (ერთს – ოქროს რგოლებიანი საყურე), თითო პართული ვერცხლის მონეტა.

სამაროვნის ჩრდ-ით, დაახლ. 80 *მ*-ზე გაითხარა გვიანდ. ანტ. ხანის (III–VI სს.) ნასახლარი. აღმოჩნდა ქვის ნაგებობის საძირკველი (სიგანე 1,5 *მ*), დიდი ზომის რამდენიმე ორყურა ჭურჭელი, რ-თა ყურები შემკულია მზის სტილიზებული გამოსახულებით.

აღნიშნული ნამოსახლარის აღმოთ, დაახლ. 150 *მ*-ზე, გაითხარა შუა საუკუნეების ხანის ნამოსახლარი. აღმოჩნდა საცხოვრებელი (ოთხკუთხა ოთახები მიწატკეპნილი იატაკებით, დედაბოძისა და კერის ნაშთები) და სამეურნეო (ზეთსახდელი) ქვის ნაგებობათა ნაშთები, ქვევრები, თონეები, ზეთის სახდელი საწნახელი, კერამ. ჭურჭელი, წყალსადენის მილი და სხვ. *გ. ნემსაძე.*

ზღუდრობა, რელიგიური ხალხური დღესასწაული. იმართებოდა აღდგომიდან მე-4 კვირას კოტეხში (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) და მე-5 კვირას – ცხინვალში. ცხინვა-



თ. ქართული ანბანის მერვე (ძვ. ქართ. მეცხრე) ასო, მისი სახელია ,,თანი‘‘, გრაფიკული სიმბოლო წინაენისმიერი ხშულ-მსკდომი ფშვინვიერი თანხმოვნისა. ასომთავრულში იწერებოდა Ⴒ, ნუსხურში – *თ*. ძვ. ქართ. სათვალავში აღნიშნავს ცხრას (9).

ცხრილში ქრონოლ. თანამიმდევრობით მოცემულია ასო თ-ის გრაფ. მოხაზულობის დამახასიათებელი ისტ. ნიმუშები (ქართ. დამწერლობის სამივე სახისა – ასომთავრულის, ნუსხურისა და მხედრულის). ისინი ამოკრებილია V–XVIII სს. ეპიგრაფიკული ძეგლებიდან და ხელნაწერებიდან.

თაბაგრები, სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტის სარქველთუბნის თემში (იმერეთის მხარე), ჭიათურის პლატოზე. ზ. დ. 620 *მ*, ჭიათურიდან 9 *კმ*. 921 მცხ. (2002). სოფლის მიდამოებში არის კარსტული მღვიმეები: ჯვარის, ჯუდისის, ღამურების, კალაპოტაკლდის, ზეხას და სხვ.

წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. სოფლის სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს გვარისაგან – თაბაგარი.

თაბალი, გვიანხეთური სამეფო მცირე აზიაში ძვ. წ. I ათასწლეულში. ძველაღმოსავლური (ასურული, იეროგლიფურ-ლუვიური) წერილობითი წყაროების მიხედვით, მდებარეობდა დიდი კაპადოკიის ტერიტორიაზე (მდ. სეიჰანის ზემო დინებასა და მდ. ჰალისის შუა დინებას შორის).

თ. პირველად მოიხსენიება ასურეთის მეფის სალმანასარ III-ის (ძვ. წ. 859–824) დროინდელ წერილობით ძეგლებში. ტერმინ ,,თაბალის'' წარმომავლობის შესახებ არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ფართოდ გავრცელდა თვალსაზრისი ,,თუბალ'', ,,დაბალ'', ,,ჯუბალ'', ,,ტიბარენ'' სახელწოდებებთან ,,თაბალის'' იგივეობის შესახებ (ჟ. სიური, ჰ. ჰელცერი, ო. შრადერი, ი. გიპერტი და სხვ.). ქართ. ისტორიოგრაფიაში ,,თაბალს'' ადრევე უკავშირებდნენ ქართველური ენების ,,ტაბა'', ,,ტბა'', ,,ტიბა'', ,,ტუბა'' სიტყვას. იყო მცდელობა ,,თაბალის'' პარალელურ ფორმებად მიჩნეულ ტერმინებში (,,თუბალ'', ,,თობელ'', ,,დაბალ'', ,,ჯუბალ'', ,,ტიბარენ'') დადასტურებული ფონეტ. ხასიათის ცვლილებები ქართველური ენების მეშვეობით აეხსნათ (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ა. შანიძე, გ. მელიქიშვილი, თ. მიქელაძე, გ. თოფურია და სხვ.). ი. გელბმა ,,კაპადოკიურ'' ფირფიტებში მოხსენიებული გეოგრ. სახელწოდება Tibera კითხვის ნიშნით დაუკავშირა ,,თაბალ'', ,,თუბალ'', ,,თობელ'', ,,თობერს'', ნარამსუენის წარწერაში ნახსენებ Tibar-ს, ხეთური წყაროების Tipâl-ს და ,,ტიბარენს''. ე. კავენიაკის აზრით, ,,თაბალ'' ტერმინი ძვ. ანატოლიური წარმომავლობისაა. ე. ჰერცფელდი თვლიდა, რომ ,,თაბალ'' დასაკავშირებელია ტიბარების-ტიბარენების სახელწოდებასთან და შუმერულ Tibira-სთან, რ-იც ე. წ. ,,მეფეთა სიაში'' წარღვნამდე არსებულ ხუთ უძველეს ქალაქს შორის იხსენიება. ი. დიაკონოვი მართებულად არ მიიჩნევს ,,ტბა''-დან ,,თაბალის'' წარმოშობას და არც ,,თაბალ-ტიბარენის'' ტერმინოლოგიური იგივეობის თეორიას იზიარებს (მისი აზრით ,,ტიბარენების'' სახელწოდება შეიცავს ხეთურ წყაროებში მოხსენიებული ერთ-ერთი ქასქური ტომის Tipia-Tibia-ს სახელწოდებას და კავკ. ენებში მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელ -ar სუფიქსს). ,,თაბალს'' უკავშირებენ აგრეთვე ხეთურ-ლუვიური ონომასტიკონის ზოგიერთ სახელწოდებას (ხეთური ,,თაფალის მთა'', ,,თაფალის მთის ღვთაება''; ლუვიური Tapalazunauli, Tapalaziti, Tapala-Datta; ლიდიური Ταβίλος და სხვ.). აზრთა სხვადასხვაობაა თ-ის მოსახლეობის ეთნ. წარმომავლობაზეც. ჯერ კიდევ იოსებ ფლავიუსმა სცადა ბიბლიური ,,თობელი'' თობელელთა ანუ თ-ის მოსახლეობის ეთნარქოსი გენეტიკურად ქართულ სამყაროსთან დაეკავშირებინა. იგი წერდა: ,,თობელმა დააფუძნა თობელები, რომლებსაც ახლა იბერები ეწოდებათ''. თობელ-იბერის იგივეობის ფლავიუსისეული თეორია გვიანდ. ხანის ავტორებმაც გაიზიარეს (ევსტათი ანტიოქიელი, ეპისკოპოსი თეოდორიტე, ლეონ გრამატიკოსი, იოანე ზონარა და სხვ.). XIX ს-ში ევრ. და ქართ. ისტორიოგრაფიაში ფართოდ გავრცელდა თვალსაზრისი თ-ის მოსახლეობის ქართ. წარმომავლობის შესახებ (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია და სხვ.). გ. მელიქიშვილის აზრით, ტიბარენულ და თაბალურ ტომთა ეთნ. იგივეობაზე გადაჭრით ლაპარაკი შეუძლებელია, მაგრამ თაბალელთა ერთ-ერთ კომპონენტად მაინც დასავლურ-ქართულ ტომებს ვარაუდობს; ი. დიაკონოვის აზრით, თ-ის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ლუვიელები შეადგენდნენ, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ აქ თრაკიულ-ფრიგიული და ქართული წარმომავლობის ტომებიც ცხოვრობდნენ; ახალ უცხოურ სამეცნ. ლიტ-რაში თ-ის მოსახლეობას, ჩვეულებრივ, ლუვიურ ეთნ. სამყაროს უკავშირებენ.

თ. იყო ადრინდ. კლასობრივი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რ-საც ძვ. აღმოსავლური (მცირეაზიული) ტრადიციების დიდი გავლენა ემჩნეოდა. ქვეყნის სათავეში მეფე იდგა (ასურული წარწერები მას sarru-ს უწოდებენ, იეროგლიფურ-ლუვიური – lugal-ს). თ-ის მეფეთა ტიტულატურაში ისეთი ტერმინები ფიგურირებდა, როგორიცაა ,,დიდი'', ,,გმირი'' და tapawazlas-ი. სამეფო ხელისუფლება მემკვიდრეობითი იყო – მამიდან შვილზე გადადიოდა. მეფე საერო და სას. ხელისუფლებას ფლობდა. ქვეყნის მართვა-გამგებლობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ დედოფალი, საგვარეულო და სამხელეო არისტოკრატიის წარმომადგენლები. ძვ. წ. VIII–VII სს-ში ასურელები ყოველ ღონეს ხმარობდნენ თ-ის დასამორჩილებლად. მეფეები ტიგლათფილესერ III და სარგონ II აქტიურად ერეოდნენ თ-ის შინაურ საქმეებში.

თ-ში განვითარებული ყოფილა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა. მაღალ დონეზე განვითარებულა მეთუნეობა. თ. მოხატული ანუ ალიშარ IV ტიპის კერამ. წარმოების დაწინაურებული და მძლავრი ცენტრი იყო. მოპოვებულია აგრეთვე მონოქრომული და შავპრიალა კერამიკაც, თუმცა მისი ხვედრითი წონა მოხატულთან შედარებით უმნიშვნელოა. მთა-მადნეულით (სპილენძი, ვერცხლი, ოქრო, ტყვია, რკინა) სიმდიდრე და წინარე ხანის მეტალ. ტრადიციები საშუალებას აძლევდა თ-ის მოსახლეობას, მაღალ დონეზე აეყვანა მელითონეობა. თ. ეწეოდა აქტ. საგარეო ვაჭრობას; განვითარებული იყო სამშენებლო საქმიანობა, რაც სხვა მიზეზებთან ერთად სამშენებლო მასალების (ბაზალტის ქვა, მარმარილო) სიუხვითაც იყო განპირობებული. ამ ბოლო წლებში თ-ის ტერიტორიაზე გათხრილი დასახლებები (გოლუდაღი, კულულუ, ტოპაკლი, კაისერი და სხვ.) ქალაქური ტიპის დასახლებებს წარმოადგენდა და, როგორც წესი, ბორცვებზე იყო განლაგებული. ქალაქს კედელი ზღუდავდა. მას ქანდაკებებით დამშვენებული რამდენიმე შესასვლელი ჰქონდა. ბორცვის ყველაზე მაღალ ადგილას ტაძარს ან სასახლეს აგებდნენ. თ-ის ნაქალაქარებში აღმოჩენილია ხელოვნების მრავალი ძეგლი: ღვთაებათა და საერო პირების მონუმენტური ქანდაკებები, სფინქსებისა და ლომების სკულპტურული გამოსახულებები, სამლოცველოები, საკურთხევლები. თ-ის საზ-ბის დაწინაურებაზე მეტყველებს იეროგლიფურ-ლუვიური (ხეთური) დამწერლობის ფართო გამოყენებაც. თ-ის ღვთაებათა ოფიც. პანთეონი ხეთურ-ლუვიური იყო. მის სათავეში თარხუნთი – ამინდის ღვთაება – იდგა.

ლიტ.: ხ ა ზ ა რ ა ძ ე ნ., აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1978; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნოპოლიტიკური პრობლემები (მოსხები), თბ., 1984; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1979 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 1); ჯ ა ნ ა შ ი ა ს., თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. – შრომები, ტ. 3, თბ., 1956; Д ь я к о н о в И. М., Предыстория армянского народа, Ер., 1968; М е л и к и ш в и л и Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959; Х а з а р а д з е Н. В., К истории термина «Табал» ассирийских письменных источников, «კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული», VII, Тб., 1984. *ნ. ხაზარაძე.*

თაბასარანული ენა, იბერიულ-კავკასიური ენების დაღესტნურ ენათა ჯგუფის ლეზგიური ქვეჯგუფის ენა. გავრცელებულია სამხრ.

დაღესტანში, თაბასარანისა და ხივის რ-ნებში. თ. ე-ზე ლაპარაკობს 54 ათ. კაცი (1970).

თ. ე-ში გარჩეულია ხმოვნები: ა, ი, ე, უ, ჳ. ფარინგალიზებული ა, უ, მოკლე ხმოვნები უმახვილო ხმოვანთა დასუსტების შედეგია, გრძელი – სხვა ფონეტ. ცვლილებებისა. მახვილი სუსტია, დინამიკური, ზოგჯერ გრამატ. მნიშვნელობაც აქვს. თანხმოვანთა სისტემაში გვაქვს დენტოლაბიალიზებული შიშინა ფონემები. ბილაბიალიზაცია წარმოდგენილია სამხრ. დიალექტში, ჩრდ. დიალექტში დაკარგულია. ხშულთა სისტემა ოთხეულებრივია, სპირანტთა – სამეულებრივი (სამხრ. დიალექტში – წყვილეულებრივი).

თ. ე-ში გარჩეულია 2 – ადამიანისა და ნივთის – გრამატ. კლასი (სამხრ. დიალექტის ზოგიერთი კილოკავის ზმნა უკვე აღარ განარჩევს კლასებს). ძირითადი ბრუნვებია: სახელობითი, ერგატივი, მიცემითი, ნათესაობითი, ადგილობითი. ბრუნვები წარმოდგენილია 7 (კილოკავებში – 8) სამ-სამბრუნვიანი სერიით. პირის ნაცვალსახელებში გარჩეულია ინკლუზივისა და ექსკლუზივის ფორმები. ზმნა იცვლება გრამატ. კლასებისა და პირის მიხედვით (კლასოვან-პიროვანი უღვლილება). პირის ნიშნები ნაცვალსახელური წარმოშობისაა. გარდამავალი ზმნა პოლიპერსონალურია: პრეფიქსული კლასნიშანი გამოხატავს უახლოეს ობიექტს, სუფიქსური პირის ნიშანი – სუბიექტს. გვარი მორფოლოგიურად დიფერენცირებული არაა. ზმნა დაირთავს ლოკატიურ პრევერბებს.

სინტაქსური კონსტრუქციებია: ერგატიული – გარდამავალ ზმნასთან, ნომინატიური – გარდაუვალ ზმნასთან, დატიური – გრძნობა-აღქმის გამომხატველ ზმნებთან.

თ. ე-ში გამოიყოფა 2 დიალექტი: სამხრეთისა და ჩრდილოეთის. თ. ე. სამწერლობო ენაა. სალიტ. ენა სამხრ. დიალექტს ეფუძნება. დამწერლობა შემოღებულია 1932-იდან, თავდაპირველად ლათ. გრაფიკის, 1938-იდან – რუს. გრაფ. საფუძველზე.

ლიტ.: Алексеев М. Е., Шихалиева С. Х., Табасаранский язык, М., 2003; Жирков Л. И., Табасаранский язык, М.–Л., 1948; Магометов А. А., Табасаранский язык, Тб., 1965; Ханмагомедов Б. Г.–К., Очерки по синтаксису табасаранского языка, Махачкала, 1970; Дешериев, Табасаранский язык, Языки мира: Кавказские языки, М., 1999; Bouda K., Beiträge zur kaukasischen und sibirischen Sprachwissenschaft, [Bd.] 3 – Das Tabassaranische, Lpz., 1939.

ა. მაჰომეტოვი.

თაბახი, ხის დიდი ლანგარი, *გობის* მსგავსი. ამზადებენ უმთავრესად თელის, ლეკის ხისა და წიფლისგან (ხალხის დაკვირვებით, წიფლის ხე ხელს უწყობს ცომის აფუებას). თ. სხვადასხვა ზომისა იყო. დიდი თ. ქადისა და ხინკლის ცომის მოსამზადებლად იხმარებოდა, პატარაში კი საფუარს ინახავდნენ და დამზადებულ ხინკლებს აწყობდნენ. *გ. გასიტაშვილი.*

თაბია, თაბიები, ციხის გალავანში ჩართული პატარა კოშკები, რ-ებიც ნახევარწრეების სახითაა გამოშვერილი კედლის სიბრტყიდან. გავრცელებულია საქართველოს მთის ხუროთმოძღვრებაში.

თაბორი, თაბორის ციხე, შუა საუკუნის ციხესიმაგრე თბილისის სამხრ.-აღმ. მისადგომებთან, *თაბორის ქედის* უკიდურეს ჩრდ.-დას. ნაწილში, ბოტან. ბაღის თავზე. შემორჩენილია საძირკვლის ნანგრევები. სახელწ. „თაბორი“ ქედსა და ციხეს ეწოდა „ახალ აღთქმაში“ მოხსენიებული იერუსალიმის თაბორის მთის მიხედვით. თ. კონტროლს უწევდა განჯის გზას და იცავდა ქალაქის კარიბჭის – განჯის კარის მისადგომებს. თ. წყაროებში პირველად იხსენიება 1045, როცა მეფე ბაგრატ IV-მ ქალაქი და ციხესიმაგრეები დაიკავა, მათ შორის „... ორნივე კოშკინი წყალყინისანი და თაბორი“ („მატიანე ქართლისა“). აღნიშნული ამბის შემდეგ თ. დიდხანს აღარ იხსენიება და გვხვდება 1723, როდესაც იგი მცირე ხნით კახეთის მეფემ *კონსტანტინე II-მ* (მაჰმად-ყული-ხანი) დაიკავა, მაგრამ მალევე დაკარგა: „შეეპარნენ თაბორსა ჯარი ქართველთა და აიღეს თაბორი“ (სეხნია ჩხეიძე). 1735 და 1743 ციხესიმაგრე სპარსელებმა დაანგრიეს. 1748 მეფე ერეკლე II-მ თ. იერიშით აიღო, სპარსელთა გარნიზონი განდევნა და „დააყენა მუშა ფრიადი, შემოავლო სწრაფად გალავანი თაბორის ციხეს და დააყენა ჯარი კახთა“... (პაპუნა ორბელიანი). კრწანისის ბრძოლის დროს „მედგრად ამუშავებდა დავით ბატონიშვილი ზარბაზნებს თაბორის აყოლება კლდოვანი სერით და მუსრს ავლებდა სპარსთა რაზმებს“. შემდგომ აღა-მაჰმად-ხანმა ქალაქთან ერთად თ-ის ციხეც საბოლოოდ დაანგრია (იხ. აგრეთვე სტ. *კრწანისის ბრძოლა 1795).* თ-ის ტერიტორიაზე იღგა აგრეთვე ეკლესია, რ-იც პირველად მოხსენიებულია 1392, თუმცა იგი გაცილებით ძველი უნდა ყოფილიყო. XIX ს. ისტორიკოსი პ. *იოსელიანი* წყაროს მიუთითებლად მას ფერისცვალების ეკლესიად მოიხსენიებს, რაც ადასტურებს სახელწ. „თაბორის“ კავშირს ქრისტ. რელიგ. მოვლენასთან. ვახუშტი ბატონიშვილის 1735 ქალაქის გეგმაზე თ-ის ქედზე აღნიშნულია ეკლესია. 1776 წყალობის სიგელში ვხვდებით თ-ის უცხოენოვან თურქ. სახელს „ყორჩი-ყალა“ (მცველი ციხე). 1800 თბილ. გეგმის მიხედვით თ-ზე დგას „Разоренное укрепление Корчакала“. ციხეს ამავე სახელწოდებით იხსენიებს პ. იოსელიანიც. 1972 აქ ჩატარდა არქეოლ. გათხრები, გამოვლინდა სიმაგრის ნაშთები. ეკლესიის ნანგრევებს ექსპედიციამ ვერ მიაკვლია.

წყარო: მატიანე ქართლისაჲ, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: ბერიძე თ., ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977; Иоселиани П. И., Описание древностей города Тифлиса, Тфл., 1866.

თ. ბერიძე.

თაბორი, ქართლის კათოლიკოსი დაახლ. VII ს. 30-იან წლებში. მისი კათოლიკოსობა ემთხვევა *ადარნასეს* ერისმთავრობას. მურვან ყრუს ლაშქრობაზე (735–736) თხრობისას ჯუანშერი წერს, რომ ,,მოსვლასა მისსა კათალიკოსი იყო თაბორ“, რაც შეცდომაა. მცხეთის საკათოლიკოსო ტახტზე ამ დროს თ-ის სახელით კათოლიკოსი არ ჩანს.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

თაბორი, სოფელი ცაგერის მუნიციპალიტეტის ლაილაშის თემში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), მდ. ლაჯვანურის (რიონის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 840 *მ*, ცაგერიდან 25 *კმ*. 155 მცხ. (2002).

თ. მდებარეობს ისტ. ლეჩხუმში. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. სახელწოდება შემოსულია პალესტინიდან. ნაზარეთის სიახლოვეს იყო ამ სახელით ცნობილი მთა, სადაც მოხდა ქრისტეს ფერისცვალება. სოფელში აღმოჩენილია შუა ბრინჯაოს ხანის მასრაგახსნილი, წვერნაკლული შუბისპირი და ბრინჯაოს სამკაული.

სოფლის განაპირას, მთის ქიმზე, შირიმის კვადრებით ნაგები გვიანდ. შუა საუკუნეების კოშკი დგას.



ლ. თაბუკაშვილი.

ეს ნაგებობა, როგორც ჩანს, საგვარეულო საძვალე-სამლოცველო კოშკი იყო. ნაგებობის ჩრდ-ით მოსწორებული ბაქანია, სადაც სავარაუდოდ იდგა თავდაპირველი ეკლესია, რ-იც გადარჩენილი დეკორ. ფრაგმენტების მიხედვით XIV ს. მიეკუთვნებოდა. თ-ის დღევანდელ კოშკისებურ ნაგებობას ხალხში დედაღვთისას უწოდებენ, დღესასწაულობენ ხვამლობასა და კოხინჯრობას. ხალხ. გადმოცემის თანახმად თ. სურმუში და ლაილაში აზნაურ ლაიშხურს ეკუთვნოდა, მას ლაილაშისა და თ-ის მიდამოებში ციხეები ჰქონია, თვითონ კი თ-ით სასახლეში უცხოვრია. დადიანს გაუწყვეტია ლაიშხურები და მათ სოფლებს დაპატრონებია. ჯერ კიდევ 1969 ეკლესიაში ინახებოდა შენაწირი ვერცხლის სასმისები, რ-თაც მხედრული წარწერები ჰქონდა: ,,ქრისტე, ჯვარცმის თაბორის შეწირული უხმარი ვერცხლი მე გავაჭედინე ლაშხიშვილმა ბახუტამ და ისევე მოგვირთმევია ჩვენის სადღეგრძელოდ. სულის საოხად და საცხონებლად, ამინ''. მეორე, უფრო მცირე სახელურიან თასსაც ასევე მხედრულად ეწერა: ,,მლუდელი დავით ნიკოლოზის ძე ქასელაძე''. წარწერები დაახლ. XVIII–XIX სს-ისაა.

თ-ში მოსახლეთა გვარებია: ქარსელაძე, სადილიანი, ახვლედიანი, ლომთაძე, ბაკურაძე, ჩარკვიანი, ხეცურიანი, ჩაჩხიანი, ჯინჭარაძე.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ბანძელაძე ი., სურამელაშვილი მ., ჭურღულია ლ., ლეჩხუმი, თბ., 1983. *დ. ბერძენიშვილი.*

თაბორის ფერისცვალების ეკლესია, მდებარეობდა მდ. *წავკისისწყლის* მარჯვ. მხარეს მდებარე თაბორის მთაზე. ეკლესია ადრინდ. ქრისტ. ხანას (არაუგვიანეს VI ს.) მიეკუთვნებოდა. მას ჩვენამდე არ მოუღწევია. პირველად ნახსენებია 1392 შედგენილ საბუთში: ,,... ტფილისის იქით ლეღვის ხევი, ჩამოვარდება თაბორის ეკლესიის ჩამოსწვრივ წყლისპირამდისინ...'' (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, თბ., 1970), ეკლესია აღნიშნულია ვახუშტი ბატონიშვილის 1735 გეგმაზეც. პ. იოსელიანის ცნობით ,,... и на плоской ея вершине была построена церковь Преображения Господня...''. თაბორის ეკლესიაზე ცნობებს გვაწვდის მ. ჯანაშვილიც: ,,ტაძარი სახელსა ზედა ყველა ურვეულთა ნუგეშისმცემისა თაბორის გორაზედ... გაოხრებული ტაძარი''. თაბორის მთას (იერუსალიმში) იესო ქრისტეს ამქვეყნიურ ცხოვრებაში თავისი ადგილი უკავია. მთას ფერისცვალების ეკლესიის აშენების შემდეგ შეერქვა თაბორი. 2001 თბილ. თაბორის მთაზე აშენდა ფერისცვალების ახ. ეკლესია (მამათა მონასტერი).

თ. ბერიძე.

თაბორის ქედი, ქედი თბილისის მიდამოებში, თრიალეთის ქედის სამხრ.-აღმ. განშტოება, მდ-ების წავკისისწყლისა (ლეღვთახევის) და კრწანისისხევის (ტაბახმელისხევის) წყალგამყოფი. აგებულია შუაეოცენური ტუფოგენური ქანებით, თაბაშირიანი თიხებითა და ქვიშაქვებით. ჩრდ. და აღმ. კალთები ციცაბოა, სამხრ. – დამრეცი, თხემი მოვაკებულია და თანდათან მაღლდება აღმ-იდან (600 *მ*) დასკენ (1000 *მ*). ჩრდ. კალთის ძირას გამოდის გოგირდიანი ცხელი წყაროები (იხ. *თბილისის თერმული წყლები*). თხემი და სამხრ. კალთა შემოსილია ბუჩქნარითა და ხელოვნური ნარგავებით.

იხ. აგრეთვე სტ-ები: *თაბორი* და *თაბორის ფერისცვალების ეკლესია.*

ქ. ჯაფელი.

თაბორიძე მარიამ დიმიტრის ასული (27. I. 1922, დუშეთი, – 21. V. 2008, თბილისი), პედაგოგი, ლიტერატორი. პედ. მეცნ. დოქტორი (1985), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1990). 1945 დაამთავრა თსუ-ის ფილოლოგიის ფაკ-ტი ქართ. ენისა და ლიტ-რის სპეციალობით და პარალელურად შოთა რუსთაველის სახ. თეატრალური ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი (1944). 1961–75 მუშაობდა ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში უფრ. მეცნიერ თანამშრომლად. 1975-იდან იყო ს.-ს. ორბელიანის სახ. პედ. ინ-ტში ქართ. ენისა და ლიტ-რის სწავლების მეთოდიკათა კათედრის პროფესორი.

თ. იკვლევდა ლიტ. სწავლების პრობლემებს, წერითი და ზეპირი მეტყველების განვითარების საკითხებს. დაამუშავა ესთეტ. აღზრდის მეთოდური სისტემა. მინიჭებული აქვს ი. გოგებაშვილის სახ. პრემია (1983).

თხზ.: სასკოლო თხზულებათა სწავლების საკითხები საშუალო სკოლის უფროს კლასებში, თბ., 1967; ესთეტიკური აღზრდის პრობლემები ლიტერატურის სწავლებისას, თბ., 1985; ადამიანურობის პრობლემა ვეფხისტყაოსანში; მართალი სამართალი ვეფხისტყაოსანში (სამივე სტადია), თბ., 1992.

თაბუკაშვილი კარლო ფილიმონის ძე (5.IV.1925, თბილისი, – 24.IX. 2004, იქვე), ინჟინერ-მექანიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (1992), საქართვ. საინჟ. აკად. ნამდვილი წევრი (1992). 1948 დაამთავრა სპი, საინჟ.-სატრანსპ. ფაკ-ტი. 1948–51 მუშაობდა ქ. ვლადიმირში წყალმომარაგების სექტორის ინჟინრად. შემდგომ საქართვ. მეცნ. აკად. წყალთა მეურნეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტშია. 1972-იდან სიცოცხლის ბოლომდე სტუ-ში თეორ. მექან. კათედრაზე ეწეოდა პედ. საქმიანობას.

თ-ის კვლევები ეხება ჰიდროტექნიკაში ჰიდრავლიკური პრობლემების გადაწყვეტას და მის დანერგვას პრაქტიკაში. მის მიერ გამოკვლეული ჰიდრავლიკური გაანგარიშების მეთოდები შესულია სსრკ-ის წყალთა მეურნეობის საპროექტო ინ-ტების რეკომენდებულ ნორმატივებში. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი.

თხზ.: Бездействие ветра на русловой поток и оценка изменения его гидравлической структуры, Тб., 2002.

თაბუკაშვილი ლაშა რევაზის ძე (დ. 23. XI. 1950, თბილისი), მწერალი. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2006). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1972). 1986–88 იყო მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, 1987-იდან – ახალგაზრდული ალმანახის ,,სათავის'' რედაქტორი, ხოლო 1995-იდან – ლიტ. ჟურნ. ,,XX საუკუნის'' გამომცემელი. 1998 დააარსა მწერალთა კლუბი ,,XX საუკუნე''.

თ-ის პირველი მოთხრობა ,,მოკლეს ბიჭი'' დაიბეჭდა ჟურნ. ,,ცისკარში'' 1969, პირველი პიესა ,,ჭრილობა'' 1973 დაიდგა ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. თეატრსა (რეჟ. დ. ხინკიძე) და კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. აკად. თეატრში (რეჟ. გ. თოდაძე). არის ლექსების, მოთხრობების, პიესების ავტორი: ,,ძველი ვალსი'' (1975), ,,დარაბებს მიღმა გაზაფხულია'' (1977), ,,ათვინიერებენ მიმინოს'' (1981), ,,შენსკენ სავალი გზები'' (1984), ,,მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი'' (1997), ,,თოვლივით თეთრი თოვლი'' (2001), ,,ასტეროიდზე აღარ იწვიმებს'' (შოთა რუსთაველის პრემია), მოთხრ. ,,კომოციო'' (2000) და სხვ. თ-ის სცენარების მიხედვით გადაღებულია ფილმები: ,,ტერანგი'' (1984, რეჟ. ო. ლითანიშვილი), ,,სანამ წვიმა გადაივლიდეს''

(1985, რეჟ. ქ. დოლიძე), ,,ვამეხი მოდის'' (1987, რეჟისორები: ო. ლითანიშვილი, ო. შამათავა). ცალკე წიგნებად გამოქვეყნებულია ,,შენსკენ სავალი გზები'' (1985), ,,მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი'' (1999), ,,თოვლივით თეთრი თოვლი'' (2001), ,,ერთიც გაიცინე, გუინპლენ'' (2014).

თ-ის შემოქმედების ძირითადი თემაა ახალგაზრდობის ცხოვრება (მთავარი გმირი – ახალგაზრდა კაცი), თაობათა ურთიერთობა. მიღებული აქვს პრემიები: 2005 – წლის საუკეთესო პიესა (,,დარაბებს მიღმა გაზაფხულია''), საუკეთესო ქართ. თანამედროვე პიესა [,,ათვინიერებენ მიმინოს'' (,,სულის სამჭედლო, ანუ სისხლი სისხლის წილ'')], თეატრ. პრემია ,,დურუჯი'' (ორივე 2010).

თაბუკაშვილი მერაბ დავითის ძე (დ. 5. V. 1925, თბილისი), მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1965). 1948 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრალური ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. 1948–55 შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრის, ხოლო 1956-იდან კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრის მსახიობი იყო. ძირითადად ასრულებდა სახასიათო როლებს. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: მირეკი (ი. ფუჩიკის ,,ადამიანებო, იყავით ფხიზლად''), პალიკო (ნ. აზიანის ,,უკანასკნელი მასკარადი''), ტრავერსენი (კ. გოლდონის ,,საპატარძლო აფიშით''), ლევან ბატონიშვილი (ლ. გოთუას ,,მეფე ერეკლე''), ედუარდ, უელსის პრინცი, ბალთაზარი (უ. შექსპირის ,,რიჩარდ მესამე'', ,,აურზაური არაფრის გამო''), ფუშე (ვ. სარდუს ,,მადამ სან ჟენი''), ბანკის დირექტორი (მ. ჯავახიშვილის ,,კვაჭი კვაჭანტირაძე''), რიკარდო (ედუარდო დე ფილიპოს ,,ნეაპოლი – მილიონერთა ქალაქი'') და სხვ. თ. ავტორია მრავალი წერილისა ქართველ ხელოვანთა შესახებ. ეწეოდა ნაყოფიერ მუშაობას ესტრადის ქართვ. მოღვაწეთა პროპაგანდისათვის. ამზადებდა და აწყობდა რუს. რომანსის საღამოებს, თანამშრომლობდა (საორგანიზაციო საკითხებში) დებ იშხნელებთან. თ-ის ძალისხმევით თბილისში გადმოასვენეს მოსკოვში მოღვაწე ცნობილი ქართვ. მომღერლის, რუს. რომანსის უბადლო შემსრულებლის თ. *წერეთლის* ნეშტი, დაკრძალეს ქართვ. მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თაბუკაშვილი ნიკოლოზ ონოფრეს ძე (25.IV. 1915, თბილისი, –18.VII. 1981, სოფ. ღუდუმექეთი, ახლანდ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი), ფერმწერი, პედაგოგი. საქართვ. (1961) და აფხ. (1955) ხელოვნების დამს. მოღვაწე. 1945 დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (ა. ციმაკურიძის კლასი). 1945–52 ასწავლიდა ი. ნიკოლაძის სახ. თბილ. სამხატვრო სასწავლებელში. 1952-იდან მოღვაწეობდა სოხუმში, იქ დააარსა სამხატვრო სტუდია, 1955 კი – სამხატვრო სკოლა (მოგვიანებით, სასწავლებელიც), რ-საც ხელმძღვანელობდა 1978 წლამდე. თ-ის შემოქმედების ძირითადი თემაა ბუნება (იმერეთის, ქართლის, აფხაზეთის პეიზაჟები). იგი ქართ. დაზგური ფერწერის რეალისტური ტრადიციების




ნ. თაბუკაშვილი. ,,გზა მთისკენ''. 1973.

ერთგული იყო. 1965–75 წლებში სოხუმში მოეწყო თ-ის პერსონალური გამოფენები, გარდაცვალების შემდეგ – თბილისშიც. 1993 შ. ამირანაშვილის სახ. საქართვ. ხელოვნების სახელმწ. მუზეუმში გაიმართა თ-ის, მისი მოწაფეების, აფხ. მხატვრების გამოფენა. თ-ის ნამუშევრები ინახება აფხ. სამხატვრო გალერეაში, შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში, აღმ. ხალხთა ხელოვნების მუზეუმში (მოსკოვი) და კერძო კოლექციებში.

ლიტ.: არღუნი ა., ღვაწლმოსილი მხატვარი და პედაგოგი, «საბჭოთა ხელოვნება», 1976, №3; Шерваш идзе Л., Н.О. Табукашвили, его творчество, педагогическая и общественная деятельность, «ქართული ხელოვნება», 1987, ტ. 9В.

მ. თაბუკაშვილი.

თაბუკაშვილი ოლღა ვარდენის ასული (13. III. 1934, თბილისი, – 4. XII. 2006, იქვე), კინომცოდნე. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (2006), საქართვ. ხელოვნების დამს. მოღვაწე (1979). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1955) და რსფსრ მეცნ. აკად. ხელოვნებათმცოდნეობის ინ-ტის ასპირანტურა (1968). 1957–68 იყო გაზეთ ,,მოლოდიოჟ გრუზიის'' კულტ. განყოფილების გამგე. 1970-იდან სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა პედ. და სამეცნ. მოღვაწეობას შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნ-ტში. არის ავტორი მრავალი კრიტ. წერილისა და სამეცნ. გამოკვლევისა ქართ. და მსოფლიო კინოხელოვნების ისტორიის სხვადასხვა საკითხზე. საქართვ. კინემატოგრაფისტთა კავშირის პრემიის ლაურეატი (1984). 1984 საქართველოში დასახელებული იყო წლის საუკეთესო კინოკრიტიკოსად.



მ. თაბუკაშვილი. ფუშე, ვ. სარდუს ,,მადამ სან ჟენი''.




ო. თაბუკაშვილი.

თხზ.: ნიკოლოზ შენგელაია, თბ., 1974; Софико Чиаурели, М., 1968.

მ. კერესელიძე.

თაბუკაშვილი რევაზ შალვას ძე (2. VIII. 1927, თბილისი, – 3. VIII. 1990, იქვე), მწერალი, დრამატურგი, მთარგმნელი, რეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1986). დაამთავრა მოსკ. საერთაშ. ურთიერთობათა ინ-ტი (1949). თ-ის ლექსები და თარგმანები იბეჭდებოდა XX ს. 40-იანი წლებიდან. მისი პიესები წარმატებით იდგმებოდა საქართვ. თეატრების სცენებზე: ,,რას იტყვის ხალხი'' (კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. აკად. თეატრი, 1956, რეჟ. ლ. იოსელიანი; 1975 – რეჟ. ლ. ნიკო-



რ. თაბუკაშვილი.

ლაძე; რუსთავის დრამ. თეატრი, 1976, რეჟ. ა. ქუთათელაძე), ,,დენბურგის ზარი'' (რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრი, 1970, რეჟ. გ. ქავთარაძე), ,,დაბადება'' (რუსთავის დრამ. თეატრი, 1977, რეჟ. ა. ქუთათელაძე) და სხვ. ქართ. დრამატურგიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თ-ის პიესა ,,ამხანაგი გიორგი'', რ-იც გამოიცა 1971 (სათაურით ,,რაიკომის მდივანი'' დაიდგა კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრში 1953, რეჟ. ლ. იოსელიანი; რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრში – 1972, რეჟ. რ. სტურუა). ამ პიესით ქართ. თეატრის სცენაზე პირველად გამოჩნდა ფუნქციონერის ტიპი, რ-ის სახესა და ნიღაბს შორის გაჩენილ საბედისწერო ბზარზე მოგვიანებით დაიწყეს საუბარი.

თ-მა დაწერა კინოსცენარები ფილმებისათვის: ,,წარსული ზაფხული'' (1959, რეჟ. ნ. ნენოვა, გ. წულაია), ,,ჯვარცმული კუნძული'' (1968, რეჟ. შ. მანაგაძე), ,,მზე შემოდგომისა'' (1973, რეჟ. თ. ფალავანდიშვილი), ,,რეპორტაჟი ნიდერლანდებიდან'' (1976, რეჟ. გ. ჭუბაბრია), ,,რაც დავიწყებით არ იბინდება'' (1976, რეჟ. გ. ჭუბაბრია), ,,ორაგულის ბედი'' (1977, რეჟ. გ. ჭუბაბრია); აგრეთვე ლიბრეტოები ოპერებისათვის: ,,მინდია'' (კომპოზიტორი ო. თაქთაქიშვილი), ,,ქაჯანა'' (კომპოზიტორი მ. დავითაშვილი) და სხვ. თ-მა თარგმნა უ. შექსპირის სონეტები (1979 გამოიცა ,,სონეტების კრებული'', 1988 – ,,100 სონეტი'', ხოლო 2003 – ,,სონეტები''). 2013 გამოვიდა თ-ის წიგნი ,,სცენარები, ლექსები, გამოსვლები, დღიური, მოთხრობები, გახსენება''.

თ-მა, როგორც სცენარისტმა და კინორეჟისორმა, გადაიღო დოკუმენტური ფილმები: ,,კვალი ნათელი'' (1978; მიძღვნილი მ. თამარაშვილისადმი, რ-ის საფლავსაც თავად მიაკვლია); ,,ქართველები იტალიაში'', ,,ალპური ვარსკვლავი'' (1979); ,,ვიტორია სელა'', ,,მთანი მაღალნი'' (1980); ,,მიხეილ ხერგიანი'' (1981); ,,პირველად იყო სიტყვა'' (1982); ,,ფურცლები ფრანგული დღიურიდან'' (1983); ,,საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი'' (1985; ეძღვნება ე. თაყაიშვილის ცხოვრებას); კინოდილოგია ,,ნაძარცვის კვალდაკვალ'' (1986) და ,,შორეული სიახლოვე'' (1987). ამ ფილმებში გამოიკვეთა მთხრობლის, ანუ თავად ავტორის პოზიცია, რ-იც მთლიანად გამოხატავს თ-ის ესთეტ. და ეთიკურ შეხედულებებს.

თ-ის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით საქართველოს დაუბრუნდა მ. თამარაშვილის ნეშტი (1978), უაღრესად მნიშვნელოვანი, მსოფლიოს სხვადასხვა წიგნსაცავსა და არქივში გაბნეული ხელნაწერები, დოკუმენტები თუ ფოტომასალა. მათ შორისაა თურქ. ტერიტორიაზე არსებული ქართ. ძეგლების ვ. ქიქოძის მიერ გადაღებული ფოტომასალა (700 სლაიდი); ვ. ღამბაშიძის მიერ გადაღებული აკაკი წერეთლის დაკრძალვის პროცესიის ფოტოების ნეგატივები და სხვ.

გ. გაჩეჩილაძე.

თაბუკაშვილი ტრიფონ რომანოზის ძე [13 (25). II. 1866, სოფ. ფარცხნალი, ახლანდ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, – 11. I. 1926, თბილისი], პედაგოგი, მეთოდისტი, საზ. მოღვაწე. 1886 დაამთავრა ხონის საოსტატო სემინარია. მუშაობდა ქართ. ენისა და ლიტ-რის მასწავლებლად სოფ. ძიმითის (ოზურგეთის მაზრა) დაწყებით სკოლაში, ხონის საოსტატო სემინარიაში, თბილ. ცენტრ. საპედაგოგიო ინ-ტში. ავტორია სახელმძღვანელოების: ,,განთიადი'', შრომის სკოლის II და III ჯგუფებისათვის (1923); ,,მეთოდიკური შენიშვნები გრამატიკის სწავლების შესახებ'' (1923); ,,აისი'' (1924); ,,სასვენი ნიშნების ხმარება'' (1925) და სხვ.

თაბუკაშვილი შალვა ტრიფონის ძე [29. III (10. IV). 1893, სოფ. ფარცხნალი, ახლანდ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, – 5. X. 1971, თბილისი], პედაგოგი, მეთოდისტი, საქართვ. დამს. მასწავლებელი (1946), მთარგმნელი, საზ. მოღვაწე. დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი, ხოლო 1916 – მოსკ. უნ-ტის ფილოლ. ფაკ-ტი. მუშაობდა ქართ. ენისა და ლიტ-რის მასწავლებლად ხარაგაულის, ზესტაფონის ქალთა, ქუთაისის წმ. ნინოსა და ეპარქიულ სასწავლებლებში. თ. ავტორია სახელმძღვანელოებისა: ,,პუნქტუაცია'' (1941), ,,ქართული ენა მე-3 კლასისათვის'' (1944), ,,მშობლიური ლიტერატურა მე-5 კლასისათვის'' (თანაავტორი; 1947). მასვე ეკუთვნის მოთხრობები: ,,საოცარი გაფრენა'' (1933), ,,გასაოცარი ამბავი'' (1934), ,,უცნაური ძიძა'' (1938) და სხვ. თ-მა თარგმნა ი. ტურგენევის ,,მუმუ'' (1937), ა. ჩეხოვის ,,კაშტანკა'' და ,,კაცი ფუტლიარში'' (1946), ,,ნახტომი'' (1938); მ. გორკის ,,დედა'' (1940), ,,სიმღერა გრიგალზე'' და ,,სიმღერა შევარდენზე'' (1946), ლ. ტოლსტოის ,,ჰაჯი მურატი'' (1946). დაკრძალულია მწერალთა და საზ. მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

დ. გურგენიძე.

თაბუნი, ერთი დარგის ხელოსანთა თუ ვაჭართა ორგანიზაციის, კავშირის სახელწოდება გვიანდ. შუა საუკუნეებში. ამასთან, თ. ყოველგვარი ჯგუფის, დასის, რაზმის ზოგადი სახელწოდებაც იყო (იხ. აგრეთვე *ამქარი*).

თაგვეთი, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ცხრამუხის თემში (შიდა ქართლის მხარე), მტკვრის შუა ხეობის ვაკეზე, მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 760 *მ*, ხაშურიდან 3 *კმ*. 103 მცხ. (2002).

სოფლის აღმ-ით, დაახლ. 300–400 *მ*-ზე, მდებარეობს ღვთისმშობლის ერთნავიანი ახ. ეკლესია. იგი დგას ძვ. ნაეკლესიარზე, რ-ის განაც შემორჩენილია მხოლოდ ნახევარწრიული აფსიდის სამხრ. მხარე. ეკლესიის მახლობლად აღმოჩნდა ქვიშაქვის მოჩუქურთმებული ფილა – ძვ. ეკლესიის კანკელის ნაწილი, რ-იც სტილური ნიშნებით IX–X სს-ით თარიღდება.

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წგ. 5, თბ., 1990.

თაგვიკუდა (Myosurus), მცენარეთა გვარი ბაიასებრთა ოჯახისა. აერთიანებს 10-მდე სახეობას, რ-ებიც გავრცელებულია ევროპაში, ჩრდ. ამერიკაში, ჩრდ. აფრიკასა და ავსტრალიაში – უმთავრესად ზომიერ სარტყელში.

საქართველოში გვხვდება თ-ის მხოლოდ 1 სახეობა. პატარა, 4–12 *სმ*-მდე სიმაღლის ერთწლოვანი ბალახია; ფესვის ყელთან შეკრებილი ვიწროხაზური ფოთლები აქვს. პატარა, ორსქესიანი, მომწვანო-ყვითელი ყვავილები საყვავილე ღეროზე მარტოულია, გვირგვინის ფურცლები გადაქცეულია სანექტრეებად. იზრდება ქართლში, ყამირ ნიადაგებზე, გზებისა და რუების გაყოლებით, ხევების ფერდობებზე, მდელოებსა და დანესტიანებულ ველებზე. ზოგჯერ მასობრივად ვითარდება.

მ. გურგენიძე.

თაგვისარა (Ruscus), მცენარეთა გვარი სატაცურისებრთა ოჯახისა. ორსახლიანი, დაბალი, მარადმწვანე, მხოხავფესურიანი ქონდარა ბუჩქია. ყლორტები გადაქცეული აქვს ფოთლისებრ, ზოგჯერ

ეკლიან ფილოკლადოდიუმებად, რ-თა ძირშიც სხედან წვრილი ქერცლისებრი ფოთლები. აქვს წვრილი, მწვანე, ერთსქესიანი ყვავილები; სფერული, ხორცოვანი წითელი კენკრა ნაყოფი. გვარში 9 სახეობაა, რ-ებიც გავრცელებულია აზორის, კანარისა და მადეირის კ-ებზე, აგრეთვე დას. ევროპაში.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი თ-ს ორი სახეობაა: საკუთრივ თ. ა ნ უ პ ო ნ ტ ო უ რ ი თ. (R. ponticus), რ-იც იზრდება აფხაზეთის, სამეგრელოს, იმერეთის და ქართლის ტყის ქვედა სარტყლის ტყესა და ბუჩქნარში, და *ძმერხლი* ანუ კოლხური თ. (R. colchicus), რ-იც გავრცელებულია აფხაზეთის, აჭარისა და ქართლის ტყესა და ბუჩქნარში. ორივე სახეობა დეკორატიულია.

მ. გურგენიძე.

თაგილონი, სოფელი გალის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), სამურზაყანოს დაბლობზე, მდ. ენგურის მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: თ., სალხინო). ზ. დ. 60 *მ*, გალიდან 15 *კმ*. 1,2 ათ. მცხ. (1989).

სოფელში, მდ. თაკიის (ენგურის შენაკადი) მარჯვ. ნაპირზე, მდებარეობს ე. წ. წიფურიას ნამოსახლარი. აქ აღმოჩენილია კერამ. ფრაგმენტები, რ-თა საშუალებით განისაზღვრება წიფურიას ბორცვის წარმოშობის ხანა – გვიანდ. ბრინჯაოს საწყისი ეტაპი (ძვ. წ. XV–XIV სს.).

თაგილონის განძი, სოფელ თაგილონში (გალის მუნიციპალიტეტი) და მის მახლობლად აღმოჩენილი განძი.

1. ძვ. წ. XI–X სს. არქეოლოგიური ძეგლი. აღმოჩნდა სოფ. თაგილონში, მდ. ენგურის მარჯვ. ნაპირას. ბრინჯაოს ქვაბში მოთავსებული იყო კოლხური ცულის ჩამოსასხმელი სპილენძის ორმაგი ყალიბი, ასეთივე ცულის ჩამოსასხმელი ყალიბის ნატეხი, ბრინჯაოს დიდი სეგმენტური იარაღი, კოლხური ცული და ფირფიტის ნატეხი.

2. I–II სს. მამაკაცის მდიდრული სამარხის ინვენტარის ნაწილი, აღმოჩნდა შემთხვევით 1930, მდ. ენგურის მარჯვ. ნაპირას, სოფ. თაგილონის მახლობლად. აღმოჩენილი ნივთებიდან შემორჩა ჯაჭვის პერანგისა და მუზარადის ნაწილები, მახვილის (ან სატევრის) ვადის ოქროს გარსაკრავები, რკინის ლაგანი, სარტყლის ან ცხენის ავშარის შესამკობელი ოქროს გავარსიანი მძივი, ოქროს სარიტუალო ქანდაკების ირმის თავი, ვერცხლის 14 ჭურჭელი და მათი ნატეხები (ცილინდრული, ნახევარსფერული და კვერცხისებური სასმისები, ქუსლიანი და ორყურა თასები, ლამბაქი, ლანგრებისა და ემბლემიანი პინაკის ნატეხები და სხვ.). ვერცხლის ჭურჭელი ელინისტურ-რომაული ხასიათისაა, როგორც ჩანს, ადრინდ. საიმპერატორო ხანის (I ს.) რომაული პროვინციული ნაწარმია და ბოსკორეალესა და ჰილდესჰაიმის განძების ჭურჭლის ანალოგიურია, თ. გ-ის ოქროს ნივთების უმრავლესობა მდიდრულადაა შემკული ცვარათი და ფერადი თვლებით. მსგავსი ოქროს ნაწარმი ცნობილია ჩრდ. კავკასიისა და ყუბანისპირეთის ადრინდ. სარმატული სამარხებიდან. თ. გ-ში ცხენის აღკაზმულობისა და აბჯრის არსებობა მას სარმატულ სამყაროსთან აახლოებს.

თაგილონში აღმოჩენილი სამარხი უნდა ეკუთვნოდეს სოც. დიფერენცირებული საზ-ბის ზედა ფენის წარმომადგენელს და შეიძლება ასახავდეს კულტ. ელემენტთა გადაადგილებასა და ტომთა მჭიდრო კონტაქტებს, რაც ანტ. წერილობითი წყაროებით დას. საქართველოს ტერიტორიაზე I ს-ში ივარაუდება.

თ. გ-ის ორივე განძი დაცულია დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში.

ლიტ.: ქ ო რ ი ძ ე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965; А м и р а н а ш в и л и А. И., Новая находка в низовьях р. Ингура, Тфл., 1935; И е с с е н А. А., К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, «Известия Гос. Академии истории материальной культуры», 1935, в. 120. *ი. გაგოშიძე.*

თაგინაური, მთა შუახევის მუნიციპალიტეტში, მესხეთის ქედზე, მდინარეების ბჟუჟის (ნატანების მარცხ. შენაკადი) და ნატანების ზემო დინებათა წყალგამყოფზე. სიმაღლე ზ. დ. 2668 *მ*. აგებულია შუაეოცენური ანდეზიტური ტუფბრექჩიებით. თ. გუმბათისებრი მოყვანილობისაა. ჩრდ. კალთაზე შემორჩენილია მეოთხეული გამყინვარების კვალი. კალთები ქვემოთ შემოსილია სუბალპ. ტყეებითა და მდელოებით, ზემოთ ალპ. მდელოებია. *ქ. ჯაყელი.*

თაგო, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტის ვაშლოვნის თემში (აჭარის არ), მდ. აჭარისწყლის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1000 *მ*, ხულოდან 7 *კმ*. 366 მცხ. (2002).

სოფლის ტერიტორიაზე მიკვლეულია რკინის ზოდები. ვარაუდობენ, რომ თ. რკინის მეტალურგიის ერთ-ერთი კერა იყო.

ი. სიხარულიძე.

თაგოეთი, ისტორიული სოფელი გვიანდელ შუა საუკუნეების ქართლის სამეფოში. მდებარეობდა შიდა ქართლში, გაღმამხარში, საციციანოში. იხსენიება XVII ს. საბუთებში. იქ მცხოვრებთა გვარები იყო: კანიაშვილი, ტეტიაშვილი, ობლიძე, აფთარაშვილი, ბაბლიძე, პაპუაშვილი, რ-ებიც აქაურ მებატონე ციციშვილებს გაყრისას ერთმანეთში გაუყვიათ თავიანთი მამულებითურთ. თ-ს ახსენებს აგრეთვე ვახუშტი ბატონიშვილი თავის ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსაში'' ქართლის სოფლების ჩამოთვლისას გაღმამხარში, კერძოდ, გვერდისძირში. გვიანდ. შუა საუკუნეების ადმ.-ტერ. დაყოფით თ. ქართლის გაღმამხარის მომცველი ტერიტ. იყო (მდ. მტკვარსა და თრიალეთის ქედს შორის) და მეოთხე სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა.

წყარო: მასალები საქართველოს ისტორიისა და ტოპონიმიკისათვის, თბ., 1964; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 4, თბ., 1972.

ზ. ცინცაძე.

თაგუთი, ნასოფლარი ისტორიულ დმანისისხევში, ახლანდელ დმანისის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს მდ. ფინეზაურის მარცხ. შენაკადის, შავი წყლის (ყარასუ) მარჯვ. სანაპიროზე, ახლანდ. სოფ. საფარლოსა და სოფ. მამიშლოს შორის. აქ, ერთმანეთისგან დაახლ. 1,5 *კმ*-ზე, ორი ეკლესია დგას. ზედა ეკლესია სოფლის დას-ით მამიშლოს ხილის ბაღებშია. ის ერთნავიანი, დარბაზული ტიპის შენობაა, ნაგებია სრულიად დაუმუშავებელი მოზრდილი ზომის ნატეხი ქვით. შესასვლელი და ერთი სარკმელი სამხრ-იდანაა, თითო სარკმელი – აღმ. და დას. კედლებში. ჩრდ. და სამხრ. კედლებზე და დას. კუთხეებში თითო პილასტრია, რ-ებსაც საბჯენი თაღები ეყრდნობა. საკურთხეველში ორი მცირე ნიშია, კედლებს შელესილობის კვალი ატყვია; ეკლესიის ირგვლივ არის მოზრდილი სასაფლაო ბრტყელი, დაუმუშავებელი ლოდებითა და ვერტიკალურად დაყენებული ქვებით. ამ ადგილზე 1936–37 ლ. მუსხელიშვილმა აღმოაჩინა საფლავის ქვა სომხ. წელთაღრიცხვის ასონიშნებით – 1656. მახლობელ ფერდობზე, სამხრ.-დას-ით დიდი ნასოფლარია, რ-იც, სავარაუდოდ, თ. უნდა იყოს. მის

მიწებზე, წყალგაღმა, XIX ს-ში თურქულენოვანმა მოსახლეობამ სოფ. მამიშლო დააარსა. აღწერილი ეკლესიის აღმ-ით მეორე დარბაზული ეკლესიაა. მისი კედლები ნაგებია კირხსნარზე მოზრდილ და ბრტყელ ქვათა რიგების მონაცვლეობით. შესასვლელი და ერთი სარკმელი აქაც სამხრ-იდანაა. დას. კედლის სარკმლის თავზე წყობაში ჩასმული მოწითალო ქვებით ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული. შენობას ტუფის პროფილირებული ლავგარდანი აქვს. გრძივი კედლების შუაში აქაც თითო მარტივი პილასტრია, რ-ებსაც საბჯენი თაღი ეყრდნობა. ეკლესიის ირგვლივ პატარა სასაფლაოა. აქ შესაძლოა, ყოფილიყო მეორე სოფ. მ., რ-იც ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზეა აღნიშნული და მოხსენიებულია სოფლების მისეულ სიაშიც.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი დ., ვარძაგარა, კრ.: დმანისი I, თბ., 1998; მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ლ., არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავერის ხეობაში, თბ., 1941. *დ. ბერძენიშვილი.*

თადეოზ მიტროპოლიტი (ერისკაცობაში – მირიან გაიოზის ძე იორამაშვილი) (დ. 12. X. 1946, სოფ. ფლავი. ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი), სასულიერო მოღვაწე. 1968–73 სწავლობდა გორის ნ. ბარათაშვილის სახ. სახელმწ. პედ. ინ-ტში ისტორია-ფილოლ. ფაკ-ტზე, 1974–77 – მცხეთის სას. სემინარიაში. 1977 საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქ *დავით VI-ის* ლოცვა-კურთხევით აღიკვეცა ბერად. ამავე წლის 1 ივნისიდან დაინიშნა ალავერდის საკათედრო ტაძრის მღვდლად.

1978 წ. 2. აგვისტოს მ. მ. საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მიერ ეკურთხა ეპისკოპოსად და დაინიშნა ბოდბის ეპარქიის მმართველად. მალევე გადაყვანილ იქნა წილკნის ეპისკოპოსად. 1979–80 მცხეთის სას. სემინარიის რექტორია. 1979 აყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში. 1979–83 განაგებდა მანგლისის, 1984–93 – აგარაკ-წალკის, 1993–95 – ცაგერისა და ლეჩხუმ-სვანეთის, 1995–2003 – ბოლნისისა და დმანისის, 2005 აპრილიდან თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიებს. 2013 ოქტომბრიდან მარაბდელი ეპისკოპოსია. 2010 წ. 2 აგვისტოს ებოძა მიტროპოლიტის პატივი.

დაჯილდოებულია წმ. გიორგის ორდენით (2007).

თადეოზ სტეფანწმინდელი, თათა სტეფანწმინდელი, ერთ-ერთი ასურელი მამა. ქართლში მოვიდა ანტიოქიიდან VI ს. შუა წლებში *იოანე ზედაზნელთან* ერთად. ცხოვრობდა ზედაზნის მონასტერში. იქვე, ზედაზნის მთის ძირში, ააშენა მონასტერი. შემდეგ წლევის მთის მღვიმეში, ახლანდ. კასპის მახლობლად, დაუარსებია სტეფანწმინდის მონასტერი, სადაც დასაფლავებულია. მას მიეწერება აგრეთვე ურბნისში წმ. სტეფანეს ეკლესიის აშენება (იხ. აგრეთვე *ასურელი მამები*). შერაცხილია წმინდანად. წმ. მ. ს. მოიხსენიება 7 (20) მაისს ღირს იოანე ზედაზნელსა და მის ათორმეტ მოწაფეთა შორის.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 1, თბ., 1956; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1979 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 1); ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, თბ. – ათენი, 2003.

ბ. ლომინაძე.

თადუმაძე თამაზ აბესალომის ძე (დ. 6. XII. 1947, სოფ. ხუნჯულაური, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1996). 1970 დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ. 1973–2006 მუშაობდა თსუ-ის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათ. ინ-ტში. 1992-იდან არის თსუ-ის პროფესორი. მ-ის სამეცნ. კვლევების მიმართულებებია: ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები, არსებობის თეორემები, რეგულ. შეშფოთებები და მიახლოებითი მეთოდები ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებების შემცველი ოპტიმალური მართვის ამოცანებისათვის; კოშის ამოცანის კორექტულობა, ამონახსნის ვარიაციის ფორმულები და შებრუნებული ამოცანები ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებისათვის. მიღებული აქვს საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკადემიის ა. რაზმაძის სახ. პრემია (2001).

თხზ.: Абстрактная вариационная теория и ее приминения к оптимальным задачам с запаздываниями, Тб., 1973 (თანაავტ.: Г. Л. Харатишвили, З. А. Мачаидзе, Н. И. Маркозашвили); Некоторые вопросы качественной теории оптимального управления, Тб., 1983.

თადუმაძე ოთარ სევერიანეს ძე (დ. 15. VIII. 1935, სოფ. ხუნჯულაური, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი), ინჟინერ-ელექტრიკოსი, გამომგონებელი ტექ. მეცნ. დოქტორი (1997), საინჟ. აკად. ნამდვილი წევრი (2012). დაამთავრა თბილ. ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის ზოგადტექ. ფაკტი (1968). თბილ. საავიაციო სასწ. დამთავრების შემდეგ, 1959-იდან, მუშაობდა თბილ. საავიაციო გაერთიანებაში სხვადასხვა თანამდებობაზე, იყო პირველი კატეგორიის ენერგოავიაკონსტრუქტორი, 2002–06 გაერთიანების ეკონ. სახალხო უნ-ტის რექტორი. ,,გამოსაშვები პროდუქციის ხარისხისა და ტექნოლოგიური პროცესების კონტროლის მეთოდებისა და საშუალებების კვლევის, შექმნისა და დანერგვისათვის'' სპეციალისტების ჯგუფთან ერთად 1975 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია მეცნ. და ტექ. დარგში. 2007-იდან იყო თბილ. ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის უფრ. ინჟინერ-დეფექტოსკოპისტი. აქვს მრავალი გამოგონება. მ. შ. UГД უნივერსალური დისტანციური მართვის დანადგარი და CTD-M სატელევიზიო სტერეოდეფექტოსკოპი.

თავად-აზნაურთა ყინამძღოლი (მარშალი), რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ (1801) გუბერნიისა და ცალკეული მაზრების თავად-აზნაურთა წოდებრივი ორგანიზაციის არჩევითი თანამდებობა საქართველოში. არსებობდა ქართვ. *თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს* დაარსების დროიდან (1803). მ.-ა. წ-ს ირჩევდნენ 3 წლით თავადაზნაურთა ყრილობაზე, რ-იც 3 წელიწადში ერთხელ იმართებოდა. მ.-ა. წ-ის უფლება-მოვალეობას შეადგენდა, თავადაზნაურობის საჭიროებათა დაკმაყოფილების მიზნით მიემართა ან ეშუამდგომლა ,,საქართველოს უზენაეს მთავრობასთან'' ან რუს. მთავრობის უმაღლეს ორგანოებთან.

დ. გოგოლაძე.

თავადაზნაურობა, ერთიანი უფლებების მქონე ქართველ ფეოდალთა წოდება საქართველოში რუსეთთან მიერთების (1801) შემდეგ. ადრეფეოდ. ხანაში ქართველ ფეოდალთა წოდება წარმოდგენილი იყო მხოლოდ აზნაურობის სახით (იხ. *აზნაური*), მაგრამ ამავე პერიოდში აზნაურობა უკვე დიფერენცირებული იყო დიდ და მცირე აზნაურებად (,,აზნაურნი დიდ-დიდნი და მცირენი''). ადრეფეოდ. ხანაშივე გაჩნდნენ დიდებული აზნაურები, რ-ნიც დანარჩენ, ჩვეულებრივ აზნაურებზე უფლებრივად და ეკონომიკურად

მაღლა იდგნენ. დიდებულ აზნაურებს ვასალი აზნაურები ჰყავდათ. ჩამოყალიბდა სენიორულ-ვასალური დამოკიდებულება. შემდეგში, დაახლოებით XIV–XV სს., დიდებულ აზნაურთა ცალკე ფენა *თავადთა* წოდების სახით ჩამოყალიბდა; შეიქმნა გაბატონებული კლასის ორი წოდებრივი კატეგორია: თავადთა წოდება და აზნაურთა წოდება. აზნაურების ნაწილი თავადთა დაქვემდებარებაში მოექცა. აზნაურები ჰყავდათ აგრეთვე მეფეს (სამეფო აზნაურები) და ეკლესიას (საეკლესიო აზნაურები). მართალია, წყაროებში ზოგჯერ ერთად იხსენიება თავადაზნაურობა (,,თავად-აზნაურნი''), მაგრამ ეს გაბატონებულ ფეოდალთა კლასის ორ სხვადასხვა უფლებრივ კატეგორიას აღნიშნავდა. თავადთა წოდება უფლებრივად მაღლა იდგა აზნაურთა წოდებაზე. XIX ს. დასაწყისში, საქართველოს რუსეთთან მიერთების პერიოდში, რუს. გაბატონებულ ფეოდალთა კლასში ვასალურ-სენიორული დამოკიდებულება (თავადის ვასალი აზნაური) უკვე აღარ არსებობდა და იქ უფლებრივად ფეოდალთა ერთიანი კლასი იყო ჩამოყალიბებული – ,,დვორიანების'', ,,დვორიანსტვოს'' სახით. რუს. მთავრობამ რუს. ფეოდ.-ბატონყმურ წყობილებასთან ქართ. წყობილების სოც. უნიფიკაციის მიზნით, რიგი ღონისძიებები ჩაატარა; 1803 მთავარმართებელ პ. ციციანოვის თაოსნობით თბილისში დაარსდა ქართვ. თავადაზნაურთა პირველი წოდებრივი ორგანიზაცია – *თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულო* – სათანადო დებულებით. 1811 ზღვის კანონით საეკლ. აზნაურები ჩამოაცილეს ეკლესიას, 1827 ქართვ. მ. უფლებრივად გაუთანაბრეს რუს. მ-ს, ამასთან, ცარიზმმა ქართვ. მ-ს მემკვიდრეობითი ფეოდ. თანამდებობები და საგადასახადო იმუნიტეტი მოუსპო. 1833 წლის კანონით სათავადო აზნაურები გაათავისუფლეს თავადთა ვასალური დამოკიდებულებისაგან (იმერეთ-გურიის მიმართ ასეთი კანონი 1848 გამოიცა), რის შედეგად ხდებოდა მათი სამამულო (ქონებრივი) გამიჯვნაც. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე 1838 წლის კანონი, რ-ითაც ქართლ-კახეთში სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოში არჩევნებით თანამდებობის დაკავებისას უფლებრივი განსხვავება თავადებსა და მათ ყოფილ სათავადო აზნაურებს შორის მოისპო, მოხდა მათი უფლებრივი ნიველირება. ერთიანი უფლებების მქონე ქართვ. თავადაზნაურთა წოდების დამტკიცება ათეული წლებით გაჭიანურდა. იგი დაიწყო 1809 და მხოლოდ 1850, მეფისნაცვალ მ. *ვორონცოვის* დროს, მთავრობამ ქართვ. მ-ს (ქართლ-კახეთის და იმერეთ-გურიის) დაუმტკიცა თავადაზნაურის წოდება. 1851 ქართვ. თავად-აზნაურთა წოდებრივი ორგანიზაცია შეიქმნა დას. საქართველოშიც, კერძოდ, ქუთაისში. ასე მოისპო თანდათან ვასალურ-სენიორული დამოკიდებულება საქართველოში და შეიქმნა ქართვ. ფეოდალთა ერთიანი უფლებების მქონე წოდება – მ., რ-იც უფლებრივად გათანაბრებული იყო რუს. თავადაზნაურ-მემამულეებთან ,,დვორიან'' – ,,პომეშჩიკებთან''. ეს პროცესი დას. საქართველოში შედარებით დიდხანს – ბატონყმობის გაუქმებამდე და მის შემდეგაც გაგრძელდა. ერთიანი კონსოლიდირებული წოდების შექმნით რუსეთის მთავრობა ცდილობდა ქართვ. მ-ის თავიანთ სამსახურში ჩაყენებას და გარუსებას, რათა კოლონიაში თავისი პოლიტ. და კლასობრივი დასაყრდენი ჰყოლოდა.

XIX ს. 60-იანი წლებიდან ქართვ. მ-ის სოც.-ეკონ. ყოფაში ახ. პერიოდი დაიწყო. ბატონყმობის გაუქმების, გლეხობის მიერ პირადი თავისუფლების მიღების შემდეგ აუცილებელი გახდა ბატონო მეურნეობიდან კაპიტალ. წარმოებაზე გადასვლა, რასაც პრივილეგიური წოდების დიდი ნაწილი ვერ ახერხებდა. ამ გარდატეხის მომენტში აღმ. საქართველოს მ-მ წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანიზაციის წინამძღოლად დ. ყიფიანი აირჩია. მისი წინადადების თანახმად, მ-მ ყმაგლეხთა პირადი გათავისუფლების საზღაურად მთავრობისაგან მიღებული ფულის ერთი ნაწილი საადგილმამულო ბანკის დასაარსებლად გადადო. ცოტა მოგვიანებით ბანკის ორგანიზების საქმეს ი. ჭავჭავაძე ჩაუდგა სათავეში და მიზანსაც მიაღწია. 1874 გაიხსნა თბილ. საადგილმამულო ბანკი, ხოლო მომდევნო წელს – ქუთ. თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკი. პრივილეგიური წოდების დიდ ნაწილს ბანკი მიაჩნდა საქველმოქმედო დაწესებულებად, საიდანაც სესხის (კრედიტის) მიღება ადვილი იქნებოდა, ხოლო თავანისა და პროცენტის დაფარვაზე დიდად არავინ შეაწუხებდათ. მრავალმა მოქალაქემ დაიწყო სესხის აღება ყოველდღიური საჭიროებისათვის, თუმცა ისინი სესხის დაფარვას ვერ ახერხებდნენ და თავიანთ ბანკებში, სხვა საკრედიტო დაწესებულებებსა და მევახშეებთან დაგირავებულ მამულებს კარგავდნენ.

1875–1903 აღმ. საქართველოს მ-მ სესხად აიღო 11 მლნ. მანეთი, რის გამოც ბანკებსა და მევახშეებთან დააგირავა 653 ათ. დესეტინა მიწა, ე. ი. თავიანთ საკუთრებაში არსებული მამულის 70%. მხოლოდ პროცენტის დასაფარავად მათ ყოველწლიურად 800 ათ. მან. უნდა გაეღოთ. ასეთი მემამულეები ნომინალურად რჩებოდნენ მიწის მესაკუთრეებად. ფაქტობრივი მფლობელები იყვნენ კრედიტორები (ბანკები და მევახშეები), რ-ებიც ითვისებდნენ მიწის რენტას პროცენტის სახით. მ-ის საგრძნობი ნაწილი ამ ნომინალურ საკუთრებასაც კარგავდა, რადგან დავალიანებული მამულების უმეტესობა, საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა. ქართველმა მ-მ 1890–1903 თავიანთი საკუთრების მეოთხედი – 450 ათ. დესეტინა მიწა დაკარგა, უფრო აქტიურმა ნაწილმა თავის საქმიანობით კაპიტალ. თაოსნობის უნარი გამოამჟღავნა და ცხოვრების წესითა და მსოფლმხედველობით პლებეური წარმოშობის ბურჟუაზიას შეერწყა. მ-ის უმრავლესობა მიწის იჯარით გაცემასა და რენტით ცხოვრებას არჩევდა, მაგრამ არსებითად მაინც კაპიტალ. გარდაქმნების გზაზე დამდგარი საზ-ბის ნაწილი გახდა. მისი ბურჟ. ევოლუციაც მიმდინარეობდა. ამ პროცესს თან სდევდა მ-ის საგრძნობი ნაწილის ეკონ. დაცემა, ზოგი მათგანის გაღატაკება. 1905-თვის საქართვ. 18 ათ. თავადაზნაურული კომლი 6363 ოჯახზე ფლობდა 1–5 დესეტინა მიწას, 6370 კი – 5–25 დესეტინას. ეს მაშინ, როცა 443 მემამულე თავადაზნაურული ოჯახი ფლობდა 500 დესეტინაზე მეტს. ისინი შეადგენდნენ საქართვ. მაღალი წოდების მხოლოდ 2,6%-ს და საკუთრებაში ჰქონდათ თავად-აზნაურთა მთელი მიწის ფონდის 6,8%. ზოგიერთის მამული 10–20 ათას ჰექტარზე მეტ ფართობს შეადგენდა, ამ მიწათმფლობელთა საკმაო ნაწილმა მსხვილი, რაციონალური მეურნეობა შექმნა.

ქართვ. მ. გაცილებით წარმატებით და ეფექტიანად საქმიანობდა

როგორც წოდებრივი კორპორაცია და კოლექტიური მესაკუთრე. თბილ. და ქუთ. თავადაზნაურთა საგუბერნიო საკრებულოები, რ-თა სათავეში წინამძღოლები (მარშლები) იდგნენ, დიდხანს მხოლოდ წოდებრივი საქმეების გარჩევით იყვნენ დაკავებული. ისინი ასრულებდნენ შუამავლის როლს მ-სა და მთავრობას შორის. გარდატეხა მოხდა XIX–XX სს. მიჯნაზე. თავად-აზნაურთა წოდებრივ-წარმომადგენლობითმა ორგანიზაციებმა (თვითმმართველობები) ხელი მიჰყვეს კულტ.-საგანმან. და სამეურნ. საქმეებსაც.

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის შეერთების 100 წლისთავზე იმპერატორის ბრძანებით თბილ. გუბერნიის მ-ს – მის წოდებრივ ორგანიზაციას – სრულ განკარგულებაში გადაეცა თბილ. საადგილმამულო ბანკის ყოველწლიური სუფთა მოგების 50%. წოდებრივი თვითმმართველობის ხელში გადავიდა აგრეთვე ბანკის საკუთრებაში დარჩენილი არწრუნისეული ქარვასლა, ბანკის სახსრებით აგებული თბოელექტროსადგური და სხვ. 1908-თვის აღმ. საქართველოს თავად-აზნაურთა საერთო საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების ღირებულება თითქმის 2 მლნ. მან. აღწევდა. ყოველწლიური შემოსავლით თავად-აზნაურთა წოდებრივი თვითმმართველობა ძირითადად აფინანსებდა კულტ.-საგანმან. დაწესებულებებს (სკოლები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბა, საისტ.-საეთნოგრაფიო საზ-ბა, თეატრი და სხვ.), მაგრამ თანდათან მეტ თანხას გამოყოფდა სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის. 1901 მან შექმნა საადგილმამულო კომისია, რ-ის შუამავლობით თავადაზნაურობამ გლეხებს მიჰყიდა 50 ათ. ჰა მიწა. 1910 ჩამოაყალიბა საქართვ. სოფლის მეურნეობის საზ-ბა, რისთვისაც ყოველწლიურად 17–20 ათ. მანეთს გამოყოფდა.

XX ს. 10-იან წლებში აღმ. საქართველოს თავად-აზნაურთა წოდებრივი თვითმმართველობა სათავეში ჩაუდგა კახეთის რკინიგზის მშენებლობას, ჩამოყალიბდა კახეთის რკინიგზის სააქციო საზ-ბა, რ-მაც აიღო კონცესია, შეძლო ამ საქმეში პეტერბურგელი ბანკირების ჩაბმა და მათი მეშვეობით დიდძალი კაპიტალის მობილიზება. თბილისი–თელავის რკინიგზა ამოქმედდა 1915. კახეთის რკინიგზის აქციათა საკონტროლო პაკეტს (51%) მალევე დაეუფლა წოდებრივი თვითმმართველობა, რ-ის წინადადებით სააქციო საზ-ბის დირექტორებად აირჩიეს დ. ჩოლოყაშვილი, რ. ყაზბეგი, ფ. გოგიჩაიშვილი, ზ. ავალიშვილი.

თბილ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წოდებრივ-წარმომადგენლობითი თვითმმართველობა, საერობო თვითმმართველობას მოკლებულ საქართველოში, არსებითად ერობის ფუნქციას ასრულებდა. ქუთ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წოდებრივი თვითმმართველობა, ამ დონემდე, მართალია, ვერ ამაღლდა, მაგრამ ისიც თანდათან ზრდიდა თავის შემოსავალს და ცდილობდა მეტი თანხა გამოეყო კულტ. და მეურნეობის დაფინანსებისათვის.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ რუს. მთავრობამ გადაწყვიტა ჭიათურაში მოქმედი გერმ. ფირმების ლიკვიდაცია, მისი საზ-ბისა და ქონების გაყიდვა რუს. ქვეშევრდომ მოქალაქეთა ფირმებზე. ამ სარფიან საქმეში ჩარევა სცადეს ქუთაისისა და თბილ. გუბერნიების მ-ის წოდებრივმა ორგანიზაციებმა; განსაკუთრებით აქტიურობდნენ დ. ნიჟარაძე და კ. აფხაზი. პირველი მათგანის ხელმძღვანელობით ქუთაისის მ-ის კრებამ მიიღო დადგენილება, აღეძრათ შუამდგომლობა უმაღლ. მთავრობის წინაშე გერმ. ფირმათა საბადო-საწარმოების შესყიდვის თაობაზე, თანაც ეზრუნათ საკრედიტო დაწესებულებებიდან გრძელვადიანი კრედიტის აღებაზე. თუ თბილ. გუბერნიის მ. შეუერთდებოდა შუამდგომლობას, მაშინ ამ დიდ საქმეს საერთო ძალით მოიყვანდნენ სისრულეში. გაერთიანებული ღონისძიების გატარება ვერ მოხერხდა – კ. აფხაზი დამოუკიდებლად მოქმედებდა. მან რუს. სავაჭრო-სამრეწველო ბანკთან გააფორმა ხელშეკრულება (1916 წ. 28 დეკემბერი) გერმანელთა საწარმოების ერთად შეძენის თაობაზე. საქმე გაჭიანურდა. ამასობაში მოხდა ბურჟ.-დემოკრ. რევოლუცია, რუს. დროებითი მთავრობა იძულებული გახდა თავადაზნაურული პრივილეგიებისა და მათი წოდებრივი ორგანიზაციების გაუქმების საკითხი დაესვა. საფრთხის ქვეშ დადგა ქართვ. თავადაზნაურობის თითქმის 20 მლნ. მანეთად შეფასებული უძრავ-მოძრავი ქონება.

1917 წ. 16 ოქტ. თბილ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა: წოდებრივი თვითმმართველობის ბალანსზე არსებული უძრავ-მოძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცა ქართვ. ერისათვის, მისი საჯარო-უფლებრივი ორგანოს შექმნის შემდეგ. სწორედ ამ დადგენილებამ დააჩქარა საქართვ. პირველი ეროვნ. ყრილობის მოწვევა, რ-მაც 1917 წ. 23 ნოემბერს აირჩია ეროვნ. საბჭო. იგი მალევე გადაიქცა დამოუკიდებელი საქართვ. პარლამენტად, რ-მაც მადლიერებით მიიღო მ-ის ქონება და იგი ეროვნ. სახელმწ. მშენებლობისათვის გამოიყენა.

1918–19 დამოუკიდებელი საქართვ. ხელისუფლებამ გაატარა აგრარული რეფორმა. მ-ს ჩამოერთვა მიწა-წყლის სამი მეოთხედი, ტყე და საძოვარი ეროვნ. სახელმწ. საკუთრებად გამოცხადდა, სახნავ-სათესი მცირემიწიან გლეხობაზე განაწილდა. სოც. ანტაგონიზმის აღმოფხვრისა და ეროვნ. ერთიანობის იდეით გამსჭვალულმა ქართველმა მ-მ უპროტესტოდ დათმო მიწა, წოდებრივი პრივილეგიები და აქტიურად ჩაება დემოკრ. სახელმწიფოს მშენებლობაში, მაგრამ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ კომუნისტურმა ხელისუფლებამ ქართველ მ-ს უკანასკნელი სარჩოსაბადებელი ჩამოართვა და ზოგი ფიზიკურადაც გაანადგურა. ასე დასრულდა დიდი ხნის განმავლობაში თითქმის ყოვლისშემძლე წოდება-კლასის არსებობა.

ლიტ.: ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი გ., ცვლილებები აზნაურთა ფენის მდგომარეობაში XIX ს. პირველი ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1960, ნაკვ. 33; ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველო XIX ს. პირველ მეოთხედში, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 2, თბ., 1965; გ ო გ ო ლ ა ძ ე დ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა). 1800–1864 წწ., თბ., 1971; დ უ მ ბ ა ძ ე მ., დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1957; კ ი კ ვ ი ძ ე ა., საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954; ხ ა ნ თ ა ძ ე შ., სოციალური ბრძოლის ეპიზოდი გვიანფეოდალურ საქართველოში, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1959, ტ. XX-B.

ა. ბენდიანიშვილი.
დ. გოგოლაძე.

თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულო, ქართველ თავად-აზნაურთა პირველი წოდებრივი ორგანიზაცია. შეიქმნა 1803 საქართვ. მთავარმართებელ პ. *ციციანოვის* ხელმძღვანელობით. 1803 წ. 2 მაისს შეიკრიბა აღმ.

საქართველოს თავადაზნაურობის I ყრილობა. თვით პ. ციციანოვმა შეადგინა 1803 წ. 31 მარტს თ. დ. ს-ს ,,დებულება'', რ-შიც მოცემული იყო თავად-აზნაურთა საკრებულოს დაარსების მიზნები, საარჩევნო ცენზი და არჩევნების ჩატარების წესები. ხმის უფლება ჰქონდა იმ თავადსა და აზნაურს, რ-საც 20 წელი შეუსრულდებოდა და ამასთანავე მოეპოვებოდა საკუთრება. იმ თავად-აზნაურებს, რ-თაც საკუთრება (ყმა-მამული) სრულებით არ გააჩნდათ, ყრილობაზე დასწრება შეეძლოთ, თუმცა ხმის უფლება არ ჰქონდათ და, მით უმეტეს, არც თანამდებობებზე ირჩევდნენ. საკრებულოში მონაწილეობის უფლება ჰქონდა აგრეთვე აზნაურთა მთელ ფენას.

თ. დ. ს-ს არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 3 წელიწადში ერთხელ. იგი ირჩევდა თავად-აზნაურთა როგორც ,,საქართველოს გუბერნიის'' (ქართლ-კახეთის), ისე მაზრების წინამძღოლებს (მარშლებს), რ-თაც უფლება ჰქონდათ, თავადაზნაურობის საჭიროებათა დაკმაყოფილების მიზნით, მიემართათ ან ეშუამდგომლათ ,,საქართველოს უზენაეს მთავრობაში'' ან რუს. მთავრობის უმაღლეს ორგანოებში.

თ. დ. ს. მოწყობილი იყო რუს. შიდა გუბერნიების თავადაზნაურული ორგანიზაციების მსგავსად. ცარიზმს თავისი სოც.-პოლიტ. და საადგილმამულო გეგმები გააჩნდა, რაც ხშირად ქართვ. თავადაზნაურობის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. იგი ფაქტობრივად დიდ ანგარიშს არ უწევდა საკრებულოს, ითვალისწინებდა თავად-აზნაურთა მხოლოდ იმ მოთხოვნებს, რ-ებიც რუს. ცარიზმის პოლიტიკას შეესაბამებოდა ამა თუ იმ ეტაპზე. თ. დ. ს-ს ძირითადი საქმიანობა საქართველოში თავად-აზნაურთა საგუბერნიო და სამაზრო მარშლების არჩევით, მათი წოდებრივი დოკუმენტების განხილვით იფარგლებოდა. ამდენად, ეს ორგანიზაცია სუსტი და უფრო ფორმალური იყო, ვიდრე ქვეყნის პოლიტ. ცხოვრების აქტ. მონაწილე. თ. დ. ს-ს დაარსებით ცარიზმს სურდა, ქართვ. თავადაზნაურობა ერთიან, კონსოლიდირებულ წოდებად ჩამოეყალიბებინა, სოც.-პოლიტიკურად რუს მემამულე – ,,პომეშჩიკებთან'' გაეთანაბრებინა, გაერუსებინა და თავის სოც. და პოლიტ. დასაყრდენად ექცია. დას. საქართველოში, ქუთაისში, თავად-აზნაურთა ასეთი ორგანიზაცია გაცილებით გვიან, 1851 შეიქმნა.

ლიტ.: გოგოლაძე დ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა). 1800–1864 წწ., თბ., 1971; კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954.

დ. გოგოლაძე.

თავადი, ფეოდალური კლასის ზედაფენის წარმომადგენელი XV–XVIII სს. საქართველოში, აზნაურთაგან განსხვავებული ცალკე წოდება. XV ს-მდე ფეოდალთა კლასის წარმომადგენელთა საერთო სახელი *აზნაური* იყო. აზნაურთა ზედა ფენას *დიდებული* აზნაურები (დიდებულები), ხოლო ქვედა ფენას აზნაურები შეადგენდნენ. თ. წარმოდგება სიტყვა ,,თავისაგან'' და ნიშნავს უფროსს. XI–XV სს. ქართ. წყაროებში გვხდება გამოთქმები: ,,თავადნი კაცნი'', ,,თავადნი სამეფოსანი'', ,,თავადი სპათა'', ,,ვაჭართა თავადი'' და სხვ. ამ შემთხვევაში თ. უფროსს, თავკაცს ნიშნავს. იმავე დროს თ. დიდებულის სახლის უფროსსაც უნდა რქმეოდა.

თ-თა წოდების წარმოშობა დაკავშირებულია ქვეყნის ეკონ. დაქვეითებასა და პოლიტ. დაქუცმაცებულობასთან, რის შედეგადაც საადგილმამულო ურთიერთობაში დიდი ცვლილება მოხდა, სახელმწ. ტერიტ. და ადმ. ერთეულები მეფე-მთავრებისა და მსხვილი ფეოდალების მამულებად იქცა, შეუვალობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გაღრმავდა, წინ წამოიწია კერძოუფლებრივმა საწყისმა.

თ. დიდებულის სოც. მემკვიდრეა. ზოგიერთი ფეოდ. გვარი, რ-იც XV ს-მდე დიდებული იყო, XV ს-იდან თ-ად იწოდება. XV ს. შემდგომ წყაროებში თ. და დიდებული ზოგჯერ ერთსა და იმავეს ნიშნავდა.

თ-ები საქართვ. მეფე-მთავართა, დედოფალთა და ბატონიშვილთა ვასალები იყვნენ. თავის მხრივ, მათ ვასალებად ჰყავდათ აზნაურები. თ-ის სამფლობელო – სათავადო, შედგებოდა ნაწყალობევი, ნასყიდი და სხვ. სახის ყმა-მამულისაგან, რ-იც თ-ს ,,სამემკვიდროდ, სამამულედ, უცილობლად და ველშეუვალად'' ჰქონდა გასხვისების უფლებითა და იმუნიტეტით. თ-ის წოდებრივი უფლებები ვრცელდებოდა თავისი სახლის ყველა წევრზე და მემკვიდრეობით გადადიოდა. მეფეს ბეითალმანის უფლება ჰქონდა – ამოწყვეტილ თავადთა მამული მეფის საკუთრებაში გადადიოდა. ყოველ ახ. მეფეს თავადის სამფლობელოს განახლების უფლება ჰქონდა, თუმცა გვიანდ. შუა საუკუნეებში წყალობის განახლებას ფორმალური ხასიათი მიეცა. XVI–XVII სს-ში, როცა ცენტრ. ხელისუფლება სუსტი იყო, მნიშვნელოვნად გაიზარდა თ-ების ეკონ. და პოლიტ. ძლიერება, სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. ხშირად ისინი მეფისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდნენ, აწყობდნენ შეთქმულებებს და ზოგჯერ პირადი სარგებლობისათვის უცხოელ დამპყრობლებსაც კი ემხრობოდნენ. ზოგი თ. (არაგვის, ქსნისა და რაჭის ერისთავები, აბაშიძეები და სხვ.) ისე გაძლიერდა, რომ თითქმის მთავრის უფლებები მოიპოვა. თ-ებმა სამემკვიდრეოდ დაიჩემეს დიდი თანამდებობები (სახლთუხუცესი, მდივანბეგი, სარდალი, მოურავი და სხვ.), რაც ფეოდ. რენტის მიღების ერთ-ერთი წყარო იყო. თ. ადმ. საგადასახადო და სასამართლო შეუვალობით სარგებლობდა. ადმ. შეუვალობა იმაში გამოიხატებოდა, რომ, ჩვეულებრივ, სათავადოში ცენტრ. ხელისუფლების მოხელეები ვერ შედიოდნენ. თ-ის სასახლისა და მამულის მართვა-გამგეობა სამეფო კარის მიბაძვით იყო მოწყობილი. თ-ის მოხელეები იყვნენ: სახლთუხუცესი, ბოქაულთუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი, ზინდართუხუცესი, მოურავი, ნაცვალი, ბოქაული, იასაული, მდივანი და სხვ. თ. მოხელეებად თავისსავე აზნაურებსა და მსახურებს ნიშნავდა. მას აზნაურებისა და მსახურებისაგან შემდგარი სამხ. და საპოლიციო რაზმები ჰყავდა, რ-თა საშუალებით, ერთი მხრივ, სამეფო ლაშქარში გამოდიოდა, მეორე მხრივ კი, მორჩილებაში ჰყავდა გლეხობა. მეფე-მთავრებისადმი თ-ის და მისი ყმა-მამულის მთავარი მოვალეობა *ლაშქარ-ნადირობა* იყო. გარდა ამისა, თ-ის მამულს ედო ,,სახელმწიფო კოდის პური'', *საური, საბალახე* და სხვ. ზოგიერთი თ-ის ყმაგლეხობა ერთი ან ორი სახის გადასახადს იხდიდა, ზოგჯერ თ-ის ყმების მხოლოდ ერთი ნაწილი იხდიდა სახელმწ. გადასახადს, ზოგი კი სულ თავისუფლდებოდა ყოველგვარი სახელმწ. გადასახდისაგან. განსაკუთრებით გაფართოვდა საგადასახადო შეუვალობა XVII ს. საქართველოში. თ-ის სასამართლო შეუვალობა,



კ. თავართქილაძე.

კანონის თანახმად, სამოქ. საქმეებით იფარგლებოდა. მაგრამ რთული საგარეო პოლიტ. მდგომარეობის და ცენტრ. ხელისუფლების სისუსტის ვითარებაში სახელმწ. ნორმა ირღვეოდა, თ-ები თვითნებობდნენ, ხშირად ,,დამნაშავე'' გლეხებს ახეიბრებდნენ, ზოგჯერ კლავდნენ კიდეც ან ოსმალებსა და ირანელებზე ყიდდნენ. გლეხების გაყიდვა განსაკუთრებით ხშირი იყო დას. საქართველოში, თ-ების სისასტიკე იწვევდა გლეხთა მღელვარებას და ურთიერთწინააღმდეგობის გამწვავებას.

თ-ის სახლს ჰქონდა მეფისაგან ნაბოძები ,,სახლისკაცობის რიგი და წესი'', რ-შიც ჩამოყალიბებული იყო სახლის უფროსისა და სხვა წევრების უფლება-მოვალეობანი, ყმა-მამულის მოვლის წესი, შემოსავლის განაწილების რიგი და სხვ. თ-ის სახლს თავისი ,,უფროსი და ბატონი'' ჰყავდა, რ-საც მეფე ნიშნავდა ,,სახლისკაცების ნებაყოფლობით'', თუმცა ხშირად იძულებული იყო სახლისკაცების მიერ არჩეულ ან თავისით ,,დამჯდარი'' სახლის უფროსი ეღიარებინა. ეს იყო სიუზერენის მიერ ვასალის შეწყალება-დალოცვის წესის გადმონაშთი. სახლის უფროსს თ. ეწოდებოდა, ხოლო სახლისკაცებს – თავადიშვილები. სახლის უფროსი იყო უზენაესი გამგებელი სათავადოში. მას ევალებოდა თ. მამულის მართვა-გამგეობა, ურთიერთობა მეფესთან, მეზობელ თ-ებთან და სხვ. სახლის უფროსი სოც. და ეკონ. მდგომარეობით თავადიშვილზე მაღლა იდგა. მისი სისხლი ორჯერ მეტად იყო შეფასებული, ვიდრე სახლისკაცისა. ყმა-მამულის შემოსავლიდან ორი წილი მიჰქონდა სახლის უფროსს, თითო – სახლისკაცებს. თ-ის სახლში ხშირად იყო ბრძოლა სახლის უფროსობისა და შემოსავლის წილისათვის.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით (იხ. სტ. *ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული*), საქართველოში თ-თა 3 კატეგორია იყო: 1. დიდებული თ., 2. შუა თ.; 3. დაბალი თ., ანუ მესამე თ. პირველი კატეგორიის თ-ის სისხლი – 1536, მეორისა – 768, ხოლო მესამისა – 384 თუმნად იყო შეფასებული. ქართლში 6 დიდებული თ. იყო (არაგვისა და ქსნის ერისთავები, ბარათაშვილი, ამილახვარი, მუხრანბატონი და ციციშვილი), იმერეთში XVII ს. შუა წლებისათვის – 10 (აბაშიძე, რაჭის ერისთავი, წერეთელი, წულუკიძე და სხვ.); კახეთის დიდებული თ-ები იყვნენ: ჩოლოყაშვილები, ვაჩნაძეები, ჯანდიერები და სხვ. დიდებული თ-ები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის მართვა-გამგეობაში და დიდ გავლენას ახდენდნენ სახელმწ. საქმეებზე, ხშირად მეფის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ.

XVIII ს. II ნახევარში ერეკლე II-მ სცადა შეეზღუდა თ-ების თვითნებობა და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია: გააუქმა არაგვისა და ქსნის საერისთავოები, ამილახვართა მამულის ნაწილი ნასისხლად აიღო თავისთვის, რამდენადმე აღადგინა ,,ბატონყმური რიგი'', შეზღუდა ცალკეულ თ-თა შეუვალობა. ანალოგიური ღონისძიებების გატარებას ცდილობდა XVIII ს. შუა წლებში დას. საქართველოში სოლომონ I. მან გაანადგურა რაჭის ერისთავი და ზოგიერთი სხვა მოღალატე თ., აბაშიძეებს ჩამოართვა მამულის ნაწილი და სამეფო მამულს შეუერთა და სხვ. აღნიშნულმა ღონისძიებებმა რამდენადმე გააძლიერა ცენტრ. ხელისუფლება როგორც ქართლ-კახეთში, ისე იმერეთში.

XIX ს-ში, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ცვლილებები მოხდა თ-თა წოდებაშიც. მნიშვნელოვნად შეიზღუდა თ-ების შეუვალობა, მათ დაკარგეს პოლიტ. უფლებები. თ-ების ვასალობიდან განთავისუფლდნენ აზნაურები, ორგანიზაციულად გაფორმდა თავად-აზნაურთა წოდება (იხ. აგრეთვე სტ. *თავადაზნაურობა*).

ლიტ.: ა ს ა თ ი ა ნ ი ნ., საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI–XVIII სს. კახეთის სამეფოში, «თსუ შრომები», 1959, ტ. 77; ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII–XVI вв.), მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955; ს ო ს ე ლ ი ა ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), [ტ.] 3, თბ., 1990; ქ ი ქ ო ძ ე მ., ქართლის სათავადოების ისტორიიდან XV–XVIII სს. (საამილახორო), «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1963, ნაკვ. 35; ჯ ა მ ბ უ რ ი ა გ., სათავადოთა საკითხისათვის, კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წგ. 1, თბ., 1970; მ ი ს ი ვ ე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სომხით- საბარათიანოს სათავადოები), თბ., 1955.

გ. ჯამბურია.

თავართქილაძე კუკური ანდროს ძე (დ. 17. XII. 1932, სოფ. ვაკიჯვარი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი), ფიზიკოსი, საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი (2009). ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი (1989). 1955 დაამთავრა თსუ-ის ფიზიკის ფაკ-ტი. 1956–71 მუშაობდა თბილ. ჰიდრომეტეოროლ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1971 მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრ. ინ-ტში კლიმ. ცვლილების ლაბორატორიის გამგედ, 1979 აქვე ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა კლიმატოლოგიისა და ბუნებრივი პროცესების მათ. მოდელირების განყ-ბას; ამჟამად ინ-ტის მთ. მეცნიერი თანამშრომელია.

თ-ის სამეცნ. შრომები ეხება კლიმ. ცვლილების, ატმოსფეროს გაჭუჭყიანებისა და რადიაციული გამოკვლევების სამეცნ. მიმართულებებს. თ-მ ერთ-ერთმა პირველმა შექმნა ატმოსფეროს გაჭუჭყიანების განსაზღვრის დისტანციური მეთოდი, გამოიკვლია თავისუფალი ატმოსფეროს თერმული სტრატიფიკაციის გავლენა სეტყვის წარმოქმნის პროცესზე. შექმნა ხელსაწყო ,,ნიაღაგის ზედაპირის ტემპერატურის თერმოელექტრული თვითმწერი'', რ-იც დანერგილი იყო საბჭ. კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიურ ქსელში.

თ. 1980–91 იყო საკავშ. მეცნ. აკად. რადიაციის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის წევრი, 2005-დან არის აშშ-ის ბიბლიოგრ. ინ-ტის სამეცნ. საბჭოს საზღვარგარეთელი წევრი. დაჯილდებულია ,,ამერიკის ღირსების მედლით'' (2002). ბოლო წლებში გამოქვეყნებული საქართვ. ჰავის ცვლილების ამსახველი სამეცნ. შრომათა ციკლისათვის მიენიჭა საქართვ. ეროვნ. პრემია.

თავართქილაძე მალხაზ მიხეილის ძე (დ. 13. VI. 1950, თბილისი), მომღერალი (ბანი) და არქიტექტორი. საქართვ. სახ. არტისტი (1982). 1974 დაამთავრა სპი-ის არქიტექტურის ფაკ-ტი. 1974–83 მუშაობდა საპროექტო ინ-ტ ,,საქქალაქმშენსახპროექტში'', 1983–98 ცეკავშირის საწარმოო გაერთიანება ,,საქკოოპდიზაინ რეკლამის'' დირექტორად. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მონაწილეობდა სპი-ის საესტრადო ორ-

კესტრში (ხელმძღვ. ს. ტულუში) და ვაჟთა კაპელაში (ხელმძღვ. ი. კუბლაშვილი), ხოლო 1971-იდან – ვოკალურ საკრავიერ ტრიოში (მ. თავართქილაძე, დ. აბესაძე, გ. სეფერთელაძე). 1973-იდან ანსამბლს ეწოდა ,,ცისფერი ტრიო'' და გამოდის როგორც საქართვ. სახელმწ. ფილარმონიის პროფ. კოლექტივი. თ-ის შესრულება აღინიშნება უშუალობით, ემოციურობით, მაღალი პროფესიონალიზმით. ლამაზი ჟღერადობის ხმა მას საშუალებას აძლევს საკუთარი ინტერპრეტაციით შეასრულოს ბანის პარტიები ქართვ. კომპოზიტორთა სიმღერებში (ნ. დუღაშვილის ,,ღმერთი სიყ-




მ. თავართქილაძე (შუაში) ,,ცისფერი ტრიო''.

ვარულისა'', ,,იმერეთის ნიავო''; ე. ჭელიძის ,,ლურჯი აპრილი''; თ. ცაგურიას ,,ზამთარი''; ი. ბობოხიძის ,,თოვლი''; ო. რამიშვილის ,,ერთი ქუჩა'' და სხვ.). თ-მ არაერთი სიმღერა გადაამუშავა ტრიოსათვის. ანსამბლთან ერთად შემოვლილი აქვს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მ. შ. აშშ, კანადა, ინგლისი, მექსიკა, იაპონია და სხვ. აღსანიშნავია თ-ის, როგორც არქიტექტორის, მოღვაწეობა. მისი პროექტით აშენდა არაერთი შენობა-ნაგებობა. ბავშვთა პანსიონატი დაბა ლესელიძეში (1978), ბავშვთა დასასვენებელი სახლი ქობულეთში (1980) – ორივე არქიტ. ლ. ლორთქიფანიძესთან ერთად. სასტუმრო ,,დიდველი'' ბაკურიანში (2004); სწრაფი კვების კაფე ,,ნიკალა'' (2002–10; თბილისი გამსახურდიას გამზირი) და სხვ.

თავართქილაძე ნიკოლოზ ტარიელის ძე (15. XI. 1905, სოფ. ქვენობანი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 29. I. 1989, თბილისი), საბჭოთა არმიის გენერალ-მაიორი (1942). 1927 დაამთავრა ქართ. გაერთიანებული სამხ. სკოლა, 1939 – მ. ფრუნზეს სახ. სამხ. აკად. კურსები და დაინიშნა კიევის განსაკუთრებულ სამხ. ოლქში ერთ-ერთი დივიზიის ოპერატიული ნაწილის უფროსად. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს მეთაურობდა 76-ე მსროლელ დივიზიას (1942-იდან – 51-ე გვარდიის მსროლელ დივიზია), 1943–45 – 23-ე გვარდიის მსროლელ კორპუსს. მონაწილეობდა სტალინგრადის, ორიოლ-კურსკის ბრძოლებში, იბრძოდა უკრაინის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიის განთავისუფლებისათვის. 1945-იდან იყო საჰაერო-სადესანტო კორპუსის მეთაური. 1954 დაამთავრა საბჭ. არმიის გენშტაბის აკად. კურსები. 1958-იდან თადარიგში იყო. თ. ომის თემაზე დაწერილი ნაწარმოებებისა და კინოსცენარების ავტორია. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. საბრძოლო ორდენები და მედლები.

თხზ.: იყო ასეთი დღეები, [წგ. 1–2], თბ., 1959–62; მრისხანე დღეები, თბ., 1975. *ტ. ჩინჩილაკაშვილი.*


თავართქილაძე რევაზ პლატონის ძე (30. XI. 1920, ბაქო, – 5. IX. 2013, თბილისი), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1978), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1985). 1953 დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი (ა. ხორავას, მ. თუმანიშვილის და ლ. იოსელიანის ხელმძღვ.). 1954–59 და 1961–2013 თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრ. წამყვანი მსახიობი იყო. სხვადასხვა დროს მუშაობდა: სოხუმის კ. გამსახურდიას სახ. ქართ. სახელმწ. (1959–60 და 1996–97), თბილ. კ. მარჯანიშვილის სახ. (1991), თ. ჩანტლაძის სახ. სატირისა და



რ. თავართქილაძე. ოტო ფრანკი, ,,ანა ფრანკის დღიური''.

იუმორის (1990), მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა (2005), სამეფო უბნის (2006) და სხვა თეატრებში; საქართვ. ტელევიზიაში წლების განმავლობაში მიჰყავდა სატირულ-იუმორისტული ჟურნ. ,,ოქროპირი'' და რადიოგადაცემა ,,თეატრი მიკროფონთან''. სხვადასხვა თეატრში შესრულებული აქვს 200-მდე როლი, რ-თაგან განსაკუთრებით გამორჩეულია: ბუბლიკი (ა. კორნეიჩუკის ,,პლატონ კრეჩეტი''), მილოვზოროვი, ვიშნევსკი (ა. ოსტროვსკის ,,უდანაშაულო დამნაშავენი'' და ,,შემოსავლიანი ადგილი''), გიუნპლენი (ვ. ჰიუგოს ,,კაცი, რომელიც იცინის''), მალვოლიო (უ. შექსპირის ,,მეთორმეტე ღამე''), სკაპენი (ჟ. ბ. მოლიერის ,,სკაპენის ოინები''), დონ-სეზარი (ფ. დიმანუარი და ა. დენერი ,,დონ სეზარ დე ბაზანი''), ოტო ფრანკი (,,ანა ფრანკის დღიური''), გადალენდია (ლ. ქიაჩელის ,,ტარიელ გოლუა''), ქოსა მრჩეველი (გ. ნახუცრიშვილის ,,ჭინჭრაქა''), ილიკო (ნ. დუმბაძის ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი''), ხლოპვი (ნ. გოგოლის ,,რევიზორი''), ლუკა (მ. გორკის ,,ფსკერზე''), ილარიონი (შ. გაწერელიას ,,ჩვენებურები''), ფირსი (ა. ჩეხოვის ,,ალუბლის ბაღი'') და სხვ. გახმოვანებული აქვს არაერთი მხატვრული და მულტიპლიკაციური ფილმი, რ-თაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია გრაფი სეგედის კინოსახე გ. ლორთქიფანიძის მრავალსერიიან სატელევიზიო ფილმში ,,დათა თუთაშხია''.

ლიტ.: ნ ი ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი კ., რევაზ თავართქილაძე, თბ., 2007.



მ. თავართქილაძე.



რ. თავართქილაძე.

თავასა, სოფელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის თუზის თემში (იმერეთის მხარე), იმერეთის ჩრდ. მთისწინეთში, მდ. ძუსის (ჩოლაბურის მდგენელი) ზემოწელში. ზ. დ. 400 *მ*, თერჯოლიდან 18 *კმ*, ზესტაფონიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 21 *კმ*. 392 მცხ. (2002).

თ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVII ს-ში (ალექსანდრე III იმერთა მეფის 1645 წყალობის ერთ სიგელში), ხოლო ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.) რუკაზე დატანილი აქვს თ-ის ციხე-დარბაზი.

თ-ში შემორჩენილია ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი, განვითარებული შუა საუკუნეების სამების ერთნავიანი ეკლესიის ნანგრევები. ძეგლი ნაშენია დიდი თლილი ლოდებითა და კირით. გადახურულია ლორფინით. შესასვლელები სამხრ-იდან და დას-იდან აქვს. შიგნით ეკლესია მოხატულია, გამოსახული არიან სას. და სა-



მ. თავაქარაშვილი. მინიატურა. ავტოპორტრეტი.

ერო პირები. არის ასომთავრული წარწერები.

თავაქარაშვილი (თავაქალაშვილი) მამუკა, XVII ს. პოეტი, კალიგრაფი, მხატვარი-მინიატურისტი. მდივნად იყო იმერეთის მეფის კარზე. 1634 ტყვედ მოხვდა სამეგრელოში, სადაც ლევან II დადიანის კარზე ეწეოდა ლიტ. და კალიგრაფიულ საქმიანობას. 1647 გადაწერა ,,შაჰნამეს'' გაგრძელების ე. წ. ,,უთრუთიანსაამიანის'' ქართ. პროზაული ვერსია; გალექსა ,,ზააქიანი'', რისთვისაც გამოიყენა ,,შაჰნამეს'' ქართ. პროზაული თარგმანი. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1646 გადაწერილი ,,ვეფხისტყაოსანი'', რ-იც 39 მინიატურითაა შემკული. მინიატიურებს ეტყობა ქართ. ხალხ. ხელოვნების გავლენა. ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციების გარდა, აქ მოთავსებულია რუსთაველისა და თვით მხატვრის პორტრეტები. მ. საკმაოდ დახელოვნებული მხატვარია, მისი კალიგრაფია გამოირჩევა ხაზგასმული დეკორაციულობით.



გ. გ. თავაძე.



გ. მ. თავაძე.



გ. ფ. თავაძე.

თხზ. იხ.: შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტექსტ. აბულაძის გამოც., ტფ., 1916; იგივე, [ტ.] 3, დ. კობიძის გამოც., თბ., 1974.

ლიტ.: ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971; ბარამიძე ა., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 2, თბ., 1940; ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958; კობიძე დ., შაჰნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბ., 1959; ყუბანეიშვილი ს., ლიტერატურული და ხალხური ზააქიანი, «საქართვ. მეცნ. აკადემიის მოამბე», 1953, ტ. 14, №6; შერვაშიძე ლ., ,,ვეფხისტყაოსნის'' 1646 წლის ხელნაწერის მინიატიურების ავტორობის შესახებ, იქვე, 1955, ტ. 16, №6.

ვ. ბერიძე.

თავაძე ამბროსი გიორგის ძე (10. IX. 1900, მთისძირი, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი, – 5. V. 1961, თბილისი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1955), პროფესორი (1958). დაამთავრა სამტრედიის გიმნაზია (1921), თსუ-ის პედაგოგიური ფაკ-ტის ფილოსოფიის განყ-ბა (1926). 1926–31 მუშაობდა სკოლის მასწავლებლად, 1931–38 იყო თსუ-ის თანამშრომელი, 1958-იდან გარდაცვალებამდე – პროფესორი. შეთავსებით იყო თსუ-ისა (1944) და საქართვ. მეცნ. აკად. ფილოსოფიის ინ-ტის (1945–53) სწავლული მდივანი.

თ-ის მოღვაწეობის ძირითადი სფეროები: ესთეტიკა და ესთეტიკის ისტორია, რელიგ. ფილოსოფია.

თხზ.: მშვენიერების პრობლემა პლატონის ფილოსოფიაში, თბ., 1938; რელიგია და იდეალიზმი, თბ., 1936; ი. ჭავჭავაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებანი, თბ., 1954; ხელოვნების ხალხურობისა და იდეურობის საკითხი ბელინსკის ესთეტიკაში, თბ., 1959.

დ. კალანდაძე.

თავაძე გიორგი გრიგოლის ძე (დ. 21. VI. 1955, ლანჩხუთი), სპორტსმენი, ფეხბურთელი. საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი (1981). დაამთავრა თსუ (1977). თამაშობდა ლანჩხუთის ,,გურიაში'' (1972–78), ქუთაისის ,,ტორპედოში'' (1983–84), იყო თბილ. ,,დინამოს'' ნახევარმცველი და მცველი (1979–82). უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 75 მატჩი (4 გოლი). 1981 თბილ. ,,დინამოს'' შემადგენლობაში მოიპოვა ევრ. ქვეყნების თასის მფლობელთა თასი. დასახელებული იყო სსრკ-ის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის.

თავაძე გიორგი ვახტანგის ძე (1882, სოფ. ზემო ხეთი, ჩოხატაურის რ-ნი, – XX ს. II ნახ., საფრანგეთი), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალი (1921). მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904–05) ომში. 1913 მსახურობდა კავკ. მსროლელ პოლკში, მონაწილეობდა I მსოფლიო ომში (1914–18), სადაც დაიჭრა; 1918–21 იყო ქართ. ჯარში. მსახურობდა სამხ. სამინისტროში, მეთაურობდა ქართ. ლეგიონს. თავი გამოიჩინა საქართველო-სომხეთის 1918 ომის დროს. 1921 ემიგრაციაში წავიდა.

დაჯილდოებულია წმ. ანას IV ხარისხის ორდენით.

ლიტ.: კვინიტაძე გ., მოგონებანი (1917–21), ტ.1, თბ., 1998.

ლ. დოლიძე.

თავაძე გიორგი მერაბის ძე (დ. 5. III. 1962, თბილისი), რეჟისორი, ს. ახმეტელის სახ. (2005) და კ. მარჯანიშვილის სახ. (2010) პრემიების ლაურეატი. 1990 დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწ. უნტი (რ. სტურუას შემოქმედებითი სახელოსნო); 1999–2000 იყო შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის, ხოლო 2001–06 – ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. სახელმწ. დრამ. თეატრის რეჟისორი, 2006–13 – თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. თ-ის დადგმებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: რუსთაველის თეატრში – ი. სამსონაძის ,,იქ სადაც ღვარად მოედინება'' და ,,აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე'' (ამავე სპექტაკლის დადგმა ბათუმის თეატრში აღინიშნა წლის საუკეთესო რეჟისორის დიპლომით); თ. ჭილაძის ,,ნახვის დღე'' (რ. სტურუასთან ერთად); ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. დრამ. თეატრში – ვ. სიხარულიძის ,,გარეუბნის მარტოსახლი''; სამეფო უბნის თეატრში (რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიცაა), ლ. ბუღაძის ,,ნუგზარი და მეფისტოფელი''; ბათუმის დრამ. თეატრში – ი. სამსონაძის ,,საღამოს ბაღში, როგორც სიზმარში'', თ. ჭილაძის ,,ჭალას ჩიტი ჩამკვდარიყო'' (ვ. ბერიძესთან ერთად). ბათუმის მუს. ცენტრის ბავშვთა და მოზარდთა საოპერო თეატრში დადგა საოპერო სპექტაკლი ვ. ბელინის ,,მონტეგები და კაპულეტები''. მონაწილეობდა კულტ. საერთაშ. ბაზრობა ,,კავკასია 2007-ში'', სადაც დაჯილდოვდა რეგიონის საუკეთესო რეჟისორის სერტიფიკატით.

თავაძე გიორგი ფერდინანდის ძე (დ. 6. XII. 1945, თბილისი), მეტალურგი. საქართვ. მეცნ. ეროვნული აკად. წ.-კორ. (2009), ტექ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (2002). 1967 დაამთავრა სპი-ის მეტალურგიის ფაკ-ტი, ლითონმცოდნეობისა და ლითონების თერმული დამუშავების სპეციალობით. 1967 მუშაობა დაიწყო საქართვ. მეცნ. აკად. მეტალურგიის ინ-ტში (ახლანდ. ფ. თავაძის სახ. მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინ-ტი). 1992–2004 მუშაობდა საქართვ. თავდაცვის სამინისტროს ტექ. სამმართველოს უფროსად; 1998–2002 – საქართვ. შეიარაღებული ძალების გენ. შტაბის სტრატეგიული დაგეგმარებისა და სამე-

ცნ.-ტექ. კვლევების მთ. სამმართველოს უფროსად. 2002–04 იყო საქართვ. თავდაცვის სამინისტროს კვლევებისა და ტექნოლოგიების ცენტრის უფროსი, 1997–2005 კი – NATO-ს კვლევებისა და ტექნოლოგიების ორგანიზაციისა და სახმელეთო შეიარაღების ჯგუფის ეროვნ. კოორდინატორი. 2005 აირჩიეს საქართვ. საინჟ. აკად. ნამდვილ წევრად. 2006 ამერიკის ბიოგრაფიული საზ-ბის მმართველ რედაქტორთა საბჭომ მიანიჭა მასალათმცოდნეობის ექსპერტის წოდება. 2006-იდან მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინ-ტის დირექტორია.

თ-ის სამეცნ. კვლევის მიმართულებებია: ამორფული და წვრილკრისტალური მასალების მიღება; ლითონური ნალღობიდან ზესწრაფი წრთობით თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის (თმს) ტექნოლოგიით A–15 ტიპის ლითონური და მაღალტემპე-რატურული კერამ. ზეგამტარი მასალების მიღება; თმს ტექნოლოგიით ბორისა და მისი ნაერთების მიღება და კვლევა.

არის საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1988). მინიჭებული აქვს პოლკოვნიკის წოდება და (1996) დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. 2013 მიენიჭა გიორგი ნიკოლაძის პრემია.

თხზ.: Получение специальных материалов методами самораспространяющегося высокотемпературного синтеза, Тб., 2011 (თანაავტ. А.С. Штепнберг).

თავაძე დავით ელიზბარის ძე (1916, სოფ. აცანა, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 20. VI. 1979, თბილისი), საბჭოთა კავშირის გმირი (19. VIII. 1944); მფრინავი, მაიორი. 1936 დაამთავრა ბათუმის აეროკლუბი, 1938 გაიწვიეს საბჭ. შეიარაღებულ ძალებში. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს იბრძოდა ჩრდ. კავკასიაში, ვოლგაზე, ტამანის ნ.-კ-ზე, ნოვოროსიისკთან, იალტასთან, ფეოდოსიასთან, სევასტოპოლთან. საჰაერო ბრძოლაში მოპოვებული წარმატებისათვის მიენიჭა საბჭ. კავშირის გმირის წოდება (მისი ხელმძღვანელობით ესკადრილიამ განახორციელა 1227 საბრძოლო გაფრენა). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, საბრძოლო ორდენები და მედლები, მ. შ. წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი.

ტ. ჩინჩილაკაშვილი.

თავაძე დიმიტრი მათეს ძე (6. II. 1911, სოფ. ზემო ხეთი, ჩოხატაურის რ-ნი, – 6. III. 1990, თბილისი), საქართვ. სახ. მხატვარი (1967), სტალინური პრემიის ლაურეატი (1951). 1930 დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია. მისი პედაგოგები იყვნენ ე. ლანსერე, გ. გაბაშვილი, ი. შარლემანი, ჰ. ჰრინევსკი. 1930–52 იყო შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. დრამ. თეატრის მხატვარი, 1952–76 – მთავარი მხატვარი. მუშაობდა აგრეთვე თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრსა და ვ. სარაჯიშვილის სახ. საოპერო სტუდიაში.

გააფორმა სპექტაკლები: დ. კლდიაშვილის ,,შემოდგომის აზნაურები'' (1936), ი. მოსაშვილის ,,ჩაძირული ქვები'' (1949, სტალინური პრემია, 1951), ი. ჭავჭავაძის ,,ოთარაანთ ქვრივი'' (1952), ჯ. ფლეტჩერის ,,ესპანელი მღვდელი'' (1954), პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი'' (1959), პ. კოჰოუტის ,,როცა ასეთი სიყვარულია'' (1959) – შოთა რუსთაველის სახ. თეატრში; მ. ბარათაშვილის ,,ჭრიჭინა'' (1954) – კიევის ლ. უკრაინკას სახ. დრამ. თეატრში; გ. ქელბაქიანის ,,ახალგაზრდა მასწავლებელი'' (1955) – მოსკოვის ა. პუშკინის სახ. დრამ. თეატრში; კ. ლორთქიფანიძის ,,კოლხეთის ცისკარი'' (1959) – ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. დრამ. თეატრში და სხვ. თ-ის ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია პირობითი ხასიათის კონსტრუქციული დანადგარებისა და ყოფით-ილუზორული ელემენტების შერწყმა, ნახატის გრაფ. სიმკვეთრე და ფერთა დეკორ. შეხამება. თ-მ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართ. თეატრის მხატვრობის განვითარებაში 50-იან წლებში, ნატურალისტურ ტენდენციებთან ბრძოლის საწყის ეტაპზე.



დ. მ. თავაძე. დეკორაციის ესკიზი. ,,შემოდგომის აზნაურები''.

ლიტ.: ალადაშვილი ნ., დიმიტრი თავაძე, თბ., 1986; კიკნაძე ვ., მხატვარ-რეალისტი, «დროშა», 1963, №12; კუხიანიძე ტ., დიმიტრი თავაძის შექსპირიანა, «თეატრალური მოამბე», 1975, № 4.

ქ. კინწურაშვილი.

თავაძე ილია ყაისარის ძე (26. XII. 1905, სოფ. ნატანები, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 9. XI. 1973, თბილისი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1965), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). სკკპ წევრი 1931-იდან. დაამთავრა მოსკ. პედ. ინ-ტი (1934). 1938-იდან იყო საქ. კპ ცკ-ის მდივანი აგიტაციისა და პროპაგანდის დარგში, 1943–46 – საქართვ. სახელმწ. კონტროლის სახ. კომისარი, 1946–49 – სსრკ საელჩოს პირველი მდივანი პარიზში, 1951–53 – სსრკ ელჩი სირიასა და ლიბანში, 1953–55 – სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყ-ბის გამგე, 1955–73 – შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის რექტორი. საქ. სსრ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქ. კპ ცკ-ის წევრი (1938–47), ცკ-ის ბიუროს წევრი (1938–43). იკვლევდა მატერიალ. დიალექტიკისა და მარქსისტული ესთეტ. პრობლემებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.



დ. მ. თავაძე.



მ. თავაძე.

თხზ.: მშვენიერების პრობლემა მარქსამდელი ესთეტიკის ისტორიაში, თბ., 1962; მხატვრული გემოვნების აღზრდის საკითხისათვის, თბ., 1961; О категориях материалистической диалектики, «ფილოსოფიის ინ-ტის შრომები», 1957, ტ. 7.

თავაძე მერაბ შალვას ძე (დ. 29. VII. 1942, თბილისი), მსახიობი და რეჟისორი. საქართვ. სახ. არტისტი (1982). 1963 დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო, ხოლო 1979 – კინოსარეჟისორო ფაკ-ტი (ო. იოსელიანის სახელოსნო). 1963–80 შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის მსახიობი იყო, 1979-იდან – კინოსტუდია ,,ქართული ფილმის'' დამდგმელი რეჟისორი. 1992 მეუღლესთან – ი. *გიგოშვილთან* ერთად დააარსა ,,სამეფო უბნის თეატრი'' და წლების განმავლობაში არის მისი უცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელი. თ-ის მიერ რუსთაველის თეატრში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: დათო (ვ. როზოვის ,,ვახშმობის წინ''), ლაშკო (გ. ნახუცრიშვილის ,,ჭინჭრაქა''), ბობენი (ე. ლაბიშის ,,ჩალის ქუდი'') და ლიზანდრი (უ. შექსპირის ,,ზაფხულის



მ. თ ა ვ ა ძ ე. იპოლიტი, ჟ. როსინის ,,ფედრა‘‘.



ნ. თავაძე.



მ. თ ა ვ ა ძ ე. რეზიკო, კადრი ფილმიდან ,,თოჯინები იცინიან‘‘.



რ. გ. თავაძე.

ღამის სიზმარი‘‘, პერდიკანი (ა. მიუსეს ,,სიყვარული სახუმარო არ არის‘‘); მარჯანიშვილის თეატრში – თარაშ ემხვარი [კ. გამსახურდიას ,,მთვარის მოტაცება‘‘ (მიწვეული მსახიობის რანგში)], იპოლიტი (ჟ. რასინის ,,ფედრა‘‘) და სხვ. მის მიერ შესრულებულ როლებს ახასიათებს უშუალობა, სცენური მომხიბვლელობა. გადაღებულია კინოფილმებში: ,,დრო იწურება განთიადზე‘‘ (მოსფილმი, 1965), რუსტამი და სუხრაბი (,,ტაჯიკ ფილმი‘‘, 1970), ,,ბატერფლაის დაბრუნება‘‘ (დოვჟენკოს კინოსტუდია, 1983), ,,მყუდრო სავანე‘‘ (რეჟ. კ. ღლონტი, 1970), ,,თოჯინები იცინიან‘‘ (რეჯ. ნ. სანიშვილი, 1964). საერთაშ. აღიარება მოიპოვა Თ-ის მიერ გადაღებულმა ფილმებმა: ,,ოკეანე‘‘ (გრან-პრი საზღვაო ფილმების საერთაშ. ფესტივალზე, ვილნიუსი, 1976), ,,მაცი‘‘ (1982, 5 ჯილდო ევრ. ხუთი ქვეყნის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალზე), ,,მე დავბრუნდები‘‘ (1982), ,,ბრავო, ალბერ ლოლიშ‘‘ (1987, პრიზი მოსკოვის საერთაშ. ფესტივალზე საუკეთესო რეჟისურისათვის, 1988), ,,ფესვები‘‘ (1999), ,,ხვეული კიბით‘‘ (2001, მთ. პრიზი ანაპის საერთაშ. კინოფესტივალზე საუკეთესო გამოსახულებისა და ოპერატორული ნამუშევრისათვის); ,,წინაპართა ნაკვალევზე‘‘ (1990). Თ-ის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: ,,მოვედ სიყვარულისათვის‘‘ (რუსთაველის თეატრი, 1991), ,,შუშანიკის წამება‘‘ (1997) და ,,დრო და ჟამი‘‘ (1996; ორივე ,,სამეფო უბნის‘‘ თეატრი); გერმ. რეჟისორებთან (გ. ზევილდი და მ. კნისბეგი) ერთად ქ. ესენის ,,გრილო-თეატრში‘‘ წარმოადგინა სპექტაკლი ,,ოიდიპოს მეფე – ოიდიპოსი კოლონოსზე‘‘ (1993).

ლ. შენგელია.

თავაძე ნიკოლოზ (ნიკა) მერაბის ძე (დ. 8. V. 1970, თბილისი), მსახიობი და რეჟისორი. ი. გოგებაშვილისა (1993) და კ. მარჯანიშვილის სახ. (2000) პრემიების ლაურეატი. 1991 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტი (შ. გაწერელიას ჯგუფი).



ნ. თ ა ვ ა ძ ე. ურიელი, კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა‘‘. 2006.

1994–97 მუშაობდა *,,სამეფო უბნის თეატრის‘‘* დაარსებაზე. ამავე თეატრში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: რემი (ი. მისიმას ,,ჩემი მეგობარი ჰიტლერი‘‘), ნუგზარი (ლ. ბუღაძის ,,ნუგზარი და მეფისტოფელი‘‘; საქართვ. თეატრ. საზ-ბის ყოველწლიური პრემია – მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის), მამაკაცი (,,აქ, ამ სავანეში‘‘); ბრიკი (ტ. უილიამზის ,,კატა თუნუქის გახურებულ სახურავზე‘‘) და სხვ. ამავე თეატრში დადგა ფ. ვებერის ,,კონტრაქტი‘‘, 2007 და ს. მრო-ჟეკის ,,სტრიპტიზი‘‘, 2012. 2000-იდან კ. მარჯანიშვილის თეატრის წამყვანი მსახიობია. ამ თეატრში შესრულებული როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: იუდა (მ. ბულგაკოვის ,,პილატე‘‘), ურიელ აკოსტა (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა‘‘, 2006), ობერონი (უ. შექსპირის ,,ზაფხულის ღამის სიზმარი‘‘, 2006), ქაქუცა ჩოლოყაშვილი (გ. ქართველიშვილის ,,ქაქუცა ჩოლოყაშვილი‘‘, 2007), ფერნანდო (ე. გლანსერანი ,,გრონჰოლმის მეთოდი‘‘, 2013) და სხვ. გადაღებულია არაერთ ქართ. და საზღვარგარეთულ კინოფილმში, მ. შ. აღსანიშნავია: ,,იავნანამ რა ჰქმნა‘‘ (1993), ,,ბრავო, ალბერ ლოლიშ‘‘ (1997), ,,ხვეული კიბით‘‘ (რეჟ. მ. თავაძე, 2001; 2004 დაჯილდოებულია კიევის საერთაშ. ფესტივალზე ,,სტოჟარის‘‘ პრემიით, მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის), ,,რენე მიდის ჰოლივუდში‘‘ (რეჟ. ა. ცაბაძე, 2010, ჯილდო მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის) და სხვ.

თავაძე რობერტ გერონტის ძე (24. IV. 1930, თბილისი, – 16. IV. 2004, იქვე), საბჭოთა გენერალ-ლეიტენანტი (1979). 1948 დაამთავრა სსრკ სამხ.-საჰაერო ძალების სპეცსკოლა, 1951 – ვლადიკავკაზის სამხ.-საავტომობილო სასწავლებელი, 1970 – სსრკ შეიარაღებული ძალების გენშტაბის კ. ვოროშილოვის სახ. სამხ. აკადემია, 1973 – ლენინგრადის ზურგისა და ტრანსპ. სამხ. აკადემია. 1951-იდან მსახურობდა შორეულ აღმოსავლეთში, 3 წელი – ჩინეთში, შემდეგ – მოლდავეთში, უკრაინაში, 1970-იდან – ამიერკავკასიის სამხ. ოლქში, 1976-იდან შორეულ აღმოსავლეთში. 1985–88 იყო შორეული აღმოსავლეთის მიმართულების ჯარების მთ. სარდლის მოადგილე, 1992–95, 1998–99 – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, 1999–2004 – საქართველოს პარლამენტის წევრი. არის ვახტანგ გორგასლის ორდენის სრული კავალერი (2000).

ლ. დოლიძე.

თავაძე რუბენ მათეს ძე (1903, სოფ. ზემო ხეთი, ჩოხატაურის რ-ნი, – 1941, ქ. ქერჩი), მოქანდაკე. სწავლობდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში (1924–29), 1934-იდან – ლენინგრადის ფერწერის, ქანდაკებისა და არქიტ. ინ-ტში. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში. იყო საქართვ. მხატვართა კავშირის თავ-რე (1938–40). მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. დაიღუპა ქერჩის მისადგომებთან. ძირითადი ნამუშევრები: კომპოზიტორი ზ. ფალიაშვილი (1938, თაბაშირი, თბილ. კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზის ფოიე), ა. წულუკიძე (ქვა,



რ. მ. თ ა ვ ა ძ ე. ,,კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი‘‘. 1938.

1935, ქუთაისი), ბ. ძნელაძე (ბრინჯაო, 1930, ალექსანდრეს ბაღი, ახლანდელი ლეონიძის სახ. ბაღი კ. მერაბიშვილთან ერთად, თბილისი, ამჟამად აღებულია). თ-ის სხვა ნამუშევრები ინახება შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში.

თავაძე ფერდინანდ ნესტორის ძე [8 (21). V. 1912, გორი, – 19. XI. 1989, თბილისი], მეტალურგი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960). ტექ. მეცნ. დოქტორი (1947), პროფესორი (1947), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1962). ქართ. ენციკლოპედიის დაარსების დღიდან გარდაცვალებამდე იყო მისი მთ. სარედაქციო კოლეგიის წევრი. 1936 დაამთავრა ლენინგრადის ინდუსტრიული ინ-ტი. 1936–37 მუშაობდა იქვე (ინდუსტრიული ინ-ტის სამხსმელო ლაბორატორია, ლითონთა ცენტრ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, ს. კიროვის სახ. ჩარხმშენებელი ქარხნის ლაბორატორია). 1937-იდან მუშაობას იწყებს თბილისში, პ. მელიქიშვილის სახ. ქიმიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მეტალურგიის ლაბორატორიაში. 1940–45 იყო თბილ. ქიმიის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი, 1945–51 – საქართვ. მეცნ. აკად. მეტალ. ინ-ტის ლითონმცოდნეობის ლაბორ. გამგე, 1951–87 – ამავე ინ-ტის დირექტორი (1991-იდან ინ-ტი თ-ის სახელობისაა). პარალელურად, 1948–88 იყო სპი-ის ლითონთა ტექნოლ. და ლითონმცოდნეობის კათედრის გამგე. თ-ის ძირითადი შრომები ეხება შენადნობთა თეორიას; მაღალი სიმტკიცის თუჯის მიღებასა და სამსხმელო წარმოებას; ლითონების უწყვეტ ჩამოსხმას; უნიკელო, უჟანგავი, კრიოგენული, რადიაცია- და მხურვალმედეგი ფოლადების ახ. კომპოზიციების, ძაფისებრი კრისტალების, თხელი აფსკებისა და დამცავი საფრის მიღებას, მათი თვისებების შესწავლას; ლითონთა კოროზიას; ბორის, მისი შენადნობებისა და ნაერთების მიღების შესწავლას; ძვ. საქართველოში ლითონის ნაკეთობათა წარმოების ტექნოლ. დადგენას და ა.შ. ნაშრომთა ციკლისათვის ,,ლითონურ ნაკეთობათა ფიზ.-ქიმ. თვისებების კვლევის მეთოდების შემუშავება‘‘ მიენიჭა გ. ნიკოლაძის სახ. პრემია (1976). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: Бронзы древней Грузии, Тб., 1959 (თანაავტ. Т. Н. Сакварелидзе); Нормальный и дислокационный рост кристаллов некоторых цветных металлов, М., 1965 (თანაავტ. Т. Л. Килитаури); Коррозионная стойкость титановых сплавов, М., 1969 (თანაავტ. С. Н. Манджаладзе); Некоторые приложения теории капиллярности при физико-химическом исследовании расплавов, Тб., 1971 (თანაავტ.: Д. В. Хантадзе, Э. Г. Оникашвили); Основные направления развития процесса непрерывного литья, М., 1982 (თანაავტ.: М. Я. Бровман, Ш. Д. Рамишвили, В. Х. Римен).

ბიბლ.: ფერდინანდ თავაძე. ბიობიბლიოგრაფია, შემდგ. ზ. მახარაძე, ი. ცხვარიაშვილი, თბ., 1984.

თავაძე შალვა მათეს ძე (15. IX. 1907, სოფ. ზემო ხეთი, ჩოხატაურის რ-ნი, – 13. I. 1989, თბილისი), არქიტექტორი. საქართვ. დამს. ინჟინერი (1961). 1925–28 სწავლობდა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში, ხოლო შემდეგ მოსკ. უმაღლეს არქიტ.-სამშ. ინ-ტში, რ-იც დაამთავრა 1931. 1931–41 ხელმძღვანელობდა საქართვ. სახ. კომისართა საბჭოს ხელოვნ. სამმართველოსთან არსებულ სახროექტო სახელოსნოს. 1956–60 იყო საქართვ. კულტ. სამინისტროს საპროექტო განყ-ბის მთ. არქიტექტორი. ძირითადი ნამუშევრები: თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის შენობის რეკონსტრუქცია და დაშენება (1938–41); სახელმწ. დრამ. თეატრი ქუთაისში (1955, არქიტ. მ. შავიშვილთან ერთად); სახელმწ. დრამ. თეატრი გორში (1938, არქიტ. მ. ჩხიკვაძესთან ერთად); კინოთეატრები: ქუთაისში (1957), ზუგდიდსა (1957) და ფოთში (1958). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში (1936–41). 1934 საქართვ. არქიტექტორთა კავშირის დამფუძნებელ ყრილობაზე აირჩიეს გამგეობის პასუხისმგებელ მდივნად. იყო რეპრესირებული. *თ. გერსამია.*

თავდაუფერელი, ყმათა კატეგორია შუა საუკუნეების საქართველოში, იხსენიება აღბუღას სამართლის წიგნში (XIII–XIV სს.). იგი ,,ნებიერის‘‘ კატეგორიაა – თავისი ნებით მიდიოდა ახ. ბატონთან, მაგრამ მათი ურთიერთობა არ ფორმდებოდა წერილობით. ძვ. ბატონი თ-ზე უფლებებს არ კარგავდა, პოვნის შემთხვევაში უკანვე იბრუნებდა, მაგრამ თ-ის ოჯახს არ ეხებოდა – ცოლ-შვილი ადგილზე რჩებოდა.

ლიტ.: მ ე გ რ ე ლ ა ძ ე დ., საქართველოს გლეხობა XIII–XV საუკუნეებში, თბ., 1991. *დ. მეგრელაძე.*

თავდაცვის ეროვნული აკადემია დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ლ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს ა, „დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია“. სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსის მქონე უმაღლესი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულება. შეიქმნა როგორც საქართვ. თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხ. აკადემია 1993 წ. 28 მაისს საქართვ. ხელისუფლების გადაწყვეტილებისა და თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე; 2001-იდან ეწოდება თ. ე. ა. იგი პირველი ქართ. *იუნკერთა სკოლის* მემკვიდრეა, რ-იც დაარსდა 1919, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. აკადემია განთავსებული იყო ყოფ. თბილ. უმაღლესი საარტ. სასწ. ყაზარმებში, თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 2008-იდან აკადემია განთავსებულია ქ. გორში.

თ. ე. ა-ში ფუნქციონირებს შემდეგი სკოლები: საბაკალავრო, უმცრ. ოფიცერთა ძირითადი მომზადების, ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის ოფიცერთა მომზადების, სამედ. სფეროს ოფიცერთა მომზადების, კაპიტნის საკარიერო, სამეთაურო-საშტაბო, თავდაცვის უმაღლესი და ენობრივი მომზადების სკოლები.

თ. ე. ა-ში ჩარიცხვის შემთხვევაში მსმენელები თავდაცვის სამინისტროსთან აფორმებენ 10-წლიან ხელშეკრულებას, რ-იც ითვალისწინებს 4-წლიან სწავ-



ფ. თავაძე.



თავდაცვის ეროვნული აკადემია.

ლებასა და 6-წლიან სამხ. საკონტრაქტო სამსახურს. სწავლის დასრულების შემდეგ მსმენელი იღებს ლეიტენანტის წოდებას. თ. ე. ა. ახორციელებს 8 საბაკალავრო და 4 სამაგისტრო საგანმან. პროგრამას. ამჟამად მოქმედია 7 საბაკალავრო პროგრამა: სამხ. ინჟინერია; ჯავშან-სატანკო შეიარაღება და ტექნიკა; საარტ. საქმე; სამხ. კავშირგაბმულობა; სამხ. ლოჯისტიკა; საჰაერო თავდაცვის შეიარაღება და ტექნიკა; საერთო-საჯარისო მართვა.

თ. ე. ა-ში მოქმედებს მაგისტრატურის საგანმან. პროგრამები: თავდაცვის ანალიზი, ევრ. უსაფრთხოების კვლევები, თავდაცვის რესურსების მართვა, კიბერუსაფრთხოება.

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება თავდაცვის ანალიზის მაგისტრის ხარისხი; ევრ. უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ – უსაფრთხოების კვლევების მაგისტრის ხარისხი; თავდაცვის რესურსების მართვის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ – ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი; კიბერუსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ – კიბერუსაფრთხოების მაგისტრის ხარისხი.

თ.ე.ა-ის საგანმან. პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ: აკად. პერსონალი, სამხ. ინსტრუქტორები, მოწვეული სპეციალისტები და მასწავლებლები, რ-თაც აქვთ საგანმან. პროგრამების სწავლების შედეგების მისაღწევად აუცილებელი კომპეტენცია, საგანმან. პროგრამის პროფილის შესაბამისი აკად. ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.

თ.ე.ა-ში მოქმედებს აგრეთვე: 1) სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი (თავდაცვის უმაღლესი სკოლა და სამეთაურო-საშტაბო სკოლა); 2) ოფიცერთა საკარიერო სკოლები (კაპიტნის საკარიერო უმცროს ოფიცერთა ძირითადი მომზადების, ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის ოფიცერთა ძირითადი მომზადების, სამხ. სამედ. ოფიცერთა მომზადების სკოლები); 3) ენობრივი მომზადების სკოლა.

სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის თავდაცვის უმაღლესი სკოლა უზრუნველყოფს სტრატეგიული და ოპერატიული დონის განათლებას საქართვ. შეიარაღებული ძალების ოფიცრებისა და პარტნიორი ქვეყნებისთვის. თავდაცვის უმაღლეს სკოლაში სამოქალაქო სტუდენტებსაც შეუძლიათ სწავლის გაგრძელება. სკოლა წარმოადგენს სამაგისტრო საფეხურს, სადაც საბრძოლო მოქმედებების წარმოების ხელოვნება სავალდებულო მიმართულებაა მხოლოდ სამხ. მოსამსახურისთვის.

სამეთაურო-საშტაბო სკოლა უზრუნველყოფს ბატალიონის მეთაურისა და ბრიგადის შტაბის ოფიცრის დონის საშუალო სამხ. განათლებას. სამხ. მოსამსახურისათვის აღნიშნული კურსის გავლა სავალდებულოა თავდაცვის უმაღლეს სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად.

ოფიცერთა საკარიერო სკოლების კაპიტნის საკარიერო სკოლა ამზადებს ასმეთაურებსა და ბატალიონის შტაბის ოფიცრებს. ოფიცერთა საკარიერო სკოლების უმცროს ოფიცერთა ძირითადი სკოლა ამზადებს ოცმეთაურებს სხვადასხვა სამხ. მიმართულებით და საბაკალავრო სკოლის მსმენელებს, ატარებს 18-თვიან სამხ. კურსს სერჟანტებისა და სამოქალაქო პირებისათვის, რ-თაც უკვე აქვთ ბაკალავრის ხარისხის სამოქალაქო განათლება. ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის ოფიცერთა ძირითადი სკოლა ამზადებს სერჟანტებსა და ბაკალავრის ხარისხის მქონე სამოქალაქო პირებს. ოფიცერთა საკარიერო სკოლების სამხ. სამედ. ოფიცერთა სკოლა ამზადებს ოფიცრებს, სერჟანტებსა და ბაკალავრის ხარისხის მქონე სამოქალაქო პირებს. 3) ენობრივი მომზადების სკოლა სტუდენტებს აძლევს საშუალებას, შეისწავლონ უცხო ენები და აიმაღლონ კვალიფიკაცია სხვადასხვა პროგრამისა და კურსის საშუალებით.

თ.ე.ა-მ მიიღო საჯარო სამართლის იურიდ. პირის სტატუსი. ამავდროულად, იგი მჭიდროდ თანამშრომლობს განათლებისა და მეცნ. სამინისტროსთან ბოლონიის პროცესის წესების შესაბამისად.

თ.ე.ა-ის რექტორია ი. გეგეჭკორი.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი (თსკ) სსრ კავშირისა, საგანგებო უმაღლესი სახელმწიფო ორგანო, რ-შიც II მსოფლიო ომის დროს (1939–45), თავმოყრილი იყო მთელი ძალაუფლება. შეიქმნა 1941 წ. 30 ივნ. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სკპ (ბ) ცკ-ისა და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით. თსკ ხელმძღვანელობდა ყველა სახელმწ. უწყებასა და დაწესებულებას, წარმართავდა მათ საქმიანობას. თსკ-ის დადგენილებას ომის დროს კანონის ძალა ჰქონდა: თსკ-ის უმაღლესი აღმასრ. ორგანო შეიარაღებული ბრძოლის ოპერატ.-სტრატეგიული ხელმძღვანელობისათვის იყო უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი. თსკ-ის უცვლელი თავ-რე იყო ი. ბ. *სტალინი.* 1944-იდან კი თსკ-ის თავ-რის მოადგილე – ლ. პ. *ბერია.* II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წ. 4 სექტ. გადაწყვეტილებით თსკ გაუქმდა.

თავდაჭერილი, ყმათა კატეგორია შუა საუკუნეების საქართველოში, მოხსენიებულია აღბუღას სამართლის წიგნში (XIII–XIV სს.). იგი ,,შეწყნარებული ყმაა‘‘.

ფეოდ. საზ-ბაში შეწყნარება – უფროსის მიერ უმცროსის მიღება, თანხლება, შეფარება, შეკედლება და ა. შ. – ურთიერთობაა, რაც წერილობით ,,თავდაწერით'' ფორმდებოდა. თ. შეიძლება ყოფილიყო გლეხიც და რანგით დაბალი ფეოდალიც. თ. გლეხი ერთი ბატონიდან მეორესთან მისული კაცია. თუ იგი ახ. ბატონს ჩაესიძებოდა – მისი ყმის ქალს შეირთავდა, მაშინ ახ. ბატონთან რჩებოდა. ძვ. ,,მკვიდრი ბატონის'' წამოდავების შემთხვევაში, თუ თ. ნებით არ დაბრუნდებოდა უკან, სამართალს ოჯახის დანგრევის უფლება არ ჰქონდა და თ-ს ოჯახით აბრუნებდა უკან. ძვ. ბატონი ცოლის საფასურს იხდიდა. თ. გლეხი იურიდიულად ,,ნებიერია'' – ახ. ბატონთან ნებით მისული. ასეთ დროს საბატონყმო ურთიერთობანი შედარებით შელავათიანი იყო.

ლიტ.: მ ე გ რ ე ლ ა ძ ე დ., საქართველოს გლეხობა XIII–XV საუკუნეებში, თბ., 1991. *დ. მეგრელაძე.*

თავდახსნილი, ყმის კატეგორია შუა საუკუნეების საქართველოში. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში ყმის თავდახსნის შესახებ არის სპეც. თავი. თავდახსნილობა გაფორმებული უნდა ყოფილიყო წერილობით – ,,წიგნით'' – და ცოცხალი მოწმით. ასეთი ყმა აზატად ითვლებოდა და ,,აზატნაქნარისაგან კიდევ უფრო აზატი'' იყო. თუ თავდახსნილობა წერილობით არ იყო გაფორმებული და მოწამე ცოცხალი იყო (ძვ. ბატონი, ან სხვა პირი), ასეთ შემთხვევაშიაც თავდახსნილობას იურიდ. ძალა ჰქონდა. თ. ყმა ეკონ. და უფლებრივად თავისუფალი იყო, მას უფლება ჰქონდა თავისი შეხედულებისამებრ განესაზღვრა თავისი მომავალი: შეეძლო მისულიყო სხვა ბატონთან, მიეღო მისგან მამული და მკვიდრ ყმად დამჯდარიყო, რაც აგრეთვე წერილობით – ,,წიგნით'' უნდა გაფორმებულიყო. თუ ყმა ,,უწიგნოდ და უპიროდ'' დროებით მივიდოდა ხალ ბატონთან, მას უფლება ჰქონდა მიეტოვებინა იგი. თ-ს შეეძლო ამა თუ იმ ბატონს ,,წყალობის ყმად'' დასდგომოდა და სურვილისამებრ წასულიყო კიდეც. თავდახსნილობა ფეოდ. საქართველოში პროგრ. მოვლენა იყო.

წყარო: სამართალი ვახტანგ მეექვსისა. ტექსტი დაადგინა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981.

დ. მეგრელაძე.

თავდგირიძე ალი-საიფ-ფაშა (1827, თალასი, – 1891, სტამბოლი), ოსმალეთის ჯარის მარშალი (მუშირი). დაიბადა ქართვ. მუჰაჯირის ოჯახში. მსახურობდა მანასტირის სამხ. გუბერნატორად, სამხ. არსენალის უფროსად, უმაღლეს სამხ. მოსამართლედ. კოსოვოს ოლქის ჯარების მეთაურად.

გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. დაკრძალულია სტამბოლში, ჩემბერლითაშის სასაფლაოზე.

ლიტ.: ქ ა ს ა ბ ი მ., ოსმალეთის ქართველები, თურქულიდან თარგმნეს გ. გუნიავამ და ე. შექერჯიმ, სტამბოლი, 2012. *რ. სურმანიძე.*

თავდგირიძე ალი-ფაშა [1828, ჩურუქსუ (ქობულეთი), – 1911, სტამბოლი], ოსმალეთის ჯარის სარდალი (გენერალ-ლეიტენანტი). მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის (1853–56, 1877–78) ომებში. მსახურობდა სულთან აბდულ ჰამიდ II-ის ადიუტანტად.

ომის შემდეგ ხელს უწყობდა ქართველების მიგრაციას ოსმალეთში, რათა მათგან შეექმნა ანტირუსული არმია. 1886, ბალკანეთის ავჯანყების დროს, ომის დაწყების შემთხვევაში მზადყოფნაში ჰყავდა 4000 ქართვ. ჯარისკაცი.

დაკრძალულია სტამბოლში.

ლიტ.: ქ ა ს ა ბ ი მ., ოსმალეთის ქართველები, თურქულიდან თარგმნეს გ. გუნიავამ და ე. შექერჯიმ, სტამბოლი, 2012; ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ზ., ალი-ფაშა თავდგირიძე, ახალ-სენაკი, 1896.

მ. გოგიტიძე.

თავდგირიძე ბაჰრი-ფაშა (1870, ქობულეთი, – 1915, სტამბოლი), ოსმალეთის ჯარის სარდალი (გენერალი, 1883). მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომში. იყო დივიზიის უფროსი. სხვადასხვა დროს ეკავა შკოდერის და ვანის ვალის თანამდებობები. 1909 თანამდებობიდან გადადგა. დაკრძალულია, სტამბოლში, კარაჯა-ახმადის სასაფლაოზე.

ლიტ.: ს უ რ მ ა ნ ი ძ ე რ., თავადაზნაურობა და მათი ოჯახები ბათუმის ოლქში, თბ., 2007; ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ზ., მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913.

რ. სურმანიძე.

თავდგირიძე გიორგი ალექსანდრეს ძე (27.IX. 1914, თბილისი, – 22. III. 1957, იქვე), არქიტექტორი. დაამთავრა სპი (1939). მეორე მსოფლიო ომის მონაწილე (1941–45). 1949–55 იყო საპროექტო ინ-ტის ,,საქსოფლმშენსახპროექტის'' მთ. არქიტექტორი, ხოლო 1955–57 – საპროექტო ინ-ტის ,,საქქალაქმშენსახპროექტის'' არქიტ. ხელოსნოს ხელმძღვანელი.

ძირითადი ნამუშევრები: თბილისში – საქართვ. გეოლ. სამმართველოს საცხოვრებელი სახლი (1948, ზ. ფალიაშვილის ქ.), საქართვ. სოფლის მეურნეობის ინ-ტის თანამშრომლების საცხოვრებელი სახლი (1954, ვ. კავსაძის ქ.), სასტუმრო ,,საქართველო'' (1949–56, არქიტ. ნ. ფირცხალაიშვილთან ერთად; მელიქიშვილის ქ.; თავდაპირველად აშენდა როგორც საქართვ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობა). აკად. ნ. მუსხელიშვილის სააგარაკო სახლი მანგლისში (1949), აკად. ი. ბერიტაშვილის და ს. ჯანაშიას სააგარაკო



გ. თ ა ვ დ გ ი რ ი ძ ე (ნ. ფირცხალაიშვილთან ერთად). სასტუმრო ,,საქართველო''. 1949–56.

სახლები სოხუმში (1949). პარალელურად 1955-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა სპი-ის არქიტ. კათედრაზე. აზომილი აქვს რამდენიმე ქართ. არქიტ. ძეგლი, მათ შორის ვაჩნაძიანის ყველაწმინდის ეკლესია (1939, არქიტ. მ. კალაშნიკოვთან ერთად). *თ. გერსამია.*

თავდგირიძე ზია-ფაშა (1870, ქობულეთი, – 1940, უსკუდარი), ოსმალეთის ჯარის სარდალი (გენერალ-ლეიტენანტი). მამამისი ჰიჯაზის გუბერნატორი იყო. დაამთავრა სამხ. სასწავლებელი და სამხ. აკადემია. ეკავა სხვადასხვა თანამდებობები. 1907 მიენიჭა გენ.-მ. სამხ. წოდება. მონაწილეობდა ბალკანეთისა (1912–13) და პირველ მსოფლიო (1914–18) ომებში. იზეთ-ფაშას მთავრობაში ასრულებდა ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობას. 1920–22 იყო სამხ. მინისტრი.

დაკრძალულია სტამბოლში, კარაჯა-ახმადის სასაფლაოზე.

ლიტ.: ქ ა ს ა ბ ი მ., ოსმალეთის ქართველები, თურქულიდან თარგმნეს გ. გუნიავამ და ე. შექერჯიმ, სტამბოლი, 2012. *რ. სურმანიძე.*

თავდგირიძე მაჰმუდ-ფაშა [1864, ჩურუქსუ (ქობულეთი), – 31. VII. 1931], ოსმალეთის ჯარის სარდალი (გენერალ-ლეიტენანტი). დაამთავრა ქულელის სამხ. სასწავლე-

ბელი (სტამბოლი), მსახურობდა ოსმალეთის გენშტაბში. სარდლობდა დამასკოში (სირია) დისლოცირებულ მე-5 ქვეით ბრიგადას. 1894 მის სახლში მოაწყვეს ქართვ. ლტოლვილთა თავშესაფარი. 1897 მონაწილეობდა ბერძნებთან ომში, იტალია-ოსმალეთისა (1911–12) და ბალკანეთის (1912–13) ომებში, სადაც სარდლობდა მე-2 და მე-3 ქვეით ბრიგადებს.

თ-მ 1909 ა. წერეთლის იუბილეს მოსაწყობად და ქართ. ბიბლიოთეკის დასაარსებლად შეწირულობა გაიღო.

1920, სტამბოლის დაპყრობის შემდეგ, დააპატიმრეს და მალტაში გადაასახლეს. დაკრძალულია სტამბოლში კარავჯა-ახმადის სასაფლაოზე.

ლიტ.: კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ა., ქართველები თურქეთის ცის ქვეშ, თბ., 1991; ს ვ ა ნ ი ძ ე მ., ქართველები თურქეთში, თბ., 1996; ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე შ., სტამბოლის ქართული სავანე, თბ., 2012. *რ. სურმანიძე.*

თავდგირიძე მეჰმედ შაქირ-ფაშა (1854, ლივანის რ-ნი, – 1918), ოსმალეთის ჯარის მარშალი (მუშირი, 1905). მსახურობდა კოსოვოს სამხ. გუბერნატორად. იყო სულთან აბდულ ჰამიდ II-ის პირადი მდივანი, ერთხანს გადასახლებაშიც იყო.

1918 იყო საზღვაო და სახმელეთო ჯარების სარდალი. გარდაიცვალა მოულოდნელად. დაკრძალულია სტამბოლში, ჩემბერლითაშის სასაფლაოზე.

ლიტ.: კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ა., ქართველები თურქეთის ცის ქვეშ, თბ., 1991. *რ. სურმანიძე.*

თავდგირიძე ოსმან ნური-ღაზი-ფაშა (1840, სტამბოლი, – 1898, იქვე), ოსმალეთის ჯარის მარშალი (მუშირი, 1881), წარმოშობით ქობულეთიდან. მსახურობდა სამხ. გუბერნატორად ჰიჯაზში და სირიაში. თ. იყო კარგი კალიგრაფი და მხატვარი. მექაში ააგო არაერთი ისტ. ნაგებობა, მ. შ. სამთავრობო სახლი, 4 სამხ. გარნიზონისა და 18 პოლიციის განყოფილების შენობა; მომლოცველებისათვის მინას მთაზე გაიყვანა წყალი; ააგო სტამბა, სკოლა და საავადმყოფოები; დანერგა ტელეგრაფის სისტემა. ამასთანავე, განმუხტა რეგიონში არსებული პოლიტ. ვითარება, განამტკიცა ოსმალთა მმართველობა.

დაკრძალულია სტამბოლში, კარავჯა–ახმადის სასაფლაოზე.

ლიტ.: ქ ა ს ა ბ ი მ., ოსმალეთის ქართველები, თურქულიდან თარგმნეს გ. გუნიავამ და ვ. შექერჯიმ, სტამბოლი, 2012. *რ. სურმანიძე.*

თავდგირიძე ოსმან-ფაშა (1837, ოზურგეთი, – 1909, სტამბოლი), იყო ქვემო აჭარის მმართველი XIX ს. შუა წლებში. ქობულეთის თავად თავდგირიძეთა პირდაპირი შთამომავალი (იხ. *თავდგირიძეები*), ,,აჭარელ ოსმან-ფაშად'' წოდებული. ყირიმისა (1853–56) და რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომების მონაწილე. ომის შემდეგ ტრაპიზონში გადასახლდა (1878). იყო ტრაპიზონის გუბერნატორი. მოგვიანებით სტამბოლში გადავიდა და იქვე გარდაიცვალა. ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი ნოქთა, რთანაც 5 ვაჟი და 1 ქალი შეეძინა.

ლიტ.: ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ხ., ნარკვევი აჭარის ისტორიიდან, ბათ., 1944; ბ ა ქ რ ა ძ ე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987; ქ ა ს ა ბ ი მ., ოსმალეთის ქართველები, თურქულიდან თარგმნეს გ. გუნიავამ და ე. შექერჯიმ, სტამბოლი, 2012. *რ. სურმანიძე.*

თავდგირიძე ჰასან-ბეგი (დაახლ. 1810, ოზურგეთი, – V. 1854, შეკვეთილი), ოსმალეთის ჯარის სარდალი, ქობულეთის კაზის მმართველი. მონაწილეობდა ყირიმის (1853–56) ომში. მჭიდრო კავშირი ჰქონდა გურულ ნათესავებთან, მათი დახმარებით ცდილობდა აჭარლების და გურულების მჭიდრო შეკავშირებას და ერთიანი ძალით რუსების განდევნას. დაიღუპა შეკვეთილთან (იხ. *ნიგოითის ბრძოლა 1854*) თანამოძმის ღალატის შედეგად. თ-ს თავი მოჰკვეთეს და თბილისში მთავარმართებელს ჩაუტანეს. მასზე შეიქმნა ლექსი და სიმღერა ,,ჰასანბეგურა''.

ლიტ.: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ი., გლეხთა აჯანყება გურიაში, ბათ., 1955; ს უ რ მ ა ნ ი ძ ე რ., ლაზეთის ლეგენდა, თბ., 2010. *რ. სურმანიძე.*

თავდგირიძეები, ფეოდალური საგვარეულო სამხრეთ საქართველოში. მათი უძვ. წარმომადგენელი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების ნუსხებში იხსენიება. ფოცხვერა თაგდირიძის აღაპს ნ. მარი XI–XII სს-ით ათარიღებს. შემდგომი მოხსენიება XIV საუკუნისაა. გვხვდება სხვადასხვა ვარიანტებით: თაგდირიძე, თაქთირიძე, თადგირიძე და სხვ. ოსმალთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ თ-ის საგვარეულო საქართვ. სხვადასხვა მხარეში (ქართლი, იმერეთი, გურია) გაიფანტა. გიორგი III გურიელმა თ-ს ქვემო გურიაში უბოძა ყმა-მამული. XVII–XVIII სს-ში თ-ს გურიის სამთავროს ბოქაულთუხუცესის სახელო ეკავათ, შემდეგ გურიის მსაჯულთუხუცესები იყვნენ. თ-ის სათავადო მოიცავდა აჭყვის, კინტრიშის, სუფსისა და ჩაქვის ხეობათა სოფლების ნაწილს. აქვე ჰქონდათ მათ ციხესიმაგრეები, მონასტერი (ხინო), საყდრები, საცხოვრებელი და სამეურნეო სახლები. XVIII ს. 40-იან წლებში გიორგი თავდგირიძე დაემოყვრა ,,რიზეს ზევით რიონამდე'' ოსმალთაგან მიღებული ტერიტ. მფლობელ შერვაშიძეს. ამის შემდეგ სათავდგირიძოს მამულებად იქცა ახალშენი, გონიო, სამება, ყოროლისთავი... XVII–XVIII სს. მიჯნაზე თ-ის ერთი შტო გონიოს სანჯაყს განაგებდა. რუსეთ-ოსმალეთის 1768–74 ომის დროს ქობულეთის სარდალ-მოურავი მ ა მ უ კ ა თავდგირიძე (სოლომონ I-ის სიძე) აქტიურად იბრძოდა ოსმალთა წინააღმდეგ. ქუჩუქ-კაინარჯის ზავის (1774) შემდეგ, როდესაც ქვემო გურია ოსმალებმა დაიკავეს, მამუკა ცოლ-შვილითა და ამალით სანჯავახოში გადავიდა და შუა გურიაში დამკვიდრდა. თ-ის ერთი ნაწილი სოფ. აკეთში დასახლდა, სადაც მათ ჰქონდათ ციხესიმაგრე, საყდარი; ეკუთვნოდათ აცანა, გაგური, ზომლეთი და სხვ. სახნავ-სათესს ფლობდნენ კინტრიშის ხეობაშიც. თ-ის სახლის უფროსს ლაზისტანის სანჯაყში ოსმალებმა კინტრიშის მუდირობა უბოძა. მამუკას ვაჟი მ ა ქ ს ი მ ე, რ-საც თურქებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, გამაჰმადიანდა, ს უ ლ ე ი მ ა ნ ა დ იწოდა. თურქებმა იგი ქობულეთის სანჯაყის გამგებლად დანიშნეს. 1850 მამუკას მემკვიდრეებს რუს. მთავრობამ თავადთა წოდება დაუმტკიცა. XIX ს. შუა წლებში თ-ის ერთი შტო ქვემო აჭარას განაგებდა (რეზიდენცია ქედაში). ,,აჭარელ ოსმან-ფაშად'' წოდებული 1878 თურქეთში გადასახლდა. თ-ის ნაწილი სტამბოლის მიდამოებში დასახლდა, საგვარეულოდან არაერთი ცნობილი მოღვაწე, სარდალი, დიპლომატი გამოვიდა.

ლიტ.: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ფ., სათავდგირიძოთა საგვარეულოს უძველესი ისტორიიდან, «ლიტერატურული აჭარა», 1962, №4; M a r r H., O раскопках в Ани, СПб., 1907. *ფ. სიხარულიძე. ქ. ჩხატარაიშვილი.*

თავდიდიანი, ისტორიული სოფელი ქვემო ქართლში, დმანისის ხეობაში, ბალიჭის ხევის მარცხ. მხარეს. სახელწოდება აზნაურ თავდიდიშვილებს უნდა უკავშირდებოდეს. XVII ს-ში თ. საღედოფლო

სოფელი იყო. 1792 მ. ფეოდალ ზურაბიშვილების მფლობელობაში იყო. გვიანდ. შუა საუკუნეების ადმ.-ტერიტ. დაყოფით მ. ქართლის სამეფოს I, ანუ ,,მეწინავე'' სადროშოს, შემადგენლობაში შედიოდა.

ლიტ.: ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი XVIII საუკუნის I მეოთხედში, ნაწ. 3–4, თბ., 1938.

ზ. ცინცაძე.

თავზიშვილი გიორგი იასონის ძე [24. III (6.IV). 1902, სოფ. ბაზალეთი, ახლანდ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, – 5. X. 1963, თბილისი], პედაგოგი, ლიტერატურათმცოდნე. პროფესორი (1930), პედ. მეცნ. დოქტორი (1948), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1922 დაამთავრა გორის საოსტატო სემინარია და ჩაირიცხა თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტზე, 1923 გადავიდა მოსკოვის პირველი სახელმწ. უნ-ტის საზოგადოებრივ მეცნ. ფაკ-ტის პედაგოგიკის განყ-ბაზე. 1926 უნ-ტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ აქტიურად თანამშრომლობდა დიდი საბჭ. და ლიტ. ენციკლოპედიების რედაქციებთან, ეწეოდა ლიტერატურათმცოდნეობით საქმიანობას. 1930 მ. საქართველოში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო თსუ-ის ბაზაზე შექმნილი პედ. ინ-ტის დირექტორის მოადგილედ სამეცნ. დარგში, კითხულობდა ლექციებს პედ. თეორიასა და ისტორიაში. 1938–58 იყო თბილ. ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტის პედაგოგიკის კათედრის გამგე, ამავე პერიოდში შეთავსებით მუშაობდა იმავე თანამდებობაზე ქუთაისის ა. წულუკიძის სახ. პედ. ინ-ტში. გარდაცვალებამდე იყო თსუ-ის პედ. კათედრის პროფესორი.

მ. იკვლევდა პედ. მეთოდოლოგიურ საკითხებს, აღზრდის პრობლემებს, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის საკითხებს. განსაკუთრებულია მისი წვლილი ქართ. პედ. აზროვნების ისტ. კვლევასა და ი. გოგებაშვილის პედ. მემკვიდრეობის შესწავლაში, აგრეთვე სარედაქტორო საქმიანობაში ი. გოგებაშვილის ერთტომეულისა და ათტომეულის გამოსაცემად; მ-მა შეისწავლა შოთა რუსთაველის, ს.-ს. ორბელიანის, ს. დოდაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის პედ. იდეები და ლ. ბოცვაძის შემოქმედება. იგი თანაავტორი იყო 1956 გამოცემული პირველი პედ. სახელმძღვანელოსი, ა. ჩიქობავასთან ერთად იყო თანარედაქტორი ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძის სახელმძღვანელოებისა ,,დედა ენა'' (ორ ნაწილად I კლასისათვის) და ,,ქართული ენა'' (II კლასისათვის).

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზ. მოღვაწეთა პანთეონში.

თხზ.: რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ი. ბოცვაძის რედ., ტ. 1–2, თბ., 1974–77; უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში, ნაკვ. 1, თბ., 1938; სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში (1801–1870 წწ.), თბ., 1948.

ლიტ.: გაგუა ვ., სიხარულიძე გ., გიორგი თავზიშვილი, თბ., 1977; ქაჯაია ვ., წერილები, თბ., 1974.

თავთუხი, მაგარი ხორბლის ქართული ჯიში-პოპულაცია. სითბოსა და ტენის მოყვარული მცენარე. გავრცელებულია დაბლობ ზოლში ზ.დ. 600–800 *მ*-მდე. თავთავი მკვრივი და ფხიანია, მარცვალი – მსხვილი. ბოტან. და ეკოლ.-ბიოლ. ნიშნებით განასხვავებენ ზემო და ქვემო ქართლის მ-ებს. უფრო მეტი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს მის მოყვანას შიდა ქართლში, როგორც გვიანი თესვის ამტან და ზამთრისგან დაზიანებული ნათესების სადაზღვევო ჯიშს. მ. ძვირფასი სასელექციო მასალაა.

გ. სიხარულიძე.

„თავი ბეგარა“, მიწაზე დადებული ნატურალური გადასახადის ძირითადი სახეობა. იგი განსაზღვრული იყო მიწის ოდენობით და გლეხების ეკონ. შესაძლებლობით. ,,მ. ბ-ის'' რაობა და რაოდენობა თითოეული გლეხისათვის ინდივიდუალური იყო და მებეგრე გლეხის აუცილებელ გადასახადს წარმოადგენდა. იგი არ ევალებოდა მსახურთა ნაწილს და გააზატებულ გლეხებს (მთლიანად ან ნაწილობრივ). დას. საქართვ. საბეგრო ნუსხებში თავში დასახელებული იყო უსახელო ბეგარა ,,მ. ბ.'' იგი შეიძლებოდა ყოფილიყო: ღორი (მოგვიანებით საკლავი, როგორც ღორი, ასევე ძროხა – მსხვილფეხა რქოსანი საქონელი), ქათამი, ღვინო, ღომი, პური... სამეგრელოში ,,მ. ბ.'' XIX ს. შუა ხანებშიაც არის დადასტურებული.

ლიტ.: მეგრელაძე დ., ლორთქიფანიძე მ., აკოფაშვილი გ., სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, თბ., 1967; მუსხელიშვილი ლ., დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI–XVII სს., «ენიმკის მოამბე», 1940, ტ. 5–6; სოსელია ო., ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან (სათავადოების სისტემა), თბ., 1966. *დ. მეგრელაძე.*

თავისგასამტეხლო (სამართ. ისტ.), გადასახდელი გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში; ეკისრებოდა დამნაშავეს დაზარალებულის თავის დაზიანებისათვის. ვახტანგ მეფის *დასტურლამალის* მიხედვით, მ. *მოურავს* (ზოგჯერ *ნაცვალსაც*) ეძლეოდა.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., თბ., 1970.

თავისუფალი, ეკონომიკურად და იურიდულად დამოუკიდებელი გლეხი შუა საუკუნეების საქართველოში; პრაქტიკულად უბატონო, ბატონყმური ურთიერთობიდან თავისუფალი პირი. მ-ის უფლების მოსაპოვებლად ორი გზა არსებობდა: მშვიდობიანი – ბატონთან შეთანხმებით, ქრთამითა და თავის გამოსყიდვით სრული თავდახსნა მიწიანად ან უმიწოდ; პირადი დამსახურებისათვის ბატონის წინაშე. მეორე გზა რთული იყო: გლეხის მიერ ძალით მოპოვებული თავისუფლება, რაც ძირითადად აყრა-გაქცევით გამოიხატებოდა. 1765 ერეკლე II–ანტონ I-ის განჩინებით გაჩნდა თავისუფლების მოპოვების ახ. გზა – ტყვეობიდან დამოუკიდებლად დაბრუნებული გლეხი თავისუფლად ცხადდებოდა (ამ მოვლენას მოგვიანებით გლეხთა მხრიდან ტყვეობიდან ,,დაბრუნების'' სიმულაციაც მოჰყვა). ძველ ბატონს მასზე უფლება აღარ ჰქონდა და ტყვეობიდან დაბრუნებული უფლებამოსილი იყო ახ. ბატონი აერჩია. მშვიდობიანი გზით მიღებული თავისუფლება ქართ. ფეოდ. კანონმდებლობით აღიარებული ნორმა იყო, ბრძოლით მოპოვებული – შეზღუდული. ბატონს უფლება ჰქონდა, აყრილ-გაქცეული ყმა ეძებნა (ექვსი, თორმეტი, ოცდაათი წლის განმავლობაში) და უკან დაებრუნებინა. XVII–XVIII სს. საქართველოში საკმაოდ გამოკვეთილი იყო ,,თავისუფალი ფენა'', მაგრამ იგი არ იყო სტაბილური წარმონაქმნი. მასალების მიხედვით ირკვევა, რომ იგი მოკლევადიანი მოვლენა იყო. არ არსებობდა ,,თავისუფლის'' მემკვიდრე მ. თუმცა პროცესი მთელი XVII–XVIII სს-ების განმავლობაში არ წყდებოდა: ერთნი თავისუფლდებოდნენ, მეორენი – ყმებად იქცეოდნენ. მდგომარეობის შესანარჩუნებლად მ. ქალაქს აწყდებოდა – ძირითადად ხელოსანთა წრეს. ქალაქად მას არ ჰქონდა თავშესაფარი, არ ჰყავდა ,,პატრონი'', ვერ პოულობდა სამოქმედო არეს. იძულებული იყო ხელახლა ჩაბმულიყო შეძლებისდაგვარად



თავთუხი.

შედარებით მსუბუქ საბატონყმო ურთიერთობაში. ამიტომ ან თავს აფარებდა ეკლესია-მონასტრებს (თბილ. სიონი, დავითგარეჯა და სხვ.), ან ცდილობდა შეღავათიანი პირობებით დაწერილიყო სამეფო ყმად. უკიდურეს შემთხვევაში ისევ საბატონო ყმად იქცეოდა. ამ გზით ყოფილი თ. – ,,ნებით მოსულ'', ,,წყალობის ყმად'', ,,თავშეწირულ'' და სხვ. კატეგორიის გლეხად იქცეოდა.

ლიტ.: მ ე გ რ ე ლ ა ძ ე დ., გლეხობის კლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XVII–XVIII სს.), თბ., 1979.

დ. მეგრელაძე.

თავისუფალი ეკონომიკური ზონა (თეზ), ქვეყნის სპეციალურად გამოყოფილი ტერიტორია, სადაც მოქმედებს შეღავათიანი საბაჟო, სავალუტო, სავაჭრო, საგადასახადო, სავიზო და შრომითი რეჟიმები. თეზ-ების შექმნისა და ფუნქციონირების მიზანია ადგილ. და უცხ. კაპიტალის მოზიდვა, ექსპორტის გაფართოება, სავალუტო შემოსავლების ზრდა, ახ. ტექნოლოგიების გამოყენება, საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესება და სხვ. მათი რეალიზაცია ხელს უწყობს ეროვნ. ეკონ. განვითარებასა და ეფექტიან ფუნქციონირებას. თეზ-ები იქმნება კონკრეტული ქვეყნის აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად – იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რ-თა განხორციელება მთელი ქვეყნის მასშტაბით შეუძლებელია. მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს თეზ-ების შექმნისადმი ორი ძირითადი მიდგომა – ტერიტ. და ფუნქციური (რეჟიმული, წერტილოვანი). პირველ შემთხვევაში თეზ-ი განცალკევებული ტერიტორიაა, სადაც ყველა რეზიდენტი საწარმო (ფირმა) დადგენილი შეღავათებით სარგებლობს. მეორე შემთხვევაში იგი სამეწარმეო საქმიანობის გარკვეული სახისთვის განსაზღვრული შეღავათიანი რეჟიმით ფუნქციონირებს, რ-იც გამოიყენება შესაბამისი საწარმოებისთვის (ფირმებისთვის), ქვეყანაში მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად.

მსოფლიოში უამრავი სახეობისა და მოდიფიკაციის თეზ შექმნილი, მაგრამ მათი ერთიანი კლასიფიკაცია არ არსებობს.

საქმიანობის ხასიათის მიხედვით განასხვავებენ შემდეგი ტიპის ეკონომიკურ ზონებს: *თავისუფალი ვაჭრობის ზონა*; საექსპორტო წარმოების ზონა; თავისუფალი ინდუსტრიული ზონა; თავისუფალი ტურისტული ზონა; ტექნოპარკი; ოფშორული ზონა და სხვ.

საექსპორტო წარმოების ზონა ქვეყნის ტერიტორიის ნაწილია, სადაც დადგენილია სამეწარმეო საქმიანობის განსაკუთრებული რეჟიმი, ხოლო აქ წარმოებული საქონლის ექსპორტი მთლიანად ან ნაწილობრივაა გათავისუფლებული ბაჟისაგან. აღნიშნული ზონა, ჩვეულებრივ, გამოიყენება სახელმწ. მიერ ექსპორტის სტიმულირების მიზნით. იგი ხელს უწყობს ქვეყანაში ტრანსნაციონალური კორპორაციების მოზიდვასა და წარმოებაში მათი კაპიტალის დაბანდებას.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის თეზ-ის ნაირსახეობა, სადაც მოქმედებს დამატებითი პირობები და საგადასახადო შეღავათები.

თავისუფალი ტურისტული ზონა იქმნება ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ტურისტული რესურსების მქონე რეგიონში ტურისტული საქმიანობისათვის განსაკუთრებული (შეღავათიანი) რეჟიმის დაწესების საფუძველზე.

ტექნოპარკი არის კომპაქტურ ტერიტორიაზე კონცენტრირებული სამეცნ.-კვლ. და საპროექტო დაწესებულებების, ლაბორატორიებისა და სამრეწვ.-საწარმოო ფირმების ქსელი, რ-იც, როგორც წესი, სახელმწ. მხარდაჭერით სარგებლობს და სამეცნ.-კვლ. საქმიანობისა და მეცნიერებატევადი წარმოებების ურთიერთშეხამებას უზრუნველყოფს. ეს პარკები იქმნება უნივერსიტეტებისა და სხვა სასწ. და სამეცნ. დაწესებულებების ბაზაზე ან სამრეწვ.-საწარმოო ზონების კონვერსიის გზით.

საქართველოს თეზ-ის ფუნქციონირების ისტ. გამოცდილება აქვს. ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის მთავრობათა ეკონ. ზეწოლით რუსეთმა 1878 წ. 29 ოქტომბერს ბათუმი პორტო-ფრანკოდ (იტალ. ,,პორტო-ფრანკო'' თავისუფალ ნავსადგურს ნიშნავს) გამოაცხადა. თავდაპირველად პორტო-ფრანკოს ტერიტორია ბათუმში ნავსადგურსა და მის ახლომდებარე ტერიტორიას მოიცავდა, შემდგომ კი იგი გაფართოვდა და ქალაქის ფარგლებს გასცდა. 1884 ბათუმის თავისუფალი სავაჭრო ზონა 900 დესეტინას (9,81 *კმ*²) შეადგენდა. 1883 ბათუმი რკინიგზით ბაქოს დაუკავშირდა და ნავთობპროდუქტების გასაღების ძირითადი პუნქტი გახდა. პორტო-ფრანკოს სტატუსმა დადებითად იმოქმედა ქალაქის ინფრასტრუქტურისა და მრეწვ. განვითარებაზე: აშენდა ქ-ნები, ფ-კები; გაიხსნა ბანკები, სავაჭრო და კულტ. დაწესებულებები. XIX–XX სს. მიჯნაზე ბათუმში 350–380 სამრეწველო და 1000-ზე მეტი სავაჭრო ობიექტი აღირიცხებოდა. 1886–89 გაიხსნა 5 მსხვილი ბანკი, რ-ებიც საბანკო ოპერაციებს საერთაშ. მასშტაბით აწარმოებდნენ. პორტო-ფრანკოს პირობებში ბათუმი ძირითადად საიმპორტო-სატრანზიტო ვაჭრობის ზონა იყო.

თეზ-ები მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნის ინტეგრირების მნიშვნელოვანი საშუალებაა. საქართველოში მათი შექმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *აბრეშუმის დიდი გზის* აღდგენისა და ტრასეკას პროექტის რეალიზაციის პირობებში (იხ. სტ. *ევროპა–კავკასია–აზიის სატრანსპორტო დერეფანი*). საქართველოში თეზ-ების შექმნის მიმართულებით მიღებულია შემდეგი დოკუმენტები: სახელმწ. მეთაურის 1994 წ. 15 აგვისტოს №170 განკარგულება ,,რუსთავის თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნისა და ფუნქციონირების ერთიანი კონცეფციის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ''; სახელმწ. მეთაურის 1994 წ. 17 დეკემბრის №393 ბრძანებულება ,,ქ. ფოთის მერიისათვის დამატებით უფლებამოსილებათა მინიჭების შესახებ'' (ამ დადგენილებით ქ. ფოთი ექსპერიმენტის სახით ოფშორულ ზონად გამოცხადდა); მინისტრთა კაბინეტის 1994 წ. 26 დეკემბრის №886 დადგენილება ,,ქ. ბათუმში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ'' (ამ დადგენილებით თავისუფალ ეკონ. ზონად გამოცხადდა ორი ნავმისადგომი და მდ. ჭოროხის დელტა). გარდა ამისა, საქართვ. პარლამენტის მიერ 2002–03 შემუშავდა კანონპროექტი ,,სპეციალური ეკონომიკური ზონების შესახებ'', რ-იც არ დამტკიცებულა.

,,თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ'' საქართვ. კანონი, მიღებულია 1997. მისი შექმნა შეიძლება ნებისმიერ ტერიტორიაზე, რ-ის ფართობი აღემატება 10 ჰა, გარდა საქართვ. კანონმდებლობით განსაზღვრული დაცული ტერიტორიებისა. თა-

ვისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიძლება შეიქმნას: ა) საქართვ. მთავრობის ინიციატივით; ბ) ფიზ. ან იურიდ. პირის – ორგანიზატორის მოთხოვნით. საქართველოში გათვალისწინებულია 5 თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნა: 1 – ფოთში, 2 – ქუთაისში, 1 – თბილისში და 1 – ბათუმში.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად მიღებულია საქართვ. მთავრობის შემდეგი დადგენილებები: 2008 წ. 3 ივნისის №131 დადგენილება ,,თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესების დამტკიცების შესახებ''; 2011 წ. 5 იანვრის №11 დადგენილება ,,თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე''. 2009 სამთავრობო დადგენილებით შეიქმნა ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, რ-იც მდებარეობს ქუთაისის ყოფ. საავტომობილო ქ-ნის ტერიტორიაზე და მოიცავს 27 ჰა ფართობს. მისი შექმნის ინიციატორია ტერიტორიის მეპატრონე, შპს ,,ჯორჯიან ინტერნეშენელ ჰოლდინგი'' (Georgian International Holding), რ-იც ამავდროულად არის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ადმინისტრატორიც. ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ფუნქციონირებს კომპანია შპს ,,ფრეშ-ჯორჯია'' [Fresh-Georgia Ltd; ეგვიპტური ,,ფრეშ ელექტრიკ კომპანის'' (Fresh Electric Company) შვილობილი კომპანია], რ-იც აწარმოებს მაღალი ხარისხის საოჯახო ტექნიკას, მ. შ. გაზქურებს, წყლის გამაცხელებლებსა და სარეცხ მანქანებს. ,,ფრეშ-ჯორჯია'' ამჟამად ექსპლუატაციას უწევს სამ ქარხანას.

ქ. ფოთის ნავსადგურის ტერიტორიაზე შეიქმნა ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. მისი გახსნის ოფიც. ცერემონია გაიმართა 2008 წ. 15 აპრილს, ხოლო ფაქტობრივად 2010 წ. 16 ნოემბრიდან ამოქმედდა. ამ ზონის ორგანიზატორის (ადმინისტრატორის) უფლებამოსილებას ახორციელებს შპს ,,რაკია საქართველო – თავისუფალი ინდუსტრიული ზონა'' (Rakia Georgia Free Industrial Zone), რ-საც ეს ზონა კონცესიის საფუძველზე 99 წლის მართვის უფლებით აქვს გადაცემული. ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა მოიცავს 3 მლნ. $მ^2$-ზე მეტ ფართობს. მისი უდიდესი ნაწილი სამრეწვ. დანიშნულებით უნდა იქნეს გამოყენებული. ზონაში რეგისტრირებულია 90-მდე კომპანია, რ-თა უმრავლესობა უცხოურია. მათგან საქმიანობას მხოლოდ ზოგიერთი ახორციელებს. მათ შორისაა, მაგ., მსუბუქი მეტალოკონსტრუქციის დამამზადებელი კომპანია ,,სტალდომი'' (Staldom), შვეიცარიული ქიმ. გიგანტი ,,თეინბექს მინერალი'' (Teinbeks Mineral), ქათმის პროდუქციის მწარმოებელი ამერ. კომპანია ,,პერდიუ'' (Perdiu), ამერ. სავაჭრო კომპანია ,,ბულსაი ტრეიდინგი'' (Bulsai Trading), ბრინჯის დამფასოებელი ყაზახურ-უკრაინული კომპანია ,,გრეინ ტრეიდი'' (Grain Trade) და სხვ.

საქართვ. ეკონ. პოლიტიკით ტურიზმი მიჩნეულია პრიორიტეტულ მიმართულებად და, შესაბამისად, მასზე დაწესებულია გარკვეული საგადასახადო შეღავათები. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა თავისუფალი ზონების შექმნა ტურიზმის სფეროში.

ქ. ქობულეთში თავისუფალი ტურისტული ზონის შექმნის მიზნით 2010 მიღებულია საქართვ. კანონი ,,ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონის'' შესახებ, ხოლო 2011 – საქართვ. კანონი ,,თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ'', რ-ებიც ვრცელდება ქობულეთის, ანაკლიის, განმუხურისა და საქართვ. სხვა ტერიტორიებზე არსებულ თავისუფალ ტურისტულ ზონებზე.

ლ. ყორღანაშვილი.

თავისუფალი ვაჭრობა, საერთაშორისო ვაჭრობაში რაიმე წინააღმდეგობების, შეზღუდვების არარსებობა ანუ საქონლისა და მომსახურებით ვაჭრობა ქვეყანათა შორის, რომელიც თავისუფალია სახელმწიფოს მიერ დაწესებული სხვადასხვა ხელოვნური ბარიერებისაგან.

თ. ვ. განვითარებაზე მოქმედებს შემდეგი ინსტრუმენტები: ტარიფები, კვოტები, სუბსიდიები, ემბარგო, არასატარიფო ღონისძიებები, სავალუტო პოლიტიკა და სხვ. ცნობილია ქვეყანათა შორის საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის ხელისშემშლელი ბარიერების ხუთი ჯგუფი: ბუნებრივი, კულტურული, სავაჭრო, პოლიტიკური და არასატარიფო ბარიერები.

თ. ვ. ხელს უწყობს ქვეყანაში მეცნ.-ტექ. პროგრესს, ინოვაციებს, ქვეყანათა პოტენციალის უკეთ გამოყენებას, კეთილდღეობის ამაღლებას, რაც, მთლიანობაში, საჭიროა საერთაშ. თანამეგობრობის პროგრესისა და განვითარებისათვის. მსოფლიოში თ. ვ-ის მაღალი მასშტაბებითა და მხარდაჭერით გამოირჩევა: სინგაპური, ჰონკონგი, დანია, შვედეთი, შვეიცარია, ახალი ზელანდია, ნორვეგია, კანადა, ლუქსემბურგი, ფინეთი, გერმანია, გაერთიანებული სამეფო, აშშ და სხვა განვითარებული ქვეყნები. თ. ვ. მნიშვნელოვნად ეხმარება ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს სიღარიბის დაძლევასა და ეკონ. ზრდის მაღალი ტემპების მიღწევაში.

ეკონომიკისა და ვაჭრობის გლობალიზაციის პროცესებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია თ. ვ-ის შემდგომი განვითარება. იგი ხელს უწყობს მშვიდობის დამკვიდრებას, რადგან სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანებს აკავშირებს საერთო ბიზნესსაქმიანობით. მეორე მსოფლიო ომი სწორედ იმის ყველაზე ცუდი მაგალითია, თუ რა შეიძლება მოყვეს ამ პრინციპის უგულვებელყოფას. XX ს. 30-იან წლებში სავაჭრო ბარიერების გაზრდამ გამოიწვია საერთაშ. ვაჭრობის შემცირება, რასაც შედეგად მოჰყვა მსოფლიო ეკონ. კრიზისი. შესაბამისად, აუცილებელი ხდება პატივისცემა და სწავლა სხვა ხალხების ენებისა და კანონების, მეტი გარკვევა სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობის მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებში.

მსოფლიოში თ. ვ-ის განვითარებაში მნიშვნელოვანია საერთაშ. ორგანიზაციების, განსაკუთრებით *ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის* (ვმო) როლი. სწორედ ვმო-ის ძირითადი მიზანია მსოფლიოში თ. ვ-ის ხელშეწყობა. ვმო განსაზღვრავს ძირითად ნორმებს საერთაშ. ვაჭრობის სამართლიანად წარმართვისათვის.

საქართველოს გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინ. არასატარიფო რეგულირებას. მოქმედებს სამდონიანი საიმპორტო სატარიფო განაკვეთი: 0; 5 და 12%, გაუქმებულია საიმპორტო

ტარიფები საქონლის დაახლოებით 90%-ზე.

თ. ვ-ის სფეროში ქვეყანამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, იგი მხარს უჭერს თ. ვ-ის ფუნდამენტურ პრინციპებს. საქართველოს თ. ვ-ის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს დსთ-ის ქვეყნებთან და თურქეთთან. 2014 წელს საქართველოს გააფორმა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თ. ვ-ის ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შევიდა 1 სექტემბრიდან.

ლიტ.: მ ე ს ხ ი ა ი., საერთაშორისო ვაჭრობა, თბ., 2011; ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე რ., საქართველო–ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები, თბ., 2010.

რ. ფუტკარაძე.

თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია – თვეა (ინგლ. European Free Trade Association – EFTA), საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომლის ძირითადი მიზანია წევრ ქვეყანათა შორის სავაჭრო ურთიერთობებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. ასოციაციის წევრ ქვეყნებს შორის საბაჟო გადასახადები გაუქმებულია, მაგრამ საგარეო სავაჭრო ტარიფები მესამე ქვეყნებთან შენარჩუნებულია. თვეა დაფუძნდა 1960 შვიდი ქვეყნის მიერ. ეს ქვეყნებია: ავსტრია, დანია, ნორვეგია, პორტუგალია, შვედეთი, შვეიცარია და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდ. ირლანდიის გაერთიანებული სამეფო. 1961 თვეა-ს პირველი შეუერთდა ფინეთი, მომდევნო წლებში კი – ისლანდია (1970) და ლიხტენშტაინი (1991). ასოციაცია სხვადასხვა დროს დატოვეს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდ. ირლანდიის გაერთიანებულმა სამეფომ, დანიამ (1972), პორტუგალიამ (1985), ავსტრიამ, ფინეთმა, შვედეთმა (1995) და ევროკავშირში გაწევრიანდნენ.

ამჟამად თვეა-ის წევრები არიან მაღალგანვითარებული ქვეყნები: ისლანდია, ლიხტენშტაინი, ნორვეგია და შვეიცარია.

თვეა-ის ძირითადი მმართველობითი ორგანოებია: ასოციაციის საბჭო, სამდივნო და მუდმივი კომიტეტები. მთავარი სამდივნო მდებარეობს ქ. ჟენევაში (შვეიცარია), ბიურო – ბრიუსელში, ხოლო სტატისტ. ოფისი – ლუქსემბურგში. მისი უმაღლესი ორგანოა საბჭო, რ-იც ხელმძღვანელობს წევრი ქვეყნების ურთიერთობებსა და ქვეყანათა კანონმდებლობის შესაბამისობას ასოციაციის მიერ მიღებულ შეთანხმებებთან. საბჭო არის ასევე პასუხისმგებელი ასოციაციის ადმ. და საბიუჯეტო საკითხებზე, ხელს უწყობს სავაჭრო-ეკონ. კავშირების გაღრმავებას მესამე სახელმწიფოებთან, ასევე განსაზღვრავს ურთიერთობებს საერთაშ. ორგანიზაციებთან. საბჭო ჩვეულებრივ იკრიბება წელიწადში ორჯერ ძირითადად საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. მის სტრუქტურაში შედის: საპარლამენტო, საკონსულტაციო, ეკონომიკური, მესამე ქვეყნებთან ურთიერთობის, აუდიტორთა, საბიუჯეტო და სხვა კომიტეტები.

თვეა-ის ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს სამდივნო, რ-საც ხელმძღვანელობს გენ. მდივანი (ჰყავს ორი მოადგილე და ერთი თანაშემწე). აქვს საკუთარი ბიუჯეტი, რ-საც იხდიან წევრი ქვეყნები მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის პროპორციულად.

თვეა აქტიურად თანამშრომლობს საერთაშ. თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან, საერთაშ. ორგანიზაციებთან და ცდილობს სავაჭრო-ეკონ. ურთიერთობების უფრო მეტად გაღრმავებასა და გამარტივებას. მას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს მსოფლიოს 24 ქვეყანასთან (2013). ამ საკითხის თაობაზე მოლაპარაკებები სხვა ქვეყნებთანაც მიმდინარეობს.

საქართველოსა და თვეა-ს შორის დეკლარაციას თანამშრომლობის შესახებ ხელი მოეწერა 2012 წ. 28 ივნისს შვეიცარიის ქ. გშტაადში. დეკლარაცია ითვალისწინებს თანამშრომლობის გაღრმავებას მხარეებს შორის სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების განვითარების მიმართულებით, მ. შ. საქართველოსა და თვეა-ის ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმების კუთხით. დეკლარაცია ასევე გულისხმობს ერთობლივი კომიტეტის ჩამოყალიბებას, რ-იც იმუშავებს სავაჭრო-ეკონ. ურთიერთობების შემდგომ განვითარებასა და დეკლარაციის მიზნების მიღწევაზე.

საქართველოს თვეა-სთან თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას ხელს უწყობს დიპლ. ურთიერთობები, რ-ებიც დამყარებული აქვს ჩვენს ქვეყანას ამ ასოციაციის წევრ ქვეყნებთან (შვეიცარიასთან დიპლ. ურთიერთობები დამყარდა 1992 წ. 10 ივნისს, ისლანდიასთან – 1992 წ. 21 სექტემბერს, ნორვეგიის სამეფოსთან – 1992 წ. 5 ივნისს, ხოლო ლიხტენშტაინთან – 1992 წ. 10 ივნისს). თვეა-ის წევრი ქვეყნები აქტიურად უჭერენ მხარს საქართველოს ტერიტ. მთლიანობას, სუვერენიტეტსა და ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას. შესაბამისად, მხარეებს შორის ურთიერთობები ინტენსიურად ვითარდება სხვადასხვა მიმართულებით. მიმდინარეობს თანამშრომლობის გაღრმავება სავაჭრო-ეკონ., ტექ., ფინანს. და სხვა სფეროებში.

საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მისიის (NORLAG) მეშვეობით ნორვეგიის მთავრობა შესაბამის ქართ. უწყებებთან თანამშრომლობით მონაწილეობს სამართლისა და სასჯელაღსრულების სფეროს რეფორმის შემდგომ სრულყოფაში. ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო (NRC) საქართველოში აქტიურად მუშაობს დროებით ადგილნაცვალ პირთა დასახმარებლად. მხარეები ასევე აქტიურად თანამშრომლობენ საერთაშ. ორგანიზაციებთან.

ლიტ.: ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე რ., საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერსპექტივები, თბ., 2010; ქ ა რ უ მ ი ძ ე ვ., საერთაშორისო ორგანიზაციები, თბ., 2003.

რ. ფუტკარაძე.

თავისუფალი ვაჭრობის ზონა, ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, სადაც გაუქმებულია საბაჟო ტარიფები. თ. ვ. ზ-ები იქმნება იმ დარგების სტიმულირების მიზნით, რ-ებიც აწარმოებენ უპირატესად საექსპორტო პროდუქციას და მოიხმარენ იმპორტ. რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს. თ. ვ. ზ., ერთი მხრივ, *თავისუფალი ეკონომიკური ზონის* ნაირსახეობაა, მეორე მხრივ კი – ეკონ. ინტეგრაციის შედარებით მარტივი ფორმა. ხასიათდება მცირე ტერიტორიით. თ. ვ. ზ-ები პირველი თაობის ზონებს განეკუთვნება და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპს ეფუძნება. ვაჭრობის შეღავათიანი პირობები ჯერ კიდევ ფინიკიელების აყვავების პერიოდისთვის (ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისში) იყო დამახასიათებელი.

საერთაშ. პრაქტიკაში თ. ვ. ზ-ები ცნობილია, აგრეთვე, თავისუფალი პორტის (პორტო-ფრანკოს), თავისუფალი არეალის (საწყობის), თავისუფალი უბაჟოდ ვაჭ-

რობის მაღაზიის (Free Ports, Duty/Tax free areals/shop) სახელწოდებით.

პორტო-ფრანკოს ტიპის ზონები დასაბამს XVI ს-იდან იღებს. პორტო-ფრანკოდ პირველად (1547) იტალ. ქალაქი ლივორნო გამოცხადდა. რუსეთის იმპერიაში თავისუფალი პორტების სტატუსი მიიღო ოდესამ (1817), ვლადივოსტოკმა (1862), ბათუმმა (1878).

თავისუფალი არეალი (სწყობი) საექსპორტო საქონლის შესანახად, შესაფუთად და უმნიშვნელო დამუშავებისათვის განკუთვნილი სატრანზიტო ან საკონსიგნაციო (საკომისიო ოპერაციების ნაირსახეობა) საწყობებია. მათი ტერიტ. გამოყოფილია საბაჟო ტერიტორიიდან და სარგებლობს კანონმდებლობით დადგენილი საბაჟო თავისუფლებით. აღნიშნულის გამო მათ ხშირად თავისუფალ საბაჟო ტერიტორიებს უწოდებენ.

თავისუფალი უბაჟოდ ვაჭრობის მაღაზიები თ. ვ. ზ-ის უმარტივესი ფორმაა. რეჟიმის თვალსაზრისით ისინი სახელმწ. საზღვარს გარეთ მდებარეობენ. ასეთი მაღაზიები საქართველოში თბილ. აეროპორტში, სარფის, წითელი ხიდისა და სხვა საბაჟოებზეა გახსნილი.

თ. ვ. ზ-ები ყველაზე განვითარებული ფორმით აშშ-შია წარმოდგენილი, რასაც ხელი შეუწყო 1934 მიღებულმა სპეც. კანონმა.

თ. ვ. ზ. როგორც ეკონ. ინტეგრაციის ფორმა, გულისხმობს ურთიერთვაჭრობაში საბაჟო ტარიფებისა და სხვა შემზღუდავი ბარიერების მოხსნას. მასში შემავალი სახელმწიფოები ინარჩუნებენ მოქმედების სრულ დამოუკიდებლობას მესამე ქვეყნებთან ეკონ. ურთიერთობაში. თ. ვ. ზ-ის კლასიკური მაგალითია *თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია* – თევა (European Free Trade Association – EFTA).

თანამედროვე პერიოდის თ. ვ. ზ-ის მნიშვნელოვანი მაგალითია ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ზონა (North American Free Trade Agreement – NAFTA), რ-შიც გაერთიანებულია აშშ, კანადა და მექსიკა. ხელშეკრულება ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ ძალაში შევიდა 1994 წ. 1 იანვარს. ამ ზონაზე მოდის მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 20%.

განვითარებად ქვეყნებში თ. ვ. ზ. შექმნილია იმისათვის, რომ დაძლეულ იქნეს ეკონ. განვითარების დაბალი დონე, გაიზარდოს ქვეყნის როლი საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში, განვითარდეს ვაჭრობა ზონის შიგნით.

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი (საქონლის გადაადგილება ნულოვანი განაკვეთებით) აქვს დსთ-ის ყველა ქვეყანასთან და თურქეთთან. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი რეგულირდება მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებებით. კერძოდ, დსთ-ის წევრ ქვეყნებთან, გარდა რუსეთის ფედერაციისა, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი რეგულირდება დსთ-ის 1994 წ. მრავალმხრივი შეთანხმებით ,,თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ''. საქართველო ასევე არის დემოკრატიისა და ეკონ. განვითარების ორგანიზაციის (სუამის) ფარგლებში მოქმედი ,,თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ'' 2002 წ. მრავალმხრივი შეთანხმების მონაწილე ქვეყანა.

ორმხრივი საერთაშ. ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ საქართველოს დადებული აქვს შემდეგ ქვეყნებთან: აზერბაიჯანი, თურქეთი, თურქმენეთი, მოლდავეთი, რუსეთის ფედერაცია, სომხეთი, უზბეკეთი, უკრაინა, ყაზახეთი. ამასთან, რუსეთის ფედერაციასა და თურქეთთან არსებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს გამონაკლისებს, რ-ებიც თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან გარკვეული სახის საქონლის ამოღებას გულისხმობს.


2013 წ. 29 ნოემბერს ვილნიუსში აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე განხორციელდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება, ხოლო 2014 წ. 27 ივნისს ბრიუსელში ხელი მოეწერა ამ შეთანხმებას, რ-ის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ,,ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის'' (DCFTA) ფორმირება. ეს მოვლენა – კონტინენტის 500 მლნ-იანი მოსახლეობის ბაზარში შესვლა – უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებს სახავს საქართველოს წინაშე და შესაბამის პასუხისმგებლობას აკისრებს მას.

ლ. ყორღანაშვილი.



თავისუფალი თეატრი.

თავისუფალი თეატრი, კერძო თეატრი. გაიხსნა თბილისში 2001 წ. 1 მარტს რეჟ. ა. *ვარსიმაშვილის* თაოსნობით ჯ. ოსბორნის პიესით ,,კომედიანტები'' (მისივე დადგმა). თეატრს არა აქვს გამოკვეთილი თემატიკა, არა ჰყავს საკუთარი დასი. იგი არის მრავალპლანიანი, თავისუფალი თეატრ. ფორმის. ამ სახელწოდების თეატრი პირველად დააარსა ფრანგმა მსახიობმა და რეჟისორმა ანდრე ანტუანმა (პარიზი, 1887), რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიო თეატრის ისტორიაში. მსგავსი თეატრები შემდგომში შეიქმნა გერმანიაში (ოტო ბრამის ,,თავისუფალი თეატრი'', ბერლინი, 1889), რუსეთში (კოტე მარჯანიშვილის თავისუფალი თეატრი, მოსკოვი, 1913) და სხვ. ა. ვარსიმაშვილის თეატრი კერძო საკუთრებაა, მუშაობს ანტრეპრიზის პრინციპით. თ. თ-ის ცნობილი სახეები არიან: გ. ბარბაქაძე, ნ. გომელაური, ს. ნათენაძე, ა. კუბლაშვილი, კ. მიქიაშვილი, ბ. გოგორიშვილი, თ. კორძაძე, ჯ. კილაძე, მ. დობორჯგინიძე, ქ. ლორთქიფანიძე, თ. ნიკოლაძე, ს. მარგალიტაშვილი და სხვ. სხვადასხვა სპექტაკლებში თამაშობდნენ ქართ. თეატრის ცნობილი მსახიობები – გ. საღარაძე, ჯ. ღაღანიძე, თ. დოლიძე, მ. ჯანაშია, ო. მეღვინეთუხუცესი, რ. იოსელიანი, დ. ჯაიანი და სხვ. სპექტაკლებს დგამენ (ა. ვარსიმაშვილის გარდა): დ. დოიაშვილი, გ. კაპანაძე, გ. მარგველაშვილი და სხვ. თეატრი გასტროლებს მართავს საზღვარგარეთ (რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, ლატვია, გერმანია, საბერძნეთი, პოლონეთი, ეგვიპტე, თურქეთი, რუმინეთი). 2001-იდან თეატრმა 50-მდე პრემიერა გამართა, მ. შ. უ. შექსპირის ,,ჰამლეტი'' (რეჟ. ა. ვარსიმაშვილი), დ. ტურაშვილის ,,ჯინსების თაობა'' (რეჟ. დ. დოიაშვილი), ა. ვარსიმაშვილის ,,პროვოკაცია'' (რეჟ. ა. ვარსიმაშვილი), ფ. გარსია ლორკას ,,სისხლიანი ქორწილი'' (რეჟ. გ. კაპანაძე), ნ. დუმბაძის ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი'' (რეჟ. გ. კაპანაძე), ფ. გარსია ლორკას ,,ბერნარდა ალბას სახლი'' (რეჟ. გ. კაპანაძე), ა. ვარსიმაშვილის ,,ძმები'' და ,,იდიოკრატია'' (ავტორის რეჟისორობით), ე. დე



ჟურნალი ,,თავისუფალი საქართველოს ხმა‘‘.

ფილიპიოს ,,აჩრდილები‘‘ (რეჟ. გ. შალუტაშვილი) და სხვ.

თავისუფალი ლექსი, იხ. *ვერლიბრი.*

„თავისუფალი საქართველო“, ყოველთვიური 24-გვერდიანი ჟურნალი. იბეჭდებოდა პაპიროსის ქაღალდზე. ქართვ. სეპარატისტთა ჟენევის ჯგუფის (პ. სურგულაძე, ლ. კერესელიძე, გ. კერესელიძე, ნ. მაღალაშვილი) ორგანო. გამოდიოდა ჟენევაში 1913 (№1 – იანვარი; №12 – დეკემბერი); 1914 (№1 – იანვარი; №12 – დეკემბერი). რედაქტორები: პ. სურგულაძე, ლ. და გ. კერესელიძეები.

ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 1913 წლის იანვარში, ქ. ჟენევაში. იგი 24-გვერდიანი იყო. ჟენევიდან საქართველოში ამ ჟურნალის 2 ნომერი (1913, №2 და 1914, №3) ბიბლიოგრაფმა გ. ბაქრაძემ ჩამოიტანა. ჟურნალში იბეჭდებოდა ანონიმური სტატიები: ,,ქართველი ერი და ეროვნული ერთობა‘‘, ,,ერის დამოუკიდებლობა და ისტორია‘‘, ,,უბედური ნაბიჯი, ჩეხთა ეროვნული საბჭო‘‘, ,,რისთვის უნდა ქართველ ერს საკუთარი სახელმწიფო‘‘, ,,ქართველი ერი და მოაზროვნე ქართველობა‘‘, ,,ტერიტორიის შესახებ‘‘, ,,საქართველო დევნილი რუსის სამეფო ძალის მიერ‘‘ და ა. შ.

XX ს. 40-იან წლებში ჟურნალი დაცული ყოფილა საქართვ. სარევოლუციო მუზეუმში. ერთი ნომერი (1914 წ. 4 აპრილი), რ-იც აღმოჩენილი იყო სტამბოლის ქართვ. კათოლიკეთა მონასტერში, ამჟამად ინახება ქართ. ემიგრაციის მუზეუმში (გ. შარაძის კერძო კოლექცია), პირველი მსოფლიო ომის დროს „ქართველ სეპარატისტთა ჯგუფის“ ანუ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ და მისი ორგანოს „თავისუფალი საქართველოს“ მოღვაწეობაზე ყველაზე უფრო ვრცელ ნარკვევს გვთავაზობს კ. სალია, რ-იც გამოქვეყნებულია ჟურნალში „ბედი ქართლისა“ (№39–40, პარიზი, 1962), საიდანაც ვიგებთ უშუალო პირველწყაროზე დამყარებულ უნიკალურ ცნობებს ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ.

„თავისუფალი საქართველო“, სოციალ-დემოკრატიული მიმართულების ყოველთვიური ჟურნალი (1921 წ. – 1–14; 1922 წ.– 15 – 27). გამოცემის ადგილი – სტამბოლი – პარიზი. გამოსცემდა სარედაქციო კოლეგია.

„Თ. ს.“ გასაბჭოებისა და პირველი დემოკრ. რესპუბლიკის მთავრობის უცხოეთში გახიზვნის შემდეგ (1921 წ. მარტი) საქართვ. ეროვნ. მთავრობისა და მის გარშემო შემოკრებილი პოლიტ. ძალების მიერ საზღვარგარეთ გამოცემული პირველი ემიგრანტული პოლიტ. ჟურნალი იყო. ჟურნალი გამოდიოდა ხელნაწერის უფლებით, იგი ს.-დ. მიმართულების ორგანოა, რ-ის პერიოდულობა სხვადასხვანაირი იყო: გამოდიოდა როგორც ყოველთვიურად, ისე ყოველდღიურად; ჟურნალი იბეჭდებოდა ვენურს მიმსგავსებული როგორც ჩვეულებრივი შრიფტით, ისე პეტიტით. ჟურნალის მიზნებსა და სამოქმედო პროგრამას გვაცნობს ,,Თ. ს-ს‘‘ პირველ ნომერში 1921 წ. 15 მაისს გამოქვეყნებული მოწინავე წერილი „რედაქციისაგან“: „საქართველოში წითელი არმიის შემოსვლით გაუქმდა თავისუფალი აზრი და დამოუკიდებლობა საქართველოს რესპუბლიკის“.

ჟურნალის რუბრიკები იყო: „რუსეთის მიმოხილვა“, „საქართველოს ამბები“, „ევროპის პრესიდან“, „საქართველო და ევროპა“. ჟურნალთან, გარდა რედაქციის წევრი ჟურნალისტებისა და საკუთარი კორესპონდენტებისა, თანამშრომლობდნენ როგორც ქართვ., ისე უცხოელი ავტორები, რ-თა შორის მრავალი გამოჩენილი პოლიტიკოსი, სახელმწ. თუ საზ. მოღვაწე იყო: ნ. ჟორდანია, კ. ჩხეიძე, ნ. რამიშვილი, ი. წერეთელი, ა. ჩხენკელი, პ. სურგულაძე, ვ. ჩერქეზიშვილი, ფ. მახარაძე, კ. კაუცკი, ლ. დებრიუკერი, რ. მაკდონალდი, ე. გრენიე. ჟურნალის ნომრები ინახება გ. შარაძის კერძო კოლექციაში, ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის ქართ. ემიგრაციის მუზეუმში.

„თავისუფალი საქართველოს ხმა“ (,,The Voice of Free Georgia‘‘), ინგლისურენოვანი ქართული ემიგრანტული ჟურნალი. გამოდიოდა ნიუ-იორკში (აშშ) 1953–57 წლებში ა. ცომაიას რედაქტორობით. სულ გამოვიდა ამ ჟურნალის რვა ნომერი. სარედაქციო კოლეგიაში შედიოდნენ: ლ. დუმბაძე, ა. ჩხენკელი, დ. სინჯიკაშვილი, გ. ზალდასტანიშვილი და სხვ. გამოქვეყნებული პოლიტ., მეცნ., პუბლიცისტური ხასიათის წერილები ეხებოდა საქართველოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ჟურნალის პუბლიკაციებიდან მნიშვნელოვანია ა. ცომაიას მიერ ინგლ. ენაზე თარგმნილი (1953) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 კონსტიტუცია. *თ. დოლიძე.*

„თავისუფალი სვანეთი“, ზემო სვანეთის უბატონო თემებისათვის მეფის რუსეთის ადმინისტრაციის მიერ შერქმეული ერთობლივი და პირობითი სახელწოდება, რ-იც სვანურად არ არსებობს და არ ასახავს არც ისტ. და არც სოც. შინაარსს. გაჩნდა მას შემდეგ, რაც 1853 ზემო სვანეთი (ცენტრი – სოფ. ლალხორი), მეფის რუს. ხელისუფლებას დაემორჩილა. „Თ. ს.“ ტერიტორიულად მოიცავდა მდ. ენგურის ზემო დინების აღმ. ნაწილს ბალის ქედიდან უშგულის ჩათვლით, ლატალის, ლენჯერის, მესტიის, მულახის, მუჟალის, წვირმის, იფარის, ჰადიშის, კალისა და უშგულის თემებს. სვანეთის ამ ნაწილში ცხოვრობდნენ (ან რეზიდენცია ჰქონდათ) სვანეთის ერისთავები – ფარჯანიან-ვარდანიძემარუშიანები და გელოვანები. აქვე სახლობდნენ სვანეთის ცნობილი აზნაურები (,,ვარგები‘‘) – ჩარკვიანები, ყიფიანები, გოშთელიანები, ჯაფარიძეები, ქურდიანები, ჟორჟოლიანები, დევდარიანები და სხვ., რ-თაც თავის დროზე არაერთი (პოლიტ.-ეკონ. და უფლებრივი) პრივილეგია ჰქონდათ, ამასთან, ფლობდნენ შინაყმებსა და ჰყავდათ ვალდებული გლეხები.

წყარო: სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. 2, თბ., 1941 (პ. ინგოროყვას გამოც.).

ლიტ.: გ ა ბ ლ ი ა ნ ი ე., ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925; გ ა ს ვ ი ა ნ ი გ., დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973; მ ი ს ი ვ ე, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1979; ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი ა., სვანეთი, თბ., 1967.

გ. გასვიანი.

თავისუფალი ჭიდაობა, სპორტის ერთ-ერთი სახეობა. თანამედროვე თ. ჭ. წარმოიშვა XIX ს. ბოლოს დიდ ბრიტანეთში. 1904 შეიტანეს III ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. ბერძნ.-რომაულისაგან განსხვავებით, თ. ჭ-ში წელზემოთ ჩავლებასთან ერთად დასაშვებია ფეხებში შევარდნა და ფანდების ჩატარებისას ფეხების გამოყენება (ცერული, სარმა, გამოკვრა, კაური, ასევე ფეხებით კაური კისერსა და მკლავებში); ნებადართულია ხელის ჩავლების არაერთი ვარიანტი. წმინდა გამარჯვებისთვის აუცილებელია მოწინააღმდეგის ბეჭებზე გაკვრა. დანარჩენ შემთხვევებში გამარჯვებას ანიჭებენ ქულებით ან აშკარა უპირატესობისათვის. თ. ჭ. ფართოდ გავრცელდა აშშ-ში, თურქეთში, ირანში, ბულგარეთში, იაპონიაში,

სსრკ-ში.

საქართველოში, კერძოდ, თბილისში, თ. ჭ. დამკვიდრდა 40-იან წლებში. ჭიდაობის ეს სახეობა ორგანულად უკავშირდება *ქართული ჭიდაობის* ტრადიციებს, მის ბუნებას, რამაც განაპირობა ჩვენი ფალავნების წარმატებები მსოფლიო ასპარეზზე. ამის საფუძველი კი თ. ჭ-ისა და ქართ. ჭიდაობისათვის დამახასიათებელი საერთო ტექ. ილეთები და ტაქტიკური თავისებურებანი აღმოჩნდა. ქართვ. ფალავნებმა სერიოზული განაცხადი ჯერ კიდევ სსრკ-ის პირველსავე ჩემპიონატზე გააკეთეს (1945), სადაც 7 გამარჯვებულიდან 4 საქართვ. წარმომადგენელი იყო (ვ. *ილურიძე*, დ. *ციმაკურიძე*, ვ. მაჩკალიანი და ა. *მეკოკიშვილი*). ასეთივე წარმატებით გამოდიოდნენ ჩვენი მოჭიდავეები სსრკ-ის მომდევნო ჩემპიონატებზეც. შედეგად 1954 პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე სსრკ-ის ნაკრებში შედიოდნენ: მ. *ცალქალამანიძე*, ვ. გიგიაძე, ნ. მუზაშვილი, ს. გაბარაევი, ვ. *ბალავაძე*, გ. *კარტოზია* და ა. მეკოკიშვილი.

თბილისში ჩამოყალიბდა თ. ჭ-ის მწვრთნელთა უძლიერესი სკოლაც (მ. *თიკანაძე*, ვ. ილურიძე, შ. *ნოზაძე*, გ. *როსტიაშვილი* და სხვ.); მათი მეცადინეობით საქართვ. ნაკრები 9-ჯერ გახდა სსრკ-ის ჩემპიონი. მრავალი ქართვ. ფალავანი ევრ., მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და პრიზიორია. თ. ჭ-ის მსოფლიოში აღიარებული ოსტატები არიან: ვ. ბალავაძე, ზ. *ბერიაშვილი*, დ. *გობეჯიშვილი*, ლ. *თედიაშვილი*, ზ. *თურმანიძე*, ე. *კურტანიძე*, შ. *ლომიძე*. ა. მეკოკიშვილი, რ. *მინდორაშვილი*, ნ. *მოდებაძე*, ვ. *რუბაშვილი*, გ. *საღარაძე*, გ. *სხირტლაძე*, მ. ცალქალამანიძე, დ. ციმაკურიძე, ლ. *ხაბელოვი*, ნ. *ხოხაშვილი*.

ქართვ. სპორტსმენები პირველად საბჭოთა კავშირის სახელით გამოვიდნენ XV ოლიმპიადაზე (ჰელსინკი, 1952). სსრკ-ის ნაკრებმა თ. ჭ-ში 2 ოქროს მედალი მოიპოვა. ოლიმპიადის ჩემპიონები გახდნენ დ. ციმაკურიძე და ა. მეკოკიშვილი. მომდევნო ოლიმპიადებზე ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: XVI ოლიმპიადაზე (მელბურნი, 1956) – მ. ცალქალამანიძე; XX ოლიმპიადაზე (მიუნხენი, 1972) და XXI ოლიმპიადაზე (მონრეალი, 1976) – ლ. თედიაშვილი; XXIV ოლიმპიადაზე (სეული, 1988) – დ. გობეჯიშვილი; XXV ოლიმპიადაზე (ბარსელონა, 1992) – ლ. ხაბელოვი.

საქართველოში XX ს. 90-იან წლებში თ.ჭ-ში, ისევე როგორც სპორტის სხვა სახეობებში, მნიშვნელოვანი სირთულეები გაჩნდა. მიუხედავად ამისა, ქართვ. ფალავნები წარმატებით გამოდიან საერთაშ. ასპარეზზე. 1995–2013 თავისუფალი სტილის ქართვ. მოჭიდავეებმა ევრ. და მსოფლიო ჩემპიონატებზე ჭაბუკებში, ახალგაზრდებსა და მოზრდილებში მრავალი მედალი დაისაკუთრეს. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ოლიმპიურ თამაშებზე თავისუფალი სტილით ქართველმა მოჭიდავეებმა მოიპოვეს 1 ოქროს, 2 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი: XXVI ოლიმპიადაზე (ატლანტა, 1996) და XXVII ოლიმპიადაზე (სიდნეი, 2000) ე. კურტანიძემ მოიპოვა ბრინჯაოს მედლები; XXIX ოლიმპიადაზე (პეკინი, 2008) რ. მინდორაშვილმა მოიპოვა ოქრო, ხოლო გ. *გოგშელიძემ* და ო. *თუშიშვილმა* – ბრინჯაო; XXX ოლიმპიადაზე (ლონდონი, 2012) დ. *მოძმანაშვილმა* და ვ. *ხინჩეგაშვილმა* მოიპოვეს ვერცხლის მედლები, ხოლო გ. გოგშელიძემ და დ. *მარსაგიშვილმა* – ბრინჯაოს მედლები.

თავისუფლება, თვითგანსაზღვრის შესაძლებლობა, იძულების არარსებობა. ეს ცნება სხვადასხვა კონტექსტში (ეთიკური, პოლიტიკური და ა.შ.) გვხვდება.

თ. საკაცობრიო აზროვნების უძველესი თემაა. ცნობილია, რომ თ-ის იდეის სრულყოფილი გააზრება, მისი ფუნდამენტური დაფუძნების მცდელობები ფილოსოფიას და დიდ ფილოსოფოსთა საქმიანობას უკავშირდება. ფილოს. საწყისებთან განსაზღვრა თ-ის პრინციპის ზოგიერთი ისეთი ასპექტი, რ-იც დღემდე მიეკუთვნება თავისუფალი მოქმედების არსისეულ კომპონენტებს. ანტიკურობაში თ. დაუპირისპირდა ბედისწერისა და აუცილებლობის მარწუხებს. იმდროინდელმა მოაზროვნეებმა ცხადად დაინახეს, რომ თ-ის საკუთრივი სივრცე უნდა მონახულიყო და ის მოინახა კიდეც – ჭეშმარიტი შემეცნებისა და პრაქტ. მოქმედების სფერო აღმოჩნდა თ-ის სავანე. *სოკრატეს* აზრით, თავისუფალი ის არის, ვინც გონივრულად და ზნეობრივად იქცევა; *პლატონის* მიხედვით, ლტოლვებით შეპყრობილი ადამიანი თავისუფალი ვერ იქნება, რადგან თ. პასუხისმგებლობას გულისხმობს; *არისტოტელეს* აზრით, ბრძენი თ-ის პრინციპის მიხედვით მოქმედებს და გარეგან მიზანდასახულობებს არ ემორჩილება. სტოელებმა ეს პრინციპი კიდევ უფრო განავითარეს; მათ თ. გაიგეს, როგორც გარეგან იძულებათაგან, ლტოლვათაგან და მავნე მიდრეკილებათაგან დამოუკიდებლობა. მათ წამოსწიეს „აფექტებისაგან თავისუფლებისა“ (აპათია) და „სულიერი სიმშვიდის“ (ატარაქსია) პრინციპი. გარკვეული აფექტები (ტკივილი, სურვილი, ლტოლვა) ხელს უშლის გონივრულ, ბედნიერ ცხოვრებას, ხოლო ზოგიერთი აფექტი (მხიარულება, წინდახედულება და ა. შ.) კი, პირიქით, გონივრული, ბედნიერი ცხოვრების მომტანია. სტოელთა მიხედვით, ე. წ. „ცუდი აფექტები“ მხოლოდ ჭეშმარიტი შემეცნების მეშვეობით შეიძლება იქნეს დაძლეული. სწორედ ჭეშმარიტი შემეცნების მეშვეობით მიიღწევა ის სულიერი სიმშვიდე და შინაგანი თ., რ-იც გონივრული და ბედნიერი ცხოვრების წინაპირობაა.

თ-ის ცნებამ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა ფრანგ განმანათლებელთა პრაქტ. საქმიანობასა და თეორ. შემოქმედებაში. შ. ლ. მონტესკიე (1689–1755) და ჟ. ჟ. რუსო (1712–78) იმის დადგენას ცდილობდნენ, თუ რა უნდა მოიმოქმედონ კანონებმა, თ. რომ უზრუნველყონ სახელმწიფოში. მათ კლასიკური სახით ჩამოაყალიბეს ხელისუფლების განაწილების პრინციპი, როგორც სამართლის უზენაესობისა და ადამიანის, როგორც საზ-ბის წევრის, თ-ის წინაპირობა. მონტესკიესა და რუსოს თეორია დღესაც აქტუალურია. თანამედროვე დემოკრ. სახელმწიფოების კონსტ. წყობა ხშირად სწორედ ამ ავტორთა აღნიშნულ პრინციპებს ეფუძნება.

გერმ. ფილოსოფიაში თ-ის გაგების უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს ი. *კანტისა* და გ. ვ. ფ. *ჰეგელის* თ-ის კონცეფციები. კანტის ფილოსოფიაში სათანადო ასახვა პოვა ევრ. განმანათლებლობაში ფესვგადგმულმა წარმოდგენამ, რომ თ. პოლიტიკის, მორალის და მოქმედების სფეროებშია შესაძლებელი, ხოლო ბუნების სფეროს კი საკუთარი კანონები განაგებს, თ. არის ნების წინაპირობა, რ-საც საკუთარი კანონები აქვს („კატეგორიული







იმპერატივი“). მაშასადამე, კანტი საუბრობს ნების თ-ის, როგორც წმინდა პრაქტ. გონების ავტონ. პრინციპის შესახებ.

ჰეგელის მიხედვით, მსოფლიო ისტ. ფილოს. სახელმძღვანელო პრინციპი არის ხალხებსა და კულტურებში განვითარებადი თ-ის იდეა. თ. შედეგია თავის თავთან დაბრუნებული სამყაროს სულის თ-ის ცნობიერებისა. ორიენტალურ დესპოტიზმში მხოლოდ ერთი ადამიანი იყო თავისუფალი, ანტ. დემოკრატიასა და არისტოკრატიაში – მხოლოდ ზოგიერთი, ხოლო ქრისტ. სახელმწიფოში თითოეული ადამიანი ღმერთისა და კანონის წინაშე თავისუფალი და თანასწორუფლებიანია. მიუხედავად ამისა, მონობა ქრისტ. ხალხებში დიდხანს გაგრძელდა. ადამიანის გაგება, როგორც თავისუფალი არსებისა, პოლიტ. თ-ის საფუძველია. თუმცა კი თ. გზად იმყოფება და მისი სრულყოფილი რეალიზების მცდელობები ისტორიაში მუდამ იარსებებს.

კ. *მარქსის* აზრით, თ. კაპიტალისტურ საზ-ბაში შეუძლებელია, მისი განხორციელება მხოლოდ მომავლის საზ-ბაშია შესაძლებელი, სადაც არსებული საწარმოო ურთიერთობები და გაუცხოება იქნება მოხსნილი.

თ-ის გაგების მნიშვნელოვანი ასპექტებია ხაზგასმული დიდი ინგლ. მოაზროვნის ჰ. სპენსერის (1820–1903) შემოქმედებაში. იგი სახელმწ. როლის ზრდისა და ამის ხარჯზე ინდივიდუალური თ-ის შეზღუდვის წინააღმდეგია. სახელმწ. რეგულაციური პოლიტ. გაძლიერებას სპენსერი ახ. ტიპის ლიბერალიზმს უკავშირებს. აღნიშნული ტენდენცია ინდივიდის თ-ს და მთლიანად საზ-ბას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. აღსანიშნავია, რომ ლიბერალიზმის სპენსერისეული კრიტიკა დღესაც არ კარგავს მნიშვნელობასა და აქტუალობას.

თ-ის ცნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს *ეგზისტენციალიზმში* (ს.კირკეგორი, მ. ჰაიდეგერი, ჟ.პ. სარტრი და ა. შ.). აქ თ. ადამიანის არსის განმსაზღვრელ ფაქტორადაა მიჩნეული. უფრო მეტიც, ადამიანი „დაწყევლილია“ თ-ით და თავის ყველა ქმედებაზე პასუხს აგებს.

თ-ის ორიგინ. კონცეფციის შექმნა დაკავშირებულია ,,ფრანკფურტის სკოლის‘‘ მოაზროვნეების სახელთან. ამ პრობლემას საგანგებოდ იკვლევდა ცნობილი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი ე. ფრომი (1900–80). თ-ის ფრომისეული კონცეფცია, ძირითადად, გადმოცემულია მის შემდეგ ნაშრომებში: ,,თავისუფლებისაგან გაქცევა‘‘ (1941), ,,ადამიანის დესტრუქციულობის ანატომია‘‘ (1973), ,,ფლობა თუ ყოფნა?‘‘ (1976). თ. ადამიანისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია; კაცობრიობის რეალური ისტორია თ-ისათვის ბრძოლის ისტორიაა, თუმცა ფრომი აანალიზებს ადამიანის მისწრაფებას – გაექცეს თ-ს. იგი იკვლევს იმ სტრატეგიებს, რ-თაც ხდება თ-ისაგან გაქცევა. ფრომი თ-ის პრობლემის განხილვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ავტორიტარიზმის, დესტრუქციულობის და აბსოლუტური მორჩილების ანალიზს.

,,ფრანკფურტის სკოლის‘‘ ე. წ. ,,ნეომარქსიზმის‘‘ წარმომადგენლებისათვის (თ. ადორნო, ჰ. მარკუზე და სხვ.) ხელოვნება წარმოადგენს იმ ადგილსა და სფეროს, სადაც თ. შესაძლებელია და მისი რეალური განხორციელება ხდება.

თ-ის პრობლემის განხილვის ისტორია ქართ. ფილოს. აზროვნებაში სპეციფ. ხასიათს ატარებს. დიდი ქართვ. მოაზროვნეების შემოქმედებითი ისტორია არის მარადიული ბრძოლა ძალადობის წინააღმდეგ, მაშასადამე, იძულებაზე უარის თქმა და ბრძოლა თ-ისთვის. თ-ის იდეის მეტაფიზიკური დაფუძნება ქართ. ფილოსოფიაში *იოანე პეტრიწის* (XII ს.) სახელსა და მის ეპიტემოლოგიას უკავშირდება. თ-ის ცნების საგულისხმო განმარტებაა მოცემული ს.-ს. *ორბელიანის* „სიტყვის კონაში“. სულხან-საბა განმარტავს სიტყვას „თავის-უფალი“ და მას შემდეგ მნიშვნელობებზე მიუთითებს: „არავისი მონა“, „რაც ენებოს, ქნას“. აღსანიშნავია, რომ აქ თ-ის ორ მნიშვნელოვან ასპექტზეა მითითება: იძულებაზე უარის თქმა და საკუთარი ნების განხორციელების მცდელობა. ახ. დროის ქართ. აზროვნებაში თ-ის პეტრიწისეული იდეალის დაცვა, გააზრება და განვრცობა სცადა *ანტონ I-მა* (1720–88). ეს კარგად ჩანს ტრადიციისა და ინოვაციის ანტონისეული გაგების მაგალითზე. იგი, ერთი მხრივ, ქართ. ფილოს. აზროვნების განვითარებას, განახლებას, ევროპეიზაციას ესწრაფოდა, მაგრამ ისე, რომ ქართ. ტრადიციასთან, ეროვნ. ფესვებთან მისი კავშირი არ გაეწყვიტა. აქედან გამომდინარე, ანტონ I-მა მიზნად დაისახა ქართ. განათლების სისტემის აგება და ხელი მიჰყო ფართო ეროვნ.-კულტ.-საგანმან. პოლიტიკის განხორციელებას. ამის თვალსაჩინო ნიმუშია თბილისსა (1755) და თელავში (1782) მის მიერ დაარსებული სას. სასწავლებლები. ანტონ I-ის ფილოს. აზროვნება იმის ნათელი დასტურია, თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს თ-ის პრინციპი. თ-ს საფუძვლად უნდა ედოს განათლება; მხოლოდ განათლებული, გათვითცნობიერებული ადამიანი შეიძლება იყოს თავისუფალი. მაშასადამე, განათლება თ-ის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

ნების თ-ის შესახებ მსჯელობს ქართვ. ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი ი. *ხელაშვილი*. თ-ისა და მშვიდობის პრინციპების საინტერესო ხედვაა წარმოდგენილი ს. *დოდაშვილის* შემოქმედებაში. თ-ის გაგების ორიგინ. მცდელობაა მოცემული ცნობილი ქართვ. ღვთისმეტყველისა და ფილოსოფოსის, გ. ქიქოძის (იხ. *გაბრიელი*) „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებში“. იგი თ-ის გაგებას გონების მიერ მის გააზრებასა და გაცნობიერებას უკავშირებს. ამდენად, თ. დაკავშირებულია სულიერ, მოაზროვნე არსებასთან. თუკი თ-ის პრინციპი გააზრებული არ იქნება, მაშინ ადამიანი ვერ მოახერხებს კეთილისა და ბოროტის განსხვავებას და, რაც მთავარია, მათ შორის არჩევანის გაკეთებასაც. თ-ის გაბრიელ ქიქოძისეული გაგება დღესაც არ კარგავს აქტუალობას, ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თ-ის ქრისტ. გაგების კონტექსტში.

ეროვნ. თ-ის იდეა საფუძვლიანად განავითარეს XIX ს. დიდმა ქართვ. მოღვაწეებმა, „თერგდალეულებმა“ (ი. *ჭავჭავაძე*, ა. *წერეთელი*, ნ. *ნიკოლაძე* და სხვ.), რ-ებიც საქართველოში არსებული „რუსიფიკატორული პოლიტიკის“ წინააღმდეგ იბრძოდნენ. ამდენად, მათ მიერ განვითარებული თ-ის გაგება პოლიტ. განზომილებას იძენს. თ-ის ეს გაგება კარგად გამოიხატა ი. ჭავჭავაძის ეპოქალურ ფორმულაში: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“. თ-ის გაგების მეტად საგულისხმო ნიმუშებია *გაჟა-ფშაველას* ესეები: „რას ჰქვიან თავისუფლება?“ და „რა არის თავისუფლება?“ დიდი ქართვ. პოეტი ამ მცირე მოცულობის წერილებში თ-ის ი. ჭავჭავაძისეული გაგების

ერთგვარ განვრცობას ახდენს და მ-სა და ბედნიერებას ერთმანეთს უთანაბრებს. ვაჟას აზრით, მ. ყველა ქვეყანაზე, ერსა და წოდებაზე უნდა ვრცელდებოდეს. იგი ეროვნ. და პიროვნული მ-ის თანაბარ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

საქართველოში XX ს. პირველ ათწლეულებში მ-ის გაგების საინტერესო მცდელობებია მოცემული გ. *რობაქიძის*, ა. *ჯორჯაძის*, დ. *უზნაძის*, შ. *ნუცუბიძის*, ა. *ჯანელიძის*, მ. *გოგიბერიძის*, ს. *დანელიას*, კ. *კაპანელის* და სხვ. ფილოს. შრომებში. კომუნისტური მმართველობის დამყარების შემდეგ კი მ. აღარ მიეკუთვნებოდა ქართ. ფილოს. აზროვნების წამყვან თემათა რიცხვს. უფრო მეტიც, ამ პერიოდში არათუ მ-ის პრინციპის პრაქტიკაში განხორციელება გახდა შეუძლებელი, არამედ მ-ის იდეის იგნორირება მოხდა. ამას ადასტურებს საბჭოთა საქართველოში შექმნილი თეორ. შრომები, სადაც მ-ის იდეა, ფაქტობრივად, დაკარგულია. თუკი აქა-იქ მ-ის შესახებ მსჯელობას ვხვდებით, უმეტესწილად, მარქსისტულ-ლენინისტური ფილოს. კონტექსტში ან კიდევ ფილოს. ისტ. მნიშვნელოვანი წარმომადგენლების (მაგ., კანტი, ჰეგელი, ნიცშე, შოპენჰაუერი, ჰუსერლი, ეგზისტენციალისტები და ა. შ.) მიერ შექმნილი მ-ის კონცეფციების განხილვისა და ანალიზის დროს. ამ მხრივ აღსანიშნავია კ. *ბაქრაძის*, ზ. *კაკაბაძის*, თ. *ბუაჩიძის*, გ. *თევზაძის* და სხვათა გამოკვლევები. იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს მ. *მამარდაშვილის* ფილოს. ნაშრომები, რ-თა მიზანი სოც. ძალების გამოთავისუფლება და იმგვარი სააზროვნო სივრცის შექმნაა, სადაც ნებისმიერი ადამიანი საკუთარი თავის „არტიკულირებას“, ანუ მ-ის რეალიზებას შეძლებს. აღსანიშნავია, რომ მ-ის იდეის გაგების ორიგინ. მცდელობები კომუნისტური პერიოდის ქართ. ფილოს. აზროვნებაში იშვიათად გვხვდება. ეს მძიმე სულიერი მდგომარეობა საგანგებო განხილვის საგნად იქცა თ. *ირემაძის* სტატიაში ,,იდეების მსხვრევა. თავისუფლების იდეის ბედი საბჭოთა საქართველოს ფილოსოფიაში‘‘, რ-იც გამოქვეყნდა სამეცნ.-ფილოს. კრებულში „რა არის თავისუფლება? დიდი მოაზროვნეები თავისუფლების არსის შესახებ“ (თბილისი, 2010). ამ სტატიაში მ-ის პრობლემა გაანალიზებულია არათავისუფლების ისტ. გარკვეული ასპექტების გამოკვეთის მეშვეობით. ავტორის აზრით, უნდა შეიქმნას საგანგებო სამეცნ.-კვლ. პროექტი, რ-ის ფარგლებშიც გამოკვლეული იქნება საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში მ-ის ფილოს. იდეის/იდეალის ჩახშობის, განადგურების, დაკარგვის ისტორია და დადგენილი იქნება მისი მიზეზები. ეს ფილოს. კრებული, მ-ის ცნების გაგებისა და კვლევის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ქართ. ფილოსოფიაში. მასში ქართვ. მეცნიერები (ლ. ზაქარაძე, დ. ლაბუჩიძე, გ. თავაძე და თ. ირემაძე) ცნობილ გერმ. სპეციალისტთან, ჰ. შნაიდერთან, ერთად მ-ის იდეის, მისი გაგებისა და გაცნობიერების უმნიშვნელოვანეს ასპექტებს განიხილავენ ფილოს. აზროვნების უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლების (შ. ლ. მონტესკიე, ჟ. ჟ. რუსო, გ. ვ. ფ. ჰეგელი, ჰ. სპენსერი, ე. ფრომი) შემოქმედებაზე დაყრდნობით. კრებულის ავტორთა ყურადღება ამ მოაზროვნეებზე სწორედ იმიტომ შეჩერდა, რომ ისინი მ-ის პრობლემას ერთი რომელიმე პერსპექტივიდან გამომდინარე კი არ განიხილავენ, არამედ კომპლექსურად, ინტერკულტურულ და ინტერდისციპლინურ ჭრილში. მ-ის პრობლემამ დღეს ხელახალი აქტუალიზაცია განიცადა, რადგან თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, კერძოდ კი, ნეირომეცნიერებების, სფეროში დაგროვილმა კვლევის შედეგებმა მ-ის არსის ახლებური გააზრებისა და მისი გადააზრების საჭიროება დაგვანახა.

ლიტ.: ბ უ ა ჩ ი ძ ე თ., ფილოსოფიური ნარკვევები, ტ. 2, თბ., 2005; ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, რას ჰქვიან თავისუფლება?, წგ.: ქართული სიტყვიერება, ტ. 6, თბ., 2011; ევროპული პასუხისმგებლობა. მერაბ მამარდაშვილის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, რედაქტორ-შემდგენელი თ. ირემაძე, გამოც. მე-2, თბ., 2013; ჯ ო რ ჯ ა ძ ე ა., წერილები, თბ., 1989.

თ. ირემაძე.

,,თავისუფლება‘‘, რ ა დ ი ო თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ე ვ რ ო პ ა, რ ა დ ი ო თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა [ინგლ. Radio Free Europe, Radio Liberty (RFE/RL)], აშშ-ის კონგრესის მიერ 1949, ,,ცივი ომის‘‘ პერიოდში, დაარსებული და დაფინანსებული კერძო, დამოუკიდებელი სამაუწყებლო კორპორაცია, რ-იც მიზნად ისახავდა ,,რკინის ფარდის‘‘ მიღმა მდებარე ქვეყნებისთვის მიუკერძოებელი, ცენზურისგან თავისუფალი ინფორმაციის მიწოდებას. ,,მ-მ‘‘ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კომუნისტური ხელისუფლების დამხობასა და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში დემოკრ. ფასეულობების დამკვიდრებაში. 1949–95 მისი სათავო ოფისი მიუნხენში მდებარეობდა, 1995-ის შემდეგ კი პრაღაში გადავიდა. პრაღის სათავო ოფისის გარდა, ,,მ-ს‘‘ აქვს 19 ადგილობრივი ბიურო სამაუწყებლო რეგიონის ქვეყნებში, მ.შ. საქართველოში; კორპორაციული შტაბ-ბინა – ვაშინგტონში. მაუწყებლობს 21 ქვეყანაში 28 ენაზე. ,,მ-ში‘‘ დასაქმებულია 400-ზე მეტი შტატიანი და 750-მდე შტატგარეშე ჟურნალისტი. ,,მ-ის‘‘ ქართ. სამსახურის პირველი გადაცემა ეთერში გავიდა 1953 წ. 3 მარტს.

თავისუფლება, სოფელი სოხუმის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), აბიანდა-ჩაამის ქედის სამხრ. მთისწინეთში. თემის ცენტრი (სოფლები: მ., გორანა, ვერხნიაია-იაშთხვა, ნიჟნიაია-იაშთხვა). ზ. დ. 120 *მ*, სოხუმიდან 4 *კმ*. 1,8 ათ. მცხ. (1989).

თავისუფლებით შეფრული, წინასწარ ყოველგვარი (სახელმწიფო, საბატონო, სამოხელეო და ა. შ.) გადასახადებისაგან გათავისუფლებული გლეხი, რ-საც საკუთარი ბატონი ეკლესიას სწირავდა. ამ აქტით შემწირველი ცოდვათა მოსანანიებლად იმქვეყნიური ცხოვრებისაკენ იმსუბუქებდა გზას. ქრონოლოგიურად, მ. შ. XI–XIII სს. დოკუმენტებშია დადასტურებული. მ. შ. შეიძლებოდა ყოფილიყო ერთი პირი ან მთელი სოფელი. შეწირულის მოვალეობებს განსაზღვრავდა შემწირველი. მ. შ-ის მდგომარეობა მებეგრე გლეხისაგან განსხვავებით უფრო მსუბუქი იყო (წყაროს კაზმვა, მეწისქვილე, ცვილის, ზეთის, ღვინის მიტანა ეკლესიაში). ძირითადი მოვალეობა კი იყო მდიდრული აღაპი შემწირველის ,,სულის საოხად‘‘. მ. შ-ის ვალდებულება-მოვალეობანი ეკლესიისადმი წერილობით არ ფორმდებოდა, ამიტომ იყო მ. შ-ის მდგრადობის დამძიმების შემთხვევები, ზოგჯერ შემწირველი მ. შ-ს ,,უსამართლო ბეგარას‘‘ ადებდა, რასაც ეკლესია აპროტესტებდა.

ლიტ.: ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი მ., გლეხთა კატეგორიები XI–XIII სს-ში, «ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის

შრომები», 1960, ტ. 5, ნაკვ. 1.

დ. მეგრელაძე.

,,თავისუფლების ლიგა“ (იგივე ,,საქართველოს თავისუფლების ლიგა“), ერთ-ერთი პირველი ქართული ეროვნულ-პოლიტიკური, მემარჯვენე მიმართულების ორგანიზაცია და პირველი პოლიტიკური დაჯგუფება, რ-მაც წამოაყენა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის ლოზუნგი ჯერ კიდევ XIX ს. 90-იანი წლების დამდეგს.

ორგანიზაცია შეიქმნა 1892, თუმცა მისი დაფუძნების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1890 რუსეთის იმპერიის უმაღლ. სასწავლებლების ქართვ. სტუდენტთა წრეების საერთო შეთანხმებით. ორგანიზაციაში გაერთიანდნენ ვარშავის, კიევის, პეტერბურგის, მოსკოვის, ხარკოვის, ოდესის უმაღლ. სასწავლებლების ქართვ. სტუდენტები. ,,მ. ლ-ის“ დამფუძნებლები იყვნენ შემდგომში ეროვნ.-განმათ. მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწენი: გ. გვაზავა, გ. დეკანოზიშვილი, ა. ჯორჯაძე, თ. სახოკია, ი. ფანცხავა, ნ. ჯაყელი, მ. ხელთუფლიშვილი, ვ. ღამბაშიძე, ი. ელიაშვილი და სხვ.

ლიგის დამფუძნებელი ყრილობა ჩატარდა 1892 წ. 26–29 ივნ. ქუთაისში, დ. მიქელაძის და მ. ხელთუფლიშვილის ბინებზე, აგრეთვე ქუთაისის ქართ. სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში. ორგანიზაციის დაფუძნებას აქტიურად უჭერდნენ მხარს ქუთაისის იმდროინდ. მოწინავე საზ-ბის თვალსაჩინო წარმომადგენლები: დ. ლორთქიფანიძე, ს. ხუნდაძე, დ. მიქელაძე და სხვ. მისი დაფუძნებისათვის მოსამზადებელ სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობდა შემდგომში გამოჩენილი იურისტი ლ. ანდრონიკაშვილი. დაფუძნებისთანავე ,,მ. ლ-ის“ ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად საქართველოს ეროვნ.-სახელმწ. დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა იქნა დასახული. ამ მიზნით ლიგის წევრები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფართო ახსნა-განმარტებით მუშაობას მოსახლეობაში. ლიგის საქმიანობის ერთ-ერთი აუცილებელი მომენტი იყო მჭიდრო კონტაქტების დამყარება რუსეთის მიერ დაყმევებულ იმ ერებთან, რ-ებიც ასევე იბრძოდნენ სახელმწ. დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, უპირველეს ყოვლისა, ბალტიისპირეთის ხალხებთან. დამფუძნებელ ყრილობაში მონაწილეობა მიიღო 20-მა დელეგატმა. 1893 თბილისში ჩატარდა ლიგის მეორე ყრილობა.

ლიგის პროგრამა და წესდება ცხადყოფს, რომ ,,მ. ლ-ის“ მესვეურნი აგრძელებდნენ იმ ეროვნ.-პოლიტ. ხაზს, რ-საც სათავე დაუდეს ქართველმა 60-იანელებმა ი. ჭავჭავაძის თაოსნობით.

ორგანიზაციის მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა: 1893 გაზაფხულზე და ზაფხულში ჟანდარმერიამ დააპატიმრა ლიგის ხელმძღვანელთა დიდი ნაწილი. ოფიც. გამოძიება, რ-საც წარმართავდა ქუთაისის გუბ. ჟანდარმთა სამმართველო, გაგრძელდა 1896 დამდეგამდე. მიუხედავად მეტად ხანმოკლე ისტორიისა, ,,მ. ლ-მ“ უდიდესი გავლენა იქონია საქართველოს მთელ შემდგომ ეროვნ.-განმათ. მოძრაობაზე. მისმა აქტიურმა წევრებმა მოგვიანებით (1901) შეადგინეს საქართვ. სოც.-ფედერალისტთა პარტიის ძირითადი ბირთვი. ლიგის ყოფ. წევრთა ნაწილის აქტ. მონაწილეობით კი 1917 დაარსდა საქართველოს ეროვნ.-დემოკრ. პარტია.

საბჭოთა ისტორიოგრაფია ცდილობდა არასწორად წარმოეჩინა ,,მ. ლ-ის“ იდეოლოგიური საფუძვლები – თითქოს ეს იყო ახალგაზრდობის ფარული ,,რევოლუციურ-რაზნოჩინური“ ორგანიზაცია და იგნორირებას უკეთებდა ლიგის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ საარქივო დოკუმენტებს.

წყარო: საქართველოს ეროვნული არქივის სახელმწ. საისტორიო არქივი, ფ. 157, აღწ. 1, საქ. 430; იგივე არქივი, ფ. 12, აღწ. 13, საქ. 438.

ლიტ.: ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი ალ., ეროვნული საკითხი საქართველოში. 1801–1921, თბ., 1980; გ ი ო რ გ ა ძ ე გრ., საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე. 1864–1905, თბ., 1928; უ რ უ შ ა ძ ე ლ., გ. დეკანოზიშვილის პოლიტიკური ბიოგრაფიისათვის (,,საქართველოს თავისუფლების ლიგა“ და ქართველ სოციალ-ფედერალისტთა პარტია. 1890–1906), «საისტორიო ვერტიკალები», 2007, №13; შ ვ ე ლ ი ძ ე ზ., რევოლუციური ორგანიზაცია ,,თავისუფლების ლიგა“, თბ., 1969.

ლ. ურუშაძე.

თავისუფლების მოედანი, ქ. თბილისის მთავარი მოედანი და მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი. მდებარეობს მთაწმინდის რ-ნში, შოთა რუსთაველის გამზირსა და გ. ლეონიძის, გ. ტაბიძის, შ. დადიანის, კ. აფხაზისა და ა. პუშკინის ქუჩებს შორის. მოედანი წაგრძელებულია, ტრაპეციის ფორმა აქვს (ფართობი თანამედროვე საზღვრებში დაახლ. 110 *მ* × 140 *მ*). მოედნის მთ. ღერძზე გამოდის საკრებულოს (ყოფ. მერიის) შენობა საათიანი კოშკით, რ-ის აღმ. მხარეს განლაგებულია საოფისე შენობები, დას. მხარეს – სასტუმრო ,,ქორთიარდ მარიოტი“ და ყოფ. კავკ. კორპუსის შტაბის შენობა.

თავისი არსებობის განმავლობაში მოედნის სახელი მრავალჯერ შეიცვალა: 1827 რუს. ჯარის მიერ ერევნის აღების აღსანიშნავად ჯარის სარდალს – გენ. ი. პასკევიჩს – უბოძეს ერევნის გრაფის წოდება, ხოლო მოედანს თბილისში პ ა ს კ ე ვ ი ჩ-ე რ ი ვ ა ნ ს კ ი ს მოედანი დაარქვეს, შემდგომში სახელწოდება შეამოკლეს და მოედანს შერჩა ერევანსკის სახელი; 1918–21 წლებში, საქართვ. დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდში, თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს მოედანი ეწოდა; 1921, როდესაც თბილისი ამიერკავკ. ფედერაციის (შედიოდნენ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) დედაქალაქი გახდა, მოედანს დაერქვა ზ ა კ ა ფ ე დ ე რ ა ც ი ი ს (ამიერკავკასიის ფედერაციის) მოედანი (1921–40); შემდეგ იგი ლ. ბ ე რ ი ა ს ა (1940–53) და ვ. ლ ე ნ ი ნ ი ს (1953–90) სახელობისა გახდა, 1990 მოედანს კვლავ მ. მ. ეწოდა.

XIX ს-მდე მოედნის ტერიტ. მოქცეული იყო *გარეთუბანში,* ქალაქის საზღვრებს გარეთ და ეკვროდა ქალაქის კედელს ახლანდ. პუშკინის ქუჩის მხრიდან. XVII ს. ბოლოს ახლანდ. საქართვ. ეროვნ. მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმის ადგილას იდგა ქარვასლა, რ-იც 1724 დაანგრიეს თურქებმა (პ. იოსელიანი). XVII–XVIII სს-ში *კოჯრის კარის* მახლობლად, მისგან დას-ით, დაახლოებით ახლანდ. საკრებულოს შენობის ადგილას იდგა ,,ბეჟანას ქარვასლა“ (თბილ. 1735 გეგმა, № 37). ა. პიშჩევიჩის მიერ შედგენილ თბილ. 1785 გეგმის მიხედვით, მოედნის მიმდებარე ტერიტორია ეკავა მეფის ოჯახის წევრთა ბაღებს. მოედნის მიჯნები განისაზღვრა 1809 გარეთუბნის დაგეგმარების დროს (პოლკ. ბანოვის გეგმა).

1824 მოედანზე საძირკველი ჩაეყარა კავკ. კორპუსის შტაბის შენობას. 1835 შაქრის მსხვილმა მეწარმემ ი. ზუბალაშვილმა ააგო სასტუმრო სახლი (არქიტ. ბერნარდაცი, ახლანდ. შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმი), სადაც თბილისში ჩამოსული რუსეთის იმპ. ნიკოლოზ I-ის პატივსაცემად 1837 წ. 24 ოქტომბერს (ძვ.



თავისუფლების მოედანი.

სტ.) მოეწყო დიდი მეჯლისი. 1838 შენობა შეისყიდა საეკლ. უწყებამ (გაიხსნა სას. სემინარია).

გალავნის გასწვრივ ერთ- და ორსართულიანი სახლები აშენდა. ერთ ასეთ სახლში, რ-იც ყოფილი მეგობრობის მუზეუმის ადგილას იდგა (ახლანდ. ა. პუშკინის ქ. 5), 1829 ა. პუშკინი ცხოვრობდა. ეს სახლები XIX ს. II ნახ-ში სხვა ნაგებობებმა შეცვალა.

1849–51 აიგო ქალაქის პოლიციის ორსართულიანი შენობა ჯ. სკუდიერის პროექტით, რ-საც 1882–86 ჩაუტარდა რეკონსტრუქცია (არქიტექტორები: ა. ოზეროვი, პ. შტერნი) ე. წ. ,,ფსევდომავრიტანული სტილით‘‘. 1884 დააყენეს საათი. 1910 მარჯვენა ფრთას (გ. ტაბიძის ქუჩიდან), ხოლო 1912 კი მარცხ. ფრთას (შ. დადიანის ქუჩიდან) მიაშენეს მესამე სართული (ახლანდ. საკრებულოს შენობა).

XIX ს. 40-იან წლებში ამოივსო და გადაიხურა მოედანზე გამავალი ავანაანთხევი, გაიყვანეს წყლის მილსადენები. 1847–51 არქიტ. ჯ. სკუდიერის პროექტით მოედანზე აიგო თეატრი. ეს ნაგებობა თბილისელი ვაჭრის გაბრიელ თამამშევის ხარჯზე აშენდა და იგი ქარვასლასაც შეიცავდა. მისი აგების შემდეგ მოედნის ნაწილს თ ე ა ტ რ ი ს მოედანსაც უწოდებდნენ (იგი მდებარეობდა სათეატრო ანუ ქარვასლისა და კორპუსის შტაბის შენობებს შორის). შენობის ფასადების დამუშავებისას არქიტექტორმა გამოიყენა ქ. ვიჩენცის პალადიოსეული ბაზილიკის ხუროთმოძღვრული მოტივები. გ. გაგარინის ესკიზებით დამუშავებული დარბაზი და ფოიეები თავიანთი ხასიათით ,,აღმოსავლური სტილისა‘‘ იყო. თავის დროზე თეატრი საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევდა. ,,იგი ჰგავს სხვადასხვაგვარი მინანქრებით მორთულ უზარმაზარ სამაჯურს...‘‘ – წერდა 1851 რუსი ლიტერატორი, გრაფი ვ. სოლოგუბი. ა. დიუმა (მამა), რ-იც თეატრს 1859 ეწვია, აღნიშნავდა: ,,ეს დარბაზი ფერიათა სასახლეს ჰგავს... მე უყოყმანოდ შემიძლია ვთქვა, რომ თბილისის დარბაზი ერთი ყველაზე მომხიბვლელი სათეატრო დარბაზთაგანია იმათ შორის, რომელიც მე მინახავს‘‘. თეატრი დაიწვა 1874 წ. 11 ოქტომბერს (ძვ. სტ.), როდესაც მიდიოდა ბელინის ოპერა ,,ნორმა‘‘. შემდგომში შენობა აღადგინეს თეატრის გარეშე, მხოლოდ როგორც ქარვასლა, რ-იც 1934, მოედნის რეკონსტრუქციის დროს, აიღეს.

მოედანზე იმართებოდა საკვირაო ბაზრობებიც. ძირითადად ვაჭრობდნენ თივით და შეშით. 1884 ბაზრობა გადაიტანეს ვერის დაღმართზე, ხოლო ამ ადგილას 1885 გააშენეს ბაღი (ახლანდ. პუშკინის სკვერი). 1892 დაიდგა ა. პუშკინის ბიუსტი (მოქანდაკე ფ. ხოდოროვიჩი). აქვე იყო ეტლების ერთ-ერთი ბირჟაც.

მოედნის დას-ით, კავკ. კორპუსის შტაბის გვერდით (მარცხ. მხარეს), 1858 აშენდა სასტუმრო ,,კავკაზი‘‘, რ-საც 1876 დააშენეს მესამე სართული. იგი თბილ. ერთ-ერთ ყველაზე კომფორტულ სასტუმროდ ითვლებოდა (ინჟ. ი. ალექსეევი). მეორე სასტუმრო ,,ინტერნაციონალი‘‘ იდგა სოლოლაკის (ახლანდ. გ. ლეონიძის) ქუჩისა და მოედნის კუთხეში.

დანგრეული ქარვასლის (ყოფ. თამამშევის ქარვასლა) ადგილას აღლუმებისა და დემონსტრაციების ჩასატარებლად აშენდა ტრიბუნები (დემონტაჟი მოხდა 1938), რ-ებიც შემდეგისათვის ჩაფიქრებული იყო ვ. ლენინის ძეგლის კვარცხლბეკის ნაწილად. ახ. ტრიბუნები აშენდა საკრებულოს შენობის პირდაპირ, სკვერთან. XX ს. 50-იან წლებში ეს ტრიბუნებიც მოშალეს. ამავე პერიოდში მოედნის ქვეშ გაკეთდა ქალაქში პირველი მიწისქვეშა გადასასვლელი, რ-იც მოგვიანებით გაფართოვდა. 1956 გაიხსნა ვ. ლენინის 18,5 მ-იანი ძეგლი (მოქანდაკე ვ. თოფურიძე). 1990 იგი აიღეს. მისი ადგილი მოგვიანებით შადრევანმა დაიკავა.

1991–92 თბილისის ომის დროს მოედანზე რამდენიმე შენობა (საკრებულოდან ყოფ. კავკასიის კორპუსის შტაბამდე) დაინგრა. მათ ადგილას აიგო სასტუმრო ,,ქორთიარდ მარიოტი‘‘ (2002); გადაკეთდა შენობა გ. ტაბიძისა და გ. ლეონიძის ქუჩების კუთხეში, სადაც ამჟამად განთავსებულია ბანკი ,,რესპუბლიკა‘‘.

2006 მოედნის ცენტრში, შადრევნის ადგილას, დაიდგა წმ. გიორგის მოოქრული 44 მ-იანი ქანდაკება (მოქანდაკე ზ. წერეთელი).

2012 რეკონსტრუქცია ჩაუტარდა საკრებულოს აღმ. მხარეს განლაგებულ შენობებს (ყოფ. საქალაქო საკრედიტო საზ-ბის სამსართულიანი შენობა, ყოფ. თბილ. ,,პასაჟი‘‘ და ძვ. საცხოვრ. სახლები), რ-თა პირველ სართულზე სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულება იყო განთავსებული.

„თავისუფლების ტრიბუნა“, ჟურნალი (1974 – 1984), ორგანიზაცია ,,საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა‘‘ პერიოდული ორგანო. რედაქციის წევრები იყვნენ: ლ. ზურაბიშვილი, მ. გრიგოლია, გ. წერეთელი. გამოდიოდა პარიზში. ჟურნალის რედ. იყო გ. წერეთელი. ფართო და მრავალისმომცველია ჟურნალის თემატიკა, მდიდარია მისი ჟანრობრივი პალიტრა. ჟურნალის ავტორები იყვნენ: ვ. ნოზაძე, კ. ინასარიძე, ზ. გამსახურდია, რ. ჯაფარიძე, ა. ბაქრაძე, მ. ფოცხიშვილი და სხვ. ,,თ. ტ-ის‘‘ 1981 წლის 35-ე ნომერი საგანგებოდ ეძღვნება გრიგოლ რობაქიძის დაბადების 100 წლისთავს, რ-შიც არაერთი



თავკვერი.

საგულისხმო პირველწყაროა თავმოყრილი დიდ ქართვ. მწერალზე.

თავკვეთილი, ვულკანური მთა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სამსრის ქედის ჩრდ. ნაწილში. აქვს წაკვეთილი კონუსის ფორმა. სიმაღლე 2583 *მ*. აგებულია ახალგაზრდა ანდეზიტური და ანდეზიტ-დაციტური ლავებით. კალთები ქვემოთ შემოსილია სუბალპ. მდელოებით, ზემოთ – ალპ. მდელოებით. მთაზე აქა-იქ არის ლოდნარი და პატარა ტბა.

ქ. ჯაყელი.

თავკვერი, წითელყურძნიანი საღვინე ვაზის ადგილობრივი ჯიში. სახელი დაერქვა მარცვლის ფუძის მობრტყო-კვერისთავისებური ფორმის გამო. გავრცელებულია ქართლში. უხვმოსავლიანი ჯიშია. შაქრიანობა 19–21%-ს შეადგენს, საერთო მჟავიანობა – 7–9 გ/ლ-ს. იყენებენ სუფრის წითელი და ვარდისფერი ღვინის დასამზადებლად. აზერბაიჯანსა და შუა აზიის ქვეყნებში მისგან ამზადებენ შემაგრებულ და სადესერტო ღვინოებს.

ვ. გოცირიძე.

თავკვერის არქეოლოგიური ძეგლები, აღრინდ. შუა საუკუნეების ძეგლი. მდებარეობს გლდანის მასივის III და IV მიკრორაიონებს შორის. გათხრილია 1975–76 გლდანის არქეოლ. ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. ვ. ართილაყვა). გამოვლინდა 3 ბაზილიკური ეკლესიისა და რამდენიმე სხვა ნაგებობის ნაშთი, ორი – ქვაყუთის ტიპის სამარხი.



თავკომბალა (Echinops).

ეკლესიების კედლები ნაგებია კლდის ფლეთილი ქვით თიხის ხსნარზე და გადახურულია კრამიტით. ერთ-ერთი ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩნდა ხოსრო II-ის (VI–VII სს.) ვერცხლის მონეტა. ნამოსახლარზე აღმოჩენილ ნაგებობათა კედლები ნაგებია რიყისა და კლდის ფლეთილი ქვებით. ზოგი მათგანის იატაკი მოპირკეთებული იყო ბრტყელი ფილაქნით. ნაგებობებში აღმოჩნდა მარანი, ქვევრები, პირგამშლილი დოქები, ბადიებისა და საღვინე ჭურჭლის ფრაგმენტები, რკინის სახვრეტი და წიდები. ერთ-ერთი ეკლესიის მინაშენის ძირში გათხრილია 2 სამარხი. ორივე ნაგები იყო ფიქალი ქვით. მიცვალებულები ორივეში დაკრძალული იყვნენ ქრისტ. წესით. სამარხები უინვენტარო იყო.

აღმოჩენილი არქეოლ. მასალა პარალელებს პოულობს ურბნისის, ლოჭინისა და რუსთავის სინქრონულ მასალასთან და აღრინდ. შუა საუკუნეებით თარიღდება (V–VIII სს.).

ლიტ.: Артилаква В., О работе Глданской археологической экспедиции, კრ.: Полевые археологические исследования в 1976 году, Тб., 1979.

თავკომბალა (Echinops), მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. მრავალწლოვანი ბალახია. აქვს ერთი ან რამდენიმე დატოტვილი ღერო, ფრთისებრ დაყოფილი ეკლიანი ფოთლები. მილისებრი, ცისფერი ყვავილები (მარტოულყვავილიანი კალათები) შეკრებილია დიდ სფეროსებრ თავაკებად. გვარი აერთიანებს 120-ზე მეტ სახეობას, რ-ებიც გავრცელებულია ევრაზიასა და ტროპ. აფრიკაში.

საქართველოში იზრდება 9 სახეობა. მათგან E. sphaerocephalus სამკურნალო, თაფლოვანი და ზეთოვანი მცენარეა. იზრდება მთის შუა სარტყლის ბუჩქნარებსა და მშრალ ფერდობებზე. ნაყოფი შეიცავს ქილონილის ჯგუფის ალკალოიდებს, ძირითადად – ექინოფსინს. მედიცინაში ექინოფსინის ნიტრატს კუნთების ატროფიის და პერიფერიული დამბლის დროს იყენებენ. იგი აღაგზნებს ცენტრ. ნერვულ სისტემას.

ლ. ერისთავი.

თავლა, საკარმიდამოში სამეურნეო ტიპის ნაგებობა, რომელიც ძირითადად ასოცირდება ცხენის, ვირის, ჯორის სამწყვდევთან. ცალკე ნაგებობის სახით თავადაზნაურთა და შეძლებულ გლეხთა ფენას გააჩნდა. ასევე გამოიყენებოდა თივისა და სხვადასხვა სამეურნეო იარაღების შესანახად. გომთან და ბოსელთან შედარებით, თავლა უფრო სუფთად დაცულ სადგომს წარმოადგენდა.

თავმრგვალა, ნასოფლარი ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მდ. ქციის მარცხენა სანაპიროზე, არახლოს (ახლანდ. ნახიდურის) დასავლეთით. სახელწოდება მიღებული უნდა იყოს ნასოფლარის სიახლოვეს მდებარე კლდის მომრგვალებული თავებისაგან. ეკლესია ან სასაფლაო ნასოფლარს აღარ შემორჩენია, მაგრამ მდინარის მარცხ. ნაპირზე ხიდის ბურჯის ნაშთია, ეს კი აქ გამავალ გზაზე მეტყველებს, რ-იც მდინარის მარჯვ. ნაპირზე გადადიოდა. თ-დან ჩამომავალ ამ ნაგზაურს, მდინარის ორივე ნაპირიდან გამოქვაბულები დაჰყურებს. ვარაუდობენ, რომ ისინი ყველაზე ინტენსიურად XIII–XIV სს-ში გამოიყენებოდა.

1392 თ. სხვა სოფლებთან ერთად დასახელებულია საკათოლიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში; 1654 როსტომ მეფის ბრძანებით გაარიგეს სადავო მიწები ნახიდურელებსა და სვეტიცხოვლის კუთვნილ, თავმრგვალელ ყმებს შორის; ეს დავა გაგრძელებულა მეფე ვახტანგ V-ის დროსაც. ამდროინდელ განჩინებაში სადავო მიწების საზღვრად დასახელებულია ჩაღათაშვილის საორაგულე (სავარაუდოდ, ქციაზე). აქ იხსენიება გამოქვაბულებიც: ,,ქვაბები როგორც ჩაღათაშვილსა ჰქონია, ისრევე იმას ჰქონდეს და როდესაც ხიზნობა შეიქნას, არც ნახიდურელთ დაეჭიროსთ სახიზრათ''. 1665 კათოლიკოსმა დომენტი III-მ მღვდელი გიორგი რამაზაშვილი და მისი ვაჟი თათრისაგან გამოისყიდა და თ-ში დაასახლა; 1722 კათოლიკოს-პატრიარქმა დომენტი IV-მ ზაალ გედევანიშვილს უბოძა თ-ს ნაცვლობა; 1772 ერთი საბუთიდან ჩანს, რომ მცირე ხნის წინ თ. ლეკებს აუოხრებიათ.

ლიტ.: ბახტაძე ნ., ქვემო ქართლის კლდის ძეგლები, თბ., 1991; ქართული სამართლის ძეგლები, დოლიძის გამოც., ტ. 3–4, თბ., 1970–72; Какабадзе С., Грузинские документы Института народов Азии, М., 1967.

დ. ბერძენიშვილი.

თავნასყიდი, გლეხთა კატეგორია შუა საუკუნეების საქართველოში. თავნასყიდობა ქვეყნის ეკონ. დაკნინების შედეგად გაჩენილი მოვლენა და ,,ნებით'' ყმობის ყველაზე მძიმე პირობათაგანი იყო. თ. იყო ეკონ. დაბეჩავებული პირი, რ-საც შეძლებული გამოიხსნიდა უკიდურესი გაჭირვებისაგან – ტყვეობიდან (ლეკის ან თათრის), დიდი ვალისაგან, სისხლის სამართლის დანაშაულისაგან (როდესაც დამნაშავეს არ შეეძლო ,,სისხლის ფასის გადახდა''); ზოგჯერ თ. პირადი ანგარიშსწორების მიზეზითაც ხდებოდა. თავნასყიდობა წერილობით ფორმდებოდა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ახ. პატრონის გაჩენა საკუთარი ,,ნება-წადილით'' ხდებოდა და თავნასყიდობა არ იყო სამემკვიდრეო მოვლენა. დროთა ვითარებაში თ-ის მდგომარეობა შეიძლებოდა შეცვლილიყო. თ-ის ფუნქციები სხვადასხვა იყო, ძირითადი – ფიზ. დატვირთვა – რაც მას მონის მდგომარეობასთან ათანაბრებდა (საბა: მონა – ,,ნასყიდი ბიჭი''). თ. ფეოდ. საზ-ბაში ყველაზე დაბალ სოც. ფენაზე – ,,ნასყიდზე'' უფრო დაკნინებული კატეგორია იყო.

ლიტ.: მეგრელაძე დ., გლეხობის კლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XVII–XVIII სს.), თბ.,

1979. *დ. მეგრელაძე.*

თავპანტა, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ნაბეღლავის თემში (გურიის მხარე), მესხეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. გუბაზეულის (სუფსის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 440 *მ*, ჩოხატაურიდან 25 *კმ*. 117 მცხ. (2002).

თ-ის მიდამოებში არის წაბლის ტყის ნაკრძალი.

თავრალი, სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტის ნაკის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ცალგმილის ქედის სამხრ.-დას. დაბოლოებაზე, მდ. ენგურის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1620 *მ*, მესტიიდან 58 *კმ*. 2002 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

თავრიზი, თ ა ბ რ ი ზ ი, ქალაქი ჩრდ.-დას. ირანში, აღმ. აზერბაიჯანის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი. 1,398 მლნ. მცხ. (2006). დააარსეს სასანიანებმა III – IV სს-ში.

XIII ს-ში ახლო და შუა აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი. სხვადასხვა დროს იყო ირანის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოების (ჰულაგუიანთა, სეფიანთა და სხვ.) დედაქალაქი.

1209 (ზოგი მეცნ. აზრით, 1210 ან 1211) საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ გადაწყვიტა მოეწყო ლაშქრობა ირანს, რათა მახლობელ აღმოსავლეთში „ცნან ყოველთა სპათა აღმოსავლეთისათა ძალი და სიმხნე ჩუენი“ („ისტორიანი და აზმანი...“). ეს იყო თამარის მეფობის დროს უკანასკნელი დიდი ლაშქრობა. ქართველთა ლაშქარმა თავდაპირველად მარანდი აიღო, შემდეგ კი თ-ისკენ გაეშურა. თავზარდაცემულმა თავრიზელებმა გადაწყვიტეს ხარკის მიცემით, ძღვენით, თხოვნით დაემშვიდებინათ ქართველები. მათ ქალაქი უბრძოლველად დათმეს და მოლაშქრეებს უამრავი საჩუქარი და სურსათ-სანოვაგე მიართვეს. ქართველებმა ქალაქში მცველები დატოვეს და ირანის სიღრმეში განაგრძეს ლაშქრობა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979. *მ. ცირეკიძე.*

თავსაბურავი, ჩაცმულობის ერთ-ერთი კომპონენტი, ქალისა და მამაკაცის თავზე მოსახვევი ან დასახურავი. უძველესი დროიდანვე ადამიანის სოც. მდგომარეობის მაჩვენებელი იყო (ცნობილია ტომთა ბელადების, ქურუმთა და სხვათა თავსაბურავები და თავსამკაულები). თ-ის ფორმას განსაზღვრავდა გეოგრ. გარემო, სამეურნეო-ეკონ. პირობები და ეთნ. ერთეულთა კულტ.-ისტ. ტრადიციები. დროთა განმავლობაში შემუშავდა თ-ის განსხვავებული ტიპები: სამუშაო, საუქმო, საქორწილო, სამგლოვიარო, სამეფო, სამხედრო, სასულიერო, საკარისკაცო და სხვ. ძვ. ქართ. წერილობით წყაროებში თ-ის მნიშვნელობით გვხვდება ტერმინები: „საბურავი“, „სარქმელი“, „ქუდი“ და სხვ. სხვადასხვა ისტ. ხანაში თ-ის ფორმაც იცვლებოდა; იყო ქალის – „კუბასტი“, „მანდილი“, „ლეჩაქი“ და სხვ.; სამეფო და საქორწილო – „გვირგვინი“; სასულიერო – „კუნკული“, „მიტრა“, „ჩაჩი“; საომარი – „ჩაფხუტი“, „ჩაჩქანი“, „მუზარადი“, „ზუჩი“ და სხვ. XI ს-იდან თ-ის აღსანიშნავად ფართოდ გავრცელდა ტერმინი „ქუდი“. იმ დროს ქუდს, მამაკაცების გარდა, ქალებიც ატარებდნენ (უმთავრესად ცხენით მგზავრობის დროს). ქუდი ცალკეული კუთხეების მიხედვითაც განსხვავებული ყოფილა. ფეოდ. ხანის საქართველოში ქუდის მრავალი სახეობაა ცნობილი, მ. შ. ბეწვისა და ნაბდისა. წყაროებში ნახსენებია ტყავ-ბეწვისაგან შეკერილი „საჩეხიანი“ (კიდეებიანი) და „აფროსანი“ (აკეცილკიდეებიანი) ქუდები: „თალფაქი“ (საბას მიხედვით, „ქართული ქუდი“), „გრძელბეწოსანი“, „ყარყუმის ქუდი“, „კვერნის ქუდი“, „ვეფხის ტყავისა“ და სხვ. XIX ს-ში თავად-აზნაურები, თბილისელი მოქალაქეები და ყარაჩოხელები კრაველის მაღალ ქუდებს ატარებდნენ.

საქართვ. ეთნოგრ. ყოფაში შემონახულია ქალისა და მამაკაცის მრავალფეროვანი თ. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ქალის რთული თ. კომპლექსი „თავხურა“, რ-იც ქართვ. ქალის ეროვნ. ჩაცმულობის – ქართ. კაბის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა და თითქმის მთელს საქართველოში იყო გავრცელებული. ამ კომპლექსში შედიოდა ჩიხტი-კოპი, თავსაკრავი, ლეჩაქი, ბაღდადი, შუბლის ქინძისთავები და სხვ. ქალის ამ საერთო ქართ. თ-თან ერთად შემონახულია ადგილ. თ-ები: ფშაური – ჩიქილა, ხელსახოცი, თავჩითა; ხევსურული – სათაურა და მანდილი; თუშური – კუჭურა, შუბლსაკრავი, კოპენა, ჩიქილა, თავსაკონი; აჭარული – თეფელუღი და სხვ. მამაკაცის თ-იდან გვხვდება თუშური, იმერული, რაჭული, სვანური და სხვ. ნაბდის, კრაველისა და ტყავ-ბეწვის ქუდები, თივთიკის ყაბალახები და სხვ.

კაპიტალიზმის განვითარებამ არსებითად შეცვალა ტრად. ქართ. ჩაცმულობა. ამჟამად მამაკაცის ტრად. თ-ებიდან შემონახულია თუშური და სვანური ნაბდის ქუდები. ტრად. თ-ის ელემენტებს კი უმთავრესად დღესასწაულებზე იყენებენ.

ლიტ.: ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი ც., ქალის სამოსელი აღმ. საქართველოს მთიანეთში, თბ., 1974; გ ვ ა თ უ ა ნ., ჩაცმულობის ისტორიიდან. ქალის ქართული ჩაცმულობა XIX ს. და XX ს. დასაწყისი, თბ., 1967; მ ო ლ ო დ ი ნ ი ლ., ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი გ., ქართული კოსტუმის კატალოგი. I – ხევსურეთი, თბ., 1964; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ნაკვ. 3–4, თბ., 1962. *ლ. მოლოდინი.*

თავსახნისი, მთა ხულოს მუნიციპალიტეტში, შერთულის ქედზე (არსიანის ქედის ჩრდ.-დას. შტოქედი), მდ. ჩირუხისწყლის (აჭარისწყლის მარცხ. შენაკადი) სათავეებში. სიმაღლე 2597 *მ*. აგებულია ნეოგენური ვულკანოგენური ქანებით (გოდერძის წყება). თ-ის სამხრ. და აღმ. კალთები დამრეცია, დანარჩენი – ციცაბო. დაფარულია სუბალპ. ბალახეულით.

დ. უკლება.



თავსისხლა (Sanguisorba).

თავსისხლა (Sanguisorba), მცენარეთა გვარი ვარდისებრთა ოჯახისა. აერთიანებს 17-მდე სახეობას, რ-ებიც გავრცელებულია უმთავრესად ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში. საქართველოში, კერძოდ, აჭარაში, ქართლსა და ჯავახეთში მარტო ერთი სახეობაა – სამკურნალო თ. (S.officinalis), იგი მრავალწლოვანი ბალახია, მაღალი ღერო და მუქი წითელი ყვავილედი აქვს (სახელიც აქედან შეერქვა). იზრდება მდელოებზე, მდელო-ველობებზე, ბუჩქნარებში, ტყისპირებზე, ჭაობებისა და მდინარეთა ნაპირების ბალახოვან დაჯგუფებებში, ფესურები და ფესვები შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთეროვან ზეთს, სახამებელს, საღებავ ნივთიერებებს. მათ ნახარშსა და ექსტრაქტს ხმარობენ შემკვრელ და სისხლდენის შემაჩერებელ საშუალებად. იყენებენ დეკორ. მებაღეობაშიც. *მ. გურგენიძე.*

თავსურები, სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზემო სურების თემში (გურიის მხარე), მესხეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. სუფსის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 700 *მ*, ჩოხატაურიდან 27 *კმ*. 79 მცხ. (2002).

„თავფარავნელი ჭაბუკი“, ქართული ხალხური ბალადა. გავრცელებულია უმთავრესად აღმ. საქართველოში. ბალადა მითოლ. ხასიათისაა. ვ. კოტეტიშვილი მის სიმბოლიკას მსოფლიოს ფოლკლორულ ძეგლებთან ანალოგიის მეთოდით ხსნიდა (მაგ., ბერძნ. მითოსი ჰეროსა და ლეანდრეს შესახებ). ვ. კოტეტიშვილის აზრით, „თ. ჭ.“ ზღვის საკულტო წრესთან არის დაკავშირებული, ხალხ. გადმოცემებზეა დამყარებული ბალადის ორი ძირითადი სიმბოლოს – დოლაბისა და წითელი მოვის პერანგის მისეული ახსნა: დოლაბი საკულტო ქვაა, რ-ის თაყვანისცემა გავრცელებული იყო სწორედ თავფარავნის ტბის რეგიონში. უძველესი წარმოდგენით, ქვები ღვთაებების სიმბოლოებია, როგორც ციდან ჩამოცვენილებს, მათ ზეციდან გამოგზავნილებად თვლიდნენ და თაყვანს სცემდნენ. ასეთია, მაგ., კოპალეს ქვა ფშავში. წითელი მოვის პერანგი კი სიკვდილის, უბედურების სიმბოლოა. ბალადაში მზისა და მთვარის სიმბოლური მნიშვნელობანი შენაცვლებულია: მზე აღნიშნავს ვაჟს, ხოლო მთვარე – ქალს. „თ. ჭ.“ მკვლევრებს (მ. ჩიქოვანი, ე. ვირსალაძე, გ. კალანდაძე) სატრფიალო ბალადად აქვთ მიჩნეული.



თავყვითელა (Senecio).

ლიტ.: ალიბეგაშვილი გ., ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები, თბ., 1992; კალანდაძე გ., ქართული ხალხური ბალადა, თბ., 1957; კოტეტიშვილი ვ., ხალხური პოეზია, თბ., 1961; ჩიქოვანი მ., ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1952.

ჯ. ბარდაველიძე.

თავფარავნის ბრძოლა, ერთიანი საქართველოს უკანასკნელ მეფეს *გიორგი VIII-ს* და სამცხის ათაბაგ *ყვარყვარე II* ჯაყელს შორის 1465 გამართული ბრძოლა, რ-საც წინ უძღოდა ხანგრძლივი შინაფეოდალური ომები და ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება. ათაბაგის მოწინააღმდეგე ფეოდალებმა დახმარებისათვის მეფე გიორგის მიმართეს. მეფე ფარავნის ტბაზე დაბანაკდა. ყვარყვარემ მოახერხა მეფის ტყვედ ჩაგდება. ამასთანავე, მან მეფის ძმისწულს კონსტანტინეს გორამდე სდია. ყვარყვარეს თანამებრძოლებმა მეფის დატყვევების შემდეგ თბილისიც დაარბიეს.



თავშავა (Origanum vulgare).

გიორგი მეფის შეპყრობით ისარგებლა იმერეთის მეფემ ბაგრატმა და ქართლი დაიპყრო. გათავისუფლებული გიორგი ცდილობდა ქართლში პოზიციების აღდგენას, თუმცა საბოლოოდ იძულებული გახდა კახეთში გადასულიყო, რითაც საფუძველი დაედო კახეთის ცალკე სამეფოს.

ლიტ.: გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. 2, თბ., 1965; შარაშიძე ქრ., საქართველოს ისტორიის მასალები (XV–XVIII სს.), კრ.: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან, 1954, ნაკვ. 30; ხოსიტაშვილი ს., ქართლისა და იმერეთის პოლიტიკურ მესვეურთა ბრძოლა სამცხე-საათაბაგოს სამთავროს შემოერთებისათვის XIV–XV სს., «მაცნე», 1970, №6; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 3).

მ. ზალდასტანიშვილი.

თავფარავნის ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, X–XI სს. მიჯნის ერთნავიანი ეკლესია. მდებარეობს ჯავახეთში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. როდიონოვკაში (თავფარავანი). ეკლესია დგას სოფლის შუაგულში. ძლიერ დაზიანებული იყო. ნაგებობა შიგნით და გარედან შემოსილია სწორად ნაწყობი, მოვარდისფრო-ღვინისფერი სუფთად გათლილი კვადრებით. გეგმით სწორკუთხა ეკლესიას ალმით ნახევარწრიული აფსიდი აქვს. გრძივი კედლები სამ ნაწილად არის დანაწევრებული პილასტრების 2 წყვილით, რ-ზეც ამოყვანილ საბჯენ თაღებს ეყრდნობოდა გადამხური კამარა. ინტერიერში გამოირჩევა იმპოსტების მორთულობა. ფასადების დიდი, დაუნაწევრებელი სიბრტყეები აქცენტირებულია დეკორ. ელემენტებით. ჩრდ. ფასადი სადაა. სამხრ. კარის თავზე მოთავსებული არქიტრავი მორთულია გეომ. სახის ორნამენტით და ჯვრის გამოსახულებებით. ძეგლი რესტავრირებულია 2006.

ლიტ.: დადიანიძე ც., თავფარავნის ხუროთმოძღვრული ძეგლის წინასწარი შესწავლისათვის, «ძეგლის მეგობარი», 1984, №67.

ც. დადიანიძე.

თავფაჩაგ I, თავფეჩაღი I, ქართლის კათოლიკოსი დაახლ. VI ს. 10-იან წლებში. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით თ. I ქართლის მესამე კათოლიკოსია, რაც შეცდომაა. მესამე კათოლიკოსად ჩანს გაბრიელ I.

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 1, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1963.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

თავფაჩაგ II, ქართლის კათოლიკოსი დაახლ. VII ს. 50–60-იან წლებში. თ. II-იდან მოყოლებული 9 კათოლიკოსი, *პეტრე II-ის* ჩათვლით, „ცოლოსანნი“ იყვნენ, რ-თა უმრავლესობის ზეობის ქრონოლოგია უცნობია.

ლიტ.: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

თავყვითელა (Senecio), მცენარეთა გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. ერთ-, ორ- ან მრავალწლოვანი ბალახები, მერქნიანი ლიანები, ბუჩქბალახები, ბუჩქები ან დაბალი ხეებია. 1250-ზე მეტი კოსმოპოლიტი სახეობა გავრცელებულია ევროპაში, სამხრ. ამერიკაში, უმთავრესად კი – სამხრ. აფრიკაში, ხმელთაშუა ზღვისპირეთში, აზიის, სამხრ. და ჩრდ. ამერიკის ზომიერ სარტყლებში. საქართველოში თ-ს 25 სახეობაა (ყველა ერთ- ან მრავალწლოვანი ბალახია), მ.შ. 10 კავკასიის და 3 საქართვ. ენდემია. თავყვითელი, ნარინჯისფერი ან მოწითალო ნარინჯისფერი ყვავილებია, განაპირა ენისებრია და ბუტკოიანი, შიგნითა – მილისებრი და ორსქესიანი; თავმოყრილია კალათებად, იზრდებიან მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპ. და ალპ. სარტყლებამდე, დანაგვიანებულ ადგილებში, ბუჩქებსა და ტყის პირებზე, მდელოებზე, მაღალბალახეულობაში, მორენებსა და ჩამონაზვავებზე, ნესტიან კლდეთა ნაპრალებში. ზოგი სახეობა სამკურნალოა, მაგ. ხარისშუბლა, რ-ის ყველა ნაწილი შეიცავს ალკალოიდებს – პლატიფილინს, სარაცინს და სხვ.; ზოგი დეკორატიულია, მაგ., მასაგეტოვის თ. (S. massagetovii), რ-იც მრავალწლოვანი ბალახია, მესამეული პერიოდის რელიქტი და საქართვ. ენდემი. სპორადულად გავრცელებულია სვანეთში, რაჭაში, იმერეთში, ქართლში, ჯავახეთსა და მესხეთში. შეტანილია „საქართველოს წითელ ნუსხაში“.

თავშავა (Origanum vulgare), მრავალწლოვანი ბალახოვანი ან ქვონდარა ბუჩქია, ტუჩოსანთა ოჯახისა. 40-მდე სახეობა გავრცელებულია ევრაზიაში. აქვს 30–50 (80) *სმ* სიმაღლის სწორმდგომი დატოტვილი ღერო. წვრილი ვარდისფერი, ღია მეწამული ან მოთეთრო ყვავილები შეკრებილია პატარა თავთავებად, რ-ებიც, თავის მხრივ, თავმოყრილია საგველასნაირ ან ფარისებრ ფარჩხატ ყვავილედებად. გავრცელებულია მთელ საქართველოში. იზრდება ველებზე, ბუჩქნარებში, ტყის პირზე, მთის შუა და სუბალპ. სარტყელში. შეიცავს ეთერზეთს, რ-შიც თიმილი და კარვაკროლია, აგრეთვე მთრიმლავ ნივთიერებებს, ასკორბი-

ნის მჟავას და სხვ. ყვავილებისა და ფოთლების ნახარშს ხმარობენ ნაწლავების ატონიის დროს, ამოსახველებელ საშუალებად. ფოთლებს იყენებენ ლიქიორისა და არყის წარმოებაში. კარგი თაფლოვანი მცენარეა.

ზ. შენგელია.

თავშავა, მთა ტყიბულისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, რაჭის ქედზე. სიმაღლე 1973 *მ.* აგებულია ცარცული კირქვებითა და ქვიშაქვებით. კალთები შემოსილია ფართოფოთლოვანი ტყით. თხემზე ალპ. მდელოებია. თ-ის დას. კალთაზე არის ქვაკუნდის უღელტეხილი (1382 *მ*), რ-იც ტყიბულისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებს ერთმანეთთან აკავშირებს. *ზ. ჯავახიშვილი.*

თავშავთაფა, ვულკანური მთა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ჯავახეთის ქედის დას. კალთაზე, ფარავნის ტბის სამხრ-ით, მდ. ფარავნის მარჯვ. მხარეს. სიმაღლე 2179 *მ.* აგებულია პლიოცენური ასაკის ანდეზიტ-ბაზალტური და დაციტური ლავებით. კალთები დამრეცია. შემოსილია სუბალპ. მდელოებით. *დ. უკლება.*

თავშესაფრის უფლება, პოლიტიკური შეხედულებებისა და საქმიანობისათვის საკუთარ ქვეყანაში დევნილი მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის უფლება, თავი შეაფაროს სხვა სახელმწიფოს და არ იქნეს დაბრუნებული თავისსავე სახელმწიფოში ან სხვა სახელმწიფოში, რ-იც მას დევნის.

საერთაშ. სამართალში თ. უ. გულისხმობს აგრეთვე სახელმწ. უფლებას, პოლიტ. თავშესაფარი მისცეს უცხოელს, რ-საც დევნიან საკუთარ სახელმწიფოში. ეს საკითხი განმტკიცებულია საერთაშ. ორგანიზაციების შეთანხმებებით და *გაერთიანებული ერების ორგანიზაციის* აქტებით (1948, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; 1967, ,,დეკლარაცია ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ''). არ შეიძლება თავშესაფარი მიეცეთ: ა) სამხ. დამნაშავეებს ან კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩამდენთ და ბ) სისხლის სამართ. დამნაშავეებს. სახელმწიფო, რ-იც ამა თუ იმ პირს პოლიტ. თავშესაფარს აძლევს, მოვალეა, შეუქმნას მას უსაფრთხო ცხოვრების პირობები და არ გადასცეს იგი იმ სახელმწიფოს, რ-შიც შეიძლება მის მიმართ პოლიტ. დევნა განხორციელდეს. საერთაშ. სამართალში ტერიტორიული თ. შ-ის გარდა არსებობს დიპლომატიური თ. შ., რ-იც გულისხმობს ამა თუ იმ პირისათვის თავშესაფრის მიცემას დიპლ. წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების ტერიტორიაზე, სამხ.-საზღვაო ან საჰაერო ხომალდზე, სამხ. ბაზის ტერიტორიაზე.

თავშესაფრის მიცემის საკითხს ყოველი სახელმწ. დამოუკიდებლად წყვეტს. იგი კონსტიტუციური პრინციპია (საქართვ. კონსტ. მ.47; მ.73, ქვეპუნქტი ,,ნ''; საქართვ. კანონი ,,უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ''. მ. 46). საქართველოში თავშესაფრის მიცემის საკითხს წყვეტს საქართვ. პრეზიდენტი.

თავშეჭირული, საეკლესიო ყმები შუა საუკუნეების საქართველოში. თ. ,,თავისუფალ'' გლეხთა კონტინგენტიდან ივსებოდა. თავშეწირვა წერილობით ფორმდებოდა. ეკლესია-მონასტრებისადმი მათი ლტოლვა გამოწვეული იყო შეღავათიანი პირობებით (მაგ., წელიწადში სამი ლიტრა ზეთი, ერთი ლიტრა სანთელი, ერთი ჩარექა საკმელი და სხვ.). ეკლესიისადმი თავშეწირვა ზოგჯერ იარაღით შეჯახებამდეც მიდიოდა, ძვ. მებატონე ცდილობდა უკან დაებრუნებია (უმეტესად აყრილგაქცეული) ეკლესიისათვის თავშეფარებული თავისი გლეხი. ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. თუ ერთ შემთხვევაში თავშეწირვა ჩაივლიდა, სხვა შემთხვევაში ბატონები იმარჯვებდნენ და გლეხებს უკანვე იბრუნებდნენ.

ლიტ.: მეგრელაძე დ., გლეხობის კლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XVII–XVIII სს.), თბ., 1979. *დ. მეგრელაძე.*

თავწყაროს (ყოფ. ცლუნკაანი), სოფელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ოზაანის თემში (კახეთის მხარე), გომბორის ქედის სამხრ.-აღმ-ით. ზ. დ. 520 *მ*, დედოფლისწყაროდან 16 *კმ.* 146 მცხ. (2002).

თავჭედილა (Amanita pantherina), ქუდიანი სოკო ამანიტასებრთა ოჯახისა. ქუდი 10 *სმ*-მდე დიამეტრისაა, თავდაპირველად ამობურცულია, შემდეგ კი გაშლილი, მურა, მოყვითალო-მურა ან მოყვითალო-მომწვანო-ჭუჭყისფერი. ზედაპირზე კონცენტრულად განლაგებული თეთრი მეჭეჭები აყრია, ლურსმნებით მოჭედილს წააგავს და ქართ. სახელიც აქედან აქვს მიღებული. ქუდის ქვედა მხარეს თეთრი ფირფიტებია. ფეხი თეთრია, საყელოიანი, ძირში ბოლქვისებრი, რზედაც კონცენტრულად განლაგებული რგოლებია განვითარებული; იზრდება ნიადაგზე როგორც წიწვოვან, ისე ფოთლოვან ტყეში ზაფხულ-შემოდგომით. ძლიერ შხამიანია, შეიცავს შხამიან ნივთიერებას მუსკარინს. მისგან მოწამვლა მჟღავნდება 0,5–2 *სთ* შემდეგ და იწვევს ცენტრ. ნერვული სისტემის მოშლას, ძლიერ გულისრევასა და ღებინებას, თავბრუს ხვევას, გონების დაკარგვას, ჰალუცინაციებს და სხვ.

ი. ნახუცრიშვილი.



თავჭედილა (Amanita pantherina).

თავხელიძე ალბერტ ნიკიფორეს ძე (16. XII. 1930, თბილისი, – 27. II. 2010, მოსკოვი), ფიზიკოსი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (1974; წ.-კორ. 1967), და პრეზიდენტი (1986–2005), რუს. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1990; წ.-კორ. 1984), ხელოვნ. და მეცნ. მსოფლიო აკად. (1993) და აშშ მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი (1996). ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1963). დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1953). 1956–70 მუშაობდა ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებულ ინ-ტში (დუბნა, მოსკ. ოლქი) განყ-ბის უფროსად, თეორ. ფიზ. ლაბორატორიის დირექტორის მოადგილედ, პარალელურად 1964–70 – მაღალი ენერგიების ფიზ. ინ-ტში (პროტვინო, მოსკ. ოლქი) თეორ. ფიზ. სექტორის ხელმძღვანელად; 1966–71 – უკრაინის მეცნ. აკად. ნ. ბოგოლიუბოვის სახ. თეორიული ფიზ. ინ-ტში ელემენტარული ნაწილაკების თეორიის განყ-ბის გამგედ (კიევი; არის ამ ინ-ტის ერთ-ერთი დამაარსებელი, 1966); მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწ. უნ-ტის პროფესორი (1970–86); რუს. მეცნ. აკად. ბირთვულ გამოკვლევათა ინ-ტის ერთ-ერთი დამაარსებელი (მოსკოვი, 1970) და პირველი დირექტორი (1970–86), საქართვ. მეცნ. აკად. ა. რაზმაძის სახ. მათ. ინ-ტის თეორიული ფიზ. განყ-ბის გამგე დაარსების დღიდან (1971); 1987-იდან – თსუ-ის პროფესორი; თსუ-ის ელემენტარული ნაწილაკების ფიზ. კათედრის გამგე (1987–95), თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზ. ინ-ტის დირექტორი (1995–2004); 2004-იდან – ამ ინ-ტის მთავარი მეცნ. თანამშრომელი.

რუს. მეცნ. აკად. ჟურნალის



ა. თავხელიძე.


დ. დ. თავხელიძე.

,,თეორიული და მათემატიკური ფიზიკის'' (1969) რედაქტორი.

თ-ის შრომები *ველის კვანტურ თეორიასა* და ელემენტარული ნაწილაკების ბირთვის ფიზიკაში (იხ. *ელემენტარული ნაწილაკებისა და ბირთვის ფიზიკა*) საფუძვლად დაედო მრავალი მიმართულების შექმნასა და განვითარებას. მან, ნ. *ბოგოლიუბოვსა* და ბ. სტრუმინსკისთან ერთად, შემოიტანა ფუნდამენტური კვანტ. რიცხვის ,,*ფერის*'' და ძლიერად ურთიერთქმედი ელემენტარული ნაწილაკების (ჰადრონების) შემადგენელი ,,ფერადი კვარკების'' ცნება (1965); წარმოადგინა კვაზითავისუფალი ფერადი კვარკებისგან შედგენილი ელემენტარული ნაწილაკების დინამ. მოდელი, რ-ის საფუძველზეც შესწავლილი და ახსნილია აღნიშნული ნაწილაკების ძირითადი ფიზ. თვისებები; შემდგომ, ვ. *მატვეევსა* და რ. მურადიანთან ერთად წამოაყენა ავტომოდელობის პრინციპი (1967), რ-ზე დაყრდნობითაც ერთიანი თვალსაზრისით ახსნილ იქნა მასშტაბური ინვარიანტობის კანონზომიერებანი ელემენტარულ ნაწილაკთა ელექტრომაგნ., სუსტი და ძლიერი ურთიერთქმედებების პროცესებში და მიღებულ იქნა კვარკული თვლის ფორმულები (1972). თ-მ ერთ-ერთმა პირველთაგანმა მიუთითა ელემენტარული ნაწილაკების მასის წარმოქმნის დინამ. მექანიზმზე, როგორც სიმეტრიის სპონტანური დარღვევის შედეგზე (1961); აჩვენა ფერმიონული ან ბარიონული რიცხვების შენახვის გლობალური კანონების დარღვევის შესაძლებლობა კვარკული მატერიის ზემაღალი სიმკვრივისას (1985); ახსნა სამყაროს ბარიონული ასიმეტრია (1978); ა. *ლოგუნოვთან* ერთად განაზოგადა ველის კვანტურ თეორიაში დისპერსიულ თანაფარდობათა მეთოდი არადრეკადი და მრავალნაწილაკოვანი პროცესებისათვის, რ-ის საფუძველზეც მიიღო მიახლოებითი ინტეგრალური განტოლებები ნუკლონებზე π-მეზონების ფოტოდაბადების პროცესებისათვის, π-მეზონების ფიქსირებულ ნუკლონებზე გაბნევისათვის და სხვ. (1959). ა. ლოგუნოვთან ერთად შექმნა ე. წ. *ლოგუნოვ–თავხელიძის კვაზიპოტენციალური მეთოდი* (1963); დაადგინა გლობალური დუალობის თვისება გაბნევის პროცესებისათვის (1967); ნ. ბოგოლიუბოვსა და ვ. ვლადიმიროვთან ერთად დაამტკიცა გაბნევის ამპლიტუდების ავტომოდელური ქცევა მაღალი ენერგიებისა და იმპულსების დიდი გადაცემისას (1972). ერთობლივი კვლევის ციკლისთვის ,,π-მეზონების ნუკლონებზე ფოტოდაბადება'' თ-ს მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია (1973; სხვებთან ერთად), ხოლო ერთობლივი ციკლისთვის ,,ახალი კვანტური რიცხვი – ფერი და ელემენტარული ნაწილაკებისა და ატომური ბირთვების კვარკულ სტრუქტურებში დინამიკურ კანონზომიერებათა დადგენა'' – ლენინური პრემია (1988; სხვებთან ერთად). ,,თავხელიძე–მატვეევ–მურადიანის კვარკული თვლის წესები'' აღიარებულია, როგორც აღმოჩენა №343 (1987). თ. არის სოლვეის საერთაშ. კონგრესის მონაწილე (1967). თ-ის აღზრდილია ფიზიკოსთა არაერთი თაობა. მისი მოწაფეები არიან: მ. ელიაშვილი, ვ. მატვეევი, რ. მურადიანი, ა. *ხელაშვილი* და სხვ. თ-ს მიღებული აქვს ნ. ბოგოლიუბოვის სახ. პრემია (1996, უკრაინა), მეცნ. აკადემიების საერთაშ. ასოციაციის ოქროს მედალი საერთაშ. სამეცნ. თანამშრომლობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის (1998) და სხვ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000), ივ. ჯავახიშვილის მედლით (2001) და სხვ. თბილისის საპატიო მოქალაქე (2003).

წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე.

თხზ.: Дисперсионные соотношения для реакции фоторождения π-мезонов на нуклонах, «Журнал экспериментальной и теоретической физики», 1957, т.32, № 6 (თანაავტ. А. А. Логунов); Quasipotential approach in quantum field theory, «Nuovo Cimento», 1963, v. 29, № 2 (თანაავტ. A. A. Logunov); Automodelity in strong interactions, «Lettere Nuovo Cimento», 1972, № 5 (თანაავტ: V. Matveev, R. Muradian); CP–noninvariant superweak interaction and baryon asymmetry of the Universe, «Нейтрино-77», т.2; «Physics Letters», 1978, v. 76 B (თანაავტ.: A. Yu. Ignatiev, N. V. Krasnikov, V. A. Kuzmin).

ლიტ. ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ა., აკადემიკოსი ალბერტ თავხელიძე, თბ., 2010; მ ი ს ი ვ ე, მომავალიც მისია, ვინც..., თბ., 2012.

ნ. ამაღლობელი. ა. ხელაშვილი.

თავხელიძე დავით დავითის ძე (დ. 12. VIII. 1946, თბილისი), ინჟინერ-მექანიკოსი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის წ.-კორ. (2009). ტექ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი (1988). 1968 დაამთავრა სპი-ის მანქანათმშენებლობის ფაკტი, 1971 მუშაობა დაიწყო ამავე ინ-ტის მანქანათა ნაწილების კათედრაზე. 1985–2003 სტუ-ში ხელმძღვანელობდა ტექნოლ. პროცესების ლაბორატორიას, პარალელურად 1987–2005 იყო სტუ-ის მექანიზმებისა და მანქანათა თეორიის კათედრის გამგე, 2005–08 – ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის ფაკ-ტის დეკანი, ხოლო 2008-იდან – სტუ-ის სამეცნ. დეპარტამენტის უფროსი. 2009 აირჩიეს ევრ. მეცნ. და კულტ. აკადემიის ნამდვილ წევრად.

თ-ის სამეცნ. შრომები მოიცავს: ბრტყელი და სივრცითი მრავალრგოლიანი სახსროვანი მექანიზმების კინემატიკური და დინამიკ. ანალიზისა და სინთეზის საკითხებს, კერძოდ, სამრეწველო რობოტების შემსრულებელი მექანიზმების დინამიკას; მცირე ჰიდროელექტროსადგურებისათვის ორმაგი ქმედების ტურბინების შექმნას და დანერგვას; მცირე სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურების შექმნასა და დანერგვას; ოპტიკურ–ბოჭკოვანი სენსორების გამოყენების ბაზაზე ლითონკონსტრუქციების მონიტორინგისათვის განკუთვნილი დანადგარების შექმნას და დანერგვას. სამუშაოსათვის ,,ცილინდრული დეტალების დამმუშავებელი გადასამართავი რობოტიზებული ხაზის შექმნა და დანერგვა'' მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია (1986). ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა. 1999-იდან მუშაობს ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტების შესრულებაზე. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2013).

თხზ.: ინგლისურ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი გამოყენებით მექანიკაში, თბ., 2004; გამოყენებითი მექანიკა, თბ., 2005; მექანიზმების დინამიკური ანალიზი, თბ., 2008; Математическое моделирование и динамический синтез многосвязных систем приводов промышленных роботов, Тб., 2009; Solution of straight geometrical problem for five link mechanism with two degrees of freedom, Tb., 2011.

გამგე (1948–87). მ-ის ძირითადი სამეცნ. შრომები ეხება სივრცითი და ბრტყელი სახსროვანი მექანიზმების კვლევის საკითხებს. 1974 ნაშრომისათვის ,,სივრცითი ბერკეტული მექანიზმები'' მიენიჭა გ. ნიკოლაძის სახ. პრემია. სტუ-ის მანქანათმშენებლობის ფაკ-ტზე დაწესებულია მ-ის სახ. სტიპენდია. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: К вопросу синтеза и кинематики пространственных четырехзвенных механизмов, Тб., 1960; Кинематика и синтез трех- и четырехзвенных пространственных стержневых механизмов, Тб., 1971; Теоретические основы проектирования плоских и сферических пятизвенных механизмов, Тб., 1975 (თანაავტ. Н. Давиташвили).

თავხელიძე პლატონ ნოშრევანის ძე (1. I. 1902, სოფ. ფერსათი, ახლანდ. ბაღდათის მუნიციპალიტეტი, – 9. V. 1989, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1972), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). 1927 დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი. მუშაობდა სხვადასხვა სამეცნ. დაწესებულებებში. 1934–36 იყო ჟურნ. ,,პარტიული მშენებლობის'' რედაქტორი. მუშაობდა საქართვ. კომპარტიის ისტ. საკითხებზე. მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

თაზაძენდი, სოფელი გარდაბნის მუნიციპალიტეტის კალინინოს თემში (ქვემო ქართლის მხარე), გარდაბნის ვაკეზე. ზ. დ. 320 *მ*, გარდაბნიდან 6 *კმ*. 1,9 ათ. მცხ. (2002).

თაზაძენდი, სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტის ალგეთის თემში (ქვემო ქართლის მხარე), მარნეულის ვაკეზე, მდ. ალგეთის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 320 *მ*, მარნეულიდან 10 *კმ*. 2,2 ათ. მცხ. (2002).

თაზაძენდი, სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტის სადახლოს თემში (ქვემო ქართლის მხარე), მდ. დებედის (ხრამის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 480 *მ*, მარნეულიდან 40 *კმ*, სადახლოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 9 *კმ*. 433 მცხ. (2002).

თაზახარაბა, სოფელი წალკის მუნიციპალიტეტის ხაჩქოის თემში (ქვემო ქართლის მხარე), თრიალეთის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ქციის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1810 *მ*, წალკიდან 25 *კმ*. 137 მცხ. (2002).

„თაზძირათ ალ-მულუძი“ (სპარს. ,,ხელმწიფეთა სამახსოვრო''), კანონთა კრებული, შედგენილია დაახლ. 1725 (ირანში ავღანელთა ბატონობის დროს) ანონიმი ავტორის, სეფიანთა ერთ-ერთი მოხელის მიერ ავღანეთის ხელისუფალთა დავალებით. ავღანელებს არ ჰქონდათ სახელმწ. მართვა-გამგებლობის გამოცდილება, ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ, დაყრდნობოდნენ სეფიანთა სახელმწიფოში მოქმედ კანონებს. ,,მ. ალ-მ-ში'' მოცემულია სეფიანთა სახელმწ. კარის მოხელეთა, პროვ. გამგებელთა და დედაქალაქ ისპაანის მოხელე-ხელისუფალთა უფლება-მოვალეობანი. მასში არის ცნობები ,,გურჯისტანის'' ვალის, ქართლის, კახეთის და თბილ. მმართველის, ისპაანის *ტარუღას* (1618–1872 ქართველები იყვნენ), სასახლის ქართვ. ღოლამების ნაწილის დასაჭურისებისა და მათგან ყველაზე ღირსეული ხოჯების ასისთავად დანიშვნის შესახებ. ,,მ. ალ-მ-ის'' მიხედვით კახეთი, როგორც ხარკის გადამხდელი, მიწერილია ყარაბაღის საბეგლარბეგოზე.

ლიტ.: გაბაშვილი ვ., სპარსული დასტურლამალი, «თსუ შრომები», 1949, 30B; მისივე, ქართული ფეოდალური წყობილება XVI–XVII საუკუნეებში, თბ., 1958; კუცია კ., ,,თაზჭირათ ალ-მულუქის'' ცნობები საქართველოს შესახებ, «ქართული წყაროთმცოდნეობა», [ტ.] 3, თბ., 1973; სურგულაძე ნ., სეფიანთა ირანის ცენტრალური მმართველობა, თბ., 1990; Tadhkirat-al-muluk. A manul of Safarid administration, persan text in facsimile with translation and comnentary by V.Minorsky, L., 1943. *დ. კაციტაძე.*

თათაბო (Atriplex halimon), მცენარეთა გვარი ნაცარქათამასებრთა ოჯახისა. ერთ- ან მრავალწლოვანი ბალახები, ბუჩქბალახები ან ბუჩქებია. მორიგეობით განლაგებული ფოთლები აქვთ. ჯგუფ-ჯგუფად თავმოყრილი ყვავილები თავთავისებრ ყვავილედებს ქმნიან. მეტწილ ბუტკოიან ყვავილებს არ აქვთ ყვავილსაფარი. 300-მდე სახეობა გავრცელებულია ზომიერ და თბილ (ევროპა, ავსტრალია) სარტყლებში. საქართველო-ში 8–9 სახეობა იზრდება. თითქმის ყველა ერთწლოვანი ბალახია, მხოლოდ ერთი სახეობაა ბუჩქბალახი. მ. უფრო აღმ. და სამხრ. საქართველოში გვხვდება. დამლაშებული მდელოსა და სტეპის მცენარეებია, ბაღებსა და ბოსტნებში გვხვდება სარეველას სახით. *მ. სოხაძე.*

თათანაანთუბანი, სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტის კეხიჯვრის თემში (შიდა ქართლის მხარე), მტკვრის შუა ხეობის ვაკეზე. მდ. ძამის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 700 *მ*, ქარელიდან 3 *კმ*. 161 მცხ. (2002).

თათარაიძე ეთერ სტეფანეს ასული (დ. 15. III. 1956, სოფ. ზემო ალვანი, ახლანდ. ახმეტის მუნიციპალიტეტი), პოეტი, ფოლკლორისტი, პედაგოგი. ჰუმანიტარულ მეცნ. დოქტორი (1998), ასოცირებული პროფესორი (1998). 1984 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკტი. ამავე წელს დაიწყო მუშაობა თსუ-ის ზოგადი ენათმეცნ. კათედრაზე. 1985–2006 მუშაობდა უნ-ტის ფოლკლორის კათედრაზე. პარალელურად, 2004 მუშაობა დაიწყო საქართვ. ფოლკლორის ცენტრში ზეპირსიტყვიერების მიმართულების ხელმძღვანელად.



დ. ს. თავხელიძე.

საკუთარი ლექსები მ-მ ქართველ მკითხველს პირველად 1979 წ. 14 აპრილს გამართულ ქართ. ფოლკლორის საღამოზე გააცნო. ასე შემოიტანა მან ქართ. პოეზიაში ,,თუშური ხმით ნატირლების'' ხიბლი. იგი ავტორია პოეტური კრებულებისა: ,,იმედის გვირილაო'' (1979), ,,მთვარის ნალი'' (1988), ,,ჩამომიარ საწუთრომ'' (1998), ,,100 ლექსი'' (2012) და სხვ. მ-ის სამეცნ. კვლევის სფეროა ქართ. დემონოლოგია, ქართ. ლეგენდა; ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თსუ-ში – კითხულობდა ლექციებს ქართ. დემონოლოგიაში; საშუალო სკოლებში ასწავლიდა ზეპირსიტყვიერებას. თანაავტორია (ა. არაბულთან ერთად) წიგნებისა: ,,მამამა ღმერთს ჩამაჰყარა ნათელი'' (1990), ,,შენდობით მომიხსენიეთ'' (2007), ,,ავაგე ეკლესიები'' (2010) და სხვ.

მ-ს მიღებული აქვს ლიტ. პრემია ,,საბა'' (2008), ფოლკლორის ეროვნ. პრემია (2009), ი. ჭავჭავაძის სახ. ლიტ. პრემია ,,საგურამო'' (2012).



ე. თათარაიძე.

2007 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

თათარაშვილი ნოდარ ივანეს ძე (დ. 13. I. 1941, ქ. თბილისი), გენერალ-ლეიტენანტი (1996). დაამთავრა ცენტრ. სამობილიზაციო კურსები (1970), მ. ფრუნზეს სახ. სამხ. აკადემია (1981), რიაზანის სამხ. საავიაციო სასწავლებელი (1991). 1958–84 მსახურობდა საბჭოთა არმიაში; 1984–92 იყო აჭარის სამხ. კომისარი, 1993-იდან – საქართვ. შეიარაღებული ძალების მთ. შტაბის უფროსის მოადგილე, 1993–94 – საქართველოს მხრიდან ცხინვალის რეგიონის სამშვიდობო ძალების სარდალი. 1994 მიენიჭა გენ.-მ. წოდება. 1994–98 იყო თავდაცვის



შ. თათარაშვილი.

მინისტრის პირველი მოადგილე, 1994–96 – თავდაცვის სამინისტროს მთავარი შტაბის უფროსი, 1996–98 – საქართვ. სამხ. კომისარი და თავდაცვის სამინისტროს სამხ. კოლეგიის წევრი. 2001-იდან თადარიგშია.

ლ. დოლიძე.

თათარაშვილი შოთა მიხეილის ძე (1. I. 1922, თბილისი, – 14. VII. 1975, იქვე), აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (1973–75), მშენებელი. 1946 დაამთავრა სპი (ახლანდ. სტუ). მუშაობდა სპეციალობის მიხედვით. 1948-იდან კომკავშირულ სამუშაოზეა: იყო თბილ. საქალაქო კომიტეტის მდივანი, საქართვ. ცკ-ის მეორე მდივანი, 1952-იდან კი – საქართვ. კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი, თბილ. საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი. 1953-იდან მუშაობდა ცკ-ის აპარატში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1965–71 იყო საქ. სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი, 1971–73 – სახელმწ. საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.



ა. თათარაძე.

თათარაძე ავთანდილ არსენის ძე (16. III. 1919, თბილისი, – 5. V. 1998, იქვე), მოცეკვავე, ქორეოგრაფი და პედაგოგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961). 1953 დაამთავრა სპი-ის სამშ. ფაკტი. ინ-ტში მონაწილეობდა თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ წრეში (ხელმძღვ. ჯ. ბაგრატიონი). 1937–41 და 1946–56 იყო საქართვ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის მოცეკვავე (1948-იდან – ქორეოგრაფი). 1955-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. მხატვრული თვითმოქმედების კულტ.-საგანმან. სასწავლებელში (ცეკვისა და ცეკვის კომპოზიციის განხრით), 1957-იდან ხელმძღვანელობდა ქორეოგრაფიულ განყ-ბას. ო-ის საუკეთესო დადგმებია შემდეგი ცეკვები: ,,ძველი თბილისის სურათები'' (1951), ,,სამთა მთიულური'' (1951), ,,იმერული სახუმარო'' (1954), ,,ფშავ ქალთა ლხინი'' (1958), ,,ფერხული'' (1966), ,,თამარ დედოფალი'' (1968) და სხვ. მისი დადგმები გამოირჩეოდა ფორმის ნაირფეროვნებით, პირველწყაროსთან სიახლოვით, დახვეწილი ტექნიკით. 1969–98 ო. თბილ. საესტრადო-საცირკო ხელოვნების სასწავლებლის პედაგოგი იყო. მისი მოწაფეებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ფ. *სულაბერიძე*, ჯ. *ნავროზაშვილი* და სხვ. ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნ. მუშაობას ქართ. ქორეოგრ. და ცეკვის თეორიის დარგში. ავტორია არაერთი სამეცნ. თუ მეთოდ. ხასიათის ნაშრომისა: ,,ცეკვა ქართული'' (1956), ,,ცეკვის ჩაწერის პირობითი ნიშნები'' (1966), ,,ძველი ქართული (სვანური) ფერხულები'' (1976), ,,ქართული ცეკვების განმარტებანი'' (1986), ,,ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიის საკითხები'', ,,ქართული ხალხური ცეკვა'' (2010) და სხვ. ო-ის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მოეწყო სამეცნ. ექსპედიციები თითქმის მთელ საქართველოში. მან პირადად ჩაიწერა და გამოსცა სვანეთში დღემდე შემორჩენილი უძველესი წარმართული ხასიათის ფერხულები. 1985-იდან იყო ქართ. ხალხ. ცეკვის სახალხო უნ-ტის ქორეოგრ. კათედრის გამგე.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).



ე. თათევოსიანი. ,,რ. სურენიანცის პორტრეტი''. 1891. სომხეთის სურათების გალერეა. ერევანი.

თათევოსიანი ეღიშე მარტიროსის ძე [12 (24). IX. 1870, ვაღარშაპატი, – 22. I. 1936, თბილისი], სომეხი ფერმწერი. სომხ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1935). 1894 დაამთავრა მოსკ. ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი. 1896–1901 ცხოვრობდა მოსკოვში, 1901-იდან – თბილისში. საქართველოში იყო მხატვართა კავშირის სომხ. სექციის ერთ-ერთი დამაარსებელი და თავ-რე. მონაწილეობდა რუს. მხატვართა კავშირის, ,,მირ ისკუსსტვას'' გამოფენებში. 1922-იდან იყო თბილ. სამხატვრო აკად. პროფესორი. უმთავრესად მუშაობდა პეიზაჟის, ყოფითსა და პორტრეტის ჟანრში. მისი ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია მკვეთრი კოლორიტი, ფერწერულობა. ძირითადი ნამუშევრები: ,,რ. სურენიანცის პორტრეტი'' (1891), ,,უცხოობაში'' (1895), ,,მეუღლის პორტრეტი'' (1903), ,,არაგაწი'' (1917), ,,ავტოპორტრეტი'' (1933), ,,კომიტასის პორტრეტი'' (1935) (ყველა სომხ. სურათების გალერეა, ერევანი).

თათეშვილი თინა (ლეილა) გრიგოლის ასული (12. I. 1925, თბილისი, – 7. I. 1992, იქვე). მოცეკვავე, საქართვ. დამს. არტისტი (1958). 1943–64 იყო საქართვ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის წამყვანი სოლისტი-მოცეკვავე. ოსტატობითა და გრაციოზულობით ასრულებდა სოლო პარტიებს ცეკვებში ,,ქართული'', ,,მთიულური'', ,,მიპატიჟება''; განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული ცეკვა ,,ქართული'', რ-საც ახასიათებდა მოძრაობათა სინაზე, სინარნარე, სიმსუბუქე და კლდემამოსილება. ქართ. ცეკვების ინდივიდ. შემსრულებელთა პირველ რესპ. კონკურსზე 1962 ო-მა ოქროს მედალი და ლაურეატის წოდება დაიმსახურა. ასევე დიდი წარმატებით აღინიშნა მისი მონაწილეობა საქართვ. ლიტ. და ხელოვნ. დეკადაზე მოსკოვში (1958). გასტროლებით შემოიარა სსრკ-ის მრავალი ქალაქი



თ. თათეშვილი. ცეკვა ,,ქართული'' (ნ. ღვაბერიძესთან ერთად).

და საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანა. 1959 ვარშავის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულ საღამოზე, რ-შიც მონაწილეობდნენ მოსკ.დიდი თეატრის, ლენინგრადისა და თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები, ო-ისა და ნ. *ღვაბერიძის* მიერ შესრულებულმა ცეკვა ,,ქართულმა'' განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. როგორც პოლონური პრესა აღნიშნავდა, ,,ქართველმა მოცეკვავე ქალმა უაღრესად ძუნწი შტრიხებით გვიჩვენა ივერიელი ქალის სინარნარე და სინატიფე''. *ა. თათარაძე.*

თათელისმაღალი, მწვერვალი დუშეთის მუნიციპალიტეტში, თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონზე, მდინარეების არმხისა და ასის წყალგამყოფ კიდეგანის ქედზე. სიმაღლე 3755 *მ*. აგებულია ლიასური თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით. კალთები დაღარულია ღრმა ხევებით. მთის ძირში მყინვარებიდან გამოდის მდინარეები არმხი და არხოტისწყალი. მთის კალთებზე სუსტად განვითარებული ნიადაგმცენარეული საფარია.

გ. ჩანგაშვილი.

„თათმანი“ (სააქციო საზოგადოება), მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი უძველესი საწარმო თბილისში. დაარსდა 1941 როგორც სასარაჯო-საუნაგირე წარმოება, რაც განაპირობა ფრონტისათვის აუცილებელი სასარაჯო-საუნაგირე მოსართავების, ასევე იარაღის შალითების, ზურგჩანთების და ქამრების დამზადების საჭიროებამ. მოგვიანებით წარმოება გადაკეთდა სასარაჯო-საგალანტერეო საწარმოდ, ხოლო ომის შემდეგ, 1950 დაერქვა საქართვ. მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილ. ტყავსაგალანტერეო ფ-კა, რ-იც, თავის მხრივ, ექვემდებარებოდა შესაბამის საკავშ. სამინისტროს. ფ-კა რესპუბლიკაში იყო ტყავსაგალანტერეო პროდუქციის წარმოების ერთადერთი სპეციალიზებული წარმოება (მდებარეობდა ნ. ყიფშიძის ქ.№7-ში). 1950–53 აშენდა ფ-კის ადმ. შენობა, ახ. საამქროები და სხვა დამხმარე სათავსოები. შემდგომ წლებში (1972, 1980, 1985, 1989) საწარმოში არაერთხელ ჩატარდა რეკონსტრ. და ტექ. გადაიარაღების სამუშაოები. ფ-კა ყოველწლიურად უშვებდა ყველა სახის ტყავსაგალანტერეო ნაწარმს, მ. შ.: ქალის, ახალგაზრდულ, სამეურნეო, სამგზავრო, სპორტულ, საბავშვო და სასკოლო ჩანთებს (მკაცრად იყო განსაზღვრული მათი ზომა, წონა და მასალის შემადგენლობა, განსაკუთრებით დაწყებითი კლასებისათვის), ასევე ჩემოდნებს, ქამრებს, ხელთათმანებს, საქაღალდეებს და წვრილმან გალანტერეას. პროდუქცია მზადდებოდა ძირითადად ხელოვნური და ნაწილობრივ ნატურალური ტყავისაგან. წარმოებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარებს, ძირითად და დამხმარე მასალებს, ფურნიტურას ფ-კა საბჭ. კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთიდან იღებდა. პროდუქცია არაერთხელ დაჯილდოვდა საკავშ. და რესპ. გამოფენებზე. 1996 წ. 30 სექტემბრიდან ფ-კა გადაკეთდა სააქციო საზ-ბად და ეწოდა ,,თ“.

XX ს. 90-იანი წლების შემდეგ ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონ. და პოლიტ. მდგომარეობის გამო შეწყდა ფინანს. და ეკონ. კავშირი მომწოდებლებთან. ამასთან ერთად დაიწყო იაფი, უხარისხო საქონლის შემოტანა (რ-თა გასაყიდი ფასი ბევრად ნაკლები იყო ჩვენი პროდუქციის თვითღირებულებაზე). ყოველივე ამის გამო 2005-იდან ფ-კამ შეწყვიტა ფუნქციონირება. *ო. სირბილაძე.*

თათრის მოედანი, იხ. *ვახტანგ გორგასლის მოედანი.*

თათრიშვილი ნინო თომას ასული [20. IX (3. X). 1908, თბილისი, – 7. IX. 1994, იქვე], გეოლოგი. გეოლ.-მინერალოგიურ მეცნ. დოქტორი (1949), პროფესორი (1954), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1960). 1928 დაამთავრა თსუ-ის საბუნებისმეტყველო ფაკ-ტი. 1928–40 მუშაობდა საკავშ. მინერ. ნედლეულის ინ-ტის ამიერკავკასიის განყ-ბაში, 1940-იდან – საქართვ. მეცნ. აკად. ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიურ ინ-ტში. 1937–50 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თსუ-ში.

თ-ის შრომები ძირითადად ეხება გრანიტოიდების პეტროლოგიას, სხვადასხვა შედგენილობისა და გენეზისის საწყისი ქანების მეტასომატური გრანიტიზაციის პრობლემებს, მინერ. ფაციესების სისტემატიკას, მეტამორფიზმის ზოგად საკითხებს.

თხზ.: Магматическая деятельность в Грузии в допалеозое и палеозое, Тб., 1948; Магматизм Грузии и связанные с ним рудообразования, М., 1959 (თანაავტ. Г. М. Заридзе).

ლიტ.: ზარიძე გ., მოგონებები, თბ., 1997. *დ. შენგელია.*

თათუხაშვილი გიორგი არსენის ძე (დ. 18. IX. 1959, თბილისი), საქართველოს შინაგანი ჯარების გენერალ-ლეიტენანტი (2004). 1983 დაამთავრა სტუ-ის სამშენებლო ფაკ-ტი, 1989 – მოსკ. მილიციის უმაღლესი სკოლის თბილ. ფაკ-ტი. 1982–96 მსახურობდა საქართვ. შს სამინისტროს ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2000–01 – საქართვ. შს სამინისტროს შინაგანი ჯარების საბადრაგო ბრიგადის მეთაურის პირველი მოადგილე, 2001–02 – საქართვ. იუსტიციის სამინისტროს სპეც. დანიშნულების რაზმის მეთაური. 2003–04 დაინიშნა საქართვ. შს სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდლად. 2004–05 იყო თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების სარდალი. 2006-იდან თადარიგშია. საქართვ. შსს დამს. მუშაკი (2001). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III (1993) და II ხარისხის (2004) ორდენებით.

ლ. დოლიძე.



თაია. ოცინდალეს წმინდა გიორგის ეკლესია. XI ს.

თაია, სოფელი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის ვაკეზე, მდ. ოჩხომურის (ხობის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. სათავო სოფელი. ზ. დ. 340 *მ,* ჩხოროწყუდან 16 *კმ.* 737 მცხ. (2002).

სოფელში დგას ოცინდალეს წმინდა გიორგის ეკლესია (XI ს.).

თაკვერი, ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში. პირველად დამოწმებულია VII ს. ანონიმი ავტორის სომხ. გეოგრაფიაში. ადრინდ. შუა საუკუნეებში სახელწ. თაკვერი ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: ფართო მნიშვნელობით ახლანდელ რაჭა-ლეჩხუმს მოიცავდა, ვიწრო მნიშვნელობით – ცხენისწყლის აუზის შუა წელსა და მდ. ლავჯანურის (რიონის შენაკადი) ხეობას შორის მდებარე ტერიტორიას. განვითარებულ შუა საუკუნეებში სახელწოდება თაკვერს მხოლოდ მეორე მნიშვნელობით ხმარობდნენ. XI ს-ში თ. სვანეთის ერისთავს ემორჩილებოდა, XII–XIII სს-ში შედიოდა რაჭის ერისთავის საგამგეოში, გვიანდ. შუა საუკუნეებში კი – ლეჩხუმის შემადგენლობაში.

ბერძნ.-ლათ. და ქართ. წყაროებში იხსენიება თაკვირიის (თ-ის) ციხე. ვარაუდობენ, რომ ეს უნდა იყოს დეხვირის ან ზუბის ციხე.


ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ბანძელაძე ი., სურამელაშვილი მ., ჭურღულია ხ., ლეჩხუმი, თბ., 1983. *თ. ბერაძე.*

თაკვი, ნასოფლარი ქვემო ქართლში, თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში, მდ. ალგეთის მარცხ. ნაპირზე. დატანილია ვახუშტის რუკებზე და მოხსენიებულია მის ნაშრომზე (,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა“) დართულ სოფლების სიაში. არსებობს ამავე

სახელწოდების მთაც, რ-იც მოხსენიებულია ვახუშტის იმავე ნაშრომის ტექსტში. სოფ. თ. მდებარეობდა იმ მთის ძირში, სადაც ამლივის წყალი ერთვის ალგეთს. ისტ. წყაროებში მოხსენიებულია XVI ს-იდან, როგორც საბარათიანოს სოფელი თაკუი, თაკუ. თ. დასახლებული იყო ქართველებით. არსებობდა განვითარებულ შუა საუკუნეებშიც, რასაც მოწმობს თ-ის მთის ფერდზე შერჩენილი იმავე პერიოდის ეკლესია.

ლიტ.: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, თბ., 1964.

თ. თოდრია.



გ. თალაკვაძე.

თალა, ნასოფლარი ისტორიულ ქვემო ქართლში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს მდ. ფოლადაურის მარცხ. ნაპირზე, ზემო ბოლნისსა და ნასოფლარ ახოთას ზევით. შედიოდა ბოლნისის საეპისკოპოსო მამულებში, რაზედაც მეტყველებს ბოლნელი ეპისკოპოსის იოსებ რევიშვილის წარწერა ერთი ნასოფლარის (რ-იც თ. უნდა იყოს) ეკლესიის ბალავრის ქვაზე. წარწერიდან ჩანს, რომ ბოლნელ იოსებს, იერუსალიმში მეორედ ნამყოფს, შინ მობრუნების შემდგომ აუშენებია ყოვლადწმინდის ეკლესია მისი სულის საოხად; ამავე დროს, ჟამთა ვითარებისაგან მოშლილი ზემო ბოლნისი, ახოთა და თ. ,,ხელახლა უშოვია'' და გაუთავისუფლებია სახელმწ. გადასახადებისგან. 1721 აღწერით ამ სოფელში ერთი მებატონე იყო – ბოლნელი ეპისკოპოსი, რ-საც ჰყოლია 4 გამომღები და 1 ბოგანო ყმა. ამავე სახელწოდების სოფლები ყოფილა თრიალეთსა და დმანისხევშიაც.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი დ., ,,ჯვარი ბოლნისისა'', კრ.: დმანისი, IV, თბ., 2003; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ი., ქვემო ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში, ნაწ. 1–2, თბ., 1935.


დ. ბერძენიშვილი.

თალათ-ფაშა მეჰმედ (Talât Paşa) (10. IV. 1874 – 15. III. 1921), ოსმალეთის პოლიტიკური მოღვაწე. ახალგაზრდა თურქთა პარტიის ,,ერთობისა და პროგრესის'' თავმჯდომარე; მეჯლისის დეპუტატი; 1913 სახელმწ. გადატრიალების შემდეგ, ტრიუმვირატის (*ენვერ-ფაშა,* ჯემალ-ფაშასთან ერთად) წევრი. 1914, რუსეთის წინააღმდეგ საომლო ხელშეკრულების დადების მიზნით, თ.-ფ-მ ენვერ-ფაშასთან ერთად მოლაპარაკება გამართა ლ. კერესელიძესთან, ,,საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის'' წევრთან. თ.-ფ-ს ბრალად ედებოდა I მსოფლიო ომის დროს სომხების გენოციდში მონაწილეობა. იგი მეთაურობდა ოსმ. დელეგაციას ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციაზე, სადაც მოითხოვა, რომ რუსეთის ჯარებს დაეტოვებინათ კავკასია. გერმ. დახმარებით მან მიაღწია შეთანხმებას, რ-ის თანახმად ,,რუსეთს დაუყოვნებლივ უნდა გაეყვანა თავისი ჯარი ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქებიდან''. *ამიერკავკასიის კომისარიატის* მთავრობამ თავისი დელეგაცია არ გააგზავნა კონფერენციაზე. ამიტომ ,,საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის'' წევრები, რ-ებიც I მსოფლიო ომის დროს ბერლინში მოღვაწეობდნენ, საქართველოს ინტერესების დაცვის მიზნით, თავიანთი ინიციატივით დაუკავშირდნენ გერმ. პრინც ლეოპოლდს (გერმ. აღმ. ფრონტის მთავარსარდალი), მისი შუამავლობით შეხვდნენ თ.-ფ-სა და ოსმ. წარმომადგენლებს და გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს. ომში ოსმალეთის დამარცხების შემდეგ თ.-ფ. ბერლინში გაიქცა, სადაც 1921 მოკლეს დაშნაკმა ტერორისტებმა.

ლიტ.: გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ო., თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1963; ს ვ ა ნ ი ძ ე მ., 1914 წელს ოსმალეთსა და ,,საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს'' შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულება, წგ.: ქართული დიპლომატია. წელიწდეული, ტ. 2, თბ., 1995.

მ. სვანიძე.

თალაკვაძე გრიგოლ (გიგოლა) ანდრიას ძე (24. III. 1914, ოზურგეთი, – 16. XII. 2001, თბილისი), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1981). სასცენო მოღვაწეობას ეწეოდა 1942-იდან ოზურგეთის (1942–43 და 1946–49), ზესტაფონის (1943–45), თბილ. მოზარდ მაყურებელთა (1949–52) და სანკულტურის (1952–63) თეატრებში, ხოლო 1963-იდან შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის მსახიობი იყო. უპირატესად სახასიათო როლებს ასრულებდა. მის მიერ შექმნილ სცენურ სახეებს ახასიათებს მკაფიო ინდივიდუალობა, ბუნებრიობა, სიმართლე და ორიგინალობა. გამორჩეული როლები: პეტუა (ა. ცაგარლის „ციმბირელი''), იერემია წარბა (გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი''), ფაშა ეფენდი (ვ. გუნიას „და-ძმა''), ონისე



გ. თ ა ლ ა კ ვ ა ძ ე. ბერდია, კ. გამსახურდიას ,,ხოგაის მინდია''.

(ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა''), ოსმან-აღა (დ. ჭონქაძის „სურამის ციხე''), თავადი კოწია (შ. დადიანის „გუშინდელნი''), იოველი (ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება''), კაკუტა (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე''), მწყემსი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე''), სპირიდონი (ნ. აზიანის ,,უკანასკნელი მასკარადი''), ნოე (ნ. წულეისკირის და გ. გეგეჭკორის ,,ძველი სამრეკლო''), ბერდია (კ. გამსახურდიას ,,ხოგაის მინდია''). თ. წარმატებით მოღვაწეობდა კინოშიც. კინოროლებიდან აღსანიშნავია სრულიად განსხვავებული ხასიათის სახეები: ილო („რაც მოგივა დავითაო'', 1959), სოლომან მორბელაძე („კარდაკარ'', 1960, დ. კლდიაშვილის მიხედვით), ზოსიმე (,,ბურთი და მოედანი'', 1961), თეოფილე („ჭიაკოკონა'', 1961), კოწია („მე ვხედავ მზეს'', 1965), ილარიონი („შეხვედრა წარსულთან'', 1966), ილიკო პერტია (,,დათა თუთაშხია'', 1978), კოწია (,,გამოაღეთ ფანჯრები'', 1981), მიტო (,,დღეს ღამე უთენებია'', 1983), გოკიელი (,,ორშაბათი ჩვეულებრივი დღეა'',



გ. თ ა ლ ა კ ვ ა ძ ე. სოლომონ მორბელაძე, დ. კლდიაშვილის ,,კარდაკარ''.

1984) და სხვ.

თალაკვაძე ლეონიდე ბესარიონის ძე (21. I. 1916, თბილისი, –14. XII. 1999, იქვე), სამხედრო ინჟინერი. ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი. დაამთავრა მოსკ. სამხ.-საავიაციო უმაღლესი სკოლა (1940), ლენინგრადის საავიაციო აკადემიასთან არსებული კურსები (1964). 1940-იდან მუშაობდა მოსკ. სამხ.-საავიაციო სკოლაში პედაგოგად, ამავე დროს ასრულებდა საბრძოლო გაფრენებს. 1946-იდან მოღვაწეობდა სამოქალაქო ავიაციაში. 1970-იდან იყო მფრინავი-ინსტრუქტორი. ავიაციაში ხანგრძლივი უავარიო საფრენოსნო მუშაობისა და საფრენოსნო კადრების მომზადებისათვის მიენიჭა სსრკ დამსახურებული მფრინავის წოდება (1975). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. სამხ. ორდენები და მედლები.

თალაკვაძე მარიამ ივანეს ასული [16 (29). I. 1902, სოფ. ასკანა, ოზურგეთის მაზრა, – 4. VI. 1982, თბილისი], პედაგოგ-მეთოდისტი, ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1996). 1930 წელს დამთავრა თსუ-ს სიბრძნის მეტყველებნის ფაკულტეტი.

პედ. მოღვაწეობა მ-მ დაიწყო 1919 მარადადის, შემდეგ აჭარისწყლის დაწყებითი სკოლის გამგემასწავლებლად. მუშაობდა ბათუმის პირველი 7-წლიანი სკოლის ქართ. ენისა და ლიტ-რის მასწავლებლად (1912–26), კ. მარქსის სახ. საჯარო ბ-კაში (ახლანდ. სტუ-ის პარლამენტის ეროვნ. ბ-კა; 1930–35), პედ. მეცნიერებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (1935–36), შოთა რუსთაველის სახ. ლიტ-რის ისტორიის ინ-ტში (1936–38), სახალხო განათლების მუზეუმში (1941–45). 1945-იდან მუშაობდა თსუ-ის ახ. ქართული ენის კათედრაზე თავდაპირველად დოცენტის, შემდეგ პროფესორის (1966), ხოლო 1973-იდან გარდაცვალებამდე მეცნიერ-კონსულტანტის თანამდებობაზე.

მ. კითხულობდა ქართ. ენის სწავლების მეთოდიკის საუნივერსიტეტო კურსს და იკვლევდა მასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

თხზ.: იაკობ გოგებაშვილის ანბანის სახელმძღვანელოთა აგების პრინციპები, თბ., 1952; ზმნის სწავლება მე-5 კლასში, თბ., 1955; ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1959 (გამოც. მე-2, 1975).

ტ. სულაბერიძე. რ. ძნელაძე.

თალაკვაძე მორის ისიდორეს ძე (1908, თბილისი, – XX ს. დასასრული, იქვე), მოქანდაკე, საქართვ. დამს. მხატვარი (1969). სწავლობდა მოსკ. ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების ინ-ტში (1929–34), 50-იან წლებში შექმნა პოლიტ. მოღვაწეთა სატირული პორტრეტებისა და კომპოზიციების სერია ,,ჩან-კაი-ში'', ,,ძია სემი და ბრიტანული ლომი'', ,,აჩესონი'', ,,მაკარტური'', ,,ტრუმენი'' (ტონირებული თაბაშირი), ავტორია ქანდაკებებისა: ,,ყურძნის მკრეფავი'' (1960, თაბაშირი), ,,დამშვიდობება'' (1964, თაბაშირი). მუშაობდა გრაფ. დარგში. შექმნილი აქვს სერია ქართვ. კულტ. მოღვაწეთა მეგობრული შარჟებისა (ა. ქუთათელაძე, შ. მიქატაძე, კ. გამსახურდია და სხვ. 1964; ფერადი ფანქარი).

თალალე, თალე, ქართლის კათოლიკოსი VIII ს. მეორე ნახევარში. იხსენიება ,,მოქცევაჲ ქართლისაჲს'' მატიანეში ცხრა ცოლოსანი კათოლიკოსის შემდეგ. მოვსეს კალანკატუაცის ცნობით, თ-მ ალბანეთის კათოლიკოსის მიქაელის (708–742) სურვილის წინააღმდეგ ალბანეთის მთავარს ვარაზოს, მისსავე ბიძაშვილზე – ვარდანეპზე დაწერა ჯვარი, რის გამოც მიქაელმა თ. და ახალდაქორწინებულები დაწყევლა.

თ-ს მოღვაწეობის ხანაში ქართლის ეკლესია ცდილობდა მონოფიზიტობის აღმსარებელი ალბანეთის მოსახლეობაში ქალკედონური მრწამსის (დიოფიზიტობა) დანერგვას. თ-ს მოქმედება, როგორც ჩანს, ალბანეთის მთავრის ქართლის ეკლესიის გავლენაში მოქცევის სურვილით იყო ნაკარნახევი.

ლიტ.: მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1985; გოილაძე ვ., ერთი დაწყევლილი ჯვრისწერის ამბავი, «განთიადი», 1990, №6.

ვ. გოილაძე.

თალარი, 1. საბაღო-საპარკო მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობა; 2. ვაზით (ან ვაზისებრი მხვიარა მცენარით) გადახურული საჩრდილობელი, ფანჩატური.

თალეგ შირაზი გორჯი (გ. 1891), ირანელი პოეტი; წარმოშობით ქართველი. ავტორია ლირ. სახოტბო და სატირული ლექსებისა. თეირანის მალექის ბაკაში დაცულ ,,თეზქერეიე შოაის'' შემოუნახავს მისი ორი მასნავი და რამდენიმე ლექსი. თეზქერე შეიცავს ცნობებს თვით პოეტის შესახებაც. მისი რამდენიმე *კასიდა* დაცულია თეირანის უნ-ტის ხელნაწერთა ფონდში.

თხზ.: [წიგნში] თოდუა მ., ქართულ-სპარსული ეტიუდები, [წგ.] 2, თბ., 1975 (დამატება II).

ლიტ.: თოდუა მ., ქართულ-სპარსული ეტიუდები, [წგ.] 1, თბ., 1971.

თალთების არქეოლოგიური ძეგლები, სხვადასხვა დროის (ძვ. წ. III ათასწლ. და ახ. წ. I–IV სს.) ნამოსახლარი და სამაროვანი სოფ. არანისის აღმოსავლეთით, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, თიხის კარიერის ტერიტორიაზე (დუშეთის მუნიციპალიტეტი). 1981 გათხარა ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის არქეოლ. კვლევის ცენტრის ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. რამიშვილი). 2–2,5 *მ* სიღრმეზე გამოვლინდა ადრებრინჯაოს ხანის (ძვ. წ. III ათასწლ.) ნამოსახლარის ნაშთები. ქვედა, შავმიწანიადაგიან ფენაში მრავლად იყო თიხის ჭურჭლის ნატეხები და ნივთისებრი ხელსაფქვავის ფრაგმენტები; ზედა ფენა შეიცავდა I–II სს. ნამოსახლარის ნაშთებს. გაითხარა 1 ოთახი (ფართ. დაახლ. 12 *მ²*), რ-ის კედლები ნაგები იყო რიყის ქვის საძირკველზე ამოყვანილი ალიზის ბლოკებით. გამაგრებული ყოფილა ხის მსხვილი სარებით, რ-იც ხანძრის შედეგად დაიწვა. ნამოსახლარზე აღმოჩნდა 11 ქვევრი, თიხის ჭურჭლისა და გვერდებაკეცილი კრამიტის ნატეხები, ორმოები, რ-ებშიც საოჯახო ნარჩენები იყო. გაითხარა მცირე ჯგუფებად სხვადასხვა დონეზე (0,4–1,4 *მ*) განლაგებული 20 სამარხი (18 ორმოსამარხი, 1 ქვევრის ნატეხებით გადახურული ორმოსამარხი, 1 ქვევრსამარხი). ქვედა დონის სამარხებში (I–II სს.) მიცვალებულები ესვენენ მკვეთრად მოხრილი კიდურებით, მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, თავით ჩრდ.-დას-კენ. ჩატანებული ჰქონდათ წითლად ანგობირებული თიხის ხელადები, ჯამები. ზედა დონის სამარხებში (III–IV სს.) მიცვალებულთა ჩონჩხები ისე მკვეთრად არ იყო მოხრილი, თავი უმეტესად დასკენ ჰქონდათ. ერთ შემთხვევაში მიცვალებული ზურგზე იწვა, მხოლოდ ფეხები ჰქონდა მოხრილი. ჩატანებული ჰქონდათ თიხის ხელადები, სასმისები, ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები, საყურეები, აბზინდები და სხვ.

მასალა ინახება დუშეთის არქეოლ. საცავში.

ლიტ.: Рамишвили Р. М., Джор-

бенадзе В.А., Глонти М.Г. и др., Работы Жинвальской археологической экспедиции, кр.: Полевые археологические исследования в 1981 году, Тб., 1984.

ც. რობაქიძე.

თალმუდი (ებრ., სიტყვასიტყვით – სწავლა, მოძღვრება), *იუდაიზმის* ეთიკური და სამართლებრივი კოდექსი, რ-იც ე. წ. ზეპირი მოძღვრების სახით *ძველ აღთქმაზე* დართვისას ქმნის იუდაისტური რელიგიის საფუძველს. შეიქმნა ძვ. წ. IV – ახ. წ. V სს-ში. თ. ძვ. ებრ. კულტურის ძეგლია, რ-იც, რელიგ.-სამართ. და რელიგ.-ფილოს. დებულებების გარდა, გვაწვდის ცნობებს მედ., ასტრონ., მათ., გეოგრ., ებრაელთა ბიბლიის შემდგომი ხანის ისტ. და სხვ. დარგებიდან. იგი არის, აგრეთვე ძვ. ებრ. ლიტ-რის მნიშვნელოვანი ძეგლი, რ-მაც შემოგვინახა ძვ. დიდაქტ. ლიტ-რისა და ფოლკლორის შესანიშნავი ნიმუშები. საინტერესოა თ-ის ენაც, რ-იც ასახავს ძვ. წ. უკანასკნელ და ახ. წ. I ს-ში ებრ. მეტყველებას. ჩვენამდე მოაღწია ენობრივად და შინაარსობრივად განსხვავებულმა ორმა რედაქციამ: პალესტინურმა ანუ იერუსალიმის თ-მა (თალმუდ იერუშალმი), რ-იც დაწერილია ძირითადად არამეულის პალესტინურ დიალექტზე (რედაქცია გაუკეთდა III ს-ში) და ე. წ. ბაბილონის თ-მა (თალმუდ ბავლი), რ-იც ძირითადად არამეულის მესოპოტამიურ დიალექტზეა შექმნილი (რედაქცია გაუკეთდა V ს-ში).

თ. წარმოიქმნა იმ რთულ ისტ. პირობებში, როდესაც იუდაიზმს დასავლეთში ძვ. ბერძენთა და რომაელთა რელიგია დაუპირისპირდა, აღმოსავლეთში – *ზოროასტრიზმი*, მოგვიანებით კი თვით იუდაიზმის ბაზაზე წარმოქმნილი *ქრისტიანობა*. გაჩნდა იუდაისტთა ასიმილაციისა და გაქრობის საფრთხე. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად თ-ის შემქმნელებმა გამოიმუშავეს მთელი რიგი ამკრძალავი და ნებადამრთველი წესები, რ-თაც იუდაიზმის მიმდევართათვის დღესაც კანონის ძალა აქვთ.

თ-ში ორი ძირითადი სტრუქტურული ელემენტია: მიშნა (ძვ. აღთქმის წიგნების ვრცელი კომენტარი), რ-საც თან ერთვის თოსეფთა (მიშნის დამატებები), და გემარა (მიშნის კომენტარების კრებ.). მიშნა შეიცავს 63 ტრაქტატს, რ-ებიც გაერთიანებულია 6 ნაკვეთად: ზერაიმი (თესლები, ნაუსები – მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული წესები და ლოცვები), მოედი (დღესასწაული – რელიგ. დღესასწაულების პერიოდში მორწმუნეთა ქცევის წესები), ნაშიმი (ქალები – ოჯახური ურთიერთობისა და განქორწინების წესები), ნეზიკინი (დაზიანებანი – სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკითხები), კოდაშიმი (საკულტო ხასიათის მითითებები და ნორმები), ტეჰაროთი (სისუფთავე – რიტუალური ჰიგიენის საკითხები).

თ-მა ხაზი გაუსვა იუდაიზმის მიერ მონოთეიზმის აღიარებას (რაც ძვ. აღთქმის წიგნებიდან არც ისე მკაფიოდ ჩანდა) და ღმერთის ტრანსცენდენტურ ხასიათს, მის აბსოლუტიზმს. თ-ში მოცემულია სულის უკვდავების, საიქიოს, სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ არსებულ წარმოდგენათა დასაბუთების მცდელობა.

თ-ში დაწვრილებითაა განხილული მესიანიზმი, ესქატოლოგია, კოსმოგონია და კოსმოლოგია. თ-ის არსებობის ხანგრძლივი ისტ. განმავლობაში ხდებოდა მისი კომენტირება, რასაც საფუძვლად ყოველთვის ადგილ. და თანადროული სოც.-ისტ. პირობები ედო. ყველაზე მნიშვნელოვანია ევროპაში რაშის (რაბი შემუელ იცხაკი, 1040–1105) და აღმოსავლეთში მაიმონიდის კომენტარები.

თ-ის მეცნ.-კრიტ. შესწავლას მნიშვნელობა აქვს როგორც საერთოდ რელიგიათმცოდნეობისათვის, ისე, კერძოდ, ქრისტიანობისა და ისლამის გენეზისისა და ისტორიისათვის.

ნ. ბაბალიკაშვილი.

თამაგინი, სოფელი ონის მუნიციპალიტეტში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე), კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ჯეჯორის (რიონის მარცხ. შენაკადი) მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1860 *მ*, ჯავიდან 47 *კმ*. 1989 აღწერით მუდმივი მოსახლ. არ არის.

თამადა, ქართული პურობის, სუფრის გამძღოლი. ჩვეულებრივ, მასპინძელი ან თანამეინახენი თ-დ ირჩევენ ჭარმაგ, პატივსაცემ მამაკაცს, რ-იც სუფრის თაღარიგის მცოდნედ და მჭევრმეტყველად ითვლება. სუფრის დანიშნულების (ქორწილი, ძეობა, დღეობა, ქელეხი და სხვ.) მიხედვით თ-ს ევალება ტრად. სადღეგრძელოების წარმოთქმა, სმის წესების, სუფრის წესრიგის, ცეკვა-სიმღერისა და ლხინის მთელი მსვლელობის რეგულირება. ეთნოგრ. მონაცემებით, ძველად ოჯახი ბავშვებს თამადობას პატარაობიდანვე აჩვევდა. საქართვ. მთიანეთის საკულტო დღეობა-წვეულებებზე თ-ს არ ირჩევდნენ – მის მოვალეობას ხევისბერი ან გვარ-ხატის რომელიმე მსახური ასრულებდა, საოჯახო სარიტუალო პურობას კი ოჯახის უფროსი მამაკაცი უძღვებოდა. ზემო სვანეთში ,,თაამადა'', ,,თამათა'' ერქვა თიბვის მესვეურს, წინამძღოლს, რ-იც მუშაობისას სიმღერას იწყებდა. ,,თამადის'' ნაცვლად ზოგჯერ თურქულიდან შემოსულ სიტყვას ,,ტოლუმბაშსაც'' (თულუმ ბაში – ,,ტიკის უფროსი'') ხმარობენ.

ლიტ.: ჯანაშია ს., შრომები, ტ. 4, თბ., 1968. *ლ. ფრუიძე.*

თამაზ I, შაჰ-თამაზი (3. III. 1513, სოფ. შაჰაბადი, ისპაანის ახლოს, – 14. V. 1576, ყაზვინი), ირანის შაჰი (1524–76). სეფიანთა დინასტიის წარმომადგენელი, ისმაილ I-ის ვაჟი. ტახტზე ავიდა 10 წლისა, როდესაც სახელმწიფოს ფაქტობრივად განაგებდნენ ყიზილბაშურ ტომთა ბელადები. შემდეგში თ. I შეებრძოლა მათ და განამტკიცა ცენტრ. ხელისუფლება. მის დროს მიმდინარეობდა ირან-ოსმალეთის ე. წ. პირველი ომი (1514–55) ამიერკავკასიისა და სხვა მოსაზღვრე ქვეყნების დასაკუთრებისათვის. მან ჩრდ. აზერბაიჯანის დამოუკიდებელი პოლიტ. ერთეულები შირვანი (1538) და შაქი (1551) სეფიანთა სახელმწიფოს შეუერთა. თ. I-მა ოთხჯერ ილაშქრა საქართველოში (1541, 1547, 1551 და 1554). მესამე ლაშქრობის დროს შაჰი პირადად ესწრებოდა ყიზილბაშების მიერ ვარძიის ქვაბთა ქალაქისა და ეკლესიის აოხრება-გაძარცვას (იხ. *თამაზ I-ის ლაშქრობანი საქართველოში).* საინტერესოა თ. I-ისა და ოსმ. ელჩების საუბრის ჩანაწერები (იხ. *,,თეზქერე'' შაჰ-თამაზ I-ისა*).

ლიტ. იხ სტატიასთან *,,თეზქერე'' შაჰ-თამაზ I-ისა.* *კ. ტაბატაძე.*

თამაზაშვილი თამაზ ალექსანდრეს ძე (დ. 2. II. 1957, სოფ. ქვემო მაჩხაანი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი), პოლიციის გენერალ-მაიორი (2000). დაამთავრა მოსკ. მილიციის უმაღლესი სკოლის თბილ. ფაკ-ტი (1985). 1996–2001 იყო საქართვ. შს სამინისტროს სახეთის სამხარეო სამმართველოს უფროსი, 2001–02 შს სამინისტროს საგზაო პოლიციის

მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე. 2002–04 საქართვ. ავტოინსპექციის უფროსის მოადგილე. სპორტის ოსტატი ძიუდოში (1978). სსრკ. ჩემპიონი ხუთჭიდში (1982), საქართვ. მსს დამსახურებული მუშაკი (2000). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III (1998) და II (2000) ხარისხის ორდენებით. *ლ. დოლიძე.*

თამაზ I-ის ლაშქრობანი საქართველოში, ირანის შაჰის *თამაზ I-ის* ბრძოლა საქართველოს დასაპყრობად. მთელი XVI ს. განმავლობაში ირანი და ოსმალეთი ერთმანეთს ებრძოდნენ ამიერკავკასიის ქვეყნებში ბატონობისათვის. ამ მიზნით ,,საღვთო ომის'' საბაბით თამაზ I-მა რამდენჯერმე ილაშქრა საქართველოში. 1541 შაჰი 12 ათ. მეომრით ყარაბაღიდან საქართველოში შემოიჭრა და ღამით თავს დაესხა თბილისს, მეფე ლუარსაბ I იქ არ იმყოფებოდა. ყიზილბაშებმა აიღეს, გაძარცვეს და ცეცხლს მისცეს ქალაქი. მათვე მოტყუებით აიღეს ბირთვისის მიუვალი ციხე და ლუარსაბის ხელში ჩაგდებაც სცადეს, მაგრამ ვერ შეძლეს. ამ ლაშქრობის შედეგად თბილისი ყიზილბაშებმა დაიკავეს, მცველთა რაზმი ჩაყენეს და უკან გაბრუნდნენ. 1547 იანვარში თამაზ I შირვანიდან დაიძრა და ანისის გზით ახალქალაქში მივიდა. მტრის ლაშქარმა მოარბია ჯავახეთი, მერე ქვემო ქართლი და დიდი ნადავლით განჯაში დაბრუნდა.

ქართლის მეფე ლუარსაბი ვერ ურიგდებოდა სამცხის ათაბაგის ირანისადმი მორჩილებას და ოსმალეთის გააქტიურებას ამ მხარეში. ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით მან სამცხის დიდი ნაწილი დაიკავა. ათაბაგმა ქაიხოსრომ დახმარებისათვის ირანს მიმართა. 1551 შაჰმა დიდი ჯარით გამოილაშქრა შაქიდან. მოსახლეობა სიმაგრეებში შეიხიზნა. ყიზილბაშებმა ააოხრეს ჯავახეთი და დაიპყრეს ციხესიმაგრეები – თმოგვი, აწყური, ვანის ქვაბები, აიღეს და გაძარცვეს ვარძია, საიდანაც დიდძალი სიმდიდრე წაიღეს. შაჰმა ქაიხოსროს ლუარსაბისაგან წართმეული ქვეყანა დაუბრუნა და ყარაბაღში დაბრუნდა. 1554 თამაზ I მეოთხედ შემოესია საქართველოს. მან თავდაპირველად საბარათიანო დაიკავა, მერე შიდა ქართლში აიღო გორი, ზოგიერთი სხვა სიმაგრეც და შემოადგა ატენის ციხეს, სადაც იმყოფებოდნენ მეფისა და ქართვ. დიდებულთა ოჯახები. ყიზილბაშებმა შინაგამცემლობის შედეგად შეძლეს ციხის აღება. დიდ ნაალაფევთან ერთად 30 ათ. ტყვე წაიყვანეს, მ. შ. მეფის დედა ნესტან-დარეჯანი, და უკან გაბრუნდნენ. ლუარსაბი დაედევნა მტერს, რამდენჯერმე შეებრძოლა და დიდი ზიანი მიაყენა, თუმცა ტყვეები მაინც ვერ დაიხსნა.

თამაზ I-ის ლაშქრობებმა დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს – დამპყრობლებმა ბევრი ქალაქი და სოფელი დაარბიეს და გაძარცვეს, მრავალი ადამიანი ბრძოლაში დაიღუპა ან ტყვედ ჩავარდა. 1555 დაიდო *ამასიის ზავი,* რ-თაც ირანმა და ოსმალეთმა ამიერკავკასია გაინაწილეს.

წყარო: გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., «საისტორიო მოამბე», ტ. 2, ტფ., 1925; ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1959; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; ი ს ქ ა ნ დ ე რ მ უ ნ შ ი ს ცნობები საქართველოს შესახებ, ვ. ფუთურიძის გამოც., თბ., 1969; ჰ ა ს ა ნ რ უ მ ლ უ ს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი და თარგმანი ვ. ფუთურიძის, შენიშვნები რ. კიკნაძის, თბ., 1966.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1967; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *რ. კიკნაძე.*

თამაკონი, სოფელი მარტვილის მუნიციპალიტეტში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის ვაკეზე, მდ. ტეხურის (რიონის მარჯვ. შენაკადი) ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: თ., თარგამეული, ნამიკოლავო პირველი). ზ. დ. 220 *მ,* მარტვილიდან 20 *კმ.* 495 მცხ. (2002).

სოფელში შემონახულ ხუროთმოძღვრების ძეგლთაგან აღსანიშნავია IX–X სს. ეკლესია და ციხე. ეკლესია სოფლის სამხრ-ით ვაკეზე დგას (დაზიანებულია). საინტერესოა იმით, რომ არის ერთადერთი უაფსიდო, სწორსაკურთხევლიანი ეკლესია მთელ სამეგრელოში. კარი სამი მხრიდან აქვს. ერთადერთი სარკმელი აღმ. მხარესაა. შემოსილია თლილი ქვით, მორთულობიდან აღსანიშნავია რელიეფური ჯვარი აღმ. ფასადზე. ეკლესიის მახლობლად, მაღალ მთაზე, მდ-ებს აბაშასა და ტეხურს შორის აღმართულია ციხე, რ-იც 1737 დას. საქართვ. რუკაზე მოხსენიებულია როგორც ,,თამაკონის ციხე''. ეს იყო გალავანშემორტყმული, რამდენიმეკოშკიანი ციტადელი. გაირჩევა მშენებლობის 2 ფენა. ერთი – რიყის ქვით ნაგები – ეკლესიის თანადროულია, მეორე კი, ასევე რიყის ქვით ნაგები – XVI–XVII სს-ში ჩატარებული დიდი რეკონსტრუქციის შედეგია. ,,თამაკონის ციხე'' მნიშვნელოვან ციხეთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. XIX ს. დასაწყისში იგი მოქმედი იყო. იხსენიებოდა *გრიგოლ დადიანისა* და იმერეთის მეფის სოლომონ II-ის შინაომთან დაკავშირებით. *თ. ბერაძე. პ. ზაქარაია.*

თამამშევა ნინო გიორგის ასული (15. I. 1905, თბილისი, – 26. I. 1971, იქვე), სომეხი ფერმწერი. საქართვ. დამს. მხატვარი (1966). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1930). თ-ს რეალისტური ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია დახვეწილი კოლორიტი, ფერწერულობა. მნიშვნელოვანი



ნ. თ ა მ ა მ შ ე ვ ა. ,,ქართული ნატურმორტი''. 1942. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. თბილისი.

ნამუშევრები: ,,ქართული სუფრა'' (1946), ,,ბროწეულები'' (1947), ,,ნატურმორტი მამლით'' (1954, სამივე საქართვ. ხელოვნ. მუზეუმი, თბილისი); ,,მწყემსი'' (1938), ,,ოლიმპიადა'' (,,ჩონგურზე დამკვრელები'', 1939), ,,ხალხთა მეგობრობა'' (,,უკრაინელი კოლმეურნეები სტუმრად ქართველ კლომეურნეებთან'', 1941) და სხვ.

ა. ჩხარტიშვილი.

თამამშევი ვასილ მიხეილის ძე (26.VII.1859, თბილისი, – XX ს I მეოთხედი, იქვე), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1913). მსახურობდა კავკ. სამხ. ოლქის ნაწილებში. 1895-იდან იყო კავკ. არმიის მთავარსარდლის ადიუტანტი, 1913-იდან – განსაკუთრებულ დავალებათა გენერალი, იმავდროულად მრავალი

სხვადასხვა სამხ. და საქველმოქმედო საზ-ბის წევრი და ვიცე-პრეზიდენტი.

დაჯილდოებულია წმ. ანას და წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით. *ლ. დოლიძე.*

„თამარა“, საგანგებო დანიშნულების ქვედანაყოფი, რომელიც შეიქმნა ქართველი (ძირითადად საფრანგეთში მცხოვრები) ემიგრანტებისგან 1941 წ. 20 ივნისს გერმანიის სამხედრო დაზვერვის – აბვერის მიერ. „თ-ს“ თავდაპირველი მიზანი საქართველოში ეროვნ.-განმან. აჯანყების ორგანიზება იყო. ემიგრანტთა ორგანიზაციაში ჩარიცხვას, რ-იც 1941 მარტიდან დაიწყო, ხელმძღვანელობდა ქართ. ემიგრაციის ერთ-ერთი მემარჯვენე ლიდერი მ. *კედია.* წინასწარი მომზადების მიზნით ამ პერიოდში ოცამდე ქართვ. ემიგრანტი (ძირითადად „თამარ I-ის“ მომავალი წევრები) მიავლინეს საგანგებო ერთკვირიან კურსებზე გერმ. სადაზვერვო-სადივერსიო სკოლაში ქ. ორლეანთან (საფრანგეთი). ივნისის ბოლოს „თ-ს“ მომავალი წევრები – 130 მოხალისე (ქართვ. ემიგრანტების გარდა, ორგანიზაციაში შედიოდა 30-მდე გერმ. საკადრო პერსონალის წარმომადგენელი), რაც მნიშვნელოვნად აჭარბებდა ორგანიზაციის თავდაპირველად დაგეგმილ პირად შემადგენლობას, შეიკრიბა ქ. ვენაში, სადაც მოხდა ქვედანაყოფის უშუალო ფორმირება. სტრუქტურულად „თ.“ დაიყო ორ საგანგებო დანიშნულების ჯგუფად – „თამარ I“ და „თამარ II“.

„თამარ I“ (მეთაური – გერმ. უნტერ-ოფიცერი ე. ჰერმანი) შედგებოდა თავის მხრივ ცალკე ქვეჯგუფებში გაერთიანებული 16 ქართვ. ემიგრანტისგან. 1942 აპრილის დასაწყისში „თამარ I“ გადაისროლეს ყირიმის ტერიტორიაზე, სადაც ჯგუფის წევრები გადიოდნენ წვრთნას. სექტემბრის დასაწყისში „თამარ I“ დაიყო ოთხ ქვეჯგუფად. თითო ქვეჯგუფი შედგებოდა 7 წევრისაგან: 3 გერმანელისა (ქვეჯგუფის მეთაური, ამფეთქებელი და რადისტი) და 4 ქართველისაგან.

4–6 სექტემბერს, ღამით ქ. საკის აეროპორტიდან საქართველოში თვითმფრინავებით გადასხეს „თამარ I-ის“ ოთხივე ჯგუფი, რ-თა მოქმედების არეალს შეადგენდა წყალტუბოს, ჭიათურის, ტყიბულისა და ზუგდიდის რ-ნები. წინასწარ მიღებული ზომების მიუხედავად, ოპერაცია წარუმატებლად დასრულდა შემდეგი მიზეზების გამო: 1) გერმანელთა მიერ ამ დროს დაგეგმილმა შეტევამ, რ-ის შედეგადაც ვერმახტის 1 სატანკო არმია უნდა შემოჭრილიყო საქართველოში, მარცხი განიცადა. ამან შეუძლებელი გახადა მედესანტეთა დაკავშირება მთავარ გერმ. ძალებთან; 2) ლუფტვაფეს პილოტთა შეცდომისა თუ არახელსაყრელი კლიმ. პირობების გამო მედესანტეები გაიფანტნენ დიდ რაღიუსზე, რამაც შეუძლებელი გახადა მათი შეკავშირება მიწაზე.

უკვე 13 სექტემბერს, საქართვ. შინსახკომმა გამოსცა ბრძანება, რ-ის თანახმად დაკავებული მედესანტეები შეპყრობის ადგილზევე საჯაროდ უნდა დაეხვრიტათ. ოქტომბრისთვის მედესანტეთა დიდი ნაწილი უკვე შეპყრობილი ან მოკლული იყო.

„თამარ II“ (მეთაური – გერმ. ობერ-ლეიტენანტი ო. კრამერი) წარმოადგენდა ასევე ცალკე ქვეჯგუფებად დაყოფილ 80 ქართვ. ემიგრანტისგან შედგენილ ოპერატიულ დანაყოფს. 1942 სექტემბერში, ვენაში ფორმირების შემდგომ, „თამარ II“ გადაისროლეს რუმინეთში, ბუქარესტის ახლოს, შემდეგ კარპატების მთების ძირას მდებარე სოფ. ოდობეშტში, ქ. ფოქშანთან, სადაც კავკასიასთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში გადიოდა გაძლიერებულ სამთო-სასროლო მომზადებას. ქართვ. ემიგრანტთა არაოფიც. მეთაურის როლს ასრულებდა დამოუკიდებელი საქართვ. არმიის ყოფილი პოლკოვნიკი ს. *ზალდასტანიშვილი.*

1941–42 ზამთარში „თამარ II-ის“ წევრები მონაწილეობდნენ გერმ. საბჭოთა ტყვეთა ბანაკებიდან ქართვ. წითელარმიელი ტყვეების გადაბირება-გამოყვანაში, რ-ებიც შემდგომ „თამარ II-ის“ შემადგენლობაში ირიცხებოდნენ.

1942 დასაწყისში „თამარ II-ის“ პირადი შემადგენლობა, რ-ის რიგებში დაახლოებით 130 ქართვ. ემიგრანტი და ყოფ. საბჭოთა ტყვე იყო, გადაისროლეს ქ. შტრანსში (სილეზიაში). აქ მოხალისეები შეიყვანეს აბვერის მეთაურის, ადმირალ ვ. კანარისის პირადი ბრძანებით შექმნილ კავკ. საგანგებო დანიშნულების ბატალიონის „ბერგმანის“ შემადგენლობაში, რ-ის თავდაპირველ მიზანს ასევე კავკასიაში სადაზვერვო-სადივერსიო ოპერაციების განხორციელება შეადგენდა.

ლიტ.: გაბლიანი გ., ჩემი მოგონებანი (მეორე მსოფლიო ომი), ტ. 1–2, ქუთ., 1998–2000; Мамулиа Г., Грузинский легион в борьбе за свободу и независимость Грузии в годы Второй мировой войны, თბ., 2007. *გ. მამულია.*



„თამარა“. საგანგებო დანიშნულების ქვედანაყოფის ჯარისკაცები.

თამარათი მიქელ, იხ. *თამარაშვილი* მიხეილ.

თამარაშენი, სოფელი ქარელის მუნიციპალიტეტის ფცის თემში (შიდა ქართლის მხარე), დოღლაურის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის დას. ნაწილი), მდ. შუა ფრონის (ფცის მდგენელი) მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 696 *მ,* ქარელიდან 19 *კმ,* აგარიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 9 *კმ.* 579 მცხ. (2002).

თ. ვახუშტი ბატონიშვილს შეტანილი აქვს ფცის-წყლის სოფელთა სიაში. სოფელში დგას XVIII–XIX სს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – სამების ერთნავიანი ეკლესია. ნაგებია რიყის ქვითა და ნატეხი ქვიშაქვით. კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები და კარ-სარკმლები აგურითაა ნაშენი. გადახურულია პილასტრებზე ამოყვანილ აგურის თაღზე დაყრდნობილი ცილინდრული კამარით. ძეგლი თავდაპირველად შელესილი და მოხატული იყო. შეთეთრების შემდეგ დარჩენილია მოხატულობის მცირე ფრაგმენტები. შესასვლელები სამხრ-იდან და დას-იდან აქვს. მოგვიანებით, 1883, ეკლესიას დას-იდან მიაშენეს ტუფის ქვით ნაგები კარიბჭე – სამრეკლო, რ-ის I და II სართული ოთხივე მხარეს თაღებითაა გახსნილი. გადახურულია აგურის პირამიდული გუმბათით.

ჯ. გვასალია. თ. დვალი.

თამარაშენი, სოფელი ქურთის მუნიციპალიტეტის ქურთის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ.

დიდი ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 880 *მ*, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 0,5 *კმ*. 960 მცხ. (2002).

გადმოცემის თანახმად, თ. – მცირე ქალაქი – XII ს-ში დაუარსებია თამარ მეფეს. თ. მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილთან (XVIII ს.), როგორც ქართველებით, სომხებით და ებრაელებით დასახლებული მცირე ქალაქი. XVIII ს-ში თ-ში აჩაბეთიდან გადმოსახლებულან მაჩაბლები. 1865 შედიოდა სურამის უბნის თამარაშენის სასოფლო თემში 65 კომლით.

სოფლის სამხრეთით 2 *კმ*-ზე



თამარაშენი. გრიგოლწმინდის ეკლესია. გვიანდელი შუა საუკუნეები.

შემორჩენილია ნახევრად დანგრეული გრიგოლწმინდის დარბაზული ეკლესია, რ-იც გვიანდ. შუა საუკუნეებით თარიღდება.

თ-ში დაიბადა ცნობილი ქართველი მწერალი ი. *მაჩაბელი*, აქვე იყო მისი სახლ-მუზეუმი.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., ლიახვის ხეობა, თბ., 1971; Документы по истории Грузии, т. 1, თბ., 1954.

ჯ. გვასალია.

თამარაშვილი ვასილ სოლომონის ძე (21. I. 1883, თბილისი, – 7. IV. 1957, იქვე), მუსიკოსი, პედაგოგი. მუს. საკრავთა რეკონსტრუქტორი. 1911 დაამთავრა თბილ. მუს. სასწავლებელი სამხ. კაპელმაისტერის (სამხ. ორკესტრის დირიჟორის) სპეციალობით. იყო ზ. ფალიაშვილის მოწაფე. თავდაპირველად თბილ. სკოლებში ასწავლიდა სიმღერა-გალობას, სანოტო სისტემას, მუს. თეორიასა და სოლფეჯიოს. უკრავდა ორგანზე კათოლ. ეკლესიაში. 1936–39 მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ქართ. ხალხური საკრავების ორკესტრი. მან დიდი შრომა გასწია საკრავების დახვეწა-განვითარების, გაუმჯობესება-გადახალისების ხაზით, რაც იმ დროისათვის საინტერესო მოვლენა იყო. თ-მა ხანგრძლივი შრომისა და დაკვირვების შედეგად შექმნა მსოფლიოში პირველი ნოტების საბეჭდი მანქანა, რ-ის პირველი ნიმუში ჯერ კიდევ 1936 დაამზადა. მოწონებული მანქანა სერიული წარმოებისათვის გადაეცა ლენინგრადის ოლქის ქ. ლიგოვოს. სამწუხაროდ, მანქანის სერიულ ჩამოსხმას ხელი შეუშალა 1941 სსრკ-გერმანიის ომმა და საბეჭდი მანქანა ქარხანასთან ერთად განადგურდა.

ლიტ.: გ ე გ ე ჭ კ ო რ ი ლ., ხალხური სიმღერის მოამაგენი, თბ., 2007.

კ. ჭოხონელიძე.

თამარაშვილი მიხეილ, თ ა მ ა რ ა თ ი მ ი ქ ე ლ (ერისკაცობაში – ალექსანდრე) პეტრეს ძე [IX. 1858, ახალციხე, – 3 (16). IX. 1911, სოფ. სანტა-მარინელა, იტალია], ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ახალციხის სამრევლო სკოლაში. 1878-იდან სწავლობდა კონსტანტინოპოლში კათოლიკე მოძღვრის, პ. *ხარისჭირაშვილის* მიერ დაარსებულ ქართ. სასწავლებელში, 1881–83 – ესპანეთში, სას. სემინარიაში. 1888 დაამთავრა პარიზის წმ. ლაზარეს სას. სასწავლებელი, გაეცნო პარიზის სამეცნ. ცხოვრებას; მუშაობდა წიგნსაცავებში, არქივებსა და მუზეუმებში. ამავე წელს დაბრუნდა საქართველოში. მას სურდა სას. და სამეცნ. საქმიანობა ერთმანეთთან შეეთავსებინა, მაგრამ ცარიზმის მოხელეებმა 1890, როგორც ,,უცხო იდეებით'' გამსჭვალული პიროვნება, თბილისიდან გააძევეს და საქართვ. ტერიტორიაზე ცხოვრება აუკრძალეს. 1891 ჩავიდა რომში და სწავლა განაგრძო სას. აკადემიაში, რ-იც წარმატებით დაამთავრა 1894 და ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება მოიპოვა. ამ ხნის განმავლობაში ფრანგ. და იტალ. პერიოდიკაში აქვეყნებდა წერილებს საქართვ. ისტ. საკითხებზე. ვატიკანის, საფრანგეთის, იტალიის, თურქეთის, ალექსანდრიის, მოსკოვისა და ლონდონის არქივებში თ-მა გამოავლინა საქართვ. ისტ. ამსახველი დიდძალი დოკუმენტური მასალა. აქედან თ-მა მოასწრო საქართველო-ევროპის ურთიერთობის და, კერძოდ, საქართველოში კათოლ. სარწმუნოების გავრცელებასთან დაკავშირებული მასალების დამუშავება და გამოცემა (,,ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის'', თბ., 1902; ,,პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას'', თბ., 1904).

1904 გაზ. ,,ივერიაში'' ცალკეული სტატიების სახით გამოაქვეყნა თეოლ. ხასიათის ნაშრომი ,,რომი'', სადაც ზოგად ქრისტ. საკითხებთან ერთად განხილულია კათოლ. ეკლესიის (მასთან ქართვ. კათოლიკეთა ეკლესიის) მრავალი თავისებურება. თ-ის წიგნმა ,,საქართველოს ეკლესიის ისტორია'' (რომი, 1910, ფრანგ. ენაზე) დიდი გამოხმაურება პოვა ევრ. სამეცნ. წრეებში. ამ გამოცემას ვატიკანის სპეც. პრემია მიენიჭა. თ-მა სიცილიაში აღმოაჩინა კრისტოფორო დე *კასტელის* სურათების ალბომი, შეძლო აღმოჩენილი სურათების ძირითადი ნაწილის ფოტოასლების გადაღება (154 ცალი) და ცალკე ალბომად შეკვრა, რ-ის ერთი ცალი დღემდეა დაცული საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ბ-კაში. აქვეა მოცემული სურათების წარწერების ტექსტის თარგმანი და ავტორის საყურადღებო კომენტარები.



მ. თამარაშვილი.

თ-ს დიდი წვლილი მიუძღვის ს.-ს. ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის შესახებ მასალების მოძიებაში. მან ერთ-ერთმა პირველმა აზიარა ევრ. მკითხველი საქართვ. ისტორიასა და კულტურას.

1978 თ. იტალიის ქ. ჩივიტავეკიიდან გადმოასვენეს საქართველოში. დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში. მისი სამეცნ. მემკვიდრეობის დიდი ნაწილი ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრში ინახება.

ლიტ.: ბ ლ უ ა შ ვ ი ლ ი უ., მესხეთის სახელოვანი შვილები, თბ., 2008; ლ ო მ ს ა ძ ე შ., მიხეილ თამარაშვილი, თბ., 1964; ს ა ხ ო კ ი ა თ., ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1984; ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ ი ჟ., ფიქრები მიხეილ თამარაშვილზე, თბ., 2012; ყ რ უ ა შ ვ ი ლ ი ნ., მიხეილ თამარაშვილი, თბ., 2012; ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ზ., ქართველ კათოლიკეთ სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები: მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი, თფ., 1912.

შ. ლომსაძე.

თამარ ბატონიშვილი (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) (1791–1875) ერ-

ეკლე II-ის შვილიშვილი, იულონ ბატონიშვილის ასული. განათლება მიიღო სამეფო კარზე და ოჯახში. 20 წლისა რუს. დედოფლის ფრეილინად დაინიშნა. ახლო ურთიერთობა ჰქონდა პეტერბურგის სამეფო კართან. თ. ბ. 1832 შეთქმულების აქტ. წევრი გახდა და ამ საქმეში რამდენიმე გავლენიანი მანდილოსანიც ჩააბა. აქტიურად მონაწილეობდა აჯანყების გეგმის შედგენაშიც. შეთქმულთა დამარცხების შემდეგ მას ჩამოართვეს უფლისწულის (ცარევნას) ტიტული და რუსეთში გადაასახლეს. დაკრძალულია მცხეთაში.

ლიტ.: გოზალიშვილი გ., 1932 წლის შეთქმულება, ტ. 1–3, თბ., 1935–76.

თამარ დედოფლის კლდეები, იხ. *ფოცხვრევის ქედი.*

თამარ დედოფლის მღვიმე, კარსტული მღვიმე ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქორთის მახლობლად, *ფოცხვრევის ქედის* დას. კლდოვან ფერდობზე. გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში. მღვიმე იწყება ვრცელი გუმბათოვანი დარბაზით, რ-საც 8 *მ* სიგანის კარნიზი აქვს გადმოხურული. მღვიმის წინ ამოშენებულია 4 *მ* სიგანის, 0,8 *მ* სიმაღლის დუღაბის კედელი სამზერებითა და სარკმლით.

ნაგებობიდან მარჯვნივ, 15 მეტრზე, ბუნებრივი პატარა მღვიმეა (2×12×12) $მ^3$, რ-საც ხელოვნური დამუშავების კვალი ეტყობა. პირველი ცნობა თ. დ. მ-ის შესახებ (თუმცა ლეგენდის ხასიათისა) ეკუთვნის ცნობილ ქართვ. მოღვაწეს ი. *მაჩაბელს.* XX ს. 80-იან წლებში მღვიმე შეისწავლა ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრ. ინ-ტის სპელეოექსპედიციამ.

ლიტ.: ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

„თამარ დედფალი“, სვანური ფერხული. სიტყვიერი ტექსტი შექმნილია თამარ მეფის სვანეთში ჩასვლასთან დაკავშირებით. შემსრულებლები ქება-დიდებას ასხამენ თამარ მეფეს, მის სილამაზეს, აღჭურვილობას, ცხენის მოკაზმულობას და სხვ. ფერხულის ტექსტის ანალიზი მიგვანიშნებს, რომ ქართვ. ხალხი თამარ მეფეში ხედავდა არა მარტო დედოფალს და ქალისათვის დამახასიათებელ სინაზეს, არამედ მეომარ მეფეს, რ-საც ატლასის კაბაზე აბჯარი ეცვა, თავზე ზუჩი ეხურა და წელზე ხმალი ეკიდა. ფერხულში მონაწილეობს ნებისმიერი რაოდენობის. ქალ-ვაჟი. სრულდება ამავე სახელწოდების ორპირული სამხმიანი სიმღერით. სიმღერის პირველი ნაწილის („რავქენსიას“), ზომაა 6/8, მეორესი კი („საიერიშოს“) – 4/4.

ლიტ.: თათარაძე ა., ქართული ხალხური ცეკვა, თბ., 2010.

თამარი (გ. 1150), XII ს. მოღვაწე, დავით IV აღმაშენებლის ასული. 1105/6 დავითმა იგი შირვანშაჰ მანუჩაჰრ II-ს მიათხოვა. ეს ნაბიჯი გამიზნული იყო შირვანშაჰთან კეთილი დამოკიდებულების დასამყარებლად და მის ჩასაბმელად თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ქმრის – შირვანშაჰის გარდაცვალების შემდეგ თ. სამშობლოში დაბრუნდა, ააგო თიღვის მონასტერი და იქვე აღიკვეცა მონაზვნად. იხსენიება მონასტრის მთავარი ნაგებობის – ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ფასადის წარწერებში. იყო ძმისშვილის – *გიორგი III-ის* გამზრდელი.

წყარო: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე, ტ. 2, თბ., 1959; ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე, იქვე, ტ. 1, თბ., 1955; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.



თამარი. ფრესკა. ვარძიის მონასტერი.

ლიტ.: მეტრეველი რ., დავით აღმაშენებელი; მეფე თამარი, თბ., 2002.

გ. საითიძე.

თამარი (დაახლ. 1160–1213, სხვა ცნობებით – 1207, 1210), საქართველოს მეფე 1184-იდან, გიორგი III-ის ასული. 1178 გიორგი III-მ, ითვალისწინებდა რა ტახტის მემკვიდრეობის გამო შექმნილ, დაძაბულ ვითარებას, თ. თანამოსაყდრედ აკურთხა. გიორგი მეფემ თ-ის კურთხევა ყველა წესის დაცვით ჩაატარა „განრჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხუედრისა, შარავანდედთა მნებებელისათა მეფე ყო თამარ, თანადგომითა ყოველთა პატრიარქთა და ებისკოპოზთა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა“. გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ, 1184-იდან თ. ერთმმართველი გახდა. მისი გამეფებისთანავე ფეოდ. არისტოკრატიის ერთმა ჯგუფმა დაიწყო ბრძოლა დაკარგული პოლიტ. პრივილეგიების აღსადგენად. უპირველეს ყოვლისა, მათ თ. ხელახლა აკურთხეს მეფედ, რითაც ხაზი გაუსვეს თავიანთ უფლებებს (არსებობს თვალსაზრისი, რომ თ-ის მეორედ კურთხევა არ წარმოადგენდა განსაკუთრებულ მოვლენას, რადგან არსებობდა ტრადიცია მეფის გარდაცვალების შემდეგ თანამოსაყდრედ კურთხეული მემკვიდრის ხელმეორედ კურთხევისა). ამასთანავე, თ. იძულებული იყო დაეკმაყოფილებინა მათი ზოგი სხვა მოთხოვნა, მაგ., გადაეყენა გიორგი III-ის მიერ აღზევებული უერთგულესი მოხელეები – ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი ყუბასარი და მსახურთუხუცესი აფრიდონი. ამის შემდეგ მეფის ხელისუფლების შეზღუდვის მოთხოვნით გამოვიდა მეჭურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანის დასი (იხ. *ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა*). ჩანს, საკითხი კომპრომისული შეთანხმებით მოგვარდა, რის შემდეგ თ-მა ისურვა ხელისუფლების ოპოზიციაში მდგომი კათოლიკოსის, მიქელ მირიანის ძის (იხ. *მიქელ IV*) გადაყენება. ამისთვის მოწვეულ იქნა საეკლ. კრება, რ-საც საგანგებო მოწვევით ესწრებოდნენ თ-ის მომხრე გავლენიანი საეკლ. პირები, მიქელის მიერ კათოლიკოსობიდან გადაყენებული ნიკოლოზ გულაბერისძე (იხ. *ნიკოლოზ I*), *ანტონ ქუთათელი* და სხვანი. მართალია, მიქელის გადაყენება ვერ მოხერხდა, მაგრამ მეფისათვის არასასურველი რამდენიმე მაღალი საეკლ. თანამდებობის პირი გადააყენეს. 1185 გავლენიან ფეოდალთა ერთმა ჯგუფმა თ. მისი სურვილის წინააღმდეგ ანდრია

ბოგოლიუბსკის შვილ იურიზე (გიორგიზე) (იხ. *იური ანდრიას ძე)* დააქორწინა. თავდაპირველ დამარცხებათა შემდეგ მ-მა თანდათან განიმტკიცა პოზიციები. პირველ რიგში (ორი-ორნახევარი წლის შემდეგ), განქორწინდა არასასურველ მეუღლესთან. იურის მოწვევის და შემდეგ განქორწინების მიზეზი იყო მეფესა და მის მოწინააღმდეგე ფეოდალთა შორის ინტერესთა დაპირისპირება. განქორწინებას ღრმა პოლიტ. საფუძველი ჰქონდა, თუმცა მიზნის მისაღწევად მ-მა იურის უარყოფითი თვისებები გამოიყენა (მიდრეკილება ,,მემთვრალეობისა'' და სოდომური ცოდვისადმი, არ არის გამორიცხული, რომ ეს ბრალდებები გადაჭარბებულიც იყო). მ-ის ქმარყოფილი საქართველოდან გააძევეს. მ-მა მაღალ თანამდებობებზე თანდათან თავისი ერთგულნი შემოიკრიბა, დააწინაურა და სახელმწ. მმართველობის სადავეები თვითონ ჩაიგდო ხელში. 1187 (ან 1189) იქორწინა *დავით სოსლანზე* და შეეძინა ორი შვილი – გიორგი (ლაშად სახელდებული) და რუსუდანი. მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო ფეოდალებმა (მეჭურჭლეთუხუცესი ვარდან დადიანი, სამცხის სპასალარი ბოცო ჯაყელი, გუზან ტაოელი და სხვანი) 1191 აჯანყება მოაწყვეს და ბიზანტიაში მყოფი მ-ის ქმარყოფილი იური საქართველოში შემოიყვანეს. მ-მა თავდაპირველად მოლაპარაკებით სცადა საქმის მოგვარება, შემდეგ კი მათ წინააღმდეგ ლაშქარი გაგზავნა და აჯანყებულები დაამარცხა. იური ისევ ბიზანტიაში გააძევეს, ხოლო მოღალატე ფეოდალთა თანამდებობებზე მეფემ თავისი მომხრეები დანიშნა. 1193 იურიმ რანის ათაბაგის დახმარებით ისევ სცადა ბედის შემობრუნება, მაგრამ ეს მცდელობაც უშედეგოდ დამთავრდა.

მ-მა დაამარცხა მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო დიდებული ფეოდალები. ოპოზიცია იძულებული გახდა დამორჩილებულიყო. მეფემ სასტიკად ჩაახშო სახელმწ. ვალდებულებათა წინააღმდეგ მიმართული მთიელთა (ფხოველთა, დიდოელთა) აჯანყება, რ-იც სამ თვეს გაგრძელდა (დაახლ. 1212).

მ-ის მეფობის პირველ პერიოდში, დაძაბული შინაბრძოლის ვითარებაში, საქართველო მხოლოდ მეზობელთა თავდასხმებს იგერიებდა და ფეოდ. სახელმწიფოსათვის ჩვეულებრივ წვრილ სასაზღვრო თარეშს აწყობდა. XII ს. 90-იანი წლებიდან საქართველომ ფართო მასშტაბით შეუტია მოსაზღვრე სელჩუკიანი თურქების სახელმწიფოებს. მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიანთა სამფლობელოები გაერთიანდნენ საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად და დახმარება თავიანთ უზენაეს სას. ხელისუფალს, ბაღდადის ხალიფას, სთხოვეს. 1195 შამქორთან ბრძოლაში ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს აზერბ. ათაბაგ აბუბაქრისა და მისი მოკავშირეების ლაშქარზე (იხ. *შამქორის ბრძოლა 1195).* 1203 დაამარცხეს რუმის სულთნის რუქნადინის ლაშქარი (იხ. *ბასიანის ბრძოლა 1203*), 1199–1203 აიღეს სომხ. ქ-ები: ანისი, ბიჯნისი, დვინი, რის შედეგადაც ჩრდ. და ცენტრ. სომხეთი საქართველოს შემოუერთდა. 1204 აიღეს ქ. კარი (ყარსი). საქართვ. სამეფოს კონტროლს დაექვემდებარა დვინ-არზრუმისა და დარუბანდ-შემახიის მნიშვნელოვანი სტრატ. და სავაჭრო მაგისტრალები. იმავე 1204 ქართველთა ლაშქარმა დაიკავა შავი ზღვის სამხრ. სანაპიროს მნიშვნელოვანი ნაწილი, სადაც მ-მა დააარსა საქართველოზე დამოკიდებული სახელმწიფო – *ტრაპიზონის იმპერია.* 1208–09 ქართველებმა ილაშქრეს ხლათზე, არჭეშსა და *არდებილზე,* 1210 დალაშქრეს ჩრდ. ირანი.



თამარი. ფრესკა. ბეთანიის მონასტერი.

მ-ის მეფობის დასასრულისათვის საქართვ. ყმადნაფიცი ქვეყნები იყვნენ: აღმ-ით შირვანი და რანი; ჩრდ-ით – ქაშაგეთი, ოსეთი, *დურძუკეთი, დიდოეთი,* ღუნძეთი, ლეკეთი, დარუბანდი. სამხრ-ით მოხარკე ქვეყნები იყვნენ: *ხლათის სასულთნო,* ერზინკის სასულთნო, კარნუ-ქალაქის (არზრუმის) საამირო, ნახჭევნის საამირო. XII ს. უკანასკნელ მეოთხედსა და XIII ს. დასაწყისში ფეოდ. საქართველომ მ-ის ბრძნული და წინდახედული პოლიტიკით თავისი პოლიტ. სიძლიერის, ეკონ. და კულტ. აღმავლობის უმაღლეს საფეხურს მიაღწია. მ-ის მეფობის დროს საქართველოში ფართო მასშტაბის სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა. აშენდა გზები, ხიდები, ციხესიმაგრეები, სასახლეები, ეკლესია-მონასტრები... მის დროსაა აგებული ბეთანიის, ბერთუბნის მონასტრები, ვარძიის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი და სხვ. იქმნებოდა ქართ. კულტურის ახ. კერები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ. მ-ის ერთ-ერთი ისტორიკოსი მას იერუსალიმის მონასტრის აშენებას მიაწერს (შესაძლებელია, მის დროს მნიშვნელოვანი აღდგენით-სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა), მის დროსაა აგებული ჟალიას (ღალიას) მონასტერი კუნძულ კვიპროსზე. მ. დიდ მატერ. დახმარებას უწევდა ქართ. კულტ. კერებს, საგანგებოდ ზრუნავდა საზღვარგარეთ არსებულ ცენტრებზე. ისტორიკოსის სიტყვებით: ,,მცირითგან მონასტრით საყდარ-ეკლესიანი არა დაუტევა, რომელ არა წყალობით აღავსო''. იგი მფარველობდა მეცნიერებს, პოეტებს, ხელოვანებს და ა. შ.

მ-ს, ჩანს, ადრეული ასაკიდანვე ამზადებდნენ იმ დიდი მისიისათვის (მეფობისათვის), რაც მას ცხოვრებამ დააკისრა. მის აღზრდას მეფე გიორგის და, განათლებული და გამოცდილი პოლიტ. მოღვაწე, ხორასნის სულთნის ცოლყოფილი, დაქვრივების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული რუსუდან დედოფალი ხელმძღვანელობდა. მ-ის ერთ-ერთი ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მცირე ასაკის მ. ,,გონებითა არა ყრმებრივითა, არამედ მეცნიერებითა ცნობიერითა გონიერითა და შუენიერითა'' გამოირჩეოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მ-ის დიპლ. ტაქტი. როგორც წესი, საშინაო თუ საგარეო კონფლიქტების მოგვარებას ის მოლაპარაკებით ცდილობდა. ამ



თამარი. ფრესკა. ყინწვისის მონასტერი.

მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მისი მცდელობა, მოეგვარებინა საკითხი ყუთლუ-არსლანის დასის წევრებთან, რისთვისაც სპატიო მანდილოსნები – კრავაჲ *ჯაყელი* და *ხუაშაქ ცოქალი* მიუგზავნა განდგომილთ, რ-თაც, როგორც ჩანს, წარმატებით გაართვეს თავი მოვალეობას. ასევე მოლაპარაკებით ცდილობდა თ. იმ დიდი აჯანყების ჩაქრობას, რ-იც მისი ქმარყოფილის დაბრუნებას ისახავდა მიზნად; აჯანყებულებს საგანგებო ელჩობა გაუგზავნა, მაგრამ მათ არ ისურვეს მოლაპარაკება და მეფე იძულებული გახდა ლაშქრით მოეგვარებინა პრობლემა. თ., როგორც წესი, ცდილობდა ბოროტმოქმედთა შეწყალებას. როგორც თ-ის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, მეფის მოწყალების დამადასტურებელია ის, რომ შეწყალებულ იქნენ ისეთი დამნაშავეებიც კი, როგორებიც იყვნენ ვარდან დადიანი (იხ. *დადიანი ვარდან), ბოცოსძე* ბოცო და ,,ამათნი მიმდგომნი დიდებულნი''. ამიტომაა, რომ თ-ის დროს ,,არ იყო მიმძლავრებული, არცა მტაცებელი, არცა მეკობრე



თამარი. ფრესკა. ბერთუბნის მონასტერი.

და მპარავი''. თ-ის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მისი მეფობისას, ადრიდანვე არსებული წესით – ,,ძელსა ზედა ჩამორჩობით'' სჯიდნენ მხოლოდ ავაზაკებს. *გუზან აბულასანის ძე ტაოელი* დავით სოსლანმა თ-ის უკითხავად დასაჯა, მას თვალნი დასწვეს ,,ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტიანეთასა''.

საქართვ. სამეფო კარზე ადრიდანვე დამკვიდრებული იყო ღარიბ-ღატაკთა დახმარების ტრადიცია, ქველმოქმედება მეფეთა აუცილებელ თვისებას წარმოადგენდა. საქართვ. მეფეები, მ. შ. თ. ქველმოქმედებას საკუთარი შრომითაც ეწეოდა: ,,რამეთუ რაჟამს მოიცალის მარტოებით ყოფად, მყის აღიღის სასთუელი, გინა საკერავი, და ნაშრომსა მას თჳსთა ჴელთასა ხუცესთა და გლახაკთა განუყოფნ თჳსთა ჴელითა''. თ-ის დროს განვითარების მაღალ დონეზე იდგა მეცნ. სხვადასხვა დარგები: ისტორიოგრაფია, ფილოსოფია, მედიცინა, და სხვ. მის დროს შეიქმნა ქართ. კედლის მხატვრობის უბადლო ნიმუშები (ბერთუბნის, ყინწვისის, ბეთანიის, ვარძიის და სხვა ძეგლთა მოხატულობანი), ოქრომჭედლობის (ოპიზარნი, ტბელნი) მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლები. განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია ქართ. შუასაუკუნოვანმა საერო მხატვრულმა მწერლობამ, რ-ის უბადლო ნიმუშებია *ჩახრუხაძის, იოანე შავთელის* პოემები და შოთა *რუსთაველის* უკვდავი ,,ვეფხისტყაოსანი''.

თ. თავიდანვე იწოდებოდა ,,მეფედ'' (აგრეთვე ,,მეფეთ მეფედ'') და ,,დედოფლად'' (აგრეთვე ,,დედოფალთა დედოფლად''). მისი მეუღლე (როგორც გიორგი, ასევე დავითი) თ-ის თანამეცხედრეობის გამო ,,მეფე'' იყო. თ-ის სრული ტიტული ასეთია: ,,მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფეჲ და დედოფალი შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითმფლობელი''.

ქართველმა ხალხმა მრავალი ლექსი, პოემა, ლეგენდა უძღვნა თ-ს; მასვე მიაწერა თ-ის მეფობამდე და მეფობის შემდეგ აგებული ძეგლების მშენებლობა. თ-ის შემდეგ საქართველო მალევე უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, ამიტომ ხალხმა ყოველივე საუკეთესო მის უკვდავ სახელს დაუკავ-



თამარის ჯვარი.

შირა. ხალხურ შემოქმედებაში რეალური ისტ. პიროვნება ლეგენდარულ გმირად იქცა. თ-ის ორივე ისტორიკოსის და ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანეს ცნობით თ. გელათში დაკრძალეს.

ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ თ. წმინდანად შერაცხა: წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის ხსენების დღეა 1 (14) მაისი.

წყარო: ბასილი ეზოსმოძღუარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ისტორიანი და აზმანი შარვანდედთანი, იქვე; ლაშა გიორგის-დროინდელი მატიანე, იქვე, ტ. 1, თბ., 1955; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: მეტრეველი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; მისივე, თამარი, თბ., 1991; მისივე, დავით აღმაშენებელი; მეფე თამარი, თბ., 2002; ნატროშვილი თ., ჯაფარიძე გ., ცდა ერთი თარიღის დადგენისა, «მაცნე». ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 1; ოდიშელი ჯ., ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ერთი საკითხი (XII–XIII სს. მიჯნა), «ცისკარი», 1976, № 1; სილაგაძე ბ., XII–XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, კრ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1965; Лордкипанидзе М. Д., История Грузии XI – начала XIII века, Тб., 1974; მისივე, Georgia in the XI–XIII centuries, Tb., 1987; Метревели Р. В., Святая царица Тамар, Стокгольм, 2014.

მ. ლორთქიფანიძე.

თამარი (გ. 1267), საქართველოს დედოფალი. დავით VI ნარინის

მეუღლე, *ამანელისძეთა* საგვარეულოდან. დავით VI ნარინს მისგან სამი ვაჟი შეეძინა: ვახტანგი, კონსტანტინე და მიქაელი.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად). *გ. საითიძე.*

თამარი, XIII ს. მოღვაწე, *დავით VII* ულუს ასული. ცოლად შეირთო მონღოლი დიდმოხელის, ,,გურჯისტანის ვილაიეთის'' გამგებლის არღუნ აღას ვაჟმა. თ-ს სძულდა წარმართი მეუღლე. როდესაც არღუნი გარდაიცვალა, ქმარმა იგი დროებით თბილისში ჩამოიყვანა. თ. გაიპარა და მთიულეთში დაიმალა. აბაღა ხანისა და თ-ის ძმის – დემეტრე II-ის თანხმობით, თ. ცოლად შეირთო სამეფოს ფაქტობრივმა გამგებელმა, მედროვე *სადუნ მანკაბერდელმა.*

წყარო: ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, ასწლოვანი მატიანე, რ. კიკნაძის გამოც., თბ., 1987; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად). *გ. საითიძე.*

თამარი, გ უ რ ჯ ი - ხ ა თ უ ნ ი (XIII ს.), საქართველოს მეფის რუსუდანის ასული. მამამისი, მოღის ედ-დინი, იყო არზრუმის გამგებლის თოდრულ ტოღრილის ძე. 1236 მიათხოვეს რუმის სულთან ყიას ედ-დინ ქეი ხუსრევ II-ს (1236–46). თ-მა დიდი გავლენა მოიპოვა სულთნის კარზე. 1236 მოჭრილ ფულზე სულთანმა სიმბოლურად ამოატვიფრინა მისი სახე (მზე ლომის ზოდიაქოში). ასე შეიქმნა აღმოსავლეთში ცნობილი ემბლემა ,,შირ-უ-ხურშიდ'' (ლომი და მზე), რ-იც შემდეგ სელჩუკთა სხვა სულთნებმაც გამოიყენეს და მოგვიანებით სპარსეთშიც დამკვიდრდა. სულთნის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის გამგებლობა ხელთ იგდო ვეზირმა მუინ ედ-დინ სულეიმან ფერვანამ და იმდროინდელი ტრადიციების მიხედვით სულთნის ქვრივი – გურჯი-ხათუნი ცოლად შეირთო. გურჯი-ხათუნი მეგობრობდა აღმოსავლეთის უდიდეს პოეტ ჯალალ ალ-დინ რუმისთან. დედოფლის მცდელობით შეიქმნა რუმის პირველი პორტრეტი. მისივე უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა პოეტის მწვანე თურბეც (აკლდამა), რ-იც სელჩუკური არქიტ. მშვენებაა.

წყარო: ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008. *ე. ჯაველიძე.*



თამარი. გურჯი-ხათუნის მონეტა. 1236. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ –ზურგი.

თამარი, *ალასტანელების* სამფლობელოს ,,დედოფალი'', *მელქისედეკ* ,,პროვინციის მეფის'' მეუღლე, რ-იც ჰოვანავანქის მონასტრის ეგვტერის წარწერაში ,,პატრონად'' და ,,დედოფლად'' იწოდება. წარწერა გაკეთებულია ,,ხელმწიფობაში პატრონისა დედოფლისა თამარისა''. მათი ვაჟის – გიორგის მცირეწლოვნობის გამო ალასტანელთა სამფლობელოს ,,დედოფალი'' თ. განაგებს. აღნიშნული წარწერის შესწავლამდე თ. უცნობი იყო ალასტანელთა გენეალოგიაში. ეს ეპიგრაფიკული ძეგლი მელქისედეკის შემდეგაც ადასტურებს ისტ. სომხეთის გარკვეულ რეგიონზე ალასტანელთა მფლობელობას და მონღოლთა ხანაში სომხეთის საქართველოს შემადგენლობაში ორგანულად ყოფნას. რადგან ანდრონიკე ,,პროვინციის მეფის'' ხელმწიფობას 1340-ით ვიწყებთ, თ-ის დედოფლობის ზემო საზღვრად დაახლოებით ეს პერიოდი შეიძლება ვივარაუდოთ.

ლიტ.: ნ ი ნ ი ძ ე დ., ,,პროვინციის მეფეები'' XIV–XV საუკუნეების საქართველოში, თბ., 1995. *დ. ნინიძე.*

თამარი, ქართლის დედოფალი, მეფე *დავით X-ის* მეუღლე, *ლუარსაბ I-ის* დედა. 1554 ქართლის სამეფოს წინააღმდეგ ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ატენის ციხეში თავშეფარებული თ. დაატყვევა ირანის შაჰმა თამაზ I-მა და სხვა 30 ათას ტყვესთან ერთად სპარსეთში გაგზავნა. ტყვეობასა და სამარცხვინო სიცოცხლეს თ-მა სიკვდილი ამჯობინა და გზაში თავი მოიწამლა.

ქართ. ისტორიოგრაფიაში თ-ს ხშირად ნესტან-დარეჯანს უწოდებდნენ. ბოლო დროს უპირატესობა თ-ს ეძლევა.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: ს ა ი თ ი ძ ე გ., ნ ი ნ ი ძ ე დ., ლუარსაბ I-ის დედის ვინაობის საკითხისათვის, «არტანუჯი», 1995, №4; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად). *გ. საითიძე.*

თამარი, საქართველოს დედოფალი, *ალექსანდრე I* დიდის მეორე მეუღლე, იმერეთის ერისთავის, დიმიტრი ალექსანდრეს ძის, და. მისგან ალექსანდრე I-ს შეეძინა დავითი (შემდეგში კათოლიკოსი *დავით II*), გიორგი (შემდეგში *გიორგი VIII*) და ზაალი.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად). *გ. საითიძე.*

თამარი, საქართველოს დედოფალი, *გიორგი VIII-ის* მეუღლე, მესხეთის მთავრის – ყვარყვარე II დიდის ასული. XV ს. 60-იან წლებში ყვარყვარე II-სთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით, გიორგი VIII-მ ცოლად შეირთო თ., რ-ისგანაც 3 შვილი შეეძინა.

წყარო: შ ა რ ა შ ი ძ ე ქრ., სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV–XVI სს.), თბ., 1961. *გ. საითიძე.*

თამარი (გ. 1510), იმერეთის დედოფალი. XV–XVI სს. მოღვაწე, მეფე *ალექსანდრე II-ის* მეუღლე. მისგან ალექსანდრე II-ს შეეძინა ბაგრატი (შემდგომში იმერეთის მეფე ბაგრატ III), დავითი და ვახტანგი.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად). *გ. საითიძე.*

თამარი, ქართლის დედოფალი, მეფე *ლუარსაბ I-ის* მეუღლე, იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის ასული. 1526 ბაგრატ III-მ ქართლში მიიღო ,,არადათს წყალს გამოღმა: ალი, სურამი და ახალდაბა''. ამავე

წელს 25 მარტს ლუარსაბმა იქორწინა თ-ზე. ჩანს ლუარსაბს ეს ქორწინება ტახტის განმტკიცებისათვის ესაჭიროებოდა, რამდენადაც წყაროში აღნიშნულია, რომ ,,მეფობდა ლუარსაბ ძალითა და შეწევნითა ბაგრატისითა''.

წყარო: ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1967.

თამარი, *შაჰ-აბას I-ის* ცოლი, ანდუყაფარ *ამილახვრის* ქალიშვილი (ფ. გორგიჯანიძის ცნობით – და: ,,შაჰ-აბას ყაენს ცოლად ჰყავდა და ნამეტნავად უყვარდა ანდუყაფარ ამილახორის დაი თამარ''). სპარსელი ისტორიკოსის, ნ. ფალსაფის მოწმობით, როცა შაჰი ნაღვლიანი და დადარდიანებული შედიოდა ჰარამხანაში, მასთან მიახლოებასა და დალაპარაკებას ვერავინ ბედავდა უფროსი და კანონიერი ქართ. ცოლის გარდა. ეს ქალი ანდუყაფარ გურჯის (ამილახვარის), კახეთის ვალის – ალექსანდრე ხანის ნათესავის ასული იყო, კარგად იცნობდა შაჰის ხასიათსა და ბუნებას და მასზე დიდი გავლენა ჰქონდა. რუს. წყაროების მიხედვით (ს. *პელოკუროვი*, ნ. ვესელოვსკი) თ. ალექსანდრე კახთა მეფის ცოლის დისშვილი ყოფილა. იმავე წყაროებში დაწვრილებით არის აღწერილი 1596 ირანის შაჰის სარდლების ჩამოსვლა კახეთში და თ-ის ირანში გამგზავრების ცერემონიალი.

ლიტ.: ს ვ ა ნ ი ძ ე მ., ქართველი ქალები შაჰ-აბას I-ის კარზე, მის წგ.: საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1990; Белокуров С. А., Сношения России с Кавказом, в. 1, М., 1889; Веселовский Н. И., Памятники дипломатических и торговых сношений России с Персией, т. 1, СПб., 1890.

მ. სვანიძე.

თამარი, ქართლის დედოფალი XVII ს-ში, *გიორგი X-ის* მეუღლე, *ლუარსაბ II-ის* დედა. თ-ის მამა, *გიორგი III დადიანი* ოდიშის სამთავროში სალიპარტიანოდ სახელდებული მამულის მფლობელი იყო (ამის გამო იწოდებოდა ლიპარტიანად). თ-ს ჰყავდა ორი და – ხორეშანი, რ-ის სახელი დაარქვა თავის ერთ-ერთ ასულს (შემდეგში მეფე *თეიმურაზ I-ის* მეუღლე), და მანია – რ-ის ხელშეწყობით XVII ს. დასაწყისში ხელნაწერი წიგნი ,,ცაიშის გულანი'' შეიქმნა. თ-მა შვილთან ერთად მეუღლის – მეფე გიორგის მოსახსენებელი დააწესა სვეტიცხოველში, მისივე სულის სააღაპედ მთაწმინდის პორტაიტის ღვთისმშობლის მონასტერს მეჯვრისხველი გლეხები შესწირა. მანვე თბილ. მელიქს ბაჟის აღების წესი განუსაზღვრა.

თ-ს ლუარსაბის საცოლედ მანუჩარ დადიანის ასული, მარიამი ჰყავდა შერჩეული და არ უნდოდა შვილის ქორწინება გიორგი სააკაძის დასთან, თუმცა მაინც გაუწია ანგარიში ლუარსაბის არჩევანს და ცნო ეს ქორწინება.

1614, ირანის შაჰის აბას I-ის ერთ-ერთი შემოსევის დროს თ. ეწინააღმდეგებოდა ლუარსაბის იმერეთის სამეფოში გახიზვნას, თუმცა უშედეგოდ. თ-მა გადაწყვიტა დარჩენა და დამპყრობელთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით ურთიერთობის მოგვარება, მაგრამ ქართვ. კარისკაცების ერთმა ჯგუფმა თ-ის მიმართ იმდენად მტრული დამოკიდებულება გამოავლინა, რომ მისი ქონებაც კი ხელყო. გაძარცული და დამცირებული თ. მცირე ამალის თანხლებით იძულებით გადაიხვეწა თავდაპირველად იმერეთის სამეფოში, მოგვიანებით ოდიშის სამთავროში, ხოლო მას შემდეგ, რაც ლუარსაბი შაჰ-აბასის ტყვეობაში აღმოჩნდა, იგი ირანში ჩავიდა და შაჰს შვილის გათავისუფლება თხოვა. შაჰის ბრძანებით თ. ციხეში დაამწყვდიეს. გარდაიცვალა იქვე.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა და გ. ჯანდიერმა, თბ., 1991; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ცხოვრება საქართველოჲსა (პარიზის ქრონიკა), გ. ალასანიას გამოც., თბ., 1980; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1944.

ლიტ.: ა რ ა ხ ა მ ი ა გ., საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები, თბ., 2009; გ რ ი გ ო ლ ი ა კ., ზებედე მღვდელ-მონაზონი და მისი ანდერძი, «ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე», ტ. 17 B, თბ., 1953. *გ. არახამია.*

თამარი, იმერეთის დედოფალი, XVII ს. მოღვაწე, *მამია II გურიელის* ასული, იმერეთის მეფის *ალექსანდრე III-ის* პირველი ცოლი. ალექსანდრემ 1618 წელს ცოლად შეირთო თ., რ-ისგანაც შეეძინა ვაჟი – ბაგრატი (შემდგომში იმერეთის მეფე *ბაგრატ IV*). ორი წლის შემდეგ, 1620 ალექსანდრემ თ-ს ღალატი დააბრალა და ბაგრატთან ერთად გურიელს მიუბრუნა. ამან იმერეთის მეფესა და გურიელს შორის დიდი უთანხმოება გამოიწვია, რითაც მოხერხებულად ისარგებლა სამეგრელოს მთავარმა *ლევან II დადიანმა* და იმერეთის მეფის საწინააღმდეგო კავშირი შეკრა გურიელთან.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ჯ ა მ ბ უ რ ი ა გ., დასავლეთ საქართველო XVII ს. პირველ მესამედში, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გ. საითიძე.

თამარი, XVII ს. მოღვაწე, ქართლის მეფის *ვახტანგ V-ისა* და როდამ დედოფლის ასული. თ. იყო ქართლის სამეფოს დიდებულის გივი *ამილახვრის* მეუღლე.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ჯ ა მ ბ უ რ ი ა გ., საქართველოს გაერთიანების ცდები. ფეოდალური ანარქია დასავლეთ საქართველოში (XVII ს-ის 60–90-იანი წლები), წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *გ. საითიძე.*

თამარი (გ. 1683), ქართლის დედოფალი, მეფე *გიორგი XI-ის* მეუღლე, ელიზბარიშვილის ასული.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973. *გ. საითიძე.*

თამარი (გ. 1683), ქართლის მეფის *ვახტანგ V-ის* ძმისწული. განთქმული იყო თავისი სილამაზით. 1661 ვახტანგ V-მ შამადავლე იოსების ძე (შემდეგში *ლევან III დადიანი*) სამეგრელოს მთავრად დასვა და ცოლად შერთო თ., რ-იც შემდეგ დიდი ცილობის საგნად იქცა დას. საქართვ. მეფე-მთავრებს შორის; 1663 იმერეთის მეფე *ბაგრატ IV-მ* ლევან III დადიანს წაართვა თ. და თვითონ შეირთო. მათ ქალ-ვაჟი – დარეჯანი და გიორგი – შეეძინათ. ლევან III დადიანი ცოლის დაკარგვას არ შერიგებია, რამდენჯერმე სცადა მისი უკან დაბრუნება, მაგრამ უშედეგოდ. მალე ბაგრატსა და ლევანს ახ. კონკურენტი გამოუჩნდათ *გიორგი III გურიელის* სახით. კონკურენტი რომ ჩამოეშორებინა, ბაგრატ IV-მ მას ცოლად შერთო თავისი ასული დარეჯანი (ნაშობი თ-საგან). 1678 ვახტანგ V-ის ვაჟმა *არჩილ II-მ* იმერეთის მეფობა წაართვა ბაგრატ IV-ს და თ. ლევან III დადიანს დაუბრუნდა. 1679 ახალ-

ციხის ფაშას დახმარებით ბაგრატ IV-მ ტახტი დაიბრუნა, მაშინვე თავს დაესხა ლევან III დადიანს და მ. კვლავ წაართვა. 1680 ლევან III დადიანისა და 1681 ბაგრატ IV-ის გარდაცვალების შემდეგ გიორგი გურიელი გაეყარა ცოლს და შეირთო თავისი სიდედრი მ. მ-ის სახე დაუდო საფუძვლად ა. *წერეთელმა* თავის პოემას ,,თამარ ცბიერი'', რ-ის მიხედვითაც მ. *ბალანჩივაძემ* შექმნა იმავე სახელწოდების ოპერა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ჯ ა მ ბ უ რ ი ა გ., საქართველოს გაერთიანების ცდები. ფეოდალური ანარქია დასავლეთ საქართველოში (XVII ს-ის 60–90-იანი წლები), წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973. *გ. საითიძე.*

თამარი (გ. 1746), თეიმურაზ II-ის მეუღლე (1712-იდან), ვახტანგ VI-ის ასული. მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტ. ცხოვრებაში. 1745, თეიმურაზ II-სა და გივი *ამილახვარს* შორის მომხდარი ბრძოლის დროს, სურამის ციხეში ალყაშემორტყმული გ. ამილახვარი მხოლოდ მ-ს მიენდო, რ-მაც იგი თბილისში ჩაიყვანა. დასაფლავებულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ეკლესიაში.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

გ. აკოფაშვილი.

„თამარი“ (Tamara), მცირე ცთომილი № 326. აღმოაჩინა ავსტრიელმა ასტრონომმა ი. პალიზამ 1892 წ. 19 მარტს. სახელი ეწოდა საქართვ. მეფის თამარის პატივსაცემად. მ-ის მზიდან საშ. დაშორებაა 346,8 მლნ. *კმ;* მზის ირგვლივ გარემოქცევის პერიოდი 3,5 წ; ოპოზიციაში საშ. ვარსკვლავიერი სიდიდე 12,6.

„თამარიანი“, ძველი ქართული მწერლობის კლასიკური ეპოქის სახოტბო თხზულება, რომლის ავტორად, ტრადიციული ცნობებით, მიჩნეულია *ჩახრუხაძე.* ხოტბის მთავარი ობიექტია თამარ მეფე. (იხ. სტ. *თამარი*). ,,მ.'' დაწერილი უნდა იყოს თამარის ზეობის ხანაში, უფრო ზუსტად – XIII ს. პირველ ათწლეულში. კომპოზიციურად ,,მ.'' ცალკეული ოდების კრებულია, რ-საც აერთიანებს საერთო იდეური მიზანდასახულობა და ქების ობიექტები: თამარ მეფე, მისი მეუღლე *დავით სოსლანი* და ვაჟი ლაშა გიორგი (იხ. *გიორგი IV*). თხზულებაში აღწერილია თამარ მეფის ქველი საქმეები მის გარეგნულ მშვენიერებასთან ერთად; გადმოცემულია მეფის სამაგალითო პიროვნული ღირსებანი. იგი წარმოდგენილია როგორც სახელოვანი წინაპრების დიდებულ საქმეთა ჭეშმარიტი მემკვიდრე, ძლიერი ქართ. სახელმწ. ურყევი ბურჯი. თამარის სახელმწიფოებრივ სიბრძნეს მხარს უმშვენებს დავით სოსლანის ბრწყინვალე მხედრული ნიჭი, რაც გამოვლინდა თხზულებაშივე აღწერილ მრავალრიცხოვან ბრძოლებში. ლაშა გიორგი დასახულია საქართველოს მომავლის იმედად, მან უნდა განაგრძოს მშობლების საქმიანობა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

,,მ-ის'' ავტორი თავისი დროისათვის სწორ პოლიტ. ალღოს ავლენს. მისი აზრით, ქვეყნის ძლიერების საფუძველია ერთიანობა და ცენტრალიზებული ხელისუფლება, რ-საც სათავეში უდგას მკაცრი, მაგრამ სამართლიანი თვითმპყრობელი. ხაზგასმულია საქართველოს როლი საერთაშ. სარბიელზე. ისევე როგორც *,,აბდულმესიანში''*, აქაც მძლავრადაა წარმოდგენილი მესიანისტური კონცეფცია: ქართ. სახელმწიფოს მაღალი მისია თითქოს წინასწარვე იყო განჩინებული ღვთის მიერ. ძლიერი ქართ. სახელმწიფო მეზობელი შეჭირვებული ქვეყნების დამცველია, ებრძვის მძაღებულ მუსლიმობას, მეთაურობს იმ დროისათვის მოწინავე ქრისტ. აღმსარებლობის დამკვიდრებას. თამარის სახეც ასეთი პოზიციიდანაა გაშუქებული: იგი ღვთისსწორია (იზოთეოზისის მოტივი), მეორე მესიაა, რ-საც დაკისრებული აქვს მუსლ. კატასტროფისაგან ქრისტ. სამყაროს ხსნა. ამ ნაშნით ,,მ.'' სცილდება სახოტბო თხზულების ვიწრო პანეგირიკულ მიზანდასახულობას და ხატავს ფართო სოც.-პოლიტ. პანორამას. ავტორი ეროვნ. იდეოლოგიის დამცველად გვევლინება. ,,მ.'' არის აგრეთვე საყურადღებო ისტ. წყარო, რ-შიც წარმოჩენილია ეპოქის ძირითადი იდეოლოგიური მიმართულებანი, უმთავრესი სოც.-პოლიტ. მოვლენები თუ ცაკეული მნიშვნელოვანი ისტ. რეალიები.

,,მ-ის'' ჟანრული თავისებურება განაპირობებს თხზულების სტილს: პოეტური მეტყველება ზვიადი და მაღალფარდოვანია; თვალში საცემია ეპითეტების სიუხვე (,,თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმანარნარი, პირ-მცინარი, მზე მცინარი, საჩინარი, წყნარი მქნარი, მომდინარი...'' და ა. შ.), მოულოდნელი ასოციაციები, ლიტ. პარალელები, რ-ებიც ავლენენ ავტორის ღრმა განსწავლულობას (თხზულებაში მოხსენიებულია პერსონაჟები მსოფლიო მწერლობის სხვადასხვა ნიმუშიდან). სიტყვაწარმოების განსაკუთრებული სითამამე, რასაც ზოგჯერ აშკარად თვითმიზნური ხასიათი აქვს, მნიშვნელოვნად აძნელებს ტექსტის გაშიფვრას.

,,მ-ის''კომპოზ. თავისებურების გამო (ნ. მარის მოსაზრებით, თხზულება 11 სახოტბო და 2 ელეგიური ლექსისაგან შედგება; ი. ლოლაშვილი ,,მ-ს'' 12 ოდის, 4 თითოსტროფიანი სახოტბო ლექსისა და 2 ფრაგმენტის კრებულად მიიჩნევს) ვარაუდობენ, რომ ოდები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პოლიტ. მოვლენებთან მიმართებით იქმნებოდა და შემდეგ გაერთიანეს ერთ კრებულად. გამოთქმულია საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ ეს არის ერთიანი პოემა, რ-შიც გადმოცემულია თამარის ცხოვრების ძირითადი ეტაპები.

,,მ-ში'' ჩართული 2 პოეტური ფრაგმენტი, რ-ებსაც ნ. მარი ,,ელეგიებს'' უწოდებდა, გადმოგვცემს უცნობი პოეტ - მოგზაურის რომანტიკულ თავგადასავალს და წარმოგვიდგენს მისი მოგზაურობის ფართო არეალს (ახლო აღმოსავლეთი, შუა აზია, ვოლგისპირეთი, აფრიკის ქვეყნები და სხვ.) ერთგვარი პოეტური კომენტარით. არ არის გამორიცხული, რომ ეს ფრაგმენტები შემდეგ იყოს პოემის ტექსტში ჩამატებული.

პოემა გამართულია შინაგანრითმებიანი ოცმარცვლიანი სალექსო საზომით, რ-ის დამკვიდრება, ტრადიციულად, ჩახრუხაძეს მიეწერება (იხ. *ჩახრუხაული*).

,,მ-ის'' ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები XVII–XVIII სს-ით თარიღდება. 1838 ტექსტი გამოსცა პ. იოსელიანმა. პირველი მეცნ. გამოცემა ეკუთვნის ნ. მარს (1902). რუსულად თარგმნა შ. ნუცუბიძემ (1942).

გამოც.: ძველი ქართველი მეხოტბენი, ი. ლოლაშვილის გამოც., [წგ.] 1, თბ., 1957; М а р р Н. Я., Древнегрузинские одописцы (XII в.), II. Певец Тамары, «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», 1902, кн. 4.

ლიტ.: ბ ა რ ა მ ი ძ ე ა., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 3, თბ., 1952; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, [ტ.] 2, თბ., 1958; ქართული ლიტერატურის



თამარის მონეტები



თამარის და გიორგი III-ის მონეტა. სპილენძი. 1178. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი.



თამარის მონეტა. სპილენძი. 1187. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი.

ისტორია, ტ. 2, თბ., 1966.

ს. ცაიშვილი.

თამარიანი, სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ჭიაურის თემში (კახეთის მხარე), ალაზნის ვაკეზე, მდ. სვიდების (ალაზნის მარცხ. შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 220 *მ,* ლაგოდეხიდან 17 *კმ,* წნორიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 28 *კმ.* 732 მცხ. (2002).

„თამარის ეპიტაფია“, ქართული ხალხური ლექსი, ზეპირსიტყვიერი *ეპიტაფიის* ნიმუში, სრულდებოდა ფერხულის წესით. ლექსი პირველი პირით არის ნათქვამი („თამარ დედოფალი ვიყავ, თავი ძირს აღარ დავიდე, ზღვაში ჩავყარე სამნები, ხმელეთი ჩემკენ მოვიგდე“...), მასში ოსტატურადაა გამოთქმული ხალხ. სიბრძნე; ამასთანავე, ხალხმა თამარის მოღვაწეობას ფანტასტიკური ელფერიც შემატა („ქაჯებსა დავდე იჯარა, ისპაანს ხარჯი ავიღე“...). „Თ. Ე.“ გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში; ვარიანტებს შორის არ არის არსებითი განსხვავება.

ლიტ.: კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი ვ., ხალხური პოეზია, ქუთ., 1934; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. ტექსტი მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ქ. სიხარულიძემ, I, თბ., 1961; ც ა ი შ ვ ი ლ ი ს., თამარ მეფე ხალხურ სიტყვიერებაში, თბ., 1943.

ჯ. ბარდაველიძე.

თამარისი, დაბა ბოლნისის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის მხარე), მარნეულის ვაკეზე, მდ. ხრამის მარცხ. ნაპირას. ტერიტორიული ორგანოს ცენტრი (სოფლები: ფარიზი, ცურტავი). ზ. დ. 400 *მ,* ბოლნისიდან 20 *კმ,* მარნეულიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 5 *კმ.* 434 მცხ. (2002).

დაბა წარმოიქმნა 1982 თამარისის მეფრინველეობის ფ-კის მშენებლობასთან დაკავშირებით.

დ. სვანიძე.

თამარისი (1944-მდე – ტ რ ა უ ბ ე ნ ბ ე რ გ ი), სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის მხარე), მარნეულის ვაკეზე, მდ. ხრამის მარცხ. მხარეს. თემის ცენტრი (სოფლები: Თ., ალავარი, ახალი დიოკნისი). ზ. დ. 380 *მ,* მარნეულიდან 11 *კმ.* 1,7 ათ. მცხ. (2002).

სოფელში ნაპოვნია გვიანდ. ენეოლითისა და ადრინდ. ბრინჯაოს ხანის დასაწყ. (ძვ. წ. IV ათასწლ. ბოლო მეოთხედი) სამარხი – აკლდამა. გაითხარა 1960 (ხელმძღვ. გ. ფხაკაძე). წარმოადგენს ქვატეხილით ამოშენებულ ოვალურ ორმოს, რ-საც სამხრ-ით საფეხურებიანი (ჩასასვლელი – დრომისი) აქვს. სამარხი კოლექტიურია. ჩონჩხები ეყარა უსისტემოდ. აღმოჩნდა არათანაბრად გამომწვარი თიხის 15 ჭურჭელი (შვერილკოპებიანი ჯამები და ცილინდრულყელიანი, მრგვალმუცლიანი ცალყურა კოჭბები, რ-თაგან ორზე ამოკაწრულია სწორხაზოვანი ორნამენტი).

Თ-ის მსგავსი მასალა საქართველოში მრავლადაა აღმოჩენილი მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპის ძეგლებზე (კიკეთი, სამშვილდე, დიდუბე, კოდა, გომარეთი).

ლიტ.: ფ ხ ა კ ა ძ ე გ., ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963.

გ. ფხაკაძე.

თამარის მონეტები, თამარის სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტები. იჭრებოდა ორნაირი სახის – „წესიერი“ და „არაწესიერი“ ჭედვისა. პირველი მრგვალი ფორმისა და გარკვეული მასისაა, ხოლო მეორე – სხვადასხვა ფორმისა და მასის. ეს ე. წ. „ვერცხლის კრიზისის“ ხანაა და ამ დროს მთელ მახლობელ აღმოსავლეთში იჭრებოდა „არაწესიერი“ ფორმისა და სხვადასხვა მასის სპილენძის მონეტები, რ-ებიც ბაზარზე ვერცხლის იძულებითი კურსით მიმოიქცეოდა. თამარის სახელი პირველად მეფე გიორგი III-ის ფულზეა გამოსახული, თანამმართველად მისი გამოცხადების შემდეგ (1178). სპილენძის მონეტა „არაწესიერი“ ჭედვისაა. მის ერთ მხარეს, წნული ხვეულების ვარდულში, დაქარაგმებული ასომთავრულით წერია სახელი „თამარ“, ვარდულის ბუდეებში ასევე ასომთავრულით – „ადიდენ ღმერთმან მეფე და დედოფალი“. მეორე მხარეს, ვარდულის ცენტრში, ასომთავრული წარწერაა – „გი“, გარშემო – „ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე“. 1184 თამარი საქართვ. მეფე გახდა და თავისი სახელით მოჭრა სპილენძის „არაწესიერი ჭედვის“ მონეტა, რ-ის შუბლზე მხედრულით გამოსახულია თამარის სახელი, გარშემო ასომთავრულით – „სახელითა ღვთისათა, იქნა ჭედა ვერცხლისი ამის, ქორონიკონსა ოთხასშვიდს“ (1187) ან „ქორონიკონსა ოთხასოცდაათს“ (1210); ზურგზე ხუთსტრიქონიანი არაბ. ზედწერილია: „დედოფალი დიდებული, მშვენიერება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი“, ხოლო გარშემო არაბულადვე: „განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი“. თამარისა და დავით სოსლანის სახელით 1200 მოჭრილი სპილენძის ფული „წესიერი“ ჭედვისაა, მისი მასაა 6–7 გ. შუბლზე დროშისთავის მსგავსი ფიგურული ნიშანია, რ-ის ორივე მხარეს მთავრულით დაქარაგმებულია თამარისა და დავითის სახელები; კუთხეებში „ქრონიკონი 420“ (1200) ან, იშვიათად, მის გარშემო ზურგზე არაბული, ოთხსტრიქონიანი ზედწერილია: „დედოფალი დედოფალთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი“. Თ. მ. საქართველოში ნაპოვნია როგორც ერთეულები, ისე განძის სახით (ვეჯინის), აგრეთვე ქართ. ფულის დიდი განძის შემადგენლობაში (რუსთავის, „განჯისკარის“, ლილოს, „რიყის“, ნიჩბისის).

ლიტ.: დ უ ნ დ უ ა გ., ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; კ ა პ ა ნ ა ძ ე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; ლ ო მ ო უ რ ი თ., ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, კრ.: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938.

ი. ჯალაღანია.

თამარის ციხე, ამ სახელწოდებით საქართველოში ცნობილია რამდენიმე ციხე, რ-ებსაც ხშირად ხალხის მიერ მეტსახელად შერქმეული აქვს თამარის სახელი. მათ შორისაა: 1. შუა საუკ. ციხე ბ ა თ უ მ შ ი (იხ. *ბათუმის ციხე*); 2. Თ. Ც. ს ა მ ც ხ ე შ ი, დგას კურცხანისა და აბასთუმნის ხევებს შუა მდებარე გორაკზე. იგი 50 *მ.* ×10 *მ.* ფართობის ქვითკირის ნაგებობაა.

ლიტ.: ბ ო ჭ ო რ ი ძ ე გ., მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992.

ზ. ცინცაძე.

თამარ მეფის ისტორიკოსები, XII–XIII სს. ორი უცნობი ავტორი, რომელთაც ეკუთვნით თხზულებები საქართველოს მეფის თამარის შესახებ. პირველი ისტორიკოსის თხზულებაში აღწერილია ძირითადად თამარის, ხოლო მოკლედ – მისი მამის, გიორგი III-ის ისტორია. რადგან სათაური დაკარგულია, ივ. ჯავახიშვილმა მას უწოდა *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.*

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსს ეკუთვნის თხზულება *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“* (სათაური პირობითია), რ-შიც აღ-



თამარ მეფის ქართული ლეგიონის ორდენი. 1915.

წერილია ამ გვირგვინოსნის მეფობის მთელი ისტორია.

თამარ მეფის ორდენი, ქართული სამხედრო ჯილდო. დაწესდა I მსოფლიო ომის დროს, როგორც გერმანიის და მისი სამხ. ბლოკის მხარდამხარ მებრძოლი საჯარისო შენაერთის – ,,ქართული ლეგიონის'' ჯილდო. იმხანად ეს შენაერთი დაბანაკებული იყო ოსმალეთში, ისტ. ჭანეთის ტერიტორიაზე. 1918 მიწურულს საქართვ. დემოკრ. რესპ. მთავრობამ ამ ორდენით დააჯილდოვა ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი გერმ. სამხედროების მოზრდილი ჯგუფი. 1941 ეს ორდენი აღადგინეს II მსოფლიო ომში გერმანიის მხარდამხარ მებრძოლ ქართ. ლეგიონში.

აჯილდოებდნენ გამოჩენილ სახელმწ. და სამხ. მოღვაწეებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და ქართ.-გერმ. ალიანსის განმტკიცების საქმეში შეტანილი თვალსაჩინო პირადი წვლილისათვის. ამ ჯილდოს ქართვ. კავალერთა შორის იყვნენ: ლ. *კერესელიძე*, დ. ვ. *ვაჩნაძე*, ს. *ახმეტელი*, ნ. ნიკოლაძე, მ. *აბაშიძე*, ყადირ შარვაშიძე, ა. გრიგოლია, ნ. ხორავა და სხვები, ხოლო გერმ. კავალერთა შორის – პაულ ფონ ჰინდენბურგი, ერიხ ფონ ლუდენდორფი და სხვ.



თამარ მეფის ორდენი. 2009.

ცნობილია თამარის I, II და III ხარისხის ორდენები. სამივე ხარისხის ორდენზე, რვაქიმიანი ვერცხლის ვარსკვლავის ცენტრში, მოთავსებულია მედალიონი, რ-ის ცისფერი ან ლურჯი მინანქრის ფონზე გამოსახულია თამარ მეფის მოოქრული ვერცხლის რელიეფური პორტრეტი. მედალიონის ირგვლივ ოქროთი მოვარაყებული ზედწერილია: ,,ქართული ლეგიონი 1915''.

თ. მ. ო. დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმში, აშშ-ის ნუმიზმატიკური საზ-ბების კოლექციაში, ერმიტაჟის ფონდსაცავში და სხვა მუზეუმებში, ასევე კერძო კოლექციებში.

საქართველოს პარლამენტმა 2009 წ. 31 ივლისს დააწესა თ. მ. ო., როგორც სახელმწიფო ჯილდო. ამ ორდენით აჯილდოებენ მხოლოდ ქალებს ხალხისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის. თ. მ. ო. პირველად, 2011 წ. სექტემბერს მიენიჭა მრავალი საერთაშ. კონკურსის ლაურეატს, ,,ბრწყინვალების ორდენის'' კავალერს, ცნობილ ქართველ სოპრანოს ლ. *ჭყონიას*. იხ. აგრეთვე სტ. *ორდენები* საქართველოსი.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ნ., ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა), თბ., 1995; მ ი ს ი ვ ე, თამარ მეფის ორდენი, თბ., 1998.

ნ. ჯავახიშვილი. მ. ჭიჭინაძე.

თამარ მეფის სიგელი გელათისადმი, დიპლომატიკური ძეგლი, გაცემული თამარის მეფობის მეათე ინდიქტიონს (1188). დაწერილია ეტრატზე მეფის კარის მწიგნობრის არსენ სამძივარის მიერ. სიგელს თამარ მეფე საკუთარი ხელმოწერით ამტკიცებს. მოწმე და დამამტკიცებლები არიან თამარ მეფის მეუღლე დავით მეფე, დავით ერისთავი და კათოლიკოსი თეოდორე (თეოდორე II).

ამ საბუთით თამარმა ,,ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფემან და დედოფალმან, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითმპყრობელმან'' გელათის სამეფო მონასტერს არგვეთში სოფ. ჭორვილა შესწირა. შეწირულობის მიზანი იყო სოფლიდან მიღებული შემოსავლით მონასტრის სატრაპეზოში, საზრდელით უზრუნველყოფა იმ თორმეტი მწირისა, რ-ებიც მონასტრის გარეთ მდებარე სენაკებში მკვიდრობდნენ და მონასტრის ტრაპეზით რეგულარულად სარგებლობის უფლება არ ჰქონდათ.

შემორჩენილია საბუთის ნაკლული დედანი, რ-იც ინახება საქართვ. ცენტრ. სახელმწ. საისტორიო არქივში (სცსსა, ფ. 1448, № 5004). საბუთი გამოცემულია თ. ჟორდანიას (2-ჯერ), ს. კაკაბაძის, ი. ცინცაძის, ი. დოლიძის მიერ. ბოლოს შევიდა ,,ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის'' I ტომში (თბ., 1984). *გ. არახამია.*

თამარ მეფის სიგელი შიომღვიმისადმი, დიპლომატიკური ძეგლი, გაცემულია თამარის მეფობის მეთვრამეტე ინდიქტიონს (1196). ტექსტის დამწერია მეფის მწიგნობარი იაკობ იწრელისძე. სიგელს ხელმოწერებით ამტკიცებენ თამარ მეფე და მისი მეუღლე დავით მეფე, რასაც მოსდევს შიომღვიმის მონასტრის კრებულის, ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისა და ქართლის მთავარეპისკოპოსის მოწმობა-დამტკიცებები. საბუთის ბოლოში მითითებულია ქართლის მთავარეპისკოპოსის ხელრთვა.

ამ სიგელით თამარ მეფემ ვეზირის, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისა და პროტოუპერტიმოსის ანტონის თხოვნით სხალტბაში სამეფო გლეხების – ქოსაისძეების ორი კომლი შიომღვიმის მონასტერს სრული შეუვალობით შესწირა და სხალტბიდან მონასტერში ახალგაყვანილი წყალსადენის მოვლა-მოწესრიგება დააკისრა.

შიომღვიმის მონასტრის კრებულის მოწმობა-დამტკიცებაში აღნიშნულია, რომ ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ღვაწლითა და საფასით მონასტერში წყალსადენი იქნა გაყვანილი და მისივე შუამდგომლობით თამარ მეფემ ორი კომლი ქოსაისძენი წყალსადენის ,,მკაზმავად'' მონასტერს უბოძა. მონასტრის კრებულს ჩაუთვლია, რომ წყალსადენის მომსახურებას ორი კომლი ვერ აუვიდოდა, ამიტომ მონასტერმა, თავის მხრივ, დამატებით ორი კომლი საგანგებოდ ამ საქმისთვის განაწესა. იქვე ნათქვამია, რომ წყალსადენის მნიშვნელოვანი დაზიანების შემთხვევაში მის აღსადგენად და გასამართავად მონასტერი სხალტბი-


თამბაქო.

დან და სხვა სოფლებიდან დამატებით მუშახელს გამოიყვანდა.

ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი თავის მოწმობა-დამტკიცებაში აღნიშნავს, რომ შიომღვიმის მონასტრის ბერები ,,ჭირსა და იწროებასა შინა ურწყულობისასა'' იმყოფებოდნენ, მან გადაწყვიტა ამ გასაჭირის მოგვარება და სამი წლის განმავლობაში ,,დიდითა შრომითა და გულისმოდგინებითა'' სხალტბიდან მონასტრამდე წყარო გამოიყვანა, ამასთანავე, წყაროს სათავესთან მცხოვრები ორი კომლი გლეხი ,,აფხაზეთნი'' (ანუ დასავლეთ საქართველოდან გადმოსულნი) მისი თხოვნით თამარ მეფემ მონასტერს უბოძა, რ-ებსაც ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესმა ორი ქუქანაკის მომზადება და წყალსადენის მუდმივი მომსახურება დაუკვეთა. ამავე დროს ნახევარფუძიან ორსავე კომლს დამატებით მიწა და ვენახი უბოძა და თითოეული მათგანი თორმეტი დღის სახნავი მიწით და ვენახით სრულფუძიან კომლად აქცია.

საბუთის დედანი დაკარგულია. საბუთი გამოცემულია თ. ჟორდანიას, ს. კაკაბაძის, ი. დოლიძის მიერ. ბოლოს გამოიცა ,,ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის'' I ტომში (თბ., 1984). *გ. არახამია.*

„თამარ ძალი“, საყოფაცხოვრებო შინაარსის ქართული (რაჭული) ხალხური საფერხულო ცეკვა. ასახავს ჩერქეზების მიერ რაჭველი ქალის, თამარის მოტაცების ამბავს. ქალისათვის შეუფერებელი ძალ-ღონე და წონა, რითაც გამოირჩეოდა მოტაცებული, ცეკვას სახუმარო ხასიათს აძლევს. ფერხული სრულდება ქალ-ვაჟთა შერეული ჯგუფის მიერ ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუს. ზომა 3/4.

ლიტ.: თათარაძე ა., ქართული ცეკვის განმარტებანი, თბ., 1986.

ა. თათარაძე.

თამასუქი (არაბ. თამასსუქ), ფასიანი ქაღალდის სახეობა, ვექსილი, სავალო დოკუმენტი, რ-ის ძალითაც ესა თუ ის პირი კისრულობს უპირობო ვალდებულებას დათქმულ ვადაში ან მოთხოვნისთანავე გადაიხადოს თ-ში ნაჩვენები თანხა პირადად ან სხვა პირის მეშვეობით. ცნობილია გადასაპირებელი და მარტივი თ.; გადასაპირებელი თ-ით მისი გამცემი ავალებს სხვა პირს გადაუხადოს თ-ში ნაჩვენები თანხა თამასუქშივე მითითებულ პირს. მარტივი თ-ის გამცემი კისრულობს ვალდებულებას თვითონ გადაიხადოს თ-ში მითითებული თანხა (1995 წ. 19 აპრილის საქართვ. კანონი თამასუქის შესახებ, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წ. 18 მაისი).

ძვ. ქართ. სამართალში ტერმინი ,,თ''. დაახლოებით XVII ს-იდან იხმარებოდა საერთოდ სავალო საბუთის მნიშვნელობით და ხშირად გირავნობასაც გულისხმობდა. თ-ს იყენებდნენ საანგარიშსწორებოდაც, მეტადრე ვაჭრობაში. თ. გვხვდება ქართ. ჩვეულებითი სამართლის კრებულსა და ვახტანგ VI-ის სამართალში, სადაც განსაზღვრულია მისი აუცილებელი რეკვიზიტებიც (მ. 143). სხვა პირობებს შორის თ-ში ზოგჯერ დავალიანების მაიძულებელი გარემოებებიც კი იწერებოდა. უფრო ძველად ასეთ საბუთს „ვალის წიგნი'' ერქვა.

წყარო: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 1–2, თბ., 1963–65.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წგ. 3, ნაკვ. 2 – ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, თბ., 1996 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 9). *ბ. ზოიძე. დ. ფურცელაძე.*

თამბაქო (Nicotiana), ერთ- და მრავალწლოვან მცენარეთა გვარი ძაღლყურძენასებრთა ოჯახისა. ნაყოფი კოლოფია. ამერიკასა და ავსტრალიაში გავრცელებული იყო 60-ზე მეტი სახეობა, სსრკ-ში – 2. კულტივირებულია 2 სახეობა: კულტურული ანუ მოსაწევი თ. (N. tabacum) და წეკო (N. rustica). დეკორ. მებაღეობაში თ-ს ისეთ სახეობებს იყენებენ, რ-ებსაც დიდი ფოთლები და სურნელოვანი ყვავილები აქვს. მოსაწევი თ. მრავალწლოვანი მცენარეა, მაგრამ მოჰყავთ როგორც ერთწლოვანი. ფოთლები 2,5 *მ*-მდე სიმაღლის ღეროზე მორიგეობითაა განლაგებული, მჯდომარეა ან ყუნწიანი, კიდემთლიანი. ფირფიტა ოვალური, მომრგვალო ან ელიფსურია. მწვანე ფერისაა (იშვიათად ყვითელი ან მომწვანო-მოყვითალო). ხუთწევრიანი ყვავილები ვარდისფერი, წითელი ან თეთრია, შეკრებილია ციმოზური ტიპის ყვავილედად მთ. ღეროსა და გვერდითი ტოტების კენწეროებზე. ნაყოფში დიდი რაოდენობითაა წვრილი, ყავისფერი თესლი. თ-ს სავეგეტაციო პერიოდი 135–170 დღეა. იგი სითბოსმოყვარული და ტენის მომთხოვნი მცენარეა (თესლის გაღივებისათვის ოპტიმალური ტემპერატურა 27–28 °C, ღეროსა და ფოთლების ზრდა-განვითარებისათვის 24–28 °C). კარგად ხარობს მსუბუქ და საშ. შავმიწებზე, რუხსა და წაბლა ნიადაგებზე, ფოთლის ნაწარმის ხარისხი დამოკიდებულია ცილებისა და ნახშირწყლების შეფარდებაზე, ნიკოტინისა და ეთეროვანი ზეთების შემცველობაზე. თესლი შეიცავს 30–35% ცხიმოვან ზეთს, რ-საც იყენებენ ტექ. მიზნებისათვის (საცხები მასალისათვის).

თ-ს სამშობლოდ ითვლება სამხრ. ამერიკა. ევროპაში ამერიკიდან შემოიტანეს XV ს. ბოლოს და XVI ს. I ნახევარში. რუსეთში თ. გავრცელდა XVII ს. დასაწყისში. თ. მოჰყავთ აგრეთვე ჩინეთში, ინდოეთში, აშშ-ში, ინდონეზიაში, თურქეთში, დას. აფრიკასა და ავსტრალიაში.

საქართველოში თ. XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისში შემოიტანეს. ეს იყო დაბალი ხარისხის წეკო. მაღალხარისხოვანი საპაპიროსე თ-ს კულტურა ჩვენში XIX ს. I ნახევარში გავრცელდა. პირველად ის აფხაზეთში გააშენეს, შემდეგ აჭარაში და ბოლოს – აღმ. საქართველოს რ-ებში (მარნეული, ბოლნისი, ყვარელი, ლაგოდეხი და სხვ.), სადაც დარაიონებული იყო აფხაზეთისა და ლაგოდეხის მეთამბაქოეობის საცდელ სადგურებში გამოყვანილი ჯიშები: ჰიბრიდი 155, სამსუნი 27, სამსუნი 224, ტრაპიზონი 265, ტრაპიზონი 230, ტრაპიზონი 245 და სხვ. თ-ს საუკეთესო ჯიშებია: პერემოჟეცი, ფოთოლწვეტა ბ-2747, ტრაპიზონი 1867, ამერიკანი 287 – ც., სამსუნი 417, 155, დიუბეკი 44, რ-ებსაც საპაპიროსე ნედლეულად იყენებენ. პერევოლოჩანეცი და ჰავანა 1112 – სასიგარო ჯიშებია. თ-ს ამრავლებენ ჩითილით, რ-იც გამოჰყავთ სათბურებსა და თბილ კვლებში. 1 ჰა-ზე რგავენ 50–150 ათას მცენარეს. საქართველოში თ-ს მოსავალს იღებენ წელიწადში 5–6-ჯერ. თ-ს ფართოდ გავრცელებული დაავადებებია: თ-ს მოზაიკა და თ-ს ჩოფურა; მავნებლებია – თ-ს თრიფსი და თ-ს ბუგრი.

ლიტ.: ჯაფარიძე ა., დგებუაძე ო., მეთამბაქოეობა, თბ., 1973.

ა. ჯაფარიძე.

თამბაქოს მრეწველობა, კვების მრეწველობის დარგი, რომლის საფერმენტაციო ქარხნებში ხდება *თამბაქოს* ფერმენტაცია, ხოლო

თამბაქოს ფაბრიკებში – თამბაქოს ნაწარმის (პაპიროსი, სიგარეტი, სიგარა, წეკო) გამოშვება. Თ. მ. მოიცავს თამბაქოს პროდუქციის წარმოებას, რეალიზაციას, ექსპორტს და იმპორტს. თამბაქოს ნაწარმს განეკუთვნება როგორც ნედლი თამბაქოსაგან, ისე მისი გამოყენებით დამზადებული და მოსაწევად, საღეჭად ან საყნოსად განკუთვნილი პროდუქცია. თამბაქოს ნაწარმი მოიცავს აგრეთვე სიგარეტის ქაღალდს, ხელოვნურ გარსს და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სხვა კომპონენტებს (გარდა სიგარეტების მუნდშტუკებისა და ყველა სახის ფილტრისა). Თ. მ-იდან მიღებულ პროდუქციას განეკუთვნება: ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტები; პაპიროსები, სიგარები და სიგარილები; საჩიბუხე თამბაქო; შესახვევი თუთუნი; საღეჭი ან შესასუნთქი თამბაქო.

თამბაქოს პირველი ფ-კები გაიხსნა XVII ს-ში ინგლისსა და ჰოლანდიაში. რუსეთში Თ. მ-ის აღმოცენება XVIII ს. პირველ მეოთხედში იწყება, აქვე მსოფლიოში პირველად შეიქმნა თამბაქოს ნაწარმის სახეობა – პაპიროსი, გამოიგონეს და დანერგეს საჰილზე და პაპიროსის დასატენი მანქანები.

მსოფლიოში სიგარეტის ძირითადი მწარმოებელი ქვეყნებია: ჩინეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, ხოლო თამბაქოს ცნობილ კომპანიებს მიეკუთვნება ,,ჩინეთის ნაციონალური თამბაქოს კორპორაცია'' (China National Tobacco Corporation, CNTC), ,,საერთაშორისო ფილიპ მორისი'', აშშ (Philip Morris International), ,,ბრიტანულ-ამერიკული თამბაქო'' (British – American Tobacco, BAT), ,,სამეფო თამბაქო'', დიდი ბრიტანეთი (Imperial Tobacco), ,,იაპონური თამბაქო'' (Japan Tobacco), რ-ებზეც მოდის თამბაქოს მსოფლიო გაყიდვების 70% (2013 მონაცემებით). მსოფლიოში თამბაქოს პროდუქციის წარმოება ყოველწლიურად აღემატება 5 ტრილიონ სიგარეტს (2012 წ. მონაცემებით). თამბაქოს წარმოების მსოფლიო დინამიკა სტაბილურია.

საქართველო წლების განმავლობაში ტრადიციულად თამბაქოს მწარმოებელ ქვეყანათა რიგს განეკუთვნებოდა. თამბაქოს კულტურა ქვეყანაში გავრცელდა XVII ს. დამლევს, ხოლო ინდუსტრია ცოტა მოგვიანებით განვითარდა. თავდაპირველად საქართველოში მოჰყავდათ წეკო (თამბაქოს ერთ-ერთი სახეობა), ხოლო XIX ს. I ნახევრიდან გავრცელდა თამბაქოს ამერიკული ჯიშები. თამბაქოს საქართველოში ,,თუთუნს'' უწოდებდნენ, რაც თურქ. წარმოშობის სიტყვაა და დღესაც იხმარება ზეპირმეტყველებაში. თუთუნს ეწეოდნენ, ყნოსავდნენ, ღეჭავდნენ საქართვ. სხვადასხვა კუთხეებში (ხევსურეთი, სვანეთი, სამეგრელო და სხვ.). ზოგიერთ შემთხვევაში თამბაქოს ხმარობდნენ სამკურნალოდაც – ჭრილობიდან სისხლდენის შესაჩერებლად, თავის ტკივილის გასაყუჩებლად და ა. შ.

XIX ს. 50-იანი წლებიდან დარგი ინდუსტრიულ საწყისებზე განვითარდა. 70–80 წლებში დაინერგა თამბაქოს საჭრელი მექან. დაზგები, ხოლო 90-იან წლებში – პაპიროსის დასამზადებელი მანქანები, კიდევ უფრო მოგვიანებით – მზა პროდუქციის ჰილზების დასამზადებელი და პაპიროსის დასატენი მანქანები. XIX ს. 90-იან წლებში საქართველოში იყო 7 შედარებით მსხვილი ფ-კა, XX ს. დამდეგს – 9, მ. შ.: თბილისში (ა. ენფიანჯიანცის, ნ. ბოზარჯიანცის, სააქციო საზოგადოება ,,მირი'' საფაროვის მემკვიდრეობისა), ქუთაისსა (ძმები ფირალოვების კუთვნილება) და ბათუმში (ბუნიათოღლუსა და ,,თამარა'' ა. ლევბერგისა) და სხვ. გარდა ამისა მოქმედებდა რამდენიმე წვრილი საწარმოც. ისინი ნედლეულად ძირითადად იყენებდნენ საქართველოში მოყვანილ, თავის დროზე თურქეთიდან შემოტანილ თამბაქოს ჯიშებს – ,,სამსუნსა'' და ,,ტრაპიზონს''. მათ ჩაანაცვლეს ამერიკული თამბაქოს ჯიშები, რებიც რუს. მთავრობის მიერ იქნა შემოტანილი და დაკანონებული (1883 წ.). 1913 წ. უკვე თამბაქოს 13 ფ-კა მუშაობდა, სადაც 1400 კაცი იყო დასაქმებული, გამოშვებული პროდუქციის ღირებულება კი 2,9 მლნ. მანეთს შეადგენდა. პროდუქცია გადიოდა ამიერკავკასიასა და რუსეთში. პირველი მსოფლიო ომის (1914–18) პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა თამბაქოს ნაწარმზეც, რამაც ხელი შეუწყო საქართველოში თამბაქოს მრეწველობის განვითარებას.

მეთამბაქოეობისა და თამბაქოს მრეწველობის განვითარებაში სრულიად ახ. ეტაპი დაიწყო საბჭოთა პერიოდში. სწრაფად გაიზარდა როგორც თამბაქოს ნათესი ფართობი, ისე მისი მთლიანი მოსავალი და მოსავლიანობა. თამბაქოს ფართობმა 1930 წ. 19,9 ათ. ჰა შეადგინა, ხოლო პროდუქციის წარმოებამ 10 ათ. ტ, რაც 1913 წ. მაჩვენებელს აღემატებოდა შესაბამისად 1,8-ჯერ და 1,1-ჯერ. ომის შემდგომ პერიოდში თამბაქოს მიერ დაკავებული ფართობი რამდენადმე შემცირდა სხვა კულტურებისათვის პრიორიტეტის მინიჭების გამო, თუმცა მოსავალი, ცალკეული გამონაკლისების გარდა, იზრდებოდა მოსავლიანობის გადიდების ხარჯზე. გამოიკვეთა მეთამბაქოეობის ოთხი გეოგრ. რეგიონი – ქვემო ქართლი (ბოლნისი), კახეთი (ლაგოდეხი), აჭარისა და აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკები. ამათგან თამბაქოს წარმოების თითქის ნახევარი აფხაზეთზე მოდიოდა. 80-იან წლებში საქართველოში თამბაქოს ნათესი ფართობი შეადგენდა 11 ათ. ჰა-ს, ხოლო ყოველწლიურად იწარმოებოდა დაახლოებით 17 ათ. ტ-ზე მეტი ნედლეული.

სანედლეულო ბაზის გაფართოებასთან ერთად 1925-იდან დაიწყო ძვ., კუსტარული საწარმოების გამსხვილება და ახლების მშენებლობა. მაგალითად, თბილისში მოქმედი 7 წვრილი ფ-კის ბაზაზე 1929 შეიქმნა ორი მსხვილი ფ-კა, საწარმოთა კონცენტრაცია განხორციელდა აგრეთვე სოხუმსა და ბათუმში. ამოქმედდა ახ. თამბაქოს ფ-კები და საფერმენტაციო ქ-ნები, პარალელურად უმჯობესდებოდა საწარმოების მატერ.-ტექ. ბაზა, ინერგებოდა ახ. ტექნოლოგიები. ამათგან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1928 Თ. მ-ში არასეზონური ფერმენტაციის მეთოდის დანერგვას, რამაც საგრძნობლად შეამცირა მზა პროდუქციის წარმოების ციკლის ხანგრძლივობა.

XX ს-ის 80-იან წლებში საქართველოში ფუნქციონირებდა 7 საფერმენტაციო ქ-ნა (თბილისში, ოჩამჩირეში, გუდაუთაში, განთიადში, სოხუმში, ბათუმსა და ლაგოდეხში) და 4 მსხვილი თამბაქოს ფ-კა (2 – თბილისში, თითო-თითო ბათუმსა და სოხუმში). საფერმენტაციო ქ-ნები ძირითადად განლაგებული იყო რესპუბლიკის მეთამბაქოეობის წამყვან რ-ნებში და სავსებით უზრუნველყოფდა თამბაქოს ფოთლის გადამუშავებას. ამ ქ-ნებში დამზადებული პროდუქცია – განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი თამბაქო ,,სამსუნი'' და ,,ტრაპიზონი'' – იგზავნებოდა სსრ კავშირის მთელ რიგ თამბაქოს ფ-კებში, სადაც მას საკუპაჟე მასალად იყენებდნენ მაღალხარისხოვანი თამბაქოს წარმოებისათვის. საქართვ. საფერმენტაციო ქ-ნებში წარმოებული თამბაქო


თამელი (Sorbus torminalis).

მნიშვნელოვანი რაოდენობით იგზავნებოდა საზღვარგარეთაც. თამბაქოს ფ-კები, რ-ებიც ძირითადად მათი მოხმარების ცენტრებში იყო განლაგებული, უშვებდნენ 20-მდე დასახელების თამბაქოს ნაწარმს. პაპიროსისა და სიგარეტის წარმოების საერთო მოცულობა წლიურად 16–17 მლრდ. ღერს შეადგენდა, აქედან 6 მლრდ. ღერი ადგილობრივ ბაზარს მიეწოდებოდა, ხოლო 10–11 მლრდ. ღერი – საბჭ. კავშირის სხვა რესპუბლიკებს. 1980 რესპუბლიკის თამბაქოს ფ-კებმა დაამზადეს 19,2 მლრდ. ც. სიგარეტი და პაპიროსი, რაც 2,6-ჯერ აღემატება ამ პროდუქციის წარმოების 1940 წ. დონეს, ხოლო ფერმენტირებული თამბაქოს წარმოებამ შეადგინა 1940 წ. – 17,7; 1950 წ. – 16,3; 1960 წ. – 16,3; 1980 წ. – 12,7 ათ. *ტ.* საქართველოს ხვ. წილი ფერმენტირებული თამბაქოს საერთო საკავშირო წარმოებაში შეადგენდა 8,2–8,5 %, ხოლო პაპიროსისა და სიგარეტის წარმოებაში 8,8%. საქართველოდან ექსპორტზე გადიოდა ადგილზე წარმოებული ფერმენტირებული თამბაქოს 60% და პაპიროსისა და სიგარეტის – 75%.

XX ს. 90-იანი წლებიდან დარგის განვითარებაში მკვეთრად უარყოფითი ტენდენციები გამოიკვეთა. თანდათანობით დაეცა როგორც თამბაქოს ნედლეულის, ისე მისგან დამზადებული პროდუქციის წარმოება, კერძოდ, 1990–2005 თამბაქოს ნედლეულის წარმოება 23 ათ. *ტ*-იდან 1,1 ათ. *ტ*-მდე, ხოლო პლანტაციების ფართობი – 14 ათ. *ჰა*-იდან 0,5 ათ. *ჰა*-მდე შემცირდა.

ამჟამად თამბაქოს ნედლეული ძირითადად საოჯახო მეურნეობებში მოჰყავთ. საქართველოში წარმოებული თამბაქოს მოცულობის შემცირებისა და მისი დაბალი ხარისხის გამო ის სულ უფრო ნაკლებად გამოიყენება სიგარეტის ადგილობრივ წარმოებაში. დაიხურა თამბაქოს საფერმენტაციო ქ-ნები. საქართველოში აღარ ხდება თამბაქოს ფერმენტაცია. მნიშვნელოვნად შემცირდა გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობაც. იგი 11,2 მლრდ. ღერი სიგარეტიდან (1990) 3,5 მლრდ. ღერამდე შემცირდა (2013). თუ ადრე საშინაო ბაზრის მოთხოვნილება ძირითადად ადგილობრივი წარმოების თამბაქოს ნაწარმით კმაყოფილდებოდა, ამჟამად მწეველთა 75% იმპორტ. სიგარეტს მოიხმარს, რის შედეგადაც საქართველოდან ყოველწლიურად 100 მლნ. აშშ დოლარი გაედინება. საქართველო თამბაქოს ნაწარმის ტრად. ექსპორტიორი ქვეყნიდან მის იმპორტიორ ქვეყნად იქცა.

საქართველოში თამბაქოს ინდუსტრიით 13 კერძო ფირმაა დაკავებული (2013 წ. მონაცემებით), მათგან 7 თბილისში ფუნქციონირებს, 2 – ბათუმში, 2 – ქუთაისში, 1 – საგარეჯოსა და 1 – მარნეულის მუნიციპალიტეტებში. მოქმედი საწარმოთაგან 11 მცირე საწარმოს განეკუთვნება. საქართველოში წარმოებული თამბაქოს პროდუქცია (წლიურად დაახლ. 70 მლნ. ლარის ღირებულების) თითქმის მთლიანად მოიხმარება ადგილზე.

ადამიანის ჯანმრთელობაზე თამბაქოს მავნე ზემოქმედების გამო საქართველოში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში, მიმდინარეობს კამპანია თამბაქოს წევის წინააღმდეგ. კანონი თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ საქართველოს პარლამენტმა პირველად ჯერ კიდევ 2003 წ. 26 აგვისტოს მიიღო. ამას მოჰყვა კანონი ,,სურსათისა და თამბაქოს შესახებ'' (29. XII. 2006). 2010 წ. 15 დეკემბერს მიიღეს კანონი ,,თამბაქოს კონტროლის შესახებ'', რ-შიც გაერთიანდა მანამდე არსებული კანონები. მოქმედ კანონში მოცემულია ნორმები, შეზღუდვები, ვალდებულებები, მოთხოვნები და აკრძალვები, რ-თა მიხედვითაც თამბაქოს მოწევა იკრძალება აღმზრდელობით, საგანმანათლებლო, სამედიცინო, აგრეთვე სხვა საჯარო და კერძო დაწესებულებების დახურულ შენობა-ნაგებობებში, მასობრივი თავშეყრის ადგილებში. დაწესებულების ხელმძღვანელი კი ვალდებულია მწეველთათვის გამოყოს სპეციალური მოსაწევი ადგილები. კანონდარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით დაწესებულია ჯარიმა.

ჩატარებული კვლევებით საქართველოში მწეველთა რაოდენობა 2012 წლის მაჩვენებლებით მოსახლეობის დაახლოებით 30,4% შეადგინა, აქედან კაცებში – 55%, ხოლო ქალებში – 5 %. მოზარდთა 12% თამბაქოს რეგულარული მომხმარებელი იყო. თამბაქოს მოხმარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (36,5%) თბილისში დაფიქსირდა, ხოლო ყოველდღიურ მომხმარებელთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (36%) გამოვლინდა 25–34 ასაკობრივ ჯგუფში.

ლიტ.: ბახტაძე ი., მეთამბაქოეობა და თამბაქოს მრეწველობა, თბ., 1982; ნარმანია დ., თამბაქოს ინდუსტრიის ზოგიერთი ეკონომიკური პრობლემის შესახებ, ჟურნ. ,,გადასახადები'', 2003, №16–17; მისივე, თამბაქოს ინდუსტრიის ეკონომიკური რეგულირების მექანიზმები საქართველოში, ჟურნ., ,,ეკონომიკა'', 2005, №5–6; ცინცაძე დ., კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში (თამბაქოს მრეწველობა), თბ., 1979.

დ. ნარმანია.

თამელი (Sorbus torminalis), ტანმაღალი ხე, იშვიათად – ბუჩქი ვარდისებრთა ოჯახისა. სიმაღლე 25 *მ*, დიამეტრი 60–70 *სმ* აღწევს. აქვს გრძელყუნწიანი მეტად ლამაზი ფოთლები და ფარისებრ ყვავილედში თავმოყრილი წვრილი თეთრი ყვავილები, ნაყოფი კვერცხისებრი ან მომრგვალოა, მურა ყვითელი ან მოყავისფრო, თეთრად დაწინწკლული, შემდგომ თანდათანობით მუქდება. თავდაპირველად მაგარი და მწკლარტეა, ყინვა რომ დაჰკრავს, რბილი და ტკბილი ხდება. საქართველოში თ. არც ისე იშვიათია. უმთავრესად მთის ფოთლოვან ტყეებში ხარობს. შერეულია მუხნარში, რცხილნარში, წაბლნარსა და წიფლნარში ერთეულ ხეებად ან ჯგუფებად. ნორჩი ხე საკმაოდ ჩრდილის ამტანია, ასაკთან ერთად სინათლეს მეტად საჭიროებს. საკმაოდ ყინვაგამძლეა, ნიადაგის მიმართ მომთხოვნი. ყვავილობს მაის-ივნისში, ნაყოფი მწიფდება აგვისტო-სექტემბერში; საკმაო რაოდენობით შეიცავს შაქარს, მისგან არაყსაც ხდიან. აქვს მაგარი და გამძლე მერქანი. თ. კარგი თაფლოვანი და დეკორ. მცენარეა.

ლ. ხინთიბიძე.

თამკვაჩ-იგვავერა, სოფელი გუდაუთის მუნიციპალიტეტის ყულანურხვის თემში (აფხაზეთის არ), მდ. გუდოუს მარცხ. მხარეს. ზ. დ. 120 *მ*, გუდაუთიდან 6 *კმ*. 325 მცხ. (1989).

თამღა, ტამღა (თურქ.-მონღ.), განსაკუთრებული ნიშანი (დაღი, დამღა), რომლითაც აღინიშნებოდა საკუთრების უფლება პირუტყვზე; მოგვიანებით – ბეჭედი, დოკუმენტი ან სიგელი ხანის ბეჭდით. თ. ეწოდებოდა აგრეთვე მონღოლების მიერ ვაჭრობაზე დაწესებულ სახელმწ. გადასახადს, რ-იც ფულით აიღებოდა და დიდ შემოსავალს აძლევდა ხაზინას. სხვადასხვა დროს მონღოლთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებში თ. გაყიდული საქონლის ღირებუ-

ლების 3–10%-სა და მეტს შეადგენდა. თბილისში XIII ს. II ნახევარში იხდიდნენ სავაჭრო თანხის 3%-ს, თუმცა გადასახადების ამკრებთა და შემსყიდველთა თვითნებობის გამო ეს წესი ხშირად ირღვეოდა, რასაც უკმაყოფილება მოსდევდა. კერძოდ, 1259 საქართვ. მეფის დავით VII-ის ავჯანყება მონღოლთა წინააღმდეგ იმით იყო გამოწვეული, რომ აქ გადასახადთა ამკრებად მოვლენილი სპარსი ვაჭარი ხოჯა-აზიზი, ძალზე უდიერად იქცეოდა: ,,თუ სამზარეულოსა მეფისასა ცხვარი, გინა კრავი ისყიდებოდის, მას ზედაცა ხარაჯა წაუღიან, რომელსა – იგი ტამღად ეწოდდეს''. თ. აფერხებდა ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას, ამიტომ ხშირი იყო მისი გაუქმების მცდელობა. საბოლოოდ ეს გადასახადი გაუქმდა 1565, შაჰ თამაზ I-ის ბრძანებით.

წყარო: ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე. წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: კიკნაძე რ., თამღა ილხანთა სახელმწიფოში, «აღმოსავლური კრებული», II, თბ., 1960. *რ. კიკნაძე.*

„თანადგომა“, საზოგადოებრივი საინფორმაციო გაზეთი. გამოდის 2001-იდან ზურაბ ანჯაფარიძის საერთაშ. ფონდის თაოსნობით (თვეში ორჯერ). სხვადასხვა თემატიკასთან ერთად გაზეთის სპეც. ნომრები ეძღვნება ამა თუ იმ თაობის გამოჩენილ ქართვ. მოღვაწეთა ხსოვნას (ვ. სარაჯიშვილი, დ. სარაჯიშვილი ფ. გოგიჩაიშვილი, ა. ხორავა, ი. აბაშიძე, ზ. ანჯაფარიძე, ნ. ჭავჭავაძე, ა. აფაქიძე, გ. კარტოზია, მ. ჯაფარიძე, ი. გურგულია, ე. ყიფშიძე, ზ. ქაფიანიძე და სხვ.). რედაქტორ-გამომცემელი ა. ბაბუხადია.

„თანამედროვე მედიცინა“, ქართული სამედიცინო სამეცნიერო ჟურნალი, რ-საც 1924-იდან გამოსცემდა თსუ-ის სამედ. ფაკ-ტის უმც. მასწავლებელთა კოლეგიუმი (სარედაქციო კოლეგია: შ. *მიქელაძე,* პ. *ქავთარაძე,* მ. მგალობლიშვილი, ზ. *მაისურაძე,* ნ. *ყიფშიძე*). ჟურნალში ქვეყნდებოდა სტატიები თეორ. და პრაქტ. მედ. საკითხებზე; მიმოხილვები, კორესპონდენციები, რეფერატები, ბიბლიოგრაფიები; სამედ.-სამეცნ. საზოგადოებათა სამეცნ. კონფერენციებისა და ექსპედიციების საქმიანობის ანგარიშები და ქრონიკები. ჟურნალთან თანამშრომლობდნენ თბილ. სახელმწ. უნ-ტის სამედიცინო ფაკ-ტის პროფესორები, ასისტენტები, ორდინატორები, თბილისსა და პერიფერიებში მომუშავე პრაქტიკოსი ექიმები.

1929-იდან ჟურნალს გამოსცემდა უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი, ხოლო 1931 ჟურნალი სამედ. ინ-ტის ორგანო გახდა. სხვადასხვა დროს რედკოლეგიაში შედიოდნენ პროფესორები: ა. *ნათიშვილი,* ვ. *ჟღენტი,* შ. მიქელაძე.

1934-მდე გამოვიდა ,,თ. მ-ის'' 66 ნომერი, შემდეგ კი ფუნქციონირება შეწყვიტა.

2007 ფარმაცევტული კომპანია ,,ჯიპისის'' ხელშეწყობით განახლდა ახ. ქართ. სამედ.-პრაქტ. ჟურნ. ,,თანამედროვე მედიცინის'' გამოცემა (მთ. რედაქტორი – დ. ჯიქია). 2010 შეწყდა ჟურნალის ბეჭდური ვერსიის გამოცემა. 2010 წლის 23 თებერვალს დაარსდა ჟურნალის საიტი (www. modernpublishing. ge), სადაც განთავსდა ჟურნალის ყველა ნომრის ელექტრონული ვერსია (სულ 16 ნომერი).


„თანამედროვე ფარმაცია“, ქართული სამეცნიერო და პრაქტიკული ჟურნალი, თბილ. სახელმწ. სამედიცინო ინ-ტის ფარმაცევტული ფაკ-ტის ორგანო. გამოდიოდა 30-იან წლებში. პირველი და მეორე ნომერი გამოიცა 1930, მესამე – 1931. ჟურნალის რედაქტორი იყო ი. *ქუთათელაძე,* პასუხისმგებელი მდივნები – ნ. მასხულია და პ. ჭუმბურიძე.

ჟურნალში იბეჭდებოდა სამეცნ. შრომები, რეფერატები, ისტ. ხასიათის მასალები, სამეცნ. ექსპედიციების ანგარიშები, ბიბლიოგრაფია ფარმაციის თეორ. და პრაქტ. საკითხებზე. *ბ. ჭუმბურიძე.*

თანამედროვე ხუთჭიდი, სპორტული მრავალჭიდი. სპორტ. კომპლ. სახეობა, რ-იც აერთიანებს ცხენოსნობას, ფარიკაობას, სროლას, ცურვასა და რბენას. მსოფლიოს ჩემპიონატი ვაჟთა შორის იმართება 1949-იდან, ქალთა შორის – 1981-იდან; ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შედის 1912-იდან – კაცები, 2000-იდან – ქალები. ანტ. საბერძნეთში ტარდებოდა ასპარეზობა ხუთჭიდში – პენტათლონში, რ-იც მოიცავდა სირბილს, სიგრძეზე ხტომას, შუბისა და ბადროს ტყორცნას, ჭიდაობას (პირველი შეჯიბრება გაიმართა მე-18 ოლიმპიადაზე, ძვ.წ. 708). თანამედროვე ხუთჭიდი ანტ. პენტათლონის ერთგვარი ანალოგია. XIX ს. მეორე ნახევარში თავდაპირველად შვედეთში, შემდეგ კი ევრ. სხვა ქვეყნებშიც ეწყობოდა შეჯიბრებები ე.წ. საოფიცრო ხუთჭიდში, რ-ის შემადგენელი სპორტის სახეობებიც შეესაბამებოდა იმდროინდელ წარმოდგენას ოფიცრის მომზადების აუცილებელ კომპონენტებზე.


ოლიმპიური თამაშების პროგრამაში თ. ხ. (1912) შეიტანეს პ. დე კუბერტენის თაოსნობით, რ-საც ეს სახეობა პენტათლონის თავისებურ მემკვიდრედ და სრულყოფილი, იდეალური ათლეტისთვის აუცილებელი უნარ-თვისებების გამოცდის საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა. 1952 ოლიმპიადამდე ტარდებოდა მხოლოდ პირადი პირველობა, შემდეგ კი გუნდური ასპარეზობაც შემოიღეს. 1948-მდე თამაშებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ სპორტსმენ ოფიცრებს ჰქონდათ. 2000-იდან ოლიმპიადის პროგრამაშია ქალთა ინდივიდ. შეჯიბრება. სპორტის ამ სახეობას ამჟამინდელი სახელი ეწოდა 1948 ლონდონში, როდესაც დაფუძნდა თანამედროვე ხუთჭიდის საერთაშ. კავშირი (Union Internationale de Pentathlon Moderne – UIPM). მისი შექმნის ინიციატორი იყო შვედი გ. დირსენი (1920 ოლიმპიური ჩემპიონი), რ-იც ამ კავშირის პირველი პრეზიდენტი გახდა. 1953-იდან ეწოდებოდა თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიათლონის საერთაშ. კავშირი (Union Internationale de Pentathlon Moderne et Biathlon –UIPMB). 1998-იდან კი კვლავ თანამედროვე ხუთჭიდის საერთაშ. კავშირი ეწოდება (ბიათლონის ფედერაცია ცალკე გამოიყო). აერთიანებს 102 ქვეყნის ფედერაციას.

საქართველოში თ. ხ. თბილისში XX ს. 50-იანი წლებიდან დაინერგა. პირველ ხუთჭიდელთა შორის იყვნენ: რ. მანჯავიძე, ა. პევცოვი, ი. ახვლედიანი, ჯ. *ზალდასტანიშვილი,* ბ. ბაჟანოვი, ა. კრავჩენკო, გ. კალმახელიძე, ვ. როგავა. საქართვ. ნაკრებ გუნდს, რ-ის ძირითად ბირთვს თბილისელი სპორტსმენები შეადგენდნენ, არაერთი საპრიზო ადგილი დაუკავებია სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში, გუნდის უმაღლეს მიღწევად კი უნდა ჩაითვალოს სსრკ-ის ჩემპიონობა და მესამე საპრიზო ადგილი ევრ. თასის გათამაშებაში 1981. ცალკეულ სპორტსმენთაგან აღსანიშნავი არიან ი. ბრიზგალოვი (ევრ. თასის მფლობელი, 1985) და რ. ლოხიშვილი (მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის სსრკ ნაკრების













შემადგენლობაში, 1988). 80-იანი წლების ბოლოს განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია მსოფლიოს ჩემპიონმა და თასის მფლობელმა, ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა და ევროპის არაერთგზის ჩემპიონმა ვ. *იაგორაშვილმა*. წლების განმავლობაში საქართვ. ნაკრებ გუნდთან ნაყოფიერად მუშაობენ ხუთჯიდის თბილისელი სპეციალისტები, მწვრთნელები: ნ. ალავიძე, თ. გოგიაშვილი, ჯ. ზალდასტანიშვილი, გ. კალმახელიძე, ა. კრავჩენკო, ი. ლუცენკო, ა. მანჯავიძე, რ. მანჯავიძე, ვ. როგავა, ნ. სკორნიაკოვი, ა. სმირნიცკი, ა. შეროზია, ვ. ცაგარეიშვილი, თ. ჯეჯელავა. *ჯ. ზალდასტანიშვილი.*



ი. თარბა.

თანამოსაყდრეობა, ტახტის მემკვიდრეობის წესი XI–XIII სს. საქართველოში, რომლის მიხედვით, მეფეს მემკვიდრე თავის სიცოცხლეშივე აჰყავდა სამეფო ტახტზე თანახელმწიფედ. მაგ., დავით აღმაშენებელმა ,,თჳსითა ჴელითა დასუა საყდარსა თჳსსა ძე თჳსი დიმიტრი‘‘; თამარსაც გიორგი III-მ თავისი ხელით დაადგა სამეფო გვირგვინი. სავარაუდოა, რომ მეფეები ამ გზით ცდილობდნენ, მემკვიდრეებისათვის აეცილებინათ მეფედ კურთხევის წესის სიმბოლური მოქმედება, რ-იც გამოხატავდა ხელისუფლების მიღებას დიდგვარიანი აზნაურებისაგან.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 2, თბ., 1984 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 7). *ი. ფუტკარაძე.*



კ. თარგამაძე (დ. 1910).

თანგა, XV ს. დასაწყისში თემურლენგის მიერ შემოღებული მაღალხარისხოვანი ვერცხლის მონეტა (მასა 6,2 გ), ძირითადი ერთეული ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და აღმ. ამიერკავკასიის ფულად სისტემაში. საქართველოს ეს რეფორმა არ შეხებია. თემურლენგის თ-ები საქართველოში არაა აღმოჩენილი. სამაგიეროდ ფართოდ იყო გავრცელებული XV ს. შირვანული თ-ები. აღმოჩენილია როგორც ერთეული, ისე განძის სახით სოფ. საქობოში (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი), ხორხში (დუშეთის მუნიციპალიტეტი), თამარაშენში (ქარელის მუნიციპალიტეტი), აღში (ხაშურის მუნიციპალიტეტი).

ლიტ.: დ უ ნ დ უ ა გ., სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV ს. საქართველოში, თბ., 1964; Д у н д у а Г. Ф., Д ж а л а г а н и я И. Л., Обращение ширванских монет XV века в Грузии, «Известия АН Азерб. ССР», 1973, №4; 1974, №1; П а х о м о в Е. А., Монетные клады Азербайджана и Закавказья, «Труды Общества обследования и изучения Азербайджана», в. 3, Баку, 1926. *გ. დუნდუა.*

თანდელთა, სოფელი ჯავის მუნიციპალიტეტის მსხლების თემში, მდ. დიდი ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 1150 *მ*, ჯავიდან 1 *კმ*. 56 მცხ. (1989).

თანდილაანთკარი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ანანურის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. არყალის [მთიულეთის (თეთრი) არაგვის მარჯვ. შენაკადი] ნაპირას. ზ. დ. 1020 *მ*, დუშეთიდან 30 *კმ*. 90 მცხ. (2002). თ-ში დაიბადა შ. *არაგვისპირელი.*

თანდიწყაროო, სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტის თერეგვანის თემში, მდ. თანდიწყაროს (შუა ფრონის შენაკადი) ნაპირას. ზ. დ. 900 *მ*, თიღვიდან 8 *კმ*. 76 მცხ. (1989).

თანიანთკარი, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭონქაძის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), ალევის ქედის აღმ. კალთაზე, ქ. დუშეთის ჩრდ.-დას-ით. ზ. დ. 900 *მ*, დუშეთიდან 3 *კმ*. 180 მცხ. (2002).

თანიაშვილი ბეგთაბეგ (ბ ე გ თ ა ბ ე გ მ დ ი ვ ნ ა დ წოდებული), XVII ს. II ნახევრის ქართველი მწიგნობარი და კალიგრაფი. მოღვაწეობდა ქართლის მეფის გიორგი XI-ის კარზე. 1680 მეფის დაკვეთით გადაწერა ,,ვეფხისტყაოსანი‘‘ (ხელნაწ. ეროვნ. ცენტრი, H-54), რ-იც მდიდრულადაა მორთული (ტექსტის ჩარჩოები სინგურის, ლურჯი და ოქროსფერი ზოლებისგანაა შედგენილი, ჩარჩოს გარეთ კი ოქროსფერი ორნამენტებით შემკული ფართო არშიებია მცენარეთა და ცხოველთა გამოსახულებით). როგორც ჩანს, ხელნაწერი სხვას შეუმკია, ბეგთაბეგს კი ტექსტი გადაუწერია. პოემა XVII ს-თვის დამახასიათებელი მხედრულით არის გადაწერილი. ნაწერი ლამაზია და გამოირჩევა დეკორაციულობით; ყოველი სტრიქონის პირველი ასო, ტაეპის პირველი სიტყვები, სტრიქონთა ბოლო ასოები სინგურისაა, ზოგი ასო სტრიქონს ზემოთ არის ატანილი, ზოგან ტექსტი სამკუთხა ფიგურებს ქმნის და ა. შ. თ. ცნობილია აგრეთვე როგორც პოეტი. მან დაასრულა თავისი ძმის, სულხან *თანიაშვილის*, მიერ დაწყებული საქმიანობა, გალექსა *,,ამირანდარეჯანიანის*‘‘ 9 კარი (IV კარიდან ბოლომდე). თითოეულ კარს წაუმძღვარა შესავალი. ბოლო ორ კარს კი – ბოლოსიტყვაობა, რ-შიც გადმოცემულია ტექსტის გალექსვის მოკლე ისტორია. თ-ს ეკუთვნის აგრეთვე გიორგი XI-ის ქება, რ-იც დაერთვის თავისსავე გადაწერილ ,,ვეფხისტყაოსანს‘‘.

ვ. ბერძე. მ. გიგინეიშვილი.

თანიაშვილი სულხან ავთანდილის ძე, XVII ს. პოეტი, ქართლის სამეფო კარის მდივან-მწიგნობარი. *არჩილ II-ის* ცნობით, განსწავლული პიროვნება და ცნობილი პოეტი ყოფილა. XVII ს. იტალიელი მისიონერისა და მხატვრის კრისტოფორო დე *კასტელის* ალბომში მოთავსებულ თ-ის პორტრეტზე წარწერილია: ,,იბერია-კოლხეთის სამეფოში განთქმული პოეტი სულხან ავთანდილაშვილი‘‘. თ-ის თხზულებათაგან ჩვენამდე მოაღწია მის მიერ გალექსილმა ,,ამირანდარეჯანიანმა‘‘ ერთადერთი დეფექტური ნუსხით (ხელნაწ. ეროვნ. ცენტრი, S–357). თხზულებას თან ერთვის ავტორისეული შესავალი ტრად. მსჯელობითურთ მიჯნურობაზე, პოეზიაზე, პროზასთან შედარებით ლექსის უპირატესობაზე და ა.შ. გალექსილი ვერსიის დასრულება თ-ს არ დასცალდა. მისი სიკვდილის შემდეგ ეს საქმე მისმა ძმამ ბეგთაბეგმა ითავა. ძეგლის ძირითადი ნაწილი სულხანის გალექსილია; რუსთველისა და *თეიმურაზ I-ის* ტრადიციების მიმდევარმა თ-მა შეძლო საკმაოდ ოსტატური თხზულების შექმნა.

ლ. კეკელიძე.

თარბა ივანე კონსტანტინეს ძე (21.III. 1921, სოფ. ბესლახუბა, ახლანდ. ონამჩირის მუნიციპალიტეტი, – 21. I. 1994, სოხუმი), აფხაზი მწერალი. დაამთავრა სოხუმის მ. გორკის სახ. პედ. ინტი (1948). 1953–54 იყო აფხ. ავტ. რესპ. განათლების მინისტრი, 1954–58 – პარტიის აფხ. საოლქო კომიტეტის მდივანი, 1958–79 – აფხ. მწერალთა კავშირის თავ-რე. პირველი ლექსი 1937 გამოაქვეყნა, ლექსების პირველი კრებული – 1949. ლექსებისა და პოემების სხვა კრებულებია: ,,ორი ზღვა‘‘ (1954), ,,ლექსები და პოემები‘‘ (1960), ,,აფხაზეთო ჩემო‘‘ (1963), ,,მთიდან მთამდე‘‘ (1965), ,,ლექსები‘‘ (1971), ,,შუადღის გზებზე‘‘ (1972), ,,სიმღერიდან სიმღერამდე‘‘ (1975). თ-ს ეკუთვნის აგრეთვე რომანები: ,,ცნობილი კაცი‘‘ (1967) და ,,მზე ჩვენთან იღვიძებს‘‘ (1971).

ლიტ.: აფხაზური ლიტერატურა, თბ., 1975.

თარგამაძე კახა მამიას ძე (დ. 30. XI. 1955, ბათუმი), პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი (1996). დაამთავრა სპი-ის სატრანსპ. ფაკ-

ტი (1977), თსუ-ის იურიდ. ფაკ-ტი (1987). 1979-იდან მსახურობდა შსს ორგანოებში. 1992–95 იყო საქართვ. შსს სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე, უფროსი, დეპარტამენტის თავმჯდომარე. 1995–2001 წლებში ეკავა შს მინისტრის თანამდებობა.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენითა (1995) და ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (1997). *ლ. დოლიძე.*

თარგამაძე კონსტანტინე მიხეილის ძე [2(15). IX. 1910, სოფ. ნიგორზღვა, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 3. IV. 1994, თბილისი], მეტყევე. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1962), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1968). სატყეო ეკონ. მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში. დაამთავრა ამიერკავკ. სატყეო ტექ. ინ-ტი (1934). 1937–52 მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. 1938-იდან იყო საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის (ახლანდ. საქართვ. აგრ. უნ-ტი) სატყეო მეურნ. ეკონ. და ტყის ტაქსაციის კათედრის გამგე (1983-იდან სიცოცხლის ბოლომდე ამავე კათედრის პროფესორი), 1953–56 კი – ინ-ტის რექტორი. მ. მუშაობდა სატყეო მეურნ. ეკონ. პრობლემებზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: ტყის მეურნეობის წარმოების ორგანიზაცია და დაგეგმვა, გამოც. მე-2, თბ., 1965; ტყის პროდუქტიულობის გადიდების გზები, თბ., 1968; საქართველოს ტყის ფონდი, თბ., 1973; დაცვითი ტყის ზოლები და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი, თბ., 1974 (თანაავტ. ა. ბეროზაშვილი); სამთო ტყის მეურნეობის ეკონომიკა, თბ., 1984.

თ. კანდელაკი.

თარგამეული, სოფელი მარტვილის მუნიციპალიტეტის თამაკონის თემში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე), ოდიშის ვაკეზე, მდ. ტეხურის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 220 *მ*, მარტვილიდან 24 *კმ*. 566 მცხ. (2002).

სოფელი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში.

თარგამოსი, იხ. *ქართველთა ეთნარქები.*

თარგიმის ეკლესია, შუა საუკუნეების ქართული წარმომავლობის ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლი ინგუშეთში, მდ. ასას მარჯვ. ნაპირზე, სოფ. თარგიმიდან 4 *კმ*-ზე. წარმოადგენს მცირე ზომის ერთნავიან ნაგებობას, რ-ის ქვეშ დაახლოებით 2 *მ* სიმაღლის საძვალეა მოწყობილი. საძვალის მასიური კედლები დარბაზის კედლების საძირკველს წარმოადგენს. ნაგებია ფიქლით, მცირედ დამუშავებული რიყის ქვითა და კირის ხსნარით. კედლები შელესილია, შესაძლოა, მოხატულიც იყო. ინტერიერში გრძივ კედლებზე პილასტრების ერთი წყვილია, რ-ზეც კამარის საბჯენი თაღი იყო დაყრდნობილი. შესასვლელი სამხრ. კედელშია გაჭრილი. საკურთხევლის აფსიდში ტრაპეზის ნაშთები შეინიშნება.

ლიტ.: ქ ა ლ დ ა ნ ი ა., ქართული წარმომავლობის ქრისტიანული ძეგლები ინგუშეთში, «ძეგლის მეგობარი», 1988, №1.

თარგმანი მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი, ლიტერატურული შემოქმედების დარგი. მხატვრული თხზულების გადატანა ერთი ენიდან მეორე ენაზე. მხატვრული თ-ის ისტორია საკუთრივ ლიტ-რის ისტ. განუყოფელი ნაწილია. ქართ. მწერლობის ისტ. სათავეებთან თარგმნილი ლიტერატურაც დგას.

ძვ. ქართული თ. (V–XVIII სს.) ძირითადად ქრისტ. აღმოსავლეთის რელიგ.- კულტ. მონაპოვართა ეროვნ. ნიადაგზე გადმონერგვას წარმოადგენს. მასში ჰარმონიულადაა შერწყმული ბიზანტ.-ქართ. კულტ.-ლიტერატურული ტრადიციები. სათარგმნი მასალის შერჩევა სხვადასხვა კულტ. მოთხოვნათა გათვალისწინებით ხდებოდა.

ქართ. ქრისტ. მწერლობა დაუბამიდანვე უშუალოდ ბერძნულთან იყო დაკავშირებული (V ს. I მეოთხედი). შემდგომში თხზულებები ითარგმნებოდა ქრისტ. აღმოსავლეთის სხვა ხალხთა ენებიდანაც – სირიულიდან (V–XIV სს.), სომხურიდან (V ს. შუა წლებიდან), არაბულიდან (VIII–X სს.).

უძველესი პერიოდის თარგმანები ჩვენამდე ნაკლებადაა მოღწეული. მათი ხასიათის განსაზღვრა ჭირს. სავარაუდოა, იყო თავისუფალი თარგმანი, უფრო გაქართულებული. ეს განპირობებული იყო, ალბათ, მკითხველის შესაძლებლობებითა და აღქმის დონით. ამას გვაფიქრებინებს გიორგი ათონელის (იხ. *გიორგი მთაწმიდელი*) მიერ გამოყენებული ტერმინი – ქართული დავითნი.

ძვ. ქართ. თ. მონოგენური ხასიათის იყო, იგი რწმენის (ორთოდოქსიის) დაცვა-განმტკიცებას ემსახურებოდა. ითარგმნებოდა ბიბლიური წიგნები, ეგზეგეტიკის უარსებითესი ნიმუშები.

X ს-იდან ათონის ქართ. მწიგნობრობა უშუალოდ დაუკავშირდა ბიზანტიას და კონსტანტინოპოლის ლიტურგიკულ პრაქტიკას. გაჩნდა აუცილებლობა ქართვ. მკითხველისათვის მიეწოდებინათ ყველაფერი მნიშვნელოვანი ბიზანტ. ლიტ-რიდან ყველა დონის მკითხველის მოთხოვნილების გათვალისწინებით. ამ მიზნით ათონის სალიტ. სკოლის მამამთავარი ექვთიმე ათონელი (იხ. *ექვთიმე მთაწმიდელი*), ბიზანტ. კომენტატორთა თუ საენციკლოპედიო მოღვაწეთა შესაბამისად, სხვადასხვა წყაროს კომპილაციის, ინტერპოლირების ან გამოკრების მეთოდით ქმნიდა ენციკლოპედიურ-უნივერს. ხასიათის თარგმანებს. ამით იგი ახდენდა ბიზანტ. კულტურის ქართ. კულტურასთან ადაპტაციას.

ათონის სალიტ. სკოლაში შემუშავდა ორიგინალის ზუსტად თარგმნის თვალსაზრისი. ამან განაპირობა ბიბლ. წიგნების ახ. თარგმანებისა და ახ. რედაქციების შექმნა – დავითნი, სახარება, სამოციქულო; ასე ითარგმნა ბასილი კესარიელის, იოანე ოქროპირის, გრიგოლ ნოსელის კლასიკური ეგზეგეტიკური თხზულებანი ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების, თეოფილე ხუცესმონაზვნის მიერ. ამავე სკოლაში პირველად, შედარებით სრულყოფილად, ითარგმნა აგრეთვე დიდ კაპადოკიელთა: ბასილი კესარიელის, გრიგოლ ღვთისმეტყველის (ექვთიმე ათონელი), გრიგოლ ნოსელის (გიორგი ათონელი) და სხვათა ჰომილეტიკური შრომები.

ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდი ძვ. ქართ. თ-იდან ახ. ტიპის თ-ზე გადასვლის გარდამავალი საფეხურია, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა არა მხოლოდ ქართ. მწერლობის შემდგომდროინდელი კულტ. ორიენტაცია, არამედ თ-ის ხასიათი და თავისებურებაც. თ. სულ უფრო მეტად ითვალისწინებს განათლებული მკითხველის მოთხოვნილებას, ამაღლებს მის ინტელექტუალურ დონეს.

თ-ის ახ. თეორ. პრინციპები შემუშავდა XI–XII სს-ში, როდესაც ქართ. საეკლ. მწერლობაში მიმართეს ე. წ. ელინოფილურ მეთოდს, ამავე დროს, განვითარდა საერო ჟანრის მწერლობაც. პირველი უკავშირდება *ეფრემ მცირის*, ხოლო მეორე – *სარგის თმოგველის* სახელს. ეფრემ მცირემ ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების მთარგმნელობით მეთოდს გვერდი აუარა. ეფრემთან მხატვრულობა პირობითი ცნება გახდა, თმოგველთან კი

ის წამყვანია.

ეფრემმა შექმნა თარგმნის ზოგადი თეორია, რ-იც ქართ. მთარგმნელობითი საქმიანობის საფუძველი გახდა. მის მთარგმნელობით მოღვაწეობაში კარგად ჩანს ათონელთა მთარგმნელობითი ტრადიციებიდან – ,,სიტყვადართვითი'' თარგმანიდან – დედნის ადეკვატურ თარგმანზე თანდათანობითი გადასვლის პროცესი, რაც ბიზანტ. სას. მწერლობის ზედმიწევნითი აღქმის მოთხოვნილებამ განაპირობა. მთარგმნელი უნდა თარგმნიდეს უშუალოდ დედნიდან ზუსტად, მაგრამ არა სიტყვასიტყვით; შეუმოკლებლად და შეუმატებლად, სათაურისა და აგებულების შეუცვლელად; უნდა ითვალისწინებდეს ორიგინალის ენისა და ქართ. ენის თავისებურებასა და შესაძლებლობას. თარგმნის ელინოფილური მეთოდის დამკვიდრებით ეფრემ მცირემ სათავე დაუდო საღვთისმეტყველო, ლიტ.-თეორ. ტერმინოლოგიისა და შეხედულებების ჩამოყალიბებას.

ელინოფილური მთარგმნელობითი ტრადიციის გამგრძელებელია *არსენ იყალთოელი.* მან განავითარა ეფრემ მცირის მიერ დაწყებული საღვთისმეტყველო-ფილოს., დოგმატიკურ-ჰომილეტიკური ლიტ-რის თარგმნა და კომენტირება (იოანე დამასკელის, ანასტასი სინელის, თეოდორე აბუკურას და სხვათა თხზულებანი, შესული მის მიერ შედგენილ კრებულ ,,დოგმატიკონში''). არსენი იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოღვაწე-შემოქმედი ე. წ. გელათურ საღვთისმეტყველო სკოლაში, რ-მაც განსაზღვრა XII–XIII სს. ქართ. სას. მწერლობის განვითარების მიმართულება.

ძვ. ქართ. მ-ის მეორე ნაკადია სპარსულენოვანი საერო ლიტ-რის თარგმნა. საერო ლიტ-რის ძეგლების თარგმნის თეორია ჩვენს წინაპართაგან თითქმის არ განსაზღვრულა. უეჭველია, მას უკვე არსებულ თეორიათა შემოქმედებითი ათვისება უნდა დასდებოდა საფუძვლად. თარგმანის ზოგადი მოთხოვნები უნდა განსაზღვრულიყო სათარგმნი ძეგლის ხასიათით. ამის საუკეთესო მაგალითია ,,ვისრამიანი'', რ-ითაც იწყება მ-ის ე. წ. საერო ნაკადი.

აღმ. ლიტ-რის თარგმნა მომძლავრდა ე. წ. აღორძინების ხანის ქართ. მწერლობაში (XVI ს.). უხვად ითარგმნებოდა სპარს. სარაინდო, სამიჯნურო, დიდაქტ. ეპოსის ნიმუშები, რ-თა შორის აღსანიშნავია ,,შაჰ-ნამეს'' ქართ. ვერსიები, ,,ქილილა და დამანას'' თარგმანები, დიდია *თეიმურაზ I-ისა* და სხვათა დამსახურება. იცვლება მ-ის ხასიათი – მხატვრულ ლიტ-რასთან ერთად რუსულიდან ითარგმნება რუს. და ევრ. სამეცნიერო, ფილოს., ისტ. ლიტ-რა (ს. *დოდაშვილის,* ს. *რაზმაძისა* და სხვათა მიერ).

XIX–XX სს. ქართ. თარგმნილ ლიტ-რას აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი ევრ. ორიენტაცია, რ-ის პირველი პრაქტ. გამოვლენა *განმანათლებლობასა* და *ვოლტერიანელობას* უკავშირდება.

XIX ს. თარგმანთა სიმრავლით ხასიათდება. ქართ. მ-ის ისტორიის ამ ეტაპის თვალსაჩინო ფიგურაა ა. *ჭავჭავაძე.* მან თარგმნა ა. პუშკინის ლექსები, ეზოპესა და ჟ. ლაფონტენის იგავ-არაკები, რასინის მონოლოგები, კორნელის ტრაგედია ,,სინა'' და სხვ.; გ. *ერისთავმა* – ფ. შილერის ,,ხელთათმანი''; ნ. *ავალიშვილმა* – დრამა ,,ყაჩაღები''; ნ. *ბარათაშვილმა* – ი. ლაიზევიცის ტრაგედია ,,იულიუს ტარენტელი'', მართალია, რუსულიდან, მაგრამ ეს ფაქტი მაინც რჩება გერმ. ლიტერატურისადმი ინტერესის პირველ გამოვლენად. ამ თარგმანს ჩვენამდე არ მოუღწევია. ნ. ბარათაშვილის გადმოცემით, დ. *ყიფიანს* ფრანგულიდან უთარგმნია უ. შექსპირის ,,რომეო და ჯულიეტა''. ჩვენამდე არც ამ თარგმანს მოუღწევია.

ქართ. თარგმნილ ლიტ-რას დიდი ამაგი დასდო ი. ჭავჭავაძემ. სტუდენტობის წლებში მას უთარგმნია ი. ვ. გოეთეს, ვ. სკოტის, ფ. შილერის, ჯ. ბაირონის, ჰ. ჰაინეს, ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვისა და სხვათა ლექსები. მნიშვნელოვანია ილიას პოზიცია მ-ის როლის გააზრებისა და სათარგმნი ნაწარმოების შერჩევის შესახებ, რაც კარგად ჩანს მის წერილში «ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვიდგან ,,შეშლილის'' თარგმნაზედა». ამავე პოზიციის ნაყოფია უ. შექსპირის ,,მეფე ლირის'' ილიასეული თარგმანი (ი. *მაჩაბელთან* ერთად).

ნაყოფიერად თარგმნიდა ა. *წერეთელიც,* მას გადმოუქართულებია ეზოპეს, ჟ. ლაფონტენისა და ი. კრილოვის იგავ-არაკები.

XIX ს. უდიდეს მონაპოვრად რჩება ი. მაჩაბლის თარგმანები. 90-იან წლებში მან დამოუკიდებლად თარგმნა უ. შექსპირის ,,ჰამლეტი'', ,,ოტელო'', ,,რიჩარდ მესამე'', ,,მაკბეტი'' და სხვ.

მაჩაბლის მთარგმნელობითი მეთოდის ერთგულება იგრძნობა XIX ს. მიწურულისა და XX ს. დასაწყისის თარგმანებში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თ. *სახოკია.*

XX ს. ოციან წლებამდე თარგმნილ ლიტ-რას არ შემატებია მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. ქართ. კულტურის მოამაგე ა. *ლაისტი* მთარგმნელებს მოუწოდებდა, თავიანთი მოღვაწეობით ხელი შეეწყოთ ლიტ-რის აღმავლობისათვის. ამ წლებში ევროპიდან რუსეთის გავლით ჩვენამდე მოაღწია დეკადენტურმა პოეზიამ. ე. როსტანის, ო. უაილდის, პ. ვერლენის, ე. ვერჰარნის, ა. რემბოსა და სხვათა პოეზიის ნიმუშები თარგმნეს ვ. *გაფრინდაშვილმა,* პ. *იაშვილმა,* ს. *შანშიაშვილმა,* კ. *ჭიჭინაძემ* და სხვ.

XX ს. 20–30-იანი წლები თარგმნილ ლიტ-რაში შეიძლება ჩაითვალოს ძიების ხანად. სათარგმნი მასალის შერჩევას უმეტესად სტიქიური ხასიათი ჰქონდა, თუმცა თანდათან გამოიკვეთა მთარგმნელთა მთელი პლეადა. მათგან ეპოქალური მნიშვნელობისა იყო გ. *ქიქოძე,* რ-იც ძირითადად ფრანგ. ლიტ-რას თარგმნიდა, საჭიროების შემთხვევაში იგი ინარჩუნებდა არქაიზებულ სტილს. ასეა თარგმნილი ო. ბალზაკის, სტენდალის, პ. მერიმეს, ა. ფრანსის, ა. დოდეს, მ. ლერმონტოვის და სხვ. თხზულებები. გ. ქიქოძემ აღადგინა და განამტკიცა დედნის ენიდან თარგმნის აუცილებლობის ტრადიცია.

40-იანი წლებიდან ქართ. მწერლობა თარგმნილი ლიტ-რის სიუხვით გამოირჩეოდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა დედნის ენიდან თარგმნას.

თარგმნილი ინგლისურენოვანი ლიტ-რის სფეროში აღსანიშნავი იყო ი. მაჩაბლის თარგმანების ექვს ტომად გამოცემა (1953–60) გ. *გაჩეჩილაძისა* და ნ. *ყიასაშვილის* კომენტარებით. პარალელურად გრძელდებოდა შექსპირის თარგმნა (გ. გაჩეჩილაძე, რ. *თაბუკაშვილი,* ე. *კვიტაიშვილი,* ს. *ფაშალიშვილი,* მ. ქარჩავა), ,,მეფე ლირისა'' და ,,ჰამლეტის'' რამდენიმე ნაწყვეტი თარგმნა კ. *გამსახურდიამ.*

XX ს. 30-იან წლებში დაიწყო ჩ. დიკენსის შემოქმედების თარგმნა, თუმცა რუს. ენიდან. დიკენსი მხოლოდ 50-იან წლებში ითარგმნა

დედნიდან (მ. იანქოშვილი, ნ. კეშელავა, ვ. *ჭელიძე*).

ქართულად თარგმნილი ლიტ-რა მდიდარია ინგლ., შოტლანდიური და ამერ. ლიტ-რის საუკეთესო წარმომადგენელთა თხზულებების თარგმანებით. თარგმნილია ჯ. ბაირონის (გ. გაჩეჩილაძე, თ. *ერისთავი*, ი. *მერაბიშვილი*, კ. ჭიჭინაძე), უ. თეკერეის (ა. *გამყრელიძე*), ჯ. მილტონის (ე. კვიტაიშვილი, ვ. ჭელიძე), ჯ. გოლზუორთის (ნ. ბადრიაშვილი, ა. გამყრელიძე, ე. *მაღრაძე* და სხვ.), ვ. სკოტის (ვ. ჭელიძე), ჯ. ლონდონის (თ. მაღრაძე, ვ. ჭელიძე), ო. უაილდის (ზ. გამსახურდია, თ. მაღრაძე), მ. ტვენის (თ. დიასამიძე, გ. *ყიფშიძე*, ა. ლეკიაშვილი), უ. ფოლკნერის (რ. *თვარაძე*), ჯ. ჯოისის (ნ. ყიასაშვილი), ჯ. სტაინბეკის, ჯ. სელინჯერის (ვ. ჭელიძე), ე. ჰემინგუეის (ი. გურგულია, ე. ფაღავა, ვ. ჭელიძე) და სხვ. მწერალთა თხზულებები.

ნაყოფიერად თარგმნიან ინგლისური ენიდან აგრეთვე დ. ბარბაქაძე, გ. გოკიელი, ზ. ჭილაძე, გ. ჭუმბურიძე, ი. ტაველიძე, კ. ჯანდიერი და სხვ.

XIX–XX სს. ფრანგ. ლიტ-რა სტილის მრავალფეროვნებით ხასიათდება, რაც ქართ. თარგმანებშიც მეტ-ნაკლებად ზუსტად აისახა. ამ თარგმანებში ჩანს გ. ქიქოძის მემკვიდრეობის ზეგავლენა, მის მიერ შემუშავებული ზოგად-ფრანგ. ნატიფი სტილის შემოქმედებითი ათვისება. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ი. ქავჭარაძის (ო. ბალზაკის ,,პოლკოვნიკი შაბერი'', ,,გობსეკი''). თ. ქიქოძის (მ. დრიუონის ,,კერპთა დამხობა''), ქ. *ირემაძის* (ა. ფ. პრევოს ,,მანონ ლესკო''), ჯ. ჭუმბაძის (პ. მერიმეს ,,შარლ IX მეფობის ქრონიკა'') თარგმანებში, რ-ებშიც მთარგმნელებმა გამოავლინეს დიალოგის ბუნებრივად აგებისა და პროზის რიტმის დაცვის უნარი. განსხვავებული მანერით – დედნის სტილის ზუსტი დაცვით – არის თარგმნილი მ. ჯავახიშვილის მიერ გი დე მოპასანის ,,ლამაზი მეგობარი'', გ. ფლობერის ,,მადამ ბოვარი'' (ა. *ჭუმბაძე*). ფლობერისავე ,,სალამბოს'' თარგმანი (კ. ქილარჯიანი, მ. გიგინეიშვილი) კი ყურადღებას იპყრობს სტილიზებული არქაიზაციით.

ფრანგ. ლიტ-რა ქართულად წარმოდგენილია ლ. არაგონის (ა. და ზ. ჭუმბაძეები), დ. დიდროს (დ. კახაბერი), მ. დრიუონის (მ. ბაქრაძე, თ. კოპლატაძე), ა. კამიუს (გ. *ბუაჩიძე*, კ. ჯავრიშვილი), ა. დიუმას (თ. საჯაია, ჯ. ჭანტურია), ფ. მორიაკის (კ. ქილარჯიანი), ფ. რაბლეს (ე. ბაგრატიონი, გ. *გოგიაშვილი*), რ. როლანის (გ. გეგელია, ნ. იორდანიშვილი), ვ. ჰიუგოს (შ. პაპუაშვილი) და სხვა მწერალთა ნაწარმოებების თარგმანებით. ე. ზოლას, ფ. ერიას, ფ. საგანის, პ. მერიმეს ნაწარმოებები თარგმნა ნ. ქადეიშვილმა.

პ. კორნელის, ჟ. რასინისა და მოლიერის დრამები და კომედიები თარგმნეს ო. *ჭილაძემ*, ნ. ქადეიშვილმა, დ. *წერედიანმა*, გ. *გეგეჭკორმა*, რ. დოდაშვილმა, გ. *ეკიზაშვილმა*.

ფრანგ. პოეზია თარგმნეს გ. გეგეჭკორმა, ლ. *ღოღობერიძემ*, თ. *ჩხენკელმა*, დ. წერედიანმა თარგმნა ფ. ვიიონის ,,დიდი ანდერძი'' და ,,მცირე ანდერძი''.

გერმანულენოვანი ლიტ-რის თარგმნა ძირითადად XX ს-ში დაიწყო. ი. ვ. გოეთეს ნაწარმოებები თარგმნეს დ. ონიაშვილმა, პ. მირიანაშვილმა, კ. გამსახურდიამ, გ. ჯორჯანელმა, ი. *ქემერტელიძემ*, ვ. *ბეწუკელმა*, დ. წერედიანმა, ლ. თაკვარელიამ. აქვე უნდა აღინიშნოს გოეთეს ლირიკის, პოემებისა და ბალადების თარგმანები, რ-ებიც შესრულებულია კ. გამსახურდიას, ხ. *ვარდოშვილის*, კ. ჭიჭინაძის, ვ. ბეწუკელის, ა. *გელოვანის*, ო. *ჯინორიას* მიერ.

თარგმნილია ფ. შილერის (ს. შანშიაშვილი, ვ. ბეწუკელი), ჰ. ჰაინეს (ი. ქემერტელიძე, გ. და კ. *ჯორჯანელები*, ა. გელოვანი, ხ. ვარდოშვილი, კ. ჭიჭინაძე, გ. *აბაშიძე*, გ. გეგეჭკორი და სხვ.), შ. ცვაიგის (ა. გელოვანი, ნ. კალანდარიშვილი, ლ. ჯაფარიძე, კ. ჯორჯანელი); ჰ. ჰესეს (ნ. გოგოლაშვილი, დ. *ფანჯიკიძე*, რ. ქებულაძე, რ. *ყარალაშვილი*), ე. მ. რემარკის (კ. გამსახურდია, ა. გელოვანი, გ. *კარბელაშვილი*, ო. ხუციშვილი, გ. და კ. ჯორჯანელები), ფ. კაფკას (ნ. ამაშუკელი, ნ. *კაკაბაძე*, ზ. კაკაბაძე), ლ. ფოიხტვანგერის (ე. კვასხვაძე, მ. კოდუა, ჯ. *ქარჩხაძე*, დ. წერედიანი, ლ. ხუჯუა), ჰ. ბელის (ნ. ამაშუკელი, ნ. რუხაძე, თ. პატარაია) და სხვა გერმ. მწერალთა ნაწარმოებები.

გერმ. მწერლის თ. მანის მოთხრობები თარგმნეს ნ. რუხაძემ, ი. სურგულაძემ, დ. ფანჯიკიძემ, პ. ჩარკვიანმა, ც. ჩხეიძემ, თ. წერეთელმა, კ. ჯორჯანელმა; მისივე რომანები – დ. ფანჯიკიძემ, შ. პაპუაშვილმა.

80–90-იან წლებში ითარგმნა რ. მ. რილკეს პოეზია (ვ. *კოტეტიშვილი* და სხვ.), ნ. *გელაშვილმა* თარგმნა რილკეს რომანი ,,მალტეს ლაურიდის ბრიგეს ჩანაწერები''.

არ დარჩენილა არც ერთი მნიშვნელოვანი რუსი მწერალი და პოეტი, ქართულად რომ არ იყოს თარგმნილი. მკითხველი იცნობს ლ. ტოლსტოის (ი. აგლაძე, თ. საყვარელიძე, ლ. ტატვინიძე, ე. *უბილავა*), თ. დოსტოევსკის [ა. და ი. ახალშენიშვილები (იხ. *ახალშენიშვილი* ი.), რ. ქობულაძე, ც. ჩხეიძე], მ. ლერმონტოვის (დ. *გაჩეჩილაძე*, გ. გეგეჭკორი, რ. თვარაძე, მ. *ლებანიძე*, კ. *ნადირაძე*, შ. *ნიშნიანიძე*, გ. ქიქოძე და სხვ.), ნ. გოგოლის (ა. და ი. ახალშენიშვილები, თ. ბებურიშვილი, თ. დეკანოზიშვილი, ა. სოკოლოვა და სხვ.), ა. პუშკინის (ვ. გაფრინდაშვილი, პ. იაშვილი, კ. გამსახურდია, შ. *დადიანი*, ა. კალანდაძე, მ. ლებანიძე, ჯ. *ჩარკვიანი*, ს. *ჩიქოვანი*, თ. ჩხენკელი, ო. ჭილაძე და სხვ.) ნაწარმოებების თარგმანებს. ქართულად თარგმნილია ა. გრიბოედოვის, ი. ტურგენევის, ა. ჩეხოვის შემოქმედება, ასევე მ. გორკის, მ. შოლოხოვის, ა. ტოლსტოის, ა. ფადეევის, მ. ზოშჩენკოს, მ. ბულგაკოვისა და სხვ. ნაწარმოებები; ს. ესენინის, ა. ახმატოვას, ა. ბლოკის ლექსები, ბ. პასტერნაკის მემკვიდრეობის მცირე ნაწილი. შედარებით უკეთ იცნობს მკითხველი ნ. ტიხონოვის, ნ. ზაბოლოცკის, ბ. ახმადულინას, ე. ევტუშენკოს, ა. ვოზნესენსკის შემოქმედებას.

იტალ. ლიტ-რიდან მნიშვნელოვანია დანტე ალიგიერის ,,ღვთაებრივი კომედიის'' არასრული თარგმანი (კ. გამსახურდია, კ. ჭიჭინაძე), თარგმნილია დანტეს ,,ახალი ცხოვრება'' (ბ. *ბრეგვაძე*, თ. ჩხენკელი).

უხვად არის თარგმნილი ბერძნ.-რომაული ლიტ-რა. ჰომეროსის ,,ილიადასა'' (რ. *მიმინოშვილი*) და ,,ოდისეას'' (პ. *ბერაძე*) პოეტური თარგმანების გარდა გვაქვს ამავე ეპოსის პროზაული თარგმანი (ზ. *კიკნაძე*, თ. ჩხენკელი), თარგმნილია პლუტარქეს, პლატონის, ევრიპიდეს, არისტოფანეს, საფოს, ჰორაციუსის, ვერგილიუსის, მარკუს ავრელიუსისა და სხვ. ნაწარმოებები (ბ. ბრეგვაძე, ნ. გელაშვილი, ზ. კიკნაძე, გ. სარიშვილი, ნ. ტონია, ა. ურუშაძე, თ. *ყაუხჩიშვილი*, თ. ჩხენკელი და სხვ.).

ესპ. ლიტ-რის ინტენს. თარგმნა XX ს. 70-იან წლებში დაიწყო. მანამდე, XX ს. დასაწყისში, ნ. ავალ-



თართი (Acipenser colchicus).

იშვილმა თარგმნა მ. დე სერვანტესის ,,დონ-კიხოტი'', 90-იან წლებში კი გამოიცა ,,დონ-კიხოტის'' ბ. ბრეგვაძისეული თარგმანი. თარგმნილია გ. გარსია მარკესის (ე. ახვლედიანი, თ. გვასალია), ხ. გოიტისოლოს (გ. ახვლედიანი), ხ. რ. ხიმენესის (მ. გიგინეიშვილი) და სხვა ესპანურენოვან მწერალთა ნაწარმოებები.

ინდური ლიტ-რიდან ქართვ. მთარგმნელების ყურადღება მიიპყრო რაბინდრანათ თაგორის შემოქმედებამ. თაგორი ქართ. ენაზე თარგმნეს ც. გამყრელიძემ, დ. ინწკირველმა, ლ. კალანდაძემ, ლ. ღოღობერიძემ, თ. ჩხენკელმა, ნ. ხომერიკმა.

ძვ. ებრაულ პოეზიას ვიცნობთ ჯ. *აჯიაშვილის* თარგმანებით.

აღმოსავლური პოეზია ძირითადად სპარს. პოეზიითაა წარმოდგენილი. თარგმნილია საადის ,,ბუსთანი'' (დ. *კობიძე*), ძვ. ირანული, ანუ ავესტური პოეზია (გ. *ახვლედიანი*, მ. *ანდრონიკაშვილი*), ნიზამი განჯევის პოემა ,,ლეილი და მეჯნუნი'' (მ. *თოდუა*), ნიზამი განჯევის, ფირდოუსის, ანარის, აბუსაიდის, ჯალალ ად-დინ რუმის, ჰაფეზის პოეზია (ნ. ბართაია, ა. *გვახარია*, მ. თოდუა, ვ. კოტეტიშვილი, გ. ლობჟანიძე, ა. *ჭელიძე*). არაბ. ლიტ-რიდან მნიშვნელოვანია თ. მარგველაშვილისა და ნ. ფურცელაძის მიერ თარგმნილი ,,ათას ერთი ღამე''. მკვდარი ენებიდან – ბაბილონურიდან და შუმერულიდან – თარგმნის ზ. კიკნაძე.

თურქულ ლიტ-რას ქართვ. მკითხველი გაეცნო ი. გოცირიძის, ლ. ჩლაიძის, გ. შაყულაშვილის, ნ. *ჯანაშიას*, ქ. ტომარაძის და სხვათა თარგმანებით.

ქართულად მოგვეპოვება პოლონური, ნორვეგიული, ფინური, უნგრული, ჩეხური, იაპონური, ჩინური ლიტ-რის ნიმუშები.

თ-თა სიუხვემ გამოიწვია თარგმანმცოდნეობის განვითარება, რ-იც სამ ასპექტს მოიცავს: ლიტ. ურთიერთობებს, თ-ის ისტორიასა და თ-ის თეორიას.

ლიტ. ურთიერთობების დარგში აღსანიშნავია დ. ლაშქარაძის, შ. *რევიშვილის*, ო. *ბაქანაძის*, ვ. კავთიაშვილის, ნ. უბილავას, მ. ბიბილეიშვილის ნაშრომები. თ-ის ისტორიაში გამორჩეულია კ. *კეკელიძის* ღვაწლი.

თ-ის თეორიის შექმნის პირველი ცდა გ. გაჩეჩილაძის სახელს უკავშირდება. თ-ის ცალკეულ საკითხებზე გამოირჩევა ლ. ბრეგაძის, რ. თვარაძის, ნ. კაკაბაძის, თ. კოპლატაძის, ი. მერაბიშვილის, მ. ნათაძის, ნ. საყვარელიძის, დ. ფანჯიკიძის, რ. ჩხეიძის, ვ. ჭელიძის და სხვათა ნაშრომები.

ლიტ.: ბაქანიძე ო., ქართულ-უკრაინული ლიტერატურული და თეატრალური ურთიერთობანი, თბ., 1982; ბაბილეიშვილი მ., გერონტი ქიქოძე – ფრანგული ლიტერატურის კრიტიკოსი და მთარგმნელი, თბ., 1978; ბრეგაძე ლ., პერსონაჟები ხვდებიან ერთმანეთს, თბ., 1984; გაჩეჩილაძე გ., მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, თბ., 1959; ინწკირველი დ., დანტე ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1985; კავთიაშვილი ვ., ჰაინრიხ ჰაინე ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1978; კეკელიძე კ., მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი, მის წგ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1956; მისივე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, იქვე, ტ. 5, თბ., 1957; მისივე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1–2, თბ., 1960; ლაშქარაძე დ., გოეთე ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1985; მენაბდე ლ., ძველი ქართველი მწერლები ლიტერატურულ ურთიერთობათა და მთარგმნელობითი ხელოვნების შესახებ, «საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობითი აკადემიის შრომები», I, თბ., 1997; მერაბიშვილი ი., პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა, თბ., 2005; მისივე, თარგმანი – კულტურათა დიალოგი, თბ., 2005; ფანჯიკიძე დ., თარგმანის თეორია და პრაქტიკა, თბ., 1988; მისივე, ენა, თარგმანი, მკითხველი, თბ., 2002; მისივე, ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები, თბ., 2005; ჭილაძე ე., ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, თბ., 1996. *ე. ბეზარაშვილი. დ. ფანჯიკიძე.*

„თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“ (1872), ლიტერატურული კრებული (გამოვიდა ერთი ტომი). გამოსცა 1872 თბილისში დაარსებულმა ,,ქართველ ქალთა ამხანაგობამ'' (ე. ყიფიანი, ე. გაბაშვილი, ე. მელიქიშვილი), რ-იც მიზნად ისახავდა უცხოელ ავტორთა თარგმანასა და გამოცემას. კრებულში შესულია ,,პარიჟელი ბიჭი'' (ნაწყვეტი ვ. ჰიუგოს რომანიდან ,,საბრალონი''), ,,ამერიკელი ქალები XVIII საუკუნისა'', ,,ჟულ ტარრო'' და ,,უკანასკნელი დღენი ნათანიელ როსსელისა''. ,,თ. ს. ს. თ-ის გამოცემას სერიოზული საზ. რეზონანსი მოჰყვა, რამაც მძლავრი ბიძგი მისცა ქართვ. ქალთა გააქტიურებას საზ., კულტ.-საგანმან. და სალიტერატურო ასპარეზზე.

ლიტ.: მესხი ს., თხზულებანი სამ ტომად, შედგენილი ი. ბოცვაძის მიერ, მისივე წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, ტ. 1, თბ., 1962; ნიკოლაძე ნ., ჩვენი მწერლობა, თხზულებანი, დ. გამეზარდაშვილი რედ. და შენიშვნებით, ტ. 3, თბ., 1963. *თ. ჯოლოგუა.*

თართი, კოლხური ზუთხი (Acipenser colchicus V. Mapti, 1940), ზუთხისებრთა დამოუკიდებელი ქვესახეობა. ბოლო დრომდე განიხილებოდა, როგორც რუს. ზუთხის (Acipenser güldenstädti Brandt-Rotzeburg 1833) ქვესახეობა. მაქსიმალური სიგრძე 175 *სმ*. მამრების საშუალო სიგრძე 125 *სმ*, მდედრების –145 *სმ*, მასა 100 *კგ*-მდე.

თ. მდინარის და ზღვის ბინადარია. გავრცელებულია შავი ზღვის სამხრ.-აღმ. ნაწილში, თურქეთის, რუმინეთის და ბულგარეთის სანაპირო ზოლში, აზოვის ზღვაში, მდინარეებში: რიონში, ენგურში, სუფსაში, ოკუმში, ერისწყალში, ხობში და ჭოროხში, დონში, ყუბანში, დნეპრში, დუნაიში. ქვირითობს მარტიდან ივლისამდე. ნაყოფიერება 250000–260000 ქვირითია. იკვებება ძირითადად თევზებით და კიბოსნაირებით, მოლუსკებით, ქირონომიდებით, ოლიგოქეტებით. ძვირფასი სარეწაო თევზია, რელიქტია. რეწვამ საგრძნობლად შეამცირა მისი მარაგი. შეტანილია საქართვ. წითელ წუსხაში. მიჩნეულია კრიტ. საფრთხეში მყოფ და მოწყვლად სახეობად ევროპაში.

წყარო და ლიტ.: ბურჯანაძე მ., საქართველოს მტკნარი წყლების თევზთა სარკვევი, თბ., 1940; ნინუა ნ., გუჩმანიძე ა., საქართველოს ზუთხისნაირნი, თბ., 2013; ნინუა ნ., ჯაფოშვილი ბ., ბოჭორიშვილი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013; საქართველოს ცხოველთა სამყარო, ტ. 4, თბ., 1973; Абдурахманов Ю. А., Рыбы пресных вод Азербайджана, Баку, 1962; Промысловые рыбы СССР, Баку, 1949. *მ. დემეტრაშვილი. ნ. ნინუა.*

თარი, უძველესი 5–6 სიმიანი და მრავალფარდიანი სიმებიანი საკრავი. გავრცელებულია სამხრ. კავკასიაში (აზერბაიჯანი, დაღესტანი, სომხეთი). XVI–XVII სს-იდან თავს იჩენს აღმ. საქართველოშიც. იგი ძირითადად ქალაქის (თბილისი, თელავი) არაქართველ მოსახლეობასა და ქართვ. დიდგვაროვანთა ოჯახებში იმკვიდრებს ადგილს. ქართვ. მეთარე-მომღერალთაგან ცნობილია ასლან ხურდაყულიშვილი (XIX ს.). თ. სოლო, საანსამბლო და საორკესტრო საკრავია – ლამაზი, ძლიერი ბგერითა და ვირტუოზული ტექ. შესაძლებლობებით. განსაკუთრებულია მისი როლი ქართვ. პროფესიონალ-მუსიკოსების – საზანდრების ანსამბლში (იხ. *საზანდარი*), რ-თა რეპერტუარის ყველაზე მნიშვნელოვან ჟანრს მუღამები წარმოადგენს. საზანდრების რეპერტუარშია აგრეთვე სხვადასხვა ჟანრის



თარი.

ვოკალურ-საკრავიერი ქმნილებები, განსაკუთრებით – სატრფიალო და საცეკვაო სიმღერები. თ. ვირტუოზული საკრავია. მასზე რთულ ნაწარმოებებსაც ასრულებენ. გამოყენებულია პროფ. მუს. შემოქმედებაშიც (უ. ჰაჯიბეკოვის ,,ქორ-ოღლი''). ქართ. ლიტ-რაში არსებობს ცნობები, რომ თარის შესანიშნავი შემსრულებლები ყოფილან *ბესიკი, საიათნოვა,* ა. *ჭავჭავაძე. კ. ჭოხონელიძე.*

თარიგონი, მთა ცაგერის მუნიციპალიტეტში, ლეჩხუმის ქედის სამხრ. კალთაზე, მდინარეების რიცეულისა (რიონის მარჯვ. შენაკადი) და თარიგონის (ლაჯვანურის მარცხ. შენაკადი) წყალგამყოფ თარიგონის ქედზე. სიმაღლე ზ. დ. 2577 *მ.* აგებულია ზედალიასური ქვიშაქვებითა და თიხაფიქლებით. ფერდობებზე ქვემოთ ფართოფოთლოვანი ტყეებია, ზემოთ – სუბალპ. და ალპ. მდელოები.

ს. ნემანიშვილი.

თარიშვილი ნინო კონსტანტინეს ასული (28. VIII. 1904, სოფ. მირზაანი, ახლანდ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, – 23. II. 1990, თბილისი), პოეტი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი. დაამთავრა თსუ-ის პედ. (სიბრძნისმეტყველების) ფაკ-ტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის განყ-ბები. 1926–28 სწავლობდა პედ. ფაკ-ტის სიტყვიერების განყ-ბაზე, 1927–30 – თბილ. უცხო ენათა კურსების ფრანგ. სექტორზე. 1928–30 მუშაობდა ფსიქონევროლოგიურ ინ-ტში მეცნ. თანამშრომლად, 1930–39 – უფრ. მეცნ. თანამშრომლად პედაგოგიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ზოგადი ფსიქოლ. და საბავშვო ლიტ-რის სექციაში, 1932–37 – უფრ. მეცნ. თანამშრომლად ფიზ. კულტურის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, 1939-იდან – თსუ-ის დას. ევროპის ლიტერატურის ისტ. კათედრაზე, 1940–41 – თელავის პედ. ინ-ტში, 1941–42 – გორის პედ. ინ-ტში, 1942–54 – ა. პუშკინის სახ. პედ. ინ-ტში; პარალელურად, 1986-მდე, კითხულობდა ლექციებს თსუ-სა და უცხო ენათა პედ. ინ-ტში. თანამშრომლობდა ქართ. ჟურნალ-გაზეთებთან: ,,ილიონი'', ,,რუბიკონი'', ,,ბახტრიონი'', ,,ტრიბუნა'', ,,ქართული მწერლობა'' და სხვ. 1926 დაიბეჭდა მისი ლექსების კრებ. ,,მზეში'', 1980 – ლექსების კრებ. ,,გვირილა''. ერთ-ერთმა პირველმა გამოაქვეყნა წერილი ,,ბახტრიონში'' (1923) ფიროსმანის შესახებ. ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას. ეკუთვნის მრავალი სამეცნ. ნაშრომი.

თაროჭურჭლის დასაწყობი სათავსო (აღმ. საქართველო). თ. კედელთან მიდგმული, დამაგრებული ან ჩამოკიდებული დასაწყობი სათავსოა. ხევსურეთში თ. (ისკორტა) კერის თავზე იყო ჩამოკიდებული და მასზე მამაკაცის კუთვნილ ნივთებს აწყობდნენ. თუშეთში თ. სადიაცო მერხზე იყო დაშენებული, ისე, რომ მისი სასხლომად გამოყენება შეიძლებოდა. ზოგიერთ სადიაცო მერხს თავსა და ბოლოში კროჭი – საწვრილმანო მცირე ყუთი უკეთდებოდა. ქართლში ,,მარიამაშალობას'' თ-ს ანგელოზისათვის ფრინველის დაკვლა სცოდნიათ. წესად იყო ანგელოზისათვის თ-ზე დადება თონეში გამომცხვარი პირველი პურისა, რ-იც მლოცველს მეორე დღეს უნდა შეეჭამა.

ლიტ.: ჩ ი ტ ა ი ა გ., ხევსურული სახლის ,,სენე'', «ანალები» (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები), 1947, ტ. 1; ბ ე დ უ კ ი ძ ე ლ., ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1973; მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, აკად. ივ. ჯავახიშვილის რედ., ტ. 1. თუშეთი, თბ., 1976.

ლ. ბედუკიძე.

თაროკლდის (რაჭველების) მღვიმე, კარსტული მღვიმე ჭიათურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზოდის მიდამოებში, ზ. დ. 485 *მ* სიმაღლეზე. გამომუშავებულია ზედაცარცულ კირქვებში. მღვიმეში შესასვლელი (სიმაღლე 10 *მ*, სიგანე 14 *მ*) მდ. ჯრუჭულის (ყვირილის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ფერდობზეა, მდინარის კალაპოტიდან 70 *მ* სიმაღლეზე. თ. (რ.) მ. სუბჰორიზონტული ციკლგავლილი, დერეფნული ტიპის სიღრუეა (ჯამური სიგრძე 810 *მ*, ფსკერის ფართ. 2700 $მ^2$, საერთო მოცულობა 7400 $მ^3$). ქიმ. ნალექებიდან გვხვდება მცირე ზომის სტალაქტიტ-სტალაგმიტები, კალციტის მოფარდაგებანი.

მიკვლეულია ზედა პალეოლითის ადრინდელი საფეხურის კლდოვანი ეხი. 1917 აღმოაჩინა და მცირე ძიება ჩაატარა ს. კრუკოვსკიმ. მასალა პირველად შეისწავლა ს. ზამიატნინმა. ნაპოვნია ქვის მრავალნაირი იარაღი (ნუკლეუსები, მასიურ ანატკეცებზე ნაკეთები საჭრისები, საფხეკები, ზურგდაბლაგვებული და რეტუშირებული მიკროლითური ფირფიტები, მუსტიეური ხანის წვეტანები, ორმხრივ დამუშავებული იარაღი და ანატკეცები), აგრეთვე ძვლის იარაღის 2 ფრაგმენტი.

მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. მუზეუმში.

ლიტ.: ტ ა ტ ა შ ი ძ ე ზ., წ ი ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი კ., ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009; З а м я т и н С. Н., Новые данные по палеолиту Закавказья, «Советская этнография», 1935, №2; მ ი ს ი ვ ე, Палеолит Западного Закавказья, I. Палеолитические пещеры Имеретии, «Сборник Музея антропологии и этнографии», т. 17, М.–Л., 1957.

დ. თუშაბრამიშვილი.

თარჩია, ძველებური ქართული ცხენოსნური თამაში. თამაშობენ მოედანზე ან მინდორზე. წინასწარ განისაზღვრება თამაშისთვის განკუთვნილი დრო. თავდაპირველად იწვევენ თამაშში მონაწილეობის მსურველებს, შემდეგ თამაშის ოთხივე მონაწილე შეჯიბრებაზე დამსწრე ქალიშვილთაგან აირჩევს მსაჯს. მსაჯი, თავის მხრივ, ერთ-ერთ მონაწილეს მკლავზე ან საყელოზე დაუმაგრებს ფერად მანდილს (ამ მოთამაშესაც თ. ჰქვია), შემდეგ მოთამაშეები დასცილდებიან მსაჯს 100 *მ* და მის ნიშანზე იწყებენ თამაშს. თამაშის მიზანია დაეწიონ თ-ს, რ-იც ცდილობს თავი დააღწიოს მდევრებს და მანდილი მსაჯს დაუბრუნოს. თუ მოთამაშემ ეს მოახერხა, ცხადდება გამარჯვებულად და იმავე მანდილით ჯილდოვდება. თუ რომელიმე მოთამაშე დაეწევა და მანდილს წაართმევს, თამაში ჩერდება, მონაწილეები მანდილის ახალ პატრონს 50 *მ*-ით სცილდებიან და მსაჯის ნიშანზე თ. კვლავ გრძელდება. იხ., აგრეთვე *ცხენოსნური თამაში.*

თარხანი (თურქ.), 1. დიდი ფეოდალის სახელი თურქული და მონღოლური მოდგმის ხალხებში; 2. გა-



ი. დ. თარხან-მოურავი.

დასახადებისაგან თავისუფალი და გარკვეული პრივილეგიების მქონე პირი, რ-საც ეძლეოდა თარხნობის ანუ შეუვალობის სიგელი. მონღოლთა დაპყრობითი ომების შედეგად გავრცელდა ახლო აღმოსავლეთში, ამიერკავკასიასა და რუსეთში. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი თ. და თარხნობა თავისუფალისა და შეუვალობის მნიშვნელობით შემოვიდა (დადასტურებულია XIV ს. დოკუმენტში). იხმარებოდა აზატის (იხ. *აზატები*) სინონიმადაც. თარხნობას ანიჭებდნენ როგორც თავადაზნაურობას, ეკლესია-მონასტრებს, დიდვაჭრებს (შეუვალობის სახით), ისე გლეხებს (ზოგიერთი გადასახადის ამოკვეთის სახით). XVII–XVIII სს. საგლეხო საგადასახადო დავთრებში თ. მსახურის სინონიმად იხმარებოდა (იგულისხმებოდა მებეგრე გლეხის ,,თავი ბეგრისაგან'' გათავისუფლება და მსახურად დადგენა). XVII ს. 30-იანი წლების ბოლოს როსტომ მეფემ გ. სააკაძის შვილს – იორამს უბოძა თარხნობა, როგორც საპატიო ტიტული, რაც სააკაძეთა გათავადებას გულისხმობდა. აქედან მომდინარეობს თარხნიშვილების გვარი. თარხნიშვილთა სათავადო სახლის უფროსი XIX ს-მდე თარხნის ტიტულს ატარებდა.

გ. ჯამბურია.

თარხან-მოურავები, სათავადო სახლი ქართლის სამეფოში. სახლის დამაარსებელია გ. სააკაძის შვილი იორამი, რ-საც როსტომ მეფემ XVII ს. 30-იანი წწ. ბოლოს სააკაძეთა საგვარეულო სამფლობელო აღუდგინა, სხვა მამულებიც უბოძა და თარხნის ტიტული დაუმკვიდრა. ამის მიხედვით იორამის ჩამომავლებს თარხნიშვილები ეწოდათ. ისტ. საბუთებში ისინი ზოგჯერ მოურავიშვილებადაც იხსენიებიან, ხოლო XIX ს-ში მათ თ.-მ-ს უწოდებდნენ. აზნაურ სააკაძეთა გვარის ამგვარი შეცვლა მათ გათავადებას ნიშნავდა. თ.-მ-ის სათავადო თემის ახალქალაქსა და მის მიდამოებს მოიცავდა.

ლიტ.: ჯ ა მ ბ უ რ ი ა გ., გიორგი სააკაძე, თბ., 1964.

თარხან-მოურავი გიორგი იორამის ძე (23. IX. 1841, სოფ. ახალქალაქი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 24. VII. 1911, სოფ. ერთაწმინდა, კასპის მუნიციპალიტეტი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1890). დაამთავრა მოსკ. კადეტთა კორპუსი. 1860-იდან მსახურობდა კავკ. გრენადერთა საარტ. ბრიგადაში, თერგის კაზაკთა ჯარის ცხენოსანთა არტილერიაში. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომში. 1878–79 მუშაობდა ბერლინის კონგრესის მიერ გამოყოფილი რუსეთ-ოსმალეთის ახ. სახელმწ. საზღვრის დამდგენ კომისიაში. 1881–90 იყო გენ. შტაბის მთ. სამობილიზაციო სამმართველოს უფროსი (1890 თადარიგში გავიდა), 1890–94 – ქართ. საადგილმამულო ბანკის დირექტორი, შემდეგ – გორის მაზრის მომრიგებელი შუამავალი.

დაჯილდოებულია წმ. ანას და წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

დაკრძალულია სოფ. ახალქალაქში, საგვარეულო აკლდამაში.

მ. გოგიტიძე.

თარხან-მოურავი დავით ზაზას ძე (1766, სოფ. ახალქალაქი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 12. V. 1839, სოფ. ერთაწმინდა, კასპის მუნიციპალიტეტი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (დაახლ. 1810). 1805–25 მეთაურობდა ქართ. მილიციის რაზმს, მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის (1828–29) ომში. იყო გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი. *მ. გოგიტიძე.*

თარხან-მოურავი იორამ ლუარსაბის ძე (1806, სოფ. ახალქალაქი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 1855, ქვათახევი, კასპის მუნიციპალიტეტი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (დაახლ. 1853), მეფე გიორგი XII-ის შვილიშვილი. ლაიბგვარდიის პოლკოვნიკი. *მ. გოგიტიძე.*

თარხან-მოურავი იოსებ დავითის ძე (5. V. 1819, სოფ. ახალქალაქი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 26. III. 1878, თბილისი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1863), 1837 დაამთავრა სათავადაზნაურო პოლკის კურსები და სამხ. სამსახური დაიწყო კავკასიაში, ყირიმის ომის (1853–56) დროს, კავკასიის ფრონტზე ქურუქ-დარის ბრძოლაში მეთაურობდა ერევნის კარაბინერთა მე-3 ათასეულს. 1855-იდან იყო ქართ. გრენადერთა პოლკის მეთაური. 1859 მიიღო გენ.-მ-ის წოდება, დაინიშნა სამხრ. დაღესტნის ჯარების სარდლად და ყაზიყუმუხის ოკრუგის მმართველად. იმავე წელს აქტიურად მონაწილეობდა აულ ღუნიბის აღებასა და შამილის დატყვევებაში. 1863-იდან იყო 39-ე ქვეითი დივიზიის მეთაური, 1869-იდან – კავკასიის გრენადერთა დივიზიის მეთაური. 1871 მიიღო გენ.-ადიუტანტის წოდება.

დაჯილდოებულია წმ. გიორგის, წმ. ვლადიმირის, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხისა და თეთრი არწივის ორდენებით.

მ. გოგიტიძე.

თარხან-მოურავი კონსტანტინე დავითის ძე (1811, სოფ. ახალქალაქი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 6. II.1869, სოფ. ერთაწმინდა, კასპის მუნიციპალიტეტი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1863). გენ. ი. დ. *თარხან-მოურავის* ძმა. მონაწილეობდა რუს.-ირანისა (1826–28) და რუსეთ-ოსმალეთის (1828–29) ომებში. 1839–53 იყო ელიზავეტპოლის გუბ. ქ. ნუხის მმართველი. ყირიმის ომში (1853–56) მეთაურობდა ქართვ. გრენადერთა მე-14 პოლკს. 1958 მიიღო გენ.-მ. ჩინი. 1858–63 იყო ქ. შემახის სამხ. გუბერნატორი, 1863–68 – ბაქოს გუბერნიის სამხ. გუბერნატორი.

დაჯილდოებულია წმ. ანას I, წმ. სტანისლავის I, წმ. გიორგის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

დაკრძალულია სოფ. ახალქალაქში, საგვარეულო აკლდამაში.

მ. გოგიტიძე.

თარხან-მოურავი ნიკოლოზ ბეჟანის ძე (16. VIII. 1828 – 6. IV. 1900), გზების მშენებელი ინჟინერი. მოღვაწეობდა XIX ს. 50–60-იან წლებში თბილისსა და კავკასიაში. დაამთავრა პეტერბურგის მიმოსვლის გზათა კორპუსის ინ-ტი. ხელმძღვანელობდა თბილ. ვორონცოვის (ახლანდ. ზაარბრიუკენის) სახ. ხიდის მშენებლობას, 1852–55 – მიმოსვლის გზათა კორპუსის VIII ოლქის (თბილისში) ერთ-ერთ განყ-ბას. უფრო გვიან იყო ერევნის დისტანციის უფროსი, ხოლო 50–60-იანი წწ. მიჯნაზე – სამუშაოთა უფროსი დაღესტნის ხაზზე. ააგო ექვსი ხიდი ალაზანზე. იყო ქუთაისის გუბერნიის არქიტექტორი (1869–70), 1871-იდან მუშაობდა მოსკოვი–ბრესტის რკინიგზის ინსპექციაში.

თარხან-მოურავი რამაზ (რომან) დიმიტრის ძე (1806, სოფ. ახალქალაქი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 4. I. 1866, თბილისი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1855). ცნობილი მეცნიერ-ფიზიოლოგის ი. თარხნიშვილის მამა. მონაწილეობდა ყირიმის (1853–56) ომში. მეთაურობდა მეგრელ ეგერთა პოლკს (1853-იდან). შემდგომში იყო ნუხის მაზრის გენერალ-გუბერნატორი.

დაჯილდოებულია წმ. გიორგის,



რ. გ. თ ა რ ხ ა ნ - მ ო უ რ ა ვ ი. ლინოგრავიურა. ,,ხორუმი‘‘. 1957.

წმ. ვლადიმირის, წმ. ანას, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით, ასევე ოქროს იარაღით ,,მამაცობისათვის‘‘.

დაკრძალულია სოფ. ახალქალაქში, საგვარეულო აკლდამაში.

მ. გოგიტიძე.

თარხან-მოურავი რევაზ გიორგის ძე (21. XII. 1923, თბილისი, – 6. X. 1993, იქვე), გრაფიკოსი, ფერმწერი. საქართვ. სახ. მხატვარი (1984). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1954), იყო დ. კაკაბაძისა და ს. ქობულაძის მოწაფე. გამოფენებში მონაწილეობდა 1955-იდან. მისი გრაფ. ნამუშევრებისთვის დამახასიათებელია დინამიზმი, რიტმულობა, კომპოზიციური მთლიანობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია თ.-მ-ის მიერ შესრულებული ლინოგრავიურების სერიები ,,ქართული ხალხური სიმღერები‘‘ (1959), ,,ქართული ხალხური ცეკვები‘‘ (1957), ,,ქართული ხალხური თამაშობანი‘‘ (1960), სადაც ნახატის საშუალებით გადმოცემულია ქართვ. ხალხისათვის დამახასიათებელი განწყობილება და ხასიათი (ყველა შ. ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმი). თ.-მ. ბევრს მუშაობდა ილუსტრაციის დარგში (ნიკოლას გილიენის ლექსის ,,ვესტინდოეთის‘‘ ილუსტრაცია, 1955); ფერწერაში (,,მშენებლები‘‘, 1973, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეა, თბილისი), მოხატა ყვარლის ღვინის სარდაფის სადეგუსტაციო დარბაზი. 1964 გამოსცა ალბომი ,,ქართული ხალხური ცეკვები, სიმღერები, თამაშობანი ნახატებში‘‘.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ა. ჩხარტიშვილი.

თარხნიშვილები, იხ. *თარხან-მოურავები.*

თარხნიშვილი გენადი ნიკოლოზის ძე (8. IX. 1854, ახალციხე, – XX ს. 20-იანი წლები, თბილისი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1916). დაამთავრა კავალერიის სასწავლებელი და საინჟ. აკადემია. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომში. 1910-იდან გენ.-მ. 1910–12 მუშაობდა კავკასიის სამხ. ოლქის სამხ.-საინჟინრო სამმართველოს უფროსის თანაშემწედ, 1916-იდან – თბილ. სამხ. საოლქო განთავსების სამმართველოს უფროსი. 1919–20 იყო აზერბაიჯანის ჯარის საინჟ. სამმართველოს უფროსი, სამხ. საბჭოს წევრი.

დაჯილდოებულია წმ. ვლადიმირის, წმ. ანას, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

ლ. დოლიძე.

თარხნიშვილი ეკატერინე ესტატეს ასული (1879, კავთისხევი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 1956, თბილისი), მომღერალი, ქართ. ხალხ. სიმღერების შემსრულებელი. საქართვ. დამს. არტისტი (1937). 1910-იდან მღეროდა უმცროსი დის – მ. *თარხნიშვილის* შვიდკაციან გუნდში, რ-შიც დები მაღალ ხმებს ასრულებდნენ. 1917-იდან თბილისში გადმოსახლდნენ და მათმა სიმღერისა და ცეკვის გუნდმა სახელი გაითქვა აღმ. საქართველოს (განსაკუთრებით ქართლ-კახური) რეპერტუარის შესრულებით. ე. და მ. თარხნიშვილების მიერ შესრულებული სიმღერები –,,ზემომხრული ჭონა‘‘, ,,ლაშქრად წასვლა‘‘, ,,წუთისოფლის შვილები ვართ‘‘, ,,ვთოხნოთ და ვთოხნოთ სიმინდი‘‘, ,,ჩავუხტეთ ბარათაშვილსა‘‘, ,,თებრონე მიდის წყალზედა‘‘ და სხვ. ქართ. მუს. ხელოვნების ოქროს ფონდშია შესული. გასტროლებით შემოიარეს საქართვ. ქალაქები, იყვნენ მოსკოვში, ბაქოსა და ერევანში, წარმატებით გამოდიოდნენ ოლიმპიადებზე, საშეფო და საქველმოქმედო კონცერტებზე. 1937 თბილ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრში ჩატარდა დები თარხნიშვილების მოღვაწეობის 25 წლის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

ლიტ. იხ. სტ-თან თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი მარიამ.

თარხნიშვილი ელენე იოსების ასული [28. III. 1881, სოფ. ახალქალაქი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 2. VIII. 1961, ქ. რევჯო-დი-კალაბრია (იტალია)], საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მომღერალი (კოლორატურული სოპრანო). დაწყებითი მუს. განათლება მიიღო თბილისში, ი. რ ა ტ ი ლ თ ან. 1905 სასწავლებლად გაემგზავრა პეტერბურგში (ვოკალის პედაგოგი – ქ-ნ ფინდაკე), ხოლო 1908 – იტალიაში (პედაგოგი – ე. დოტი). იტალიაში თ-ს მეურვეობას უწევდა იმხანად იქ მყოფი ვ. სარაჯიშვილი. 1910 კონკურსის შედეგად ჩაირიცხა მილანის ,,ლა სკალას‘‘ საოპერო დასში, წარმატებით ასრულებდა წამყვან პარტიებს ჯ. ვერდის ,,ტრავიატას‘‘, პუჩინის ,,ბოჰემასა‘‘ და ,,ჩიო ჩიო სანში‘‘; დასთან ერთად გასტროლები გამართა ამერიკაში. 1911 ჩამოვიდა საქართველოში, მონაწილეობა მიიღო თბილ. ოპერის თეატრის სპექტაკლებში (ჯ. ვერდის ,,ტრავიატა‘‘ და ,,რიგოლეტო‘‘). 1913 კვლავ იტალიაშია. წარმატებით გამოდის ამერიკის, გერმანიის და სხვა ქვეყნების საოპერო სცენებზე. 1924–25 მისი უკანასკნელი სეზონი იყო. ავადმყოფობის გამო ჩამოშორდა სცენას. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას.

ა. ცამციშვილი.



რ. გ. თარხან-მოურავი.

თარხნიშვილი ვახტანგ აბრამის ძე (29. X. 1948, ასპინძა, – 22. XI. 2008, თბილისი), ინჟინერ-მშენებელი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (2000). 1972 დაამთავრა სპი-ის სამშ. ფაკ-ტი. 1972–74 მუშაობდა ქ. ბარნაულში (ალტაის მხარე) სამუშაოთა მწარმოებლად, 1974-იდან – სპი-ში სამშ. კონსტრუქციების კათედრასთან არსებულ სამეცნ.-კვლ. ლაბორატორიაში ინჟინრად. 2000-იდან ამავე კათედრის პროფესორია. 1976–86 მუშაობდა ინჟინერ-კონსტრუქტორად თბილ. სამშ. ტრესტ ,,ინჟმშენის‘‘ საპროექტო ჯგუფში. პარალელურად ლექციებს კითხულობდა სპი-ის მექანიკა-მანქანათმშენებლობისა და სატრანსპ. ფაკ-ტებზე, იყო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს წევრი, 2005–06 – ქართუ ჯგუფში შპს ,,ბურჯის‘‘ ინჟინერ-კონსტრუქტორი, 2006–08 – შპს ,,ქართუ მშენებელის‘‘ კონ-



თ. თარხნიშვილი.



თ. თარხნიშვილი. რუქაია, ა. სუმბათაშვილ-იუჟინის ,,ღალატი‘‘.



ი. თარხნიშვილი.



მ. ე. თარხნიშვილი.

ტროლისა და ტექ. ზედამხედველობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი.

თ-ის კვლევების მიმართულებაა ლითონის კონსტრუქციების ნაკეთობათა შედუღება, ნავთობისა და გაზის მილსადენისა და საცავების ლითონის კონსტრუქციები, მათი გაშვება, სრულყოფა და გამოყენება მშენებლობაში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. შრომა, აქვს გამოგონებები.

თხზ.: Расчёт тонких упругих пластин и оболочек с отверстиями, Тб., 1990.

თარხნიშვილი თამარ არჩილის ასული (15. III. 1912, თბილისი, – 14. III. 2007, იქვე), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1966), სწავლობდა თბილ. სახელმწ. კონსერვატორიაში (ფორტეპიანოს კლასი). სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1938 თბილ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრში. როლები: რუქაია (ა. სუმბათაშვილ-იუჟინის ,,ღალატი‘‘), კლარიჩე (კ. გოლდონის ,,ორი ბატონის მსახური‘‘), მარტინა (ფ. დიუმანუარისა და ა. დენერის ,,დონ სეზარ დე ბაზანი‘‘), იოკასტე (სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე‘‘), ნინო (ვ. კანდელაკის ,,ქართლის ჩირაღდნები‘‘), მანანა ორბელიანი (მ. მრევლიშვილის ,,ნიკოლოზ ბარათაშვილი‘‘), მადამ პიჩემი (ბ. ბრეხტის ,,სამგროშიანი ოპერა‘‘), ნუცა (მ. ელიოზიშვილის ,,ბებერი მეზურნეები‘‘), ელისაბედი (თ. ჭილაძის ,,მოულოდნელი სტუმარი‘‘), მარია ხოსეკა (ფ. გარსია ლორკას ,,ბერნარდა ალბას სახლი‘‘), ბებია (გ. ფანჯიკიძის ,,მეშვიდე ცა‘‘), ბანოვანი (ბ. ბრეხტის ,,კავკასიური ცარცის წრე‘‘), ცირა (თ. მეტრეველის ,,შეშლილი, შეშლილი ახალი წელი‘‘) და სხვ.

თარხნიშვილი, თარხან-მოურავი, თარხანოვი ივანე რამაზის ძე [3(15). VI. 1846, თბილისი, – 24. VIII (6. IX). 1908, პეტერბურგი], ფიზიოლოგი, გენ.-მაიორი (დაახლ. 1903). 1863–64 სწავლობდა პეტერბურგის უნ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტის საბუნებისმეტყველო განყ-ბაზე. 1869 დაამთავრა პეტერბურგის სამედ.-ქირურგ. აკადემია. სამეცნ. მუშაობა ფიზიოლოგიაში დაიწყო სტუდენტობიდან ი. სეჩენოვის ხელმძღვანელობით. 1871 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე ,,სიცივისა და სითბოს გავლენა ბაყაყის მგრძნობიარე ნერვებზე‘‘.

იმავე წელს თ. გაემგზავრა თბილისში, სადაც წაიკითხა საჯარო ლექციების ციკლი ფიზიოლოგიაში. 1873 თ. 2 წლით გაგზავნეს საზღვარგარეთ, სადაც მუშაობდა ცნობილ სამეცნ. ლაბორატორიებში. საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ მიიწვიეს პეტერბურგის სამედ.-ქირურგ. აკადემიაში პრივატ-დოცენტად, ხოლო შემდეგ (1877–95) – პროფესორად. 1895 განსხვავებული პროგრ. შეხედულებების გამო იძულებული გახდა აკადემია დაეტოვებინა. 1895–1901 ლექციებს კითხულობდა პეტერბურგის უნ-ტში. 1901 მიიწვიეს ბრიუსელში ფიზიოლ. ლექციების წასაკითხად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის მიერ ადამიანის კანში ელექტრო-მამოძრავებელი ძალების აღმოჩენა სხვადასხვა გაღიზიანების საპასუხოდ და ფსიქ. ზემოქმედების დროს. კანში აღმოცენებულ ნელ ელექტრულ ეფექტებს მსოფლიო ლიტ-რაში ,,თარხანოვის ფენომენად‘‘ იხსენიებენ. თ-მა შეისწავლა ცენტრ. ნერვული სისტემის ფუნქციები, მ. შ. ძილის და ჰიპნოზის მოვლენები, სეკრეციის საკითხები, ორგანიზმზე გარემოს ზემოქმედება. ცხოველებში ბიოელექტრული მოვლენების კვლევისას აღწერა (1889) ფსიქოგალვანური რეფლექსი. ერთ-ერთმა პირველმა შეისწავლა ორგანიზმზე რენტგენის სხივების მოქმედება და შესაძლებლად მიიჩნია მათი გამოყენება ავთვისებიანი სიმსივნის სამკურნალოდ. მუშაობდა აგრეთვე ასაკობრივი ფიზიოლ. საკითხებსა და სოც. ჰიგიენის პრობლემებზე. თ. ეწეოდა ბიოლ. და მედ. საკითხების ფართო პოპულარიზაციას რუსეთსა და საქართველოში – კითხულობდა ლექციებს, აქვეყნებდა სამეცნ.-პოპულ. ნაშრომებს. მისი ხელმძღვანელობით მრავალი ახალგაზრდა მეცნიერი აღიზარდა (ბ. ვერიგო, ნ. ციბულსკი, ვ. ჩაგოვეცი და სხვ.). იყო სამამულო სამედ. საზ-ბების და საბუნებისმეტყველო საზ-ბის წევრი, პარიზის ბიოლ. საზ-ბის წ.-კორ., ჰალეს აკადემიის წევრი. 1900 პარიზის საერთაშ. გამოფენაზე ,,საპატიო ლეგიონის‘‘ ორდენით დააჯილდოვეს.

ლიტ.: ერისთავი კ., სემენსკაია ე., ი. თარხნიშვილი, თბ., 1962; Научное наследие И. Р. Тархнишвили (Тарханова), Тб., 1962; Саакашвили М. Г., Иван Рамазович Тархнишвили (Тарханов), Тб., 1963.

თ. იოსელიანი.

თარხნიშვილი მარიამ (მარო) ესტატეს ასული (1891), სოფ. კავთისხევი, ახლანდ. კასპის მუნიციპალიტეტი, – 1969, თბილისი),



მ. თარხნიშვილი (მარცხნიდან პირველი) გუნდთან ერთად.

მომღერალი, ქართული ხალხური სიმღერების ცნობილი შემსრულებელი. საქართვ. სახ. არტისტი (1956). 1910 თ-მა გორში დააარსა ქართლ-კახური სიმღერების გუნდი და მისი უცვლელი ლოტბარი იყო. დიდი ამაგი დასდო საქართველოში მხატვრული თვითმოქმედების განვითარებას. თ-ის გუნდის მდიდარი რეპერტუარიდან აღსანიშნავია სიმღერები: ,,ჭონა‘‘, ,,ბერიკაცი‘‘, ,,ნამგლური‘‘, ,,გარეკახური საცეკვაო‘‘, ,,მუშური‘‘, ,,თამარ ქალო‘‘, ,,კახური მრავალჟამიერი‘‘ და სხვ. თ. გუნდის ფონზე დიდი ოსტატობით ასრულებდა ცალფა შრომის სიმღერებს – ,,ურმულს‘‘, ,,ოროველას‘‘, აგრეთვე არიას ,,დაიგვიანეს‘‘ ნ. *სულხანიშვილის* ოპერა ,,პატარა კახიდან‘‘. თ-ის გუნდში მრავალი ხალხ. მომღერალი აღიზარდა [ვ. ცოფურიშვილი, ლ. ქარუხნიშვილი, ე. თარხნიშვილი (მაროს და) და სხვ.]. მრავალმა მათგანმა შეისწავლა საგუნდო ხელოვნება (გ. ვარდიაშვილი, ვ. კობახიძე, რ. თურქიძე და მაროს ქალიშვილი – თ. თარხნიშვილი). თავისი კონცერტებით თ. ფართო პროპაგანდას უწევდა ქართ. ხალხ. სიმღერას. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: გეგეჭკორი ლ., ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები, წგ. 2, თბ., 1958; თარხნიშვილი მ., 50 ქართლ-კახური სიმღერა (სანოტო კრებული თანდართული დისკებით), თბ., 2008; მესხი თ., ქართული სიმღერის დედა, «ლიტერატურა და ხელოვნება», 2007, №3.

გ. ჩხიკვაძე.

თარხნიშვილი მიხეილ (მიქელ) სტეფანეს ძე (12. I. 1897, ქ. ახალციხე, – 15. X. 1958, რომი, დაკრ-

ძალულია ვატიკანში მოღვაწე უცხოელ მამათა საერთო აკლდამაში), ქართველი ფილოლოგი. იკვლევდა ძვ. ქართ. ქრისტ. აღმოსავლეთისა და ბიზანტ. ლიტერატურათა, საქართვ. ეკლესიისა და სას. მწერლობის ისტ. საკითხებს. ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდა სამშობლოს გარეთ. 1913–17 სწავლობდა კონსტანტინოპოლის (სტამბოლი) ქართვ. კათოლიკეთა სამონასტრო სკოლაში, 1917-იდან 1919-მდე – გერმანიაში, ეტალის ბენედიქტელთა სააბატოში. 1919 მცირე ხნით დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ იმავე წელს კვლავ სტამბოლში გაემგზავრა და სამშობლოში აღარც დაბრუნებულა. 1924 ავსტრიაში გაემგზავრა და სანტა-გაბრიელის საღვთო სიტყვის საზ-ბაში დაასრულა ფილოლ. და ფილოს. განათლების კურსი. 1931-იდან რომში მოღვაწეობდა. 1931 წ. 6 აგვ. ეკურთხა მღვდლად გროტაფერატას ბერძნ. სააბატოში. 1930–33 სწავლობდა რომის პაპის აღმოსავლეთის ინ-ტში, რ-ის დამთავრების შემდეგ დაიცვა დისერტაცია და მიიღო დოქტორის სამეცნ. ხარისხი. 1935-იდან ცხოვრობდა საფრანგეთში, ბელგიასა და გერმანიაში. 1943-იდან დამკვიდრდა რომში.

თ-მა გამოავლინა, შეისწავლა და გამოაქვეყნა უცხ. წიგნთსაცავებში დაცული ქართ. მასალა. გრაცის უნ-ტისა და ვატიკანის ბ-კებში დაცული ქართ. ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ,,ჟამის წირვათას'' ქართ. რედაქციები ლათ. თარგმანითურთ (1950), გრიგოლ ბაკურიანის ,,პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი'' (1954), ,,იერუსალიმის ეკლესიის დიდი ლექციონარი'' (1959), კ. კეკელიძის ,,ძველი ქართული მწერლობის ისტორიის'' I ტომის თარგმანი გერმ. ენაზე ი. *ასფალგთან* ერთად. ამ თარგმანის საფუძველზე დაიწერა ,,ქართული სასულიერო ლიტერატურის ისტორია'' (1955). ამავე წელს გამოაქვეყნა ეგვიპტეში, თებეს ნეკროპოლში აღმოჩენილი ქართ. წარწერები, შეადგინა ქართ.-ფრანგ. ლექსიკონი. თ. აქტიურად თანამშრომლობდა ევროპის ავტორიტეტულ ჟურნალებთან, განსაკუთრებით ჟურნ. ,,ბედი ქართლისასთან'', ევრ. ენციკლოპედიებს აწვდიდა მასალებს საქართველოს შესახებ.

თხზ.: წერილები, წგ. 1. ქართული ეკლესიის ისტორია, თბ., 1994.

ლიტ.: Bedi Kartlisa, ტ. 4–5, პარიზი, 1958; ტ. 6–7, პარიზი, 1959.

თ. ჭუმბურიძე.

თარხუჯი, ქართველი ერისთავის კონსტანტი (კოსტანტი) კახის ძე. 853 წ. 26 აგვისტოს მამასთან ერთად ბუღა თურქის არაბმა მეომრებმა შეიპყრეს. მოხსენიებულია ატენის სიონის 853 ფრესკულ წარწერაში.

წყარო: ქართული წარწერების კორპუსი. ფრესკული წარწერები, I, გ. აბრამიშვილის და ზ. ალექსიძის გამოც., თბ., 1989.

თასი, 1. ოქროს, ვერცხლის ან სხვა ლითონის პირგაშლილი სასმისი. ქართ. წერილობით წყაროებში X ს-იდან გვხდება. ფეოდ. საქართველოში მეფე-დიდებულთა და თავად-აზნაურთა ნადიმებზე ღვინის სმა უმთავრესად ოქროს ან ვერცხლის სასმისებით იყო მიღებული. საყურადღებოა, რომ აღმ. საქართველოს მთიელებში საქორწილო ლხინში სადღეგრძელოს გადალოცვის უფლებას ,,თასი'' ერქვა. არქეოლ. გათხრების შედეგად საქართვ. ტერიტორიაზე მრავალი თ. არის აღმოჩენილი: თრიალეთის გორასამარხში – ერთი ძვირფასი თვლებით მოჭედილი ოქროს თ., მეორე – ვერცხლისა, რ-ზეც რიტუალური სცენაა გამოსახული; მესხეთში – ძვირფასი ქვებით მოჭედილი, ყურძნის მტევნებისა და ვაზის ფოთლების გამოსახულებით შემკული ვერცხლის თ. და სხვ.;

2. ყოფა-ცხოვრებაში გამოსაყენებელი ხის, თიხის და სხვ. ლითონის ჯამის ფორმის საოჯახო ჭურჭელი;

3. ძვირფასი ლითონის, ბროლის ან ფაიფურის დეკორ. ჭურჭელი გამარჯვებულ სპორტსმენთა და ხელოვანთა დასაჯილდოებლად.

ლიტ.: ლ ე კ ი ა შ ვ ი ლ ი ა., შენ ხარ ვენახი, თბ., 1972; ფ რ უ ი ძ ე ლ., მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, წგ. 1, თბ., 1974; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. 5, თბ., 1982.

ლ. ფრუიძე.

თასრაყმა, სოფელი გუდაუთის მუნიციპალიტეტის აბღარხუქის თემში (აფხაზეთის არ), მდ. დოხვართის (ააფსთის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 150 *მ*, გუდაუთიდან 5 *კმ*. 192 მცხ. (1989).

თასრაყმა, სოფელი გუდაუთის მუნიციპალიტეტის ყულანურხვის თემში (აფხაზეთის არ), მდ. გუდოუს მარცხ. მხარეს. ზ. დ. 70 *მ*, გუდაუთიდან 2 *კმ*. 726 მცხ. (1989).

თაფანი, ნასოფლარი ისტორიულ ქვემო ქართლში, ახლანდ. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში. მდებარეობდა ვაკეზე, ქარაფის პირას. ნასახლარებზე შემორჩენილია დიდი ქვები და სქელი კედლები. არის მშრალად ნაწყობი და კირხსნარზე ნაგები შენობათა ნაშთებიც. ერთი სადგომის ფართობი დაახლ. 20 *მ* × 4 *მ*-ია, აქვე ჩანს ზღუდის ნანგრევი. ეკლესია აღარაა.



მ. ს. თარხნიშვილი.

1523, ბარათაშვილების გაყრისას, გერმანოზსა და მის ძმებს ერგოთ სოფ. თ-ში მცხოვრები აზნაურები, ერთწილად: წატურაშვილი, აბირმურაშვილი, ფარსადინა, ამილბარა და ნადირა, ქუაბულაშვილი, მიხითარაშვილი, იღამაშვილი, ხოშნადირაშვილი, აკოფაშვილი, გოზალიშვილი და ტალია; 1543 მოსახლე იარალაშვილი, თავისი მამულით შედიოდა საგერმანოზიშვილოში, მაგრამ იმავე წელს იარალაშვილი უკვე ფარიშატ ბარათაშვილს ერგო; 1684 ბარათა ბარათაშვილმა ვახტანგ ორბელიშვილს მიჰყიდა მამული თ-ში; იქ დასახელებულია: ქციის ფონი, წისქვილი, საწყლისპირო, ვენახები, სახლ-კარი მარნითა და ეზოთი, გზა, მოსახლენი: ბალასაშვილი, ოსმანაშვილი, ოქრიასშვილი, მირზუკაშვილი; 1704 ერთი საბუთიდან ჩანს, რომ თ. მუგუთის მეზობელი სოფელი ყოფილა: 1729 პაატა გერმანოზისშვილმა მანუჩარ ციციშვილს მიჰყიდა თ-ს ერთი საკომლო ტაველაშვილის მამული. აქ ჩამოთვლილია: სახნავი, ვენახი, სარწყავი და ურწყავი, ნიგვზნარი, ხილნარი, რუ, სახლი ქვევრ-მარნითა და საწნახლით, საწყლისპირო, საფიჩხული, საოჩხი, საკუდმოზვრო, საოსარო, საორაგულო და სხვა; 1746 საამ საამიშვილმა დიმიტრი ორბელიშვილს მიჰყიდა თ-ში მისი წილი ყმა-მამული: ფუჭიშვილი ივანე, სეფისშვილის მამული, სადებაშვილის მამული, პაპუასა და ველუას მამული, ციხიას მიწებითა. ეს უკანასკნელი რომ ციხეს გულისხმობს თ-ში, ჩანს პაპუნა ორბელიანის მონათხრობიდან, რ-იც 1747 წ. ეხება: ,,შეიქმნა მეფეს ერეკლესა და აბდულ-ბეგს შუა მტრობა და ომი..., გაუსივა ჯარი სამშვილდით ლეკისა და საბარათაშვილოსი, შემოაყენა თაფანის ციხესა, იყო სროლა ორი დღე და ვერა ავნეს რა... მოეშველა დიმიტრი ორბე-



თასი.

ლიანი ქალაქიდამ... შემოუტიეს, გააქციეს და სამშვილდემდის ცემით მიყვნენ‘‘. დემეტრე ორბელიშვილს ეშიკაღასბაშს თ. აუშენებია და დაუსახლებია, მერე კი სოფელი ისევ მოშლილა.

ლიტ.: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1940; დ ო ლ ი ძ ე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 5, თბ., 1974; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წგ. 1, თბ., 1964; ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი პ., ამბავი ქართლისანი, ელ. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1981; საქართველოს სიძველენი ტ. 2, ექვთ. თაყაიშვილის გამოც., ტფ., 1909. *დ. ბერძენიშვილი.*

თაფლი, მეთაფლე ფუტკრის მიერ გამოყოფილი სხვადასხვა ფერის (ყვითელი, ყავისფერი ან მურა შეფერილობის) ტკბილი, არომატული ბლანტი მასა, რ-იც ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო საკვებ პროდუქტად.

თ. მეტად სასარგებლო პროდუქტია, ძვ. ბერძნები თ-ს ჯადოსნურ ელექსირს უწოდებდნენ. მისი სამკურნალო თვისებები უძველესი დროიდანაა ცნობილი. გადმოცემით, დედოფალი კლეოპატრა თ-ს სილამაზისა და ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად იყენებდა. ყოველდღიურ რაციონში თ. ამაღლებს იმუნიტეტს, ხელს უწყობს სილამაზის და ახალგაზრდობის შენარჩუნებას და ჭარბი წონისაგან გათავისუფლებას.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი *მეფუტკრეობა*, როგორც ბიზანტ. ისტორიკოსი ქსენოფონტი აღნიშნავს, გავრცელებულია ძვ. წ. IV ს-ში.

ქართული თ. უმაღლესი ხარისხისაა. ამაზე მიუთითებს ისტ. წყაროები, რ-ებშიც აღნიშნულია, რომ საქართველოდან სხვა პროდუქტებთან ერთად უხვად გაჰქონდათ თაფლი და ცვილი.

თ. და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტები გამოირჩევა ანტიმიკრობული აქტივობით. ფუტკრის შხამი, ფუტკრის რძე, დინდგელი (პროპოლისი), ცვილი წარმოადგენს ადამიანის გამაჯანსაღებელ ბუნებრივ პროდუქტს.

თ. შეიცავს წყალს (18–20%), ნახშირწყლებს – ფრუქტოზას, გლუკოზას (76–86%), საქაროზას (5%-მდე), აგრეთვე არომატულ ნივთიერებებს (ეთერზეთებს), ვიტამინებს (A და B ჯგუფი). იგი ადვილად მოსანელებელია.

საქართველოში მცენარეთა დიდი მრავალფეროვნებისა და მიწის ფართობების სიმცირის გამო, იშვიათია მხოლოდ ერთი რომელიმე მცენარისაგან მიღებული თ. მეტწილად იგი სხვადასხვა შედგენილობისაა. ცნობილია: 1. ა კ ა ც ი ი ს თ. – გამჭვირვალე, სუსტი არომატის მქონე, ფრუქტოზის მაღალი შემცველობით, ძნელად კრისტალდება; 2. ც ა ც ხ ვ ი ს თ. – გამჭვირვალე, ძლიერი სასიამოვნო არომატით, ღია ფერის, გროვდება მეტწილად დას. საქართველოს ტყის ზონაში; 3. წ ა ბ ლ ი ს თ. – მუქი ყავისფერი, მოშავო, ძლიერი მკვეთრი არომატით, მომწარო გემოთი, სუფთა სახით ძნელად კრისტალდება. ხშირად მიმართავენ მის კუპაჟირებას – ციცხვის თ-თან შერევას; 4. მ ზ ე ს უ მ ზ ი რ ი ს თ. – ღია ოქროსფერი, გემოთი სასიამოვნო, ნაკლებად არომატული, სწრაფად კრისტალდება, აქვს მსხვილკრისტალური ნალექი; 5. ძ ი ძ ო ს თ. – გამოირჩევა ნაზი სასიამოვნო გემოთი და არომატით, გამჭვირვალეა, ნელა კრისტალდება, წარმოქმნის ქათქათა თეთრ წვრილკრისტალურ ნალექს, გროვდება აღმ. საქართველოს ალპურ ზონაში ნოტიო ნალექიან წელიწადს; 6. მ ა თ რ ო ბ ე ლ ა თ. – გროვდება საქართველოში ზოგიერთ წელიწადს მცენარეებისგან შქერი, იელი, ტილჭირი. იგი მოშავო ფერისაა, მკვეთრი გემოთი, იწვევს მოწამვლას, რ-იც კლინ. ნიშნებით სიმთვრალეს ჰგავს (მძრაობის კოორდინაციის დარღვევა, გულის წასვლა, ღებინება და სხვ.). ქართვ. მეცნიერების მიერ შემუშავებულია მისი გაუვნებლობის ხერხი, რის შედეგად იგი ხდება გემოთი სასიამოვნო, მუქი შინდისფერი, ნაკლები არომატის მქონე; 7. თ ა მ ბ ა ქ ო ს თ. – გროვდება ზაფხულის ბოლოს, ქარვისფერია, ძლიერ მწარე, შეიცავს თამბაქოს ალკალოიდებს და ეთერზეთებს. სუფთა სახით საკვებად არ გამოიყენება. იხმარება თამბაქოს ფაბრიკებში ნედლეულის არომატიზაციისათვის.

თ-ის გამოწურვა და პირველი დამუშავება მიმდინარეობს შემდეგნაირად – სკებიდან ამოღებული თაფლიანი ფიჭები აითლება (ხდება ცვილის ფირფიტების მოცილება) გაცხელებული დანით და გამოიწურება მბრუნავ დოლურაში მოთავსებით, შემდეგ უნდა გასუფთავდეს მექ. მინარევებისაგან (გაიწუროს მჭიდრო ქსოვილში) და ჩაისხას ჭურჭელში, რ-იც არ რეაგირებს თ-თან, პერიოდულად ურევენ საგემოვნო თვისებების გასაუმჯობესებლად; მიმართავენ კუპაჟირებას (ხდება სხვადასხვა სახის თ-ის ურთიერთშერევა). დაკრისტალებულ თ-ს ალღობენ ცხელწყლიან (45°C-მდე) ჭურჭელში.

საქართვ. მეფუტკრეობის ინ-ტში შემუშავებულია ექსპრესიული და ლაბორ. ხერხი თ-ის ხარისხის შესამოწმებლად.

თ-ს მრავალმხრივი დანიშნულება აქვს: უშუალოდ გამოიყენება საკვებად – კვების მრეწველობაში, კულინარიაში, ალკოჰოლიანი სასმელების (ღვინო, არაყი) დასამზადებლად, თაფლის ძმრის მისაღებად, ადამიანის დიეტური კვებისთვის; სამკურნ. დანიშნულებით – როგორც გამაჯანსაღებელი და ძალთა აღმდგენი, აგრეთვე სიდამწვრისა და ჭრილობების დასამუშავებლად, ზედა სასუნთქი გზების ინჰალაციისათვის, კოსმეტიკური მიზნებისათვის და სხვ.

თწზ.: მ ა ძ ღ ა რ ა შ ვ ი ლ ი გ., ფუტკრის პროდუქტები და არატრადიციული საკვები, თბ., 2002; Ч у д а к о в В. Г., Технология продуктов пчеловодства, М., 1979. *გ. მაძღარაშვილი.*

თაფლოვანი მცენარეები, ფარულთესლოვანი მცენარეების დიდი ჯგუფი, რ-თა ყვავილებისაგან ფუტკრები ნექტარსა და ყვავილის მტვერს აგროვებენ და ამუშავებენ – ნექტარს აქცევენ თაფლად, მტვერს – ჭიოდ. ნექტარს მცენარე აგროვებს სპეც. ჯირკვლებში – სანექტრეებში, რ-ებიც ყვავილის ნასკვსა და მტვრიანების ძირშია მოთავსებული და სხვადასხვა ფორმა აქვს.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი 600-მდე თაფლოვანი მცენარეა. მათგან პრაქტ. მნიშვნელობა აქვს 50-მდე სახეობას. ისინი გავრცელებულია როგორც დაბლობისა და მთის ტყეებში, ისე სუბალპ. და ალპ. მდელოებზე. თ.მ-ის სახეობრივი შემადგენლობა და ყვავილობის ვადები სხვადასხვაა. არის ისეთი თ.მ-ც, რ-თაგან მიღებული თაფლი არათუ ,,ათრობს‘‘ ადამიანს, არამედ წამლავს კიდეც (მაჯალვერი, მელიქაური, იელი, თამბაქო), თაფლოვანი ხემცენარეებიდან საუკეთესოდ ითვლება ც ა ც ხ ვ ი (Tilia begonifolia, იზრდება მთელ საქართველოში, მთის შუა სარტყლამდე, ტყეებში, ტყის პირებსა და მდინარეთა ხეობებში), წ ვ რ ი ლ ფ ო თ ო ლ ა ცაცხვი (T. cordata, გვხვდება მთიულეთსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთში, უპირატესად მთის ზედა სარტყლის ტყეებში), ც რ უ ა კ ა ც ი ა (Robinia pseudoacacia, ფართოდ არის კულტივირებული საქართვ.

თითქმის ყველა რ-ნში, ზოგჯერ გაველურებულიცაა), ქაცვი (Hippophae rhamnoides, უმთავრესად აღმ. საქართველოში იზრდება, ქმნის გაუვალ რაყას მდინარეთა ხეობებში). ბალახებიდან საუკეთესო თაფლოვანი მცენარეებია: ესპარცეტის სახეობები, მაგ. კახური ესპარცეტი (Onobrychis kachetica), რ-იც ქართლისა და კახეთის დაბლობ ადგილებში იზრდება; მესხური ესპარცეტი (O. meschetica) კი მხოლოდ ახალციხის ქვაბულსა (მესხეთი) და მდ. აჭარიწყლის ხეობაში (ხულოს მიდამოები) გვხვდება; სამყურას ზოგიერთი მრავალწლოვანი სახეობა, მაგ., ბანჯგვლიანი სამყურა (Trifolium trichocephalum), ჭაღარა სამყურა (T. canescens), ალპური სამყურა (T. alpestre), წითელი სამყურა (T. pratense) და სხვ., ყველა ეს სახეობა გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში; პირველი ორი სახეობა ძირითადად მაღალმთის ტენიანი მდელოების კომპონენტებია; სამკურნალო ძიძო (Melilotus officinalis) იზრდება მთელ საქართველოში მთის ქვედა სარტყლიდან მოკიდებული ზედა სარტყლამდე. ხუთყურას ერთი სახეობა (Dorycnium graecum) უფრო დას. საქართველოში, კირქვიანებზე არის გავრცელებული. *ლ. ხინთიბიძე.*

თაქთაქიშვილი გიორგი მიხეილის ძე (14. IV. 1902, განჯა, – 16. XII. 1977, თბილისი), მუსიკოსი (ვიოლონჩელისტი) და პედაგოგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1946), პროფესორი (1949). 1926 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია. აქვე, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, დაიწყო პედ. მოღვაწეობა. 1925–38 კონსერვატორიასთან არსებული მუშფაკის დეკანი იყო, 1932–33 – კონსერვატორიის დირექტორის მოადგილე. 1944-იდან მოღვაწეობდა კამერული ანსამბლის კათედრაზე (1949–77 ამ კათედრის პროფესორი). მ. იყო *,,ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების''* შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი (1922), თბილ. მუს. ათწლედის (ამჟამად ზ. ფალიაშვილის სახ. სამუსიკო გიმნაზიის) დირექტორი (1938–49). იყო პირველი ქართ. სახელმწ. სიმებიანი კვარტეტის წევრი (1928–38). იკვლევდა ქართ. საშემსრულებლო ხელოვნების ისტ. საკითხებს. ეწეოდა ლიტ. მოღვაწეობასაც.

თხზ.: ევგენი მიქელაძე, თბ., 1968 (თანაავტ. გ. წულუკიძე); სკოლა ვიოლონჩელოსათვის, ტ. 1–2, თბ., 1959–60.

თაქთაქიშვილი ელიზბარ, ქართლის თავადი, 1765 ერეკლე II-ის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილე. იყო ერეკლე II-ის მოწინააღმდეგე მსხვილი ფეოდალების ახლო ნათესავი – თ-ის მეუღლე მარიამი გივი *ამილახვრის* შვილი იყო, ხოლო ასული თინათინი – აღნიშნული შეთქმულების ერთ-ერთი აქტ. წევრის დავით ბატონიშვილის (აბდულაბეგის ძის) ცოლი. შეთქმულების დამარცხების შემდეგ თ-ს ყმა-მამული ჩამოართვეს და სიკვდილით დასაჯეს.

თაქთაქიშვილი თამარ შალვას ასული (17. III. 1928, თბილისი, – 17. XI. 2005, იქვე), მომღერალი (ლირ. დრამ. სოპრანო). საქართვ. სახ. არტისტი (1975). 1951 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. ო. ბახუტაშვილ-შულგინას კლასი). 1951–73 თბილ. საოპერო თეატრის სოლისტი იყო. 1973-იდან აქვე მუშაობდა რეჟისორის ასისტენტად. მისი საშემსრულებლო ხელოვნებისათვის დამახასიათებელია მაღალი პროფესიონალიზმი, ვოკალურ-სცენური ოსტატობა. შესრულებული აქვს მრავალი საინტერესო, შთამბეჭდავი სახე (საოპერო პარტია), რ-თაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ეთერი, მარო (ზ. ფალიაშვილის *,,აბესალომ და ეთერი''*, *,,დაისი''*), მზია (ო. თაქთაქიშვილის *,,მინდია''*), ლერწამისა (ა. კერესელიძის *,,ბაში-აჩუკი''*), ტოსკა, ბატერფლაი (ჯ. პუჩინის *,,ტოსკა''*, *,,ჩიო-ჩიო-სანი''*), ნედა (რ. ლეონკავალოს *,,ჯამბაზები''*), მარგარიტა (შ. გუნოს *,,ფაუსტი''*), ლეონორა (ჯ. ვერდის *,,ტრუბადური''*), სოფია (ს. პროკოფიევის *,,სემიონ კოტკო''*) და სხვ. 1976-იდან პედ. მოღვაწეობას ეწეოდა კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრაზე.

თაქთაქიშვილი ლევან ევალდის ძე (20. VIII. 1931, თბილისი, – 2. VI. 2003, იქვე), კინორეჟისორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1979). მუშაობდა საქართვ. სატელევიზიო ფილმების სტუდიაში. დადგა სატელევიზიო ფილმოპერა *,,ჯილდო''* (კომპოზიტორი ო. თაქთაქიშვილი, მ. ჯავახიშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით, 1964). გადაიღო სხვადასხვა ჟანრის შემეცნებითი ფილმები სატელევიზიო ეკრანისათვის, მათ შორის: *,,ისევ ნონა''* (1972), *,,მოგონება''* (1974), *,,მომღერალი თიხა''* (1975, ქართ. კერამიკის ისტორიასა და თანამედროვეობაზე), *,,ფერთა სიმფონია''* (1977, თეატრის მხატვარ სოლიკო ვირსალაძეზე), *,,მოგზაურობა არზრუმში''* (1978), *,,საწნახელი''* (1980), *,,პალიასტომი''* (1980), *,,ძველი ქართული მოზაიკა''* (1981), *,,ბუნების საუნჯე''* (1982), *,,სამჭედლო''* (1984), *,,აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი''* (1985), *,,კავკასიონი''* (1989), *,,დავით გარეჯი''* (1991), *,,წერილები სალონიკიდან''* (1996), *,,აბრეშუმის გზა''* (1997) და სხვ., რამდენიმე მუს. ფილმი, მათ შორის ქორეოგრაფიული კომპოზიცია ს. პროკოფიევის მუსიკაზე *,,კლასიკური სიმფონია''* (1974, ქორეოგრაფი გ. ალექსიძე). თ-ს შემოქმედებისათვის დამახასიათებელია თემატიკის მრავალფეროვნება, ეროვნ. ღირებულებებისადმი ინტერესი, მაღალი პროფესიონალიზმი, ფაქიზი გემოვნება. *მ. კერესელიძე.*

თაქთაქიშვილი მიხეილ ივანეს ძე [10(22). VII. 1872, სოფ. ქვემო ხვითი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 28. IX. 1954, თბილისი], პედაგოგი. საქართვ. დამს. მასწავლებელი (1944), მთარგმნელი, საზ. მოღვაწე. 1889 დაამთავრა თბილ. ვაჟთა I კლასიკური გიმნაზია. 1895, ნოვოროსიის (ოდესა) უნ-ტის ფიზიკა-მათ. ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა ფიზ. და მათ. მასწავლებლად თბილ. მოზრდილთა საღამოს და ელისვეტასლის (აზერბ.) ვაჟთა გიმნაზიაში. 1905 დანიშნეს ბაქოს კომერც. სასწავლებლის ინსპექტორად (დირექტორი), სადაც ჩამოაყალიბა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის ფილიალი. ბაქოში ხელმძღვანელობდა ქართ. დრამ. დასის გამგეობას. მისი წასვლის შემდეგ დაწესდა თ-ის სახ. სტიპენდია. 1921-იდან ასწავლიდა თსუ-სა და თბილ. პოლიტექნიკურ ინ-ტში. 1928–29 დააარსა ყვარლისა და ბორჯომის სატყეო ტექნიკუმები. 1930–53 განაგებდა ფიზ. და მათ. კათედრას საქართვ. ზოოტექ.-სავეტერინარო ინ-ტში. ლექციებს კითხულობდა სას.-სამ. და მცენარეთა დაცვის ინ-ტებში. მისი წერილები იბეჭდებოდა *,,ცნობის ფურცელში''*, *,,სახალხო გაზეთში''*, *,,თეატრი და ცხოვრებაში''* და სხვ.

თხზ.: უმაღლესი მათემატიკის შეს-



თ. თაქთაქიშვილი.



თ. თაქთაქიშვილი. მარო, ზ. ფალიაშვილის ოპერა *,,დაისი''*.



ლ. თაქთაქიშვილი. კადრი ფილმიდან *,,ქართული კერამიკა''*.

ავალი, თბ., 1934; უმაღლესი მათემატიკის საფუძვლების დანაწილება და მეთოდური მითითებანი, თბ., 1936.

თაძთაძიშვილი მიხეილ ოთარის ძე (დ. 23. IX. 1949, თბილისი), ქიმიკოსი. ქიმიურ მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1994). 1970 დაამთავრა თსუ. სადიპლომო ნაშრომი შეასრულა იენის (გერმანია) სახელმწ. უნ-ტში. 1969-იდან მუშაობდა თსუ-ში დოცენტის, 1994–95 – პროფესორის თანამდებობაზე.


1995 საცხოვრებლად გადავიდა აშშ-ში. მუშაობდა აიოვას უნ-ტში, სხვადასხვა კომპანიაში უფრ. მეცნ.-მკვლევრად, ნაც. გამოთვლით ცენტრში – სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში პროექტების დირექტორად. 2012 დაბრუნდა საქართველოში. ამჟამად მუშაობს სკოლაში (European School) ქიმ. მასწავლებლად და სამედ. აკადემიაში ბიოქიმიის მიწვეულ პროფესორად ინგლისურენოვან სექტორში. კვლევის ძირითადი მიმართულებაა ნუკლეინის მჟავების ქიმია. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო შრომა წამყვან საერთაშ. ჟურნალებში.



ო. თაქთაქიშვილი.

თხზ.: Reactions of 4/6 Amide-Lactam Function of Nucleic Bases (review), «Биоорганическая химия», 1993, v. 19 (11); Recognition and Inhibition of HIV Integrase by Novel Dinucleotides, «Journal of American Chem. Society», 2000, v. 24 (თანაავტ.: V. Nair, N. Neamati, S. Pal, Y. Pommier).

თაძთაძიშვილი ოთარ ვასილის ძე (27. VII. 1924, თბილისი, – 21. II. 1989, იქვე), კომპოზიტორი. საქართვ. (1961) და სსრკ (1974) სახ. არტისტი, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის (1987), სსრკ სახელმწ. (3 გზის – 1951, 1952, 1967) და ლენინური პრემიის (1983) ლაურეატი. 1947 დაამთავრა თბილ. კონსერვატორია (ს. ბარხუდარიანის საკომპოზიციო კლასი). 1947–52 იყო საქართვ. საგუნდო კაპელის კონცერტმაისტერი და დირიჟორი, 1952–56 – სამხატვრო ხელმძღვანელი, 1959-იდან – თბილ. კონსერვატორიის პედაგოგი (1966-იდან – პროფესორი), ხოლო 1962–65 – რექტორი. მ. იყო სსრკ-ის კომპოზიტორთა კავშირის მდივანი (1957–62), საქართვ. კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე (მცირე ხნით, 1962), საქართვ. კულტ. მინისტრი (1965–84). მისი შემოქმედება ჟანრობრივად მრავალფეროვანი და თემატურად მდიდარია, აღმოცენებულია მკვიდრ ეროვნ. საფუძველზე. მ-ის მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია:



შ. თაქთაქიშვილი.



ო. თაქთაქიშვილი სადირიჟორო პულტთან.

ოპერები – ,,მინდია'' (1961, დაიდგა საქართველოსა და საზღვარგარეთის 10 ქვეყნის სცენაზე), ,,სამი ნოველა'' [1967, თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრი; სახელწოდებით ,,სამი სიცოცხლე'' დაიდგა აგრეთვე მოსკოვში სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახ. მუს.-დრამ. თეატრში (1972) და ბრატისლავაში (1974)], ,,მთვარის მოტაცება'' (1977, პრემიერა სსრკ-ის დიდ თეატრში, 1978 – თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრში); კომიკური ოპერები – ,,მუსუსი'' (1978) და ,,პირველი სიყვარული'' (1980, თბილისი); ერთმოქმედებიანი – ,,მარიტა'' (1988, გ. ლეონიძის მიხედვით); სიმფ. პოემა ,,მწირი'' (1956), 4 საფორტეპიანო კონცერტი (1951–83), სავიოლინო კონცერტი (1977), ჩელოს კონცერტი (1978), საფორტეპიანო კვინტეტი (1986), ვოკალური ციკლები ვაჟა-ფშაველასა და გ. ტაბიძის ლექსებზე (1959), ორატორიები ,,ჩაუქრობელი კერა'' (1964; II რედ. 1970), ,,რუსთაველის ნაკვალევზე'' (1964, ი. აბაშიძის ამავე სახელწ. ლექსების ციკლის მიხედვით), ,,ნიკოლოზ ბარათაშვილი'' (1970), კანტატები – ,,გურული სიმღერები'' (1971), ,,მეგრული სიმღერები'' (1972, სიუიტა სოლისტის, ვოკალური ოქტეტისა და კამერული ორკესტრისათვის), ,,სატრფიალო სიმღერები'' (1974), ,,აკაკის ჩანგი'' (1983, სიუიტა სოლისტების, გუნდისა და საკრავიერი ანსამბლისათვის), საგუნდო და საკრავიერი პიესები, მუსიკა დრამ. სპექტაკლებისათვის (,,ოიდიპოს მეფე'' – თბილ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრის დადგმა, ,,ზამთრის ზღაპარი'' – მოსკ. სამხატვრო თეატრის დადგმა).

მ. იყო საქართვ. სსრ სახელმწ. ჰიმნის (1945–90) ავტორი; იუნესკოსთან არსებული საერთაშ. მუს. საბჭოს პრეზიდიუმის წევრი; ლენინური პრემიის კომიტეტის წევრი; თბილ. საპატიო მოქალაქე (1985). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: ახმეტელი მ., ო. თაქთაქიშვილი, «საბჭოთა ხელოვნება», 1967, №9; დონაძე ლ., ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედება (I პერიოდი), იქვე, 1984, №7; ტორაძე გ., ოდა სულმნათს, იქვე, 1966, №10; ჩხიკვაძე გ., საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორები, თბ., 1956; ჭირაქაძე გ., ოთარ თაქთაქიშვილის გვერდით, თბ., 1999 (ქართ. და რუს. ენებზე). *გ. ტორაძე.*

ოთარ თაქთაქიშვილის სახლ-მუზეუმი, დაარსდა 1998, გაიხსნა 1999 ივნისში. დაცულია კომპოზიტორის სამუშაო ოთახის ინტერიერი; სახლზე არის მემორიალური დაფა (თბილისი, ოთარ თაქთაქიშვილის ქ. 7).

თაქთაქიშვილი შალვა მიხეილის ძე (27. VIII. 1900, სოფ. ქვემო ხეითი, ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი, – 18. VII. 1965, თბილისი), კომპოზიტორი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1949). 1928 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (ს. ბარხუდარიანის საკომპოზიციო კლასი). 1937-იდან იყო თბილ. კონსერვატორიის პედაგოგი (1941-იდან – პროფესორი). ხელმძღვანელობდა საოპერო კლასს, დირიჟორობდა საოპერო სტუდიის სპექტაკლებს. იყო ,,ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების'' ერთ-ერთი ორგანიზატორი (1922). ნაწარმოებები: ოპერები – ,,დეპუტატი'' (1939, დაიდგა 1940) და ,,ოთარაანთ ქვრივი'' (1942); საბავშვო ოპერები – ,,ყვავილთა სამყარო'' (1922), ,,პირველი მაისი'' (1924), ,,შემოდგომა'' (1925), ,,განთიადი'' (1923, დაიდგა 1926); ბალეტი ,,მალთაყვა (1932, დაიდგა 1937); ,,სიმფონიეტა'' (1954), ,,საზეიმო უვერტიურა'' (1944), კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის (1932), ორი სიმებიანი კვარტეტი [ამ ჟანრის პირველი თვალსაჩინო ნიმუშები ქართ. მუსიკაში (1931, 1933)], 2 საფორტეპიანო ტრიო (1944, 1946), რომანსები, სიმღერები და სხვ.

ლიტ.: ხუჭუა პ., შალვა თაქთაქიშვილი, თბ., 1962. *გ. ტორაძე.*



თაქ-ქილისა. ფერისცვალების ეკლესია. ადრეული შუა საუკუნეები.


თაქ-ქილისა, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი წალკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბეშთაშენის მახლობლად. აზერბ. ენაზე ნიშნავს ერთ ეკლესიას. მართლაც, აქ, გზის პირას, დგას ერთი, ადრეული შუა საუკუნეების სამნავიანი ბაზილიკა – ფერისცვალების ეკლესია. ინტერიერი ბოძების ორი წყვილით სამ ნავადაა დანაწევრებული. შუა ნავი მაღალია და ფართო. ყოველ ნავს ცილინდრული კამარა ხურავს. ბოძების დას. წყვილსა და მიმდებარე კედლებს შორის, მოგვიანებით ახალი კედლები ჩაუშენებიათ და ბაზილიკის გვერდითი ნავების ბოლოში მცირე სადგომები მოუწყვიათ, რებსაც შესასვლელი ცენტრალური ნავიდან აქვთ. საკურთხეველი ეკლესიის იატაკის მიმართ ერთი საფეხურითაა შემაღლებული. კარი სამხრ-იდან და დას-იდანაა. ეკლესია შიგნით შელესილი და შეთეთრებულია. გარედან კი მოპირკეთებული იყო კარგად დამუშავებული ქვით, რ-ებიც ძირითადად აღმ., დას. და ჩრდ. კედლების ქვედა ნაწილებს შემორჩათ. კედლების დიდი ნაწილი კი, ნატეხი ქვითაა აღდგენილი. აღმ. და დას. კედელში ჩასმულია ქვები, რ-ებზეც ამოკვეთილია ყურძნის მტევნები, მტრედები, იხვები და სხვა გამოსახულებანი. ეკლესიის კარნიზს თაროს ფორმა აქვს; სახურავი კრამიტისაა. კედლებში, აქა-იქ, ჩასმულია ასომთავრულით შესრულებული (თუმცა დაზიანებული) წარწერებიანი ქვები. ეკლესიის სამხრ. შესასვლელის წინ დგას XIX ს. ნათალი ქვით ნაშენი,. თაღებით გახსნილი სამსართულიანი სამრეკლო, რ-ის I სართული ეკლესიის კარიბჭის დანიშნულებას ასრულებს. 1998 ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა ეკლესია შეაკეთეს.

ლიტ.: Такайшвили Е. С., Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. 4, Тфл., 1913.

თაქ-ქილისას სამაროვანი, რკინის ხანის (ძვ. წ. X–VI სს.) ძეგლი თრიალეთში, წალკის ზეგანზე, მდ. ხრამის მარჯვ. ნაპირას. 1937, 1948 გაითხარა (ხელმძღვ. ბ. კუფტინი) 67 სამარხი, რ-ებიც წარმოადგენდა 6–8 ფილაქვისაგან აგებულ, ზემოდან 2 ან მეტი მასიური, ბრტყელი ქვით გადახურულ ყუთებს. მათი ძირი გრუნტზე მდებარეობდა. სამარხები, ძირითადად, ინდივიდ. იყო, იშვიათად – 2–3 მიცვალებული თითო ყუთში. დაკრძალული იყვნენ მჯდომარე ან გვერდზე ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში. ადრინდ. (ძვ. წ. X–IX სს.) სამარხებში, ძირითადად, გვხვდება მორგვზე დამზადებული, რუხი ფერის, კერამ. ჭურჭელი (უმეტესად ორნამენტირებული დოქები, ქვაბქოთნები, კოჭბები და სხვ.), ლითონის ნაწარმი (ბრინჯაოს შუბები, გრძელყუნწიანი ისრისპირები, ორთითა, ბუნიკები, სარტყლის ფრაგმენტები, სამაჯურები, რკინის შუბები და სხვ.), სარდიონის მძივები. გვიანდ. (ძვ. წ. IX – VI სს.) სამარხებში აღმოჩნდა მრავალფეროვანი, ჩარხზე დამზადებული კერამიკა (ჭდეული და ნაპრიალები ზოლებით შემკული ჭურჭელი), ლითონის ნაწარმი (ბრინჯაოს ლაგმები, ვარდულები, სამაჯურები; რკინის გრძელმასრიანი შუბები, სამაჯურის ფრაგმენტები), სარდიონის, თეთრი პასტისა და სხვადასხვა ფერის მინის მძივები.

ხეობაში ზედაპირულად აკრეფილია პალეოლითის ხანის მასალა (ობსიდიანის 1000-ზე მეტი ნაწარმი). გვხვდება ამოღარული და ლევალუაზური ანატკეცები, ბრტყელი და ამორფული ნუკლეუსები, საჭრისები, ლამელები, საფხეკები, რ-თა დიდი ნაწილი მცირე ზომის ანატკეცებისაგანაა დამზადებული; აგრეთვე მიკროსეგმენტი და მიკროტრაპეცია, მუსტიეური წვეტანები და მცოცავი რეტუშით დამუშავებული ისრისწვერი. მოპოვებულია აგრეთვე ნუშისებური მოყვანილობის გვიანდ. აშელური ხანის ხელნაჯახი.

სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სხვადასხვა დროის პეტროგლიფები. წალკის სამხრ.-დას-ით 10 კმ-ზე, ხეობის მარჯვ. ნაპირზე, კლდის გაშიშვლებულ ზედაპირზე აღმოჩენილია (1976, მ. გაბუნია) ამოკაწრული ცხენის, ირმის, ჯიხვის, მელიის, შვლის, ორკუზიანი აქლემის, ლომისა და სხვ. ცხოველთა გამოსახულებანი. გვხვდება ფანტასტიკური ცხოველებიც (ორკუზიანი ცხენი, ფრინველისფეხებიანი კუ), აგრეთვე კომპოზიციები – შვლის ნუკრი, რ-იც დედის ძუძუს წოვს, და ადამიანთა გამოსახულებანი – კაცები ჯოხით ხელში და მშვილდისრით გვერდზე, გვხვდება მზისა და ჯვრის გამოსახულებაც და გაურკვეველი დანიშნულების გეომ. ფიგურები.



თაქ-ქილისას სამაროვანი. პეტროგლიფი. ორკუზიანი აქლემის გამოსახულება.

თ.-ქ. ს-ის პეტროგლიფებში შეიმჩნევა ზურტაკეტის ბრინჯაოს ხანის გორასამარხების მშენებლობაში გამოყენებული ნიშნიანი ქვებისა და სვანეთში მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული გრაფ. ხელოვნების ტრადიციული ნიმუშები.

ლიტ.: გაბუნია მ., უნიკალური ძეგლი, «კომუნისტი», 1976, 22 ოქტ.; ჯაფარიძე ო., არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969; Бар-

დავ ე ლ ი ძ ე В. В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957; К у ф т и н Б. А., Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.

მ. გაბუნია. მ. მენაბდე.

თალარი, 1. მონღოლთა მიერ შემოღებული ნატურალური გადასახადი, რ-საც ომის დროს კრეფდნენ ლაშქრის სურსათით მომარაგების მიზნით იმ ოლქის მოსახლეობაში, სადაც ლაშქარი იდგა. თ-ის ოდენობა დადგენილი არ იყო. ის სხვადასხვა გამოსაღებისაგან შედგებოდა, დამოკიდებული იყო სახელმწიფოსა და ცალკეულ ფეოდალთა მოთხოვნილებაზე და ყველგან ერთნაირი მოცულობით არ იკრიფებოდა. *კირაკოს განძაკეცის* ცნობით, ჰულაგუ-ხანმა დაპყრობილ ქვეყნებში საგადასახადო დავთრებში შეტანილ ყოველ მამაკაცს თ-ის სახით შეაწერა 100 ლიტრა ხორბალი, 50 ლიტრა ღვინო, ორი ლიტრა ბრინჯი, სამი თოფრაკი, ორი თოკი, თითო თეთრი, ისარი და ნალი, ოც სულ საქონელზე ერთი სული და 20 თეთრი. ზოგჯერ თ-ს რამდენიმე წლით ადრე წინასწარ იღებდნენ, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა გადასახადის გადამხდელთ.

2. მარცვლეულის საწყაო ჭურჭელი ირანსა (XIII ს-იდან) და საქართველოში (XVIII–XIX სს.). ირანში თ. 100 თავრიზულ მანს (83,2 *კგ*) შეადგენდა, საქართველოში კი – 30 ლიტრას (დაახლ. 90–100 *კგ*).



ა. თაყაიშვილი.

3. მოზრდილი, პირგაშლილი თიხის ჭურჭელი. ხმარობენ ყურძნის დაწურვის დროს. საწნახლიდან ტკბილი თავდაპირველად თ-ში გადის დასაწმენდად, შემდეგ ქვევრებში ასხამენ. ძირითადად გვხვდება აღმ. საქართველოში. კახეთში მილიანი თ-ც ყოფილა, საიდანაც ტკბილი ღარით ქვევრებში ჩადიოდა. ბოლო დრომდე ორგვარი თ. იხმარებოდა: ქუსლიან თ-ს შუაზე გადაჭრილი ქვევრის ფორმა აქვს და თითქმის ნახევრად მიწაშია ჩაფლული, ბრტყელძირა კი – მიწის ზემოთ იდგმება. ქართლში თ. ეწოდებოდა მიწაში ქვითკირით ნაშენ ტკბილის ჭურჭელსაც და საწნახლის წინ ჩაფლულ სატკბილე ქვევრსაც. თ-ს ხმარობდნენ სხვა დანიშნულებითაც: სამღებრო საქმეში – საღებავების შესაზავებლად, დაბაღები – ტყავის დასალბობად, მეჭურჭლეები – წერნაქისა და ქაშანურის დასაყენებლად. ვაზის სოკოვანი დაავადების გავრცელების შემდეგ თ. შაბიამნის დასაყენებელ ჭურჭლად გამოიყენეს. თანამედროვე ყოფაში იშვიათად გვხვდება.




ა. თაყაიშვილი. ბიუროკრატი; კადრი ფილმიდან ,,ჩემი ბებია‘‘.

წყარო: ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, რ. კიკნაძის გამოც., თბ., 1974.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წგ. 3, ნაკვ. 3 – ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX–XIX სს.), თბ., 1973. *რ. კიკნაძე. ლ. ფრუიძე. ვ. ჯაფარიძე.*

თაღედი, სვეტებზე ან ბოძებზე დაყრდნობილი ერთი ფორმისა და ზომის თაღების რიგი. ძირითადად იყენებენ ღია გალერეების მოსაწყობად.



თაღი. თიღვის ამაღლების ეკლესია. 1152.

თაღი, კედელში დაყოლებული ღიობის ან ორ საბრჯენს (ბოძები, სვეტები, პილონები და სხვ.) შორის მდებარე სივრცის მრუდწიროული გადახურვა მალის სიგრძის, დატვირთვისა და დანიშნულების მიხედვით. თ-ს აკეთებენ ქვით, რკინაბეტონით, ლითონით, ხით. თ-ის საბრჯენ კვეთს ქუსლი ეწოდება, ხოლო მის უმაღლეს, შუა კვეთს – კლიტე. მისი მოხაზულობა სხვადასხვაგვარია: ნახევარწრიული (ყველაზე გავრცელებული სახე), ისრული (დამახასიათებელია გოტიკური არქიტექტურისათვის), ნალისებრი (გავრცელებულია არაბული ქვეყნების არქიტექტურაში), კილისებრი, მრავალფრთიანი, მცოცავი (სხვადასხვა სიმაღლის საბრჯენებზე) და სხვ. პირველად თ. (ქვისა) გამოჩნდა ძვ. აღმოსავლეთში, სადაც მშენებლობისთვის ვარგისი ხის უქონლობის გამო ვერ აკეთებდნენ დიდმალიან კოჭოვან გადახურვებს. შემდეგ თ-ს ფართოდ იყენებდნენ ანტ. რომის არქიტექტურაში (შენობები, აკვედუკები, სატრიუმფო თაღები). თ. დღესაც ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვან ელემენტად რჩება. ცალკე აღმართული სატრიუმფო ან შენობასთან დაკავშირებული თ. ხშირად განსაზღვრავს ანსამბლის ხასიათს.

თაღლაურის სამაროვანი, ძვ. წ. XIII–XII სს. არქეოლოგიური ძეგლი სოფელ იყალთოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ადგილ თაღლაურში (ახლანდ. თელავის მუნიციპალიტეტი). 1964 შემთხვევით აღმოჩნდა 1 ორმოსამარხი. 1977 იქვე გამოვლინდა მეორე ორმოსამარხი. შეისწავლა ივ. ჯავახიშვილის სახ. საქართვ. ისტორიის არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის კახეთის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ორმოსამარხები ოთხკუთხაა. მისი ზომებია: 2*მ*×1,60*მ*; 1,80*მ*×1,30*მ*. პირველად აღმოჩენილ ორმოსამარხში მიცვალებული ესვენა მარჯვ. გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდ-კენ, მეორე მიცვალებულის დაკრძალვის პოზის დადგენა არ მოხერხდა. მიცვალებულებს ჩატანებული ჰქონდათ დერგი, სადღვებელი, ქილა, ქვაბქოთანა, ქოთანი, ბადია, სურა, სასმისი, აგრეთვე ბრინჯაოს შედგენილტარიანი სატევარი, ზამბარისებური სვია, ბოლოებგახსნილი 2 ბეჭედი, შუბისპირი, რ-საც მასრაზე 2 სამსჭვალე ნახვრეტი აქვს და რელიეფური სალტე შემოუყვება. მასალა ინახება თელავის ისტ. მუზეუმში.

ლიტ.: მ ა ი ს ურ ა ძ ე ბ., იორ-ალაზნის ზემო დინების გვიანბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993; ნ უ ც უ ბ ი ძ ე ა., ალაზნის ველის ძვ.წ. XIV–XII სს. არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1981. *ც. მენაბდე.*

თაღნარი, შენობის ფასადზე ან შიგა კედლებზე გამოყვანილი ყრუ თაღედი, რ-იც დეკორაციულ-პლასტ. დამუშავების მიზნებს ემსახურება და ზოგჯერ ოთხივე მხარეს უვლის შენობას. X–XIII სს. ქართ. ხუროთმოძღვრებაში გავრცელებული იყო ფასადების ხუთთაღიანი კომპოზიცია (ოშკის, ბაგრატის, ალავერდის, სვეტიცხოვლის და სხვ. ტაძრები).

თაყაიშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (29. IX. 1895, დაბა აღბულაღი, ახლანდ. ქ. თეთრი წყარო, – 30. IX. 1958, თბილისი), რეჟისორი და მსახიობი. თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრის ორგანიზატორი და ფუძემდებელი. საქართვ. სახ. არტისტი (1941). თბილ. I გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა კიევისა და მოსკ. უნტების იურიდ. ფაკ-ტებზე, შემდეგ – თბილ. რუს. დრამის თეატრის სტუდიაში. 1928–45 მუშაობდა მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატ-

რის სამხატვრო ხელმძღვანელად. 1945–56 იყო თბილ. ა. გრიბოედოვის სახ. რუს. დრამ. თეატრის მთ. რეჟისორი. თ-მა მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრში დადგა სპექტაკლები: ნ. საცის ,,ფრიც ბაუერი'', ს. ზაიაცკის ,,რობინ ჰუდი'', ს. მთვარაძის ,,სურამის ციხე'', ე. შვარცის „წითელქუდა'', ა. წერეთლის ,,პატარა კახი'', მოლიერის ,,სკაპენის ოინები'', უ. შექსპირის ,,რომეო და ჯულიეტა'' და სხვ.; ა. გრიბოედოვის თეატრში – ნ. გოგოლის ,,რევიზორი'', ა. კორნეიჩუკის „ძახველის ჭალა'', ა. შტეინის ,,პერსონალური საქმე'', მ. გორკის ,,ვასა ჟელეზნოვა'', ა. გრიბოედოვის ,,ვაი ჭკუისაგან'' და სხვ.; კ. მარჯანიშვილის თეატრში – ნ. გოგოლის ,,რევიზორი''. მისი სპექტაკლები გამოირჩეოდა ორიგინალობით, მხატვრული სიმართლით, დახვეწილი გემოვნებით. თ-ს 1926-იდან იღებდნენ კინოში. მისი ეკრანული გმირებიდან აღსანიშნავია: ექიმი ვერნერი (,,თავადის ასული მერი'', 1926), კაზბიჩი (,,ბელა'', 1927), ოვანესა (,,გიული'', 1927), ბიუროკრატი (,,ჩემი ბებია'', 1929), ალი (,,ჰასანი'', 1938), მოსამართლე (,,მაგდანას ლურჯა'', 1955) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ლიტ.: კ ე ვ ლ ი შ ვ ი ლ ი ნ., ალექსანდრე თაყაიშვილი, თბ., 1970.

მ. ცუცქირიძე.

თაყაიშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე (1870, სოფ. ლიხაური, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – XX ს. I ნახ., საფრანგეთი), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ინჟინერ-გენერალი (1918). მონაწილეობდა რუს.-იაპონიის (1904–05) ომში. 1913 დაამთავრა რუს. სამხ.-საინჟ. აკადემია. მსახურობდა კავკ. მე-2 მესანგრეთა ბატალიონში. 1915-იდან იყო რუს. არმიის ინჟინერ-პოლკოვნიკი; 1918–21 მსახურობდა ქართ. არმიაში. 1918-იდან იყო საქართვ. სამხ. სამინისტროს საინჟ.-ტექ. სექციის უფროსი, 1920–21 – საინჟ.-ტექ. ჯგარების მეთაური. 1921 ემიგრაციაში წავიდა.

ლიტ.: კ ვ ი ნ ი ტ ა ძ ე გ., მოგონებანი (1917–21), ტ. 1, თბ., 1998.

ლ. დოლიძე.

თაყაიშვილი დავით ოთარის ძე (13. IV. 1959, თბილისი, – 9. VII. 1989, იქვე), ანიმაციური კინოს რეჟისორი, მხატვარი. 1981 დაამთავრა თბილ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრალური ინ-ტის კინოფაკულტეტი (თ. გომელაურისა და გ. კანდელაკის სახელოსნო). ქართ. ფილმის მულტგაერთიანებაში დადგა ფილმები: ,,ყორანი'' (1981), ,,ჭირი'' (1983, კინოს საერთაშ. კინოფესტივალის პრიზი), ,,ბაბალინა'' (1985), ,,ლეკვი'' (,,ოჯახი'', 1988), ,,მოლოდინი'' (დასრულდა 1990).



დ. გ. თაყაიშვილი. ესკიზი კინოფილმ ,,პირველი მერცხალისათვის''.

თაყაიშვილი დიმიტრი გიორგის ძე (6. I. 1919, თბილისი, – 20. III. 1998, იქვე), ფერმწერი, თეატრისა და კინოს მხატვარი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1964). საქართვ. სახ. მხატვარი (1983). საქართვ. მხატვართა კავშირის პირველი მდივანი (1978–82). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1944). მისი პედაგოგები იყვნენ ვ. სიდამონ-ერისთავი, დ. კაკაბაძე, ა. ქუთათელაძე. აქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1968-იდან – პროფესორი). 1945–50 მოღვაწეობდა მოსკოვში, სადაც სხვადასხვა თეატრში ოცამდე სპექტაკლი გააფორმა. 1950-იდან თბილისში დაბრუნდა. იყო კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. დრამატული, თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. და ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრების მხატვარი, მთ. მხატვარი, 1957-იდან – კინოკონცერნ ,,ქართული ფილმის'' მხატვარი. თ-ს დიდი წვლილი მიუძღვის კინოსა და ტელევიზიის მხატვართა მრავალი თაობის აღზრდასა და დაოსტატებაში. იყო თბილ. სამხატვრო აკადემიაში თავისსავე დაარსებული კინო-ტელემხატვართა სახელოსნოს უცვლელი ხელმძღვანელი. გაფორმებული აქვს 80-ზე მეტი სპექტაკლი და კინოფილმი. სპექტაკლებიდან აღსანიშნავია: გ. ნახუცრიშვილის ,,კომბლე'' (1949), ,,ახალგაზრდა მასწავლებელი'' (1951 – ორივე თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრი), ბ. ლავრენიევის ,,რღვევა'' (1952), უ. შექსპირის ,,ოტელო'' (1955), ,,რომეო და ჯულიეტა'' (1961; ყველა ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. დრამ. თეატრი); კინოფილმებიდან: ,,განაჩენი'' (1961), ,,თოჯინები იცინიან'' (1963), ,,თეთრი ქარავანი'' (1964), ,,მე ვხედავ მზეს'' (1965), ,,არ დაიდარდო'' (1968–69), ,,პირველი მერცხალი'' (1975–76) და სხვ. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

თაყაიშვილი ექვთიმე სიმონის ძე (5. I. 1862, სოფ. ლიხაური, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 21. II. 1953, თბილისი), ისტორიკოსი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946), პროფესორი (1918–21, 1945). 1883 დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, 1887 – პეტერბურგის საიმპერატორო უნ-ტის ისტორია-ფილოლ. ფაკ-ტი მეცნ. კანდიდატის ხარისხით. შემდეგ თ. სამშობლოში დაბრუნდა და 1887–94 თბილ. სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში ასწავლიდა ბერძნ. და ლათ. ენებს, ისტორიასა და გეოგრაფიას. 1894–1904 იგი სათავადაზნაურო გიმნაზიას ხელმძღვანელობდა.



ე. თაყაიშვილი.

თ. აქტიურად მონაწილეობდა *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* მუშობაში, რ-ის გამგეობის წევრად დაუსწრებლად აირჩიეს 1888. XIX ს. 90-იანი წლებიდან მუშაობა დაიწყო საქართვ. სიძველეთა შეკრებისა და მათი მეცნ. დამუშავებისათვის. პირველი შედეგები 1890 გამოაქვეყნა ,,ივერიაში'' (,,საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების'' წიგნსაცავებში არსებული ხელნაწერთა აღწერილობები), გამოსცა ,,სამი ისტორიული ხრონიკა'' (მოქცევაჲ ქართლისაჲ, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, მესხური მატიანე). 1899–1915 თ-ის რედაქტორობით გამოიცა დოკუმენტთა კრებ. *,,საქართველოს სიძველენი''* (ტ. 1–3).

თ-მა შეისწავლა და გამოიკვლია



ე. თაყაიშვილი სამუშაო კაბინეტში.

„პარხლის სახარება“ (1888), ახლებურად წაიკითხა და დაათარიღა შატბერდული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, გამოსცა „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ (1891), ,,სიბრძნე ბალავარისა‘‘ (1895), ,,მელის წიგნი‘‘ (1899), ,,თიმსარიანი‘‘ (1903); მეცნიერულად აღწერა ,,აბდულმესიანის‘‘, ,,თამარიანის‘‘, ,,ამირანდარეჯანიანის‘‘, ,,როსტომიანის‘‘, ,,შაჰნავაზიანის‘‘, ,,ბარამიანის‘‘, ,,ქილილა და დამანას‘‘ და ძვ. ქართ. მწერლობის სხვა ძეგლების ხელნაწერები. დიდ ყურადღებას აქცევდა ქართვ. ხალხ. სიტყვიერების ნიმუშების შეკრებას და გამოცემას, რედაქტორობდა ,,ხალხური სიტყვიერების‘‘ ორტომეულს (1915–18), აღმოაჩინა და მეცნ. კომენტარებით გამოაქვეყნა ქართ. სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლი *,,გარიგება ჯელმწიფის კარისა‘‘* (1920), შეაგროვა და აღწერა ,,ვეფხისტყაოსნის‘‘ ხელნაწერთა ერთი ნაწილი – თავი მოუყარა 17 ხელნაწერს (1646 – უძველესი, 1680 – გიორგი XI-თვის გადაწერილი), რ-თაგან ბევრი მეტად საყურადღებო იყო როგორც ვარიანტებით, ისე მხატვრობით; სულ 24 ხელნაწერის შესახებ მოკრიბა ცნობები, გადაარჩინა პელაგია წერეთლისეული ხელნაწერი; ერთ-ერთმა პირველმა შენიშნა, რომ ვახტანგ VI-ის მიერ გამოცემული ,,ვეფხისტყაოსანი‘‘ ვრცელი ხელნაწერების შემოკლებულ რედაქციას უნდა წარმოადგენდეს. შეისწავლა ბარათაშვილისეული, დადიანისეული, რუმიანცევისეული, ჯანაშვილისეული და მარიამისეული ,,ქართლის ცხოვრების‘‘ ტექსტები (უკანასკნელი გამოაქვეყნა 1906).

1892 თ. ი. *ჭავჭავაძესთან* ერთად მონაწილეობდა განჯიდან თბილისში ნ. *ბარათაშვილის* ნეშტის გადმოსვენებაში. მისივე რედაქტორობით წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზ-ბამ გამოსცა ნ. ბარათაშვილის თხზულებათა პირველი სრული კრებული. დიდი მნიშვნელობა აქვს თ-ის ნაშრომებს: ,,არქეოლოგიური ექსკურსიები‘‘ (წგ. 1–5, 1905–15), ,,ხელნაწერთა აღწერილობანი‘‘ (ტ. 1–4, 1902–12).

თ. ეწეოდა ფართო არქეოლ. საქმიანობას. მისი ხელმძღვანელობით გაითხარა წინაქრისტ. ხანის სასაფლაო დებედის ხეობაში, სოფ. ვორნაკში. დიდი წვლილი მიუძღვის ახალგორის განძის შეგროვებასა და დაცვაში. მან კვალდაკვალ სდია ამ განძის შემსყიდველ-გადამყიდველებს, განძის უმეტეს ნაწილს თავი მოუყარა და საბოლოოდ კავკ. მუზეუმში დააბინავა.

მნიშვნელოვანი იყო თ-ის არქეოლ. მოგზაურობა სამხრ. საქართველოში, პირველი ექსპედიცია შედგა 1902 (თ-თან ერთად იყვნენ ხუროთმოძღვარი ს. *კლდიაშვილი* და ფოტოგრაფი ა. მამუჩაიშვილი). გამოკვლეულ იქნა ახალციხისა და ახალქალაქის, აგრეთვე არტაანისა და ოლთისის ოლქების ზოგიერთი ძეგლი. 1907 თ-მა შეისწავლა არტაანის ოლქის კოლის რ-ნის ძეგლები და დაასრულა ოლთისის ოლქის ძეგლების შესწავლა (თ-თან ერთად ექსპედიციაში იყვნენ ხუროთმოძღვარი ა. *კალგინი* და ფოტოგრაფი ვ. ლიოზენი). განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თ-ის მიერ 1917 მოწყობილ ექსპედიციას (ხუროთმოძღვარი ა. კალგინი, მხატვრები: დ. *შევარდნაძე*, ლ. *გუდიაშვილი* და მ. *ჭიაურელი*), რ-ის დროსაც შესწავლილ იქნა *ხახულის, იშხნის, ოშკის, ექვეძისა* და სხვ. ტაძრები, *ოთხთა ეკლესია, თორთომის ციხე* და სხვ. თ-მა აღმოაჩინა და გაადმოიღო მრავალი ძვირფასი წარწერა, გაარკვია ლიტ-რაში მანამდე უცნობი ზოგიერთი მონასტრის სახელი, თ-ის არქეოლ. მოგზაურობებმა დიდი როლი შეასრულა ქართ. კულტ. ძეგლების აღწერის, აზომვისა და შესწავლის საქმეში (შეისწავლა მოხატულობა, ჭედური ხატები, საეკლ. ჭურჭელი, მინიატიურები). თ-ის ნაშრომი ,,მასალები კავკასიის არქეოლოგიისათვის‘‘ დაჯილდოებულია რუს. საიმპერატორო არქეოლ. საზ-ბის დიდი ოქროს მედლით (1911 წ. 28 მარტი).

1907 ისტ. მოყვარულთა წრის ბაზაზე თ-მა დააარსა *საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება* (პირველი თავ-რე იყო 1921 წლამდე, ემიგრაციაში წასვლამდე) და მისი პერიოდული გამოცემა *,,ძველი საქართველო‘‘* (ტ. 1–4, 1909–15).

თ. იბრძოდა საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად, აქტიურად მონაწილეობდა თბილ. უნ-ტის დაარსებაში. იგი თავმჯდომარეობდა უნ-ტის დამფუძნებელთა პირველ შეკრებას 1917 წ. 12 მაისს, რ-იც შედგა თბილისში, პ. *მელიქიშვილის* ბინაში. თ. იყო ახლად დაარსებული უნ-ტის ერთერთი პირველი პროფესორი, არქეოლ. კათედრის გამგე. ივ. *ჯავახიშვილთან* ერთად იმთავითვე აირჩიეს ,,ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების‘‘ კომისიაში. 1918 წ. 21 მაისს უნ-ტის საბჭომ მას დისერტაციის დაუცველად (Honoris Causa) მიანიჭა დოქტორის ხარისხი. თ-ის სასწავლო კურსი, არქეოლ. გარდა, მოიცავდა უძველეს წარწერებს, ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებს, საქართვ. ეკლესია-მონასტრების ისტორიას და სხვ.

1918 წ. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, თ. გახდა საქართვ. დემოკრ. რესპ. დამფუძნებელი კრების დეპუტატი და თავმჯდომარის მოადგილე.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ გადაწყდა ეროვნ. განძის საზღვარგარეთ გატანა, რ-ის მეთვალყურედ დამფუძნებელმა კრებამ თ. დანიშნა. 1921 იგი განძთან ერთად საფრანგეთში გაემგზავრა. ნებისყოფისა და თავდაუზოგავი მცდელობის შედეგად თ-მა საქართვ. საგანძური (ძვირფასი ნივთები და ხელნაწერები თბილ. მუზეუმებიდან, სურათები ეროვნ. გალერეიდან, ზუგდიდის დადიანისეული სასახლის განძეულობა, გელათისა და მარტვილის სამონასტრო ქონება, სახაზინო ქონება, ბორჯომის სასახლის ქონება მდიდარი ბიბლიოთეკებით და სხვ.) მეტად რთულ პირობებში დაიცვა – გაუძლო ინგლისისა და აშშ-ის მუზეუმების შემოტევებს (გარკვეუ-

ლი ნაწილის გალების სანაცვლოდ დანარჩენი განძის უფასოდ შენახვის პირობა და ა. შ.), მეორე მსოფლიო ომის წლებს, როდესაც საშიშროება იყო, გერმანელებს განძი ოკუპირებული საფრანგეთიდან გაეტანათ.

თ. ემიგრაციის წლებშიც ინტენს. სამეცნ. მუშაობას ეწეოდა – მოიძია და გამოაქვეყნა საფრანგეთის საცავებში შემონახული ქართ. ხელნაწერები, აქტიურად მონაწილეობდა სამეცნ. ორგანოების (,,ბიზანტიონი'', ,,გეორგიკა'' და სხვ.) საქმიანობაში, აქვეყნებდა გამოკვლევებს საქართვ. ისტორიასა და წყაროთმცოდნეობაში (იხ. თ-ის ნაშრომები: ,,სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები'', ნაწ. I, პარიზი, 1929; ,,ქართული სიძველენი ევროპელ ანტიკვარებთან'', პარიზი, 1929; ,,პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართ. ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი'', პარიზი, 1933; ,,მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში'', პარიზი, 1939 და სხვ.). მის ნაშრომებში წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ცნობების შემცველი მასალა, რ-ის შუქზეც ახლებურად გამოიყურება ზოგიერთი ისტ. ფაქტი, ნათელი ხდება ესა თუ ის მოვლენა, ზუსტდება თარიღები, დგინდება ამა თუ იმ ისტ. პირის ვინაობა. თ. იყო პარიზის ნუმიზმატთა საზ-ბისა (1922) და პარიზის სააზიო საზ-ბის წევრი (1925). 1937–39 ხელმძღვანელობდა ,,ქართული კულტურული და საარქეოლოგიო მასალების გამოცემის ფონდს''.

1944 ბოლოს, განძის საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით, თ. შეხვდა სსრკ ელჩს საფრანგეთში ა. ბოგომოლოვს და გადასცა ვრცელი მოხსენება გენერალ შ. დე გოლის სახელზე, რ-ის მოსკოვში ვიზიტისას ეს საკითხი დადებითად გადაწყდა. 1945 წ. 11 აპრილს მთელი განძი უკლებლივ დაუბრუნდა საქართველოს.

1945 წ. 10 მაისს თ. აირჩიეს თსუ-ის პროფესორად, 1946 – საქართვ. მეცნ. აკად. ნამდვილ წევრად. 1949 წ. 17 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ ოფიციალურად დაუმტკიცა დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება. ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ იგი თანამშრომლობდა მეცნ. აკად., უნ-ტისა და სახელმწ. მუზეუმის



წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი.

სამეცნ. ორგანოებთან.

ცხოვრების ბოლო პერიოდში თ. სახელმწ. უშიშროების მიერ იზოლაციაში მოექცა. მის დაკრძალვას ვაკის სასაფლაოზე მხოლოდ 40-მდე ადამიანი ესწრებოდა.

დაბადებიდან 100 წლის თავზე თ-ის ნეშტი დიდუბის პანთეონში გადაასვენეს. 2000 წ. 5 მაისის მეუღლესთან ერთად დაიკრძალა მთაწმინდის პანთეონში. მისი მოღვაწეობის შესახებ გადაღებულია დოკ. ფილმი ,,საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი'' (1985, რეჟ. რ. *თაბუკაშვილი*). მუზეუმები გაიხსნა თ-ის უკანასკნელ საცხოვრებელ ადგილზე, თბილისში (ვაშლოვანის ქ. № 7) და მშობლიურ სოფელ ლიხაურში. მის სახელს ატარებს გურიანთა-ვაშნარის მუზეუმ-ნაკრძალი გურიაში, მწვერვალი კავკასიონზე, ქუჩა თბილისში. თ-ის ძეგლები დგას თბილისსა და ქუთაისში. მიენიჭა საქართვ. ეროვნ. გმირის წოდება (26. X. 2013). 2013 წელი *იუნესკოს* ეგიდით თ-ის საიუბილეო წლად გამოცხადდა.

2002 წ. 17 ოქტომბერს საქართვ. მართლმადიდებელმა ეკლესიამ თ. წმინდანად შერაცხა და წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი უწოდა. ხსენების დღეა 3(16) იანვარი, დაწესდა ,,წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის'' მედალი. მის სახელზე აიგო ტაძრები თბილისსა (2008) და კიკეთში (2010).

თხზ.: რჩეული ნაშრომები, ტ. 1, თბ., 1968; 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960.

ლიტ.: აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის არქივი, ე. კელენჯერიძის გამოც., თბ., 1972; აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა. სტ. კრებული, თბ., 1966; მ ე გ რ ე ლ ი ძ ე ი., ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1990; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., ბ ა დ რ ი ძ ე შ., ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1962; ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ა., ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1977; ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებისა და ნათლობის თარიღების საეკლესიო ჩანაწერი, იხ. კრ.: ,,დიდი ექვთიმე'', მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2014.

ბიბლ.: ექვთიმე თაყაიშვილი. ბიობიბლიოგრაფია, რედ. რ. მეტრეველი, ი. ღარიბაშვილი, თბ., 2010.

რ. მეტრეველი.



ი. თაყაიშვილი.

თაყაიშვილი ვარლამ სიმონის ძე (1850, სოფ. ლიხაური, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 1934, თბილისი), რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1905). ე. *თაყაიშვილის* ძმა. დაამთავრა გენ.-შტაბის აკადემია. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის (1877–78) ომში. 1895–1903 იყო თავდაპირველად ციმბირის, შემდეგ კავკასიის სამხ. ოლქის მიმოსვლის გზების უფროსი. 1903–06 მეთაურობდა 115-ე ვიაზმის ქვეით პოლკს, იყო ელიზავეტპოლის დროებითი გენ.-გუბერნატორი. 1906-იდან თადარიგში გავიდა. დაჯილდოებულია წმ. ვლადიმირის, წმ. ანას, წმ. სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით.

ლ. დოლიძე.



ს. თაყაიშვილი.

თაყაიშვილი ილია (ილიკო) ალექსანდრეს ძე (დ. 20. V. 1926, თბილისი), მოცეკვავე. საქართვ. დამს. არტისტი (1953). ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IV საერთაშ. ფესტივალის ლაურეატი (1953). 1938 დაამთავრა თბილ. ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრთან არსებული ქორეოგრ. სტუდია (ხელმძღვ. დ. ჯავრიშვილი). მონაწილეობდა ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლებში, მ. შ. ,,დონ კიხოტში'' (გამოდიოდა ვ. ჭაბუკიანთან ერთად). 1945-იდან ახალდაარსებული ქართ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. ანსამბლის (ახლანდ. ი. სუხიშვილის სახ. ქართ. ნაციონალური ბალეტი) შემადგენლობაში იყო. თ. ამ ანსამბლის პირველი თაობის წარმომადგენელია, თაობისა, რ-მაც საფუძველი ჩაუყარა და შემდგომში განსაზღვრა ანსამბლის შემოქმედებითი სახე. თ-ის შესრულება გამოირჩეოდა მაღალი პროფ. ოსტატობით, გარდასახვის უნარით, ტემპერამენტით. ცეკვავდა ანსამბლის თითქმის მთელი რეპერტუარის წამყვან პარტიებს. ანსამბლთან ერთად ტრიუმფით შემოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა.

თაყაიშვილი სესილია დიმი-



ს. თაყაიშვილი. სცენა სპექტაკლიდან ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი‘‘. 1960.

ტრის ასული (17. IX. 1906, ბათუმი, – 21. V. 1984, თბილისი), მსახიობი, რეალისტური აქტიორული ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელი. საქართვ. (1950) და სსრკ (1966) სახ. არტისტი. შოთა რუსთაველის სახ. (1983) და საქართვ. სახელმწ. (1985) პრემიების ლაურეატი. 1926 დაამთავრა სათეატრო ინ-ტი თბილისში და იმავე წელს ჩაირიცხა შოთა რუსთაველის სახ. თეატრის დასში, სადაც 1930-მდე იმუშავა ს. ახმეტელის ხელმძღვანელობით. მისი პირველი როლი იყო ჯადოქარი ფატმა (თ. ვახვახიშვილის პანტომიმა „მზეთამზე‘‘). 1930–66 მ. კ. მარჯანიშვილის თეატრში მოღვაწეობდა. იგი დიდი სცენური სიმართლითა და გარდასახვის უბადლო ნიჭით დაჯილდოებული, ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის მსახიობი იყო; ქმნიდა რთულ, ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათის პერსონაჟებს. მისი საშემსრულებლო ხელოვნება გამოირჩეოდა დახვეწილი ფორმით, მკვეთრი თვითმყოფადი იუმორით, გრძნობისა და განცდის უშუალობით. მ-ის მიერ მაღალი ოსტატობით განსახიერებული 120-მდე როლიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქრისტინე (შ. დადიანის „ნინოშვილის გურია‘‘), ნაყომი (გ. ბაზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ‘‘), ამალია კარლოვნა (ა. აფინოგენოვის „შიში‘‘), პარასკევა (შ. დადიანის „ნაპერწკლიდან‘‘), ოგუდალოვა (ა. ოსტროვსკის „უმზითვო‘‘), ძიძა, კატარინა (უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა‘‘, „ჭირვეული ცოლის მორჯულება‘‘), ელისაბედ დედოფალი (ფ. შილერის „მარიამ სტიუარტი‘‘), პრიუდანსი [ა. დიუმას (შვილი) „მარგარიტა გოტიე‘‘], ოლღა (ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი‘‘) და სხვ.



ს. თაყაიშვილი. მარადია, კადრი ფილმიდან ,,ნატვრის ხე‘‘. 1976.

დიდია მ-ის ღვაწლი ქართ. კინემატოგრაფიაში, სადაც 1948-იდან მოღვაწეობდა. როლები: ვასასი („ჩვენი ეზო‘‘, 1956), ელპიტე („საბუდარელი ჭაბუკი‘‘, 1957), ელისაბედი („სხვისი შვილები‘‘, 1958), ოლღა („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი‘‘, 1962), ბორდოხანი („დიდოსტატის მარჯვენა‘‘, 1969–70), მარადია („ნატვრის ხე‘‘, 1976), ასინეთა („დათა თუთაშხია‘‘, 1977), ბუღალტერი („ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი‘‘, 1983) და სხვ. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართ. საესტრადო ხელოვნ. განვითარებაში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. არჩეულია თბილ. საპატიო მოქალაქედ (1982).

ლიტ.: თ ვ ა ლ ჭ რ ე ლ ი ძ ე ტ., სესილია თაყაიშვილი, თბ., 1978; მარჯანიშვილის თეატრი (ალბომი), თბ., 1979.

თაჟუაჭვილი ისაია, 1772–1801 იყო თბილისის *ქედხუდა*, შემდეგ – ქალაქის ნაცვალი, ვაჭარი. ფლობდა გვარჯილისა და თოფის წამლის ,,ქარხანას‘‘, რ-იც ერეკლე II-მ ჩამოართვა სათანადო ანაზღაურებით და სამეფო თოფხანასთან გააერთიანა. მ. მეფის სანქციით ეწეოდა სავაჭრო-ფინანს. ოპერაციებს, მევახშეობას, კრედიტორთა შორის იყო მეფის ოჯახიც. ქალაქის მოსახლეობა მას მტაცებელს უწოდებდა.

ლიტ.: მ ე ს ხ ი ა შ., საისტორიო ძიებანი, ტ. 2, თბ., 1983.

თახვი (Castor fiber), ძუძუმწოვარი ცხოველი მღრღნელების რიგისა. კარგად არის შეგუებული როგორც წყალში, ასევე ხმელეთზე ცხოვრებას. სხეულის სიგრძე 100 *სმ*, მასა 30 *კგ* აღწევს. აქვს პატარა თავი და პატარა თვალები, მოკლე და სქელი კისერი, ყურის პატარა ნიჟარები, რ-ებიც ჩაჟვინთვისას იკეცება და ფარავს ყურის ხვრელს: კუდი ბრტყელია, რქოვანი ფარებით დაფარული; კიდურები მოკლეა, უკანა კიდურის თითებს შორის გადაჭიმულია საცურაო აპკი. შეფერილობით რუხი წაბლისფერია. მუცლის მხარეს ბეწვი უკეთესი ხარისხისაა. ტყავის ცვეთის ხანგრძლივობა 18 წელია. ანალურ ხვრელთან მოთავსებულია წყვილი ჯირკვალი, რ-იც გამოყოფს გასაპოხ ცხიმოვან ემულსიას. გარდა ამისა, მამრს აქვს წვრილი მუშკის ჯირკვალი, რ-იც გამოყოფს გამაღიზიანებელ სეკრეტს. მ. ბინადრობს მდინარეებისა და ტბების სანაპირო ჭაობიან, ჩალიან, თხმელიან ადგილებში. შემოღრღნით ჭრის და აქცევს ხეებს, ქმნის უზარმაზარ ჯებირებს. იქვე იშენებს ბუნაგს, მაკეობს და შობს თვალახილულ და ბეწვით შემოსილ 2–4 ნაშიერს, რ-ებიც 1–2 დღის შემდეგ უკვე ცურავენ, ხოლო 3 კვირის შემდეგ დამოუკიდებლად იკვებებიან მცენარეებით. მ. მრავლად იყო გავრცელებული ევროპაში, სამხრ. ციმბირში, შუა აზიასა და მთელ ჩრდ. ამერიკაში. **საქართველოში** მისი ძვლოვანი ნაშთები ნაპოვნია ხრამის ხეობაში, კოლხეთის დაბლობზე. როგორც ირკვევა, საუკუნის წინ მოსპეს ძვირფასი ბეწვის გამო. ამჟამად ყველგან მიმდინარეობს მისი აღდგენა-მოშენება. მ. შეტანილია ,,საქართველოს წითელ წიგნში‘‘. *ი. ელიავა.*

თახჩა, სახლის შიდა კედელში დატანებული პატარა ნიში ან კარადა (უკარო და თაროებიანი) ჭურჭლის, სურსათისა და საოჯახო ნივთების შესანახად. ხალხური წარმოდგენით, მ. საცხოვრებლის წმინდა ადგილი იყო, რის გამოც იგი სახლის მარჯვ. მხარეს კეთდებოდა. გარკვეულ დღეებში (მაგ., ყველიერის შაბათს, რ-საც ქსნის ხეობაში ,,ანგელოზის დღე‘‘ ერქვა) ოჯახის უფროსი მამაკაცი სანთელს აანთებდა, მ-ში წინა დღით შენახულ ფურცლოვან ქადას დაჭრიდა და ოჯახის მამაკაცებს ჩამოურიგებდა.

ლიტ.: ბ ე დ უ კ ი ძ ე ლ., ქსნური ხის ავეჯი, კრ.: მასალები ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1975; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. 1 – მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946. *ლ. ბედუკაძე.*

თახჩა, სოფელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის კარტიკამის თემში (სამცხე-ჯავახეთის მხარე), ახალქალაქის პლატოზე. ზ. დ. 1960 *მ*, ახალქალაქიდან 13 *კმ*. 106 მცხ. (2002).

თ. მდებარეობს ისტ. ზემო ჯავახეთში. ფეოდ. ხანაში აქ სოფელი არ უნდა ყოფილიყო, რაზედაც მიუთითებს ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი'' (XVI ს.), რ-შიც ამ ადგილას არც სოფელი და არც ნასოფლარი აღნიშნული არ არის. 1829 ადრიანოპოლის ზავის შედეგად, ჯავახეთი რუს. იმპერიაში შევიდა. თ-ის ახლანდ. სომეხი მოსახლეობა იმ დროსაა შემოყვანილი არზრუმის მხრიდან. ჩანს, ისინი ცარიელ პლატოზე დასახლებულან. მათი ეკლესია აგებულია 1902. სოფლის სახელწოდება არზრუმის მხარეში არსებული ძვ. დასახლების სახელს იმეორებს. სოფელში ფეოდ. ხანის სიძველეები გვხვდება. ადგილ. მოსახლეობა მიწის თხრის დროს პოულობდა ქვაყუთებს, რ-ებშიც თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩენილია ბრინჯაოს სამაჯურებიც. საფიქრებელია, აქვე სიახლოვეს იქნებოდა გვიანბრინჯაო–ადრერკინის ხანის დასახლებაც. *დ. ბერძენიშვილი.*

თაჯნისი, ჯ ი ნ ა ს ი, ომონიმური რითმის აღმნიშვნელი ტერმინი არაბულ-სპარსულ პოეტიკაში. თ-ის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე ომონიმური რითმისა, იგი სიტყვათა გარკვეული თამაშის გაგებასაც მოიცავს. განასხვავებენ თ-ის 7 ნაირსახეობას: სრული (დაწერილობით და გამოთქმით იდენტური), ნაკლული (დაწერილობით იდენტური, გამოთქმით განსხვავებული), ნამატი (ერთ სიტყვას ასო აქვს დამატებული), შედგენილი (ერთ სიტყვას ეწყობა ორი ან მეტი სიტყვა), განმეორებული ან დაწყვილებული (ომონიმური რითმები ერთიმეორის გვერდით არის წარმოდგენილი ან ერთი სიტყვის დაბოლოება ემთხვევა მომდევნო სიტყვას), ცალმხრივი (სიტყვათა ყოველი ასო ემთხვევა, გარდა უკანასკნელისა) და მოხაზულობის (სიტყვის შემადგენელ ასოთა მოხაზულობა იდენტურია და განსხვავებას ქმნის მხოლოდ ასოების წერტილთა განლაგება).

ეს პოეტიკური ტერმინი გვხვდება ქართ. პოეზიაშიც (თ.–თეჯლისი), ოღონდ, სპარსულისაგან განსხვავებით, აქ იგი უფრო სალექსო ფორმის აღმნიშვნელია (ბესიკი, ა. ჭავჭავაძე). პირველი სტროფი ჯვარედინი რითმებით არის შეკრული, ხოლო შემდეგი – სამჯერადით, ამასთან, ყოველი სტროფის ბოლო სტრიქონის სარითმო ერთეულად ომონიმია შერჩეული.

ლიტ.: კ ო ბ ი ძ ე დ., ქართული და სპარსული პოეტიკის ისტორიიდან, მის წგ.: ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, [ტ.]2, თბ., 1969.

ვ. კოტეტიშვილი.

თაჰერი მოჰამედ, XVII ს. სპარსელი ისტორიკოსი, შაჰ-აბას II-ის (1642–66) სამეფო კანცელარიის უპირველესი მოხელე. ხელი მიუწვდებოდა სახელმწ. ოფიც. საბუთებზე, ავტორია თხზულებისა ,,თარიხ-ე შაჰ აბას-ე სანი'' (,,შაჰ-აბას მეორის ისტორია''). თხზულებაში მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული XVII ს. შუა ხანების ირან-საქართველოს ურთიერთობის შესასწავლად. საინტერესო ცნობები გვხვდება ასევე დას. საქართველოს, კერძოდ, იმერეთისა და სამეგრელოს შესახებ, რაც თხზულების ღირსებას კიდევ უფრო ზრდის.

ლიტ.: მ ო ჰ ა მ ე დ თ ა ჰ ე რ ი ს ცნობები საქართველოს შესახებ. ქართულად თარგმნა ვლ. ფუთურიძემ, «მსკი», 1954, ნაკვ. 30.

ლ. მანიავა.

„თბილავიამშენი“ (სააქციო საზოგადოება), თვითმფრინავმშენებლობის მსხვილი სამრეწველო საწარმო, ყოფილი თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის № 31 საავიაციო ქარხანა. შეიქმნა 1941 წ. ოქტომბერში (ოფიციალურად გაფორმდა იმავე წლის 20 დეკემბერს) აქვე მშენებარე № 448 ავიაძრავმშენებელი, აგრეთვე თბილისში ევაკუირებული ტაგანროგის გ. დიმიტროვის სახ. № 31 საავიაციო და სევასტოპოლის № 45 ავიასარემონტო ქ-ნების ბაზაზე II მსოფლიო ომის საჭიროებისათვის. თვითმფრინავების ფართომასშტაბიანი წარმოებისათვის ქ-ნას შეუერთეს თბილ. თუჯის ჩამომსხმელ-მექან. ქ-ნა და მუს. ინსტრუმენტების ფ-კა, რ-ებიც ომის დამთავრების შემდეგ აღადგინეს როგორც დამოუკიდებელი სამრეწვ. საწარმოები. ქ-ნამ პირველი თვითმფრინავი – გამანადგურებელი ლაგგ-3 1941 წ. ნოემბერში გამოუშვა (კონსტრუქტორები: ს. ლავოჩკინი, ვ. გორბუნოვი, მ. გუდკოვი), ხოლო 1942-იდან შეუდგა მათ სერიულ წარმოებას. იმავე წელს ქ-ნამ ახ. გამანადგურებელი თვითმფრინავი ლა-5 გამოუშვა, 1944 კი – ახ. ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავი იაკ-3. თბილ. საავიაციო ქ-ნაში მზადდებოდა აგრეთვე 82 *მმ*-იანი ნაღმსატყორცნის ნაღმების კორპუსები და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის პპშ-ს ლულები. ომის პერიოდში თბილ. საავიაციო ქ-ნა ერთადერთი საწარმო იყო, რ-იც გამანადგურებელი თვითმფრინავებით ამარაგებდა ამიერკავკ. და ჩრდ. კავკ. ფრონტებს. ომის დამთავრების შემდეგ, 1946, საწარმომ გამოუშვა საბჭ. კავშირში პირველი რეაქტიული გამანადგურებელი თვითმფრინავი იაკ-15, მომდევნო წლებში – ამ თვითმფრინავის მოდიფიკაციები (იაკ-17, იაკ-17უტი), 1949–51 კი იაკ-23 რეაქტიულ გამანადგურებლებს აწარმოებდა. 1952–57 ქ-ნაში მზადდებოდა ახ. რეაქტიული გამანადგურებელი თვითმფრინავები: მიგ-15, მიგ-17,



,,თბილავიამშენი''. საამწყობო საამქრო.

1957-იდან კი – რეაქტიული ზებგერითი გამანადგურებელი მიგ-21-ის, ორადგილიანი საწვრთნელ-საბრძოლო ვარიანტის სხვადასხვა მოდიფიკაციები. 1958–68 ქ-ნა უშვებდა ხომალდსაწინააღმდეგო ზებგერით ფრთოსან კ-10 მარკის რაკეტებს, 1959–66 კი – მფრინავ რადიოსამართავ ლა-17 და ლა-17მ სამიზნეებს. 1962 დასრულდა ქ-ნის დიდი მოცულობის საამწყობო კორპუსის მშენებლობა. 1978-იდან საწარმო შეუდგა უახლესი სუ-25 რეაქტიული საარმიო მოიერიშე თვითმფრინავების წარმოებას, 1984-იდან კი დაიწყო ამ თვითმფრინავის სუ-25კ მოდიფიკაციის, შემდეგ კი ტანკსაწინააღმდეგო ვარიანტის სუ-25ტ დამზადება,1980-იდან კი – ,,ჰაერი-ჰაერი'' კლასის რ-60 და რ-73 კლასის მართვადი რაკეტების გამოშვება. ქ-ნა თავისი თვითმფრინავებითა და რაკეტებით აკომპლექტებდა საბჭ. კავშირის სამხ.-საჰაერო ძალებსა და სამხ.-საზღვაო ფლოტის ავიაციის შენაერთებს. თვითმფრინავების გარკვეული რაოდენობა საექსპორტოდაც იგზავნებოდა.

1985 თბილ. საავიაციო ქ-ნის ბაზაზე ჩამოყალიბდა საავიაციო საწარმოო გაერთიანება, რ-შიც თბილ. სათავო ქ-ნის გარდა შევიდა აგრეთვე ცხინვალისა და ნინოწმინდის ფილიალები. 1991-იდან საწარმოს თბილ. სახელმწ. საავიაციო საწარმოო გაერთიანება ეწოდა. 1996-იდან უშვებდნენ 2-ადგილიან საწვრთნელ-საბრძოლო მოდიფიკაცია სუ-25უ. ქ-ნის მიღწევას წარმოადგენს 1999 კოსმ. პროგრამით გათვალისწინებული უნიკალური ანტენა-რეფლექტორის (ავტორი ე. *მეძმარაიშვილი*), აგრეთვე სწრაფად გასამართი ხიდების დამზადება. 2000 წ. მარტიდან თბილ. სახელმწ. საავიაციო საწარმოო გაერთიანების ბაზაზე ჩამოყალიბდა შპს ,,თბილავიამშენი''. ამავე წელს საწარმომ ისრაელის ფირმა ,,ელბიტ სისტემსთან'' ერთად სუ-25კ ბაზაზე შექმნა მოდერნიზებული თვითმფრინავი სუ-25კმ ,,სკორპიონი'', რ-იც აღჭურვილი იყო დას. თანამედროვე საპილოტაჟო-სანავიგაციო, რადიოელექტრონული და შეიარაღების სისტემებით. იგი 2001 წ. ივნისში წარდგენილი იყო პარიზში ლე ბურჟეს საერთაშ. ავიასალონზე, სადაც შეასრულა საჩვენებელი ფრენები და დამსწრე სპეციალისტებისა და ექსპერტების მაღალი შეფასება დაიმსახურა. 2001 ქ-ნამ მიიღო ხარისხის მართვის საერთაშ. სერტიფიკატი.



,,თბილავიამშენი''. სუ-25 კმ ,,სკორპიონი''.

1999-იდან განხორციელდა საწარმოს რესტრუქტურიზაციის, ოპტიმიზაციისა და კომპიუტერიზაციის პროცესები. 2002 მარტიდან შპს ,,თბილავიამშენმა'' შეიცვალა სამართლებრივი ფორმა და გარდაიქმნა სააქციო საზ-ბად. საბჭ. კავშირის საავიაციო საწარმოებს შორის ,,თ.'' 2002 პირველი შეუდგა კომპოზიციური მასალებისგან 4- და 7-ადგილიანი რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავების ,,TAMJET-ისა'' და ,,ELITJET-ის'' წარმოებას. ამ პერიოდში საწარმო აგრეთვე ასრულებდა სუ-25 თვითმფრინავების, სხვადასხვა მოდიფიკაციის მი-8 და მი-24 შვეულმფრენების მიმდინარე და კაპიტ. რემონტს.

2003 წ. მარტიდან სააქციო საზ-ბა ,,თ-ის'' სახელმწ. საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტი (100%) საქართვ. ქონების მართვის სამინისტროს მიერ ჩატარებული კონკურსის საფუძველზე 10 წლის ვადით სამართავად გადაეცა კონკურსში გამარჯვებულ სპეციალურად შექმნილ კერძო სამმართლის იურიდ. პირს შპს ,,თ-ს'', ხოლო 2004 განხორციელდა საწარმოს პრივატიზება და აქციათა პაკეტის 90%-ის შპს ,,თ-თვის'' პირდაპირი მიყიდვა.

თვითმფრინავმშენებლობის გარდა, საწარმო მრავალი სახეობის სახ. მოხმარების პროდუქციას უშვებდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობაში როგორც თბილისსა და მთელ საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

საწარმოს ჰქონდა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო. 1944 წ. 16 დეკემბერს დაიწყო ქ-ნის მრავალტირაჟიანი გაზ. ,,სტალინელის'' გამოცემა. 1953–89 იგი იბეჭდებოდა სახელწოდებით ,,კომუნიზმისაკენ'', ხოლო 1989–94 – ,,მარჯვნის'' სახელწოდებით. 1994-იდან ,,მარჯვანთან'' ერთად დამატების სახით გამოდიოდა ყოველთვიური გაზ. ,,ავიაცია და კოსმონავტიკა'', 1999–2004 კი – ყოველთვიური სამეცნ.-ტექ. ჟურნ. ,,აღმოჩენა-Discovery''.

2013 თბილ. საავიაციო ქ-ნას მიენიჭა ა. *ქართველიშვილის* სახელი. საწარმოში ამჟამად მიმდინარეობს მოიერიშე თვითმფრინავების სუ-25 წარმოება და მათი რემონტი. ქ-ნა დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით (1945).

ქ-ნის დირექტორები იყვნენ: ს. აგაჯანოვი (1941–42), ვ. სალაძე (1942–48), ი. *ხვედელიანი* (1948–78), ვ. *თორდია* (1978–91, 1998–2013 – გენ. დირექტორი), ა. ხოფერია (1991–98). 2013-იდან დირექტორია ნ. ბერიძე. *ვ. თოდრია.*

,,თბილგვირაბმშენი'' (შპს), სამშენებლო ორგანიზაცია. მეტრომშენებელთა მძლავრი სამმართველო ,,თბილმეტრომშენი'' შეიქმნა თბილისში 1951 მეტროპოლიტენის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით. 1959 ეწოდა თბილ. საგვირაბო მშენებლობის სამმართველო – ,,თბილგვირაბმშენი'', 1991-იდან – თბილ. მეტროპოლიტენის სამშ. ფირმა ,,თბილმეტრომშენი'', რ-იც 1995 სახაზინო საწარმოდ გადაკეთდა, ხოლო 1999 ჩამოყალიბდა როგორც შპს, რ-ის 100%-იანი წილის მფლობელი სახელმწიფოა. 2009-იდან დაუბრუნდა ძვ. სახელი შპს ,,თ.'' ,,თ-ს'' აქვს მძლავრი ინდუსტრიული და დამხმარე მეურნეობის ბაზა, რ-შიც შედის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: მატერ.-ტექ. მომარაგების ბაზა თავისი ინფრასტრუქტურით (რკინიგზის ჩიხი და სასაწყობო შენობა-ნაგებობები), მექანიზაციისა და ავტოსატრანსპორტო უბანი, მიწისზედა და მიწისქვეშა სამშ. უბანი, რ-ებიც ასრულებენ როგორც სპეციფ. მიწისქვეშა, ისე საერთო სამშ. და სამონტაჟო სამუშაოებს. ,,თ-მა'' ააშენა *თბილისის მეტროპოლიტენის* ორი ხაზი თავისი 22 სადგურით. მეტროპოლიტენის პირველი ხაზის 6 სადგურის მშენებლობა დამთავრდა 1966 წ. 11 იანვარს – გაიხსნა სადგურები: ,,დიდუბე'', ,,ელექტროდეპო'', ,,ოქტომბერი'', ,,ვაგზლის მოედანი-1'', ,,მარჯანიშვილის მოედანი'' და ,,რუსთაველის მოედანი''. 1967 მე-

ტრომშენებლებმა ჩააბარეს კიდევ 3 სადგური: ,,ლენინის მოედანი'', ,,26 კომისარი'' და ,,300 არაგველი'', 1971 – 2 სადგური: ,,ისანი'' და ,,სამგორი''; 1979 – 5 სადგური: ,,ვაგზლის მოედანი-2'', ,,წერეთლის გამზირი'', ,,პოლიტექნიკური ინსტიტუტი'', ,,კომკავშირელი'' და ,,დელისი''. 1985 გაიხსნა 3 სადგური: ,,ღრმაღელე'', ,,თემქა'', ,,ვარკეთილი'', 1989 – ორი სადგური: ,,გურამიშვილი'' და ,,ახმეტელის თეატრი''. 2000 მარტში გაიხსნა სადგური ,,ვაჟა-ფშაველა''. შენდება სადგური ,,უნივერსიტეტი'' (სიგრძე 2,4 *კმ*).

,,თ-მა'' თავისი საქმიანობის პერიოდში ააგო აგრეთვე სხვადასხვა დანიშნულების სტრატეგიული და რთული საინჟ. ნაგებობები როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ: 10,2 *კმ* სიგრძის 28 სარკინიგზო გვირაბი, აქედან ზესტაფონი–ჭიათურის რკინიგზის ხაზზე – 24 გვირაბი (7 *კმ*), მცხეთის (1,02 *კმ*), შორაპნის (1,71 *კმ*), მწვანე კონცხის (0,11 *კმ*) და ორდუბადის (სომხეთი, 0,37 *კმ*) გვირაბები; ასევე ავტოსაგზაო გვირაბები: რიკოთის (1,75 *კმ*) და როკის (3,74 *კმ*) ულელტეხილებზე; თბილისში – მეტეხის ორი გვირაბი (1,76 *კმ*), საქართვ. სამხ. გზაზე – 5 გვირაბი (1,2 *კმ*) და სხვ.; 8 ჰიდროტექ. გვირაბი (9,5 *კმ*), მ. შ.: მარტყოფის (0,8 *კმ*), ტირიფონის (1,74 *კმ*), ტაშისკარის (3,26 *კმ*), წებელდის (0,63 *კმ*), ლამისყანის (0,87 *კმ*), დებედის (2 *კმ*), ალგეთის (0,55 *კმ*), ნადარბაზევის (0,27 *კმ*) და სხვ.; ასევე მიწისქვეშა საცავის კომპლექსები – ღვინის (ყვარელი), ხილისა (სკრა) და ბოსტნეულის (ხელვაჩაური); განახორციელა უნიკალური მიწისქვეშა ნაგებობის – ახალი ათონის მღვიმის რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა, რისთვისაც 1977 ,,თ-ის'' მშენებელთა და მეცნიერ-მკვლევართა ჯგუფს (ვ. გოცირიძე, გ. ჯაყელი, გ. ციმინტია, ზ. ტატაშიძე, შ. ყიფიანი, ე. მამულია, ი. კოჟუხოვი, რ. რიჟინაშვილი და სხვ.) სსრკ სახელმწ. პრემია მიენიჭა. ,,თ-მა'' მაღალმთიან უღელტეხილზე (ცხრაწყარო) ააგო (ზ. ღ. 2454 *მ*) კოსმოსური სხივების ლაბორატორია, სადაც დამონტაჟდა მსოფლიოში უმძიმესი მაგნიტი (1100 *ტ*); ააშენა მეფრინველეობის ფ-კა სოფ. მეჯვრისხევში (ახლანდ. გორის მუნიციპალიტეტი), მეცხოველეობის ფერმები ალვანსა და წითელწყაროში (ახლანდ. დედოფლისწყარო), თბილ. მტკვრის სანაპიროს საყრდენი კედლები, საცხოვრ. და სოც.-კულტ. დანიშნულების ობიექტები, მოქმედ სარკინიგზო და საავტ. გზებზე ზვავსაწინააღმდეგო და სხვა დამცავი საინჟ. ნაგებობები, სტრატეგიული დანიშნულების სამოქალაქო თავდაცვის ობიექტები და სხვ.

,,თ.'' მონაწილეობდა აგრეთვე სხვა ქვეყნების ობიექტების დაპროექტებასა და მშენებლობაში: ქ. სამსუნის (თურქეთი) მეტროპოლიტენის წინასაპროექტო დოკუმენტაციის შედგენაში; მოსკ., ეკატერინბურგის, ბაქოსა და ერევნის მეტროპოლიტენის ობიექტების მშენებლობაში; მოსკოვში მანეჟის მოედანზე მიწისქვეშა სავაჭრო კომპლექსის მიერთების განხორციელებაში მეტროპოლიტენის მოქმედ ხაზთან. 1999–2000 ,,თ-მა'' მონაწილეობა მიიღო ყულევში 340000 *ტ* მოცულობის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადამტვირთავი საზღვაო ტერმინალის მშენებლობაში.

მეტროპოლიტენისა და სხვა ობიექტების მშენებლობისას დაინერგა მრავალი ტექ. სიახლე: მექან. ფარით დაწნეხილი მონოლითური ბეტონის გვირაბის სამაგრი; მოძრავი ტროტუარი (პირველად საბჭ. კავშირში); მიწისქვეშა აგრესიულ და თერმულ წყლებთან საბრძოლველად სულფატმედეგი ცემენტის ხსნარის ინიექცია; მთლიანსექციური გვირაბის სამაგრი; მექან. ფარით ბეტონის სამაგრის დაწნეხვა; გვირაბგამყვანი კომბაინი; ნაშხეფბეტონის დამტანი კომპლექსი; გრუნტების გაყინვისა და გრუნტის წყლების დონის ხელოვნურად დაწევის სპეც. მეთოდები; მეტროპოლიტენის მიწისქვეშა სადგურის მთლიანად გადახურვა რკინაბეტონის 21 *მ* მალიანი თაღით; სამეურნეო ანგარიშის მეთოდი – უბნის იჯარა (პირველად საბჭ. კავშირში); მშენებლობის ღირებულების გაანგარიშება კომპიუტერული ტექ. მეშვეობით (პირველად რესპუბლიკაში) და სხვ.

მეტრომშენებელთა პირველი ბირთვის წარმომადგენლები იყვნენ: გ. ბარაბაძე, ი. ბერიტაშვილი, ლ. ბექაია, ა. ბრეგვაძე, ვ. *გოცირიძე,* შ. დანელია, კ. კილაძე, ნ. კოშკაძე, კ. ლოლუა, ი. მაჭავარიანი, ო. მეხრიშვილი, გ. ნასიძე, შ. ნიჟარაძე, გ. რუხაძე, ბ. ფაჩულია, ი. ქედიშვილი, გ. ყიფიანი, ა. ყურაშვილი, ვ. შენგელია, ნ. ჩაჩხიანი, ს. ჭურაძე და სხვ.

ლიტ.: გ ვ ე ნ ე ტ ა ძ ე რ., ნ ა ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ლ., ,,თბილმეტრომშენი'' 50 წლისაა, თბ., 2001.

კ. კილაძე.

,,თბილელექტროაპარატი'' (საქციო საზოგადოება), ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმო. შეიქმნა 1995 საწარმოო გაერთიანების ,,ელექტროაპარატის'' რესტრუქტურიზაციის შედეგად. ელექტროტექ. მრეწვ. პირველი საწარმო ქ-ნა ,,ელექტროგამშვები'' 1955 დაარსდა, 1974 კი ჩამოყალიბდა როგორც საწარმოო გაერთიანება ,,ელექტროაპარატი'', რ-ის შემადგენლობაში შევიდა: თბილ. ქარხნები ,,ელექტროგამშვები'' (სათავო საწარმო), ,,პლასტმასი'', ,,ელექტროავტომატი'', კასპის ქ-ნა ,,ელექტროაპარატი'' და რუსთავის ,,ელექტროსამაგრების'' ქ-ნა. გაერთიანება იყო საქართვ. მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი და სტრატ. მნიშვნელობის საწარმო, რ-საც ეკისრებოდა ქვეყნის სამრეწვ. ობიექტებისა და მოსახლეობის უზრუნველყოფა დაბალი და მაღალი ძაბვის აპარატურით, ზოგიერთი ფართო მოხმარების საგნითა და პლასტიკური მასისაგან დამზადებული დეტალებით. პროდუქციის დიდი ნაწილი იგზავნებოდა საზღვარგარეთის 60-ზე მეტ ქვეყანაში.

ეტაპობრივი პრივატიზაციის (1995–99) შედეგად გაერთანებაში შემავალი საწარმოები დამოუკიდებელ სააქციო საზოგადოებებად ჩამოყალიბდა. ამჟამად ,,თ.'' შედგება ორი ქარხნისაგან (,,ელექტროგამშვები'' და ,,პლასტმასი''), რ-ებიც აღჭურვილია შესაბამისი ტექ. და მრავალი სახის ავტომ. და ნახევრად ავტომ. მაღალეფექტური მოწყობილობებით.

XX ს. 90-იან წლებში ქვეყანაში მიმდინარე ეკონ. და პოლიტ. პროცესებმა საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის მკვეთრი შემცირება გამოიწვია. ,,თ.'' ფლობს თითქმის ყველა ტექნოლოგიას სხვადასხვა სახეობის ნაწარმის დასამზადებლად.

თბილელი, თბილისის ეპარქიის საჭეთმპყრობელი – ეპისკოპოსი (შემდგომში – მიტროპოლიტი). V ს. მიწურულს თბილისს ეპისკოპოსი უკვე ჰყავდა, რისი დასტურიცაა 506 დვინის საეკლ. კრების მონაწილე ქართვ. ეპისკოპოსთა შორის ნახსენები ,,საჰაკ ეპისკოპოსი ტფილისისა'' (,,ეპისტოლეთა წიგნი''). VII ს. დამდეგს, ქართ. და სომხ. ეკლესიებს შორის მომხდარი

განხეთქილების დროს, ქართლის კათოლიკოსის კირიონის გვერდით ეპისტოლეთა წიგნში ხშირად იხსენიება პეტრე ეპისკოპოსი, რ-იც, ზ. *ალექსიძის* ვარაუდით, თბილ. ეპისკოპოსი უნდა იყოს. ამის შემდეგ, VII–XII სს., ჩვენამდე მოღწეული ქართ. და უცხოენოვანი საერო თუ საეკლ. ლიტ-რა თბილ. ეპისკოპოსის შესახებ არავითარ ცნობას არ გვაწვდის, რაც, სავარაუდოდ, განპირობებულია საისტ. ცნობების სიმწირითა და თბილისში მაჰმადიანთა 400-წლიანი ბატონობით. 1259 შედგენილ რკონის სიგელში დასახელებულ მოწმეთა შორის მოხსენიებულია: ,,...მდაბალი გრიგოლ ტფილელი‘‘; ასევე 1250–60 შედგენილ შიომღვიმის სიგელში მოწმეთა შორის გვხვდება ,,იოანე თფილელი‘‘. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ქალაქის ეპისკოპოსი თ-ის სახელით იხსენიება.

საქართვ. საეკლ. იერარქიის თვალსაზრისით, მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის XIII ს. ,,განგება დარბაზობისა‘‘. ძეგლში აღწერილია სას. პირთა უფროსუმცროსობისა და ხარისხის მიხედვით დაჯდომის წესი: ,,რაჟამს იკურთხოს მეფე და დაჯდეს ტახტსა ზედა, ეფისკოპოსნი ამ წესით დასხდენ: 1. ბრძანოს ქართლის კათალიკოზმან და მარჯუნით მეფისა, ტახტსა ზედა მოკიდებით, ნატით და ბალიშითა... 29. შემოვიდეს ტფილელი და დაჯდეს ხარჭაშნელის ქუემოთ‘‘. გარდა იმისა, რომ მოყვანილ ძეგლში თ. სიით ოცდამეცხრეა, მას ჯდომისას არ ეკუთვნის სამღვდელო პირთა პრივილეგირებული მდგომარეობის გამომხატველი არც ნატი და არც ბალიში. თ-ის ასეთი ,,დამცრობა‘‘, რასაკვირველია, იმ ისტ. სინამდვილის ასახვაა, რაც თბილისმა განიცადა საუკუნეების განმავლობაში, კერძოდ, კი მის მიერ დედაქალაქის სტატუსის დაკარგვა. XIII ს. წერილობით ძეგლში ქალაქის ეპისკოპოსის ზედწოდებით მოხსენიება სულაც არ ნიშნავს, რომ მანამდე, თუნდაც XII ს-ში, ასეთი ზედწოდება არ არსებობდა.

იყო შემთხვევები, როცა თ. კათოლიკოსს შეურისხავს. 1427–35 ,,ერთგულების წიგნი‘‘ გვაუწყებს: ,,...ესე წიგნი გკადრეთ... თქუენ, წმიდასა მეუფეს... ქართლისა კათალიკოზსა თეოდორეს მე, მანგლელ თბილელ მთავარებისკოპოზმან იოანე, მას ჟამსა, ოდეს გამიწყერ და ომფორი წამიღე და მერმე კიდევე მიბოძე...‘‘. დამოწმებული საბუთიდან არ ჩანს, თუ რამ გამოიწვია კათოლიკოსის გულისწყრომა, რ-საც იოანესათვის ჩამოურთმევია ეპისკოპოსის ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგალია – ომფორი (ეპისკოპოსთა მხართმოსახვევი). ომფორის ჩამორთმევა კი ეპისკოპოსის თანამდებობიდან გადაყენების ტოლფასი იყო. აღსანიშნავია, რომ თუ ზოგადად ეპისკოპოსს საეკლ. კრება ანდა კათოლიკოსი ირჩევდა და ნიშნავდა, თბილელობის მოშლა და ბოძება მეფის უფლებებში შედიოდა, ვინაიდან თ. იყო სამეფო ქალაქის ეპისკოპოსი. ამავე დროს წყაროები ადასტურებენ, რომ ქართლის სამეფოს კანონმდებლობით, თ. სადედოფლო მოხელედ ითვლებოდა. 1634 მარიამ დედოფლისაგან თ-ისადმი ბოძებული წყალობის წიგნის თანახმად, მარიამ დედოფალმა ,,თბილელი და სათბილელო ყმა‘‘ გაათავისუფლა, თუმცა თ. მაინც დედოფლის უფლებამოსილებაში დარჩა, ვინაიდან ,,დასტურლამალი სადედოფლო‘‘ გვაუწყებს, რომ ,,ძველთაგან სადედოფლო და აწ მეფის გიორგისაგან დამტკიცებული ეპისკოპოსი ტფილელი – თავის საეპისკოპოსოთი, აზნაურიშვილი, მსახური, მათის მამული‘‘ სადედოფლო იყო. ძეგლში მოხსენიებული მეფე არის *გიორგი XI*. მარიამ დედოფალს ეკუთვნოდა ,,სადედოფლო დასტურლამალი‘‘, რ-იც როსტომ მეფეს შეუდგენია, შემდეგ კი ვახტანგ V-ს ,,განუახლებია‘‘ და დაუმტკიცებია.

1701 საბუთში საუბარია კათოლიკოს *ევდემოზ II-სა* და თბილელ მიტროპოლიტ დომენტის შორის ქალაქის სამწყსოზე უფლება-მოვალეობების გამიჯვნის თაობაზე. ქალაქი თ-ის სამწყსოა, სხვას ხელი არ მიუწვდებოდა მომსახურებასა და მათ საწირავზე. ის კი: ,,ვინც მოქალაქე ალობერში დასახლდეს თფილელის მამათ-მთავარს ჴელი აღარა აქვს და ვინც ალობერი ქალაქში დასახლდეს იმისი დრამა და საკანონო თბილელის მამათ მთავარმა მოიკითხოს‘‘. ციტატაში მოხსენიებული ალობერი ავლაბარს ნიშნავს, ხოლო ავლაბარი კათოლიკოსის მამული იყო და იქ თ-ის ხელისუფლება არ ვრცელდებოდა, შემდგომში ეს შეთანხმება ან ირღვეოდა, ანდა ხდებოდა მისი განახლება ახალარჩეულ კათოლიკოსსა და თ-ს შორის. თ-ს (სიონის ეპისკოპოსი), რ-იც ეკლესიის დაარსებიდან საყდრის მამულის, მისი უძრავ-მოძრავი ქონების გამგებელი და განმკარგავი იყო, შეეძლო ტაძრის კუთვნილი ნებისმიერი ნივთი, მიწის ნაკვეთი თუ სხვა რამ საჭიროების შემთხვევაში გაეყიდა, დაეგირავებინა და ა. შ. ასევე, თ-ის (ეპისკოპოსი) ნება-სურვილისა და თანხმობის გარეშე არავის შეეძლო ეკლესიის კუთვნილი ქონების ხელყოფა.

სიონის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია დიდძალი მოძრავი და უძრავი ქონების მფლობელი იყო როგორც ქალაქში, ისე მის ფარგლებს გარეთ. თბილისსა და მის გარეთუბანში თ-ის კუთვნილი ქონებიდან აღსანიშნავია აბანო, ბაღი, ქარვასლა და სხვ. მეფის ქარვასლა XVII ს. ბოლოს გადავიდა სიონის ღვთისმშობლის საყდრის მფლობელობაში და ამიერიდან მას თ-ის ქარვასლას ეძახდნენ. ვახუშტის 1735 გეგმაზე № 12-ით დატანილია თ-ის ქარვასლა. იგი სიონის სამხრ-ით იდგა. მისი ბაღი მდებარეობდა გარეთუბანში, სოლოლაკში. ვახუშტის იგი აღნიშნული აქვს № 42-ით ,,სალალაკის წყლის‘‘ და ,,კოჯრის გზის‘‘ მარცხ. მხარეს, ,,მეფის დიდი ბაღის‘‘ (№ 39) დას-ით. ,,ბატონის ბაღის წყლის გარიგებაში‘‘ წერია, რომ წყალმა ,,... ორშაბათსა და სამშაბათსა დღე და ღამე თბილელისა და ქალაქის ბაღებისათვის უნდა იდინოს‘‘.


ჩვენამდე მოღწეული წერილობითი წყაროების მიხედვით, XV ს. 20–30-იანი წლებიდან თ-ის წოდებას ემატება ,,მანგლელი‘‘ და ქალაქის ეპისკოპოსი მოიხსენიება როგორც ,,მანგლელ-ტფილელი‘‘. ასეთებია: იოანე II მანგლელ-ტფილელი (1413–22), გრიგოლ II მანგლელ-ტფილელი (1442), ბართლომე ტფილელ-მანგლელი (1444), იოანე III მანგლელ-ტფილელი (1462), იოანე IV ტფილელ-მანგლელი (1518). საინტერესოა, რომ პ. იოსელიანი თბილ. ეპისკოპოს ანტონ თულასძეს მოიხსენიებს როგორც ,,მანგლელ-ყოფილს‘‘. ასევე 1727 სიგელში მოხსენიებულია ,,ტფილელ-ბოლნელი მიტროპოლიტი‘‘ დომენტი. დროდადრო მანგლისისა და თბილ. ეპარქიები ერთ სამწყსოდ ერთიანდებოდა გარეშე მტერთა გამანადგურებელი შემოსევების გამო, რასაც მანგლელის ეპარქიის გაუქმება და დაცლა უნდა მოჰყოლოდა. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ,,თბილელ-ბოლნელის‘‘ სამწყსოსთან დაკავშირებით. თუმცა ამის მიზეზი სულ სხვა რამ შეი-

ძლება ყოფილიყო, რაც ამჟამად უცნობია. თბილ. და მანგლისის სამწყსოების განცალკევების დროს იწყებოდა მ-ისა და მანგლელის თავთავიანთ სამწყსოებზე უფლება-მოვალეობების გარკვევა. 1706 საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქმა *დომენტი IV-მ* საგანგებოდ მოიწვია ეკლესიის საკრებულო, რათა გაერკვიათ მ-სა და მანგლელს შორის წამოჭრილი სადავო საკითხი ,,მანგლელისა და ტფილელის სამწყსოს დარბაისლის ნიშანზედ და საწირავზედ...''. საეკლ. კრებას დაუდგენია, რომ თუ გარდაცვლილი დიდგვარიანი თბილისელი იყო და იგი მანგლელის სამწყსოს საყდარში ანდა მის სამწყსოში დაიმარხებოდა, ნიშანი, მიცვალებულის ნაქონი რაიმე პირადი ნივთი – იარაღი, სამოსელი, ცხენი და მისი აკაზმულობა მ-ს ერგებოდა, ხოლო გარდასახურავი, ქვეშაგები, აბრამის ტაბლა მანგლელისა იყო და – პირიქით. XVII ს. მეორე ნახევარში, ქართლის მეფის *ერეკლე I-ის* დროს, ქალაქის ეპისკოპოსს უწოდეს მიტროპოლიტი. ეს წოდება პირველად მიიღო დომენტი მ-მა. დომენტის შემდეგ მისი მომდევნო ყველა მ. მიტროპოლიტის წოდებას ატარებდა.

1802 აპრილში თბილისში შეკრებილმა აღმ. მღვდელმთავრებმა თხოვნით მიმართეს რუს. ხელმწიფეს, რათა ქართლ-კახეთის სამღვდელოებას შენარჩუნებოდა არსებული პატივი და წესი, ამასთანავე მიეღოთ იმპერატორისაგან პატივი და დაცვა.

თხოვნას ქართლ-კახეთის მღვდელმთავრებთან ერთად ხელს აწერს ,,მდაბალი მიტროპოლიტი ტფილისისა და ეფისკოპოზი მანგლისისა და ბოლნისისა ბაგრატოვანი არსენი'' (სცსია, ფ. 1448, საქ. № 9200). არსენ მ. ხელმომწერთა შორის რიგით მერვეა. აღნიშნულ თხოვნაზე რუს. მონარქის პასუხი ის იყო, რომ არსენ მ. 1810 ,,მოკვეთილ'' იქნა სიონის კათედრიდან და რუსეთში გაამწესეს, სადაც 1812 გარდაიცვალა. არსენ მიტროპოლიტი უკანასკნელი მ. იყო. მას შემდეგ თბილელობა მოისპო. 1811 რუს. ხელმწიფემ ქართ. ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა და იგი რუს. სინოდს დაუქვემდებარა. თბილისში რუს. ეკლესიის მოხელე – ეგზარქოსი დაჯდა. სიონის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი საეგზარქოსო საყდარი გახდა. რუს. ხელისუფლებამ ქართ. ეკლესიის ქონება, მათ შორის მ-ისაც, ხაზინას გადასცა.

ქალაქის ეპისკოპოსის ზედწოდებად ,,თბილელის'' დაწესების ზუსტი მიზეზის დასახელება ამჟამად ჭირს. საფიქრებელია, რომ მას პოლიტ.-ადმ. დატვირთვა უნდა ჰქონოდა. მეფის კურთხევის ცერემონიალში მონაწილეობას იღებდა ამა თუ იმ დროს მოქმედი ყველა ეპარქიის მღვდელმთავარი თავიანთი ჯდომის წესითა და რიგით, რაც საეკლ. იერარქიაში ეპისკოპოსის უფროს-უმცროსობას გამოხატავდა. თბილელობას ეკონ. დატვირთვაც უნდა ჰქონოდა, სიონის ეკლესია დიდ უძრავ-მოძრავ ქონებას ფლობდა, ყველაფერი ეს ცნობილი იყო როგორც სათბილელო მამული. წოდება მ.



მ. თ ბ ი ლ ე ლ ი. კეკელა, სცენა სპექტაკლიდან ,,ძველი ვოდევილები''.

ეპისკოპოსის სადაურობას განსაზღვრავდა. ამჟამად სრულიად საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსიც არის.

წყარო: დასტურლამალი, წგ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., თბ., 1970; დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI–XIX სს.), წგ. 1, შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძნიშვილმა, თბ., 1962;



მ. თ ბ ი ლ ე ლ ი. ალისა, კადრი ფილმიდან ,,თოჯინები იცინიან''. 1963.

ეპისტოლეთა წიგნი. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, ზ. ალექსიძის გამოც., თბ., 1968; ჟ ო რ დ ა ნ ი ა თ., ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. 2, თბ., 1965, ტ. 3, თბ., 1970; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წგ. 2, შედგ. თ. ჟორდანიას მიერ, ტფ., 1897; ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ა., გუჯრები, ტფ., 1891.

ლიტ.: И о с е л и а н и П. И., Описание древностей города Тифлиса, Тфл., 1866. *თ. ბერიძე.*

მაბილელი მარინე სტანისლავის ასული (25. X. 1920, ქ. თელავი, – 24. III. 2002, თბილისი), მსახიობი, საქართვ. სახ. არტისტი (1966). 1940 დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტი და იმავე წელს ჩაირიცხა თბილ. რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის დასში. 1946-იდან კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის მსახიობი იყო. 1974-იდან კვლავ რუსთაველის თეატრშია. გამოირჩეოდა ჭეშმარიტი არტისტიზმით, სცენური მომხიბვლელობით, მუსიკალობით, პლასტიკურობითა და გარდასახვის უნარით. როლები: თეკლა ბატონიშვილი (ს. შანშიაშვილის „კრწანისის გმირები''), ფლორელა (ლოპე დე ვეგას „ცეკვის მასწავლებელი''), ლარისა (ნ. ოსტროვსკის „უმზითვო''), მარია ანტონოვნა (ნ. გოგოლის „რევიზორი''), კეკელა („ძველი ვოდევილები''), დარეჯანი (ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის?!'' მიხედვით), ნათელა (ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე''), მილენინა (ა. გელმანის „დასაწყისი''), იორკის მთავრის მეუღლე (უ. შექსპირის „რიჩარდ III'') და სხვ. 1955-იდან მოღვაწეობდა კინოშიც. მაღალი პროფ. კულტურა, ფაქიზი ირონია მის ეკრანულ სახეებს განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებდა. როლები: ბუბუსია („აბეზარა'', 1955), ფატმანი (,,ბაში-აჩუკი'', 1956), მართა (,,ქალის ტვირთი'', 1957), ალისა (,,თოჯინები იცინიან'', 1963), თაშნაურა („ჩირიკი და ჩიკოტელა'', 1972) და სხვ. მ-მა საინტერესო სახეები შექმნა სომხურ ფილმებში: როზალია („პატიოსნებისათვის'', 1955, ერევნის კინოსტუდია), გოჰარი (,,დედის გული'', 1958), ზარუი (,,თორმეტი თანამგზავრი'', 1962) და სხვ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999) და სხვა სახელმწ. ჯილდოებით.



მ. თბილელი.

ლიტ.: გ ე გ ი ა მ., მარინე თბილელი, თბ., 1974.

თბილელი ბერები, შუა საუკუნეების თბილისის საქალაქო თვითმმართველობის წარმომადგენლები. ,,ტფილელნი ბერნი'' და ,,ქალაქის ბერნი'' მოხსენიებული არიან ,,მატიანე ქართლისაში'' XI ს. 40-იანი წწ. მოვლენებთან დაკავშირებით. ამ ტერმინის შესატყვისი უნდა იყოს ,,ქალაქის თავადნი'', ,,ქალაქის თავკაცნი'', ,,ქალაქის უხუცესნი''. ვარაუდობენ, რომ თ. ბ-ის ინ-ტი არაბთა ბატონობის დროს გაჩნდა *თბილისის საამიროში*. თ. ბ-ს ირჩევდნენ მოქალაქეთა ზედაფენიდან. ისინი ამ ფენის წარმომადგენლები და ინტერესების დამცველნი იყვნენ თბილ. ამირას კარზე, ამდენად მათი ხელისუფლება ქალაქის თვითმმართველობის ორგანოს წარმოადგენდა. თ. ბ. ხშირად უპირისპირდებოდნენ თბილ. ამირებს, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ისინი ამირათა ხელისუფლების დასუსტების პერიოდში.

XI ს. 80-იანი წლებიდან (ჯაფარიან ამირათა გადაშენების შემდეგ) 1122-მდე (თბილ. გაერთ. საქართველოს სამეფოსთან შეერთებამდე) თ. ბ. თბილ. სრულუფლებიანი გამგებლები გახდნენ. ამ პერიოდში, შ. *მესხიას* აზრით, თბილისში საქალაქო კომუნა (,,ქალაქის საბჭო'') არსებობდა.

არაბი ისტორიკოსი ალ-*ფარიკი* XII ს. დამდეგს თბილისზე წერდა: ,,თბილისის ხალხმა ნეჯმ ად-დინ ილ-ღაზისთან კაცი გაგზავნა და სთხოვა ჩაებარებინა თბილისი, რომელიც ორმოც წელს, დაახლოებით, თვით ხალხის ხელში იყო... თითო თვე თითოეული ამ ხალხიდან იღებდა ხელში გამგებლობას და ასე გაატარეს ორმოცი წელიწადი''.

დავით აღმაშენებელმა, აიღო რა თბილისი (1122), იგი სამეფო ხელისუფლებას დაუმორჩილა და, ცხადია, ძლიერ შეზღუდა მოქალაქეთა წარმომადგენლობის ხელისუფლება, თუმცა თ. ბ-ის ხელისუფლება თბილ. შემოერთების შემდეგაც არსებობდა, მაგრამ არა წინანდელი უფლებებით.

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი გ., თბილისის მმართველობა X–XI საუკუნეებში, «თსუ შრომები», 1964, ტ. 108; თბილისის ისტორია, ტ. 1, თბ., 1990; მ ე ს ხ ი ა შ., საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962.

მ. ლორთქიფანიძე.

,,თბილთამბაქო'' (სააქციო საზოგადოება), თამბაქოს ფაბრიკა თბილისში. 1972 შეიქმნა საწარმოო გაერთიანება ,,თბილთამბაქო'', რ-შიც შევიდა თამბაქოს მრეწველობის უძველესი საწარმოები – თბილისის №1 (1852) და №2 (სათავო საწარმო, 1903) თამბაქოს ფ-კები. 1994 გაერთიანებაში შემავალი №2 ფ-კის ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბა ,,თ.'' საწარმო თავდაპირველად უშვებდა პაპიროსსა და დაჭრილ თამბაქოს, ხოლო შემდეგ – უფილტრო (,,პრიმა'', ,,კურორტი'' და სხვ.) და ფილტრიან (,,კოსმოსი'', ,,კოლხეთი'', ,,ივერია'' და სხვ.) სიგარეტებს. 1974 ქ. პლოვდივის (ბულგარეთი) საერთაშ. გამოფენაზე ფ-კის პროდუქციას – ფილტრიან სიგარეტ ,,საქართველოს'' ოქროს მედალი მიენიჭა. 2003-იდან საწარმო აღარ მუშაობს.

თბილისა, ხეობის მყინვარი ონის მუნიციპალიტეტში, რაჭის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, მდ. ჭანჭახის აუზში. სიგრძე 3,09 *კმ*, ფართ. 2,30 *კმ*². მყინვარის ენა ეშვება 2815 *მ*-მდე. მყინვარიდან გამოედინება მდ. თბილისასწყალი (ჭანჭახის მარჯვ. შენაკადი).

თბილისასწვერი, მთა ონის მუნიციპალიტეტში, რაჭის კავკასიონზე, მდ. ბუბის (ჭანჭახის მარჯვ. შენაკადი) სათავეებთან. სიმაღლე 4429 *მ*. აგებულია პალეოზოური გრანიტოიდებით, რელიეფი მკვეთრად დანაწევრებულია, ახასიათებს თანამედროვე გამყინვარება.

ს. ნემანიშვილი.

,,თბილისელი'', საქართველოს კულტურის ფონდთან არსებული საქველმოქმედო საზოგადოება. ჩამოყალიბდა 1989 წ. 14 ივლისს დამფუძნებელ ყრილობაზე. საზ-ბა დალოცა საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ – საზ-ბის საპატიო პრეზიდენტმა. შეიქმნა დ. ციციშვილის თაოსნობით, რ-იც 1996-მდე თავად იყო საზ-ბის პრეზიდენტი.

,,თ.'' ინიციატივით კოჯრის მისადგომებთან აღიმართა 1921 წ. თებერვალში დაღუპულ სამშობლოს დამცველთა ხსოვნის მემორიალი; დაისტამბა წიგნები: ,,25 თებერვლის შემდეგ'' და ,,იუნკრები''; გარემონტდა თბილ. ა. წერეთლის სახ. ბ-კა; გასუფთავდა და მოწესრიგდა გერმ. ტყვეთა მიტოვებული სასაფლაო. დაწესდა დ. სარაჯიშვილის სახ. სტიპენდია და პრემია. საზ-ბის სტიპენდიანტები იყვნენ საერთაშ. კონკურსების მომავალი გამარჯვებულები: ე. *ბოლქვაძე*, ა. *კორსანტია*, თ. ომანიძე და სხვ. საქართვ. ხელოვნ. მუზეუმს საჩუქრად გადაეცა ღ. გუდიაშვილის ნახატი, საჯარო ბ-კას კი – შემოწირული, უნიკალური, რარიტეტული გამოცემები. საქართველოსათვის ყველაზე მძიმე დღეებში ,,თ-მა'' მოსახლეობის შემოწირულობებით დიდი შემწეობა აღმოუჩინა სოხუმში მებრძოლ ჯარისკაცებს და დაჭრილ მეომრებს. ,,თ-ის'' ქალთა საკრებულოს თაოსნობით შეიქმნა ,,ოქროს ფონდი'' (შემოწირული ოქროს ნივთები საქართვ. სახელმწ. მუზეუმშია დაცული). საზ-ბამ არაერთგზის გაუწია დახმარება ჯავახეთის ქართ. სკოლების ბავშვებს, გალის რ-ნიდან ლტოლვილებს.

1997 ,,თ-ის'' II ყრილობაზე საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის წინადადებით საზ-ბის პრეზიდენტად აირჩიეს თბილ. საპატიო მოქალაქე, პოეტი ჯ. *ჩარკვიანი*. საზ-ბამ ამ სახით იარსება 2007-მდე.

2013 წ. 3 სექტემბერს საზ-ბა ,,თ.'' დაფუძნდა თავიდან ახ. წესდებით. საზ-ბის გამგეობის თავრეა ი. მეძმარიაშვილი. ,,თ-ის'' მიზანია ხელისუფლებას და მოსახლეობას შესთავაზოს არსებული მწვავე პრობლემების გადაჭრის გზები, ჩაერთოს დედაქალაქის განვითარების პროცესში.

თბილისზე გამავალი სავაჭრო გზები, თბილისზე გადიოდა ის საგზაო მაგისტრალები, რ-ებიც, *სტრაბონის* ცნობით, ქართლის სამეფოს ძველ დედაქალაქს – მცხეთას – ალბანეთსა და სომხეთთან აკავშირებდა; ასევე *აბრეშუმის დიდი გზის* ერთი განშტოება, რ-ითაც ჩინური და შუააზიური აბრეშუმი შავი და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში გაჰქონდათ. ეს გზები რომ თბილისზე გადიოდა, ამას მოწმობს აგრეთვე ახ. წ. IV ს-ში შედგენილ *კასტორიუსის რუკაზე* ახლანდ. თბილ. ადგილას სადგურ „ფილადოს" (ტფილადო – ს. ერემიანი, ნ. ლომოური) აღნიშვნა. კასტორიუსის რუკაზე ახ. წ. I ს. მდგომარეობაა ასახული, ხოლო სტრაბონისა და ზოგიერთი სხვა ავტორის ცნობა ამ გზათა შესახებ ძვ. წ. IV–III სს. მიჯნაზე სამხრ. კასპიისპირეთის გამგებლის, სელევკე I-ის (ძვ. წ. 312–281/280) თანამედროვის – პატროკლეს

შინაარსი:

I. ზოგადი ცნობები. ქალაქის მმართველობა. ბუნება. მოსახლეობა..... 495
II. ისტორია..... 502
III. აღმსარებლობა 515
IV. არქიტექტურა.. 519
V. ეკონომიკა..... 528
VI. განათლება და მეცნიერება 532
VII. კულტურა 536
VIII. მედიცინა 544
IX. ფიზიკური კულტურა და სპორტი... 545

ჩანაწერებიდან მომდინარეობს. სელევკე I-ს სურდა შავი და კასპიის ზღვები არხით დაეკავშირებინა, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ამიერკავკ. ქვეყნებზე გამავალ დიდ სავაჭრო გზას ძვ. წ. III ს. დამდეგისათვის დიდი გამოყენება ჰქონდა და „ტფილადო“ – თბილისი ამ გზაზე მდებარე ერთ-ერთი სადგური იყო. მას შემდეგ, რაც თბილისი ქართლის სამეფოს დედაქალაქი გახდა, დასახელებულმა სავაჭრო გზებმა თბილისისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. სავაჭრო ოპერაციებში



თბილისის საერთო ხედი.

თბილისელი მოქალაქეებიც რომ ინტენსიურად მონაწილეობდნენ, ამას მოწმობს 628 თურქთა დას. სახაკანოს ჯარების მიერ თბილისიდან აურაცხელი სიმდიდრის გატანა.

ლიტ.: გოილაძე ვ., აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო, თბ., 1997; ლომოური ნ., ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, «ისტორიის ინ-ტის შრომები», 1958, ტ. 4, ნაკვ. 1. *ვ. გოილაძე.*

თბილისი (1936-მდე – ტფილისი)

I. ზოგადი ცნობები. ქალაქის მმართველობა. ბუნება. მოსახლეობა.

ზოგადი ცნობები. თ., საქართველოს დედაქალაქი. ქვეყნის პოლიტ.-ადმინისტრაციული, ეკონომიკური, კულტ.-საგანმან. და სამეცნ. ცენტრი, საქართვ. პრეზიდენტის, მთავრობისა და აღმასრ. ხელისუფლების სხვა ორგანოების, საქართვ. უზენაესი სასამართლოს, სხვა სახელმწ. დაწესებულებების ადგილსამყოფელი.

ქალაქის მმართველობა. ქალაქის მართვა ხორციელდება თვითმმართველობის პრინციპის საფუძველზე. ადგილ. თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, თ. არის მუნიციპალიტეტი – თვითმმართველი ქალაქი, რ-იც სარგებლობს საჯარო სამართლის იურიდ. პირის სტატუსით. თ-ის მუნიციპალიტეტს კოდექსით მინიჭებული აქვს არსებითად სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსი უფლებამოსილებები და ფინანს. და ქონებრივი გარანტიები (იხ. *თვითმმართველობა*).

თ-ში თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და აღმასრ. ორგანოთა სისტემის – მერიის მეშვეობით. მერია აერთიანებს ქალაქის მერს, ქალაქის მთავრობას, მერიის სტრუქტურულ ერთეულებს და ქალაქის რაიონების გამგეობებს. მერი არის მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი და უმაღლესი



თბილისის დროშა.



თბილისის გერბი.



თბილისის სიმბოლური გასაღები.



თბილისის საკრებულო.





თბილისის მერია.

აღმასრ. ორგანო. მერი თავმჯდომარეობს ქალაქის მთავრობას, რომლის შემადგენლობაში შედიან მერის მოადგილეები, საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელები და რაიონების გამგებლები. საკრებულოს და მერს ირჩევენ საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით. საკრებულოს შემადგენლობაში შედის პროპორციული და მაჟორიტარული წესით არჩეული 25–25 დეპუტატი.

ადმინისტრაციულად თ. დაყოფილია 10 რაიონად: გლდანის, დიდუბის, ვაკის, ისნის, კრწანისის, მთაწმინდის, ნაძალადევის, საბურთალოს, სამგორისა და ჩუღურეთის. თ-ის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეულია მის შემოგარენში მდებარე რამდენიმე ათეული სოფელი.

თ-ს აქვს გერბი, დროშა და სხვა სიმბოლოები. იგი უცხოეთის მრავალ ქალაქთან დაკავშირებულია მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით. 1979 დაწესდა თ-ის საპატიო მოქალაქის წოდება. *ი. კობახიძე.*

ბუნება. თ. მდებარეობს აღმ. საქართველოში, *მტკვრის* ორივე მხარეს, *თბილისის ქვაბულში,* ზ. დ. 380–750 *მ* სიმაღლეზე, ჩრდ. განედის 41°41′ და აღმ. გრძედის 44°47′-ზე. ქალაქს აღმ-ით, სამხრ-ით და ნაწილობრივ დას-ით ესაზღვრება გარდაბნის მუნიციპალიტეტი, ჩრდ-ით და დას-ით – მცხეთის მუნიციპალიტეტი. ფართ. 505 *კმ*². აქედან განაშენიანებულია ტერიტ. დაახლ. 40%. მოსახლ. 1081,7 ათ. კაცი (საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგების მიხედვით).

თ-ს საკვანძო ადგილი უჭირავს საქართვ. ერთმანეთისაგან განსხვავებულ ლანდშაფტურ რეგიონებს შორის. აქ თავს იყრის დიდი ფიზ.-გეოგრ. ერთეულები: *თრიალეთის ქედი,* შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის ვაკეები, ივრის სტეპური ზეგანი და სხვ. ქალაქს ჩრდ-ით ესაზღვრება *საგურამოს ქედის* სამხრ. მთისწინეთი, აღმ-ით – *ივრის ზეგნის* ჩრდ.-დას. მონაკვეთი, დას-ით და სამხრ-ით – თრიალეთის ქედის განშტოებები. ვრცელია თ-ის მიდამოების საზღვრები. იგი მოიცავს თ-ის ქვაბულს და მის ფარგლებსაც შორდება. საზღვარი ჩრდ-ით გაუყვება საწკეპელას, არმაზისა და საგურამოს ქედებს, აღმ-ით – მდ-ების საცხენისისა და *ლოჭინის* ხეობებს, სამხრ-ით – თელეთისა და კოჯრის ქედებს, დას-ით გადაკვეთს მდ. *ვერეს* და უერთდება *საწკეპელას ქედს.*

თ-ს ჩრდ.-დას-იდან სამხრ.-აღმ-კენ კვეთს მდ. მტკვარი, რ-ის ხეობის გამომუშავებაში უდიდესი როლი შეასრულა ეროზიულ-დენუდაციურმა პროცესებმა. მათი კვალი კარგადაა აღბეჭდილი *მტკვრის ტერასების* სახით. რელიეფში ნათლადაა გამოხატული მდინარის მარჯვ. და მარცხ. მხარეებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებანი. მარჯვ. მხარე უფრო მაღლა მდებარეობს, უმეტესად მთაგორიანია; რელიეფი ძირითადად წარმოდგენილია თრიალეთის ქედის ანტიკლინური განშტოებებით და მათ შორის მოქცეული სინკლინური ხევებითა და ხეობებით. რელიეფი უფრო ციცაბოა, ძლიერ არის დაღარული მდინარეთა ხეობებითა და ხრამებით. მარცხ. მხარეს შედარებით დაბალი მდებარეობა აქვს, რელიეფი უფრო ნაზია, უმეტესად დანაწევრებულია მცირე სიღრმის ხევებითა და ხრამებით.

თ-ის სამხრ. საზღვარზეა *თელეთის ქედი.* მასზე აღმართული მთებიდან თავისი მოხდენილი მდებარეობით გამოირჩევა *შავნაბადა* (825 *მ*), რ-იც ზემოდან დაჰყურებს კუმის-წალასყურის ვაკეს და ქედის სამხრ. ფერდობზე შეფენილ სოფლებს. დას-ით თელეთის ქედის გაგრძელებაა *კოჯრის ქედი,* რ-ის სამხრ. კალთაზე აღმართულია მწვ. *აზეულა* (1351 *მ*). თ-ის სამხრ. ნაწილშია ფონიჭალის (სოღანლუღის) ვაკე და სოფ. *ფონიჭალა.*

თელეთის ქედის ჩრდ-ით მდებარეობს *კრწანისის ვაკე.* თავისი აღმ. დაბოლოებით თ-ის ფარგლებში შემოდის და თითქმის მტკვრის ნაპირამდე აღწევს მდების *წავკისისწყლისა* და *კრწანისისხევის* წყალგამყოფი *თაბორის ქედი.* რელიეფის საინტერესო ფორმაა სოლოლაკის ქედი, რ-იც დას. ბოლოთი *მთაწმინდის ქედს* უკავშირდება, ხოლო აღმ. ფლატოვანი ფერდობით ებჯინება მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირს. მთაწმინდის ქედის სამხრ.-დას. ნაწილში



მდინარე მტკვარი.



კუს ტბა.

აღმართულია *უძო* (1419 *მ*), ჩრდ. კალთაზეა *კუს ტბა.* ქედის სამხრ. ფერდობი თანდათან გადადის წავკის-ოქროყანის დაბრილ და დახრამულ ვაკეში. მთაწმინდის ქედის ჩრდ-ით მდებარეობს ვერის ხეობა, რ-ის მარცხ. ნაპირს გაუყვება ნაციხრისსერი. ვერის ხეობის მარჯვ. მხარეს გაშენებულია თ-ის უბნები – ვაკე და ბაგები, მარცხ. მხარესაა ახალგაზრდა დანალექებით დაფარული საბურთალოს ვაკე, რ-იც დას-ით დელისის ვაკით მთავრდება. დელისს ჩრდ-ით საზღვრავს უზუმბარის სერი, რ-ის კალთები განაშენიანებულია (ე. წ. ნუცუბიძის პლატო).

მტკვრის მარჯვ. მხარეს აღმართულია მდ-ების ვერისა და *დიღმისწყლის* წყალგამყოფის, *მსხალდიდის ქედის* აღმ. მონაკვეთი – *ლისის ქედი,* რ-ის ჩადაბლებულ ნაწილზე, ტაფობში, მდებარეობს *ლისის ტბა.* ტაფობის ჩრდ-ით, მდ. დიღმისწყლის მარჯვ. მხარეს, ვაშლიჯვრის დასახლებაა, მარცხ. მხარეს გაშლილია დიღმის ვაკე; მის გაგრძელებას მტკვრის მარცხ. სანაპიროზე წარმოადგენს დიდუბის ვაკე.

განსხვავებული რელიეფია მტკვრის მარცხ. მხარეს. აქ ერთადერთი მთიანი ადგილია საგურამოს ქედი, უმეტესი ნაწილი კი უჭირავს ივრის ზეგნის ჩრდ.-დას. მონაკვეთს – ბორცვიან-ტალღოვან ვაკეს, რ-იც ვრცელდება საგურამოს ქედის გაყოლებით მდ. ლოჭინიდან ავჭალა-გლდანამდე. ზეგნის რელიეფში შეხამებულია მცირე სიმაღლის მთები (ქაშვეთის გორა, წელუბანი, პატარა გორა, დიდი გორა, კვირიკობის მთა, ძეძვი, ყეენი, *მახათა),* დაბალი სერები, ბრტყელძირიანი ტაფობები და მშრალი ხევები და ხეობები. ზეგანზე მიედინება მდ-ები: გლდანისხევი, ხევმარი, *ორხევი,* ლოჭინი და სხვ. ვრცელი ტაფობი უჭირავს *თბილისის წყალსაცავს,* გაყვანილია *სამგორის სარწყავი სისტემის* არხები. მტკვრის მარცხ. მხარეს ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა, ფხვიერი ნალექებით დაფარული ავჭალის ვაკე, სადაც მდებარეობს *ავჭალისა* და *გლდანის* დასახლებები.

საგურამოს ქედის სამხრ. მთისწინა სერების კალთებსა და ივრის ზეგნის ჩრდ.-დას. კიდეზე აღმართული გორაკ-ბორცვების ფერდობებზე შეფენილია თ-ის უბნები: მუხიანი, ზღვისუბანი (ყოფ. თემქა), ნაძალადევი, ჩულურეთი, კუკია, ელია და სხვ. თ-ის წყალსაცავის სამხრ.-აღმ-ით ვარკეთილის, ორხევის, ლილოს და სხვ. დასახლებებია.

ქალაქისა და მისი მიდამოების რელიეფისათვის დამახასიათებელია *მეწყრული მოვლენები,* შეიმჩნევა ანთროპოგენური რელიეფიც, რაც უმეტესად ხელოვნური ტერასებით არის გამოხატული. ასეთი ტერასები (მთაწმინდის ქედის, მახათას, ძეძვის, ყეენის, ლოტკინის გორასა და სხვა ფერდობებზე) ქალაქის ორივე მხარესაა. თ-ს ადრე რამდენიმე მცირე მდინარე კვეთდა. ასეთი იყო ავანაანთხევი, ეკალხევი, ვარდისუბნისხევი, ვარაზისხევი (მარჯვ. მხარე), კუკიისხევი, ჩულურეთისხევი, დოლაბაურისხევი (მარცხ. მხარე) და სხვ. ეს ხევები ძლიერი წვიმის დროს ივსებოდა წყლით, რ-იც ძლიერ ნაკადად ეშვებოდა ფერდობებიდან და დიდ ზიანს აყენებდა ქალაქს. ამჟამად ყველა ეს ხევი გადახურულია (ზოგიერთი – ამოვსებულიც) და მათ ზემოთ მოასფალტებული ქუჩები და ბაღებია გაშენებული.

თ-ისა და მისი შემოგარენის რთული და მრავალფეროვანი რელიეფი გარკვეულ სიძნელეს ქმნის ქალაქის განაშენიანებისათვის, მეორე მხრივ, განუმეორებელ სილამაზეს ანიჭებს ქალაქს.

საქართვ. ტერიტ., როგორც კავკ. რეგიონის განუყოფელი ნაწილი, მაღალი სეისმური აქტივობით გამოირჩევა. თ-ის ფარგლებში XIII ს-იდან აღნუსხულია 1000-მდე მიწისძვრა, რ-თა ეპიცენტრები სხვა რ-ნებშია. ადგილ. გეოლ. პირობების გათვალისწინებით ქალაქის მიდამოებში გამოყოფილია 6-, 7- და 8-ბალიანი (4–6 მაგნიტუდის) სეისმური უბნები.

თ-ის მიდამოებში არის ნავთობი (იხ. *თბილისის ნავთობის საბადოები*), ღრმა ცირკულაციის ცხელი გოგირდიანი წყლები (იხ. *თბილისის თერმული წყლები*), ცივი გოგირდწყალბადიანი წყლები, არაღრმა ცირკულაციის გრუნტის წყლები, საშენი მასალა (სააგურე-საკრამიტე თიხა, გაჯი, კვარციანი ქვიშაქვა), მარილები (მირაბილიტი).

„ჰავითა არს მშვენი და მხიარული... ზაფხულს ცხელი და არა გაუძლისი. ზამთარ ცივი. გაზაფხულ-შემოდგომა მშვენი და სატრფო“, – ასე ახასიათებს თ-ის ჰავას *ვახუშტი ბატონიშვილი.* ქალაქი და მისი მიდამოები მდებარეობს ზომიერად მშრალი სუბტროპ. ოლქის აღმ. პერიფერიაზე. სუბტროპ. ზონაში მდებარეობა და მცირე ღრუბლიანობა განაპირობებს მზის ნათების მნიშვნელოვან ხანგრძლივობას (2112 *სთ* წელიწადში) და ინტენსივობას წლის ყველა სეზონში, მზის რადიაციის სიუხვე კი მთელი წლის განმავლობაში – ნიადაგისა და ჰაერის საკმაოდ მაღალ ტემპ-რას. თ-ის და მისი მიდამოების ჰაერის საშ. წლ. ტემპ-რა დაახლ. 2°C-ით აღემატება თავისი განედის ტემპრას. ნიადაგის ზედაპირის საშ. წლ. ტემპ-რა თ-ის ცენტრში 15°C-მდეა, ჰაერისა 12,7°C-მდე (დიღომი 12,1°C, ბოტან. ბაღი 12,5°C, მთაწმინდის პლატო 10,8°C). ყველაზე ცივი თვეა იანვარი, რ-ის საშ. ტემპ-რაა 0,9°C (დიღომი 0,3°C, ბოტან. ბაღი 1,3°C, მთაწმინდის პლატო –0,6°C). პირველი ყინვები ნოემბრის მეორე დეკადაში ჩნდე-

ბა, უკანასკნელი მარტის ბოლო რიცხვებშია. აბსოლ. მინ. ტემპ-რა –23°C-მდეა (შემოგარენში –28°C). ასეთი დაბალი ტემპ-რა თ-ში იშვიათია, უფრო ხშირია –10, –12°C. ყველაზე ცხელი თვეა ივლისი, რ-ის საშ. ტემპ-რაა 24°C. ქალაქის შემოგარენში უფრო ცხელია აგვისტო. არის დღეები, როდესაც ტემპრა 30°C-ზე მეტია. აბსოლ. მაქს. ტემპ-რაა 40–41°C. თ-ის განაშენიანებულ ნაწილში და, საერთოდ, დაბალ ზონაში ჰაერის საშ. ტემპრა სეზონების მიხედვით ასეთია: ზამთრის საშ. ტემპ-რა 1,8°C-ია, გაზაფხულისა 11,4°C, ზაფხულისა 22,7°C, შემოდგომისა 13,6°C.

ღრუბლიანობა ზომიერია. მოღრუბლულ დღეთა რაოდენობაა 100–130 წელიწადში. ჰაერის საშ. წლ. შეფარდებითი ტენიანობა – 65–70%. ნალექების საშ. წლ. რაოდენობა 450-იდან 650 *მმ*-მდეა (ვაზიანი – 452 *მმ*, მთაწმინდის პლატო – 625 *მმ*), ირგვლივ მდებარე მაღალ ადგილებში – 650–900 *მმ*. ნალექიან დღეთა რაოდენობა დაბალ ნაწილში საშუალოდ 80–85 წელიწადში, მაღალ ნაწილში – დაახლ. 120. ნალექების მაქსიმუმი მაისშია, მინიმუმი – იანვარში.

სეზონების მიხედვით ნალექიანობა შემდეგნაირად ნაწილდება: გაზაფხულზე მოდის ნალექების წლ. ჯამის 34%, ზაფხულში – 30,2%, შემოდგომაზე – 23%, ზამთარში – 12,8%. თბილ პერიოდში, განსაკუთრებით მაისსა და ივნისში, ხშირია თავსხმა წვიმა, რ-საც თან ახლავს ელჭექი (საშ. 20–40 დღე წელიწადში), ზოგჯერ – სეტყვა (2–4 დღე). ნალექი თოვლის სახით შეიძლება მოვიდეს ნოემბრიდან აპრილამდე. თოვლიანია საშ. 15 დღე წელიწადში, თოვლის საფრის დღეღამური სიმაღლეა 1–10 *სმ*, მაქს. სიმაღლე – 30–40 *სმ*, შემოგარენში – 50 *სმ*.

თ-სა და მის მიდამოებში უმთავრესად ქრის ჩრდ.-დას.-ისა და სამხრ.-აღმ-ის ქარი. ქარის საშ. წლ. სიჩქარე ტერიტ. დიდ ნაწილში არის 3–4 *მ/წმ*, სამგორის, დიღმისა და საბურთალოს გაშლილ ადგილებში – 6–7 *მ/წმ*, ცალკეულ შემთხვევებში ჩრდ.-დას. ქარის სიჩქარე 40 *მ/წმ*-ზე მეტია. ძლიერქარიანი (15 *მ/წმ*-ზე მეტი) დღეების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 20-მდეა. განსაკუთრებით ქარიანია გაზაფხული. წლის თბილ პერიოდში ადგილობრივი მთა-ხეობის ქარიც ქრის: დღისით



ლისის ტბა.


– როგორც წესი, ქვემოდან ზემოთ, ხოლო ღამით – პირიქით (ამ ტიპს მიეკუთვნება ე. წ. „კოჯრის ნიავი“).


ქალაქისა და მისი მიდამოების ჰავა ჯანსაღია, საუკეთესოა ადამიანის საცხოვრებლად და სამეურნეო საქმიანობისათვის. შემოგარენში ბევრი საგარეუბნო კურორტი და სააგარაკო ადგილია: *კიკეთი, კოჯორი, ტაბახმელა, წავკისი, წოდორეთი, წყნეთი* და სხვ. (იხ. აგრეთვე *თბილისის კურორტების ჯგუფი*).

ჰიდროგრაფიული ქსელის ხასიათის მიხედვით თ-ის მიდამოები ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: მტკვრის მარჯვ. მხარის ქსელი უფრო ხშირია. მდინარეებს ვიწრო ხეობა, მეტი ვარდნა და დახრილობა აქვთ. მარცხ. მხარეს სუსტად განვითარებული მეჩხერი ქსელია, მდინარეები ვაკის ტიპისაა, ფართოკალაპოტიანი. წყალშემკრები ტერიტ. ფართობია 3000 *კმ*². ზედაპირული ჩამონადენის მთავარი არტერიაა მდ. მტკვარი, რ-იც თ-ის ტერიტორიაზე დაახლ. 35 *კმ*-ზე მიედინება. მტკვარი ტრანზიტული მდინარეა. მისი ჰიდროლოგიური რეჟიმი უმთავრესად თ-ის ფარგლებს გარეთ ყალიბდება, ადგილობრივი ჰიდროლ. პროცესების გავლენა კი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში აღინიშნება. ქალაქსა და მის შემოგარენში მტკვრის შენაკადებია: მარჯვნივ – დიღმისწყალი, ვერე, წავკისისწყალი; მარცხნივ–გლდანისხევი, ხევძმარი, ორხევი, ლოჭინი.

ჰიდროგრ. ქსელში გარკვეულ როლს თამაშობს მცირე პერიოდული მდინარეები (ვარაზისხევი, ვარდისუბნისხევი, გაბაანთხევი, ეკალხევი, ავანაანთხევი, კუკიისხევი, დოლაბაურისხევი, ჩულურეთისხევი და სხვ.) და მშრალი ხევები, რ-ებიც მხოლოდ წვიმის დროს ივსება წყლით. მდ. მტკვრისა და მისი შენაკადების სამეურნ. გამოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს. მათ წყალს იყენებენ სასმელად და სარწყავად, ხმარობენ მრეწველობასა და ენერგეტიკაში. ტბებს შორის მნიშვნელოვანია ლისისა და კუს ტბები. თ-ის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, მლაშე ტბების ადგილას, 1951 შეიქმნა თ-ის წყალსაცავი.

ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნების გამო თ-ისა და მისი მიდამოების ნიადაგი დიდი ნაირგვარობით გამოირჩევა. აქ უმთავრესად გავრცელებულია რუხი ყავისფერი, მდელოს რუხი ყავისფერი, ნეშომპალა-სულფატური (გაჯიანი), ალუვიური, ბიცობი, ტყის ყავისფერი და ყომრალი ნიადაგები. თ-ის მიდამოებში ინტრაზონალურად გვხვდება სხვადასხვა ხარისხით დამლაშებული ნიადაგები, რ-თა გამოყენება შესაძლებელია მაღალი აგროტექ. ღონისძიებების ჩატარების შემდეგ. ძლიერ განვითარებულია ეროზიული პროცესები, რის გამოც დიდი ფართობი უჭირავს მცირე სისქის, ძლიერ ჩამორეცხილ, ხირხატიან ნიადაგებს. მათ ზედაპირზე გაშიშვლებულია სხვადასხვა ქანი. თ-ის პარკებსა და ბაღებში გვხვდება სხვადასხვა ხარისხით გაკულტურებული ნიადაგი, რ-საც მთლიანად დაკარგული აქვს


44° 30′
44° 40′
41° 50′
ქვემო ხანდაკი
კავთისხევი
მ. ოხერა 755
ქსანი
ქვემო ნიჩბისი
ზემო ნიჩბისი
ნიჩბისის ქედი
ნიჩბისის წყალი
ხრამის წყალი
ქსანი
ძეგვი
წეროვანი
მ.სხალტბა 1091
მცხეთა
კარსანი
თელოვანი
ჰოლი ტბა
მ. დიდგორი 1275
დიდგორი
დიღომი
დიდუბისწყალი
მ. ელია 1061
წოდორეთი
ლისი
ლისის ტბა
მ. დავითახშოა 1463
მ. ტაბარუკის ხაგრილე 1466
1748
1892
მ. საწკეპელა 1580
ბევრეთი
მ. ლომისხერა 1464
მსხალდიდი
თხინვალი
მ. კონიახწყარო 1281
1126
მ. დიდველისხერა
ქუს ტბა
მ. შაორშან
წყნეთი
კვესეთი
1200
მ. ხატისხური
ახალდაბა
წავკისი
მ. უძო 1419
კოჯორი
შინდისი
ტაბახმელა
კიკეთი
1473
მ. საყარაულო
1351
მ. აზეულა
ვაშლოვანი
ასურეთი
ჯორჯიაშვილი
პირობითი აღნიშვნები
დასახლებული პუნქტები
თბილისი დედაქალაქი
მცხეთა ქალაქი
მარტყოფი სოფელი
გზები
რკინიგზა
მაგისტრალური საავტომობილო გზა
გზატკეცილი
ჰიდროგრაფია
მდინარე, არხი
შრობადი მდინარე
ტბა, წყალსაცავი
სხვადასხვა აღნიშვნები
ნაკრძალის საზღვარი
• 1874 სიმაღლის ნიშნული მეტრობით
სიმაღლეების სკალა მეტრობით
უფრო დაბალი 400 500 600 700 1000 1300 1600 უფრო მაღალი


44° 50′
45° 00′
41° 50′
41° 40′
თბილისის მიდამოები
ფიზიკური რუკა
1471
მ. ციბისი
მამკოდა
1337
მ. ხაღანძილე
1874
იალნოს მ.
გლდანი
ნასერალის ძგ.
საცხენისი
ნორიო
მარტყოფი
ყვენის მ.
629
1100
ქაშუეთის გორა
ახალსოფელი
684
მ. კვირაკობისთა
912
მ. პატარა გორა
998
წეღლუბნის მ.
632
მ. ძეძვი
თბილისის წყალსაცავი
პატარა ლილო
დიდი ლილო
760
მ. დიდი გორა
თბილისი
მ. მახათა
628
720
ვაზიანი
მ. შაუნაბადა
825
ფონიჭალა
ზემო თელეთი
გამარჯვება
წალასყური
ქვემო თელეთი
ფონიჭალის
კუმის-წალასყურის
ვაკე
კუმისი
ვაკე
კოდა
მტკვარი
მასშტაბი 1: 160 000



,,ვახტანგ გორგასალი‘‘. მხატვარი გ. გეგეჭკორი.

თბილისის მოსახლეობის დინამიკა

წელი	მოსახლეობა (ათ. კაცი)
1800	15,4
1832	25,8
1865	71,0
1876	104,0
1897	159,6
1914	344,6
1926	294,0
1939	519,8
1959	703,0
1970	891,9
1979	1056,0
1989	1243,0
2002	1081,7

ბუნებრივი სახე და ამა თუ იმ ნიადაგის კულტ. ვარიანტს წარმოადგენს.

თ. ცენტრ. ამიერკავკ. ფლორისტულ რაიონში მდებარეობს. მისი მიდამოების ფლორა (უმაღლესი მცენარეები ხავსების გამოკლებით – მცირე რაოდენობით გვიმრანაირები და შიშველთესლოვანები, ძირითადად ფარულთესლოვანები) 2000-მდე სახეობას ითვლის. რაოდენობრივად, წამყვანი ოჯახებისა და გვარების მიხედვით, თ-ის მიდამოების ფლორა აღმ. ხმელთაშუა ზღვის, წინა აზიისა და აღმ. ამიერკავკ. ფლორის მსგავსია. აქაიქ გვხვდება ჩრდ. ფართოფოთლოვანი და ტაიგის ფლორის წარმომადგენლები.

თ-ის ფლორაში გვხვდება როგორც ვიწრო ლოკალური, ისე ფართოდ გავრცელებული ენდემური მცენარეები. ბევრია აგრეთვე ცენტრ. და სამხრ. კავკასიის ენდემი. მათ ნათესაური კავშირი აქვთ ევრ. სტეპურ, წინააზიურ, მცირეაზიურ, აღმოსავლეთამიერკავკასიურ, პალეოარქტიკულ, ჰოლარქტიკულ, ხმელთაშუა ზღვის და კოლხურ ფლორასთან. ქალაქის მიდამოები მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი რამდენიმე სახეობების აღწერის კლასიკური ადგილია.

თ-ის მიმდებარე ტერიტ. გამოირჩევა მცენარეთა თანასაზოგადოებების (ფიტოცენოზების) დიდი მრავალფეროვნებით, რაც გამოწვეულია ამ მიდამოების განსაკუთრებული გეოგრ. მდებარეობით (გამოხატულია აღმ. საქართველოს თითქმის ყველა ლანდშაფტის თავისებურება). მცენარეული საფრისათვის დამახასიათებელია ნახევრად უდაბნოსა და სტეპის (ველის) მცენარეულობა, სიმშრალის მოყვარული ბუჩქნარი, ფართოფოთლოვანი ტყე და სხვა მცენარეული ტიპები.

თ-ის მიდამოებში, 500–800 *მ* სიმაღლეზე (მცხეთის მიდამოები, კარსანი), შემორჩენილია წარსულში შედარებით ფართოდ გავრცელებული მშრალი ნათელი ტყეები, მდელოს მცენარეულობა მეორეულია და გავრცელებულია მთის ქვედა და ზედა სარტყლის ტყისა და ჭალის ტყის ადგილზე. იქვე გვხვდება წყლისა და ჭაობის მცენარეულობაც.

მოსახლეობა. თ-ის თანამედროვე ტერიტორიაზე ადამიანის დამკვიდრება და შემდგომ აქ მსხვილი დასახლ. პუნქტის გაჩენა-განვითარება უშუალოდ არის დაკავშირებული საქართვ. მრავალსაუკუნოვან ისტორიასთან. ისტ. ცნობების თანახმად ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა და ეთნიკური შემადგენლობა სხვადასხვა პერიოდში მკვეთრად იცვლებოდა საქართვ. სოც.-პოლიტ. გარემოებათა შესაბამისად.

1926 (უფრო ადრინდელი მონაცემები მოცემულია ცხრილში) თ-ის მოსახლეობამ შეადგინა 294,0 ათ. კაცი, 1939 – 519,8 ათ., 1959 – 703,0 ათ., 1970 – 891,9 ათ., 1979 – 1056,0 ათ., 1989 – 1243,0 ათ. საქართვ. მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნ. საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგების მიხედვით თ-ში, მერიის ფარგლებში, მოსახლეობამ შეადგინა 1081679 კაცი (საქართვ. მთელი მოსახლეობის 24,9%), სიმჭიდროვემ 1 $კმ^2$-ზე – 4425,8 კაცი.

თ. უძველესი დროიდან გამოირჩევა მოსახლეობის ეთნ. სიჭრელით. 2002 აღწერის მიხედვით, დედაქალაქში ცხოვრობდა: ქართველი – 910712 (მთელი მოსახლ. 84,2%), სომეხი – 82586 (7,6%), რუსი – 32580 (3%), იეზიდი – 17116 (1,6%), აზერბაიჯანელი – 10942 (1,0%), ოსი – 10268 (0,9%), ბერძენი – 3792 (0,35%), უკრაინელი – 3328 (0,3%), აგრეთვე აფხაზები, ებრაელები, ქისტები და სხვ.

თ-ის მოსახლ. სარწმუნოების მიხედვით კი შემდეგნაირად განაწილდა: მართლმადიდებელი სარწმუნოებისა იყო 988664 კაცი, კათოლ. – 2715, სომხ.-გრიგორიანული – 51687, მაჰმადიანური – 11438, იუდეური – 2320. 2002 აღწერით ყოველ ათას მამაკაცზე მოდიოდა 1214 ქალი, 100 წლისა და მეტი ასაკისა იყო 35 კაცი, აქედან – 9 მამაკაცი და 26 ქალი.

რ. გაგნიძე. გ. გიგინეიშვილი. ი. კობახიძე. ე. ლოლუა. გ. ნახუცრიშვილი. დ. უკლება. მ. შევარდნაძე. შ. ჯავახიშვილი.

II. ისტორია. მტკვრის შუაწელის ტაფობი, რ-ზეც გაშლილია ახლანდ. ქალაქი თ., თავისი ბუნებრივ-გეოგრ. ხელსაყრელი პირობების გამო მოსახლეობამ უძველესი პერიოდიდანვე აითვისა. ძვ. წ. V–IV ათასწლეულიდან დაწყებული მტკვრის ორივე სანაპირო უწყვეტად იყო დასახლებული იმ დრომდე, ვიდრე თ. ქალაქურ დასახლებად გადაიქცეოდა. ეს დასტურდება იმ არქეოლ. გათხრებით, რ-ებიც ახლანდ. ქალაქის ტერიტორიაზე მრავალი ათეული წელიწადია ტარდება. თ-ის ტერიტორიაზე ნასახლარები 6000 წლის წინა პერიოდით თარიღდება. ნუმიზმატიკური და არქეოლ. მასალის საფუძველზე ფიქრობენ, რომ ახ. წ. I–II სს-ში თ-ის ტერიტორიაზე უნდა წარმოქმნილიყო ქალაქური ტიპის დასახლება (იხ. სტ. *თბილისის არქეოლოგიური ძეგლები*). IV ს-ში აქ ციხე იყო, რ-იც ამავე საუკუნის 70-იან წლებში სასანური სპარსეთის დიდმოხელის – *პიტიახშის* რეზიდენციას წარმოადგენდა.

V ს. შუა წლებიდან თ. ქართლის მეფეთა ხელშია, ხოლო V ს. ბოლოს უკვე ქალაქად იქცა. ეს მოვლენა *ვახტანგ I* გორგასლის სახელთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, მცხეთიდან სანადიროდ გამოსული ვახტანგი ტყეში შემთხვევით წააწყდა ცხელ გოგირდოვან წყაროს, რ-შიც მისი შევარდენი ნანადირევი ხოხბითურთ ჩაიფუფქა.



,,ლეგენდა თბილისის დაარსებაზე‘‘. მხატვარი ლ. გუდიაშვილი. 1945. შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი.

მეფეს მოეწონა ადგილმდებარეობა და ბრძანა აქ ქალაქის აშენება, რ-საც თბილი წყაროების გამო „თბილისი“ უწოდა. მისმა მემკვიდრემ *დაჩი* უჯარმელმა (VI ს. დამდეგი) დაასრულა ზღუდე-გალავნის აგება და, მამის ანდერძის თანახმად, სატახტო ქალაქი მცხეთიდან თ-ში გადმოიტანა.

ძველქართულად ქალაქს „ტფილისი“ (,,ტფილი‘‘-დან) ერქვა და ამ სახელწოდებით გავრცელდა იგი სხვა ხალხთა ენებში (რუსულსა და ევროპულში – „ტიფლის“; არაბულ-სპარსულში – „თიფლის“; სომხურში – „ტფღის“; ბერძნულში – „ტფეილის“). მაგრამ, გარდა ამ ჩვეულებრივი სახელწოდებისა, ისტორიულად დასავლელი ქართველები (მეგრელ-ჭანები, სვანები) მას „ქართის“ უწოდებდნენ, ქართლის სამეფოს უძველესი ცენტრის „ქართლის“ (არმაზის) მიხედვით.


თ-ის უძველესი მოსახლეობა გაჩნდა გოგირდოვანი წყაროების უბანში (ახლანდ. „აბანოთუბანი“). სამხრ.-აღმ-ით ქალაქი შემოფარგლული იყო ბაღებით, ჩრდ.-აღმ-ით მტკვარი საზღვრავდა, სამხრ.-დას-ით – თაბორის ქედის კალთები, სამხრ-ით კი – წავკისისწყალი (იხ. *ლელვთახევი*). IV საუკუნეშივე წარმოიშვა თ-ის მეორე უბანი *კალა* ციხითურთ. შემდგომში ქალაქი იზრდებოდა მტკვრის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით. ზრდას ხელს უწყობდა ხელსაყრელი გეოგრ. მდებარეობა: იგი სამხრ. კავკასიაზე გამავალი აღმ.-დას-ისა და ჩრდ.-სამხრ-ის დამაკავშირებელი სავაჭრო მაგისტრალების გადაკვეთის ადგილზე იყო. თ. თანდათან შუა აღმოსავლეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა.

VI ს. 30-იან წლებში სპარსელებმა ქართლში მეფობა გააუქმეს და თ. თავიანთი დიდმოხელის – *მარზპანის* რეზიდენციად აქციეს. ქალაქში მაინც რჩებოდა ადგილ. ეროვნ. ხელისუფლება ქართლის მამასახლისისა და მთავართა სახით, ხოლო 70-იანი წლებიდან იგი ქართლის სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლის – *ერის-მთავრის* რეზიდენცია გახდა. როგორც ირკვევა, VI ს-ში და VII ს. დასაწყისისათვის ქალაქის ჩრდ.-დას. საზღვარი ახლანდ. ნ. ბარათაშვილის ქუჩამდე მიდიოდა. სიონში თბილელი ეპისკოპოსი იჯდა, ხოლო შიდაციხეში მეფე-ერისმთავრების რეზიდენცია იყო.

VII ს. 20-იან წლებში, როდესაც ქართლი სპარსეთის ვასალური სახელმწიფო იყო, მას ალყა შემოარტყეს ბიზანტიელთა და ხაზართა შეერთებულმა ჯარებმა (იხ. *თბილისისათვის ბრძოლა 627–628*). VII ს. შუა წლებიდან იწყება არაბთა ბატონობა (იხ. *არაბობა*). VIII ს. 40-იანი წლებიდან თ-ში დამკვიდრდა არაბი ხალიფის ნაცვალი, არაბი დიდმოხელე ამირა, და საფუძველი ჩაეყარა *თბილისის საამიროს*. IX ს. დამდეგიდან არაბი ამირების სეპარატისტული ტენდენციების გაძლიერების გამო გახშირდა დამსჯელი ექსპედიციები ქართლში (იხ. *ბუღა თურქის ლაშქრობა 853–854*). მიუხედავად ამისა, IX ს. ბოლოდან მთელი X ს. განმავლობაში თ-ის საამირო, რ-იც ამ დროისთვის მოიცავდა დაახლ. ქვემო ქართლის ტერიტორიას, დიღმის ხეობას და მტკვრის მარცხ. სანაპირო ზოლს, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბდა.

VIII–X სს. თ-ის გარეგნული სახისა და ეკონ. ვითარების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია შემონახული ქართ., არაბ. და სომხ. წყაროებში. *იოანე საბანის ძის* (VIII ს.) მიხედვით, მტკვრის მარჯვ. მხარეს იყო განლაგებული საკუთრივ ქალაქი არაბი ამირას სასახლითურთ, რ-ის მახლობლადაც ეკლესია იდგა. მტკვრის მარცხ. სანაპიროზე, მაღლობზე, კლდის პირზე, ციხესიმაგრე (სადილეგო) იყო; იქვე მდებარეობდა ქალაქის სასაფლაო (ამ ადგილს საგოდებელი ერქვა). ამ დროს აქ ქალაქური დასახლება აღარ დასტურდება. დაახლ. ასეთივე ვითარება იყო IX–X სს-შიც. ამ დროს თ-ის გალავანი, ამირას სასახლე და სხვა ნაგებობანიც ძელური ყოფილა, რითაც ისარგებლა ბუღა თურქმა და ქალაქი ცეცხლს მისცა (როგორც ჩანს, ძველი, V–VI სს-ში ნაგები ქვის გალავანი VII–VIII სს. ბრძოლების დროს დანგრეულა. იგი ხის საფორტიფიკაციო ნაგებობით შეუცვლიათ). თ-ის დაუფლებისათვის ცვალებადი წარმატებით ებრძოდა ამირას *ბაგრატ IV*. 1045 თ-ის ხელისუფლება ქალაქის წარჩინებულთა – *თბილელი ბერების* ხელში გადავიდა. 1068 სელჩუკი-

თბილისის საამირო IX ს. პირველ ნახევარში



ანთა სულთანმა *ალფ-არსლანმა* დალაშქრა და დაიკავა ქალაქი. 1082–1122 შორის თ-ს კვლავ თბილელი ბერები განაგებდნენ.

XII ს. დასაწყისიდან, *დავით IV* აღმაშენებელმა დაიწყო გეგმაზომიერი ბრძოლა საქართველოსა და კავკასიის გაერთიანებისთვის, რაც თ-ის შემოერთებით უნდა დამთავრებულიყო. 1121 დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ დავით აღმაშენებელმა თ-ც აიღო (1122 იანვარი) და „ოთხას წელ სპარსთა ქონებული“ დედაქალაქი კვლავ საქართველოს დაუბრუნა. დავით IV, ითვალისწინებდა რა იმ გარემოებას, რომ თ. საუკუნეთა განმავლობაში მაჰმადიანურ სამყაროში იყო მოქცეული, პატივით ეკიდებოდა მუსლიმანებს, ყურადღებას იჩენდა მათი სარწმუნოების მიმართ. დავითის მიერ თბილისელი მუსლიმანებისთვის დაწესებული შეღავათები მისი შვილის – დემეტრეს მეფობაშიც მოქმედებდა (ალ-*ფარიკი*).

XII ს. განმავლობაში მიმდინარეობდა თ-ის საქალაქო წესწყობილებისა და, საერთოდ, ცხოვრების ეროვნ. ყაიდაზე გარდაქმნა, „გაქართულება“. თუკი ამ საუკუნის ბოლოს და შემდეგაც თ-ის საქალაქო მმართველობის სამოხელეო ტერმინოლოგიაში კიდევ გვხვდება არაბ.-სპარს. სიტყვები, ეს მხოლოდ გარეგნული ფორმაა (მაგ., თ-ის გამგებელს ამიერიდან „ქალაქის ამირა“, ხოლო XII ს. ბოლოდან – „ქალაქის ამირთა ამირა“ ერქვა), თუმცა თავისი რეალური შინაარსით ქალაქური მმართველობა უკვე ქართ. იყო. იმდროინდელ წყაროებში მოხსენიებული არიან თ-ის ამირთა ამირას ხელქვეითი მოხელენი: „მუქიფი, მუშრიბი, ქალაქის ამირანი, მეჭურჭლენი ქალაქისანი“ და საქალაქო ეკონომიკასთან თუ გამგებლობის სხვა სფეროსთან დაკავშირებული „ხელოსანნი“, რ-ნიც ამირთა ამირასთან ერთად სახელმწ. „ფინანსთა მინისტრის“ – მეჭურჭლეთუხუცესის – უწყებაში შედიოდნენ.

თ-ს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ჩინეთთან, ინდოეთთან, ირანთან, ეგვიპტესთან, ბიზანტიასთან და, რა თქმა უნდა, სამხრ. და ჩრდ. კავკასიის ქვეყნებთან. XI–XII სს-ში თ-ის დასახლება გაიზარდა. მართალია, მისი სამხრ.-აღმ. საზღვარი საუკუნეების განმავლობაში იგივე დარჩა (ახლანდ. სამასი არაგველის სახ. ბაღთან), მაგრამ ქალაქი მტკვრის აყოლებით ფართოვდებოდა და XII ს. ბოლოს *ლურჯი მონასტერი* უკვე მის ფარგლებში შედიოდა. კიდევ უფრო გაფართოვდა ისნის უბანიც, სადაც სამეფო სასახლე და კარის ეკლესია იდგა. ქალაქი კვლავ გალავან-კოშკებით იყო დაცული. XI ს. მემატიანემ ამ გამაგრების სისტემის რამდენიმე სახელიც კი შემოგვინახა: წყალყინის და კართა კოშკები, *თაბორი*, ქალაქის ციხესიმაგრე *დარიჯელი*. მტკვარზე დიდი ერთმალიანი ხიდი იყო გადებული. იქვე წისქვილები იყო ჩარიგებული, რ-ებიც ნაპირზე ჯაჭვით იყო დამაგრებული. მოედანზე, ბაზარი მდებარეობდა. ავლაბარში მტკვრისპირა კლდეზე გამაგრებული ნაგებობები იდგა. XIII ს. დასაწყისის წყარო გვამცნობს: „წყალი ციხეს ძალიან ახლო ჩაუდის, ასე რომ, რასაც სარკმელებიდან გადმოაგდებენ და გადმოყრიან, წყალში ცვივა“.

უცხოელი თვითმხილველი მოგზაურ-ისტორიკოსები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ თ. ფრიად კეთილმოწყობილი ქალაქი იყო. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ასეთი ცნობა: XII ს. II ნახევარში ქალაქში 40 გოგირდის აბანო იყო, XIII ს. დასაწყისში კი მათმა რიცხვმა უკვე 65 მიაღწია; აქვე გაშენებული იყო საავადმყოფოები, ქარვასლები და სხვ. გაიზარდა მოსახლ. რაოდენობაც. თუ IX ს. შუა წლებისათვის თ-ში დაახლ. 50000-მდე მცხოვრები ითვლებოდა, XII ს. დამდეგს მათი რაოდენობა 100000 გახდა. სამეფო კარის გარდა, აქ სახლები ფეოდ. არისტოკრატიასაც ჰქონდა. თ-ის „მკვიდრებად“ ითვლებოდნენ მოქალაქეთა პრივილეგიური ზედაფენის წარმომადგენლები, პირველ რიგში – დიდვაჭრები. მათ გვერდით, ცხადია, საშ. და წვრილი ვაჭრებიც იყვნენ, რ-ებიც ამქრულ ორგანიზაციებში გაერთიანებულ ხელოსნებთან ერთად „ქალაქის ერს“ ქმნიდნენ. სოც. იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგა ქალაქის უპოვარი მოსახლეობა – „ქალაქის გლახაკნი“.

გარდა სავაჭრო-ეკონ. თუ პოლიტ. მნიშვნელობისა, თ. იმ დროისთვის მნიშვნელოვანი კულტ. ცენტრი იყო. ეკლესიების, ქრისტ. კულტ. კერების გვერდით მეჩეთებიც საკმაო რაოდენობით იდგა, არსებობდა ნაგებობანი მუსლიმანი მქადაგებლებისათვის, სუფიებისა და პოეტებისათვის. ერთი იმდროინდელი ავტორის ცნობით, XII ს-ში თ. მრავალეროვანი ქალაქი იყო. აქ მუსლიმანები და ქართველები ერთმანეთში აღრევით ცხოვრობდნენ.

მეორე ავტორი (ალ-სამანი) მოგვითხრობს, რომ თ. სახელგანთქმული იყო თავისი სწავლულებით, რთაც მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ მეცნ. და კულტ. ისეთ ცენტრებთან, როგორიც იყო ბაღდადი, იერუსალიმი, დამასკი, მერვი, ნიშაბური, ისპაანი, მექა, ჰალაბი (ალეპო) და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ უაღრესად გაცხოველებული სავაჭრო-ეკონ., კულტ.-პოლიტ. ურთიერთობის შესატყვისი იყო თ-ის მკვიდრ მოქალაქეთა სოც. განვითარების დონეც. კერძოდ, *თამარის* მეფობის პირველივე წლებში დაწყებულ პოლიტ. მოძრაობაში, რ-საც *ყუთლუ-არსლანი* ხელმძღვანელობდა, თ-ის მოქალაქეთა ზედაფენას გარკვეული წვლილი მიუძღვის (იხ. სტ-ები: *ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა*, „*კარავი*“).

1226 თ-ზე ილაშქრა ხვარაზმის სულთანმა ჯალალედინმა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა, ქალაქი აოხრდა (იხ. *ხვარაზმელები საქართველოში*). XIII ს. 40-იან წლებში მონღოლები გამოჩნდნენ, თუმცა თ. მაინც ქვეყნის ცენტრად რჩებოდა. 1249 თ-ში მონღოლთა წინააღმდეგ დაიგეგმა შეთქმულება, რ-იც შინაგამცემთა წყალობით ჩაიშალა. ასევე მარცხით დამთავრდა 1259 და 1260 აჯანყებები. 1254 მონღოლებმა საქართველო მთლიანად აღწერეს და 14 სახის გადასახადი დაუწესეს.

ხვარაზმელთა და მონღოლთა შემოსევებს შეეწირა ქალაქის სამხრით მდებარე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეთუნეო სახელოსნო უბანი, რ-იც მდებარეობდა „განჯის კარად“ წოდებულ ქალაქის ძვ. ზღუდის შემორჩენილ ნაწილთან (სამასი არაგველის სახ. ბაღის ტერიტ., იხ. სტ. „*განჯისკარი*“). საერთოდ, XIII ს. თ-ის მოსახლეობა ეკონ. სიდუხჭირეს განიცდიდა, რის დასტურიც იყო ქალაქში გლახაკ-დავრდომილთა სიმრავლე.

მონღოლთა ბატონობის შემდეგ, 1261–62 მეფეებმა დავით ნარინმა და დავით ულუმ „დაამტკიცეს, რათა განყონ სამეფო და საჭურჭლე ორად“, ამასთან ორად გაიყვეს „თავადნი სამეფოსი“. ასევე

გაყვეს „ტფილისი – ორად, ქუთაისი – ორად“ (ჟამთააღმწერელი).

XIV ს. შუა წლებში საქართველოში და, კერძოდ, თ-ში მძვინვარებდა შავი ჭირის ეპიდემია. ამ უბედურებას ისიც დაერთო, რომ 80-იან წლებში საქართვ. სამხრ. საზღვარი გადმოლახა თემურლენგის ურიცხვმა ლაშქარმა, დაარბია ჯავახეთი და თ-ისკენ გამოემართა. საგულდაგულოდ გამაგრებული თ-ის ციხე თემურლენგის ლაშქარმა, ერთი შეტევით ვერ აიღო, დახოცილთა რაოდენობა კი მეტად დიდი იყო. თემურლენგი თ-ს კიდევ სამჯერ დაესხა თავს (იხ. აგრეთვე *თემურლენგის ლაშქრობანი საქართველოში*). ეს დამანგრეველი ლაშქრობები დროის მეტად მცირე მონაკვეთში მოხდა, რის გამოც ქალაქის მოსახლეობა დანგრეულ, გადამწვარ თ-ში სამშ.-აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას ველარ ახერხებდა.

ალექსანდრე I-ის მეფობისას დაიწყო დანგრეული ქვეყნის შეძლებისდაგვარად შენება-აღდგენა, თ-ს დაუბრუნდა გახიზნული მოსახლეობა, თანდათან გამოცოცხლდა მოშლილი საქალაქო მეურნეობა. სახელმწ. შემოსავლის გაზრდის მიზნით მეფემ შემოიღო გადასახადი მალი – კომლზე ორმოცი თეთრი. აღნიშნულმა ღონისძიებამ სულ მალე გამოიღო შედეგი და ქვეყანაში დაიწყო აღმავლობა, აღორძინდა დაქცეული ეკლესია-მონასტრები და ა. შ. ამის შემდეგ ალექსანდრე I-მა ზემოხსენებული გადასახადი გააუქმა.

1440 თავრიზის მმართველმა ჯეჰან-შაჰმა თ. დაანგრია, ააოხრა და ცეცხლს მისცა (იხ. *ჯეჰან-შაჰის ლაშქრობანი საქართველოში*). 1466 ქუთაისიდან თ-ში გადმოვიდა და გიორგი VIII-ის საწინააღმდეგოდ სამეფო ტახტი დაიკავა *ბაგრატ VI-მ* (ქართლ-იმერეთის მეფე). 1474 თ-ში კვლავ მძვინვარებდა შავი ჭირის ეპიდემია, რამაც მოსახლ. დიდი ნაწილი შეიწირა.

1477 აყ-ყოიუნლუს თურქმანთა გამგებელმა უზუნ-ჰასანმა თ-ში თავისი გარნიზონი ჩააყენა (იხ. *უზუნ-ჰასანის ლაშქრობები საქართველოში 1477*). 1478 იანვარში უზუნ-ჰასანის სიკვდილით ისარგებლეს ქართველებმა – მეციხოვნე ყიზილბაშები გაჟლიტეს და ქალაქი გაათავისუფლეს. 1487 და 1490 მტრის შემოტევები თ-ზე უშედეგოდ დასრულდა, ქალაქს აღმშენებლობისა და მშვიდობიანობის მოკლე პერიოდი დაუდგა. 1490, საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, თ. მხოლოდ ქართლის სამეფოს პოლიტ. და ადმ. ცენტრი გახდა.

შაჰ ისმაილ I-ის თ-ზე ლაშქრობების (1520–21) დროს ყიზილბაშებმა ციხისთავის ღალატის გამო (სპარსელებმა იგი დიდი ქრთამით მოისყიდეს) ქალაქი აიღეს, დამპყრობლებმა ხელი მიჰყვეს მოსახლეობის ძარცვას, ხოცვა-ჟლეტას; დაანგრიეს ქალაქი და მისი ეკლესია-მონასტრები, სიონის ეკლესიიდან გამოიტანეს ღვთისმშობლის ხატი, მეტეხის ხიდის ყურესთან დაასვენეს და იქ ძალით მირეკილ ქრისტ. მოსახლეობას აიძულებდნენ ზედ ფეხით გაევლოთ. ბრძანების შეუსრულებლობისათვის ურჩებს სიკვდილით სჯიდნენ. 1524 ისმაილ I მოკვდა, რითაც კვლავ ისარგებლეს ქართველებმა და *დავით X-მ* თ. დაიბრუნა.

XV–XVI სს-ში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქალაქის სოც. ცხოვრებაში, რაც მოქალაქეთა ფენის დაშლით და ყმა-ვაჭართა და ყმა-ხელოსანთა მომრავლებით გამოიხატა. ამიერიდან მოქალაქედ მხოლოდ სამეფო, სადედოფლო, საეკლ. მსხვილი ვაჭრები და, გამონაკლისის სახით, ზოგი ხელოსანი იწოდებოდა. მოქალაქის წოდების მიღება დიდი პატივი იყო და დიდ პრივილეგიადაც ითვლებოდა. მოგვიანებით მოქალაქის წოდების მიღების განმსაზღვრელი საგანგებო წესებიც შემოიღეს. მოქალაქედ არ ითვლებოდა (არ იწოდებოდა) ქალაქში მცხოვრები და მოსაქმე კერძო საბატონო ყმა ვაჭარი. მოქალაქეები მხოლოდ სამეფო გადასახადით – მახტით იბეგრებოდნენ, ყმა ხელოსნები და ყმა ვაჭრები კი – სხვადასხვა გადასახადით, რაც უხდიდნენ როგორც მეფეს, ისე თავიანთ უშუალო ბატონს.


1541 თ-ს მოადგა შაჰი თამაზ I, რ-მაც გულბაათ ციხისთავის ღალატით ისარგებლა, თ-ის ციხე აიღო და თავისი მეციხოვნეები ჩააყენა. დაიწყო გაუთავებელი ბრძოლა თ-ისთვის. ლუარსაბ მეფის გარდაცვალების (1556) შემდეგ იგი მისმა შვილმა *სიმონ I-მა* გააგრძელა. სიმონ I-ს არა მარტო თ-ში მყოფი მაჰმადიანების წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა, არამედ თავისი ძმის – დაუთ-ხანის (*დავით XI*) წინააღმდეგაც, რ-იც თ-ში იყო გამაგრებული.

1576 თამაზ I გარდაიცვალა, ხოლო 1578 დაიწყო ირან-ოსმალეთის ომი. 1578 ირანელებმა დაპატიმრებული ქართლის მეფე სიმონი გაათავისუფლეს და ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოში გამოისტუმრეს. ამ დროს ოსმალებს ლალა-ფაშის მეთაურობით თ-ის ციხე უკვე დაკავებული ჰქონდათ. მათ დააარსეს თ-ის საბეგლარბეგო, რ-ის პირველი ბეგლარბეგი მეჰმედ-ფაშა იყო. სიმონ მეფე ქართლში და, კერძოდ, ქალაქში გამაგრებულ ოსმალებს მოსვენებას არ აძლევდა. მიუხედავად ამისა ოსმალთა ბატონობა თ-ში 1606-მდე გაგრძელდა.

1606 ირანის მბრძანებელი *აბას I* საქართველოსკენ გამოემართა, უბრძოლველად აიღო ლორე, დმანისის ციხე და მდ. ალგეთზე დაბანაკდა. ოსმალებმა შაჰს მორჩილების არზა აახლეს. თ-ის ციხის დასაკავებლად გაიგზავნა ალი-ყული-ხან შამლუ, რ-მაც ციხეში, ბრძანების თანახმად, „შამლუს ტომის ღაზიებისა და მეთოფეების ერთი რაზმი... დასტოვა“, შემდეგ კი „მისი უდიდებულესობა თვით გაემართა თბილისის ციხისაკენ და სიფრთხილის თვალით განიხილა მისი ავი და კარგი“ (*ისქანდერ მუნში*, XVII ს.).

სპარსელი ისტორიკოსის ცნობით, თ-ში ცხოვრობენ ქართველები, სომხები და ცოტაოდენი მუსლიმანები: „ქრისტიანების ეკლესიები და სალოცავები, უმთავრესად ძველები, იმ ქალაქში და მის სანახებში ბევრია“. პირველი ლაშქრობის დროს შაჰ-აბასმა პოლიტ. მოსაზრებით არ დაარბია ქალაქი, მეტიც, *ლუარსაბ II-ის* თხოვნით 1610 მან თ-ის ციხე ქართველებს დაუთმო. 1614 და 1616 შაჰმა კვლავ დალაშქრა თ., რის შედეგადაც ქალაქი მნიშვნელოვნად დაზარალდა. 1625, მარტყოფის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, ქართველებმა ქალაქი აიღეს, მაგრამ თ-ის ციხე ყიზილბაშებს დარჩათ (იხ. *აბას I-ის ლაშქრობანი საქართველოში*).

ქართლის მეფე *როსტომმა* (1632–58) თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენა ირანსა და ოსმალეთს შორის 1639 დადებული საზავო ხელშეკრულება და დაიწყო დანგრეული ქვეყნისა და თ-ის აღდგენითი სამუშაოები, რაც გამოიხატა როგორც ქალაქის



თბილისის ხედი. გრავიურა. ჟ. შარდენის წიგნიდან. 1672.

გარეგანი სახის სასიკეთოდ შეცვლით, ისე მისი ეკონ. ცხოვრების წინსვლა-აღორძინებითაც. გამოცოცხლდა აღმ-იდან მომავალი სატრანზ.-სავაჭრო გზა: განჯა–შამქორი–თ.–გორი–ახალქალაქი, საქარავნო გზების მოსაწესრიგებლად მდ. ვერეზე აიგო ქვითკირის ბურჯებზე შემდგარი ერთმალიანი ხიდი (ე. წ. „ბეჰბუდას ხიდი“).

როსტომ მეფემ სიონის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, ეკლესიის სამხრით, საკათედრო ტაძრის ნებართვით ააგო ქარვასლა. სამაგიეროდ იგი კისრულობდა ეკლესიისათვის ყოველწლიურად ქარვასლის შემოსავლიდან 100 მარჩილის გადახდას (XVII ს. დასასრულს ქარვასლა დომენტი თბილელის კუთვნილებაში გადავიდა. ამიტომაა, რომ მომდევნო ხანის საბუთებში იგი „თბილელის ქარვასლის“ სახელითაა ცნობილი). ქარვასლამ ჩვენამდე შეცვლილი სახით მოაღწია. თ-ის ეკონ. აღორძინების მიზნით როსტომ მეფემ ქალაქის კარებთან მდგომ მებაჟეთა თვითნებობის აღსაკვეთად 1639 გამოსცა საგანგებო კანონი-ბრძანება – „ყანუნ-ლამა“. ამ დოკუმენტით ირკვევა, თუ რა მრავალფეროვანი საქონელი შემოდიოდა თ-ში და რა სოლიდურ შემოსავალს აძლევდა სამეფო ხაზინას მასზე დაწესებული ბაჟი.

თ. გარეგნულად მნიშვნელოვნად შეცვალა სიონსა და ანჩისხატის ეკლესიას შორის ჩადგმულმა როსტომ მეფის ახალმა, ვახუშტის ცნობით, „...მტკურის გარდაკიდებით, ყიზილბაშთა რიგის“ (ე. ი. სპარსული სტილი) სამეფო სასახლემ. ამ სასახლის აშენებას მოჰყვა ქალაქისა და, კერძოდ, ანჩისხატისა და სიონის უბნების მოსახლეობის სოც. სტრუქტურის შეცვლა. მეფის სასახლესთან ახლოს საკარმიდამოებს იძენდნენ და სასახლეებს იშენებდნენ ქართვ. ფეოდალები – მუხრანბატონები, ორბელიანები, ამილახვრები, ბარათაშვილები, სამეფო სამოხელეო აპარატის წარმომადგენლები.

ახ. სასახლის აგების შემდეგ როსტომ მეფემ კალის ციხიდან



თბილისის საერთო ხედი. გრავიურა. ჟ. ტურნეფორის წიგნიდან. 1701.



ნარიყალა. გრავიურა. უცნობი მხატვარი. XVIII ს. შუა წლები.

წამოსული კედლით, რ-იც მეტეხის ხიდამდე აღწევდა, ქალაქი ორად გაყო: „შეავლო ხიდის ყურიდამ ზღუდე და ქმნა ვითარცა კალის ციხემდე, განჰყო ქალაქი და ციხე“ (ვახუშტი), რის შედეგადაც XVII ს. თ-ში გაჩნდა ახ. მიკროტოპონიმი, ადგილის სახელი – *დაბლა ციხე*, სადაც ძირითადად ქალაქელი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ. როსტომმა დაბლა ციხეში დადგა ორი მეჩეთი, „ციხეს გარეთ ერთი... და განჯის კართან – ერთი“. საგულისხმოა, რომ როსტომმა, როგორც მაჰმადიანმა, თავის სასახლესთანაც აიშენა მეჩეთი.

ქალაქისა და ციხის გამყოფ კედელში დატანებული იყო მათი დამაკავშირებელი „ციხის კარი“. ამ კედლის ჩრდ.-დას-ით, ქალაქის მხარეს, მოექცა თ-ის უძველესი (პირველი) მოედანი, ქალაქის ადმ.-პოლიტ. და ეკონ. ცენტრი (აქ იყო განლაგებული ზარაფხანა, სამეფო დივანხანა და მრავალი სავაჭრო-სახელოსნო დუქანი). მოედანს ციხის კართან სიახლოვის გამო „ციხის მოედანი“ შეერქვა (შემდგომში – ქვემო მოედანი და თათრის მოედანი). ქალაქისა და ციხის გამყოფი კედელი 1750 თეიმურაზ II-ის ბრძანებით აიღეს, რის შედეგადაც ქალაქი და დაბლა ციხე გაერთიანდა. აღსანიშნავია, რომ თუ როსტომმა სამეფო სასახლესთან მეჩეთი აიშენა, დედოფალ მარიამს სამეფო სასახლესთან დაუწყია კარის ეკლესიის მშენებლობა (დაუმთავრებია სიმონ ბატონიშვილს).

როსტომ მეფის დროს დაწყებული ქვეყნის ეკონ. და პოლიტ. მომძლავრება *ვახტანგ V* შაჰნავაზის დროსაც გრძელდებოდა. ვახტანგ V-მ ირანის შაჰის სულეიმანის მიერ გამოგზავნილი ვერცხლის ფულით განაახლა გარეშე მტრის შემოსევებისა და ჟამთასვლისაგან მორღვეული ქალაქის გალავანი.

1672 თ-ში ჩამოვიდა ფრანგი მოგზაური ჟან *შარდენი*. 1701 თ-ს ეწვია ფრანგი ბოტანიკოსი და მოგზაური ჟ. *ტურნეფორი*. მისი ცნობით თ-ში 20000 მცხოვრები იყო. მოგზაური აღწერს ქართლის მეფის *ერეკლე I* ნაზარალიხანის მიერ აგებულ კიდევ ერთ სამეფო სასახლეს, რ-იც როსტომის სასახლის გვერდით იდგა. ტურნეფორის „მოგზაურობას“ ახლავს მხატვარ ობრიეს მიერ შესრულებული თ-ის სურათი.

XVII–XVIII სს. მიჯნაზე თ-ში გარკვეული კულტ. აღმავლობაც შეინიშნებოდა, განსაკუთრებით *ვახტანგ VI-ის* დროს. 1709 დაარსდა პირველი სტამბა, სადაც 1712 დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“, ლოცვანი და სხვ. ამას გარდა, მეფე ვახტანგის თაოსნობით შეიქმნა ქართ. საკანონმდებლო კრებ. „*დასტურლამალი*“. ასევე აღსანიშნავია ამ დროს მომუშავე *სწავლულ კაცთა კომისია*, რ-საც სათავეში ედგა ისტორიკოსი ბერი *ეგნატაშვილი*. ვახტანგ VI-მ აღადგინა და ახ. პერანგით შემოსა სიონის საკათედრო ტაძარი. XVIII ს. დამდეგს სიონის მახლობლად მოეწყო ხელნაწერ წიგნთა საცავი.

საუკუნეთა განმავლობაში იცვლებოდა თ-ის გარეგნული სახე, ქალაქის ზღუდის კართა რაოდენობა და მათი სახელები. ქალაქს მტკვრის მარჯვ. სანაპიროზე, სამხრ. მხრიდან, დატანებული ჰქონდა აბანოს კარი, განჯის კარი; დას. მხრიდან – კოჯრის კარი, დიღმის კარი; ჩრდ-იდან – მოედნის კარი, ქვემო წყლის კარი. XVII ს. II ნახევარში, ქვემო წყლის კარის გაუქმების შემდეგ (ქვემო წყლის კართან მდებარე მუხრანბატონების კარმიდამოს გაფართოება-გაზრდის გამო), მოედნის კარს შეეცვალა სახელი და ზემო წყლის კარი დაერქვა. მტკვრის მარცხ. სანაპიროზე, თ-ის გალავანში, ორი კარი იყო დატანებული: ავლაბრის კარი (ეს იყო მთ. კარი, სადაც თავს იყრიდა ჩრდ-იდან და აღმ-იდან წამოსული ქალაქში შემოსასვლელი ყველა გზა) და პატარა კარი, საიდანაც იწყებოდა ავჭალის დიდი გზა. თ-ის ყველა კარს თავისი დამცველი ბურჯი (ან კოშკი) ჰქონდა, სადაც იდგა საგანგებო მოხელე – მეკარე. ასევე კართან (არა ყველგან) იდგა მებაჟე, რ-იც ზედამხედველობას უწევდა ქალაქში შემოტანილ საქონელს. XVII–XVIII სს. თ-ს გარს ერტყა ქალაქისპირა სას.-სამ. და სახელოსნო დანიშნულების სოფლები და გარეუბნები, რ-თა პროდუქცია და ნაწარმი (მარცვლეული, ბოსტნეული, ხილი, ღვინო, თიხის ჭურჭელი, აგური, კრამიტი) შემოდიოდა თ-ის ბაზარზე.

XVI–XVIII სს. თ-ის სამოხელეო აპარატი რამდენჯერმე შეიცვალა, რაც გამოიხატებოდა ზოგიერთი მოხელის სახელწოდების შეცვლით; მაგ., თ-ის *ამირთა ამირას* ნაცვლად XVI ს-იდან შემოვიდა და საბოლოოდ დამკვიდრდა ქართ. სახელი *მოურავი* (თ-ის პირველი მოურავი იყო გიორგი *საკაძე*, 1609). შემდეგი მოხელე თავისი უფლებებით იყო *მამასახლისი*, მაგრამ XVI ს-ში თ-ში *მელიქის* სახელის შემოსვლამ მამასახლისის უფლებები შეზღუდა და ქალაქის მოურავის შემდეგ იგი სიგელ-გუჯრებში იხსენიება (იხ. სტ-ები *სიგელი, გუჯარი*). საბოლოოდ, XVIII ს-ში ამ ორ სახელოს ხშირად ერთი პირი ფლობდა. აღნიშნული სახელოების გარ-

და, თ-ში იყო: ყაფანდარი, ჯარჩი, *ნაცვალი, ქედხუდა, ქალანთარი, მინბაში* (ციხისთავი), *მუშრიბი*. თ-ის ყოფა-ცხოვრებაში გაჩნდა განსაკუთრებული, ე. წ. ქალაქური კოლორიტი თავისი ჩაცმულობით, გასართობ-სანახაობებით (იხ. სტატიები *ყეენობა, ბერიკაობა, ყაბახი*). თ-ში არსებობდა ხელოსანთა და ვაჭართა ამხანაგობები – ამქრები (ასნაფები). თითოეულ *ამქარს* მეფის მიერ დანიშნული, ხელოსანთა უხუცესი ოსტატი – უსტა (უსტაბაში) ედგა სათავეში.

1723 კახთა მეფემ *კონსტანტინე II* (მაჰმად ყული-ხანი) დაქირავებული ლეკთა ლაშქრის დახმარებით აიღო, დაარბია და გაძარცვა ქალაქი. 1724 ქართლის მეფემ ვახტანგ VI-მ მრავალრიცხოვანი ამალით დატოვა თ. ამავე წელს კონსტანტინე II-მ თ-ს მომდგარ ოსმალთა ჯარის სარდალს სოღანლუღში გადასცა ქალაქის კლიტე-გასაღები. ამიერიდან ყიზილბაშთა ბატონობა ოსმალთა ბატონობით შეიცვალა. ოსმალებმა დაიწყეს კონსტანტინეს მიერ დანგრეული თ-ის ციხეს-მაგრეების შეკეთება – გამაგრება. მათ ფართო გეგმები ჰქონდათ ქართ. სახელმწიფოებრიობისა და მთელი კულტურის გადასაგვარებლად, რის განხორციელებასაც თ-იდან აპირებდნენ, კერძოდ, მოსახლეობა უნდა გაემაჰმადიანებინათ, სიონის ტაძარი მეჩეთად ექციათ. მაგრამ 1727 ოსმალების ამ გადაწყვეტილებას წინ აღუდგნენ ქართვ. პატრიოტები *დომენტი IV* კათოლიკოსისა და გივი *ამილახვრის* მეთაურობით. 1735 ქართლში დიდი აჯანყება დაიწყო, თ. ოსმალებმა უბრძოლველად დატოვეს. ოსმალების წასვლის შემდეგ თ. სპარსელებმა ხანჯალ-ხანს (გამაჰმადიანებული ორბელიან-ყაფლანიშვილი) გადასცეს და „*ოსმალობა*“ ისევ „*ყიზილბაშობით*“ შეიცვალა.

1745 *თეიმურაზ II* სვეტიცხოველში ქართლის მეფედ ქრისტ. წესით აკურთხა კათოლიკოს-პატრიარქმა *ანტონ I-მა*. 1748 *ერეკლე II-მ* საბოლოოდ დაამარცხა ტახტის პრეტენდენტი *აბდულა-ბეგი*, რ-იც დაქირავებული ლაშქრით ცდილობდა თ-ის დაკავებას. ამავე წელს ერეკლე II-მ თ-ის ციხეებიდან განდევნა ყიზილბაშთა გარნიზონები. აღმ. საქართველო პოლიტ. და ეკონ. აღმავლობის გზას დაადგა. თ. კვლავ კავკასიის ერთ-ერთი პოლიტ.-ეკონ. და კულტ. ცენტრი გახდა. 1755 დაარსდა სემინარია, რ-შიც ძირითადად ისწავლებოდა ფილოს. საგნები; აღდგა ზარაფხანა, წამალხანა და სხვ. 1750 თ-ში დაარსდა ქართ. პროფ. თეატრი, გაიხსნა სას. სასწავლებლები სიონის, ანჩისხატის, მეტეხის, ქაშვეთის, კალოუბნის ეკლესიებთან.

თეიმურაზ II-მ თ-ში 1749–53 ჟამთა სვლისაგან მოძველებული სამეფო სასახლეების (როსტომის, ერეკლე I-ის, ვახტანგ VI-ის) ადგილზე ააგო ახ. სასახლე, სადაც კახეთის მეფემ – ერეკლე II-მ *დარეჯან* დადიანზე იქორწინა. 1762 ქართლის მეფე თეიმურაზ II რუსეთს გაემგზავრა და მალევე გარდაიცვალა. ერეკლე II ქართლ-კახეთის სამეფოს მეფე გახდა, თ. კი – აღმ. საქართველოს დედაქალაქი.

1765 წ. 5 დეკემბერს თ-ში გამოაშკარავდა შეთქმულება მეფე ერეკლე II-ის წინააღმდეგ (იხ. *პაატა ბატონიშვილის შეთქმულება 1765*).

1770 აქ ჩამოვიდა რუს. დიპლომატი, ნ. *იაზიკოვი*, რ-საც ეკუთვნის იმდროინდელი ქალაქის აღწერა. მისი გადმოცემით, თ. მეტად ხალხმრავალი ქალაქი იყო, რ-ის მოსახლეობა 5000 კომლს შეადგენდა. იქ იდგა ქვითკირის სახლები. ქალაქში ბევრი ვაჭარი ტრიალებდა. 1782 ჩატარდა თ-ისა და მისი გარეუბნების აღწერა.

1783 წ. 24 ივლისს რუს. იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება (იხ. *გეორგიევსკის ტრაქტატი 1783*), რ-საც 1784 ხელი მოაწერა ერეკლე II-მ. 1784 წ. 23 იანვ. თ-ში ჩამოსულმა პოლკოვნიკმა ტამარამ ერეკლე II-ს გადასცა რუს. იმპერატორის მიერ გამოგზავნილი სამეფო რეგალიები და სამფარველო სიგელი.

რუს. მთავრობის წარმომადგენელი, პოლკოვნიკი ს. *ბურნაშოვი* (1783–87), აღწერს თ-ს და მოგვითხრობს, რომ აქედან უცხო ქვეყნებში გასაყიდად გადიოდა სპილენძის ჭურჭელი, ბამბეულის ნაწარმი, ცხენის აღკაზმულობა, რკინეულობა, ტანსაცმელი, ქუდები, საომარი იარაღი; თ-ში იმ დროს 500 სავაჭრო-სახელოსნო დუქანი იყო, რაც ქალაქის გაცხოველებულ ეკონ. საქმიანობაზე მიგვანიშნებს; იყო ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქ-ნაც.

1795 სექტემბერში თ-ს შემოესია ირანის შაჰის *აღა-მაჰმად-ხანის* ლაშქარი. ეს იყო არნახული დამანგრეველი შემოსევა, რ-საც ვერ გადაურჩა ქალაქში მდგარი ვერც ერთი საერო თუ საეკლ. დანიშნულების ნაგებობა (იხ. *კრწანისის ბრძოლა 1795*). ერეკლე II-მ დაავალა აღა-მაჰმად-ხანის მიერ დანგრეული თ-ის აღდგენა გიორგი ბატონიშვილს, რ-იც ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა ქალაქიდან გახიზნული თუ ტყვედ წაყვანილი მოსახლეობა დაებრუნებინა და ნანგრევებად ქცეული თ. ფეხზე დაეყენებინა.

რუს. იმპერატორის ალექსანდრე I-ის 1801 წ. 12 სექტ. მანიფესტის თანახმად, აღმ. საქართველო რუს. გუბერნიად, თ. კი საგუბერნიო ქალაქად გამოცხადდა. თ-ში მთავარმართებელი გენ. კ. *კნორინგი* 1802 წ. 9 აპრილს ჯარის თანხლებით შემოვიდა. გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები უხეშად



არსენალი და ღუნიბის მოედანი. გრავიურა. XIX ს. 50-იანი წლები.



თბილისის საერთო ხედი. XIX ს. II ნახევარი.


დაირღვა, განხორციელდა სამეფოს ფაქტობრივი ანექსია. 1802-იდანვე იწყება ეროვნ. ძალების მუდმივი ბრძოლა ქართ. სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

მთავარმართებელ ე. *გოლოვინის* (1838–42) დროს შემუშავდა დებულება „თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის შესახებ“, რ-ის ძალითაც, ქალაქის მოსახლეობის ზედაფენას უფლება მიეცა, შეექმნა საქალაქო სათათბირო ქალაქისთავისა და ექვსი ე. წ. ხმოსნის შემადგენლობით, რითაც გადაიდგა ნაბიჯი სამოქალაქო მმართველობისაკენ, ამასთანავე რამდენადმე შეიზღუდა პოლიციის თვითნებობა. 1844 პირველ მეფისნაცვლად კავკასიაში დაინიშნა მ. *ვორონცოვი*, რ-მაც შედარებით მეტი ყურადღება მიაქცია იმპერიის განაპირა მხარის სოც.-ეკონ. და კულტ. განვითარებას, მისი დედაქალაქის, თ-ის, კეთილმოწყობას.

1864 თ-ში იყო 2870 ევრ. ყაიდის მაღაზია და აზიური დუქანი, 14 ქარვასლა. თ-ში სულ უფრო მეტი რაოდენობით იყიდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტები და, თავის მხრივ, სულ უფრო მეტ სამრეწვ. საქონელს აწვდიდა იგი სოფლისა და ქალაქის მოსახლეობას. 1808 თ-ში ხელოსნობას ეწეოდა 980 ოჯახი. 1824 მათი რიცხვი 2020-მდე გაიზარდა. თბილისური ხელოსნობა თანდათან კარგავდა ტრად. შუასაუკუნეობრივ იერს, შეკვეთით მუშაობას ბაზრისათვის წარმოება ცვლიდა.

XVIII ს. ბოლოს (აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე) თ-ში 20 ათ. მცხოვრები იყო.

70-იანი წლების ბოლოს თ-ის მოსახლეობა უკვე 100 ათასს აჭარბებდა [მოსახლეობის დინამიკა იხ. თავში: ზოგადი ცნობები. ქალაქის მმართველობა. ბუნება.



ჩულურეთი. რიყის ქუჩა. ფოტო 1890.

მოსახლეობა (ქვეთავი მოსახლეობა)]. ახალმოსულები თანდათან იკავებდნენ ქალაქის გარეუბნებს. ადმ. დანიშნულების შენობები აღიმართა გოლოვინის (ახლანდ. შოთა რუსთაველის) პროსპექტზე. აშენდა მთავარმართებლისა და მეფისნაცვლის სასახლე, სამხ. შტაბისა და სხვა დაწესებულებათა შენობები. ძირითადად მაღალი ფენის წარმომადგენლებმა დაიკავეს *სოლოლაკი, მთაწმინდა*, მიხეილის პროსპექტი (ახლანდ. დავით აღმაშენებლის გამზირი) ქუჩა. ქალაქის ფარგლებში მოექცა *ხარფუხი, ორთაჭალა, კუკია, ჩუღურეთი, ვერე*. მოგვიანებით დაიწყო *დიდუბის, ნაძალადევის, ვაკის* განაშენიანება. ბინათმშენებლობაში ფულის დაბანდება მომგებიან საქმედ იქცა.

სპეციალურად შექმნილმა კომისიამ მრავალწლიანი შრომის შედეგად შეადგინა თ-ის მოსახლ. შედარებით მაღალი ფენის სახელობითი სია. ეკონ. შეძლების შესაბამისად, პირველი ხარისხის მოქალაქედ აღიარეს 53, მეორე ხარისხისად – 93, ხოლო მესამე ხარისხისად – 97 ოჯახი. ამას დაუმატეს ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფი რამდენიმე შეძლებული მოქალაქე და სულ მოქალაქეთა სიაში დააფიქსირეს 245 ოჯახი. 1861 მათ უმრავლესობას მიანიჭეს მემკვიდრეობით თ-ის საპატიო მოქალაქის წოდება. გარკვეულ დრომდე თ-ის თავისუფალ მოსახლეობას მხოლოდ პრივილეგირებულ წოდებათა წარმომადგენლები – თავადაზნაურები, საპატიო მოქალაქეები და მოხელეები შეადგენდნენ. XIX ს. 40–50-იან წლებში თავისუფალ მოქალაქეებად აღიარეს ე. წ. მეშჩანები და სახაზინო გლეხები, რის შედეგადაც ქალაქის თავისუფალი მოსახლ. რაოდენობა 80%-მდე გაიზარდა.

1865 ქალაქისთავმა მთავრობის ნებართვით თბილისელებს შეაწერა ახ. გადასახადი, დაბეგრა სახელოსნო, სავაჭრო და სხვა დაწესებულებები. ამან ქალაქის დაბალი ფენის პროტესტი გამოიწვია (იხ. *ამქართა აჯანყება თბილისში 1865*). შედეგად თ-ის მოსახლ. ზედაფენამ უფლება მიიღო აერჩია 100-ხმოსნიანი სათათბირო, რ-იც, თავის მხრივ, აირჩევდა განმკარგულებელ სამმართველოსა და ქალაქისთავს.

1870 წლის საერთო საიმპერატორო კანონის საფუძველზე 1874 მიწურულს თ-ში გატარდა საქალაქო რეფორმა. თ-ის საქალაქო



საქალაქო სათათბიროსა და გამგეობის შენობა. 1882–84.

სათათბირო განმკარგულებელი ორგანო იყო. მის მიერ არჩეული გამგეობა ქალაქისთავის მეთაურობით (1875–78 ქალაქისთავის პოსტი დ. *ყიფიანს* ეკავა) აღმასრ. ფუნქციებს ასრულებდა. ორივე ეს ორგანო ერთად განასახიერებდა ადგილ. (საქალაქო) თვითმმართველობას, რ-ის ძირითადი მოვალეობას იყო კომუნ. მეურნეობის კეთილმოწყობა და გამგებლობა. მის კომპეტენციაში შედიოდა აგრეთვე ვაჭრობა-მრეწველობისათვის ნორმალური პირობების შექმნა, სკოლების, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების, საავადმყოფოების, საქველმოქმედო დაწესებულებების დაარსება და დაფინანსება.

1879 ქართვ. საზ. მოღვაწეთა ინიციატივით თ-ში დაარსდა *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება*. ხალხის გათვითცნობიერებასა და კულტ. დონის ამაღლებაში დიდი როლი შეასრულა პერიოდულმა პრესამ. თ-ში იბეჭდებოდა „დროება“, „ივერია“, „კრებული“, „სასოფლო გაზეთი“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „მოამბე“, „ამირანი“, „ისარი“, „სახალხო ფურცელი“ და სხვ. თ. იყო წიგნის გამოცემის ცენტრი. აქ დაიბეჭდა ,,ვეფხისტყაოსანი‘‘, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ა. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას და სხვათა მხატვრული ნაწარმოებები, ძველი ქართ. ლიტ-რის ძეგლები. ამასთან, XIX ს. 80-იან წლებში ეგზარქოსმა პავლემ ქართ. ეკლე-



ქალაქის სათათბიროს დარბაზი. 1886.

სიის გარუსების მიზნით თ-ის სემინარიაში აკრძალა ქართ. საერო და სას. ლიტ-რა. ამავე პერიოდში იყო ქართ. ენის ყველა სასწავლებლიდან განდევნის მცდელობა.

1872 დამთავრდა რკინიგზის მშენებლობა თ-იდან ფოთამდე, 1883 ქალაქი რკინიგზით დაუკავშირდა ბათუმსა და ბაქოს. დაარსდა რამდენიმე მსხვილი საწარმო. თ-ში ამოქმედდა საკრედიტო დაწესებულებები: საადგილმამულო (იხ. *სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი*) და კომერც. ბანკები, რუს. სახელმწ. და კერძო ბანკების განყოფილებები, ურთიერთდამკრედიტებელი საზ-ბები. XIX–XX სს. მიჯნაზე გაძლიერდა კაპიტალის, წარმოებისა და ვაჭრობის კონცენტრაციის ტენდენცია, ჩამოყალიბდა რამდენიმე სააქციო საზ-ბა და მსხვილი ფირმა.

XIX ს. 70-იან წლებში თბილისელი მუშები 7-ჯერ გაიფიცნენ. 80–90-იან წლებში გაფიცვებმა შედარებით ორგანიზებული ხასიათი მიიღო. XIX–XX სს. მიჯნაზე თ-ში გააქტიურდნენ რუსი სოციალ-დემოკრატები და მათი ქართვ. თანამოაზრეები. 1901 ვ. ლენინის მიმდევრებმა ჩამოაყალიბეს ს.-დ. ორგანიზაციების ხელმძღვ. ცენტრი – თბილ. კომიტეტი. 1904 ჩატარდა *სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის* დამფუძნებელი ყრილობა.

1905–07 რევ. დროს თ-ში შეიქმნა აჯანყების ცენტრი. მან ხელში ჩაიგდო ამიერკავკ. რკინიგზის სამმართველო და ფოსტა-ტელეგრაფი; წითელმა რაზმებმა დაიკავეს ნაძალადევი და დიდუბე. 17 და 23 დეკემბერს თბილისელებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მთავრობის ჯარს, მაგრამ დამარცხდნენ. შენელებულად, შეცვლილი ფორმით რევოლუცია 1906–07 წლებშიც გრძელდებოდა.

XX ს. დამდეგს გაორმაგდა ჯერ კიდევ 1887 ამოქმედებული ავჭალის წყალსადენის ქსელი. 1884 გაყვანილი ცხენის რკინიგზა (კონკა) 1904 ელექტროტრამვაით შეიცვალა. თ-ის ქუჩებში ნავთის ფარნების ადგილი თანდათან ელექტროლამპიონებმა დაიკავა. საქალაქო თვითმმართველობა სწავლა-განათლებაზე ყოველწლიურად საშ. ხარჯავდა 450 ათ. მანეთს, იგი გამოდიოდა უმაღლ. სასწავლებლის დაარსების ინიციატორად. 1890 საამისოდ გადადებული ჰქონდა 100 ათ. მანეთი და 200 დეს. მიწა, მაგრამ მეფის მთავრობამ თ-ში უმაღლ. სასწავლებლის გახსნის ნებართვა არ გასცა. XX ს. დამდეგს ზუბალაშვილებისაგან შეწირული თანხით თვითმმართველობამ მოაწყო სახალხო სახლი, ამის შემდეგ მალევე დააარსა ბიბლიოთეკა-სამკითხველო და მუნიციპალური მუზეუმი.

რუს. 1917 თებერვლის რევოლუციის შემდეგ, მარტის პირველ რიცხვებში, პოლიტ. საქმიანობისა და მიმართულებისათვის ტონის მიმცემი გახდა თ-ის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. მალე ჩამოყალიბდა თ-ის აღმასრ. კომიტეტი, რ-შიც შევიდა მუშათა დეპუტატების საბჭოს, საქალაქო სათათბიროსა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ხუთ-ხუთი წარმომადგენელი. რუს. დროებითმა მთავრობამ უნდობლობა გამოუცხადა ადგილებზე შექმნილ მმართველობის ორგანოებს. მან თ-ში შექმნა თავისი ფილიალი, *ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი*, რ-შიც შეიყვანეს სოციალისტ-ფედერალისტი კ. აბა-



კონკა (ცხენის რკინიგზა). მიხეილის ხიდი. ფოტო. 1890.



ტრამვაი. ციციანოვის აღმართი. XX ს. დასაწყისი.



1917 წლის თებერვლის დღეები.

შიძე და სოციალ-დემოკრატი ა. *ჩხენკელი*. რუსეთში 1917 წ. 25 ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, 15 ნოემბერს თ-ში ჩამოყალიბდა *ამიერკავკასიის კომისარიატი* – დროებითი მთავრობა, რ-ის თავ-რედ აირჩიეს სოციალ-დემოკრატი ე. *გეგეჭკორი*. პარალელურად, 1917 ნოემბ. ბოლოს, თ-ში გაიმართა საქართვ. ეროვნ. ყრილობა. ყრილობამ აირჩია ეროვნ. საბჭო, რ-მაც ჩამოაყალიბა კოალიციური მთავრობა.

1918 წ. 26 მაისს საქართველო დამოუკიდებლად გამოცხადდა. შეიქმნა საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკა. დამოუკიდებლობის წლებში (1918–21) ძირითად პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ სოციალ-დემოკრატები, რ-თა ლიდერი იყო ნ. *ჟორდანია*. თ. იყო საქართვ. დედაქალაქი, მთ. სახელმწ. დაწესებულებათა რეზიდენცია, სხვა მნიშვნელოვან დაწესებულებათა ადგილსამყოფელი. თ-ს განაგებდა დემოკრ. საწყისებზე გარდაქმნილი საქალაქო თვითმმართველობა – მუნიციპალიტეტი. გაუქმდა საარჩევნო ცენზი და სხვა შეზღუდვები, დაკანონდა საყოველთაო საარჩევნო უფლება. 1918 საქართვ. სოციალ-დემოკრატებთან ერთად წინასაარჩევნო ბრძოლაში მონაწილეობდნენ სოციალისტ-ფედერალისტები და *ეროვნულ-დემოკრატიული პარტია* (ედპ). 1919 წ. 2 თებერვალს გაიმართა თბილ. სათათბიროს არჩევნები. მასში მონაწილეობას იღებდა ხმის უფლების მქონე თბილისელთა 51% (35366 კაცი). გაიმარჯვა საქართვ. ს.-დ. პარტიამ, რ-მაც საქალაქო სათათბიროში 69 ხმოსანი გაიყვანა. თ-ის სათათბიროში თავისი ფრაქციები შექმნეს ედპ-მ (10 ხმოსანი) და სოციალისტ-ფედერალისტებმა (7 ხმოსანი). სხვა მცირე პარტიებმა და ჯგუფებმა საქალაქო სათათბიროში გაიყვანეს მხოლოდ 4 ხმოსანი. 1919 წ. 17 თებერვალს ჩატარდა საქალაქო სათათბიროს პირველი სხდომა. ხმოსნებმა ქალაქისთავად (მოურავად) აირჩიეს სოციალ-დემოკრატი ბ. ჩხიკვიშვილი, მის ამხანაგად – გ. კონიაშვილი.




სახალხო გვარდიის მებრძოლები. 1920.

1917 თ-ში გაიხსნა საქართველოში პირველი უმაღლესი სასწავლებლები – კონსერვატორია და თბილისის პოლიტექნიკური ინ-ტი, 1918 – ქართ. ეროვნ. უნ-ტი (იხ. *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი* ივ. ჯავახიშვილის სახელობისა); 1919 საოპერო თეატრის სცენაზე დაიდგა დ. არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი‘‘ (იხ. *ოპერისა და ბალეტის ეროვნული აკადემიური თეატრი* ზ. ფალიაშვილის სახელობისა). 1920 დაარსდა საქართვ. ეროვნ. სამხატვრო გალერეა, რ-ის ბაზაზე შემდგომში შეიქმნა საქართვ. ხელოვნების სახელმწ. მუზეუმი.

1921 საბჭ. რუსეთმა დაარღვია 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება, რ-ითაც აღიარებული იყო საქართველოს სუვერენიტეტი, და მის დასაპყრობად წითელი არმია გამოგზავნა. თ-ის დამცველი საქართვ. ჯარისა და სახ. გვარდიის მებრძოლები ამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ. 1921 წ. 25 თებერვალს თ-ში მე-11 არმია შემოვიდა (იხ. *თბილისის დაცვა 1921*).

საქართველოს ხელმეორე ანექსიის შემდეგ თ. საქართვ. საბჭ. სოციალ. რესპ. დედაქალაქი გახდა. 1921 წ. 25–26 თებერვალს შეიქმნა თ-ის რევკომი, რ-საც ხელმძღვანელობდა ს. *თოდრია*. 1921 წ. 3 დეკემბერს ჩატარდა მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების თ-ის საქალაქო საბჭოს არჩევნები. საქალაქო საბჭოს აღმასრ. კომიტეტი ქალაქში ხელისუფ-



1921 წლის 25 თებერვალი. მეთერთმეტე არმია თბილისში.

ლების უმაღლესი ორგანო გახდა.

1922 დეკემბერში შეიქმნა ამიერკავკ. ფედერ. რესპუბლიკა. ქართველ კომუნისტთა, კერძოდ, პარტიის თ-ის კომიტეტის ერთი ნაწილი (ე. წ. „ნაციონალ-უკლონისტები“), ამიერკავკ. ფედერაციის წინააღმდეგი იყო და მოითხოვდა საქართველოს პირდაპირ შესვლას სსრ კავშირის შემადგენლობაში, მაგრამ ეს წინადადება არ გავიდა – თ. ამიერკავკ. პოლიტ. და ადმ. ცენტრად იქცა.

თ-ში მუშაობდა სსრ კავშირის სახელმწ. ბანკის კანტორა, სას.-სამ. ბანკი, კომუნ. ბანკი. 1922 წ. 10 სექტემბერს მოწყობილ შაბათობაზე საძირკველი ჩაეყარა *ზაჰესის* (ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური) მშენებლობას; დაიწყო სისტემ. მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის (1922 თ-ის მოსახლეობის 26,8% წერა-კითხვის უცოდინარი იყო); გარდაიქმნა სახ. განათლების სისტემა; შეიქმნა ახ. უმაღლესი სასწავლებლები. 1925 წ. 21 მაისს დაიწყო რეგულ. რადიოგადაცემები; შეკეთდა ავჭალის წყალსადენის ჰიდროტექ. ნაგებობანი, გაიყვანეს წყალსადენი თ-ის განაპირა უბნებში. 1932 ივნისს მწყობრში ჩადგა ნატახტრის წყალსადენი. 1934 დამთავრდა ტრამვაის გადაყვანა ფართოლიანდაგიან ქსელზე. 1932 თ-ის ქუჩებში გამოჩნდა პირველი ავტობუსი, 1937 დაიწყო ტროლეიბუსის რეგულ. მოძრაობა. შეუდგნენ ძვ. ქუჩების გაფართოებას, ახ. ქუჩების გაყვანას, სკვერების მოწყობას, შეკეთდა ხიდები (მუხრანის, ორთაჭალის, მეიდნის), ჩატარდა ქალაქის ფარგლებში არსებული ორბელიანების კუნძულის სანაპიროს გასამაგრებელი სამუშაოები. 1935 საექსპლუატაციოდ გადაეცა მტკვრის სანაპიროს მონაკვეთი ელბაქიძის სახ. და მარქსის სახ. (ახლანდ. გალაკტიონისა და ზაარბრიუკენის) ხიდებს შორის.



მთავრობის სახლი. XX ს. 30-იანი წლები.

ამავე დროს თ., როგორც ყოველთვის, იყო ეროვნ.-განმათ. მოძრაობის, დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლის ცენტრი. საყოველთაო აჯანყების მოსამზადებლად 1922 აქ შეიქმნა ხელმძღვანელი შტაბი, *დამოუკიდებლობის კომიტეტი* (დამკომი), რ-შიც შედიოდნენ პოლიტ. პარტიების წარმომადგენლები (იხ. *აგვისტოს აჯანყება 1924*).

ინდუსტრიალიზაციის წლებში მოხდა თ-ის სამრეწველო ობიექტების რეკონსტრუქცია. 1927 ამუშავდა ზაჰესის პირველი რიგი (სრული სიმძლავრით ამუშავდა 1938), აშენდა ჩელუსკინელთა (ამჟამად თამარ მეფის) სახ. ხიდი. ვაკეში გაიშალა სამოქალაქო მშენებლობა, მთაწმინდის პლატოზე და ყოფილ მადათოვის კუნძულზე გაშენდა პარკები. ქალაქს შეემატა მსხვილი ხუროთმოძღვრული კომპლექსები: მთავრობის



მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი (,,იმელი“). 1938.

სასახლის პირველი რიგი, იმელის შენობა, ფუნიკულიორის პლატოს ზედა სადგური და სხვ. 1936 მიღებული სსრკ კონსტიტუციისა და 1937 მიღებული საქართვ. სსრ კონსტიტუციის საფუძველზე 1939 ჩატარდა მშრომელთა დეპუტატების თ-ის საქალაქო საბჭოსა და რაიონული საბჭოების პირველი არჩევნები. 1941 დაარსდა საქართვ. სსრ მეცნ. აკადემია. ამავე დროს თ-ში განსაკუთრებული ინტენსიურობით მოქმედებდა ოცდაათიანი წლების პოლიტ. რეპრესიების მანქანა, რ-მაც მრავალი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

II მსოფლიო ომის დროს თ. გახდა რესპ. სამხ.-სამობილიზაციო ცენტრი. თ-მა შეიარაღებულ ძალებში წარგზავნა 80 ათასზე მეტი მებრძოლი. სამრეწვ. საწარმოები გადავიდა სამხ. პროდუქციის წარმოებაზე, რაშიც მონაწილეობდნენ ფრონტისპირა



მიტინგი ი. სტალინის ძეგლთან. მშრალი ხიდი. 1956 წლის მარტი.

რ-ნებიდან თ-ში ევაკუირებული სამრეწვ. საწარმოები. ომის პერიოდში ქალაქის მრეწველობამ ფრონტს მისცა 217 ათ. ავტომატი, 6,9 ათ. ნაღმსატყორცნი და სხვ. ფრონტს პროდუქციას აწვდიდნენ მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები. 1941 ნოემბრისთვის თ-ში იყო 29 საევაკუაციო ჰოსპიტალი (11800 საწოლით).

ომის შემდგომ, 1948, თ-ის სამრეწვ. პროდუქციამ 1,5-ჯერ გადააჭარბა 1940 დონეს. ი. სტალინისა და საფრ. ხელმძღვანელის გენ. შ. დე გოლის 1945 შეთანხმებით, საქართველოს დაუბრუნდა ე. *თაყაიშვილის* მიერ გადარჩენილი ეროვნ. განძი, რ-მაც ბინა დაიდო თ-ში 1946 დაარსებულ ხელოვნ. მუზეუმში. 50–60-იან წლებში მაგისტრ. გაზსადენების (ყარადაღი – თ. და ორჯონიკიძე – თ.) გაყვანის შემდეგ თ-მა მიიღო ბუნებრივი გაზი, 1957 დაიწყო რეგულ. ტელეგადაცემები (1965 თ. რადიოსარელეო ხაზით ჩაერთო საკავშ. სატელევიზიო გადაცემებში), 1958 ამუშავდა საჰაერო-საბაგირო გზა.

1956 ქართვ. ახალგაზრდობის ნაწილმა უსამართლოდ მიიჩნია ნ. ხრუშჩოვის მიერ ი. სტალინის კულტის კრიტიკის დროს გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, თ-ში მოაწყო მშვიდობიანი საპროტესტო მიტინგები და მანიფესტაციები, რასაც ხელისუფლებამ იარაღი დაუპირისპირა (იხ. *ცხრა მარტი 1956*).

1958 აღინიშნა თ-ის 1500 წლის იუბილე, 1966 – შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილე. 1978 ოქტომბერში პირველად ჩატარდა ახ. სახალხო ყოველწლიური დღესასწაული თბილისქალაქობა (იხ. სტ. *თბილისობა*).

1978 საქართვ. ახ. კონსტიტუციის პროექტიდან, წინა კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, ამოიღეს მუხლი საქართვ. სახელმწ. ენად ქართ. ენის გამოცხადების შესახებ, რასაც მოჰყვა თბილისელების, უპირატესად სტუდენტი ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის საპროტესტო მანიფესტაცია, რ-იც წარმატებით დასრულდა – ქართ. ენამ სტატუსი შეინარჩუნა (იხ. *თოთხმეტი აპრილი 1978*).

1988–89 გააქტიურდა ეროვნ.-განმათ. მოძრაობა. 1988 წ. 12 ნოემბერს მთავრობის სასახლის წინ დაიწყო მიტინგი, რ-იც 22 ნოემბ. მასობრივ შიმშილობაში გადაიზარდა. 29 ნოემბ. აქცია მშვიდობიანად შეწყდა. 1989 მარტში აფხაზეთის გამოყოფის მოთხოვნას თ-ში დიდი მანიფესტაცია და მიტინგების სერია მოჰყვა. მიტინგებზე სხვა პოლიტ. მოთხოვნებიც გაჟღერდა, რ-თა შორის მთავარი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. მშვიდობიანი მიტინგი საბჭოთა ჯარმა უმოწყალოდ დაარბია, იყო მსხვერპლი. 9 აპრილის ღამე ეროვნ. ტრაგედიად იქცა (იხ. *ცხრა აპრილი 1989*).



მიტინგი უნივერსიტეტთან ქართული ენის სტატუსის შესანარჩუნებლად. 1978 წლის 14 აპრილი.

1990 წ. 28 ოქტომბერს მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნების შედეგად გაიმარჯვა ზ. *გამსახურდიას* ბლოკმა ,,მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო‘‘. 1991 წ. 26 მაისს ზ. გამსახურდია არჩევნების გზით გახდა საქართვ. რესპ. პრეზიდენტი. მის წინააღმდეგ მალევე გააქტიურდა ოპოზიცია – თ-ში იმართებოდა მიტინგები, შიმშილობები, მჯდომარე აქციები. ოპოზიცია მოითხოვდა ახ. საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას, ხელისუფლება კომპრომისზე არ მიდიოდა. 20–21 დეკემბერს დაძაბულობა შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა, იყო მსხვერპლი. თ-ში დაიწვა უნიკალური შენობები.

XX ს. 90-იანი წლების დასაწყისში ქალაქის ეკონ. და სოც. მდგომარეობაზე დიდი გავლენა



მიტინგი მთავრობის სახლთან. 1989 წლის აპრილი.

იქონია აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან სამხედრო მოქმედებების შედეგად იძულებით გადაადგილებულთა სიმრავლემ (300 ათასზე მეტი ადამიანი). მძიმე ეკონ. პირობების გამო თ. დატოვა ათეულ ათასობით მოქალაქემ.

1994 შეიქმნა პარტია ,,საქართველოს მოქალაქეთა კავშირი'', რ-იც 1995–2003 საქართველოში წამყვანი პარტია გახდა. 1998 წ. თ-ში ჩატარდა თვითმმართველობის ორგანოს – საკრებულოს არჩევნები. ადგილების დიდი ნაწილი ოპოზიციურმა პარტიებმა მოიპოვეს. 2003 წ. 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაყალბებულად გამოცხადების გამო ოპოზიციამ მ. *სააკაშვილის,* ზ. *ჟვანიასა* და ნ. ბურჯანაძის ხელმძღვანელობით დაიწყო საპროტესტო აქციები. ამ მოვლენებს *,,ვარდების რევოლუცია''* ეწოდა. 2004 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად კი ბლოკი ,,ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები'' ქვეყნის მმართველი ძალა გახდა.

2007 წ. 7 ნოემბერს თ-ში მოეწყო ოპოზიციური პარტიების მიერ ორგანიზებული მასშტაბური საპროტესტო აქცია, რაც ხელისუფლების მხრიდან ძალის გამოყენებით აქციის დაშლითა და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით დამთავრდა. პოლიციამ დაარბია ტელეკომპანია ,,იმედის'' ოფისიც. 2008 წ. აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ხანმოკლე, საქართველოსთვის წარუმატებელი ომის დროს რუს. სამხ. ავიაციამ დაბომბა თ-ის შემოგარენიც. გაიზარდა ლტოლვილთა რიცხვი, მ. შ. თ-ში.

2011 გაზაფხულზე ოპოზიციური პარტიების ნაწილმა მოაწყო საპროტესტო აქციები პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, რ-საც ხელისუფლების მხრიდან ძალის გამოყენება მოჰყვა.

2012 წ. 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა კოალიცია ,,ქართული ოცნება''. ამავე წლიდან საქართველოს პარლამენტი თ-იდან ქუთაისში გადავიდა.

ა. ბენდიანიშვილი. თ. ბერიძე. დ. მუსხელიშვილი. მ. ნათმელაძე. ა. საყვარელიძე.

III. აღმსარებლობა. თ-ის ტერიტორიაზე წინაქალაქური პერიოდის სამლოცველო ტაძარი ან სხვა ამ სახის ძეგლი აღმოჩენილი არ არის, მაგრამ საყოფაცხოვრებო ინვენტარი, ასევე დაკრძალვის რიტუალები და სამარხთა ფორმების სახეცვლილებები აშკარად ავლენს ძვ. და ახ. წელთაღრიცხვის მიჯნაზე ჩამოყალიბებულ მითოსს მოკვდავ და მკვდრეთით აღდგენად ღვთაებებზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ *არმაზის* თაყვანისცემა თ-ის ტერიტორიაზეც იყო გავრცელებული, რადგან არმაზი შემოვიდა არა როგორც მხოლოდ მცხეთელთა, არამედ როგორც *ქართლოსის* შთამომავალთა სახელმწ. გამაერთიანებელი ღვთაება.


სხვა რელიგიათაგან ერთ-ერთი, რ-იც ამ სივრცეში ქრისტიანობის შემოსვლის წინ იყო ფეხმოკიდებული, არის *იუდაიზმი.* თანახმად გადმოცემისა, ებრაელები მცხეთასა და მის შემოგარენში ნაბუქოდონოსორის დროს (ძვ. წ. VI ს.) შემოსულან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძვ. და ახ. წელთაღრიცხვათა მიჯნაზე ისინი თ-ის მიდამოებშიც გამოჩნდებოდნენ. ქართლში ფეხმოკიდებული ყოფილა მანიქეველობა, მაგრამ ყველაზე მომძლავრებული იყო მაზდეანობა (იხ. *ზოროასტრიზმი*).



ანჩისხატის ეკლესია.

სპარსელებმა თ-ის ვიწრობებში ააშენეს ციხე, ჩააყენეს თავიანთი გარნიზონი და პიტიახში დასვეს (IV ს.). ცხადია, სპარს. კონტინგენტს საკუთარი სალოცავიც ექნებოდა. თ-ში, კლდისუბანში, ბეთლემის ზედა ეკლესიის (ფეთხაინის) მახლობლად, შემორჩენილია შენობა, რ-საც ტრადიციულად „ათეშგას'', ანუ „ცეცხლის საგზებელს'' ეძახიან (იხ. *ათეშგაჰი*).

IV ს. პირველ მესამედში იბერიაში სახელმწ. რელიგიად ქრისტიანობა გამოცხადდა. V ს. დამლევს მეფე ვახტანგ გორგასალმა შეაფასა თ-ის სტრატეგიული მნიშვნელობა და განიზრახა შეექმნა ქვეყნის ახ., პოლიტ. და სარწმუნოებრივ-კულტ. ცენტრი, რ-ის გავლენა მთელ ამიერკავკასიას გასწვდებოდა. მართალია, კათოლიკოსის ტახტი მცხეთაში დარჩა, მაგრამ საეკლ. მშენებ-



ათეშგა. ზოროასტრული სამლოცველო.


ლობათა მასშტაბი თ-ის დედაქალაქობის პირველ საუკუნეებში ცხადყოფს მის განსაკუთრებულ სარწმუნოებრივ დატვირთვას. V ს. მიწურულს თ-ს უკვე ჰყავდა ეპისკოპოსი, რ-იც *თბილელად* იწოდებოდა. ამ პერიოდში ქალაქში აშენდა *სიონი* – ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, *ანჩისხატი* – მარიამ წმიდის ეკლესია, გოლგოთის ჯვრისა და ბეთლემის (მოგვიანებით „ფეთხაინი“) ეკლესიები. მაზდეანობა საბოლოოდ VII ს-ში შეცვალა *ისლამმა*.

არაბობა ერთ-ერთი უმძიმესი ხანაა საქართვ. ისტორიაში. VII ს-ში თ-ში ამირა დაჯდა და ქალაქი საერთო კულტ.-ისტ. პროცესებს მნიშვნელოვნად გამოეთიშა. არაბთა გამანადგურებელმა შემოსევებმა შეასუსტა მისი კავშირი ბიზანტიასთან, ქართ. ეკლესია იზოლირებული დარჩა დანარჩენი ქრისტ. ცენტრებისაგან. არაბთა ბატონობის პერიოდში თ-ში შეიქმნა ქვეყნის დანარჩენი ნაწილებისაგან განსხვავებული პოლიეთნიკური გარემო და მისი შესაბამისი სარწმუნოებრივი სპექტრი. მომრავლდა მუსლიმანი მოსახლეობა, აშენდა მეჩეთები, ქალაქსა და ქვეყნის რეგიონებს შორის დამყარდა რეალობის ფარგლებში შესაძლო კულტ.-ეკონ. წონასწორობა, თანაცხოვრების პირობებში აღმოცენდა სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევართა შორის რელიგ. მიმტევებლობა.

IX–XI სს. ქართ. ეკლესიამ, ფილოს. აზროვნებამ, ქრისტ. კულტურამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა – მთელ საქართველოში ქრისტიანობა ჭეშმარიტ ეროვნ. სარწმუნოებად იქცა. საქართვ. ჩრდ.-დას. და სამხრ.-დას. პროვინციებში დაიწყო ქვეყნის გაერთიანების პროცესი. V ს-ში მიღებული საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიურობა VII–VIII სს-ში განმეორებით გაცხადდა



სუნიტების მეჩეთი. XIX ს.



შიიტების მეჩეთი.

ქართვ. საეკლ. მოღვაწეთა მიერ. გამოიკვეთა სხვა კონფესიებთან ურთიერთობის ტენდენციები. მიუხედავად იმისა, რომ დავით IV აღმაშენებელმა თ. კვლავ საქართველოს დედაქალაქად აქცია (1122), კათოლიკოსის სასაყდრო ქალაქად ისევ მცხეთა რჩებოდა, თუმცა ქრისტ. პოლიტიკა თ-იდან ტარდებოდა მთელ კავკასიაში.

XVII–XVIII სს-ში ქართლ-კახეთის ტახტზე მუსლიმანი მმართველები ისხდნენ. მოსახლ. ნაწილი მუსლიმანობას იღებდა, ნაწილი სომხ. კონფესიაზე გადადიოდა და „სომხდებოდა“, რასაც დიდად უწყობდა ხელს ირან-თურქ. მხარდაჭერა სომხ. ეკლესიისადმი. ქალაქის მუსლიმანები თავიდან სუნიტები იყვნენ, შიიტები აქ მოგვიანებით გამოჩნდნენ. ირკვევა, რომ XIX ს. დამდეგისათვის თ-ში 5 მეჩეთი ყოფილა. აქედან სამი XVII ს-ში აუშენებია როსტომ მეფეს. ამავე დროს, საქართვ. ეკლესია, ქართვ. მოღვაწეები ყოველნაირად ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ქრისტ. სარწმუნოება, ეროვნ. კულტურა.

თ-მა განსაკუთრებული როლი შეასრულა *კათოლიკობასთან* ურთიერთობაში. 1054 განხეთქილების დროს, როდესაც ბერძნებისა და ლათინების ეკლესიები ერთმანეთს დაშორდა, ამ დაპირისპირებას ქართველებში უკიდურესად მწვავე ფორმა არ მიუღია. ასევე ლოიალური ჩანს ლათინთა დამოკიდებულება ქართველთა მიმართ. X ს-იდან იწყება ახ. ურთიერთობა კათოლიკეებთან. ცხოველდება მისიონერთა საქმიანობა. პირველად გამოჩნდნენ ფრანცისკელი, ანუ მინორიტი ბერები, მათ შემდეგ, 1240, თ-ში თავიანთი მონასტერი დაუფუძნებიათ დომინიკელებს. 1245 შემდგომ გამოჩნდა მისიონერთა ახ. ჯგუფი, რ-იც პაპმა ინოკენტი IV-მ გამოგზავნა მახლობელ აზიასა და კავკასიაში. მისიონერები თავდაპირველად თ-ის მისიონში ჩამოდიოდნენ, აქედან კი სამოღვაწეოდ სხვა ქვეყნებშიც მიდიოდნენ. 1329 კათოლიკური საეპისკოპოსო ქ. სმირნიდან თ-ში გადმოიტანეს. დაწესდა კათოლ. კათედრა, რ-ის ეკლესიას საეპისკოპოსო ეკლესია ეწოდა და ქართ. ტიპიკონი მიეცა (იხ. აგრეთვე *თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსო*). მ. *თამარაშვილს* აღნუსხული ჰყავს თბილ. ცამეტი ეპისკოპოსი. კონსტანტინოპოლის აღების შემდგომ ოსმალებმა გზები გადაკეტეს და საქართველოს დას-ისგან სრული იზოლაცია დაემუქრა. მიუხედავად სიძნელეებისა, რომი მაინც ახერხებდა თ-თან ურთიერთობის შენარჩუნებას. ამით დამთავრდა საქართველოსა და რომის ეკლესიის ურთიერთობის ძვ. ხანა, რ-იც XI–XVII სს. მოიცავს. მომდევნო პერიოდში პირობები საგრძნობლად შეიცვალა.



წმინდა პეტრე-პავლეს კათოლიკური ეკლესია. 1870.

XVIII ს. ბოლოს თ-ის განადგურებამ კათოლიკეთა საქმიანობას დიდი ზიანი მიაყენა. XIX ს. 30–40-იან წლებში რუსეთმა კათოლიკეებს აუკრძალა საქართველოში საქმიანობა. მიუხედავად ამისა, თ-ში კათოლიკობას არსებობა არ შეუწყვეტია. ამჟამად თ-ში ორი კათოლ. ეკლესია მოქმედებს. კათოლ. მრევლისათვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო რომის პაპის *იოანე პავლე II-ის* ვიზიტი თ-ში 1999.

შუა საუკუნეებში თ-ში დასტურდება ებრაელთა ძლიერი დიასპო-



სინაგოგა. XX ს. დასაწყისი.

რა. X ს-იდან აქ განვითარების მაღალი დონისათვის მიუღწევია ებრაულ ფილოს.-თეოლ. სკოლას და იგი თალმუდისტებისა და ყარაიმების სექტების გვერდით „თბილისურ სექტად“ ჩამოყალიბებულა. ცნობილია, რომ მათი მიმდევრები თ-ში XII ს-შიც ცხოვრობდნენ. ებრაელები თვლიან, რომ ისინი საქართველოში იერუსალიმის პირველი ტაძრის დანგრევის შემდეგ მოვიდნენ და ძველთაგანვე თავს უცხოდ არ გრძნობდნენ. ისინი არც ქართველებს მიაჩნდათ გარეშეებად. თ-ში ებრაელთა უბანს მოიხსენიებს ალ-ფარიკი (XII ს.), ებრაელებს ახსენებს მარკო *პოლოც* (XIII ს.). ყველა ეს ცნობა ცხადყოფს, რომ არაბობის პერიოდში და შემდგომაც თ-ში ებრაელთა დიასპორა საკმაოდ კარგ პირობებში ცხოვრობდა.

XIX ს. დამდეგს თ-ში მოსახლე ებრაელები ე. წ. სეფარიდული ტრადიციის წარმომადგენლები არიან. XIX ს-ში ქალაქში გაჩნდა



სომხური ეკლესია.

აშქენაზთა თემი – ევრ. ტრადიციის ებრაელები, რ-ებიც ძირითადად რუსეთიდან შემოვიდნენ. ებრაელები საქართველოსა და თ-ში ქართ. მოსახლეობასთან უმჭიდროეს კავშირში ცხოვრობდნენ. XIX ს-ში სამშობლოში ებრაელთა თავმოყრისა და გაერთიანების იდეამ ხორცი შეისხა სიონიზმის სახით, სიონისტური წრეები თ-შიც ამოქმედდა. ებრაელთა თემების ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა *სინაგოგა*, რ-იც ამჟამადაც მოქმედებს (აშქენაზებისა და სეფარიდების).

თ-ში ძველთაგანვე უნდა ყოფილიყო ფეხმოკიდებული სომხ. სამოციქულო ეკლესია. VII ს-ში, სომეხ-ქართველთა საეკლ. განხეთქილების შემდგომ, სომხ. ეკლესიამ ეთნ. მნიშვნელობა შეიძინა. XI ს-იდან, როდესაც სომხ. სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა, კავკასიაში ქრისტიანთა თავშესაფრად და დამცველად საქართველო იქცა. საქართველოს გავლენა გამოიხატა ქალკედონელების გააქტიურებით როგორც სომხეთში, ისე საქართველოში მცხოვრებ სომეხთა შორის. საქართვ. სახელმწიფოს დასუსტებისა და დაქუცმაცების შემდეგ ეს პროცესი მინელდა და ჩაქრა. გარდა მიგრირებული სომხებისა, სხვადასხვა დროს ქართვ. მეფეებს თავად შემოჰყავდათ სომხ. მოსახლეობა, ძირითადად ქალაქებიდან აყრილი ვაჭარ-ხელოსნები, და ასახლებდნენ საქართვ. ქალაქებში, უმთავრესად თ-ში. ამ ვითარებამ ხელი შეუწყო მათი სოც. და ეკონ. სტატუსის ჩამოყალიბებას. ეკონომიკურად მომაგრებულმა სომხურმა ეკლესიამ და „უნიტორებმა“ აქტ. სარწმუნოებრივი ბრძოლა გააჩაღეს. ისინი ახერხებდნენ ძვ. ქართ. ეკლესიების დასაკუთრებას, ამასთანავე ცდილობდნენ საქართველოდან კათოლიკეების განდევნას და თავიანთი სარწმუნოების დამკვიდრებას. ამჟამად (2013) საქართველოში სომხ. საეპისკოპოსოს სრული სახელწოდებაა „სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს სომეხთა ეპარქია“. არქიეპისკოპოსის რეზიდენცია თ-ში მდებარეობს. ქალაქში ორი სომხ. ეკლესია მოქმედებს: წმ. გიორგის კათოლიკე ეკლესია და ეჩმიაძინის წმ. გიორგის ეკლესია.


პ. *იოსელიანის* ცნობით, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ეკლესიების გარდა (სიონი, მეტეხი, ანჩისხატი, მამადავითი), XIX ს-ში თ-ში მოქმედებდა ანდრია პირველწოდებულის ეკლესია ვერეზე (ლურჯი მონასტერი), რ-საც ვახუშტი ბაგრატიონი წმინდა გიორგის ეკლესიად მიიჩნევს; შაჰნავაზის ასულის ელენეს მიერ 1680 აშენებული ღვთისმშობლის ეკლესია, რ-იც 1775 განუახლებია ერეკლე II-ის ასულს მარიამს, 1840 შეუკეთებია თავად ფარსადან ციციშვილს, ამის შემდეგ კი შენობა კერძო მფლობელის ხელში გადასულა. პ. იოსელიანის ჩამონათვალში არის ბერძნების მიერ ავლაბარში აშენებული წმ. მარინეს ეკლესია, რ-იც 1824 მიტროპოლიტ იოანეს უფლის მირქმის ეკლესიად განუახლებია; ეგზარქოს ევგენის მიერ განახლდა ასევე კვირაცხოვლის ეკლესია (თომა მოციქულის), რ-იც XVII ს. ბოლოს საქართვ. მთავარეპისკოპოსს ქრისტეფორეს აუშენებია თემურლენგის დროს დანგრეული ძვ. ეკლესიის ადგილზე. პ. იოსელიანის ცნობით, წმ. ჯვრის ეკლესია (ჯვარის მამა) ეკუთვნოდა იერუსალიმის საპატრიარქოს. მისი აზრით, მიუხედავად საქართვ. ეკლესიის ანტიოქიისადმი იერარქიული დამოკიდებულებისა, საქართვ. მეფეებს გაუმართავთ იერუსალიმის ეკლესიის „ვითარცა ყოველთა ქრისტიანეთა დედის“, საყდარი. ეს ეკლესია ყოველთვის ეკუთვნოდა იერუსალიმის სამი ეკლესიის – წმ. ელიას, წმ. ჯვრის და წმ. იაკობის – ბერებს. წმ. ეკატერინეს ეკლესია, რ-იც ააშენა დავით აღმაშენებელმა სინას წმ. ეკატერინეს ეკლესიის ანალოგიით, თემურლენგმა დაანგრია, აღადგინა ალექსანდრე დიდმა, საბოლოოდ დაინგრა 1795. მის ადგილზე სინელმა ბერებმა მცირე ეკლესია ააშენეს, მაგრამ, რადგან მრევლი გაიზარდა და ძვ. შენობა აღარ ყოფნიდათ, 1861 გადააკეთეს და ხელმეორედ აკურთხეს; წმ. ირაკლისა და დარიას ეკლესია 1822 რუსების მიერ ფერისცვალების ეკლესიად იკურთხა. თ-ში იდგა კიდევ *წმინდა გიორგის კარის ეკლესია*, აგებული ვახტანგ VI-ის ძმის სიმონის მიერ; *ქაშვეთის* ძვ. ეკლესია, კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესია, წმ. სამების ეკლესია. ამათ გარდა იყო XIX ს. დამდეგს აგებული მირქმის ეკლესია, ახლანდ. წმ. ნიკოლოზის ეკლესია ჩუღურეთში და მიქელ მთავარანგელოზის ეკლესია ავლაბარში.

XIX ს-ში მოქმედ თუ გაუქმებულ ეკლესიებთან ერთად თ-ში და მის შემოგარენში იყო მრავალი დანგრეული ეკლესია. პ. იოსელიანს ჩამოთვლილი აქვს: აბოს სამლოცველო; წმ. დავით გარეჯელის დროებითი სადგომი მეტეხის კლდეში; ნათლისმცემ-

ლის ტაძარი, დანგრეული თემურლენგის მიერ და აღდგენილი ნათლისმცემლის უდაბნოს ბერების ღვაწლით ალექსანდრე დიდის დროს; კონსტანტინესა და ელენეს ეკლესია ავლაბარში; *ელია წინასწარმეტყველის ეკლესია* მახათას მთაზე, კრწანისის ღვთისმშობლის ეკლესია (მდებარეობს კრწანისის მაღლობზე, მოქმედი და მართლმადიდებლური იყო თეიმურაზ II-ის დრომდე, შემდეგ სომხებმა დაიკავეს). ჩამოთვლილი ეკლესიები და სალოცავები საკმაოდ სრულად გვიხატავს XIX ს. თ-ის მოსახლეობის სარწმუნოებრივ პანორამას.

ამ მრავალრიცხოვანი მართლმადიდებლური ეკლესია-სალოცავების გვერდით თ-ში, მისი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტ. განმავლობაში მრავლად იყო სხვა რელიგიის მიმდევართა სალოცავები. ეს აიხსნება იმით, რომ სხვა სარწმუნოების მიმდევრებს არასოდეს განუცდიათ დევნა-შევიწროება.

XIX ს. თ-ში ძირითადად სამი დიდი კონფესიური ჯგუფი გამოიკვეთა – მართლმადიდებლობა,



ბერძნული ეკლესია. 1853/54.

გრიგორიანობა (სომხ. ეკლესია) და ისლამი. წლების განმავლობაში კონფესიათა რიცხობრივი მაჩვენებელი განუხრელად იცვლებოდა. ქალაქში მატულობდა მართლმადიდებელთა რაოდენობა. 1899 ეკლესიათა რიცხვმა უკვე 48-ს მიაღწია. თ-ის უმთავრესი ეკლესია, სადაც ყველა ეთნოსის მართლმადიდებელი ლოცულობდა (ზოგჯერ არამართლმადიდებელი ქრისტიანიც), იყო სიონი (ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია).

მეორე ჯგუფს შეადგენდნენ სომეხი გრიგორიანელები. თ-ში მათმა რიცხვმა XIX ს. II ნახევარში და XX ს. დასაწყისში მნიშვნელოვნად იმატა, მიზეზი ომებით გამოწვეული მიგრაცია იყო. XIX ს-ში ქალაქში მცხოვრებ მუსლიმანთა შემადგენლობაში შიიტებიც იყვნენ და სუნიტებიც – 1876 აღწერით შიიტები მოსახლ. 3,7 %-ს შეადგენდნენ, სუნიტები კი – 0,7 %-ს. როგორც ჩანს, იუდაიზმის მიმდევრები თავიანთი რიცხობრივი სიმცირის გამო კონკურენციას ვერ უწევდნენ უმთავრეს კონფესიებს, თუმცა XIX ს-იდან დაწყებული XX ს. 70-იან წლებამდე მათი რიცხვი მუდმივად იზრდებოდა. XX ს. ბოლოს თ-ში ებრაელთა რაოდენობის სწრაფი კლება გამოიწვია მასობრივმა გადასახლებამ ისრაელში.

XIX ს. შუა წლებიდან რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, გამოჩნდნენ რუსი სექტანტები. რუს. იმპერია მათ დევნიდა და განაპირა რეგიონებში, მ. შ. საქართველოში, ასახლებდა. რუსეთში ისინი XVII ს-ში მომხდარი საეკლ. განხეთქილების შედეგად წარმოიშვნენ. მაშინ ე. წ. „ძველი რწმენის მიმდევრები“ (სტაროვერები) გამოვიდნენ ოფიც. ეკლესიის წინააღმდეგ, რ-იც რეფორმის ჩატარებას აპირებდა. მოგვიანებით გაჩნდნენ *დუხობორები*, ანუ „სულით მებრძოლი ქრისტიანები“, მოლოკნები და კიდევ მრავალი სხვა. მოლოკნები კომპაქტურად დასახლდნენ ქალაქში, დუხობორების კოლონია გაჩნდა ჯავახეთში (იხ. *სექტანტობა*).

თ-ში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ხალხ. დღესასწაულებსა და რიტუალებს, რ-ებიც, ოფიც. რელიგიების გავლენის მიუხედავად, თავიანთი შინაარსით შეიცავდა უძველეს რწმენა-წარმოდგენათა შრეს. ხალხ. დღესასწაულების გარდა, საერთო-ხალხ. და ქალაქური მასშტაბი შეიძინა მრავალმა საეკლ. დღესასწაულმა, მ. შ. აღსანიშნავია *ნათლისღება* (ამ დღეს ქართვ. და სომეხი ხელოსნები ამქრის გაშლილი დროშებით ერთად ჩადიოდნენ წყალზე, მტკვრის ნაპირზე, წარმოსახვით – იორდანეზე), *ნინოობა*, სურბსარქისობა (იმართებოდა დიდმარხვამდე ორი კვირით ადრე და მონაწილეობას იღებდნენ მუსლიმანებიც. ამ დღესასწაულს ისინი ნადირ-ნაბეს ეძახდნენ), *ყველიერი* (იმართებოდა კრივი), *დიდი მარხვის* დასაწყისი (ყეენობა), *ვნების კვირის* ოთხშაბათი (ჭიაკოკონობა), *აღდგომა*, *კვირაცხოველობა*, ვნების კვირის პარასკევი, ჯოჯოხეთობა (წმ.



ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი. 1897.

დოდოს დღესასწაული, აღდგომის კვირის სამშაბათი), ახალკვირა, მაისობა (1–7 მაისი), *თელეთობა*, *გიორგობა* გაზაფხულისა (23 აპრილი), *ვიჭაკი*, *მამადავითობა*, სამებობა, კათოლიკური გარდამოხსნა (თეთრებში გამოწყობილი ქალწულები წავიდოდნენ ეკლესიიდან სასაფლაომდე და გზაზე ყვავილებს ყრიდნენ), სურბ-კარაპეტი, ღვთისმშობლის მიძინება, შობა და ა. შ.

რუსეთთან მიერთების (1801) შემდეგ საქართვ. ეკლესიას ადგილი მიუჩინეს რუს. იმპერიის საეკლ. იერარქიაში. იმპერია ვერ შეურიგდა ქართ. ავტოკეფალიური ეკლესიისა და მისი მეთაურის, სრულიად საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქის, სტატუსს. 1811 აღმ. საქართველოში გაუქმდა ავტოკეფალია. ეკლესიის წინამძღოლად დაინიშნა ეგზარქოსი. მოსალოდნელ უსიამოვნებათა თავიდან აცილების მიზნით ეგზარქოსად დაინიშნა ქართველი, *ვარლაამ* ქსნის ერისთავი, მისი მომდევნო ყველა ეგზარქოსი რუსი იყო. სიონი შეაკეთეს და რუსი ეგზარქოსების კათედრად აქციეს. დაიწყო ქართ. ეკლესიის ნამდვილი რბევა. მრავალრიცხოვანი საეპისკოპოსოები ოთხამდე დაიყვანეს, გაანადგურეს და დაიტაცეს ძვირფასი საეკლ. ინვენტარი, შეელებეს უძველესი მხატვრობა. იძარცვებოდა და ისპობოდა საეკლ. თუ საერო დოკუმენტები, ხელნაწერები, რაც გადარჩა, პეტერბურგში წაიღეს. უმთავრესი ბოროტება, რაც რუსეთის ეკლესიამ საქართველოში და თ-ში განახორციელა, იყო ეკლესიიდან ქართ. ენის განდევნა. ეს აქცია მიზნად ისახავდა მოსახლეობის გარუსებაში სარწმუნოებისა და ეკლესიის მექანიზმის ჩართვას.

1917 წ. 12 (25) მარტს საქართვ. სამღვდელოებამ აღადგინა ავტოკეფალია, რ-იც რუს. დროებითმა

მთავრობამ ცნო, მაგრამ ამას არ თანხმდებოდა რუს. ეკლესია. 1917 წ. 17 სექტემბერს საქართვ. ეკლესიის საჭეთმპყრობლად არჩეულ იქნა ეპისკოპოსი *კირიონ II*. 1920 წ. 27 ივნ. საეკლ. კრებამ კათოლიკოსად დაამტკიცა მიტროპოლიტი *ლეონიდე* (ოქროპირიძე).


თ-ის გამოცოცხლებული რელიგ. ცხოვრება შეიცვალა საქართველოში ბოლშევიკების შემოჭრის შემდგომ. ისინი, პირველ ყოვლისა, ებრძოდნენ ქართ. ეკლესიას, მის მეთაურებს, საზ. მოღვაწეებს, რადგან ეკლესია და მისი მესვეურები ეროვნ. ინტერესების გამომხატველად და დასაყრდენად მიაჩნდათ. ლეონიდეს გარდაცვალების შემდეგ, 1921 კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულმა *ამბროსი* ხელაიამ გენუის საერთაშ. კონფერენციას მიმართა მემორანდუმით საქართველოში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო. შემდგომი კათოლიკოს-პატრიარქები იყვნენ *ქრისტეფორე III* ციცქიშვილი, *კალისტრატე* ცინცაძე, *მელქისედეკ III* ფხალაძე, *ეფრემ II* სიდამონიძე, *დავით VI* დევდარიანი.

1977 წ. 23 დეკემბერს სრულიად საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქად აირჩიეს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი *ილია II* შიოლაშვილი. 1990 მოხდა საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიისა და მისი კათოლიკოს-პატრიარქის უფლებამოსილებათა საერთაშ. აღიარება.

საქართველოსა და თ-ში გაიშალა ფართო საეკლ. მშენებლობა. აიგო ორ ათეულზე მეტი მართლმადიდებელი ეკლესია. ამათგან უმთავრესია თ-ში, ელიას უბანში, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით აშენებული *წმინდა სამების საკათედრო ტაძარი*, რ-იც 2004 წ. 23 ნოემბერს იკურთხა (მშენებლობა დაიწყო 1996). საქართვ. სამოციქულო მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიის როლი ქვეყნის ისტორიაში კონსტიტუციითაა აღიარებული.

ი. სურგულაძე.

IV. არქიტექტურა. თ. საუკუნეების განმავლობაში მისი განვითარების ყოველ ეტაპზე ყალიბდებოდა დროისათვის შესაბამის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. აქ არქიტ. საშუალებით აისახა ქალაქის ყოფითი სახე, ტრადიციები, კულტურა. თ-ის ქალაქთმშენებლობით ფორმირებაზე, გარდა პოლიტ. ვითარებისა, ეკონ. მდგომარეობისა, რელიეფისა, კლიმ. პირობებისა და მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა, გავლენა იქონია ქალაქზე გამავალმა ევროპა-აზიის დამაკავშირებელმა საქარავნო გზის არსებობამ. ისტ. კოლიზიების გამო თ. მრავალჯერ დაქცეულა და კვლავ აღმდგარა. აღა-მაჰმად-ხანის გამანადგურებელი შემოსევის შედეგად (1795) საერო ხასიათის ნაგებობებიდან არაფერი შემოგვრჩა, გარდა მეფე როსტომის სასახლის აბანოსი (შემდგომ ზარაფხანისა), რ-მაც XXI ს. 10-იან წლებში მთლიანად იცვალა სახე.




თბილისის ხედი სეიდაბადიდან. XIX ს. II ნახევარი.

თ-ის განვითარების ისტორიაში იკვეთება სამი ძირითადი ეტაპი: პირველი – დაარსებიდან XVIII ს. მიწურულამდე, მეორე – XIX ს. დასაწყისიდან XX ს. პირველი ნახევრის ჩათვლით, მესამე კი – XX ს. 40-იანი წლებიდან დღემდე.

ჩვენამდე მოღწეული ძვ. ქალაქის განაშენიანება ძირითადად შედგება საცხოვრებელი სახლებისაგან, რ-ებიც მიეკუთვნება XIX ს-სა და XX ს. დასაწყისს. უძველეს კალას უბანში ქალაქგეგმარებითი სტრუქტურა იმეორებს გვიანდ. ფეოდ. ხანის ქალაქგეგმარებით სტრუქტურას, თუმცა მნიშვნელოვნად სახეცვლილია მეტეხის ხიდის მიმდებარე განაშენიანება და სამეფო კარის სივრცის გეგმარებითი სტრუქტურა.

შემორჩენილია XIX–XX სს. თ-ის ამსახველი ისტ.-კარტოგრაფიული მასალა, დ. *ერმაკოვის*, ა. *როინა-*



მთაწმინდის ხედი ჩუღურეთიდან. XIX ს. 80-იანი წლები.



მეტეხის ციხე და ავლაბარი. XIX ს. 90-იანი წლები.

შვილის მდიდარი ფოტოარქივი, მოგზაური მხატვრების ჩანახატები, დოკუმენტური კინოფილმები, ლიტ. ნაწარმოებები.


გვიანფეოდ. ხანის თ-ის არქიტექტურაზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ შემორჩენილი ჩანახატებით (*შარდენი, ტურნეფორი*) და ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი (1735) ქალაქის გეგმითა და აღწერით. XVII–XVIII სს-ში თ. ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა: 1. *სეიდაბადი*, ანუ ,,საკუთრივ თბილისი'' – ქალაქის უძველესი, მინერალური წყლების უბანი; 2. *კალა* – ქალაქის უმთავრესი ნაწილი; იგი შემოფარგლული იყო ციხე-გალავნით და 6 კარით; 3. *ისანი* (შემდეგდროინდელი, ავლაბარი) – მეტეხის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის დასახლება; 4. გარეთუბანი – საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ტერიტორია ქალაქის ზღუდის ჩრდ-ით, ქალაქს გარს ერტყა [განსაკუთრებით სოლოლაკის (სალალაკის) უბანში] ,,წალკოტნი და სავარდენი, ყოვლის ხილითა და ყვავილითა სავსე''.

თბილისური ქალაქგეგმარებითი სტრუქტურა ქალაქთმშენებლობის თვალსაზრისით არაერთგვაროვანია. ამ ზონის ცალკეულ უბნებს საერთო ღირებულებებთან ერთად აქვთ განსხვავებული ქალაქთმშენებლობითი მახასიათებლები. ასე რომ კალის, მეტეხ-საჩინოს, აბანოთუბნისა და ნაწილობრივ ხარფუხის ურბანული განვითარების პრინციპები ერთნაირია, ხოლო სოლოლაკის, ,,დვორცოვის'', მთაწმინდის და ახლანდ. დავით აღმაშენებლის გამზირის და მიმდებარე ტერიტორიის – სრულიად განსხვავებული. ამავე დროს კალის, აბანოთუბნის, მეტეხ-საჩინოს და ნაწილობრივ ხარფუხის განაშენიანების მრავალი ელემენტი (საცხოვრებელი სახლის არქიტ.-სტილისტური მახასიათებლები) უმრავლეს შემთხვევაში ერთმანეთის იდენტურია. აქ გაბატონებულია ე.წ. თბილისური ,,ამპირული სახლი'', ხოლო სოლოლაკის და ახლანდ. დავით აღმაშენებლის გამზირის განაშენიანების ძირითად ელემენტს – საცხოვრებელ სახლებს აქვს თბილისური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი დეტალები. ასეთებია XX ს. პირველ ათწლეულში ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი მოდური სტილით (ეკლექტიკა, მოდერნი, ფსევდოგოთიკა, ფსევდომავრიტანული, კლასიციზმი და ა.შ.) აგებული შენობა-ნაგებობები; ასეთივე მდგომარეობაა ე.წ. ,,დვორცოვის'' ზონაში, მთაწმინდის კალთის ქვედა ტერასაზე და, ნაწილობრივ, *ვერის* უბანში.



თბილისური საცხოვრებელი სახლი. ლადო გუდიაშვილის (ყოფილი აბას-აბადის) მოედანი. XIX ს. 30–40-იანი წლები.

თ-ის ისტ. უბნები არაერთგვაროვანი სტრუქტურისაა. მიუხედავად ამისა, თვით ამ სტრუქტურების ძირითადი მაფორმირებელი საცხოვრებელი სახლები ერთგვარი პრინციპებითაა დაგეგმილი – ე.წ. თბილისურეზოიანი საცხოვრებელი სახლებით (მიუხედავად მოდური სტილის გავლენისა), რაც განპირობებულია მდგრადი ყოფითი ტრადიციებით. ამ ტიპის სახლებით არის შექმნილი თბილისური ქუჩების განუმეორებელი სახე და კოლორიტი. ასეთი სახლის გეგმარებითი სტრუქტურა იკინძება შიდა ეზოს გარშემო, რ-იც მეტწილად არასწორი გეომ. ფორმისაა, ერთ მხარეს გახსნილია, უმეტეს შემთხვევაში – ქუჩისკენ. მათ ვუწოდებთ ნახევარატრიუმულ სახლებს, რ-თა ეზოები გარშემორტყმულია გადახურული ხის აივნებით. ისინი ხშირად ფასადებზეც გამოდის. არსებობს ტრადიცია ,,სალაყბო'' აივნებისა, მათ სახლების დამაკავშირებელი ფუნქცია აკისრიათ. ასეთი სტრუქტურის მქონე სახლები შესაძლებლობას უქმნის მაცხოვრებლებს, დაამყარონ უშუალო კონტაქტი ერთმანეთთან, მეზობელ ეზოსთან, ქუჩასთან. თ-ის განაშენიანებისაგან ეკლესიები მკვეთრად არ გამოიყოფა. უფრო მეტიც, ისინი წარმოადგენენ განაშენიანების ისეთსავე ელემენტს, როგორსაც სხვა ფუნქციის შენობები. ამავე დროს ქალაქის საერთო კომპოზიციაში დომინანტებად რჩებიან. შემო-



ევგენი გოლოვინის პროსპექტი (ახლანდელი შოთა რუსთაველის გამზირი). XIX ს. 50–60-იანი წლები.

სული ევრ. კულტურა და ახ. არქიტ. მოდა ვერ თრგუნავს ტრად. ყოფას და მხოლოდ თავისებურად, თბილისურად ადაპტირდება.

თ-ის არქიტ.-მხატვრულ სახეს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი ბუნებრივი ლანდშაფტი, რ-ზეც ქალაქია შეფენილი და ქმნის განუმეორებელ, დასამახსოვრებელ პანორამას. თანამედროვე ქალაქის შუაგულში მოექცა ისტ. უბნები. 1976, საქართვ. მთავრობის გადაწყვეტილებით, თ-ის ისტ. უბნები – კალა, აბანოთუბანი, ხარფუხი, მეტეხის ქიმის განაშენიანება გამოცხადდა სახელმწ. დაცვით ზონად. 1985 დაცვით ზონაში შევიდა მთაწმინდა, სოლოლაკი, ახლანდ. დავით აღმაშენებლის გამზირი და მიმდებარე ტერიტორია.

XIX ს. დამდეგიდან თ. სწრაფად ვითარდებოდა და იზრდებოდა, ვეღარ ეტეოდა ისტ. საზღვრებში და გალავნის გარეთ დაიწყო ტერიტორიების ათვისება. მოისპო ქალაქის გალავანი და კარები. ქალაქის ადმ.-კულტურულმა და სავაჭრო ცენტრმა გარეთუბანში გადაინაცვლა (ახლანდ. თავისუფლების მოედნის მიმდებარე უბნები). მდინარის მარჯვენა მხარეს ჩამოყალიბდა თ-ის მთავარი არტერია – გოლოვინის პროსპექტი (ახლანდ. რუსთაველის გამზირი) და ოლღას (ახლანდ. კოსტავას) ქუჩა; მარცხენა მხარეს კი, მოგვიანებით (XIX ს. შუა წლები) – ქალაქის მეორე გრძივი მაგისტრალი – მიხეილის პროსპექტი (ახლანდ. დავით აღმაშენებლის გამზირი); აშენდა ხიდები – ვორონცოვის (1851–53 წწ. არქიტ-ები – ჯ. *სკუდიერი*; ამჟამინდელი ჩულურეთის ხიდი, რეკონსტრუირებულია 1960, ინჟ. – გ. ქარცივაძე, არქიტ-ები: გ. *მელქაძე*, შ. *ყავლაშვილი*), ვერის (1884, ინჟ. ს. უმანსკი; 1953 მის ადგილზე აიგო ახალი, ამჟამინდელი გალაკტიონ ტაბიძის ხიდი; ინჟ. გ. ჩომახიძე, არქიტ. მ. *მელია*), მუხრანის (1911, აკად. ე. პატონი, შედულების წესით აგებული პირველი ხიდი რუს. იმპერიაში; 1965 იგი შეცვალა ახალმა – ბარათაშვილის ხიდმა, ინჟ. გ. ქარცივაძე, არქიტ-ები – შ. ყავლაშვილი, ვ. *ქურთიშვილი*).



მიხეილის პროსპექტი (ახლანდელი დავით აღმაშენებლის გამზირი). XX ს. დასაწყისი.

თ-ის ქალაქთმშენებლობაში დაინერგა გეგმარებითი პრაქტიკა. ახ. უბნების განაშენიანება შედარებით რეგულ. ხასიათს ატარებდა. გარეთუბანში, კუკიაზე ჩატარდა კეთილმოწყობითი სამუშაოები, გაშენდა რამდენიმე ბაღი და სკვერი; წავკისის ხეობაში, ყოფ. სამეფო ბაღების ადგილზე – *ბოტანიკური ბაღი* (1845); ყაბახის ადგილზე – ალექსანდრეს ბაღი (1859, არქიტ. ო. *სიმონსონი*); დიდუბის უბანში – მუშთაიდის ბაღი (ახლანდ. კულტ. და დასვენების პარკი) და სხვა. თ-ში გაიყვანეს თავდაპირველად კონკის (1883), შემდეგ ტრამვაის (1904) ხაზები, მამადავითის მთაზე ააგეს ფუნიკულიორი (იხ. *თბილისის ფუნიკულიორი*) (1905). XX ს. პირველ ათწლეულში თ-ის განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრები ვრცელდებოდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე – ძვ. ქალაქიდან ვარაზისხევსა და მდ. ვერემდე (დაწყებული იყო ვაკისა და საბურთალოს დასახლებებიც), ხოლო მარცხენა ნაპირზე – ისნიდან დიდუბემდე და ორთაჭალიდან *ნავთლულამდე*.

XIX ს. დამდეგიდან 60-იან წლებამდე თ-ის ოფიც. მშენებლობაში ინერგებოდა რუს. იმპერიაში იმ დროს გავრცელებული ე.წ. გვიანდ. რუს. კლასიციზმი: მთავარმართებლის სახლი (1802–07; 1865–68; სასახლედ გადააკეთეს არქიტ. ო. სიმონსონის პროექტით. ნაგებობამ ამ სახით მოაღწია დღემდე. ახლანდ. *მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე*); ყოფილი შტაბის შენობა (საფუძველი ჩაეყარა 1824); ი. ზუბალაშვილის სახლი (30-იანი წლები, არქიტ. ჯ. ბერნარდაცი. შემდეგ აქ სას. სემინარია იყო; ამჟამად შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმია) და სხვა. ამ ხანებში აშენებული ქარვასლებისა და აბანოების არქიტექტურაში (განსაკუთრებით ინტერიერში) კვლავ იგრძნობა აღმ. კულტ. გავლენა.

XIX ს. 40-იანი წლებისათვის ჩამოყალიბდა ორ- და სამსართუ-



მიხეილის (ახლანდელი ჩულურეთის) ხიდი. XIX ს. 90-იანი წლები.

ლიანი, ე.წ. თბილისური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა. მასში ორგანულად არის შერწყმული კლასიცისტური ფორმები, ელემენტები და ადგილობრივი ტრადიციები. ეზოს მხრიდან სახლის თითქმის მთელი ფასადის გასწვრივ, ასევე მთავარ ფასადზე მიშენებულია ხის აივანი, რ-ის ფართობი ხშირად ჭარბობს ოთახების ფართობს. ამის საუკეთესო ნიმუშები ახლაც გვხვდება როგორც ძვ. ქალაქის ფარგლებში (კალა, აბანოთუბნის ჩათვლით), ისე შედარებით ახ. უბნებში (სოლოლაკი, მთაწმინდა, მტკვრის მარცხ. სანაპიროს ცენტრ. უბნები, კუკია).

XIX ს. მეორე ნახევრიდან თ-ის არქიტექტურაში გაჩნდა ახალი ტიპის ნაგებობები – შემოსავლიანი საცხოვრებელი სახლები, ფაბრიკა-ქარხნები, ბანკები, დიდი მაღაზიები, სასტუმროები, რკინიგზის სადგური, საგამოფენო პავილიონები და სხვ. სახლები შენდებოდა სხვადასხვა სტილის მიბაძვით, დამკვეთის გემოვნებით. ამ პერიოდის ნაგებობათაგან აღსანიშნავია: ქარვასლის თეატრი (1851, არქიტ. ჯ. სკუდიერი; დაიწვა 1874), მთავარმართებლის რეკონსტრუირებული სასახლე (1868), სამხედრო ტაძარი (1897, არქიტ. დ. გრიმი; ახლანდ. მთავრობის სახლის ადგილას), ქალაქის საბჭოს, შემდგომ მერიის შენობა (80-იანი წლები, არქიტ. პ. *შტერნი*, ა. *ოზეროვი*, თავდაპირველი შენობის არქიტ. ჯ. სკუდიერი, 1851). სახაზინო თეატრი (1880–96, არქიტ. ვ. შრეტერი; ახლანდ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი; რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 1954, არქიტ. გ. *ლეჟავა*; 1973, არქიტ. ლ. მემმარიაშვილი, მ. ჩაჩანიძე). დიდების ტაძარი (XIX ს. 80-იანი წლები, არქიტ. ა. *ზალცმანი*; ახლანდ. სურათების ეროვნ. გალერეა); ქართვ. თავად-აზნაურთა კლუბი (შემდგომ ა. გრიბოედოვის რუსული დრამის თეატრი); არტისტული საზ-ბის თეატრი (1901, არქიტ. კ. *ტატიშჩევი*, ა. *შიმკევიჩი*; ახლანდ. შოთა რუსთაველის სახ. დრამ. თეატრი), ქართ. გიმნაზია (1906, არქიტ. ს. *კლდიაშვილი*; ახლანდ. თსუ-ის პირველი კორპუსი), საკრედიტო საზ-ბის შენობა (1913, არქიტ. მ. *ოჰანჯანოვი*, შემდგომ ეროვნ. ბანკის შენობა), სასტუმრო ,,მაჟესტიკი'' (XX ს. 10-იანი წლები, არქიტ. გ. *ტერ-მიქელოვი*, შემდგომ სასტუმრო ,,თბილისი'') და სხვა.



ალექსანდრეს (ახლანდელი გიორგი ლეონიძის) ბაღი. XIX ს. 80-იანი წლები.

XX ს. დასაწყისში გაძლიერდა ინტერესი ქართ. ისტ. არქიტექტურისადმი. ასე აშენდა რამდენიმე საზ. და საცხოვრებელი სახლი: ქაშვეთის ახალი ეკლესია (1910, არქიტ. ლ. *ბილფელდი*, თანაავტორი არქიტ. ე. ანდრეოლეტი), სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი (1916, არქიტ. ა. *კალგინი*, მხატვარი ჰ. *ჰრინევსკი*; ახლანდ. პარლამენტის ეროვნ. ბ-კა) და სხვ.

XX ს. 30-იანი წლებიდან დაიწყო თ-ის გეგმიანი სარეკონსტრუქციო და კეთილმოწყობითი სამუშაოები. გაფართოვდა და კეთილმოეწყო ჩელიუსკინელების ქუჩის (ახლანდ. თამარ მეფის გამზირი) მონაკვეთი რკინიგზის სადგურიდან დავით აღმაშენებლის გამზირამდე, ,,ზემელი'', ვერის დაღმართი (ახლანდ. მ. ჯავახიშვილის ქ.); ახლანდ. თავისუფლების მოედანი, ბარათაშვილის აღმართი, ვაგზლის მოედანი და სხვა. აგრეთვე მუშათა რ-ნის ნაძალადევის მთავარი არტერიები; მოეწყო და განაშენიანდა გმირთა მოედანი, აიგო ჩელიუსკინელების ხიდი (1935, ინჟ. კ. *ზავრიევი*, ნ. *სლოვინსკი*, არქიტ. ნ. *სევეროვი*). გაჭრეს ჩელიუსკინელების ქუჩა, გაიყვანეს ქუჩა (1933–40) მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ჩელიუსკინელებისა და ბარათაშვილის ხიდებს შორის; გაშენდა კომკავშირის (ახლანდ. სოლოლაკის) ხეივანი (1935), პარკი მთაწმინდის პლატოზე (1938, არქიტ. ზ. და ნ. ქურდიანები, ე. ციციშვილი. ფართობი 115 ჰა) და სხვ.

შედგა ქალაქის ისტორიაში პირველი გენ. გეგმა (1932–34; საავტორო კოლექტივი: თ-იდან –

არქიტ. გ. გოგავა, ზ. *ქურდიანი*; ხარკოვის ,,გიპროგრადიდან'' – არქიტ. ი. მალოზემოვი, ეკონომისტი გ. შელეიხოვსკი).

სოც. ყოფის გავლენით თ-ის არქიტექტურაში გაჩნდა ახ. სახის ნაგებობები – მუშათა კლუბები, საბავშვო ბაღები და ბაგები, კულტ. და დასვენების პარკები და სხვა. დაიწყო საცხოვრებელ კვარტალთა კომპლექსების დაპროექტება და მშენებლობა. აიგო საცხოვრებელი სახლები რუსთაველის გამზირის დასაწყისში (1939, არქიტ. მ. მელია, ა. *ქურდიანი*, ს. ყუბანეიშვილი), ბარათაშვილის ქუჩაზე (1941, არქიტ. ს. *დემჩინელი*, ა. ქურდიანი, გ. ჯანდიერი), გმირთა მოედანზე 100-ბინიანი საცხოვრებელი სახლი თერთმეტსართულიანი კოშკური ნაწილით (1939, არქიტ. მ. *კალაშნიკოვი*. პირველად საბჭოთა კავშირში აქ გამოიყენეს მცოცავი ხის ყალიბები) და სხვა.


XX ს. 20–30-იან წლებში იყო სერიოზული მცდელობა ისტ. არქიტ. მოტივების გამოყენებისა: საქართვ. ეროვნ. მუზეუმის ფასადის რეკონსტრუქცია (1929, არქიტ. ნ. სეველოვი), ,,დინამოს'' სტადიონი (1937, არქიტ. ა. ქურდიანი, კონსულტანტი ა. კალგინი. ამჟამად რეკონსტრუირებულია; არქიტ-ები ა. და გ. ქურდიანები, კონსტრუქტორი შ. გაზაშვილი). კონსტრუქტივიზმის გავლენით აშენდა რამდენიმე ნაგებობა: საქართვ. კპ ცკ-ის ყოფ. შენობა (1930, არქიტ. ნ. სეველოვი), გაზეთ ,,ზარია ვოსტოკას'' რედაქციის შენობა (1929, არქიტ. დ. ჩისლიევი), 1940 არქიტ. მ. *შავიშვილი* აშენებს თსუ-ის მეორე კორპუსს. შემოქმედებითი ძიების მაგალითია 2 მნიშვნელოვანი ნაგებობა – საქართვ. სსრ მთავრობის სახლის ზედა კორპუსი (1938 არქიტ. ვ. კოკორინი, თანაავტორი გ. ლეჟავა) და ყოფილი მარქსიზმლენინიზმის ინ-ტის თ-ის ფილიალი (1938, არქიტ. ა. *შჩუსევი*. ბარელიეფები – მოქანდაკეები: ი. *ნიკოლაძე* და თ. *აბაკელია*). მიღწევებთან ერთად XX ს. 30-იანი წლების მეორე ნახევარში თ-ის საცხოვრებელი და საზ. ნაგებობების არქიტექტურაში თავი იჩინა პომპეზურობით, მორთულობებით გატაცებამ. ამ ტენდენციამ მეტი განვითარება პოვა 40–50-იანი წლების პირველი ნახევრის თ-ის არქიტექტურაში.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შედგა თ-ის მეორე გენ. გეგმა (1948–52, არქიტ-ები: ვ. ზოლოტუხინი, ზ. ქურდიანი, ეკონომისტი ვ. ნეფედოვი, თანაავტორები: ა. ანდრიაძე, ი. კოჩინევა, ბ. მამინაიშვილი, ნ. მიქაძე, ე. ნუცუბიძე, მ. ჯაფარიძე). ქალაქთმშენებლობაში ჩატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: შეიქმნა მარჯანიშვილის სახ. მოედანი (40-იანი წლების მიწურული); გაიყვანეს განივი მაგისტრალები – ვარაზისხევი, გურამიშვილის ქუჩა (50-იანი წლები); მაგისტრალი მტკვრის ორივე ნაპირის გასწვრივ (70-იანი წლები), თბილისის აეროპორტის ავტოტრასა (ინჟ. ი. ოვანოვი, არქიტ-ები: ვ. ბახტაძე, შ. ყავლაშვილი), მეტეხის პლატოს ქვეშ ორგვირაბიანი საავტომობილო ტრასა (1975, ინჟ. მ. ქებულაძე, არქიტ. ვ. ბახტაძე, რ. *კიკნაძე*, შ. ყავლაშვილი) და სხვ. აღსანიშნავია თ-ის მეტროპოლიტენის მშენებლობა. გაშენდა გამარჯვების პარკი (საფუძველი ჩაეყარა 1945, არქიტ-ები: ქ. *დგებუაძე*, ე. ციციშვილი, ფართ. 220 ჰა), დაიწყო ხელოვნური წყალსაცავის, თბილ. ზღვის და მის გარშემო ტყეპარკის, ლანდშაფტური დენდროპარკის მშენებლობა და დასვენების ზონის მოწყობა. გაიზარდა თ-ის ტერიტორია. მთლიანად ათვისებულია ვაკის, საბურთალოს, მცირე დიღმის რ-ნები. დამთავრდა ღრმაღელის, ავჭალის, ფონიჭალის მშენებლობა და კეთილმოწყობა. დაიწყო ვარკეთილის, გლდანის, ავშნიანის, ბაგების და სხვა ტერიტორიების განაშენიანება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 10 წლის განმავლობაში გრძელდებოდა ინდივიდ. პროექტებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობა: ჭავჭავაძის გამზირი, 11 (1954, არქიტ-ები: ქ. სოკოლოვა-ქურდიანი, ი. ჩხენკელი), კამოს ქ.



მუშათაიდის ბაღი. პავილიონი-ბუფეტი. XIX ს. 90-იანი წლები.



სასახლის ქუჩა. კავკასიის საოლქო შტაბი (მარცხნივ) და სასტუმრო ,,დვორცოვოე ნომერა''. XIX ს. 90-იანი წლები.



სასტუმრო ,,ორიანტი‘‘. ფოტო. 1909.

4 (1955, არქიტ. მ. მელია), კამოს ქ. 2 (1964, არქიტ-ები: გ. მელქაძე, ლ. ხარაშვილი, შ. ყავლაშვილი), ნიკოლაძის 3 (1949, არქიტ. ა. *მიმინოშვილი*), 2 სახლი მარჯანიშვილის მოედანზე (1947–48, არქიტ. მ. მელია) და სხვ. გრძელდებოდა შემოქმედებითი ძიება ქართ. ისტ. არქიტ. გამოყენების მიზნით: ყოფილი ზოოვეტერინარული ინ-ტისა (1954, არქიტ. ს. რევიშვილი) და კავშირგაბმულობის სახლის (1954, არქიტ. ი. ჩხენკელი) ფასადების რეკონსტრუქცია, ადმ. სახლი რუსთაველის გამზირზე (ახლანდ. მეცნ. ეროვნული აკად. შენობა, 1958, არქიტ-ები: კ. ჩხეიძე, მ. ჩხიკვაძე) და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართვ. სსრ მთავრობის სახლის მთავარი კორპუსი (1953, არქიტ. ვ. კოკორინი, გ. ლეჟავა).

XX ს. 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან საცხოვრებელი სახლების მშენებლობა დაიწყო ძირითადად დიდ, თავისუფალ ტერიტორიებზე; განაშენიანება ხდებოდა ტიპობრივი პროექტებით, ინდუსტრიული მეთოდებით, ასაწყობი კონსტრუქციებით. განაშენიანდა საბურთალო (მშენებლობა დაიწყო 1956, 330 ჰა ტერიტორიაზე 45 ათასი მცხოვრებისათვის. ავტორები: ა. ბაქრაძე, დ. გრძელიძე, ი. და შ. ყავლაშვილები), დიღომი (მშენებლობა დაიწყო 1960, 150 ჰა ტერიტორიაზე 25 ათასი მცხოვრებისათვის, ავტორები: ნ. მიქაძე, ი. მოსულიშვილი, ი. ჩხენკელი) და სხვ. მიმდინარეობდა გლდანის საცხოვრებელი მასივის ინტენს. განაშენიანება (მშენებლობა დაიწყო 1974, 745 ჰა ტერიტორიაზე 147 ათასი მცხოვრებისათვის, ავტორები: თ. ბოჭორიშვილი, ბ. გელდიაშვილი).

თ-ის ისტ. უბნების ზრდასთან ერთად 60–80-იან წლებში გაჩნდა ახ. დასახლებული უბნები: საბურთალოს, სანზონის, მესამე მასივის, დიღმის, დიდი დიღმის, ბაგების, თემქის, ახალი კრწანისის, ნუცუბიძის პლატოს, გლდანის, მუხიანის, ვარკეთილისა და ვაზისუბნის საცხოვრ. მასივები. 1975 თ-ის მოსახლეობის რაოდენობამ მილიონ კაცს გადააჭარბა.



გმირთა მოედანი. თერთმეტსართულიანი (100-ბინიანი) სახლი და ცირკის შენობა. XX ს. 30-იანი წლები.

გაიყვანეს ახალი მაგისტრალები: ვარაზისხევი, რ-მაც გმირთა მოედანი ვაკესთან დააკავშირა; გურამიშვილის ქუჩა (ახლანდ. მ. თამარაშვილის ქუჩა), რ-მაც საბურთალო ვაკესთან დააკავშირა; მდ. მტკვრის ორივე ნაპირის გასწვრივი მაგისტრალი, აეროპორტის ტრასა; მეტეხის კლდოვანი მასივის ქვეშ – ორგვირაბიანი საავტომობილო ტრასა. თ-ზე გადის მსხვილი სარკინიგზო, საავტომობილო (აქ არის საქართველოს სამხ. გზის ბოლო პუნქტი) და საავიაციო ტრასა. XX ს. 20-იანი წლებიდან თ-ის ტერიტორია თითქმის 9-ჯერ გაიზარდა.

აშენდა ადმ. სახლები –,,ცეკავშირი‘‘ (1971, არქიტ. გ. მელქაძე, ნ. ქვარცხავა); საავტომობილო გზების სამინისტროს საინჟ. კორპუსი (1976, არქიტ. გ. *ჩახავა*, ზ. ჯალაღანია); სპორტული და თეატრალურ-სანახაობითი დანიშნულების სპორტის სასახლე (1961, არქიტ-ები: ვ. *ალექსი-მესხიშვილი*, ი. *კასრაძე*, ინჟ. დ. ქავჯაია); საქართვ. სახელმწ. ფილარმონიის დიდი დარბაზი (1971, არქიტ. ი. ჩხენკელი, კონსტრუქტორი შ. გაზაშვილი); სახ. მეურნ. მიღწევათა გამოფენის პავილიონები (1971, არქიტ-ები: ლ. მამალაძე, ვ. ნასარიძე, ჟ. პაპინაშვილი, ვ. ფეიქრიშვილი); ჭადრაკისა და ალპინისტთა კლუბი (1973, არქიტ-ები: ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. ღუდუშაური); სასტუმროები – ,,კოლხეთი‘‘ (1962, არქიტ-ები: თ. *თევზაძე*, ნ. ჯობაძე), ,,ივერია‘‘ (1967, არქიტ. ო. *კალანდარიშვილი*), ,,აჭარა‘‘ (1975, არქიტ. მ. მელია); სამეცნ.-კვლ. და სასწ. დაწესებულებები – სას.-სამ. ინ-ტი (1967, არქიტ-ები: ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. გაბაშვილი), თსუ-ის ახ. კორპუსი (1968, არქიტ-ები: ს. ბეჟანოვი, შ. კაჭკაჭიშვილი, მ. შავიშვილი, მ. შუბლაძე). ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის, მელიორაციის, მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტები (1967, არქიტ-ები: თ. ალავერდაშვილი, მ. კაკაბაძე), მეცნიერებათა აკად. ცენტრ. სამეცნ. ბიბლიოთეკა (1969, არქიტ-ები: გ. ლეჟავა, ი. ლიბერმანი), მათემატიკის ინ-ტი

(1970, არქიტ-ები: გ. ლეჟავა, ვ. ცუხიშვილი) და აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტი (1975, არქიტ. ლ. *კილაძე*); სამკურნალო დაწესებულებები – კურორტოლოგიის ინ-ტი (1958, არქიტ. ი. ზაალიშვილი), 1200-ადგილიანი რესპუბლიკური კლინ. საავადმყოფო (1974, არქიტ-ები: კ. ალექსანდროვი, შ. კაჭკაჭიშვილი, გ. კვიტატიანი, ა. უსკოვი), ონკოლარინგოლოგიური კლინიკა (1975, არქიტ-ები: ვ. აბრამაშვილი, გ. *მირიანაშვილი*, ლ. *ჯანდიერი*); სატრანსპ. ნაგებობანი – ავტოვაგზალი (1973, არქიტ-ები: რ. კიკნაძე, შ. ყავლაშვილი, ვ. ქურთიშვილი; მხატვარი ზ. *წერეთელი*); უნივერმაღი ,,თბილისი'' (1975, არქიტ-ები: რ. *ბაირამაშვილი*, დ. მორბედაძე, ლ. *მეძმარიაშვილი*; თანაავტორი ბ. გორდეზიანი) და სხვ.

1971 დამტკიცდა თ-ის მესამე გენ. გეგმა (არქიტ-ები: გ. შავდია, ი. ჩხენკელი, გ. ჯაფარიძე, ა. ჯიბლაძე; ეკონომისტები: ი. ბოლქვაძე, ლ. ლორთქიფანიძე). წინა გენ. გეგმებისაგან განსხვავებით იგი ითვალისწინებდა ქალაქის ტერიტ. ზრდას არა მარტო სიგრძეზე, მდინარის გასწვრივ, არამედ განივადაც – ჩრდ.-აღმ-ით, ,,თბილისის ზღვის'' გარშემო. ახლებურად განიხილება თ-ის ცენტრი – ტრად. გრძივ ღერძს [რუსთაველისა და პლეხანოვის (ახლანდ. აღმაშენებლის გამზირი) პროსპექტები, სანაპიროები] ემატება განივი სივრცობრივ-გეგმარებითი ღერძი: მთაწმინდა–მახათას მთა.

1975 შესრულდა თ-ის სახელმწ. დაცვითი ზონის სტატუსის მქონე ცალკეული უბნების, ქუჩების რეკონსტრუქცია-რეგენერაცია-ადაპტაციის სამუშაოები კონცეპტუალური პროექტების მიხედვით, კერძოდ, 1979–81 – ნ. ბარათაშვილის და ზ. გამსახურდიას სანაპიროს, ერეკლე II-ის ქუჩის, ახვლედიანის აღმართის განაშენიანება და ცალკეული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია-რეგენერაცია (არქიტ. შ. ყავლაშვილი); 1980–90 – სიონის სანაპიროს, შარდენის ქუჩის, ბამბისა და რკინის რიგების, დუტუ მეგრელის ქუჩასა და ღვინის აღმართს შორის მოქცეული კვარტალის, ორბელიანთა უბნის განაშენიანება, ლესელიძის ქუჩის ზონაში ცალკეული შენობების რეკონსტრუქცია-რეგენერაცია (არქიტ. გ. ბათიაშვილი); 1985–87 – აბანოთუბნის განაშენიანება-რეკონსტრუქცია-რეგენერაცია (არქიტ. ა. სოლომნიშვილი).



საცხოვრებელი სახლი. შოთა რუსთაველის გამზირი. 1939.



საცხოვრებელი სახლები. უნივერსიტეტის ქუჩა (ახლანდელი ილია ჭავჭავაძის გამზირი). XX ს. 50-იანი წლები.

1989–90 ძვ. ქალაქის სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების მასშტაბი ძლიერ შემცირდა, ხოლო 1990–91 წწ. მოვლენებთან დაკავშირებით თითქმის შეწყდა. დიდი სამუშაოები ჩატარდა მხოლოდ ნარიყალაზე, სადაც აღდგა წმ. ნიკოლოზის ეკლესია, მოხდა ციტადელის კონსერვაცია და ნაწილობრივ რესტავრაცია (არქიტ. ტ. კიპაროიძე). 1995 ელიას მთაზე დაიწყო წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა, რ-იც დასრულდა 2004 (არქიტ. ა. მინდიაშვილი); ინტენსიურად მიმდინარეობს არატიპური მრავალბინიანი სახლების და კოტეჯების მშენებლობა ვაკეში, მთაწმინდაზე, საბურთალოზე, ფიქრის გორაზე; ცალკეული სახლებისა – სოლოლაკში, დიდუბეში, ავლაბარში; 1997 საექსპლუატაციოდ გადაეცა სასტუმრო ,,შერატონ მეტეხი პალასი'' (არქიტ-ები: შ. ყავლაშვილი, ვ. ქურთიშვილი); ამავე წელს დაიწყო გორგასლის ქუჩაზე სასტუმრო ,,ძველი თბილისის'' მშენებლობა (არქიტ. ო. ნახუცრიშვილი). 2000 დამთავრდა სასტუმრო ,,თბილისის'' სარეკონსტრუქციო-აღდგენითი სამუშაოები, 2002 თავისუფლების მოედანზე აშენდა სასტუმრო ,,ქორთიარდ-მარიოტი'' (არქიტ. ვ. *ცინცაძე*), საპროექტო ინ-ტი ,,გიპროქალაქმშენი'' (რეკონსტრუირებულია როგორც ,,ლიბერთი ბანკის'' სათავო ოფისი). 2004–10 განსაკუთრებით გახშირდა რესტორნების, კაფეების, ბენზინგასამართი სადგურების



გლდანის დასახლება.

მშენებლობა. ამავე წლებში ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები თ-ის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ახალი, პოლიტ.-ეკონ. სტატუსის შესაბამისი გენ. გეგმის შესადგენად, თუმცა იგი დღემდე არაა დასრულებული. მის სანაცვლოდ შეიქმნა თ-ში მიწათსარგებლობის გეგმა. არ დამტკიცებულა თ-ის სახელმწიფო დაცვითი ზონის – ისტ. ქალაქის – დეტალური დაგეგმარების პროექტი, მიუხედავად ამისა 2005-იდან დაიწყო სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები



ვაზისუბნის დასახლება.

კლდისუბანში, ,,მაედანზე''. 2007 აშენდა აეროპორტის ახ. შენობა; 2008–11 ქალაქის საცხოვრებელ უბნებში მოეწყო სპორტ. მოედნები და დაიდგა შსს რაიონული სამმართველოების ე. წ. გამჭვირვალე შენობები. 2009 აშენდა საქართველოს პრეზიდენტის სასახლე – ოფიციალ. რეზიდენცია (არქიტ. გ. ბათიაშვილი, კონსტრუქტორი ო. ჩაკვეტაძე), მრავალფუნქციური ობიექტი ,,პიქსელი'', შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა (არქიტ. მიკელე დე ლუკი). დამთავრდა სასტუმრო ,,რედისონ ბლუ ივე-



დიდი დიღმის დასახლება.

რიის'' სარეკონსტრუქციო სამუშაოები. 2010 აიგო მემორიალური სტელა გმირთა მოედანზე (არქიტ. ა. დ. კაბო), იუსტიციის სამინისტროს შენობა მტკვრის მარჯვ. სანაპიროზე (არქიტ. მ. ფუქსასი). 2012 აშენდა პარტია ,,ნაციონალური მოძრაობის'' საოფისე შენობა (არქიტ. ი. შარაშენიძე) აეროპორტის ტრასაზე. ეროვნ. ბანკის საკასო ცენტრი (არქიტ. თ. კვანტალიანი), შსს საგანგებო მართვის ცენტრი ,,112'' (არქიტ. დ. გოგიაშვილი), ,,სოკარის'' სათავო ოფისი (არქიტ. ,,ქობულიები და პარტნიორები''). 2011, გარე იერ-



ვაჟა-ფშაველას გამზირი.

თან ერთად, განხორციელდა თ-ის პროკურატურის შენობის (არქიტ. ნ. ჯაფარიძე, ნ. საყვარელიძე), სკოლებისა და ზოგიერთი სამკურნ. დაწესებულების არსობრივი მოდერნიზება. 2010–12 მნიშვნელოვანი, ფართომასშტაბიანი სამშ. სამუშაოები გაიშალა ახ. სატრანსპ.-საგზაო კვანძებზე – ახ. მაგისტრალი გაიმართა ვერის ხეობაში, გმირთა მოედანზე, ,,სტივესთან'' (ინჟ. თ. *შილაკაძე*), გალაკტიონისა და ბარათაშვილის ხიდებთან. რეაბილიტაცია ჩაუტარდა თბილისი–აეროპორტის დამაკავშირებელ მაგისტრალს.

ზოგიერთი ობიექტის მშენებლობა, მრავალი სპეციალისტის აზრით, ქალაქგეგმარებითი აუცილებლობით არ არის ნაკარნახევი, მეტიც, შეუთავსებელია ისტ. თ-ის ლანდშაფტთან და განაშენიანებასთან.

2012 განახლდა, რეკონსტრუქცია და ნაწილობრივი რესტავრაცია ჩაუტარდა და კეთილმოეწყო მარჯანიშვილის ქუჩა (არქიტ-ები: გ. კიკნაძე, ლ. მუშკუდიანი), მარჯანიშვილის მოედანი (არქიტ. ვ. ორბელაძე) და დავით აღმაშენებლის გამზირი (არქიტ-ები: ვ. ორბელაძე, თ. შაშიაშვილი, ზ. ტურძელაძე, ნ. ზაუტაშვილი, მ. სილაგაძე, გ. ციციშვილი, მ. ბუხაიძე, ნ. ბაგრატიონი, მ. ბასილაძე, ე. მახათელაშვილი).

თ-ში სხვადასხვა დროს დაიდგა ქანდაკებები და სკულპტურული კომპოზიციები, მათ შორის: მიხეილ ვორონცოვი (1867, მოქანდაკეები: ნ. პიმენოვი, ნ. კრეიტანი; აიღეს 1922), ალექსანდრე პუშკინი (1892, მოქანდაკე ფ. ხოდოროვიჩი), ნიკოლოზ გოგოლი (1904, მოქანდაკე ფ. ხოდოროვიჩი), მწუხარე საქართველო (ილია ჭავჭავაძის საფლავის ძეგლი, 1913, მოქანდაკე ი. ნიკოლაძე), აკაკი წერეთელი (1922, მოქანდაკე ი. ნიკოლაძე), ეგნატე ნინოშვილი (1923, მოქანდაკე ი. ნიკოლაძე), ბორის ძნელაძე (1930, მოქანდაკეები: კ. *მერაბიშვილი*, რ. *თავაძე*; აიღეს 1990), ალექსანდრე ყაზბეგი (1933, მოქანდაკე ვ. *კოტეტიშვილი*; აიღეს 1938), ვლადიმერ (ლადო) კეცხოველი (1936, მოქანდაკე ვ. *თოფურიძე*; აიღეს 1998), იოსებ სტალინი (1939, მოქანდაკე ს. *კაკაბაძე*; აიღეს 1961), შოთა რუსთაველი (1942, მოქანდაკე კ. მერაბიშვილი), კონსტანტინე ლესელიძე (1945, მოქანდაკე ი. ნიკოლაძე), ივანე ჯავახიშვილი (1952, მოქანდაკე თ. *ლვინიაშვილი*), ვლადიმერ ლენინი (1956, მოქანდაკე ვ. თოფურიძე; აიღეს 1989), ქართვლის დედა (1958, მოქანდაკე ე. *ამაშუკელი*), ილია და აკაკი (1958, სკულპტურული კომპოზიცია. მოქანდაკეები ვ. თოფურიძე, შ. *მიქატაძე*), სულხან-საბა ორბელიანი (1959, მოქანდაკე ტ. *სიხარულიძე*), ალექსანდრე გრიბოედოვი (1961, მოქანდაკე მ. *მერაბიშვილი*), სამასი არაგველის მემორიალი (1962, ობელისკი, არქიტ. ა. ბაქრაძე), ,,მზეჭაბუკი'' (1965, მოქანდაკე დ. *მიქატაძე*), დავით გურამიშვილი (1965, მოქანდაკე მ. *ბერძენიშვილი*), ვახტანგ I გორგასალი (1967, მოქანდაკე ე. ამაშუკელი), ივანე თარხნიშვილი (1971, მოქანდაკე კ. მერაბიშვილი), ,,მუზა'' (1971, მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი), მაქსიმ გორკი (1971, მოქანდაკე ა. *თოფურიძე*), ზაქარია ფალიაშვილი (1973, მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი), ბესა-



მშვიდობის ხიდი. 2010.

რიონ ქებურია (1973, მოქანდაკე თ. ჭყონია), ვაჟა-ფშაველა (1973, მოქანდაკე გ. *ოჩიაური*), რაფიელ ერისთავი (1974, მოქანდაკე ე. ამაშუკელი), ფიროსმანი (1975, მოქანდაკე ე. ამაშუკელი), ნიკოლოზ ბარათაშვილი (1976, მოქანდაკე ბ. *ციბაძე*), სერგო ორჯონიკიძე (1977, მოქანდაკე მ. მერაბიშვილი; აიღეს 1989), ვლადიმერ მაიაკოვსკი (1978, მოქანდაკე გ. *კორძახია*), მირზა გელოვანი (1978, მოქანდაკე გ. *შხვაცაბაია*), გალაკტიონ ტაბიძე (1980, მოქანდაკე დ. მიქატაძე), არჩილ გელოვანი (1980, მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი), ,,საქართველოს მატიანე'' (1980–2012, სკულპტურული კომპოზიცია. მოქანდაკე ზ. წერეთელი), დიდების მემორიალი (1981–85, მოქანდაკე გ. ოჩიაური), დიმიტრი გულია (1981, მოქანდაკე ვ. ივანბა), კირილ შჩოლკინი (1982, მოქანდაკე გ. თოიძე; მოიხსნა 2008), ,,დედა ენა'' (,,ცოდნის ზარი''; 1983, სკულპტურული კომპოზიცია. მოქანდაკე ე. ამაშუკელი), ნიკოლოზ მუსხელიშვილი (1983, მოქანდაკე თ. ღვინიაშვილი), კონსტანტინე გამსახურდია (1983, მოქანდაკე თ. *კიკალიშვილი*), პეტრე ბაგრატიონი (1984, მოქანდაკე მ. მერაბიშვილი), იეთიმ გურჯი (1985, მოქანდაკე დ. მიქატაძე), ,,ვეფხვი და მოყმე'' (1985, სკულპტურული კომპოზიცია. მოქანდაკე ე. ამაშუკელი), ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი (1985, მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი), გიორგი საакაძე (1988, მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი), მიხაი ზიჩი (1988, მოქანდაკე შ. კიში), აკაკი წერეთელი (1990, მოქანდაკე ბ. *ავალიშვილი*), ექვთიმე თაყაიშვილი (1993, მოქანდაკე ბ. ავალიშვილი), დავით (დოდო) აბაშიძე (1994, მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი), ,,წმინდა ნინო'' (1994, სკულპტურული კომპოზიცია, ავტორი ზ. წერეთელი), მარი ბროსე (1994, მოქანდაკე დ. მიქატაძე; დაიკარგა 2003), ტიციან ტაბიძე (1995, მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი), ბორის პაიჭაძე (1995, მოქანდაკე ა. კიკნაველიძე), იოანე პეტრიწი (1995, მოქანდაკე დ. მიქატაძე), პოლიკარპე კაკაბაძე (1996, მოქანდაკე ს. გირკელიძე), მიხეილ თუმანიშვილი (1997, მოქანდაკე გ. *ჯაფარიძე*), შოთა რუსთაველი (1997, მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი), დავით IV აღმაშენებელი (1997, მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი), დავით კაკაბაძე (1988, მოქანდაკე დ. კაკაბაძე), მემედ აბაშიძე (1998, მოქანდაკე ე. ამაშუკელი), დავით ბოლქვაძე (1998, მოქანდაკე ბ. სულხანიშვილი), გიორგი (გია) ჭანტურია (1998, მოქანდაკე გ. წულაძე), კონსტანტინე (კოტე) მარჯანიშვილი (1998, მოქანდაკე ს. გირკელიძე), გიორგი (გოგი) ცაბაძე (1999, მოქანდაკე გ. წულაძე), შოთა ყავლაშვილი (1999, მოქანდაკე თ. კიკალიშვილი), აპოლონ ქუთათელაძე (1999, მოქანდაკე ლ. ვარდოსანიძე), ზურაბ ანჯაფარიძე (1999, მოქანდაკე ო. ფარულავა), მერაბ კოსტავა (1999, მოქანდაკე ვ. არუნაშვილი), გიორგი (გოგი) დოლიძე (2000, მოქანდაკე თ. აბრამიშვილი), გიორგი ლეონიძე (2000, მოქანდაკეები: თ. ღვინიაშვილი, დ. ღვინიაშვილი), ფარნავაზ I (2000, მოქანდაკე ე. ამაშუკელი), ევგენი მიქელაძე (2000, მოქანდაკე გ. შხვაცაბაია), ელენე ახვლედიანი (2000, მოქანდაკეები: თ. ღვინიაშვი-



მარჯანიშვილის მოედანი (რეაბილიტაციის შემდეგ). 2012.



დავით აღმაშენებლის გამზირი (რეაბილიტაციის შემდეგ). 2012.


ლი), მერაბ მამარდაშვილი (2001, მოქანდაკე ე. ნეიზვესტნი), ალექსანდრე (საშა) იოსელიანი (2001, მოქანდაკე მ. ჭყოიძე), ვლადიმერ (ლადო) გუდიაშვილი (2002, მოქანდაკე დ. მიქატაძე), დავით სარაჯიშვილი (2002, მოქანდაკე თ. კიკალიშვილი), ავთანდილ ღოღობერიძე (2003, მოქანდაკე გ. ჯაფარიძე), სერგო ფარაჯანოვი (2004, მოქანდაკე ვ. მიქაბერიძე), აფხაზეთის ომში დაღუპულ ქართველ მეომართა მემორიალი (2004, მოქანდაკე გ. შხვაცაბაია), ირაკლი (ჯანო) ბაგრატიონი (2004, მოქანდაკე გ. ჯაფარიძე), ანატოლი სობჩაკი (2004, მოქანდაკე ა. დიომა), ვანო სარაჯიშვილი (2005, მოქანდაკე ო. ფარულავა), კოსტა (კონსტანტინე) ხეთაგუროვი (2005, მოქანდაკე მ. გაგლოევი), ,,თამადა'' (2006, ვანში აღმოჩენილი ძვ. წ. VII ს. ქანდაკების ასლი), მირზა ფატალი ახუნდოვი (2006, მოქანდაკე გ. ქაჯაია), წმინდა გიორგი (2006, მოქანდაკე ზ. წერეთელი), ტარას შევჩენკო (2007, მოქანდაკე ვ. ჩეფელიქი), ჰეიდარ ალიევი (2007, მოქანდაკე ნ. ალიევი), ჯორჯ ბალანჩინი (გ. ბალანჩივაძე; 2008, მოქანდაკე ვ. მიქაბერიძე), შალვა ნუცუბიძე (2008, მოქანდაკე დ. ხმალაძე), ირაკლი აბაშიძე (2009, მოქანდაკე კ. არუნაშვილი), საიათნოვა (2009, სკულპტურული კომპოზიცია. ავტორები: გ. ჯაფარიძე, კ. ქორიძე), სოფიკო ჭიაურელი (2010, მოქანდაკე ლ. ვარდოსანიძე), გივი კარტოზია (2010, მოქანდაკე გ. შხვაცაბაია), ნინო რამიშვილი, ილია (ილიკო) სუხიშვილი (2011, სკულპტურული კომპოზიცია. მოქანდაკე ზ. წერეთელი), რონალდ რეიგანი (2011, მოქანდაკე ა. მონასელიძე), ლეხ კაჩინსკი (2012, მოქანდაკე ა. მჭედლიშვილი), რამაზ ჩხიკვაძე (2013, მოქანდაკე ზ. წერეთელი) და სხვ.

ს. კინწურაშვილი. გ. ბათიაშვილი. ბ. ქუთათელაძე.

V. ეკონომიკა. V–X სს-ში თ. უკვე მეტ-ნაკლებად ინტენს. სამეურნეო ცხოვრებას ეწეოდა. აქ ამზადებდნენ მრავალნაირ ნაწარმს: საოჯახო ჭურჭელს – ჯამებს, ქვევრებს, ჭრაქებს, სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების მინის ჭურჭელს, ლითონის (რკინის, ბრინჯაოს) საყურეებს, ბეჭდებს, აბზინდებს, ძვლისგან ნაკეთებ საოჯახო ნივთებს, აგრეთვე ტყავისა და საფეიქრო ნაწარმს. თითქმის უწყვეტად მოქმედებდა ზარაფხანა. VI ს. ბოლოდან აქ ჭრიდნენ საკუთარ მონეტებს ქართლის ერისმთავრები. VIII ს. დასაწყისიდან მიმოქცევაში იყო უცხ. მონეტაც, რაც სავაჭრო-ეკონ. კავშირების გაცხოველების მაჩვენებელია. მიუხედავად იმისა, რომ VII–X სს. თ. პოლიტიკურად მოწყვეტილი იყო ქართ. ეროვნ. ორგანიზმს, ეკონ. ცხოვრებით მაინც მჭიდროდ იყო დაკავშირებული აღმ. საქართველოს ეკონომიკასთან და ამ მხარის საერთო აღმავლობის გავლენას განიცდიდა. IX–X სს. არაბი ისტორიკოსები, გეოგრაფები და მოგზაურები ალისტახრი და იბნ ჰაუკალი თ-ს ახასიათებენ როგორც დიდ და ეკონომიკურად ძლიერ ქალაქს. დავით აღმაშენებლის მიერ თ-ის განთავისუფლების შემდეგ (1122) იგი გაერთიანებული საქართველოს, წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფოს, ეკონ. ცენტრი გახდა.



ოქრომჭედელთა დუქანი. XIX ს. 90-იანი წლები.



თიხის ჭურჭლის დუქანი. XIX ს. დასასრული.

იმდროინდელი თ. სავაჭრო მაგისტრალებით უკავშირდებოდა და ვაჭრობდა ინდოეთთან, ჩინეთთან, რუსეთთან, სპარსეთთან, ბიზანტიასთან, ეგვიპტესა და მრავალ სხვა ქვეყანასთან; გარდა ამისა, ქალაქი *აბრეშუმის დიდი გზის* მნიშვნელოვანი კვანძი იყო. XI–XII სს-ში თ. ხელოსნური წარმოების მსხვილ ცენტრად იქცა. აქ განვითარდა ჭურჭლის, ძვირფასი ქსოვილების, ტანსაცმლის წარმოება; აქაური მჭედლები, ავეჯის მკეთებელი და სხვა ხელოსნები ამზადებდნენ ნაირსახოვან ნაწარმს, წიგნების დასაკაზმავ ტყავს, ხელნაწერ წიგნებს; აქვე იყო საოქრომჭედლო სახელოსნოებიც. XIII ს. დასაწყისისათვის თ-ში უკვე წარმოდგენილი იყო შუა საუკუნეების ქალაქებისათვის დამახასიათებელი ხელოსნობისა და ვაჭრობის თითქმის ყველა დარგი. განსაკუთრებით განვითარდა მეთუნეობა, რასაც ხელს უწყობდა მდიდარი თიხნარი ნიადაგის არსებობა და კერამ. წარმოების ტექნოლ. მაღალი დონე. XIII ს. 20-იანი წლებიდან დაიწყო თ-ის და მთელი საქართველოს ეკონ. და პოლიტ. დაკნინება. XIV ს. პირველ ნახევარში, მონღოლთა ბატონობის დამთავრების შემდეგ, საქართვ. სამეფოს ხელახლა მომძლავრებამ კვლავ შექმნა ხელსაყრელი პირობები ქვეყნის სამეურნ. განვითარებისათვის. ამ დროს თ-ს გაცხოველებული სავაჭრო და ეკონ. კავშირები ჰქონდა ოქროს ურდოსთან, ირანსა და მცირე აზიის ქვეყნებთან, აგრეთვე ჩრდ. იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებთან.

თ-ის ეკონ. ნამდვილი აღორძინება XVII ს. შუა წლებში დაიწყო როსტომ მეფის, შემდეგ კი ვახტანგ V-ის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად. ჟ. შარდენი, რ-მაც თ-ში XVII ს. 70-იან წლებში იმოგზაურა, აღნიშნავს: „ქალაქი თბილისი მჭიდროდ არის დასახლებული, მსოფლიოს არცერთ კუთხეში არ მოიძებნება იმდენი სხვადასხვა ჯურის უცხოელი, როგორც აქ; ისინი დიდ ვაჭრობას ეწევიან“. ამ დროისათვის თ. ხელოსნური მრეწველობის ერთ-ერთი მსხვილი ცენტრიც იყო სამხრ. კავკასიასა და მთელ ახლო აღმოსავლეთში; აქ განსაკუთრებით განვითარდა სამშ. მასალების (კირი, აგური, კრამიტი, გაჯი და სხვ.) წარმოება. ხელოსნობის მნიშვნელოვანი დარგი იყო საფეიქრო წარმოება, კერძოდ, ლაინის, ჩითის, ტილოს, აბრეშუმის ქსოვა, ღებვა და კერვა. XVII ს. თურქი მოგზაურის ევლია ჩელების თქმით, მთელ ახლო აღმოსავლეთში განსაკუთრებით განთქმული ყოფილა თბილისური ბამბა და მისი ნაწარმი. სახელმოხვეჭილი თბილისელი იარაღის მკეთებელი ხელოსნების ნაკეთობანი, უფრო ხმლები და ხანჯლები, ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ქალაქში გაჰქონდათ.

XVII–XVIII სს. თ-ს გარს ერტყა ქალაქისპირა სოფლები და გარეუბნები, რ-ებშიც განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა და ხელოსნობა. მათი პროდუქცია და ნაწარმი (მარცვლეული, ბოსტნეული, ხილი, ღვინო, თიხის ჭურჭელი, აგური, კრამიტი) შემოდიოდა ქალაქის ბაზარზე. სოფლის მეურნეობის დაწინაურებას ადასტურებს თ-ში (მდინარეებზე: მტკვარსა და ვერეზე) არსებული მრავალი წისქვილი, რ-თა შესახებ ძველთაგანვე წერდნენ უცხოელი მოგზაურები.

XVIII ს. II ნახევარში მეფე ერეკლე II-მ წარმატებით გადაჭრა საშინაო პრობლემები, რითაც ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონ. განვითარებას. 1763 დაიწყო ახტალის ვერცხლის საბადოების დამუშავება. აქაური ვერცხლის სადნობი საწარმოს საშ. წლ. წარმადობა შეადგენდა 200 ლიტრა ვერცხლს. ალავერდის სპილენძის მაღაროებში 12000 ფუთ სუფთა სპილენძს იღებდნენ. თ-ში აშენდა ლითონჩამომსხმელი საწარმო, გამოშვებული პროდუქციის ნაწილი ზოდების სახით დიდი რაოდენობით გადიოდა უცხოეთის ბაზარზე. თ-ში საგრძნობლად მომრავლდა მანუფაქტურული ტიპის შედარებით მსხვილი საწარმოები. ლითონჩამომსხმელი ქ-ნის ბაზაზე აშენდა ზარბაზნისა და მორტირის ჩამომსხმელი საწარმო. იმდროინდელ თ-ში მრეწვ. ყველაზე განვითარებული დარგი მაინც საფეიქრო წარმოება იყო.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა გაანახორციელა აღმ. საქართველოს ანექსია, თ. გახდა რუს. იმპერიის ეკონ. ორგანიზმის ნაწილი და უცხოეთთან კავშირსაც რუსეთის მეშვეობით ამყარებდა. ამასთან, XIX ს. დასაწყისიდანვე თ. ინარჩუნებდა მთელი სამხრ. კავკასიის მთავარი სავაჭრო ცენტრის ფუნქ-



ხალიჩების დუქანი. XIX ს. 90-იანი წლები.



წისქვილები მტკვარზე. XIX ს. 90-იანი წლები.

ციას. თბილისური ნაწარმი დიდი რაოდენობით გაჰქონდათ კავკ. მთიანეთში და სხვა მიმართულებითაც. XIX ს. დამდეგს თბილისელ ვაჭრებს რუსეთში გაჰქონდათ ბამბის ნართი, ბეწვეული, ნედლი და ამოხვეული აბრეშუმი, შალი, საფეიქრო ნაწარმი, ენდრო და სხვ. დიდი გასავალი ჰქონდა ადგილ. წარმოების სპილენძს და მის ნაკეთობებს. რუსეთი თ-ის მეშვეობით ამყარებდა ეკონ. ურთიერთობებს სპარსეთთან და თურქეთთან. საქართველო საგარეო ვაჭრობას ეწეოდა ევრ. ქვეყნებთან – ინგლისთან, საფრანგეთთან და სხვ. ევრ. საქონელი საქართველოში უმთავრესად ფოთის ნავსადგურიდან შემოდიოდა. თ-ის სავაჭრო ქსელი მოიცავდა დაახლ. 2400 სავაჭრო საწარმოს და 14 ქარვასლას.

ქალაქის ეკონომიკაში ვითარდებოდა და მტკიცდებოდა სავაჭრო-სამრეწვ. კაპიტალი. XIX ს. 60-იანი წლების დასასრულისათვის თ-ში 130-ზე მეტი ფ-კა და ქ-ნა იყო. ამ პერიოდში თ. ტელეგრაფით დაუკავშირდა რუსეთის ქალაქებს. 1870 კი საექსპლუატაციოდ გადაეცა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატელეგრაფო სადგური, რ-იც ლონდონიდან მიღებულ ინფორმაციას კალკუტას გადასცემდა. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1872 ფოთთან, ხოლო 1883 – ბათუმსა და ბაქოსთან თ-ის რკინიგზის ხაზით დაკავშირებას. თ-ში ამოქმედდა საკრედიტო დაწესებულებები: საადგილმამულო და კომერც. ბანკები, რუსეთის სახელმწ. და კერძო ბანკების განყ-ბები, ურთიერთდამკრედიტებელი საზ-ბები. XIX–XX სს. მიჯნაზე გაძლიერდა კაპიტალის, წარმოებისა და ვაჭრობის კონცენტრაციის ტენდენცია, ჩამოყალიბდა რამდენიმე სააქციო საზ-ბა.

70-იან წლებში თ-ში განვითარდა მსხვილი საფაბრიკო მრეწველობა. 1870 ამუშავდა ბამბის საქსოვი ფ-კა, რ-შიც 500 მუშა იყო დასაქმებული. 1858 ბოზარჟიანცებმა დაიწყეს თამბაქოს წარმოება. ტყავის ქ-ნებიდან გამოირჩეოდა 1875 გახსნილი ა. *ადელხანოვის ტყავის ქარხანა*.



დუქნები. შეითან-ბაზარი (თათრის მოედანი). ფოტო 1900.

შემდეგ გაიხსნა ფეხსაცმლის ფ-კაც. ქალაქში იყო ქეჩის ფ-კები, საპნისა და ზეთსახდელი ქ-ნები, აგრეთვე, რამდენიმე წვრილი თუჯსადნობი ქ-ნა და ლითონის მექან. სახელოსნო. ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების მრავალრიცხოვან საწარმოთა შორის გამორჩეული იყო დ. *სარაჯიშვილის* მიერ 1888 დაარსებული კონიაკის ქ-ნა – პირველი რუს. მთელ იმპერიაში. სამშ. მასალების მრეწველობაში თვალსაჩინო ადგილი ეკავა ხიმშიაშვილის კრამიტაგურის ქ-ნებს. განვითარდა პოლიგრ. მრეწველობაც, ამუშავდა ქართ. საგამომცემლო ამხანაგობისა და კერძო პირების სტამბები.

თ-ში მრავლად იყო დიდი, მყარად აგებული შენობები, ვრცელი ბაზრები, გოგირდის აბანოები, ქარვასლები.

XIX ს. 80-იანი წლებიდან ყველაზე მსხვილ საწარმოდ იქცა *ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარი სახელოსნოები* და დეპო, სადაც 4000 მუშა იყო დასაქმებული. XIX ს. განმავლობაში ქალაქისა და მისი შემოგარენის მოსახლეობის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობა. 1900 წლისათვის თ-ში 1500 ფ-კა, ქ-ნა და წვრილი სამრეწვ. საწარმო იყო. მრეწვ. განვითარებამ ძლიერ დააჩქარა ბრუნვა-ვაჭრობა, მარტო თ-ში არსებობდა 2282 სავაჭრო საწარმო. თბილისში გამოჩნდნენ უცხოული სამრეწველო ფირმები, რ-მაც თავიანთი სავაჭროი სახლები და მაღაზიები გახსნეს ქალაქში. ასე მაგალითად XIX ს-ის ბოლოს თბილისში გაიხსნა ცნობილი ამერიკული კომპანია ,,ზინგერის'' საწარმო და მაღაზია. გაიზარდა თ-ის, როგორც დიდი სატრანსპ. კვანძის, როლი. ბაქო–თბილისი–ბათუმის რკინიგზის მაგისტრალიდან გაიყვანეს რკინიგზის ხაზი ერევნისაკენ, გაჩნდა ჭიათურის, ტყიბულის, ბორჯომისა და ბაკურიანის განშტოებები. 1915 დამთავრდა კახეთის რკინიგზის ხაზის მშენებლობა. ვითარდებოდა საქალაქო მეურნეობა: 1887 მწყობრში ჩადგა იმ დროისათვის მძლავრი ავჭალის წყალსადენი, 1893 – თ-ის საქალაქო სატელეფონო სადგური, 1897 დაიწყეს ქალაქის ელექტროდენით განათება. ტრამვაის ვაგონები თ-ში 1904 შემოვიდა და ,,კონკა'' ვიწროლიანდაგიანი ტრამვაით შეიცვალა, 1913 ამუშავდა ქალაქის ელექ-

ტროსადგური.

საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის განმავლობაში (1918–21) ურთულესი საგარეო და საშინაო მდგომარეობის გამო ვერ განხორციელდა ეკონ. ცხოვრების გაჯანსაღების გეგმები. საბჭ. ხელისუფლების პირველ ათწლეულში დედაქალაქში აღადგინეს და რეკონსტრუქცია ჩაუტარეს რევოლუციამდელ 36 საწარმოს, აშენდა 41 ახალი ფ-კა და ქ-ნა. ამავე პერიოდში აშენდა ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური (იხ. *ზაჰესი*), რ-იც 1927 გადაეცა საექსპლუატაციოდ. 1929–40 სამრეწვ. პროდუქციის მოცულობა 6-ჯერ გაიზარდა. ამ წლებში აშენდა ჩარხმშენებელი ქ-ნა, მაუდ-კამვოლის კომბინატი, ქ-ნა ,,ცენტროლიტი'', ფეხსაცმლის ფ-კა ,,ისანი'', ჩაის საწონი ფ-კა, რამდენიმე სამკერვალო ფ-კა, საყოფაცხოვრებო ქიმიის ქ-ნა და სხვ. შესაბამისად გაიზარდა მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა 23,4 ათასიდან 42,6 ათ. კაცამდე.

II მსოფლიო ომის პერიოდში თ-ის მრეწველობა თითქმის მთლიანად ფრონტის სამსახურში ჩადგა. დაიწყო იარაღის, სამხ. საჭურვლისა და ამუნიციის წარმოება. ამუშავდა გ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქ-ნა. თ-ის ი. სტალინის სახ. ორთქლმავალვაგონშემკეთებელმა და ავტოსარემონტო ქ-ნებმა აითვისეს საომარი იარაღის წარმოება.

თ-ის სამრეწვ. განვითარება ომის შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა. აშენდა ელმავალმშენებელი, ლოკომოტივშემკეთებელი, პლასტმასის, კონიაკის ქ-ნები; საიუველირო, წიგნის, №1 ტრიკოტაჟის ფ-კები; სახლთმშენებელი, კერამ. და რძის კომბინატები და სხვა სამრეწვ. საწარმოები. ათობით ფაბრიკა-ქარხანას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. 1970 თ-ის საწარმოებში 110 ათ-მდე მუშა იყო დასაქმებული. მრეწვ. წამყვანი დარგები გახდა მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება. სწრაფად ვითარდებოდა მსუბუქი და კვების მრეწველობა. თ-ის მოსახლეობის ზრდამ დღის წესრიგში დააყენა საბინაო მშენებლობის ფართო პროგრამის განხორციელება. 1950–90 აშენდა 11,7 მლნ. $მ^2$ საცხოვრებელი ფართი (დაახლოებით 1 მლნ. ადამიანის საცხოვრებელი).


ქალაქის გარშემო განვითარდა კომპლ. საბინაო-კომუნ., საწარმოო და სოც. ინფრასტრუქტურული მშენებლობა. გაშენდა ახალი დასახლებები: დიღმის, ვარკეთილის, გლდანის, მუხიანის, ვაშლიჯვრის, ფონიჭალის, დიდი დიღმის. მრავლად აშენდა საცხოვრებელი სახლები ნუცუბიძის პლატოს I–V მიკრორაიონებში. საცხოვრებელი სახლების დიდი რაოდენობით მშენებლობამ და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის თ-ის ცენტრიდან პერიფერიაზე დასახლებამ აუცილებელი გახადა წყალსადენების, სითბური, ელექტროკვების, გაზსადენი მაგისტრალების, გზებისა და ნიაღვარმიმღებების, ასევე კვარტალური თბოსადგურებისა და ელექტროქვესადგურების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კავშირგაბმულობის, საყოფაცხოვრებო, კულტ. და ვაჭრობის, ადმ. ობიექტების მასობრივი მშენებლობა. 50–60-იან წლებში თ-მა მიიღო ბუნებრივი გაზი.

ვითარდებოდა საზ. ტრანსპორტი. 1933 ტრამვაის დაემატა ავტობუსი, 1937 – ტროლეიბუსი. გაიყვანეს საბაგირო გზები, 60-იანი წლების შუახანებში – მეტროპოლიტენი; შედეგად თ-ის სატრანსპ. სისტემამ თანდათან სრულყოფილი სახე მიიღო. ვითარდებოდა საავტომობილო, სარკინიგზო, საავიაციო ტრანსპორტი.

საბჭოთა რეჟიმის პერიოდში საქართველოში შექმნილი ეკონ. სისტემა წარმოადგენდა სსრკ-ის ერთიანი სამეურნეო კომპლექსის განუყოფელ ნაწილს და ემყარებოდა წარმოების საშუალებებზე სახელმწიფოებრივ საკუთრებას. არაბუნებრივმა განვითარებამ განაპირობა ის, რომ საბჭოთა ეკო-



ევგენი გოლოვინის პროსპექტი (ახლანდელი შოთა რუსთაველის გამზირი). XX ს. დასაწყისი.



აგურის მანუფაქტურა. XIX ს. 90-იანი წლები.



თუჯ-სამსხმელო ქარხნის საგამოფენო პავილიონი. 1889.

ნომიკამ XX ს. 80-იანი წლებისათვის დაღმავალი, ქრობადი სახე მიიღო. ამასთან, საქართვ. ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა და ფუნქციონირების მიმართულებები, განსაზღვრული იყო არა ეროვნ. ინტერესებით და რესპ. წინაშე მდგომი ამოცანებით, არამედ, ძირითადად საბჭ. იმპერიის მიზნებითა და ამბიციებით. ყოველივე ამას, ეკონ. მიზნების გარდა, საფუძვლად ედო პოლიტ. ზრახვები – არც ერთ მაშინდელ რესპუბლიკას და, ცხადია, არც საქართველოს, არ უნდა ჰქონოდა დამოუკიდებლად, ავტონომიურად არსებობის უნარი.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991) განვლილი პირველი ათწლეული მ-ისათვის უკიდურესად რთული და ღრმა წინააღმდეგობრივი სოც.-ეკონ. და პოლიტ. პროცესების განვითარებით ხასიათდება. სსრ კავშირის დაშლამ, რ-ის ზეცენტრალიზებული სახალხომეურნეობრივი კომპლექსის ორგ. შემადგენელი ნაწილი იყო საქართვ. ეკონომიკა, მოკავშირე რესპუბლიკებსა და განსაკუთრებით დიდ ქალაქებს შორის საწარმოო-ეკონ. კავშირების მთლიანად გაწყვეტამ, თვისებრივად ახ. სისტემაზე – საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ობიექტური და სუბიექტური ხასიათის სიძნელეებმა, ხელოვნურად ინსპირირებულმა ეთნოკონფლიქტებმა, რ-ებშიც გარე ძალების ხელი ერია, ქვეყნის შიგნით შეიარაღებულმა დაპირისპირებამ, საერთო შინააშლილობამ და კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავებამ მ-ის და მთლიანად საქართვ. ეკონომიკა 90-იანი წლების I ნახევარში კატასტროფის პირამდე მიიყვანა. ინფლაციამ ასტრონომიულ მაჩვენებელს მიაღწია. ყოველივე ამის შედეგად მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ აღმოჩნდა.



სასტუმრო ,,ლონდონი''. ფოტო. XIX ს. 90-იანი წლები.

შექმნილმა უმძიმესმა სოც.-ეკონ. მდგომარეობამ ცხადყო ეკონ. სტაბილიზაციისა და სისტემ. ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავების აუცილებლობა; პროგრამა მიიღეს 1994 თებერვალში. დაისახა ეკონ. გარდაქმნები, ძირითად მიმართულებად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო სფეროს გარდაქმნა, პრივატიზების ტემპის მკვეთრი დაჩქარება, ფასების ლიბერალიზაცია. მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საწარმოთა ახ., საბაზრო ეკონ. შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების (ინდივიდ. საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზ-ბა, კომანდიტური საზ-ბა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზ-ბა, სააქციო საზ-ბა, კოოპერატივი) შექმნა.

აღნიშნული პროგრამის რეალიზაციის პროცესში უკვე 1995-იდან გამოიკვეთა ეკონ. სტაბილიზაციის გარკვეული ტენდენციები: ჰიპერინფლაციის დაძლევა, ფულის გაცვლითი კურსის სტაბილურობა, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, საბანკო სისტემის ჩამოყალიბების ნიშნები, ეროვნ. ვალუტის (ლარის) შემოღება (1995), სახელმწ. საკუთრების ტრანსფორმაციის დაწყება; გაუმჯობესდა საინვესტიციო გარემო, დაიწყო საერთაშ. პროექტების განხორციელება, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საერთაშ. დახმარებებმა.

მ. გახდა ევრაზიის სატრანსპ. დერეფნის მნიშვნელოვანი კვანძი. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს აზერბ. ნავთობის საბადოებიდან მოპოვებული ნავთობის ექსპორტირება ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენის საშუალებით. ეს პროექტი კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებს შორის ნავთობის ტრანსპორტირების პირველი პირდაპირი მარშრუტია. მისი მშენებლობის მთლიანმა ხარჯმა 4 მლრდ-ს (აშშ დოლარი) მიაღწია. ამ მილსადენის სიგრძე 1768 კმ-ია, ნავთობის ტრანსპორტირება 2005 წ. მაისში დაიწყო.

დიდმნიშვნელოვანი პროექტია ბაქო–თბილისი–ერზურუმის გაზსადენი, რ-ითაც ბუნებრივი აირი შაჰდენიზიდან (აზერბაიჯანი) საქართველოს გავლით თურქეთს მიეწოდება. 2006 წ. 21 მაისს გაზსადენში პირველი საცდელი ბუნებრივი აირი ჩაიტვირთა და 2006 წ. 20 დეკემ-

ბერს ექსპლუატაციაში შევიდა. მისი სიგრძე 692 *კმ*-ია, ხოლო წლიური გამტარობა – 16 მლრდ. *მ*^{3}. მომავალში გათვალისწინებულია გაზსადენის თურქმენულ და ყაზახურ მწარმოებლებთან შეერთება ტრანსკავკასიური გაზსადენის მეშვეობით. საქართველო, როგორც ტრანზიტული სახელმწ., წლიური გაზის გამტარობიდან 5%-ს იტოვებს ტარიფის სახით, ასევე შეუძლია 0,5 მლრდ. *მ*^{3} შეძენა ყოველწლიურად ფასდაკლებით.

1995–2003 გარკვეული წარმატებების მიუხედავად, თ-ის სოც.-ეკონ. მდგომარეობა მძიმე იყო. ამას განაპირობებდა ობიექტური (უპირველესად ფინანს. პრობლემები მსოფლიო ეკონომიკაში) და სუბიექტური (საშემსრულებლო დისციპლინის, პოლიტ. ნების სისუსტე, ბიუროკრატიზმი, კორუფცია, არასრულფასოვანი საფინანსო-ეკონ. პოლიტიკა) ხასიათის ფაქტორები. 2003 შემდგომ პერიოდში გარკვეული წარმატებებია მიღწეული, რ-თაგან უმთავრესია საინვესტიციო გარემოს, საწარმოო და სოც. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ტურიზმის განვითარება.

2012 შექმნილმა მთავრობამ უპირველეს ამოცანად დაისახა ბიზნესის სახელმწ. წნეხისგან გათავისუფლება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, ელიტარული კორუფციის, მონოპოლიების ამოძირკვა, მსოფლიო სტანდარტების დანერგვა მრეწველობაში, მშენებლობაში, საყოფაცხოვრებო სფეროში; სხვადასხვა ტიპის საინვესტიციო ფონდების შექმნა, საბანკო-საფინანსო სისტემის სრულყოფა, უმუშევრობის დონის დაწევა, თბილისელთა ცხოვრების დონის ამაღლება.

გ. ყუფუნია. ლ. აბრამიშვილი.

VI. განათლება და მეცნიერება.

განათლება. თ-ში პირველი ელემენტარული დაწყებითი სკოლები ეკლესია-მონასტრებთან (სიონის, მეტეხის, ქაშვეთის, ანჩისხატისა და სხვ.) შეიქმნა. 1755 ანტონ I-ის ინიციატივით გაიხსნა *თბილისის სემინარია*, რ-მაც დიდი როლი შეასრულა განათლებისა და კულტ. განვითარებაში. 1778 დაარსდა რუს. ენის შემსწავლელი სკოლა. ეს სკოლები განადგურდა 1795, აღა-მაჰმად-ხანის მიერ თ-ის აოხრების დროს.

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, 1802, თ-ში გაიხსნა პირველი საერო ორკლასიანი სკოლა, 1804 – *თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი*, რ-იც 1830 *თბილისის პირველ გიმნაზიად* გადაკეთდა; 1817 – *თბილისის სასულიერო სემინარია* და მასთან სას. სასწავლებელი (1818), 1824 – ნერსესის სომხური სას. სემინარია, 1836 – სამაზრო სასწავლებელი და თავად-აზნაურ ოფიცერთა მოსამზადებელი სამხ. სკოლა. 1842 დაარსდა *ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი*, 1844 – სამხედრო მოსწავლეთა სკოლა თ-ის (კავკასიის) მესანგრეთა ბატალიონთან, 1846 – წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი, 1847 – ვაჟთა სამიჯნე სკოლა. XIX ს. 20–40-იან წლებში თ-ში იყო 18 კერძო სკოლა, უმთავრესად ვაჟთა და ქალთა პანსიონების სახით. 1860 ,,საქველმოქმედო საზოგადოებამ'' გახსნა პირველი კერძო სკოლა ავლაბარში, 1862–70 – 10 სკოლა, 1862 – 4 სკოლა უღარიბეს ოჯახთა შვილებისათვის (1866–70 დაემატა 5 სკოლა). XIX ს. 60-იან წლებში გაიხსნა ხატიანოვსკის ქალთა პანსიონი (1860), დ. *ყიფიანის* ვაჟთა პანსიონი (1862; ასწავლიდნენ გიმნაზიის პროგრამით), ხლამოვის ვაჟთა (1863), ფავრის ქალთა, ბიუს ვაჟთა, ჰაკესა და კანონიჩის ვაჟთა პანსიონები, ჟინიუს ვაჟთა და ქალთა პანსიონი, რ-ის ბაზაზე ს. მონასტირცევმა და ა. ტერ-აკოფოვმა გახსნეს კერძო გიმნაზია. 1864 შარლეს, ხოლო 1867 ფულკის ხელმძღვანელობით გაიხსნა 2 ფრანგ. სკოლა. 1865 გაიხსნა პირველი რეალური სასწავლებელი, ამავე წელს – ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებელი, 1866 – ალექსანდრე II-ის სახ. ვაჟთა სამასწავლებლო სკოლა.

XIX ს. 80-იან წლებში საქართველოში ფართოდ გაიშალა საზ.-პედ. მოძრაობა *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების* (დაარსდა 1879) თაოსნობით. ამ საზ-ბამ 1880 ი. *გოგებაშვილის* წინადადებით თ-ში გახსნა დაწყებითი სასწავლებელი. 1881 ქალაქის მმართველობამ გახსნა 2 ქართ. დაწყებითი სკოლა, სადაც სწავლა უფასო იყო. 1909 გაიხსნა თ-ის *ქალთა უმაღლესი კურსები*. 1915–16-თვის ქალაქში იყო ვაჟთა 7 გიმნაზია, 1 რეალური და 2 კომერციული სასწავლებელი, ქალთა 6 გიმნაზია, წმ. ნინოსა და ქალთა ეპარქიული სასწავლებლები, კადეტთა კორპუსი, იუნკერთა სასწავლებელი, 2 სას. სემინარია, ამიერკავკ. ქალთა ინ-ტი, ქალთა კომერც. სასწავლებელი, ქალთა და ვაჟთა პანსიონები და სხვ. 1917 გაიხსნა *თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი*, 1918 – *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*.



კლასიკური გიმნაზიის სამკითხველო დარბაზი. ფოტო XIX ს. 80-იანი წლები.

საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართვ. განათლების სისტემა გახდა ერთიანი საბჭ. საგანმან. სკოლის განუყოფელი ნაწილი. შეიქმნა სახელმწ. საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების ქსელი. 1921–31 თ-ში გაიხსნა 140-მდე ახ. სკოლა (მ.შ. 4-წლიანი დაწყებითი, 7- და 9-წლიანი შრომის სკოლები სხვადასხვა სპეციალობით და 3–4 წლიანი ტექნიკუმები). 1924 თ-ში იყო 6 უმაღლესი სასწავლებელი (თსუ, პოლიტექ. ინ-ტი, პედ. ინ-ტი, სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია, ამიერკავკ. კომუნისტური უნ-ტი), XX ს. 90-იანი წლების დამდეგს – 239 სკოლამდელი დაწესებულება (42,6 ათ. აღსაზრდელი), 232 საშ. ზოგადსაგანმან. სკოლა (181 ათ. მოსწავლე), 19 სამუსიკო სკოლა, მუს. ათწლედი, თ-ის ქო-

რეოგრაფიული სასწავლებელი, 41 პროფტექ. სასწავლებელი (16,7 ათ. მოსწავლე), 25 საშ. სპეც. სასწავლებელი (20,4 ათ. მოსწავლე), 11 უმაღლესი სასწავლებელი (65,3 ათ. სტუდენტი); სკოლისგარეშე დაწესებულებები: პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, პიონერთა და მოსწავლეთა 6 სახლი, ნორჩ ტექნიკოსთა 4 სადგური, ნორჩ ნატურალისტთა 2 სადგური, საექსკურსიო-ტურისტული სადგური, ბავშვთა და მოზარდთა 25 სპორტსკოლა, ბავშვთა საციგურაო სკოლა, საბავშვო სტადიონი, მხატვრული აღზრდის სახლი, ბავშვთა ნახატების მუდმივი გამოფენა, საბავშვო მხატვრული სკოლა.

XX ს. 90-იანი წლების პოლიტ. და საზ. ცხოვრების სიძნელეებისა და გარდაქმნათა სირთულეების მიუხედავად, საბაზრო ეკონ. პრინციპები საფუძვლად დაედო განათლების სისტემის ყველა საფეხურზე კერძო დაფინანსების სასწავლებელთა დაარსებასა და სასწ. პროცესის ორგანიზაციის დაახლოებას საერთაშ. სტანდარტების დონესთან. ამოქმედდა 1997 წ. 27 იანვარს მიღებული საქართვ. კანონი განათლების შესახებ, 2005-იდან საქართველო გახდა ბოლონიის პროცესის წევრი.

2012-თვის თ-ში იყო 150-მდე სკოლამდელი დაწესებულება [საბავშვო ბაღი სახელმწ. (მერიის) დაქვემდებარებაში], 291 ზოგადსაგანმან. სკოლა, 44 საშ. პროფ. სასწავლებელი (15 სახელმწ., 29 კერძო), 15 სამუსიკო სკოლა, მუს. ათწლედი, თ-ის ქორეოგრ. სასწავლებელი; სკოლისგარეშე დაწესებულებები: მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, სპორტსკოლა, ბავშვთა საციგურაო სკოლა, საბავშვო სტადიონები, სამხატვრო სკოლა (2). თ-ში არის 36 საერო უმაღლესი სასწავლებელი, სას. აკადემია, სას. სემინარია.

მეცნიერება. საქართველოში სამეცნ. მუშაობა ოდითგან მიმდინარეობდა. თ-ს უკავშირდება *ვახუშტი ბატონიშვილის*, ვახტანგ VI-ის, ანტონ I-ის, *დავით ბატონიშვილის*, *იოანე ბატონიშვილის* და XVII–XIX სს. სხვა მეცნიერთა მოღვაწეობა. მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპი დაიწყო თსუ-ის დაარსების (1918) შემდეგ. ეროვნ. უნ-ტმა მოიზიდა კვალიფიციური სამეცნ. კადრები რუსეთიდან და ევროპიდან (ივ. *ჯავახიშვილი*, პ. *მელიქიშვილი*, ვ. *პეტრიაშვილი*, ა. *რაზმაძე*, ნ. *მუსხელიშვილი*, ა. *ბენაშვილი*, ა. *დიდებულიძე* და სხვ.). თსუ სულ მალე იქცა ეროვნ. სამეცნ. კადრების აღზრდის ძირითად კერად. უნ-ტის ბაზაზე შეიქმნა დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნ. ცენტრები.

თ-ში ჩამოყალიბდა საყოველთაოდ აღიარებული სამეცნ. სკოლები: საისტორიო, არქეოლ., ენათმეცნ., მათ., ფიზ., ქიმ., ასტრონ., ბიოლ., ფილოს., ფსიქოლ., ხელოვნებათმცოდნეობის და სხვ., რაც დაკავშირებულია ივ. ჯავახიშვილის, ი. *ბერიტაშვილის*, დ. *უზნაძის*, ნ. *მუსხელიშვილის*, გ. *ახვლედიანის*, ა. *ჩიქობავას* და მსოფლიოში ცნობილი სხვა მეცნიერების სახელებთან.

1941 დაარსდა საქართვ. მეცნ.



წიგნის მაღაზია ,,ცოდნა''. XX ს. დასაწყისი.



სააბრეშუმო სადგური (დღევანდელი აბრეშუმის და ფულის მუზეუმი). ფოტო. 1887.



კავკასიის მუზეუმი. XX ს. დასაწყისი.

აკად., რ-საც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი მეცნიერები ნ. მუსხელიშვილი, ი. *ვეკუა*, ე. *ხარაძე*, ა. *თავხელიძე*, თ. *გამყრელიძე*. 2014-იდან საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. პრეზიდენტია გ. *კვესიტაძე*, ვიცე-პრეზიდენტები: რ. *მეტრეველი* და თ. *ნანეიშვილი*.

თ. საქართვ. სამეცნ. ცენტრია, სადაც თავმოყრილია ქვეყნის სამეცნ.-ტექ. პოტენციალის დაახლ. 90%. XX ს. 80-იანი წლების დასასრულს მეცნ. აკადემიაში გაერთიანებული იყო 45 სამეცნ.-კვლ. დაწესებულება, სადაც მუშაობდა 4,3 ათ. მეცნიერი მუშაკი. ფუნქციონირებდა საკავშ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტების 9 ფილიალი, 60-მდე სხვადასხვა საპროექტო და უწყებრივი სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. სულ თ-ში მუშაობდა 20,8 ათ. მეცნიერი მუშაკი, მ.შ. 1167 მეცნ. დოქტორი და 6884 მეცნ. კანდიდატი.

2010–11 განხორციელდა საქართვ. განათლებისა და მეცნ. სამინისტროს დაქვემდებარებული ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდ. პირის – სამეცნ.-კვლ. დაწესებულებების (კვლევითი ინ-ტების) – რეორგანიზაცია უმაღლეს საგანმან. დაწესებულებებთან სტრუქტურულ ერთეულებად მიერთების გზით.

საქართვ. განათლებისა და მეცნ. სამინისტროსთან დაარსდა შოთა რუსთაველის სახ. *ეროვნული სამეცნიერო ფონდი* (2005). მისი მიზანია მეცნ. დაფინანსებისათვის განკუთვნილი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, მეცნ. დაფინანსების ერთიანი სისტემის შექმნა და მის მიმართ საზ-ბის ნდობის ჩამოყალიბება. ასევე, სახელმწ. სამეცნ. გრანტების ბენეფიციართა საქმიანობის მონიტორინგი. შოთა რუსთაველის ეროვნ. სამეცნ. ფონდი პროექტებს 10 მიმართულებით აფინანსებს.

საქართველოში 1991–2006 მოქმედებდა უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნ. და სამეცნ.-პედ. ატესტაციის ერთიანი სისტემა, რ-ის მართვა, ორგანიზაცია და ექსპერტიზა ევალებოდა საქართვ. სწავლულ ექსპერტთა საბჭოს; საბჭო გასცემდა მეცნ. დოქტორის და მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხის დამადასტურებელ სახელმწ. დიპლომებს, აგრეთვე პროფესორისა და დოცენტის სამეცნ.-პედ. წოდებების დამადასტურებელ სახელმწ. ატესტატებს. 2006-იდან საბჭომ შეწყვიტა არსებობა.



სპორტის მუზეუმი. ინტერიერი.

პირველი წ ი გ ნ ს ა ც ა ვ ე ბ ი საქართველოში გაჩნდა ეკლესია-მონასტრებთან, როგორც მწიგნობრულ კერებთან. X ს-ში უკვე მოწესრიგებული ჩანს წიგნებით სარგებლობის, მათი დაცვისა და აღნუსხვა-აღწერილობის საქმე. XVIII ს-ში სტამბის გაჩენამ თ-ში და ქართ. სტამბების დაარსებამ რუსეთში ხელი შეუწყო წიგნსაცავების ზრდასა და მათ მოწესრიგებას. მდიდარ საგვარეულო ბ-კებს ფლობდნენ ქართ. არისტოკრატიის გამოჩენილი წარმომადგენლები. XIX ს-ის 90-იან წლებში თბილისში გაიხსნა წიგნის გასაყიდი კერძო მაღაზიებიც.

1830 თ-ში ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა გახსნა ეკატერინე კოტოვამ; ეს იყო კერძო ბ-კა-სამკითხველო. 1842 დავით ყიფიანის თაოსნობით დაარსდა საბიბლიოთეკო ამხანაგობა, რ-ის მთავარი ამოცანა იყო თ-ში საჯარო ბ-კის გახსნა. 1846 გაიხსნა მეფისნაცვლის კანცელარიასთან არსებული ბ-კა, რ-იც საფუძვლად დაედო საჯარო ბ-კას. XIX ს. 50-იანი წლებიდან თ-ში გახსნილ ყველა სასწავლებელს თავისი ბ-კა ჰქონდა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზ-ბამ გახსნა 200 ბ-კა თ-ის გარეუბნებსა და საქართვ. სოფლებში. 1904–09 ძმებმა ზუბალაშვილებმა საფუძველი ჩაუყარეს სახ. ბ-კა-სამკითხველოს, რ-იც შემდგომ საფუძველად დაედო დედაქალაქის ცენტრ. მასობრივ ბ-კას (იხ. *თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა და მისი ფილიალები*). 1918 თ-ში დაარსდა *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა*.

საბჭოთა ხელისუფლებას საჭიროდ მიაჩნდა საბიბლიოთეკო ქსელის ჩამოყალიბება და სათანადო კადრების მომზადება; გაიზარდა ყველა საფეხურის სასწ. დაწესებულებათა ბ-კების ქსელი. 1924 დაარსდა წიგნის პალატა, რ-მაც დიდი მუშაობა ჩაატარა წიგნის რეგისტრაციისა და გავრცელების საქმეში. 1941 თ-ში გაიხსნა სა-



მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის კულტურის ურთიერთობების მუზეუმი.

ქართვ. მეცნ. აკად. ცენტრ. სამეცნ. ბ-კა. XX ს. 90-იანი წლების დასაწყისისათვის თ-ში არსებობდა 2 ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემა: ერთი აერთიანებდა 54 მასობრივ ბ-კა-ფილიალს, რ-ებსაც მეთაურობდა ა. ჯაფარიძის სახ. ცენტრ. სამეცნ. ბ-კა, მეორე კი აერთიანებდა 12 საბავშვო ბ-კას, რ-საც მეთაურობდა ნ. ნაკაშიძის სახ. ბ-კა. 1996 წ. 16 იანვარს საქართვ. პარლამენტმა მიიღო ,,საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ‘‘.

თ-ის ძირითადი ბ-კებია: საქართვ. პარლამენტის ეროვნ., მეცნ. აკად. – *ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა,* სახელმწ. უნტის, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებთან მოქმედი ბ-კები – პედ. ბ-კა, მ. ჯავახიშვილის სახ. მთავარი ბ-კა და მისი ფილიალები.

საქართველოში სიძველეთა დაცვის ტრადიციები შორეული დროიდან არსებობდა, რასაც მოწმობს ისტ. წყაროებში დაცული ცნობები. თ-ის ტერიტორიაზე სამუზეუმო კოლექციები დადასტურებულია XVIII ს. დასაწყისში (სამეფო სასახლის სალარო). XIX ს-ში კერძო კოლექციონერობის გავრცელებამ დააჩქარა მუზეუმების ჩამოყალიბება; მათ აარსებდნენ საზ-ბებთან, კომიტეტებთან და უწყებებთან. 1852 დაარსდა კავკ. მუზეუმი, 1855 – სას.-სამ. მუზეუმი, 1885 – კავკ. სამხ.-ისტ. მუზეუმი ფ. ა. რუბოს, ი. კ. აივაზოვსკის და სხვა მხატვართა სურათების მდიდარი კოლექციით. იმავე წელს პირველმა ქართველმა ფოტოგრაფმა ა. *როინაშვილმა* შექმნა კერძო მოძრავი მუზეუმი. 1887 დაარსდა კავკასიის სააბრეშუმო სადგური, 1888 – საეკლ. მუზეუმი (ე.წ. სიძველეთსაცავი), 1889 – შინამრეწველობის მუზეუმი, 1901 – პედ. მუზეუმი, 1908 – საისტორიო-საეთნოგრაფიო საზ-ბის მუზეუმი, 1910 – ქალაქის მუნიციპალური მუზეუმი (იხ. *თბილისის ისტორიის მუზეუმი*). 1914 თ-ში ანასტასიას ქუჩაზე საფრანგეთის მოქალაქე გ. ტორომანოვმა საკუთარი კოლექციების ბაზაზე დააფუძნა ,,თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი‘‘. 1920 დაარსდა საქართვ. ეროვნ. გალერეა.

1921, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, ყველა მუზეუმი დაექვემდებარა განათლების სახ. კომისარიატის მუზეუმების მთ. სამმართველოს. საეკლ. და რელიგ. საზ-ბების ქონება სახელმწ. კუთვნილება გახდა, აიკრძალა კულტ. და განათლების საგნების გატანა რესპ. ფარგლებს გარეთ. გაჩნდა ახ. პროფილის მუზეუმები, მაგ., რევ. მუზეუმი. 1927 დაარსდა თეატრ., 1932 – საქართვ. ებრაელთა ისტ.-ეთნოგრ., 1937 – საბავშვო სათამაშოების მუზეუმები და სხვ.

1991 საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენამ განაპირობა ძირეული ცვლილებები სამუზეუმო სისტემაში: გაუქმდა საბჭ. იდეოლოგიით განსაზღვრული მუზეუმები, მოხდა მათი ნაწილის რეორგანიზაცია და ახლებური გააზრება; მუზეუმების ძირითადი ნაწილი დაექვემდებარა კულტ. სამინისტროს, საქართვ. სამუზეუმო სისტემამ თანდათანობით დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიო სამუზეუმო სივრცეში; გაჩნდა კერძო მუზეუმები და სამხატვრო გალერეები.

თ-ში არის *საქართველოს ეროვნული მუზეუმი* – დიდი სამუზეუმო გაერთიანება, რ-შიც შედის: ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმი, შ. ამირანაშვილის სახ. *ხელოვნების მუზეუმი,* ი. გრიშაშვილის სახ. *თბილისის ისტორიის მუზეუმი* (ქარვასლა), გ. ჩიტაიას სახ. *ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ,* ოკუპაციის მუზეუმი; ე. ახვლედიანის, მ. თოიძის, ი. ნიკოლაძის, უ. ჯაფარიძის სახლ-მუზეუმები; აგრეთვე – გ. ლეონიძის სახ. *ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი* ფილიალებით; *თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი; ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი; ეროვნული გალერეა;* არქეოლ. მუზეუმი; *ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმი;* აბრეშუმისა და ფულის მუზეუმები; დ. ბაზოვის სახ. საქართვ. *ებრაელთა ისტორიის მუზეუმი*; საბუნებისმეტყველო მუზეუმი ,,ცხოველთა სამყარო‘‘; კინოს ისტორიისა და თოჯინების მუზეუმები; მ. შენგელიას სახ. *ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი*; სპორტის მუზეუმი; №1 აფთიაქ-მუზეუმი; ჰაერნაოსნობისა და ავიაციის ისტორიისა და რკინიგზის ისტორიის მუზეუმები; სმირნოვების სახლი – ,,კავკასიური სახლი‘‘; ი. გრიშაშვილის ბ-კა-მუზეუმი; დენდროლოგიური მუზეუმი (ბოტან. ბაღი); ანიმაციური თოჯინების მუზეუმი; გეოფიზ. მეცნ. ისტ. მუზეუმი; მინერალების კავშირგაბმულობის ოლიმპიური და ფოტოგრაფიის მუზეუმები; ავლაბრის არალეგალური სტამბა-მუზეუმი; მირზა-ფათალი ახუნდოვის საქართველო-აზერბაიჯანის კულტ. ურთიერთობების მუზეუმი; *ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*; 18 სახლ-მუზეუმი. თ-ში მოქმედებს 20-ზე მეტი კერძო გალერეა.

მ. ბაქრაძე. თ. ალიბეგაშვილი.

VII. კულტურა. საუკუნეთა განმავლობაში თ. იყო ლიტერატურულ-კულტურული საქმიანობის მთავარი კერა. თბილისელ მწერლებს ინტენს. ურთიერთობა ჰქონდათ როგორც საქართვ. სხვადასხვა კუთხეში არსებულ საგანმან. კერებთან, ისე საზღვარგარეთის ქართ. სამეცნ.-ლიტ. ცენტრებთან. ჩვენთვის ცნობილი პირველი ნაწარმოები, რ-იც თ-შია დაწერილი, არის იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება‘‘ (VIII ს.). ეროვნ. მწერლობის წინსვლა-განვითარებას დიდად უწყობდა ხელს დავით აღმაშენებელი. მისი „გალობანი სინანულისანი‘‘ კი ქართ. ჰიმნოგრაფი-

ის შესანიშნავი ნიმუშია. თამარ მეფის სასახლე მწერლებისა და მეცნ. საკრებულო იყო. თამარის ეპოქაში დაიწერა ქართვ. ხალხის სულიერი კულტ. შედევრი – შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსანი‘‘.

მონღოლთა ბატონობის შემდეგ თ-ის ლიტ. ცხოვრება კვლავ გამოცოცხლდა. დაიწყო საგმირო-სარაინდო თხზულებების თარგმნა, განვითარდა საისტ. მწერლობა, განსაკუთრებით – საისტ. ეპოსი, ლექსიკოგრაფია. ასპარეზზე გამოჩნდნენ მეფე-პოეტები თეიმურაზ I და არჩილ II.

თ-ის ლიტ. ცხოვრების გამოცოცხლების პროცესი კიდევ უფრო აქტიური გახდა XVIII ს. I მეოთხედში, ვახტანგ VI-ის მეფობის დროს. თ-ში დაიწერა ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა‘‘, აქვე შეადგინა მან „სიტყვის კონა‘‘. კულტ. განვითარებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თ-ში პირველი სტამბის დაარსება (1708–09) და საგამომცემლო საქმიანობის გაჩაღება. აქ დაიბეჭდა არა მხოლოდ სას. წიგნები, არამედ სასკოლო სახელმძღვანელოც და, რაც მთავარია, – ,,ვეფხისტყაოსანი‘‘ (1712). რუსთაველის პოემის პირველ გამოცემას ვახტანგ VI-მ დაურთო სპეც. გამოკვლევა. ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ თეიმურაზ II, ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი). არისტოკრატიულ-მწიგნობრული ლიტ-რის გვერდით შეიქმნა *ამულური პოეზია*, რ-ის თავკაცი იყო მგოსანი და მომღერალი საიათნოვა.

XIX ს-იდან ქართ. საზ.-პოლიტ. და კულტურულ ცხოვრებაში ახ. ერა დაიწყო. რუსეთმა საქართველო გუბერნიებად აქცია. დამპყრობლურმა პოლიტიკამ გამოძახილი პოვა იმ დროის ქართვ. მწერალთა შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი ნ. ბარათაშვილის თავისუფლების სულისკვეთებით გამსჭვალულ პოეზიაში. 1832 თავადაზნაურთა შეთქმულებას თავგაცობდნენ და მასში მონაწილეობდნენ მწერლები: ა. ჭავჭავაძე, ს. დოდაშვილი, გ. ორბელიანი, ა. ორბელიანი და სხვ. ტრაგიკულმა ისტორიულმა მოვლენებმა და ევრ. კულტურასთან ზიარებამ ქართ. მწერლობაში დასაბამი მისცა ახ. მიმართულებას – რომანტიზმს, რ-ის მწვერვალად მიჩნეულია ნ. ბარათაშვილის პოეზია.

1832 წ. იანვრიდან ს. დოდაშვილის თაოსნობით იბეჭდებოდა პირველი ქართ. საზ.-ლიტ. ჟურნ. ,,სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათანი‘‘ (გამოვიდა ხუთი ნომერი). ს. დოდაშვილმა თავის ნარკვევებში ახ. ლიტ.-ესთეტ. შეხედულებებიც ჩამოაყალიბა. ქართვ. მწერლები ურთიერთობდნენ ა. გრიბოედოვთან, ა. პუშკინთან, მ. ლერმონტოვთან, ა. დიუმასთან, რის შედეგადაც დაიწერა მათი კავკ. თემაზე შექმნილი ნაწარმოებები.



ინტენსიურად ითარგმნა ევრ. და რუსი მწერლების (ვოლტერი, უ. შექსპირი, ა. პუშკინი და მრავალი სხვ.) საუკეთესო ნიმუშები. თ-ში გაჩნდა ლიტ. სალონები (იხ. სტ. *ლიტერატურულ-მუსიკალური სალონები*). გ. ერისთავმა 1852 დააარსა ჟურნ. *„ცისკარი‘‘*, რ-ის გამოცემაც ი. კერესელიძემ განაახლა 1857. სულ უფრო მეტ ძალას იკრებდა მწერალთა ახ. ჯგუფი, რ-თა სახელებს უკავშირდება ჩვენში კრიტ. რეალიზმის ჩასახვა და მომძლავრება.

XIX ს. 60–70-იანი წლები ქართ. ლიტ-რის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი პერიოდი იყო. ამ დროს გამოვლინდა ქართ. ეროვნ. ენერგია და შემოქმედებითი ძალა. მწერლობა გამდიდრდა კლასიკური მხატვრული ნაწარმოებებით. ყოველივე ამის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო სამოცანელთა, ანუ *„თერგდალეულთა‘‘* თაობა მისი ლიდერების – ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ხელმძღვანელობით. პეტერბურგიდან თ-ში დაბრუნებულმა, ევრ. სინამდვილესა და კულტურას ნაზიარებმა „თერგდალეულებმა‘‘ თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიიჩნიეს მთვლემარე საზ. ცხოვრების გამოფხიზლება, ერის ენერგიის ამოქმედება, პროგრ. იდეების გავრცელება, ეროვნ. ოპტიმიზმის შთაგონება.

,,თერგდალეულთა‘‘ პირველი თაობის ეროვნ. და სოც. კონცეფციას ერთგულ თანამდგომებად გამოუჩნდნენ ქართვ. კლასიკოსები: ვაჟა-ფშაველა, ა. ყაზბეგი, ი. გოგებაშვილი, დ. კლდიაშვილი, რ-ებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული თ-ის სალიტ. ცხოვრებასთან. ისინი ბეჭდავდნენ თავიანთ ეპოქალურ მხატვრულ თუ პუბლიც. ნაწარმოებებს და უფროს თანამზრახველებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობდნენ პერიოდულ პროგრ. გამოცემებთან (*„დროება‘‘*, *„კრებული‘‘*, *„მნათობი‘‘*, *„ივერია‘‘*, *„ჯეჯილი‘‘* და სხვ.). „თერგდალეულთა‘‘ და მათ მიმდევართა წყალობით თ-ში შეიქმნა მძლავრი ქართ. მთარგმნელობითი სკოლა, რის შედეგადაც მკითხველი მშობლიურ ენაზე გაეცნო მსოფლიო ლიტრის მრავალ კლასიკურ ნიმუშს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლის ერთობლივი საქმიანობა უ. შექსპირის პიესების თარგმნაზე, რ-იც შემდეგ ი. მაჩაბელმა გააგრძელა.

XX ს. დასაწყისიდანვე თ-ში შეიქმნა ახ. ლიტ. გაერთიანებები, რამაც უფრო იმრავლა 20-იან წლებში. 1908 დაარსდა „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება‘‘ (თავ-რე გ. რცხილაძე), 1917 – „ქართველ მწერალთა კავშირი‘‘ (თავ-რე კ. მაყაშვილი). 1917 თ-ში აგრძელებდა მოღვაწეობას *„ცისფერყანწელთა‘‘* ჯგუფი (პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, კ. ნადირაძე,



გ. ლეონიძე, რ. გვეტაძე და სხვ.). XX ს. 20-იანი წლების დასაწყისში დაარსდა *„აკადემიური მწერლობის კავშირი‘‘* (ა. აბაშელი,

მ. ჯავახიშვილი, ლ. ქიაჩელი, გ. ქიქოძე, კ. გამსახურდია, ი. გრიშაშვილი, შ. დადიანი, პ. ინგოროყვა და სხვ.). საბჭ. ხელისუფლებამ შვა ე. წ. „პროლეტარული მწერლობა“. 1922 შეიქმნა ფუტურისტ მწერალთა გაერთიანება (შემდეგ – „ხელოვანთა მემარცხენე ფრონტი“). ლიტ. გაერთიანებათა გარეთ იდგნენ, ან ნაკლებად მონაწილეობდნენ, მათ საქმიანობაში, გ. ტაბიძე, ვ. ბარნოვი, ნ. ლორთქიფანიძე და სხვ. 1928 ყველანი გააერთიანეს „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციაში“.

ამავე პერიოდში თ-ში მრავალი სალიტ. ჟურნ.-გაზ. დაარსდა: „მნათობი“, „სალიტერატურო გაზეთი“ (შემდგომში – „ლიტერატურული საქართველო“) და სხვ. 1928 თ-ში დაარსდა საქართვ. საბჭ. მწერლების გამომც. „ფედერაცია“ (შემდგომში – „საბჭოთა მწერალი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1968-იდან დღემდე – „მერანი“). 1931 ტ. ტაბიძისა და გ. ლეონიძის თაოსნობით დაარსდა ლიტ. მუზეუმი.



1932 გაუქმდა ყველა მანამდე არსებული კავშირი და დაჯგუფება და შეიქმნა ერთიანი „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი“ (შემდგომში – საქართველოს მწერალთა კავშირი).

1930-იდან დაიწყო „არასაბჭოურად“ მოაზროვნე მწერლების აქტ. დევნა. 1937–38 რამდენიმე ათეული ქართვ. მწერალი ემსხვერპლა პოლიტ. რეპრესიებს, მ. შ. მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ვ. კოტეტიშვილი და სხვ., ბევრმა სასჯელი შორეულ გადასახლებაში მოიხადა. ტოტალიტარული ხელისუფლება მწერლებისაგან მოითხოვდა კომუნისტური იდეოლოგიისა და ხელოვნურად შექმნილი სოციალ. რეალიზმის მეთოდის შესაბამისად, ანუ მათი დიქტატით, შეექმნათ ნაწარმოებები.

XX ს. 20–30-იან წლებში თ-ში მწერალთა რიგებს შეემატა ახ. თაობა: ა. ბელიაშვილი, ს. ჩიქოვანი, ა. ქუთათელი, ლ. გოთუა, ი. აბაშიძე, გ. აბაშიძე, გ. შატბერაშვილი, ლ. ასათიანი, ი. ნონეშვილი და სხვ., 40-იან წლებში კი მ. ლებანიძე, ა. კალანდაძე, პროზაიკოსები რ. ჯაფარიძე, ო. ჩხეიძე და სხვ.

50-იანი წლების ე. წ. „დათბობის“ ხანიდან, როდესაც თ-ში შემოქმედებითი თავისუფლება შედარებით საგრძნობი გახდა, გამოსვლა დაიწყო ახალგაზრდულმა ჟურნ. „ცისკარმა“ (1957-იდან რედ. ვ. ჭელიძე), რ-მაც შემოიკრიბა ახ. თაობის მწერალთა უმრავლესობა. შემდგომში ცნობილი გახდა მრავალი შემოქმედის სახელი: ნ. დუმბაძე, ჭ. ამირეჯიბი, ო. ჭილაძე, ა. სულაკაური, მ. მაჭავარიანი, ჯ. ჩარკვიანი, თ. ჭილაძე, გ. რჩეულიშვილი, შ. ნიშნიანიძე, რ. ჭეიშვილი, გ. დოჩანაშვილი, ე. ყიფიანი, რ. ინანიშვილი, რ. ამაშუკელი, ტ. ჭანტურია, გ. გეგეშიძე, გ. ფანჯიკიძე, ო. ჭელიძე, გ. გეგეჭკორი, მ. აბრამიშვილი, ზ. ბოლქვაძე, ნ. გურეშიძე, ნ. კილასონია, მ. კახიძე, მ. ქვლივიძე, მოგვიანებით კი ლ. სტურუა, გ. ჩოხელი, ჯ. ქარ-



ჩხაძე, ნ. შატაიძე და სხვ. მათთან ერთად კრიტიკოსები გ. ასათიანი, ო. პაჭკორია, გ. გვერდწითელი, ა. ბაქრაძე, ე. კვიტაიშვილი, თ. წივწივაძე, კ. იმედაშვილი. მათი შემოქმედება გამოირჩეოდა ეროვნ. და სოც. პრობლემების მძაფრი განცდით. ამავე ატმოსფერომ ახ. სული შთაბერა უფროსი თაობის მწერლებს.

თ-ში დაარსდა ახ. პერიოდული გამოცემები („*ლიტერატურნაია გრუზია*“, 1957; „კრიტიკა“, 1972; „საუნჯე“, 1974; „ნობათი“, 1975; „დრამატურგია“, 1984), მხატვრული თარგმანისა და ლიტ. ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია (1974). ქართ. ლიტ-რა გამდიდრდა შესანიშნავი თარგმანებით. მთარგმნელთაგან აღსანიშნავი არიან: ბ. ბრეგვაძე, ზ. გამსახურდია, ზ. კიკნაძე, თ. ჩხენკელი, დ. წერედიანი, გ. ბაქანიძე, დ. ფანჯიკიძე, ჯ. აჯიაშვილი, გ. შაჰნაზარი და სხვ. 1966 თ-ში დაარსდა *ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია*, რ-მაც ი. აბაშიძის ხელმძღვანელობით მოამზადა და გამოსცა პირველი ქართ. უნივერსალური ენციკლოპედიის მრავალტომეული. 2002 გამოვიდა ამავე რედაქციის მიერ მომზადებული ენციკლოპედია „თბილისი“, ხოლო 2008 – „თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები“.

ეროვნ.-განმათ. მოძრაობა საქართვ. დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნით დასრულდა (1991), რამაც ლიტ. სამყაროც მთლიანად შეცვალა. XX ს. მიწურულს ქვეყნის ახალმა გზამ და მიზნებმა განაპირობა მწერლობის ახ. შინაარსი და ფორმა, ღირებულებათა გადაფასების აუცილებლობა, დრომოჭმულის უარყოფის პათოსი. ამ პროცესში უფროს თანამოკალმეებთან ერთად ნაყოფიერად ჩაებნენ ახალგაზრდა მწერლები.

თ-ის თემას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართ. ზეპირსიტყვიერებაში. იგი მრავალი თქმულება-გადმოცემისა თუ ლეგენდის, ლექსისა თუ სიმღერის მთავარგონების წყაროდ იქცა. თუკი სხვა ხალხების ფოლკლორში დედაქალაქი ყოველთვის საკუთარი სახელით მოიხსენიება, ქართ. ზეპირსიტყვიერებაში „თბილისი“ და „ქალაქი“ ერთი და იმავე მნიშვნელობის ცნებებს წარმოადგენს. თ-ის შესახებ შემორჩენილი ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიდან ყველაზე ძველი ჩანს „თბილისის დაარსების ლეგენდა“.

ქართული ჟურნალისტიკა თ-ში ჩაისახა. პრესის პირველი პერიოდული ორგანო, რომელიც აქ (საერთოდ კავკასიაში) გამოიცა, იყო «*საქართველოს გაზეთი*» (1819–21; 1820–21 გამოდიოდა «ქართული გაზეთის» სახელწოდებით). 1828 დაარსდა ყოველკვირეული ოფიც. რუს. გაზ. «ტფილისსკიე ვედომოსტი» (1828–32, რედ. პ. სანკოვსკი), რსაც ჰქონდა ქართულენოვანი ფაქტობრივი დუბლიკატი «*ტფილისის უწყებანი*» (1828–32, რედ. ს. დოდაშვილი). 1845–46 გამოდიოდა რუს. «*ზაკავკაზსკი ვესტნიკის*» ოფიც. ნაწილის ქართ. დუბლიკატი «*კავკასიის მხარეთა უწყებანი*» (რედ. პ. იოსელიანი, ფაქტობრივი ხელმძღვანელი ზ. ფალავანდიშვილი). 1852 ქართვ. მოღვაწეთა ინიციატივითა და კავკ. მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის ხელშეწყობით დაარსდა სალიტ. ჟურნ. „ცისკარი“ (1852–53, რედ.-

გამომც. გ. ერისთავი; 1857–75, რედ.-გამომც. ი. კერესელიძე).


ქართ. ჟურნალისტიკის ისტორიაში პრინციპულად ახ. ეტაპს იწყებს ქართვ. სამოციანელთა პირველი პერიოდული გამოცემა, ყოველთვიური სალიტ. ჟურნ. «*საქართველოს მოამბე*» (1863, რედ.-გამომც. ი. ჭავჭავაძე). 1864 გამოიცა პირველი ქართ. სალვთისმეტყველო და საეკლ. ყოველთვიური ჟურნ. ,,*საქართველოს სასულიერო მახარობელი*'' (რედ.-გამომც. გ. ხელიძე). 1866–85 გამოდიოდა ლიბერალურ-დემოკრ. მიმართულების გაზეთი «დროება», რ-იც 1885 ხელისუფლებამ ,,მავნე მიმართულების'' გამო დახურა (სხვადასხვა წლებში რედაქტორები იყვნენ: გ. წერეთელი, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე, ი. ჭავჭავაძე და ი. მაჩაბელი; გამომცემლები: ს. მელიქიშვილი, გ. ქართველიშვილი). 1869–72 ნ. ავალიშვილის რედაქტორობით დაარსდა სალიტ.-სამეცნ. ჟურნ. ,,მნათობი'' (გამომც. ი. ელიოზიშვილი), ხოლო 1871–73 – საზ.-პოლიტ. და სალიტ. ჟურნ. ,,კრებული'' (ოფიც. რედ.-გამომც. გ. წერეთელი, ფაქტობრივი ხელმძღვანელი ნ. ნიკოლაძე). 1877 ი. ჭავჭავაძემ დააარსა საზ.-პოლიტ. და სალიტ. გაზეთი ,,ივერია'' (1877–1906; სხვადასხვა წლებში – გაზეთი, ჟურნალი, ალმანახი, 1886-იდან ისევ გაზეთი; რედ. 1877–1901 – ი. ჭავჭავაძე).

1881–83 თ-ში გამოდიოდა ხალხოსნური მიმართულების ყოველთვიური პოლიტ.-ლიტ. ჟურნ. «*იმედი*» (რედ.-გამომც. მ. გურგენიძე), 1885–91 – ილუსტრირებული სალიტ.-სამხატვრო გაზეთი ,,თეატრი'' (რედ.-გამომც.: 1885–86 – ვ. აბაშიძე; 1887–91 – ვ. გუნია, ა. ნებიერიძე). 1893 დაარსდა სამეცნ.-სალიტ. გაზ. ,,*კვალი*'' (1893–97 ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა გ. წერეთელი; 1898–1904 – ნ. ჟორდანია). ნ. ჟორდანიას ხელმძღვანელობის დროს ,,კვალი'' იყო პირველი ლეგალური მარქსისტული გამოცემა რუსეთის იმპერიაში.

1894–1905 თ-ში გამოდიოდა სამეცნ.-სალიტ. ჟურნ. ,,*მოამბე*''. 1896 დაარსდა საზ.-პოლიტ. ყოველდღიური გაზ. ,,*ცნობის ფურცელი*'', რ-იც XX ს. დასაწყისში იყო ქართვ. ავტონომისტთა სოციალ.-ფედერალისტური მიმართულების გამოცემა.

XIX ს. თ-ში ჩაისახა და განვითარდა ქართ. დარგობრივი პრესა. 1861-იდან ჟურნ. ,,ცისკრის'' დამატების სახით გამოსვლას იწყებს სას.-სამ. (აგრონომიული) ჟურნ. ,,გუთნისდედა'' (1861–76), 1868–80 გამოდიოდა სას.-სამ. ხასიათის ,,*სასოფლო გაზეთი*'', ხოლო 1888–98 – სამეურნეო გაზეთი ,,*მეურნე*''. XIX ს. საფუძველი ჩაეყარა საბავშვო პერიოდიკას – გამოდიოდა დასურათებული საბავშვო ჟურნ. ,,*ნობათი*'' (1883–85), ხოლო 1890–1923 – დასურათებული საყმაწვილო ჟურნ. ,,ჯეჯილი''.

თ-ში რუსულენოვან გამოცემებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობითა და გავლენით გამოირჩეოდა გაზეთი ,,*კავკაზი*'' (1846–1918), რ-იც მთელი კავკასიის მასშტაბით რუს. ცენტრ. და ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციოზი იყო. რუსულენოვანი



დემოკრ. პრესის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა ნ. ნიკოლაძემ (გაზეთები ,,ობზორ'', ,,ნოვოე ობოზრენიე''). გამოდიოდა სხვა რუსულენოვანი გამოცემებიც.

XX ს. I მეოთხედში თბილისური პრესა მდიდარი იყო სატირულ-იუმორისტული გამოცემებით: ,,*შუამავალი*'' (1907), ,,*ეშმაკის მათრახი*'' (1907–08, 1915–17, 1919–21), ,,*ნიშადური*'' (1907–08), ,,ტარტაროზი'' (1909–10) და სხვ.

XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისის პრესაში ჩაისახა ქართ. ფოტოჟურნალისტიკა და საგაზეთო-საჟურნალო დიზაინის ხელოვნება.

1900–18 პრესა გამოირჩეოდა იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნებით. ,,ივერიის'' გამოცემის შეწყვეტის (1906) შემდეგ თ-ის პრესაში საერთო-ეროვნ. ინტერესების გამოხატვა სოც.-ფედერალისტურმა და ეროვნ.-დემოკრ. ჟურნალ-გაზეთებმა იკისრა. ამ პერიოდის ეროვნ.-დემოკრ. მიმართულების გამოცემები იყო ჟურნალები: ,,ნიშადური'' (1907–08), ,,საქართველო'' (1908), ,,*ერი*'' (1909–10), ,,*კლდე*'' (1912–15); გაზეთები: ,,ივერია'' (1909), ,,*საქართველო*'' (1915–21) და სხვ. თ-ის პრესაში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი ეკავა სოც.-ფედერალისტთა გამოცემებს. პარტიის ძირითად ორგანოს გაზეთი ,,ცნობის ფურცელი'' წარმოადგენდა. ამ პერიოდში სოც.-ფედერალისტთა ორგანოები იყო აგრეთვე გაზეთები: ,,შრომა'' (1905), ,,*მიწა*'' (1906–08), ,,დროება'' (1908–10), ,,*სახალხო გაზეთი*'' (1909–14), ,,*სახალხო ფურცელი*'' (1914–17) და სხვა. XX ს. დასაწყისში ქართვ. სოც.-დემოკრატთა ბოლშევიკურმა ფრთამ დააარსა არალეგალური გაზეთები: ,,*ბრძოლა*'' (1901–02), ,,ბრძოლის ფურცელი'' (1902), ,,პროლეტარიატის ბრძოლა'' (1903–05), ,,პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი'' (1903–05). 1905–07 გამოდიოდა აგრეთვე ლეგალური სოც.-დემოკრ. პერიოდული ორგანოები: ჟურნალი ,,*მოგზაური*'' (1905); გაზეთები: ,,*ახალი ცხოვრება*'' (1906–07), ,,მნათობი'' (1907), ,,*ახალი დროება*'' (1906–07) და სხვ. ზოგიერთი ბოლშევიკური გამოცემა რუს. და სომხ. ენებზე გამოდიოდა. გაზ. ,,კვალის'' დახურვის შემდეგ მენშევიკ სოც.-დემოკრატთა პერიოდული ორგანო იყო ჟურნ. ,,სოციალ-დემოკრატი'' (1905). 1905–17 გამოდიოდა არაერთი მენშევიკური ლეგალური გაზეთი და ჟურნალი, მ. შ. გაზეთები: ,,ცხოვრების სარკე'' (1908), ,,საქმე'' (1909–10), ,,თანამედროვე აზრი'' (1915–17) და სხვ. 1905–07 რევ. პერიოდში გამოდიოდა ანარქისტული (,,*მუშა*'', ,,ხმა'', ჟურნ. ,,ნობათი'' და სხვა) და ესერული (,,*პატარა გაზეთი*'') გამოცემები.

საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის (1918–21) პერიოდში თ-ის პრესა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი იყო. ხელისუფლების ოფიც. პერიოდული ორგანო იყო ,,საქართველოს რესპუბლიკა'' (1918–21), ხოლო მენშევიკ სოც.-დემოკრატთა მთავარი პარტ. გაზეთი – ,,*ერთობა*'' (1917–21). სხვადასხვა ხასიათის საზ.-პოლიტ. გამოცემებთან ერთად გამოდიოდა ბოლშევიკური გაზეთები: ,,ბრძოლა'' (1917–18), ,,*კომუნისტი*'' (1920-იდან). არსებობდა დარგობრივი გამოცემებიც (,,ჯარი და

ერი'', ,,მხედარი'', ,,რესპუბლიკის ჯარი'', ,,მევენახე'', ,,რკინიგზელი'' და სხვა). ფართოდ იყო წარმოდგენილი ლიტერატურული პრესა: ,,*მეოცნებე ნიამორები*'', ,,მშვილდოსანი'' და სხვა. იბეჭდებოდა რუს., სომხ. და აზერბ. ჟურნალ-გაზეთები.

საქართველოს გასაბჭოების (1921) შემდეგ თ-ის პრესა მკაცრად იდეოლოგიზებული და რეგლამენტირებული გახდა; საბჭოთა პერიოდის თბილისურ გამოცემათა შორის უმთავრესი გაზეთები იყო: ,,კომუნისტი'', ,,*ზარია ვოსტოკა*'', ,,ახალგაზრდა კომუნისტი'', ,,მოლოდიო რაბოჩი'', ,,*სახალხო განათლება*'', ,,*სოფლის ცხოვრება*'', ,,*ლიტერატურული საქართველო*'', ,,*ლელო*'', ,,სოვეტაკან ვრასტანი'' (სომხურ ენაზე), ,,სოვეტ გურჯუსტანი'' (აზერბაიჯანულ ენაზე); საქალაქო გაზეთები: ,,*თბილისი*'', ,,*ვეჩერნი ტბილისი*''; პარტ. და სამეცნ.-ლიტ. ჟურნალები: ,,*საქართველოს კომუნისტი*'', ,,პარტიული სიტყვა'', ,,ეკონომისტი'', ,,*საქართველოს ქალი*'', ,,*ნიანგი*'', ,,მნათობი'', ,,*მეცნიერება და ტექნიკა*'', ,,ცისკარი'', ,,ლიტერატურნაია გრუზია'' (რუს. ენაზე); საქართვ. მეცნ. აკად. გამოცემები: ,,მოამბე'', ,,მაცნე''; აგრეთვე, თსუ-ისა და სხვა უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნ. დაწესებულებათა პერიოდული გამოცემები.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ (1991) პრესაში თვალსაჩინო ცვლილებები გამოიწვია. შეიქმნა მრავალი დამოუკიდებელი პერიოდული გამოცემა. დღეისათვის თ-ში გამოდის გაზეთები: ,,რეზონანსი'', ,,კვირის პალიტრა'', ,,24 საათი'', ,,ახალი თაობა'', ,,ყველა სიახლე'', ,,ალია'', ,,საქართველოს რესპუბლიკა'', ,,ასავალ-დასავალი'' და სხვ.; ჟურნალებიდან აღსანიშნავია: ,,თბილისელები'', ,,სარკე'', ,,ცხელი შოკოლადი'', ,,ლიბერალი'', ,,ტაბულა'' და სხვ.

საქართველოში პირველი რადიოგადაცემები დაიწყო 1925 წ. მაისში ნავთლუღის რადიოსადგურიდან, რეგულ. მაუწყებლობა საქართვ. რადიომ კი – 1927 წ. 3 იანვრიდან. 1928 ჩამოყალიბდა თ-ის რადიოცენტრი. დღეისათვის თ-ში მოქმედებს შემდეგი რადიოკომპანიები: ,,თავისუფლება'', ,,რადიო ფორტუნა'', ,,რადიო უცნობი'', ,,რადიო აფხაზეთის ხმა'', ,,საპატრიარქოს რადიო'' და სხვა.

სატელევიზიო მაუწყებლობა საქართველოში 1956 წ. 30 დეკემბრიდან დაიწყო. პირველი ქართ. ტელესტუდია მოთავსებული იყო კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობაში. დღეს თ-ში ფუნქციონირებს საქართვ. ტელევიზიის საზ. მაუწყებელი და რამდენიმე დამოუკიდებელი ტელეკომპანია: ,,რუსთავი 2'', ,,იმედი'', ,,ერთსულოვნება'', ,,კავკასია'', ,,მაესტრო'', ,,ობიექტივი'' და სხვა.

გეოგრაფიულმა მდებარეობამ და მოსახლეობის ეროვნულმა ნაირგვარობამ განაპირობა მდიდარი, კულტურათა სინთეზით შეზავებული მრავალფეროვანი ქალაქური მუს. ფოლკლორის შექმნა, რ-მაც, თავის მხრივ, დიდი როლი შეასრულა ახ. ქართ. პროფ. მუსიკის ჩასახვასა და განვითარებაში. ქართ. ქალაქური მუს. კულტ. შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვით პოეტ-მომღერლებს და მესაკრავეებს.

ქართ. ქალაქური ხალხ. მუსიკა აღმოსავლური და დასავლური განშტოებებისაგან შედგება. ამათგან პირველმა, რ-საც ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული, საბოლოო კრისტალიზაცია განიცადა XVIII ს-ში, როდესაც თ-ში გაჩნდა ე.წ. ძველი ქალაქური სიმღერები. დასავლური განშტოების მუს. ფოლკლორი გაცილებით ახალგაზრდაა.

ქალაქურ მუსიკას სხვადასხვა სახით იყენებდნენ ქართ. პროფ. მუსიკის კლასიკოსები – მ. *ბალანჩივაძე*, დ. *არაყიშვილი*, ზ. *ფალიაშვილი*, ვ. *დოლიძე* და შემდგომი თაობის კომპოზიტორები, ხოლო ქართ. საესტრადო მუსიკა ძირითადად ქალაქურ მუს. ფოლკლორს ემყარება. XIX ს. ახ. ქართ. პროფ. მუსიკის შექმნის პერიოდია. ამას ხელი შეუწყო თ-ში არისტოკრატიული სალონების ტრადიციამ და ევრ. საკრავების გავრცელებამ; საფუძველი ჩაეყარა ქალაქის თეატრ. და საკონცერტო ცხოვრებას. 1851 გ. დონიცეტის ,,ლუჩია დი ლამერმურით'' გაიხსნა თ-ის საოპერო თეატრი ა. ბარბიერის ხელმძღვანელობით, რ-ის სცენაზეც თითქმის 30 წლის განმავლობაში ერთმანეთს ცვლიდნენ იტალ. დასები. აქ გამოდიოდა აგრეთვე რუს. საოპერო დასი (1890), რ-ის შემადგენლობაში მღეროდნენ ფ. *ქორიძე*, მ. ბალანჩივაძე; მოგვიანებით – ვ. სარაჯიშვილი, ს. ინაშვილი, ო. ბახუტაშვილ-შულგინა. ქალაქის საკონცერტო ცხოვრების სტიმულირების მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო გამოჩენილი მუსიკოსების გასტროლები თ-ში. აქ გამოდიოდნენ პ. ჩაიკოვსკი (1886, 1887, 1888, 1889, საავტორო კონცერტს და ოპერა ,,ევგენი ონეგინს'' უდირიჟორა 1890) ; კომპოზიტორები და პიანისტები: ა. რუბინშტეინი (1891), ს. რახმანინოვი (1911, 1916) და სხვ. თ-ში დაიწყო (1894) თ. შალიაპინის კარიერა.

მუს. ცხოვრების ინტენსიურმა განვითარებამ განაპირობა მუს. განათლებისაკენ სწრაფვა. XIX ს. I ნახევარში თ-ში დაარსდა კერძო მუს. კლასები (ე. ეფშტაინი, ლ. იანიშევსკი, ვ. ჩიჟოვი). 1871 შეიქმნა ,,*კავკასიის სამუსიკო საზოგადოება*''. მუს. განათლების მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა აგრეთვე ქართ. გიმნაზია. 1917 წ. 1 მაისს თ-ში გაიხსნა ევრ. ტიპის პირველი უმაღლესი სასწავლებელი საქართველოსა და მთელ კავკასიაში – კონსერვატორია.

თ-ის სცენაზე დაიდგა ეროვნ. საოპერო კლასიკის პირველი ნიმუშები: ზ. ფალიაშვილის ,,აბესალომ და ეთერი'', დ. არაყიშვილის ,,თქმულება შოთა რუსთაველზე'', ვ. დოლიძის ,,ქეთო და კოტე'' (1919), ზ. ფალიაშვილის ,,დაისი'' (1923), მ. ბალანჩივაძის ,,დარეჯან ცბიერი'' (1926). შეიქმნა სიმფ. ორკესტრი (1924) და სიმებიანი კვარტეტი (1925), პირველი სახელმწ. გუნდი (1927); 1932 დაარსდა *საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი*. თ-ში შეიქმნა მუს. სასწავლო დაწესებულებების ფართო ქსელი.

1933 საქართვ. სახელმწ. სიმფ. ორკესტრის დაარსებასთან ერთად (პირველი სამხატვრო ხელმძღვ. და მთ. დირიჟ. ე. მიქელაძე) თ-ის მუს. ცხოვრება გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა. 1937–42 აშენდა კონსერვ. დიდი საკონცერტო დარბაზი. 1944 დაიწყო მუშაობა საქართვ. სახელმწ. საესტრადო ორკესტრმა რ. გაბიჩვაძის ხელმძღვანელობით და საქართვ. ფილარმონიის სახელმწ. სიმებიანის კვარტეტმა. 1967 დაარსდა საქართველოს მუს.-ქორეოგრ. საზ-ბა. დაიდგა ო. თაქთაქიშვილის, ბ. კვერნაძის, გ. ყანჩელის და სხვა კომპოზიტორთა ოპერები.

თ-ში სისტემატურად ტარდება საერთაშ. ფესტივალები და კონკურსები. საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა საქართვ. ფილარმონია, ე. მიქელაძის სახ. ეროვნ. სიმფ. ორკესტრი, ჯ. კახიძის სახ. თ-ის

სიმფ. ორკესტრი, ნ. სულხანიშვილის სახ. სახელმწ. საგუნდო კაპელა, საქართვ. ეროვნ. სიმებიანი კვარტეტი, კამერული ორკესტრი, ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლი ,,ერისიონი'', ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლები, კამერული ორკესტრები და სხვ.

თ. მრავალი ქართვ. კომპოზიტორის შთაგონების წყაროა; მისდამი მიძღვნილია სხვადასხვა თაობის კომპოზიტორთა ნაირგვარი ჟანრის მუს. ნაწარმოებები, მ. შ. თ-ის ,,მუსიკალური ემბლემა'' – რ. ლაღიძის ,,სიმღერა თბილისზე'', ,,მუხამბაზი მშობლიურ თბილისს'', შ. აზმაიფარაშვილის საორკესტრო სიუიტა ,,ძველი თბილისის სურათები'', ვ. აზარაშვილის საკვარტეტო მინიატიურები ,,ძველი თბილისის სურათები'', ი. კეჭაყმაძის 5 საგუნდო პარაფრაზი ,,ძველი თბილისის სიმღერები'', ო. თაქთაქიშვილის ,,კანტატა თბილისზე'', მუსიკალური კომედიები – ა. კერესელიძის ,,თბილისის ცის ქვეშ'', შ. მილორავას ,,სიმღერა თბილისზე'', ე. ჭელიძის ,,ჭაღარა თბილისო ჩემო'', გ. *ცაბაძის* სიმღერები თბილისზე, ს. *ნასიძის* რაფსოდია და სხვა.

თ-ის ქორეოგრაფიულ ცხოვრებაში ბუნებრივად ჩაიწერა უძველესი, მრავალფეროვანი, ტემპერამენტიანი ქართ. ცეკვები, რ-თა შინაარსს განაპირობებდა საყოფაცხოვრებო კალენდარი და რიტუალურ-საკულტო ადათ-წესები. ერთ-ერთი გამორჩეულია თეატრ. სანახაობის – ,,*სახიობის*'' – წიაღში შექმნილი რომანტიკული ხასიათის წყვილთა ცეკვა ,,*ქართული*'' (ძველად ,,სადარბაზო'', ,,სანადიმო'', ,,ლეკური''). შეიქმნა აგრეთვე ქალაქური ყოფის ამსახველი შესანიშნავი ფოლკლორული ნიმუში ,,კინტაურ-ბაღდადური''.

XIX ს. დასაწყისში თ-ში ფართოდ დაინერგა სამეჯლისო ცეკვები, რ-იც სრულდებოდა საოჯახო შეკრებებზე, ლიტ.-მუს. სალონებში. აღსანიშნავია, რომ სამეჯლისო ცეკვების – ვალსის, მაზურკის, პა დე კატრის გვერდით, ცნობილი ქორეოგრაფები დგამდნენ ქართ. ხალხ. ცეკვის სამეჯლისო ვარიანტებს. 1902 თ-ში დაარსდა ,,ცეკვისა და პლასტიკის სკოლა'' (ხელმძღვ. ი. როინიშვილი) და ,,აზიური ცეკვების სტუდია'' (ხელმძღვ. ა. გ. ალექსიძე). XX ს. 20-იანი წლებიდან შეიქმნა ქართ. ხალხ. ცეკვის ანსამბლები; 1935 ანსამბლი დ. ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით წარმატებით გამოვიდა ლონდონის საერთაშ. ფესტივალზე და ლაურეატის წოდება დაიმსახურა, ი. სუხიშვილი კი ოქროს მედლით დაჯილდოვდა. ქორეოგრაფიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართ. ხალხ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. აკადემიურმა ანსამბლმა (ამჟამად –,,ერისიონი''), ხალხური ცეკვის სახელმწ. აკად. ანსამბლმა (ამჟამად – ,,*ქართული ნაციონალური ბალეტი*'') ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით.

1852 თ-ის ,,ქარვასლის თეატრში'' (გაიხსნა 1851) მიიწვიეს მოსკ. დიდი თეატრ. მოცეკვავე და ბალეტმაისტერი თ. მონოხინი მცირე საბალეტო ჯგუფთან ერთად. 1852–54 მან დადგა ნაწყვეტები კლასიკური საბალეტო რეპერტუარიდან. 1895 ა. ინოჩენცემ და მ. პერინმ ჩამოაყალიბეს საბალეტო და სამეჯლისო ცეკვების სტუდია. 1916 მ. პერინის ხელმძღვანელობით გაიხსნა საბალეტო სტუდია, ადგილობრივი საბალეტო კადრების აღზრდის კერა, რ-იც 1920 გადაკეთდა საბალეტო სკოლად. 1935 იგი შეუერთდა სახელმწ. ქორეოგრ. სტუდიას (ხელმძღვ. დ. ჯავრიშვილი, 1935–51), 1957-იდან ქორეოგრ. სასწავლებელია (1951–73 ხელმძღვ. ვ. *ჭაბუკიანი*).

XX ს. 10-იანი წლებიდან იწყება ეროვნ. ბალეტის ფორმირება. შეიქმნა ქართ. საბალეტო პანტომიმები (კომპ. თ. *ვახვახიშვილის* მუსიკაზე). 1937 მოსკოვში გამართულ ქართ. ხელოვნების დეკადისათვის მომზადდა ა. *ბალანჩივაძის* ბალეტი ,,მზეჭაბუკი'' (,,მთების გული'', ბალეტმაისტერი ვ. ჭაბუკიანი, ლიბრეტო გ. ლეონიძის, მხატვარი ს. *ვირსალაძე*, დირიჟ. ე. მიქელაძე). 1941-იდან თ-ის საბალეტო დასს სათავეში ჩაუდგა ვ. ჭაბუკიანი. საბალეტო კლასიკასთან ხალხ. ცეკვის ელემენტების შერწყმით ვ. ჭაბუკიანმა შექმნა ეროვნ. ბალეტის თავისებური სახეობა. მანვე განავითარა და სრულყოფილებამდე აიყვანა მამაკაცის ცეკვა, მისცა მას მკაფიოდ ვაჟკაცური ხასიათი. ვ. ჭაბუკიანის მიერ დადგმული ბალეტებია: გ. *კილაძის* ,,სინათლე'', დ. *თორაძის* ,,გორდა'' და ,,მშვიდობისათვის''. მისი შემოქმედების მწვერვალია ა. *მაჭავარიანის* ,,ოტელო'' (1957). სხვა მნიშვნელოვანი დადგმებია: ს. *ცინცაძის* ,,დემონი'', ფ. *ღლონტის* ,,განთიადი'', რ. გაბიჩვაძის ,,ჰამლეტი''. თ-ის საბალეტო დასს სხვადასხვა პერიოდში ხელმძღვანელობდნენ მ. *ლავროვსკი*, გ. *ალექსიძე*, ნ. *ანანიაშვილი* (2004-იდან).

თ-ში საუკუნეების განმავლობაში არსებობდა როგორც ხალხ. საიმპროვიზაციო თეატრი, ასევე თოჯინების (კუკების) თეატრი, რ-იც ჯერ კიდევ VII ს. დამდეგს თავისი წარმოდგენებისათვის ბიბლიურ სიუჟეტებს იყენებდა. შუა საუკუნეებში განვითარდა სასახლის კარის თეატრი ანუ ,,სახიობა'' – ნიღბოსანთა წარმოდგენები მუსიკის თანხლებით. პარალელურად ვითარდებოდა ხალხ. თეატრი ,,ბერიკაობისა'' და ,,ყეენობის'' ფორმით. XVIII ს-ში ერეკლე II-ის სასახლის კართან შეიქმნა საერო თეატრი დიპლომატისა და საზ. მოღვაწის გ. ავალიშვილის ხელმძღვანელობით (იხ. *ავალიშვილის თეატრი*). 1850 თ-ში დაარსდა ქართ. პროფ. თეატრი, რ-ის ფუძემდებელი იყო გ. ერისთავი.

1882 ლ. მესხიშვილის მონაწილეობით დადგმულმა დ. *ერისთავის* ,,სამშობლომ'' საეტაპო როლი ითამაშა გმირულ-რომანტიკული სათეატრო ესთეტიკის განვითარებაში. ამავე პერიოდში თეატრ. რეპერტუარში დიდი ადგილი დაიკავა კომედიის ჟანრის ნაწარმოებებმაც. ი. მაჩაბლის თარგმანებმა [უ. შექსპირის ,,ჰამლეტი'', ,,ოტელო'', ,,რომეო და ჯულიეტა'', ,,მეფე ლირი'' (ი. ჭავჭავაძესთან ერთად)] მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თეატრში სალიტ. ენის დამკვიდრებას. თეატრში შეიქმნა ფართომასშტაბიანი რეალისტური სამსახიობო სკოლა. გამოჩნდნენ პირველი პროფ. რეჟისორები: ა. *წუწუნავა*, ა. *ფალავა*, ვ. *შალიკაშვილი*, მ. *ქორელი* და სხვ. 1918 შეიქმნა *ჯაბადარის სტუდია* (ვ. *ანჯაფარიძე*, მ. *გელოვანი*, შ. *ღამბაშიძე*, მ. *ჭიაურელი*, ა. *ვასაძე*, დ. *ანთაძე* და სხვ.). 1920 თეატრს მიენიჭა სახელმწ. სტატუსი, 1921 კი – შოთა რუსთაველის სახელი. 1922 ა. ფალავამ დააარსა სტუდია, რ-იც 1923 გადაკეთდა სათეატრო ინ-ტად. 1922–26 რუსთაველის თეატრს სათავეში ედგა კ. *მარჯანიშვილი*. ამ პერიოდში კ. მარჯანიშვილმა და ა. *ახმეტელმა* ერთობლივად დადგეს არაერთი სპექტაკლი. 1926, კ. მარჯანიშვილის წასვლის შემდეგ, თეატრს სათავეში ჩაუდგა ა. ახმეტელი (1935-მდე), რ-ის სპექტაკლებში



კინოთეატრი ,,აპოლო‘‘. XX ს. 10-იანი წლები.

აისახა ტრაგიკული წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქა. 1930 თ-ში გადმოვიდა კ. მარჯანიშვილის მიერ ქუთაისში დაარსებული სახელმწ. თეატრი, რ-საც 1933 კ. მარჯანიშვილის სახელი ეწოდა. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა ა. *ხორავას* და ა. *ვასაძეს* შემდგომ წლებში მაყურებლის მოწონება დაიმსახურა სპექტაკლებმა, რ-თა რეჟისურა ეკუთვნოდა ვ. *ყუშიტაშვილს*, ა. *თაყაიშვილს*, ა. *ჩხარტიშვილს*, დ. *ალექსიძეს*, ვ. *ტაბლიაშვილს*, დ. ანთაძეს და სხვ. ახ. თაობის რეჟისორთა (მ. *თუმანიშვილი*, ა. *დვალიშვილი*, ე. *იოსელიანი*, გ. *ლორთქიფანიძე*) დადგმები გაბედული, რეფორმატორული ძიებებით გამოირჩეოდა. მაყურებელთა მოწონებას ყოველთვის იმსახურებდა რუს., სომხ. და აზერბ. სახელმწიფო დრამ. თეატრები, მოზარდ მაყურებელთა, თოჯინების თეატრები და სხვ. *გრიბოედოვის თეატრი* აღიარებულია საუკეთესო რუსულენოვან თეატრად რუსეთის ფარგლებს გარეთ არსებულთა შორის. თ-ის წამყვან თეატრებს წარმატებით ხელმძღვანელობდნენ რ. *სტურუა*, თ. *ჩხეიძე*, შ. *გაწერელია*, გ. *ჟორდანია* და სხვ. განსაკუთებით უნდა აღინიშნოს რუსთაველის თეატრის ბრწყინვალე საზღვარგარეთული გასტროლები და რ. *ჩხიკვაძის* სამსახიობო ხელოვნება.

თ-ში შეიქმნა ახ. თეატრები: სატირისა და იუმორის სახელმწ. თეატრი თ. *ჩანტლაძის* ხელმძღვანელობით (1962), მეტეხის თეატრი (1974), პანტომიმის სახელმწ. თეატრი (1976), ახმეტელის სახ. დრამ. თეატრი (1979), თეატრ-სტუდია (მარიონეტები) რ. *გაბრიაძის* ხელმძღვანელობით (1981), მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრი (1975), ერთი მსახიობის თეატრი ,,ვერიკო‘‘ (1987), სამეფო უბნის თეატრი (1997), ,,თეატრალური სარდაფი‘‘ (1997), თეატრი ათონელზე (2005) და სხვ. თ-ში სისტემატურად ეწყობა საერთაშ. თეატრ. ფესტივალები.

პირველი კინემატოგრაფიული სეანსი თ-ში ჩატარდა 1896 წ. 16 ნოემბერს. ძმები ლუმიერების ,,სინემატოგრაფი‘‘ (1895, პარიზში ჩვენების შემდეგ) მხოლოდ ერთი დღით ჩამოიტანეს და სათავადაზნაურო თეატრში პირველი კინოსეანსიც უჩვენეს ქალაქის საზოგადოებას. XX ს. თ-ში სინემატოგრაფიული ბუმით დაიწყო. სეანსები საზაფხულო თეატრში, ე. წ. ,,ნემენცების ბაღში‘‘ (მიხეილის ქუჩაზე, ახლანდელ დავით აღმაშენებლის გამზირზე), ქალაქის ღია ბაღებსა თუ პარკებში იმართებოდა და თ-ის საზ-ბის ყველა ფენას ერთნაირად იზიდავდა.

1904 წელს თ-ში უკვე არსებობდა მთელი რიგი კინოთეატრებისა – ,,სკიფი‘‘ (გოლოვნის, ახლანდელ რუსთაველის გამზირზე), ,,ბიოსკოპი‘‘, ,,ურანი‘‘, ,,მულენ ელექტრიკი‘‘. ეს პატარა კინოთეატრები 50–60 მაყურებლისათვის იყო განკუთვნილი. 1909 თ-ში აშენდა კინოთეატრი ,,აპოლო‘‘ (მიხეილის ქუჩაზე), სადაც აჩვენებდნენ უცხოურ, უპირატესად ფრანგულ კინოსურათებს. გაზ. ,,კავკაზის‘‘ ცნობით 1914 ბოლოს, იმავე მიხეილის ქუჩაზე (იქ სადაც დღეს ჯ. კახიძის სახ. მუსიკალური ცენტრია) გაუხსნიათ რუსეთის იმპერიაში ყველაზე დიდი კინოთეატრი ,,პალასი‘‘, რ-იც იმდროისათვის უახლესი კინოტექნიკით იყო აღჭურვილი.

XX ს. 10-იან წლებში თ-ში ფუნქციონირებდნენ უცხ. ფირმები: ,,პატე‘‘, ,,გომონი‘‘ (საფრანგეთი), ,,ამბროზიო‘‘, ,,ჩინესი‘‘ (იტალია). 1909 იტალ. ჯ. ვიტროტიმ, თ-ში დაარსა იმპროვიზებული სტუდია, რ-მაც გადაიღო დოკუმენტური კინოსიუჟეტები – ,,თბილისიდან მლეთამდე‘‘, ,,თბილისი კავკასიის დედაქალაქი‘‘ და სხვ. 1910 ექიმმა და საზ. მოღვაწემ ა. სობეტინსკიმ პარიზში შეძენილი აპარატურით თ-ში საკუთარი კინოლაბორატორია დააარსა. 1910–14 ქალაქის მნიშვნელოვანი მოვლენები ასევე აისახა მოკლემეტრაჟიან კინოსიუჟეტებში: 1915 კინოოპერატორმა ი. ნაცვლიშვილმა გადაიღო თბილისში ჩამოსვენებული ა. წერეთლის სამგლოვიარო პროცესიის მსვლელობა სადგურის მოედნიდან მთაწმინდის პანთეონამდე. ეს კინოფირი რამდენიმე კვირის განმავლობაში გადიოდა კინოთეატრ ,,ლირაში‘‘. 10-იანი წლების დასაწყისში ვ. ამაშუკელის მიერ გადაღებულ იქნა კინოქრონიკა ,,აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში‘‘.

ქართ. კინოს განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო 1921-იდან, როდესაც ასპარეზზე გამოვიდა რეჟისორთა ახ. თაობა – ი. *პერესტიანი*, მ. ჭიაურელი, ნ. *შენგელაია*, კ. *მიქაბერიძე*, მ. *კალატოზიშვილი*, დ. *რონდელი*, გ. *მდივანი*, ს. *დოლიძე*, ნ. *სანიშვილი*, ლ. *ესაკია*, მ. გელოვანი. 1928 თ-ის კინოსტუდიაში ჩამოყალიბდა კინოქრონიკის სექტორი (ხელმძღვ. ს. დოლიძე), ამავე პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ქართ. მულტიპლიკაციას ვ. *მუჯირის* ხელმძღვანელობით. 30-იან წლებში შეიქმნა რამდენიმე ისტ.-რევ. ფილმი (ს. დოლიძის ,,დარიკო‘‘, მ. ჭიაურელის ,,არსენა‘‘, დ. რონდელის „დაკარგული სამოთხე“ და სხვ.). XX ს. 40-იან წლებში გადაიღეს მ. ჭიაურელის ორსერიიანი ფილმი „გიორგი სააკაძე“, ს. დოლიძისა და დ. რონდელის „ჯურღაის ფარი“; კინოდოკუმენტალისტებმა (გ. *ასათიანი*, შ. *ჩაგუნავა*, შ. *ხომერიკი*, შ.

შიოშვილი და სხვ.) შექმნეს მეორე მსოფლიო ომის ფაქტობრივი მატიანე. ომის შემდგომი პერიოდის პირველ წლებში შეიქმნა ისტ.-ბიოგრ. ფილმები „დავით გურამიშვილი“ (რეჟისორები ნ. სანიშვილი, ი. *თუმანიშვილი*) და „აკაკის აკვანი“ (რეჟ. კ. *პიპინაშვილი*), კომედიები – „ჭირვეული მეზობლები“ (რეჟ. შ. *მანაგაძე*), „ქეთო და კოტე“ (რეჟ. ვ. ტაბლიაშვილი და შ. *გედევანიშვილი*), „ჭრიჭინა“ (რეჟ. ს. დოლიძე) და ა. შ. 1955 ეკრანზე გამოვიდა ახალგაზრდა რეჟისორების თ. *აბულაძისა* და რ. *ჩხეიძის* „მაგდანას ლურჯა“, რ-მაც პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა საერთაშ. ასპარეზზე (მთავარი პრიზი კანის ფესტივალზე, 1956; პრემია ედინბურგში, 1956). ამ ფილმით ახ. ეტაპი დაიწყო ქართ. კინემატოგრაფიაში.

1953 მ-ის კინოსტუდიას ეწოდა „ქართული ფილმი“, 1958 მისი კინოსექტორის ბაზაზე ჩამოყალიბდა დოკუმენტური და სამეცნ.-პოპულ. ფილმების სტუდია. 1968 შეიქმნა ტელეფილმების სტუდია. ,,ქართულ ფილმში‘‘ გადაღებულია ჟანრობრივად და პროფ. დონით განსხვავებული ფილმები, რ-ებსაც აერთიანებს მაღალი ზნეობრივი პრინციპები, უკომპრომისობა. ასეთებია: თ. აბულაძის „სხვისი შვილები“ (1958), რ. ჩხეიძის „ჯვარისკაცის მამა“ (1964, მთ. როლში – ს. *ზაქარიაძე*) და „ნერგები“ (1972), გ. *შენგელაიას* „ალავერდობა“ (1962), ე. *შენგელაიას* და თ. *მელიავას* „თეთრი ქარავანი“ (1963), მ. *კოკოჩაშვილის* „დიდი მწვანე ველი“ (1967), ო. *იოსელიანის* „გიორგობისთვე“ (1966), „იყო შაშვი მგალობელი“ (1971), „პასტორალი“ (1976) და სხვ. რ. გაბრიაძის სცენარების მიხედვით შექმნილია ფილმები: ე. შენგელაიას ,,არაჩვეულებრივი გამოფენა‘‘ (1968) და ,,შერეკილები‘‘ (1974), გ. *დანელიას* ,,არ იდარდო‘‘ (1969) და ,,მიმინო‘‘ (1977). დიდი წარმატება ხვდა წილად პირველ ქართ. მიუზიკლს ,,ვერის უბნის მელოდიები‘‘ (1973, რეჟ. გ. შენგელაია, კომპოზიტორი გ. ცაბაძე, ქორეოგრ. ი. *ზარეცკი*, ოპერატორი ა. მღებრიშვილი), ნ. *მჭედლიძის* კომედიას ,,პირველი მერცხალი‘‘ (1974), რ. *ესაძის*, ი. *კვირიკაძის* ფილმებს და სხვ. ქართ. კინოს ფენომენის არსებობის ნათელი დადასტურებაა თ. აბულაძის ტრილოგია: ,,ვედრება‘‘ (1967, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა მიხედვით), ,,ნატვრის ხე‘‘ (1976, გ. ლეონიძის მოთხრობათა მიხედვით), ,,მონანიება‘‘ (1984). კინოხელოვნების მნიშვნელოვანი მოვლენაა შვიდსერიანი ფილმი ,,დათა თუთაშხია‘‘ (1977, ჭ. ამირეჯიბის რომანის მიხედვით, რეჟისორები გ. ლორთქიფანიძე, გ. *გაბესკირია*, მთ. როლში – ო. *მელვინეთუხუცესი*).

60–70-იან წწ. ინტენსიურად წარიმართა ქართვ. კინოდოკუმენტალისტთა მუშაობა. ნაყოფიერი აღმოჩნდა ეს წლები გ. ასათიანისთვის („ნაირსახოვანი ამერიკა“, 1961; „ალჟირის დღიური“, 1962; „ძველი კულტურის ქვეყანა, 1963); ამავე პერიოდში შეიქმნა გ. *პატარაიას* „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „შორია გურჯისტანამდე“, რ. *თაბუკაშვილის* „ქართველები იტალიაში“ (1980), „კვალი ნათელი“ (1978), „ალპური ვარსკვლავი“ (1979), „მთანი მაღალნი“ (1981), ,,საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი‘‘ (1985, ე. თაყაიშვილის ცხოვრების შესახებ) და სხვ. საინტერესო ნამუშევრები შექმნეს მულტიპლიკატორებმა. ტელეფილმების სტუდიაში შეიქმნა ქ. ხოტივარის ,,სერენადა‘‘, გ. კანდელაკისა და ლ. სიხარულიძის ,,ფეხბურთი უბურთოდ‘‘, ლ. *ელიავას* ,,ბზიანეთი‘‘, ი. *ჩხაიძის* ,,ძველი ქართული საგალობლები‘‘; შესანიშნავი ქართ. ფილმი ,,თუში მეცხვარე‘‘ (1977, რეჟ. ს. ჩხაიძე, ოპერატორი ი. *ონოფრიშვილი*).

80-იანი წწ. დიდმნიშვნელოვანი მოვლენით დაიწყო – კურსდამთავრებულთა პირველი ნაკადი გამოუშვა ქართ. კინოსკოლამ (ახლანდ. *საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი*). ძირითადად კინოფაკულტეტზე აღიზარდა კინემატოგრაფისტების ახალი თაობა (გ. ჩოხელი, თ. *ბაბლუანი*, ნ. *ჯორჯაძე*, ნ. *ჯანელიძე*, ა. *ცაბაძე*, დ. *ცინცაძე*, გ. *მგელაძე*, გ. *ოვაშვილი*, ზ. *ჟუჟუშაძე* და სხვ.). 90-იანი წლების დასასრულსა და XXI ს. 10-იან წლებში დაწინაურდა ახალგაზრდა კინორეჟისორთა თაობა (ზ. ურუშაძე, გ. ოვაშვილი, ლ. კოლუაშვილი, ნ. ექვთიმიშვილი და სხვ.), რ-თა მაღალმხატვრული დონით გადაღებული ფილმები საერთაშორისო ასპარეზზე ქართული კინოს ახალი წარმატებისა და აღიარების საწინდარი გახდა (ზ. ურუშაძის ფილმი ,,მანდარინები‘‘ აშშ-ის კინემატოგრაფიის უმაღლესი ჯილდოს ,,ოსკარის‘‘ ნომინანტი გახდა).

მ-ში, სამეფო კარზე, მუშაობდნენ მხატვრები, კალიგრაფები, მინიატიურისტები, ოქრომჭედლები. XVI–XVIII სს-ში უკვე შეიძლება საუბარი ქართ. სახვითი ხელოვნების თბილისურ ნიმუშებზე, კერძოდ, ანჩისხატის ეკლესიის მოხატულობა შესრულებულია 1683; XVII–XVIII სს-ში იღებს სათავეს გამოჩენილ კალიგრაფთა რამდენიმე საგვარეულო, რ-ებიც დაკავშირებული იყო მ-თან (*ალექსი-მესხიშვილები*, მიქაძეები). XIX ს. დასაწყისიდან წამყვანი გახდა საერო მხატვრობა, რ-იც ძირითადად მ-ში ვითარდებოდა. მისი მთავარი ჟანრი პორტრეტი იყო. 20–30-იან წლებში უკვე სრულად ჩამოყალიბებულია ,,ტფილისური პორტრეტის სკოლა‘‘. 80-იანი წლებიდან შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდა ქართვ. მხატვართა თაობა, რ-თა დიდ ნაწილს მიღებული ჰქონდა პროფ. განათლება. თბილისურ ფერწერაში, პორტრეტის გარდა, მკვიდრდება სხვა ჟანრებიც, სახელდობრ, პეიზაჟი, ნატიურმორტი, ყოფითი სიუჟეტები. ქართ. სახვითი ხელოვნების განვითარების ამ საფეხურის წარმომადგენლები არიან: რ. *გველესიანი*, ა. *ბერიძე*, დ. *გურამიშვილი*, გ. *გაბაშვილი*, ა. *მრელაშვილი* და მ. თოიძე. უდიდეს მოვლენად იქცა 1888 მ-ში ე. წ. ,,ქართველიშვილისეული ვეფხისტყაოსნის‘‘ გამოცემა, რ-ის ილუსტრაციები უსასყიდლოდ შეასრულა უნგრელმა მხატვარმა მ. *ზიჩიმ*.

XIX ს. 60–70-იანი წლები საზ. აზრის გამოცოცხლების, ეროვნ.-განმათ. იდეების გაღვივების ხანა მ-ში მხატვართა შემოქმედებითი ცხოვრების გააქტიურებითაც აღინიშნა. ამ დროს მოღვაწეობდა ადგილ. და ჩამოსულ მხატვართა ჯგუფი: გ. *გაგარინი*, ნ. ჩერნეცოვი, თ. ჰორშელტი, ლ. *ლაგორიო*, ლ. პრემაცი, ფ. ხოლოროვიჩი, პ. კოლჩინი, ფ. *რუბო*, პ. ფრანკენი და სხვ. მათ შემოქმედებაში აისახა მ-ისთვის დამახასიათებელი ხედები, ქმნიდნენ თბილისელთა პორტრეტებს, ძვირფას მხატვრულ დოკუმენტებს იმდროინდელი იერსახის აღსადგენად. მ-ში დაიდგა მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის პირველი სკულპტურული ძეგლი (1867, მოქანდაკეები: ნ. პიმენოვი, ნ. კრეიტანი) სამხრ. კავკასიაში. მ-ში მოღვაწე მხატვართა ინიციატივით 1873 დაარსდა ,,კავკასიის სამხატვრო საზოგადოება‘‘. მათივე თაოსნობით 1874 გაიხსნა სამხატვრო სკოლა ხატვისა და ქანდაკების კლასებით. XIX–XX სს.

მიჯნაზე ჩაისახა ახ. ქართ. გრაფიკაც, რ-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პირველ ქართ. გრავიორ-ქსილოგრაფს გ. *ტატიშვილს*. განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა საჟურნალგაზეთო გრაფიკა. ამ დარგში აქტიურად მუშაობდნენ: ა. *გოგიაშვილი*, შ. *ქიქოძე*, მ. თოიძე, ო. *შმერლინგი* და სხვები. 1914 პირველად გამოიცა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ერთტომეული, რ-ის ილუსტრაციები და გაფორმება ჰ. ჰრინევსკის ეკუთვნის. ამ პერიოდში თ-ში ცხოვრობდა და თავის ნაწარმოებებს ქმნიდა თვითმყოფადი მხატვარი ნ. ფიროსმანაშვილი (ფიროსმანი). XX ს. დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა ქართ. ქანდაკების განვითარებას, რაც, უპირველეს ყოვლისა, ი. ნიკოლაძის სახელთანაა დაკავშირებული. ამ დროს სახვით ხელოვნებაში მომხდარი მოვლენებიდან აღსანიშნავია დ. შევარდნაძის ინიციატივით და ხელმძღვანელობით თ-ში *„ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“* დაარსება (1916). მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ასევე სამხატვრო აკადემიის დაარსება (1922).

თ-ის თემაზე შექმნილი ნამუშევრები დაკავშირებულია ა. ციმაკურიძის, ვ. სიდამონ-ერისთავის, დ. კაკაბაძის, ლ. გუდიაშვილის, ე. ახვლედიანის, ქ. მაღალაშვილის, ე. ლანსერეს, ე. თათევოსიანის, ბ. ფოგელის, ა. ბაჟბეუქმელიქიანის, ი. თოიძის, შ. მაყაშვილის, კ. სანაძის, ი. ვეფხვაძის, უ. ჯაფარიძის, ა. ქუთათელაძის სახელებთან.

XX ს. 20-იანი წლების ბოლოდან მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება ქართ. ქანდაკებაში, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა ი. ნიკოლაძემ. მას მხარში ამოუდგნენ ნ. კანდელაკი და გ. სესიაშვილი. 30-იანი წლების დასაწყისში მოქანდაკეთა რიგებს შეემატნენ სამხატვრო აკად. კურსდამთავრებულნი. ნაყოფიერად დაიწყეს მუშაობა ვ. თოფურიძემ, თ. აბაკელიამ, ს. კაკაბაძემ, კ. მერაბიშვილმა, შ. მიქატაძემ, რ. თავაძემ და სხვ.

თ-ის სამხატვრო აკად. XX ს. 50–60-იანი წლების გამოშვებამ ძირითადად განაპირობა ქართ. სახვითი ხელოვნების შემდგომი მიმართულება და განვითარება. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით: ე. კალანდაძეს, გ. ქუთათელაძეს, კ. მახარაძეს, ზ. ნიჟარაძეს, რ. თარხან-მოურავს, დ. ერისთავს, ჯ. ხუნდაძეს, ნ. იგნატოვს, რ. თორდიას და სხვ.

თ-ში დაიდგა ე. ამაშუკელის, მ. ბერძენიშვილის, დ. მიქატაძის, გ. ოჩიაურის, მ. მერაბიშვილის და სხვათა მიერ შესრულებული არაერთი გამორჩეული ქანდაკება. საყოველთაოდ ცნობილია ზ. *წერეთლის* შემოქმედება, რ-ის ნამუშევრები დაიდგა მსოფლიოს მრავალ ქალაქში. გ. შხვაცაბაიას ქანდაკება ,,მშვიდობის ჩირაღდანი“ დადგმულია საბერძნეთში, ოლიმპიაში. ფართო აღიარება მოიპოვეს სცენოგრაფებმა: ი. გამრეკელმა, პ. ოცხელმა, ს. ვირსალაძემ, გ. ალექსი-მესხიშვილმა, თ. მურვანიძემ; გრაფიკოსმა ვ. გრიგოლიამ, მისმა მოწაფეებმა და მიმდევრებმა; გამოყენებით ხელოვნებაში – ა. კაკაბაძემ, რ. იაშვილმა, გ. ყანდარელმა. XX ს. 40–



უსწორო კარაბადინი. ხელნაწერი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

50-იან წლებში აღორძინდა ადრე ცნობილი ქართ. ოქრომჭედლობის სკოლა (კ. გურული, ი. ოჩიაური, გ.ზ. გაბაშვილი).

თბილისელ ხელოვანთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედის მრავალმა წარმომადგენელმა (მომღერლები, მუსიკოს-შემსრულებლები, მოცეკვავეები, მსახიობები, რეჟისორები, მხატვრები) საერთაშ. აღიარება მოიპოვა. მსოფლიოს საუკეთესო თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში უდიდესი წარმატება ხვდა წილად დ. გამრეკელს, ზ. ანჯაფარიძეს, მ. ქასრაშვილს, ზ. სოტკილავას, ნ. ბრეგვაძეს, ნ. ანანიაშვილს, პ. ბურჯულაძეს, ე. ვირსალაძეს, ლ. ისაკაძეს, მ. მდივანს, ე. ბოლქვაძეს, ვ. ათანელიშვილს და მრავალ სხვა თბილისელ ხელოვანს. XX–XXI სს. მიჯნაზე შემოქმედებით ასპარეზზე წარმატებით გამოვიდა ნიჭიერი ახალგაზრდობა.

თ-ის მრავალმხრივ კულტ. ცხოვრებაში სათანადოდ არის წარმოდგენილი ხელოვნების სხვა დარგები: ესტრადა, ცირკი, ფოტოგრაფია და სხვ.

ლ. მენაბდე. გ. გვერდწითელი. მ. ქავთარაძე. ა. ჩხეიძე. ვ. კიკნაძე. გ. დოლიძე. თ. გერსამია. ლ. ძნელაძე.

VIII. მედიცინა. ისტ. წყაროების მიხედვით, სამედ. ცოდნის მქონე პირები თ-ში უმეტესად მეფეთა, ფეოდალთა კარზე და ეკლესიებთან არსებულ სამედ. კერებში მოღვაწეობდნენ. ფართოდ იყო გავრცელებული ხალხ. მედიცინა. დავით IV აღმაშენებლის დროს აგებული სასნეულოებისა და საავადმყოფოების მომარაგება წამლებით, სამედ. ინვენტარითა და საკვებით სამეფო ხაზინის ხარჯზე ხდებოდა. როგორც დავითის მემატიანე წერს, მეფე თავად შემოუვლიდა ხოლმე სასნეულოებს, ავადმყოფებს მოიკითხავდა, წყალობას გაიღებდა. იმჟამინდელი ქართ. სამედ. ხელნაწერები ადასტურებენ მკურნალების მომზადებისა და ცოდნის მაღალ დონეს.

უდიდესი ქართვ. ექიმისა და მოაზროვნის ზაზა *ფანასკერტელ-ციციშვილის* ,,სამკურნალო წიგნი – კარაბადინი“ (XV ს.) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამედ. ძეგლია. მასში განხილულია თეორ. და პრაქტ. მედიცინის საკითხები. მნიშვნელოვანი სამედ. ნაშრომია *დავით XI-ის* (დაუთ-ხანის) ,,იადიგარ დაუდი“ (XVI ს.). ამავე პერიოდის სამედ. საქმიანობისა და აზროვნების შესახებ საგულისხმო მასალას იძლევა ს.-ს. ორბელიანის შემოქმედება. XVIII ს. II ნახევრიდან ვახტანგ VI-სთან ერთად მოსკოვსა და პეტერბურგში წასული ახალგაზრდები ეუფლებოდნენ სამედ. განათლებას. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. *გრუზინოვი* (ნამჩევაძე) – დიდი ქართვ. ანატომი და ფიზიოლოგი, რ-იც ითვლება ნეიროფიზიოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად მსოფლიოში. სამედ. საქმის განვითარებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ერეკლე II, იგი ევროპიდანაც იწვევდა ექიმებს. 1740 გაიხსნა პირველი აფთიაქი (წამალხანა).

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ საქართველოში

დამკვიდრდა რუს.-ევრ. მედიცინის ტრადიციები, ხოლო მომდევნო წლებში – ჯანმრთელობის დაცვის რუს. სისტემა. შეიქმნა სამაზრო ექიმის თანამდებობა, საკარანტინო სამსახური და სხვ. 1803 თ-ში ამოქმედდა პირველი ოფიც. ორგანო – საექიმო მმართველობა. იგი ხელმძღვანელობდა მოსახლეობის სამედ. მომსახურებას. გაიხსნა თ-ის სამხ. ჰოსპიტალი, რ-იც ერთადერთი სტაციონარი იყო. 1811 დაარსდა ,,მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტი''. ეპიდემიებთან ბრძოლის მიზნით ამავე წლიდან შემოიღეს საყოველთაო აცრები. 1820 გაიხსნა სამოქალაქო ტიპის პირველი სტაციონარი 12 საწოლზე.

1868 აშენდა და გაიხსნა 150-საწოლიანი საავადმყოფო, რ-თანაც 1872 შეიქმნა საფერშლო სკოლა. 1873 თ-ში დაარსდა პირველი სამეანო-გინეკოლ. დაწესებულება, რ-იც ორი წლის შემდეგ გადაკეთდა ოლღას სახ. ამიერკავკ. სამეანო ინ-ტად. 1889 გაიხსნა პასტერის სადგური, 1899 – სულით ავადმყოფთა თავშესაფარი (80 საწოლით). ამ პერიოდში თ-ში იყო აგრეთვე ექიმ მ. *გედევანიშვილისა* და სხვათა კერძო სამკურნალოები. 1876 ქალაქში მუშაობდა 36 ექიმი და 237 საშ. მედმუშაკი, ხოლო 1913 ექიმთა რაოდენობა შეადგენდა 289-ს, საწოლთა რაოდენობა კი – 1478-ს.

საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის არსებობის პერიოდში ფუნქციონირებდა 45 საავადმყოფო (1200-მდე საწოლით). სამედ. მომსახურება ფასიანი იყო, მაგრამ მძიმე სოც.-ეკონ. სიტუაციის გათვალისწინებით, დაწესებული იყო მნიშვნელოვანი მატერიალური შეღავათები. ოფიციალურად დაშვებული იყო კერძო სამედ. პრაქტიკა. უდიდეს მოვლენად იქცა თ-ის სახელმწ. უნ-ტში სამკურნ. ფაკ-ტის შექმნა. მის ბაზაზე 1930 დაარსდა სამედ. ინ-ტი (იხ. *თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი).*

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახელმწიფოს გადაეცა მთელი სამედ. დაწესებულებები. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სამკურნ.-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელი, ამაღლდა ექიმთა და საშ. სამედ. პერსონალის დონე. უკვე 1930-თვის იყო 75 საავადმყოფო და 78 სხვადასხვა სახის სამკურნ.-პროფილაქტიკური დაწესებულება, სადაც მუშაობდა 1883 ექიმი და 1784 მედმუშაკი. შეიქმნა სამედ. პროფილის მრავალი სამეცნ.-კვლ. დაწესებულება. 1961–65 თბილისში აშენდა და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა მრავალ ჯანდაცვის ობიექტს. პოლიკლინიკური ქსელის განვითარებასთან ერთად განვითარდა ამბულატორიულ-პო-



,,ჩოგანბურთი''. კრისტოფორო დე კასტელის აღბომიდან.

ლიკლინიკური დაწესებულებები.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1991) შემდეგ შეიქმნა ახ. საზ. ურთიერთობების ადეკვატური სამართლებრივი ბაზა; სამედ. დახმარების მნიშვნელოვანი წილი გადავიდა სადაზღვევო პრინციპებზე; მკვეთრად გაიმიჯნა სახელმწიფოს, დამქირავებლისა



,,ნადირობა''. კრისტოფორო დე კასტელის აღბომიდან.

და ინდივიდის უფლება-მოვალეობანი ჯანდაცვის სფეროში, გაჩნდა სადაზღვევო კომპანიები. 2012 სტაციონარები დაკომპლექტებული იყო 12,8 ათ. საწოლით, მუშაობდა 21,8 ათ. ექიმი, მ. შ. 1,3 ათ. სტომატოლოგი; საშ. სამედ. პერსონალის რაოდენობა შეადგენდა 17,9 ათასს. საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია ,,ქართული ოცნების'' გამარჯვების შემდეგ, 2013-იდან ამოქმედდა მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევა. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა-რეაბილიტაციაში დიდ როლს ასრულებს *თბილისის კურორტების ჯგუფი.*

ლ. აბაშიძე. ს. ბაქრაძე.

IX. ფიზიკური კულტურა და სპორტი. ძვ. თ-ში გავრცელებულ სპორტ. ასპარეზობათა შორის აღსანიშნავია *ჩოგანბურთი* (*ცხენბურთი*), *მშვილდოსნობა, ფარიკაობა, ისინდი, ყაბახი, თარჩია,* მოქნევა, ჩეხვა, მკერდაობა; მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნადირობას (თ-ის დაარსების ლეგენდაც ნადირობას უკავშირდება). გავრცელებული იყო აგრეთვე მუშაითობა – აკრობატიკის თავისებური სახეობა – თოკზე სიარული, *ლახტაობა* – ციხესიმაგრის დაცვის ერთგვარი იმიტაცია, ლელობურთი – ახლანდ. რაგბის მსგავსი თამაში. თ-ს ჰქონდა ასპარეზი, ყაბახი დადგმული იყო ქალაქგარეთ, ბურთის სათამაშო ადგილი საბურთალოზე და დიდუბეში იყო. ჯერ კიდევ VII–VIII სს-ში თ-ში ინდოელ ვაჭრებს შემოუტანიათ *ჭადრაკი,* რ-იც საკმაოდ ფართოდ დანერგილა ჩვენს სინამდვილეში. ამას ადასტურებს თბილისელი ხელოსნების მიერ სპილოს ძვლისა და ხისაგან ოსტატურად გამოკვეთილი საჭადრაკო ფიგურები. საგულისხმოა ისიც, რომ ქართვ. ქალებს მზითვად ,,ვეფხისტყაოსანთან'' ერთად ძვირფასად ნაკეთებ ჭადრაკსაც ატანდნენ. განსაკუთრებული პოპულარობით თ-ში სარგებლობდა ქართ. ჭიდაობა, რ-იც გამოირჩეოდა ხერხებისა და ილეთების მრავალფეროვნებით და წარმოადგენდა სამხ.-ფიზ. წვრთნის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს. ს.-ს. ორბელიანის ენციკლოპედიურ ლექსიკონში (,,სიტყვის კონა'') განმარტებულია 800-ზე მეტი სპორტ. ტერმინი. ცნობილია, რომ XII–XIII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში უკვე არსებობდა ფიზ. აღზრდის კომპლექსური სისტემა, რ-საც ქართვ. მეფეები და ფეოდალები სამხ. მიზნებისათვის იყენებდნენ.

ქართ. ყოფაში დანერგილ სპორტთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ევრ. მოგზაურები და მისიონერები. განსაკუთრებით აღსანიშნავია იტალ. მისიონერის დონ კრისტოფორო



ქართველ ტანმოვარჯიშეთა ჯგუფი. XX ს. 10-იანი წლების დასაწყისი.

დე კასტელის (XVII ს.) მიერ შექმნილი ნახატების ციკლი, რ-თა შორისაა სპორტ. ჩანახატები: ,,ყაბახი'', ,,ჩოგანბურთი'', ,,ჩოგნით მობურთალი ქალი'', ,,ნიშანში სროლა'', ,,ნადირობა''.

XIX ს. II ნახევრიდან თ-ში თანდათანობით მკვიდრდებოდა სპორტის კლასიკური სახეობები. დიდუბის ტერიტორიაზე 1840 მოეწყო ი პ ო დ რ ო მ ი, სადაც, ცხენოსანთა შეჯიბრების გარდა, სხვა მასობრივი სანახაობებიც ტარდებოდა. XIX ს. 70-იანი წლების ბოლოს თ-ში დაარსდა ჭადრაკის მოყვარულთა წრე, 80-იან წლებში გერმანელთა დასახლებაში – ტანმოვარჯიშეთა საზ-ბა; 1888 ჩამოყალიბდა ველომოყვარულთა საზ-ბა, ხოლო 1892 გაიხსნა პირველი ველოტრეკი. მოგვიანებით თ-ში ძალზე პოპულარული გახდა საქართვ. ზღვისპირეთიდან შემოსული და დამკვიდრებული ფეხბურთი, რ-იც ორგანულად შეერწყა ქართ. ხასიათსა და ინტერესებს. იგივე ითქმის კალათბურთზეც. მას თ-ში, როგორც ირკვევა, 1901-იდან იცნობდნენ. 1896 ვაჟთა I გიმნაზიაში ჩამოყალიბდა ტანვარჯიშის მოყვარულთა წრე, რ-ის ბაზაზეც შემდეგში შეიქმნა ტანმოვარჯიშეთა საზ-ბა „სოკოლი“. ამ დროს თ-ში არსებობდა მოჭიდავეთა, ძალოსანთა, ფეხბურთელთა, მოფარიკავეთა, ველოსიპედისტთა და მსროლელთა წრეები.

1917 დაარსდა კიდევ ერთი ტანმოვარჯიშეთა საზ-ბა – „*ამირანი*“. 1918 წ. 25 აგვისტოს, გ. *ნიკოლაძისა* და „სოკოლის“ ხელმძღვანელის გ. *ეგნატაშვილის* ინიციატივით, ორი საზ-ბა გაერთიანდა და შეიქმნა „*შევარდენი*“, რ-იც საქართვ. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პერიოდში (1918–21) ქართ. სპორტის ფლაგმანად იქცა. ამ დროს ფიზ. აღზრდა სავალდებულო საგანი გახდა თითქმის ყველა სკოლაში და, პირველ რიგში, ახალშექმნილ თსუ-ში. მომდევნო წლებშიც თ-ის სპორტ. მოძრაობას წარმართავდნენ ყოფ. „შევარდნელები“, რ-თა საზრუნავი იყო არა მარტო ტანვარჯიშის, არამედ ფეხბურთის, ფარიკაობის, ჩოგბურთის, ძალოსნობის – მთელი სპორტ. მოძრაობის წინსვლა და განვითარება. სსრკ-ში პირველი ალპინისტური ორგანიზაცია შეიქმნა თ-ში 1924. მომდევნო წლებში ქართულმა ალპინისტურმა სკოლამ ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა არა მარტო კავკასიონის, არამედ პამირის, ტიან-შანისა და ჰიმალაის ურთულესი მწვერვალებისა და ქედების დალაშქვრაში.

1923-იდან ყოველწლიურად ტარდებოდა რესპ. და საქალაქო პირველობები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, დაფუძნდა სპორტ. საზ-ბა ,,დინამო''. 1925 ჩამოყალიბდა თ-ის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი (იხ. *თბილისის დინამოს ფეხბურთელთა გუნდი*), ხოლო 1933 – თ-ის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდი (იხ. *თბილისის დინამოს კალათბურთელთა გუნდი*). 1933 დაარსდა ფიზკულტ. ტექნიკუმი, 1934 – სსრკ-ში პირველი სპორტ. სკოლა. 1935 თსუ-თან შეიქმნა ფიზკულტ. ფაკ-ტი, რ-იც 1938 დამოუკიდებელ ინ-ტად გადაკეთდა. ამავე წელს შეიქმნა *თბილისის ,,დინამოს'' წყალბურთელთა გუნდი*, ხოლო 1956 – *თბილისის ,,ბურევესტნიკის'' ხელბურთელთა გუნდი.*

თ-ის ოფიცერთა სახლის, ხოლო შემდგომ თ-ის „დინამოს“ კალათბურთელებმა არაერთხელ მოიპოვეს სსრკ-ის ჩემპიონის წოდება; 1962 თ-ის „დინამოს“კალათბურთელთა გუნდი ევრ. ჩემპიონთა თასს დაეუფლა. თ-ის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა 1964 პირველად მოიპოვა საბჭ. კავშირის ჩემპიონის წოდება. 1978 კვლავ გაიმეორა ეს მიღწევა, 1981 კი ტრიუმფით განვლო ევრ. ტურნირი და თასების მფლობელთა თასი მოიპოვა. ხელბურთში თ-ის ,,ბურევესტნიკი'' სსრკ-ის პირველი ჩემპიონი გახდა (1962).

თანამედროვე ქართ. სპორტის ოლიმპიური მატიანე იწყება 1952-იდან. პირველ ოლიმპიურ ოქროს მედალს დაეუფლა თბილისელი დ. *ციმაკურიძე* (თავისუფალი ჭიდაობა); ოქროს მედლები მოიპოვეს მ. *ჯულელმა* (ტანვარჯიში) და რ. *ჩიმიშკიანმა* (ძალოსნობა). შემდგომში ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: გ. *კარტოზია*, მ. *ცალქალამანიძე*, ა. *ქორიძე*, რ. *შავლაყაძე*, ნ. *ასათიანი*, ვ. *კაჭარავა*, რ. *რურუა*, ვ. *სანეევი* (სამჯერ), ლ. *თედიაშვილი* (ორჯერ), ზ. *საკანდელიძე*, მ. *ქორქია*, შ. *ჩოჩიშვილი*, ა. *ანპილოგოვი*, ვ. *ბლაგიძე*,



ჭადრაკის სასახლე.

ქ. *ლოსაბერიძე,* შ. *ხაბარელი,* ვ. აფციაური, დ. *გობეჯიშვილი,* ვ. *გოგოლაძე,* გ. *კეტაშვილი,* ნ. *სალუქვაძე.*

1989 თ-ში შეიქმნა საქართვ. ეროვნ. ოლიმპიური კომიტეტი (სეოკი). XXV ოლიმპიურ თამაშებზე ქართვ. სპორტსმენები გამოვიდნენ დსთ-ის სახელით (ბარსელონა, 1992). ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: კ. *კახიაშვილი,* ლ. *ხაბელოვი,* დ. *ხახალეიშვილი.*

XXVI ოლიმპიური თამაშებიდან საქართველო მონაწილეობს ოლიმპიადებში როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, რ-ის სახელით ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: გ. ასანიძე, ზ. *ზვიადაური,* მ. *კვირკველია,* ი. *ცირეკიძე,* რ. *მინდორაშვილი,* ლ. *შავდათუაშვილი.*

ზემოთ ხსენებულ სპორტსმენთა გარდა, ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ თბილისში აღზრდილი სპორტსმენები: ა. *მეკოკიშვილი,* და კ. კახიაშვილი (პირველი ქართვ. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი). ოლიმპიადების პრიზიორი წლების განმავლობაში იყო სსრკ-ის წყალბურთელთა ნაკრების კაპიტანი პ. *მშვენიერაძე.* ჩოგბურთში სსრკ-ის მასშტაბით ლიდერობდა ა. *მეტრეველი,* ველოსპორტში კი – ო. *ფხაკაძე.*

მსოფლიოს ჩემპიონატებზე სხვადასხვა დროს გამარჯვება მოპოვებული აქვს მრავალ თბილისელ სპორტსმენს. მ. შ. აღსანიშნავია ვ. *ბალავაძე* – პირველი ქართვ. მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (1954, ტოკიო; 1957, სტამბოლი).

ცალკე უნდა აღინიშნოს ქართ. საჭადრაკო სკოლის წარმატებები. ა. *ებრალიძემ* აღზარდა თბილისელი მოჭადრაკე, მსოფლიო ჩემპიონი ტ. *პეტროსიანი.* ვ. *ქარსელაძემ* შექმნა ქალთა ქართ. საჭადრაკო სკოლა, რ-ის წარმატებები, უპირველესად, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონების ნ. *გაფრინდაშვილისა* და მ. *ჩიბურდანიძის* სახელებს უკავშირდება. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, 1992-იდან მონაწილეობს მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადებზე, სადაც ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა გაიმარჯვეს, 1992, 1994, 1996, 2008 წლების გუნდურ შეჯიბრებებში.

XX ს. 80-იან წლებში თ-ში იყო 250-მდე დიდი და მცირე სპორტ. დარბაზი და ოთახი, 4 დახურული და 6 ღია საცურაო აუზი, 185 კალათბურთის, 192 ფრენბურთისა და 82 ხელბურთის მოედანი, 19 ჩოგბურთის კორტი, 31 ფეხბურთის მოედანი, 40 დიდი და მცირე ტირი, სასროლო სტენდი, 5 სტადიონი, სპორტის სასახლე, ველოტრეკი, იპოდრომი, მძლეოსნობის დახურული მანეჟი, ჭადრაკის სასახლე, ა. ჯაფარიძის სახ. მთამსვლელთა კლუბი და სხვ.

2000 თ-ში მოქმედებდა 13 სტადიონი, 46 საცურაო აუზი, 3 მძლეოსნური მანეჟი, 206 სპორტ. დარბაზი, 15 სატრენაჟორო და 94 არასტანდარტული დარბაზი, 4 საჭადრაკო კლუბი, 22 საჩოგბურთო კორტი, 56 საფეხბურთო, 192 საკალათბურთო, 120 საფრენბურთო და 92 სახელბურთო მოედანი, სანიჩბოსნო ბაზა, საცხენოსნო ბაზა, იპოდრომი. მოღვაწეობდა 600-ზე მეტი პედაგოგი და 800-ზე მეტი მწვრთნელი.

ბოლო მონაცემებით ქალაქში ფუნქციონირებდა შემდეგი სპორტ. ობიექტები: ბ. პაიჭაძის სახ. ეროვნ. სტადიონი ,,დინამო არენა‘‘; მ. მესხის სახ. სტადიონი; თ-ის სპორტის სასახლე; ნ. გაფრინდაშვილის სახ. თ-ის ჭადრაკის სასახლე; 11 კომპლექსური სპორტ. ცენტრი; მ. კეკელიძის სახ. კალათბურთის ოლიმპიური მზადების სპორტ. ცენტრი (4 დარბაზი) და კალათბურთის სასახლე (2 დარბაზი); 7 საცურაო ცენტრი 13 საცურაო აუზით; ფეხბურთის 6 სასწ. ცენტრი 20 საფეხბურთო მოედნით; ჩოგბურთის სამი სპორტ. ცენტრი 20 კორტით; ველოტრეკი დიდ დიღომში; რაგბის 4 სპორტ. კომპლექსი 6 მოედნით; მძლეოსანთა ზამთრის მანეჟი; საქართვ. ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნ. ცენტრი – ფალავანთა კლუბი 3 სავარჯიშო დარბაზით; სამბოს, ძიუდოს სპორტ. დარბაზები და სხვ. ამ ობიექტების მნიშვნელოვანი ნაწილი კერძო საკუთრებაა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: ანთაძე კ., ნადარეიშვილი ნ., თბილისთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტების ქრონოლოგია, კრ.: თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1989; ბენდიანიშვილი ა., საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში (1875–1917), თბ., 1982; ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება 1801–1917 წლებში, ტ. 1–2, თბ., 1960–63; ბერიძე თ., ძველი თბილისის სურათები, თბ., 1980; გვრიტიშვილი დ., მესხია შ., თბილისის ისტორია, თბ., 1952; გრიშაშვილი ი., ლიტერატურული ნარკვევები (თბილისის ისტორიისათვის), თბ., 1957; გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX საუკუნეებში, წგ. 1–7, თბ., 1949–84; თბილისი. I. არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1978; თბილისი. ენციკლოპედია, თბ., 2002; თბილისის ისტორია, ტ. 1, თბ., 1990; კარბელაშვილი მ., კინწურაშვილი ს., ჯანბერიძე ნ., თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, თბ., 1958; კვირკველია თ., თბილისის ისტორიული ბირთვი, თბ., 1960; ლომთათიძე გ., თბილისის არქეოლოგიური შესწავლილობა, «ისტორიის ინ-ტის შრომები», 1960, ტ.5; მესხია შ., გვრიტიშვილი დ., დუმბაძე მ., სურგულაძე ა., თბილისის ისტორია, თბ., 1958; მეტრეველი რ., დავით აღმაშენებელი; მეფე თამარი, თბ., 2002; საქართველო. ენციკლოპედია, ტ. 1–2, თბ., 1997–2012; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1–6, თბ., 1970–79; უკლება დ., თბილისის და მისი მიდამოების ბუნება, წგ.: თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1989; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, თბ., 1979; ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 1–3, თბ., 1979–83; ჯაფარიძე ო., ,,განჯისკარის‘‘ 1948 წლის არქეოლოგიური გათხრის ანგარიში, «მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის», 1955, ტ. 1; Джаошвили В. Ш., Тбилиси. Экономико-географический очерк, Тб., 1971; Иоселиани П. И., Описание древностей города Тифлиса, Тфл., 1866; Месхиа Ш. А., города и городской строй феодальной Грузии (XVII-XVIII вв.), Тб.,1959.



,,თბილისი‘‘. ვაჟთა ვოკალური ანსამბლი

„თბილისი“ (Tiflis), მცირე ცთომილი №753. აღმოაჩინა რუსმა ასტრ. გ. ნეუიმინმა 1913 წ. 30 აპრ. სიმეიზის (ყირიმი) ობსერვატორიაში. სახელიც მანვე უწოდა. ,,თ-ის‘‘ საშ. დაშორება მზიდან 348,5 მლნ. *კმ.* მზის ირგვლივ მიმოქცევის პერიოდი 3,6 წ. ოპოზიციაში საშ. ვარსკვლავიერი სიდიდე 14,4.

„თბილისი“, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი. თავდაპირველად საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის შემადგენელი ნაწილი იყო. 1983-იდან ანსამბლს დაერქვა ,,თბილისი‘‘, 1990-იდან კი

ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ შემოქმედებით კოლექტივად. დაარსების დღიდან მისი უცვლელი ხელმძღვანელია საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე რ. გოგოლაშვილი. ანსამბლის რეპერტუარში ძირითადად ქართ. ხალხ. სიმღერები, ქართ. საგალობლები და ქართვ. კომპოზიტორთა ნაწარმოებებია. ანსამბლი ,,თ.'' ძალზე ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა. არსებობის განმავლობაში მას 5000-ზე მეტი კონცერტი აქვს ჩატარებული, აქედან 3000-ზე მეტი – ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ანსამბლმა დიდი წარმატებით მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა.



სხვადასხვა დროს ანსამბლში მღეროდნენ: ა. ყურაშვილი, ბ. სორდიძე, გ. დოლიძე, ბ. გუგავა, ნ. გამგებელი, გ. ასათიანი, მ. თალაკვაძე, და სხვ. 2000-იდან ანსამბლის შემადგენლობა ასე ჩამოყალიბდა: რ. გუნიავა, რ. ხუციშვილი, თ. წულაური, ზ. მამალაძე, ნ. აფხაიძე, ვ. დოლიძე, ი. სორდია, ო. ლომიძე, კ. ბერიშვილი, ზ. შალამბერიძე. 2003–12 წლებში ანსამბლს გარკვეული მიზეზების გამო საქართველოში არც ერთი კონცერტი არ ჩაუტარებია, თუმცა ქვეყნის გარეთ (ჰოლანდია, ესტონეთი, შვედეთი, უკრაინა, რუსეთი, საფრანგეთი) წარმატებით გამართა 1000-მდე კონცერტი. დღეისათვის (2015) ანსამბლის შემადგენლობაში არიან რ. გოგოლაშვილი (ხელმძღვ.), ზ. მამალაძე, რ. გუნავა, რ. ხუციშვილი, გ. გოგიტიძე, კ. ასლანიშვილი, თ. მამალაძე. ანსამბლს გამოშვებული აქვს ფირფიტა ,,გიგანტი'', აუდიოკასეტა და 3 კომპაქტდისკი. ,,თ.'' დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. *ნ. გელოვანი.*

„თბილისი“, გაზეთი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს, 1990–92 კი – საქართვ. უზენაესი საბჭოს პერიოდული ბეჭდვითი ორგანო. 1992–2006 „თ.'' დამოუკიდებელი, თავისუფალი სტატუსის მქონე გაზეთია. მისი პირველი ნომერი გამოვიდა 1958 წ. 15 იანვარს. იმავე წლის ივლისამდე გაზეთს ჰქონდა რუს. დუბლიკატი. გაზეთის პირველი რედაქტორი იყო ნ. *ჯაში* (1958–81), ქართ. ნაწილის მომზადებას ხელმძღვანელობდა პ. *კოხრეიძე,* რუს. დუბლიკატის მომზადებას – ზ. ახვლედიანი. სხვადასხვა დროს გაზეთის რედაქტორები იყვნენ: ო. იოსელიანი (1981–85), ა. გოგელია (1985–89), ნ. მგელაძე (1989–90), ნ. ბოცვაძე (1990–92), გ. ზურაბიშვილი (1992–95), ა. ციცქიშვილი (1995–97), ი. ჭუმბურიძე (1997–2006). „თ-ის'' პირველივე ნომრებში აისახა დედაქალაქის მრავალფეროვანი ცხოვრება. გაზეთი, თავისი არსებობის განმავლობაში აქტიურად ეხმიანებოდა ქალაქის მაცხოვრებელთა წინაშე არსებულ მწვავე პრობლემებს – იქნებოდა ეს ახალმშენებლობების, ტრანსპორტის, ეკოლ. საკითხები, თუ საყოფაცხოვრებო ობიექტებში არსებული ვითარება, დაწყებითი, საშ. და უმაღლ. განათლების სფეროში მიმდინარე პროცესები, ახალგაზრდობის პრობლემები და ისტ. მნიშვნელობის მქონე ძეგლთა დაცვის, აღდგენისა და რესტავრაციის საკითხები, რეგულარულად ქვეყნდებოდა კრიტ. წერილები სხვადასხვა პრობლემის თუ დედაქალაქსა და ქვეყანაში მიმდინარე კულტ. ცხოვრების შესახებ, წარსულისა თუ თანამედროვეობის გამოჩენილ თუ ნაკლებად ცნობილ მწერალთა ნაწარმოებები, მაღალკვალიფიციური სტატიები უცხოელ და ქართვ. მეცნიერთა სამეცნ. მიღწევებისა და ახ. აღმოჩენების თაობაზე. ფართოდ იყო წარმოდგენილი როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს სპორტ. ცხოვრების ამსახველი მასალა.

XX ს. 70-იან წლებში დაარსდა გაზეთის ყოველკვირეული სარეკლამო დამატება „ცნობის ფურცელი“ და მისი რუს. დუბლიკატი „Рио“ (Реклама – информация – объявления). 80-იანი წლების II ნახევრიდან, ე. წ. „პერესტროიკის“ პერიოდში დაწყებული დიდი საზ.-პოლიტ. ცვლილებების წლებში გაზეთი ეხმაურებოდა აქტუალურ კულტ., საზ.-პოლიტ. თემატიკას.

XX ს. 90-იანი წლების შემდგომ განვითარებული საბაზრო ურთიერთობების გამო 2006 გაზეთი დაიხურა.

ლიტ.: თოფურია ფ., ეს გზა ,,თბილისზე'', გადის, თბ., 1997; მისივე, გზა, რომელმაც ,,თბილისამდე'' მიგვიყვანა, თბ., 2000. *ა. კოხრეიძე.*

„თბილისი“, ქართული სამარკო ბრენდი (კონიაკი). უშვებენ 1958-იდან თბილ. 1500 წლისთავთან დაკავშირებით. მზადდება 15–20 წლის განმავლობაში მუხის კასრში ან მუხის ტკეჩზე დაძველებული სპირტისაგან, რ-იც მიიღება შილდა–ყვარლის და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში მოწეული ყურძნის გადამუშავებით მიღებული ღვინომასალის გამოხდით. ხასიათდება მუქი ოქროსფერით, კარგად გამოხატული სურნელით, რბილი, ხავერდოვანი ზეთის გემოთი, 43% მოცულობითი სპირტშემცველობით და 7% შაქრიანობით, 1958-იდან სხვადასხვა საერთაშ. გამოფენაზე მიღებული აქვს 8 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი.

„თბილისი“ (სააქციო საზოგადოება სამშენებლო კომპანია ,,თბილისი''), დაარსდა 1966 თბილისში, როგორც საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს №1 სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი. 1993 გარდაიქმნა სააქციო საზ-ბად – სამშ.-სამონტაჟო ფირმა ,,ლეჩხუმი“; 1996-იდან დაერქვა სააქციო საზ-ბა სამშ.-სამონტაჟო ტრესტი ,,თბილისი“, 2001 კი – სააქციო საზ-ბა სამშ. კომპანია ,,თ.“ მისი აქციები მთლიანად კერძო მფლობელობაში იყო. კომპანიას ჰქონდა საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო და საგარეო-ეკონ. ურთიერთობების სამსახური, აგრეთვე ფილიალები ბორჯომში, ხარაგაულში, ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში სამშ. და სპეც. სამუშაოთა წარმოებისათვის; ფლობდა სახელმწ. ლიცენზიას ყველა სახის სამშ.-სამონტაჟო სამუშაოების პროექტირებასა და მშენებლობაზე, მ. შ. გზებისა და ხიდების, მაგისტრალური წყალსადენებისა და გაზსადენების, ელექტროსადგურების, ნაპირსამაგრი ნაგებობების, საზღვაო პორტების, რკინიგზებისა და სხვ. კომპანიას გააჩნდა მძლავრი საწარმოო (რკინაბეტონის, ასფალტბეტონის, მეტალოკონსტრუქციების ქ-ნები მათში შემავალი სამსხვრევ-დამხარისხებელი, ხის დამმუშავებელი, მეტალოპლასტიკისა და ალუმინის ნაწარმის დამამზადებელი წარმოებებით თბილისსა და ფოთში), მექანიზაციისა (სპეც. სამშენებლო ტექნიკა) და ავტოტრანსპორტის ბაზები, აგრეთვე დიდი სასაწყობო მეურნეობა (თბილისში, ბათუმსა და ფოთში) რკინიგზის საკუთარი ჩიხებით, რ-ებიც ასრულებდნენ ნებისმიერი საპროექტო-სამშ.-სამონტაჟო, სარეკონსტრუქტორო-სარემონტო, მოპირკეთების, სამხატვრო, ასფალტირების, ტერიტორიის მოწყობისა და სხვა სამუშაოებს.

სამშ. კომპანია ,,თ-ს'' საქარ-

თველოში აშენებული აქვს: საცხოვრებელი სახლები, სკოლები და საბავშვო ბაღები, სამრეწვ., სას.-სამ., ჯანმრთელობის, კულტ., კავშირგაბმულობის, კომუნ., საოფისე და სხვა დანიშნულების ობიექტები, მ. შ. თბილისში – ლუდის ქ-ნა ,,კასტელი-საქართველო'', ფეხბურთის ფედერაციის ოფისი, აოებში. ჩვენი ქვეყნის გარეთ მას აშენებული აქვს ქ. ბუდიონოვსკში (სტავროპოლის მხარე) რესპ. საავადმყოფო, ქ. ნალჩიკში (ყაბარდო-ბალყარეთის აო) – ბ. კალმიკოვის სახ. სანატორიუმი, მოსკოვში – საქართვ. საელჩო; იქვე აღადგინა სასტუმრო და კულტ. ცენტრი, მონაწილეობდა აგრეთვე ქრისტე-



სასტუმრო ,, თბილისი მარიოტი''.

წმ. სამების საკათედრო ტაძარი, რესტორანი ,,მაკდონალდსი'' (კ. მარჯანიშვილის მოედანზე); მონაწილეობდა მიწისძვრით დაზარალებული სომხეთის (სპიტაკი, ლენინაკანი) და დას. საქართველოს (საჩხერე, ჭიათურა) რ-ნებში სამშ.-აღდგენით სამუშმაცხოვრის ტაძრის კედლების მოპირკეთებაში.

1966–2004 სამშ. კომპანიამ საქართველოში ააშენა 3345 ობიექტი, რ-თა საერთო ღირებულება ლარით 920 მლნ. აშშ დოლარის ეკვივალენტია.

კომპანიის უცხოელი პარტნიო-



სასტუმრო ,, თბილისი მარიოტი''. ინტერიერი.

რები იყვნენ შპს ,,მორისონი'' (ინგლისის სამშ. კომპანია) და სააქციო საზ-ბა ,,მოსსპეცპრომსტროი'' (რუსეთი).

2009-იდან კომპანია აღარ ფუნქციონირებს.

,,თბილისი მარიოტი'' (Tbilisi Marriott), უმაღლესი კლასის ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო. მდებარეობს ქალაქის ცენტრში, შოთა რუსთაველის პროსპექტისა და გ. ჭანტურიას ქუჩის კუთხეში.

სასტუმრო აშენდა სომეხი მეცენატის მიხეილ არამიანცის დაკვეთით. მშენებლობა დაიწყო 1911 ა. ოზეროვის პროექტით. მშენებლობის პროცესში საჭირო გახდა პროექტის გადაკეთება. არქიტ. გ. ტერ-მიქელოვმა სასტუმროს ახ. პროექტი შეადგინა. მშენებლობა 1915 დასრულდა. იგი თავიდანვე მაღალი კლასის სასტუმროდ იყო ჩაფიქრებული და მას ,,მაჟესტიკი'' (ფრანგ. ,,დიდებული'') დაერქვა. I მსოფლიო ომის დროს სასტუმროში სამხ. ლაზარეთი განთავსდა, ხოლო გასაბჭოების შემდეგ, 1921, იგი საქართვ. პროფ. კავშირებს გადაეცა. სხვადასხვა დროს შენობის პირველ სართულზე განთავსებული იყო გამომც. ,,ტექნიკა და შრომა'', წიგნების და ჩაის სპეციალიზებული მაღაზიები, სასტუმროს სარდაფის სართულში კი – კინოთეატრი ,,ლუქსემბურგი'' (ყოფ. ,,მინიონი'', შემდგომში – ,,თბილისი'').

1935 გადაწყდა შენობის რეკონსტრუქცია და მისთვის პირვანდელი ფუნქციის დაბრუნება. 1939 წ. 14 თებერვალს სასტუმრო საექსპლუატაციოდ გადაეცა და ეწოდა ,,თბილისი''. იგი თავდაპირველად ექვემდებარებოდა სსრკ უცხოეთის ტურიზმის სახელმწ. კომიტეტს, შემდგომში კი – საქციონერო საზ-ბა ,,ინტურისტს''.

1991–92, თბილ. ომის დროს, სასტუმროს შენობა ხანძრის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა. შეიქმნა შოთა რუსთაველის პროსპექტისა და მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციის კომისია. რეკონსტრუქციის პროექტი შეიმუშავეს არქიტ.-რესტავრატორებმა გ. მეტრეველმა და ვ. ქურთიშვილმა. 1996-იდან შენობა ,,ჯი-ემ-თი ჯგუფის'' კომპანია – ,,ჯი-ემ-თი სასტუმროების'' მფლობელობაშია, რ-მაც განახორციელა სასტუმროს რეკონსტრუქცია და მის მართვაზე ხელშეკრულება გააფორმა მსოფლიოში სასტუმროების მართვის ერთერთ ლიდერთან, ამერ. კომპანია



თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრი. სცენა სპექტაკლიდან ,,დიდრო'' (ნ. დუმბაძის ნაწარმოების მიხედვით).

,,მარიოტ ინტერნეშენელთან''. სასტუმრო გაიხსნა 2002 წ. 26 სექტემბერს და აქ ,,თ. მ.'' განთავსდა.

შვიდსართულიანი ნაგებობა გამოირჩევა მაღალი არქიტ.-მხატვრული ღირსებებით. გამოყენებულია კლასიკური ხუროთმოძღვრული მოტივები, შენობის ფასადის მრუდწირული კუთხე დღესაც მოხდენილად ერწყმის შოთა რუსთაველის პროსპექტს. მისი თავდაპირველი სახე შენარჩუნებულია.

ამჟამად ,,თ. მ-ში'' სხვადასხვა კატეგორიის 127 ნომერია, აქედან 1 – ვიცე-საპრეზიდენტო და 2 – საპრეზიდენტო აპარტამენტი; სასტუმროში არის 8 დარბაზი საკონფერენციო შეხვედრებისათვის, რ-თაგან 6 ქართველ მეფეთა (ფარნავაზის, მირიანის, ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის) სახელს ატარებს, დანარჩენი 2 კი – წვეულებათა დარბაზი და სანადიმო ოთახია. ფუნქციონირებს ლობი ბარი ,,მაჟესტიკი'', კაფე და რესტორანი ,,პარნასი'', ღია პათიო, ბიზნესცენტრი, გამოფენათა და კონფერენციათა დარბაზი, ბიბლიოთეკა, ბანკომატი, ბიზნესცენტრი, ფოსტა-სატელეგრაფო, ტელეფონი, ინტერნეტი, ავტოსადგომი, ტაქსის სამსახური, ექსკურსიების ორგანიზება, ავტომანქანების ქირაობა, ბარბერ-შოპი, სილამაზის სალონი, ფიტნეს-ცენტრი, სპორტული დარბაზი, ორთქლის აბანო, ჯაკუზი, მასაჟი, სოლარიუმი, ბავშვთა ოთახი, ბილიარდი, ტენისის კორტი, ბოულინგი, ბიზნესცენტრ

ნაძე – თეატრის მმართველი და სამხატვრო ხელმძღვანელი 2006–14), ნ. დუმბაძის ,,თეთრი ბაირაღები'' (2011) და მ. ფ. ახუნდოვის ,,ლენქორანის ხანის ვეზირი'' (2011, ორივეს რეჟ. ნ. გაჯიევი), ნ. დუმბაძის ,,დიდრო'' (2007), ი. ეფენდიევის ,,შენ ყოველთვის ჩემთან ხარ'' (2014, რეჟ. თ. ველიზადე).

წლების განმავლობაში თეატრში აღიზარდა აზერბ. მსახიობთა თაობა, რ-ებიც წარმატებით გამოდიან როგორც აზერბაიჯანის (ბაქო), ასევე სხვა ქვეყნების წამყვანი თეატრების სცენაზე.

ზ. სოფრომაძე.


თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი, იხ. *თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი.*

თბილისისათვის ბრძოლა 627–628, ბიზანტიასა და ირანს შორის მიმდინარე ომის (602–628) ერთ-ერთი ეპიზოდი. ირანთან ბრძოლაში განცდილი რამდენიმე მარცხის შემდეგ იმპ. ჰერაკლემ 626 კავშირი დადო თურქთა დას. სახაკანოსთან, რ-ის მესვეურები, თავის მხრივ, ცდილობდნენ კავკ. ქვეყნებიდან ირანი გაეძევებინათ და ამ გზით ჩინური და შუააზიური აბრეშუმი ირან. ვაჭრების შუამავლობის გარეშე გაეტანათ ბიზანტიაში. ინტერესთა ასეთმა ერთობამ განაპირობა სამხ. კავშირი ირანის წინააღმდეგ. მოკავშირეები თბილისთან 627 ზაფხულში თურქთა დას. სახაკანოს მბრძანებელთა სურვილით მოვიდნენ. ჰერაკლეს მთავარი ამოცანა ირანის დამარცხება და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება იყო, თურქებს კი აბრეშუმის გზის დაუფლება აინტერესებდათ. ორთვიანი უშედეგო ალყის შემდეგ ჰერაკლემ ირანის შუაგულისაკენ გაილაშქრა (გზაში მას თურქ მოკავშირეთა ლაშქარი ნელ-ნელა ჩამოშორდა). 627 წ. 12 დეკემბერს ქ. მოსულის ახლოს (ნინევიის ნანგრევებთან) ჰერაკლემ გადამწყვეტი გამარჯვება მოიპო-



თბილისის არქეოლოგიური მუზეუმი.

ვა. 628 ირან. ტახტზე ასულმა კავად შიროემ ბიზანტ. იმპერიას ხოსრო II-ის (591–628) მიერ დაპყრობილი ტერიტორიები (მ. შ. ,,ქართლის დიდი ნაწილი თბილისამდე'') დაუბრუნა. ზავი ირანთან სეპარატული იყო, რადგან ჰერაკლემ იგი მოკავშირეებთან შეუთანხმებლად დადო. 628, როცა ჰერაკლეს მოკავშირე თურქები ჯიბღუსა და შათის სარდლობით ხელახლა მოადგნენ თბილისს და ალყა შემოარტყეს, ჰერაკლე გარდაბნის მხარეში იმყოფებოდა. თბილისის დაცვას ირანელებთან ერთად ქართ. წყაროების – ,,მოქცევაჲ ქართლისაჲს'' და ,,ქართლის ცხოვრების'' – მიხედვით



ქართლის ერისმთავარი *სტეფანოზ I* ხელმძღვანელობდა, რ-იც ერთ-ერთ ბრძოლაში დაიღუპა. 628 შემოდგომაზე თურქებმა თბილისი აიღეს. ქართლის ირან. ნაწილი ჰერაკლემ თურქთაგან მიიღო და ქართლის ერისმთავრად ბიზანტ. ორიენტაციის, სარწმუნოებით დიოფიზიტი *ადარნასე* დასვა.

ლიტ.: გოილაძე ვ., აბრეშუმის დიდი საგაჭრო გზა და საქართველო, თბ., 1997; მისივე, რატომ არ მონაწილეობდა იმპერატორი ჰერაკლე 628 წელს თბილისის აღებაში?, «მნათობი», 1997, № 5; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973.

ვ. გოილაძე.

თბილისის არქეოლოგიური მუზეუმი, 1988 დაღმის მასივში, საქართველოს სამხ. გზის დასაწყისში, თრელის გორაზე არქეოლ. რ. აბრამიშვილის ინიციატივით დაარსდა თბილ. არქეოლ. მუზეუმი (არქიტ. შ. *ყავლაშვილი*), 1988 დასრულდა პირველი საგამოფენო დარბაზის მშენებლობა და გადაეცა საქართვ. მეცნ. აკად. არქეოლ. კვლევის ცენტრს. მუზეუმში დაცული და გამოფენილია თბილისსა და მის შემოგარენში აღმოჩენილი არქეოლ. მასალა ძვ. წ. V ათასწლეულიდან დაწყებული ფეოდ. ხანის ჩათვლით.

თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, სხვადასხვა დროისა და კატეგორიის არქეოლოგიური ძეგლები: ნასახლარები, სამაროვნები, საკულტო ძეგლებისა და სახელოსნოების ნაშთები, ნახიდურები, ნაარხალები (200-ზე მეტი). არქეოლ. ძეგლთა ასეთი სიმრავლე თბილისისა და მისი შემოგარენის განსაკუთრებული გეოგრ. მდებარეობით აიხსნება. ძვ. დროიდან დაწყებული აქ იკვეთებოდა კავკასიაზე გამავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო და სამხედრო გზები, რ-ითაც დას-ისა და აღმ-ის კულტურები ერთმანეთს უკავშირდებოდა, აღმ. ევროპის მომთაბარე ტომთა კულტურა კი კავკასიის სამხრ-ით მდებარე წინა აზიის ცივილიზაციას ეზიარა. მოგვიანებით (ძვ. წ. II ს-იდან) თბილისზე გადიოდა *აბრეშუმის დიდი გზის* ჩრდ. განშტოებაც, იგი ჩინეთიდან ხმელთაშუა ზღვისკენ მიემართებოდა. უძველესი ცხვრის გზა კი, რ-იც დღესაც ფუნქციონირებს, თბილისის გავლით



თბილისის არქეოლოგიური გათხრები. ენეოლითური ხანის კერამიკა. დელისის ნასახლარი.

აკავშირებდა შირაქის ზამთრის საძოვრებს ჩრდ. კავკასიონის საზაფხულო საძოვრებთან. თბილ. შემოგარენში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები იყო.

თბილ. ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადამიანის ცხოვრების ნაშთი 6000-ზე მეტი წლისაა. ენეოლითური ხანის (დაახლ. ძვ. წ. V ათასწლ. II ნახ.) ნასახლარი დადასტურდა თანამედროვე დელისის უბანში. კერამ. ნაწარმის ნაშთებისა და ქვის სამიწათმოქმედო იარაღის გარდა, აღმოჩენილია სპილენძისა და კალის შენადნობისაგან (ანუ ბრინჯაოსაგან) დამზადებული ნივთებიც. დელისის ლითონის ნივთები უმდიდრესი ნიმუშებია მთელ ძვ. სამყაროში.

არქეოლ. ძეგლებით განსაკუთრებით დიღმის ველია დატვირთული (თანამედროვე დიღმის მასივისა და დიდი დიღმის ტერიტორია).



თბილისის არქეოლოგიური გათხრები. ოქროს საყურეები ლურჯი მინის თვლებით. ვამლავაჯვარი. ადრეფეოდალური ხანის სამარხიდან.

აქ მდებარეობს მთელ კავკასიაში ყველაზე დიდი, ე. წ. *თრელიგორების ნასახლარი*, რ-იც 3 ბუნებრივ ბორცვზეა განთავსებული და დაახლ. 1,5 *კმ*-ზეა გადაჭიმული საქართვ. სამხ. გზის გასწვრივ, მის მარცხ. მხარეს. თრელიგორებზე ადამიანს ძვ. წ. IV ათასწლ. შუა წლებიდან ადრეფეოდ. ხანის ჩათვლით უცხოვრია. გზის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს ამ ნასახლარის სამაროვანი (*თრელის სამაროვანი*). გათხრილია ბრინჯაორკინის ხანის 200-მდე სამარხი. ნასახლარზე აღმოჩენილი უძველესი ფენები *მტკვარ-არაქსის კულტურას* განეკუთვნება. დღეისათვის ცნობილ მტკვარ-არაქსის კულტ. ძეგლთა შორის უადრესია ღრმახევისთავის (დმანისის მუნიციპალიტეტი) და ხიზანაანთგორის E ფენის გამოვლენილ ძეგლებთან ერთად. თბილისში მომდევნო დროის ე. წ. დიდუბე-კიკეთის ჯგუფის ძეგლებიცაა აღმოჩენილი.

მარტყოფში გაითხარა ძვ. წ. III ათასწლ. II ნახ. დიდი ყორღანული სამარხები. აღმოჩენილი მდიდრული სამარხეული მასალა მეტყველებს, რომ თბილისი და მისი შემოგარენი ადრეულ ხანაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

თბილისში აღმოჩენილმა შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებმა ნათელი მოჰფინა აღმ. ამიერკავკასიისა და წინა აზია – ეგეოსური სამყაროს ურთიერთობის საკითხებს ძვ. წ. II ათასწლ. I მეოთხედში. ამ ურთიერთობის ამსახველია ლილოში აღმოჩენილი ბრინჯაოს გრძელი სამკერებელი მახვილი (რაპირა) და თრელის სამაროვანზე აღმოჩენილი კანთარსოსის ფორმის თიხის სასმისები.

თბილისში მრავლადაა წარმოდგენილი გვიანდ. ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლები. გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე (ძვ. წ. XV–XIV სს. ე. წ. ლჭაშენწითელგორის არქეოლ. კულტურა) გვხვდება ქვის წრეებით შემოვლებული ორმოიანი ყორღანები, რ-თა სამარხეული მასალა უახლოეს მსგავსებას პოულობს კახეთის, თრიალეთისა და დას. სომხეთის ნივთებთან. ძვ. წ. XIV ს. ბოლოდან ჩნდება სამარხთა ახ. ტიპი – ქვაყრილიანი ორმოსამარხები, რებიც ძვ. წ. VI ს-მდე არსებობდა. ამ სამარხებში აღმოჩენილი ნივთები პარალელებს *სამთავროს სამაროვნის* ძეგლებთან პოულობს (ე. წ. სამთავრული არქეოლ. კულტურა). თბილ. და მისი შემოგარენის მნიშვნელოვან გეოგრ. მდებარეობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ გვიანდ. ბრინჯაოს ხანის აღმ. ამიერკავკასიის ზემოაღნიშნულ ორ უმსხვილეს კულტურას შორის საზღვარი სწორედ ამ ტერიტორიაზე გადიოდა.

თრელის სამაროვანზე გათხრილ სამარხთა შორის სიმდიდრით გამოირჩევა ძვ. წ. VIII–VII სს. დასაკრძალავდარბაზიანი კრემაციული სამარხები, ზოომორფული და მოჭიქული ჭურჭელი და სხვ., რ-ებიც კონსტრუქციით, დაკრძალვის წესით, სიმდიდრით და აღმოჩენილი ნივთებით ნაწილობრივ განსხვავდება საქართვ. სინქრონული ძეგლებისაგან და გარკვეულ თავისებურებებს იჩენს აზერბ. და ჩრდ.-დას. ირანულ ძეგლებთან. ერთი დასაკრძალავი დარბაზის ფართობი 70 $მ^2$ აღწევდა.

თბილისი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა კლასიკურ ხანაშიც. ამაზე მეტყველებს საბურთალოს რეგიონში შემთხვევით აღმოჩენილი ძვ. წ. III–II სს. მდიდრული სამარხეული ნივთები და ახ. წ.III ს. II ნახ. წარჩინებული მეომრის სამარხი თრელის სამაროვნიდან.

თბილისში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ნუმიზმატიკური მასალა მოწმობს, რომ გვიანანტ. ხანაში ეს ტერიტორია მნიშვნელოვან სავაჭრო ფუნქციას ასრულებდა.

მცხეთასთან შედარებით თბილისსა და მის შემოგარენს ურბანიზაციისათვის უფრო ხელსაყრელი გეოგრ. პირობები ჰქონდა. წინაფეოდ. ხანაში ისტ. ვითარებაც უკეთესი იყო. ამან ხელი შეუწყო თბილისის გადედაქალაქებას. *ერეკლე II-ის მოედანთან* ჩატარებული არქეოლ. გათხრების შედეგად კარგად გამოჩნდა თბილ. საქალაქო ცხოვრების სტრატიგრაფია V ს-იდან XX ს-მდე. გამოვლინდა სამეურნეო და საცხოვრებლო ნაგებობების, წყალსადენების, კერამ. საწარმოს ნაშთები. სამეურნეო დანიშნულების ნივთების გარდა, აღმოჩნდა მინის, ლითონის, ქვის სამკაული და იარაღ-საჭურველი.

შუა საუკუნეების მეორე მნიშვნელოვანი ძეგლია *„განჯისკარის“* კერამ. სახელოსნო, სადაც ქართ. მხატვრული კერამიკის მრავალი ახ. სახეობა გამოვლინდა.

თბილისის ისტ. შესწავლაში დიდი როლი შეასრულა ე. წ. *თბილისის დედაციხის (ნარიყალას) არქეოლოგიურმა გათხრებმა*. გამოვლინდა XIII ს. ტაძარი, აბანო და საფორტიფიკაციო ნაგებობათა ნაწილი. აქ აღმოჩენილი მრავალფეროვანი თეთრკეციანი მოჭიქული იმპორტ. კერამიკა მიუთითებს, რომ XVII–XVIII სს-ში ქალაქს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა სხვა ქვეყ-

ნებთან.

მ. ა. ძ-ის შესწავლაში დიდი და ნაყოფიერი სამუშაო აქვთ ჩატარებული დ. ქორიძეს, გ. ლომთათიძეს, ი. გძელიშვილს, ო. ტყეშელაშვილს. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის რ. აბრამიშვილს, რ-ის ინიციატივით და ხელმძღვანელობით 1968-იდან დაიწყო მ. ა. ძ-ის სისტემ. შესწავლა.

ლიტ.: აბრამიშვილი რ., თბილისი I. არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1978; გძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ო., თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1961; ლომთათიძე გ., არქეოლოგიური გათხრები თბილისში 1948 წ. ზამთარში, «მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის», 1955, ტ. 1; ქორიძე დ., თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, [ტ.] 1–2, თბ., 1955–58; ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, [ტ.] 2, თბ., 1970; ჯაფარიძე ო., ,,განჯისკარის'' 1948 წ. არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, «მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის», 1955, ტ. 1; Abramischwili R. und M., Archäologishe Denkmäler im Stadtgebiet von Tbilisi. Unterwegs zum Goldenen Vlies, «Archäologische Funde aus Georgien», Saarbrücken, 1995.

მ. აბრამიშვილი.

თბილისის ბავშვთა №1 მუნიციპალური საავადმყოფო პ. ყურაშვილის სახელობისა, დაარსდა 1937 პროფ. ი. *ლორთქიფანიძის* თაოსნობით. ამიერკავკასიაში პირველი ბავშვთა საავადმყოფო. პ. ყურაშვილის სახელი მიენიჭა 1967.

საავადმყოფოს უნიკალური შენობა (მოდერნის სტილის არქიტექტურის ძეგლი) XX ს. დასაწყისში (1902–06) ააგო მეცენატმა ნ. ზუბალაშვილმა (იხ. *ზუბალაშვილები*) და უპოვართა, უმწეოთა და უსახლკაროთა თავშესაფრისთვის საქველმოქმედოდ ანდერძით გადასცა მუნიციპალიტეტს. გასაბჭოების შემდეგ ეს მისია შეწყდა. ქუჩას, რ-ზეც საავადმყოფო მდებარეობდა, 1990-იდან ძმები ზუბალაშვილების სახელი ეწოდა.

თავიდან საავადმყოფო გათვლილი იყო 150 საწოლზე. მასში შედიოდა: თერაპიული, ქირურგ., ნერვული, ყელ-ყურ-ცხვირის განყ-ბები; კლინ.-დიაგნოსტიკური, ბიოქიმ., ბაქტერიოლოგიური, ექსპერ. ლაბორტორიები; ელექტროკარდიოგრაფიული, რენტგენის, ფიზიოთერაპიის კაბინეტები; პათ. ანატომიის სამსახური, აფთიაქი, კვების ბლოკი.

საავადმყოფოს პირველი მთ. ექიმი იყო ი. ლორთქიფანიძე. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: პ. ნანეიშვილი, ი. ჩიკვაიძე, ნ. მთვარაძე, ლ. შარაშიძე, ლ. ირემაძე, დ. გურიელი, დ. გერმესაშვილი, ა. ნაცვლიშვილი, დ. მაგრაქველიძე.

საავადმყოფოს უკავშირდება ქართ. მეცნ. და პრაქტ. პედიატრიის და ბავშვთა ქირურგიის განვითარება საქართველოში. აქ ჩაეყარა საფუძველი თსსი-ის ბავშვთა სნეულებათა პროპედევტიკის, საფაკულტეტო და ჰოსპიტალური პედიატრიის, თბილ. სახელმწ. სამედ. აკადემიის ბავშვთა სნეულებების კათედრებს, პედიატრიის სამეცნ.-კვლ. ინსტიტუტს. აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი პედიატრები: ი. *რცხილაძე*, მ. *ბოკერია*, ვ. *თოხაძე*, მ. *კოკოჩაშვილი*, ს. *მაჩაბელი*, პ. ყურაშვილი, ფ. შოთაძე, მ. *გელოვანი*, გ. *ნიჟარაძე*, ი. *კვაჭაძე*, მ. *მჭედლიშვილი*, ი. *ციციშვილი* და სხვ.

აქ დაარსდა და 1987-მდე ფუნქციონირებდა ბავშვთა ქირურგ. კათედრა მ. კოკოჩაშვილის, შემდეგ – ლ. ავალიანის, გ. ჟვანიას, რ. კუტუბაძის ხელმძღვანელობით. 1959–70 საავადმყოფო იყო ჰოსპიტალური პედიატრიის (ხელმძღვ. ვ. თოხაძე, ი. კვაჭაძე), 1971–2001 – პედიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის კლინიკური ალერგოლოგიის განყოფილების (ხელმძღვ. მ. მჭედლიშვილი, თ. ჭურაძე), 1993-იდან ე. ფიფიას სახ. სამედ. ინ-ტის, თბილისის დავით აღმაშენებლის უნ-ტის (ხელმძღვ. დ. ლეჟავა), საქართვ. დავით აღმაშენებლის სახ. უნ-ტის (ხელმძღვ. ლ. გვენცაძე) პედიატრიული კათედრების ბაზა.

სხვადასხვა დროს საავადმყოფო ნაყოფიერად თანამშრომლობდა სამედ. აკადემიის ბავშვთა ქირურგიის, სამედ. უნ-ტის ბავშვთა სნეულებათა პროპედევტიკის, სამკურნ. ფაკ-ტის პედიატრიის კათედრებთან, პედიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ჰემატოლოგიურ და ჰემატოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ბავშვთა განყოფილებებთან.

საავადმყოფოში გაიხსნა საქართველოში პირველი ბავშვთა ინტენს. თერაპიის პალატა და განყ-ბა; რესპ. ალერგოლოგიური დისპანსერი, რ-იც მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებდა ალერგიული პათოლოგიის რისკის მქონე და დაავადებული ბავშვების მონიტორინგს; ტრავმატოლოგიურ განყ-ბასთან ჩამოყალიბდა პირველი რაბიოლოგიური სამსახური; პირველად იყო გამოყენებული პაციენტთა დღის სტაციონარის რეჟიმით მომსახურება.

ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები იყო ბავშვთა რევმატოლოგია, თორაკო-აბდომინალური ქირურგია, ახალშობილთა ქირურგია, ტრავმატოლოგია-ორთოპედია, ალერგოლოგია და რესპირაციული პათოლოგია.

2011 ბავშვთა პირველმა საავადმყოფომ არსებობა შეწყვიტა.

დ. ლეჟავა.

თბილისის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო მ. იაშვილის სახელობისა, მულტიპროფილური პედიატრიული სამედიცინო დაწესებულება, სადაც სამედ. დახმარების აღმოჩენა 18 წლამდე ჰოსპიტალიზებული პაციენტებისთვისაა შესაძლებელი. საავადმყოფო 35 წელზე მეტია ფუნქციონირებს (2010-იდან დირექტორია შ. ჯოგლიძე).

საავადმყოფოს აქვს ევრ. და ამერ. წამყვან კლინიკებში აპრობირებული სტრატეგია, რ-იც ორი დონის სამედ. მომსახურებას ეფუძნება. პირველი არის ემერჯენსის განყ-ბა (18 საწოლზე), სადაც შესაძლებელია გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა ,,ერთი დღის ჰოსპიტლის'' პრინციპით; მეორე – კლინიკის



მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს შენობა.

სტაციონარული განყ-ბა, რ-იც საქართველოში ყველაზე სრულყოფილ, მულტიპროფილურ სამედ. სერვისს უზრუნველყოფს. ასევე ფუნქციონირებს ამბულატორიული სამსახური მრავალპროფილური სამედ. მომსახურებით (იმუნიზაციის ჩათვლით).

საავადმყოფოში რამდენიმე უნიკალური (რ-ის ანალოგი საქართველოში არ არის) დეპარტამენტია: ონკოჰემატოლოგიის, ნეირომეცნიერების, ტოქსიკოლოგიის, რესპირაციული მედ., თირკმლის, ადრეული ასაკის ბავშვთა გლობალური განვითარების. ასევე ფუნქციონირებს ნეონატოლოგიური, ნევროლოგიური, აბდომინური, ორთოპედია-ტრავმატოლოგიის, კრიტ. მედ. დეპარტამენტები.



თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის შენობა. 1937.

კლინიკა აღჭურვილია კომპიუტერული და ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიით, ხელოვნური სუნთქვის აპარატებით და კოუვეზებით, ბიოქიმ. და კლინ. ავტომ. ანალიზატორებით, ულტრაბგერითი და რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკის აპარატურით. ყველა სახის სამედ. დოკუმენტაციის წარმოებისას იყენებენ თანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიებს და ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებებს.

კლინიკა თსსუ-ის დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი სამედ. განათლების ბაზაა. მოქმედებს სასწ. ცენტრი, რ-იც სამედ. კადრების ტრენინგს ახორციელებს.

კლინიკის სამეცნ. მუშაობის პრიორიტეტია რესპირაციული მედიცინა, ნევროლოგია, ონკოჰემატოლოგია, ნეონატოლოგია, ნეფროლოგია, რაც, შესაბამისად, ასახულია სამეცნ. პუბლიკაციებში, გაიდლაინებსა თუ პროტოკოლებში.

ი. ჩხაიძე.

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, ჯანმრთელობისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი – თანამედროვე სამედიცინო-სარეაბილიტაციო დაწესებულება.

თბილ. ბალნეოლ.-კლიმ. კურორტი. დაარსდა 1937. მდებარეობს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ქალაქის ერთ-ერთ უძველეს უბან ხარფუხში. თ. ბ. კ-ის შენობა სამსართულიანია (არქიტექტორები: ი. ჟიტკოვსკი, მ. კალაშნიკოვი, ბ. კარბინი), ვესტიბიულის ორივე მხარეს შიდა ეზოებია, რ-თა ირგვლივ განლაგებულია სააბაზანოები, სამკურნ. და დამხმარე სათავსოები. კომპლექსის ბირთვს წარმოადგენს შიდა ეზო, რ-საც მთელ პერიმეტრზე კოლონადა გასდევს. თ. ბ. კ. კლიმატურად ხელსაყრელ ზონაში მდებარეობს, იგი გამოირჩევა როგორც კლიმ. თავისებურებებით, ასევე მრავალდარგოვანი ფიზიოლ. სამკურნ. საშუალებებით (ბალნეოთერაპია, ფიზიოთერაპია, ტალახით მკურნალობა, სამკურნ. ფიზკულტურა). თ. ბ. კ-ის სამკურნ. ფაქტორებიდან აღსანიშნავია უნიკალური მინერ. წყალი, რ-იც თავის ფიზ.-ქიმ. თვისებებით ეკუთვნის სულფიდურ-თერმული და ჰიპერთერმული წყლების ჯგუფს (30–47°C). კურორტის სამკურნ. კომპლექსში გამოყენებულია აგრეთვე კუმისის ტბის ლამის და ახტალის ფსევდოვულკანური წარმოშობის უნიკალური ტალახი. ცენტრის სტრუქტურაში გაერთიანებულია განყოფილებები: საკონსულტაციო, დიაგნოსტიკურ-ლაბორატორიული (კლინიკური, იმუნოფერმენტული, ბაქტერიოლოგიური; ელექტროკარდიოგრაფიის, დოპლეროგრაფიის, ექოსკოპიის, რენტგენოგრაფიის, ბალნეოლ. (მინ. წყლის აბაზანა, სუბაკვალური და რექტალური გამორეცხვები, წყლით სამკურნ. ,,ჰიდროპათია‘‘, საინჰალაციო, შესხურებით მკურნალობა), სადიაგნოსტიკო და ფიზიოთერაპიული კაბინეტები. ცენტრში, პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის გარდა, მიმდინარეობს სამეცნ. მუშაობა, რ-ის ძირითადი მიმართულებებია:

1. საქართველოს საკურორტო რესურსების – მინერ. წყლების, სამკურნ. ტალახის, კლიმ. პირობების და სხვა ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების გამოვლენა და შესწავლა, ადამიანის ორგანიზმზე მათი ფიზიოლ. და თერაპიული მოქმედების დადგენა;
2. ფიზიოთერაპიული ფაქტორების ექსპერ. და კლინ. შესწავლა;
3. ბუნებრივი და პრეფორმირებული ფიზ. ფაქტორების (სამკურნალო, პროფილაქტიკის და რეაბილიტაციის მიზნით) გამოყენების პრინციპების და მეთოდების დამუშავება და მათი საკურორტო



თბილისის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის შენობა. 1939.

პრაქტიკაში დანერგვა;

4. კურორტებზე ავადმყოფთა მკურნალობის ჩვენებების დადგენა.


ცენტრში გახსნილია მასაჟის სკოლა, ასევე ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს თსსუ-ის კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამედ. ტურიზმის დეპარტამენტი. 1999-იდან ცენტრის გენ. დირექტორია ნ. სააკაშვილი.

თბილისის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი გ. ელიავას სახელობისა (სსიპ), განათლების და მეცნიერების სამინისტროსი.

დაარსდა 1923 გიორგი *ელიავას* ინიციატივით, როგორც ბაქტერიოლოგიური ინ-ტი. 1936 გადაკეთდა მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიის და ბაქტერიოფაგის ინ-ტად. 1952-იდან ვაქცინებისა და შრატების სამეცნ.-კვლ. ინ-ტი ერქვა. 1988 მის ბაზაზე შეიქმნა სამეცნ.-საწარმოო გაერთიანება ,,ბაქტერიოფაგი''. 90-იან წლებში მოხდა მისი საწარმოო ნაწილის პრივატიზება, ხოლო ინ-ტს ეწოდა ახლანდ. სახელი.

ინ-ტში, პირველად მსოფლიოში, გ. ელიავას და ბაქტერიოფაგების აღმომჩენის ფ. *დ'ერელის* ხელმძღვანელობით დაიწყო ბაქტერიული ვირუსების ანუ ბაქტერიოფაგების სისტემატიზებული ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევა, რაც დღემდე წარმოადგენს ინ-ტის მუშაობის ძირითად მიმართულებას. ინ-ტის მეცნიერთა მიერ შექმნილია პათოგენური და პირობით-პათოგენური ბაქტერიების მუზეუმი და მათ მიმართ აქტ. ბაქტერიოფაგების კოლექცია. შემუშავებულია აგრეთვე მათი პრაქტ. გამოყენების მეთოდოლ. პრინციპები, რის საფუძველზეც შეიქმნა 30-ზე მეტი სამკურნალო, პროფილაქტიკური და სადიაგნოსტიკო ფაგური პრეპარატი. ამჟამად ინ-ტის მიერ დაარსებული კომპანია ,,ბაქტერიოფაგის ბიოპრეპარატები'' აწარმოებს რამდენიმე სხვადასხვა სახის პოლი- და მონოვალენტურ ბაქტერიოფაგურ პრეპარატს, რ-იც ფართოდ გამოიყენება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

ინ-ტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ადამიანის და ცხოველების სხვადასხვა ინფექციის, მ. შ. ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული ბაქტერიებით გამოწვეული ინფექციების ეტიოლოგიური სტრუქტურის შესწავლა და მათ წინააღმდეგ სპეციფ. ბაქტერიოფაგური პრეპარატების შექმნა; ფუნდამენტური გამოკვლევები ბაქტერიოფაგიაში, კერძოდ, ახ. ბაქტერიოფაგების მოლეკულურ-ბიოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლა, პატრონ უჯრედთან ურთიერთქმედების მექანიზმების დადგენა; წყლის, საკვების და გარემოს ეკოლ. მონიტორინგი; მცენარეთა დაავადებების ბიოკონტროლის სტრატეგიის შემუშავება ფაგური ტექნოლოგიების საფუძველზე; ადამიანისა და ცხოველების განსაკუთრებით საშიში ბაქტერიული ინფექციების გამომწვევების კვლევა და მათი საწინააღმდეგო ბიოლ. პრეპარატების შექმნა.



თბილისის ბოტანიკური ბაღი. ხიდი.

ინ-ტში ფუნქციონირებს 6 სამეცნ. ლაბორატორია, ბაქტერიოფაგების კოლექცია, კვლევისა და განვითარების განყ-ბა. ინ-ტის თანამშრომლების მიერ დაფუძნებულია გ. ელიავას სახ. ფონდი.

ინ-ტი აქტიურად მონაწილეობს ბიოუსაფრთხოების ქართ.-ამერ. პროგრამაში, რეგულარულად იღებს სამეცნ. გრანტებს. ინ-ტის მეცნიერები სისტემატურად აქვეყნებენ სამეცნ. ნაშრომებს ადგილობრივ და რეიტინგულ საერთაშ. ჟურნალებში, მონაწილეობენ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. *რ. ადამია.*

,,თბილისის ბოლშევიკების ლიტერატურული ბიურო'', პარტიული ცენტრი, რ-იც შეიქმნა 1907 დამდეგს. ზოგჯერ ,,რსდმპ თბილისის მეუმრავლესეების სალიტერატურო ბიუროსაც'' უწოდებდნენ. ბოლშევიკებმა იგი თავიანთ ხელმძღვანელ ორგანიზაციულ ცენტრად გადააქციეს. გაუქმდა 1909.

ზ. გეგეშიძე.

თბილისის ბოტანიკური ბაღი [2011 წლის 22 ივლისიდან – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი], სამეცნიერო, საგანმანათლებლო და ბუნებისდაცვითი დაწესებულება.

თ. ბ. ბ. მდებარეობს თბილ. ისტ. ნაწილში, სამხრ-ით, მდ. წავკისისწყლის ხეობაში, ზ. დ. 417–714 *მ.* მისი ფართობია 96 ჰა. თ. ბ. ბ-ს დიდი ხნის ისტორია აქვს: მისი წინამორბედი იყო მდ. წავკისისწყლის ხეობის ქვემო ნაწილში – ლელვთახევში გაშენებული დეკორ. და სამკურნ. მცენარეების სამეფო ბაღი. ამ ბაღის არსებობა დოკუმენტურად დადასტურებულია XVII ს. დასაწყისიდან. ბოტან. ბაღის სტატუსი მას 1845 მიენიჭა. ამ დროიდან თ. ბ. ბ. კავკ. ბოტან. შესწავლის ცენტრი გახდა. აქ სხვადასხვა დროს მუშაობდა კავკ. მცენარეული სამყაროს მრავალი გამოჩენილი მკვლევარი. აქვე დაიწყეს სამეცნ. საქმიანობა პირველმა ქართველმა ბოტანიკოსებმა: ზ. *ყანჩაველმა,* ლ. *კემულარია-ნათაძემ,* ლ. *ყანჩაველმა,* ნ. *კეცხოველმა,* ვ. *მენაბდემ,* ლ. *ჯაფარიძემ* და სხვ.

თ. ბ. ბ-ის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: საქართვ. მცენარეთა მრავალფეროვნების შესწავლა; დედამიწის სხვადასხვა რეგიონის, პირველ რიგში, კავკასიის, მცენარეების ცოცხალ კოლექციათა განვითარება; მცენარეთა ინტროდუქციისა და აკლიმატიზაციის მეცნ. საფუძვლების დამუშავება; მცენარეების ბიოეკოლ. შესწავლა კულტ. მცენარეთა რიგში შეტანისა და

აღმ. საქართველოს ურბანული ტერიტორიების გამწვანებაში გამოყენების მიზნით; მეყვავილეობა და ლანდშაფტის დიზაინი; ბოტან. ცოდნის გავრცელება მოსახლეობაში; კავკასიის, მ. შ. საქართვ., ფლორის იშვიათი და გადაშენების პირას მისული სახეობების (ex situ) კონსერვაცია; ასეთ მცენარეთა რეპროდუქციული ბიოლ. საკითხების შესწავლა; ბაღის ესთეტ. და რეკრეაციული მნიშვნელობა.

Თ. ბ. ბ-ის კოლექციები ორგანიზებულია, ძირითადად, ფიტოგეოგრ. საფუძველზე. ესენია: კავკ. ფლორის ენდემური და იშვიათი სახეობები, საქართვ. სამკურნალო მცენარეები, ხმელთაშუა ზღვის (ცალკეა ამ რეგიონის მარადმწვანე ხეშეშფოთლიანი ხეებისა და ბუჩქების კოლექცია), აღმ. ამერიკავკასიის, საქართველოს ნათელი ტყის, კოლხეთის, ჩრდ. ამერიკის, ჩინეთ-იაპონიის, ჰიმალაის ხეები და ბუჩქები. ბაღში არის დეკორ. მცენარეების, მ. შ. ვარდისა (როზარიუმი) და იასამნის (სირინგარიუმი) მდიდარი კოლექცია. ბაღის ორანჟერეაში მოშენებულია მრავალი ტროპ. და სუბტროპ. მცენარე.



თბილისის ,,ბურევესტნიკის'' ხელბურთელთა გუნდი. სხედან (მარცხნიდან): თ. ანთაძე, ჯ. აბაიშვილი, ი. ფხაკაძე, ა. ხუციშვილი, ლ. კარტოზია. დგანან (მარცხნიდან): ჯ. ბაგრატიონი, ა. ექსეულიძე, ჯ. ცერცვაძე, გ. შარაშიძე (მწვრთნელი), ბ. კოპალეიშვილი, თ. ზარდალიშვილი, ჯ. ზაქარიაძე. 1964.

Თ. ბ. ბ-ის ტერიტორიაზე დაცულია აღმ. საქართველოსათვის დამახასიათებელი მცენარეულობის (მდინარისპირა ტყე, ნათელი ტყე, ჯაგ-ეკლოვანი ბუჩქნარი, სტეპი და სხვ.) ფრაგმენტები.

Თ. ბ. ბ-ს საქმიანი ურთიერთობა აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ბოტან. დაწესებულებასთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონაწილეობა ათასწლეულის თესლის ბანკის გრძელვადიან პროექტში. ამ პროექტის ფარგლებში ბაღში შექმნილია კავკ. თესლის რეგიონული ბანკი.

1876-იდან გამოდის Თ. ბ. ბ-ის სამეცნიერო შრომების კრებული.

მ. თავართქილაძე.

თბილისის ,,ბურევესტნიკის'' ხელბურთელთა გუნდი (1990-იდან – ,,შევარდენი''), შეიქმნა 1956. სსრკ-ის ორგზის ჩემპიონი (1962, 1964; სსრკ-ის პირველი ჩემპიონი ხელბურთში), სამგზის მეორე (1965–67), ოთხგზის მესამე პრიზიორი (1963, 1977, 1980–81), სსრკ-ის თასის ორგზის მფლობელი (1979–80). მონაწილეობდა ევრ. ჩემპიონთა თასის გათამაშებაში (1962, 1964). ,,ბურევესტნიკის'' შემადგენლობაში სსრკ-ის ჩემპიონები გახდნენ: თ. ანთაძე, ჯ. ცერცვაძე, ჯ. აბაიშვილი, ი. ფხაკაძე, ა. ექსეულიძე, ბ. კოპალეიშვილი, გ. მაჭავარიანი, ლ. კარტოზია, ა. რატიანიძე, ი. შენგელია, თ. ზარდალიშვილი, ჯ. ბაგრატიონი; უფროსი მწვრთნელი გ. შარაშიძე. მოგვიანებით გუნდის გამორჩეული ხელბურთელები იყვნენ თ. ჩხარტიშვილი, ჯ. მაგანია, ი. პარლაგაშვილი, ვ. არაქელოვი, ა. *ანპილოგოვი.*

თბილისის განძები, აღმოჩენილია თბილისში სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილზე და შედგება ქართული და უცხო სახელმწიფოთა მონეტებისაგან.

1. 1917 თბილისში, ბოტან. ბაღთან მდებარე მაჰმადიანთა სასაფლაოზე, აღმოჩნდა ქართ. და ილდეღიზიდური მონეტების განძი, რ-იც შედგებოდა გიორგი III-ის, თამარ მეფის, *გიორგი IV* ლაშას სახელით მოჭრილი და სინქრონული ილდეღიზიდური მონეტებისაგან. მონეტები გაიფანტა.

2. 1935 თბილისის ძვ. უბანში – კრწანისში – აღმოაჩინეს ქართ. და უცხ. სპილენძის მონეტების განძი (1319 მონეტა). მის შემადგენლობაში იყო: 1 ც. *გიორგი III-ის,* 1312 ც. *რუსუდანის,* 1 ც. ჯალალედინის, 1 ც. ბიზანტ. იმპ. ანასტასიოს I-ის (491–518), 1 ც. ალექსი I კომნენოსის (1081–1118), 3 ც. ილდეღიზიდი ათაბაგის აბუ ბაქრის (1195–1210) სახელით მოჭრილი მონეტები. განძი ჩაფლული უნდა იყოს XIII ს. 30-იან წლებში.

3. 1936 თბილისში, ავლაბარში, აღმოჩნდა ქართული და ილდეღიზიდური სპილენძის მონეტების განძი, რ-იც შედგებოდა თამარისა და დავით სოსლანის მიერ ქრონიკონს 420 (1200) მოჭრილი (4 ც.), გიორგი IV ლაშას მიერ ,,ჯავახთუფლის'' ტიტულით მოჭრილი (1 ც.), რუსუდანის მიერ ქრონიკონს 447 (1227) მოჭრილი, რუმის სელჩუკიანი სულთნის ქეიქაუსის (1210–19) სახელით მოჭრილი (1 ც.), ილდეღიზიდ უზბეკის (1210–25) სახელით მოჭრილი (1 ც.) მონეტებისაგან. განძი ჩაფლულია XIII ს. 20-იან წლებში.

4. 1937 თბილისში, ორბელიანების კუნძულზე, აღმოაჩინეს სპილენძის მონეტების განძი, რ-იც თიხის ჭურჭელში იყო მოთავსებული. განძი გაიფანტა. შემორჩენილია გიორგი III-ის სახელით მოჭრილი მონეტა და 1226 წ. ქართ. მონეტებიდან გადაჭედილი ჯალალედინის მონეტა.

ლიტ.: ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი თ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1965; Ж а л а г а н и я И. Л., Иноземная монета в денежном обращении Грузии V–XIII вв., Тб., 1979.

გ. დუნდუა.

თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორია, დაარსდა 1836 რუსეთის მეცნ. აკადემიის წევრის ა. კუპფერის ინიციატივით და კავკ. მთავარმმართველის გ. *როზენის* აქტ. მხარდაჭერით. სისტემ. დაკვირვებები დაიწყო 1844. 1867-მდე ეწოდებოდა თბილ. მაგნიტურ-მეტეოროლ. ობსერვატორია, 1867-იდან – კავკ. მთავარი ფიზ. ობსერვატორია, 1926–53 – თბილ. გეოფიზ. ობსერვატორია. 1953 Თ. გ. ო-ისა და საქართვ. ჰიდრომეტსამსახურის სამმართველოს სინოპტიკური განყ-ბის ბაზაზე შეიქმნა თბილ. (შემდეგ ამიერკავკ.) სამეცნ.-კვლ. ჰიდრომეტეოროლ. ინ-ტი.

Თ. გ. ო. შედის რუსეთში XIX ს. 30-იან წლებში დაარსებული მაგნ.-მეტეოროლ. ობსერვატორიების ხუთეულში. იგი ერთ-ერთი უძველესი სამეცნ. დაწესებულებაა კავკასიაში, სადაც საფუძველი ჩაეყარა სამეცნ.-კვლ. მუშაობას მეტეოროლოგიასა და დედამიწის მაგნეტიზმში. ყოველდღიური დაკვირვებების გარდა, ობსერვ. ხელმძღვანელობდა მეტეოროლ. და სეისმური ქსელის ორგანიზებას მთელ კავკასიაში.

Თ. გ. ო. დაარსდა თბილ. კლასიკური გიმნაზიის ბაზაზე. ობსერვატორიას თავიდან სათავეში ედგა გიმნაზიის უფრ. მასწავლებელი ი. შესტაკოვი, ყოველსაათობრივ მეტეოროლ. დაკვირვებას კი აწარმოებდა გიმნაზიის მოსწავლე, მომავალი პოეტი, ნ. ბარათაშვილი. პირველ ხანებში ობსერვ. განთავსებული იყო სოლოლაკის ქედზე. 1844–51 დაკვირვება მიმდინარეობდა მთაწმინდის ძირში (ზ. დ. 468 *მ*), ახლანდ. გერგეტის ქუჩაზე, 1851–61 – ავლაბარში, ახლანდ. ობსერვატორიისა და მარტყოფის ქუჩების კუთხეში არსებულ შენობაში. 1861 ქალაქის განაპირას (ზ. დ. 403 *მ*), ახლანდ.



თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორია.

დავით აღმაშენებლის გამზირზე, აიგო სპეც. შენობა, რ-ის აშენების ინიციატორი იყო ცნობილი ასტრონომი, წარმოშობით გერმანელი ა. მორიცი. 1899 ობსერვატორიასთან შეიქმნა სეისმური სადგური. 1900 აქ, რუს. იმპერიაში პირველად, გამოიცა სეისმური ბიულეტენი (რუს. და გერმ. ენებზე). დაკვირვებათა შედეგები თავდაპირველად ქვეყნდებოდა სამთო უწყების სამმართველოს მაგნ. და მეტეოროლ. დაკვირვებათა კრებულებში, შემდეგ კი მასალებს აქვეყნებდა მთავარი ფიზ. ობსერვატორია (სანქტ-პეტერბურგი). სეისმურ დაკვირვებათა შედეგები გამოიცემოდა ბიულეტენების სახით. XIX ს. 80-იანი წლებიდან ობსერვატორიაში სისტემ. ხასიათი მიიღო გრავიმეტრიულმა კვლევებმა. 1909 თბილ. ობსერვატორიაში შეიქმნა გრავიმეტრიული პუნქტი, რ-იც დაუკავშირდა მსოფლიოს ძირითად საყრდენ პუნქტს ქ. პოტსდამში (გერმანია). თბილისში ელექტრიფიცირებული ტრანსპ. ამუშავების გამო ობსერვატორიაში წარმოებული მაგნ. დაკვირვებები 1904 გადაიტანეს სოფ. კარსანში (მცხეთის მუნიციპალიტეტი), 1935-იდან კი – დუშეთში (იხ. *დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორია*).

ობსერვატორიას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ი. შესტაკოვი, ა. ფილადელფინი, ვ. ჰ. *აბიხი*, ა. მორიცი, ი. მილბერგი, ს. გლასეკი, ა. მ. *ბენაშვილი*, ა. ი. *დიდებულიძე*, *რ. ხუციშვილი*, მ. *ნოდია*, *კ. სულაქველიძე*, გ. ჩიჩუა, ი. ცუცქირიძე.

ობსერვატორიაში მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები: ნ. *მუსხელიშვილი*, ი. *ვეკუა*, ე. *ხარაძე*, თ. *დავითაია*, ბ. *ბალავაძე*, გ. *თვალთვაძე*, ს. ფალავა და სხვები.

ლიტ.: მ ა ნ ი ა მ., თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორია. ისტორია და არქიტექტურა, თბ., 2010; თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი შრომათა კრებული, თბ., 1997.

ბ. ბალავაძე. შ. ჯავახიშვილი.

თბილისის გერმანელთა საკრებულო, თბილისის გერმანელ კოლონისტთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია. დაარსდა 1852 წ. 1 იანვარს, საკრებულოს ხელმძღვანელობდნენ მამასახლისები, რ-თაც ყოველწლიურად ირჩევდნენ ფარული კენჭისყრით. საზ-ბა თავისი წევრებისათვის აწყობდა სხვადასხვა სახის საღამოებს, მეჯლისებს. საზეიმო შეხვედრები იმართებოდა მხოლოდ გერმ. დღესასწაულებთან – გერმ. ისტ. ღირსშესანიშნავ თარიღთან, გერმ. საიმპერატორო გვარის წევრების ან რომელიმე გერმ. მოღვაწის დაბადების დღესთან დაკავშირებით.

თბილისის გრენადერთა მე-15 პოლკი, რუსეთის იმპერიის არმიის ერთ-ერთი ძველი სამხედრო ნაწილი. დაარსდა 1726 კურინსკის (მტკვრის უცხ. სახელწოდებიდან: კურა – მტკვარი) ქვეითი პოლკის სახელწოდებით. 1784 ეწოდა თბილ. ქვეითი პოლკი, 1856 – თბილ. გრენადერთა პოლკი. 1858-იდან ატარებდა დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის სახელს, 1864-იდან კი ეწოდა მე-15 პოლკი. ამ სამხ. ნაწილის ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი რუსეთ-ირანისა (1826–28) და რუსეთ-ოსმალეთის (1828–29, 1877–78) ომებში. პოლკის ნაწილი მონაწილეობდა კავკასიის (1817–64) ომში. საერთოდ პოლკს და, კერძოდ, მის ცალკეულ ბატალიონებს ბევრჯერ ებოძა წმ. გიორგის დროშები და სამხ. წარჩინების სხვა ნიშნები.

ლიტ.: Хроника Русской императорской армии. Сост. по Высочайшему повелению, ч. 6, СПб., 1852; Хроника кавказских войск, в двух частях. Сост. ген.-майор в отставке А. Л. Гизетти, под ред. ген.-лейт. Чернявского, Тфл., 1896. *ო. ჟორდანია.*

თბილისის გუბერნია, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუსეთის იმპერიაში. შეიქმნა 1846 წ. 14 დეკემბერს. თ. გ. დაყოფილი იყო თბილისის, გორის, სიღნაღის, თელავის და ელიზავეტპოლის მაზრებად. ამას გარდა თ. გ-ის შემადგენლობაში შედიოდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის, გორისა და ოსეთის ოკრუგები.

1858 წ. 19 ივნისს თ. გ-ს ჩამოაშორეს ოსეთის ოკრუგში შემავალი ნარის უბანი (ისტ. *დვალეთი*) და იგი კავკასიის ხაზის მარცხ. ფრთას გადასცეს, რ-იც შემდეგში თერგის ოლქის შემადგენლობაში შევიდა.

1864 რუს. ადმინისტრაციამ დანერგა საქართველოს ადმ.-ტერიტ. დაყოფის ისეთი სისტემა, რ-იც რუს. იმპერიის შიდა გუბერნიებისათვის იყო დამახასიათებელი. 1864 წ. 15 სექტემბერს იმპერატორმა დაამტკიცა წესდება თ. გ-ის სასოფლო თემებად დაყოფის შესახებ. 1865 წ. 11 აპრილს კავკ. მეფისნაცვალმა თ. გ-ში სასოფლო თემების შექმნის წესდება გამოაცხადა. გამოქვეყნდა სასოფლო თემების სია.

კაპიტალ. ურთიერთობის განვითარებამ, როგორც რუს. იმპერიის ცენტრ. გუბერნიებში, ასევე საქართველოშიც განაპირობა რეფორმების ჩატარება.

1867 წ. 9 დეკემბერს გამოქვეყნდა უმაღლესი დებულება კავკ. და ამიერკავკ. მმართველობის შეცვლის შესახებ, რ-ითაც მთელი ამიერკავკ. და, კერძოდ, თ. გ-ის ახ. ადმ.-ტერიტ. დაყოფის სისტემა დამტკიცდა.

თ. გ. ექვს მაზრად დაიყო: ახალციხის, გორის, დუშეთის, სიღნაღის, თელავის და თბილისის. აქ ჩამოთვლილი ექვსი მაზრიდან ოთხი – თბილისის, გორის, თელავისა და სიღნაღის – 1867 წ. 9 დეკემბერის დებულებამდეც არსებობდა. თ. გ-ის შემადგენლობაში (ამავე დებულებით) ქუთაისის გუბერნიას ჩამოაცილეს და თ.

ბ-ს გადასცეს *ახალციხის მაზრა,* კვლავ აღადგინეს *დუშეთის მაზრა.* თ. ბ-ში, ადრე არსებული ლორე-თრიალეთის საპრისტავოს გარდა, კიდევ ერთი ახ. ადმ.-ტერიტ. ერთეული–ყარაიაზის საპრისტავო შეიქმნა. თ. ბ-ის შემადგენლობაში დარჩა აგრეთვე თიანეთის ოკრუგი და შირაქის საპრისტავო.

1867 წ. 9 დეკემბრიდან მაზრების უბნებად დაყოფა გაუქმდა. ამავე წლის დებულების საფუძველზე 1868 წ. 12 თებერვალს გამოიცა კავკ. მეფისნაცვლის ცირკულარი, რ-შიც აღნიშნული იყო, რომ დებულებით გათვალისწინებული ცვლილებანი 1868 წ. 19 თებერვალს განხორციელდებოდა. აღნიშნული ცირკულარი თ. ბ-ში კიდევ რამდენიმე კერძო ხასიათის ადმ.-ტერიტ. ცვლილებას ითვალისწინებდა. ახალციხის მაზრის შემადგენლობაში გამოიყო განსაკუთრებული საპრისტავო ახალქალაქის სახელწოდებით. იგი ყოფილი ახალქალაქის უბნის სოფლებისაგან შეიქმნა. თიანეთის ოკრუგი თიანეთის საპრისტავოდ გადაკეთდა და *თელავის მაზრას* შეუერთდა. ჩამოთვლილი ადმ.-ტერიტ. ცვლილებები ჩვენი ქვეყნის შემდგომი ეკონ. განვითარების შედეგი იყო.

თ. ბ-ის ასეთმა ადმ.-ტერიტ. დაყოფამ 1874-მდე იარსება.

1874 მომზადდა ახ. დებულება თ. ბ-ის მაზრებად დაყოფის შესახებ. ამავე წლის 3 ნოემბერს გამოქვეყნდა სახელმწ. საბჭოს დებულება, რ-ის მიხედვითაც თ. ბ-ის შემადგენლობაში ახალქალაქისა და თიანეთის მაზრები უნდა შექმნილიყო. *ახალქალაქის მაზრა* ყოფილი ახალქალაქის საპრისტავოსაგან შეიქმნა, *თიანეთის მაზრა* ყოფილი თიანეთის საპრისტავოსაგან ჩამოყალიბდა.

1880 წ. 6 მაისს თ. ბ-ის შემადგენლობაში კიდევ ერთი ახ. ადმ.-ტერიტ. ერთეული – *ბორჩალოს მაზრა* შექმნეს, რ-მაც ყოფილი ლორე-თრიალეთისა და ბორჩალოს საპრისტავოები მოიცვა.

ადმ. მმართველობის სიძნელეებმა მთავრობა აიძულა მაზრების უბნებად დაყოფის სისტემას კვლავ დაბრუნებოდა. 1888 წ. 10 აპრილს გამოქვეყნდა დებულება თ. ბ-ის მაზრების საპოლიციო უბნებად დაყოფის შესახებ (საპრისტავოები საპოლიციო უბნებად გადაკეთდა).

თ. ბ-ის ახ. ადმ.-ტერიტ. დაყოფა საბოლოო იყო და XIX ს. განმავლობაში არავითარი ცვლილება არ განუცდია.

XIX ს. დასასრულს აღმ. საქართველოს და, ნაწილობრივ, სამხრ.-დას. საქართველოს (სამცხე-ჯავახეთი) მომცველი მტკვრისა და მისი შენაკადების აუზში მდებარე და ყოვლის მხრით მთებითა და მდინარეებით შემოფარგლული თ. ბ., რ-ის შემადგენელი ნაწილები ურთიერთთან მჭიდრო ეკონ. კავშირში იმყოფებოდა, ერთ მთლიან, განუყოფელ ადმ.-ტერიტ. ერთეულს წარმოადგენდა. თ. ბ. გაუქმდა 1917. *ზ. ცინცაძე.*

„თბილისის დაპყრობის წიგნი“, ოსმალო ავტორის – გურჯიზადეს თხზულება. დაწერილია 1724. მასში აღწერილია 1723–24 ოსმალთაგან თბილისისა და, საერთოდ, ქართლის (გორის, ქსნის, ყარა-კალკანის ანუ არაგვის საერისთავოს, თრიალეთისა და სხვ.) დაპყრობის ისტორია, ატენისა და ცხინვალის ბრძოლები, შამშადილისა და ყაზახის დაპყრობა, ლეკებთან შეჯახება დიღომში. სტრატეგიული თვალსაზრისით დახასიათებულია თრიალეთი და საბარათიანო, გუჯარეთი და ქსნის საერისთავო. აქტ. მოქმედი პირები არიან: ვახტანგ VI, ბაქარი, იესე, კონსტანტინე II (მაჰმადყულიხანი), გივი ამილახვარი, არაგვისა და ქსნის ერისთავები; აღწერილია განჯისა და ერევნის ციხეთა დაპყრობა. ვრცლად არის წარმოდგენილი ოსმალთა წინააღმდეგ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების გაერთიანებული ძალით მოქმედების გეგმა (ხელმძღვ. მაჰმადყული-ხანი). თხზულება შინაარსით ფართოა და მასშტაბური, იგი გასათვალისწინებელი ძეგლია XVIII ს. I მეოთხედის ქართლისა და საერთოდ სამხრ. კავკასიის ხალხთა პოლიტ. ისტორიის მრავალი საკითხის გასარკვევად.

პუბლ.: გ უ რ ჯ ი ზ ა დ ე, თბილისის დაპყრობის წიგნი. თურქ. ტექსტი ქართ. თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1975.

ლიტ.: ს ვ ა ნ ი ძ ე მ., ატენის ბრძოლის ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისათვის თურქული წყაროების მიხედვით, კრ.: საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, [ტ.] 2, თბ., 1979; А б у л а д з е Ц. А., Османские «книги» о вторжении Турции в страны Восточного Закавказья в 1723–1724 гг., «Источниковедческие разыскания. 1982», Тб., 1985.

ც. აბულაძე.

თბილისის დარბაზობა 1490, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ ქართლის მეფე *კონსტანტინე II* კვლავ ცდილობდა შემოსეული მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოს ძალების გაერთიანებას. 1488–89, ქართლში იაყუბ-ყაენის შემოსევების დროს, მან დახმარებისათვის მიმართა სამცხის მთავარსა და კახეთის მეფეს, მაგრამ უარი მიიღო. 1490 თბილ. განთავისუფლებისა და ქართლიდან თურქმანების განდევნის შემდეგ კონსტანტინე II აპირებდა ბრძოლის დაწყებას კახეთის, იმერეთისა და სამცხის შემოსაერთებლად. მან მოიწვია დარბაზის სხდომა, რ-ზედაც დასვა საკითხი: ,,თუ რაჲ ჰყონ განდგომილებისათჳს ქუეყანათა და ვითარ მოაგონ კუალად მეფობასავე თჳსსა“. დარბაზმა ერთხმად ურჩია, რომ ხელი აეღო ამ ბრძოლაზე: ,,ვინაჲთგან მტკიცედ სდგან ერთგულებასა ზედა თჳსთა რჩეულთა მეფეთათა იმერნი და კახნი და კუალად ათაბაგისა სამცხელნი, ამისთჳს არა განგიზრახავთ ბრძოლასა, რამეთუ თუმცა მწე ვექმნეთ ერთსა, არღარა მოგვცემს მეორე ნებასა, არამედ ვაცადოთ ჟამი, უკეთუ კუალად აგოს ღმერთმან მეფობასავე შენსა“. დარბაზის ასეთი მოთხოვნა თუ რჩევა არსებული მდგომარეობის დაკანონებას ნიშნავდა. ამრიგად, დარბაზის გადაწყვეტილებით (1490) საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლა იურიდიულადაც გაფორმდა. 1491–92 ქართლის, კახეთისა და იმერეთის მეფეებმა და სამცხის მთავარმა ერთმანეთს შორის საზღვრები განაწესეს.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1967; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3–4, თბ., 1973–79.


ნ. ასათიანი.

თბილისის დასავლეთ ენათა და კულტურის ინსტიტუტი, იხ. *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.*

თბილისის დაცვა 1921, ერთკვირიანი (17–25 თებ.) ბრძოლები თბილისთან რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის დროს. ომის პირველ ეტაპზე (11–16 თებ., 1921) მოულოდნელი თავდასხმით რუს. ბოლშევიკურმა ჯარმა თავიდანვე დიდ უპირატესობას მიაღწია და მდ. ხრამზე ქართ. ჯარის დამარცხების შემდეგ გზა გაეხსნა დედაქალაქისაკენ. თბილისთან ბრძოლებში მცირერიცხოვანი ქართ. ჯარი (10 ათასამდე ხიშტი, 500 ხმალი, 46 ქვემეხი, 4 ჯავშანმატარებელი, რამდენიმე ჯავშანავ-

ტომობილი და თვითმფრინავი; მთავარსარდალი გენ. გ. *კვინიტაძე*) წინ ალუდგა სხვადასხვა შენაერთებით გაძლიერებულ რუსეთის მე-11 არმიას (დაახლ. 36 ათასი ხიშტი, 4,3 ათასი ხმალი, 196 ქვემეხი, 1065 ტყვიამფრქვევი, 7 ჯავშანმატარებელი, 3 ჯავშანავტომობილთა რაზმი, 4 ტანკი, 50 თვითმფრინავი, სომხ. კავალერიის ბრიგადა და 2 სომხ. ქვეითი პოლკი; მთავარსარდალი ა. ი. გეკერი). 16 თებერვალს ხრამზე კატასტროფული მარცხის შემდგომ ქართ. ჯარიდან მხოლოდ 700-მდე მებრძოლმა მიაღწია თბილისამდე. გ. კვინიტაძე ასე აფასებდა მდგომარეობას: ,,თბილისის ბედი გადაწყდა წითელ ხიდთან და ხრამზე ბრძოლებში. 16 თებერვალს მოწინააღმდეგეს თუნდაც მხოლოდ კავალერიით რომ განევითარებინა დევნა, ღამით მას დაუბრკოლებლად შეეძლო თბილისში შემოსვლა''. მიუხედავად ამისა, მთავარსარდალმა სწრაფი და ენერგიული ქმედებით შეძლო Თ. Დ-ის ორგანიზება. მან ფრონტის ხაზი სექტორებად დაყო: ა) მტკვრის მარცხ. ნაპირზე, ორხევის მონაკვეთზე დააჯგუფა გვარდიის დარჩენილი ნაწილები გენ. ა. ჯიჯიხიას სარდლობით; ბ) მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, ტაბახმელამდე, სოღანლულის ფრონტის უფროსად დანიშნა გამოცდილი გენ. გ. *მაზნიაშვილი*; გ) ტაბახმელიდან კოჯრამდე მონაკვეთი ჩააბარა გენ. ა. ანდრონიკაშვილს და აქ განალაგა სამხ. სკოლა. გ. კვინიტაძემ გამოიცნო მტრის შეტევის მთავარი მიმართულება და ძირითადი ძალები ფრონტის სოღანლულის მონაკვეთზე დააჯგუფა. გ. მაზნიაშვილის ხელქვეით აღმოჩნდა 2,5 ათასამდე ხიშტი, 5 ბატარეა – ჰაუბიცები და საარმიო არტილერიის მსუბუქი ქვემეხები, 1 ჯავშანმატარებელი და 2 ჯავშანავტომობილი. 18 თებერვალს, საღამოს, რუსეთის ჯარის ნაწილები სოღანლულთან გამოჩნდნენ. წინა წარმატებით გათამამებულმა მე-11 არმიის სარდლობამ შეცდომა დაუშვა – ღამით მოუმზადებლად შეუტია დაუზვერავ პოზიციებს. ქართ. ნაწილები მთელი ღამის განმავლობაში იგერიებდნენ მტერს, გამთენიისას კი ჯავშანავტომობილებით კონტრშეტევაზე გადავიდნენ და სასტიკი მარცხი აგემეს რუსებს (ხელთ იგდეს 1600 ტყვე), გაქცეულებს არტილერიით შეუტიეს და თვითმფრინავები დაადევნეს. მიუხედავად მარცხისა, მოწინააღმდეგემ დაუყოვნებლივ შეცვალა მიმართულება და 19 თებერვალს ტაბახმელაზე მიიტანა იერიში. მათ ვერ შეძლეს სამხ. სკოლის (სულ 160 იუნკერი და 350 ნაცვალი) ფრონტის გარღვევა (იხ. *კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლები 1921*).


19–20 თებერვალს ორხევის სექტორში საარტილერიო ორთაბრძოლა და უმნიშვნელო შეტაკებები მიმდინარეობდა. 21 თებერვალს მტერმა სცადა მარცხენა ფრთის შემოვლა. ქართველებმა კონტრიერიშით უპასუხეს. ქართ. სარდლობამ შექმნა მოიერიშე ჯგუფი 5 გვარდიული ბატალიონისა და ცხენოსანი ბრიგადისაგან გენ. ა. ჯიჯიხიას მეთაურობით და სოფ. ლილოდან შეტევაზე გადავიდა. ორხევიდან მტერს ფრონტალურად შეუტია გვარდიის ორმა ბატალიონმა. რუსები დამარცხდნენ და უკან დაიხიეს. ქართ. ჯარმა 10 *კმ*-ით წაიწია წინ, მაგრამ 23 თებერვალს, მარცხენა ფლანგზე რუსების ცხენოსანი დივიზიის გამოჩენის შემდეგ, ძვ. პოზიციებზე დაბრუნდა. 22 თებერვალს წითლების კავალერიამ მარჯვენა ფლანგიდან შემოუარა ფრონტს, დაიკავა მანგლისი და ზურგიდან დაემუქრა თბილისს. ქართველები იძულებული გახდნენ წყნეთამდე გაეგრძელებინათ ფრონტის ხაზი. 24 თებერვალს ფრონტი კიდევ უფრო გაგრძელდა: შეიქმნა ლილოს საბრძოლო უბანი, პოლკ. ნ. გედევანიშვილის მეთაურობით. მე-11 არმიას განუწყვეტლივ ემატებოდა დამხმარე ძალები და იმავე დღეს, ფრონტის ყველა უბანზე გადამწყვეტი საარტილერიო შეტევა წამოიწყო. ბაქოდან გადმოსროლილი წითელი კურსანტების აღმ. ბრიგადა უკვე სამხ. სკოლის მცირერიცხოვან მეომრებს დაუპირისპირდა, მაგრამ იუნკრებმა მრავალგზის უკუაქციეს მტერი ხიშტებით და მთელი დღის განმავლობაში ერთი ნაბიჯითაც არ დაიხიეს უკან. სოღანლულის ფრონტზე რუსებმა მაზნიაშვილის პოზიციები გაარღვიეს და 6 საათზე ე. წ. ტრიგონომეტრიულ პუნქტს დაეუფლნენ, მაგრამ ქართველებმა, უკანასკნელი რეზერვების ბრძოლაში ჩართვით, მტერი უკუაგდეს და სიმაღლე დაიბრუნეს. მტკვრის მარცხ. სანაპიროზე შეტევისას რუსებმა ბრძოლაში ჩააბეს 5 ჯავშანმატარებელი (1 ქართველებმა მწყობრიდან გამოიყვანეს), 3 ტანკი და ჯავშანავტომობილები.



თბილისის დაცვის სქემა. 1921 წლის 25 თებერვალი.

ტანკების დახმარებით ბოლშევიკებმა ორხევის სანგრები დაიკავეს, მაგრამ გვარდიის ნაწილებმა კონტრშეტევით აღადგინეს თავდაპირველი მდგომარეობა და მტერი პოზიციებიდან გარეკეს. ქართ. ჯარმა ფრონტის მთელ ხაზზე მოიგერია მე-11 არმიის შეტევები, მაგრამ ჯარის სიმცირის გამო გაშიშვლებულ ფლანგებზე მეტად სახიფათო მდგომარეობა შეიქმნა. წითლების კავალერიამ ორივე ფლანგიდან შემოუარა ფრონტს. განსაკუთრებით გართულდა მდგომარეობა ლილოს სექტორში. მტრის ცხენოსნებმა პოლკ. ნ. გედევანიშვილის მარცხენა ფლანგს შემოუარეს, მცირერიცხოვანმა ქართ. კავალერიამ სოფ. ნორიოსთან შეტაკებით სცადა მათი შეჩერება, მაგრამ წითლებმა დაიკავეს სოფლები მამკოდა, გლდანი და ბოლოს – ავჭალა. ქართველებმა ავჭალის სადგური დაიბრუნეს ჯავშანმატარებლისა და მოხალისეთა რაზმის დახმარებით. 25 თებერვლისათვის მდგომარეობა კრიტიკული იყო – ფრონტის ცალკეულ მონაკვეთზე, გარკვეული წარმატებების მიუხედავად, ამოიწურა უკანასკნელი რეზერვები. მე-11 არმია რამდენჯერმე აღემატებოდა ქალაქის დამცველთა რიგებს, ბრძოლის ველზე კი რუსების კავალერია დომინირებდა, რ-საც ადვილად შეეძლო მოწინააღმდეგის ალყაში მოქცევა. ასეთ ვითარებაში ბრძოლის გასაგრძელებლად და ჯარის გადასარჩენად მთავარსარდალმა მიიღო გადაწყვეტილება და თბილისიდან უკან დაიხია. ქალაქის დაცვის ერთკვირიანი გმირული ეპოპეა დასრულდა, 25 თებერვალს საქართვ. დედაქალაქი მე-11 არმიამ დაიკავა.

ლიტ.: მ ა ზ ნ ი ა შ ვ ი ლ ი გ., მოგო-



არქეოლოგიური გათხრები დედაციხეზე.

ნებანი. 1919–1925, თბ., 1937; კვიტაიშვილი ა., რუსეთ-საქართველოს ომი 1921 წელს, ჟურნ. «კავკასიონი», პარიზი, 1967; Квинитадзе Г. И., Мои воспоминания в годы независимости Грузии 1917–1921, Париж, 1985; Директивы командования фронтов Красной Армии (1917–1922 гг.), т. 3, М., 1974; Кадинцев А. Б., Интервенция и гражданская война в Закавказье, М., 1960.

მ. წურწუმია.

თბილისის დედაციხის (ნარიყალას) არქეოლოგიური გათხრები, სისტემატური არქეოლოგიური გათხრები დაიწყო 1966 შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით (გ. ლომთათიძე, ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, ლ. რჩეულიშვილი, რ. გვერდწითელი). ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ციხის ხელში ჩასაგდებად გამართული ბრძოლების შედეგად იგი მრავალგზის არის დანგრეული, დაზიანებული, აღდგენილი და გადაკეთებული. ამის გამო ზღუდეებისა და გოდოლების პერანგს ჭრელი აღნაგობა აქვს. გამოვლენილია შუა ფეოდ. ხანის მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკა (აღმოჩენილი ნაშთების უმეტესობა გვიანფეოდალურ ხანას ეკუთვნის), ქვათლილებით შემოსილი და უხვად მოჩუქურთმებული ტაძრის (შიდა ფართობი – 10,5 *მ* ×17,5 *მ*) ნაშთი, რ-იც XII–XIV სს-ში უნდა იყოს აგებული.

გამოვლინდა აგურის სხვა ნაგებობებიც, მ. შ. ერთი, შიგნიდან კარგად შელესილი, კერამ. მონაპოვრის მიხედვით რუსთაველის ხანისაა. აქვე აღმოჩნდა ჩუქურთმიანი ქვის ნატეხი, რ-იც დიდი ტაძრის დეტალებისაგან განსხვავდება და უფრო ადრინდელია. არქეოლოგების ვარაუდით დედაციხის შიგნით ადრევე არსებობდა საყდარი, რ-ის საძირკველზე შუა ფეოდ. ხანაში დიდი გუმბათიანი ტაძარი აუგიათ.

დედაციხეზე მრავალრიცხოვან საგანთა შორის ნაპოვნია მოუჭიქავი და ცისფრად მოჭიქული კრამიტი და შორენკეცები, მოჭიქული ჯამ-ჭურჭელი, ქაშანურისა და თეთრი თხელი ფაიფურის მდიდრული იმპორტ. ჯამ-ჭურჭელი, მინის მდიდრული ჭურჭელი (ნაწილობრივ იმპორტ.), ქალის ძვირფასი ფეხსაცმელი, თითო-ოროლა სამკაული, ქვისა (უფრო ძველი) და თუჯის (საარტილერიო) უამრავი სატყორცნი ბირთვი (მათი ნაწილი ციხისთვის ნასროლია, ნაწილი – ციხის მარაგის ნაშთია), თიხის ყალიონები, რკინის ხელსაწყოიარაღი, დიდი რაოდენობის ქართ. და უცხ. (მეტწილად სპილენძის) მონეტები, მოყოლებული რუსუდან მეფის დროიდან რუს. იმპ. ეკატერინემდე, ზოგი – უფრო ახალიც. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ,,მეფეთა საკადრისი‘‘, ძვირფასი ქაშანურისა და მინის სუფრის უნიკალური ჭურჭელი.

ლიტ.: ლომთათიძე გ., საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I–XIII სს. (არქეოლოგიური მასალების მიხედვით), თბ., 1971; ლომთათიძე გ., ტყეშელაშვილი ო., გძელიშვილი ი., პირველი არქეოლოგიური კამპანია თბილისის დედაციხეზე, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის XVI სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1966 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1977.

ე. გოგაძე.

თბილისის დენდროლოგიური პარკი, თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრება. 2006-მდე ეკუთვნოდა საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს. გაშენებულია თბილისის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე, 300 ჰა ფართობზე 1956–70 წლებში. პარკის გაშენების ინიციატორი იყო ი. ჩოდრიშვილი. აქ, მსოფლიო პარკმშენებლობის პრაქტიკაში პირველად, გამოიყენეს დიდ ფართობზე 15–20-წლიანი 1×1 *მ*-ზე მიწისგუნდიანი ხეები და ბუჩქები, რ-ებიც შემოიტანეს საქართვ. ყველა სატყეო მეურნეობიდან და კავკ. ბოტან. ბაღებიდან. პარკში მსოფლიოს ყველა გეოგრ. სარტყლის 700-ზე მეტი სახეობის მცენარეა, მ. შ. წიწვოვნებიდან: ჩვეულებრივი უთხოვარი, კავკასიური სოჭი, ორნაკვთიანი გინკგო, ატლასისა და ჰიმალაის კედარი, ბიჭვინთისა და ელდარის ფიჭვი, მარადმწვანე სეკვოია და გიგანტური სეკვოიადენდრონი, ზეთისხილის ხეები და სხვ.; ფოთოლმცვენებიდან: ქართ. მუხა და ქართ. ნეკერჩხალი, რცხილაფოთოლა ძელქვა, აღმოსავლური წიფელი, ხეტიტა (ლირიოდენდრონი), ქვამუხა და სხვ. პარკი მდიდარი იყო სამკურნალწამლო მცენარეებით. ფუნქციონირებდა სანერგე და სასათბურე მეურნეობა. ასრულებდა სამეცნ., სამეცნ.-სასწ. და კულტ.-საგანმან. ფუნქციას. პარკში, თბილ. ზღვის სანაპიროსთან, არსებობდა მეგობრობის ხეივანი, სადაც საპატიო სტუმრები, რ-თა შორის რამდენიმე კოსმონავტიც იყო, თავიანთი სახელობის ხის ნერგებს რგავდნენ.

90-იან წლებში პარკი გაჩანაგდა. თ. დ. პ-მა 2006 შეწყვიტა არსებობა, თბილ. ზღვის მიმდებარე ტერიტორია და თ. დ. პ.□ დაცული ტერიტორიების შემადგენლობიდან ამოიღეს. შესაბამისი ცვლილება ,,თბილისის ეროვნული პარკის‘‘ შესახებ კანონში პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა. მიღებული გადაწყვეტილებით, თბილ. ეროვნ. პარკის შემადგენლობაში აღარ იქნება თბილ. ზღვის სატყეო უბნის №1–6 კვარტალები (425,5 ჰა) და თ. დ. პ.□ (300 ჰა).□□ ეს ტერიტორიები ეკონ. და მდგრადი განვითარების სამინისტროს განკარგულებაში გადავიდა. 2011 წ. დეკემბრიდან თ. დ. პ. გადაეცა თბილ. მერიას.

გ. აბაშიძე.

თბილისის ,,დინამოს‘‘ კალათბურთელთა გუნდი, ვაჟ კალათბურთელთა გუნდი – თბილისის ,,დინამო‘‘ – შეიქმნა 1933 და



საბჭოთა კავშირის 1950 წლის ჩემპიონი თბილისის ,,დინამოს'' ოსტატ კალათბურთელთა გუნდი. სხედან (მარცხნიდან): ს. თორთლაძე, გ. რუხაძე, ლ. ინწკირველი, შ. ქორქაშვილი; დგანან (მარცხნიდან): გ. ავალიშვილი (მწვრთნელი), ო. ქორქია (გუნდის კაპიტანი), დ. გოძიაშვილი, ნ. ჯორჯიკია, ვ. ჟღენტი, ჯ. ნიჟარაძე.

თავიდანვე დაიმკვიდრა ადგილი სსრკ-ის საუკეთესო საკალათბურთო კლუბებს შორის. დინამოელთა ღირსებას ამ პერიოდში იცავდნენ: რ. მდივანი, შ. ყიასაშვილი, ვ. ციციშვილი, ლ. ფალავანდიშვილი, ა. წერეთელი, ვ. მდივანი და ა. კარპოვი.

მნიშვნელოვან წარმატებებს ,,დინამომ'' მიაღწია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც გუნდში მოვიდნენ წამყვანი მოთამაშეები, პოპულარული კალათბურთელები: ო. *ქორქია* და ნ. *ჯორჯიკია*. ამ წლებში გ. *ავალიშვილის* ხელმძღვანელობით თბილ. დინამოელები სამჯერ გახდნენ სსრკ-ის ჩემპიონები (1950, 1953, 1954). 1968 გუნდი ერთხელ კიდევ გახდა სსრკ-ის ჩემპიონი. საკავშ. ჩემპიონატების პარალელურად ,,დინამოს'' კალათბურთელები წარმატებით ასპარეზობდნენ სსრკ-ის თასის გათამაშებაშიც. მათ 4-ჯერ მოიპოვეს ეს საპატიო ჯილდო (1949, 1950, 1951, 1969).

თბილ. დინამოელებმა საკავშ. ჩემპიონატებზე (1947, 1960, 1961 და 1969) 4-ჯერ მოიპოვეს მე-2 ადგილი, ხოლო 1948, 1952, 1965, 1977 – მე-3 ადგილი. 1959 მათ გაიმარჯვეს სსრკ-ის ზამთრის პირველობაზე. თბილ. ,,დინამო'' იყო პირველი გუნდი, რ-იც 1950 გახდა სსრკ-ის ჩემპიონი და მოიგო თასი; 1960 იყო ევრ. ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალისტი, 1969 – ევრ. ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალისტი. 1962 თბილ. ,,დინამომ'' ჟენევაში ევრ. ჩემპიონთა თასი მოიპოვა, გუნდმა თანამიმდევრულად დაამარცხა რუმინეთის ,,კკა'' ბუქარესტსა (77:76) და თბილისში (82:77), თურქ. ,,დარუშაფაქი'' – სტამბოლსა (80:67) და თბილისში (84:48), მოსკ. ,,ცსკა'' – მოსკოვსა (75:71) და თბილისში (77:66), ხოლო ფინალში – მადრიდის ,,რეალი'' (90:83). გუნდის ღირსებას იცავდნენ: გ. *მინაშვილი*, რ. *გოგელია*, ვ. ალთაბაევი, ლ. *მოსეშვილი*, ა. *ლეჟავა*, ა. *სხიერელი*, ი. *ხაზარაძე*, ვ. *უგრეხელიძე*, ა. *კილაძე*, ლ. *ინწკირველი*, ა. პეტროვი (მწვრთნელი – ო. ქორქია).



ევროპის 1962 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი ,,დინამოს'' ოსტატ კალათბურთელთა გუნდი. სხედან (მარცხნიდან): ა. კილაძე, გ. მინაშვილი, ი. ხაზარაძე, ლ. ინწკრივველი; დგანან (მარცხნიდან): რ. გოგელია, ა. სხირელი, ო. ქორქია (მწრთნელი), ვ. ალთაბაევი, ლ. მოსეშვილი, უ. ჯონსი (,,ფიბას'' გენერალური მდივანი), ვ. უგრეხელიძე, ა. ლეჟავა.

დინამოელი კალათბურთელები რეგულარულად შეჰყავდათ სსრკ-ის ნაკრების შემადგენლობაში. თითქმის ათი წლის განმავლობაში ნაკრების კაპიტანი იყო ო. ქორქია. ნაკრებში თამაშობდნენ აგრეთვე: ნ. ჯორჯიკია, გ. მინაშვილი, ზ. *საკანდელიძე*, ვ. უგრეხელიძე, ლ. მოსეშვილი, ა. სხიერელი, ა. ლეჟავა, მ. ქორქია, ნ. *დერიუგინი*. ამ შემადგენლობამ ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევრ. ჩემპიონატებზე მოიპოვა 16 ოქროს, მრავალი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი. გუნდის წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით საბჭ. კავშირისა და საქართვ. დამს. მწვრთნელებს: გ. ავალიშვილს, შ. დიასამიძეს, ო. ქორქიას, ლ. ინწკირველს, ლ. მოსეშვილს, მ. *კეკელიძეს*, გ. მეუნარგიას.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თბილ. ,,დინამო'' მონაწილეობს ქვეყნის ჩემპიონატში. კლუბი გახდა საქართვ. პირველი ჩემპიონი (1991), კიდევ ორჯერ მოიპოვა საქართვ. სუპერლიგის ჩემპიონის ტიტული (2003; 2014) და დაეუფლა საქართვ. თასს (2004).

თბილისის ,,დინამოს'' ფეხბურთელთა გუნდი, შეიქმნა 1925. ჯერ კიდევ XX ს. 30-იან წლებში დინამოელებს, რ-ებიც ის-ის იყო



1964 წლის სსრკ ჩემპიონი თბილისის ,,დინამოს'' ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი. სხედან (მარცხნიდან): მ. მესხი, ნ. ლეჟავა, გ. პეტრიაშვილი, ვ. ბარქაია, ა. აფშევი, ს. კოტრიკაძე, ვ. ხუციშვილი, ი. დათუნაშვილი. დგანან (მარცხნიდან): გ. კაჩალინი (უფროსი მწვრთნელი), ბ. სიჭინავა, გ. ცხოვრებოვი, ვ. რეხვიაშვილი, გ. სიჭინავა, ჯ. ზეინკლიშვილი, ა. ღოღობერიძე (გუნდის უფროსი), მ. ხურცილავა, შ. იამანიძე (გუნდის კაპიტანი), ს. მეტრეველი, ა. კოტრიკაძე (მწვრთნელი).

ადგილს იმკვიდრებდნენ საკავშ. ასპარეზზე, მოსკოვის ერთ-ერთმა გაზეთმა ,,დიდი ურუგვაელები'' შეარქვა. თუ გავიხსენებთ, რომ ურუგვაის ნაკრებმა სწორედ იმ წლებში მოიპოვა მსოფლიოს პირველი ჩემპიონის ტიტული, ეს შედარება გუნდის შესაძლებლობის არცთუ ურიგო მიმანიშნებელია. ,,დინამოს'' გუნდი მუდამ გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი სტილით, შთაგონებული, იმპროვიზაციაზე აწყობილი თამაშით.

ქართ. ფეხბურთმა მრავალი შესანიშნავი მეკარე, მცველი და ნახევარმცველი შესძინა სპორტს, მაგრამ მისი მთავარი კოზირი მაინც შეტევის ხაზის ბრწყინვალე ოსტატები იყვნენ. სწორედ შეტევით, მეტოქის კარისკენ დაუცხრომელ სწრაფვით გამოიხატებოდა დინამოელთათვის ფეხბურთის არსი. მათი უმთავრესი იარაღი ყოველთვის იყო ფინტი, დრიბლინგი, ელვისებური გარღვევები. როდესაც საფეხბურთო მოდის კვალდაკვალ ბევრი გუნდი დაცვით სქემებზე გადაეწყო, თბილ. ,,დინამო'' კვლავინდებურად შემტევი ფეხბურთის ერთგული დარჩა. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ,,დინამოში'' გაჩნდა პირველად ე. წ. ,,მოხეტიალე ფორვარდი'' ბ. *პაიჭაძე*; არც ის იყო გასაკვირი, რომ თბილისელ თავდამსხმელებს სხვებზე უფრო ხშირად იწვევდნენ სსრკ-ის ნაკრებში. სპეც. ჯილდოებიდან სსრკ-ის საუკეთესო ბომბარდირის პრიზი დინამოელ ფეხბურთელებს ყველაზე ხშირად რგებიათ. სსრკ-ის ჩემპიონატებზე, სსრკ-ის თასზე და საერთაშ. ტურნირებზე მრავალწლიანმა წარმატებულმა გამოსვლებმა განაპირობა დინამოელთა აღიარება და მაღალი ავტორიტეტი, რამაც გუნდს სსრკ-ის ფეხბურთის ისტორიაში ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა. ,,დინამო'' ქართ. ფეხბურთის ფლაგმანი იყო. იგი თავს უყრიდა ყოველივე საუკეთესოს, რაც კი ქართ. ფეხბურთს მოეპოვებოდა. სწორედ ეს მემკვიდრეობითობა, ძირეული კავშირი ეროვნ. ფეხბურთთან იყო საწინდარი სახელოვანი გუნდის წარმატებებისა. 1925 ,,დინამოს'' საზ-ბის საბჭოსთან ჩამოყალიბდა საფეხბურთო გუნდი, რ-ის ბირთვს შეადგენდნენ ახალგაზრდა ფეხბურთელები: ა. ჟორდანია, დ. ცომაია, ა. ფოჩხუა, მ. ბლანკმანი, ვ. ამბოკაძე, ა. გალპერინი. მალე საქართვ. სხვადასხვა კუთხიდან გუნდს შეემატნენ ფეხბურთელები: ნ. ანიკინი, ს. იოაკიმიდი, ი. პანინი და სხვ. ამავე დროს 1927 შექმნილ ,,ნორჩ დინამოელთა'' და ,,დინამოს'' საკლუბო გუნდებში კარიერას იწყებდნენ შემდგომში სახელგანთქმული ოსტატები: შ. შავგულიძე, ა. დოროხოვი, მ. მინაევი, მ. ბერძენიშვილი. თავდაპირველად ერთადერთი ოფიც. ტურნირი, რ-შიც ,,დინამო'' მონაწილეობდა, თბილ. პირველობა იყო. 1935, როდესაც საქართვ. საკლუბო ჩემპიონატს ჩაეყარა საფუძველი, ,,დინამომ'' უკვე სსრკ-ის პირველობაზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ასე რომ, საქართვ. ჩემპიონატები ,,დინამოს'' გარეშე ტარდებოდა. II მსოფლიო ომის წინა წლებში დინამოელი ფეხბურთელები რეგულარულად შედიოდნენ ქალაქის, საქართვ. და ამიერკავკ. ნაკრები გუნდების შემადგენლობაში. ამიერკავკ. ნაკრების ორივე ტურნირში (1926, 1935) მრავალი დინამოელი მონაწილეობდა – ა. ჟორდანია, შ. შავგულიძე, ვ. ამბოკაძე, ა. დოროხოვი, ი. პანინი, მ. ასლამაზოვი, მ. ბერძენიშვილი, გ. ჭუმბურიძე და სხვ. ამავე ნაკრების შემადგენლობაში შედგა დინამოელთა დებიუტი საკავშ. პირველობაზე (1931–35).



1976 წლის საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი თბილისის ,,დინამოს'' ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი. სხედან (მარცხნიდან): ვ. ქორიძე, დ. მუჯირი, თ. ესებუა, ვ. კოპალეიშვილი, რ. ჩელებაძე, ზ. წერეთელი, დ. გოგია, გ. მაჩაიძე. დგანან (მარცხნიდან): ნ. ახალკაცი (უფროსი მწვრთნელი), ნ. ძიაშიპა, შ. ხინჩაგაშვილი, დ. ყიფიანი, ნ. ხიზანიშვილი, მ. მაჩაიძე. ფ. კანთელაძე, ა. ჩივაძე, ზ. ებრალიძე, ს. მეტრეველი, ზ. თელია (გუნდის ექიმი).

სსრკ-ის საკლუბო გუნდების პირველ ჩემპიონატზე (1936 გაზაფხული) თბილ. ,,დინამო'', როგორც დებიუტანტი, ,,ბ'' ჯგუფში ასპარეზობდა და პირველი ადგილი დაიკავა. ამის შემდეგ გუნდი უმაღლეს ლიგაში გადავიდა და უცვლელად მონაწილეობდა ჩემპიონატებში ნახევარ საუკუნეზე მეტხანს. ამ ხნის განმავლობაში ,,დინამო'' ორჯერ – 1964 და 1978 – გახდა სსრკ ჩემპიონი, ხუთჯერ – ვიცე-ჩემპიონი და ცამეტჯერ – მესამე პრიზიორი. არანაკლებ შთამბეჭდავია ,,დინამოს'' გამოსვლები სსრკ-ის თასის გათამაშებაში, ამ პრიზს გუნდი ორჯერ



1981 წლის ევროპის თასის მფლობელთა თასის მფლობელი თბილისის ,,დინამოს'' ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი. დიუსელდორფი. სხედან (მარცხნიდან): ზ. სვანაძე, თ. კოსტავა, რ. შენგელია, ნ. კაკილაშვილი, ვ. გუცაევი, გ. თავაძე, ვ. დარასელია; დგანან (მარცხნიდან): ნ. ახალკაცი (გუნდის უფროსი მწვრთნელი), ა. ჩივაძე (გუნდის კაპიტანი), ო. გაბელია, ნ. ხიზანიშვილი, დ. ყიფიანი, ა. ანდღულაძე, თ. სულაქველიძე, გ. ჭილაია, ვ. ჟვანია, კ. მჭედლიძე, ს. კუტივაძე (მწვრთნელი), ზ. თელია (გუნდის ექიმი).

– 1976 და 1979 დაეუფლა, ამის გარდა კიდევ ექვსჯერ გავიდა ფინალში. 60-იანი წლების ფეხბურთელებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მ. *მესხი* და ს. *მეტრეველი*.

დინამოელთაგან სსრკ-ის საუკეთესო ფეხბურთელებად აღიარებული იყვნენ: დ. *ყიფიანი* (1977), რ. *შენგელია* (1978, 1981) და ა. *ჩივაძე* (1980). ,,დინამოს'' 25 მოთამაშე სხვადასხვა დროს იცავდა სსრკ-ის ნაკრების ღირსებას. გუნდის საუკეთესო მიღწევად უნდა ჩაითვალოს 1981 წ. 13 მაისს დიუსელდორფში (გერმანია) ევრ. ქვეყნების თასის მფლობელთა თასის მოპოვება. ამ ტურნირში თბილ. დინამოელებმა თანამიმდევრობით დაამარცხეს: 1/16-ში ,,კასტორია'' (საბერძნეთი; 0:0, 2:0); 1/8-ში – ,,უოტერფორდი'' (ირლანდია; 1:0, 4:0); 1/4-ში – ,,ვესტჰეიმი'' (ინგლისი; 4:1, 0:1); 1/2-ში – ,,ფეიენოორდი'' (ნიდერლანდი; 3:0, 0:2), ხოლო ფინალში – ,,კარლ-ცეისი'' (გდრ) ანგარიშით 2:1. აღსანიშნავია, რომ მსგავს შედეგს საბჭ. გუნდებიდან მხოლოდ კიევის ,,დინამომ'' მიაღწია.

ზემოთ ჩამოთვლილ წარმატებებში ფეხბურთელებთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვით ,,დინამოს'' მწვრთნელებს. გუნდს სხვადასხვა პერიოდში ხელმძღვანელობდნენ: ჟ. ლიმბეკი, ა. ჟორდანია, მ. ბუტუსოვი, მ. *იაკუშინი*, გ. *კაჩალინი*, მ. ბერძენიშვილი, ა. სოკოლოვი, ბ. პაიჭაძე, ა. *ღოლობერიძე*, გ. *ჯეჯელავა*, გ. *ჩოხელი*, გ. ნოდია, ი. ბოსკამპი, ი. შუშაკი, ნ. *ახალკაცი*, დ. *ყიფიანი*, რ. *ძოძუაშვილი*, მ. *ხურცილავა* და სხვ.

მას შემდეგ, რაც საქართვ. ფეხბურთის ფედერაციის 1990 წ. თებ. გადაწყვეტილებით, საქართვ. გუნდები სსრკ-ის ჩემპიონატებში აღარ მონაწილეობდნენ, თბილ. ,,დინამო'' საქართვ. ჩემპიონატში ასპარეზობდა. 90-იან წლებში ,,დინამო'' იყო გამოკვეთილი ლიდერი – ზედიზედ ათჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი (1990–99), შემდგომ ხუთჯერ (2003, 2005, 2008, 2013, 2014); ცხრაჯერ საქართვ. თასის მფლობელი (1992–97; 2003–04; 2009, 2013, 2014); საქართვ. სუპერთასის ხუთგზის მფლობელი (1996–97; 1999, 2005, 2008). ევროტურნირებზე გუნდმა ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია 1996-ში, როდესაც ტურნირზე სამი ეტაპი დაძლია (მწვრთნელი დ. ყიფიანი). 2004-ში თბილ. ,,დინამო'' დაეუფლა თანამეგობრობის თასს (მწვრთნელი ი. შუშაკი). ,,დინამოს'' ფეხბურთელები – კ. *კალაძე* და ლ. *კობიაშვილი* წარმატებით ასპარეზობდნენ ევროპის წამყვან საფეხბურთო კლუბებში. აღსანიშნავია შ. *არველაძე*, რ-იც ორი ქვეყნის ჩემპიონი (ჰოლანდია, 1998; შოტლანდია, 2003, 2005) გახდა. 2011-იდან გუნდის მფლობელია რ. ფიფია.

თბილისის ,,დინამოს'' ფეხბურთელთა გუნდი, შეიქმნა სპორტსაზოგადოება ,,დინამოსთან'' მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში (1938). გუნდი ათეული წლების განმავლობაში უძლიერესი იყო საქართველოში. ,,დინამოს'' რიგებში სხვადასხვა დროს გამოდიოდნენ ცნობილი ფეხბურთელები: ვ. გოიაშვილი, კ. ჭიჭინაძე, ვ. ბარტაიევი, კ. პოტაპოვი, გ. დარახველიძე, ი. ჩხიკვაძე, ჯ. წიკლაური, ბ. მეგედი, ზ. ჩაჩავა, ვ ისელიძე, დ. რურუა, ი. ნიჟარაძე და სხვ. სსრკ-ის ნაკრებში განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს დინამოელმა წყალბურთელებმა, ოლიმპიური თამაშების პრიზიორებმა: ნ. *გვახარიამ*, მ. *გიორგაძემ*, ლ. *გოგოლაძემ*, ო. *მიმინოშვილმა*, პ. მშვენიერაძემ, გ. ჩიქვანიამ. ,,დინამოს'' წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მწვრთნელებმა: ა. გილდმა, რ. ჩაჩავამ, ნ. გვახარიამ, ვ. სანაძემ. მათი ხელმძღვანელობით სხვადასხვა დროს გუნდმა 5-ჯერ მოიპოვა საპრიზო ადგილი სსრკ-ის ხალხთა სპარტაკიადაში. 1992 წლისთვის გუნდმა არსებობა შეწყვიტა.

თბილისის დრო, მესამე სასაათო ზოლის შუა მერიდიანის საშუალო დეკრეტული დრო. ამ ზოლში მო-



თბილისის ,,დინამოს'' წყალბურთელთა გუნდი. პირველ რიგში (მარცხნიდან): ვ. რომანოვი, გ. ჩიქვანაია, ნ. გვახარია (მწვრთნელი), ვ. სანაძე, ი. ჩხიკვაძე, ზ. ლომიძე; მეორე რიგში (მარცხნიდან): ო. მიმინოშვილი, ლ. გოგოლაძე, ჯ. წიკლაური, ბ. მარგიევი, ბ. მეგედი. 1963.

ქცეულია საქართვ. ტერიტორია და, კერძოდ, თბილისი. 2011-იდან Თ. Დ. 4 *სთ*-ით უსწრებს მსოფლიო დროს, XX–XXI სს. მიჯნაზე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დღის სინათლის ეფექტურად გამოყენებისა და ელექტროენერგიის ეკონომიის მიზნით გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში ხდებოდა საათის ისრის კიდევ ერთი საათით გადაწევა, რის გამოც მარტის თვის ბოლო კვირადღის 2 საათიდან ოქტომბრის თვის ბოლო კვირადღის 3 საათამდე Თ. Დ. 5 *სთ*-ით უსწრებდა მსოფლიო დროს. Თ. Დ-ით ხდება საქართვ. ეკონ.-კულტ. ცხოვრების რეგულირება.

თბილისის ეიალეთი (ვილაიეთი), ოსმალობის ხანის (1723–35) ქართლის სახელწოდება ოსმალურ წყაროებში.

ლიტ.: ა ბ უ ლ ა ძ ე ც., საქართველოსა და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების სახელწოდებანი ოსმალურ წერილობით ძეგლებში; საქართველოსა და ქართველის აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993.

თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა, იხ. *„ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“.*

თბილისის ეროვნული პარკი, შეიქმნა 1973. მოგვიანებით დაკარგა სტატუსი. აღდგა 2007 ყოფილი ეროვნული პარკის ნაწილის და საგურამოს ნაკრძალის ბაზაზე. ფართობი 23218,28 *ჰა*. პარკის ტერიტ. გეომორფოლოგიურად მრავალრიცხოვანი მთებით, ფერდობებით და ხევებით ძლიერ დასერილ რაიონს წარმოადგენს, მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრ. კალთების საგურამო-იალნოს ქედებსა და მათ განშტოებათა ფერდობებზე, რ-ებიც განედურად გადაჭიმულია მდ. მტკვრიდან მდ. იორამდე ზ. დ. 600 – 1700 *მ* სიმაღლეზე. უმაღლესი წერტილი ზ. დ. 1766 *მ*-ია. Თ. Ე. პ-ში ძირითად ნიადაგწარმომქმნელ ქანებად წარმოდგენილია კარბონატული ქვიშაქვები და კონგლომერატები, უკარბონატო თიხაფიქლები, ალუვიური ნაფენები. ნიადაგის გავრცელებული ტიპებია: მცირე, საშუალო, დიდი სისქის ტყის ყომრალი, ტყის ღია ყომრალი, ხირხატიანი, განვითარებული უკარბონატო ქვიშაქვებისა და თიხაფიქლების გამოფიტვის პროდუქტებზე; ტყის ყავისფერი, კარბონატული, მცირე სისქის მძიმე თიხნარი, ალაგ სუსტად ჩამორეცხილი, განვითარებული კარბონატულ ქვიშაქვებზე, კონგლომერატებზე და ქვაღორღიან ნაფენებზე.

ეროვნ. პარკის ტერიტ. მოქცეულია დიდი და მცირე ქედების განშტოებაზე. ხასიათდება რთული ოროგრაფიით, ზღვის დონიდან სიმაღლეთა ძლიერი ცვალებადობით, რაც გავლენას ახდენს კლიმ. პირობების ფორმირებაზე. Თ. Ე. პ. მოქცეულია ზომიერად ნოტიო ჰავის ზონაში, ცივი ზამთრით და ხანგრძლივი, თბილი ზაფხულით. ნალექები წლის განმავლობაში არათანაბარია: ნაკლებია ზამთარში, მეტია გაზაფხულზე. დამახასიათებელია ჩრდ.-აღმ-ის, ცალკეულ პერიოდში – სამხრ.-დას-ის ქარები. პარკის ტერიტორიაზე ჰიდროგრაფიულ ქსელს ძირითადად ქმნიან მდინარეები გლდანისხევი და თეზამი. კავკ. ტყის მცენარეული ოლქებისა და ვერტ. ზონალობის მიხედვით Თ. Ე. პ-ის კორომები აღმ. საქართველოს ტყიან ნაწილში შედის. პარკის ტერიტ. მოიცავს საგურამო-იალნოს და საბადურის საშუალო მთიან განედურ ქედებსა და მათ შორის მდებარე თეზამის, გლდანისხევის, თრანულის და ივრის ხეობებს. პარკის მრავალფეროვანი ფაუნა წარმოდგენილია 675 სახეობის ბალახოვანი და მერქნიანი მცენარეული საფრით. ნათელი ტყეების სარტყელი ზ. დ. 600 *მ*-მდე, წარმოდგენილია ღვიების, ძძვისა და სხვა დაბალტანიანი ხეებისა და ბუჩქებისაგან. 600 *მ*-იდან ხეების სარტყელი წარმოდგენილია მუხის, მინდვრის ნეკერჩხლის, ჯაგრცხილის, იფნის, რცხილისა და სხვ. სახით 1000–1600 *მ* ტყეში გავრცელებულია ნეკერჩხალი, აღმოსავლეთის წიფელი, იფანი, ქვეტყეში გვხვდება კუნელი, შინდი, ზღმარტლი, თრიმლი, წივანა, ტყის თაგვისარა, კრაზანა, ჩვეულებრივი თავშავა და სხვ. პარკში ხელოვნურადაა გაშენებული ფიჭვნარები და უნიკალური უთხოვრის კორომები. პარკში ტყეებს ვერტ. ზონალობა ახასიათებთ, ასევე გავრცელებულია მესამეული პერიოდის კოლხური ფლორის წარმომადგენლები: კოლხური ჭყორი, კოლხური და პასტუხოვის სურო, აღმოსავლეთის ძახველი, თაგვისარა, უთხოვარი, კავკასიური დეკა, წყავი და სხვ.

Თ. Ე. პ-ში ძუძუმწოვრებიდან გავრცელებულია: მელა, მგელი, ირემი, კურდღელი, ტყის კვერნა და სინდიოფალა, იშვიათად – ფოცხვერი და მურა დათვი, ფრინველებიდან გვხვდება ჩხიკვი, შაშვი და რამდენიმე სახის კოდალა, მიმინო, ბეგობის არწივი, დიდი მყივანი არწივი და ქორცქვიტა. მდ. თეზამზე გავრცელებულია მურწა, წინა კავკ. გველანა, ნაფოტა, ამიერკავკ. გველანა. პარკის ტერიტორიაზე გვხვდება ქვეწარმავალთა 12 სახეობა: ბერძნ. კუ, ბოხმეჭა, გველხოკერა, ზოლებიანი ხვლიკი, მდელოს ხვლიკი, საშუალო ხვლიკი, კავკ. ჯოჯო, ჩვეულებრივი ანკარა, წითელმუცელა მცურავი, ფერადი მცურავი, კატის გველი, სპილენძა.

რ. ჯაფარიძე.

თბილისის ვაჭთა პირველი გიმნაზია, იხ. *თბილისის პირველი გიმნაზია.*

„თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ („Defteri Mufassali Vilayeti Tiflis“), ქართლის სამეფოს აღწერის დავთარი, შედგენილი 1728 ოსმალო მოხელეების მიერ ფისკალური მიზნით. „დავთარში“, რ-იც წარმოდგენილია ორ წიგნად, აღნუსხულია 1600-მდე ერთეული. ორივე იწყება აღწერილი სოფლების სახელთა სარჩევით. წიგნი I მოიცავს გორის ყაზას დაქვემდებარებულ საციციანოს (34 სოფ.), პეტრეს (41 სოფ.), საამილახოროს (163 სოფ.), არაგვისა და ქსნის (52 სოფ.) ნაჰიეებს, მუხრანის ლივას (45 სოფ.), თრიალეთის ყაზას (83 სოფ.), გომარეთს (17 სოფ.), გუჯარეთს (16 სოფ.), ყაიყულის (51 სოფ.), ავლაბრის (12 სოფ.) ნაჰიეებს; წიგნი II – საბარათიანოს (524 სოფ.), ბაიდრის (56 სოფ.), დემირჩი ჰასანლის (80 სოფ.) ნაჰიეებს, სომხითის ლივის (132 სოფ.), ტაშირის (47 სოფ.) და ფანბაკის ნაჰიეებს (91 სოფ.), აღჯაყალას ლივას (64 სოფ.), ინჯას (56 სოფ.), ჩოვდარის (64 სოფ.), აღსთა აბადის (76 სოფ.), თურქეთის (34 სოფ.) ნაჰიეებს. საძიებელს მოჰყვება ძირითადი ტექსტი – სოფლების და სხვა საგადასახადო პუნქტების სახელები, გადასახადის გადამხდელთა და კომლის უფროსთა საკუთარი და მამის სახელები, იშვიათად აღნიშნულია მათი ხელობა-საქმიანობა. ჩამოთვლილია სოფლის მეურნეობის პროდუქტები, გადასახადის სახეობები, მათი რაოდენობა და ღირებულება. აღნიშნულია შეწერილი გადასახადის ფულადი რაოდენობა. „დავთარი“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკუთრივ თბილისის ისტ. გეოგრაფიის, ონომასტიკის, ეკონ., დემოგრაფიის, კონფესიისა და საქალაქო ყოფის

შესასწავლად. ქალაქი აღწერილია უბნებისა (ციხის რაბათი, თოფხანე, დაბაღხანე და ა. შ.) და სამრევლოების (სიონი, ანჩისხატი, ვანქი, ფეთხაინი და სხვ.) მიხედვით. თანაბრად განვითარებული ჩანს ვაჭრობა, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. აღნიშნულია მოხელეთა (მ. შ. ოსმალების) საქმიანობა და გასამრჯელოს რაოდენობა. ,,დავთარი'' ოსმალობის ხანის (1723–35) ქართლის სოც. ვითარების, ეკონ., ტოპონიმიკის, ეთნ. შედგენილობისა, კონფესიური ვითარებისა და სხვათა შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა.

ტექსტ.: Тифлис Əjалетинин Муфəссəл Дəфтəри (Борчалы вə Газах, Кириш, терчумə вə гəjдəрин муəллифи Шаһин Мустафајев), Бакы, 2001; 1728 წლის თბილისის ვილაᲐეთის დიდი დავთარი. ოსმალური ტექსტის ფაქსიმილე ქართული თარგმანით გამოსცეს ს. ჯიქიამ და ნ. შენგელიამ, წგ. 1–2, თბ., 2009–10.

ც. აბულაძე.

თბილისის ზარაფხანა, სახელმწიფო სახელოსნო, სადაც მონეტები იჭრებოდა. 1678 საბუთის მიხედვით, ზარაფხანა და მისი უბანი მდებარეობდა კალაში – თათრის მოედნის ჩრდ.-დას-ით, სიონის ტაძრის მახლობლად.

თ. ზ-ის ადრ. ადგილმდებარეობა არაა ცნობილი. სავარაუდოა, რომ VI ს. დასასრულს იგი უკვე მოქმედებდა (იხ. *ქართველ მმართველთა სახელით მოჭრილი მონეტები).* რუსეთთან შეერთების შემდეგ თ. ზ. ფუნქციონირებდა 1804 წ. 15 სექტემბრიდან 1834 წ. 13 თებერვლამდე და როსტომ მეფის სასახლის ტერიტორიაზე მდებარეობდა. თ. ზ-ის გახსნასთან დაკავშირებით მოიჭრა ოქროსა და ვერცხლის მედლები. მონეტებზე თ. ზ-ის სახელი პირველად აღინიშნა არაბულ დირჰემზე, რ-იც ჰიჯრით 85 წ. (704) მოიჭრა, უკანასკნელად კი – 1833 გამოშვებულ ქართ. თეთრზე. ამ ქრონოლ. შუალედში ზარაფხანაში ქართვ. მეფეთა და აგრეთვე უცხ. მმართველთა სახელით იჭრებოდა სპილენძის, ვერცხლის და, უფრო იშვიათად, ოქროს მონეტები, თუმცა ზარაფხანის სახელი ზედ ყოველთვის აღნიშნული არ არის.

ლიტ.: ბერძნიშვილი მ., თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ., 1965; კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1967.

გ. დუნდუა.

თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ანონიმური მონეტები, *თბილისის ზარაფხანაში* სხვადასხვა დროს ჭრიდნენ ვერცხლისა და სპილენძის უსახელო მონეტებს. პირველი ასეთი მონეტა, რ-ის ლეგენდაში ზარაფხანის სახელი აღნიშნული არ არის, VI ს. დასასრულს მიეკუთვნება. ესაა სასანური ტიპის ვერცხლის მონეტა, რ-ის ქართ. წარმომავლობას მიგვანიშნებს მონეტაზე ჯვრის გამოსახულება. შემდგომ წლებში თბილისში მოჭრილ უსახელო მონეტებზე ყოველთვისაა მითითებული ზარაფხანის სახელი. ასეთია ომაიანთა დროის არაბ. *დირჰემი,* დათარიღებული ჰიჯრით 85 (704), და აბასიანთა დროის არაბ. დირჰემი, დათარიღებული ჰიჯრით 210 წ. (825). თბილ. ზარაფხანაში ანონიმური მონეტების გამოშვება განახლდა მონღოლთა ბატონობის ხანაში. XIII ს-ში მოჭრეს რამდენიმე ტიპის უსახელო ვერცხლის მონეტა [ჰიჯრით 637 (1239/40), 642 (1244/45), 643 (1245/46), 660–678 (1261/62–1279/80)]. ამ მონეტების თავისებურება არის ის, რომ მათზე მოთავსებულ მუსლ. რელიგ. სიმბოლოში არ არის მაჰმადის სახელი. სინქრონულად ჭრიდნენ სპილენძის მონეტებსაც.

XVIII ს-ში აქვე უშვებდნენ ირანული ყაიდის უსახელო მონეტებს, რ-ებზეც სპარსულად არის აღნიშნული თბილ. ზარაფხანის სახელი და მოჭრის დრო. ჰიჯრით 1160–1213 (1752/53–1798/99) თბილ. ზარაფხანაში ჭრიდნენ სხვადასხვა ნომინალის ვერცხლის მონეტებს, რ-ებზეც სპარსულადაა დაწერილი მოჭრის ადგილი და დრო. ამ მონეტებს სირმა ვერცხლს ან სირმა აბაზიანსაც უწოდებენ.

1804–33 თბილ. ზარაფხანაში იჭრებოდა ანონიმური მონეტებიც, რ-ებზეც ქართულად წერია მოჭრის ადგილი და დრო, ხოლო რუსულად მომჭრელის ინიციალებია ამოკვეთილი.

ლიტ.: დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009.

გ. დუნდუა.

თბილისის ზონალური სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი (შპს), შედის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში. დაარსდა 1964. სეისმომედეგი მშენებლობის ხაზით იყო სსრკ-ში ,,სახსამოქალაქომშენის'' სისტემის სათავო ინ-ტი. 1998 ერქვა ტიპობრივი და ექსპერ. დაპროექტების თბილ. ზონალური სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. ჰქონდა ფილიალები ბათუმში, სოხუმსა და ქუთაისში. საქმიანობისა და სამეცნ. კვლევის ძირითადი მიმართულებები იყო: საცხოვრ. და საზ. შენობების დაპროექტება, ქალაქგეგმარება, სამოქალაქო შენობათა ტიპოლოგია, სეისმომედეგი მშენებლობა, სამშ. ფიზიკა, სამშ. კლიმატოლოგია, სამშ. თბოტექნიკა, აკუსტიკა და ხმაურისაგან დაცვა, ბუნებრივი და ხელოვნური განათება, შენობათა ატმ. ზემოქმედებისაგან დაცვა, შენობა-ნაგებობათა აღდგენა-გაძლიერება. თანამშრომელთა უმრავლესობას მიღებული აქვს სხვადასხვა პრემია და ჯილდოები. ინ-ტი გამოსცემდა სხვადასხვა დასახელების სამეცნ. შრომების კრებულებს არქიტექტურისა და მშენებლობის საკითხებზე.

თბილისის ზოოლოგიური პარკი, იხ. *ზოოლოგიური პარკი.*

თბილისის ზღვა, იხ. *თბილისის წყალსაცავი.*

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, შეიქმნა კ. ბენდუქიძის ინიციატივით 2007 წელს ორი უმაღლესი სასწავლებლის – ESM-თბილისისა და თბილისის აზიისა და აფრიკის ინ-ტის გაერთიანების შედეგად. 2007–12 თავისუფალ უნ-ტში გაიხსნა ოთხი სკოლა: სამართლის, კომპიუტერული მეცნიერებებისა და მათ., ფიზ. და მართვისა და საზ. მეცნ. სკოლები; აშენდა საუნივერსიტეტო შენობა და მთლიანად განახლდა სასწ. გარემო. თ. თ. უ. ზაფხულისა და ზამთრის პერიოდში მართავს მოკლევადიან სასწ.-სამეცნ. სემინარებს, ე. წ. ზაფხულის და ზამთრის სკოლებს, სადაც მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები და მკვლევრები ლექციებს კითხულობენ და ატარებენ მეცადინეობებს.

2013 წ. 1 იანვრისთვის თ. თ. უ-ში სწავლობდა 620 სტუდენტი, აქედან 540 – ბაკალავრიატში, 80



თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის შენობა.

– მაგისტრატურაში და 14 – დოქტორანტურაში. თ. თ. უ. დაამთავრა 1517 ადამიანმა, მუშაობს 82 პროფესორ-მასწავლებელი, საუნივერსიტეტო კომპლექსის ფართობი მოიცავს 5353 *კვ. მ*-ს, უნტის რექტორია გ. ჩიქოვანი. თ. თ. უ-ში მოქმედებს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და პროფ. განვითარების პროგრამები. თ. თ. უ-ს აქვს საქართვ. განათლებისა და მეცნ. სამინისტროს ინსტიტუციური აკრედიტაცია, CEEMAN-ის (Central and East European Management Development Association) პროგრამული აკრედიტაცია.

თავისუფალი უნ-ტის ბიზნესის სკოლა (ESM) შეიქმნა 1992, 2007 შევიდა თ. თ. უ-ის შემადგენლობაში. ბიზნესის სკოლას მიღებული აქვს ცენტრ. და აღმ. ევროპის მენეჯმენტის განვითარების ასოციაციის (CEEMAN) აკრედიტაცია. ბიზნესის სკოლის საბაკალავრო პროგრამა ამზადებს ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტებს ფინანსების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის კონცენტრაციით. ბიზნესის სკოლის სამაგისტრო პროგრამა ამზადებს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრებს. 2009 განახლდა სამაგისტრო პროგრამა, დაემატა ბიზნესის პრაქტიკუმი, რ-იც საშუალებას აძლევს სტუდენტს, თეორიაში მიღებული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკაში.

თავისუფალი უნ-ტის აზიისა და აფრიკის ინ-ტი, დაარსდა 1991 და 2007 შევიდა თ. თ. უ-ის ემადგენლობაში. დაარსების პირველივე წლებიდან ინ-ტი თანამშრომლობს აღმ. ქვეყნების, ევროპისა და აშშ-ის უნ-ტებთან. აზიისა და აფრიკის ინ-ტის საბაკალავრო პროგრამა ამზადებს საერთაშ. ურთიერთობების სპეციალისტებს, რ-ებიც სრულყოფილად შეისწავლიან ახლო და შორეული აღმოსავლეთის ენებს, ისტორიას, კულტურას, რელიგიას და ეკონომიკას.

თავისუფალი უნ-ტის სამართლის სკოლა შეიქმნა 2009. ამზადებს სამართალმცოდნეებს, რ-თაც ექნებათ საფუძვლიანი თეორ. ცოდნა და იურისტისთვის საჭირო პრაქტ. უნარ-ჩვევები. სკოლის პროგრამა მოიცავს როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის მიმართულებებს და ფოკუსირებულია კერძო (ბიზნეს) სამართალზე. თ. თ. უ-ს აქვს კონსტიტუციური სამართლის კლინიკა, ახ. პროექტი სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, გაეცნონ კონსტ. კონტროლის ყველა პრობლემას, კონტექსტში აღიქვან ამ პრობლემების არსი და ჩამოაყალიბონ პოზიცია მათი გადაწყვეტის უპირატესი გზების შესახებ.

თავისუფალი უნ-ტის კომპიუტერული მეცნიერებებისა და მათემატიკის სკოლა (Macs) შეიქმნა 2009, სტუდენტთა პირველი ნაკადი მიიღო 2010. სკოლა სტუდენტებს სთავაზობს საბაკალავრო პროგრამას კომპიუტერულ მეცნიერებებსა და მათემატიკაში და ყოველწლიურად იღებს 32 აბიტურიენტს.

თავისუფალი უნ-ტის ფიზიკის სკოლა სტუდენტებს სთავაზობს საბაკალავრო პროგრამას ფიზიკაში. იღებენ თეორ. ცოდნას ფიზ. ფუნდამენტურ მიმართულებებში, ატარებენ ექსპერიმენტებს თანამედროვე ლაბორატორიაში და აქტიურად არიან ჩართული კვლევით სამუშაოებში.

თავისუფალი უნ-ტის მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის კურსდამთავრებული იღებს საბაკალავრო განათლებას ჰუმანიტარულ საგნებში (ისტორია, ხელოვნება და ლიტერატურა), სოც. და პოლიტ. მეცნიერებებში (ფილოსოფია, ანთროპოლოგია, სოციოლოგია და ფსიქოლოგია), ითვისებს ბიზნესის, ეკონ. და სამართ. საწყისებს, დახელოვნდება პროექტების მართვასა და ადმინისტრირებაში.

სტუდენტი დამატებით ირჩევს ძირითადისგან განსხვავებულ სპეციალობას (კერძო და ბიზნესსამართალი, საერთაშ. და საჯარო სამართალი, მათემატიკა, პროგრამირება, ენები) და უნტის დამთავრების დროისათვის იღებს ორ ან მეტ დიპლომს, რაც კიდევ უფრო ზრდის ადამიანის წარმატების შანსს.

თ. თ. უ-ის სადოქტორო პროგრამა საშუალებას აძლევს მეცნიერს (დოქტორანტს) შეარჩიოს თანამშრომლობის ოპტიმალური ფორმა და ინდივიდუალური პროგრამა, რ-იც შედგება როგორც სასწავლო, ისე სამეცნ.-კვლ. კომპონენტებისგან, ინდივიდუალურია სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობაც და სწავლების მეთოდებიც.

თავისუფალ უნ-ტში მოქმედებს კონფუცის ინ-ტი, მისი ფუნქციებია: დაინტერესებულ პირებს შესთავაზოს სხვადასხვა მიმართულების ჩინური ენის კურსები ინოვაციური ტექნოლოგიების, მულტიმედიისა და ინტერნეტის გამოყენებით. 2011 თავისუფალ უნ-ტში შეიქმნა ბიზნესსამართლის ერთიანი ცენტრი, რ-იც ხელს უწყობს სტუდენტების, სამართლის პროფესორებისა და პრაქტიკოსი იურისტების განათლებას ბიზნესსამართლის სფეროში.

თბილისის თათბირი 1722, ივლის-აგვისტოში *ვახტანგ VI-ის მიერ* ქვეყნის საგარეო ორიენტაციის სტრატეგიული კურსის გადასაწყვეტად მოწვეული თათბირი. XVIII ს. I მეოთხედში სამი დიდი სახელმწიფოს – რუსეთის, ოსმალეთისა და სპარსეთის პოლიტ. და ეკონ. ინტერესები ერთმანეთს სამხრ. კავკასიაში შეეჯახა, სადაც ერთადერთ რეალურ სამხ.-პოლიტ. ძალას ქართლის სამეფო წარმოადგენდა. ამიტომ, სამივე დაპირისპირებული დიდი ხელისუფალი ვახტანგ VI-ს თავის მხარეზე გადმოსვლას მოუწოდებდა. ქართველ პატრიოტებს ერთმორწმუნე ძლიერი რუსეთის გამოჩენა კავკასიაში აღმ. დესპოტიების უღლისაგან გათავისუფლების პირობად ესახებოდათ. მომხიბლავი ჩანდა პეტრე I-ის განზრახვაც, რ-იც ოსმალეთის აგრესიის შესაჩერებლად და კასპიისპირეთისაკენ გზის გადასაჭრელად ვახტანგ VI-ის სკიპტრის ქვეშ ქართ.-სომხ. ბუფერული სახელმწიფოს შექმნას გეგმავდა, რაც, ფაქტობრივად, საოცნებო „ქრისტიანული კავკასიის“ აღდგენასაც ნიშნავდა. ჩანს, ამ გეგმის შესაბამისად, ვახტანგ VI უკვე 1719-იდან შეუდგა ქართ.-სომხ. ჯარის შექმნას და, საერთოდ, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალების კონსოლიდაციას მთელ სამხრ. კავკასიაში.

1722 წ. 15 ივნისს პეტრე I-მა სპარსეთში ლაშქრობის მანიფესტი გამოაქვეყნა, ივლისში კი პეტრე I-ის ელჩი, ბაადურ *თურქესტანიშვილი* ეწვია ვახტანგს კონკრ. ინსტრუქციებით. თითქმის იმავდროულად, ავღანთაგან შევიწროებული შაჰი ჰუსეინი ვახტანგ VI-ს უხმობდა დასახმარებლად, ხოლო ოსმალეთი მორჩილებას მოითხოვდა მისგან. ვახტანგ VI, თავის წინამორბედთა მსგავსად, წინდაწინვე იყო განწყობილი რუსეთის მფარველობის მოსაპოვებლად, მაგრამ ასეთ რთულ პოლიტ. სიტუაციაში ქვეყნის თავკაცებთან მოთათბირებისა და მათი დასტურის გა-

რეშე გადაწყვეტილების მიღება, როგორც ჩანს, მაინც არ სურდა. თბილისში შემდგარი ამ დიდმნიშვნელოვანი თათბირის შესახებ ცნობები მხოლოდ დავით გურამიშვილის „დავითიანშია“ დაცული. სათათბირო სხდომა თბილ. მეფის სასახლეში „ხელმწიფის კარის გარიგების“ მოთხოვნათა შესაბამისად შემდგარა: „შეკრბენ ქართველთ ბატონ-ყმანი, ერთად თავი მოიყარეს, დასხდენ რიგით, ივეზირეს, წინ წიგნები დაიყარეს“. ეს იმას ნიშნავდა, რომ თათბირის მონაწილეებს სახელმწ. არქივიდან ამოუღიათ რუსეთთან ქართველთა ადრეული კონტაქტების მაჩვენებელი საბუთები და მის საფუძველზე გაუმართავთ მსჯელობა. კამათი რუსეთის მხარეზე გამოსვლის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის საკმაოდ მწვავე და ხანგრძლივი გამოდგა. სომხ. წყაროების არაპირდაპირი მოწმობით, თათბირს უნდა დასწრებოდა აგრეთვე იმ დროს თბილისში მყოფი განძასარის სომეხთა კათოლიკოსი ესაი ჰასან ჯალალიანცი, რ-იც, ცნობილი სომეხი ისტორიკოსის ლეოს მტკიცებით, ყოველნაირად ცდილობდა ვახტანგი რუსეთის წინადადებაზე დაეყოლიებინა. რუსების მომხრეთა ანგარიშით, თუკი „ქრისტიან ხელმწიფის ხელდებულნი“ გახდებოდნენ, შესაძლოა არ „გაკეთებულიყვნენ“, მაგრამ არც არაფერს წააგებდნენ. ბევრად უფრო რეალისტური იყო მათი ოპონენტების არგუმენტები:

„არც ჩვენ ვსწუნობთ, კარგი არის,

თუ ეგ საქმე მალ მოხდების,

მაგრამ მტერნი შეგვიტყობენ, ყველა ჩვენზე წამოდგების,

ვინემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვხდების“.

(დ. გურამიშვილი)

თანამედროვეთა მოწმობით, ვახტანგ VI-ს იმდენად სჯეროდა პეტრე I-ის დაპირებებისა, რომ ოპონენტებმა ვერაფერი გააწყვეს.

ვახუშტის ცნობით, ვახტანგმა „განუტევნა ყოველნი (ე. ი. უკუაგდო ყველა სხვა მოტივი) და აღირჩია რუსთ მეფე“. *გ. მაისურაძე.*

„თბილისის თამბაქო“ (სააქციო საზოგადოება), თამბაქოს მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი საწარმო საქართველოში. დაარსდა 1998 თბილისში შპს „თამკოს“ ბაზაზე სახელწოდებით შპს „საქართველოს თამბაქოს წარმოება“ (GTM). 2011-იდან კომპანიამ რეორგანიზაციის შედეგად შეიცვალა სამართლებრივი ფორმა და ჩამოყალიბდა როგორც სააქციო საზ-ბა „თ. თ.“ 1998–2000 საწარმოში ჩატარდა სამშ.-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, დამონტაჟდა უცხ. წარმოების თამბაქოს გადამმუშავებელი და სიგარეტის მწარმოებელი მანქანა-დანადგარები. კომპანიის საწარმოო სიმძლავრეა 100 მლნ. ღერი სიგარეტი თვეში (31. XII. 2013 მონაცემებით). უშვებს მყარი შეფუთვის როგორც ფილტრიან, ისე უფილტრო სიგარეტს შემდეგი სასაქონლო ნიშნით: „პირველი ინტერნაციონალი“, „პირველი პრემიუმი“, „პირველი ნანო“, „პირველი სლიმი“, „მზე“ (უფილტრო), „სტარი“ (უფილტრო). მსოფლიოს წამყვანი მომწოდებლებისაგან შემოდის წარმოებისათვის საჭირო ნედლეული – უმაღლ. ხარისხის თამბაქოს ფოთლები (ბრაზილია, ვიეტნამი, ინდოეთი, ფილიპინები, ჩინეთი, ხორვატია და სხვ.) და დამხმარე მასალები (ავსტრია, ბულგარეთი, გერმანია, თურქეთი, იტალია და სხვ.). პროდუქციის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ ბაზარზე სადისტრიბუციო ქსელის მეშვეობით. „თ. თ-ს“ ურთიერთობა აქვს თამბაქოს მწარმოებელ მრავალ უცხ. კომპანიასთან.



„თბილისის თამბაქო“ შენობა.

თბილისის თერმული წყლები, ბუნებრივი თერმული სულფიდური წყლები. ცნობილია უხსოვარი დროიდან, როგორც „გოგირდის აბანოები“. თბილისის დაარსების ლეგენდაც ამ თბილი წყლების არსებობას უკავშირდება. საძიებო სამუშაოების დაწყებამდე (1932) ქალაქის ძვ. უბანში, ძირითადად მდ. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე, გამოდიოდა 26–47^0 C ტემპ-რის 30-მდე წყარო, ჯამური დებიტით 1300 $მ^3/დღ-ღ$. თ. თ. წ-ის ბუნებრივი განტვირთვა ხდებოდა მამადავითის (თაბორის) ანტიკლინის ჩრდ. ფრთაში გაშიშვლებული შუაეოცენური ასაკის „არეულშრეებრივი კონგლომერატებიდან“ და ტუფოგენური ქანებიდან. 1932–57 გაიყვანეს 8 ჭაბურღილი, რ-ებმაც თერმული (40–43^{0}C) წყლის საერთო დებიტი 3500 $მ^3/დღ-ღ$-მდე გაზარდა. 1953–56 მდ. მტკვრის ორივე ნაპირზე დამატებით გაიყვანეს 7 ჭაბურღილი, რის შედეგადაც იმავე წყალშემცველი ჰორიზონტიდან ამოვიდა 45–50^0 C ტემპ-რის განსხვავებული ტიპის წყალი. მტკვრის მარჯვ. ნაპირზე (ცენტრ. უბანზე) მოხდა წყლის გადანაწილება ჭაბურღილებს შორის, ხოლო მარცხ. ნაპირზე დამატებით მიიღეს 1500 $მ^3/დღ-ღ$ ოდენობის თერმული წყალი. 1969 ლისის ანტიკლინის თაღურ ნაწილში, სოფ. ლისთან, ნავთობის №1 ღრმა ჭაბურღილიდან, ცენტრ. უბნის გარეთ, პირველად მიიღეს მომატებული ტემპ-რის (57^{0}C) იმავე ტიპის წყალი.

1970–82 სამმართველო „საქბურღგეოთერმიამ“ ქალაქსა და მის შემოგარენში გაიყვანა 1867–1982 *მ* სიღრმის 8 ჭაბურღილი, რის შედეგადაც ქვედა და შუაეოცენური თერმოწყალშემცველი ჰორიზონტიდან ამოვიდა 52–74^{0}C ტემპ-რის წყალი დებიტით 200–6000 $მ^3/დღ-ღ$-ში.

1984–85 „საქგეოლოგიამ“ საბადოს ცენტრ. უბანზე დამატებით გაიყვანა 400–3000 *მ* სიღრმის 11

ჭაბურღილი და მიიღო 39–41°C ტემპერატურის წყალი. თ. თ. წ-ის საბადოზე მრავალწლიანი ძიების შედეგად გამოიყო სამი განმხოლოებული უბანი: ცენტრალური – ძვ. წყაროებისა და ბალნეოლ. კურორტის მიმდებარე უბანი, ლისის – ლისის ტბის შემოგარენი და საბურთალო-ვაშლივჯვრის უბანი და მესამე, სამგორი-სართიჭალის ნავთობიანი უბანი. ყოველი უბნის შიგნით დადგინდა ჭაბურღილებს შორის ჰიდროდინამიკური კავშირი, ხოლო უბნებს შორის ასეთივე კავშირის ბუნება ჯერჯერობით დაუდგენელია. მომავალი ძიების შედეგად უბნების რაოდენობა უდავოდ გაიზრდება და გაირკვევა მათ შორის კავშირის ხასიათი.

დღეისათვის ცენტრ. უბნის თერმული წყალი ტრადიციულად გამოიყენება ბალნეოლ. კურორტისა (სამკურნ.-პროფილაქტიკური მიზნით) და აბანოებისათვის, ხოლო ლისისა და საბურთალოს უბნების შედარებით მაღალტემპერატურული წყლები – მოსახლეობისა და სხვადასხვა დაწესებულების გათბობისა და ცხელი წყლით მომარაგებისთვის. სამივე უბნის წყალი დაბალმინერალიზებულია, ტუტე რეაქციის (9,2–9,7), შეიცავს გოგირდწყალბადს (5–20 *მგ/ლ*), ცენტრ. უბნის წყლები – აზოტს, ხოლო ლისის უბნისა – მეთანს. წყლის ქიმ. შედგენილობის ფორმულა ასეთია:

$$M_{0,2-0,4}\frac{CO_3 37 Cl 34 SO_4 14}{Na 78 Ca 18} pH - 9,2 - 9,7.$$

1937 ცენტრ. უბნის წყლების ბაზაზე დაარსდა *თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი* სამკურნ. სააბაზანოებითა და სტაციონარით, ხოლო 1960 აშენდა კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის შენობა. კლინიკურმა და ექსპერიმენტულმა კვლევებმა დაადასტურა თ. თ. წ-ის მაღალი სამკურნ. თვისებები. იგი ეფექტური აღმოჩნდა სახსრების, გულისა და პერიფერიულ სისხლძარღვთა, პერიფერიული ნერვული სისტემის, გინეკოლოგიური, კუნთებისა და მყესების, ჰიპერტონიული, ნივთიერებათა ცვლისა და კანის ზოგიერთ ქრონ. დაავადებათა სამკურნალოდ.

თბილისისა და მისი შემოგარენის ჰიდროგეოლ.-გეოთერმული შესწავლით დადგინდა, რომ ინტენსიური საძიებო ბურღვით ქვედა და შუაეოცენური და ცარცული თერმოწყალშემცველი ჰორიზონტებიდან შესაძლებელია ამოვიღოთ იმ რაოდენობისა და ტემპ-რის წყალი, რ-იც მთლიანად დააკმაყოფილებს თბილისის ცხელი წყლით მომარაგებისა და გათბობის მოთხოვნებს. *ნ. ცერცვაძე.*



თბილისის ისტორიის მუზეუმი (,,ქარვასლა‘‘).

თბილისის ისტორიის მუზეუმი იოსებ გრიშაშვილის სახელობისა, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა, დაარსდა 1910 წ. 10 მაისს (ქალაქის გამგეობის დადგენილება №3091) როგორც ,,თბილისის მუნიციპალური მუზეუმი‘‘ 1910–11 შესყიდული ექსპონატების ბაზაზე; 1914–23 მუზეუმი დაკონსერვებული იყო, 1924 აღადგინეს და უწოდეს ,,თბილისის აღმასკომის მუზეუმი‘‘. 1943, პროფილის შესაბამისად, ეწოდა ,,ქალაქ თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი‘‘, 1996 წელს მუზეუმს მიენიჭა ი. *გრიშაშვილის* სახელი. 2004-იდან იგი დიდი სამუზეუმო გაერთიანების – საქართვ. ეროვნ. მუზეუმის შემადგენლობაშია. 1924-მდე განთავსებული იყო ზუბალაშვილების უპოვართა სახლში, 1925–36 – წმ. თეოდოსი ჩერნიგოველის ეკლესიაში (ამჟამად საზ-ბა ,,თბილისელის‘‘ გამგეობის შენობა), 1936–84 – ყოფ. კომკავშირის ხეივანში (ამჟამად – სოლოლაკის ხეივანი) არსებულ შენობაში; 1984-იდან ,,ქარვასლის‘‘ შენობაშია, რ-ის რეკონსტრუქცია-რეგენერაცია და ადაპტაცია სწორედ ამ დაწესებულებისთვის ჩატარდა.

თავდაპირველად მუზეუმი ასახავდა ქალაქის თვითმმართველობის საქმიანობას, შემდგომში მისი ფუნქციები გაფართოვდა. ამჟამად იგი თბილ. ისტ. კვლევისა და პოპულარიზაციის მნიშვნელოვანი სამეცნ.-საგანმან. კერაა. მუზეუმის ფონდებში დაცულია თბილ. ისტორიასთან, ყოფასთან და კულტურასთან დაკავშირებული კოლექციები, ქართვ. და უცხ. მხატვართა ნამუშევრები. არქეოლოგიის, ნუმიზმა-



თბილისის ისტორიის მუზეუმი (,,ქარვასლა‘‘). ინტერიერი.

ტიკის, სფრაგისტიკის, ძვირფასი ლითონების, ეთნოგრაფიის, სახვ. ხელოვნების, ფოტონეგატივების, საარქივო დოკუმენტების ექსპონატები გადანაწილებულია ათ ძირითად ფონდში. ექსპონატთა რაოდენობა აღწევს 50 ათასს, რ-თა შორის გვხვდება იშვიათი ნიმუშები: V ს. აქატის საბეჭდი გემა ვახტანგ გორგასლის გამოსახულებით; ცნობილი მხატვრების – ფ. რუბოს, ლ. გუდიაშვილის, გ. გაბაშვილის, მ. თოიძის, დ. კაკაბაძის, ა. ციმაკურიძის, ე. ახვლედიანის, ქ. მაღალაშვილის, ს. ქობულაძის, გ. ბაშინჯაღიანის, ა. ბაჟბეუქ-მელიქიანის, ო. შმერლინგისა და სხვათა ნამუშევრები, რ-ებშიც თბილისი მთელი თავისი მრავალფეროვნებით და კონტრასტებით წარმოგვიდგება; XIX ს. ქართვ. არისტოკრატთა პორტრეტები; თეკლა ბატონიშვილისა და მუხრანბატონთა ექსპონატები; თბილ. უძველესი რუკები და გეგმები; XIX ს. თბილისური შენობების მაკეტები (მ. შ. ისეთებიც, რ-ებიც არ აშენებულა); ი. ზარეცკის კოლექცია და სხვ. ფონდის შევსების წყაროებია: სამეცნ. ექსპედიციები თბილ. ძვ. და ახ. უბნებში, შემოწირულობები და დროებითი გამოფენების დეპარტამენტიდან შემოსული მხატვრული ნახატები.

1925 მუზეუმში მოეწყო პირველი ექსპოზიცია თემაზე – ,,ძველი თბილისი'' (ნ. ბაღრიაშვილის ხელმძღვანელობით), 1928 – მეორე ექსპოზიცია სახელწოდებით ,,ახალი თბილისი''. 1933–37 მუზეუმმა მოამზადა ექსპოზიცია, რ-იც გამოიფინა ლონდონსა და პარიზში. 1941-იდან დღემდე, მ. ი. მ-მა მოაწყო ათეულობით თემატური გამოფენა, მ. შ. თბილ. 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სტაციონარული ექსპოზიცია (1958); 1984 ოქტომბერში, ,,ქარვასლის'' შენობაში გადასვლისთანავე, მის ფონდებში არსებული ექსპონატების საფუძველზე, მუზეუმი გაიხსნა შემდეგი ექსპოზიციებით: არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ი. ზარეცკის კოლექცია, ,,ძველი თბილისის უბნების რესტავრაცია-რეგენერაცია'' (ფოტოგამოფენა, ხელმძღვ. შ. ყავლაშვილი, გ. ბათიაშვილი) და ,,ძველი თბილისი მხატვრობაში''; 2009 მოეწყო არქეოლ. ექსპოზიცია ,,უძველესი თბილისი – ევრაზიის კულტურათა გზაჯვარედინი'' და სხვ.

წარსულის ამსახველ მასალასთან ერთად მ. ი. მ. წარმოგვიდგენს თანამედროვე ხელოვნებასაც – ქართ. ნეოექსპრესიონიზმის, ტრანსავანგარდის, თავისუფალი ფიგურაციის, ინსტალაციის, ვიდეოარტის, პერფომანსისა და სხვ. თანამედროვე მიმდინარეობათა ნიმუშებს.

ლიტ.: თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, თბ., 1966. *მ. თავაძე.*

თბილისის იუნკერთა სასწავლებელი, სამხედრო-სასწავლო დაწესებულება რუსეთის იმპერიის არმიისათვის უმცროს ოფიცერთა მოსამზადებლად; შეიქმნა ყირიმის ომის (1853–56) შემდგომ პერიოდში კავკ. სამხ. ოლქთან. სწავლა 2-წლიანი იყო. სასწავლებელში მიიღებოდნენ ყველა წოდებისა და რელიგ. მრწამსის ახალგაზრდები (გარდა იუდაიზმის მიმდევრებისა). 1901 გატარებული რეფორმების შედეგად გადაკეთდა თბილ. ქვეით იუნკერთა სასწავლებლად, რ-იც გათვლილი იყო 400 იუნკერზე. სწავლა 3-წლიანი გახდა. საქართვ. დამოუკიდებლობის გამოცხადების (1918) შემდეგ მ. ი. ს. სამხ. სკოლად გადაკეთდა.



თბილისი. მიხეილის პროსპექტი (ახლანდელი დავით აღმაშენებლის გამზირი). იუნკერთა სასწავლებლის შენობა. XX ს. დასაწყისი.

თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსო, დაარსდა 1329 წ. 6 თებერვალს. რომის პაპმა იოანე XXII-მ სპეც. ბულით გააუქმა თურქებისაგან შევიწროებული სმირნის საეპისკოპოსო და იგი თბილისში გადაიტანა, რადგან გიორგი V ბრწყინვალის მიერ ისევ გაერთიანებული და მონღოლთა ბატონობისგან თავისუფალი საქართველო ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა კათოლიკობის პროპაგანდისათვის. ამავე დროს, XIII ს-იდან კათოლიკე მისიონერების პროპაგანდის შედეგად თბილისში მომრავლდნენ ქართვ. კათოლიკეები. საეპისკოპოსოს მიეცა ქართულენოვანი ტიპიკონი. მისი დაარსება იმითაც იყო გამოწვეული, რომ საქართველოს სამეფო კარი და ქართ. ეკლესია კეთილგანწყობას იჩენდა კათოლიკე მისიონერებისადმი. ამავე პერიოდში, ზოგიერთი წყაროს ცნობით, სოხუმშიც არსებულა კათოლ. საეპისკოპოსო. მ. ჰ. ს. რომის პაპმა დაუმორჩილა სპარსეთში არსებულ სულთანიეს ეპისკოპოსს. პირველი ეპისკოპოსი იყო ქართ. ენის კარგი მცოდნე, დომინიკელთა ორდენის მისიონერი *იოანე ფლორენციელი* (1329–48), რ-მაც ამ თანამდებობაზე 19 წელი დაყო, მეორე – ბერტანო კოლეტი (1349–56) და სხვ. მ. ჰ. ს-მ იარსება XVI ს. 10-იან წლებამდე. ამ ხნის განმავლობაში სულ 13 ეპისკოპოსი განაგებდა ეპარქიას. მისი გაუქმება განაპირობა ერთიანი საქართველოს ფეოდ. დაქუცმაცებამ და დასუსტებამ. საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობა არ შეწყვეტილა. ქართვ. კათოლიკეები სულთანიეს საეპისკოპოსოს მრევლად ირიცხებოდნენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1920 წ. 20 ოქტ., მ. ჰ. ს. კვლავ აღდგა. მის მმართველად დაინიშნა ეპისკოპოსი ნატალე გაბრიელ მორიონდო. საქართველოს გასაბჭოების (1921) შემდეგ მ. ჰ. ს. გააუქმეს, რომის პაპის წარმომადგენლები საქართველოდან გააძევეს, კათოლ. ეკლე-

სიებიც დახურეს. მოქმედი იყო მხოლოდ თბილ. პეტრე და პავლე მოციქულთა ეკლესია, რ-იც ლიტვის ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1993 თებერვალში, თბილისში ვატიკანის წმ. ტახტის სადესპანო გაიხსნა და კვლავ აღდგა ლათ. წესის კათოლიკეთა სამოციქულო საეპისკოპოსო. დღესდღეობით საქართველოში მოქმედებს არაერთი კათოლ. ეკლესია, მათ შორის ბათუმში, ქუთაისში, უდეში და ა. შ.

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902; მ ი ს ი ვ ე, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995; კ ი კ ნ ა ძ ე ვ., ლათინური წყარო XIV ს. საქართველოს შესახებ, «თსუ შრომები», 1983, ტ. 243; ლ ო მ ს ა ძ ე შ., გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979; მ ი ს ი ვ ე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1984. *ე. ბუბულაშვილი.*

თბილისის კარები, ზღუდეში დატანებული კარები, რომელთა საშუალებით თბილისი გარე სამყაროსთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობას ამყარებდა. თ. პ-ის რაოდენობას განსაზღვრავდა ქვეყნის პოლიტ. და ეკონ. მდგომარეობა, დროთა განმავლობაში ქალაქის ტერიტ. ზრდა ან შემცირება.

თ. პ-ის შესახებ პირველ ცნობას ვხვდებით ისტორიკოს *ჯუანშერთან,* როდესაც იგი მოგვითხრობს 627–628 თბილისს გარსმომდგარ ჰერაკლე კეისრისა და ხაზართა გაერთ. ლაშქრის ერთ-ერთ ბრძოლაზე ქალაქის დამცველებთან: ,,ხოლო სტეფანოზ... დღეთა ყოველთა გამოვიდის კართა ქალაქისათა, და ებრძოდის ბერძენთა''. ჯუანშერის შემდეგ თ. პ-ის შესახებ ცნობებს ვხვდებით X ს. არაბ ისტორიკოსებთან იბნ ჰაუკალთან და ალ-ტაბარისთან. იბნ ჰაუკალი თბილისის აღწერისას ამბობს, რომ ქალაქს პიტალო კლდის (ტინის) ორი კედელი აკრავს და სამი კარი აქვს. თ. პ-ის შესახებ უფრო სრულყოფილად მოგვითხობს ალ-ტაბარი 853 ბუღა თურქის თბილისში ლაშქრობის აღწერის დროს. ალ-ტაბარის ცნობით, მტკვრის მარჯვ. სანაპიროზე განლაგებულ თბილისს ჰქონდა ხუთი კარი: მაიდნის კარი, კარის კარი, მცირე (პატარა) კარი, რაბადის კარი და სოღდებილის კარი. ხოლო მტკვრის მარცხ. სანაპიროზე, სოღდებილის მედინაში ასახელებს ,,ჰისაქის კარს''.

თ. პ-იდან ზოგიერთის რეკონსტრუქცია და მათი ადგილმდებარეობის შეძლებისდაგვარად დადგენა ხერხდება. ადრინდ. შუა საუკუნეების არაბი მთხრობლები ამა თუ იმ ქალაქის კარების ჩამოთვლისას იყენებდნენ ორ პრინციპს: საათის ისრის მოძრაობის და ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებას, რ-ის გათვალისწინებითაც ხდება მათი ადგილმდებარეობის შეძლებისდაგვარად დადგენა. ალ-ტაბარი თ. პ-ის დასახელებისას პირველ პრინციპს იყენებს და მათ ჩამოთვლას ქალაქის სამხრ. კედელში დატანებული კარით იწყებს: მაიდნის კარი (გვიანდ. შუა საუკუნეების აბანოს კარი). კარის კარი (მიესადაგება განჯის კარს). მესამე კარს მცირე (პატარა) კარი ჰქვია. მისი ადგილმდებარეობის ზუსტ მინიშნებას ართულებს თვით კარის რაიმე კონკრ. სახელის უქონლობა. თუ საათის ისრის მოძრაობის მიმართულებას გავყვებით, აღნიშნული კარი ქალაქის ჩრდ.-დას-ით უნდა ვეძებოთ, ხოლო სახელი მის მეორეხარისხოვან თ. პ-ზე უნდა მიუთითებდეს. რიგით შემდეგია რაბადის კარი, რ-იც ქალაქის კედელს ჩრდილოეთიდან ჰქონდა დატანებული და ქალაქს (კალას) აკავშირებდა რაბადთან (შემდგომში *გარეთუბანთან*). გვიანდ. შუა საუკუნეებში ქალაქის ზღუდეს ჩრდ.-დას-იდან 4 კარი ჰქონდა დატანებული, რაც ართულებს რომელიმე მათგანთან რაბადის კარის მისადაგებას. მეხუთე კარი ალ-ტაბართან სოღდებილის კარია, რ-იც მეტეხის ხიდთან მარცხ. სანაპიროზე მდებარე სოღდებილისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული. საზოგადოდ, ქალაქის ზღუდეში დატანებული ესა თუ ის კარი იმ ტერიტორიის, ადგილის, დასახლ. პუნქტის, ქალაქის და ა. შ. სახელს ატარებდა, საითაც იყო მიმართული.

თ. პ-ის შესახებ, მართალია, ზოგად, მაგრამ საინტერესო ცნობას ვხვდებით XI ს. ქართ. საისტ. თხზულებაში ,,მატიანე ქართლისა''. 1045 ქალაქის ბერების მოწვევით საქართველოს მეფეს ბაგრატ IV-ის ქალაქში შემოსვლისას ,,... მოართუნეს კლიტენი ქალაქისანი'' და ,,აღიხუნა კოშკი კართანი თავის კაცითა''. ამგვარად, ქალაქის ყველა კარი იკეტებოდა და თითოეულს თავისი კლიტე, თავისი დამცველი კოშკი ჰქონდა, რ-შიც იდგა მეფის მიერ დანიშნული საგანგებო მოხელე – კარის მეთვალყურე და ზედამხედველი (მეკარე და მებაჟე). ყველა კარი საღამო ჟამს იკეტებოდა და დაგვიანებული მგზავრი თუ ქარავანი იძულებული იყო ღამე ქალაქის კარს მიღმა გაეთენებინა.

ჟამთააღმწერელს ჯალალედინის მიერ 1226 თბილისის აღების დროს გამართული ბრძოლების შესახებ თხრობისას რამდენჯერმე აქვს ნახსენები ქალაქის კარნი და გვამცნობს, რომ ქალაქის ერთ-ერთი დამცველი მემნა ბოცოს ძე მოკლეს ,,განძის კართა კერძო'', ე. ი. განჯის კართან.

XVII–XIX სს. წერილობითი წყაროები მეტად მწირ ცნობებს შეიცავს თ. პ-ის შესახებ. ამ ხარვეზს ავსებს ქალაქის გრაფ. გამოსახულებანი: 1673 (შემსრულებელი – ჟან *შარდენის* მხატვარი გრელო), 1701 (შემსრულებელი – ო. *ტურნეფორის* მხატვარი ობრიე), 1735 (ვახუშტი ბაგრატიონი), 1785 (პიშჩევიჩი), 1800 (ჩუიკო) წლებში შედგენილი თბილ. ნახატები და გეგმები. ქალაქის ეს გრაფ. გამოსახულებანი ერთმანეთისაგან განსხვავდება და, ამდენად, ურთიერთს ავსებს, რაც საშუალებას გვაძლევს მათი ურთიერთშეჯერებით, ასევე XVII–XVIII სს. სიგელ-გუჯრების მოშველიებით დავადგინოთ თ. პ-ის მეტნაკლებად ზუსტი სურათი. მტკვრის მარჯვ. მხარეს, გალავანში დატანებული იყო რამდენიმე კარი: სამხრ-ით – აბანოს (სეიდაბადის), განჯის (ციხის); დას-ით – კოჟრის (კოჯრის, ზემო, მაღალი, მაღლა, წავკისის), ჩრდ-ით – დიღმის (შუა), მოედნის (ზემო წყლის კარი ხიდით, მუხრანის), წყლის (ქვემო კარი ხიდით, მუხრანის); მტკვრის მარცხ. მხარეს – ავლაბრის კარი და პატარა (მცირე) კარი.

გარდა ამისა, ქალაქში იყო ორი ,,ციხის კარი'': ერთი თვით ციტადელში, ნარიყალაში, მაღლა ციხეში შესასვლელი ციხის კარი და მეორე – როსტომ მეფის მიერ XVII ს. 40-იან წლებში ქალაქის ციხიდან წამოსული ქალაქისა და ციხის გამყოფ კედელში დატანებული ციხის კარი (მდებარეობდა თათრის, ციხის მოედანთან). ეს კარი გაუქმდა 1750 თეიმურაზ II-ის მიერ ქვემო ციხისა და ქალაქის გამყოფი კედლის აღებისას.

აბანოს კარი მდებარეობდა მდ. წავკისისწყლის მარცხ. სანაპიროზე, დატანებული იყო ქალაქის ზღუდეში სამხრ.-აღმ. მხრიდან.

განჯის კარი მდებარეობდა ბოტან. ბაღის შესასვლელთან, წავკისისწყლის მარცხ. სანაპიროზე. იგი, თავისი დამცველი ორი კოშკით, ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო-სატრანზ. და სტრატეგიული კარი იყო, რ-იც მეთვალყურეობდა სამხრ-იდან წამოსულ ქარავანსა თუ მგზავრს.

კოჯრის კარი მდებარეობდა დღევანდელი თავისუფლების მოედნისა და ლესელიძის ქუჩის შესაყარზე. აქედან იწყებოდა გზა კოჯრისაკენ, შემდეგ კი, სამშვილდეზე გავლით – თრიალეთისა და სომხეთისაკენ.

დიღმის კარი მდებარეობდა ახლანდ. ა. პუშკინისა და ნ. ბარათაშვილის ქუჩათა შესაყარზე; აქედან იწყებოდა ერთ-ერთი მთავარი სატრანზ. გზა: თბილისი–გორი–ახალქალაქი და თბილისი–ჟინვალი. აქედანვე მიდიოდა გზა რუსეთისაკენ.

წყლის კარი ემსახურებოდა გარეუბნელებს და, ალბათ, ავჭალის გზით (XVII ს-ში *ნუგზარ არაგვის ერისთავის* მიერ მტკვარზე გადებული ხიდით) მოსულ ქალაქისპირა სოფლებსა და ჩრდილოელ მგზავრებს. ამ კარის გაუქმების შემდეგ, XVIII ს. 50-იან წლებში, ,,მეიდნის (მოედნის) კარს'' შეერქვა ,,მოედნის წყლის კარი'' (1751), ,,ზემო წყლის კარი'' (1769), ,,მუხრანის კარი'' (1800).

მტკვრის მარცხ. სანაპიროზე ავლაბრის კარი დატანებული იყო შიდა ავლაბრის ზღუდეში აღმ. მხრიდან, საიდანაც იწყებოდა ,,ბაღების გზა'', ,,კახეთის გზა'' (,,დალესტნის დიდი გზა''), ,,შუა ტბის გზა'', ,,ლილოს გზა'' და ,,ავჭალის გზა''. ავლაბრის ზღუდეში ჩრდ. მხრიდან დატანებული ,,პატარა კარიდან'' მხოლოდ ,,ავჭალის გზა'' იღებდა სათავეს.

წყარო: თბილისის ისტორიული დოკუმენტები, შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძნიშვილმა, თბ., 1962; ორბელიანი პ., ამბავნი ქართლისანი, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1981; სიხარულიძე ე., იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ, კრ.: საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წგ. 1, თბ., 1976.

ლიტ.: ბერიძე თ., ძველი თბილისის გარეგანი სახის ისტორიიდან (ქალაქის კარი), «ცისკარი»,1993, №3; ბერძნიშვილი მ., თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ., 1965; მესხია შ., გვრიტიშვილი დ., დუმბაძე მ., სურგულაძე ა., თბილისის ისტორია, თბ., 1958.

თ. ბერიძე.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, გაიხსნა 1804 წ. 31 მაისს; იგი წარჩინებული წოდების ქართველთა შვილებისათვის იყო განკუთვნილი. ამ სასწავლებლის გახსნას წინ უძღოდა ამავე სახელწოდების სასწავლებლის გახსნა 1802, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო მალევე დაიხურა. თ. კ. ს-ში ამზადებდნენ სამოქალაქო სამსახურის მოხელეებსა და თარჯიმნებს. სასწავლებელი თავდაპირველად 2-კლასიანი იყო, ხოლო XIX ს. 20-იან წლებში 6-კლასიანი გახდა და სტრუქტურით რუს. იმპერიაში არსებულ გიმნაზიებს დაუახლოვდა. სასწავლებელს დაეკისრა აგრეთვე მოხელეთა მომზადება სამხ. უწყებისათვის.

თ. კ. ს-ის მოსწავლეებით დაკომპლექტება პირველ ხანებში გაძნელდა, რის გამოც მთავრობა იძულებული გახდა მათთვის სტიპენდია დაენიშნა. 1818 სწავლობდა 148 მოსწავლე, 1828 – 248. სწავლება ქართ. და რუს. ენებზე მიმდინარეობდა; 1825 ასწავლიდნენ ქართ., რუს. და თათრულ (აზერბ.) ენებს, კატეხიზისს, საღვთო სჯულს, არითმეტიკას, ალგებრას, გეომეტრიას, გეოგრაფიას, ისტორიას, რუს. და ქართ. სიტყვიერებას (ცალკე საგნად იყო შეტანილი თარგმანი), ხატვას, ფორტეპიანოზე დაკვრას, გეოდეზიას, ცეკვას.

თ. კ. ს. 1830 თბილ. გიმნაზიად გადაკეთდა (იხ. *თბილისის პირველი გიმნაზია*).

თბილისის კინოს სახლი, *იხ. კინოს სახლი თბილისის.*

თბილისის კომიტეტი სოციალ-დემოკრატიული, თბილისის ს.-დ. ორგანიზაციისა და წრეების ხელმძღვანელი ცენტრი.

1901 იანვ.-მარტში (ჟანდარმერიის ცნობის მიხედვით) თბილისში უნდა არსებულიყო ს.-დ. ორგანიზაცია (წრე), რ-ის სამოქმედო ასპარეზს, როგორც ჩანს, წარმოადგენდა თბილისი, მისი ფაბრიკა-ქარხნები და სხვა საწარმოები. ეს ორგანიზაცია თბილისში არსებული მუშათა ს.-დ. ჯგუფებისა და წრეების მიერ ოფიციალურად არჩეული ხელმძღვ. ორგანო არ ყოფილა, მაგრამ იგი აშკარად კოორდინატორის ფუნქციებს ასრულებდა. ეს ფაქტი იძლევა საშუალებას დასკვნისათვის, რომ ე. წ. თბილ. „ინტელიგენტთა ს.-დ. წრე'' იყო გარდამავალი საფეხური XIX ს. 90-იანი წლების შუა ხანებიდან თბილისში არსებული ს.-დ. ჯგუფებიდან საქალაქო ს.-დ. ორგანიზაციისაკენ (კომიტეტისაკენ).

1901 მარტსა და ივლისში მომხდარი დაპატიმრებების შედეგად ეს წრე მთლიანად ჩავარდა. თბილ. მუშათა ს.-დ. ჯგუფები და წრეები კოორდინატორის გარეშე დარჩნენ. დღის წესრიგში დადგა საქალაქო ს.-დ. ორგანიზაციის შექმნის საკითხი. 1901 წ. 27 ოქტომბერს და 4 ნოემბერს ი. ჯუღაშვილის (სტალინის) ხელმძღვანელობით გაიმართა კონსპირაციული კრებები, რ-ებმაც მოამზადეს ნიადაგი თბილ. ს.-დ. ორგანიზაციის შექმნისათვის. 1901 წ. 11 ნოემბერს ავლაბარში, კონსპირაციულ ბინაზე 25 სოციალ-დემოკრატი ინტელიგენტი შეიკრიბა. აირჩიეს თბილ. საქალაქო ს.-დ. კომიტეტი ვ. ცაბაძის (თავ-რე), ი. ჯუღაშვილის (სტალინი), ს. ჯუღელის, გ. ყარაჯაევის, ზ. ჩოდრიშვილის, გ. ჩხეიძის შემადგენლობით. ამ ორგანოს უწოდებდნენ „ცენტრალურ კომიტეტს'', „საორგანიზაციო კომიტეტს'', „კომიტეტს''. სამეცნ. ლიტ-რაში დამკვიდრებულია სახელწოდება – „თბილისის ს.-დ. კომიტეტი''. ორგანიზაციის ფუნქცია ასე განისაზღვრებოდა: 1. მოწინავე მუშების განვითარებაზე ზრუნვა იმ მიზნით, რომ მათ ინტელიგენტებისაგან დამოუკიდებლად შეძლონ ს.-დ. წრეების შექმნა; 2. ინტელიგენტების მეშვეობით მუშებისათვის არალეგალური ლიტ-რის მიწოდება; 3. საიდუმლო სალაროდან სახსრების განაწილება; 4. თბილისთან ახლოს, რომელიმე სოფელში, საიდუმლო სტამბების ორგანიზებისთვის სახსრების გამონახვა.

სხდომაზე იმსჯელეს ს.-დ. მოძრაობის მიზნებსა და სხვა ორგანიზაციულ საკითხებზე. ამრიგად, 11 ნოემბერს ინტელიგენტ და მუშა სოციალ-დემოკრატთა კონსპირაციულ შეკრებაზე არჩეული თ. კ. იყო საერთო-საქალაქო ს.-დ. ორგანიზაციის არჩევითი ხელმძღვ. ორგანო და ამდენად ხელმძღვანელობდა მოძრაობას მთელი ქალაქის მასშტაბით. ამის შემდეგ კომიტეტი თავის სხდომებს კონსპირაციულად მართავდა და მოქმედების, იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობის სხვადასხვა საკითხს განიხილავდა. თუ რა დამოკიდებულება არსებობდა კომიტეტის ჩამოყალიბების დასაწყისში რუს. ს.-დ. მუშათა პარტიასთან, მასალებიდან არ ჩანს. მოგვიანებით, 1902 დეკემბრისთვის, იგი უკვე რუს. ს.-დ. ორგანიზაციას წარმოადგენდა და

მის შემადგენლობაში იყო გაერთიანებული. თბილ. ს.-დ. ორგანიზაციისა და მისი კომიტეტის შექმნა „რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასის“ (გაზ. „ბრძოლის“ ბანაკი) ძალებით განხორციელდა და ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს: ი. ჯუღაშვილმა, ვ. ცაბაძემ, გ. ყარაჯაევმა, ს. ჯუღელმა, ზ. ჩოდრიშვილმა, კ. გოგუამ და სხვ., აგრეთვე ვ. კეცხოველმა და ა. *ენუქიძემ*. 1902 გაზაფხულზე თბილ. ს.-დ. ორგანიზაციის წევრები დააპატიმრეს და 1903 რუსეთში გადაასახლეს. ამ მძიმე დარტყმის მიუხედავად, კომიტეტი მუშაობას განაგრძობდა. 1905–07 რევ. დასაწყისისათვის მ. ჰ-ში ბოლშევიკებს ძლიერი პოზიციები ეკავათ. ისინი სათავეში ედგნენ მუშათა გაფიცვებს, პოლიტ. დემონსტრაციებს, შეიარაღებულ ბრძოლებს; ჰქონდათ არალეგალური სტამბები, გამოსცემდნენ და ავრცელებდნენ პარტ. და რევ. ლიტ-რას. 1905, ნ. ჟორდანიას თბილისში დაბრუნების შემდეგ, მ. ჰ-ში უპირატესობას მენშევიკები დაეუფლნენ. 1908 კომიტეტი გაიყო მენშევიკებად და ბოლშევიკებად. რაიონული ორგანიზაციების აღდგენის მიზნით მენშევიკებმა თბილ. ორგანიზაციაში გაძლიერებული მუშაობა გააჩაღეს. 1909 სექტემბრისათვის მენშევიკების საოლქო კომიტეტი



თბილისის სამუსიკო სასწავლებლის შენობა. XIX ს. დასასრული.

რსდმპ-ის მ. ჰ-ს არ ცნობდა და ახ. კომიტეტის ჩამოყალიბება გადაწყვიტა. ოქტომბრისათვის, რეორგანიზაციის შემდეგ, მენშევიკთა პოზიციები უფრო განმტკიცდა. 1910 დააპატიმრეს რსდმპ-ის მ. ჰ-ის ბოლშევიკი წევრები. ივნის-ივლისში მენშევიკთა და ბოლშევიკთა გაერთ. კრებები მოეწყო, მაგრამ ერთიანი ორგანიზაციის აღდგენა ვერ მოხერხდა. აქედან დაწყებული ბოლშევიკებმა ვერ მოახერხეს თავიანთი ორგანიზაციის აღდგენა, ვიდრე არ შექმნეს 1912 რსდმპ-ის თბილ. ჯგუფი. *ვ. გურული.*

თბილისის კონსერვატორია ვანო სარაჯიშვილის სახელობისა, უმაღლესი სამუსიკო სასწავლებელი, მუსიკალური განათლების ძირითადი კერა საქართველოში. დაარსდა 1917 წ. 1 მაისს თბილ. პირველი სამუსიკო სასწავლებლის ბაზაზე [სამუსიკო სასწავლებლისთვის სახსრების შეგროვება 1891 ა. რუბინშტეინის კონცერტით დაიწყო, შემომწირველებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ძმების – სტეფანე, ლევან და იაკობ ზუბალაშვილების წვლილი; სასწავლებლის შენობა (არქიტ. ა. შიმკევიჩი) 1917 გადაეცა კონსერვატორიას]. წლების განმავლობაში კონსერვატორია ევრ. ყაიდის ერთადერთი სამუსიკო სასწავლებელი იყო კავკასიაში. თავდაპირველად იგი აერთიანებდა საკუთრივ სასწავლებელს და 2-წლიან უმაღლეს სამუსიკო სკოლას. 1921 ფილარმონიულ საზ-ბასთან არსებული სამუსიკო სასწავლებელი გადაკეთდა მეორე კონსერვატორიად (დირექტორი დ. არაყიშვილი), რ-იც დემოკრ. პრინციპების დამკვიდრებით გამოირჩეოდა. 1924 პირველი და მეორე კონსერვატორია გაერთიანდა და ახ. უმაღლეს სამუსიკო სასწავლებელს სახელმწ. კონსერვატორიის სტატუსი მიენიჭა. მას კარგი პროფ. საფუძველი ჩაუყარა პედაგოგთა პირველმა თაობამ, რ-თა შორის იყვნენ: ფ. ლისტის, ვ. ვენიავსკის, ა. მარმონტელის, პ. ჩაიკოვსკის, ი. მოშელესის მოწაფეები; რ. ჯულიარდის სკოლის დამაარსებლები რ. და ი. ლევინები; გ. ნეიჰაუზი, ფ. კესნერი, ლ. ტრუსკოვსკი, ე. ვრონსკი, ო. ბახუტაშვილ-შულგინა, ვ. ვილშაუ, კ. მინიარი, ე. გუზიკოვი, მ. იპოლიტოვ-ივანოვი; ლა სკალას ყოფილი სოლისტი ე. ბროჯი; პეტერბურგის და მოსკოვის კონსერვატორიების პროფესორ-მასწავლებლების მიერ აღზრდილი ქართვ. მუსიკოსები: კომპოზიტორები – ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი; პიანისტები – ა. თულაშვილი და ა. ვირსალაძე; მევიოლინეები – ლ. იაშვილი და ლ. შოუკაშვილი; მომღერლები – დ. ანდღულაძე, ს. ინაშვილი; დირიჟორები – ო. დიმიტრიადი, ე. მიქელაძე; მუსიკისმცოდნეები – შ. ასლანიშვილი, ვ. დონაძე, გ. ჩხიკვაძე, პ. ხუჭუა და სხვ. კონსერვატორიაში სტუდენტთა რაოდენობა ყოველთვის დაკავშირებული იყო ქვეყნის საზ. ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებთან. 1917 მ. ჰ-ში იყო 16 სტუდენტი, 1921 მეორე კონსერვატორიაში – 1636 სტუდენტი, 1924 პირველ და მეორე კონსერვატორიებში – 876 სტუდენტი, 1925 მ. ჰ-ში – 400 სტუდენტი. XX ს. 20-იან წლებში, პროლეტკულტელთა ლოზუნგის „ხელოვნება მასებს“ შესაბამისად, მეორე კონსერვატორიაში გაიხსნა საღამოს სწავლების ფაკ-ტი, 1924 – ორი მუშფაკი. XX ს. 30-იან წლებში დამტკიცდა სწავლების 5-წლიანი ვადა. დაარსდა ყველა ძირითადი კათედრა და ასპირანტურა: კომპოზიციის (გამგე ს. ბარხუდარიანი), კამერული ანსამბლის (გამგე ი. აისბერგი), სპეც. ფორტეპიანოს (გამგე ა. ვირსალაძე), სოლო სიმღერის (გამგე ე. ვრონსკი), სიმებიანი საკრავების (გამგე კ. მინიარი), კამერული სიმღერის (გამგე დ. შვედოვი), საერთო ფორტეპიანოს (გამგე თ. კობიაშვილი), ენისა და ლიტ-რის (გამგე გ. ნათაძე), ქართ. ხალხ. მუსიკის (გამგე ზ. ფალიაშვილი), საინსტრუქციო (გამგე კ. მელვინეთუხუცესი), ისტ.-თეორ. (გამგე კ. რაბინოვიჩი), სასულე ინსტრუმენტების (გამგე ვ. ხოსროშვილი), სადირიჟორო სპეციალობის (გამგე ე. მიქელაძე), საზ.-პოლიტ. დისციპლინათა (გამგე ე. ბურჭულაძე) კათედრები. დროთა განმავლობაში ზოგიერთი კათედრა გაიყო ან, პირიქით, შეუერთდა სხვა სპეციალობები, გაჩნდა ახ. კათედრები, ფაკ-ტები, განყ-ბები, კლასები, კაბინეტები, წრეები.

1947-იდან კონსერვატორია ვანო სარაჯიშვილის სახელს ატარებს.

თ. პ-მ აღზარდა მრავალი გამოჩენილი მუსიკოსი, მ. შ. ქართვ. კომპოზიტორთა მთელი თაობები: ა. ბალანჩივაძე, შ. მშველიძე, ა. მაჭავარიანი, ო. თაქთაქიშვილი, ს. ცინცაძე, რ. ლაღიძე, დ. თორაძე, ბ. კვერნაძე, ს. ნასიძე, ნ. გაბუნია, გ. ყანჩელი, ნ. მამისაშვილი, ი. კეჭაყმაძე, თ. ბაკურაძე, ი. ბარდანაშვილი, ზ. ნადარეიშვილი და სხვ.; დირიჟორები: ჯ. კახიძე, ვ. მაჭავარიანი და სხვ.; კონსერვატორიის კურსდამთავრებულები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწეობდნენ, მ. შ.: ე. ვირსალაძე, რ. კერერი, დ. ბაშკიროვი, ლ. ვლასენკო, თ. ამირეჯიბი, ნ. ანდღულაძე, მ. დოიჯაშვილი, თ. გაბარაშვილი, ლ. თორაძე, მ. იაშვილი, ა. ნიჟარაძე, ა. კორსანტია, პ. ბურჭულაძე, ე. ანჯაფარიძე, ლ. ჭყონია, ნ. და ე. ჭყონიები, ი. ალიბეგაშვილი (თამარი), ლ. ათანელი, ა. სიმონიშვილი, თ. ჯავახიშვილი (ივერი), ნ. სურგულაძე და სხვ.

1995-იდან თ. პ. გადავიდა ორსაფეხურიანი სწავლების ევრ. საგანმან. სისტემაზე. 2005-იდან თ. პ. არის კონსერვატორიების ევრ. ასოციაციის წევრი, ამავე წელს შეუერთდა ბოლონიის პროცესის საგანმან., კრედიტებისა და შეფასების საერთაშ. სისტემას.

2013 თ. პ-ში იყო სამემსრულებლო ხელოვნების ფაკ-ტი, რ-ზეც მოქმედებდა საბაკალავრო პროგრამები: კლავიშიანი საკრავები, აკად. გუნდის დირიჟორობა, სოლო აკად. სიმღერა (ქალები, ვაჟები), საორკესტრო სიმებიანი საკრავები (ვიოლინო, ალტი, ჩელო, კონტრაბასი, არფა, გიტარა), საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები (ფლეიტა, ჰობოი, კლარნეტი, ფაგოტი, ვალტორნა, საყვირი, ტუბა, ტრომბონი, დასარტყამი საკრავები); კომპოზიციის ფაკ-ტი (პროგრამა კომპოზიცია); მუს. თეორიის ფაკ-ტი (პროგრამა მუს. თეორია); მუს. მენეჯმენტის ფაკ-ტი (პროგრამები: მუს. ტექნოლოგია, მუს. ჟურნალისტიკა, მუს. მენეჯმენტი), ჯაზის ხელოვნების ფაკ-ტი; მოქმედებდა ქართ. ენაში მომზადების პროგრამები აზერბაიჯანულ- და სომხურენოვანი სტუდენტებისათვის.

2013 კონსერვატორიაში მუშაობდა 180-მდე პროფ.-მასწავლებელი, რ-ებიც ეწევიან აქტ. პედაგოგიურ, პროფ. საშემსრულებლო და სამეცნ. მოღვაწეობას: გამოდიან კონცერტებით, ატარებენ მასტერკლასებსა და საჯარო ლექციებს, მონაწილეობენ საერთაშ. კონფერენციებში, სიმპოზიუმებში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.



თბილისის კონსერვატორიის შენობა.

2013 თ. პ-ში 400-მდე სტუდენტი სწავლობდა. თ. პ-ის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული კონსერვატორიის სასწ.-სამეცნ. და საკონცერტო ცხოვრებაში, სისტემატურად მონაწილეობენ საერთაშ., რესპ. კონკურსებსა და კონფერენციებში.

თ. პ-ს ფართო საერთაშ. კავშირები აქვს; 2000-იდან კონსერვატორიაში სისტემატურად ტარდება მასტერკლასები, ყოველწლიური ,,საგაზაფხულო საშემსრულებო სემინარები''.

თ. პ-ს დადებული აქვს ორმხრივი ხელშეკრულებები თანამშრომლობის შესახებ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან. ესენია: სტოკჰოლმის საუნივერსიტეტო საოპერო კოლეჯი (შვედეთი; 2013); ჩეზარე პოლინის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (პადუა, იტალია; 2012); ვენის მუს. და საშემსრულებლო ხელოვნ. უნტი (ავსტრია; 2012); კატოვიცეს მუს. აკადემია (პოლონეთი; 2012); ლიტვის მუს. და თეატრის აკადემია (ვილნიუსი; 2011); ბელარუ-



თბილისის კონსერვატორია. ინტერიერი.



თბილისის კონსერვატორია. დიდი საკონცერტო დარბაზი.

სის მუს. სახელმწ. აკადემია (მინსკი; 2010); კრაკოვის მუს. აკადემია (პოლონეთი; 2009); პადერევსკის სახელობის მუს. აკადემია (პოზნანი, პოლონეთი; 2008); მუს. და თეატრის უმაღლესი სკოლა (ჰამბურგი, გერმანია; 2008); ჯ. ვიტოლის სახ. ლატვიის მუს. აკადემია (2008); ნორვეგიის მუს. აკადემია (2008); ესტონეთის მუს. და თეატრის აკადემია (2007); კლაიპედის უნ-ტი (ლიტვა; 2006); ხელოვნ. სახელმწ. უნ-ტი (ხარკოვი, უკრაინა; 2005); მუს. და თეატრის უმაღლესი სკოლა (მიუნხენი, გერმანია; 2008).

თ. ჰ. მნიშვნელოვანი კულტ. და სამეცნ.-საგანმან. კერაა, აქ ეწყობა სხვადასხვა სახის მუს. ფორუმები, რესპ. და საერთაშ. კონკურსები, თემატური საღამოები და საკონცერტო ციკლები, სტუდენტთა ძალებით ხორციელდება საოპერო დადგმები. სხვადასხვა წლებში კონსერვატორიის მცირე და დიდ საკონცერტო დარბაზებში კონცერტებს მართავდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული მუსიკოსები: ვ. ჰოროვიცი, ე. პეტრი, ო. რიდი, ს. რიხტერი, დ. ოისტრახი, ე. გილელსი, მ. როსტროპოვიჩი და სხვ.

თ. ჰ. მუს. ხელოვნების სამეცნ. კვლევის ძირითადი ცენტრია საქართველოში. აქ ეწყობა კონფერენციები და სიმპოზიუმები როგორც ქვეყნის, ისე საერთაშ. მასშტაბით. 2003 დაარსდა ტრად. მრავალხმიანობის კვლევის საერთაშ. ცენტრი, რ-იც ახორციელებს სხვადასხვა სახის, მ. შ. საერთაშ., პროექტებს. კონსერვატორიაში იქმნება და გამოიცემა სამეცნ. და სასწ.-მეთოდური ლიტ-რა. ბეჭდვითი გამომცემლობის პარალელურად, 2004-იდან ფუნქციონირებს სამეცნ. ელექტრონული ჟურნალი.

თ. ჰ-ის ბ-კაში დაცულია 53000-მდე დასახელების წიგნი და 100000-მდე დასახელების სანოტო მასალა. ბ-კის ფონდი იქმნებოდა XIX ს. II ნახევრიდან საქართველოში შემოტანილი ლიტ-რით. ფონდის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კერძო პირების შემოწირულობები (ი. და ზ. ფალიაშვილების საკლავირო, ა. თუმანიშვილის საფორტეპიანო, ე. გუზიკოვისა და სხვა ცნობილი მუსიკოსების ბ-კები). 2004 თ. ჰ-ს მრავალფეროვანი სანოტო მასალა უსახსოვრა ცნობილმა ამერ. მეცენატმა, ქ. ნიუპორტის საერთაშ. ფესტივალის ორგანიზატორმა მარკ მალკოვიჩ III-მ. ფონდში წარმოდგენილია ცნობილი ევრ. მუს. გამომცემლობების ნიმუშები (RICORDI, BREIKOPF, PETERS, SALLIVAN) და სხვ. განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს მე-15 – მე-18 საუკუნეების ლიტრის 200-მდე დასახელება. ბ-კაში ინახება ქართვ. ფოლკლორისტებისა და კომპოზიტორთა თაობების მიერ ქვეყნის ყველა კუთხეში მოწყობილი მუს.-ეთნოგრ. ექსპედიციების შედეგად მოძიებული მასალები. ბ-კა ყოველწლიურად იღებს დაახლოებით 20000 მომხმარებელს.

თ. ჰ-ის ფონოთეკის კაბინეტი გაიხსნა 1917. წლების განმავლობაში მუს. ჩანაწერები მხოლოდ მაგნიტურ ფირებსა და ფირფიტებზე ინახებოდა, XX ს. 90-იანი წლების ბოლოდან კი დაიწყო ძვ. ფირსაკრავებიდან მთელი ხმოვანი მასალის გადატანა კომპაქტდისკებზე. 2002 ფონოთეკის ძირეული რეორგანიზაცია მოხდა. შეიცვალა მისი ტერიტ. განთავსების პირობები, ტექ. აღჭურვილობა. 2013 ფონოთეკა სამ კაბინეტს მოიცავს: მოსასმენ დარბაზს, მუს. ჩანაწერების საცავს და აუდიო-ჩამწერ სტუდიას. ფონოთეკა აღჭურვილია უახლესი აუდიო- და ვიდეოაპარატურით.

საგამომცემლო საქმიანობას თ. ჰ. ახორციელებს 1972-იდან. კონსერვატორიის რეგულ. გამოცემებია: სასწ. ლიტ-რა, მუსიკისმცოდნეობის საკითხები, ტრად. მრავალხმიანობის კვლევის საერთაშ. ცენტრის გამოცემები, მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია.

თ. ჰ-ის არქივში დაცულია კონსერვატორიის ყოფილი სტუდენტების: რ. კერერის, დ. ბაშკიროვის, ლ. ვლასენკოს პირადი საქმეები; მსოფლიოში ცნობილი ვიოლონჩელისტის რ. გარბუზოვას შესახებ ინფორმაცია; მასალები ლ. ათანელის, პ. ბურჭულაძის, საქართვ. სახელმწ. კვარტეტის, ნ. გამგებელის შესახებ და სხვა.

თ. ჰ-ის ტრად. მრავალხმიანობის კვლევის საერთაშ. ცენტრი დაარსდა 2003, ტრად. მრავალხმიანობის I საერთაშ. სიმპოზიუმში მონაწილე ქართვ. და უცხოელი მონაწილეების თაოსნობითა და იუნესკოს მხარდაჭერით. ცენტრს ავსტრალიაში აქვს საზღვარგარეთული ბიურო (ხელმძღვანელი მელბურნის უნ-ტის პროფესორი, ქართვ. ეთნომუსიკოლოგი ი. ჟორდანია). ცენტრს ჰყავს საერთაშ. სამეთვალყურეო საბჭო, რ-ის შემადგენლობაში შედიან მსოფლიოს გამოჩენილი ეთნომუსიკოლოგები. ტრად. მრავალხმიანობის კვლევის საერთაშ. ცენტრის მიზანია მრავალხმიანობით დაინტერესებული მკვლევრების ერთმანეთთან დაკავშირება, ამ სფეროში არსებული სხვადასხვა ენაზე და სხვადასხვა დროს გამოცემული მასალების და ჩანაწერების თავმოყრა და მკვლევრებისა და ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა; მსოფლიო მრავალხმიანობის რუკისა და მონაცემთა ბაზის შექმნა, ტრად. მრავალხმიანობის საერთაშ. სიმპოზიუმების ორგანიზება და მათი მოხსენებების კრებულების გამოცემა. მას აქვს ფართო საერთაშ. კავშირები მსოფლიოს გამოჩენილ ეთნომუსიკოლოგებთან და მრავალხმიანობის კვლევის სამეცნ. ცენტრებთან.

2009 თ. ჰ-ში გაიხსნა ახ. სტრუქტურული ერთეული – სამუსიკო



თბილისის კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმ-კაბინეტი.

სემინარია – თერთმეტწლედი, რ-ის მიზანია განსაკუთრებული მუს. ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა, განვითარება და მათი პროფ. ორიენტაცია ადრეული ასაკიდან.

1952 მ. პ-ის ისტორიაში მესამედ, 1924 და 1936 შემდეგ, გაიხსნა საოპერო სტუდია, რ-იც არის ვოკალურ-სცენური ოსტატობის სკოლა კონსერვატორიის აკად. სიმღერის ფაკ-ტის სტუდენტებისათვის.

თბილისის კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმ-კაბინეტი შეიქმნა 1997 წ. მაისში. მის ფონდებში დაცულია ქართ. მუს. კულტ. მემკვიდრეობის უნიკალური ნიმუშები, მუსიკოსების მიერ დატოვებული მემკვიდრეობა (XIX ს. II ნახევრიდან): 1850-ით დათარიღებული აფიშები, პროგრამები, ხელნაწერები, კედლის ფაიფურის სამშვენისები, ქართვ. მხატვართა მიერ საოპერო სპექტაკლებისათვის შექმნილი ესკიზები, ლიბრეტოები; კონსერვატორიის ისტ. ამსახველი დოკუმენტაცია (კონსერვატორიის სამხატვრო საბჭოს 1917–19 წწ. ოქმები), ავტოგრაფები, ცალკეული და ჯგუფური ფოტოები, მ. შ.: ზ. ფალიაშვილის, ვ. სარაჯიშვილის, დ. არაყიშვილის, ა. ვირსალაძის, კ. ალიხანოვის, ფ. კესნერის, ა. თულაშვილის, ა. რუბინშტეინის, ლ. ტრუსკოვსკის, ვ. ჰოროვიცის, ა. და ვ. ლევინების, დ. ანდღულაძის და სხვ. მუსიკოსების პირადი ნივთები, მ. შ.: მ. გლინკას, პ. ჩაიკოვსკის, თ. შალიაპინის, ი. ჰოფმანის, ტ. დიუბუას, ს. რახმანინოვის ავტოგრაფები. ექსპოზიციას ამშვენებს ამერ. ,,კარპენტერის'' ფირმის ფისჰარმონიები; ს. რახმანინოვის პირადი ,,Bechstein''-ის ფირმის როიალი, რ-იც 1912 წ. საკონცერტო ტურნეს შემდეგ დაუტოვებია კომპოზიტორს. როიალი, ანა თულაშვილის რეკომენდაციით, 1925 მ. პ-მ კერძო პირისაგან შეიძინა. 1999–2005 გაიზარდა სამუზეუმო ექსპონატებისა და საფონდო მასალის რაოდენობა. მუზეუმში ტრადიციულად ტარდება კონსერვატორიაში მოღვაწე მუსიკოსების, ღვაწლმოსილი პედაგოგების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული მოძრავი და სტაციონარული ექსპოზიციები, იმართება კონფერენციები, თემატურად მრავალფეროვანი კამერული, შემოქმედებითი საღამოები სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების და უცხოელი მუსიკოსების მონაწილეობით.

მ. პ-ის შენობა, როგორც არქიტ. ძეგლი, შეტანილია კულტ. მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში. კონსერვატორიაზე მზრუნველ მეცენატთა, ბიზნესჯგუფებისა და მეგობრების თანადგომის შედეგად, თანამედროვე სტანდარტის შესაბამისად, რეკონსტრუირებულია კონსერვატორიის დიდი (500 ადგილი) და მცირე (200 ადგილი) საკონცერტო დარბაზები; კამერული (80 ადგილი), საოპერო სტუდიის და კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრის სარეპეტიციო დარბაზები; საკონფერენციო დარბაზი, თანამედროვე ტექ. საშუალებებით აღჭურვილი ფონოთეკა და ხმის ჩამწერი სტუდიები. მ. პ-ის მზრუნველთა საბჭო შეიქმნა 2002.


სხვადასხვა წლებში მ. პ-ს ხელმძღვანელობდნენ: ნ. ნიკოლაევი (1917–18), ა. ჩერეპნინი (1919–22), მ. იპოლიტოვ-ივანოვი (1924–25), ზ. ფალიაშვილი (1918–19; 1922–23; 1930–31), დ. არაყიშვილი (1926–29); ა. ხოფერია (1929–30), გ. შავგულიძე (1931–32), ა. დუდუჩავა (1932), ა. ხოფერია (1933–37); გ. კილაძე (1938–40; 1940–41; 1944–51), შ. მშველიძე (1940), ვ. გოკიელი (1941–43), ი. ტუსკია (1952–62), ო. თაქთაქიშვილი (1962–64), ს. ცინცაძე (1965–84), ნ. გაბუნია (1984–2000), მ. დოიჯაშვილი (2000–11), რ. კიკნაძე (2011-იდან).

თბილისის კონცერნი ,,ქართული ფილმი'', იხ. *,,ქართული ფილმი''.*

თბილისის კურორტების ჯგუფი, თბილისის მიდამოებში და მიმდებარე მთის ფერდობებზე არსებული კურორტები. დაბლობ ზონაში, ძველი თბილ. უბანშია *თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი.* დაბალი მთის ზონაში – წყნეთი (ზ. დ. 700–1100 *მ*), ოქროყანა (ზ. დ. 760 *მ*), წავკისი (ზ. დ. 960 *მ*), საშუალო მთის ზონაში – კოჯორი (ზ. დ. 1350 *მ*), მანგლისი (ზ. დ. 1200 *მ*), კიკეთი (ზ. დ. 1200 *მ*). ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყით დაფარულ დაბალ და საშუალო მთის ზონაში კლიმ. პირობები სიმაღლის მიხედვით მნიშვნელოვნად იცვლება. დაბლობ ზონაში ზამთარი უთოვლოა (იანვ. საშ. ტემპ-რა –0,9°C), ზაფხული ცხელია (აგვ. საშ. ტემპ-რა 24,2°C); დაბალმთიან ზონაში ზამთარი მცირეთოვლიანია (იანვ. საშ. ტემპ-რა –2°C), ზაფხული თბილი (აგვ. საშ. ტემპ-რა 20°C); საშუალო მთის ზონაში ზამთარი თოვლიანია (იანვ. საშ. ტემპ-რა –2,6°C), ზაფხული – ზომიერად მშრალი (აგვ. საშ. ტემპ-რა 17,5°C). კურორტების ზონაში ნალექები ზომიერია (550–700 *მმ/წ*), მზის ნათების ხანგრძლივობა აღემატება 2000 *სთ* წელიწადში. შედარებით დაბალი თერმული მაჩვენებლები, ჰაერის სისუფთავე, მზის მაღალი აქტივობა საუკეთესო პირობებს ქმნის თბილ. მოსახლეობის დასვენებისათვის.

თბილისის მაზრა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რუ-

თბილისის გეგმა ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით. 1735.



1 მეფის სასახლე
2 დედოფლის სასახლე
3 კარის საყდარი
4 მეფის მოედანი
5 ბატონიშვილის სასახლე
6 ანჩისხატი
7 ამილახვარის სახლი
8 ბატონიშვილის სახლი
9 ლუარსაბისა
10 მუხრანის ბატონისა
11 სიონი
12 თბილელის ქარვასლა
13 მელიქის ქარვასლა
14 მეფის ფუნდუკი
15 ცხის მეიდანი
16 ნაკოლოზის საყდარი
17 ცხის საყდარი
18 მაღალი ცხე
19 სტამბლის გოდოლი
20 შიახტახტი
21 კოკრის კარი
22 დიდმის კარი
23 მეიდნის კარი ხიდით
24 ჭვემო კარი ხიდით
25 ვანქა
26 სასაფლაო სომეხთა
27 მეიდნის სასახლე
O განჯის კარი
28 მეიდანი ანუ ასპარეზი
29 ყიაბულას ბაღი
30 საბაზიერო მეფისა
31 სასაფლაო თათრისა
32 ციციშვილის სახლი
33 ქაშოეთი
34 კალობანი
35 არაგვის ერისთავის სახლი
36 სომხის საყდარი
37 ბეჟანას ქარვასლა
38 მამასახლისის ბაღი
39 დედოფლის ბაღი
40 მეფის დიდი ბაღი
41 ამარათი
42 თბილელის ბაღი
43 სალალაკისწყალი
44 იშეტრუჭი
45 მთაწმინდა
46 ტბილისის ხიდი ცხიდამ
47 ტბილისის ბაღი სეიდაბადისა
48 ხალათგარი
49 მთაბორი
50 თათართ საფლავი
51 ცხის ბაღი
52 ოჭუანთ ხიდი
53 წავკისისწყალი
54 კრწანისის ბაღი
55 მეტეხი ციხითა
56 ავლაბარი, ისნი
57 სომხის საყდარი
58 ბერძნის საყდარი
59 მელიქის საყდარი
60 ბებუთას ბაღი
61 სომხის საყდარი
62 ჩუღურეთი
63 კვირაცხოველი
64 ახალი სოფელი
65 ახალი ბაღი მეიდნისა
ა ქალა ანუ ტბილისი
ბ მამასახლისის საყდარი
გ სომხის საყდარი
დ ლათინთ საყდარი
ვ ბეჟანის ბაღი
ზ მოღნისი
ჱ კლდისუბნის საყდარი
ი ცხე დაბალი
თ მაღალი ცხე
ი სეიდაბადი ან ტბილისი
ია ხიდი ავლაბრისა
იბ გარეთუბანი
იგ ავლაბრის კარი
იდ მდინარე მტკვარი
გზა
ღელე
იე თხრილი
გორა
ივ ფრანგთ საფლავი

სეთის იმპერიის *თბილისის გუბერნიის* ცენტრალურ ნაწილში. მოიცავდა ისტ. ქვემო ქართლს, მდ. ალგეთის ზემო წელს, ყარაიაზის ველს და გარეკახეთს. 1803 წ. 23 სექტემბერს იმპერატორის ბრძანებით, ლორეს მაზრა თ. მ-დ გადაკეთდა. მის შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე ბამბაკის, ბორჩალოს, ყაზახის, შამშადილისა და შურაგელის დისტანციები.

1840 წ. 10 აპრ. ბრძანების თანახმად ეს დისტანციები (გარდა ბორჩალოს დისტანციისა) ახალშექმნილ ელიზავეტპოლის მაზრას გადასცეს, რ-იც *საქართველო-იმერეთის გუბერნიის* შემადგენლობაში შედიოდა. 1868, როდესაც ელიზავეტპოლის გუბ. შეიქმნა, ხსენებული დისტანციები ამ გუბერნიას მიაკუთვნეს.

1840 აპრილში, სენატის ბრძანების თანახმად, თ. მ. საქართველო-იმერეთის გუბ. შემადგენლობაში შევიდა და იგი ოთხგორის, დუშეთის, თბილისის და ბორჩალოს უბნებად დაყვეს.

1846 წ. 14 დეკემბერს თ. მ. თბილ. გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა. 1862 წ. 16 მარტს ახ. ადმ.-ტერიტ. ერთეულები – ლორეს და თრიალეთის საპრისტავოები დაარსდა. 1867 წ. დეკემბერში თ. მ-ს ჩამოაშორეს დუშეთის უბანი და *დუშეთის მაზრა* შექმნეს.

თ. მ-ის აღმ. ნაწილში ახ. დასახლებული პუნქტების შექმნამ მის შემადგენლობაში კიდევ ერთი ახ. ადმ.-ტერიტ. ერთეულის – ყარაიაზის საპრისტავოს შექმნა განაპირობა, რ-იც საბოლოოდ 1873 კამერალური აღწერით განმტკიცდა.

1870 თ. მ-ს ჩამოაშორეს ლორეს, თრიალეთისა და ბორჩალოს საპრისტავოები, რ-თაგან დამოუკიდებელი ერთეული – შულავერის დროებითი ადმ. განყოფილება შექმნეს. იგი შემდეგში *ბორჩალოს მაზრად* გადაკეთდა. როდესაც კვლავ აღადგინეს მაზრების უბნებად დაყოფა, თ. მ. სართიჭალის, თბილისისა და ყარაიაზის საპოლიციო უბნებად დაყვეს.

თ. მ. გაუქმდა 1930.

ზ. ცინცაძე.


თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატი „საქართველო“, იხ. *„მაუდი“.*


თბილისის XVIII და XIX საუკუნეების გეგმები, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1735 შედგენილი თბილისის გეგმა ქალაქის პირველი გეგმაა. მას დართული აქვს ექსპლიკაცია ქალაქისა და მისი მიდამოების აღწერითურთ. გეგმაზე ნაჩვენებია ქალაქის მაშინდელი საზღვრები, საფორტიფიკაციო ნაგებობები, კარიბჭეები და უმთავრესი გზები. ძირითადი განაშენიანების აღნიშვნა პირობითია, გამოირჩევა საკულტო ნაგებობები, მეფისა და დიდგვაროვანთა სასახლეები, ქარვასლები, ბაღები. ქუჩების ქსელი გეგმაზე არ არის ნაჩვენები, აღნიშნულია მხოლოდ რამდენიმე მთავარი ქუჩა და მოედანი.

XVIII ს-იდან შემონახულია თბილისის კიდევ 3 გეგმა. სამივე 70-იან წლებს განეკუთვნება. ამ გეგმებზე აღბეჭდილია ის ცვლილებები, რ-იც ქალაქმა განიცადა ვახუშტის გეგმის შემდგომ პერიოდში. ცვლილებები შეეხო როგორც ქალაქის საზღვრებს, ისე საფორტიფიკაციო ნაგებობებს და განაშენიანებას. 1785 გეგმაზე (შედგენილია ა. პიშჩევიჩის მიერ) პირველად არის ნაჩვენები თბილ. ქუჩების რთული, დახლართული ქსელი. ექსპლიკაციაში დასახელებულია ქალაქის მსხვილი ნაგებობანი, მოედნები, ბაზრები, სახელოსნოები, სამრეწვ. საწარმოები და სხვ.

XIX ს. დასაწყისის გეგმებზე თბილისი ჯერ კიდევ ინარჩუნებს ფეოდ. ქალაქის ყველა ნიშანს – აქვს ციტადელი, გალავანი, კოშკები, ქუჩების რთული, უსისტემო ქსელი, დაბალსართულიანი განაშენიანება ეკლესიებისა და ციხესიმაგრეების დომინანტობით. ამავე დროს იწყება ქალაქის ზრდა ჩრდ.-დას. მიმართულებით, გალავანს გარეთ.

პორუჩიკ ჩუიკოს 1800 გეგმა პირველია, რ-იც შედგენილია სპეც. ხელსაწყოების საშუალებით და, ამდენად, უფრო ზუსტია წინა გეგმებთან შედარებით. 1802 გეგმაზე ქალაქის საზღვრების მნიშვ-





ნელოვანი გაფართოება აღინიშნება, მოცემულია აგრეთვე გარეთუბნის ბაღებისა და მისი მიმდებარე ტერიტ. დაგეგმარების პროექტი. აქ რეგულ. სწორკუთხა კვარტალები მოქცეულია ურთიერთმართობ ქუჩათა ბადეში, იწყება ახ. ცენტრის ჩამოყალიბება. ამ გეგმით დასახულ მიმართულებას ინარჩუნებს დღევანდ. რუსთაველის გამზირი, გ. ჭანტურიას, ცხრა აპრილის, ზუბალაშვილების ქუჩები.


1821, 1823, 1824, 1831 წლების გეგმებში დიდი სხვაობა არ აღინიშნება. ისინი უმთავრესად გვიჩვენებენ ქალაქის ტერიტ. ზრდას და მის ცალკეულ ნაწილებში ქუჩების რეგულ. ქსელის გაჩენას. 1824 გეგმაზე სოფ. კუკია და ჩულურეთი უკვე ქალაქის ფარგლებშია მოქცეული. მტკვრის მარცხ. სანაპიროზე ნაჩვენებია გერმანელთა დასახლება, ქალაქი მიიწევს ნავთლუღისაკენ, მარჯვ. სანაპიროზე კი ვერემდე აღწევს. გეგმა შეიცავს აგრეთვე ავლაბრის უბნის დაგეგმარების პროექტს. 1828 გეგმაზე პირველად ჩნდება სალალაკის გეგმა და მთავარი (პასკევიჩ-ერევანსკის, ახლანდ. თავისუფლების) მოედანი.

XIX ს. II ნახ. გეგმებზე ქალაქი უკვე თითქმის ორჯერაა გაზრდილი. ზრდა აღინიშნება როგორც ჩრდ.-დას-ით, ისე სამხრ.-აღმ-ით, მტკვრის დინების გასწვრივ. დაგეგმილია სალალაკი, გაზრდილია ხარფუხი, ავლაბრის უბანი, ნავთლუღი, გერმანელთა დასახლება სწორი ქუჩის (ახლანდ. დავით აღმაშენებლის პროსპექტი) გასწვრივ, დაგეგმილია მთაწმინდის უბანი და ახ. კუკია. 1844 გეგმაზე კუკია ჯერ კიდევ სოფლის იერს ატარებს, 1850 გეგმაზე კი უკვე სავსებით ქალაქური იერი აქვს. კუკიის ქუჩების იმდროინდელი ქსელი დღემდეა შემორჩენილი.

1867 გეგმაზე ქალაქს შემოერთებული აქვს ვარდისუბანი და ვერე ახლანდ. გმირთა მოედნამდე. 70-იან წლებში ჩნდება დიდუბის დასახლება, იზრდება კუკია, ავლაბარი, ჩულურეთი. 80-იანი წლების გეგმებზე სალალაკი უკვე სრულად ჩამოყალიბებულია, განაშენიანებულია მთაწმინდა, მხოლოდ მის ზედა ნაწილში იკარგება ქუჩების რეგულ. ხასიათი. კალა უცვლელია. თვალსაჩინოა მისი განსხვავება ახ. უბნებისაგან, რ-ებიც გეგმის მიხედვითაა განაშენიანებული. კალაში არ არის არც ერთი სწორი ქუჩა, არც ერთი წესიერი მოხაზულობის კვარტალი, არ არის მწვანე ნარგავები. ახ. უბნებში რეგულ. გეგმაა, შედარებით მოზრდილი კვარტალები, მათ შიგნით მწვანე ნარგავები, ქუჩები უფრო ფართო და სწორია, მოედნები შედარებით წესიერი მოხაზულობისაა, პირველად ჩნდება საზ. ბაღები.

მიუხედავად იმისა, რომ XVIII

თბილისის მეტროპოლიტენის სქემა



და XIX სს. თბილისის გეგმები საკმაოდ ხშირად დგებოდა და შეიცავდა ქალაქის ცალკეულ ნაწილთა დაგეგმარების სქემატურ პროექტებსაც, რ-ებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ახლანდ. ქალაქის არსებული განაშენიანების ხასიათს, თბილისს ამ პერიოდში განვითარების ერთიანი გეგმა არ ჰქონია, არც რაიმე ხუროთმოძღვრული იდეა დასდებია საფუძვლად მისი რომელიმე ნაწილის დაგეგმვას.

XVIII–XIX სს. თბილ. გეგმები დიდმნიშვნელოვანი ისტ. დოკუმენტებია. მათი დიდი ნაწილი დაცულია ცენტრ. საისტ. არქივში და *თბილისის ისტორიის მუზეუმში.*

ლიტ.: ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801–1917 წწ., ტ. 1, თბ., 1960. *ნ. ასათიანი.*

თბილისის მეტროპოლიტენი, მიწისქვეშა რკინიგზა, საქალაქო ტრანსპორტის ყველაზე სწრაფი, უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა სახეობა. 1951 წ. 29 სექტემბერს სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება თ. მ-ის მშენებლობის შესახებ. *მეტროპოლიტენის* მშენებლობა 1952 დაიწყო. თ. მ. მსოფლიოში ოცდამეექვსე, სსრკ-ში – მეოთხე, ხოლო კავკასიაში – პირველია. მეტროპოლიტენის მშენებლობა ქალაქის განლაგებით (სიგრძე – 40 *კმ,* სიგანე – 4 *კმ*), მისი ვიწრო ქუჩებით იყო გამოწვეული, რაც მიწისზედა ტრანსპორტის განვითარებას ზღუდავდა. ქალაქს ზოგ შემთხვევაში ერთადერთი ქუჩა აკავშირებდა ახალგაშენებულ ვრცელ საცხოვრ. რ-ნებთან. ქუჩების გასაკვალავად ჭრიდნენ მთის მასივებს, აშენებდნენ ხელოვნურ ბურჯებსა და საყრდენებს. გარდა ამისა, თბილისი მნიშვნელოვანი კულტ. და პოლიტ. ცენტრი იყო და მას თანამედროვე სწრაფი ტრანსპორტი ესაჭიროებოდა.

მეტროპოლიტენის მშენებლობისათვის შეიქმნა სპეცსამმართველო ,,თბილმეტრომშენი'' (შემდგომში ,,*თბილგვირაბმშენი*''), რ-საც 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა თ. მ-ის ერთ-ერთი ფუძემდებელი ვ. *გოცირიძე.* საპროექტო სამუშაოების შესრულება ,,კავგიპროტრანსს'' (შემდგომში ,,საქტრანსპროექტი'') დაევალა. მეტროპოლიტენის დაპროექტებასა და მშენებლობაში ადგილ. კადრებთან ერთად მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი) და კიევის მეტრომშენებლები. მშენებლობა რთულ გეოლ. პირობებში მიმდინარეობდა (მიწისქვეშა მცოცავი ქანები, აგრესიული და თერმული წყლები და სხვ.). წარმოქმნილი სიძნელეების გამო მშენებლობაზე დაინერგა ბევრი ტექ. სიახლე – მექანიზებული ფარი „105-თბილისი'', რ-ის შემქმნელებს (ბ. ფაჩულია, ა. ყურაშვილი, ი. კოშელევი და სხვ.) სსრკ სახელმწ. პრემია მიენიჭათ (1973); სულფატმედეგი ცემენტის ინიექცია მიწისქვეშა აგრესიულ და თერმულ წყლებთან საბრძოლველად და სხვ. აიგო უნიკალური სადგურები, გადასარბენი გვირაბები, დეპოები და სხვა საინჟ. ნაგებობები. თ. მ-ის მშენებლობაში ჩაბმული იყო დედაქალაქისა და მთელი ქვეყნის საწარმოები. მშენებლობასთან ერთად საჭირო იყო მეტროპოლიტენის ექსპლუატაციისათვის მზადება, რისთვისაც საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წ. 8 თებერვლის №78 დადგენილების საფუძველზე შეიქმნა თ. მ-ის სამართველო შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფებით. 1968 ვაგზლის მოედანზე აშენდა თ. მ-ის ადმ. შენობა (არქიტექტორები: ე. კვერნაძე გ. მელქაძე). გრძივი, ჰორიზონტალურად დანაწევრებული რკინაბეტონის ზოლური სარტყელები, რ-ებიც ამავე დროს მზისგან დამცავი სისტემაცაა, გასდევს შენობის ფასადს და ქმნის ადმ.-ტექ. ნაგებობის თავისებურ, ნეიტრალურ, ლაკონიურ და ერთიან სახეს.



მეტროს სადგური ,,დიდუბე''.

1965 წ. 28 ნოემბერს „დიდუბის'' სადგურიდან საცდელ რეისში გავიდა პირველი მატარებელი. თ. მ-ის პირველი რიგის პირველი უბანი, „რუსთაველი'' – ,,დიდუბე'', 1966 წ. 11 იანვარს გადაეცა საექსპლუატაციოდ. პარალელურად მუშაობა სხვა უბნებზეც მიმდინარეობდა, მწყობრში დგებოდა მომდევნო მონაკვეთები: 1967 წ. 7 ნოემბერს – თ. მ-ის პირველი რიგის მეორე უბანი (,,რუსთაველი''–,,300 არაგველი''), ხოლო 1971 წ. 10 მაისს – მესამე უბანი (,,300 არაგველი''–,,სამგორი''), რითაც დამთავრდა თ. მ-ის პირველი რიგის 12,6 *კმ* მიწისქვეშა რკინიგზის მშენებლობა. თ. მ-ის სადგურების არქიტ. გაფორმების პროექტები დამუშავდა ,,თბილქალაქპროექტსა'' და ,,კავგიპროტრანსში''. თ. მ-ის ახმეტელის თეატრი–ვარკეთილის ხაზზე განლაგებულია შემდეგი სადგურები:

„დიდუბე'', ახმეტელის თეატრი–ვარკეთილის ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 1966 წ. 11 იანვარს (არქიტექტორები: ნ. ლომიძე, გ. მოძმანიშვილი); მიწისზედა სადგური წარმოადგენს ღია პლატფორმას რკინაბეტონის გადახურვით. პლატფორმის ნაწილზე აღმართულია ორსართულიანი ვესტიბიული – მსუბუქი რკინაბეტონის კარკასი დიდი შემინული ღიობებით. სადგური ქალაქის ქუჩებთან დაკავშირებულია კიბეებითა და გადასასვლელებით. სადგურში შესასვლელი ორი მხრიდანაა (თორნიკე ერისთავის ქუჩიდან და დიდუბის ავტობუსების ქვედა სადგურიდან).

,,გოცირიძე'' (ყოფ. „ელექტროდეპო'', სახელი გადაერქვა 2011 წ. აპრილში), ახმეტელის თეატრი–ვარკეთილის ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 1966 წ. 11 იანვარს (არქიტექტორები: ნ. ლომიძე, გ. მოძმანიშვილი). იგი წარმოადგენს მიწისზედა სადგურს გვერდითი ბაქნებით, განთავსებულს მონოლითური რკინაბეტონის ესტაკადაზე. მიწისზედა სადგურის არქიტექტურა სადაა და ლაკონიური, რკინაბეტონის საყრდენებზე განლაგებული ბაქნების ბოლოს მოთავსებულია პავილიონის ტიპის ვესტიბიული, რ-იც კიბით უკავშირდება სალაროების დარბაზს და ქალაქში გასასვლელს (ზესტაფონის ქუჩაზე).

„ნაძალადევი'' (ყოფ. „ოქტომბერი'', სახელი გადაერქვა 1991 წ. აპრილში), ახმეტელის თეატრი–ვარკეთილის ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 1966 წ. 11 იანვარს (ვესტიბიულისა და სამგზავრო დარბაზის არქიტექტორები: თ. თევზაძე, რ. კიკნაძე). სადგურის ზედა ნაგებობა მთლი-



მეტროს სადგური ,,სადგურის მოედანი-1‘‘.

ანად შემინულია. სამგზავრო დარბაზი სამ ნაწილადაა გაყოფილი გეგმით მართკუთხა პილონებით (სვეტები). გადახურვა არქიტრავულია. პილონები მოპირკეთებულია მონაცრისფრო მარმარილოთი, იატაკი – რუხი გრანიტის ფილებით. სადგურს შესასვლელი ერთი მხრიდან (ც. დადიანის ქუჩა) აქვს. მიწისზედა ვესტიბიულის კედელზე წარმოდგენილია ძველი თბილისის პანო (ავტორები – არქიტექტორები: რ. კიკნაძე, რ. ბერიძე, თ. თევზაძე), ხოლო სამგზავრო დარბაზში ქალაქის მოტივებზე შესრულებული დეკორატიული პანოს ავტორია მხატვარი ა. გურგენიძე. მოსაცდელ დარბაზში ტორსული კედელი ადრე დეკორირებული იყო რევოლუციის თემაზე შექმნილი პანოთი (მხატვარი ნ. იგნატოვი), რ-იც 1993 აიღეს. 2007 სადგურში ჩატარდა კაპიტ. შეკეთება.

,,სადგურის მოედანი-1‘‘ (ყოფ. „ვაგზლის მოედანი-1‘‘, სახელი გადაერქვა 2011 წ. აპრილში), ახმეტელის თეატრი–ვარკეთილის ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 1966 წ. 11 იანვარს. ვესტიბიული ჩაშენებულია მეტროპოლიტენის ადმ. შენობაში (რკინიგზის სადგურთან ვესტიბიულის არქიტექტორები: ე. კვერნაძე, გ. მელქაძე; ც. დადიანის ქუჩაზე გამავალი ვესტიბიულის – არქიტ. გ. მოძმანიშვილი). ქვედა სადგურის



მეტროს სადგური ,,მარჯანიშვილი‘‘.

სივრცე გაყოფილია სამ ნაწილად თაღებით, რ-იც ეყრდნობა მარმარილოთი მოპირკეთებულ პილონებსა და კედლებს. იატაკზე დაგებულია გრანიტის ფილები (სამგზავრო დარბაზის არქიტ. ვ. აბრამიშვილი). ,,სადგურის მოედანი-1-ს‘‘ შესასვლელი სამი მხრიდან (ცენტრ. – რკინიგზის სადგურის მხრიდან, გადასასვლელით ,,ბავშვთა სამყაროს‘‘ მხრიდან და ც. დადიანის ქუჩიდან) აქვს. სადგური ორი დახრილი საესკალატორო გვირაბით უკავშირდება მიწის ზედაპირს, გადასასვლელი დერეფნით კი – საბურთალოს (მე-2) ხაზს. ესკალატორიდან მოსაცდელ დარბაზში გახსნილი თაღის ზემოთ თბილისის 1500 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ხმლისა და თასის ჰორელიეფური გამოსახულებაა წარწერით: ,,ოდეს მაშვრალს მოსწყურდების‘‘.

„მარჯანიშვილი‘‘, ახმეტელის თეატრი–ვარკეთილის ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 1966 წ. 11 იანვარს (სამგზავრო დარბაზის არქიტექტორები: გ. მელქაძე, თ. მიქაშავიძე, ნ. ქვარცხავა, ი. ყავლაშვილი). ვესტიბიული (არქიტ. მ. მელია) ჩაშენებულია ყოფ. საპროექტო ინ-ტის „*თბილქალაქპროექტის*‘‘ შენობაში. სადგურს შესასვლელი ერთი მხრიდან (კ. მარჯანიშვილის მოედანი) აქვს. ინტერიერი სადაა, მოპირკეთებულია წითელი და რუხი მარმარილოთი; ვესტიბიული მიწისქვეშა დარბაზს უკავშირდება საესკალატორო დახრილი გვირაბით. მიწისქვეშა სადგურში კამარისა და კედლების თეთრ ფონზე კონტრასტულად გამოირჩევა შავი პოლირებული გრანიტის იატაკი და რუხი მარმარილოთი მოპირკეთებული თაღები. მოსაცდელი დარბაზის ბოლოს, კედელზე კოტე მარჯანიშვილის სკულპტურული პორტრეტია (მოქანდაკე მ. ბერ-



მეტროს სადგური ,,რუსთაველი‘‘.

ლის თეატრი–ვარკეთილის ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 1966 წ. 11 იანვარს (სამგზავრო დარბაზის არქიტექტორები: გ. მელქაძე, თ. მიქაშავიძე, ნ. ქვარცხავა, ი. ყავლაშვილი). ვესტიბიული (არქიტ. მ. მელია) ჩაშენებულია ყოფ. საპროექტო ინ-ტის „*თბილქალაქპროექტის*‘‘ შენობაში. სადგურს შესასვლელი ერთი მხრიდან (კ. მარჯანიშვილის მოედანი) აქვს. ინტერიერი სადაა, მოპირკეთებულია წითელი და რუხი მარმარილოთი; ვესტიბიული მიწისქვეშა დარბაზს უკავშირდება საესკალატორო დახრილი გვირაბით. მიწისქვეშა სადგურში კამარისა და კედლების თეთრ ფონზე კონტრასტულად გამოირჩევა შავი პოლირებული გრანიტის იატაკი და რუხი მარმარილოთი მოპირკეთებული თაღები. მოსაცდელი დარბაზის ბოლოს, კედელზე კოტე მარჯანიშვილის სკულპტურული პორტრეტია (მოქანდაკე მ. ბერ-



მეტროს სადგური ,,თავისუფლების მოედანი‘‘.

ძენიშვილი), რ-ის სახელსაც ატარებს სადგური.

,,რუსთაველი‘‘, ახმეტელის თეატრი–ვარკეთილის ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 1966 წ. 11 იანვარს. მიწისზედა ვესტიბიული ცილინდრული ფორმის ნაგებობაა (არქიტ.: ო. კალანდარიშვილი). ქვედა დარბაზში (არქიტ. ლ. ჯანელიძე) კამარა ეყრდნობა წითელი მარმარილოთი მოპირკეთებულ მასიურ პილონებს. სადგურს შესასვლელი ერთი მხრიდან (მ. კოსტავას ქუჩა) აქვს. ,,რუსთაველი‘‘ ყველაზე ღრმა სადგურია ყველაზე გრძელი ესკალატორით. შესასვლელის თავზე მოთავსებულია შოთა რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის‘‘ თემაზე შექმნილი ფრიზი, ხოლო მოსაცდელი დარბაზი ვეფხისა და მოყმის რელიეფური გამოსახულებითაა შემკული (მოქანდაკე ე. ამაშუკელი).

„თავისუფლების მოედანი‘‘ (ყოფ. „ლენინის მოედანი‘‘, სახელი გადაერქვა 1990 წ. ოქტომბერში), ახმეტელის თეატრი–ვარკეთილის ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 1967 წ. 7 ნოემბერს (სამგზავრო დარბაზის არქიტექტორები: ვ. ალექსი-მესხიშვილი, ქ. კობახიძე). მიწისზედა ვესტიბიული (არქიტექტორები: რ. ბაირამაშვილი, დ. მორბედაძე) შედის ყოფ. უნივერმაღ „თბილისის‘‘ კომპლექსში. მიწისქვეშა



მეტროს სადგური ,,ავლაბარი‘‘.

დარბაზში, რ-იც ვესტიბიულთან დაკავშირებულია ესკალატორით, თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებული პილონების რიგია; იატაკზე დაგებულია წითელი მარმარილოს ფილები. ,,თავისუფლების მოედანი'' ერთ-ერთი ყველაზე ღრმად განთავსებული სადგურია მ. მ-ში და რამდენიმე მეტრით ჩამორჩება ,,რუსთაველს''. სადგურში შესასვლელი ერთი მხრიდანაა (შოთა რუსთაველის გამზირი). მოსაცდელ დარბაზში ომის, მშვიდობისა და შრომის თემაზე შექმნილი ოთხი რელიეფური პანოა (მხატვრები: ა. რატიანი, ვ. ჭუმბურიძე). 2006 სადგურში ჩატარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ნაწილობრივ შეიცვალა დიზაინი, განახლდა ინტერიერი.

„ა ვ ლ ა ბ ა რ ი'' (ყოფ. „26 კომისარი'', სახელი გადაერქვა 1991 წ. აპრილში), ახმეტელის თეატრი–ვარკეთილის ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 1967 წ. 7 ნოემბერს (არქიტექტორები: ვესტიბიულის – ს. რევიშვილი, შ. ჩაჩანიძე; სამგზავრო დარბაზის – შ. ჩაჩანიძე). სადგურს შესასვლელი ერთი მხრიდან (ავლაბრის მოედანი) აქვს. ვესტიბიული სამგზავრო დარბაზს უკავშირდება ესკალატორით. მიწისქვეშა დარბაზი გადახურულია კამარით, რ-იც ეყრდნობა შავი მარმარილოთი მოპირკეთებულ პილონებს. 2006 სადგურს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია – ვესტიბიულში, საესკალატორო დახრილ გვირაბში და ქვედა პლატფორმაზე ნაწილობრივ შეიცვალა დიზაინი, განახლდა ინტერიერი.

სადგურის შესასვლელის წინ იდგა 26 კომისრისადმი მიძღვნილი ქანდაკება (მოქანდაკე დ. სიხარულიძე), ხოლო ქვედა დარბაზში იყო ქვაში გამოკვეთილი რელიეფური გამოსახულება (მხატვარი ზ. ლეჟავა), რ-ებიც აიღეს 1992.

„3 0 0 ა რ ა გ ვ ე ლ ი'', ახმეტელის თეატრი–ვარკეთილის ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 1967 წ.



მეტროს სადგური ,,ისანი''.

7 ნოემბერს (სამგზავრო დარბაზის არქიტ. – გ. ბათიაშვილი). მიწისზედა ვესტიბიული (არქიტ. თ. თევზაძე) რკინაბეტონის ნაგებობაა, აქვს დიდი შემინული ღიობები. ქვედა დარბაზი თეთრი მარმარილოთია მოპირკეთებული, პილონები გადახურულია კამარით. სადგურს შესასვლელი ორი მხრიდან (ქეთევან დედოფლის გამზირი და წინანდლის ქუჩა) აქვს. სამგზავრო დარბაზში არსებული ჭედური პანოს ,,არაგველების'' ავტორები არიან მოქანდაკე თ. გიგაური და მხატვარი გ. გიგაური.

„ი ს ა ნ ი'', ახმეტელის თეატრი–ვარკეთილის ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 1971 წ. 10 მაისს (არქიტექტორები: ვესტიბიულის – ნ. ლომიძე, სამგზავრო დარბაზის – გ. მომმანიშვილი). მდებარეობს ქეთევან დედოფლის გამზირისა და კახეთის გზატკეცილის შესაყართან. შესასვლელი სადგურს ერთი მხრიდან (ქეთევან დედოფლის გამზირი) აქვს. მიწისზედა პავილიონი ორიგინ. გადახურვით გამოირჩევა და ქვედა სადგურს საესკალატორო დახრილი გვირაბით უკავშირდება. მიწისქვეშა დარბაზში გადახურვის კამარა დაყრდნობილია გეგმით ექვსკუთხა სვეტების ორ რიგზე. იატაკი შავი გრანიტისაა. ვესტიბიულის მთელ კედელზე კერამიკული პანოა – ,,თამარ მეფის ნადირობა ისნის ველზე'' (მხატვრები: მ. ბერიაშვილი, ვ. წერეთელი, ვ. ჭუმბურიძე), ხოლო სამგზავრო დარბაზში, სალიანდაგო ხაზის კედლებზე – ლითონში შესრულებული ოთხი დეკორატიული კარი (ავტორი მოქანდაკე ი. ქოიავა). 2006 სადგურს ჩაუტარდა კაპიტ. შეკეთება.



მეტროს სადგური ,,სამგორი''.

„ს ა მ გ ო რ ი'', ახმეტელის თეატრი–ვარკეთილის ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 1971 წ. 10 მაისს (არქიტ. ნ. ლომიძე). მდებარეობს თბილისის რკინიგზის საკვანძო სადგურის ,,ნავთლუღის'' შენობასთან. აგებულია ღია წესით. მიწისზედა ვესტიბიული არა აქვს. მიწისქვეშა სადგურს უკავშირდება კიბით. ქვედა დარბაზში თეთრი სვეტების ორ რიგზე დაყრდნობილი კოჭოვანი გადახურვაა, ჭერი თეთრია, კედლები – კონტრასტულად წითელი. სადგური მოსკოვის გამზირიდან ორი შესასვლელით უკავშირდება სამგზავრო დარბაზს ექვსი ჩასასვლელის (ოთხი – მოსკოვის გამზირიდან, ორი – კახეთის გზატკეცილიდან) მეშვეობით. სადგურიდან კახეთის გზატკეცილზე გამავალი მიწისქვეშა გასასვლელი (აგებული რკინიგზის ლიანდაგის ქვეშ) აღჭურვილი იყო სსრკ-ში პირველი მოძრავი ჰორიზონტალური ესკალატორით (მოძრავი ტროტუარი; ავტორები – არქიტ. ნ. ლომიძე და ინჟინერი ლ. აბაშმაძე). აღარ ფუნქციონირებს 1990 წ. ივლისიდან. სადგურის კედლები შემკობილია რელიეფური გამოსახულებებით. სამგზავრო დარბაზში კერამიკული პანოების – ,,სოფელი'' (წარწერით ,,ვისთვის ჰკვდები, ვერ მიხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ'') და ,,ქალაქი'' – ავტორები არიან მხატვრები: რ. თორდია, ი. ტაბიძე, ა. ხარებავა, ხოლო კახეთის გზატკეცილზე ამოსასვლელის მხარეს არსებული კერამიკული პანოს – ,,ჰიმნი შრომას'' – ავტორია მხატვარი ი. ტაბიძე. სალიანდაგო ხაზის კედლებზე ლითონში შესრულებული ორი კარია (მხატვარი თ. ციცქიშვილი).

„ვ ა რ კ ე თ ი ლ ი'', ახმეტელის თეატრი–ვარკეთილის ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 1985 წ. 9 დეკემბერს (არქიტექტორები: ვ. ბახტაძე, ა. სურვილაძე). მდებარეობს ჯავახეთისა და რ. ხომლელის ქუჩების გადაკვეთაზე. აგებულია ღია წესით. მიწისზედა ვესტიბიული არა აქვს, ქუჩებს უკავშირდება მიწისქვეშა გადასა-



მეტროს სადგური ,,გურამიშვილი''.

სვლელებით. სადგურს ჯავახეთის ქუჩიდან ერთი შესასვლელი აქვს სამი ჩასასვლელით ამავე ქუჩიდან. მიწისქვეშა დარბაზი წარმოადგენს თაღით გადახურულ ერთიან სივრცეს. იატაკზე კურსების გრანიტის ფილებია დაგებული. 2007 სადგური კაპიტალურად შეკეთდა.

„ღრმაღელე“, ახმეტელის თეატრი–ვარკეთილის ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 1985 წ. 7 ნოემბერს (არქიტექტორები: მ. თურქაძე, თ. კალანდაძე). მდებარეობს სანზონის უბანში. მიწისზედა პავილიონი არა აქვს. მეტროს ერთი შესასვლელი აქვს დ. გურამიშვილის გამზირიდან. ვესტიბიული დახრილი საესკალატორო გვირაბით უკავშირდება ქვედა ბაქანს. სადგური აგებულია ღია წესით. კედლები მოპირკეთებულია ურალის მარმარილოთი, იატაკი – კურსების გრანიტით. მოსაცდელი დარბაზის კედლებზე მეტროს მშენებელთა პატივსაცემად შექმნილი ჰორელიეფური გამოსახულებაა (მხატვარი ზ. წერეთელი).

„გურამიშვილი“ (ყოფ. „თემქა“, სახელი გადაერქვა 1995 წ. მარტში), ახმეტელის თეატრი–ვარკეთილის ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 1985 წ. 7 ნოემბერს (არქიტ. ნ. ლომიძე). მდებარეობს ელმავალმშენებელ ქ-ნასთან. მიწისზედა პავილიონი არა აქვს. სადგურში შესასვლელი მიწისქვეშა გადასასვლელიდანაა (დ. გურამიშვილის გამზირი). სადგური ღია წესითაა აგებული, კედლები მოპირკეთებულია სალიეთის წითელი და ურალის ღია ფერის მარმარილოთი, იატაკი – კურსების გრანიტით და მოლითის მარმარილოს ფილებით. სადგურში არსებული რელიეფური პანოების („საქართველო“ და „შრომა“) ავტორები არიან მხატვრები: ი. ტაბიძე, ა. ხარებავა, თ. ცხომელიძე.

1989 გლდანის მასივის მიმართულებით ამოქმედდა კიდევ ორი სადგური – „დავით გურამიშვილი“ (ახლანდ. „სარაჯიშვილი“) და „ახმეტელის თეატრი“.

„სარაჯიშვილი“ (ყოფ. „დავით გურამიშვილი“, სახელი გადაერქვა 1995 წ. მარტში), ახმეტელის თეატრი–ვარკეთილის ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 1989 წ. 15 იანვარს (არქიტექტორები: ვესტიბიულის – ნ. ლომიძე, სამგზავრო დარბაზის – გ. მოძმანიშვილი). სადგურს ერთი შესასვლელი აქვს დ. გურამიშვილის გამზირიდან. აგებულია ღია წესით. ვესტიბიული საესკალატორო დახრილი გვირაბით უკავშირდება სამგზავრო დარბაზს. სადგურის კოლონები და კედლები მოპირკეთებულია ღია ფერის მარმარილოთი, ბაქნის იატაკი კი – კურსების გრანიტით.

„ახმეტელის თეატრი“, ახმეტელის თეატრი–ვარკეთილის ხაზის ბოლო გაჩერება. გაიხსნა 1989 წ. 15 იანვარს (არქიტექტორები: ს. ბოლოთაშვილი, გ. მოძმანიშვილი, გ. რაზმაძე). სადგურს აქვს ერთი შესასვლელი, რ-იც მდებარეობს მიწაში ჩაღრმავებულ ტაფობში და ამფითეატრის ფორმის ქვის კიბეებით უკავშირდება ო. ხიზანიშვილისა და ი. ვეკუას ქუჩებს. სადგურის ვესტიბიული საესკალატორო დახრილი გვირაბით დაკავშირებულია სამგზავრო დარბაზთან. აგებულია ღია წესით. სადგურის კოლონები და კედლები მოპირკეთებულია ღია ფერის მარმარილოთი, ბაქნის იატაკი კი – კურსების გრანიტით. სამგზავრო დარბაზში ქალაქის გასასვლელისკენ არსებულ კერამიკულ პანოზე ასახულია რელიეფური გამოსახულებები ქართული ტაძრებიდან, ხოლო სალიანდაგო ხაზის კედლებზე ოთხი დეკორატიული კარია ქართული ანბანის გამოსახულებით (მხატვარი ი. ტაბიძე). 2007 სადგური განახლდა, ნაწილობრივ შეიცვალა ვესტიბიულის, საესკალატორო გვირაბის დიზაინი, აგრეთვე ინტერიერი.

1979 ექსპლუატაციაში შევიდა თ. მ-ის მეორე რიგი, ე. წ. საბურთალოს ხაზი, რ-მაც სადგური „ვაგზლის მოედანი-1“ (ახლანდ. „სადგურის მოედანი-1“) საბურთალოსთან დააკავშირა. „სადგურის მოედანი-2-იდან“ „ვაჟა-ფშაველას“ მიმართულებით განლაგებულია შემდეგი სადგურები:



მეტროს სადგური „წერეთელი“.

„სადგურის მოედანი-2“ (ყოფ. „ვაგზლის მოედანი-2“, სახელი გადაერქვა 2011 წ. აპრილში) (გადასასხდომი), საბურთალოს ხაზის ბოლო გაჩერება. გაიხსნა 1979 წ. 15 სექტემბერს (არქიტ. თ. კალანდაძე). აგებულია ღია წესით. მიწისზედა ვესტიბიული არა აქვს. სადგური 60-მეტრიანი მიწისქვეშა გადასასვლელითა და კიბეებით დაკავშირებულია „სადგურის მოედანი-1-თან“. მიწისქვეშა დარბაზი კამარით გადახურული ერთიანი სივრცეა, კედლები მოპირკეთებულია შავი გრანიტით. იატაკზე დაგებულია რუხი გრანიტის ფილები. მოსაცდელი დარბაზის ორივე მხარეს კედლები მოწითალო-ყვითელი ფერის ქვაში შესრულებული ჰორელიეფითაა შემკული. მხატვრული პანოების („მშვიდობა“ და „სიუხვე“) ავტორია მხატვარი ი. ქოიავა.

„წერეთელი“, (ყოფ. „წერეთლის გამზირი“, სახელი გადაერქვა 2011 წ. აპრილში), საბურთალოს ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 1979 წ. 15 სექტემბერს (არქიტექტორები: ვესტიბიულის – ს. კაციტაძე, შ. ყავლაშვილი; სამგზავრო დარბაზის – ვ. აბრამიშვილი, დ. მორბედაძე; აკაკი წერეთლის სკულპტურული პორტრეტის ავტორი – მოქანდაკე ე. ამაშუკელი). აგებულია ღია წესით. მიწისზედა ვესტიბიული არა აქვს. ქუჩებთან დაკავშირებულია მიწისქვეშა გადასასვლელითა და კიბეებით. ქვედა დარბაზი ლაბრადორის ქვით მოპირკეთებული, მრავალწახნაგა სვეტების ორი რიგია, გადახურულია კამარით. იატაკი კურსების გრანიტისაა. მგზავრების მიღება ხორციელდება ორი მხრიდან (აკაკი წერეთლის გამზირი და ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა). 2006 სადგურში ჩატარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ნაწილობრივ შეიცვალა ინტერიერი, განახლდა დიზაინი.

„ტექნიკური უნივერსიტეტი“ (ყოფ. „პოლიტექნიკური ინსტიტუტი“ – 1979–2005; „პოლიტექნიკური“ – 2005–2011; ახლანდ. სახელი ეწოდა 2011 წ. აპრილში), საბურთალოს ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 1979 წ. 15 სექტემბერს (არქიტექტორები: ვესტიბიულის – დ. იოსავა, სამგზავრო დარბაზის – გ. მოძმანიშვილი). აგებულია ღია წესით. მიწისზედა პავილიონი არა აქვს. სადგურში შესასვლელი მიწისქვეშა გადასასვლელებით ორი

მხრიდანაა (პეკინის გამზირი და მ. კოსტავას ქუჩა). ქვედა დარბაზის ერთიანი სივრცე გადახურულია კამარით. სადგურის კედლები მოპირკეთებულია ღია ფერის მარმარილოთი, ბაქნის იატაკი – გრანიტით. მოსაცდელი დარბაზის კედლები მოზაიკური ჰორელიეფური გამოსახულებებითაა შემკული. კერამიკული პანოების (,,ხელოვნება და სპორტი'', ,,მეცნიერება და შრომა'') ავტორები არიან მხატვრები: რ. თორდია, ი. ტაბიძე, ა. ხარებავა.



მეტროს სადგური ,,დელისი''.

„სამედიცინო უნივერსიტეტი'' (ყოფ. „კომკავშირელი'' – 1979–91; ,,სამედიცინო ინსტიტუტი'' – 1991–2011; ახლანდ. სახელი ეწოდა 2011 წ. აპრილში), საბურთალოს ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 1979 წ. 15 სექტემბერს (არქიტექტორები: დ. იოსავა, ნ. ლომიძე გ. მოძმანიშვილი; კომპოზიციის – ,,ახალგაზრდობა, ჩვენი მომავალი'' – მხატვარია ი. ტაბიძე). მდებარეობს ვაჟა-ფშაველას გამზირის დასაწყისში. აგებულია ღია წესით. მიწისქვეშა გადასასვლელებით უკავშირდება გამზირის ორივე მხარეს. ქვედა დარბაზში მარმარილოს სვეტების ორ რიგზე კოჭოვანი გადახურვაა, შეკიდული ჭერით. კედლები თეთრია, ხოლო იატაკზე მოწითალო ფერის გრანიტია დაგებული. მოსაცდელი დარბაზიდან ამოსასვლელი სახელმწიფო არქივის მხარეს ქვის კიბითაა, ხოლო მოპირდაპირე მხარეს მგზავრები ადიან ორი ესკალატორით და ჩადიან ქვის კიბით.

„დელისი'' (სადგურს 1995–2006 ერქვა „ვიქტორ გოცირიძე'', ხოლო 2007 კვლავ დაუბრუნდა პირვანდელი სახელი), საბურთალოს ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 1979 წ. 15 სექტემბერს (არქიტ. ნ. ლომიძე). სადგური აგებულია ღია წესით. ვაჟა-ფშაველას გამზირთან დაკავშირებულია მიწისქვეშა გადასასვლელებით ორივე მხრიდან. სადგურს დახრილი გვირაბები არ გააჩნია და მოსაცდელ დარბაზს ქვის კიბეებით უკავშირდება. სამგზავრო დარბაზის ერთიანი სივრცე გადახურულია კამარით. კედლები თეთრი და შავი მარმარილოს ფილებითაა მოპირკეთებული, იატაკი – რუხი გრანიტით. სალიანდაგო ხაზის კედლებზე ორი ლითონის კარია რელიეფური კომპოზიციებით (მხატვარი თ. ცხომელიძე).

„ვაჟა-ფშაველა'', საბურთალოს ხაზის ერთ-ერთი სადგური. გაიხსნა 2000 წ. 3 აპრილს (არქიტ. ნ. ლომიძე). აგებულია ღია წესით. ვესტიბიული და ქვედა დარბაზი ერთი სივრცის ქვეშაა მოქცეული. სადგურს აქვს ერთი გამოსასვლელი, რ-იც მიწისქვეშა გადასასვლელით ვაჟა-ფშაველას გამზირის ორივე მხარეს უკავშირდება. კედლები თეთრი მარმარილოს ფილებითაა მოპირკეთებული, იატაკი – რუხი გრანიტით.

„სახელმწიფო უნივერსიტეტი'' (მშენებარე ობიექტი, საპროექტო სახელი ,,უნივერსიტეტი''), საბურთალოს ხაზის ერთ-ერთი სადგური (არქიტ. გ. მომმანიშვილი). მშენებლობა დაიწყო 1986 და უნდა დამთავრებულიყო 1995, მაგრამ XX ს. 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გამო სადგურის დასრულება ვერ მოხერხდა. მშენებარე უბანზე სამუშაოების 90% შესრულებულია. სამუშაოები 2000-იდან შეჩერებული იყო, განახლდა 2014-იდან.

თ. მ. რთული და მრავალდარგოვანი საინჟ. ნაგებობაა. შედგება ორი ხაზისაგან: ახმეტელის თეატრი–ვარკეთილი და საბურთალოს ხაზი. მისი ხაზების სიგრძე 27,1 *კმ*-ია (2014 წ. 1 იანვრის მდგომარეობით) და თავისი 22 სადგურით ქალაქის დიდ ნაწილს მოიცავს. 17 სადგური ერთამოსასვლელიანია, დანარჩენი – ორამოსასვლელიანი. ყოველდღიურად ხაზზე საშუალოდ მატარებლის 25 შემადგენლობა გამოდის, რ-საც დღეში დაახლოებით 210–260 ათ. მგზავრი გადაჰყავს. მეტროპოლიტენში არის ორი დეპო – ,,ნაძალადევი'' და ,,გლდანი'', რ-ებიც ემსახურება 195 ვაგონს. ვაგონების უმეტესი ნაწილი მოდერნიზებულია ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით. ახმეტელის თეატრი–ვარკეთილის ხაზზე მუშაობს 4-ვაგონიანი შემადგენლობები, ხოლო საბურთალოს ხაზზე – 3-ვაგონიანი. ვაგონები აღჭურვილია თანამედროვე ტექ. საშუალებებით, მ. შ. სიჩქარის ავტომატიზებული რეგულირების სისტემით. სადგურებში 59 ესკალატორი მოქმედებს, რ-თა გაშლილი სიგრძე 10 *კმ* აღწევს. ყველაზე ღრმა (60 *მ*) სადგურია ,,რუსთაველი'', ხოლო ყველაზე გრძელი – ,,რუსთაველის'' მეორე ესკალატორი (123 *მ*). იგი 671 საფეხურისაგან შედგება. ესკალატორის გარეშე ფუნქციონირებს 4 სადგური (,,დიდუბე'', ,,გოცირიძე'', ,,დელისი'', ,,ვაჟა-ფშაველა''). ხაზზე მოძრაობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების და სიჩქარის ავტომ. რეგულირების მოწყობილობები. მეტროპოლიტენში 20 სარელეო და 84 საისრე გადამყვანია. მიწისქვეშა მიკროკლიმატის პარამეტრების დასაცავად თ. მ-ში ძირითადი და ადგილ. განიავების 300-ზე მეტი სისტემა მუშაობს. მიწისქვეშა ნაგებობებიდან 42 ძირითადი და ადგილ. სადრენაჟო წყალსაქაჩის მეშვეობით ყოველდღიურად იტუმბება 19 ათას $მ^3$-ზე მეტი შემოსული გრუნტის წყალი. დაგებული ლიანდაგების გაშლილი სიგრძეა 63,5 *კმ*, მათი ტექ. მდგომარეობა სისტემატურად ისინჯება ლიანდაგმზომი ვაგონისა და დეფექტოსკოპური ურიკების მეშვეობით. ურთიერთშეთანხმებული მუშაობისათვის თ. მ-ში კავშირის რამდენიმე სისტემა მოქმედებს: 1000-ნომრიანი ადგილ. სატელეფონო სადგური, საგვირაბო და ოპერატ. სადისპეტჩერო კავშირი, აგრეთვე სამატარებლო და სამაუწყებლო ხმამაღლამოლაპარაკე რადიოკავშირი. მეტროპოლიტენის მრავალ სადგურში სტაბილურად ფუნქციონირებს მობილური სატელეფონო კავშირიც. თ. მ-ს ელექტროენერგია მიეწოდება სააქციო საზ-ბა ,,თელასის'' 17 ქვესადგურიდან მეტროს 24 (წევის 3), დამადაბლებელი 10 და შერეული 11 ქვესადგურის მეშვეობით. ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხების შემთხვევაში სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების შეუფერხებელ მუშაობას უზრუნველყოფს თ. მ-ში არსებული 2 სადიზელო, სადაც დამონტაჟებულია 6 აგრეგატი (საერთო სიმძლავრით 7,8 ათ. *კვტ*). სადისპეტჩერო სამსახურები თანამედროვე კომპიუტერული სისტემითაა აღჭურვილი. ორივე ხაზის დისპეტჩერები მოძრაობას არეგულირებენ მონიტორებით და სადისპეტჩერო

რადიოკავშირის მეშვეობით. დანერგილია ტელეხედვით სადგურებიდან მგზავრთა ნაკადის შესახებ ინფორმაციის მიღება ცენტრ. სადისპეტჩერო პუნქტში. მეტროპოლიტენის ყველა ობიექტიდან ხდება სელექტორული ჩანაწერების არქივირება კომპიუტერულ მაგნიტოფონზე, რ-ის საშუალებით შესაძლებელია განსაკუთრებულ შემთხვევაში პერსონალის მოქმედების სისწორის დადგენა (ე. წ. ,,შავი ყუთი''). 2005 წ. მეტროპოლიტენი აღიჭურვა კომპიუტერული ქსელური სისტემით, რ-თა საშუალებით მრავალი საკვანძო საკითხი ქსელის თითოეული პირისათვის ხელმისაწვდომი გახდა. ბუხჰალტრული აღრიცხვისა და ხელფასების დარიცხვა ხდება კომპიუტერული სისტემით. სადგურებში ავტომატურ გამშვებ პუნქტებთან მგზავრთა ნაკადს აკონტროლებს ვიდეოკონები (ცენტრ. პუნქტში ყველა სადგურიდან მიღებული გამოსახულების ვიდეოჩანაწერით ხდება ოპერატორის მიერ ყველა დარღვევის გაშიფრვა). 2000 წ. ქალაქის ყველა სახის საერთო სარგებლობის სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის 60–70% თ. მ-ზე მოდიოდა, 2013 წ. კი მისი ხვ. წ. 48,2 % იყო. თ. მ-ით 2000 წ. 105,4 მლნ. მგზავრმა ისარგებლა, ხოლო 2013 წ. – 96,2 მლნ. მგზავრმა. 1996 თბილისში მწყობრში ჩადგა მოსკოვისა და თ. მ-ების მიერ დაფუძნებული ვაგონების შემკეთებელი ქ-ნა, რ-იც თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი და რეგიონალური მნიშვნელობის სარემონტო ბაზას წარმოადგენს.

მეტროპოლიტენის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს შემდეგი ძირითადი საექსპლუატაციო სამსახურები: მოძრაობის, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის, ელექტრომომარაგების, სალიანდაგო და გვირაბნაგებობათა, ელექტრომექან. სამსახურები, ორი ელექტროდეპო; აგრეთვე შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სატრანსპ.-სამეურნეო, სამშ. სამსახურები; ცენტრ. საწყობი, გაერთიანებული სახელოსნოები და სტამბა.

1997–98 დაინერგა მგზავრთა მიღების ახ. საგამშვებო სისტემა, რ-იც ძირითადად პასუხობს მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტებს.

თ. მ-მა, რ-იც მართვის ავტომატიზებული სისტემით მუშაობს, საქალაქო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანაში არსებითი ცვლილებები შეიტანა: გაუმჯობესდა მოსახლ. სატრანსპ. მომსახურება, შესაძლებელი გახდა ყველა სახის ტრანსპ. რაციონალური გამოყენება და სხვადასხვა სახის ტრანსპ. მუშაობაში პარალელების ლიკვიდაცია. *ლ. აბრამიშვილი.*

მ. ჩაღუნელი. კ. ჯაში.

თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა და მისი ფილიალები, საჯარო სამართლის იურიდიული პირი. გაიხსნა 1909 წ. 18 მაისს დიდი მთავრის და კირკის ქუჩების გადაკვეთაზე (ამჟამად კ. მარჯანიშვილის და დ. უზნაძის ქუჩები), სახალხო სახლში (ამჟამად კ. მარჯანიშვილის თეატრი), რ-იც ააგეს ქველმოქმედმა ძმებმა: სტეფანე, ივანე, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილებმა. ბ-კას საფუძვლად დაედო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის მიერ გადაცემული ლიტ-რა. ასევე საკმაო რაოდენობის წიგნები შესწირა მას ,,სიფხიზლის საზოგადოებამაც''. ბ-კა არსებობდა ქალაქის მცირე დოტაციით, აგრეთვე სარგებლობის გადასახადით და შემოწირულებით. ბ-კა ატარებდა იაკობ ზუბალაშვილის სახელს. 1928 ბ-კა გადავიდა პლეხანოვის გამზირზე (ახლანდ. დავით აღმაშენებლის გამზირი). №103-სა და შეროზიას ქ. №2-ის (ამჟამად ზ. ჭავჭავაძის ქ.) კუთხეში მდებარე სასტუმროს შენობაში და ეწოდა ,,ა. ჯაფარიძის სახ. თბილ. საქალაქო მასობრივი ბიბლიოთეკა №1''. 1933-იდან ბ-კა გარდაიქმნა ,,თბილისის მასობრივ სანიმუშო-საჩვენებელ ბიბლიოთეკად'', ხოლო 1944-იდან ეწოდა ,,თბილისის ა. ჯაფარიძის სახელობის სახელმწიფო სამეცნიერო ბიბლიოთეკა'' და დაეკისრა ქალაქის ბ-კების მეთოდური ხელმძღვანელობა.

XX ს. 80-იანი წლებიდან, როდესაც საბჭოთა კავშირში მასობრივი ბ-კების ქსელის ცენტრალიზაცია განხორციელდა, იგი იქცა ქალაქის ცენტრ. დაწესებულებად და მას ადმინისტრაციულად ფილიალების სახით დაექვემდებარა ქალაქის სხვადასხვა რ-ნებისა და უბნების ბ-კები, 1994 წ. მაისში, მწერალთა ერთი ჯგუფის წინადადებით, საბიბლიოთეკო სისტემის ქალაქის ქსელის ცენტრ. ბ-კას მ. ჯავახიშვილის სახელი ეწოდა. 2006 წ. 9 ნოემბერს საქართვ. პრეზიდენტის (№673) ბრძანების საფუძველზე, მ. ჯავახიშვილის სახ. ბ-კის გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა საჯარო სამართ. იურიდ. პირი – თბილ. მთავარი ბიბლიოთეკა, რ-საც 2007 მას დაექვემდებარა აგრეთვე საქართვ. ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნ. ბ-კებიც. 2008 წ. 12 მაისს სსიპ თბილ. მთავარი ბ-კა გადავიდა გ. ტოვსტონოგოვის ქუჩა №2-ში (ყოფ. 25 თებერვლის ქუჩა, სადაც მანამდე მდებარეობდა რუს. საშ. სკოლა და მასწავლებელთა დახელოვნების ინ-ტი).

თბილ. საბიბლიოთეკო ქსელის წიგნადი ფონდი 2013 წ. 1 იანვრისათვის შეადგენდა 1013202 ცალს, მ. შ. მთავარი ბ-კის წიგნადი ფონდი იყო 86673 ცალი. 2013 წ. 1 იანვრისათვის თბილ. მთავარ ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებდა შემდეგი განყ-ბები: დამუშავება-დაკომპლექტების; კატალოგების ორგანიზაციის; საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული; აბონემენტის; საბავშვო ლიტერატურის; სამკითხველო დარბაზის; სანოტო-სამუსიკო; უცხო ენების ლიტერატურის; საინფორმაციო-კომპიუტერული; ბიბლიოთეკათაშორისი აბონემენტის.

თბილისსა და მის შემოგარენში ფუნქციონირებს მთავარი ბ-კის ათეულობით ფილიალი, მ. შ. ლადო ასათიანის სახ. ბ. კა-ფილიალი (დაარსდა 1972); მირზა გელოვანის სახ. ბ-კა-ფილიალი (დაარსდა 1963; იხ. აგრეთვე *ახალგაზრდობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა* მირზა გელოვანის სახელობისა). თბილ. მთავარ ბ-კაში ფუნქციონირებს აბონემენტის, მუსიკალური, საბავშვო და სამკითხველო დარბაზები. სამკითხველო დარბაზი მკითხველს ემსახურება წიგნით ადგილზე; აბონემენტის დარბაზი ლიტ-რას გასცემს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით: მუს. განყ-ბა გასცემს სანოტო წიგნებს, ხოლო საბავშვო განყ-ბის ფუნქციაა მკითხველის მომსახურება როგორც ადგილზე წიგნით, ასევე წიგნების გაცემა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თბილ. მთავარ ბ-კას 1973-იდან გამოცემული აქვს მოკლე ბიბლიოგრ. საძიებლები და მეთოდური მასალები ბიბლიოთეკართა დასახმარებლად. 1946–72 ბ-კა დაჯილდოვდა სსრკ კულტ. სამინისტროს I ხარისხის დიპლომითა და მრავალი სიგელით. თბილ. მთავარი ბ-კის დირექტორები იყვნენ ე. ტროპი, შ. ასათიანი (1935–41), ნ. ჭელიძე (1946–76), ნ. მესხი (1976–80), ა. გურგენიძე (1980–82), ი.

შანავა (1983–89), 1989-იდან ც. კალმახელიძე (2007 წ. 15 მარტიდან თბილ. მთავარი ბ-კის გენ. დირექტორი). *ც. კალმახელიძე.*

„თბილისის მოდელური ფეხსაცმლის ფაბრიკა“ (სააქციო საზოგადოება), მსუბუქი მრეწველობის საწარმო. ამუშავდა 1972. 1996 ჩამოყალიბდა როგორც სააქციო საზ-ბა ამავე სახელწოდებით. სპეციალიზებული იყო მამაკაცისა და ბავშვის ფეხსაცმლის წარმოებაზე. საწარმოო სიმძლავრე შეადგენდა 500 ათ. წყვილ ფეხსაცმელს წელიწადში. მუშაობდა როგორც ადგილობრივ, ისე შემოტანილ ნედლეულზე. მზა პროდუქციის რეალიზაცია ხდებოდა ქვეყნის შიგნით, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებში. 2003-იდან საწარმო პროფილით აღარ ფუნქციონირებს.

თბილისის ნავთობის საბადოები, ნავთობის გამოვლინებები თბილისის მიდამოებში ძველთაგანვე იყო ცნობილი, რაც აისახა კიდეც ერთ-ერთი უბნის (შუა საუკუნეებში საგარეუბნო სოფელი) *ნავთლულის* სახელწოდებაში. ,,ტფილისის სამ-ჯრ-აღმოსავლით არს ნავთლუხი. მუნ დის ნავთი კიდესა მტკურისასა, არამედ წყლის სიახლოვით მრავალი არ აიღების‘‘, – წერს *ვახუშტი ბატონიშვილი* (XVII ს.) თავის ნაშრომში ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა‘‘.

ნავთობის გეოლ. კვლევა საქართველოში, მ. შ. თბილისში, დაიწყო XIX ს. 60-იანი წლებიდან, კავკ. სამთო სამმართველოს დაარსების შემდეგ. 1881 სამთო ინჟინერმა გ. გ. *წულუკიძემ* ძებნა-ძიებითი სამუშაოები ჩაატარა ნავთლულის მიდამოებში. XX ს. 30-იანი წლებიდან გეგმაზომიერ და სისტემ. გეოლ.-საძიებო სამუშაოებს ატარებდა ტრესტი ,,საქნავთობი‘‘. თბილ. მიდამოებსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩენილი და შესწავლილია რამდენიმე საბადო. თბილ. ნავთობ-აირიანი რ-ნის საბადოების წილად მოდის საქართველოში 1930-ის შემდეგ მთლიანად მოპოვებული ნავთობის უდიდესი ნაწილი. იხ. აგრეთვე სტ. *ნავთობის საბადოები.*

ლიტ.: თბილისი. ენციკლოპედია, თბ., 2002. *ვ. ზესაშვილი.*

თბილისის ობსერვატორია, შუა საუკუნეების ასტრონომიული ობსერვატორია თბილისში. არაბი გეოგრაფის ალ-*ისტახრის* ცნობით (930) VIII ს. დამლევს არსებობდა თბილისში, ნარიყალაზე, მის შახტახტად წოდებულ ნაწილში. მარაღის ობსერვატორიის დამაარსებელმა ნასირ ალ-დინ ტუსიმ (1201–74) ამ ობსერვატორიის პროექტის შესადგენად და მომავალი სამუშაოს დასაგეგმავად მიიწვია თვალსაჩინო მეცნიერი, ექიმი, ფილოსოფოსი და ასტრონომი თახარ ალ-დინ ალ-ხილათი (1191–1284), რ-იც აქ XIII ს-ში მოღვაწეობდა.როგორც ჩანს, ობსერვატორია მონღოლთა ხანაშიც განაგრძობდა არსებობას.

უკანასკნელ წლებში ნარიყალაზე არქეოლ. გათხრების დროს, სარეკონსტრუქციო სამუშაოებისას ნაპოვნია ზოდიაქოს თანავარსკვლავედების გამოსახულებათა მოტივებზე შექმნილი, ორნამენტით შემკული საათების მანიშნებელ-დანაყოფებიანი ქვის ციფერბლატი, რ-საც *მზის საათისათვის* დამახასიათებელი აუცილებელი დეტალის–გნომონის სამაგრი აქვს.

ლიტ.: გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., მ ე ს ხ ი ა შ., თბილისის ისტორია, თბ., 1952; ჯ ა ფ ა რ ი ძ ე გ., XIII საუკუნის თბილელი მეცნიერი მარაღის ობსერვატორიაში, «მაცნე». ისტორიის, არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1984, №2; Б а д р и а ш в и л и Н., Тбилиси, Тб., 1957.

გ. გიორგობიანი.

თბილისის ოლქი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საქართველოს სსრ-ში. შეიქმნა 1929 წ. 21 აგვ. საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1929 წ. 11 ივლ. დადგენილებით ახ. ადმ.-ტერ. დაყოფის შესახებ. მის შემადგენლობაში შედიოდა ქვემო ქართლი (ყოფილი თბილისისმაზრის ჩრდ. ნაწილი, ქვემო ქართლის სამხრ. მხარე, ბორჩალოს მაზრა), გარეკახეთი, შიდა ქართლის მცირე მონაკვეთი – მცხეთის რ-ნი, ყოფ. დუშეთის მაზრა და ყოფ. თიანეთის მაზრის ცენტრ. მხარე – ერწო-თიანეთის ტერიტორია.

თ. ო-ში ცხოვრობდა 146895 კომლი და 613 189 სული. ეროვნ. შემადგენლობის მხრივ თ. ო. ასე გამოიყურებოდა: ქართველები – 254408, სომხები – 148482, თურქები (აზერბაიჯანელები) – 72986, რუსები – 55719, ბერძნები – 31512, გერმანელები – 14413, დანარჩენები – 41259 სული.

ქვეყნის ოლქებად დაყოფის სისტემამ არ გაამართლა, ვინაიდან იგი არ შეესაბამებოდა ე. წ. კომუნისტური ,,დიადი გარდატეხის‘‘ ახალ სოც.-ეკონ. ამოცანებს. სკკპ XVI ყრილობის გადაწყვეტილებათა თანახმად, საქ. კომპარტიის ცენტრ. კომიტეტმა 1930 წ. 15 ივნისს გამოიტანა დადგენილება საქართველოში ოლქების და მაზრების გაუქმებისა და ქვეყნის ახ. ადმ.-ტერიტ. ერთეულებად – რაიონებად დაყოფის შესახებ. 1930 წ. ოქტ. დასაწყისში თ. ო. გაუქმდა.

1951 წ. 5 ნოემბერს კვლავ შეიქმნა თ. ო. შემდეგი შემადგენლობით: თბილისი (რესპ. დაქვემდებარების ქალაქად მისი დატოვებით), ქ-ები: გორი, რუსთავი და ადიგენის, ახალციხის, ახალქალაქის, ახმეტის, ასპინძის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, ყაზბეგის, ქარელის, კასპის, ჯავახეთის, ყვარლის, ლაგოდეხის, მარნეულის, მცხეთის, საგარეჯოს, სიღნაღის, თელავის, თეთრი წყაროს, თიანეთის, ხაშურის, წალკისა და წითელწყაროს რ-ნები.

თ. ო-მა მთელი აღმ. საქართველოს და სამხრ. საქართველოს ორი რეგიონი (სამცხე-ჯავახეთი) მოიცვა. აღდგენილმა თ. ო-მა ერთ წელზე მეტხანს ვერ იარსება, რესპუბლიკის ოლქებად (თბილისის და ქუთაისის) დაყოფამ აშკარად ვერ გაამართლა, ისინი ზედმეტ ადმ. ერთეულებს წარმოადგენდნენ. 1953 წ. აპრილში თ. ო. გაუქმდა.

ლიტ.: საქართველოს ისტორია XIX ს. 90-იანი წლებიდან დღემდე, თბ., 1984. *ზ. ცინცაძე.*

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, იხ. *ოპერისა და ბალეტის ეროვნული აკადემიური თეატრი.*

„თბილისის ორგანოთერაპიული პრეპარატების ქარხანა“ (სააქციო საზოგადოება), სამკურნალო პრეპარატების მწარმოებელი ფარმაცევტული საწარმო. შეიქმნა 1996 ამავე სახელწოდების ქ-ნის ბაზაზე, რ-იც დაარსდა 1939. საწარმო თავდაპირველად სპეციალიზებული იყო ადგილ. მსხვილფეხა რქოსანი საქონლის და ნაწილობრივ ღორის ნედლეულისაგან დამზადებული ორგ. სამკურნ. პრეპარატების (მინისებური სხეული, ადიურეკრინი, პეპტონი, პეფსინი, ფოლიკულინი, ჰემოსტიმულინი, პანკრეატინი, ატფ, ჰემატოგენი და სხვ.) გამოშვებაზე. ქ-ნა შედიოდა სსრ კავშირის ამ პროფილის საწარმოთა ხუთეულში და ერთადერთი იყო სამხრ. კავკასიაში. პროდუქცია გადიოდა სსრკ-ის რესპუბლიკებში და საზღვარგარეთ (მონღოლეთი, ვიეტნამი).

XX ს. 90-იანი წლებიდან საწარმო უშვებდა შემდეგ სამედიცინო პრეპარატებს: ნატრიუმის ქლორიდს, კალციუმის ქლორიდს, პლატიფილინს, რიბოქსინს, ნოვოკაინს, ლიდოკაინს, საინიექციო წყალს, პაპავერინს, დიბაზოლს, ვიტამინებს (C, B^1, B^6, E) და სხვ., აგრეთვე მინისებურ სხეულს და ფოლიკულინს. მედიკამენტები მზადდებოდა როგორც ადგილობრივი, ისე შემოტანილი ნედლეულით. წარმოებული პროდუქცია იგზავნებოდა შუა აზიის რესპუბლიკებში. 2008-იდან ქ-ნა დროებით არ ფუნქციონირებს. მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა უცხოურ ფირმებთან ინვესტიციის მოზიდვის მიზნით.

თბილისის პედიატრიული კლინიკა მ. გურამიშვილის სახელობისა (შპს) (ყოფილი ბავშვთა № 3 კლინიკური საავადმყოფო), გაიხსნა 1966. აშენდა საუკეთესო მიკროკლიმატის მქონე ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც იდეალურ პირობებს ქმნიდა ბავშვთა რესპირაციული დაავადებების სამკურნალოდ.

კლინიკა გათვლილია 80 საწოლზე, აღჭურვილია თანამედროვე სამედ. აპარატურით და კომპიუტერული ბაზით. მის სტრუქტურაშია: პედიატრიული სექტორი; ნეონატოლოგიური სექტორი; ქირურგ. სექტორი: ზოგადი ქირურგია, ტრავმატოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, ანტირაბიული კაბინეტი; კრიტ. მედიცინის სექტორი; მიმღები და გადაუდებელი სამედ. დახმარების (emergency) განყ-ბები.

ამბულატორიული დეპარტამენტი: პედიატრია, ნეონატოლოგია, ქირურგია, ტრავმატოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, ნევროლოგია, კარდიორევმატოლოგია, გასტროენტეროლოგია, ინფექციური სნეულებები, ფსიქორეაბილიტაცია, ოფთალმოლოგია, ფიზიოთერაპია, რადიოლოგია, იმუნიზაცია, ციფრული ელექტროენცეფალოგრაფია, ულტრასონოგრაფია (ფარისებრი ჯირკვლის, შინაგანი ორგანოების ექოსკოპია, ნეიროსონოსკოპია, კარდიოექოსკოპია, ექოენცეფალოსკოპია), ენდოსკოპია, ლაბორატორიული საქმიანობა (კლინ.-დიაგნოსტიკური, ბიოქიმიური, ბაქტერიოლოგიური).

დაარსების დღიდან საავადმყოფოს ხელმძღვანელობდნენ: ე. ჩუბინიშვილი (1966–86); მ. გურამიშვილი (1986–96); ქ. *ნემსაძე* (1996–2008); რ. სვინტრაძე (2008, 2010–11); გ. გოგიშვილი (2008–09); პ. ჟორჟოლიანი (2009–10); 2011-იდან – ა. გვენეტაძე.



თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია.

თბილისის პირველი გიმნაზია, თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია, ვაჟთა პირველი კლასიკური გიმნაზია, რ-იც შეიქმნა 1830, ადრე არსებული (1802-იდან) კეთილშობილთა სასწავლებლის ბაზაზე. ორი ათეული წელი ეს გიმნაზია იყო ერთადერთი საერო სასწავლებელი საქართველოში ათეული წლების განმავლობაში კი – ერთადერთი ევრ. ტიპის საერო საგანმან. დაწესებულება ამიერკავკასიაში. მ. პ. გ-თან არსებობდა პანსიონი, რ-შიც თავიდან ირიცხებოდა 40 მოსწავლე, მ. შ. 30 ქართვ. თავად-აზნაურის შვილი. გიმნაზია 7 კლასისგან შედგებოდა (1-ლი კლასი იყო მოსამზადებელი). ძირითად კლასებში ასწავლიდნენ: სალვთო სჯულს, ქართ., თათრულ, გერმ. და ფრანგ. ენებს, მათემატიკას, ფიზიკას, ისტორიას, რუს. სიტყვიერებას და ლოგიკას, გეოგრაფიას და სტატისტიკას, სუფთა წერას, ხატვასა და ხაზვას, რუს. სამართალმცოდნეობას. ქართ. ენის შესწავლა სავალდებულო იყო განურჩევლად ყველა მოსწავლისათვის, თათრულ ენას კი ასწავლიდნენ იმათ, ვინც პანსიონში სახელმწ. ხარჯზე ირიცხებოდა. 1831-თვის გიმნაზიაში სწავლობდა 307 მოსწავლე, მ. შ. ნ. *ბარათაშვილი*, კ. *მამაცაშვილი*, დ. *მაჩაბელი* და სხვ. 1835-იდან მოსწავლეები უშვებდნენ რუს. ხელნაწერ ჟურნ. ,,თბილისის გიმნაზიის ყვავილს''. 1847-იდან მოსწავლეთა რიცხვი



თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის სამასწავლებლო.

467-მდე გაიზარდა. ამ წლებში აქ სწავლობდნენ: ი. *კერესელიძე*, ი. *ჭავჭავაძე*, ბ. *ღოღობერიძე* და სხვ. არსებული წესის მიხედვით თ. პ. გ-ის კურსდამთავრებულთაგან ყოველწლიურად რუს. კადეტთა კორპუსში უნდა გაეგზავნათ 10 კაცი, პეტერბურგის და მოსკ. უნ-ტებში – 5 კაცი (სახელმწ. ხარჯზე). 1850 წ. 2 (14) იანვარს გიმნაზიის შენობაში პირველად დაიდგა გ. *ერისთავის* პიესა ,,გაყრა'', ამ თარიღთან არის დაკავშირებული ქართ. თეატრის დღის დაწესება და აღნიშვნა ყოველი წლის 14 იანვარს. XIX ს. 60-იანი წლების რეფორმების შემდეგ თ. პ. გ-ს ეწოდა კლასიკური და იგი გაუთანაბრდა რუს. იმპერიის ანალოგიურ სასწავლებლებს იმ განსხვავებით, რომ აქ ისწავლებოდა მხოლოდ ლათ. ენა (ბერძნ. არა). ქართ. ენა თანდათან მთლიანად განიდევნა სასწავლებლის პროგრამიდან და, თუმცა შეიცვალა გიმნაზიის კარჩაკეტილი წოდებრივი ხასიათი და ფორმალურად ყველა სოც. ფენის შვილებს შეეძლოთ შესვლა, მოსწავლეთა კონტინგენტი მაინც შეზღუდული იყო სწავლების მაღალი გადასახადით, წინასწარი მომზადების დონითა და რუს. ენის ცოდნის ნიშნით. 1900 თ. პ. გ-ში სწავლობდა 824 მოსწავლე. სხვადასხვა დროს თ. პ. გ-ში მასწავლებლობდნენ: ს. *დოდაშვილი*, გ. *გეხტმანი*, ე. *თაყაიშვილი*, დ. დონდუა, ვ. აბდუშელიშვილი, დ. *ყიფიანი*, ბ. ღოღობერიძე, ი. კერესელიძე, ა. *ფურცელაძე*, პ. უმიკაშვილი.

საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ სასკოლო ქსელის გარდაქმნასთან დაკავშირებით თ. პ. გ. გადაკეთდა შრომის სკოლად, ხოლო 1923-იდან – პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლად. ტრადიციულად სკოლას დარჩა დედაქალაქის პირველი სკოლის სახელი. 1997–2005 იყო თბილ. პირველი კლასიკური გიმნაზია და გიმნაზიაში სწავლების კონცენტრების სქემა იყო 5+4+3, სასწ. პროგრამა ითვალისწინებდა ლათ., რუს., ინგლ., გერმ., სპარს. ენების, ანტ. ქვეყნების ისტ. და ლიტრის გაძლიერებულ შესწავლას. გიმნაზია მოსწავლეებს ამზადებდა საუნივერსიტეტო განათლების მისაღებად. 2005–11 ეწოდებოდა თბილ. 1-ლი საჯარო სკოლა და სასკოლო პროგრამა მთლიანად ექვემდებარებოდა ეროვნ. სასწ. გეგმას, ნაკლებად ისწავლებოდა საგნები სტანდარტს ზემოთ ფარგლებში. 2012 სკოლას დაუბრუნდა გიმნაზიის სახელი და საქართვ. განათლების სისტემაში დამკვიდრებული ტენდენციის – სკოლებისათვის მეტი ავტონომიურობის მინიჭება – შესაბამისად აღდგა სკოლისთვის ტრად. საგნების სწავლება.

თ. პ. გ. დაამთავრა მრავალმა სახელგანთქმულმა ადამიანმა, რ-თა შორის არიან: ო. ლომიშვილი, ა. გელოვანი, ი. ჯორჯაძე, ვ. ბერიძე, გ. ჭოლოშვილი, ზ. ანჯაფარიძე, ზ. ფალიაშვილი, ვ. სარაჯიშვილი, ო. გორდელი, ა. ნადირაძე, ნ. ანდღულაძე, ვ. ძიძიგური, კ. მახარაძე, მ. ჩახავა, ე. საყვარელიძე, ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, ვ. კოტეტიშვილი, შ. ყაყიჩაშვილი, ე. შენგელაია და სხვ.

თ. პ. გ-ის შენობა აშენდა 1837–39, გადაკეთებულია XIX ს. 60-იან წლებში, თბილ. ომის შემდეგ გადამწვარი სკოლა რესტავრირებულია 90-იან წლებში.

ლ. შეწირული.

თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მნიშვნელოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო-სამეცნიერო დაწესებულება ამიერკავკასიაში. დაარსდა 1917 წ. 6 მაისს. თ. პ. ი. პირველ პროფესორთა შორის იყვნენ ლ. *მანდელშტამი*, ა. *ჯავახიშვილი*, ა. *თვალჭრელიძე*, ა. *დიდებულიძე* და სხვ. პირველი რექტორი იყო ცნობილი ნიადაგმცოდნე ს. ზახაროვი. მეცადინეობა დაიწყო 1917 წ. 9 ოქტომბერს. სწავლება მიმდინარეობდა რუს. ენაზე. მენშევიკურ საქართველოში ინ-ტი კერძო დაწესებულება იყო (ინახავდნენ კერძო შემოწირულებითა და სწავლის ქირით). საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წ. 1 ოქტომბერს, რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატის გადაწყვეტილებით, იგი სახელმწ. დაწესებულებად გამოცხადდა და თბილ. სახელმწ. პოლიტექნიკური ინ-ტი ეწოდა, 1922 ვ. ი. ლენინის სახელი მიენიჭა. 1917–28 – თ. პ. ი-ის სტუდენტთა რაოდენობა გაიზარდა 300-დან 2200-მდე. თ. პ. ი. კურსდამთავრებულია მ. *საბაშვილი*. 1928 ინ-ტმა შეწყვიტა არსებობა. მისი ტექ. პროფილის ფაკ-ტები შეუერთდა თსუ-ის პოლიტექ. ფაკ-ტის (შეიქმნა 1922) ბაზაზე დაარსებულ საქართვ. პოლიტექ. ინ-ტს (ახლანდ. საქართვ. ტექნიკური უნ-ტი; სტუ).

ვ. ჯავრიშვილი.

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინრების ინსტიტუტი ვ. ი. ლენინის სახელობისა, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი; გაიხსნა 1947 *ამიერკავკასიის მიმოსვლის გზათა ინჟინრების ინსტიტუტის* რეორგანიზაციის ბაზაზე. ინ-ტში მოღვაწეობდნენ: კ. *ზავრიევი*, ვ. გურგენიძე, მ. დანდუროვი, ნ. გვარამაძე და სხვ., რ-ებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართვ. ინჟინრების მომზადების საქმეში. 1951 სწავლობდა 1500-ზე მეტი სტუდენტი; 1959 შეუერთდა ს. მ. კიროვის სახ. საქართვ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტს და ეწოდა ვ. ი. ლენინის სახ. საქართვ. პოლიტექნიკური ინ-ტი (ახლანდ. *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*).

თბილისის რუსული ენის შემსწავლელი სკოლა, დაარსდა თბილისში 1778. ხელმძღვანელობდა ცნობილი საზ. მოღვაწე და მეცნიერი გაიოზი (შემდგომში *გაიოზ რექტორად* ცნობილი). სკოლა დაარსდა ქართ.-რუს. პოლიტ. და კულტ. ურთიერთობების გაფართოების პირობებში იმ მიზნით, რომ ახალგაზრდობა უკეთ გაცნობოდა და შეესწავლა რუს. ენა და კულტურა. სკოლამ თბილ. სხვა სკოლებთან ერთად, არსებობა შეწყვიტა 1795, აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის დარბევის შემდეგ.

თბილისის საამირო, არაბთა მიერ საქართველოში შექმნილი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული (დაახლ. VIII ს. 30-იანი წლებიდან – XI ს. 80-იან წლებამდე). თ. ს-ს მართავდა არაბი მოხელე – ამირა. თ. ს. არაბთა სახალიფოს დიდი პროვინციის, ე. წ. ,,არმენიის'' (ე. ი. ამიერკავკასიის), ერთ-ერთი ოლქი იყო და თბილ. ამირა ამ ,,არმენიის'' ვალის ემორჩილებოდა. თბილ. ამირას ხალიფა ნიშნავდა (ზოგჯერ – ,,არმენიის'' ვალიც). თ. ს-ში თავდაპირველად მთელი აღმ. საქართველო შედიოდა. შესაბამისად, მის ამირებს ქართლის ამირებიც ეწოდებოდათ. დროთა განმავლობაში, დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად, ქართ. დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის პარალელურად, საამიროს ფარგლები თანდათან შეიზღუდა. IX–X სს-ში თ. ს-ს საზღვარი ჩრდ-ით დიღმის ხევის ჩათვლით ვრცელდებოდა; სამხრ-ით საამიროს შემადენლობაში დარჩა ციხეები: ბირთვისი, ორბეთი და ფარცხისი; დას-ით თრიალეთი ესაზღვრებოდა; აღმ. საზღვარი ძირითადად მტკვარზე გადიოდა. თბილისის ამირას ხელქვეითი არაბი ამირები ისხდნენ

აღმ. საქართველოს მნიშვნელოვან ქალაქებში: რუსთავში, დმანისში, ხუნანში. თბილ. ამირას კარზე არაბ მოხელეთა დიდი შტატი იყო (შურტა, მუჰთასიბი, ამიდი, რაისი, ყადი და სხვ.). თ. ს-ს ადმ. წყობილება ახლო აღმოსავლეთისა და ამიერკავკ. არაბული საამიროების მსგავსი იყო. თ. ს-ში მომრავლდა არაბული მოსახლეობა, აიგო მეჩეთები. VIII ს. დასასრულსა და IX ს. დასაწყისში (არაბთა სახალიფოს პოლიტ. დასუსტების ხანიდან) თბილ. ამირებმა დაიწყეს ბრძოლა სახალიფოს ცენტრ. ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და ხელისუფლების მემკვიდრეობით თანამდებობად გადაქცევისათვის. VIII–IX სს-ში ხალიფები გზავნიდნენ დამსჯელ ექსპედიციებს თბილ. ურჩი ამირების დასამორჩილებლად (იხ. *ბუღა თურქის ლაშქრობა 853; ხალიდ იბნ იაზიდის ლაშქრობები თბილისში).* IX ს. დასაწყისიდან 853-მდე თბილისში ამირობა *შუაბიანების* სახლის ხელთ იყო. ამ სახლის წარმომადგენლები ენერგიულად იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის. ისჰაკ იბნ ისმაილ იბნ შუაბი (ქართ. წყაროებში–საჰაკი), რ-ის მოღვაწეობას უკავშირდება თბილისის (სოღდებილის) ციხის გამაგრება და სხვ. ღონისძიებანი, 853 დამარცხდა ხალიფის სარდალ ბუღა თურქთან ბრძოლაში. იგი სიკვდილით დასაჯეს. ამის შემდეგ თბილისში ამირებად *შაიბანიანების* სახლის წარმომადგენლები იყვნენ, ხოლო IX ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე (თბილისში ამირათა ხელისუფლების გადავარდნამდე) – *ჯაფარიანები*, რ-ებიც, ფაქტობრივად უკვე გამოეყვნენ სახალიფოს ცენტრ. ხელისუფლებას. თუმცა თ. ს-ში, ისევე როგორც სახილიფოს სხვა პროვინციებში, არაბ. მონეტა იჭრებოდა ხალიფის სახელით, მაგრამ X ს. 40-იანი წლებიდან, ფაქტობრივი პოლიტ. დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად, ჯაფარიანი ამირები მათ მიერ მოჭრილ მონეტებზე ხალიფის სახელთან ერთად საკუთარ სახელსაც აღნიშნავდნენ და აღიარებდნენ ბაღდადის ხალიფის უზენაეს რელიგ. ხელისუფლებას.

თ. ს-ში ძირითადად ქართველები ცხოვრობდნენ. საამიროს არსებობის პერიოდში ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მომიჯნავე მხარეთა ქართ. მოსახლეობასთან. IX ს. დასაწყისიდან ქართ. სამეფო-სამთავროები და თ. ს. ერთმანეთს ეცილებოდნენ საქართვ. შიდა რაიონების ხელში ჩასაგდებად. საამირო, ფაქტობრივად, მხოლოდ თავის დასაცავად იბრძოდა და თანაც უშედეგოდ. მან თანდათან დაკარგა ციხესიმაგრეები და მიწები. XI ს. დასაწყისამდე საამიროს ტერიტ. თბილისითა და მისი შემოგარენით შემოიფარგლა და ამირაც ერთიანი საქართველოს მეფის გავლენის ქვეშ მოექცა. XI ს. 80-იანი წლებიდან, ჯაფარიან ამირათა გადაშენების შემდეგ, თბილისში ხელისუფლება გადავიდა ადგილობრივი თვითმმართველობის – *თბილელი ბერების* ხელში.

ლიტ.: თბილისის საამირო, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; ლორთქიფანიძე მ., თბილისის საამიროს ისტორიიდან, «მიმომხილველი», 1951, № 2; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ. თორმეტ ტომად); ჯანაშია ს., არაბობა საქართველოში, შრომები, [ტ.] 2, თბ., 1952.

მ. ლორთქიფანიძე.

თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელი, დაარსდა 1935 როგორც პედ. სასწავლებლის პოლიტგანათლების განყ-ბა. სწავლება 3-წლიანი იყო; იღებდნენ რვაკლასდამთავრებულებს. 1938 განყ-ბა გადაკეთდა პოლიტგანათლების სასწავლებლად, ხოლო 1962-იდან – საბიბლიოთეკო სასწავლებლად. სწავლების ვადა იყო 2 წელი. ჰქონდა 2 განყ-ბა: საბიბლიოთეკო და წიგნთსაქონელმცოდნეობის.

თბილისის საეკლესიო მუზეუმი, დაარსდა 1888 სიონის ტაძართან ი. *ჭავჭავაძის*, დ. *ბაქრაძისა* და სხვათა თაოსნობით. თ. ს. მ-ის მიზანი იყო საქართვ. ეკლესია-მონასტრებში შემონახული წერილობითი ძეგლების წარმოჩენა, შეკრება, შენახვა და შესწავლა. მუზეუმმა თავი მოუყარა მრავალ უძველეს, უნიკალურ ქართ. ხელნაწერს (V–VI სს. პალიმფსესტები, მოხატული ხელნაწერი წიგნები და სხვ.). თ. ს. მ-ის ფონდი 1921 თბილ. უნ-ტს გადაეცა, 1930 კი სხვა სიძველეთსაცავების ფონდებთან ერთად – საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერთა განყ-ბას. თ. ს. მ-ის ხელნაწერთა აღწერილობა შეადგინეს თ. *ჟორდანიამ* (1902 გამოსცა 2 ტომად 800 ხელნაწერის აღწერილობა), მ. *ჯანაშვილმა* (1908 გამოსცა 240 ხელნაწერის აღწერილობა); თ. ს. მ-ში 1908-ის შემდეგ შემოსული ხელნაწერები კვლავ აღიწერა 1921–28 წლებში. 1927 თ. ს. მ-მა შეწყვიტა არსებობა. მუზეუმის გამგეები სხვადასხვა დროს იყვნენ დ. ბაქრაძე (1888–97), მ. ჯანაშვილი (1898–1927).

თბილისის საეპისკოპოსო, დაარსდა V ს. მიწურულს, ვახტანგ I გორგასლის დროს. დვინის საეკლ. კრებაზე (506) დამსწრე ქართვ. ეპისკოპოსთა შორის იხსენიება „საჰაკ ეპისკოპოსი ტფილისისა“. თბილ. ეპისკოპოსი (იგივე „ტფილელი“, „თბილელი“) XVI ს. დამდეგიდან ატარებდა მთავარეპისკოპოსის, ხოლო XVII ს. მიწურულიდან – მიტროპოლიტის წოდებას. თბილ. ეპისკოპოსს (*თბილელს*) აგრეთვე „სამეუფო ქალაქის საჭეთმპყრობელს“ უწოდებდნენ. საკათედრო ტაძარი იყო ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი *სიონი.*

თ. ს. მოიცავდა თბილისს თავისი გარეუბნებითურთ და ტერიტორიას ქალაქის სამხრ-ით, მდ. ქციამდე. თ. ს-ში მოსახლე ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი, განურჩევლად სოც. წოდებისა, ეკლესიურად თბილელ ეპისკოპოსს ემორჩილებოდა. გამონაკლისს შეადგენდა მეფის ოჯახი (მეფე, დედოფალი და ბატონიშვილები), რ-თაც საეკლ.-რელიგ. მომსახურებას პირადად პატრიარქი უწევდა, ხოლო სვეტიცხოვლის კუთვნილ ემებს თბილისში (ვაჭარ-ხელოსნებს, გლეხებს) – პატრიარქის ხელქვეითი სამღვდელოება. ზოგჯერ ამ კატეგორიის მოსახლეობის ნაწილი „მიბარებით“ თბილ. ეპისკოპოსს გადაეცემოდა. მეფისა და პატრიარქის კართან სიახლოვე თბილ. ეპისკოპოსის ავტორიტეტს დიდად ზრდიდა. მაგრამ ისეთ პერიოდებში, როდესაც თბილისი მტრისგან შევიწროების ან სრული ოკუპაციის გამო პრაქტიკულად აღარ იყო საქართვ. დედაქალაქი, თბილელი ეპისკოპოსის გავლენაც ეცემოდა. თ. ს-ს, როგორც ეკონ.-სამეურნეო და საეკლ. ცენტრის, აღმავლობისა და დაცემის პერიოდები ემთხვევა თვით ქალაქის ისტორიას. გარეშე მტერი ქვეყნის დაპყრობას მისი სატახტო ქალაქის აღებით და იქ ფეხის მოკიდებით იწყებდა. ხშირი თავდასხმები და დროდადრო ოკუპაციაც პირველ რიგში აზიანებდა ქალაქის ქრისტიან მოსახლეობას და ეკლესიებს, ნადგურდებოდა ეკლესიებში დაცული ისტ. დოკუმენტებიც; საქართველოში მუსლიმანთა

ბატონობის პერიოდებში, მით უფრო მაშინ, როდესაც თბილისი ტერიტორიულად მთლიანად ან ნაწილობრივ მტერს ეკავა, მისი ეროვნ. თვითმყოფობის შენარჩუნებაში დიდი როლი ეკისრებოდა აქ მოქმედ ქრისტ. ეკლესიებს. თ. ს-ში, მიუხედავად ცალკეული ეკლესიების მტრისაგან დანგრევისა, დაცარიელებისა და მრევლის ფიზიკურად შემცირებისა, არ შეწყვეტილა ქართ. მღვდელმსახურება და კულტ.-საგანმან. საქმიანობა. XVIII ს-ში თ. ს-ში შემავალი ეკლესიები და მათი მრევლი განუწყვეტელი თავდასხმების გამო ძალზე შემცირდა. ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) წერს: „ყოფილან ძველად მრავალნი ეკლესიანი ტფილისს, კალასა და ისანს, არამედ აწ შემუსვრილნი არიან“. თ. ს-ში ახ. ეკლესიების მშენებლობასა და ძველის აღდგენა-განახლების საქმეს XVII–XVIII სს-ში ღვაწლი დასდეს პატრიარქებმა: *დომენტი III-მ* (1660–76); ნიკოლოზ VII-მ (1678–88; 1692–95), თბილელმა მთავარეპისკოპოსებმა: იოსებმა (XVI ს.), ელისემ (1628–59); მეფეებიდან: ლუარსაბ I-მა, *როსტომმა*, მისმა მეუღლემ *მარიამმა* და სხვ.

თ. ს-ში ცალკეული სამრევლო ეკლესიების გაჩენას უძველესი დროიდანვე ხელს უწყობდა მისი გეოგრ. სიახლოვე მცხეთასთან, შემდეგ კი – მისი სატახტო ქალაქად ქცევა. XVIII ს-ში თბილისში (საკუთრივ თბილისი, ისანი, კალა, გარეთუბანი) მოქმედებდა 14-მდე მართლმადიდებელი სამრევლო ეკლესია [ახალგაუქმებული იყო ერთი მონასტერი (მეტეხის) და 2 ეკლესია], მ. შ. აღსანიშნავია: სიონის ღვთისმშობლის მიძინების, ანჩისხატის (ძვ. წმ. მარიამის), იოანე ნათლისმცემლის, წმ. ნიკოლოზის, კალოუბნის წმ. გიორგის, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიები, მთაწმინდის წმ. დავითის სავანე და სხვ. ქალაქის მოსაზღვრე სოფლებში მოქმედი სამრევლო ეკლესიებიდან ცნობილია: სოფ. ვერეში – *ლურჯი მონასტერი* და წმ. ევსტატეს ეკლესია; მახათას მთაზე – წმ. ელიასი (ილია), თაბორის მთაზე – ფერისცვალებისა; ძვ. ავლაბარში – დარეჯან დედოფლის კარის ეკლესია („მოწამეთა ირაკლი და დარეჯანისა“), წმ. გიორგისა; სოფ. ნავთლუღში – წმ. გიორგის (ამჟამად მის ადგილზეა წმინდა ბარბარეს ეკლესია, XIX ს.); სოფ. ჩუღურეთში – კვირაცხოვლის, წმ. ნიკოლოზის; სოფ. კუკიაში – ორი ეკლესია; სოფ. დიდუბეში – ღვთისმშობლის ეკლესია [ახლანდ. ღვთისმშობლის შობის ეკლესიის (1884) ადგილზე].

თ. ს. მსხვილ ფეოდ.-სამეურნეო ორგანიზაციას წარმოადგენდა. მის შემოსავალს ქმნიდა საეკლ. გადასახადები ეპარქიიდან და საკუთარ ყმა გლეხთა საბატონო ბეგარა-გადასახადები. თ. ს-ს მეურნეობაში დიდი ადგილი ეჭირა სავაჭრო-აღებმიცემობის საქმეს. საამისოდ თბილელს ქალაქში ჰქონდა დუქნები და სახელოსნოები. თ. ს-მ ერთგვარ ეკონ. აღმავლობას მიაღწია მამა-შვილის – თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მეფობის დროს.

XIII ს. დოკუმენტის („*განგება დარბაზობისა*“) ცნობით, თბილელ ეპისკოპოსს საქართველოს მღვდელმთავართა სიაში 29-ე ადგილი ეჭირა, XVIII ს. შუა წლების დოკუმენტის ცნობით კი – მე-9 ადგილი, ქიზიყელ-ბოდბელი მიტროპოლიტის შემდეგ.


საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ თ. ს. გაუქმდა (1811). თბილ. სიონის ტაძარი საქართვ. ეგზარქოსის კათედრად იქცა. საქართვ. ეგზარქოსი იყო იმავე დროს მცხეთის, თბილისის, ქართლის მიტროპოლიტი. საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917) თ. ს-ც აღდგა. დღეს თ. ს. და მცხეთის საპატრიარქო კათედრები გაერთიანებულია, მას განაგებს საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქი, წოდებით – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა. საკათედრო ტაძრებია: მცხეთის *სვეტიცხოველი* და თბილ. *წმინდა სამების საკათედრო ტაძარი*. *ბ. ლომინაძე.*

„თბილისის საერთაშორისო აეროპორტი“ (შპს), თბილისის *აეროპორტი*. განლაგებულია ქალაქის სამხრ.-აღმ. ნაწილში, ცენტრიდან 18 *კმ*-ზე. ქალაქის ცენტრს უკავშირდება სამზოლიანი ორმხრივი საავტ. გზით, ხოლო თბილ. ცენტრ. რკინიგზის სადგურს – რკინიგზის ხაზით.

თბილისში პირველმა აეროპორტმა ფუნქციონირება 1923 დაიწყო. მდებარეობდა მე-3 საცხოვრებელი მასივის (ახლანდ. ვარკეთილი-1) ტერიტორიაზე, შედგებოდა საფრენი მინდვრისა და ხის პატარა ორთახიანი ნაგებობისაგან („აეროვაგზალი“). 1933 ამჟამად მოქმედი თბილ. აეროპორტის ტერიტორიაზე აშენდა პირველი საბაზისო, იმ დროისათვის საჭირო ინფრასტრუქტურით აღჭურვილი აეროპორტი „ქვემო ალექსეევკა“ (ახლანდ. ბესარიონ ქებურიას დასახლება), რ-მაც ხელი შეუწყო საქართვ. სამოქალაქო ავიაციის განვითარებას. 1956 წლის 22 სექტემბერს ამ აეროპორტიდან განხორციელდა ტუ-104 ტიპის სამგზავრო რეაქტიული თვითმფრინავის პირველი საცდელი გაფრენა. რეაქტიული თვითმფრინავების მასობრივმა დანერგვამ განაპირობა ახ. სამგზავრო ტერმინალისა და ასაფრენ-დასაფრენი ზოლის მშენებლობა. 1958 წლის 14 დეკემბერს მწყობრში ჩადგა რიგით მეორე, ახ. აეროვაგზლის შენობა (არქიტექტორები: გ. ელკინი, ვ. ბერიძე) საათში 260 მგზავრის გამტარუნარიანობით. 1971-იდან იგი სამთავრობო აეროვაგზალი გახდა. 1971 წ. 5 მაისს ამოქმედდა რიგით მესამე აეროვაგზალი (არქიტექტორები: ვ. ბერიძე, შ. თოდრია), რ-ის გამტარუნარიანობა საათში 1000 მგზავრს შეადგენდა. 1981-იდან თბილ. აეროპორტმა მიიღო საერთაშ. სტატუსი და დაიწყო საერთაშ. რეისების შესრულება აღმ. ევრ. ქვეყნებში.

საავიაციო გადაზიდვების ინტენსიურმა მატებამ აუცილებელი გახადა ახ. სამგზავრო ტერმინალის მშენებლობა საერთაშ. სტანდარტების გათვალისწინებით. 1995 ამ მიზნით აეროვაგზალს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც გაიზარდა მისი გამტარუნარიანობა, თუმცა იგი მაინც ვერ აკმაყოფილებდა საერთაშ. სტანდარტებს, რამაც განაპირობა მთავრობის მიერ ახ. სამგზავრო ტერმინალის მშენებლობაზე ტენდერის გამოცხადება.

ახ. სამგზავრო ტერმინალი (აეროვაგზალი), რ-იც ტენდერში გამარჯვებულმა თურქულმა კომპანია „ტავ ჯორჯიამ“ („ტავ აეროპორტების ჰოლდინგის“ შვილობილი კომპანია) ააშენა, გაიხსნა 2007 თებერვალში. აქედან სრულდება რეგულ. რეისები ევროპისა და აზიის 30-ზე მეტი ქვეყნის მიმართულებით. აეროპორტში სამგზავრო მომსახურებას ძირითადად აღნიშნული თურქ. კომპანია უზრუნველყოფს. „თ. ს. ა-ის“ მართვის უფლება „ტავ ჯორჯიას“ 20 წლის ვადით, 2027-მდე გადაეცა. 1999 განხორციელდა საქართვ.



თბილისის საერთაშორისო აეროპორტი.

სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს რეორგანიზაცია, რის შედეგად შეიქმნა სააქციო საზ-ბა ,,თბილისის აეროპორტი'', 2000-იდან ეწოდა სააქციო საზ-ბა ,,თ. ს. ა.'', ხოლო 2010-იდან გახდა შპს ,,თ. ს. ა.'', რ-ის აქციების 100% ფლობს სახელმწიფო.

თბილ. აეროპორტი ორი ასაფრენ-დასაფრენი ზოლით (ძირითადი და დამხმარე) დღე-ღამის განმავლობაში ემსახურება სხვადასხვა ტიპის საჰაერო ხომალდს. აქვს თვითმფრინავების სადგომი 57 გასაჩერებელი ადგილით. აეროპორტის სანავიგაციო სისტემები შეესაბამება საერთაშ. სტანდარტებს.

,,თ. ს. ა-ის'' ტერმინალში 2 დარბაზი (ჩამოფრენისა და გამგზავრების) და 2 ბიზნესდარბაზია (ჩამოფრენისა და გამგზავრების) განთავსებული. აეროპორტში შექმნილია მგზავრთა მრავალფეროვანი მომსახურების სრული პაკეტი, რ-იც აკმაყოფილებს საერთაშ. სტანდარტებს. მგზავრთა გამტარუნარიანობა საათში 2 ათასს შეადგენს. გარდა ამისა, აეროპორტში ფუნქციონირებს სამთავრობო ტერმინალი. 1971 აშენებული სამგზავრო ტერმინალი ამჟამად დახურულია. 2012-იდან აეროპორტი წელიწადში დაახლოებით 1 მლნ-ზე მეტ მგზავრს ემსახურება.

მგზავრთა უკეთ მომსახურების მიზნით 2008 თბილ. ცენტრ. რკინიგზის სადგურიდან გაყვანილ იქნა რკინიგზის 17,3 *კმ*-იანი მონაკვეთი ,,თ. ს. ა-მდე''. აეროპორტის რკინიგზის სადგური, გარდა აეროპორტის მგზავრებისა, სხვა მოქალაქეებსაც ემსახურება.

2010 დუბაიში ,,თ. ს. ა-მა'' მიიღო ჯილდო კატეგორიაში ,,საუკეთესო განვითარებადი აეროპორტი'' (ყოფ. დსთ-ის ქვეყნებს შორის), 2011 კი ასევე დუბაიში მოიპოვა ჯილდო ,,საუკეთესო აეროპორტი ყოფილ დსთ-ის ქვეყნებში''; ამავე წელს თბილისში დასახელდა გამარჯვებულად ნომინაციაში ,,საზოგადოებრივი ტრანსპორტი და სერვისი'', ხოლო 2013 უკრაინაში (დონეცკი) – ნომინაციაში ,,საუკეთესო აეროპორტი მარკეტინგის სფეროში''.

ნ. დუმბაძე.

თბილისის საესტრადო და საცირკო სასწავლებელი შ. მილორავას სახელობისა, დაარსდა 1969 ო. *თაქთაქიშვილის* ინიციატივით. სწავლება იყო ქართ. და რუს. ენებზე. სწავლების ვადა იყო 4 წელი. თავდაპირველად სასწავლებელში იყო 2 განყ-ბა, 1995 გაიხსნა დრამის, 1996 – მუს. თეატრის მსახიობთა განყ-ბები. სასწავლებელი ამზადებდა მოსწავლეებს შემდეგი სპეციალობებით: სალაპარაკო ჟანრი (მხატვრული კითხვა, პაროდია, იმიტაცია); საესტრადო სიმღერა (სოლო და ანსამბლური); საესტრადო ცეკვა (ქართ., სამეჯლისო, სახასიათო, რიტმული); მუს. საკრავები (ქართ. ხალხური საკრავები, ფორტეპიანო, იონიკა, საყვირი, გიტარა, დასარტყამი ინსტრუმენტები); ორიგინ. ჟანრი (აკრობატიკა, ჟონგლიორობა, კლოუნადა, ეკვილიბრისტიკა, ილუზია, დრესურა). სასწავლებლის კურსდამთავრებულებით დაკომპლექტდა ანსამბლები: ,,აისი'', ,,სხივი'', ,,პირველი ნაბიჯები''. სასწავლებელი დაამთავრა ბევრმა გამოჩენილმა ხელოვანმა (კომპოზიტორი ვ. დურგლიშვილი, მხატვრული კითხვის ოსტატი ე. საღარაძე, იუმორისტი მ. კვირიკაშვილი, იმიტატორი ო. ციმაკურიძე, ვოკალისტი ე. ჯანელიძე, ილუზიონისტები ზ. ვადაჭკორია, ზ. კრიხელი და სხვ.). სასწავლებლის პედაგოგებად მუშაობდნენ: გ. *ცაბაძე*, შ. *მილორავა*, ნ. (ბიჭიკო) ანდრონიკაშვილი, მ. *შილდელი*, ც. ციცქიშვილი, გ. ქართველიშვილი, ლ. იაშვილი და სხვ.

,,თბილისის საიუველირო ძარხანა'', იხ. ,,*ზარაფხანა*''.

თბილისის სამასწავლებლო სკოლა, საოსტატო ინსტიტუტი, პირველი პედაგოგიური სასწავლებელი საქართველოში. გაიხსნა 1866 თბილისში. თავდაპირველად სამი კლასისაგან შედგებოდა, იღებდნენ დაწყებითი სკოლის კურსდამთავრებულებს; 1871-იდან გადაკეთდა საოსტატო-სამასწავლებლო ინ-ტად და ეწოდა ალექსანდრე II-ის სახელი. ამზადებდნენ მასწავლებლებს ამიერკავკ. საქალაქო (შემდგომში – უმაღლესი დაწყებითი) სასწავლებლებისათვის. სწავლება 4-წლიანი იყო, რუს. ენაზე. ასწავლიდნენ საღვთო სჯულს, პედაგოგიკას, რუს. ენას, გეოგრაფიას, ისტორიას, არითმეტიკა-გეომეტრია-ხაზვას, ბუნებისმეტყველებას, ჰიგიენასა და პოპულარულ მედიცინას, სუფთა წერას, გალობას, აგრეთვე ტანვარჯიშსა და ხელგარჯილობას. ქართ. ენა არასავალდებულო საგანი იყო და კვირაში 4 საათი ეთმობოდა. სკოლა ყოველწლიურად საშუალოდ უშვებდა 14–15 მასწავლებელს. თ. ს. ს-მ 1919-მდე იარსება. ამავე წელს გადაკეთდა თსუ-ის პედაგოგიურ ინ-ტად (იხ. *თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი*), რ-მაც 1923 წ. ივლისამდე იარსება.

დ. გურგენიძე.

თბილისის სამედიცინო აკადემია (თსა) პ. შოთაძის სახელობისა, თვითმმართველობის პრინციპით მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სასწავლო უნივერსიტეტი. თსა (შპს) დაფუძნდა 1992, ფუნქციონირებს სახელმწ. ლიცენზიის და აკრედიტაციის საფუძველზე. თსა-ის დამფუძნებლები არიან პროფესორები პ. შოთაძე, დ. წვერავა და ექიმთა დახელოვნების თბილ. სახელმწ. ინ-ტი; 2000, პ. შოთაძის გარდაცვალების შემდეგ, აკადემიას მისი სახელი ეწოდა.

თსა-ში მოქმედებს ორი საგანმან. პროგრამა – ,,სამკურნალო საქმე'' და ,,სტომატოლოგია''; კურსდამთავრებულებს ენიჭებათ, შესაბამისად, დიპლომირებული ექიმისა და დიპლომირებული სტომატოლოგის აკად. ხარისხები; პროგრამა ერთსაფეხურიანია და შეესაბამება უმაღლესი აკად. განათლების მეორე საფეხურს. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული ექიმის აკად. ხარისხი (Medical Doctor).

პროგრამის მიზანია დიპლომი-

რებული ექიმების მომზადება, მათთვის ღრმა კლინ. აზროვნების განვითარება, სამედ. პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელი საერთაშ. სტანდარტების შესაბამისი სამედ. განათლების მიცემა, კლინ. დისციპლინებში მეცადინეობების დროს კლინ. შემთხვევების ანალიზი ხდება კლინ. გარემოში. კლინ. და კვლევით უნარ-ჩვევებს სწავლების ადრეულ ეტაპზე სტუდენტები გამოიმუშავებენ თსა-ის სამეცნ.-კვლ. და კლინ. უნარ-ჩვევების სტუდენტურ ცენტრში.

საგანმან. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს საბუნებისმეტყველო, ქცევითი, სოც. და კლინ. მეცნიერებების უახლეს კვლევებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ღრმა და სისტემ. ცოდნა, რ-საც იყენებს პრაქტ. საქმიანობაში.

საგანმან. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია განაგრძოს სწავლა დოქტორანტურაში ან გაიაროს რეზიდენტურის კურსი კონკრეტულ სპეციალობაში და უნიფიცირებული სახელმწ.-სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება.

ერთსაფეხურიანი საგანმან. პროგრამა ს ტ ო მ ა ტ ო ლ ო გ ი ა გათანაბრებულია უმაღლესი აკად. განათლების მეორე საფეხურთან. პროგრამის ხანგრძლივობაა 5 წელი. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული სტომატოლოგის აკად. ხარისხი (Doctor of Dental Medicine).

პროგრამის მიზანია: დიპლომიებული სტომატოლოგების მომზადება, მათთვის სტომატოლოგიური პრაქტ. საქმიანობისთვის აუცილებელი საერთაშ. სტანდარტების შესაბამისი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული განათლების მიცემა, კლინ., კვლევითი და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების, ექიმის პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებების და დამოკიდებულებების გამომუშავება.

საგანმან. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს სამედ. და უფრო ფართოდ – სტომატოლოგიური დისციპლინების უახლეს კვლევებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ღრმა და სისტემ. განათლება, აგრეთვე ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ღრმა ცოდნა.

საგანმან. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია განაგრძოს სწავლა დოქტორანტურაში ან გაიაროს რეზიდენტურის კურსი და უნიფიცირებული სახელმწ. სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება.

თსა-ში სწავლება მიმდინარეობს აკად. სასწ. კორპუსში, სადაც განთავსებულია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, კომპიუტერული ცენტრი, კლინ. და სამეცნ.-კვლევითი უნარ-ჩვევების სტუდენტური ცენტრი, სტომატოლოგიური კლინიკა; აგრეთვე – კლინ. ბაზებზე, რ-ებთანაც გაფორმებულია საიჯარო ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები.

თსა-ში 2010-იდან მიმდინარეობს ექიმ-სპეციალისტების მომზადება რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფ. მზადების) აკრედიტებული მიდგომებით 5 სპეციალობაში: თერაპიული სტომატოლოგია, კარდიოლოგია, მეანობა-გინეკოლოგია, დერმატოვენეროლოგია, სამედ. რეაბილიტაცია და სასპორტო მედიცინა.

თსა თანამშრომლობს სხვა უმაღლეს და სამეცნ.-კვლ. დაწესებულებებთან, ასევე პროფესიულ ასოციაციებთან. თსა-ში ტარდება სამეცნ. კვლევები, უზრუნველყოფილია სასწ. პროცესთან სამეცნ.-კვლ. საქმიანობის მჭიდრო კავშირი, ვითარდება საერთაშ. სამეცნ.-კვლ. საქმიანობა.

1993-იდან თსა დაამთავრა 1600-ზე მეტმა სტუდენტმა. 50-ზე მეტმა კურსდამთავრებულმა დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა დოქტორის აკად. ხარისხი.

თსა არის სამედ. განათლების საერთაშ. დირექტორიის (IMED-FAIMER) წევრი.

თსა-ში ფუნქციონირებს კლინ. და კვლევითი უნარ-ჩვევების სტუდენტური ცენტრი, სისტემატურად ტარდება სტუდენტთა, რეზიდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნ. კონფერენციები.

თსა-ს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები მსოფლიოს და საქართველოს სხვადასხვა სამეცნ.-სასწ. ცენტრებთან.

თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატე“, სამედიცინო პროფილის სასწავლო უნივერსიტეტი. დაარსდა 2002, ლიცენზირებული და აკრედიტებულია საქართვ. განათლებისა და მეცნ. სამინისტროს მიერ, მინიჭებული აქვს სახელმწ. დიპლომის გაცემის უფლება.

უნ-ტს აქვს ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და რეზიდენტურა. უნ-ტის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ, სტაჟირება გაიარონ რუსეთისა და გერმანიის წამყვან კლინიკებში. აქვს აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრი.

თ.ს.ს.უ. „ჰ“-ში ფუნქციონირებს ჯანდაცვის მიმართულებების: მედიცინის ფაკ-ტი (სამკურნალო საქმის სპეციალობით), სტომატოლოგიის ფაკ-ტი (სტომატოლოგის სპეციალობით) და ფარმაციის ფაკ-ტი (ფარმაციის სპეციალობით).

ჯანდაცვის მიმართულების მედ. ფაკ-ტის დიპლომირებული ექიმის საგანმან. პროგრამა მოიცავს ერთსაფეხურიან უმაღლეს სამედ. განათლებას, სწავლება 6-წლიანია. კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული ექიმის აკად. ხარისხი. მიღებული ცოდნა და გამომუშავებული უნარ-ჩვევები კურსდამთავრებულს უფლებას მისცემს სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (რეზიდენტურა, დოქტორანტურა).

ჯანდაცვის მიმართულების სტომატოლოგიის ფაკ-ტის დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმან. პროგრამა მოიცავს ერთსაფეხურიან უმაღლეს სამედ. განათლებას. პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული სტომატოლოგის აკად. ხარისხი. მიღებული ცოდნა და გამომუშავებული უნარ-ჩვევები კურსდამთავრებულს უფლებას მისცემს, სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (რეზიდენტურა, დოქტორანტურა).

ჯანდაცვის მიმართულების ფარმაციის ფაკ-ტის (სპეციალობა ფარმაცია) საბაკალავრო პროგრამის, ფარმაცია, დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია – ჯანდაცვის ბაკალავრი ფარმაციაში. კურსდამთავრებულს უფლება აქვს იმუშაოს ნებისმიერი ტიპის ფარმაცევტულ დაწესებულებაში (აფთიაქი, საავადმყოფოს აფთიაქი ლაბორატორია, ფარმაცევტული საწარმო) რიგით ფარმაცევტად. საბაკალავრო პროგრამის დასრულება სტუდენტს საშუალებას მისცემს გა-

ნაგრძოს სწავლა განათლების შემდგომ ეტაპზე – მაგისტრატურაში, რ-ის დასრულების შემდეგ მას უფლება ექნება იმუშაოს წამყვან ფარმაცევტად, ფარმაცევტული განყ-ბის, საამქროს, ბაზის, საწარმოს ხელმძღვანელად, ფარმაცევტული ფირმის წარმომადგენლად, დისტრიბუტორად და ა. შ. სტუდენტს საშუალება აქვს განაგრძოს სწავლა განათლების შემდგომ ეტაპზე მაგისტრატურაში – სამაგისტრო პროგრამაზე ,,ფარმაციის მენეჯმენტი‘‘.

თ.ს.ს.უ. ,,ჰ‘‘-ს მატერ.-ტექ. ბაზას წარმოადგენს კეთილმოწყობილი სასწ. კორპუსი, სათანადოდ აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიებით და აუდიტორიებით, საინფორმაციო-კომპიუტერული ცენტრით, ინტერნეტით და კომპიუტერული სასწ. ლაბორატორიით, მდიდარი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით, თანამედროვე სასწ. წიგნადი ფონდით, ვიდეო-აუდიოთეკით. უნ-ტს აქვს სასწ. და კლინ. ბაზები (სამედ. კლინიკა), აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკით და სასწ. თვალსაჩინოებებით (პრეპარატები, სლაიდები, ატლასები და სხვ.), სპორტული დარბაზით.

თბილისის სამხედრო გიმნაზია, ზოგადსაგანმანათლებლო სამხედრო-აღმზრდელობითი სასწავლებელი. გაიხსნა 1875 თბილ. პროგიმნაზიის ნაცვლად, რ-იც ვლადიკავკაზში გადაიტანეს. ევალებოდა კადრების მომზადება უფრო მაღალი რანგის სამხ. სასწავლებლებისათვის ადგილობრივი მოსახლეობიდან. გიმნაზია გათვლილი იყო 200 მოსწავლეზე. იარსება 1882-მდე. შემდეგ მის ბაზაზე დაარსდა თბილისის *კადეტთა კორპუსი*.

თბილისის სამხედრო გუბერნატორის სამოქალაქო საქმეთა მმართველი, სამოქალაქო-ადმინისტრაციული მმართველობის წარმომადგენელი და უფროსი თბილისსა და თბილ. გუბერნიაში. თანამდებობა შეიქმნა 1847 წ. 1 აპრ., გაუქმდა 1860.

თბილისის სამხედრო ძველთა სასწავლებელი, დაარსდა 1941, ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებისადმი ამავე წლის 3 ნოემბრის ბრძანების საფუძველზე – თ. ს. ძ. ს-ის დაარსების შესახებ. სასწავლებლის კურსანტთა შემადგენლობა კომპლექტდებოდა ჯარის უმცროს მეთაურთა შემადგენლობისა და ჯარისკაცებისაგან. მიღებული იყო ზომები ამ სასწავლებლის სავალდებულო სამხ. მომარაგებით უზრუნველსაყოფად. სასწავლებელმა 1954-მდე იარსება.

თბილისის საპედაგოგიო ინსტიტუტი, დაარსდა თბილისის უნივერსიტეტთან 1919 (თბილ. სამასწავლებლო სკოლის ბაზაზე). ინ-ტში სწავლება 4-წლიანი იყო და ორი საფეხურისგან შედგებოდა: ორი წელი განკუთვნილი იყო დაწყებითი და არასრული საშ. სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად, ხოლო სრული 4-წლიანი კურსი ითვალისწინებდა საშ. სკოლების მასწავლებელთა მომზადებას. მისაღები გამოცდების საფუძველზე ინსტიტუტში ირიცხებოდნენ საშ. სკოლისა და მასთან გათანაბრებული სასწავლებლების კურსდამთავრებულები. ინ-ტის დირექტორი იყო დ. *უზნაძე*. 1921 თ.ს.ი. გადაკეთდა თსუ-ის პედ. ფაკულტეტის ინ-ტად, ხოლო 1923 დაიხურა და მისი სტუდენტები ჩაირიცხნენ თსუ-ის პედ. ფაკ-ტის შესაბამის კურსებზე. *დ. გურგენიძე*.

თბილისის საპირველმაისო დემონსტრაცია 1901, თბილისის მუშების პირველი პოლიტიკური საპირველმაისო დემონსტრაცია. პირველმაისობა თბილისში პირველად 1899, მეორედ 1900 აღინიშნა, თუმცა ორივე შემთხვევაში იგი მოეწყო არალეგალურად და თანაც ქალაქგარეთ (პირველი – ღრმაღელეში, მეორე – მლაშე ტბასთან). დემონსტრაციის ჩატარება გათვალისწინებული იყო 22 აპრილისათვის ყოფილ ,,სალდათის ბაზართან‘‘ (ახლანდ. ორბელიანის მოედანი). მასში მონაწილეობა მიიღო სამიათასზე მეტმა კაცმა და სისხლისმღვრელი შეტაკებით დამთავრდა: დემონსტრაციის ათეულობით მონაწილე დააპატიმრეს, შემდეგ კი რუსეთის შორეულ ადგილებში გადაასახლეს.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972; საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები. 1883–1970, თბ., 1971.

,,თბილისის საპნის ქარხანა‘‘ (შპს), კვების მრეწველობის ერთ-ერთი უძველესი საწარმო თბილისში. დაარსდა 1886 ფრანგი მეწარმის ტოლეს მიერ. საწარმო კუსტარული იყო, ხელით შრომაზე დაფუძნებული, დღე-ღამეში 300–500 *კგ* სარეცხის საპონს ამზადებდა. 1930–35 ჩატარდა ქ-ნის რეკონსტრუქცია (სიმძლავრე გაიზარდა 4000 *ტ*-მდე წელიწადში), ხოლო 1965–66 მოხდა მისი სრული გადაიარაღება, რის შედეგადაც საწარმოს წლიურმა სიმძლავრემ 14000 *ტ* მიაღწია. იგი საპნის პროდუქციის ერთადერთი მწარმოებელი იყო საქართველოში და აღნიშნულ პროდუქციაზე მოსახლეობის მოთხოვნას 60–65%-ით აკმაყოფილებდა. 1991-მდე ქ-ნა უწყვეტი – სამცვლიანი ციკლით მუშაობდა და ყოველწლიურად 12,5 ათ. *ტ* 72%-იან საოჯახო, 1,0 ათ. *ტ* სამრეწვ.-საფეიქრო საპონს და მლნ-მდე ცალ შამპუნს უშვებდა. 1996 განხორციელდა ქ-ნის პრივატიზება და ჩამოყალიბდა როგორც შპს. 1998-იდან საწარმო აღარ ფუნქციონირებს.

,,თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა‘‘ (სააქციო საზოგადოება), ავეჯის საწარმო თბილისში. შეიქმნა 1946, როგორც რკინიგზის უწყებრივი დაქვემდებარების სპეციალიზებული ავეჯის დამამზადებელი სახელოსნო, 1957-იდან იგი გარდაიქმნა საყოფაცხოვრებო და საკანცელარიო ავეჯის დამამზადებელ სახელმწ. საწარმოდ; 1962-იდან სპეციალიზებული იყო სასკოლო ავეჯის წარმოებაზე და ეწოდა ,,თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკა‘‘; 1970-იდან დაემატა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებისათვის ავეჯის წარმოება. ამასთან ერთად საწარმო ამზადებდა საყოფაცხოვრებო ავეჯსაც. სხვადასხვა წლებში (1969–70; 1976–80; 2006–09) საწარმოში განხორციელდა რეკონსტრ. და ტექ. გადაიარაღების სამუშაოები. მნიშვნელოვანი რეკონსტრ.-გაფართოება მოხდა 1987 – ექსპლუატაციაში გაუშვეს 12700 $მ^2$ ფართობის ახ. ორსართულიანი საწარმოო კორპუსი. 1996 სახელმწ. საწარმო გამოისყიდა კოლექტივმა და გადაეცა მას საკუთრებაში. 1997 არსებული ფ-კის ბაზაზე შეიქმნა სააქციო საზ-ბა ,,თ. ს. ი. ფ.‘‘ ამჟამად საწარმო უშვებს შემდეგი სახის პროდუქციას: სასკოლო, საბავშვო და საოფისე ავეჯს. წარმოებისათვის საჭირო ნედლეული (ლითონის მილები, მერქან-ბოჭკოვანი ფილა, ლამინირებული ფილა, ლაქ-საღებავები, ფურნიტურა და სხვ.) ძირითადად შემოაქვს თურქეთიდან და უკრაინიდან. საწარმოს საპროექტო სიმძლავრე 3 მლნ. ლარია წელიწადში.

თბილისის სასულიერო აკადემია, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილ. სას. აკადემია და სემინარია არის ,,უმაღ-

ლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით აღიარებული ავტორიზებული (2011-იდან) სასწავლებელი, რ-იც ექვემდებარება საქართვ. ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას, კანონიკურად შედის საქართვ. საპატრიარქოს იურისდიქციაში, თანამშრომლობს საპატრიარქოს განათლების ცენტრთან და ანგარიშვალდებულია სრულიად საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქის წინაშე. თბილ. სას. აკადემია და სემინარია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართვ. სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების, საქართვ. კანონმდებლობის, საეკლესიო (კანონიკური) სამართლისა და მართლმადიდებლური სწავლების საფუძველზე თბილ. სას. აკადემია და სემინარია არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდ. პირი, სადაც სწავლების სამსაფეხურიანი სისტემა მოქმედებს: I. ბაკალავრიატი (4 წელი) – სას. სემინარიასა და, აგრეთვე აკად. და სემინარიის შემდეგ ფაკ-ტებზე: ა) ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის, ბ) ქრისტიანული ფსიქოლოგიის, გ) ქრისტიანული ხუროთმოძღვრების, ხატწერის, დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის; II. მაგისტრატურა (3 წელი) სას. აკად. საღვთისმეტყველო ფაკ-ზე; III. დოქტორანტურა, თბილ. სას. და სემინარია, როგორც საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმან. დაწესებულება, უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი საგანმან. პროგრამები: 1) თეოლოგიისა; 2) ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობისა; 3) ქრისტიანული ფსიქოლოგიისა; 4) ხატწერისა; 5) დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციისა; 6) საეკლესიო არქიტექტურისა (ხუროთმოძღვრებისა). სასწავლებლის მიერ გაცემული დიპლომი აღიარებულია სახელმწ. მიერ (იხ. აგრეთვე *თბილისის სასულიერო სემინარია*). თ. ს. ა. ამზადებს სამეცნ.-სასულიერო და პედაგოგიურ კადრებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის. დაარსდა 1988 წ. 1 ოქტომბერს. ეფუძნება ძვ. ქართ. საღვთისმეტყველო სკოლათა ტრადიციებს, არის გელათის აკადემიის (XII ს.) მემკვიდრე. თ. ს. ა. აქტიურად თანამშრომლობს საქართვ. საერო სასწ. და სამეცნ. დაწესებულებებთან. აკად. სტუდენტების აქტ. თანამშრომლობით გამოდის ჟურნალები ,,საქართველოს საპატრიარქო'' და ,,საყდარი'', საღვთისმეტყველო-სამეცნ. ხასიათის ჟურნ. ,,გზა სამეუფო''. თ. ს. ა-ში იღებენ 35 წლამდე ასაკის მამაკაცებს, რ-ებსაც აქვთ უმაღლესი საერო განათლება ან დამთავრებული აქვთ სას. სემინარია.

1989-მდე აკადემიაში ფუნქციონირებდა მხოლოდ საღვთისმეტყველო ფაკ-ტი. 1990 გაიხსნა ქრისტ. ხელოვნების ფაკ-ტი, რ-იც ემსახურება ხელოვნ. შესწავლას ქრისტ. მსოფლმხედველობის პოზიციიდან. სწავლების ვადა 5 წელია. გადიან თეორ. და პრაქტ. კურსებს. პრაქტ. სამუშაოები ხორციელდება ფაკ-ტზე არსებული ხატწერის, ქარგვისა და გობელენის სახელოსნოებში. მესამე კურსიდან სტუდენტებს ეკითხებათ სპეც. საგნები. ფაკ-ტზე მოწვეული არიან კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან. კურსდამთავრებული იღებს დიპლომს ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით და შეუძლია იმუშაოს საგანმან. და ხელოვნებათმცოდნეობის სფეროებში. ქრისტ. ანთროპოლოგიის ფაკ-ტზე (გაიხსნა 1990) სტუდენტები იღებენ უმაღლეს განათლებას სას. დარგში (ძვ. აღთქმა, ახ. აღთქმა, საეკლ. სამართალი, პატროლოგია, ძირითადი და დოგმატური ღვთისმეტყველება, ზნეობრივი ღვთისმეტყველება, ასევე საქართვ. ისტორია, პედაგოგიკა, ფილოსოფია, ქართ. ენა, ანატომია, ფსიქოლოგია, თანამედროვე ენები და სხვ.). სურვილისამებრ სტუდენტები ეუფლებიან ქარგვას, გობელენისა და ხატწერის ტექნიკას. სწავლება 5-წლიანია. ფაკ-ტზე მოწვეული არიან სპეციალისტები, საერო და სას. პირები სხვადასხვა სასწავლებლიდან. კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს დაწყებით, საშ. და უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნ. და საღვთისმეტყველო სფეროებში.

1994 თ. ს. ა-ის ქრისტ. ანთროპოლოგიისა და ქრისტ. ხელოვნ. ფაკულტეტების ბაზაზე ჩამოყალიბდა საღვთისმეტყველო ინ-ტი (2013 საღვთისმეტყველო ინ-ტში მოქმედებდა შემდეგი ფაკ-ტები: ფსიქოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის, ხელოვნებათმცოდნეობისა და რელიგიათმცოდნეობის, ხატწერის, რესტავრაციისა და გამოყენებითი ხელოვნების). ამავე წელს აკადემიაში გაიხსნა საქართვ. ისტ. კათედრა, რ-იც უზრუნველყოფს თ. ს. ა-ში საქართვ. ისტ. და საქართვ. ეკლესიის ისტ. სწავლებას, ადგენს სასწ. პროგრამებს, საკურსო, სადიპლომო, სამეცნ. ნაშრომების თემატიკას.

1998-იდან აკადემიაში ფუნქციონირებს ღვთისმეტყველების და ქრისტ. ხელოვნების კათედრები. ამავე წელს საქართვ. მეცნ. აკადემიასთან ერთად თ. ს. ა-მ შეიმუშავა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია II-მ დაამტკიცა ,,დებულება საქართველოში საღვთისმეტყველო მეცნ. დარგში უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნ. კადრების მომზადების შესახებ''.

2005 თ. ს. ა-ში გაიხსნა ხატწერის, რესტავრაციისა და გამოყენებითი ხელოვნების ფაკ-ტი [ამჟამად საეკლ. არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების), ხატწერის, დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის ფაკ-ტი]; 2006 – დეკორ. მებაღეობისა და ეკოლ. ინ-ტი და საეკლ. გალობისა და სიმღერის უმაღლესი სასწავლებელი.

2013 თ. ს. ა-ში იყო შემდეგი კათედრები: პატრისტიკისა და დოგმატიკის, ბიბლეისტიკის, ლიტურგიკისა და სამოძღვრო, ღვთისმეტყველების, ეკლესიის ისტ., კანონიკური სამართლისა და ასკეტიკის, საქართვ. ისტორიის, ქართ. ენისა და ლიტ-რის, ქრისტ. ხელოვნების, რელიგიათმცოდნეობის, უცხო ენების, ხატწერის, დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის, საეკლ. არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების).

2013 წ. 29 მარტს თ. ს. ა-ში კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ინიციატივითა და ლოცვა-კურთხევით დაარსდა თეოლ. დოქტორის სამეცნ. ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭო და დაფუძნდა დოქტორანტურა. 2015-თვის მოქმედებდა შემდეგი სადოქტორო-საგანმან. პროგრამები: პატროლოგია, ეკლესიის ისტორია, ბიბლეისტიკა, ლიტურგიკა, საეკლ. სამართალი.

თ. ს. ა-ს მჭიდრო ურთიერთობა აქვს საზღვარგარეთის მართლმადიდებელ სასწავლებლებსა და ორგანიზაციებთან.

თბილ. სას. აკადემიისა და სემინარიის პირველი რექტორი იყო წილკნელი ეპისკოპოსი – ამჟამად მიტროპოლიტი ზოსიმე



თბილისის სასულიერო სემინარია. XX ს. დასაწყისი.

(შიოშვილი). 1989–93 რექტორის მოვალეობას ასრულებდა პროტოპრესვიტერი გიორგი – ამჟამად მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი), 1993–2003 – მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია), 2004–05 – მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), 2005–09 – სრულიად საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II, ხოლო 2009 წ. 23 ოქტომბერს სას. აკადემიისა და სემინარიის რექტორად დაინიშნა პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე.

თბილისის სასულიერო სემინარია, გაიხსნა 1817 წლის 1 ოქტომბერს. თავდაპირველად განთავსებული იყო ავლაბარში, დედოფალ დარეჯანის სასახლის ტერიტორიაზე, 1840 გადავიდა ახლანდ. საქართვ. ხელოვნების სახელმწ. მუზეუმის შენობაში. შედგებოდა რიტორიკის ორი კლასისაგან. 1823 მიემატა ფილოს., ხოლო 1827 – ღვთისმეტყველების კლასები. რიტორიკის კლასებში სწავლობდნენ რუს. ენასა და ლიტ-რას, რუსეთისა და მსოფლიო ისტორიას, რიტორიკას; ფილოს. კლასში – ფილოსოფიას, ლოგიკას, მათემატიკას, ფიზიკასა და ბუნებისმეტყველებას; ღვთისმეტყველების კლასში – ეკლესიის ისტორიას, ძვ. სლავურ ენას. სწავლების ექვსივე წელს სწავლობდნენ ლათ., ბერძნ., გერმ., ფრანგ. ენებსა და პედაგოგიკას. კურსდამთავრებულებს შეეძლოთ ემუშავათ სოფლის სამრევლო და საერო სკოლების მასწავლებლად ან გაეგრძელებინათ სწავლა სას. აკადემიასა და უნტში. მ.ს.ს-ში სხვადასხვა დროს სწავლობდნენ: პ. იოსელიანი, გ. ქიქოძე, დ. ბაქრაძე, ვ. პეტრიაშვილი, თ. ჟორდანია, ი. გოგებაშვილი, დ. ჭონქაძე, ლ. არდაზიანი, ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი და სხვ. სემინარიაში დამკვიდრებული მკაცრი რეჟიმი, დასჯის დამამცირებელი მეთოდები მოსწავლე ახალგაზრდობას არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყობდა. მოსწავლეები უშვებდნენ საიდუმლო ხელნაწერ გაზეთს, პროკლამაციებს. XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში აქ დაიწყეს რევ. მოღვაწეობა სემინარიის მოსწავლეებმა – ი. ჯუღაშვილმა (სტალინი), ლ. კეცხოველმა, ა. წულუკიძემ, მ. ცხაკაიამ, ფ. მახარაძემ, შ. ჩიტაძემ და სხვ. 1893 დეკემბერში ლ. კეცხოველის, მ. ცხაკაიას და ა. წულუკიძის მეთაურობით მოეწყო სემინარიელთა დიდი საპროტესტო დემონსტრაცია. მოსწავლეები მოითხოვდნენ სემინარიაში გამეფებული რეჟიმის აღკვეთას, ქართ. ენის სწავლების აღდგენას, ქართ. ენისა და ლიტრის კათედრის დაარსებას, კლასგარეშე ლიტ-რის თავისუფლად არჩევის უფლებას, შოვინისტი და დესპოტი მასწავლებლების დათხოვნას და სხვ. ჟანდარმერიამ დემონსტრაცია დაშალა. სემინარია დროებით დახურეს, 67 მოსწავლე, მ. შ. ლ. კეცხოველი, ი. ჯუღაშვილი, ვ. ლეჟავა სასწავლებლიდან გარიცხეს. არაერთგზის დაისვა სემინარიის ჩრდ. კავკასიაში (სტავროპოლი, ეკატერინოდარი) გადატანის საკითხი, მაგრამ 1917-მდე (დახურვამდე) იგი თბილისში დარჩა. საქართვ. მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, კათოლიკოს-პატრიარქების კირიონ II-ისა და ლეონიდეს დროს, აქტიურად იღვწოდნენ სას. სემინარიის დაარსებისათვის, მაგრამ 1921 წ. თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ახ. აგრესიისა და ოკუპაციის პირობებში, როდესაც საქართვ. მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია კანონგარეშე ორგანიზაციად გამოცხადდა, სას. სასწავლებლის გახსნაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა.

1963 ეკლესიამ საერო მთავრობისაგან მცხეთაში სამოძღვრო კურსების გახსნის ნებართვა მიიღო; კურსების პირველ რექტორად დაინიშნა მიტროპოლიტი ილია (1978-იდან სრულიად საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქი). კურსებს წმ. მღვდელმთავრის გაბრიელ ეპისკოპოსის სახელი მიენიჭა. რამდენიმე წელიწადში კურსები 3-წლიან სას. სემინარიად გადაკეთდა. პირველი სას. სასწავლებელი მცხეთაში სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში მდებარეობდა. 1988 სრულიად საქართვ. კათოლიკოს-პატრიარქის ძალისხმევით სას. სემინარია თბილისში გადმოვიდა და მის ბაზაზე დაფუძნდა სას. აკადემია, რაც საქართვ. ეკლესიის დაკარგული ავტოკეფალიის აღდგენის დამაგვირგვინებელ ეტაპადაა მიჩნეული. 1997-მდე სემინარიაში სწავლა 3-წლიანი იყო, 1999-იდან კი 4-წლიანი გახდა. პირველ კურსზე ჩაირიცხა 4 მსმენელი, შემდეგ სტუდენტთა რაოდენობა თითო კურსზე გახდა 10 (სულ იყო სამი კურსი). სემინარიაში სწავლის მსურველები მისაღებ გამოცდებზე აბარებენ შემდეგ საგნებს: საქართვ. ისტორია, ქართ. ენა და ლიტ-რა, მოკლე ქრისტ.-მართლმადიდებლური კატეხიზმო. სასწ. კურსი საღვთისმეტყველო საგნებთან ერთად (ძვ. და ახ. აღთქმა, ლიტურგიკა, დოგმატიკა, პატროლოგია, კატეხიზმო) ითვალისწინებს საქართვ. და მსოფლიო ეკლესიების ისტ., გალობის, ხატწერის, ფილოლ., ფილოს., ისტ., უცხო ენების, ფსიქოლ. მეცნ. საფუძვლების შესწავლასაც. სასწ.-ჰედ. მოღვაწეობას სას. პირებთან ერთად საქართვ. მეცნ.

აკად., საერო უნ-ტების პროფესორ-მასწავლებლები და სას. აკად. კურსდამთავრებულები ეწევიან.

1972 რამდენიმე თვის განმავლობაში, სემინარიის რექტორი იყო კათოლიკოს-პატრიარქი დავით V (დევდარიანი), 1972–77 – წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი (კერატიშვილი), 1978–79 – დეკანოზი (ამჟამად მიტროპოლიტი) გიორგი (შალამბერიძე), 1979–80 – მთავარეპისკოპოსი (ამჟამად მიტროპოლიტი) თადეოზი, 1980–83 – მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა), 1984–88 წლებში – წილკნელი ეპისკოპოსი (ამჟამად მიტროპოლიტი) ზოსიმე (შიოშვილი). 1989-იდან სემინარიასთან ერთად გაიხსნა თბილ. სას. აკადემია, რ-ის პირველი რექტორი კვლავ ზოსიმე (შიოშვილი) იყო.

1989–93 რექტორის მოვალეობას ასრულებდა პროტოპრესვიტერი გიორგი – ამჟამად მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი), 1993–2003 – მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია), 2004–05 – მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), 2005–09 რექტორი იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ხოლო 2009 წ. 23 ოქტომბრიდან სას. აკად. და სემინარიის რექტორად დაინიშნა პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე.

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). დაარსდა 1999 წ. 12 აგვისტოს; უნ-ტი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართვ. კონსტიტუციის, კანონმდებლობის, პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების აქტებისა და უნ-ტის წესდების შესაბამისად. უნ-ტის ზოგადი მიზნებია: ერთიან ევროპულ საგანმან. და სამეცნ. სივრცეში ინტეგრაცია, სასწ. პროგრამებისა და სამეცნ. კვლევების განხორციელება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად; თ. ს. უ. „გ-ში“ აკად. განათლება ორსაფეხურიანია: პირველი საფეხურია ბაკალავრიატი, მეორე – მაგისტრატურა.

თ. ს. უ. „გ-ში“ მართვის ორგანოებია: აკად. საბჭო, რექტორი, რექტორის მოადგილეები, ადმ. ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ფაკ-ტის მართვის ორგანოა დეკანატი.

უნ-ტი შედგება ძირითადი საგანმან. ერთეულებისგან – ფაკულტეტებისგან, ბიბლიოთეკის, დამხმარე სტრუქტურული ერთეულების, რექტორის აპარატისა და კანცელარიისაგან.

თ. ს. უ. „გ-ში“ არის 4 ფაკ-ტი: ა) ჯანმრთელობის დაცვის; ბ) სოც. მეცნიერებათა და ბიზნესის; გ) ჰუმანიტარული; დ) იურიდიული.

თ. ს. უ. „გ-ში“ არსებობს აკადემიური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. უნ-ტის აკად. პერსონალი შედგება პროფესორებისაგან, რ-ის შემადგენლობას მიეკუთვნება სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

ნებისმიერ მსურველს შეუძლია უნ-ტის საგანმან. პროგრამაზე დარეგისტრირდეს თავისუფალ მსმენელად, რ-საც ენიჭება შესაბამისი კრედიტი. სურვილის შემთხვევაში თავისუფალ მსმენელს შეუძლია აიღოს სერტიფიკატი.

„თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (შპს), კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომლის დანიშნულებაა მოსახლეობის უზრუნველყოფა მაღალი ხარისხის უსაფრთხო სატრანსპორტო მომსახურებით. ფუნქციონირება დაიწყო „თბილისის მეტროპოლიტენის“ სახელწოდებით 1966-იდან, როდესაც გაიხსნა მეტროპოლიტენის პირველი მონაკვეთი დიდუბე–რუსთაველის მიმართულებით. 1997-იდან ჩამოყალიბდა როგორც შპს „თბილისის მეტროპოლიტენი“, 2006-იდან დაერქვა შპს „თბილისის მეტრო“, ხოლო 2009-იდან გახდა შპს „მ.ს.ჰ.“, რ-ის 100%-იანი წილის მფლობელია თვითმმართველი ქ. თბილისი. ამჟამად კომპანიის მფლობელობაშია *თბილისის მეტროპოლიტენი*, რ-ის საექსპლოატაციო არეალი წარმოადგენს დაახლოებით 62,5 *კმ* სიგრძის მიწისქვეშა საგვირაბო კონსტრუქციას, ორი დამოუკიდებელი ხაზით და 22 სადგურით, რ-საც ყოველი 3,5–4 *წთ*-ის ინტერვალით ემსახურება მოძრავი შემადგენლობები ორი სამატარებლო დეპოთი. 2009 კომპანიას საკუთრებაში გადაეცა მუნიციპალური ავტობუსები და მასთან დაკავშირებული უძრავი ქონება სამი ავტოპარკისა და ერთი სერვისცენტრის სახით. 2012 კომპანიის საქმიანობის არეალი კიდევ უფრო გაფართოვდა და მის აქტივებს დაემატა ახლად აშენებული რიყე–ნარიყალას საბაგირო გზა. ოპერატიულობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით „თ. ს. პ.-ს“ გააჩნია დამოუკიდებელი ციფრული და ენერგომომარაგების სადისპეტჩერო ქსელი, სადაც გაერთიანებულია მისი ყველა სტრუქტურული ერთეული.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა სატრანსპორტო მომსახურება, მგზავრთა გადაყვანა და საგანგებო ან სამხ. მოქმედების პერიოდში მოსახლეობის სამოქალაქო-თავდაცვითი ღონისძიებების გატარება. ამის უზრუნველსაყოფად საწარმოს ევალება შემდეგი ფუნქციების შესრულება: თავისი საქმიანობის სფეროში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მუშაობის კოორდინაცია; მგზავრთა უსაფრთხო მომსახურების მაღალი დონის უზრუნველყოფა; მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საექსპლუატაციო მუშაობის გრაფიკის შედგენა და მისი შესრულება; მგზავრთა გადაყვანა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ერთიან ქსელში მოძრაობის ოპერატიული მართვის, აღრიცხვისა და კონტროლის საშუალებით; ტექ. დონისა და ტექ. საშუალებების ექსპლუატაციის საიმედოობის დაცვა და ამაღლება, ტექნოლ. პროცესების სრულყოფა, ახ. ტექნიკისა და გამოცდილების დანერგვა და სხვ.

თბილისის საქალაქო არქივი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო – თბილისის ცენტრალური არქივი. შეიქმნა 1921 წ. 21 თებერვალს ქალაქის თვითმმართველობის საუწყებო არქივის ბაზაზე. 1921 წ. 18 აგვისტოს ეწოდა ქალაქის რევკომის სამმართველოს საინფორმაციო ნაწილის სექცია და თბილ. რევკომის საკომენდანტო შენობის პირველ სართულზე ორი ოთახი დაეთმო. აქ თავმოყრილი იყო თბილ. ადგილობრივი თვითმმართველობის 1840–1920 დოკუმენტები. 1921 წ. 14 დეკემბერს არქივი თბილ. მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საუწყებო არქივი გახდა. საქართვ. ცენტრ. აღმასკომის 1926 წ. 1 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე ჩამოყალიბდა სამაზრო საარქივო ბიუროდ, ხოლო 1933 წ. აპრილს გადაკეთდა მუნიციპალურ არქივად. 1937 წ. 1 თებერვალს მუნიციპალურ არქივს ეწოდა თ. ს. ა. 1939 წ. 25 აპრილიდან იგი შინაგან საქმეთა სახელმწ. კომისარიატის გამგებლობაშია. საქართვ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წ. 23 აგვისტოს დადგენილებით, თ. ს. ა. მუდმივი შემადგენლობის არქივი

გახდა.

თბილ. მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის 1972 წ. 16 აგვისტოს №1472 განკარგულებით არქივს გადაეცა სპეც. პროექტით აშენებული ახ. ხუთსართულიანი შენობა. საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წ. 8 ივნისის №730 განკარგულებით, ამავე წლის 1 ივლისიდან არქივი თბილ. საქალაქო საბჭოს აღმასკომის უშუალო დაქვემდებარებაში გადავიდა და ეწოდა თბილ. საქალაქო სახელმწ. არქივი. ქ. თბილ. მერიის საქალაქო კოლეგიის 1996 წლის 15 მარტის № 02.06.11 დადგენილებით თბილ. საქალაქო სახელმწ. არქივი გახდა *თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი.*

თბილისის საქალაქო სამეცნიერო ბიბლიოთეკა, თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა. დაარსდა 1909. ბ-კას საფუძვლად დაედო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის მიერ გადაცემული ლიტ-რა. არსებობდა ქალაქის მცირე დოტაციით, ბ-კით სარგებლობის გადასახადითა და შემოწირულებით. ატარებდა ი. ზუბალაშვილის სახელს. 1928 ეწოდა ა. ჯაფარიძის სახ. თბილ. №1 საქალაქო მასობრივი ბიბლიოთეკა. 1933-იდან გარდაიქმნა ,,თბილისის მასობრივ სანიმუშო-საჩვენებელ ბიბლიოთეკად'', ხოლო 1944-იდან ეწოდა ,,თბილისის ა. ჯაფარიძის სახელობის სახელმწიფო სამეცნიერო ბიბლიოთეკა'' და ქალაქის ბიბლიოთეკების მეთოდური ხელმძღვანელობა დაეკისრა.

XX ს. 80-იანი წლებიდან ბ-კა იქცა თბილ. ცენტრ. საბიბლიოთეკო დაწესებულებად და მას ადმინისტრაციულად დაექვემდებარა ქალაქის სხვადასხვა რაიონებისა და უბნების ბ-კები, როგორც ფილიალები; 1994 ეწოდა მ. ჯავახიშვილის სახელი.

2006 წ. 9 ნოემბერს მ. ჯავახიშვილის სახ. ბ-კის ბაზაზე შეიქმნა საჯარო სამართ. იურიდ. პირი – თბილ. მთავარი ბიბლიოთეკა, იხ. აგრეთვე სტატია *თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა და მისი ფილიალები.*

თბილისის სახაზინო პალატა, ჩამოყალიბდა 1802 წ. 8 მაისს, რუსეთის მმართველობის სისტემის შემოღების დროს, და მას „სახაზინო ექსპედიცია'' დაერქვა. 1840 ადმ. რეფორმასთან დაკავშირებით ეწოდა „საქართველო-იმერეთის სახაზინო პალატა''. 1846 წ. 14 დეკემბერს მხარის ახალ ადმ. რეფორმასთან დაკავშირებით ამიერკავკასიაში ჩამოყალიბდა 4 გუბერნია. საქართველო გაიყო 2 – თბილისისა და ქუთაისის – გუბერნიად. საქართველო-იმერეთის სახაზინო პალატას ეწოდა თ. ს. პ. გაუქმდა 1918 წ. 19 ნოემბერს.

თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი სულხან-საბა ორბელიანის სახელობისა, იხ. *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.*

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, ექიმთა დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, იხ. *თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.*

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (თსსუ), საქართველოს წამყვანი მრავალპროფილიანი უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი, რ-შიც კონცენტრირებულია ქვეყნის სამედ. და სამეცნ.-პედ. კადრების ძირითადი ნაწილი. თსსუ არის უნივერსიტეტთა საერთაშ. ასოციაციის, ევრ. უნ-ტთა ასოციაციის და ევრ. სამედ. განათლების ასოციაციის წევრი, აღმ. ევროპის სამედ. განათლების ასოციაციის დამფუძნებელი. თსსუ-ის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპებია: ცოდნისა და კვლევების აკადემიური ხარისხი, დემოკრატიულობა, მართვის ორგანოების არჩევითობა, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება. თსსუ-ის მიერ გაზიარებული კონცეფცია ,,სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში'' (Life Long Learning - LLL) ევროპის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიის მთავარი ელემენტია.

1918 წ. 26 იანვარს (8 თებ.) გაიხსნა თსუ, რ-ის გამგეობის წევრები იყვნენ მედ. დარგის ცნობილი წარმომადგენლები: ს. ვირსალაძე, გ. მუხაძე, ი. თიკანაძე. 1917 წ. 12 ოქტომბერს ,,ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების'' სხდომაზე პ. მელიქიშვილმა გამოთქვა აზრი მომავალ უნ-ტში სამკურნალო და საბუნებისმეტყველო ფაკ-ტის გახსნის აუცილებლობის თაობაზე. 1918 წ. 27 თებერვალს უნ-ტის პროფესორთა საბჭომ დაადასტურა სამკურნ. ფაკ-ტის შექმნის აუცილებლობა. 17 იანვარს იმავე საბჭომ ,,ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების'' თავ-რის, ს. ვირსალაძის თანდასწრებით მიიღო გადაწყვეტილება, გახსნილიყო საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო და სამკურნალო ფაკ-ტი. 1918 წ. ოქტომბრიდან შეიქმნა სამკურნ. და საბუნებისმეტყველო გაერთ. ფაკ-ტი, რ-იც 1919 წ. აპრილიდან ცალ-ცალკე საბუნებისმეტყველო-მათ. და სამკურნ. ფაკ-ტების სახით ჩამოყალიბდა.

სამკურნ. ფაკ-ტის პირველ დეკა-



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

ნად აირჩიეს ხარკოვიდან მოწვეული პროფესორი, ანატომი ა. ნათიშვილი. სამშობლოში აგრეთვე დაბრუნდნენ და სამკურნ. ფაკ-ტზე დაიწყეს მოღვაწეობა ა. ალადაშვილმა, ს. ამირეჯიბმა, მ. ასათიანმა, ი. ბერიტაშვილმა, ს. გოგიტიძემ, ნ. კახიანმა, ი. ქუთათელაძემ, გ. ღამბარაშვილმა და სხვ. ამ პერიოდში სამკურნ. ფაკ-ტზე ორდინატორებად და ასისტენტებად მოიწვიეს დ. იოსელიანი, ვ. მოსეშვილი, ნ. მახვილაძე, შ. მიქელაძე, ა. ტყემალაძე, მ. ტყემალაძე, ს. ყიფშიძე, ა. წულუკიძე, მ. წინამძღვრიშვილი, მ. ცხაკაია, ვ. ჟღენტი, დ. ჯავახიშვილი; ფარმაციისა და ფარმაკოგნოზიის კათედრაზე – ი. ტყეშელაშვილი. 1919-იდან ივ. ჯავახიშვილის მზრუნველობით სამკურნ. ფაკ-ტის შემადგენლობაში არსებობდა ე.წ. სასანიტრო ინ-ტი, რ-ის დირექტორი იყო ს. ამირეჯიბი. პირველი ეროვნ. კადრი – 68 ექიმი – სამკურნ. ფაკ-ტმა 1922 წელს გამოუშვა. ფაკ-ტი ვერ აკმაყოფილებდა რესპუბლიკის მოთხოვნილებას სამედ. კადრებზე.

1930 წ. 10 ივნისს განხორციელდა თსუ-ის რეორგანიზაცია და დაარსდა დამოუკიდებელი თბილისის სახელმწ. სამედ. ინ-ტი (თსსი) სამი ფაკ-ტით: სამკურნ.-პროფილაქტიკური, სანიტარია-ჰიგიენის და ფარმაკოქიმიის. 1931 შეიქმნა კიდევ ერთი – `დედათა და ბავშთა დაცვის ფაკულტეტი'', რ-საც 1934-იდან პედიატრიული ფაკ-ტი ეწოდა. 1931 სამკურნალო-პროფილაქტიკური ფაკ-ტი გარდაიქმნა სამკურნ. ფაკ-ტად, სანიტარიულ-პროფილაქტიკური ფაკ-ტი გაუქმდა, 1937 კი კვლავ აღდგა.

1932 ინ-ტთან გაიხსნა სტომატოლოგიური განყ-ბა, 1933 დაარსებული ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები კი 1935 გადაკეთდა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინ-ტად; 2006 ამ ინ-ტის მემკვიდრე სახელმწ. სამედ. აკადემიის სახელწოდებით – კვლავ მიუერთდა სახელმწ. სამედ. ინ-ტის მემკვიდრეს – თ.ს.ს.შ-ს.

1936 წ. სექტემბერში სამედ. ინ-ტის შემადგენლობას სტომატოლოგიური ფაკ-ტის სახით დაემატა ერთი წლით ადრე გახსნილი სტომატოლოგიური ინ-ტი. 1937 ეს ფაკ-ტი, ისევე, როგორც ფარმაკოქიმიური ფაკ-ტი გამოეყო სამედ. ინ-ტს – შეიქმნა სახელმწ. სტომატოლოგიური და სახელმწ. ფარმაცევტული ინ-ტები, რ-ებიც 1948 გაუქმდა და ფაკ-ტების სახით კვლავ დაუბრუნდა სახელმწ. სამედ. ინ-ტს.

1992 წ. 24 ნოემბერს თბილისის სახელმწ. სამედ. ინ-ტი თ.ს.ს.შ-დ გარდაიქმნა. უნ-ტში ჩამოყალიბდა 4 ახ. ფაკ-ტი (სამხედრო-სამედიცინო, სამედიცინო-ბიოლოგიური, ფსიქოსომატური მედიცინისა და ფსიქოთერაპიის, უცხოური ენების), სამედიცინო კოლეჯი და მისი ქუთაისის ფილიალი, სამკურნ. ფაკ-ტის ინგლისურენოვანი სექტორი, უცხოელი სტუდენტების მოსამზადებელი განყ-ბა. შეიქმნა შესაბამისი დეკანატები, სამეცნ. საბჭოები და, ახ. სასწავლო გეგმის მიხედვით, – საწარმოო პრაქტიკისა და რეზიდენტურის დეკანატი. 1995 სასწ.-მეთოდურ განყ-ბასთან დაფუძნდა პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი შიდასაუნივერსიტეტო კურსები, პროვიზორთა (ფარმაცევტთა) კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ჯანდაცვის ეკონომიკის და მენეჯმენტის სკოლა.

2002 თსსუ პროექტით ,,უმაღლეს სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები'' მონაწილეობდა ევროკავშირის ეგიდით ჩატარებულ საერთაშ. საგანმან. კონკურსში ,,SOCRATES''.

2005 წ. სექტემბერში თსსუ მიუერთდა უნივერისტეტთა დიდ ქარტიას (ბოლონიის უნივერსიტეტი). იგი ერთადერთი ქართული უნ-ტი იყო ევროპის 26 უნ-ტს შორის, რ-მაც აღნიშნულ დეკლარაციაზე მოაწერა ხელი.

2006 თსსუ-ს შეუერთდა თბილისის სახელმწ. სამედ. აკადემია (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №226, 2006 წლის 24 მარტი), 2007 კი – ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწ. აკადემიის სამკურნ. ფიზიკური კულტურისა და რეაბილიტაციის ფაკ-ტი.

2014 მონაცემებით თსსუ-ში ხუთი ფაკ-ტია: მედიცინის, სტომატოლოგიის, ფარმაციის, საზ. ჯანდაცვის, ფიზ. მედიცინისა და რეაბილიტაციის. უნ-ტის აკრედიტებული საგანმან. პროგრამებია: ერთსაფეხურიანი სამედიცინო განათლების (მედიცინა, სტომატოლოგია) – 7, საბაკალავრო – 16, სამაგისტრო – 12, სადოქტორო – 4, მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო – 3; მათ შორის არის 4 საერთაშორისო პროგრამა (დიპლომირებული ექიმის ამერიკული პროგრამა, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის ქართულ-ფრანგული საბაკალავრო პროგრამა, საექთნო საქმის ქართულ-ავსტრიული საბაკალავრო პროგრამა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მენეჯმენტისა და ჯანდაცვის პოლიტიკის ქართულ-ფრანგული სამაგისტრო პროგრამა). თსსუ-ში, აგრეთვე, მოქმედებს ქართულ ენაში მომზადების საგანმან. პროგრამები აზერბაიჯანულ-, აფხაზურ- და სომხურენოვანი მოსახლეობისათვის.

თსსუ-ს აქვს სპორტ. მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინ. ცენტრი, უცხოური ენების ცენტრი – დარგობრივი უცხოური ენების გაძლიერებული სწავლებით, სპორტისა და ხელოვნების ცენტრი. 2012 უნ-ტში დაარსდა კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორია (2014-იდან – კლინიკური უნარ-ჩვევების დეპარტამენტი). თსსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრი ჩამოყალიბდა 2012 წ. 8 თებერვალს სამეცნ. უნარ-ჩვევების ლაბორატორიის ბაზაზე – ყოფ. ექსპერ. და კლინ. მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი (1992–2010). 1962 დ. გედევანიშვილის მიერ დაარსდა ექსპერ. და კლინ. მედიცინის ინ-ტი, რ-იც დამოუკიდებელ სამეცნ. საქმიანობასთან ერთად წარმოადგენდა თსსუ-ის კათედრების ექსპერ. სამუშაოების დასაყრდენ ბაზას. ინ-ტში სრულდებოდა სამეცნ. შრომები, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

თსსუ-ს აქვს საუნივერსიტეტო კლინიკებისა და ინ-ტების ქსელი, რ-თა შორისაა: პირველი საუნივერსიტეტო, გ. ჟვანიას სახ. პედიატრიის აკადემიური, ა. ურუშაძის სახ. სტომატოლოგიური, №1 სტომატოლოგიური, №2 სტომატოლოგიური კლინიკები; ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინ-ტი, ვ. ბახუტაშვილის სახ. სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინ-ტი. თსსუ ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობს მრავალ ზოგადი პროფილისა და სტომატოლოგიურ კლინიკასთან საქართველოს მასშტაბით; ასევე ისეთ საერთაშ. ორგანიზაციებთან, როგორიცაა WHO, WFME, UNISEF, UNESCO, ECFMG, CDC, ACTS-GEOR-

GIA. თსსუ არის მრავალი საერთაშ. ორგანიზაციის წევრი, რ-თა შორისაა: ევრ. უნ-ტების ასოციაცია (EUA), ევროპის სამედ. განათლების ასოციაცია (AMEE), ევროპის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ასოციაცია (EUPHA), ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია (EMSA), ევრაზიის აბრეშუმის გზის უნივერსიტეტთა კონსორციუმი (ESRUC) და სხვ. თსსუ მონაწილეობს ევროპაში სამედიცინო განათლების თემატური ორგანიზაციის – MEDINE სამუშაო ჯგუფებში, სადაც მიმდინარეობს სამედიცინო განათლების სტანდარტების შემუშავება და ნორმატიული დოკუმენტების შექმნა. თსსუ შეტანილია WHO-ის და IMED-ის საერთაშორისო დირექტორიებში, რაც საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულს შესაბამისი სალიცენზიო გამოცდის (სკრინინგ ტესტის) ჩაბარების შემდეგ (USMLE, PLAB, YOK და სხვ.) დასაქმდეს ნებისმიერ ქვეყანაში; თსსუ-ს ჰყავს 120-ზე მეტი პარტნიორი უნ-ტი და კლინიკა 40 ქვეყნიდან, რ-ებთანაც თანამშრომლობს ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, ერთობლივი საერთაშორისო პროექტების TEMPUS, MEDINE, ERASMUS MUNDUS, MEVLANA-ს და გაცვლითი პროგრამების ფარგლებში.

თსსუ-ს აქვს სამეცნ. ბ-კა, რ-იც აერთიანებს 5 განყ-ბას და ფარმაცევტული ფაკ-ტის ფილიალს. 2008 მას შეუერთდა ყოფ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ბ-კა თავისი წიგნადი ფონდით. აქვს პათოლოგიური ანატომიის არქივი; ზოოლოგიური მუზეუმი (დაარსდა XX ს-ის 40-იან წლებში ბიოლოგ ვ. როსტომბეგოვის ინიციატივით); სამხედრო ფაკ-ტის მუზეუმი, სადაც წარმოდგენილი იყო სამედ. უნ-ტის სამხ. ისტორია. თსსუ რეგულარულად გამოსცემს სამეცნ. შრომათა კრებულებს.

თსსი-ის დირექტორები: გ. ვაწაძე (1930–31), პ. შუშანია (1931–32), გ. ვაწაძე (1932–36), კ. ცომაია (1936–37), ი. ეზიაშვილი (VII.1937–XII.1937), ა. მაჭავარიანი (1937–41), კ. ერისთავი (1941–50), მ. საკაშვილი (1950–53), ს. კობალაძე (VI.1953–XII.1953), ი. მენთეშაშვილი (1953–59); თსსი-ის რექტორები: პ. გელბახიანი (1959–72), ო. ღუდუშაური (1972–75), კ. ვირსალაძე (1975–85), ა. ასათიანი (1985–91), ლ. მანაგაძე (1991–92), რ. ხეცურიანი (1992-იდან); თსსუ-ის რექტორები: რ. ხეცურიანი (1992–2005), ა. თელია (მოვალეობის შემსრულებელი, 2005–2006), გ. მენაბდე (2006–2009), ზ. ვადაჭკორია (2009-იდან). *ზ. ვადაჭკორია. ი. კვაჭაძე.*

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის აკადემიური კლინიკა გ. ჟვანიას სახელობისა, მრავალპროფილური ბავშვთა საავადმყოფო.

კლინიკაში ფუნქციონირებს როგორც სტაციონარი (68 საწოლი), ასევე ამბულატორია. ის წარმოადგენს თბილ. სახელმწ. სამედ. უნ-ტის სასწავლო ბაზას.



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის აკადემიური კლინიკა.

კლინიკაში ფუნქციონირებს: თერაპიის, ქირურგიის, კრიტიკული მედიცინის (ახალშობილთა და მოზრდილთა რეანიმაციით), სასწრაფო-გადაუდებელი და ამბულ. მომსახურების, ლაბორ. და დიაგნოსტიკური კვლევის სამსახურები.

თერაპიის სამსახური მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: 1) ბავშვთა ნერვული სნეულებანი – ხელმძღვ. ნ. გელაძე. 2) ბავშვთა სნეულებანი – ხელმძღვ. მ. *ჟვანია.* 3) ბავშვთა და მოზარდთა მედიცინა – ხელმძღვ. ყ. *ფალავა.*

ქირურგ. სამსახურში გამოიჯნულია შემდეგი მიმართულებები: 1) ბავშვთა და მოზარდთა სტომატოლოგია და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა – ხელმძღვ. ზ. *ვადაჭკორია;* 2) ბავშვთა ქირურგია – ხელმძღვ. რ. *კუტუბიძე.*

კლინიკაში რეგულარულად ტარდება სასწ.-პრაქტ. მეცადინეობები, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტებისა და რეზიდენტებისათვის. ხორციელდება სამეცნ.-კვლ. ღონისძიებები.

კლინიკასთან თანამშრომლობდნენ პროფესორები აშშ-ის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ისრაელის, თურქეთის, იტალიის უნ-ტებიდან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკა ა. ალადაშვილის სახელობისა, 1880 წელს სამხედრო უწყებამ თბილისის მუნიციპალიტეტს გადასცა შენობა, სადაც ფუნქციონირება დაიწყო ,,ალექსანდრეს საავადმყოფოს‘‘. 1919 მას ეწოდა ქალაქის №2 საავადმყოფო, 1934 – სასწრაფო სამედ. დახმარების №2 კლინ. საავადმყოფო, 1988-იდან იგი საკუთრებაში გადაეცა თბილისის სახელმწ. სამედ. ინ-ტს. 1992-იდან ეწოდა თსსუ-ის აკად. ა. ალადაშვილის სახ. №1 კლინიკა. 2009–14 თსსუ-ის ა. ალადაშვილის სახ. საუნივერსიტეტო კლინიკა, 2014-იდან – შპს ,,ა. ალადაშვილის სახ. კლინიკა‘‘.

1941-იდან კლინ. ბაზაზე განთავსდა თსსუ-ის სამკურნ. ფაკ-ტის ზოგადი ქირურგ. კათედრა, წლების განმავლობაში მას ხელმძღვანელობდნენ: 1941–47 – ე. *ზაქარაია;* 1947–67 – დ. *იოსელიანი;* 1967–79 – მ. *ჩაჩავა;* 1979–81 – გ. *ბოჭორიშვილი;* 1981–99 – გ. გონჯილაშვილი; 1999-იდან (2009-იდან – ზოგადი ქირურგ. მიმარ-

თულება) – თ. ჩხიკვაძე.

1921 კლინ. ბაზაზე დაარსდა სამკურნ. ფაკ-ტის თერაპიის კათედრა, რ-საც სათავეში ედგა ა. *ალადაშვილი* (1921–50). სხვადასხვა დროს კლინიკას ხელმძღვანელობდნენ: ნ. *ყიფშიძე* (1950–52), კ. *ვირსალაძე* (1952–54), თ. მამალაძე (1954–56), ვ. *გერსამია* (1956–57), მ. კანდელაკი (1957–68), ს. *კობალაძე* (1968–71), ვ. *ალადაშვილი* (1971–86), გ. რცხილაძე (1986–95). 1995–2014 კერძო თერაპიის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა *ნ. ემუხვარი*.

კლინ. სტრუქტურაშია: კარდიოლოგიური, თერაპიული, ქირურგ. (სუფთა და ჩირქოვანი), ინტენს. თერაპიის და ანესთეზიოლოგია-რეანიმაციის განყ-ბები, რ-ებიც აღჭურვილია თანამედროვე სამკურნ.-სადიაგნოსტიკო აპარატურით (ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპი, ექო- და დოპლეროკარდიოგრაფი, ექოსკანერები, თანამედროვე რენტგენოლოგიური აპარატურა და სხვ.). კარდიოლოგიური განყ-ბა ჩართულია საერთაშ. მულტიცენტრულ პროგრამაში HERO-2, რ-იც ითვალისწინებს მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით დაავადებულთა თრომბოლიზურ თერაპიას. ხდება გულის დიასტოლური დისფუნქციის შესწავლა და გულის იშემიური დაავადების პათოგენეზში Chlamidia Pneumoniae-ს როლის განსაზღვრა. მოქმედებს არითმიისა და მიოკარდიუმის ინფარქტის ცენტრი.

თერაპიულ განყ-ბაში მიმდინარეობს მწვავე და ქრონ. თერაპიული პათოლოგიის დიაგნოსტიკა და მკურნალობა, პერიოდული დაავადების და მასთან ასოცირებული სისტემურ-მემკვიდრული ამილოიდოზის შესწავლა. ქირურგ. განყ-ბაში, ტრადიციულად, დიდი ყურადღება ეთმობა ურგენტული ქირურგ. საკითხებს, არსებობს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, სანაღვლე გზების პათოლოგიის, მსხვილი ნაწლავის სიმსივნის მკურნალობის დიდი გამოცდილება, დანერგილია ექსტრაკორპორული დეტოქსიკაციის სხვადასხვა მეთოდი, თიაქარპლასტიკის ორიგინ. მეთოდი, გამოიყენება ლაზერული და პლაზმური სკალპელი. მუშაობს მიკროქირურგ. სამსახური.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ა. ქუთათელაძის სახელობისა (1933-მდე – საქართველოს სამხატვრო აკადემია), პირველი ეროვნული უმაღლესი სამხატვრო სასწავლებელი, დაარსდა 1922. აკადემიის დაარსებას ნიადაგი შეუმზადეს XIX ს. 70-იანი წლებიდან თბილისში არსებულმა სამხატვრო სკოლებმა და ევრ. ქვეყნების სამხატვრო სასწავლებლებსა და სტუდიებში განსწავლულმა მხატვრებმა; ხოლო აკადემიის დაარსების თაოსანი იყო 1916 შექმნილი ქართვ. მხატვართა საზ-ბა. დაარსებისას აკადემიაში მოღვაწეობდნენ გ. ჩუბინაშვილი (პირველი რექტორი), გ. გაბაშვილი, ი. ნიკოლაძე, ე. ლანსერე, ა. კალგინი, ჰ. ჰრინევსკი, ი. შარლემანი, ო. შმერლინგი და სხვ. XX ს-ის 20-იანი წლების ბოლოს სასწავლებელში მოღვაწეობა დაიწყეს ნ. კანდელაკმა, საფრანგეთიდან ახლად დაბრუნებულმა დ. კაკაბაძემ და ლ. გუდიაშვილმა; XX ს. 30-იან წლებში პედაგოგებად მიიწვიეს აკადემიაში აღზრდილი მხატვრებიც. 1922–29 მ. თოიძის სამხატვრო სტუდია ახალგაზრდებს სამხატვრო აკადემიაში შესასვლელად ამზადებდა.

XX ს. 30-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა მთავრობამ ჩაატარა განათლების სისტემის რეორგანიზაცია, რ-ის მიზანი იყო ამ სისტემის იდეოლოგიზირება და სახელოვნებო სფეროში ,,საწარმოო ესთეტიკის'' დამკვიდრება, რასაც შედეგად აკადემიის დახურვა მოჰყვა. 1931 აკადემია სამხატვრო-ტექ. ინ-ტად გადაკეთდა, შემდეგ სახვითი ხელოვნ. დარგები მიუერთეს სახელმწ.-პედ. ინ-ტად გარდაქმნილ თსუ-ს, ხოლო არქიტ. ფაკ-ტი – სამშენებლო ინ-ტს. 1933 აღდგა თსუ, ხოლო სახვითი ხელოვნ. ფაკ-ტის ბაზაზე კვლავ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სამხატვრო სასწავლებელი – თ.ს.ს.ა. 1937 მას დაუბრუნდა არქიტ. ფაკ-ტიც. ამ პერიოდისთვის აკადემიაში უკვე 4 ფაკ-ტი იყო: ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკისა და არქიტექტურის. ქანდაკების ფაკ-ტზე ფუნქციონირებდა 1927 გახსნილი კერამიკის განყ-ბა.

XX ს. 30-იან წლებში სსრკ-ში მიმდინარე რეპრესიების ტელღამ თ.ს.ს.ა-საც გადაუარა; დახვრიტეს პროფესორები ჰ. ჰრინევსკი, ვ. კოტეტიშვილი, ა. დუდუჩავა და სხვ. 1943 დაარსდა ხატვის კათედრა, რ-საც სათავეში ჩაუდგა ს. ქობულაძე; 1947 დ. კაკაბაძის ინიციატივით შეიქმნა თეატრ. სახელოსნო, რ-საც მხატვარი თავად ხელმძღვანელობდა; მოგვიანებით ამ მიმართულებას ცნობილი ქართვ. თეატრის მხატვარი ფ. ლაპიაშვილი უძღვებოდა. XX ს. 40–50-



თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ვესტიბიული.



თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მუზეუმი.

იან წლებში საკმაოდ შეიზღუდა შემოქმედებითი თავისუფლება. აკადემიიდან დაითხოვეს დ. კაკაბაძე. 50–60-იან წლებში აკადემიაში პედაგოგ-მხატვართა ახ. თაობა მოვიდა. ნიჭიერ მხატვრებთან თანამშრომლობა განაპირობებდა სკოლის მაღალ დონეს და ავტორიტეტს. თ.ს.ხ.ა. იყო ერთადერთი უმაღლესი სამხატვრო სასწავლებელი კავკასიაში, რ-იც ათწლეულების განმავლობაში ამზადებდა შემოქმედთა კადრებს სომხ., აზერბ., ჩრდ. კავკ. რესპუბლიკებისათვის.

სსრკ-ში განათლების სფეროს მოდერნიზაციის გამო, XX ს. 50-იანი წლების ბოლოს შეიქმნა თ.ს.ხ.ა-ის დახურვის საფრთხე. აკადემიის იმდროინდელი რექტორის ა. ქუთათელაძის ძალისხმევით აკადემია დახურვას გადაურჩა. 1999 თ.ს.ხ.ა-ს მიენიჭა ა. ქუთათელაძის სახელი.

1959 ჩამოყალიბდა გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის კათედრები: გობელენისა და ქსოვილების მხატვრული გაფორმების, ტანსაცმლის მხატვრული მოდელირების, ხისა და ლითონის ნაკეთობათა და სამრეწველო ხელოვნების, რ-თა ბაზაზე 1961, მანამდე არსებულ კერამიკის განყ-ბასთან ერთად, შეიქმნა დეკორ.-გამოყენებითი ხელოვნ. ფაკ-ტი (1998-იდან – დიზაინის ფაკ-ტი). 2010 დიზაინის ფაკ-ტის ბაზაზე შეიქმნა ლურჯი სუფრის კვლევითი ლაბორატორია, სადაც აღადგინეს სახიანი ქსოვილის ბეჭდვის უძველესი ტრადიციული ტექნოლოგიები.

1966 ფერწერისა და არქიტექტურის ფაკ-ტზე ამოქმედდა რესტავრაციის 2 განხრა – არქიტექტურის რესტავრაცია და ფერწერის რესტავრაცია, ხოლო 1967 ლ. რჩეულიშვილის, ვ. ბერიძისა და სხვ. ხელოვნებათმცოდნეთა მცდელობით და მხარდაჭერით შეიქმნა ხელოვნ. ისტორიისა და თეორიის ფაკ-ტი. 2005 რესტავრაცია ცალკე მიმართულებად გამოიყო, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკ-ტს შეუერთდა და, შესაბამისად, ფაკ-ტსაც ეწოდა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკ-ტი. 1994 გაიხსნა ქართ. შრიფტის სამეცნ.-კვლ. ლაბორატორია.

2005 აკადემიაში გაიხსნა კომპიუტერული ხელოვნების, გრაფიკული დიზაინისა და ვიზუალური კომუნიკაციების ფაკ-ტი, რ-საც 2006 ფოტოგრაფიის და ახალი მედიების კავკასიის ინ-ტი შეუერთდა და მედიახელოვნების ფაკ-ტი ეწოდა. 2007 შეიქმნა ახ. ანიმაციის სტუდია, სადაც სტუდენტები ეუფლებიან ანიმაციური ფილმის (ნახატი, თოჯინური, პლასტელინის, სილა-ფხვნილის ანიმაცია) შექმნის სხვადასხვა ტექნიკას.

2004–06 საქართველოს საგანმან. სისტემაში მიმდინარე რეფორმების ფონზე აკადემია მიუერთდა ბოლონიის პროცესს, რის შედეგადაც მოხდა სასწავლო პროგრამების სრული მოდერნიზაცია. აკადემია გადავიდა სწავლების სამსაფეხურიან სისტემაზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა).

2014-თვის თ.ს.ხ.ა. არის ავტორიზებული უმაღლესი სახელმწიფო სახელოვნებო სასწავლებელი, სადაც ასწავლის 117 პროფესორი და 202 მოწვეული პედაგოგი, სწავლობს 1800-მდე სტუდენტი. აკადემიაში მოქმედებს 5 ფაკ-ტი: სახვითი ხელოვნების; არქიტექტურის; მედიახელოვნების; დიზაინის; რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკ-ტები. სახვითი ხელოვნების ფაკ-ტი აერთიანებს 4 სასწ. მიმართულებას: ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და ხატვის მიმართულებებს; არქიტექტურის ფაკ-ტზე 3 მიმართულებაა: სამოქალაქო არქიტექტურის, გარემოს დიზაინის და ინტერიერის დიზაინის; მედიახელოვნების ფაკ-ტი აერთიანებს 3 მიმართულებას: ციფრული მედიის, გრაფიკული დიზაინის და ფოტოგრაფიის; დიზაინის ფაკ-ტი აერთიანებს შემდეგ მიმართულებებს: მხატვრული კერამიკა, მხატვრული მინა, ტექსტილის დიზაინი, მოდის დიზაინი, სამრეწველო დიზაინი,



თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გობელენის მუზეუმი.

ხის მხატვრული დამუშავების და ავეჯის დიზაინი, სამკაული და ლითონის დეკორატიული პლასტიკა; რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკ-ტზე 2 მიმართულებაა: ხელოვნების ისტორია და თეორია და რესტავრაცია-კონსერვაცია.

ამ ფაკ-ტებზე ხორციელდება 24 საბაკალავრო, 30 სამაგისტრო, 5 სადოქტორო და 2 პროფესიული პროგრამა.

თ.ს.ს.ა-ში მოქმედებს ბ-კა, რ-შიც დაცულია უნიკალური რარიტეტები; ასევე მოქმედებს მუზეუმი, გობელენის მუზეუმი და რამდენიმე საგამოფენო დარბაზი: დიდი საგამოფენო დარბაზი, მცირე საგამოფენო დარბაზი ,,აკადემია +'', ,,აკადემია ჰოლი''.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მუზეუმი, 1928 სამხატვრო აკადემიის რექტორის ა. დუდუჩავას თაოსნობით შეიქმნა აკადემიის სტუდენტთა და ასპირანტ-სტაჟიორთა საუკეთესო ნამუშევრების ფონდი; საფონდო კოლექციები გაამდიდრა პროფესორ-მასწავლებელთა და მათ საკუთრებაში არსებულმა სხვა გამოჩენილი ოსტატების ტილოებმა. დროთა განმავლობაში ფონდს შეემატა გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის (მინა, კერამიკა, თექა, ჭედურობა, ტიხრული მინანქარი და სხვ.) ნიმუშები. XX ს. 90-იან წლებში ფონდის ბაზაზე შეიქმნა მუზეუმი, რ-იც განთავსდა სამხატვრო აკადემიის სათავო შენობის მეორე სართულზე, გვიანირანული მხატვრული სტილით მორთულ ,,სარკეებიან დარბაზში''. მუზეუმის ფონდში დაცულია სხვადასხვა დარგის გამოჩენილ ოსტატთა 1000-ზე მეტი ნამუშევარი.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გობელენის მუზეუმი, 1998 პროფესორებმა გ. ყანდარელმა და თ. ნუცუბიძემ დააფუძნეს სამხატვრო აკადემიის ქართული გობელენის მუზეუმი, რ-ის ფონდს შეადგენს აკადემიის სტუდენტებისა და პროფესორების მიერ წლების განმავლობაში შექმნილი ნამუშევრები.

თ.ს.ს.ა-ის რექტორები იყვნენ: გ. ჩუბინაშვილი (1922–27), ა. დუდუჩავა (1927–30), ვ. კოტეტიშვილი (1930–32), გ. ბუხნიკაშვილი (1933–36), ს. კაკაბაძე (1936–42), უ. ჯაფარიძე (1942–48), მ. დუდუჩავა (1948–52), ს. ქობულაძე (1952–59), ა. ქუთათელაძე (1959–72), გ. თოთიბაძე (1972–82), ზ. ნიჟარაძე (1982–87), თ. ფერაძე (1987–92), ს. ქოიავა (1992–2003), გ. ბუღაძე (2003–12), ი. პოპიაშვილი (2012), თ. კლდიაშვილი (2012–14, რექტორის მოვალეობის შემსრულებელი), გ. გუგუშვილი (2014-იდან). *ა. კლდიაშვილი.*

თბილისის სახელმწიფო უმაღლესი პედაგოგიური (სასწავლებელი) კოლეჯი ი. გოგებაშვილის სახელობისა, 1921 საქართვ. განსახკომის ბრძანებულებით შეიქმნა 9 ორწლიანი პედაგოგიური ტექნიკუმი (თბილისის, გორის, ხონის, ბოდბის, ცხინვალის, ზესტაფონის, ოზურგეთის, ახალსენაკისა და ჯიხაიშის), მ. შ. თბილ. პედ. ტექნიკუმს ეწოდა პედ. ინ-ტი. 1923 თბილ. პედ. ინ-ტი გადაკეთდა ოთხწლიან პედ. ტექნიკუმად. 1937 მას ეწოდა პედ. სასწავლებელი, ხოლო 1940 (ი. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით) მიენიჭა ი. გოგებაშვილის სახელი. 1955-იდან კვლავ 2-წლიან პედ. სასწავლებლად გადაკეთდა. 1953 გაიხსნა პედ. აღზრდის განყ-ბა. 1960 წ. 11 პედ. სასწავლებლიდან ლიკვიდირებული იყო 10 და თბილ. სახელმწ. პედ. სასწავლებელს დაეკისრა რესპუბლიკაში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელთა კადრების მომზადება. 1990 თბილ. ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწ. პედ. სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა უმაღლესი პედ. კოლეჯი (განათლების სამინისტროს დებულების შესაბამისად – უმაღლესი პედ. სასწავლებელი), რ-იც ფინანსდებოდა სახელმწ. ბიუჯეტიდან. კოლეჯი ამზადებდა სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა-ფსიქოლ., დაწყებითი განათლების პედაგოგიკა-მეთოდიკის, ფილოლ. (ქართ. ენა და ლიტ-რა), ისტ. (ქართვ. ისტორია), ლოგოპედია-დეფექტოლოგიის, მუს., სახვითი ხელოვნების სწავლების ვადა ყველა სპეციალობაზე იყო 5 წელი, სკოლამდელი აღზრდის პედ.-ფსიქოლ. ფაკ-ტზე კი – 4 წელი. 30-იანი წლების რეპრესიების გამო, სასწავლებლის ხელმძღვანელთა გვარ-სახელები 1940-მდე უცნობია; 1940–47 დირექტორად მუშაობდა მ. ფირცხალაიშვილი, 1948–53 – გ. ნიკოლაიშვილი, 1953 წ. 18 მარტ. – 25 ივნ. – დ. გიორგაძე, 1953–71 – შ. დარახველიძე, 1972–75 – მ. ყუშიტაშვილი, 1976–90 – თ. გოზალიშვილი, 1990–2002 თ. მდივანი. იხ. აგრეთვე სტ. *საშუალო სპეციალური სასწავლებლები.*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ) ივანე ჯავახიშვილის სახელობისა, სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, რ-ის დაფუძნებამ და საქმიანობამ განსაზღვრა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემისა და ქართ. მეცნ. შემდგომი განვითარება. უნ-ტი გაიხსნა 1918 წ. 26 იანვარს (8 თებ.), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს.

უნ-ტის შექმნას საფუძველი ჩაუყარა საქართველოში უძველესი დროიდან არსებულმა მრავალმა საგანმან. კერამ: *კოლხეთის უმაღლესმა რიტორიკულმა სკოლამ,*



სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობა (ახლანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). 1906.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი.

გელათის აკადემიამ, სამონასტრო საგანმან. კერებმა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, *სწავლულ კაცთა კომისიამ*, *თბილისის სემინარიამ*, *თელავის სემინარიამ*, XIX ს. საქართვ. გიმნაზიებისა და საშ. სპეც. სასწავლებლების ქსელმა, ქართვ. სამოციანელთა საგანმან.-ეროვნულმა მოღვაწეობამ, *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ*, უშუალოდ პეტროგრადის ქართვ. სტუდენტთა სამეცნ. წრემ და საქართვ. საისტ.-საეთნოგრაფიო საზ-ბამ. მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ 1914 მეფის მთავრობამ გამოსცა კანონი რუს. იმპერიაში სხვადასხვა ეროვნ. ენაზე კერძო ხასიათის უმაღლესი სასწავლებლების დაარსების შესახებ.

უნ-ტი დაარსდა ქართვ. მეცნიერთა ჯგუფის ინიციატივით, რ-საც ივ. *ჯავახიშვილი* მეთაურობდა. პირველი სემესტრის განმავლობაში უნ-ტი კერძო უმაღლესი სასწავლებელი იყო და ერქვა ,,ქართული უნივერსიტეტი ტფილისში‘‘; მხოლოდ მეორე სემესტრიდან (3 სექტ.) გამოცხადდა სახელმწ. უნ-ტად და ეწოდა ,,ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი‘‘. პირველ რექტორად აირჩიეს პ. *მელიქიშვილი*, ხოლო 1919 ბოლოს – ივ. ჯავახიშვილი.

უნ-ტს თავდაპირველად მხოლოდ 3 აუდიტორია ჰქონდა დათმობილი თბილ. სათავადაზნაურო ქართ. გიმნაზიის შენობის (ახლანდ. უნ-ტის I კორპუსი) II სართულზე, შემდეგ კი (1918 აგვისტოდან) მთელი შენობა გადაეცა. შენობა აგებულია 1900–06 ნ. *ცხვედაძის* უშუალო ხელმძღვანელობით, არქიტ. ს. *კლდიაშვილის* პროექტის მიხედვით. უნ-ტის არსებობის პირველ სემესტრში აქ მხოლოდ ერთი – სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტი იყო, რ-იც აერთიანებდა ჰუმანიტარულ, მათ. და საბუნებისმეტყველო დარგებს. უნ-ტის პროფესორთა პირველ საბჭოში შედიოდნენ: ივ. ჯავახიშვილი, ი. *აბულაძე*, ს. *ავალიანი*, გ. *ახვლედიანი*, ა. *ბენაშვილი*, ფ. *გოგიჩაიშვილი*, ე. *თაყაიშვილი*, კ. *კეკელიძე*, პ. მელიქიშვილი, შ. *ნუცუბიძე*, ა. *რაზმაძე*, დ. *უზნაძე*, ი. ა. *ყიფშიძე*, ა. *შანიძე*, გ. *ჩუბინაშვილი*. 1918 ოქტომბრიდან შეიქმნა სამკურნ. და საბუნებისმეტყველო გაერთ. ფაკ-ტი, რ-იც 1919 აპრილიდან ცალ-ცალკე საბუნებისმეტყველო-მათ. და სამკურნ. ფაკ-ტების სახით ჩამოყალიბდა. 1919 უნ-ტის სამკურნ. ფაკ-ტთან მუშაობა დაიწყო სანიტარიის ინ-ტმა, 1919 წ. ოქტომბერში კი – პედაგოგიურმა ინ-ტმა (1928 დაიხურა და მისი სტუდენტები ჩაირიცხნენ უნ-ტის პედ. ფაკ-ტის შესაბამის განყოფილებებზე). 1920 უნ-ტში მუშაობდა 66 პროფესორ-მასწავლებელი, რ-თაგან 38 ქართვ. იყო. პირველ ხანებში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: საქართვ. ისტორია; ძვ. ქართ. ენა და მწერლობა; ქართ. სამართ. ისტორია; ფსიქოლოგია; ენათმეცნ. შესავალი და სანსკრიტი; ფილოს. შესავალი; საეკლ. ისტორია; არქეოლოგია; სპარსული, ძვ. სომხ., არაბ., ფრანგ., ინგლ. და გერმ. ენები; მინერალოგია; ანთროპოლოგია; გეოგრაფია; გეოდეზია; მათ. ანალიზი; ქიმია; ფიზიოლოგია; ანატომია; თერაპია; ქირურგია; პოლიტეკონომია; ეკონ. აზრის ისტორია; ფინანსებისა და სტატისტიკის და სხვ. საუნივერსიტეტო კურსები. 1921 შეიქმნა აგრონ. ფაკ-ტი, 1922 – პოლიტექნიკური, სოც.-ეკონ. და მუშათა ფაკ-ტები. პირველი კურსდამთავრებულები უნ-ტმა 1922 გამოუშვა, მ. შ. სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტის 28 სპეციალისტი. ამათგან უნ-ტში დატოვეს ს. *ჯანაშია*, შ. *ამირანაშვილი*, კ. *ბაქრაძე*, ვ. *თოფურია* და ა. *ჩიქობავა*, რ-ებსაც საპროფესოროდ ამზადებდნენ.

თსუ-ში შემოღებული იყო მხოლოდ ერთი სამეცნ. ხარისხი – მეცნ. დოქტორი, ანუ მოძღვართა-მოძღვარი (რაც რუს. უნ-ტის მაგისტრის ხარისხს, ხოლო დას. ევროპის უნ-ტის დოქტორის ხარისხს უდრიდა). დისერტაციის დაცვა საჯაროდ ხდებოდა ფაკ-ტის საბჭოზე, რასაც შემდგომ უნ-ტის პროფესორთა საბჭო ამტკიცებდა და სიგელის გადაცემით ადასტურებდა. დისერტაციის პირველი საჯარო დაცვა უნ-ტში დაინიშნა 1920 წ. 9 მაისს. სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტის სამეცნ. საბჭომ ერთხმად მიანიჭა ა. შანიძეს მეცნიერების დოქტორის ხარისხი.

1928–30 უნ-ტს გამოეყო რამდენიმე დიდი სასწ. ინ-ტი: პოლიტექნიკური (1928), სას.-სამ. (1929–30), სამედიცინო (1930). თსუ 1930 ცალკეულ დარგობრივ ინ-ტებად დაიშალა, ხოლო მისი პედაგოგიური ფაკ-ტი სახელმწ. პედაგოგიურ ინ-ტად გადაკეთდა (1933, უნ-ტის აღდგენის შემდეგ, გადავიდა ქუთაისში); უნ-ტის ფიზკულტ. ფაკ-ტის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინ-ტი (1938).

სსრკ-გერმანიის ომის წლებში

(1941–45) ᲝᲡᲨ-ში სწავლობდნენ კიევის, დნეპროპეტროვსკისა და როსტოვის უნ-ტებიდან ევაკუირებულ სტუდენტთა ჯგუფები. ექსტერნის წესით გამოცდას აბარებდნენ მოსკოვის და ლენინგრადის უნ-ტების სტუდენტები და სხვ. ომის შემდგომ პერიოდში ᲝᲡᲨ სამეცნ. და სამეცნ.-პედ. კადრების აღზრდისა და სამეცნ. კვლევის ერთერთი ძირითადი ცენტრი გახდა საქართველოში. გამოჩენილ მეცნიერთა მეთაურობით ჩამოყალიბდა და განვითარდა საერთაშ. მნიშვნელობის სამეცნ. სკოლები: მათემატიკის (ა. რაზმაძე, ნ. *მუსხელიშვილი*, გ. *ნიკოლაძე*, ი. *ვეკუა*, ვ. *კუპრაძე*, ა. *ბიწაძე*, ა. *ხარაძე* და სხვ.), ფიზიკის (რ. *ხუციშვილი*, ე. *ანდრონიკაშვილი*, ვ. *მამასახლისოვი*, მ. *მირიანაშვილი*, გ. *ხუციშვილი* და სხვ.), ქიმიის (პ. მელიქიშვილი, შ. *ცინცაძე*, რ. *აგლაძე* და სხვ.) ფიზიოლოგიის (ი. *ბერიტაშვილი*, დ. *გედევანიშვილი* და სხვ.), გეოგრაფიის (ა. *ჯავახიშვილი*, გ. *გეხტმანი*), გეოლოგიის (ა. *ჯანელიძე*, ა. *თვალჭრელიძე*, გ. *ძოწენიძე* და სხვ.), ისტორიის (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. *ბერძენიშვილი* და სხვ.), ფილოსოფიის (შ. ნუცუბიძე, კ. ბაქრაძე, მ. *გოგიბერიძე*, ს. *წერეთელი* და სხვ.), ფსიქოლოგიის (დ. უზნაძე, რ. *ნათაძე*, ა. *ფრანგიშვილი* და სხვ.), პედაგოგიკის (დ. *ლორთქიფანიძე*), ფილოლოგიის (კ. კეკელიძე, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ვ. თოფურია, ა. ჩიქობავა, ი. აბულაძე, ა. *ბარამიძე* და სხვ.), აღმოსავლეთმცოდნეობის (გ. *წერეთელი*, ს. *ჯიქია*, თ. *გამყრელიძე* და სხვ.), ენათმეცნიერების (თ. გამყრელიძე) კლასიკური ფილოლოგიის (გ. წერეთელი, ს. *ყაუხჩიშვილი*) და სხვ.

1946–58 ᲝᲡᲨ ი. სტალინის სახელობისა იყო.

1959–66 უნ-ტის 68 პროფესორს მიენიჭა საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწის წოდება. XX ს. 60–70-იან წლებში შეიქმნა ახ. ფაკ-ტები, სასწ. და დამხმარე დაწესებულებები; განვითარდა ᲝᲡᲨ-ის კავშირი სსრკ-ის და საზღვარგარეთის უნ-ტებთან. 1978 ᲝᲡᲨ-ში იყო 18 სასწ. ფაკ-ტი: მექანიკა-მათ.; კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათ.; ფიზ.; ქიმ.; გეოგრ.-გეოლ.; ბიოლ.; ფილოს. და ფსიქოლ.; ისტ.; ფილოლ.; ჟურნალისტიკის; აღმოსავლეთმცოდნეობის; დას.-ევროპული ენებისა და ლიტრის; ეკონ.; ვაჭრობის ეკონ. და საქონელმცოდნეობის; სახ. მეურნეობის დაგეგმვის; სააღრიცხვო-



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსი.

ეკონომიკის; საინჟ.-ეკონომიკის; იურიდ. (სულ 44 სპეციალობა, 54 სპეციალიზაცია); უმაღლესი და საშ. სპეც. სასწავლებლების მასწავლებელთა და წარმოების ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების 3 ფაკ-ტი; საზ. პროფესიათა ფაკ-ტი; მოსამზადებელი განყ-ბა; სწავლობდა 16 ათ-ზე მეტი სტუდენტი, ფუნქციონირებდა 131 კათედრა, მუშაობდა 1411 პროფესორ-მასწავლებელი; 1920–78 წლებში 4000 მაძიებელმა დაიცვა დისერტაცია (724 სადოქტორო, 3276 საკანდიდატო). ᲝᲡᲨ-ის სამეცნ. ფუნდამენტური ბაკის ფონდში იყო 2,3 მლნ. საბიბლიოთეკო ერთეული; მას ექვემდებარებოდა 14 საფაკულტეტო და 2 კათედრის ბ-კა.

1988 ეკონ. პროფილის 5 ფაკ-ტის რეორგანიზაციის შედეგად დარჩა ამ პროფილის 3 ფაკ-ტი. 1988 წ. 1 იანვრისთვის უნ-ტის პროფესორ-მასწავლებელთა შორის იყვნენ საქართვ. მეცნ. აკად. 12 აკადემიკოსი და 26 წ.-კორ., 2 ლენინური და სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი, 187 პროფესორი, 183 მეცნ. დოქტორი, 768 მეცნ. კანდიდატი, 675 დოცენტი.

1989 უნ-ტს მიენიჭა მისი დამაარსებლის – ივანე ჯავახიშვილის სახელი. 1990 სექტემბერში ᲝᲡᲨ-ის დიდი სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, უნ-ტში ნებადართულ იქნა სწავლების კერძო ფორმის არსებობა. 1991 ᲝᲡᲨ-სთან დაფუძნდა კერძო თბილისის დამოუკიდებელი უნ-ტი. 1992 უნ-ტი გახდა ავტონ. უმაღლესი სასწავლებელი; მისი მართვის ორგანო იყო დიდი საბჭო, რმაც დაამტკიცა უნ-ტის წესდება. 1994 უნ-ტის დიდმა საბჭომ მიიღო ,,საუნივერსიტეტო განათლების კონცეფცია'', რ-ის თანახმადაც უნტი გადავიდა 2-საფეხურიან სწავლებაზე: პირველი – ბაკალავრიატი – კურსდამთავრებულს აძლევს ზოგადსაუნივერსიტეტო და ზოგადსპეციალურ განათლებას (დასწრებულზე სწავლა იყო 4 წელი, ხოლო დაუსწრებელზე – 5,5 წელი). კურსდამთავრებულს სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ ენიჭებოდა ბაკალავრის აკად. ხარისხი და ეძლეოდა შესაბამისი დიპლომი; მეორე საფეხური – მაგისტრატურა (2 წელი) ემსახურება განსაზღვრულ სპეციალობაში ბაკალავრების დახელოვნებას და სამეცნ. მუშაობისათვის მომზადებას. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭებოდა მაგისტრის აკად. ხარისხი და ეძლეოდა ასპირანტურაში ჩაბარების უფლება. პირველი ბაკალავრები უნ-ტმა გამოუშვა 1996, პირველი მაგისტრები კი – 1998.

1997 უნ-ტში შეწყდა საღამოს სწავლების განყ-ბაზე მიღება.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღი.

დაუსწრებელი სწავლება ფასიანი გახდა, 2003 კი გაუქმდა. უნ-ტის დასწრებული ფაკ-ტის სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ძირითად პროფესიასთან ერთად ხელოვნ. და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკ-ტზე დაუფლებოდნენ შემდეგ სპეციალობებს: უცხო ენები, ჟურნალისტიკა, სამართალმცოდნეობა, საბაჟო საქმე, საგადასახადო საქმე, ხალხ. რეწვა, ფერწერა, გრაფიკა, ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება.

2001 წ. 13 ივლისს საქართვ. პრეზიდენტის ბრძანებულებით თსუ გახდა საჯარო სამართლის იურიდ. პირი, ამავე ბრძანებულებით დამტკიცდა თსუ-ის წესდება.

2001 თსუ იყო დიდი სასწ.-სამეცნ. კომპლექსი, სადაც მოქმედებდა სახელმწ. და კერძო დაფინანსების სექტორები (დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების ფორმები); 22 სასწ. ფაკ-ტი (ბაკალავრიატში – 115 სპეციალობა, მაგისტრატურაში – 174): მექანიკა-მათემატიკის; გამოყენებითი მათ. და კომპიუტერულ მეცნიერებათა; ფიზ.; ქიმ.; გეოგრ. და გეოლ.; ბიოლ.; ფილოს. და სოციოლოგიის; ფსიქოლ.; ისტ.; ფილოლ.; ჟურნალისტიკის; დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის; აღმოსავლეთმცოდნეობის; იურიდ.; საერთაშ. სამართლისა და საერთაშ. ურთიერთობების; ეკონ.; მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის; კომერციისა და მარკეტინგის; საერთაშ. ბიზნესის; ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა; მედ. ფაკ-ტები; აგრეთვე – უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და დიპლომირებულ სპეციალისტთა გადამზადების ფაკ-ტი; 171 საფაკულტეტო და 2 საუნივერსიტეტო კათედრა; 84 სასწ. ლაბორატორია; 5 სასწ. ბაზა საქართვ. სხვადასხვა რეგიონში; 2 სამეცნ.-კვლ. ინ-ტი: ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკისა და მაღალი ენერგიების ფიზიკის; კლასიკური ფილოლ., ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწ.-სამეცნ. ინ-ტი; 72 სამეცნ.-კვლ. ლაბორატორია და 14 სამეცნ.-კვლ. ცენტრი; ჯანდაცვის მეცნ. ცენტრი და უწყვეტი სამედ. განათლების დეპარტამენტი; საუნივერსიტეტო დაქვემდებარების თ. გეგელიას სახ. ფიზიკა-მათ. ინტერნატი (დაარსდა 1965, როგორც №2 სკოლა-ინტერნატი, 1966 ეწოდა ფიზიკა-მათ. სკოლა-ინტერნატი, 1967 მიენიჭა ვ. კომაროვის სახელი, 1989 ეწოდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის ფიზიკა-მათ. რესპ. საშ. სკოლა-ინტერნატი, რ-იც 1995-იდან თ. გეგელიას სახელობისაა; 2010-დან ეწოდება ვ. კომაროვის თბილისის №199 ფიზიკა-მათ. საჯარო სკოლა; ორგანიზაციულად ექვემდებარებოდა თსუ-ს და მისი ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა); №53 და №55 სკოლები, რ-თა მიზანი იყო სასწ. პროცესის მიახლოება საერთაშ. სტანდარტებთან, ამასთან, თსუ სტუდენტთა პედ. პრაქტიკის ბაზა იყო; საუნივერსიტეტო კათედრები კურირებდნენ სკოლების საგნობრივ-მეთოდურ გაერთიანებებს; სკოლების სასწ. გეგმებსა და პროგრამებს ამტკიცებდა საუნივერსიტეტო საბჭო; ორგანიზაციულად სკოლები ექვემდებარებოდა თბილ. მერიის განათლების სამმართველოს. უნ-ტში ფუნქციონირებდა ლიცეუმი, კოლეჯი ,,ჰარმონია'', აგრეთვე სპეციალიზებული მოსამზადებელი განყ-ბა. თსუ-ში სულ სწავლობდა 30 ათ. სტუდენტი (ფილიალების ჩათვლით), ასპირანტურაში (129 სპეციალობა) – 722 ასპირანტი. სტუდენტთა პროფ. დაოსტატებას და აღზრდას ემსახურებოდა სამეცნ. და სამეცნ.-პედ. მომსახურე პერსონალი – 5,5 ათ. კაცი, მ. შ. საქართვ. მეცნ. აკად. 34 აკადემიკოსი და 23 წ.-კორ.; თსუ-ს ჰქონდა ფილიალები (სოხუმი, მესხეთი, სიღნაღი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ფოთი, ქვემო ქართლი, ჯავახეთი). ფუნქციონირებდა 22 სადისერტაციო საბჭო საუნივერსიტეტო მეცნ. თითქმის ყველა დარგში.

2005-იდან უნ-ტში დაიწყო ძირეული რეფორმები. რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა 6 ფაკ-ტი. ამავე წლიდან თსუ ჩაერთო ბოლონიის პროცესში. 2014-იდან დაემატა მე-7 ფაკ-ტი.

2014 თსუ-ში 18 ათ-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს (მ. შ., 14689 – ბაკალავრიატში; 561 – მედ. ფაკ-ტზე, ერთსაფეხურიან საგანმან. პროგრამაზე; 1998 – მაგისტრატურაში; 773 – დოქტორანტურაში; 92 – პროფ. უმაღლეს საგანმან. პროგრამაზე). თსუ-ის სტუდენტებს სწავლების სამივე საფეხურზე პროგრამების დიდ არჩევანს სთავაზობს: 50-ზე მეტ საბაკალავრო, 100-ზე მეტ სამაგისტრო და 60-ზე მეტ სადოქტორო პროგრამას. უნ-ტი ინარჩუნებს ტრად. ფუნდამენტურ დარგებს და ამავე დროს, ნერგავს და ავითარებს ახ. სპეციალობებს, რ-ებიც თანამედროვე ეპოქის მოთხოვნებს ითვალისწინებს. აქ ინტენსიურად გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები, მათ შორის, ელექტრონული სწავლებაც.

თსუ-ში ხორციელდება შემდეგი საგანმან. პროგრამები:

ჰუმანიტარულ მეცნ. ფაკ-ტი: საბაკალავრო პროგრამები (შესაბამისი კვალიფიკაციით) – ქართ. ფილოლოგია, ისტორია, არქეოლოგია, ფილოსოფია, ეთნოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, კულტ. კვლევები, კავკასიოლოგია (ქართ., რუს.), ამერიკათმცოდნეობა, აღმოსავლეთმცოდნეობა (არაბისტიკა, ირანისტიკა, თურქოლოგია, ებრაისტიკა-არამეისტიკა), არმენოლოგია, ასირიოლოგია (აღმოსავლეთმცოდნეობის ბაკალავრი), ფილოლოგია: ინგლ., გერმ., ფრანგ., ესპ., იტალ., კლასიკური, ბიზანტ., ახ. ბერძნ., რუს. (ქართ., რუს.), სკანდინავიური; სახვითი ხელოვნება, ტელე-კინოხელოვნება; ზუსტ და საბუნებისმეტყველო

მეცნ. ფაკ-ტი: საბაკალავრო პროგრამები (შესაბამისი კვალიფიკაციით) – მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, კომპიუტერული მეცნიერება (ქართ., ფრანგ.), გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია, გეოგრაფია, გეოლოგია, ელექტრონიკა, ეკოლოგია;

სოც. და პოლიტ. მეცნიერებათა ფაკ-ტი: საბაკალავრო პროგრამები (შესაბამისი კვალიფიკაციით) – საზ. გეოგრაფია, სოციოლოგია, სოც. მუშაობა, პოლიტ. მეცნიერებები, საერთაშ. ურთიერთობები, ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია.

ეკონ. და ბიზნესის ფაკ-ტი: საბაკალავრო პროგრამები (შესაბამისი კვალიფიკაციით) – ეკონომიკა, ბიზნესის ადმინისტრირება, ტურიზმი;

მედ. ფაკ-ტი: საბაკალავრო პროგრამები (შესაბამისი კვალიფიკაციით) – მედიცინა (დიპლომირებული ექიმი), სტომატოლოგია, ოკუპაციური თერაპია;

იურიდ. ფაკ-ტი: საბაკალავრო პროგრამები (შესაბამისი კვალიფიკაციით) – სამართალი, საერთაშ. სამართალი.

ფსიქოლ. და განათლების მეცნიერებათა ფაკ-ტი: საბაკალავრო პროგრამები (შესაბამისი კვალიფიკაციით) – ფსიქოლოგია, განათლება.

თსუ აგრეთვე ახორციელებს ქართ. ენაში მომზადების საგანმან. პროგრამებს აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და აფხაზურენოვანი მოსახლეობისათვის.

სახელმწ. სასწ. გრანტის მქონე სტუდენტების (როგორც ბაკალავრიატში, ასევე მაგისტრატურაში) რაოდენობის მიხედვით, საქართველოში თსუ პირველ ადგილზეა.

თსუ, ტრადიციულად, საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი სამეცნ.-კვლ. დაწესებულებაა, ყოველწლიურად აქ 150-მდე ადგილობრივი და საერთაშ. მასშტაბის სამეცნ. საგრანტო პროექტი ხორციელდება. თსუ-ს ქართ. უმაღლეს სასწავლებლებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს გრანტების, ციტირების ინდექსის, იმპაქტ-ფაქტორის მხრივ.

წარმატებით გრძელდება უცხ. საგანმან.-სამეცნ. ცენტრებთან თანამშრომლობის ტრადიციაც. თსუ 1998-იდან ევრ. უნ-ტების ასოციაციის წევრია. დაარსებიდან დღემდე თსუ-ს 200-მდე უცხ. უმაღლეს სასწავლებელთან და საგანმან. ცენტრთან აქვს გაფორმებული სათანამშრომლო ხელშეკრულება. ამჟამად საზღვარგარეთის 18 უნ-ტთან ხორციელდება გაცვლითი პროგრამები, რ-თა ჩარჩოებში ქართველი ახალგაზრდები მიემგზავრებიან საზღვარგარეთ, ამავდროულად, თსუ-ში განათლებას იღებს სხვა ქვეყნების 200-ზე მეტი მოქალაქე. ხორციელდება არაერთი უცხოენოვანი პროგრამა.

თსუ დაარსების პირველსავე წელს საპატიო დოქტორად აირჩიეს გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნე ნ. კონდაკოვი. დღემდე ეს საპატიო წოდება მსოფლიოში გამოჩენილ შვიდ ათეულზე მეტ მეცნიერსა და საზ. მოღვაწეს მიენიჭა.

თსუ-ში სტუდენტთა სწავლისა და პროფ. განვითარების საქმეს ემსახურება 11 სასწ. კორპუსი, სტუდქალაქი, საქართველოში ყველაზე მდიდარი საუნივერსიტეტო ბ-კა, ოთხი რესურსცენტრი, გამომცემლობა, კულტ. და სპორტის ცენტრი, 7 მუზეუმი, 2 გაზეთი. სტუდენტებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი, თვითმმართველობისა თუ სამეცნ. საზოგადოებების მეშვეობით, აქტ. მონაწილეობა მიიღონ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის მუზეუმი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმები – მოიცავს 7 სხვადასხვა პროფილის მუზეუმს: უნ-ტის არქეოლ., გეოგრ., ზოოლ., ისტორიის, მინერალოგიის, პალეონტოლ. და ქართ. ემიგრაციის მუზეუმებს.

არქეოლ. მუზეუმი – დაარსდა 1967 ო. ჯაფარიძის მიერ შექმნილი არქეოლ. კაბინეტის ბაზაზე. მდიდარ და მრავალფეროვან ფონდებში წარმოდგენილია არ-



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის მუზეუმი.

ქეოლ. ექსპონატების კოლექციები, რ-ებიც მოიცავს პერიოდს ქვის ხანიდან გვიანდ. შუა საუკუნეებამდე.

გეოგრ. მუზეუმი – დაარსდა 1958 გეოგრ.-გეოლ. ფაკ-ტზე, რ-იც თანდათან ივსებოდა გეოგრ. საზ-ბის მიერ გადმოცემული მასალებით. ფონდში დაცულია ს.-ს. ორბელიანის კუთვნილი მსოფლიო ატლასი, ა. ჯავახიშვილის მიერ შექმნილი საქართვ. რელიეფური რუკა და სხვა მხარეთა რელიეფური რუკები, უნიკალური ფოტომასალა, კულტ.-ისტ. ღირებულების მქონე კარტოგრაფიული მასალა და სხვ.

ზოოლ. მუზეუმი – დაარსდა 1946 და მოიცავს 5000-მდე ექსპონატს: უნიკალურ მარჯნის პოლიპებს, პეპლებს, ხოჭოებს, მოლუსკებს, ამფიბიებს, ქვეწარმავლებს, ძუძუმწოვრებს და სხვ. მუზეუმში წარმოდგენილ ფრინველთა კოლექცია უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ იგი მთლიანად ასახავს საქართველოში ბინადარ და გადამფრენ ფრინველთა ყველა სახეობას.

ისტ. მუზეუმი – დაცულია თსუ-ის დაფუძნებასა და განვითარებასთან დაკავშირებული ხელნაწერები, ფოტომასალა, რარიტეტული გამოცემები, უნ-ტის დამაარსებელთა მემორიალური ნივთები, პროფესორთა პირადი ფონდები, საიუბილეო საჩუქრები, ფერწერული ნამუშევრები (ი. ფარჯიანის, ლ. ჭოღოშვილის, ე. კალანდაძისა და სხვათა ტილოები).

მინერალოგიის მუზეუმი – 1919 დააარსა ა. თვალჭრელიძემ. იგი კოლექციების უნიკალურობით და მრავალფეროვნებით ერთადერთია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ სამხრ. კავკასიაში. მუზეუმში დაცულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, საბჭოთა კავშირისა და ევრ. ქვეყნებიდან, აგრეთვე კერძო პირებისაგან გადაცემული თუ შეძენილი 7000-მდე ექსპონატი.

პალეონტოლ. მუზეუმი – შეიქმნა 1924 ა. ჯანელიძის ძალისხმევით, მუზეუმის ფონდებში დაცულია ჩრდ. კავკასიის, სამხრ. კავკასიის, საფრანგეთისა და ესპანეთის რეგიონებიდან ჩამოტანილი ნამარხი ორგანიზმების მდიდარი კოლექცია.

ქართ. ემიგრაციის მუზეუმი – შეიქმნა 1994 გ. შარაძის პირადი ფონდის ბაზაზე. მუზეუმში დაცულია თითქმის ყველა კონტინენტიდან ჩამოტანილი უნიკალური ემიგრანტული ლიტ-რა, პერიოდული გამოცემები, ემიგრანტთა პირადი არქივები, ფოტო, აუდიო და ვიდეო არქივები, რადიო ,,თავისუფლების'' გადაცემების აუდიო ჩანაწერები, ემიგრანტთა მემორიალური ნივთები, ფერწერული ტილოები, ვ. ნოზაძის პარიზული ქართ. სტამბა და სხვ. 80-ზე მეტ პირად არქივს შორის ინახება ნ. ჟორდანიას, ნ. რამიშვილის, ა. ჩხენკელის, ე. გეგეჭკორის, ვ. ნოზაძის, გ. რობაქიძის, მ. წერეთლის, ე. თაყაიშვილის, ზ. ავალიშვილის, შ. მაღლაკელიძის, გ. მაჩაბლის, გ. გვაზავას, კ. სალიას და სხვათა არქივები, ასევე უნიკალური ფოტოარქივი, რადიო ,,თავისუფლების'' მიერ 40 წლის განმავლობაში გაშვებული გადაცემების ჩანაწერები, რ-ებზეც შემონახულია გ. რობაქიძის, ვ. ნოზაძის, ნ. ჟორდანიას, მ. წერეთლის, გ. კვინიტაძის და სხვ. ცნობილ ემიგრანტთა ხმები.

მემორიალური ფონდი – დაცულია ნ. ჟორდანიას, კ. ჩხენკელის, ვ. ნოზაძის პირადი ნივთები; გ. რობაქიძის, ა. წერეთლის, გ. კობახიძის ფერწერული პორტრეტები, სულ 3000-ზე მეტი ექსპონატი. მუზეუმის მუდმივი ექსპოზიცია განთავსებულია მხატვარ კ. გურულის მიერ შექმნილ სტენდებსა და ვიტრინებში.

თსუ საქართვ. მთავარი კვლევითი სასწავლო ცენტრია, რ-საც ყველაზე მაღალი სამეცნ.-კვლ. მაჩვენებელი აქვს, ის დღესაც სამართლიანად ინარჩუნებს საქართვ. წამყვან საგანმან. და სამეცნ. დაწესებულების სახელს.

თსუ-ის რექტორები: პ. მელიქიშვილი (1918/I – 1919/XI), ი. ჯავახიშვილი (1919/XI – 1926/VI), თ. ღლონტი (1926/XI – 1928/IX), მ. ტოროშელიძე (1928/IX – 1930/IX), ი. ვაშაყმაძე (1930–31)*, ა. ერქომაიშვილი (1931–32)*, ლ. აღნიაშვილი (1933–35), კ. ორაგველიძე (1935–37), გ. კიკნაძე (1937–38), დ. ყიფშიძე (1938–42), ა. ჯანელიძე (1942–45), ნ. კეცხოველი (1945–53), ი. ვეკუა (1953/VII–1953/IX), ე. ბურჭულაძე (1953–54), ვ. კუპრაძე (1954–58), გ. ძოწენიძე (1958–59), ე. ხარაძე (1959–66), ი. ვეკუა (1966–72), დ. ჩხიკვიშვილი (1972–80), ვ. ოკუჯავა (1980–85), ნ. ამაღლობელი (1985–91), თ. გამყრელიძე (1991/VIII; რექტორის მოვალეობის შემსრულებელი), რ. მეტრეველი (1991–04), გ. ხუბუა (2004–10), ა. კვიტაშვილი (2010–13), ვ. პაპავა (2013-იდან).

*ლიტ.: გაიპარაშვილი ზ., უნივერსიტეტი, თბ., 2011 (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

გრიგოლ წერეთლის სახელობისა, საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ბიბლიოთეკა; საფუძველი ჩაეყარა 1918, თბილ. უნ-ტის დაარსებისთანავე. პირველ ხანებში მისი ფონდი იქმნებოდა მხოლოდ კერძო პირებისა და დაწესებულებების შემოწირულობის გზით; აქ თავი მოიყარა საქართვ. ეკლესია-მონასტრების, სამთო სამმართველოს, კავკ. საცენზურო კომიტეტის, ქართ. გიმნაზიის, საქართვ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზ-ბის, თბილ. სას. სემინარიის, პირველი და მეორე გიმნაზიების, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის წიგნების ფონდებმა, პ. *მელიქიშვილის*, ა. *ცაგარლის*, ვ. *პეტრიაშვილის*, ს. *კლდიაშვილის*, პ. *იოსელიანის*, დ. *ბაქრაძის*, დ. *სარაჯიშვილის*, ა. *ჯაბადარის*, კ. *აბაშიძის*, გ. *ზდანევიჩის*, თ. *ჟორდანიას*, ჯ. ო. *უორდროპის* წიგნების პირადმა კოლექციებმა; ივ. *ჯავახიშვილი* მიუთითებდა, რომ მოკლე დროში (1918–20) შეიქმნა ,,კარგი მოწყობილი წიგნ-



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა.

საცავი''. 1938-იდან ეწოდა ფუნდამენტური ბ-კა, ხოლო 1950-იდან – სამეცნ. ბ-კა, 2005-იდან უნ-ტის ბ-კა, სადაც თავმოყრილია მხატვრული, სამეცნ. და სასწ. ლიტ-რა, დაცულია იშვიათი გამოცემები: XVII–XVIII სს. ასზე მეტი ქართ. წიგნი, დაბეჭდილი მოსკოვში, პეტერბურგში, რომში, პარიზში, სტამბოლში, კრემენჩუგში, მონტბანში და სხვ. მ. შ. პირველი ქართ. წიგნი ,,ქართული ანბანი ლოცვებითურთ'' (1629, რომი), მ. მაჯოს მიერ შედგენილი ,,გრამატიკა'' (1670), არჩილ მეფის მიერ გამოცემული ,,დავითნი'', ვახტანგ VI-ისეული ,,ვეფხისტყაოსანი'', პირველი ქართ. გაზეთი ,,საქართველოს გაზეთი'' (1819) და სხვ.

უძველეს გამოცემათა შორის არის 1484 ლიუბეკში გამოცემული ინკუნაბული (პირველნაბეჭდი წიგნი 1401-მდე, რ-იც გარეგნულად ხელნაწერს ჰგავს) – ორნაწილიანი ,,ცხოვრება წმინდა იერონიმესი''. ბ-კა ხელმძღვანელობს თსუ-ის საფაკულტეტო, საკათედრო და ლაბორატორია-კაბინეტების ბ-კებს; არის საქართვ. უმაღლესი სასწავლებლების ბ-კების მეთოდური ცენტრი. 2013 ბიბლიოთეკის ფონდში იყო დაახლ. 4 მლნ. დაცვითი ერთეული, წიგნგაცვლას აწარმოებდა საქართვ. ფარგლებში, ჰქონდა ურთიერთობა 36 ქვეყნის 600 ორგანიზაციასთან.

ბიბლიოთეკამ გამოაქვეყნა ,,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, 1918–60 წწ.'' ცნობარი; ,,თბილისის უნივერსიტეტის გამოცემები – 1919–60 წწ.''; ,,თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ავტორობით გამოსული სასწავლო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული საძიებელი. 1918–1960 წწ.''; ,,თბილისის უნივერსიტეტში დაცული დისერტაციების ბიბლიოგრაფია. 1920–26 წწ.''; ,,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების ბიბლიოგრაფია'', რ-იც 5-წლიანი ნაკვეთების სახით (1919–60, 1960–65 და ა. შ.) გამოდის (1961-იდან), აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის, კ. *კეკელიძის*, ა. *შანიძის*, ნ. *ბერძენიშვილის*, შ. *ნუცუბიძის*, ფ. *გოგიჩაიშვილის* შრომათა ბიბლიოგრაფიული საძიებლები.

უნ-ტის ბ-კა განლაგებული იყო თსუ-ის I კორპუსში, 1986 გადავიდა საბურთალოს საუნივერსიტეტო კომპლექსში, 8-სართულიან შენობაში, რ-იც გათვალისწინებულია 5 მლნ. დაცვით ერთეულზე და ერთდროულად 1276 მკითხველს ემსახურება.

თსუ-ის ფუნდამენტური ბ-კის გამგეები: გ. ახვლედიანი (1918 იანვ.-დეკ.), ა. შანიძე (1918 დეკ.–1920), ს. გორგაძე (1919 დეკ.), გ. ბაქრაძე (1920–22, გამგის მოვალეობის შემსრულებელი).

თსუ-ის ფუნდამენტური ბ-კის დირექტორები: გ. წერეთელი (1922–31), შ. ნუცუბიძე (1931–35), ნ. უკლება (1936–37), ბ. ახალაძე (1937–38), ს. ბოკუჩავა (1939–41), ი. ციციშვილი (1941–45), ვ. მგალობლიშვილი (1945–53), შ. გეგეშიძე (1953–54), გ. ხუცურაშვილი (1954–57), ა. კასრაძე (1957–58, დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებელი), დ. მარკევიჩი (1958–62), გ. აბაშიძე (1963–74), შ. აფაქიძე (1974–2005), გ. შათირიშვილი (2005–06), მ. რაზმაძე (2007–08, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, 2009–10 – დირექტორი), ზ. გაიპარაშვილი (2010-იდან).

ზ. გაიპარაშვილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა (თსუგ), დაარსდა 1933 წლის 4 მაისს. 1918, ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით შეიქმნა საგამომცემლო კომისია ა. *შანიძის* და ს. *ყაუხჩიშვილის* შემადგენლობით, რ-საც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ კ. *კეკელიძე*, გ. *ახვლედიანი*, ა. *რაზმაძე*, ს. ყაუხჩიშვილი და სხვ. თსუ-ის გრიფით პირველი წიგნი (ლ. *ყანჩაველის* დამხმარე სახელმძღვანელო ბოტანიკაში) გამოვიდა 1919. ამავე დროს დაისტამბა ,,ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის'' პირველი ტომი სამ ნაკვეთად. 1920-იდან დაიწყო თსუ-ის ,,შრომების'' გამოცემა. 1923 მაისში გაიხსნა სტამბა – ლითოგრაფია. საუნივერსიტეტო სტამბის დაარსებაში დიდი წვლილი შეიტანა შ. *ნუცუბიძემ*, რ-იც იმხანად თსუ-ის პრორექტორი იყო სამეცნ. მუშაობის დარგში.

თსუგ-ის დაარსებისას პირველ პასუხისმგებელ მდივნად დაინიშნა ე. წულაძე; 1933 წ. 29 მაისს შეიქმნა საგამომცემლო საბჭო თსუ-ის რექტორის, ლ. აღნიაშვილის მეთაურობით. იმავე წელს გამოიცა სამი წიგნი.

თსუგ-ის დირექტორები იყვნენ - გ. თოდუა, ა. გაბესკირია. 1941 გამოიცა სამეცნ. ნაშრომები: *ვახუშტი ბატონიშვილის* ,,საქართველოს გეოგრაფია'', კ. კეკელიძის ,,ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის'' პირველი ტომი, მ. *გოგიბერიძის* ,,ფილოსოფიის ისტორია'' და ა. შ.

რესპუბლიკაში საგამომცემლო საქმიანობის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, 1963 თსუ-ის გამომცემლობა გაუქმდა, მუშაობდა მხოლოდ სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფი. 1965 გამომცემლობა კვლავ აღდგა, რ-ის დირექტორად დაინიშნა ვ. გამყრელიძე. მის სახელთანაა დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი ნაშრომების გამოცემა, როგორებიცაა: კ. ბაქრაძის ათტომეული (ექვსი ტომი ქართულად, ოთხი ტომი რუსულად), ს. დანელიას ოთხტომეული, ივ. ჯავახიშვილის ,,თხზულებანი'', ა. შანიძის მრავალტომეული და სხვ. 1991 თსუგ-ის დირექტორად ნ. ბერძენიშვილი დაინიშნა; ამ პერიოდში გაგრძელდა ,,უნივერსიტეტის შრომების'', სახელმძღვანელოებისა და საცნობარო ლიტ-რის გამოცემა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია: ,,ქართული დიპლომატია'' (წელიწდეული, თექვსმეტი ტომი), ,,ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები'' (ორტომეული), ,,ქართული დიპლომატიური ლექსიკონი'' (ორტომეული) და ,,ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი''. 2006 წ. 1 აპრილიდან უნ-ტში მიმდინარე რეფორმასთან დაკავშირებით, გამომცემლობა გაუქმდა, ოქტომბრიდან იგი ჩამოყალიბდა უნ-ტის ორგანიზაციული სტრუქტურის ერთეულად. ამ დროიდან 2008 წ. აპრილამდე თსუგ-ის დირექტორი იყო ნ. წიკლაური, 2008-იდან დღემდე – თ. ებრალიძე. ამ პერიოდში გამოიცა: ,,ივირონის აქტები'' (ოთხ ტომად), მ. ჩუხუას ,,იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა'', მ. წერეთლის ,,გილგამეშიანი'', ლ. ალექსიძის ,,საერთაშორისო სამართალი და საქართველო'', პ. პაკტესა და ფ. მელენ-სუკრამანანის ,,კონსტიტუციური სამართალი'' და სხვ. თსუგ-ში დაიბეჭდა თ. გამყრელიძის სამეცნ. შრომების დიდი ნაწილი: ,,ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები'', I–II, 1984 (თანაავტ. ვ. ივანოვი; რუს. ენაზე); ,,წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა'' (1990); ,,რჩეული ქართველოლოგიური შრომები'' (2000); ,,თეორიული ენათმეცნიერების კურსი'' (თანაავტ.; 2003, II გამოც. – 2008); ,,ენა და ენობრივი ნი-

შანი'' (2008); ,,რჩეული წერილები და გამოსვლები'' (2014). ამჟამად თსუგბ ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის შემადგენელი ნაწილია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, 1989 წ. 14 მაისს გამოეყო აფხაზეთის უნივერსიტეტს და 1993 წ. 14 ნოემბერს ფუნქციონირება დაიწყო თბილისში. ფილიალში იყო სახელმწ. და კერძო დაფინანსების სექტორები, სწავლების დღის დასწრებული და დაუსწრებელი ფორმები.

2000 მის შემადგენლობაში იყო ფაკ-ტები: ფილოლ. [ქართ. ენა და ლიტ-რა, საზღვარგარეთის ენა და ლიტ-რა (ინგლ., რუს., გერმ. ენა და ლიტ-რა)]; ისტ.-იურიდ. (ისტორია, დიპლომატიისა და საერთაშ. ურთიერთობათა ისტორია. პოლიტოლოგია, სამართლის-მცოდნეობა); ფიზ. (ფიზიკა, ფიზ. ინფორმატიკა); მათ. და კომპიუტერულ მეცნ. (მათემატიკა, ინფორმატიკა, გამოყენებითი მათემატიკა); ბიოლ. (ბიოლოგია, ბიომედიცინა, ეკოლოგია, გენეტიკა); საბუნებისმეტყველო (გეოგრაფია, ქიმია, ქიმ. ექსპერტიზა, ნავთობის ქიმია); ეკონ. (მიკრო- და მაკროეკონომიკა, აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი; საერთაშ. ეკონ. ურთიერთობანი); პედ. (დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა, სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია, ფიზ. აღზრდა); სულ სწავლობდა 5,9 ათ. სტუდენტი, ასწავლიდა 483 პროფესორ-მასწავლებელი. თ. ს. უ. ს. ფ-ის რექტორები იყვნენ: ფ. ტყებუჩავა (1989–93), ო. ჟორდანია (1993–2005), რ. კაკუბავა (2005–06), ა. შანავა (2006–07), ჯ. აფაქიძე (2007). 2007 წ. 31 ივლ. თ. ს. უ. ს. ფ. გარდაიქმნა სოხუმის სახელმწ. უნივერსიტეტად (საჯარო სამართლის იურიდ. პირი). იხ. *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.*

ო. ჟორდანია.

,,თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები'', თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერიოდული ორგანო. გამოდიოდა 1936–2005. ჰქონდა როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ჰუმანიტარულ მეცნ. სერიები. სხვადასხვა დროს ჟურნალის რედაქტორები იყვნენ გამოჩენილი ქართვ. მეცნიერები: ნ. *კეცხოველი,* ვ. *კუპრაძე,* დ. გვრიტიშვილი, შ. *მესხია,* ვ. *თოფურია,* ა. *ბარამიძე,* შ. *ძიძიგური* და სხვ.

თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებელი ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობისა, საბალეტო კადრების მომზადების ძირითადი კერა საქართველოში. 1916 იტალ. ბალერინამ მარია *პერინიმ* თბილისში დააარსა საბალეტო სტუდია, რ-შიც აღიზარდნენ ბალეტის ცნობილი ოსტატები: ვ. *ჭაბუკიანი,* ნ. *რამიშვილი,* ვ. *ვრონსკი-ნადირაძე,* ე. *გვარამაძე,* ე. *ჩიკვაიძე,* თ. *ჭაბუკიანი,* მ. *ბაუერი,* ი. *ალექსიძე,* ს. *ვეკუა,* ა. წერეთელი და სხვ. სტუდიამ დიდი როლი ითამაშა ქართ. პროფ. ბალეტის განვითარებაში.

1934 თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრთან შეიქმნა ქორეოგრ. სტუდია (ხელმძღვ. დ. *ჯავრიშვილი*). 1936 ორივე სტუდია გაერთიანდა სახელმწ. ქორეოგრ. სტუდიად, რ-ის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი 1936–50 იყო დ. ჯავრიშვილი, 1951–72 – ვ. ჭაბუკიანი. 1957 სტუდიას ეწოდა თბილ. სახელმწ. ქორეოგრაფიული სასწავლებელი; ეს სასწავლებელი დაამთავრეს: ზ. *კიკალეიშვილმა,* ვ. *გუნაშვილმა,* ბ. *მონავარდისა-შვილმა,* ე. *ჭაბუკიანმა,* ლ. *მითაიშვილმა,* ზ. ამონაშვილმა, ვ. აბულაძემ, ი. *ჯანდიერმა,* ნ. *არობელიძემ* და სხვ. თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი მთლიანად თ.ს.ჭ.ს-ის კურსდამთავრებულებითაა დაკომპლექტებული. თ.ს.ჭ.ს-ში საბალეტო ხელოვნებას ეუფლებოდნენ ჩაჩნეთ-ინგუშეთის და ადიღეს წარმომადგენლები. 1977–90 თ.ს.ჭ.ს-ის სამხატვრო ხელმძღვ. იყო გ. *ალექსიძე,* მთ. კონსულტანტი ვ. ჭაბუკიანი, დირექტორი – ბ. ბარამიძე, 1978-იდან თ.ს.ჭ.ს-ს კავშირი ჰქონდა მოსკოვის, ლენინგრადის, პერმის, კიევის, ერევნისა და ბაქოს ქორეოგრაფიულ სასწავლებლებთან. იქვე მოღვაწეობდნენ რუს. სკოლის გამოჩენილი პედაგოგ-მეთოდისტები: ს. გოლოვკინა, ლ. სახაროვა, ვ. მეი, ლ. ტიუტინა, ფ. ბალაბინა, ნ. *ზოლოტოვა,* ბ. რახმანინი, ნ. სილვანოვიჩი, პ. პესტოვი, ე. ფარმანიანცი; თბილისელი პედაგოგები: თ. *ვიხოდცევა,* მ. გრიშკევიჩი, ს. ვეკუა, ა. წერეთელი და სხვ. ამ პერიოდში სასწავლებელმა საერთაშ. კონტაქტები დაამყარა აშშ-თან, ლათ. ამერიკის, შვეიცარიის, საფრანგეთის საბალეტო ცენტრებთან (მოსწავლეთა გაცვლა, პედაგოგთა დახელოვნება, მოკლევადიანი პედ. კურსები). თ.ს.ჭ.ს. წარმატებით მონაწილეობდა ქორეოგრაფიულ სასწავლებელთა საკავშ. დათვალიერებებში (ლენინგრადი, 1980; რიგა, 1981; მოსკოვი, 1984; პერმი, 1988).

1992, ვ. ჭაბუკიანის გარდაცვალების შემდეგ, სასწავლებელს მისი სახელი მიენიჭა.

1996-იდან თ.ს.ჭ.ს-ის მართვის უმაღლესი ორგანოა გამგეობა, რ-ის თავ-რეა გ. ალექსიძე. 1996-იდან ბალეტის მსახიობის სპეციალობას დაემატა ანსამბლის მსახიობის სპეციალობაც. თ.ს.ჭ.ს-თან ფუნქციონირებს ზოგადსაგანმან. საბაზო სკოლა (I–IX კლასები). 1996-იდან გაიხსნა კერძო დაფინანსების სექტორი, აქვს მუზეუმი (ქართ. ბალეტის ისტ. საგამოფენო მასალის ექსპოზიცია). 1985 სექტემბერში თ.ს.ჭ.ს. დავით აღმაშენებლის პროსპექტიდან გადავიდა ახ. შენობაში, სადაც გაუმჯობესებულია სწავლის მატერ.-ტექ. ბაზა.

სტუდიის ხელმძღვანელები სხვადასხვა დროს იყვნენ: მ. პერინი (კერძო საბალეტო სტუდია, 1916–20, სახელმწ. საბალეტო სკოლის გამგე და წამყვანი მასწავლებელი 1920–34, 1934–38 თანამშრომლობდა დ. ჯავრიშვილთან), 1935-იდან სახელმწ. ქორეოგრ. სტუდიას სათავეში ედგნენ დ. ჯავრიშვილი (1936–50), ვ. ჭაბუკიანი (1951–72; 1957-იდან თბილ. სახელმწ. ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი), ს. ვეკუა (1973–77); ბ. ბარამიძე (1977–90); ნ. *მახათელი* (1991–92); 1992–2001 დირექტორი იყო ბ. ბარამიძე, 2001–04 – თ. ვაშაკიძე, 2004-იდან (დღემდე) სასწავლებლის მმართველია ზ. ბაქრაძე, სამხატვრო ხელმძღვანელი – ნ. ანანიაშვილი.

2004 თბილისში დაბრუნდა მოსკოვის დიდი თეატრის პრიმა-ბალერინა ნ. ანანიაშვილი და შეუდგა აქტ. შემოქმედებით და პედ. მოღვაწეობას თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრსა და ქორეოგრაფიულ სასწავლებელში. სასწავლებლის კურსდამთავრებულები მრავალი საერთაშ. ფესტივალისა და კონკურსის ლაურეატები, მსოფლიოს საბალეტო ხელოვნ. ვარსკვლავები არიან. ესენია: ნ. *ანანიაშვილი,* თ. (ჩ.) ლიოვინა, ი. *ნიორაძე,* ი. *ზელენსკი,* ნ. *ცისკარიძე,* დ. მახათელი, ე. გლურჯიძე, დ. კანდელაკი, მ. ზურაშვილი და სხვ.

თბილისის სემინარია, საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სასწავ-



ჯანსულ კახიძის თბილისის სიმფონიური ორკესტრი.

ლებელი. დაარსდა 1755 წ. 9 იანვ. თბილისში, ანჩისხატის ტაძართან, მეფე ერეკლე II-ის მატერ. შემწეობით და კათოლიკოს ანტონ I-ის მონაწილეობით, რ-იც იყო თბილ. და თელავის სემინარიების ,,დირექტორი, პრორექტორი და დიდასკალოსი'' (ანუ მასწავლებელი). სასწავლებლის შენობის აბრაზე ეწერა: ,,ვითარ საშინელ არს ადგილი ესე! ესე არა რაი არს, გარნა სახლი ღვთისა და ესე ბჭე ზეცისა. მეფობასა თეიმურაზისასა და ძისა მისისა მეფისა ერეკლესსა პატრიარქობასა ანტონისასა 1755 წ. 9 იანვარს''. ი. ს. სახელმწ. ხარჯზე იყო, მის პირველ რექტორად მიჩნეულია ფ. ყაითმაზაშვილი.

სემინარიაში ისწავლებოდა გრამატიკა, რიტორიკა, ლოგიკა, მეტაფიზიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია და საღვთისმეტყველო საგნები. აქ პედ. მოღვაწეობას ეწეოდა ანტონ I კათოლიკოსიც (1720–88), მანვე სასწავლებლისათვის შექმნა რამდენიმე სახელმძღვანელო. სასწავლებელმა 1795-მდე იარსება.

თბილისის სიმფონიური ორკესტრი ჯ. კახიძის სახელობისა, შეიქმნა 1993 ე. *მიქელაძის* სახ. საქართველოს სახელმწიფო ორკესტრიდან გამოყოფილი მუსიკოსების ბაზაზე. მისი ორგანიზატორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო დირიჟორი ჯ. *კახიძე* (1993–2002), 2002-იდან – ვ. კახიძე. ორკესტრი ირიცხება ,,თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის'' შემადგენლობაში. 1993 ორკესტრმა მუს.-კულტ. ცენტრთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ყოველწლიურ საერთაშ. მუს. ფესტივალს ,,შემოდგომის თბილისი''. ორკესტრთან აქტიურად თანამშრომლობდნენ მსოფლიო ვარსკვლავები: ხ. კარერასი, მ. ლეგრანი, გ. კრემერი, ა. *თორაძე*, გ. ლეტიეკი, ვ. რებინი, ი. გარბარეკი, ფ. ლელო, თ. *ივერი*, ნ. ფრეირი, ე. *ვირსალაძე*, გ. ჰოფმანი, ვ. ტრეტიაკოვი, ა. *კორსანტია*, ნ. გუტმანი, ნ. *სურგულაძე*, ბ. *მაისურაძე*, ა. მელნიკოვი, ვ. *ათანელიშვილი*, ე. *ანჯაფარიძე*, ი. ბაშმეტი და სხვ. აგრეთვე ცნობილი დირიჟორები და თანამედროვე კომპოზიტორები. ორკესტრის შესრულება გამოირჩევა მაღალი მხატვრული დონით. საკონცერტო რეპერტუარი ძალზე მრავალფეროვანია და მოიცავს კლასიკური, რომანტ. და თანამედროვე მუსიკის შედევრებს. ორკესტრმა გამართა საკონცერტო ტურნეები საზღვარგარეთ საყოველთაოდ ცნობილ დარბაზებში, მონაწილეობდა საერთაშ. ფესტივალებზე, ჩაწერილი აქვს 150-ზე მეტი ნაწარმოები უცხ. ხმის ჩამწერი კომპანიებისათვის. 2004 განახორციელა საქართვ. სახელმწ. ჰიმნის აუდიოჩაწერა. თ.ს.ო. სისტემატურად მონაწილეობს საქართვ. კულტ. ღონისძიებებში, მართავს კონცერტებს რეგიონებში, აქტიურად იღვწის ქართ. საკომპოზიტორო და საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებისათვის.

გ. ტორაძე.

თბილისის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრი პეტროს ადამიანის სახელობისა, დაარსდა თბილისში 1921, თუმცა სცენისმოყვარეთა წარმოდგენები სომხურ ენაზე იმართებოდა ჯერ კიდევ 1856-იდან მ. ჩიმიშკიანის ხელმძღვანელობით. მასთან აღიზარდა გამოჩენილ მსახიობთა რამდენიმე თაობა. პირველ თაობას წარმოადგენდნენ მსახიობები: გ. აბრიკიანი, ა. სუკიასიანი, ა. მანდინიანი, აგრეთვე პ. ადამიანი, სირანუიში, ი. ჰრაჩია და სხვ. პირველი რეჟისორები იყვნენ: ს. ქაფანაკანიანი, თ. სევუმიანი, ლ. ქალანთარი და სხვ. სწორედ ლ. ქალანთარის მეცადინეობით 1921 ჩამოყალიბდა ახლანდელი თეატრი, რ-საც ამავე წელს მიენიჭა სახელმწ. თეატრის სტატუსი. თეატრში მოღვაწეობდა სომხ. რეალისტური დრამატურგიის ფუძემდებელი გ. სუნდუკიანი. 1927–28 თეატრ. სეზონს ხელმძღვანელობდა ცნობილი ტრაგიკოსი მსახიობი ვ. ფაფაზიანი. იდგმებოდა სომეხი, ქართველი, რუსი და ევროპელი კლასიკოსების ნაწარმოებები. 1955 თეატრს მიენიჭა ს. შაუმიანის სახელი. სხვადასხვა დროს თეატრში მოღვაწეობდნენ მსახიობები: ო. მაისურიანი, ო. გულაზიანი, ვ. ფაფაზიანი, ა. არმენიანი, გ. და მ. ბეროიანები, გ. ნერსესიანი, ა. ლუსინიანი, ლ.



თბილისის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობა.



თბილისის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრი. სცენა სპექტაკლიდან ,,უჩინმაჩინის ქუდი'' (გ. ერისთავი. რეჟისორი ლ. უზუნიანი).

ამირბეკიანი, ფ. აკოფიანი, ა. ჟამკოჩიანი, ს. ელიაზარიანი, ს. სოსიანი და სხვ. რეჟისორები – ა. ბურჯალიანი, ს. ქაფანაკანიანი, ა. აბრამიანი, ვ. ბჟიკიანი, რ. ჩალტიკიანი და სხვ. სომეხ და ქართველ თეატრის მოღვაწეთა შორის არსებობდა გარკვეული ურთიერთთანამშრომლობა – 1875 სომეხმა მსახიობმა გ. ჩიმიშკიანმა მთავარი როლი შეასრულა ქართული თეატრის სპექტაკლ ,,პეპოში'', სომხ. თეატრის განვითარებაში სომეხ მოღვაწეებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა მსახიობებმა: ვ. აბაშიძემ, ნ. გოცირიძემ, გ. დარისპანაშვილმა. სპექტაკლები დადგეს რეჟისორებმა: დ. ანთაძემ, დ. ალექსიძემ, გ. ჟურულმა, გ. ლორთქიფანიძემ, ვ. გოძიაშვილმა, ს. ჭელიძემ, ლ. პაქსაშვილმა. სპექტაკლებს აფორმებდნენ მხატვრები: პ. ოცხელი და ი. გამრეკელი; კომპოზიტორები: ა. ბალანჩივაძე, შ. მშველიძე, ვ. აზარაშვილი, გ. ყანჩელი. 1993 თეატრს მიენიჭა პეტროს ადამიანის სახელი. თეატრის საუკეთესო დადგმებია: ა. შირვანზადეს ,,ნამუსი'' (1922, 2000), გ. სუნდუკიანის ,,პეპო'' (1922), ს. შანშიაშვილის ,,არსენა'' (1939), შ. დადიანის ,,ნაპერწკლიდან'' (1939), მ. მრევლიშვილის ,,ზვავი'' (1956), ნ. დუმბაძის და გ. ლორთქიფანიძის ,,მე ვხედავ მზეს'' (1975), ა. შირვანზადეს ,,მორგანის მძახალი'' (1978), ა. ცაგარლის ,,ხანუმა'' (1995), ჟ. კოქტოს ,,ადამიანის ხმა'' (1997), ა. ცაგარლის და ქ. ბახუტაშვილის ,,ძველი ვოდევილები'' (1999), უ. შექსპირის ,,ოტელო'' (1999), დ. დემირჭიანის ,,მამაცი ნაზარი'' (2000), მ. ფ. ახუნდოვის ,,ხათაბალა'' (2006), გ. ერისთავის ,,უჩინმაჩინის ქუდი'' (2012), ა. აივაზიანის ,,დიპლიპატო'' (2013) და სხვ.

თეატრის დასში მოღვაწეობენ (2014) მსახიობები: რ. ოგანესიანი, ს. შეკოიანი, ფ. აგაჯანიანი, ფ. ხაჩატუროვი, მ. ბარსეგიანი, ლ. მკრტიჩიანი, ე. ხაჩატუროვა, ს. ელიაზარიანი, ჟ. კარაპეტიანი; რეჟ. და მსახიობი ლ. უზუნიანი; რეჟ. – რ. მათიაშვილი, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია ა. ბაიანდურიანი.

თეატრში ფუნქციონირებს თეატრ. სტუდია. პ. ადამიანის სახ. თბილისის სახელმწ. სომხ. დრამ. თეატრი ერთადერთი სომხური სახელმწ. თეატრია, რ-იც არსებობს სომხეთის საზღვრებს გარეთ.

მ. გოგოლაშვილი. ზ. სოფრომაძე.

თბილისის სპეციალური ჩარხებისა და ავტომატური ხაზების ქარხანა, იხ. ,,*ჩარხი-ხაზი*''.

თბილისის სპორტის სასახლე გ. კარტოზიას სახელობისა, სპორტული დარბაზი თბილისში (არქიტექტორები ვ. *ალექსი-მესხიშვილი,* ი. კასრაძე, კონსტრუქტორი დ. ქავჯაია). პროექტი დამტკიცდა 1956, აშენდა 1957–61 წლებში. საზეიმოდ გაიხსნა 1961 წ. 12 მაისს. კვადრატული ფორმის შენობის გარე პერიმეტრია 352 *მ* (88×04), მთავარი არენა – 44×27,4 *მ.* ამფითეატრად ამაღლებული ტრიბუნები იტევს 9305 მაყურებელს. შენობის სამი სართულიდან ერთი (პირველი იარუსი) მიწაშია ჩაღრმავებული. სპორტის სასახლე გადახურულია რკინა-ბეტონის ანაკრები სფერული ფორმის გუმბათით, რომლის დიამეტრიც უდრის 76 *მ* (შეტანილია ინდივიდ. კონსტრუქციათა საერთაშ. კატალოგში). თ.ს.ს. მთავარ დარბაზთან ერთად მოიცავს ორ დარბაზს შესაბამისი ინფრასტრუქტურით. თ.ს.ს. რეგულარულად მასპინძლობს საერთაშ. ასპარეზობებს ბერძნ.-რომაულ, თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში, სამბოში, კალათბურთში, ხელბურთში, მინიფეხბურთში, კრივში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ძალოსნობაში, კარატეში, კიკბოქსინგში; იმართება მასობრივი სანახაობები (სამეჯლისო ცეკვები, საესტრადო კონცერტები); მოქმედებს სპორტ. სექციები, ბავშვთა საციგურაო სკოლა. 1989 თ.ს.ს-ში გაიხსნა ,,ქართული სპორტის დიდების მუზეუმი''. სასახლეს გ. კარტოზიას სახელი მიენიჭა 2001. თ.ს.ს-ის წინ მდებარე მოედანზე 1965 დაიდგა სკულპტურული კომპოზიცია – მზეჭაბუკი (მოქანდაკე ჯ. მიქატაძე), ხოლო 2010 – გივი კარტოზიას ქანდაკება (მოქანდაკე გ. შხვაცაბაია).



თბილისის სპორტის სასახლე.

თბილისის უმაღლესი საარტილერიო სასწავლებელი (თბილისის წითელდროშოვანი უმაღლესი საარტილერიო სამეთაურო სასწავლებელი ბაქოს 26 კომისრის სახელობისა), სასწავლებლის ისტორია დაიწყო 1920 წ. 20 აგვისტოს ასტრახანში, სადაც შეიქმნა აღმ-ის კურსანტთა ბრიგადა, რ-იც მე-11 არმიის რიგებში იბრძოდა რუსეთ-საქართველოს 1921 ომში. 24 თებ. ტაბახმელაზე წითელი კურსანტები დამარცხდნენ ქართვ. იუნკრებთან ბრძოლაში. თბილ. დაკავების შემდეგ კურსანტთა მე-6 პოლკი იუნკერთა სასწავლებლის ყაზარმებში დაბინავდა. 1921 წ. 14 აპრილს პოლკი გადაკეთდა ქვეითმეტყვიამფრქვევთა მე-2 კურსებად.

25 მაისიდან ეწოდა ბაქოს ქვეით-მეტყვიამფრქვევთა მე-13 სამეთაურო კურსები. 1922 წ. 7–15 სექტემბერს აქტ. მონაწილეობას იღებდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ხევსურეთის აჯანყების ჩახშობაში. ამავე წლის 22 ოქტომბერს კურსები გარდაიქმნა ბაქოს ქვეით სკოლად; მონაწილეობდა 1924 აგვისტოს აჯანყების ჩახშობაში. 1924 წ. 21 ოქტომბერს დაერქვა თბილ. ქვეითი სკოლა. 1927 გადაკეთდა ამიერკავკ. ქვეით სკოლად. 1929 წ. 10 თებერვალს სკოლასთან შეიქმნა საარტ. დივიზიონი და დაიწყო ოფიცერ-არტილერისტთა მომზადება. ამავე წლის 20 ნოემბერს მიენიჭა ბაქოს 26 კომისრის სახელი. 1935 წ. 8 ოქტომბერს გადაკეთდა ამიერკავკ. გაერთიანებულ სამხ. სკოლად. 1937 წ. 16 მარტს დაერქვა თბილ. სამხ. სასწავლებელი. 1938 მოხდა მისი რეორგანიზაცია სამთო-საარტ. სასწავლებლად. მეორე მსოფლიო ომის წლებში სასწავლებელმა ფრონტისათვის მოამზადა 6 ათასზე მეტი არტილერიის ოფიცერი. 1956 წ. 8 ოქტომბერს გადაკეთდა თბილ. საარტ. სასწავლებლად. 1969 წ. 1 ივნისიდან ეწოდა თბილ. უმაღლესი საარტ. სამეთაურო სასწავლებელი (4-წლიანი სწავლებით). პირველი გამოშვება, რ-მაც გაიარა უმაღლესი სასწავლებლის სრული პროგრამა, შედგა 1973. სსრკ დაშლის შემდეგ (1992) სასწავლებელი გადაიტანეს (1993) ქ. ეკატერინბურგში (რუსეთი).

ლიტ.: Бронштейн Н. Б., Цейтлин И. С., Тбилисское высшее артиллерийское, Тб., 1990.

მ. წურწუმია.

თბილისის ფილიალი ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტისა, სასწავლო უნივერსიტეტი, აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რ-იც საქართველოში მოქმედებს როგორც უცხო ქვეყნის წარმომადგენლობა – ფილიალი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ამერ. ჰუმანიტარული უნ-ტის (სათავო უნ-ტი) მიერ გამოცემული აქტებით – მისთვის მინიჭებული ამერ. და ქართ. აკრედიტაციის შესაბამისად.

უნ-ტში ხორციელდება უმაღლესი აკად. განათლების ორი საფეხურის საგანმან. პროგრამა – ბაკალავრიატი და მაგისტრატურა.

უნ-ტის საგანმან. პროგრამები აკრედიტებულია ლიბერალური განათლების ამერიკული აკადემიის (AALE – American Academy of Liberal Education) მიერ და ლიცენზირებულია საქართვ. განათლებისა და მეცნ. სამინისტროს მიერ.

უნ-ტში არის შემდეგი უმაღლესი აკად. საგანმან. პროგრამები: ბიზნესისა და მართვის ფაკ-ტი: მენეჯმენტი და ადმინისტრირება (I საფეხური, ბაკალავრიატი), საერთაშ. მენეჯმენტი (II საფეხური, მაგისტრატურა); სოც. მეცნიერებათა ფაკ-ტი: საერთაშ. ურთიერთობები (I საფეხური, ბაკალავრიატი).

უნ-ტს აქვს ბ-კა, რ-იც ემსახურება უნ-ტის სტუდენტებს და პერსონალს თავისი თანამედროვე წიგნადი ფონდით, ასევე ელექტრონული და ციფრული რესურსებით.

თბილისის ფუნიკულიორი, სამთო-საბაგირო რკინიგზა მთაწმინდაზე, უნიკალური საინჟინრო და ისტორიული ნაგებობა. აკავშირებს ქალაქის ცენტრს მთაწმინდის პლატოსთან. მსოფლიოს სამთო-საბაგირო გზებს შორის ერთი-ერთი უძველესი რკინიგზა, თავის დროზე გამოირჩეოდა ძირითადი ტექ. პარამეტრებით, კერძოდ, გზის სიგრძითა და ტრასის დახრილობით.

ფუნიკულიორის მშენებლობა განაპირობა მთაწმინდის პლატოს ათვისებამ, რ-იც იმ პერიოდში უდაბურ ადგილს წარმოადგენდა. ერთადერთი ასასვლელი გზა მთის ფერდობზე გაკვალული ბილიკი იყო. მთაწმინდის რელიეფიდან გამომდინარე მიმოსვლის საუკეთესო საშუალებად მიჩნეულ იქნა საბაგირო რკინიგზის ანუ ფუნიკულიორის მშენებლობა.

1900 ივლისში ქალაქის თვითმმართველობამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას თბილისში ფუნიკულიორის გაყვანის შესახებ და დაამტკიცა ბელგიელი ინჟინრის ა. რობის პროექტი, რ-იც ბელგიის ანონიმური საზ-ბის სახელით მოქმედებდა (იხ. სტ. *ბელგიელთა საქციო საზოგადოება*). ხელშეკრულება ითვალისწინებდა მშენებლობის დამთავრების შემდეგ ფუნიკულიორის გზის თვითმმართველობისათვის გადაცემას და 5 წლამდე ბავშვების, ფოსტის დამტარებლებისა და პოლიციაჟანდარმერიის უფასო მგზავრობას. ბელგიის ანონიმური საზ-ბა ფუნიკულიორს ექსპლუატაციას გაუწევდა 45 წლის განმავლობაში, შემდეგ კი იგი უსასყიდლოდ გადაეცემოდა ქალაქს. ხელშეკრულებით ნავარაუდევი იყო აგრეთვე მთაწმინდასა და კოჯორს შორის ელექტრული რკინიგზის გაყვანა.



თბილისის ფუნიკულიორი. ქვედა სადგური. XX ს. დასაწყისი.

ფუნიკულიორის მშენებლობა 1903 წ. სექტემბერში დაიწყო, რ-შიც მონაწილეობდნენ უცხოელი სპეციალისტები. მშენებლობის ახ. პროექტი შეადგინა ფრანგმა ინჟინერმა ა. ბლანშმა, არქიტ. ნაწილი დაამუშავა თბილისელმა ხუროთმოძღვარმა ა. *შიმკევიჩმა.* გზის მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ ბელგიელი და იტალ. ინჟინრები – ი. რაგოლერი და ა. ფონტანა-როსი. ფუნიკულიორის მშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნ. *ნიკოლაძემ,* რ-ის ინიციატივითაც მოკლე დროში შესრულდა რკინაბეტონის სამუშაოები ესტაკადისათვის.

თ. შ. გაიხსნა 1905 წ. 27 მარტს. ამ მოვლენას დიდი ფერწერული ტილო მიუძღვნა ნ. *ფიროსმანაშ-*



თბილისის ფუნიკულიორი. ქვედა სადგური. 2012.

ვილმა (1909), ფოტოხელოვანმა დ. *ერმაკოვმა* კი ფოტოზე აღბეჭდა ძვ. ფუნიკულიორის ამსახველი კადრები.

მთაწმინდის პლატოზე, სადაც განლაგებულია ფუნიკულიორის ზედა სადგური, XX ს. 30-იან წლებში



თბილისის ფუნიკულიორი. ზედა სადგური. XX ს. დასაწყისი.


გაშენდა კულტ. და დასვენების პარკი (ახლანდ. *მთაწმინდის პარკი*).

თ. ფ-ის ამოქმედებიდან განვლილ პერიოდში რამდენჯერმე ჩატარდა მისი რეკონსტრუქცია-განახლების სამუშაოები: პირველი რეკონსტრუქცია 1936–38 განხორციელდა – ძველი ზედა სადგურის ნაცვლად, რ-იც ე. წ. ,,როტონდას'' წარმოადგენდა, აშენდა ახ. სამსართულიანი კომპლექსი (არქიტექტორები: ზ. და ნ. ქურდიანები, თანაავტორი ა. ვოლობუევი); მხატვრული გაფორმებისათვის თანამედროვე ფორმებთან ერთად გამოყენებული იყო ტრად. ქართ. ხუროთმოძღვრების მოტივები. მეორე რეკონსტუქცია 1968–69 ჩატარდა. ამჯერად ძვ. ქვედა სადგურის ნაცვლად აიგო ახ. შენობა (არქიტექტორები: გ. ი. *ბათიაშვილი*, ტ. ქუთათელაძე, ფასადის ვიტრაჟის ავტორი – ვ. ქოქიაშვილი); შეიცვალა ვაგონები და გაფართოვდა ფუნიკულიორთან მისასვლელი მოედანიც.

2000 წ. 22 ივნისს ფუნიკულიორმა ფუნქციონირება შეწყვიტა ტექ. აღჭურვილობის უკიდურესი ცვეთისა და ამორტიზაციის მიზეზით, რის გამოც აუცილებელი გახდა მისი მორიგი რეკონსტუქცია. 2005 წ. 2 მარტს თბილ. მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მთაწმინდის ფუნიკულიორი (ტრამვაი) და საბაგირო გზა, ყველა სადგურის ჩათვლით, 49-წლიანი იჯარით გადაეცა შპს ,,ლინქს'' (დამფუძნებელი ა. *პატარკაციშვილი*), რ-საც დაევალა სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. 2006–07 მოხდა ფუნიკულიორის სრული აღდგენა-რეკონსტრუქცია – ახლიდან გაკეთდა ქვედა, ზედა და საშუალო სადგურებში ვაგონების მიმღები ბაქნები, კაპიტალურად გარემონტდა ზედა და ქვედა სადგურის შენობები, დამონტაჟდა ახ. ამძრავი მოწყობილობა, ფუნიკულიორის ხაზზე მთლიანად გამოიცვალა რელსებქვეშა რკინაბეტონის საფუძველი, საირიგაციო სისტემები, ასასვლელი კიბეები ფეხით მოსიარულეთათვის, ვაგონების კაბინები, კაპიტალურად გარემონტდა ამავე ვაგონების სავალი ურიკები და სხვ. მიმდინარე სამუშაოების დამთავრების შემდეგ ვერ მოხერხდა თ.ფ-ის ექსპლუატაციაში გაშვება იმ დროისათვის ქვეყანაში შექმნილი პოლიტ. ვითარების გამო.



თბილისის ფუნიკულიორი. სამგზავრო ვაგონი. 2013.



თბილისის ფუნიკულიორი. ზედა სადგური. 2013.

ფუნიკულიორის ხელახალი ამუშავებისთვის აუცილებელი გახდა აღდგენითი სამუშაოების ჩატარება. 2012 ავსტრიულმა კომპანიამ ,,დოპელმაიერ/გარავენტა ჯგუფმა'' (ერთ-ერთი მსოფლიო ლიდერი საბაგირო გზების მშენებლობაში) განახორციელა ფუნიკულიორის რეაბილიტაცია, მისი ამძრავისა და მოძრავი შემადგენლობის გადაიარაღება, აღჭურა იგი თანამედროვე ტექნოლოგიითა და უსაფრთხო ექსპლოატაციის საშუალებებით. მოხდა ქვედა სადგურის რეკონსტრუქციაც, რ-საც დაუბრუნდა პირვანდელი სახე (არქიტექტორები: მ. გუჯეჯიანი, ზ. მამათელაშვილი).

თ. ფ. ერთლიანდაგიანია, ვაგონების ასაქცევი შუალედური სადგურით. მისი ძირითადი ტექ. მაჩვენებლებია: გზის სიგრძე – 481 *მ*, ლიანდაგის დახრის კუთხე – 28–31°, ხოლო ლიანდის (მანძილი რელსებს შორის) სიგანე – 1,04 *მ*, ვაგონის ტევადობა – 60 მგზავრი+1 გამყოლი, საწევი ბაგირის დიამეტრი – 25 *მმ*, მაქს. სიჩქარე – 3 *მ/წმ*, გამტარუნარიანობა – 750 მგზავრი/*სთ*-ში, ამძრავი შკივის დიამეტრი – 2 *მ*, ძრავის სიმძლავრე – 135 *კვტ*. გზის შუა ნაწილში მოწყობილია ასაქცევი ბაქანი, სადაც ვაგონები გვერდს უვლიან ერთმანეთს და მგზავრების ნაწილი (სურვილისამებრ) გადადის მთაწმინდის პანთეონში (ვაგონების ასაქცევი მრუდხაზოვანი მონაკვეთის სიგრძეა ≈90 *მ*). ზედა და ქვედა სადგურებს შორის დონეთა სხვაობა 234 *მ* შეადგენს.

თ. ფ-ს პოპულარობა და აღიარება თავიდანვე დაებედა – სიტყვა ,,ფუნიკულიორი'' ტოპონიმად იქცა და ხალხში მთაწმინდის სინონიმად აღიქმება.

ლიტ.: ჩ ო რ გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი მ., მთაწმინდა, თბ., 1991.

მ. ჩორგოლაშვილი. დ. პატარაია.

თბილისის ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებელი, ქალთა პირველი ღია პედაგოგიური სასწავლებელი ამიერკავკასიაში (დიდი მთავრის ოლღა ალექსანდრეს ასულის უწყებისა). დაარსდა 1865, იღებდნენ 8–18 წლის ასაკის გოგონებს, რ-ებსაც საშინაო და დაწყ. კლასების მასწავლებლებად ამზადებდნენ. სწავლების კურსი 3-საფეხურიანი იყო: ელემენტარული (I–II კლასები), ზოგადი განათლების (III–IV კლასები), სპეც. პედაგოგიკის (V–VI კლასები). სწავლება ფასიანი იყო (წელიწადში 200 მანეთამდე), არასავალდებულო საგნების (გერმ., ფრანგ., სომხ., აზერბ. ენები, ცეკვა, მუსიკა) შესწავლისათვის ქირას დამატებით იხდიდნენ. უკანასკნელი (მაღალი) კლასის მოსწავლეები დაწყებით კლასებში პედ. პრაქტიკის გავლის, საცდელი გაკვეთილების წარმატებით ჩატარებისა და გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების შემდეგ საშინაო მასწავლებლის წოდებას ღებულობდნენ. 1870 სასწავლებელს დაემატა VII პედ. კლასი და

გადაკეთდა ქალთა პირველ გიმნაზიად. 1873 გიმნაზიასთან გაიხსნა პროგიმნაზია. კურსდამთავრებულები იღებდნენ საშ. განათლებას უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის უფლების გარეშე.

ვ. გაგუა.

თბილისის ქალთა უმაღლესი კურსები, უმაღლესი სასწავლებელი რევოლუციამდელ საქართველოში. გაიხსნა 1909 თბილისში ქალთა ერთი ჯგუფის კერძო ინიციატივით. კურსებს ჰქონდა 2 განყ-ბა: ისტ.-ფილოლ. და საბუნებისმეტყველო; სწავლების ვადა 3 წელი იყო. 1912 განყოფილებები ფაკულტეტებად გადაკეთდა, სწავლების ხანგრძლივობა 1 წლით გაიზარდა. 1916 ჩამოყალიბდა სამედ. ფაკ-ტი. ისწავლებოდა 10 ენა (მ. შ. არ იყო ქართული, სომხ. და აზერბ. ენები), ძვ. ქართ. ლიტერა ფაკულტატიური საგანი იყო. თ.ძ.შ.კ-ზე ყოველწლიურად 100-მდე მსმენელს იღებდნენ, სწავლების კურსს ამთავრებდა მხოლოდ 10–15 მოსწავლე. მსმენელთა დაბალი აკად. წარმატების მიზეზი იყო სასწ.-აღმზრდელობითი მუშაობისა და საყოფაცხოვრებო პირობების მოუწესრიგებლობა.

თბილისის ქართული გიმნაზია, სათავადაზნაურო გიმნაზია, 1878 თბილისში დაარსდა ,,ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება'', რ-მაც აირჩია გამგე-კომიტეტი (თავ-რე გ. *ერისთავი*, თავ-რის ამხანაგი კ. მამაცაშვილი, წევრები: ვ. თულაშვილი, ნ. *ცხვედაძე*, ი. *გოგებაშვილი*, ლ. მაღალაშვილი, დ. *ერისთავი* და ნ. ქანანოვი). კომიტეტმა საზ-ბის წესდების საფუძველზე 1879 გახსნა ვაჟთა პირველი ქართ. სათავადაზნაურო დაწყებითი სკოლა; 1884–85 სასწ. წელს სკოლაში გაიხსნა პირველი პროგიმნაზიური კლასები და 1890-იდან უკვე პროგიმნაზიად გადაკეთდა, 1896 დაემატა გიმნაზიური კლასები და 1899–1900 სასწ. წლიდან სასწავლებელი 8-კლასიანი გიმნაზია გახდა. სწავლება მიმდინარეობდა გიმნაზიის საერთო პროგრამით, რ-საც ქართ. ენის, საქართვ. გეოგრ. და ისტ. სწავლება დაემატა. 1900 თ.ძ.გ-თვის დაიწყო ახ. შენობის მშენებლობა ვაკეში. სამშ. კომისიაში შედიოდნენ: ნ. ცხვედაძე (თავ-რე), ე. *თაყაიშვილი*, კ. ყავრიშვილი და არქიტ. შ. კლდიაშვილი. კომისიის მიზანი იყო ისეთი შენობის აგება, რ-შიც შემდგომ ქართ. უნ-ტი მოთავსდებოდა. 1902 თ.ძ.გ-ში გაიხსნა სამხ-ატვრო კლასი, 1903 – სამკითხველო დარბაზი. იმართებოდა ქართ. და რუს. წარმოდგენები. 1904–05 სასწ. წელს გიმნაზიის მოწაფეებმა გამოსცეს კრებ. ,,ღელვა'' (რედაქტორები: გ. ავალიანი, მ. *ზანდუკელი*, პ. დადვაძე), 1909–10 სასწ. წელს კი – ნაბეჭდი ჟურნალები: ,,პირველი ნაბიჯი'', ,,მოწაფის ნაბიჯი'', ,,ჩანგი''. ამავე წელს გიმნაზიასთან შეიქმნა მშობელთა წრე (კომიტეტი), რ-ის თავ-რე იყო ვ. ბარნოვი. 1918-თვის გიმნაზიის მოსწავლეთა სოც. შემადგენლობა ასეთი იყო: 201 თავად-აზნაურთა წრიდან, 175 მოქალაქე, 93 მოხელის შვილი, 56 სას. წოდებიდან, 392 გლეხი. 1906-იდან თ.ძ.გ-ის შენობაში განთავსებული იყო თბილ. ქალთა ქართ. გიმნაზიაც, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის მუზეუმი, ხოლო 1915–18 – სამხ. ჰოსპიტალი. 1918 თ.ძ.გ-ის შენობა გადაეცა თბილ. სახელმწ. უნ-ტს. ამ წლიდან 1921-მდე თ. ძ. გ., ვაჟთა VII გიმნაზიის სახელწოდებით, ახლანდ. რუსთაველის პროსპექტის №34 მდებარე შენობაში ფუნქციონირებდა.

„თბილისის ძაღალდის ფაბრიკა“ (სააქციო საზოგადოება), ქაღალდის მწარმოებელი საწარმო. მდებარეობს თბილისში, ისანი-სამგორის რ-ნში. დაარსდა 1935. ამზადებდა საკოლოფე, შპალერის ქვეშ გასაკრავ (დუბლაჟს), სამუშტუკე, გასანთლულ (უშვებდა II მსოფლიო ომის დროს) ქაღალდს, ასევე – ქაღალდს, ხელსახოცისა და ერთჯერადი თეფშებისათვის და წყალგაუმტარ მუყაოს.

1972 ჩატარდა ფ-კის რეკონსტრუქცია, 1980 კი დაინერგა ტექნოლ. დანადგარების მართვის თანამედროვე სისტემები ნახევარგამტარული ტექნოლ. გამოყენებით (ტრანზისტორების, ტირისტორების და სხვა თანამედროვე ნახევარგამტარული ტექ. ელემენტებით). 1996-იდან საწარმო სააქციო საზ-ბად ჩამოყალიბდა. საპროექტო სიმძლავრეა 800 *ტ* ქაღალდი წელიწადში. „თ. ძ. ფ.'' ამუშავებს ადგილ. ნედლეულს (მაკულატურას), რ-ისგანაც ამზადებს საგოფრე, რუბეროიდისა და სატომრე ქაღალდს, აგრეთვე გოფრირებულ მუყაოს ყუთებს. გამოშვებული პროდუქციის რეალიზაცია ხდება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც – სომხეთსა და აზერბაიჯანში.

თბილისის ძვაბული, მტკვრის ხეობა ზემო ავჭალიდან (ჩრდ-ით) ფონიჭალამდე (სამხრ-ით). სიგრძე დაახლ. 42 *კმ*, მაქს. სიგანე – 10 *კმ*. შემოსაზღვრულია: დას-იდან და სამხრ-იდან თრიალეთის ქედის განშტოებებით – საწკეპელას, მსხალდიდის, ლისის, მთაწმინდის, თაბორისა და თელეთის ქედებით; აღმ-იდან – იორის ზეგნის ჩრდ.-დას. ნაწილით, ჩრდ-იდან – საგურამოს ქედის კალთებით. ქვაბულის ფსკერის დონე 350–450 *მ* ფარგლებში ცვალებადობს. კალთები ზოგან 600–1500 *მ* აღწევს. აგებულია უმთავრესად ზედაეოცენური ტერიგენული და ტუფოგენური ქანებით. სამხრ. ნაწილში არის შუა ეოცენის ვულკანოგენური წყება. მნიშვნელოვანი ფართობი უკავია მეოთხეულ (მდინარეულ და ტბიურ) დანალექებს. ქვაბულის ჩრდ. ნაწილი ალუვიური ვაკეა (დიღმის ვაკე). უფრო სამხრ-ით, მტკვრის ხეობაში, კარგადაა გამოხატული ტერასული საფეხურები, რ-ზეც გაშენებულია თბილისი. ქალაქს აღმ-ით, მდ. მტკვრის პარალელურად, მიუყვება მტკვრის ძვ. ხეობა, სადაც ადრე მცირე მლაშე ტბები იყო, ახლა კი, *სამგორის სარწყავი სისტემის* აგების შემდეგ, *თბილისის წყალსაცავია*. თ. ძ-ში მტკვარს მარჯვნიდან ერთვის მდ-ები: *დიღმისწყალი*, *ვერე* და *წავკისისწყალი*, მარცხნიდან – გლდანისხევი და ლოჭინისხევი. ტბებიდან აღსანიშნავია ლისისა და კუს ტბები. თ. ძ. ოდესღაც ტყით იყო შემოსილი, რ-იც ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ მთის კალთების მაღალ, ძნელად მისადგომ ნაწილებში. ქვაბულის ფსკერი კულტ. მცენარეულობას უჭირავს, გავრცელებულია აგრეთვე ჯაგეკლიანი სტეპი. აქა-იქ ტუგაის (ჭალის) ტყეებია.

ლ. მარუაშვილი.

თბილისის შამპანურის ღვინოების ქარხანა, იხ. *თბილისის ცქრიალა ღვინოების ქარხანა ,,ბავრატიონი 1882''*.

„თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“ (სააქციო საზოგადოება), კვების მრეწველობის საწარმო. აშენდა 1940 როგორც თბილისის ჩაის გადამწონი ფ-კა. აფასოებდა შავ და მწვანე ბაიხაოს ჩაის. მისი საპროექტო სიმძლავრე წელიწადში შეადგენდა 5 ათ. *ტ* დაფასოებულ ჩაის. 1954–55 ჩატარდა ფ-კის ტექ. გადაიარაღება

და საწარმოს სიმძლავრემ 10 ათ. ტ დაფასოებული ჩაი შეადგინა, ხოლო 1983–89, რეკონსტრუქციის შემდეგ, მისი სიმძლავრე წელიწადში 21 ათ. ტ-მდე გაიზარდა. ძირითადი პროდუქცია იყო სხვადასხვა ხარისხის ბაიხაოს ჩაი: ,,საქართველოს თაიგული'', უმაღლესი ხარისხის, I, II და III ხარისხისა და სხვ. სანედლეულო რესურსებს იღებდა საქართვ. სხვადასხვა ჩაის პირველადი გადამმუშავებელი ფ-კიდან, აგრეთვე ინდოეთიდან და ჩინეთიდან (როგორც საკუპაჟე მასალას). გამოშვებული პროდუქცია იგზავნებოდა სსრკ-ის რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში.

1990-იდან საწარმოს ჩაის მიწოდება შეუწყდა როგორც შიდა ქსელიდან, ისე უცხოეთიდან. 1993-იდან ფ-კა გასაღების ბაზრის დაკარგვის გამო მუშაობდა 10%-იანი დატვირთვით და წელიწადში უშვებდა 2000 ტ დაფასოებულ ჩაის, რ-იც გადიოდა ძირითადად დსთ-ის ქვეყნებში. 1996 თბილისის ჩაის საწონი ფ-კის ბაზაზე შეიქმნა სააქციო საზ-ბა ,,თ. ჩ. ს. ფ.'' ამ პერიოდიდან საწარმო თავისი პროფილით აღარ ფუნქციონირებს.

,,თბილისის ცენტრალური ავტოვაგზალი'' (სააქციო საზოგადოება), მგზავრთა საერთაშორისო და საქალაქთაშორისო სატრანსპორტო მომსახურების ცენტრალური დაწესებულება თბილისში. ავტოვაგზლის შენობა აიგო 1970 (არქიტექტორები: რ. კიკნაძე, ვ. ქურთიშვილი, შ. ყავლაშვილი; კონსტრუქტორი რ. შიოლაშვილი; მოზაიკური პანოს – ,,ავტოტრანსპორტის განვითარება'' – მხატვარი ზ. წერეთელი), ხოლო საექსპლუატაციოდ გადაეცა 1973. იმ პერიოდისათვის იგი სამხრ. კავკასიაში ყველაზე დიდი ავტოსატრანსპ. კომპლექსი იყო. მდებარეობს ქალაქის სამხრ.-აღმ-ით, ორთაჭალის ხიდთან. ტერიტორიის ფართობია 2,5 ჰა, განაშენიანების ფართ. – 1800 მ², სასარგებლო – 7500 მ², სამუშაო – 6500 მ². შედგება მგზავრთა მოსაცდელი დარბაზისაგან, შიდასატრანსპ. ტერიტორიისა და ვაგზლისწინა მოედნისაგან; აქვს აგრეთვე ავტობუსების შესამოწმებელი და სარემონტო უბანი, 60-ადგილიანი სასტუმრო ტრანზიტული მძღოლებისა და მგზავრებისათვის. ავტოვაგზალში არის სამედ. პუნქტი, დედათა და ბავშვთა ოთახი, პოლიციის ოპერმუშაკთა, საერთაშ. და საქალაქთაშორისო სალაპარაკო პუნქტები, ვალუტის გადამცვლელი ჯიხური, საზკვების 6 ობიექტი, კაფე-ბარი, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, ავტოსადგომი. მგზავრებს ემსახურება ბილეთების წინასწარი გაყიდვისა და დაჯავშნის სალაროები. ავტოვაგზალში დანერგილია თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიები. მისი გამტარუნარიანობა საათში 40 ავტობუსსა და 40 მიკროავტობუსს შეადგენს (დღე-ღამეში 18500 მგზავრი). 1995 წლის 1 იანვარს ავტოვაგზალი ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბად.

ამჟამად ავტოსადგური ემსახურება საერთაშ. რეისებს აზერბაიჯანის, თურქეთის, ირანის, რუსეთის, საბერძნეთისა და სომხეთის მიმართულებით, ასევე კახეთისა და აჭარის რეგიონებში მიმავალ მგზავრებს. ყოველდღიურად საშუალოდ გადაჰყავს 2000 მგზავრი (2013 წ. მონაცემებით). თბილისში ,,თ. ც. ა-ის'' გარდა მოქმედებს დიდუბის, ნავთლულის, გლდანის ავტოსადგურები და ავტოსადგური ,,ოკრიბა''.

თბილისის ცენტრალური აედაგოგიური ინსტიტუტი მ. ორახელაშვილის სახელობისა, უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელი, გაიხსნა 1923 თბილ. პედ. ტექნიკუმის ბაზაზე. მდებარეობდა ახლანდ. დ. უზნაძის ქუჩაზე, პირველი დირექტორი იყო გ. ნათაძე. 1924 ინ-ტს მარიამ ორახელაშვილის სახელი მიენიჭა. სწავლების ვადა თავდაპირველად 2, შემდეგ კი 3 წელი იყო. მასში იღებდნენ ცხრაწლედ ან ტექნიკუმდამთავრებულებს. ინ-ტი ძირითადად ამზადებდა შვიდწლედის მასწავლებლებს. ჰქონდა 2 ფაკ-ტი: სოციოლოგია-ლიტ-რისა და საბუნებისმეტყველო-მათემატიკური. სასწ. გეგმაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი პედ. დისციპლინებს. თ. ც. პ. ი. 1928 დაიხურა; სტუდენტები ჩაირიცხნენ თსუ-ის პედ. ფაკ-ტის შესაბამის განყოფილებებზე, ხოლო 2 წლის კურსდამთავრებულებს უფლება მიეცათ სათანადო სტაჟის შემდეგ ჩარიცხულიყვნენ უნ-ტის პედ. ფაკ-ტის III კურსზე. დ.



თბილისის ცენტრალური რკინიგზის ვაგზალი. XX ს. დასაწყისი.



თბილისის ცენტრალური რკინიგზის ვაგზალი. XX ს. 70-იანი წლები.



თბილისის ცენტრალური რკინიგზის ვაგზალი.

გურგენიძე.

თბილისის ცენტრალური რკინიგზის ვაგზალი, თბილისის *ვაგზალი.* მისი ძირითადი დანიშნულებაა მგზავრების გადაყვანა და საბარგო გადაზიდვა. ორლიანდაგიანი მაგისტრალით ემსახურება სამგზავრეო სამტრედიის, ბაქოსა და ერევნის მიმართულებებს. შედგება მიმღებ-გამგზავნი ლიანდაგებისა და სარანჟირო ფარეხისაგან. ყოველწლიურად ემსახურება 3 მლნ-ზე მეტ მგზავრს. თბილ. რკინიგზის ვაგზალმა ფუნქციონირება დაიწყო 1872, როდესაც გაიხსნა ამიერკავკასიაში პირველი *ფოთი–თბილისის რკინიგზა* (ინგლ. ინჟ. პ. ბელი). შენობას რამდენჯერმე ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. 1952 ის კაპიტალურად გადააკეთეს – ააშენეს კოშკი მოოქრული შპილით (არქიტ. გ. *ტერ-მიქელოვი*). XX ს. 80-იანი წლების დასასრულს მოხდა ვაგზლის შენობის მთლიანი დემონტაჟი. მის ადგილას აღიმართა თვალსაჩინო, მსხვილმასშტაბიანი ნაგებობა თანამედროვე ტექნოლოგიით, ქალაქის ორივე მხარესთან კარგად დაკავშირებული მისასვლელებით (1988; არქიტექტორები: *რ. ბაირამაშვილი,* ი. ყავლაშვილი, გ. *შავდია,* ა. *ჯიბლაძე,* ინჟ. შ. გაზაშვილი, საქართვ. სახელმწ. პრემია, 1992). 2006 მ. ც. რ. ვ., რ-იც მანამდე სააქციო საზ-ბა ,,საქართველოს რკინიგზას'' ექვემდებარებოდა, 49-წლიანი იჯარით გადაეცა ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას – სააქციო საზ-ბა ,,თბილისი ცენტრალს''. მანვე განახორციელა ვაგზლის სარეკონსტრუქციო-სამშ. სამუშაოები. ამავე შენობაში 2010 გაიხსნა ახ. თანამედროვე სავაჭრო ცენტრი ,,თბილისი ცენტრალი'', ხოლო 2014 – სასტუმრო.

XXI ს. 10-იანი წლების ბოლოდან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რკინიგზის ვაგზლის მუშაობის ტექ.-ეკონ. მაჩვენებლები, გაიზარდა მოსახლეობის მომსახურების ხარისხი, დაინერგა სერვისის ახ. სახეები: ინტერნეტით, სწრაფი გადახდის აპარატით, ტერმინალით სამგზავრო ბილეთების შეძენა; 24-საათიანი საინფორმაციო მომსახურება; ვაგზალში დადგმულია კომპიუტერები, რ-ებიც რკინიგზის საერთო კომპიუტერულ ქსელშია ჩართული; ექსპლუატაციაშია ჩქაროსნული კომფორტული ელექტრომატარებლები (სადაც ფუნქციონირებს ინტერნეტი, დადგმულია სწრაფი კვების აპარატები), მოდერნიზებული ვაგონები და სხვ. *დ. გელაშვილი.*

თბილისის ცენტრალური საავადმყოფო (შპს), მრავალპროფილური კლინიკა, შეიქმნა 2012 რკინიგზის ცენტრალური საავადმყოფოს ბაზაზე.

კლინ. სტრუქტურაშია: მიმღები და გადაუდებელი დახმარების განყ-ბა (ემერჯენსი), ამბულატორია, ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, ნევროლოგია, ტრავმატოლოგია, გინეკოლოგია, პროქტოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, პლასტ. ქირურგია, ენდოკრინოლოგია, რევმატოლოგია, გასტროენტეროლოგია.



თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

კლინიკა წარმოადგენს თბილ. სახელმწ. სამედ. უნ-ტის დიპლომისშემდგომი უწყვეტი განათლების ინ-ტის ბაზას (სარეზიდენტო პროგრამა), ასევე ,,საქართველოს უნივერსიტეტის'' და პროფესიული კოლეჯი ,,პანაცეას'' ბაზას.

თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, შეიქმნა 1921 წ. 21 თებერვალს ქალაქის თვითმმართველობის საუწყებო არქივის ბაზაზე, როგორც თბილისის საქალაქო არქივი. 1921 წ. 18 აგვისტოს არქივს ეწოდა ქალაქის რევკომის სამმართველოს საინფორმაციო ნაწილის სექცია და თბილ. რევკომის საკომენდანტო შენობის პირველ სართულზე ორი ოთახი დაეთმო. აქ თავმოყრილი იყო 1840–1920 წწ. დოკუმენტები. თბილ. რევკომის გაუქმების (1921 წ. 14 დეკ.) შემდეგ არქივი თბილ. მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საუწყებო არქივი გახდა. შემდგომი რეორგანიზაცია საქალაქო და სამაზრო აღმასკომების გაერთიანებით (1923) იყო გამოწვეული. 1926 არქივი სამაზრო საარქივო ბიუროდ ჩამოყალიბდა, 1933 მუნიციპალურ არქივად გადაკეთდა, 1937 წ. 1 თებერვალს არქივი საკომენდანტო შენობიდან პ. ჩაიკოვსკის ქ. №11-ში გადაიტანეს და ოთხ ოთახში განათავსეს (183 $მ^2$ ფართი).

1939 წ. 25 აპრილიდან თბილ. საქალაქო არქივი შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის გამგებლობაში გადავიდა. საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წ. 23 აგვისტოს დადგენილებით, იგი მუდმივი შემადგენლობის არქივი გახდა.

1970 არქივთან შეიქმნა სამეურნეო ანგარიშსწორების ჯგუფი, რ-იც 1971-იდან საცნობარო განყ-ბა გახდა. 1972 თბილ. საქალაქო არქივს 5-სართულიანი არქივსაცავი გადასცეს. საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წ. 8 ივნ. განკარგულებით არქივს ეწოდა თბილ. საქალაქო სახელმწ. არქივი. დოკუმენტების ეფექტური გამოყენების მიზნით 1974 და 1988 გამოვიდა

მეგზურები; გამოცემულია დოკუმენტური მასალების კრებ. სახელწოდებით: ,,თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში'' (7 ტ.).

თბილ. მერიის საქალაქო კოლეგიის 1996 წ. 15 მარტის დადგენილებით თბილ. საქალაქო სახელმწ. არქივი გახდა თ. ც. ს. ა. აქ ინახება სახელმწ. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, ქალაქის დაგეგმარების, დაფინანსების, სახელმწ. დაზღვევის, მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მშენებლობისა და არქიტ., კომუნ. მეურნეობის, სახ. განათლების, კულტ., ჯანდაცვის, სოც. უზრუნველყოფის, სპორტის, ვაჭრობის, მომარაგების, სამომხმარებლო და სარეწაო კოოპერაციის, საქალაქო დაქვემდებარების სხვა დარგების დოკუმენტური მასალები, დედაქალაქის გამოჩენილი ადამიანების პირადი ფონდები და თბილ. ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფოტო- და ფონოდოკუმენტები 1921 წლიდან დღემდე.

2006 წ. 29 დეკემბერს მიღებული საქართვ. კანონის ,,ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ'' შესაბამისად, 2007 წ. 1 იანვრიდან თ. ც. ს. ა. გახდა საჯარო სამართლის იურიდ. პირი (სსიპ), საქართვ. ეროვნ. არქივის ტერიტ. ორგანო – თბილ. ცენტრ. არქივი.

არქივს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: ქ. ქავთარაძე (1921–36), ბ. ხარაიძე (1936–39), ბ. გეგელია (1940–49), გ. ჯინჭარაძე (1949–53), ი. ბერაძე (1954–2005), მ. კვარაცხელია (2005-იდან დღემდე).

თბილისის ციხე, შუა საუკუნეების ციხესიმაგრე თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. *წავკისისწყლის* მარცხენა მხარეს, სოლოლაკის ქედის უკიდურეს აღმოსავლეთით მდებარე, მტკვრისკენ სოლივით შეჭრილ მაღალკლდოვან თხემზე. IV–XVIII სს. ქართ. და უცხოენოვან საისტ. წყაროებში გვხვდება *კალის,* შურისციხის, ტფილისის ქალაქის, ციხის, მაღლაციხის, *ნარიყალის* სახელწოდებით. ვარაუდობენ, რომ ციხის ადგილზე დასახლება ძველთაგანვე იყო (აღმოჩენილია ძვ. XIII–XII სს. ბრინჯაოს სატევარი).

ძვ. ქართ. საისტ. წყაროები და მემატიანეები, კერძოდ *ლეონტი მროველი,* თ. ც-ის დაარსებას სპარსთა მეფის პიტიახშს, 368 ქართლში მოსულ ქრამ ხუარ ბორზარდს მიაწერს: ,,და აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისი კართა შორის ციხედ მცხეთისად''. ,,ქართლის ცხოვრების'' ერთ-ერთ ვარიანტში შესაბამისი ადგილი ასე იკითხება (ს): ,,აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის შურისციხედ ციხედ მცხეთისად''. ,,ქართლის ცხოვრების'' ძვ. სომხური თარგმანი კი გვამცნობს, რომ სპარსელებმა ,,ააგეს ციხე ტფილისის კარს მცხეთის საწინააღმდეგოდ''. მაშასადამე, თბილისი სპარსელი პიტიახშის ადგილსამყოფელი იყო, საიდანაც მას მცხეთაში მყოფი ქართლის მეფის კონტროლი უნდა განეხორციელებინა შურისციხის მეშვეობით. ამასვე იმეორებს ვახუშტი ბატონიშვილი, ოღონდ ,,კართა შორის ციხის'' ნაცვლად მას ,,შურისციხეს'' უწოდებს. იგი თ. ც-ს ,,მაღალ ციხედაც'' მოიხსენიებს: ,,... მაღალს ციხეში არს ეკლესია გუმბათიანი წმინდის ნიკოლოზისა და სასახლე მეფისა, პალატნი დიდ-დიდნი და შუენიერნი''. რაც შეეხება ტერმინ ,,ნარიყალას'', იგი პირველად XVII ს-ში გვხვდება. უნდა აღინიშნოს, რომ XVII–XVIII სს. ყველა მნიშვნელოვან ციხეს (დმანისის, გორის, სიღნაღის და ა. შ.) ჰქონია თავისი ნარიყალა, შემდგომში კი ეს სახელი მხოლოდ თ. ც-ს შემორჩა.

VI ს. II ნახევარში თბილ. პოლიტ.-ეკონომიკურად მომძლავრებასთან ერთად გაიზარდა თ. ც-ის სტრატეგიული მნიშვნელობაც. იგი წარმოადგენდა ფეოდ. ქალაქის დომინანტს, მის ძირითად თავდაცვით ნაგებობას. თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის



თბილისის ციხე (ნარიყალა). XX ს. 70-იანი წლები.

განმავლობაში მან მტრის არაერთი დამანგრეველი შემოსევა განიცადა. პირველი დიდი განსაცდელი თბილისსა და მის ციხეს 627 დაატყდა, როდესაც მას ალყა შემოარტყა ბიზანტ. კეისარ ჰერაკლესა და ხაზართა ხაკან ჯიბღუს გაერთ. ლაშქარმა. სპარსთა დამხმარე რაზმით გაძლიერებულმა ქალაქის დამცველებმა უკუაგდეს მტერი. 628 მოკავშირეებმა კვლავ შემოუტიეს კალას, ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლის შემდეგ აიღეს იგი და დაანგრიეს.

მომდევნო საუკუნეებში ქალაქსა და მის ციხეს არაბთა ბატონობის ხანგრძლივი პერიოდი დაუდგა. XI ს-ში *ბაგრატ IV-მ* არაერთხელ სცადა თბილ. გათავისუფლება. 1045 ქალაქის ბერების მიერ მიწვეულმა ბაგრატმა პირველ რიგში თბილ. მთავარი ციტადელი აიღო, რ-იც მემატიანეს *დარუჯელის* სახელით აქვს მოხსენიებული. 1122 დავით აღმაშენებელმა ქალაქთან ერთად თ. ც-ც შემოიმტკიცა და მას შემდეგ, მთელი საუკუნის განმავლობაში, ციხესიმაგრეს აღარ განუცდია მტრის შემოტევა.

1226 თბილისს დიდი ძალებით შემოუტია ჯალალედინმა. ქალაქის მაჰმადიანთა დახმარებით, რ-ებმაც ღალატით მოკლეს ციხისთავი მემნა ბოცოს ძე და მტერს გალავნის კარი გაუღეს, ჯალალედინმა მოახერხა ქალაქის აღება (იხ. აგრეთვე სტ. *ხვარაზმელები საქართველოში*).

შემდეგი დიდი შემოსევა თ. ც-მ განიცადა 1386, თემურლენგის I ლაშქრობის დროს. ნოემბერში მან ალყა შემოარტყა თბილისს. მტერს გაუჭირდა ძლიერ გამაგრებული ციხის აღება. ქალაქის დამცველები მეფე ბაგრატ V-ის მეთაურობით ციხის გალავნიდან გამოდიოდნენ და მის მისადგომებთან ებრძოდნენ მტერს. მაშინ, თემურლენგის ბრძანებით, ქალაქის ირგვლივ კედლის სანგრევი მანქანები განალაგეს და 21 ნოემბერს, სასტიკი ბრძოლის შემდეგ, აიღეს ქალაქი და მისი ციხე (იხ. აგრეთვე სტ. *თემურლენგის ლაშქრობანი საქართველოში*).

1522 თ. ც., ციხისთავის ღალატით, ორი წლით დაიპყრო შაჰ *ისმაილ I-მა* (ზოგი მოსაზრებით, მისმა მხედართმთავარმა დივ-სულთანმა). 1541 თბილისზე ილაშქრა შაჰ *თამაზ I-მა*, ამჯერადაც ციხისთავი გულბაათი მოღალატე აღმოჩნდა და ციხე მტერს ჩააბარა. 1578 თ. ც-ს დაეუფლა მუსტაფა ლალა-ფაშა და 1606-მდე ციხეში ოსმალთა გარნიზონი იდგა, შემდეგ კი, საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, იგი ყიზილბაშებს ეპყრათ.

როსტომის მეფობის დროს (1632–58) ხიდისყურიდან კალის ციხემდე ზღუდე გაუვლიათ და ქალაქი და ციხე გაუყვიათ. ამის შემდეგ გაჩნდა მიკროტოპონიმი ,,დაბლა ციხე'' – ,,მაღლა ციხის'' საპირისპიროდ. სწორედ ამ ხანებში თბილისში იმყოფებოდა თურქი მოგზაური *ევლია ჩელები*, რ-მაც დაგვიტოვა ციხის აღწერილობა: ,,...დიდი ციხე მდინარე მტკვრის სამხრეთითაა... ციცაბო კლდეზე... აშენებული. დიდი ციხის გარშემოწერილობა ექვსი ათასი ნაბიჯია, მაგრამ ძველი ნაშენია. კედლის სიმაღლე სამოცი წყრთაა. სამოცდაათი ბურჯი და სამი ათასი ქონგური აქვს. მდინარე მტკვარს წყლისათვის განკუთვნილი ერთი ხვრელიანი კოშკი გადაჰყურებს; ალყის დროს იქიდან იკლავენ წყურვილს. გალავნის შიგნით ექვსასი ბანიანი სახლია. ხანის სასახლე ამ ციხეშია. ჯამე, ქარვასლა, აბანო და მცირე ბაზარი აქვს... დიდი ციხის აღმოსავლეთით ბუნებრივი ცხელი წყალია''. როგორც ჩანს, თ. ც-ის აღწერისას ევლია ჩელების სწორედ ,,დაბლა ციხე'' ჰქონდა მხედველობაში. გაზვიადებულად უნდა მივიჩნიოთ მის მიერ მოწოდებული ციხის გალავნის სიმაღლეც.

1747–48 ციხესიმაგრეები: *თაბორი, მეტეხი*, ნარიყალა *აბდულა-ბეგის* მომხრე ყიზილბაშებს ეკავათ. ერეკლე II-მ თავდაპირველად თაბორის და მეტეხის ციხეები აიღო, შემდეგ – დაბლა



თბილისის ციხე (ნარიყალა). რესტავრაციის შემდეგ.

ციხე, ბოლოს კი ნარიყალაც დაიკავა და ყიზილბაშებს საბოლოოდ ამოუკვეთა ფეხი ამ ადგილებიდან.

უკანასკნელი დამანგრეველი შემოსევა თ. ც-მ 1795, აღა-მაჰმადხანის ლაშქრობისას, განიცადა. კრწანისის ომის დროს ,,სახელოვანი აღალუა ციხისთავი... ნარიყალას ბურჯებიდან ყუმბარას აყრიდა სეტყვასავით სპარსთა რაზმებს...'' სპარსელებმა ქალაქის აღების შემდეგ აიკლეს და გაავერანეს ნარიყალა. 1796 სარაიდარებმა ფარსადანამ და სტეფანემ აღადგინეს ბრძოლების დროს დანგრეული ციხის კედლები (იხ. *აგრეთვე კრწანისის ბრძოლა 1795*).

ქართლ-კახეთის სამეფოს რუს. იმპერიასთან შეერთების (1801) შემდეგ თ. ც-მ დაკარგა ადრინდ. მნიშვნელობა. 1827 მიწისძვრამ მნიშვნელოვნად დააზიანა და დაანგრია ციხის კედლები, ბურჯები და კოშკები, შეიწირა სტამბოლის გოდოლის დიდი ნაწილიც. XIX ს. I ნახევარში ციხის ერთ-ერთ შენობაში დენთის საწყობის აფეთქების შედეგად დაინგრა თ. ც-ის თითქმის ყველა ნაგებობა, მ. შ. წმ. ნიკოლოზის ეკლესიაც. საუკუნეთა განმავლობაში ციხე ბევრჯერ დანგრეულა, ასევე ბევრჯერ აღუდგენიათ და გადაუკეთებიათ. ჩვენამდე მოაღწია XII–XIII სს. და XVII ს. ნაგებობათა სახით.

თ. ც. შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული ორი ძირითადი ნაწილისაგან. აღმ. ნაწილი გეგმით კვადრატულია (70 *მ* × 70 *მ*), დასავლეთისა – სწორკუთხა (60 *მ* × 20 *მ*); ციხის კედლები (სისქე 1,5 *მ* – 2,0 *მ*) გამაგრებული იყო მრგვალი და სწორკუთხედი კოშკებით და ბურჯებით. ციხის კედლებში შემორჩენილია 2 კარის ნაშთი. ერთი, ,,განჯის კარად'' წოდებული, ახლანდელი ბოტან. ბაღის მხარეს, მეორე, უფრო დიდი – ციხის ჩრდ.-აღმ. მხარეს. ამ კართან თ. ც-ის უძველესი (ადრინდ. შუა საუკუნეების ხანის) თლილი ქვის დიდი კვადრებით ნაგები კედლის ნაშთია. ციხის დანარჩენი ნაწილი ნაგებია კვადრ. ფორმის ქართ. აგურით და ნატეხი ქვით, გაჯისა და კირის ხსნარზე. თ. ც. მიუდგომელი იყო. მთაგორიან რელიეფზე განლაგებული საციხო ნაგებობები რთულ სისტემას ქმნიდა. შედარებით ადვილად შესაღწევი გზა დას-იდან იყო, რის გამოც ციტადელი ამ მხარეს უფრო მეტად იყო გამაგრებული. ციხის წყლით მომარაგება საგანგებო სისტემით ხდებოდა, არხისა და აკვედუკის მეშვეობით. ეს უკანასკნელი გამოსახულია თბილ. ტურნეფორისეულ (1701) ნახატზე. ციხის ეკლესია დატანილია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ 1735 გეგმაზე, უფრო გვიან, 1800 კი – ჩუიკოს მიერ შედგენილ გეგმაზეც. ციხის ტერიტორიაზე XX ს. 60–80-იან წლებში ჩატარდა არქეოლ. გათხრები [იხ. *თბილისის დედაციხის (ნარიყალას) არქეოლოგიური გათხრები*], გამოვლინდა შუა საუკუნეების სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები, აგრეთვე კერამიკა, მინა, მონეტები. 70–80-იან წლებში მიმდინარეობდა ციხის სარესტავრაციო სამუშაოები. 90-იან წლებში XII–XIII სს. წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ძვ. საფუძველზე აშენდა ახ. ეკლესია.

წყარო: მოქცევაჲ ქართლისაჲ. შატბერდის კრებული. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, 4, თბ., 1955–73; ქართლის ცხოვრება, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: კვირკველია თ., ძველთბილისური დასახლებანი, თბ., 1985; მესხია შ., გვრიტიშვილი დ., დუმბაძე მ., სურგულაძე ა., თბილისის ისტორია, თბ., 1958; ჯანაშია ს., თბილისის ისტორია, შრომები, [ტ.] 1, თბ., 1949.

თ. ბერიძე.





თბილისის ცქრიალა ღვინოების ქარხანა ,,ბაგრატიონი 1882''.

თბილისის ცქრიალა ღვინოების ქარხანა ,,ბაგრატიონი 1882'', ,,ბაგრატიონი 1882'' (სააქციო საზოგადოება), ცქრიალა ღვინის მწარმოებელი პირველი სპეციალიზებული საწარმო საქართველოში.

კომპანიის სახელწოდება უკავშირდება XIX ს-ში ქართ. შამპანური ღვინის პირველი მწარმოებლის – ი. კ. *მუხრანბატონის* (ბაგრატიონი) სახელს. მისმა პროდუქციამ 1882 რუსეთში გამართულ საერთაშ. გამოფენაზე მსოფლიო აღიარება და უმაღლესი ჯილდო – გრან-პრი მოიპოვა.

XX ს. 30-იანი წლებიდან იწყება ქართ. შამპანური ღვინის ისტ. ახ. ეტაპი. 1939 თბილისში აშენდა შამპანური ღვინოების დიდი ქ-ნა, რ-მაც ხელი შეუწყო შამპანური ღვინის ფართომასშტაბიან წარმოებას. საბჭოთა კავშირში ასეთი სიმძლავრის მხოლოდ სამი საწარმო არსებობდა. თბილისის ქ-ნა XX ს. 70–80-იან წლებში 24 მლნ. ბოთლს უშვებდა. პროდუქცია გამოდიოდა სავაჭრო ნიშნით ,,Советское шампанское'', რ-იც ცნობილი იყო მთელ აღმ. ევროპაში.

1976 შეიქმნა თბილისის შამპანური ღვინოების საწარმოო გაერთიანება, რ-შიც შევიდა თბილისის შამპანური ღვინოების ქ-ნა (სათავო საწარმო), აგრეთვე გორის, სურამის, მცხეთის ღვინის ქ-ნები. მოგვიანებით აღნიშნული გაერთიანება დაიშალა. საბჭოთა კავშირის დაშლას პროდუქციის წარმოებისა და გაყიდვის მკვეთრი შემცირება მოჰყვა. 1990 საქართველოში 17 მლნ. ბოთლი შამპანური დამზადდა. ეს რაოდენობა ყოველწლიურად მცირდებოდა და 1997-ისთვის წარმოება თითქმის გაჩერდა. 1995 ქ-ნა გარდაიქმნა სააქციო საზ-ბად და ეწოდა ,,ბაგრატიონი 1882''. 1997 ამერიკელმა ინვესტორებმა შეისყიდეს კომპანიის აქციათა დიდი ნაწილი და აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელები გახდნენ. ამერ. კაპიტალის დაბანდებამ ხელი შეუწყო წარმოების აღორძინებას და ახ. ბაზრების ათვისებას. ამავე პერიოდიდან დაიწყო პროდუქციის გამოსვლა სავაჭრო ნიშნით ,,ბაგრატიონი'', რ-ის წარმოება ერთ მლნ. ბოთლამდე ავიდა. 2006-იდან კომპანიაში მთლიანად

შეიცვალა მენეჯმენტი, მთელი საქმიანობა წარიმართა პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და მსოფლიო ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად.

სააქციო საზ-ბა ,,ბაგრატიონი 1882'' ამ დარგის უდიდესი საწარმოა საქართველოში. 1953 ქ-ნას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია (არქიტ. მ. შავიშვილი). ქ-ნის შენობის მიწისზედა ორსართულიან ნაწილში გამოყენებულია ქართ. ისტ. არქიტ. მოტივები. საწარმოს ეზო გადაქცეულია ლამაზ პარკად. ქ-ნა მთლიანად მოდერნიზებულია, აღჭურვილია უახლესი იტალ. და გერმ. დანადგარებით. აქვს საკუთარი სანედლეულო ბაზა – სანერგე მეურნეობა და ვენახები ქართლის, კახეთისა და იმერეთის (ამ რეგიონში, კერძოდ თერჯოლაში, 2008 გაიხსნა პირველადი მეღვინეობის ქ-ნა) რეგიონებში, აგრეთვე შეისყიდის ნედლეულს მთელი საქართველოს მასშტაბით, სადაც მოჰყავთ სხვადასხვა ჯიშის ყურძენი – ციცქა, ჩინური, გორული მწვანე, პინო, საფერავი, თავკვერი, რქაწითელი – და ადგილობრივ ამზადებს ღვინომასალებს. საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის ძირითადი სახეობებია: რეზერვუარული წესით დამზადებული ცქრიალა ღვინო (1997 მიღებული ვაზისა და ღვინის კანონის თანახმად შამპანურს ეწოდა ცქრიალა ღვინო) ,,ბაგრატიონი კლასიკური'' (ბრუტი, მშრალი, ნახევრად მშრალი და ნახევრად ტკბილი), ,,ბაგრატიონი ოქრო'', ,,ბაგრატიონი ვარდი'', ,,ბაგრატიონი წითელი'', ,,ბაგრატიონი რეზერვი'' (ნახევრად მშრალი და ნახევრად ტკბილი); ბოთლური წესით დამზადებული ცქრიალა ღვინო ,,ბაგრატიონი რეზერვი ბრუტი'', ,,ბაგრატიონი როზე ბრუტი'', ,,ბაგრატიონი ფაინესტი'' და შუშხუნა ღვინო ,,მუხრანი''. ქ-ნის საწარმოო სიმძლავრე წელიწადში 5 მლნ. ბოთლს შეადგენს. პროდუქცია გადის შემდეგ ქვეყნებში: აშშ, რუს. ფედერაცია, უკრაინა, ლატვია, გერმანია, ჩინეთი, თურქეთი, ინგლისი, შვედეთი, იაპონია და სხვ.

1965–2013 საერთაშ. კონკურსებსა და დეგუსტაციებზე საწარმოს პროდუქციას მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მ. შ.: 13 ოქროს, 14 ვერცხლის და 8 ბრინჯაოს მედალი. 2008 წ. მარტში, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშ. გამოფენაზე ,,პროვაინ ინ დიუსელდორფ 2008'' (გერმანია) ,,ბაგრატიონი'' შეფასდა როგორც აღმოჩენა ცქრიალა ღვინის სამყაროში.

2009 წ. კომპანიაში დაინერგა სურსათის უვნებლობის სტანდარტი ISO 22000:2005. ქ-ნაში მოქმედებს ენოთეკა, სადაც დაცულია 1990-იდან დღემდე წარმოებული საკოლექციო ნიმუშები. კომპანია ეწევა ქველმოქმედებას.

ლ. აბრამიშვილი.

თბილისის წისქვილკომბინატი, იხ. ,,*წისქვილკომბინატი – თბილისი*''.

თბილისის წყალსაცავი, სამგორის წყალსაცავი, „თბილისის ზღვა“, წყალსაცავი აღმ. საქართველოში, ივრის ზეგანზე. შეიქმნა მლაშე ტბების – ავლაბრის, ილგუნიანისა და კუკიის ტბების ქვაბულში მდ. ივრის წყლის დაგუბების შედეგად. ვრცელდება ჩრდ.-დას-იდან სამხრ.-აღმ-კენ. ჩრდ.-დას. ნაწილში განიერია, სამხრ.-აღმ-ში – ვიწრო. ზედაპირის ფართ. – 11,8 *კმ*^{2}, წყალშემკრები აუზისა – 38 *კმ*^{2}, სიგრძე 9 *კმ*, უდიდესი სიგანე 2 *კმ*, საშ. სიღრმე – 26,6 *მ*, უდიდესი სიღრმე – 45 *მ*, წყლის მოცულობა – 308 მლნ. *მ*^{3}. წყალსაცავის დონე გაზაფხულზე მატულობს, ზაფხულსა და შემოდგომაზე კლებულობს 7–10 *მ*-ით.

წყლის ზედაპირული ფენის საშ. ტემპ-რა ნაპირთან მერყეობს 3,7° C-იდან (იანვ.-თებ.) 21,6°C-მდე (აგვ.), მაქს. ტემპ-რა 26,2°C. ყინულსაფარი წყალსაცავზე არ ჩნდება, ცივ ზამთარში წარმოიქმნება ყინულნაპირისი და თოში. ხშირი ქარის გამო იცის ღელვა. წყლის მინერალიზაცია – საშ. 325 *მგ/ლ*.

თ. წ. *სამგორის სარწყავი სისტემის* რეგულატორია. ექსპლუატაციაშია 1953-იდან. საზრდოობს მდ. ივრის წყლით, რ-იც სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხით ჩადის. უკეთ წყალმომარაგების მიზნით თ. წ-ს წყალი მიეწოდება ჟინვალის წყალსაცავიდანაც სპეციალურად გაყვანილი წყალსადენით. წყალსაცავიდან წყალი გადის სამგორის სარწყავი სისტემის ქვემო მაგისტრალური არხით. თ. წ-ს იყენებენ საყოფაცხოვრებო და საირიგაციო მიზნით. მან გარკვეული დადებითი გავლენა იქონია სანაპირო ზონის მიკროკლიმატზე.

თ. წ. თბილ. მცხოვრებთა დასვენებისა და გაჯანსაღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა. წყალსაცავის ჩრდ. და სამხრ.-დას. სანაპიროები კეთილმოწყობილია. შექმნილია დასვენების ზონა.

თ. წ-ის ჩრდ.-აღმ. სანაპიროზე მიკვლეულია გვიანდ. ბრინჯაო–ადრინდ. რკინის ხანის (ძვ. წ. II ათასწლ. II ნახ. – ძვ. წ. I ათასწლ. I ნახ.) ნასახლარი და მისი თანადროული სამაროვანი, სამხრ.-დას. სანაპიროზე და ლოტკინის გორაზე – ყორღანთა ჯგუფები.

ი. აფხაზავა.
ი. სულთანიშვილი.

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი, დაარსდა 1992, კერძო სამართლის იურიდიული პირია და წარმოადგენს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას (სასწავლო უნივერ-



თბილისის წყალსაცავი (,,თბილისის ზღვა'').

სიტეტს). თ. ჰ. ს. უ-ის მისიაა დარგობრივი და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად შექმნილი უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის, ასევე პროფ. საგანმან. პროგრამების რეალიზაციით დაინტერესებულ პირებს მისცეს სათანადო ხარისხის ხელმისაწვდომი უმაღლესი და პროფ. განათლება. ამზადებს კადრებს შემდეგ სპეციალობებში: ისტორია, სამუზეუმო საქმე და ისტორიის და კულტურის ძეგლთა დაცვა, ჟურნალისტიკა, ქართ. ენა და ლიტ-რა, სამართლისმცოდნეობა, უცხო ენები და ხელოვნებათმცოდნეობა. 2002-იდან დაარსდა იმავე სახელწოდების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზ-ბა უნ-ტის სტატუსით, რის შემდეგაც საქართვ. განათლების სამინისტრომ უნ-ტს მიანიჭა უმაღლესი პროფ. განათლების მიცემის უფლება შემდეგი სპეციალობებით: ფინანსები და კრედიტი, მენეჯმენტი, საერთაშ. ეკონ. ურთიერთობები, ბუღალტრული აღრიცხვა, კონტროლი და აუდიტი.

1992-იდან თ. ჰ. ს. უ-ში ფუნქციონირებს შემდეგი ფაკ-ტები: სამართლის; ეკონ., ბიზნესისა და მართვის; ჰუმანიტარული; სამართლის ფაკ-ტზე ფუნქციონირებს იურიდ. კლინიკაც.

თ. ჰ. ს. უ-ში 1992-იდან სხვადასხვა სახელწოდებით ფუნქციონირებს ეკონ., ბიზნესისა და მართვის მიმართულების ფაკ-ტი, რ-საც თავდაპირველად ეკონ. ფაკ-ტი ერქვა, მოგვიანებით – ბიზნესისა და მართვის ფაკ-ტი, 2013-თვის – ეკონ., ბიზნესისა და მართვის ფაკ-ტი. ფუნქციონირებს აგრეთვე ჰუმანიტარული ფაკ-ტი, სადაც მოქმედებს ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამა და სლავური ფილოლ. სამაგისტრო პროგრამა.

უნ-ტში 2009-იდან არსებობს ჯანდაცვის ფაკ-ტი; ამ ფაკ-ტზე მოქმედებს დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმან. პროგრამა. აქვს სტომატოლოგიური კლინიკა. რ-ის მიზანია სტუდენტების მიერ პროფ. და პრაქტ. კლინ. უნარ-ჩვევების გამომუშავება და აკად. გარემოში შეძენილი კომპეტენციების იმიტირებულ სიტუაციაში გამოცდა.

თ. ჰ. ს. უ-ს აქვს თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ორი კომპიუტერული კლასი, ბ-კა მდიდარი წიგნადი და ციფრული ფონდით (სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტ-რა, ბეჭდვითი გამოცემები და სამეცნ.-კვლ. ნაშრომები, აგრეთვე ისტ., მხატვრული, საინფორმაციო და სხვ. სახის ლიტ-რული და საინ-ფორმაციო მასალა); ელექტრონული ბ-კა (OPEN BIBLIO).



თბილისობა.

თბილისობა, თანამედროვე ქალაქური დღესასწაული. ტარდება 1979-იდან ოქტომბრის ბოლო კვირას. დღესასწაული თავისი ხასიათით, შინაგანი სოც. ბუნებით და დანიშნულებით ხალხთა მეგობრობის, ძმობისა და ერთობის მასობრივი თეატრალიზებული სანახაობაა. გამოყენებულია *ბერიკაობის, ყეენობის, თელეთობის,* მაისობისა და სხვა ქართ. დღესასწაულების ტრადიციები, რ-თა



თბილისური მარკა. 1857.

მეოხებითაც ცოცხლდება XIX ს. ქალაქური ცხოვრების სურათები. დღესასწაულზე დიდი ადგილი უჭირავს ხალხ. ხელოსნური ნაწარმის (კერამიკა, ჭედურობა, ხის და სპილენძის ნაკეთობა, ნართისა და შინნაქსოვი ქსოვილის, ხალიჩის, ფარდაგის, გობელენის) გამოფენა-გაყიდვას. დღესასწაულის ოფიც. ნაწილი ეთმობა სამოქალაქო რიტუალებს: ძეობას, ქორწინების რეგისტრაციას, ხელოსნის მიერ შეგირდის ოსტატად ხელდასხმას და სხვ. ირჩევენ ქალაქის საპატიო მოქალაქეებს. მათ ოფიციალურად გადასცემენ ჯილდოს – ქალაქის სიმბოლურ გასაღებს.

თ. დედაქალაქში მცხოვრები ყველა ეროვნების მოქალაქის დღესასწაულია. ძვ. ქალაქის რეკონსტრუირებულ უბანში, *რიყეზე,* იმართება დიდი საზეიმო კონცერტი, სკვერებსა და ქუჩებში – სახალხო სეირნობა, ღია ცის ქვეშ მუზეუმში – ფოლკლორისტთა და ხალხ. შემოქმედთა საღამო. 1991–96 ქალაქში შექმნილი ექსტრემალური ვითარების გამო დღესასწაული არ გამართულა. 1997-იდან თ. კვლავ აღდგა.

„თბილისური“, ვაზის ჰიბრიდული ჯიში. მიღებულია ,,ალექსანდრიული მუსკატისა'' და ,,რქაწითელის'' შეჯვარებით. აქვს გარეგნულად ლამაზი, დიდი მტევანი და მოყვითალო-მომწვანო, ჭარბრბილობიანი, ოვალური მარცვალი. ვაზი ინტენსიურად იზრდება, უხვმოსავლიანი (200 *ც/ჰა*-ზე), შენახვისუნარიანი და ტრანსპორტაბელურია. შაქრიანობა 19,5 – 21%-ია, მჟავიანობა – 5,4–5,7 *გ/დმ*^{3}. მწიფდება ოქტომბერში. ფართოდაა გავრცელებული აღმ. საქართველოს მევენახეობის რ-ნებში. ჯიში გამოიყვანეს ა. ქანთარიამ და ნ. ჩახნაშვილმა. *ქ. გეგეშიძე.*

თბილისური მარკა, პირველი

საფოსტო მარკა რუსეთის იმპერიაში. თბილ. საქალაქო ფოსტისათვის 1857 შედგენილი ჟურნალ-გაზეთების სახლში მიტანის წესდება გვამცნობს, რომ თბილ. საგუბერნიო საფოსტო კანტორასთან დაარსდა საქალაქო ფოსტის განყ-ბა; წესდება გვაწვდის საინტერესო ცნობას, რომ „... для облегчения публики продаются введенныя собственно для развозки почты особыя бумажныя штемпельныя печати, имеющия свойство облатки, съ платою за каждую по 6 к., продажа менее пяти таковыхъ печатей производиться не будет“. „ობლატკაზე“ არის წარწერა: ТЕФѵ ѵФЕ⊥ Городс. ПОЧТА 6 коп. [ტფილის (ის) ქალაქ (ის) ფოსტა 6 კაპ.]. წარწერა მოთავსებულია ოთხკუთხედში, რ-შიც ჩასმულია მრგვალი მედალიონი, შიგნით გამოსახულია ფრთებგაშლილი არწივი; „ობლატკა“, ვ. დალის განმარტებით, წარმოადგენდა მრგვალ წებოვან ქაღალდს, რითაც იბეჭდებოდა წერილები. არსებობს მოსაზრება, რომ 1857 დაბეჭდილი თბილისური „ობლატკა“, იმჟამინდელი რუს. იმპერიის სივრცეში პირველი „სამარკო ნიშანი“ იყო და ერთი წლით უსწრებდა რუსეთში 1858 გამოშვებულ საფოსტო მარკას.

წყარო: Кавказский Календарь на 1858 годъ, изданный отъ Канцелярии Наместника Кавказскаго, Тфл., 1857.

ლიტ.: არლაზოროვი მ., თქვენს სახელზე წერილია, თბ., 1957; ბრეგვაძე ბ., საქართველოს საფოსტო მარკების კატალოგი (1990–1999 წწ.), თბ., 2000; ჯავრიშვილი კ., მე თბილისელი ვარ, თბ., 1972.

თ. ბერიძე.

თბილისში აღმოჩენილი უცხოური მონეტები, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი უცხოური მონეტები და მონეტების განძი. ძვ. წ. II–I სს. მიეკუთვნება აქ აღმოჩენილი ბაქტრიული და მცირეაზიული (ქალაქების ამასტრიდისა და სოლის) მონეტები. ანტ. ხანის მონეტებიდან აღსანიშნავია ძვ. წ. I ს.–ახ. წ. I ს. რომაული დენარები, პართული დრაქმები, I–III სს. აზიის ბოსფორული მონეტები და შაპურ I-ის (241–272) სასანური დრაქმა. 1904 „მაიდანზე“ აღმოჩნდა სასანურ-ბიზანტიური ვერცხლის მონეტების შერეული განძი (დაახლ. 800 ც.), რ-ის ქრონოლ.დიაპაზონია 579–641. თბილისში მრავლადაა ნაპოვნი სხვადასხვა დროის (VI, X–XI სს.) სპილენძის, უფრო ოშვიათად – ოქროს ბიზანტ. მონეტები; მიკვლეულია VIII ს. არაბ. დირჰემი და ფელსები. 1961 ბოტან. ბაღის ტერიტ-ზე აღმოჩნდა X ს. დასასრულისა და XI ს. დასაწყისის არაბ. ვერცხლის მონეტების ნატეხების განძი. მრავლადაა ნაპოვნი XI–XIII სს. შირვანშაჰების, ილდეღიზიდებისა და სელჩუკების მონეტები. დადასტურებულია ქართ.-აღმ. მონეტების რამდენიმე შერეული განძი. თბილისში აღმოჩენილია ჯალაირიდებისა და ჰულავუიდების სახელით XIV ს-ში მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები, მ. შ. განძიც. მრავლად ჩნდება ირან. და თურქ. მონეტები. აღსანიშნავია 1929–30 აბანოთუბანში აღმოჩენილი XVIII ს. ირან. ვერცხლის მონეტების დიდი განძი. თბილისში მიკვლეულია ევრ. მონეტებიც (იხ. *ევროპული მონეტების განძი*). ყოველივე ეს მიუთითებს, რომ თბილისს ინტენს. სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთის და დასავლეთის მრავალ ქვეყანასთან.

ლიტ.: აბრამიშვილი თ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პართული მონეტების კატალოგი, თბ., 1974; მისივე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1965; ანთაძე მ., საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა XV–XVIII საუკუნეებში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, თბ., 1982; ქებულაძე რ., ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV–XVIII საუკუნეებში, თბ., 1971; Брашинский И. Б., К истории экономических связей Восточного Причерноморья в античную эпоху (по нумизматическим данным), «Известия АН Грузии», 1967, т. 47, №3; Джалагания И. Л., Иноземная монета в денежном обращении Грузии V–XIII вв., Тб., 1979; Кутелия Т. С., Грузия и сефевидский Иран, Тб., 1979. *გ. დუნდუა.*

თბილისში აღმოჩენილი ქართული მონეტები, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი მონეტები ერთეულებისა და სამონეტო განძების სახით. აღსანიშნავია რამდენიმე განძი: 1. 1935 კრწანისში აღმოაჩინეს 1227 წ. მოჭრილი რუსუდანის სპილენძის მონეტების განძი (1310 ც.). 2. 1940 რიყეზე აღმოჩნდა გიორგი III-ის, თამარის, აგრეთვე ჯალალედინის სახელით მოჭრილი მონეტები (239 ც.). ჯალალედინის მონეტები გადაჭედილია ქართ. ფულებიდან ჰიჯრით 623 (1226). 3. 1936 ავლაბარში შემთხვევით იპოვეს სპილენძის მონეტების განძი (120 ც.). მონეტების უმრავლესობა მოჭრილია 1227 რუსუდანის მიერ, მცირე რაოდენობით არის თამარისა და დავით სოსლანის, გიორგი IV-ის, ლაშასა და აღმ. მმართველთა სახელით მოჭრილი ფულები. 4. 1955 დიღომში აღმოჩნდა სპილენძის მონეტების განძი (474 ც.), მათი უმრავლესობა მოჭრილია თამარის დროს, დანარჩენი – გიორგი III-ის, გიორგი IV-ისა და აღმ. მმართველების სახელით. 5. 1917 მაჰმადიანების სასაფლაოზე გამოვლინდა სპილენძის ქართ. მონეტების განძი. მონეტები მოჭრილია გიორგი III-ის, თამარისა და ლაშა გიორგის სახელით. 6. 1907 მეტეხის შესახვევში აღმოჩნდა სპილენძის ქართ. მონეტების 2 განძი, რ-თა შემადგენლობაში შედიოდა გიორგი III-ის, თამარისა და გიორგი IV ლაშას მონეტები. 7. 1948–49, „განჯისკარის“ არქეოლ. გათხრების დროს, აღმოჩნდა სპილენძის 133ც. მონეტა, მ. შ. იყო XII–XIII სს. ქართ. ფული. 8. მდ. მტკვრის კალაპოტში სხვადასხვა დროს შემთხვევით აღმოჩენილია სხვადასხვა პერიოდის ქართ. მონეტები, მ. შ. ჭარბობს XII–XIII სს. მონეტები.



თბილისში აღმოჩენილი უცხოური მონეტები. სპილენძი. მანგუყაენი. 1254. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი.

ლიტ.: Джалагания И. Л., Иноземная монета в денежном обращении Грузии V–XIII вв., Тб., 1979; Пахомов Е. А., Монетные клады Азербайджана и Закавказья, в. 1, Баку, 1926. *გ. დუნდუა.*

„თბილმეტრომშენი“, *„თბილგვირაბმშენის“* პირვანდელი სახელწოდება, შეიქმნა თბილისში 1951 მეტროპოლიტენის მშენებლობასთან დაკავშირებით.

„თბილმრეწვმშენი-3“ (სააქციო საზოგადოება), ერთ-ერთი მძლავრი სამშენებლო ორგანიზაცია საქართველოში. საქართვ. მშენებლობის სამინისტროს №3 სამშ.-სამონტაჟო ტრესტი „თბილმრეწვმშენი“ დაარსდა 1960 თბილისში. 1996 მის ბაზაზე შეიქმნა სააქციო საზ-ბა „მ-3“. სააქციო საზბა აშენებდა სამრეწვ., საბინაო და კულტ.-საზ. დანიშნულების ობიექტებს. აღჭურვილი იყო თანამედროვე მექანიზმებითა და სატრანსპ. საშუალებებით. მის შემადგენლობაში შედიოდა: 5 სამშ.-სამონტაჟო სამმართველო, მექანიზაციის უბანი, კომპლექტაციისა და მომარაგების სამმართველოს საწარმოო კომბინატი (ამზადებდა ბეტონის, რკინაბეტონისა და ლითონის კონსტრუქციებს, სადურგლო ნაკეთობებს, სამშ. ბლოკებს), გაჯის საამქრო. „მ-3-მა“ ააშენა 500-ზე მეტი ობიექტი, მ. შ.: ფიზ., გეოფიზ., მათ., კიბერნეტიკისა და თერაპიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტები, საიუველირო (ახლანდ. „ზარაფხანა“), შამპანური ღვინოების (ახლანდ. „ბაგრატიონი 1882“), კონიაკის (ახ-



თბილისში აღმოჩენილი ქართული მონეტები. სპილენძი. რუსუდანი. 1227. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი.



თბილური დრამა. ყაანური. ვერცხლი. ანონიმური. 1270. ზემოთ – შუბლი, ქვემოთ – ზურგი.

ლანდ. ,,სარავჯიშვილი‘‘), ,,თბილრძის‘‘ (ახლანდ. ,,სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები‘‘) ქ-ნები, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ფ-კა (დ. გურამიშვილის გამზ. 64), უნივერმაღები: ,,თბილისი‘‘, ,,ბავშვთა სამყარო‘‘, აგრეთვე ატომური რეაქტორი მცხეთაში, სატელევიზიო ანძა, ა. გრიბოედოვის სახ. რუსული დრამ. თეატრი, ცენტრ. ველოდრომი, მინისტრთა საბჭოს ავტობაზა (კრწანისში), ,,ცენტრალური სუპერმარკეტი‘‘ (ახლანდ. ,,დეზერტირების ბაზარი‘‘), ,,საყოფაცხოვრებო სახლი‘‘ ავჭალის გზატკეცილზე, №4 სახლთმშენებელი კომბინატი დიღომში, ,,ბავშვთა სოფელი‘‘ შ. ნუცუბიძის IV პლატოზე, ექსპერ. საცხოვრ. სახლები ლ. უკრაინკას, ტ. შევჩენკოსა და ს. ჩიქოვანის ქუჩებზე და სხვ., სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაატარა თბილ. მაუდკამვოლის კომბინატში (ახლანდ. ,,მაუდი‘‘), ,,ცენტროლიტში‘‘, საავიაციო და ჩარხმშენებელ ქ-ნებში, ,,დინამოს‘‘ ეროვნ. სტადიონზე. აღადგინა თსუ-ის II კორპუსი და კავშირგაბმ. სამინისტროს ადმ. შენობა. ,,თ-3-ის‘‘ აშენებულია მთელი საქართველოს მასშტაბით ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი.

2012-იდან სამშ. ორგანიზაცია აღარ ფუნქციონირებს.

,,თბილსახავტოგზაპროექტი‘‘, საავტომობილო გზების თბილისის სახელმწიფო საპროექტო-საძიებო ინსტიტუტი. დაარსდა 1938. „თ-ის” საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა: საავტ. გზებისა და მათზე ხელოვნური ნაგებობების პროექტირება. ინ-ტს შედგენილი აქვს ურთულესი საავტომობილო გზების პროექტები მსოფლიოს 18 ქვეყანაში, მ. შ. ამიერკავკასიასა და ყოფ. საბჭ. რესპუბლიკებში. „თ-ს‘‘ ჰქონდა 8 განყ-ბა, აგრეთვე გეოლ. ლაბორატორია და მძლავრი სატრანსპ. ბაზა. თანამშრომელთა დიდ ნაწილს მიღებული აქვს საქართვ. და საკავშირო მთავრობის ჯილდოები. 2006-იდან ,,თ.‘‘ გადაკეთდა შპს-დ და ეწოდა ,,გზაკომუნიკაციების პროექტი და ექსპერტიზა‘‘.

,,თბილსრესი“ (სააქციო საზოგადოება), თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი ბაზისური თბოელექტროსადგური. მდებარეობს გარდაბანში, თბილისიდან 36 *კმ*-ზე. ,,თ.‘‘ კონდენსაციური ტიპისაა. მთელი სიმძლავრე ემსახურება ელექტროენერგიის წარმოებას, ხოლო თბოენერგიას უმნიშვნელო რაოდენობით გამოიმუშავებს. შედგებოდა 10 ენერგობლოკისაგან, ამჟამად მის შემადგენლობაშია 2 მოქმედი ენერგობლოკი. სადგურის დადგმული სიმძლავრეა 272 *მეგვტ* (2013 წ. 1 იანვრის მდგომარეობით).

1958 წ. მაისში საკავშ. მთავრობამ გადაწყვიტა თბილ. მახლობლად ელექტროსადგურის აშენება. 1958 წ. ივლისში საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ელექტროსადგურის ასაშენებლად გამოიყო მიწის ნაკვეთი მცხეთის რ-ნში, ზაჰესთან ახლოს, მაგრამ იმის გამო, რომ სადგურის ექსპლუატაციაში შეყვანის შემდეგ მოსალოდნელი იყო დედაქალაქის ეკოლ. დაბინძურება, მთავრობამ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და 1959 წ. მაისში სადგურის ასაშენებლად საბოლოოდ შეარჩია რუსთავი (გარდაბნის რ-ნი).

,,თ-ის‘‘ მშენებლობა დაიწყო 1960 წ. მარტში. პირველი სამი ენერგობლოკი 1963–65 ამოქმედდა, რ-თა სიმძლავრე 450 (3×150) ათ. *კვტ* შეადგენდა, ხოლო 1967–72 მათ დაემატა კიდევ 800 (5×160) ათ. *კვტ* სიმძლავრის ხუთი ბლოკი. თბოელექტროსადგურის ამოქმედება ახ. ნაბიჯი იყო საქართვ. ელექტროენერგეტ. განვითარებაში. მისმა ამუშავებამ ელექტროენერგიის წარმოებაში მკვეთრად შეცვალა ჰიდროელექტროსადგურებისა და თბოსადგურების სიმძლავრეებს შორის მანამდე დამყარებული პროპორცია. თუ 1963 თესების ხვ. წ. ელექტროენერგიის საერთო გამომუშავებაში იყო 36,9%, 1970 წ. – 70,5%, 1975 წ. – 77,9%-მდე გაიზარდა. აქედან ძირითადი წილი ,,თ-ზე‘‘ მოდიოდა. თავისი არსებობის ისტორიაში ,,თ-მა‘‘ ყველაზე მეტი ელექტროენერგია – 7763 მლნ. *კვტ.სთ* –1977 წ. გამოიმუშავა.

1990–94 ჩატარდა ,,თ-ის‘‘ რეკონსტრუქცია-გაფართოება. ამის შედეგად ექსპლუატაციაში შევიდა ახალი თაობის ზეკრიზისული პარამეტრებით მომუშავე მე-9 (1991) და მე-10 (1994) ენერგობლოკები, თითოეული 300 *მეგვტ* სიმძლავრის. 2000 წლის აპრილში აღნიშნული ბლოკები შეიძინა ამერ. კომპანიამ ,,ეი-ი-ეს-მა‘‘ და მათ ბაზაზე ჩამოყალიბდა შპს ,,ეი-ი-ეს–მტკვარი‘‘. 2004-იდან მისი მეპატრონეა რუს. კომპანია ,,რაო-ე-ესი‘‘ (შემდგომში ,,ინტერრაო‘‘), რ-იც ფუნქციონირებს შპს *,,მტკვარი–ენერგეტიკის‘‘* სახელწოდებით.

1998 წ. მაისიდან თბილ. სახელმწ. რაიონული ელექტროსადგურის ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბა ,,თ.‘‘ მის შემადგენლობაში დარჩენილი რვა ბლოკიდან მთლიანად ამორტიზებულია ექვსი და შედარებით ქმედითუნარიანია ორი (№3, №4).

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში №10 ბლოკის მწყობრიდან გამოსვლისა და საწვავის (ბუნებრივი გაზისა და მაზუთის) ქრონიკული დეფიციტის გამო სადგურში მკვეთრად იცვლებოდა ელექტროენერგიის გამომუშავება. ,,თ-ის‘‘ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია (მლნ. *კვტ.სთ):* 1965 წ.–1447,0; 1970 წ.–4946,3; 1975 წ.–7723,9; 1980 წ.–6734,7; 1985 წ.–6948,9; 1990 წ.–5578,1; 1995 წ.–699,2; 2000 წ.–1520,1; 2005 წ.–292,1; 2010 წ.–90,6; 2012 წ.–1106,2; 2013 წ. – 816,8. ,,თ-ის‘‘ წილი საქართვ. ელექტროენერგიის საერთო გამომუშავებაში შეადგენს 8,3 %-ს, ხოლო თბოსადგურებში – 48,1%-ს (2013).

,,თ-ის‘‘ ქმედითობა მნიშვნელოვნად განაპირობებს საქართველოს ელექტროენერგიით უზრუნველყოფის დონეს, ამიტომ მისი ნორმალური მუშაობა ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების მნიშვნელოვანი პირობაა. *დ. ჩომახიძე.*

თბილური დრამა, VIII–XIV სს. თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ვერცხლის მონეტების აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი. მათ რიცხვს მიეკუთვნება: 1. VIII–X სს. ომაიანთა და აბასიანთა დირჰემები. ერთ მხარეზეა მუსლიმური სარწმუნოებრივი სიმბოლო, ზარაფხანის სახელწოდება და მოჭრის თარიღი; მეორეზე – ზედწერილები ყურანის სურებიდან). 2. თბილისის ჯაფარიანი ამირების ვერცხლის ფული (შუბლზე რელიგ. ფორმულაა და ცნობები ზარაფხანისა და მოჭრის დროის შესახებ; ზურგზე – ხალიფისა და ჯაფარიანი ამირას სახელები). 3. XII ს. 30–40-იანი წლების პირველი ანონიმური მონღოლური მონეტები (მშვილდისა და მხედრის გამოსახულებით, წარწერით: ,,მონღოლთა დიდი ულუს-ბექი‘‘). 4. მანგუ-ყაენის დირჰემები (შუბლზე, ცენტრში არაბული წარწერაა: ,,მანგუ-ყაანი, უზენაესი, სამართლიანი‘‘, გარშემო – მოჭრის ადგილი, ზურგზე

– მაჰმადიანური სარწმუნოებრივი სიმბოლო, ზარაფხანა და მოჭრის თარიღი). 5. ყაანურები. 6. ქართ.-ჰულაგუიანური დირჰემები. 7. ქართველ მეფეთა დრამები: დავით VI ნარინის (შუბლზე – ცხენოსანი მეფე, სახელის მონოგრამა, თარიღი ქორონიკონით; ზურგზე – დავითის სახელის შემცველი სპარს. ზედწერილი და მოჭრის ადგილი); დავით VII ულუს (შუბლზე – დავითის სახელის შემცველი არაბ. ზედწერილი და ზარაფხანის სახელწოდება; ზურგზე – მანგუ-ყაენის სახელის შემცველი ზედწერილი სპარსულად, მოჭრის თარიღი – არაბულად); დავით VIII-ის (შუბლზე – ყაზან-ყაენის სახელის შემცველი ლეგენდა, ზურგზე – ქრისტ. ლოცვა არაბულად: ,,სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა, ღმერთისა ერთისა'' და დავითის სახელის მონოგრამა ქართულად, გარშემო – მოჭრის თარიღი); ვახტანგ III-ის (შუბლზე – ყაზან-ყაენის სახელის შემცველი ოთხსტრიქონიანი უიღურული ზედწერილი, ზურგზე – ქრისტ. ლოცვა, ჯვარი და ვახტანგის სახელის მონოგრამა, გარშემო – თარიღი). 8. 1300–1355 მოჭრილი ილხანთა საერთო ჰულაგუიანური ტიპის დირჰემები (შუბლზე – ილხანის სახელი და ეპითეტების შემცველი ზედწერილი; ზურგზე – შიიტური სარწმუნოებრივი სიმბოლო, მოჭრის ადგილი და დრო).

ლიტ.: კ ა პ ა ნ ა ძ ე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; Д ж а л а г а н и я И. Л., Из истории монетного дела в Грузии XIII в., Тб., 1958; П а х о м о в Е. А., Монеты Грузии, ч. 1, СПб., 1910.

ი. ჯალაღანია.

თბილური ფულუსი, ქ ა რ თ უ ლ ი ფ უ ლ უ ს ი, სეფიანთა ირანის ანონიმური საქალაქო მონეტის მსგავსი სპილენძის ფული, იჭრებოდა XVII–XVIII სს. თბილ. ზარაფხანაში, საქართვ. ცენტრ. ხელისუფლების მიერ. მონეტების მიმოქცევის არე იყო ქართლისა და გარეკახეთის ტერიტორია. როსტომ მეფის დროს ერთ მ. ფ-ზე შაჰ სეფი I-ის სახელი გაჩნდა, როგორც თანადროულ ვერცხლის მონეტებზე. როდესაც სამეფომ მეტი დამოუკიდებლობა მოიპოვა, ფულუსზე ქართ. ასოებით თავისი სახელები მოათავსეს ქართლის მმართველებმა – ვახტანგმა, სიმონმა, ბაქარმა. მ. ფ-ის ერთ მხარეზე რეალური ან ფანტასტიკური ცხოველი (ლომი, ირემი, ხარი, ცხენი, დრაკონი, ფარშავანგი, მარტორქა), მზე ან გემი იყო გამოსახული; მეორე მხარეზე – სპარს. წარწერა: ,,ფულუსი იჭედა თბილისს'', წელი ჰიჯრით.

XVIII ს. შუა ხანებიდან მ. ფ-ზე თავიანთ სახელს ათავსებენ დამოუკიდებელი ქართლ-კახეთის მეფეები: თეიმურაზ II, თეიმურაზ II და ერეკლე II ერთად, ერეკლე II, გიორგი XII, ბატონიშვილი დავით გიორგის ძე; მეორე მხარეზე, გარდა ცხოველებისა, ჩნდება შემდეგი გამოსახულებები: ბაგრატიონთა გერბი, ორთავიანი ან ერთთავიანი არწივი. მ. ფ-ზე ზოგჯერ წელი ქრისტ. წელთაღრიცხვით არის მითითებული. 1640-იდან 1801-მდე ფულუსის სამი ნომინალი იჭრებოდა – ბისთი, ნახევარი ბისთი და ბისთის მეოთხედი ფული.

ლიტ.: კ ა პ ა ნ ა ძ ე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; К у т е л и я Т. С., Грузия и сефевидский Иран, Тб., 1979; П а х о м о в Е. А., Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII–XVIII вв. Отдельный оттиск, Баку, 1928.

თ. ქუთელია.

„თბილქალაქმშენი“, დედაქალაქის მთავარი სამშენებლო ორგანიზაცია. შეიქმნა 1925. წლების განმავლობაში სხვადასხვა სახელი ერქვა (,,ახალმშენი'', ,,სკოლმშენი'', ,,თბილმშენი'', ,,მთავართბილმშენი''). ,,თბილმშენი'' შეიქმნა 1935. 1947 მას შეუერთდა ტრესტი ,,ინჟმშენი''. 1957 ,,თბილმშენი'' გადაკეთდა საცხოვრ. და სამოქალაქო მშენებლობის სამმართველოდ – ,,მთავართბილმშენად'', რ-საც 1959 გამოეყო ,,თბილგაზმშენი''. 1963-იდან ,,მთავართბილმშენი'' საქართვ. მშენებლობის სამინისტროს შემადგენლობაში შევიდა; მას ევალებოდა ქალაქის მეურნეობის რეკონსტრუქცია, საცხოვრებელი, კულტ. და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა, დაგეგმარება და ა. შ. 30-იან წლებში აიგო ,,იმელისა'' და ცირკის შენობები, ფუნიკულიორის ზედა პლატო, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ახლანდ. თავისუფლების მოედანსა და ბარათაშვილის აღმართს. განსაკუთრებით მასშტაბური სამუშაოები ჩატარდა II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში: აშენდა კინოთეატრი ს. შაუმიანის ქუჩაზე (ახლანდ. ქეთევან დედოფლის გამზირი), ,,საქჩაის სახლი'', სკოლები, საცხოვრ. სახლები, სპორტის სასახლე, სას.-სამ. ინტი დიღომში, ქორწინების სახლი დ. უზნაძის ქუჩაზე, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი, სასტუმროები: ,,საქართველო'', ,,ივერია'', ,,აჭარა'', ,,აფხაზეთი'', ფიზკულტ. და ვეტ. ინ-ტები, თსუ-ის მაღლივი კორპუსი, საცურაო აუზი ვაკეში, მეტეხის, ვერის, დიდუბის (ახლანდ. გალაკტიონის სახ.) ხიდები, ყველა კომუნიკაცია მტკვრის სანაპიროზე; ხელნაწერთა ინ-ტი; განახლდა ლოკომოტივის ძვ. სტადიონი, დაიდგა შოთა რუსთაველისა და ა. გრიბოედოვის ძეგლები; აშენდა ტელეცენტრი, კავშირგაბმ. სამინისტროს, თბილ. ფოსტამტის, სამეცნ.-ტექ. ბიბლიოთეკის, ჭადრაკის სასახლის შენობები; საცხოვრ. მასივები და სახლები (საბურთალო, ნუცუბიძის ზემო პლატო, ვარკეთილი, ვაზისუბანი, ,,სამგორი'', ,,თემქა'', ,,მუხიანი'', გლდანი, დიღომი, დიდი დიღომი, ყოფ. მერვე ლეგიონი, ქვემო და ზემო ფონიჭალა ხევმძარი, ვაშლიჯვარი და სხვ.). ,,მთავართბილმშენის'' ხელმძღვანელები სხვადასხვა დროს იყვნენ: კ. მორეტი, ა. ჩიტაშვილი, გ. ვაშაკიძე, გ. კვიჭიძე, ი. ქევხიშვილი, თ. ჯანაშია, ა. თოფურია. 1975 ,,მთავართბილმშენს'' სახელწოდება შეეცვალა და ,,თბილქალაქმშენი'' დაერქვა.

1995 გაერთიანება ,,მ.'' დაიყო სააქციო საზოგადოებებად, შეიქმნა 17 სააქციო საზ-ბა, 1997 კი მოხდა მათი პრივატიზაცია.

იხ. აგრეთვე სტ. *თბილისი* (თავი არქიტექტურა).

„თბილქალაქპროექტი“, იხ ,,*ქალაქპროექტი*''.

„თბილქიმფარმი“ (სააქციო საზოგადოება), სამკურნალო პრეპარატების მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანია კავკასიაში. 1934 დაარსდა თბილ. ქიმ.-ფარმაცევტული ქ-ნა, რ-ის ბაზაზე 1981 შეიქმნა საწარმოო გაერთიანება ,,საქქიმფარმპრეპარატები''. მასში გაერთიანდა თბილ. ქიმ.-ფარმაცევტული (სათავო საწარმო) და ბათუმის კოფეინის ქ-ნები, ქობულეთისა და შუა ხორგის სამკურნ. მცენარეების საბჭოთა მეურნეობები. 1986, ახმეტის ბიოქიმიური ქ-ნის მიერთების შემდეგ, მას დაერქვა საწარმოო გაერთიანება ,,საქბიოფარმპრეპარატები''. 1994 გაერთიანება დაიშალა და თბილ. ქიმ.-ფარმაცევტული ქ-ნის ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბა ,,მ.'' საწარმო პრივატიზებულია და მთლიანად შრომითი კოლექტივის საკუთრებაა. ,,მ-ის'' პრიორიტეტული მიმართულებაა

ადგილობრივი, ეკოლოგიურად სუფთა სამკურნ. მცენარეებსა და სხვა სახის ნედლეულზე დამზადებული ნატურალური სამკურნ. საშუალებების წარმოება. იგი უშვებს 60-მდე დასახელების სხვადასხვა დანიშნულების სატაბლეტო, საინიექციო და გალენურ პრეპარატებს (ვიტამინები, გამხსნელები, ფსიქოტროპული, კუჭ-ნაწლავისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნ. საშუალებები, მალამოები და სხვ.).

წარმოებისათვის ძირითადად გამოიყენება ადგილობრივი ნედლეული, ნაწილი კი შემოდის გერმანიიდან, შვეიცარიიდან, კვიპროსიდან, ინდოეთიდან, ჩინეთიდან. ფარმაცევტული პროდუქცია კონკურენტუნარიანია და იგზავნება საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. საერთაშ. ბაზარზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა ადგილობრივ სამკურნ. მცენარეებზე (ვალერიანის ფესვები, შავბალახა, პიტნა) დამზადებულ ორიგინ.



,,თბილღვინოს'' პროდუქცია.

(სედატონი, ნიუსედი), ბიომასტიმულირებელ, ანთების საწინააღმდეგო (ალოეს მშრალი ექსტრაქტი, ალოეს საინიექციო ხსნარი ამპულებში) პრეპარატებზე. ქ-ნას აქვს მძლავრი ტექ. ბაზა, სამეცნ.-კვლ. ლაბორატორია (მუშაობს საქართველოში არსებული სამკურნ. მცენარეების ექსტრაქციის გზით ახ., ორიგინ. სამკურნ. პრეპარატების მიღების ტექნოლოგიათა დამუშავებასა და წარმოებაში დანერგვაზე), მარკეტინგული სამსახური და ფართო სადისტრიბუციო ქსელი. საწარმოს მჭიდრო კავშირი აქვს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ფარმაცევტულ კომპანიასთან. 1996–97 ფრანგი და გერმ. ექსპერტების ხელმძღვანელობით განხორციელდა საწარმოს რესტრუქტურიზაცია, რ-ის საფუძველზეც მოხდა მისი ტექ. გადაიარაღება. კომპანია მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებისა და კარგი მენეჯმენტისათვის დაჯილდოვდა „ოქროს ვარსკვლავით'' და ხარისხის სერტიფიკატით (2004, მადრიდი), „ოქროს პრიზით'' (2004, ნიუ-იორკი), „პლატინის ვარსკვლავით'' და სერტიფიკატით (2004, პარიზი).

„თბილღვინო'' (სააქციო საზოგადოება), ღვინის მწარმოებელი მსხვილი კომპანია. მისი ისტორია იწყება 1962-იდან, როდესაც თბილისში გაიხსნა საქართველოში იმ დროისათვის ერთ-ერთი დიდი ღვინის ქ-ნა (№3 ღვინის ქ-ნა), რ-იც, როგორც სათავო საწარმო, 1974 შევიდა ,,სამტრესტის'' შემადგენლობაში შექმნილ თბილ. საწარმოო გაერთიანება ,,თბილღვინოში''. 1990–92 გაერთიანების ეტაპობრივი დაშლის შემდეგ №3 ღვინის ქ-ნას ეწოდა ღვინის წარმოების სახელმწ. სამრეწვ.-კომერციული ფირმა ,,თბილღვინო'', რ-ის ბაზაზეც 1994 ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბა ,,თ.'' რეორგანიზაციის შემდეგ, 1999, საწარმოში ჩატარდა რესტრუქტურიზაცია. შეიცვალა და გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი და ვიზუალური მხარე. ამავე წელს ,,თ-მ'' იქირავა პირველადი მელვინეობის ქ-ნა კახეთში და სრული ციკლის საწარმოდ გადაიქცა, რამაც ხელი შეუწყო მაღალხარისხიანი ღვინის წარმოებას. 2006-იდან დაიწყო და 2008 დასრულდა ,,თ-ს'' თბილისში არსებული მეორეული ღვინის ქ-ნის სრული რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია და გადაიარაღება თანამედროვე ევრ. სტანდარტების ტექნოლ. დანადგარებით და მოწყობილობით. 2009 კომპანიაში ინტეგრირებულად დაინერგა საერთაშ. მართვის ორი სისტემა: ISO 9001 (ხარისხის მართვის სისტემა) და ISO 22000 (საკვების უვნებლობის სისტემა), რამაც კომპანიას საშუალება მისცა, გააკონტროლოს ღვინის ხარისხი წარმოების ყველა ეტაპზე. 2012 წ. სექტემბერში ,,თ-მ'' კახეთის რეგიონში, ყვარელთან გახსნა ყურძნის პირველადი გადამუშავების საკუთარი საწარმო, რ-იც აღჭურვილია ევრ. სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე იტალ. დანადგარებით, რაც სეზონზე 5000 ტ ყურძნის მიღება-გადამუშავების შესაძლებლობას იძლევა. ,,თ.'' აწარმოებს 100 დასახელების ყურძნის ღვინოს, მ. შ. როგორც ტრად. ქართულ, ისე ევრ. ტიპის ღვინოებს. პროდუქცია გამოდის სხვადასხვა სავაჭრო ნიშნით: ,,თბილღვინო'', ,,საქართველოს ველები'', ,,ივერიული'', ,,ადათი'' და ,,განსაკუთრებული მარაგი''. რამდენიმე სავაჭრო ნიშნით ღვინის წარმოება აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც ,,თ-ს'' ღვინოებზე სხვადასხვა ქვეყანაში მოთხოვნა გაიზარდა. ქ-ნის საწარმოო სიმძლავრე გათვლილია წელიწადში 6 მლნ. ბოთლი ღვინის წარმოებაზე. პროდუქციის დიდი ნაწილი საექსპორტოა და მრავალ ქვეყანაში იგზავნება.

,,თ.'' ექსპორტის მოცულობით ლიდერობს ქართ. ღვინის მწარმოებელ კომპანიებს შორის (2009–12 წწ. მონაცემებით). კომპანია აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა პრესტიჟულ საერთაშ. და ადგილობრივ კონკურსებში, სადაც მის მიერ გამოშვებულ ღვინოებს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მ. შ.: 10 ოქროს, 23 ვერცხლისა და 47 ბრინჯაოს მედალი (2006–13).

გ. მარგველაშვილი.

„თბილხელსაწყო'' (სააქციო საზოგადოება), ხელსაწყოთმშენებლობის საწარმო. ქ-ნა დაარსდა თბილისში 1958 ხელსაწყოთმშენებლობის დარგის განვითარების მიზნით, ექვემდებარებოდა საკავშ. ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების სამინისტროს. 1996 მის ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბა ,,თ.'' ქ-ნაში სრულდება შემდეგი ტექნოლ. პროცესები: ლითონის მექან. დამუშავება; ფერადი ლითონისა და პლასტმასის წნევით დამუშავება; ლითონის გალვანური დამუშავება; აგრეთვე საამწყობო სამუშაოები და სხვ. ამასთანავე ,,თ-ს'' აქვს საინსტრუმენტო საამქრო, რ-იც ამზადებს სხვადასხვა სამარჯვს, ყალიბსა და შტამპს. საწარმოში ასევე მზადდება ლიფტების მართვის კარადები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტროხელსაწყოები (ავტომატური ელექტროჩაიდანი პლასტმასის კორპუსით, საყოფაცხოვრებო სასწორი და სხვ.). საწარმო 2000-იდან სპეციალიზებულია სამგზავრო და სატვირთო ლიფტების მონტაჟსა და მომსახურებაზე, ასევე აღნიშნული ლიფტების სათადარიგო ნაწილების დამზადებაზე.

თბოელექტროსადგური, იხ. *თბოენერგეტიკა.*

„თბოელექტროცენტრალი'' (სააქციო საზოგადოება), კოგენერაციული თბოელექტროსადგური თბილისში (ყოფ. დიდუბე-ჩუღურე-

თის რ-ნში). შეიქმნა 1997 თბილ. თბოელექტროცენტრალის (თეცი) საფუძველზე. იგი საქართველოში იყო ერთადერთი კომუნ. დანიშნულების თეცი, რ-იც კომბინირებულად გამოიმუშავებდა ელექტრულ და თბურ ენერგიას (ნამუშევარი ორთქლის გამოყენების შედეგად). ელექტროენერგიას აწვდიდა საქართვ. ენერგოსისტემას, ხოლო თბილ. ცენტრ. ნაწილის მოსახლეობას – სითბოსა და ცხელ წყალს. სადგურის დადგმული სიმძლავრე იყო 18 ათ. *კვტ*.

თეც-ის აშენების აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა თბილ. (რ-იც იმ დროს მხოლოდ ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიით მარაგდებოდა) ელექტრომომარაგებაში არსებული სეზონური ცვალებადობის გამო. 1934 „კავკასენერგოს“ დავალებით „კომუნენერგომშენის“ მოსკ. სექტორმა შეადგინა თბილ. თეც-ის ტექ. პროექტი, რ-იც დაამტკიცა თბილ. საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმმა 1936. თეც-ის პირველი აგრეგატი ამუშავდა 1939, ხოლო მეორე – 1940. თავდაპირველად მუშაობდა მაზუთზე, 1960-იდან – ბუნებრივ აირზე. სადგური რამდენჯერმე გაფართოვდა. XX ს. 80-იანი წლების დამდეგს მის თბოქსელებზე მიერთებული იყო 920 საცხოვრებელი სახლი და 240 ადმ. შენობა, აგრეთვე 480 ცხელწყალმომარაგების ბოილერი. იგი დედაქალაქის მნიშვნელოვანი სტრატეგ. ობიექტი იყო. თბილ. თეც-ის მიერ ცალკეულ წლებში წარმოებული ელექტროენერგია იყო (მლნ. *კვტ. სთ*): 1970 წ. – 86,9; 1975 წ. – 64,9; 1980 წ. – 76,0; 1985 წ. – 116,2; 1990 წ. – 96,1; 1995 წ. – 4,0; 2000 წ. – 20,3; 2001 წ. – 4,3; ამასთან ერთად ყოველწლიურად საშუალოდ გამოიმუშავებდა 396 ათ. *გკალ* თბოენერგიას. 1995-იდან თეცი სეზონურად მუშაობდა (წელიწადში 4 თვე). ბოლო წლებში, სადგურის შეფერხებებით მუშაობის გამო, წარმოებული ელექტროენერგიის შემცირების პარალელურად მცირდებოდა თბოენერგიის გამომუშავებაც. 2001 წ. თებერვლიდან სადგური გაჩერდა.

იხ. აგრეთვე სტ. *თბოენერგეტიკა*.

დ. ჩომახიძე.

თბოენერგეტიკა, ენერგეტიკის დარგი, რომლის ამოცანაა თბური ენერგიის გარდაქმნა მექანიკურ ან ელექტრულ ენერგიად.

მექან. ენერგია მიიღება თბომექანიკურ დანადგარებში (თმდ), ელექტრული ენერგია კი – მექან. ენერგიის შემდგომი გარდაქმნისას ელექტრული გენერატორების დახმარებით ან ისეთი დანადგარებით, რ-ებიც თბურ ენერგიას უშუალოდ გარდაქმნის ელექტრულ ენერგიად (მაგნიტოჰიდროდინამიკური გენერატორები, თერმოელექტრული გენერატორები, ენერგიის თერმოემისიური გარდამქმნელები).

სხვადასხვა სახის ენერგიის თბურ და მექან. ენერგიად გარდაქმნის კანონებს, ამ გარდაქმნებში მონაწილე ნივთიერებების თვისებებს, სხვადასხვა ტიპის სითბური დანადგარების, მანქანების, აპარატებისა და მოწყობილობების კონსტრუქციებს, მათი მუშაობის, გაანგარიშების, დაპროექტების, დამონტაჟების, გამართვისა და ექსპლუატაციის პრინციპებს, ასევე სხვადასხვა სახის ტექნოლოგიურ პროცესებში თბური ენერგიის გამოყენების საკითხებს შეისწავლის *თბოტექნიკა*.

თ-ის დანადგარების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ენერგორესურსების სახე. თ ბ ო ე ლ ე ქ ტ რ ო ს ა დ გ უ რ ი (თეს) თ-ის დანადგარების ყველაზე გავრცელებული ტიპია, რ-იც იყენებს ორგ. სათბობის (ქვანახშირის, ნედლი ნავთობის, ბუნებრივი აირის, ბიოსაწვავის) წვის შედეგად გამოყოფილ თბურ ენერგიას. თესებში გამომუშავდება მსოფლიოში წარმოებული ელექტროენერგიის 80 %-მდე. ისინი აიგება ორთქლტურბინული და აირტურბინული დანადგარებით. ო რ თ ქ ლ ტ უ რ ბ ი ნ უ ლ ი ე ლ ე ქ ტ რ ო ს ა დ გ უ რ ი ძირითადად შედგება ქვაბ-აგრეგატისა და ორთქლის ტურბინისაგან. დიდ ქალაქებში უმეტესად აგებენ კ ო გ ე ნ ე რ ა ც ი უ ლ ელექტროსადგურებს – თბოელექტროცენტრალებს (თეცებს), ხოლო იმ რეგიონებში, სადაც სათბობი იაფია – კონდენსაციურ ელექტროსადგურებს. კოგენერაციული ელექტროსადგური ელექტრულ ენერგიასთან ერთად გამოიმუშავებს და მომხმარებელს აწვდის თბურ ენერგიასაც. ა ი რ ტ უ რ ბ ი ნ უ ლ ი ე ლ ე ქ ტ რ ო ს ა დ გ უ რ ი აირტურბინული ძრავაა. ასეთ ელექტროსადგურებს იყენებენ მაგისტრალური აირსადენების ენერგომომარაგებისათვის და პიკის საათებში დატვირთვის დასაფარავად, აგრეთვე – როგორც აირტურბინულ ბლოკეთცებს. ძალზე პერსპექტიულია მთელ მსოფლიოში უკვე ფართოდ გავრცელებული ელექტროსადგურები კომბინირებულ ორთქლაირული დანადგარებით. მათ ახასიათებს მაღალი ეკონომიურობა და კარგი ეკოლ. პარამეტრები. სათბობის მიერ გამოყოფილი სითბოს გამოყენების კოეფიციენტი ასეთ სადგურებში ძალზე მაღალია და შეადგენს 85–90 %, ხოლო გამომუშავებულ ელექტროენერგიაზე პ ი რ ო ბ ი თ ი ს ა წ ვ ა ვ ი ს კუთრი ხარჯი მინიმალურია [~ 200 *კგ/(მეგვტ·სთ)*; საუკეთესო თბოელექტროსადგურებისთვის იგივე მაჩვენებელი 1,5-ჯერ უარესია – ~ 300 *კგ/(მეგვტ·სთ)*; გარდაბნის თეს-ზე – ~ 400 *კგ/(მეგვტ·სთ)*].

ა ტ ო მ უ რ ი ე ლ ე ქ ტ რ ო ს ა დ გ უ რ ე ბ ი (აეს) XX ს. 50-იანი წლებიდან განვითარდა. პირველი ატომური ელექტროსადგური



თბოელექტროსადგური (გარდაბანი).



თბოელექტროცენტრალი მოსკოვში (რუსეთი).



ატომური ელექტროსადგური (პენსილვანია, აშშ).

აიგო 1954 ქ. ობნინსკში (კალუგის ოლქი, სსრკ, სიმძლავრე 5 *მეგვტ*). ატომურ ელექტროსადგურებში ენერგეტ. რესურსს წარმოადგენს ე.წ. ,,ბირთვული სათბობი‘‘. მძიმე ქიმ. ელემენტების – ურანის, პლუტონიუმის და სხვ. იზოტოპების ატომბირთვების დაყოფის მართვადი ჯაჭვური რეაქციის შედეგად გამოყოფილი დიდი ოდენობის სითბო ორთქლტურბინული დანადგარის საშუალებით ელექტროენერგიად გარდაიქმნება. აესები გამოიმუშავებს მსოფლიოში წარმოებული ელექტროენერგიის დაახლოებით 3 %. ამასთან, ზოგიერთ ქვეყანაში Თ-ის საფუძველს სწორედ აესები წარმოადგენს (საფრანგეთი – 78%-ზე მეტი; ბელგია, სლოვაკეთი – 50 %-ზე მეტი, უკრაინა – 50 %-მდე, სომხეთი, შვედეთი – 40 %-მდე და სხვ.). მსოფლიოში უმძლავრესი აეს კასივაძაკი-კარივა (იაპონია, 8212 *მეგვტ*) მოქმედებს 1997-იდან (დაზიანდა 2007 მიწისძვრის შედეგად, აღდგენილია 2010; 2011 უძლიერესი მიწისძვრის დროს არ დაზიანებულა). მიმდინარეობს 500 *მეგვტ* სიმძლავრის თ ე რ მ ო ბ ი რ თ ვ უ ლ ი რეაქტორის მშენებლობა (საერთაშ. პროექტი ITER, ბირთვული ენერგეტ. კვლ. ცენტრი ,,კადარაში‘‘ მარსელის სიახლოვეს, საფრანგეთი), რ-იც 2020 უნდა ამოქმედდეს. ასეთ დანადგარებზე ენერგიის გამოყოფა ხდება წყალბადის იზოტოპების (დეიტერიუმი, ტრიტიუმი) *მართვადი თერმობირთვული სინთეზის* შედეგად. ბირთვული თბოენერგეტიკული ციკლი, რ-იც მოიცავს ,,ბირთვული სათბობის‘‘ წარმოების ყველა სტადიას, ასევე მის გადამუშავებას გამოყენების სტადიაზე, აგრეთვე შესაძლო ავარიების შედეგად. აესების სამრეწვ. ექსპლუატაციის დაწყებიდან მოხდა რამდენიმე მსხვილი ავარია (თრი-მაილ-აილენდი, პენსილვანია, აშშ, 1979; ჩერნობილი, უკრაინა, სსრკ, 1986; ფუკუსიმა, იაპონია, 2011), რ-ებმაც გარემოს რადიოაქტიური დაბინძურება გამოიწვია. არ არის გადაჭრილი ექსპლუატაციიდან გამოყვანილი აესების კონსერვაციის პრობლემები.

გ ე ო თ ე რ მ უ ლ ი ე ლ ე ქ ტ რ ო ს ა დ გ უ რ ე ბ ი (გეოესი) იყენებს დედამიწის ღრმა ფენებში ბუნებრივად წარმოქმნილ თბურ ენერგიას – გეოთერმულ ენერგიას. 7–10 *კმ* და მეტ სიღრმეზე მშრალი, გახურებული კლდოვანი ქანების ტემპერა აჭარბებს 350 °C. ამ თბური ენერგიის (პ ე ტ რ ო ე ნ ე რ გ ი ი ს) მარაგი, შეფასებებით, ათ მილიონჯერ აჭარბებს დედამიწაზე ორგ. საწვავის ენერგიის სრულ მარაგს (პირობითი საწვავის $4 \cdot 10^{12}$ ტ). ტექტონიკურად აქტ. რეგიონებში გეოთერმული ენერგია ამოაქვს მიწისქვეშა *თერმულ წყლებს* და ორთქლს, რ-იც ამოდის ზედაპირზე ბუნებრივი ბზარებით, ზოგჯერ გეიზერების სახით (ჰიდროთერმული ენერგია). პეტროენერგიის ზედაპირზე ამოსატანად ბურღავენ ორ ღრმა ჭაბურღილს, ამათგან ერთში მაღალი წნევით ჩატუმბავენ წყალს, ხოლო მეორიდან ზედაპირზე ამოსული გადახურებული ორთქლის თბურ ენერგიას გარდაქმნიან ელექტროენერგიად ჩვეულებრივი ორთქლტურბინული ციკლის განხორციელების გზით. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მ.შ. საქართველოში, ზედაპირზე ამოსული ცხელი წყლის ენერგია უშუალოდ გამოიყენება შენობა-ნაგებობების გასათბობად, სოფლის მეურნეობაში, სამკურნ. მიზნებით, წარმოებაში და სხვ. პირველი გეოესი სიმძლავრით 7,5 *მეგვტ* ააგეს იტალიაში 1916. ამჟამად გეოესები მოქმედებს მსოფლიოს 30-მდე ქვეყანაში (2012 სრულმა სიმძლავრემ მიაღწია 15 000 *მეგვტ*). მძლავრი გეოესები აგებულია ასევე აშშ-ში (კომპლექსი ,,გეიზერები‘‘ კალიფორნიაში, სიმძლავრე 1500 *მეგვტ*), ფილიპინებზე. ისლანდიაში ელექტროენერგიის 30 %-მდე გამომუშავებულია გეოესებზე.



კოშკური ტიპის ჰელიოელექტროსადგური (ესპანეთი).

თერმული წყლების დიდი მარაგია ჩრდილოეთ კავკასიაში და ამიერკავკასიაში. ჰიდროთერმული ენერგიის ფართო გამოყენებას ზღუდავს შესაძლო ეკოლ. საფრთხეები: გრუნტის ლოკალური ჩაწოლა, სეისმური აქტივობის ლოკალური გაძლიერება, თერმულ წყლებში ტოქსიკური და რადიოაქტიური მინარევებისა და მარილების მაღალი შემცველობა. გეოესების მშენებლობისას პირველადი კაპიტალდაბანდებები აღემატება თესების მშენებლობის ღირებულებას.

მ ზ ი ს (ჰელიო) ე ლ ე ქ ტ რ ო ს ა დ გ უ რ ე ბ ი იყენებს მზის გამოსხივების ენერგიას. ასეთ სადგურებზე მზის გამოსხივება სპეც. ამრეკლავების – ჰელიოსტატების – სისტემის საშუალებით კონცენტრირდება წყლიან რეზერვუარზე, რ-იც ამ გამოსხივების შთანთქმის შედეგად ცხელდება 700 °C-მდე. წარმოქმნილი ორთქლის თბურ ენერგიას იყენებენ ისევე, როგორც სხვა თესებში. ჰელიოსტატი წარმოადგენს რამდენიმე $მ^2$ ფართობის მქონე სარკეს. სპეც. მოწყობილობა მართავს სარკის ორიენტაციას სივრცეში ისე, რომ ცაზე მზის ნებისმიერი მდებარეობისას ჰელიოსტატიდან არეკლილი გამოსხივება ეცემოდეს შთამნთქმელ რეზერვუარს. ჰელიოსტატების სამართავად იხარჯება ჰელიოესის მიერ გამომუშავებული ენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილი. მსოფლიოში უმძლავრესი ჰელიოესების



ფუხაგანის (ფილიპინები) გეოთერმული ელექტროსადგური.

შემდეგ, შენახვასა და მაღალრადიოაქტიური ნარჩენების დასამარებას, საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ძირითადად მად-

სიმძლავრე 200 *მეგვტ* აჭარბებს. 2020-ისთვის ევროკავშირის ქვეყნებში იგეგმება 26 300 *მეგვტ* სიმძლავრის ჰელიოესების აგება. ჰელიოესების ფართო გამოყენების ეკოლ. შეზღუდვები დაკავშირებულია ამრეკლავებითა და გამოსხივების კონცენტრატორებით მიწის დიდი ფართობების დაფარვის აუცილებლობასთან (პირდაპირი ეკოლ. შეზღუდვები), ასევე ამრეკლავების დასამზადებლად საჭირო მასალების მოპოვების ეტაპზე გარემოსათვის მიყენებულ ზიანთან (არაპირდაპირი ეკოლ. შეზღუდვები).

სადგურები მაგნიტოჰიდროდინამიკური გენერატორებით (მჰდგ) თბურ ენერგიას უშუალოდ ელექტროენერგიად გარდაქმნის. ასეთი სადგურების მუშაობის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ე.წ. დაბალტემპერატურული პლაზმა (ცხელი იონიზებული აირი) დიდი სიჩქარით გადაკვეთს მაგნიტურ ველს და გენერატორში აღიგზნება მუდმივი ელექტრომამოძრავებელი ძალა (ემძ), რ-იც შემდეგ ცვლად ემძ-დ გარდაიქმნება. მჰდგ-ის მუშაობის ბოლო ეტაპზე, გაცივებული აირების სითბოს გამოყენების მიზნით, ჩვეულებრივ ორთქლ- ან აირტურბინულ დანადგარს იყენებენ. ასეთ სადგურების მქკ მაღალია (50–60 %), რის გამოც მათ დიდი პერსპექტივა აქვთ.

დიზელ-ელექტროსადგურების თმდ-ია დიზელის ძრავა, რ-იც აბრუნებს გენერატორს. ასეთი ელექტროსადგურები ელექტროენერგიით ამარაგებს ელექტროგადაცემის ხაზებიდან დაშორებულ რაიონებს.

საავტომობილო ტრანსპორტზე თმდ-ებად იყენებენ შიგაწვის ძრავას, წყლის ტრანსპორტზე – ორთქლ- და აირტურბინულ დანადგარებს, ხოლო ავიაციაში – შიგაწვის ძრავას (საჰაერო ხრახნის საბრუნებლად), ტურბოხრახნულ ძრავას და რეაქტიულ ძრავას. სპეც. დანიშნულების მცირე ენერგეტიკულ დანადგარებში (მაგ., ელექტროენერგიის წყაროებში ავტონომიურ კოსმ. მოწყობილობებზე) იყენებენ სითბური ენერგიის უშუალოდ ელექტროენერგიად გარდამქმნელ თერმოელექტრულ და თერმოემისიურ გენერატორებს, მათ შორის – რადიოიზოტოპებზე მომუშავეს, რ-ებმაც მაღალი ღირებულებისა და დაბალი მქკ-ის (რამდენიმე პროცენტი) გამო ვერ პოვა ფართო გავრცელება.

თ-ის ყველა მიმართულებისათვის საერთო ეკოლ. შეზღუდვები დაკავშირებულია, პირველ რიგში, გარემოს სითბური დაბინძურების პრობლემასთან, რაც განპირობებულია თმდ-ებში მაცივრის გამოყენების აუცილებლობით. მეორე სერიოზული ეკოლ. საფრთხეა სათბურის აირების (ნახშირორჟანგი CO_2, წყლის ორთქლი H_2O და სხვ.) ატმოსფეროში ამოფრქვევა როგორც საწვავის წვის ეტაპზე, ასევე მაცივრისათვის ნარჩენი სითბოს გადაცემის ეტაპზე. მესამე საფრთხე – ტოქსიკური, მათ შორის რადიოაქტიური ნივთიერებების წარმოქმნა ან ზედაპირზე ამოტანა და ამ ნივთიერებების გაუვნებელყოფისა და უსაფრთხოდ დამარხვის აუცილებლობა. მეო-



თბილსრესი (გარდაბანი).

ხე საფრთხე – ავარიების შესაძლებლობა და გარემოსათვის ამის შედეგად მიყენებული ზიანის მასშტაბები.

საქართველოში თ-ის საფუძველს თესები წარმოადგენს. თ-ის განვითარება იწყება XIX ს. დასასრულს. 1887 ქართ. დრამ. თეატრის გასანათებლად თბილისში პირველად დააყენეს თბური ძრავები ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად. ამ საქმის ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო ი. ჭავჭავაძე. 1913 ბოლოსთვის საქართველოში მოქმედებდა რამდენიმე ათეული თბოძრავიანი ელექტროსადგური, რ-თა ჯამური სიმძლავრე შეადგენდა 9 *მეგვტ*, ხოლო წლიური გამომუშავება – თითქმის 216 *მეგვტ·სთ*. 1938 ჩაირთო ტყვარჩელის თესის პირველი აგრეგატები და თბილ. თესი. 1939 მწყობრში ჩადგა თბილ. თეცი, ხოლო 1946 – რუსთავის თეცი. 1963 ამოქმედდა *თბილსრესის* პირველი ბლოკი (150 *მეგვტ*, ამჟამად დემონტაჟებულია). 1972, მერვე ბლოკის გაშვების შემდეგ, თბილსრესის ჯამურმა სიმძლავრემ 1 250 *მეგვტ* მიაღწია. 1974 დამონტაჟდა *თბური ტუმბო* სამტრედიის ჩაის ფაბრიკაში (ვ. *გომელაური*, ო. *ვეზირიშვილი*). 2006 ექსპლუატაციაში შევიდა გარდაბნის აირტურბინული ეს (110 *მეგვტ*), რ-იც 2010 ბოლოს შეიძინა კომპანია ,,ჯი ფაუერმა‘‘. დაგეგმილია ნახშირზე მომუშავე თესების აშენება გარდაბანში (ტყიბულის ქვანახშირზე, 160 *მეგვტ*) და ახალციხეში (ახალციხის მურა ნახშირზე, 200 *მეგვტ*-მდე).

ექსპერტთა შეფასებებით, საქართველოს ესაჭიროება 1 700–2 000 *მეგვტ* თბური სიმძლავრე. საქართვ. ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ოდენობით მოიპოვება ორგ. საწვავი (ქვანახშირი, ტორფი, ნავთობი, თანამდევი ბუნებრივი აირი), თერმული წყლები, კარგი პერსპექტივები აქვს მზის ენერგიისა და ბიომასის ენერგიის, კერძოდ, ბიოგაზის გამოყენებას.

საქართველოში ცნობილია თერმული წყლების რამდენიმე ასეული გამოსავალი, რ-თა საპროგნოზო დებეტი, შეფასებებით, წლიურად პირობითი საწვავის 1,5–2 მლნ. *ტ* ეკვივალენტურია. თერმული წყლების ენერგია გამოიყენებოდა კომუნ. მეურნეობაში (თბილისი, ზუგდიდი, საბერიო, რეჩხი, კინდღა), სასათბურე მეურნეობებში, ჩაის მრეწველობაში, სამკურნ. მიზნებით (თბილისი, სამტრედია, მენჯი, უჯარმა, ყვარელი) და სხვ. ამასთან, ჰიდროთერმული ენერგიის გამოყენება საქართველოში ხასიათდება დაბალი ეფექტურობით (30–35 %) და გარემოსთვის მიყენებული ეკოლ. ზიანის მაღალი დონით (ქიმიურად აქტიური და მაღალი კონცენტრაციის მინარევების შემცველი თერმული წყლის მიწის ზედაპირზე დაღვრა იწვევს გარემოს თბურ და ქიმ. დაბინძურებას).

საქართველოში 250 დღე წელიწადში მზიანია, რაც მზის ენერგიის გამოყენების კარგ პირობას წარმოადგენს. 1980-იდან ,,საქჰელიოსპეცტექმონტაჟი‘‘ ახორციელებს მზის თბომომარაგების სისტემების დამზადების, მონტაჟისა და გამართვის სამუშაოებს. მუშავდება მზის ენერგიის აკუმულირების მეთოდები, კერძოდ, წყალბადის მიღების გზით, ასევე, თერმოელექტრული და თერმოემისიური გენერატორები. დამუშავებულია ,,მზის სოფლის‘‘

აშენების პროექტი (ასპინძა).

თ-ის თეორ. და პრაქტ. პრობლემებზე მუშაობა მიმდინარეობს სტუ-ში, სტუ-ის ფ. თავაძის მეტალურგიის ინ-ტში, გ. წულუკიძის სამთო ინ-ტში. თ-ის განვითარებაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ი. *გვერდწითელს* (სსრკ სახელმწ. პრემია, 1974, სხვებთან ერთად, ბირთვული ენერგეტიკა), ბ. ბუკიას, ლ. გვარჯალაძეს, ვ. გომელაურს, ვ. დევიძეს, ლ. კობახიძეს, ა. *კოტიას*, ა. *ტერ-ხაჩატუროვს*, უ. ცქვიტინიძეს, დ. ჩხეიძეს და სხვ. მზის ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები მუშავდება ნ. *კეკელიძის*, ნ. მელაძის, რ. *ჩიქოვანის* ხელმძღვანელობით. ექსპლუატაციიდან გამოყვანილი ბირთვული რეაქტორების დაკონსერვების სქემას, რ-იც დამუშავდა და გამოყენებულ იქნა მცხეთის კვლევით ბირთვულ რეაქტორზე (შ. აბრამიძე, ნ. ქათამაძე), ატომური ენერგიის საერთაშ. სააგენტომ რეკომენდაცია გაუწია, როგორც სანიმუშოს.

ლიტ.: არაბიძე გ., ახალაია გ., საქვაბე დანადგარები, თბ., 2000; ლომინაძე შ., ყიფშიძე მ., ჩიტაშვილი გ., ენერგეტიკული დანადგარები, თბ., 1987; მუხიგულაშვილი გ., მარგველაშვილი მ., კონკურენცია და მონოპოლია შიგა ენერგეტიკულ ბაზრებზე. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის, თბ., 2012; ყიფშიძე მ., ჯიშკარიანი თ., ჯახუტაშვილი თ., მზის ენერგიის რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები სხივური ენერგიის თბური გარდამქმნელების საშუალებით, თბ., 1998; ჩიტაშვილი გ., გოცირიძე დ., აირტურბინული თეცების ენერგოეფექტურობის გამოკვლევა პროპორციული მეთოდით, «ენერგია», 2003; Рыжкин В.Я., Тепловые электрические станции, М., 1987; Working Group Report on Transparency in EU Retail Energy Markets, 2012. *გ. არაბიძე. ი. ლომიძე.*

თბოტექნიკა, ტექნიკის დარგი, რომლის ამოცანაა თბური ენერგიის მიღება სხვადასხვა წყაროდან და მისი გამოყენება, მართვა და განაწილება, როგორც უშუალოდ (სამეურნეო და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის), ისე არაუშუალოდ, კერძოდ, მისი გარდაქმნა მექან. მუშაობად. თ-ის ამოცანაა, აგრეთვე, თბური მანქანების, დანადგარებისა და აპარატების გაანგარიშება, დაპროექტება, დამონტაჟება, გამართვა და ექსპლუატაცია; ამ მოწყობილობებისათვის მუშა ნარევების (ორგ. სათბობის ჰაერთან ნარევის) მომზადება და მიწოდება, წვის პროდუქტების უტილიზაცია, ასევე, დანადგარებიდან სითბოს, მ. შ. ჭარბი ნარჩენი სითბოს არინება; დანადგარების გაწმენდა ორგ. სათბობის წვის ნარჩენებისგან და მინადუღისგან; კოროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება და სხვ.

თ. განიხილავს სითბოს გამოყენების ორ პრინციპულად განსხვავებულ მიმართულებას: ენერგეტ. და ტექნოლოგიურს. ენერგეტ. მიმართულება გულისხმობს თბური ენერგიის გარდაქმნას მექან. მუშაობად (იხ. სტ. *თბოენერგეტიკა*), ხოლო ტექნოლ. მიმართულება – მის გამოყენებას და მართვას სხვადასხვა ნივთიერებებისა და სხეულების სტრუქტურისა და მექან., ქიმ. და ფიზ. თვისებების შეცვლის მიზნით [გამყარება, შეცხობა, დნობა (იხ. სტატია *მეტალურგია*), გაშრობა და სხვ.].

თბური ენერგიის მექან. მუშაობად გარდაქმნა ემყარება მუშა სხეულის (ორთქლის ან აირის) უნარს, გაფართოვდეს სითბოს გადაცემის პროცესში. თმდ-ში მეორდება თერმოდინამიკური ციკლი, ანუ მუშა სხეულის მდგომარეობის შეცვლის ისეთი პროცესი, რ-ის დასასრულს ის უბრუნდება თავდაპირველ მდგომარეობას. ყოველი ასეთი ციკლის შედეგად სითბოს წყაროს – *სახურებელს* – აერთმევა სითბო Q_1, რ-ის ნაწილი $Q_2 < Q_1$ გადაეცემა მაცივარს, ამასთან სხვაობა $(Q_1 - Q_2)$ გარდაიქმნება მექან. მუშაობად. თმდ-ში მაცივრის გამოყენების აუცილებლობა განპირობებულია ბუნების უზოგადესი კანონით – თერმოდინამიკის მეორე კანონით, რ-ის თანახმად, შეუძლებელია ქაოსური მოძრაობის ენერგიის (კერძოდ, თბური ენერგიის) მოწესრიგებული მოძრაობის ენერგიად (კერძოდ, მექან. მუშაობად) სრულად გარდაქმნა. მაცივრის როლს ხშირად ასრულებს გარემო. თმდ-ს აქვს მუშა სხეულისათვის სითბოს მოწოდების სისტემა და სითბოს ან მუშა სხეულის გარემოში არინების სისტემა.

საქართველოში თ-ის განვითარება უკავშირდება გ. *ნიკოლაძის*, ვ. *გომელაურის*, ფ. *თავაძის*, ს. *ქუთათელაძის* და სხვ. მეცნიერთა სახელებს. კვლევები თ-ში მიმდინარეობს *საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში*, ფ. თავაძის სახ. *მეტალურგიის ინსტიტუტში* და სხვ.

ლიტ.: გომელაური ვ., სითბოს და მასის გადაცემის თეორიის საფუძვლები (სახელმძღვანელო), თბ., 1974; ყიფშიძე მ., ჯიშკარიანი თ., არაბიძე გ., საქვაბე დანადგარები, თბ., 2000; Бровман М. Я., Рамишвили Ш. Д., Римен В. Х., Тавадзе Ф.Н., Основные направления развития процесса непрерывного литья, М., 1987; Кутателадзе С. С., Анализ подобия в теплофизике, Новосиб., 1982. *გ. არაბიძე.*

თბური ტუმბო, სითბოს ტრანსფორმატორი, რომელიც შებრუნებული თერმოდინამიკური პროცესის განხორციელებისას უზრუნველყოფს სითბოს დაბალი პოტენციალიდან (გარემომცველი გარემოს – ჰაერი, წყალი, ტექ. სითბოს ნარჩენები) თბური ენერგიის გადატანას სითბოს მომხმარებლისაკენ. ამ პროცესის განხორციელებას ემსახურება მუშა ნივთიერება (მაგ., ფრეონები), რ-ის ცირკულირებას უზრუნველყოფს თ. ტ-ს კომპრესორი ამაორთქლებლის და კონდენსატორის გავლით. თ. ტ. შედგება კომპრესორის, ელექტროძრავის, ამაორთქლებლისა და კონდენსატორისაგან. მუშა ნივთიერება ორთქლდება ამაორთქლებელში გარემოს დაბალტემპერატურული სითბოს ხარჯზე. შემდეგ მისი ტემპ-რა მაღლდება კომპრესორში და გადადის კონდენსატორში, სადაც იგი კონდენსირდება – გადასცემს რა სითბოს მომხმარებელს უფრო მაღალი ტემპერატურით.

თ. ტ-ს უმარტივეს მაგალითს წარმოადგენს ინდივიდ. კონდიციონერი შენობაში ჰაერის გაგრილების (ზაფხულში) და გათბობის (ზამთარში) უზრუნველსაყოფად. ამგვარად, ერთი და იგივე დანადგარი უზრუნველყოფს შენობის სიცივით და სითბოთი დაკმაყოფილებას. თ. ტ-ს ძირითადი ენერგეტ. მახასიათებელია ე.წ. სითბოს ტრანსფორმაციის კოეფიციენტი, რ-ის პრაქტ. მნიშვნელობაა 2–4, რაც ნიშნავს იმას, რომ თ. ტ. მნიშვნელოვნად ზოგავს ენერგორესურსებს. ამიტომაც მსგავსი თ. ტ-ები ფართოდ არის გამოყენებული მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (იაპონია, ჩინეთი და სხვ.).

საქართველოში დღეისათვის დანერგილია თ. ტ-ს დანადგარები: სოხუმის სავაჭრო ცენტრის, ბიჭვინთის საკონცერტო დარბაზისა და სანატორიუმების კორპუსების სითბო-სიცივით მომარაგებისათვის; სამტრედიის ჩაის ფაბრიკაში ჩაის ფოთლის ცივად შესანახად და ჩაის საშრობ აგრეგატებში (პირველი დანადგარი ყოფ. სსრ კავშირში, 1974, ვ. *გომელაური*, ო. *ვეზირიშვილი*); საგარეჯოს რძის კომბინატში რძის პასტერიზაციისა და პროდუქციის ცივად

შესანახად.

უახლოეს 10–20 წელიწადში მსოფლიოში ნავარაუდევია თ. ტ-ს დანადგარების მასობრივი გამოყენება სითბო-სიცივით მომარაგების სისტემაში.

ლიტ.: ვეზირიშვილი ო., სითბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების მიმართულებები, თბ., 2005; ვეზირიშვილი ო., პაპავა ლ., თბომასაგადამცემი დანადგარები და თბოფიკაცია, თბ., 2009.

ო. ვეზირიშვილი.

თეატინელები (ქიეტინელები, კვიეტინელები, პავლინელები), რომის კათოლიკური ეკლესიის მონაზვნური კონგრეგაცია (Ordo regularum theatinum), დააარსეს 1524 კიეტის (ლათ. Thiatinus) ეპისკოპოსმა ჯან პიეტრო კარაფამ (შემდგომში პაპი პავლე IV) და წმ. გაეტან თიენელმა. 1540 დაამტკიცა პაპმა პავლე III-მ. ორდენმა მიიღო ავგუსტინელი ბერების წესდება. იგი დაარსდა კონტრრეფორმატული მოძრაობის დროს და მიზნად ისახავდა სამღვდელოების ზნეობის ამაღლებას, კათოლ. აღმსარებლობის განმტკიცებას და გავრცელებას, ერეტიკოსების წინააღმდეგ ბრძოლას. უარყოფდნენ რა ყოველგვარ საკუთრებას, ცხოვრობდნენ ღმერთს მინდობილნი, განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ ავადმყოფთა და მომაკვდავთა მიმართ, ამიტომაც მათ მოციქულებრივ სამღვდელოებასაც უწოდებდნენ. ორდენის ძირითადი სამყოფელი იყო ნეაპოლი და ვენეცია, საიდანაც გავრცელდნენ მთელ იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ესპანეთში. მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდნენ კავკასიაში, სპარსეთსა და ინდოეთში. პაპ ურბან VIII-ის და სჯულის პროპაგანდის კონგრეგაციის დავალებით თ. 1628 ჩამოვიდნენ საქართველოში, მოღვაწეობდნენ ქართლში (გორი), სამეგრელოსა და გურიაში. მათი ცნობილი მოღვაწენი იყვნენ: პ. *ავიტაბილე, კ. კასტელი, ა. ლამბერტი, ა. ბორომეო, კ. გალანო* და სხვ.

ლიტ.: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ..., ტფ., 1902.

მამა ზაზა (თევზაძე).

თეატრალური განათლება, პროფესიული მომზადება თეატრალური მოღვაწეობისათვის: სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში მსახიობების, რეჟისორების, თეატრალური მხატვრების, თეატრმცოდნეების, თეატრალური პროდიუსერებისა და მენეჯერების, სადადგმო ნაწილის სპეციალისტების სისტემური აღზრდა. თეატრ. სპეციალობების ასათვისებლად ისწავლება: მსახიობის ოსტატობა, სასცენო მეტყველება, სასცენო მოძრაობა, რიტმიკა, ცეკვა, სიმღერა, მსოფლიოს ხალხთა თეატრის ისტორია და თეორია, სცენოგრაფია, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ისტორია და თეორია, თეატრ. საქმის ორგანიზაცია. თ. განსაზღვრავს თეატრ. კულტურის განვითარების დონე ამა თუ იმ ქვეყანაში.

თ. ბ-მ უძველესი ეპოქიდან მოიკიდა ფეხი, როგორც ევროპის, ასევე აზიის ქვეყნებში. ჯერ კიდევ ძვ. წ. აღრიცხვამდე შექმნილ ინდურ ტრაქტატში ,,არტხაშასტრა'' აღწერილია მსახიობთა აღზრდის მეთოდები. იაპონელი მსახიობების აღსაზრდელად უკვე VII ს-იდან ყალიბდებოდა აღმზრდელობითი სისტემები. მსახიობები ეუფლებოდნენ დეკლამაციას, პლასტიკას, სიმღერას, ცეკვას, პანტომიმას. კაბუკის თეატრის მომავალი მსახიობები ოჯახშივე მცირე ასაკიდან იწყებდნენ პროფესიის ათვისებას. ძვ. ჩინეთში VIII–X საუკუნეებში ჩამოყალიბდა ,,ღრუბლების მელოდიებისა'' და ,,ლაჟვარდოვან საბურველთა'' დასები. მსახიობებს მოეთხოვებოდათ პროფ. ჩვევების სრულყოფა, ამიტომ მათ მცირე ასაკიდან ასწავლიდნენ დეკლამაციას, ცეკვას, სიმღერას, სასცენო მოძრაობას, სამხ. საჭურვლის ვირტუოზულ ხმარებას, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე დაკვრას; სწავლების მეთოდებს პროფესიონალი მსახიობები გამოიმუშავებდნენ და დასში ახალმიღებულ მსახიობებს გადასცემდნენ.

ევროპაში თ. ბ. ძველ რომში ჩაისახა. ძვ. წ. I საუკუნეში არსებობდა ცნობილი კ. როსციუსის სკოლა. შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის თეატრში მსახიობთა აღზრდა საკუთრივ დასებში ხდებოდა, რასაც დასის ხელმძღვანელები და დრამატურგები ახორციელებდნენ. მსახიობთა აღზრდის საკითხში უდიდესი წვლილი შეიტანა იტალ. ნიღბების თეატრმა ,,კომედია დელ'არტემ'', ასევე უნტებში დანერგილმა ,,სწავლულმა კომედიამ'', რაშიც სტუდენტები და პროფესურა მონაწილეობდა. ახ. სამსახიობო ამპლუებისა და ძვ. კანონიკური სასცენო წესების თანდათანობითმა ცვლილებებმა საჭირო გახადა ახლებური სასწ. მეთოდოლოგიების შემუშავება. ამის კვალობაზე იწერებოდა ტრაქტატები თეატრის შესახებ, მაგ.: ლოპე დე ვეგას ,,ჩვენს დროში კომედიის წერის ხელოვნება'', ფ. ლანგეს ,,განსჯა სცენური თამაშის შესახებ'', უფრო მოგვიანებით დ. დიდროს ,,პარადოქსი აქტიორზე'', ი. ვ. გოეთეს ,,წესები მსახიობთათვის'', გ. ე. ლესინგის ,,ლაოკოონი''. ფართო პედ. მოღვაწეობას ეწეოდნენ ცნობილი მსახიობები: პ. ლ. პრევილი, ფ. ჟ. ტალმა, დ. გარიკი და სხვ.

XVII–XVIII სს-ში გახსნილ სასკოლო თეატრებში ჩამოყალიბდა მწყობრი პედ. სისტემა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საფრანგეთი, სადაც ჩაისახა კლასიცისტური დრამა და დრამის მსახიობთა მკაცრად რეგლამენტირებული საშემსრულებლო მანერა, რ-იც თ. ბ-ის სისტემ. განვითარებას მოითხოვდა. ამიტომაც შეიქმნა 1784 სიმღერისა და დეკლამაციის სამეფო სკოლა, მომავალში – პარიზის კონსერვატორია; ამას დაემატა სხვა თეატრ. სასწავლებლები: ვენის კონსერვატორიის დრამ. განყოფილება, თეატრ. სკოლა ვარშავაში, ხელოვნების აკადემია ფლორენციაში და სხვ.

რუსეთში თეატრ. სწავლება დაიწყო XVII–XVIII სს-იდან. XVIII ს-ში შეიქმნა ცეკვის სამეფისკარო სკოლა, რ-მაც სათავე დაუდო თეატრ. სასწავლებელსაც. წლების განმავლობაში რუს. სცენის ოსტატები ედგნენ სათავეში თ. ბ-ს. დაგროვდა დიდი შემოქმედებითი გამოცდილება. მასზე დაყრდნობითაც თვალსაჩინო რუსმა რეჟისორმა, მსახიობმა და თეატრალურმა მოღვაწემ კ. ს. სტანისლავსკიმ ჩამოაყალიბა თ. ბ-ის მწყობრი ,,სისტემა'', რ-იც დღესაც ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა სათეატრო სკოლაში.

საქართველოში თ. ბ-ის დაწყების პირველი ნიშნები თელავის (1782) და თბილ. (1855) სემინარიებს უკავშირდება. სემინარიის წესდება ნებას რთავდა კვირაში ერთხელ ,,კომედიის ან რაიმე საჩინო თამაშობის'' ჩვენებას. თეატრის განვითარებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის *გაბრიელ მაიორსაც*, რ-საც რუსეთში ჰქონდა განათლება მიღებული და არტილერიის პარალელურად თეატრ. დასის ხელმძღვანელობაც

დაევალა. ისტ. ვითარების გამო საქართველო მჭიდრო კავშირში იყო რუს. იმპერიასთან და ქვეყნის კულტ. განვითარების თეატრ. ასპექტიც რუსეთის გავლენის ქვეშ ექცეოდა. თეატრისა და მ. ბ-ის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა დრამატურგმა და საზ. მოღვაწემ გ. *ერისთავმა*, რ-ის მიერ 1850 აღდგენილი თეატრი 6 სეზონის განმავლობაში მართავდა წარმოდგენებს; მსახიობთა აღზრდა თავად დასის წიაღში ხდებოდა. მ. ბ-ის განვითარებაში დიდია მუდმივმოქმედი ქართ. თეატრის მსახიობის ვ. *აბაშიძის* ღვაწლი. იგი თავის ,,მსახიობის ჩანაწერებში'' არტისტის აღზრდის საკმაოდ მწყობრ სისტემას გვთავაზობს.

ქართ. პროფ. მ. ბ-ს ფუნდამენტური სათავე დაუდო გ. *ჯაბადარმა*. მან 1918 შექმნა დრამ. სტუდია, სადაც ისწავლებოდა მსახიობის ოსტატობა, სასცენო მეტყველება და სასცენო მოძრაობა. პედაგოგებად მიწვეული იყვნენ: ვ. შალიკაშვილი, მ. ქორელი, კ. შათირიშვილი, ა. *ფაღავა*, ვ. *ყუშიტაშვილი*. სტუდიამ 1920-მდე იარსება.

1922 რეჟისორ ა. ფაღავასა და მსახიობ გ. *მიქელაძის* თაოსნობით გაიხსნა დრამ. სტუდია, რ-ის ამოცანა იყო – მსახიობთა მაღალ პროფესიულ დონეზე აღზრდა. 1923 სტუდია სახელმწ. ინ-ტად გამოცხადდა და შოთა რუსთაველის სახელი ეწოდა. აქ იყო შემდეგი განყ-ბები: დრამ. სტუდია, საოპერო სტუდია, საოპერო გუნდის კლასი, პლასტიკისა და რიტმული გიმნასტიკის კლასი. 1926 ინ-ტი დაიშალა. 1927 რუსთაველის თეატრთან გაიხსნა დრამ. სტუდია, ხოლო 1939 – სასცენო ხელოვნების კურსები და იმავე წელს ორივეს ბაზაზე აღდგა თეატრალური ინ-ტი სამსახიობო, დრამის რეჟისორო და თეატრმცოდნეობის ფაკ-ტებით. დროთა ვითარებაში დაემატა კინომცოდნეობის, კინოსარეჟისორო, კულტსაგანმანათლებლო, ტელეჟურნალისტთა, ტელესარეჟისორო, საოპერატორო, დრამატურგთა, თეატრ. მენეჯერთა და სხვ. ფაკ-ტები. 1992-იდან ეწოდა საქართვ. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინ-ტი, ხოლო 2002 გადაკეთდა უნივერსიტეტად. მომავალი მსახიობების პროფ. დაოსტატებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1983 სასწ. თეატრის გახსნას. თეატრალური ინ-ტი ეწეოდა დიდ სამეცნ.-კვლ. მოღვაწეობას: ფუნქციონირებდა თეატრისა და კინოს ისტ. და თეორიის სამეცნ.-კვლ. სექტორი (ხელმძღვანელები სხვადასხვა დროს – დ. *ჯანელიძე*, გ. ჯავაშვილი, დ. მუმლაძე); ხალხთა თეატრ. ურთიერთობების კაბინეტი (ხელმძღვ. ნ. ურუშაძე, გ. ჩართოლანი). ინ-ტის არსებობის განმავლობაში აქ პედ. მოღვაწეობას ეწეოდნენ: კ. *მარჯანიშვილი*, ა. *ახმეტელი*, გ. *ტოვსტონოგოვი*, დ. *ალექსიძე*, მ. *თუმანიშვილი*, ე. *იოსელიანი*, მ. *კუჭუხიძე*, გ. *ლორთქიფანიძე*, შ. *გაწერელია*, თ. *ჩხეიძე*, რ. *სტურუა*, გ. *ჟორდანია*, გ. *მარგველაშვილი*, ლ. *წულაძე*, გ. კაპანაძე, ა. შალუტაშვილი, კ. *მახარაძე*, *თ. ჭილაძე*, ლ. გვარამაძე, კ. ბადრიძე, ვ. გამსახურდია, გ. *საღარაძე*, გ. *ალექსიძე*, გ. ნიკოლაიშვილი, ლ. კაპანაძე, მ. ბერიკაშვილი. სამსახიობო და სარეჟისორო ოსტატობის პედაგოგების გარდა თეატრალურ ინ-ტში ასწავლიდნენ დიდი მეცნიერ-მკვლევრები და თეატრის თეორეტიკოსები: ი. *ჯავახიშვილი*, გ. *ჩუბინაშვილი*, დ. *უზნაძე*, გ. *რობაქიძე*, გ. *ახვლედიანი*, ა. *შანიძე*, გ. *კიკნაძე*, ვ. *ბერიძე*, მ. აბულაძე, დ. ჯანელიძე, ნ. *ურუშაძე*, ე. *გუგუშვილი*, ნ. შალუტაშვილი, ნ. გურაბანიძე, ვ. *კიკნაძე*. ინ-ტის რექტორები სხვადასხვა დროს იყვნენ: ა. ფაღავა, ა. *ხორავა*, დ. ალექსიძე, მ. *კვესელავა*, ლ. კიკნაძე, ი. *თავაძე*, ე. გუგუშვილი, ლ. ჟორდანია, გ. ლორთქიფანიძე, გ. *დოლიძე*, გ. მარგველაშვილი.

ლიტ.: ქართული დრამატული თეატრის ისტორია, ტ. 1–2, თბ., 2001; История западноевропейского театра, под общей ред. С.С. Мокульского, т. 1–2, М., 1956–57; Театральная энциклопедия, т. 1–5, М., 1961–67. *დ. ხურცილავა.*

თეატრალური საზოგადოება, შემოქმედებითი კავშირი. შეიქმნა თბილისში 1881 ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის თაოსნობით (დრამ. საზ-ბის სახელწოდებით). განახლდა 1945. სხვადასხვა დროს საზ-ბის თავ-რეები იყვნენ: შ. დადიანი, ა. ხორავა, მ. მრევლიშვილი, დ. ანთაძე, დ. ალექსიძე, გ. ლორთქიფანიძე. თ. ს-ის მიზანია გააერთიანოს თეატრის მოღვაწეები, ხელი შეუწყოს თეატრების შემოქმედებით საქმიანობას. საზ-ბა ატარებს სეზონის შემაჯამებელ პლენუმებს, თეორ. კონფერენციებს, შემოქმედებით და ხსოვნის საღამოებს. მას ხელმძღვანელობს გამგეობა, რ-საც ირჩევს კავშირის წევრთა ყრილობა 3 წლის ვადით. საზ-ბას აქვს აჭარის, ქუთაისის, გურიის, რუსთავის განყ-ბები. თ. ს. გამოსცემს თეატრ. ლიტ-რას (ჟურნ. ,,თეატრი და ცხოვრება'', გაზ. ,,ქართული თეატრის დღე''), ანიჭებს კ. მარჯანიშვილის, ს. ახმეტელის, ვ. ანჯაფარიძის, პ. ოცხელის, ა. ხორავას სახ. პრემიებს. ტარდება ყოველწლიური კონკურსი ,,სეზონის საუკეთესო თეატრალური ქმნილება''. კავშირთან დაქვემდებარებულია ა. ხორავას სახ. მსახიობის სახლი. 2010-იდან კავშირის თავმჯდომარეა გ. ქავთარაძე, მოადგილე – ს. მრევლიშვილი. საზ-ბას თეატრ. მოღვაწეთათვის აქვს დასასვენებელი სახლები ბობოყვათსა და მანგლისში.

თეატრალური სარდაფი, კერძო თეატრი. დამფუძნებლები არიან რეჟისორები: გ. მარგველაშვილი, ლ. წულაძე, ა. ვარსიმაშვილი, ო. ეგაძე; პროდიუსერი გ. ხარაბაძე (შვილი); მხატვარი შ. გლურჯიძე; მსახიობი გ. ხარაბაძე; აღმასრულებელი დირექტორი – ე. მაზმიშვილი. თეატრი გაიხსნა 1997 წ. 31 მარტს რეჟ. ა. ვარსიმაშვილის სპექტაკლით – ა. სტრინდბერგის „სიკვდილის როკვა'' (მონაწილეობდნენ მსახიობები: რ. ჩხიკვაძე, გ. საღარაძე, ნ. ფაჩუაშვილი, კ. კავსაძე). თ. ს. წარმოადგენდა დამოუკიდებელ შემოქმედებით სივრცეს ახ. ტიპის ორგანიზაციული მოდელით – თეატრს არ ჰყავდა სამხატვრო ხელმძღვანელი, საბჭო, მსახიობთა მუდმივი დასი. არ ჰქონდა მუდმივი რეპერტუარი, სახელმწ. დაფინანსება და მთლიანად სალაროს შემოსავალზე არსებობდა. თ. ს. მუშაობდა ანტრეპრიზის პრინციპით (ყოველი სპექტაკლისათვის ახ. დასის მოწვევა). 1998 თ. ს-მა საკუთარი სახსრებით ააშენა თეატრის ფოიე და პატარა კაფე „მცირე დარბაზი'', სადაც სპექტაკლის ანტრაქტებში გამოდიოდნენ ქუჩის მუსიკოსები. 1999-იდან თ. ს-ში დაფუძნდა თეატრის „ორშაბათები'', რ-ებზეც ხდებოდა ახალგაზრდა რეჟისორებისა და დრამატურგების შეხვედრა, გამოფენების წარდგენა, წიგნების პრეზენტაცია, პოეტები კითხულობდნენ ლექსებს. თ. ს. სპექტაკლის დასადგმელად იწვევდა ყველა პროფესიონალ რეჟისორს, რ-იც ვერ ახორციელებდა თავის იდეას აკად. თეატრებში. 1997-იდან თ. ს-ში დაიდგა სპექტაკლები: რეჟ. ლ. წულაძე – ბ. ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა'', ა. შნიცლერის „კაზანოვას

დაბრუნება'', ბ. ბარათაშვილის „აკუსტიკა'', თ. მანის „მარიო და ჯადოქარი'', რეჟ. ო. ეგაძე – კ. მანიეს „ბლეზი'', ე. იონესკოს „ორთა ბოდვა'', ი. სოლომონაშვილის ,,ქვირითობა; რეჟ. ა. ვარსიმაშვილი – უ. შექსპირის ,,ჰამლეტი'' და ბ. ბრეხტის „მესამე იმპერიის შიში და სასოწარკვეთა''; რეჟ. გ. ქაჩიბაია – ი. სამსონაძის ,,პაწაწინა ციცქნა გოლიათი''; რეჟ. დ. ქვარცხავა და სხვ. 1999 აქ წარმოდგენები გამართა სოხუმის დრამ. თეატრმა. თ. ს-ში სტუმრად იყო ბერეგოვოს (უკრაინა) ეროვნ. თეატრი, ბულგარული დასი ,,კრედო'', ბერლინის პლასტ. დრამის თეატრი უ. შნიტკეს ხელმძღვანელობით, ქუთაისის თეატრ-სტუდია, ბათუმის ,,თითების თეატრი''. 2000 თეატრმა მონაწილეობა მიიღო საერთაშ. ფესტივალებზე ლონდონში, ბულგარეთში, იუგოსლავიასა და სხვ.

თეატრი (ბერძნ. theatron – სანახაობისთვის განკუთვნილი ადგილი, სანახაობა), ხელოვნების დარგი. თ., ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგები, მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, მის ისტორიასა და კულტურასთან. თ-ის მთავარი ფიგურა მსახიობია, რ-იც პიესის მიხედვით ქმნის მხატვრულ სახეს სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორის ჩანაფიქრის შესაბამისად. ამავე დროს, მსახიობი გვევლინება როგორც დამოუკიდებელი შემოქმედი, რ-იც სცენაზე ადამიანის რთულ და ღრმა მხატვრულ სახეს განასახიერებს.

თეატრალური ხელოვნების სათავეები უკავშირდება ხალხურ დღესასწაულებს, წეს-ჩვეულებებსა და თამაშობებს. მდიდარი და მრავალფეროვანი სანახაობები შეიქმნა ჩინეთში, ინდოეთში, ძვ. აღმოსავლეთში და სხვ. თეატრ. წარმოდგენების მაღალი დონე გამოვლინდა ძვ. საბერძნეთსა (ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე და სხვ.) და რომში (პლავტუსი, ტერენციუსი, სენეკა და სხვ.). შუა საუკუნეებში დას. ევროპის თეატრ. ხელოვნებას ქმნიდნენ მოხეტიალე მსახიობები. რენესანსის ეპოქაში თ-ის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ცნობილმა დრამატურგებმა (უ. შექსპირი, ლოპე დე ვეგა, ჟ. ბ. მოლიერი და სხვ.). XX ს. თეატრ. ხელოვნებამ განიცადა ბ. შოუსა და ბ. ბრეხტის დიდი გავლენა. მსოფლიო თ-ის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რუსეთის წამყვანი რეჟისორების (კ. სტანისლავსკი, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ე. ვახტანგოვი და სხვ.) შემოქმედებამ. თანამედროვე თ-მა შეინარჩუნა ტრადიციული სახე, ამავე დროს შეივსო მიუზიკლით, როკ-ოპერით, ექსპერიმენტული თ-ის სხვადასხვა სახეობით (თ-ლაბორატორია, ქუჩის თ. და სხვ.).

ქართული სათეატრო ხელოვნების საწყისები შორეულ წარსულში იღებს სათავეს. თეატრ. ხელოვნების ელემენტებს შეიცავდა ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი უძველესი რიტუალური დღესასწაულები. თრიალეთში აღმოჩენილ ვერცხლის თასზე (ძვ. წ. II ათასწლ. შუა ხანა) გამოსახულია მისტერია – ნიღბოსანთა ფერხული, ხოლო სამადლოში ნაპოვნ ღვინის ჭურჭელზე – ფერხულში ჩაბმული 10 მამაკაცი. ხალხ. ეპოსში, სახიობებსა და მისტერიებში შემორჩენილია ნაწყვეტები საფერხულო დრამებიდან (,,ამირანი'', ,,აბესალომ და ეთერი'', ,,ავთანდილი'', ,,თავფარავნელი ჭაბუკი''). კოლხეთის სამეფოში ძვ. წ. VIII ს-ში ქუთაიას (ახლანდ. ქუთაისი) მახლობლად აშენებული იყო არენა, სადაც ეწყობოდა სპორტ. შეჯიბრებები და სხვა სანახაობანი. ბიზანტ. ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნობით, კოლხურ ქალაქ აფსარუნტში (გონიო) იყო თეატრის შენობა და იპოდრომი. მცხეთის, უფლისციხის, სარკინის, ძალისის, ვანის, ბიჭვინთის არქეოლ. გათხრების დროს ნაპოვნი დიონისეს და მისი თანმხლები სილენეს, სატირებისა და სხვათა



,,ბერიკაობა''. მრატვარი გ. დოლიძე. 1999.

მოზაიკური და სკულპტურული გამოსახულებანი. ბრინჯაოსა და ტერაკოტის სარიტუალო ნიღბები ცხადყოფს, რომ ძვ. საქართველოში გავრცელებული იყო დიონისეს კულტი. ვანში, სარკინეთსა და ძალისში აღმოჩენილ დიონისეს ტაძრებში, აგრეთვე კლდეში ნაკვეთ ქ. უფლისციხეში (ძვ. წ. III–II სს.) შემორჩენილი სათეატრო ნაგებობა თავისი სცენით, ორქესტრათი და მაყურებელთათვის განკუთვნილი ნაწილით ცხადყოფს, რომ ძვ. საქართველოში იცნობდნენ ანტ. თეატრ. კულტურას. შუა საუკუნეების ქართ. ისტ. და მხატვრული ლიტ-რის ძეგლებში აღმოჩენილია ძვ. ქართ. დრამ. პოეზიის ფრაგმენტები და ელინისტური პერიოდის პანტომიმური წარმოდგენათა ვრცელი აღწერა. ამავე ძეგლებში მიკვლეულია მრავალი ქართ. თეატრ. ტერმინი, მაგ., გლოვის მგოსანი – ტრაგიკოსი; სიმღერა-კომოსი – კომედია; სახიობა – პოეტური სიტყვის, მუს. და ცეკვის სინთეზი; მსახიობელი – სახიობის შემსრულებელი; სახილველი – თეატრი და სხვ. ძვ. ქართ. თეატრ. ტერმინები ადასტურებს, რომ საქართველოში არსებობდა ანტ. თეატრის მიღწევებისა და საკუთრივ ქართ. თვითმყოფადი თეატრ. სანახაობის საფუძველზე შექმნილი თეატრ. ხელოვნება.

ქრისტიანობის სახელმწ. რელიგიად გამოცხადების შემდეგ (IV ს. 30–40-იანი წლები) წარმართული პოეზია განადგურდა და შეიქმნა საეკლ. თეატრი და დრამა, პარალელურად ვითარდებოდა ხალხ. თეატრ. სანახაობები – *ბერიკაობა* და *ყეენობა*.

შუა საუკუნეებში განვითარდა სასახლის კარის თეატრი ანუ *სახიობა* – ნიღბოსანთა წარმოდგენები მუსიკის თანხლებით, შეჯიბრი მცირე ფორმის თეატრ. სანახაობების ჟანრში. წარმოდგენები



,,ყეენობა''. მრატვარი ლ. გუდიაშვილი. 1937.

იმართებოდა სახიობისათვის განკუთვნილ შენობებში (,,სახლი სათამაშო'', ,,სახლი სალხინო''), სასახლის დარბაზებში. სახიობაში წარმოადგენდნენ ფეოდალებისა და მეფეებისადმი მიძღვნილ ქებას – პოეტურ ნაწარმოებებს, რ-ებსაც მსახიობები დიალოგის სახით ასრულებდნენ, დგამდნენ სარიტუ-



ანტიკური თეატრი. უფლისციხე.

ალო სცენებს და სხვ. ცნობილია XII ს. დრამ. პოეტის ბისტიკას სახელი. გვიანი ფეოდ. ხანის (XIV–XVII სს.) დრამ. პოეზიაში შენარჩუნებულია სახიობის ეროვნ. დრამატურგიის ტრადიციები. *თეიმურაზ I-მა* (1589–1663) და *არჩილ II-მ* (1647–1713) სახიობისათვის შექმნეს დიალოგები, პოლემიკური დრამატურგიის ნიმუშები. პარალელურად ვითარდებოდა ხალხ. დრამა. XVII ს-ში შეიქმნა ხალხ. დრამა ,,შავლეგო'', რ-შიც აისახა ქართვ. ხალხის ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ.

XVIII ს-ში სახიობის დრამ. პოეზიის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა დ. გურამიშვილმა (დიალოგები – ,,სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა'' და ,,კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და ბჭობა, ერთმანეთის ძვირის ხსენება'').

თბილ. (1756) და თელავის (1780) სემინარიების გახსნის შემდეგ აღორძინდა *სასკოლო თეატრი,* რ-ის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე იყო თელავის სემინარიის ხელმძღვანელი *დავით რექტორი.*

XVIII ს. 90-იან წლებში ერეკლე II-ის სასახლესთან შეიქმნა საერო თეატრი. მას სათავეში ჩაუდგა გ. *ავალიშვილი.* ორიგინ. ნაწარმოებების პარალელურად (გ. ავალიშვილის ,,მეფე თეიმურაზი'', დ. ჩოლოყაშვილის ,,იფიღენია'') იდგმებოდა რუსულიდან თარგმნილი და გადმოკეთებული პიესები. მუშაობას განაგრძობდა სასახლის კარის თეატრი – სახიობა, რ-საც სათავეში ედგა მსახიობი დ. მაჩაბელი. 1795 ამ თეატრის მრავალი მსახიობი გმირულად დაეცა აღამაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში. XIX ს. დასაწყისში შეიქმნა სცენისმოყვარეთა წრეები, რ-თაც ხელმძღვანელობდნენ ა. ჭავჭავაძე, მ. ორბელიანი, ვ. ჯამბაკურ-ორბელიანი (თბილისი). დ. მელვინეთუხუცესი (გორი), ო. წერეთელი (სოფ. გორისა), ხოლო ქუთაისსა და ოზურგეთში – ბატონყმური თეატრები და ორკესტრები.

1845 საქართველოში დაარსდა რუს. დრამ. თეატრი, ხოლო 1850 მოწინავე ქართვ. საზ. მოღვაწეთა თაოსნობით აღორძინდა ქართ. პროფ. თეატრი (1850–1856), რ-ის ფუძემდებელი იყო გ. *ერისთავი.* მან თავისი კომედიებით (,,გაყრა'', ,,დავა'', ,,ძუნწი'' და სხვ.) თეატრსა და დრამატურგიაში განავითარა რეალისტური მიმდინარეობა, ამხილა ვაჭრები, მევახშეები, თავად-აზნაურები. გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის დემოკრ. პრინციპები განსაკუთრებით მკაფიოდ აისახა პოლემიკურ პიესებსა და ისტ. დრამებში (გ. ერისთავის ,,ყვარყვარე ათაბაგი'', ზ. ანტონოვის ,,ქოროღლი'').

გ. ერისთავისა და მისი სკოლის დრამატურგები ფართოდ იყენებდნენ სახიობისა და ბერიკაობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს, ამკვიდრებდნენ პოეტური სიტყვის, სიმღერისა და ცეკვის სინთეზს, კომედიებში იყენებდნენ სალაპარაკო ენას, ჟარგონებსა და დიალექტებს.

XIX ს. 60-იან წლებში ქართ. დრამატურგიაში დამკვიდრდა კრიტ. რეალიზმი. ამ მიმართულების წარმომადგენლები იყვნენ ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი. ისინი დიდ საზ.-აღმზრდელობით მნიშვნელობას ანიჭებდნენ თეატრს, მის როლს დემოკრატიზაციის განმტკიცებისათვის, ხალხის ეროვნ. და სოც. დაცვისათვის ბრძოლაში. XIX ს. 60–70-იან წლებში საქართველოში ფართოდ გავრცელდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენები, ხოლო ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და სხვა ქართვ. მოღვაწეთა თაოსნობით 1879 თბილისში, ერთი წლის შემდეგ კი – ქუთაისში, მუშაობა განაახლა ქართულმა პროფ. თეატრმა. თეატრების რეპერტუარში იყო გ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ა. ცაგარლის, რ. ერისთავის, ა. ყაზბეგის, დ. ერისთავის, გ. შერვაშიძის დრამ. ნაწარმოებები. ქართ. თეატრმა და დრამატურგიამ განვითარება განაგრძო გმირულ-რომანტიკული (დ. ერისთავის ,,სამშობლო'', ა. წერეთლის ,,პატარა კახი'', ა. ყაზბეგის ,,ქეთევან დედოფალი'') და რეალისტურ-კომედიური (ა. ცაგარლის, ა. წერეთლის, რ. ერისთავის კომედიები და ვოდევილები) მიმართულებით. კრიტ. რეალიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი ეტაპია ა. ცაგარლის შემოქმედება. კომედიებში ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ'' (1878), ,,ხანუმა'' (1882), ,,ციმბირელი'' (1886) და სხვ. ასახულია ქალაქის ღარიბ ხელოსანთა და წვრილ ვაჭართა წიაღიდან გამოსული პერსონაჟების ცხოვრება.

XIX ს. 80–90-იან წლებში ქართ. თეატრის რეპერტუარში დამკვიდრდა უცხ. კლასიკური დრამატურგია. შექსპირის ტრაგედიების ივანე მაჩაბლისეულმა თარგმანებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართ. თეატრის პროფ. დონის ამაღლების საქმეში.

თბილ. და ქუთაისის თეატრებში აღიზარდნენ რეალისტური სამსახიობო სკოლის გამოჩენილი წარმომადგენლები: ვ. აბაშიძე, ლ. ალექსი-მესხიშვილი, ნ. გაბუნია, მ. საფაროვა-აბაშიძე, კ. ყიფიანი, კ. მესხი, ვ. გუნია, ე. ჩერქეზიშვილი, ე. კლდიაშვილი, ე. მესხი, ნ. ჩხეიძე, ა. იმედაშვილი, ნ. გოცირიძე, ი. ზარდალიშვილი, გ. არადელ-იშხნელი და სხვ., რ-ებიც ვ. აბაშიძის ხელმძღვანელობით აგრძელებდნენ ეროვნ. თეატრის საუკეთესო ტრადიციებს, იყენებდნენ რუს. და ევრ. პროგრ. თეატრების მიღწევებს. ვ. აბაშიძემ, კ. ყიფიანმა და ვ. გუნიამ თეორ. შრომებში განაზოგადეს

თავიანთი თაობის მსახიობთა შემოქმედებითი გამოცდილება. ვ. აბაშიძემ დააარსა და რედაქტორობდა პირველ ქართ. თეატრ. გაზეთ ,,თეატრს'' (1885). ამ პერიოდიდან თეატრ. კრიტიკას მეთაუროობდნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ი. მაჩაბელი, გ. წერეთელი და სხვ.

XIX–XX სს. მიჯნაზე ქართ. სცენაზე ფსიქოლ. რეალიზმი განავითარა დ. კლდიაშვილმა (პიესები ,,ირინეს ბედნიერება'', ,,დარისპანის გასაჭირი'', ,,უბედურება''). ამავე პერიოდში მკვიდრდება მოდერნისტული მიმართულება, იქმნება ნატურალისტური და სიმბოლისტური დრამატურგიის ნიმუშები (ტ. რამიშვილი, ი. გედევანიშვილი, შ. დადიანი, ს. შანშიაშვილი).

XX ს. დასაწყისიდან ქართ. თეატრში პროფ. რეჟისურის პრინციპებს ამკვიდრებენ პირველი თაობის პროფესიონალი რეჟისორები: ა. წუწუნავა, მ. ქორელი, ვ. შალიკაშვილი, კ. ანდრონიკაშვილი და სხვ. დას. ევრ. კლასიკური პიესების პარალელურად დგამდნენ ქართვ. ავტორთა ნაწარმოებებს (შ. დადიანის ,,გუშინდელნი'', ,,როს ნადიმობდნენ'', პ. ირეთელის ,,დამარცხებულნი'', ნ. ნაკაშიძის ,,ვინ არის დამნაშავე?'' და სხვა), აგრეთვე მ. გორკის, ლ. ტოლსტოის, ა. ჩეხოვის, ჰ. იბსენის, მ. მეტერლინკის, გ. ჰაუპტმანის პიესებს.

რეჟისორებმა გ. ჯაბადარმა და ა. ფაღავამ შექმნეს თეატრ. სტუდიები (1919, 1922). ა. ფაღავას სტუდიის ბაზაზე 1923 დაარსდა სათეატრო ინ-ტი. 1921 წ. 25 ნოემბერს თბილ. ქართ. დრამ. თეატრს შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა (იხ. *რუსთაველის თეატრი*). ქართ. თეატრის აღმავლობა, ახ. სათეატრო აზროვნების, პროფ. რეჟისურის პრინციპების დამკვიდრება დაკავშირებულია კ. მარჯანიშვილის და ს. ახმეტელის სახელებთან. 1922, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, კ. მარჯანიშვილი სათავეში ჩაუდგა რუსთაველის სახ. თეატრს. ამ პერიოდში ქართ. სცენის ოსტატების გვერდით თეატრში მოვიდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები: ვ. ანჯაფარიძე, თ. ჭავჭავაძე, ც. წუწუნავა, ე. დონაური, ა. ხორავა, ა. ვასაძე, უ. ჩხეიძე, შ. ღამბაშიძე, მ. გელოვანი, გ. დავითაშვილი, ა. ჟორჟოლიანი; რეჟისორები: დ. ანთაძე, კ. პატარიძე; მხატვარი ი. გამრეკელი; კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი.



თეატრონი. მცხეთა.

კ. მარჯანიშვილის მიერ რუსთაველის თეატრში დადგმული რევ. პათოსით აღსავსე სპექტაკლი – ლოპე დე ვეგას ,,ცხვრის წყარო'' (პრემიერა შედგა 1922 წ. 25 ნოემბერს), უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად, ქართ. თეატრის საეტაპო წარმოდგენად იქცა. 1923 წელს კ. მარჯანიშვილმა რუსთაველის თეატრში დადგა ზ. ანტონოვის ,,მზის დაბნელება საქართველოში'', რ-შიც მონაწილეობდნენ ქართვ. მსახიობთა სამი თაობის წარმომადგენლები, მ. შ. იმჟამად თბილისში მყოფი მოსკოვის მცირე თეატრის ხელმძღვანელი ა. სუმბათაშვილი-იუჟინი. კ. მარჯანიშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი თვისებები – თანამედროვე ჟღერადობა, ემოციურობა, მხატვრული უბრალოება, მონუმენტურობა, ჭეშმარიტი თეატრალობა – განსაკუთრებით გამოვლინდა უ. შექსპირის ,,ჰამლეტში'' (1925; ჰამლეტი – უ. ჩხეიძე, კლავდიუსი – ა. ვასაძე, ოფელია – ვ. ანჯაფარიძე).

ნოვატორული მიღწევების მხარდაჭერისა და შენარჩუნების მიზნით 1924 რუსთაველის თეატრში შეიქმნა მოდერნისტული გაერთიანება – კორპორაცია ,,დურუჯი'', რ-თანაც შემდგომში კ. მარჯანიშვილს მოუხდა დაპირისპირება და იგი 1926 წავიდა რუსთაველის თეატრიდან. 1926–35 თეატრს ხელმძღვანელობდა რეჟ. ს. ახმეტელი. იგი გაბედულად შეუდგა ახ. თეატრ. ფორმების ძიებას. მან თითქმის ზედიზედ შექმნა ისეთი მნიშვნელოვანი სპექტაკლები, როგორიც იყო ,,ანზორი'' (1928), ,,რღვევა'' (1929), ,,ლამარა'' (1930), ცოტა მოგვიანებით – ფ. შილერის ,,ყაჩაღები'' (1933). ამ სპექტაკლებმა გაამდიდრა თეატრ. ხელოვნება და ქართ. თეატრს პირველი საერთაშ. აღიარება მოუპოვა. დრამ. თეატრის ისტორიაში, იმ რეჟისორთა შორის, რ-თა შემოქმედებამაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა XX ს. მსოფლიო თეატრ. ხელოვნების განვითარებაში, მოხსენიებულია ს. ახმეტელიც.

1928 ქუთაისში კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ახ. თეატრი, რ-საც თბილისში გადმოსვლის შემდეგ (1930) კ. მარჯანიშვილის სახელი ეწოდა (1933) (იხ. *მარჯანიშვილის თეატრი*). აქ დაიდგა: ე. ტოლერის ,,ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ'' (1928), კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა'' (1929), პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი'' (1929) და სხვა მნიშვნელოვანი სპექტაკლები. 1930 წარმატებით ჩატარდა რუსთაველის თეატრის გასტროლები მოსკოვში, მარჯანიშვილის თეატრისა – ხარკოვსა და მოსკოვში, რის შემდეგაც ქართ. თეატრი ჩადგა მსოფლიოს მოწინავე თეატრების რიგში.

ქართ. თ-ის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა შექსპირის დრამატურგიამ. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ,,ოტელოს'' (1937, რუსთაველის თეატრი), რ-შიც ა. ხორავამ (ოტე-

ლო) და ა. ვასაძემ (იაგო) ბრწყინვალე მხატვრული სახეები შექმნეს. 20–30-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ მსახიობები: ს. თაყაიშვილი, ვ. გოძიაშვილი, ს. ზაქარიაძე, გ. შავგულიძე, პ. კობახიძე, თ. წულუკიძე, გ. საღარაძე, ა. ომიაძე, ა. კვანტალიანი, თ. ბაქრაძე, ნ. ლაფაჩი, ა. გომელაური, ს. ჯაფარიძე და სხვ.; რეჟისორები: ვ. ყუშიტაშვილი, ა. ვასაძე, ა. თაყაიშვილი, დ. ანთაძე, ი. თუმანიშვილი, ა. ჩხარტიშვილი, დ. ალექსიძე, ს. ჭელიძე, პ. ფრანგიშვილი, შ. აღსაბაძე, გ. ღვინიაშვილი, ვ. სულიაშვილი, ვ. აბაშიძე, გ. ჟურული, ვ. ტაბლიაშვილი, მ. კვალიაშვილი, ნ. გოძიაშვილი, შ. ინასარიძე და სხვ.

1937 წლის მასობრივ რეპრესიებს შეეწირა 19 მსახიობი, რეჟისორი და მხატვარი, მათ შორის ს. ახმეტელი.

თანამედროვეობა აისახა 40-იანი წლების დასასრულსა და 50-იანი წლების დასაწყისში შექმნილ სპექტაკლებში: ი. მოსაშვილის ,,მისი ვარსკვლავი'' (1951, სსრკ სახელმწ. პრემია, 1952), მ. მრევლიშვილის ,,ხარატაანთ კერა'' (1949), მ. ბარათაშვილის ,,მარინე'' (პიესა ,,ჭრიჭინა'', 1960, ყველა კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში). შოთა რუსთაველის სახ. თეატრში დიდი წარმატებით დაიდგა მ. გორკის პიესები: ,,მტრები'' (1951, რეჟ. ა. ვასაძე), ,,ვასა ჟელეზნოვა'' (1951, რეჟ. დ. ალექსიძე), ხოლო მარჯანიშვილის თეატრში ,,ფსკერზე'' (1955, რეჟ. ლ. იოსელიანი).



თეატრის ანტიკური ნიღაბი.

ქართ. კლასიკის სრულყოფილი ინსცენირების საუკეთესო ნიმუშებად ითვლება სპექტაკლები: ,,ნინოშვილის გურია'' (1933, ე. ნინოშვილის მოთხრობების მიხედვით, რეჟ. დ. ანთაძე), ,,კაცია-ადამიანი!?'' (1946, ი. ჭავჭავაძის მიხედვით, რეჟ. ვ. ყუშიტაშვილი), ,,სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი'' (1940, ლ. არდაზიანის მიხედვით, რეჟ. ვ. ტაბლიაშვილი, ყველა მარჯანიშვილის თეატრი), ,,პირველი ნაბიჯი'' (1948, გ. წერეთლის მიხედვით) და ,,გლახის ნაამბობი'' (1955, ი. ჭავჭავაძის მიხედვით, ორივე დ. ალექსიძის დადგმა, რუსთაველის თეატრი). ამ სპექტაკლებში მონაწილეობდნენ: ვ. გოძიაშვილი (ლუარსაბ თათქარიძე), შ. ღამბაშიძე (სოლომონი), ა. ვასაძე (პეპია), ს. თაყაიშვილი (ქრისტინე), ც. წუწუნავა (მაჭანკალი), ვ. ანჯაფარიძე (გინატრე), გ. გეგეჭკორი (ბახვა ფულავა) და სხვა.

შემდგომი პერიოდის მნიშვნელოვანი სპექტაკლებია: ნ. გოგოლის ,,რევიზორი'' (რეჟ. ა. თაყაიშვილი, 1951, მარჯანიშვილის სახ. თეატრი), ა. ოსტროვსკის ,,უდანაშაულო დამნაშავენი'' (რეჟ. ა. ვასაძე, 1959), ,,ზოგჯერ ბრძენიც შეცდება'' და გ. სუნდუკიანის ,,პეპო'' (ორივეს რეჟ. დ. ალექსიძე; 1944, 1951; სამივე დაიდგა რუსთაველის თეატრში).

50-იან წლებში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა ქართ. თეატრში. დრამატურგთა, რეჟისორთა და მსახიობთა ახ. თაობა გამოვიდა რუსთაველის თეატრის გმირულ-რომანტ. ტრადიციების ვულგარიზაციის წინააღმდეგ. ამ მხრივ პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ა. დვალიშვილის სპექტაკლს ,,ჩვენებურები'' (1956). მასში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ახალგაზრდა რეჟისორთა სწრაფვა, ყოველგვარი ცრუ რომანტ. პათოსის გარეშე შეექმნათ ღრმად ფსიქოლ. სპექტაკლები. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია რუსთაველის თეატრის სპექტაკლები: გ. ქელბაქიანის ,,ახალგაზრდა მასწავლებელი'' (1953), ვ. როზოვის ,,გზა მშვიდობისა'' (1955, ორივეს რეჟ. ა. დვალიშვილი), ი. ფუჩიკის ,,ადამიანებო, იყავით ფხიზლად!'' (1951), ჯ. ფლეტჩერის ,,ესპანელი მღვდელი'' (1954, ორივეს რეჟ. მ. თუმანიშვილი).

ახ. შემოქმედებით ძიებას გამოხატავდა მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლებიც: ს. კლდიაშვილის ,,დაბრუნება'' (1952) და ვ. გაბისკირიას ,,უფსკრულთან'' (1953, ორივეს რეჟ. გ. ლორთქიფანიძე), რ. თაბუკაშვილის ,,რაიკომის მდივანი'' (1947) და ვ. გაბისკირიას ,,გაზაფხულის დილა'' (1952, ორივეს რეჟ. ლ. იოსელიანი). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რეჟისორების ა. დვალიშვილის, მ. თუმანიშვილის, გ. ლორთქიფანიძის და ლ. იოსელიანის როლი გამომსახველობის, მხატვრულ-სტილისტური საშუალებების განახლებაში. ამ წლებში დიდი წარმატება მოიპოვეს თეატრის მხატვრებმა ს. ვირსალაძემ, ფ. ლაპიაშვილმა, ი. სუმბათაშვილმა, დ. თავაძემ, ნ. ყაზბეგმა, დ. თაყაიშვილმა.

წამყვან თეატრებში ძირითადად მოღვაწეობდნენ თეატრ. ინ-ტის კურსდამთავრებულები.

შემდგომ წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საქართვ. სხვადასხვა ქალაქის თეატრებმა, რ-ებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართ. თეატრ. ხელოვნების განვითარებაში. იმ პერიოდში მაღალი პროფესიონალიზმით, ჭეშმარიტი არტისტიზმით გამოირჩეოდნენ მსახიობები: ი. კობალაძე, მ. ხინიკაძე (*ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი* ი. ჭავჭავაძის სახელობისა), ლ. ჭედია, მ. ჩუბინიძე, თ. ბოლქვაძე (*სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი* კ. გამსახურდიას სახელობისა), ვ. მეგრელიშვილი, მ. გელაშვილი, ქ. კოლხიდელი, შ. პირველი, შ. ხაჟალია, ვ. გვენცაძე, ი. ხვიჩია (*ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრი* ლ. მესხიშვილის სახელობისა), მ. ვაშაძე, გ. ტყაბლაძე (*ჭიათურის სახელმწიფო დრამატული თეატრი* ა. წერეთლის სახელობისა), შ. ხერხეულიძე (*გორის სახელმწიფო დრამატული თეატრი* გ. ერისთავის სახელობისა), თ. ბურბუთაშვილი, პ. ახვლედიანი, ა. კუპატაძე, ე. ვერულაშვილი (*თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრი* ვაჟა-ფშაველას სახელობისა).

60-იან წლებში რუსთაველის თ-ში თავი იჩინა მხატვრულ-შემოქმედებითი ძიებების ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციებმა. გმირულ-რომანტ. ტრადიციების შენარჩუნებას ან ძველი ტრადიციების შეხამებას ღრმა ფსიქოლოგიზმთან და მსოფლიო თეატრ. ხელოვნების შემოქმედებით სიახლეებთან მხარს უჭერდნენ ცნობილი რეჟისორები: დ. ალექსიძე, მ. თუმანიშვილი, ა. ჩხარტიშვილი, რასაც ადასტურებს მათ მიერ დადგმული სპექტაკლები: ვაჟა-ფშაველას ,,ბახტრიონი'' (ინსცენირება დ. გაჩეჩი-

ლაძე) (1960), გ. ნახუცრიშვილის ,,ფიროსმანი'' (1961), ბ. ბრეხტის ,,სამგროშიანი ოპერა'' (1964, სამივეს რეჟ. დ. ალექსიძე), მ. ელიოზიშვილის ,,ბებერი მეზურნეები'' (1969), ვ. ვიშნევსკის ,,ოპტიმისტური ტრაგედია'' (1958, ორივეს რეჟ. ა. ჩხარტიშვილი), ლ. ქიაჩელის ,,გვადი ბიგვა'' (1967), ჟ. ანუის ,,ანტიგონე'' (1968), ჟ. რასინის ,,ფედრა'' (1969), ა. ჩხაიძის ,,ხიდი'', გ. ნახუცრიშვილის ,,ჭინჭრაქა'' (1963, ხუთივეს რეჟისორი მ. თუმანიშვილი). ქართ. თეატრი ასახავს სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებას, ამხელს ჩრდილოვან მხარეებს, რითაც მაყურებელს ეხმარება თანამედროვე ცხოვრების რთული მოვლენების სწორად შეფასებაში. ეს ტენდენციები განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა რეჟისორების რ. სტურუას, თ. ჩხეიძის, ლ. მირცხულავას, ი. კაკულიას, გ. ჟორდანიას, გ. ქავთარაძის, შ. გაწერელიას, ნ. ხატისკაცის, ნ. დემეტრაშვილის, ს. მრევლიშვილის, მ. კუჭუხიძის, ა. შალიკაშვილის შემოქმედებაში.

თეატრ. კულტურის ზრდა დაადასტურა რუსთავის თეატრის (ამჟამად *რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრი* გ. ლორთქიფანიძის სახელობისა), *მესხეთის (ახალციხის) სახელმწიფო დრამატული თეატრის* (მთ. რეჟ. ნ. დემეტრაშვილი), თბილ. ახალგაზრდული თეატრ-სტუდიის (სამხატვრო ხელმძღვ. ს. მრევლიშვილი), გლდანის თეატრის (ხელმძღვ., ლ. პაქსაშვილი ამჟამად ახმეტელის სახელობისა), პანტომიმის (ხელმძღვ. ა. შალიკაშვილი), მარიონეტების (ხელმძღვ. რ. გაბრიაძე) და მინიატიურების (ხელმძღვ. თ. ჩანტლაძე) სახელმწ. თეატრების შექმნამ.

1975 წელს კინოსტუდია ,,ქართული ფილმის'' ბაზაზე შეიქმნა *კინომსახიობთა დრამატული თეატრი*, რ-ლის დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვ. გარდაცვალებამდე იყო მ. თუმანიშვილი.

ქართულმა თეატრმა ფართო აღიარება მოიპოვა საერთაშ. არენაზე. ნ. დუმბაძის, ო. იოსელიანის, ა. ჩხაიძის, გ. ხუხაშვილისა და სხვათა პიესები წარმატებით დაიდგა საზღვარგარეთის თეატრების სცენაზე. საზღვარგარეთ გასტროლების დროს დიდი წარმატება ხვდა წილად რ. სტურუას მიერ რუსთაველის თეატრში დადგმულ სპექტაკლებს.

მარჯანიშვილის სახ. თეატრის სპექტაკლებიდან აღსანიშნავია გ. ლორთქიფანიძის მიერ ნ. დუმბაძის ნაწარმოებების მიხედვით დადგმული ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი'' (1961), ,,მე ვხედავ მზეს'' (1963); პ. კაკაბაძის ,,კახაბერის ხმალი'' (1965), ა. გეწაძის ,,წმინდანები ჯოჯოხეთში'' (1967), ,,მთავარის მოტაცება'' (კ. გამსახურდიას რომანის მიხედვით, ორივეს რეჟ. ლ. მირცხულავა, 1968). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვ. გოძიაშვილის მიერ დადგმული ა. ცაგარლის, ა. წერეთლის, ქ. ბახუტაშვილის ,,ძველი ვოდევილები'' (1968). აქვე უნდა აღინიშნოს რეჟ. დ. ალექსიძის ნაყოფიერი მოღვაწეობა ამავე თეატრში – დადგა ფ. შილერის ,,დონ კარლოსი'' (1971), ა. ოსტროვსკის ,,ტალანტები და თაყვანისმცემლები'' (1974), ა. კორნეიჩუკის ,,ხსოვნა გულისა'' (1972).

70-იან წლებში მარჯანიშვილის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელად დაბრუნდა გ. ლორთქიფანიძე, რ-მაც წარმოადგინა სოფოკლეს ,,ოიდიპოს მეფე''.

დაწყებული XX ს. 70-იანი წლებიდან და XXI ს. პირველ ათწლეულში მომხდარმა მოვლენებმა, ღრმა სოც.-პოლიტ. ცვლილებებმა გავლენა იქონია ქართ. თ-ზე. რუსთაველის თ-ში საბოლოოდ ფორმირდება რ. სტურუას პოლიტ. თეატრის მოდელი, განსაზღვრული სპექტაკლებით: ა. მილერის ,,სეილემის პროცესი'', პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი'' (1974), ბ. ბრეხტის ,,კავკასიური ცარცის წრე'' (1975), მ. შატროვის ,,ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე'' (1980) და სხვ. აღსანიშნავია რ. სტურუას ,,შექსპირიანას'' ციკლის სპექტაკლები: ,,რიჩარდ III'' (1978), ,,მეფე ლირი'' (1987), ,,მაკბეტი'' (1995), ,,მეთორმეტე ღამე'' (2000), ,,ჰამლეტი'' (2001); მნიშვნელოვანია სპექტაკლები: ი. ჭავჭავაძის ,,კაცია-ადამიანი!?'' (2001, რ. სტურუა), ს. ბეკეტის ,,გოდოს მოლოდინში'' (2002, რ. სტურუა), ,,თორმეტი განრისხებული მამაკაცი'' (2006, რ. სტურუა, რ. ჩხაიძე), ,,მოხუცი ჯამბაზები'' (2008, გ. კაპანაძე), ,,სტუმარმასპინძელი'' (2010, ვ. გორგოშიძე), ,,ნადირობის სეზონი'' (2011, რ. სტურუა).

90-იან წლებში და ახ. საუკუნის პირველ ათწლეულში რთული ცვლილებები ხდება მარჯანიშვილის თ-ში. მიმდინარეობს ახ. ფორმების ძიება, დიდი ყურადღება ეთმობა სასცენო ლექსიკის განახლებას, თემებისა და გამომსახველობითი საშუალებების მრავალფეროვნებას. თ. ჩხეიძე წარმატებით დგამს თავისუფლების იდეის (ი. ჭავჭავაძე ,,ასის წლის წინათ'', ლ. ქიაჩელი ,,ჰაკი აძბა''), მორალურ-ეთიკური პრობლემების გამომსახველ წარმოდგენებს. ფართო რეზონანსი მოჰყვა თ. ჩხეიძის დადგმებს: მ. ჯავახიშვილის ,,ჯაყოს ხიზნებს'' (1984), შექსპირის ,,ოტელოს'' (1982), თ. დოსტოევსკის ,,მარად ქმარს'' (1997), ა. სტრინდბერგის ,,მამას'' (1998), ჟ. ანუის ,,ანტიგონეს'' (2000). აღსანიშნავია ამავე თეატრის ახალი სპექტაკლები: ,,როგორც გენებოთ'' (2012, ლ. წულაძე), ,,ჰამლეტი'' (2013, თ. კუპრავა), ,,თეთრი იასამანი'' (2014, გ. ჟორდანია) და სხვ.

ინტენსიურად მუშაობენ დიდი ტრადიციის მქონე თბილისის თ-ები: *მუსიკალური კომედიის და დრამის სახელმწიფო თეატრი* ვ. აბაშიძის სახელობისა, *გრიბოედოვის თეატრი, თბილისის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრი* პ. ადამიანის სახელობისა და *თბილისის აზერბაიჯანული სახელმწიფო დრამატული თეატრი* ჰ. ალიევის სახელობისა.

1999 გაერთიანდა მოზარდთა ქართ. და რუს. თ-ები და ეწოდა მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი ნ. დუმბაძის სახელობისა.

1997 საფუძველი ჩაეყარა თბილ. *სამეფო უბნის თეატრს* სპექტაკლით ,,ნანგრევებს შორის'' (ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა მიხედვით. რეჟ. ც. ნაკაშიძე). თ-ის დამფუძნებლები არიან ი. *გიგოშვილი* და მ. *თავაძე*. თ-ს არ ჰყავს სტაბილური დასი. ახალდაზრდა შემოქმედთა (ა. ვარსიმაშვილი, გ. მარგველაშვილი, ლ. წულაძე, ო. ეგაძე, მხატვარი შ. გლურჯიძე, გ. ხარაბაძე) ინიციატივით 1997 შეიქმნა *თეატრალური სარდაფი*, 2005 – *თეატრი ათონელზე* (ნ. ფაჩუაშვილი, რ. სალუქვაძე), სადაც წარმატებით გამოდიან მოწვეული მსახიობები.

1987 კ. მახარაძის ინიციატივით დაარსდა *ერთი მსახიობის თეატრი ,,ვერიკო''*. საზ-ბის ინტერესი გამოიწვია კ. მახარაძისა და ს. ჭიაურელის სპექტაკლებმა, მ. ჯინორიას ,,პოეზიის საღამოებმა'' (,,და სიმღერით ვკვდები'' 1995; ,,დროთა კავშირი'', 2010). ბათუმში და თბილისში ფუნქციონირებს ორი-

გინ. ,,თითების თეატრი'' (დამაარსებელი ბ. კუპრეიშვილი).

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ცნობილი მოვლენების შემდეგ თბილისში ფუნქციონირებს სოხუმის კ. გამსახურდიას სახ. და ცხინვალის ი. მაჩაბლის სახ. ქართ. დრამ. თ-ები. 1991-იდან შეიქმნა სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თ. ,,თეთრი ტალღა''.

XX ს. დასასრულიდან ქართ. თ-ში ხდება მნიშვნელოვანი შემოქმედებითი და ორგანიზაციული ცვლილებები, სახელმწ. თ-ებთან ერთად ყალიბდება დამოუკიდებელი და კერძო თ-ები. მძაფრი სოც. პრობლემები აისახა ა. ვარსიმაშვილის *თავისუფალ თეატრში,* რ-იც გაიხსნა ჯ. ოსბორნის პიესით ,,კომედიანტები'' (2001). თ. მუშაობს ანტრეპრიზის პრინციპით.

XX ს. 80-იანი წლებიდან საქართვ. თ-ებში დაიწყო თაობათა მონაცვლეობის პროცესი. მნიშვნელოვანი სირთულეების გადატანა მოუხდათ საქალაქო და რაიონულ თ-ებს. სტაბილური შემოქმედებითი ცხოვრება აღდგა 2000-იდან. საქართველოში 2014 წლისათვის სხვადასხვა სტატუსის (სახელმწ. მუნიციპალური, კერძო) და ჟანრის (დრამა, ოპერა, თოჯინები, პანტომიმა, მარიონეტები, ჩრდილები, თითები და სხვა) 50-ზე მეტი თეატრია, რ-ებიც ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ეწევიან.



გაზეთი ,,თეატრი.

რეგულარულად ტარდება მ. თუმანიშვილის სახ. ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი ,,Gift-საჩუქარი'' (დაარსების ინიციატორი რეჟ. ქ. დოლიძე), თბილისის მერიისა და კულტურის სამინისტროს ,,თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი''; ასევე ფესტივალები ტარდება რეგიონებშიც. დაწესებულია თეატრალური პრემია ,,დურუჯი'' და სხვადასხვა სახელობითი პრემია.

ლიტ.: ამირანაშვილი შ., წარმართული მისტერიები და ანტიკური თეატრი საქართველოში, «მნათობი», 1944, №1–2; ანთაძე დ., თეატრალური ზესტაფონი, თბ., 1978; ბუხნიკაშვილი გ., გორის თეატრი, თბ., 1965; მისივე ჭიათურის თეატრი, თბ., 1970; მისივე, ბათუმის თეატრი, თბ., 1979; მისივე, თეატრალური ქუთაისი, თბ., 1979; ბუხნიკაშვილი გ., ლაშხი ნ., მახარაძის თეატრი, თბ., 1968; გაბისონია გ., ბარამია ა., ზუგდიდის თეატრი, თბ., 1969; გაჩეჩილაძე ა., ნარკვევები XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, ნაწ. 1–2, თბ., 1957–63; გეგია მ., ქართული თეატრი, თბ., 2012; გერსამია ს., სოხუმის თეატრი, სოხ., 1981; გუნია ვ., ქართული თეატრი (1879–1889), ტფ., 1889; გურაბანიძე ნ., მრავალსახეობა თეატრისა, თბ., 1972; მისივე, ევროპული დრამატურგია რუსთაველის თეატრში, თბ., 2010; კიკნაძე ვ., ქართველი რეჟისორები, წგ. 1–2, თბ., 1968–70; მისივე, ქართული დრამატული თეატრის ისტორია, ტ. 1–2, თბ., 2001–02; ნინიძე ვ., გერსამია ს., შვანგირაძე ნ., თბილისის სანკულტურის თეატრი, თბ., 1955; რუხაძე ტრ., ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბ., 1949; ღვინაშვილი ა., მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი, თბ., 1956; შალუტაშვილი ნ., გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრი, თბ., 1942; ჯანელიძე დ., მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრი, თბ., 1939; მისივე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბ., 1948; მისივე, ქართული თეატრი უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე, თბ., 1965;

ვ. კიკნაძე. დ. ჯანელიძე.

„თეატრი“, ქართული ყოველკვირეული სამხატვრო-ლიტერატურული გაზეთი. პირველი თეატრ. ბეჭდვითი ორგანო (1885–91). დამააარსებელი, გამომცემელი და პირველი რედაქტორი (1885–1887) იყო მსახიობი ვ. *აბაშიძე.* შემდეგ წლებში გაზეთს რედაქტორობდნენ ვ. *გუნია* (1886. 15. VI–21. IX), ა. ნებიერიძე (1887. 22.III – 1891). პირველი ნომერი გამოვიდა 1885 წ. 14 ივლისს. სულ გამოვიდა 185 ნომერი. ,,თ-ში'' იბეჭდებოდა ვ. აბაშიძის, ვ. გუნიას, დ. კეზელის (დ. სოსლანის), ი. ჯავჯანაშვილისა და სხვატა სტატიები მსახიობის, რეჟისორის ოსტატობაზე, ქართ. თეატრის ისტორიაზე, მეზობელ ერთა თეატრებზე; რეცენზიები სპექტაკლებზე, პიესები, მოთხრობები, ლექსები და სხვ.; ქვეყნდებოდა ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, შ. ქუჩუკაშვილის (მღვიმელის), ა. ფურცელაძის, ა. ყაზბეგის და სხვატა ნაწარმოებები. იბეჭდებოდა აგრეთვე პუბლიც. წერილები საქართვ. სოც.-პოლიტ. და კულტ. საკითხებზე. ,,თ.'' იყო პირველი გაზეთი ილუსტრაციებით, რთანაც თანამშრომლობდნენ მხატვრები ა. ბერიძე, გ. ტატიშვილი და სხვ.

ლიტ.: ქვარიანი თ., გაზეთი ,,თეატრი'', თბ., 1974.

თეატრი ათონელზე, კერძო თეატრი. გაიხსნა 2005 თბილისში, ათონელის ქუჩაზე (№ 31 სახლში). აქედან მომდინარეობს მისი სახელწოდება. თეატრის გახსნის ინიციატორი იყო ბიზნესმენი რ. სალუქვაძე. თეატრს არ ჰყავს მსახიობთა მუდმივი დასი. სპექტაკლებს დგამენ მოწვეული რეჟისორები მოწვეულ მსახიობებთან ერთად. თეატრის დირექტორია შოთა რუსთაველის თეატრის მსახიობი ნ. *ფაჩუაშვილი.* პირველ სპექტაკლად თეატრმა მაყურებელს უჩვენა გ. კაპანაძის ,,მოჩვენებანი თეატრში'' (მსახიობები ნ. ფაჩუაშვილი, მ. ჯანაშია, ქ. ჩხეიძე). სხვა დადგმებია: ,,უჩვეულო რეპეტიცია'' (ლ. როსებას ,,პრემიერის'' მიხედვით, რეჟ. გ. თოდაძე; მსახიობები – მ. ბიბილეიშვილი, ქ. კიკნაძე, მ. ჯოჯუა და სხვ.), ს. მროჟეკის ,,ემიგრანტები'' (რეჟ. ი. აფაქიძე; მსახიობები – გ. პიპინაშვილი, ზ. ყიფშიძე), ს. შეპარდის ,,დამარხული ბავშვი'' (რეჟ. გ. ქაჩიბაია; მსახიობები – გ. ლეჟავა, ნ. ლეჟავა, გ. ლომიძე და სხვ.). ი. სამსონაძის ,,სიყვარული კვარცხლბეკზე ანუ აფრინდა ჭილყვავი, გადაიყრანტალა'' (რეჟ. ა. ენუქიძე, მხატვარი ა. ჭელიძე; მსახიობები – ნ. კასრაძე, მ. ქვრივიშვილი, ნ. ხუსკივაძე, გ. სვანიძე და სხვ.), მიუზიკლი ,,შოუ, რომელიც ერთ დროს დაიწყო'' (პროექტის ავტორი რეჟ. ხ. მილორავა, დამდგმელი ბალეტმაისტერი და სცენარის ავტორი გ. ფოცხიშვილი, მსახიობები – კ. აბუაშვილი, ი. ჩანტლაძე, მ. კიკნაძე, გ. და დ. ფოცხიშვილები). ს. კაკულიას ,,სახურავი'' (რეჟ. ნ. ხუსკივაძე, მონაწილეობდნენ ,,რეალიტი შოუს'' დასელები), ლ. თაბუკაშვილის ,,დარაბებს მიღმა გაზაფხულია'' (რეჟ. თ. ავალიშვილი), ,,ძველებური ვოდევილი'' (ვ. ნიკოლაძის პიესის ,,როცა იხსნება ფარდა'' მიხედვით, მსახიობები – თ. მაღრაძე, გ. აფციაური, გ. მაისურაძე და სხვ.), ი. გარუჩავას და პ. ხოტიანოვსკის ,,ღილა მშვიდობისა ასდოლარიანო'' (რეჟ. ქ. დოლიძე, მსახიობები – ნ. ფაჩუაშვილი, რ. იოსელიანი, ნ. რუხაძე და სხვ.).

„თეატრი და ცხოვრება“, ქართული ყოველკვირეული თეატრალურ-ლიტერატურული ჟურნალი. გამოდიოდა 1910, 1914–20, 1923–26 თბილისში. მისი დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი იყო ი. *იმედაშვილი.* ჟურნალთან თანამშრომლობდნენ შ. დადიანი, ი. გომართელი, ს. ხუნდაძე. კ. ყიფიანი, ი. ვართაგავა, კ. მესხი, ს. სუმბათაშვილ-იუჟინი, ი. გრიშაშვილი, ვ. კოტეტიშვილი, ს. ახმეტელი და სხვ. იბეჭდებოდა პიესები, სტატიები თეატრის ისტ. და თეორიის საკითხებზე, მსახიობთა აღზრდაზე, რეჟისორის ოსტატობაზე, მსახიობისა და მაყურებლის ურთიერთობაზე; რეცენზიები სპექტაკლებზე, აგრეთვე ლიტ. და



თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი. საგამოფენო დარბაზი.

იუმორისტული ხასიათის წერილები და კარიკატურები.

თ. ქვარიანი.

თეატრის მოღვაწეთა კავშირი, იხ. *თეატრალური საზოგადოება.*

თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი, დაარსდა თბილისში 1927 დ. *არსენიშვილის* ინიციატივით როგორც საქართვ. სათეატრო მუზეუმი. თავდაპირველად ექვემდებარებოდა საქართვ. განსახკომს, შემდეგ – კულტ. სამინისტროს, 1962–64 – თეატრ. საზ-ბას. მუზეუმის ფონდების შევსება-გამდიდრება უნიკალური მასალებით და მუზეუმის პროფილის გაფართოება დაკავშირებულია გ. *ბუხნიკაშვილის* სახელთან. 1974-იდან მუზეუმში მოხდა რეორგანიზაცია და ეწოდა საქართვ. თეატრის, მუს. და კინოს სახელმწ. მუზეუმი, ხოლო 2005-იდან – მ., მ., პ. და ძ. ს. მ., არის სავარო სამართლის იურიდ. პირი საქართვ. კულტ. და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში.

2000 მუზეუმში ფუნქციონირებდა 3 სამეცნ. განყ-ბა: თეატრის., სამუსიკო და კინოსი; საფონდო სექტორები: ხელნაწერების, დეკორაციულ-სახვითი, ფოტონეგატივების, სააფიშო, გრამფირფიტებისა და მაგნიტოფირების, საგნობრივ-მემორიალური, აუდიო-ვიდეოჩანაწერებისა. ხოლო 2013-თვის იყო შემდეგი ფონდები: ქანდაკების, სააფიშო, ბიბლიოთეკისა და რარიტეტულ გამოცემათა, ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტების, მემორიალურ და ხელოვნების ნიმუშთა, ფოტო და ფოტონეგატივების, სახვითი ხელოვნების, მუსიკის.

ფონდსაცავში სულ იყო 245293 ექსპონატი, მ. შ. ძვ. და თანამედროვე ქართ. თეატრის, კინოს, მუს. და ქორეოგრ. ისტორიის ამსახველი უმდიდრესი მასალა, XVII–XX სს. ფერწერის ნიმუშები, სპარს. მინიატიურები, გერმ. და ფრანგ. გრავიურები, ლიტ-რისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეების მემორიალური ნივთები და არქივები; თეატრ. კოსტიუმები, აუდიო- და ვიდეოჩანაწერები, აფიშები, პროგრამები, კინოფირები, თეატრ.-დეკორ. ხელოვნების კოლექციები; კ. მარჯანიშვილის, შ. დადიანის, დ. არაყიშვილის,



თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი. საგამოფენო დარბაზი.

ვ. აბაშიძის, ლ. მესხიშვილის, მ. ბალანჩივაძის, მ. საფაროვა-აბაშიძის, ნ. გაბუნიას, მ. ქორელის, კ. ფოცხვერაშვილის, მ. ჭიაურელის, ვ. ანჯაფარიძის, ს. ზაქარიაძის და სხვატა პირადი არქივები; ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძის, ე. ახვლედიანის, ვ. სიდამონ-ერისთავის, ს. ვირსალაძის და სხვატა ნამუშევრები; თეატრის, მუსიკისა და კინოს მოღვაწეთა მემორიალური ნივთები, ისტ. დოკუმენტები; უმდიდრესი ფოტო-, ფონო-, აუდიო-, ვიდეომასალა.

მუზეუმში პირველი გამოფენა მოეწყო 1938 დ. ჯანელიძის ინიციატივით. წარმოდგენილი იყო მუზეუმში დაცული ქართ. სანახაობითი კულტურის ამსახველი მასალა. მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმს არ გააჩნდა საგამოფენო დარბაზები, ექსპონატები გაჰქონდათ სხვადასხვა ორგანიზაციებში, იყო მოძრავი გამოფენებიც. XX ს. 40-იან წლებში მოეწყო გამოფენები თემებზე: ,,ქართული თეატრის 60 წელი'' (1940), ,,ქუთაისის თეატრის 60 წლისთავი'' (1940), ,,მაკო საფაროვა-აბაშიძის ცხოვრება და შემოქმედება'' (1940), ,,შექსპირი ქართულ სცენაზე'' (1941), ,,საბჭოთა თეატრის 20 წელი'' (1941), ,,კოტე მესხის ცხოვრება და შემოქმედება'' (1941); ზ. ფალიაშვილის (1947), კ. მარჯანიშვილის (1947), ვ. გუნიას, ა. ყაზბეგის (1947) შემოქმედება; 1950–55 კი წარმოდგენილი იყო გ. ერისთავის, ზ. ფალიაშვილის, ლ. მესხიშვილის, შ. დადიანის, მ. ბალანჩივაძის, ვ. აბაშიძის, ა. ხორავას, ა. ფაღავას, ი. გამრეკელის, ლ. ტოლსტოის, ნ. გოგოლის ცხოვრება და შემოქმედება, პერიოდულად საიუბილეო გამოფენებს ენაცვლებოდა თემატური გამოფენებიც: ,,სამამულო ომის თემა ქართულ თეატრსა და კინოხელოვნებაში'' (1945 და 1985), ,,მსოფლიო ახალგაზრდობის პრაღის ფესტივალზე ქართული ბალეტის გამარჯვებული მსახიობები'' (1948); 1986 მხატვართა სახლის საგამოფენო დარბაზებში პირველად მოეწყო ქართ. თეატრის, მუს. და კინოს ისტ. ამსახველი სამუზეუმო მასალების ვრცელი რეტროსპექტული გამოფენა. იმართებოდა გამოფენები რესპ. გარეთ: ,,ქართული თეატრი'' (ბერლინი, 1971), ,,ქართული საბჭოთა თეატრის 50 წელი'' (სანქტ-პეტერბურგი, 1971), ,,პეტრე ოცხელის დეკორაციული ხელოვნება'' (სანქტ-პეტერბურგი, 1978), ,,ქართული საბჭოთა თეატრი'' (მოსკოვი, 1987); აგრეთვე პერიოდული გამოფენები: ნინო რამიშვილის

100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა, ქართ. დიასპორა, ნატო ვაჩნაძე (2010), ,,დაბრუნებული ფერები, თურქეთი ქართულ ხელოვნებაში'' (2009) და სხვ.

მუზეუმი ახორციელებს საგანმან. პროგრამებს: ,,ქართული კინოხელოვნება'', ,,ქართული მულტიპლიკაცია'', ,,აფიშა და საზოგადოება'' (2009–10) და სხვ.

მუზეუმის ფილიალები: თბილისში – უ. ჩხეიძის (1955), ა. ხორავას (1976), ა. ვასაძის (1988) სახლ-მუზეუმები; ანაგაში – ს. ახმეტელის (1988), გურჯაანში – ნ. ვაჩნაძის (1981), დიღომში – მ. ჭიაურელის (1982–96) კერძო სახლ-მუზეუმები.

მუზეუმის ბაზაზე მომზადდა ქართ. თეატრის, მუს. და კინოს ხელოვნების ქრონოლ. ცნობარი, ქართ. თეატრის ისტ. ნარკვევები (2 ტომი); საქართვ. მოქმედი თეატრების, მუს. და კინოდაწესებულებების, აგრეთვე ხელოვნ. გამოჩენილი მოღვაწეების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული ნარკვევების კრებ. ,,საიუბილეო თარიღები'' (1986–89), ,,ხელოვნების კალენდარი'' (1990–96). 1996-იდან გამოდის ყოველწლიური საიუბილეო ცნობარები. მუზეუმმა მოამზადა 3 ტომად ნავარაუდევი ,,ხელოვნების მატიანის'' (თეატრი, მუსიკა და კინო) I ტომი, აგრეთვე გამოფენების თანმხლები ბუკლეტები და ღია ბარათები (2009–10).

მუზეუმი განთავსებულია გრაფ კ. ოლდენბურგისა და პრინცესა ს. დადიანის მიერ 1895 აგებულ სასახლეში (ი. კარგარეთელის ქ. № 6). მისი ფართობია 1749 $მ^2$, მუდმივი ექსპოზიციისა – 100 $მ^2$, საცავებისა – 491 $მ^2$, რესტავრაციის სახელოსნოებისა – 60 $მ^2$.

მუზეუმს წლიურად ჰყავს საშუალოდ 5500 დამთვალიერებელი.

მუზეუმის დირექტორები: დ. არსენიშვილი (1927–35); პ. პატარაია (1936); ლ. კანდელაკი (1935–37); ა. სტურუა (1938); ბ. ელიგულაშვილი (1938–39); გ. ბუხნიკაშვილი (1939–79); დ. ჯანელიძე (1979–85); ა. შალუტაშვილი (1985–2008); გ. კალანდია 2009-იდან დღემდე.

გ. კალანდია.

თეატრმცოდნეობა, მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სცენური ხელოვნების თეორიასა და ისტორიას, იკვლევს თეატრალურ პროცესებს და ასახავს იმ ეპოქის იდეებს, რ-შიც ეს პროცესები მიმდინარეობს. **თ. საქართველოში** თეატრთან ერთად ჩაისახა და განვითარდა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავდა სახიობის ,,საწურთელ და სარგებელ თვისებას'', მის აღმზრდელობით, საზოგადოებრივად სასარგებლო დანიშნულებას. თეიმურაზ I თვლიდა, რომ მისი ,,სასახიობო პოეზია'' იყო ,,საწვრთნელი სულისა და გასასათები''. ქართ. სანახაობრივი კულტ. ისტ. სისტემატიზაციის წამომწყებნი იყვნენ არჩილ II, ს.-ს. ორბელიანი და თეიმურაზ II, ქართ. სახიობის წარმომავლობის გარკვევას საფუძველი ჩაუყარა ვახუშტი ბატონიშვილმა. XVIII ს. ქართ. თეატრის მეთაური გ. ავალიშვილი თეატრის დანიშნულებად ადამიანის ზნეობრივ აღზრდას მიიჩნევდა. XIX ს. I ნახევარში ქართ. თეატრის ხელოვნების შესწავლაში გარკვეული წვლილი შეიტანეს თეიმურაზ, იოანე და ოქროპირ ბატონიშვილებმა. განმანათლებლობის მოძრაობას დაუკავშირეს თეატრის არსებობა და განვითარება ს. დოდაშვილმა, გ. ერისთავმა და გ. ორბელიანმა. პირველი ბეჭდვითი ორგანო, სადაც ქართ. თეატრზე წერილი გამოქვეყნდა, იყო ,,სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი'' (რედ. ს. დოდაშვილი). გ. ერისთავის მიერ ქართ. პროფ. თეატრის აღდგენასთან დაკავშირებით 1850–56 ქვეყნდება ნარკვევები და წერილები ძვ. ქართ. თეატრსა და სანახაობაზე (ნ. ბერძნიშვილი, დ. ყიფიანი, რ. ერისთავი, ა. ჯამბაკურ-ორბელიანი და სხვ.). პირველი ქართ. თეატრ. კრიტიკოსი და თეატრის მემატიანე იყო ცნობილი ლიტ. და საზ. მოღვაწე მ. თუმანიშვილი. XIX ს. 60-იანი წლებიდან რევ.-დემოკრ. იდეები თ-შიც შეიჭრა. ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. წერეთლის და სხვა ქართ. მოღვაწეთა წერილებმა თეატრ. ხელოვნების შესახებ, ნიადაგი მოუმზადა ქართ. თეატრის განახლებას. მუდმივი ქართ. დრამ. დასის ჩამოყალიბების შემდეგ (1879) ქართ. პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა სტატიები ქართ. სპექტაკლებზე, თეატრის პრობლემატურ საკითხებზე. ქართ. თეატრის კრიტიკის განვითარებაში დიდ როლს თამაშობდა სპეც. თეატრ. პერიოდული ორგანოები: ,,თეატრი'', ,,თეატრი და ცხოვრება''. გარკვეული წვლილი ქართ. თეატრის ისტ. შესწავლაში შეიტანეს ა. ხახანაშვილმა, ვ. გუნიამ, ზ. ჭიჭინაძემ, გ. წერეთელმა.

ქართ. თეატრის ისტორიას შრომები, ნარკვევები და წერილები მიუძღვნეს ს. ამაღლობელმა, ა. დუდუჩავამ, ბ. ჟღენტმა, კ. ბუაჩიძემ, გ. თავზიშვილმა. თეატრ. ხელოვნების მაღალ მეცნ. დონეზე შესწავლას თავიანთ ნაშრომებით ხელი შეუწყვეს ივ. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ, გ. წერეთელმა, ს. ყაუხჩიშვილმა, შ. ამირანაშვილმა, ვ. კოტეტიშვილმა, ი. გრიშაშვილმა, გ. ლეონიძემ, ვ. ბარდაველიძემ, მ. აბრამიშვილმა, ტ. რუხაძემ, ა. გაჩეჩილაძემ, გ. ჯიბლაძემ, გ. ციციშვილმა, გ. ბუხნიკაშვილმა, ს. გერსამიამ. ქართ. თ-ს ფართო სარბიელი გაუხსნა შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრ. ინ-ტში თ-ის ფაკ-ტის და თეატრ. ისტ. კათედრის ჩამოყალიბებამ (კათედრის პირველი გამგე ა. ფაღავა), თეატრ. საზ-ბის, თეატრ. მუზეუმის და გამომცემლობა ,,ხელოვნების'' დაარსებამ. 1970 თეატრ. ინ-ტთან ჩამოყალიბდა თეატრ. და კინოს ისტ. და თეორიის სამეცნ.-კვლ. სექტორი (ხელმძღვ. დ. ჯანელიძე), თ-ის, კინომცოდნეობის, შემოქმედებითი ფსიქოლ. და კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის ჯგუფებით (შემდგომში სამეცნ.-კვლ. ცენტრი).

მონოგრაფიებში დამუშავებულია შემდეგი საკითხები: ქართ. თეატრის საწყისები, სახიობა, ძვ. ქართ. თეატრი, XIX ს. ქართ. თეატრი, ქართ. საბჭოთა თეატრ. ისტორია, ქართ. თეატრ. კრიტიკისა და თ-ის ისტორია (დ. ჯანელიძე, ე. გუგუშვილი, ნ. შალუტაშვილი, ნ. ურუშაძე, ვ. კიკნაძე), კ. მარჯანიშვილის შემოქმედება (ე. გუგუშვილი, დ. ჯანელიძე), ს. ახმეტელის შემოქმედებითი მემკვიდრეობა (ვ. კიკნაძე, ნ. ურუშაძე), ქართ. თეატრ. აზროვნება XIX ს. და XX ს. დასაწყისში (სერია ,,ქართული თეატრის მოღვაწენი სასცენო ხელოვნების შესახებ'', 10 წიგნად, დ. ჯანელიძის რედაქციით), რუსთაველის თეატრ. ისტორია, თეატრ. ურთიერთობანი (ნ. შალუტაშვილი, ი. ბაქანიძე, დ. ჩხიკვიშვილი), საზღვარგარეთის თეატრ. ისტორია და თეორია (ე. თოფურიძე), ქართ. რეჟისურის ისტორია (ვ. კიკნაძე), საბალეტო ხელოვნება და ქართ. ხალხ. ქორეოგრაფია (ლ. გვარამაძე), მსახიობისა და რეჟისორის ხელოვნება (დ. ალექსიძე, მ. თუმანიშვილი, ა. ხორავა, ა. ვასაძე, ა. ფაღავა, ვ. ანჯაფარიძე, დ. ჯანელიძე, ე. გუგუ-

შვილი, ნ. ურუშაძე, ნ. შალუტაშვილი, ვ. კიკნაძე, ნ. გურაბანიძე, ნ. შვანგირაძე და სხვა). ქართვ. თეატრმცოდნეები ნაყოფიერად მოღვაწეობენ თეატრის კრიტიკის სარბიელზე.

XX ს. 80–90-იან წლებში და XXI ს. პირველ ათწლეულში უფროს თაობასთან ერთად აქტ. საქმიანობას ეწევიან ახ. თაობის თეატრმცოდნეები, რ-ებიც აქტიურად მონაწილეობენ კრიტ. დარგში. მიმდინარეობს ქართ. თეატრ. ისტორიისა და თანამედროვეობის პრობლემების კვლევა. შეიქმნა მნიშვნელოვანი შრომები საზღვარგარეთის თეატრზე, ქართ. თეატრ. ისტორიისა და დრამის თეორიის დარგში. მ. შ. საყურადღებოა ნ. ურუშაძის ,,ვალერიან გუნია'' (1987, კ. მარჯანიშვილის პრემია). ნ. გურაბანიძის მონოგრაფიული ნარკვევები: ,,რეჟისორი რობერტ სტურუა'', ,,ფანტასტიკური რამაზ ჩხიკვაძე'', მიხეილ თუმანიშვილის თეატრი'' (რუსთაველის პრემია 2011), აგრეთვე ,,სამყარო თეატრალის თვალით'' (საქართვ. სახელმწ. პრემია, 1998), ,,გამარჯვების გზით'' (მარჯანიშვილის პრემია, 1981). ვ. კიკნაძის ,,ქართული დრამატული თეატრის ისტორია'') (ტ. I–II, 2001–02). ,,ქართული რეჟისურის ისტორიის ნარკვევები'' (1982; საქართვ. მეცნ. აკად. და საქართვ. უმაღლესი განათლების სამინისტროს პრემია), ,,ცხოვრება სანდრო ახმეტელისა'' (1987 – კ. მარჯანიშვილის სახელმწ. პრემია).

გამოქვეყნდა ნ. არველაძის ,,თეატრმცოდნეობის კვლევის ძირითადი ფორმები'' (1998), ,,ცის ბინადარი ბერიკები'' (2005), მ. გეგიას ,,ზეცნობადი თეატრალურ ხელოვნებაში'', მ. კალანდარიშვილის ,,მოდერნიზმი ქართულ თეატრში'' (2007), ნ. მაჭავარიანის ,,ნარკვევები ევროპული დრამატურგიის ისტორიიდან'' (2010), გ. ცქიტიშვილის ,,ამბავი ყოფილთა ქართულ სცენაზე'', ლ. ღონღაძის ,,ოთარ მელვინეთუხუცესი'', მ. კიკნაძის ,,ნატო გაბუნია'', გ. მეგრელიძის ,,რღვევა'' რუსთაველის თეატრში და სხვა.

80-იან წლებში ასპარეზზე გამოვიდნენ ახ. თაობის თეატრმცოდნეები (გ. ცქიტიშვილი, ლ. ხეთაგური, გ. ჩართოლანი, თ. ბოკუჩავა, მ. გოშაძე, მ. ტურიაშვილი, თ. ქუთათელაძე, მ. ვასაძე, ფ. ჟუშიტაშვილი და სხვები), რ-ებიც აქვეყნებენ შრომებს ქართ. თეატრის ისტორიისა და თანამედროვეობის საკითხებზე.

ქართვ. თეატრმცოდნეები სამეცნ. მუშაობასთან ერთად ეწევიან საგანმან. საქმიანობას, კითხულობენ ლექციებს. მრავალ თეატრმცოდნეს დაცული აქვს დისერტაცია და მინიჭებული აქვს ხელოვნებათმცოდნეობის მეცნ. დოქტორის ხარისხი.

თეატრ. კრიტ. სფეროში მოღვაწეობენ ლ. ოჩიაური, მ. გეგეჭკორი, ნ. ხურცილავა, მ. გურგენიძე, მ. წულაძე, ს. კილასონია, თ. ქუთათელაძე, ნ. მაჭავარიანი, გ. მეგრელიძე, ვ. ძიგუა, გ. ყაჯრიშვილი, ლ. ჩხარტიშვილი, ნ. აბულაძე და სხვ. საზღვარგარეთის თეატრ. პრობლემებზე – ი. ღოღობერიძე, ლ. ხეთაგური, ნ. მაჭავარიანი, გ. მამულაშვილი, თ. ბოკუჩავა და სხვ. თეატრ. ინ-ტის კურსდამთავრებულები მოღვაწეობენ თეატრ. ხელოვნების სხვადასხვა სფეროში (თეატრ. და კინოს ინ-ტი, ტელევიზია, მასმედია, სახელმწ. და საზ. დაწესებულებები). სხვადასხვა დროს შედგენილ იქნა და გამოიცა მსოფლიო თეატრ. ლექსიკონი (მ. გეგია), კრებ. სასცენო მეტყველების პრობლემებზე (ლ. ღონღაძე), რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრის ალბომები (კ. ნინიკაშვილი), დაიბეჭდა ნ. გურაბანიძის, ვ. კიკნაძის, კ. ნინიკაშვილის მემუარული ლიტრა. *დ. ჯანელიძე. ვ. კიკნაძე.*

თეატრონი, თეატრის ცნების აღმნიშვნელი სიტყვა ძველ ქართულში. საბერძნეთიდან შემოსული ეს ტერმინი იხმარებოდა ქართ. ,,სახილველის'' პარალელურად. Თ-იდან ნაწარმოები იყო ტერმინები: ,,სათეატრონე'' (სცენა), ,,მეთეატრონეობა'' (თეატრ. შემოქმედება, საქმიანობა), ,,თეატრონის მოყვარული''. შუა საუკუნეების ტერმინმა ახ. მნიშვნელობა შეიძინა: საბას განმარტებით, Თ. იყო ადგილი, სადაც ,,სტანჯვიდან წმიდათა მოწამეთა ყოველთა დასანახველად''.

თეატრ-სტუდია, იხ. *მარიონეტების სახელმწიფო თეატრი.*

თეატრ-სტუდია „ჰერეთი“, ილია ჭავჭავაძის სახ. *ალიბეგლოს ქართული სახალხო თეატრის* სახელმწიფო სტატუსი, რ-იც მას მიენიჭა 1989 საქართვ. კულტ. სამინისტროსა და თეატრ. მოღვაწეთა კავშირის მიერ თეატრ. შემოქმედებითი დამსახურების გათვალისწინებით. *ა. დოლენჯაშვილი.*

თებერვალი (ლათ. februarius – განწმენდის თვე), კალენდარული წლის მეორე თვე. შედგება 28 დღე-ღამისაგან, ხოლო თუ წელიწადი ნაკიანია – 29 დღე-ღამისაგან. სახელწ. დაკავშირებულია ძვ. რომში არსებულ განწმენდის რიტუალთან. ძვ. ქართ. წარმართული კალენდრით სარწყუნისი, სურწყუნისი ჰქვია, ხალხ. სახელწოდებაა განცხადებისთვე.

თებერვლის რევოლუცია 1917, დემოკრატიული რევოლუცია რუსეთში, რომელმაც დაამხო მეფის ხელისუფლება. 1916 მიწურულისთვის ომმა რუს. იმპერია ნგრევამდე და შიმშილამდე მიიყვანა. მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. 1917 იანვარში პეტროგრადში დაწყებული მღელვარება დიდ მანიფესტაციებში გადაიზარდა, შემდეგ კი შეიარაღებული გამოსვლის ხასიათი მიიღო. იმავე დღეს (12 მარტი) აჯანყებულმა მუშებმა და ჯარისკაცებმა დაიკავეს ქალაქი, მთავრობა გადადგა, რამდენიმე მინისტრი დააპატიმრეს. 27 თებერვალს, დილით, თავრიდის სასახლეში შეკრებილმა სახელმწ. სათათბირომ დროებითი კომიტეტი ჩამოაყალიბა მ. როძიანკოს მეთაურობით. პარალელურად, სოციალისტების წინადადებით, ჩამოყალიბდა მუშათა დეპუტატების დროებითი აღმასრ. კომიტეტი ნ. (კ.) ჩხეიძის თავმჯდომარეობით. 1–2 მარტს სახელმწ. სათათბიროს დროებითი კომიტეტის და პეტროგრადის აღმასრ. საბჭოს შეთანხმებით შედგა დროებითი მთავრობა თავად გ. ლვოვის მეთაურობით. 3 მარტს იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ უარი განაცხადა ტახტზე თავისი ძმის – მიხეილ ალექსანდრეს ძის სასარგებლოდ, რ-მაც იმავე დღეს ხელი მოაწერა ტახტზე უარის თქმის მანიფესტს. ამდენად, მონარქ. მმართველობა რუსეთში გაუქმდა. ძალაუფლება ხელში დროებითმა მთავრობამ აიღო.

საქართველოში თვითმპყრობელობის დამხობის შესახებ ცნობა კავკასიის მეფისნაცვალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ საიდუმლოდ 28 თებერვალს მიიღო; ასეთივე შინაარსის კონსპირაციული დეპეშა IV სახელმწ. სათათბიროს წევრ კ. ჩხეიძისაგან მიიღეს ქართვ. მენშევიკებმაც: ,,მთავრობაძე გარდაიცვალა, აცნობეთ ნათესავებსა და ნაცნობებს''. 4 მარტს მეფისნაცვალთან თბილ. საზ-ბის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მეფისნაცვალმა მათ აცნობა, რომ დროებითი მთავრო-

ბის მიერ დანიშნული იყო უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობაზე და შეკრებილთ ახ. ვითარებასთან შეგუებისაკენ მოუწოდა, მაგრამ მდგომარეობა მალე შეიცვალა. უკვე 3 მარტს თბილ. მოსახლეობა ერთმანეთს ულოცავდა მეფის დამხობას. ხალხი ამოძრავდა. ყალიბდებოდა რევ. ორგანოები, ისინი მეფის მთავრობის ადგილობრივ მოხელეებს აღარ ემორჩილებოდნენ. გუბერნატორები და მაზრის უფროსები იძულებული გახდნენ გადამდგარიყვნენ. 4 მარტს შეიქმნა თბილ. მუშათა დეპუტატების საბჭო, 6 მარტს – ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, შემდეგ ისინი გაერთიანდნენ. მათი უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა) შეადგინეს. საბჭოების პირველმა დამფუძნებელმა კრებამ აირჩია დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით, მუშათა დეპუტატების საბჭოები გაჩნდა საქართვ. სხვა რაიონებშიც. 6 მარტს სხვადასხვა პარტიებისა და მიმდინარეობებისაგან შეიქმნა აღმასრულებელი ბიურო 15 კაცის შემადგენლობით. დროებითმა მთავრობამ ამიერკავკ. მართვა-გამგეობისთვის შექმნა სპეც. ორგანო *ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი* (ოზაკომი), რ-შიც შევიდნენ IV სახელმწ. სათათბიროს დეპუტატები.

თეგოთა, სოფელი თიღვის მუნიციპალიტეტის თერეგვანის თემში, ლიხის ქედის აღმ. კალთაზე, მდ. ოჟორულის (შუა ფრონის მდგენელი) მარცხ. მხარეს. ზ. დ. 900 *მ*, თიღვიდან 6 *კმ*. 66 მცხ. (1989).

„თებრონე მიდის ჭყალზედა“, ქართული (ქართლ-კახური) კუპლეტური, სოლისტისა და გუნდის მონაცვლეობაზე აგებული ლირიკულ-სატრფიალო ხალხ. სამხმიანი სიმღერა. აქვს უცვლელი ტექსტი. ასახავს ახალგაზრდა ქალისა და ვაჟის ურთიერთობას ქალისათვის ,,დრამატულ“ (,,თებრონემ კოკა გატეხა, ცრემლი მოადგა თვალზედა“) ვითარებაში. არსებობს ვარაუდი, რომ ადრე ეს სიმღერა შრომის პროცესთან (წყლის ზიდვასთან) იყო დაკავშირებული.

ლიტ.: ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე გრ., ქართული ხალხური სიმღერა, ტ.1, თბ., 1960.

კ. ჭოხონელიძე.

თეგულო, უღელტეხილი ახმეტის მუნიციპალიტეტში, პირიქითის (თ უ შ ე თ ი ს) ქედზე. სიმაღლე 3342 *მ*. Თ-ს მიდამოები აგებულია



,,თეგეტა მოტორსი“.

იურული თიხაფიქლებით. თხემური ნაწილი კლდოვანია, მოკლებულია მცენარეულ საფარს, ქვემოთ ალპ. საძოვრებია. უღელტეხილი მდ. პირიქითის ალაზნის სათავეს (ქვახიდისწყალი) აკავშირებს ჩრდ-ით მდებარე თებულოს ხეობასთან (ქისტეთი).

გ. კურდღელაიძე.

თეგულოსმთა, დ ა ქ უ ე ხ ი, მთა ახმეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, პირიქითის (თ უ შ ე თ ი ს) ქედზე. სიმაღლე 4498 *მ*. აგებულია იურული თიხაფიქლებით. Თ-იდან მდინარეების ანდაქის, არღუნისა და პირიქითის ალაზნის ხეობებში ეშვება მყინვარები.

ლ. მარუაშვილი.

თეგეარაანები, სოფელი თიანეთის მუნიციპალიტეტის ჟებოტის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მდ. ივრის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 1000 *მ*, თიანეთიდან 1,5 *კმ*. 135 მცხ. (2002).

„თეგეტა მოტორსი“, ჰოლდინგური კომპანია, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ავტოპროდუქტებისა და ავტოტექმომსახურების სრულ სპექტრს. დაფუძნდა 1995 როგორც შპს ,,ავტოექსპორტი“ (დაკავებული იყო ავტოსათადარიგო ნაწილების იმპორტით), 2001-იდან კი გარდაიქმნა ჰოლდინგურ კომპანიად, რ-იც, თავის მხრივ, აერთიანებს რამდენიმე კომპანიას. ,,Თ. მ.“ ცნობილი ბრენდია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ქვეყნის საზღვრებს გარეთაც. მას გააჩნია ფილიალები საქართვ. ყველა დიდ ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, თელავში, ახალციხეში (2013 წ. მონაცემებით 18 ფილიალი).

„Თ. მ-ის“ ცენტრ. სერვისცენტრი გაიხსნა 2008 (თბილისი) და წარმოადგენს ერთ-ერთ თანამედროვე და მოდერნიზებულ სერვისცენტრს პოსტსაბჭოთა სივრცეში. ემსახურება როგორც სატვირთო ავტომობილებს და ავტობუსებს, ასევე მსუბუქ ავტომობილებს, სპეცტექნიკას, სას.-სამ. დანიშნულების ტექნიკას. სპეც. ავტორიზებული პროგრამების მეშვეობით ახორციელებს სასოფლო, სამშ. და სპეცტექნიკის დიაგნოსტირებას და შეკეთებას. პროექტი განხორციელდა გერმ. პარტნიორთან (,,MAN Nutzfahrzeuge AG-თან“) ერთად. უჭირავს 10000 $მ^2$-ზე მეტი ფართობი, აღჭურვილია დიაგნოსტიკის უახლესი დანადგარებით.

ჰოლდინგი აერთიანებს 5 შვილობილ კომპანიას: 1. შპს ,,თეგეტა თრაქ ენდ ბასი“ („Tegeta Truck & Bus“, დაარსდა 2005), რ-იც უმსხვილესი გერმ. მანქანათმშენებელი კონცერნის ,,მან ნუცფაარცოიგ აგ-ის“ (,,MAN Nutzfahrzeuge AG“) ოფიც. პარტნიორია საქართველოში. სპეციალიზდება სატვირთო ავტომობილების, ავტობუსების, სამშ. ტექნიკის, სპეც. ტექნიკის რეალიზაციისა და რეალიზაციისშემდგომი საგარანტიო მომსახურების სფეროში; 2. შპს ,,თეგეტა კონსტრაქშენ ექვიფმენთი“ („Tegeta Construction Equipment“, დაარსდა 2007), წარმოადგენს ბრიტანული კომპანია ,,ჯეი-სი-ბი-ის“ (JCB) ოფიც. პარტნიორს საქართველოში, რ-იც სპეციალიზდება საგზაო და სამშ. ტექნიკის რეალიზაციისა და მისი შემდგომი საგარანტიო მომსახურების სფეროში; 3. შპს ,,თეგეტა პრემიუმ ვიიქელსი“

(„Tegeta Premium Vehicles“, დაარსდა 2008), არის ავტომწარმოებლების ,,პორშესა‘‘ (გერმანია) და ,,მაზდას‘‘ (იაპონია) ოფიც. წარმომადგენელი საქართველოში; 4. შპს ,,ტრანსკავკასიური სადისტრიბუციო კომპანია‘‘ (TDC, დაარსდა 2010), რ-იც დაარსების დღიდან წარმოადგენს კომპანია ,,შელის‘‘ (ბრიტანეთი-ჰოლანდია) საცხებ-საპოხი მასალების რეგიონალურ დისტრიბუტორს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში; 5. შპს ,,ტოიოტა ცენტრი თეგეტა‘‘ (დაარსდა 2013), ,,ტოიოტას‘‘ მარკის ავტომობილების ოფიც. დილერი და ავტორიზებული სერვისცენტრია საქართველოში. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ,,ტოიოტას‘‘ უახლესი მოდელების ავტომობილებს, მაღალი ხარისხის ორიგ. ავტოსათადარიგო ნაწილებს, აქსესუარებს და ტექ. მომსახურებას.

„თ. მ-ს‘‘ ურთიერთობა აქვს მსოფლიოს მრავალ კომპანიასთან, საქართველოში კი 300-მდე პრემიუმ ბრენდის ოფიც. წარმომადგენელია დისტრიბუციის ექსკლუზიური უფლებით.

„თ. მ-მა‘‘ საქართველოში პირველმა დანერგა (2009) ბიზნესის მართვისა და ბიზნესპროცესების ადმინისტრირების ავტომატიზებული, ძვირადღირებული თანამედროვე პროგრამა „SAP“, რ-იც უზრუნველყოფს კომპანიის ბიზნესპროცესების ავტომატიზაციას, მუშაობის ეფექტურობას, სწორი გადაწყვეტილებებისა და სწრაფი ინფორმაციის მიღებას, გარდა ამისა — ფინანსების აბსოლ. გამჭვირვალობას.

„თ. მ.“ პირველი კომპანიაა საქართველოში, რ-საც ავტომობილების გაყიდვისა და მომსახურების სფეროში ISO 9001:2000 ᲓᲐ ISO 9001:2008 სტანდარტის საერთაშ. ხარისხის სერტიფიკატი აქვს მინიჭებული.

თ. სეფერთელაძე.

თეგი, რკინის საჭრისი, ტარდაგებული ხელსაწყო-იარაღი, რ-საც პირი დაფოლადებული ან ნაწრთობი ჰქონდა. საქართველოში ხელოსნები იყენებდნენ სატვიფრად, საქლეშად, ვარაყის ბუდის ამოსაჭრელად და სხვ. თ-ით ღარავდნენ სატეკრისა და ხმლის პირებს. დანიშნულების მიხედვით, თ-ს სხვადასხვა მოყვანილობის პირი ჰქონდა: წვერიანი, ბრტყელი, ბლაგვი, ღარული, ცალფრთიანი, სამნეკნიანი და სხვ. თ. ერქვა აგრეთვე დამღის საბეჭდავებს, ზოგან კი – ფიჩხის მახვილად წაკაფულ ძირებს.

გ. ჯალაბაძე.

თედეევი გიორგი სარდიონის ძე (დ. 3.XI. 1926, სამხრეთ ოსეთის აო), ოსი მსახიობი – მოცეკვავე, ქორეოგრაფი. საქართვ. სახ. არტისტი (1965). დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკ-ტი. 1943–66 მოღვაწეობდა ყოფ. სამხრეთ ოსეთის აო-ის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, როგორც ოსური ხალხ. ცეკვების სოლისტ-შემსრულებელი, ქორეოგრაფი და სამხატვრო ხელმძღვანელი. პარალელურად 1948–52 იყო ჯავის რ-ნის თვითმოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი, 1954–55 – ცხინვალის კულტ. სახლის დირექტორი, 1957-იდან – საქართვ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. დამს. აკად. ანსამბლის (ხელმძღვ. ი. სუხიშვილი და ნ. რამიშვილი) სოლისტი–მოცეკვავე. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ოსური ლირ. ცეკვის ,,ხონგა-ქავთის‘‘ (ცეკვა ,,მიპატიჟება‘‘) მაღალპროფესიული შესრულებით. მაღალი ოსტატობა, მოხდენილი სვლა, მკაცრი, თავშეკავებული პლასტიკა საშუალებას აძლევდა თ-ს შეექმნა ამა თუ იმ ხალხ. ცეკვის დასამახსოვრებელი, საინტერესო ვარიანტი. 90-იანი წლებიდან საცხოვრებლად გადავიდა ცხინვალში. მისი სახელი მიენიჭა ცხინვალის №1 მუსიკალურ სკოლას.

თედეევი (თედეთი) ოლღა გიორგის ასული (25. XII. 1921, თბილისი, – 16. X. 1999, იქვე), აღმოსავლეთმცოდნე, კავკასიოლოგი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1975). 1943 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტის კავკ. ენების განყ-ბა. 1950–51 იყო ცხინვალის პედ. ინ-ტის პედაგოგი, კითხულობდა ლექციებს ქართ. დიალექტოლოგიაში. 1961-იდან გარდაცვალებამდე მუშაობდა მეცნ. აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის ინდურ-ირან. ენების განყ-ბაში – იყო წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი. ინ-ტში მუშაობის დროს მან არაერთი ოსოლოგი აღზარდა.

თ. იკვლევდა ქართ.-ოსური კულტ.-ენობრივი ურთიერთობის საკითხებს; გამოავლინა ქართ. ნასესხობანი ოსურში და, პირიქით, ოსური ნასესხობანი ქართულში. მნიშვნელოვანი გამოკვლევები, მიძღვნილი ქართ.-ოსური ენობრივი საკითხებისადმი, განზოგადდა მის მონოგრაფიაში ,,ნარკვევები ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობიდან‘‘ (1983).

თ-მა თარგმნა ოსური ფოლკლორის ცნობილი ძეგლი ,,ნართების ეპოსი‘‘ (,,არმაღანი‘‘ II, 1977; III, 1982); ყურადღება მიაქცია ეპოსის ე. წ. ამოუხსნელ სიტყვებს და ბევრი მათგანის წარმომავლობა და მნიშვნელობა დაადგინა; შეისწავლა ოსი პოეტის ი. იალღუზიძისა და დანიელ ჭონქაძის შემოქმედება (ამ უკანასკნელის როგორც ოსოლოგისა).

თხზ.: მემცენარეობის ქართული ლექსიკა ოსურში, თბ., 1975; დანიელ ჭონქაძე როგორც ოსოლოგი, თბ., 1979; პირველი ოსური ხელნაწერების ენა, თბ., 1985; ნარკვევები ოსურ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1988.

თედელეთი, სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტის ჭალის თემში (იმერეთის მხარე), რაჭის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. ყვირილის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 1200 *მ,* საჩხერიდან 27 *კმ.* 32 მცხ. (2002).

თედიაშვილი ალექსანდრე ვლადიმერის ძე (4. VIII. 1913, თბილისი, – 8. VI. 2014, იქვე), მსახიობი, საქართვ. სახ. არტისტი (1980). 1936–41 იყო ცხინვალის სახელმწ. თეატრის ქართ. დასის, ხოლო 1941–46 შორეული აღმოსავლეთის ფრონტის პირველი წითელდროშოვანი ანსამბლის მსახიობი, 1947–52 მოღვაწეობდა ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახ. სახელმწ. თეატრში, 1952 – თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრში. ძირითადად ასრულებდა სახასიათო-კომედიურ როლებს. მისი საშემსრულებლო ხელოვნებისათვის დამახასიათებელია იმპროვიზაციულობა, მგზნებარე ტემპერამენტი, მოქნილობა და თავისუფლება. როლები: ქუჩარა (პ. კაკაბაძის ,,ყვარყვარე თუთაბერი‘‘), ავეტიკა (ა. ცაგარლის ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ‘‘), ელესია, შმაგა (ა. ოსტროვსკის ,,უეცარი სიმდიდრე‘‘, ,,უდანაშაულო დამნაშავენი‘‘), მირზა (ი. მოსაშვილის ,,ჩაძირული ქვები‘‘), ნაცარქექია (გ. ნახუცრიშვილის ,,ნაცარქექია‘‘) და სხვ. თ-ის შესრულება გამოირჩეოდა სასცენო მეტყველების ოსტატობით, მეტყველი მიმიკით. 1957-იდან მუშაობდა ცირკში – იყო საცირკო ხელოვნების პირველი ქართვ. კომიკოსი (ჯამბაზი), 1963–68 – ქართ. ცირკის სამხატვრო ხელმძღვანელი. მისი ავტორობით და რეჟისორობით 1965 დაიდგა საბავშვო საცირკო წარმოდგენა ,,ლურჯი მთების ლე-


გ. თედეევი.


ა. თედიაშვილი.


ა. თედიაშვილი. ჯამბაზი.


ლ. თედიაშვილი.

გენდა“ და მრავალი კლოუნადა. 1976–2004 იყო საცირკო-საესტრადო სასწავლებლის პედაგოგი. ავტორია წიგნისა ,,ცირკი – საოცრებათა ხელოვნება“ (2004). დაჯილდოებულია ,,ღირსების ორდენით“ (2000).



ს. თედორაძე.



ო. თევდორაძე.

თედიაშვილი ლევან ქიტესას ძე (დ. 15. III. 1948, სოფ. ზემოუბანი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი), სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1971). დაამთავრა საქართვ. ფიზკულტ. ინ-ტი (1971) და თსუ (1978). ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1972, მიუნხენი; 1976, მონრეალი) თავისუფალ ჭიდაობაში, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი (1971, 1973, 1974, 1975) და მეორე პრიზიორი (1978); მსოფლიო თასის მფლობელი (1979). მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი (1973), ევრ. სამგზის ჩემპიონი (1974, 1976, 1978), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1971, 1973, 1974). მსოფლიოს ჩემპიონი სამბოში (1973), ერთადერთი მოჭიდავე მსოფლიოში, რ-იც ჩემპიონის ტიტულს სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში ფლობდა. გამოირჩეოდა მაღალი ტექნიკით, ფანდების მრავალფეროვნებით, დახვეწილი ტაქტიკური ოსტატობით, დიდი ფიზ. ძალით და გამძლეობით. მწვრთნელი – ვ. ბალავაძე. საქართველოს პარლამენტის წევრი (1995–99). სამჯერ დასახელდა საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად (1971, 1973–74) და საქართველოს XX ს. საუკეთესო სპორტსმენად (ბრინჯაოს პრიზი). 1987 შეასრულა მთავარი როლი რეჟისორ გ. შენგელაიას მიერ გადაღებულ ფილმში ,,ხარება და გოგია“. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის (1995), ღირსების (1998), სეოკის და ფილას ორდენები. თბილისის საპატიო მოქალაქე (2003).

თედორაძე ომარ მიხეილის ძე (დ. 14. V. 1948, სოფ. თოკი, ახლანდ. ასპინძის მუნიციპალიტეტი), ინჟინერ-მექანიზატორი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1998), პროფესორი (2000). 1972 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის მექანიზაციის ფაკ-ტი. 1978 მუშაობა დაიწყო საქართვ. აგრ. უნ-ტში. 1980 აირჩიეს მოსავლის ამღები მანქანების კათედრის გამგედ. 2005–06 იყო აგროსაინჟ. ფაკ-ტის დეკანი და სოფ. მეურნ. მექანიზაციის დეპარტამენტის უფროსი. 2008–10 ხელმძღვანელობდა საქართვ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული მართვის დეპარტამენტს, ხოლო 2010-იდან – ამავე სამინისტროს ტექ. და ტექნოლოგიების სამმართველოს. შეთავსებით ლექციებს კითხულობდა საქართვ. ტექ. უნ-ტის სატრანსპ. და მანქანათმშენებლობის ფაკ-ტზე. თ-ის ძირითადი შრომები ეხება მცენარეული მასის ჭრის თეორიას და შესაბამისი მანქანების კონსტრუქციების სრულყოფას. ავტორია პრაქტ. რეკომენდაციებისა ფერმერთათვის და სახელმძღვანელოებისა აგროსაინჟ. ფაკ-ტის სტუდენტებისათვის. მიღებული აქვს 17 საავტორო მოწმობა გამოგონებაზე. არჩეულია სომხეთისა და აზერბაიჯანის აგრ. უნ-ტების საპატიო დოქტორად.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2002).

თხზ.: მცენარეული მასალების ჭრისა და დაქუცმაცების პროცესების ოპტიმიზაცია, თბ., 1991 (თანაავტ.: რ. მახარობლიძე, ჯ. მარგოშვილი).

თედორაძე სერგო გედევანის ძე (20. VII. 1918, სოფ. ქვაბღა, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 22. IV. 1995, სოფ. ახალუბანი, ახლანდ. მცხეთის მუნიციპალიტეტი), სწავლული აგრონომი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1986), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1986). 1947 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის აგრონომიული ფაკ-ტი. 1970-იდან იყო საქართვ. სოფ. მეურნ. სამინისტროს ი. ლომოურის სახ. მიწათმოქმედების სამეცნ.-კვლ. ინ-ტის სელექცია-გენეტიკის განყ-ბის გამგე, 1975-იდან – ამავე ინ-ტის დირექტორის მოადგილე სელექციის დარგში, 1976–92 იყო ამიერკავკ. სელექციური ცენტრის მეცნ. ხელმძღვანელი. მისი ინიციატივით საქართველოში შეიქმნა ინდუცირებული მუტაგენეზის სკოლა. თ-მ გამოიყენა ატომური იზოტოპები მცენარეთა სელექციაში, შექმნა სას.-სამ. კულტურების 18 ჯიში. ავტორია მონოგრაფიული ნაშრომებისა მცენარეთა სელექცია-გენეტიკაში. მიღებული აქვს სახელმწიფო, მ. შ. საბრძოლო ჯილდოები. *გ. ქველაძე.*

თედორე ივანეს ძე (31. V. 1557 – 6. I. 1598), რუსეთის მეფე 1584–98, ივანე IV მრისხანისა და ანასტასია რომანოვას ვაჟი, რიურიკთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი.

თ. ი. ძ-ის მეფობაში ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას აღმავლობა დაეტყო, რუსეთ-შვედეთის ომის (1590–93) შედეგად რუსეთმა დაიბრუნა ლივონიის ომის (1558–83) დროს დაკარგული მიწები ბალტიისპირეთში, გაცხოველდა ურთიერთობა კავკასიასთან, განსაკუთრებით – კახეთის სამეფოსთან. კახეთის მეფის *ალექსანდრე II-ის* ელჩებისა და რუსი ელჩების ინტენს. მიმოსვლას მოჰყვა კახეთ-რუსეთის სამხ. კავშირის დადება და კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლა (1587). რუს. მეფე კისრულობდა კახეთის დაცვას საგარეო მტრებისაგან. 1587–89 კახეთ-რუსეთის ხელშეკრულება რამდენადმე ზღუდავდა კახეთის მეფის დამოუკიდებლობას საგარეო პოლიტიკის სფეროში. 1590-იდან თ. ი. ძ. თავის თავს ,,ივერის ქვეყნისა და ქართველი მეფეების ხელმწიფეს“ უწოდებდა.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI–XVII საუკუნეთა მიჯნაზე, მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973. *ნ. ნაკაშიძე.*

თედორობა, თ ე ვ დ ო რ ო ბ ა, ქრისტიანი წმინდანის თედორეს (თევდორეს) სახელობის დღე. მოდის დიდმარხვის პირველი კვირის შაბათზე. წმ. თედორე წარმართული აგრ. ღვთაების მემკვიდრეა. თ. საქართველოსა და ბალკანეთში შემონახულია, როგორც მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისადმი, კერძოდ, ცხენისადმი მიძღვნილი საგაზაფხულო დღეობა. მას გადმონაშთის სახით შემორჩა თავდაპირველი, აგრ. ხასიათის მანიშნებელი უძველესი წარმართული წეს-ჩვეულებანი (რიტუალური ხვნა-თესვა, ლოცვა მოსავლის ბარაქიანობისათვის კერასთან, საცეხველთან და სხვ.).

ლიტ.: Брегадзе Н. А., К вопросу о характере одного из грузинских народных календарных праздников („Тедороба“), «Материалы по истории Грузии и Кавказа», 1970, т. 15. *ნ. ბრეგაძე.*

თედოწმინდა, განვითარებული შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ქვემო ბოლნისის მიდამოებში, ტყეში. წარმოადგენს მოზრდილი, დარბაზული ტიპის ეკლესიას. ჩრდ-იდან და სამხრ-იდან აქვს მინაშენები. ნაგებია კარგად თლილი ქვით. ეკლესიაზე ასომთავრულით შესრულებული რამდენიმე წარწერაა. წარწერებიდან ჩანს, რომ აქ ამ ეკლესიის აშენებამდეც მონასტერი იყო, თუმცა უცნობია მისი დაარსების თარიღი. ეკლესიის ან სავარაუდო

სამონასტრო კომპლექსის სიახლოვეს დიდი ნასოფლარია, რ-ის სახელწოდება ეკლესიის დასახელებიდან მომდინარეობს.

XIX ს., რუსი არქეოლოგისა და ნუმიზმატის ი. *ბართოლომეის* (1813–70) ცნობით, ეკლესიაში ყოფილა ფრესკული მხატვრობის ნაშთი ქართ. და ბერძნ. წარწერებით, ძლიერ დაზიანებული გამოსახულება ეკლესიის მაშენებლისა ეკლესიის მაკეტით ხელში. მხატვრობის ეს ფრაგმენტი ე. თაყაიშვილს უკვე აღარ დახვედრია. 2011 ეკლესია აღადგინეს მინაშენების გარეშე.

ლიტ.: ბერძენიშვილი დ., ,,ხევი ბოლნისისა'', კრ.: დმანისი, IV, თბ., 2003.

თედოწმინდა, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის ტინისხიდის თემში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. ლიახვის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 670 *მ*, გორიდან 3 *კმ*. 541 მცხ. (2002).

თ-ში 1724 ქართველებსა და ოსმალებს შორის მოხდა ბრძოლა, რ-იც ქართველთა დამარცხებით დასრულდა. სოფლის შუაში დგას XVIII ს. ცილინდრული, რიყის ქვით ნაგები გარსევანიშვილების კოშკი. სოფლის დას-ით, სასაფლაოზე რიყის ქვითა და აგურით ნაგები გვიანდ. შუა საუკუნეების წმ. თევდორეს ერთნავიანი ეკლესიაა, რ-ის კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ადგილები ქვიშაქვის კვადრებითაა ამოყვანილი. საკურთხევლის ნახევარწრიულ აფსიდში ქვით ნაგები სატრაპეზოა. ეკლესია შიგნით გადახურულია კამარით. სოფლის დას-ით, 1 *კმ*-ზე, მთაზე გვიანდ. შუა საუკუნეების ნასოფლარია.

თევდორაძე ოთარ ლავრენტის ძე (1. V. 1923, თბილისი, – 21. VIII. 1983, იქვე), კომპოზიტორი. საქართვ. სახ. არტისტი (1982) და აფხ. არ-ის ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1963). 1949 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. ა. ბალანჩივაძის საკომპოზიციო კლასი). 1957–61 იყო თბილ. I სამუს. სასწავლებლის დირექტორი. ნაწარმოებები: ოპერები – ,,ლეგენდა თბილისზე'' (დაიდგა 1958) და ,,სინათლე და ჩრდილი'' (1970); სამი სიმფონია (1964, 1965, 1969); სიმფ. პოემა ,,რუსთავი'' (1948), ,,ქართული სიუიტა'' (1958), გმირულ-ფანფარული ხასიათის ,,საზეიმო უვერტიურა'' სიმფ. ორკესტრისათვის (1961, II რედ. 1972), საფორტეპიანო კონცერტი №2 (1973), ოპერეტა ,,შვეიკი მიდის ომში'' (1967). პოპულარობა მოიპოვა თ-ის სიმღერებმა (300-ზე მეტი), რ-თაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ,,ძველი თბილისური'', ,,დედა'', ,,მეგობარს'', ,,შენ საქართველო გქვია''. თ. სიმღერათა რესპუბლიკური და ყოფილი საკავშ. კონკურსების ლაურეატია.

თევდორე, დავით აღმაშენებლის კარის მხატვარი. მოღვაწეობდა XI ს. დასასრ. და XII ს. I ნახევარში. მოხატა ზემო სვანეთის 4 ეკლესია: იფრარის, კვირიკესი და ივლიტესი (ლაგურკა), ნაკიფარისა და წვირმის. ამ ოთხი ძეგლიდან თევდორეს



თევდორე. ღვთისმშობელი. იფრარის ეკლესიის მოხატულობა. 1096.

სახელი მოხსენიებულია იფრარისა და ნაკიფარის წარწერებში, დანარჩენი ორი მოხატულობა მკვლევართა მიერაა თევდორესათვის ან მისი მოწაფეებისათვის მიკუთვნებული. მხატვრ. თავისებურების მიხედვით ყველაზე ადრინდელია სოფ. იფრარის (კალის თემი) მთავარანგელოზთა ერთნავიანი ეკლესიის მხატვრობა. სხვა სვანურ ძეგლებთან შედარებით ეკლესია უხვადაა განათებული. მოხატულობა ძირითადად კარგად არის შემონახული. კანკელის ფრესკულ წარწერაში ნათქვამია, რომ ეკლესია მოხატა მეფის მხატვარმა თევდორემ 1096. მოხატულობა მკაცრი და მონუმენტურია. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრობაში დეკორ.-ხაზობრივი დინამიკა ჯერ კიდევ თავშეკავებულადაა გამომჟღავნებული, ოსტატი მაინც ცდილობს მოცულობის გადმოცემას, რასაც აღწევს კიდეც ფიგურათა სამოსლის დამუშავებით. ასევე კანკელის ფრესკული წარწერით დასტურდება, რომ თ-ს მოუხატავს წმ. კვირიკესა და ივლიტეს ერთნავიანი ეკლესიაც (კალის თემი). შ. ამირანაშვილი მხატვრობას 1112 წლით ათარიღებს. იფრართან შედარებით ლაგურკის მოხატულობაში უფრო ძლიერია ემოციური მხარე – მეტია დინამიზმი, დეკორაციულობა, ნახატი უფრო თავისუფალი და ცოცხალია. თ-ს მოხატული მესამე ეკლესია სოფ. ნაკიფარშია (იფარის თემი). წარწერის თანახმად, მხატვრობა 1130 ეკუთვნის. ფრესკები ძირითადად კარგად არის შენახული, მოხატულობის მონუმ. განყოობილება, კოლორიტი და ხატვის მანერა (ფერადოვანი ლაქების განაწილება) წინა ორ მხატვრობას ჰგავს, თუმცა სხვაობაც შეიმჩნევა. ნაკიფარის მხატვრობაში, რ-იც ქრონოლოგიურად იფრარისა და ლაგურკის მხატვრობის შემდეგდროინდელია, კარგად ჩანს მხატვრის ევოლუცია, უფრო ძლიერადაა განვითარებული ემოციური მხარე, დრამატიზმი. იგი თავისი სტილით ახლოსაა *ბეთანიისა* და *ყინწვისის* მხატვრობასთან. არის მოსაზრება (თ. ვირსალაძე), რომ სოფ. წვირმის (იფარის თემი, ნაკიფარიდან 2 *კმ*-ზე) მაცხოვრის ეკლესიის მხატვრობაც თ-ს ეკუთვნის. მხატვრობის მანერა, კოლორიტი, თემის იკონოგრაფიული გადაწყვეტა მართლაც ახლოსაა თ-ს მხატვრობასთან. თ-ს მიერ შესრულებული კომპოზიციების ფიგურათა მოძრაობა მსუბუქი და თავისუფალია, უარყოფილია სახეთა გადმოცემის ტრად. სტატიკურ-ფრონტალური მანერა, რ-იც ადრინდ. ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი. ფიგურათა სამოსლის მოხაზულობა, ნაოჭების რთული და დეტალური დამუშავება სწორად გადმოგვცემს ადამიანის ტანის აგებულებას. თ. ძლიერი ინდივიდუალობის მხატვარია, მისი შემოქმედება XI–XII სს. ქართ. მონუმ. მხატვრობის დიდი მიღწევების მაჩვენებელია.

ლიტ.: ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971; ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; Аладашвили Н., Алибегашвили Г., Вольская А., Росписи художника Тевдоре в Верхней Сванетии, Тб., 1966; მათივე, Живописная школа Сванети, Тб., 1983.

ნ. ალადაშვილი.

თევდორე, ,,კამარათა მწერალი'', X ს. ქართველი მხატვარ-მინიატიურისტი. 940 მას და-

უხატავს ე. წ. ,,ჯვრუჭის პირველი ოთხთავის'' კამარები და მინიატიურები (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი). ხელნაწერის პირველ ფურცლებზე Თ-ს სახელი ორჯერაა მოხსენიებული. კამარებთან ერთად Თ-მ დახატა მინიატიურა: ოთხივე მახარებელი – მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე; აგრეთვე ღვთისმშობელი ყრმით, ბრძის განკურნება, ეშმაკეულის განკურნება, განრღვეულის განკურნება. Თ. დახელოვნებული მხატვარი იყო. მისი მინიატიურები გამოირჩევა ოსტატობითა და არტისტიზმით. მიუხედავად შუა საუკუნეების მხატვრობის პირობითობისა, სხეულთა მოძრაობაში, რაკურსებში, სამოსლის ხაზებში იგრძნობა ცოცხალ ნატურაზე დაკვირვება, ელინისტური მხატვრობის ტრადიციების გამოძახილი. მინიატიურების კოლორიტი მუქია, თავშეკავებული. Თ. ძირითადად იყენებს ყავისფერს, შინდისფერს, მოყავისფროს, მოლურჯო-ლილისფერს, ნაკლებად – ოქროსფერს, კარმინს, ყვითელს, მწვანეს. Თ. X ს. ერთადერთი ქართვ. მხატვარ-მინიატიურისტია, რ-ის სახელი ჩვენთვის ცნობილია.

ლიტ.: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967; შმერლინგი რ., ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, თბ., 1940; Brosset M. F., Rapports sur un voyage archéologique..., livr. 3, SPb., 1851. *ვ. ბერიძე.*

თევდორე კველთელი (გ. 1609), სოფ. კველთის მღვდელი.

XVII ს. დასაწყისში სამცხე-საათაბაგო ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი. 1609 ისინი ქართლშიც შემოიჭრნენ. *ლუარსაბ II* ამ დროს საზაფხულო რეზიდენციაში – ცხირეთში იყო მცირე ამალით.

ოსმალები შემოვიდნენ ქართლის საზღვრებში, გამოიარეს ჯავახეთი, თრიალეთი და მანგლისს მოადგნენ. გადაწვეს სოფლები და გადარჩენილი მოსახლეობა ტყვედ ჩაიგდეს. საყარაულო რაზმებმა იარალისა და ზაქარიას მეთაურობით გვიან შეიტყვეს მტრის შემოსვლა, რ-იც ცხირეთისაკენ ცდილობდა გაჭრას. სოფ. კველთასთან ოსმალებმა შეიპყრეს ,,მღვდელი ერთი, სახელით თევდორე, პატიოსანი და მოშიში ღმრთისა'' და მეფის სამყოფისაკენ გაძღოლა უბრძანეს. Თ. კ-მ სათანადოდ შეაფასა მდგომარეობა და მტერი სხვა გზით წაიყვანა – გოსტიბიდან ერთაწმინდაზე ჩამოიყვანა, ცხირეთს გზა აუქცია და სოფ. ქვენადირისაკენ წაუძღვა. მეფესთან მყოფ გიორგი *საააკძესა* და სარდალ ზაზა ციციშვილს ამ დროს ჯარის მომზადების საშუალება მიეცათ. ოსმალები ცხირეთს საკმაოდ დაშორებულები იყვნენ, როდესაც მღვდლის საქციელს მიხვდნენ. მათ Თ. კ. აწამეს და თავი მოჰკვეთეს.

Თ. კ. საქართვ. მართმადიდებელი ეკლესიის მიერ შერაცხულია წმინდანად – წმინდა მოწამე თევდორე მღვდლის ხსენების დღეა 8(21) ივნისი.

წყარო: ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, წგ.: ქართლის ცხოვრება, ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, თბ.,–ათენი, 2003. *მ. ზალდასტანიშვილი.*

თევდორეს მონასტერი, ქართველთა მონასტერი *იერუსალიმში*, დაარსების ზუსტი დრო უცნობია, თუმცა XV საუკუნეში უკვე არსებობდა, რასაც იერუსალიმის ბერძნ. მართლმადიდებელი საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერები ადასტურებს. მონასტერი განუახლებია ბ. ჩოლოყაშვილს, რ-იც იერუსალიმში იმყოფებოდა 1510–13/14. მას დიდი ყურადღება მიუქცევია მონასტრის ბიბლიოთეკის შევსებისათვის, მოუძებნია განთესილი ხელნაწერები და მონასტერში დაუბრუნებია.

ტ. *გაბაშვილი* Თ. მ-ის დამაარსებლებად, ბეჟან და ბაადურ ჩოლოყაშვილებს ასახელებს მას ეს სახელები მონასტრის კედელში ჩატანებულ ქვებზე წარწერებში ამოუკითხავს. სინამდვილეში ბაადურმა და ბეჟანმა Თ. მ. განაახლეს 1635 და მის მშენებლობაში, როგორც დას. კარს ზევით გარედან დატანებული მარმარილოს ქვაზე არსებული წარწერიდან ვიგებთ, მონაწილეობა მიუღია ბაადურის ყველა უახლოეს ნათესავს: ,,ჩოლოყაშვილსა ბაადურსა და მათთა ძმათა და ძმისწულთა ცოდვანი შეუნდოს ღმერთმან''.

1683 საკმაოდ დაზიანებული Თ. მ. ქართველების ხარჯით იერუსალიმის საპატრიარქომ აღადგინა. ის ამ დროისათვის ივერთა მონასტრად ითვლებოდა. იერუსალიმის პატრიარქი *დოსითეოს II* ვახტანგ VI-ისათვის გაგზავნილ ეპისტოლეში პირდაპირ აცხადებდა, რომ ვალებიდან გამოხსნილ და აღდგენილ მონასტერს, მათ შორის წმ. თევდორეს მონასტერსაც, იერუსალიმის საპატრიარქო ქართველებს უბრუნებდა.

წყარო: გაბაშვილი ტ., მიმოსლვა, ე. მეტრეველის გამოც., თბ., 1956.

ლიტ.: მამისთვალიშვილი ე., საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI–XVII სს.), თბ., 2008; მეტრეველი ე., იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა, «კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტის მოამბე», ტ. 4, თბ., 1962. *ე. მამისთვალიშვილი.*

თევდორეს სამლოცველო, შუა საუკუნეთა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტში ბაიებიდან სოფ. ანდრიაწმინდაში მიმავალი გზის მარჯვნივ, ნამოსახლარ ღრომას მახლობლად. ერთნავიანი პატარა ნაგებობა შემოსილია თლილი ქვის პერანგით, გადახურულია კამარით, რ-საც ქვის ფილების საბურავი ფარავს. ინტერესს იწვევს საბურავის კეხის მორთულობა. აღმ-ით, კეხზე, ქვით გამოქანდაკებული ცხვრის თავია, რ-იც მთელ ფასადს აგვირგვინებს, ხოლო დას-ით, სათანადო ადგილას – ეკლესიის მცირე მოდელი. ასეთი სამკაულები საქართველოში გავრცელებულია. წმ. თევდორეს ცხვარი ერთი საუკეთესოთაგანია ამგვარ სამკაულთა შორის.

ლიტ.: ბერიძე ვ., სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1970.

თევზაძე ალექსანდრე ალექსის ძე (2.I. 1903, თბილისი, –28. III. 1967, იქვე), არქიტექტორი. საქართვ. დამს. ინჟინერი (1964). დაამთავრა საქართვ. საინჟ.-სამშ. ინ-ტი (1930). 1924-იდან (ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან) მუშაობდა სხვადასხვა სამშ. და საპროექტო ორგანიზაციებში. იყო საპროექტო ინ-ტის ,,თბილქალაქპროექტის'' მმართველი (1941–54), თბილ. მთ. არქიტექტორი (1954–59), საქართვ. არქიტექტორთა კავშირის თავჯდომარე (1959–60), საპროექტო ინ-ტის ,,საქგიპროტორგის'' არქიტ. სახელოსნოს ხელმძღვანელი (1960–67). ძირითადი ნამუშევრები: საცხოვრებელი სახლები თბილისში (1950, ჭოველიძისა და კოსტავას ქუჩების გადაკვეთა, არქიტ. ქ. დგებუაძესთან ერთად; 1950, მელიქიშვილის ქუჩა, 8, არქიტ. ი. კასრაძესთან ერთად; 1953, თამარ მეფის გამზირი, 23/25, არქიტ. ი. კასრაძესთან ერთად), დასასვენებელი სახლის რეკონსტრუქცია წყნეთში (XX ს. 50-იანი წლების დასაწყისი). *თ. გერსამია.*

თევზაძე ანდრო რაჟდენის ძე (3. I. 1912, სოფ. გომი, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი, – 6. IV. 1974, თბილისი), პო-

ეტი. ლიტ. მოღვაწეობა დაიწყო 1936-იდან. თსუ-ის დამთავრების შემდეგ (1940) მუშაობდა ჟურნ. ,,ოქტომბრელის'' პ/მგ მდივნად, ,,კომუნისტის'', ,,ახალგაზრდა კომუნისტის'', ,,ლიტერატურა და ხელოვნების'' რედაქციებში; 1952-იდან საქართვ. მწერალთა კავშირის აჭარის განყ-ბის პ/მგ მდივანი იყო, ხოლო 1953–58 – გამომც. ,,საბჭოთა მწერლის'' დირექტორი. თ-ის მთავარი პოეტური კრებულებია: ,,ვარსკვლავების ღიმილი'' (1948), ,,ლექსები, პოემა'' (1954), განახლდა გული'' (1971) და სხვ. მას ეკუთვნის მონოგრაფია ,,უშანგი ჩხეიძე'' (1952, 1961), კრებ. ,,ლიტერატურული წერილები და ნარკვევები'' (1962) და სხვ.

თხზ.: რჩეული, თბ., 1965; ერთტომეული, თბ., 1975.

თევზაძე გელა გურამის ძე (27. IV. 1966, თბილისი, – 8. VIII 2012, თელავი), ბიოლოგი, გენეტიკოსი. ბიოლ. მეცნ. დოქტორი (2001), დაამთავრა მ. ლომონოსოვის სახ. მოსკ. სახელმწ. უნ-ტი (1988). მიწვეული იყო სამეცნ. კვლევების ჩასატარებლად ჩიკაგოს (აშშ, ილინოისის შტატი) უნ-ტის უჯრედული ბიოლ. და მოლეკულური გენეტიკის დეპარტამენტში (1992–2001) გაიარა პოსტდოქტორანტურა (1998—2001), იყო ამავე დეპარტ. პროფესორი (2001—06); ჟენევის (შვეიცარია) უნ-ტის მოლეკულური ბიოლ. დეპარტ. მიწვეული მეცნიერი (2007-08); თბილ. თავისუფალი უნ-ტის სრული პროფესორი (2010–12), სადაც დააარსა მოლეკულური ბიოლ. და გენეტიკის ლაბორატორია, რ-იც მისივე სახელობისაა გარდაცვალების შემდეგ). თ-ის სასწ.-პედ. საქმიანობა მოიცავდა მოლეკულური გენეტიკის, ასევე მოლეკულური და უჯრედული ბიოლ. თანამედროვე საკითხების სწავლებას აკად. განათლების ყველა დონეზე.

თ-ის კვლევის სფეროს წარმოადგენდა მეიოზის გენეტ. კონტროლი, მეიოზის დროს იმ გენეტ. მექანიზმების ახსნა, რ-ებიც კოორდინაციას უწევს მეიოზურ დაყოფას; სპეციფ. ტრანსკრიფცია, ფოსფოლიპაზების და ლიპიდმოკიდებული ცილები გამეტოგენეზში; თ-ის სამეცნ. შრომები ფოკუსირებულია ფოსფოლიპაზების, ლიპიდებთან შეჭიდული და ლიპიდების დამაკავშირებელი პროტეინების როლის შესწავლაზე; მეიოზურ დაყოფასა და სპორების ფორმირებას შორის ურთიერთკავშირზე მექანიზმებში. აღნიშნული პროცესების მოდელირება ხორციელდებოდა სოკო Saccharomyces cerevisae-ზე მისი სპორულაციის პროცესში. იკვლევდა პროტეინების აღნიშნული სამი კლასის ლიპიდური სიგნალირების პროცესებში მონაწილეობას.

თ. არის მრავალი სამეცნ. სტატიის (მათგან უმეტესობა გამოქვეყნებულია აშშ მეცნ. ეროვნ. აკად. შრომებსა და შვეიცარიის სამეცნ. ჟურნალებში) და მონოგრაფიის თანაავტორი.

თხზ.: Биология в вопросах и ответах. М.Б. Беркинблит, С. М. Глаголев, М. В. Голубев, Т. Ю. Минаев, А. Р. Мушегян, В. Г. Онипченко, Г. Г. Тевзадзе, С. Б. Язвенко, Л. Ю. Ямпольский, М., 1994 (თანაავტ.).


გ. კამკამიძე.

თევზაძე გიგი გურამის ძე (დ. 22.VI.1967, თბილისი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (2002). დაამთავრა თსუ-ის ფილოს. და ფსიქოლ. ფაკ-ტი (1989). სხვადასხვა დროს მუშაობდა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფ სახეობათა აღდგენის ცენტრში (NACRES) (1986–89); თსუ-ის ფილოს. და სოციოლოგიის ფაკ-ტზე (1992–97); საზ. აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინ-ტში (IPM) (1996–98); საქართვ. პარლამენტში (1997–99); თსუ-ის ფილოს. და სოციოლოგიის ფაკ-ტზე (1997–2002); თბილ. ილია ჭავჭავაძის ენისა და კულტურის სახელმწ. უნ-ტის ფილოს. და სოციალურ მეცნ. ფაკ-ტის, სოციოლოგიის კათედრის გამგე (2002–06); განათლების სამინისტროს განათლების რეფორმის პროექტის ,,ილია ჭავჭავაძის'' დირექტორი (2004–06). ილიას სახელმწ. უნ-ტის რექტორი (2006–14), ილიას სახელმწ. უნ-ტის 4D კვლევის ინ-ტის დირექტორი (2013-იდან).


თ-ის კვლევის ძირითადი სფეროებია: სოც. მეცნიერება, ფილოსოფია, ადამიანის ქცევის ევოლუცია, იდეების ისტორია. გამოქვეყნებული აქვს 7 მონოგრაფია და 2 მხატვრული წიგნი. ავტორია სამეცნ. ნაშრომებისა ქართ., ინგლ., გერმ., მაკედონიურ და რუს. ენებზე.

თხზ.: ჩვენი დრო, სფინქსი და ძენონის ისარი (ცნობიერების ესთეტიკა), თბ., 1993; მომავლის ნიშნები, თბ., 1995; საქართველო: ძალაუფლების სიმულაციები, თბ., 1999; ინსტიტუციური ცვლილებების სოციოლოგია, თბ., 2001; სოციალური ქცევის ევოლუცია ჰომომდე და შემდეგ, თბ., 2013 (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

თევზაძე გიორგი არტემის ძე [22. VI (5.VII). 1914, ახალსოფელი, ახლანდ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, – 23. VIII. 1988, თბილისი], ასტრონომი და მექანიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1963), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1980). დაამთავრა თსუ (1934). 1940–44 მუშაობდა აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1963-იდან იყო სპი-ის თეორ. მექან. კათედრის პროფესორი. თ-მ პულკოვოს აბსერვატორიაში დაამუშავა ასტრონ. ხელსაწყოს ,,ცაფვების'' – სამაჯურების გამოკვლევის ახ. ზუსტი ე. წ. ,,ავტოკოლიმაციური'' მეთოდი, 1940 განსაზღვრა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის გეოგრ. კოორდინატები 1942 წ. 15 დეკემბერს თ-მ აღმოაჩინა კომეტა, რ-საც 1985-მდე უწოდებდნენ *უიპლ–ფედტკე–თევზაძის კომეტას.* შემდგომ წლებში ასტრონომებმა ლ. ოტერმამ (ფინეთი) და დ. დუბიაგომ (სსრკ) გამოთვლების საფუძველზე ეს კომეტა გააიგივეს მარსელის ობსერვატორიაში კოჯიას მიერ 1867 აღმოჩენილ კომეტასთან, რის შედეგადაც ლიტ-რაში შევიდა ახ. სახელწოდებით – სტეფან–ოტერმას კომეტა. 1942 წ. 26 დეკემბერს თ-მ აღმოაჩინა კომეტა 1942 I, რ-ის აღმოჩენისათვის დააჯილდოვეს წყნარი ოკეანის ასტრონ. საზ-ბის დონოეს სახ. მედლით ,,კომეტის აღმოჩენისთვის''. თ-მ გამოიკვლია ,,ტრაპეციის ტიპის'' ჯერად ვარსკვლავთა სისტემების მდგრადობის საკითხი. მისი მონაწილეობით მომზადდა და გამოიცა (1961) პირველი ქართ. ასტრონ. კალენდარი ,,წელიწდეული''. 1979 (II გამოც. 1984) გამოიცა თ-ის გამოკვლევა ,,რუსთაველის კოსმოლოგია'', რ-იც შეიცავს ავტორის შეხედულებას რუსთაველის წარმოდგენაზე სამყაროს აგებულების შესახებ.



გ. ა. თევზაძე.



გ. ბ. თევზაძე.

თევზაძე გურამ ბენიამინის ძე (დ. 30.I.1932, თბილისი), ფილოსოფოსი. საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (1993; წ.-კორ. 1988), ფილოს. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1970). საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყ-ბის აკად.-მდივანი (1993-იდან), აკად. ვიცე-პრეზიდენტი (2001–13). დაამთავრა თსუ-ის ფილოს. ფაკ-ტი (1954). იყო საქართვ. მეცნ. აკად. ს. წერეთლის სახ. ფილოს. ინ-ტის მეცნ. თანამშრომელი (1957–66), ამავე ინ-ტის ფილოს. ისტორიის განყ-ბის გამგე (1966–70), თსუ-ის ფი-



დ. დ. თევზაძე.



ვ. თევზაძე.

ლოს. ისტ. კათედრის გამგე (1971-იდან). ჟურნ. ,,გეორგიკის'' (1979-იდან) და ,,რელიგიის'' (1992-იდან) რედკოლეგიის წევრი. ავტორია სახელმძღვანელოებისა ფილოს. ისტორიაში. ეწევა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც (ი. კანტი, გ. ჰეგელი, მ. ჰაიდეგერი, ნ. ჰარტმანი).

თ-ის კვლევის ძირითადი მიმართულებებია ქართ. ფილოს. ისტორია, კლასიკური გერმ. ფილოსოფია და მისი გავლენა მსოფლიო კულტურაზე. თ-მ ქართ. ფილოსოფიაში დააყენა კაპადოკიური რენესანსის პრობლემა, ანალოგიისა და ადამიანის დანიშნულების პრობლემები იოანე პეტრიწთან. ახლებურად გააანალიზა სისტემის, როგორც ორგანიზმის საკითხი კანტის ფილოსოფიაში; განსაზღვრა ი. ა. შადის ადგილი გერმ. კლასიკაში; წამოაყენა გერმ. ნეოკანტიანელობის ახ. განმარტება, ასევე ირაციონალიზმის, როგორც გონების თვითკრიტიკის, პრობლემა.

თ. მონაწილეობდა ი. კანტის III, V, VII საერთაშ. კონგრესების მუშაობაში. კითხულობდა სპეცკურსს ,,კანტის წმინდა გონების კრიტიკაზე'' მოსკოვის სახელმწ. უნ-ტში (1981), ასევე ლექციების კურსს (ი. კანტი, გ. ჰეგელი, ნ. ჰარტმანი) ქ. ჩანჩუნის (ჩინეთი) უნ-ტში (1990). ხელმძღვანელობდა ფილოს. საზაფხულო სკოლას ქ. ვილნიუსში (1986). იყო ჟურნ. ,,Философский поиск'' (ქ. ვიტებსკის სახელმწ. უნ-ტი) საერთაშ. სარედაქციო საბჭოს წევრი (1996). დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის მედლით (1998) და ღირსების ორდენით (2002).

თხზ.: გერმანული ნეოკანტიანობის შემეცნების თეორია, თბ., 1963; ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიის კრიტიკა, თბ., 1967; იმანუელ კანტი, თბ., 1974; ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1995; შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, თბ., 2002; აღორძინების ეპოქის ფილოსოფია, თბ., 2008; ახალი ფილოსოფიის ისტორია, ნაწ. 1–2, თბ., 2009–12; Иммануил Кант. Проблемы теоретической философии, Тб., 1979.

თევზაძე დავით გიორგის ძე (17. III. 1918, სამტრედია, – 15.XI. 2006, თბილისი), ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1976). 1936–40 სწავლობდა თეატრ. ინ-ტში; 1944 დაამთავრა სოხუმის სახელმწ. პედ. ინ-ტი. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა საქართვ. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, 1958–2004 მუშაობდა შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ინ-ტში. თ. იკვლევდა XX ს. ქართ. ლიტ-რისა და სალიტერატურო კრიტ. თეორიისა და ისტ. საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები: ,,თანამედროვეობა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში'' (1964), ,,კრიტიკის ბუნება'' (1978), ,,კონსტანტინე გამსახურდია და თანამედროვეობა'' (1996), ,,ვასილ წერეთელი'' (1998), ,,ქართული სიმბოლიზმი – პრო ეტ ცონტრა'' (2002) და სხვ. თარგმნა ლოპე დე ვეგას კომედია ,,შეყვარებული ასული'' (1948).

იყო არაერთი პრემიის და ჯილდოს მფლობელი, მ.შ. ი. ჭავჭავაძის სახ. ლიტ. პრემიისა (1999).

თევზაძე დავით დავითის ძე (დ. 30. I. 1949, ქ. სოხუმი), გენერალ-ლეიტენანტი (1998), ფილოს. მეცნ. კანდიდატი (1983). 1971 დაამთავრა თსუ-ის ფილოს. და ფსიქოლ. ფაკ-ტი, 1978 – თბილ. უცხო ენათა პედ. ინ-ტი. 1992 მოხალისედ შევიდა ქართ. გვარდიაში, მონაწილეობდა საქართველოს ტერიტ. მთლიანობისათვის ბრძოლებში აფხაზეთსა და ცხინვალში. იყო ბატალიონ ,,ორბის'', შემდეგ – სწრაფი რეაგირების კორპუსის I ბრიგადის, თავდაცვის სამინისტროს მე-11 ბრიგადის მეთაური. 1994 სამხ. დახელოვნება გაიარა ქ. რომში ნატოს თავდაცვის კოლეჯში, 1995 გერმანიაში – სტრატეგიული კვლევისა და თავდაცვის ეკონ. კოლეჯში, 1996–97 – აშშ-ის არმიის სამეთაურო და გენ. შტაბის კოლეჯში. 1998–2004 იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი ქართ., რუს., ინგლ. ენებზე, არის ევრ. იდეათა შემსწავლელი საერთაშ. საზ-ბის და ნიუ-იორკის მეცნ. აკად. წევრი. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (1993). *ლ. დოლიძე.*

თევზაძე ვალერიან (10. II. 1892 – 13. XII. 1985), სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი. იყო რუს. არმიის ოფიცერი, მონაწილეობდა I მსოფლიო ომში (1914–18). 1918-იდან თ. საქართვ. დემოკრ. რესპ. არმიის ოფიცერი იყო. იმავე წელს მიენიჭა პოდპოლკოვნიკის წოდება, მონაწილეობდა საქართვ. მტრების წინააღმდეგ წარმოებულ მრავალ სამხ. ოპერაციაში. აქტიურად მონაწილეობდა რესპ. შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებაში. 1921 მარტში იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო. ქართვ. მხედრების ერთ ჯგუფთან ერთად გადავიდა პოლონეთში და იყო პოლონეთის არმიის ოფიცერი. მეორე მსოფლიო ომის (1939–45) დაწყების დროს თავი ისახელა ვარშავის დაცვისათვის ბრძოლებში, რისთვისაც ,,ვირტუტი მილიტარის'' (,,მხედრული მამაცობისთვის'') ვერცხლის ჯვრით დააჯილდოვეს. ავტორია მოგონებებისა ,,განვლილი გზა'', რ-იც საყურადღებო ცნობებს შეიცავს 1917–21 საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარების შესახებ.

თხზ.: ქართველი ოფიცრის ჩანაწერები, თბ., 1990.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ნ., ქართველი მხედრები პოლონეთის დროშის ქვეშ, თბ., 1998. *ლ. ურუშაძე.*

თევზაძე ვახტანგ ისმაილის ძე (24. X. 1933, თბილისი, – 6. III. 2013, იქვე), ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1987), პროფესორი (1991), საქართვ. სოფ. მეურნეობის მეცნ. აკად. წ.-კორ. (1995). 1957 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო საქართვ. ჰიდროტექ. და მელიორ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (ახლანდ. საქართვ. ტექ. უნ-ტის წყალთა მეურნეობის ინ-ტი) უფრ. მეცნ. თანამშრომლად. 1973 ხანგრძლივი მივლინებით იმყოფებოდა იაპონიაში, 1979–80 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიწვევით ლექციებს კითხულობდა გარემოს დაცვის პრობლემებზე ნოვოჩერკასკსა და მოსკოვში. 1980–90 საქართვ. ჰიდროტექ. და მელიორაციის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში ხელმძღვანელობდა სამთო მელიორ. განყ-ბას, ხოლო 1991–93 – ბუნებრივი კატასტროფული მოვლენების ლაბორატორიას. 1993-იდან იყო საქართვ. მეცნ. აკად. წყალთა მეურნეობისა და საინჟ.-ეკოლ. ინ-ტის (ახლანდ. სტუ-ის წყალთა მეურნეობის ინ-ტი) დირექტორის მოადგილე სამეცნ. დარგში. თ-ის სამეცნ. კვლევის სფერო მოიცავს ჰიდრავლიკის, ჰიდროლ., ჰიდროტექ. და საინჟ. ეკოლოგიის, წყალთა მეურნეობისა და მელიორ. დარგებს, აგრეთვე ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, მისი შრომები ეხება ბუნებრივი კატასტროფების, მთის რეგიონებში კალაპოტური პროცესებისა და ეროზიულ-ღვარცოფული მოვლენების შესწავლას, მათ წინააღმდეგ ბრძოლის გზებსა და საშუალებებს. აქტიურად მონაწილეობდა აღნიშნული მიმართულებებით

ბუნების დამცავ ნაგებობათა პროექტებისა და სახელმწ. კანონპროექტების მომზადებასა და განხილვაში, აგრეთვე ერთობლივი საერთაშ. პროექტების დამუშავებაში. პარალელურად ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1993–95) საქართველოს ტექ. და აგრ. უნ-ტებში. 1996-იდან ბუნებრივი კატასტროფების განყბას ხელმძღვანელობდა სტუ-ში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).

თხზ.: ღვარცოფებისა და ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების ჰიდრავლიკა, თბ., 1996 (თანაავტ.: ო. ნათიშვილი, ზ. დანელია); Гидравлические закономерности связных селей, Тб., 1996 (თანაავტ. О. Г. Натишвили); Движение селей и их взаимодействие с сооружениями, Тб., 2001 (თანაავტ. О. Г. Натишвили); Основы динамики селей, Тб., 2007 (თანაავტ. О. Г. Натишвили).

თევზაძე თამაზ ვლადიმერის ძე (დ. 1.IV. 1928, თბილისი), არქიტექტორი. საქართვ. დამს. არქიტექტორი (1967). დაამთავრა მოსკოვის არქიტ. ინ-ტი (1952). 1953–64 მუშაობდა არქიტექტორად საპროექტო ინ-ტ ,,თბილქალაქპროექტში'', 1964–71 – ტიპობრივი და ექსპერ. დაპროექტების თბილ. ზონალურ სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (,,თბილზნიეპი''), 1973–78 იყო თბილ. მთ. არქიტექტორი, 1978–87–,,თბილქალაქპროექტის'' დირექტორი, ხოლო 1987–2002– ამავე საპროექტო ინ-ტის მთ. არქიტექტორი.

ძირითადი ნამუშევრები: თბილისში – სკოლა 880 მოსწავლეზე (ტიპობრივი პროექტი, 1954, არქიტ. მ. კობახიძესთან ერთად); სასტუმრო ,,კოლხეთი'' (1962, არქიტ. ნ. ჯობაძესთან ერთად); მეტროპოლიტენის სადგურ ,,ნაძალადევის'' (ყოფ. ,,ოქტომბერი'') მიწისზედა ნაგებობა და ქვედა ვესტიბიული (1966, არქიტ. რ. კიკნაძესთან ერთად, მხატვარი ნ. იგნატოვი) და ,,300 არაგველის'' მიწისზედა ნაგებობა (1967); კ. გამსახურდიას ძეგლი (1983, მოქანდაკე თ. კიკალიშვილი) და სხვ. არის ,,არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის'' პროფესორი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998). *თ. გერსამია.*

თევზაძე თამაზ შოთას ძე (დ. 24. VIII. 1942, დაბა აბასთუმანი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (2000). 1965 დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი. 1970–90 მუშაობდა თსუ-ში სხვადასხვა სამეცნ. თანამდებობაზე, 1990–2006 იყო მათ. დაფუძნებისა და მეთოდიკის კათედრის გამგე. კითხულობდა ლექციების კურსს მათ. ანალიზში, უმაღლეს მათემატიკაში. 2006-იდან მუშაობს საქართვ. საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართ. უნ-ტში. კითხულობს ლექციების კურსს კალკულუსსა და მათ. ანალიზში. გამოქვეყნებული აქვს 25 სამეცნ. შრომა.

თხზ.: Специальные кратные тригонометрические ряды, Тб., 1996; Некоторые классы функций и тригонометрические ряды, «Некоторые вопросы теории функций», I, II, Тб., 1981; I, III, Тб., 1986; Доклады РАН, 1995, т.1, №3; 1996, т.1, №3.

თევზაძე ინგა ბორისის ასული (დ. 30. VII. 1941, თბილისი), მოცეკვავე და ბალეტმაისტერი. საქართვ. სახ. არტისტი (1982). 1958-იდან სწავლობდა თბილ. ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწ. უნ-ტის ფილოლოგიის ფაკ-ტზე, შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკ. ა. ლუნაჩარსკის სახ. თეატრ. ხელოვნების სახელმწ. ინ-ტის ხალხ. ცეკვების რეჟისორ-საბალეტმაისტერო ფაკ-ტზე (1987). 1961-იდან იყო საქართვ. ხალხ. ცეკვის სახელმწ. აკად. ანსამბლის (ახლანდ. ი. სუხიშვილის სახ. ქართ. ნაც. ბალეტი) სოლისტი. 1990-იდან – ბალეტმაისტერი. თ. მონაწილეობას იღებდა ანსამბლის მთელ რეპერტუარში. ასრულებდა სოლო პარტიებს ცეკვებში: ,,სიმდი'', ,,აჭარული'', ,,მიპატიჟება'', ,,დავლური'', ,,სამაია'' და სხვ. თ-ის შესრულებისათვის დამახასიათებელია მუსიკალობა, სინარნარე, არტისტიზმი, პლასტიკურობა.

თევზაძე იური ბენიამინის ძე (დ. 14. I. 1941, თბილისი), ფიზიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1995). დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1965). ამავე წლიდან დაიწყო მუშაობა ფიზ. ფაკ-ტის ბირთვული ფიზ. კათედრაზე. 1967–74 სამეცნ. მივლინებით იმყოფებოდა ბირთვული გამოკვლევების გაერთიანებული ინ-ტის (დუბნა, რუსეთი) მაღალი ენერგიების ფიზ. ლაბორატორიაში. 1974–2005 მუშაობდა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტის მაღალი ენერგიების (ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის) კათედრაზე, 1988–2005 იყო ამ კათედრის გამგე. 2006-იდან არის თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკ-ტის ელემენტარული ნაწილაკების ფიზ. სასწ.-სამეცნ. ლაბორატორიის გამგე.

1970–95 იყო პროპანის (PBC-500) საერთაშ. კოლაბორაციის წევრი, ხოლო 1995–2005 – A Large Ion Collider Exsperiment-ის (CERN, ჟენევა, შვეიცარია) საერთაშ. კოლაბორაციის წევრი. ამჟამად თანამშრომლობს COMET (Coherent Muon to Electron Transition, იაპონია) კოლაბორაციაში და არის მისი საბჭოს წევრი. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი. კვლევის მიმართულებაა ექსპერ. ბირთვული ფიზიკა, ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა, მაღალი ენერგიების ფიზიკა.

1977 მიიღო მელიქიშვილის სახ. სამეცნ. პრემია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).

თხზ.: ALICE: Physics Performance Report, v.1–2. ALICE collaboration [G. Alessandro (Ed.) et al.], «Journal of Physics», G32, 2006 (თანაავტ.).

თევზაძე მერაბ ნიკოლოზის ძე (5. III. 1939, თბილისი, – 29. VIII. 2011, იქვე), გეოდეზისტი და სამთო ინჟინერ-მარკშაიდერი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი (1989), საქართვ. საინჟინრო აკად. ნამდვ. წევრი (1998). 1961 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის (ამჟამად სტუ) სამთო-გეოლ. ფაკ-ტი. მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. სამთო საქმის ინ-ტში. 1985–2007 იყო სტუ-ის საინჟინრო გეოდეზიის, მარკშაიდერიისა და ქალაქის კადასტრის კათედრის გამგე, 2007–11 – სტუ-ის საინჟ. გეოდეზიის დეპარტამენტის უფროსი. თ. იყო გეოდ. კვლევის რესპ. ცენტრის ხელმძღვანელი, საქართვ. გეოდეზიური საზ-ბის პირველი პრეზიდენტი, მინერ. ნედლეულის საერთაშ. აკად. წევრი, ამავე აკად. საქართველოს განყ-ბის პრეზიდენტი, გეოდეზისტთა მსოფლიო ასოციაციის წევრი, ქართ. ენციკლოპედიის დედამიწის შემსწავლელ მეცნ. რედაქციის გეოდ. სექციის თავ-რე (1985–2011).

თ-ის შრომები ეხება გეოდეზიასა და სამარკშაიდერო საქმეში ფიზ. მანძილმზომების თეორიას და მის გამოყენებას საინჟ. ნაგებობების დაპროექტება-მშენებლობაში. შექმნა სამარკშაიდერო მონიტორინგის სისტემა. მამასთან (ნ. *თევზაძე*) ერთად ხელმძღვანელობდა საინჟ. გეოდ. სპეციალობის ჩამოყალიბებას. მონაწილეობდა მსოფლიოში უნიკალური ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის, თბილსრესის, მადნეულის საბადოს, სამების საკათედრო ტაძრის გეოდ. საფუძვლის პროექტირებაში. თ-მ ფეთქებად საშიშ შახტებში პირველად გამოიყენა ერთდროულად გიროთეოდოლიტი და შუქმანძილმზომი. მინიჭებული



ი. თევზაძე.



მ. თევზაძე.



ნ. თევზაძე.

აქვს ,,საპატიო გეოდეზისტის'' წოდება. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999), საპატრიარქოს სიგელით.

თხზ.: ფიზიკური მანძილსაზომები, თბ., 1996; Теория ошибок и способ наименьших квадратов, М., 1992 (თანაავტ. Б. И. Беляев).

თ. პაპავა. რ. ჩეკურიშვილი.

თევზაძე ნანული შალვას ასული (დ. 1.IX. 1934, თბილისი), არქიტექტორი. არქიტ. დოქტორი (1994), პროფესორი (1995). საქართვ. დამს. არქიტექტორი (2012). საქართვ. საინჟინრო აკად. ნამდვ. წევრი (2005). დაამთავრა სპი-ის სამშ. ფაკ-ტი (1959). 1959–61 მუშაობდა არქიტექტორად საპროექტო ინტ. ,,თბილქალაქპროექტში''. 1961-იდან მუშაობს სტუ-ში. 1989-იდან არის არქიტ. დაგეგმარების საფუძვლების კათედრის გამგე, მიმართულების ხელმძღვანელი (2006-იდან), არქიტ. საფუძვლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი (2013-იდან). თ. ავტორია მრავალი სამეცნ. შრომის, სახელმძღვანელოსი, მეთოდური მითითების და ა.შ.

პარალელურად ეწევა პრაქტ. საქმიანობასაც. არის მრავალი პროექტისა და განხორციელებული ობიექტის ავტორი, მათ შორისაა: საცხოვრებელი კომპლექსი თელავში (1966), თბილისში (ვ. დავითაიას, გ. გეგელიას, ნ. ჯანშიაშვილთან ერთად, 1977, ბახტრიონის ქ., 16–30) და სხვ. ქართ. არქიტექტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის დაჯილდოებულია არქიტექტორთა კავშირის დიპლომით (2004).



რ. თევზაძე.

თხზ.: მასობრივი საცხოვრებლის გარემოსთან კავშირის ორგანიზაციის საკითხები, «სტუ-ის სამეცნიერო შრომები», 1991, №9; როგორი შეიძლება იყოს ეკოლოგიური საცხოვრებელი სახლი, იქვე, 2001, №3; არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლები. სახელმძღვანელო, თბ., 2005; არქიტექტურის პროპედევტიკა, თბ., 2014; Грузинская ССР. Градостроительство на склонах, под ред. В.Р. Крогиуса, М., 1988.

თ. გერსამია.

თევზაძე ნიკოლოზ არტემის ძე [9 (22). V. 1908, ქუთაისი, – 24. I. 1985, თბილისი], გეოდეზისტი და მარკშაიდერი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1962), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამსახურებული მოღვაწე (1967). დაამთავრა თსუ-ის სოც.-ეკონ. ფაკ-ტი (1930) და საქართვ. ინდუსტრიული ინ-ტის სამშ. ფაკ-ტი (1936). 1941–85 იყო სპი-ის (ამჟამად სტუ) საინჟ. გეოდეზიისა და მარკშაიდერიის კათედრის გამგე. კითხულობდა ლექციებს თსუ-ში, სოხუმისა და ბათუმის პედ. ინ-ტებში.

თ-ის შრომები ეხება უმაღლესი გეოდეზიის, გეოდ. ასტრონომიის, გეოდ. გრავიმეტრიის, ტოპოგრაფიის, გეოდეზიურ და სამარკშაიდერო განაზომთა მათ. დამუშავების თეორ. საფუძვლებს. ავტორია საინჟ. გეოდეზიის ათტომიანი სახელმძღვანელოსი (1974–85), რ-შიც მოცემულია გეოდეზიისა და მარკშაიდერიის ძირითადი საკითხები. ამ ნაშრომისათვის თ-ს მიენიჭა საქართვ, სახელმწ. პრემია (1988).

თ-ის შრომების საფუძველზე ჩამოყალიბდა ახ. სპეციალობა – ,,საინჟინრო გეოდეზია''. ხელმძღვანელობდა და უშუალოდ მონაწილეობდა რთული გეოლ. პირობების მქონე თბილ. მეტროპოლიტენის, სპორტის სასახლის და მსოფლიოში უნიკალური ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის გეოდ. საფუძვლის პროექტირებასა და მის განხორციელებაში. წლების განმავლობაში იყო სსრ კავშირის სახმშენის სამეცნ.-ტექ. საბჭოს, ასტრონ.-გეოდ. საზ-ბის საქართველოს განყ-ბის პრეზიდიუმის, საქართვ. მეცნ. აკად. დედამიწის ქერქის კომპლ. გამოკვლევის სამეცნ. საბჭოს, ბუნების დაცვის საზ-ბის რესპ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრი; სპი-ის ახ. კორპუსების მშენებლობის პირველი მთ. ინჟინერი საზ. საწყისებზე. 1973–85 იყო ქართ. ენციკლოპედიის დედამიწის შემსწავლელ მეცნ. რედაქციის გეოდ. სექციის თავ-რე.

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: განაზომთა შეცდომების თეორია, ნაწ. 1, თბ., 1957; განაზომთა ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, თბ., 1960; უმცირეს კვადრატთა მეთოდი, თბ., 1964; საინჟინრო გეოდეზია, [ტ.] 1–10, თბ., 1974–85.

ლიტ.: Новицкий Н., Мчедлидзе Р., Тбилисское метро, Тб., 1968; Маркшейдерский вестник, М., 1993; Выдающиеся деятели отечественной маркшейдерии, Календарь 1998–1999, М., 1997.

თ. პაპავა. ვ. ჯავრიშვილი.

თევზაძე რევაზ ნიკოლოზის ძე (დ. 22. VI. 1931, ქუთაისი), გეოლოგი. საქართვ. დამს. ინჟინერი (1975) და დამს. მენავთობე (1981). სტუ-ის ნავთობისა და გაზის საბადოების ბურღვის კათედრის პროფესორი (1982). საქართვ. საინჟ. აკად. ნამდვ. წევრი, საქართვ. ეროვნ. ენერგეტიკის აკად. წევრი. 1955 დაამთავრა სპი (სტუ) სამთო ინჟინერ-მენავთობის სპეციალობით. მუშაობდა აზერბაიჯანში, 1958-იდან – ,,საქნახშირძიების'' ტრესტის, ხოლო 1970-იდან – საქართვ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლ. სამმართველოს სისტემაში. იკვლევდა კვაისის ტყვია-თუთიისა და ერწოს ვერცხლისწყლის საბადოებს, ხელმძღვანელობდა საძიებო სამუშაოებს შაორის ქვანახშირის, მადნეულის პოლიმეტალებისა და ბარიტის საბადოებზე და საქართვ. მეტალების კომპლ. ექსპედიციას.

თ-ის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით დაძიებულია საქართვ. მინერ. რესურსების სამრეწვ. მნიშვნელობის მრავალი საბადო. სასარგებლო წიაღისეულის საბადოების (მ. შ. მადნეულის საბადოს) წარმატებული ძიებისა და გეოლ.-საძიებო სამუშაოებში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის 1971 მიენიჭა სოციალ. შრომის გმირის წოდება.

1973-იდან თ. იყო ნავთობის საკავშ. სამინისტროს ტრესტ ,,საქნავთობის'' მმართველი, 1975–2004 – საწარმოო გაერთიანება ,,საქნავთობის'' გენ. დირექტორი, დეპარტამენტ ,,საქნავთობის'' თავმჯდომარე, სახელმწ. კომპანია ,,საქნავთობის'' პრეზიდენტი.

თ. 1978–2002 იყო საქართვ. ნავთობის მრეწვ. სამეცნ.-ტექ. საზ-ბის უცვლელი თავ-რე. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001).

ი. ლობჟანიძე.

თევზები (Pisces), ლაყუჩით მსუნთქავი ხერხემლიანი ცხოველების ზეკლასი. მასში გაერთიანებულია 2 კლასი: ხრტილიანი თ. და ძვლიანი თ. ცნობილია 25 ათ-მდე სახეობა, რ-თაგან 20 ათ. თანამედროვეა, სხვები – ნამარხი.

საქართველოში 150-მდე სახეობა და ქვესახეობა გვხვდება. თ-ის სხეულის ზომა დიდ ფარგლებში მერყეობს. ყველაზე მცირე თ. 1 *სმ* სიგრძისაა (ღორჯო პანდაკი), ყველაზე დიდი – 15 *მ*-მდე (ვეშაპისებრი და გიგანტური ზვიგენები), ნამარხთა შორის კი 20 *მ* და მეტსაც აღწევს. ჩონჩხი ძვლოვანი ან ხრტილოვანია და ძვალხრტილოვანი (*ზუთხი*). კიდურები წარმოდგენილია წყვილი (მკერდის, მუცლის) და კენტი (ზურგის, კუდის და კუდქვეშა) ფარფლებით. თ-ის უმრავლესობა ცალსქესიანია. განაყოფიერება გარეგანია, იშვიათად – შინაგანი (ცოცხლადმშობნი). თ-ის სხეული მრავალგვარია, უმეტესობა თითისტარისებრია. დაფარულია ქერცლებით, ქიცვებით და ძვლოვანი ფირფიტებით

ან ტიტველია. შეფერილობა მრავალგვარია. ნაყოფიერება რამდენიმე ცალი კვერცხიდან (ზოგი ზვიგენი, სკაროსი) 300 მლნ. ქვირითის მარცვლამდე (მთვარა თევზი) მერყეობს. თევზი სქესობრივად მწიფდება სხვადასხვა ასაკში: ზოგი სიცოცხლის პირველ წელს (*გამბუზია*, ზოგი ღორჯო), ზოგი – 12–20 წლისა (სვია). თ. იზრდებიან მთელი სიცოცხლის განმავლობაში. სიცოცხლის ხანგრძლივობა განსხვავებულია: 1–2 წლიდან (ზოგი ღორჯო) 100 წლამდე (სვია). იკვებება პლანქტონით, ბენთოსით, ზოგი მტაცებელია – ჭამს თევზებს, ზოგიც პარაზიტია.

თ-ს დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. ადამიანი იყენებს მათ ხორცს, ქვირითს, ტყავს, ქონს და სხვ. გამბუზია სპობს მალარიის გამავრცელებელი კოღოს მატლებს და ჭუპრებს; მცენარეჭამია თ. (*თეთრი ამური*, თეთრი სქელშუბლა) მცენარეებისაგან წმენდენ წყალსატევებს, არხებს. ამავე დროს ადამიანს ესთეტ. სიამოვნებასაც ანიჭებენ (აკვარიუმის თ.), წარმოადგენენ სამეცნ.-კვლევის ობიექტსაც. თ-ისაგან ამზადებენ ფქვილს, რ-საც ადამიანი იყენებს ცხოველების გამოსაკვებად, აგრეთვე სასუქად.

თანამედროვე თ-იდან საქართველოს ფარგლებში შავი ზღვის ბინადართა შორის აღსანიშნავია კატრანი, *ზღვის მელა* (სკაროსი), *შავი ზღვის ქაშაყი*, ჩვეულებრივი ქარსალა, ქაფშია (ქამსა), შავი ზღვის ვირთევზა, მახვილცხვირა, *შავი ზღვის სტავრიდა*, შავი ზღვის ბარაბული, *სკუმბრია*, *თინუსი*, *პელამიდა*, შავი ზღვის კამბალა და სხვ.; გამსვლელი თევზებიდან – *ატლანტური ზუთხი*, *კოლხური ზუთხი*, *ფორეჯი*, *ტარაღანა*, *შავი ზღვის ორაგული*. მტკნარი წყლის თევზებიდან: *კალმახი* (მდინარისა და ტბის), მტკვრის, კოლხური, მცირეაზიური *ხრამული*, მტკვრის და *კოლხური წვერა*, *ჭანარი*, *მურწა*, *კობრი*, *ლოქო* და სხვ.

საქართვ. წყალსატევებში აკლიმატიზებულია სარკისებრი კობრი, ცისარტყელა კალმახი, ჭაფალა, პელიადი, თეთრი ამური, თეთრი და ჭრელი სქელშუბლა, გამბუზია და სხვ. საერთაშ. წითელ წიგნში (წწ) შეტანილია 194 სახეობის თევზი, საქართვ. წწ-ში – 5 სახეობა: ატლანტური ზუთხი (ფორონჯი), ფორეჯი (ჯარღალა), შავი ზღვის ორაგული, ჭანარი, გველთევზა. ნამარხი თ. ცნობილია დევონური პერიოდიდან (პალეოზოური ერა). ვარაუდობენ, რომ მტევანფარფლიანმა თ-მა დასაბამი მისცეს ხმელეთის ხერხემლიანებს. ნამარხი თ. საქართველოში (ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი, სოფ. გვადა; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩოჩხათი) ცნობილია პლიოცენიდან (ნეოგენი) – შავი ზღვიდან 11 სახეობა, რ-ებიც ძირითადად ქაშაყებითა და კეფალებითაა წარმოდგენილი, ხოლო მტკნარი წყლის ნამარხი თ. წარმოდგენილია 2 გვარით (ხრამული და წვერა), რ-ებიც ნაპოვნია იმავე გეოლ. ასაკის შრეებში (ახალციხის მუნიციპალიტეტი).

ლიტ.: საქართველოს ცხოველთა სამყარო, ტ. 4, თბ., 1976; Берг Л. С., Рыбы пресных вод и сопредельных стран, 4-е изд., ч. 1–3, М.–Л., 1948–49; Габелая Ц. Д., Рыбы плиоценовых отложений Грузии, Тб., 1976; Жизнь животных, 2 изд., т. 4, М., 1983; Никольский Г. В., Частная ихтиология, 3 изд., М., 1971.

მ. დემეტრაშვილი.

თევზები, ზოდიაქოს თანავარსკვლავედი, იხ. სტ. *ზოდიაქო.*

თევზის მრეწველობა, კვების მრეწველობის დარგი, რომელიც მოიპოვებს და გადაამუშავებს თევზს და წყლის სხვა ორგანიზმებს სხვადასხვა საკვებ, სამედიცინო და ტექნიკური დანიშნულების პროდუქციად. თ. მ., თავის მხრივ, მოიცავს ორ დარგს – მომპოვებელსა და გადამმუშავებელს.

საქართვ. გეოგრ. მდებარეობა, კლიმატ. პირობები, ბუნებრივი და ხელოვნ. სათევზმეურნეო ობიექტების წყლის სარკის ფართობი, შავი ზღვის მდიდარი იქტიოფაუნა თ. მ-ის განვითარებისათვის კარგი მატერ. საფუძველია.

ჩვენამდე მოღწეული ძვ. წერილობითი ძეგლებით ირკვევა, რომ ქართველური ტომები თევზის ჭერას ჯერ კიდევ ძვ. წ. V–IV სს-ში მისდევდნენ. მეთევზეობა და თევზის გადამუშავება განსაკუთრებით განვითარებული იყო ზღვისპირად მცხოვრებ ქართველურ ტომებში. არსებული ცნობები იმასაც მოწმობს, რომ ქართველები თევზს მხოლოდ შინა ეკონ. საჭიროების უზრუნველყოფისათვის კი არ ამარილებდნენ, არამედ საექსპორტოდაც გაჰქონდათ.

თ. მ. საქართველოში სამრეწვ. ხასიათს იღებს XIX ს. ბოლოს. ზღვისპირა რ-ნებში ფუნქციონირება დაიწყო პირველმა თევზის გადამმუშავებელმა მცირე საწარმოებმა. შემდგომ პერიოდში (1930) ჩამოყალიბდა საქართვ. თ. მ-ის სახელმწ. ტრესტი ,,საქთევზი''. შეიქმნა თევზის მომპოვებელი კოლმეურნეობები და თევზმჭერი კოლმეურნეობების კავშირი – ,,საქთევზკოლმკავშირი'' (1932). მეორე მსოფლიო ომამდე საქართველოში აშენდა და ფუნქციონირება დაიწყო ბათუმის, ფოთის, სოხუმის, გაგრისა და თბილ. თევზის გადასამუშავებელმა ქ-ნებმა.

1930–50 კომერციული თვალსაზრისით ძვირფას თევზებად მიიჩნეოდა ქამსა (ქაფშია), შავი ზღვის სტავრიდა, ტიურბო, კეფალისა და ზუთხისებრთა ხუთი სახეობა, შავი ზღვის ქაშაყი და ორაგული და სხვ. იმავე პერიოდში საქართველოში ასევე მოიპოვებდნენ ხამანწკებს, რაპანას და დელფინების სამ სახეობას. დროის ამ მონაკვეთში საქართვ. თევზსარეწი ფლოტი შედგებოდა რამდენიმე ათეული არათვითმავალი ნავის, ბარკასისა და მცირე გაბარიტისა და სიმძლავრის გემებისაგან. თევზის ჭერა ძირითადად ხორციელდებოდა ნაპირთან ტრად. ტექნოლოგიების გამოყენებით. 1932 წ. სულ მოპოვებული იქნა 75930 *ც* თევზი. თევზის გადამმუშავებელმა ქ-ნებმა სულ დაამზადეს 21195 *ც* პროდუქცია (ძირითადად დამარილებული თევზი). 1939 თევზის ქ-ნებმა აითვისეს კულინარული ნაწარმის გამოშვება. 1940 საქართვ. თ. მ-ს უკვე გააჩნდა 15 ერთეული თვითმავალი ფლოტი. 1945-იდან თევზმჭერმა ორგანიზაციებმა დაიწყეს სეინერის ტიპის გემების გამოყენება. საქართვ. თ. მ-ის საწარმოებში მზადდებოდა სხვადასხვა სახის პროდუქცია, მ. შ.: შებოლილი, დამარილებული, გაყინული, ტომატის წვენსა და ზეთში დაკონსერვებული თევზები (ქამსა, სტავრიდა, კამბალა, ბარაბულა, კეფალი და სხვ.). თ. მ-ის საწარმოებში ამზადებდნენ თევზის ფქვილსა და ნატრიუმის პიროსულფატით დაკონსერვებულ თევზის ფარშს, რ-ებიც ცხოველების საკვებად გამოიყენებოდა.

საქართველოში თევზის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა დაიწყო 1950-იდან, როდესაც ,,საქთევზის'' ტრესტისა და ,,საქთევზკოლმკავშირის'' თევზსაჭერი ფლოტი აღდგენილ იქნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არა მარტო თვითმავალი გემების რიცხობრივი მატებით, არამედ მათი საერთო სიმძლავრით და ტვირ-

თამწეობით. ბათუმში შეიქმნა თევზსაჭერი ბაზა, ხოლო სოხუმში – თევზსაჭერი სამოტორო სადგური, რ-ებიც მეთევზეთა კოლმეურნეობებს ემსახურებოდნენ. 1954–57 გამოირჩევა აქტ. თევზჭერის გაფართოებით, მატულობს მოპოვებული თევზის მოცულობა და მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები. ბათუმის, სოხუმისა და ფოთის ქარხნები გადაკეთდა თევზკომბინატებად, აშენდა ახალი თევზის ქ-ნა თბილისში, ექსპლუატაციაში შევიდა მაცივრები და ყინულის მწარმოებელი საამქროები, რ-ებიც უზრუნველყოფდნენ ფლოტსა და საწარმოებს პროდუქციის ტექნოლ. დამუშავებით და შენახვით. 1963 შეიქმნა ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველო. ამით საფუძველი ჩაეყარა საოკეანო თევზჭერას.

1970-თვის საქართვ. თევზსარეწი ფლოტი შედგებოდა 16 შორეული ცურვის თევზმჭერი ტრაულერისაგან. თევზჭერის უდიდესი ნაწილი ატლანტიკის და ინდოეთის ოკეანეებში ხორციელდებოდა. მუშაობას განაგრძობდნენ სატბორე და საკალმახე მეურნეობები. 1930–90 დაჭერილი თევზის ყველაზე დიდი მოცულობა 1980 წ. დაფიქსირდა და ის შეადგენდა 211 889 ტ. შავი ზღვის თევზჭერის სტატისტიკაში ქაფშიას წამყვანი პოზიცია ეკავა. იგი საქართვ. სანაპიროებთან თევზჭერის 30–40%-ს შეადგენდა. 1980–90 საქართვ. თევზჭერის ფლოტი 48 თევზსაჭერ გემს მოიცავდა, რ-ებიც ეკუთვნოდა სახელმწ. კომპანიებს ან კოლექტიურ მეურნეობებს. თითოეული მათგანი წელიწადში საშუალოდ 4000 ტ თევზს მოიპოვებდა. მათი გადამუშავება იმავე გემებზე ხდებოდა.

1990 შემდეგ ქვეყანაში შექმნილმა მძიმე სოც.-ეკონ. პირობებმა და სსრკ სამომხმარებლო ბაზრის დაკარგვამ ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა თევზის მეურნეობაზე. საოკეანო ფლოტის უდიდესი ნაწილი უკრაინამ შეისყიდა, ხოლო დარჩენილი ნაწილი არარენტაბელური აღმოჩნდა საწვავთან დაკავშირებული პრობლემებისა და გემების ამორტიზირებულობის გამო. 1990-მდე მეთევზეობის დარგის საწარმოო სიმძლავრეების კომპლექსურად გამოყენების შედეგად ოკეანეებში (ატლანტიკის და ინდოეთის) ყოველწლიურად მოიპოვებოდა 60–65 ათ. ტ თევზი, შავი ზღვის სანაპირო ზოლში – 80–100 ათ. ტ ქაფშია, შიდა წყლებში – 2–3 ათ. ტ მტკნარი წყლის თევზი. ამ პერიოდში ქვეყანაში იწარმოებოდა 19–21 მლნ. პირობითი ქილა სხვადასხვა სახის კონსერვი, 9 ათ. ტ-მდე შებოლილი, გამოყვანილი, დამარილებული, კულინარული ნახევარფაბრიკატი და სხვა სახის სასურსათო პროდუქცია. შავი ზღვის ქაფშიიდან მზადდებოდა როგორც სასურსათო, ისე დიდი რაოდენობით სას.-სამ. საქონლის საკვები თევზის ფარში, საოკეანო თევზჭერის ტრაულერებზე – 5 ათ. ტ-მდე თევზის ფქვილი. 1990-მდე საქართველოში მოსახლეობის მიერ ყოველწლიურად მოიხმარებოდა 34–36 ათ. ტ თევზი და თევზის პროდუქცია. ერთ სულ მოსახლეზე მოხმარება აღწევდა 8 კგ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდენის (1991) შემდგომ პროდუქციის მოცულობა ჯერ კიდევ 61000 ტ შეადგენდა, მაგრამ 1995-თვის ეს მაჩვენებელი 3800 ტ-მდე დაეცა. 1992–93 საქართვ. საოკეანო თევზჭერა შეწყდა. 1996–2002 თევზის მეურნეობის წლიური წარმოების მოცულობა 2500–3000 ტ შეადგენდა. XXI ს. დასაწყისში საქართვ. საზღვაო თევზსაჭერი ფლოტი შედგებოდა საშუალო სიმძლავრის ძრავიანი (110–225 ც. ძ.) 43 სეინერისაგან. ყველა გემი თითქმის ამორტიზებული იყო. საშუალო სიმძლავრის სეინერების გარდა, არსებობდა 324 მცირე თევზსაჭერი ნავი, რ-ებიც სანაპირო თევზჭერაში იყვნენ ჩართულნი. 2001–09 მოპოვებული თევზის მოცულობა მერყეობდა 20000–55000 ტ შორის. კომპანიების მიერ მოპოვებული ქაფშიის მოცულობის 85–90% გადამუშავება ხდება სანაპირო ზოლში მდებარე საწარმოებში თევზის ფქვილისა და ზეთის სახით, რ-ებიც ძირითადად იყიდება თურქეთში. ამჟამად ფოთში მოქმედებს 4 თევზგადამმუშავებელი საწარმო. გადამმუშავებელი საწარმოების სიმძლავრე შეადგენს 200–700 ტ თევზს დღ-ღ-ში. მოპოვებული თევზი მცირე მოცულობით მუშავდება გაყინული, დამარილებული და დამუჟუჟებული პროდუქციის სახით. საქართველოში დღემდე არ არსებობს თევზის კონსერვირების საწარმო. თევზის და თევზპროდუქციის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე აღწევს 3,8 კგ წელიწადში.

2011 მონაცემებით საქართველოში თევზის რეწვისა და თევზის მოშენების ეკონ. საქმიანობით დაკავებულია 182 იურიდ. პირი. საქართველოში მრავალი მდინარე, ტბა და ხელოვნური წყალსაცავია, რ-თა უმრავლესობაში აქტიურად მიმდინარეობს თევზჭერა. წყალსაცავები ექვემდებარება გრძელვადიან ლიცენზირებას. დღეისათვის ლიცენზია გაცემულია 6 წყალსაცავზე, ესენია: ტაბაწყურის, ნადარბაზევის, ჯანდარის, სანთის, სულდის ტბები და წალკის წყალსაცავი. გარდა ამისა, საქართველოში მოქმედებს 150-მდე თევზსაშენი მეურნეობა, სადაც ძირითადად მოშენებულია კობრისებრი, ორაგულისებრი, ლოქოსებრი თევზი. საკალმახეების საშენები მდებარეობს მცხეთა-მთიანეთის მთიან რეგიონში, კახეთის ჩრდ. ნაწილში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში. 1993–2008 კულტივირებული კალმახის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 30-ჯერ. 2012-იდან განახლდა გეგუთის (იმერეთი) ზუთხსაშენის ფუნქციონირება (აშენდა 1983); კახეთის რეგიონში (წნორი) მოქმედებს ფერმა, სადაც მოშენებულია აფრიკული ლოქო. იგი მარაგდება თერმული წყლებით. დღეისათვის აკვაკულტურის წლიური წარმოება შეფასებულია 800–12200 ტ, რაც არსებული პოტენციალის 15–20%-ს არ აღემატება.

ლიტ.: ბ რ ე გ ვ ა ძ ე ა., თევზის მრეწველობის განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1971; ლ ო ბ ჟ ა ნ ი ძ ე შ., საქართველოს სსრ თევზის მრეწველობის ეკონომიკის საკითხები, თბ., 1973; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ნ., თევზის მრეწველობა საქართველოში, თბ., 1952.

ა. ფარცვანია.

თევზამი, მდინარე აღმ. საქართველოში, მცხეთის მუნიციპალიტეტში, არაგვის მარცხ. შენაკადი. სიგრძე 28 კმ. სათავეს იღებს საგურამოიალნოს ქედის ჩრდ. კალთაზე. საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირეა წლის დანარჩენ დროს. საშ. წლ. ხარჯი შესართავთან 1,25 მ³/წმ. დეკემბრიდან თებერვალ-მარტამდე აქვს ყინულნაპირისი. მ-ს იყენებენ სარწყავად. *ი. აფხაზავა.*

თევზამი, სოფელი მცხეთის მუნიციპალიტეტის ცხვარიჭამიას თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), საბადურის ქედის სამხრ. კალთაზე, მდ. თეზმის (არაგვის მარცხ. შენაკადი) ნაპირზე. ზ. დ. 1110 მ, მცხეთიდან 26 კმ. 51 მცხ. (2002).

რუკების სია

(ფრჩხილებში მითითებულია გვერდები)

ვანის მუნიციპალიტეტი (156), ზესტაფონის მუნიციპალიტეტი (359), ზუგდიდის მუნიციპალიტეტი (396), თბილისის ადმინისტრაციული დაყოფის სქემატური რუკა (496), თბილისის მიდამოები. ფიზიკური რუკა (500, 501), თბილისის საამირო (503), თბილისის არქეოლოგიური ძეგლები (551), თბილისის გეგმა ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით 1735 წ. (576), თბილისის გეგმა 1785 წ. (ალ. პიშჩევიჩის მიხედვით (577), თბილისის გეგმა შემოგარენით. 1867 წ. (577).

პირობითი აღნიშვნები რუკებზე

დასახლებული პუნქტები

ადმინისტრაციული მნიშვნელობის მიხედვით

- საქართველოს დედაქალაქი
- ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქები
- ქალაქები
- მუნიციპალიტეტების ცენტრები
- დაბები
- თემების ცენტრები
- სოფლები

მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით

თბილისი	1 000 000-ზე მეტი
ქუთაისი	100 000 – 500 000
ზუგდიდი	50 000 – 100 000
გორი	10 000 – 50 000
პატარძეული	10 000-ზე ნაკლები

საზღვრები

- სახელმწიფო
- ავტონომიური რესპუბლიკების
- საქართველოს მუნიციპალიტეტების
- ნაკრძალების

გზები

- რკინიგზები
- მაგისტრალური საავტომობილო
- შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის
- უღელტეხილები
- ნავსადგურები
- აეროპორტები

სხვადასხვა აღნიშვნები

- სამელიორაციო არხები
- მდინარეები და ჩანჩქერები
- პერიოდულად შრობადი მდინარეები
- ა - წყალსაცავები და ტბები, ბ - მლაშე ტბები
- ჭაობები
- • 2757 — სიმაღლეების ნიშნულები ზღვის დონიდან მეტრობით

ენციკლოპედია „საქართველოში“ მიღებული ძირითადი შემოკლებანი

აბსოლ.– აბსოლუტური
აბსტრ. – აბსტრაქტული
აგვ.– აგვისტო, აგვისტოსი
აგრ. – აგრარული
აგრონ. – აგრონომიისა, აგრონომიული
ადგილ. – ადგილობრივი
ადიღ. – ადიღური (ენები)
ადმ.– ადმირალი (გვართან)
ადმ. – ადმინისტრაციული, ადმინისტრაციისა
ადმ.–ტერ. – ადმინისტრაციულ–ტერიტორიული
ადრინდ. – ადრინდელი
ავტომ. – ავტომატური
ავტონ. – ავტონომიური, ავტონომიისა
აზერბ. – აზერბაიჯანელი, აზერბაიჯანისა, აზერბაიჯანული
ათასწლ. – ათასწლეული
აკად. – აკადემიისა, აკადემიური
აკად. – აკადემიკოსი (მხოლოდ გვართან)
ალბ. – ალბანელი, ალბანეთისა, ალბანური
ალპ. – ალპური
ამბულ. – ამბულატორია, ამბულატორიული
ამერ.–ამერიკელი, ამერიკისა, ამერიკული
ამიერკავკ. – ამიერკავკასიისა
ანატ. – ანატომიისა, ანატომიური
ანთროპოლ. – ანთროპოლოგიისა, ანთროპოლოგიური
ანტ. – ანტიკური
აო – ავტონომიური ოლქი (სახელწოდებასთან)
აპრ. – აპრილი, აპრილისა
არ – ავტონომიური რესპუბლიკა
არაბ. – არაბთა, არაბეთისა, არაბული
არამ. – არამეული
არითმ. – არითმეტიკისა, არითმეტიკული
არქ. – არქაული
არქეოლ. – არქეოლოგიისა, არქეოლოგიური
არქიტ. – არქიტექტორი (გვართან), არქიტექტურისა, არქიტექტურული
ასსრ – ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა
ასტრონ. – ასტრონომი (გვართან), ასტრონომიისა, ასტრონომიული
ატმ. – ატმოსფერული
აფრ. – აფრიკელი, აფრიკისა, აფრიკული
აფხ. – აფხაზი, აფხაზეთისა, აფხაზური
აქტ. – აქტიური
აღმ. – აღმოსავლეთი (აღმ. საქართველო – მსაზღვრელად)
აღმ-ით – აღმოსავლეთით
აღმასრ.– აღმასრულებელი
აღწ.–აღწერა, აღწერით
ახ. – ახალი
ახლანდ. –ახლანდელი
ახ. სტ. – ახალი სტილით (თარიღთან)
ახ.წ. –ახალი წელთაღრიცხვით (თარიღთან)
ბალნეოლ.– ბალნეოლოგიური
ბერძნ. – ბერძნული
ბიბლ. – ბიბლიური
ბიბლ.–ბიბლიოგრაფია (თხზულებებთან)
ბიბლიოგრ.–ბიბლიოგრაფიული
ბიზანტ. – ბიზანტიელი, ბიზანტიისა, ბიზანტიური
ბიოგრ. – ბიოგრაფიული
ბიოლ. – ბიოლოგიისა, ბიოლოგიური
ბიოქიმ. – ბიოქიმიისა, ბიოქიმიური
ბ–კა – ბიბლიოთეკა
ბოტან. – ბოტანიკისა, ბოტანიკური
ბურჟ. – ბურჟუაზიისა, ბურჟუაზიული
გ. – გარდაიცვალა (თარიღთან)
გაერთ. – გაერთიანებული
გაერო – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
გაზ.– გაზეთი (სახელწოდებასთან)
გამომც.– გამომცემლობა
გამოც. – გამოცემა
განმათ. – განმათავისუფლებელი
განმან. – განმანათლებელი
განტ.–განტოლება, განტოლებისა
განყ–ბა – განყოფილება (ყველა ბრუნვაში)
გენ.–გენერალი (გვართან), გენერალური
გენ.-ლ.–გენერალ-ლეიტენანტი
გენ.-მ. – გენერალ-მაიორი
გენ.-პ.– გენერალ-პოლკოვნიკი
გენეტ. – გენეტიკური
გეოგრ. – გეოგრაფიისა, გეოგრაფიული
გეოდ. – გეოდეზიისა, გეოდეზიური
გეოლ. – გეოლოგიისა, გეოლოგიური
გეომ. – გეომეტრიისა, გეომეტრიული
გერმ. – გერმანელი, გერმანიისა, გერმანული
გვიანდ. – გვიანდელი
გირვ. სტერლ. – გირვანქა სტერლინგი
გრამატ. – გრამატიკისა, გრამატიკული
გრაფ. – გრაფიკისა, გრაფიკული
გუბ. – გუბერნია (სახელწოდებასთან), გუბერნიის
დ.– დაიბადა (თარიღთან)
დაახლ.–დაახლოებით
დამს. არტ. – დამსახურებული არტისტი (მოღვაწე და სხვ.)
დას. – დასავლეთი (დას. ციმბირი–მსაზღვრელად)
დას-ით – დასავლეთით
დაღ. – დაღესტნელი, დაღესტნისა, დაღესტნური
დეკ. – დეკემბერი, დეკემბრისა
დეკორ. – დეკორატიული
დემოგრ. – დემოგრაფიული
დემოკრ. – დემოკრატიული
დეპ. – დეპუტატი
დეპარტ. – დეპარტამენტი (სახელწოდებასთან)
დიალექტ. – დიალექტიკური
დიდაქტ. – დიდაქტიკური
დინამ.– დინამიკური
დიპლ. – დიპლომატიური
დრამ. – დრამატული
დსთ – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა
ებრ. – ებრაელი, ებრაული
ეგზ. – ეგზემპლარი
ევოლ. – ევოლუციისა, ევოლუციური
ევრ. – ევროპელი, ევროპისა, ევროპული
ეთნ. – ეთნიკური
ეთნოგრ. – ეთნოგრაფიისა, ეთნოგრაფიული
ეკოლ. – ეკოლოგიისა, ეკოლოგიური
ეკონ. – ეკონომიკისა, ეკონომიკური, ეკონომიური
ენათმეცნ. – ენათმეცნიერებისა, ენათმეცნიერული
ენერგეტ. – ენერგეტიკისა, ენერგეტიკული
ეროვნ. – ეროვნული
ესთეტ. – ესთეტიკისა, ესთეტიკური
ეტიმოლ. – ეტიმოლოგიისა, ეტიმოლოგიური
ეუთო–ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
ექსპ. – ექსპორტული
ექსპერ. – ექსპერიმენტული
ვერტ. – ვერტიკალური
ვეტ. – ვეტერინარიისა, ვეტერინარული
ვულკ. – ვულკანისა, ვულკანური
ზ. დ. –ზღვის დონიდან (ციფრობრივ მონაცემებთან)
ზოოლ. – ზოოლოგიისა, ზოოლოგიური
ზოოტექ. – ზოოტექნიკისა, ზოოტექნიკური
თავ–რე – თავმჯდომარე
თარგმ. – თარგმანი, თარგმნილი
თბილ.–თბილისი, თბილისის
თეატრ. – თეატრისა,თეატრალური
თებ. – თებერვალი, თებერვლისა
თეოლ. – თეოლოგიისა, თეოლოგიური
თეორ. – თეორიული
თსსი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი
თსსუ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
თსუ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თურქ. – თურქეთისა, თურქული
თხზ. – თხზულება, თხზულებათა
თხზ. კრ. – თხზულებათა კრებული
თხზ. სრ. კრებ. – თხზულებათა სრული კრებული
იანვ. –იანვარი, იანვრისა
იდეალ. – იდეალისტური
ივლ. – ივლისი, ივლისისა
ივნ. –ივნისი, ივნისისა
იმპ. – იმპერატორი (სახელთან)
იმპერიალ. – იმპერიალისტური
იმპორტ. – იმპორტული
ინგლ. – ინგლისური
ინგუშ. – ინგუშეთისა, ინგუშური
ინდივიდ. –ინდივიდუალური
ინდოევრ. – ინდოევროპული
ინჟ. – ინჟინერი (გვართან)
ინტენს. – ინტენსიური
ინ-ტი – ინსტიტუტი (ყველა ბრუნვაში)
ირან. – ირანელი, ირანისა, ირანული
ისტ. – ისტორიისა, ისტორიული
იტალ. – იტალიელი, იტალიისა, იტალიური
იურიდ. – იურიდიული
კ. –კუნძული (სახელწოდებასთან)
კავკ. – კავკასიელი, კავკასიისა, კავკასიური
კათოლ. –კათოლიკური
კანდ. – კანდიდატი, კანდიდატისა
კაპიტ. – კაპიტალური
კაპიტალ. – კაპიტალისტური
კ-ები – კუნძულები
კერამ. – კერამიკისა, კერამიკული
კვადრ. – კვადრატული
კიბერნ. – კიბერნეტიკისა, კიბერნეტიკული
კლიმ. – კლიმატისა, კლიმატური
კლინ. – კლინიკური, კლინიკის
კოლონ. – კოლონიური
კოლხ. –კოლხური
კომპ.–კომპოზიტორი (გვართან)
კომპლ. – კომპლექსური
კომპოზ. – კომპოზიციური
კომუნ. – კომუნალური
კონკრ. – კონკრეტული
კონსერვ. – კონსერვატორია, კონსერვატორიისა
კონსტ. – კონსტიტუციისა, კონსტიტუციური
კონსტრ. – კონსტრუქციისა, კონსტრუქციული
კოსმ. – კოსმოსისა, კოსმოსური
კრებ. – კრებული
კრიტ. – კრიტიკისა, კრიტიკული
კულტ. – კულტურისა, კულტურული (საზღვრულთან)
კურ. – კურორტი (სახელწოდებასთან)
კუსტ. – კუსტარული
ლაბორ. – ლაბორატორიის, ლაბორატორიული
ლაზ. – ლაზური
ლათ. – ლათინური
ლინგვ. – ლინგვისტიკა, ლინგვისტიკური
ლირ.– ლირიკული
ლიტ. – ლიტერატურული
ლიტ-რა – ლიტერატურა
მ.– მუხლი (კოდექსის)
მაგ. – მაგალითად
მაგნ. – მაგნიტური
მათ. – მათემატიკისა, მათემატიკური
მანუფ. – მანუფაქტურისა, მანუფაქტურული
მარცხ. – მარცხენა
მარჯვ. – მარჯვენა
მატერ. – მატერიალური
მატერიალ. – მატერიალისტური
მაქს. – მაქსიმალური, მაქსიმუმი
მახლ. – მახლობელი (აღმოსავლეთთან)
მდ. – მდინარე (სახელწოდებასთან)
მეგრ. – მეგრული
მედ. – მედიცინისა
მეთოდოლ. – მეთოდოლოგიისა, მეთოდოლოგიური
მელიორ. – მელიორაციისა, მელიორაციული
მეტალ. – მეტალურგიისა, მეტალურგიული
მეტეოროლ. – მეტეოროლოგიისა, მეტეოროლოგიური
მეტროლ. – მეტროლოგიისა, მეტროლოგიური
მექან. – მექანიკური, მექანიკისა
მეცნ. – მეცნიერებისა, მეცნიერული, მეცნიერებათა
მთ. – მთავარი (თანამდებობასთან)
მითოლ. – მითოლოგიისა, მითოლოგიური
მინ. – მინიმალური, მინიმუმი
მინერ. – მინერალური
მოთხრ. –მოთხრობა (სათაურთან)
მონუმ. – მონუმენტური
მორფოლ.– მორფოლოგიისა, მორფოლოგიური
მოსახლ. – მოსახლეობა, მოსახლეობისა
მოსკ. – მოსკოვი, მოსკოვისა
მოსწ. – მოსწავლე
მოძვ. – მოძველებული
მრ.რ. – მრავლობითი რიცხვი
მრეწვ. – მრეწველობა, მრეწველობისა
მუს. – მუსიკის, მუსიკალური
მუსლ. – მუსლიმანური
მცხ. – მცხოვრები
მწვ. – მწვერვალი (სახელწოდებასთან)
მხ.რ. – მხოლოობითი რიცხვი
ნამდვ. – ნამდვილი (გვარი, სახელი)
ნატო – ჩრდილო–ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია
ნაწ. – ნაწილაკი, ნაწილი
ნახ. – ნახაზი
ნახ. – ნახევარი (I ნახ., II ნახ.)
ნ.-კ. – ნახევარკუნძული

ნოემბ. – ნოემბერი, ნოემბრისა
ობსერვ. – ობსერვატორია
ოკ. – ოკეანე (სახელწოდებასთან)
ოპტ. – ოპტიკისა, ოპტიკური
ოპტიმ. – ოპტიმისტური
ორგ. –ორგანული
ორთოგრ.–ორთოგრაფიული
ორიგინ. – ორიგინალური
ოროგრ. – ოროგრაფიული
ოსმ. – ოსმალეთისა, ოსმალური
ოფიც. – ოფიციალური
ოქტ. – ოქტომბერი, ოქტომბრისა
პ. – პუნქტი (სახელწოდებასთან)
პათოლ. – პათოლოგიური
პალეონტოლ. – პალეონტოლოგიისა, პალეონტოლოგიური
პარლამ. – პარლამენტისა, პარლამენტური
პარტ. –პარტიული
პარტიზ. – პარტიზანული
პატრ. – პატრიოტული
პედ. – პედაგოგიკისა, პედაგოგიური
პესიმ. – პესიმისტური
პლასტ. – პლასტიკური
პ/მგ – პასუხისმგებელი
პნევმ. – პნევმატიკური
პოლიგრ. – პოლიგრაფიისა, პოლიგრაფიული
პოლიტ. – პოლიტიკური
პოლიტექ. – პოლიტექნიკური
პოლკ. – პოლკოვნიკი (გვართან)
პოპულ. – პოპულარული
პრაქტ. – პრაქტიკული
პროგრ. – პროგრესული
პროვ. – პროვინციისა, პროვინციული
პროფ. – პროფესორი (გვართან)
პროფ. – პროფესიული
პუბლიც. – პუბლიცისტიკისა, პუბლიცისტური
ჟურნ. – ჟურნალი (სათაურთან)
რაოდ. – რაოდენობა
რეგულ. – რეგულარული
რედ. – რედაქცია (ტექსტის შიგნით), რედაქტორი (გვართან)
რედ.-გამომც. – რედაქტორ-გამომცემელი
რევ. – რევოლუციისა, რევოლუციური
რეკონსტრ. – რეკონსტრუქცია, რეკონსტრუქციისა
რელიგ. – რელიგიისა, რელიგიური
რეჟ. – რეჟისორი
რესპ. – რესპუბლიკა, რესპუბლიკისა, რესპუბლიკური
რ-იც, რ-ებიც – რომელიც, რომლებიც (მოკლდება ყველა ბრუნვაში)
რ-ნი – რაიონი
რ-ნული – რაიონული
რომანტ. – რომანტიკული
რუს. – რუსული, რუსეთისა
რფ – რუსეთის ფედერაცია
რჩ. – რჩეული
რ. ც. – რაიონული ცენტრი (სახელწოდებასთან)
ს. – საუკუნე (თარიღთან), საუკუნის
საავტ. – საავტომობილო
საარტ. – საარტილერიო
საბჭ. – საბჭოთა
საგანმან. – საგანმანათლებლო
სადგ. – სადგური
საეკლ. – საეკლესიო
საერთაშ. – საერთაშორისო
საზ. – საზოგადო, საზოგადოებრივი
საზ-ბა – საზოგადოება (ყველა ბრუნვაში)
საზღვ. – საზღვაო
საინჟ. – საინჟინრო
საისტ. – საისტორიო
საკავშ. – საკავშირო
საკ. სახელმწ. – საკუთარი სახელწოდება
სალიტ. – სალიტერატურო
სამართ. – სამართლის, სამართლებრივი
სამედ. – სამედიცინო
სამეცნ. – სამეცნიერო
სამეცნ.-კვლ. – სამეცნიერო-კვლევითი
სამეცნ.-პოპულ. – სამეცნიერო-პოპულარული
სამკურნ. – სამკურნალო
სამრეწვ. – სამრეწველო
სამშ. – სამშენებლო
სამხ. – სამხედრო
სამხრ. – სამხრეთი (მსაზღვრელად)
სამხრ-ით – სამხრეთით
სანიტ. – სანიტარული
სას. – სასულიერო
სას.-სამ. – სასოფლო-სამეურნეო
სასწ. – სასწავლო
სატრანზ.–სატრანზიტო
სატრანსპ. – სატრანსპორტო
საფრ.–საფრანგეთისა
საქ. – საქართველოს (სსრ-თან)
საქ. კპ – საქართველოს კომუნისტური პარტია
საქართვ. – საქართველოს
საშ. – საშუალო
საცხოვრ. – საცხოვრებელი
სახ. – სახელობის
სახ. – სახალხო (სახ. არტისტი, სახ. მხატვარი და მსგავს შემთხვევებში)
სახელმწ. – სახელმწიფო, სახელმწიფოსი
სახვ. – სახვითი (საზღვრულთან)
ს.-დ. – სოციალ-დემოკრატიული (პარტია, ჯგუფი)
სექტ. – სექტემბერი, სექტემბრისა
სვან. – სვანური
სიმფ. – სიმფონიისა,სიმფონიური
სინონ. – სინონიმი
სისტემ. – სისტემატური, სისტემური
სომხ. – სომხეთისა, სომხური
სოფ. – სოფელი (სახელწოდებასთან)
სოც. – სოციალური
სოციალ. – სოციალისტური
სპარს. – სპარსული, სპარსეთისა
სპეც. – სპეციალური
სპეციფ. – სპეციფიკური
სპი – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი
სპორტ. – სპორტული
სს. – საუკუნეები, საუკუნეების (ყველა ბრუნვაში)
სსიპ–საჯარო სამართალი იურიდიული პირი
სსრკ–საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი
სტ. – სტატია
სტანდ. – სტანდარტული
სტატ. – სტატიკური
სტატისტ. – სტატისტიკისა, სტატისტიკური
სტუ–საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სუბალპ. –სუბალპური
სუბტროპ. – სუბტროპიკული
სურ. – სურათი
ტ. – ტომი (წიგნისა)
ტაბ. – ტაბულა
ტემპ-რა – ტემპერატურა (ყველა ბრუნვაში)
ტერიტ. – ტერიტორია, ტერიტორიული
ტერმ. – ტერმინი
ტექ. – ტექნიკისა, ტექნიკური
ტექნოლ. – ტექნოლოგიისა, ტექნოლოგიური
ტექსტოლ. – ტექსტოლოგიისა, ტექსტოლოგიური
ტექტონ. – ტექტონიკური
ტიპოლ. – ტიპოლოგიური
ტოპოგრ. – ტოპოგრაფიისა, ტოპოგრაფიული
ტრად. – ტრადიციისა, ტრადიციული
ტრანსპ. – ტრანსპორტი, ტრანსპორტისა
ტრიგონომეტრიის, ტრიგონომეტრიული
ტროპ. – ტროპიკული
უმაღლ. – უმაღლესი
უნივერს. –უნივერსალური
უნ-ტი – უნივერსიტეტი (ყველა ბრუნვაში)
უფრ. – უფროსი (თანამდებობასთან)
უელეტ. – უელეტეხილი
უცხ. – უცხოური
ფ. – ფუტი
ფაკ-ტი – ფაკულტეტი (ყველა ბრუნვაში)
ფართ. –ფართობი
ფარმაკ. – ფარმაკოლოგიისა, ფარმაკოლოგიური
ფედერ. – ფედერაციისა, ფედერაციული
ფეოდ. –ფეოდალური
ფიზ. – ფიზიკისა, ფიზიკური
ფიზიოლ. – ფიზიოლოგიისა, ფიზიოლოგიური
ფიზკულტ. –ფიზკულტურის, ფიზკულტურული
ფილოლ. – ფილოლოგიისა, ფილოლოგიური
ფილოს. – ფილოსოფიისა, ფილოსოფიური
ფინანს. – ფინანსური
ფ-კა – ფაბრიკა (ყველა ბრუნვაში)
ფონეტ. – ფონეტიკისა, ფონეტიკური
ფოტოგრ. – ფოტოგრაფიისა, ფოტოგრაფიული
ფრანგ. – ფრანგული
ფსევდ. – ფსევდონიმი
ფსიქ. – ფსიქიკური, ფსიქიკისა
ფსიქოლ. – ფსიქოლოგიისა, ფსიქოლოგიური
ქ. – ქალაქი (სახელწოდებასთან)
ქ-ები – ქალაქები (მხოლოდ სახელწოდებასთან)
ქართ. – ქართული
ქართვ. – ქართველი
ქიმ. – ქიმიისა, ქიმიური
ქირურგ. – ქირურგიისა, ქირურგიული
ქ-ნა – ქარხანა (ყველა ბრუნვაში)
ქორეოგრ.–ქორეოგრაფიის, ქორეოგრაფიული
ქრისტ. – ქრისტიანული
ქრონ. – ქრონიკული
ქრონოლ. – ქრონოლოგიური
ქუთ. – ქუთაისი
ყაბ. – ყაბარდოელი, ყაბარდოსი, ყაბარდოული
ყოფ. – ყოფილი
შდრ. – შეადარე
შემდგ. – შემდგენელი
შნშ – შენიშვნა
შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ჩაჩნ.-ინგ. – ჩაჩნეთ-ინგუშეთისა
ჩრდ. – ჩრდილოეთი, ჩრდილო (ჩრდილო კავკასია-მსაზღვრელად)
ჩრდ-ით –ჩრდილოეთით
ჩრდ.-აღმ. - ჩრდილო-აღმოსავლეთი (მსაზღვრელად)
ჩრდ.-დას–ჩრდილო-დასავლეთი (მსაზღვრელად)
ც. – ცალი (რაოდენობასთან)
ცენტრ.– ცენტრალური
ცხრ. – ცხრილი
ძვ. – ძველი
ძვ.სტ. – ძველი სტილით
ძვ.წ. – ძველი წელთაღრიცხვით
წ.-კორ. –წევრ-კორესპონდენტი
წ. – წელი (თარიღთან)
წლ. – წლიური
წმ. – წმინდა (სახელთან)
წყალსაც.– წყალსაცავი (სახელწოდებასთან)
ჭან. – ჭანური
ხალხ. –ხალხური
ხელმძღვ. – ხელმძღვანელი
ხელოვნ. – ხელოვნებისა
ხვ.წ. – ხვედრითი წონა, წილი
ხორც. – ხორცატი, ხორცატიისა, ხორვატული
ჰიდროგრ. – ჰიდროგრაფიისა, ჰიდროგრაფიული
ჰიდროლ. – ჰიდროლოგიისა, ჰიდროლოგიური
ჰიდრომეტეოროლ. – ჰიდრომეტეოროლოგიისა, ჰიდრომეტეოროლოგიური
ჰიდროსტ. – ჰიდროსტატიკისა, ჰიდროსტატიკური
ჰიდროტექ. – ჰიდროტექნიკისა, ჰიდროტექნიკური
ჰისტოლ. – ჰისტოლოგიისა, ჰისტოლოგიური
ჰორიზ. – ჰორიზონტალური

სიდიდეთა ჯერადი და წილობითი ერთეულების დასახელებების წარმოსაქმნელი თავსართების შემოკლებული აღნიშვნები

ა – ატო...(10^{-18})
გ – გიგა... (10^{9})
დ – დეცი... (10^{-1})
დკ – დეკა... (10)
კ – კილო... (10^{3})
მ – მილი... (10^{-3})
მგ – მეგა... (10^{6})
მკ – მიკრო ... (10^{-6})
ნ – ნანო... (10^{-9})
პ – პიკო... (10^{-12})
პტ – პეტა... (10^{15})
ს – სანტი... (10^{-2})
ტ – ტერა... (10^{12})
ფ – ფემტო... (10^{-15})
ჰ – ჰექტო... (10^{2})

სიდიდეთა ერთეულების შემოკლებული აღნიშვნები

ა – ამპერი
Å – ანგსტრემი
ა. ე. – ასტრონომიული ერთეული
ა. სთ – ამპერ-საათი
ატ – ატმოსფერო ტექნიკური
ატმ – ატმოსფერო ფიზიკური
ბერ – ბიოლოგიური ეკვივალენტი რენტგენისა
ბრ/წთ – ბრუნი წუთში
გ – გრამი
გბ – გილბერტი
გ-ეკვ – გრამ-ეკვივალენტი
გრად – გრადუსი
გს – გაუსი
^{0}C – გრადუსი ცელსიუსის
დბ – დეციბელი

დკლ – დეკალიტრი
დმ – დეციმეტრი
დნ – დინი
დღ-ღ – დღე-ღამე
ე – ერსტედი
ევ– ელექტრონვოლტი
ერგ – ერგი
ვ – ვოლტი
ვ.ა – ვოლტ-ამპერი
ვბ – ვებერი
ვტ – ვატი
ვტ·სთ – ვატ-საათი
ზ. მილ.– ზღვის მილი
თ – თვე
К – კელვინი
კ – კულონი
კალ – კალორია
კარ – კარატი
კგ – კილოგრამი
კგძ – კილოგრამ-ძალა
კდ – კანდელა
კევ – კილოელექტრონვოლტი
კვრ –კვირა
კვტ – კილოვატი
კვტ·სთ – კილოვატ-საათი
კვძ – კვანძი
კკალ – კილოკალორია
კმ – კილომეტრი
კმოლ – კილომოლი
ლ – ლიტრი
ლმ – ლუმენი
ლქ – ლუქსი
მ – მეტრი
მგ – მილიგრამი
მგევ – მეგაელექტრონვოლტი
მგვტ – მეგავატი
მგომ – მეგაომი
მგჰც – მეგაჰერცი
მინ – მინუტი
მკმ – მიკრომეტრი
მკფ – მიკროფარადა
მკწმ – მიკროწამი
მლ – მილილიტრი
მმ – მილიმეტრი
მმ ვწყ. სვ. – მილიმეტრი ვერცხლისწყლის სვეტისა
მმ წყ. სვ.– მილიმეტრი წყლის სვეტისა
მოლ – მოლი
მქს – მაქსველი
ნ – ნიუტონი
ნმ – ნანომეტრი
ნტ – ნიტი
ნწმ – ნანოწამი
ომ – ომი
პა – პასკალი
პზ – პუაზი
პს – პარსეკი
პფ – პიკოფარადა
რ – რენტგენი
რად – რადი
რად – რადიანი
სეკ – სეკუნდი
სთ – საათი
სიმ – სიმენსი
სინ. წ. – სინათლის წელიწადი
სმ – სანტიმეტრი
სნთ – სანთელი
სპზ – სანტიპუაზი
სსტ – სანტისტოქსი
სტ – სტოქსი
სტერ – სტერადიანი
ტ – ტონა
ტლ – ტესლა
ტძ – ტონა-ძალა
ფ – ფარადა
ც – ცენტნერი
ც/ჰა – ცენტნერი ჰექტარზე
ცხ. ძ. – ცხენის ძალა
წ – წელიწადი
წთ – წუთი
წმ – წამი
ჯ – ჯოული
ჰა – ჰექტარი
ჰლ – ჰექტოლიტრი
ჰნ – ჰენრი
ჰც - ჰერცი

შემოკლებები ბიბლიოგრაფიულ აღწერილობებში

ქ ა რ თ უ ლ ე ნ ა ზ ე
ა.ა. – ადგილის აღუნიშვნელად
ავტ. – ავტორი
ავტორეფ. – ავტორეფერატი
ამონაბ. – ამონაბეჭდი
ბიბლიოგრ. – ბიბლიოგრაფია, ბიბლიოგრაფიითურთ
ბიულ. – ბიულეტენი
ბროშ. – ბროშურა
გადამუშ. – გადამუშავებული
გაზ. – გაზეთი
გამოც. – გამოცემა
განმ. – განმეორებითი
განყ. – განყოფილება
გვ. – გვერდი
დამატ. – დამატება, დამატებითი
დამუშ. – დამუშავებული
დის. – დისერტაცია
ენიმკი – აკად.ნ.მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი
თ. – თავი
თ.ა. – თარიღის აღუნიშნელად
თანაავტ. – თანაავტორი
თარგმ. – თარგმანი, თარგმნილი
თხზ. – თხზულებანი
თხზ. კრ. – თხზულებათა კრებული
თხზ. სრ. კრ. – თხზულებათა სრული კრებული
ინ-ტი – ინსტიტუტი
კომენტ. – კომენტარები
კრ. – კრებული
კრიპტ. – კრიპტონიმი
ლიტ. – ლიტერატურა
მ. – მუხლი (მმ.–მუხლები)
ნაკვ. – ნაკვეთი
ნაწ. – ნაწილი
პ. – პუნქტი
პ/მგ. რედ. – პასუხისმგებელი რედაქტორი
პუბლ. – პუბლიკაცია
ჟურნ. – ჟურნალი
რედ. – რედაქტორი, რედაქციით
რეფ. – რეფერატი
რეც. – რეცენზია
რჩ. თხზულებანი – რჩეული თხზულებანი
რჩ.ნაწარმ. – რჩეული ნაწარმოებები
საბ. – საბუთი
სათ. – სათაური
სვ. – სვეტი
სტ. – სტატია
ტ. – ტომი
უნ-ტი – უნივერსიტეტი
ფ. – ფონდი
ფსევდ. – ფსევდონიმი
შემდგ. – შემდგენელი
შემოკლ. – შემოკლება, შემოკლებული
შესავ. – შესავალი
წ. – წელი (წწ.–წლები)
წ.ა–წლის აღუნიშნელად
წგ.–წიგნი, წიგნში
წინასიტყვ.–წინასიტყვაობა, წინასიტყვაობით
წ.ჰ. – წელთაღრიცხვა ჰიჯრით
ხელნაწ. – ხელნაწერი

რ უ ს უ ლ ე ნ ა ზ ე
автореф. – автореферат
АН – Академия наук
б. г. – без года
б. м. – без места
библ. – библиография
в. – выпуск
вступ. ст. – вступительная статья
г. – год
гл. – глава
дисс. – диссертация
докум. – документы, документальный
доп. – дополнение, дополнительный
загл. – заглавие
Избр. произв. – избранные произведения
Избр. соч. – избранные сочинения
изд. – издание, издатель
ин-т – институт
кн. – книга
коммент. – комментарии
ЛГУ – Ленинградский государственный университет
МГУ – Московский государственный университет
назв. – название
огл. – оглавление
отв. ред. – ответственный редактор
отт. – оттиск
пер. – перевод
под ред. – под редакцией
Полн. собр. соч. – полное собрание сочинений
предисл. – предисловие
прил. – приложение
прим. – примечание
псевд. – псевдоним
публ. – публикация
разд. – раздел
ред. – редактор, редакция
реф. – реферат
рец. – рецензия
с. – страница
сб. – сборник
сер. – серия
Собр. соч. – собрание сочинений
сокр. – сокращение, сокращенный
сост. –составитель, составленный
Соч. – сочинения
ст. – статья
стеногр. – стенограмма, стенографический
столб. – столбец
тетр. – тетрадь
т. – том
ун-т – университет
ч. – часть
яз. – язык

ქალაქების სახელწოდებათა შემოკლებანი ბიბლიოგრაფიაში

ქ ა რ თ უ ლ ე ნ ა ზ ე
ბათ.–ბათუმი
თბ.–თბილისი
ლ.–ლენინგრადი
მ.–მოსკოვი
პ.–პეტროგრადი
სოხ.–სოხუმი
სპბ.–სანქტ- პეტერბურგი
ქუთ.–ქუთაისი
ცხინვ.–ცხინვალი

რ უ ს უ ლ ე ნ ა ზ ე
А.-А. – Алма-Ата
Аш. – Ашхабад
Г. – Горький
Душ. – Душанбе
Ер. – Ереван
К. – Киев
Киш. – Кишинёв
Л. – Ленинград
М. – Москва
М. – Л. – Москва – Ленинград
Новосиб. – Новосибирск
Од. – Одесса
П. – Петроград (Петербург)
Ростов н/Д – Ростов-на-Дону
С. – София
СПб – Санкт-Петербург
Тал. – Таллин
Таш. – Ташкент
Тб. – Тбилиси
Фр. – Фрунзе
Хар. – Харьков

უ ც ხ ო უ რ ე ნ ა ზ ე
Amst. – Amsterdam
Antw. –Antwerpen
B. – Berlin
B. Aires – Buenos Aires
Balt. – Baltimore
Bdpst. – Budapest
Berk. – Berkeley
Brat. – Bratislava
Brux. – Bruxelles
Buc. – Bucureşti
Camb. – Cambridge
Chi. – Chicago
Cph. – Copenhagen, Copenhague
Fr./M. – Frankfurt am Main
Gen. – Genève
Gött. – Göttingen
Hamb. – Hamburg
Hdlb. – Heidelberg
Hels. – Helsingfors, Helsinki
Ist. – Istanbul
Kbh. – København
L. – London
Los Ang. – Los Angeles
Lpz. – Leipzig
Mass. – Massachusetts
Melb. – Melbourne
Méx. – México
Mil. – Milano
Münich – München
N.Y. – New York
Oxf. – Oxford
P. – Paris
Phil. – Philadelphia
Rio de J. – RIo de Janeiro
S. F. – San Francisco
Stockh. – Stockholm
Stras. – Strasbourg
Stuttg. – Stuttgart
W. – Wien
Warsz. – Warszawa
Wash. – Washington
Z. – Zürich

შემჩნეული შეცდომების გაცნობრება

გვერდი	სვეტი	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
		ზემოდან	ქვემოდან		
I ტომი					
99	III	—	41	*ვსესვიატსკოე*	*ვსეხსვიატსკოე*
100	I	—	6—5	ა ლ ი-მ ი რ ზ ა, ა ს ა ნ- მ ი რ ზ ა.	ა ლ ი -მ ი რ ზ ა.
294	I	—	13—12	*საფარის* სამონასტრო კომპლექსები,	*საფარის მონასტერი,*
397	II	—	10	,,პანჩატატრას''	,,პანჩატანტრას''
478	III	20—21	—	*ორმეფობის*	ორმეფობის
490	II	11	—	1938—	1928—
575	I	38	—	1785	1775
575	I	—	29—28	(1805—10) ვ-მა აღწერა	ვ-მა აღწერა (1805—10)
II ტომი					
14	II	—	6	ბაქტეროფაგიის,	ბაქტერიოფაგიის,
21	I	—	25—24	*,,ძეგლის დადება მეფეთმეფის გიორგის მიერ''.*	*,,ძეგლის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ''.*
26	II	—	18—17	*,,ძეგლის დადება მეფეთმეფის გიორგის მიერ''.*	*,,ძეგლის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ''.*
36	I	2	—	მეფეთ	მეფეთა
40	II	—	22	გლდანი	**გლდანი**
42	I	13	—	**ბ. კ.**	**ბ. კ.,**
44	II	—	2	ყათლანიხევი,	ყათლანისხევი,
44	III	15	—	ტახტიძირი)	ტახტისძირი)
53	III	6	—	*ნ. ყიფიანი.*	*თ. არსენაძე.*
68	III	—	10	მირებული	მიღებული
93	III	—	25	პანტონიმა	პანტომიმა
94	II	26	—	გომისციძე	**გომისციხე**
98	I	5	—	გონჯაონა	**გონჯაობა**
117	III	12—13	—	*გორიჯვრის ეკლესია*	*გორიჯვრის წმინდა გიორგის ეკლესია*
141	II	7	—	დაბეჭდა.	დაიბეჭდა.
200	I	33	—	*დავით ბატონიშვილი*	*დავით უფლისწული*
204	II	—	1	კაპელით	ა კაპელით
211	III	31	—	**გურგენის აჯანყება 523**	**გურგენის აჯანყება 523**
249	III	3—5	—	*დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი*	*დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი*
263	III	30—31	—	*ფერარა-ფლორენციის კრება,*	*ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება,*
292	I	—	18	*ალდე დედოფლის*	*ალდე დედოფლის*
388	I	8	—	*დ. ფრეშფილდთან*	*დ. ფრეშვილდთან*
395	II	—	12	*გაბრიელი,*	გაბრიელ I,
414	II	31	—	*გორიჯვრის ეკლესია*	*გორიჯვრის წმინდა გიორგის ეკლესია*
421	III	—	12—11	*რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა.*	*რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა.*
439	II	20	—	*მითრიდატე VI ევპატორის*	*მითრიდატე VI ევპატორის*
454	III	18	—	*დიდგორის ომში*	*დიდგორის ბრძოლაში 1121*
459	III	—	10—9	მ. ბართოლომეიმ	ი. ბართოლომეიმ
561	II	32	—	ევსებუს კესარიელი	**ევსებიუს კესარიელი**
637	III	—	14	ელექტრონული	ელექტროლიტური

საილუსტრაციო მასალისა და სტატისტიკური მონაცემების მოწოდებისათვის რედაქცია მადლობას უხდის:

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმს და შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ო. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს.

სტამბა შპს ,,საქართველოს მაცნე‘‘
თბილისის გრ. რობაქიძის გამზ. №7ა